ლიტერატურის მუზეუმი
Literature Museum

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი 2013

Nikita Talakvadze. *From the Diaries of the Citizen Priest*
Literature Museum, Tbilisi 2013

www.literaturemuseum.ge
ტელ.: +995 32 293-20-45
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორები	თეა თვალავაძე, ია ღადუა
წიგნზე იმუშავეს	ირაკლი ხვადაგიანი, მანანა ვარადაშვილი
დამკაბადონებელი	ირინე ამირიძე
ტექსტის ამკრეფები	ელისო კალმახელიძე, ლია ქიტიაშვილი
ფოტორეპროდუქციები	მირიან კილაძის

ყდაზე გამოყენებულია 1917 წლის სექტემბერში გამართული
საეკლესიო კრების ფოტო. მეორე რიგში მარცხნიდან მერვე –
კირიონ II, მეხუთე – ნიკიტა თალაქვაძე

დაიბეჭდა სტამბაში *საარი*

ISBN 978-99940-28-77-1

ნიკიტა თალაქვაძე

მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან

ლიტერატურის მუზეუმი
Literature Museum

თბილისი

2013

ნიკიტა თალაქვაძე. ქუთაისი, 1902

წინასიტყვაობა

დღიურების გამოცემით ქართული საზოგადოება დიდად განებივრებული არ არის.

დღიურები, რასაკვირველია, როგორც მოგონებები, სუბიექტურია, მაგრამ აღწერილი მოვლენების თანადროულია და ისტორიული თვალსაზრისით, უფრო სანდო წყაროა.

ანჩისხატის მღვდლის - ნიკიტა თალაკვაძის დღიურები უაღრესად საინტერესო პერიოდს (1916–1933 წლებს, წყვეტებით) ასახავს და ეხება ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება, ბრძოლა ქართული ეკლესიის შიგნით, დამოუკიდებლობააღდგენილი ქართული ეკლესიის პირველ კათოლიკოს-პატრიარქებს, გასაბჭოების წლებს და შემდგომ კოლექტივიზაციის პერიოდს.

სამწუხაროდ, რვეულების ნაწილი (1917 წლის დასაწყისი, 1923–1929 წლები) დაკარგულია, ნაწილი კი – შედარებით გვიან, ავტორისავე გადაწერილი.

ნიკიტა თალაკვაძეც უაღრესად სუბიექტურია, ხშირად ძალიან კრიტიკული ამა თუ იმ მოწინააღმდეგის მიმართ, შეიძლება ითქვას, აგრესიულიც კი.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის და, განსაკუთრებით, ქართული ეკლესიის ამ პერიოდის შესახებ დღემდე სხვა დღიურები არ გამოქვეყნებულა და მისი სუბიექტური ხედვაც ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს.

ნიტიკა თალაკვაძე უაღრესად განათლებული და გამორჩეული მქადაგებელი იყო. კალისტრატე ცინცაძე მას „უბადლო ენამეტყველს“ უწოდებს. მან ბევრი რამ გააკეთა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად და ძალიან მტკივნეულად განიცდიდა იმ პროცესებს, რომელიც ქართულ ეკლესიაში ავტოკეფალიის აღდგენის (1917) შემდეგ განვითარდა.

განსაკუთრებით მძიმე დარტყმა იყო მისთვის კათოლიკოს-პატრიარქის – კირიონ მეორის სიკვდილი, რომელსაც ნიკიტა, იმ დროს გავრცელებული თვითმკვლელობის ვერსიისგან განსხვავებით, მკვლელობად მიიჩნევდა. იგი ღიად სდებდა ბრალს ეკლესიურ წრეებში გავლენიანი ჟურნალის ,,ახალი სიტყვა“ რედაქციას და ამ ჟურნალის თანამშრომლებს კირიონის ზნეობრივ მკვლელებს უწოდებდა.

ეკლესიის შიგნით ბრძოლის შედეგად, მამა ნიკიტამ 1924 წელს მღვდელმსახურებაზე უარი თქვა და ანაფორა გაიხადა. ალბათ, ამის გამო, და მისი სამოქალაქო პოზიციიდან გამომდინარე, ნიკიტა თალაკვაძე თავის დღიურებს ,,მოქალაქე მღვდლის დღიურებს უწოდებს.

ლაშა ბაქრაძე

1916 წ. პლატონ ექსარხოსის დროიდგან

მოგონება

1916 წ. იანვრის 24-ს, ახალმა ექსარხოსმა პლატონმა თვისს ეკლესიაში გადაიხადა, საღამოს ხუთ საათზე, ღვთისმშობლის დაუჯდომელი, რომლის შემდეგ ქადაგება წარმოსთქვა. დიდ-ძალი ხალხი იყო. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ლოცვის შემდეგ „კიეველები“ – მისი ნამოწაფარნი – მიგვიწვია ჩაიზე. მარტო „კიეველები“ სურდა, ამიტომ ეპისკოპოზნი ანტონი და ლეონტი, რომელნიც დარბაზში შემოვიდნენ, ცოტა ბაასის შემდეგ გამოისტუმრა ანუ, როგორც თვითონ სთქვა – „я васъ выправаживаю“, არც კი მიურთმევია მათვის ჩაი. ჩაიზე შევიკრიბენით თორმეტი კაცი, მეცამეტე თვითონ იყო! ამ თორმეტ კაცში ოთხნი ვიყავით, მის გარდა, ანაფოროსნი – არქიმანდრიტი ნაზარი, დეკ. კ. კეკელიძე, მღდ. ქრ. ჯიოევი (ოსი) და მე. სხვანი იყვნენ ერის კაცნი, ზოგი სემინარიის მასწავლებელნი, ზოგიც ქალაქის გიმნაზიების მასწავლებელნი აკადემიელნი. მათ არც ერთს არ ვიცნობ სახელი და გვარით, გარდა ერთისა, რომელიც არის ბერძენი, გვარად ნალპანისი. ამას ვიცნობ 1906 წლიდგან, როდესაც სემინარიის საბჭოს წევრი ვიყავი სამღვდელოებიდგან და დიდი შეტაკება სიტყვიერი თუ წერილობითი მქონდა იმდროინდელ რექტორებთან – ჯერ არქ. გრიგორისთან (შემდეგ არქიელის პირველი ვიკარნი, ნიკონის მოადგილე, ახლა არიოლის ეპისკოპოზია), შემდეგ არქ. პიმენთან (ესეც შემდეგ ვიკარნი იყო – ინოკენტისა, გადააგდო რუსეთში ბალტაში პიტირიმმა). ამათთან ბრძოლა-შეტაკების მოწმეა აღნიშნული ნალპანისი, ამასაც ბევრჯერ მოვახვედრე, ასე რომ კარგად მიცნობს. ბევრი ვიმუსაიფეთ იმ ღამეს. პლატონმა წინადადება მოგვცა, ლექციები გვეკითხა ტფილისში, ამით ფული გვეგროვებია და შემწეობა ამოგვეჩინა ომისაგან გაუბედურებულთათვის. მაგრამ გამოირკვა, რომ ასეთ ლექციებზე, ისიც ფასით, არავინ არ ივლიდა. პლატონმა ბრძანა, კიდევ ვიფიქრებ ამ საგანზეო. შემდეგ მოგვართვა ჩაი და დავიწყეთ კიევის აკადემიის ჩვენ-ჩვენის დროის მოგონებანი. მოიგონა მანაც თვისი დოცენტობა, ინსპექტორობა, რექტორობა, მის დროს აკადემიის რევიზია ანტონ ვოლინელისაგან, დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ამ რევიზორზე. შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი უმაღლეს სამღვდელო პირებზე რუსეთში. მე დავახასიათე ისინი შავი ფერადებით, როგორც ეკლესიის „ფეოდალ-თავადები“ – „князя церкви“ – მათი უხასიათობა, უიდეობა, უპრინციპობა, ზოგჯერ ურწმუნოება და ამიტომ სრული უნაყოფობა. განცვიფრებული ყურს მიგდებდა პლატონი, პირი ღია დარჩა! მე დაურთე ისიც, რომ უმაღლესმა სამღვდელო პირებმა მღვდლებზე იციან ძლიერების გამოჩენა, სხვებთან კი ძლიერ უძლურნი, დამცირებულნი არიანო თქო. ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენი ეკლესიის ტკივილებზე. ამ საგანზე მას 19 იანვარსაც ველაპარაკე დარიაში, ანტონ ეპისკოპოზის დღეობის გამო დარიაში გამართულ სადილზე, რომელზედაც მე თამადად ამირჩიეს. ბრძანდებოდენ ექს. პლატონი, ეპ. ლეო-

ნიდი, პროკურორი კანტორისა – მ. გრ. პოპოვი, დეკ. ტყემალაძე, თოთიბაძე, ცინცაძე, სმირნოვი კადეტსკი კორპუსისა, დეკ. გაბრ. ცაგარეიშვილის სიძე, ექს. კანც. პრავიტელი დობროვოლსკი და დათიკო დავიდოვი. თამადობაზე უარი განვაცხადე და ჩემი მხრით მივაწოდე დეკ. მარკოზ ტყემალაძე, როგორც „მთელ საექსარხოსოს თეთრ სამღვდელოების უპირატესი“. ტყემალაძემ ამაზე იმახვილა – „я неспособенъ“-ო! ამ სიტყვაზე არქიელმა – მიუბრუნდა პროკურორს და ასე იოხუნჯა: „нужно О. Марка освидѣтельствовать въ конторѣ, на самомъ ли деле онъ „неспособенъ“-ო! მიხვდა მარკოზი, რო ვერავითარი რუსული გამოუვიდა და ჭარხალივით გაწითლდა. არქიელის სადღეგრძელოში მოვიხსენიე ჩვენი ეკლესიის აოხრებული მდგომარეობა და გამოვთქვი სურვილი, რომ ახალმა არქიელმა საკუთარი თვალით იხილოს ყოველივე ესე და დარწმუნდეს ჩვენი ამ საგანზე ჩივილების საფუძვლიანობაში... ლეონიდი ვადღეგრძელე, როგორც დევნილი სამშობლო ეკლესიისათვის და როგორც პატივცემულ-საყვარელი მოღვაწე ჩვენი ერისა... წამოყენებულ პრინციპიალურ საკითხებზე არქიელი საპასუხო სიტყვებში სცდილობდა „სიტყვის ბანზე აგდებას“. ეტყობა, „ოსტატურად“ უნდა გაგვაცუროს ყინულზე ისევ დაპირებებით, ისევ თავზე ხელის გადასმით... თუ დიდხანს დარჩა ჩვენში და მიტროპოლიტად არ წაიყვანეს, სასტიკობას დაიწყებს, მემარჯვენე „მოკავშირეა“, მალავს კი, რაც შეიძლება, ჯერ-ჯერობით თვის გულ ნადებს... აი, ამ დღიდგან დავიწყე პლატონთან მოქალაქეობრივი ბაასი... 24-ს იანვარს კი მოვიგონეთ ჩვენი აკადემიაში ერთ-მანეთის ცნობა. ის, მე რო პირველ კურსზე ვიყავ, „პროფესორის სტიპენდიატი“ იყო, მღვდელმონაზონი, ახალ კურს დასრულებული. მეოთხე კურსზე იყო ამ დროს აწ უკვე „ცნობილი“ მთავარეპისკოპოზი დიმიტრი – აბაშიძე, მაშინ იერო-დიაკონი. ამისი დიდი მეგობარი იყო პლატონი, ესეც მოვიგონეთ... ბოლოს დაგვლოცა – ყველანი და გამოსთქვა იმედი, რომ ჩვენ დავეხმარებით მას თვისს კეთილ-განზრახვების განხორციელებაში. ჩვენც აღუთქვით, რასაკვირველია. შემდეგ მე მითხრა, რომ „ძლიერ ღარიბად და მოუწყობელი ყოფილხარ, როგორც გავიგეო! რით შემიძლია შეგიმსუბუქო მდგომარეობაო“! მეც ავდექი და მოვახსენე, რომ რწმუნებულ ჩემდამი ანჩისხატის ტაძრის ეზოში, „კანტორის სახლებში“, დაიცალა ორი ოთახი, სადაც სამადალოვი ცხოვრობდა. ეს სამადალოვი – უკვე მღვდელი პეტრე-პავლეს ეკლესიისა (აკურთხა პიტირიმმა გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით), თქვენ გადაგიმწესებიათ მრევლში. სანამ ჩემ მიერ აღძრული სადაო საქმე კანტორისა და ანჩის ხატის ეკლესიაშუა გაირჩეოდეს და სრულ კმაყოფილებას მივიღებდე, მანამ მიბოძეთ ის ორი ოთახი, ცოლ-შვილი მეხოცება ანჩისხატის ნანგრევებში თქო. სამი თვეა უფროსი ქალი ლოგინად ჩავარდა, ცოლიც ავათ მყავს, ექიმები კი მეუბნებიან, ასეთ ბინაზე ფუჭია მათი წამლობაო. რო უფრო და უფრო ფერადებით დავახასიათე ჩემი მდგომარეობა, პლატონმა შემაწყვეტინა ლაპარაკი და მითხრა მწუხარებით – კარგი, მამაო ნიკიტა, ნუ სწუხართ, ვეცდები გიშველო, ეხლა კი მომიცია ის ოთახები, რომელიც თქვენს ეზოში დაიცალა, გადადი, დაბინავდიო. მეც ავდექი და მადლობა გადაუხადე. ორ ოთახში როგორ უნდა მოთავსდეო, მკითხა. – იმ ორ ოთახში ვიცხოვრებთ,

ბარგი და სხვა საჭიროებისათვის ისევ ძველი ბინა მექნება თქო, – უპასუხე... დავიშალენით ღამის 11 საათზე. მეორე დღეს – 25 იანვარს, მცხეთას წაბრძანდა პლატონი, იქ თავად-აზნაურთა წინამძღოლნი უნდა დახვედროდენ, სადილი გაემართათ და მცხეთის განმაახლებელი კომიტეტიც უნდა დახვედროდა ანტონ ეპისკოპოზის თავმჯდომარეობით. მეც მოვხვდი ამათ რიცხვში, როგორც ახალ დანიშნული წევრი ამ უბედურ კომიტეტისა! წავედი მცხეთას და დაუხვდით პლატონს. იყვნენ: გუბერნიის მარშალი – აფხაზი, იმერეთისა დ. ნიჟარაძე, დუშეთისა მუხრანსკი, კიდევ ოფიცერი მუხრანსკი, გ. ჟურული, ვიღაც მაჩაბელი, ნატროევი, ეპ. ანტონი, ცინცაძე, თოთიბაძე, არქიმ. ნაზარი, კეკელიძე, შოშიევი, სამხედრო მღვდელი კ. დათაძე და სხვა ამალა... მიეგება ეზოში მუხრანსკი და მოკლე პროგრამული სიტყვით შესთხოვა, მამობა-პატრონობა გაგვიწიოს ახალმა არქიელმა. შიგ ტაძარში ეპ. ანტონმაც ლამაზი სიტყვით, მოქარგული ენით იგივე შეჰღაღადა. საპასუხო სიტყვაში პლატონმა მოიგონა, რომ 12 წლის წინეთ ვიყავი ტფილისშიო, მაგრამ იმ დროინდელ მგზავრობიდგან ყველაფერი დამავიწყდა გარდა ამ დიდებულ მთელ საქრისტიანოს სიწმინდისა, როგორიც არის მცხეთის ტაძარიო. იმ დროს ეროვნებათა გაყოფ-გამოყოფა როდი იყო, როცა მცხეთა აუშენებია ქართველებსო, ეს იმ დროს საერთო, საქრისტიანო იყოო. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სახელი შეუკავშირდება ამ სიწმინდის აღდგენა-განახლებასო... აქედგან დედათა წმ. ნინოს სავანეში წაბრძანდენ, იქ სიტყვით მიეგება მონასტრების ბლაღოჩინა – „ცნობილი“ მეგობარი გარყვნილ ეროთერექტორისა, რომელიც გადააგდო რუსეთში პიტირიმმა, ნაზარიც „პატრიოტული“ რეჩით მიეგება პლატონს, ესეც პლატონის ნამოწაფარია... შემდეგ ჩაი გიახელით მონასტერში, ჩაის შემდეგ ისევ მცხეთის ტაძრის ეზოში, საკათალიკოზო სახლში დავბრუნდით, სადაც სადილი იყო მზად. დავსხედით, ვისადილევით. სუფრაზედაც ილაპარაკეს. აქ მოკლე სიტყვით შეაქო ის აფხაზმა, შემდეგ ნატროევმა უთხრა ტაძარზე, ბოლოს ლამაზი, ზრდილობიანი სიტყვა წარმოსთქვა ჟურულმა. ამ სიტყვათ „ნაკადულებზე“ პლატონმა დიპლომატიურად უპასუხა საერთოდ ყველას: „მე იმედი მაქვსო, რომ „სახელგანთქმული ქართველი თავად-აზნაურობა (именитое груз. дворянство) და ქართველი სამღვდელოება მოახერხებენ ამ სიწმინდის აღდგენა-განახლებას და მეც დამიხმარებენ და მიმსახურებენ ამ ისტორიულ ღვაწლშიო“!.. ესე იგი თქვენია, თქვენვე უნდა იცეთ თავშიო!.. ჩვენც გამძღარნი და ასე „ნასიამოვნენი“ დავიშალენით. არქიელი დიდი მთავრის ავტომობილით გამოქროლდა ქალაქისაკენ, თავადებიც ავტომობილით გაქანდენ, ჩვენ კი ანტონ ეპისკოპოზს ვეწვიეთ მცხეთის სადგურზედ სალონ-ვაგონი ჰქონდა მიცემული რკინის გზის უფროსისაგან. იქ შევიკრიბენით: ეპ. ანტონი, დეკ. ცინცაძე, თოთიბაძე, ნაზარი არქ., კეკელიძე და მე. ვმუსაიფობდით, ლაზღანდარობდა ცინცაძე, წინაღამე ეპ. ანტონმა, ცინცაძემ და თოთიბაძემ ამავ ვაგონში გაათიეს და იმ ღამინდელ „პრიკლიუჩენიებს“ უკიჟინებდა ანტონს, იქვე სანიტარულ მატარებლებში ქალები – დები (сестры милосердія) ყოფილან და დილა ადრიან ნახევრად შიშველნი დაუნახიათ... შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ დიდუბის ეკლესიის საქმე, რომელიც ხელ-ახლა იყო აღძრუ-

ლი მარშლების საქმეში ჩარევით, გაურჩევია პიტირიმს და პლატონს სინოდში და ჯიბით ჩამოუტანია ქალაქში „უქაზი“. დიდუბეში, იქვე ეკლესიის მახლობლად, დიდუბის ეკლესიის ხარჯით აშენდეს რუსებისათვის ახალი ეკლესიაო, რომელიც დიდუბეზე იქნება მიწერილი და იქაური კრებული დაემსახურებაო! მე გამოვსთქვი დიდი უსიამოვნება ამ ამბის თაობაზე. ეს საქმის გაკეთება კი არ არის, უფრო დაბნელება და გართულებაა თქო, ასეთი პრინციპი არ გამოდგება ჩვენ ეკლესიურ საკითხში. „ფულით ჩვენ არ შეგვიძლია ეკლესიურ თავისუფლების გამოსყიდვა, ფულით არ შეიძლება ნამუსის და უფლებების აღდგენა“!.. დეკ. ცინცაძემ ძლიერ თავი გამოიდვა, „კარგად გადაწყვეტილა საქმეო, რუსებსაც უნდა ჰქონდეთ იქ ეკლესიაო“! – კი უნდა ჰქონდეთ, – უპასუხე მე, – აქვთ კიდეც არა ერთი და ორი, იმ მხარეზე ყველა ეკლესიებში რუსულად სრულდება წირვა-ლოცვა, რატომ არც არსად არ იცნეს ჩვენი სულიერი მოთხოვნილება?! სასაცილო არ არის, რომ გატყავებულმა ქართველობამ, იმისათვის, რომ უფლება მოიპოვონ თავიანთ ეკლესიებში ქართულად ჰქონდეთ წირვა-ლოცვა, თავიანთ ეკლესიების გვერდით რუსებსაც ეკლესიები უშენონ?! განა აქ ეკლესიის უქონლობაზეა საქმე?! აქ ერთგვარი „უკულმართი აზრის“ განხორციელებას ელტვიან და ჩვენ კი, რომ ამ აზრს საფუძვლიანად შევებრძოლოთ, ასეთ „უქაზებს“ ტაშს უკრავთ და სიხარულით ვეგებებით! ალბად ამ „უქაზის“ შინაარსი და გადაწყვეტილება აქვე, ამ ჩვენს დედა ქალაქშია მოფიქრებული, დირექტივები აქედგან არის წაღებული და იქ – პეტროგრადში მხოლოდ ეს დაუდასტურებიათ, უმაღლესი ბიუროკრატიული ბეჭედი დაუსვამთ და გამოუგზავნიათ, რომ „ახალი“ ეკლესია აუშენონ დიდუბელ „მოკავშირეთ“ და ამ „ახალ“ ეკლესიაში დიდუბისავე კრებულმა თვისი „დამტვრეული სლავიანურით“ უწირონ-ულოცონ და აცხონონ სულნი მათნი! როდემდი?!. ამ პრინციპით – მამა დავითის ეკლესიამაც „ახალი“ ეკლესია უნდა აუშენონ რუსებს, ასევეა ამაღლების ეკლესიაც, წმ. ბარბარესი, ნახალოვკისა, მთავარანგელოზისა და სხვათა და სხვათა. ცხვირი ვერ მოგიწმენდიათ და თქვენი აშენებული ეკლესია ვის რად ესაჭიროება მეთქი“! „მამა მირიანოვი ამ აზრის წინააღმდეგიაო, – სთქვა დეკ. ცინცაძემ, – თუმცა მე კი მომწონსო“! „ალბად თქვენ უკვე გქონიათ წინ და წინვე მსჯელობა ამ თაობაზე, გადაგიწყვეტიათ კიდეც თქო“! – უპასუხე მე მამა ცინცაძეს! „შენ ტყვილა გგონია, რომ მე მირიანოვის მეგობარი ვარო“! – მითხრა კალისტრატემ. „არა მე კი არ მგონია ეს, ეს საქმით სჩანს მეთქი! და თუ მირიანოვი „ახალი“ ეკლესიის აშენების შესახებ თქვენ თითქოს არ გეთანხმებათ ეს იმიტომ, რომ არიან ისეთი გვამნი, რომელნიც ერთს ამბობენ, მეორეს ჰფიქრობენ და მესამეს აკეთებენ თქო! კმარა, მამაო კალისტრატე, მე და შენ კარგა ხანია ვიცნობთ ერთ-მანეთს თქო“!.. ამ ჩვენს ლაპარაკს სულ განაბულნი ყურს უგდებდენ ეპ. ანტონი, ნაზარი, თოთიბაძე, კეკელიძე და ამალა ეპისკოპოზისა. ასე მიდის დიდუბის საქმეები, ის ეკლესია ცინცაძის „ოპეკას“ ვერ მორჩა! ტყვილა კი არ მწერდა ცინცაძე ბარათებში – „შენი ოპეკუნი კ. ცინცაძეო“! ახლა მირიანოვს დასდგომია ოპეკუნად, არამცთუ მირიანოვს, მთელ ქართველობას, ჩვენი ეკლესიური-საზოგადოებრივი ცხოვრება ქაშვეთის ეკლესიაში ხურდავდება მიცვალებულთა გასვენება-პა-

ნაშვიდებზე, ამაებზე იბანდება ჩვენი „ეკლესიური მიმართულება“. ესეც მოვახსენე მამა ცინცაძეს მაშინ! – რატომ ერთხელ არ შეჰკრიბა მამა მირიანოვმა ის მრევლი, რომელიც მე შევადგინე დიდუბეში?! რატომ არ მოუხმო მან ამ ხალხს, რომელსაც ის თვის ბლაღოჩინობის დროს ორხელ თავმჯდომარეობდა დიდუბის მნათის არჩევნებზე? ეს მრევლი ხო პოლიციის საშვალებით იყო ჩაწერილი და სინოდ. კანტორისაგან დამტკიცებული?! რუსები არ გამოცხადდენ კრებებზე, პატიოსანი რუსები, რომელთაც თავიანთი სამრევლო ეკლესიები აქვთ და დიდუბის მრევლთა სიაში ძალად ჩაჩხირეს. ამათგან გამოცხადდენ მხოლოდ 17 კაცი, რომელთაც, რო დაინახეს არჩევნებზე ვერას გახდებოდენ, დემონსტრატიულად გავიდენ კრებიდგან, გარნა ბლაღოჩინი მირიანოვი თავ-მოგლეჯილი ჭიისკარებამდე მისდევდა – „დაბრუნდით, გენაცვალეთ, ჩემგნით არა გეწყინოთ რაო“!.. რატომ ერთხელ არ მოიწვიეს ის მრევლი, რომელმაც ბოლო არჩევნებზე აირჩიეს მნათეც, მისი თანაშემწე, სამზრუნველოს 12 წევრი, მათი თავმჯდომარე თავადი ვ. გელოვანი, ყოფილი დეპუტატი სახელმწ. დუმისა! მართალია, ეს არ დაამტკიცა ინოკენტიმ, მაგრამ ახლა მაინც გეცადათ სხვა დროს და სხვა პირობებში! არა, იდროვეს-იხელთეს და კანტორის ჩინოვნიკი ნახუცაროვი დაანიშვნიეს ანტონ ეპისკოპოზს დიდუბის მნათედ! საქმე ის იქნებოდა, რომ ბატონი ნახუცაროვი მრევლს აერჩია! „აბა, სად არის ხალხი, სად არის მრევლიო“! – ბრძანა დეკ. ცინცაძემ! „არა, მამაო კალისტრატე, – მიუგე მე, – ჩვენი ხალხიც კარგია და მათი ფულებიც, რომელსაც ისინი გვიჩხრიალებენ ჯიბეში, მაგრამ ჩვენ მღვდლები არ ვარგივართ, არამცთუ ვერ ვმწყსით მათ, ვერ ხელვმძღვანელობთ, პირიქით, განგებ და განზრახ „სხვათა სასიამოვნებლად“ ვაბრმავებთ მათ! ხალხს ნუ შეურაცჰყოფთ მამაო, ტყვილად, ეს ცოდვაა“!!! ძლიერ გაცეცხლდა კალისტრატე, აცახცახდა! მე განვაგრძე: „აბა, რა იქნებოდა, რომ დიდუბის მრევლისათვის ერთხელაც დაეძახა მირიანოვს, ერთი პანაშვიდი მაინც გადაეხადათ იქ ვარლამ გელოვანზე, რომელიც იმ მრევლმა არჩია დიდუბის ეკლესიის სამზრუნველოს თავმჯდომარედ!.. მაგრამ არა“... შემდეგ მოუყევი მსმენელთ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი დიდუბეში სამსახურის დროს: „დიდუბეში ცხოვრობდა ერთი მოხუცებული უშვილო ღარიბი რუსი ცოლ-ქმარი. ქმარი ტრამვაის გზის მწმენდავი იყო. ცოლ-ქმარი მორწმუნენი იყვნენ, დადიოდენ წირვა-ლოცვაზე, მე სახლს უნათლავდი მათ, ჩვენ მრევლად მიმაჩნდა, ჩემთან ეზიარებოდენ. გახდა კაცი ავად, დამიძახეს – ვაზიარე. გარდაიცვალა. დამიძახეს და პირველი პანაშვიდი მახდევინეს. შეიკრიბნენ დიდუბელი რუსები. რაღაცა ერთ-მანეთში მითქმა-მოთქმა-ჩურჩულია, გაიხმეს ქვრივი და რაღაცა მასაც უთხრეს. პანაშვიდს რო მოვრჩით, მოვიდა ქვრივი და ხმა მაღლა, ყველას დასანახად და გასაგონად მითხრა: „მამაო, აი, თქვენი გასამჯელო, – გამოიშვირა სამი მანეთი, – ჩემი ქმარი მისიონერის ეკლესიაზეა მიწერილი, იქაური წევრნი ვართ ჩვენ და იმ ეკლესიაში უნდა გაასვენოს მამა სერგი გოროდცევმაო, ნურას უკაცრავად, თქვენ აღარ გვჭირდებითო“. მე ფულისათვის ხელი არ მიხლია და უპასუხე, რომ თქვენი სურვილის წინააღმდეგ მე სრულებით არა მაქვს რა და ფულსაც არ ავიღებ, ეს ჩემი სამსახური მიიღეთ ჩემგან პატივისცემად მეთქი, გამოვემშვიდობე ზრდი-

ლობიანად და წამოველ. მაგრამ იმ დღესვე ღამის 11 საათზე, როდესაც სახლში ვმეცადინეობდი, ეს ქვრივი და ორი ვეებერთელა რუსი შემოვიდენ ჩემსა, გამოექანა ქვრივი და ჩამივარდა ფეხებში: „батюшка родимый, нашъ ненаглядный, добрый, ласковый, прости меня окаянную, не взыщи съ меня обиду, вынесите моего мужа въ вашу церковь, служите вы по христіански и похороните его по христіански! „Месенерскій“ батюшка не хочет его выносить на литургю. Хочешъ послѣ обеда моль похороню, – сказалъ онъ. А я хотя и бѣдная, но христіанка, мужа хочу похоронить по христіански“. მე რასაკვირველია, გამოვასვენე ცხედარი, უწირე და დავასაფლავე! ასეა საქმე დიდუბეში! ის რუსები, რომელთაც ფული და შეძლება აქვთ, რუსის მღვდლებთან მიდიან, ღარიბ-ღატაკებს კი ხელს არ სტაცებენ, ჩვენ მოგვაგდებენ ხოლმე, ტენდენცია კი ისეთია, რომ იქაური მოსახლე რუსები რუსების წმინდა სამრევლოში ითვლებიან და თუ ზოგიერთნი ურა-მოკავშირენი თითქოს დიდუბეს ებღაუჯებიან, ეს განგებ, ქართველ მღვდლების გამოსადევნად და რუსების ჩასაყენებლად – და თუ მირიანოვს ისინი პურ-მარილით მიეგებენ, იმიტომ, რომ ის, თუმცა არც წირვა ეხერხება მას, არც ლოცვა, თავისიანად მიაჩნდათ. ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესია მან სულ გადაარუსა, გადასცა „მოკავშირეთ“. მოდით და ახლა ამათ „ახალი“ ეკლესიები უშენეთ და შემდეგ რუსის მღვდლები უშოვნეთ, რომ ჩვენ საშვალება მოგვეცეს, ჩვენ მამა-პაპეულ ნაამაგდარ საყდრებში ქართული წირვა-ლოცვის მოსმენის უფლება მოვიპოოთ. მახლას“... მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამ ჩვენმა შეკამათებამ ვაგონში.

მარკოზიადა!

იმ ღამეს, 25 იანვარს, სახლში რო დავბრუნდი, შევადგინე რაპორტი ახალ არქიელის სახელზე მისგან ბოძებულ ოთახების შესახებ, რაპორტი შემოიტანეო მიბრძანა. მეორე დღეს, 26-ს, ის რაპორტი გაუგზავნე არქიელს პაკეტით, მე გაკვეთილებზე წაველ. ამასთანავე სადარბაზო ბარათი გაუგზავნე სიონის დეკ. მარკოზ ტყემალაძეს: არქიელმა ანჩისხატის ეზოში ორი ოთახი მიბოძა, ახლა რაპორტს ვაძლევ და მიშველე, კანტორაში თუ ლაპარაკი ჩამოვარდეს ამის შესახებ თქო. ამომიყვანეთ ამ ჯურღმულიდგან, მეხოცება ცოლ-შვილი თქო, უფროსი ქალი ლოგინად მყავს ჩავარდნილი ეს სამი თვეა თქო. მე მივმართე მას, როგორც კანტორის წევრს, დახმარებისათვის. გამოირკვა, რომ მარკოზი ყოფილა ჩემი მოსისხლე მტერი, ის აჩერებს ანჩისხატის საქმის წარმოებას კანტორაში, მტრობს და ყოველივე ღონისძიებით ხელს მიშლის. იმ დღესვე 26-ს არქიელს დაუსვამს საკითხი კანტორაში ჩემი რაპორტის შინაარსით. პირველი წინააღმდეგი გამხდარა მარკოზი, შეუძლებელია თალაქვაძეს ის ოთახები მიეცეს, იქ სიონის იპოდიაკონი კაცურა – (რუსია) უნდა დავაბინაო, თალაქვაძე მოუსვენარია, იმას თქვენ კარგად არ იცნობთ ჯერო, ის კანტორის მოწინააღმდეგეა, მას იმ სახლებიდგან სურს კანტორა გამოდევნოს სულ ერთიანადო. ამაზე კვერი დაუკრა პროკურორმა პოპოვმა, რომელიც დიდი მოწინააღმდეგეა

ანჩის ხატის კანტორის კლანჭებისაგან განთავისუფლებისა. არქიელი ამ სახით ჩავარდა დიდ უხერხულ მდგომარეობაში: ერთი მხრით საჯაროდ ოთახები მიბოძა, მეორე მხრით ასეთი დაინტერესებულნი პირნი აეღობენ წინ მისს მწყემსმთავრულ სიტყვას, თუ არ კატეგორიული დაპირება, საქმე წახდებოდა. მაგრამ პლატონს შერცხვა თვის სიტყვის უკან წაღება და მოითხოვა, რომ ოთახები მე მომეცეს და არა კაცურას! მაგრამ მარკოზი მაინც არ დასცხრა, კაცმა სულიერი სიმშვიდე დაჰკარგა, ეძებდა რაიმე ისეთ ფანდებს, რომ ეს საქმე ჩაეშალა. ამიტომ ასე მიუმართავს პლატონისათვის: თუ იმ ორ ოთახს აძლევთ თალაკვაძეს, მაშ, თვისი ახლანდელი ბინა დაუთმოს კაცურასო! ეს კი პირ და პირ ყელის გამოჭრაა, – ეს ნანგრევი სახლების საღი ნაწილი ძლივს-ძლივობით გამოუგლეჯია კანტორის ხელიდგან მღ. პოლე კარბელაშვილს, ახლა ისევ გვიპირებდენ ჩამორთმევას. პლატონს უბრძანებია მარკოზისათვის – „მიდი დეკ. თალაკვაძისას და პირადად მოელაპარაკე მას, მე არა ვიცი რა ის ორი ოთახი მივეცი მასო“. მარკოზი მოსულა ჩვენსას 26-ს საღამოთი, მაგრამ მე სახლში არ დაუხვდი, მეუღლით ქვაშვეთში წავედით, იმ საღამოთი პლატონი მიიწვიეს სულმნათ აკაკის წლის თავის პანაშვიდზე. მობრძანდა პლატონი, მიეგება შემოსილი დეკ. ცინცაძე, ჯვრით და მოკლე სიტყვით: „მობრძანდით, გვანუგეშეთ მწუხარებაში, ილოცეთ ჩვენთვისო“. როდესაც საკურთხეველში შემობრძანდა, შევატყვე, რომ ძლიერ მოწყენილი და რაღაც ნაწყენი იყო. რო იმოსებოდა, შემომხედა, დამიქნია ხელი და მკითხა: „მარკოზი იყო თქვენთან თუ არაო“?! – არა მეთქი, – უპასუხე მე. „მაშ, მოვა და მოგელაპარაკებაო“. მივხვდი, რომ ჩემს საქმეზეა მოლაპარაკება. ჯერ არა ვიცოდი რა ინციდენტისა კანტორაში. 27-ს საღამოთი, ასე საათის ექვსზე, მობრძანდა მამა მარკოზი და თან წამოუყვანია იპოდიაკონი კაცურა. მიიღო ჩემმა მეუღლემ, მე წამოწოლილი ვიყავი, სანამ გამოვიდოდი, მარკოზი და კაცურა პალტოებში და კალოშებით დამსხდარიყვნენ ჩემს სასტუმრო ოთახში, არც კი გაეხადნათ პალტოები, კალოშებიც ზედ ეცვათ ორთავეს. მოსხდომოდენ ჩემ ცოლს და მარკოზი შესჩიოდა მას: „ეს ორი დღეა ძლიერ ცუდად ვარ, ლამის გავგიჟდეო, სულ თქვენმა ქმარმა ამიტეხა ეს დარდებიო“. ამ სიტყვებზე მეც შევედი სასტუმროში, გავიგონე ეს ჩივილი. მივესალმე მორიდებით ორთავეს და ვსთხოვე, პალტოები გაეხადათ და მოსვენებით დამსხდარიყვნენ. მაგრამ ამაზე არც ერთმა ყური არ გაიბერტყა და მარკოზი მწვდა პირში: „რა მიყავი ეს? მე ეს კაცი უკვე გადმოვიყვანე იმ ოთახებში, მე უკვე მივეცი ის ოთახები კაცურას და შენ კი ექსარხოსისათვის გამოგიტყოვნიაო, არქიელი შეცდომაში შეგიყვანიაო“! სისხლი ამვარდა თავში, ბრაზებმა ყელში მომაბჯინეს, დიდი ძალა დავატანე თავს, თავი შევიკავე. უეცრივ თავში ელვასავით გამიელვა – სტაცე ხელი და გამოაგდე გარედ პანღურის ცემით! მაგრამ იქვე კეთილ-გონიერებამ მისწრო და დაუგდე ყური დამშვიდებულად. მე უპასუხე: „მამაო მარკოზ, მე არა ვარ ჩვეული გამოტყოვნას და მოტყუილებას, არქიელს თვითონ სცოდნია ჩემი უმწეო მდგომარეობა, რომელიც თქვენ დიდი ხანია უკეთ მოგეხსენებათ, მას შევბრალებივარ, შემწეობის ხელი გამომიწოდა, თქვენ კი შემწეობის ნაცვლად, აი, რასა შვებით და რას მეუბნებით მეთქი. აკი გაგაფ-

რთხილეთ, გაცნობეთ წინ და წინ არქიელის განკარგულება და რატომ მიეცით იპოდიაკონს ოთახები ჩემი ეკლესიის ეზოში, როდესაც ამ ტაძრის წინამძღვარი – თალაქვაძე ჭაობშია ცოლ-შვილით და იქ იღუპება თქო"! როგორ გადმოიყვანეთ ეს კაცი, ან სად გაგზავნა ამან ბარგი, ჯერ სამადალოვი არც კი გადასულა ბინიდგან! ეს სადაური ლაპარაკია მეთქი". აქ მთავარიც ჩამომერია: „Отецъ протоіерей, пожалуйста откажитесь отъ тѣхъ комнатъ"-ო. მე შეუცაცხანე: „Вы, о. діаконъ, идете на проломъ, противъ воли Владыки! о. Самодаловъ еще не перебирался, а вы говорите, что уже перенесли вещи и уже записались въ домовой книжкѣ, не проживъ въ этой квартире ни одного часа! Вы ведь отлично знали, что я вотъ уже четыре года домогаюсь подняться изъ подземелья в этотъ дом, почему вы рѣшились на такіе некрасивые шаги?! Вы вѣдь занимаете две сухіе комнаты во второмъ этаже другого канторского дома, а видите где я прозябаю"?!. დაიწყო ისევ მარკოზმა გაცხარებული შფოთვა: „მე იმ ოთახებს უთმობ ექსარხოსს, არ იფიქრო, რომ თითქოს შენ გითმობდე – четыре раза ставился твой квартирный вопросъ въ конторѣ и четыре раза же я снялъ этотъ вопросъ съ очереди, а теперь вы предупредили меня и выманили у Экзарха комнаты, которыми пользовалисъ члены клира Сіонского собора! Это нечестно, этимъ посягаете на Сіонскій соборъ! Почему вы съ меня начали, согнали вы съ квартиры правителя экзарха Грузіи или другихъ постояльцевъ, – я не борюсь съ Синодальной Конторой, которая завладѣла имѣніями Сіонского Собора и въ счетъ этого Сионскій Соборъ пользовался квартирами Конторы въ ограде Анчисхатского собора". მე მიუგე: – „მამაო დეკანოზო, თქვენ ანგარიშს არ აძლევთ თქვენს თავს, ისეთი რამეები წარმოსთქვით, რომ მიკვირს – გამოდის, რომ თქვენ ჩამდგარხართ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში, თორემ პიტირიმი გამითავებდა იმ საქმეს, რომელიც მე აღვძარი კანტორის წინააღმდეგ. გამოდის, რომ თქვენ მებრძვით იმიტომ, რომ კანტორას ვერ შესწვდით და ანჩისხატის ზურგზე დადიხართ იოლად"! „მე ამ არქიელს უთმობ, თორემ იმ პიტირიმას ოთხჯერ რო ებრძანებია, არ შევასრულებდი მის ბრძანებასო, მე არ მინდა ამ არქიელის წყეინებაო", – ლუღ-ლუღებდა გადაფითრებული მარკოზი, – „შენ არ იყავი დიდუბიდგან კუკუ ამომკარი, როდესაც მე და სიონის სტაროსტა გეახელით და 10000 მანეთი გესესხეთ სიონისათვისო?! შენ ggონია მე ის დამავიწყდაო"?! – ბრძანა მამა დეკანოზმა! „მაშ, ეხლა შურს ძიობთ ჩემზე, მამაო მარკოზ?! ეს რა მოსატანია აქ თქო"! – სიგიჟემდი იყო მისული მარკოზი, აღარ იცოდა, რას როშავდა, მე გავიფიქრე, რომ პირი ღვთისას გაუგიჟებია და „აყვირებს", „აძახებს" თვის ცოდვებს თქო. მაგრამ მაინც განუმარტე ის ისტორია: „მამაო მარკოზ! თქვენ რო ფული მესესხეთ აპრილში, 1912 წ., იმის წინა დღით დიდუბის მთელმა კრებულმა და მნათე ომიაძემ მოლაპარაკება გავმართეთ გენერალ დოლუხანოვთან, გვსურდა, იმის მამული გვეყიდა და შემოგვეერთებია ეკლესიის ეზოსათვის. იმ მამულს „გრიშუას ბაღს" ეძახიან ანუ „Садъ Гришо надъ Курой"! ამის მიზეზით მოგახსენეთ, რომ ფული სჭირდება ამ ჟამად თვით დიდუბეს და ბოდიში მოვიხადე – ვერ გასესხებთ თქო! თქვენ კი არ შეისმინეთ ეს ჩემი ჭეშმარიტი მოხსენება, დამიწყეთ ჩემ სახლშივე ყვი-

რილი, ჯავრობა და მუქარა: „არ დაგცალდება მაგ ფულების მოხმარა დიდუბეშიო“! და მართლაც ეს რო აპრილში დამემუქრეთ, მაისის ოცში ინოკენტი არქიელმა გადმომაგდო კიდეც ანჩხათში, როგორც ვატყობ, თქვენდა სასიამოვნოდ და გასახარებლად“. „არა, მე მაგრე არ მითქვამსო“, – დაიწყო თავის მართლება, მაგრამ გვიანღა იყო. მე განვაგრძე: „აბრძანდით, მამაო მარკოზ, დაათვალიერე ჩემი ოთახები, ამ კაცსაც აჩვენე, სად გყევართ „ნაქები დეკ. თალაქვაძე“, ჩემი ავად მყოფი ბავშვიც ინახულეთ, ლოგინად არის ჩავარდნილი თქო!“ მაგრამ არც ოთახებში გამყვა და არც ავად მყოფი ინახულა! ის ისევ დიდუბეზე გაიძახოდა: „შენ შემდეგ 20000 მანათი ისესხეს და ისესხეს სხვა და სხვა პირებმა დიდუბიდგანო“, – ბრძანა მარკოზმა! „თუ აგრე არიგებენ ეკლესიის ფულებს, – უპასუხე მე, – თქვენც აიღეთ, რაღას ელოდებით, ეხლაც ხო მე აღარ განვაგებ დიდუბეს, ახლანდელი წინამძღვარი „ჭკუიანი“ და „ხათრიანი“ კაცია, ვერ უყურებთ, როგორ იმადლიერებს ქვეყანას ჩემი შეგროვილი ფულებით მეთქი?! ამის შემდეგ მიბრძანა მარკოზმა: „ეს ოთახები დაუთმე მაინც ამ კაცსო“! მე უპასუხე: „ადამიანო! თქვენ რვა გაბრწყინვებული ოთახი გაქვთ და ვერ ეტევით, მე როგორ მოვთავსდე იმ ორ ოთახში მეთქი, ამ ძველ ბინასაც თუ არ მოვიხმარ თქო! მაშინ გამოვიდა სასტუმროდგან სასადილოში, აქ იმ დროს იდგენ და ყურს გვიგდებდენ ანჩხათის მეორე მღვდელი დავით ჩიკვაიძე და ჩემი ცოლის ბიცოლა დუსა, მღ. ივანე ლუკაშვილის მეუღლე. მიუბრუნდა ამათ და სთქვა: „какъ я сдурилъ, что этотъ домъ (სადაც ახლა ვცხოვრობთ) я уступил Анчисхатскому собору“-ო! აქ სიონის პროტოდიაკონები ცხოვრობდენ 1905 წლამდის, როდესაც ამ სახლის ნაწილი დაიბრუნა პოლე კარბელოვმა, მეორე ნაწილი კი არ მისცეს და ასე ჩაალპეს, რომ ახლა სულ ჩანგრეულია. მარკოზი გავიდა სახლიდგან ისე, რომ არ გამოგვეთხოვა არც მე და არც ჩემს მეუღლეს, ბურტყუნ-ბურტყუნით გავარდა გარედ, – მხოლოდ ეზოში მოაგონდა, რომ არ გამოგვეთხოვა, დაბრუნდა და ჩემს მეუღლეს ჩამოართვა ხელი, მე არც კი შემომხედა ისე წაბრძანდა თვისი კაცურა იპოდიაკონით! შემდეგ ჩიკვაიძე მღვდელმა სთქვა: „ეს სახლები კარბელოვმა თავის კარგი კახური ღვინით გამოიტანაო, ხშირი სტუმარი იყო მარკოზი კარბელოვისას, ქაჩავდენ კახურს, სახლშიდაც უგზავნიდა პოლე და ასე გურჯაანის კახურმა მოალბო მარკოზიც და ზოგი სხვებიც კანტორელებიო“!.. იმ ღამესვე შევედი პლატონთან და მოვახსენე, რომ ჩვენი და მარკოზის მოლაპარაკება ჩემი შეურაცყოფით დასრულდა, – ვერ გავიგე, რა სურდა იმ კაცს ჩემგან. მე არა ვარ ჩვეული პირს-უკნიდამ კაცზე ლაპარაკისა, გთხოვთ, დაიბაროთ მამა მარკოზი, რომ თქვენ თანადასწრებით გავსცე საკადრისი პასუხი თქო. ორ ოთახში, რომ ჩემი ოჯახი არ მოთავსდება, ამის გამოცნობას დიდი მათემათიკოსობა არ სჭირდება, მხოლოდ ტყვილა მაბანდებს მარკოზი, უნდათ, ხელი შემიშალონ იმ ოთახებში დაბინავებაზე თქო“. ექსარხოსმა მითხრა – მე მოგეცი ის ოთახები და მოვრჩიო და დაბინავდიო; მე უთხარი: „სანამ ოფიციალური ქაღალდი არ მომივა და ან სამადალოვი არ გადავა, როგორ დავბინავდე თქო“? „მოგივა ქაღალდიო“, – მიბრძანა. შაბათს, 30 იანვარს, დამიბარა არქიელმა – მკითხა: „დაბინავდი თუ არაო“?! „არა მეთქი, არც ქაღალდი მომ-

სვლია და სამადალოვიც აგვიანებს გადასვლას თქო“! „Вы, кажется, простираете свои руки и на сосѣдние комнаты“-ო, – მითხრა პლატონმა. ეტყობოდა, რომ მარკოზს უკვე ჩაუკენჭია ყველაფერი, კაცის გული აუცრუებია ჩემზე, შეუგონებიათ, რომ კანტორას უპირებს თალაკვაძე იქიდგან გამოძევებასო! „Оказывается домъ тотъ принадлежитъ Синод. Конторѣ, я уступилъ вамъ только две комнаты, вы пожалуйста не думайте, что я дамъ вам еще что нибудь изъ этого дома!..

ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის აქსიომა-ჭეშმარიტება, რომ „ციხე ჩვენში მუდამ შიგნიდგან ტყდებოდა“! ეს ჩემი „ციხე“ კი მარკოზმა გამიტეხა! მარკოზს სიონის ინტერესი კი არ ამოძრავებს ამ შემთხვევაში, არამედ პირადი მტერობით არის აღტყინებული, შური და ბოროტება ამოძრავებს მას! რა ჰშურს მას ჩემი?! – იკითხავს კაცი! მას და მისთანათა ჰშურთ ჩემი, ჯერ კიდევ შეუბღალავი, შედარებით სუფთა პიროვნება! თვითონ „ჩასვრილებს“, სურთ მეც ჩამსვარონ! ვნახოთ, რა იქნება, ის კი ვიცი, რომ ჩვენთვის ჯერ კიდევ „არ უყივლია მამალს“, შორს არის „გათენება“... მაგონდება – მარკოზმა ისიც მიყიჟინა: „მთელ საქართველოში თავი მომჭერიო“! ვერ მივხვდი, რა სურდა ამით ეთქვა. ისიც მისაყვედურა: „ხმა გავრცელდა, თითქოს მე მაგდებდა ექსარხოსი პიტირიმი და შენ ჩემს ადგილზე გადმოყავდიო“. ამაზე ჩემმა მეუღლემ უამბო, რომ პირველ მაისს, თამარობა დღეს, 1915 წ., როდესაც მთელი ოჯახით დიდუბეში წავედით, ჩვენ დროს დაწესებულ წმ. თამარ დედუფლის დღესასწაულზე, იქ დიდუბის ტაძარში მოგვეგებენ ჩვენი დროის მსახურნი და მათი ოჯახობა, ყველანი გვილოცავდენ „წარმატებას“, „დიდ წარმატებას“. რო ვიკითხეთ, რაში გამოიხატება ეს „წარმატება“, გვიპასუხეს: „თქვე დალოცვილებო, რას მალავთ, განა გვეწყინებათ თქვენი აღმატებაო! დეკანოზმა მირიანოვმა მოგვიტანა ამბავი, რომ დეკ. თალაკვაძე არქიელს სიონში გადაუყვანია კათედრის დეკანოზადო“! რო ვკითხეთ, „მარკოზი რაღა უყოო“ – არ ვიცითო, გვიპასუხეს... მეც ვაჩვენე მარკოზს ერთი ქაღალდი, რომელშიდაც პროტესტი გამოუცხადე არქიელ პიტირიმს ასეთი ხმების გამო ჩემზე! ზოგი ოკრუჟნოი ნაბლიუდატლობას მაძლევდა, ზოგი ეპარქიალურს, ზოგი სმოტრიტლობას, ზოგიც რექტორობას. ეს, რასაკვირველია, ისევ არქიელის გარშემო თავ-მოყრილ ნაძირალების ჭორიკანობა იყო, რომელიც მარკოზმა თავის-თავზე მიიღო და ასე უდროოდ წამომაყვედრა... მიუტევე, უფალო, რამეთუ იცის და მაინც ასე თვალთ-მაქცობს...

2/II ,1916 წ. ნ. თალაქვაძე

თებერვლის ბოლო რიცხვებში მე უკვე დავბინავდი პლატონისაგან მოცემულ ორ ოთახში და ის ძველი ბინაც შევინარჩუნე ჯერ-ჯერობით. მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო ჩემს წინააღმდეგ სისტემატიური მუშაობა მარკოზმა, ნაზარმა, რომელიც აპრილში თუ მაისში 1914 წ. სინოდ. კანტორის წევრი გახდა და მონასტრების ბლაღოჩინობაც შეინარჩუნა – პლატონის ფავორიტი შეიქმნა ის და დეკ. კ. კეკელიძე. ნაზართან მე დიდი შეტაკება მომივიდა ამ ორი წლის წინეთ, ეს ამბავი ცალკე მაქვს აწერილი – დეკ. კ. კეკელიძესთანაც ქალთა ეპარქ. სასწავლებელში ეკონომის არჩევნებზე უსიამოვნება მომივიდა, ამასთანავე ეს ვაჟბატონი კ. ცინცაძის ახლო

მოყვარეა და „ერთი გრუპპის“ სულის ჩამდგმელნი არიან, მე ამ „გრუპპაში“ უარი ვსთქვი შევსულიყავი და მტრობენ. მიშოვნეს დრო პლატონის ხანაშიც – 6 და 11 მარტის კრების გამო დეპუტატთა საკრებულოში და აამხედრეს ჩემ წინააღმდეგ პლატონი. ყველა ეკლესიებში სწირა პლატონმა ნააღდგომევს, ჩემსაში კი არა, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ დავპატიჟე აღდგომა მეორე დღისათვის. ეს ძველი დღეობა ამ ეკლესიისა, მოვახსენე აღდგომას სიონში სწირავდენ ქათალიკოზები, მეორე დღეს აქ, მესამეს კი სამებაში თქო. „მცხელაო“, – მიპასუხა; „დიდი სიგრილეა ჩემს ეკლესიაში თქო“, – მიუგე. „არა, არ შემიძლიაო“... ერთი სიტყვით, დიდი უგემურობა ეტყობა ჩემზე. ინსტიტუტში სამღვთო სჯულის გამოცდაზე დამესწრო 5 მაისს. ჩინებულად მიუგეს, სულ ყველას ხუთიანები დაუწერა... ამაღლების თანამწირველად დამნიშნეს ამაღლების ეკლესიაში, იქაც უგემურობა ეტყობოდა. ძლიერ ვარ დაბეზღებული. პატივს სცემს ისეთ მღვდლებს, რომელიც წირვა-ლოცვას ურევენ – უპარუსკებენ, ასეთებს ასე უწოდებს: „онъ добрый батюшка“-ო! ჩვენ არა ვართ „დობრი“. მარკოზმა ძალიან გაიკაფა გზა, შეაგონა პლატონს პიტირიმის უარგისობა, ანტონ ეპისკოპოზის ორგულობა, ჩემი მოუსვენრობა და არა კეთილსაიმედობა, ამაში ნაზარიც მხარს უჭერდა და დღეს, 2 ივნისს, 1916 წ. გაზეთ №121 „საქართველოში“ ასეთი დეპეშაა პეტროგრადიდან გამოგზავნილი საკუთარ კორესპონდენტისაგან: „ჩამოვიდა საქართველოს ექსარხოსი პლატონი და მეფის ნაცვალი დიდ მთავრის ნ. ნიკოლოზის ძის სასახლეში ჩამოხტა... სინოდმა საქართველოს ექსარხოსის წარდგენით სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე დააჯილდოვა მიტრით“. ეს პირველი მაგალითია ქართველ დეკანოზს, თუ გინდ კათედრისას, „მიტრა“ მიეღოს. ამ ჟამიდგან გვყავს „მიტროფორნი პროტოიერეი“.

ასე „იმარჯვებენ“ ჩვენი დეკანოზები! დაწინაურდენ „ზა ოტლიჩნო-უსერდნუიუ სლუჟბუ“! ჩვენი ივერიის ეკლესია კი იმავ პლატონის სიტყვით, „გაკოტრების გზაზეა“, – იხილე „Церк. Вѣдом.“ 1916 წ. №21 Рѣчъ Платона на Хиротоніи Дамиана, – ასე ეუბნება დამიანეს, რომელიც კიშინიოვიდგან გადმოიყვანა აქ ერევნის ეპისკოპოზად: „и тебѣ станетъ ясно полное трагизма положение грузинской церкви, идущей къ краху“!.. აქ კი „მიტრებით“ და ლენტ-ორდენებით რთავენ-კაზმავენ ჩვენს დეკანოზებს“... მახლას... (ამ ამბების მოგონების გაგრძელება იხილეთ ცალკე რვეულში).

ნ. თ.

ნიკიტა თალაქვაძე. დიდუბე, 1911

1917 წელი

.....[1]

გორგაძემ ჩემს წინააღმდეგ კიდევ გადმოისროლა ბრიყვული ანკესი... მე მიუბრუნდი საზოგადოებას და განუმარტე: „გორგაძე იმიტომ უზნაურობს, რომ „12 მარტის“ შექმნაში მაგასაც არ დავკითხებივართ და ვერ მოუნელებია ესათქო! მაგას და მაგისთანათ რო დავკითხებოდით, დღესაც აქ ვიქნებოდით, მცხეთაში ვერ ჩავიდოდით თქო“... იცინეს ბევრი... მართალიაო!.. სთქვეს სხვებმა... გორგაძე გაშავდა... ცუდად იქცევა...

ეგ ვაჟბატონი დეკ. ცინცაძე-თოთიბაძე-კეკელიძის „ჯგუფშია“... ავტოკეფალიის მოღალატენი!.. და მდევნიდა, ყველგან ხელს მიცრიდა... ბევრი უსიამოვნება შემახვედრა ამან... ის შემოჩენილი იყო...

11 აპრილი – სამშაბათი

დღეს ჩამოვიდა (პეტროგრადიდან) პროფ. ბენეშევიჩი – „საეკლესიო საქმეთა კომისარი“.

საღამოთი ლეონიდ ეპისკოპოსთან ვისხედით. კეკელიძე (დეკ.), ს. გორგაძე, ეპ. ანტონი, ძმანი კარბელაშვილები (ღვდლები – პოლე და ვასო) და მე, მარკ. ტყემალაძის (დეკ.) ბინაზე. ამ დროს შემოვიდა ბენეშევიჩი და სტ. ნანეიშვილი (ახალ კურს დასრულებული პეტროგრადში), რომელიც თავის „თანაშემწედ“ გაგვაცნო პროფესორმა. გავიცანით ერთმანეთი. ეპ. ლეონიდს ენა დაება... გორგაძემ დაიწყო ლულლული. შემხვდა ვრცელი ლაპარაკი, დავასურათე საქმის განწყობილება შავ-რაზმელთა ბანაკში (რუსებში). სასტიკად დავახასიათე პლატონი (არქიელი) და მისი დამქაშები. მოვისმინეთ ამათი „დეკლარაცია“ გაზეთებში რო გამოაცხადეს, ეს დეპეშით გადაუციათ სინოდში. ჩვენს მეორე დეპეშას – პროტესტს დიდი აურ-ზაური გამოუწვევია (პეტროგრადში).

პროფესორზე შთაბეჭდილება მოვახდინე... სერიოზულად ხვალიდან ვიწყებთ მუსაიფს... წავიდა (ბენეშევიჩი) პლატონთანაც...

12 აპრილი – ოთხშაბათი

დღეს, დილის 10 საათზე, ვიყავით ბენეშევიჩთან „უნივერსალის“ სასტუმროში: ეპ. ანტონი, დეკკ. კეკელიძე, ცინცაძე, მე და ს. გორგაძე. ვილაპარაკეთ, ვიკამათეთ პლატონზე, პოპოვზე (სინოდ. კანტორის პროკურორი) და ვლ. ოსეც-

---

1. დღიურს აკლია დასაწყისი სამი ფურცელი. როგორც ავტორი შემდეგ აღნიშნავს, ამ ჩანაწერებს იწყებდა 1917 წლის 27 თებერვლიდან *(გამომცემლის შენიშვნა).*

კიზე (ეს მეფის-ნაცვლის საბჭოს კანცელიარიის საქმეთა მმართველი იყო, ამას ეძახოდენ მეტ-სახელად – „Епископ внешних дел“, დიდი გავლენიანი კაცი იყო, შავ-რაზმელი, დაუძინებელი მტერი ქართველობისა), ეს პიროვნებანი დავახასიათეთ და გამოვარკვიეთ, რომ ამათი მონაწილეობა საქმეში ყოვლად ხელის შემშლელია! ბენეშევიჩს ეტყობოდა, რომ პლატონს მხარს უჭერდა და შევებრძოლე არსებითად. „თქვენო, – ბრძანა ბენეშევიჩმა – „პერვოროდნი გრეხი“ გაწევთ თავზე 12 მარტიდან! მაგრე მოქცევის უფლება არ გქონდათო“!

ამაზე მე უპასუხე: „ასეთი „გრეხი“ (ცოდვა) სინოდს აწევს 1811 წლიდან, ჯერ იქიდან უნდა გამოვერკვეთ თქო“... გორგაძემ შემიშალა ლაპარაკი, ჩამომერია, არია ყველაფერი! „დრო არ არის ამაზე ლაპარაკისაო“!

შემდეგ ბენეშევიჩმა სთქვა, „კირიონი მოდისო... დაუცადოთ იმას თუ შეუდგეთ მუშაობასო“. დეკ. კეკელიძემ უპასუხა: „ამაზე მოვილაპარაკებთ კომისიაშიო“... გორგაძემ დასძინა: „ის ხომ სხვა ეკლესიის ეპისკოპოსიაო“!.. (აი, შფოთის თავები... აგენტები პლატონ-დავიდოვისა და ლეონიდისა!).

ეს გარემოება იმ საღამოსვე მოვახსენეთ კრებას (სამმართველოსას). მე განვაცხადე: „გორგაძის ოპეკიდან გამომიყვანეთ! ასე აღარ შემიძლია ვისთანმე წასვლა და ლაპარაკი! ეს კაცი ყველგან პირში მწვდება და თუ თქვენც ჰფიქრობთ, რომ უმაგისოდ არსად გამოვდგები, აი, ხვალ (13-ს) „გამომძიებელ კომისიაში“ ვარ მიწვეული „ექსცესების“ (იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში ვერაზე ვიღაც ხულიგანი შესულა და ჩვენი სახელით აურ-ზაური გამოუწვევია იქ, ეგ ტაძარი ჩვენია (ქართველების), გადით, დაიკარგენით აქედანო...) შესახებ, იქაც მეახლოს ბ. გორგაძე, ბარემ მიაპეკუნოს ბოლომდეთქო“! ვაცნობე კრებას გორგაძის საქციელი – 7 აპრილის პოლიტიკური პარტიების კრებაზე, თუ როგორ მოხსნა მაგან ჩვენი საკითხი დღის წესრიგიდან, მაგრამ კენჭი უყარეს და გააშავეს ეგათქო! ეს კი ბატონმა გორგაძემ დაგიმალათ, არ მოუხსენებია თქვენთვის! აქ კი კრებაზე მეტისმეტად თავხედობს, დიქტატორობს, თავმჯდომარის ფუნქციებს ითვისებს, თავზე წამოგვაჯდა ყველას თქო! „იმერეთის წარმომადგენლობა“ რო შეიძინა (სერგომ მანდატი წარმოადგინა ასეთ „წარმომადგენლობაზე“ დროებით მმართველობაში, თუმცა თავიდანვე წევრი იყო ის ამ მმართველობისა! რაღად დასჭირდა მას ეგ „ამერ-იმერლობია“ თუ ეგ წმინდა სულია?!), ესეც მე უზურპაციად მიმაჩნია, ვინაიდან ჩვენ ერთნაირად ვართ ყოველი კუთხიდან ნდობით აღჭურვილნი, ეს კი რაღაც სეპარატისტობა გამოდის თქო“!..

გორგაძე ჩვეულებრივად გაიბუტა და გაიქცა კრებიდან! ესეც უკიჟინე, „გაქცევა არ არის ვაჟკაცობა თქო! ანტონ ნატროშვილი, მოხუცი კაცი გააგდო იმ დღეს კრებიდან (შეურაცხჰყო), ეხლა თვითონ წავიდეს და გული გაიგრილოს თქო“!..

ხუთშაბათს – 13-ს მე აღარ წავსულვარ ბენეშევიჩთან, დრო აღარ მქონდა; არც ვიცი, ვინ წავიდნენ. ხუთშაბათ საღამოთი ნოტარიუს მიტკევიჩთან ვიყავი დაბარებული, სემინარიის ინსპექტორ ბეკლემიშევთან ერთად, „ექსცესების“ გამოსაძიებლად. მიტკევიჩი ა/კ კომისარიატს დაუნიშნავს ამ კომისიის თავმჯდომარედ...

მოვისმინეთ ერთმანეთისა, ვიკამათეთ ბეკლემიშევმა და მე... დიდი ბნელი

პიროვნება ყოფილა... ძირს უთხრის დეკ. კ. კეკელიძეს, როგორც სემინარიის რექტორს... მაგრად შევეკამათეთ ერთმანეთს, კარგად გავაკრიტიკე. მიტკევიჩზე კარგი შთაბეჭდილება დავსტოვე, მგონი... კიდევ დაგვიბარებს. ბოდბეში (წმ. ნინოს მონასტერში, ქიზიყში, იქაც „ექსცესებია“ იღუმენია ანასტასიასთან) უნდა წავიდეთ გამოსაძიებლად.

15 აპრილი – შაბათი

დღეს ბენეშევიჩთან ვიყავი; მიუტანე სოხუმის ეპარქიის სიეზდის დეპეშა, რომ ის (ეპარქია) შემოგვიერთდა (საქ. ეკლესიას) და ეპ. სერგი (რუსი-შავრაზმელი) გამოქცეულა ქალაქში. მიუტანე სენაკის სასულიერო სასწავლებლის ტელეგრამაც... იქ დამიხვდენ ეპ. ანტონი და არქიმ. ამბროსი (ეს ჩამოსულა რუსეთიდან). ბაასობდენ პლატონზე. კომისარი ამტკიცებდა, ის (პლატონი) თქვენი მოკეთეაო, ავტოკეფალიის მომხრეაო. წინ ედო ის ქაღალდები, რომელნიც ამერ-იმერ საქართველოს სამღვდ. სიეზდებმა დეკემბერში (1916-ში) და იანვარში (1917) გადმოუგზავნეს პლატონს ნამესტნიკთან წარსადგენად. „გაზეთებმა ცილი დასწამეს პლატონსო“, – გაჰკიოდა კომისარი! ჩავერიე ბაასში და შევიტანე ფაქტიური გაშუქება პლატონზე, თუ როგორი ძალ-მომრეობა გამოიჩინა მან კრების თავმჯდომარე დეკ. იროდიონ ოქროპირიძეზე, როგორ გადაასწორებია მას კრების მიერ წარდგენილი დოკუმენტები (რეზოლიუციები). პლატონმა თავისი „სიდიადით“ გასჭყლიტა სოფლის მღვდელი, რომელიც რუსულ ლაპარაკსაც კი ვერ ახერხებდა მასთან თქო! სამღვდელოების წარმომადგენლები უპატიოთ გამოისტუმრა, ნამესტნიკთან წარსადგენი ქაღალდები არ ჩამოართვა მათ; ეს იქიდან სჩანს, რომ თებერვალში, წელს, ვიღაცის ბრძანებით (მიტროპ. პიტირიმის მოხერხებით პეტროგრადიდან) ის ღვდლები ისევ მოაწვევია ნამესტნიკმა ჩვენს მარშლებს, წარუდგნენ პლატონს, ამანაც ჩამოართვა მათ ქაღალდები, მხოლოდ მარშლების დაუსწრებლად, შერცხვა ამათი! მარშლებს სხვას ეუბნებოდა, ღვდლებს კი სულ სხვას თქო! კაცი ექსარხოსი ინოკენტი იყო! ის არ მალავდა თავის ჩვენდამი სიძულვილს, „гнул нас в баранный рог“! ეს კი (პლატონი) თვალთმაქცობს! ამ ნიადაგზე დავშორდით მე და პლატონი ერთმანეთს! ის ჩემი მასწავლებელი და ინსპექტორია კიევის აკადემიიდან! არ ჩავყევი თვალთმაქცობაში და 1916 წლის 12 აგვისტოს ჟანდარმერიას გადამცა! მაგრამ ის ჟანდარმი ეხლა ციხეში ზის, მე კი დავდივარ!.. სდუმდა ბენეშევიჩი!..

17 აპრილი – ორშაბათი

დღეს 10-ს საათამდე ვიყავით ბენეშევიჩთან დეკ. კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე, ბატონი ს. გორგაძე და მე. წარუდგინეთ შემუშავებული დეკლარაცია „ნაციონალურ“ ავტოკეფალიაზე, საჭირო პროტესტულ ამთაობაზე განცხადების დართვით (კომპრომისი გააკეთეს დრ. სამმართველოში, ვემორჩილებით ძალას,

ვღებულობთ „ნაციონალურ“ ავტოკეფალიას“, მაგრამ ეს ანტიკანონიური მოვლენაა ეკლესიურ ცხოვრებაში და პროტესტს ვაცხადებთო; მე წინააღმდეგი ვიყავი ასეთ კომპრომისისა სამმართველოში, მაგრამ უმრავლესობით გავიდა). ბენეშევიჩმა თითქოს უკვე იცოდა კიდეც ამ „დეკლარაციის შინაარსი! ეტყობა, ვიღაცასთან მაგას აქვს „კავშირი“, მგონი, გორგაძესთან... ამ დეკლარაციის განმარტებასთან დიდი შეტაკება მოგვივიდა მე და კომისარს. ეს ჩვენი მოტყუილებაა, ეს ისედაც გვქონდა! ეგ უფლება ყველა ადამიანს აქვს დღეს, თქვენ კი რაღაც დიდ წყალობად მიგაჩნიათ თქო! იცოდეთ მაინც, რომ ეს ჩვენ გვესმის, გვეყურება თქო! თქვენ უკვე გადაიხარეთ ჩვენი მტრებისაკენ, ჩვენ თქვენში ვერ ვხედავთ რევოლიუციონურ დროებითი მთავრობის წარმომადგენელს თქო! თქვენ აშკარად იცავთ პლატონს და შავ-რაზმელ რუსის მოხელეებს თქო!..

ძალიან იტკიცა, ოთხჯერ მიყვირა, ძლიერ გამიჯავრდა, დამემუქრა კიდეც! უპასუხე: „ღვთის გარდა არავისი მეშინია! თქვენ გელაპარაკებათ რევოლიუციონერი ღვდელი ჩვენი ეკლესიის დროებითი სამმართველოს სახელით! თქვენ ნება არა გაქვთ, მიყვიროთ, დამემუქროთ და შემაგინოთ თქო! სხვა რო არა იყოს რა, სიკვდილის უფლებას ვერ წაგვართმევთ! შეიძლება, თქვენა და პლატონი ჩვენს გვამებზედაც გადახვიდეთ თქო“! – ეს უთხარი მას შემდეგ, როდესაც წინადადება მისცა სემ. რექტორს (კეკელიძეს) – შეჩერებული საქმის წარმოება სემინარიისა – პლატონს წარუდგინეო! (რექტორი და სხვები დასთანხმდენ ამაზე!). მე მივახალე პირში: „Вы этим ставите нас в страшное положение! Вы издеваетесь над нами, загоняя нас во двор Платона! Вы выбили нас с позиции территориальной автокефалии, а теперь делаете дальнейшия насилия! Вы облечены широкими полномочиями на месте разрешать эти дела смешанных учреждений, но, как сами выразились, не хотите брать на себя ответственности и желаете запросить Петроград. Вы нарочно уклоняетесь от одобренной Вами же идей, чтобы эти учреждения управлялись смешанной комиссией под Вашим председательством! Вы отказались от этой идеи под давлением Платона, который запугивает Вас и нас „русскими войсками“! Эта клевета на революционные войска“... ბევრი სხვა ასეთები მივახალე ბენეშევიჩს.

არც ერთმა ჩემმა ამხანაგმა პლატონის გადაყენება! ისხდნენ წყნარად, თითქოს მათ არ ეხებოდა ყოველივე ეს! და... მიიღეს „ყოფა-ქცევაში“ ბენეშევიჩისაგან „ხუთი“, როგორც ეს განუცხადე მათ საღამოს კრებაზე (სამმართველოში) და ვერა მიპასუხეს რა!.. ესენი „ცნობილი“ – „ერთი ჯგუფის“ პირნი არიან, ჩემთან მუშაობა არ სურთ! ხელს მიცარავენ! ესენი შარშან ამ დროს მოღალატეთა ბანაკში იყვნენ, ექსარხოს პლატონს ძირს უმაგრებდენ, „სამიტროპოლიტო ოლქს“ სჯერდებოდენ საქართველოში. პლატონი დიდმა მთავარმა (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ) ამათი ხელით (იხილეთ ამ თაობაზე ჩემი „მოგონება“ ცალკე რვეულში, აქვეა ჩაკერებული) წარადგინა კიდეც მიტროპოლიტობაზე, მაგრამ მიტროპ. პიტირიმმა ჩაშალა პეტროგრადში ეგ საქმე, როგორც დანამდვილებით ვიცი!.. ამათ არ სურთ ავტოკეფალია! ესენი, ასე ვფიქრობ, ლიკვიდაციას უქადიან ჩვენს საეკლესიო საკითხს, უკვე საქვეყნოდ გამოტანილს!..

იმ საღამოს (18-ს) ნაზარი არქიმანდრიტი (პლატონის აგენტი, გახრწნილი პიროვნება) წარმოადგინეს ჩვენს სამმართველოში წევრად – „იმერეთის ეპარქიიდან“! აქ, ტფილისში, ვერ მოახერხეს ეგ კეკელიძემ და გორგაძემ, იქიდან – „იმერეთიდან“ წარმოადგენიეს! დიდი აურზაური ჩამოვარდა სამმართველოს სხდომაზე ამ თაობაზე. იპ. ვართაგავამ და მე განვმარტეთ პროვოკაცია ასეთი „წარმოდგენისა“!.. იმ ღამეს მოხსნეს ეგ საკითხი...

ბენეშევიჩთან ახალი კომისია გაგზავნეს: არქიმ. ამბროსი, მღ. ქ. ციცქიშვილი (ესეც შემდეგ შემოიყვანეს სამმართველოში, წინეთ არ ერეოდა „ჩვენს საქმეებში“! იყო ზაკონოუჩიტლად ავლაბრის ვაჟთა გიმნაზიაში, ხოლო თანამწირველობდა სიონში ექსარხოსებთან, დეკ. ანტონ თოთიბაძის ხელმძღვანელობით) და იპ. ვართაგავა. ამათ დაავალეს განეცხადებიათ ბენეშევიჩისათვის, რათა პლატონის გაწვევის შემდეგ (რუსეთში გაიწვიეს „სინოდის სესიაში“, ნამდვილად კი ამ სახით ის მოგვაშორეს თავიდან), ის სახლი, სადაც არქიელი ცხოვრობდა, გადმოვიდეს ჩვენს ხელში დაუყონებლივ! ვნახოთ, რას იზამენ!

მე განვაცხადე სხდომაზე: „ჩემის ღირსების დამცირებად მიმაჩნია აწ ჩემი ბენეშევიჩთან წასვლა თქო“! ეს ოქმშიც შევატანიე!

პირველი მაისობა

18 აპრილს ძვ. სტილით, ახალით მოდის „პირველი მაისი“. საერო მთავრობამ ეგ პირველი მაისობა გადაიხადა „ინტერნაციონალურად“ – დიდის ზეიმით და მუშების თუ ჯარის სადემონსტრაციოდ გამოყვანით. ჩინებულად და წესიერად ჩატარდა „პირველი მაისობა“...

17 აპრილს – ორშაბათს ვიყავი სოსიკო მერკვილაძისას, სადაც ეპ. კირიონი იყო მიწვეული. სხვათა შორის დაგვესწრო ამ წვეულებაზე პართენ გოთუა – ჟურნალისტი – ნაც-დემოკრატი. ჩემზე ვერ მოახდინა კირიონმაც კარგი შთაბეჭდილება! ესა და ლეონიდი, ეტყობა, დიდ ინტრიგებს გასწევენ და საქმეს ჩაგვიშლიან! აუხსენი კირიონსა და დამსწრეთ საქმის ვითარება, მაგრამ ვერა შევასმინე რა! მოწინააღმდეგე ბანაკი სცდილობს კირიონის რეპუტაციის მოკლას საზოგადოების თვალში! ლეონიდის მომხრენი „მთავრობის აგენტს“ უწოდებენ კირიონს და მღ. იოსებ ჩიჯავაძეს, რომელიც ჩამოჰყვა მას პეტროგრადიდან! დიდი შეცდომა კი მოსვლიათ ორთავეს, რომ სინოდის ობერ-პროკურორ ლვოვიდან „პრაგონი“ აუღიათ და თითქოს ბენეშევიჩის ზნეობრივ დამხმარედ წამოსულან! ასეთი შინაარსის წერილი მოიწერა პეტროგრადიდან აკადემიკოსმა ნიკო მარმაც! ესეც გვირჩევს „ნაციონალურ“ ავტოკეფალიას!.. კირიონსა და ჩიჯავაძეს სრულებით არ უმუშავნიათ ბენეშევიჩთან...

ვნახოთ, როგორ წავა პლატონი რუსეთში და რა ნაბიჯებს გადასდგამენ ჩვენები ამ ფაქტის გამო!..

21 აპრილი – პარასკევი

ვიყავი დღეს წმ. ნინოს მონასტრის კარის ეკლესიაში თბილისში (ყორგანოვის ქუჩაზეა) იღუმენია ანასტასიას საქმის გამომძიებელ კომისიაში, კომისარიატისაგან დანიშნულში. კომისიის თავმჯდომარეა ნოტარიუსი ალექსანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი, წევრნი: სემინარიის ინსპექტორი ბეკლემიშევი და მე. ჩამოართვეს ჩვენება იღუმენიას; მივეცი იღუმენიას შეკითხვები, მაგრამ ეს შეკითხვები თავმჯდომარემ არ შეიტანა ოქმში, „საქმეს არ ეხებაო“! ამიტომ ჩემი აზრი და შეკითხვები ცალკე განცხადებად შევა მიტკევიჩთან...

მდგომარეობა რთულდება – ბენეშევიჩი პლატონის ბინაზე გადავიდა, ჩაუსახლდა პლატონს (ჯერ ის არ წასულა რუსეთში) და გადაგვიდგა, გადავიდა მათკენ! ბენეშევიჩთან შეტაკება მოსვლია ახალ კომისიასაც: ანტონ ეპისკოპოზს, იპ. ვართაგავას, ქრ. ციცქიშვილსა და არქიმ. ამბროსისაც! მე აღარ მგზავნიან კომისიაში! მე უარი რო განვაცხადე კომისიაში დარჩენაზე, ბენეშევიჩსაც მოუთხოვია – თალაქვაძე აღარ გამოგზავნოთ კომისიაშიო! ლეონიდი დასთანხმებია ბენეშევიჩს, რომ მე აღარ ვიყვე კომისიაში! აგრე იცავს კათოლიკოზის მოსაყდრე ლეონიდი ჩვენი ეკლესიის მებრძოლ ძალების ავტორიტეტს!..

22 აპრილი – შაბათი

დღეს, კრების შემდეგ, ვიყავი ნავთლუღში ეპ. კირიონთან და მღ. ი. ჩიჯავაძესთან. ეპ. ანტონი და არქიმ. ამბროსი არ წამოვიდნენ. ანტონი გაჯავრებულია, რომ კირიონმა „რასპუტინისტობა“ (რასპუტინი ჟულიკი გლეხია, დაახლოებული იყო ნიკოლოზ ხელმწიფესთან და მის ცოლთან, დიდი გავლენა ჰქონდა მას როგორც საერო მთავრობის სფეროებში, ისე სამღვდელოშიდაც... ის შემდეგ შეთქმულებმა მოჰკლეს...) უსაყვედურა სამმართველოს სხდომაზე, თუმცა კირიონს ასეთი ბრალდება არაფრით არ დაუსაბუთებია!

სადილად ისხდნენ კირიონთან პართენ გოთუა, გიგო ყიფშიძე, ღვ. ვ. კარბელოვი, სოსო ჩიჯავაძე (ღვდელი) და მისი ძმა მიტო. ბევრი ვილაპარაკეთ... ეტყობა, კირიონი უკვე ჩაფიქრებულია... ბევრი უტაქტობა ჩაიდინა ტფილისში... მაინც გაიძახის – „წავალ და დავჯდები რუსეთშიო“!.. მეც ვამხილე კირიონის „ქართლური გაუთლელობა“ და უკმეხობა! არ უნდა აგემხედრებია ეგ ამოდენა ხალხი თქვენს წინააღმდეგ! საბაბი არ უნდა მიგეცათ თქო!..

ნავთლუხიდან გამოვიარე დარიის მონასტერში, სადაც ანტონ ეპისკოპოსთან დაბანაკებულა არქიმანდრიტი ამბროსი. ამბროსი კათალიკოსობისათვის ემზადება!.. ეპ. ანტონი თითქოს ჰპატრონობს მას და ხელს უწყობს ასეთ მზადებაში...

23 აპრილი – კვირა

დღეს, საღამოთი, ვიყავი ეტნოგრაფიულ საზოგადოების კრებაზე, სადაც მიწვეულნი ვიყავით ეკლესიის სამმართველოდან – ეპ. ლეონიდი, არქიმ. ამბროსი, დეკ. კ. კეკელიძე, ცინცაძე, მე და ს. გორგაძე. იყვნენ სხვა და სხვა პარტიებიდანაც მოპატიჟებულნი. მთელი კრება ეკლესიურ საკითხს მოვანდომეთ. პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს – „გაიტანეთ საკითხი ფართო მასაში, თორემ საქმე გაგიფუჭდებათო!..“ მეც რამდენჯერმე სიტყვა წარმოვსთქვი, დავაინტერესე საზოგადოება ჩვენი საქმით. გადასწყვიტეს, მეორე დღესვე ა. ჩხენკელს მოელაპარაკონ, პარტიების ლიდერებთან შეკითხვაზე და მათგნით დახმარებაზე. 21 აპრილს იყვნენ ჩხენკელთან არქ. ამბროსი და მღ. ციცქიშვილი. დიდი თანაგრძნობა აღუთქვამს ჩხენკელს. გაჯავრდა – სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (შავ-რაზმელი რუსი), ისე გაუბრუნებიათ აქედან სოხუმში, რომ მე არა გამიგია რაო! ამას არ შევაწევ ამდენ ინტრიგებსო... გადმოგვცა რამოდენიმე რჩევა, სხვათა შორის გვითხრა – „ბენეშევიჩთან დიპლომატიურად(!) აწარმოეთ საქმეო და კომისარიატს მოგვახსენეთ ყოველივეო“!

24 აპრილი – ორშაბათი

დღეს გვქონდა კრება (სამმართველოში). მოისმინეს ამბროსისა და ციცქიშვილის სიტყვიერი მოხსენება ჩხენკელთან მოლაპარაკების შესახებ. შემდეგ წავიკითხე ჩემი განცხადების პროექტი ილუმენია ანასტასიას გამოძიების დასამატებლად. მოიწონეს... უნდა წარუდგინო მიტკევიჩს.

ამ საღამოს სხდომაზე დეკ. კეკელიძემ წამოაყენა წინადადება – „დეკ. მარკოზ ტყემალაძე (სიონის წინამძღვარი, სინოდ. კანტორის ყოფილი წევრი, ნამდვილი შავ-რაზმელი, პლატონისაგან მიტრით დაჯილდოებული „за отличноусердную службу“) შევიყვანოთ კომისიაში სამრევლოების გასამიჯნავად, როგორც მცოდნე პირიო“... უნდა ყოფილიყო მსჯელობა ნაზარ არქიმანდრიტის სამმართველოში შემოყვანაზე „იმერეთიდან“!.. მარკოზის შესახებ მე განვაცხადე: სამრევლოების უფრო მცოდნეა დეკ. თოთიბაძე, მახათაძე და სხვები და რაღა მარკოზი დაასახელეთქო?! მე საჭიროდ მიმაჩნია, ცოცხალი ძალები იყვნენ აქ მოწოდებულნი! აქ დასახელებულ პირებზე ამიტომ აღარ ვსთვლი საჭიროდ ვილაპარაკო თქო! ხმა ჩაკმინდეს... ჩაფლავდა ტყემალაძის საქმე, ნაზარი აღარ უხსენებიათ. მღ. ქრ. ციცქიშვილმაც დაუჭირა მხარი მარკოზს, „პლატონთან სხვებიც კი იყვნენ კარგადო“... მე მიკიჟინა დაბეჭდილი ქადაგებები (ალბად ხელმწიფის დღესასწაულებზე რო <u>სავალდებულოდ</u> გვაწერინებდენ და ურდგენდით ექსარხოსებს, შემდეგ სინოდ. კანტორის პროკურორის – პოპოვის (<u>რედაქტორი</u> იყო პროკურორი „Духовный Вестник Экзархата“-სი) წინადადებით რამოდენიმე ქადაგება ჩემი დაიბეჭდა ამ „ორგანოში“ რუსულადაც! ასეთ ქადაგებების წერასა

და წარმოთქმას გვავალებდენ აკადემიელებს, ხშირად მე! ჯილდოებს, ლენტებს – ბანტებს, მიტრებს და ზაკონოუჩიტლობას გიმნაზიებში აძლევდენ მარკოზებს და ციცქიშვილებს); „სხვისა თვალში ბეწვს ჰხედავ, თავისაში დვირესაც კი ვერაო“! – მოვსთხოვე დასაბუთება და მივართვი ზემოაღნიშნული ცნობები, მქადაგებლად ასეთ დღეებზე მე მნიშნავენ – ზაკონოუჩიტლად გიმნაზიებში კი თქვენა და მირიანოვ-თოთიბაძეებს თქო... ჩაჩუმდა!..

28 აპრილი – პარასკევი

მიტკევიჩთან საღამოს 8 საათზე ვიყავი. მოისმინეს ჩემი განცხადება იღუმენიაზე. ერთი სიტყვაც არ შეუსწორებიათ. დავადგინეთ – ოთხშაბათს წავიდეთ ბოდბეში.

ამ სხდომიდან დავბრუნდი კანტორაში, კრებაზე, დამიხვდა იქ არქიმ. ნაზარი – „თავისით შემოვიდაო“! ...ბჭობდენ პროვინციაში კაცის გაგზავნაზე; წინადადება მომცეს, გურიაში წავსულიყავი. ვართაგავამ დარიგების მოცემა დამიწყო (ეგ ჩემი სკოლის სკამის ამხანაგია სემინარიიდან, კაცი მეტად ზვიადი და ბოროტი, თავის კერძი, ყაზანის სასულიერო აკადემია დაასრულა, შემდეგ სიმფეროპოლში მსახურებდა სემინარიაში „ნაძირატლად“, აქედან ტფილისის სემინარიაში გადმოიყვანეს რუსული სიტყვიერების და ლიტერატურის საგანზე! დიდად „შავრაზმელობდა“ – ორდენებით ჰქონდა გული გაჭედილი!.. ორმაგ „ბუხჰალტერიის“ კაცია...) „პირადობას არ შეეხოო“! მაშ, „ჭკუიანი“ კაცი გაგზავნეთ, მე არ გამოგადგებით თქო! შემდეგ სიტყვა წარმოვსთქვი – „მე რომ პირადობა მეწარმოებია, სხვებსავით გალაღებული ვიქნებოდი თქო... ხოლო თუ მავნე პირთაგან არ განიწმინდა ჩვენი ეკლესიური სფეროები, ჩვენი საქმე წასულია თქო“!.. ცოტა ხნის შემდეგ წაველ სახლში, არავისთვის განმიცხადებია ისე... ვხედავ, რომ ეგ „სამმართველო“ რაღაც ნაგვის გოდრად გადაიქცა... ყველა ჯურის ძველი რეჟიმის „პირუტყვები“ აქ მოიწევენ... რეაბილიტაციისათვის... თან მოაქვთ გახრწნილება, ცბიერება, გაიძვერაობა და ყველა ასეთი „სათნოებანი“!.. მეტად დაღონებული და დაგონებული ვარ!.. არ გვყავს მტკიცე ხასიათის მოღვაწენი!.. „ნათლიმამობაზეა“ ჩვენში აგებული ყველაფერი!..

29 აპრილი – შაბათი

დღეს ქართულ თეატრის მსახიობის და დრამატურგის ვალერიან გუნიას იუბილე გადავიხადეთ დღისით...

საღამოთი პროფ. ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით მესამე სხდომა გვქონდა „რუს-ქართველთა შემთანხმებელ კომისიისა ტფილისის ეკლესიების გაყოფაზე“! ჩვენი მხრით ვიყავით: დეკ. კ. ცინცაძე, კეკელიძე, თალაქვაძე, მღ. ციცქიშვილი, ს. გორგაძე; არ დაგვესწრნენ – ეპ. ანტონი და იპ. ვართაგავა; რუსების

მხრივ: დეკ. რაზუმოვსკი, მღ. ნოგატირიევი, დეკ. ორეხოვი, ინჟინერ-ოფიცერი ვინოგრადოვი, ბეკლემიშევი, ტიხვინსკი, ნალპანისი – ეგ სამნი სემინარიიდან; ერთიც ბერძენი მოხელე. დავინარჩუნეთ: სიონი, ანჩისხატი, ქვაშვეთი, სამება, ჩუღურეთის ნიკოლოზი, ვერის ნიკოლოზი, მთაწმინდა-მამადავითი, ამაღლება, კალოუბანი, მარინე, ბარბარე, პეტრე-პავლე, დიდუბე. დავა აგვიტეხეს(!) სიონზე(?!), დიდუბეზე(!), ამაღლებაზე, პეტრე-პავლეზე, მთავარ-ანგელოზზე და წმ. ნინოზე (სასაფლაოზე). ვერ შევთანხმდით! დიდი დავით დავინარჩუნეთ ხარ-ფუხის წმ. ნიკოლოზი, ამ ეკლესიისა გამო ბერძნებმა ილაჯი წაიღეს პროვოკატორების შეგონებით... კიდევ დაგვრჩა რამოდენიმე ეკლესია განუხილავი. ყორნებივით გვწიწკნიდენ... მეტად დამახასიათებელია ეს „დავა“ დრო და ჟამისათვის თუ „მართლ-მადიდებელ“ ქრისტიანეთათვის... ისიც ასეთ დროს, როდესაც განსაცდელი მოელის სარწმუნოებას და შესაძლებელია, ყველაფერი ჩაიფუშოს... რევოლიუციას არ გრძნობენ ჯერ აქ!..

არავის ახსოვს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის გამოცდილებანი... დათვი არ მოუკლავთ, დათვის ტყავზე კი ჩხუბი მოგვდის... ოჰ!.. როდემდის!.. იყუჩე, გულო!..

1-ლი მაისი ძვ. სტილით, ორშაბათი, წმ. „თამარობა“

არც წელს მიმიპატიჟეს მწირველად დიდუბეში... ჩემ მიერ დაწესებულ „თამარობაზე“! ესეც <u>თავისუფლება!</u> ეხლაც ხო ექსარხოსი აღარ არის?! თუ ექსარხოსმა (ინოკენტიმ) იქიდან გამომაძევა (1912-ში), რატომ ესენი არ აღმადგენენ?! საიდან სად დაბრუნდენ გადასახლებულ-გაძევებულნი! ვინ არ აღადგინეს თავიანთ უფლებებში და ადგილებზე?!. მე რაღა დავაშავე?! განა ექსარხოსმა დამძრა მე დიდუბიდან!.. არა... ისევ ჩვენებმა!..

მწირველნი ბრძანდებოდენ: ეპპ. ლეონიდი, გიორგი და ანტონი, თანამწირველობდენ – არქიმანდრიტები: ნაზარი(!), დოსითეოსი (ბერძენოვი), დეკკ. სიმონოვი, ასათიანი (სიონიდან), მაჭაროვი (მამა-დავითიდან), ცინცაძე (ქვაშვეთიდან) და გურგენიძე (დიდუბიდან, პირველი დეკანოზი იოსებ მირიანოვი არ იყო მწირველი)... კმაყოფილი ვარ, რომ ასეთ „კამპანიაში“ არ მოვხვდი მწირველად. არც ვსწირავდი, რომც ეთხოვათ!..

ლეონიდმა სიტყვა წარმოსთქვა – ულაზათო... შემდეგ „პანთეონში“ მიგვიწვია საფლავზე საპანაშვიდოთ... შემდეგ სადილზე მიბრძანდენ მირიანოვის ბინაზე და საღამოს ცხრა საათამდე იქეიფეს... ეკლესიის ხარჯზე!..

2 მაისი – სამშაბათი

დღეს, დილის ათ საათზე, კრება გვქონდა „შემთანხმებელ კომისიაში“, ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით. გავარჩიეთ ალექსანდრე-ნეველის ეკლესი-

ის საქმე. იცავდენ „ამერიკელი“ დეკანოზი სლიუნინი და რაზუმოვსკი. აქაც, ერთხელ კიდევ გამოჩნდა ბენეშევიჩის სახე – რუს დეკანოზებს აძლევდა სრულ თავისუფლებას ლაპარაკისას, ჩვენ კი არა! ბოლოს მოვითხოვე: „წარმოადგინეთ მეტრიკები და აღსარებითი სიები ეკლესიისა და დაინახავთ, როგორი „ევოლიუცია“ განიცადა ამ ეკლესიამ და მიაღწია სრულ რუსიფიკაციამდე თქო“! ამაზე ატყდა ქოთ-ქოთი! – შეიტანეთ ეს ოქმშიო! – გაჰკიოდენ „ჭეშმარიტ რუსთა“ დეკანოზები! მე თვითონ დავსწერე იქვე ჩემი ნათქვამი და გადავეცი ოქმში შესატანად... თუ დიდუბეში, მამა-დავითში, წმ. ნინოში, ბარბარეში, ამაღლებაში და სხვა ქართულ ეკლესიებში, სადაც რუსები ინებებენ ზოგჯერ შესვლას და იქ რუსულ-ქართული წირვა-ლოცვაა, რატომ ალექსანდრე ნეველის საყდარში არ არის ასეთი შერეული წირვა-ლოცვა?! განა ცოტა ქართველობა ეტანება ალექსანდრე ნეველს?! ჩაიხედეთ დოკუმენტებში?! მიბრძანდით წირვა-ლოცვაზე! ნახავთ, რომ დიდ-ძალი ქართველი მორწმუნენი, თავ-დახურული ჩვენი დედაკაცებია ტაძარში! ამათი ფული უნდათ, ისე კი მათ არავითარ ანგარიშს არავინ უწევს! ამ რაიონში სხვა ეკლესია არ არის!.. ეს ეკლესია ქართველების აშენებულია, მათი ნაამაგდარი თქო“!.. ისევ ასტყდა ვაი-უშველებელი!..

საღამოთი მივედით ლეონიდთან, იქ დაგვიხვდა ბენეშევიჩის ოფიციალური ქაღალდი, რომელიც თავ-ხედურად უარს ჰყოფს ჩვენს ეპისკოპოზებს, ჩვენს ავტოკეფალიას და 12 მარტის აქტსაც! ვინ მოიწვია და რა წესით 12 მარტის კრებაო?!. აპირებთ თუ არა უწმ. სინოდთან კავშირის აღდგენასო?! ითხოვს პასუხს დაუყოვნებლივ!.. დღეს მივდივართ კომისარიატში ამ თაობაზე პროტესტის განსაცხადებლად...

3 მაისი – ოთხშაბათი

პასუხი დავსწერეთ ბენეშევიჩის თავხედ მომართვაზე. მოვიწვიეთ პარტიების წარმომადგენლები – ეს-ფერები, ნაც-დემ. სოც-დემოკრ. ბელადს ნ. ჟორდანიას ვაჩვენეთ ბენეშევიჩის ქაღალდი და გაჯავრდა: „ეს როგორ შეიძლება?!. სულელი ყოფილაო?.. კონტრ-რევოლიუციის ნება აღარ მისცეთ, მედგრად იყავითო!..“ მაგრამ პარტიული წარმომადგენელი არ გამოგზავნა. ველოდებით ჩხენკელს, სადღაც პროვინციაში იყო წასული...

მანამ განვაგრძეთ ბენეშევიჩთან ბჭობა, ეკლესიები მოვრჩით თბილისშიცა და მაზრებშიც. წაიღეს იოანე ღვთის მეტყველის საყდარი ვერაზე... კვირაცხოველი („აისორებისა“), ამაზე დავა გამოუცხადეთ, და სხვა მათი აშენებული ტაძრები. ვერ მოვრჩით წმ. ნინოს სასაფლაოს, ხარფუხისას და ნაძალადევისას, ესენი ისევ „სადაოდ“ რჩებიან. დღეს მონასტრებზე გადავდივართ... მოვიწვიეთ არქეოლოგ-ისტორიკოსები – ევთიმე თაყაიშვილი და მოსე ჯანაშვილი. პარასკევ საღამოს უნდა განვიხილოთ მონასტრების გარემოებანი...

არქიმ. ნაზარის წინააღმდეგ პოლემიკა დავიწყე გაზეთ „საქართველოში“ „მონასტრების რევიზიისა გამო“. დაიბეჭდა პირველი წერილი და შეაჩერეს, ვინაიდან რედაქციაში მოხდა განხეთქილება. რედაქცია ჩაიგდო ხელში „ვეშაპელმა“, ამასთან კი სერგო გორგაძე შემწეობას უწევს ნაზარის. ვიყავი რედაქციაში, პროტესტი გამოუცხადე, უნდა განაგრძოთ წერილი, უაზრობაა თქო! ვნახოთ...

5 მაისი – პარასკევი

ნაზარისა და გორგაძის შესახებ იმერეთის სამღვდელოებიდან მოსულა ქაღალდი, რომ მათ ჩვენს „წარმომადგენლობას“ ვართმევთო“! ნაზარი ვეღარ დადის სამმართველოში, გორგაძე კი.

შევიკრიბენით მონასტრებისა გამო ბენეშევიჩთან. მოვიდა თაყაიშვილი, რუსების მხრივ – ოსეცკი („Еп. внѣшних дел“-ად წოდებული ბიუროკრატი).

მონასტრები ერთხმად იცნეს „ქართულად“, მაგრამ ფაქტიურად „რუსულად“!

გამანადგურებელი ცნობები მოიყვანა ე. თაყაიშვილმა რუსების ბერებთა „ვანდალიზმზე“ საფარაში (ახალციხის მხარე) და კაბენის (ბორჩალოსკენ) მონასტრებზე! თაყაიშვილის სიტყვის წინ კი ოფიციალური ქაღალდი წაიკითხეს (რუსებმა) თუ როგორ სცდილობდა ექსარხოსი ალექსი (I – „ჩერჩეტად“ წოდებული) და ვოსტორგოვი – „О насаждении Русского монашества в Грузии“ (მარტო ეგ სათაური რათა ღირს „Русского монашества в Грузии“! т. е. Грузия без Грузин! – ეს იყო ამათი ლოზუნგი საქართველოში!). ეს უკიჟინე მოურიდებლად „რუსებს“! რაღა გინდათ, მიზანს ხო მიახწიეთ, „დანერგეთ ბერობა“, რომელმაც ბარბაროსულად გაანადგურა ყველაფერი ქართულ მონასტრებში თქო!..

დიდუბეზედაც გვქონდა ისევ დავა, „ოქმში“ შესწორების შეტანა მოითხოვეს, ის რუსებისაცაა, მეც ჩემი წერილობითი განცხადება შევიტანე ინოკენტი არქიელის ვერაგობაზე, თუ როგორ მოატყუილა მან სინოდი, როდესაც მე იქიდან დამძრა, ხოლო მორწუნეებმა პირბადე აჰხადეს მის გამარუსებელ „მოღვაწეობას“ ჩვენში.

6 მაისი – შაბათი

დღეს 12 საათზე უნდა განგვეგრძო ბენეშევიჩთან მონასტრებზე სჯა, მაგრამ ანტონ ეპ. და მე გაგვგზავნეს ჩხენკელთან ბენეშევიჩის შესახებ მოსალაპარკებლად. სანამ წავიდოდი, ხმა გავრცელდა – „რუსებმა პოგრომი უნდა მოახდინონ და ავტოკეფალისტებიდან დაიწყებენო“... ჩვენ წავედით. ჩხენკელმა მიგვიღო. ვსთხოვეთ ბენეშევიჩზე შეიტანოს მან კომისარიატში შეკითხვა და, ვინაიდან კიტა აბაშიძე ავად არის, თვითონ იკისროს ჩვენი საქმის გაძღოლა კომისარიატში... უნდა დაუცადოთ, სანამ გამოარკვევდეს (ჩხენკელი) საქმეს, ხვალ ყველაფერს გვაცნობებს, ხოლო საღამოზე ისევ უნდა ვინახულოთ ჩხენკელი.

ჩხენკელს შევეკითხეთ „პოგრომზე“, „რა იცით თქო“? – „არაფერიო“! გვიპასუხა. როდესაც გადავეცით ქალაქში გავრცელებული ხმები ამ თაობაზე, „წერილობითი განცხადება შემოიტანეთ და გამოვიძიებო“. მოვახსენეთ ეს ლეონიდს და სათანადო განცხადება გაიგზავნა... ამაღამ სახლში ღამეს არ ვათევთ, სხვაგან ვიძინებთ მეც, ანტონიც!.. ლეონიდს წუხელვე გამოუცვლია დასაძინებელი ბინა... დიდი შიშიანობა იყო „პოგრომისა“... ჩვენ დასახელებული ვიყავით „მოსასპობად“...

13 მაისი – შაბათი

საღამოს 8 საათზე სხდომა იყო მიტკევიჩთან – „ექსცესებზე“ და იღუმენიაზე...

15 მაისი – ორშაბათი

დღეს, საღამოთი, „სამმართველოს“ კრება გვქონდა! ლეონიდმა წამოაყენა საკითხი ჩემი 12 მაისის წერილობითი მოხსენების შესახებ – „სასირცხოა ამ მოხსენების მოსმენაო და ნურც მოვისმენთო“! კრება მეტად დაინტერესდა საკითხის ასეთი დაყენებით და ლეონიდის წინადადება უარყოფილ იქნა, მოითხოვეს მოხსენება წაკითხულ იქნეს. ეს მოხსენება თვითონ მე წავიკითხე სხდომაზე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოხსენებამ – 12 მარტიდან სამმართველოს პრაქტიკულად უმოქმედობაზე, საქმის წარმოების არევ-დარევაზე, არც ერთი ჟურნალი ჩვენი სხდომისა ჯერ არ წაკითხულა და არ დამტკიცებულა სამმართველოს კრების მიერ, როგორც ეს საერთოდ მიღებულია ასეთ დაწესებულებებში თქო! არავინ არ ვიცით – როგორ და რა იწერება „სამმართველოს“ ჟურნალებში თქო (სამმართველოს კანცელიარიის მდივნად „არჩეული“ იყო ორი კაცი: სოფრომ მგალობლიშვილი და დავით დავიდოვი, ორ კაცს, მათი თანაშემწეობით ადვილად შეეძლოთ ამის მოგვარება, მაგრამ, არ ვიცი, რატომ, მგალობლიშვილი სრულებით არ დადის სამმართველოში, ხოლო ბატონი დავიდოვი, ალბად მეტად სთვლის ჟურნალების მოხსენებას და დასამტკიცებლად თუ შესასწორებლად წარმოგვიდგინოს თქო!.. სხვათა შორის ეპ. კირიონზედაც მქონდა იმ მოხსენებაში... კირიონზე განაახლეს იერიშები, მე განვაცხადე – დაინიშნოს კომისია ეპ. კირიონის შესახებ მომხდარ აგიტაციის გამოსაკვლევად – ვინ და როგორ შეეცადა მისი რეპუტაციის მოსაკლავად საზოგადოების თვალში, თუ როგორ გაბრუნებულ იქნენ უკან იმერეთის დეპუტაცია კირიონთან მისასალმებლად გამოგზავნილი, როგორ არ მიუშვეს ეგ დეპუტაცია მასთან! რა მოხდა ისეთი, რომ მხცოვან მოღვაწეზე ავრცელებენ ხმას, თითქოს ის იყოს „სინოდის აგენტი“, „ჩვენი მოღალატე“, „ეკლესიის გამყიდველი“!

ამავ სხდომაზე დ. დავიდოვი გამოტყდა: „მე მქონდა ბაასი იმერეთის დეპუტაციასთანო“... ამ სახით გამოვახტუნე „ყურდგელი“ – დავიდოვის იოთ-მოეთობა ინტრიგანობა – აგიტაცია კირიონის წინააღმდეგ ნათელ ვყავი კრების წინაშე...

მიუხედავად ამისა, ლეონიდმა ისევ გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ, კრებას წინადადება მისცა – „გაიტანოს თალაქვაძემ თავისი მოხსენება აქედანო! მაგ ქაღალდის აქ არხივში შენახვა სირცხვილიაო“! კრებამ არ მიიღო ლეონიდეს ასეთი წინადადება, მოისმინა ჩემი მოხსენება, ამ მოხსენების საფუძველზე ამოირჩიეს „აღმასრულებელი ბიურო“ ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით, ამ ბიურომ თვალყური უნდა ადევნოს საქმის წარმოებას და ასრულებას „სამმართველოში“... ამ სახით ლეონიდი, ფეხზე წამომდგარი, დაჯდა შერცხვენილი!.. ვნახოთ, თუ როგორ იძიებს ლეონიდი შურს ჩემზე... იწყება და დაიწყო კიდეც „ქართული შფოთი“, ეგ „ორი ყოჩისთავი ერთ ქვაბში ვერ მოთავსდებიან“... აქლემები იჭიდავებენ, კოზაკები გავიჭყლიტებით... მე ვიჭყლიტები კიდეც... ლეონიდმა იცის, რასაკვირველია, „საინიციატივო ჯგუფში“ რო ხმა მივეცი კირიონის კანდიდატურას კათოლიკოსობაზე და სქდება პოპოქზე... ამბროსიც ალმაცერად მიცქერის, რატომ მას არ მივეცი ხმა... აი, ჩვენი ტრაღედია!.. კირიონი და ლეონიდი ერთმანეთის კანდიდატურას ვერ ინელებენ, ესენი ამბროსი არქიმანდრიტის კანდიდატურის წინაშე შესდგებოდენ!!. ეჰ!.. აბა, რა უნდა ვსთქვა!.. „აღმართი და დაღმართიო, არც ერთია წაღმართიო“!.. მაგრამ „კაცი“ რო არა გვყავს სხვა?! ასეთი „უკაცობა“ გვჭირს დღეს... საკათოლიკოსოდ!..

16 მაისი – სამშაბათი

თბილისის ქართველ სამღვდელოებას ჰქონდა გაერთიანებული კრება ჩუღურეთის ნიკოლოზის სამრევლო სკოლის დარბაზში. კრებას დაესწრნენ ერის-კაცნიც სამრევლოებიდან. ამომირჩიეს კრების თავმჯდომარედ. გადადგენ თანამდებობიდან ძველი „ბაღოჩინები“: სიონის კრებულისა – დეკ. მ. ტყემალაძე, მტკრის მარჯვენა ნაპირისა – დეკ. ს. შოშიაშვილი, მარცხენა ნაპირისა – დეკ. ნ. მაჭარაშვილი... კრება ჩინებულად ჩავატარე, მიუხედავად იმისა, რომ მღვდლების წინააღმდეგ გამოილაშქრა მთავარ-დიაკონმა ტიმოთე ბაკურაძემ „მედავითნეთა ეკონომიური საკითხით“ 1905 წელს გამოცემულ დოკუმენტით, რომელიც ძალ-დატანებით მიიღეს მაშინ ღვდლებიდან! ესენი საძმო შემოსავლიდან მოითხოვდენ წილის გადადებას შემოსავლიდან, მედავითნეს $^2/_5$ უნდა მიეცესო მანეთიდან და სხვა... ილაპარაკეს ამ თაობაზე მ. მაჩაბელმა, პ. გოთუამ და სხვებმა... საკითხი ვერ გადაწყდა სავსებით...

გადაყენებული „ბლაღოჩინები“ ზრდილობიანად გავისტუმრე, მადლობა გადავახდევინე მათთვის კრებას, ხელი შემიშალა რკინის გზის ღვდელმა სამტრედიიდან – სილიბ. ხუნდაძემ, რომელიც „დალეული“ იყო და თან დემაგოგიით პოპულიარობა სურდა მოეპოვა მედავითნეებში... ავლაგმე... პირდაყოფილი გავისტუმრე!

17 მაისი – ოთხშაბათი

დღეს, საღამოთი, გამოძიება სწარმოებდა მიტკევიჩთან იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის შესახებ. ჩვენება ჩამოვართვით მოწმეებს, თვით დეკ. მიხაილოვსკის (წინამძღვარია), დეკ. გრ. გიორგიძე (მთავარ-ხუცესია) და სხვებს. ირკვევა საზიზღარი პროვოკაცია ოსეცკის მეთაურობით იმ ეკლესიაში... ოსეცკის წინეთ ჩამოვართვით ჩვენება. მისი შედგენილი „დოკუმენტების“ ასლები გამოვიტანე. ეს „დოკუმენტები“ არქიელ პლატონიდან იყო წარდგენილი კომისარ ხარლამოვთან, ამან კი „კომისიას“ გადმოსცა... გამომჟღავნდა...

ღამის 12 საათზე მიუსწარი „სამმართველოს“ კრებასაც, გავაცანი გ. ჟურულს, პ. გოთუას, მ. მაჩაბელს და სხვებს ეს „დოკუმენტები“...

შეიძლება ავიცდინო თავიდან აფხაზეთში წასვლა!.. მგზავნიან... ბოდბეში კი უნდა წავიდე... ხარლამოვმა უპასუხა კომისიას: „გამოძიებას არ დაუშლის იღუმენია ანასტასიას მონასტერში თბილისიდან გაბრუნებაო. ის გამოძევებული და გამოქცეული იყო მონასტრიდან... დაბრუნდა კიდეც ეს იღუმენია მონასტერში და დიდი უსიამოვნებაა დღეს იქ!.. ღვდლებმა შესწყვიტეს იქ სამსახური...

18 მაისი – ხუთშაბათი

დღეს, საღამოთი, კრებაა ტფ. ქართველ სამღვდელოებისა, 8 საათზე ისევ ჩემი თავ-მჯდომარეობით... გაგრძელებაა წინა კრებისა...

19 მაისი – პარასკევი

დღეს, საღამოთი კრებაა კომისიაში მიტკევიჩთან – გაგრძელება იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის თაობაზე.

21 მაისი – კვირა

დღეს გაზეთ „Возрождение“-ში გამოვიდა ჩემი წერილი: „К положению дел Грузин. автокефальной церкви“ – „ზაქარია მთისპირელისა“. ამ წერილში დავახასიათე პროფესორი ბენეშევიჩი, ეწოდა მას „ჩერნოსოტენნი კომისარი“! წერილმა მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე! ვნახოთ, რას გვიპასუხებენ რუსულ-სომხური გაზეთები – „კავკაზსკოე სლოვო“ და „მშაკი“.

22 მაისი – ორშაბათი

დღეს ვიყავი ეპ. ანტონისთან – დარიაში. მოვიდა ღვდელი ქრ. ციცქიშვილიც. ვილაპარაკეთ „მომენტზე“. შეეხენ „ზაქ. მთისპირელის“ წერილსაც... შემდეგ ჩამოაგდეს კირიონზე აუგები. უსაყვედურეს მას 1901 წლ. საიუბილეო მისი თხზულება – „ასი წლის თავი რუსებთან შეერთებისა“. გაჰკიცხა ეპ. ანტონიმაც. მე უპასუხე: „წელს, 8 იანვარს, არქიელი პლატონის იუბილეზე კინაღამ გასქდით რეჩების კაკანით და რათ გიკვირთ, თუ 1901 წელში, ისეთმავე ქორ-ეპისკოპოსმა, როგორიც თქვენ ეხლა ბრძანდებით, კირიონმაც ხარკი მისცა თავის დროს და ვერ აიცდინა თავიდან ის დამამცირებელი კომპრომისი თქო? აბა, შეადარეთ ისა და ეს „იუბილე“, რამდენად ესენი განსხვავდებიან ერთი მეორესაგან! თქვენ იძულებული იყავით პლატონის იუბილეზე – „რეჩი-შესხმა“ გეთქვათ, რატომ ჰფიქრობთ, რომ კირიონიც უფრო მეტად არ იყო იძულებული იმ შავ-ბნელ დროს თქო?! შემდეგ ციცქიშვილს ჩავაწყვეტინე ხმა ჩემს „ოფიციალ რუსულ ქადაგებებზე“ და დეკ. ტყემალაძის გამოქომაგებაზე... როგორ?! შემეძლო უარი მეთქვა ხელმწიფის დღესასწაულებზე დანიშნულ ქადაგებების წარმოთქმაზე ან მათ ოფიციალ ორგანოში პროკურორის (სინოდ. კანტორის) ბრძანებით მოთავსებაზე?!. არა, მამანო, მაგისთანა „ნომრები“ სხვაგან გაასაღეთ... გრცხვენოდეთ ამდენი ინტრიგებისა თქო...

არა, ეს ისე გითხარიო, – მომილაქუცა ციცქიშვილმა! – შე დალოცვილო, რაღა „ისე მითხარი“ – საჯარო კრებაზე განიზრახე ჩემი გაწბილება, მაგრამ, მგონი, შენ თვითონ უფრო მეტი მიირტყი ცხვირში თქო!..

23 მაისი – სამშაბათი

დღეს, საღამოთი, სამმართველოს კრებაზე წაიკითხეს ბენეშევიჩის „პროექტი“ სინოდ. კანტორის რესტავრაციისა(!), ძველი წევრების ახლებით შეცვლით და სხვა და სხვა ბუნდოვანი წინადადებებით, რომლითაც სურს ჩაგვითრიოს ეკლესიურ ავტონომიაში და ასე ნელ-ნელა დაგვახურდაოს, ჩვენ ჩვენივე თავი შეგვაჯავროს... „აღმასრულებელ ბიუროს“ მიუღია ეგ „პროექტი“ – „პრინციპიალურად“(!?). ამ „ბიუროში“ შედიან: ეპ. ანტონი, დეკ. კეკელიძე, მღ. ციცქიშვილი, ს. გორგაძე. ამ „პროექტს“ მხარი დაუჭირეს მ. მაჩაბელმა, ლეონიდმა და ბევრმა სხვა წევრებმაც! წინააღმდეგ გაილაშქრა გიორგი ჟორდანიამ (ვექილია) და შემდეგ ვრცელი, დასაბუთებული სიტყვით მე. გადავსდეთ საკითხის საბოლოოდ გარჩევა (ესეც დიდი გამარჯვება იყო „ოპოზიციისა“...) გვეჭრებოდა თავი!.. გვეფუშებოდა ავტოკეფალია! ასეთი ბეცი ბრძანდება ჩვენი კირ-ლეონიდი... მე არას ვამბობ სხვებზე, რომელნიც მეტად „თბილად“ იყვნენ სინოდ.-კანტორის დროს, ექსარხოსების ხელში...

ეპ. ანტონი არ იყო ამ სხდომაზე. არქიმ. ნაზარი გაუმწესებია ლეონიდს გელათის მონასტრის წინამძღვრად, ჩვენდა დაუკითხავად... ამაზე გაჯავრებულა ანტონი... დასტაკებია ლეონიდს. ვნახოთ, რა იქნება!

24 მაისი – ოთხშაბათი

დღეს მინდა მოვიწვიო საღამოს ტფილისის ღვდლები სათათბიროდ, ეპ. ლეონიდის თავმჯდომარეობით, მედავითნეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

მოვიწვიე ეს კრება „სათათბიროდან“ 16-18 მაისის კრების განაჩენებზე – შემოსავლის წილის გაყოფაზე და საოლქო საბჭოს დაარსებაზე. არც ერთ ღვდელს ამ განაჩენებზე ხელი არა აქვს მოწერილი. კრების წინასწარ ვეთათბირე ეპ. ლეონიდს, რათა მას შეეგონებია ღვდლებისათვის, დაუთმონ მთავარ-დიაკვნებს ეკონომიურ მოთხოვნილებაში.

მოვიწვიე ქალაქის შტატის მღვდელ-დეკანოზები სიონიდან მოკიდებული ყველა ქართული საყდრიდან. გამოცხადდენ გარდა სამისა ყველანი, არ გამოცხადდენ პეტრე-პავლედან შუბლაძე-სამადალოვი და ტატიშვილი მარინედან.

კრება გახსნა ლეონიდმა და მიმართა „მოძღვრებს“ დარიგებით – ყველგან მიიღეს ეგ მოთხოვნილება და ჩვენ რაღა გვეთქმისო, ყველგან დააარსეს საოლქო საბჭოები და ჩვენ რა მოგვივიდაო!

შემდეგ ილაპარაკა დეკ. კ. ცინცაძემ: „16-18 მაისს ჩვენი ეკლესია მიეცა მთავარ-დიაკვნებს დასაღუპადო! ჯერ მათი ზნეობრივი სახე გვენახა და შემდეგ შეიძლებოდა ეკონომიურზე ბაასიო“! ამით მამა ცინცაძე გადმომწვდა მე!.. რა სიბეცეა ზნეობრივიც, ეკონომიურიცა და პოლიტიკურიც!..

ილაპარაკეს სხვებმაც. შემდეგ დასაბუთებული მოხსენება გავაკეთე მედავითნეთა „ზნეობრივ სახეზე“: „რაცა და რის მაგალითიც მედავითნეთათვის ჩვენ თვითონ არ მიგვიცია, ის როგორ უნდა მოვსთხოვოთ ამათ თქო! რატომ 1905 წ. 12 დეკემბრის შემდეგ მაინც (როდესაც დაჰპირდენ და გადასწყვიტეს წილის გადიდება) არ მიაქციეთ მათ „ზნეობრივ სახეს“ ყურადღება თქო?!. მედავითნეებმა ეხლა იშოვნეს მარჯვე დრო და რად გიკვირთ, თუ განზე გაგვიდგნენ და აღარ ვსწამვართ თქო“!..

მწვდა პირში დეკ. ტყემალაძე, მიკიჟინა „ორატორობა“ და შემიშალა ლაპარაკი! მე განვაცხადე: „შენიშვნას მხოლოდ თავმჯდომარე კრებისა მომცემს აქ, სხვა არავინა თქო“! თავმჯდომარე კი იჯდა ხმაგაკმენდილი. თავის მასპინძელ ტყემალაძის ოჯახში სცხოვრობს ლეონიდი, ესენი კიევის აკადემიიდან ერთი კურსის ამხანაგებიცაა. არც კრებამ გასცა მას ხმა. მეც გადავჯექი განზე და შემდეგ კამათში აღარ მიმიღია მონაწილეობა... ოქმზე ძალად მოვაწერინე ღვდლებს ხელი, მივაღებინე... „დათმობა“...

უსიამოვნება მოუვიდა ღვდელ სიმონ ფხალაძეს და დეკ. ი. მირიანაშვილს, რომელსაც ფხალაძემ უსაყვედურა დიდუბის ეკლესიის არევ-დარევა (ეგ ფხალაძეც დიდუბეში იყო განწესებული მესამე ღვდლად), უანგარიშობა! აღშფოთდა მირიანოვი! ამას დაუჭირეს მხარი ეპ. ლეონიდმა, სხვებმაც. მღვ. ფხალაძე დემონსტრატიულად გავიდა კრებიდან! აბა, მირიანოვის წინააღმდეგ ვინმე „ბობოლათაგანი“ წავიდოდა?! ამათ კუდი კუდზე აქვთ გადასკვნილი!.. ბოლოს დეკ. ცინცაძემ „განუმარტა კრებას, რომ „წირვა-ლოცვა დიდუბეში ისევ ისე

რჩება, როგორც იყოო [ე. ი. ქართულად „მერმე და მერმეს“ წამოიძახებენ ზოგჯერ, დანარჩენი სულ რუსულად, როგორც ეს შემოიღო თვით ცინცაძემ დიდუბეში!], ასეთია პროფ. ბენეშევიჩის აზრიო“!.. ბენეშევიჩზე ილაპარაკეს... სასიკეთო მისგან არა გაკეთებულა რაო!.. და დაიშალნენ.

26 მაისი – პარასკევი

დღეს საღამოთი სამმართველოში გვქონდა კრება ისევ ბენეშევიჩის „სინოდ-კანტორის“ აღდგენის პროექტზე! იყვნენ ერისაგანნიც – გ. ჟურული და სხვანიც...

ასე საათის ათის ნახევარზე დ. დავიდოვმა მითხრა: „ექიმი ალექსეევი გიხმობს დერეფანში ცოტა ხნითო“! ასეთ ექიმს მე არავის ვიცნობდი!.. გაველი დერეფანში და შემომეგებენ დეკ. ტყემალაძის სიძე – ალექსეევი (ალექსიძე ყოფილა წინეთ) – სამხედრო ექიმი, ხმლითა და რევოლვერით! და დეკ. მარკოზის ძმა – ტყემალაძე, ყოფილი პოლიციელი, პრისტავის თანაშემწე. ესენი შემეკითხენ მკვახედ: „მართლა სთქვით თქვენ, რომ დეკ. მარკოზ ტყემალაძე ჯაშუში იყოო“! – ამაზე ცხარე ბაასი გამოგვივიდა! „ვინ ხართ?! ვის დარჩენიხართ?! არ გიცნობ, არ მიცნობთ! მოდიხართ და კრებიდან მიბარებთ ასეთი პროვოკაციული შეკითხვისათვის თქო! მარკოზ დეკანოზს რაზე დასჭირდა თქვენი აპეკუნობა! ან თქვენ რაზე ვერ მოისაზრეთ, რომ ეს თქვენი საქმე არ არის თქო“! დაპრაწა მარკოზის ძმამ თვალები, გაიკრა ხმალზე ხელი ექიმმა! მე დაცინვით მიუგე ექიმს: „ბატონო ექიმო, ხმალი და იარაღი რა თქვენი საქმეა?! რატომ არა გრცხვენია უიარაღო ღვდელზე იარაღს აჟღარუნებ თქო! თქვენ საკუთარი გვარი – ალექსიძე ალექსეევად გადაგიკეთებიათ, გვარი დაგიკარგავთ ქართული და ეხლა დეკ. ტყემალაძის „პატიოსანი სახელის“ აღდგენას სცდილობთ თქო!.. წადით, მეგობრებო, საიდანაც მოსულხართ, მარკოზი გამისწორდეს, თუ სურს, მე თქვენ მის შესახებ არავითარ პასუხს არ მოგცემთ! ნიშნავს, მე უფრო კარგი აზრისა ვყოფილვარ მარკოზზე, ვინემ მისი სიძე და ძმა თქო“! სულ პოპოქზე დასქდენ, ცემას მიპირებდენ! შეიქნა ყვირილი დერეფანში! გამოვარდა ისევ დავიდოვი და გაგვაშველა! ეს „შეხვედრა“ დავიდოვის მონაწილეობითაც იყო „მოწყობილი“...

ასეთი „ბრძოლის“ გადახდის შემდეგ, შევბრუნდი კრებაზე, მივიღე კამათში მონაწილეობა და შევიტანე წერილობითი აზრი ბენეშევიჩის „პროექტის“ წინააღმდეგ. მიპასუხა ჟურულმა კომპრომისიით. გავაბათილე აგრეთვე კეკელიძისა და ციცქიშვილის აზრი „პროექტზე“... დავასამარე ბენეშევიჩის „პროექტი“ – გონს მოდით, ეს ჩვენი ხელით ჩვენი ყელი რო გამოვიჭრათ, ის არის თქო!..

შემდეგ მოვითხოვე „საზოგადოებაში გასვლა“ – კოტე ფოცხვერაშვილის ლექციისა გამო. გამოცხადებული ჰქონდა გაზეთებში ვრცელი ანტირელიგიური პროგრამით საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლექციები – მუსიკალურ სასწავლებლის დარბაზში. გავიდეთ, პასუხი გავსცეთ თქო. ამაზე დეკ. ცინცაძემ

მიპასუხა: „ხალხი ჩვენთან უნდა მოვიდეს, ჩვენ დაგვიგდოს ყური და არა ჩვენ ხალხთან ვირბინოთო“!

ეს ფოცხვერაშვილი იმერელი ღვდლის შვილია, ქუთ. სას. სემინარია აქვს დასრულებული, შემდეგ იურიევის უნივერსიტეტშიც სწავლობდა, თან მუსიკასაც სწავლობდა, „კომპოზიტორობას სჩემობს...“ განუვითარებელი კაცია, მაგრამ თავხედი... ხეპრე...

27 მაისი – შაბათი

დღეს დილით გაუგზავნე ლეონიდს მარკოზის შესახებ მოხსენება და მოვითხოვე: „თუ ნებავს, ფორმალური გამოძიებით ან მედიატორით ეძიოს მან დაკმაყოფილება ჩემგნით და არა სიძე-ძმის ყაჩაღური შემოსევით თქო“. მოვაგონე შარშანდელი ინციდენტი (ჩემი ბინის თაობაზე – ბინა მომცა არქიელმა პლატონმა და დეკ. ტყემალაძე გადამეღობა წინ; აგრეთვე მედავითნეთა შესახებ „თათბირზე“ მის მიერ ჩემი დამცირება)...

დღეს დილით წავედით „გამომძიებელი კომისია“ – მიტკევიჩი, პატოცკი, მე და ვ. მგალობლიშვილი, რომელიღაც საერო დაწესებულების ახალგაზრდა მოხელეთაგანი, იღუმენია ანასტასიას საქმის გამოსაძიებლად თვით ბოდბის მონასტერში. გავემგზავრეთ ავტომობილით... ჩინებული დარი დაგვესწრო, მთელი ეგ ვეებერთელა გარე-კახეთისა თუ ქიზიყის მინდორ-ველი გადავლახეთ ავტოთი. გამოვიძიეთ... ერთი ღამე დავრჩით, მეორე დღეც სულ ვიძიებდით. ზოგმა (სულ რუსის მოლოზნებია, ერთია მხოლოდ ქართველი!) აჩვენა ანასტასიას სასარგებლოდ, ზოგმა წინააღმდეგ. მეტად ლამაზი და წარმოსადეგია იღუმენია ანასტასია, ეტყობა, რომ არის „Русская боярыня“. სასტიკი ვინმეა... სწურავს და აწამებს მოლოზნებს... ეგ მონასტერი ბუდე ყოფილა გარყვნილებისა და გახრწნილებისა. ვაი, სირცხვილო! აქ ისვენებდენ „ხორცით“ ჩვენი არქიელები... ეპისკოპოსები... არქიმანდრიტები, დეკანოზები და ტფილისის ბობოლა ბიუროკრატები, რომელნიც თავიანთი „პროვიზიით“ ჟამითი-ჟამად ესტუმრებოდენ „დედა-იღუმენიებს“ და ეძლეოდენ აქ ორგიებს... „ათინის საღამოებს“... უნდა ჩემი წერილობითი აზრი წარვადგინო იღუმენიაზე კომისიაში.

28 მაისი – კვირა

საღამოზე დავბრუნდით ბოდბიდან. ძლიერ მომეწონა, როგორც ტურფა ალაზნის მიდამოები, ისე წმ. ნინოს სავანე! შეძრწუნებული ვარ, რომ ეს „სიწმინდე“ და ეს სიტურფე – სავანე ჩვენ ხელთ არ არის! მგონი, ვერც ვიგდებთ მას ხელთ ვერასოდეს!.. სიღნაღი შორიდან ლამაზია, ახლოდენ მოუწესრიგებელი. ვისიამოვნე ავტომობილით იქით-აქეთ მგზავრობით.

29 მაისი – ორშაბათი

დილის 10 საათზე საოსტატო ინსტიტუტში წაველ. აქედან გაველაპარაკე ეპ. ანტონის ტელეფონით, ვაცნობე ბოდბიდან ჩემი დაბრუნება. „როდის გნახო თქო“?! „დრო არა მაქვს, ოთხ საათზე ა. ჩხენკელთან უნდა წავიდეო“! „მე ხო არ ვიქნები საჭირო თქო“? „არაო“! – მიპასუხა. ეტყობოდა, არ ვსურდი ვხლებოდი! წაუყვანია თან დეკ. კ. ცინცაძე ბენეშევიჩის „პროექტის“ საჩვენებლად, რათა ჩხენკელის დასტურით თუ მოწონებით „პროექტისა“, სინოდალური კანტორა აღსდგეს და დაიწყონ იქ მსვლელობა ჩვენებმა! ჩაუთრევიათ კიდეც ჩხენკელი ასეთ შეცდომაში!..

ჩამოსულან აფხაზეთში წასული დელეგაცია: გენერალი გაბაშვილი, პ. გოთუა, სხვები კი – დ. ნიჟარაძე და აფაქიძე არ დაბრუნებულან ჯერ! მე კი მარტოდმარტო მისტუმრებდა ლეონიდი აფხაზეთში!.. ხვალ საღამოთი სხდომა იქნება სამმართველოში, სადაც მოისმენენ მოხსენებას აფხაზეთზე და ბოდბეზეც.

30 მაისი – სამშაბათი

სამმართველოს სხდომაზე დაესწრნენ: გენ. გაბაშვილი, გოთუა, პეტროგრადიდან ერთი ინტელიგენტი მოქალაქე ვინმე ქორქია, გ. ჟურული, მ. მაჩაბელი და სხვანი.

ისევ ბენეშევიჩის „პროექტი“ წაიკითხა ეპ. ანტონმა! „ეს რედაქცია „პროექტისა“ მოიწონა ჩხენკელმაო! მე და მამა კალისტრატე ვიყავითო“! – მეტად საეჭვო პირებად მეჩვენენ ამ შემთხვევაში ანტონიცა და კალისტრატეც! ამათ სურთ ჩვენი ეკლესიის თავისუფლება მოსპონ. ისევ ძველ გზას დაუბრუნდნენ... სინოდალურს... გაკაფულს... ჰგონიათ, ისევ ძველებურად იპარპაშებენ...

„წინა პარასკევს წერილობითი აზრი შევიტანე მაგ „პროექტის“ წინააღმდეგ. მეგონა, დავასამარე, ისევ წამოუყენებიათ თქო“, – გადაულაპარაკე პართენ გოთუას. თავის მხრივ პ. გოთუამ განაცხადა: „ეს ჩვენი ეკლესიის დასაფლავებააო“! მეც ამის შემდეგ ისევ დაურთე ვრცელი კრიტიკა და ასტყდა ჩემს წინააღმდეგ ერთი აურ-ზაური! ეპ. ანტონი მეცა პირში: „წინეთ ჩვენ თვითონ ვთხოულობდით ბენეშევიჩიდან კომისიას, ეხლა კი უარს ამბობენო“! მე უპასუხე: „იმ კომისიასა და „სინოდალურ კანტორის“ შუა დიდი ზღვარია, ეს ჩვენ კარგად გვესმის! ტყვილა ნურავინ ცდილობს ჩვენს დახურდავებას თქო“! იწყინა ანტონმა!..

შემდეგ პეტროგრადელმა სტუმარმა ქორქიამ გააკეთა მოხსენება: „რაც ბენეშევიჩი წამოვიდა პეტროგრადიდან, იქ არავინ არაფერს არ აკეთებს ჩვენი ეკლესიისათვისო! აქ თქვენ ბენეშევიჩი სხვას გეუბნებათ, იქ კი სულ სხვასა სწერს მთავრობასო. პლატონი ხომ სულ ერთიანად გვთხრისო. Мне становилось жутко при чтении этого „проэкта“, – სთქვა ქორქიამ რუსულად, – если бы я имел голос здесь, то всецело присоединился бы к мнению о. Талаквадзе“. დაასრულა ქორქიამ! ამას აღარ მოელოდნენ ჩემი პაექრები და „პროექტი“ ჩაიშალა!...

შემდეგ დაიწყეს პეტროგრადში გასაგზავნ კაცების ძებნა. შეჩერდენ ეპ. ანტონიზე. ამან განაცხადა: „მე მარტოდ არ წავალ, თუ დეკ. ცინცაძე არ წამოვაო“! პ. გოთუამ განაცხადა: „მამა ნიკიტა ცხარეა, არ გამოდგებაო“! – ბევრს უტაქტოდ ეჩვენა ეს თქმა გოთუასი! მე განვაცხადე: „ჩემი სიცხარით“ შეიძლება ზოგჯერ ჩემი „პირადი“ საქმე გამეფუჭებიოს და უკან დავმდგარვარ, საზოგადო საქმე არსად, არასოდესთქო! მაგრამ რაზე სწუხხართ, მე პეტროგრადში არა მესაქმება რა, ჩვენი საქმე არ გაკეთდება კიდეც და გაფუჭდება კიდეცთქო“. ყოველ შემთხვევაში დეკ. ცინცაძე დელეგაციისათვის არ მიმაჩნია სანდო პირად, ეგ დაინტერესებულია ჩაშალოს 12 მარტის აქტი, რაშიდაც, ჩემი რწმენით, ხელს უწყობენ მას დეკ. კეკელიძე და სერგო გორგაძე, თვით ლეონიდიც, რომელიც მფარველობს მარკოზს, ნაზარს და მთელ ასეთ კომპანიას!

ისევ დაიწყეს ბენეშევიჩის „პროექტზე“ ლაყბობა. ამ „პროექტის“ საბოლოოდ ჩასაშლელად მე განვაცხადე: „მიკვირს, ეპ. კირიონი გალახული გაუშვით აქედან, იმიტომ, რომ ობერ-პროკურორმა მას სთხოვა ჩვენს (ქართველების) საქმეში მას მონაწილეობა მიეღო და ხელი შეეწყო საქ. ეკლესიის უფლებათა მოგვარების საქმეში! ეხლა კი თქვენვე, კირიონის დამწუნებელნი, სთანხმდებით სინოდ. კანტორის აღდგენასთქო, რასაც პ. გოთუამ სამართლიანად უწოდა „ჩვენი ეკლესიის დასაფლავება“თქო!

ამაზე დეკ. კ. კეკელიძე გაჯავრდა: „ეს ადვოკატობაა, არავის სჭირია შენი ადვოკატობაო“! მიყვირა. უპასუხე: „მე ადვოკატობას და მელა-კუდობას არ ვარ ჩვეული, ხოლო ვინც ადვოკატობს და გაიძვერობს, ესეც მალე სავსებით გამოჩნდება თქო“!.. კეკელიძე ამის შემდეგ გაიპარა კრებიდან... А „проэкт“ Бенешевича всеже провалился!..

ამავ 30 მაისის სხდომაზე, ბოლოს პ. გოთუამ გააკეთა მოხსენება აფხაზეთის შესახებ. აფხაზეთი ეკლესიურად დამორჩილებოდა სინოდსაო! 24 მაისს დღისით – სახალხო კრებაზე – გამოეტანათ კიდეც ასეთი დადგენილებები, მაგრამ საღამოთი, მეორე და მესამე დღეს (დელეგაციის შეგონებით), უკან წაიღეს ის რეზოლიუციები და მოითხოვეს „Самостоятельная Абхазская Церковь“! ამაზე შეჩერდნენო. სამმართველოში „ესეც დიდ გამარჯვებად ჩაითვალა“...

ბოდბეზე

გოთუას შემდეგ მე წავიკითხე ბენეშევიჩის სახელზე დაწერილი ჩემი მოხსენება იღუმენია ანასტასიაზე და მის მოქმედებებზე ბოდბეში დაბრუნების შემდეგაც კი! მოვიყვანე მთელად მოხუც მოლოზონ დოსიფეას შემაძრწუნებელი ჩვენება ამ იღუმენიაზე და საერთოდ მონასტრის ყოფა-ცხოვრებაზე... მოიწონეს ეგ მოხსენება და იგზავნება ბენეშევიჩთან...

წუხელ მომივიდა ბარათი გოთუა და ეპ. ლეონიდისაგან: „სამურზაყანოში გზავნიანო“! მარტო წასვლაზე უარი განვაცხადე, „თუ დელეგაცია იქნება,

მეც მივიღებ მონაწილეობასა თქო“! საკვირველია! გურიაში მარტოდ-მარტო მგზავნიდენ, ისიც ვნების კვირიაკეში! ისიც უღირს ხუცების ხალხის წინაშე თავის გამოსადებად! აფხაზეთში მარტოდ მიპირებდენ გაგზავნას, ხოლო მე რომ უარი განვაცხადე, შემდეგ ოთხი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაიგზავნა! მეორედ მგზავნიდენ გურიაში, ისევ მარტოდ-მარტო! ეხლა სამურზაყანოში წადი ისევ მარტოდო! ეს რაღაცა ეჭვს ჰბადებს ჩემში, დავიდოვიდან ყველაფერია მოსალოდნელი, ხო არ მიპირებენ სადმე ჩაკლას და თავიდან მოგდებინებას ამ „აბეზარი ტალაკვაძისას“ (ტალაკვაძეს მიწოდებენ ეგ უბადრუკები! გვარიც ვერ შეუთვისებიათ ჩემი!).

31 მაისი – ოთხშაბათი

საოპერო თეატრში გაიმართა სახალხო კონცერტი კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. მღეროდენ, სხვათა შორის, გურულები, ითამაშეს „აჭარლებმა“ ძველი ცეკვა „ხორუმი“! დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. გურულების სიმღერამა და „ხორუმმა“ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ქართლ-კახელებს კი გურული „კრიმანჭულები“ სიცილადაც არ ჰყოფნის, მაგრამ... რა გაეწყობა!.. ეგ ისტორიული კარჩაკეტილობის ბრალია... უკულტურობა... მეტად სამწუხარო მოვლენა ასეთ დროში...

1 ივნისი – ხუთშაბათი

ვიყავი მიტკევიჩთან კომისიის სხდომაზე საღ. 8 საათზე...

2 ივნისი – პარასკევი

იყო სხდომა სამმართველოში. ეპ. ანტონმა ისევ წამოაყენა ბენეშევიჩის „პროექტის“ მიღების საქმე, მაგრამ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიე ისევ. მე განვაცხადე: „რაც „საქმეები“ მოგივიდეთ გასარჩევი, ხოლო „უკანტოროდ“ არ გაკეთდება, ასეთი საქმეები კათოლიკოსის მოსაყდრემ მთავრობის „დეკლარაციის“ მესამე მუხლის ძალით, უბრძანოს ყოფილ კანტორის მოხელეებს შეასრულონ! ამით რევოლიუციონურად დავიმორჩილებთ ამ მოხელეებს და არხივს, ურომლისოდ ავტოკეფალური ეკლესიაც ვერ იმოქმედებს თქო!.. თქვენ განგებ ჰქმნით ყალბ მდგომარეობას, რათა იძულებული გვყოთ სინოდ. კანტორის აღდგენა, როგორც დაწესებულებისა! ჩვენ ამ დაწესებულებით ვისარგებლოთ, როგორც ორგანოთი და მისი არქივით!.. ეს ორი სხვა და სხვა თვალსაზრისია თქო! „არა თუ არ ვიცნობთ კანტორას, სულ ნუ გვინდა ისაო“, – მიპასუხა ეპ. ანტონმა ირონიით! „ეს ხო საქმე არ არის, თქვენო მეუფებავ თქო“, – ღიმილით

უპასუხე! მიიღეს ჩემი წინადადება და მომანდეს ბენეშევიჩის „პროექტის“ უარყოფის პასუხის შედგენა.

მეც ავიღე და შევადგინე მაგარი პასუხი, რითაც გავაქარწყლე ბენეშევიჩის მთელი მუშაობა ტფილისში და ისე გავისტუმრე, რომ ველარ დაბრუნდეს უკან. ეგ პასუხი წაიკითხა მღ. ქრ. ციცქიშვილმა, მოიწონა; შემდეგ დ. დავიდოვს წაუღე გადასაბეჭდად მანქანაზე, იქ ნიკო კურდღელაშვილიც დამიხვდა, წაიკითხეს, ძლიერ მოიწონეს. პასუხი გაიგზავნა ბენეშევიჩთან.

დღეს მიტკევიჩის კომისიაში მიმიწვიეს. იყვნენ დეკ. მიხაილოვსკი და ოსეცკი. ოსეცკისა და მიტკევიჩს დიდი შეტაკება მოუვიდათ... შეადგინეს ამ თაობაზე ოქმი.

იღუმენია ანასტასია უკვე გამოწვეულია ბოდბიდან; ჩამოსულა კიდეც ქალაქში, გადაუყენებია საერო მთავრობას...

4 ივნისი – კვირა

დღეს საღამოზე მუსიკალურ კონსერვატორიის დარბაზში იყო გაგრძელება იმ რელიგიურ ლექციისა, რომელიც კოტე ფოცხვერაშვილმა მიაწოდა საზოგადოებას 25 მაისს. დღეს დაასრულა მან ეს ლექცია და კამათიც უნდა გამართულიყო. საზოგადოება წინანდელზე ნაკლები იყო. სამღვდელოება ცოტა იყო, ასე 15 კაცამდე მღვდელ-დიაკონ-მედავითნებიანა. მეტის-მეტი თავხედური და ზერელე იყო ფოცხვერაშვილის „ლექცია“, ანუ უკეთ რო ვსთქვათ, იმერული იუმორით ყბად-აღება სარწმუნოებისა და სამღვდელოებისა. „ქართველი ერის ღმერთი რაღაც ულონო, ულაზათოაო; ქართველები ქრისტიანები არასოდეს არ



ქ. **ფოცხვერაშვილი**. ვაი თქვენდა მწყრომბორნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ცრუმოძღვრებითა თქვენითა აცდუნებთ მრავალთა.

მღ. ლლები. საჯენ უფალო მავნებელნი ჩვენნი და ბრძოდე ბრძოლათა ჩვენთა.

...და ეფლოდენ მოძღვენი სიმართლისანი პირისაგან ლექტორისა მის...

კოტე ფოცხვერაშვილი (სკეტჩი კომისარ.)

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, №36, 3 სექტემბერი, 1917

იყვნენო“!.. გაამასხარავა დოღმატები, საიდუმლოები, არივ-დარია ერთმანეთში ქრისტიანული მოძღვრება და კულტი, ძველი და ახალი აღთქმა, სახარება და საღვთისმსახურო წიგნები! სახარებასაც მჩატედ შეეხო!.. შემდეგ დაიწყო კამათი! არავინ გამოდიოდა საკამათოდ! საზოგადოებამ დაიძახა: „დეკ. თალაქვაძე, გამოდით, პასუხი გაეცით ლექტორსაო“! მეტი რა ღონე იყო, მეც ავედი სცენაზე და დავდექი ლექტორის კათედრაზე! საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით შემეგება!.. ჩაეწერენ სალაპარაკოდ პეტრე მირიანაშვილი (მასწავლებელი-ერისკაცი – ანტირელიგიური), მღ. ი. ქავჟარაძე, ს. გორგაძე.

ვილაპარაკე ნახევარი საათი, გვიანი იყო, 12 საათზე დავიწყეთ „კამათი“, მსურდა სხვებსაც დარჩენოდა დრო! ლაპარაკი გამოვიდა გვარიანი, რაც შეიძლებოდა, ყოველი მხრივ შევეხე საკითხს, ვაკრიტიკებდი ლექტორს, ვანადგურებდი დაუზოგველად. შიგა და შიგ ტაშის ცემით მიპასუხებდა აუდიტორია, ფოცხვერაშვილი კი ჩემი მათრახების ქვეშ იდგა განზე და ტოკავდა! ჩავატარე მოკლედ ქრისტიანობის მთელი აპოლოგია-დაცვა! გავაკეთე მოკლე მიმოხილვა სახარებისა, დავიცავი ის „ლექტორის“ უვიცობისაგან! ჩავატარე დოღმატებზე სათანადო თვალსაზრისი, გავაშუქე საიდუმლოების ვითარება; ქრისტეს მორალი, მისი უნივერსალობა! მოვიხსენე ბებელის შიში – „ღვდლები სოციალიზმს თავისად გამოაცხადებენო“! გავაშუქე ქრისტიანობა და პოლიტიკურ მართვა-გამგეობის ფორმები, ქრისტიანობა და სოციალიზმი, ქრისტიანობა და დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენც ჩავებათ ასეთ რესპუბლიკის ფერხულში; რომ გარდამავალი ფორმები პოლიტიკურ მართვა-გამგეობისა ქრისტიანობას ვერ ჰბოჭავს! შემდეგ იმედიანად შევხედე ჩვენი ეროვნულ-ეკლესიური ცხოვრების განახლების მოლოდინს და მოუწოდე საზოგადოებას „ავტონომიური საქართველოს“ რესპუბლიკანურ ნიადაგზე მოსაწყობად. გამიმართეს ოვაციები. გავანადგურე ფოცხვერაშვილის „აბდა-უბდა-გადასკუპდა“ „ლექცია“!.. იცინოდა ლექტორიც... იმანაც ტაში დამიკრა!.. შემდეგ მეც და ფოცხვერაშვილიც იუმორისტულ „ეშმაკის მათრახში“ გაგვამასხარავეს...

5 ივნისი – ორშაბათი

დღეს სამმართველოს სხდომა იყო. დაგვესწრო აკადემიკოსი ნიკო მარი! ბენეშევიჩი უნახავს მარს პეტროგრადში წასვლის ხანს – გუშინ – კვირას! ეპ. ლეონიდმა მოხსენება გაუკეთა მარს ეკლესიის ვითარებაზე, გადავიდა ბენეშევიჩთან დამოკიდებულებაზე და უარყოფითად დაახასიათა მისი აქ მოქმედება. უფერულად და უსიცოცხლოდ ჩაატარა მოხსენება. მარს ალბად შეებრალა „მომხსენებელი“, ჩამოართვა ლეონიდს სიტყვა, ჩაერია მის მოხსენებაში და თვითონ გაგვიკეთა მოხსენება, თუ თავიდან როგორ იყო საქმე, როგორი მონაწილეობა მიიღო მან ამ საქმეში, აგრეთვე ბენეშევიჩმაც. დაუპირდაპირა მან „პეტროგრადელი“ ბენეშევიჩი „თბილელს“ და განცვიფრდა – „ამას არ მოველოდი მისგანო! ყოველ შემთხვევაში ბენეშევიჩი ვერ შესცვლის თქვენი საქმის მიმდინარეობასო! თქვენს „ძირითად დებულებებზე“ გვქონდა ბჭობა ლვოვთან (სინ. ობერ-პროკუ-

რორი), კარტაშევთან (მისი თანაშემწე), ბრილიანტოვთან და სხვა პროფესორებთანაცო! საერთოდ მიიღო კიდევაც მთავრობამ თქვენი „დებულებებიო“! დეპეშაზე დეპეშითვე გიპასუხეს ამ დებულებათა დამტკიცებითო! მიკვირს, სად არის ეს დეპეშა-პასუხი! უსათუოდ მიღებულია ქალაქშიო! „დებულებები“ ვერ გაქვთ სათანადოდ შედგენილი, ბევრი გაუგებრობა და ნაკლია შიგ, რომელიც მავნეა ჩვენთვის, თუ არ შესწორდაო. გეტყობათ, ნათლად არ გაქვთ წარმოდგენილი, თუ რა არის „ნაციონალური ავტოკეფალიაო“! თქვენ ტყუილად გგონიათ ეს „ექსტერიტორიალურიო“! თქვენი ავტოკეფალია მიღებულია მთავრობის მიერ, როგორც „ნაციონალურ-ტერიტორიალური“! ან რა საჭირო იყო „დებულებებში“ იმის წერა, რომ „მიწერ-მოწერა ქართულად გვექნებაო, ეგ ხო თავისთავად იგულისხმება – „ნაციონალურშიო“! აგრეთვე ვერ გაქვთ ნივთიერი საჭიროებანი დასაბუთებული, რომ საშვალებანი მოითხოვოთ! კრინტი არ დაგიძრავთ ათონის, სინას და იერუსალიმის მონასტრებზეო და სხვა. „საჭიროა დელეგაცია გაიგზავნოს სინოდში, რომ ოფიციალურად წარსდგეთ და განაცხადოთ თქვენი ავტოკეფალობაო, უსურვოთ სინოდს, რათა რუსეთის ეკლესიაც განთავისუფლდესო“...

ეტყობა, რომ მარი გამოგზავნილია ჩვენში ობერ-პროკურორიდან, როგორც გამოგზავნილი იყო კირიონიც! მაგრამ კირიონს, როგორც კათოლიკოსობაზე კანდიდატს, სკანდალი მოუწყვეს სამმართველოში, გალახეს და გააგდეს, მარს კი სიამოვნებით მოუსმინეს და მადლობაც უძღვნეს!.. იგზავნებიან პეტროგრადში: ეპ. ანტონი, კ. ცინცაძე, მ. მაჩაბელი და იმერეთიდანაც ვინმე...

8 ივნისი – ხუთშაბათი

დღეს გვქონდა სამმართველოში სხდომა; მოვისმინეთ დეკ. კ. კეკელიძის შედგენილი მოხსენებები (დროებით მთავრობასთან წარსადგენად, დელეგაციის ხელით) ჩვენს სასულიერო უწყების სასწავლებლებზე, კარგად იყო დასაბუთებული; აგრეთვე კანტორა-კანცელიარია-არქიელის ბინების ჩვენთვის გადმოცემაზე, ახალ-[...] გახსნაზე; ათონისა და სხვა მონასტრებზე (როგორც მარმა გვირჩია), ეს მოხსენებები – აშუქებენ ნივთიერ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ კრედიტების გაღებას მთავრობის მიერ!.. წაუკითხეს გასაგზავნ დელეგაციას „ინსტრუქცია“ სარგის კაკაბაძის მიერ შედგენილი. მეც ჩემი შედგენილი „ინსტრუქცია“ წავიკითხე მოხსენების სახით, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პეტროგრადში დელეგაციამ. ეს მოხსენება სამმართველოში დავსტოვე „სახსოვრად“, ვინაიდან კაკაბაძის „ინსტრუქცია“ მიიღო სამმართველომ, „როგორც უფრო კომპრომისიანი და ზომიერი“. შემდეგ გაიმართა კამათი დამზადებულ მოხსენებების შესახებ – ესენი აქედანვე ხელმოწერილნი წაიღონ პეტროგრადში, თუ დელეგაცია ისარგებლებს ამ მოხსენებებით, როგორც მასალით! ეს უკანასკნელი აზრი ეკუთნოდათ დელეგაციის წევრთ – ეპ. ანტონის და დეკ. ცინცაძეს, მაგრამ დიდი წინააღმდგობა გაუწიეთ („კარტ-ბლანში“ სურდათ ჰქონებოდათ – სრული თავისუფლება მოქმედებისა) და წარსადგენი დოკუმენტები აქედანვე ხელ-მოწერილი უნდა წაეღოთ ობერ-პროკურორთან თუ მთავრობასთან წარსადგენად პეტროგრადში.

შემოვიდა სხდომის დროს იმერეთში გაგზავნილი ღვდ. ციცქიშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა პეტროგრადის დელეგაციისათვის იმერეთიდან წარმომადგენლის გამონახვა. სანამ ციცქიშვილი დაბრუნდებოდა, „იმერეთის კომიტეტიდან“ დეპეშა მივიღეთ – „დაუცადეთ ჩვენს დელეგატსაო“! ციცქიშვილმა კი ჩამოგვიტანა ამბავი – „ორშაბათამდე იმათი დელეგატები ვერ წამოვაო. ასეთ დელეგატებად აერჩიათ ვექილი სიმონ ამირაჯიბი და დეკ. მელ. კელენჯერიძე. ეპ. ანტონი კი ძლიერ ჩქარობდა, „მე მათ ვერ დაუცდიო“! – საეჭვოა „ჩვენი დელეგაციის“ ქცევა! დადგენილი იყო მისი წასვლა არა უგვიანეს კვირისა, ესენი კი გარბიან დღესვე – პარასკევს! არ დაუცადეს იმერეთის წარმომადგენლებს! არც მიხ. მაჩაბელი წაჰყოლიათ. – სამშაბათს წავალო, – უთქვამს! („ქართული საქმიანობაა“! დაქსაქსულობა... შეუთანხმობა!). მე ეჭვი მებადება – ესენი საზიზღარ კომპრომისს შეჰქმნიან პეტროგრადში! და ერთხელ კიდევ განვაცხადე: „სინოდ. კანტორის „რესტავრაციაში“ ან ჩვენი ეკლესიის „ავტონომიაში“ არ ჩაჰყვეთ თქო“! ამაზე დეკ. ცინცაძემ წამაყვედრა: „შენ არ იყავი, ბენეშევიჩის კომისიაში განაცხადე – „პროკურორ პოპოვთან და ოსეცკისთან მუშაობა კომისიაში შეუძლებლად მიმაჩნიაო?! შემდეგ კი, მიიღე მონაწილეობაო“! „აბა, ეგ რა აქ მოსატანია! – მიუგე მე, – იმ კომისიაში მივიღე მონაწილეობა ცოტა ხნით და ისიც იმიტომ, რომ თქვენ მხარი არ დამიჭირეთ იმ შავ-რაზმელების კომისიაში დაშვების წინააღმდეგ და ისინიც დარჩნენ კომისიაში (ჰოი სირცხვილო!). თქვენ იმ კომისიაში რამდენ კომპრომისზე წადით და რაც გაარიგეთ ბენეშევიჩთან, ჩაიხედეთ ოქმებში და გაიგებთ თქო“... სდუმდა დეკ. ცინცაძე...

ძლიერ სამწუხაროდ მაქვს „ასეთი დელეგაციის“ გაგზავნა... ესენი სანდონი ვერ არიან... „დაიღალნენ“ „რევოლიუციით“!.. თან სცდილობენ „ბატონობის“ შენარჩუნებას ამ ახალ დროშიც... ეშინიათ „დემოკრატიისა“, რომ ის გარიყავს მათ ამ „ბატონობის“ ასპარეზიდან. მაგრამ ეს მაინც აგრე მოხდება... სანამდე დაიმალებიან... რა სიბეცეა ჩვენს წრეებში გამეფებული!..

ეპ. ანტონს უთქვამს – იმიტომ მივდივარ, მივეშურები დღეს, რომ რაჟდენ დათეშიძესთან მსურს ვიმგზავრო, ისიც პეტროგრადში მოდისო!.. ეგ დათეშიძე ბანკირია, მდიდარი და ასიამოვნებს გზაში ეპ. ანტონსა და დეკ. ცინცაძეს... ესენი პირადი სიამოვნებისა და განცდების ხალხია!.. არ სჯობდა „დელეგაციას“ ერთად ემგზავრათ, გზაში იმსჯელებდენ, შეთანხმდებოდენ, მოისაზრებდენ, რაც საჭირო იყო?!. მახლას...

11 ივნისი – კვირა

დღეს აკაკი ჩხენკელის ლექცია იყო სახელმწიფო თეატრში – „ეროვნებაზე“ – ნაცია-ნაციონალიზმზე“. ქართველებისათვის გაიმეტა მხოლოდ „თვითმმართველობა“, „მსგავსი ფართო ერობისა“! დაესწრო ლექციას აკადემიკოსი ნიკო მარი. არ მოგვეწონა ლექციის დასკვნები.

ლექციიდან დაბრუნებისას გზაში შევხვდი ღვდლებს – ბენ. კონტრიძეს და ქრ. ციცქიშვილს. ამათ გადმომცეს, რომ „ცნობილი გარყვნილ-დაცემული სურამის

ღვდელი იოსებ ბებიაშვილი, ლეონიდმა „დეკანოზობით“ უნდა დააჯილდოოსო! ვიღაც სურამელ სამხედრო ექიმს წარმოუდგენიაო. სამღვდელოებას კი ეგ ბებიაშვილი ბლაღოჩინობიდანაც კი გადაუყენებია უსაქციელობისა გამოო“!.. წარდგინებაზე ლეონიდს რეზოლიუცია დაუდვია კიდეც, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ლეონიდის „ხელ-მძღვანელს“ – დავით დავითაშვილს ბარათი მიუწერია მისთვის (ლეონიდისათვის), რომ „ეს საქმე მძიმე ბრალდებად დაგედებაო“! კვირას აღარ მოხერხდა ბებიაშვილის გადეკანოზება! ვნახოთ კიდევ, რა იქნება! ნიშნავს, დავითაშვილის წერილს გაუჭრია ლეონიდზე!.. „დათიკო“ როგორ მისცემს „ნებას“, რომ ლეონიდმა მის დაუკითხავად და დასტურის მიუცემლად რაიმე ასეთი ნაბიჯი გადასდგას!.. ჩაბღუჯა დავითაშვილმა ეპ. ლეონიდი – „კათოლიკოზის მოსაყდრე“! – ბებიაშვილი და ციცქიშვილი ორთავე სურამელია, ერთი მეორის მოსისხლე მტრები... ბენ. კონტრიძე დავითაშვილის მეგობარია... ეტყობა, ამათ ორთავეს მოუხერხებიათ დავითაშვილის საშვალებით ბებიაშვილის „დამხობა“ – დადებული რეზოლიუციის გაუქმება... ხმა კი დაუგდია დავითაშვილს – თითქოს ლეონიდს მე შევაგონე ბებიაშვილის საწინააღმდეგო რამეები!.. ოჰ! რა ვერაგობაა!.. წყალს წაუღია ბებიაშვილიც, მისი დეკანოზობაც, დავითაშვილიცა და მისი დამქაშები!.. რა მესაქმება!.. აგრე ხელოვნურად შემძინეს კიდევ ერთი დაუძინებელი მტერი... რა დროს ჯილდოებია!!. ეჰ! ასეთი „ელემენტები“ ვერ შექმნიან ახალ ცხოვრებას...

საღამოთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ „სეირნობა“ იყო გამართული „ახალ-კლუბში“... იქ პ. გოთუას შევხვდი... ვილა-პარაკეთ, სხვათა შორის, ასეთ ჩვენს „ზნე-ჩვეულებებზე“... წინადადება მივეცი პართენს: „ადამიანო! შენ ერის-კაცი ხარ, რაიმე შეაგონე ლეონიდს, დავითაშვილს ნუ ჩაუვარდება ხელში და ნურც ისეთ ღვდლების ხრიკებს, როგორიც სურამელი ბებიაშვილია! ამან ექსარხოსების დროს ვერ მოახერხა გადეკანოზება და ეხლა სურს... „გაძვრესო“!..

2 ივლისი – კვირა
„ახალი ქართული ბანკის კურთხევა“

ვაკურთხე ეს ბანკი – ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ახალ აგებულ თავად-აზნაურთა შენობაში. დაგვესწრო მოსაყდრე ლეონიდი... კაი ძალი საზოგადოება იყო კურთხევაზე. კურთხევის წესის წინ წარმოვსთქვი ვრცელი პოლიტიკურ-ეკონომიური სიტყვა, ეროვნული თვალ-საზრისით. აიაზმის შემდეგ მოკლე სიტყვით მიულოცა საზოგადოებას ბანკის გახსნა ლეონიდმაც. შემდეგ ვისაუზმეთ... „ქართულად“!..

4 ივლისი – სამშაბათი

სამმართველოს სხდომიდან გამგზავნეს სათავად-აზნაურო ბანკში, ფრეილინის ქუჩაზე. აქ სხვა და სხვა პარტიებისათვის ფული უნდა გაეყოთ,

დაერიგებიათ. მე განვაცხადე ჩვენი ეკლესიის სახელი და მისი საჭიროებანი, მოვითხოვე სათანადო წილი!

პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს – ეკლესიას ვერაფერს ვარგუნებთ, ფული ჩვენ ძლიერ გვჭირდებაო! მე ამაზე მიუგე: „ფული ჩვენც გვინდა, მეგობრებო! ის ვის არ სჭირდებათქო! „ძმანი კი ჭირსა შინა სახმარ არიანთქო“!.. ბევრი იცინეს... ბოლოს, როგორც იქნება, მიგვიღეს „ძმად“ და გვერგო 7.500 მანეთი. ამ თანხას კრების თავმჯდომარემ ალ. ჭავჭავაძემ თავისი ჯიბიდან ოცი თუმანიც დაუმატა – „ხახულის ღვთისმშობლის ტაძრისათვის ლაზისტანში“ (სამაჰმადიანო საქართველოში, ოსმალეთის საზღვრებში რო არის), ამ ტაძრის სარესტავრაციო თანხის გასაძლიერებლად!.. ამ სახით, სხვებზე მეტიც ვირგეთ ფული!..

4 ივლისიდან 13 აგვისტომდე კალენდრის ფურცლები ცარიელია. აღარ მიწარმოებია წარწერანი... სხდომები კი გვქონდა სამმართველოში... ცხელი ზაფხული იყო. ბევრი სამმართველოს წევრთაგანი წავიდ-წამოვიდნენ სააგარაკოდ. მე აქ ვითუთქებოდი... სხდომები გვქონდა სამმართველოში... ბევრი უსიამოვნება განვიცადე მარკოზ-ნაზარისაგან! ესენი არ მიშლიდნენ ინტრიგებს, შურს იძიებდენ, რომ მათ ექსარხოსების აგენტი უწოდე და არ დაუშვი ჩვენი ეკლესიის სამმართველოში... ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ სამმართველოს პრესტიჟი ცოტა მაღლა აგვეწია!.. თორემ რას ემგვანებოდა, რომ ექსარხოსების დროის მოშხამულ ჭაობებში დაბუდებული ყველა გველ-ბაყაყები ეხლა ჩვენი ეკლესიის დროებით მმართველობაში „გადმოსკუპებულიყვნენ“! მე მოვითხოვდი სამღვდელოების წრეებისა და სასულიერო დაწესებულებათა წმენდას, რომ ის დამყაყებული, ბიუროკრატიული, კარიერისტული პერსონები ვერ გამოგვადგებოდენ ახალი ეკლესიის სააღმშენებლო მუშაობაში!.. მაგრამ დავმარცხდი... არავინ მყავდა მხარის დამჭერი!.. ჩვენ გარს გვეხვია უხერხემლო ინტელიგენციის წარმომადგენელნი და თავად-აზნაურთა პერსონები, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელენი – ძველი რეჟიმის ხალხი! აბა, „ძაღლი ძაღლის ძვალს როგორ გასტეხდა“!.. ცოცხალი, შეგნებული, მებრძოლი ძალები თუ ვინმე იყო ქალაქში, ესენი სოც-დემოკრატების, სოც-ფედერ. და სოც-რევოლიუციონერების პარტიებში იყვნენ, ჩვენ ალმაცერად გვიცქეროდენ... ჩვენ არსებითად არავის ვსწამდით და არც უნდოდით! თითქოს ჩვენ თანაგვიგრძნობდენ ნაც-დემოკრატების პარტიულები, მაგრამ ამათ „დათვის სამსახური“ გაგვიწიეს! ესენიც გახრწნილი, ძველი რეჟიმის ხალხი იყვნენ... შოვინისტები... ამათაც ეკლესია და სამღვდელოება იმდენად სურდათ, რამდენად გამოიყენებდენ ამ „ელემენტებს“ თავიანთი პარტიული მიზნების მისაღწევად!.. მაგრამ ამათ არც პოლიტიკური უნარი რამ შესწევდათ, არც მორალური!.. ასე რომ, ამათი ჩვენთან ყოფნა, ეკლესიის პრესტიჟის დამამცირებელი შეიქნა...

ამ ხნის განმავლობაში იყო მზადება საეკლესიო კრების მოსაწვევად... კრება განზრახული იყო 8 ენკენისთვისათვის. შემუშავებულ იქნა დელეგატების საარჩევნო წესები... განზრახული იყო დელეგატების „წინასწარი თათბირი“ – სანამ საეკლესიო კრება გაიხსნებოდა... აგვისტოს 12-13 რიცხვებში ზოგი დელეგატები ჩამოვიდნენ კიდეც ტფილისში... გამოირკვა, რომ „ლეონიდის პარტია“ – დავითაშვილის მეთაურობით, ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის

– კირიონის გასაშავებლად. ლეონიდი სურს დავიდოვს, კირიონი და „დავითაშვილების“ გვარეულობა შთამომავლობითი მტრები ყოფილან ერთმანეთის... კირიონს – გიორგი საძაგელოვს – როდესაც ეგ ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფილა „ინსპექტორად“ ანუ ზედამხედველის თანაშემწედ, ხოლო „დათიკო“ დავითაშვილის უფროსი ძმა – ზახარი ალექსეევიჩი დავიდოვი იმავ სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად (სემინარიელია, ეხლაც ცოცხალია), ამ პედაგოგს მიუსწრეს მოწაფესთან „სოდომურ ცოდვაში“! ასეთი ქცევა ზახარი ალექსეევიჩისა უკვე საკმაოდ ცნობილი იყო, მაგრამ ეხლა ზედ მიასწრეს!.. გამოაშკარავდა!.. ინსპექტორ საძაგელოვს და „სმოტრიტელ“ დათეშიძეს ვერ შეეძლოთ ამ „ფაქტის“ მიფუჩეჩება... ტფილისის სემინარიიდან გამოიგზავნა რევიზორი – კოჭლი მარტინსკი, ეგ სულით და ხორცით მახინჯი ადამიანი, სემინარიაში ბერძნული ენის მასწავლებელი, რომელმაც არა ერთი და ორი ასეული მოწაფე ამოიშავა-ამოიდნო თავისი „ბერძნულით“ – უფრო კი ჯიუტობით, საარაკო უსულ-გულობით და ცინიკური მოპყრობით მოწაფეებისადმი... ეგ „რევიზორი“ მიბრძანდა გორში. დაჰკითხა სმოტრიტელს, ინსპეკტორს, სხვებსაც, ამათ რაც იცოდნენ, ის აჩვენეს! მაგრამ ზახარი ალექსეევიჩს ტფილისშივე „გაეჩარხა“ საქმე და ამ „საქმიდან“ ის ამოვიდა „სუფთა“, „უმანკო, ვითარცა მტრედი“!.. მოხვდა ინსპეკტორ საძაგელოვს და სმოტრიტელ დათეშიძეს... საძაგელოვი ტფილისში გადმოიყვანეს, დათეშიძეც სადღაც სხვაგან, ხოლო ზახარი ალექსეევიჩი დარჩა თავის პოსტზე უდრეკელად! აი, ასეთი „რევიზია“ სცოდნიათ სასულიერო უწყებაში მაშინ... აი, აქედან მომდინარეობდა საძაგელოვსა და დავითაშვილებს შორის შეუნელებელი მტრობა-შურისძიება... თავისთავად ცხადია, რომ „დათიკო“ დავიდოვისთვის ასეთი კაცი მიუღებელი იყო კათოლიკოსად! ამას გარდა კირიონი მოუსყიდველი პიროვნება იყო, მტკიცე ხასიათისა და „დათიკოს“ დუდუკზე არ ითამაშებდა. „დათიკომ“ კი ამ დროს თითქმის საქ. ეკლესიის „ობერ-პროკურორის“ მნიშვნელობა იგდო ხელთ! მას ლეონიდი სურდა, ლეონიდს კიდევ დავიდოვის „იმედი“ ჰქონდა, რომ ის „გაიყვანდა“ მას კათოლიკოსად! დავიდოვმა კარგად შეიგნო, რომ არქიელი პლატონი ვეღარ დაბრუნდებოდა ტფილისში და უნდა ეფიქრა „მომავალზე“! მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: ჩვენ ზემოთ რომელიღაც „ფურცელზე“ აღნიშნული გვქონდა, რომ პლატონმა მეტად დაიახლოვა ეგ დავიდოვი, თავისი კანცელიარიის მმართველის თანაშემწე! „დათიკოს“ პლატონმა მიანდო კანცელიარიაში სამსახურთან „შეთავსებით“ ბორჩალოს მაზრაში „მელიქოვიანსეულ მამულის“ მართვა-გამგეობა, აქ განზრახული ჰქონდა პლატონს „მართლმადიდებელ სამღვდელოების ქვრივ-ობოლთა“ კოლონია-სამზრუნველო მოეწყო „ამერიკული სისტემით“ (პლატონი ამერიკაში ნამსახური იყო და „ამერიკელობას“ სჩემობდა). აქ ხე-ტყე უნდა დაემუშავებიათ, ვაჭრობა გაეჩაღებია, დიდი-დიდი კაპიტალები უნდა მოეგო და ამ ფულით გავემდიდრებიეთ – „ღატაკი სამღვდელოება“! ამ საქმეში „დათიკო“ პირველი კაცი შეიქნა; კაი ჯამაგირიც გაიკრა... რევოლიუციისა და „ავტოკეფალიის“ შემდეგაც, „დათიკომ“ როდი გააგდო ხელიდან ეგ ნამდვილი აფერისტული „წამოწყება“ პლატონისა! „დათიკომ“ დროებით სამმართველოში ამოჰყო თავი – მდივნად, საქმის მწარმოებლად, ლეონიდს ამოუდგა გვერდში, მას „ხელმძღვანელობდა“! ამავე დროს პლატონთანაც აშკარა კავშირი ჰქონდა!

შედიოდა მასთან, თათბირობდა თითქოს „მელიქოვიანთსეულ“ მამულზე, ნამდვილად კი სხვა ბევრ რამეებზედაც! ერთ და იმავე პორტფელში დავიდოვს ჩვენი სამმართველოს საქმეებიც ელაგა და არქიელი პლატონისაც!.. ეს ისტორიული ფაქტია „დათიკო“ დავიდოვის ცინიკურ თაღლითობისა და ჩვენი სამმართველოსი თუ ლეონიდის სიბეცე-უბადრუკობისა! დავიდოვი „ეშმაკსაც უნთებდა სანთელს და ანგელოსსაც“, ელოდა, რომელიც საბოლოოდ გაიმარჯვებდა, იმის მხარეზე მოექცეოდა, დამკვიდრდებოდა! პლატონი უკვე სინოდში იყო გაწვეული „სესიაზე“... დავიდოვი ტფილისში ჩვენსკენაც იყო და მისკენაც... ბოლოს რო იმედი გადაუწყდა „ექსარხოსობის“ რესტავრაციისა, ლეონიდს ჩასჭიდა ანაფორის კალთებში ხელი და კათალიკოსობის კათედრაზე მოათრევდა ცხვირით... აი, საეკლესიო კრების დელეგატები დააბარებია ლეონიდს „წინასწარ სათათბიროდ“ და შეუდგენ მუშაობას ლეონიდის გასათეთრებლად, ხოლო კირიონის გასაშავებლად. საქ. დაბრუნებული კირიონი, გალახული და დამცირებული გაბრუნდა რუსეთში, იქ ლიკვიდაცია უყო თავის სამსახურს, ჩამობრუნდა ისევ საქართველოში და ითხოვა სამმართველოში – ერთ-ერთი მონასტერი კახეთში, მგონი, „შუამთა“! სამმართველომ უარი უყო კირიონს ამ მონასტერში დაბინავებაზე – „ეპ. პიროსის ეპარქიაშია ეგ მონასტერი, პიროსს ეწყინებაო“! ამ სახით კირიონი ჰაერში დარჩა გამოკიდებული! ის დაბინავდა ნავთლულის მღვდლის იოსებ ჩიჯავაძის ოჯახში... მაგრამ გადავიდეთ ისევ „კალენდრის ფურცლებზე“, სადაც 13 აგვისტოდან შიგა და შიგ ისევ მაქვს „წარწერები“, რომელნიც მსურს გადმოვიტანო ამ რვეულში.

13 აგვისტო – კვირა

აღვადგინეთ „ტფილელ მიტროპოლიტის“ კათედრა“! – „აირჩიეს“ ეპ. ლეონიდი „ხალხისა და სამღვდლოების წარმომადგენლებმა“.

ასეთი მოკლე ცნობაა ამ „ფურცელზე“ აღნიშნული! საჭიროა ამ ცნობის შიფრების გახსნა! გამოვიდა „სამმართველოდან“ ცნობა: „ამ საღამოთი ქალთა ეპარქ. სასწავლებლის დარბაზში მოწვეულია ქალაქ ტფილისის საზოგადოებისა და სამღვდელოების არა ჩვეულებრივი კრება, რომელსაც დაესწრებიან იმერეთიდან ჩამოსული მომავალი საეკლესიო კრების დელეგატებიც“... ამ ცნობას ხელს აწერდა „დათიკო“! განცვიფრებული დავრჩი... ვიკბინე ნეკზე... მაგრამ გვიანღა იყო... ქალაქში გავრცელდა ხმა – ტფილისში ახალ ექსარხოსს გზავნიან, პლატონი აღარ დაბრუნდება... სინოდი ანგარიშს არ უწევს ჩვენს ავტოკეფალიას! ექსარხოსი დაჯდება ტფილისში და დაეპატრონება ისევ ყველაფერსო... ეს ხმებიც რამოდენიმედ მართალი იყო, მაგრამ „დათიკოს“ მიერ უფრო გაზვიადებული, გაბერილი! და აი, ამ ნიადაგზე მოუწყვიათ 13 აგვისტოს („ცუდი რიცხვია“...) კრება დედათა ეპარქ. სასწავლებელში, აგრე ექსპრომტად, სამმართველოს სხდომის განუხილველად!

წაველ სხდომაზე... გაჭედილი იყო დარბაზი – ანუ ეკლესიის ზალა ხალხით! მთელი ქუჩის ბიჭ-ბუჭები შემოეყარათ შიგ! იყვნენ ღვდლებიც... „დელეგატებიც“. მოვიდა ეპ. კირიონიც! დაისვა საკითხი: ექსარხოსს გზავნიან... ჩვენ ვერც კი მოვას-

წრებთ საეკლესიო კრების მოწვევას და კათალიკოსის არჩევნების ჩატარებას, რომ ექსარხოსი დაჯდება ტფილისშიო! ერთ ქალაქში ორი დამოუკიდებელი იერარქის მმართველობა კი საეკლესიო კანონებით დაუშვებელია... მართალია, ქალაქში ამ ჟამად გვყავს კათოლიკოსის მოსაყდრედ ეპ. ლეონიდი, მაგრამ „ეპისკოპოსმა“ რა პასუხი უნდა გასცეს რუს „არქიეპისკოპოსს“ – ექსარხოსს!.. საჭიროა ეპ. ლეონიდი ავიყვანოთ „ტფილელ მიტროპოლიტის“ კათედრაზე სიონშიო, როგორც ეგ წინეთაც ყოფილა ჩვენს ეკლესიაშიო! ასეთი მოხსენებით გამოვიდა „დათიკო“... და ლეონიდიც... ამათ მხარი მისცეს იმერეთის „დელეგატებმაც“ (ტრ. ჯაფარიძე და მისთანანი)! ვინღა დაგვაცალა ხმის ამოღება?! იგრიალა ბრბომ – „აქსიოს-აქსიოსო“, ლეონიდი მიტროპოლიტიო! და გათავდა „არჩევნები“! ეგ ნამდვილი „ყაჩაღური კრება“ ჩაატარა აგრე სხარტულად „დათიკომ“ და ლეონიდმა... ხმა არ ამოუღია ეპ. კირიონს, ის ადგა და წავიდა თავის ბინაზე... აღარც მე ამომიღია ხმა! ვინღა გალაპარაკებდა! მორჩა და გათავდა! – „აქსიოსო“ – იღრიალა წინასწარ მომზადებულმა ბრბომ. აი, ამ 13 აგვისტოდან ჩაისახა ჩვენი ახლად აღდგენილი ეკლესიის ტრაღედია! „ტფილელი“, „მცხეთელი“ – ორთავენი უნდა დამსხდარიყვნენ... ტფილისში! ეს ორი ყოჩის-თავი, რომელიც ჯერ კიდევ საქ. მეფეების დროსაც კი „ერთ ქვაბში არ ეტეოდა“! ჩაისახა შფოთი.

15 აგვისტო – სამშაბათი
„სიონობა“ – მიძინება

დღეს აყვანილ იქმნა ლეონიდი მიტროპოლიტის ხარისხზე, დიდის ხალხის თანადასწრებით, რომელიც „სიონობის“ დღესასწაულზე მოზღვავებულიყო ქალაქიდან თუ სოფლებიდან.

16 აგვისტო – ოთხშაბათი
„ანჩისხატობა“

„ანჩის-ხატობა“ გადაიხადა მიტროპოლიტმა ლეონიდმა. ხალხი ბლომად იყო. მივეგებე კარი-ბჭეში სიტყვით. სადილზე (ჩემს ბინაზე), ლეონიდთან ერთად, მყვანდნენ იმერეთის დელეგატებიც. საგულისხმიერო ლაპარაკი იყო... გრძელდება წინასწარი კრება დელეგატებისა.

23 აგვისტო – ოთხშაბათი

დავიუფლეთ არქიელის შენობა რევოლიუციონურად. დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. დაბინავდა ამ „სასახლეში“ ლეონიდი! დიდად ფართი-ფურთობდა „დათიკო“, თითქოს პირველ-ხარისხოვანი ციხე-სიმაგრე დაგვეჭიროს! გამოვრეკეთ

ამ „სასახლიდან“ მთვრალი რუსის ბერები და სხვა და სხვა „რუსისავე“ ქალთა მონასტრებიდან აქ შემოკრებილი მოლოზნები (მამკოდა, ბოდბის „პოდვორიედან“ და სხვა), რომელნიც მეტად დიდ განცხრომაში ყოფილან აქ ერთად!.. ეგ რაღაც გარყვნილების ბუდეთ იყო ქცეული.

25 აგვისტო – პარასკევი

შესდგა ნაზარ-მარკოზზე სამედიატორო სამსჯავროს პირველი სხდომა. გამოცხადდენ გ. ჟურული, ვასილ რცხილაძე და თედო სახოკია, არ გამოცხადდა სიმონ ქვარიანი ნაზარის მიერ დასახელებული, ამიტომ მსჯელობა არ იყო. ნაზარმა განაცხადა, „ეს საქმე თვეობით გაგრძელდება, ფოთში, ქუთაისში უნდა ცნობები მოგროვდესო“. მე უპასუხე – მივმართე გ. ჟურულს: „შორს მგზავრობა არ დაგვჭირდება თქო“! ველით კიდევ მოწვევას.

ჟურული და რცხილაძე ლეონიდის გავლენის ქვეშ არიან. ეცდებიან საქმის ჩაფუჩეჩებას.

ეს ამონაწერი ეხება არქიმ. ნაზარსა, დეკ. მ. ტყემალაძეს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მე. უნდა თავი იმართლონ, რომ ისინი ექსარხოსების აგენტები როდი ყოფილან, პირიქით, ისინი „იყვნენ ნამდვილი ქართველი მამულიშვილი, მე კი ვიყავი და ვარ „ასეთი და ისეთი“.

26 აგვისტო – შაბათი

ვიყავი „საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, რომელშიდაც ყველა პარტიების წარმომადგენლები შედიან. გავაკეთე მოხსენება – „კანტორის“ (სინოდ. კანტორის შენობისა) ჩვენს ხელში ჩაგდებაზე, როგორც მორიგ ნაბიჯზე. ცნობები მოგვცა კოლია ქარცივაძემ, რომელიც ჩხენკელის მაგივრად არის კომისარიატში. მოგვცა დირექტივები: ჯერ დეპუტაციით მიმართეთ კომისარიატს, შემდეგ, როგორც გარემოება მოითხოვდეს, ისე ვიმოქმედოთ.

„გარდაიცვალა ტასო ბაქრაძე“. ეგ ჩემი დიასახლისი იყო ტფილისში, როდესაც სემინარიის პირველ კლასში ვსწავლობდი ქალაქს. ამის ბინაზე (საკუთარი სახლი ბაგრატიონის ქუჩაზე, ანჩის-ხატში) ვსცხოვრობდით გურული სემინარიელები 8-12 კაცი. გვივლიდა ყველას, როგორც დედა შვილებს! ჩვენ ვიყავით ღარიბ-ღატაკნი, თვეში თუმნად გვაჭმევდა, გვასმევდა, გვირეცხდა, გვინახავდა. ზოგჯერ იმ ერთ თუმანსაც ვერ ვაძლევდი... დიდის ამბით დავასაფლავე ეგ ძველი ქართველი ადამიანი. როდესაც ანჩის-ხატში გადმომაგდეს, ის ხშირად იყო ჩემს ოჯახში, ჯეროვან პატივსა ვსცემდით; დადიოდა ჩემს ოჯახში დიდუბეში ყოფნის დროსაც... მოძღვრებაში აღვნიშნე მისი უანგარო დედობრივი სიყვარული მოწაფეთადმი...

27 აგვისტო – კვირა

დღეს მრევლის რწმუნებულთა არჩევნები მოხდა ტფილისის ყველა ქართულ სამრევლოებში. იყო ამ თაობაზე კრება ანჩის-ხატშიც! აირჩიეს „რწმუნებულებად“ კნიაჟნა ბაბო გეგეს ასული მაღალაშვილი და სიდამონ-ერისთავი. ესენი საეკლესიო კრებისათვის. ავირჩიეთ სამრევლო საბჭოც.

8 სეკტემბერი – პარასკევი. 1917 წელი

გაიხსნა პირველი საეკლესიო კრება სიონის ტაძარში, დიდის ზეიმით. წაკითხულ იქნა გალობით „მრწამსი“, შემდეგ „ძეგლის წერა“ და ფიცი ერისა და ფიცი სამღვდელოებისა ურთიერთადმი. ძველებურად...

9 სეკტემბერი – შაბათი

კრება გრძელდება...

სამწუხაროდ, 17 ენკენისთვემდე „კალენდრის ფურცლებზე“ არა აღმინიშნავს რა! ალბად არ მქონდა მაგისი თავი, დრო და მოცალეობა. გართული ვიყავი კრებაზე საქმიანობით.

17 სეკტემბერი – კვირა

1917 წ. 17 ენკენისთვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები მოხდა სიონის ტაძარში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 448 პირმა. არჩევნები დაიწყო დღის პირველ საათზე და დასრულდა სამზედ.

კირიონს ამოუვიდა თეთრი – 242 კენჭი, შავი – 206.

ლეონიდს – თეთრი – 230, შავი – 218.

გავიდა კირიონი 12 ხმის უმეტესობით!

განმარტება: სანამ არჩევნებს შეუდგებოდა კრება, დეპუტაცია გაიგზავნა ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდთან, პ. გოთუას მეთაურობით: დეპუტაციამ სთხოვა ლეონიდს – „მოხსენით თქვენი კანდიდატურა კათალიკოსობაზე, უყაროთ კენჭი მხოლოდ ერთ კანდიდატს – ეპ. კირიონსო! არ გვსურს კენჭის ყრით გაშავდეთ ან თქვენ, ან კირიონიო“!

ტფ. მიტროპ. ლეონიდს ეგონა, რომ ვინაიდან ის უკვე „ტფილელად“ გავიდა, მორჩა, გამარჯვებული ვარ! წინ ვეღარ გაბედავს დამიდგეს კირიონიო! დეპუტაციას თავხედად მიეგება „ტფილელი“ – „არა, არ მოვიხსნი ჩემს კანდიდატურას! მარწმუნებენ, შენ გახვალო“! ალბად არწმუნებდა „ჩვენი დათი-

კო“! და მართლაც კინაღამ გავიდა! 12 ხმით ნაკლები მიიღო კირიონზე! ეგ 12 ხმა მე დაუკარგე ლეონიდს, როგორც სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ! გავაბათილე მცხეთისა და საგურამოს ოლქების დელეგატთა მანდატები, როგორც არაკანონიერად ამორჩეულებისა – სწორეთ 12 დელეგატისა! ეს, რასაკვირველია, მოხვდა, შემთხვევით და კანონიერად! არავითარი თაღლითობა მე არ გამიწევია, არც აგიტაციაში მიმიღია მონაწილეობა.

კენჭი ორთავე კანდიდატს უყარეს ცალ-ცალკე, რომ არც ერთი არ გაშავებულიყო! მართლაც, ცალ-ცალკე კენჭის ყრით არც ერთი არ გაშავებულა კრების მიერ, მხოლოდ კირიონმა მიიღო 12 ხმით მეტი!

იყო მესამე კანდიდატიც: არქიმ. ამბროსი! ამან, რო დაინახა ვერას გახდებოდა, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

არჩევნების დროს კირიონიცა და ლეონიდიც სიონის ეზოში იყვნენ, ცალ-ცალკე ოთახში. რო გამოირკვა კენჭის ყრა, შემოიყვანეს ჯერ ლეონიდი, რომელიც უნდა მიჰგებებოდა კარი-ბჭეში კირიონს! სულ მთელი ტანით ცახ-ცახებდა ლეონიდი! ხელებიც უკანკალებდა. შეიმოსა და მიეგება კირიონს, რომელიც შემოიყვანა ტაძარში არქიმანდრიტებმა. ლეონიდმა მოკლე სიტყვით მიმართა კირიონს, არწმუნებდა თავის ერთგულებას მისდამი და ჰპირდებოდა გულწრფელ თანამშრომლობას! კირიონმა დინჯად, აუღელვებლად დაიჭირა ამბიონი და იქიდან კრებას მიმართა სიტყვით, მოკლედ, გარკვევით, თავისი ღირსების დაცვით და აღთქმით თავ-დადებულ სამსახურისათვის. მადლობა შესწირა კრებას და ორივე ხელით ჯვარი გასახა. იგრგვინა კრებამ „აქსიოს“! „აქსიოს“! „აქსიოს“! შემდეგ ვიგალობეთ „დღეს სამღვთომან მადლმან“... სიონიდან კათოლიკოსი ამ გალობით და ლიტანიობით, მთელმა კრებამ და ქუჩაში შემოერთებულმა ზღვა ხალხმა, ლეონიდთან ერთად, წავიყვანეთ და დავაბინავეთ „საკათალიკოსო სასახლეში“ (ექსარხოსის ყოფილ სასახლეში). აქ. გრ. დიასამიძემ სიტყვით მიმართა კირიონსა და ლეონიდს. მოუწოდებდა მათ მწყემსმთავრულ თავ-დადებულ მოღვაწეობისათვის თავიანთ პოსტებზე. შემდეგ მეც ორიოდე სიტყვით მივმართე ორთავეს, უსურვე დღეგრძელობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა! იმდენი საქმეა დღეს საკეთებელი აოხრებულ საქ. ეკლესიაში, რომ ორთავეს ძალ-ღონეს აღემატება ამ საქმეების დამუშავება თქო! ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ დროც კი არ გექნებათ საკუთარ თავზე თუ თავ-მოყვარეობაზე ფიქრისათვის, თქვენ უნდა მოგვიწესრიგოთ, ორთავემ, ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა, სინოდისა და მისი აგენტ ექსარხოსების ხელში აოხრებული ივერიის ეკლესია თქო! თქვენ არავისგნით არა გესწავლებათ რა, თქვენ იყავით იმთავიდანვე ჩვენი საეკლესიო საკითხის მესვეურები და ასეთებად გიცნო ჩვენი ერის საეკლესიო კრებამაც თქო! თქვენ ორთავენი არჩეულნი ბრძანდებით კრების მიერ, ორთავენი ერთნაირად ნდობით მოსილნი! გიხაროდენ! გილოცავთ თქვენი დიდი ხნის სურვილის და მისწრაფების აგრე სახელოვანად დაგვირგვინებას, თქვენ უკვე ავტოკეფალური ივერიის ეკლესიის მესვეურნი ბრძანდებით! ისპოლლაიედი-დესპოტა! – გადავეხვიე და ორთავეს ვეამბორე...

ამით გულწრფელად მსურდა ამათი ერთმანეთთან დაკავშირება!.. მართლაც, რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი!.. ეყოფოდა ეგ „საქმე“ ათ კირიონსა და ოც ლეონიდსაც!

მაგრამ... ეშმაკს... შურს როდი ეძინა... „დათიკო“ გულწასული მიესვენა თურმე სიონის სამრეკლოს, როდესაც უთხრეს: „კირიონი გავიდაო“!..

საკათ. საბჭოს წევრების არჩევნები

ეს არჩევნები მოხდა კრების საღამოს სხდომაზე. საღამოთი დელეგატები თითქმის სულყველანი... „გადაკრულში“ იყვნენ... შეზარხოშებულნი ფრიად! ისეთი გრგვინვა იდგა ტაძარში, რომ ყურთასმენა აღარ იყო.

წაიკითხეს საკათ. საბჭოს წევრთა კანდიდატების სხვა და სხვა სიები... კრებას აღარ ჰქონდა რაიმეს მოსმენისა თუ შეფასების უნარი! არავინ არავის ყურს აღარ უგდებდა და გაიყვანეს მექანიკურად, ხელის აწევის წესით ისეთი სია საკათ. საბჭოს წევრთა, რომლის დიდი უმრავლესობა იყო კირიონის მოწინააღმდეგეთაგანი. ამ არჩევნებით კირიონის არჩევანი როდი დასრულებულა თურმე. ასე ჩაისახა ის ბრძოლა, რომელმაც 1918 წლს 27 ივნისს მარტყოფში სიცოცხლეს გამოასალმა წამებული, მხცოვანი კათალიკოსი... საჭიროდ არ მიმაჩნია აქ ჩამოვთვალო სახელები და გვარები საკათ. საბჭოში არჩეულთა, რომელთა შორის, ჩემდა საუბედუროდ, მეც მოვხვდი!..

არჩეულ იქმნენ – ჭყონდიდლად არქიმ. ამბროსი (მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით), ქუთათელად ანტონი, ურბნელად ეპ. დავითი, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთში იყო! გამოვიწვიე დეპეშით! კინაღამ დააძრო ხელიდან ეპ. დავითს ურბნელობა არქიმ. ნაზარიმ, თაღლითობით! ეს თაღლითობა ამხილა დეკ. ზ. ლუკაშვილმა: ამან მიმართა გორ-ურბნისის დელეგატებს: ბატონებო, თქვენ ეხლა ვის უყარეთ კენჭი „ურბნელობაზეო“! „ეპ. დავითსაო“! – უპასუხეს ლუკაშვილს. „აბა, წაიკითხეთ ოქმი, რომელზედაც ხელი მოგაწერიესო“, – მიმართა მათ ისევ დეკ. ლუკაშვილმა. წაიკითხეს და ოქმში ურბნელის კათედრაზე არჩეულად შეტანილი აღმოჩნდა არქიმ. ნაზარი! თურმე ეს „თაღლითობა“ ჩაიდინა ნაზარმა დეკ. ბენ. კანდელაკის ხელით, რომელმაც ეს ოქმი შეადგინა და, ნაცვლად ეპ. დავითისა, არქიმ. ნაზარი შეუტანია! ოქმი დაჭმუჭნა დეკ. ლუკაშვილმა, ჯიბეში ჩაიდო, ხო შეადგინეს ახალი ოქმი და შიგ შეიტანეს ეპ. დავითი! დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნაზარის ასეთმა ოინებმა! ის <u>დაჭმუჭვნილი</u> ოქმი ჩემთან არის დღეს...

20 სეკტემბერი – ოთხშაბათი

დღეს სინოდალურ კანტორაში შევედი, როგორც „კომისარი“ (საკათ. საბჭოდან გაგზავნილი) და განვაცხადე მოხელეთა საყურადღებოდ: „ამიერიდან ქართულ საქმეებს ჩვენი ეკლესიისას აწარმოებს საკათ. საბჭო, თავისი კათალიკოსის თავმჯდომარეობით. თქვენ ჩვენს განკარგულებაში გადმოდიხართ თქო“! – მოხელეები (უმეტეს წილად სულ ქართველები იყვნენ) დაგვემორჩილნენ! დარჩა პროკურორი პოპოვი, როგორც უარმიო სარდალი“!

ეს დიდი და საბოლოო გამარჯვება იყო!.. მოისპო სინოდალური კანტორა სამუდამოდ! ის კანტორა, რომელსაც ჩვენი ავტოკეფალისტები რესტავრაციას უპირებდენ ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით და ამ სახით ლიკვიდაციას უშვრებოდენ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას! ასეთ სულ-მოკლეობას სჩადიოდა ეპ. ანტონიც კი, რომელიც ეკლესიის აღდგენის საინიციატიო ჯგუფის თავმჯდომარედ გვყავდა!.. ეჰ!.. არ ღირს ამაზე კიდევ ლაპარაკი!.. ხალხი, მომუშავე პირები, ერთგულები, გულწრფელები, უანგარონი არა გვყავს! მეტად გაგვხრწნა სინოდალურმა რეჟიმმა და თვითმპყრობელობის ლაქიობამ!.. უკან რო მოვიხედავ და თვალს გადავავლებ ჩემს წარსულ ცხოვრებას ღვდლობაში... მრცხვენია... ვისა და რას ვემსახურებოდი თურმე!.. ბევრი არ ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ისიც, რაც ვიცოდი!.. მაგრამ ხელ-ფეხი შეკრული მქონდა! კომპრომისებზე მივდიოდი, სხვაფრივ შეუძლებელი იყო არსებობა... შეიძლება უარესი გვიძევს წინ... დევნა, ყვედრება, ათასი გაჭირება, წამებაცა და სიკვდილიც... ყოველივე ეს მოსდევს რევოლიუციას!.. ვინ იცის, რა სახეს მიიღებს ჩვენში რევოლიუცია!.. უფრო კი მოსალოდნელია სოციალური რევოლიუცია, რომელიც მოსპობას უქადის ეკლესიას და სარწმუნოებასაც საერთოდ!.. ამაზე არავინ ჰფიქრობს დღეს ჩვენში!.. გრძელდება ავტოკეფალურ ეკლესიის ზეიმი!.. როდემდის?!. დიდი ხნით?.. ვნახოთ!.. მე სულელსა და გიჟს მეძახიან!.. ყველამ რაღაც მიიღო, ირგუნა, გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა! მე კი ისევ ისე ვარ – ინოკენტი არქიელის რეზოლიუციის დაცინვისა და სასჯელის ქვეშ!.. ეხლა ახალი ბატონი გამიჩნდა – კათალიკოსი, რომლის „კარის ეკლესიად“ ითვლება ანჩისხატი! ამის მეტი ტაძარი და „ტერიტორია“ არა არგუნეს რა კათალიკოსს ტფილისში! ყველაფერი, მთელი შექმნილი აპპარატი ეკლესიისა, „ტფილელის“ ხელშია!.. ხაფანგი შეიქმნა ეგ „ტფილელობა“ კირიონისათვის!.. შეიძლება გამოიჭყლიტოს კიდეც ეგ მოხუცი ამ ხაფანგის ქვეშ! დიდი გახრწნილება, დაუნდობლობაა ჩვენს წრეში! განა ეს „ეკლესიაა“? განა ჩვენ ქრისტეს მოძღვრების მოციქულები ვართ?!. ვაი! ვაი!.. მეშინია... რო დავფიქრდები, ლამის არის, გავგიჟდე! ეგ რა ვყოფილვართ ქართველები?! აღვირ-ახსნილი მონები!.. თავისუფლებას ჩვენ ვერ შევიშნობთ!.. ვოსტორგოვი დეკანოზის დემონიური ხითხითი მაგონდება: ...„дадим Грузинам автокефалию, но мне их жаль! Они на следующий же день перегрызут друг-друга“ო!.. ჭკუიანი იყო ეგ შავრაზმელი ხუცესი! მისხლობით ვყავდით ყველანი აწონილ-დაწონილი!.. „მენე-ტეკელ-პერეს“.

საეკლესიო კრებამ ამოირჩია „ოთხი ჯამაგირიანი“ საკათ. საბჭოს წევრთაგანი: რაფიელ ივანიცკი („ინგილო“), პავლე ინგოროყვა, პეტრე ბარათაშვილი და ქრ. კაპანაძე (ეგ კირიონის დისწულია); ესენი სულ ახალ-გაზრდა უნივერსანტები – იურისტები იყვნენ! ამათ დაავალა კრებამ დაიმუშაოს ჩვენი ეკლესიის აწინდელი ვითარება, ჩამოაყალიბოს მისი მართვა-გამგეობის ფუნქციები, თვალ-ყური ადევნონ რამდენად შეესაბამება მისს მოთხოვნილებას საეკლესიო კრების მიერ მიღებული მართვა-გამგეობის „დებულებანი“ და წლის თავზე საეკლესიო კრება მოიწვიონ და მას მოახსენონ თავიანთი მუშაობის გამოცდი-

ლება, დაკვირვება და შესწორებები, ეკლესიაში შესატანი!.. ვნახოთ, როგორ შეასრულებენ ასეთ დავალებას ეს ყმაწვილები... ესენი, გარდა ქრ. კაპანაძისა, ყველანი „ლეონიდისტ-დავიდოვისტებია“! – ეს საფრთხილოა მეტად...

1 ოქტომბერი – კვირა
„მცხეთობა“

დღეს მოხდა კათალიკოს კირიონ მეორეს „ინტრონიზაცია“ ანუ კათალიკოსის კათედრაზე დაბრძანება! ამ ცერემონიას ჰქონებია ჩვენში რთული პროცესი... ეგ გამონახეს არქივიდან და შეასრულეს დღეს მცხეთაში! დიდ-ძალი ხალხი, ზღვა ხალხი იყო. ჩამოვიდენ ფშავ-თუშ-ხევსურები ცხენებით, ჩაჩქან-ჩაფხუტებში და ძველ იარაღებში ჩამსხდარნი! დიდი აღფრთოვანება იყო. კათალიკოსს მეფური „შეხვედრა“ გაუკეთეს მცხეთის რკინისგზის სადგურზე. ლეონიდიც მის გვერდით იყო და ყველა იერარქები!.. ლეონიდს მკვდრის ფერი ედო!.. ეტყობა, ვერ ინელებს „დამარცხებას“!..

წირვის შემდეგ სადილი გაიმართა სამთავრო-დედათა მონასტერში! ხალხი ზეიმობდა ტაძრის ეზოში. ყველას თან ჰქონდა უხვი სანოვაგე. ჩვენ სანოვაგე გამოგვიგზავნეს ტფილისის „მორწმუნეებმა“, შეაგროვეს ვაჭარ-მეღვინეებში.

კირიონი კაი გუნებაზე იყო...

სამი დღე დავრჩით მცხეთაში. მეორე დღეს – „დავით და კონსტანტინობას“ – „ჭყონდიდლად“ აკურთხეს არქიმ. ამბროსი... დეკ. კეკელიძეს მიტრა დაჰხურა თავზე კირიონმა, იქნება დაიშალოს ჩემი მტრობა-მუხანათობაო! კირიონს ხელში ჩავარდნია კეკელიძის წერილი ეპ. პიროსისადმი 1917 წლის 7 მარტის თარიღით: კეკელიძე სხვათაშორის სწერს პიროსს: „ამბობენ, კირიონი მოდისო!.. ხო იცი, რისთვისაც მოდის!..“ და სხვა! – ამას სწერდა კეკელიძე კირიონზე მაშინ, როდესაც კირიონი ჯერ არ გადმოსახლებულიყო რუსეთიდან სამშობლოში!..

მეორე დღესაც დედათა მონასტერში ვისადილეთ იღუმენია ნინოს „სენაკში“ – აქ უმეტესად სამღვდელონი ვიყავით, 10-15 კაცამდე!.. კირიონი თამადობდა, რო მადღეგრძელა მეც, განაცხადა: „ქალაქში რო დავბრუნდები, დეკ. თალაქვაძესაც მიტრა უნდა დავხუროო“! დაიხოცნენ შურით დეკ. ცინცაძე-თოთიბაძე-მირიანოვი-ტყემალაძე-ნაზარი და სხვანი. მე ხმა არ ამომიღია... მეწყინა... უტაქტობა კირიონისა!.. რა მემიტრება!? რა ოხრად მინდა მიტრა?!. მკვდარ სამრევლოში ვგდივარ ისევ!..

19 ოქტომბერი – ხუთშაბათი

დღეს საკათ. საბჭოს სხდომის დახურვის შემდეგ, თანადასწრებით კათ. კირიონისა, პართენ გოთუასი, თედო სახოკიასი და სხვებისა, ტფილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ მიბრძანა: „სამიტროპოლიტო საბჭოსთვის“ (ეგ მისი

საეპარქიო საბჭოა) წარმომადგენლების არჩევა ანჩის-ხატის ტაძრიდან არ არის საჭიროო! შენა და ანჩისხატის ტაძარი საკათალიკოსო ბრძანდებითო“. კირიონს მწარე ღიმილი დააკვდა ტუჩებზე ამის გაგონებაზე... ჩემთვის კი ცხადი შეიქნა, რომ ლეონიდს არ უნდივარ თავისი ეპარქის სამღვდლოების წევრად! არც სურს, რომ მისი საეპარქიო საბჭოს წევრთა არჩევას დავესწრო! ამ სახით გამრიცხა მან ქალაქის სამღვდლოებიდან, რომ მ. ტყემალაძეს არ ვეჩხირებოდე თვალში და დავიდოვს! უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი!.. მგონი, არც „სამიტროპოლიტოში“ უნდივართ და არც „საკათალიკოსოში“!.. სურთ, მომიგდებინონ თავიდან!.. აი, ჯილდო ეგ არის!.. დეე, იყოს ნება ღვთისა!..

23 ოქტომბერი – ორშაბათი

საკათ. საბჭოს სხდომაზე დ. დავითაშვილის კანდიდატურა წამოაყენეს ამ დაწესებულების კანცელიარიის და თვით საბჭოს სხდომების მდივნობაზე – პ. ბარათაშვილმა, რ. ივანიცკიმ და პ. ინგოროყვამ („ჯამაგირიანებმა“) – ამათ კომისიაში ამ საკითხზე ბჭობის დროს, არ დასთანხმებია სამ „ჯამაგირიანს“ მეოთხე, ქრ. კაპანაძე; გადმოიტანეს საქმე საკათ. საბჭოში. აქ დავითაშვილის გაყვანა განუზრახავთ თავხედურად, ძალით! კარგად იცოდენ, რასაკვირველია, კირიონისა და დავიდოვის ურთიერთადმი განწყობილება! კათალიკოსს საკათ. საბჭოში მესაიდუმლედ – სეკრეტრად – ჩაუჟინონ მოსისხლე მტერი!.. ეტყობოდა, რომ ძლიერ ემუშავნათ ამისათვის! პ. გოთუა გადაუყვანიათ თავიანთ მხარეზე! დეკ. კეკელიძემ განაცხადა: „სხვა მაგისი ფასი როგორ იქნება ვიშოვოთო!“ ამას კვერი დაუკრა იპ. ვართაგავამ – „ყველა აკადემიელებს გვჯობიაო“! ბარათაშვილმა სულ ცაში აიყვანა: „ეგ არის ავტოკეფალიის გმირი(?!), თავისი ზურგით გამოგვიყვანაო“!

წინააღმდეგ გავილაშქრე, დავასურათე დროებით მმართველობაში დავიდოვის „მუშაობა“. მეტის-მეტ გაზვიადებულად ვსცანი ყოველივე ის, რაც ითქვა ამის შესახებ (დავიდოვისა) სხდომაზე! მხარი დამიჭირა თედო სახოკიამ...

შემდეგ კათალიკოსმა განაცხადა: „მე აქ ვერ დავრჩები, თუ დავიდოვს აირჩევთო“! ასტყდა ამაზე ერთი აურ-ზაური! „ჯამაგირიანი“ წევრები დანაზე ეხეოდენ! შეიქნა ერთი მიწევ-მოწევა... კათალიკოსის შეურაცხყოფა... „დაიწყო კამპანია“...

– „ეს გინდოდათ გეთქმევინებიათ კათალიკოსისათვის, – განვაცხადე მე! ეს გარემოება კი ყველამ ვიცოდით! ამიტომ გადავიტანეთ მდივნის არჩევა „ოთხთა კომისიაში“თქო! (ჯამაგირიან წევრებში). ასეთი ქცევა არ არის შესაფერი საკათ. საბჭოსადმი, ხოლო ეს ცდა „ჯამაგირიან“ წევრთა უსაქმურობის ნიშანია თქო“...

ბოლოს მდივნად ავირჩიეთ ალ. ნიკიტინი – ჟურნალისტი, ქართველი კაცი, რუსული გვარით! ქართულის კარგად მცოდნე...

მაგრამ ყოველივე თქმული საკათ. საბჭოში იმ ღამესვე მიუტანეს დავიდოვს! ეგ ვაჟბატონი ვერ გაიყვანეს საეკლესიო კრებაზე ვერც საკათ. საბჭოს წევრად, ვერც სასამართლოში! ვერც გაჰბედეს მისი კანდიდატურის სიაში შეტანა! კრება

ერთხმად გააშავებდა ტიპიურ მექრთამე მოხელეს ექსარხოსის კანცელიარიისას! და აი, ეხლა სინჯეს მისი „მდივნად“ გაცოცება, როგორც ის შემოგვაპარეს 12 მარტს – სამმართველოს მდივნად!.. გამოვიდა საზიზღარი პროვოკაცია კათალიკოსის წინააღმდეგ. დაატაკეს მას ეგ მხეცი-მოძალადე-ბინძური ადამიანი!

მეორე დღეს, დილა-ადრიანად, ბატონი დავიდოვი შევარდნია კათალიკოსს მის ბინაზე, სასახლეში, ძლიერ გაულანზღავს მოხუცი იერარქი, დამუჰქრებია, საცემრად უწევია კიდეც! იქ დასწრებია ტარასი არქიმანდრიტი, კათალიკოსის ეკონომი და მას გამოუგდია ეგ მხეცი მოძალადე გარეთ!..

კათალიკოზი იმავ დღეს ნიქოზში (სამშობლო სოფელი) გაემგზავრა... დავიდოვი კი შუადღისას შეუვარდა საკათ. საბჭოს კანცელიარიაში (ყოფ. სინოდ. კანტორის შენობაში) და, გარეშეთა თანადასწრებით, სცემა „ჯამაგირიან“ წევრს ქრ. კაპანაძეს უწყალოდ! კაპანაძეს გული შეუღონდა, ექიმი მოუყვანეს; თავ-პირი დამტვრეული ჰქონდა კაპანაძეს.

ეს ამბავი გაზეთ „რესპუბლიკის“ (რუსულია) №93-ში გამოცხადდა!.. მოსალოდნელია დიდი უსიამოვნება...

ერთი თვის წინეთ კი დავიდოვმა რევოლვერი დამადო მუცელზე მე, მოგკლავო, დამემუქრა!..

25 ოქტომბერი – ოთხშაბათი

აირჩიეს „სამიტროპოლიტო საბჭო“! ლეონიდს აუსრულდა სურვილი, ტყეგამალაძეც მოჰყოლია შიგ, შოშიაშვილ-მაჭარაშვილთან ერთად! ესენი სამნივე ტფ. სამღვდელოებამ „ბლაღოჩინობიდან“ გადააყენა ამას წინეთ!.. ილია შუბლაძე ღვდელიც (გოროდცევ-რაზუმოვსკის აგენტი), ესეც „სამოსამართლო“ ნაწილში მოჰყოლია! კარგი კომპანიაა! – დავიდოვი მდივნად – „საბჭო-სასამართლოში“! ეს იმის შემდეგ, რაც ზემოდ იყო აღნიშნული!.. რაც ძველი, დახავსებული რეჟიმის ხალხია, სულ ესენი შეაგროვა და გარს შემოისხა ტფილელმა ლეონიდმა!

19 ნოემბერი – 1917 წელი – კვირა

გაიხსნა „სრულიად საქართველოს ეროვნული კრება“, რომელზედაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა! დავესწარი ამ კრებას კათალიკოსის წარმომადგენლად! წავიკითხე საოპერო თეატრის სცენიდან კათალიკოსის სახელით „გუჯარი“. ლოჟაში ისხდენ თვით კათალიკოსი, ლეონიდიც და საკათ. საბჭოს სხვა წევრებიც. დიდი აღფრთოვანება იყო! მოგვილოცეს თავისუფლება ევროპის სახელმწიფოების კონსულებმა და სხვა და სხვა ერებმა.

„გუჯარს“ გარდა, რომელიც ძველი-ძველი ქართულით იყო შედგენილი (კეკელიძემ გამონახა არქივიდან) და რომლიდან მესამედიც კი არ გაუგია მსმენელთ, ჩემი საკუთარი სიტყვა უნდა წარმომეთქვა, ასეთი იყო საკათ.

საბჭოს დადგენილება პირველად, შევადგინე კიდეც სიტყვა, მოიწონეს საკათ. საბჭოში, მაგრამ შემდეგ, რაღაც „შურის მახინაციებით“, გამოიტანეს მეორე დადგენილება, „არ არის საჭირო საკუთარი სიტყვა“, საკმარისი იქნება მხოლოდ „გუჯარიო“! ეგ ჩემი სიტყვა ჩემს არქივში მაქვს დაცული!.. ვერ იხილა მან დღის სინათლე შურით დაბნელებულთა ინტრიგებისა გამო!

– საზოგადოებამ მისაყვედურა: „დალოცვილო, ის რა წაგვიკითხე! ვერა მივხდით რაო! შენი სიტყვა მოგვესმინა, ის გვინდოდა, როგორ ეგებებით ამ აქტსო!..“

3 დეკემბერი – კვირა

დღეს მწირველი იყო ანჩის-ხატის ტაძარში კათ. კირიონი. შევეგებე კარიბჭეში შემოსილი, ჯვრით ხელში და მივმართე ვრცელი საპროგრამო სიტყვით. წირვის შემდეგ სადილი მქონდა გამართული ოჯახში. რჩეული საზოგადოება დაუპატიჟე კირიონს.

მიტრა უნდოდა დღეს დაეხურა ჩემთვის კირიონს წირვაზე და ხელი უკარი, – არ მსურს თქო!.. გაიცინა... კარგი, თუ არ გსურსო!.. ბრძანდებოდეო!.. იცინეს სხვებმაც...

კარგი დრო გავატარეთ სადილზე... მევე ვიყავი თამადა...

გამოირკვა, რომ წირვის დროს შემოვარდნილა ტაძარში ივან გეორგიევიჩი რატიშვილი, ხანშიშესული მასწავლებელი, უნივერსანტი! ლეონიდისტი! მივარდნია მნათეს – ხუცაიძეს და აუტეხია მისთვის შფოთი, რა საჭირო იყო



ლოჟა კათალიკოსისა.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“
№49, 3 დეკემბერი, 1917

კირიონის აქ მოპატიჟებაო, კარგი რამეცა გყავთ კათალიკოსადო და რაღაც უმზგავსო რამეები უთქვამს კიდეც! მნათე-ხუცაიძემ სტაცა ხელი მკლავში და გარედ გააგდო ტაძრიდან...

5 დეკემბერი – სამშაბათი

„სამრევლო დავთარზე“ (ეგ რაღაც „აღსარებითი სიების“ მსგავსი წიგნი გამოიგონა დეკ. ცინცაძემ) მოგვიხდა საკათ. საბჭოში შეტაკება დეკ. კეკელიძესთან და იპ. ვართაგავასთან. ამ „დავთარში“ იყო ერთი გრაფა-ხაზი – „როდის ეზიარა“. „ეგ „სისკია“, უნდა გამოტოებულ იქნასო“, – გაიძახოდა „დეკანოზი“! მას მხარი დაუჭირა ვართაგავამ.

სერიოზული ლაპარაკი მომიხდა „ზიარებაზე“ და სარწმუნოებაზე, მრევლზე, რომ ამ ზიარების ხაზით გვეცოდინება ნამდვილი მრევლი, ხოლო ფიქტიური არ გამოგვადგებათქო! ჩვენ ძალას არავის ვატანთ! ყურით არავის მივათრევთ საზიარებლად, არც რაიმე პოლიციურ-ჟანდარმული ფუნქციები გვაქვს ხელში, რომ ვინმე დავსაჯოთ უზიარებლობისათვის! რა მოსატანია აქ „სისკი“ თქო! და დაურთე: „ერს რო ღმერთი გაუწყრება, მას მოუვლენს იგი ურწმუნო მღვდელ-მთავრებს და მღვდლებსა თქო“!..

ამ სიტყვებზე თავი ჩაჰღუნეს, ვისაც მოხვდა კუჭში!.. ეგ „გრაფა-ხაზი“ დავიცავი.

7 დეკემბერი – ხუთშაბათი
შეტაკება საკათ. საბჭოში პეტრე ბარათაშვილთან

სხდომაზე მოწვეული იყო ძველი სემინარიის შენობის (პუშკინის ქუჩაზე როა) მოიჯარადრე ნოე ძიძიშვილი. გაველაპარაკე მას არსებითად, საჭიროა იჯარის პირობები გადავსინჯოთ (ეგ პირობები ექსარხოსის დროს ჰქონდა დადებული სინოდ. კანტორის წინაშე ძიძიშვილს, ვინოგრადოვს და ძეგველიშვილს რექტორი იეროფეის (სინოდ. კანტორის წევრიც იყო) და არქიმ. ნაზარის მაჭანკლობით! ბევრი დოში და ხიზილალა მიიღეს ამათ მეთევზე ძეგველოვიდან! სადილები რამდენი გაიკრეს! და მუდამ „ნობათები“ მისდიოდათ ისევ დოშითა და ხიზილალით); ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა დაგიხარჯნიათ შენობის შეკეთებაზე, რა შემოგდით თქო!.. დეკ. ცინცაძემ პროვოკაცია გამიწია ძიძიშვილის წინაშე. „ეგ ხო ამხანაგად უნდა გაუხდეთ ამ კაცსო“! – დაცინვის კილოთი სთქვა! – მა, როგორ გსურთ, მამაო, იჯარის გადასინჯვა, რა საფუძველზე უნდა მოხდეს ეგ თქო?! – მივახალე პირში და იკმინდა ხმა...

ძიძიშვილის სხდომიდან წასვლის შემდეგ, პ. ბარათაშვილმა მომმართა: „ყველა, რაც ილაპარაკე, სისულელე იყოო“! – მე უპასუხე: „სისულელე თქვენგნით პირველად არ მესმის თქო“! ავდექი, კათალიკოზს თავი დაუკარი და მოვახსენე

– „არ შემიძლია დავრჩე ასეთ ატმოსფერაში თქო“ და გაველ დარბაზიდან!.. დამადევნეს მდივანი ნიკიტინი... დამაბრუნეს უკან და უკანვე წააღებიეს ბარათაშვილს მისი სიტყვები!

10 დეკემბერი – კვირა

სამრევლო საბჭოს კრება გვქონდა წირვის შემდეგ – ანჩის-ხატის კრებულისა და ტაძრის ქონებრივ მდგომარეობაზე...

12 დეკემბერი – სამშაბათი

საკათ. საბჭოში მოვისმინეთ არქიმ. ნაზარის შესახები „ოქმი“ დროებითი მმართველობისა №44, 18 ივლისის თარიღით. ეს ოქმი ანუ ჟურნალი, დავიდოვის მიერ შედგენილი, წარუდგინე მე საკათ. საბჭოს, როგორც ნიმუში თვითნებურ და უსწორ-მასწორ საქმის წარმოებისა იმ სამმართველოში! თედო სახოკიამ განაცხადა: „ჩემი წინადადება სულ გადამახინჯებულია“! მე პროტესტი განვაცხადე დ. დავითაშვილის სახელით, მის მიერვე „ოქმში“ შეტანილ „ცნობაზე“, სადაც ამ საქმეს ის უწოდებს „პირად კინკლაობას“! მე „პირადი საკინკლაო“ ან გასაყოფი ნაზართან თუ დავიდოვთან არასდროს არა მქონია რა თქო!..

წაუკითხე „ოქმიდან“ კრებას დეკ. კეკელიძის „ცნობა“, სადაც ის ექომაგება ნაზარს, როგორც „მეგობარს“, „არქიმ. ნაზარი ჩემი მეგობარიაო“ და სხვა...

დეკ. კეკელიძემ განმიცხადა: „კონკრეტული ბრალდება წამოაყენე ნაზარზეო“! რაღა წამოვაყენო სხვა რამ ბრალდება ნაზარის წინააღმდეგ, რაც ჩვენ ყველას საკუთარი თვალით გვინახავს ნაზარისა და იეროფეის სამარცხვინო ვაკხანალიები ტფილისის ქუჩებში! ნაზარის ამბები ინოკენტისა და პლატონ არქიელის იღლიების ქვეშე! განა ეგ არ კმარა „ბრალდებად“, რომ ასეთი სასულიერო გვამი, არქიმანდრიტი, ბერობით შემოსილი, განახლებულ ეკლესიაში სააღმშენებლო მუშაობისათვის უვარგისია თქო?! მე ნაზარის დახვრეტას ან დახრჩობას როდი მოვითხოვდი, მე, ჩვენი ეკლესიის პრესტიჟისათვის ასეთი ადამიანების ჩვენს წრეში სამუშაოდ შემოშვების წინააღმდეგი ვიყავი და ვარ! – წამოვაყენე ამას გარდა 1916 წლის 12 აგვისტოს ამბავი – თუ როგორ იმ დღეს დამიბარა ჟანდარმის პოლკოვნიკმა პასტრიულინმა და სხვათა შორის ასეთი შეკითხვა მომცა: „როგორი განწყობილება გაქვს ექსარხოსს პლატონთან და არქიმ. ნაზართანო“!.. ეგ პასტრიულინი იყო, რო მაწამებდა 1911-12 წლებში, როდესაც არქიელი ინოკენტი ისევ ჟანდარმებისა და ნაზარისთანა აგენტების საშვალებით ძირს მითხრიდენ დიდუბეში და გამომითხარეს კიდეც თქო!..

ეს არის ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის მოწაფეთა და კორპორაციის გრუპპა, რომელიც გადაღებული იქმნა მამადავითის ტაძრის გალავანში გრიბოედოვის საფლავის ძეგლთან; მე ვიყავი ამათი „სჯულის მასწავლებელი“ 1912 წლიდან; ეს სურათი, მგონი, ეკუთვნის 1913 წელს, როდესაც დირექტორად იყო ალექსანდრე ზაზუბოვიჩი – მოსჩანს სურათ ზე მოხუცის სახით; მე მიყრდნობილი ვარ ძეგლის რკინის კარებ ზე; ამ ინსტიტუტში ჩემს მეტი ქართველი არავინ იყო – აქ ვიმსახურე სამღვთო სჯულის გაუქმებამდე 1918 წლის ენკენისთვემდე; ღირსეულად მეჭირა თავი ამ „წმინდა-რუსების“ სასწავლებელში. ქართველი მოწაფეები თითო კლასში იყო სამი-ოთხი, ზოგ ში სულაც არ ყოფილა. აქ გამამწესეს ექსარხოს ინოკენტის მიერ დიდუბიდან ანჩისხატში გადაგდების საკომპენსაციოდ.

დეკ. ნ. თალაქვაძე. 1921. 3/XII

1921 წელი – გასაბჭოება საქართველოსი

შენიშვნები

1918-19-20 წლების შენიშვნები აღარ მიწარმოებია ცალ-ცალკე. 1921 წლიდან განვაახლე ისევ მემუარებისებური შენიშვნების წარმოება. ამ შენიშვნებში გზა და გზა ვიგონებ წარსული წლების ამბებსაც.

ხელში ჩამივარდა 1921 წლის მარტის 18-ის „ერთობა“ №58 – მენშევიკების გაზეთი – უკანასკნელი ნომერი, რომელიც გამოიცა ბათომში; ხელთა მაქვს სამი ნომერი „სოციალ-ფედერალისტი“ – 1921 წლის მარტის 11-ის №11; მარტის 27-ის №27; მარტის 22-ის №18. ამ გაზეთების ფურცლებზე გარშემო წარწერები გამიკეთებია. ეგ წარწერები გადმომაქვს ამ რვეულში.

1) წარწერა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტზე“ 1921 წელი, მარტის 11, №11.

„11 თებერვალს (1921 წ.) მოულოდნელად დაესხა ქართველ ჯარს რუსეთის წითელი არმია სომხითის მხრიდან. ჩვენი ჯარის ნაწილები დაუდევრად იყვნენ. მათ, მძინარეებს, ყელები დასჭრეს, ბევრიც ტყვეთ წაიყვანეს. განსაკუთრებით გაიხრწნა სახალხო გვარდია, რომელიც პრივილეგიებით ჰყავდა მოსილი მენშევიკებს. გვარდია იყო პარტიული ჯარი, რომელსაც ეყრდნობოდა მენშევიკური მთავრობა და... ჭკუა წააგო. ყველანი წინააღმდეგნი ვიყავით ასეთი სამხედრო ძალისა! გვსურდა ერთი გაწვრთნილი ჯარი; როგორც ერთია სამშობლო, როგორც ერთია უფალი ქვეყანაზედ, ისე ჯარიც ერთი უნდა გყოლოდა! ჯარის რეორგანიზაცია მიანდეს ვიღაც ზაქარია გურულს (გვარია), უვიც კაცს! გენერალი კვინიტაძე კი (სამხედრო აკადემიელი – სპეციალისტი) სამსახურიდან დაითხოვეს! პარპაშობდა ვალიკო ჯუღელი – გვარდიის უფროსი! კაცი თავხედი, სამხედრო საქმეში სრულიად უვიცი, პარტიული ფანატიკოსი და პარაზიტი, რომელიც სომხის ბურჟუაზიის სახლებში ვახშებზე დადიოდა და ხელს უწყობდა მათი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებას (მაგალითად, მირველოვისას). გაიხრწნა მენშევიკური მთავრობა და პარტია!.. ცხენოსანი ჯარი სრულებით არ ჰყავდათ... ასე მოუმზადებლად დახვდნენ მენშევიკები ბოლშევიკების თავდასხმას. თოფი რო გავარდა, შემდეგ შეუდგენ მზადებას. შემდეგ მოიწვიეს ისევ კვინიტაძე, გადააყენეს გენ. ოდიშელიძე. დაიწყო საშინელი ბრძოლა... მოუახლოვდენ ტფილისს... შემოესიენ კახეთს, ქიზიყს, საქ. სამხედრო გზიდან, სოჭიდან, მამისონის უღელტეხილიდან! ასეთი ფართო მასშტაბით ყოფილა განზრახული ბოლშევიკების თავ-დასხმა საქართველოზე, ხოლო ჩვენს მთავრობას ამ თაობაზე არ ჰქონებია არავითარი ინფორმაციაცნობა! მოსკოვში კი ჰყავდათ დესპანად ნაგიჟარი გერასიმე მახარაძე, მეორე სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, ციმბირში გადასახლების დროს $1^1/_2$ წელი გიჟად იყო! ასეთი კაცი მოსკოვში მეთვალ-ყურედ აბა რა გამოსადეგი იქნე-

ბოდა!.. ბაქოშიც ჰყავდათ გაგზავნილი გაბრიელ ხუნდაძე (ეს წინეთ მოსკოვში იყო), ესეც ცეტი და მოსულელო კაცია! აკი ვერც არა ცნობები მოგვაწოდეს მომავალ საფრთხეზე! – „ბაქო-სომხეთით მშიერ-მწყურვალე რუსის ბანდები მოდიან, ამათ ჩვენც გაუმკლავდებითო“, – იძახდენ!.. მაგრამ შიგა და შიგ უკვე იცოდნენ, რომ მდგომარეობა იყო საშიში. ტფილისის დაცლა-დატოვება შესაძლებელი იყო...

16 თებერვალს დილით კათალიკოსთან (ლეონიდი) დამიბარეს; იქ მოვიდა დეკ. კ. ცინცაძე და მოიტანა ამბავი: გენ. ზაქარიაძემ ღამის ორ საათზე დამიბარა მომეხსენებია კათალიკოსისათვის, რათა ეკლესიის განძეულობა გადასცეს სახელმწიფო ბანკს დასახიზნავად ტფილისიდან...

კათალიკოსს გაეხარდა „მენშევიკების უბედურება“, ნიშნის მოგებით სთქვა: „აუხდათ თუ არა ჩემი სიტყვაო“! – 6 თებერვალს ბალტაზარი უწოდა ნოე ჟორდანიას მთავრობას, რომელმაც გელათის განძეულობა გადმოზიდა ქუთაისის ხაზინაში! ამ თაობაზე დიდი შეტაკება (პირადად) და პოლემიკა (გაზეთებში) კათალიკოზ-ჟორდანიას შორის. 6 თებერვალს, de jure-დ ცნობის დღესასწაულზე, სამღვდელოებას რუსთაველის პროსპექტზე გამოსვლის ნება არ მოგვცეს (პროცესიით) და ქვაშვეთში ვიყავით მომწყვდეულნი. აი, აქ უწოდა ლეონიდმა მათ „ბალტაზარი“, რომელმაც იერუსალიმის ტაძრის სასმისებით სვა ღვინო და სუფრიდან ადგომაც კი ვერ მოასწრო, რომ სამეფოც დაჰკარგა და მოჰკლეს კიდეცო! აი, ეს „ნიშნი“ მოუგო ლეონიდმა ჩვენს მთავრობას თავის სიტყვაში! მეტად დამაღონა მისმა ასეთმა გაბოროტებამ და შურისძიებამ!.. ვერ გაითვალისწინა, რომ საქართველო გვეღუპებოდა... მე მოვახსენე: „თქვენ შეგიძლიათ გაჰხიზნოთ მცხეთა-სიონის განძეულობა თქო“?! – არაო, – მიპასუხა. „მაშ, რატომ ღებულობთ თქვენს თავზე ასეთ პასუხისმგებლობას თქო“? (არ აძლევდა განძეულობას დასახიზნად). ჩვენ დღემდე დაგვიცავს ეს განძეულობა, ეხლა მთავრობა გვეუბნება – „ჩვენ დავიცავთ, ჩვენ შევინახავთო“! დეე, იყოს ეს მთავრობა პასუხის მგებელი ისტორიისა და ღვთის წინაშე თქო, მით უმეტეს, რომ თქვენ არავითარი საშვალება-ღონისძიება არ გამოგინახავთ ამ განძეულობის დასახიზნათ თქო“!.. საქმე არ გამოირკვა... ალბად დავიდოვს უნდა დაჰკითხებოდა კიდევ... იქ დაგვესწრო დეკ. მ. ტყემალაძე, დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი, დეკ. იასონ კაპანაძე, დეკ. დ. ლაზრიშვილი... ამ დროს თურმე განძეულობას ალაგებდენ კიდეც სადღაც „სამალავებში“ (სიონშივე), სულ ყველანი – ვიგინდარა-სტოროჟები – ხელს ურევდენ ალმას-ბრილიანტ-მარგალიტებში და ოქრო-ვეცხლში!.. ბევრი გაიძარცვებოდა ამ შინაურ მტაცებელთაგან...

მე უკვე 1920 წლის იანვრის 2-იდან გამომდევნეს საკათ. საბჭოდან და სრულიად მართვა-გამგეობიდან... აღარავინ არაფერს მეკითხებოდა... დღეს კი შემთხვევით დამიბარეს...

19 თებერვალს, დილის 6 საათზე ისევ დამიბარა იასონ კაპანაძემ – სიონის კანდელაკმა-კლიუჩარმა. მთელი ღამე ჯოჯოხეთური ზარბაზნების გრიალი ისმოდა. სახლები ზანზარებდენ. ლეონიდი შეშინებულა და ღამით სიონის ეზოში გადასულა, დეკ. კაპანაძის ბინაზე.

რო მიველ კაპანაძის ბინაზე, კათალიკოზს ბარგი უკვე შეკრული ჰქონდა! ბარტყულიდან მოეხსნათ კათალიკოზის ჯვარი და ქერუბიმები; კათალიკოზს ეცვა რაღაც ძველი რუსული „პოდიევკის“ მსგავსი, თავზე ჩამოეჩაჩა საღამური, ძველი სკუფია, იყო ფერ წასული, კანკალებდა, თითქოს ციებ-ცხელება შეჰყრიაო!

ამ დროს ის გაისმოდა საზარელი გრიალი ზარბაზნებისა და წივილ-კივილი ტყვიის მფრქვეველებისა! – კათალიკოსი აღარ იყო თავის არსებაში! ის შეეპყრო პირუტყვულ შიშს. გადაუწყვეტია ქუთაისში გახიზნვა! ის დაუშინებიათ დეკ. ი. კაპანაძეს და კ. ცინცაძეს: „შტაბში სთქვეს, კათოლიკოზს ღორივით გამოსჭრიან ყელსაო“, – მოუხსნებიათ მისთვის! ამის შემდეგ კათალიკოზის გამხნევება შეუძლებელი შეიქნა! – „კათალიკოსი უნდა წავიდეს, მაგრამ ისე კი, თითქოს ის ჩვენი ძალდატანებით მიდისო“, – ბრძანა დეკ. ი. კაპანაძემ.

აქ ვიყავით: დეკკ. კ. ცინცაძე, დ. ლაზრიშვილი, მე, არქიმ. პავლე ჯაფარიძე, დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი და ათანასე – ბერი ლეონიდისა და დეკ. კაპანაძის მეუღლე. ჩამოატარეს ხმა, მე განვაცხადე – მე აბა რა წინააღმდეგობა შემიძლია თქო! სხვა ხმა აღარ ამომიღია! კაცს გადაუწყვეტია სამწყსოს მიტოვება, შიშის ზარი დასცემია და ვიღას რით შეუძლია ის დაამშვიდოს!

ლეონიდმა ჩემ გასასამართლებლად 1920 წლის 2 იანვარს მოიწვია საკათ. საბჭო-სასამართლოს შეერთებული სხდომა, 19 კაცისაგან შემდგარი! ეხლა კი ასეთ საპასუხის მგებლო ისტორიულ მომენტში საჭიროდაც არ დაინახა – საზოგადოებას ან სამღვდელოებას შეჰკითხებოდა!.. დიდად სახიფათო მდგომარეობაში ჩაგვაყენა მან თავისი ასეთი საქციელით! ხმასაც არავინ გასცემდა, რო დარჩენილიყო!.. ჩვენ ცოლ-შვილი გვიტირის, მაგას ვინღა უტიროდა?!.

„ბატონო, რო მიბრძანდებით, ეკლესიის მართვა-გამგეობას ვის უტოვებთ თქო“? – შევეკითხე მე ლეონიდს, როდესაც ის უკვე კარებიდან გადიოდა! ამაზე მიპასუხა: „აქ რჩებიან დეკ. კ. ცინცაძე და კონტრიძე, საკათ. საბჭოს წევრნი; მიიწვიეთ კანდიდატებიც და საბჭო გეყოლებათო! ეპ. დავითიც უნდა თან წავიყვანო, თუ შესძლო სადგურამდე ფეხით სიარულიო“, – და წავიდა! გაჰყვა მას ათანასე ბერი და ი. კაპანაძე. დავით ეპისკოპოსთან რო შედიოდენ (კანტორის შენობაში იყო), დეკ. ცინცაძემ მითხრა: „ეს აქ ვეღარ დაბრუნდებაო“! „რას ნიშნავს ესა თქო? – ვკითხე მე. „არ უნდა დაეგდო ტფილისიო“, – მიპასუხა! „რატომ ეს პირში არ მოახსენე თქო? – ისევ ვკითხე მე. „რა ჩემი მოხსენება უნდა, განა თვით არ უნდა ესმოდეს თავისი მოვალეობაო“?!. აი, ასეთი ორმაგი „მრჩეველნი“ ახვევივან გარს ლეონიდს! – ასეთია მაგისი „მეგობრები“!

დავიდოვი (ლეონიდის სამიტროპ. საბჭო-სასამართლოს მდივანი, დიქტატორი ჩვენი) ამ დროს თოფით მხარზე რუსთველის პროსპექტზე დასეირნობდა! თითქოს „დედა-ქალაქის“ დამცველთა რიცხვში ითვლებოდა! როდესაც ერთ საღამოს წითელარმიელთა ტყვეები ჩამოატარეს, ეგ დავიდოვიც გვერდით მისდევდა ტყვეებს. – შემომხედეთ, მე დავატყვევე ესენიო, – თითქოს აგრე გვეუბნებოდა ყველას მისი მედიდურად... გადმოხედვა! ნამდვილად კი ეგ „რაინდი“ ქუჩიდან შეუერთდა ტყვეთა მომყოლ დარაჯებს, სამხედრო შტაბის ახლოს! ტყვეებში შევნიშნე კომუნისტი ნესტორ ცერცვაძე, რომელიც თავისი

გაჩეჩილი თმა-წვერით კარლ-მარქსა ჩამოჰგავს! ეს მიჰგებებოდა წითელ-არმიელებს, მაგრამ ტყვედ ჩავარდნილიყო და ჯარის-კაცებთან ერთად ესეც მოაბრძანეს ქალაქში, დავით დავიდოვის „კონვოის ქვეშე“! – ასეთი თვალთ-მაქცია ეგ ვაჟბატონი დავიდოვი! ეხლა ლეონიდი აღარ სჭირდებოდა! ის გამოჰხრა, ისარგებლა, როგორც სურდა, ისე და ეხლა ღვთის ანაბარად მიაგდო!.. მე თავი დავიჭირე, ვინაიდან ლეონიდი მსახავდა თავის მტრად და გამაძევა კიდეც საკათ. საბჭოდან!

ეპ. დავითთან რო შეუხვია, საკათ. საბჭოს შენობაში, დავითი ძლიერ ავათ-მყოფი დაუხვდა! ვეღარ ეახლა ის კათალიკოსს. ეპ. დავითს გამოეთხოვა ლეონიდი დიდი ტირილით და ცრემლით!

მოუსწარით შენობის წინ – მე, ცინცაძე-ლაზრიშვილმა. ლეონიდმა მიბრძანა: „მიაქციე ყურადღება ეპ. დავითს, ძლიერ სუსტად არისო, ვერ იმგზავრებს ჩემთანო და წავიდა კათალიკოზი ანჩის-ხატის ქუჩით დიდუბეში დეკ. მირიანოვთან, იქიდან სადგურის მახლობლად ბინა უნდა ეშოვნა, რომ წასულიყო მთავრობის მატარებლით ქუთაისში, როდესაც ეს მატარებელი დაიძროდა. აღარც განძეულობა ახსოვდა და არცა რა! განძეულობას ალაგებდა დეკ. მარკოზი სიონში და იქვე სურდათ მიემალ-მოემალათ.

ასეთი პატრონობა გაუწია ლეონიდმა განძეულობას და ეკლესიასაც!

შევედით ეპ. დავითთან მე, ცინცაძე, ლაზრიშვილი. დავიწყე ფახი-ფუხი, გამხნევება! ხმამაღლა ხუმრობა. ეპისკოპოსი იყო ლოგინში წამომჯდარი, თავზე რაღაც მობურდნული, გიდელივით, გრძლად, კონუსივით! – სტიროდა!.. „რა გატირებს თქო, – ვკითხე. „როგორ რა მატირებს!.. ყველანი მიდიხართ ქალაქიდან, მე კი არ შემიძლია დაძვრა, აქ ვრჩები, უმწეოთო“! „არა, ჩვენ ყველანი აქ ვრჩებით! არსად არ მივდივართ! მხოლოდ კათალიკოზი წავიდათქო“! – ვანუგეშე ეპის-სი! „თქვენ თუ ქალაქში რჩებით, მაშინ მეც არამიშავს რაო“, – სთქვა საწყალმა...

დავრწმუნდი, რომ ბერობა სულ ერთიანად გაკოტრდა ჩვენში! ამათ საკუთარი თავის მეტი არა სწამთ რა! საზიზღარი ლაჩრები ყოფილან! მხოლოდ თავის უბადრუკ სიცოცხლეს დაჰკანკალებენ! ამათ თავდადებისა, ქვეყნისათვის თავგანწირვისა, არა ესმისთ რა! ლეონიდი იკვეხიდა „შესხმებში“ – სიტყვებში – „გოლგოთაზე ავალ, ჯვარს ვეცმი ჩემი ერისათვისო! მზად ვარ დოსითეოზივით მტკვარში გადამაგდონო“! ეხლა კი... ზარბაზნების სროლის ხმაურს გაექცა!.. მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე!..

საათის ათზე (იმავ დღით, დილით) გზაში შემომხვდა მოძღვართ-მოძღვარი კოჭლი დეკანოზი მათე მონასელიძე, სიონში მიდიოდა გამოცხადებულ საზოგადო პარაკლისზე, რომელიც კათალიკოსს უნდა გადაეხადა, გაზეთებშიაც იყო ეგ გამოცხადებული!

ნუღა მიბრძანდებით, მამაო დეკანოზო, ლეონიდი უკვე წავიდა ქალაქიდან თქო! – უთხარი მამა მონასელიძეს მე! მეტად გაჯავრდა მოხუცი, რო გაიგო მისი საქციელი და ბუზღუნით გაბრუნდა სახლში (კალოუბანში).

ამ დროს სასახლის წინ გავრცელდა ხმა, რომ „ჩვენმა ჯარმა სამაგალითოდ გაიმარჯვა, მტერი მეტად დაზარალდაო“! შეჰქმნეს სასახლის წინ – პროსპექტზე დიდი ზეიმი, მიტინგი! ხალხი თხოულობს პარაკლისს! „სად არის კათალიკოსიო“!? – ჰკითხულობენ! მე და ცინცაძემ უპასუხეთ: „კათოლიკოზი დიდუბეში წაბრძანდა, ღვთისმშობლის წინაშე პარაკლისის გადასახდელად, მალე დაბრუნდება და აქაც გადავიხდით თქო“! – ვაფრინეთ კაცი დიდუბეში, საიდანაც გულის ხეთქებით, ფეხით, გამოვიდა ლეონიდი! დაუკერეს „ჯვარი“ კუკულაზე, ქერუბიმ-რეფიმებით მოურთეს ბარტყულა და ქვაშვეთიდან ლიტანიით გავედით სამხედრო ტაძრის ეზოში. აქ პარაკლისი ვიხადეთ! ლეონიდმა სიტყვა წარმოსთქვა პარაკლისის წინ: ბოლშევიკებს ღორები უწოდა! „ვერ ეღირსებიან ისინი თავიანთი ჭუჭყიანი ტანის ტფილისის აბანოში გაბანვასო“ და სხვა...

მეგონა... გადარჩა კათალიკოსი საქვეყნო სირცხვილს და აღარ იფიქრებს ქალაქიდან წასვლას თქო! მაგრამ... მოუწვევია საკათ. საბჭოს სხდომა, რომელსაც ცინცაძე-კონტრიძის გარდა დასწრებიან ერისაგანნი მხოლოდ იასონ აფაქიძე. აქ გადაუწყვეტიათ, რომ „თუ მთავრობა დასტოვებს ტფილისს, კათალიკოსმაც დასტოვოსო! განძეულობა გადაეცეს სახელმწიფო ბანკს ქუთაისში გადასატანათო“!.. საჭიროდ არ დაინახეს ასეთ შემთხვევაში უფრო ფართო კრების მოწვევა, რომელიც ლეონიდს გაამხნევებდა და არ გაუშვებდა ტფილისიდან.

9 მარტი – ოთხშაბათი – 1921 წელი
მეომარ-დახოცილ იუნკერთა 33 კუბოს დასაფლავება

ამავ 11 მარტის გაზეთის გვერდზე მიწერილია: 9 მარტს მოხდა მიხეილის საავათმყოფოდან (სადაც ჩამოასვენეს კოჯრის მიდამოებიდან) კოჯრის მიდამოებზე ბრძოლის დროს დახოცილ ქართველ მეომართა – იუნკერთა გამოსვენება! სამღვდელოება დავესწარით მთელი თითქმის! თავში გვყავდა დეკ. მ. ტყემალაძე – მიტრით! (ქალაქი უეპისკოპოსოდ იყო დაგდებული!) ასეთი დიდებული პროცესია არ ახსოვს ჯერ ტფილისს! ზღვა ხალხი იყო! წინ ჯვარი, შავი ბაირაღი... ქალები წყვილ-წყვილად... ცოცხალი ყვავილებით ხელში... ოთხი გუნდი მგალობელთა!.. გავედით ვერის ხიდით რუსთაველის პროსპექტზე... აქედან სამხედრო ტაძრის გალავანში... 33 სამარეს პირი ჰქონდა ღია!.. აქ მეომრებს ანდერძი აუგეთ... მე ვკითხულობდი ანდერძს – კურთხევანს... ვყვიროდი!.. ბოლოს... ყველამ დავიჩოქეთ!.. დიადი სურათი იყო! სიტყვები არ ყოფილა... დიდი დემონსტრაცია... ბოლშევიკები განცვიფებული გვიცქეროდენ... ესენიც პროცესიაში იყვნენ... მათ შორის მახსოვს... ჭაღარით შევერცხლილი, ტან-მორჩილი სილია თოდრია... ყოფილი ასოთ-ამწყობი... ეხლა დიდი ბოლშევიკი-კომუნისტი.

ამ პროცესიის შესახებ გაზეთ „სოც.-ფედერალისტის“ 11 მარტის ნომერში მოთავსებულია თედო ღლონტის წერილი: „ცრემლები“! – დიდებული წერი-

ლია თავისი გულ წრფელობით თუ მოქალაქობრივი გამბედაობით! წერილი აგრე იწყება: „ოთხშაბათს საქართველოს დედა ქალაქმა სამუდამოდ ჩაიკონა საქართველოს გმირი შვილები. ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ ასეთ გლოვის ზარს, ქვეყნის ტირილს და ვაებას! უსიტყვოდ, უცერემონიოთ(!), მოუმზადებლად, თვითონ ხალხის სტიქიამ ჩვენს ძვირფას კუბოებს ხელი ჩასჭიდა და გამოეფინა რუსთაველის პროსპექტზე. ტიროდა ყველა, ტიროდა მოხუცი, ახალგაზრდა, ყველა, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა. რა ატირებდა ამ ხალხს?!. განა საქართველო დაიღუპა?! განა გმირების დასაფლავება ნიშანი იყო საქ-ს დასაფლავებისა? არა! ნუ ფიქრობს ნურავინ, რომ შოთას, დიმიტრის, ილიას და აკაკის საქართველო დაიღუპა! ნურავინ ფიქრობს, რომ ჩვენი ყვავ-ყორნების ჩხავილი და დემონური ხითხითი წელში მოდრეკს საქართველოს. არა, ვინც ნახა ოთხშაბათის ტფილისი, მან კარგად იცის, თუ რა არის ტფილისი. ქართველი ხალხის ტირილი, მთელი ტფილისის ტირილია – ტფილისის ტირილი საქართველოს ტირილია.

ამ ცრემლებში ყველა კარგად დაინახავდა, თუ რა სურს ქართველ ხალხს...

ჩვენთან ერთად სტიროდა ამავე დროს ნამდვილი წითლებიც, რომელნიც დღეს ქართლს, კახეთს და ჩვენს დედა-ქალაქს განაგებენ... ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ სამშობლოს და ერის თავისუფლება მხოლოდ სოციალისტურ ხანაშია ნამდვილი თავისუფლება, რომ კაპიტალიზმი ამ თავისუფლების ნამდვილი სამარეა... დიახ, ბევრს გონია, რომ საქართველოს სამარე ეთხრება: ეს არის საზიზღარი ტყუილი ყვითელი და რუხი ფერის ხალხის მოგონილი, ისინიც კარგად ხედავენ, რომ არც ერთი მახარაძე, არც ერთი ორჯონიკიძე, არც ერთი ელიავა, კვირკველია და სხვები შავ მიწას იმისთვის არ გასთხრიან, რომ შიგ მოათავსონ მრავალ ძვირფას კულტურის აღმზრდელი ბრწყინვალე საქართველო“...

მთელი ეგ ნომერი საგულისხმოა...

საქ. გასაბჭოება

მედგრად იბრძოლა გენ. კვინიტაძემ, ერთმა მუჭა ქართველმა ჯარმა დიდი გმირობა და უნარიანობა გამოიჩინა სოღანლუღ-კოჯრის ბრძოლებში. იყო მომენტები, როდესაც წითელი არმიის პოლკები შედრკენ და უკან დახევას აპირებდენ, მაგრამ მოღალატე-გამცემები მუდამ ყოფილან ტფილისში და ეხლაც მრავლად აღმოჩნდნენ... აცნობეს წითელარმიის სარდლობას ჩვენი ჯარის მცირე-რიცხვიანობა და სხვა სიკეთე... მეტი შებრძოლება უნაყოფო იყო და 24-25 თებერვლიდან გენ. კვინიტაძემ დიდი სამხედრო უნარით და ხელოვნებით დასცალა ტფილისი... დაიხია თავისი ჯარით ავჭალა-მცხეთისაკენ... შემდეგ სურამის უღელ-ტეხილით გვირაბამდე... და ბოლოს ბათომში ამოჰყვეს თავი... გზა და გზა ჯარი იშლებოდა... დნებოდა... თავიანთ სახლებში გარბოდენ ჯარისკაცები ორი-სამი თუ ოთხი თოფებით მხარზე...

წითელ-არმიის შემოსვლა ქალაქში

მთელი ღამე 24-25 თებერვალს ერთი თოფიც არ გავარდნილა ტფილისის მიდამოებში. თურმე გენ. კვინიტაძე უკან იხევს... წითელ არმიის სარდლობას ჰგონია, რომ რაღაც სამხედრო მანევრებს მიმზადებს კვინიტაძეო და ფხიზ-ლობდა... ამდროს კვინიტაძე მწყობრად და წყნარად იხევდა უკან...

ქალაქში ღამის 11 საათზე უკვე გავრცელდა ხმა, რომ ჩვენი ჯარი სტოვებს ქალაქს, დილით წითელი არმია შემოვა ტფილისშიო.

კათალიკოს ლეონიდის ქალაქიდან გასვლა

ღამის 11 საათზე კათალიკოსს ლეონიდთან გულ-ხეთქებით მოსულა დეკ. ცინცაძე და მოუხსენებია – „ჩვენი ჯარი უკან იხევს, ხვალ დილით წითელი არმია დაიჭერს ქალაქს! უშველე თავს, თორემ ყელს გამოგჭრიანო“!.. ლე-ონიდი, ეპ. დავითი და არქიმ. პავლე ჯაფარიძე, ოთხი იაშჩიკი მცხეთა-სიონის განძეულობით, ლინეიკით გასულან ტფ. სადგურზე, ჩამსხდარან ვაგონში რის ვაი-ვაგლახით და გასწიეს ქუთაისისაკენ... გასულა იმ ღამესვე ქალაქიდან სამხედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი დეკ. ანტონ თოთიბაძე.

25 თებერვალი – 1921 წელი

ქალაქში დიდი შიშიანობაა. მოელიან ქალაქის აკლებას და ქალების გაუპა-ტიურებას – ხალხის ამოჟუჟღვას... მთელი ღამე არ გვიძინია. თენდება. რიჟრაჟ-ზე გამოველი ანჩისხატის ეზოზე გადამდგარ აივანზე და გავხედე „ციციანოვის აღმართს“... გავიდა ცოტა ხანი... მოისმა რაღაც ზმუილი... ეგ მენშევიკების ჰაეროპლანები ახმაურდენ და გაჯავრებულ კრაზანებივით ბზუილ-ბზუილით გაემართენ ავჭალისაკენ... გაჰფრინდენ ქალაქიდან... კარგად გათენდა... სულ იმ „აღმართისკენ“ ვიცქირები... იქიდან შემოვა წითელი ჯარი!.. რა იქნება!.. რა ხმები არ არის გავრცელებული! ფილიპე მახარაძე მოუძღვება წითელ არმიას თეთრი ცხენითო...

დილის 8 საათი იქნებოდა... თოვლ-ჭყაპიანი დილა... ცივა... გადმოჰკიდა წითელი ჯარის კავალერიამ თავი ავლაბრიდან ციციანოვის დაღმართზე... ჯარი სიმღერით მოემართება... ჩამოვიდნენ მუხრანის ხიდზე... აქ გზაში ჯარს დაუხვდენ სომხის წვრილი ვაჭრუკები... ბიჭ-ბუჭებით... ტომრებით გზის პი-რას გამოეტანათ თხილი, წაბლი, ვაშლი, სთავაზობდენ ჯარისკაცებს და შეს-ძახოდენ: ურაააა!.. ურააა! ჯარიც უპასუხებდა ურააააო! მოემართებოდა ხან სიმღერით... ხან მუსიკით... კავალერიას უკან მოჰყვა ქვეითი ჯარი და ამ სახით 25 თებერვალს საქ. დედა-ქალაქი ტფილისი გასაბჭოვდა...

ველოდეთ მთელი ის დღე... მთელი ის ღამე... ერთი კვირა... ორი კვირა და

ხელი არავის უხლია მოსახლეობისათვის. ყველაფერი დამშვიდდა... ცხოვრება თან და თან ნორმალურ კალაპოტში შევიდა (შედარებით, რასაკვირველია).

გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“ სამშაბათი, მარტის 22, №18 – 1921 წელი

ამ გაზეთში მეტად საგულისხმოა: „ოპერატიული ცნობა“ – მარტის 19-ს.

„ჩვენმა ნაწილებმა (წითელმა არმიამ) მარტის 18-ს დაიჭირეს ქ. ბათომი. მენშევიკურ საქართველოს მთავრობა იტალიის გემით წავიდა სტამბოლში საფრანგეთის ნაღმოსნების მფარველობით. ყველა განძეულობა და დიდი ქონება მთავრობამ თან წაიღო. პოლიტიკური ტუსაღები ათასამდე კაცი ციხიდან გამოუშვეს. 17-დან 18 მარტს მოეწყო რევკომი ციხიდან განთავისუფლებულ სერგო ქავთარაძის მეთაურობით. დანარჩენ ადგილებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა“.

დეპეშა ბათომიდან

1921 წ. მარტის 19-ს 21 საათ. და 55 წუთზე, №2 – მე-II არმიის მთავარსარდალს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-სარევოლუციო საბჭოს წევრს ორჯონიკიძეს.

„ჩემდამი რწმუნებული ნაწილები შევიდენ ბათომში 1921 წელს, მარტის 19-ს, 17 საათზე და 18 წუთზე. ქედასთან და აჭარისწყალთან მიახლოებისას ქემალისტების სარდლობამ ყოველივე ღონე იხმარა, რამდენიმე საათით ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა, ვითომდა გაუგებრობის მიზეზით. ქ. ბათომის ქუჩებში ბრძოლა არისო. მიუხედავად ამისა, ქ. ბათომის დასაჭერად წინ გაუშვი კავალერია. გზა და გზა ჩვენ გვხდებოდენ თავზარდაცემული ქემალისტები. ზოგი მათ შორის იყო დაჭრილი... გამოირკვა, რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალოები, რომელთაც განუზრახავთ ქალაქის დაკავება. ნაწილის უფროსი ჟლობა“.

ამ ნომერშია – „შეთანხმება სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე“. ეგ მოხდა ქუთაისში – გრ. ლორთქიფანიძესა (მენშევიკი) და მამია ორახელაშვილს შორის, აბელ ენუქიძისა და ალ. სვანიძის მონაწილეობით!

ამ გაზეთის ამ ნომრის არშიებზე მიწერილი მაქვს შემდეგი, რომელიც გადმომაქვს ამ რვეულში:

„ასე დასრულდა მენშევიკ-ბოლშევიკების ბრძოლა საქართველოში გაბატონებისათვის! სამი წელიწადი მენშევიკებმა ილაპარაკეს და ეწეოდენ „აღმშენებლობით“ მუშაობას! მათი ამ ხნის „მუშაობა“ ძირიანად უარყოფილ იქნა ქართველ ბოლშევიკებისაგან, რომელნიც შემოვიდნენ საქართველოში გარეშე ძალაზე დაყრდნობილი. ოთხი არმია მოაწვა და წალეკა საქართველო! ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი შემოესია საქართველოს ყოველი მხრივ! ასეთ ძალას

ვერ გაუმაგრდებოდა ჩვენი ჯარი, რომელსაც სრულებით არ ჰყოლია ცხენოსანი ჯარი; ნაცვლად ამისა კი ჰყავდა „სახალხო გვარდია“, რომელმაც დიდი ხარჯი იმსხვერპლა და სრულებით ვერ გაამართლა ის იმედები, რომელსაც მასზედ ამყარებდენ: ვერც პარტიულად (გადავიდნენ ბოლშევიკების მხარეზე გუნდ-გუნდად!) და ვერც სამხედრო ხელოვნების მიხედვით (ბევრ მათგანს თოფის სროლაც არ სცოდნოდა თურმე და უკან გამორბოდენ!). მენშევიკების მთავრობის შემადგენლობა გასულა ევროპაში, როგორც იუწყება ზემო აღნიშნული გაზეთის ცნობა, დიდი განძეულობით და სახელმწიფო სიმდიდრით! ამ განძეულობაშია გელათიდან ამასწინეთ წამოღებული მილიარდების სიმდიდრე, აგრეთვე ეხლა გატანილი, ლეონიდთან ერთად სიონისა და მცხეთის ფასდაუდებელი განძეულობა (მაშინ აგრე გვეგონა – ეს განძეულობაც თან წაიღეს, მაგრამ განძეულობა ესე ლეონიდს, ნაზარ ქუთათელს და არქიმ. პ. ჯაფარიძეს – მიწაში ჩაუფლავთ არქიელის სასახლის დერეფანში – გორაზე და ჩაულპიათ მიწაში). ჯერ არავინ იცის, ლეონიდე კათალიკოსიც გაჰყვა მენშევიკურ მთავრობას თუ სად არის ეხლა?! ან სად და ვის აბარია ეგ ჩვენი განძეულობა!..

მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩაგვყარა ლეონიდმა, მისმა უთაობამ და უხასიათობამ! მოკვდა მის ხელში საქ. ეკლესია! კირიონისათვის რო აგრე უცნაურად არ მოესპოთ სიცოცხლე, დღეს ის ნამდვილ მამობას გაუწევდა ჩვენს ეკლესიას, მეტის პატივისცემითაც მოეპყრობოდენ მას! დღეს უეპისკოპოსოდ არის დაგდებული დედა-ქალაქი! ეპ. პიროსმა ვერ გაბედა ტფილისში ჩამოსვლა თელავიდან! ზის ალბად თელავში ან ალავერდში, სჭამს, სვამს და ლაზღანდარობს! საკათ. საბჭო დეკ. ტყემალაძის თავმჯდომარეობით სდუმს და სძინავს. ამათ ხელშია ეკლესიის დარჩენილი განძეულობაცა და ფულიც... სჭამენ და ხელს ურევენ ყველაფერში, როგორც მოესურვებათ! ვინ არის მაგათი გამკითხავი?! ცინცაძე-მირიანოვ-კონტრიძე! – აი, საბჭოს წევრები! ერის კაცნი – მაჩაბელი, კასრაძე არც კი მიჰკარებიან მათ სიახლოეს! არც არა სხვებს ეძახიან, რათა ითათბირონ – რით და როგორ მოაწყონ ეკლესიის არსებობა ამ ახალ პირობებში! გამოაშკარავდა სრული გახრწნა ტფილისის სამღვდელოების „წრეებისა“! არ არის ცოცხალი ძალები, რომ ამოძრავდენ და არსებობის ნიადაგი მოიპოონ! ეს ერთი წელიწადია ჩამოვშორდი ამ „წრეებს“! მანამ კი მე მებრძოდენ, თითქოს მე მათ „ხელს უშლიდი ნაყოფიერ მოღვაწეობაში“ (დეკ. ცინცაძის ყვედრება!)! ლეონიდმა ერთ-ერთ თავის წერილობით მოხსენებაში საკათ. საბჭოსადმი „უნიჭო“ და „უუნაროდაც“ კი გამომაცხადა!.. ჩემთან „ბრძოლაში“ და „ხმაურობაში“ აჩვენებდენ საზოგადოებას თავიანთ „საქმიანობას“! ეხლა რომ რაიმე წინადადებებით შევიდე იმავ „წრეებში“, მაშინვე წამესევიან, დამიწყებენ კორტნას, მთელს სიმძიმეს ეკლესიური პასუხის მგებლობისას მე დამდებენ და თვითონ განზე გაძვრებიან ჩვეულებრივად! განსაკუთრებით გატვრენილია ყოველივე ინტრიგის მამამთავარი დეკ. კ. ცინცაძე; მეგობარი გაექცა მენშევიკებთან ერთად, იმაზე სწუხს – როდის დაუბრუნდება დეკ. ან. თოთიბაძე, ეს საქართველოს მხედრობის „პროტოპრესვიტერი“ ანუ „უფროსი ღვდელი“! ხოლო თვით კ. ცინცაძე კი ნოე ჟორდანიას „კარის პროტოპრესვიტერი“ იყო (ჯერ შვილი გაასვენა მისი, მერე

შვილი მოუნათლა!). ექსარხოსების დამქაშები მენშევიკების დამქაშებად იქცნენ! ეხლა შეეცდებიან ბოლშევიკებთან შეძრომას!..

საინტერესოა ევთიმე თაყაიშვილის ქცევა! ის, როგორც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრთაგანი (ნაც-დემოკრ.), გავიდა ქალაქიდან 25 თებერვალს ღამით! მიატოვა უპატრონოდ ეთნოგრაფიული საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის განძეულობა და მოჰკურცხლა! ბევრი იშვიათი ხელნაწერები თუ ნივთები თან წაუღია! მე კი ვეუბნებოდი – ასეთ ამბების მოლოდინში ნაადრევია განძეულობის შეკრება ტფილისში, ისინი უფრო შეინახებიან ადგილობრივად, როგორც დღემდე იყო დაცული თქო! მაგრამ თავისი გაიტანა და წასვლის წინა დღეებში სამი ფელეტონით გამოილაშქრა ამ აზრის საწინააღმდეგოდ! ვინ იცის რა მოუვა ჩვენს ძვირფასს განძეულობას?!

გაზეთი „სოც-ფედერალისტი“
კვირა – 27 მარტი, №23 – 1921 წელი

ამ ნომერში საყურადღებოა წერილი „გაცრუებული იმედები“. აქ სწერია: „ტფილისის მასწავლებელთა კავშირის გუშინდელი საერთო კრება საუკეთესო დემონსტრაცია იყო იმისი, თუ როგორ იმოქმედა საქ-ში მომხდარმა პოლიტიკურმა აქტმა არა ქართველ ინტელიგენციის ნაწილზე – მასწავლებლობაზე. გუშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდა ქართვ. ინტელიგენცია, რომ მომხდარმა ფაქტმა, რომელიც სრულიად ყალბად აქვთ წარმოდგენილი სხვებთან ერთად, სამწუხაროდ, არა ქართველ მასწავლებლობასაც – ფრთები გამოასხა ზოგიერთ მათგანს და თავისებურ, ძველებურ ჰანგზე აალაპარაკა“... შემდეგ მოყვანილია „ნაცნობი ჯგუფის“ გამოსვლა კრებაზე მალოჟავის მეთაურობით (ეგ „რუსი“), რომელსაც მხარს უმშვენებდენ არუტინიანცი, ნახაპეტოვი და ასეთები... ამათ არევ-დარევა და პროვოკაცია შეაქვთ კავშირში... და სასტიკად დამარცხდენ იმ ღამეს კრებაზე.

წარწერები ამ გაზეთის არშიებზე

მეც დავესწარი მასწავლებელთა კრებას „არტისტიულ საზოგადოების“ თეატრში! ეგ საშინჯი ფონი იყო არა ქართველთა გულნადების განხორციელებისათვის – საქართველოს გათელვა შეიძლება თუ არა! რუს-სომეხთაგან იყვნენ ძველი რეჟიმის პოპეჩიტელ – რუდოლფ, ინსპეკტორ სლოვინსკის ყოფილი აგენტები; ამათ თავშივე მოიტანეს იერიში, იყო ვიღაც რუსი, რომელიც სადღაც კერძო სასწავლებელში უნდა იყოს მასწავლებლად (მალოჟავია გვარად – კოჭლი, მახინჯი), ამან ასტეხა აურ-ზაური – „ჩვენ გვდევნიდით, ბოლშევიკები ხართო“! ეხლაც არ გვაცნობეთ კრების მოწვევა (ყველა გაზეთში იყო გამოცხადებული და ყველა სასწავლებელშიც ცნობა გაგზავნილი), შეკრებილ-

ხართ თქვენ, დაგიჭერიათ პარტერი და ლოჟები (მე დაუძახე: რო გვცოდნოდა თქვენი და თქვენთანათა მოსვლის ამბავი – რო მობრძანდებოდით, პირველ ადგილებს თქვენ შეგინახავდით, თქვენს მობრძანებამდე ფეხზე ვიდგებოდით თქო!.. სიცილი). ამას (მალოჟავს) შესძახა მთელმა თეატრმა: „დენიკინეც, დენიკინეც“! ენა მუცელში ჩაუვარდა და გაიპარა! ასევე წამოხტა საყვედურებით ვინმე არუტინიანი! ამას შესძახეს: „დაშნაკ! დაშნაკ“! გაჯავრდა: „მე დაშნაკი არ ვარო“! მე შევსძახე: „ბივში დაშნაკ“ თქო! (სიცილი). წამოდგა ვიღაც ტერტერიანციც საყვედურებით და ნატაციებით! ამას მხარი დაუჭირა მასწავლებელმა დიმ. დუმბაძემ, რომელმაც მიიღო თავმჯდომარე ალექსანდრე წერეთელიდან გამანადგურებელი პასუხი და... ჩაჯდენ!..

იყო საერთო შეთანხმებულ-დარაზმული გამოსვლა ქართველ მასწავლებელთა, განურჩევლად პარტიისა! კომუნისტმა კალანდაძემ ისეთი წიხლები უძღვნა „რუს-სომეხთა“ ყვავ-ყორნებს, რომ თავი დაიხოცეს! მათ უწოდა: „პრისლუჟნიკი სტარაგო, გრიაზნაგო ცარსკაგო საპოგაო“! იღრიალეს ბევრი, მაგრამ რას გააწყობდენ! მქუხარე სიტყვა წარმოსთქვა ალ. მდივანმა, სულ დაასამარა ესენი! დაცულ იქნა დიდის ტაქტით „ქართული ენის სახელმწიფოებრიობა“! ჯერ ქართულად იტყოდენ, შემდეგ თავმჯდომარე უთარგმნიდა რუსულად! სულ გულზე დასქდენ! შესანიშნავად თავმჯდომარეობდა და იძლეოდა გარკვეულ პასუხებს ალ. წეთერელი. კომუნისტებიდან მომხსენებლად გამოვიდა ვიღაც ყურულაშვილი (მგონი, ყურულიანცია): „მე ზავოდის მუშა ვარ, მასწავლებელი არაო და დაუწყო ჭკუის სწავლება და დარიგება ამოდენა კრებას, სადაც $^{2}/_{3}$ უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი იყვნენ! ჯერ ილაპარაკა ქართულად, მოჰყვა აბდა-უბდას, ვერაფერი აზრი ვერ გამოვიტანეთ მისი ლაპარაკიდან და შევსწუხდით ყველანი, გვრცხვენოდა; შემდეგ დაიწყო დამტვრეული რუსულით ლაპარაკი და ოფლში ვიწურებოდი! ეს დიდი შეცდომა იყო კომუნისტების მხრივ, რომ ასეთ მოუმზადებელ პირს გზავნიან ასეთ საპასუხის მგებლო კრებაზე! მაგრამ შემდეგ სხვებმა შეჰქმნეს კარგი შთაბეჭდილება...

ეს კრება მოვიგეთ, მაგრამ დიდი ბრძოლა გველოდება წინ... საჭიროა წინდახედული და გონიერი მოქმედება!.. მეტად საშიშ ხანაშია მრავალტანჯული საქართველო!...

ვმასწავლებლობ მეოცე ტეხნიკუმში (ყოფილი ქალთა მესამე გიმნაზია, აქ არის უმეტესი წილი სომხები, რუსები, ურიები, გერმანელები, ძლიერ ცოტა გადაგვარებული ქართველები, სხვა კიდევ ბევრი სჯულის ქალ-ვაჟნი), ვასწავლი 1920 წლის 15 იანვრიდან საქართველოს ისტორიას (რუსულად), ქართულ ენას და სიტყვიერებას. ანაფორაში ვარ, ჯვრით გამოჭიმული!.. დირექტორად არის ევგენი ჭოღოშვილი, კარგი მატემატიკოსი და ადმინისტრატორი!.. ჩინებულად მიმყავს საქმე! პატივისცემით და მორიდებით მეპყრობიან მოწაფეები! დისციპლინა მაქვს ჩინებული, უკვირთ სხვებს, როგორ გიჭირავთ მოწაფეები ხელშიო!.. ამ საგნებზე ჩემზე წინ ერთი წლის განმავლობაში სამი მასწავლებელი გამოიცვალა! ვერ შესძლეს ვერც საგნების დაძლევა და ვერც მოწაფეებს შეეგუენო!..

უკანასკნელი ნომერი – №58 – მენშევიკურ გაზეთ „ერთობისა“ 18 მარტი, პარასკევი – 1921 წლისა, გამოცემული ქ. ბათომში

ეს ნომერი გაზეთისა ნახევარი თაბახია, პატარა ფორმატისა, დაბეჭდილია მხოლოდ ერთ მხარეზე, მეორე სულ ცარიელია; გადმომცა ეგ ნომერი ბაგრატ მიქელაძემ, როგორც „ისტორიული“. მოწინავე წერილია ამ სათაურით: „სამშობლოსათვის“. აქ სწერია – „მძიმე ტრაგედიას განიცდის ქართველი ერი. მძიმე ხვედრი ხვდა წილად საქართ. მშრომელ ხალხს, მის დემოკრატიას. ჩრდილოეთიდან შემოსულმა კომუნისტურმა ძალამ დაიპყრო საქართველოს უდიდესი ნაწილი“... საქართველოს კვლავ შეეძლო გამობრუნება თავის საქმის და აღდგენა თავის ძლიერების. მაგრამ „იუდა ჟამს ეძიებდა და ჰა, იგი მან დღეს იხელთა“. და ჩვენც უეცრად გაგვიჩნდა ახალი ფრონტი. ანგორის მთავრობას განუზრახავს ბათომის ოლქის და ახალ-ქალაქის მაზრის ანექსია. ქ. ახალციხე-ახალქალაქის შესახებ მან ეს განზრახვა ვერ განახორციელა, რადგან რუსეთის კომუნისტურმა ჯარმა მასზე ადრე მოასწრო ამ მაზრების დაპყრობა. სამაგიეროდ ანგორას სურს მშვენიერი ბათომი მაინც ჩამოჭრას დღეს დაუძლურებულ საქართველოს სხეულს“ და სხვა...

მეორე წერილი: „ჩვენ დამარცხებაშიაც მძლავრი ვართ“ დ. თურდოსპირელისა. ეგ რომანტიკაა თავიდან ბოლომდე... „სტირის გული, სტირის!.. ეს არაა სრული სასოწარკვეთა... ჩვენ შეგვეძლო, თუ ყველანი სიკვდილის მსხვერპლად გადავიქცეოდით, ეს ხვედრი აგვეცდინა(?!) შენთვის!.. სიკვდილი ვერ შევსძელით, მალე დავმარცხდით... ახლა გამოვისყიდით სისუსტეს(?!)... ახლა ავმუშავდებით შენი მალე აღსადგენად(?!)... დარდად არ ჩაგყვეს, რომ შენი რაინდი თეთრი გიორგი საყვარელ მერანიდან გადმოიყვანეს... ის შურის ძიების ტყეებში გაჭრილა... ის მალე დაიბრუნებს(?!) თავის მერანს და გამამხნევებელ ყიჟინით კვლავ შემოირბენს მთელ საქართველოს... უწინარეს ყოვლისა შენთან შემოიჭრება თეთრი გიორგი, გადააგორებს მონობის ლოდს და აღგადგენს(!). მშვიდობით, ტკბილო მამულის ოცნებავ! მშვიდობით, გენაცვალე“!..

იმას კი არ სწერენ გაზეთში, რომ დღეს მიდიან იტალიის გემებით სტამბოლისაკენ, დატვირთული განძეულობით და ერის სიმდიდრით!..

კიდევ მოკლე შენიშვნა გაზეთში: „ბათომის ოლქი და ქემალი“... კიდევ – „ვრანგელი და რუსეთი“, „ომის გარშემო“. აქ სწერია სხვათა შორის: „ბათომის ქალაქის კომენდანტად დაინიშნა გენერ. კაკაბაძე. მასვე ექვემდებარება ნავთ სადგური და რკინის გზის სადგური“.

„ბრძანება ბათომის ციხე-სიმაგრის კომენდანტისა“ – თანახმად მთავარსარდლის ბრძანებისა, ა. წ. 17 მარტიდან ციხე-სიმაგრე „ბათომი“ – ცხადდება საალყო წესებზე“. შემდეგ მოყვანილია 6 პუნქტი ამ ბრძანებისა. ხელს აწერს – „ბათომის ციხე-სიმაგრის კომენდანტი გენერ. ფურცელაძე“. ამით თავდება მთელი ნომერი გაზეთისა.

მეორე, ცარიელ გვერდზე ასეთი წარწერა გამიკეთებია: „ეს არის უკანასკნელი ნომერი გაზეთ „ერთობისა“, რომელიც გამოუშვეს მენშევიკებმა

ბათომში. მთავრობა კი უკვე გემებზე ისხდა საქართველოდან გაზიდული ოქრო-ვეცხლით და განძეულობით! გავიდენ ევროპაში! დამყარდა საქართველოში კომუნისტური მთავრობა, რუსეთის წითელ არმიაზე დაყრდნობილი.

ლტოლვილები დაბრუნდენ ბათომიდან ტფილისს; ამათვის ბათომში დიდ-ძალი ფული დაურიგებიათ მთავრობას, ნახევარ-ნახევარი მილიონები (ბონები კიდევ ტრიალებდენ) და დიდ-ძალი ნივთები (ფართლეულობა)... დაბრუნდა დეკ. ან. თოთიბაძეც... ეს შეშინდა, როგორც სამხედრო ტაძრის (მთელი მხედრობის) ყოფილი „პროტოპრესვიტერი“... დაბრუნდა დიდ-ძალი ფულით და ქონებით (აქედანაც ბევრი რამ წაიღო სამხედრო ტაძრიდან, მიაფარ-მოაფარა სამშობლო სოფელში, ოზურგეთის მახლობლად, სოფ. მელექედურში). მისი მეგობარი დეკ. კ. ცინცაძე კი ქალაქში დარჩა, ეგ ნოე ჟორდანიას სასახლის „პროტოპრესვიტერი“ იყო... ეს აქვე აიღებდა „სასყიდელსა თვისსა“...

ოჰ! ღმერთო! რამდენი თვალთ-მაქცობა და ორ-პირობა ვნახე ამ მოკლე ხანში! სულ ყველანი ვქურდავდით სამშობლოს! ასეთი ქვეყანა როგორ უნდა გამკლავებოდა რუსეთის ოთხ არმიას, ზღვა ჯარს!?. გვიღალატა გვარდიამ! იმის მაგივრად, რომ კავალერია შეექმნათ და ერში „სიჭრელე“ არ შეეტანათ, გვარდია რო არ შეექნათ... და ყველანი ერთსულოვნად გამოსულიყვნენ, ვერ დაგვამარცხებდა ეს დიდი ჯარიც კი!

უფალი, სამშობლო და ჯარი, თავისი მშობელი ერით, უნდა იყოს ერთი! ასეთი ქვეყანაა მხოლოდ მტკიცე და უძლეველი!..

დღეს მეტად დაირღვა ქართველი ერის ორგანიზმი, დაიშალა... ერი! ქართლ-კახელებს დღესაც ვერ მოუნელებია „იმერლები“! ეს უკანასკნელნი კი თითქოს „საშოვარზედ“ იყვნენ წამოსულნი, სულ ძარცვა-გლეჯაზე და მექრთამეობაზე არიან...

მინაწერი „ჟამნის“ ბოლო – თავისუფალ ფურცლებზე: რუსეთის რევოლიუციაზე

1917-სა წელსა თებერვლის 27-სა მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია! დაიმხო რომანოვის სამეფო სახლი! საქართველოში დაარსდა „დროებითი მთავრობა“ – „ამიერკავკასიის კომისარიატი“.

საქ. ეკლესიის განთავისუფლებაზე

ერთმა ჯგუფმა: ეპ. ანტონიმ (გიორგაძე), დეკ. ნ. თალაქვაძემ, თედო საბოკიამ, სოსიკო მერკვილაძემ, დეკ. ვ. კარბელაშვილის, იპ. ვართაგავას, პ. ბარათაშვილის მონაწილეობით, შექმნა „12 მარტის აქტი“ მცხეთაში. ამ „აქტის“ მოგვარება განსაკუთრებით დამუშავდა დეკ. თალაქვაძის ბინაზე, სადაც 8 მარტს მოწვეულ იქნა თათბირზე ნოე ჟორდანია – ის მოიყვანა სოსიკო მერკვი-

ლაძემ; მოვიდა დარიის მონასტრიდან ანტონ ეპისკოპოზი. ამ მცირე კრებაზე მივიღეთ ნ. ჟორდანიასაგან პოლიტიკური დირექტივები ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

წინა დღეებში დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა თ. სახოკია, კახეთში პ. ბარათაშვილი, ტფილისი დაიმუშავა დეკ. თალაქვაძემ...

12 მარტისთვის ეპ. კირიონმა ვერ მოგვისწრო რუსეთიდან (ვიტებსკიდან). შეიკრიბნენ ყველა მღვდელ მთავრები. დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით, სვეტი-ცხოველში გამოვაცხადეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა, რაც ეუწყა დეპეშით პეტერბურგის „დროებით მთავრობას“, სინოდს და ამიერკავკასიის კომისარიატს!

ნოე ჟორდანიამ მცხეთაში გაგვატანა, თავის მაგივრად, ალექსანდრე ლომთათიძე, რომელმაც მცხეთის ეზოში პირველი სიტყვით მიმართა ზღვა ხალხს, ხოლო მეორე (ვრცელი) სიტყვით – დეკ. ნ. თალაქვაძემ (დაიბეჭდა „საქართველოში“, ორ ნომერში)[1].

შესდგა დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიისა ეპ. ლეონიდის თავმჯდომარეობით (ის ჩამოვიდა ფოთიდან)...

მეტად უთავ-ბოლოდ სწარმოებდა ახალ აღდგენილი ეკლესიის აპპარატის გამომუშავება! ექსარხოსების დროის ოინბაზები აქაც გაბატონდენ! მოინდომეს თავიანთი ბატონობისა და პრივილეგიების შენარჩუნება... გაიმართა შუღლი კათალიკოზობაზე. საზოგადოებრივი აზრი კათალიკოზად სახავდა და აშკარად ასახელებდა ეპ. კირიონს (საძაგლიშვილი), ექსარხოსების ყოფილი დამქაშები კი გარს ეხვიენ და ხელთ იგდეს ლეონიდი! ეს ერჩიათ ამათ კირიონს და ლეონიდის „სასარგებლოდ“ იღვწოდენ!..

საეკლესიო კრება

ამავ წლის ენკენისთვეში (8-ს) მოწვეულ იქმნა პირველი საეკლესი კრება, რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა-გამგეობის „დებულებანი“, ხოლო 17-ს – დღისით აირჩიეს კათალიკოსი – ხმის უმეტესობით (12) არჩეულ იქმნა ეპ. კირიონ, რამაც მეტად გააწიწმატა ლეონიდის მომხრეები და თვით ლეონიდიც!.. მაგიერში, იმავე დღეს საღამოთი, აირჩიეს საკათ. საბჭოს წევრნი. ამათში ორი მესამედი (12-დან) სულ კირიონის მოწინააღმდეგენი! არჩევა მოხდა მეტად არეულ სხდომაზე, სიით, ხელის აშვერით!

ამიტომ საკათ. საბჭოში გადავიდა „საარჩევნო ბრძოლის“ გაგრძელების პროცესი, რამაც, ტფილელი მიტროპოლიტის მეთაურობით, დიდი განხეთქილება შეიტანა ეკლესიის ცხოვრებაში! ეს განხეთქილება დაგვირგვინდა მარტყოფის ტრაგედიით 26-27 ივნისს (1918 წ.), როდესაც ერთი ტყვიით განგმირულ იქმნა კა-

1. გაზ. „საქართველო“, 19 მარტი, 1917, №63; გაზ. „საქართველო“, 21 მარტი, 1917, №64 *(გამომცემლის შენიშვნა).*

თალიკოზი კირიონი II!.. ის დაასაფლავეს სიონის ტაძარში 7 ივლისს, 1918 წელს... იმავ წლის ენკენისთვის 18-ს მოსწამლეს ქუთათელი მიტროპროლიტი ანტონი...

მეტად გახრწნილი აღმოჩნდა სინოდალური რეჟიმისაგან ტფილისის სამღვდელოება...

(იხ. ამავ რვეულის თავში შენიშვნები – მემუარული – 1917 წ. 27 თებერვლიდან).

საქართველოს დამოუკიდებლობა. 1918 წელი, 26 მაისი

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, „დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახით, მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობით (ნ. ჟორდანია).

ამა დღის პარლამენტის სხდომაზე მთავრობამ არ მიიწვია კათალიკოსი... მთავრობა უარყოფით ეპყრობოდა ეკლესიას. მიტროპ. ლეონიდი კი წაიყვანეს პარლამენტში ნაც-დემოკრატებმა! ლეონიდმა კი ჩაიჯინა გამოგზავნილ ავტომობილში ეპ. დავითი (კაჭახიძე), არქიმ. ნაზარი (ლეჟავა, პლატონ ექსარხოსის ჯაშუში, წინეთ ინოკენტისაც), სასახლეში შეიერთეს დეკ. ან. თოთიბაძე (ექსარხოსების „ერთგული“... კანდელაკი-კლიუჩარი), კათალიკოსი კი მიატოვეს გულ-დაწყვეტილი!

ამ დღეს (კვირა იყო) კათალიკოსი მწირველი იყო ანჩის-ხატში; წირვის გათავებისას შესანიშნავი მოძღვრებით მიმართა ხალხს, აუხსნა, მიულოცა მორწმუნეთ საქართველოს პოლიტიკურად აღდგენა... ისადილა ჩემსა... ელოდდა – სასახლეში მიმიწვევენ ზეიმზეო, მაგრამ არავინ მიიწვია... თავისიანებმაც ჩასწიხლეს... და სწორედ 26 მაისს მოჰკლეს კირიონი ზნეობრივად... უგუნურებმა...

შემდეგ ლეონიდი კათალიკოზად გამოაცხადა საკათ. საბჭომ <u>უარჩევნებოდ</u>! ამ გარემოებამ მეტად დასცა ეკლესიის პრესტიჟი საზოგადოების თვალში!.. ასევე უკანონოდ დასვეს (მოწამლულ) ქუთათელის კათედრაზე არქიმ. ნაზარი!..

საკათ. საბჭოში ერისკაცნი აღარ დადიოდნენ... აღარავითარი ნაყოფიერი მუშაობა აღარ სწარმოებდა... საკათ. საბჭოს წევრებმა სას. სემინარიის ქონება!.. სემინარია (უდროდ) დაჰღუპა მისმა „უკანასკნელმა“ რექტორმა, დეკ. კ. კეკელიძემ, რომელმაც, სხვათაშორის, ორას თუმნად (ბონებით!) „შეიძინა“ რექტორის მდიდარი ბინის მოწყობილება (იეროფეი რექტორმა „მოიწყო“ ეგ ბინა სამაგალითოდ); ამის მიხედვით ასევე გაიტაცეს სემინარიის ქონება სხვებმაც (მასწავლებლებმა!), თვით სასწავლებელი კი გადასცეს საერო მთავრობას, რომელმაც ის გიმნაზიად გადააკეთა, შემდეგ სულ მოსპო! შენობა (ახალი, ვაკეზე) და დარჩენილი ქონება (ბიბლიოთეკაც) უნივერსიტეტს გადასცა! თვით „რექტორიც“ – კეკელიძე ამავ უნივერსიტეტის „პროფესორად“ გახდა და 1920 წელში <u>ანაფორაც გაიხადა</u>! (შემდეგ ცოლიც <u>გამოიცვალა</u>!..).

სემინარიის ურწმუნო-უზნეო რექტორი, კორპორაციის ასეთივე შემადგენ-

ლობით, აბა, სარწმუნოების რა დამცველ დარაჯებად გამოდგებოდენ! რაც თვით არა ჰქონდათ, ის როგორ უნდა შთაენერგათ ახალ-გაზრდობისათვის?!. და (უდროოდ)... მოკვდა დიდებული ტფილისის სემინარია... ქართველ რექტორისა და პედაგოგების ხელში!..

იმავ 1920 წლის 2 იანვარს საკათ. საბჭოდან ლეონიდმა, თავისი დამქაშების შეგონებით და დახმარებით, გამოაძევა დეკ. თალაქვაძე, რომელიც ოპოზიციაში ედგათ საბჭოში და სცდილობდა ეკლესიის პრესტიჟის გამობრუნებას, ისევ აღდგენას, მაგრამ ამაოდ! მეტად გათახსირდა ჩვენი „მმართველობა“!..

1920 წლის ივლისის პირველ რიცხვებში მოწვეული იქმნა მეორე საეკლესიო კრება! მეტად შავ-რაზმული, რომელმაც სულ მიწასთან გაასწორა ჩვენი ეკლესიის პრესტიჟი ხალხის თვალში!

ამ კრების გახსნის წინაღამით, შაბათ საღამოს – 8 საათზე – მოჰკლეს მღ. ტიმოთე ბაკურაძე, რომელმაც კრების საყურადღებოდ გამოსცა პროკლამაციები, სადაც სასტიკად ილაშქრებდა ეკლესიის მართვა-გამგეობაში გაბატონებულ პირების წინააღმდეგ... იპოვნეს მის ბინაზე ბლომად პროკლამაციები!.. მკლელი კი... ვერა!

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან

დამფუძნებელი კრება კონსტიტუციას იმუშავებს, სადაც, სხვათა შორის, მიღებულია ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან. ეკლესიას მოერიენ მენშევიკები! მას ყველაფერი ჩამოართვეს! რაც სასულიერო მთავრობამ დააკლო ჩვენს უბედურ ეკლესიას, ის, ის საერო მთავრობამ შეუსრულა, გასთელეს ფეხ-ქვეშ ნაამაგდარი ქართველი ერის და კულტურის აღმზრდელი – დედა-ეკლესია!

სიტყვით იცავდა ლეონიდი ეკლესიას, საქმით კი ისა და მისი „მდივან-ბეგი“ დ. დავიდოვი ანიავებენ, როგორც ქონებრივად, ისე ზნეობრივად! ჩვენი ეკლესია გადააქციეს „განქორწინებათა“ ინსტიტუტად!.. დაბეგრეს ქალაქის ეკლესიები და სასაფლაოები 45%! ეს ფულები და სხვაც ლეონიდმა ჩაიჯიბა და წავიდა... ზოგიც სხვებმაც! ვინ არის ანგარიშის მომთხოვი!!

კონსტიტუცია მიიღო დამფუძნ. კრებამ ტფილისის დატოვების წინა დღით სხდომაზე!

გაძლიერდა ბოლშევიზმი!.. მან დაიპყრო ადერბაიჯანი, სომხეთი, ხოლო 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის წითელი არმია შემოესია საქართველოსაც... ტფილისის მიდამოებში გაიმართა დიდი ბრძოლა... 16-ს უკვე ვიცოდით, რომ ტფილისი უნდა დაეტოვებია მთავრობას; 19-ს ლეონიდი გადასახლდა დიდუბეში (აქ ვრცლად არის ზემოდ მემუარებში), საიდანაც ემზადებოდა იმერეთში გადასვლას, მეტად შეეშინდა ზარბაზნების გრიალისა და სამწყსოსთან სიკვდილისა!..

იმ დღესვე საქმე გამოკეთდა, ჩვენმა ჯარმა უკან დაახევინა მტერს... ლეონიდი გამოიყვანეს დიდუბიდან, პარაკლისი ახდევინეს სამხედრო ტაძრის ეზოში, სადაც სიტყვით მიმართა ხალხს, მაგრამ 24-ს ღამით უჩუმრა გავიდა ქალაქიდან

ქუთაისისაკენ, წაიღეს თან სიონისა და მცხეთის განძეულება (ამაზე იხილე მემუარების შენიშნები); ეპ. დავითიც თან წაიყვანა, ხოლო ქალაქი დარჩა „უმწყემსოდ“! ღვდლები კი (გარდა თოთიბაძისა) ყველანი დავრჩით და 9 მარტს დიდის ამბით დავასაფლავეთ ჩვენი ჯარისკაცები, კოჯრის მიდამოებში დახოცილნი, დიდძალ ხალხის თანადასწრებით; გამოვასვენეთ მიხეილის საავადმყოფოდან 33 კუბო! ასეთი დიდებული პროცესია და შთაბეჭდილება არ ახსოვს ტფილისს! (ამ პროცესიაზე იხილე ზემოდაც – „9 მარტი – ოთხშაბათი, 1921 წელი“).

25 თებერვალს შემოვიდა ტფილისში წითელი არმია. ჩვენმა ჯარმა იწყო შესანიშნავი წესიერებით უკან დახევა (24-ს ღამით შეუმჩნევლად დასტოვა ტფილისი, დაიხია ავჭალა-მცხეთაზე) გენ. კვინიტაძის მეთაურობით. ბრძოლით იხევდა უკან... მაგრამ გზა და გზა ქართლ-კახელები თითქმის სულ ჩამოშორდენ თავიანთ ნაწილებს და გაიფანტნენ, თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდენ; განაგრძობდა ბრძოლას ერთი მუჭა ჯარი! აიღეს ბოლშევიკებმა „ტუნელიც“!.. შემოუარეს სოხუმს სოჭიდან; ქუთაისს – მამისონის უღელტეხილიდან! შველა არსაიდან სჩანდა! ერთ მუჭა ქართველებზე შემოიყვანეს ოთხი არმია, მთელი რუსეთი!

ლეონიდი მოჰყვა ასეთ ცეცხლში! მეტად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა თვითონაც და დიდ განსაცდელში ჩააგდო ჩვენი ეკლესიის თვით-არსებობა. შესაძლებელია ავტოკეფალიაც დავკარგოთ!

ბოლშევიკების ბელადმა ფ. მახარაძემ გაზეთ „კომუნისტის“ №13-ში უყიჟინა „ლეონიდსა და მისს სამღვდელოებას, თუ როგორ გაძარცვეს მათ სახელმწიფო ქონება (იგულისხმება დეკ. კეკელიძისა და სხვათაგან სემინარიის ქონების გატაცება) და ეხლა მენშევიკებთან ერთად „გარბიან ბათომისაკენო“! ამისათვის მათ „ხელს არავინ გადაუსვამსო“!.. მეტად გაგვათახსირა ლეონიდის უთაობამ!..

ჩვენი ჯარი სულ იხევს ბათუმისაკენ! იბრძვის მხოლოდ დასავლეთი საქართველო! გამომჟღავნდა საშინელი შეუკავშირებლობა ჩვენი ერისა! არც არის იმედი ასე ამგვარად გახრწნილი ხალხის ეროვნულად შედუღებისა! საშინელი იუდა-გამცემლობის სურათია დღეს საქართველოში, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს უბედურ ქვეყანას! სრული ზნეობრივი დეგენერაციაა... განმეორდა ძველი სახე ქართველთა განხეთქილებისა, მხოლოდ სხვა სამოსელში – მენშევიზმ-ბოლშევიზმის სამოსელში, სოციალური განახლების თითქოს მოსახდენად! ნამდვილად კი სწარმოებს იგივე ეგოისტური მტაცებლობითი ბრძოლა – ვინ ვის მოერევა! სამი წელიწადი ბატონობდენ მენშევიკები! ეხლა გაბატონდენ ბოლშევიკები, რომელნიც ეყრდნობიან გარეშე ძალას...

14 მარტს ჩამოვარდა მებრძოლთა შორის 24 საათით დროებითი ზავი, შეთანხმებაზე მოსალაპარაკებლად; მოლაპარაკებას აწარმოებს მენშევიკებიდან ჟორდანიას მოადგილე ლორთქიფანიძე ქუთაისში, აქედან წავიდენ ბოლშევიკების ხელმძღვანელები (მამია ორახელაშვილი, ენუქიძე, სვანიძე)... 18 მარტს მოხდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეთანხმება ქუთაისში (ამავ დღეს მენშევიკების მთავრობა გასულა ბათომიდან გემებით სტამბოლისაკენ!)... ქემალ-ფაშა მოადგა აჭარა-ბათუმ-ახალციხეს! ამის გამო შესწყდა ომი რუს-ქართველთა შორის, მენშევიკებმა შეუშვეს წითელი ჯარი ბათომში იმ პირობით (აგრე ამბობდენ), რომ

ქართველმა ბოლშევიკებმა შემდეგ გაიყვანონ რუსის ჯარი საქართველოდან! დაიცვან ქვეყნის დამოუკიდებლობა და ეროვნული სახე ჩვენი. ქართველმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა ქემალისტები ბათომიდან და გარეკა ისინი იქიდანო!..

კათალიკოზ ლეონიდის დაბრუნება ტფილისში „ჟამნის“ წარწერიდან

დღეს, 12 აპრილს (1921 წ.), დილის $7^1/_2$ საათზე, ანჩის ხატის ქუჩით, ჩემი სახლის (ბინის) წინ, დავინახე – მობრძანდებოდა ფეხით – ქვეითად – კათალიკოზი ლეონიდი, პავლე არქიმანდრიტის თანხლებით; მოდიოდენ ტფ. სადგურიდან, დაბრუნდენ რა თავიანთ სამარცხვინო ლტოლვისაგან ბათომ-ქუთაისიდან! განძეულობა სიონ-მცხეთა-გელათისა თუ სხვა და სხვა მუზეუმებისა წაიღეს ევროპაშიო, ამბობენ – რომშიო! ე. თაყაიშვილი გაჰყოლია განძეულობას! ბევრიც დაკარგულა ჯერ კიდევ ბათუმში, სადაც დიდძალი ქონება გაიფლანგა საქართველოისა. მენშევიკურმა მთავრობამ გაზიდა ეს ქონება ქალაქიდან თუ სხვა ადგილებიდან იმ იმედით, რომ საქართველოდან ყოველივე ეს არ გავიდოდა სადმე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა...

ლეონიდზე ამბობდენ, რომ ისიც საზღვარგარეულ წავიდაო, მაგრამ, ეტყობა, არ წაიყვანეს;

...საკათ. საბჭოს ხელ-მძღვანელს – დეკ. კ. ცინცაძეს, ამ ათი დღის წინეთ, მიუმართავს „რევკომის“ თავმჯდომარე ფ. მახარაძისათვის წერილობითი წინადადებით და უთხოვნია: „კათალიკოსს სალონ-ვაგონი გაუგზავნეთ, რო ჩამობრძანდეს ტფილისშიო“! მახარაძე განცვიფრებულა ასეთი წინადადებით და უთქვამს: „ეს ხალხი ჭკუაზეა თუ არაო? ვსთქვათ, მე, პირადად რომც პატივის მცემელი ვიყო ლეონიდისა, ჩემი ამხანაგები რას იტყვიანო“?!. და აი, დღეს – ქვეითად – მოდიოდა უბედური კათალიკოსი უბედურ საქართველოის ეკლესიისა! ფეხით სიარული კი არ ამცირებს არც მას, არც ჩვენს ეკლესიას, მაგრამ ის შეუგნებლობა და საშინელი ქიშპობა, რომელიც მან გააჩაღა ამ ოთხი წლის განმავლობაში, აი, ამან კი მოგვიღო ბოლო! დეკ. ცინცაძე ისევ „სალონ-ვაგონებიდან“ ჰფიქრობს დღესაც ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობას! დეკ. ან. თოთიბაძეც ამ სამი დღის წინეთ დაბრუნდა „სილვტოლისაგან“! ესეც „ივლტოდა“ ბათომისაკენ! აქ დიდ-ძალი ფულები დაურიგებია მთავრობას... თოთიბაძესაც ბლომად ერგებოდა... ეხლა კი ისევ შემოვიდა ქალაქში.

კათალიკოსი ლეონიდი და ჩემი მასთან შეხვედრა

19 აპრილს კათალიკოზი საღამოს ლოცვაზე (დიდ-მარხვაა) შემობრძანდა ანჩის-ხატის ტაძარში. მე ლოცვად ვიდექი, ხელზე ვემთხვიე და მიულოცე „მშვიდობით დაბრუნება“. ლოცვის შემდეგ სასახლემდე მივაცილე. გზაში

მიამბო თავისი თავ-გადასავალი და დაურთო: „ნეტავი ღმერთს ენებებია ჩემი სიკვდილიო! რაღაა ჩემი სიცოცხლე?! ამას რას მოვესწარიო?!“ სასახლეშიც შევყევი; დამსვა და მიამბო თუ როგორ გავიდა ქალაქიდან! „მოულოდნელადო“! – „24 თებერვალს „წმ. ნინოს საზოგადოების“ მანდილოსნების კრება მქონდა, გვსურდა ლაზარეთი გაგვემართა ამ ჩემს სასახლეში ჩვენი ჯარისათვის! ყველანი გამარჯვების იმედით ვიყავით აღფრთოვანებული, მაგრამ... იმავ ღამის 11 საათზე შემოვიდა ჩემთან ფერ-წასული და აკანკალებული საკათ. საბჭოს წევრი დეკ. კ. ცინცაძე, რომელმაც მაცნობა, რომ ქალაქს თავს ანებებს ჩვენი მხედრობა და თავს უშველეო“. (წინეთაც ამ დეკანოზმა დააფრთხო კათალიკოსი, მაგრამ შემდეგ დეკ. ი. კაპანაძეს გადააბრალა!..) კათოლიკოსის წასვლის შემდეგ ამ დეკანოზებმა – ცინცაძე-კაპანაძემ, მ. ტყემალაძე და ბ. კონტრიძემ კინაღამ დაჰგლიჯეს ერთმანეთი! ძლივს გავაშველე საბჭოს შენობაში! – არა შენი ბრალი იყო კათალიკოზის აქედან წასვლა, არა შენიო! მე კი ცინცაძემ გადმომილაპარაკა – პირველად რო აპირებდა კათალიკოსი წასვლას, „ეს აქ ველარ დაბრუნდებაო“!.. დ. დავითაშვილმა ოსტატურად მიუშვა ეგ ხეპრე დეკანოზები ერთმანეთზე! თვითონ კი ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერ შუაში იყო! თითქოს არც კი ურჩევდა კათალიკოზს ქალაქიდან გასვლას! თვით დ. დავითაშვილიც, ბოლშევიკების ქალაქში შემოსვლის ღამეს, გაქცეულა თავისი ძმის სახლში (ზახარი ალექსეევიჩთან), ანდრეევის ქუჩაზე! კათალიკოზის სასახლე, კანცელიარია და სხვა ყველაფერი უპატრონოდ იყო დაგდებული! ეს ყველაფერი ჩავაბარე მე მოქალაქეთაგან არჩეულ პატრულს, რომელსაც მეთაურობდა ილია თალაქვაძე, შიგ მონაწილეობდა რაჟდენ მირიანაშვილი (დახვრიტეს შემდეგ ბოლშევიკებმა „სპეკულიაციისათვის“, შეძლებული ვაჭარ-თაგანი იყო, ჩემი მრევლთაგანი). მეც, – განაგრძო კათალიკოზმა – ავდექი და ჩემი კელეინიკით ფეხით წავედი სადგურზეო (ნამდვილად კი, ვიცი, ლინეიკით წაბრძანებულა არქიმ. პ. ჯაფარიძით, განძეულობით, ათანასე ბერით და ეპ. დავითით!). დიდის ვაი-ვაგლახით დ. ჭავჭავაძემ ჩამსვა ვაგონშიო. სადგ. კასპის ქვემოდ, „რაზიეზდზე“, ჩვენს მატარებელს მოხსნეს ორთქლ-მავალი და დაგვყარეს გზაში. ამ დროს გორიდან ჩამოიქროლა მატარებელმა, რომელშიდაც იყვნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვანი. ესენი მიუბრუნდნენ ქალაქიდან გამოსულებს, ამხნევებდენ მათ და მოუწოდებდენ: „დაბრუნდით უკან! საქმე ცუდად არ არის! მტერს შევებრძოლოთო“! მაგრამ მათ არავინ გაჰყვა ტფილისში! მე გორში ჩაველ, იმედი მომეცა – იქნებ საქმე გამობრუნდეს და უფრო შორს წასვლა აღარ დამჭირდეს თქო! გორში წელთამდე ტალახში ვტოპე! ხალხი გარს მეხვეოდა და ქალაქის ამბავს მეკითხებოდა: „მართლა განადგურებულია ქალაქი და ხალხი ამოჟლიტესო?!“ ზოგი მამას ჰკითხულობდა, ზოგი ძმას, ზოგი ცოლს და ასე! იმ ღამეს გორში დავრჩი. მეორე დილით რო გამოვიხედე გარეთ, დავინახე, რომ გორში იდგა, ირეოდა და ფუს-ფუსებდა ზღვა ჯარი, ქართველი ჯარის კაცები, ქართლელები, რომელნიც გაჰქცეოდენ თავიანთ უფროსებს და თავის სოფლებისაკენ გარბოდენ! ზოგს ორი თოფი ჰქონდა მხარზე, ზოგს სამი და დიდ-ძალი ნაძარცვი!..

მაშინ ვინატრე სიკვდილი! თუ რატომ შემასწრო ღმერთმა მენახა გათახსირება იმ ხალხისა, რომელსაც მე მუდამ ვსთვლიდი საქართველოს ბურჯად და მისთვის თავდადებულად!

გავედი სადგურზე... დავინახე ნოე ჟორდანია, უკვე მარტოდ! არავინ ზედ აღარ უცქეროდა! ყველანი თავის საქმეზე ჰფიქრობდა! როგორც იყო ჩავჯექი ვაგონში და წაველ ქუთაისისაკენ... გელათში აველ! მაგრამ... თავ-ზარი დამეცა! ისინი, ვისაც ქალაქიდან გამოვექეცი, მამისონის უღელ-ტეხილიდან, 15 ალაბ თოვლზე გადმოსულიყვნენ და წინ დამიხვდნენ!..

აუოხრებიათ იმერეთის სოფლები, სასიმინდეებიდან ჰყრიდენ სიმინდს და აჭმევდენ ცხენებს და ვინ იცის, კიდევ რას არ სჩადიოდენო!..

ქუთაისში ხალხი მეტად თავ-დაჭერილად მიეგებნენ... შუბლი არ გაუხსნეს... მთავრობა ბათუმში წავიდა და ჩვენი განძეულობაც თან წაიღეს (ეს ტყუილი სთქვა ლეონიდმა, აქედან წაღებული მცხეთა-სიონის განძეულობა არქიელის გორაზე ჩაეფლათ მიწაში – არქიელის სახლის დერეფანში... საიდუმლოდ: მას, ნაზარ ქუთათელს და პ. არქიმანდრიტს).

დიდი პანიკა გამოიწვიეს ქუთათურმა ურიებმა, რომელნიც დატვირთული ურმებით გარბოდენ სოფლად!.. ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი კარგად არისო... მისი სახლი კაცი, ექიმი შანშე ლეჟავა შემოუძღვა ბოლშევიკებს რაჭიდან ქუთაისშიო!.. (კათალიკოზი ბათომშიდაც უნდა ყოფილიყოს წასული, მაგრამ ეს მან პირდაპირ არ სთქვა, ისე მითხრეს კი, რომ ის ბათუმის ნავთსადგურზე უნახავთ, სურდა საზღვარ გარეთ გასვლა, მაგრამ მთავრობამ აღარ წაიყვანა, დიდ ძალი ფული მისცეს მაგას და თოთიბაძესაცო!)...

კათალიკოსმა ბრძანა: „ბათომში გამოირკვა ღალატი ჩვენი „ინტენდანტებისა“: ჯარი ყოფილა თოფ-ქვეშა ათი-ათასი კაცი, ხარჯი კი და ჯამაგირი იწერებოდა-იხარჯებოდა ოცდაათი ათასი კაცისაო! დიდი გახრწნილება ყოფილა ამ უღვთო, უსჯულო მართვა-გამგეობაშიო“! – დაასრულა მან ბაასი და დავშორდით ერთმანეთს.

1921 წელი
კათოლიკოზ ლეონიდის გარდაცვალებისა გამო (სახსოვარი)

1921-სა წელსა ივლისის 11-სა (ახ. სტ.) დღესა, ორშაბათს საღამოს $5^1/_2$ საათზე, თვისს სასახლეში გარდაიცვალა მეორე კათოლიკოზი საქართველოს ეკლესიისა დღიდან რუსეთის სინოდისაგან განთავისუფლებისა – ლეონიდი – ოქროპირიძე. გარდაიცვალა ხოლერისაგან, რომელიც შემდეგ გადავიდა თირკმელების ანთებაზე, შარდი შეეხუთა და სისხლი მოეწამლა. ამ სახით დღიდან ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენისა ასე უდროოდ ზედი-ზედ გარდაიცვალა სამი იერარქი, კირიონ II, კათოლიკოზი, ამორჩეული 1-ლ საეკლესიო კრებისაგან 1917 წლის 17 სეკტემბერს, აწ უცნაურად მოკლული მარტყოფის მონასტერში 1918 წლის 27 ივნისს; ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგა-

ძე), – მოწამლული იმავ 1918 წლის 18 სეკტემბერს (ახ. სტ.) სიძისაგან ვიღაცასი შეჩენით ქ. თბილისიდან (1918 წლის 18 აგვისტოს (ძვ. სტ.). როდესაც ბიძა ჩემი, იღუმენი სოფრონი (გელათში) დავასაფლავე და ქუთაისში შევიარე ანტონთან, სადილზე მისი სიძის (იყო ფინლიანდიელი – გვარი აღარ მახსოვს) თანადასწრებით განმიცხადა: სადილის დროს, ვიყავით მხოლოდ ჩვენ სამი: „მამაო ნიკიტა, ჩემი მოწამვლა უნდათო“! ამაზე მე ვუპასუხე: „ნუ ხართ ბერები ასეთი საოცარი ხალხი, აბა ვის რად უნდა შენი მოწამვლა თქო“! – ამაზე მომიგო: „მე არ გეხუმრები, მართლა სურთ ვიღაცებს ჩემი თავიდან მოშორებაო, აბა კითხეთ ამ ჩემს სიძეს, მართალს ვამბობთ თუ არაო“! ამ დროს მისი სიძე იყო თავჩაღუნული და მათლაბიდან სუფს მიირთმევდა. მიუბრუნდა ანტონი და ჰკითხა: „კოლია, სთქვი მამა ნიკიტასთან, ხო იცი ამასთან მე დაფარული არა მაქვს, რამდენი გაძლიეს ჩემი მოწამვლისათვის“? აიღო თავი სიძემ და მოურიდებლად განმიცხადა: „შემომაძლიეს ტფილისში, ერთ ოჯახში, ათი ათასი მანეთიო“ (10.000 მანეთი). (მაშინ ეს კარგ ფულად ითვლებოდა). მე გაუწყერი „სიძეს“, – „ან როგორ გაგიბედეს შენ ასეთი წინადადების მოცემა და თუ გაგიბედეს, ამას რად ეუბნებოდი, ეს კაცი უკვე მოგიწამლავს კიდეც ასეთი საშინელი და უცნაური ამბითა თქო“! ვეღარ ჩავეკითხე, თუ ვის ოჯახში, ან ვინ მისცა ასეთი საშინელი წინადადება სიძეს, – სიმამრის მოსაწამლავად! მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა; როგორც იყო სადილი დავასრულე და ტფილისში დავბრუნდი; არ გასულა დიდი დრო ამის შემდეგ და ტფილისიდან იმერეთში წამიყვანა მრევლმა ვარაზაშვილმა სოფ. ცხრუკეთში ცოლის დასაფლავებაზე (დეკ. ი. წერეთლის ასულ ვერასი); აქ რვა ენკენისთვეს (ძვ. სტ.) ღვთისმშობლობა დღეს მოვიდა ამბავი, რომ ქუთათელი ანტონი გარდაიცვალაო! მეორე დღეს მე ცხრუკეთიდან ქუთაისში გავემგზავრე; რიონის სადგურზე გავიგე, რომ ტფილისიდან წამოსულან ქუთათელის დასასაფლავებლად ტფილელი მიტროპოლიტი – მოსაყდრე კათოლიკოზისა ლეონიდი, თან ახლდნენ დეკანოზები კ. ცინცაძე, ან. თოთიბაძე, ათანასე ბერი და ხაზინადარი მეხუზლა; ამათთანავე მგზავრობდა არქიმანდრიტი ნაზარი, მოსისხლე მტერი ქუთათელისა (ლეჟავა, ჯიხაიშელი), აგენტ-ჯაშუში ინოკენტისა და პლატონ (უკანასკნელი) ექსარხოსებისა. ასეთ პირებისაგან მსურდა განწმენდილიყო ჩვენი სამღვდელოება და მოვითხოვე, რათა ესა და დეკ. მ. ტყემალაძე არ შესულიყვნენ ჩვენი ეკლესიის დროებით მმართველობაში, რომ ეკლესიის განახლების პრესტიჟი არ დაცემულიყო, მაგრამ ლეონიდმა და მისმა მესაიდუმლე დ. დავითაშვილმა თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად სწორეთ ასეთი ელემენტებით გარს შემოიზღუდენ, შეადგინეს ექსარხოსების ყოფილ დამქაშებისაგან ძლიერ წრე, და გამომიცხადეს სასტიკი ბრძოლა მე და ქუთათელს, რომელიც კრებისაგან არჩეულ კათოლიკოზ კირიონს ვიცავდით შემოსეულ მოსისხლე მოწინააღმდეგეთაგან. ამ ბრძოლაში დაიღუპა კირიონი, დამარცხდა ჩვენი ეკლესიის განახლების და აღორძინების საქმე, დავმარცხდი მეც; ჯერ დავითაშვილმა გამომიწვია სამედიატარო სამართალში, რომელიც ჯერაც არ შემდგარა, შემდეგ ნაზარმა გამომიწვია სამედიატარო სამართალში, რომელიც შესდგა; მაგრამ თავმჯდომარე სასამართლოსი ივ. ზურაბიშვილი, სიძე ნიკო ნი-

კოლაძესი (ესეც ჯიხაიშელია) და მფარველობდა ნაზარ ლეჟავას – მისს მეზობელ და ნათესავს. ეს შემდეგ გამოირკვა ჩემ მედიატორეთათვის (კოლა ერისთავი და ქართველიშვილი); ამ სასამართლომ, რომელიც დასრულდა ანტონის დასაფლავების შემდეგ (შესდგა კი კირიონი რომ განგმირული ესვენა კუბოში ანჩისხატის ტაძარში), ორთავეს საყვედური გამოგვიცხადა ასეთ „საქციელისათვის“, – რომ ჩვენ სხვებს უნდა მაგალითს ვაძლევდეთ და სხვა. დაიწერა ვრცელი განჩინება, ნოტაციებით აღსავსე, არსებითად კი ბრალდებებს არ შეხებიან, არც დაუბეჭდავთ გაზეთში („საქართველო“) ეს განჩინება. თურმე გზას უკაფავდენ ნაზარს ქუთაისის კათედრისაკენ და რაღას გამოამჟღავნებდენ, მას მედიატარეებათ ჰყავდათ გურამიშვილი – ქვისლი იმავ ნიკო ნიკოლაძისა და ივ. აფხაზი. ლეონიდი და ანტონ ქუთათელი მეტად გამწვავებულ ურთიერთობაში იყვნენ, ლეონიდი ფსევდონიმების ქვეშ გამოდიოდა კირიონისა და ანტონის წინააღმდეგ ჟურნალ (კვირეულ) „ახალ სიტყვაში“, იყო მაგარი ფსევდონიმით „ჭინჭარი“, „ბაბასთან“ და სხვ. ამ ჟურნალის რედაქტორათ ითვლებოდა დეკ. ქრ. ციცქიშვილი, კაცი თავმოყვარე და თან თავსუბუქი, ფაქტიური ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ამ „ორგანოსი“ იყო პეტრე-პავლეს სასაფლაოს მღვდელი (შემდეგ ციცქიშვილთან ერთად გადეკანოზებული ლეონიდისაგან) ილია შუბლაძე, კაცი მოსისხლე და მზაკვარი, თან ნიჭიერი და მარჯვე-თაღლითური მწერალი. ეს მღვდელი წინეთ იყო რუსების ალექსანდრე ნეველის (კიროჩნი ქუჩა) ეკლესიაში მთავარ-დიაკონის ადგილზე, აქედან გამოძიებით, რომელსაც აწარმოებდა წევრი ს. კანტორისა ეპ. ანტონი (შემდეგ ქუთათელი) გადაყვანილ იქმნა პეტრე-პავლეზე, რის გამო ძლიერ ემტერებოდა ანტონს; ეს მღვდელი მეტად ანტიპატიურად მოიხსენია კათოლიკოზმა კირიონმაც საკათ. საბჭოში, ეს მიუტანეს შუბლაძეს ამბათ და გადაჰკიდეს მტრად კირიონს; არც ერთი ნომერი არ გამოუშვიათ „ახ. სიტყვისა“, სადაც არ ყოფილიყოს შეურაცხყოფილ-დამცირებული (რასაკვირველია უმართლოდ) კირიონი, ანტონი და მე. ბოლოს დაიბეჭდა ასეთი სათაურის სტატია: „კათოლიკოზი კირიონის წირვა და სიონის წაპილწვა“, „ჯაჭვაძის“ ხელმოწერით (ეს შუბლაძის ფსევდონიმია, – აწერდა „ახუთელს“, „ახალს“, „ნაჭყებია“, „ჯაჭვაძეს“ და სხვა). ანტონ ქუთათელი ჩაითრია პოლემიკაში „ჭინჭარმა“ (ლეონიდმა) და სამედიატორო სამართალი დაინიშნა რედაქტორ – ციცქიშვილსა და ანტონს შორის, ვინაიდან არ გასცეს „ჭინჭარი“; მაგრამ ეს სამართალი აღარ დასცალდა უბედურ ანტონს – ის უცნაურად დაიღუპა, როგორც კირიონი; მისი ნაწლავები სპირტით ჩამოიტანეს ქალაქში და ანალიზით აღმოჩნდა შიგ საწამლავები, ჰქონდა ეს ხელთ ექიმს ლომოურს; მაგრამ არც კირიონისა და არც ანტონის დაღუპვას მენშევიკურმა მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია; ამათ საზოგადოების აშფოთება არ უნდოდათ, რომ თავიანთი გაბატონების და ეკლესიის დაცემის პროცესი უფრო მარჯვეთ ეწარმოებიათ....

არქიმანდრიტმა ნაზარმა რომ რიონის სადგურზე დამინახა, დაიმალა; მე არ მელოდნენ ესენი, თუ ასე მოულოდნელად თავს წავადგებოდი; ნაზარი სიონისკენ გაიპარა, სოფ. ჯიხაიშში; ჩვენ კი ავედით და დავასაფლავეთ უბედური ანტონი. ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა იყო მოწამვლაზე, ალბათ ის, რაც მე

მითხრა ანტონმა, სხვასაც უთხრა; გასჭრეს მიცვალებულის გვამი, „სისხლი ავარდნია თავშიო“, – დაასკვნეს. ერთმა ექიმმა ლოსაბერიძემ ასეთი სისულელეც კი მითხრა: „სისხლჭარბი კაცი იყო, ქალი (დედაკაცი) ვერ იშოვნა და იმით მოუვიდაო“... ამაზე საკადრისი პასუხი მივეცი ასეთ „მეცნიერს“... დიდის ზეიმით დასაფლავდა ანტონი. სიტყვები წარმოსთქვეს ტაძარში ანტონის სკოლის ამხანაგებმა – მისმა „მეგობრებმა“ (ნამდვილად კი იუდებმა) დეკანოზებმა ცინცაძემ და თოთიბაძემ – უსულ-გულო მშრალი; ასეთივე უსულგულო და მშრალი სიტყვა წარმოსთქვა ჭყონდიდელმა, სკოლის ამხანაგმა ანტონისამ; ამბროსიც გადაუდგა ანტონს; ამბროსის ლეონიდის კათოლიკოზობის დროს ტფილელობა სურდა, ამისი წინააღმდეგი ვიყავით ანტონიცა და მეც. ამიტომ გადაგვიდგა ამბროსიც. ამ სახით დავრჩით სრულიად განმარტოებულნი, – ტფილელობამ რა როლი ითამაშა, ჩვენ უკვე ვიგემეთ და აღარ გვსურდა გაგრძელებულიყო დამღუპველი შფოთი... წირვაზე მეც წარმოვსთქვი ვრცელი სიტყვა, დიდად ვამხილე ინტრიგანები. ეს სიტყვა იოსებ იმედაშვილს შერჩა ხელში, ვერ მოვახერხე „თეატრ და ცხოვრებაში“ მისი დაბეჭდვა, სადაც კირიონზე წარმოთქმული ჩემი სიტყვა დამიბეჭდა და ლეონიდი თავისი დამქაშებით შემოსწყრენ...

ანტონის დასაფლავების შემდეგ ჩქარის ტემპით, ყოველივე კანონიერი გზის გარეშე, საეპარქიო საბჭომ აირჩია ქუთათელად ზემოხსენებული ნაზარი, ამაზე პროტესტი განვაცხადე საკათ. საბჭოში, მაგრამ უშედეგოდ; მალე ასეთივე უკანონო გზით კათოლიკოზად გამოაცხადა საკათ. საბჭომ მიტროპ. ლეონიდი. ნაზარსა და ლეონიდს შორის გაიმართა მტრობა, შუღლი, ნაზარი აღარ ემორჩილებოდა ლეონიდს, საშინელი თვითნებობა დაიჩემა მართვა-გამგეობაში და საკათ. საბჭო უნდებოდა იმერეთიდან მოსული საჩივრების გარჩევას. აერივ-დაერია საქმეები ფოთში ჭყონდიდელ ამბროსისაც, იქ აღარ ედგომებოდა და აფხაზეთში გადავიდა დიდი ზარით და ზეიმით; პოლიტიკურ მოსაზრებით მთავრობამ ხელი შეუწყო აფხაზეთის ეპარქიის ქართულად მოწყობას; ლეონიდიც წაბრძანდა სოხუმში და დიდის ამბით დასვეს იქ ამბროსი; ხოლო ფოთში 1920 წლის ივლისის მეორე საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტად დაადგინა ეპ. გიორგი (ალადაშვილი, რომელიც 1917 წელს გამოაძევეს ქუთაისიდან უმართლოდ).

ეკლესიური ცხოვრება არ დაეწყო, არავითარი დალაგებული მუშაობა არ სწარმოებდა; ტფილისში გაბატონდა ექსარხოსის კანცელარიის ყოფილი მოხელე ცნობილი მექრთამე და გარყვნილი (ბოზი) კაცი დ. დავითაშვილი. ამან იმსხვერპლა ჩვენი ეკლესიის განახლების და განმტკიცების საქმე. ლეონიდი ჰყავდა ჩაჭერილი ხელში, ბევრი მისი სუსტი მხარეები იცოდა, ბევრი საიდუმლოებანიც და ხმას ვერა სცემდა. შევებრძოლე დ. დავითაშვილს, მაგრამ დავმარცხდი და 1920 წ. 2 იანვრიდან გამაძევეს საკათ. საბჭოდან იმ დოკუმენტის გამო, რომელიც იპოვეს ქუთათელის კაბინეტში და გადმოუგზავნეს ლეონიდს ნაზარმა და მისმა მდივანმა თუთბერიძემ. ეს დოკუმენტი იყო გეგმა მე და ანტონის მიერ გამომუშავებული ეკლესიაში გადატრიალების მოსახდენად კირიონის დაღუპვის შემდეგ. გეგმა გეგმადვე დარჩა ანტონის დაღუპვის შემდეგ, მე კი თავზე წამომაკეცეს; თურმე მთელი წელიწადი ხელთ ჰქონდათ ეს დოკუმენტი

და მე კი არ ვიცოდი. საკათ. საბჭოში კი სისხლს მიშრობდენ ლეონიდი, დეკ. ცინცაძე და მათი დამქაშები, დავითაშვილი ქუჩაში გადამიდგა წინ, დედა მაგინა და საცემრად იწია; ეს განვასახიერე საკათ. საბჭოში, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. ყველამ დავითაშვილს და ლეონიდს დაუჭირეს მხარი; განსაკუთრებით მებრძოდა დეკ. კ. კეკელიძე, რომელმაც დაღუპა ტფილისის სემინარია და შემდეგ ნივთიერადაც გასძარცვა – გაჰქურდა (ეხლა გაიხადა ანაფორა და „პროფესორობს"!). გაშმაგებული მებრძოდნენ. ლეონიდმა შემოიტანა საკათ. საბჭოში წერილობითი მოხსენება, სადაც ის მასახელებდა, როგორც „ანტისოციალურ, უნიჭო და უუნარო" პიროვნებას და მოითხოვდა ჩემს შესახებ ზომების მიღებას; ეს ორომტრიალი დასრულდა 1920 წლის 2 იანვარს კრებით, რის განჩინების შესახებ ვრცელი დასაბუთებული მოხსენებით შევედი საკათ. საბჭოში, განვმარტე ზემოაღნიშნული „დოკუმენტი", წარუყენე მთელი ნუსხა ბრალდებებისა, ვითხოვდი საეკლესიო კრებისადმი სამსჯავროდ გადაცემას; მაგრამ 1920 წლის საეკლესიო კრება აღმოჩნდა თაღლითურად მოწვეული, რეაქციონურ შემადგენლობისა, – ამ კრებამ დაუდასტურა ლეონიდს ყოველივე მისი მოქმედება და უკანონობანი, აღუდგინა ეპისკოპატს მონარქიული უფლებანი, გააუქმა ეპარქიალური საბჭოები და სხვა. მიუხედავად ამისა, კრებამ საუმჯობესოდ სცნო ჩემს საქმეს და კირიონ-ანტონის დაღუპვის საქმეს არ შეხებოდა; კომისიამ იასონ აფაქიძის მეთაურობით განიხილა ჩემი „დოკუმენტი" და შინ ვერა ჰპოვა რა ანტისოციალური და რაიმე დანაშაული. ასე მითხრა აფაქიძემ: „ერთი შენისთანა ერთგული კაცი რომ ლეონიდს ჰყავდეს, მაგის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო, სულ თაღლითი და თვალთმაქცი ხალხი ახვევია გარს, მაგრამ ამ წრის დარღვევას შენ ვერ შესძლებ, დაიღუპებიო". ამ საეკლესიო კრების გახსნის წინა ღამით ვერაგულად მოჰკლეს ლეონიდის დიდი მოწინააღმდეგე მღ. ტიმოთე ბაკურაძე, რომელსაც კრებისათვის დიდ-ძალი პროკლამაცია დაებეჭდა და ავრცელებდა. მოჰკლეს ეს მღვდელი იმათ, ვის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, ცოლს გადააბრალეს, მაგრამ ეს ბრალდება არ გამართლდა. ამ მკვლელობამაც ასე ჩაიარა... წინეთ 1919-ში მოჰკლეს მცხეთაში არმაზის ბერი მირიანი, მოწინააღმდეგე ლეონიდისა და კირიონის ერთგული... ეს მკვლელობაც ჩაფუჩეჩდა... ასე სისხლით მოირწყო ჩვენი ეკლესია, პოლიტიკურ-სოციალურ დუღილში ეკლესიას არ აღმოუჩნდა პატრონი, ის უფრო და უფრო დაეცა, გაიხრწნა, სოფლის სამღვდელოება კულაკ-სპეკულიანტებად გადაიქცა, ქალაქის სამღვდელოებაში დაეცა ყოველივე დისციპლინა – აღარც წირვა-ლოცვა, არც გალობა-მოძღვრება, მხოლოდ ერთი ნაწილი ჩვენი ბრმა საზოგადოებისა განაგრძობდა მიცვალებულების მოსვენებას ქაშვეთში, სადაც ზოგჯერ კათოლიკოზსაც მოიწვევდნენ ხოლმე და ფულს „აჩუქებდენ" – ძღებოდენ ქაშვეთის მღვდლები და მათი ერთგულნი!.. ქალაქის სასაფლაოს ეკლესიები და დიდუბე, ვერა, მამა-დავითი იძარცვებოდენ მათი წინამძღვრებისაგან; ზოგჯერ ლეონიდსაც დაჰპატიჟებდენ დავითაშვილითურთ, გააძღობდენ და ეტლით გამოისტუმრებდენ შინ. აი, რაში გამოიხატებოდა მთელი ეკლესიური ცხოვრება ამ ხნის განმავლობაში. საკათ. საბჭოს ვერც ახალმა შემადგენლობამ უშველა

საქმეს... გაიხრწნა, გაიქურდა ყველაფერი. ნაზარმა გელათის ბერებს მისცა ნება შემონახული ოქრო-ვერცხლის ნივთებისა და ფულების ურიებზე გაყიდვისა, ეს საბაბად გამოიყენა ჟორდანიას მთავრობამ და მთელი განძეულობა ჩამოართვეს გელათს და სხვა მონასტერ-ეკლესიებსაც დასავლეთ საქართველოში. ამაზე ლეონიდმა ცხარე და უტაქტო წერილი მისწერა ჟორდანიას, მერე პირადად მივიდა საკათ. საბჭოს წევრებით, ამათ კი არ სცოდნიათ, თუ წერილია მიწერილი; წერილი დავითაშვილის თანამშრომლობით ყოფილიყო დაწერილი; ლეონიდმა დაუწყო ჟორდანიას ყვირილი, წყევა, შეჩვენება, ჟორდანია ადგა, მეორე ოთახში გავიდა და კათოლიკოზი იძულებული გახდა შეურაცხყოფილი დაბრუნებულიყო სახლში; ამას მოჰყვა ლეონიდსა და საკათ. საბჭოს წევრთა შორის განხეთქილება და სულ ჩამოშორდენ მას... მე 1920 წლის 15 იანვრიდან ქალთა მესამე გიმნაზიაში ვიშოვნე საქართველოს ისტორიის და ქართულის ენის მასწავლებლობა; სულ ჩამოვშორდი ეკლესიურ მართვა-გამგეობას, ვიყავი მხოლოდ მრევლის მღვდლადაც, ვსწირავდი და ვმოძღვრავდი ტაძარში...

ასე მიმდინარეობდა საქმეები, როდესაც ბოლშევიკები შემოესივენ ქალაქს 1921 წლის თებერვალში (25).

ბოლშევიკების ქალაქში შემოსვლის წინ ჩვენმა ჯარმა თბილისის მიდამოებში გადაიხადა ცხარე ბრძოლა გენერალ კვინიტაძის მეთაურობით. მაგრამ გამოირკვა, რომ მთავრობა სრულებით მოუმზადებელი იყო ბრძოლისათვის, ჯერ შექმნეს პარტიული პრივილეგიებით მოსილი „სახალხო გვარდია“, შემდეგ „არმია“ – „სალდათები“, რომელნიც გვარდიასთან შედარებით იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, როგორც „ბატონი – ყმასთან“. ამან გამოიწვია ჩვენი ცოცხალი ძალების დაქსაქსვა, ვერ შედუღდა ერის ნებისყოფა, ვერ შეიქმნა რაიმე შემაერთიანებელი პრინციპი, სიწმინდე-დუღაბი. ამასთანავე მიუხედავად ათასგვარ პრივილეგიებისა, გვარდია თავის წრეში ატარებდა მოღალატობას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მასში იყო ბევრი „კომუნისტი“, ესენი ხელს უწყობდენ ბოლშევიზმის გამარჯვებას ჩვენში; დატრიალდა რუსეთის ოქრო და გაიყიდა სამშობლო არა ერთხელ და არა ერთი-ორის მიერ... ასეთ მდგომარეობაში, ცხადია, ვერ შეიქმნებოდა სათანადო სულიერი მამულიშვილური სულიერი სიმტკიცე; ჯარის სათავეში ვიღაც გენ. ოდიშელიძე ჩააყენეს პირველად, გენ. კვინიტაძე კი ვერ შეეგუა ამ გათახსირებულ ვითარებას, გადადგა. გაჩაღდა ბრძოლა. პირველად ხმა გავრცელდა, რომ სომხეთის ბრბო მოდის საქართველოზეო: საზოგადოებაც დამშვიდებული იყო, ვინაიდან „სომხეთის ბრბოს“ ჩვენ შეგვეძლო გავმკლავებოდით; თურმე მენშევიკური მთავრობა ამას განგებ ავრცელებდა, რომ ხალხი არ დაეფრთხო... ტფილისის გარშემო ჯოჯოხეთური გრგვინვა იყო ზარბაზნებისა... რომ გასჭირდა საქმე, მთავრობამ გენ. ოდიშელიძე გადააყენა და გენ. კვინიტაძე მიიწვია; ამან ცოტათი საქმე მოაგვარა, ჯარში სულიერი სიმტკიცე შეიტანა, როგორც ავტორიტეტით მოსილმა სარდალმა. ამ დროს მეტად შეშინდა კათოლიკოზი ლეონიდი, ის 17 თებერვალს თვისს სასახლიდან ღამით სიონის ტაძრის ეზოში გადასახლებულა, ის გადაუყვანია იქ ღამით თავდაცვის კომიტეტის ერთ რაზმს, რომელშიდაც იყო ჩემი

მრევლი – რაჟდენ მირიანაშვილი (ეს ბოლშევიკებმა დახვრიტეს შემოსვლისა-თანავე, როგორც „ბურჟუა“ – მდიდარი, დიდი უსამართლობა მოხდა ამ კაცის ასე უაზროდ დაღუპვით, კარგი, სასარგებლო კაცი იყო, გლეხის შვილი, ძლივს იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი და გამრჯელი პირი იყო, თავისი უნარით შექმნა სიმდიდრე სოფლად თუ ქალაქად, იყვნენ ოთხნი ძმანი, დაიღუპა მთელი მათი დოვლათი). ამ მირიანაშვილმა მიამბო, თუ როგორ შეშინებოდა კა-თოლიკოზს, ვეღარ გაჩერდა თავის ბინაზე, – „რუსები შემომეჭრებიან და ყელს გამომჭრიანო“... მეორე დღეს, 18 თებერვალს, ადრე დილით, ჩემთან მოვიდა სიონის კანდელაკი დეკ. იასონ კაპანაძე, – კათოლიკოზი გიბარებსო; წამიყვანა სახლში, თავის ბინაზე; აქ დამიხვდა კათოლიკოზი ბარგ-შეკრული, საღამურ სკუფიაში, ძველ ტანსაცმელში, რომელიც რუსულ „პოლიევკას“ ჰგავდა; იქ იყო მისი კელეინიკი – ბერი ათანასე, ესეც გასამგზავრებლად მომზადებული, აქ იყო საკათ. საბჭოს კანცელიარიის მმართველი დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი, შემდეგ მოვიდნენ ქაშვეთის ტაძრის დეკანოზები – კ. ცინცაძე და ლაზარიშვილი; ზარ-ბაზნებს გაჰქონდათ განუწყვეტელი გრიალი, სახლის კედლები ზანზარებდენ, კათოლიკოზი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა; დეკ. ი. კაპანაძემ განაცხადა, რომ კათოლიკოზი უნდა წაბრძანდეს დასავლეთ საქართველოში, ის უკვე მზათ არის წასასვლელად, მაგრამ ისე უნდა წავიდეს, რომ ვითომც ჩვენი ძალ-დატა-ნებით და თხოვნით მიბრძანდებაო. ამაზე დეკ. ცინცაძემ და სხვებმაც თანხმობა განაცხადეს, მე თავი დავიჭირე, არ მსურდა ჩავრეოდი ასეთ ულამაზო საქმეში, მით უმეტეს, რომ ლეონიდი მტრულად მიცქეროდა, საკათ. საბჭოდან ვიყავი მის მიერ გაძევებული; მაგრამ რომ ჩამომეკიდა დეკ. კაპანაძე – მეცა ვსთქვი: „თქვენ უკვე მოგიმზადებიათ კათოლიკოზი წასასვლელად და მე რაღა უნდა მოგახსე-ნოთ თქო!..“ ლეონიდს კანკალი აუვარდა... გამოირკვა, რომ წინადღით საკათ. საბჭოში ყოფილა ეს საკითხი დასმული და დეკ. ბ. კონტრიძეს წინააღმდეგობა გაუწევია კათოლიკოზის ქალაქიდან გასვლისათვის; დეკ. ცინცაძე კი, – ეს სა-კათ. საბჭოს ჭახრაკი, – ჩვეულებრივი ცბიერობით იქცეოდა, სიტყვით თანახმა იყო კათოლიკოზის ქალაქიდან წასვლაზე, ისე კი გარეთ ამბობდა: „მე როგორ უთხრა აქ დარჩი, შენი მოვალეობა ამას მოითხოვს, რომ შენს პოსტზე მოკვდე, განა თვითონ არ უნდა იცოდეს თავისი საქმეო“!.... კათოლიკოზი გააცილა დი-დუბემდე დეკ. ი. კაპანაძემ, დეკ. ი. მირიანაშვილის ბინაზე მიიყვანეს, რომ იქი-დან მთავრობა რო დააპირებდა გასვლას, ლეონიდიც გაეყვანათ სადგურზე... ამ დროს დავით ეპისკოპოზი საკათ. საბჭოს შენობაში იწვა ავათ მყოფი, უფრო კი შიშისაგან წამხდარი, ამისი წაყვანაც სურდა ლეონიდს, შეუარა მას პავლე არქიმანდრიტის (ჯაფარიძე) თანდასწრებით და რომ დარწმუნდა დავითის უმ-წეობაში, ტირილით გამოეთხოვა, შეგვხვდა ისევე კარებში და მითხრა: „მამაო ნიკიტა, მიხედე დავითსო“! მეც შევედი დავითთან და რომ გაიგო, ჩვენ ქალაქიდან არ გავრბივართ (მღვდლები), ცოტა დამშვიდდა: „თქვენ თუ აქ რჩებით, მეც რა მიშავსო“, და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი; იყო დღე შაბათი, იმ დღეს სიონ-ში პარაკლისი იყო გამოცხადებული, კათოლიკოზი კი გაგვექცა; გზაში შემხვდა დეკ. მ. მონასელიძე (მოძღვართ-მოძღვარი), სიონში მიდიოდა პარაკლისზე; რო

უამბე ვითარება, მეტად გარისხდა და დაჰგმო ლეონიდის საქციელი; მე ქაშვეთისაკენ გავსწიე; მალე მოვიდა ამბავი, რომ ჩვენმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა მტერიო; დიდ-ძალი ხალხი ირეოდა რუსთველის პროსპექტზე და სასახლის წინ; ხალხმა მოითხოვა პარაკლისი, – „სად არის კათოლიკოზი, რატომ პარაკლისებს არ იხდისო“, – ყვიროდა სკულპტორი იაკობ ნიკოლაძე; ჩვენ ვამბობდით, რომ კათოლიკოზი დიდუბეში წავიდა სალოცავად, თან კაცი აფრინეს და მოიყვანეს ფეხით, ოფლში გაწურული და მეტად დაქანცული; შევიკრიბენით ქვაშვეთში, შევიმოსეთ და ლიტანიით გავემართეთ სამხედრო ტაძარში; აქ ლეონიდმა სიტყვა წარმოსთქვა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მეტად ულამაზოდ მოიხსენია ისინი (უწოდა მათ ღორები, რომელთაც არ ეღირსება საქართველოს მოძოვა და ტფილისის აბანოებში ტანის გასუფთავებაო). ეს სიტყვა დაიბეჭდა „საქართველოში“. იმ სიტყვების გამოისობით ლეონიდი ისევ დაბინავდა თავის სასახლეში; ეხლა შეეძლოთ უფრო დამშვიდებით ეთათბირათ საკათ. საბჭოში, თუ როგორ მოქცეულიყვნენ განსაცდელის ჟამს, რაღაც წერილობითი მოხსენებაც შეუტანია ლეონიდს საბჭოში, მაგრამ საბჭოში ისევ განხეთქილება, ისევ ქვემოდინობა და ქიშპობა იყო გამართული; ბრძოლა კი ტფილისის მიდამოებში უფრო გამწვავდა; ეხლა კოჯრის მხრიდან შემოგვიტიეს, აქ თავი ისახელეს იუნკრებმა, მაგრამ გამოირკვა, რომ ჩვენ ვერ გაუმკლავდებით მრავალ-რიცხოვან მტერს, რომელიც კალიასავით შემოესია პატარა საქართველოს – სოჭიდან, მამისონის უღელ-ტეხილიდან (!ეს თებერვალში!), კახეთიდან და სომხეთის მხრიდან; ჩვენ სარდლობას გადაუწყვეტია დაიხიოს ტფილისიდან მცხეთამდე – ტფილისი დასტოვოს; გამაგრდეს მცხეთასთან, აქ შველას ელოდნენ ევროპიდან, შველის მაგივრად ქემალისტი – ოსმალეთი მოსდგომოდა ბათუმს და იქ ელოდა მარჯვე დროს ბათუმის დასაპყრობად;..

თებერვლის 24-ს ღამის 11 საათზე დეკ. კ. ცინცაძე მისულა ლეონიდთან და გადაუცია სარდლობის გადაწყვეტილება ტფილისის დატოვებაზე – თავს უშველე, გადი ქალაქიდან, უთქვამს დეკ. ცინცაძეს ლეონიდისათვის! (ეს თვით ლეონიდმა გვიამბო შემდეგ დაბრუნებისა იმერეთიდან), – განძეულობაც სიონიდან გაგზავნეთ სადგურზე, მთავრობა ჩაიბარებს და ისევ ეპატრონებაო; განძეულობა უკვე ჩალაგებული ჰქონდათ დეკ. მ. ტყემალაძეს და ქაშვეთის მეორე დეკ. დ. ლაზრიშვილს; რა ჩაალაგეს ტფილისიდან გასატანად, რა დასტოვეს ან რას რა უყვეს – ეს ერთმა ღმერთმა უწყის და მათმა „სინდისმა“; სთქვეს, რომ ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების ოქროს ნივთებიც (დიდძალი ოქროს ჯვრები და საზოგადოების საპატიო წევრთათვის ოქროს ნიშნები, წაულიათ კადეტის კორპუსის ეკლესიიდან ჩემ მიერ გადმოტანილი ძვირფასი ნივთები, ორ ფუთამდე ვერცხლი) ჩავალაგეთო; ეს ნივთები და ბევრიც სხვა მონასტრებიდან – ნათლისმცემლისა, დავით-გარეჯისა, მცხეთისა... ხის ყუთებით გაატანეს სადგურამდე პავლე არქიმანდრიტს[1]. შემდეგ ღამით თვით ლეონიდიც ჩუმად გავიდა ქალა-

1. ამ და სხვა არქეოლოგიურ ნივთებს ევროპაში გაჰყვა ევთიმე თაყაიშვილი, რომელიც ჯერაც არ დაბრუნებულა; ამბობენ, რომში წაიღო ეს ჩვენი ავლა-დიდებაო...

ქიდან, წაუყვანია თან დავით ეპისკოპოსიც, არ დაუტოვებია არავითარი განკარგულება, თუ ვინ მართოს ეპარქია, ვინ იყოს საკათ. საბჭოს თავმჯდომარე, ერთი სიტყვით, მათ ჰგონებიათ, რომ ბოლშევიკები სულ აიკლებენ ქალაქს, ტაძრებს, სამღვდელოებასაც და თავი აღარ შეიწუხეს ჩვენზე და ერზე ზრუნვით. გავიდა მთავრობა, გავიდნენ დამფუძნებელი კრების წევრნი, რომელთაც გასვლის საღამოსვე დაამტკიცეს მენშევიკურ მთავრობის მიერ გამომუშავებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია; ამ კონსტიტუციის ძალით ეკლესია ჩამოშორდა სახელმწიფოს და დატოვებულ იქმნა უმწეოდ სახელმწიფოსაგანაც და კათოლიკოზისაგანაც; კათოლიკოზს მიჰბაძა და დასტოვა ტფილისი ერთად-ერთად მღვდელმა ექსარხოსების ყოფილმა კანდელაკმა დეკანოზმა ანტონ თოთიბაძემ; ამან 1917 წლის გადატრიალებით ისარგებლა და სილიბისტრო ჯიბლაძის შემწეობით, კათოლიკოზ კირიონის ნება დაურთველად, ჩაიგდო ხელში სამხედრო ტაძარი რუსთაველის პროსპექტზე, აღარ ემორჩილებოდა სასულიერო მთავრობას, შექმნა ეკლესია – ეკლესიაში; ამის მეგობარი კ. ცინცაძე შეუძვრა ნოე ჟორდანიას, ამის პროტოპრესვიტერი გახდა, შვილი მაგან გაუსვენა, მეორე შვილი მაგან მოუნათლა (დიდი ნათლობა გადაიხადა ნოე ჟორდანიამ, პატარა ქალი მონათლა (ცოლი რუსი ჰყავს), კაკი წერეთელი იყო ნათლიად, დეკ. ცინცაძე მოძღვრად და „თამადად“!... როგორ შეიცვალა დრო! 1917 წლის 8 მარტს ნოე ჟორდანია ჩემს ბინაზე მყავდა მოწვეული, სადაც ეპ. ანტონის (გიორგაძე) და სოსიკო მერკვილაძის თანადასწრებით (დაგვესწრო ჩემი მეუღლე ალექსანდრაც) საქართველოს ეკლესიის სინოდის უღლისაგან განთავისუფლების თათბირზე, გადაწყდა იმავ 1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) სვეტიცხოველში უნდა გამოგვეცხადებია ეს აქტი; ამ დროს დეკ. კ. ცინცაძე და მისი განუყრელი მეგობარი დეკ. ან. თოთიბაძე, დეკ. კ. კეკელიძე, დეკ. მ. ტყემალაძე, არქიმ. ნაზარი (ეხლა ქუთათელი) უკანასკნელ ექსარხოსს პლატონს ეხვიენ გარს, ამაგრებდენ მას, თვალში შესცქეროდენ; როდესაც მცხეთაში წავედით – ცინცაძეს შიშისაგან 38° სიცხე ჰქონდა, 1918 წლიდან ეს პირები გახდენ – ერთი (თოთიბაძე) სამხედრო ტაძრის „პროტოპრესვიტრად“ (აიყოლია დეკ. ნიკოლოზ ნათიძე – მწერალი „მელანია“, კაცი მოქალაქობრივად მეტად სუსტი და ცბიერი); მეორე (ცინცაძე) ნოე ჟორდანიას სასახლის „პროტოპრესვიტრად“! მე კი ისევ დავრჩი ჩემს ოპოზიციონურ პოსტზე, – დევნილი და შევიწროებული ნივთიერად, ისევ ანჩისხატის ჯურღმულში, სადაც ექსარხოსმა ინოკენტიმ 1912 წ. 20 მაისს გადამისროლა დიდუბიდან, ისევ ამ ჩემი „მოძმეების“ შეგონებით!.. დეკ. ან. თოთიბაძეს, როგორც ბუნებით მხდალს და დაცემულს, შეეშინდა, რუსები შურს იძიებენ სამხედრო ტაძრის ჩამორთმევაზეო, მარმარილოს ფიცრების კედლიდან ჩამოღებისთვისო, და ესეც გაიქცა ქალაქიდან, თითქოს „ჯარს გაჰყვა მისი პროტოპრესვიტერიო“!...

როგორც შემდეგ მიამბო ლეონიდმა, მას დიდი უბედურება განუცდია გზაში, დამცირება, უყურადღებობა; შეჩერებულა გორში, იქნებ აღარ დამჭირდეს იმერეთში წასვლა, საქმე გამობრუნდესო; მეორე დღეს ლეონიდს უნახავს ასეთი სურათი: „მთელი გორი ჩვენი ჯარისკაცებით აივსო, ზღვა ჯარი შემოვიდა გორში, ვხედავდი, ზოგს ორი თოფი ჰქონდა მხარზე, ზოგს სამიც და მეტიც, ეს

ჩემი სათაყვანებელი ქართლელები იყვნენ, მიეტოებიათ თავისი სარდლობა, ჩამოშორებიან ჯარს, რომელიც საბრძოლველად უკან იხევდა და სახლში მიდიმოდიოდენო! ამან მეტად გული დამწყვიტა, ცრემლები ჩამომცვივდა, ჩავჯექ მატარებელში და იმერეთში წავედი; მიველ გელათში, მაგრამ იქ უკვე დამხვდნენ ონის მხრიდან შემოსეული ბოლშევიკებიო! მაშინ სახტად დავრჩი: ამათ გამოვექეცი, ესენი კი აქვე დამხვდნენო! მეტად დავინანე ქალაქიდან წამოსვლა, ნეტავი აქ მომკვდარიყავიო“. ეს მიამბო აწ განსვენებულმა, რო დაბრუნდა ქალაქში საალდგომოდ, ერთ საღამოს ლოცვაზე შემობრძანდა ანჩისხატის ტაძარში, ლოცვა მოისმინა, მეორე დღეს ქაშვეთში იყო მწირველი მსახიობ კოტე ყიფიანის დაკრძალვის წირვაზე; ბევრი რამ მიამბო იმერეთის თავგადასავალი ბოლშევიკების შემოსევისა გამო – თუ როგორ აწიოკებდენ გლეხებს ამ ზამთარში, სასიმინდეებს აცალიერებდნენ ცხენების საჭმელად, მარნებში ღვინოებს სვამდენ, ღვრიდენ ან ქვევრებს მიწით ავსებდენ, ძალადობდენ...

დეკ. თოთიბაძე ბათუმში ჩაბრძანდა, მგონი, ლეონიდიც იყო ბათუმში (ეს მან დამალა), აქ მენშევიკებიდან დიდ-ძალი ფულები აიღო დეკ. თოთიბაძემ, მგონი, ლეონიდსაც ერგო ფულები (ამბობენ!); თოთიბაძემ კი გურიაში შეიარა, იქ დააბინავა ბათუმში ნაშოვარი დიდ-ძალი ფართლეულობა, ფულები, ნივთები და შემდეგ რომ გამოარკვია, რომ ბოლშევიკებმა ხელი არ გვახლეს, უსირცხვილოდ დაბრუნდა ისევ თავის ტაძარში, სადაც განაგრძობს თვისს უნიჭო, უსულგულო „მოძღვრობას“! ექსარხოსების ნალაქიარი – უნაგირი და დღეს „მოძღვრობა“! კათოლიკოზ ლეონიდის მიერ ქალაქის დატოვების შემდეგ, შეიკრიბა ქალაქის სამღვდელოება, მთავარხუცის გრ. გიორგიძის თავმჯდომარეობით და ვიქონიეთ მსჯელობა შექმნილ ვითარებაზე, დავრჩით უეპისკოპოსოდ და უმმართველოდ, გამოირკვა, რომ ლეონიდს არავისთვის არ მიუნდვია ეპარქიის მართვა-გამგეობაც კი, არ კი უფიქრნია ამაზე ვინმეს, ეგონათ, რომ ბოლშევიკები ქვა-ქვაზე არ დასტოვებენ თბილისში არაფერს, ეკლესიებს გაძარცვავენ, მღვდლებს ამოჟლეტენ და ვის რადღა ენდომება ან ეპისკოპოსი, ან ეპარქიის მმართველობაო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომხის ეპისკოპოსი, მისი მმართველი ორგანოებით, არც კი დაძრულან ადგილიდან... ჩვენი სამღვდელოება კი დარჩა დაობლებული, უთაოდ და უმმართველოდ, საკათოლიკოზო საბჭოს წევრთაგან ყველანი გაიხიზნენ ქუთაისში, აქ დარჩნენ დეკ. კ. ცინცაძე (ვეღარ დაიძრა ადგილიდან, მრავალ-რიცხოვანი ოჯახი ჰყავს) და დეკ. ბენიამენ კონტრიძე. ესენი დაგვესწრნენ კრებაზე. ბევრი მითქმა-მოთქმის და აყალ-მაყალის შემდეგ დიდი შეტაკება მოუვიდათ კრების წინ დეკ. იასონ კაპანაძეს, სიონის კლიუჩარს – კანდელაკს ერთი მხრით და დეკანოზებს ცინცაძე-კონტრიძეს მეორე მხრით, ესენი ერთმანეთს აბრალებდენ კათოლიკოზის ასე გასვლას ქალაქიდან. ცინცაძე სჩემობდა დიდ გავლენას ლეონიდზე, ბოლოს კაპანაძემ უფრო წინ წარსდგა ფეხი, თუმცა გავლენიანობით და საქმის მოჭახრაკებით მთელი მექანიზმი ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობისა თუ ეპარქიისა ხელთ ეჭირა დავით ალექსის ძე დავიდოვს (დავითაშვილად გადაკეთდა გადატრიალების შემდეგ); ეს დავიდოვი ექსარხოსების დროის კანცელიარიის მმართველის ერთ-ერთი თანაშემწეთაგანი, პლატონის აგენტი და მესაიდუმლე განსაკუთრებით, დაეპატრონა ლეონიდის სულსა და გულს, გონებას და ნებას,

უამისოდ რეზოლიუციას ან რაიმე განკარგულებას არ ახდენდა ის; გაყვლიფა და გასძარცვა მთელი სასახლე არქიელისა, როგორც გადატრიალებამდე, ისე კირიონ-ლეონიდის დროს, თუმცა არც კირიონის დაახლოებულ პირებს (არქიმ. ტარასის, დეკ. ი. ჩიჯავაძეს) დაუკლიათ ხელი სასახლის ნივთების გატაცებაში, როგორც კირიონის სიცოცხლის დროს, ისე განსაკუთრებით, მის გარდაცვალების დღეებში; ეს დავიდოვი – აშკარა მექრთამე და მოძალადეა, კაცი მეტად გარყვნილი, ბოზი, არ გაუშვა კანცელიარიაში არც ერთი ქალი გაუუპატიურებელი; კათოლიკოზ კირიონს შეუვარდა საცემრად (ლეონიდი ვერ გაიყვანა კათოლიკოზად პირველ საეკლ. კრებაზე), საკათ. საბჭოს წევრს ქრ. კაპანაძეს შეუვარდა სამსახურის დროს და ხალხის თანადასწრებით სცემდა; სისხლი ადინა ცხვირ-პირში, იმიტომ, რომ თითქოს ამისი მეცადინეობით დავიდოვი ვერ გავიდა საკათ. საბჭოს კანცელი-არიის მმართველად; თუმცა ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა, მაგრამ კირიონმა განაცხადა: „თუ დავითაშვილს მომცემთ მმართველად, მე კათოლიკოზობაზე უარს ვამბობო“. ასეთი კაცი შემდეგ ლეონიდმა, ტფილელმა მიტროპოლიტმა, აიყვანა ეპარქიალურ კანცელიარიის მმართველად და კიდევაც ამ დავიდოვმა გაათახსირა ლეონიდის სახელი, დასცა მაგის პრესტიჟი სამღვდელოებაში და საზოგადოებაშიც; ჩემთანაც ჰქონდა ამ დავიდოვს შეტაკებანი, დამიხვდა ქუჩაში თავის ბინის წინ, დამიწყო უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება და საცემრად იწია; გამოუარდენ სახლიდან თავისი ქალები, იმათ შეიყვანეს თავიანთი მამა სახლში და გადამარჩინეს სირცხვილს – ჯოხი უნდა დამეკრა თავში, როგორც კი მომიახლოვ-დებოდა; ეს დავიდოვი იყო დროებითი მმართველობის დროს მდივნად, როდესაც ლეონიდი თავმჯდომარეობდა კათოლიკოზის არჩევნებამდე; არც ერთი ჟურნალი არ წაკითხულ-შესწორებულა კრების მიერ, ჟურნალებში იწერებოდა ტენდენ-ციურად, ოსტატურად ამცირებდენ კირიონს, ულობავდენ გზას საქართველოში ჩამოსასვლელად, ბევრი სიყალბე და უსწორ-მასწორობა ხდებოდა და ამ თაობაზე მე მაშინ განვაცხადე პროტესტი (არ ისმინა ლეონიდმა) და შემდეგაც მოვითხო-ვე, რომ ეს ჟურნალები წაკითხულ-შესწორებულიყო და ისე დამტკიცებულიყო. ეს იწყინა დავიდოვმა, ჯერ გაზეთის საშუალებით გამლანძღა და სამედიატორო სამართალში გამიწვია, მეც გავეხმაურე, გავჰყე, მაგრამ დღემდე არ შემდგარა ეს „სამართალი“; მე კი მთელი 52 ნომერი დროებითი მმართველობის ჟურნალისა, საკათ. საბჭოს დადგენილებით, გავიტანე, შევისწავლე და მისს შესახებ ვრცელი დასაბუთებული მოხსენება-შესწორებანი წარვადგინე საკათ. საბჭოში უკვე ლე-ონიდის კათოლიკოზობის დროს; მაგრამ ლეონიდმა ეს მოხსენება არც კი წააკითხა და არც კი მოასმენია საბჭოს, იმიტომ, რომ ხელს არ აძლევდა, აშკარავდებოდა მთელი ის საზიზღარი კომპანია, რომლიც მოამზადა დავიდოვმა კირიონის წინა-აღმდეგ და ამ კომპანიის მსხვერპლიც გახდა უბედური კირიონი. გადაწყდა, რომ ორ წევრს საკათ. საბჭოსას – დეკ. ცინცაძეს და კონტრიძეს უნდა მიჰმატებოდათ მეორე საეკლესიო კრების მიერ საკათ. საბჭოს წევრების კანდიდატათ არჩეული პირები – დეკანოზები: მ. ტყემალაძე, იასონ კაპანაძე, იოსებ მირიანაშვილი და ერისკაცნი: დ. კასრაძე და მიხ. მაჩაბელი (ყოფილი წევრი პირველი საბჭოისა, ახლა კანდიდატად იყო არჩეული), ამათი თავმჯდომარეობა უნდა ეკისრა ეპ. პიროსს ალავერდელს, რომელიც უნდა გამოგვეწვია თელავიდან; დროებითი საკათ. საბ-

ჭოს თავმჯდომარეობა და ეპარქიის მართვა-გამგეობა დავავალეთ დეკ. მ. ტყემალაძეს. ეპ. პიროსი არ ჩამოვიდა თელავიდან (არ ინება), ამიტომ საკათ. საბჭოს თავმჯდომარეობა აიღო დეკ. კ. ცინცაძემ, ხოლო ეპარქიის მართვა-გამგეობა დეკ. მ. ტყემალაძემ. მაგრამ როგორი იყო და იქნებოდა ამისი მართვა-გამგეობა ეპარქიისა, როდესაც ეპარქიის ფაქტიურ ბატონ-პატრონ დ. დავიდოვს დეკ. ტყემალაძე ხმასაც არა სცემდა! ამაზედაც იწია წინეთ საცემრად დავიდოვმა, ერთ კანცელიარიაში მსახურ-ქალს (ხელაშვილი), როდესაც ეს არ დანებდა, სცემა, სისხლი ადინა, ამ სახით ეს ქალი შევარდა საეპარქიო კრებაზე (1920-ში), წარუდგა კრებას, მაგრამ აქაც თავი დააძრო დავიდოვმა; ამ საქმეზე გამოძიების საქმე „დაკარგულა"... ამ დავიდოვმა სცემა კიდეც დეკ. ალ. თებზაძეს, აი ასეთ მდივნის ქვეშე იყო და დღესაც არის ჩვენი ბედ-იღბალი; ლეონიდის იმერეთიდან დაბრუნებამდე არავითარი ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა ეკლესიურ ცხოვრებაში; ბოლშევიკები არ შეგვხებიან სრულებით, ჯერ-ჯერობით არც ეკლესიების მოძრავი ქონება გაუჩხრეკიათ, ამათ 1921 წ. 15 ივლისის დეკრეტით ჩამოგვართვეს მეტრიკების არქივი, მიუტანეთ ჩვენი ხელით ქალაქის რევკომში, ჩამოგვართვეს ამ მეტრიკების წარმოება; უფრო ადრე დაადასტურეს კიდეც მენშევიკებისაგანაც მიღებული ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან; ჩამოგვერთვა საყოველთაოდ ეკლესიის შენობების მოვლა-პატრონობა, შიგ „უფასოდ" სდგანან ყველანი, ირღვევა და იღუპება შენობები; ბინების რამოდენიმე ოთახები ჩამოგვართვეს მღვდლებს ისევ ჩვენიანებმა, ზოგგან (სიონის ეზოში) ჩაასახლეს სომხის კრუები[1], აივსო ქალაქი რუსებით და სომხებით.

32 კუბო – 9/III. 1921 წ.

ღირსშესანიშნავი იყო აგრეთვე კოჯრის გმირების (ქართველ იუნკრების) გვამთა გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან, სადაც შეაგროვეს მათი გვამები; 9 მარტს მთელი ტფილისის სამღვდელოების მონაწილეობით, დეკ. მ. ტყემალაძის უპირატესობით, გამოვასვენეთ საავადმყოფოდან 32 კუბო; გალობდა სამი გუნდი; წინ მიგვიძღოდა ჯვარი შავი ბაირაღით, დაგვესწრო მთელი ტფილისი განურჩევლად ეროვნებისა; გაიმართა ისეთი პროცესია, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჭაღარა ტფილისს; მივდიოდით შესანიშნავი დისციპლინით სამხედრო ტაძრის გალავანში, სადაც მათთვის იყო გამზადებული საფლავები; იქ, ჯერ კიდევ მენშევიკების ქალაქიდან გასვლამდე, დავასაფლავეთ ისევ ამ ბრძოლაში დახოცილი ოფიცრები, იუნკრები და ჯარისკაცები, 15 კუბო; ამათ წირვა გადაუხადა ლეონიდმა სამხედრო ტაძარში, იქვე ავუგეთ ანდერძი, ანდერ-

1. კრუა ქართულად ნიშნავს „კაცს". ასე უძახიან ერთმანეთს აგრეთვე ტფილისში მყოფი იეზიდები. აქედან წარმოსდგება, რომ ტფილისის ქართველობა ვერ არჩევდა სომხეთიდან ახლად ჩამოსულ სომხებს და კრუას უწოდებდნენ; 2) ტფილისში 70-80 წლებში კურტნიან მუშებათ კრუები იყვნენ. კრუას უწოდებდნენ სომეხ ლტოლვილს (ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ. 1997, გვ. 134) *(გამომცემლის შენიშვნა).*

ძის კურთხევანს მე ვკითხულობდი; ნოე ჟორდანიაც დაგვესწრო მაშინ მთელი მინისტრებით და დამფუძნებელ კრების წევრთა თანადასწრებით; ეხლა კი ანდერძი აუგეთ ეზოში, საფლავების პირზე, ზღვა ხალხით გარსშემორტყმული, გრანდიოზული სურათი იყო; ანდერძის კურთხევანს ისევ მე ვკითხულობდი, ხმამაღლა, მკაფიოდ და მწუხარებით; ხალხს ჟრუანტელი უვლიდა ტანში; სიტყვები არ წარმოთქმულა განგებ, „უსიტყვოდ“ უფრო მეტი ითქვა; ბოლოს საუკუნოდ ხსენებაზე დაიჩოქა სამღვდელოებამ, დაიჩოქა მთელმა ხალხმა, როგორც ეზოში მდგომმა, ისე გალავნის ნაპირებზე თუ სახლის სახურავ-აივნებზე. გამოვიდა დიდი დემონსტრაცია ჩვენი დედა ქალაქის ასე ვერაგულად და მუხანათურად რუსი არმიის დაჭერისა გამო ჩვენი უბედური-უგუნური ქართველ ბოლშევიკების წინამძღოლობით; ეს საცოდავები ჯერაც ვერა გრძნობენ თუ რა უმაგალითო ღალატში მიიღეს მონაწილეობა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ისტორიას; წინა დროის მოღალატენი – სააკაძე-ერისთავები-აბაშიძეები თუ წერეთლები ვაჟკაცებად მაინც ვარგოდენ, როდესაც მიხვდებოდენ ხოლმე თავის შეცდომას, თუ უსაქციელობას, შეინანებდენ ხოლმე, ისევ სამშობლოსაკენ იბრუნებდენ პირს და მტერს მუსრს ავლებდენ; ეს ჩვენი დროის „ინტელიგენტი“ მოღალატენი – ფ. მახარაძე, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, თ. კალანდაძე, ერთი ჩემი სახლიკაციც კი, სევასტი თალაქვაძე (სოფლის სკოლაც არა აქვს დასრულებული) და ძმანი მათი დღესაც ვერ გრძნობენ, თუ რა ჩაიდინეს და როგორ ანიავებენ რუსის წითელი არმია საქართველოს. ამათ გაზიდეს და ყოველ დღე მიაქვთ საქართველოდან აუარებელი სიმდიდრე; არც ჩვენი „კომუნისტები“ აკლებენ ხელს სამშობლოს ძარცვა-გლეჯას; 50 მილიარდი კონტრიბუცია დაადეს საქართველოს, გაყვლიფეს ვაჭრები, გაანიავეს განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები, ესენი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს, ზოგს 10 მილიონი შეაწერეს, ზოგს 20, ზოგს 18 და ასე; ვინც ვერ იხდის, მიჰყავთ „ჩეკაში“ და ხვრეტენ იქ; დიდძალი ხალხი იხვრიტება ყოველ ღამობითო, – ამბობენ მცოდნე პირები. თვითონ „კომუნისტები“ კი კარგად ჩაცმულ-დახურულები, მშვენიერ სასახლეებში გამოჭიმულნი, ყოველ დღე-ღამე ლხინში და რაუტებში ატარებენ დროს; ჩიტის რძეც კი არ აკლიათ მათ და მათ ოჯახებს; სასწავლებელთა მასწავლებელ-მოსამსახურეთ კი ეს თვე-ნახევარია მოუსპეს პურის ულუფის ძლევა, ჯერ იძლეოდენ თითო გირვანქას ოჯახის სულზე, შემდეგ ნახევარს, შემდეგ მეოთხედს, ეხლა კი სულ მოსპეს; ჯამაგირიც ძველი ნორმის დარჩა და ორი თვეა არც ის მიგვიღია (მე ქალთა მესამე გიმნაზიაში ვარ საქართ. ისტორიის და ქართულ სიტყვიერების მასწავლებლად, ამბობენ, ახალ სასწავლო წლიდან აღარ დამიშვებენ, როგორც მღვდელს; ვაძლევ კვირაში 26 გაკვეთილს და ვიღებდი ჯამაგირს თვეში 32 940 მანეთს და რაღაც პაპიროსებს, ასანთს და ნავთს, გირვანქა პური კი ღირს დღეს ტფილისში 4500 მანეთი!), თვით „კომუნისტები“ კი (ვინც პარტიის წევრია) სცხოვრობენ დიდის განცხრომით, სიუხვით; ასე განცხრომით ატარებდენ დროს მენშევიკებიც, მაგათ „გვარდიამ“ მოუღო ბოლო ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგათ „გვარდიამ“ უღალატა ჩვენს ჯარს, გადავიდნენ მტრის

მხარეზე, თორემ ბოლშევიკების წითელი არმია მარცხდებოდა ტფილისთან ბრძოლაში, ისინი უკან გაბრუნებას აპირებდენ თურმე ცოტა კიდევ რომ გამაგრებულიყვნენ ჩვენები; მაგრამ გახრწნილი მთავრობა (მენშევიკებისა), რასაკვირველია, ვერ გააერთიანებდა, ვერ აანთებდა მთელს ერს ერთი გრძნობით და ერთი ნებისყოფით; საშინელი შლილობა აღმოჩენილა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეში; მაგალითად, კახეთ-თიანეთ-დუშეთის მხარე აუჯანყდა მენშევიკებს, ამათ „იმერლები“ შემოგვისიეს „კომისრებად“ და მილიციონერებადო, ჩვენ „ნიკოლოზის“ ხელში გვირჩევნიაო! ხალხს ეგონა, რომ ვინაიდან რუსეთის ჯარი შემოდის, წინადროის წესიერება და სიიაფე მოაქვთ თანაო; მაგრამ, როდესაც მათ სოფლებს, კარ-მიდამოს, სარჩო-საბადებელს და ცოლ-შვილს შეესია ეს მხეცი ჯარი – პაჭუა-ვანკები, ეს ძველი დროის „თეთრ-ჰუნნების“ შთამომავლობა, როდესაც იწვნია ჩვენმა „გაბოლშევიკებულებმა“ მათი სიმხეცე, აღვირახსნილობა და დაუნდობლობა, ბევრი იცეს ცხვირში, ბევრსა ნანობენ დღეს. დღეს „ნიკოლოზი“ კი არა, თვით „ნოე ჟორდანია“ და მისი მთავრობა ენატრებათ და ერთი სული აქვთ, როდის მოსშორდებიან ესენი აქედანო! ამ ნიადაგზე ითხზება ათასგვარი ჭორი, აი დღეს, აი ხვალ შემოვა „ანტანტა“ (დიდი მოკავშირე სახელმწიფონი ევროპისა) საქართველოში და გაგვანთავისუფლებენ მოძალადეთაგანო; საბერძნეთი უკვე იბრძვის „ახალოსმალეთის“ ანუ ანგორის მთავრობის წინააღმდეგ; დაუმარცხებიათ კიდეც ქემალ-ფაშის ჯარები, ტრაპიზონი, რიზე, ხოფაც აუღიათ, უახლოვდებიან ბათუმის ოლქს; ქემალ-ფაშის ჯარებს უჩუმრა მხარს უჭერდა რუსის წითელი არმია, მათი რამოდენიმე ნაწილები ჯარისა ტყვეთ ჩავარდნიათ ბერძნებს ხელში და შეეკითხნენ მოსკოვის მთავრობას: ეს რას ნიშნავსო?! თუ ომი გსურთ ჩვენს წინააღმდეგ, რატომ ომს არ გვიცხადებთ და პირდაპირ არ გამოხვალთო; ამათ მოიყრუეს ყური, ვითომ არაფერ შუაში არიან; რუსებმა ერთხელ კიდევ გამოიჩინეს საზიზღარი ვერაგობა, წინეთ „პრავოსლავია“ – მართლმადიდებლობის ნიადაგზე გააცურეს საქართველო ყინულზე, ეხლა კი „კომუნიზმით“ უნდათ დაგვიმონაონ; სურთ სტამბოლის აღებაც და აწარმოებენ წმინდა წყლის იმპერიალისტურ პოლიტიკას; ევროპამ წინადადება მისცა რუსების არმიას საქართველოდან გავიდნენ; მაშინ ჩვენმა „რევკომმა“ უპასუხა – საქართველო რუსეთის ნაწილია და რუსის ჯარი აქ უნდა იდგესო; ამ თაობაზე ევროპის მუშათა წრეებიც მხარს უჭერს მენშევიკებს, რომელნიც გაცხარებულ მუშაობას აწარმოებენ ევროპაში; რით გათავდება ყოველივე ეს, ღმერთმა უწყის; რუსეთში კი წელს დიდი მოუსავლობაა, დამშეულა მთელი მდინარე ვოლგის მონაპირე გუბერნიები, სულ 25 მილიონი სული; თვით რუსეთში დიდი არეულობაა, ეს არეულობა თუ მოუღებს ბოლშევიკების ბატონობას ბოლოს ჩვენში, თორემ სხვა ხსნა არ არის; მაგრამ რომც განვთავისუფლდეთ, ისევ ჩვენი „სოციალისტები“ ჩაიგდებენ უბედურ საქართველოს მართვა-გამგეობას ხელში; „სოციალიზმი“ კი, მენშევიზმის თუ ბოლშევიზმის სახით, სულ ერთია დაღუპავს საქართველოს; მენშევიკები ნელ-ნელა, სისტემატიურად აწყობდენ იმას, რასაც დღეს სჩადიან პირდაპირ ბოლშევიკები; მენშევიკები თუ სიმპატიას ჰპოულობდენ

საქართველოში და ბევრს (ბურჟუაზიასაც კი) თითქოს ენატრებათ კიდეც მათი საქართველოში დაბრუნება, ეს იმიტომ, რომ მენშევიკებმა მოახერხეს „ანტანტის“ დახმარებით დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენა, აწარმოებდენ ნაციონალურ პოლიტიკას და ამ ნაციონალურ პოლიტიკის ნიადაგზე იმდენად საგრძნობი არ იყო მათი სოციალისტური ექსპერიმენტები ეკონომიურ ნიადაგზე; მათ ალაგმეს ოსობა, ამათ ალაგმეს საქართველოს სომხობა, რომ მათ ცოტა დასცლოდათ, ტფილისი გაიწმინდებოდა სომხითიდან შემოსეულ ელემენტებისაგან, საზღვრები საქართველოსი დაცულ-გაფართოებული იქნებოდა; დღეს კი ოსობამ თავი წამოჰყო, ამათ საშინელი შური იძიეს ქართველობაზე, ცხინვალის მიდამო სოფლები აიკლეს, გადასწვეს და გადაბუგეს; ხალხი აწამეს, შერეკავდენ უმწეო გლეხობას საბზელში, წაუკიდებდენ ცეცხლს და ისე ამოსწვავდენ ხოლმე! ეს ფაქტია, არავის ეგონოს მოჭორილ-მოგონილი! ეს ოსები, სომხები და რუსები შეერთდნენ დღეს ჩვენს წინააღმდეგ, ესენი სულ ბოლშევიზმ-კომუნიზმის სახით მოქმედებენ დღეს ჩვენში! ამ ოსებს „საქართველოს რევკომი“ ტფილისში დახმარებას აძლევს მათ მეურნეობის და ოჯახების აღსადგენად, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ დაგინგრიათო; 100 მილიარდი[1] მისცეს ოსებს შემწეობა, გარდა უფასო ხე-ტყისა და სხვა დახმარებისა; სომხეთთან საზღვარი ლამის არის ნავთლუღამდე მოვიდეს! ალავერდის ქარხნები და თვით ახტალის მონასტერი დღეს „სომხითის“ საზღვრებში მოჰყვა! ზაქათალა კი გადაუციათ ბოლშევიკებს ადერბეიჯანისათვის! აი ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ დღეს ბოლშევიკები და რასაკვირველია, რომ ამათთან შედარებით მენშევიზმი მხსნელ და მფარველ ანგელოზად მიაჩნდეს ბევრს საქართველოში. თორემ სახელმწიფოს აღმშენებლობა არც მენშევიკებს შეუძლიათ, საამისოდ მათ არც ცოდნა შესწევთ, არც გამოცდილება და არც ხალხი ჰყავთ. „სოციალიზმის“ სენი თუ არ მოიხადა ჩვენმა ერმა, ის ვერ მოიპოებს ფეხქვეშ ნიადაგს, ისევ მონობაში მოჰყვება; ჩვენთვის საჭიროა საღი, გაერთიანებული ეროვნული სოციალ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ყველა ცოცხალ-ძალების ამოძრავება, მიწის საკითხის ნამდვილ საღ ნიადაგზე გადაჭრა-განაწილება (დაიღუპა დიდებულად მოწყობილი ყოფილ მემამულეთა ბაღ-ვენახები, სასახლეები და მეურნეობა, ამათ ვერც მენშევიკები გაუძღვენ და ვერც ბოლშევიკები, ესეც ფაქტია). ქართველი ერი, მგონი, არასდროს არ ყოფილა ასეთ საბედისწერო მდგომარეობაში, როგორც დღეს! დღეს აღარავინ არის მისი მომვლელ-პატრონი, მისი გულშემატკივარი. წინეთ ეკლესია და სამღვდელოება ყოველთვის მაინც დარაჯად ედგა ქართველი ერის საარსებო ინტერესებს; ეკლესიის უბე-კალთაში აშენდა-აღორძინდა ძველი საქართველო, თავისი სახელოვანი კულტურით, რომლის ნაშთებით დღესაც პატივით გვეპყრობა ევროპა. მეცხრამეტე საუკუნეში კი ჩვენი ეკლესია და მისი სამღვდელოება რუსეთის თვითმპყრობელ სინოდისაგან დამონავებულნი, რუსეთის პოლიტიკის იარაღად ქცეულნი, ასცდნენ თავიანთ პირდაპირს დანიშნულებას, შეჩერდა ქართული

1. კურსი ფულისა დაცემული იყო ძლიერ...

ღვთისმეტყველების, ეთიკის, მწიგნობრობის, ხუროთმოძღვრების, გალობის და სხვა ასეთ ხელოვნების დარგთა განვითარების პროცესი; ყოველივე ეს გაიყინა იმ დონეზე და იმ საფეხურზე, რომელზედაც უსწრო რუსეთის ბატონობამ; ეს ბატონობა უქადდა ჩვენს ქვეყანას სრულს დენაციონალიზაციას, გადაშენება-გადაგვარებას, ჩვენი ქვეყნის უცხოელთა მიერ დაჩემებას და დასახლებას. ამ მიზნებისათვის რუსის თვითმპყრობელობამ აამუშავა ჩვენში სინოდალურ ეკლესიის აპპარატი, ხოლო ამ აპპარატის მეთაურნი ჩვენში რუსის ექსარხოსები საოცარი სიბეჯითით და სისტემით უწყობდა თავის მთავრობას ხელს ამიერ კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში მოკალათების საქმეში.

ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში

რუსის ექსარხოსები ამუშავებდენ, ანვითარებდენ და ძალაში შეჰყავდათ ჩვენში ყოველივე რუსული, ქართულმა ეკლესიურმა სახემ ჯერ მეორეხარისხოვანი ადგილი დაიჭირა თავის ქვეყანაში, შემდეგ თანდათან ის დევნა-მოსპობის გზაზე შესდგა; ქალაქებში განსაკუთრებით ეკლესიები გაგვირუსეს, ჩვენი სამრევლოები გამოიდევნენ მათგან და მათ ნაცვლად რუსები გაბატონდნენ; ქართველი სემინარიელ-აკადემიელი მღვდლები სიხარულით ეგებოდენ მათთვის დაგებულ ანკესებზე, იმათ უფრო ეხერხებოდათ სლავიანური წირვა-ლოცვა, გალობა-მწიგნობრობა, ქადაგება და მღვდელმოქმედება, ვინემ ქართული; ასეთი მიმართულება ჯილდოვდებოდა არქიელებისაგან, ასეთი მოძღვარნი წარმატებაში შეჰყავდათ და უბნელებდენ საცნობელს მღვდელსაც და ერსაც. ვაი იმას, ვინც ასეთ მიმართულების გვერდის ახვევას სცდიდა! იმას მოელოდა საშინელი დამცირება, დევნა-ყვედრება, ტანჯვა და ათას გვარი ნაკლულევანება. ეს გამოსცადა სხვათაშორის ამ სტრიქონების დამწერმაც, როდესაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ხანმოკლე მასწავლებლობის შემდეგ (1899–1902) ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრობა ვიკისრე და იმ ეპარქიის საეკლესიო სკოლათა საბჭოს თავმჯდომარეობა. აქ უკვე დასმული დამიხვდა დეკ. ვოსტარგოვის მიერ (ეს იყო მთელი კავკასიის საეკლესიო სკოლათა საოლქო მეთვალ-ყურე, ექსარხოსების „ვრემენშჩიკი“ – თვალი და ყური, მათი ნდობით მოსილი, ფაქტიურად მომქმედი ჩვენი ეკლესიის დენაციონალიზაციის სფეროში) საკითხი სამეგრელოს საეკლესიო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა, როგორც არა მშობლიურისა; სამეგრელოს სამონასტრო სკოლებიდან კი უფრო ადრე განდევნილი იყო ქართული ენა ისე, რომ ხმაც კი არავის ამოუღია, გარდა ნეტარხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოზისა, რომელიც მედგრად შეებრძოლა იმ დროის მზრუნველს იანოვსკის. ეხლა ჯერი მისდგა საეკლესიო სკოლებიდან ამ ენის განდევნაზე, და ეს პროცესი უნდა მომხდარიყო მოხუც ალექსანდრე ეპისკოპოზისა და ჩემს ხელში; ამას წინა აღუდექით ორნივე, რამდენადაც ძალგვედვა და უარვყავით ვოსტორგოვისაგან მოწოდებული სასწავლო გეგმა; ამ თაობაზე დიდი ბრძოლა და უსიამოვნება გადამხვდა ფოთში; ზოგიერთმა არა-

კეთილსინდისიერმა ქართველებმა (დეკ. არს. თოხაძემ, საეპარქ. კანცელიარიის მდივანმა ლეონტი ჩაჩანიძემ – კაცმა მექრთამემ, კაცისმკვლელმა (მოჰკლა თითქოს უცაბედად დეკ. დიმ. ქიქოძე), რომელნიც საბჭოს წევრებად იყვნენ და პირადად ჩემი მოწინააღმდეგენი იყვნენ (პირველს კათედრის დეკანოზობა არ მისცა ალ. ეპისკოპოზმა და მე მიმიწვია, მეორემ თავისი და შემომაძლია საცოლოდ და უარვყავი მე), განიზრახეს ამ ნიადაგზე ჩემზე შურის ძიება და გასვრა, ვითომც მე, ეპარქიალურ მეთვალყურე თ. ჟორდანიასთან ერთად მომხრე ვიყავი ვოსტორგოვის პოლიტიკისა. მაგრამ საქმე მაინც გავიტანე, ამ თაობაზე შედგენილი ვრცელი ჟურნალი დაამტკიცა ალექსანდრე ეპისკოპოსმა, ხოლო დადგენილება საბჭოსი, ჩემი სახელით გაუგზავნე დეკ. ვოსტორგოვს ტფილისში, საოლქო საბჭოში. ეს მეტად იწყინა მან, მე გამომაცხადა უნიჭოდ და უვარგისად რუსის პოლიტიკის ჩვენს ცხოვრებაში გატარებისა, ხოლო ალექსანდრე ეპისკოპოზი მოხუცებულობის გამო გამოიყვანეს სამსახურიდან, კათედრა ფოთიდან უნდა გადატანილიყო ბათუმში, სადაც რუსი დეკანოზი ალ. რალცევიჩი გაუწევდა სკოლების საბჭოს სათანადო ხელმძღვანელობას, ხოლო მე კი უნდა დავრჩენილიყავი ფოთში, არსენ თოხაძესთან საშფოთავად; მაგრამ ალექსანდრე ეპისკოპოზი როგორც გაიყვანეს სამსახურიდან, მეც ტფილისის დიდუბის ეკლესიაში გადმოვმწესდი.

დიდუბეში გადმოსვლა 1903-ში ფოთიდან; დიდუბიდან ანჩის-ხატში გადაგდება 1912 წელს

ფოთში დარჩენა ჩემი უაზრო იყო, ამიტომ ვითხოვე ტფილისის ქაშვეთის ტაძარი, რომლის მაშინდელი წინამძღვარი დეკ. ესტ. ელიაშვილი გორის ქორეპისკოპოზად აკურთხა ალექსი ექსარხოსმა, ქაშვეთზე კი მე მომცა რეზოლუცია, გამოგზავნა პეტერბურგიდან, მაგრამ დიდუბის დეკ. კ. ცინცაძემ დაიხმარა გენერალი ივან გივის ძე ამილახვარი და თვით დეკ. ვოსტორგოვი, წამართვეს მოცემული ქაშვეთი, რუს ქორეპისკოპოზ ბენიამინეს საშუალებით ექსარხოსს უკან წააღებიეს თვისი ჩემზე გადმოგზავნილი რეზოლუცია და ცინცაძემ წამართვა ქაშვეთი; მაშინ დიდუბე ვითხოვე, მაგრამ ამას დეკ. ან. თოთიბაძე მართმევდა. მაგრამ ეს ნომერი აღარ გაუვიდა მას, ვინაიდან დიმიტრი ეპისკოპოზს (აბაშიძე), რომელიც ფოთში დაინიშნა ალექსანდრეს შემდეგ, მე არ ვსურდი იქ ვყოლოდი და მოითხოვა დეპეშით, რომ ჩემთვის დიდუბის ეკლესია მიეცათ და მოვეშორებიეთ ფოთიდან; კათედრის ბათუმში გადატანა შეფერხდა, ვინაიდან 1903 წლის მიწურულში რუსეთ-იაპონიის ომი მზადდებოდა და მე მოვხვდი დიდუბეში... აქაც 1903 წლის ნოემბრიდან 1912 წლის 20 მაისამდე დიდი ბრძოლა და უბედურება გადამხვდა, ისევ რუსიფიკაციის ნიადაგზე, ეკლესია და სამრევლო უკვე დაეფლოთ რუსებს – შავრაზმელებს, ეს დეკ. კ. ცინცაძის ხელში, რომელიც აქ მსახურებდა 1891 წლიდან 1903 წლამდე! როდესაც აქ, დიდუბეში, შეუდექი ნელ-ნელა ქართული წირვა-ლოცვის გაძლიერებას, სახარების ქართულად წაკითხვას, ზოგჯერ ქართულად ქადაგების

წარმოთქმას, ამიჯანყდნენ რუსები და 1910 წელს ექსარხოს ინოკენტის ხელში მიშოვნეს მარჯვე დრო, ამიტეხეს ბრძოლა ინოკენტის მიერ გადმოყვანილ (დიდუბეში) ლოთ მთავარდიაკონ სლადკოპევცევის ხელმძღვანელობით, შავრაზმულ გაზეთ „Голосъ Кавказа"-ს დახმარებით, სურდათ რუსის მნათის არჩევა, სამრევლო სამზრუნველოს წევრებადაც რუსების არჩევა, მაგრამ ამ ბრძოლაში ვაჯობეთ ქართველებმა; ამათ თავი მოუყარე, ორგანიზაციულად დავრაზმე და ყოველ კრებაზე ჩვენ ვიმარჯვებდით; ამ ბრძოლაში გავიდა კაი ხანი და რომ ინოკენტიმ ვერა ნახა რა საბაბი ჩემი იქიდან საქმით, პასუხისგებაში მიცემით, თავიდან მოშორებისა, 1912 წლის 20 მაისის რეზოლიუციით ქება-დიდებით გადამიყვანა ანჩისხატის ტაძარში, ვითომდა ამ სიწმინდის და სიძველის აღსადგენ-მოსავლელად! ამას გამოეხმაურა დიდუბის ქართველობა, ამაზე მხარი დამიჭირეს თავად-აზნაურთა კრებამ, პეტერბურგშიდაც კი გაგზავნა სინოდში თუ ობერ-პროკურორთან ამ თაობაზე პროტესტები, მაგრამ ყოველივე უშედეგოდ დარჩა; დიდუბეში სამსახურის დროს ჟანდარმის პოლკოვნიკი პასტრიულინიც მოსვენებას არ მაძლევდა, ის, ინოკენტის შეგონებით თვეში ორჯელ-სამჯელ დამიბარებდა და მაწვალებდა, „შენ ავტოკეფალისტი ხარ, დიდუბეში რუსები დადიან საყდარში და რა საჭიროა იქ ქართული წირვა-ლოცვაო"! ვიყავი ერთ უბედურობაში! უკანასკნელად ამ პასტრიულინმა ერთხელ კიდევ დამიბარა უკვე უკანასკნელ ექსარხოს პლატონის დროს, როდესაც უკვე ანჩხათში ვიყავი. ეს იყო 1916 წლის 12 აგვისტოს. ამ დროს ვებრძოდი პლატონის ვერაგ პოლიტიკასა, მან გარს შემოირტყა ჩვენი ქართველი აკადემიელი დეკანოზები: მარკოზ ტყემალაძე (უბოძა მიტრა), დეკ. კ. კეკელიძე (უბოძა სემინარიის რექტორობა), დეკ. კ. ცინცაძე, თოთიბაძე, დავიდოვი და ძმანნი მათნი; მე არ ვისურვე ამათ კომპანიაში ყოფნა და ეპ. ანტონთან ერთად (გიორგაძე, შემდეგ ქუთათელი მიტროპოლიტი) ვაწარმოებდით პლატონის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს ბრძოლა მეტად ძვირად დაგვიჯდებოდა ორთავეს, თუ რომ 1917 წლის თებერვლის დიდ რევოლუციას არ ესწრო. ამას შედეგად მოჰყვა 1917 წლის 12 მარტის მცხეთის აქტით ავტოკეფალიის აღდგენა (ამ თაობაზე ჩემს ბინაზე 8 მარტს იყო კრება, დაესწრო ანტონ ეპისკოპოზი, თვით ნოე ჟორდანია, რომელიც მომიყვანა სოსიკო მერკვილაძემ, ვიყავით მე და ჩემი ცოლი. აქ მივიღეთ საჭირო პოლიტიკური დირექტივები ნოე ჟორდანიასგან და მოვაწყვეთ 12 მარტის აქტი, დაგვესწრო ალ. ლომთათიძე, შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრი, მცხეთის ეზოში დიდძალ ხალხის წინაშე პირველი სიტყვა წარმოსთქვა მან, მეორე მე...).

ჩემი თავგადასავალიდან ზემო აღნიშნული ეპიზოდები იმიტომ მოვიყვანე, რომ მაგალითით გამეშუქებია, თუ რაგვარი გახრწნილი პოლიტიკით მოქმედებდენ აქ რუსის არქიელები და როგორ უწყობდენ მათ ხელს ჩვენი განათლებული დეკანოზები, სწორედ ისინი, რომელთაც 1905 წელს ავტოკეფალიის დროშაც კი ააფრიალეს, მაგრამ როგორც კი დაგვსუსხა რეაქციის ჩრდილოეთის ქარმა, სულ ყველანი მიიმალ-მოიმალნენ, და ისევ ექსარხოსების კალთას შეაფარეს თავი.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არც მომქმედი ეპისკოპოზები გვყვანდენ, ბევრი მათგანნი გაუნათლებელნი იყვნენ, მაგ. გაბრიელ ტუსქია, – გური-

ისა, გრიგოლ ეპისკოპოზი გურია-მეგრელიისა და ბესარიონი; მხოლოდ ერთად ერთი მანათობელი სვეტი გვყავდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებიდან, ეს იყო გაბრიელ ეპისკოპოზი იმერეთისა, რომელმაც დიდი სიკეთე დასთესა ჩვენში, ღრმა კვალიც გაავლო ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრების გამობრუნების, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მან გვაჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდოდა მთავრობის აგენტებთან შებრძოლება (იანოვსკი, ექსარხოსები და სხვანი); გაბრიელის შემდეგ უნდა აღინიშნოს მეცნიერი ეპისკოპოზი კირიონი, შემდეგ კათოლიკოზი; ამან წამოაყენა პირველმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საკითხი, რასაც შედეგად მოჰყვა მისი რუსეთში გაგდება (აფხაზეთიდან), იქ მისი 20 წლის განმავლობაში წამება; შემდეგ აღსანიშნავია ალექსანდრე ეპისკოპოზი, როგორც სუფთა ზნეობის და სამშობლოს მოყვარული პირი, მაგრამ მოკლებული გამჭრიახობას; ეს უფრო შიო მღვიმეს მონასტრის და ზოგიერთი სხვა მონასტრების აღდგენით და მოწყობით არის ცნობილი; აღსანიშნავია ამის ძმისწული ლეონიდი, ჯერ იმერეთისა, შემდეგ გურია-სამეგრელოსი და კირიონის დაღუპვის შემდეგ მეორე კათოლიკოზი ახალ აღდგენილ საქართველოს ეკლესიისა. ეს იყო ენერგიული ეპისკოპოზი, კარგი მქადაგებელი, მოყვარული თვისი ერისა და ეკლესიისა, მებრძოლი ავტოკეფალიისათვის, ეს უძღვებოდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობას 1917 წლის 12 მარტიდან 1917 წლის 17 სეკტემბრამდე, როდესაც კათოლიკოზად არჩეულ იქმნა კირიონი, ლეონიდი კი დარჩა ტფილელ მიტროპოლიტად. აღსანიშნავია ზემო დასახელებული ეპ. ანტონი (გიორგაძე), შემდეგ ქუთათელი მიტროპოლიტი; ესა, ლეონიდი და კირიონი მოჰყვნენ დავიდოვისაგან, ცინცაძე-თოთიბაძე-კეკელიძე-შუბლაძე-ციცქიშვილი და ძმათა მათთა მიერ დაგებულ ინტრიგანულ ბადეში და ერთმანეთი ამოიჭამეს; ამ ტრაგედიის გამაშუქებლად გამოდგება 1918 წელს დეკ. ციცქიშვილის რედაქტორობით დეკ. ი. შუბლაძის და დავიდოვის მიერ წარმოებული ყოვლად საზიზღარი კომპანია კათოლიკოზ კირიონის წინააღმდეგ და ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონის წინააღმდეგ; სულ გამოვიდა 13 ნომერი. მე მოვყევი კირიონის სფეროში, როგორც ანჩისხატის დეკანოზი, რომელიც ერგო წილად ახლადარჩეულ კათოლიკოზს ტფილისში, სადაც გაბატონდა „ტფილელი“, ხოლო ამან აღადგინა ძველი „ტფილელების“ ბრძოლა მცხეთელის წინააღმდეგ; გარე-შემოხვეულ წრეებმა კი ამ ჯოჯოხეთს შეურთეს და შეურთეს ჩინჩხვალი მუგუზლები, დაანთეს ცეცხლი, დაასხეს ზედ ნავთი და ნაცვლად ახალაღდგენილ ეკლესიის მოწყობისა, მისს ქვეყნის სამსახურისათვის მომართვისა, ამ სოციალისტურ-მატერიალისტურ ხანაში, სულ დასცეს ეკლესიის და სარწმუნოების პრესტიჟი საზოგადოების და ხალხის თვალში. საკათოლიკოზო საბჭოში იყო გაშმაგებული ბრძოლა კირიონის წინააღმდეგ, რომელსაც ვიცავდი მე და იმის დისწული ქრ. კაპანაძე; დასნეულებულ კირიონს (დამბლა დაეცა დაუსრულებელ უსიამოვნების ნიადაგზე) 23 მაისს 1918 წლის 14 საბრალმდებლო მუხლი წარუდგინა და წაუკითხა დეკ. კ. ცინცაძემ; ეს დოკუმენტი მე მაქვს დაცული, ზედ ხელი უწერია, გარდა ცინცაძისა, დეკ. კ. კეკელიძეს, პ. ბარათაშვილს, რ. ივანიცკის, პ. ინგოროყვას,

იპ. ვართაგავას; 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს კათოლიკოზი კირიონის დაუკითხავად და მოუპატიჟებლად ჩასხდნენ ავტომობილში მიტროპ. ლეონიდი, ეპ. დავითი (ურბნისისა, კაცი სნეული და ყოვლად უსარგებლო, დიდგულა და უქნარა) და არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), ინოკენტი ექსარხოსის და პლატონის ნამდვილი აგენტი, გარყვნილ-გათახსირებული (ეხლა ქუთათელი მიტროპოლიტი! ვაი, სირცხვილო!), წავიდნენ სასახლეში, სადაც ეროვნულ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებიათ. როდესაც მათ ჰკითხეს, „კათოლიკოზი სად ბრძანდებაო“, ნაზარიმ უპასუხა, – „ავად არისო“! ნამდვილად კი კათოლიკოზი იმ დღეს ჩინებულად გრძნობდა თავს, მწირველი იყო ანჩისხატში, ისაუზმა ჩემს ოჯახში, შემდეგ თვისს სასახლეში გული გადაელია – მიმიპატიჟებენ სასახლეშიო, და შემდეგ დაინახა, რომ ზემოაღნიშნული პირნი ჩასხდენ გამოგზავნილ ავტომობილში და არც კი იკითხეს თვისი მამამთავარი სად იყო, იქვე ათ საჟენის მანძილზე კი იყო და უცქეროდა მათ გამგზავრებას! აი, ასეთი დამოკიდებულება შექმნეს ინტრიგანებმა ლეონიდსა და კირიონს შორის, მეც ზედ მიმაჭყლიტეს, როგორც კირიონის მორჩილი (მხოლოდ ჩემი ეკლესია არგუნეს მას ტფილისში!).

კირიონის სიკვდილი; ქუთათელის დაღუპვა

საბედისწერო ტყვიამ 1918 წლის 26-27 ივნისს, გათენებისას განგმირა გული წამებულ კირიონისა მარტყოფის მონასტერში! სისხლით შეიღება კათოლიკოზის კათედრა... ახალი ჭორები, ახალი ცილისწამება მიცვალებულზედაც – თავი მოიკლაო! ტყუილია! არც კი გასჭრეს მიცვალებულის გვამი, არავინ გამოუდგა საქმის გამოძიებას, მენშევიკებს არ ეცალად ამ „საქმის გასაქექად“, რომ ქვეყანა არ აღელვებულიყო და ჩაიარა კირიონის დაღუპვამ... 1918 წლის ენკენისთვეს დაიღუპა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. ეს მოაწამლვიეს მისსავე სიძეს, ტომით ფანლიანდიელს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანტონის ქალი; იმავ წლის 17 აგვისტოს (ძვ. სტილით) გელათიდან (დავასაფლავეთ იქ ბიძა იღუმენი სოფრონი) შევიარე ქუთაისში, ანტონისთან; დავსხედით სადილად: მიტროპოლიტი, მე და მისი სიძე, ჩვენს გარდა სხვა არავინ იყო; მზარეულმა ბერმა რომ სუპი შემოგვიტანა და ჭამას უნდა შევსდგომოდით, მიტროპოლიტი რაღაცას საყვედურებს მეუბნებოდა „ახალ სიტყვის“ პუბლიცისტებზე (ამათში ლეონიდიც იგულისხმებოდა, ის თანამშრომლობდა ამ პასკვილურ „ორგანოში“ „ჭინჭარის“ და „ბაბასინის“ ფსევდონიმებით და ილაშქრებდა ანტონის წინააღმდეგ მისს ზნეობრივ და მამულიშვილურ ღირსების დასამცირებლად), სასტიკი საყვედურები სთქვა არქიმანდრიტ ნაზარიზე, რომელიც მოსისხლე მტერი იყო ანტონისა, უცბად ამ პირთა საყვედურებიდან აი რაზე გადავიდა: „მამაო ნიკიტა! იცით, ჩემი მოწამვლა რო უნდათ“?! – მე გავიკვირე და ერთნაირი საყვედურიც მოვახსენე: „აბა რასა ბრძანებთ, ვის უნდა უნდოდეს თქვენი მოწამვლა, რატომ ხართ ბერები ასეთი იჭვიანი ხალხი თქო“? ამაზე ისევ სერიოზულად მომიგო: „მე მართლა

გეუბნები, ჩემი მოწამვლა განუზრახავთ! – მიუბრუნდა სიძეს და ჰკითხა: „აბა ამ ჩემს ერთგულ კაცთან სთქვი: რამდენი გაძლიეს ტფილისში, ერთ ოჯახში, ჩემი მოწამვლის სასყიდლად“? სიძემ წარბ-შეუხრელად განაცხადა: „ათასი თუმანი“, „десять тысяч“-ო! მაშინ ეს ფული იყო. მე საყვედური უთხარი ანტონის სიძეს: „როგორ გაგიბედეს, თქვენ ასეთი საზიზღარი და საშინელი წინადადების მოცემა და თუ გაგიბედეს, თქვენ რატომ იკადრეთ და რად უთხარით მიტროპოლიტს, ხომ ჰხედავთ, ეს კაცი თქვენ მოგიწამლავთ კიდეცთქო“!.. აი ასეთ ლაპარაკს ჰქონდა ადგილი იმ დღეს ჩვენ შორის! ის აღარ თქმულა, თუ ვის ოჯახში იყო ეს ნათქვამი ანუ ვისგნით; ამის შემდეგ კი არ გასულა ერთი თვეც, რომ ანტონი მოულოდნელად დაიღუპა 18 ენკენისთვეს, ხოლო 21-ს დავასაფლავეთ... დაიღუპა ერთი რიგიანად მომზადებული ეპისკოპოზთაგანი ასე უდროოდ, ასე საშინლად! გასჭრეს მიცვალებული, სისხლი ავარდნია თავშიო! ნაწლევები ტფილისში გამოგზავნეს გამოსარკვევად, აქ ექიმმა ლომოურმა ქიმიურად გამოიკვლია და აღმოჩნდა შიგ ვერცხლის წყალი და თაგვის შაქარი – მიშიაკი!.. ეს საქმეც მიაფუჩეჩეს; ანტონის სიძე და ქალი, არ ვიცი, სად მიიმალნენ...

ინგლისის ჯარის სარდლობასთან

ანტონის კათედრა ზემოაღნიშნულმა ნაზარმა დაიჭირა ისე შინაურულად, უკანონოდ, უარჩევნებოდ, საეპარქიო საბჭომ მოიწვია ზოგიერთ საოლქო საბჭოების წევრნი და ასე აირჩიეს ქუთათელი! ეს არჩევნები დაამტკიცა საკათოლიკოზო საბჭომ ლეონიდის თავმჯდომარეობით!.. ამ თაობაზე დასაბუთებულ პროტესტით შევედი საკათ. საბჭოში, გავასაჩივრე ასე თვითნებობა საეკლესიო კრებისადმი წარსადგენად, მაგრამ საკათ. საბჭომ ამის საპასუხოდ მეორე უკანონობა ჩაიდინა: თვით ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდი კათოლიკოზად გამოაცხადა უარჩევნებოდ, შეეკითხნენ საეპარქიო საბჭოებს, ამათგან მოვიდა (ფოთიდან და ქუთაისიდანაც) საწინააღმდეგო აზრები, მაგრამ, ვინაიდან პირველ საეკლესიო კრებაზე ლეონიდიც იყო ამორჩეული, თუმცა კირიონზე ნაკლები ხმით, უნდა იმ არჩევნებით დავკმაყოფილდეთ და ვაკურთხოთ კათოლიკოზადო. ამ თაობაზედაც მე და ქრ. კაპანაძე შევედით დასაბუთებული პროტესტით, მაგრამ არც ამ პროტესტს მისცა მსვლელობა საკათ. საბჭომ. ამ დროს მეტად გამწვავდა დამოკიდებულება ჩემსა და საკათ. საბჭოს უმცირესობას შორის და თვით ლეონიდთანაც; სამეურნეო ნაწილის ჯამაგირიანი წევრობა ვიკისრე საკათ. საბჭოში; ვმუშაობდი თავ-გამოდებით; ჩვენი შენობები ძველი და ახალი სემინარიისა, სასულიერო სასწავლებლისა, მათი ინვენტარით დათმობილი ჰქონდა ინგლისის ჯარებს; მათთან საქმე დავიჭირე, ჩვენი ამ შენობებზე უფლებები ვაღიარებიე მენშევიკურ მთავრობასაც და ინგლისის სარდლობასაც; საიჯარო ფული გადავახდევინე; რაც გადარჩენილიყო ვაკის შენობებში (სემინარია-სასულ. სასწავლებლისა) რაიმე ნივთები, ამის ცნობაში მოყვანას შეუდექი, ინგლისელებმა დაგვაცლევინეს ის შენობები და ნივთები, ბიბლიოთეკა სემინარიის და დგამი უნდა გადმოგვეზიდა.

ქონების დატაცება

ბევრი რაიმე გადმოვზიდეთ კიდეც მე და ქრ. კაპანაძემ, მაგრამ ვერც კი მოვასწარით რექტორ კ. კეკელიძის ბინიდან აუარებელი და მშვენიერი მოწყობილების საკათ. საბჭოს შენობაში გადმოზიდვა (ინგლისელებს გამოვართვი ავტომობილები და ისე გადმოვაბარგე რექტორი კეკელიძე საბჭოს შენობაში, სადაც წინეთ კანტორის პროკურორი იდგა ექვს ოთახში მუქთად, ელექტრონით, წყლით და ყოველივე მოწყობილებით), რომ ამ პატიოსანმა გვამმა მიშოვნა დრო, როდესაც მე საბჭოში არ დავესწარი ერთ სხდომას, შეუტანია თხოვნა, დამრთეთ ნება, რომ სემინარიის რექტორის ბინის მოწყობილება, რომელიც აქ გადმოვზიდეთ, მე შევიძინო საკუთრებადო! ამას ნება დართო დეკ. კ. ცინცაძემ (ნათესავია კეკელიძისა), ვინაიდან რასაც ცინცაძე ინებებდა, იმას ლეონიდი წინ ვერ აღუდგებოდა და ორას თუმნად (2000 მანეთად!) მიჰყიდა დეკ. კ. კეკელიძეს, ყოფილ რექტორს, სემინარიის დამსამარებელს ის აუარებელი ნივთები, დღეს რამოდენიმე მილიარდად ღირებული! კეკელიძის მაგალითს მიჰყვა ქრ. კაპანაძე, რ. ივანიცკი, პ. ბარათაშვილი, პავლე ინგოროყვა და სხვანი წევრნიც საბჭოსა და ჩვენი გადმოზიდული ნივთები თუ კანტორისა სულ დაიტაცეს ოხრის ფასად! ამ თაობაზე საკათ. საბჭოში შევედი სასტიკი პროტესტით, მაგრამ დამეტაკენ სულყველანი, ქრ. კაპანაძეც კი (ამანაც ზორბად ისარგებლა) და კინაღამ შემჭამეს; ყველაზე მეტად მებრძოდა თვით ლეონიდი! ამის სასახლის ქვემო თუ ზემო სართულებშიც დიდძალი ვენის სკამები, დიდებული ძვირფასი შკაფები, მაგიდები და სხვა და სხვა ავეჯეულება შევინახეთ; დავიდოვის ბინის ქვეშაც დიდძალი ნივთები – ავეჯეულება შევინახეთ; საბჭოს შენობაში სემინარიიდან გადმოვზიდეთ დიდძალი სპილენძეულება სემინარიისა თუ სასულიერო სასწავლებლისა, ერთი დიდი სპილენძის ემბაზიც კი იყო, რამოდენიმე დიდი საარყე ქვაბები, პატარა ქვაბები, ფლავის სპილენძეულება, კაი ძალი ფრაჟეს დანა-ჩანგალი. როგორც ქვემოდ თავის ადგილზე აღვნიშნავთ, ესენი სულ დაუტაცნიათ, ვინ იცის, ვის!..

როგორც სამეურნეო ნაწილის გამგეს, მე თითქოს მოვალე ვიყავი საეპარქიო საბჭოს მდივნის დავიდოვის სადგომ ბინის გადაკეთება მეკისრა, ყოფილი საეპარქიო კანცელარიის შენობა მის ბინად გადამეკეთებია, დავიდოვის ფეხისალაგები გამეკეთებია ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოების თანხებიდან! ამაზე მე განვაცხადე პროტესტი, ეს საკათოლიკოზო საბჭოს წევრის საქმე არ არის თქო და ასეთ საჭიროებაზე აღნიშნულ თანხების დახარჯვა უკანონობაა თქო; ასეთი შინაარსის ქაღალდი შევიტანე; ამაზე ამიტყდა მთელი საბჭო, გარდა ქრ. კაპანაძისა და კინაღამ შემჭამეს, მთელი სამი სხდომა ამას მოვანდომეთ, ერთს სხდომაზე გულიც წამივიდა და ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს ბინაზე; ვიავათმყოფე 15 დღე!... ბეჭვდითი ორგანოს გამოცემა მომანდო ლეონიდმა, მაგრამ, როდესაც საქმეს უნდა შევსდგომოდი, ამიტეხეს საკათ. საბჭოში ისევ შფოთი და ასე მითხრა: „შენისთანა კაცს ორგანოს გამოცემა როგორ მიენდობაო“! მაშ რაზედ მომანდეთ თქო და ასტყდა კიდევ საშინელი კლიაუზა და მიხლა-მოხლა. განცვიფრებული ვიყავი, მიმიწვია ჯამაგირიან წევრად ლეონიდმა, რედაქტორობის წინადადება მომცა მანვე, ვმუშაობ და ვხედავ, რომ რამდენ ნაბიჯს წინ

გადავსდგამ, საბჭო ლეონიდის მეთაურებით მეჭიდებიან უკნიდან, ანაფორის კალთაზე და საქმეს მაშორებენ, ხელს მიშლიან, დამცინიან და მამცირებენ! დავიდოვი იბღვირება, ჩემს მღვდელს დ. ჩიკვაიძეს ეუბნება: „შენი წინამძღვრის სული აი, ამ მაგიდის უჯრაში მაქვს დამწყვდეულიო! რო იცოდეს, რა ვიგდეთ ხელში, მილიონებს არ დაიშურებდა ამ დოკუმენტის ხელში ჩასაგდებადო“!... მიკვირდა, რა დოკუმენტი უნდა გასულიყო ჩემი ხელიდან ისეთი, რომელიც ასეთი სამარცხვინო უნდა ყოფილიყო ჩემთვის...

ტფ. სას. სემინარიის ლიკვიდაცია

ამ დროსვე მოხდა ჩვენი სასულიერო სემინარიის დახურვა, მისი ლიკვიდაცია რექტორ კეკელიძისა და არქიმ. ნაზარის მიერ (ეს მასწავლებლად ჰყავდა კეკელიძეს მიწვეული). ისე დაიხურა სემინარია, რომ არც კათოლიკოზი და არც ვინმე სხვა საკათ. საბჭოდან არ დასწრებია არც ერთ გაკვეთილს სემინარიაში, არავითარი რევიზია აქ არ მოუხდენია ვინმეს, არავითარი ინტერესი არ აღუძრავს რექტორ კეკელიძეს მოწაფეებისათვის სარწმუნოებისა და ქრ. ზნეობისადმი, არავითარი შინაარსი არ ჩაუდვია „ქართულ სემინარიაში“, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში დიდის „რეჩით“ გახსნა მან კათოლიკოზ კირიონის და ლეონიდე ტფილელის თანადასწრებით გადახდილ პარაკლისზე ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის ეკლესიის დარბაზში, მთელ მოწაფეების და კორპორაციის თანადასწრებით! დეკ. კეკელიძემ თავის საზეიმო სიტყვაში მთელი საუკუნის მანძილზე „ხელი გაუწოდა“ ქართულ სემინარიის უკანასკნელ რექტორს და მით თითქოს გვპირდებოდა რუსთა ბატონობის მიერ შეწყვეტილ ქართულ ღვთისმეტყველების, ეთიკის და ეკლესიურ კულტურის აღდგენა-განახლებას! მაგრამ დეკ. კეკელიძე, როგორც ურწმუნო და მეტად უზნეო კაცი ამ საქმეს ვერ შეასრულებდა, არც უნდა ეკისრნა, არც საკათ. საბჭოს უნდა დაეკისრებია მისთვის ასეთ დროში ასეთი კონფესიონალური, წმინდა სარწმუნოებრივი საქმე. რაც თვით არ ჰქონდა, სხვისთვის რა უნდა მიეცა დეკ. კეკელიძეს და აკი ვერც მისცა! ჯერ განაცხადეს, რომ სემინარია გიმნაზიად უნდა გადავაკეთოთ, როგორც პირველმა კრებამ დაადგინა, სამღვთო სჯულის ორ-ორი გაკვეთილით კვირაშიო; შემდეგ, სემინარია სამინისტროში მიიღეთო, ეხვეწნენ ნოე ჟორდანიას, რომ ჯამაგირები არ მოგვისპოს და უფლებები არ დავკარგოდ მასწავლებლებმა თუ მოსწავლეებმაო; ჟორდანია კი ეხვეწა მათ (ეს ინსპეკტორმა ნიკიფორე მამინაიშვილმა მითხრა დეკ. ი. კაპანაძის თანადასწრებით) – „ნუ აჩქარდებით სემინარიის განათლების სამინისტროს უწყებაში გადმორიცხვას, წლის დამლევამდე კრედიტი გაქვთ – იანვრიდან სეკტემბრამდეც ინერციულად გაგრძელდება კრედიტები და მანამ კი თქვენს საქმეს მოაწყობთო“! ცხადია ნ. ჟორდანიას ენანებოდა სახელოვან სასწავლებლის დაღუპვა, მას ეგონა, რომ ჩვენ უფრო მოუვლიდით და შევინახავდით, მაგრამ ვინ იყო მსმენელი! სემინარიის საბჭო განუსაზღვრელ „ავტონომიით“ იყო აღჭურვილი, საკათ. საბჭომ ერთხელაც არ ჩაიხედა ამ ჩვენ დამღუპველ ავტონომიაში და უგუნურების ხელში ეს დიდი საქმე წაიქცა და ნივთიერადაც მეტად დავზარალდით!

ტფ. სას. სასწავლებელი

გაიმართა შფოთი სემინარიისა და ყოფილ სასულიერო სასწავლებელს შუა, ეს უკანასკნელი უკვე გიმნაზიად იყო გამოცხადებული, გამგედ იყო ან. ნატროშვილი; მაგრამ როდესაც სემინარია გაკოტრდა, მაშინ კეკელიძემ განიზრახა ყოფილ სასულიერო სასწავლებლის მის კორპორაციით შემოერთება და ამ სახით გიმნაზიის გამოცხადება სამინისტროს ხელქვეით, უსამღვთო სჯულოდ! გაიმარჯვა კეკელიძემ, დამარცხდა ნატროშვილი, ვინაიდან საკათ. საბჭომ მხარი დაუჭირა კეკელიძეს. გადაეცა ეს გაერთიანებული ყოფილი ჩვენი უბედური სასწავლებელი სამინისტროს; ეხლა შეიქმნა ცილობა, თუ ვინ იქნებოდა გაგიმნაზიებულ სემინარია-სასწავლებლის „დირექტორად“! კენჭი იყარეს კეკელიძემ, ნატროშვილიმა, იპ. ვართაგავამ, ბარნოვმა; ამოირჩიეს დეკ. კეკელიძე, მაგრამ ის, როგორც სასულიერო პირი, სამინისტრომ არ დაამტკიცა; არც სხვები დაამტკიცა და ქუთაისიდან გამოიწვია ვინმე ჯორჯიკია; კეკელიძის მიერ გაიძარცვა (თვით კეკელიძემ და მისმა შვილებმაც დაიტაცესო) მდიდარი პანსიონის ლოგინები, ზეწარ-საფენები, სტოლის მოწყობილება – გადასაფარებელ-ხელსახოცები, დანა-ჩანგალი, აუარებელი საზაფხულო თუ საზამთრო საბნები; ცოტა ხანი იარსება გადაკეთებულმა „გიმნაზიამ“; ის მალე დაიხურა, მოწაფეები და მასწავლებელნი დაარიგეს ტფილისის გიმნაზიებში; დეკ. კეკელიძე გაპროფესორდა ქართულ უნივერსიტეტში, რომელიც (მისივე ხელმძღვანელობით) დაეპატრონა სემინარიის ახალ შენობასაც, მდიდარ წიგნთ-საცავსაც (თუმცა დიდძალი და საუკეთესო წიგნები ამ წიგნთსაცავისა თვით რექტორს და მასწავლებლებს ჰქონდათ დატაცებული და ამ გადაცემა-გადმოცემაში შერჩათ კიდეც და ამ სახით ვანდალურად დაზარალდა ერთი უძველესი და უმდიდრესი წიგნთსაცავი ტფილისში!).

ჩემი „გასამართლება“

სემინარიის ტრაღედიის შესახებაც ბევრი ვიბრძოლე, ამ თაობაზედაც პროტესტებით შევდიოდი საკათ. საბჭოში, მაგრამ ვინღა მიგდებდა ყურს, ისე დამიწყეს დევნა, როგორც ცოფიან ძაღლს. ამ ვაი-ვაგლახში დასრულდა 1919 წელი. 1920 წლის 2 იანვრისათვის ლეონიდს მოუწვევია შეერთებული კრება საკათ. საბჭოსი და საკათ. სასამართლოსი, უწყებაში საგანი ასეთ არა ჩვეულებრივ კრებისა არ იყო აღნიშნული; გამოცხადდა სულ 17 კაცი; არის რაღაც ჩოჩქოლი, ერთმანეთთან ჩალაპარაკება, ზოგჯელ ღიმილი, ზოგჯელ ორაზროვანი ჩემსკენ გამოხედვა; მიკვირს, აზრი ვერ ამიღია, რაშია საქმე; საკათ. სასამართლოს წევრი ყანჩელი მომიჯდა გვერდით (მაშინ ბრალმდებლის თანაშემწედ მსახურებდა მენშევიკურ სასამართლოში); მას ვკითხე: „სანდრო, რა საგანზეა ეს დღევანდელი კრება მოწვეული თქო“? – „კაცო, მე მეკითხები ამაზე?! მე მგონია, შენ უფრო კარგად უნდა იცოდე ამ კრების საგანი, ამბობენ შენი მოხსენება უნდა მოვისმინოთო“! – მე უთხარი, „არავითარი მოხსენება

ჩემთვის არ მოუნდვიათ, თქვენ მეხუმრებით თქო“!.. გაიხსნა სხდომა. ლეონიდმა წინადადება შემოიტანა ასეთი: „ქუთაისიდან მომივიდა ერთი დოკუმენტი (როდის მოუვიდა, ის არ აღნიშნა) და საჭიროდ დავსახე თქვენც გაგიზიაროთ მისი შინაარსიო და დაიწყო კითხვა ამ „დოკუმენტისა“. რო გაათავა წაკითხვა (მე უკვე მივხვდი, რაში იყო საქმე), განაცხადა: ეს დოკუმენტი ხელ მოუწერელია, მაგრამ როგორც ნაწერი, ისე შინაარსი მისი უნდა ეკუთვნოდეს საკათ. საბჭოს წევრს დეკ. ნ. თალაქვაძესო, ეხლა თქვენთვის მინდოდა შემეკითხა, რა უყოთ ასეთ ადამიანს, აქვს თუ არა მას უფლება საკათ. საბჭოს წევრად დარჩესო“! შეიქმნა სამარისებური მყუდროება, ბუზის გაფრენაც კი გაიგონებოდა, დოკუმენტი კი გადადიოდა ხელიდან ხელში და როდესაც ჩემამდე მოახწია, ავიღე ხელში, არც კი დამიხედნია ზედ ისე, ავდექი და წარმოვსთქვი ვრცელი, დასაბუთებული და მოწინააღმდეგეთა გამანადგურებელი სიტყვა: „ამის გამოსარკვევად რა საჭირო იყო, თქვენო უწმინდესობავ, ამოდენა ხმაურობა, ჯერ ამოდენა საიდუმლოებით კრების მოწვევა და უჩუმრა ორღობიდან ჩემზე თავდასხმა თქო. ჯერ ზიზღი და სირცხვილი იმ ქუთათურს, ვინც თქვენ ეს დოკუმენტი გადმოგიგზავნათ, ეს არის ნამდვილი იმერული, ძველი მოხრიკეს ნამოქმედარი; მეორედ თუ გადმოგიგზავნათ და მიხვდით კიდეც, რომ ეს დეკ. თალაქვაძის ნაწერ-ნაწარმოებია, დამიბარებდით წყნარად და შემეკითხებოდით ჯერ პირადად და თუ არ გამოვტყდებოდი, შემდეგ შეგეძლოთ საქვეყნოდ გამოგეტანეთ და თუ დანაშაულობა რამ ჩამიდენია, პასუხისგებაში მიმცემდით წესისამებრ თქო. თორემ თქვენ განგიზრახავსთ ჩემზე თავზარის დაცემა, იქნებ გეგონათ კიდეც, რომ მე მაგ დოკუმენტის სიმძიმის ქვეშე აქვე წავიქცეოდი და გული გამისკდებოდა, მაგრამ ხო ხედავთ, როგორ დამშვიდებულად ვგრძნობ თავს და დალაგებითაც გიპასუხებთ!? დიახ, ეს დოკუმენტი ჩემი ნაწერია, ჩემივე შეთხზულია, აწ განსვენებულ ქუთათელ მიტროპ. ანტონის ტფილისში ყოფნის დროს, კათოლიკოზ კირიონის დასაფლავების მეორე დღეს, ამ ტრაღედიის შთაბეჭდილების ქვეშ! ეს შემდეგ გადავსწერე ანტონის ბრძანებით და მასს საეპარქიო საბჭოსათვის მოხსენების მასალად გადაუგზავნე, ცალკე, ჩემ მიერ ხელმოწერილი ბარათთან; ასე რომ ეს დოკუმენტი, მთელი თაბახი ქაღალდი, რომელშიდაც საკათ. საბჭოში ჩემ მიერ შეტანილი მოხსენებებია ნომრებით აღნუსხული, ჩემი სახელი და გვარიც არის შიგ ჩემი ხელითვე დაწერილი, ასეთი დოკუმენტი, ვიმეორებ, ანონიმად ვერ გასაღდება თქო! მაგის ქუთაისიდან გადმომგზავნს რომ სინიდისი ჰქონებოდა, ერთი რომ მაგას არ გადმოგცემდა თქვენ და თუ გადმოგზავნა, უნდა გადმოეგზავნა ის მეორე წერილიც, რომელიც მაგ დოკუმენტზე იყო ძაფით მიკერებული თქო!... ეს გარეშე გარემოებანია ამ დოკუმენტისა; ეხლა შევეხები შინაარს და ვიტყვი: დღემდე ეს იყო უბრალო, მასალად დაწერილი ქაღალდი, დღეიდან კი მაგ ქაღალდმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობა, მე მაგ დოკუმენტის შინაარს დღესაც სავსებით ვიზიარებ, მე თავი მომწონს კიდევაც მაგ დოკუმენტის ავტორობით! თქვენთვის მაინცა და მაინც ახალი მაქ არაფერი არ უნდა ყოფილიყო: საგანია კათოლიკოზ კირიონის დაღუპვა, რომლის შესახებ მე ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოვსთქვი

სიონის ტაძარში, ცხედრის კუბოზე, თქვენს წინაშე; შემდეგ ეს სიტყვა დავბეჭდე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“, იქაც და მაგ დოკუმენტებში მე ერთ ჯგუფს, „ახალი სიტყვის“ გარშემო შეკრებილს და საკათ. საბჭოს უმრავლესობას უწოდე „ზნეობრივი მკვლელები კირიონ კათოლიკოზისა“! ამას ახლაც ვიმეორებ და ვამტკიცებ კიდეც! მე ფიზიკურ მკვლელს არ ვეძებ, ეს ჩემი საქმე არ არის... რომ ქუთათელი მიტროპოლიტიც ასეთივე მუხანათობის მსხვერპლი არ გამხდარიყო, უსათუოდ მოვაწყობდით გადატრიალებას ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებაში სწორედ ისე, როგორც აწ განსვენებულმა ანტონ ეპისკოპოზმა, მე და ჩვენთან კიდევ რამოდენიმე პირმა მოვაწყვეთ 1917 წლის 12 მარტის აქტი, მაშინ როდესაც თქვენც და თქვენი დღევანდელი მომხრენი პლატონ ექსარხოსსის კალთას არ შორდებოდით და 12 მარტს კი მზა-მზარეულ საქმეზე მობრძანდით და ასე ლამაზად დაწყებული საქმე წაგვიქციეთ, ტალახში და უმანკო სისხლში ამოსვარეს ჩვენი ეკლესიის სახელი და პრესტიჟი ასეთ საპასუხისმგებლო დროს... მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მაინც გული მოვიბრუნე, ამდენ უბედურების შემდეგ მაინც შესაძლებლად ვსცანი ასეთ კოლეგებში სამსახური ისევ ეკლესიის სახელის და საქმის გამოსაბრუნებლად; თქვენ კი ნაცვლად ხელის შეწყობისა, ნაცვლად განვლილ უბედურებათა დაცხრომისა, ისევ აღვივებთ, ამწვავებთ დამოკიდებულებას, მთელი წელიწადია ხელში გჭერიათ ეს განსვენებულ ქუთათელის კაბინეტში ნაპოვნი აწ დოკუმენტი, რომელიც რაღაც საფრთხობელად გაგიხდიათ ჩემთვის, მაგისი არსებობა აქ ყველას სცოდნია, ჩემს გარდა და მთელი წლის განმავლობაში ისე მათამაშებდით, როგორც კატა თაგვს, ეხლა მესმის ის აურაცხელი და სხვაფრივ ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელი მოპყრობა, რომელიც მე ამ ერთი წლის განმავლობაში განვიცადე თქვენგნით კერძოთ და საკათ. საბჭოს უმრავლესობის მხრივ საზოგადოდ. მე კმაყოფილი ვარ, რომ ამ გაუგებრობას ფარდა აეხადა და თქვენ სვამთ საკითხს ჩემ შესახებ, მაგრამ მოგაგონებთ იმასაც, რომ, როგორც საკათ. საბჭოს წევრი, დებულებით შეუვალი პიროვნება ვარ, მაქვს თავისუფლება სიტყვისა, წერისა, აზროვნებისა და მოქმედებისა, როგორც მოქალაქობრივად, ისე ეკლესიურად; მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენ ერთხელ კიდევ სასტიკ შეცდომაში შეუყვანიხართ თქვენდამი დაახლოებულ პირთ, ურომლისოდ თქვენ უფრო სწორეთ და მუდამ კანონიერად იმოქმედებდით და არც ამდენი მარცხი მოგივიდოდათ, რაც თქვენ ამ მოკლე ხანში განიცადეთ, თქვენ ეკლესია ხელში გეფუშებათ და ჩემზე ყრილობთ ჯავრს, ეს პირდაპირ საარაკოა. მე მზად ვარ მოვისმინო თქვენი მსჯავრი ჩემზედ“...

მეტად გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ საკათ. საბჭოს წევრმა რ. ივანიცკიმ, ლეონიდის შვილობილად წოდებულმა; გამოილაშქრა დეკ. ცინცაძემ, კეკელიძემ, პ. ბარათაშვილმა; ესენი მოითხოვდენ ჩემს საკათ. საბჭოდან სრულებით გაძევებას, სხვები უჩვენებდენ დებულებას, რომ ამის უფლება არა გაქვს, საეკლესიო კრებას უნდა მოხსენდესო. ბევრი მიხლა-მოხლის და თათბირის შემდეგ გამოიტანეს ასეთი რეზოლიუცია: „დეკ. ნ. თალაქვაძეს არა აქვს ზნეობრივი უფლება საკათ. საბჭოს წევრად დარჩესო“... მე ამაზე მოკლედ უპასუხე: თქვენ ჩემ მსაჯულებად არ გამოდგებით, ჩვენ ორთავე მხარე დაინტერესებულ მხარეებად ჩავითვლე-

ბით, ეს ვინმე მესამე პირმა უნდა მამხილოს; მე თქვენ ზნეობრივ მკვლელებად გაცხადებთ, მე თქვენს გარეკას ვსცდილობდი საკათ. საბჭოდან, მე თქვენ უზნეო და დამნაშავე პირებად გთვლიდით და ეხლა თქვენ ზნეობაზე მელაპარაკებით, ზნეობას მიწუნებთ თქო...

მაგრამ მეორე-მესამე დღეს ცოტა რამ საქმეები მივაწყვ-მოვაწყვე საკათ. საბჭოში და აღარც მივსულვარ კრებაზე, გადაუწყვეტიათ, რომ თუ მე გამოვ-ცხადდებოდი, ისინი დემონსტრატიულად გავიდოდნენ დარბაზიდან. მეც აღარ გავჭირვეულდი და აღარ დავდიოდი საკათ. საბჭოში; ქალთა მესამე გიმნაზიაში ვიშოვე მასწავლებლობის ადგილი. ამ სახით ჩამოშორებულ ვიქმენ ეკლესიის საქ-მეთაგან, იმ ეკლესიისაგან, რომლის სამსახურისათვის შეგნებულად ვიტვირთე მძიმე ჯვარი მღვდლობისა, ამდენი ვებრძოლე ექსარხოსების რეჟიმს, ამდენი დევნა-უსიამოვნება, შევიწროება, დამცირება და ნივთიერი ნაკლულევანება განვიცადე არავისთვის არც კი გამიზიარებია ისე ჩემი მწუხარება-გაჭირებანი! ვისგნით შემხვდა ყოველივე ეს?! სამწუხაროდ და სამარცხვინოდ ჩვენდა, ისევ ჩემიანთაგან! არ ვიტყვი, რომ ყველგან და ყველაფერში მე ვიყავი მართალი, ალბად მეც შეცდომები მომდიოდა, მაგრამ შეგნებულად და ანგარებით ან რა-იმე პირად სარგებლობის ან თავმოყვარეობის გავლენით არა ჩამიდენია რა, თუ ვსცდებოდი ან ზოგჯერ გადავამეტებდი სიტყვით თუ წერით, ეს მომდიოდა ადა-მიანის ბუნების სისუსტით, ვნება-ბოროტება კი არავისთვის მიმიყენებია. მაგრამ ვიფიქრე: ვინაიდან ეს ხალხი გააფთრებული მსდევნიან, ამზომ ამითვალწუნეს, მოდი, ჩამოვშორდები ერთ ხანს, ვნახო, იქნებ მართლა მე უშლი მათ ხელს, იქნებ უჩემოდ ესენი უფრო კარგ გზას და მოქმედებას დაადგებიან ეკლესიის მოწყო-ბის საქმეში. ასე მოვიქეცი, არაფერ საქმეში აღარც მეძახოდენ, არც მე თვით ვერეოდი. მაგრამ უფრო მეტად აეწეწათ საქმეები – ლეონიდის სასახლის ქვეშ დაბინავდენ მისი ძმისწულები, დისწულები, ოქროპირიძე-კარიჭაშვილები, იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე, რომელიც წინეთ დიდი მოწინააღმდეგე იყო ლეონიდისა და შემდეგ ქუთათელის გარდაცვალებისა დავიდოვმა მიიმხრო, ლეონიდს შეარიგა და განიზრახეს ამ კაცისათვის მიენდოთ სასულიერო ბეჭდვითი ორგანოს გამო-ცემა საეკლესიო ფულებით; ეს ცინცაძე კი – ჩემი სკოლის ამხანაგია სემინარიი-დან, არის კაცი ურწმუნო, ღვინის მიმყოლი და მეტად ზერელე მოაზროვნე, ამან სთარგმნა და ავრცელა ჩვენს ხალხში რუსული რენანის თხზულება „ცხოვრება იესოსი“, რენანისა, რომელსაც ეწოდა სახელი „ქრისტეს გამყიდველისა“...).

დავიდოვის „საიდუმლო ოთახი“ და საქმენი საგმირონი

აქვე, კათოლიკოზის ქვემოსართულში, მოთავსებული იყო ეპარქ. კანცე-ლიარია, სადაც იჯდა ფაქტიური კათოლიკოზი ჩვენი, დავიდოვი, რომელიც, როგორც ზღაპრული ვეშაპი, სთნქავდა ყველას, ვინც კი მის ყბას მოხვდებოდა; განსაკუთრებული უსირცხვილობით აქ სწარმოებდა განქორწინების ნიადაგზე

წარმოუდგენელი თვითნებობა-ბოროტებანი, ეპარქიის მსაჯულებად იყვნენ „არჩეულნი“(!) ცნობილი დეკ. ი. შუბლაძე, სანთლის ქარხნის გამგე, ცნობილი სპეკულიანტი, დეკ. ალ. მიქელაძე (ანაფორა გაიხადა) და კალოუბნის დიაკონი დ. ბახტაძე – ყოფილი საიდუმლო აგენტი თვითმპყრობელ პოლიციისა; ეს უკანასკნელი კონკურენციას უწევდა გაყრა-გამოყრის საქმის წარმოებაში დავიდოვს, ამ თაობაზე გაიმართა მათ შორის საზიზღარი ქიშპობა, აშკარად სჩანდა ეს საძაგლობა; ამ დროს საკათ. საბჭოს კანცელიარიიდან დავიდოვის კანცელიარიაში გადავიდა სიონის კანდელაკი დეკ. ი. კაპანაძე – დავიდოვის თანაშემწეთ, აქვე მსახურებდა მოხელეთ და მსაჯულადაც მღ. ბედიაშვილი (ეხლა ანაფორა გაიხადა), ესეც დ. ბახტაძის კომპანიაში მოხვდა; სწარმოებდა შემზარავი ვაკხანალია; დავიდოვს კანცელიარიასთან ჰქონდა „საიდუმლო ოთახი“, ვითომ მოთხოვნილების მისაღებად – ქალებს ერიდებათ ხალხში თავიანთი ამბის ლაპარაკი და ისინი საიდუმლოდ უნდა მივიღოთო; ფანჯრები ფარდით ჰქონდა დაფარული და დიდ ტახტზე ვეებერთელა ნაბადი იყო დაგებული; ამ „კაბინეტში“ ხდებოდა აშკარა გარყვნილება და დედაკაცების ნამუსის ახდა; ხშირად ჭუჭრუტანაში შეუხედავდენ დავიდოვს თანამსახურნი და სიცილით იფხრიწებოდენ, დეკ. კაპანაძე ყვიროდა: (ისეთი მყვირალა ხასიათი აქვს) „ხალხო, წავიპილწეთ, წავწყდითო“! მაგრამ ვინც რაიმეს გაუბედავდა კათოლიკოზს ამ თაობაზე, ის უსიამოვნოდ მიიღებდა ამ ამბავს და იტყოდა: „მე უმაგისოდ ვერ ვიმსახურებო“, თუმცა ეტყობოდა, რომ თვითონაც დიდად სწუხდა დავიდოვის უსაქციელობით, თვითონაც ატყობდა, რომ დავიდოვი საქვეყნოდ თავს სჭრიდა კათოლიკოზს, მაგრამ უკანასკნელი რაღაც „საიდუმლოებით“ იყო დავიდოვისგან დატყვევებული და ამ ტყვეობისაგან ის, როგორც ქვემოდ დავინახავთ, იხსნა მხოლოდ სიკვდილმა! დავიდოვი ხშირად ჰმართავდა თვისს ბინაზე (ექვსი ოთახი, ქრ. აღმ. საზოგად. თანხით მოწყობილი!) წვეულებას ქალებით, კავალრებით და კათოლიკოზსაც შინაურულად ჰპატიჟობდა და დროს ატარებიებდა; დავიდოვი ქალაქის ცნობილ მოთამაშეებთან თამაშობდა აზარტულ თამაშობებს – ბანქოში, აქ დიდძალი ფული ტრიალებდა, ერთი გადასვლა კარტისა ხშირად 100.000 მანეთამდი ადიოდა, და ჩვენი მდივანიც გადადიოდ-გადმოდიოდა! მეკითხებოდნენ ნაცნობნი, საიდან აქვს თქვენ კანცელიარიის მოხელეს ამოდენა ფულები, რომ სპეკულიანტებს სულ კუდით ქვას ასროლინებსო!.. მღვდლების და მედავითნეების „არჩევნები“ სამრევლოებში დიდი ხანია ფიქციად იქცნენ ჩვენში, მათი გამწესება, გადაყვან-გადმოყვანა სწარმოებდა მხოლოდ დავიდოვისაგან, ეს მოაწყობდა საქმეებს და კათოლიკოზი ყოველივე ამას ადასტურებდა სიტყვის შეუბრუნებლად „რეზოლიუციებით“! ამ ნიადაგზე სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს აშკარა ვაჭრობა და ფეშკაშებ-ძღვნის მირთმევ-მორთმევა – პურით, ყველით, თაფლით, კვერცხით, ახალი თევზით, კაკლით და ყოველივე ხილით თუ სანოვაგით! ასე, რომ „ავტოკეფალია“ დაიკვეხოს მხოლოდ დავიდოვმა და მისმა დამქაშებმა! ჩვენს უბედურ ხალხს, მასსას, დღესაც ვერ გაუგია ჩვენი ეკლესიის თვით თაობა! მაგრამ, ვაი, ასეთ თვით თაობას; უფრო აიწეწა საქმეები საკათ. საბჭოში; ჩემი იქიდან წამოსვლით

ისინი პირის-პირ შეხვდნენ ერთმანეთს! მე თურმე ერთნაირი ინსტრუმენტი ვყოფილვარ იქ, ფიზიკური „პრიბორი“, რომელსაც ეძახიან რუსულად „გრომოოტვოდს“. მთელი „ოპოზიცია“ თურმე ჩემს ზურგზე გადადიოდა! უჩემოდ „მოსწყინდათ“ თურმე კიდეც და რომ ერთმანეთს დაეტაკებოდნენ და დაჰქოჩრავდენ, მომიგონებდენ: „ნეტავი ისევ ნიკიტა ყოფილიყო ჩვენთანო“!

დეკ. მ. ნაცვალოვზე და ი. მირიანოვზე

განსაკუთრებით გამწვავდა დამოკიდებულება დეკ. ცინცაძესა და ლეონიდს შორის; ცინცაძეს მხარს უჭერდა დეკ. კეკელიძეც; ამათში მელაობდა საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგე დეკ. მ. ნაცვლიშვილი, რომელსაც ეს ადგილი გადასცა დეკ. ცინცაძემ, თვითონ კი „ჯამაგირიანი“ წევრობა ირჩია საბჭოში; ეს ნაცვლიშვილი ბოდბის წმ. ნინოს მონასტრიდან იყო გადაყვანილი ინოკენტი ექსარხოსის მიერ ქუთაისის წმ. ნინოს ზავედენიაში, ბოდბეში ამ „სულის მამას“ კავშირი დაეჭირა ახალგაზრდა ლამაზ რუს ილუმენია – „ნინოსთან“ და ამ კავშირს ნაყოფი გამოეღო, რის გამო იქიდან ქუთაისში გადაიყვანეს „ნაცვალოვი“ (ეხლა ნაცვლიშვილი) – ესე იგი თევზი გადაისროლეს ტბაში... ეს ნაცვალოვი სიძეა დიდუბის დეკანოზ ი. მირიანოვისა (ეხლა მირიანაშვილი), ესეც ბოდბეში იყო სიძის წინეთ ნამსახური – ესეც მოლოზნებში ცუღლუტობით არის ცნობილი; ინოკენტის დროსვე ეს გადმოიყვანეს ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესიაში, აქედან კი ინოკენტიმ დიდუბეში გადმოამწესა, როდესაც მე გადმომაგდო ანჩისხატში; ამ „პატიოსანმა გვამმა“ იუდას როლი ითამაშა დიდუბის „ეპოპეიაში“; ბლაღოჩინი ს. შოშიაშვილი გადააყენა ინოკენტიმ[1], ბლაღოჩინობა კი მირიანოვს უბოძა, ხოლო ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით ხდებოდა ჩემი დროის დიდუბის რუს-ქართველთა კრებები და საარჩევნო ბრძოლანი; თურმე მთელი საქმის საიდუმლოება და ჩემი მოქმედების გეზი, ყველა ამან და ამისმა მეგობარმა ნაზარ არქიმანდრიტმა სემინარიის რექტორს ლოთ-გათახსირებულ არქიმანდრიტ ეროფეის მოახსენეს – სანამ თალაკვაძე დიდუბეშია, მანამ რუსები აქ ვერ გაიმარჯვებენო; იეროფეიმ კი ეს ინოკენტის გადასცა, ინოკენტიმ კი გადამაგდო, ხოლო ამ გზით გახსნილ ცოცხალ ადგილზე მობრძანდა და დღემდე მოღვაწეობს დეკ. ი. მირიანაშვილი; თან მნათედ ჰყავს სინ. კანტორის ყოფილი მოხელე დავით ნახუცაროვი, ეს ერთად ჰქაფავენ დიდუბის შემოსავალს, სანთლის ოპერაციის თუ სასაფლაოს ზღაპრულად გაზრდილ ფასებს – ვინა ჰყავთ გამკითხავი, ვინ ჩაიხედავს მათ საქმეში!

1. ს. შოშიაშვილმა გადაჭრით უარი უყო ინოკენტი არქიელს ჩემ შესახებ რაიმე საქმის შექმნაზე დიდუბიდან ჩემ დასაძრავად: „так подавайте в отставку-о“, – უბრძანა არქიელმა! სოლომონმა მეორე დღესვე შეიტანა ოტსტავკა! ბლაღოჩინად დანიშნა ეს მირიანოვი!..

„თამარობა“ დიდ-უბეში

ამას ვინ სჩიოდა, დიდუბის განძეულობა – ოქროვეცხლი, თვალ-მარგალიტიც მიითვისეს, ორჯელ გაატეხიეს ტაძარი – ერთხელ წლეულს და თვით დიდუბის ღვთისმშობელს მოჰხადეს ბრილიანტების გვირგვინი და მსხვილი ქვები, ეს დაკეტილ ეკლესიაში, იმ დღეს, რა დღესაც თვით დილით დეკანოზი კახეთში წაბრძანდა, ხოლო მისი დარაჯი – სოხაძე რაჭაში, წინა დღით კი, 1 მაისს, ძველი სტილით, დიდი წვეულება გადაიხადა, კათოლიკოზის და მის მეგობართა მოწვევით, ეს „თამარობა“ დღეს, რომელიც მე და სოსიკო მერკვილაძემ დავაარსეთ დიდუბეში 1912 წელს და ეს გარემოებაც სხვათა შორის გახდა მახლობელი საბაბი ჩემი დიდუბიდან დაძვრისა – „თამარობის“ დაწესება და თამარ-მეფის ასე აშკარად წმინდანად აღიარებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინ ტფილისის ქართულ-რუსულ პრესაში, ხოლო ექსარხოსი კი ამ თაობაზე ჩემზე აკრაჭუნებდა კბილებს, მას ჩასძახოდენ, ის, ის (მე) არის ყოველივე არევ-დარევის მიზეზი და ხელმძღვანელიო... აი ეს მირიანოვ-ნაცვალოვი იყო მეტად დაახლოებული ლეონიდთანაც, ურთავდენ მუგუზალს ამ ჯოჯოხეთში, თან ესენი მეტად „გულითადად მეგობრობდენ“ დეკანოზ ცინცაძე-თოთიბაძეს, გაიმართა ინტრიგები საბჭოში, ერისკაცები აღარ დადიოდენ სხდომებზე, ამასობაში მოახლოვდა დრო მეორე საეკლესიო კრების მოწვევისა – 1920 წლის ივლისში.

მეორე საეკლესიო კრება და მღ. ტიმოთე ბაკურაძე

ეს კრება განსაკუთრებული სიფრთხილით შეჰკრიბა დ. დავიდოვმა, ამ კრებას უნდა დაედასტურებია ლეონიდის უკანონოდ გაკათოლიკოზობა, ამ კრებას უნდა ეყო ლიკვიდაცია კირიონ-ანტონის დაღუპვისათვის, ამავ კრებას უნდა ეყო ლიკვიდაცია ჩემ შესახებ შექმნილ ვითარებისათვის – ამიტომ კრება უნდა ყოფილიყო მათ მომხრე პირთაგან შედგენილი, ნამდვილი შავრაზმული, ამ კრებას უნდა შეეცვალა პირველი კრების დებულებები, რათა ეპისკოპოზთა უფლებანი – დესპოტიური, აღედგინათ, საკათ. საბჭოს შემადგენლობა შეემოკლებია და სხვა; კიდევაც ასეთი კრება მოიწვიეს; არავინ იყო მათი ხელის შემშლელი; მე აგიტაციურ საქმეებში არ ვერეოდი, არც თავშივე გავრევივარ, თუმცა ბევრს ჰგონია, რომ კათოლიკოზ კირიონის არჩევაში მე ვითამაშე გადამწყვეტი როლი – ეს სრული ტყუილია, ჩემს ბუნებას არ ეხერხება აგიტაცია-აგენტობა; ამიტომ არც მეორე საეკლესიო კრებას გავმკლავებივარ, უმკლავდებოდა მხოლოდ მღ. ტიმოთე ბაკურაძე, ყოფილი დიაკონი, რომელიც მღვდლად აკურთხა კათოლიკოზმა კირიონმა წმ. ილიას ეკლესიისათვის, ამ ეკლესიის ამშენებელ რუსთა ერთი ოჯახის თხოვნით; ეს ბაკურაძე დიდი მომხრე იყო კირიონისა, ხოლო მოწინააღმდეგე ლეონიდ-დავიდოვისა; იყო მეტად მოუსვენარი, თავხედი

და შეუპოვარი პიროვნება; ამან შექმნა საქართველოში „დიაკონთა მოძრაობა“ მღვდლების წინააღმდეგ; დადიოდა საქართველოს ყველა კუთხეებში და ეწეოდა ამ თაობაზე აგიტაციასა; მეტად ავყია კაცი იყო და ყველა ერიდებოდა მასთან უსიამოვნებას; აი ამ ბაკურაძემ გასწია კირიონის სასარგებლოდ არჩევნები, კირიონი აირჩია პროვინციის დელეგატებმა, ხოლო ინტელიგენციამ და ქალაქმა ხმა მისცა ლეონიდს – დავიდოვის, პეტრე ბარათაშვილის, რ. ივანიცკის და დეკ. კეკელიძის აგიტაციით და ხელმძღვანელობით; საკათ. საბჭოშიც კირიონის მოწინააღმდეგე პირნი მოჰყვნენ (მაგ. დეკ. კეკელიძე 1917 წ. 7 მარტის თარიღით წერილს სწერს ეპ. პიროსს: „ამბობენ, რომ კირიონი მოდისო, ხომ იცი, რისთვის მოდის; მდგომარეობა მეტად გამოურკვეველია“; ...ასე სწუხდა კეკელიძე მაშინ, როდესაც ჯერ კირიონი ვიტებსკიდან არ დაძრულიყო, სამშობლოში მისი დაბრუნება შიშის ზარს ჰგვრიდა ცინცაძე-თოთიბაძე-კეკელიძე-შუბლაძეებს ან დავიდოვს, რომელნიც ჯერ პლატონ ექსარხოსის კალთას არ მოშორებოდენ, იცოდნენ, რომ კირიონი მათ მლიქვნელობას და ბნელ საქმეებს მხარს არ დაუჭერდა). ასეთმა პირებმა მოხუც-დაუძლურებულ კირიონს არამც თუ ხელი არ მოუმართეს ეკლესიის მართვა-გამგეობის აპარატის მოწყობაში, პირიქით – საეკლესიო კრებაზე წაგებული ბრძოლა საკათ. საბჭოში გადაიტანეს, ხოლო ეს ბრძოლა მარტყოფის ტრაღედიით დასრულდა. კირიონმა ბაკურაძეს დიაკონის მედავითნეთა წრიდან გამოყვანა განიზრახა და ამ აზრით უფრო ხელმძღვანელობდა, როდესაც წმ. ილიას ეკლესიის მღვდლად აკურთხა, ჯერ, ვინაიდან ეს ტაძარი შტატის არ იყო, ბაკურაძე ანჩისხატის ტაძარზე მოეწერა კირიონს და როდესაც მე ამის თაობაზე უკმაყოფილება გამოვსთქვი, წაშალა, ხაზი გაუსვა ანჩისხატს და მცხეთაზე მიაწერა. კირიონს უნდოდა ბაკურაძის მღვდლად კურთხევით მედავითნეთა კავშირისათვის ბელადი წაერთმია და ეს კავშირი დარღვეულიყო, როგორც მავნე ეკლესიისათვის და მიზანსაც მიაღწია – ეს კავშირი უბაკურაძოდ დაირღვა. მაგრამ ბაკურაძე დაუცხრომელ მებრძოლ პირად გაუჩნდა ლეონიდ-დავიდოვს და კომპანიას კირიონის დაღუპვის შემდეგ;

მირიან ბერის დაღუპვა; ბაკურაძის დაღუპვა

ლეონიდმა ერთხელ მირიან ბერს (არმაზისას, ესეც კირიონის ერთგული იყო) და ბაკურაძეს მღვდელ მოქმედება აუკრძალა, საკათ. საბჭომაც მას მხარი დაუჭირა, მაგრამ, როდესაც კირიონი ავათმყოფობიდან გამობრუნდა, ორთავეს ახსნა ეს სასჯელი; გარნა მის სიკვდილის შემდეგ მირიან ბერი ვიღაცეებმა არმაზის მონასტერში დაჰფლითეს, დაჰგლიჯეს. ნაჭერ-ნაჭერ იპოვნეს მისი გვამი იმ არე-მარეზე; ესეც ბნელით მოცული, გამოურკვეველი დარჩა მთავრობის მიერ... ხოლო როდესაც მეორე საეკლესიო კრების მოწვევა მოახლოვდა, ბაკურაძე მღვდელს საეკლესიო კრებისათვის შეუდგენია მოწოდება, რომელშიდაც ის სასტიკად მხილების კილოთი ამჟღავნებდა ყოველივე იმ ბოროტ-მოქმე-

დებას, ეკლესიის სფეროში გამეფებულ ცარცვა-გლეჯას და უსაქციელობას, რომელსაც კირიონის მოკვლის შემდეგ ჰქონდა ადგილი; ეს „მოწოდება“ დაუბეჭდია უბედურ ბაკურაძეს და კრების გახსნის წინადღეს რამოდენი ცალი საერო მთავრობის წარმომადგენელთათვის დაუგზავნია, ალბათ ზოგიერთ სხვა პირებსაც მისცემდა, ხოლო ამათგან გაიგებდენ ისინიც, ვისაც ეს ეხებოდა და 1920 წლის ივლისში კრების გახსნის წინა ღამით, შაბათ საღამოს (რიცხვი აღარ მახსოვს) მღ. ტიმოთე ბაკურაძე, როდესაც ის ბრუნდებოდა ლოცვიდან სახლში, 8 საათზე, ვერაგულად მოკლულ იქმნა მისსვე სახლების მახლობლად ჩასაფრებულ პირისაგან. ეს მკვლელობა მისს ცოლს გადააბრალეს, რომელთანაც უსიამოვნება ჰქონდა ბაკურაძეს ვითომცა და გარყვნილების ნიადაგზე; ცოლიც დაიჭირეს, მისი ვითომდა „საყვარელიც“, მაგრამ ორთავენი მალე გაანთავისუფლეს, ხოლო გამოძიება უცბად შესწყდა... ამბობენ, რომ სულ სხვა ნიადაგზე აღმოჩნდა მკვლელობაო და ეს მკვლელობაც გამოურკვეველი დარჩა; მეორე დღეს საეკლესიო კრება გაიხსნა – პარაკლის-პანაშვიდით სიონში კვირას, ხოლო სხდომები სწარმოებდა ქვაშვეთის ზედა-ქვედა ტაძარში; აქ უკვე გამოჩნდა ბაკურაძის „მოწოდებანი“, სახლში უპოვნიათ დასარიგებლად დამზადებული 500 ცალი; დავიდოვი თვით უკითხავდა კრების წევრებს ამ მოწოდებას, რომელიც განსაკუთრებით მას ეხებოდა; „უყურეთ, როგორ დაულანზღავს ამდენი საპატიო პირნი, ამათში ჩემი სახელის ხსენებით მე ვამაყობო“, – გაიძახოდა ფერწასული და აღელვებული დავიდოვი; ავრცელებდენ ხმას, თითქოს მეც თანაზიარი ვიყავი მაგ მოწოდების შედგენაში, მაგრამ მთავარხუცესმა გრ. გიორგაძემ და დეკ. ლაზარიშვილმა ბაკურაძის ბინაზე აღმოაჩინეს საკუთრად ბაკურაძის ხელით დაწერილი დედანი მოწოდებისა და მაშინ დარწმუნდნენ, რომ მე მაგ საქმეში მონაწილე არ ვიყავი. არც ვიყავი მაგ საქმის მონაწილე, მე რაც სათქმელი მქონდა აშკარად ვსთქვი, დავსწერე და განვაცხადე კიდეც და ბაკურაძისთანა ადამიანებთან უზრდელ კილოთი დაწერილ მოწოდებაში თანაზიარებას არ ვიკადრებდი;

ტიმოთეს წინადადება ჩემდამი და ინციდენტი ჩემს ოჯახში

ბაკურაძის მოკვლის წინა დღით, პარასკევს, ეს უბედური მოვიდა ჩემს ბინაზე და ასეთი წინადადებით მომმართა: „ერთი ჯგუფის მონდომილებით შენ წინადადებას გაძლევ, რომ კვირას, სიონში, როდესაც კირიონის საფლავზე პანაშვიდის გადახდას შეუდგებიან, უნდა გამოხვიდე და სიტყვა უნდა წარმოსთქვა საკლესიო კრების დელეგატთა საგულისხმოდ, საკათ. საბჭოს და ლეონიდის სამხილებლადო“! ამაზე მე გადაჭრით უარი უყავი: „როდესაც საჭიროდ დავინახე და ღირდა კიდეც, კირიონზე სამი სიტყვა წარმოვსთქვი – ორი ანჩისხატში მისს კუბოს წინ, მესამე სიონში ვისდამიც ჯერ მიჩნდა საგულისხმოდ და სამხილებლად; ეხლა კი უდროოდ და უადგილოდ მიმაჩნია აქ სიტყვის წარმოთქმა

და თქვენს „ჯგუფს“ გადაეცი, თუ მართლა ასეთი არსებობს, რომ მე მათ წინადადებას არ ვღებულობ, უსახელო ჯგუფის სახელით მე ვერ გამოვალ თქო“! ეს მეტად იწყინა მღ. ტიმოთემ, მომდგა და მეტადვე გამლანზღა: „შენ ლაჩარი ხარ, შეგაშინეს, ლეონიდს უძვრები ფეხებ ქვეშო“ და სხვ. ასეთები; ასეთ ჩვენი ბაასის მოწამე იყო ჩემი მეუღლე, რომელმაც იუკადრისა ჩემი ასეთი უმართლოდ მოხსენიება და მე აღარ დამაცალა, თვით უპასუხა უბედურ ტიმოთეს: „მამაო, რაზე ცხარობთ, ან რაზე ილანძღებით აგრე?! თუ ჩემი ქმარი ლაჩარია, თუ ესეც ვინმეს უძვრება და ესეც ასე დასამცირებელი გყოლიათ, თქვენი საქმე წასული, წაგებული ყოფილა, თქვენ ან თქვენი „განახლების ჯგუფი“ რა ადამიანები ხართ?! გვაჩვენეთ თქვენი ან „სიტყვა“ ან „საქმე“ ან რაიმე გაბედულება; გეყოფათ ჩემი ქმარის ზურგს უკან ამოფარება, სირცხვილია, მამაო, ასეთი თავხედური ქცევა, ჩემს ოჯახში ჩემ თვალწინ, ქმარს მილანძღავ, მიმცირებ, უმართლოდ, დაუმსახურებლად, მე მაგის ნებას არ მოგცემთ, წადით, მიმართეთ უფრო გაბედულს და პატიოსან პირსო“... ასეთ პასუხს არ ელოდა ტიმოთე, ის სახტად დარჩა დედაკაცისაგან გაწკეპლილი; მეტად შერცხვა, ბოდიში მოიხადა ჩემს წინაშე და მეუღლის წინაშეც. მაშინ ჩემმა ცოლმა ასეთი დარიგება მისცა: „თუ კირიონის პატივისცემა გსურთ და ასეთ პატივისმცემელთა ჯგუფიც კი ყოფილა, წადით, მამაო, ნახეთ დეკ. სოსო ჩიჯავაძე და მას მიეცით წინადადება, რომ ნავთლუღის ბაღებიდან მოიტანოს საფლავზე ყვავილები და მწვანე ტოტები, მორთეთ საფლავი და შანდლებზე სანთელი იყიდეთ და დაანთეთ; ამდენ ხანს ყვავილებსაც მე ვშოულობდი და სანთლებსაც მე და ს. მერკვილაძე ვანთებდით, სხვანი არავინო!“... ამით გავისტუმრეთ საცოდავი ტიმოთე, რომელიც მეორე დღეს საღამოთი გამოასალმეს წუთისოფელს;

ტიმოთეს დასაფლავება

მე დავასაფლავე უბედური, მთვარანგელოზის ტაძრის გალავანში, ავლაბარში; დასაფლავებაზე წარმოვსთქვი სათანადო მოძღვრება, დავახასიათე მიმდინარე ჩვენი ყოფა-მდგომარეობა და ასეთი უაზრო-უგზაკვალო მკვლელობანი ეკლესიის სფეროშიაც კი; ხალხი ბლომად დაესწრო, სამღვდელოებაც დაესწრო, საკათ. საბჭოდან მხოლოდ ქრ. კაპანაძე იყო, დიდი დეკანოზები დამფრთხალები იყვნენ და ერიდებოდენ კიდეც ასეთ „კაცთან“ საქმის დაჭერას, თუგინდ კუბოს წინაშე პატივისცემას! დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბაკურაძის ასე საოცრად მოკვლამ; მოკვლის მეორე დღით, კვირას ადრე დილით, შემოვიდა ჩემი ბინის აივანზე, ჩემი სიმამრის დეკ. ზ. ლუკაშვილის თანადასწრებით, კუკიის წმ. ნიკოლოზში მსახური (დიაკონის ადგილზე) მღ. ხარლამპი ხუციევი (ეხლა ხუციშვილი); ამან მოგვიტანა ტიმოთეს მოკვლის ამბავი, თან ისიც გვიამბო, „რომ ეს არის კათოლიკოზთან ვიყავი, ეს ამბავი უნდა მისთვის მომეხსენებია, მაგრამ ჯერ არ გამოსულა საწოლი ოთახიდან, მე კი მწირველი ვარ და იქ ვერ

დაუცდიდიო“. ნამდვილად კი (გავიგე შემდეგ) ხუციევმა იმ დილითვე ინახულა კიდეც კათოლიკოზი და ისე მოვიდა ჩემთან, სურდა გაეგო, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს „ამბავი“ ჩემზედ! ეს „ამბავი“ თითქოს მეუბნებოდა: „შენც ეს დღე მოგელის, შენღა დაგვრჩი ეხლა მოუნელებელიო“! მე კი მეტად დინჯად შევეგებე ამ ამბავს, არც არა მითქვამს რა, ვიცოდი, თუ ვისთან მქონდა საქმე. ეს ხუციევი თითქოს მეგობრობდა ბაკურაძეს, ამ უკანასკნელს მინდობილი ჰქონდა მასზე გული, ერთად სავაჭრო სპეკულიაციასაც ეწეოდნენ ორთავენი, მიდი-მოდიოდენ, პურებს ყიდულობდენ და ჰყიდდენ; რაღაც რამოდენიმე ფუთის პურის ანგარიში დარჩენილიყო ხუციევისა ბაკურაძეზე და, როგორც ბაკურაძის ცოლმა გადმომცა, „ტიმოთეს მოკვლის ორი დღის წინეთ, სული შეგვიწუხა ხუციევმა სანამ იმ ანგარიშებს გაუსწორებდით; ნამდვილად კი არც ფულით უჭირდა მას მაშინ და არც პურითო“! საქმე იმაშია, რომ ამ ხუციევს ჰბრალდება ტიმოთეს მოკვლის მოწყობაში უახლოესი მონაწილეობა; ამ ხუციევს სურვილი ჰქონდა დაეჭირა იმ ეკლესიის წინამძღვრობა, სადაც ის მთავრის ვაკანსიაზე იყო ნაკურთხი დეკ. ს. შოშიაშვილთან; ეს უკანასკნელი კი იმ დროს უკვე დამბლად იყო ჩავარდნილი, მოხუცებულიც არის და იმედი აღარ იყო მაგის გამობრუნებისა და აი, ხუციევმა განიზრახა ტიმოთეს დაღუპვის სამაგიეროდ ამ ადგილის ხელში ჩაგდება, ამბობენ „სფეროებში“ დაინტერესებულმა პირებმა მისცეს ხუციევს ამისი იმედიო; ამ საქმის თანამოზიარეთ სთვლიან ქაშვეთის მეორე დეკანოზს დიმ. ლაზრიშვილს, რომელიც „სფეროების“ ღვიძლი აგენტია დღესაც და ხელს უწყობს ჩამოაშოროს „სფეროებს“ ასეთი მოწინააღმდეგენი, როგორიც იყო ტიმოთე და სხვანიც... მეორე დეკანოზი ცინცაძე კი, როდესაც გაიგო ტიმოთეს დაღუპვა, ლოგინად ჩავარდა შიშისაგან, და საეკლესიო კრების ორ სხდომაზე არც კი დასწრებია; მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ამ მკვლელობასაც არავინ მისდევს და იძიებს, დამშვიდდა, გამობრძანდა და საეკლესიო კრება წაიყვანა ისე, როგორც სურდა.

მეორე საეკლესიო კრებისათვის მზადება

ამ საეკლესიო კრებისათვის საკათ. საბჭო თითქოს ემზადებოდა კიდეც 1919 წლის ივლისის და აგვისტოს თვეებში; კრების წინასწარი სათათბირო კომიტეტი იყო არჩეული, სადაც საეპარქიო საბჭოებიდანაც იყვნენ წარმომადგენელნი გამოწვეულნი; იმერეთმა არ ინება წარმომადგენლის გამოგზავნა; გურია-სამეგრელოდან იყო დეკ. ი. ბობოხიძე, ალავერდიდან თვით ეპ. პიროსი, ტფილისიდან დეკ. ნ. მაჭარაშვილი, დეკ. ი. კაპანაძე და მასწავლებელი ივ. რატიშვილი; საკათ. საბჭოდან დეკ. ცინცაძე, კეკელიძე, ქრ. კაპანაძე, მე; იყო საკათ. სასამართლოდან ივ. ბერიშვილი, ზოგჯერ გვესწრებოდა დეკ. ან. თოთიბაძე; მონაწილეობდა ამ თათბირში ერისკაცი ტფ. საოლქოდან დ. ჩიქოვანი. ამ თათბირის მუშაობა მეტად უგულოდ სწარმოებდა, დეკ. ცინცაძე, ეტყობოდა, აფერხებდა ამ მუშაობას,

ის ხშირად იგვიანებდა სხდომაზე მოსვლას, იმ მიზეზით, რომ, როგორც საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგე-დირექტორი (მაშინ ნაცვალოვი მდივნად ჰყავდა და შემდეგ გადასცა მას „გამგეობა“), „საქმეებით იყო დატვირთული“ და ვერ იცლიდა ჩვენთან სამუშაოდ; უმისოდ კი ცნობების მომწოდებელი კაცი არ ჰყავდა კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეპ. პიროსი. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ თათბირის მუშაობა ყოფილა ერთნაირი ეგზამენი „ოპოზიციისა“, თუ რა გვწადია (მე, ქრ. კაპანაძეს და დ. ჩიქოვანს – ესენი ვიყავით „ოპოზიცია“), რა წინადადებებით გამოვდივართ ჩვენ, რომ ესენი მოემზადნენ და ჩაგვიშალონ ჩვენი გეგმა. მართლაც დ. ჩიქოვანს და მე ტფ. სამღვდელოების საოლქო კრებაზე მონდობილი გვქონდა დაგვემუშავებია ეკლესიის მართვა-გამგეობის ჩვენი დროის შესაფერ სისტემაზე მოწყობის პროექტი და წარგვედგინა ისევ ამავ კრებისათვის განსახილველად და თუ რომ მოიწონებდენ, გადაეცემოდა საეკლესიო კრებას.

„მზადება“ – პროექტები კრებისთვის

ჩვენ დავამუშავეთ ასეთი პროექტი, ამ მუშაობაში ღებულობდა მონაწილეობას შტატ-გარეშე მყოფი სამხედრო დეკ. ზ. ლუკაშვილიც (ჩემი სიმამრი, ვიკრიბებოდით ჩემს ბინაზე). ეს პროექტი დავამზადეთ და გადავეცით საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს დეკ. გრ. გიორგიძეს, რომელსაც საოლქო კრება უნდა მოეწვია და მისთვის მოგვეხსენებია ეს პროექტი. მოიწვიეს კრება მეტად დაგვიანებით, ხოლო კრებაზე არც კი დაგვაცალა დეკ. კ. ცინცაძემ დამსწრეთ წაეკითხათ, მოესმინათ მაინც ეს პროექტი, თავიანთი აზრი გამოეთქვათ, შესწორებები შეეტანათ, აზრთა გაცვლა-გამოცვლას დავსჩვეოდით, საქმეში ჩავბმულიყავით და ერის კაცნი თუ სამღვდელონი დაგვეინტერესებია ეკლესიის საქმეების მოწყობით, მასში ისინიც ჩაგვება! დეკ. ცინცაძე პირველ მუხლზევე („დეკრეტზე“) აგვიჯანყდა და მოგვახალა: „ეს ბოლშევიკური მიმართულებააო“! საქმე ეხებოდა ჩვენი ეკლესიისათვის საერთო ცენტრალურ კასის შექმნას (ჩვენი „ხაზინისა“), რომ ამ ნიადაგზე მომხდარიყო ჩვენი ორგანიზაციულად გაერთიანება; მაშინ „მდიდარი“ და „ღარიბი“ ეკლესიები გათანასწორებულნი იქნებოდენ – ქაშვეთ-დიდუბე-სასაფლაოები ვეღარ იკოჭავებდნენ ეკლესიის საერთო მამულების – სახლების, საფლავების, სანთლის ოპერაციების შემოსავლიდან ისე, როგორც დღეს კოჭაობენ, სჭამენ და სთნქავენ განუკითხავად!

„დიდი საბჭო“

ჩვენ ვთხოულობდით პასუხისმგებლობის სისტემას ეკლესიის მართვა-გამგეობაში, ჩვენ ვთხოულობდით „ფაქტიურ კონტროლს“ სასტიკის სახით ეკლესიის ცხოვრების ყოველივე დარგში, რათა ალაგმული ყოფილიყო ყოველგვარი თვითნებობა-ჟინიანობა კათოლიკოზიდან დაწყებული უკანასკნელ ეკლესიის

მსახურამდე; ვთხოულობდით დროებით, სანამ ჩვენი ქვეყანა და ცხოვრება პოლიტიკურად თუ სოციალურად ნორმალურ პირობებში ჩასდგებოდა, საეკლესიო კრებას აერჩია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებიდან სათანადოდ მომზადებულნი და რწმენითაც შესაფერი წარმომადგენლები ტფილისში მცხოვრებ საერო თუ სამღვდელო პირთაგან (აქ საქართველოს ყველა კუთხიდან გვყვანან ასეთი პირნი) „დიდი საბჭო", რომელიც საეკლესიო კრების ფუნქციების მუდმივი – განუწყვეტელი მუშაობის გამგრძელებელი იქნებოდა; ასეთ არეულ-დარეულ დროს სისტემატიურად საეკლესიო კრების მოწვევა მეტად სჭირს და ღარიბ ეკლესიას მეტად ძვირადაც გვიჯდება; აქ მცხოვრებთ პირთაგან შემდგარი დიდი საბჭო კი მუდამ თავში ეყოლება ეკლესიას, ის შესძლებს პასუხი მოსთხოვოს სასულიერო მთავრობას და მისს მოხელეებს მათ არასათანადო მოქმედებებში, გადააყენონ კიდევაც, და თან დაიცვას ეკლესიის ინტერესები საერო მთავრობის წინაშეც; ისე კი რომ ეს „დიდი საბჭოც" ბოლოს თავის მოქმედების ანგარიშს წარუდგენს საეკლესიო კრებას, რომელიც საბოლოოდ ადასტურებს თუ უარჰყოფს მისს (დიდ საბჭოსას) ნამოქმედარს. ერთი სიტყვით, ჩვენი სისტემა იყო აგებული სასტიკ პასუხისმგებლობის პრინციპზე, რომ ამით შეგვეჩერებია და აგველაგმა ის მტაცებლობის ვაკხანალია, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდებოდა და რომელსაც თვით კათოლიკოზი და საკათოლიკოზო საბჭო ადასტურებდენ, ხელს უწყობდენ. რასაკვირველია, მიგვიხვდნენ დაინტერესებული პირნი და ჩაგვიშალეს ამ სისტემის დაცვა-გაშუქება საოლქო კრებაზე, რომ მის დასტურით ზურგ გამაგრებული წარვსდგომოდით ჯერ „წინასწარ თათბირს" და შემდეგ საეკლესიო კრებას. საოლქო კრება დაიშალა, აქ არ აღმოჩნდა ისეთი მღვდელი ან ერი, რომ თავიანთი ღირსება ეცნოთ და დაეცვათ! მეტად უსუსური და თან შავრაზმული შემადგენლობისაა ტფილისის სამღვდელოება, ჩვენი უუნარობით და უხალისობით აიხსნება, რომ არც სამრევლო საბჭოებში გვყავს ცოცხალი და მომზადებული პირნი; ასეთი პირნი არც კი სურს სამღვდელოებას, მას ეკლესიების შემოსავლის ყულაბაში ხელის ფათურს დაუშლიან, ამიტომ, როგორც ჩვენა ვართ, ისეთ სამრევლო საბჭოებსაც ვარჩევინებთ ხოლმე მრევლს! საოლქო კრებაზე იშვიათად ორი-სამი პირის მეტი დაგვესწრონ სამრევლო საბჭოს წევრთა ერისაგანნი. ასე აბუჩად აგდებულნი დავრჩით მე და დ. ჩიქოვანი.

ჩემზედაც ნადირობენ

ჩვენ ეს ჩვენი პროექტი შემდეგ დავბეჭდეთ გაზეთ „საქართველოში" (რამოდენიმე ფელეტონებად) და გადავიტანეთ „წინასწარ თათბირში", მაგრამ აქაც დარაზმულად გვეკვეთნენ მოწინააღმდეგენი, უარჰყვეს ჩვენი პროექტები (მე მეორე მოხსენებაც წარვადგინე ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფაზე) და არც კი დამთავრებულა ეს „წინასწარი თათბირი", ისე დაიშალა ის!... საეკლესიო კრებამდე აღარ მისულა ჩვენი ხმაც კი! საეკლესიო კრების დელეგატებადაც

კი ვერ გავედით, ორთავენი გაგვაშავეს, გაიყვანეს ტფილისის დელეგატებად ზემონახსენები დიდუბის დეკანოზი ი. მირიანოვი და მისი მნათე დ. ნახუცროვი! ასეთი სულიერი განწყობილება შექმნეს ლეონიდის „მოყვრებმა“ საეკლესიო კრებისათვის! ასეთივე ჯურის დელეგატები ყოფილან მოწვეულნი საქართველოს ყველა კუთხიდან; ამ თაობაზე დიდი მუშაობა და ფულიც დახარჯულა საეკლესიო საშუალებათაგან (საეკლესიო კრების სხდომები რომ სწარმოებდა, მაშინ ვიღაცას მოუპარავს კათოლიკოზ ლეონიდის კაბინეტის მაგიდიდან 85000 მანეთი საზოგადო ფული! „წმ. ნინოს ქალთა საზოგადოების“ ფული! ეს მაშინ კაი ფული იყო! ხმა გავრცელდა ეს „ტიმოთეს ოპერაციას“[1] დასჭირდებოდაო!...). საეკლესიო კრების დელეგატობის მანდატი ოთხი-ხუთი ოლქიდან მომივიდა, ზოგი კახეთიდან, ზოგი ქართლიდან, ერთიც თვით სუხუმიდანაც კი! მაშინ იყო წესი ასეთ მანდატებით დელეგატების არჩევისა; ყველა მანდატი გამიუქმეს მეცა და დ. ჩიქოვანსაც, მოგვდეს სხვა და სხვა ხრიკები; დ. ჩიქოვანი ველარ დაესწრო კრებას, მე სოხუმის მანდატით მაინც მოვხვდი კრებაზე; მაგრამ კრების გახსნის წინ დამიბარეს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებმა ცენტრო-ბანკში: ალ. ასათიანმა (დამფუძნ. კრების წევრმა), პ. გოთუამ და ნ. თავდგირიძემ; ამათ წინადადება მომცეს „ხელს ნუ შეგვიშლი კრებაზე, ჩვენ ეს კრება გვინდა მშვიდობიანად და ნაყოფიერად ჩავატაროთ და შენ, როგორც ჩვენი პარტიის თანამგრძნობი (მე ქალაქის საბჭოს ხმოსნად გამიყვანეს მათ) ჩვენთან ერთად, პარტიული დისციპლინით უნდა გამოვიდეთო“. მე ამაზე უპასუხე: „არც კი ვიცი მე თქვენ რა წინადადებებით და პროექტებით გამოდიხართ; თუ რაიმე მუშაობა გქონდათ საეკლ. კრებისათვის, რატომ მეც არ გამიზიარეთ ეს თქვენი ნამუშევარი, რომ შევთანხმებულიყავით და მართლა ერთი რამ საერთო – სასიკეთო აზრით წარმდგარვიყავით კრების წინაშე! ვინაიდგან ეს არ მოხდა და ხვალ კი კრება იხსნება (ეს იყო შაბათს, იმ დღეს, რა დღესაც საღამოს ბაკურაძე მოჰკლეს), მე მხოლოდ ისღა შემიძლია, რომ ერთი კრინტიც არ დავსძრა კრებაზე, სრულებით მონაწილეობა არ მივიღო დებატებში და თქვენ იკისროთ კრების მიმდინარეობის, ნაყოფიერების და საფუძვლიანობის მთელი პასუხისმგებლობა! მე მხოლოდ ჩემ შესახებ შემიძლია თქვენ დაგამშვიდოთ, ხოლო სხვა ვინმე რით ან როგორი სახით გამოვლენ კრებაზე, მე ამაში არავითარ პასუხს არ ვაგებ თქო“! ამათ უკვე იცოდნენ „განახლების ჯგუფის“ ანუ ბაკურაძის „მოწოდება“; შეიძლება ჰფიქრობდენ კიდეც, უფრო ეგონათ, რომ მეც შევდივარ ამ „ჯგუფში“!.. ამით გათავდა ჩვენი ბაასი, საღამოს ბაკურაძეც „გათავდა“! და საეკლესიო კრებაზე ხმა არ ამომიღია... ისე კი მოვისმინე ამ „მეორე საეკლესიო“ კრების „საქმიანობა“. ამ კრებისთვის საკათ. საბჭოს შედგენილი ჰქონდა „პროგრამმა“ ანუ საკითხთა ნუსხა, მგონი, სულ 35 გასარჩევი საკითხი იყო ჩამოთვლილი, სულ ბოლოს მოქცეული იყო ჩემ შესახებ საკითხი, ისე ტენდენციური ფორმულიროვკით, რომ კაცს ეგონებოდა თითქოს დიდი ავაზაკობა ჩამიდენია რაღაცა და საკათ. საბჭოს მიუცივარ პასუხისგებაში.

1. მოკლის მოგვარებას...

კრების გახსნა

კრება ჯერ გაიხსნა ქვაშვეთის ეკლესიის ტაძრის ზემო სართულში, მაგრამ რეზონანსისა გამო სხდომები გადაიტანეს ქვემო სართულში. დაესწრნენ ყველა მღვდელმთავრები, იყო ქუთაისიდან 1917 წელს განდევნილი გიორგი ეპისკოპოსიც (ამ კრებაზე „აირჩიეს“ ჭყონდიდელ მიტროპოლიტად), ქუთაისისა ნაზარი (ლეჟავა, ზემოაღნიშნული), ცხუმ-აფხაზეთისა ამბროსი, დავით ურბნელი (ამ კრებაზე გაიყვანეს ის ეპარქიიდან და აირჩიეს საკათ. საბჭოს ჯამაგირიან წევრად), პიროს ალავერდელი და თვით თავმჯდომარე კრებისა კათ. ლეონიდი; დელეგატთა შორის დიდი უმრავლესობა იყო სამღვდელო პირნი, საერონი ძლიერ ცოტანი იყვნენ და ისინიც რაღაც დაბეჩავებულნი – უვიცი, მოუმზადებელი ელემენტნი. კრება გახსნა ლეონიდმა (კვირას სიონში გადაიხადეს წირვა – პარაკლის-პანაშვიდი (კირიონზე) თვისი მოხსენებით, რომელიც იყო მეტად უფერული, არაობიექტური და ყოველივე სიცოცხლეს და ინტერესს მოკლებული; საკათ. საბჭოს მოქმედების ან განვლილ დროს ეკლესიის ვითარება სრულებით არ იყო დახასიათებული, ცოტად თუ ბევრად მაინც სიმართლესთან დაახლოებული; თითქოს არც არა მომხდარიყოს ჩვენს ეკლესიის ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში! ჩვენ მოველოდით, რომ საეკლესიო კრება მაინც მოსთხოვდა ანგარიშს თვის მიერ 1917 წელს არჩეულ პირებს, განსაკუთრებით საკათ. საბჭოს ჯამაგირიან წევრებს, რომელთაც უნდა ეწარმოებიათ ეკლესიის მოწყობა-მომართვა მათდამი კრების მიერ მოცემულ დირექტივებით ან დავალებებით – რა გააკეთა ამ ხალხმა ამ დარგში და თუ არ გააკეთა, რატომ, რა პირობები უშლიდენ მათ ნაყოფიერ მოქმედებას ხელს, რომ შემდეგისათვის კრებას ეს პირობები ჩამოეშორებია ეკლესიისათვის, რამდენად ეს მას (კრებას) ძალედვა. არავითარი პასუხისმგებლობითი უფლება პრინციპი კრების წინაშე არ გამოუჩენია კრებას; ყველაფერი ჩაილულის წყალს ჩაატარებიეს; ყველანი ელოდა, რომ შეიძლება თალაკვაძის შესახებ საკითხმა აჰხადოს საიდუმლოების ფარდა საკათ. საბჭოს განვლილ ხნის მოქმედებას და მათ ურთიერთობას, რომელსაც შედეგად მოჰყვა კირიონ-ანტონ-მირიან-ტიმოთეს მსხვერპლები. მაგრამ ის „საკითხი“ ისე ოსტატურად და ისე შორს იყო დასმული, რომ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ის კრებას არ მოხსენდებოდა, ეს „საკითხიც“ ჩაფუჩეჩდებოდა, დაღლილ-დაქანცული დეპუტატები სახლისკენ გაეშურებიან და ამ „საკითხისათვის“ თავს არავინ გაიცხელებდა; კარგად იყო დეკ. კ. ცინცაძის მიერ გათვალისწინებული კრების პსიხოლოგია და არც ანგარიში გაუმტყუნდათ; მთელი კრება დეკ. კ. ცინცაძის „დებულებათა“ შესწორების ნაცოდვილევის მოსმენას მოუნდა! აი, სად გამოირკვა ცბიერობა მისი (ცინცაძისა და კათოლიკოზისაც!) – ჩვენ 1919 წლის ცხელ ზაფხულში „წინასწარ თათბირში“ სული ამოგვივიდა იმ სიცხე-პაპანაქებაში, ჩვენი ნამუშევარი უარჰყო საკათ. საბჭომ, იმიტომ, რომ თურმე დეკ. ცინცაძეს განუზრახავს „დებულებებში“ „პაჩინკების“ შეტანით დაკმაყოფილებულიყვნენ, ჩვენს ნამუშევარზე გაკვრით ითქვა ორიოდე სიტყვა, რომ იყო სხვა პროექტებიც, მაგრამ ესენი საკათ. საბჭომ უარჰყოო!

ვსთქვათ საკათ. საბჭომ „უარჰყო“ ჩვენი პროექტით წამოყენებული სისტემა მართვა-გამგეობისა, მაგრამ კრებას არ უნდა გამოეჩინა რაიმე ხალისი და ინტერესი, გაეგო, თუ რა სისტემაა ეს, რომელიც საკათ. საბჭოს უარუყვია, იქნებ საკათ. საბჭო შეცდომაში ჩავარდა და საეკლესიო კრებამ გაასწოროს ეს „შეცდომა“, მაშინ რატომ შეიკრიბა კრება?! ნუ თუ მხოლოდ იმისათვის, რომ დაედასტურებია ყოველივე ის უკანონობა, შეცდომები და ბოროტებანი, რომელნიც საკათ. საბჭომ ამ ხნის განმავლობაში ჩაიდინა ნებსით თუ უნებლიეთ?! და მართლაც ყველაფერი დაუდასტურა კრებამ ლეონიდს და ცინცაძე დეკანოზს – უკანონო არჩევა კათოლიკოზ ლეონიდისა, ასეთივე და უფრო მეტი უკანონო „არჩევა“ ქუთათელ მიტროპოლიტად ნაზარისა, სემინარიის დაღუპვა-გაძარცვა-განიავება დეკ. კეკელიძისაგან და ძმათა მისთაგან, ეკლესიის კათედრის სისხლით შეღებვა კირიონ-ანტონის დაღუპვით, მირიან-ტიმოთეს დაღუპვა ასე განუკითხავად და უცნაურად! მაშ, ვის უნდა ჩაეხედა ყოველივე ამ საქმის ზნეობრივ სახეში მაინც!!. კრებამ ყოველივე ამას გვერდი აუხვია „ოსტატ“ ხელმძღვანელთა მეოხებით! კრებას ფაქტიურად ხელმძღვანელობდენ ნაციონალ-დემოკრატების ბელადები: გრ. ვეშაპელი, სპ. კედია, პ. გოთუა, ალ. ასათიანი, ზ. ქიტიაშვილი; ესენი ხმას არ ამოაღებინებდენ ხოლმე მოწინააღმდეგეებს; იყო ოპოზიციონურად განწყობილი ერთი ჯგუფი დელეგატებისა მღვდელთა თუ ერისაგანთა, ამათ ბელადობდა ქუთათური დელეგატი დეკ. სპ. ლეკვეიშვილი და ლანჩხუთელი დეკ. ეპ. ჩხაიძე; ლეკვეიშვილმა დასაბუთებული დიდი სიტყვა წარმოსთქვა კრებაზე, უჩვენა ბევრი შეცდომები და ნაკლულევანებანი აწ არსებულ მართვა-გამგეობის სისტემაში, მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დეკ. კ. ცინცაძის „შეპაჩინკებული“ დებულებანი, უჩვენა უილაჯობა-უმნიშვნელობა ასეთ შესწორებათა, აღნიშნა უპასუხისმგებლობა-თვითნებობა მმართველი წრეებისა საეკლ. უწყებაში, მოითხოვდა დრო-ჟამის და შექმნილ ვითარების შეგნებას და ამისდაგვარად ეკლესიის პროგრესის, სინათლის და სიმართლის გზაზე გამოყვანას, თუ ეკლესიის მეგობრები ვართ და მორწმუნეთა ხელმძღვანელობას ვკისრულობთო... ბევრი რამ კარგი, საგულისხმიერო იყო ნათქვამი ლეკვეიშვილისაგან, მაგრამ მთქმელს გამგონე არა ჰყავდა, კრება ისე იყო მოწვეულ-მომზადებული, რომ მას შეგნებული ჰქონებოდა (ცალ-ცალკე დელეგატების ადგილობრივ), რომ ყური არავის დაეგდო არც თალაკვაძისათვის, არც ლეკვეიშვილისათვის და არც ასეთ პირთა გამოსვლებისათვის; ნაზარი ქუთათელი ასე მოძღვრავდა თურმე თავის ეპარქიის დელეგატებს: „ტფილისში მხოლოდ დეკ. ცინცაძეს დაელაპარაკეთ და რაც იმან სთქვას, მხოლოდ ის მიიღეთ და გაიგონეთო“!.. ერთი ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა ნაზარის სახლიკაცი – ლეჟავა, სამტრედიის რაიონში მსახური და რომელიც ჩემი ნამოწაფარიც აღმოჩნდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან, მოვიდა ჩემთან კრების დარბაზში და რამოდენიმე დელეგატთა თანდასწრებით მეტად თავხედურად და პროვოკაციულად მომეპყრო: „რას ლაპარაკობ, მამაო თალაკვაძევ (კერძო ბაასში ვიყავი დელეგატებთან, კრება შეწყვეტილი იყო), შენ მე ვეღარ მცნობ, მე შენი მოწაფე ვი-

ყავი ქუთ. სასულიერო სასწავლებელში, იქ პატივსა გცემდი, ეხლა კი ყველას ასე გვაქვს შეგნებული, რომ „ჩვენი ეკლესია დეკანოზმა თალაკვაძემ დააქციაო“! – ეს მეტად დამახასიათებელი გამოსვლა იყო იმ ლეჟავა მღვდლისა! აქ კომენტარები მეტია, ცხადია მხოლოდ ერთი რამ, თუ რაგვარი მუშაობა სწარმოებდა ამ კრების მოწვევის საქმეში... დ. დავიდოვიც კრების დელეგატი იყო რომელიღაც საოლქოდან; ისე თამამად და ლაღად იქცეოდა, როდესაც ბაკურაძის მოკვლის შთაბეჭდილება მინელდა და საეჭვო პირებს ხელი აღარავინ ახლო, რომ საკვირველება იყო სწორე! გამოდიოდა ტრიბუნაზე, დარიგების და დიდის მცოდნის კილოთი სიტყვას წარმოსთქვამდა ხოლმე; მიდი-მოდიოდა ხოლმე იმ კომისიაში, რომელსაც მენშევიკების მთავრობიდან დელეგატთა სამგზავრო თუ დასახმარებელი ფულის გამოტანა ჰქონდა დავალებული; რაღაც ბოლოს გამოატანეს კიდეც და ეს „გამარჯვება“ ისეთი ყლოშინით აცნობა დავიდოვმა კრებას, რომ თითქოს მას, დავიდოვს, ეჩუქებიოს მათთვის ეს ფულები; ბოლოს ამ ფულების განაწილების საქმეშიც მონაწილე იყო და „ირგეს“ თურმე მონაწილეებმა ამ გროშებიდანაც კი! ვინ უანგარიშებდათ, ვინღა განიხილავდა მათ მოქმედებას?! ეს ხალხი-ბრბო მუდამ ასეთ „წინამძღოლების“ ღირსია! საეკლესიო კრებას რომ თავისი ღირსების შეგნება ჰქონებოდა, დავიდოვის საქმენი-საგმირონი იმდენად უკვე ცნობილი და გავრცელებული იყო ყველგან და ყველასათვის, რომ ის კრებაზე არ უნდა დაეშვათ, ჯერ მისგან უნდა გაენთავისუფლებიათ უბედური ჩვენი ეკლესია: ბევრი სჯა-ბაასი ამ თაობაზე საჭირო არ იქნებოდა, საკმარისი იქნებოდა კრებას ეთქვა მისთვის: კარგი ხარ თუ ავი ჩვენ ამის განხილვაში არ შევდივართ, მაგრამ ამდენი მითქმა-მოთქმის შემდეგ თქვენს გარშემო, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია თქვენი ჩვენს წრეში დარჩენა!.. მორჩა და გათავდა... მაგრამ ვინ იყო კატისათვის ეჟვნის შემბმელი?!.

იერარქთა ულტიმატუმი საეკლესიო კრებას

აღსანიშნავია კრებაზე არქეოლოგ ევთიმე თაყაიშვილის მოწვევა, რათა ამას შეეგონებია კრებისათვის, რომ საქართველოს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გადმოეცათ მღვდლებს მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მამაპაპათაგან დღემდე დაცული განძეულობა. ევთიმეს სიტყვა კრებამ გაამასხარავა, ლეონიდმა თაყაიშვილი კრების წინაშე მიწასთან გაასწორა და ასე გალახულ-გალანზღული წავიდა ევთიმე კრებიდან; შემდეგ, მენშევიკების ქალაქიდან გასვლის წინა დღეებში ევთიმემ გამოილაშქრა ამ თაობაზე გაზეთ „საქართველოში“ გერასიმე იმნაიშვილის წინააღმდეგ, რომელსაც, მგონი, გაზეთ „მიწაში“ მის საწინააღმდეგო წერილი მოეთავსებია, სადაც ევთიმეს იმნაიშვილი უკიჟინებდა ეკლესიის ღალატს და მთავრობის აგენტობას. ევთიმემ ამ წერილის საპასუხოდ „პროვოკატორი“ უწოდა იმნაიშვილს, სასტიკი პასუხი გასცა საეკლესიო კრებასაც და კათ. ლეონიდსაც, მეც ზედ მიმაჭყლიტა, ვინაიდგან საკათ. საბჭოს მონდომებით ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში

1919 წელს მოწვეულ თათბირზე ამ საკითხის შესახებ მოვუტანე ის პასუხი და აზრი, რომელიც დამაბარა საკათ. საბჭომ – ეს წინააღმდეგი იყო მთავრობისათვის ეკლესიის განძეულობის გადაცემისა, ჩვენ თანახმანი ვიყავით ჩვენს საეკლესიო მუზეუმში (რომელსაც ეხლა უნივერსიტეტი დაეპატრონა) გადაგვეცა ძველი ხელთნაწერები და საარქეოლოგიო-საისტორიო ნაშთები, რომელიც სასოების და თაყვანისცემის საგნებს აღარ შეადგენდენ დღეს ჩვენს ტაძარ-მონასტრებში. ეს იყო და არის ჩემი აზრი და რატომ მიჯავრდება ბ. თაყაიშვილი, ვერ გამიგია; 1914 წლის დეკემბერში ვახტანგ ღამბაშიძემ (ექიმმა) და მე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ მას, როდესაც დარიის მონასტერში კრებაზე, ანტონ ეპისკოპოზის თავმჯდომარეობით, მან გაბედა და განაცხადა, რომ თათრების შემოსევის შიშით მთელი განძეულობა და ჩვენი მუზეუმები მოსკოვში გადავიტანოთო!.. აქ მეტია კომენტარები... ესეც მწარე მოგონებად აქვს ჩემზე თაყაიშვილს, თუმცა უნდა მიმადლოდეს, რომ ვიხსენით ის ისტორიულ სიკვდილისაგან და სირცხვილისაგან. საზოგადოდ შენიშნული მაქვს, რომ რამდენად სასურველი და პატივსაცემი გვამია ევთიმე, როგორც ისტორიკოს-არქეოლოგი და მკვლევარი, იმდენად სუსტი მოქალაქე ბრძანდებოდა, თვითმპყრობელობის დროსაც და მენშევიკების დროსაც; მაშინ ექსარხოსებს ევლებოდა თავზე, შემდეგ მენშევიკებს ულოლიავებდა, რომ მათი სახელით ჩვენი ეკლესიები დაეცალა განძეულობისაგან და ყველაფერი თვის „ეთნოგრაფიულში“ მოეთავსებია! ასეთი სურვილით შეპყრობილი, ის აღარ დაგიდევდა ამა სურვილის გასანაღდებელ არავითარ საშუალებებს!..

...ბოლშევიკების შემოსევის წინ მაგან ჩაიბარა თითქმის მთელი განძეულობა და გაჰყვა ევროპაში, ღმერთმა ხელი მოუმართოს მას ამ ჩვენ ფასდაუდებელ სიმდიდრის და სიამაყის დაცვაში, მაგრამ ძლიერ ნაკლები იმედია, რომ ან ეს განძეულობა ან თვით ევთიმეც დაბრუნდნენ საქართველოში...

საეკლესიო კრებაზე ღირსშესანიშნავი იყო ერთი გარემოებაც – კათოლიკოზმა ლეონიდმა და მასთან ერთად ყველა მღვდელმთავრებმა (დავითმაც კი) ერთხმად დაემუქრენ კრებას, რომ ისინი ეხლავე ყველანი გადადგებიან სამსახურიდან, თუ კრება არ აღუდგენს იმათ განუსაზღვრელ – მონარქიულ-დესპოტიურ უფლებებს! ასეთმა მღვდელმთავრების საერთო გამოსვლამ და მუქარამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე, კრებამ აღუდგინა მას დესპოტიური უფლებანი, მოისპო მღვდელმთავრებთან საეპარქიო საბჭოები, რითაც ნამდვილად ხელ-ფეხი გაეშალა ეპარქ. კანცელიარიის მდივნებს და არა მღვდელ-მთავრებს... ეს დალოცვილები თვით უვარდებიან პირში თავიანთ მდივნებს, უმაგათოდ თითქოს ეპისკოპოზის ტვინი აღარ მუშაობს, თუ მდივნებმა არ „ურჩიეს“, ისე ეპისკოპოსები რეზოლიუციების დადებასაც კი ვერ ახერხებენ! რამდენად ეპისკოპოსნი მინდობილ-დამონებულნი იყვნენ მდივნებისაგან, იმდენად სძულდათ მათ და ვერ ეგუებოდენ კოლეგიალურ დაწესებულების საშვალებით და დახმარებით მართვა-გამგეობის წარმოებას. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ეპისკოპოსნი ისევ თავიანთ მდივნების შეგნებით მოქმედებდენ. გაიმარჯვეს ეპისკოპოსებმა, მოისპო საეპ. საბჭოები, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, დას-

ტოვეს საეპარქიო სასამართლოები და მოსპეს საკათალიკოზო სასამართლო – უმაღლესი სასამართლოც იმავ საკათოლიკოზო საბჭოს ხელში მოათავსეს... ერთი სიტყვით, ისე შესცვალ-შემოსცვალეს მართვა-გამგეობის დებულებანი, ისე უსისტემო-უაზროთ, რომ ბევრგვარი უსწორ-მასწორობაა შიგ, ბევრგვარი წინა-უკმობაა აზრთა და ურთიერთობათა შორის... ლეონიდმა სასტიკად მოითხოვა, რათა მღვდლებს თმა და წვერისათვის მაკრატელი არ ეხლოთ, არ გაებედნად ანაფორის გარეშე სხვა ტანისამოსით გასვლა-გამოსვლა (როგორც ეს დაადგინა პირველმა საეკლესიო კრებამ). ერთი სიტყვით, ასეთ წვრიმალობაში, ასე საკინკლაო საკითხებში დახურდავდა კრების საქმიანობა. გადმოდგა „ამერიკელი“ დეკანოზი ი. კაპანაძე და თვისი მჭექარე ხმით დალანძღა მღვდლების საქციელი და მათი ნაკლულევანებანი, წაუკითხა „მოხსენება“, თუ როგორ უნდა იყოს მღვდელი შინ თუ გარეთ, ეს ყველაფერი „უჩიტელნოე იზვესტიიდან“ ჰქონდა ამოღებული, ნამდვილად კი თავისი სახელით ასაღებდა...

კრება-მიტინგი

საეკლესიო კრების სხდომების შუა ნაციონალ დემოკრატების ლიდერებმა – სპ. კედიამ და გრ. ვეშაპელმა გამართეს ეკლესიაში პოლიტიკური მიტინგი. საქმე იმაშია, რომ სპ. იყო ამ პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი, რომელსაც ორგანოდ ჰქონდა ხელში გაზეთი „საქართველო“, ხოლო მემარჯვენე ფრთის ლიდერი იყო გრ. ვეშაპელი, რომელიც ხელმძღვანელობდა გაზეთ „კლდეს“... ამას ეძახოდენ ქართველების პურიშკევიჩს; (ვეშაპელი მენშევიკებს გაჰყვა ევროპაში და ეხლაც იქ არის); ეს ორნივე ლიდერები სცდილობდენ თავიანთ ბანაკში გადაეყვანათ სამღვდელოება და საზოგადოდ მორწმუნენი; ამ სახით ეკლესია ლეონიდმა გადააქცია ნ. დ. პარტიის სათარეშო მოედნად, დაუმორჩილა ის პოლიტიკურ-პარტიულ ზედ-გავლენას, ეკლესია თითქოს პარტიის ბრმა იარაღად გახდა, რითაც ეკლესიამ სხვა პარტიებისაგან დაიმსახურა უფრო მწვავე და მტრული განწყობილება. ეს დიდად სახიფათო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს – ეკლესიას და სამღვდელოებას თავისი პირდაპირი მოვალეობა ვერ უცვნიათ და პარტიას აჰკვიატებია!..

ჩემი „საქმე“ კომისიაში

თითქოს საეკლესიო კრებამ სხვა და სხვა საკითხების დასამუშავებლად კომისიები აირჩია, ნამდვილად კი კომისიის ნამუშევარს პრეზიდიუმი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ყოველივე ისე მიმდინარეობდა, როგორც დეკ. კ. ცინცაძეს ჰქონდა წინდაწინ „შემუშავებული“! ერთ კომისიაში, „იურიდიულში“, იყო გადაცემული საკათ. საბჭოს მსჯავრი ჩემს შესახებ; ამ კომისიის ხელმძღვანელად იყო ამორჩეული აფაქიძე, იურისტი, წინეთ მეფისნაცვლის კანცელია-

რიაში ნამსახური მოხელე, ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელიარიის დირექტორი; აქ შედიოდენ სამღვდელონიც და საერონიც. ამ აფაქიძემ შეისწავლა ჩემ შესახებ საქმე, წაიკითხეს ჩემი დასაბუთებული პასუხი 1920 წლის 2 იანვრის ჩემ შესახებ საკათ-საბჭო-სასამართლოს მსჯავრზე; მეტად დაფიქრებული იყო, არ იცოდა, რა ექნა; მე მიმიწვიეს და სიტყვიერი პასუხი მომთხოვეს; მივეცი საჭირო განმარტებანი; აფაქიძემ ასეთი ფრაზა წარმოსთქვა: „ერთი შენისთანა ერთგული კაცი რომ ჰყავდეს ლეონიდს, რაღა გვიჭირდაო! მამაო, შენ შესახებ ნაწარმოები საქმე ყოველივე კანონიერების გარეშე სდგას, ამით საკათოლიკოზო საბჭო-სასამართლოს თავისი თავი გაუწკეპლია, ლეონიდს კი მეტად უტაქტო საქმე ჩაუდენია და დღეს ყოველივე ამის შესახებ რაიმე დასკვნის გამოტანა მეტად უხერხულია; თუ შევეხებით ამ საქმეს არსებითად, მაშინ ამ საეკლესიო კრების მთელი ნამუშევარი უნდა უარვყოთ, პასუხისგებაში მივსცეთ დამნაშავე პირნი იმ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც შენ წინააღდგომიხარ; ყოველივე ამას უნდა გამოძიება, შესწავლა, დოკუმენტებით განხილვა, ამის არც დრო არის ეხლა და არც შესაძლებელია ეს მოხერხდეს; საეკ. კრებაც ჩქარობს და არ ვფიქრობ, რომ ამ შენს საკითხამდე რიგი მივიდეს; უნდა დაკმაყოფილდე შენივე გულის პასუხით, იმით, რასაც შენი სინიდისი გეუბნება და ნუღა გამოუდგები მაგ საქმის კრებაზე გარჩევას“... შემდეგ პ. გოთუამ, აფაქიძემ, თავდგირიძემ, პ. ჩხეიძემ და სხვებმა შეიმუშავეს ისეთი რეზოლიუცია, რომელიც სრულს რეაბილიტაციას მიშობოდა მე და საქმეს მოსასპობად ურდგენდა საეკლესიო კრებას, მაგრამ ამ უკანასკნელის სხდომები ისეთი აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდენ, რომ ვინღა მოისმინა ჩემ შესახებ რეზოლიუცია, გრგვინვით მოითხოვეს: „უყურადღებოდ იქმნეს დარჩენილი ეს საკითხიო“! აი, რით გათავდა ჩემი ამდენი ხნის შრომა და ბრძოლა! საეკ. კრებამ ამით თავისი ავტორიტეტი დამარხა, გაამეფა თვითნებობა საკათ. საბჭოსი და კათოლიკოზისა!

ვაი, იმას ვინც ამათ წინააღმდეგობას გაუბედავს და სიტყვას შეუბრუნებს, თუ გინდ ქვეყანას აქცევდენ კიდეც!.. ასეთივე მწვავე შთაბეჭდილება შეიქმნა, როდესაც დიდუბის მღვდელ სიმონ ფხალაძის აპელაცია არ მოისმინა საეკლ. კრებამ (ეს ლეონიდის გარდაცვალების სამი დღის წინეთ გარდაიცვალა, ავათმყოფ მღვდელ ფხალაძეს ეთქვა: „ამ დღეებში მე და ლეონიდი ორთავენი ერთად წარვსდგებით ღვთის წინაშეო“); საქმე იმაშია, რომ ეს ფხალაძე ზემოაღნიშნულ დეკ. ი. მირიანოვის მაცადინეობით ლეონიდმა გამოაგდო სამსახურიდან, მღ. ფხალაძემ ვერ იშოვნა სამართალი ჩვენს ეკლესიაში, მას არც საეკლესიო კრებამ მოუსმინა და დაიღუპა წვრილ-ცოლ-შვილიანი მღვდელი...

საკათ. საბჭოს „არჩევნები“

შემდეგ მოხდა საკათ. საბჭოს წევრთა ახალი არჩევნები, ძველი წევრები არც კი გამოჩენილან კრებაზე! არც ინგოროყვა, არც პ. ბარათაშვილი, არც

ივანიცკი – ეს „ჯამაგირიანი“ სუბიექტები; იყო კრებაზე ქრ. კაპანაძე... დამასახელეს საკათ. საბჭოს წევრობაზე მეც, მაგრამ იქვე შევუტანე ქაღალდი, რომ „მე კენჭს არ ვიყრი და არც მსურს უპასუხისმგებლო დაწესებულებაში წევრობა“... აირჩიეს ახლები, ძველთაგან დარჩნენ: კათ. ლეონიდი და დეკ. ცინცაძე, ამათ მიემატა ეპ. დავითი, რომელიც დეკ. ჩიტო კასრაძემ ურბნისის ეპარქიიდან გამოაგდო ფაქტიურად, ისეთი საჩივრები და საქმეები ჰქონდა ეპ. დავითის წინააღმდეგ (ეს მეც მაჩვენა და ქრ. კაპანაძესაც წინეთ), რომ ლეონიდმა ურჩია, თვით გამოსულიყო სამსახურიდან და საკათ. საბჭოში შეაფარებიეს თავი, დეკ. კასრაძე კი (ეპ. პიროსის სიძეა) გამოვიდა და კრებაზე „მადლობა“ გადაუხადა ეპარქიის სახელით „კეთილ-ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის“ ეპ. დავითს! ასეთი საზიზღარი თვალმაქცობა ჩაიდინა დღისით, მზისით!.. ერისკაცთაგან აირჩიეს პარტიის ლიდერები: კედია, ვეშაპელი, აფაქიძე, მღვდელთაგან ბაქოდან ბენიამენ კონტრიძე, რომელიც არც კი ჩამოსულიყო ჯერ სამშობლოში, იქ რუსების სამსახურში იყო, ეხლა კი აღარ ედგომებოდა ბოლშევიკების შიშით და იმისი კანდიდატურა წამოაყენა დავიდოვმა! დეკ. მ. ტყემალაძე კი დავიდოვის მეოხებით „კანდიდატად“, კანდიდატადვე აირჩიეს დეკ. ი. კაპანაძე, დ. კასრაძე, ნ. თავდგირიძე (ეხლა კი ნამდვილი წევრები წავიდ-წამოვიდნენ და „კანდიდატებს“ დარჩათ ბურთი და მოედანი, დეკ. ი. მირიანოვიც კი საკათ. საბჭოს წევრად იქცა „კანდიდატობისგან“ და ესენი ყველანი დღეს, ეს სტრიქონები რო იწერება, მესამე საეკლესიო კრებაზე არიან გელათში 1921 წელში!).

კათ. ლეონიდმა საეკლ. კრებაზე გაიმარჯვა – უხმოდ ლიკვიდაცია უყო კირიონ-ანტონის-ტიმოთე-მირიანის დაღუპვას, პასუხიც არავინ მოსთხოვა! თვისი უკანონო არჩევნები კრებას დაადასტურებია, „უფლებები“ აღადგინა, ვინც არ ესიამოვნებოდა, ის პირები თავიდან მოაგდებინა და მადლობა შესწირა კრებას: „მადლობელი ვარ კრებისა, ისეთი პირნი ამომირჩია კრებამ საკათ. საბჭოში, რომ მე მათთან შევსძლებ ნაყოფიერ მუშაობასაო“... კრება დაიხურა; დელეგატების ერთმა ჯგუფმა გაზეთ „სახალხოში“ მოათავსა ვრცელი პროტესტი ამ კრების დადგენილებათა წინააღმდეგ, ის გამოაცხადა აშკარა რეაქციონერად, შავრაზმულად და თვისი „რეფორმებიც“ წამოაყენა საზოგადოების საყურადღებოდ; ამის მეთაურები იყვნენ ზემოაღნიშნული დელეგატები დეკ. სპ. ლეკვეიშვილი, დეკ. ეპ. ჩხაიძე და სხვები; მე არც ამათ რიცხვში შევდიოდი, არც მომიწერია ხელი მათ პროტესტზე; ეს პროტესტი მათ საეკლესიო კრებასაც წარუდგინეს, მაგრამ კრებამ არ მოისმინა ის...

გაიმარჯვა ლეონიდმა, მაგრამ <u>დამარცხდა ჩვენი ეკლესია,</u> ის წაიქცა და ჩაიფუშა მის ხელში. არავითარი მუშაობა, არავითარი თაოსნობა, არავითარი ხალისი არ გამოუჩენია ახალ საკათ. საბჭოს; წევრები არც კი ესწრებოდენ სხდომებს! შერჩა საბჭო ხელში ისევ დეკ. კ. ცინცაძეს და „გამგეს“ კანცელიარიისას დეკ. ნაცვალოვს; „ქვორუმი“ სამ კაცამდე შეამცირეს; იყო მაინც მათ შორის შფოთი, შეტაკებანი და უსიამოვნებანი; დეკ. კ. ცინცაძე „ოპოზიციაში“ ჩასდგა! აქედან უნდა ვიგულისხმოთ, თუ რა სახე და მიმართულება მიიღო ახალმა საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ! ერთი სიტყვით, გამეფდა სრული უილაჯობა, სრული

უსაქმურობა; „საქმობდა“ მხოლოდ დავიდოვი თავის საკეთილდღეოდ, ჯიბის და გემოვნების დასაკმაყოფილებლად; „საქმობდა“ სანთლის ქარხნის „გამგე“ დეკ. ალ. მიქელაძე, რომელმაც მილიონები შეიძინა ჩვენი ქარხნით, თვით ქარხანა კი დაღუპვის კარამდე მიიყვანა; ამას მფარველობდა და მგონი, „ქაფში“ ხელიც ერია დავიდოვსაც და დეკ. ცინცაძესაც!

ამ მიხლა-მოხლაში და ქიშპობაში ჩვენი ეკლესიის გორიზონტზე თავი წამოჰყო ქვაშვეთის მეორე დეკ. დიმ. ლაზარიშვილმა! ეს არის სემინარიის პირველ კლასიდან უნიჭობისა გამო დათხოვნილი, მე დამიხვდა ის სემინარიაში, დარჩა ისევ პირველ კლასში და გამორიცხეს... შემდეგ სიონში იყო მთავარდიაკონად, დეკ. ელიევის (რენეგატის) ნათესავი და აგენტი; შემდეგ ამ ელიევმა ქვაშვეთში მოუხერხა ჯერ მთავრობა, მერე მღვდლად იკურთხა დეკ. ცინცაძემ; ლაზარიშვილმა „ცხოვრების ნიჭი“ გამოიჩინა ჩარჩობა-სპეკულიანტობაში, ომის დროს ის იყო გოსპიტლის მღვდლად რუსეთში, იქ ფულები იშოვნა, მკვდარსა და ცოცხალ ჯარისკაცებს სძარცვავდა და მოგვევლინა ისევ ქალაქში; ლეონიდმა დეკანოზობა უბოძა და დაიახლოვა, საკათ. საბჭოს სამეურნეო ნაწილის „დირექტორად“ აირჩიეს, ამან სანთლის ქარხანა ხელიდან გამოაცალა მიქელაძეს, თვით ჩაიგდო ხელში, მოახერხა ამ ქარხნის გამობრუნება, ფეხზე დაყენება, მაგრამ საშიშია, რომ ბოლოს თვითვე არ გამოხრას ეს ქარხანა; აქედან ჯამაგირები გაუჩინა კათოლიკოზს, წევრებს, მოხელეებს, თვითონაც იღებს, შუბლაძე დეკანოზიც მიიწვია „სამეურნეო“ ნაწილში და დაიწყეს ფართი-ფურთობა. ამ დროს უწია ბოლშევიკების შემოსვლამ, კათოლიკოზმა დაგვტოვა, წევრები – გაიქც-გამოიქცენ, რაზედაც ზემოდაც გვქონდა ლაპარაკი; კათოლიკოზის ტფილისში დაბრუნების შემდეგ ლაზარიშვილი შეუდგა ეკლესიურ ცხოვრების „გამოცოცხლებას“ (ეს საარაკოა პირდაპირ!); ქუთაისში ყოფნის დროს ლეონიდს გადაუწყვეტია მორიგ საეკლესიო კრების მოწვევა გელათის მონასტერში, კრების მოწვევის დრო ახლოვდებოდა, მზადება კი კრებისათვის არა იყო რა.

კათ. ლეონიდი და მე

ამ დროს შევატყვე, რომ ლეონიდმა ჩემსკენ იბრუნა პირი, ის სცდილობდა ისევ ჩემს მიმხრობას, ერთი შემთხვევა იყო ასეთი: მთავარ ხუცეს გრ. გიორგიძეს გარდაეცვალა ვაჟი, სტუდენტი უნივერსიტეტისა, ეს ნათლული იყო ლეონიდისა; წირვაზე მობრძანდა ლეონიდი, მწირველი არ ბრძანდებოდა; მგალობლები ვერ იშოვნეს წირვაზე და მე მიმიწვიეს საკურთხეველში, სადაც ლეონიდმა, მე და ლაზარიშვილმა მთელი წირვის წესი ვიგალობეთ; ანდერძზე შეიმოსა, ანდერძიც ერთად ვიგალობეთ; ვატყობ, ლეონიდი ტკბილად, ალერსიანად მეპყრობა და მიკვირდა, რა მოხდა, ეს რა ამბავია თქო! ამის შემდეგ არ გასულა ბევრი ხანი და 1921 წ. 19 ივნისს ლეონიდმა დამიბარა თავის სასახლეში; მეც ვეახელი: მისალმების შემდეგ გამიწვია უკანა აივანზე, რომელიც ბაღში გადის, დამსვა

იქ სკამზე და დამიწყო მუსაიფი[1]; შეეხო ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობას, „ერთი ათი წელიწადი კიდევ და ჩვენ განათლებული მღვდელი აღარ გვეყოლებაო; თუ ამ ხუთ-ექვს წელში არა იფიქრეთ რა ქალაქის სამღვდელოებამ, შემდეგ თქვენც მოუძლურდებით და ვეღარას შექმნითო. აუცილებლად მიმაჩნია ენკენისთვიდან სასულიერო სემინარიის დაარსებაო; მე გადავსწყვიტე, რომ სემინარიის გახსნა და მართვა-გამგეობა შენ მოგანდოო; ვინც გინდა, ის მიიწვიე მასწავლებლად და როგორი პროგრამითაც გსურს, იმით ასწავლეო, მხოლოდ გთხოვ, რომ ჩვენი სასწავლებელი ნუ იქნება შაბლონიური, ის საქმისა და პრაქტიკული ხასიათის უნდა იყოსო; სანთლის ქარხნიდან თვიურად მილიონზე მეტ ფულს მოგიხერხებო; პირველ ხანებში, დეე, ცოტა იყოს მოწაფენი, თავიანთი ჩაცმა-დახურვითა, მხოლოდ ყოველდღიური პური და ბინა კი ჩვენ უნდა მივაწოდოთო; ამ დღეებში აღ. საქართველოს საეპარქიო კრება მყავს მოწვეული, წარმომადგენელი მყავს გამოწვეული ალავერდის ეპარქიიდანაც – დამეხმარე ამ კრებაზე, შევაგონოთ სამღვდელოებას, რომ მან პური გვიწილადოს თავისი დრამიდან; თვითონ თუ იმდენს იღებენ, რომ ბლომადაც ჰყიდიან, ჩვენც მოგვცენ ცოტაოდენი, ვასაზრდოოთ კათოლიკოზიც, მისი საბჭო-მოხელენი და სემინარიის მასწავლებელ-მოწაფენიო“!.. ამ თემაზე ბევრი ილაპარაკა აწ განსვენებულმა, მემუდარებოდა, მეხვეწებოდა, ხალისიანად შევგებებოდი მისს ასეთ წინადადებას! მე გაკვირვებული, გაშტერებული სახტად ვიყავი დარჩენილი, ჩემი არც ყურებისა მჯეროდა და არც თვალებისა! ამას მეუბნებოდა ის ადამიანი, რომელმაც მიწასთან გამასწორა, დავიდოვს გააჯეკნია ჩემი პიროვნება, წერილობითი განცხადება შეიტანა საკათ. საბჭოში ჩემს „უნიჭობა-უუნარობაზე“ 1919 წელს, ხოლო 1920 წ. 2 იანვარს მომიწყო ზემო აღნიშნული თავდასხმა საკათ. საბჭო-სასამართლოსი და საბჭოდან გამაძევა!.. მე მადლობა მოვახსენე ნდობისათვის... ისევ გამაწყვეტია სიტყვა და მომმართა: „გავიგე, სოფელში აპირებ თურმე გადასვლასო (ს. ასკანაში), მართალია, ეხლა აქ ძლიერ გიჭირთ მღვდლებს ცხოვრება, სოფლად სჯობია, მაგრამ ვის უტოვებთ ამ თქვენს დედა-ქალაქს, რა უფლებით ზრუნავთ მხოლოდ თქვენს თავზე და არა საერთო საქმეზე; არ იფიქრო სადმე წასვლა, სულერთია ფეხს არ მოგაცვლევინებ აქედანო, რას იტყვის ხალხი, მტერი ან მოყვარეო“? – მე უპასუხე: „მართალია, სამშობლო სოფელში მეპატიჟებიან, იქ ჩემს ოჯახში უფრო კარგად ვიგრძნობ თავს, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიმიცია და მიკვირს თქვენ ვინ შეგაწუხათ ასეთი ამბებით თქო! მეც უფრო იმიტომ ვითმენ ამდენ

1. მომიკითხა: „ცოლ-შვილი როგორა გყავსო და ვერც კი დავასრულე პასუხი, ის უცბად ორთავე მუხლებზე დაეცა და შემძახა: „მამაო ნიკიტა! შეგცოდე!.. შემინდევ! მაპატიე!.. ბოროტმა ადამიანებმა შენი თავი შემაძულეს, შენზე ბევრი ცილის წამება დავიჯერე... ბევრი შეურაცხყოფა მოგაყენე... დაგამცირე... გდევნიდიო“... და დაიწყო ტირილი!.. მე ერთხანს გაოგნებული ვიყავი... ბოლოს გამოვერკვიე და მეც მუხლებზე დავეცი, მეც შენდობა და პატიება ვსთხოვე... გადავეხვიეთ აგრე ერთმანეთს და ვიტირეთ. შემდეგ დამისვა გვერდით, დამიყვავა, თავზე ხელს მისვამდა, მკერდზე მეკვროდა და მიბრძანა: ეხლა საქმეს შეუდგეთო და...“

უბედურებას, ხალხის მრცხვენია და ქვეყანა მეცოდება, რომ დღეს მისს სამსახურს გავექცე, მაგრამ აქაც რომ არაფერს ვაკეთებ და უსაქმოდ ამომდის სული, მა რა უნდა ვიფიქრო თქო! მე თქვენი წინადადება საგულისხმოდ მიმაჩნია, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენ შორის ისევ აამღვრევენ წყალს და განმეორდება ძველი ისტორია თქო"... „მაგისი დარდი ნუ გექნება, შენ შენი საქმე გექნება შეუვალად, შენ მხოლოდ ჩემთან გექნება საქმე, სხვასთან არავისთან. ძველი ამბები უსათუოდ უნდა დავივიწყოთ, გთხოვ, ის აღარ მომაგონოთ, ახალი საქმე ახალ ნიადაგზე დავაყენოთო". ამაზე მიუგე: „რაღა მეთქმის ამის შემდეგ, გარდა იმისა, რომ მე სრულს თქვენს განკარგულებაში მიგულეთ და რაც შემეძლება თავს არ დავზოგავ, რომ რაიმე საქმე შევქმნა, თქვენი მონდომილება განვახორციელო თქო"... დიდის გულითადი სალმით დავშორდით ერთმანეთს და 1 ივლისისათვის საეპარქიო კრებაც შეიკრიბა;

საეპარქიო კრება – 1921 წ. 1 ივლისს

მე ქალაქის სამღვდელოებამ დელეგატად გამგზავნა ამ კრებაზე; კრება გახსნა კათოლიკოზმა, ვრცელი სიტყვით მიმართა სამღვდელოებას, განუმარტა განსახილველი საკითხები, მისცა დირექტივები და მოითხოვა თავმჯდომარის ამხანაგი დამისახელეთო, დამასახელეს მე და დავიჭირე ადგილი; შემდეგ თვითონ წაბრძანდა, მომანდო კრების ხელმძღვანელობა და მიბრძანა, თვითოეულ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მისთვის მომეხსენებია ყოველივე. მეც შეუდექი საქმეს, ჩინებულად მიმდინარეობდა კრება, შესდგა ჟურნალი და 8 ივლისის საღამოთი დავასრულეთ; იმ ღამეს გვინდოდა კათოლიკოზის ნახვა, მაგრამ ვერ მოხერხდა, იმ ღამეს კათოლიკოზი ხოლერით გამხდარიყო ავათ, მისთვის მტკვრის ბინძური წყალი დაულევინებიათ, რის შემდეგ ასტეხია პირ-ღებინება, ფაღარათი; დაეხვია ექიმები, მაგრამ ვერა უშველეს რა – ერთი კვირის შემდეგ ლეონიდი გარდაიცვალა; კრების ჟურნალის დამტკიცებაც კი ვეღარ შესძლო, ჩაიშალა მისი გეგმები, მის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება კი მაინც მოაგვარეს გელათის მონასტერში, სადაც 1 სეკტემბერს (ახ. სტ.) უნდა გახსნილიყო კრება; ქალაქიდან თითქოს მე უნდოდით დელეგატად, მაგრამ განგებ არ გამოვცხადდი კრებაზე, რომ ძალა არ დაეტანებიათ და შემდეგ არ გავეშავებიე არჩევნებზე – ასე გამაფრთხილა მთავარ-ხუცესმა დეკ. გიორგიძემ. აღარ მსურდა საეკ. კრებაზე წასვლა; კათ. მოსაყდრეთ საკათ. საბჭომ წამოაყენა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპ. ამბროსი – კაცი სუსტი ხასიათითაც, განვითარებითაც, უხასიათო; ვერ იგუა ჭყონდიდლობა, იქიდგან აფხაზეთში დასვეს, იქაც ვერ იგუა ვერც ხალხი და ვერც სამღვდელოება; ბოლშევიკების შემოსევის დროს იმასაც მიუტოებია სამწყსო და გამოქცეულა სამეგრელოში!.. ასეთი კაცია დღეს კათოლიკოზობის კანდიდატად!.. მეორე კანდიდატად ასახელებენ ცნობილ ნაზარს – ქუთათელს! როდესაც მის შესახებ ქალაქში ხმები გავრცელდა, რუსის დედაკაცები გაიძახიან: „что этотъ Назарка будетъ католикосомъ!!".. „ნაზარკას" სახელით იცნობენ

პაჭუა დედაკაცები მას აქ! მთელი ტფილისი მაგასა და იეროფეი რექტორს და შემდეგ კეკელიძეს წაპილწული ჰქონდათ ლოთობით და გარყვნილებით!.. ასახელებენ სემინარიის ყოფილ მასწავლებელს რომანისტ ვასილ ბარნოვს, და ჰოი საკვირველებავ, ასახელებენ საკათ. საბჭოს ყოფილ ჯამაგირიან წევრს რაფიელ ივანიცკის – „ინგილოს“ – ამან ცოლი გააგდო, ორი შვილი ჰყავს! ცოლ-გაგდებული, უხასიათო, გარყვნილი ახალგაზრდა კაცი, ერისკაცი სურთ კათოლიკოზად, ხოლო „ცოლოსან“ კათოლიკოზს ან ეპისკოპოზს ნუ გაუხსენებთ...

მესამე საეკლესიო კრება გელათში 1921 წ. სექტემბერში

ასეთ პირობებში გაიმართება ინტრიგები; ნაზარი მე დამაბრალებდა, ვინ იცის რასა და მესამე საეკლესიო კრებას თავი დავახწიე შეგნებულად, სასიკეთოს და ნაყოფიერს მე მისგან არას გამოველი! ერთი ათი-თორმეტი მილიონი ფული დაგვეხარჯება სანთლის ქარხნიდან და აი ამას მოვიგებთ! ამბროსი სურს დეკ. კ. ცინცაძეს და ან. თოთიბაძეს, ესენი მისი გულითადი მესაიდუმლენი არიან, სკოლის ამხანაგიც, ფაქტიურად ეს ორი დეკანოზი იქნებიან კათოლიკოზი; ლაზარიშვილს, მგონი ნაზარი, სურს, ნაზარი შვილიშვილს უნათლავს მაგას; წავიდა ლაზარიშვილიც და წაასხა საკათ. საბჭოს მთელი შემადგენლობა „კანდიდატებიანა“. ვნახოთ, რა იქნება; ვის ამოირჩევენ, რას გააკეთებენ! ჩემი მოხსენებაც წაიკითხეს კრებაზე, მოხსენება საკათ. საბჭოს მონდომილებით „სამოძღვრო სემინარიის“ გახსნაზე; ეს საკათ. საბჭოში წავიკითხე, ცეცხლში გავატარე ახლო წარსული დრო, აღვნუსხე ჩადენილი შეცდომანი და უჩვენე, რა ნიადაგზე და რა პირობებში შეიძლება ჩვენი ეკლესიურ ცხოვრების ფეხზე წამოყენება, რა ნიადაგზე შეიძლება სემინარიის დაარსება. ვნახოთ, რა იქნება, დღეს შვიდი სეკტემბერია, ხვალ კრების გახსნის სწორია, ამბავი არა მოგვდის რა... მეტად მძიმე დროა; ბოლშევიკებმა 50 მილიარდით დაბეგრა საქართველო; ვაჭრები გასწურეს, დაიჭირეს ბევრნი; ციხე-საპყრობილენი სავსე მენშევიკებით, ეს უბედურები აუწერელ პირობებში არიან, ყოველ ღამ და დღეს იხვრიტება აურაცხელი ხალხი; რამოდენიმე სოფლის მღვდლებიც ჩაუსხამს „ჩეკას“ ციხეში „კონტრ-რევოლიუციისათვის“... ნამდვილი ღვთის რისხვაა... მატერიალიზმ-სოციალიზმი და დიქტატურა პროლეტარიატისა გვანადგურებს, ხალხში ხმა ვერ ამოგვიღია მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ და კათოლიკოზის არჩევნებით ვიტყუილებთ თავს, თითქოს ჩვენც ვსაქმობთ, ვმოქმედებთ...

1921 წლის 11 ივლისს (ახ. სტ.) გარდაიცვალა კათ. ლეონიდი, ხოლო იმავე წლის 11 სეკტემბერს (ახ. სტ.) – ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს, შემოვიდა სიონის ტაძარში ახალი კათოლიკოზი ამბროსი (ხელაია), რომლის შესახებ ზემოდაც გვქონდა ცოტა რამ აღნიშნული. ჯერ საკმარისად ვერ მოვასწარ გავსცნობოდი საეკლესიო კრების მსვლელობას, მხოლოდ ამ „არჩევნებზე“ გადმომცა დეკ. დ. ლაზარიშვილმა შემდეგი: „ბრძოლა იყო კანდიდატებისა გაცხარებული, ორთავე კანდიდატი მიტროპოლიტები ამბროსი და ნაზარი

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის დარაზმულიყვნენ (თვით ლაზარიშვილი იყო აგენტი ნაზარისა, ხოლო მისი წინამძღვარი დეკ. ცინცაძე აგენტი ამბროსისა – ამასვე მხარს უჭერდა და დიდად ეხმარებოდა ზემოაღნიშნული დეკ. ან. თოთიბაძე, რომელიც თვისი სამხედრო ტაძრიდან წაბრძანდა კრების დელეგატად, თან მიჰყავდა ალ. ასათიანიც, ერისაგან, მაგრამ ეს აღარ წასულა, ვინ წაიყვანა მის ნაცვლად, არ ვიცი); ოთხშაბათამდე (7 სეკტემბრამდე) გამარჯვება იყო ნაზარის მხარეზე, გურია-სამეგრელოს დელეგატები ემხრობოდენ იმერეთისას და ამბროსი საქმეს აგებდა, მაგრამ დიდად დატრიალდა საკათ. საბჭოს წევრი ნიკო თავდგირიძე (ეს მეტად უნიჭო კაცი გამოდგა ყველა სარბიელზე და ეხლა საკათ. საბჭოში ინტრიგანობს), ამან დიდი პროპაგანდა გასწია ხსენებულ დელეგატებში, შეარიგეს ამბროსის ფოთის კანდელაკი დეკ. ივ. ბობოხიძე, ეს მოსისხლე მტერი ამბროსისა (ფოთის კათედრაში ყოფნის დროს ამ დეკ. ბობოხიძემ კინაღამ მოჰკლა მიტროპ. ამბროსი, ესენი ვერ თავსდებოდენ ერთად, ამბროსი მეტად თავისებური, ჯიქი და ამპარტავანია, თავისი უნდა ყველგან გაიყვანოს, ასეთივეა ის ბობოხიძეც; ამბროსის აღარ ედგომებოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, როდესაც ის „მეგობრებმა“ დიდის ზეიმით შეიყვანეს და დასვეს სოხუმში, სადაც ხალხი თხოულობდა არქიმ. მარღიშვილს, რომელიც იმ დროს სადღაც სკოლაში იყო გადახვეწილი მასწავლებლად, მარღიშვილი შეებრძოლა რუს სამღვდელოების წარმომადგენლებს სოხუმის კათედრაში, გააძევა ისინი, ხოლო ასეთ გაკაფულ გზაზე მიბრძანდა ამბროსი, მაგრამ აქაც ვერ დაიჭირა თავი, ვერ შეეგუა ვერც საზოგადოებას, ვერც სამღვდელოებას, ხოლო ბოლშევიკები რო სოხუმში შეიჭრენ, მწყემსმა თვისი სამწყსო დასტოვა და გაიქცა ზუგდიდის მაზრაში; იქ „შეაფარა თავი“, (როგორც ლეონიდმა იმერეთს „შეაფარა თავი“). ამ ბობოხიძის გადაბირებით სასწორი ამბროსისაკენ გადაიხარა, ურჩიეს – ერთერთმა მოხსენით თავისი კანდიდატურაო, ამაზე ორთავეს შემდეგი განუცხადებია იეზუიტურად: „ჩვენ არ წამოგვიყენებია ჩვენი კანდიდატურა, ვინც წამოგვაყენა იმათ ჰკითხეთ, იმათ იციან, ვინ მოხსნან და ვინ დასტოვონო“! აქედან ცხადი იყო, რომ ორთავეს უნდოდათ „კენჭობია“; ჯერ ბარათებით დავასახელეთ კანდიდატები, გვეგონა, ვინც ნაკლებ ბარათს მიიღებდა, ის მოხსნიდა თვის კანდიდატურასო; ამბროსიმ მიიღო სამოცზე მეტი ბარათი, ხოლო ნაზარმა ორმოცდაათი (სულ 119 დელეგატი დასწრებია); ნაზარმა მაინც არ მოხსნა თვისი კანდიდატურა, პირიქით, უფრო გაუცხოველებია აგიტაცია; ამ სახით ორთავემ იყარა კენჭი, ამბროსიმ მიიღო 67 კენჭი თეთრი (შავი 41), ნაზარმა 54 თეთრი (ამდენივე შავი); გორის ეპისკოპოზობა გორელ დელეგატებმა „სთხოვეს“ დეკ. ქრ. ციცქიშვილს („ახალი სიტყვის“ ყოფილ რედაქტორს, კირიონ კათოლიკოზის ნამუსის ამხდელს, მისს ზნეობრივ მკვლელს!), ციცქიშვილს კი თურმე კათოლიკოზობაც სდომებოდა, მაგრამ ვერ გაუმხელია; კათოლიკოზობის კანდიდატად ერთი ბარათით დაუსახელებიათ რაფაელ ივანიცკი (ინგილო, მამით ლეკი), ალბად ეს თვით მაგისგანვე იყო ბარათი; მაგრამ ეს უკუუგდიათ; კათოლიკოზს მისცეს ნება, თუ საჭიროდ დაინახოს ვიკარნი ეპისკოპოსი იყოლიოს, ხოლო ასეთ ვი-

კარნად ჰყავთ დასახული ეს ივანიცკი, რომელმაც ცოლი გააგდო, ყოვლად პატიოსანი ადამიანი, ორი შვილის დედა, რომელსაც, როდესაც საჭიროებდა, გამოსწოვა ივანიცკიმ დიდ-ძალი ფულები, მისი ხარჯით იზრდებოდა პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში (არ დაუთავებია, იყო იურიდიულ ნაწილზე, გამოვიდა სემინარიის მეოთხე კლასიდან), ეს ქალი ეხლა არის ტფილისში, მდიდარი ვაჭრის ხარაშვილის ქალია; ეს ივანიცკი პირველ საკათ. საბჭოს წევრადაც იყო „ჯამაგირიანი“, მაგრამ არაფერს აკეთებდა, არც კი ესწრებოდა სხდომებს; ესეც კირიონის ზნეობ. მკვლელია; სოხუმის ეპისკოპოსად დაუსახავთ არქიმანდრიტი იოანნე – მარღიშვილი (მამით ოსი, გორელი, აკადემია აქვს მოსკოვისა დამთავრებული, დიმიტრი აბაშიძე-რენეგატის პროტეკციით), კაცი ნერვებ მოშლილი, უხასიათო და უნიჭო. მოუსპიათ „ჭყონდიდლობა“; მიტროპოლიტი იქნება მხოლოდ ქუთათელი, სხვები ეპისკოპოზნი (ყოფილა ისეთი მომენტი კრებაზე, რომ ალავერდიც სამიტროპოლიოდ სურებიათ, ეპ. პიროსმა სთქვა: „ნახევარი საათი მიტროპოლიტად ვიყავიო“); აღუდგენიათ სამღვდელოების დაჯილდოება! (ეს მოხსენება დეკ. თოთიბაძესი წაუკითხავს ერასტი თუთბერიძეს, ნაზარის მდივანს, მექრთამეს; ციცქიშვილი მოწინააღმდეგეთ გამოსულა, მაგრამ კრების სამღვდელოებას უსტვენია და გადმოუგდიათ ტრიბუნიდან; ესეც დამახასიათებელია ჩვენი; რაღა ჯილდოები სურთ ვერ გამიგია!); მედავითნეების „წილი“ შემოსავლისა შეუმცირებია კრებას – $^{2}/_{5}$-დან ჩამოსულა $^{1}/_{3}$-ზედ! ამით სულ დააფრთხობენ მედავითნეებს და სულაც აღარ გვეყოლება, წირვა მოისპობა ჩვენი ტაძრების უმეტეს ნაწილში; მოუსპიათ სამღვდელოების საარჩევნო წესები მრევლში!.. საკათ. საბჭოს წევრებიც ხელ-ახლად აურჩევიათ: მარკ. ტყემალაძე, კ. ცინცაძე და ი. მირიანაშვილი – ესენი სამღვდელოთაგან (ამათ კანდიდატებად, ჩვენი მთავარ-ხუცესი გრ. გიორგიძე, ქურდი, პასუხისგებაში მიცემული, სასაფლაოს დეკ. გ. გამრეკელი და დეკ. ი. კაპანაძე), ხოლო ერისგანთაგან: ნიკო თავდგირიძე, რაფაელ ივანიცკი და კ. კეკელიძე! (ამათ კანდიდატებად – გერ. იმნაიშვილი და ივ. რატიშვილი – ესენი კლერიკალი მასწავლებლებია, კირიონის მოწინააღმდეგენი) ეს ყოფილი დეკანოზი კორნელი კეკელიძე უნივერსიტეტს „გაუგზავნია“ თვის წარმომადგენლად საეკლესიო კრებაზე, ესეც მიბრძანებულა კრებაზე საერო ტანისამოსით, სამანდატო კომისიასაც მიუღია (სამანდატო კომისიაში მეთაურობდა დეკ. ან. თოთიბაძე, ცინცაძე-კეკელიძის კუდი), მოხსენებითაც წარმომდგარა – მიტროპოლიტების შემცირებაზე, ბოლოს ყოფილი დეკანოზი უზენაეს საეკლესიო დაწესებულების – საკათ. საბჭოს წევრადაც აურჩევიათ „ერისკაცთაგანად“, ამასაც ეს არჩევნები მიუღია! აი, ასეთია ჩვენი დროის ზნე და სიკეთე! კეკელიძე ცოლს გაეყარა, სამი ვაჟის დედას და მეორე ცოლი შეირთო!.. საკმაოდ ვსთქვი ზემოდ კეკელიძის შესახებ და აქ კმარა მაგაზე ბაასი... ასეთ კოლეგიაში უხდება უბედურ ამბროსის კათოლიკოზობა! გაიმარჯვა კირიონის ზნეობრივმა მკვლელებმა, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა ჩვენი ნაჭირნახულევი ეკლესია! ხალხი ცოტა დაესწრო სიონში; კარებში მივეგებეთ სამღვდელოება ეპ. პიროსის მეთაურობით, სიტყვით მიეგება ამბროსის, რო-

მელიც დიდუბის ეზოდან მოიყვანა მირიანოვ-თოთიბაძემ ეტლით, ღამით იქ გაჩერებულიყო; ეპ. პიროსის სიტყვა იყო „კაზიონი“, უსულ-გულო და უნიჭო; ასეთივე უნიჭო სიტყვა წარმოსთქვა თვით კათოლიკოზმა ამბროსიმ, რომელმაც ჩვეულებრივ მოიტრაბახა და ერთხელ კიდევ წამოგვაყვედრა თვისი დევნილება-ექსორიაობა ძველ რეჟიმის დროს (ეს 1917 წელსაც ბრძანა, როდესაც მიტროპოლიტად აკურთხეს მცხეთაში! სულ არ ყოფილა დასჯილი სამი თვის მეტი, შემდეგ „სტარაია რუსაში“ (ნოვგ. გუბერნია) მისცეს მდიდარ მონასტრის წინამძღვრობა და დიდ ფუფუნებაში იყო, დიდძალი ფულებით გადმოვიდა, თუმცა სულ ფულებზე წუწუნებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს და მისი შვილები – ორი ქალი და ერთი ვაჟი, სულ გაანადგურებენ იმ ქონებასაც, რაც კირიონ-ლეონიდს და მათ დამქაშებს გადარჩათ – ვაი, სირცხვილო!) შემდეგ წავიყვანეთ თვისს სასახლეში და დავტოვეთ იქ; სადილის სუნი მოდიოდა, ეტყობა, ლაზარიშვილი აქაც „გამართავდა“ სანთლის ფულით სადილს. თვალი მოვკარ, კარებში დაძვრებოდა ყოფილი წევრი პირველ საკათ. საბჭოისა პ. ბარათაშვილი, კაცი ლაწირაკი, ცუღლუტი და ვერაგი, მეგობარი დ. დავითაშვილისა, რომელთან დაახლოვებას ამბროსისას შეეცდებიან „დათიკოს“ მეგობრები...

ცოტა რამ ცნობები კიდევ საეკ. კრებაზე: პირველ ორ დღეში კრებაზე გამოცხადებულა სულ 80 დელეგატი, მთელი კრების შემადგენლობა უნდა ყოფილიყო 212 დელეგატი, კვორუმისათვის საჭირო იყო 106 დელეგატი; მიუხედავად ამისა შეკრებილთ თავისი თავი კანონიერ ქვორუმად გამოუცხადებია, შემდეგ გამხდარა 96 კაცი, მაშინ კრებას შეუვსია „ქვორუმი“ თავისგნით მოწვეულ კაცებით: საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობის „დირექტორი“ დეკ. ლაზარიშვილი გამოაცხადეს დელეგატად, ნაზარმაც მოითხოვა ჩემი „დირექტორიც“ დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილიც ასევე მიიღეთო, ესეც მიიღეს (ეს ცაგარეიშვილი კიევის აკადემიელია, ეპ. გაბრიელის დროს კათედრის დეკანოზად ნაკურთხი, შემდეგ რეალურ სასწავლებლის სჯულის მოძღვარი, ეხლა ნაზარის სამეურნეო გამგე, სანთლის ქარხანას აწარმოებს, ფულებს თვის ბოლოში ერთმანეთში იყოფენ და ერთმანეთს მხარს უჭერენ, არიან ნათესავნი ურთიერთშორის; ასე დახურდავდა ოდესღაც კეთილ იმედების აღმძვრელი დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილი!), ამავე წესით დელეგატად მიიღეს უმონასტრო არქიმანდრიტი მარღიშვილი, ასევე მიიღეს გელათის არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი). ამ გზით და ამ სახით კრების „დელეგატთა“ რიცხვი აუყვანიათ 119 კაცამდე, მაგრამ, როგორც „კენჭობიიდანა“ სჩანს, უკენჭავნიათ 108 კაცს; სხვები რა იქნაო, რო ვკითხე, მიპასუხეს, ზოგი წავიდ-წამოვიდა, ზოგმა ხმაც არ მისცა, თავი დაიჭირაო და სხვა. ამ სახით ირკვევა, რომ კრება არ იყო კანონიერი შემადგენლობისა; ამას გარდა ყოფილა გაშმაგებული აგიტაცია, დიდ აგიტაციას უწევდა ამბროსის დეკ. ა. თოთიბაძე, რომლის დელეგატობაც უკანონოა, სამხედრო ტაძარი ვინ და როდის გამოაცხადა ცალკე „ოლქად“, რომ იქიდანაც ერთი დეკანოზი წასულიყო და მთელი თბილისიდანაც! ასეთია თვითნებობა დეკ. თოთიბაძე-ცინცაძისა! ამათი შემხედვარე რა კანონიერება და რა დისციპლინა უნდა დამყარდეს ჩვენს გაუბედურებულ ეკლესიაში?!. ნაზარ

მიტროპოლიტს დიდი მზადება ჰქონებია კრებისათვის; თვისი მეგობარი (შვილებს უნათლავს) ყოფილი დეკანოზი კ. კეკელიძე თხუთმეტი დღით ადრე გაუწვევია ქუთაისში, ამისთვის დაუწერინებია კრებაზე წარმოსათქმელი მისასალმებელი სიტყვა (ამასვე აწერიებდა ჩემთან საწინააღდეგო პოლემიკას გაზეთ „საქართველოში“, როდესაც სამედიატორო სამართალში გამიწვია ნაზარმა), „ზედვე ეტყობოდა კეკელიძის დაწერილი სიტყვა თუთიყუშივით გაეზეპირებია ნაზარსო“, – სთქვეს ჩამოსულმა დელეგატებმა; „ამბროსიმ, რაც მოადგა პირზე, ისა სთქვაო“; ნაზარს გარშემო სოფლებისათვის „საეკლ. კრების წმინდა მამების საჭიროებისათვის“ შეუწერია დიდ-ძალი სანოვაგე, პური, ღვინო, ყველი, ლობიო, დეკეულები, მჭადი, ხილი და სხვა; ხალხსაც სიამოვნებით მოუწოდებია „წმ. მამათათვის“ ყოველივე ეს – „ოღონდ რაიმე სასიკეთო დაადგინეთ, ოღონდ ქვეყანა დაგვიმშვიდეთ, ჩვენთვის ღმერთს შეევედრეთ, გვაკმაროს ეს ამოდენა სიმწარე, და თქვენთვის სულს არ დავიშურებთო“, – ამბობდენ თურმე იმერლები და თავის ზურგით მოჰქონდათ გელათში დიდ-ძალი სანოვაგე; იმერეთში (და არა გურია-სამეგრელოში) დიდი ღვთისმოსაობაა დარჩენილი გაბრიელ ეპისკოპოზის მადლით და ღვაწლით; ტაძრები ქუთაისში თუ სოფლად ხალხით არის თურმე სავსე, დიდი სარწმუნოებრივი აღფრთოვანება შეიძლება შეჰქმნას კაცმა იმერეთში, რომ სამღვდელოება იყოს თავის დონეზე, თუმცა იმერეთის სამღვდელოებაც სხვა კუთხის სამღვდელოებაზედაც მაღლა სდგას ყოველ-მხრივ; ასეთ კუთხეს მოევლინა „მწყემსად“ გაბრიელ-ლეონიდ-ანტონის შემდეგ „ნაზარკა“ (როგორც ტფილისის რუსი დედაკაცები ეძახიან ხოლმე მას); მგონი, სამღვდელოებაც ხელს უწყობდა ამ „ნაზარკას“ გაკათოლიკოზობას, სურდათ, თავიდან მოეშორებიათ და ჩვენთვის გადმოეგზავნათ ტფილისში; ნაზარსაც დიდი იმედი ჰქონებია არჩევისა, მაგრამ გაუცრუვდათ იმედები, რომ აერჩიათ, იმ შემთხვევისათვის მზად ჰქონებია რამოდენიმე ტიკი ღვინო და ერთი ძროხა – სადილი უნდა გაემართა „ღვთივგაბრძნობილ კრებისათვის“. მაგრამ, როდესაც არჩევნები ამბროსიზე დასრულდა, უცბად „ის ტიკი ღვინოებიც სადღაც გაჰქრა და ის ძროხაც ცოცხალი გადარჩა“, – ოხუნჯობდენ ქალაქში დაბრუნებული დელეგატები; სადილზე ღვინო ვეღარ ვიშოვეთ უკანასკნელ დღესო (არჩევნები მომხდარა 7 ენკენისთვეს). იმდენად დაღონდნენ ჩვენი „იმერელი მასპინძლები“ ნაზარის გაშავებით, რომ სულ ყურები ჩამოჰყარეს და გლახაობაც იკადრესო. დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილს მიუმართავს დეკ. ლაზარიშვილისათვის – „ფული სულ გამოგველია, აღარაფერი გვაქვს და ამ ლოგინების და ჭურჭლეულობის გადასაზიდად ფული რამ გვაჩუქეთო“. ესეც თავმომწონეთ ამდგარა და ჩვენი ფულიდან ნახევარი მილიონი ფული უჩუქებია – „მადლობა ღმერთს, რომ მათი ნამასპინძლევი ჩვენ არა გამოგვყოლია, სულ გადავიხადეთო“; იმერელ დელეგატებს სრულებით არა დახარჯვიათ რა, სულ ყველანი ნაზარის მიერ შეგროვილ სანოვაგით უფასოდ სცხოვრობდენ, ასე რომ ის ფული, რაც მათმა მრწმუნებელმა ოლქებმა მათ მისცეს, სულ ჯიბეში დარჩათო“. ესეც მეტად დამახასიათებელი მოვლენაა ჩვენთვის! ის წესები, რაც კალისტრატე ჩიკვაიძეს ჰქონდა შემოღე-

ბული ქუთაისის „ბანკობიას“ არჩევნებში (ბანკის თავმჯდომარედ ირჩევდა იმერეთის თავად-აზნაურობა ამ კალისტრატეს, რომელიც უმასპინძლდებოდა ამრჩევლებს ზუთხებით, ხიზილალებით და დიდის სადილების და რაუტების გამართვით, ეს საზღაპროდ და საარაკოდ დარჩა ჩვენს საზოგადოებაში – „კალისტრატეს ბანკობია“); აი ეს „კალისტრატეს წესებისათვის“ მიუბაძავს ნაზარს, იმ განსხვავებით, რომ კალისტრატე ხარჯავდა თავისას (თუმცა ნაქურდალ-ნასესხავს), ხოლო ნაზარი ხალხის სანოვაგით იმადრიელებდა და სურდა მოსყიდვა ამრჩეველ დელეგატებისა! მეტად მედიდურად სჭერია თავი კრებაზე, აშკარად ჰბაძავდა რუს არქიელების ბობოლაობას, „სულ ყველა მოლაპარაკენი რო ფეხზე დგომით ამბობდენ კრებაზე სიტყვას, ნაზარი მუდამ დამჯდარი ლაპარაკობდაო; კრების სხდომების შემდეგ შეიკეტავდა კარებს და არავისთან ჰკადრულობდა გამობაასებას, თუ არ თვის მახლობელ აგენტებთანო“; მეტისმეტად საზიზღარი ოინები გვაჩვენა ნაზარმაო, სთქვა ეს მისმა ნაამხანაგევმა დეკ. ბ. კონტრიძემ; მაგრამ კონტრიძე არც ამ ამბროსით არის კმაყოფილი, „მეტად მოუხეშავ-მოუდრეკავი და უნიჭო კაციაო, ვერც კრებაზე სთქვა რაიმე ჭკუიანური, სანუგეშო და საქმიანი და ვერც სიონში შეხვედრაზეო, არც არა ეკლესიური ეხერხება მაგას, არც წირვა უვარგა, არც კითხვა და არც მოძღვრებაო; ამას ისევ ნაზარი სჯობდაო“; ნაზარი სდომებია სხვა ბევრსაც ქალაქში, მაგ. დეკ. ტყემალაძეს, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ამბროსისთან, როდესაც ეს უკანასკნელი სინ. კანტორის წევრად იყო აქ ექსარხოსების დროს და დიდი შეტაკებაც მოუხდა ამ ტყემალაძეს არქიმ. ამბროსი-დეკ. თოთიბაძე-ცინცაძესთან 1906 წელს, როდესაც ეს ორი პარტია ერთი მეორეს ძირს უთხრიდა ნიკონთან, ხოლო ტყემალაძემ ქალაქის სამღვდელოების კრებაზე, ეპ. პეტრეს (კონჭოშვილი) თავმჯდომარეობით, უყვირა საჯაროდ ამბროსის, თოთიბაძეს და ცინცაძეს, ამხილა მათი ვერაგობა-გაიძვერობა, ცინცაძეს კი სამჯელ ზედი-ზედ მიაძახა: „იუდა, იუდა, იუდაო“! აი, ეს სამი გოდორი „იუდა“ დღესაც ზურგზე ჰკიდია ჩვენს „მამა კალისტრატეს“, ხოლო ეს „პერსონები“ განგებამ მოგვივლინა დღეს უზენაეს საეკლესიო დაწესებულების წევრებად, „ერთი სულით და ერთი გულით“ – ამბროსი კათოლიკოზის თავმჯდომარეობით და „საჭეთმპყრობლობით“, კ. კეკელიძის „მეცნიერებით“, დეკ. ი. მირიანაშვილის „გულწრფელობით“ და სხვა და სხვა... მეღა ვაკლდი ასეთ „კოლეგიას“, რომ შევსებულიყო მთლიანი შთაბეჭდილება ჩვენი უბედურებისა! თურმე ნაზარმა, რო გაშავდა შემდეგ, ენერგიულად წამოაყენა ჩემი კანდიდატურა საკათოლიკოზო საბჭოში! ეს კ. კეკელიძე-ცინცაძე-ტყემალაძე-მირიანაშვილის გვერდით! რასაკვირველია, ეს ნაზარმა განგებ წამოაყენა, რომ ამბროსის საკათ. საბჭოს კოლეგიაში მოვყოლოდი მე „დაუცხრომელ ოპოზიციად“, ხელის შემშლელად და გამამწარებლად; მაგრამ ღმერთმა მიბრალა და მგონი დეკ. ბ. კონტრიძეს წამოუძახნია: „დეკ. თალაქვაძე სამღვდელოებამ „კონტროლად“ ამოარჩია და ის საკათ. საბჭოს წევრად არ შეიძლებაო“ – და გადავრჩი ამ განსაცდელსაც! ნამდვილად კი ჩემი „კანტროლობა“ სასაცილო რამ მოვლენაა; მე ივლისის საეპარქიო კრებაზე ამომირჩიეს სანთლის ქარხნის,

ანუ, როგორც ეხლა სახელიც შეუცვალა ლაზარიშვილმა, სახელოსნოს კანტროლად; მაგრამ არც ინსტრუქციაა შემუშავებული ამ ჩემი კანტროლობისა, არც ის ვიცი, თუ რის უფლება მაქვს მე მონიჭებული და შემიძლია თუ არა „ფაქტიური კონტროლის“ გაწევა! თვით საეკლესიო კრებას კი თვალი აუხვიეს და არც კი მოაგონეს, რომ საკათ. საბჭოს და მის უკვე „გაერთიანებულ მეურნეობას“ ესაჭიროება ცალკე კონტროლი! ისევ უპასუხისმგებლო დაწესებულებად დასტოვა ამ მესამე საეკლესიო კრებამ საკათ. საბჭო და თვით კათოლიკოზიც!.. ცხადია, ჩემი „კანტროლობა“ გამოდგა ერთ გრომოოტვოდად, რომ მე აღარ მოვხვდი საკათ. საბჭოს დიდებულ „კოლეგიაში“!.. ლაზარიშვილი კი დაჟინებით მეპატიჟება, მისს ხელქვეით სამეურნეო დირექციაში შევიდე „ბუხგალტერად“, „კანტროლობისა“ ჯამაგირს მაძლევენ 20 ათას მანათს (ოთხი გირვანქა პურის ფასია დღეს!), თვითონ კი გაიხადეს 100.000 მანეთები და პურის თუ სხვა რამეების „პაიოკებსაც“ იღებენ; არა ვიცი რა „ბუხგალტერიისა“, მაგრამ დღეს (13 სეკტემბერს) გიმნაზიაში წინადადება მომცეს: ან ანაფორა გაიხადე, ან აქ სამსახურს თავი დაანებე, ბოლშევიკურმა მთავრობამ ასეთი განკარგულება მოახდინაო! განსაცდელი დიდია, მრევლი მცირე მყავს და არც არა შემოგვდის რა; მთელი შემოსავალი ქაშვეთში მიდის, მიუხედავად ამისა, ქვაშვეთის სამივე მღვდელი (მესამე დიაკონის ადგილზე მღვდელი ფხალაძეც კი) საკათ. საბჭოში თუ მის სამეურნეო უწყებაში არიან მოკალათებულნი! მეტად მიმძიმს „სამეურნეო უწყებაში“ შესვლა, არა და როგორ შევინახო ცოლ-შვილი! მეშინია, ისევ ჩამითრევენ ამ საზიზღარ წუმპეში, რომლიდანაც თითქმის ეს ორი წელიწადია ძლივს ამოვძვერი! მეტად საეჭვო პიროვნებაა ეს ლაზარიშვილი – დიქტატორობას სჩემობს, საშინლად თვითნებობს, არავის არასა ჰკითხავს, იქცევა ისე, როგორც სურს, სარგებლობს იმით, რომ არავის ჩვენგანს მეურნეობისა და ფინანსიურ საქმიანობისა არა გაგვეგება რა! თვითონაც არ არის ამ მხრივ რაიმე თვალსაჩინო ცოდნით აღჭურვილი, ის შეიარაღებულია „სპეკულიატიურ გამოცდილებით“ – „სპეკულიანტები“ ჰყვანან მეგობრები და მით მიაქვს ამ „უნიჭო“, სემინარიის პირველ კლასიდან გამორიცხულ დიმ. ლაზარიშვილს საქმე! ეს არის დღეს ნამდვილი „საჭეთმპყრობელი“ ჩვენი დანჭღრეულ და იალქნებ დაფლეთილ ეკლესიურ ხომალდისა! რო არ მრცხვენოდეს, სოფლად შევაფარებდი თავს, მაგრამ იტყვიან გაიქცა, პურს დაეხარბაო!.. დეე, ისევ აქ გავმაგრდები, იყოს ნება ღვთისა ჩემზედაც...

ერთი ეპიზოდიც საეკლესიო კრებიდან: ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი საეკლესიო სიძველეთა დაცვაზე (მოხენება წაუკითხავს დეკ. ი. მირიანაშვილს! დაგელოცა, ღმერთო სამართალი! რამდენი „ალია და მუსია“ ჰყავს ჩვენს უბედურ საქართველოს! მირიანაშვილის მოხსენება?!.) დიდი შეტაკება მოსვლიათ ქუთათელ ნაზარს და გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ნესტორს (ყუბანეიშვილს) გელათიდან მენშევიკურ მთავრობის მიერ წაღებულ განძეულობის გამო; საქმე იმაშია, რომ ბერებისათვის ნაზარს ნება დაურთავს მიეყიდნა ქუთათელ ურიებისათვის ის ვეცხლის ნივთები (აკვნები, და ასეთები), ვეცხლის ფულები თუ სხვა და სხვა ასეთი ნივთები, რომელთაც მორწმუნენი სწირავდნენ ხოლმე ტაძარს; არქიმ. ნესტორს გაუყიდნია ასეთი ნივთები, ხოლო

ჟორდანიას მთავრობა ეძებდა რაიმე საბაბს, რომ მონასტრების განძეულობას დაჰპატრონებოდა მთავრობა, ისარგებლა ამ შემთხვევით, გაგზავნა იქ კომისია – თვის პირად მდივნის გიორგი ცინცაძის (მღვდლის შვილია) მეთაურობით, არც კი შეატყობინა ეს არც კათოლიკოზს, არც ნაზარს, ავიდნენ გელათში, მოსთხოვეს ნესტორს ეს განძეულობა, ამანაც ვერავითარი სიმაგრე და სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, ადგა და ყველაფერი მისცა თან ცხვარიც დაუკლა „სტუმრებს“ და მშვენიერი სადილი მიართვა! (ეს ნესტორი სიმამრია ტრიფონ ჯაფარიძისა, რომელსაც დამთავრებული აქვს კიევის სასულ. აკადემია, იყო ინსპექტორად გაბრიელის სახელობის ქალთა ეპარქ. სასწავლებლისა, ეხლა გიმნაზიად გადაკეთებულისა და ტრიფონიც გადირექტორდა...)... ასეთი რამეები წააყვედრეს ერთმანეთს „ქუთათელმა“ და „გელათელმა“ – არა, შენი ბრალია, არა შენიო!.. ამით დასრულებულა დეკ. ი. მირიანაშვილის „მოხსენება“, სიძველენი კი მიდიან და წავლენ კიდევაც ასეთ ადამიანთა ხელთაგან იქ, საიდანაც არა დაბრუნდება რა... ამ თაობაზე უბედურ ლეონიდსაც ჰქონდა „შეტაკება“ ნოე ჟორდანიასთან, ამ შეტაკებამაც ძლიერ სამარცხვინო სახე და გამოხატულება მიიღო, მიუხედავად ამ საკითხის დიადობისა და მნიშვნელობისა, განსვენებულს აკლდა „ტაქტი“ და „მოქალაქობა“, რითაც ბევრი დავკარგეთ და წავაგეთ...

გუშინ, 14 სეკტემბერს, საკათ. საბჭოს დარბაზში შეიკრიბა ქალაქის სამღვდელოების დეკანოზები, საოლქო კრება უნდა მოხდესო, დეკ. გიორგიძე უნდა მოსულიყოო, უკვე $11^1/_2$ საათი იყო, 10 საათზე კი უნდა შემდგარიყო კრება; ეტყობა, გიორგიძესთან საკათ. საბჭოს „მოჭახრაკეებს“ ვაჭრობა აქვთ გამართული, რომ ქალაქის სამღვდელოებამ არავითარი უსიამოვნება გამოსთქვას საეკლესიო კრების ამა თუ იმ ნაბიჯის გამო... თვით შეკრებილნი კი მეტად ღელავდნენ, დიდ უკმაყოფილებას აცხადებდენ საკათ. საბჭოს ეხლანდელ შემადგენლობის თაობაზე, მათ კანდიდატებზე (გ. გამრეკელს ქურდი უწოდეს...), კეკელიძის საბჭოს წევრად არჩევაზე; ყოველივე ამას ყურს უგდებდა დეკ. დ. ლაზარიშვილი და მეტად ოსტატურად ცეცხლში მუგუზალს ურთავდა, უსისინებდა სამღვდელოებას, განსაკუთრებით თვის წინამძღვარს კ. ცინცაძეს! არ ვიცი, რამდენად ეს გულწრფელი იყო!.. ეს დიდი ფლიდი და გაიძვერა პიროვნებაა (ეპ. ელიევის ნათესავი და მისი აღზრდილია). სამღვდელოებამ ბოლოს უიმედოდ თავი გაიქნია, აბა რა უნდა ვქნათ, ისევ ჩვენი წევრები, ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენელნი, გვღალატობენ, ისინი არიან საკათ. საბჭოში, ისინი აძლევენ ტონს ყველაფერს და ერთმანეთს როგორ დავერივნეთო... დიმ. ლაზარიშვილი ახალ პროვოკაციას აკეთებს: „დირექტორობას“ თავს ვანებებ, მე არ შემიძლია იმერლებთან საეკლესიო ქონების და ქარხნების „ცენტრალიზაციის“ მოხდენაო; ვისაც უნდა, მიანდოსო. მთავრობას განუზრახავს ყოფილ სინოდალურ კანტორის შენობის (ეხლა საკათ. საბჭოსი) ჩამორთმევა, სადაც ინახება ცენტრალური არქივი მთელი ამიერ კავკასიისა; ეს არქივი უკვე ჩვენ ჩამოგვერთვა, თავისი მოხელენი ჰყავთ როგორც ცენტრალურ „მმაჩში“ (მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა – აი ასე აქარაგმებენ ჩვენი კომუნისტებიც სიტყვებს, რუსულად ჰქვია

„зarc“), ისე საქალაქოში (9 აგვისტოს ტაძრებიდან ჩამოგვართვეს და ჩავაბარეთ კიდევაც მეტრიკულ წიგნების არქივი, მე ჩავაბარე 1818 წლიდან 1921 წლის 9 აგვისტომდე); „ახალი საკათოლიკოზო საბჭო“ ფუსფუსებს, დარბის ამ „მმაჩის“ კომისართან, დეკ. მათე მონასელიძის შვილთან – დავითთან (იურისტია, მეორე შვილი მისი მიხეილი ყოფილ სინოდალურ კანტორის მოხელე იყო, დიდი მექ-რთამე, ის ჯერ მენშევიკებმა წაიყვანეს იუსტიციის სამინისტროში მოხელედ, ეხლა კი ბოლშევიკებს ჰყავს გარეშე საქმეთა კომისარიატში, თუმცა არც ერთი ევროპიული ენა არ იცის, საქმე იმაშია, რომ გარეშე საქმეთა კომისრის სვანი-ძის დაი ჰყავს მ. მონასელიძეს ცოლად, ასე ნათლი-მამობით და ნათესაობით არის „კომუნისტებშიდაც“ საქმე!), ჩვენი ციხე მუდამ შიგნიდან სტყდებოდა და ეხლაც ასე არის, ასეთი შინაური „ვირთხები“ ღრღნიან ჩვენი სამშობლოს გულ-ღვიძლს, ასეთები სარგებლობენ დღეს დროით! დ. მონასელიძეს სურს გადმოიბარგოს საკათ. საბჭოს შენობაში, აქ სურს დაბინავდეს და მთელი ტფილისის თუ ამიერ კავკასიის „მმაჩის“ ცენტრალური ადგილი შექმნას, ჩვენ კი დაგვცოცხონ აქედან; ბინა კარგია, იქ ჯერ კანტორის პროკურორი იდგა, შემდეგ ტფილელი მიტროპ. ლეონიდი, შემდეგ დეკ. კეკელიძე, შემდეგ საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგე დეკ. მ. ნაცვლიშვილი (ზემოდაც მოვიხსენიეთ, ეს ჯერ სამაზრო მილიციაში გადავიდა მოხელედ, ხოლო ეხლახან ქიზიყში გა-დავიდა სამრევლო მღვდლად, დიდის ხვეწნა-მუდარით ეპ. პიროსის წინაშე...); ამ მონასელიძეს უთქვამს დეპუტაციისათვის: „ჯერ თქვენც სუ და მეც სუო, ეცადეთ, რაც გადასაზიდი გაქვთ, გაზიდეთ მაგ შენობიდან, სულ ერთია, ჩამო-გართმევთო“! აქაც თაღლითობა შეიძლება იყოს რაიმე! ეხლა საბაბი ეძლევათ საკათ. საბჭოს წევრებს და ლაზარიშვილს ყველაფერი მიმალ-მომალონ, თვით დაირიგონ, მიითვისონ, სახელმწიფო კი ჰკარგავს დიდ და აუნაზღაურებელ ქონებას და ავეჯეულობას, რაც კეკელიძე-ინგოროყვა-ბარათაშვილმა და სე-მინარიის მასწავლებლებმა დაიტაცეს, ეხლა ზედ ერთვის ახალი დატაცება და განიავება, მაგრამ შესაძლებელია, მთავრობამ ეს გაიგოს (გაიგებს კიდეც) და დიდ სირცხვილში ჩააგდოს ახალი კათოლიკოზიც და მთელი სამღვდელოება! აი როგორ ხაფანგშია დღეს მომწყვდეული ჩვენი ეკლესიის საქმე და რა უსუსურ ადამიანებს ჩაგვივარდა ხელში ეს საქმე. რ. ივანიცკი, მგონი, აღარ ხუმრობს, ძლიერ უნდა კათოლიკოზის „ვიკარნობა“ – ემზადება საკათოლიკოზოდ, ციც-ქიშვილიც (ურბნელი) საკათოლიკოზოდ იწმენდს ულვაშებს! ამ სახით იბადება ახალი შფოთის შესაძლებლობა, უკვე შეუდგენ ამბროსის მემკვიდრეობას და უნდა ვიფიქროთ, რომ მეოთხე საეკლესიო კრებისათვის, რომელიც გელათის კრებას დაუსახავს ბოდბის მონასტერში სამი წლის შემდეგ, მეოთხე კათოლიკო-ზისათვის „ვაკანსია“ თავისუფალი იქნება! მეტად შემზარავი სურათი იშლება საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკლესიურ ცხოვრების პერსპექტივაში – ჩვენი ქვეყანა გახდება იმ ანარქიის ასპარეზად, რომელსაც ის წარმოადგენდა მე-17 და 18 საუკუნოებში, როდესაც ერთადერთ „საქონლად“, რომელიც ბაზარზე გა-იტანებოდა, ითვლებოდა „ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა“, რასაც ზოგიერთი მღვდელ მთავრებიც კი არ თაკილობდენ თურმე. აი ასეთ და უარეს სახელსაც მიიღებს

ჩვენი განაწამები საქართველო, თუ ახლო მომავალში სასიკეთოდ არ შეიცვალა დღევანდელი შავ-ბნელით მოცული ურწმუნო-უზნეო, უღმერთო, უწყალო და გადარჯულებული დრო...

დავიდოვი ისევ პარპაშობს, მგონი, მოარიგეს ამბროსისთან...

ახალი კათალიკოზი

კვირას, 18 ენკენისთვეს, პირველად სწირა ამბროსიმ სამხედრო ტაძარში, „დეკ. ან. თოთიბაძესთან", როგორც ამბობენ ხოლმე; ეს წირვა მოაწყო თოთიბაძე-ცინცაძემ, რომ თვის „არჩეულ" კათოლიკოზს საშუალება მისცენ ტფილისის საზოგადოებას დაენახვოს, თავი აჩვენოს; საბაბად მოიმიზეზეს ბოლშევიკების შემოსევის დროს დახოცილ მეომართა ნახევარი წლის წირვა-პანაშვიდი, მათ „საძმო სასაფლაოზე" – ამით ერთნაირი დემონსტრაციაც ხდებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ; სწირა კათოლიკოზმა, სამღვდელოება დაბარებული ვიყავით პანაშვიდისათვის, გამოვცხადდით, თუმცა ყველანი არა; საზოგადოებაც იყო, მაგრამ თხლად, ბოლშევიკებს რაღაც პარადი ჰქონდათ იმ დღეს და ხალხიც მათ დასდევდა... წირვის შემდეგ ამბროსიმ წარმოსთქვა სიტყვა დღის ხსენებაზე – მეტად სუსტი და უშინაარსო სიტყვა იყო, წვალობს, არ ეხერხება ლაპარაკი, მეგრულ-რუსული კილო სჭარბობს. შემდეგ გავედით სასაფლაოზე და იხადა პანაშვიდი, ხალხი ლოცულობდა, „წმიდათა თანაზე" და „საუკუნო ხსენებაზე" ყველამ ერთად დაიჩოქა, როგორც 9 მარტს, და შეიქმნა ერთგვარი შთაბეჭდილება და განცდა, რაც უსათუოდ საჭიროა, მაგრამ ასეთ ნაბიჯს მეორე ნაბიჯიც უნდა მოჰყვეს ხოლმე, უნდა შეიქმნას სისტემა ურწმუნოების საწინააღმდეგოდ მშვიდობიან ბრძოლისა და შეკამათებისა! ამას კი ვერ ვხედავთ, საამისოდ არც ემზადება ვინმე. საჭიროა გაიმართოს ბრძოლა „მატერიალიზმსა და იდეალიზმს" შორის ისე, როგორც ეს არის ევროპაში და რუსეთში – წესით, სიტყვით და ყოფა-ქცევა მოქმედებით; საამისოდ არა გაკეთებულა რა ჩვენში და არც გაკეთდება, მგონი; ფილიპე მახარაძეს, როდესაც მას უთხრეს თურმე, რომ კვირას კათოლიკოზი თვისი სამღვდელოებით ასეთ გამოსვლას აპირებსო, უთქვამს: „одноко, довольно смѣло"-ო!.. მოსალოდნელია, რომ ბოლშევიკები, თუ იმათ სძლიეს რუსეთის შიმშილს და საბერძნეთ-ანტანტის ფრონტზე დღეს წარმოებულ ბრძოლას (ბერძნების ჯარი სარაკამიშთან მოსულა, აქ ბრძოლა ჰქონებია ქემალ-ფაშასთან, რომლის ჯარში უჩუმრად ურევია რუს ბოლშევიკების წითელი არმია, ფაქტიურად ეს აწარმოებს „ანგორის" მთავრობასთან ერთად ანტანტის (შეთანხმების სახელმწიფონი) საწინააღმდეგო ბრძოლას), მაშინ ჩვენს ეკლესიაზედაც მოიტანენ უფრო გაბედულ იერიშს და დიდად დაგვაზარალებენ, აღმართავენ დევნას, „ჩეკაში" წაყვანას, აქ გასამართლებას და საჯაროდ გამასხარავებას, როგორც ეს ჩაუდენიათ მათ რუსეთში 1918-1919 წლებში, სადაც დიდ ძალი სამღვდელოება დახვრიტეს, გაანადგურეს, „სამართალში" მისცეს „რევოლიუციონურ ტრიბუნალის" წინაშე.

აქ კი იყვნენ დამნაშავენი თუ არა, მღვდლურ ნამუსს ხდიდნენ ეპისკოპოზთ, მიტროპოლიტთ თუ მათ ბერ-მონაზონ-დეკანოზებს და მღვდლებს. სჩხრეკ-დნენ „წმინდანების ნეშტთ“ (мощи) და „ამჟღავნებდენ სამღვდელოების თვალ-მაქცობას და მის მიერ ხალხის მოტყუილებას და ყვლეფას“; როგორც სწერია მოსკოვში 1920 წელს სეკტემბერ-დეკემბრის ჟურნალში „რევოლიუცია ი ცერ-კოვ“). შეიძლება ჩვენც დაგვრიონ ხელი, თუმცა ჩვენში არ არის ეს „მოშჩები“[1] და მართლაც ის შემზარავი უმეტეს შემთხვევაში თვალმაქცობა-მოტყუილება, რასაც სჩადიოდენ რუსის ბერები რუსეთში! იმოდენა „მოშჩები“, რაც რუსეთშია (მე მინახავს კიევო-პეჩერის ლავრისა...) წარმოუდგენელია, ხალხსაც მეტად ყვლეფდენ და სარგებლობენ მის სარწმუნოებრივ გულუბრყვილობით. ჩვენ-შიც კი მეტად უვიცი სამღვდელოება გვყავს სოფლად, ესენიც გაუმაძღრობას იჩენენ, სურთ, ხალხმა რაც შეიძლება მეტი „პური“ და ფული მისცეს მას, ხოლო სამღვდელოება და მისი მესვეურნი არც კი ჰფიქრობენ იმაზე თუ თვითონ „რის მიმცემნი არიან ხალხზე“?! თვით რას აძლევენ ჩვენს მორწმუნე, უვიც ხალხს! ამ ნიადაგზე ბევრგვარი ცრუ-მორწმუნოება და ბოროტ მოქმედება სწარმოებს ჩვენშიც და ამას სარწმუნოების მტრები მარჯვედ გამოიყენებენ საზოგადოდ რელიგიის და კერძოდ ქრისტიანობის დასამცირებლად...

პანაშვიდის შემდეგ ერის კაცთანგან საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს – კოწია გამსახურდიამ და გ. ტაბიძემ; მგონი, არ დაუჭერიათ ჯერ-ჯერობით არც ერთი...

ამბროსის კათოლიკოზად აღყვანა

1921 წლის სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს (ძვ. სტ. 1 ოქტომბერს), დღი-სით პარასკევს მცხეთის ტაძარში მოხდა გელათის საეკლესიო კრებაზე არჩე-ულ კათოლიკოზის ინტრონიზაცია. ამ აქტისათვის ტფილისის მორწმუნეთა – ვაჭარ-მრეწველთა თუ „სპეკულიანტთა“ წრეები აამოძრავეს მოხერხებულმა პირებმა, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ ასეთ შემთხვევებზე ხელის მოთბობას, „ჩამორჩენას“ ანუ „ქაფის მოხდას“ – როგორც ეხლა იტყვიან ხოლმე. საკათ. საბ-ჭოს შეუდგენია მცხეთაში ნადიმის გადასახდელად „კომიტეტი“; ამ კომიტეტის „სასულიერო განყოფილებაში“ დეკ. ცინცაძე-თოთიბაძესთან ერთად დაუსა-ხელებივარ მეც. ამ კომიტეტის სხდომები ხდებოდა ქვაშვეთის ტაძრის ეზოში, დეკ. კ. ცინცაძის ბინაზე; ორჯერ დავესწარი „კომიტეტის“ სხდომას; ვნახე ამ სხდომაზე – საკათ. საბჭოს წევრნი – ნიკო თავდგირიძე, რაფიელ ივანიცკი, და ამათგნით მოგროვილი წევრნი: გენერალი ვასილ გაბაშვილი, კოწია ერისთავი, გენერალი ჩიქოვანი, ბანკირი იასონ მენაბდე, სპეკულიანტები – ვიღაც ნესტორ ცინცაძე, ალ. ლორთქიფანიძე, ალბერელაშვილი (დეკ. ლაზარიშვილის ქვის-

1. მოწამეთაში კი დავით და კონსტანტინეს კუბოს გარშემო სწარმოებს ბევრი რამ ისეთი, რაც არ შეჰფერის ნამდვილ პატივისცემას ამ გმირ-წმინდანებისას...

ლი, რომელიც ამ დეკანოზთან სპეკულიანტობს საკათ. საბჭოს და სანთლის ქარხნის თანხებით), თვით დეკ. ლაზარიშვილი, მიხ. ლაღიძე, ს. მერკვილაძე და ასეთი წვრილ-წვრილი მოვაჭრეები, ჩაუგდიათ ხელში ვიღაც მეპურე-მეღვინე-მეხილე-მემწვანილეები და ამათ ყველას თავმჯდომარეობდა ცენტრო-ბანკის ყოფილი ბანკირი, ყოფილი ჟურნალისტი გაზეთ „ვოზროჟდენიე – გრუზიისა“, დღეს გასპეკულიანტებული და თან „ნარკომპროსში“ მსახური (განათლების სამინისტროს სახელია!) პართენ გოთუა, რომელთანაც 1905 წლიდან გაზეთში ვთანამშრომლობდი მეც საეკლესიო საკითხების გასარკვევ საკითხებში. ამ „კომიტეტმა“ მოაგროვა ტფილისის ვაჭრებში 40 ვედრო ღვინო, 25 ფუთი პური, დიდ-ძალი სანოვაგე, ვიღაც კვერკველაძემ შემოსწირა ერთი ძროხა, საზოგადოება „მწყემსმა“ შემოსწირა ერთი ძროხა, ორი ჭედილა, ყველი და სხვ. მოაგროვეს დიდ ძალი ფული, მგონი, 30 მილიონამდე; გორის კოოპერატორებმა გამოგზავნეს ათი მილიონი მცხეთის ტაძრის აღსადგენად, ამათ კი მოიხმარეს ეს ფული „სადღეისო საჭიროებაზე“, შემდეგ გადაუხდით ამ ფულს მცხეთასაო. ასეთი მზადების შემდეგ გაგზავნეს მცხეთაში თადარიგის გასაწევად სოსიკო მერკვილაძე, მიხ. ლაღიძე, კოტე სიმონიშვილი (ყოფილი ქუთაისის პოლიცმეისტერი), ამათ მცხეთაში ეხმარებოდა მცხეთის ტაძრის წინამძღვრად დანიშნული (ლეონიდის დროს) არქიმანდრიტი ჯაფარიძე (ჭიათურის სამოქალაქო სკოლა აქვს დასრულებული, არის მეტად ახალგაზრდა, ლამაზი – წარმოსადეგი ბერი და ეპისკოპოზობას ეტრფის, დასახლებულია მცხეთის საკათ. სასახლეში, მამით, დით და სცხოვრობს ოჯახურად); ამათ განკარგულებაში იყო გადაცემული მილიონები; ტფილისში იყიდეს გაძარცული საკათ. სასახლის მოსაწყობად ჭურჭლეულობის სერვიზები, კათოლიკოზს მოიჯარადრე კვერკველაძემ გაუჩინა ყოველდღიურად ხუთ-ხუთი გირვანქა ძროხის ხორცი, ზოგმა ღვინო, ზოგმა პური, ერთი სიტყვით, გაუმართეს ნამდვილი კმაყოფილი ცხოვრების პირობები.

კათოლიკოზის აღყვანის წინა დღეს ტფილისში, ექსარხოსების ყოფილ კარის ეკლესიაში მოხდა ეპისკოპოზად სახელწოდება არქიმანდრიტ იოანნე მარგიშვილისა, რომელიც ვითომც აირჩია სოხუმის ეპარქიამ თვის მწყემსმთავრად, ნამდვილად კი ათიოდე კაცისაგან არის ეს დასახელებული ეპისკოპოსად, სოხუმის მხარე იღუპება პოლიტიკურად და ეკლესიურადაც, ბოლშევიკებმა ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადეს ეს მხარე, კათოლიკოზმა ამბროსიმ კი თვისი უტაქტობით, იქ ყოფნის დროს, მეტად არივ-დარია იქაური ეკლესიური ცხოვრება, არა მგონია, რომ ამ უბადრუკმა იოანნემ შესძლოს იქ საქმის დონეზე დაყენება...

ქუთაისიდან ჩამოვიდა მიტროპოლიტი ნაზარი, თელავიდან პიროსი, ჭყონდიდელი გიორგი კი ზის ქიზიყში, სურს განთავისუფლდეს ეპარქიისგან; არც დავით ეპისკოპოსი ჩამოვიდა; 14-ს დილით გავემგზავრეთ მატარებლით მცხეთას, მთავრობამ დანიშნა იმ დღისთვის სამი მატარებელი იქით-აქეთ, მცხეთის სადგურზე კათოლიკოზს დაახვედრეს 80-მდე ქალ-ვაჟი შავარდენნი და იქიდან წამოიყვანეს ავტომობილით, გალავნის კარებს გარეთ მიაგებეს მცხეთელების წარმომადგენელნი პურ-მარილით, გალავნის კარებში შეეგება სამღვდელოება

და წაიყვანეს ტაძარში; კარიბჭეში შეეგება სვეტი-ცხოვლის წინამძღვარი, არქიმ. პავლე (ჯაფარიძე) მოკლე სიტყვით; ხალხი იყო თხლად; ძალიან ნაკლებად იყო ტფილისის საზოგადოება, კანტი-კუნტად მოსჩანდა ჩვენი ინტელიგენცია; კომუნისტური მთავრობა სრულებით არ გამოცხადებულა, ამბობდენ, განათლების (ნარკომპროსის) კომისარი კანდელაკი იყოო (ეს კანდელაკი აკაკი ჩხენკელის დისწულია, კომუნისტია, ბიძამისი კი მენშევიკების ლიდერთაგანი, ეხლა ევროპაში გახიზნული); ქუთათელ მიტროპოლიტის პროტოდიაკონმა წაიკითხა საეკლესიო კრების განჩინების ფორმულა კათოლიკოზად ამბროსის აღყვანაზე, შემდეგ ნაზარმა და პიროსმა რიგ-რიგობით წაუკითხეს ლოცვები და აკურთხეს კათოლიკოზად; რომელი ქერუბიმთის შემდეგ ახალმა კათოლიკოზმა სიტყვა წარმოსთქვა, სიტყვა მეტად უფერული, მკრთალი გარეგნულად და ღარიბი შინაარსით; წირვის შემდეგ ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა კლიმენტი ჭანტურაიამ რაღაც ქაღალდის ნაფლეთზე სიტყვა წაუკითხა და მიულოცა ფოთის „მორწმუნე საზოგადოების“ მხრივ; ვერავინ ვერა გაიგო რა ბლუ და უნიჭო ჭანტურაიას სიტყვისაგან; ასეთ ადამიანებს აყენებენ პირველ რიგში, ნიჭიერს, მჭერმეტყველს და ვარგისს მღვდლებს სდევნიან, როგორც, მაგალითად, იმავ ფოთის კათედრის კანდელაკს დეკ. იოანნე ბობოხიძეს; ამასთან ამბროსის დიდი შეტაკება და უსიამოვნება ჰქონდა ფოთში, იმიტომ, რომ ბობოხიძე, როგორც კარგი მქადაგებელი და ორატორი სჩრდილავდა თვით ამბროსის და საეპარქიო საბჭოში საკუთარი აზრით შედიოდა, რასაც ამბროსის ბუნება ვერ ეგუება, როგორც ამპარტავანი, უზომო გულდიდი-გულზვიადი კაცი; ამიტომ დიდი არევ-დარევა გამოიწვია ამბროსიმ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ის იძულებული იყო, იმ ეპარქიაზე ხელი აეღო, მაშინ ცინცაძე-თოთიბაძემ დიდის მოხერხებით გადააბრძანეს სუხუმის კათედრაზე, აქ ამბროსი ზარ-ზეიმით მიიღეს, მაგრამ აქაც ვერ შეეგუა ვერც კათედრის სამღვდელოებას (დეკ. ტრ. ჯოხთაბერიძეს და გვაზავას) და ვერც ეპარქიისას, ხოლო ბოლშევიკების შემოსევის დროს ივლტოდა სამეგრელოსაკენ, მიატოვა სამწყსო; ეხლა კი გაიძახის ტფილისში: მაგრად უდექი კომუნისტებს, ჩეკაშიც კი ჩამაჯინესო! მაგრამ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“, – ტყვილა კი არ უთქვამს ძველებს; ჩვენც იძულებულნი ვართ, ვისმინოთ ეს ბაქიაობა იერარქისა!

ჭანტურაიას შემდეგ სომხის ორი მღვდელი მიესალმა ახალ კათოლიკოზს ტაძარში, ერთმა, ხუციანმა, ქართულად სიტყვით მიმართა; წირვაზე იყვნენ გერმანელების პასტორი, იტალიის მისიის წარმომადგენელი, შემდეგ გერმანიის მისიის წარმომადგენელიც იყო რაუშერი; სხვა მისალმებანი, როგორც იყო კირიონის და ლეონიდის კურთხევაზე, ეხლა აღარ ყოფილა. წირვის შემდეგ შავარდენის ვარჯიშობაზე მიიწვიეს კათოლიკოზი თვისი ამალით; ვარჯიშობდენ ქალ-ვაჟნი, ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე; შემდეგ სოფლის ფალავნებმა ჭიდაობა გამართეს; საათის ოთხზე სადილი იყო გამართული დედათა მონასტერში, აქაც მოლოზნები მიეგებნენ კათოლიკოზს იღუმენია ნინო (ბარათაშვილის) მეთაურობით, იყო ბოდბის იღუმენიაც, ესეც ნინო (თავადის ქალია, გვარად ვაჩნაძე); აქ სამღვდელოება დაგვაშორეს კათო-

ლიკოზს, ცალკე შეგვიყვანეს, ხოლო კათოლიკოზი „რჩეულ საზოგადოებით“ და რჩეულ სამღვდელოებით ცალკე; ჩვენ შევიკრიბენით სკოლის შენობაში, აქვე მოათავსეს მგალობელთა გუნდი 25 კაცი (მაისურაძის ლოტბარობით) და შავარდენის ახალ-გაზრდობა; რო ცოტა დავნაყრდით, წინადადება მომცეს, მგალობელთა ახალგაზრდობისათვის სიტყვით მიმემართა, მივმართე კიდეც, მოუწოდე შეგნებულ ქრისტიანულ ყოფა-ქცევისადმი, გალობის დასამუშავებლად და ტაძრებში ასაღორძინებლად, ხოლო სამშობლოსადმი ერთგულ და გულწრფელ მოქალაქეობისათვის; შემდეგ გადავედი შავარდენთა განყოფილებაში, აქ დავახასიათე მათი ვარჯიშობა, უწოდე მათ საქართველოს თვალ-წარმტაც მინდორ-ველთა ათასფერი ყვავილები, უქე სიმკვირცხლე, სილაზათე, ამათაც მოუწოდე ყოფილიყვნენ გულწრფელნი ქრისტიანენი და მამულიშვილნი, განიცადონ მიმდინარე მძიმე მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა და უნიადაგო მოქმედება-ქადაგებას ნუ აჰყვებიან ხოლმე; მიპასუხეს ტაშის გრიალით და ოვაციებით...

დაღამდა, აიშალნენ კათოლიკოზის სუფრიდან; კათოლიკოზიც ჩამოატარეს მგალობლებთან და შავარდნებთან, მან სიტყვით მიმართა ორთავეთ და მადლობა გადაუხადა პატივისცემისათვის; არ ეხერხება ქართული ლაპარაკი, ურევს მეგრულ ჟარგონს და ხშირად ხმარობს სიტყვას: „რასაკვირველია“, რაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე, ლაპარაკობს მეტად გრძლად, აჭიანურებს, რაც უფრო უკარგავს ლაზათს მის სიტყვას...

იმ ღამეს ერთ ბინაზე დავრჩით კათოლიკოზი, არქიმ. იოანნე, დეკანოზები ცინცაძე, ლაზარიშვილი და მე; სანამ ჩაის მოგვიმზადებდენ კათოლიკოზმა მოითხოვა ცივი წყალი, წყალი დაუსხა ბოთლიდან დ. დავითაშვილმა – ცნობილმა მდივანმა ეპარქიალურ კანცელიარიისამ; ამ დროს ჩემ გვერდით იდგა საკათ. საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი – ინგილო, ამან მითხრა: „მამაო ნიკიტა, დავიდოვმა კათოლიკოზს წყალში საწამლავი კი არ ჩაურიოს და ეს კაცი კი არ მოგვიწამლოსო“! მე სახტად დავრჩი ასეთ მომართვაზე! მხოლოდ ესღა მოვახერხე მეპასუხნა: „რას ამბობ, რაფიელ, განა მაგრეც არის საქმე თქო“! და გავბრუნდი იქით. ეს ივანიცკი გულითადი მეგობარია ამ დავიდოვის, მე კი ასეთი რამ საშინელება მითხრა: აქ ორში ერთი რამ უნდა ვიფიქრო: ან პროვოკაცია გამიკეთა ინგილომ, სურდა რამ დაეტყოვნა ჩემგნით, იცოდა რა ჩემი დავიდოვთან სიმწყრალე, ან ის ყოფილა მეტად ვერაგი პიროვნება, რომ კაცზე ასეთ რამეს ლაპარაკობს, პირში კი სულ „დათიკო, დათიკოთი“ უძვრება და კუდს უქიცინებს. მეტად საშიში პიროვნება ახვევია ამ უბედურ კათოლიკოზს გარს; ამ და ასეთმა ადამიანებმა იმსხვერპლეს კირიონიც და ლეონიდიც და ანტონიც. ივანიცკი – ინგილო არის ნამდვილი ამომავალი ბოროტება საქართველოს ეკლესიის ცის გუმბათზე; ეს ივანიცკი კათოლიკოზად სურდათ აერჩიათ გელათის კრებაზე; აქ ტფილისში ნიადაგს უმზადებდა პეტრე ბარათაშვილი, პირველი საკათ. საბჭოს ყოფილი ჯამაგირიანი წევრი, რაფიელის ამ სარბიელზე თანამოაზრე, უსუსურ-ურწმუნო პავლე ინგოროყვასთან ერთად. ეს ბარათაშვილი შემხვდა რუსთაველის პროსპექტზე და მითხრა: „კაცო, რაფიელი უნდა ავირჩიოთ კათოლი-

კოზად, ის თანახმაა კენჭი იყაროსო, ცოლი გაუშვა და თავისუფალიაო“! აი, ასეთი თავსუბუქობით უცქერიან და დაახურდავეს ეს დიდი თანამდებობა ერის მამათმთავრობისა! ლაწირაკი, სპეკულიანტი, გარყვნილი, პროვოკატორი და ვერაგი ივანიცკი (მამით ლეკი, მოლის შვილი) კათოლიკოზად! ერთი ბარათით დაესახელებიათ კიდეც ის საეკლესიო კრებაზე კათოლიკოზობის კანდიდატად! ალბად, ეს ბარათი თვითონ მას ეკუთვნოდა! ეხლა, მგონი, უბედური ამბროსი ვიკარნად ამზადებს, ჯერ, მგონი, სასულიერო სემინარიის „რექტორად“ გამოაცხადებენ! ესეც უბედურება! კაცმა სემინარიის ოთხი კლასი დაასრულა, შემდეგ პეტერბურგში პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, კურსიც არ დაუსრულებია და რექტორობა!! უნივერსიტეტის „ზნაჩოკი“ კი გაუკრავს გვერდზე და არც კი სცხვენია, ისე ატარებს! უნივერსიტეტის წინ კი გაუვლია!.. ვაი, ჩვენს მოსწრებას... ეს ივანიცკი იყო, რომელმაც კირიონ კათოლიკოზის დასაფლავების დღეს გაზეთ „საქართველოში“ (7 ივლისის ნომერში) დაბეჭდა მეტად თავხედი წერილი განსვენებულზე; ამ წერილის გამო იყო, რომ ეს ივანიცკი მოვიხსენიეთ მე და ქუთათელმა ანტონიმ იმ გეგმაში, რომელიც დავსახეთ ჩვენ საქართველოს ეკლესიაში გადატრიალების მოსახდენად; ამ გეგმაში მე უწოდე რაფიელ ივანიცკის „ცულლუტი“... ეს ჩვენი გამომუშავებული გეგმა, კირიონის დასაფლავების შემდეგ, 9 ივლისის თარიღით მე გადავსწერე და ბარათთან ერთად გადაუგზავნე ქუთათელს ქუთაისში; ესეც მალე დაიღუპა, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, ხოლო ის ჩემი დაწერილი გეგმა გადატრიალებისა ქუთათელის კაბინეტიდან, მის სიკვდილის შემდეგ, ვიღაცას გადმოუგზავნია ზემოაღნიშნულ დავითაშვილისათვის, ამას კიდევ ჩაუდვია თვის სამწერლოს ყუთში და ვინც შევიდოდა მასთან, ასე ეუბნებოდა: „თალაქვაძის სული, აი, ამ ყუთში მყავს დამწყვდეული! რო იცოდეს მან, თუ რა მაქვს აქ შენახული მის შესახებ, რამდენ ათასებს დახარჯავდა თავის დასახსნელადო“! მაშინ ათასებს ფასი ჰქონდა, ბატონი დავიდოვიც იღებდა ათასებს, ალბად, ჩემგნითაც სურდა ეს ათასები, რომ ის დოკუმენტი შემესყიდა. ეს სხვათა შორის უთქვამს მას ჩემ მეორე მღვდლის დავით ჩიკვაიძისათვის. რომ მე აღარავითარი ყურადღება აღარ მივაქციე დავიდოვის ასეთ გადმოგდებულ ანკესებს და „ათასები“ აღარ გავიღე იმ ფარატინა ქაღალდის დასახსნელად, მაშინ დავიდოვ-ივანიცკი-ცინცაძე-თოთიბაძე-შუბლაძე-ლაზარიშვილმა-კეკელიძე-ციცქიშვილმა მოლაპარაკების შემდეგ ეს ქაღალდი გადასცეს აწ განსვენებულ ლეონიდს, მეტად შეაგონეს ამ საცოდავს ეს ფარატინა ქაღალდი, გააზვიადეს მისი მნიშვნელობა და აამხედრეს სუსტი ხასიათის კაცი. ამ დოკუმენტში მე აღნიშნული პირნი მყავდნენ აღნიშნულნი, როგორც „ზნეობრივი მკვლელნი“ კათოლიკოზ კირიონისა, რაც განსვენებულის კუბოზედაც აშკარად წარმოვსთქვი სიონის ტაძარში 1918 წლის 7 ივლისს, ხოლო ეს სიტყვა 1919-ში დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრ და ცხოვრებაში“! ასე, რომ ამ დოკუმენტში ისეთი არა იყო რა, რაც წინეთაც არ გვეთქვას ან არ დაგვეწეროს მე და აწ განსვენებულ ქუთათელ ანტონის. მაგრამ ეს დოკუმენტი გამოიყენეს საპროვოკაციო მასალად ჩემს წინააღმდეგ, ლეონიდი ჩააბეს ამ პროვოკაციაში და კისერი მოატეხიეს მორალურად უფრო მეტად, ვინემ ამას

სჩადიოდენ „ახალ სიტყვის“ „პუბლიცისტები“, როდესაც ლეონიდიც ჩაითრიეს ამ „ჟურნალში“ კირიონის საწინააღმდეგო – საზიზღარ „მწერლობაში“ ფსევდონიმებით „ჭინჭარი“, „ბაბასინი“ და სხვა. ამ დოკუმენტის გამო 1920 წლის 2 იანვარს მომიწყვეს ხსენებულმა პირებმა მოულოდნელი თავდასხმა, ეგონათ, თავზარი დამეცემოდა, გული გამისქდებოდა და იქვე გავთავდებოდი. ლეონიდმა აღნიშნულ რიცხვისათვის მოიწვია შეერთებული სხდომა საკათ. საბჭოსი და საკათ. სასამართლოსი (მაშინ ეს ორგანოც იყო); ყველამ იცოდა თურმე ასეთ არაჩვეულებრივ სხდომის მოწვევის საგანი, ჩემს გარდა! კრების გახსნისათანავე ლეონიდმა წაიკითხა აღნიშნული გეგმა გადატრიალებისა, რომელიც იყო დაწერილი იმერეთის საეპარქიო საბჭოსადმი მოხსენების სახით ქუთათელის მიერ, ხოლო გადაწერილი იყო ჩემი ხელით, ქვეშ ეწერა დატა 1918 წ. 9 ივლისი; ხელს ამას მე რაზე მოვაწერდი, ეს დაწერილი იყო ქუთათელისათვის და მეც შიგ ვიყავი გამოყვანილი სხვა და სხვა ჩემი მოხსენებით საკათ. საბჭოსადმი. ხოლო ის ბარათი, რომელთანაც აღნიშნული დოკუმენტი გადაუგზავნე ქუთაისში, ამ „პატიოსანმა“ მოწინააღმდეგებმა დამალეს და დოკუმენტს „ანონიმი“ უწოდეს. რომ წაიკითხა ლეონიდმა ეს გეგმა, დასძინა: „ამაზე ხელს არავინ აწერს, მაგრამ წერის სტილით, კილოთი და ხელით ეს დეკ. ნ. თალაქვაძეს უნდა ეკუთვნოდესო“ და მოითხოვა ჩემი ასე მოულოდნელად გასამართლება. მეც ავდექი და საოცარის სიდინჯით მივართვი შესაფერი პასუხი: „ამისათვის რაზედ აცდენდით ამდენ ხალხს, არც ერთ საჭირბოროტო საკითხზე არ შეგიკრეფია ამდენი წევრი ორ უზენაეს დაწესებულებისა და რაღა ასეთ საკინკლაო საგანზე შეგვკრიფე თქო. დღეს უკვე ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს იმ საგანზე ბჭობა, რომელსაც ეს ქაღალდი ეხება, აქამდე ეს უბრალო ფარატინა ქაღალდი იყო, დღეიდან კი თქვენ მას მიეცით მნიშვნელობა საბრალმდებლო ოქმისა იმ საშინელ ვაკხანალიის შესახებ, რომლის მსხვერპლი გახდა წამებული კირიონი თქო. მე მეგონა, რომ მას შემდეგ, რაც თქვენმა უწმინდესობამ ყოველივე რაც მოხდა მას შემდეგ, საკათ. საბჭოში ჯამაგირიან წევრობაზე მომიწოდეთ, შემდეგ სასულიერო ორგანოს რედაქტორადაც მომიწოდეთ, მეგონა, რომ ჩემდამი დასცხრით და ჩემი თანამშრომლობა შესაძლებლად სცანით; მართალია, ვამჩნევდი, რომ რაღაც უხილავი ძალები წინ მეღობებოდა საკათ. საბჭოში მოქმედების დროს, რამდენ ნაბიჯს წინ გადავსდგამდი, იმდენად უკან მეწეოდი თქვენცა და ეს ზოგიერთი საკათ. საბჭოს წევრნიც (დავასახელე დეკ. ცინცაძე-კეკელიძე, ივანიცკი-ბარათაშვილი), მე მაშინ ვერ გამეგო ასეთ ქცევის მიზეზი, თქვენ თურმე ეს დოკუმენტი გქონებიათ ხელში და მით პროვოკაციას მიკეთებდით, რომ ხელი შემშლოდა და სირცხვილში ჩავარდნილიყავი. აი, თურმე სად ყოფილა „ჩემი სული დამწყვდეული“, როგორც ეს უბრძანებია ბ. დავიდოვს ჩემი მღვდლისათვის! დიახ, ეს დოკუმენტი მე მეკუთვნის, მთელი თაბახი ჩემი ხელით არის დაწერილი, ჩემი სახელი და გვარი შიგ ტექსტშია ჩემი ხელითვე დაწერილი და რომ ეს ჩემი ნაწარმოებია, ამის ახსნას დიდი სიბრძნე და ექსპერტიზა არ სჭირდებოდა, დამიბარებდით და მეც მოგახსენებდით ყოველივეს. რომ არ დაღუპულიყო ქუთათელი ანტონი, ამ გეგმას სისრულეში მოვიყვანდით კიდეც, ისე, როგორც შევქმენით

ჩვენვე 1917 წლის 12 მარტი და თქვენ ყველანი თავზე დააჯექით ამ აქტს და ის ტალახში და სისხლში ამოსვარეთ (აქ დიდი ალიაქოთი ასტყდა კრებაზე). დამშვიდდით, ნუ ბობოქრობთ, არც ერთი სიტყვა ამ დოკუმენტში უბრალოდ არ არის ნახმარი, მე დღესაც არ მიმაქვს უკან არც ერთი დებულება აქ გამოყვანილი, მზად ვარ მივიღო თქვენი მსჯავრი, თუმცა, როგორც საკათ. საბჭოს წევრი მე შეუვალი პიროვნება გახლავარ, თქვენ ჩემ შესახებ მასალა უნდა გადასცეთ საეკლესიო კრებას, რომელიც მე დამდებს საბოლოო მსჯავრს თქო"... ამის შემდეგ პროკურორის როლი რიგ-რიგობით იკისრეს: ივანიცკიმ, დეკ. კეკელიძემ (მაშინ დეკანოზი იყო, ეხლა გაკრეჭილ ოდესელ ურიის ნოქარსა ჰგავს), დეკ. ცინცაძემ, პ. ბარათაშვილმა. პასუხის მიცემის ნება აღარ მომცა თავმჯდომარემ, მეც ბოლომდე მოვისმინე ეს განუკითხავი, უმაგალითო „ჯიჯგნვა" ადამიანისა! ბოლოს გამოიტანეს დასკვნა, რომ მე „ზნეობრივად" უფლება არა მაქვს საკათ. საბჭოს წევრად დავრჩე. მე მათ განჩინებაზე შევიტანე საკათ. საბჭოში ვრცელი დასაბუთებული წერილობითი განმარტება „ნაპოვნ" დოკუმენტისა და ჩამოვშორდი საკათ. საბჭოს, განვაახლე ისევ პედაგოგიური სამსახური, რომელსაც თავი დამანებებიეს, როდესაც ლეონიდმა საკათ. საბჭოს ჯამაგირზე მიმიწვია; 1920 წლის 15 იანვარს ტფ. ქალთა მესამე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ამირჩია საქართველოს ისტორიის და ქართულ სიტყვიერების მასწავლებლად, დავრჩი რა ისევ ანჩის ხატის ტაძრის სამრევლო მღვდლად, სადაც 1912 წლის 20 მაისის რეზოლიუციით სასჯელად გადამაგდო ექსარხოსმა ინოკენტიმ. აღარ ვერეოდი სასულიერო უწყების არც ერთ საქმეში, ვიყავი ჩემთვის. ჩემი საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობიდან გასვლით ისარგებლეს ყველამ, დაიტაცეს აუარებელი ქონება საკათ. საბჭოს შენობაში და ლეონიდის სასახლეში ჩემ მიერ გადმოზიდული (რაც მოვასწარი) ახალ სემინარიის შენობებიდან. გაჰყიდეს ცხენები ექსარხოსისა, გაჰყიდეს ეტლები, გაჰქურდეს კათოლიკოზის სასახლე შინაურებმა. საკათ. სასახლის შემოსავალ-გასავლის წიგნში არც ერთი სტატია არ იყო შეტანილი კირიონის გარდაცვალების შემდეგ; ლეონიდს მეტად დაუნახავს სასახლის ხარჯების აღნუსხვა; სიკვდილის 10-15 დღის წინეთ ლეონიდს შინაურებმა მოჰპარეს მილიარდებად ღირებული ბრილიანტების პანაგია, შარშან საეკლესიო კრების დროს, კაბინეტის ყუთიდან მოჰპარეს 85 ათასი მანათი საზოგადო ფული, ისევ შინაურულად...

ლეონიდმა, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, შეინანა ჩემი გაძევება საკათ. საბჭოდან და 19 ივნისს უკანვე წაიღო თვისი ბრალდებანი, დიდი აღსარება წარმოსთქვა ჩემს წინაშე თვის უბედურ-უმწეო მდგომარეობაზე, სჩიოდა, თუ რა ვერაგი ხალხი ახვევია გარს, განსაკუთრებით სჩიოდა დეკ. ცინცაძეზე, რომელიც დიქტატორობას ჩემობს და თავზე დამასხდაო; დეკ. კეკელიძემ ანაფორა გაიხადა, მიგვატოვა, სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ და ეკლესია გვენგრევაო და მიწვევდა ისევ სამოღვაწეოდ. მაგრამ განსვენებულს აღარ დასცალდა, მოულოდნელად გარდაიცვალა, მე კი დავრჩი მაინც ფეხჩადგმული სასულიერო უწყებაში, ზაფხულში სამღვდელოებამ საეპარქიო სანთლის ქარხნის კონტროლიორად ამომირჩია, ეხლა კი ჩემმა „მეგობრებმა" ეს ჩემი თანამდებობა

გააუქმა, თითქოს ეს „კონტროლიორობა“ და ჯამაგირი (20.000 მ.) მე „მოხერ-ხებით“ და „პოდლოგობით“ ჩამეგდოს ხელში!.. ამ თაობაზე დასაბუთებული მოხსენება წარუდგინე კათ. ამბროსის და არ ვიცი, რას ინებებს, მე მხოლოდ ისევ ჩამოვშორდი საკათ. საბჭოსთან საქმეებს... მე არჩევითი თანამდებობაზე ვრჩებოდი, დეკ. ლაზარიშვილს კი თვისს მოხელედ უნდოდი – „ბუგალტრად“, ეს მე არ ვიკისრე, მოიწვიეს ცნობილი „შუბლაძე-ჯაჭვაძე“.

ლეონიდი, რომელმაც აღიარა ჩემი უდანაშაულობა და ისევ ნდობა გამო-მიცხადა, მოკვდა; ხოლო იმისი ვერაგი თანამშრომელნი ისევ განაგრძობენ თავიანთ ვერაგობას...

მცხეთაში კათოლიკოზს რუსული თეთრი კლობუკი დაჰხურეს თავზე, ამ თაობაზე საკათ. საბჭოს გამოუტანია დადგენილება; ქუთათელ ნაზარს კი შავ კლობუკზე ბრილიანტის ჯვარი; ეს ექსარხოსების ნაჯაშუშართა საქმეა. მცხე-თიდან რომ დაბრუნდა კათ. ამბროსი, შეუხედნია სარკეში და დაუძახნია: „არ მიხდება თეთრი კლობუკი! თეთრი თმა და წვერი და თეთრი კლობუკი, სულ სახეს მიშლისო“! მოუგლეჯია თავზე და გადაუსროლია. დაიხურა ის კუნკულა კი არა, რომელსაც ატარებდა კირიონი და ლეონიდი, არამედ რუსული ფორმისა „კოხტა“, ბრილიანტის ჯვარით წინ!.. და თან მღვდლების ჯილდოებიც აღად-გინეს საკათ. საბჭოში! მალე მიტრებით დაჯილდოვდებიან ცინცაძე-თოთიბა-ძე-მირიანაშვილი... ეს საბჭოთა ხელისუფლების ხანაში!.. მახლას!..

მცხეთიდან დაბრუნების შემდეგ საკათ. საბჭოს ჰქონია მთელი რიგი სხდომებისა მთელ ჩვენ ოთხ იერარქთა თანადასწრებით: კათ. ამბროსი, ქუთ. ნაზარი, ალავერდელი პიროსი და ცხუმ-აფხაზეთისა იოანნე (გიორგი ალადაშ-ვილი, ჭყონდიდელი გავიდა სამსახურიდან); ბჭობდენ, თუ როგორ მოეწყონ ერთმანეთში „ორგანიზაციულად“, ესე იგი როგორ მოაწყონ იმ ფულების და ქონების განიავება, რომელიც შესდით მათ საეპარქიო სანთლის ქარხანათაგან; გელათის კრებას დაუდგენია ჩვენი ეკლესიის ფინანსიური მხარის ცენტრალი-ზაცია – საერთო კასსის თუ საეკლესიო ხაზინის შექმნა განუზრახავთ, ამ საბა-ბით ჰფიქრობენ საეპარქიო კრებებს ჩამოერთვას ადგილობრივ საშვალებათა მეთვალ-ყურეობა-კონტროლი სანთლის ქარხნების წარმოებაში, რომ საკათ. საბჭომ, როგორც „ცენტრალურმა“ დაწესებულებამ, ხარჯოს ფული, როგორც მოისურვებს, აგრეთვე მოიქცევიან ეპარქიის მღვდელმთავრები, სურთ, შეიმო-სონ სრული მონარქიული უფლებებით; ამ საბაბით მოხდა თურმე ჩემი „კონ-ტროლიორობის“ გაუქმება, რომელი თანამდებობაც შექმნა და ამირჩია მასზე საეპ. კრებამ ამ ზაფხულს! საეკლესიო კრებაზე დეკ. ცინცაძეს წაუკითხავს მოხსენება კონტროლის ორგანოს დაარსების საჭიროებაზე, თითქოს კრებას ეს საჭიროდ უცვნია, მაგრამ რაღაც მანქანებით ეს დამოუკიდებელი, საეკლე-სიო კრების წინაშე მხოლოდ პასუხის მგებელი ორგანო, თვით კრებას როდი ამოარჩევიეს, ეს საკათ. საბჭომ დაიტოვა თავის თავზე! საკათ. საბჭო თვით უშობა თავისთავს კონტროლს, ასეთია დეკ. ლაზარიშვილის ხრიკები, რომელიც გაიყვანა კიდეც საკათ. საბჭოში; დეკ. ლაზარიშვილს რაზე ესიამოვნებოდა, რომ ვინმემ ჩაუხედოს გარეშე საკათ. საბჭოისამ, თვის „სამეურნეო გამგეობაში“!

ახალი ჯამაგირები

კიდევაც შესდგომია საკათ. საბჭო თვის „დირექტორის“ მონაწილეობით ახალ შტატების შედგენას; შემთხვევით ჩავიხედე ამ შტატების სიაში. აი, რა სწერია იქ: საკათოლიკოზო საბჭოს თავმჯდომარეს (ამბროსის) თვეში 400.000 მან; მასვე 320.000 მ; მასვე სასახლის შესანახად 200.000 მან; მასვე ეტლისათვის 500.000 მან; მასვე მსახურთათვის 300.000 მან; გამოდის ორ მილიონამდე; ამას გარდა კათოლიკოზს უყიდეს სანთლის საშვალებათაგან (სხვა წყარო არა არის რა) წაღები 1.800.000 მ; მასვე უყიდეს ცისფერი ანაფორა და შეუკერეს 1.500.000 მან; მასვე თეთრი და შავი კუნკულა-ბარტყულები ერთ მილიონამდე; მასვე ყოველდღე მოუხერხეს ვიღაც მოიჯარადრე – კვერკველაძესთან ხუთ-ხუთი გირქვანქა ძროხის ხორცი, მუქთად. პური და სხვა სანოვაგენი; მცხეთის „ზეიმის“ მომწყობმა კომიტეტმა ამ ზეიმს მიახარჯა (ზოგმა დაიტაცეს, ვისაც ხელი ჰქონდა. თაფლში თითები გაილოკეს) 60.000.000 მანეთი! აქედან გაქურდულ საკათ. სასახლეს უყიდეს სერვიზები და დანაჩანგალი. ერთი სიტყვით, კათ. ნივთიერად კარგად მოაწყვეს, არც ერთი დიდი მოხელე არ არის აგრე უზრუნველყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაში! კათოლიკოზს ჰყავს სახლში ქმრისაგან გაგდებული ქალი ერთი შვილით, ერთი ვაჟიც მდიდარ ქალზეა ჯვარ დაწერილი, ერთი ქალიც ჰყავს გათხოვილი; სცხოვრობს ოჯახურათ...

საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს ჯამაგირები: დეკანოზებს – კ. ცინცაძეს, მარკოზ ტყემალაძეს და იოსებ მირიანაშვილს თითოს – 200.000 მანეთი, ერისკაცთაგან ნიკო თავდგირიძეს, რ. ივანიცკის და კორ. კეკელიძეს (ყოფილ მიტროფორნი დეკანოზს, ახლა კი პიდჟაკში – პრიკაზჩიკულად გამოწყობილ საკათოლიკოზო საბჭოს წევრს!) – ამათაც თითოს 200.000 მან! აი, რას ნიშნავს უკანტროლო დაწესებულება! ამ ფულს გარდა ეს საკათ. საბჭოს „გვამები“ ღებულობენ საბჭოთა ხელისუფლების (კომუნიზმ) მიხედვით „პაიოკებსაც“! სამეურნეო გამგეობის დირექტორი, დეკ. ლაზარიშვილი „ახერხებს“ (აი, ვინ არის მოხერხებული!) მათ თვეში თითქმის თითო ფუთ პურის ფქვილის მიცემას, ლობიოს, საპონს, ნავთსაც ურიგებს ხოლმე! საიდან არის ყოველივე ეს?! აი, საიდან. მამა „დირექტორი“ თან და თან ჰყიდის ყოფილ სინოდ. კანტორის შენობაში დარჩენილ ავეჯეულობას – სტოლებს, სკამებს, შკაფებს, საწერ მაგიდებს, საეკლესიო შესამოსელ სამკაულებს, ამაებს სცვლის პურზე და სხვა სანოვაგეებზე, ურიგებს საკათ. საბჭოს წევრებს და სამწერლოს მოხელეებსაც! მაგრამ როდესაც ყოველივე ეს გამოელევათ, მაშინ აღარ ვიცი, რა წყაროებიდან შეადგენს ამ პაიოკებს! ძვირფასი ავეჯეულობა ჩემ მიერ შარშან და შარშან წინ გადმოზიდული ახალ სემინარიის შენობებიდან ვაკეზე, ზოგი საკათ. საბჭოს წევრებმა დაიტაცეს (დეკ. კეკელიძემ მიითვისა სემინარიის რექტორის დიდებული ავეჯეულობა და ბინის მორთულობა, აგრეთვე რაფ. ივანიცკიმ, პ. ბარათაშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ჩიტო კაპანაძემ და სემინარიის ყველა მასწავლებლებმა), რაც ამათ გადარჩათ ამას ლაზარიშვილი სცვლის და ანადგურებს, „სულ ერთია, მთავრობა ჩამოგვართმევსო“! ასე რომ

ეს ნივთები ეკლესიასაც ეღუპება და სახელმწიფოსათვისაც იკარგება! ახლა ხან რაფ. ივანიცკიმ დაიჭირა საკათ. საბჭოში დიდებული ბინა და ყოველდღე კათოლიკოზს უთვალთვალებს, „სწავლობს კათოლიკოზობასო“! ემზადება „საკათოლიკოზოდო“, – ამბობენ ჩვენს წრეებში ღიმილით...

1921 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გარდაიცვალა ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზი, ტფ. სამღვდელოების მთავარ-ხუცესი (ბლაღოჩინი) გრიგოლ გიორგიძე (ყოფილი გამდლიშვილი, ეს გვარი გიორგიძეთ გადაიკეთა მან ნიკოლოზ იმპერატორის წინაშე უქვეშევრდომილეს შუამდგომლობით – იუკადრისა ეს ძველი გვარი!). ამ ტაძართან არის ძველი სასაფლაო, რომელიც ეხლა განაახლეს და ასაფლავებენ ტფ. ინტელიგენციას თუ ბურჟუაზიას, გარშემოც სულ რუსების ტაძრები ახვევია, ასე რომ ამ დიდ რაიონში ეს ერთადერთი ქართული ეკლესიაა, დიდი მრევლი ეტანება და შემოსავლიან მრევლად ითვლება. ამიტომ ეს ადგილი თითქმის ყველა მღვდელმა ითხოვა ქალაქში, ბევრმა სოფლებიდანაც ითხოვეს. 29 ოქტომბერს შაბათს დავასაფლავეთ დეკ. გიორგიძე იქვე, ტაძრის ეზოში. მწირველი ბრძანდებოდა კათოლიკოზი. წირვა-დასაფლავების შემდეგ ჩემთან მოვიდნენ მრევლის და სამრევლო საბჭოს წარმომადგენელნი: კლდიაშვილი, ზაალიშვილი, სიმონიშვილი, მერკვილაძე და მათთან ათი-თხუთმეტი კაცი კიდევ სხვა. ამათ გამიხმეს ცალკე და წინადადება მომცეს – გადმოვიდე წმ. ნიკოლოზის ტაძარში ანჩისხატიდან! მე სახტად დავრჩი ასეთ წინადადებაზე! მართალია, კარგი მრევლია წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ანჩისხატი კი მეტად მიყრუებულია და „საციმბიროდ“ მიჩნეული ექსარხოსს ინოკენტისაგან, რომელმაც აქ გადმომასახლა ძალით 1912 წლის 20 მაისის ვერაგულ რეზოლიუციით, მაგრამ მე მაინც არ ვფიქრობდი წმ. ნიკოლოზის ადგილის თხოვნას, ვიცოდი, რომ არ მომცემდენ! ამიტომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს ზემოაღნიშნულმა მრევლის წარმომადგენლებმა. კატეგორიულად წინადადება მომცეს! ამაზე მე უპასუხე: „ჯერ არ მიფიქრია მაგ ადგილზე გადმოსვლა, მაგრამ რამდენადაც ვატყობ საქმის ვითარებას, მე მაგ ადგილს არ მომცემს კათოლიკოზი, საარჩევნო უფლება ჩამორთმეული გაქვთ მრევლს. მე კი ჩემ ეკლესიის გვერდზე არსებული პატარა წმ. გიორგის ტაძარიც კი არ მომაწერეს, ესეც შეშურდათ ჩემთვის და სიონს მიაწერეს, სამღვდელოების მიერ არჩეული თანამდებობა „კონტროლობა“ გამიუქმეს და ჩამომართვეს! აბა, რაღას უნდა მოველოდე ასეთ ჩემდამი განწყობილ პირობებში თქო“! ამაზე მიპასუხეს: „შენ მოგვეცი თანხმობა, ჩვენ წარუდგებით კათოლიკოზს, ვსთხოვთ, რაზე უნდა გვითხრას უარი, უკეთეს კანდიდატს ვის წამოგვიყენებენო“! მე გამეცინა ამაზე, მადლობა გადაუხადე და კიდევ ვსთხოვე, „დამანებეთ თავი, ტყუილა ნურც თქვენ ირცხვენთ თავს და ნურც მე შემარცხვენთთქო“! მაგრამ ბოლოს იძულებული მყვეს თანხმობა გამომეცხადებია და თან ისიც მთხოვეს, რომ შენც მიეცი კათოლიკოზს თხოვნაო. იმავ დღესვე წარსდგომია ეს დეპუტაცია კათოლიკოზს, მიუმართავთ თხოვნით, განუმარტებიათ მრევლის საჭიროებანი მომქმედ და მქადაგებელ მოძღვრის აუცილებლობაში, მაგრამ კათოლიკოზს მეტის მეტად უკმეხად მიუღია ხალ-

ხი, არც კი დაუსხამთ ისინი! ფეხზე გაუჩერებია ეს პატივცემულნი, ჭაღარით მოსილნი ერისაგანნი, არც მოუსმინა რიგიანად, „მე თვითონ განვიხილავ მაგ საქმეს, მე თვითონ მივსცემ დეკ. თალაქვაძეს წინადადებასო“ და ასეთი ორაზროვანი სიტყვებით გამოუსტუმრებია ეს ხალხი სასახლიდან, მეტად შეურაცხყოფილნი, დამცირებულნი და განაწყენებულნი! იმავ საღამოთი, საღამოს ლოცვის შემდეგ, დავსწერე თხოვნა: აღვნიშნე შიგ ჩემი იძულებითი გადმომწესება დიდუბიდან ანჩისხატში 1912 წელს, 20 მაისს ინოკენტი ექსარ-ხოსის მიერ ეკლესიის ავტოკეფალობისათვის ჩემ მიერ მუშაობის გამო და დიდუბელ შავრაზმელ რუსებთან ბრძოლისათვის; თუ როგორ ამ სასჯელის ქვეშ ვარ ეს მეათე წლის განმავლობაში; როგორ მიგდებულ-მიყრუებულ ადგილზეა ანჩის ხატის ტაძარი, მიხდება ცარიელ კედლებ შუა წირვა-ლოცვა, არ მყავს ხალხი, რომ ვმოძღვრო, უქადაგო; მეყოფა ამდენ ხანს ასეთ სასჯელის ქვეშ ყოფნა, სულყველას რაღაც გეშველათ ჩემს მეტს და დროა, მეც ამომიყვანოთ ამ ჯურღმულიდან, პირის-პირ შევხვდე მორწმუნე ერს, სადაც ის ბლომად იყრის თავს სხვა და სხვა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათ შესრულების დროს თქო, თქვენ კარგად მიხვდებით ჩემს სულის კვეთებას, გამიყვანეთ აქედან, გადამამწესეთ ვერის წმ. ნიკოლოზის მრევლში თქო. ასეთი შინაარსის იყო დაახლოებით ჩემი თხოვნა. შევიტანე კათოლიკოზთან, მიმიღო, ჩაიზე მიმიპატიჟა; ბევრი რამ ვილაპარაკეთ ჯერ საზოგადო თემებზე; შემდეგ მომიყვა, თუ როგორ იყო მასთან დღეს დეპუტაცია და შენთვის ადგილი მთხოვესო; უკმაყოფილონი წავიდნენო, მე კი მათი წყენინება არ მინდოდაო, იმ მრევლის სურვილს ვაქცევ ყურადღებასო და დაიბნა ლაპარაკში, ეტყობოდა, რომ კათოლიკოზი უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, ის უკვე დატყვევებული ჰყავდათ ამ საქმეში მოჭახრაკე ცინცაძე-თოთიბაძეს... მაგრამ მე მაინც ჩემი აღარ დავიშალე, მოუმზადე ცოტა რამ ნიადაგი და გადავედი საქმეზე: „მე მთხოვეს მრევლის წარმომადგენლებმა გადავიდე ვერაზე, ჩემი თანხმობა წაიღეს მათ, მაგრამ აჩქარებულან, მე უთხარი მათ, რომ მე თვითონ ვითხოვდი ადგილს, ისინი ნუღა შესწუხდებოდენ, მაგრამ არ დაუგდიათ და მაინც გხლებიათ თქო! ყოველ შემთხვევაში მე მათ თხოვნას არ ვეყრდნობი, მე ვთხოულობ გადამიყვანოთ იმ ადგილზე, მაკმაროთ ამდენი ტანჯვა, ნივთიერი შევიწროება და დამცირება, რასაც ეს მეათე წელიწადია განვიცდი თქო. სულ ყველამ რაღაც მიიღეთ, გაიუმჯობესეთ მდგომარეობა, მე რაღა დავაშავე, ვის რა შევსცოდე თქო“... ამოვიღე თხოვნა და მივართვი. „ბევრია მთხოვნელებიო“, – მიპასუხა. „ამ ბევრთან ეს ჩემი თხოვნაც იყოს თქო“, – მიუგე მე. ცოტა რამ კიდევ ვიბაასეთ და დავშორდი. ეტყობა, რომ ეს კაცი სრული მონა-მორჩილია ცინცაძე-თოთიბაძესი, უიმათოდ ფეხს არ სდგამს, ეშინია მათი, იცის, რომ თუ ისინი გადაუდგა, დაიღუპება, როგორც დაიღუპა ორი მისი წინა მოადგილენი... ოთხ ნოემბერს დღისით კათოლიკოზმა თავისი სადარბაზო ბარათით დამიბარა „სასკოლო კომისიის“ სხდომაზე. ვეახელი; დამიხვდნენ: კათოლიკოზი, დეკ. ცინცაძე, რ. ივანიცკი, გაკრეჭილი კ. კეკელიძე და დეკ. ი. კაპანაძე. მოისმინეს ჩემი წერილობითი მოხსენება, რომელიც გელათის კრებაზე იყო გაგზავნილი, მაგრამ იქ

არ წაიკითხეს, ვინაიდგან ეს მოხსენება შეიცავდა დაუზოგველ მხილებას ჩვენი სასულიერო სემინარია-სასწავლებლის დაღუპვისა გამო, ეხებოდა კეკელიძეს და მის ამქარს... ამ სხდომაზედაც მხოლოდ მოხსენების დასკვნები წაიკითხეს, ესენი ყველანი მოისმინეს, უნდა ყოფილიყო შემდეგ მსჯელობა ამ თაობაზე, მაგრამ ოჯახიდან მეძახოდენ, ჩემი ბინიდან ერთი ოთახის ჩამორთმევას მემუქრებოდენ საბინაო განყოფილება, ვიღაც სომხის დედაკაცის ჩასახლება უნდოდათ ჩემს ბინაში! ამ ნიადაგზე დიდი აწიოკება და შევიწროებაა დღეს ჩვენს დედა ქალაქში! ვინ არ მოაწყდა დღეს უბედურ საქართველოს და ტფილისს! აღარ არის ილაჯი ცხოვრებისა – ცალკე სიძვირით სანოვაგისა, ცალკე ასეთ შევიწროება-აწიოკებითა. მე უკვე ჩამომართვეს ერთი დიდი ოთახი, დამრჩა ორ ოთახ ნახევარი, შიგ ექვსი სულნი ვართ, თავზე გვაყრია ყველაფერი და კიდევ მიპირებენ ერთი ოთახის ჩამორთმევას! დავსტოვე სხდომა და მივეშველე ოჯახს! როგორც იყო, „დროებით“ შევაჩერე „რეკვიზიცია“-„უპლოტნენიე“ – როგორც ეხლა ამბობენ ხოლმე...

იმავ საღამოს ისევ შევედი კათოლიკოზთან, მივაკითხე, რას ჰფიქრობდა ჩემს თხოვნაზე, თან იმისიც მეშინოდა, სამღვდელო კურსების გამგეთ არ დამნიშნოს და მით უარი არ მითხრას მრევლზე თქო; ამ კურსების გამგეობა საპატიო და საჭირო საქმეა, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ არც მოწაფეები იქნება კურსებისათვის, არც ბინა, არც სკამები, არც წიგნები და არაფერი – სულყველაფერი განიავებულია, ახალის შეძენა კი ვის შეუძლია! ან ვინ ისურვებს ეხლა დახარჯოს დრო და საშვალება მღვდლობისათვის მოსამზადებლად, როდესაც ყოველი უვიციც კი მიიღებს მღვდლობას, თუ კი მოისურვებს. ამას თუ დაუმატებ ჩემდამი საკათ. საბჭოს და კათოლიკოზის კამარილიის მტრულ განწყობილებას, მაშინ ცხადი იქნება, რომ ამ საქმეში ჩამჭრიან, ხელს არ შემიწყობენ... მაგრამ თურმე ტყუილა შემშინებოდა, ვინ გაიმეტებდა ჩემთვის ამ ადგილს. კათოლიკოზმა პირდაპირ მითხრა, „შენზე ისე არიან ალესილნი, რომ ამ ადგილს ვერ გამართავო“... შემდეგ ნიკოლოზის მრევლზე დაუწყე ბაასი, თუ მაძლევთ, ბარემ მიბოძეთ, ზამთარი დგება და შევემზადები თქო; ამაზე მიკიბ-მოკიბა ისე, რომ ეტყობოდა, არც ეს ადგილი უნდოდა ჩემთვის; ცხადია, კათოლიკოზი ტყვეთა ჰყავთ ექსარხოსის ყოფილ აგენტებს...

მეორე დღით, 5 ნოემბერს, ჩვენს კათოლიკოზს ესტუმრა სადარბაზოდ სომხის კათოლიკოზი, ეს დიდის პომპით მოსულა, ეპისკოპოსებით, დეკანოზებით, ავტომობილებში. კათოლიკოზს დაუხვედრებია თავისი ცინცაძე-თოთიბაძე-ტყემალაძე, მაჭარაშვილი და „ახალი სიტყვის“ ყოფილი რედაქტორი, „ვირგლად“ წოდებული, დეკ. ქრ. ციცქიშვილი, რომელსაც ეხლა კირიონის ზნეობრივი მკვლელები ურბნისის ეპისკოპოზად ამზადებენ... მე არც კი გამიგია სომხის კათოლიკოზის დარბაზობის ამბავი, როდესაც ეს დარბაზობა მორჩენილა, გზაში შემხვდნენ, მაისის გველებივით მისრიალებდენ ცინცაძე-თოთიბაძე, მორცხვად სალამი მომცეს, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაუდენია და სადღაც მიიპარებიან იუდებივით თქო... შეველ საკათ. საბჭოს შენობაში, იქ დამხვდნენ ლაზარიშვილი, მაჭარაშვილი, თვით ციცქიშვილი, რ. ივანიცკი, ლაპარაკობდენ

რაღაცაზე; მეც მათთან ვიბაასე ერთ ხანს; შემდეგ, როდესაც სახლში წამოვედი, ვკითხე დეკ. გრ. კიკნაძეს, რომელიც კათოლიკოზის სამწერლოშია დავითაშვილის თანაშემწედ: „ვის აძლევს, მამაო, კათოლიკოზი ვერის სამრევლოს თქო“! – „მისცა კიდეც დეკ. ქრ. ციცქიშვილს, დროებით, სანამ ეპისკოპოზად აკურთხებენო, კათოლიკოზი თავის თავს როდი ეკუთვნის, ის სხვისი ჭკუით იქცევაო; Это назначеніе не похоже на католикоса-о, – მითხრა მან, – ეს ცინცაძე-თოთიბაძის ოინებია, თოთიბაძე თავისთვის ინახავს მაგ ადგილს, მგონი, სამხედრო ტაძარს ართმევენ და შემდეგ წმ. ნიკოლოზში გადმოვაო“...

აქ კომენტარები მეტია... ციცქიშვილი რაღაც ახირებული ადამიანია, სულმდაბალი-თვალმაქცი და თან თავხედი-„ვირგლა“! საკვირველია, როგორ თავსდება ერთ პიროვნებაში ამდენი ერთი მეორეს საწინააღმდეგო თვისებები; ჯერ იყო და 1905 წელს, ქართველ სამღვდელოების სიეზდს სათავეში – თავმჯდომარედ მოექცა; ამ სიეზდს ყაზახ-რუსებმა მათრახებით სცემა, თუმცა თვით ციცქიშვილს, სამწუხაროდ, არც ერთი არ მოხვედრია; სისხლი ადინეს საცოდავ სოფლის სამღვდელოებას და დიაკვნებს, ქალაქის მღვდლებმა გავასწარით ამ აწიოკებას. ამ თაობაზე მე შემხვდა დეპუტაციაში შესვლა და მეთაურობა მეფის მოადგილე გრაფ. ილარიონ ვორონცოვთან, რომელსაც ცხარე პროტესტი გამოუცხადე ასეთ ძალადობისათვის; ასეთ პროტესტით შევედი მისს თანაშემწე სულთან-კრიმ გირეისთან, ქალაქის თვითმართველობაში, ყველგან მე ვმოქმედობდი, მე ვლაპარაკობდი, ციცქიშვილი იყო ატუზული და კრინტი ხმა არ დაუძრავს არსად, იყვნენ ჩვენთან დეკ. დ. ხახუტაშვილი, მღ. ზაქ. გულისაშვილი და მღ. ის. ჩიჯავაძე. ციცქიშვილს კი, როგორც გვემულ კრების თავმჯდომარეს, საზოგადოებაში გაუვარდა ხმა მებრძოლისა; ექსარხოს ალექსიმაც და მისმა მმართველობამაც ძალიან გაილესეს მასზედ კბილი პირველ ხანებში, მაგრამ, ჩვენდა განსაცვიფრებლად, როდესაც ტფილისის თვითმართველობამ ეს „რევოლიუციონერი“ მღვდელი აირჩია თვის (ავლაბარში) გიმნაზიაში სამღვთო სჯულის მასწავლებლად, ექსარხოსმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზე, ამ სახით მღ. ქრ. ციცქიშვილი, უბრალო სემინარიელი, კაცი მშრალი და განუვითარებელი, სოფელ იტრიიდან ქალაქ ტფილისში გადმოცოცდა და ისეთი ადგილი მიიღო მაშინ, რომლის მიღება მე პირადად არ მეღირსა ღვთისმეტყველების კანდიდატს, რომელსაც მხოლოდ საბაღოსნო სასწავლებელში მქონდა ოთხი გაკვეთილი კვირაში, საშვალო სასწავლებელში არ შემიშვა სასულიერო მთავრობამ. ცხადია, მღ. ციცქიშვილს პროტექცია გაუწიეს ექსარხოსის წინაშე და განაგრძობდა სამსახურს და ჩინებულ ჯამაგირის მიღებას. მართალია, ჯილდოებზე არ არდგენდენ, მაგრამ არც მე მარდგენდენ, ვიყავით ისე ორთავენი თეთრ ჯვრებით, მას „კამილავკა“ მაინც ჰქონდა, მე კი არც კამილავკა მქონდა; ციცქიშვილი, როგორც მღვდელი იყო მიწერილი სიონის ტაძარზე, ვინაიდან მის გიმნაზიას საკუთარი ტაძარი არ ჰქონდა; ასე რომ იყო ის თანამწირველი და თანამშრომელი (უახლოესი) ექსარხოსებისა, სანამ ექსარხოსობა არ მოისპო. აი, ეს ადამიანი გაიჩინა დეკ. თოთიბაძემ, ექსარხოსების ყოფილმა კლიუჩარმა – ლაქიამ და აგენტმა (იხი-

ლე ამისი ტიპი ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასას, მოთხრობაში – „ეკლესიის გარშემო“ – თოთიბაძის ტიპია მამა „ილარიონი“) თვის ბრმა იარაღად. როდესაც 1916 წელს მე და ანტონ ეპისკოპოსი ვებრძოდით ექსარხოს პლატონს და ავტოკეფალიის ძიებას თავდადებულად ვაწარმოებდით, ეს პატიოსანი გვამნი ცინცაძე-კეკელიძე-თოთიბაძე-ციცქიშვილი-შუბლაძე-ტყემალაძე და მათი ავან-ჩავანნი კეთილსაიმედო პირებად იყვნენ მიღებული და ექსარხოსების ფრთეთა ქვეშე შეფარებულნი. მხოლოდ ერთი ექსარხოსი აღმოჩნდა 1915 წლის განმავლობაში – პიტირიმი – რომელმაც ავტოკეფალიას თანაგვიგრძნო (ვინ იცის, რამდენად გულწრფელი იყო განსვენებული ჩვენთან) და ანტონ ეპისკოპოსსა და მეც თავაზიანად გვეპყრობოდა; ამ პიტირიმს ერთი წლის განმავლობაში (შემდეგ გადაიყვანეს პეტერბურგის მიტროპოლიტად, აქაც ავტოკეფალისტობდა, ამას ჩააშლევინა ანტონ ეპისკოპოსმა ექსარხოსის პლატონის გამიტროპოლიტება ჩვენში, დეკ. კეკელიძის (ამას რექტორობა უბოძა პლატონმა), ცინცაძე-თოთიბაძის მოხერხებით მოჭახრაკებული და წარდგენილი მეფისნაცვლის დიდ მთავარ ნიკოლოზ – ნიკოლოზის ძის საშუვალებით ხელმწიფესთან; ამ საქმეში ჩარიეს ჩვენი მარშალი კოტე აფხაზიც, ამ საქმეში ერია სერგო გორგაძეც და ბევრნი სხვანი; ვებრძოდით მე და ანტონი და ვერც მიიღო პლატონმა ჩვენში ექსარხოსობა[1]. ამ ბრძოლის დროს ქრ. ციცქიშვილი აბრამის ბატკანივით უმანკოდ დაგოგავდა, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, მოაწყო დიდებული სახლ-კარი სურამში, ვენახი, ბაღი და გამდიდრდა, დაქვრივდა და რუსის დედაკაცი გაიჩინა ხასად, ჰყავს დღესაც. 1917 წლის 12 მარტის აქტის საქმეშიც არ მოგვიდგნენ ზემო აღნიშნული ჯგუფის პირნი; ამ აქტის მომქმედთა პატარა ჯგუფში რო არ მოვიწვიეთ ციცქიშვილი, ეს უკანასკნელი დაუძინებელ მტრად გაგვიხდა ანტონ ეპისკოპოსსა და მეც...

როდესაც კირიონი გავიდა კათოლიკოზად, ხოლო ლეონიდი დამარცხდა, აი, მაშინ წამოყვეს თავი ზემო აღნიშნულმა ექსარხოსთა აგენტების ჯგუფმა, ეს ჯგუფი ემხრობოდა ლეონიდს დავითაშვილის მეთაურობით, დამარცხდენ 1917 წლის 17 სეკტემბერსს, როდესაც კირიონმა მხოლოდ 13 ხმით გაასწრო ლეონიდს! დიდი აგიტაცია ჰქონდა მოწყობილი განსვენებულ ლეონიდს, დიდი ფულიც დაეხარჯა ამ საქმეზე, ტყავი გააძრო დ. დავითაშვილმა და შემდეგ ზნეობრივადაც ნამუსი აჰხადა და ფიზიკურადაც დაასამარა – ხოლერით მოჰკლეს უბედური, მტკვრის მღვრიე წყლით...

დამარცხებულებმა იარაღი როდი დაჰყარეს, კირიონის მოწინააღმდეგენი მოჰყვნენ საკათ. საბჭოში და სიცოცხლე ჩაუმწარეს მხცოვან-ნაწამებ კირიონს (ეს ოცი წლის განმავლობაში რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში ჰყავდა გადასახლებული რუსის სასულიერო მთავრობას და ჟანდარმერიას). კირიონის დასაღუპავად დაარსდა ორგანო „ახალი სიტყვა“, რომლის სულის ჩამდგმელი

1. როგორც ჩანს, ნიკიტა თალაქვაძე გულისხმობდა მიტროპოლიტობას *(გამომცემლის შენიშვნა).*

იყო მღ. ილია შუბლაძე (მეგრელი); ეს მეტად ფლიდი, თვალმაქცი და გულღრძო ადამიანი დახელოვნებული იყო რუსულ-ქართულ წერაში, ერთად ვმუშაობდით რუსულ-ქართულ პრესაში მე და ის, სანამ მაგის ორმაგ ბუნებას გავიგებდი და ჩამოვშორდებოდი. არსად ეს ადამიანი თავის სახელს არ გამოაჩენდა, ყველაფერში ნიღაბ აფარებული მოქმედებდა, იყო დიაკონის ადგილზე ალექსანდრე ნეველის სამრევლოში, რუს მღვდლებ – რაზუმოვკსი-ლოზოვოისკთან; ესენი წასჩხუბა ერთმანეთს და მთელი კრებული მიფანტეს (ანტონ ეპისკოპოსი იყო გამომძიებლად), შუბლაძეც გადაიყვანეს პეტრე-პავლეს სასაფლაოს წინამძღვრად, გადააგდეს თევზი წყალში, მაგრამ თავს მაინც შეურაცხყოფილად სთვლიდა და დაუძინებელ მტრად იყო ანტონ ეპისკოპოსისა, მეც უკვე ჩამოშორებული ვიყავი მასთან და მტრობდა; ციცქიშვილი და ეს შუბლაძე სცხოვრობდენ ერთ სახლში ავლაბარში, ეს ციცქიშვილი შუბლაძე-თოთიბაძემ წამოაყენეს „ახ. სიტყვის“ რედაქტორად, ხოლო ფაქტიური რედაქტორი იყო შუბლაძე, რომელიც შვიდი პსევდონიმით გამოდიოდა: „ახალი“, „ახუთელი“, „ნაჭყებია“, „ა-ლი“, „ჯაჭვაძე“ და სხვა... საშინელ პასკვილებს ათავსებდა ეს კალამ-ვერანა მღვდელი „ახ. სიტყვაში“ – ლაფი გადაასხა მცხოვან კათოლიკოზს კირიონს თავზე; მას შველოდა ამ საქმეში დავითაშვილიც, რომელიც ხელმოუწერელ სტატიებით გამოდიოდა; ზოგჯერ ციცქიშვილიც ისროდა წიხლებს; ლეონიდი თანამშრომლობდა პსევდონიმით „ჭინჭარი“, „ბაბასინ“ და სხვა; კეკელიძეც, ივანიცკიც, თვით ამბროსი მიტროპოლიტიც. ლაფი გადაასხა „ჭინჭარმა“ ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონის, რა ცილი არ დასწამეს განსვენებულს; ხოლო როდესაც ანტონმა სამართალში გაიწვია „ჭინჭარი“, ეს უკანასკნელი დაჰფარეს და ციცქიშვილი წამოუყენეს მოპასუხეთ, როგორც რედაქტორი; მაგრამ სამედიატორო სამართალი აღარ დასრულდა, ანტონი, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, მოსწამლეს ქუთაისში და თავიდან მოიშორეს, როგორც უძლიერესი კანდიდატი კათოლიკოსობაზე, უფრო ადრე დაიღუპა კირიონი, რომელიც ტყვიით განგმირეს მარტყოფის მონასტერში, „თავი მოიკლაო“, – დაამოწმებიეს უბადრუკ ექიმ იაშვილს, გვამი არც კი გაუჭირათ ისე... აი, ამ საშინელ ვაკხანალიის დროს ანტონს ჩამოშორდა მისი „მეგობარი“ ამბროსი ჭყონდიდელი, ესეც ძლიერ ბანაკში გადავიდა, პოზიციაზე ყოფნა ამჯობინა ოპოზიციაში დგომას და მოიგო კიდეც, დღეს ეს კათოლიკოზია, ხოლო სხვები დამიწებულნი, ან ისევ დევნილი და გამწარებულნი... აი, აქ აღმოჩნდა ასი წლის მონობის შედეგები – გათახსირება ქართველ სამღვდელოებისა და დაცემა ჩვენი ეკლესიისა; აღარ აღმოგვაჩნდა არც ერთი მთლიანი ხასიათის კაცი, ყველანი აღმოვჩნდით მოშხამულნი იმ მონობის და გახრწნილობის ატმოსფერისაგან... კირიონ-ანტონის დაღუპვის შემდეგ დაიხურა „ორგანო“ „ახალი სიტყვა“ – „მავრმა ჰქმნა თვისი შავი საქმე და წავიდა“. შუბლაძემ მოათავსა კირიონის წინააღმდეგ შემდეგ სათაურის წერილი: „კათოლიკოზი კირიონი და სიონის წაპილწვა“! ხელს აწერს „ჯაჭვაძე“; კირიონის თანამწირველ მღვდელს პაჩიკოვს (უდინი იყო, კირიონის ნაამხანაგარი სემინარიიდან, ხოლო შემდეგ დაავათმყოფებული) წირვის დროს ტრაპეზთან უკაცრაობა მოუვიდა და ეს კი-

რიონს უკიჟინეს! აი, ამაში სჩანს მთელი ზნეობრივი და გონებრივი სიმდიდრე „ახ. სიტყვის უებრო პუბლიცისტებისა“!.. მეც ბევრი მომხვდა ამ „პუბლიცისტებისაგან“ – რით და როგორ არ მამცირებდენ, რას არ მაბრალებდენ, მაგრამ ხმა არ გამიღია; „ახ. სიტყვის“ კაზნაჩეი-ხაზინადარი იყო... ან. თოთიბაძე, ყოფილი „უნაგირი“ – აგენტი ექსარხოსებისა, ამათ კუდს უწევდა გველაძუა ცინცაძე... ამათი იარაღი იყო ლეონიდისაგან გადეკანოზებული ციცქიშვილი (ლეონიდმა გაადეკანოზა შუბლაძეც, გაადეკანოზეს მთელი სამღვდელოება, „მღვდლები“ დღეს იშვიათი საპოვნია საქართველოში!). ციცქიშვილი რევოლიუციის შემდეგ, როდესაც სამღვთო სჯული გაუქმდა, იქვე გიმნაზიაში დარჩა ქართულ ენის მასწავლებლად, ამავე დროს, როდესაც თოთიბაძემ მენშევიკ ს. ჯიბლაძის წყალობით სამხედრო ტაძრის წინამძღვრობა ჩაიგდო ხელში, ციცქიშვილი შტატგარეშე მღვდლად ჰყავდა თვის განკარგულებაში; ხოლო როდესაც ბოლშევიკების დროს დეკ. თოთიბაძე გაიქცა ქალაქიდან ბათუმში, ეს ციცქიშვილი ჩასჩარა იმავ საბორში, როგორც ერთი რამ ცარიელ ჭურჭელის თავდასაცავი „პროპკა“; ეხლა კი, როდესაც ბოლშევიკები იმავ თოთიბაძეს ბათუმიდან დაბრუნებულს (დიდ ძალი ფულით და ნივთებით დაბრუნდა, როდესაც გაიგო, რომ ბოლშევიკები არავის არ ხოცავდენ) ართმევენ სამხედრო ტაძარს (ხმა დადის, კლუბად უნდა გადააქციონო, ჯერ არ არის ეს საქმე დანამდვილებით გამორკვეული, მაგრამ თოთიბაძეს ხელს აღარ აძლევს დღეს ეს ტაძარი, მთავრობა ჯამაგირს აღარ აძლევს, მგალობელთა გუნდი ვერ გაიჩინა, მრევლი და მორწმუნენი ვერ შემოიკრიბა თვისი უნიჭობით და უტვინობით – ამას „კეკელკა დეკანოზს“ ეძახის საზოგადოება, ეს არასოდეს არ ყოფილა მოძღვარი...), ეხლა ვერის წმ. ნიკოლოზის მრევლში სურს გადაბარგვა, მაგრამ სანამ სამხედრო ტაძარს არ უზამენ სრულ ლიკვიდაციას, მანამ უხერხულად სთვლის ვერაზე გადასვლას და აი, დროებით, კათოლიკოზ ამბროსის წყალობით, ისევ „პროპკად“ ხმარობენ დეკ. ციცქიშვილს, რომელიც ქართლის საეპარქიო კრებას ამ ერთი თვის წინეთ, ნაცვლად დავით ეპისკოპოსისა, ურბნისის კათედრაზე აარჩევიეს, ბევრი იყო მაგისი მოწინააღმდეგენი, აყვედრეს „კირიონის ზნეობრივი მკვლელობა“, წინეთ ქალაქის სამღვდელოებამ გააგდო ეს ციცქიშვილი თვის კრებიდან ამავე მიზეზით (ლეონიდის დროს, თავმჯდომარეობდა დეკ. ს. შოშიაშვილი), ამ თაობაზე ერთხელ დარდიანად სთქვა დეკ. ცინცაძემ. გვისაყვედურა საოლქო კრებაზე – „ის კაცი (ციცქიშვილი) ჩვენ დავკარგეთო, – ბრძანა მან. ეხლა იპოვნა მამა ცინცაძემ და კომპანიამ „პროპკად“.

„უჩენაია მუხა“

4 ნოემბერს კათოლიკოზთან ბაასის დროს გამოირკვა, რომ მისს კამარილიას გადაუწყვეტია სულ ერთიანად ექსორია მყონ სასულიერო წრეებიდან; ესენი მეტად მწუხარენი იყვნენ, რომ ამ ზაფხულს კათ. ლეონიდი და მე შევთანხმდით, გავფანტეთ ერთმანეთში არსებული ხელოვნურად შექმნილი უსი-

ამოვნება-გაუგებრობანი; კამარილია ცინცაძე-თოთიბაძესი მეტად შეშფოთდა, როდესაც დაინახეს, რომ ლეონიდი სცდილობს თავი დაახწიოს მათ ბრჭყალებს, განთავისუფლდეს მათ ტყვეობისაგან და ეკლესიის საკეთილდღეო მოქმედებას შეუდგეს, ყველამ გაიგო ტფილისში, რომ სეკტემბრიდან ლეონიდს უნდა გაეხსნა სამოძღვრო სკოლა ანუ კურსები, ხოლო ამ კურსების ხელმძღვანელობა მოენდო ჩემთვის; საშვალებას მოგვცემდა ადგილობრივი საეპარქიო ქარხანა; ამ სასწავლებლის შესახებ პროექტი მე უნდა დამემუშავებია; მაგრამ ლეონიდის გარდაცვალებამ და ამბროსის გაკათალიკოსობამ შესცვალა რადიკალურად ეს განზრახულება; სამოძღვრო სკოლის გახსნის თაობაზე ჰქონიათ საკათ. საბჭოში მსჯელობა, ჩემი მოხსენება მესამე საეკლესიო კრებისადმი იქ არ წაკითხული, აქ მოუსმენია კათოლიკოზს, სასკოლო კომისია აურჩევიათ, ამ კომისიაში მეც დაუსახელებივარ; პირველი სხდომა ამ კომისიისა იყო 4 ნოემბერს დღისით, მე, როგორც ზემოდაც მოვიხსენე, ადრე წავედი ამ კომისიიდან, ხოლო საღამოს შეველ კათოლიკოზთან და აი, რა მოვისმინე: როდესაც მე მოვახსენე კათოლიკოზს – კი არ დამნიშნოთ სამოძღვრო სკოლის გამგეთ თქო (ეს ერთ ნაირი საშინჯი ნაბიჯი იყო ჩემის მხრივ), მან მიპასუხა: „არა, ამ ადგილთანამდებობას შენ არ მოგცემ, ისე არიან შენზე ალესილნი, რომ სკოლის გამგეობას შენ ვერ გამართავ, ხელს შეგიშლიანო“. ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ ლეონიდისაგან განზრახული სამოძღვრო სკოლის გამგეობაც ჩემგნით გარბის, მე მას ვეღარ ვეღირსები... შემდეგ ვკითხე, კათოლიკოზს, მაინც ვინ გსურს ამ თანამდებობაზე თქო; მან ღიმილით მიპასუხა... ესე იგი არავითარი პასუხი არ მომცა... შემდეგ სრულიად მოულოდნელად ჩამოაგდო ლაპარაკი დავით ეპისკოპოსზე: „მაგისი სურათი ვნახე გაგრაში, ერთი რუს მღვდლის ოჯახში, რომელიც დონის სემინარიაში სწავლობდა, როდესაც იქ დავითი ინსპექტორად იყოო; დავითზე იმ მღვდელმა მითხრა, რომ ის (დავითი!) გენიოსი კაციაო, ჩვენს რექტორზე ბევრად ჭკუიანი იყოო“; შემდეგ კათოლიკოზმა მოიგონა ის ამბავი, რომ „მე და დავითი, როდესაც ყაზანის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობდით, ერთ სამაცადინო ოთახში ვიყავით; სრულებით არაფერს არ აკეთებდა დავითი, კანდიდატობის თხზულებასაც რაღაც ახირებულად სწერდა – სულ დადიოდა, ბოლთასა სცემდა ოთახში, უცბად მიუჯდებოდა საწერ მაგიდას, რაღაცას ჩქარა-ჩქარა დასწერდა და გადასცემდა გადასაწერად იმ სტუდენტს, რომელიც ათეთრებდა მისს თხზულებასაო; კარგი თხზულება გამოუვიდა, პედაგოგიის დარგიდან ჰქონდა აღებულიო; აკადემიის რექტორი დიდ პატივსა სცემდა დავითს, რომელიც მუდამ ჩაფიქრებული დადიოდა, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა საზოგადო სტუდენტურ და ბერების ცხოვრებაში (დავითი მაშინ მღვდელმონაზონი იყო), ამიტომ რექტორმა მეტ სახელად „უჩენაია მუხა“ ანუ „მსწავლული ბუზი“ დაარქვაო, – სიცილ-ღიმილით დაასრულა კათოლიკოზმა. კათოლიკოზს მეც გაუზიარე ჩემი ცნობები დავით ეპისკოპოსზე: „ის ჩემი კურსის ამხანაგია ტფილისის სემინარიაში, მღვდლის ოქროპირ კაჭახიძის შვილი ქუთაისიდან, პატარაობიდან მეტად სუსტი ფიზიკურ აგებულობისა და სნეული; სემინარიაში ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ მალე ჩამოგვრჩა უკან მე და იპ. ვარ-

თაგავას; შემდეგ ვერსად ვერ გამოიჩინა უნარი და ნიჭი მუშაობისა ავათ მყოფობისა გამო, არ მუშაობენ მისი არც თვალები, არც ყურები და არც კუჭი – კაცი „განრღვეულია“, მოკლებული მოძრაობას, პსიხიურად დაავათმყოფებული; მართალია მაგანაც განიცადა დევნა ინოკენტი ექსარხოსიდან, ეგ გადაასახლა ინოკენტიმ ეპისკოპოსად ტფილისიდან გეორგიევსკში (ჩრდილო კავკასია) 1912 წლის 13 მაისს, მე იმავ წლის 20 მაისის რეზოლიუციით გადამაგდო დიდუბიდან ანჩისხატის ნანგრევებში, მაგრამ რუსეთიდან, დიდ რევოლიუციის შემდეგ, მხოლოდ ჩემი პირადი მეცადინეობით 1917 წლის ენკენისთვის 17-ს დიდის ვაი-ვაგლახით ავარჩევიე საეკლესიო კრებას ურბნისის (გორის) ეპისკოპოსად, სადაც დიდის თაღლითობით – პოდლოგით, სურდა გამძვრალიყო არქიმანდრიტი ნაზარი! საეკლესიო კრებას გამოეყო გორის ეპარქიის დეპუტატები თავისთვის ეპისკოპოზის ასარჩევად, ამ დეპუტატებ შორის იყო ჩემი სიმამრიც, სამხედრო დეკანოზი ზაქარია ლუკაშვილი, ამის საშვალებით დავსვი დავითის კანდიდატურა ურბნისის კათედრაზე, დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს ეს კანდიდატი, მაგრამ არჩევნების აქტი მდივანმა არქიმანდრიტ ნაზარზე (ეხლანდელი ქუთათელი!) შეადგინა; დეპუტატები მიდიოდენ და აქტზე ხელს აწერდენ, არც კი ჰკითხულობდენ ისე, ხოლო როდესაც დეკ. ზ. ლუკაშვილიც მივიდა ხელის მოსაწერად, აქტს გადახედა და იქ დავითის ნაცვლად ნაზარი ამოიკითხა, შეჩერდა და ჰკითხა დეპუტატებს: „ხალხნო, თქვენ ვინ ამოირჩიეთ დავითი თუ ნაზარიო“, რასაკვირველია, დავითიო, – უპასუხა ყველამ; „აქ კი აქტი ნაზარზეა შედგენილი, ეს რა თაღლითობა გამოგვდისო“! წაიკითხეს აქტი და დარწმუნდენ ამ გამოუთქმელ თაღლითობაში; ეს ყალბი აქტი მე მაქვს ეხლა სახსოვრად შენახული, ხოლო დავითზე შესდგა ახალი აქტი; მე გამოვიწვიე ის კამენეც-პოდოლსკიდან ტელეგრამით, ჩაიბარა გორის ეპარქია, მაგრამ განუწყვეტელ ავათმყოფობისა გამო სრულებით ვერ მართავდა ამ დიდ და მეტად გავერანებულ (რუს ექსარხოსების ხელში) ეპარქიას; ზაფხულის თვეებშიაც სულ შალებში და საბნებში იყო დღისითაც შეფუთნული, კალოშებში, თავზე მოხვეული, ვერ ღებულობდა მთხოვნელებს, არავითარი საქმის წარმოება არ ჰქონდა, სამღვდელოებასთან ჰქონდა განუწყვეტელი უსიამოვნება და 1920 წლის საეკლესიო კრებაზე დავით ეპისკოპოზმა უარი გამოაცხადა ეპარქიის მართვა-გამგეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე იყო დამზადებული დიდი მასალა საჩივლელად, საიდანაც სჩანდა მისი სრული უვარგისობა ამ თანამდებობაზე; ეს შეაგონა კათ. ლეონიდმა და დავითმა საჩივარს დაასწრო, შეიტანა თავისუფლების განცხადება, ხოლო საეკლესიო კრებამ საკათ. საბჭოს წევრად ამოირჩია ის; არც ამ თანამდებობაზე გაუკეთებია რა მას; ხოლო 1921 წლის თებერვლის 24-ს ღამით, ლეონიდ კათოლიკოზთან ერთად, დავით ეპისკოპოსიც გაიქცა ქალაქიდან ქუთაისში, გაექცა „კომუნისტებს“, მიგვიტოვეს უპატრონოთ ქალაქი ტფილისი და მთელი აღმოსავლეთი საქართველო უეპისკოპოსოდ! ლეონიდის დაკრძალვაზე ნაზარ ქუთათელს ჩამოჰყვა ტფილისში, ქუთაისში გადაეწყვიტათ აგრე: კათოლიკოზად უნდა ყოფილიყო ნაზარი, ქუთათელად დავითი, ხოლო ამბროსი, ლტოლვილი ბოლ-

შევიკებისაგან სუხუმიდან სამეგრელოში, უნდა დარჩენილიყო უადგილოდ, მაგრამ გელათის კრებაზე მეგობრებმა ამბროსის საქმე გაჩარხეს, დიდის ბრძოლის შედეგად მოუპოვეს მას გამარჯვება, თურმე ამ ბრძოლაში დავით ეპისკოპოსიც კი გამოაცალეს ნაზარს და ამბროსის მხარეზე გადაიყვანეს; „ჩემი (ამბროსის) არჩევის შემდეგ დავითი ვეღარ დარჩებოდა გელათში (აქ იყო საცხოვრებლად ტფილისიდან გაქცევის შემდეგ) და სოფელში წავიდაო; ეხლა აქ მინდა გადმოვიყვანო ჩემ თანაშემწეთო“, – ბრძანა კათოლიკოზმა და მეც დავრწმუნდი, რომ „უჩენაია მუხა“ სურთ კათოლიკოზს და მისს მრჩეველთ სამოძღვრო სკოლის რექტორად! ამ სკოლაში შესაძლებელია მეც მომცენ ზოგიერთ საგნების გაკვეთილები ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სკოლის მთელი სიმძიმე და მუშაობა მე დამაკისრონ, ხოლო „რექტორობა“ და „უჩენობა“ დავით ეპისკოპოსის იყო! ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამ სკოლისათვის მოწაფეთა კონტინგენტს ვერ იშოვნიან, ასეთ მესვეურთ არ ძალუძთ სამღვდელო მოღვაწეობისათვის მსურველთა გარს შემოკრება; საამისოდ საჭირო იყო სათანადო პირობების გარკვევა-გაკაფვა, რაც მე მქონდა აღნიშნული ჩემს მოხსენებაში და უგულებელს ჰყვეს; შემდეგ დავით ეპისკოპოსი სრულებით შეუფერებელია ამ საქმისათვის! კაცი, რომელიც 15 წლის განმავლობაში მოკლებულია ფიზიკურად საშვალებას, რომ რაიმე წიგნი წაიკითხოს, თვისი ცოდნა განაახლოს, რაიმე ახალი შეიძინოს, გაზეთიც კი ვერ წაუკითხნია, კაცი, რომელიც წირვა-ლოცვაზედაც კი ვერ დადის კვირა-უქმე დღეებზე; როგორ უნდა შესძლოს ამან სამოძღვრო სკოლის ხელმძღვანელობა! ნუ თუ ეს არ იცის ან ამბროსიმ, ან მისმა „ახატოფელებმა“? – მე კი, როგორც კათოლიკოზმა გულახდილად მიბრძანა, „ამ ადგილს ვერ გავმართავ, მეტად ალესილები არიან შენზე და ხელს შეგიშლიანო“! მაშ, ჩემი გაკვეთილების მიცემაც შეუძლებელი იქნება აქ; მე გიმნაზიაში 24 გაკვეთილს ვაძლევ კვირაში, სადღა შემიძლია კიდევ გაკვეთილების მიცემა. გამოდის, რომ ვერც ვერის წმ. ნიკოლოზის მრევლის ღირსი გავხდი, ვერც სამოძღვრო სკოლის გამგეთ გამოვდგები და ვრჩები ისევ ექსარხოს ინოკენტის მიერ „ნაწყალობევ“ ანჩისხატის ტაძარში და ბოლშევიკების დროსაც კი შეწყნარებული ქალთა მესამე გიმნაზიის მასწავლებლად (საქართველოს ისტორიისა და ქართულ სიტყვიერებისა). ჭეშმარიტად თქმულა „არა არს წინასწარმეტყველი შეწყნარებულ თვისსა მამულსაო“! იყოს ნება ღვთისა ჩემზედა... ვნახოთ, რას მოიტანს „მსწავლული ბუზი“ ქუთაისიდან, ჯერ ის იქიდან ტფილისში არ ჩამოფრენილა...

1921 წლის 7 ნოემბერი
„კომუნიზმის ხელისუფლების მეოთხე წლის თავი“

დღეს ტფილისი საზეიმოდ მორთეს კომუნისტებმა, დღესასწაულობენ თვის ძალა-უფლების რევოლიუციონურად დამყარების მეოთხე წლის თავს რუსეთში და ეხლა საქართველოშიც. მეტად დაჭიმულია ბედკრულ საქართვე-

ლოს ძარღვები კომუნისტების უღლის ქვეშ; ამა წლის 25 თებერვლიდან, როდესაც რუსეთის ბატონობა ისევ თავს დაატყდა საქართველოს კომუნიზმის სახით, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, თანდათან ჰკარგავს თვისს ნიადაგს; ჩვენი „დამოუკიდებლობა“ ქაღალდზე კიდევ არ არის ჯერ უარყოფილი, მაგრამ ფაქტიურად ჩვენი დამოუკიდებლობა გაწყალდა: დაწესებულებებში და სკოლებში ქართულმა სახელმწიფო ენამ დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა, ისევ ბატონდება რუსული; ამას ხელს უწყობენ საოცარი ბეჯითობით ქართველი კომუნისტები; მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თუ თავად-აზნაურობის მაღალი წრეები და ზოგი სამღვდელო-საბერო გვამნი ხელს უწყობდენ ჩვენში რუსს მონარქიზმის დამყარებას და ქართველ ერის გადაგვარება-გადაშენებას, დღეს ამ სამარცხვინო იუდას როლს ასრულებენ ქართველი კომუნისტები: ფ. მახარაძე (ილია ჭავჭავაძის იდეური მკვლელი, ჟურნალ „მოგზაურში“ წამქეზებელი მისი მოკვლისა), ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი (ექიმი), კოტე ცინცაძე („ჩეკას“ უფროსი, დახვრეტების უსტაბაში), ერქომაიშვილი, ბიბინეიშვილი, სევასტი და ისიდორე თალაქვაძენი (ჩემი სახლი კაცები – პირველს არც კი აქვს დასრულებული ასკანის სოფლის სკოლა, მეორე ქუთაისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასიდან არის გამორიცხული, არიან უვიცნი, მცონარე-მუქთახორანი და „პროლეტარიატის“ სახელით გაბატონებულ დიქტატურის დროს სჭამენ-სვამენ და დროს ატარებენ, არც კი იციან, თუ ხვალ რა იქნება), ასეთივე მუქთახორა თევდორე კალანდაძე; ეს და ამათი ავან-ჩავანნი ჰყავს დღეს ასპარეზზე გამოშვებული რუსეთის წითელ არმიას, რომელმაც აქ სხვაფერი მიიღო და სახელიც შეიცვალა – „ოკა“ („особая кавказская армія“); ჩვენი „წითელი“ ჯარი უკვე დაშალეს, ნაშთები შეუერთეს რუსეთის არმიას; დღეს თუ ხვალ უნდა აღადგინონ ის წესწყობილება, რომელიც იყო 1918 წლის 26 მაისამდე, ესე იგი „კავკასიის სეიმი“ (кавказский сеймь); უნდა გამოცხადდეს საქართველო-სომხით-ადერბაიჯანის გაერთიანება ერთ კავკასიის მთავრობის ქვეშე, რასაკვირველია, მოსკოვის ბატონობის ქვეშე! ამ იდეის გასამჟღავნებლად დღეს იძულებითი „ზეიმი“ გამართეს ტფილისში კერძოდ და საზოგადოდ მთელს კავკასიაში, ნიადაგს ამზადებენ; ამ ნიადაგისათვის რუსთაველის მოედანზე (ერევნის მოედანი) დღეს მიტინგზე საზიზღარი, გამყიდველი სიტყვა წარმოსთქვა თევდორე კალანდაძემ, ის ლამის იყო, პოპოქზე არ გასქდა „ამიერ კავკასიის პროლეტარიატის“ და მუშათა და გლეხთა სახელით ბრახა-ბრუხით! საშინელი მოღალატენია ეს ჩვენი კომუნისტები! ამისი მსგავსნი არ ახსოვს ჯერ ისტორიას! არ ვიტყვი, რომ მათ ეს შეუგნებლობით მოსდიოდეთ, არა, იციან და ცნობით გვყიდიან, რომ დროებით მაინც ძალა-უფლება შეინარჩუნონ, სვან, სჭამონ და იხარონ სხვის ნაამაგდარზე; გაჩანაგდა საქართველოს დოვლათი, გაზიდეს ყველაფერი რუსეთში, გაავერანეს ქვეყანა, აივსო ტფილისი სომეხ-კრუებით, რუსებით, ოსებით, ურიებით და ვიგინდარათი, აღარ გვაყენებენ, ბინებში გვივარდებიან – „უპლოტნენიე, რეკვიზიცია, წართმევ-წაგლეჯა“, სოფლად ჭირნახულის ჩამორთმევა, ქალაქად საშინელი დაბეგვრა, 20–100–

300–500 მილიონების გადასახადის დაწესება, სახლების მესაკუთრეთაგან უფასოდ ჩამორთმევა და სარგებლობა, გავერანდა, ინგრევა სახლები ტფილისისა, არავინ არის ამისი პატრონი და გამკითხავი... გუშინ, გუშინწინ და დღეს დიდძალი ქართველობა (მენშევიკები) დაატუსაღეს და „ჩეკაში“ ჩაჰყარეს, ქართველობა საპყრობილეში ჰყრია, ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავს კი ზეიმობენ სხვა ეროვნებანი ჩვენს დედა-ქალაქში! ნეტავი სირცხვილი სად დაჰკარგეს ჩვენმა თანამემამულეებმა! ასეთი გათახსირება არ ახსოვს ჩვენს ისტორიას. ჩვენ მტრები არა ერთხელ შემოგვსევია, ეს რუსებიც კი უხსოვარ დროიდან ხშირად შემოგვეჭრებოდენ ხოლმე დარიალის ხეობიდან, „თეთრი ჰუნნების“ სახელით, მაგრამ ჩვენი ერი მუდამ იყო მთლიანი, ერთი-ორი-ათი-თორმეტი მოღალატე თუ გამოგვერეოდა, თორემ ასეთი მასსიური იუდობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს „კომუნიზმის“ წითელი დროშის ქვეშ, ადგილი არ ჰქონებია!.. ძალად გამორეკეს დაწესებულებებში და სასწავლებლებში მოსამსახურე-მოსწავლენი – მუშები, ბაირაღებით, ზიზილ-პიპილოებით, ზოგჯერ სასაცილო სახით მოწყობილი ჯგუფები ბავშვებისა, დედა-კაცებისა, კრუებისა, სომხებისა, თათრებისა, ურიებისა და სხვა და სხვა. ერევნის მოედნიდან ეს ძალად შეკრებილი ხალხი სულ დიდუბეში გაგზავნეს „პარადზე“ – გზადაგზა ძეგლები უნდა უკურთხონ ბოლშევიკების „წამებულ“ ლიდერებს შაუმიანს, ჯაფარიძეს და ასეთებს; საღამოთი ილიუმინაციას გამართავენ, შუშხუნებს აუშვებენ, გირლიანდებით მორთულ-მოკაზმულ სასახლეებს და დაწესებულებებს გააშუქებენ და ასეთ სიცილ-თამაშით ისევ უფსკრულში ესვენება ქართველი ერის დამოუკიდებლობა, რომელმაც ამ სამი წლის განმავლობაში რაღაც ფანტასტიური საქართველო აღადგინა, სადაც, მიუხედავად მენშევიკების სოციალისტურ ექსპერიმენტებისა, მაინც ქართული სახელმწიფოებრიობა მტკიცდებოდა, მყარდებოდა და თუ ხუთიოდე წელი ასე დაგვცლოდა, მენშევიკურ სოციალიზმს ქართული ნიადაგი თავისებურად გასწმენდდა, შეიგუებდა, კულტურის და სოციალურ წარმატების გარდაქმნის-განვითარების გზაზე დააყენებდა; მაგრამ რუსეთი ასე ადვილად როდი დასთმობდა „კავკასიის მარგალიტს“ რუსეთის „გვირგვინში“; დღეს კავკასიის სეიმისათვის ნიადაგი მზადდება, სულ მოკლე ხანში 1914 წლის წეს-წყობილების ნიადაგისათვის გადასდგამენ ნაბიჯებს და შორს აღარ უნდა იყოს ის დრო, როდესაც რუსეთში აღდგენილ იქმნება სასტიკი შავი რეაქცია და გაბატონდება ისევ ცნობილი რუსული მონარქიზმი, რუსის სალდათის ტლანქ წაღების ქვეშე... ამ წაღების ქვეშე მოჰყვება ტანჯული ჩვენი ქვეყანაც; ამას მოჰყვება ისევ სინოდის გაბატონება და ჩვენი ეკლესიის ისევ დატყვევება სინოდისაგან; ჩვენი კათოლიკოზი და მისი კამარილია კი დღეს ეშურებიან სანთლის ქარხანაში დამუშავებულ სანთლის ფულით დროს ტარებას, ერთმანეთისათვის ჯამაგირების დანიშვნას, ფლანგვა-განიავებას... სამეურნეო გამგეობის დირექტორმა ლაზარიშვილმა თვისი ჯამაგირი 50.000 მანეთისგან აიყვანა დღეს 300.000 მანეთამდე! 50.000 მანეთიდან საკათოლიკოზო საბჭოს სახელით იღებდა 30.000 მანეთს, ივლისის სამღვდელოების კრებამ მიუმატა 20.000, ხოლო ოქტომბერში თვითონ მიიმა-

ტა დანარჩენი! და რომ „კონტროლს“ (მე) ამ თაობაზე არა ეთქვა რა, ეს კონტროლი საკათ. საბჭოს სულ გააუქმებია! 6 ნოემბერს დეკ. ლაზრიშვილმა ხალხის თანადასწრებით საკათ. საბჭოს შენობაში შემომაძლია 20.000 მანეთი, ეს რა არის თქო, – ვკითხე, „ეს ოქტომბრის ჯამაგირი დაგრჩა „კანტროლობისა“ მიუღებელიო“, – მიპასუხა; ამაზე მიუგე: „ეს იმას გადაეცი, ვისაც ჩემი კანტროლობა შეშურდა თქო“, შენი უხვი ხელი 20.000 გლახაკებს აძლევს სამოწყალოდ და მე კი ჯერ სამოწყალო არა მიჭირს რა თქო, მე მაგ ფულის ამღები არა ვარ თქო“, დაუმატე; მეტად აუკანკალდა ლაზრიშვილს ხმა და აღელვებულმა მიპასუხა: „მა რა უყო, ეს ფული გაწერილია შენს სახელზე წიგნებშიო“, – შენც აიღე და ქვრივ-ობოლთა შემწეობის ფონდში გადაეცი კათოლიკოზს თქო; „არა, მე ოფიციალურად წერილობით მოგაწოდებ ამ ფულსო“, – შენი ნებაა თქო, – უპასუხე მეც. აი, ასეთი „საქმეებია“ დღევანდელ საპასუხისმგებლო დროში ჩვენს საეკლესიო წრეებში. ვერც ვერავითარ გამოსასვლელს ვხედავ შექმნილ ვითარებისაგან! ვის გაუზიარო ეს გულისტკივილი?! ტფილისის ქართველი სამღვდელოება ფაქტიურად აღარ არსებობს, ის ჩაჰყლაპა საკათ. საბჭომ! აქ შეჰკრიბეს ხელოვნურად უმთავრესი ვინტები ამ სამღვდელოებისა და ჯამაგირის თუ პაიოკების სახით ბურთი ჩასჩარეს პირში, რომ ხმა არ გაიღონ: „შენც სუ და მეც სუო“! საკათ. საბჭოში არიან: კათოლიკოზი, დეკანოზები – ცინცაძე-ტყემალაძე-მირიანაშვილი, ი. კაპანაძე, ი. კავჟარაძე, ერ. ფხალაძე (ქვაშვეთის მღვდელი), დეკ. მაჭარაშვილი, ცნობილი შუბლაძე, დირექტორი მაჭარაშვილი, დიაკონი მონასელიძე, მთელი სიონის კრებული, ამათ მიემატა დეკ. ციცქიშვილი! ვინღა დავრჩით?! ვინც დავრჩით, ამათშია მოხუცი – მოძღვართ-მოძღვარი კალოუბნის დეკ. მათე მონასელიძე, სამების მექელეხე დეკ. ეროთე აივაზოვი და ასეთი უხმო-უნიათო ხალხი, წმ. ნინოს სასაფლაოს ოთხი მღვდელი, ერთიმეორეზე ავაზაკი და გახრწნილი, ეს ოთხი წელიწადია სულ პასუხისგებაში არიან ყველანი – ხან დაადგენენ, ყველანი გარეკონ, ხან ყველას სტოვებენ და ასეთი ელემენტი მეტად უვარგისია რაიმე იდეიურ მოქმედებისათვის; დარჩა ცოტად თუ ბევრად მოძრავი პირი ნავთლუხის დეკ. იოსებ ჩიჯავაძე, მაგრამ ამასაც ისეთი ხასიათები აქვს, რომ არავინ მას ანგარიშს არ უწევს. ერთი სიტყვით, საკათ. საბჭოში და მისს ფრთეთა ქვეშე მოკალათებულმა ტფილისის სამღვდელოების წარმომადგენლებმა მოჰკლეს მორალურად „ტფილისის ქართველი სამღვდელოება“. არავინ არის ხმის გამცემი და ამომღები! საეკლესიო კრება კი ვერც ერთხელ ვერ შევიდა შექმნილ ვითარების არსებითად განხილვაში, ის მუდამ საარჩევნო და საკლიაუზნიკო ატმოსფერაში ტრიალებს და პრინციპიალური საკითხები – ჩვენი ეკლესიის შესაფერად მოწყობა-მოგვარება-შეფარდება-გარდაქმნისა, ვერ წამოაყენა და ვერ დაამუშავა! ეხლა, სამი წლის შემდეგ ბოდბის მონასტერში არის მეოთხე საეკლესიო კრება განზრახული! მანამ, თუ ამ გზით წავიდა საქმე, ჩვენი ეკლესიისაგან არა დარჩება რა დღევანდელს მის მესვეურებს – ესენი „პაიოკებში“ გაჰყიდიან და გარდაცვლიან, მგონი... ხატებსაც კი!.. ეჰ! მახლას!.. ეს არის ასი წლის მონობის ნაყოფი „სრული უკაცობა ამ დიდად საპასუხისმგებლო დროში! ვერც ერთი მთლი-

ანი პიროვნება ვერ წამოაყენა ჩვენმა სამღვდელოებამ ასეთ დიდ ხანაში!.. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ჩემს თავს ვინმეზე მაღლა ვაყენებდე, მეც ამ დროის და წრის უბედური შვილი ვარ, ხელ-ფეხ შებოჭილი და მეტად დაღონებული სრული უმწეობით...

8 ნოემბერი (ახ. სტ.) სამშაბათი

დილის ათ საათზე გიმნაზიაში მივდივარ მეორე გაკვეთილზე; გზაში შემომეგებენ დეკ. მ. ტყემალაძე და ყოფილი დეკ. კ. კეკელიძე, ერისკაცად გამოწყობილი, ტროსტით ხელში, ნარ-ნარით – თავის ქნევით მოდიოდა, კათოლიკოზის სასახლეში მიბრძანდებოდენ საკათ. საბჭოს სხდომაზე; ტყემალაძემ სალამი მომცა, კეკელიძეს არც კი გამოუხედნია ჩემსკენ; ეხლა საკათ. საბჭოს სხდომები კათოლიკოზის სასახლეში გადაუტანიათ, ეს ჩემი მოხსენების შედეგია, რომელიც „კანტროლიორობის“ ჩამორთმევის შესახებ მივართვი კათოლიკოზს ამა წლის 26 ოქტომბრის თარიღით №76; ამ მოხსენების გამო მხოლოდ ის გავიგე, რომ საკათ. საბჭოში მომხდარა მითქმა-მოთქმა – თუ „ვის გააქვს აქ ლაპარაკი გარეთო“, – გადაუწყვეტიათ, რომ უფრო დაფარული ჰყონ თავიანთი სჯა-ბაასი, კათოლიკოზის სასახლეში გადაიტანონ სხდომები; თვით კათოლიკოზმა ბრძანა: „ჭორები გააქვთო, სამი კარები იყო იქ და ყურს გვიგდებენო“! ეხლა „ჭორებად“ სურთ მონათლონ სამღვდელოების მიერ დაარსებულ თანამდებობის გაუქმების საბაბი, „მოხერხებით და პადლოგობით“ არის დაარსებული ეს თანამდებობაო; კათოლიკოზს მხოლოდ ის ვათქმევინე, რომ ამ თაობაზე „ოფიციალურად“ არა თქმულა საკათ. საბჭოშიო“! ეს იმას ნიშნავს, რომ დეკ. იასონ კაპანაძე, რომელსაც ეს ათქმევინა მაცდურმა ლაზარიშვილმა [ეს კაპანაძე მეტად ატაცებული პიროვნებაა, ამას წინეთ დიდი მიხლა-მოხლა გამოიწვია მაგის თავხედურმა და უზდელმა სიტყვა-პასუხმა ტფილისის სამღვდელოების საოლქო კრებაზე, სურდათ მაგისი სულ გარიცხვა ჩვენი წრიდან; კრებიდან გააძევეს; წარმოდგა ზედი-ზედ საკათ. საბჭოს წევრები – დეკ. ცინცაძე და ტყემალაძე (ეს იყო გელათის კრებამდე) და განაცხადეს, რომ „ეს კაცი რაღაც ავათმყოფური სენით არის შეპყრობილი, თავს ვერ იჭერს, ბევრი უსიამოვნება და მწუხარება გვჭირს მაგისგნით საკათ. საბჭოშიო“ და თხოულობდენ კრება ლმობიერად მოპყრობოდა მაგის უსაქციელობას; სამღვდელოება კი დაბეჯითებით თხოულობდა კაპანაძის გაძევებას ჩვენი წრიდან; მაშინ მე შევიტანე ასეთი აზრი: „დღეს ვაკმაოთ კრებიდან დათხოვა და შემდეგ კიდევ ვნახოთ თქო“, – და ვიპატიე ეს კაცი; ეს სემინარიის რექტორმა ნიკოლოზმა, როდესაც ის გადაიყვანეს ამერიკაში ალეუტის და ალიასკანის ეპისკოპოსად, წაიყვანა ტფილისის სემინარიიდან, როგორც ზედმიწევნით ლამაზი (ქალური სილამაზე ჰქონდა) ყმაწვილი; იქ მღვდლად აკურთხეს, ცოლი შერთეს ამერიკელი რუსი, ორი მოზრდილი შვილით გადმოვიდა საქართველოში ჯერ ძველ რეჟიმის დროს, პენსიას იღებდა ამერიკაში 15 წლის სამსახურისათვის; იმერეთში არ

შეიწყნარეს ეს კაპანაძე, ხან სამხედრო მღვდლად იყო ჩვენს ჯარებში, შემდეგ უადგილოდ დაეხეტებოდა; როდესაც დეკ. ან. თოთიბაძე გადავიდა სამხედრო ტაძარში და მისი „კანდელაკობა“ თავისუფალი იყო, 1918 წელში, ეს ადგილი დეკ. ალ. სიმონიშვილს მისცეს, ამის სიკვდილის შემდეგ კი ლეონიდმა მოითხოვა მაგისი სიონში განწესება, როგორც ინგლისური ენის მცოდნისა, მაშინ 1919-ში ინგლისელების ჯარი იდგა ტფილისში – „ინდუსები“ შავ-კანიანები; მეც მხარი დაუჭირე კაპანაძის სიონში გადმოყვანას; კარგი მწიგნობარია, ქართულად მგალობელი და ეკლესიაში მოსახმარი, მაგრამ მეტად მყვირალა, აჩქარებული, არა ნორმალური პიროვნება, ამ თვისებით აქარწყლებს ყოველივე თვისს ღირსებას], ეს კაპანაძე სისხლს უშრობდა დეკ. ცინცაძეს და ლაზარიშვილს ლეონიდის დროს საკათ. საბჭოში, სადაც კაპანაძე ლეონიდის იმერეთში გაქცევის შემდეგ (ბოლშევიკების შემოსევის დროს) შევიდა საკათ. საბჭოს წევრად, როგორც 1920 წლის საეკლესიო კრების მიერ ამ თანამდებობის კანდიდატად ამორჩეული; ლეონიდის დაბრუნების შემდეგ სრულუფლებიან წევრებად აღიარეს ტყემალაძე-კაპანაძე-მირიანაშვილი საბჭოში, დავით ეპისკოპოზმა წევრობაზე უარი განაცხადა და ქუთაისში დაჯდა „პენსიონერად“; გავიდნენ საბჭოდან ერისკაცნი – სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, აფაქიძე, დარჩა ბურთი და მოედანი შინაურებს; ცინცაძე და ლეონიდ შუა მეტად გამწვავდა ბოლო დროს დამოკიდებულება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლეონიდსა და ნოე ჟორდანიას მოუვიდათ ერთმანეთთან გელათის განძეულობის შესახებ შეტაკება, ლეონიდმა წერილი მისწერა ნ. ჟორდანიას, ეს წერილი გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდეს და ატყდა ერთი განგაში: ჟორდანიას ოჯახის „პროტოპრესვიტერმა“ დეკ. ცინცაძემ და სამხედრო ტაძრის „პროტოპრესვიტერმა“ თოთიბაძემ ვერ აპატიეს ლეონიდს ასეთი „თავხედობა“ – როგორ გაჰბედა ლეონიდმა მათდამი შეუკითხავად ნ. ჟორდანიასადმი ასეთ წერილის მიწერაო! დეკ. თოთიბაძე სოც-დემოკრატების ორგანო „ერთობაში“ საზიზღარ პროვოკაციულ წერილებს ათავსებდა პსევდონიმებით ლეონიდის საწინააღმდეგოდ, სულ დასცეს ეკლესიის პრესტიჟი საზოგადოების თვალში. თოთიბაძე საკათ. საბჭოს გარეშე ებრძოდა, ხოლო ცინცაძე საკათ. საბჭოში და ამზადებდენ ნიადაგს ამბროსის კათოლიკოზობისათვის. ლეონიდმა ყოველივე ეს იცოდა და საკათ. საბჭოში ცინცაძის საწინააღმდეგოდ წამოაყენა თვისი კანდელაკი დეკ. ი. კაპანაძე; ამას აქეზებდა და უსისინებდა კათედრის დეკ. მ. ტყემალაძე, რომელიც მოსისხლე მტერია ცინცაძე-თოთიბაძესი; კაპანაძე ხშირად ეხეთქებოდა ხოლმე დეკ. ლაზრიშვილსაც, საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობის „დირექტორს“, ცინცაძის მეორე მღვდელს ქვაშვეთის ტაძარში; ცინცაძე-ლაზრიშვილს ძლიერ სურთ, თავიდან მოიშორონ ეს კაპანაძე, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა ვერა დააკლეს იმის მეტი, რომ გელათის საეკლესიო კრებაზე საკათ. საბჭოს წევრად არ აარჩევიეს, მხოლოდ წევრობის კანდიდატად არის დარჩენილი და საკათ. საბჭოს კანცელიარიის მდივნად; აი, ამ თანამდებობაზედაც ეს კაპანაძე მაინც არ იშლის საბჭოს სჯა-ბაასში ჩარევას, ისევ მეტიჩრობს და სწორეთ ამ მეტიჩრობით ისარგებლა ლაზრიშვილმა და ჩემს წინააღმდეგ აალაპარაკა საბჭოში, ხოლო კაპანაძის ნალაპარაკევი თვითონ

ლაზრიშვილმა მომიტანა 22 ოქტომბერს საბჭოს დარბაზში ცნობილ პროვოკატორ დეკ. ი. შუბლაძის თანადასწრებით: „ასე და ასე სთქვა შენ კონტროლობაზე კაპანაძემ, მე მეტად დავტუქსეო და თუ ძმა ხარ, არსად და არავის არ უთხრა ეს ამბავიო“! ასევე შემეხვეწა ჩურჩულით თვით შუბლაძეც! წმინდა წყლის პროვოკატორები!! ნამდვილად კი მაგათ ორი კურდღელი მოჰკლეს: იასონის ხელით და პირით ეს აბეზარი „კონტროლი“ თავიდან მომაშორეს და თან იასონს ვითომცდა დაუძინებელი მტერი გაუჩინეს ჩემის სახით; იასონსაც უბედურს ალბად ჩემდამი „წიხლის ჩაზელით“ სურდა ესიამოვნებია გაძლიერებულ ცინცაძე-თოთიბაძისთვის და თვით კათოლიკოზისათვისაც მით, რომ „ისიც კი ჩემს წინააღმდეგ მიდის“! მე კი სრულებით ხმა არ გამიცია კაპანაძისათვის, არც კი შევხებივარ ვინმეს, ისე ოფიციალური მოხსენებით გავეცი პასუხი და აღვნიშნე ჩვენი ეკლესიის მეურნეობის და ფინანსიურ სისტემის სრული უკანტროლობა, ხოლო სამღვდელოების მიერ არჩეულ კონტროლის ასე მოუფიქრებლად გაუქმება, დავიცავი სამღვდელოების უფლება სანთლის ქარხანაზე და მისი საარჩევნო უფლება ამ ქარხნის მართვა-გამგეობის საქმეში. მაგრამ ამაზე იმით მიპასუხეს, რომ სხდომები კათოლიკოზის სასახლეში გადაიტანეს!!...

დეკ. ი. კაპანაძემ დააგდო ხმა, რომ ამერიკაში ვბრუნდები ცოლ-შვილითო, ფულიც მომივიდა და მეპატიჟებიან ჩემს სამრევლოშიო! ეს ნამდვილი შორაპნული ოინებია, სურს შეიხვეწიოს ვინმეები – არ წახვიდე, არ დაგვღუპოვო! და მართლაც სიონს რა ეშველება უმაგისოდ – ეს ჰკითხულობს კიდეც, გალობს კიდეც და მოძრაობს კიდეც იქ, მაგრამ ასეთ და ამ გვარ „მოძღვრებას“ ან გალობას, ან წირვას – ან ლოცვას, ან მწიგნობრობას, როგორც ჩვენა ვართ, განა შეისმენს ღმერთი?! განა ეს უაღრესი ფარისევლობა არ არის?! განა მაცხოვრის დროის ფარისევლები ჩვენ არ დავჩრდილეთ ჩვენი საარაკო ყოფა-ქცევით და გაუნელებელი ერთმანეთდამი შურით, მტრობით, ბოროტებით და ინტრიგებით?! – აკი ისედაც გვიმართავს ხელს ღმერთი!..

იმავ 8 ნოემბერს, გაკვეთილების შემდეგ, იმავ გზით რომ სახლში ვბრუნდებოდი, კათოლიკოზის ალაყაფის კარებზე გამოვიდნენ დეკ. ცინცაძე და რ. ივანიცკი; მე შორიდან სალამი მივეცი და ჩემი გზით მივდიოდი; ცინცაძემ დამიძახა: „მამაო ნიკიტა, აქ მოდიო“! მეც რა ღონე მქონდა, მივედი; ორთავემ ეს მკითხეს: „გუშინ ბოლშევიკებმა რა ამნისტია გამოაცხადესო“? მე უპასუხე მათი ამნისტია ეხება ქურდ-ბაცაცებს და დენიკინ-კოლჩაკ-ვრანგელის თეთრგვარდიელებს, ამათ ეპატიათ დანაშაული, პოლიტიკური ამნისტია არ ყოფილა თქო... ამ დროს კათოლიკოზის ეზოში, ბაღში, სამი ცხვარი და ერთი თხა დარბოდენ; მე მივაქციე ამას მათი ყურადღება: „შეხედეთ, რა მსუქანი ცხვრებია, ვისია ნეტავი ესენი თქო“! ეს კომპოზიტორ არაყიშვილის არისო (ორი ცხვარი დავითაშვილისაც არის – ეს დაფარეს). „უნდა უთხრათ კათოლიკოზს, აუკრძალოს თვის ეზოში ცხვრისა და თხის ბალახობა, არაყიშვილი ისედაც გვამცირებს ჩვენ ყველას, ცუდად გვიხსენიებსო“, – ბრძანა რ. ივანიცკიმ, რომელიც უკვე დაბინავდა სინოდალურ კანტორის ყოფილ პროკურორის, შემდეგ ლეონიდის (ტფილელობის დროს) და შემდეგ კეკელიძის ბინაზე. ამაზე მე უპასუხე: „ეს რა

კათოლიკოზის საქმეა, ცხვრები და თხები ისე უნდა მოაშოროთ კათოლიკოზს, რომ მან ვერც კი უნდა გაიგოს ასეთი წვრილი და უმნიშვნელო საქმეები თქო“! ივანიცკი გაწითლდა, პირი მიიბრუნა, ცინცაძისა შერცხვა, რომ ასე ჩაიჭრა...

ამ დროს კათოლიკოზის სასახლიდან გამოიტანა კელეინიკმა ნახევარი დიუჟინი მშვენიერი შავი ვენის სკამები, – „სად მიგაქვს, ძმობილო, ეს სკამები თქო“, ვკითხე მე; „რაფიელთან მიმაქვს მისს ბინის მოსაწყობათო“, – მიპასუხა მან; ამ დროს რაფიელიც მიუბრუნდა, სურდა თვითონ აეტანა თვისს ბინაზე ეს ძვირფასი სკამები; მე მიუბრუნდი კელეინიკს და უთხარი, „ბარემ შენვე აუტანე ბინაზე, საკათ. საბჭოს წევრს ნუ აკადრებ სკამების ზიდვას თქო“. ბიჭმა სტაცა სკამებს ხელი, მაგრამ ივანიცკიც უკანვე დაედევნა, დეკ. ცინცაძემ სკამებს თვალი გააყოლა და მკითხა: „რა ეღირება ეხლა თვითოეული ამ სკამისაო“! მე უპასუხე: „არ გახსოვს, რომ ასეთი სკამები ხუთ-ხუთ მანეთად მიჰყიდეთ ამ ერთი წლის წინეთ კეკელიძეს და სხვებსაც თქო“?! „მე რა ღმერთი გამიწყრა, – ბრძანა ცინცაძემ, – რომ ერთი ნივთი რაა, არ შევიძინე იმდენ განიავებულ ავეჯეულობა-ნივთებისაგანო, შენ ცოტა მაინც კი ირგეო“, – მითხრა მე; ამაზე უპასუხე: „მე ექვსი დანჯღრეული ხის სკამი წავიღე საჯინიბოდან, სადაც გატენილი იყო მთელი ორი ვეებერთელა ოთახი ავეჯეულობით, რომელიც მე გადმოვზიდე ვაკედან, ეხლა კი არც ერთი ნივთი აღარ არის, სულ დაუტაცნიათ ჩემს შემდეგ, რა უყავით თქო; მე რაც წავიღე, არ მიყიდნია, ნაბარებად მაქვს, სინდისმა ნება არ მომცა 3-5 მანეთი მომეცა იმ სკამებში, ჩემს შემდეგ რა უყავით საკათ. საბჭომ ექსარხოსებისაგან დატოვებული სამი კარეტა და რამოდენიმე ფაიტონი თქო“? ცინცაძემ მიპასუხა: „მე მახსოვს, ლეონიდს საკათ. საბჭომ ნება დართო ერთ ძველ ფაიტონის გაყიდვისა, ამათ კი სულ ყველაფერი დაუყიდნიათო“! თქვენ სადღა ბრძანდებოდით, რას აკეთებდით, რატომ ყურს არ უგდებდით კათოლიკოზის სასახლის „მმართველობას“, ან ვისგან შესდგებოდა ეს „მმართველობა“ თქო?! იქნებ თქვენ გეგონათ, რომ კათოლიკოზ კირიონს უნდოდა ამ მხრივ ყურის გდება, ხოლო ლეონიდს არა?! კათოლიკოზი კირიონი ჯვარს აცვით, „ახ. სიტყვაში“ გამოსჭიმეთ სამიოდე ბოთლი ღვინო ეყიდა ავათ მყოფ კაცს, შემოსავალ-გასავლის წიგნში აენუსხა ეს, ხოლო კირიონის შემდეგ არც ერთი სტატია არ არის ამ წიგნში შეტანილი არც შემოსავლისა და არც გასავლისა, რაც „აქტი“ შემდგარა კირიონის გარდაცვალების შემდეგ დეკ. დ. ლაზარიშვილის ხელით, იმავე აქტს მოვაწერეთ მე და დიმიტრიმ ხელი ლეონიდის გარდაცვალების შემდეგ, შენ ეს იცი თუ არა თქო? ვკითხე ცინცაძეს! – არაო, – მიპასუხა მან! ეს საკვირველია თქო, უთხარი მე... ასევე დაიფლანგება ის სერვიზები და ის ნივთები, რომელიც ეხლა ახალ კათოლიკოზს მიართვა „მცხეთის საზეიმო კომიტეტმა“ თქო. – „ასე იცის უპროშჩენი ხოზიასტვოს წარმოებამო“, – გაიცინა დეკ. ცინცაძემ...

შემდეგ ცინცაძემ მკითხა: „ხვალ (ოთხშაბათს) 12 საათისათვის დრო გექნება თუ არაო, სომხის კათოლიკოზს დარბაზობა უნდა გადაუხადოს ჩვენმა კათოლიკოზმაო“! მე უპასუხე: „ექვსი გაკვეთილი მაქვს, ვერ მოვიცლი; არც კათოლიკოზს უბრძანებია რა ამ თაობაზე ჩემთვის, ან კი რა საჭირო და წასა-

ყვანი კაცი ვარ მე, წაიყვანეთ გრძელ წვერიანი – წარმოსადეგი დეკანოზები: მაჭარაშვილი, გ. ასათიანი, მათე მონასელიძე, შენ, ტყემალაძე და ასეთები თქო"; მე ვიყავი ერთხელ გაგზავნილი, ერთი და იგივე პირის მუდამ გაგზავნა არ ივარგებსო... და დავშორდით ერთმანეთს.

9 ნოემბერი

გაკვეთილების შემდეგ შემხვდა კათოლიკოზის სასახლესთან დეკ. ნ. მაჭარაშვილი, გადმომცა, რომ დღეს კრება მქონდა (მთავარ-ხუცესობა ჩაუბარებიათ მისთვის უკვე, „არჩევნები" კი დღეის სწორს იქნება, რასაკვირველია ფორმალური, ისევ ის დარჩება, ეს უკვე წინასწარ „განგულვებულია" სფერებში), მაგრამ 12 საათზე თავმჯდომარეობა დეკ. ხახუტაშვილს გადავეცი და ჩვენ წავედითო", – სადა თქო, – ვკითხე, „სომხის კათოლიკოზთანო", – მიპასუხა... კრებაზე ნიკო თავდგირიძემ პროექტი წაიკითხა ეროვნულ კოოპერატივის დაარსების შესახებ, მაგრამ დეკ. ლაზრიშვილმა სულ გაუბათილაო, ტყემალაძემაც უპასუხა, საკათ. საბჭო მღვდლებს ვალდებულ ვერ ჰყოფს მონაწილეობა მიიღონ მაქ საქმეშიო... ცოტა წევრნი დასწრებიან დღეს კრებას, შემდეგი კრება დღეისსწორ ოთხშაბათს არისო"... შემდეგ წამოვედით ერთად, გამოვიარეთ პატარა წმინდა გიორგის წინ, კარები დაკეტილი იყო, მაჭარაშვილმა შემომჩივლა – „სტოროჯი" აღარ ჩერდება აქ, კარები დაკეტილია, – ეს ეკლესია უნდა ჩავაბარო სიონელებსო". ამაზე უპასუხე: „მამაო დეკანოზო! უფრო კანონიერი არ იქნებოდა, რომ ეს ეკლესია და მისი მრევლი ანჩისხატზე მოგეწერათ თქო?! სიონელებს მილიონებს უნიშნავთ ჯამაგირათ, მრევლსაც უმატებთ, ამ ჩემმა ანჩისხატმა რით უნდა იარსებოს, რატომ სხვებზედაც არ ჰფიქრობენ თქო! ჩვენში ყოველთვის პირად ინტერესების ან სიმპატია-ანტიპატიის თვალით უცქერიან, არასოდეს საზოგადო და სამართლიან თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობენ თქო, სირცხვილია სხვა არა იყოს ასეთი მოქმედება თქო"...

ამაზე მიპასუხა: „ტყემალაძე წევრია და ალბად შინაურულად მოახერხეს ეს ყველაფერიო", „მით უფრო ცუდი თქვენთვის თქო"! მოვახსენე და დავშორდით ერთმანეთს!

ცხადია, დიდი გაშმაგებული მუშაობაა ჩემს წინააღმდეგ კათოლიკოზის გარშემო, კვირას 6 ნოემბერს თანამწირველად ვიყავი მიპატიჟებული წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც კათოლიკოზიც მიიწვიეს, მაგრამ არ წავედი. ძალიან გამძღარან-გამობრუებულან ტყემალაძე-ცინცაძე-კაპანაძე და სხვანი...

დეკ. კ. ცინცაძესთან გამობაასება!

შევხვდით ერთმანეთს 10 გიორგობისთვეს ისევ კათოლიკოზის ალაყაფის კარებთან; ცინცაძე მეტად იჭვის და გამომცდელი თვალით მიცქერის; სცდი-

ლობს, სადაც კი მომიხელთებს, ხელში ჩამიგდოს, ლაპარაკში ჩამითრიოს და დამტყოვოს რამე-რუმეები, შემდეგ საკლიაოზნიკო მასალად გამოიყენოს; ვიცი ყოველივე ეს, მაგრამ შეგნებულად არ ვერიდები, პირდაპირ ვეტყვი ხოლმე, რაც სათქმელია; გამოგვიარა წინ კათოლიკოზის კელეინიკმა – ეს ერის კაცია, წინეთ დავით ეპისკოპოსთან იყო ბიჭად, შემდეგ სამების მღვდელს ეროთე აივაზოვს შერჩა ხელში; ეხლა კი ეს წყნარი, პატიოსანი სამთავისელი ბიჭი წაართვეს აივაზოვს და კათოლიკოზს მიუჩინეს მომვლელად, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოზის სასახლე ოჯახურად არის მოწყობილი, ქალი და შვილისშვილი სცხოვრობენ მასთან, მიდი-მოდიან ქალი თუ კაცი იქ და დიდ დროსტარებაში არიან; როდესაც ეს ბიჭი დავინახე, ცინცაძეს უთხარი: „კათოლიკოზს კი ბედი ეწია ასეთ ერთგულ კაცის მიჩემებით, მაგრამ საბრალო აივაზოვი კი დაიღუპა, ქვრივი კაცია, უპატრონოდ არის ახლა დაგდებული თქო“; ამაზე ცინცაძემ მიპასუხა: „აივაზოვი ამ თაობაზე მე მემდურის, მე მაბრალებს მაგ ბიჭის გადმოყვანას კათოლიკოზთანო“, ყველაფერს მე მაბრალებენო... კათოლიკოზს რაღაც უსახელო წერილები მოსდის, ყველას აჩვენებს იმ წერილებს და იმ თაობაზე ეუბნება, მე კი არას მეუბნება, ალბად ჩემზე სწერენ რაღაცებსაო. ეს არ არის საკვირველი თქო, – უპასუხე მე, – სწერენ და ლაპარაკობენ იმ პირებზე, რომელნიც გარს ახვევიან, ეთათბირებიან და ხელმძღვანელობენ კათოლიკოზს ან ასეთ დიდ პირებს თქო, თუ ამაზე სწერენ, ალბად შენზე მისწერენ და არა ჩემზე და ჩემისთანებზე, რომელნიც „გარიყულ-განკიცხულნი“ ვართ თქო; მაგრამ ვინც შენზე ან თოთიბაძეზე რაიმეს მისწერს ამბროსი კათოლიკოზს, ის „კორესპონდენტი“ ან დიდი უმეცარი, შეუგნებელი პირი უნდა იყოს, ან დიდი პროვოკატორი თქო! ამბროსი კათოლიკოზი უნდა ჩამოგაშორონ თქვენ, რომლებმაც მას პირში სული ჩაუდგით, სოხუმის ეპარქიიდან გამოგდებული, უადგილოდ მოყიალე მიტროპოლიტი კათოლიკოზად დასვით, ასეთი გამარჯვება მოუპოეთ მას ნაზარ მიტროპოლიტთან ბრძოლაში, თქვენ ცნობილ „არჩევნების“ მასტერს თავად დავით ნიჟარაძესაც კი აჯობეთ... ამის შემდეგ ვინ ტუტუცია ის, რომელიც თქვენს დასმენას სცდილობს ამბროსისთან, ან როგორ გაბედავს ეს უკანასკნელი თქვენი გავლენისაგან გამოსვლას; ეცადეთ მაინც კეთილი გავლენა იქონიოთ, ეკლესიურ ცხოვრებაში დამშვიდება შეიტანოთ, მომავალ განსაცდელისათვის მოემზადოთ, კომუნისტები ჩვენთვისაც მოიცლიან, დიდ დამცირებას და შევიწროებას მოგვაყენებენ, თქვენ საამისოდ არ ემზადებით, ეს არა გაქვთ გათვალისწინებული და ხურდავდებით წვრილმანკლიაუზნიკურ საქმეებში თქო. მაგალითად, დეკ. ციცქიშვილის „დროებით გამწესება“ ვერის ნიკოლოზის სამრევლოში, როდესაც ეს კაცი გორის მაზრის სამღვდელობას ასე იყო თუ ისე ეპისკოპოსად ამოარჩევიეთ, ეხლა ამ პირის სამრევლოში გაგზავნა და ჩემი უარის ყოფა, დიდი უტაქტობაა თქო; შემდეგ მოვაგონე ცინცაძეს, თუ როგორ ერთერთ საოლქო სხდომაზე ტფილისში მან საყვედური უთხრა ტფილისის სამღვდელოებას, რომ „დეკანოზი ციცქიშვილი დავკარგეთო“, „ეხლა ხო იპოვნეთ, მამაო, ის „დაკარგული ციცქიშვილი“ თქო!

ციცქიშვილს ღმერთმა ხელი მოუმართოს, ის ალბად არსად არ დაიკარგება, მაგრამ თუ „დაკარგვაზე“ ითქმის რაიმე, აი, ჩვენ ვინ დავკარგეთ და გავაუბედურეთ კიდეც, ეს დეკანოზი მიხეილ ფხალაძე თქო! განსვენებულ ლეონიდს მან სიონის კანდელაკობა სთხოვა, როდესაც თოთიბაძე სიონიდან სამხედრო ტაძარში გადავიდა; ლეონიდმა უარი უყო, დეკ. ალ. სიმონოვს უნდა მივსცეო (აწ გარდაცვალებული სიმონოვი გიმნაზიის მესამე კლასიდან იყო, ტფ. სემინარიის მეხუთე-მეექვსე კლასის გაკვეთილებს ისმენდა, მე რომ იქ ვსწავლობდი მაშინ). მაშ, სიმონოვის ადგილი მიბოძე სიონშიო (მესამე მღვდლობა), სთხოვა ისევ ფხალაძემ, ის ადგილი მამა ისაკის (ჩუკურაშვილს – სემინარიელია ახალგაზრდა, სიონში დიაკონის შტატზე იყო მღვდლად) უნდა მივსცეო, მაშ ისაკის ადგილი მიბოძეთ, სულ უადგილოდ ვარ, სხვა არა იყოს რა, წირვა-ლოცვაში მსურს მონაწილეობა მქონდეს, ეს ანაფორიანი კაცი გორის სასულიერო სასწავლებლის დახურვის შემდეგ (აქ ფხალაძე „სმოტრიტლად“ იყო, რუსეთიდან გადმოვიდა, ყაზანის აკადემია აქვს დასრულებული, ჩინებული მცოდნეა საგნებისა, სწორეთ იმ დროს სწავლობდა ყაზანში, როდესაც იქ სწავლობდა ნაქვრივალი მღვდელი ამბროსი ხელაია – დღევანდელი კათოლიკოზი და მისი „უჩენაია მუხა“ – დავით ეპისკოპოზი! რა შედარებაა ამბროსისა და დავითის „უჩენობა“ ამ ნიჭიერ ფხალაძესთან) ქუჩაში ვარ დაგდებული და იფიქრეთ რაიმე ჩემზედაც, თქვენო უწმინდესობაო, – დაასრულა ფხალაძემ, მაგრამ ლეონიდმა ხმა არ გასცა და დღეს ეს ფხალაძე, დაქვრივებული, ოთხი შვილის მამა, ერისკაცის ტანისამოსში დადის, რომ დღიური ლუკმა-პური მოუპოვოს თვის ობლებს. ლეონიდი და მისი კამარილია უკმაყოფილო იყო ამ ფხალაძის, ამის ძმა მღ. სიმონ ფხალაძე, დიდუბის ეკლესიიდან გამოაგდო ლეონიდმა დეკ. მირიანაშვილის ჩაგონებით; სიმ. ფხალაძე კი არ მორჩილდებოდა დიდუბიდან გაგდებას, მეორე საეკლესიო კრებაზე გაასაჩივრა საქმე, მაგრამ კრების შესყიდულმა ბრბომ არც კი მოუსმინა უბედურ მღვდელს საჩივარი, ისე დააგდო; ეს ფხალაძე გარდაიცვალა ლეონიდის გარდაცვალების სამი დღის წინ, სიკვდილის ჟამს სიმ. ფხალაძემ შემდეგი სიტყვები წამოიძახა: „ლეონიდი არ გადარჩება, მე და ის ამ დღეებში ერთად წარვსდგებით ღვთის წინაშე, მის სამსჯავროს წინაშეო“ და მოკვდა კიდევაც!.. აი, ამ ძმის გამო სდევნიდენ მიხეილ ფხალაძესაც, ეს კირიონის პატივის მცემელთაგანიც იყო, არც ეს აპატიეს და ამ ზომამდე მიიყვანეს ეს კაცი. ამ თაობაზე უთხარ ცინცაძეს „ციცქიშვილი თუ ვიპოვნეთ, პხალაძე რატომ დავკარგეთ, რატომ იმაზედაც არას იფიქრებთ, რატომ იმას არ მიეცით მრევლი, – ციცქიშვილი საეპისკოპოსოდ შემზადებულიყო, რა საკადრისია ეხლა მაგის მრევლში ჩხირკედელობა თქო. მაგრამ ვაი იმათ, ვისაც თქვენ არ სწყალობთ, თქვენ ისეთი კაცი გინდათ, რომელიც თქვენი ტიკინაა, თქვენი სათამაშო იარაღია, სადაც გსურთ, იქ ჩასჩრით და ჩააკვეხებთ თქო! ციცქიშვილს ალბად არ აქვს შეგნებული ეს თვისი სამარცხვინო როლი, მაგრამ თუ ერთხელ მიგიხვდათ ოინებს, ისიც გაიქნევს თვის გრძელ ხელ-ფეხს და მაშინ დამაგრდით მამაო თქო“!.. „შენ სულ ასე იციო“, – მიპასუხა ცინცაძემ და დავშორდით ერთმანეთს...

მცხეთობიდან ერთი ეპიზოდი

ბერმა მიხეილმა, რომელიც ეხლა საგურამოს სამრევლოში მღვდლობს, ხოლო წინეთ ამბროსი არქიმანდრიტს (ეხლა კათოლიკოზს) ახლდა რუსეთში, იყო მისი შინაური – მესაიდუმლე პირი, ამ ბერმა გადმოგვცა ერთი საიდუმლო მხარე იმ ინციდენტისა, რომელიც მოხდა მცხეთაში ეპისკოპოს პიროსისათვის მანტიის წამოუღებლობის გამო ტფილისიდან. ჩვენ ყველას გვიკვირდა ასეთ უბრალო მიზეზისა გამო როგორ განაწყენდა პიროსი იმ ზომ, რომ აღარავის გვეკარებოდა, ხოლო მეორე დღეს, წირვის შემდეგ, ჩაიც კი არ მიურთმევია ისე, სადგურზე წავიდა, მთელი დღე იქ დაჰყო უსმელ-უჭმელი და საღამოს ათ საათზე კი ერთი და იმავე მატარებლით ვიმგზავრეთ ტფილისში; ამ ბერს წინამძღვრიანთ-კარის მღვდლის ივანე ლუკაშვილისათვის (ჩემი სიმამრის ძმაა) გადაუცია საიდუმლოთ, ხოლო მისი ოჯახიდან გავიგე მეც, მცხეთაში კი ვერა გავიგე რა თავბედისა! აი, საქმე რაში ყოფილა: როდესაც ეპ. პიროსი უსაყვედურებდა სიონის კანდელაკ დეკ. ი. კაპანაძეს და იპოდიაკონს სიკო მონასელიძეს – რატომ მოგდით ასეთი დაუდევრობა – მანტიაც კი არ წამოგიღიათ, რას ემგვანება, რომ ყველა მღვდელმთავრებს მანტია ექნება მოსხმული, მე კი უმანტიოთ ვიქნები მათ გვერდითო?! აქვე ყოფილა მაშინ დავითაშვილიც, რომელსაც მიუმართავს მეტად დამცინავის და დამცირების კილოთი პიროსისათვის: „ჩემი ნაბადი რომ თან მქონდეს, იმას მოგახურავდი ზურგზე მანტიის მაგივრადო“, ამაზე გაწიწმატებულა პიროსი, იქვე მდგარა კათოლიკოზიც, ნაზარიც და ბევრი სხვანიც; პიროს მიუყვია პირი და მეტად გაულანზღავს დავითაშვილი – აყვედრა მას „განუსაზღვრელი თავხედობა, კათოლიკოზების და ეპისკოპოსების ასე აბუჩად აგდება, ბიძაჩემიც (ლეონიდი) შენ გამოსჭყლიტე ფეხქვეშ, შენ აჰხადე მას ყოველივე ღირსება და პრესტიჟიო! ეხლაც აღარ იშლი და ჰბედავ მღვდელმთავრის ასე გამასხარავებასო“! – ამაზე გაშმაგებულა დავითაშვილიც, ამასაც მიუყვია პირი და ისე დაულანძღავს ყველანი, რომ სირცხვილით აღარ ვიცოდით სად გავპარულიყავითო: „შენ რა ეპისკოპოსი ხარ, ან რა ადამიანი ხარ, აბა კაცმა შეგხედოს რასა ჰგევხარ (არის მეტად მსხვილი და ტან-დაბალი, ეს იყო, რომელმაც კათოლიკოზის არჩევნების დროს – კირიონ-ლეონიდისა, „კათოლიკოზობა წონით იყოსო, ვინც მეტი მოვიდეს წონაში, ის იყოს კათოლიკოზიო“), რა გაგიხდა ეს მანტია, ლამის არის ტვინი ამოგვართვათ, თქვენ მანტიებში გგონიათ რაიმე ჰყრია, ან ეს რა საკათოლიკოზო იყო (მიუშვირა ხელი ამბროსის, პირშივე მიახალა), მაგრამ ამ უკაცობის დროს რა გაეწყობა, უკეთესი არ არის და ვაი ჩვენს ეკლესიას თქვენს ხელშიო“!.. კათოლიკოზს კინაღამ გული შეჰღონებოდა, სხვებმა შექმნეს ფაცხა-ფუცხი, ჩურჩული, ერთმანეთს პირზე ხელს აფარებდენ, „არავინ გაიგონოს, არავინ გაიგოს ეს ამბავი, თორემ თავი მოგვეჭრებაო“! კათოლიკოზმა ხმა ვეღარ ამოიღო, ჩაჰყლაპა ეს პილიული თვის კანცელიარიის მდივნისა, პიროსმა კი ვეღარ გაუძლო სირცხვილს და ის იყო გაგვექცა სადგურზე, ჩვენ კი არა ვიცოდით რა ისე, 2 ღვინობის თვეს (ძვ. სტ.), არქიმ. იოანნე მარღიშვილის კურთხევის დღეს, დავითაშვილის თანამე-

ინახობით ზეიმით ვისადილეთ მცხეთის საკათოლიკოზო სახლში; ვილხენდით დავითაშვილთან ერთად და რეჩებს გაჰქონდა რახა-რუხი...

ქალაქში რო დავბრუნდით, გავრცელდა ხმა, რომ დავითაშვილმა ქაღალდი შეიტანა – სამსახურიდან გადადგომისაო! იყო ამ თაობაზე დიდი მითქმა-მოთქმა, ნეტავი, რას ინებებს კათოლიკოზიო! მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ოსტატური ნაბიჯი დავითაშვილისაგან – „აბა თუ კარგი კაცები ხართ დამითხოვეთო“ და მართლაც კამარილიამ ვერ გაჰბედა დავითაშვილის ჩამოშორება, თუმცა ყველას ეშინია მისი და ყველანი მოხარული იქნებოდა, რომ ის ან სიკვდილით ან სიცოცხლით ჩამოშორდებოდეთ, უფრო თავისუფლად იპარპაშებდენ, დავითაშვილის ეშინიათ, ყოველ საქმეს ჯერ დავითაშვილმა უნდა მოჰხადოს ნაღები და შემდეგ მიუგდებს ამ საქმეს კათოლიკოზს ან საკათ. საბჭოს. ბევრი საიდუმლოება აქვს „კამარილიისა“ და თვით ამბროსისაც [როდესაც ეს სინოდალურ კანტორის წევრი იყო იმ დროისა, ასე ამბობენ, სინოდის რევიზორმა ამბროსი არქიმანდრიტი ავტოკეფალიის გამო ან ნიკონის მოკლის გამო როდი გადააყენა სამსახურიდან და რუსეთში გაძევება მიუსაჯა წირვა-ლოცვაში დაყენებით, არამედ რაღაც საქმეებში, როგორც წევრს კანტორისას, უპოვნა დიდი სიყალბე, უსწორ-მასწორობა და მექრთამეობაცო! აი, ასეთი ხმა იყო გავრცელებული ამბროსიზე, ამას კი თავი „მოწამეთ“ და „მოღვაწეთ“ მიაჩნია! არც ავტოკეფალიის ბრძოლაში მიუღია მაგას მონაწილეობა და არც ნიკონის მოკლის საქმისა ეკითხებოდარა, ეს არის ერთი ეგოისტი – თავმოყვარე კაცი, ნაკლები ნიჭისა და სუსტი ნებისყოფისა, ყოველივე ეს ჩინებულად ესმის დავითაშვილს, დაჰკრა კიდეც თვისი „ტერრორის“ ლახვარი მცხეთაში, აქაც „ოსტავკა“ მიართვა, მაგრამ „სთხოვეს, უკანვე წაიღეთ ქაღალდი, ჩვენ უშენოთ არ ვარგივართო“ და დარჩა დავითაშვილიც, გაიმარჯვა საბოლოოდ!] დავითაშვილს, ეს ისევ იბატონებს აქ, ამას აღარ დაურჩა ქალაქში არც ერთი სამღვდელო პირი გაულახავი (ფიზიკურადაც კი!) და დაუმცირებელი, აგრეთვე არც ერთი ქალიშვილი ქალი, რომელიც კი მსახურობდა საკათ. საბჭოს თუ მის კანცელიარიაში, გაუუპატიურებელი და გაულანზღავი. დეკ. კ. ცინცაძის ქალსაც კი გამოუდგა კანტორის არქივში და წივილ-კივილით გამოსტაცეს ხელიდან დავითაშვილს ეს გოგო!.. ესეც ჩაჰყლაპეს და ბევრიც კიდევ სხვა...

18 ნოემბერი

ეკლესიური ცხოვრება მიმდინარეობს მეტად უფერულად, „საჭეთმპყრობელი“ ჩვენი მოეწყო საზამთროდ თბილად და რბილად, დეკ. ლაზრიშვილმა ჩვენი სანთლის ქარხნის საშვალებათაგან მოუზიდა დიდძალი შეშა, ნახშირი, ამ ზაფხულს ჩემი შეგონებით სამღვდელოების დრამისაგან გადადებული პურიც ჩამოუვიდათ – ზოგი კათოლიკოზს, ზოგიც საკათ. საბჭოს წევრებს და სამწერლოების მოხელეებს (ნეტავი, ვისთვის ან რისთვიღა გვინდა ამდენი მოხელეები?! ვინ არის გამკითხავი!); დიდძალი ფული ინთქება! ჯერ „უჩენაია

მუხა“ არ ჩამობზუებულა ქუთაისიდან, მოწაფეები არა ჰყავთ, „რექტორი“ რათ უნდათ, აქედან უგზავნიან ჯამაგირს. ყოველ შემთხვევისათვის „რეზერვში“ ჰყავთ – სათადარიგოდ! არ იციან, რა უყონ ამ დეკ. ციცქიშვილს! აკურთხონ ეპისკოპოსად გორისა – „ვაია“, არ აკურთხონ – „უია“, მიუშვეს ვერის ნიკოლოზის სამრევლოში, იქნებ, კარგი მრევლით დაკმაყოფილდეს და ეპისკოპოსობა გადაიფიქროსო, ეშინიათ ამ თავხედ ციცქიშვილისა, რომელიც საკათოლიკოზოდაც ემზადება, რაფო ივანიცკის მეტოქედ გამოდის! მაგრამ დეკ. ციცქიშვილი ისევ ეპისკოპოსობაზე ჰფიქრობს, „აქ, მრევლში, დროებით ვარ მიჩენილი, – უთქვამს გიორგიძის ქვრივისათვის, – მე ერთი ოთახი მომიცალეთ, ბინა საპიორნი ქუჩაზე მაქვს, არც ფულების საშოვრად მოვსულვარ აქ, მე ისეთი ძლიერი პარტია მყავს, რომ ანაფორების, წაღების და სხვა საჭირო ნივთების შესაძენად ათი მილიონი კიდევაც შემიგროვესო“! მეორე მღვდელი იმავ მრევლისა, ციცქიშვილის კურსის სემინარიის სტუდენტი, დეკ. ვ. მატატაშვილი, დიაკონის ადგილზე ჰყავს, – „კუკიის სასაფლაოზე მე მგზავნის, თვითონ კი აქ დაბრძანდება და ფულებს ხვეტსო“, – უსაყვედურნია მატათაშვილს თვის „წინამძღვარზე“; სხვა სამრევლოებშიც დიდი ბოროტმოქმედებებია, იძარცვება დიდუბე, წმ. ნინო, პეტრე-პავლე, ქვაშვეთი, წმ. ბარბალე – ნავთლუხში, ვინ არის პატრონი, ხმის გამცემი... ჩვენი კათოლიკოზი კი თბილად-რბილად მოკალათებული, მაინც წუწუნებს: როდესაც სოფლის მღვდლები შედიან ხოლმე საქმეზე, ასე შესჩივის მათ: „თქვენ რა გიშავთ, ჩემზე მეტს იღებთ და უზრუნველ ყოფილნი ხართო“! – მღვდლები გამოდიან და თავის ქნევით ამბობენ: „ეს მეტად ხარბი და ანგარების კაცი ყოფილაო“!.. ამ დღეებში იყო კათოლიკოზთან დუშეთის მაზრიდან მღვდელი გ. ჭელიძე და ასე სთქვა მან...

მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია გურია-სამეგრელოს ეპარქია! ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი) გადადგა სამსახურიდან; ეპარქია მიაწერეს ქუთათელს! აბა, როგორ უნდა მოუაროს ქუთათელმა ამ დროში გურია-სამეგრელოსაც! ამ ეპარქიისათვის ჰფიქრობდენ არქიმანდრიტ ნესტორს, ყუბანეიშვილს, გელათის წინამძღვარს, მაგრამ, მგონი, აქაური „კამარილია“ არ სწყალობს მას და ახალგაზრდა არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძეს) ამზადებენ გურია-სამეგრელოსათვის. სამოქალაქო სასწავლებელი აქვს დასრულებული ჭიათურაში! – დეკ. ფხალაძე კი დადის კახეთის რკინისგზის მატარებლის რევიზორად! ეს არის ეკლესიის მოვლა-პატრონობა?!.

„კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია“

7 ამა ნოემბერს, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, კომუნისტებმა იდღესასწაულეს მათი ოთხი წლის „გადატრიალების“ თავი. მეორე დღეს კი გაზეთ „კომუნისტში“ (ქართული) და „პრავდა გრუზიაში“ გამოცხადდა საქართველო-სომხით-ადერბაიჯანის რესპუბლიკათა ფედერაცია მოსკოვის მეთაურობით! ასე დამთავრდა საქართველოს „დამოუკიდებლობის“ კომედია, რომელსაც 25 თებერ-

ვლიდან ასე თვალმაქცურად თამაშობდენ ჩვენი უბედური კომუნისტები! ეხლა „შემოაწყდათ ძუა“ ამდენ ტყუილებისა, ნიღაბი აეხადა რუსთა ბატონობის ანუ იმპერიალიზმის ახალ პოლიტიკას კავკასიაში, ქართველი კომუნისტები კი მაინც ფინია ძაღლებივით წკავ-წკავებენ და განგვიმარტავენ გაზეთში, თუ რა არის „დამოუკიდებლობა“! ნამდვილი „დამოუკიდებლობა“ ამ „ფედერაციაში“ გვექნებაო, – გაჰკივიან ასე უსირცხვილოდ! ამ სახით საქართველოს „დამოუკიდებლობა“ გაჰქრა სიზმარივით! იწყება ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში; ხალხი მეტად დაქსაქსულია, ინტელიგენცია თითქმის სულ ერთიანად ციხეშია გამომწყვდეული, ნადირობენ მენშევიკებზე, იჭერენ და უწყალოდ ხვრეტენ „ჩეკაში“, ყოველ ღამ დიდ ძალი ბურჟუაზია და ინტელიგენცია იხვრიტება. მენშევიკების „დელეგაცია“ დაატუსაღეს და არავინ იცის, თუ რა მოუვიდა მას. ხალხი დაბეგრეს ნატურით – პურით და სანოვაგით; ტფილისის ვაჭარნი 50 მილიარდით დაბეგრეს, კიდევ ელიან ახალ ბეგარას. მაგრამ ფული მაინც აკლია მთავრობას, ფულის ნიშნები არა ჰყოფნით; ეს ნახევარი წელიწადია ტფილისის მასწავლებელნი არ ღებულობენ სანოვაგეს, წინეთ გირვანქა პურს იძლეოდენ მოსამსახურეთა ოჯახის სულზე, შემდეგ ნახევარ გირვანქას, მერე მეოთხედსა, შემდეგ სულ მოსპეს, პურის ფულს მოგცემთო, არც პურის ფულს იძლევიან და არც ჯამაგირსა. ეს ორი თვეა ჯამაგირიდან ერთი გროში არ მიგვიღია ტფილისის მასწავლებელთ! მეტად გაჭირებულ მდგომარეობაში ვართ. წინეთ ვიღებდით 32.900 მანეთს თვეში! შემდეგ ეს ჯამაგირი გამიდიდეს 92.000 მანეთად! მაგრამ ამ ფულით ერთი ფუთი სიმინდის ფქვილიც კი არ იყიდება! ეხლა აღარც ამ ჯამაგირს მაძლევენ არც მე და არც სხვებს, დავდივართ და მუქთად ვასწავლით მოწაფეებს, რომელნიც „სწავლის ფულისაგან“ განთავისუფლებულია! ასე რომ კომუნისტებმა მიაღწიეს მიზანს – „უფასო სწავლა-სწავლებას“! ეს, მგონი, პირველი მაგალითია დედამიწაზე! მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გასტანს – ინგრევა-იღუპება სკოლა, გვეხრწნება ახალი თაობა – არც ერთ სასწავლებელში ცოტად თუ ბევრად ნორმალური სწავლა ჯერ არც კი დაწყებულა, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში კი ჯერ სრულებითაც არ დაუწყიათ სწავლა, მოწაფეები კი ამ დღეებში ბათუმისკენ წაიყვანეს „საეკსკურსიოდ“! იქიდან რო დაბრუნდებიან, მაშინ იტყვიან – კლასებში ცივა, სათბობი მასალა შეშა-მაზუთი – არა გვაქვს და დავითხოვოთო. ასე ცუღლუტობაში გადის მთელი სასწავლო წელიწადები და გვეღუპება სკოლა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მასწავლებელნი გარბიან... მალე ქართული ენა არა სავალდებულო საგნად გამოცხადდება, ქართულად საქმის წარმოება თანდათან ადგილს უთმობს რუსულს და შორს აღარ არის ის დრო, რო აღსდგეს თვითმპყრობელობის დროინდელი წესწყობილება – ბიუროკრატიზმის მთელი სახე; საშინელი თვითნებობაა გაბატონებული ყველა უწყებაში. სამასწავლო უწყების თავში სდგას კომისარი კანდელაკი – ახალგაზრდა ბრიყვი კომუნისტი, მაგრამ ფაქტიურად ამ უწყებას – „ნარკომპროსი“ – მამოძრავებელია რუსი იონა ბრიხნიჩევი, ყოფილი მღვდელი, სემინარიის მესამე კლასიდან დათხოვნილი რუსი; როგორც სურს, ისე ატრიალებს ჩვენს უბედურ „კანდელაკს“ (აკაკი ჩხენკელის დისწულია! აკაკი

კი ევროპაში დაძრწის, კომუნისტების წინააღმდეგ მუშაობენ ევროპაში ჟორდანია-ჩხეიძე-ჩხენკელი და მათი კომპანია, მაგრამ ევროპა ყურსაც არ იბერტყავს ჩვენთვის!..) ეხლა შემოვიდა ჩემთან ერთი ქართველი ოფიცერი – „წითელი არმიელი“ და მითხრა: „ქართულ წითელ არმიას შლიან, რუსის ჯარს უერთებენ, „ამიერკავკასიის ჯარის სახელით ვიქნებით მათთან ერთად ათქვეფილიო, ეს, მგონი, ჩვენი მოსპობის მომასწავებელიაო“, – გულდაწყვეტილად მითხრა; და აგრეც არის ეს... ასეთი პოლიტიკური უმწეობა არასოდეს არ ყოფილა, მგონი, საქართველოში; ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ერის თუმცა მცირე ნაწილი, მაგრამ მაინც ხელს უწყობს საქართველოს ასეთ გადაგვარების და გადაშენების პოლიტიკას; აქ კომუნიზმი და სოციალიზმი მხოლოდ საბაბია, მხოლოდ ერთნაირი იარაღია რუსის ბატონობის აღსადგენად ჩვენში, როგორც წინეთ იყო „პრავოსლავიე“ ანუ რუსის ერთან ჩვენი ერის ერთმორწმუნოება!! თუ მაშინ დიდ-დიდი თავადები და ზოგი სამღვდელო პირნი ხელს უწყობდენ ჩვენში რუსულ ხელის უფლების განმტკიცებას, დღეს ამ როლს თამაშობენ ჩვენი კომუნისტები – მეტიჩარანი – მდივანი, მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა-დუმბაძე-ბიბინეიშვილ-თალაქვაძენი და მათი მიმყოლნი. მაგრამ ამ „ლაქიებს“ მალე დაითხოვენ ბატონები და ისევ თავიანთ კაცებს წამოაყენებენ, როგორც იყო „რუსეთის დიდ რევოლიუციამდე“ – 1917 წლის თებერვლამდე!.. უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიურ დამოუკიდებლობასაც დავკარგავთ; მალე ამ ნიადაგზედაც აღიძრება რუსების მუშაობა; მაგრამ ცინცაძე-თოთიბაძე ისევ მოახერხებენ რუსეთის ეკლესიისაკენ იბრუნონ პირი, ეს ის „კატებია“, რომელნიც ზურგით არასოდეს მიწაზე არ დავარდებიან, საიდანაც უნდა გადააგდოთ, ისევ ფეხზე დასდგებიან! ეს ქართველების „ვანკა-ვსტანკები“ არიან!

26 ნოემბერი. შაბათი

დღეს დილით დ. დავითაშვილის კანცელიარიიდან მომივიდა მოწერილობა, რომლითაც მაუწყებს, რომ „24 ნოემბრიდან გადმოცემულ მისი უწმინდესობის განკარგულებით თქვენ დანიშნული ხართ ღვთივ განსვენებულ კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის სახელობის სამოძღვრო კურსების დირექტორად; გთხოვთ, ამ სასწავლებლის მოწყობა-მოწესრიგების საკითხის შესახებ სათათბიროდ გამოცხადდეთ კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსისთან – შემდეგ დავითაშვილი საკუთარი სახელით უმატებს – „რამდენადაც შეიძლება მოკლე ხანში“ – ეს მოწერილობაა 24 ნოემბრის, 1921 წ. №1165.

ამ რვეულის 34 გვერდის მეორე ფურცელზე და 37 გვერდზეც საკმარისად არის ნათქვამი ამ „კურსების“ შესახებ, თუ როგორ მე თვითონ შეველ კათოლიკოზთან და გავაფრთხილე – „კი არ დამნიშნოთ კურსების გამგეთ თქო“, რაც მიპასუხა ამაზე და თუ როგორ დავით ეპისკოპოსი – „უჩენაია მუხა“ სურდა ამ თანამდებობაზე. მეგონა, რომ ეს ხიფათი ამშორდა, მაგრამ აი, როგორი მსვლელობა მიუღია საქმეს: ეპ. დავითს უარი განუცხადებია „დირექტორობაზეც“ და

საზოგადოდ ტფილისში დაბრუნებაზეც; მეტად შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რომ შარშან – 1920 წლის საეკლესიო კრებამ დაითხოვა ის ურბნისის ეპარქიიდან (ნამდვილად კი დავითი იძულებული იყო, უარი განეცხადებია ამ ეპარქიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გორის დეკანოზი ჩიტო კასრაძე მზად იყო დასაბუთებული საჩივრით მაგის ახირებულ ხასიათებისა ანუ უხასიათობის გამო, მაგისი არანორმალური, ზოგჯერ მასხარული კილოთი, ლექსად გამოთქმული რეზოლიუცები, სრული უმოქმედობა და განრღვეულობისა გამო უმოძრაობა) და აირჩიეს საკათოლიკოზო საბჭოს წევრად; ჩვენ თავის ადგილზე აღვნიშნეთ კიდეც, თუ როგორ ეს ეპისკოპოსი ლეონიდ კათოლიკოზთან ერთად 24 თებერვალს გაიქცა დასავლეთ საქართველოში, მიგვატოვეს უპატრონოდ, ღვთის ანაბარად, ბოლშევიკების შემოსვლის შიშით! აი, ეს არის ტიპი სახარებაში მაცხოვრის მიერ აღნიშნულ „სასყიდლით დადგინებულ მწყემსისა“, რომელიც – „ივლტის“... მიუხედავად ამ „სივლტოლისა“, არც ლეონიდი, არც თვით ამბროსი, არც დავითი და არც სამხედრო ტაძრის „პროტოპროსვიტერი“ დეკ. თოთიბაძე იხტიბარს არ იტეხენ, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეთ, ისე უსირცხვილოდ დაბრუნდნენ თავთავიანთ ადგილებზე, როდესაც საშიშროებამ განვლო... დავითი კი აღარ დაბრუნებულა, მას „პენსია“ დაუნიშნეს და სცხოვრობდა გელათში. როდესაც ლეონიდი გარდაიცვალა, ქუთათელი ნაზარი და დავითი საჩქაროდ ჩამოვიდნენ ტფილისში; დეკ. კ. ცინცაძემ გადმომილაპარაკა: „აი, ჩვენი ახალი კათოლიკოზი (უჩვენა ნაზარზე) და აი, ახალი ქუთათელიო“ (უჩვენა დავითზე). ცხადია, რომ დავითსაც აღეძრა ჭია თავმოყვარეობისა და სურდა ქუთათელი მიტროპოლიტის ხარისხი გაეკრა და ეხლა იმერეთის ეპარქია



კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარიიდან გამოგზავნილი უწყება

აერივ-დაერია. მაგრამ, როგორც ვიცით, ნაზარ-დავითის პოლიტიკა დამარცხდა, დავითმა ეს იგრძნო და უცბად შემოტრიალდა, აჩვენა ამბროსის თავი, თითქოს მას თანაუგრძნობდა, მას მისცა თეთრი კენჭი და არა ნაზარს, რის გამო თითქოს უკანასკნელი შურს ძიობს დავითზე, დავითი გაქცეულა გელათიდან სოფელში და ეხლა სოფლიდან ეს „უჩენაია მუხა“ სურდა ჩამოეყვანა ტფილისში ამბროსის „კურსების დირექტორად“ და ერთნაირ ქორ-ეპისკოპოსად. მაგრამ, როდესაც დავითს გაუგია დეკ. ქრ. ციცქიშვილის ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსად არჩევა, ცეცხლი მოსდებია და მოუთხოვია, მიეცეს მას გურია-სამეგრელოს ეპარქია, რაც, მგონი, მიუციათ კიდეც საკათ. საბჭოს... ამის შემდეგ კათოლიკოზის კამარილიამ დააგო ჩემთვის შემდეგი ქსელი: ამბროსისაგან უკვე იცოდნენ, რომ „კურსების“ დირექტორობაზე მე წინდაწინ უარი ვსთქვი, მაშასადამე, არ ვხსნი ჩემს კანდიდატურას ვერის წმ. ნიკოლოზის სამრევლოზე, სადაც „დროებით“ დეკ. ციცქიშვილი ჩააყენეს, ნამდვილად კი, როგორც თანდათან ირკვევა, ამ სამრევლოს მიწერა სურს კათოლიკოზს სამხედრო ტაძარზე, სადაც თოთიბაძე ბრძანდება „პროტოპრესვიტერად“. „მხედრება“ აღარ ელტვის ამ ტაძარს, ჯამაგირი და რაიმე დახმარება აღარ ეძლევა ხაზინიდან, მრევლი ვერ შექმნა, მგალობლები არა ჰყავთ, წირვა არ უვარგათ, ლოცვა და ყოფაქცევა, იქვე გვერდით ქვაშვეთის ტაძარი აკრავს, სადაც თოთიბაძის თანა-ძმა დეკ. ცინცაძე „მოღვაწეობს“ და ერთმანეთს ლუკმას აცლიან პირიდან, ხოლო ამ ნიადაგზე, უბრალო „ძვალზედაც“ კი შესაძლებელია ასეთ მეგობრების წაჩხუბება; მეორე მხრით სამხედრო ტაძარზე უარის თქმაც ასე უცბად ულამაზოა, „რას იტყვის საზოგადოება“! გაავრცელეს პროვოკაციული ხმები თითქოს ბოლშევიკებს გადაეწყვიტოსთ კიდეც „სამხედრო ტაძრის ჩამორთმევა და მისი კლუბად თუ სამკითხველოდ გადაკეთება“! ეს ხმები ძლიერ გაავრცელა ხალხში თოთიბაძემ, ასე რომ ბოლოს შევიდნენ ზოგი ერისაგანნი ბობოლა ბოლშევიკებთან და ჰკითხეს – რამდენად საფუძვლიანია ასეთი ხმები. ბოლშევიკების ხელმძღვანელებმა კი – სერიოჟა ქავთარაძემ, ბუდუ მდივანმა, ორახელაშვილმა და სხვ. გადაჭრით უარჰყვეს ასეთი განზრახვა, – „ჩვენ კლუბებიც საკმარისი გვაქვს, და სამკითხველოებიც, და თუ კიდევ დაგვჭირდება სამაგისო შენობასაც ვიშოვნით, ეკლესიებს ჩვენ ხელს არ ვახლებთ საამისოდო“... მაშასადამე, თოთიბაძის სურვილი, რომ ბოლშევიკებს ჩამოერთმიათ მისთვის ეს ტაძარი და ერთნაირ მოწამებრივ მანტიაში გახვეულიყო და ისე – „ლამაზად“ გადაბრძანებულიყო წმ. ნიკოლოზის სამრევლოში, არ შესრულდა. ეხლა მეორე მხრივ უვლიან საქმეს: ტაძარიც შეინარჩუნოს, ბინაც ამ ტაძრისა, სადაც ეხლა არის გამოჭიმული, ხოლო მრევლი და შემოსავალი ჰქონდეს ვერის ნიკოლოზიდან, სადაც თვით წინამძღვრად იქნება, ხოლო ფაქტიურად მეორე მღვდელი დეკ. ე. მატათაშვილი იმუშავებს. აი, ასეთი „კომბინაციებია“! ეს „კომბინაცია“ კათოლიკოზ ამბროსის ცოტა არ იყოს უხერხულად მიაჩნია, ანჩისხატს გვერდით პატარა – წმ. გიორგის მრევლი არ მიაწერა, ის სიონს მიაწერა, ეხლა კი ვერა სამხედრო ტაძარს მიაწეროს, ეს უხერხულად მიაჩნია, ჩემიცა სცხვენია, აღარ იცის, რა ჰქნას. ცხადია, კათოლიკოზი „თავის თავს არ ეყუდვნის“ – ის სათამაშო

იარაღად გამხდარა უკვე ცინცაძე-თოთიბაძეს ხელში და ისევ ამათი რჩევით, ჩემდა კბილის მოსაჭრელად, 26 ნოემბერს არ არსებულ დაწესებულების გამგეობა, რომლის (კურსების) გახსნა, მოწყობა-მოგვარება დღეს შეუძლებელია ჩემის მხრივ განსაკუთრებით, ვინაიდან საკათ. საბჭოს წევრები – ესენივე პირველნი ხელს შემიშლიან, რომ საქმე ჩამეფუშოს; კეკელიძე, რომელმაც დაჰღუპა სემინარია – სასულიერო სასწავლებელი, ეს ანაფორა გახდილი ყოფილი რექტორი, დღეს ერისკაცად საკათ. საბჭოში მესამე საეკლესიო კრების მიერ საკათ. საბჭოს წევრად მოვლენილი, ცინცაძე-მირიანოვი და რ. ივანიცკი, განა ესენი ითანამშრომლებენ ჩემთან, ესენი არ ეცდებიან სირცხვილში ჩამაგდონ?! ერთ-ორ-სამ თვეს მომცემენ ჯამაგირს (ამის რაოდენობა ჯერ არ არის ცნობილი), შემდეგ რო მოწაფეები აღარსაიდან გამოჩნდება და კურსების გახსნა ჰაერში იქნება გამოკიდული, საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობის „დირექტორი“ დიმ. ლაზრიშვილი განცხადებას შეიტანს საკათ. საბჭოში მოიხსნას კურსების დირექტორის ჯამაგირი, რომელიც მეტ ხარჯათ აწევს საკათ. საბჭოსო, მაგათ სამღვდელოების მიერ ამორჩეულ კონტროლის თანამდებობა გამიუქმეს და აქ დამზოგავენ?! ასე სურთ ჩემი გამასხარავება „კურსების“ ასპარეზზე. შესაძლებელია, ეს სხვა „დირექტორს“ ვერც ჰკადრონ და ვერც გაუბედონ, შესაძლებელია, სხვამ მოაწყოს კიდეც ეს კურსები და მე არ მსურს, რომ ეს დიდი და საშვილი-შვილო საქმე ჩემის მიზეზით ძირს დაეცეს, დამცირდეს და ხელი მოეცაროს. ამიტომ იმავ 26 ნოემბრის თარიღით №81 მოხსენებით, ვრცელი, დასაბუთებული მოხსენებით, უარი განუცხადე კათოლიკოზს ამ „დირექტორობაზე“ – გავაგზავნე პაკეტით, თვითონ აღარ წავსულვარ, რომ რაიმე მეტი ლაპარაკი არ მომსვლოდა და კათოლიკოზი არ გამეჯავრებია...

27 ნოემბერი – კვირა (ძველი სტ. 14 ნოემბერი. აღების ღამე)

მწირველი ვარ ანჩისხატის ტაძარში, მრევლმა ვარაზაშვილმა წირვა შემომიკვეთა მიცვალებულისა, მეორე წირვაც იყო შემოკვეთილი, ჯვრისწერაც წირვის შემდეგ, ასე რომ ხალხმა ჩვეულებრივზე ბლომად მოიყარა თავი; როდესაც კვეთას ვასრულებდი, უცბად დამიძახეს: „კათოლიკოზი მობრძანდაო“! მეც გავეგებე, ის პირი ღვთის წინაშე ლოცულობდა, აღსავლის კარები გაუხსენი, მაგრამ სამხრეთის კარებიდან შემობრძანდა, ხელზე ვემთხვიე და განვაგრძე კვეთა. თვითონაც მობრძანდა სამკვეთლოზე, იქ დაინახა, რომ კვეთას ვასრულებდი კაი დიდ თონის პურზე, „ეგ რა დიდი სეფისკვერი გცოდნიათო“, – ღიმილით მიბრძანა. და შეუდექით მის ცოცხლების თუ მიცვალებულების მოხსენებას. შემდეგ დავიწყე წირვა, რაღაც იღბლად სამი კაცის გალობაც მოხერხდა – ჩემი დიაკონი ნიკ. ყანდარელი, მსახური შაქრო გაგნიძე, და ერთი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ბარნაბიშვილი – ამათ იგალობეს; წირვის გათავებისას კათოლიკოზმა მიბრძანა: „დღეს სახლში დარბაზობა უნდა გაგიკეთოო“. მეტად დამავალებთ თქო, უპასუხე; შემდეგ ვსთხოვე: „ნება მიბოძეთ ქადაგება წარმოვსთქვა თქო“,

მიბოძა ნება. წარმოვსთქვი ქადაგება იაიროსის ქალის მკვდრეთით აღდგენაზე და გზაზე სისხლის მდინარებით შეპყრობილ დედა-კაცის მაცხოვრის მიერ განკურნებაზე; ვიმსჯელე „სარწმუნოების“ მადლზე და ძალზე, მის სიკეთეზე, შემდეგ შევეხე ჩვენი ერის წარსულ სარწმუნოებრივ მოქალაქობაზე, ეხლანდელ ურწმუნოებაზე და ცხოვრების გზის არევ-დარევაზე, იმ დიდ განსაცდელზე, რომელიც დღეს კარზე მისდგომია ჩვენს ქვეყანას და შეიძლება დავღუპოთ ჩვენი სამშობლოც და ერიც, თუ დროზე არ გამოვფხიზლდით, და არ დაუბრუნდით ნაცად ქრისტიანულ-ზნეობრივ შეუდრეკელობას, შეთანხმებულ და გულწრფელ მოქალაქობას... ქადაგება გამოვიდა არც გრძელი, ისე ცოცხლად და მარტივად იქმნა წარმოთქმული, მორწმუნენი კმაყოფილნი იყვნენ, კათოლიკოზიც, მგონი. წირვის შემდეგ კათოლიკოზს გავატანე ჩემი დიაკონი, ჩემს ბინაზე აიყვანა, სადაც ჩემმა მეუღლემ ალექსანდრამ და დედა-მისმა მარიამმა მიიღეს კათოლიკოზი, გაუმასპინძლდნენ ჩაით, ცოტა საუზმითა; მანამ მე პანაშვიდები ვიხადე, პარაკლისი, დამიგვიანდა, რომ ამოვედი, კათოლიკოზი უკვე აბრძანდა, დეკ. იასონ კაპანაძე ეახლა და წაიყვანა; ასე რომ ჩემ „დირექტორობის“ შესახებ არა თქმულა რა, არც ვიცი რა ამბავია „სფერებში“.

29 ნოემბერი (სამშაბათი)

ამ დღეს სადილის დროს შემოვიდა წმ. ნინოს სასაფლაოს მღვდელი დეკ. გიორგი გამრეკელი (აკადემიელია, ლეონიდის დროს გადააყენეს წინამძღვრობიდან, დაუნიშნეს წინამძღვრად დეკ. დიმ. ხახუტაშვილი, სჭამენ ერთმანეთს სასაფლაოს ოთხი მღვდელი, ჰქურდავენ ტაძარს, ფულს და შეაწუხეს მრევლი და მორწმუნენი თავიანთ უსაქციელობით), ამან პირდაპირ „კათედრა“ მთხოვა „სამოძღვრო კურსების დირექტორს“. მე კი არ გაუმხილე, თუ ვიცი რაიმე ამ დირექტორობაზე ან თუ უარი განვაცხადე კიდეც. დეკ. ნ. მაჭარაშვილმა, მთავარ-ხუცესმა მითხრაო და ისტორიის კათედრა შემინახე, როდესაც საქმე მოაწყოო. შემდეგ მას თვითონ ვათქმევინე, რომ არ არსებულ და ასე პრობლემატიურად განზრახულ კურსების დირექტორად დანიშვნა არ არის კარგიო; რა იქნებოდა, დაეძახნე, მოგლაპარაკებოდა, შეგთანხმებოდა, სანამ დაგნიშნავდაო, მაგრამ მაგ დანიშვნას, ეტყობა, კარგი პირი არ უჩანსო“... მაშ, რაზე მოდი და რაზე მთხოვე „კათედრა“, რატომ არა გრცხვენია, რომ ასე გამოსაცდელად და განსაქიქებლად დადიხარ თქო; რა დაგემართათ, რაზე დამცირდით აგრე, რაზე მოჰკალით ტფილისის სამღვდელოების არსებობა, სად არის ეს ოდესღაც ცნობილი სამღვდელოება მეთქი?! ნუ თუ ასეთ იოთ-მოეთობის, ინტრიგების, ერთმანეთის განჭრეთა-გამოცდაში უნდა ამოგვდიოდეს სული მეთქი... ბევრი ასეთი მწარე რამ ჩავაყლაპე მამა გიორგის; ამანაც დასძრა შემდეგ ბაგე თვისი და ილაპარაკა ცინცაძე-თოთიბაძის ოინებზე, ვერის სამრევლოზე, ამ სამრევლოს სამხედრო ტაძარზე მიწერის განზრახვაზე, კათოლიკოზის ასე დატყვევებაზე და წავიდა... ამასაც უთხოვნია ვერის სამრევლო, სურდა თავი დაეხწია წმ. ნინოს ჭაობისათვის...

კათოლიკოზ ამბროსის ნაამბობი ჩემს ოჯახში დარბაზობის დროს და დეკ. ამბროსი ფოფხაძის ამბავი

დარბაზობის დროს კათოლიკოზს უამბნია ჩემი მეუღლისა და სიდედრისათვის, თუ როგორ ესტუმრა მას სომხის კათოლიკოზი კევორკ V და თვით ამბროსიმაც როგორ გადაუხადა მაგიერი დარბაზობა. სომხის კათოლიკოზი, ეპისკოპოზთა და სხვა სამღვდელო პირთა ხლებით, დიდის ცერემონიით, ამერიკის მისიიდან მირთმეულ ავტომობილებით, პირდაპირ სიონის ტაძარში მიბრძანებულა. აქ სიონში მას, სომხის კათოლიკოზს, ელოდდა დიდ-ძალი სომხის მოქალაქენი, გაჭედილი იყო სიონი სომხებითაო, ქართველთაგანი კი არავინ მოსულაო, – ნაღვლიანად უთქვამს ამბროსის! სომხის კათოლიკოზს სომხურად მცირე პანაშვიდი უხდია კირიონ და ლეონიდ კათოლიკოზების საფლავზე, შემდეგ საკურთხეველში, ტრაპეზზე მთხვევია და სიონიდან ისევ იმ ცერემონიით წაბრძანებულა ჩვენი კათოლიკოზის სასახლეში, სომხობის წარჩინებული პირნი აქაც ჰხლებია კევორკ მეხუთეს! აქ გამართულა „დიპლომატიური“ ერთმანეთის მისალმ-მოსალმება. სომხის კათოლიკოზი ტფილისელი სომეხია, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში უსწავლია (სურენიანი), ქართულად ჩინებულად ლაპარაკობს, მაგრამ ერთნაირ ეთიკის დასაცველად სომხურად უთარგმნიდა მღვდელი ხუციანი (ეს ალბად ქართველი გრიგორიანთაგანია, ვანქშია მღვდლად, კარგად ლაპარაკობს ქართულად, იყო ლეონიდის დასაფლავებაზე სიტყვით სიონში, ხოლო ამბროსის კურთხევაზე – მცხეთაში) ქართულ ნალაპარაკევს ჩვენი კათოლიკოზისას; ჩვენი კათოლიკოზი ქართულად ესაუბრებოდა, ნიშნად იმისა, რომ ქართული ესმოდა, კევორკი სულ თავს უქნევდა და თუ ნალაპარაკევს მაინც სომხურად სთარგმნიდენ – ეს უფრო იმ ამალა-ეპისკოპოზ-სამღვდელოთათვის, რომელთაც ქართული არ ესმოდათ...

მეორე დღეს ჩვენი კათოლიკოზიც წაბრძანებულა მაგიერი დარბაზობის გადასახდელად, უბრალოდ, ეტლებით, ქართველურად, თავის გრძელ-წვერა და თმა-ჭაღარა დეკანოზების თანხლებით; ესეც პირველად ვანქში მიბრძანებულა, ვანქი სავსე დახვედრია ჩვენს კათოლიკოზს სომხის საზოგადოებით, „ქართველობა კი – ერისაგანნა – მხლებლებადაც კი ვერ ვიყოლიეთ“, – ნაღვლიანად დაუმატა თურმე კათოლიკოზმა. ასე მოქალაქობენ სომხები, ქვეყანა ზედ შეიხედეს, ასე აალაპარაკებენ ევროპას და ამერიკას თვისს ეკლესიაზე და კათოლიკოზზე, მე კი სიონში პირველ წირვაზე სულ რაღაც ოცდაათი სული მლოცველი დამესწრო, ზედაც არავინ მიყურებსო“, – ისევ იჩივლა კათოლიკოზმა. მაგრამ რაც დასთესეს, იმას იმკიან ჩვენი „იერარქნი“ საზოგადოდ და კერძოდ ამბროსიც! ამათ ისე დასცეს ჩვენი ეკლესიის სახელი ხალხის თვალში, რომ აღარავის ესიამოვნება ჩვენ შესახებ რაიმე ამბის გაგონებაც კი; ჩვენი ერთმანეთის ფლეთა-გლეჯა, განქიქება, დამცირება, ენით გამოუთქმელი უაზრო ქიშპობა-ინტრიგანობა, უკვე საყოველთაოდ ცნობილია; ამათში გარჩევა აღარ არის, მრუდი თუ მართალი ერთნაირ ზიზღს და უყურადღებობას იმსახურებენ. თვით ამბროსიც „ახალ სიტყვის“ კოლეგიაში ბრძანდებოდა, როდესაც უბედურ კირიონს ანიავებდენ და ჯვარს

აცვამდენ შუბლაძე-ციცქიშვილ-დავიდოვ-ცინცაძე-თოთიბაძე ლეონიდის მონაწილეობით და ლოცვა-კურთხევით, როგორც „ტფილელი მიტროპოლიტი“! ამბროსიც თანამშრომლობდა „ახალ სიტყვაში“, ესეც გადაუდგა კირიონს და ქუთათელ ანტონის, საითაც უფრო მეტი ძალა ნახა, იქით გადაიხარა ეს მელა-კუდა მეგრელი; დღესაც ამ „ჯგუფის“ ტყვეა ამბროსი; ეს „ჯგუფი“ მას მეტ სირცხვილს და დამცირებას მიაყენებს, ვინემ ეს მოუვიდათ ჯერ კირიონს და შემდეგ ლეონიდსა და ანტონის. მართალია, ეხლა გამარჯვება არგუნა ამ ჯგუფმა ნაზარ ქუთათელზე, მაგრამ ვაი, მაგისთანა გამარჯვებას! ამას წინეთ ქუთაისიდან ჩამოვიდა საკრებულო ტაძრის მესამე დეკანოზი ამბროსი ფოფხაძე, კაცი მეტად მოუსვენარი, თავხედი და კლიაუზნიკი; აქ, საკათოლიკოზო საბჭოში, ნაზარის მცხეთიდან დაბრუნების დროს, შეუმოკლებიათ საკრებულო ტაძრის შტატი, გაუუქმებიათ მეოთხე მღვდლის შტატი, მაგრამ ნაზარს სდომებია რა ფოფხაძის თავიდან მოშორება, ასეთი დადგენილება გამოატანინა საკათოლიკოზო საბჭოს: „მესამე ან მეოთხე მღვდლიდან ის დარჩეს შტატში, ვინც უფრო ადრე შემოსულია სამსახურშიო“; ადრე შესული კი ყოფილა ქუთაისის საკრებულო ტაძარში ვინმე დეკ. ნიკოლაძე, ოთხკლასიანიც არ არის ის თურმე, მაგრამ ნაზარისათვის ეს უფრო სასურველი პერსონაა, ფოფხაძე კი სემინარიის სტუდენტია, ავტოკეფალიისა გამო 12 წელიწადი გადაყენებული ჰყავდა ექსარხოსებს სამსახურიდან, ეხლა კი ნაზარი აგდებდა სამსახურიდან; ჩამოიჭრა ეს ფოფხაძე ტფილისში საქმის გამოსაბრუნებლად, მოვიდა ჩემთან, „სასტუმროში ბინა ვერ ვიშოვნეო და შენ მიმასპინძლეო“, – მთხოვა, მეც რა ღონე მქონდა, მივიღე, თან არ მესიამოვნებოდა მისი ოჯახში შემოსვლა, ვიცი, რომ იცის ადამიანის დაზვერვა და სიტყვის მიტან-მოტანა, ვფიქრობ კიდევაც, რომ ეს დეკანოზი ამბროსი კათოლიკოზისაგან იყო ჩემთან საგანგებოდ შემოჩენილი, აბა რას ვიტყოდი მასზე, რა გუნებზე ვიყავი „კანტროლიორობის“ ჩამორთმევით, წმ. გიორგის სამრევლოის სიონზე მიწერით თუ ვერის წმ. ნიკოლოზზე უარის ყოფით! მეც, რაც შეიძლებოდა თავდაჭერილად ვიყავი, გამოვსთქვი, რომ საწყენად მაქვს, რომ გრძელდება ჩემს წინააღმდეგ წარმოებული დევნა-დამცირება, რომ აღარავითარი იმედი არა მაქვს ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესებისა ასეთ პირობებში და სხვა. თვით დეკ. ფოფხაძე კი მიწასთან ასწორებდა ქუთათელ ნაზარს, მას ბრალსა სდებს აღვირახსნილ მექრთამეობაში და ფეშქაშების მიღებაში სამღვდელოებისაგან; ამბროსი კათოლიკოზსაც მეტად ცუდად იხსენიებდა, როგორც უნიჭოს და უხასიათოს, „ამის ხელში ჩვენი ეკლესია უფრო მეტად დამცირდება და დაირღვევა, ვინემ კირიონ-ლეონიდის ხელშიო“, – ბრძანა ფოფხაძემ... მე ვისმენდი ყოველივე ამას და თითქოს არ ვეთანხმებოდი მას... ბოლოს დეკ. ფოფხაძემ გადმოგვცა ერთი საყურადღებო ეპიზოდთაგანი კათოლიკოზის არჩევნების ეპოპეისაგან გელათში: „როდესაც ამბროსის ყუთის კენჭებს ითვლიდენ გელათის ტაძარში, ამბიონზე, და თეთრი კენჭების რიცხვმა მიაღწია 50-ს, მაშინ ასტეხეს ტაშისცემა, ხტოდენ და ცეკვავდენ საკურთხეველში თუ ამბიონზე: დეკანოზები – ცინცაძე, თოთიბაძე, მირიანაშვილი, ტყემალაძე, იასონ კაპანაძე, ამის ყვირილმა სულ აიკლო იქაურობა: „აქ არის, აქ არისო“! (ნამდვილად კი არც ტყემალაძეს, არც კაპანაძეს ამბროსი არ სურდათ კათოლიკოზად, ამათ ცუღლუტი ლაწირაკი რაფიელ ივანიცკი-ინგილო სურდათ კათოლიკოზად!

ასეთ სამასხარო საგნად გადაიქცა ჩვენში კათოლიკოზობა! ხოლო ლაზარიშვილს და კ. კეკელიძეს სურდათ ნაზარი) ამ დროს მოწინააღმდეგე ბანაკიდან გაისმა პასუხი: „გვადროეთ, მამანო, იქნებ ნაზარს მეტი ხმა ამოდის, იმისი ყუთიც დავითვალოთ, მოასწრებთ ცეკვა-ხტუნვასო“! მაგრამ ამბროსიმ აჯობა ნაზარს 13 კენჭით, მაშინ კი გელათის ტაძარში აუტეხიათ „გამარჯვებულ პარტიას“ აუწერელი ყვირილი, ხტუნაობა, ტაში და ოვაციები, სრულებით შეუფერებელი, როგორც წმ. ადგილისათვის, ისე თვით „არჩეულისათვისო, წაგვიპილწეს გელათის ტაძარი თავიანთ უსაქციელობითაო, – დაამთავრა დეკ. ფოფხაძემ, – მაგათგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს კაციო“. მე ვსთხოვე დეკ. ფოფხაძეს – „ჩემ შესახებ ნურას იტყვი კათოლიკოზთან, ნურც ავს, ნურც კარგს, თითქოს არც კი გინახივარ თქო, მაგრამ თუ შეხედო და დაგჭირდეს, ერთი წიხლი შენც ჩამახვიე თქო“, – ღიმილით უთხარი მე. „არა, მაგას კი არ ვიზამო“, – მიპასუხა მან და თან მითხრა ესეც: „მე მაგათ ოინებს ბოლშევიკების ლიდერებს ვეტყვი, რომ მაგენი ამდენ ფულებს ფლანგავენ სანთლის ქარხნისას და ძვირფას ნივთებს თუ ავეჯეულობას ანიავებენო“. ამაზე მე მეტად დავტუქსე დეკ. ფოფხაძე: „ეს არ გაჰბედო, ღმერთი არ გაგიწყრეს ეს საზიზღრობა არ ჩაიდინო, ეს ხომ ღალატი, იუდობა იქნება თქო! თუ შეგიძლია, შენ სხვაფრივ იმოქმედე, რომ ჩვენი ეკლესიის საქმეები გამოკეთდეს, ამ ადამიანებმა სიკეთის გზაზე შესდგან ფეხი, თორემ ბოლშევიკები ისედაც ჩაგვჭიდებენ ხელს და გაგვანიავებენ, როდესაც ჩვენთვისაც მოიცლიან თქო“... როდესაც ამას ვეუბნებოდი, ფოფხაძე თვალებ დაჭყეტილი მიცქეროდა, მაგას ეგონა, მე ისე ვიყავი გაბოროტებული საკათოლიკოზო საბჭოზე, კათოლიკოზზე და ზოგიერთ პირებზე, რომ მოუწონებდი ფოფხაძეს ბოლშევიკებზე დაბეზღებას ჩვენი „მოღვაწეებისას“. შამშე ლეჟავას კარგად ვიცნობ ქუთაისშიო, ის კი დიდი და გავლენიანი კომუნისტია, ქუთაისში უკვე დაატუსაღეს და სამი კვირაც არის ციხეში ზის, დეკ. პლატონ ცქიტიშვილი [უნივერსიტეტი აქვს სემინარიელ მღვდელს დასრულებული და კანდელაკის ადგილი უჭირავს საკრებულო ტაძარში, ეს ადგილი კი ამ ფოფხაძეს უნდოდა!] და ყოფილ ეპარქიალურ გიმნაზიის გამგე ტრიფონ ჯაფარიძე (ესეც დიდი მოწინააღმდეგე იყო ამ ფოფხაძისა ქუთაისში), მალე ამათ ტფილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანებენო, – სთქვა ფოფხაძემ, – გაჩხრიკეს, რაღაცეები უპოვნეს ოჯახში, კომუნისტების საწინააღმდეგო პროპაგანდას აბრალებენო. ჩემზე ყოველივე ამან მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვფიქრობ, ამ ფოფხაძემ ხო არ დააბეზღა ეს თვისი მოწინააღმდეგენი, რაღაც მეტად ცუდი სუნი უდის ყოველივე ამას და დავღონდი. ფოფხაძემ თვისი საქმე გაჩარხა ტფილისში, ინახულა ცინცაძე, ტყემალაძე, კაპანაძე, ამათ შემწეობა-დახმარებას დაჰპირდნენ, ინახულა ამბროსიც, ამანაც ერთნაირი ბოდიში მოიხადა: „ის რეზოლიუცია ნაზარმა გამოგვატანია საკათ. საბჭოში, ჩვენ რა ვიცოდით რომელი იყავით წინშესული სობოროში – შენ თუ ნიკოლაძეო, ამას გამოგისწორებთ, ნუ შესწუხდებითო, – უთქვამს კათოლიკოზს და თან ფოფხაძის სიტყვით, კათოლიკოზს თითქოს ისიც კი ებრძანებიოს, რომ „ნაზარიდან ბარათი მომივიდა, ამბროსი ფოფხაძე უნდა შემოგეჭრეს სახლში და უნდა მოგკლასო“! – ესეც რაღაც საზიზღრობაა! ამას ან ნაზარი როგორ მოიწერებოდა და თუ მოიწერა, კათოლიკოზი როგორღა იკადრებდა ამ გაფუჭებულ პირთან ასეთ რამეს

თქმას! მაგრამ ესეც ერთნაირი დამახასიათებელია ჩვენი გათახსირებისა! შემდეგ ამბროსიმ გადმომცა, რომ კათოლიკოზი შენ შესახებ კარგი აზრის არისო, ნიჭიერ და სასარგებლო პირად გთვლის, „მალე დავიბარებ თალაქვაძესო“, – ასე ბრძანაო! ამას რო ამბობდა, დეკ. ფოფხაძე თვალებში ვეღარ მიცქეროდა, ეტყობოდა, რომ ბევრი რამ ჰქონდა ნალაპარაკევი კათოლიკოზთან ჩემზე და კათოლიკოზსაც ჩემ შესახებ – სასიკეთო, რასაკვირველია, არაფერი! ეს ბაასი მე და ფოფხაძეს შორის იყო 25 ნოემბერს, ხოლო 26-ს მივიღე კათოლიკოზის მიერ სამოძღვრო კურსების დირექტორად დანიშვნის ქაღალდი და მართლაც მიბარებდა თავისთან, მაგრამ აღარ ვეახელი, იმ დღესვე წერილობითი უარი მოვახსენე, ხოლო დეკ. ფოფხაძე „გამომემშვიდობა“ და ქუთაისში დაბრუნდა! ოჰ! ღმერთო! ღმერთო! როგორიღა ვართ ეს მღვდლები – „ეს მარილნი და ნათელი ამა სოფლისანნი“!

დეკ. მელიტონ კელენჯერიძის ოინები ჩემ შესახებ

ეს დეკანოზიც ქუთათურია, კიევის სასულიერო აკადემია აქვს დასრულებული; წინეთ ეპარქიალურ საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ იყო, არ გამოდგა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს ქუთაისში; ვერც ამ ადგილზე ივარგა და გიმნაზიის სჯულის მოძღვრად დანიშნეს ფოთში; სამღვთო სჯულის გაუქმების შემდეგ ფოთიდან ისევ ქუთაისში გადმოვიდა და მენშევიკების დროს რეალურ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლობა მისცეს, მაგრამ წელს დაითხოვეს იქიდან, როგორც მღვდელი; მეტად უხეში ადამიანია, არის გაბურძგნილი თმითა (წელამდე) და წვერით, ცალი თვალით ბრმა და ერთ რაღაც „საფრთხობელას“ წარმოადგენს; მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა-მომზადება აქვს, თავისდაჭერა არ იცის, დღეს სხვა დარბაისლობა ჰმართებს სასულიერო პირს, რომ მან სრულებით ნიადაგი არ დაჰკარგოს საზოგადოებაში და დეკ. კელენჯერიძემ დაჰკარგა ეს ნიადაგი; ისიც უნდა ითქვას, რომ პროვინციაში მღვდლები თითქმის სულ თუ არა, უმეტესი ნაწილი დაითხოვეს სასწავლებლებიდან, მათ წინადადება მისცეს – წლის დამლევამდე იყავით, განაგრძეთ სწავლება, მაგრამ ერისკაცის ტანისამოსით იარეთ სასწავლებლებშიო! ერთი, რომ მეტად უხერხულია მღვდელი ერისკაცის ტანისამოსით ეჩვენოს თვისს მოწაფეებს კლასებში, სულ გაამასხარავებენ და პედაგოგიურადაც მიუღებელია ეს ზომა; მეორე, – სად ან ვის შეუძლია ეხლა ერისკაცის ტანისამოსის დაკვეთა და შეკერვა, რა ფული უნდა აუთავდეს კაცს ამაზე?! ასეთ მიზეზებით მე დროებით შევინარჩუნე მასწავლებლობა ქალთა მესამე გიმნაზიაში – ეხლა „მეოცე ტექნიკუმად“ წოდებულში, სადაც ქართველი დირექტორი ხელს მაფარებს, მაფასებს და მინახავს... დეკ. კელენჯერიძე კი შეჭრილა „ნარკომპროსში“ – ესე იგი განათლების კომისარიატში, იქ აუტეხია ერთი აურ-ზაური, „როგორ თუ სამსახურიდან დამითხოვეთ, თალაქვაძე თუ კი გყავთ მასწავლებლად, მე რა დავაშავე, რითი ვარ მასზე ნაკლებიო“ და სხვა!.. ამბობენ, ამ დღეებში შენც დაგითხოვენო, კელენჯერიძის განცხადებამ იქონია გავლენა, დეკრეტი გამოვა, რომ მღვდლების ჭაჭანება აღარ იყოს სასწავლებ-

ლებშიო! ამ ინციდენტსაც მეტად ცუდი სუნი უდის, ეს ცინცაძე-თოთიბაძის ოინებია, ამათი წაქეზებულია დეკ. კელენჯერიძე იმ საზიზღრობაზე, რომ მე გიმნაზიიდან დამითხოვონ და ხელთ მიგდონ საკათ. საბჭოს სფეროში, ლაქიად მიყოლიონ!.. ეს ინციდენტი კონფიდენციალურად გადასცა დეკ. მ. ტყემალაძემ ჩემს სიმამრს – დეკ. ზ. ლუკაშვილს: „ასეთი საძაგლობა ჩაუდენია დეკ. კელენჯერიძეს, უთხარ შენს სიძეს, იქნებ თავს უშველოსო“! აი, კიდევ ჩვენი გათახსირების ერთი ნიმუში, მდევნიან, თითქოს ცოფიანი რამ ვიყო...

5 დეკემბერი (ორშაბათი)

დღეს იყო დანიშნული ვერის წმ. ნიკოლოზის აწ გარდაცვალებულ დეკ. გრ. გიორგიძის ორმოცი, ყოფილ მთავარ ხუცესისა; საღამოზედ იყო დანიშნული პანაშვიდი; დავესწარი მეც. შეიკრიბა სამღვდელოება-დეკანოზები: კ. ცინცაძე, თოთიბაძე, ლაზრიშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ციცქიშვილი და ვ. მატათაშვილი (ადგილობრივ ტაძრისა), ჩემი სიმამრი ზ. ლუკაშვილი, უადგილო მღვდელი აბრამა ტარიელაშვილი და დიაკონი ანტონა ლაზრიშვილი, ძე დეკ. დიმიტრი ლაზრიშვილისა, რომელიც ამ დღეებში გადმოაყვანიეს დიდუბიდან ქვაშვეთის ტაძარში ცინცაძე-ლაზრიშვილთან, ესე იგი შვილი მამასთან გაამწესეს სამსახურში! [ეს გადაწყვეტილა 10 ნოემბერს ძველი სტილით, გიორგობას, როდესაც კათოლიკოზი მწირველი ბრძანდებოდა ქვაშვეთში, ხოლო საზეიმო სადილზე დეკ. ცინცაძის ოჯახში, რასაკვირველია, ეკლესიის ხარჯზე! 1919 წელს ცინცაძე-ლაზრიშვილმა შეუჩინეს დიაკონის შტატზე მსახური მღვდელი ქვაშვეთში ერასტი ფხალაძე იმავ ტაძარში მედავითნის ადგილზე მყოფ დიაკონ ნიკოლოზ ყანდარელს, ამას დასწამეს საძმო ყულაბიდან ორიათას ხუთას მანათის მოპარვა, შეუყენეს ამაზე საქმე, ვერაფერი კი ვერ დაუმტკიცეს, გამოაგდეს სამსახურიდან, ლეონიდმა კი მხოლოდ ის ნუგეში სცა დევნილ დიაკონ ყანდარელს, რომ ანაფორა გაიხადე და მეტეხის ციხის სამმართველოში მწერლის ადგილია და იქ განწესდიო! ასე შებოჭილ-შეხუთულია დღეს ჩვენში სამართალი; ეს დიაკონი კი ჩემთან არის მსახურად ნამყოფი დიდუბეში, არა შემინიშნავს რა მაგისთვის ხელმრუდობა, მიუხედავად იმისა, რომ დიდძალ ფულებში და ნივთებში ურევდა ხელს; მეტად დამწუხრებული იყო ეს ყანდარელი თვისი წვრილი ცოლ-შვილით, რომელთაც ერეკებოდა ბინიდან ლაზარიშვილი მთავარ-ხუცეს გიორგიძის საშუალებით; ამ დროს მოვიდა ჩემთან ამ ყანდარელის მეუღლე ერთ ჩემ მრევლთაგან მანდილოსნის თანხლებით და შემომჩივლეს თავიანთი უმწეო მდგომარეობა და შიშიც გამოსთქვეს, რომ შესაძლებელია, სისხლიც დაიღვაროს, რაიმე ცუდი არა ჩაიდინოს დიაკონ ყანდარელმაო. მაშინ ჩემს ტაძართან თავისუფალი იყო მედავითნის ადგილი, მე შევედი ლეონიდთან და ვსთხოვე, რომ დროებით, სანამ მრევლი არჩევნებს მოახდენდეს (მაშინ არჩევნების უფლება იყო), ეს დიაკონი გამიმწესე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ არ არის დამნაშავე, აქ რაღაც გაუგებრობა გამოვიდა და მალე გამოირკვევა, ასეთ მომზადებულ დიაკონს ასე განუკითხავად გულზე ხელს ნუ ვკრამთ, თორემ აღარავინ დაგვიდგება და ახლებსაც

ველარ ვიშოვნით თქო; დამთანხმდა, მას შემდეგ ეს დიაკონი ჩემთან მსახურებს; შარშან ქვაშვეთის ტაძარში, საძმო ყულაბთან მიასწრეს, რომ სტეხდა ის, დეკ. კ. კეკელიძის შვილს (ეხლან გაკრეჭილს), ცხადი იყო, რომ ეს ბავშვი (14 წლისა) იყო მაშინაც დამნაშავე; ასე რომ ყანდარელის უდანაშაულობა გამომჟღავნდა. მიუხედვად ამისა არავინ არავითარი ნაბიჯი არ გადასდგა მის გათეთრებისათვის, პირიქით დეკ. ლაზარიშვილი შეეცადა ეხლა ზემოაღნიშნული ერ. ფხალაძე გაეძევებია ქვაშვეთიდან, ამ დღეებში ისიც დასძრეს ქალაქიდან, სოფელ ახალ-გორში გადავიდა მღვდლად და დიაკონის ვაკანსია დაიცალა ქვაშვეთში, ამ ადგილზე გადაიყვანეს დიდუბიდან ლაზრიშვილის ვაჟი დიაკონი ანტონა. ასე „ოჯახურად“, „შინაურულად“ ეწყობიან ქვაშვეთში! ცხადია, ლაზრიშვილმა ყანდარელი მოიშორა თავიდან, გზა გაუკვლია თვის შვილს...]

შეკრებილი სამღვდელო პირნი შევიდნენ წმ. ნიკოლოზის ტაძარში, მე კი ჭირისუფლებთან ერთად პირდაპირ საფლავზე მიველ! გამოვიდნენ ტაძრიდან შემოსილნი თეთრ-ყვითელ-ჭრელ შესამოსლებში: დეკ. ან. თოთიბაძე, ნ. მაჭარაშვილი და ზ. ლუკაშვილი, დიაკონ ლაზარიშვილით; ცინცაძე-ლაზარიშვილი, ციცქიშვილი და აბრამაშვილი მგალობლებად დაირაზმნენ; მე ვიდექ განზე, არ მივიღე გალობაში მონაწილეობა. გადაიხადეს პანაშვიდი, „მგალობლები“ ისეთი დისონანსებით გალობდნენ, რომ ყურში თითს დაიცობდა ადამიანი – ნამდვილი კაკაფონია იყო! თავს დასდგომოდენ უბედურ დეკ. გრ. გიორგიძეს მისი მოსისხლე მტრები, რომელთა შეხედვა ზიზღს ჰგვრიდა მას სიცოცხლეში! აი, ასეთი პირნი „ლოცულობდენ“ ღვთისმონა „პატიოსან დეკ. გრიგოლის სულის განსასვენებლად“! უდიდესი ფარისევლობა-დაცინვა სწარმოებდა მიცვალებულზედაც და ჭირისუფლებზედ! პანაშვიდის დროს მოვიდა ჩემთან ერთ-ერთი ნათესავთაგანი ქალი განსვენებულისა – სოფიო მამამთავრიშვილის ასული და მთხოვა: „მამაო ნიკიტა!.. ამ პანაშვიდის შემდეგ, გთხოვთ, თქვენ ცალკე გადაგვიხადოთ პანაშვიდი! მამა გრიგოლი საფლავში გადაბრუნდება ამათი პანაშვიდით“! მე უარი უყავი, სადემონსტრაციოდ მე ვერ გავხდი პანაშვიდს, თუ გნებავთ, სხვა დროს ვილოცოთ ერთად თქო... პანაშვიდის დასრულების შემდეგ, როდესაც ჭირისუფლის მიწვევით მათ ბინაზე მივდიოდით ჩაიზე, დეკ. დ. ლაზარიშვილმა მკითხა: „როგორ ხარო“! მე იქვე უპასუხე: „არც ისე, როგორც მე მინდა, მაგრამ არც ისე, როგორც თქვენ გინდათ თქო“! ეს გაიგონა ცინცაძემ და სხვებმაც, შესქდათ ყველას სიცილი! „რატომ, კაცო, – მითხრა ცინცაძემ, – ეხლაც ხომ დიდუბეში არ ხარ, რომ შენი რამ გვშურდესო“. მე უპასუხე: „შურიან-ღვარძლიან ადამიანებს ეხლაც შურთ ჩემი მდგომარეობა, შურს თქვენ სიკვდილამდე არ დაიშლით, მაგრამ თქვენც კარგად ხართ უკვე მომწიფებულნი და ნახეთ, რა წაიღოთ ამ ქვეყნიდან თქვენი ავ-კაცობის და შურიანობის მეტი თქო“! – „მაგას რატომ ამბობ, მწიფეს ესროდენ და მკვახე სცვივოდაო“, – მიპასუხა ცინცაძემ! – „ეს მართალია ხშირად ხდება, მაგრამ ამით თქვენი კაი კაცობა მაინც არ დამტკიცდება“ თქო... ჩაი დავლიეთ და სახლში წამოვედით...

გზაში ჩემმა მეუღლემ გადმომცა გიორგიძის ქვრივის ეკატერინეს ჩივილი: „ჩემმა უბედურმა ქმარმა აგროვა ფული თუ სანთელი და დახეთ, ვინ უნდა გაიხაროს ეხლა ჩვენი ამაგითო! თოთიბაძემ სამხედრო ტაძრიდან გამოგზავნა ბრანძ-

ბრუნძი შესამოსლები, საქორწინო გვირგვინი და რაღაც ასეთი წვრილმანი სამკაულები, ამაებში თორმეტი მილიონი გაიტანა ტაძრიდან და თავისთვის წაიღოო“! აი, ესეც ჩვენი დროის „ეთიკა“! სამხედრო ტაძარში შეკრებილ შესამოსლებს ზოგს პურზე სცვლის თოთიბაძე, ზოგს ფულზე ჰყიდის და თვითონ მიირთმევს! ამაში ვინ ჰყავს ხელის შემშლელი! მთავრობა არ ერევა ტაძრის საქმეებში, სასულიერო მთავრობას ერთი რომ არ ემორჩილება, ეს „პროტოპრესვიტერი“, რომელმაც ცალკე „ოლქად“ მოგვაწოდა თვისი ტაძარი და რომც ემორჩილებოდეს, მაინც კათოლიკოზი ამბროსი და ცინცაძე ხომ ხელს არ შეუშლიან! ეტყობათ, რაღაც კომბინაციებია კიდევ ვერის ნიკოლოზის გარშემო, შეიძლება ეს სამრევლო სოფლად ამ ორი თვის წინეთ გასულ დეკ. ბენიამენ კონტრიძეს მისთავაზონ (უნივერსანტია, შარშან დაბრუნდა ბაქოდან, იქ იყო რუსებთან სამსახურში, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ეკლესიურ უფლებათა აღდგენის მოძრაობაში, შარშან რო აღარ ეცხოვრებოდა ბოლშევიკებისაგან, გადმობრძანდა ქალაქში, საკათოლიკოზო საბჭოს წევრად აარჩევიეს მეორე საეკლ. კრებას, მასწავლებლადაც იყო ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, მაგრამ წელს აღარ ინება საკათ. საბჭოში წევრობა, მასწავლებლობაც „ძნელ საქმედ“ ეჩვენა და მანგლისისაკენ სოფელ „პრიუტში“ (აქ რუსობაა) ინება მრევლის მიღება). ყოველ შემთხვევაში ეს კაცი უფრო გულწრფელია სხვებზე, გამოტყდა და მითხრა, რომ ამბროსის კათოლიკოზობა დიდი უფერული და უმნიშვნელო იქნება, ეს სხვისი სათამაშო იქნება, არც წირვა ეხერხება, არც ლოცვა, არც ქადაგება, ცივი-ურწმუნო სულის პატრონია, ამას ბევრად აჯობებდა ნაზარიო! გაშორდა ქალაქს დეკანოზი კონტრიძე, მაგრამ შეიძლება ჩემს ჯიბრზე შესთავაზონ მას ვერის ნიკოლოზი და ისიც დაბრუნდეს ქალაქში, მანამ კი დეკ. თოთიბაძე-ცინცაძე და კომპანია „დასწურავენ“ ვერის ტაძრის სალაროს და მიუგდებენ სხვას, მგონი, ვერ ბედავენ ამ ტაძრის სამხედრო ტაძარზე მიწერას. ბენიამენი ვერ არის კეთილად განწყობილი ვერც ციცქიშვილთან, ამ ზაფხულს კონტრიძემ მრევლი სოფელ ნაბახტევში მიიღო ლეონიდისაგან, მაგრამ ეს მრევლი ციცქიშვილმა ჩამოართვა – „დამითმე მე, სურამზე ახლოს არის, მე უფრო ადვილად ვიმსახურებ აქ ჩემი სახლიდანო“; ბენიამენმაც დაუთმო; ეს შემომჩივლა კონტრიძემ მე; ეხლა კი ციცქიშვილმა ეს კონტრიძისგან დათმობილი ნაბახტევი გადასცა თვის ძმას, მღვდელს, ადამიანს ნახევრად ჭკუით სულელს, უსწავლელს, რომელიც რომელიღაც სამრევლოდან დაუთხოვიათ იმერეთში; ეხლა ნაბახტევში მოათავსა; თვით წმ. ნიკოლოზი იგდო ხელთ დროებით, შემდეგ ეპისკოპოსად გახდება ქართლისა და მერე ვნახოთ, როგორც დატრიალდეს ჯარა ასეთ „იერარქთა“ შორის უბედურ საქართველოს ეკლესიაში! ცხადია, სახარების ფარისეველ-სადდუკეველნი ჩვენთან შედარებით წმინდანებად სჩანან; აგრეთვე კომუნისტ-ბოლშევიკებიც სრულ მართლებად გვეჩვენება, როდესაც სამღვდელოების მოსპობას ჰქადაგებენ! კომუნისტებს არ სწამთ, აშკარად არ სწამთ, უარს ჰყოფენ ისინი ყოველივე რელიგიურს, ზებუნებრივს, თვით ღმერთსა, ჩვენ კი, თითქოს ეს ყველაფერი გვინდა, მაგრამ გვინდა ფორმალურად, გარეგნულად, არსებითად კი არც ჩვენ გვწამს არც ღმერთი, არც ხატი, არც რაიმე სულიერება, გაშმაგებული მატერიალისტები ვართ! მორწმუნე ღვთის მავედრებელი და ერის ზნეობრივი ხელმძღვანელები განა ისე მოიქცევიან, როგორც ჩვენ ვიქცევით?!.

აკი, ისედაც გვწყალობს ღმერთიც! ინგრევა ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის კავშირი, ქვეყანა ღატაკდება, ყაჩაღობა-ძალმომრეობა, ქურდობა-ავაზაკობა-მკვლელობა, მიწის ძვრანი, ხან გვალვა და ხან ხანგრძლივი წვიმები, მოუსავლობა და სიძვირე, სიტიტვლე-სიშიშვლე, აი რა დაეუფლა დღეს უღმრთო ერსა – მღვდელსა და ბერსა... ბერობა ან კი სადღაა, დაცალიერდა მონასტრები, ლოცვანი არ გადაიშლება ხოლმე დღევანდელ მღვდელთა და ბერთა შორის. ჩვენი კათოლიკოზის კარის ეკლესია დაყრუებულია, შიგ არც წირვა და არც ლოცვა, სიონში სულ ერთხელ იყო მწირველი კათოლიკოზი, რაც ეკურთხა! ამას წინეთ ისევ „სამხედრო“ ტაძარში მიიწვია თოთიბაძემ ვიღაც მდიდარ ვაჭრის შვილის დასაფლავებაზე (ტაძრად მიყვანების დღეს), ფული აიღო და ისარგებლა! თოთიბაძეს კი თვისი „სამხედრო“ ტაძარი ვერის ნიკოლოზზე მიუწერია! ამ ტაძრის ეზოში მდებარე სასაფლაოზე არის ერთი ვაკხანალია! საფლავის ფასებზე არავითარ კვიტანციას აღარ იძლევიან, ფულებს ჯიბეში იდებენ ვინ ვის მოასწრებს ისე – თოთიბაძე, ციცქიშვილი თუ მატათაშვილი; სამხედრო ტაძრის დიაკონი გრიგორიევი მისულა ვერის ნიკოლოზში და უკითხნია: მიეცით თოთიბაძეს თორმეტი მილიონი თუ არაო?! თუ მიეცით, მეც წილი მიძევს შიგ, ჯერ კი ჩემთვის არა მოუცია რაო! ასეთი ტაციობა გაამეფა კათოლიკოზმა ამბროსიმ! როგორც თვითონ არის გულ-ცივი, ურწმუნო, უნდო, ისეთი ჯგუფიც შემოირტყა გარს – „ახალი სიტყვის“ რედაქტორ (ციცქიშვილი) – „მოლარე“ (თოთიბაძე და ძმანი მისი შუბლაძე-ცინცაძე-დავითაშვილი-ივანიცკი-ინგილო!)! ამ ურწმუნო, გულ-ღრძო ხალხის ხელში სულ იღუპება ჩვენი ეკლესია, როგორც ორგანიზაცია! დიდი და სისტემატიური მუშაობა აქვთ გაჩაღებული კომუნისტებს სარწმუნოების საზოგადოდ და სამღვდელოების გასაბიაბრუებლად კერძოდ, აქვთ გამართული ეგრედ წოდებული „აგიტპუნკტ“ (სააგიტაციო პუნქტი) და თითქოს მიზანსაც აღწევენ, ნელ-ნელა უთხრიან ძირს ქრისტიანულ რწმენა-ზნეობას და ტრადიციებს ჩვენს ერში, აღვიძებენ ადამიანში მიწიერს-ქვეყნიერს-პირუტყვულ მისწრაფებებს, ახშობენ და აქარწყლებენ ზებუნებრივს, სულიერს-ზეციერ შემეცნებას მასში! ვინ არის პატრონი?! სად არის „მწყემსი კეთილი“?! ვართ მხოლოდ „სასყიდლით დადგინებულნი“!..

მთავარ-ხუცესზე და ჩიჯავაძეზე

ამას წინეთ გზად შემომხვდნენ დეკანოზები ლაზარიშვილი და მაჭარაშვილი, სალამი მომცეს შორიდამ და მისაყვედურეს: „რატომ განაცხადე უარი დირექტორობაზეო“?! – მე უპასუხე: „უფროსობა რა ჩემი საქმეა, ვინ მაუფროსებს, მე კი თანამშრომლობაზე უარი არ განმიცხადებია, თუ კურსებს მოაწყობთ, დააარსებთ, მე სიამოვნებით გიშველით, ვიმუშავებ, ვასწავლი თქო! ხო იცით, რომ მე არავინ ხელს არ შემიწყობთ და რაზე მისაყვედურებთ თქო?! ვინც „ახალი სიტყვის“ წრის გარეშე დარჩა, ის თქვენში ვერას გახდება, ისევ თქვენ თუ რაიმეს გააკეთებთ, ისევ თქვენ თუ ისინდისებთ, ისევ თქვენ თუ ჩემს

„ჯიბრზე“ სიკეთეს იქმთ, ეს იქნება ჩემი ჯილდო და სასიამოვნო თქო“! – „რაზე გაგვირბიხარ, აღარ გვეკარებიო“, – მისაყვედურა დეკ. ნ. მაჭარაშვილმა! ეს საყვედური ეხებოდა იმას, რომ ამ ერთი კვირის წინეთ მოწვეული იყო ტფილისის საოლქოს კრება მთავარ-ხუცესის (ბლაღოჩინი) ასარჩევად; ამ თანამდებობას ასრულებდა კათოლიკოზის მონდობილებით ეს მაჭარაშვილი, იმედიც ჰქონდა, რომ თვითონვე იქნებოდა არჩეული, ის იყო სასურველი პირი, როგორც კათოლიკოზისათვის, ისე ცინცაძე-თოთიბაძე-„ახალ სიტყველებისათვისაც“! მაგრამ ისე წასულა საქმე, რომ კრებას აურჩევია წმ. ნინოს სასაფლაოს წინამძღვარი დეკ. დიმ. ხახუტაშვილი (ლეონიდისგან გამწესებული, გადმოყვანილი მცხეთიდან, სადაც საგანგებოდ იყო გადმოყვანილი ახალციხიდან, მაგრამ მცხეთა გასცარცვა-გაყვლიფა და ტფილისში არჩია გადმოსვლა, სასაფლაოს სამ ყაჩაღ-ქურდ მღვდლებს ეს მეოთხეც დაუმატა ლეონიდმა). აი, ეს ხახუტაშვილი აურჩევიათ ღია ხმის მიცემით, ხოლო მის თანაშემწეთ ნავთლუღის დეკ. იოსებ ჩიჯავაძე, კირიონის ყოფილი პირადი მდივანი – კაცი მსუბუქი ზნეობისა, მჩატე ყოფაქცევისა, მტაცებელი საზოგადო ქონებისა, დიდი გამოქნილი და ოსტატი, მოწინააღმდეგე „ახალ-სიტყველებისა“! ეს აწარმოებს „ამერ-იმერლობიას“! მოძულეა იმერლობისა, გამთიშველი ქართველთა ძმობისა! ამ ნიადაგზე მე მასთან მქონდა დიდი შეტაკება 1907 წლის სამღვდელოების სიეზდზე, როდესაც ექსარხოსი ნიკონი გავლახე სიტყვით, გავაქციე კრებიდან; ამის შემდეგ ჩიჯავაძე დამეტაკა; როდესაც საქართველოს ეკლესიის სახეს და დარჩენილ ქონებას ვიცავდი რუს-ბერძენ-აისორ სამღვდელოების პრეტენზიებისაგან (საქმე ეხებოდა ძველი სემინარიის შენობას, პუშკინის ქუჩაზე, ეს „შენობა ან მოგვყიდეთ ან გაგვიცვალეთ ახალ შენობებზეო“, – წინადადება მოგვცა ნიკონმა სინოდის სახელით, ამაზე უპასუხე: „ჩვენ მოვითხოვთ დაგვიბრუნდეს ის ქონებაც, რომელიც წაგვგლიჯა რუსის მთავრობამ და სინოდმა, თქვენ კი ამ უკანასკნელ საუნჯესაც გვიპირებთ ხელიდან გამოცლას, ჩვენ არც გასასყიდი გვაქვს რაიმე და არც გასაცვლელი; ძველიც ჩვენია და ახალიც, სინოდი ვალდებული იყო, საზოგადო კანონის ძალით სემინარიის შენობა თვითონ აეგო თქო“). ასეთი პრინციპიალური მსჯელობა მქონდა, ეს ალბად შეშურდა სოსო ჩიჯავაძეს და მწვდა ყელში: „ეს შენობა აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებისაა, ამას ჩვენ რუს-ბერძენ სამღვდელოებასთან ზიარათ ვინაწილებთ, ესენი ჩვენი ძმებია, იმერლები კი ბიძაშვილებიო“! ამაზე მეტად გავამათრახე ჩიჯავაძე. სამღვდელოებამ ოვაცია გამიკეთა, შემდეგ პოლემიკა გაიმართა ჩემსა და ჩიჯავაძეს შორის გაზეთში, სამედიატორო სამართალიც კი იყო დანიშნული, მაგრამ აღარ შესდგა. ეს ჩიჯავაძე ეხლა ჩემთან შედარებით კარგ განწყობილებაშია, მაგრამ დანდობა მაგაზე ყოვლად შეუძლებელია... არის ქვრივი, მაგრამ ხასად უზის სახლში რუსის დედაკაცი, კათოლიკოზად კი სურდა თავის-თავი! ასეთი უბედურებაა დღეს ჩვენს თავზე! ასეთი მთავარ-ხუცესი და მისი თანაშემწე გვყავს დღეს ჩვენ ქალაქში! გულდაწყვეტილია დეკ. ნ. მაჭარაშვილი, რომელიც უყურადღებოდ იქმნა დატოვებული! მისაყვედურა რატომ კრებაზე არ იყავიო! (არ დავესწარი განგებ, რომ ვინმეს კანდიდატად

არ დავესახელებიე, კათოლიკოზმაც ამას წინეთ გესლიანად მითხრა – „სამ-ღვდელოება მთავარ-ხუცესად აგირჩევსო“, მე უპასუხე: „ვეცდები, რომ ეს არ მოხდეს თქო“. ვიცოდი, რომ არც მას და არც მის კამარილიას მთავარხუცესად არ ვეპიტნავებოდი, მაგრამ, როგორც ვატყობ, არც ხახუტოვ-ჩიჯავაძე უნდა იყოს მათთვის სასიამოვნო, ამათ უხმო, უილაჯო, რბილი მაჭარაშვილი სურ-დათ (ძველი ნაბლაღოჩინარი იყო, ეს გიორგიძის არჩევის დროს მე გავაცურე განზე და ძლიერ ჯავრობდენ ჩემზე); ამ მაჭარაშვილმა ჩააბარა ციცქიშვილს ვერის სამრევლო, ამანვე გამოიყვანა სამსახურიდან დამსახურებული დე-კანოზი – ბლაღოჩინი სოლომონ შოშიაშვილი ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სამრევლოდან და მისი ადგილი გადასცა რაფიელ ივანიცკის (საკათ. საბჭოს წევრის) ძმას დეკ. აპოლონ ივანიცკის, რომელიც დიაკონის შტატზე იყო იმავ ტაძარში, ამან სოფლად გაუცვალა ალაგი მღვდელ ხარლამპი ხუციშვილს, რო-მელსაც ბრალად ედება მღ. ტიმოთე ბაკურაძის მოკლის მოწყობა 1920 წლის საეკლესიო კრების გახსნის წინა ღამით – ლეონიდ-დავითაშვილის და „ახალ-სიტყველების“ სასიამოვნო და მათი ხელის შეწყობით ხუციშვილი ჰფიქრობდა ამით დაემსახურებია შოშიაშვილის ადგილი, მაგრამ, როდესაც ხმა გავარდა ბაკურაძის მკვლელობის მომწყობ ჯგუფზე და ხუციშვილიც დასახელებულ იქმნა ამ ჯგუფში, ხუციშვილი შეშინდა და ალაგი გაუცვალა აპ. ივანიცკის, აი ამან მიიღო კიდეც ეს ალაგი ახლახან თვის ძმის რაფ. ივანიცკის მფარველობით, ისე ამ ადგილს, რომელიც ერთი საუკეთესო მრევლად ითვლება ქალაქში, მაგას არავინ დაანებებდა... ასეთია დღეს ჩვენი საქმენი საგმირონი! ასეთ საქმეს ხელს არ მოუწყობდა მთავარ-ხუცესი გიორგიძე, მაჭარაშვილი კი!..

14 დეკემბერი

სტუდენტი ჩვენი უნივერსიტეტისა ყოფილი სემინარიელი ჩაჩანიძე შემო-ვიდა ჩემს ბინაზე, რაღაც წიგნი მთხოვა. შემდეგ ლაპარაკი ჩამოუგდე ქართულ უნივერსიტეტზე, როგორ მიდის საქმე, სწავლა გაქვთ თუ არა თქო?! ამაზე მიპასუხა: „სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტზე გვაქვს სისტემატიური ლექ-ციების მოსმენა, ლექციებს გვიკითხავენ რექტორი ივ. ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძეო“! – ეს კეკელიძე რას ჰკითხულობს თქო, – ვკითხე; „ქართულ საეკლესიო ისტორიასო, მაგრამ მეტისმეტად რაციონალისტურად აშუქებს ჩვენს საეკლესიო ისტორიას, დიდი ურწმუნო ვინმე ყოფილა ეს ჩვენი ყოფილი სემინარიის რექტორი, დეკანოზი კეკელიძეო (თვით ჩაჩანიძე სემი-ნარიელი მოწაფე იყო კეკელიძისა, ოდეს ეს მიტროსანი დეკანოზი იყო); არც ანდრია მოციქულის მოსვლა სჯერა საქართველოში (ეს პროფ. გოლუბინსკიმ მასზე ადრე უარჰყო), არც წმ. ნინოსი, ეს რაღაც ზღაპრად მიაჩნიაო, სულ უარს ჰყოფს ყოველივე ზებუნებრივს და სულიერსო“... კარგი საეკლესიო ისტორი-კოსი გყოლიათ, მომილოცნია თქო, უპასუხე მე ახალგაზრდა სტუდენტს, რო-მელიც, ეტყობა მორწმუნე ყმაწვილია და ძლიერ სწუხს თვისს „პროფესორის“

ასე მეტის-მეტად გადაკაჭკაჭებას და „გარაციონალისტებას“! მაგრამ ქარი დღეს მატერიალიზმის ბანაკიდან ჰქრის, ხოლო კეკელიძეს მუდამ ცხვირი იქით ეჭირა, საიდანაც უფრო ძლიერი ქარი ჰქროდა! ასეთია ჩვენი ეხლანდელი „გაკრეჭილი“ საკათოლიკოზო საბჭოს წევრი – ერისკაცთაგანი – კ. კეკელიძე, რომელიც აქეთაც არის, იქითაც, ჩვენი ფული უნდა მხოლოდ, სჯული კი არა!..

17 დეკემბერი (4 ძველი სტილით – „ბარბალობა“)

დღეს ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიაში ვიყავი ტაძრის დღესასწაულზე მწირველად, დამპატიჟა ზემოაღნიშნულმა დეკანოზმა იოსებ ჩიჯავაძემ. უპირატესად გვყავდა ეხლახან არჩეული მთავარხუცესი დეკ. დიმ. ხახუტაშვილი, თანამწირველობდა ნაძალადევის დეკ. მიხ. მახათაძე და მე, თვით წინამძღვარი დეკ. ი. ჩიჯავაძე არ იყო მწირველი, განიცადენზე ერთხელ და სამუდამოდ დაწერილი რუსული ქადაგება წაიკითხა; წირვაზე სულ რუსები იყვნენ თითქმის, გალობდენ ოთხი-ხუთი რუსი, მეტად ულაზათოდ, ხახუტაშვილი და მახათაძეც „უპარუსკებდენ“, ერთიორი კვერექსი შემხვდა და ის ქართულადა ვსთქვი, – მეტად ულაზათო, უსასო წირვა იყო – არც სამოციქულოსი და არც სახარებისა ხალხს არა გაუგია რა (ორივე რუსულად და მეტად და მეტად ბუნდოვანად იყო წაკითხული); ხალხიც მეტად ცოტა იყო წელს, ეტყობა კომუნისტებმა იქონიეს შესაფერი გავლენა, ხალხმა გული აიცრუა სარწმუნოებაზე, ხოლო რა მიიღო მაგიერი, ამის განხილვაში არავინ შედის...

მთავარხუცესმა ამ დღეს გვაჩვენა „ტფილისის საეპარქიო საბჭოს კანცელიარიის“ მისდამი მიწერილობა ამა 1921 წლის 14 დეკემბრის თარიღით №1241 შემდეგის შინაარსისა:

„მთავარხუცესს – დეკანოზს დ. ხახუტაშვილს.

მცხეთა-თბილისის საეპარქიო სამწერლო ამით გაუწყებთ სათანადო გამოცხადებისა და განკარგულებისათვის, რომ საკათოლიკოზო საბჭომ 6-ს ამა დეკემბრის სხდომაზე იქონია მსჯელობა კათოლიკოზ პატრიარქის ქორეპისკოპოზის კურთხევის შესახებ და გამოიტანა შემდეგი განჩინება: 1) ურბნისის კათედრაზე ეპისკოპოსად დასახელებული დეკ. ქრ. ციცქიშვილი, თანახმად მისი უწმინდესობის წინადადებისა, დანიშნულ იქმნას კათოლიკოზ-პატრიარქის ქორეპისკოპოზად დროებით და აყვანილ იქმნას ეპისკოპოზის ხარისხზე მანგლელის სახელწოდებით; 2) ქორეპისკოპოზს მიეჩინოს სამწირველოდ წმ. გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძარი; 3) წმ. გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძარი მისი კრებულით და ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესია მისი კრებულითვე გაერთიანდეს ყოველგვარი მოვალეობისა და შემოსავლის მხრივ; 4) წინამძღვრობა გაერთიანებული ეკლესიებისა დაევალოს დეკანოზს ანტონ თოთიბაძეს; 5) საცხოვრებლად ქორეპისკოპოზს მიეცეს ვერის წმ. ნიკოლოზის წინამძღვრის ბინა; 6) ქორ-ეპისკოპოზის შესანახად <u>ტფილისის ეკლესიებმა</u>, გარდა სიონის

ტაძრისა, გადასდონ თავის შემოსავლიდან საკათოლიკოზო საბჭოს ფონდში ყოველთვიურად, პირველი დეკემბრიდან, 3% შემოსავლისა; შემოსული ფულიდან მიეცეს ქორ-ეპისკოპოზს 800 ათასი მანათი ყოველთვიური ჯამაგირის სახით და ორი ფუთი ფქვილი; 7) ქორეპისკოპოზი მოწვეულ იქმნას საკათოლიკოზო საბჭოს წევრად სათათბირო ხმით".

სამწერლოს გამგე დ. დავითაშვილი
თანაშემწე დეკ. გ. კიკნაძე

P. S. დეკანოზი ქ. ციცქიშვილი მის მღვდელმთავრად აღყვანამდე, თანახმად მის უწმინდესობის განკარგულებისა, მიიღებს საძმო შემოსავლიდან მღვდლის წილს.

სამწერლოს გამგე დ. დავითაშვილი
თანაშემწე დეკ. გ. კიკნაძე
ნამდვილთან სწორეა, – დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე"

ეს დოკუმენტი მოვისმინეთ ნავთლუხში და აღშფოთებული ვიყავით ამ აშკარა უსირცხვილო მოქმედებით ცინცაძე-თოთიბაძე-ციცქიშვილისა, რომელთაც შეუბოჭიათ კათოლიკოზი და საკათოლიკოზო საბჭოც თავიანთ სათარეშო მოედნად გაუხდიათ; ემათ მხარს უჭერს დეკ. დიმ. ლაზრიშვილი, რომელიც დიდად სარგებლობს სანთლის ქარხნის წარმოების უკანტროლოდ ხელში ჩაგდებით; კერძო ვაჭრობა სანთლისა მოსპო, ყოფილ ჩვენს დუქნებში კერძო პირები განაგრძობენ ვაჭრობას, ხოლო მათთან კავშირი აქვს ლაზრიშვილს; ამასვე კავშირი აქვს ქუთათურ-კულაშელ ურიებთან, რომლებიც მაგას აწვდიან კოშტ-სანთელს, აქაც საკომისიოსაც ღებულობს; დიდუბის ეკლესიიდან კათოლიკოზს გადმოაყვანინა თვისი შვილი დიაკონი ანტონ ლაზრიშვილი ქვაშვეთის ტაძარში, სადაც მამაც მსახურებს! აი, ასე „ოჯახურად" და თბილად ეწყობიან ჩვენი მღვდლები ქალაქში, თითქოს ქალაქის ტაძრები მათი ცოლების ნამზითვი იყოს! ეგევე დიაკონი ლაზრიშვილი მამამ – დირექტორმა საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობისამ, ამ გამგეობაშიაც გადმოიყვანა სამსახურში – დიდი ჯამაგირით!.. ეს ადგილი უთხოვია ქუთაისის საკრებულო ტაძრის საკათედრო დეკანოზს ჭეიშვილს, უთხოვია ასევე ადგილი სამების მღვდელს აივაზოვს (სემინარიელია), მაგრამ ორთავეს უარი უყვეს და მისცეს დამთხვეულ, უზრდელ-უცოდინარ-ქურდ (დიდუბის ხატის გაქურდვაში ბრალი ედებოდა, მაგრამ მიაფუჩეჩეს...) დიაკონ ანტონა ლაზრიშვილს, რომელიც კომერციულ სასწავლებლის მესამე კლასიდან არის გამორიცხული უნიჭობა-უსაქციელობის გამო და ერთხელ მტკვარშიც გადავარდა თავის დასახრჩობად, მაგრამ გადაარჩინეს... ასეთია ჩვენი საქმეები დღეს!..

ნავთლუხში ყოფნის დროს დეკ. ი. ჩიჯავაძემ გადმომცა, რომ „მე კათოლიკოზმა ამბროსიმ დამავალა, შეგაგონო შენ – დასთანხმდე სამოძღვრო კურსების დირექტორობაზეო"! მე უპასუხე: „რაზე იმცირებს ამ ზომ თავს მისი უწმინდესობა! თუ მისი წინადადება და თხოვნა არ მივიღე ამ თაობაზე, რატომ ჰფიქრობს ის, რომ შენს „შეგონებას" მივიღებ?! ან შენ რატომ აიღე შენს თავზე

ასეთი დავალება?! მაგრამ მე თქვენ გატყობთ, რომ არც ერთი გულწრფელი არა ხართ და ამიტომაც არის, რომ ღმერთიც ხელს მიმართავს თქო! კაცო! სად არის კურსები?! ან ვინ არის მაგ კურსებში შემომსვლელნი?! თქვენ და ცინცაძე-თოთიბაძე-ლაზარიშვილები შემოხვალთ კურსებზე, მე თანახმა ვარ, გასწავლოთ სჯულიც, ზნეობაც და ადამიანობაც! მაგრამ საამისოდ თქვენ სად გაქვთ დრო!" – ხუმრობად გადავაქციე ლაპარაკი და თვითონაც დაიწყეს სიცილი – მთავარხუცესმა, დეკ. მ. მახათაძემ და თვით მამა იოსებმაც! – მე „დირექტორობაზე" განვაცხადე უარი, თანამშრომლობაზე კი არა, მე, როგორც შედარებით განათლებული მღვდელი, ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს სამოძღვრო კურსებზე ვიმასწავლებლო, მაგრამ უფროსობა-ხელმძღვანელობას ვერ ვიტვირთებ, ვინაიდან, როგორც თვით კათოლიკოზმაც მიბრძანა 4 ნოემბერს, მე „ხელს შემიშლიან, არ თანამშრომლობენ ჩემთან და ამ ადგილზე არ გამოვდგები" – ამის შემდეგ კი 26 იმავ ნოემბერს მნიშვნავს „დირექტორად", რომ ამ „საპატიო ადგილით" პირი მოიწმინდოს და ერთნაირი გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს საზოგადოების წინაშე, რომ ვერის სამრევლოზე ასე უსაბუთოდ უარი მიყო და ის სამრევლო თოთიბაძე-ციცქიშვილს გადაუგდო საკვებ-ულუფად"!..

ისევ კათოლიკოზთან! 1921 წ.

24 დეკემბერს (თვის თავზე), შაბათს, ლოცვის დროს კათოლიკოზის კელეინიკმა გადმომცა ამბროსის სადარბაზო ბარათი, შემდეგი წარწერით: „მამაო ნიკიტა! თუ ლოცვის შემდეგ მნახავ, დიდად დაგიმადლებ. თქვენი ერთგული ამბროსი კათოლიკოზი". მეც ვეახელი ლოცვის შემდეგ. მიმიღო თვის კაბინეტში, დავჯექით თუ არა, ისევ წინადადება მომცა „დირექტორობაზე": „მე გავიგე, რომ შენ ჩემზე ძალიან გაჯავრებული ყოფილხარ, მე კი შენთვის საუმჯობესო რამ განვიზრახე და მოგეცი, შენ რაზე გეკადრება საცეცხლურის ქნევა, შენ უფრო ინტელიგენტური საქმე გშვენისო" და სხვა ასეთ კილოზე ბევრი ილაპარაკა, უსისტემოდ, უაზროდ, ზედვე ეტყობოდა საშინელი თაღლითობა-თვალმაქცობა, ერთნაირ მოვალეობას იხდიდა ჩემს წინაშე. მეც ეს შევნიშნე და



კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის სადარბაზო ბარათი

უგდებდი ყურს, ხმა არ ამომიღია, სანამ თვისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბაასი არ შესწყვიტა. შემდეგ მეც უპასუხე: „თქვენზე გაჯავრება ეს რა სათქმელია, მაგრამ, რომ დიდად ნაწყენი ვარ, ამას კი არ დაგიმალავთ! მე არც კი ვფიქრობდი ვერის სამრევლოს თხოვნას“. რატომო, – მკითხა, – იმიტომ, რომ წინდაწინვე ვიცოდი, რომ თოთიბაძე-ცინცაძე არ დაგანებებდენ თქვენ იმ მრევლის ჩემზე მოცემას, მაგრამ მრევლის წარმომადგენლებმა, რომელთაც მე ეს აზრი გაუზიარე, ძალა დამატანეს და დღისით ისინი გეახლენ, ხოლო საღამოთი, 26 ოქტომბერს, მე შემომატანიეს თხოვნა თქო! გავიგე ისიც, რომ თურმე იყო ისეთი მომენტი, რომ თქვენ კიდევაც გებოძებიათ ჩემთვის ვერის სამრევლო, მაგრამ შემდეგ გაგაგდებიეს ხელიდან ეს თქვენი განკარგულება თქო. აქ თავი ჩაღუნა, შერცხვა და ჩაილაპარაკა – ეს არ არის მართალიო! – შეიძლება თქო, მეც მოვახსენე და განვაგრძე – მე თქვენგნით აღარავითარ სიკეთეს პირადად ჩემთვის არ მოველი, სანამ თვით ცინცაძე-თოთიბაძე არ მოიღებენ ჩემზე თავიანთ მოწყალებას, ხოლო მე ღვთის მოწყალებას ვეძიებ, მაგათი მოწყალება არ მსურს თქო! ეს „დირექტორობა“ რომ რეალური რამ იყოს და მას საბოლოო – სასიკეთო რამ პირი უჩნდეს განა მე დამანებებდენ მაგ „საპატიო“ თანამდებობასა თქო! ტყვილა ნუ შესწუხდებით, თქვენო უწმინდესობავ, დეკ. ჩიჯავაძისათვისაც კი დაგივალებიათ – „შემაგონოს“ დირექტორობაზე დათანხმება, თუ თქვენ ვერ შემაგონეთ და ვერ დამაჯერეთ, განა ჩიჯავაძე კი შესძლებდა ამას, განა ჩიჯავაძეს მე თქვენზე მაღლა დავაყენებ რაიმე შემთხვევაში?! მე თქვენ უკვე მოგართვით დასაბუთებული მოხსენება „დირექტორობაზე“ უარის შესახებ და ერთ სიტყვასაც კი ვერ წავიღებ უკან, რაც იქ დავსწერე. მოგახსენებ კი – კადნიერებით, რომ 4 ნოემბერს თქვენ ნამდვილი მიბრძანეთ ამ „დირექტორობისათვის“ ჩემს უვარგისობაზე, ხოლო 24 იმავ ნოემბრის წინადადება კი არის დიპლომატიური ნაბიჯი! მე არ მეგონა, რომ თქვენ ჩემთან ასეთი „დიპლომატობა“ დაგჭირდებოდათ თქო... შემდეგ გადავედი ზემო აღნიშნულ საკათ. საბჭოს განჩინებებზე და ანალიზი უყავი ამ განჩინებებს (ეს ანალიზი ცალკე მოხსენების სახით, უკვე ჩავაბარე მთავარხუცესს დიმ. ხახუტაშვილს 1922 წ. 3 იანვრის თარიღით № 1-ით), გამოსთქვი ჩემი განცვიფრება ამ განჩინებებზე; სხვათა შორის მოვახსენე, რომ დეკ. ციცქიშვილის თბილისში „მანგლელობა“ აღმაშფოთებელია თქო! ამ „ახალ სიტყვის“ ყოფილ რედაქტორს, რომლის ზურგს უკან იმალებოდა ნიღაბიანი კალმოსნები: „ახელი“, „ახუთელი“, „ა-ელი“, „ნაჭყეპია“, „ჯაჭვაძე“ (ეს სულ დეკ. ი. შუბლაძის – ერთი ადამიანის პსევდონიმებია!), აგრეთვე „ბაბასინ“ და „ჭინჭარი“ (ეს უბედურ ლეონიდის პსევდონიმებია!) და ამათ ავან-ჩავან მაჩანჩალებს, ჩვენ კირიონ კათოლიკოზის „ზნეობრივი მკლელები“ უწოდეთ საჯაროდ და პრესაშიაც, დეკ. ციცქიშვილს, რომელიც ზემოაღნიშნულმა „კალმოსნებმა“ საჭიდაოდ გამოუშვეს თქვენ მეგობარ, აწ განსვენებულ, ანტონ ქუთათელის წინააღმდეგ, თქვენ ეპისკოპოსად – „მანგლელად“ უპირებთ კურთხევას, მის შენახვასაც თბილისის ეკლესიებს აკისრებთ?! 1919 წელს მაისში, თბილისის სამღვდელოებამ თავხედი დეკ. ციცქიშვილი საოლქო კრებიდან გარედ გააგდო, რო კრებიდან გამოდიოდა, მოგვიბრუნდა და დაგვიძახა: „თქვენც შეგარცხვინოს ღმერთმა და თქვენი კრება-

ცაო“! მას შემდეგ ის ჩვენს კრებაზე აღარ გამოცხადებულა, ბოდიშიც კი არ მოუთხოვია, ამ თაობაზე ოქმიც კი იყო შემდგარი და წარედგინა კათოლიკოზ ლეონიდს, ასეთ კაცს ჩვენ ხელზე უნდა ვემთხვიოთ?! განა ამას მოველოდით ჩვენ თქვენგან?! ან რაზე გჭირდებათ „ქორ-ეპისკოპოსი“? თუ არა და მთავარ-ხუცესი იგივე „ქორ-ეპისკოპოსი“ არ არის?! ან რა საქმე გაქვთ ისეთი, რომ ეპისკოპოსი გჭირდებათ ქალაქში?! თუ „ურბნისის“ კათედრაზე დაასახელეს დეკ. ციცქიშვილი და ამ ზაფხულს მომხდარ საეპარქიო კრებაზე გორში ის არჩეულიც იქმნა (არ ყოფილა არჩეული!), ისევ იმ ეპარქიისათვის აკურთხეთ, იმ ეპარქიამ შეინახოს და იქვე იცხოვროს. სიონი ვერ მოგიწყვიათ „სამწირველოდ“ და ეხლა „ყოფილი სამხედროც“ ციცქიშვილს „სამწირველოდ“ უნდა მოუწყოთ?! მაგრამ ბარემ ის „ყოფილი სამხედრო ტაძარი“ თქვენს საკათედრო ტაძრად გამოაცხადოთ, როგორც ეს ჰქონდა განზრახული ექსარხოსებს ნიკონ-ინოკენტის და მათ ამაში ხელს უწყობდა ცინცაძე-თოთიბაძე?! სირცხვილი არ არის ასე ჩვენი გასულელება?! რატომ ჩაუვარდით ამზომ ტყვეთ ამ ორ ჩვენი ეკლესიის „მესაფლავეებს“?! ამაზე მიპასუხა: „გავაგდებიოთ ხელიდან მესაფლავეებს ბარი და ნიჩაბიო“! – როგორ უნდა გავაგდებინოთ, როდესაც თქვენ ასე მაგრად ხელთ აძლევთ მათ თბილისის ეკლესიებს თქო?! ან რას ჰქვია „გაერთიანება“ აღნიშნულ ტაძრებისა?! ეს ტერმინი ხომ სიცილადაც არ ჰყოფნის ვინმეს! რატომ მრევლის ინტერესებს არ იღებთ სახეში?! იმ მხარეზე რუსებს სამი ტაძარი აქვთ, გაჩაღებული წირვა-ლოცვა-გალობა-მოძღვრებით, ქართველებს კი ეს ერთი ჰქონდათ და ისიც თოთიბაძე-ციცქიშვილს საკვებულუფად (პაიოკი) გადაუქციეთ! „სამწირველოდ“ მათ ექნებათ „ყოფილი სამხედრო ტაძრები“, ხოლო შემოსავლის წყაროდ ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძარი!!! არ ვიცი, ეს თუ საქმეა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ თქვენც და საკათოლიკოზო საბჭოსაც! ჩვენ ვინ გვაძლევს ან „ჯამაგირს“ ან „ფქვილს“, რომ გვიბრძანებთ ციცქიშვილს ვაძლიოთ თბილისის ეკლესიებმა მათი 3% დაბეგვრით?! რა გაგიხდათ ეს „ციცქიშვილი“ – კაცი ურწმუნო, უზნეო, თავხედი, უნიჭო, რომ „ყველი და პურით“ უკან მისდევთ მას?! მაგრამ, ვიცი, ეს „პროპკათა“ ჰყავს თოთიბაძეს, დასჭირდათ, „ახალ სიტყვის“ რედაქტორად ჩასჩარა, დასჭირდა „სამხედრო ტაძარში“ ჩასჩარა, როდესაც თვითონ ივლტოდა თბილისიდან ჟამსა ბოლშევიკების შემოსევისა, დასჭირდა, ეხლა ვერის ნიკოლოზში და ყოფილ სამხედროში „ქორ-ეპისკოპოსად“ ჩასჩარა! „ახალ-სიტყვის“ „მოლარე“ (თოთიბაძე) და „რედაქტორი“ განაგრძობენ დღესაც თავიანთ შავ საქმეს, ხოლო თქვენ კი ამზომ ხელს უწყობთ მათ?! რატომ არ მოიგონებთ დეკ. მიხ. ფხალაძეს, აკადემიელს, მომზადებულ-ჭკუიან-ზნეობრივ ადამიანს, დაქვრივებულიცაა! ხო გახსოვს ის ყაზანის აკადემიიდან?! შეკრთა კათოლიკოზი. – „მახსოვსო, შემოვიდა კიდეც ჩემთან, მნახა, მომილოცა, მაგრამ „პიდჟაკით“ როგორ გაბედა ჩემთან შემოსვლაო“! ამაზე მიუგე: „თქვენო უწმინდესობავ! თუ ყოფილი მიტროფორნი დეკანოზი – ნარექტორალი კ. კეკელიძე, გელათის საეკლესიო კრებაზე, თქვენი თავმჯდომარეობით, დაუშვით უნივერსიტეტის დელეგატად, ხოლო იმავ საეკლესიო კრებაზე ის აარჩევიეთ საკათ. საბჭოს წევრადაც („ერისკაცთაგანად“), თუ მაშინ კეკელიძეს „პიდჟაკმა“ არ შეგაშფოთათ,

რატომ გაშფოთებთ ფხალაძის „პიდჟაკი“ თქო?! კეკელიძისათვის არც ვინმეს არც რაიმეს ძალა არ დაუტანებია ანაფორა გაეხადა, პირიქით მაგან თვისი ანაფორის გახდით, დააყრუა, გააუქმა უნივერსიტეტში არსებული ჩინებული ეკლესია დავით აღმაშენებლის სახელზე (ეს შენობა და ტაძარიც ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიისაა, ნიკო ცხვედაძის უნარით აგებული); დღეს ეს ტაძარი უკვე გაძარცულ-გაპარტახებულია, აქ კეკელიძეს შეეძლო თვეში ერთხელ მაინც ეწირა, იმოდენა სტუდენტობა გარს ახვევია, მღვდლებიც ბლომათა ჰყავთ უნივერსიტეტში მსმენელებად, გალობა-მწიგნობრობა არ გაუჭირდებოდათ და ეს დიდებული საქმე იქნებოდა, ამის მოწყობა კარგად შეიძლებოდა, მაგრამ ურწმუნო-უზნეო კეკელიძემ არ გვაკმარა ქალთა ეპარქიალურ გიმნაზიის წაპილწვა, აგრეთვე სასულიერო სემინარიის გაძარცვა-დაღუპვა, უნივერსიტეტის ეკლესიაც ზედ მიაყოლა! ასეთი კაცი ქართულ საეკლესიო ისტორიის კათედრიდან ლექციებს ჰკითხულობს! თვისი ცრუ-მეცნიერულ-მეტიჩარულ ვითომდა „რაციონალიზმით“ ძირ-ბუდიანად თავდაღმა ამხობს ჩვენს წარსულსაც, ამით დღევანდელ ურწმუნო დროს აძლევს ის ხარკს, როგორც პლატონ ექსარხოსის დროს იყო მისი აგენტი და პლატონის სახელით წერილებით გამოდიოდა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე 1916 წელს! ასეთი პიროვნება კი, რომელიც ოთხი-ხუთი წელიწადია არც კი ზიარებულა და თურმე მაინც „დეკანოზად“ სთვლის თავს „თავისუფალ“ ტანთსაცმელში, თქვენ გვერდით გყავთ, მისი უსაქციელობა (საყვარელი ჰყავს მ. კასრაძის ქალი, ხოლო ცოლი უყურადღებოდ მიგდებული, შვილები (3) გაფუჭებულ-გაქურდებულები) არ გაშფოთებთ, ხოლო ფხალაძის „პიდჟაკს“ აგრე გაუნაწყენებიხართ?! აკი მოგახსენეთ, რომ ფხალაძე ქუჩაში დარჩა უადგილოდ, მას არც ქალაქში, არც სოფლად მრევლი აღარ მისცეს – ეს ყოფილ სასულიერო სასწავლებლის „სმოტრიტელს“-ზედამხედველს! მე ანაფორის ფანატიკოსი არა ვარ, მომხრე ვარ თავისუფალ კოსტიუმისა სამსახურის გარეშე, განსაკუთრებით ასეთ დიდ ქალაქში და ასეთ დროს (თუმცა მე თვითონ არასოდეს არ ჩამიცვამს საერო კოსტიუმი მღვდლობაში, თუმცა ქალთა მესამე გიმნაზიაში უკვე მომცეს წინადადება – საერო ტანისამოსით იარეთ, თორემ დაგითხოვთო, ვერც დამითხოვეს და ანაფორაშიც დავდივარ!), საქმე „ანაფორა-პიდჟაკი“ როდია, „მღვდელს ჭილობშიდაც იცნობენო“, – უთქვამთ ჩვენს ძველებს, საქმე ყოფაქცევაშია, ამ მხრით, მიხეილ პხალაძე ბევრად მაღლა სდგას იმ პირებზე, რომელნიც დღეს თქვენ გარს გახვევიათ, ზოგს „მანგლელობას“ სთავაზობთ, ზოგს სამიოთხი „გაერთიანებულ“ ტაძრების „წინამძღვრობას“! ეგ არ შექმნის ჩვენში ერთობას, სიყვარულს და თანხმობას! ყოველივე ამაში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც თქვენს ხელს, ვერც თქვენს ნებას, ეს, აღარ ვიცი, რა ამბავია დღეს ჩვენს თავზე“?!. ამ ბაასის დროს კათოლიკოზი იჯდა თავჩაღუნული, მეტად დაღონებული! ეტყობა, არც თვითონ არის კმაყოფილი შექმნილ ვითარებით, გრძნობს ის, თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის დატყვევებულია იმ პირთაგან, რომელთაც „გამარჯვება“ მოუპოეს გელათის კრებაზე წელს და კათოლიკოზის კათედრაზე აღიყვანეს, რათა სახელათ ეს იყოს კათოლიკოზი, ხოლო საქმით და სარგებლობით მისი ავან-ჩავანები...

„მე ფხალაძეზე ცუდი აზრისა როდი ვარ, – ბრძანა კათოლიკოზმა, – მე მას წინადადება მივეცი, გომარეთის სამრევლოში წასულიყო მღვდლად, მაგრამ უარი მიყო“! – ამაზე უპასუხე: „ეს სამრევლო ლეონიდმა ჩემს მეორე მღვდელს, დ. ჩიკვაიძეს, შეაძლია, მაგრამ ამანაც კი უარი განაცხადა იმ მრევლზე! (ეს ოთხკლასიანი, გაოხრებული მღვდელია, დღეს ტფილისის ახლოს არის სოფლად გადაყვანილი) გომარეთი ორას ვერსტზეა თბილისიდან, იქ მისვლას უკანასკნელი ორი მილიონი არ ეყოფა, აბა, სად შეუძლია ფხალაძეს იქ წასვლა?! ან კი ისეა საქმე, რომ აკადემიელი მღვდლები ისე მოგჭარბდნენ, რომ საგომარეთოდაც კი გაგვიხდენ!!. ციცქიშვილი-თოთიბაძე-ლაზრიშვილისებური დეკანოზები საპასუხისმგებლო პოსტებზე გყავთ წამოყენებული, ჩვენ კი ასე დაქვეითებულნი და დამცირებულნი! გარწმუნებთ, თქვენო უწმინდესობავ, რომ სულ ერთიანად ჩაგეფუშებათ ხელში ეკლესია, როგორც ორგანიზაცია და ბოლოს არა ბრძანოთ, რომ არავინ მშველოდით, ყველანი განზე გამიდექითო“! შემდეგ კათოლიკოზმა დიპლომატიურად გადმომიგდო სიტყვა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სამრევლოზე, სადაც დამბლა დაცემული დეკ. ს. შოშიაშვილია დღეს წინამძღვრად, ხოლო დიაკონის შტატზე აპოლონ ივანიცკი – დეკანოზი, რომელმაც ადგილი სოფლად გადაუცვალა მღ. ხარლ. ხუციშვილს – ბაკურაძე-მღვდლის მოკლვის ორგანიზატორს, როგორც მას ბრალსა სდებდა ხოლმე საზოგადოებრივი აზრი, თორემ ამ ხუციშვილს სურდა ბაკურაძის სისხლის სასყიდლად შოშიაშვილის ადგილი, მაგრამ გამოუმჟღავნდა ყოველივე ეს და სოფლად წავიდა, მაგის ადგილზე კი საკათ. საბჭოს წევრმა რაფიელ ივანიცკიმ თავისი ძმა – აპოლონი დაანიშვნინა ლეონიდსა და დავითაშვილს; აი, ეს მრევლი მთხოვოს ფხალაძემ და მივსცემო, მიბრძანა კათოლიკოზმა! ნამდვილად კი გამოდიოდა, რომ შენ მთხოვე და მოგცემო! მე ეს მივხვდი და თავი დავიჭირე, „კარგი, ბატონო, ვნახავ ფხალაძეს და გადავსცემ თქვენი სახელით თქო! ეს მრევლიც ჩინებულია, მაგრამ მე მას მაინც არ ვითხოვ, იქ ივანიცკის სურს „წინამძღვრობა“, ორი მღვდელი კი მეტი იქნება, ვერც მორიგდებიან ერთმანეთში და ვინც ივანიცკებს ჩაეცილებათ ამ საქმეში, მას კაი დღე არ დაეყრება. ფხალაძეს მე გადავეცი ყოველივე, მან მითხრა, კათოლიკოზს მე მივსწერ ჩემზე ყველაფერსო... ერთი სიტყვით, კათოლიკოზმა ვერ დამტყუა ვერაფერი, ვერც „დირექტორობაზე“ დამითანხმა, „მეგობრებიც“ მიწასთან გაუსწორე და წამოვედი სახლში.

„ნიკოლოზობა“ (19 დეკემბერს, 1921 წ. ახ. სტ.)

ამ დღეს კათოლიკოზი იყო მწირველი ალექსანდრეს ბაღში არსებულ „ყოფილ სამხედრო ტაძარში“, რომელიც ისევ დეკ. ან. თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშ არის, თუმცა მას იმ ტაძარში ჰყავს მოხუცი დეკ. პავლე ხუციშვილი, კაცი უენო და თოთიბაძის მონა-მორჩილი. თანამწირველობდა კათოლიკოზს – თვით დეკ. ან. თოთიბაძე, დეკ. ქრ. ციცქიშვილიც! ამ ტაძარში წირვა-ლოცვა რუსულად არის ხოლმე, მორწმუნენიც სულ რუსები დადიან. კათოლიკოზს სიტყვა

უთქვამს რუსულად, ენა დაბმია საცოდავს; მან კი მითხრა, რომ „სიტყვის“ დროს რუსის დედაკაცები სულ ცრემლებსა ღვრიდენო“!.. წირვის შემდეგ თოთიბაძეს კათოლიკოზი სახლში მიუწვევია, თავის „სამხედრო“ ბინაზე – ვერისაკენ! თურმე სადილი ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ხარჯით იყო გამართული! ამ ტაძრის მღვდელს – დეკ. ვ. მატატაშვილს ორ მილიონამდე ფული დაუხარჯავს „კარგი სადილის“ გასამართავად; დიდად უსიამოვნებიათ სადილზე, ღამის ათს საათამდე კათოლიკოზი დარჩენილა თოთიბაძისას, ვახშამიც იქ მიურთმევია და შემდეგ ეტლით გამოუმგზავრებიათ! – ასე რომ წირვა – ბაღის ნიკოლოზში, ხოლო სადილი ვერის ნიკოლოზის ხარჯით! აი, ასეთია ჩვენი ამბავი დღეს! დეკ. ციცქიშვილს განუცხადებია თოთიბაძისათვის: „თუ ცინცაძე გეყოლება სადიდილად, მე იქ მომსვლელი არა ვარო“! ეტყობა – ცინცაძე-ციცქიშვილს შუა რაღაც ბრძოლა სწარმოებს! მგონი, ციცქიშვილი არ სჩქარობს „მანგლელად“ კურთხევას! „მე გაზაფხულამდე მქონდა ვადა აქ, მრევლში დავრჩენილიყავიო“, – უთქვამს მას საყვედური! ცინცაძე-თოთიბაძეს კი სურთ მალე აკურთხონ ეპისკოპოსად, მისი შენახვა თბილისის ეკლესიებს მოახვიონ თავზე, ხოლო შემოსავალი „ვერის ნიკოლოზისა“ სულ თოთიბაძე-ცინცაძე-კათოლიკოზმა მიირთვან! თუ ეპისკოპოსად კურთხევით, თორემ სხვა გზით ესენი ციცქიშვილს ვერც მოიშორებენ თავიდან და ვერც დაიმორჩილებენ. ეპისკოპოსად რო დაჰბორკავენ, შემდეგ თუ გაჭირვეულდათ, ურბნისის ეპარქიაში გადაგზავნიან, სადაც ამ ზაფხულს საეპარქიო კრებაზე არ იქმნა დეკ. ციცქიშვილი არჩეული ურბნელად! აი, აქედან მოახვევენ თავზე ურბნისს მისგან დაწუნებულ ციცქიშვილს, როგორც გურია-სამეგრელოს ეხლა-ხან გაუგზავნეს ეპისკოპოზად განრღვეული, ურბნისიდან გამოძევებული დავითი! შემდეგ „მანგლელად“ ავანტიურისტი რაფიელ ივანიცკი უნდა სურდეთ, ის ივანიცკი, რომელიც „ერთი კენჭით“ დასახელებულ იქმნა გელათის საეკლესიო კრებაზე კათოლიკოზობის კანდიდატად, ალბად ეს ერთი „კენჭიც“ მაგისი იქნებოდა! ეს ივანიცკი არის „ამომავალი ბოროტება“ ჩვენი უბედური ეკლესიის პირქუშ ცაზე... ასეთი ყოფილა გეგმები საკათ. საბჭოისა...

...მაგრამ ისიც ღირსაღსანიშნავია, რომ ბაღის ნიკოლოზის დეკანოზს ზემო აღნიშნულ პ. ხუციშვილს დეკ. თოთიბაძემ წინადადება მისცა: „სადილისათვის საჭირო პური შენ იყიდე და გაგზავნე ჩემს ბინაზეო“, ამაზე პავლეს უპასუხნია: „დალოცვილო, მაგდენ ხალხის გასაძღომი პური რა ფულით უნდა ვიყიდოო“, „მაშ სადილზედაც ვეღარ წამობრძანდებიო“ – უთქვამს დეკ. თოთიბაძეს, ნიშნის მოგებით და არც წაუყვანია პავლე სადილად, არც ცინცაძე ჰყოლიათ სადილზე: დიდ ძალი ღვინო და სანოვაგე დარჩა თოთიბაძის ოჯახს იმ დღესა, – უთქვამს ვერის დეკ. ვ. მატატაშვილს დეკ. გიორგიძის ქვრივისათვის, თვის დისათვის! „რატომ ცოტა რამე მეც არ მაჭამეთ თქვენი სადილიდანო, – უსაყვედურნია ყოფილ „ვერის-ფოფოდიას“ ძმისათვის, რომელიც მისმა ქმარმა – დეკ. გრიგოლმა გაიმწესა (ცოლის ძმა) თავისთან და დღეს ესეც ლეკურს უვლის სიძის საფლავს! მაგრამ მაგასაც უპირებენ თურმე გუდა-ნაბადის აკიდებას და სოფლად გაძევებას... საშინელი ინტრიგებია...

აბა, მე სად შემიძლია ისე ვაქეიფო, ვასიამოვნო კათოლიკოზი, როგორც ეს გაუმართეს მას დეკ. ცინცაძემ „ქვაშვეთობა დღეს“ (10 ნოემბერს ძვ. სტ.),

ხოლო თოთიბაძემ 6 დეკემბერს ძვ. სტ. – ნიკოლოზობას!.. ამას გარდა ისიც საგულისხმოა, რომ კათოლიკოზს და ცინცაძეს საზიაროდ ძროხა უყიდნიათ, ეს ძროხა კათოლიკოზის ეზოშია დაბინავებული, თივა მილიონისა საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობის „დირექტორს“ დეკ. დ. ლაზარიშვილს უყიდია მათთვის (სანთლის ფულით!), ეს უვლის ძროხას, რომ მისი რძით გამოკვებოს თვისი კათოლიკოზიც და თვის წინამძღვარი – ცინცაძეც, რომელთაც შვილი-დიაკონი დიდუბიდან მამასთან გადმოუმწესეს ქვაშვეთის ეკლესიაში! ასე „ოჯახურად“, „შინაურულად“ ეწყობიან ერთმანეთში ჩვენი ეკლესიის „მესვეურები“!.. ეხლა ლაზრიშვილსაც უყიდნია თავისთვის ძროხა 9 მილიონად და იქვე მოუთავსებია, სულ კუდში შეჰყურებენ... ძროხებს!..

არავითარი იდეიური მუშაობა არ სწარმოებს დღეს ჩვენი ეკლესიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. შემოღებულია მთავრობისაგან სამოქალაქო ქორწინება-ნათლობა-დასაფლავება. ქორწინების რეგისტრაცია მარხვებშიდაც სწარმოებს, რასაკვირველია, ქალაქის რევკომში, ხოლო რევკომიდან „დაქორწინებულნი“ ჯვრის დაუწერლად პირდაპირ სახლში მიდიან, ვინაიდან ეკლესიების კარები მათთვის ჯვარსაწერად დახშულია! პირველმა საეკლესიო კრებამ განაჩინა მარხვებში (გარდა დიდმარხვა-მარიამობისა) ჯვრის წერა, მაგრამ ლეონიდმა მეორე კრებას ეს მოასპობინა, ხოლო მესამე კრებამაც აღარ შეიწყნარა. მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის, ხალხს ეს „კრებები“ არც კი გაუგია (უმეტესობამ დღესაც არ იცის ექსარხოსი გვყავს, თუ კათოლიკოზი ან ვინ არის ჩვენი კათოლიკოზი!). ამ თაობაზე კათოლიკოზს უსაყვედურე, მეტად ჩამოვრჩით მოქალაქობრივ ცხოვრებას, რატომ არ ზრუნავთ ასეთ საკითხებზე თქო! სულ ერთია თქვენი მღვდლები ამ შობის მარხვაშიც სწერენ ჯვარს, მაგრამ ქურდულად, ქრთამით და დიდი ფულით თქო! რატომ შეგყავთ ან ერი ან მღვდელი ასეთ განსაცდელში თქო! ამ მომავალ ახალ გახსნილებაზე თუ ვინმემ მთხოვა, უსათუოდ აშკარად დავსწერ ჯვარს, ამას ეხლავე გიცხადებ და ბოლოს თვითნებობად არ ჩამომართოთ თქო! ამაზე კათოლიკოზმა ბრძანა, – „საჭიროა ასეთ საკითხების გამორკვევაო“! მაგრამ ის კი აღარ ბრძანა, როდის, ვინ და რა სახით აპირებენ ასეთ „საკითხების გამორკვევას“! ალბად დეკ. ცინცაძე ისევ „კანონ-პროექტს შეადგენს და წარუდგენს მესამე საეკლესიო კრებას განსახილველად! ხოლო ეს მესამე საეკლესიო კრება განზრახულია სამი წლის შემდეგ წმ. ნინოს ბოდბის მონასტერში! მანამ კი ასეთი მესვეურები ქვას-ქვაზე აღარ დასტოვებენ ჩვენს უბედურ ეკლესიაში!

ასეთი შავი ფიქრებით გადავდივართ 1922 წელში, საქართველო ილეწება, ნიავდება; სასტიკი დიქტატურაა გამეფებული მოქალაქობრივ-პოლიტიკურ-სოციალურ პირობებში! საზღვარ გარეთ მენშევიკები ამოძრავებენ ევროპის საზოგადოებრივ აზრს რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ჩვენში, ხოლო აქაური კომუნისტები სცდილობენ, მაგრა მოიდგან ფეხი და თავიანთი გარემოება განამტკიცონ; დიდი სიძვირეა, დიდი და აღვირახსნილი „სპეკულიაციაა“ ანუ ჩარჩობა! ყველანი ვაჭრობს, ერთი მეორეს ატყუილებს, ან აშკარად ლუკმას აცლის პირიდან; ჩვენი ქვეყანა იძარცვება, სულ გააქვთ დამშეულ, დანგრეულ რუსეთში, რაც კი მოეწონებათ ან მოეპრიანებათ...

ნიკიტა თალაქვაძე და მისი მეუღლე – ალექსანდრა ლუკაშვილი

1922 წელი

ახალ წელშიდაც ისევ ძველი, არეულ-დარეული გზით მიმდინარეობს ჩვენი მოქალაქობრივი და ეკლესიური ცხოვრებაც. საქართველო და მისი ეკლესია უბრუნდებიან 17-18 საუკუნოების ანარქიულ მდგომარეობას. ქვეყანას არ ჰყავს ნამდვილი, ნდობით მოსილი მთავრობა! არ ვიცით, ვინ არს დღეს საქართველოს მესვეური?! საქართველო ქაღალდზე „დამოუკიდებლად“ იხსენიება! ეს რაღაც დეკორატიული დამოუკიდებლობა გამოდის! თან „ფედერაციაც“ არის გამოცხადებული ამიერ კავკასიის „საბჭოთა რესპუბლიკებისა“, საბჭოთა რუსეთთან ერთად! საქართველოს „რევკომში“ ამ რამოდენიმე თვის წინეთ ფილიპე მახარაძე თავმჯდომარის სავარძლიდან გადმოაბრძანეს და მის მაგივრად ბუდუ მდივანი წამოსკუპდა იმ სავარძელში! მახარაძე რუსეთში გააძევეს, ამბობდენ, ის აღარ დაბრუნდება საქართველოშიო, მაგრამ ლენინის მთავრობამ მახარაძე ისევ დააბრუნა საქართველოში, ის მიწად-მოქმედების კომისარია, მიწის საკითხს „აწესრიგებს“ საქართველოში! ეტყობა, რევკომში დიდი განხეთქილებაა თვით ქართველ კომუნისტთა შორის. ამას წინეთ ბუდუ მდივანსა და ვიღაც ლორთქიფანიძის შორის დიდი შეტაკება მომხდარა, რევოლვერებითაც კი უწევიათ ერთმანეთზე; ბუდუ თავმჯდომარეობიდან გადადგა და მის ადგილზე შინაგან საქმეთა კომისარი კვირკველია ავიდა! ბუდუ სად არის, არ ვიცით! თან ვაშინგტონის და შემდეგ კანნის (საფრანგეთში) კონფერენციათა შემდეგ მზადდება გენუის კონფერენცია, რომელზედაც საბჭოთა რუსეთიც მოუწვევიათ, თუ ლენინი იცნობს რუსეთის ძველ ვალებს, აღიარებს კერძო საკუთრებას, ხელს აიღებს მეზობელ ქვეყნებში კომუნიზმის პროპაგანდაზე და ჯარს გაიყვანს საქართველოდან! ამ წინადადებების გარშემო დიდი განგაშია ატეხილი რუსეთის პრესაში და თბილისშიაც! მენშევიკები, ეტყობა, დაუღალავად მუშაობენ ევროპაში; იქ სცემენ გაზეთს ქართულ ენაზე: „თავისუფალი საქართველო“, გზავნიან საქართველოში მოწოდებებს, დარიგებებს... მაგიერში კომუნისტებმა აავსეს საქართველოს ციხეები თბილის-ქუთაის-ბათუმში ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით, დაიჭირეს მენშევიკები – მოხუცი ისიდორე რამიშვილი, სანდრო ლომთათიძე, დ. ლორთქიფანიძე, გიორგაძე და სხვები... დაიჭირეს ნაციონალ-დემოკრატების ლიდერებიც – სპ. კედია, ალ. ასათიანი, პ. გოთუა, რ. ინგილო (ივანიცკი) და სხვები... მოხუცი სილიბისტრო ჯიბლაძე – ეს ერთ-ერთი ლიდერი მენშევიკებისა, ესეც დაჭერილი იყო, შემდეგ გამოუშვეს, ისევ უნდოდათ მისი დაპატიმრება, მაგრამ მიიმალა; გამოცხადდა თებერვლის 11-ში თბილისისა და პროვინციების სასწავლებელთა გაფიცვები, მოითხოვენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას; გაფიცვებს ხელმძღვანელობს ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტობა; ამათშიც დიდ-ძალი სტუდენტობაა დაპატიმრებული; პროვინციაშიდაც ყოფილა მოსწავლე-ახალგაზრდობის და მასწავლებელთა გამოსვლები, მათ ცემა-ტყეპით და მათრახე-

ბით გამასპინძლებიან ქუჩებში; მზადდება კომუნისტების ქალაქში შემოსვლის წლის თავის „დღესასწაული“ – 25 თებერვალი! ამ დღისათვის დიდ ფაცა-ფუცში არიან კომუნისტები, მოწინააღმდეგე პარტიათა ცოცხალი ძალები სულ ციხეებში გამოამწყვდიეს და სამარისებური სიჩუმეა დღეს ქუჩებში; დღეს წითელ არმიის აღლუმი იქნება თბილისის ქუჩებზე, მათ უკან გაჰყვება რუსობა-სომხობა-ოსობა და სხვა გარეშე ეროვნებანი, ჩვენი საზოგადოება დამგლოვიარებული ზის სახლში; ნამდვილი ზეიმი კომუნისტებმა გადასდეს 12 მარტისათვის, როდესაც ისინი რუსეთის დიდ რევოლიუციის წლისთავს იდღესასწაულებენ... ყოველისფრიდან სჩანს, რომ კომუნიზმმა რუსეთში ჩაიცვა იმპერიალისტური ქურქი, სურს მას – სოციალიზმ-კომუნიზმის მანტიის ქვეშ ძველი რუსეთის საზღვრები აღადგინოს! ამ ტრაგი-კომედიაში მონაწილეობენ ქართველი კომუნისტებიც, ამათ თვალს უბამენ საქართველოს „საბჭოთა რესპუბლიკის“ „დამოუკიდებლობით“! ნამდვილად კი საოცარ სასაცილო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი! ნამდვილი პამპულებია ეს ახალი დროის მოღალატენი! აკი ლექსიც გამოუთქვეს მათ ხალხში! დღეს ყველა ოჯახში, ყველა წვეულებაზე, თავისუფლად მღერიან ქართველ კომუნისტების დასამცირებელ კუპლეტებს. აი, ერთი ამ კუპლეტთაგანი:

„საქართველომ გამოზარდა ოთხი დიდი მოღალატე:
მახარაძე, ელიავა, ბუდუ (მდივანი), ორახელაშვილი“!..
„მიყვარს ვარდი, მიყვარს ია, მომწონს ნოე ჟორდანიაო“!..

თვით რუსის წითელ არმიაში ამ ბოლო დროს დიდი მოძრაობაა, გავრცელდა ხმა, რუსის ჯარი უნდა გავიდეს საქართველოდანო! ნაწილ-ნაწილ გაჰყავთ კიდევაც! მაგრამ თან გააქვთ უამრავი ქონება, როგორც სამხედრო, ისე სხვა სიმდიდრე! ვინ არის ხმის ამომღები! ჩვენი რევკომის წევრები ერთმანეთის გაბიაბრუებას უნდებიან, ერთმანეთს სწეწენ და ჰგლეჯენ! ზოგი მომხრეა თურმე საქართველოში ნაციონალურ პოლიტიკის წარმოებისა (მახარაძე-გეგეჭკორი!), სხვები კი რუსეთის ბატონობას უწყობენ ხელს, ვინაიდან კარგად იციან, რომ რუსის ჯარი თუ გაყვანილ იქნება საქართველოდან, ველარც კომუნისტური მთავრობა იბოგინებს საქართველოში! გამოდის, რომ მთელი ეს მძიმე უღელი იმიტომ უნდა ვატაროთ, რომ ქართველმა კომუნისტებმა არხეინად იცხოვრონ და დრო ატარონ საქართველოში, ერთხანს მაინც! ვინაიდან საბოლოო პირი კომუნიზმს არამც თუ საქართველოში, არც რუსეთში უჩანს! ჩვენ დიდ გარდამავალ ხანის წინაშე ვსდგევართ! ვნახოთ, რა იქნება!..

ამ ერთი კვირის წინეთ გარდაიცვალა ზემო აღნიშნული სილიბისტრო ჯიბლაძე; მთავრობამ მიცვალებული მოსტაცა ჭირისუფალს და მილიციელებს დაასაფლავებია რუსების ეკლესიის გალავანში – იოანნე ღვთისმეტყველის ეზოში [ეს ძველი ქართული მონასტერი ყოფილა „ლურჯი მონასტერი“, აქ ეხლაც არის ერთი ძველი ქართული ტაძარი, მაგრამ რუსებმა გვერდით აიშენეს ახალი ტაძარი, დღეს ორთავენი მათ ხელშია, ვერის ნიკოლოზის გვერდით], ამ ტაძრის ეზოში დაასაფლავეს ს. ჯიბლაძე...

25 თებერვლისთვის მოწვეულ იქმნა სრულიად საქართველოს კომუნისტური კონფერენცია; გაიხსნა ის სახაზინო თეატრში, ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით; გადასინჯეს მთელი წლის თავიანთ „ნამუშევარი“, მოიწონეს ყველაფერი და გამოსთქვეს საჯაროდ ის აზრი, რომ მთელი მშრომელი საქართველო მათი მომხრეა. ამ კონფერენციამ „იშვილა რუსეთის წითელი არმია“! არ უშვებენ რუსეთის ჯარს რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი მოითხოვს მათ გამოყვანას საქართველოდან, რომ გენუის კონფერენციაზე დაშვებულ იქმნენ კომუნისტები რუსეთიდან. კონფერენციამ გადასწყვიტა ფედერატიულ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებულ მართვა-გამგეობის მოწყობა; სამი რესპუბლიკის აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეები აწესრიგებენ ამ საქმეს, ჩვენგნით ფ. მახარაძეა. საზოგადოებაში ბევრგვარი ჭორი ტრიალებს, საშინელი სიცრუე – ტყუილები ვრცელდება საზოგადოებაში; კაცმა არ იცის, რას დაუჯეროს... მეტად გაძვირდა ცხოვრება, ყოველდღე ფასები იწევენ სანოვაგეზე ზღაპრული სისწრაფით... რუსეთი დამშეულია, ადამიანები ერთმანეთს სჭამენ! კაცი-ჭამიობაა!!!.. საქართველოც იმშევა! უკვე გამოცხადებულია გაზეთებში „Голод въ Грузии“! და ფულების შეგროვება იქნება 20, 21 და 22 მარტს. რკინის გზის სამგზავრო ბილეთების ფასიც მეტად ასწიეს, მაგალითად, სამტრედიაში ჩასვლა ღირს 700.000 მანეთი! ამის მიხედვით აწეულია გადასაზიდი ტარიფიც!.. ჯამაგირებს ვერ ურიგებენ მომსახურე პირებს თავის დროზე, ზოგს ჯერ, მარტში, იანვრის ჯამაგირი არ აუღია! განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაშია მასწავლებლობა, ამათ არც ჯამაგირს აძლევენ თავის დროზე და არც ულუფას! პური ჩამოიყვანეს ერთ გირვანქამდე მოსამსახურე პირზე, ოჯახისათვის არაფერს იძლევიან! მასწავლებელს ჯამაგირი თვიურად ეთვლება 1.500.000 მანეთი!! ერთი, რომ არ იძლევიან თავის დროზე და რომც მოგცენ, რას იყიდი ამით?! სიმინდის ფქვილი ფუთი ღირს 400.000 მანეთი, პურისა 700.000 მ. ხორცი გირვანქა 50.000 მანეთი, პური გირვანქა 15–18000 მანეთი! ტანისამოსზე და ფეხსაცმელზე ხო მეტია ლაპარაკი!.. მეტად სჭირს ცხოვრება! არ ვიცით, როგორ მივახწევთ ახალ მოსავალს... დიდი შიმშილია კახეთშიც, სულ დასძარცვა ჯარმა გლეხ-კაცობა, შეუჭამეს პურიც და სიმინდიც (ცხენებს შეაჭამეს სიმინდი)... ყოველ ღამე გუგუნ-გუგუნით მიდის მატარებელი-მატარებელზე რუსეთისაკენ, გააქვთ ყველაფერი...

12 მარტი – კვირა (ძველი სტილით 27 თებერვალი)

დღეს დიდი რევოლიუციის მეხუთე წლის თავია! იდღესასწაულეს აღლუმებით და ილუმინაცია-ჩირაღდნებით! გაჩირაღდნებული იყო სხვათა შორის „ჩეკაც“! – ეს კაცთა სასაკლავო, სადაც ხვრეტენ „დამნაშავეებს“... წინეთ თითქოს ყველანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგნი ვიყავით!! ეხლა ასე გადაბრუნდა მსოფლმხედველობა! მახლას!..

ეკლესიურ სფეროებში

ძველი წლიდან ახალში ისევ ძველი ზნე-ჩვეულებით გადმოვედით. სრული უილაჯობა-უთავბოლოობაა! ვერავითარი თაოსნობა ვერ გამოიჩინა ახალმა – მესამე – კათოლიკოზმაც! ყველანი პირად კეთილდღეობას ემსახურებიან, ერთი-მეორეს პირიდან ლუკმას სტაცებს. ქვაშვეთის კრებულმა (ცინცაძე-ლაზ-რიშვილებმა) კათოლიკოზთან ერთად და საკათოლიკოზო საბჭოსთან ხელთ იგდეს თბილისის ეკლესიები – სანთლის ქარხნით და მთელ შემოსავალს ანად-გურებენ – 24 მილიონს თვეში! თოთიბაძე-ციცქიშვილმა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, იშოვეს საკვები ადგილი ვერის ნიკოლოზის ეკლესია, სადაც განსვენებულ დეკ. გიორგიძეს დაუტოვებია 25 მილიონი ნაღდ ფულად, ხოლო სანთელი 10 ფუთი. ფუთი სანთელი ეხლა იყიდება ქარხნიდან რვა მილიონად, ხოლო ეკლესიებში ჰყიდიან სამჯერ მეტად! აი, ამ სიმდიდრეს დაასხდენ თავზე თოთიბაძე-ციცქიშვილი და სჭამენ, კათოლიკოზსაც საკათოლიკოზო საბჭოთი უგზავნიან ნაწილს, ხოლო სხვა დანარჩენს თვითონ მიირთმევენ; თოთიბაძე თვის მეგობარ ცინცაძესაც გაუნაწილებს ამ „ერთად ნაშოვარ საუნჯიდან“!..

სოფლის ეკლესიებმა შესწყვიტეს ცენტრალურ მთავრობასთან კავშირი, იშვიათად რომ რომელიმე მღვდელს დასჭირდეს კათოლიკოზი ან ეპისკოპოზი; არც სანთელს ჰყიდულობენ ჩვენი ქარხნიდან; კერძო ვაჭრებში უფრო იაფად ჰყიდულობენ სანთელს, ჰყიდიან როგორც სურთ და თვითონვე ჰხარჯავენ ფულ-საც. ასე, რომ მთელი სიმძიმე ეპარქიალურ მართვა-გამგეობის ხარჯებისა, თუ კათოლიკოზ-საკათ. საბჭოისა, სავსებით თბილისის ეკლესიებზეა გადმოტანილი. სანთლის ქარხნის საქმე კრიტიკულ მდგომარეობაშია, ცვილს ვეღარ შოულობენ, ხარჯები კი მეტად იზრდება, მოსალოდნელია გაკოტრება...

ასეთ ვითარებათა გამო ახალი მთავარ-ხუცესი თითქმის ყოველ კვირაში იწვევს ხოლმე თბილისის სამღვდელოების კრებას, არის მსჯელობა-თათბირი შექმნილ ვითარებაზე; ზოგჯერ კათოლიკოზიც ესწრება ხოლმე ასეთ კრებებს, მაგრამ არავითარი სანუგეშო დადგენილებანი არ გამოგვაქვს. მეტად აღშფო-თებული იყო თბილისის სამღვდელოება ასეთ ნივთიერ ხელ-მოკლეობის დროს დეკ. ციცქიშვილის ეპისკოპოზის ხარისხზე აღყვანის დადგენილებით და მასზე კიდევ ახალი ხარჯის გაწევით, რაც უკვე აღვნიშნე 51 გვერდზე. ამ თაობაზე თით-ქმის თბილისის ეკლესიების ყველა წინამძღვრებმა წერილობითი მოხსენებით უარი განაცხადეს ხარჯების გაღებაზე, ხოლო ერთხმად უარჰყვეს „მანგლელი“ ქორეპისკოპოზის საჭიროება. სხვათა შორის, მეც წარვადგინე დასაბუთებული წერილობითი მოხსენება რვა მუხლით, 3 იანვრის თარიღით №1, მთავარხუცესის სახელზე, სამღვდელოების კრებაზე მოსასმენად, ხოლო შემდეგ კათოლიკოზი-სადმი მისართმევად (ამ მოხსენების დედანს – ერთ თაბახზე – აქვე ჩავაკერებ). ყოველ კრებაზე გარს უვლიდით ამ მოხსენებას – ვერ იქმნა ის წაკითხული ჯერ კიდევ (13 მარტს); კათოლიკოზისათვის უკვე უჩვენებია მთავარხუცესს ეს მოხსენება, ხოლო მას უბრძანებია, რომ კრებაზე ნუ წაიკითხავთო. ისე კი ციცქიშვილის ეპისკოპოსობა დღემდე შეჩერებულია, ის 3%-იც შეჩერებულია.

მაგრამ ციცქიშვილს მეტად გაუტკბა ნიკოლოზის ეკლესიაზე მღვდლობა თოთიბაძესთან და აღარც სჩქარობს ეპისკოპოზად კურთხევას. თან ურბნისის ეპარქიის სამღვდელოებას ევაჭრება – თუ გინდივართ – ამდენი პური უნდა მომცეთ, ამდენი ფული, მისვლა-მოსვლაზე ცხენი და ეტლიო! ასეა საქმე! დღეს საეპისკოპოსო ღირსებად არის მიჩნეული მხოლოდ ერთი გარემოება – უნდა იყო „ქვრივი“, მაგრამ შეიძლება გყავდეს ხასად რუსი დედაკაცი!..

16 თებერვალს თბილისის სამღვდელოების მორიგ სხდომაზე, დეკ. ციცქიშვილის და ან. თოთიბაძის თანადასწრებით (მესამე მათი თანამოღვაწე – დეკ. ი. შუბლაძე არ დასწრებია, თავი მოიავათმყოფა, ეს იყო დედა-ეშმაკი „ახალ სიტყვისა“, თავი მოარიდა) დასმულა საკითხი თვით დეკ. ციცქიშვილის პიროვნებაზე – რას ჰფიქრობს ის, როდესაც თბილისის სამღვდელოებაში ისევ შემოდის, ხოლო მან – ციცქიშვილმა, ეს სამღვდელოება 1919 წელს მაისში მეტად შეურაცხჰყო, როდესაც ამ სამღვდელოებამ მას არ მოუწონა „ახ. სიტყვის“ რედაქტორობა, გარნა ციცქიშვილი მიუბრუნდა თბილისის სამღვდელობას, დეკ. ს. შოშიაშვილის თავმჯდომარეობით, და შემდეგი თავხედი სიტყვები დაჰხარჯა: „თქვენც შეგარცხვინათ ღმერთმა და თქვენი კრებაცა, რას ბოდავთო“! ამის შემდეგ დეკ. ციცქიშვილი კრებამ გააძევა სხდომიდან, ოქმი იქმნა შედგენილი და წარედგინა კათოლიკოზ ლეონიდს, ამ უკანასკნელმა კი წინადადება მისცა ციცქიშვილს, ბოდიში მოეხადა სამღვდელოების წინაშე, რაც დღემდე მას არ შეუსრულებია, დღეს კი ის ისევ ჩვენს წრეში ტრიალებს, კრებაზე ესწრება, სამრევლოში შევიდა და ჩვენს ქორეპისკოპოზად ემზადება! ამ თაობაზე ცხარე კამათი ამტყდარიყო 16 თებერვლის სხდომაზე, მე გაკვეთილებიდან მიუსწარი ციცქიშვილის სიტყვის ბოლოს. ციცქიშვილმა განაცხადა – „ჩემი სიტყვები მთელ კრებას როდი ეკუთვნოდა, არამედ ზოგიერთებსო, დაასახელა აწ მოკლული მეორე საეკლესიო კრების გახსნის წინა ღამით 1920 წელს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე. მაგრამ იქვე ამხილეს ციცქიშვილის ეს საშინელი ტყუილი, სწვდა დეკ. ჩიჯავაძე სიტყვით და თავ-ლაფი დაასხა. შემდეგ მე ავიღე სიტყვა და უფრო ნათლად დავასურათე, საქმის ვითარება, მეც ვამხილე ციცქიშვილი ტყუილში და თან დავასურათე, თუ რა როლი ითამაშა მან 1905 წლიდან, როდესაც მის თავმჯდომარეობით ქართველ სამღვდელოებას ყაძახ-რუსებმა მათრახებით სისხლი ადინეს; „მართალია, ამ აქტის დროს შენ თავმჯდომარეთ იყავი, მაგრამ ჩვენც თქვენ გვერდით ვიყავით და ტყვილა ისაკუთრებ იმ დროის სიმძიმეს შენ საკუთარ დამსახურებად თქო! ამ აქტის გამო მეფის მოადგილე სულთან-კრიმ-გირეისთან მე ვიყავი საპროტესტო დეპუტაციის წინამძღოლი, თვით მეფის მოადგილე – ვორონცოვ-დაშკოვთანაც მე ვიყავი პროტესტის გამომცხადებელი, ქალაქის თვითმართველობაშიაც მე ვიყავი, მაშინ რო ავდექი, ჯერაც არ დავმჯდარვარ და შეძლებისა გვარად ვიბრძოდი ეკლესიის განთავისუფლებისათვის, შენ კი იმავ 1905 წლის აგვისტოში, ამ რევოლუციონურ კრების თავმჯდომარემ, მოახერხე სოფელ იტრიიდან თბილისში, ავლაბრის გიმნაზიაში სამღვთო სჯულის მასწავლებლად გადმოსვლა! მე კი ეს თანამდებობა არ მეღირსა იმ დროში თქო! ხოლო ამ თანამდებობაზე და-

გამტკიცა ექსარხოსმა ნიკოლოზმა, რის შემდეგ იმავ ნიკოლოზს ამოუდექი გვერდში სიონის ტაძარში თანამწირველად და თანამსახურად (სიონზე იქმნა მიწერილი, როგორც უეკლესიო გიმნაზიის მღვდელი), შვიდჯერ თაყვანსა სცემდი და უკმევდი იმავ ექსარხოსს, მე კი მაშინ სამღვდელოების ყველა დაწესებულებებში ვიყავი არჩეულ პირად და განვაგრძობდი ბრძოლას! ეს ყველაფერი მოგიხერხა, აი, იმ დეკანოზმა (მიუშვირე ხელი ანტ. თოთიბაძეს!) ჩვენ ვიცით, თქვენ რა შვილებიც ბრძანდებით და რა როლიც ითამაშეთ ჩვენს ცხოვრებაში! (ამ დროს ციცქიშვილი და თოთიბაძე იყვნენ გაფითრებულნი და თავჩაღუნულნი, კრინტი არ დაუძრავთ). სად იყავი შენ ამ დროს? რატომ შენი ბოხი-გამბედავი ხმა აღარ გაისმოდა სადმე? ან გახსოვს, 1906 წელს აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ანჩის ხატის ტაძრის პირდა-პირ, მოლოდინიშვილის სახლის ქვედა სართულში, „სიტყვის“ რედაქციაში რო შემიყვანე და მიბრძანე: „ღვთისმშობლობას ექსარხოსი ნიკონი მწირველი იქნება შენთან, დიდუბის ეკლესიაში, არ გაბედო, წირვის შემდეგ ჩაიზე არ შეიპატიჟოო“?! მე ნიკონი გამალახვიეთ, გაროზგილი გამომასტუმრებიეთ დიდუბიდან, ხოლო ერთი თვის შემდეგ დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის დღესასწაულზე ისეთი ნადიმი გაუმართა ანტონ თოთიბაძემ იმავ ნიკონს, რომ კინაღამ იქაურობას ჭერი აჰყარეთ მისმა თანამეინახეებმა! შენც იქ ბრძანდებოდი! განა არ ვიცით, რა როლი ითამაშეთ შენ და თოთიბაძემ „ნიკონის ბოიკოტზე“?!. რა ცუღლუტობა ჩაიდინეთ!.. გახსოვს, 1913-ში დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის საბჭოს წევრად მოვხვდით მე და შენ სამღვდელოების მხრივ, როგორ ვებრძოდი ჩვენ ეკლესიის გამძვინებულ მტერს დეკ. რაზუმოვსკის და როგორ ფეხებში ეგებოდი შენ?! ერთხელ როდესაც მეტად დიდ ვერაგობაში ვამხილე რაზუმოვსკი, შენ, იმის მაგივრად რომ ჩემთვის დაგეჭირა მხარი, რაზუმოვსკის გადაეფარე და შემდეგი სიტყვებით მომმართე: „О. Никита, вы отцу Председателю (რაზუმოვსკის) проповѣдь читаете“ო! აბა, თუ დედიშენის შვილი ხარ, უარ-ჰყავი ესე... ერთი სიტყვით ,1905 წლიდან შენ ჩვენი ეკლესიისა და სამღვდელოების უფლებებზე ხმა არ ამოგიღია. შენ მაშინ აღიმაღლე ხმა, როდესაც ჩვენი ეკლესია დამოუკიდებლობის გზაზე უკვე შესდგა, საკუთარი თავი დაიდგა და სააღმშენებლო მუშაობას უნდა შევსდგომოდით ყველანი. 1918 წელს შენ „ახალ სიტყვის“ რედაქტორობა აგკიდეს ზურგზე, გარნა ამ ბინძურმა ორგანომ და მისმა კალმოსნებმა – „ახალმა“, ახუთელმა, ა-ლიმ, ნაჭყებიამ, ჯაჭვაძემ, ჭინჭარმა, ბაბასინმა და ასეთმა პირბადე ახვეულებმა, რომელნიც შენს ზურგს უკან იმალებოდენ, ასტეხეთ საშინელი ვაკხანალია მხცოვან კათოლიკოზ კირიონის გარშემო! შენა და შუბლაძემ იმ ორგანოს დევიზად გამოაცხადეთ – „საეკლესიო მთავრობის უსამართლოობის მხილება!“ – რატომ ექსარხოსებს არ ამხელდით უსამართლოებას?! ან რატომ არ ამოასუნთქიეთ კირიონს, რა ცილისწამებას და თავხედობას არ იჩენდით მის შესახებ?! ასე უნდოდა ახალ ფეხ ადგმულ ეკლესიას ბეჭვდით ორგანოში ხელმძღვანელობა?! ან რა ჭკუა და სინიდისი უნდა ეკითხოს იმ კალმოსანს – „ჯაჭვაძეს“ (დეკ. შუბლაძე) ან მის რედაქტორს ციცქიშვილს, რომელთაც „ახ. სიტყვის“ მეშვიდე ნომერში მოათავსეს ასეთი პას-

კვილი: „კათოლიკოზი კირიონი და სიონის წაპილწვა“?! იმ კვირას, კათოლიკოზ ამბროსისთან ვიყავი მე თანამწირველი, რო იქ მე რაიმე მარცხი მომსვლოდა და თუ გინდ ტრაპეზთანვე ჩავსვრილიყავი, აქ რა შუაში იქნებოდა კათოლიკოზი ამბროსი?! რაზე აწამეთ და შეურაცჰყავით დატანჯული და ისედაც წამებული, ოცი წლის განმავლობაში დევნილი კირიონი?! მაგრამ განა შენ იყავი პირადად ამაში დამნაშავე?! არა, შენ სად შეგიძლია ან წერა ან დალაგებული ლაპარაკი, შენ სხვის ხელში ბრმა იარაღი იყავი და დღესაც ასეთი იარაღი ხარ და საფუძვლიანად ვფიქრობ, რომ ეპისკოპოსობაშიდაც ისევ სხვისი სათამაშო იარაღი იქნები! მართალი მოგახსენოთ, მე არ მშურს შენთვის „ეპისკოპოსობა“, პირიქით, მეინტერესება კიდეც ვნახო – როგორი „ეპისკოპოსი“ იქნები?! ანტონ ქუთათელისადმი რო საჭიდაოდ წამოგაყენა „ახალმა სიტყვამ“, სამედიატორო სამართალში რო იწვევდი ქუთათელ მიტროპოლიტს, რას ჰფიქრობდი, რა ჭკუაზე იყავი მაშინ, ან ახლა რას ჰფიქრობ ყოველივე ამაზე?! ასეთი დაუმუშავებელი პიროვნება „მანგლელ“ ეპისკოპოსობას ჰფიქრობ თბილისში! გარნა თბილისის სამღვდელოებას თავზე ლაფი დაგვასხი, ეხლა კი ეპისკოპოსად უნდა მოგვევლინო, თავზე გადაგვახტი, საკათოლიკოზო საბჭო და კათოლიკოზი შეცდომაში შედიან, და ჩვენ ხელზე უნდა გემთხვიოთ?! კარგი, მამაო, გემთხვევით, იეპისკოპოზე ჩვენზე, მაგრამ ბოდიში მაინც მოიხადე, უკან წაიღე შენი „ახალი სიტყვის“ რედაქტორობის სახელი, უკან წაიღე ის შეურაცხყოფა, რისთვისაც თბ. სამღვდელოებამ კრებიდან გაგაძევათ, გადმოდგით რამოდენიმე ნაბიჯი შესარიგებლად, რომ ჩვენ მოგეგებოთ, დავცხრეთ, დავწყნარდეთ, და ამ საშინელ დროში ეკლესიას ვეპატრონოთ, თორემ ჩვენ რა ვართ და ჩვენი დამწყსილი ერი რა უნდა იყოს“?!.

ამ ბოლო სიტყვებზე კრებამ ოვაციები გამიკეთა და მოსთხოვა დეკ. ციცქიშვილს ბოდიშის მოხდა. ციცქიშვილმა ნაცვლად ბოდიშისა განაცხადა, რომ ის დღესაც იცავს, „ახ. სიტყვაში“ რაც დაიბეჭდა, იქ ყველაფერს „მართალსა“ ვსწერდითო! – ამ სიტყვებზე წამოვარდა დეკ. ი. ჩიჯავაძე და შესძახა: „შე გ... ლო! კირიონზე რო სწერდით, სახარების კითხვა არ იცისო, ამ ახალმა კათოლიკოზმა კი იცის კითხვა?! რატომ არ ჩადიხარ და არ ეტყვი – ხუცური წაკითხვა და არც წირვა-ლოცვა არ იციო?!. (სულ ყველამ თავი ჩაღუნა!) ვის უნდა ასეთი „სიმართლე“ შე უბედურო“?!. შემდეგ ციცქიშვილმა დამიწყო კბენა მე და მიკიჟინა – ალექსანდრე ეპისკოპოსთან ცუდად იყავიო, ლეონიდთანაც, დავითთანაც, დეკ. კ. ცინცაძესთანაც – თუმცა ამას მეც ხშირად ვეწინააღმდეგები – „ღეჭიაარ“!.. ამაზე მე მიუგე: „ალექსანდრე ეპისკოპოსთან ჩინებულად ვიყავი: როდესაც ის გადააგდეს კათედრიდან, მეც დავსტოვე ფოთი და აღარ მიმსახურია ფოთში მის შემდეგ; მის გარდაცვალებაზე ავედი შიომღვიმის მონასტერში და კრების წინაშე, იმდენ ხალხის თანადასწრებით, ისეთი თამამი სიტყვა წარმოვსთქვი იმ ძველ დროს, რომლის მსგავსს შენ ვერ გაბედავდი, ან სად ბრძანდებოდი მაშინ შენ?! რატომ შენც ჩვენთან არ იყავი შიო-მღვიმეში, ალექსანდრე ეპისკოპოზის დასაფლავებაზე?! ის ჩემი სიტყვა დღეს დაბეჭდილია, დეე, საზოგადოებამ სთქვას, იმ სიტყვის ავტორი ცუდად იყო ალექსანდრე ეპისკოპოსთან?! მაშ ეს

ერთი ნომერი წაგიხდა. დავით ეპისკოპოსი ჩემი სკოლის ამხანაგია, როდესაც ყველამ ადგილები გაინაწილეს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, დავითი ყველას დაავიწყდა რუსეთში, მე მოვიგონე ის მხოლოდ და ძლივს გამოვგლიჯე ნაზარ არხიმანდრიტს ხელიდან ურბნისის კათედრა მისთვის! შენ სად ბრძანდებოდი მაშინ, დავით ეპისკოპოზის ეხლანდელო მეგობარო?! ან 1921 წელს თბილისიდან რო გაიქცნენ კათოლიკოზი ლეონიდი, დეკ. ან. თოთიბაძე და სხვები, დავით ეპისკოპოსი უპატრონოდ რო დააგდეს აქ და ბავშვივით გულგახეთქილი, ავათმყოფი უმწეოდ დააგდეს აქ, მე მივხედე მას მაშინ თუ შენ? სად ბრძანდებოდი მაშინ შენ, მამაო?! სად იმალებოდი?! ეს მეორე ნომერიც წაგიხდა. მართალია, ლეონიდთან მქონდა მწვავე შეტაკებანი, მაგრამ ეს ისევ გაქნილ, ცუღლუტ „ახ. სიტყველების“ კალმოსნების მიერ მოგვდიოდა. წინეთ მე და ლეონიდი დიდი მესაიდუმლე ვიყავით ერთმანეთისა. ის ქუთაისიდან თუ ფოთიდან მწერდა ექსარხოსების ბატონობის დროს წერილებს და მამხნევებდა ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში! მას რომ ჩემზე დანდობა და ახლო მეგობრობა არ ჰქონოდა, განა ასეთ ბარათებს მანდობდა?! ასეთი მეგობარი, ნაჭირნახულევი-მოღვაწე კაცი შენისთანა პირებმა წამაჩხუბეს, მაგრამ, ვმადლობ ღმერთს, რომ შემდეგ ლეონიდიც მიგიხვდათ თქვენს ოინბაზობას, სიკვდილის წინ ერთი თვით ადრე დამიბარა, მთელი აღსარება უთხარით ერთმანეთს, რა მითხრა ლეონიდმა შენზე და სხვებზე, ამას აქ ადგილი არა აქვს, იქ ჩვენ შორის მხოლოდ ღმერთი იყო მოწამე! მაგრამ რომ შევრიგდით, და ისევ ერთად დავიწყეთ მუშაობა, ივლისის (1921 წ.) საეპარქიო კრებაზე ფაქტიურ თავმჯდომარედ დამსვა და საქმეებს შეუდექით, ამას მოწმობს ჟურნალი, რომელიც შედგენილია ამ თაობაზე! მაშინ შენ, მამაო, სად იყავი?! რას აკეთებდი?! ან რო გარდაიცვალა, რატომ პატივი არ ეცი?! სურამში რო ბინდაობდი საკუთარ სასახლეში და ეზო-ვენახში, იქნებ ეს დიდი მეგობრობა გეგონა ლეონიდისადმი?!. რაც შეეხება მამა კალისტრატე ცინცაძეს, ამასთან მე მომდიოდა უთანხმოება, დღესაც არ ვიზიარებ მაგის ზოგიერთ შეხედულებას საქმეზე, მაგრამ დაუბრებით არასოდეს არ დაუბრებივარ, არც შენთან შემიწყვეტია სალამი და საუბარი! ერთადერთი კაცია დ. დავითაშვილი, რომელიც სალამს არ იძლევა, რომ მომცეს სალამი, მე სიამოვნებით უპასუხებდი! მე მაგისთანა წვრილმანებს არ მივსდევ, მე პირად ჟინიანობისათვის კი არ ვაწყენინებდი ვინმეს, თუ ვაწყენინებდი, ისევ საზოგადო-პრინციპიალურ საკითხებში და საქმეში. ყოველ შემთხვევაში, მე ვსწუხვარ, რომ შენ მაინც ისევ „ახ. სიტყვის“ „ზნეობას“ იცავ, უკან არ მიგაქვს შენი დანაშაულობანი, დღესაც ვერ შეგიგნია შენ ის წუმპე, რომელშიდაც ჭყუმპალაობდი, გეტყობა, ეპისკოპოსობისათვის არ ხართ დამუშავებული პიროვნება! თუ შენ „ახ. სიტყვის“ – „სიმართლის გზით“ წაიყვან ჩვენს სამღვდელოებას თუ სამწყსოს, მე მაგ გზაზე ვერ გამოგყვები“...

შემდეგ სიტყვა აიღო დეკ. კ. ცინცაძემ. მან განაცხადა: „მე „ახ. სიტყვა“ მეორე ნომრიდგანვე არ მომწონდა, ბევრი რამეებიც კი წავშალე შიგ (თურმე, „ახ. სიტყვის“ ცენზორი ყოფილა მამა ცინცაძე!), მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ორგანოს გამოსაცემი საშვალება ისევ აქ დამსწრე სამღვდელო პირებმა – ზოგიერთებმა გამოიღეს, საორგანიზაციო კრებაზე მაშინ დაგვესწრო

მღველმთავრები ლეონიდი და დავითი“. აქ ვწვდი მამა ცინცაძეს და მოვახსენე: „შე დალოცვილო! თუ არ მოგწონდა ის ორგანო, რატომ იყავი თანამშრომელთა სიაში აღნიშნული, რატომ შემდეგ არ მოხსენი შენი სახელი?! რატომ მოათავსე იმ ბინძურ ორგანოში შენი ხელმოწერილი ქადაგება?! ან როგორ მოხდა ის გარემოება, რომ 14 საბრალმდებლო მუხლი, რომელიც შენ დაახალე კათოლიკოზ კირიონს, მოთავსებულ იქმნა იმ შენგან დაწუნებულ „ახალ სიტყვაში“! ეხლა კი მიცვალებულ ლეონიდის ზურგს უკან ამოფარება სირცხვილია, მამაო! გამოდის, რომ თქვენ გაგიბრიყვებიათ მაშინ სამღვდელოება და ეხლა ლეონიდის და დავით ეპისკოპოზის მხილებით გინდათ თავი იმართლოთ, სირცხვილია, მამაო, ეს“!.. გაშავდა დეკ. ცინცაძე, რაღაც წამოილუღლუღა კიდევ, მაგრამ სიკვდილის ფერი ედო. შემდეგ სხვებმაც ბევრი ისაყვედურეს „ახ. სიტყვაზე“, უსაყვედურეს ციცქიშვილს ეხლანდელი მისი ჯიუტობა, განსაკუთრებით ამხილა ის დეკ. იასონ კაპანაძემ, რომელმაც შემდეგ წარმოადგინა ასეთი რეზოლიუცია „ახ. სიტყვის“ შესახებ მსჯელობის დასკვნად: „თბილისის სამღვდელოების კრება ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ განახლებულ ეკლესიის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ისეთ გამოცემას, როგორიც იყო „ახალი სიტყვა“, იგი ჰგმობს მისს მიმართულებას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ სამღვდელოებაში ამჟამად არ მოიპოება ისეთი გონიერი სამღვდელო პირი, რომელიც მხარს უჭერდეს მის მიმართულებას. ამასთან სამღვდელოება გულწრფელად აღიარებს, რომ „ახალი სიტყვის“ გამოცემაში ბრალი ედება არა მარტო აქტიურ მის გამომცემლებს, რომლებთა შორის იყო დეკ. ციცქიშვილი“.

ეს რეზოლიუცია მიიღო მთელმა კრებამ, გავარდა მხოლოდ ციცქიშვილი, დაიწყო ყვირილი: „ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ დეკ. ჩიჯავაძეს ეპისკოპოსობა უნდა, დეკ. თალაქვაძეს კი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მიცვალებულებიო“! ამაზე ერთხმად მიაძახეს: „ეს დემაგოგიაააო“! მე კი უთხარი: „თუ ასეთი სამარცხვინოა მიცვალებულების პატივისცემა, მაშ რაღად დააცხრით შენ და შენი ხელმძღვანელი თოთიბაძე იმ ეკლესიას თქო? სამხედრო ტაძარზე რო ზედ მიიწერეთ და იქაურობას ანიავებთ, რატომ არა გრცხვენია ამ „საეპისკოპოსო“ კაცსა თქო“... შემდეგ სულყველამ ხელი მოვაწერეთ ამ რეზოლიუციას, რომელიც ჩატანილ იქმნა ოქმების წიგნში. ჩემდა განსაცვიფრებლად, შემდეგ კრებაზე რო გადავშალე ეს წიგნი, სულ ყველაზე ბოლოს ხელი მოეწერა თვით დეკ. ქრ. ციცქიშვილსაც!

აი, ასეთი პიროვნებაა, ასეთი სინიდისის და ნამუსის პატრონია ეს ჩვენი საეპისკოპოსო და შემდეგ „საკათოლიკოზო“ ციცქიშვილი! ვაი, ჩვენი ეკლესიის ბრალი ჩვენს ხელში!..

ამ სხდომაზე დეკ. ცინცაძემ გადმომცა მიმართვა 1922 წ. 15 თებერვლის თარიღით №6329-ით, რომლითაც ის მიწვევს „სამოძღვრო კურსებზე“ მასწავლებლად:

„ყოვლად პატივცემულო, მამაო ნიკიტა!

უწმინდესის კათოლიკოზ-პატრიარქის ამბროსის 1922 წ. იანვრის 20 ბრძანებით, მე მაქვს დავალებული სამოძღვრო კურსების საპედაგოგო ნაწილის

მოწყობა. ამის გამო პატივისცემით გთხოვთ, მაცნობოთ, რომელი საგნის სწავლებას ინებებთ თან დართულ საგანთა სიითგან.

ზემო აღნიშნულს დავსძენ, რომ კურსებზე მეცადინეობა მოხდება საღამოობით.

ულრმესი პატივის ცემით, დეკ. კ. ცინცაძე
დედანთან სწორია – დეკ. ნ. თალაქვაძე"

სამოძღვრო კურსებზე სასწავლო საგანთა სია

I. საღვთო სჯული ძველისა და ახალი აღთქმისა.

II. ძველისა და ახალის საღვთო წერილის მიმოხილვა.

III. საეკლესიო ისტორია მსოფლიო და მშობლიური.

IV. ღვთისმსახურება და ელემენტარული ცნობები კანონიკითგან.

V. ღვთისმეტყველება (ელემენტალური ცნობები დოგმატიკითგან, ეთიკიდგან, პოლემიკითგან და უცხო სარწმუნოებათა მიმოხილვისაგან).

VI. მქადაგებლობა.

VII. ქართული ენა (ძველი სამწერლო ენა).

VIII. საეკლესიო გალობა.

ამ მომართვაზე თებერვლის 19-ის თარიღით №6 მე უპასუხე:

„მამაო დეკანოზო კალისტრატე!

როგორც თქვენი მომართვისაგან ვსცანი, უწმინდეს კათოლიკოზს დაუვალებია თქვენთვის სამოძღვრო კურსების საპედაგოგიო ნაწილის მოწყობა, ხოლო მე მიწვევთ ამ კურსების ერთ-ერთ საგნის მასწავლებლად. ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლი, ამ საქმეში თანამშრომლობა გაგიწიოთ, მაგრამ ვშიშობ, რითიმე ხელი არ შეუშალო ამ ახალ საქმის მოწესრიგებას და თუ ამჟამად გამანთავისუფლებთ ამ მოვალეობისაგან მეტად მადლობელი ვიქნები. უნდა მოგახსენოთ, რომ კვირაში 26 გაკვეთილს ვაძლევ მეოცე ქალთა ტეხნიკუმში, მეტად ვიქანცები, ამასთანავე საღამოობითაც ხშირად ხან საპედაგოგიო სხდომაზე ვარ ხოლმე იმავ ტეხნიკუმში, ხან მრევლში ვასრულებ წესებს; ამიტომ შესაძლებელია, კურსებზე ვერ ვიარო წესიერად და დაქანცულმა კაცმა ვერც ვიმუშაო სათანადო ენერგიით. ამას ყველაფერს უნდა გათვალისწინება, რომ არც თქვენ ჩაგაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში და არც მე ჩავდგე. მით უფრო შესაძლებელია ამჟამად ჩემი განთავისუფლება, რომ კურსებზე სასწავლო საგნების მასწავლებლობის მსურველი სხვა ბევრი შედარებით თავისუფალი პირი გამოჩნდება. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც აუცილებელ საჭიროდ დაინახავთ ჩემს მოწვევასაც, პატივისცემით გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ზემოაღნიშნული ჩემი სამსახურის გარემოებანი ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. თქვენ მიერ დართულ საგანთა სიიდან მე ვიკისრებდი ან ძველი და ახალი აღთქმის, საღვთო წერილის მიმოხილვას და ან საეკლესიო ისტორიას.

დეკ. ნიკიტა თალაქვაძე"

22 თებერვალს, თბილისის სამღვდელოების მორიგ კრების შემდეგ, დეკ. კ. ცინ-

ცაძემ მოახდინა კურსებზე მის მიერ მასწავლებლებად მიპატიჟებულ პირთაგან თათბირი, რომელზედაც დაესწრნენ დეკანოზები: მ. ტყემალაძე, გ. გამრეკელი (სასულიერო აკადემიელებია), ი. შუბლაძე, ქრ. ციცქიშვილი (ამათ ქართული უნივერსიტეტი მოისმინეს), ის. ჩეკურაშვილი (სემინარიელია), დეკ. ნ. თალაქვაძე და თვით თავმჯდომარე კ. ცინცაძე. დაგვესწრო დეკ. იას. კაპანაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკაში გადავდივარ ცოლ-შვილით და კურსებზე მასწავლებლობას ვერ ვიკისრებო. გაინაწილეს სასწავლო საგნები: მე მარგუნეს – „მქადაგებლობა“, ცინცაძემ აიღო „კანონიკა“, შუბლაძემ – დოღმატიკა-ეთიკა, ციცქიშვილმა – „ძველი ქართული ენა“, გამრეკელმა – საეკლესიო ისტორია, ტყემალაძემ – ღვთისმსახურება, ჩეკურაშვილმა – სამღვთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა; კურსები იქნება ორწლოვანი, ცენზი – ერთ-კლასიანი პირველ დაწყებითი სკოლა; წლოვანება – არანაკლებ 18 წლისა; სკოლის ბინა – საკათ. საბჭოს დარბაზის შუა სართული. კურსების ხელმძღვანელმა დეკ. ცინცაძემ განაცხადა: „კურსები უსათუოდ უნდა გავხსნათ, სულ რომ ხუთი კაცის მეტი არ გამოცხადდესო; უნდა გაიგოს ყველამ, რომ კურსები გვაქვსო; ნებართვა ვითხოვე განათლების კომისარიატში, მომთხოვეს დაწვრილებითი ცნობები საგნებზე, მათ პროგრამებზე და მასწავლებლებზეო“ (ეს ბოლშევიკების მთავრობაა!!.). მოგვთხოვა ჩვენ-ჩვენ საგნებში პროგრამის დამუშავება და წარდგენა. მე არ გამანთავისუფლა, მიბოძა სამი გაკვეთილი კვირაში საღამოობით. სასყიდლის გამოანგარიშება შემდეგ მოხდებაო. ვნახოთ – რა იქნება. ძლიერ კარგი ვქენი, რომ უარი განვაცხადე „კურსების დირექტორობაზე“, ეს უმეტესწილად „ახალ სიტყვის“ კოლეგიაა! ამათ დეკ. ცინცაძე თუ შეჰკრეფდა, თორემ მე ესენი არ გამიწევდნენ ანგარიშს. ყოველ შემთხვევაში, ძლიერ ნაკლები იმედი მაქვს, რომ კურსები მოეწყოს; ჯერ არც მოწაფეები სჩანან.

მე წარვადგინე შემდეგი პროგრამმა:

პროგრამმა
თბილისის სამოძღვრო კურსებისა – მქადაგებლობაზე

1. მქადაგებლობა, როგორც არსებითი მოვალეობა მოძღვრისა („წიგნი თანამდებობათათვის სამრევლოთა მღვდელთასა“, თავი 2).

2. სათანადო მომზადება ამ მოვალეობის შესასრულებლად: ა) გონებრივად, ბ) ზნეობრივად, გ) განკრძალვა ღვთისადმი ლოცვა-ვედრებაში, დ) მადლი ღვთისა, როგორც მამოძრავებელი ძალა მქადაგებელ მოძღვრისა.

3. მქადაგებლობა, როგორც მართლ-მადიდებელ ქრისტიანობა ზე სწავლა-დარიგება-საუბარი; მოძღვარი-მწყემსი – „ანგელოსი უფლისა ყოვლისა მპყრობელისა“.

4. რა არის „ქადაგება“? სად, როგორ და როდის იქადაგებოდეს სიტყვა ღვთისა? რა მიზანს ემსახურება ქადაგება?

5. მქადაგებლობისათვის სახელმძღვანელო წესები ანუ „გომილეტიკა“: ა) ქადაგების სხვა და სხვა საგანი, ბ) მისი გარეგანი მხარე ანუ გამოხატულება, გ) მისი შინაგანი მიმართულება ანუ ხასიათი, დ) წინასწარ შედგენილ ქადაგების წარმოთქმა, ე) იმპროვიზაცია.

6. მქადაგებლობის შესასწავლი გზა – თეორეტიული როგორც სხვა და სხვა გამომუშავებულ წესების აღნიშვნა და – პრაქტიკული, როგორც ამ წესებით ხელმძღვანელობა და მქადაგებლობაში გატარება, ესე იგი: ა) სანიმუშო ქადაგებათა განხილვა და მათში გომილეტიკური წესების ჩვენება, ანუ ქადაგების ანალიზი, ბ) მოწაფეთა ვარჯიშობა აღნიშნულ წესებზე ქადაგებათა შედგენაში, გ) მოწაფეთა მიერ საკუთარ ან სხვის ქადაგებათა წარმოთქმა სკოლის კათედრიდან, დ) ვარჯიშობა თავისუფალ იმპროვიზაციაში.

7. მოკლე ისტორიული მიმოხილვა საზოგადოდ მქადაგებლობისა და განსაკუთრებით ქართულისა.

სანიმუშო-სახელმძღვანელო ქართული ქადაგებანი: განსვენებულთ – ეპ. გაბრიელისა, კათოლიკოზ ლეონიდისა, ამბროსი ნეკრესელისა და ანტონ ჭყონდიდელისა.

დეკ. ნ. თალაქვაძე, 1922 წლისა მარტის 7-სა დღესა

22 თებერვალს, თბილისის სამღვდელოების მორიგ კრებაზე, დაგვესწრო კათოლიკოზი ამბროსი, თვითონვე თავმჯდომარეობდა; არ დაგვსწრებია არც დეკ. ან. თოთიბაძე და არც ქრ. ციცქიშვილი, ესენი გამოტანილ რეზოლიუციისა გამო „ახ. სიტყვაზე“ – ჯერაც ვერ მოსულან თავიანთ გუნებაზე; სხდომაზე დამიგვიანდა გაკვეთილებიდან; რომ მივედი კრებაზე, კათოლიკოზმა წერილობითი თვისი მოხსენება წაუკითხა სამღვდელოების კრებას, რომელშიდაც ის სთხოვდა თბ. სამღვდელოებას, რათა ამან აღმოუჩინოს დახმარება ახალ პროტოდიაკონს – უჩანეიშვილს, რომელიც გადმოყვანილ იქნა ფოთიდან. „პროტოდიაკონი ნივთიერად შეიწროებულია, ცოლ-შვილი ფოთში ჰყავს, თვითონ აქ სცხოვრობს, გაუჭირდა და წასვლას აპირებს, მე კი უმაგისოთ წირვის შესრულებას ვეღარ შევსძლებო“, განაცხადა კათოლიკოზმა. პირველი სიტყვა ამ თაობაზე აიღო დეკ. ი. შუბლაძემ, რომელმაც საზიზღარი მლიქვნელობით და კათოლიკოზის „სასიამოვნებლად“ ისეთი პრანჭვა-გრეხით მოგვმართა, რომ სირცხვილის ალმურმა დაგვწვა ყველანი: „სიტყვის შეუბრუნებლად, ულაპარაკოდ, ერთხმად უნდა დავაკმაყოფილოთ უწმინდესი მეუფის სურვილიო, აქა ვართ ყველა სამრევლო საბჭოების თავმჯდომარენი, აქვე აღვნიშნოთ ყველამ, ვის რამდენი შეგვიძლია გადავსდოთ ამ საქმეზეო; მე, იმედი მაქვს, ჩემი საბჭო დამეთანხმება და ამთავითვე პეტრე-პავლეს ეკლესიიდან გადავდებ ათი ათას თუმანს თვიურად (100.000 მ.)“... ეს იყო მისი ქვემძრომ სიტყვის დასკვნა, თან ისე იხლაკნებოდა, თვალ-წარბიდან, ქვეშ-ქვეშ უღიმოდა კათოლიკოზს, რომ ყველას ზიზღი მოსდიოდა. მგონი არც კათოლიკოზი დასდგა კაი გუნებაზე ასეთ „მხარის დაჭერით“. ი. შუბლაძე ახუთელი მეგრელია, კათოლიკოზის „მიწა-წყლისა“! ეს მეგრული ხასიათი ორთავეს ახასიათებს და გამოსჭვივის მათ ყოველივე სიტყვა-მოქმედებას – ეს არის საარაკო ცბიერება და არა გულწრფელობა!.. პეტრე-პავლეს ეკლესია არის თბილისის ერთ-ერთი მომქმედი სასაფლაოს ადგილი; დღეს პირველ ხარისხოვანი – მეტად შემოსავლიანი ადგილია; იქ ორი მღვდელია მხოლოდ; აქ დიდ-ძალი შემოსავალია სანთლის ოპერაციიდან და

საფლავების გაყიდვისაგან, თან შუბლაძეს მილიარდების საღირალი სანთელი აქვს მომარაგებული, დიდ შემოსავალშია; მიუხედავად ამისა საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობაშიაც „ბუხგალტერის“ თანამდებობაზე მსახურებს, იღებს ჯამაგირს, ულუფას, ეხლა სამოძღვრო კურსებსაც ეპოტინება, „რამდენი მექნება ჯამაგირიო“, – პირველად ეს იკითხა?! მეტად გაუმაძღარი პიროვნებაა! ასეთ ტაძრიდან ათი ათასი თუმნის გამოღება სიცილად არ ეყო კრებას! ერთხმად ყველამ ხარ-ხარი აუტეხეს მამა შუბლაძეს და ჩაჩუმდა. შემდეგ ილაპარაკა სიონის მესამე მღვდელმა დეკ. გ. ასათიანმა: მან თამამად განაცხადა: „პროტოდიაკონი არ გეყოფა, უწმინდესო, წირვისათვისო; საჭიროა კათედრის მოწყობა, საჭირონი არიან დეკანოზებიც, იპოდიაკონნიც, მსახურნიც და მგალობელნიცო; კანდელაკი უკვე მიდის ამერიკაში, მას შიმშილმა აფიქრებია იქ გადაბარგებაო; მე ერთი ფეხი თუ ორივე არა უკვე სამარეში მიდგია (მოხუცია და თვალებით ბრმავდება), ეს დეკ. ტყემალაძე ღა გყავთ და ერთი იპოდიაკონი სიკო მონასელიძე, რომელიც გალობით – მიცვალებულებზე მიპატიჟებით – სცხოვრობს; არ ვფიქრობ, რომ ჩემს შემდეგ ჩემს ადგილზე ვინმე მოვიდეს; ან რა კათედრა იქნება ქალაქ გორში?! სანამ იქ ეპისკოპოზს აკურთხევდეთ, კათედრის გამართვაზე უნდა იზრუნოთო... სიონი იღუპება, აღარც მრევლი ჰყავს (ექსარხოსების დროს ჩამოშორდა მას მრევლი) და არც ვინმე სხვა ჰპატრონობსო“... ასეთივე საყვედურის კილოთი ილაპარაკა კათედრის დეკანოზმა მარკოს ტყემალაძემ... ეტყობოდა, ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ კათოლიკოზის განცხადებით მხოლოდ პროტოდიაკონის დაკმაყოფილებაზე...

მე შევიტანე შემდეგი კითხვა: „დღეს რა აქვს პროტოდიაკონს ჯამაგირად თქო“, დეკ. ლაზრიშვილმა გამოიტანა სამეურნეო გამგეობის დავთარი და ამოიკითხა იქიდან, რომ „საერთოდ პროტოდიაკონი უჩანეიშვილი იღებს სიონიდან, საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობიდან და ვერის ნიკოლოზიდან ორ მილიონ მანეთამდე თვეში და რამოდენიმე ფქვილსაცო“. ამაზე დეკ. ტყემალაძემ მწარედ გაიღიმა: „მე კი ნახევარ მილიონსაც ვერ ვიღებ თვეშიო“! დეკ. ასათიანმა დაუმატა: „მე ვერც ნახევარ მილიონს ვიღებო“! ზოგიერთმა მღვდელმა სთქვა: „პროტოდიაკონი ჩვენზე ბედნიერი ყოფილა, ის ხელის გაუქნევლად ორ მილიონამდე იღებს თვეში მზა-მზარეულად, ბევრია ჩვენ შორის ისეთნი, რომელნიც ორ მილიონს იღებდეს თვეშიო“?..

ასე მითქმა-მოთქმის შემდეგ მეც ავიღე სიტყვა და მოვახსენე: „სიონი დედაეკლესიაა საქართველოში! როდესაც რომელიმე უცხოელი ტურისტი მოდის ხოლმე ჩვენს დედა-ქალაქში და ჰკითხულობს – თუ რა არის აქ ღირს-შესანიშნავი, მას უთითებენ სხვათა შორის და ყოვლის უპირველესად სიონის ტაძარზე და ეუბნებიან, რომ ქართველებს ჰყავს თვისი ეკლესიის თავი პატრიარქ-კათოლიკოსი; უცხოელები მიდიან სიონის სანახავად, მათ სურთ, ინახულონ ჩვენი კათოლიკოსი, მოისმინონ მისი წირვა-ლოცვა, გალობა ქართული და საზოგადოდ ქართული რელიგიური კულტი. მაგრამ დღევანდელი ვითარება სიონისა ამ მხრივ მეტად სასირცხო მდგომარეობაშია; მოსალოდნელი იყო, რომ საკათ. საბჭო იზრუნებდა კათოლიკოზის კათედრის მოწყობაზე; ამ მხრივ კი მას სრულებით არა გაუკეთე-

ბია რა ჯერ-ჯერობით. მე ვფიქრობდი, რომ საკათ. საბჭოს წევრნი (6 კაცია) ამ დაწესებულებაში იმსახურებდენ, როგორც საზოგადო მოღვაწენი, უსასყიდლოდ; მით უმეტეს, რომ ისინი ყველანი ასე-თუ ისე დაკმაყოფილებულნი არიან ძირითადი სამსახურიდან [დეკ. ცინცაძე – წინამძღვარია ქვაშვეთის ტაძრისა, დეკ. ი. მირიანაშვილი – დიდუბისა; კ. კეკელიძე პროფესორობს უნივერსიტეტში, თავდგირიძეცა და რ. ივანიცკიც უზრუნველ ყოფილნია (ესენი სხვა და სხვა ფინანსიურ დაწესებულებებშია და სხვა „სპეკულაციასაც“ აკეთებენ, მხოლოდ ერთი დეკ. ტყემალაძეა სიონიდან], მიუხედავად ამისა ამათ ერთმანეთს ჯამაგირები დაუნიშნეს საბჭოში, შექმნეს კანცელიარიისა და სამეურნეო გამგეობის ვეებერთელა შტატი, რომელზედაც, როგორც ამ გამგეობის დირექტორი ბრძანებს, თვიურად 25 მილიონამდე იხარჯება! საკათ. საბჭო კვირაში ორჯელ იკრიფება, საღამოობით; ჩვენ არ ვიცით, რას აკეთებს ეს საბჭო, ან რა საქმიანობაა მის კანცელიარიაში თუ სამეურნეო გამგეობაში! ის კი ვიცი, რომ, როდესაც აქ ამოვდივართ ხოლმე, ზოგჯერ ერთი-ორი ადამიანის მეტი არც კია (ამ დროს კათოლიკოზი თავჩაღუნული იჯდა, სხვები გაფითრდნენ...). ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ეს ფული სიონის კათედრის მოწყობაზე წასულიყო, რომ აქ გყავდეს ღირსეული კათედრის კრებული, პროტოდიაკონით და საუკეთესო მგალობელთა გუნდით. ეს კათედრა უნდა იქმნეს სამაგალითო სკოლა ქრისტიანულ მღვდელ-მოქმედებისა, ტიბიკონისა და გალობისა, რომ აქ მომსვლელმა იქონიოს წარმოდგენა, თუ რა არის ქართული ეკლესიის კულტი! დღეს მისი უწმინდესობა მხოლოდ პროტოდიაკონზე გვიბრძანებს დახმარების აღმოჩენას! ჩვენ, რასაკვირველია, მისი უწმინდესობის წინადადებას ძირს არ დაუშვებთ, მაგრამ ამასთანავე სასურველია, რომ დღესვე ვიქონიოთ საერთო მსჯელობა სიონის კათედრის მოწყობაზე, ხოლო ამ თაობაზე საკათ. საბჭომ უნდა გვაჩვენოს თვისი მზრუნველობა, ის ხარჯი, რომელიც მასზე მოდის, უნდა მიექცეს სიონს და შემდეგ ჩვენც – თბილისის სამღვდელოებაც – დავეხმარებით! ფაქტიურად საკათოლიკოზოს ხარჯებს და მთელ სანთლის ოპერაციას უძღვება თბილისის ეკლესიები! ეს არ არის სამართლიანი! კათოლიკოზი, საკათ. საბჭოთი და სიონის ტაძარი – კრებულით – ეს მთელ საქართველოს ეკლესიის კუთვნილებაა, ესენი მარტო თბ. ეკლესიებისა და მღვდლების შესანახი როდია, არამედ მთელი საქართველოისა! აი, ამაზე უნდა ეზრუნა საეკლესიო კრებას გელათში! მაგრამ ამ კრებას ასეთ საჭირ-ბოროტო საკითხებისათვის როდი მიუქცევია ყურადღება. ეხლა მაინც იზრუნოს საკათ. საბჭომ, რომ „ცენტრალიზაციის“ საფუძველზე ყველა ეპარქიებმა შემოიტანონ ცენტრალურ ორგანოთა შესანახი საშუალებანი. ეხლა კი საჭიროა დროებით, ამ ჩვენმა კრებამ აღმოუჩინოს საერთო დახმარება სიონის ტაძრის კრებულს, მასში, პროტოდიაკონსაც“...

ილაპარაკა ამ თაობაზე დეკ. ცინცაძემ, ის შეეცადა დაემტკიცებია ჩემთვის, რომ საკათ. საბჭოს წევრებს ეკუთვნის ჯამაგირი... (მე ამ თაობაზე აღარ გამოვკამათებივარ.) და სიონსაც საერთო დახმარება უნდაო... ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, რომ დროებით სიონის ტაძრის კრებულის დასახმარებლად მოგროვილ იქმნას ქალაქის ეკლესიებიდან სამი მილიონი მანათი და განაწილდეს ეს თანხა კრებულზე...

2 მარტს

დღეს გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს სიონის კანდელაკს დეკ. ი. კაპანაძეს, რომელიც ცოლ-შვილით მიემგზავრება ამერიკაში, სადაც ის წინეთ მსახურებდა იქაურ რუსთა ერთ-ერთ სამრევლოში; ის წაიყვანა აქედან სემინარიის ყოფილმა რექტორმა ნიკოლოზმა – ამერიკის და ალიასკის ეპისკოპოსმა, რომელიც შემდეგ ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსად გარდაიცვალა... სადილზე დეკ. მ. ტყემალაძემ მიგვიპატიჟა თავის სახლში – თითო თანამეინახეს უნდა წარგვედგინა სადილისათვის 144.000 მანეთი; მეც წარვადგინე; ორი მარტი მოდიოდა დიდ-მარხვის პირველ კვირის ხუთშაბათს. შევიკრიბენით სულ ოცი სული კათოლიკოზიანა, ვიყავით სულ სამღვდელონი. თამადობდა დეკ. ტყემალაძე, რომელმაც პირველად ადღეგრძელა კათოლიკოზი, შემდეგ კაპანაძე; ეს დაახასიათა, როგორც კარგი მომზადებული სამღვდელო პირი, აღნიშნა მასთან კეთილი ამხანაგური სამსახური. შემდეგ კათოლიკოზმა შესხმით მიმართა კაპანაძეს. დაიტანჯა ლაპარაკში ბორძიკობდა, აზრთა მიმდინარეობა უბრკოლდებოდა, სიტყვა იყო ნაძალადევი, არაგულწრფელი; შემდეგ ილაპარაკა დეკ. ციცქიშვილმა, მეტად ულაზათოდ, აბდა-უბდათი, თავხედური სითამამით და რაღაც მეტის-მეტი ყოყოჩობით! გვერდით დეკ. ჩიჯავაძე მიჯდა და მიჩურჩულა: „ვინ დაარქვა ამას „ვირგლა“! როგორ ზედ-გამოჭრილი სახელიაო“... მეც უსურვე კეთილი მგზავრობა დეკ. კაპანაძეს, აღვნიშნე, რომ ჩვენს სამღვდელოებაში ის იყო ძალა და მისი ჩვენი წრიდან გამოთიშვა მეტად საწყენია და დანაკლისი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მამა იასონი დიდხანს ვერ შესძლებს სამშობლოს გარეთ დარჩენას და ის ისევ მალე დაგვიბრუნდება; „შინ რო ბავში სტიროდეს, გარედ ტაბლას რა უნდა“, – ეს ითქმის ამ შემთხვევაზედაც! შენ ეხლა მიდიხარ ამერიკაში ანუ უკეთ რო ვსთქვათ, ამერიკაში მცხოვრებ რუსებთან, სადაც შენ შეხვდები ჩვენს ყოფილ ნაბატონართ, იქ არიან გარდახვეწილი უკანასკნელი ექსარხოსი – ჩვენი მტერ-მოყვარე პლატონი და რუსის მღვდლები – სლიუნინი და მისთანანი ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან ლტოლვილნი. როს ნახო ისინი, უთხარ, რომ რუსული მართლმადიდებლობა გაკოტრდა! მათ მხოლოდ ბატონობის ნიადაგზე სდომებიათ ჩვენთან ურთიერთობა! ისინი სრულებით მოწყვეტილნი ყოფილან ქრისტიანულ ძმურ კავშირსა და ურთიერთობას სხვა ერთმორწმუნე ერთადმი, ამ შემთხვევაში ქართველებთან. რამდენი ნაბიჯი იქმნა 1917 წლის მარტიდან გადადგმული საქართველოს მართლმადიდებელ რუსობასთან ძმურ-ქრისტიანულ კავშირის დასაარსებლად, მაგრამ ყოველთვის ისინი გაურბოდენ და გაურბიან ჩვენთან კეთილ-ურთიერთობის აღდგენას, თითქოს ჩვენ მათთვის რაიმე დაგვეშავებიოს ან წაგვერთმიოს! ჩვენ სინოდმა და ამათაც „სხიზმატიკებ“-მწვალებლებად მოგვნათლეს! ეს იმიტომ, რომ სინოდს ჩამოვშორდით! უგუნურნი! განა შეიძლება დღეს ჩვენი სინოდთან მორჩილება!.. დეე, თვითონ აგონ პასუხი ღვთისა და ისტორიის წინაშე... გადაეცი მათ, რომ ჩვენ მუდამ მზადა ვართ ძმურ კავშირისა და ურთიერთობისათვის; მაგრამ რომ ჩვენი ეკლესია ისევ ემონოს რუსეთისას, ამას ჩვენი ცოცხალი თავით არ ვიზამთ...

შენ რუსებს გარდა გექნება ურთიერთობა თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ მოქალაქე ამერიკელებთან; შენ ბევრი შემთხვევა გექნება, რომ საქართველოს სახელი და ქართველი ერისა ღირსეულად მიაწოდა მათ, ამცნო, რომ ჩვენც ერი ვართ, ძველი – კულტუროსანი ერი, ჩვენც ქუდი გვხურავს, ჩვენც გვწყურია თავისუფალი მოქალაქობა, შეგვიძლია და ღირსნიც ვართ ასეთ თავისუფლებისა, მაგრამ დაგვძალა ძალ-მომრეობამ, რუსთა ბატონობა ისევ კარს მოგვდგომია ამხანად „კომუნისტურ-სოციალიზმის“ სახით!.. თუ სომხების წარმომადგენლები ამდენს გაჰკივიან თავიანთ ჰაისტანზე, გარეთ გასულ ქართველებსაც გმართებთ დაბეჯითებით ამცნოთ ყველას ჩვენი ბედ-იღბალი, რათა მეტი სიმპატია დავიმსახუროთ ერთა შორის“... და სხვა ასეთები...

თითქმის ყველამ წარმოსთქვა თითო „რეჩი“, ბოლოს დეკ. კ. ცინცაძემაც წარმოსთქვა დიდი „რეჩი“. ცინცაძე და კაპანაძე ვერ სძოვდენ ერთად, ამათ ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში სასტიკი შეტაკებანი (კაპანაძე იყო ლეონიდის დროს საკათ. საბჭოს წევრი და თან საბჭოს მდივანიც, ხოლო გელათის კრებაზე ცინცაძემ წევრობაზე ხელი შეუშალა, ხოლო მდივნად კი დარჩა. და მუდამ ჩხუბობდენ ერთმანეთში). ეხლა სადილზე ცინცაძემ მოიგონა ეს მათ შორის არსებული ურთი-ერთობა და თითქოს ტირილიც აუვარდა: „შენ ჩემზე რამდენჯერმე საცემრადაც კი იწიე, „ბარანნაია გოლოვაც“ რამდენჯერ მიწოდეო“... (თან ცრემლები ახრჩობდა, ალბად ბრაზებისაგან, რომ ხელიდან უსხლტება მას ეს კაპანაძე...). მაგრამ მაინც გაფასებდი, მომზადებული და საჭირო კაცი იყავი... დაბრუნდები სამშობლოში, მაგრამ მე კი აღარ დაგიხვდები ცოცხალიო“ და ისევ... ცრემლები... ნიანგის ცრემლები!.. წავიდა კაპანაძე! მაგიერი ჯერ არსადა სჩანს! ან ვინღა მივა მშიერ და აბუჩად აგდებულ სიონში! დეკ. თოთიბაძე 7 ექსარხოსს ემსახურა კანდელაკად, ხოლო ქართველ კათოლიკოსებს კაკალი ამტვრია თავზე, წიხლი ჰკრა სიონს, გავარდა, ცალკე „უწყება“ შექმნა მენშევიკების (ს. ჯიბლაძის) შემწეობით, ხოლო დღეს ყოფილ-სამხედრო ტაძარზე ვერის-ნიკოლოზიც ზედ გაიკრა და აღარ იცის, რა უყოს ფულებს... ეს თოთიბაძეც ექსარხოსების „უნაგირად“ წოდებული, იყო სადილზე, მაგრამ ხმა-კრინტიც კი არ ამოუღია, იჯდა, სჭამდა და სვამდა... კაპანაძე წავიდა...

18-19 მარტი ახ. სტ.

შაბათს (18) იყო დეკ. ქრ. ციცქიშვილის ეპისკოპოსად სახელ-წოდება, დაიტოვა ისევ თვისი სახელი „ქრისტეფორე“ (და ვირგლაც!). მე არ დავსწრებივარ; ამ დღეს ვერის-ნიკოლოზის ეკლესიაში ვიყავი მწირველად, ჩემი მრევლი ექიმი გეგე მაღალაშვილი დავასაფლავე, დიდ-ძალი საზოგადოების თანადასწრებით, წარმოვსთქვი მოძღვრება თანამედროვე ცხოვრება-მოქალაქობაზე. თოთიბაძეც ყურს მიგდებდა, შემდეგ წავიდა „მანგლელის“ სახელ წოდებაზე. ამბობენ, ციცქიშვილმა დიდი, პროგრამული სიტყვა წარმოსთქვაო! პიროს ალავერდელი ჩამობრძანებულა თელავიდან; დღეს კი, 19 მარტს, აკურთხეს ციცქიშვილი

ეპისკოპოსად. არც დღეს დავსწრებივარ, ქალაქის სამღვდელოებიდან სულ სამი მღვდელი დასწრებია – თანამწირველებად – დეკ. დ. ხახუტაშვილი, დეკ. ი. მირიანაშვილი და მ. ტყემალაძე, არქიმ. გერმანე (მარტყოფიდან)... საზოგადოებიდანაც სულ ცოტა, ვინც ყოფილან სულ ბიჭ-ბუჭობა, ინტელიგენციიდან არავინ ყოფილა, კათოლიკოზს კვერთხი რო გადაუცია „მანგლელისა"-თვის, უბრძანებია, რომ შენ უნდა განამტკიცო სარწმუნოებაში შოთას სამშობლო – მესხეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთიო და რაღაც ასეთები. ღმერთმა კეთილი ქმნას.

პოლიტიკურ ცაზე ღრუბლები შავად იგრაგნებიან... დაბეჯითებით გაისმის ხმა, რომ „ანტანტა" საბრძოლველად იწევს საბჭოთა რუსეთზე... საქართველოში მობილიზაციაა გამოცხადებული 18 წლიდან 40-ცამდე! დარდანელის სრუტე დაკეტილია, ევროპა ბლოკადას უშვება საბჭოთა რუსეთსო: საშინლად ძვირდება პური, შაქარი და ყოველივე სანოვაგე; მოხელეებს ორ-ორი თვის ჯამაგირი მიუღებელი აქვთ; არ არის ფულის ნიშნები! რუსეთის ფულის ნიშნები აღკრძალეს, ქართული კი არა ჰყოფნის! თურმე თორმეტ-თორმეტ ვაგონებით მოგვაყენეს კარზე რუსული ფულები და უნდოდათ საქართველოს მოსვლეპა ამ ფულებით, მაგრამ დროზე შეაჩერეს, ეს კი კარგი საქმე გააკეთეს ქართველმა კომუნისტებმა, თუ ბოლომდე მიიყვანეს...

ისევ ციცქიშვილზე

კვირას, 19 მარტს, წირვის შემდეგ, კათოლიკოზის ბინაზე სადილი გაუმართეს „მანგლელ ქრისტეფორეს"! ალბად საკათ. საბჭოს საშვალებათაგან! ყოფილან სამი მღვდელმთავარი: კათოლიკოზი, პიროსი და თვით „მანგლელი"! სამღვდელოთაგან დეკანოზები – მ. ტყემალაძე, ან. თოთიბაძე (ესეც თანამწირველი ყოფილა – ცერემონიმეისტერი როგორც „სახელ წოდებისა", ისე „ხიროტონიისა", თვისი იარაღი – ციცქიშვილი, ეხლა ეპისკოპოსის ხარისხში მოიმარჯვა და დაიმარქაფა!) და დ. ხახუთაშვილი; მირიანაშვილი და არქიმ. გერმანე არ გახადეს ღირსი სადილზე მიწვევისა; მგონი დიდუბელ დეკ. ი. მირიანაშვილთან უკვე უკმაყოფილება უნდა ჰქონდეს კათოლიკოზს... სადილზე თამადობდა დეკ. ან. თოთიბაძე და სულ მთავარ-ხუცესის „ჭკუის სწავლებაში" იყვნენ ყველანიო, – გადმომცა თვით მთავარხუცესმა ხახუტაშვილმა; ეტყობათ, მთავარხუცესად ან თვით თოთიბაძე სურთ ან, შეიძლება „მანგლელი ქრისტეფორე", თუ ქალაქში დარჩა; კათოლიკოზს ხახუტაშვილის თავიდან მოშორება სურს, თუ ეს არ დაჰყვა ნებაზე და ხელი არ შეუწყო თბილისის სამღვდელოების დამონავებას და ჩვენი ტაძრების სისტემატიურ ძარცვას. ეხლა ამ ტაძრებზე გაუნაწილებიათ ერთ-დროული თუ ყოველთვიური ხარჯები, ჩემი ტაძარი – ძველის-ძველი ანჩისხატი, ჯერ კიდევ კანტორა-ექსარხოსების მიერ გაფცქვნილ-გაძარცული, სადაც ინოკენტი ექსარხოსმა სასჯელად (შიმშილით) გადმომაგდო 1912 წლის 20 მაისს – ეს ტაძარი 1921 წელს გარშემო დაბანაკებულ რუსის წითელ-არმიელებმა მეტად დამიზარალეს, გალავანი სულ

ერთიანად დასწვეს, გაქირავებული თავლები მტკვრის-პირად ჩამომართვეს და აიკლეს, ეს ტაძარი ეხლა ხარჯების მხრივ მეორე „კატეგორიაში“ შეურაცხავთ და მომაწერეს ამა წლის „იორდანის“ მოწყობისათვის: 1) 236.000 მან. (სულ იორდანეზე დეკ. ლაზარიშვილმა ხუთი მილიონი გვაჩვენა ხარჯი! რაც აღშფოთებას იწვევს ყველაში, ვინაიდან ამის ნახევარიც არა დახარჯულა რა!..), 2) მღ. ჩიქოვანის დახმარება (ცოლი გარდაეცვალა) – 97.000 მან. 3) მთავარ-ხუცესის კანცელიარიას 24.000 თვეში, 4) სიონის კრებულს 145.000 თვეში, 5) ფონდის შესადგენად (ალბად „მანგლელის“ შესანახად) 48.000 თვეში – სულ 550.000 მანეთი! აქედან ყოველთვიურად 217.000 მანეთი! ეს გაფცქვნეს ანჩისხატიდან! ეს არის ამათი სამართალი! ანჩისხატი მიადარეს ჩუღურეთის ნიკოლოზს, ავლაბრის წმ. მარინეს და თვით წმ. ბარბარესას – ნავთლუღში!.. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკათოლიკოზო საზოგადო ხარჯებისათვის ჩემი ტაძარიც, სანთლის მოსყიდვის დროს, იხდის დადებულ ხარჯს, გირვანქა სანთლის ფასია 100.000 მანეთი და ამ გირვანქის მოსყიდვის დროს საკათოლიკოზოს სასარგებლოდ ერთ ამდენსაც გვახდევინებენ! ამ სამ თვეში სამი მილიონი ფული გვაქვს ანჩისხატიდან გადახდილი „საკათ. საბჭოს საჭიროებათათვის“! რაღა ფონდი უნდა მივსცეთ კიდევ, ვეღარ წარმომიდგენია, ექნება თუ არა საზღვარი მეტად გაღვიძებულ მადას ჩვენ მუქთამჭამელა – ფუჭ-ფუტკარა კათოლიკოზ-ეპისკოპოსთა?! არ ვიცი! მე და ჩემი დიაკონი კერძო სამსახურში ვართ – მე გიმნაზიაში, ის ფოსტა-ტელეგრაფში, მაინც დიდ ნაკლულევანებას განვიცდით, ეს ორი თვეა (თებერვალი და მარტი) ჯამაგირი არ მოუციათ, ერთ გირვანქა პურს მაძლევდენ ულუფას და ისიც მომისპეს! ასეთმა მშიერმა კრებულმა სხვას რაღა უნდა მივსცეთ?! ჩვენმა კრებულმა შარშან საზამთრო შეშის სასყიდლად ტაძრიდან მივიღეთ მხოლოდ ასეთი შემწეობა: მე 600.000 მანეთი, ხოლო დიაკონმა 400.000 მანეთი! ჯერ კი არაფერი! კათოლიკოზი კი თვის საჭიროებებზე ხარჯავს რვა მილიონს თვეში და ოთხ ფუთ ფქვილსაც აძლევენ! არ გაგონილა ასეთი უღმერთოება! არც ასეთი თვით-ნებობა და განუკითხაობა! აი, თურმე რა ყოფილა „ქართული მართვა-გამგეობა?!“ ამას შევხაროდით ავტოკეფალიაში?!. რომ უზრდელ-უწვრთნელი, კირიონის სისხლში ამოსვრილი, თავხედი დეკ. ციცქიშვილიც კისერზე დაგვჯდომოდა საკვებად და საფერებლად?! ეს არის დეკ. ციცქიშვილის „ახალ-სიტყვის“ – „სიმართლე“?!.. მეტად ცუდი ხანა დაუდგა უბედურ ჩვენს ეკლესიას – გურია-სამეგრელოში ჭყონდიდლობს განრღვეული, პსიხოპატი ეპ. დავითი (კაჭახიძე), სოხუმში – თითქმის ასეთივე პიროვნება – ახალ ნაკურთხი იოანნე მარღიშვილი, ქუთათლობს ექსარხოსების ნაჯაშუშარი – გარყვნილ-გათახსირებული ნაზარი (ლეჟავა), ალავერდელობს რვა-ფუთიანი, უძირო გოდორი, სვავი-მუქთახორა პიროსი (ოქროპირიძე), ხოლო „მანგლელობს“ თბილისში(!) „ვირგლად“ წოდებული ქრისტეფორე ციცქიშვილი, ხოლო ამათ სათავეში უდგია მეტად მჩატე ბუნების, უხასიათო, უნიჭო და თან მეტად თავმოყვარე და ამპარტავანი კათოლიკოზი ამბროსი (ხელაია), რომელიც გამოდევნილ იქმნა ჯერ გურია-სამეგრელოდან, ხოლო შემდეგ გამოიქცა აფხაზეთიდანაც და სადღაც სამურზაყანოს სოფელში იმალებოდა, როდესაც ის კათოლიკოზის კათედრის მოსაყდრედ „ამოარჩევინეს“ საკათ.

საბჭოს დეკ. ცინცაძე-თოთიბაძემ ლეონიდის გარდაცვალების შემდეგ, გარნა 1921 წლის აგვისტოს საეკლესიო კრებაზე – გელათში გაიყვანეს კათოლიკოზად, 13 ხმით აჯობა ქუთათელ ნაზარს! ასეთი „კოლლეგია“ მართავს ჩვენს ეკლესიას დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტში!..

21 მარტს შემდეგ სურათს წავაწყდი: ვერის ნიკოლოზში ვიღაც მიცვალებულს მიასვენებდენ, პროცესიას წინ-უძღოდა დეკ. ან. თოთიბაძე, ვ. მატატაშვილი და „მანგლელი ქრისტეფორე“ – ეპისკოპოსი! რაღაც ერთი უშნოდ აწოწილი, მიტრით და კვერთხით ხელში! დახე-დახე! – გაისმოდა ხალხში, – დეკ. თოთიბაძე ახალ ეპისკოპოსზეც კი „სპეკულიაციას“ აწყობსო! ეხლა „მადაში და მსვლელობაში“ შეიყვანს მიცვალებულებზე და მეტ „ქანქარას“ ჩაიჩხრიალებენო!.. „არა, სანამ უნდა იცუღლუტოთ მღვდლებმაო, – მომმართა ერთმა ნაცნობმა ინტელიგენტმა, რომელიც ჩემს გვერდით იდგა ქუჩაზე და უცქეროდით ამ სურათს! – „მანგლელს“ ჯერ არ უწირავს, მაგისი ლოცვა-კურთხევა არ მიგვიღია და ეხლავე მიცვალებულზე გამოყვანა – ეს მეტის-მეტი უხერხულიაო! ამას გარდა ეს ახალ-ნაკურთხი „მანგლელი“ შემოდის უნივერსიტეტის შენობაში, თითქოს ისევ „სტუდენტობას“ განაგრძობს! არც ჯვარი ჰკიდია გულზე, არც პანაგია, არც თავზე ჰხურავს შესაფერი სახურავი, რაღაც მიბრანძულ-მობრანძულად დაყიალობს, ამდენ მილიონებს ჰკრეფენ ვერის სასაფლაოზე და არა გრცხვენიათ მაინც, ასე უბედურად რო დადისო?! ჩვენ აღშფოთებული ვართ ასეთ უსაქციელობით, გვინდა, კათოლიკოზს პროტესტი გამოუცხადოთ ამ თაობაზეო! შემოდის სტუდენტობაში, იღრიჯება უშნოთ, ლაზღანდარობს, გარს ახვევია კურსისტკა-გოგოები და რა უწმაწურობას არ სჩადიან „მანგლელის“ გარშემოო. ასეთი ქცევით სულ ერთიანად დასცემთ თქვენს პრესტიჟსაო“... ამ ლაპარაკზე შემოგვესწრო კიდევ რამოდენიმე ინტელიგენტი, ამათაც იგივე საყვედური გამოსთქვეს და თან დაუმატეს: „რუსეთში ცნობილი იყო ჯაშუში – „აზეფი“, ტომით ურია, რომელიც რევოლიუციონერების ბელადად ითვლებოდა და იმავ დროს მთავრობის აგენტადაც ყოფილა, ამას პროვოკატორს ეძახიან რუსეთშიო; ასეთი იყო მღვდელი გაპონიც... ბევრი სხვა პროვოკატორ-ჯაშუშები იყვნენ რუსეთში და ჩვენშიც, ყველა ესენი ჩავარდნენ, მათ პირ-ბადე აჰხადეს, დაიღუპნენ, მიიღეს სასჯელი. მაგრამ საქართველოს სამღვდელოების „აზეფები“ – დეკანოზები თოთიბაძე-შუბლაძე-ციცქიშვილი-ცინცაძე-მირიანაშვილი-ნაზარი, ბატონი დ. დავითაშვილი (მდივანი ეპ. კანცელიარიისა) დღესაც განაგრძობენ პარპაშობას, პირიქით თავზე წამოგვასხდნენ საზოგადოებას და თვალში ნაცარს გვაყრიან, ატყუებენ საზოგადოებას, ყვლეფენ ქრთამებით თუ „კანონიერ“ გადასახადებით სხვა და სხვა რელიგიურ წესების შესრულებაზე! მთავრობამ სასაფლაო ადგილები „უფასოდ“ გამოაცხადა, აღკრძალა საფლავების გაყიდვა, მიუხედავად ამისა დეკ. თოთიბაძე, თვისი „მანგლელით“, თითო საფლავის ადგილში (2 X 2 არშ.) ახდევინებს ამ ბრმა ხალხს თითო მილიონს! ხალხიც აძლევს! არც ნებართვას ღებულობენ სადმე და არც კვიტანციებს იძლევიან აღებულ ფულებში – ალბად ეშინიათ, რაიმე კვალი დასტოვონ „დოკუმენტით“, რომ ისინი ჰყიდიან ადგილებს; მთავრობამ რო პასუხი მოსთხოვოს,

ესენი უპასუხებენ: „ჩვენ არ ვყიდით საფლავს, და თუ ხალხი თავისით რაიმეს გვაჩუქებს, ამაზე ვის რა ხელი აქვსთო“! აი, ასეთი შაიკაა დღეს შედგენილი ვერის ნიკოლოზზე, წმ. ნინოზე, დიდუბეზე და პეტრე-პავლეზე! ამ შაიკას (ბრბო) სანქციას აძლევს თქვენი კათოლიკოზი, რომელსაც წილს უდებენ საფლავების შემოსავლიდან! ეს საკადრისია, ეს არის თქვენი სულიერი დამწყსვა ერისა?! რატომ არა გრცხვენიათ?! სანამ კომუნისტები ხელს არ გტაცებენ, საქვეყნოდ არ გაგხდიან და თავლაფს არ დაგასხამენ, მანამ რატომ არ მოაწესრიგებთ თქვენს საქმეებს, რომ სასირცხოთ არ გაგვიხდეთ და საქვეყნოდ თავი არ მოგვეჭრასო“... დაასრულეს ჩემმა მობაასეებმა თავიანთი გაალმასებული მხილებანი! ამაზე მოკლეთ მიუგე: „თქვე დალოცვილებო! ქუჩაზე რო მელაპარაკები და თავლაფს მასხამთ, მობრძანდით ჩვენს სამრევლოებში, მიიღეთ მრევლის ცხოვრებაში მონაწილეობა, შემობრძანდით სამრევლო საბჭოში, იქიდან დაგვესწარით საოლქო კრებებზე, და ამ კრებებზე აღიმაღლეთ ხმა, გვამხილეთ ჩვენი შეცდომანი ან ბოროტ-მოქმედებანი და ვინც სამხილებელია, ვამხილოთ, ვინც ასალაგმავია, ავლაგმოთ და ვინც განსადევნია და „აზეფობს“, განვდევნოთ საერთო ნებისყოფით და ღონისძიებით! ეკლესიას მღვდლები და დიაკვნები როდი შეადგენენ, ეკლესია არის მორწმუნე ერი თვისი სამღვდელოებით, ეს ერის მსახურია ხოლმე და ნუ გააბატონებთ, ეს თქვენ ხელთ არის, თქვენ განიდან გვიცქერით, სეირობთ და მაგრე საქმე, რასაკვირველია, არ გაკეთდება, პირიქით, უფრო აირ-დაირევა; აირია კიდეც, და ისინი, ვისზედაც თქვენ ეხლა სჩიოდით, უფრო თავისუფლად იქნებიან. სამრევლო საბჭოებში ისეთ პირებს ირჩევენ მღვდლები და ეს „ოსტატი“ პირები, რომელნიც მათ დუდუკზე ითამაშებენ; თვით არ არსებობენ სამრევლო საბჭოები და რომელნიც არსებობენ, ესენიც არიან უღონო, ულაზათო, უუფლებო, მღვდლები ისე ატრიალებენ, როგორც სურთ თქო“... „ხო, ჩვენ ისიც ვიცით, – მიპასუხეს მათ, – თუ ცნობილი დ. დავითაშვილი როგორ მაიმუნივით ათამაშებს თქვენს კათოლიკოზსაო“!.. აქ მხრები ავიშმუშნე და მოვშორდი მათ, ის კი უთხარი, რომ – „ეს არ არის პასუხი ჩემს წინადადებაზე თქო“...

დიდი მითქმა-მოთქმაა იმ თაობაზედ, რომ ციცქიშვილი ეპისკოპოსად აკურთხეს სიონის ტაძარში და არა მცხეთის სვეტი-ცხოველში, როგორც ამას მოითხოვს ივერიის ეკლესიის ჩვეულება; დადგენილია ამ ეკლესიის კანონით, რათა ყოველი ქართველი ეპისკოპოსი ხელდაისხმებოდეს უსათუოდ მცხეთის სვეტი-ცხოველში, ვინც აქ არ იქმნეს ხელ-დასხმული, ის „განიკვეთოსო“! ეს წესი შესცვალეს რუსების ექსარხოსებმა, რომელნიც ჩვენს ეპისკოპოსებს ზოგს სიონის ტაძარში აკურთხებდენ, ზოგსაც პეტერბურგში (მაგალითად, პეტერბურგში გაიწვიეს საკურთხად ინოკენტი ექსარხოსის დროს – აწ განსვენებული ქუთათელი ანტონი, იქვე გაიწვიეს პიტირიმის დროს აწინდელი პიროს ალავერდელი...); ეხლა კი „სიძვირისა გამო“, „მანგლელი-ქრისტეფორე“ სიონში აკურთხეს! „ეს ცუდი ნიშანიაო, – ოხუნჯობენ ზოგნი, – ბოლომდე ვერ გასტანს, თვის თავხედობა-ვირგლობას არ დაიშლის და მართლაც განიკვეთებაო, ეს რა საეპისკოპოსო კაციაო“!.. სხვა რაიმეზე ხარჯს არ ერიდება საკათოლიკოზო საბჭო და რაღა ეპისკოპოსის კურთხევაზე მოერიდნენო“...

ახალი ხარჯები საკათ. საბჭოში. 1922

ჩვენი ეკლესია ჯერ კიდევ მენშევიკებმა გამოჰყვეს სახელმწიფოდან, მოუსპეს მას ხაზინიდან ყოველივე სახსარი; ეს კანონი უკვე მიღებულ იქმნა დამფუძნებელ კრებაში, როდესაც უკანასკნელმა ბათუმში გაქცევის წინა-დღით (მგონი 22-23 თებერვალს 1921 წ.) მიიღო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია... კომუნისტებმა ეს კანონი უფრო გააღრმავეს, ამათ აღკრძალეს არამც თუ ხაზინიდან რაიმეს მიცემა ეკლესიის შესანახად, არამედ აღუკრძალეს ქალაქის თვითმართველობებს, თემებს და საზოგადოებრივ დაწესებულებებს რაიმე საშვალების გაღება ეკლესიის სასარგებლოდ; სამღვდელოება გამოდევნილ იქმნა სკოლებიდან და სახელმწიფო საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან (ცოტაოდენ გამოკლებებით, შიგა და შიგ ზოგიერთ დაწესებულებებში კიდევ არიან რამდენიმე სამღვდელო პირები, რომელიც სჭირდებათ, ამიტომ „დროებით“ ურიგდებიან ამ „ბოროტებას“...). ასეთ მოვლენის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ცენტრალური-ეკლესიური დაწესებულებანი – საკათ. საბჭო, მისი კანცელიარია და სამეურნეო გამგეობა, კათოლიკოზი თვისი სასახლით, კანცელიარიით და ეპარქიის ეპისკოპოსნი თავიანთი კათედრა-კანცელიარიებით, მოეწყობოდენ რაც შეიძლება „ეკონომიურად“, რათა მძიმე ტვირთად არ დასწოლოდნენ თვის სამწყსოს და სამღვდელოებას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამათ ყველას ეხლა უფრო მეტი მადა გაეხსნათ, შექმნეს საარაკო სპეკულიაცია სანთლის ყიდვა-გაყიდვაზე და აქედან შემოსული ფული სულ თავიანთ განკარგულებაში აქვთ. დღეს ფუთი სანთელი იყიდება ჩვენი საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობისაგან რვა მილიონად, ხოლო ეკლესიებმა უნდა გაჰყიდონ სამჯელ მეტად! ეს საზღაპრო ფასები გამოდის, წინანდელი კაპეიკიანი სანთელი დღეს იყიდება ორას თუმნად (2.000 მ.), ორ კაპეიკიანი 5.000 მ., სამ კაპეიკიანი 10.000 მან., შაურიანი 20.000 მანეთად და ასე. ამ სახით საკათ. საბჭო ტყავს აძრობს სამრევლო ტაძრებს – გირვანქა სანთლის ფასია 100.000 მანეთი, ხოლო „საკათოლიკოზო საბჭოს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად“ ამ ერთი გირვანქის სყიდვის დროს გვახდევინებენ კიდევ 100.000 მანეთს! და რომ მღვდლებმაც, თვისი ტაძრებით ეს ფულიც აინაზღაურონ და თვითონაც იარსებონ, მათ ეძლევათ საკათ. საბჭოს მიერ თთავის მხრივ სამ-კეცი ტყავი ააძროს მორწმუნე ერს, რომელიც დღეს დადის კიდევ ტაძრებში და ან ასრულებს ქრისტიანულ წესებს. ამიტომ სანთელი ცოტა იყიდება, ეცემა სანთლის ოპერაცია, ცხოვრება კი ძვირდება. საკათ. საბჭომ ვითომ შექმნა სანთლის ოპერაციისაგან შემოსავალთა გაერთიანება – ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ, „ცენტრალიზაცია“! ერთი სახელოსნო მუშაობს ქუთაისში, მეორე თბილისში! მაგრამ ამათი ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს მადაგახსნილ ჩვენს დაწესებულებებს და მღვდელმთავრებს! ამათ სურთ სახელმწიფოს გარეშე ისე იცხოვრონ, ვითომც ბუზიც არ აჰფრენოდესთ, იცხოვრონ უფრო უზრუნველ ყოფილად, ვინემ სცხოვრობენ სახელმწიფოს დაწესებულებებში! და მართლაც სასულიერო დაწესებულებებში უკეთ სცხოვრობენ, ვინემ სახელმწიფო მოხელეობაში. ამას

წინეთ გადავათვალიერე გაერთიანებულ მართვა-გამგეობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ეხლა შეუდგენია დირექტორ-დეკ. დ. ლაზრიშვილს; ყოველთვიური ხარჯი უდრის 40 მილიონ მანეთს, როდესაც შემოსავალი ცოტათი აღემატება ამის ნახევარს! ამ ხარჯში არ შედის „სამოძღვრო კურსების“ შენახვა, რომლის ბიუჯეტი ჯერ არ ვიცი, რა ციფრებში გამოიხატება! და არც იქნება საშვალება ამ კურსების შესანახი! ერთადერთ საიმედო წყაროთ ამ კურსების შესანახად მე ნაგულისხმევი მქონდა სანთლის ოპერაციიდან შემოსული საშუალებანი, რომელიც წინეთაც ჩვენს სამღვდელოებას საგანმანათლებლო საჭიროებაზე ჰქონდა გადადებული, მაგრამ ეს საშვალება ჩანსთქა დღეს სასულიერო ბიუროკრატიამ! ამ საშვალებებითაც არ კმაყოფილდებიან, ვერ „სწვდიან ფეხებს ისე, რომ საბანი გაუწვდეთ“, ამიტომ საკათოლიკოზო საბჭოს ისევ თავიანთ წრიდან ამოურჩევია დღეს კომისია, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს ახალი საშვალებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. როგორც გადმომცეს, ამ კომისიამ ეხლა მღვდლების ჯიბეში უნდა ჩაიხედოს, მღვდლების შემოსავალზე ბეგარა უნდა დაადონ, ნათლობა-ქორწინება-დასაფლავებაზე. ეს „საბერძნეთის ეკლესიაშიც ასე არისო“, – ბრძანებენ „არაბრძენნი“ ჩვენნი მესვეურნი! ვნახოთ, რას იპოვნის ეს „კომისია“!.. ახალ ხარჯთ აღრიცხვიდან მახსოვს შემდეგი ციფრები: კათოლიკოზი იღებს თვიურად ოთხ მილიონ მანეთს, გარდა ბინისა, განათებისა, მოსამსახურისა, შეშისა და წყლისა; ამას გარდა თვიურად ოთხ ფუთ პურის ფქვილს! დღეს ფუთი ფქვილი ფასობს 1.200.000 მანეთი!.. მასვე შეუკერეს ანაფორები, საცვლები, წაღები, უყიდეს მეწველი ძროხა! კათოლიკოზი არჩენს თავის ქალს (ქმარ გაგდებულს) და შვილიშვილს, ნათესაობას და სხვებსა... ასე მძიმე ტვირთად დაგვაწვა მათი „უწმინდესობა“, რომელიც მეტად ანგარების მიმყოლი ბრძანდება...

საკათ. საბჭოს ექვს წევრს გაუხადეს ეხლა თვიური ჯამაგირი 540.000 მანეთი და თითო ფუთი ფქვილი! კვირაში ხან ერთხელ იკრიფებიან, ხან ორხელ – ერთი საათით ხან ორით, ლაყბობენ და მიდი-მოდიან. მაგათი გაკეთებული და გარიგებული საქმე ეკლესიისა და სამღვდელოების მოსაწყობად ჯერ არა გვსმენია რა! ჯამაგირს და ულუფას იღებს თვით ნადეკანოზარი კორნელი კეკელიძე, რომელიც თვეში ერთხელ თუ მივა ფულის მისაღებად და ხელის მოსაწერად. ეხლა ეს ერთი თვეც კომუნისტურმა მთავრობამ დააპატიმრა საკათ. საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი (ინგილო), როგორც ნაციონალ დემოკრატიის პარტიის წევრი. ამ პარტიას ბრალსა სდებენ მენშევიკებთან და ფედერალისტებთან ერთად შეთქმულობას კომუნისტების საწინააღმდეგოდ. ამ ნიადაგზე ბევრი სხედან დღესაც მეტეხის ციხეში, გასჩხრიკეს და ჩასვეს რაფიელ ივანიცკიც, რომელსაც ბინა მისცეს საკათ. საბჭოს დარბაზში ხუთი ოთახი. აი, ამ ივანიცკისთვის დაუნიშნიათ საკათ. საბჭოს დახმარება <u>დღიურად</u> 80.000 მანეთი! რამდენად ეს კეთილ-გონიერი მოქმედებაა, ან რა ხიფათში აგდებენ ჩვენი მესვეურნი ეკლესიას და სამღვდელოებას, ეს ადვილი წარმოსადგენია. ერთი რომ კომუნისტების აგენტებმა ჩამოიხედონ საკათ. საბჭოს დავთრებში, ჩვენს ციფრებს თვალი გადაავლონ, საქვეყნოდ გაგვხდიან და თავდაღმა დაგვამხობენ...

26 მარტი, 1922 წ.

ათასგვარ ხმებს ევროპის სახელმწიფოების საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე საზღვარი არა აქვს. ქვეყანა ისეა შებოჭილი „დიქტატურით“, რომ ნამდვილი ამბავი, თუ რა ხდება დღეს ან ევროპაში, ან რუსეთში, ან თვით დასავლეთ საქართველოში თუ სომხეთ-ადერბეიჯანში, არავინ იცის. განგებ ავრცელებენ ყალბ ხმებს ერთი მხარეც და მეორეც! ასეთი სიცრუის და სიყალბის ხანა, არა მგონია, რო კაცობრიობას ახსოვდეს! დიდი ზნეობრივი გათახსირებაა!.. ვხედავთ მხოლოდ შემდეგ მოვლენას: გაწვრთნილი „კურსანტების“ [ესენი იწვრთნებიან დღეს ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში, სადაც გიმნაზისტებს მხოლოდ საღამოობით უშვებენ სამეცადინოდ, ხოლო ვინაიდან საღამოობით ხშირად ელექტრონის შუქი არ არის ხოლმე, ამიტომ მოწაფეებს ხან ორი გაკვეთილი აქვთ, ხან სამი, ამათ სწავლაც ნოემბერში დაიწყეს, იღუპება ამოდენა ახალგაზრდობა, გვრჩება ესენი უსწავლელ-უწვრთნელი, მათ ნაცვლად იწვრთნებიან კომუნისტურად ახალგაზრდა წითელ-არმიელი რუსის ჯარისკაცობა და შიგა და შიგ ჩვენი ქართველობაც; ამ ძველის-ძველ თბილისის საერო სასწავლებლის შენობაზე საღამოობით კაშკაშებენ კომუნისტების ემბლემა ელექტრონის „ვარსკვლავები“! „ჩვენმა ვარსკვლავმა ჩააქრო, დაშრიტა ბეთლემის ვარსკვლავიო“, – სწერდენ წელს საშობაო მოწინავე სტატიაში კომუნისტურ გაზეთ „პრავდა გრუზიაში“ (ესეც „პრავდა“!..)]. ჯარი იგზავნებიან დასავლეთ საქართველოში, ბათუმ-სოჭისაკენ; აქ თითქოს მოელიან ევროპიელთა ჯარის გადმოსხმას ანუ „დესსანტს“; ზოგიც ამბობენ, რომ ომიანობის დროს ევროპაში დარჩენილი დიდ-ძალი ქართველი ჯარისკაცობა შეუკრებიათ, მოუმზადებიათ, გემებზე დაუსხამთ და გენერალ კვინიტაძის წინამძღოლობით ჩვენსკენ ისტუმრებენო, ტრაპეზუნდის ნაპირზე გადმოსხდებიან, შემოუვლიან და ახალ-ციხე-ახალ-ქალაქის თუ ყარსის მხრივ საქართველოს მოადგებიან – თბილისსაო! თან დასავლეთ საქართველოდან მოდის ხმა, რომ სვანეთში აჯანყებაა, კავკასიონის ქედიდან ყუბანის ყაძახობაა შემოსული და ესენი სვანებთან ერთად უტევენ კომუნისტებსაო; ლეჩხუმიც აჯანყებულია, მოდიან სვანები, რაჭაში ჭრებალო უკვე აიღესო! ზოგმა ისიც სთქვა, ქუთაისზე უკვე ახლოს არიან, საცაა აიღებენ, თუ უკვე აღებული არ არისო! ამასთანავე მოგვითხრობენ, რომ თითქოს აჭარაც აჯანყების ცეცხლში იყოს გახვეული, იქ წითელმა არმიამ ექვსი სოფელი გაანადგურა კიდეცა; აჭარას ცეცხლს ურთავს ანგორის მეთაური ქემალ-ფაშა, საცაა ანგორა-ოსმალეთი ომს გამოუცხადებს საბჭოთა რუსეთსაო. ამასთანავე ვკითხულობთ თვით კომუნისტურ გაზეთებში, რომ ფინლიადიაში, პოლონეთში, ბალტიის მხარეზე, რუმინიის საზღვარზე გამწვავებულია მდგომარეობაო; თვით კომუნისტურ წრეებშიაც მღელვარებაა, ნერვიულად არიან განწყობილნი. გურიაშიაც მღელვარებაა, გურიაში ვერ მოიკიდა ფეხი კომუნიზმმა... ასეთი ხმებია. მაგრამ ყოველივე ამაში ის უფრო ნამდვილი უნდა იყოს, რომ სვანეთში, აჭარაში და გურიაშიც ხალხმა ვეღარ მოითმინა ამდენი უბედურება და აჯანყებას აწყობენ; ამავე

დროს სდუმს კახეთი, ქართლიც... როდის ყოფილა ჩვენში შეთანხმებული გამოსვლა, რომ დღეს მოხდეს; 1812-13 წლებში კახეთის აჯანყება როგორ გასრისეს რუსებმა ჩვენი თავადიშვილების კარის-კაცობით, როგორ გასრისეს მთიულეთი 1804 წელს! სად იყო მაშინ შეთანხმება, სდუმდა იმერეთი, ის თავის წვენში იხრაკებოდა, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო თავისაში. დღესაც იგივე სურათია და მეტად დამღუპველი-გამანადგურებელი მოვლენა! – ასეთ კერძო გამოსვლებს, რასაკვირველია, გაწვრთნილი, ღონიერი წითელი არმია ბოლს აადენს ზურგზე და „უძლეველობის“ დაფნის გვირგვინით შეიმკობიან; ხოლო ყოველივე ამაში ხელს უწყობენ და კარის-კაცობას უწევენ ქართველი კომუნისტები! ვინ არ იტყვის, რომ „ისტორია მეორდებაო“! მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსების ბატონობის დამკვიდრებას საქართველოში ხელს უწყობდენ ჩვენი ბრწყინვალე წოდება (ორბელიან-ჩერქეზიან-ვაჩნაძე-ყაზბეგ-მაღალაშვილები და მათნი მსგავსნი), რომელსაც არ ჩამორჩა არც ჩვენი სასულიერო მთავრობა (ექსარხოსი ვარლამ ერისთვისშვილი, თვის ელევთერ არქიმანდრიტით (ზუკაკიშვილი); ესენი წვერ-ულვაშს აგლეჯდენ ხალხის მეგობარ მღვდელ-დიაკვნებს; ხოლო ციმბირში გადასახლებისაგან ამ უბედურთ შეეძლოთ თავის ხსნა თუ ექსარხოს ვარლამს ას თუმან ქრთამს მისცემდენ... დღეს იმავ რუსთა ბატონობის აღდგენას იმავ საქართველოში ხელს უწყობენ ქართველი კომუნისტები, ეს ახალი დროის ჩვენი არისტოკრატები! ჩვენ რო ნაკლულევანებას განვიცდით ცხოვრებაში, სასმელ-საჭმელში და ტანთ-საცმელში, ეს „ჩვენი ძმები“ „ოტვეტსვენნი პაიოკებს“ იღებენ, ცხოვრობენ სრულს კმაყოფილებაში და ფუფუნებაში! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „მრწამსი და მიწყალე ჭამისთვის ვისწავლეო“! ეს პრინციპია დღესაც გამეფებული, როგორც ჩვენ ავტოკეფალურ ეკლესიის სამღვდელოებაში, ისე თვით „კომუნისტებშიც“ – „კომუნიზმიც“ ჭამისთვის „ისწავლეს“ ჩვენებმა, რათა სხვისი ნამუშევარით, თვითონ ისიამოვნონ! მაგრამ დიდ-ხანს კი გაჰყვებათ ეს სხვისა ნაოფლარი?! რა უგუნურებაა!.. თითქოს ეშურებიან „ჩვენი კომუნისტებიც“ და ჩვენი კათოლიკოზ-ცინცაძე-თოთიბაძე-მირიანაშვილი-შუბლაძე – სასაფლაოების ხუცები შესჭამონ, გაანიაონ და ყველაფერი თავიანთ მუცელში მოაქციონ! ვერ გასძღენ კიდევ! დღეში ოთხ-ოთხი, ზოგჯერ მეტი მიცვალებულნი ჰყავთ ეკლესიებში, ყვლეფენ ხალხს, მეტად სიხარბეს იჩენენ, ერთმანეთს ხელიდან ლუკმას სტაცებენ. ასეთ ვითარებაშია – წმ. ნიკოლოზის ტაძარი-სასაფლაოთი, წმ. ნინოს სასაფლაო (აქ არის წინამძღვრად ჩვენი მთავარხუცესი დეკ. დ. ხახუტაშვილი და მასთან სამი კიდევ სხვა მღვდელი, ერთი აკადემიელია გ. გამრეკელი! ესენი კოლიოს სტაცებენ ერთმანეთს, ხელით გადააქთ თებშებზე, იტაცებენ საზედაშე ღვინოს და პურს!..), პეტრე-პავლეს სასაფლაო (აქ დეკ. შუბლაძეა...), დიდუბე-ქვაშვეთი, წმ. ბარბალე ნავთლუხში... სხვა ტაძრების მღვდლები ვართ მშიერნი, ნაკლულევანნი. არავინ არ ჰფიქრობს უსამართლოების წინააღმდეგ შებრძოლებას. კათოლიკოზი ხშირად ამათთან პურ-მარილობს; თვითონ კმაყოფილი და „მაძღარი მშიერისას აბა რას გაიგებს“?..

მოსალოდნელია ამ მოკლე დროში ჩვენი ეკლესიებიდან ოქროულ-ვერ-

ცხლეულ სამკაულების გატანა კომუნისტურ მთავრობის მიერ. გაზეთებში სწერენ, რომ რუსეთის ეკლესიებიდან უკვე გაიტანეს ასეთი სამკაულები „დამშეულთა დასახმარებლადო“! „საქართველოშიც შიმშილობაა“, – სწერენ იგივე გაზეთები. აქაც აგროვებენ ფულით შემოწირულებას, ხოლო შემდეგ ალბად ეკლესიებიდანაც გაიტანებენ, თუ რაიმე კიდევ დარჩა მათში გაუქურდავ-მიუთვისებელი თვით... მღვდლებისაგან!.. საშინელებაა!..

28 მარტი

დღეს დავასაფლავეთ ნიკიფორე იესეს ძე მამინაიშვილი; ის იყო გურიიდან, დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია 1895 წელს. მსახურობდა თბ. სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ, შემდეგ ზედამხედველის თანაშემწედ იმსახურა თელავის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1918 წლიდან გადმოიყვანეს თბ. სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად, დეკ. კ. კეკელიძის „რექტორობის“ ქვეშე. ამ „ადმინისტრატორთა“ ხელში დალია სული 1919 წელში ჩვენმა თბ. სასულიერო სემინარიამ, რომელიც ჩვენ 1917 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში „ქართულ სემინარიად“ ვაღიარეთ, მაგრამ ურწმუნო-უსულ-გულო „რექტორმა“ დეკ. კეკელიძემ მისმა „თანამშრომლებმა“ ნივთიერადაც გაჰქურდეს ეს მდიდარი სასწავლებელი და ზნეობრივადაც, წაიღ-წამოიღეს მდიდარი მორთულობა-ავეჯეულობა მისი, ხოლო სწავლის და აღზრდის ქართულ ნიადაგზე დაყენებისა და აღორძინებისათვის არავის თავი არ აუტკივებია; მაგალითად, დეკ. კეკელიძემ ორი ათას მანეთად შეისყიდა საკათოლიკოზო საბჭოსგან რექტორის ბინის მდიდარი მორთულობა, რომელიც მე 1919 წელში ინგლისელების ავტომობილებით გადმოვზიდე ვაკედან საკათ. საბჭოს დარბაზში! ნიკიფორე მამინაიშვილმა წაიღო ორი წყება მდიდარ ავეჯეულობისა, სულ ოცდაათი თავი, ფასდაუდებელი, აგრეთვე იპ. ვართაგავამ, ვ. ბარნოვმა და ვინ იცის, სხვებმა კიდევ რამდენი...

ამ ბოლო დროს ნიკიფ. მამინაიშვილი იყო გამგე ერთ-ერთ „შრომის სკოლისა“ თბილისში, ყოფილ დედათა ინსტიტუტის შენობაში; გარდაიცვალა ფილტვების ანთებით... გამოვასვენეთ ქვაშვეთის ტაძარში, სკოლის ეზოში ნიკო თავდგირიძემ სიტყვა წარმოსთქვა მიცვალებულის კუბოზე, დაახასიათა ისიც და თანამედროვე უმწეო მდგომარეობა მასწავლებლისა; საკმაო საყვედურები წარმოსთქვა ეხლანდელ ხელისუფლებაზედაც... ქვაშვეთში დაგვიხვდა კათოლიკოზი ამბროსი, მანტიაში იყო შემოსილი, და როდესაც საკურთხეველში შევედით (იყვნენ დეკ. კ. ცინცაძე, თოთიბაძე, გ. გამრეკელი და მე), კათოლიკოზმა ბრძანა: „აბა მე რა უნდა წარმოვსთქვა ეხლა, სიტყვა გურულებმა უნდა წარმოსთქვათო“, იოხუნჯა თითქოს! ამაზე ცინცაძემ შენიშნა: „გურულმა უკვე წარმოსთქვა სიტყვა“. – ეხლა ჯერი მეგრელებზეა თქო – დაუმატე მე. – „მეგრელმა რა უნდა სთქვას, როდესაც მეგრელები სულყველანი ბოლშევიკობენო“, – შენიშნა თოთიბაძემ...

დავიწყეთ ანდერძი, ანდერძის წინ კათოლიკოზმა წარმოსთქვა მეტად უშინაარსო, უფერული სიტყვა, გააჭიანურა, ხალხს ჩამოეძინა, ჭირისუფალს გული მისდიოდა... სიტყვაში კათოლიკოზმა მიცვალებულზე სხვათა შორის წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „შენ პირველ საეკლესიო კრებაზე ღებულობდი მონაწილეობას, იმ კრებაზე, რომელსაც ბევრი უარისმყოფელნი იყვნენ, მგლებიო, ხოლო შენ იყავი მეტად მცირე ჯგუფში, რომელიც იცავდა ეკლესიურ ტრადიციებს და სარწმუნოებასო“! ამ სრულებით შეუსაბამო სიტყვამ ბევრი აღაშფოთა! ამ სიტყვაში არავითარი სიმართლე და გულ-წრფელობა არ იყო. ხალხში გაისმოდა: „პირველი საეკლესიო კრება იყო ნამდვილი კრება, მის შემდეგ არც მეორე და არც მესამე კრება სახსენებელიც კი არ არისო, სასირცხო მოგონებად უნდა დარჩეს მეორე საეკლესიო კრება, რომელმაც დაადასტურა ლეონიდის კათოლიკოზად უკანონო გამოცხადება საკათ. სბჭოს მიერ, და ისიც, რომ მეორე საეკლესიო კრებამ გვერდი აუარა კათოლიკოზ კირიონის მოკვლას, არ შევიდა განხილვაში იმ საშინელ ვაკხანალიისა, რომელიც შექმნა „ახ. სიტყვამ“ ახლად განთავისუფლებულ ეკლესიის გარშემო და დღესაც საქართველოს ეკლესიას დაჰპატრონებიათ კათ. კირიონის ზნეობრივი თუ ფიზიკური მკვლელები (ამათში წილი უძევს თვით ამბროსისაც, ესეც „თანამშრომლობდა“ „ახ. სიტყვაში“); დღეს კათ. ამბროსიმ თავის ქორეპისკოპოსად, ვითომდა მესამე საეკლესიო კრების დასტურით, აკურთხა ცნობილი დეკ. ქრ. ციცქიშვილი „მანგლელის“ სახელწოდებით, ან რასა ჰგავდა მესამე საეკლესიო კრება გელათისა, რომელმაც აირჩია თვით ამბროსი, ამან და ნაზარმა კინაღამ წვერები აგლიჯეს ერთმანეთს – არა მე ვიყო კათოლიკოზად, არა მეო! ამბროსიმ 13 ხმით აჯობა ნაზარსაო“...

არც ის იყო მართალი, თითქოს ნიკ. მამინაიშვილი იყო სარწმუნოების და ეკლესიურ ტრადიციების დამცველ „მცირე ჯგუფში“. ნიკ. მამინაიშვილი იყო ლეონიდის მომხრეთა ჯგუფში ცნობილ დავითაშვილის ხელმძღვანელობით. თვით ნიკიფორე იყო „სოციალ-ფედერალისტების“ პარტიისა და როგორც ასეთი „სოციალისტი“ ის ჯგუფურ, პირად ინტერესებს ატარებდა პირველ საეკლესიო კრებაზედაც... რაც კურსი დაუსრულებია, მას შემდეგ კაცი ერთხელაც არ ზიარებულა და კათოლიკოზი ამბროსი ამას ეკლესიის ტრადიციების დამცველად სახავს... გავასვენეთ ვერის სასაფლაოზე, სადაც ბავშვებმა და ორმა-სამმაც სიტყვები წარმოსთქვეს... სიტყვები... მხოლოდ სიტყვები ეხერხებათ დღეს... მაგრამ კათოლიკოზს არც ის ეხერხება და ანდერძის სახარება და შენდობის ლოცვა ვერ წაიკითხა, სულ კისერს იტეხდა და სირცხვილის ოფლში გავიწურეთ ყველანი... „ეგ რაღა უბედურებააო“, – გაიძახოდა ხალხი...

პირველ საეკლესიო კრების წევრთა „მგლებად“ მონათვლაც იწვევს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმას! „ნამდვილი მგლები, თუ გინდათ, „ახალ-სიტყვის“ კალმოსნები იყვნენ და არიანო, ერთი მათგანი, „რედაქტორი“, დეკ. ციცქიშვილი, კათოლიკოზმა ეპისკოპოსად დაგვისვა, ეს არის მგელი, ეპისკოპოსის ტყავში გახვეულიო“; ციცქიშვილი ხომ ბერად არ აღკვეცილა, მაშ ეს ბერის კუნკულა და მაჯაზე კრიალოსანი რაღას გაუკეთებია, ეს ხომ ნამდვილი თვალ-მაქცობააო! ან არა და განა თვით ამბროსის არ მოეხსენება, თუ როგორ მეორე საეკლესიო კრე-

ბიდან გამოეყო ერთი ჯგუფი მღვდლებისა და ერის კაცთა, რომელთაც რაღაც ახირებული, აბდა-უბდა „კერძო აზრი“ წარადგინეს კრებაზე, რაღაც რეფორმაციასავით მოითხოვდნენ კრებისაგან, რაღაც პროტესტებს უცხადებდენ ვიღაცას, ხოლო ასეთ დოკუმენტზე ხელი ეწერა თვით დეკ. ქრ. ციცქიშვილს და დიდუბის მნათეს, თბილისის დეპუტატს იმ საეკლესიო კრებაზე – დავით ნახუცრიშვილს. ეს „რეფორმაციული პროტესტი“ დაიბეჭდა სოციალ-ფედერალისტების ორგანო „სახალხო საქმეში“, გარნა ეს დოკუმენტი იმდენად უკუღმართი და ამრევ-დამრევი იყო ეკლესიურ ცხოვრებისა და „ტრადიციებისა“, რომელზედაც ლაპარაკობდა კათოლიკოზი ამბროსი მამინაიშვილის დასაფლავებაზე, რომ ეს ნაწარმოები „სახალხო საქმიდან“ მეორე დღესვე გადაბეჭდა სოციალ-დემოკრატების ორგანო „ერთობამ“ 1920 წლის ივლისის ნომერში! ამის შემდეგ, აღნიშნულმა ერისკაცმა დ. ნახუცრიშვილმა „სახ. საქმის“ გაზეთშივე გამოაცხადა, რომ მან შეცდომით მოაწერა იმ ქაღალდს ხელი, ის არ იზიარებს იმ დოკუმენტში გამოთქმულ აზრს. დეკ. ციცქიშვილს კი ასეთი განცხადება არც გაუკეთებია, არც უკან წაუღა და დღეს ეპისკოპოსობაც კი გაიკრა! ვინ იყო „მგელი“, 1-ლ საეკლესიო კრების წევრნი, თუ დეკ. ქრ. ციცქიშვილი – ეხლა ამბროსისაგან „მანგლელად“ ქცეული?!. ეს რა ცუღლუტობაა“ – ბუტ-ბუტებდენ ზოგიერთნი საქმეში ჩახედულნი.

ევგენი ჭოღოშვილის ნაამბობი

ეს კაცი ქალთა მესამე გიმნაზიის გამგეა, ამის ხელ-ქვეით ვმსახურებ მე იმავ გიმნაზიაში; ეს კაცი დასწრებია 19 მარტს ციცქიშვილის ეპისკოპოსად კურთხევას სიონში; მეორე დღეს, 20 მარტს, გიმნაზიაში მისვლისას, ჭოღოშვილმა მიამბო სხვათა შორის შემდეგი: „ვდგევარ ტაძარში, ვისმენ წირვას და უცქერი, თუ როგორ აკურთხებენ ეპისკოპოსს; ამ დროს ტაძარში შემოვიდა ორი რუსი, ერთი მათგანი რუსის მუჟიკის პოდიევკაში; ეს მოდის ჩემთან, თვალში მაცქერდება, მიცინის, ხელს მიწვდის და მეუბნება: „Евгений Александровичъ, вы меня не узнаете“? – ვერ ვიცანიო! – Я протоіерей Александръ Разумовскій, пришелъ посмотреть и поздравить о. Христофора Цицкишвили съ возведениемъ его въ санъ епископа, онъ мой хорошій друг-пріятель“!.. ეს ის რაზუმოვსკია, რომელიც თბილისის დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ექსარხოსმა ინოკენტიმ; ამ რაზუმოვსკისთან ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში მსახურებდა მღ. ილია შუბლაძე, შემდეგ „ახალი სიტყვის“ კალმოსანი – „ახელი“, „ახუთელი“, ჯაჭვაძე და ასეთ ნიღაბ ქვეშ ამოფარებული პასკვილიანტი, ეს ნამდვილი „აზეფი“-პროვოკატორი, მაშინ დიაკონის ადგილზე გადმოიყვანა რაზუმოვსკისთან ცნობილმა დეკ. ი. ვოსტორგოვმა (1904 წელს), რაზუმოვსკისთან ეპარქ. სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში ეს მღ. შუბლაძეც საქმის მწარმოებლად შემოცოცდა, მკერდის ჯვარი მიაღებია დიაკონის ვაკანსიაზე გამწესებულ შუბლაძეს რაზუმოვსკიმ – „ერთგულ რუსიფიკატორულ სამსახურისათვის“; ციცქიშვილი და მე ამ დროს (1913 წ.) სამღვდელოების წარმომადგენლებად ვიყავით არჩეული

იმავ საბჭოში; ციცქიშვილიც მიიმხრო რაზუმოვსკიმ და შუბლაძემ, ციცქიშვილიც წარადგინეს ჯვარზე – მკერდის ჯვარზე – ჰპირდებოდენ დაჯილდოებადაწინაურებას; ამიტომაც იყო, რომ პედაგოგიურ სხდომებზე მხარს უჭერდა რაზუმოვსკის შავრაზმულ – ჩვენდამი მტრულ მოქმედებას და როდესაც ერთ სხდომაზე მძლავრად შევებრძოლე რაზუმოვსკის, ვამხილე მისი უთანადო, უკანონო მოქმედება სასწავლებელში და მისს სამეურნეო გამგეობაში, ციცქიშვილი მწვდა ყელში და შემდეგი სიტყვებით გამოექომაგა დეკ. რაზუმოვსკის: „вы о. Никита, о. предсѣдателю проповѣдь читаете“! თავ-ზარი დამეცა ასეთ სიტყვებისა გამო სამღვდელოების წარმომადგენლისაგან, იქვე მიუბრუნდი და უპასუხე: „о. Христофоръ, я проповѣдь не читаю, а произношу и то въ церкви, а замѣчаніе я на засеѣданіи принимаю только о. предсѣдателя, такое замечаніе по меньшей мѣрѣ странно отъ представителя груз. духовенства“...თქო: ამ თაობაზე ზემოდაც მქონდა მოხსენებული, აქ ისევ მოვიგონე ეს ინციდენტი, რომ ნათელვყო დეკ. ციცქიშვილის ფარული სიმპატიები ვოსტორგოვის აგენტ დეკ. რაზუმოვსკისთან, რომელიც „მანგლელობას“ ულოცავს დღეს თვის – „დრუგ-პრიატელ“ მამა ციცქიშვილს!

სიონის კანდელაკზე

ნაცვლად ამერიკაში გადასახლებულ (თავის ნებით) დეკ. იასონ კაპანაძისა, კათოლიკოზმა და მისმა სინკლიტმა მოიპატიჟეს ქუთაისის საკათედრო ტაძრის კანდელაკი პლატონ ცქიტიშვილი. ამას დასრულებული აქვს თბილისის სასულიერო სემინარია და ბოლო დროს დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მიუხედავად ამისა არავითარ გონებრივ ან ზნეობრივ ძალას არ წარმოადგენს, არის მაღალი ტანისა, ხმა აქვს სასიამოვნო და შეხედულებაც რიგიანი. აი, ამ კაცის „წართმევა“ მოისურვა კათოლიკოზ ამბროსიმ ქუთათელ ნაზარისაგან! მაგრამ ცქიტიშვილმა არ გასცვალა ნაზარი ამბროსიში, არც ქუთაისი თბილისზე და სიონზე! შემდეგ ბევრი ეხვეწენ სიონისავე დიაკონის ადგილზე ყოფილ მღვდელს ისაკ ჩეკურაშვილს (სემინარიელია), მაგრამ არც ამან ისურვა სიონის კანდელაკობა, ჯერ კიდევ ლეონიდის დროს გადავიდა სიონიდან და დარიის მონასტერში დასახლდა. ეს მონასტერი გააუქმა ლეონიდმა, ჩექურაშვილს კი სურდა სამრევლო ეკლესიად ექცია ის, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რა და შიმშილმა აიძულა გასულიყო სოფლად, მარტყოფში მიიღო მრევლი; ეხლა აღარ ისურვა „სიონის კანდელაკობა“! ცხადია, მეტად მშიერი და უმადური ადგილია ეს „კანდელაკობა“, რომ ასე გაურბიან ყველანი! ეხლა ირკვევა, რომ დეკ. კაპანაძე გააძევა თბილისიდან დეკ. კ. ცინცაძემ. კაპანაძეს საკათ. საბჭოში ეჭირა კანცელიარიის გამგის თანამდებობა; მართალია, ის გელათის საეკლესიო კრებაზე ცინცაძემ გააცურა ყინულზე და საკათ. საბჭოს წევრად აღარ ამოარჩევია, მაგრამ კანცელიარიის გამგედ მაინც დარჩა კაპანაძე და მძლავრადაც ერეოდა საქმეების განხილვაში; ლეონიდის დროს დიდი გავლენაც მოიპოვა მასზე და ამ ნიადაგზე დიდი შეტაკება მოსდიოდა დეკ. ცინცაძესთან; ამ შეტაკებებს

ისეთი მწვავე ხასიათი ჰქონდა, რომ ლეონიდმა შვიდჯელ დემონსტრატიულად დასტოვა საკათ. საბჭოს სხდომა, ხოლო სამჯელ დეკ. ცინცაძემაც; ამ უკანასკნელმა ჯამაგირიან წევრობასაც კი თავი დაანება, ქაღალდიც შეიტანა, მაგრამ ლეონიდის დაღუპვის შემდეგ დეკ. კაპანაძეს ფრთები მოსტყდა, ხოლო ცინცაძე-თოთიბაძემ თავიანთი ნალო ამბროსი გამოიბეს კუდში და რაც სურთ, იმას აკეთებენ ეს ექსარხოსების დროის იონბაზები დღეს. დეკანოზმა ცინცაძემ „იტვირთა“ ჯამაგირიან წევრობასთან ერთად ჯამაგირიანივე კანცელიარიის გამგეობა საკათ. საბჭოში, ამ ორ თანამდებობასთან ერთად „სამოძღვრო კურსების“ დირექტორობაც მას მიეცა, ჩემ მიერ უარის განცხადების შემდეგ, ამასთანავე ბრძანდება ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი, აი, ამ ერთმა კაცმა მოიქცია თავის მუცელში ესე ყოველივე, ხოლო თოთიბაძე-ციცქიშვილმა კი გაერთიანებული ყოფილი სამხედრო ტაძრები ვერის-ნიკოლოზით!..

ჰორიზონტზე გამოჩნდა ისევ დეკანოზი მიხეილ ფხალაძე, ყოფილი ზედამხედველი ყოფილ გორის სასულიერო სასწავლებლისა. ამ პიროვნებაზე ზემოდაც მქონდა ცოტა რამ აღნიშნული, თუ როგორ უყურადღებოდ ან საცოდავად იყო ის გარიყული სასულიერო სფეროდან. ამ ორი თვის წინეთ ის გაგზავნეს სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბოდბისხევის ერთ-ერთ სამრევლოში. ამ დიდ სოფელში იყვნენ თავის ნებით ან უკეთ რო ვსთქვათ, ხალხის ნებით მოწვეულნი მღვდლები, ეპისკოპოსის ნება-დაურთველად; ეს მოხდა იმიტომ, რომ ალავერდის ეპარქიის სამღვდელო კრებამ, ეპისკოპოზ პიროსის თავმჯდომარეობით ბოიკოტი გამოუცხადა სამრევლოებს, რომ მღვდელ-მოქმედებას არ აუსრულებენ ხალხს, თუ მრევლი არ მისცემს მღვდელს სამღვდელოების მიერ გამომუშავებულ ნიხრს დრამისას – პურით, ფულით თუ სხვა სანოვაგით. ამ ნიადაგზე დიდი სამარცხვინო საქმეები დატრიალდა ხსენებულ ეპარქიაში 1918 წლიდან. ხალხმა გადაიბირა თავის მხარეზე რამოდენიმე მღვდელი და მიიწვია ისინი სამრევლოებში, სხვები კი გამორეკა სამრევლოებიდან. ასეთ მღვდლებს ეწოდათ „შეჭრილი მღვდლები“. ამათ წინააღმდეგ ვერ გასჭრა ვერავითარმა ზომებმა; ბოლოს 1921 წლის დეკემბერში ბოდბისხევში გაიგზავნა ამ საქმის მოსაგვარებლად საკათ. საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი; ამან მთელი თვე-ნახევარი დაჰყო ამ მხარეში, ხან ერთი მღვდლისას ქეიფობდა, ხან მეორესთან, ბოლოს თითქოს დაიმორჩილა „შეჭრილი“ მღვდლები, მათ პირობა ჩამოართვა, რომ სასულიერო მთავრობას დაემორჩილებიან და სხვა სამრევლოებსაც მიიღებენ, მონასტრის ეპიტიმიაც დააკისრეს, ხუთ-ხუთ და სამ-სამ ფუთი ხორბლითაც დააჯარიმეს ეს მღვდლები, მაგრამ ეს ყოველივე ხუხულასავით ჩაიშალა, დარჩა ივანიცკის მოხსენების ქაღალდზე და საკათ. საბჭოს „ჟურნალში“! ეს მღვდლები ისევ განაგრძობენ იმავ ადგილებზე ყოფნას! როდესაც ზემოაღნიშნული ფხალაძე გაგზავნეს ერთ-ერთ იმ სამრევლოში, შეხვედრია ხალხი და ლანძღვა-თრევით უკან გამოურეკნია ფხალაძეც, მთავარ-ხუცესიც და მათი საპატიო მხლებლებიც! ამ სახით სწარმოებს დღეს კახეთში ანარქია, რომელიც გამოიწვია უტაქტო, ღორ-მუცელა პიროს ეპისკოპოსმა! აი, ეს ფხალაძე დაბრუნდა ისევ თბილისში და ითხოვა სიონის კანდელაკობა! ეს ყველასგნით დაწუნებული, მშიერი ადგილი:

კათოლიკოზი თითქოს სიამოვნებით მიეგება ამ თხოვნას, მაგრამ მეორე დღეს დაიბარა ფხალაძე და უთხრა, რომ ვერ მოგცემ მაგ ადგილსო! თურმე ფხალაძის წინააღმდეგ აღმხედრებულა სიონის დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე, რომელსაც ხელში უჭირავს ყველაფერი, ჰფლანგავს და იტაცებს სიონის ოქრო-ვერცხლ-მარგალიტებს იმ იმედით, რომ ევროპაში გაგზავნილ იქმნა სიონიდან მცხეთა-სიონის განძეულობა, ხოლო რა გაიგზავნა, რა დარჩა და რა ვინ მიითვისა ამ ფაცა-ფუცში, ეს მხოლოდ მარკოზმა იცის და მგონი დეკ. დიმ. ლაზრიშვილმაც! ამავ ტყემალაძეს მონარქიულად უჭირავს სიონის სანთლის ოპერაცია და სხვა საშვალებანი, სხვა წევრებს კრებულისას არ ჩაახედებს ხოლმე შიგა! ამიტომ აკადემიელ ფხალაძის შეეშინდა ექსარხოსების მონა-მორჩილ – მიტროფორნი დეკანოზს ტყემალაძეს – კბილი არ გამომიჩიჩქნოს აქ, არ შემირყიოს მყუდროებაო და მაგრად დაუბეზღებია კათოლიკოზთან: „მე მაგასთან სამსახური არ შემიძლია, ეს მოუსვენარი, შეუთვისებელი კაცია, ეს ძმაა მღ. სიმონ ფხალაძისა, რომელიც დიდხანს დიაკონად მსახურებდა სიონში, ხოლო შემდეგ დიდუბის ეკლესიაში გაამწესეს მესამე მღვდლად, იქ დიდი არევ-დარევა შეიტანა, გააძევეს იქიდან და ეს ერთი წელიწადია, რაც გარდაიცვალაო; ამისი ძმა აბა რა კაცი იქნებაო“! ამაზე აიყოლია ტყემალაძემ მესამე მღვდელი გიორგი ასათიანი, ამანაც დაურთო ზედ; ამაზევე დაურთო დ. დავითაშვილმა, საეპარქიო კანცელიარიის გამგემ, რომელთანაც ფხალაძეს სალამიც შეწყვეტილი აქვს; ამაზე დაურთეს ცინცაძე-თოთიბაძე-შუბლაძე-ციცქიშვილმა და კათოლიკოზი შეარყიეს, უარი ათქმევინეს ფხალაძეზე; ეს უკანასკნელი დაიბარა კათოლიკოზმა და უთხრა: „შენს წინააღმდეგ ამხედრებულნი არიან და ველარ მოგცემ მაგ ადგილსო“! ამაზე ფხალაძემ მიუგო: „თქვენო უწმინდესობავ, ყველაზე კარგად თქვენ მიცნობთ მე, რას აჰყოლიხართ სხვების ხმებს ჩემს შესახებ, ადგილი მიბოძეთ, ეხლა ვიღაცეების შეგონებით მართმევთ, მაშინ ისინი ყოფილან კათოლიკოზი და არა თქვენო“! ეს, რასაკვირველია, დიდ შეურაცხყოფად მიუღია კათოლიკოზს და თითქმის ხელითაც კი უჯიკავნია ფხალაძისათვის და გამოუგდია გარეთ! მეორე-მესამე დღეს კათოლიკოზმა ისევ დაიბარა ფხალაძე, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს მოლაპარაკება გაემართა ტყემალაძე-ასათიანთან; კათოლიკოზს გაუმწესებია კანდელაკობაზე დეკ. ფხალაძე და თან დაუძენია: „ისეთი რეზოლიუცია დავადევი შენს თხოვნაზე, რომ, ვიცი გეწყინება, მაგრამ არა უშავს, მოითმინეო“!.. აგრეთვე უარი უთქვამთ ფხალაძისათვის საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგის ადგილზე, ესე იგი მიუციათ მხოლოდ კანდელაკობა და სხვა არაფერი! ბინა კაპანაძისა უკვე დაუჭერიათ ვიღაც სტუდენტებს, ფხალაძეს დაუთმეს მხოლოდ ერთი ოთახი, სადაც არავითარი ავეჯი აღარ არის; კაპანაძეს კი ჰქონდა ჩემ მიერ 1919-ში გადაცემული მდიდარი ავეჯეულობა, რომელიც გადმოვზიდე სემინარიის შენობიდან – ვაკიდან – საკათ. საბჭოს განკარგულებაში! საიდან ვინ დაიტაცა ეს ავეჯეულობა, არავინ იცის; სიონის ახალ კანდელაკს კრაოტიც კი არ დაუტოეს, რომ ზედ დაწოლილიყო! არც არა ფული მისცეს მას, რომ გადმობარგებულიყო და შიმშილით არ მომკვდარიყო! საკუთარი ზურგით გადმოზიდა ღამით უბედურმა თავისი ბარგი დიდუბიდან! არც კათოლიკოზმა იკითხა მაგისი

გარემოება, არც დეკ. ტყემალაძემ! საკათ. საბჭო ამოდენა ფულს ანიავებს თვეში სანთლის ქარხნისას თუ სხვა საშვალებათაგან, რაფიელ ივანიცკის, რომელიც დღეს საპყრობილეში უზით კომუნისტებს, როგორც ნაციონალ-დემოკრატი, 80.000 მანეთს აძლევენ დღეში ბინა-განათების გარდა! მიხეილ ფხალაძეს კი არაფრით არ მოუმართეს ხელი! საინტერესოა, როგორ მოეპყრობოდენ ქუთათელ კანდელაკ ცქიტიშვილს, რომ ის გადმოსულიყო ამ ადგილზე! მე დარწმუნებული ვარ, რომ იმას კარგად მოაწყობდენ და საკათ. საბჭოში გამგის ადგილსაც მისცემდენ! ასეთი ქცევით, ასეთი მიღებით, აბა, რა გულით და ხალისით უნდა იმსახუროს ამათში კაცმა?! მშიერ-მწყურვალი ფხალაძე ვნების კვირაში ჩემსა შემოდიოდა ხოლმე ჩაის სასმელად და ლუკმა პურისათვის; შვილები ამ საცოდავს ღარიბთა თავშესაფრებში ჰყავს დაქსაქსული!!. ასე ეპყრობიან ნასწავლ და მომზადებულ პირს და ესენი მოაწყობენ „სამოძღვრო კურსებს“ და ახალ პირებს აღზრდიან?!. ცხადია, ტყემალაძეს და სხვებსაც ის აზრი აქვთ, რომ თვით ფხალაძემ უარი სთქვას მიღებულ ადგილზე და გაშორდეს აქაურობას...

აპრილის 16 ახ. სტ. აღდგომა ქრისტესი (3 აპრილი ძვ. სტ.). 1922 წ.

აღდგომა დღეს კათოლიკოზი მწირველი ბრძანდებოდა სიონში – „მანგლელი“ ყოფილ სამხედრო ტაძარში. მგალობელთა გუნდი ეს ნახევარი წელიწადია მზადდება ვინმე პაპიაშვილისაგან, რომელიც რაფიელ ივანიცკიმ წამოაყენა, როგორც მცოდნე პირი. ფულს აძლევენ საბჭოდან – სანთლის ქარხნის ფულს, უნდა ეგალობათ შობას, მაგრამ მზად არ იყვნენ; ემზადებოდენ საბზობოდ და სააღდგომოდ; ბზობას ჩაშლოდათ გალობა, აღდგომის გალობა სულ მზადა მაქვსო, – უთქვამს; ნახევარი გუნდი სიონში იგალობებს, ნახევარიც სამხედრო ტაძარშიო; კათოლიკოზიც დაიმედებულა ამით და „მანგლელიც“; ამიტომ ერთმაც და მეორემაც უარი უყვეს ლოტბარ კოტე ფოცხვერაშვილს, რომელსაც მთავრობის გუნდი ჰყავს შედგენილი, ოთხ ხმაზე აგალობებს, ქართულ ჰანგებზე; ეს მუქთად, უსასყიდლოდ იგალობებდა; პაპიაშვილი კი სლავიანურ გალობას აქართულებს, ქართულ სიტყვებს უწერს ნოტებს და დიდ ფულს თხოულობს – საკათ. საბჭოდან 5 მილიონს, სიონიდან 2 მილიონს და სამხედრო ტაძრიდანაც 2 მილიონს თვეში! ჯერ კი არა იცის რა, არც გუნდი ჰყავს მზად და უკვე აუღია საბჭოდან 5 მილიონი! აღდგომას ისე არევ-დარევია სიონში გალობა და წირვა კათოლიკოზს, რომ ხალხი უკმაყოფილოდ უკან გამორბოდენ, ანჩხათში შემომიერთდენ, ფოცხვერაშვილის გუნდი ჩემთან გალობდა უსასყიდლოდ! დიდ-ძალი ხალხი დამესწრო, ცისკრის გათავებისას წარმოვსთქვი „აღდგომაზე“ სიტყვა – ჯერ რელიგიური, შემდეგ გადავედი ზნეობრივ მხარეზე, შემდეგ პოლიტიკურ-პუბლიცისტიური მიმართულება მივეცი, აღვნიშნე კაცობრიობის აღრევა, დიდ ომიანობის (1914 წ.) შედეგები, თუ როგორი ცრუ მიმართულება მიიღო თანამედროვე კულტურამ, რომელმაც პირი იბრუნა ქრისტიანულ სარწმუნოებისა და ზნეობისაგან; როგორ მოპირქვავდა დიდი რუსეთი, როგორ

დაიმსხვრა კარლ-მარქს-ენგელსის სამშობლო გერმანია, რა რყევაშია საფრანგეთი, ინგლისი და მთელი მსოფლიო. ეხლა მოშლილი მექანიზმი თანამედროვე კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკური ურთი-ერთობისა ლამობს აღდგენას გენუის კონფერენციაზე მოლაპარაკებით; მაგრამ სადაც გულწრფელობა არ არის, სადაც არ არის ერთმანეთის ნდობა, სადაც არ ირკვევა ქრისტეს ახალი მცნება – სიყვარულისა, სადაც არ სუფევს ღვთის შიში და ადამიანის მორიდება, იქ ისეთივე მარცხით დასრულდება ყოველივე, როგორც დამარცხდენ – ქრისტეს დროის მღვდელ-მთავრები, ფარისეველნი, მწიგნობარნი, მოხუცებულნი, პილატე, თვისი დიდებულ რომის სამართლით, გოლგოთის მთაზე აღმართულ ჯვარზე, რომელზედაც მათ მიალურსმეს უმანკოება, გულწრფელობა, სიყვარული, სიბრალული და სხვა ყოველგვარი სათნოებანი, რომელიც ათბობს ადამიანის სულსა და გულს, აკეთილშობილებს მის ბუნებას და გამოჰყავს ისევ ნამდვილ-ჭეშმარიტ მოქალაქობრივ სარბიელზე...

...აღვნიშნე ცბიერება ჭეშმარიტების და სიმართლის მტერთა, თუ როგორ ქრისტეს მოძულეებმა, მის მკვდრეთით აღდგომის პირველ მოწამენი – საფლავის მცველნი, ამათი ვეცხლით მოსყიდვა განიზრახეს, მოისყიდეს კიდეც, ცრუ ხმები გაავრცელეს, რომ მათ სიცრუეს ან ცუღლუტობას ხალხში კიდევ ჰქონდა გასავალი! მაგრამ არა არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადდეს თქო...

ქადაგება ექსპრომტად ვსთქვი, დიდის აღფრთოვანებით ვამბობდი, გაიტაცა მსმენელნი ამ აღფრთოვანებამ, თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირის მხილებამ და ტაში დამიკვრეს ტაძარში...

მეტად არეული და ულაზათო წირვა ჰქონებოდა „მანგლელსაც“ სამხედრო ტაძარში, აქაც პაპიაშვილის გუნდი ხან ქართულად, უფრო მეტად რუსულად გალობდა, თვით „მანგლელი“ თვისი თოთიბაძით რუსულად სწირავდა; ხალხი კი სულ ქართველობა იყო, დიდი პროტესტი გამოუცხადებიათ „მანგლელისათვის“! ერთ ვინმე ბარათაშვილს უშვერი სიტყვით მოუხსენებია პირშივე ჩვენი „მანგლელი“! „რუსული წირვა რუსებს უფრო ეხერხებათ, ესენი აქ რასა ჩმახავენო“, – გაიძახოდა ხალხი.

17 აპრილი

დღეს მიცვალებულთა მოხსენების დღეა; ხალხი და სამღვდელოება გადიან სასაფლაოებზე, ჩვენი „მანგლელი“ ეპისკოპოსი ქრისტეფორე, მიტრით და ომფორით მორთული, ხელში საცეცხლურით, ფრიალ-ფრიალით დარბოდა ვერის სასაფლაოზე – საფლავებს უკურთხებდა ხალხს, შემდეგ საფლავებიდან კვერცხებს აგროვებდა საკუთარი ხელით! „მეტად სამარცხვინოდ უჭირავს თავი ამ დალოცვილს, ეს რა ხარბი-გაუმაძღარი ვინმე ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ, – გაიძახოდენ დედაკაცები, – ჩვენვე მივართმევდით, თვითონ რას იტაცებს, ეს რა ეპისკოპოსიაო“... იმ დღესვე ნათლა და ნათლა ბავშები ტაძარში და სალფეთქებში ფულები აღარ ეტეოდა, ხან ერთ ჯიბეში ჩაიტენიდა, ხან მეორეში.

მართლაც შეიქმნა მეტად სამარცხვინო მდგომარეობა: ეპისკოპოსი მღვდლის შემოსავლის წილზე, დეკანოზ თოთიბაძის წინამძღვრობით! თან ასეთი სიხარ-ბე-გაუმაძღრობა! ეს არის ჩვენი ამბროსის უთაობა...

19 აპრილი

ოთხშაბათია; დაბარებულნი ვართ კათოლიკოზის მისალოცათ სამღვდელო-ება; მობრძანებულა „მანგლელიც"; მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი შეიმოსა, კათოლიკოზს სამღვდელოების სახელით მიულოცა, შემდეგ მცირე პარაკლისი იხადა, კვერექსში და მრავალჟამიერში „მანგლელი" არ მოიხსენია; კათოლიკოზ-მაც სიტყვით მოგვმართა, შაბლონურად, უნიჭოდ და უგულოდ; შემდეგ თვი-თოული მივედით, ხელზე ვემთხვიეთ კათოლიკოზს, ხოლო „მანგლელს" ბევრმა არ ემთხვია ხელზე, დემონსტრატიულად უკან გამოვბრუნდებოდით ხოლმე... კათოლიკოზი ამით ნაწყენია...

20 აპრილი

ხუთშაბათია; დეკ. კ. ცინცაძემ „სამოძღვრო სკოლის" „პროფესორები" დაგვიბარა; შევიკრიბენით: დეკანოზები: მ. ტყემალაძე, მ. ფხალაძე, ი. შუბლა-ძე, გ. გამრეკელი, ნ. თალაქვაძე, დეკ. კ. ცინცაძე; ელოდებიან „მანგლელს", ეს „პროფესორია"; შემოვიდა, წამოვიშალენით ყველანი, ყველანი ხელზე ემთხვიენ, მე მხოლოდ თავი დაუკარი და განზე დავდექი, ისევ დემონსტრატიულად არ ვემთხვიე ხელზე. ჩემში ჯერ-ჯერობით „მანგლელი" ვერ იწვევს ვერავითარ სასოებას, ამიტომ სინიდისი ნებას არ მაძლევს ხელზე ვემთხვიო! ამისი ცოდვა-ბრალი ედოს იმათ, ვინც ასეთ მომენტში ასეთი კაცი ეპისკოპოსად დაგვისვა. კათოლიკოზს დეკ. ფხალაძისათვის მიუცია რეზოლიუცია სიონის კანდელა-კობაზე მეტად უაზრო და უმართლო: „ჩემამდე ხმები მოვიდა, რომ შენ მეტად შეუთვისებელი კაცი ყოფილხარო, ამიტომ სასტიკად გაბრთხილებ, რომ თუ ეს ხმები გამართლდა სასტიკად დაგსჯიო" და სხვა...

საკვირველია! ასეთ „ხმებზე" და ჭორებზე მიწასთან ასწორებს დეკ. ფხალა-ძეს, ხოლო „ახალი სიტყვის" ყოფილი რედაქტორი, თბილისის სამღვდელოების მიერ არაერთხელ, ხოლო უკანასკნელად 16 თებერვალს ხმა-მაღლა განკიცხული დეკ. ქრ. ციცქიშვილი ეპისკოპოსად წამოგვაჟინა თავზე!!! აქ სად არის უბრალო მართებულება და სამართლიანობა...

ცინცაძემ მოგვახსენა: „დღეისწორ ხუთშაბათს გაიხსნება კურსები, ხუთი კაციც რო გამოცხადდეს, კურსები მაინც გაიხსნებაო; თქვენი პროგრამები მივი-ღეო, მაგრამ როგორ მოეწყობა სწავლების საქმე ან ვისთან გვექნება საქმე, ამის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთო. შემდეგ მიუბრუნდა „მანგლელს": „თქვენი მეუ-ფება ახლო ხანში კათოლიკოზის მიერ გაგზავნილი იქნება სარევიზიოდ გორის

მაზრაში და შეიძლება სამუდამოდაც იქ ჩარჩეთო“; „მაშ შემოვიტან ოტსტავკას მასწავლებლობიდანაო“, – ბრძანა „მანგლელმა“; „რა გეჩქარებათ ოტსტავკის შემოტანაო“, – უპასუხა ცინცაძემ და დავიშალენით... ცხადია, ამბროსის სურს თავიდან მოიშოროს „მეკვერცხე“-„მანგლელი“...

27 აპრილი – ხუთშაბათი

გუშინ, 26 აპრილს, იყო მორიგი კრება თბილისის სამღვდელოებისა, მე კრების დასასრულს მივედი; ღირსშესანიშნავი არა ყოფილა რა კრებაზე განხილული; კრების დასასრულს მთავარ-ხუცესმა გამოაცხადა, რომ ხვალ, ხუთშაბათს, სამოძღვრო კურსების გახსნა მოხდება და ვსთხოვ, სამღვდელოებას დაგვესწროსო.

შუადღის პირველ საათზე შეგროვდა თბილისის სამღვდელოება, თუმცა ძლიერ ნაკლებად; მობრძანდა კათოლიკოზიც, დაესრო „მანგლელიც“! შევიმოსეთ კათოლიკოზთან საკათ. საბჭოს დარბაზში დეკანოზები – მ. ტყემალაძე, კ. ცინცაძე, მ. ფხალაძე და მე; კურსების გამგე დეკ. კ. ცინცაძემ უფერული სიტყვით მიმართა კათოლიკოზს ამ „კურსების“ გახსნისა გამო: „ეს მეხუთე წელიწადი სრულდება, რაც საქართველოს ეკლესია თავისუფალია, ხოლო დღეს იწყება მისი ნამდვილი არსებობა, ლეონიდე კათოლიკოზის სახელობაზე სამოძღვრო კურსების გახსნითაო; ძველად საქართველოს ჰქონდა გრემ-იყალთო, თელავ-თბილისის, გელათ-ქუთაისის სემინარია-აკადემია-სასწავლებლები, მაგრამ ისინი ისეთი სასწავლებელნი იყვნენ, რომ საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად საზოგადო განათლებასაც დიდი ადგილი ეჭირა და ამასთანავე ეს სასწავლებლები თუ სავსებით არა, უმეტეს ნაწილად სახელმწიფოს ხარჯით ან დახმარებით ინახებოდენო, ეს ჩვენი „კურსები“ კი წმინდა პროფესიონალური სასწავლებელია და ის სულ საკუთარ ჩვენს ხარჯზე უნდა შევინახოთო; ეს კურსები უზრუნველ ყოფილია მხოლოდ ფრიად მომზადებული მასწავლებლებით (გვიგულისხმეთ ჩვენ!!!), ის არ არის უზრუნველყოფილი არც ნივთიერად და არც მოწაფეების მხრივ; სულ დღემდე კურსებზე ჩაწერილან 12 სული, მათგან დღეს გამოცხადდენ მხოლოდ ოთხი კაციო [ამ ოთხში ერთი დიმიტრი ლაზარიშვილის ვაჟია, ქვაშვეთის მთავარი ანტოშკა ლაზარიშვილი – პსიხოპატი-ჭკუა-მხიარული, მეორე ვიღაც სოფლიდან ჩამოსულა, მესამე ფოსტის მოხელე ბარნაბიშვილია, მეოთხეს კი მე არ ვხედავდი იქ], მაგრამ იმედია, რომ თანდათან მოგვემატება და გავაჩაღებთ მეცადინეობასაო. „ქრისტე აღსდგა, თქვენო უწმინდესობაო“! – დაასრულა დეკ. ცინცაძემ. ამაზე კათოლიკოზმა უპასუხა – „ჭეშმარიტად აღსდგა“ და წარმოსთქვა გრძელი და მეტად ულაზათო-უფერული სიტყვა: ის აზრი გაატარა, რომ სხვის მასწავლებელს და დამრიგებელ მოძღვარს, თვითონაც უნდა ესმოდეს და გაეგებოდეს რაიმეო. აღნიშნა ჩვენი სამღვდელოების დიდ-უმეტესობის უვიცობა-უდისციპლინობა-უზნეობა. მოიხსენია, რომ დავით აღმაშენებლის ტახტზე აღსვლის დროს „ყოველივე უსჯულოება და უწესობა“ სამღვდელოებისაგან წარმოსდგებოდაო, მაგრამ იმავ მეფობაშივე სასტიკი ზომებით გამობრუნე-

ბულ იქმნა საქმე და გაჩაღდა ეკლესიური ცხოვრებაო. ეხლაც შესაძლებელია ესევე მოხდეს, თუ საერთო ძალ-ღონით და თანხმობით საქმეს შეუდგებითო. მე დარწმუნებული ვარ, ყოველგვარ დაბრკოლებებს გადავლახავთ და ეს კურსები საღვთისმეტყველო სემინარიად გადაკეთდებაო“... შემდეგ დავიშალენით. ამ დროს დეკ. თოთიბაძემ მოახსენა კათოლიკოზს, რომ ვერის სამრევლო სკოლაში რო სკოლის პარტები იყო და ამ კურსებზე უნდა გადმოგვეტანა, ეს პარტები მთავრობამ უნდა ჩამოგვართვასო, მოვიდა ვიღაც მთავრობის მოხელე და ერთი ალიაქოთი დამაყენაო, უსათუოდ ვიღაცამ დაგვაბეზღაო“... ამაზე ზოგიერთებმა ჩაილაპარაკეს – „ალბად თვითონ მიჰყიდა ბოლშევიკებს ეს პარტები და ეხლა სხვას სდებს ბრალსაო“... ასე მოწამლულია ჩვენში ატმოსფერა...

გუშინვე ხმა გავრცელდა და ტელეგრამებიც მოვიდა, რომ პიროს ალავერდელს თელავში წვეთი დასცემია (დამბლა, ფეხისალაგში წაქცეულა კვირას – გათენებისხანს), უკანასკნელ წუთებს განიცდისო – დღეს იწერებიან თელავიდან წერილებს. ალბად მალე გარდაიცვლება და შეიქნება ამაზედაც ერთი მიხლა-მოხლა. ეს ჩვენი „მანგლელი“ შეიძლება თელავისაკენ გაექანოს, თუ გორის მაზრაში არ მიიღეს. დიდი უბადრუკი ვინმე ყოფილა ეს „მანგლელი“; სამშაბათს – 25 აპრილს – ვერაზე ვიყავ მიპატიჟებული სტუდენტ ზაალიშვილის დასაფლავებაზე, გავასვენეთ მე და თოთიბაძემ, შუა წირვაზე შემოვიდა „მანგლელი“, წირვის გათავებისას შეიმოსა მანტია-ომფორი და ქადაგება წარმოსთქვა ისეთი უხალისო, ისეთი უაზრო და სამარცხვინო, რომ დავიტანჯეთ მსმენელნიც და თვითონაც! ეს რა უნიჭობაა! ეს რა თავხედობაა ასეთი სიტყვით ასეთ საზოგადოების წინაშე გამოსვლა!... არც არავის უთხოვნია, ისე ანდერძი აუგო ორ მიცვალებულს ზედიზედ! ხალხი განცვიფრებული შესქცეროდა: „ეს რა უხეში ვინმეაო“!..

საფლავის პირზე სტუდენტობამ ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს დაკარგულ ამხანაგზე, მათ შემდეგ მეც წარმოვსთქვი ორიოდე სიტყვა, დასკვნა გაუკეთე ყველა წარმოთქმულ სიტყვებს და აღვნიშნე საიდუმლოება მსოფლიოსი, მისი სიდიადე და მასში ადამიანის მოქმედება-მოქალაქობა – მიზანი ცხოვრებისა!.. განვმარტე, თუ როგორ უნდა ვეგებებოდეთ ასე უდროო სიკვდილს ადამიანისას!.. ამ დროს დეკ. თოთიბაძე, თვით „მანგლელი“ და მათი მესამე მღვდელიც საფლავებს უვლიდენ ზოგი მანტია-ომფორით, ზოგი ოლარ-საცეცხლურით, პანაშვიდებს იხდიდენ, ფულებს და წითელ კვერცხებს აგროვებდენ (ეს დღეც მიცვალებულის „მოხსენების“ დღე იყო)... ხალხი მწარე ღიმილით უცქეროდა „მანგლელის“ საფლავიდან-საფლავზე გადასვლას და ფულების აკრეფას... მიცვალებული კი მე მიმიტოვეს, მე მივაბარე ის მიწას...

28 აპრილი – პარასკევი
ეპისკოპოს პიროს ალავერდელის გარდაცვალება

დღეს, საღამოს ხუთ საათზე, სამოძღვრო კურსების გაკვეთილებს უნდა შევსდგომოდით, დაბარებულნი ვიყავით „პროფესორებიც“ (ასე გვეძახიან ყველანი

დაცინვის კილოთი) და „კურსანტებიც“. გამოვცხადდით ყველა „პროფესორები“, დაგვიხვდნენ სამი „კურსანტი“. მაგრამ სწავლას ვერ შეუდექით დღეს, კურსების დარბაზის წინა ოთახში დაგვიხვდა თვით კათოლიკოზი, რომელიც ებაასებოდა თვის კანდელაკს პხალაძეს და დეკ. გ. გამრეკელს და მ. ტყემალაძეს. შენდობა რო ავიღე, მაცნობეს, რომ ეპისკოპოსი პიროსი დღეს დილის ათ საათზე გარდაცვლილა თელავში, ტელეგრამა მოვიდა, ასაფლავებენ ზეგ, კვირასაო. პირჯვარი გადვიწერე, დავინანე საბრალო ადამიანი, რომელიც თვისი გაუმაძღრობის მსხვერპლი შეიქმნა. იყო წონით 9 ფუთი, დაბალი და მსხვილი, წარმოუდგენელად დიდი მჭამელი და მსმელი, ვერ უთავდებოდენ საჭმელ-სასმელით. „შვიდ ბოთლ ღვინოს რო დალევდა, ცოტა მაშინ შეეტყობოდა შექეიფიანება, თორემ ზოგჯერ ვედროზე მეტსაც დალევდაო, – ბრძანა თვით კათოლიკოზმა, – ორი ბოთლი ისეთი ღვინო ჩამომიტანა ამ ბოლო დროს თელავიდან, რომ წამლად სახმარი იყოო, თუ ასეთი ღვინოთი იკლავდა წყურვილს ყოველდღე, მიკვირს ამდენ ხანს როგორ იცოცხლაო, – დააბოლავა კათოლიკოზმა და დაუმატა, რომ კახეთში მსახურ ეპისკოპოსს, მგონი, ყველას ასეთი ბოლო მოელის, იქ ბევრი ღვინო და არაყიაო“. ამაზე მე უპასუხე: „თქვე დალოცვილო, ყველა ეპისკოპოსმა როდი უნდა დალიოს თქო“! – გაიცინეს. შემდეგ დეკ. ცინცაძე მოვიდა, იმასაც მოახსენეს გარდაცვალების ამბავი, არც გაიკვირვა და არც პირჯვარი გადაიწერა! ეს ცინცაძე კი დიდი მესაიდუმლე და მეგობარი იყო პიროსისა! ღვინოსა და სანოვაგესაც უგზავნიდა კახეთიდან... შემდეგ კაცი გაგზავნეს „მანგლელის“ დასაძახებლად, „მანგლელიც“ მობრძანდა, ის „მანგლელი“, რომლის ხიროტონიაში მონაწილეობა მიიღო უბედურმა ეპ. პიროსმა 19 მარტს – ამ ერთი თვის წინეთ! „მანგლელმაც“ პირჯვარი არ გამოისახა. ვდგევართ ყველანი ფეხზე, კათოლიკოზმა ბრძანა – „მანგლელი“ უნდა წავიდეს თელავში ეპ. პიროსის დასაკრძალავად, კახეთის მატარებელი გადის ხვალ – შაბათს ადრე დილითო. „მანგლელმა“ თავი ძირს დაჰხარა და იკითხა, ეპისკოპოსი ღვდლის ანდერძით უნდა დასაფლავდეს თუ სხვა რამ წესი აქვს კიდეო... ამაზე მიუგეს, რომ მღვდლის ანდერძითო. შესამოსელი და ყველაფერი იქ იქნება, აქედან არაფრის წაღება არ დაგჭირდებათო. ამ სახით „მანგლელს“ გზავნიან თელავში მარტოდ-მარტოდ! მხლებელსაც კი არავის აძლევენ! ერთხანს ყური უგდე – აბა რას იზამენ, კიდევ რას მოისაზრებენ თქო და რო აღარაფერი სთქვეს, მაშინ მე შევნიშნე: „თქვენო უწმინდესობავ, მარტოდ-მარტო, უმხლებელოდ, ეპისკოპოსის აქედან თელავში გაგზავნა უხერხული იქნება, როგორც ჩვენთვის, ისე თვით „მანგლელისათვის“თქო, ვინმე ვაახლოთ მას თქო;“ ამაზე დეკ. ტყემალაძემ განაცხადა: „ორი კაცის აქედან მგზავრობა ბევრი დაგვიჯდებაო;“ ამაზე მიუგე: „ბევრ რაიმე უმნიშვნელო საგნებზე ხდება აქ დიდი ხარჯი და ასეთ საქმეზე მით უფრო არ არის დასანანი, აბა, რას ემგვანება, რას იტყვის იქაური სამღვდელოება თუ საზოგადოება, რომ აქედან ერთად-ერთი ეპისკოპოსი მიუვათ, სხვა არა იყოს რა, ეს თვით ეპისკოპოსის პრესტიჟის დაცემა იქნება. ან იფიქრეთ იმაზე, რომ პიროსის შესამოსელი „მანგლელს“ კოჭებამდეც კი არ მოუვა, ერთი მიტრაა იქ და ის მიცვალებულს უნდა დაჰხუროთ, ამან რაღა უნდა დაიხუროს თქო“!.. ამის შემდეგ კათოლიკოზმა

თითქოს ნეკზე იკბინა და განაცხადა: „საკათ. საბჭოს წევრები შევიდეთ ცალკე და იქ ვითათბიროთო“! შევიდნენ – დეკანოზები ტყემალაძე-ცინცაძე, კათოლიკოზი და მანგლელი, ჩვენ კი – „პროფესორები“ ღირსიც კი არ გაგვხადეს, რომ ამ „თათბირს“ დავსწრებოდით. დავრჩით ხახა-მშრალნი, ერთმანეთს შევხედეთ და სიცილი აგვიტყდა, ამ დროს დეკ. ი. შუბლაძეც ჩვენთან იყო. მიუბრუნდი და უთხარი: როგორ მოგწონს, მამაო ილია, ასეთი საქციელი, ჩვენ რო თათბირზე მივეწვიეთ, განა ამით საკათ. საბჭოს კედლები ჩამოცვდებოდენ თქო“?! თვითონაც ნაწყენი იყო, – „ეს რა დაკეტილ ყუთად გადააქციეს საკათ. საბჭოო“, – სთქვა მან. დეკ. ფხალაძემ დაიწყო კათოლიკოზის მართლება – „ჩვენ ფორმალურად ნება არა გვაქს დავესწროთ საკათ. საბჭოს სხდომასაო“. ამაზე უპასუხე: „აბა, სად სწერია, რომ საკათ. საბჭოს სხდომები ან თათბირი დახურულია ანარა და ჩვენ რა ისეთი გარეშენი ვართ, რომ თათბირზედაც ვერ მიგვიწვიეს, მაგრამ ეს იმისი ნიშანია, რომ ეს ხალხი – ექსარხოსების დროის აგენტებია, მათი მსოფლმხედველობა მეტად ვიწროდ არის შემოხაზული, ესენი დღევანდელ დროს სრულებით არ შეესაბამებიან, – „მოკვდა ეპ. პიროსი კი არა, კვდება ამათ ხელში ჩვენი ეკლესია თქო“... რო დავასრულე ეს ლაპარაკი, გამოვიდა დეკ. ცინცაძე და მითხრა: „კათოლიკოზი გიბრძანებსო“! შეველ დარბაზში, სადაც კათოლიკოზთან ისხდნენ „მანგლელი“ და დეკ. ტყემალაძე. კათოლიკოზმა წინადადება მომცა: „მამაო ნიკიტა, თქვენ უნდა წაჰყვეთ თელავში „მანგლელსაო“! სახტად დავრჩი ამ წინადადებაზე: მე ვეახლო „მანგლელს“, რომლისაგან ჯერ შენდობა არ მიმიღია! თავში უცბად გამიელვა: „ეს რა ხალხია, ვისთან მაქვს საქმე“? მაგრამ იქვე მიუგე: სამსახურის გარემოება ნებას არ მაძლევს ამჟამად ქალაქიდან გავიდე თქო, აი მამა ცინცაძე – მეგობარი განსვენებულისა, თუ არა და მამა მიხეილი ფხალაძე, კანდელაკი მისი უწმინდესობისა და თვით იმ კუთხის ადამიანი, ეს უფრო გამოსადეგი იქნება თქო და გამოვედი. მართლაც „მანგლელს“ აახლეს ეს ფხალაძე, შესამოსელიც უნდა წაიღონ და მიტრაც! სჩანს, დაუჯდათ ჭკუაში ჩემი რჩევა. დეკ. ტყემალაძემ გადმომილაპარაკა: „აი, მარჯვე დრო, რომ დეკ. მ. ფხალაძემ ეპისკოპოსობა მიიღოსო“! ტყემალაძეს ამ ფხალაძის თავიდან მოშორება სურს, სიონი თურმე მარტო სურს სახრავად ჰქონდეს, ხელს უწყობს სიონის სამრევლოდ გადაქცევას, კათედრას კი ყოფილ-სამხედრო ტაძრისაკენ ერეკება – თოთიბაძისაკენ, თვით მხოლოდ ნივთიერი უზრუნველყოფა აინტერესებს, სიონში ორი მღვდელი და ერთი დიაკვანიც კმარაო, – ამბობს თურმე. ყოველ შემთხვევაში, საქმე ისე ეწყობა, რომ ალავერდელობაზე სერიოზულ კანდიდატად იქნება წამოყენებული ეს დეკ. ფხალაძე, მასაც სურს, საღამოზედ შემოვიდა ჩემსა და მეთათბირა. მე გაუპირდი, გავამხნევე, ურჩიე განიცადენზე ქადაგება წარმოსთქვი, თემა მივეცი, განუმარტე თემის შინაარსი: რა არის ეპისკოპოსობა, მწყემსი და სამწყსო? რით იყო ძველად მტკიცე და შეუდრეკელი კახეთი?! ქრისტიანული სიმტკიცე და ზნეობრივი სიფაქიზე ძველ მღვდელ-მთავრებისა და თვით ხალხისა, ქეთევან კახთა დედოფლის შარავანდედი და ასეთი მოტივებით შეზავება ქადაგებისა, რომ მსმენელნი აღფრთოვანდენ... მივეცი სხვა დარიგებანიც, რამოდენიმე წერილიც გავატანე ზოგიერთ მღვდლებთან

თელავში, სადაც წინადადებას ვაძლევ – ეს კაცი ამოირჩიონ ალავერდელად, უღირსი პირი არ შეეპაროთ ეპარქიაში თქო...

ალბად ამ ეპარქიაზე ბევრი გამოაჭუტებს თვალებს. ვნახოთ, რა იქნება, მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო კანდიდატი ეს ფხალაძე იქნება, თუმცა რაღაც უნდილი, დაუმუშავებელი პიროვნებაა, არა აქვს არავითარი მოქალაქობა...

29 აპრილი

დღეს შემთხვევით ქუჩაში შემხვდა ვერის წმ. ნიკოლოზის მღვდელი – ვასილ მატათაშვილი. ამან მიამბო, რომ 27 აპრილს, ხუთშაბათს, კათოლიკოზი ესტუმრა დეკ. თოთიბაძეს, ეპ. პიროსის ავათმყოფობის გამო თათბირი გამართეს დეკ. კ. ცინცაძის თანადასწრებით; ალავერდის ეპისკოპოზად „ვირგლა“ – ციცქიშვილი სურთო, ასეც გადასწყვიტეს თათბირზეო! ეს ამბავი რო გავიგე, დეკ. თოთიბაძეს შევსჩივლე: „მამაო ანტონ, რაღა გვეშველება, რომ ქრისტეფორეს გვართმევენო“! ამაზე თოთიბაძემ მიპასუხა: „ჯანაბაშიც წასულა, ჩვენ რა, უმაგისოდ რა დაგვიშავდებაო“? აი, ასეთია ამ ხალხის მეგობრობა: „კბილი თეთრი და გული შავიო“! ამათ ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა როდი აქვთ, ერთმანეთს ელაქუცებიან, ნამდვილად კი სძაგთ ერთმანეთიო. კათოლიკოზი ხშირად გამოისეირნებს თოთიბაძისაკენ, აქ დროს ატარებენ სმა-ჭამა-ლაზღანდარობაში... იმ დღეს, ციცქიშვილი რომ ეპისკოპოსად აკურთხეს, სადილი ჩემს ბინაზე იყო გამართული, რასაკვირველია, ვერის ეკლესიის ხარჯით, კათოლიკოზიც ბრძანდებოდა, ეპ. პიროსი, კ. კეკელიძე, თოთიბაძე, თვით „მანგლელი“, ბევრი სვეს ღვინო; ეპ. პიროსმა ჰკითხა „მანგლელს“, სადაური ბრძანდებიო, ქართლელი თუ იმერელიო, ამაზე მანგლელმა უპასუხა: „ჩემი ძველნი ოსები ყოფილანო“; „მიტომაც არის რომ „ხან ასე ხარ და ხან ისეო“, – უხუმრა „მანგლელს“ ალავერდელმა; ჩემი ბინა ვერის ეკლესიის ეზოს კუთხეში მიფარებული, დაღმართში, მეტად საიდუმლო ადგილია ასეთ გვამთა საქეიფოდ და ხშირადაც იკრიბებიან აქ, რა ენაღვლებათ ეკლესიის ფულები! აი, ეხლაც – საკათ. საბჭოს დაუდგენია: „მანგლელ ქრისტეფორეს ვერის სამრევლო საბჭომ ფართო შემწეობა აღმოუჩინოსო“. რო ვიკითხეთ, რას ნიშნავს ეს „ფართო შემწეობა“, გამოირკვა, რომ ხუთი მილიონი უნდა უბოძოთ მანგლელს ეკლესიის ფულიდან, მივეცით კიდეც! ამაზე მე შევეკითხე ვ. მატათაშვილს: „თქვენი სამრევლო საბჭო რამდენი კაცისაგან შესდგება თქო“, მან მიპასუხა: „კრებულიდან შვიდი წევრი ვართ, მრევლიდან კი ორი დურგალი გვყავს, ესენი გაოცებული შემოგვცქერიან, ხმას არ იღებენ, ერთმა მათგანმა იმ დღეს განაცხადა: „მე თავს ვიკავებ, არ შევდივარ მაგ „შემწეობის“ განხილვაშიო“!.. ცხადია, თუ რა ბოროტმოქმედება გამეფდა ვერის სასაფლაოზე! საშინელი ვაკხანალია სუფევს იქ, თოთიბაძე თითქოს რაღაცას ეშურება, სურს, საჩქაროდ გამოხრას, გამოფიტოს იქაურობა; აივსო სასაფლაო მიცვალებულებით, ზოგჯერ დღეში შვიდ მკვდარს ასაფლავებენ, ორ-ორი მიცვალებული ხომ ყოველ დღე ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურმა მთავრობამ სასაფლავოები მუქთად გამოაცხადეს, დეკ. თო-

თიბაძე ახერხებს თითო საფლავი მილიონ მანეთად გაჰყიდოს ხოლმე; ეს ფული არსად არ იწერება, არც კვიტანციას აძლევენ ვინმეს, იფლანგება და იღუპება ეს ამოდენა შემოსავალი! ეს იცის კათოლიკოზმა, ხელს უწყობს ყოველივე ამას და თვით მონაწილეა ამ უსაქციელობისა – 40% ეძლევა საფლავების ფასისა, რასაკვირველია, როგორც ინებებს ამას თვით დეკ. თოთიბაძე, „ლომის წილს“ თვითონ მიირთმევს, ხოლო ცოტა რამეს კათოლიკოზსაც მოალოკებს...

თბილისის საზოგადოებაში, ბანკირებში და ვაჭრებში დღეს აგროვებენ შეწირულებას „კათოლიკოზის გამოსაკვებად“, „შიმშილით გვიკვდება კათოლიკოზი, სირცხვილია, შევეწიოთო“, – ჰქადაგებს თურმე საკათ. საბჭოს წევრი ნიკო თავდგირიძე! რვა მილიონამდე უკვე ჯამაგირს აძლევენ კათოლიკოზს თვეში, ოთხ ფუთ თეთრ ფქვილსა, აკაკი ხოშტარიასაც (მდიდარი კაცია, ევროპაში გაერიდა ბოლშევიკებს) ამ დღეებში გამოუგზავნია მისთვის თეთრი ფქვილი ტომრებით და შაქარი; ძროხა უყიდეს – ერთი სიტყვით, ყოველი მხრით უზრუნველ ყოფილია კათოლიკოზი და მაინც წუწუნებენ! ცხადია, რომ თვით საკათ. საბჭოს წევრნიც ხელს მოითბობენ ამ „შეწირულებათაგან“ – ჯამაგირებს იღებენ, პაიოკებსაც იღებენ, რაფიელ ივანიცკი ისევ განაგრძობს მეტეხის ციხეში ჯდომას და დღეში საკათ. საბჭოდან 80.000 მანეთის მიღებას. ამას გარდა საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობაშიც დიდი განხეთქილება არის ჩამოვარდნილი, სანთლის ოპერაცია გაკოტრების გზაზეა დამდგარი, დღეს სანთელს ყველა ჰყიდის ქუჩაში, თათარი და ურიაც კი, ჰყიდიან სამჯერ უფრო იაფად, ვინემ ჩვენ, ხალხი ეკლესიაში თავისი სანთელით მოდის; სამეურნეო გამგეობის დირექტორ დიმ. ლაზრიშვილის ფინანსიური პოლიტიკა კრახზეა მიმდგარი, ამ სამეურნეო გამგეობის წევრი „ცნობილი“ დეკ. ი. შუბლაძე უკვე ჩასდგომია კრიტიკაში ლაზრიშვილს, მას წარუდგენია საკათ. საბჭოში პროექტი, რომლითაც სანთლის ქარხანას დაუბრუნდეს დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა, ამ ქარხნის შემოსავლით ინახებოდეს „სამოძღვრო კურსები“ და ქვრივ-ობოლთა დახმარება სწარმოებდეს, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის დაიბეგროს საკათოლიკოზოს სამრევლო ტაძრები, ესე იგი შუბლაძეს დაუსწრია ჩვენთვის და წარუდგენია ის, რაც გამოვიმუშავეთ კომისიამ თბილისის სამღვდელოების დავალებით: ამ კომისიაში შევდივართ – დეკ. ტყემალაძე, ი. ჩიჯავაძე და მე, გვქონდა ამ თაობაზე თათბირი, გამოვიტანეთ კიდევაც დებულებანი, რომელნიც ამ დღეებში უნდა წარედგინოს სამღვდელოებას... ეს ალბად გაუგია შუბლაძეს და დაგვასწრო თვისი „პროექტით“. ამ „პროექტს“ კი გაუწიწმატებია დეკ. დ. ლაზრიშვილი, რომელსაც ჯერ „ოტსტავკა“ შეუტანია საკათ. საბჭოში, ხოლო როდესაც „ოტსტავკა“ არ იქნა მიღებული, მაშინ თვე-ნახევრის შვებულება მოუთხოვია, ვითომდა ანგარიშის შესადგენად სამეურნეო გამგეობის დარგში. ეს შვებულება მისცეს ლაზრიშვილს, ხოლო დირექტორობის მოვალეობის შესრულება დააკისრეს დეკ. ი. შუბლაძეს და როდესაც ამან უარი განაცხადა ამაზე, მაშინ დეკ. მ. ტყემალაძეს დააკისრეს. ეს თვით დეკ. შუბლაძემ ილაპარაკა და მომხდარ გარემოებას უწოდა: „начало конца“ – ესე იგი დასაწყისი აღსასრულისა, ანუ სანთლის ქარხნის გაკოტრებისა! ამ სვავებს რა ფული გაუძლებს! დებულებაში (№19) აღნიშნული აქვთ „კონტროლი“, მაგრამ ასეთი „ორგანო“ არ შეუქმნიათ ჯერეც

კი, ხოლო 1921 წელს სამღვდელოების მიერ სანთლის ქარხნის „კონტროლად“ ამორჩეული დეკ. ნ. თალაქვაძე „გააუქმეს“, – ნაცვლად „კონტროლისა“, სამეურნეო გამგეობის ფორმალურ რევიზიას უკეთებენ დეკ. მ. ტყემალაძე და ნიკო თავდგირიძე! ესენი იტოგებს, ტრანსპორტებს და ციფრებს უკეთებენ რევიზიას! რაიმე არსებითი განხილვა წარმოებულ ხარჯებისა ან შექმნილ სისტემისა, აბა, ვის მოუვა თავში?! ესენი ერთმანეთის ძვალს როდი გასტეხენ. ასე უფსკრულისაკენ მიაქანებენ ჩვენს ეკლესიას ნივთიერადაც, ხოლო რა ზნე გვჭირს გონებრივად და ზნეობრივად, ეს ხო თავისთავად ცხადია...

იმავე დეკ. ვ. მატათაშვილმა მიამბო შემდეგი ამბავი: საწყალ-კურთხევოდ, სანამ დეკ. ქრ. ციცქიშვილი ეპისკოპოსად ეკურთხებოდა, ვითათბირეთ თუ როგორ უნდა ჩამოგვევლო მრევლი: დეკ. ა. თოთიბაძე ივლიდა „თავის ნაცნობებში“; მე დაქსაქსულ სამრევლოში, ხოლო დეკ. ციცქიშვილს მიუჩინეს ქუჩები, სადაც ჩვენი მრევლი სცხოვრობს, მასა და დიაკონს უნდა ევლოთ ამ ქუჩებში; ციცქიშვილმა განაცხადა: „მე მარტო დიაკვნის ამარა ვერ ვივლი, მრევლს არ ვიცნობ, მე შენთან ერთად უნდა ვიაროო“! დავდიოდით ოჯახებში ორი მღვდელი და მესამე დიაკონი! მრევლი მეკითხებოდა, ეს მღვდელი ვინღა არისო?! მე უპასუხებდი: – ეს სამხედრო ტაძრიდან მოგვიმატეს თქო! – „განა ერთი მღვდელი არ კმარა, რო ორ-ორმა მღვდელმა არ იაროთ ოჯახებშიო?!. სიმწრის ოფლში ვიწურებოდი, ეს ციცქიშვილი იდგა ატუზული, ხმასაც არ იღებდა, ფულს კი სამთავეს გვაძლევდენო!.. ამას გარდა ნათლობაში თუ მიცვალებულზე სულ ყველანი ერთად მივდივართ და ხალხი დრტვინავსო!.. ამ საქციელს განმარტება აღარ სჭირდება. ეს დეკანოზი ციცქიშვილი დღეს „მანგლელად“ მოგვევლინა, გარნა ეხლა ამისი ალავერდის ეპარქიაში დანიშვნა სურთ! მე ვერ წარმომიდგენია ამაზე მეტი ხარბი და გაუმაძღარი პიროვნება?! რას იზამს ეს ეპარქიაში, ადვილი მისახვედრია.

გავიგე ისიც, რომ უბედურ პიროს ეპისკოპოსს მეტად გაჭირებული ჰქონებია საქმე ეპარქიაში: ჯერ მღვდლები არ ემორჩილებოდენ, იჭრებოდენ სამრევლოებში, თავისი მიხედვით დამნაშავე მღვდელი ვერ გადაეყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე – ამას წინეთ გურჯაანის მღვდელი კირილე ღვთისავარიშვილი გამოუყვანია მრევლიდან სხვა და სხვა უსაქციელობისა გამო, ხოლო ეს მღვდელი შევარდნია პიროსს ბინაზე და კინაღამ დანით გამოუფაშვნია! პიროსზე ზედი-ზედ მოდიოდა საკათ. საბჭოში საჩივრები, განსაკუთრებით ეს საჩივრები გაუჩაღებია ბოდბის მონასტრის იღუმენია ნინოს (ვაჩნაძე), რომელსაც არ სურდა პიროსი-სადმი დამორჩილება, პირდაპირ საკათ. საბჭოს უნდა ვექვემდებარებოდეო. ამ მისწრაფებაში მას მხარს უჭერდა ცნობილი საეპარქიო კანცელიარიის მდივანი დ. დავითაშვილი. ამას გარდა თვით საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგე დეკ. ცინცაძე მძლავრად ერეოდა ალავერდის ეპარქიის საქმის წარმოებაში და ყოფილა ჩუმი, მაგრამ ძლიერი ბრძოლა ამ ნიადაგზე; ბევრი რამ საიდუმლოება იმალება კიდევ ამ ნიადაგზე; „მანგლელ“ ციცქიშვილს დავალებული აქვს თელავიდან ბოდბის მონასტერშიც ავიდეს და გამოიძიოს დეკ. მიხ. ჯავაშვილის საჩივარი იღუმენია ნინოზე და იმ უწესობაზე, რომელზედაც მომჩივანი უჩვენებს...

ასე ანარქიულად მიმდინარეობს ეკლესიური ცხოვრება აღმოსავლეთ საქარ-

თველოში, ხოლო რა ამბავია აფხაზეთში, ან გურია-სამეგრელოში თუ იმერეთში, ამაზე არავითარი ცნობა არ მოგვდის, ვიცით მხოლოდ საზოგადო სახე – ეს არის მეტად აწეწილ-დაწეწილი ურთიერთობა – მრევლსა და მღვდელთა შორის, მღვდელთა და ეპისკოპოსთა შორის. არა სჩანს გამოსასვლელი გზა...

1 მაისი, 1922 წელი

დღეს „საერთაშორისო პროლეტარიატის“ სადემონსტრაციო დღეა. დიდ მზადებაშია საზეიმოდ თბილისის კომუნისტური მთავრობა, მაგრამ წვიმიანი დღეა, ცა იცრემლება... სატირელი მდგომარეობაც არის. დიდ უბედურებას განიცდის რუსეთი შიმშილისაგან. ხალხი იხოცება ბუზივით – 60 მილიონის მოსახლეობა ისეა მიწასთან გასწორებული, რომ მათი გადარჩენის იმედი აღარ არის. არც ახალი ნათესებია რუსეთში, ბევრი მიწა უთესლობისა გამო დაუთესავი დარჩენილა, ხოლო რაც დაუთესიათ, ისიც კალიას შეუჭამია... კალია ჩრდილო კავკასიასაც მოსდგომია. საქართველოში შიგა-და შიგ არის მჭადის და პურის ნაკლებობა, ვინაიდგან უამრავი ხალხით აივსო ეს პატარა ქვეყანა; რუსეთის დამშეულებსაც ჩვენსკენ უქნიათ პირი, ისინიც კალიასავით აქეთ აპირებენ გადმოფრენას, მაგრამ მატარებლები ძლიერ ცოტანი დადიან, ხოლო ფეხით წამოსვლის ილაჯი აღარ აქვთ და როსტოვის სადგურის პლატფორმაზე ათასობით იჟუჟღება ხალხიო, როგორც ამბობენ, იქიდან ჩამოსულნი. მაგრამ რუსეთში მიუხედავად ასეთი შიმშილობისა, ყველაფერი არსებობს წითელ არმიისათვის! არმია ჩაცმულიც არის, დახურულიც, მაძღარიც და უზრუნველ ყოფილიც! ეს იმიტომ, რომ ამ არმიაზეა დამყარებული კომუნისტურ მთავრობის არსებობა.

გენუის კონფერენციაზე დიდი ამბები ხდება, მაგრამ ნამდვილი არა ვიცით რა, ჩვენ მოწყვეტილი ვართ ქვეყნიერებას, ცნობებს აქვეყნებენ სასტიკ ცენზურის და გადამახინჯების ქვეშე. ვნახოთ, რა იქნება... პირველ მაისს ჯარი და მოსამსახურე პირნი (დაწესებულებებში) დიდუბის მინდორზე წაიყვანეს საზეიმოდ. „ვინც არ გამოცხადდება სამი დღის პურის ულუფა არ მიეცემაო“, – იყო განკარგულება; ჯარს და დამსწრე მოხელეობას „ფიცი“ მიაღებინეს კომუნიზმის ერთგულებაში; საღამოზედ ჩვეულებრივად ქალაქი გაჩირაღდნებული იყო (ჩეკაც) და შუშხუნებს უშვებდენ; პასუხის მგებელი „ამხანაგები“ დროს ატარებდენ სმა-ჭამაში, ამათთვის ყველაფერი ბლომად არის და დაუზოგველადაც ეძლევათ ყველაფერი; მასწავლებლებს კი საააღდგომოდ (16 აპრილისთვის) მარტის პირველი ნახევრის ჯამაგირი მისცეს, ეს უბედურები დიდ ნაკლულევანებას განიცდიან...

4 მაისი – ხუთშაბათი

სასწავლებლიდან მოვდივარ, შეუხვიე საკათ. საბჭოს შენობაში; კიბეზე შემომხვდა კათოლიკოზი; მისალმების შემდეგ, გამომიყვანა ქუჩაზე და მითხრა:

„ამ დღეებში დიდ ამბებს გაიგებო“. თან რაღაც აღელვება ეტყობოდა; ძალიან ჩავეკითხე და მიბრძანა: „შეიძლება ამ დღეებში დამაპატიმრონ, ეცადეთ, ჩეკაში არ გამაჩერონ, ციხეში გადამიყვანონო“! გამოვკითხე საქმის ვითარება და გამოირკვა შემდეგი: ამ ორიოდე თვის წინეთ, ვიღაცეების შეგონებით, კათოლიკოზის სახელით შედგენილა „მემორანდუმი“ – ანუ მოხსენება გენუის კონფერენციისადმი; ამ მოხსენებაში ირკვევა საქართველოს მდგომარეობა, თუ როგორ ეს ქვეყანა რუსეთის თვითმყრობელობის მიერ შელახულ-დამონებული განთავისუფლდა, მაგრამ ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ ისევ ჩავარდა უხეშ ძალ-მომრეობის და უღლის ქვეშე; დახასიათებული ყოფილა აწინდელ ხელისუფლების მოღვაწეობა ჩვენში, ეროვნულ სახის წაშლა, სიტყვის, წერის, სინიდისის და რწმენის შელახვა-შევიწროება, და მოითხოვს ბოლშევიკურ ჯარის გაყვანას საქართველოდან; ერთი სიტყვით, შეუქმნიათ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ ვითარებას, რასაც აქედან ევროპაში ლტოლვილი მენშევიკური მთავრობა ამტკიცებს ანტანტის და ევროპის საზოგადოებრივ აზრის წინაშე; ეს დოკუმენტი წაღებული უნდა ჰქონდეს ევროპაში დამფუძნებელ კრების წევრს (ს. დ.) ვლასა მგელაძეს (გურულია) და „თეატრ და ცხოვრების“ რედაქტორს იოსებ იმედაშვილს (ხაშმელია – გარე-კახელი), რომელთაც მოახერხეს და გაიპარნენ ევროპაში შავი ზღვის პირით, ჯერ ნავით შეცურდენ ზღვაში, ხოლო იქ გემი დახვდათ და წავიდნენ... კათოლიკოზის მიერ ხელ-მოწერილი „მემორანდუმი“ მიართვეს საფრანგეთის დელეგაციის წევრს ბარტუს და სთხოვეს, რათა მას ეს „მემორანდუმი“ წარედგინა კონფერენციისათვის; ამასაც წარუდგენია; რუსეთის დელეგაციას, რასაკვირველია, ეს არ ესიამოვნა; ჩიჩერინმა მაშინვე შეკითხვა აფრინა თბილისის მთავრობისადმი – „მართალია ყოველივე ეს თუ არაო“?! ხოლო კათოლიკოზის „მემორანდუმი“ მთელს ქვეყნიერებას მოსდეს რადიოთი; დაიბეჭდა ამის შესახებ ცნობა მოსკოვის გაზეთებშიც; ამ გაზეთებში დიდი განგაში იყო ატეხილი საქართველოზე, სხვა და სხვა მაღალი მოხელე პირნი აღშფოთებულნი არიან – როგორ თუ საქართველოს ყოფილ მთავრობის წევრნი დაშვებულნი არიან კონფერენციაზეო! ამ გაზეთებიდან ვგებულობთ, რომ კონფერენციაზე დაშვებულნი ყოფილან – ნოე ჟორდანია, ჩხეიძე, კაკი წერეთელი და ჩხენკელი; ესენი „ნაციათა ლიგიდან“ ყოფილან გამოგზავნილნი; ეტყობა, დიდი ცეცხლი გაუჩაღებიათ მათ რუსეთის კომუნისტების წინააღმდეგ, მოითხოვენ ჯარის გაყვანას რუსეთიდან! ამის შესახებ მოსკოვის გაზეთებში ცეცხლს ანთხევენ: „ეს ხომ რუსეთის საშინაო საქმეში ჩარევაარ“! – თითქოს „დამოუკიდებელი კომუნისტური საქართველო დაგვიარსეს“?! ცხადია, რომ რუსეთი საქართველოს ხელ-მეორედ იპყრობს, ეხლა კომუნიზმის მანტიაში გახვეული, როგორც წინეთ „პრავასლავიის“ შესამოსელში იყო გახვეული! ამას კი ჩვენი ბეცი კომუნისტები ხელს უწყობენ, ოღონდ თავი გამოიკვებონ, ოღონდ „რევკომების“, „სოვნარხოზების“, კომისრების და ასეთ ხელისუფალთა სავარძელში ისხდნენ, „ოტვეტსვენნი პაიოკები“ აიღონ და შემდეგ რაც მოუვა საქართველოს, მათ რა ენაღვლებათ...

თბილისშიც მოსულა მოსკოვის გაზეთები, გავრცელებულია ხმები კათო-

ლიკოზის „მემორანდუმზე“... მოსკოვის გაზეთებს კონფისკაცია უყვეს... ხოლო კათოლიკოზის შესახებ შინაური ძიება და ფაცი-ფუცია; ღებულობენ რაღაც ზომებს ნაციონალ-დემოკრატები, არწმუნებენ კათოლიკოზს, არა დაგიშავდება რაო; კათოლიკოზი კი ღელავს, ეტყობა. „შენ გაგიზიარებ ამ საიდუმლოებასო, – მითხრა, – ყველას როდი ვეტყვიო; ერთი დეკანოზი შემოვიდა ჩემთან (არ დაასახელა) და მკითხა – მართალია ეს ამბავიო?! მეკითხებიან საზოგადოებაში, მე კი ვეუბნები: „კათოლიკოზი როგორ გაგიჟდებოდა, ამას როგორ ჩაიდენდაო“! აი, ასე უცქერიან ზოგიერთნი ჩემს გადადგმულ ნაბიჯს და რის იმედი უნდა ჰქონდეს კაცს ასეთი სამღვდელოებისაგანო“, – ისაყვედურა კათოლიკოზმა.

ეს ამბავი ალბად იცოდნენ მასთან ძლიერ დაახლოებულმა პირებმა, ჩვენ – სხვა სამღვდელოებამ, არა ვიცოდით რა ამ თაობაზე. როგორი აზრისაც უნდა ვიყვეთ კათოლიკოზის „მემორანდუმის“ შესახებ, ეხლა გვიანღაა მისი დაწუნება და საყვედურები, ფაქტი უკვე არსებობს. ამიტომ ეხლა უფრო მიზან-შეწონილია ამ ფაქტის გამაგრება, დაცვა და თუ საჭირო იქნება მისთვის სასჯელის მოხდაც. მე კი ეს „მემორანდუმი“ მომწონს. ამიტომ გავამხნევე კათოლიკოზი, მოუწონე გადადგმული ნაბიჯი; ისიც მოვახსენე, რომ თუ დაგაპატიმრებენ, ეს კიდევ უკეთესი იქნება, საზოგადოებაც იფხიზლებს და სამღვდელოებაც გამოგეხმაურებათ. ვანუგეშე, რაც შეიძლებოდა. ძლიერ ესიამოვნა...

შემდეგ კათოლიკოზმა მისაყვედურა: „ყველასგნით მოველოდი, ხოლო შენგნით კი არა, მამაო დეკანოზოო“! რასა თქო, – ვკითხე. აი, ახალ ეპისკოპოსს ქრისტეფორე ციცქიშვილს რომ ხელზე არ ემთხვიეო; სხვები დაინტერესებულნი არიან, მათ ეპისკოპოსობა უნდოდათ, შენ ხო საეპისკოპოსო არა ხარო, შენ კანონიერება კარგად გესმის და ეს საქციელი არ გეკადრებაო“! ამაზე მიუგე შემდეგი: „გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, თქვენო უწმინდესობავ, რომ ამით მე არც რაიმე დემონსტრაციის მოხდენა მსურს და არც თქვენი წინააღმდეგობის გაწევა, სინიდისი ნებას არ მაძლევს „მანგლელ ქრისტეფორეს“ ხელზე ვემთხვიო; ის ჩემში, ჯერ-ჯერობით მაინც არ იწვევს არავითარ სასოებას, მე ფეტიშიზმის წინააღმდეგი ვარ; ეს კაცი არ იყო ღირსი ეპისკოპოსობისა, მე დიდად ვსწუხვარ, რომ თქვენ, არც კი შეგვეკითხეთ ისე, თავზე მოახვიეთ თბილისის სამღვდელოებას ისეთი კაცი, რომელიც 1905 წლიდან 1917 წლამდე ექსარხოსებს ედგა გვერდში – ოსტატ თოთიბაძეს მიერ დაბმული, ხოლო ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების შემდეგ – „ახ. სიტყვის“ რედაქტორად მოგვივლინეს ის – ისევ ექსარხოსების ყოფილმა აგენტებმა, თავლაფი დაგვასხა, აგვირ-დაგვირია საქმე, კირიონის სისხლი მაგის გარშემო ღაღადებს, ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონისაც! რეები არ ჩაიდინეს ამათ – ქრისტეფორეს ზურგს უკან ამოფარებულებმა?! თვით ქრისტეფორე ყოვლად უბადრუკი პიროვნებაა, მაგას სად შეუძლია ან წერა, ან ლაპარაკი, ან მსჯელობა; ეგ ყოვლად უხეში და თავხედი ხუცესი, აბა, რა საეპისკოპოსო იყო, მაგას საზოგადოებაში „ვირგლას“ ეძახიან თქო!“ – უხეში რო უწოდე, კათოლიკოზმა მიპასუხა – „მართალიაო“! მაშ, თუ ეს მართალია, ისიც მართალია, რომ ასეთი პირი, სანამ ის არ დამუშავდებოდა, სანამ ის ბოდიშს არ მოითხოვდა თბილისის სამღვდელოების წინაშე, სანამ ის ძმურ განწყობილებას არ აღადგენდა ჩვენდამი,

როგორიც წინადადება მე მას მივეცი 16 თებერვალს თბ. სამღვდელოების კრებაზე, მანამ მას ნება არ ჰქონდა არამც თუ ეპისკოპოსად მოგვლენოდა, ჩვენს წრეშიდაც ვერ უნდა შემოსულიყო. თქვენ ყოველივე ეს იცოდით და რატომ დაამძიმეთ ჩვენი სინიდისი, არ ვიცი! მართალია, ზოგი ემთხვია მას ხელზე, მაგრამ ვაი ასეთ მთხვევას, ეს არ არის სარწმუნოებრივი აქტი, ეს ძალ-მომრეობაა და მაპატიეთ, რომ ჩემი სინიდისი ნებას არ მაძლევს – ჯერ-ჯერობით მაინც – ხელზე ვემთხვიო „მანგლელს“! მე ვხედავ, რომ კაცები არა გვყავს, არავინც ამიტომ არ მემეტება ჩასაქოლად და გასაძევებლად, მაგრამ არც ის ვარგა, რომ თავხედებმა-უხეშმა-უზრდელმა პირებმა კაკალი გვამტვრიოს თავზე იმათ, ვისაც ბევრი გვიშრომია, ბევრი გადაგვხდრია თავს და დღესაც გაჭირებას და დამცირებას განვიცდით...

ამ დროს გამოჩნდა დეკ. თოთიბაძე და მოვიდა ჩვენთან, თავისებურად კუდი მოუქნია – „მემორანდუმზე“ ლაპარაკობენ ყველანი, თქვენ ეხლა დაპატიმრებული მეგონეთო... ამ დროს დ. დავითაშვილიც მოვიდა ჩვენთან, ქუჩიდან შემოვიდა ეზოში, ქუდიც კი არ მოუხადა კათოლიკოზს, თოთიბაძეს ორი თითით ხელი ჩამოართვა და დაიწყო რაღაც კვეხნა: „ეხლა კომისარიატიდან მოვდივარ, დაგვაპატიმრეს და გაგვჩხრიკეს რამოდენიმე პირიო...“

ეს იყო ასე შუადღის პირველის ნახევარზე, საეპარქიო კანცელიარიის გამგე ქუჩა-ქუჩა დაყიალობს. ხალხი მოდის საქმისათვის და ვერავის პოულობს, ვერც საეპარქიო კანცელიარიაში და ვერც საკათ. საბჭოს კანცელიარიაში!.. კათოლიკოზთან იჩივლა კიდეც მღვდელმა აპ. ივანიცკიმ, რაფიელ ინგილოს ძმამ: „ბატონო, ეს რა უბედურებაა, არავინ არ არის კანცელიარიებში, მოწმობას მთხოვენ, რომ ჩემ ძმას რაფიელს შვილები ჰყავს უპატრონოდ დაგდებულნი, იქნება გავანთავისუფლოდ ციხიდან, აქ კი არავინ არის, რომ მოწმობა მომცესო...“

დავითაშვილი რომ შემოგვიერთდა, მე გამოვეთხოვე კათოლიკოზს და წამოველ, ჯერ არა მომხდარა რა „მემორანდუმის“ გამო...

5 მაისი – პარასკევი. 1922

ჩამოვიდა დეკ. მ. ფხალაძე თელავიდან; დაუსაფლავებიათ ეპ. პიროსი, „მანგლელს“ თან წაუყვანია ბოდბეში დეკ. ეპ. ჯაოშვილი თელავიდან, ხოლო დეკ. ფხალაძე გამოუსტუმრებია თბილისში – „შენ არ მინდიხარ, წადიო“!..

ეპისკოპოსი პიროსის დასაფლავებას „დემონსტრატიული“ ხასიათი მიუღია; ის დაასაფლავეს 30 აპრილს. მეორე დღეს ბოლშევიკებს პირველ მაისობა ჰქონდათ, „მანგლელს“ ეტლი მიაგებეს მენშევიკებმა სადგურზე; წირვა გადაიხადეს თელავის საკრებულო ტაძარში, სიტყვა წარმოუთქვამს „მანგლელს“ – მეტად უხალისო-უშინაარსო; წაასვენეს პიროსი თელავიდან ალავერდის მონასტერში (18 ვერსტია თელავიდან); დიდ-ძალი საზოგადოება და სამღვდელოება დასწრებია – მდინარე თურდოს პირამდე 7 ვერსტზე გაუცილებია დიდ-ძალ საზოგადოებას, კუბოს ხელით მიასვენებდენ; აქედან კი ხალხი უკან დაბრუნებულა, მიცვალებულს სამღვდელოება და დამკრძალავი კომიტეტი გაჰყოლიათ ალავერდში; იმ ღამეს

მიცვალებული ტაძარში დაუსვენებიათ; ხოლო „მანგლელს“ ვახშამი მიართვეს; ვახშამზე დამკრძალავ კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ ციხისთაშვილს სადღეგრძელო დაულევია სხვათა შორის დეკ. მ. ფხალაძისა და ამ სადღეგრძელოში ეს დეკანოზი დაუსახელებია კიდეც საეპისკოპოსო კანდიდატად ალავერდის კათედრაზე; „მანგლელს“ მიწის ფერი დასდებია, მას სრულებით არავინ შესთავაზა „ალავერდელობა“!.. მეორე დღეს, წირვის შემდეგ, მიუბარებიათ მიწისათვის ეპ. პიროსის გვამი, ეპ. პეტრეს (კონჭოშვილი) გვერდით და დაბრუნებულან თელავში.

პირველ მაისობა თელავში

თელავში პირველ მაისობაზე გამოუყვანიათ ჯარი, მოწაფეები და მოხელეები; ხალხი სრულებით არ გამოჩენილა, მიმალულ-მომალულან. ამას მიაქციეს ყურადღება კომუნისტებმა და მიტინგზე ვინმე ბუაჩიძეს წარმოუთქვამს შემდეგი სიტყვა: „გუშინ უამრავი ხალხი დაესწრო ვილაც მუქთახორა ეპისკოპოსის ლეშის დასაფლავებას, იმოდენა ფული შეაგროვეს და დახარჯეს მისს დასაფლავებაზე, დღეს კი – მუშათა საზეიმო დღეს – სად არის ის ხალხი?! რას ნიშნავს ეს?!“ და სხვა. მეორე ორატორი ყოფილა რუსი – ამასაც ასეთივე საყვედური უთქვამს, ხოლო გაუმასხარავებია ეპ. პიროსი მითი, რომ 13-ფუთიანი ლეში უწოდა მისს გვამს! ამაზე ერთ მანდილოსანს შეუნიშნავს ხალხიდან – „დახეთ, დახეთ რუსსა! სწუხს, რატომ ეს ლეში მათ შეუჭმელი გადაურჩათ, მაგ კაცი ჭამიებსა“! (დამშეულები რუსეთში სჭამენ ერთ-მანეთს, დედ-მამა შვილებს, შვილები დედას, დიდედას, მიცვალებულების ლეშსაც, დედაკაცებს ძუძუებს სჭრიან, ხოლო მამაკაცებს უკანა ნაწილის სირბილეს)...

ორ მაისს „მანგლელს“ და მის მხლებელს დარბაზობა გაუკეთებია იმ მენშევიკისათვის, რომელმაც ფაიტონით და ცერემონიით პატივი სცა მათ, ეს კოოპერატივის თავმჯდომარე ყოფილა თელავში, გვარი არ ვიცი; მენშევიკები ბოლშევიკების გამოსაჯავრებლად, მგონი, ეშმაკსაც კი სცემენ პატივს... ამ კაცს დიდი სადილი გაუმართავს თბილისის სტუმრებისათვის. ამ სადილზედაც იმავ ციხისთაშვილს ისევ დაუსახელებია ალავერდელად დეკ. ფხალაძე... „მანგლელს“ კინაღამ გული წასვლია და ის იყო, რომ ქიზიყში აღარ წაიყვანა ფხალაძე, ჩამოართვა მას სამი მილიონი ფული აქედან გატანებული, ამ ფულს იჯიბებს „მანგლელი“; კახელ მღვდლებსაც გამოუთქვამთ ფხალაძისათვის სურვილი – ჩვენ შენ გვინდიხარ ეპისკოპოსათ, სხვა არაო. ცხადია, ამ ეპისკოპოსობაზე გაიმართება ჭიდაობა; თურმე დეკ. სოსო ჩიჯავაძეც (ნავთლუღელი) ყოფილა დასახელებული, იმერეთშიც არის ერთი კახელი არქიმანდრიტი – ნიკოლოზ ნამორაძე, მოწამეთის მონასტერშია წინამძღვრად; ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს უთქვამს: „საცოდაობა არ არის, რომ ციცქიშვილი ეპისკოპოსად იყოს და ნამორაძე კი არხიმანდრიტადო?!“ ეს რო ციცქიშვილს-„მანგლელს“ გაუგია, ნაზარისათვის შეუთვლია: „აფსუსი არ არის ნაზარი მიტროპოლიტად იყოს, ხოლო ნამორაძე არხიმანდრიტადო“?! ამ სახით ეს ნამორაძეც – ალავერდის კათედრის

კანდიდატად იქნება; ეს ჩემი კურსის არის სემინარიიდან, ნიკონ ექსარხოსის მოკვლის გამო ათი წლის განმავლობაში ემიგრანტად იყო გასული ოსმალეთში თუ შვეიცარიაში; რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა გელათში, ისევ ჩაიცვა ანაფორა-კუნკულა, იქიდან მოწამეთაში გადმოაგდეს ბერებმა, როგორც ურწმუნო-უსახო პიროვნება, თან ყრუც არის, ძლიერ აკლია ყურს; ჩემის აზრით მაგის ეპისკოპოსობა იქნება უბედურება ისედაც დაბეჩავებულ ჩვენი ეკლესიისა. არის ერთი კანდიდატიც – არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), დღეს ის მცხეთის ტაძრის წინამძღვრად არის მრევლში, სამოქალაქო სასწავლებელი აქვს დამთავრებული ჭიათურაში, არის მაღალი და ლამაზი კაცი, სუფთა პიროვნებაა სხვებთან შედარებით, მაგრამ არის ახალგაზრდა, გამოუცდელი და ადმინისტრატორად, მგონი, ვერ გამოდგეს...

11 მაისი – ხუთშაბათი

საღამოთი დამიბარეს საკათ. საბჭოს დარბაზში, „კათოლიკოზიც იქ ბრძანდება, ვიღაც მთავარდიაკონია მღვდლობაზე გამოსაცდელად, 14-ს (1-ს ძვ. სტ.) მაისს უნდა აკურთხოს დიდუბეში, „თამარობა“ დღესო“! აი, ამ სიტყვებით მომმართა ერთმა კურსანტთაგანმა, რომელიც გამოეგზავნიათ ჩემდა დასაძახებლად. მე ძლიერ გამაკვირვა ყოველივე ამან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე მიღებული იყო კურსების გახსნის დებულებად ის დადგენილება, რომ ვინც ამ კურსებს არ გაივლის, ისეთი პირი ვერ უნდა კურთხეულიყო მღვდლად, მეორე, ეს ვიღაც მთავარდიაკონის კურთხევა უკვე წინდაწინ ყოფილა გადაწყვეტილი და მესამე, თვით კათოლიკოზიც ესწრება ამ გამოცდას! რომ შეველ დარბაზში, უკვე „ეკზამენი“ იყო დაწყებული, თვით კათოლიკოზი თავმჯდომარეობდა „სამოძღვრო კურსების პედაგოგიურ შემადგენლობას“, ჩემს გარდა ყველანი იქ იყვნენ; კუთხეში იჯდა ახალციხეში ეხლა ხან განწესებული დეკ. ივანე ცქიტიშვილი; გამოირკვა, რომ ეს ვიღაც დიაკონი ამ ცქიტიშვილს მოუმზადებია სამღვდლოდ ახალ-ციხეში, თვითონვე ჩამოუყვანია ეგზამენის დასაჭერად და მფარველობას უწევს კათოლიკოზისა და კურსების წინაშეც; ცხადია, ამ ცქიტიშვილს დიაკონიდან გასამრჯელოც ბლომად აუღია, მისავე ხარჯით უმგზავრია ამ სიძვირის დროს ახალციხიდან ქალაქამდე და უკანვეც მისივე ხარჯით იმგზავრებს, ცოტა რამ „ძღვენსაც“ მოართმევდენ, ვისდამიც ჯერ უჩნდათ; ალბად წინდაწინ ინახულებდენ კათოლიკოზის გარდა „დირექტორ“ დეკ. ცინცაძესაც და შემდეგ ასე უცბად მიგვიწვიეს გამოცდაზე ჩვენც! კურსების პრესტიჟისათვის უფრო ხელ-საყრელი იქნებოდა, რომ ასეთი საკითხი ჩვენს კორპორაციაში გადმოეცა განსახილველად კათოლიკოზს, დაუშვებდით თუ არა ამ დიაკონს გამოცდაზე, ან რა განათლების ცენზისა იყო ან რა პროგრამით მომზადებულა ან ჩვენ რა პროგრამით უნდა მოგვეთხოვა ცოდნა; ყოველივე ასეთი კანონიერი მოთხოვნილებანი უკვე გადალახული იყო, ესენი უკვე ეგზამენს უშვებოდენ! აქ ბრძანდებოდა „მანგლელი“ ქრისტეფორეც! უნდა ისიც აღვნიშნო, რომ

კურსებზე უკვე მოგროვდა ათიოდე მსმენელნი! ამ „მსმენელებს“ ღებულობენ „დირექტორი“ და კურსების სამეურნეო ნაწილის მეორე „დირექტორი“ დეკ. მ. ტყემალაძე, ასე ვსთქვათ, ხელ-მოსმით, ვინც მოხვდებათ ხელთ, განურჩევლად, განუკითხავად! არც ცენზს ჰკითხულობს ვინმე და არც მათ რაიმე ზნეობრივ ღირებულებას; ამიტომ კურსებზე, სხვათა შორის, მიუღიათ ერთი ყოფილი ფოსტალიონი ვინმე მახვილაძე – სამოც-წელზე გადასული, რომელიც შტატის შემოკლებაში მოჰყოლია და სამსახურიდან დაუთხოვიათ, ეხლა აქ ჰფიქრობს თავის „შეფარებას“, ხუცურის წაკითხვაც კი არ იცის! განათლება მიუღია სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასისა ამ ორმოცი წლის წინეთ! მეორე მიუღიათ ვინმე ძიძიშვილი, მოხუცებაში უკვე შესული, ისიც სამოც წლამდე იქნება მიღწეული, სკოლის თვალი არ უნახავს, ხუცურის კითხვას ეხლა სწავლობს; სამი კურსანტიც სულ უცოდინარნი არიან და უვიცნი, ერთსა ვკითხეთ 7X8 რამდენი იქნებაო და ვერ გვიპასუხა, მეორეს ვკითხეთ, ამდენი ფულით რამდენ გირვანქა პურს ვიყიდით, თუ გირვანქა პური ამდენი ეღირებაო – ვერ გვიპასუხა და როდესაც ჩვენ შევწუხდით, მან სიცილით დაუმატა: „ჩვენ პურს სახლში ვაცხობთ, გარეთ როდი ვყიდულობთო“! ასეთია დღეს ჩვენი კურსების შემადგენლობა!.. ასე „ჩვენებურად“, „ქართველურად“ გვიყვარს ჩვენ „მოღვაწეობა“! ჯერ „ორი დირექტორი“ ერთ კურსებზე?! – ცინცაძე და ტყემალაძე – ეს მგელი და თხა! მერე ორთავესი საარაკო თვითნებობა კორპორაციის წინაშე, ჩვენს „საბჭოს“ არაფერი არ ეკითხება! – ასე იქმნება ტრადიცია ჩვენი ახალი განმანათლებელ დაწესებულებისა... ვის შეუძლია შეებრძოლოს ამ ჩვენს ანარქიულ მიმართულებას?! ქართველობისათვის უჩვევი ხილია რაიმე ნორმა, კანონი!.. მაგრამ დაუბრუნდეთ „ეგზამენს“! კათოლიკოზი, დეკანოზები: ცინცაძე, ტყემალაძე, ფხალაძე, გამრეკელი, შუბლაძე და „მანგლელი“ ქრისტეფორე, ესენი დახვევიან ერთ დამღჩვალ მთავარდიაკონს, ერთი-მეორეს არც კი აცლიან, ისე ზედი-ზედ აყრიან საცოდავს კითხვას-კითხვაზე! მხოლოდ მე ვზივარ წყნარად და კითხვას არ ვაძლევ! მთავარდიაკონი იძლევა პასუხებს სამღვთო ისტორიიდან ძველ და ახალ აღთქმიდან, ტიპიკონიდან, კატეხიზმოდან, შემდეგ წააკითხეს ჟამნი, მარხვანი, სახარება, ცოტა რამ საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან, ცოტა რამ მოციქულთა დროის ისტორიიდან იძლევა პასუხებს; გალობაში მოვსთხოვე: „რაჟამს იორდანე“, რუსული კილოთი წაიგალობა და სიცილი გამოიწვია, შემდეგ მოვსთხოვე – „მშვენიერმან იოსებ“, არ ვიციო... აი, ასე ჩატარდა „ეგზამენი“ – ნახევარ საათში ყველა საგნებში, ყველამ ერთად უყავით ეგზამენი! მე გავკვირდი, გავვოცდი, ამდენ მგლებს როგორ გაგვიძლო იმ საცოდავმა! არამც თუ გაგვიძლო, ზოგჯერ ჩინებულ პასუხებსაც იძლეოდა, ეტყობოდა, რაც შეიძლებოდა კარგად მოემზადებია, თუმცა უსისტემოდ და უპროგრამმოთ.

დეკ. ცინცაძემ დაითხოვა დარბაზიდან დიაკონიც, მისი მომმზადებელი დეკანოზიც და ერთი „ჯადო მღვდელი“ ოქრომჭედლიშვილი, რომელსაც შემოეყო თავი დარბაზში.

შეიქმნა ბჭობა. პირველმა ილაპარაკა სიონის ახალმა კანდელაკმა – კახეთის ეპისკოპოსად განმზადებულ კანდიდატმა დეკ. მ. ფხალაძემ; ამან შეკითხვა შემო-

იტანა: „არის თუ არა ისეთი დადგენილება, რომ თუ კურსებს ვინც არ გაივლის, ის მღვდლად ვერ უნდა ეკურთხოსო“? ამ შეკითხვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა კათოლიკოზიც და „დირექტორიც“! „არა, ასეთი დადგენილება არ არის, მაგრამ ბრძანება კი არისო“, – სთქვა დეკ. ცინცაძემ და კათოლიკოზმაც დაადასტურა! წადი და გაიგე, შენ ეს „ქართული“?! – ეტყობოდა, რომ დეკ. ფხალაძე წინააღმდეგი იყო იმ დიაკონის ამ სახით მღვდლად კურთხევისა; შემდეგ თვით დირექტორმა აღიარა ეს დიაკონი საკმარისად მომზადებულად, დეკ. ტყემალაძემ ცოტა განმარტება მისცა, – „ძველად ასეთ მომზადებულს არ გაუშვებდით მღვდლად, მაგრამ ეხლა რა გაეწყობაო“, – ასეთივე ორმაგი იყო დეკ. გ. გამრეკელის აზრიც, თუმცა ამანაც დაუმატა: „ჩემს საგანში, საეკლესიო ისტორიაში, ბევრი დეფექტები აქვსო“; შემდეგ დიდის რიხით და პირდაპირობით“ ილაპარაკა „მანგლელმა“, მან განაცხადა: „მე ასეთი გამოცდა უკანონოდ მიმაჩნია, თუ კურსების სახელით სწარმოებს ამ დიაკონის მღვდლობის ღირსად ცნობა, ამისათვის საჭირო იყო, რომ კურსების პროგრამით უნდა გვეკითხა; ეს რა მომზადებაა, რატომ არ ჰკითხეთ – ან ანგარიშის ეყურება რაიმე, ან ქვეყნისა რამე გაეგება; ამ დიაკონის კურთხევა თუ საჭიროა – აკურთხეთ უჩვენოდ, ვინ არი მაგის წინააღმდეგო“...

ჯერი მოდგა ჩემზე. მე განვაცხადე: „გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ჩვენ ჩვენს კურსანტებს ორი წლის განმავლობაში ვერ მოვამზადებთ ისე, როგორც ეს დიაკონი მომზადებულა თქო“! ეს ჩემი განცხადება ბევრმა ისე გაიგო, რომ თითქოს ეს დიაკონი მე საკმარისად მომზადებულად მივიჩნიე. მაგრამ შემდეგ განვმარტე, რომ მისი მეუფება (ესე იგი „მანგლელი“) სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს – თუ ფორმალურ-კანონიერ ნიადაგზე დავაყენებთ საკითხს, რასაკვირველია, ეს დიაკონი არ არის მღვდლობის ხარისხისათვის მომზადებული, ჩვენი პროგრამებით რო გვეკითხა, ის ბევრს ვერაფერს გვიპასუხებდა, მაგრამ ჩვენი პროგრამებით შეიძლება კი მღვდლობისათვის მოვამზადოთ ეხლანდელი ჩვენი კურსების მსმენელნი?! ჩვენ ვღებულობთ ყველას განურჩევლად, არც განათლების ცენზს ვკითხულობთ ვინმესას და არც ზნეობრივსა და ისევ ვიმეორებ, რომ ჩვენს მსმენელებს ვერ მივიყვანთ იმ დონეზე, რომელზედაც ეს მთავარდიაკონი უკვე მისულა, ეს პიროვნება, როგორც აქ ითქვა, კეთილზნეობის და პატიოსანი ადამიანი ყოფილა, ამასთანავე უკვე ანაფორა აქვს, ეტყობა უმაცადინია, ზოგი საგანი საფუძვლიანადაც შეუთვისებია და ამიტომ ჩემზე ის კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ იმასაც კი მოგახსენებთ, რომ ამით დღეს ვქმნით ჩვენ პრეცედენტს, ამ მაგალითს სხვებიც მიჰყვება და კურსებზე შემოსვლას, ხარჯსა და ტანჯვას ბევრი ამჯობინებს ასე „შინაურულად“ მომზადებას და კურსები ჩვენი ჩაიშლება. საჭიროა ამიტომ გარკვევით მიღება კურსებზე მსმენელებისა და თუ საეგზამენოდ გადმოგვცემს მათი უწმინდესობა ვინმეს, მას მოვსთხოვოთ უფრო ფართო და საფუძვლიანი ცოდნა, რომ არ გავაიაფოდ „მღვდლობა“.

ამაზე დეკ. ცინცაძემ და კათოლიკოზმაც ის მომიგეს, რომ ეხლა ჩვენ სიხარულით ვღებულობთ ყველას, რომ კურსები გახსნილად გამოვაცხადოთო, – სეკტემბრიდან ჩვენ იმდენი მსურველები მოგვაწყდებიან, რომ კონკურსით მიღება მოგვიხდებაო...

ამაზე მე მიუგე: „ამათ რაღა უყოთ, ვინც უკვე მიგიღიათ კურსებზე, ამათ ხო უარს ვეღარ ეტყვით, უმჯობესი იქნებოდა ათის მაგივრად სამი გვყოლოდა კურსებზე, ხოლო ეს სამი კი საიმედო და სასურველი თქო...

დიაკონი კი კვირას – 14 მაისს მღვდლად ეკურთხება... გავიდა!..

„მემორანდუმი“ – მოწოდება
12 მაისი – პარასკევი

დღეს კომუნისტურ გაზეთში – რუსულში – „Правда Закавказья“-ში (წინეთ ამ გაზეთს ერქვა – „Правда Грузии“, ეს ათი დღეა, რაც მას „Правда Закавказья“ უწოდეს, ვინაიდან უკვე გამოცხადდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება – ფედერაცია, წაიშალა ყველა „საზღვრები“ და „დამოჟნები“ თუ ასეთი რამეები) №9 ამოვიკითხე შემდეგი მოკლე ცნობა ჩვენი კათოლიკოზის მიერ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნის შესახებ:

სათაური – „Раздуваюъ Патриаршія Кадила“

„Тяжелая артиллерія меньшевиковъ“...

„Грузины-меньшевики от имени так-называемого ,,посольства“ в Париже выступили с своею тяжелой артиллеріей: они вручили председателю конференціи письмо патріарха ,,всея Грузіи“ Амвросія, который, в согласіи с верными своими чадами-меньшевиками, требуют ухода Красной арміи из Грузиі“... создана в Париже „лига черноморских народов под крылишком Пуанкаре“ (ეს საფრანგეთის პრემიერ მინისტრია, დიდი მოწინააღმდეგე საბჭოთა რუსეთისა). ხელს აწერს ვინმე Л. Сосновский. დიდი მითქმა-მოთქმაა კათოლიკოზზე ქალაქში, გაავრცელეს ხმა – „დააპატიმრესო“, ზოგმა „შინაური დაპატიმრება“ გადაუწყვიტესო“, ბევრს მოსწონთ კათოლიკოზის ნაბიჯი, თანაგრძნობას იწვევს ხალხში. ჯერ კი ნამდვილად არავითარი პასუხი არ მოუთხოვია აქაურ მთავრობას კათოლიკოზისათვის, ის თავისუფლად დადის ეკლესიებში საწირავად, 7 მაისს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იყო მწირველი დეკ. შუბლაძესთან, სადაც დიდი წვეულება-სადილი გაუმართეს. 10 მილიონი დაჯდა სადილი, 60 სული იყოო; კვირას დიდუბეში მიდის „თამარობაზე“ (ეს დღეობა მე დავაწესე 1912 წელს, 1 მაისს)... მთავრობას უთქვამს „ყურადღებას ნუ მივაქცევთ, რომ არ ავსწიოთ მაგის პრესტიჟიო“! ვნახოთ, რა იქნება...

13 მაისი – შაბათი

შუადღისას სიონის კანდელაკი, დეკ. მ. ფხალაძე, მოვიდა ჩემს ბინაზე და გადმომცა, რომ ხვალ – 14 მაისს – თამარობას, დიდუბეშია მწირველი კათოლიკოზი, ამ საღამოთი ლოცვას ანჩისხატის ტაძარში მოისმენსო. ცხადია, გამაფრთხილეს, რომ შევემზადო; შემდეგ კანდელაკმა შემომჩივლა, – „კათოლიკოზს კარის კაციც კი არა ჰყავს, კარი მან თვითონ გამიღოო! აგრე არ შეიძლება, თუ

კათოლიკოზია, საჭიროა შესაფერადაც უნდა გყავდესო. მე უპასუხე – „აკი ჰყავს კარისკაცი, რატომ აძლევს ნებას – აღმა-დაღმა იყიალოს თქო“; „არა, – მიპასუხა ფხალაძემ, – მე კარისკაცზე კი არ ვლაპარაკობ, ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ დეკანოზებმა, მთავარ-დიაკვნებმაც რიგ-რიგობით ვიმორიგეოთ კათოლიკოზის სასახლეში, რომ მთხოვნელები მივიღოთ, პასუხი მივსცეთ მთხოვნელებს თუ სტუმრებს და ცოტა ლაზათი მიეცეს კათოლიკოზის სასახლეს“. ამაზე მიუგე: „ამ სახით ეს საქმე არ მოგვარდება, არ იმორიგეობენ მღვდლები, საამისო დისციპლინა ჩვენ არა გვაქვს და დიდხანსაც ვერ შევიგნებთ დისციპლინის საჭიროებას; ჩემის აზრით, კათოლიკოზის საეპარქიო კანცელიარიის გამგე უნდა იყოს განათლებული სამღვდელო პირი, რომლის კაბინეტი იქნება კათოლიკოზის სასახლეში, აი, ეს პირი შეასრულებდა ამ მოვალეობას, როგორც თვისს სამსახურის ერთ-ერთ დარგს. მაგრამ სანამ დ. დავითაშვილი გაბატონებულია საეპარქიო კანცელიარიაში, განა შეიძლება ამაზე ფიქრი?! ჩვენ ხომ პიროვნებების და პირადობათა ინტერესების ხალხნი ვართ, ჩვენში ყველაფერი ხდება ნათელ-მირონობით, ხათრით, ნაცნობ-მეგობრობით ან შიშით; საქმის ობიექტიური მხარე არასოდეს არ გვაინტერესებს ჩვენ, როგორც ამა თუ იმ გავლენიან პირისათვის იქნება სასარგებლო ან სასიამოვნო, ისე სწყდება ჩვენში ყოველივე საქმე! ამ მხრივ კათოლიკოზიც უკვე ჩაიფლო ჭაობში, მან ვერ შექმნა ობიექტიური, დამოუკიდებელი პიროვნების ატმოსფერა, თბილისში უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ კათოლიკოზი მიკერძოებული პიროვნებაა, ის თოთიბაძე-ცინცაძე-შუბლაძე-მირიანოვისაა და არა სულ ყველას მამა-მომვლელ-პატრონი; ამიტომ ეს კათოლიკოზიც ისე უფერულად ჩაივლის, როგორც ლეონიდი“-თქო.

საღამოს ლოცვაზე მობრძანდა კათოლიკოზი ანჩისხატის ტაძარში ლოცვის მოსასმენად: ტაძარი იყო მშვენივრად მოვლილ-დალაგებული, სამიოდე მგალობელიც შემესწრო ლოცვისათვის, მივეგებეთ ყველა-ზარის რეკით, შემოსილმა აღსავლის კარები გაუხსენი; ტრაპეზი მაქვს მორთული დიდებულად – ზედ გარდამოხსნა, გარდამოხსნაზე მისვენია ძვირფასი სახარება მოოქვრილ-ვეცხლის მძიმე ყდაში, რომელიც მოსკოვიდან შემოუწირია ერეკლე მეფის ასულს.

ამ ძვირფას ყდაში, რომელიც მახარობელთა ძვირფას-მინანქრიან სურათებითაა მოჭედილი, რუსული ტექსტი იყო სახარებისა; ეს რუსული ტექსტი ამ ერთი კვირის წინეთ ამოვიღე, შიგ ქართული ტექსტი ჩავასმევინე (ერთი მილიონი მანათი დავხარჯე ამაში) და ტრაპეზზე მისვენია, იქნებ კომუნისტებმა შეგვანარჩუნოს ეს სახარება, როგორც ტრაპეზზე ყოველთვის სახმარი სამკაული; თორემ გვიპირებენ, მსგავსად რუსეთის ეკლესიებისა, ჩვენი განძეულობის ჩამორთმევასაც...

ეს სახარებაც მეტად ამშვენებდა ტრაპეზს. დავიწყე ღამისთევითი ლოცვა, კარგი კილოთი და სასოებით ვილოცეთ; ლოცვის გათავებისას, ჩაიზე მოვიპატიჟე კათოლიკოზი; ჯერ უარი მიყო, მაგრამ მოვახსენე – ისეთი რამ საინტერესო უნდა წაგიკითხოთ, რომ გესიამოვნებათ თქო; – „განა არ ვიცი, რუსულ გაზეთში რომ ეწერა ჩემი მემორანდუმის შესახებ, იმაზე ლაპარაკობო“; – ჰო, იმაზედაც მოგახსენებ და სხვაზედაც თქო, – უპასუხე მე. ზარების რეკით ავიყვანე ჩემს ბინაზე, დეკ. ფხალაძის, ჩემი მნათის ანდრო ხუცაიძის და დიაკონ ნ. ყანდარელის თანხლებით

ჩაიზე ვიმუსაიფეთ, იმ გაზეთის ცნობაც წაუკითხე, ყველამ მოუწონა კათოლიკოზს ეს „ისტორიული ნაბიჯი“ (ამ დროს ჩემი სიმამრი დეკ. ზ. ლუკაშვილიც შემოგვიერთდა); ეტყობა, თვითონაც თავი მოსწონს ამ „ნაბიჯით“; მან ბრძანა: „როდესაც სამშობლო განსაცდელშია, ჩვენც – სამღვდელოებამ – უნდა აღვიმაღლოთ ხმაო, რაც უნდა განსაცდელი მოგველოდეს, უკან არ უნდა დავსდგეთო (ამ დროს მომაგონდა, თუ როგორ ივლტოდა აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი სუხუმიდან, როდესაც იქ ბოლშევიკები შევიდენ 1921 წელს, ეტყობა, ეხლა ისწორებს საქციელს და ილამაზებს მომურულ პირისახეს, ღმერთმა აპატიოს და ხელიც მოუმართოს ქვეყნის ერთგულ და გულწრფელ სამსახურში! მაგრამ ვშიშობ, რომ ეს „ნაბიჯი“ არ იყოს გადადგმული მხოლოდ იმიტომ, „რათა იხილონ კაცთა“!..), მოსალოდნელია რეპრესიები, ჩემს შესახებ მთავრობას უკვე დაუდგენია დაპატიმრება, მიკვირს, რაღაც იგვიანებენო“, – დაათავა კათოლიკოზმა. ნამდვილად კი მთავრობის წრეებში გადაუწყვეტიათ, უყურადღებოთ დასტოვონ კათოლიკოზი და მისი მემორანდუმი, რათა რაიმე რეპრესიით ან სასჯელით არ გავაღვიძოთ ხალხში მისდამი ყურადღება და პატივისცემაო... შემდეგ კათოლიკოზმა ბევრი ილაპარაკა თავისთავზე, თუ როგორ დაისაჯა ის ექსარხოსების დროს, გადაასახლეს რიაზანში მკაცრ ეპისკოპოზ ნიკოდიმის ზედამხედველობის ქვეშე. მეტად აზვიადებს თვის რაღაც სამი-ოთხი თვის მონასტერში ცხოვრებას და მღვდელ-მოქმედებაში დაყენებას; შემდეგ მოიხსენია პეტროგრადის მიტროპოლიტი აწ განსვენებული ანტონი (ვალკოვსკი), ამან მიშველა, ხელი შემიწყო და განმათავისუფლაო; შემდეგ „სტარაია რუსას“ მონასტრის წინამძღვრობა მომცესო (ნოვგოროდის გუბ.); ის კი აღარ ბრძანა, თუ რა სიმდიდრე-ფუფუნებაში ბრძანდებოდა არქიმანდრიტი ამბროსი ამ მონასტერში! თავისი-თავი მოწამედ მიაჩნია! ასეთი აშკარა კვეხნა, რომელიც მან იკადრა, შეუფერებელია: „მიტროპოლიტ ანტონს უთქვამს ჩემ შესახებ – ეს კაცი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემზე, დიდი ჭკუიანი კაცი უნდა იყოსო“! რიაზანის ეპისკოპოსმა ნიკოდიმმა, დიდ-სიმკაცრის შემდეგ, რომელიც მის ხელში გამოვიარე – როდესაც განმათავისუფლეს და მას გამოვეთხოვე, ასე მომმართა: „დიდი საკვირველი კაცი ხარო, რა შეიწროება და დამცირება მოგაყენე, მაგრამ რა მოთმინებით და სულ გრძელებით იტვირთე ყოველივე ესაო, შენ დიდებული მომავალი გექნებაო“!.. აი, ასეთი ლაპარაკი გვქონდა კათოლიკოზთან! ღმერთია გულთა მხილავი, მე ჩემს სამშობლო ქვეყანაში რო მწუხარება-დევნა-ყვედრება და სასჯელი გამოვიარე და დღესაც ინოკენტი ექსარხოსის რეზოლიუციის ქვეშე ვყევარ თვით ამბროსი კათოლიკოზსა ანჩისხატის ტაძრის ჯურ-ღმულში ჩამწყვდეული, ეს არაფერი?!.

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი, თუ როგორ დაიღუპნენ ბევრი საერო თუ სასულიერო პირნი მონარქისტები მოსკოვში 1918 წელს ბოლშევიკებისაგან; მე დაურთე ამას ცნობა, თუ როგორი სიმამაცით შეჰგებებია სიკვდილს ცნობილი შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი: როდესაც დახვრეტის წინაშე სხვები შეშინდნენ, შეშფოთდნენ, ვოსტორგოვმა ყველას მაგალითი მისცა, პირველი წარმოსდგა წინ, ჯვრით ხელში, არც ხელების გაკვრის და არც თვალების ახვევის ნება მისცა ჯალათებს, წარბ-შეუხრელად შეეგება ტყვიებს თქო, – დავა-

თავე მე. ამაზე კათოლიკოზმა სთქვა: „ის ბნელი ძალა იყო, მას ბევრი რუსული ცოდვა ჰქონდაო“, მე უპასუხე: „კი, ბატონო, მას რუსული ცოდვები ამძიმებდა, მაგრამ მისს საიდუმლო თუ აშკარა მიმდევრებს ჩვენში, რუსული ცოდვებიც ბევრი აწევთ და ქართულიც! მიუხედავად ამისა, ისინი არხეინად პარპაშებენ დღესაც ჩვენს სამშობლო-საქართველოში თქო“... ეს ლახვარივით მოხვდა გულში კათოლიკოზს, მან იგრძნო, რომ მისი მეგობრები და ეხლანდელი ბურჯები მყვანან სახეში, წამოიჭრა ზეზე – „ეხლა კი დროა სახლში წავიდეთო“! ავდექით, გავაცილეთ ყველამ, ქუჩაში გასვლისას მოვახსენე: „თქვენო უწმინდესობავ, ხვალ – ჩემს დაარსებულ თამარობას – თქვენს წმინდა ლოცვებში მეც მომიხსენეთ თქო“! „როგორ არა, მოგიხსენებო“! მე მოვაგონე, თუ როგორ დავაარსე დიდუბეში 1912 წლის 1 მაისს წმ. თამარის დღეობა, 1913 წლის მოლოდინში, როდესაც თამარის გარდაცვალების 700 წლის თავი სრულდებოდა; დავაარსეთ ეს დღესასწაული დიდის შრომით, სოსიკო მერკვილაძის, მიხ. ლაღიძის და ლაღიძის ქარხნის მუშების დახმარებით; როგორ გაგვიმასხარავეს სომხურ გაზეთ (რუსულ ენაზე) „ტიფლისკი ლისტოკში“ თამარის „წმინდანობა“! როგორ წვერსა და ულვაშს იგლეჯდა ინოკენტი ექსარხოსი, რომ მის დაუკითხავად გავბედე თამარის წმინდანობაზე დღესასწაულის გამოცხადება და ეს გარემოება იყო უახლოესი საბაბი ჩემი დიდუბიდან დაძვრისა; „თამარობამ“ აავსო ინოკენტის მოთმინების ფიალა! ჯერ იყო „ჭეშმარიტ-რუსთა“ პარტიის მაცადინობა ამ ეკლესიის რუსულ სამრევლოდ გამოცხადება, რაც მათ არ დავანებე, შემდეგ ლოთ დიაკონ სლადკო პევცევის ბეზღაობა ინოკენტისთან ამ ნიადაგზე...

ამ ვაი-ვაგლახით დაარსებული „თამარობა“ 1913 წელს კინაღამ ჩაშალეს, არქიმანდრიტმა ნაზარმა (ეხლანდელმა ქუთათელმა) წირვა ვერ გაბედა დიდუბეში, თვით ახალი წინამძღვარი დიდუბისა დეკ. ი. მირიანაშვილი (ეხლა საკათ. საბჭოს წევრი) გიმნაზიაში წავიდა გაკვეთილზე, წირვა მეორე მღვდელს მიუგდო, მაგრამ ხალხი მიუცვივდა მას გიმნაზიაში, ძალად გამოიყვანეს კლასიდან და ტყაპა-ტყუპით მიაჩანჩალეს ტაძარში თქო... შემდეგ განსვენებულმა ეპ. ანტონმა გამოიდო თავი და განმტკიცდა თბილისში „თამარობა“ – სირცხვილიც იქნებოდა ჩვენს დედა-ქალაქში „თამარის“ მოხსენება არ იყოს თქო, ეხლა კი თამამად მამულიშვილობენ და ხვალ დიდი ზარ-ზეიმით ისადილებენ წირვის შემდეგ თქო... მაშ, მომიხსენეთ, თქვენო უწმინდესობავ, და მაპატიეთ თუ თავი შეგაწყინეთ ამდენი კადნიერებით თქო, თქვენ მაშინ თბილისში არ ბრძანდებოდით და ესე ყოველი არ მოგეხსენებათ თქო...

14 მაისი (1 – ძვ. სტ.). თამარობა. კვირა

ანჩისხატში ვსწირე, იყო კვირიაკე სამარიტელ დედა-კაცისა; ხალხი ბლომად მყავდა წირვაზე; ქადაგება წარმოვსთქვი სამარიტელ-დედაკაცთან მაცხოვრის საუბარზე, დავახასიათე ეს დედა-კაცი, დაუპირდაპირე მას თამარის რწმენა, მაღალი ზნეობა, სათნოება; ქართველი ერის იმ დროის კულტურა, ქართველი დედა-კაცის

ლეჩაქი, ქართველი დედის ისტორიული სიკეთე – ეხლანდელი დაძაბუნება, რაც ავხსენი თანამედროვე ურწმუნოების და მატერიალისტურ-სოციალისტურ ცრუ-გავლენით; მოვითხოვე ოჯახში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ტრადიციების აღდგენა, მოვითხოვე ჩვენი დედაკაცისაგან უფრო აქტიური ზეგავლენა მამა-კაცებზე, შვილების აღზრდაზე და ეროვნულ სხეულის გაერთიანებაზე. შეიქმნა მხურვალე რელიგიურ-მამულიშვილური განცდა ტაძარში... ვიღაცამ ხმა-მაღლა წაილაპარაკა ქადაგების გათავების შემდეგ: „ეს ქადაგება დღეს დიდუბეში უნდა წარმოთქმულიყო, უფრო მრავალ-რიცხოვან მსმენელებისათვისო“...

წირვის შემდეგ დიდუბეში წაველ; მიუსწარ კათოლიკოზის ქადაგებას, ეს ქადაგება წარმოადგენდა ჩვეულებრივ წამებას თვით მქადაგებელისაცა და მსმე-ნელისაცა; ეკლესიის კარებში ვიდექ, ტაძარი გაჭედილი იყო ხალხით; კარებში დ. დავითაშვილი იდგა, სულ თვალებში შემომცქეროდა – თუ როგორ შთაბეჭ-დილებას ახდენდა ჩემზე კათოლიკოზის მოძღვრება; მე არც კი უცქეროდი მას; როგორც იყო, დასრულდა ეს ქადაგებაც, შემდეგ ლიტანიით ტაძარს შემოუარეს; თანამწირველობდენ დეკანოზები: ტყემალაძე-ხახუტაშვილი, შუბლაძე, თვით მირიანაშვილი, ფხალაძე, გურგენიძე, შემდეგ მიჰმატებია გ. ასათიანი; წირ-ვის შემდეგ კათოლიკოზი, სამოც-სულამდე თანამეინახეებით, მიწვეულ იქმნა წინამძღვრის ბინაზე – ეკლესიის ხარჯით გამართულ ნადიმზე! კათოლიკოზს მხარს უმშვენებდა „მანგლელი“ ქრისტეფორეც... მე ტაძრის ეზოში დავდიოდი, „პანთეონს“ ვათვალიერებდით მე და ახალციხელი დეკ. ივ. ცქიტიშვილი, რომლის მომზადებული დიაკონი იმ დღეს მღვდლად აკურთხა კათოლიკოზმა.

ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ვაჟი, ქერა, მეუბნება: „მე დიდუბის სამრევლო საბჭოს წევრი ვარ, წინამძღვარმა ტაძრისამ, კათოლიკოზმა და სხვა ყველამ გთხო-ვეს, სადილზედ დაგვესწროო“. მე მადლობა შევსწირე ასეთ ყურადღებისათვის და მოვახსენე, რომ უკვე ერთი კვირის წინ მიპატიჟებული ვარ ერთ ოჯახში და თქვენთან რომ წამოვიდე, ჩავრჩები, იქ ვეღარ მივალ და ეს არ იქნება ჩემის მხრით ლამაზი თქო. რის ვაი-ვაგლახით მოვიშორე ეს კაცი; არ გასულა ხუთი წუთი და ეს კაცი სოსიკო მერკვილაძისა და სიმონ გიორგობიანის თანხლებით ისევ შემო-მეხვივენ და დამიწყეს პატიჟი; დიდად შემაწუხა მერკვილაძემ, დაიწყო ეზოში ხმა მაღალი ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც არ დავესწარი სადილზე. ეს ათი წელიწადია, რაც დიდუბიდან გამომაგდეს, ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ მოვგონებივარ ვინმეს და ეხლაც იოლად წახვალთ უჩემოთ თქო. მე ბავშვი კი არა ვარ, რომ სასუს-ნავით ვინმემ მიმიტყუოს იქ, სადაც მე არა მსურს თქო, – მოვახსენე მერკვილაძეს! შენ როგორ იკადრე ასეთ საქმეში ჩარევა, მე თუ ვისმეს ვესიამოვნებოდი, წინდაწინ დამპატიჟებდენ ჯერ წირვაზე, შემდეგ საუზმეზე! ან რა უფლებით ჰფლანგავთ ასეთ ნადიმებზე ეკლესიის ფულს თქო! ან რა სინიდისით უნდა მოუსხდე გვერდით ცნობილ აზეფ შუბლაძეს, ვირგლა „მანგლელს“, გათახსირებულ დავითაშვილს, გაკრეჭილ კეკელიძეს და ამისანეებს თქო. ასეთი „გვამები“ წინამძღვარმა თავისი ხარჯით უნდა აქეიფოს, თქვენ საშინელ დანაშაულობას სჩადიხართ, მე მაგ უსაქ-ციელობას ვერ გავიზიარებ თქო..

სადილად ვიყავი აქვე, ახლოს, დიაკონ კონტრიძის სახლში, რძლის თამარის

დღეობაზე, მეუღლეც მოვიდა ჩემი; მეტად ესიამოვნა ყველას, რომ დიდი სადილი დავსტოვე და მცირეზე დავრჩი; ვისიამოვნეთ, ვიბაასეთ; გვესმოდა დიდი მრავალჟამიერი „ნადიმიდან“! შემდეგ შემოგვიერთდა დეკ. ბ. კონტრიძე, რომელიც სოფ. პრიუტში მსახურებს მღვდლად და ეხლა, მგონი, სურს გაძვრეს ვერის ნიკოლოზზე „მანგლელ“ ქრისტეფორეს ადგილზე, როდესაც ის ეპარქიაში დაბინავდება; რა უშავს, რომ თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე იქნება! საძოვარი ექნება, ყველას ეყვის! აი, ასე ქვებუდანობით აწყობენ საქმეს „ტეხნიკურად“!..

დეკ. კონტრიძემ მოგვიტანა „ნადიმიდან“ ამბავი, რომ დიდი რეჩები წარმოთქმულა, ჯერ კათოლიკოზი აღუფრენიათ ზეცას „მემორანდუმისათვის“; შემდეგ დეკ. შუბლაძეს „მანგლელი“ – თვისი „რედაქტორი“ – ქრისტეფორე შეუქია თვისი მოტეხილი ენით და უნამუსო პირით! ეს კირიონის ზნეობრივი მკვლელები ასე საჯაროდ ერთმანეთს აქებენ და ადიდებენ! საზოგადოებაც ყურს უგდებს მათ! თამადობდა ს. მერკვილაძე; ამას დაასწრო „მანგლელმა“, უდღეგრძელებივართ „მანგლელს“ დეკ. კ. ცინცაძე და მე – როგორც დიდუბეში ნამსახური პირნი! ერთიც და მეორეც ვეზიზღებით ვირ-ქრისტეფორეს, მაგრამ მაინც შევუქივართ! საკვირველია! ეს რა უპრინციპობაა!! რა უზნეობაა!.. შემდეგ დიდი სადღეგრძელო, დასაბუთებული, წარმოუთქვამს სიონის დეკანოზს გ. ასათიანს; ამან აღნიშნა ინოკენტის ჩემ შესახები რეზოლიუცია დიდუბიდან გადაყვანისა და სთქვა: მართალია, მაშინ ინოკენტი გესლიანად აქებდა რეზოლიუციაში დეკ. თალაქვაძეს, შეიძლება დასცინოდა მას ისიც და მასთან ზოგი ჩვენთაგანიც, მაგრამ ინოკენტის რეზოლიუცია სავსებით გაამართლა დეკ. თალაქვაძემ, როგორიც მოქმედი, მოღვაწე და განათლებული პირი იყო ის დიდუბეში, არა ნაკლები ნიჭი და უნარი გამოიჩინა მან ანჩისხატში! ყველამ იცით, თუ რას წარმოადგენდა ამ ათი წლის წინეთ ანჩისხატი და რა არის ის დღეს! მათი უწმინდესობა აღტაცებულია იქაური წირვა-ლოცვით, მოძღვრებით, სისუფთავით და წესიერებით... ასეთი რაღაცეები ბევრი უთქვამს ასათიანსაც, მერკვილაძესაც და სხვებსაც... ძლიერ დამძიმებულნი, გამობრუშულნი გვიან საღამოთი დაიშალნენ მეინახენი, დეკ. ან. თოთიბაძე არ დასწრებია ამ „ნადიმს“! ან სად მოიცლიდა, იმდენი საძოვარი ექნებოდა მას იმ დღეს ვერაზე! არც დეკ. კ. ცინცაძე მობრძანებულა! თავი მოიავათმყოფა. ამბობენ, იმ კვირას პეტრე-პავლეზე ოც-მილიონამდი დაიხარჯა სადილზეო, დიდუბეშიც ოცდაათიო! ეს ნამდვილი დანაშაულია! ეს, მგონი, უგრძნია კათოლიკოზსაც, ან ამბავი მისვლია ჩემგნით და ამიტომ პარასკევს, 19 მაისს, კურსებზე გაკვეთილს რო მოვრჩი, კათოლიკოზიც მობრძანდა; ვიბაასეთ და თვითონ ჩამოაგდო ლაპარაკი ამ „სადილებზე“! მე ამის წინააღმდეგი ვარო, ამდენხანს სადილზე ჯდომაც არ ღირსო; ეს უთავ-ბოლო ხარჯიაო... მეც კვერი დავუკარი და დაუმატე: „შიმშილობით ხალხი იჟუჟღება და თქვენი უწმინდესობის თანადასწრებით და თითქოს დასტურით ეკლესიების ხარჯით ასეთი ნადიმები იმართება, ამას შეიძლება მოჰყვეს მეტად სამწუხარო და სამარცხვინო შედეგები თქო! შეიძლება კომუნისტებმა ეს გაზეთშიც კი ჩაგიწერონ და ნუ ინებებთ თქო. საკმარისია, მწირველ მღვდელმთავარს მისი თანამწირველებით მიართვან ჩაი, მცირე საუზმე და ამით მორჩეს ასეთი დღე-

ობები თქო! ამდენი გარეშე პირის ეკლესიის ხარჯზე გაძღომა, ჩემის აზრით, დიდი დანაშაულია, კარგს ინებებდენ დეკანოზები შუბლაძე და მირიანაშვილი, თუ თავიანთ მეგობრებს საკუთარი ხარჯით გაუმასპინძლდებოდენ თქო“... ენა ჩაუვარდა კათოლიკოზს... დეკ. ფხალაძემ და ტყემალაძემ თავი ჩაღუნეს, გაწითლდენ; ფხალაძე ხელით მანიშნებდა – გაჩუმდიო! მე ხმა მაღლა შეუბღვირე: „მე ამას კათოლიკოზის საწყენად როდი ვლაპარაკობ, პირიქით, მისი ერთგულებით და ჩვენი რეპუტაციისათვის ვამბობ თქო“!..

კათოლიკოზს ამ დროს რაღაც დეპეშა ეჭირა ხელში; გამოირკვა, რომ ეს დეპეშა გამოუგზავნიათ ქუთაისიდან, მთავარ-ანგელოზის ეკლესიის სამრევლო საბჭოს წევრებს, ჩვენი წინამძღვარი დეკ. ფილიპე ფხაკაძე გარდაიცვალა, უბრძანეთ ქუთათელ მიტროპოლიტს, შეაჩეროს ახალი წინამძღვრის დანიშვნა, სანამ ჩვენ სასურველ კანდიდატს წამოვაყენებდეთო; ალბად ქუთათელი ნაზარი არა სასურველ კანდიდატს ამწესებს იქ; ეს ტაძარი დიდად შემოსავლიანი და საინტერესოა ქუთაისში. აქ საგულისხმო ის არის, რომ ადგილობრივ მღვდელმთავარს ვერ მოუხერხებია თვისს სამწყსოს შეეთანხმოს, სამწყსოს კანონიერ სურვილს ანგარიში გაუწიოს, ხოლო სამწყსო კათოლიკოზთან უჩივის თვისს მიტროპოლიტს! ეს მეტად დამახასიათებელია ჩვენი ანარქიულ მდგომარეობისა. კათოლიკოზი ატრიალებდა ხელში ამ ტელეგრამას; შემდეგ ეს დეპეშა დეკ. კ. ცინცაძეს გაუგზავნა, „ამაზე ის მისცემს პასუხსო“! მე და დეკ. ფხალაძე სახტად დავრჩით ამ სიტყვების გაგონებაზე! ხოლო დეკ. ტყემალაძე მაცდურივით ულვაშებში იღიმებოდა!.. კათოლიკოზი ვეღარ ჰფარავს თვისს სრულს სიღატაკეს გონებრივსა თუ ზნეობრივსა! ჩვენი კათოლიკოზი ცინცაძეა!..

წინა დღეს მე მიღებული მქონდა კათოლიკოზის კანცელიარიიდან ოფიციალური მოწერილობა, რომლითაც კათოლიკოზი მავალებდა მისი სახელით და სამღვდელოების მინდობილებით მიმელოცა 21 მაისს ზაქარია ჭიჭინაძისათვის 50 წლის მისი მოღვაწეობის იუბილე! „მიიღე ჩემი ბრძანებაო“? – მკითხა კათოლიკოზმა. „როგორ არა, მივიღე, ბატონო, მაგრამ თუ მაინცა და მაინც ჩემზე გააჩერეთ თქვენი არჩევნები, კარგი იქნებოდა, რომ ერთი სამღვდელო პირიც დაგენიშნა ჩემთან და ცოტა რამ ჩვენც მიგვერთმია მოხუც მუშაკისათვის თქო! ყველანი, ორი და სამი კაცისაგან შემდგარ დეპუტაციით წარსდგება, ფულებს და ნივთებს მიართმევენ! რას ემგვანება, რომ თქვენი სახელით გამოვიდე მარტოთ-მარტო და ცარიელი ხელით თქო“... „ჰმ! მაგაზე მე როდი მიფიქრია; წაიყვანე დეკ. ფხალაძე, ან მაჭარაშვილი, ეს უკანასკნელი ემჯობინება, გრძელი-თეთრი წვერი აქვს, – ღიმილით ბრძანა კათოლიკოზმა, – ფულსაც გადავსცემ მაჭარაშვილს ერთ მილიონს, – გაინაწილეთ შემდეგ ეკლესიებმაო“...

21 მაისი. კვირა

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე, 50 წლის მოღვაწეობა მწიგნობრობის ასპარეზზე! გაიმართა ზეიმი სახაზინო საოპერო თეატრის დარბაზში. ბილეთები ხელზე იყი-

დებოდა, ბილეთები გაყიდულიყო, მაგრამ თვით ხალხი ნაკლებად იკრიბებოდა, შემდეგ გაუღეს კარები და სულ ყველანი უსასყიდლოდ შეუშვეს. გამოვცხადდით მე და ჩემი დეკ. მაჭარაშვილი, ერთი მილიონ მანეთით პაკეტში, შევედით „საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოში“, რომლის თაოსნობითაც გაიმართა იუბილე, აღგვნიშნეს ჩვენც – „კათოლიკოზის წარმომადგენლებად“. ეს ჭიჭინაძე დიდი მოამაგეა ჩვენი მწიგნობრობის ასპარეზზე, ჯერ წიგნებით ვაჭრობდა, პირველ დაწყებითი სკოლაც არ დაუთავებია, შემდეგ თავისი სურვილით განვითარებულა, შეუყვარებია კითხვა, შეჰყვარებია „წიგნი“ – ჯერ ბუკინისტობდა, წიგნთ-საცავი გაიჩინა, მასთან იპოვებოდა 70 წლებში საუკეთესო წიგნები რუსულ ენაზე, უფრო კი „აღკრძალული“, მთვრობისაგან დევნილი ავტორებისა; ამ ჭიჭინაძეს აწყდებოდა ქართველი ახალ-გაზრდობა, მასთან ჰპოულობდა წასაკითხავ წიგნებსა; განსაკუთრებით ელტოდენ მას ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეობა; მაგის ხელ-მძღვანელობით ჰკითხულობდენ წიგნს ეხლანდელი „სოციალიზმის“ ბელადნი ჩვენში – მენშევიკი ნოე ჟორდანია და ბოლშევიკი ფ. მახარაძე; დიდ-ძალი წიგნი აქვს გამოცემული ამ ჭიჭინაძეს, სხვა და სხვა დარგში, უფრო კი ისტორიულში; ესევე ავრცელებდა წიგნებს ხალხში, ზურგზე აკიდებული დადიოდა კუთხიდან-კუთხეში, რამდენიმეჯერ შემოვლილი აქვს სამცხე-საათაბაგო-სამაჰმადიანო საქართველო, საინგილო, სამეგრელო-აფხაზეთ-სვანეთი, ყველგან წიგნს ავრცელებდა, წერა-კითხვას ავრცელებდა და ათვითცნობიერებდა ხალხს; შედიოდა მუშათა წრეებში, იქაც შეჰქონდა წიგნი და ცნობიერება; თვითონაც ბევრი საკუთარი ნაწერები აქვს – ისტორიკოსია! ამანვე გამოსცა ბროსსეს აკადემიურ გამოცემის შემდეგ „ქართლის ცხოვრება“; დიდძალი ნაწერები აქვს გაბნეული ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში; ამასთანავე არის კაცი შემბრალებელი, მაგისი ღარიბი ბინა ყოფილა ღარიბ-ღატაკ ახალ-გაზრდობის თავშესაფარი, ბევრი უბედურება, დევნა-სიმწარე გამოუვლია და კიდევ კარგი, რომ ამ „კომუნისტურ“ ხანაში მოხერხდა მაგისი პატივის ცემა. ბოლოს ხალხმაც საკმარისად მოიყარა თავი თეატრში, გაიხსნა იუბილე მწერალთა კავშირის კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით; ამან მოკლე ბიოგრაფიული ცნობები წაუკითხა ხალხს და მოიპატიჟა იუბილიარი სავარძელში; იუბილიარს ოვაციით მიეგება საზოგადოება, სცენაზე იდგა ჭიჭინაძის დიდი სურათი, მხატვარ ზაზიაშვილისაგან დახატული. პირველი სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა (ეს სასულიერო აკადემიისაგან არის, ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბ. სასულიერო სემინარიაში ნამასწავლებელი, ეხლა ქალთა გიმნაზიაშია – ყოფილ ეპარქიალურში), კარგი რომანისტია; კბილები აღარ აქვს, წყნარი ხმა აქვს და ვერა გავიგონეთ რა მისი სიტყვისა. შემდეგ გამოვიდა კომუნისტურ მთავრობის წარმომადგენელი „ამხანაგი თოდრია“ (ეს გურული ყოფილა, თუმცა გვარი მეგრულს უგავს); დაიწყო სხაპა-სხუპით და ბაქი-ბუქით ლაპარაკი: „ზაქარია ჭიჭინაძე, შეიძლება მის უნებურად, ჩვენს, კომუნისტურ საქმეს ემსახურებოდა, მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის ამზადებდა ნიადაგს, ეს მდაბიო ხალხის მასსიდან არის გამოსული, ამავ მასსაში შეჰქონდა სინათლე და შეგნებაო; ამიტომ ჩვენც ვღებულობთ მის

პატივისცემაში მონაწილეობას, ჩვენ უსურვებთ მას, რომ ორმოცდაათი წელიწადი კიდევ იმუშაოს და ჩვენი მთავრობა მუდამ მაგისი შემწე-მფარველი იქნებაო; შეიძლება, ბევრს გაგეცინოთ გუნებაში და სთქვათ – „როგორ, ეს კომუნისტები კიდე ჰფიქრობენ ამდენ ხანს ჩვენში გაჩერებას“? შეიძლება, თქვენ ჩვენთვის არამც თუ 50 წელი, 50 საათიც არ გემეტებოდესო“! ამ სიტყვებზე ხალხში ასტყდა სიცილ-ხარხარი და ტაშისცემა; ლოჟებში დამსწრე კომუნისტებმა უკან, ლოჟის სიღრმეში დაიწიეს სირცხვილისა გამო; მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა მათთვის – საქვეყნოდ გამოტანილ იქმნა ის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ასე უარყოფით ეგებება კომუნისტების მოღვაწეობას ჩვენში; მე ვფიქრობ, რომ „ამხანაგი თოდრია“ შენიშვნას და საყვედურსაც მიიღებს ამ თაობაზე... შემდეგ ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ექიმმა ივანე გომართელმა, მენშევიკების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა; ამან დაახასიათა ჭიჭინაძის მოღვაწეობა სავსებით, თუ როგორ მან „წიგნით აიღო საქართველოს ყველა ბნელი კუთხეები, როგორც კარგმა სარდალმა“... შემდეგ „ნარკომ-პროსის“ (განათლების სამინისტრო) სახელით არტისტმა შალვა დადიანმა მოკლე სიტყვით მიულოცა და ოცდახუთი მილიონი გადასცა ამ დაწესებულებიდან; შემდეგ ჯერი მოსდგა ჩემზედაც, გავედი ჩემი მაჭარაშვილით, ოვაციებით მოგვეგება ხალხი, დიდ-ხანს გვიკრავდენ ტაშს. წარმოვსთქვი ვრცელი, დასაბუთებული სიტყვა „ქართულ სულიერ კულტურის ზეიმობაზე“; შევეხე ქართულ ძველ და ახალ მწერლობის მსვლელობას ჩვენში, მწიგნობრობის განვითარებას და გავრცელებას ჩვენში; წიგნმა რა სასწაული მოახდინა, როგორ გაათვითცნობიერა ხალხი, თუ როგორ სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა ჩვენში წიგნი და გაზეთი, თუ როგორ შეიტანა მასაში შეგნება ძმობა-ერთობა-თანასწორობისა, შემოჰკრიბა დაფლეთილი ეროვნული სხეული ჩვენში, როგორ ჩამოჰკრა „ჩონგურს“ „ნათელამ“ თვისი გრძნეული თითები, როგორ ჩასწვდა სამაჰმადიანო საქართველოს – დედა-სამშობლოს „იავ-ნანა“! და „რა ჰქნა ამ იავ-ნანამ“. ამ დროს შიგადაშიგ გაცხარებული ტაში და ოვაციები იმართებოდა, ხშირად სიტყვას მაწყვეტიებდენ, ხოლო მეც ხალხთან ტაშს უკრავდი იუბილიარს. შემდეგ დავახასიათე იუბილიარის ამ მიმართულებაში დიადი ღვაწლი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სახელით და ქართველ სამღვდელოების მონდომილებით მიულოცე ზაქარიას ნახევარ საუკუნის მოღვაწეობა – მუშა-ფუტკრად დავსახე ის, რომელიც ყვავილოვან საქართველოს თვალ-წარმტაც მინდორ-ველიდან ყველა კუთხეში ეზიდებოდა სუნნელოვან თაფლს შეგნებისა და კულტურისას; ამ თაფლის ცვილიდან ჩამოქნილ სანთელს როგორ ანთებდა ზაქარია სამშობლოს საკურთხევლის წინაშე (ისევ ოვაციები). უსურვე, რათა ამ „ახალ დროშიც“ არ მოგვკლებოდეს მაგისი გამობრძმედილი მუშაობა, დღეს მთელი მსოფლიო სდუღს და ბობოქრებს, კაცობრიობა გამოსულა სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკურ გარდაქმნა-განახლების ჯვარედინ გზაზე, ამ საერთო ორომტრიალში მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ერიც; ქართველობაზე დღეს ლაპარაკობენ, სწერენ და კამათობენ ყველგან და ყველანი. ცხადია, ჩვენც ერი ვართ, ჩვენც ქუდი გვხურავს თავზე, ჩვენ საერთო ფერხულში ვართ ჩაბმულნი. მაშ, დასტკბი და

გაიხარე, მხცოვანო მუშაკო, რომ ცუდად არ ჩაუვლია შენი 50 წლის მოღვაწეობის სულისკვეთებას. გისურვებთ, რათა ასე მხნეთ, ასე ყოჩაღად შეჰგებებოდე შენ მარად შენი საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებას და აღორძინებას. ქრისტე აღსდგა, ძმაო ზაქარია! – და გადავკოცნე ის! მაჭარაშვილმა პაკეტით ფული გადასცა. დიდი ოვაციები გაგვიმართა, როგორც ხალხმა, ისე თვით სცენამ. კარგი განცდა შეიქმნა... იუბილიარს მოუგროვდა ას მილიონამდე, ერთი დიდი ტომარა თეთრი კანადის ფქვილიც მიართვეს; სიტყვები და მილოცვები ბლომად იყო. ქართველ კათოლიკეთა ორი მღვდელიც იყო, ერთი ერის კაცით, ამან წაიკითხა ადრესი, დაიბნა, დაბეჭდილი ადრესიც კი ვერ წაიკითხა, ამან ცოტა შეგვაწუხა; ისე კარგად ჩატარდა ზეიმი...

ზეიმზე მე მგზავნიან თოთიბაძე-ცინცაძე-„მანგლელი“, შუბლაძე-მირიანოვები კი სძოვენ ჩვენს ეკლესიას, ფულებს აგროვებენ და „სცხოვრობენ“!.. მიუტევე, უფალო!.. მაგრა რო იციან და შეგნებულად სჩადიან ყოველივე ამას?!. მე ცხოვრება მიჭირს, მათ თავზე გადასდის...

23 მაისი

ალბად „ამხანაგ თოდრიას“, რომელიც ზემოდ მოვიხსენიე, ძლიერ შეჰშურდა ჩემი „დაფნის გვირგვინები“ ჭიჭინაძის იუბილეზე და გაზეთ „კომუნისტში“ გამამასხარავეს ჭიჭინაძისადმი მილოცვის გამო: „გამოხტა სცენაზე რიჟა მღვდელი თალაქვაძე, კათოლიკოზისაგან დაქირავებული და დაიწყო რაღაცეების ბოდვაო“!.. აი, ასე სწერენ ჩვენი უბედური კომუნისტები „ისტორიას“! მათი სიტყვა და საქმე სულ ტყუილებზე და სიყალბეზეა აგებული!..

23 მაისს ვიღაც (უცნობნი) ახალგაზრდები მოვიდნენ ჩემთან ბინაზე და მითხრეს, რომ, ხვალ, 24 მაისს, გაფიცვა უნდა მოვახდინოთ თბილისში, გადაწყვეტილია – დილის 11 საათზე, როდესაც რკინის გზის დეპოს „გუდოკი“ დაიძახებს, ეკლესიებმა სამგლოვიარო ზარები უნდა ჩამორეკოთ, დუქან-მაღაზიები დაიკეტება და მიტინგები გაიმართებაო; ესენი წავიდნენ, ეხლა სხვები მოსულან ჩემს ბინაზე, ამათაც ესა სთქვეს! ქუჩაში შემხვდენ ვიღაც-ვიღაცეები, ამათაც ეს მითხრეს! მიკვირს ასე გაფიცვის მოწყობა! არავითარი კონსპირაცია არ ემჩნევა საქმეს, თუ ამდენმა ხალხმა იცის ხვალინდელი გაფიცვის გეგმა, ცხადია, ამას გაიგებენ მოწინააღმდეგენიც და ყოველივე ზომებს მიიღებენ წინდაწინვე, რათა ჩაშალონ ეს გაფიცვა; ასეთ მოუფიქრებელ და დაუმუშავებელ საქმეში ეკლესიების ჩათრევა მეტად სახიფათო გარემოებად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ ეკლესიების განძეულებაზე ილესავენ კბილებს, ყოველდღე სწერენ ამ თაობაზე რუსეთის ეკლესიებიდან განძეულების გამოტანაზე, ამით ამზადებენ ჩვენში საზოგადოებას, რომ მას არ გაუკვირდეს, თუ ჩვენშიც კომუნისტებმა გამოიტანონ ტაძრებიდან ბარძიმ-ფეშხუმი, და ოქრო-ვერცხლიანი ხატები თუ სხვა სამკაულები; ამას გარდა კათოლიკოზის „მემორანდუმისა“ გამოც მეტად გაცეცხლებულნი არიან კომუნისტები; მოსალოდნელია ისედაც ჩვენზე დიდი

დევნა-რეპრესიები და ეხლა ასეთ გაუთვალისწინებელ გაფიცვაშიც ითრევენ ჩვენს ეკლესიებს. ამ თაობაზე არც სამღვდელოებას აქვს ერთმანეთში მოლაპარაკება, არც კათოლიკოზისაგან ვიცით რაიმე განკარგულება, ეტყობა, რომ ასე თითო-თითოდ ჩამოუვლიათ ტაძრები და მოუხდენიათ „გაფიცვის კომიტეტს“ განკარგულება.

24 მაისის გაფიცვა საქართველოში კომუნისტების საწინააღმდეგო დემონსტრაციად

გათენდა 24 მაისი; დილა-ადრიანვე ქართული ეროვნული დროშა აღუმართავენ თვით სასახლეზე, უნივერსიტეტში და ზოგ-ზოგ ვაჟთა თუ ქალთა გიმნაზიებში! უნდა შევნიშნოთ, რომ 26 მაისის მოლოდინში, კომუნისტურმა მთავრობამ ყველა სასწავლებლებში მაცადინეობა დაასრულებია 20 მაისისათვის და ვინც კი – მოწაფე-მასწავლებელნი 22-23-24 მაისს წავიდ-წამოვიდოდნენ ქალაქიდან თავ-თავიანთ სახლებში, მათთვის უფასო ვაგონები იქნებოდა სადგურზე სამგზავროდ მომზადებულნი; ცხადია, თვით კომუნისტები ელოდნენ გამოსვლებს 26 მაისისათვის, რომლის დღესასწაულობა მათ მოსპეს და ნაცვლად 26 მაისისა, გამოაცხადეს „საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეთ“ 25 თებერვალი 1921 წლისა, როდესაც კომუნისტები რუსის წითელ არმიით შემოვიდნენ თბილისში, დაიპყრეს ის და მასთან მთელი საქართველოც!..

რასაკვირველია, გამოკიდებული ეროვნული დროშები მაშინე ჩამოხსნეს კომუნისტებმა და დახიეს ისინი! ზოგ-ზოგ ადგილზე სამგლოვიარო შავი დროშებიც გამოეფინათ, ეს დროშებიც დახიეს კომუნისტებმა. მთელი ქალაქი სულგანაბული ელოდება 11 საათზე – „გუდოკის“ აშვებას. მე მითხრეს, ზარის დამრეკავს ჩვენ თვითონ გამოვგზავნით, თქვენ ნუ შესწუხდებითო; ასევე იქნება სიონში და სხვა ეკლესიებზეო! მეც რა ღონე მქონდა, რაც სხვას, ის ჩემს ტაძარსაც, – ვიფიქრე მე; ამასთნავე იყო ნაბრძანები, რომ სანამ დეპოს „გუდოკი“ არ აუშვებს ხმას, მანამ ზარების ხმაც არ უნდა აშვებულიყო. ანჩისხატის სამრეკლო მაღალია, იქ ქვევიდან ზარს ვერ დარეკავენ, სამრეკლოზე შესასვლელად საჭიროა გაღებულ იქმნას ტაძრის დერეფანი. მე და ჩემმა დიაკონმა ნიკოლოზ ყანდარელმა გავაღეთ ტაძარი, მეორე დღე ამაღლებაა, ვლოცულობთ, მაგრამ ზარი არ დაგვირეკია, რომ რაიმე არევ-დარევა არ შეგვეტანა საზოგადოებაში. ამ დროს ტაძარში შემოვიდა ერთი უცნობი ქერა ახალ-გაზრდა, მე ზარის დასარეკად გამომგზავნესო! მე ვკითხე – როდის, რა ნიშანზე უნდა დაიწყო რეკა თქო?! – როგორც „გუდოკს“ აუშვებენო, – მიპასუხა მან და დაუმატა: „თუ გუდოკი არ აუშვან, ზარის დარეკა არ შეიძლებაო, ჯერ სიონის ზარი უნდა ჩამორეკონ და შემდეგ სხვა ტაძრებისაო“. შესრულდა 11 საათი, არ ისმის „გუდოკი“! დაიწყო მეთორმეტე საათი, არ ისმის არავითარი ხმა! ამ დროს ტაძარში შემოვიდა დეკ. ზაქარია ლუკაშვილი (ჩემი სიმამრი), ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის წინამძღვარი. ამან მოიტანა შემდეგი ამბავი: „ქუჩებში მილიცია დადის, რომ არავინ გაბედოს დუქნების დაკეტვა, დიდი მიხლა-მოხლაა ქუჩებში,

ეტყობა, გაფიცვა ჩაიშალაო“. შეიქმნა $11^1/_2$ საათი, ზარის ამრეკავი ახალგაზრდა წავიდა და სთქვა: „ზარი არ დარეკოთ, თუ „გუდოკის“ ხმა არ გაიგონოთო“. როდესაც 12 საათის შესრულებას ათი წუთიღა აკლდა, მე ტაძარი დავკეტე, სამრეკლოზე ასავალი კარი ღია დავსტოვე და წავედი სასახლისაკენ; რო მიუახლოვდი კალოუბნის ტაძარს, აქედან მოისმოდა სადღესასწაულო ზარის რეკა, ასეთივე ყველა ზარების რეკა მოისმოდა ქვაშვეთის ტაძრიდან და მამა დავითიდანაც! მაღაზიები და დუქნები სულ ყველა ღია იყო, ქუჩებში სიწყნარე, ხალხი ბლომად სეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე; ამ დროს შევხვდი გზაში ნიკოლოზ არჯევანიძეს (გენერალია), გავიარეთ პროსპეკტზე და შემდეგი გულ-საკლავი სურათი დავინახეთ: შუა ქუჩაში მოდის ორი ცხენოსანი წითელ არმიელი (რუსნი), ცხენებშუა უყენიათ და ქვეითად მოჰყავენ ორი დაპატიმრებული ახალ-გაზრდა ქართველნი, ეტყობოდათ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ. ამათ „ძაბრიანქუდიანი“ არმიელები მიერეკებიან „ჩეკაში“, მოსეირნე ხალხი კი ზედაც არ უყურებს მათ! ამათ რა ენაღვლებათ ან რა ედარდებათ ქართველ ახალგაზრდობის აგრე დარბევა-აწიოკება. თბილისში დღეს ქართველობა დიდ უმცირესობას წარმოვადგენთ, აქ გაფიცვის ჩატარება ყოვლად შეუძლებელია! აივსო ჩვენი დედა-ქალაქი სომხობა-კრუებით, რუსებით, ურიებით, ოსებით! ესენი ყველანი შეერთდნენ ჩვენ ჩასაყლაპად, ამათ „ხელმძღვანელობენ“ ქართველი კომუნისტებიც და აშენდა ოჯახი! ასეთ პირობებში გაფიცვის გამოცხადება ქალაქში უაზრობაა...

გამოირკვა შემდეგი: კალოუბანს, ქვაშვეთს, მამა დავითს, თეოდოსის, იოანნე ღვთის მეტყველის (ეს ორი რუსებისაა) ეკლესიებს სადღესასწაულო რეკა აუტეხიათ, თითქოს პასექის დღესასწაულს ათავებენ ამაღლების წინა დღით! ამით ისინი თავს იმართლებდენ მთავრობის წინაშე, თუ პასუხს მოსთხოვდენ, იმავე დროს საზოგადოების წინაშეც – „კომიტეტის წინაშეც“ მართალნი აღმოჩნდებოდენ – „ჩვენ ზარები დავრეკეთო“! ასეთი თაღლითობით, აბა, რა სიკეთე უნდა გაკეთდეს! ნაბრძანებია სამგლოვიარო ზარის ჩამორეკა, ესენი კი „ტრეზვონს“ რეკენ!? ნაბრძანებია „გუდოკზე“ რეკა, ესენი კი პირველ საათზე რეკენ! მიუხედავად ამისა, მიუსწრეს ქვაშვეთში დიაკონ ანტონ ლაზრიშვილს რეკის დროს წითელ არმიელებმა, ხმაც კი არ ამოაღებიეს, ცემა-ტყეპით წაიყვანეს „ჩეკაში“, მაგრამ ერთი საათის შემდეგ გაანთავისუფლეს. „ჩვენ სადღესასწაულო ეკლესიური რეკა გვქონდაო“, – განუმარტავს მთავრობისათვის ქვაშვეთის დეკანოზს კ. ცინცაძეს! სიონზეც ჩამოურეკიათ ერთი-ორი, მაგრამ მაშინვე ხელი უტაცნიათ მილიციონერებს... სიონის ქუჩაზე შეეცადნენ დუქან-მაღაზიების დაკეტვას, მაგრამ თოფის კონდახებით ჩაუმტვრიეს ცხვირ-პირი მოვაჭრეებს, ისევე გააღებინეს, ვინც მოასწრო დაკეტვა, მათ დაუბეჭდეს მაღაზიები და დაიჭირეს, მაღაზიებს ჰკეტავდენ მხოლოდ ქართველობა, მაგრამ ქართველობა ისე მცირეა მოვაჭრეთა შორის, რომ მათი დუქნების დაკეტვა არც კი შეემჩნევა ქალაქს. ყოფილა შეტაკებანი ქუჩებში – ავლაბარში, აბანოების მხარეზეც; აქ ერთ სომეხ ვაჭარს ისე შეშინებოდა, რომ გული გახეთქია და იქვე ქუჩაზე სული ამოსვლია!..

დიდი ამბები გადახვედრია თავს გაფიცულებს რკინის გზის დეპოსთან, აქ

„გუდოკი“ წინდაწინვე ჩაუგდიათ ხელში კომუნისტურ მთავრობის აგენტებს, „გუდოკი“ არ აუშვეს, ჯარი შეუსიეს მუშებს, მოხდა შეტაკებანი, სისხლიც დაიღვარა და დიდ-ძალი ხალხი დააპატიმრეს, აივსო ციხეები ქალაქში!..

დიდი შეტაკება მომხდარა უნივერსიტეტთანაც; შენობა უკვე გარე-მოცული იყო წითელ არმიელთაგან, უნივერსიტეტში აღარ უშვებდენ არც სტუდენტობას, არც პროფესორებს. როდესაც რექტორი ივანე ჯავახიშვილი შედიოდა ეზოში, შეაჩერეს ის რუს-არმიელებმა, არ გაუშვეს, რექტორი ეკითხება მათ ქართულად: „რა ამბავიაო“. რუსები უპასუხებენ: „არ გვესმის, რას ლაპარაკობ, გველაპარაკეთ რუსულად, გასაგებ ენაზეო“! ჯავახიშვილს ვერ დააძრევინეს რუსულად ვერც ერთი სიტყვა, დააპატიმრეს ისიც, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს; ასევე მოექცენ პროფესორ რაზმაძესაც და სხვებსაც...

სტუდენტობა – ქალები თუ ვაჟები – დაიძრა ვერის სასაფლაოსაკენ, აქ გამართეს დიდი მიტინგი, აუშვეს ეროვნული დროშები; მაგრამ ფიცხლად გარს შემოერტყა მათ წითელ-არმიელები და მილიციელების რაზმები; მოხდა შეტაკებანი! გამძვინებულ ვეფხვივით იბრძოდენ ქართველი ქალები – სტუდენტები, ბევრს ცხვირ-პირი ჩაამტვრიეს, ტანისამოსი შემოაფხრიწეს, დააპატიმრეს და ციხეები თუ „ჩეკები“ აავსეს... აი, რით დასრულდა თბილისში 24 მაისის გაფიცვა, რომელსაც კომუნისტებმა „აჯანყება“ უწოდეს...

25 მაისი – ამაღლება

დღეს წყნარად ჩაიარა ქალაქში ცხოვრებამ. 26 მაისისათვის აპირებდენ კიდევ დემონსტრაციას, მაგრამ ვინღა მოახდენდა დემონსტრაციას, ვინაიდან ყველა ცოცხალი ძალები ციხეებში და „ჩეკებში“ იქმნენ ამომწყვდეულნი.

26 მაისი

დღევანდელ დღეს ჩვენმა კომუნისტებმა ჩაიდინეს უდიდესი დანაშაული, თუ რუსულ არმიის საშვალებით საქართველოს დაპყრობა ისტორიულ ღალატად და დანაშაულად ჩაეთვლებათ ქართველ კომუნისტებს, 26 მაისის დღესასწაულის მოსპობაც უუდიდეს დანაშაულად უნდა იქმნეს აღიარებული. 1918 წლის 26 მაისის ნაცვლად 1921 წლის 25 თებერვლის გამოცხადება – ეს საშინელი თვალთ-მაქცობაა მათგნით! თუ მათ დამოუკიდებელი საქართველო სწამდათ, 26 მაისი უნდა ხელ-შეუხებლად დაეტოებიათ, ხოლო 25 თებერვალს „გადატრიალების“ დღეთ მიიჩნევდენ. ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა საქართველომ აღიდგინა 1918 წლის 26 მაისს, ხოლო 1921 წლის 25 თებერვალს მან დაჰკარგა ეს დამოუკიდებლობა, ისევ რუსთა ბატონობის უღელქვეშ მოვხდით ქართველი ერი, გარნა ეს მონობის უღელი დაადასტურეს ქართველმა კომუნისტებმა 1922 წლის 26 მაისს, როდესაც ამ დღესაც ისინი რუს არმიელთა საშუ-

ალებით განაგრძობდენ ჩვენს დედა-ქალაქში ნამდვილ „ნადირობას“!.. 26 მაისი მაინც აღინიშნა დედა-ქალაქში დემონსტრაციებით, სხვა და სხვა კუთხეებში – ქალაქისაში – კიდევ გამოჰფინეს სამგლოვიარო დროშები, იქა-აქ მოხდა შეტაკებანი, ბევრი დააპატიმრეს; „სალდათის ბაზარზე“ შუადღის პირველ საათზე, მოულოდნელად მოხდა მიტინგი, ერთმა ახალგაზრდამ ააფრიალა ეროვნული დროშა და წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა! შეგროვდა ხალხი, მიჰკეტ-მოჰკეტეს მაღაზიები, მაგრამ გაჩნდენ წითელ-არმიელი რუსები, დააპატიმრეს ორატორი, დამსწრეთაგანიც, გაჰფანტეს ხალხი და ჩაამუნჯეს ყოველივე; სარდაფებში და სახლებში ყოველ ქუჩაზე იყვნენ ამ დღეს ჩასაფრებულნი წითელ არმიელები, „აჯანყების“ მოლოდინში. აჯანყებას კი არავინ ჰფიქრობდა ამ დღეებში, ეს დღეები სურდათ აღენიშნათ მხოლოდ დემონსტრაციებით, რათა არა სთქვან, რომ საქართველო შეურიგდა საბჭოთა ხელის უფლებას, როგორც ამას სწერენ ესენი საზღვარგარეთულ გაზეთებს და ავრცელებენ ცრუ ცნობებს.

პროვინციაში

ეს დღეები, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული სიმწვავით განუცდიათ საქართველოს ყველა პროვინციაში. გრანდიოზული სურათი მიუღია დემონსტრაციას გურიის სხვა და სხვა კუთხეში; ოზურგეთში შეწყვეტილა მოქალაქობა, მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯარით სავსეა იქაურობა, მოქალაქეთ ერთსულოვნად დაუკეტიათ დუქან-მაღაზიები და დიდ-მიტინგზე მისულან; მომხდარა შეტაკებანი და დაპატიმრებაც; ფიჩხის ჯვარზე (ასკანის საზოგადოებაში) მომხდარა დიდი მიტინგი, რომელსაც მთელი საზოგადოება დასწრებია; აქ სროლაც აუტეხია არმიელებს ხალხისათვის, უიარაღო ხალხისათვის! დახოცილან კაცი, ქალი და ბავშვებიც კი! ასეთივე შეტაკება, ხოცვა-ჟლეტა მომხდარა ლანჩხუთში; სამტრედიაში, ქუთაისში, ხონში, სამეგრელოშიდაც დიდი სროლა და ხოცვა მოუხდენიათ; დიდი დემონსტრაციები მოუხდენიათ თელავში და სიღნაღში; აქ კომუნისტები ხალხს განუიარაღებია კიდეც, ყოფილა ისეთი მომენტი, როდესაც მთელი ხელის უფლება ჩამოურთმევიათ კიდეც მათთვის, დაუპატიმრებიათ ისინი, ხოლო მიტინგების გათავების შემდეგ ისევ გაუნთავისუფლებიათ და დაუბრუნებიათ ხელის-უფლება. ქიზიყში დანავარდობს ვინმე ჩოლოყაშვილის რაზმი 600 კაცისაგან შემდგარი – 300 ცხენოსანთა, 300-ც ქვეითოსანი, ესენი თავზარს სცემენ კომუნისტებს, მაგრამ რა უნდა გამოვიდეს ასეთ უაზრო შეტაკებებით, თუ არ ისევ ხალხის დაზიანება და მოქალაქობრივ ცხოვრების უფრო არევ-დარევა...

ჩვენი საზოგადოება ისევ მოლოდინშია, თუ რას იტყვის გააგის კონფერენცია, რომელიც გაგრძელება იქნება გენუის კონფერენციისა. ინგლისის პრემიერ ლოიდ-ჯორჯს ისევ გაუმარჯვნია პარლამენტში, განაგრძობს თვისს პოლიტიკას; ცხარე მოწინააღმდეგეა საბჭოთა რუსეთისა საფრანგეთის პრემიერი პუანკარე და მისი მინისტრი ბარტუ; ამერიკა განზე სდგას, ამათ რუსებთან მოლაპარაკება

არა სწამთ, მათთან მხოლოდ იარაღით შეიძლება ლაპარაკიო; გავრცელდა ხმა, თითქოს ლოიდ-ჯორჯი სცდილობს მოურიგდეს გერმანიას, დაითანხმოს ამაზე საფრანგეთი და შექმნას ძლიერი კავშირი – გერმანიისავე მონაწილეობით, რათა გერმანია ჩამოაშოროს რუსეთს სამუდამოდ, ამიტომ ალბად კომპენსაციას მისცემენ გერმანიას ვერსალის ხელ-შეკრულობის სფეროში. ლოიდ-ჯორჯს წარმოუთქვამს სიტყვა რუსეთის შესახებ: რუსეთის საკითხი შეიძლება ორი გზით გადაწყდეს – ან იარაღით, ან მიუშვათ რუსეთი თავის თავზეო (ესე იგი თვითონ ამოიჭამენ თავიანთ თავსაო!); იარაღის ხმარებას რუსეთზე ანტანტა ერიდება, მუშათა საკითხი ევროპაშიაც საკმაოდ ასაფეთქებელ მასალას შეიცავს და ეშინიათ სოციალურ რევოლიუციისა, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე გზას დაადგება ანტანტა რუსეთისადმი, თავისი ძალ-ღონით რუსეთი ვერასდროს ვერ გასწორდება წელში, ჯერ უდიდესი შიმშილობა, რომელმაც გამოიწვია რუსეთში ადამიანთა ხორცის ჭამა, არც ახალი მოსავალი იძლევა იმედებს, ვინაიდან ძლიერ ცოტა დათესილა მინდვრები რუსეთში, თესლისა და სამუშაო იარაღ-საქონლის უქონლობისა გამო; გზები – ტრანსპორტი, ქვანახშირის მაღაროები, თვით ბაქოს ნავთის დამუშავება მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია; მოსალოდნელია უფრო მეტი შიმშილობა და უბედურება; ამ უბედურებაში კი კავკასიაც იქნება ჩათრეული, ჩვენს თვალწინაც იმართება საშინელი სურათი შიმშილობისა, ხოლერისა, ჟამისა და ათასგვარ სნეულებათა; აივსო საქართველო რუსებით, სომხებით-კრუებით, ურიებით! განსაკუთრებულ ჯაშუშ-მოღალატეთა როლს თამაშობს „ჩვენი ძველი მეზობელი“ – სომხობა! ამ გაფიცვის დღეებში დიდ სამსახურს უწევდენ ესენი კომუნისტებს, ვიღაც მამიკონიანის მეთაურობით თბილისში შემდგარა 5000 კაცისაგან ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას უწევს წითელ-არმიას საქართველოში, ქართველებზე ნადირობაში! ამას წინეთ ქალთა XX ტეხნიკუმში, სადაც მე განვაგრძობ მასწავლებლობას, სომხითის ისტორიის მასწავლებელმა ვინმე ტერ-ავეტისიანმა (პროფესორ მარრის მოწაფე ვარო, იძახის) – დაშნაკმა, სამასწავლებლო ოთახში მისაყვედურა – მენშევიკები სომხებს გვიჭერდენ თბილისში, გვასახლებდენ აქედანო, ჩემზედაც ნადირობდენო – „ловили нас по улицам“-ო. გახსოვს ესაო?! – შემეკითხა! მე უპასუხე: „ეს კი არ მახსოვს, მაგრამ ის კარგად მახსოვს, თუ როგორ სომხები და თათრები 1905 წელს ერთმანეთზე ნადირობდით, ერთმანეთს ჟუჟღავდით, ხოლო ქართველები გაშველებდათ ორთავე მხარეს თქო, грузины вас разнимали! ნურას უკაცრავად, თუ სომეხ-ქართველთა ომის დროს, რომელიც ისევ თქვენ გამოიწვიეთ, და რომლის დროს ქალაქში თქვენ ფრონტის შექმნას შეეცადეთ, თუ მაშინ მენშევიკებმა ეს ჩაგიშალეს და ცოტა შეგაწუხეს თქო! მაგრე ისტორია როდი იწერება თქო! აბა, მიიხედ-მოიხედე, დღეს ჩვენს დედა-ქალაქში ვინ ვისზე ნადირობს, ჰარუმ თქო!“.. დამსწრენი – რუსნი-სომეხნი და ქართველნი ყურს გვიგდებდენ ამ პაექრობის დროს და ბოლოს სიცილი დაიწყეს!.. მეტად ატეხილნია სომხობა დღეს ჩვენში! მეტად თავმობეზრებულნი არიან ქართველობა მათგნით და ცოტა რამ გადატრიალებაა საკმარისი, რომ მოთმინების ფიალა გადმოვიდეს და სომხობას „დალაქმა“ სისხლი გაართვას! ესღა აკლია უბედურ სომხის ერს, რომ საქართ-

ველოშიაც დაიწყონ მათი ჟუჟღვა, აქაც დაჰკარგონ მათ თავს-შესაფარი!!! დეე, თავისთავს დააბრალონ ყოველივე...

სამღვდელოების ჯილდოებზე. 1922

კათოლიკოზ ამბროსის, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, რასაკვირველია, მენშევიკების ზეგავლენით, „მოწოდება“ გაუგზავნია გენუის კონფერენციაზე და შეუჩივლია „განათლებულ კაცობრიობის წარმომადგენელთათვის“ რუსთა ბატონობის განახლება საქართველოში ამჟამად კომუნიზმის სამოსელში და მოითხოვდა რუსის არმიის გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. ასეთ „მოწოდების“ შედგენა თუ გაგზავნა მას არავისთვის არ უცნობებია, არც შეიძლებოდა ეს ფართო წრეებში გასულიყო, მაგრამ ზოგიერთებს მაინც უნდა გვცოდნოდა ასეთი ნაბიჯი ჩვენი ეკლესიის თავისა, რათა ყოველივე შემთხვევისათვის მზად ვყოფილიყავით! მაგრამ ამისი ღირსი არ გაგვხადა კი ამბროსიმ, ისევ ისევე თავის წრეში მიკერძოებით მოქმედებს ყველაფერში და ასე მოიქცა ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეშიც! ალბად კათოლიკოზს და მის კომპანიას ეგონათ, რომ გენუის კონფერენცია აიძულებდა კომუნისტებს საქართველოდან გასვლას და ამათ შერჩებოდათ გმირობა-მამულიშვილობა! მაგრამ ამათი ასეთი ჭკუა-მოკლე მოლოდინი არ გამართლდა, გენუის კონფერენცია ჩაიშალა, ხოლო კათოლიკოზის „მოწოდება“ და ნოე ჟორდანიას განცხადება კონფერენციაზე რუსეთის დელეგატმა ჩიჩერინმა გადმოგზავნა მოსკოვში, მოსკოვიდან თბილისში და ასტეხეს საშინელი განგაში აქაურ გაზეთებში! გაზეთი ორი გამოდის დღეს თბილისში – ქართული „კომუნისტი“, ხოლო რუსული „Правда Грузіи“ – ეს ჯერ გადააკეთეს „Правда Закавзказья“-ათ, მაგრამ ისევ აღადგინეს „Правда Грузіи“! მესამე გაზეთი გამოდიოდა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებისა „ტრიბუნა“, მაგრამ 24 მაისიდან ისიც შეაჩერეს და დარჩათ ბურთი და მოედანი „პრესისა“ კომუნისტებს. რუსულში თუ ქართულში ეს ორი თვეა სულ კათოლიკოზის „მემორანდუმის“ გამო სწერენ და ოხუნჯობენ კომუნისტები თავიანთ გაზეთებში! კათოლიკოზი მეტისმეტ პოპულიარ პიროვნებად გახდა საქართველოში! ხშირად ვრცელდება ხმა – აი, ეხლა დააპატიმრეს კათოლიკოზი, „ჩეკაში“ ჩასვეს, მეტეხში გადაიყვანეს; სახლი გაუჩხრიკეს და ამ ჩხრეკის დროს კათოლიკოზმა დიდის სულიერი სიმტკიცით მიმართა ჩეკისტებს: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული სამშობლოს, ხოლო ლეში მიიღეთ კომუნისტებმაო“! ეს აფორიზმი სხვა და სხვა ვარიაციით ტრიალებს და მეორდება ჩვენს საზოგადოებაში! ნამდვილად კი ჯერ კათოლიკოზისათვის ხმაც კი არავის გაუცია, არც ჩვენება ჩამოურთმევიათ მისთვის, პასუხი არ მოუთხოვიათ მისგან, არც ბინაზე მისულა მასთან ვინმე და არც მას უთქვამს ვინმესთვის ზემოაღნიშნული სიტყვები! მხოლოდ გაზეთებში ამასხარავებენ, დასცინიან, ემუქრებიან, „ალბად ამბროსის შეშურდა მოსკოვის პატრიარქ ტიხონის დაფნის გვირგვინიო“! ეს ტიხონი წინააღუდგა კომუნისტებს ეკლესიებიდან განძეულობის გატანის საქმეში; მაგიერში კომუნისტებმა

განხეთქილება ჩამოუგდეს მას „დაბალ და მაღალ სამღვდელოებაში“. დაბალი სამღვდელოება, ეპისკოპოზ ანტონინის მეთაურობით, გადაუდგა ტიხონს, ის გადააყენეს თანამდებობიდან, ხოლო კომუნისტებმა ტიხონი მისცეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს სამსჯავროში, როგორც „კონტრ-რევოლიუციონერი“!..

აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ რუსეთის ეკლესიაში დიდი ანარქიაა, უკრაინა გავიდა ავტოკეფალურ კიევის მიტროპოლიათ, მგონი, ციმბირიც გამოეყოთ, დონიც, ცარიცინიც – თვისი ცრუ-პატრიარქ ილიოდარით; რამოდენიმე ცრუ-პატრიარქები ჰყავთ დღეს რუსეთში; ამას გარდა მოსკოვის სამღვდელოებაში შემდგარა ძლიერი მიმდინარეობა ეპისკოპატის წინააღმდეგ, ეპისკოპოსები ეკლესიების თავადები-კნიაზებია, არ გვინდა ისინი, პრესვიტერთა კოლეგია აღვიაროთ ეკლესიის სათავეშიო და სხვა... განძეულობა მაინც გაიტანეს რუსეთის ეკლესიებიდან, დიდ-ძალი ოქრო-ვეცხლი და ძვირფასი ქვები. დიდი ღვთის წყრომა დაატყდა სინოდალურ ეკლესიას თვისს ცოდვებისა გამო...

აი, ამ გარემოებაზე უთითებენ ამბროსის, აშინებენ მას. „Амвросій трепещетъ за свою судьбу“-ო! – უწერენ მას!.. ასეთი მძიმე მომენტი დაგვიდგა საქართველოს ეკლესიაში! მოსალოდნელია, რეპრესიები, მოსალოდნელია ჩვენი ეკლესიების გაფცქვნაც, მოსალოდნელია, თუ კათოლიკოზს ახლებენ ხელს, ჩვენც გვახლებენ ხელს. ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა, სიფაქიზე ცხოვრებაში, მოქმედებაში, მართვა-გამგეობაში. ჩვენი კათოლიკოზი და მისი ამალა კი (საკათ. საბჭო) ისე იქცევა, თითქოს სხვა პლანეტაზე ვიყოთ ჩვენ და სხვაზე ყოველივე ის, რაც აღვნიშნეთ! ეკლესიებში წირვის შემდეგ მართავენ დიდ-დიდ სადილებს – ეკლესიებისავე ხარჯით: მაგალითად, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მიიწვია კათოლიკოზი ცნობილმა შუბლაძე დეკანოზმა, სადილზე 65 სული ჰყავდათ, ოცი მილიონი ფული დაჰხარჯესო! ასევე იყო „თამარობას“ დიდუბეში 14 მაისს (1 ძვ. სტ.), აქ 25 მილიონი დახარჯეს! კვირაცხოველის ღატაკ ტაძარში – $3^1/_2$ მილიონი; ამაღლებისაში – 5, მამა დავითში – 8 მილიონი! ქვაშვეთში ხომ ორჯელ-სამჯელ იყო სადილზე, დიდ საზოგადოებით, იქაც დიდი ფული გაიფლანგა; აგრეთვე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში თოთიბაძე-ციცქიშვილის „პურ-მარილით“ მოირწყო იქაურობა! მხოლოდ ანჩისხატში არ უწირავს ჯერ ამბროსის, ისე კი ხშირად შემოდის საღამოს ლოცვაზე, აქედან ორჯელ-სამჯელ ჩაიზე გავიპატიჟე სახლში მარტოთ-მარტო!..

ყოველივე ასეთი ვაკხანალია ხდება ამ შიმშილობის და ნაკლულევანებათა დროს! ხალხი შიმშილით იგუდება, საქართველოს სოფლებშიაც დიდი ნაკლულევანებაა პურისა, შიმშილობაა, ეხლა უსწრო ახალმა მოსავალმა, გაიჭრა უკვე ქერები და პურიც მალე იქნება!.. ასეთ დროს ჩვენი მწყემსმთავარი, მის წინაშე ალესილ კომუნისტების თვალწინ, ორგიებში მონაწილეობს, მრავალ-ჟამიერს გაჰკივიან დავიდოვები და ძმანი მათნი, იფლანგება მორწმუნეთა მიერ საფლავის ფასად თუ სანთლის ფასად გაღებული ფულები! არ ვიცი, ეს სიგიჟეა, თავხედობა და თუ რა, აღარ ვიცი! ჯერ ვერ მოიცალეს ჩვენთვის კომუნისტებმა, მომენტი ხელს არ უწყობს მათ, ჩვენც დაგვერივნენ, მაგრამ თუ ფეხი მოიმაგრეს, თუ მათი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა, თუ გააგის კონფერენციაც ისე ჩაატარეს,

როგორც გენუისა, მაშინ მათ იციან „ხუცების“ ქურქის გლეჯა! კომუნისტებმა რომ საკათ. საბჭოს ფინანსების ხარჯვას კბილი გაუშინჯონ, ერთი საფუძვლიანი რევიზია გაუკეთონ, დარწმუნებული ვარ, ბევრი ვინმეები დაიხვრიტება კიდეც და საქვეყნოდ თავს მოგვჭრიან – აბა, შეხედეთ, რას სჩადიან თქვენი სულიერი მამები, ამბროსის ხელმძღვანელობითო! თავისთავად ცხადია, რომ ასეთი რამეები არ შეესაბამება იმ სახელს და დიდებას, რომელიც ამბროსიმ მოიხვეჭა თვის „მოწოდებით“ გენუის კონფერენციაზე! ასეთ ნაბიჯს სრულებით არ შეესაბამება არც მესამე საეკლესიო კრების მიერ სამღვდელოების ჯილდოების აღდგენა, რაც მოხდა ამბროსის თავმჯდომარეობით. გელათის კრების აქაური დელეგატები – დეკ. კ. ცინცაძე, თოთიბაძე, მაჭარაშვილი, მირიანაშვილი და სხვანი რო დაბრუნდნენ კრებიდან, თითქოს უარყოფით ეკიდებოდენ ამ „ჯილდოებს“, ისინი კრების შეუგნებელ ნაწილს სდებდენ ამის ბრალს, დეკ. ქრ. ციცქიშვილმა და ან. თოთიბაძემ მოხსენებაც კი წაიკითხეს ჯილდოების წინააღმდეგ, მაგრამ არა გაგვივიდა რაო, კრების დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა ჯილდოების აღდგენაო, მაგრამ ჩვენვე მოგვანდვეს ამის შესახებ ინსტრუქციის გამომუშავება, ამას კი ჩვენ იმდენ ხანს ვათრევთ, რომ მანამ მეოთხე კრებაც გვისწრობს, რომელიც ისევ გააუქმებს ჯილდოებსაო, – ასე ბრძანებდა თვით დეკ. კ. ცინცაძე, საკათ. საბჭოს და თვით საეკლესიო კრების მესვეური; ციცქიშვილ-თოთიბაძის გალაშქრება ჯილდოების წინააღმდეგ საეკლესიო კრებაზე იყო თვალთ-მაქცობა, რო იცოდეთ ყველამ, ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ არა გაგვივიდა რაო! ასეთივე „წინააღმდეგნი“ ყოფილან ცინცაძე-მირიანაშვილიც, მაგრამ კრებას მაინც თავისი გაუტანია!..

მეც დავიჯერე, რომ საკათ. საბჭო ჯილდოების საქმეს მსვლელობას არ მისცემდა და ვიყავი დამშვიდებული! ვამბობ „დამშვიდებული“, იმიტომ, რომ დღეს „ჯილდოები“ და ჩინები ყველგან და ყოველივე სფეროში უარყოფილია, რუსეთის ეკლესიაშიც და ყველგან! ამ საშინელ რევოლიუციონურ ზონაში იმ ჯილდოების აღდგენა, რომელსაც არც კი იცნობს საქართველოს ეკლესიის პრაქტიკა, და რომელიც სინოდალურმა რუსეთის ეკლესიამ მოგვახვია თავზე და გაგვათახსირა ჯილდოების საშვალებით, ეხლა ამ ჯილდოების აღდგენა, ჩემის აზრით, იქნებოდა უფრო მეტად დაცემა ჩვენი პრესტიჟისა საზოგადოების თვალში, ხოლო კომუნისტებს მისცემდა მეტ საბაბს, რომ ჩვენ მოვენათლეთ მონარქიულ რეჟიმის აგენტებად, რეაქციონერებად და ვინ იცის, კიდევ რად!..

ამიტომ მეტად ავღელდი, როდესაც შემთხვევით გავიგე, რომ თურმე საკათ. საბჭოს, ჯერ კიდევ საააღდგომოდ ჰქონებია დამზადებული ინსტრუქცია სამღვდელოების დაჯილდოვების შესახებ; წარდგინებანიც მოსვლია მათ ეპარქიებიდან; არ ჰქონებიათ წარდგინებანი მხოლოდ ქ. თბილისიდან, ალბად ჩვენ გვიმალავდენ და იმიტომ საბოლოოდ შემოგვინახეს. საკათ. საბჭოს სხდომები ხდება დახშულ კარებში, კათოლიკოზის ბინაზე, მოწყვეტილი ყოველივე ამა ქვეყნიურ ნიადაგიდან, არც რა ამბავი გამოდის გარეთ!

30 მაისს, ჩემმა სიმამრმა, დეკ. ზაქარია ლუკაშვილმა მომიტანა ამბავი, რომ მთავარხუცესი დიმ. ხახუტაშვილი შემხვდა დღეს და მკითხა: „რა იყო შენი სიძის უკანასკნელი ჯილდოო, უნდა წარვადგინო მორიგ ჯილდოზეო“! მე დანამდვი-

ლებით არ ვიცოდი შენი უკანასკნელი ჯილდო, მაგრამ უთხარი, უკანასკნელად მკერდის ჯვარი მიიღოო; ეხლა, მაშ ენქერი ერგება, ენქერზე წარვადგენო!..

ამ თაობაზე დიდი საყვედური მივეცი დეკ. ზ. ლუკაშვილს, რომ ის ასე მსუბუქად შეჰგებებია ამ სამწუხარო მოვლენას, გავიკვირვე თვით მთავარხუცესის საქციელიც და იმავ დღეს, საღამოთი მივმართე მთავარხუცესს შემდეგი ოფიციალურ მოხსენებით:

„დღეს, 30 ამა მაისს, დეკ. ზაქარია ლუკაშვილმა გადმომცა, რომ ჩემი წარდგინება განგი ზრახავთ ჯილდო ზე – ენქერ ზე. ამ თაობა ზე მსურს მოგახსენოთ შემდეგი: ჩემდა განსაცვიფრებლად, მესამე საეკლესიო კრებას, მართალია, აღუდგენია სამღვდელოების დაჯილდოება, მაგრამ ჯილდოების გამომუშავება უკისრნია საკათ. საბჭოს და ვიმედოვნებდი, რომ საკათ. საბჭო არ აჩქარდებოდა ასეთ არა მნიშვნელოვან საქმის ამჟამად ცხოვრებაში გასატარებლად; კერძო საუბრებში საკათ. საბჭოს ზოგიერთი წევრნი, იმ კრების დელეგატნი, თითქოს უარყოფით და ირონიითაც კი ეპყრობოდენ ამ საგანს, ჰფიქრობდენ კიდეც მისს დავიწყებისათვის მიცემას და ასეთ უმნიშვნელო, დრო-მოჭმულ და უკვე საკმარისად ცხოვრებისაგან უარ-ყოფილ მოვლენის აღდგენა-დამუშავება ზე აღარ დაჰკარგავდნენ დროს და ამ ჯილდოებისა გამო არც სამღვდელოების ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ნაწილს ჩაგვაგდებდენ უხერხულ მდგომარეობაში საზოგადოებრივ აზრის წინაშე. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა საკათ. საბჭოს თვისი მოცალეობა, გამოცდილება და ცოდნა მოეხმარებია ეკლესიის მართვა-გამგეობის აპპარატის ამოძრავებისათვის, ფინანსიურ მხარის მიზან-შეწონილად გამომუშავებისათვის, ამ ფინანსების პასუხის მგებელ კონტროლის ქვეშე დახარჯვისათვის, რათა შექმნილიყო ერთნაირი მომქმედი მწყობრი სისტემა ახალაღდგენილ ეკლესიის ნივთიერად მოწყობა-გაჯანსაღებისა და ზნეობრივად განახლებისათვის. ამ მხრივ არც ცენტრში, არც ეპარქიებში სასიკეთო არა სჩანს რა; როგორც სამღვდელოებაში, ისე მღვდელთა და მრევლთა შორის არსებობს და ღრმავდება საშინელი ანარქია, თვითნებობა და უ ზნეობა. მე არ მესმის ასეთ პირობებში სამღვდელოების დაჯილდოება ზე ლაპარაკიც კი! ეს სირცხვილია! ეს მეტად დასცემს ისედაც შერყეულ ჩვენს პრესტიჟს საზოგადოების თვალში და, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, გვიშუამდგომლეთ კათოლიკოზ-პატრიარქის წინაშე – შეჩერდეს ჯილდოების გამოცხადება. არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია, ვინლა დაგვრჩა დღეს საქართველოს ეკლესიაში დაუჯილდოებელი?! 1917 წლის 15 ენკენისთვიდან ღვდლები სულ გავდეკანოზდით, ჩამოგვერთვა „ბედენიკი“ და მოგვეცა „ენქერი“, როგორც ამ ხარისხის „ინსიგნია“; მღვდლები კი, ვინც კი დარჩა დეკანოზობის გარეშე, ყველანი კამილავკებით და „ყვითელ ლითონის მკერდის ჯვრებით“ არიან მორთულ-მოკაზმულნი!

მე მგონია, ყოველივე ეს ამხანად კმარა, მამაო დეკანოზო!

ჩემდა თავად დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ არ ვიქმნე შეტანილ დაჯილდოებულთა სიაში. აწ განსვენებულ კათოლიკოზ კირიონის დროს მქონდა შემთხვევები უარმეყო მოწოდებული ენქერიც და მიტრაც. საკათ. საბჭოს 1919 წლის

იანვრის 30 №54 განჩინებით, როგორც დეკანოზს, მაქვს უკვე უფლება ენქერის ტარებისა (თუმცა ამ უფლებით არც მისარგებლია და არც ვისარგებლებ), ხოლო ეხლა – 1922 წელს – იმავ ენქერზე ჯილდოთ წარდგენა, სხვა რო არა ვსთქვათ რა, გაუგებრობა იქნებოდა! იმედი მაქვს, ეს ჩემი სამართლიანი მოთხოვნა იქნება შეწყნარებული, ერთხელ და სამუდამოდ განმათავისუფლებთ ყოველივე ჯილდოსაგან. მე ამ ცოტა ხანში საკმარისად ვიქმენ დაჯილდოებული.

გთხოვთ, ამ ჩემს მოხსენებას მისცეთ სათანადო მსვლელობა.

დეკ. ნიკიტა თალაქვაძე, 1922 წ. მაისის 30-ს, №19".

ეს მოხსენება სამშაბათ საღამოთი გაუგზავნე მთავარხუცესს. ხოლო ხუთშაბათს დილით, 1 ივნისს – მამა-დავითობა დღეს, საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგეს და წევრს – დეკ. კალისტრატე ცინცაძეს მივსწერე შემდეგი წერილი:

„მამაო დეკანოზო კალისტრატე! გავიგე, რომ საკათ. საბჭოში უკვე „დაგიმუშავებიათ" სამღვდელოების დაჯილდოების შესახები დებულებანი და ამ დღეებში კიდევაც უნდა გაატაროთ ცხოვრებაში ეს დებულებანი! მე არ ვიცი და არც მაქვს საშვალება ვიცოდე საკათ. საბჭოს აწინდელი მუშაობა; საკათ. საბჭო ისეთ დახშულ დაწესებულებად გადაიქცა, რომ ქალაქის სამღვდელოებამდისაც კი არ ახწევს მისი განზრახვანი და მისწრაფებანი; საზოგადოებრივ აზრისათვის ხომ სრულებით მიუწდომელი და მოწყვეტილია ეკლესიურ ცხოვრების მიმდინარეობა; საკათ. საბჭო თითქოს არავითარ ანგარიშს არ უწევს აწინდელ საზოგადოებრივ ვითარებას, ის ისე მოქმედებს, თითქოს სულ სხვა პლანეტაზე ჰქონდეს საქმე! ჩაკეტილ კარებში აზროვნებს, მოწყვეტილი ყოველივე რეალურ ნიადაგს. მე და შენ ვერასოდეს ვერ ვაზროვნებდით შეთანხმებულად, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, არც ზემოაღნიშნულ ჩემს აზრს საკათ. საბჭოზე გაიზიარებ, მით უფრო, რომ აწინდელი საკათ. საბჭო (წინანდელებიც) – შენ ხარ და შენვე მოგმართავ ამ ბარათით და გთხოვ: შეაჩერეთ „ნაგრადების" გამოქვეყნება! რა უყოთ, რომ საეკლესიო კრებამ აღადგინა „ნაგრადები", ხოლო თქვენ მოგანდოთ ამის დამუშავება! მესამე კრების მიერ შესწორებულ დებულებაში „კონტროლიც" კი გიწერიათ, მაგრამ არამცთუ ეს კონტროლი არ შეჰქმენით, პირიქით, გააუქმეთ კიდეც ის კონტროლიც კი, რომელიც შარშან ზაფხულში შექმნა საეპარქიო კრებამ, საეპარქიო სანთლის ქარხნისათვის, ხოლო მე, როგორც კონტროლიორის თანამდებობაზე საეპარქიო კრების მიერ არჩეულ და შემდეგ საკათ. საბჭოს მიერ გაუქმებულ პირს, დღემდეც არ მიმიღია ცნობა, თუ რა საბუთით და უფლებით გამომაგდეთ არჩეულ თანამდებობიდან! სამეურნეო გამგეობის დირექტორმა სიტყვიერად გამომიცხადა ეს და შემდეგ „ლიკვიდაციას" მიკეთებდა უკანასკნელ თვის ჯამაგირის მიცემით, რომელიც მე უარვყავი! ეს იმიტომ მოვიტანე აქ, რათა არა ბრძანოთ, რომ საკათ. საბჭო თითქოს კრებების დადგენილებებს ასრულებდეს და ჯილდოების შესახებაც აგრე მოიქეცით! მე კარგად მახსოვს, თუ რა ირონიით და თითქოს უარყოფით იხსენიებდით მესამე კრების აქაური დელეგატები ამ დადგენილებას! ისიც მახსოვს, რომ პირადად შენ სთქვი: ამ ჯილდოების საქმეს მეოთხე კრებამდე მივიტანთ და ის მას გააუქმებსო! მეც და-

ვიჯერე ეს მაშინ! მაგრამ ეხლა მესმის, რომ დაგიმუშავებიათ კიდეც ეს დებულება და წარდგინებანიც მოგსვლიათ... იმერეთის ეპარქიიდან ხუთ... მიტრა ზე! ერთ ამდენს, მეტს თუ არა გურია-სამეგრელოც მოითხოვს, ცხუმისაც, დედაქალაქის დეკანოზებიც მოინდომებენ მოჭედილ თავებით მოქალაქობას! ან ვინ დაუდგებათ წინ?!. მაგრამ, რატომ არ ჰფიქრობთ – რა გავაკეთეთ დასაჯილდოებელი?! განა დარჩა კიდევ ჩვენში ვინმე დაუჯილდოებელი?! ამბობენ, 1919 წლიდან „ინსიგნიად“ აღიარებული კამილავკა-ყვითელ-ლითონის ჯვარი – ენქერი უნდა ჩამოართვათ სამღვდელოებას და ისევ ჯილდოებად უნდა დაურიგონო?! ნუ თუ ეს შესაძლებელია?! ნუ თუ ეს მართალია?! და თუ ეს ასეა, ნუ თუ ეს საქმეა?! ეს ხომ უდიდესი დაცინვა და დამცირება იქნება ჩვენი სამღვდელოებისა?! ამას მტერიც კი ვერ ჰკადრებდა მას და რას სჩადიხართ მოყვარენი?! – სამღვდელოების ერთი მეხუთედი ნაწილიც კი სანთელს არ ჰყიდულობს ეპარქიალურ ქარხნებში, საშინელი ანარქია და უსაქციელობაა დღეს ჩვენში გამეფებული და ასეთ დროს ვინმეს დაჯილდოება ზე ლაპარაკი განა შეიძლება?! ისედაც ეკლესიის მოწინააღმდეგენი კბილებს და კალამს ილესავენ ჩვენ ზე და საკათ. საბჭო ახალ საბუთს, ჩვენთვის ყელის გამომჭრელ იარაღს აძლევთ მათ ხელში ამ დრო-მოჭმულ, ცხოვრებისაგან უკვე საკმარისად გათახსირებულ ჯილდოების მოფენით?! აბა, დაფიქრდით, მამაო! აქაც ის არ მოგივიდეს, რაც „ახ. სიტყვის“ შესახებ ბრძანეთ ამა წლის 16 თებერვლის საოლქო კრება ზე თბილისში?! თურმე შენ „ახ. სიტყვის“ ცენზორიც ყოფილხარ მაშინ, ამ ორგანოს თანამშრომელიც იყავი და, როდესაც მსჯავრ ზე მიდგა საქმე, შენ ვილაცეებს ამოეფარე ზურგ ს უკან და განაცხადე: „მე „ახ. სიტყვა“ მეორე ნომრიდანვე არ მომწონდა, ბევრი რამ წავშალე შიგ“! თუ არა და მოიგონე შემდეგი: როდესაც ან განსვენებულმა თბილელმა ლეონიდემ „ახ. სიტყვის“ ხელმძღვანელი მღვდლები ილია შუბლაძე და ქრ. ციცქიშვილი (ეხლანდელი „მანგლელი“!) დეკანოზობის ხარისხით დააჯილდოვა, ამ პუბლიცისტებმა იმავ ორგანოში განაცხადეს: მართალია ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ჯილდოებისა, მაგრამ ამხანად ვლებულობთ მასო... ისე არ მოგივიდეს შენც!..

ჩემს მოვალეობად მივიჩნიე ეს ბარათი მოგწერო და გაგაფრთხილო, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შეაჩერეთ და მოსპეთ „ჯილდოების“ შემოღება. ამას გწერ მეგობრულად, ბოლოს რაიმე საყვედური არ იყოს...

იმედი მაქვს, საწყენად არ მიიღებ ამ ბარათს და, თუ გაიკვირვო ესევითარი კადნიერება ჩემი, სცან ისიც, რომ მეტად დამაღონა და გამაკვირვა, როდესაც გავიგე, რომ ჩემს წარსადგენად მთავარ-ხუცესი ცნობებს აგროვებდა – თუ რა იყო უკანასკნელი ჩემი ჯილდო... მე ამ ცოტა ხანში ბევრნაირად „დავჯილდოვდი“, გმადლობთ!

დეკ. ნიკიტა თალაქვაძე, 1922 წ. 1 ივნისსა“

ეს ბარათი გავატანე ჩემ შვილს გერმანს, რომლის ნათლიაა დეკ. კ. ცინცაძე; ეს უკანასკნელი ტაძარში დაუხვდა, ეკლესიას ალაგებდაო. იმ დღეს მამა-დავითობა იყო, კათოლიკოზი მწირველი ბრძანდებოდა მამა-დავითში; ავედი წირვის მოსასმენად მეც, თანამწირველნი იყვნენ – დეკანოზები – ტყემალაძე,

ცინცაძე, მირიანაშვილი, მთავარხუცესი დ. ხახუტაშვილი, თვით ნ. მაჭარაშვილი, კანდელაკი მ. ფხალაძე. გალობდა კათოლიკოზის გუნდი პაპიაშვილის ლოტ-ბარობით – რუსულ კილოზე, კათოლიკოზიც რუსულ-ქართულად სწირავდა, გუნდიც რუსულად ჰგალობდა, ქადაგებაც კათოლიკოზმა ქართულის შემდეგ რუსულადაც ბრძანა, არც ქართული ეხერხება და არც რუსული ამ დალოცვილს, რას წვალობს ან ხალხს რაზე აწვალებს. ქართველობა საყვედურობდა: „ისევ პა-კი-პაკი შემოიღესო“, აბა, ვინ ჰყავთ აქ რუსები, სამიოდე დედაბერი ამოსულა, ამათ ქართულიც ეყურებათ, აბა, რომელ რუსულ ეკლესიაში უქართულებენ თბი-ლისშიო“?!. როდესაც კათოლიკოზი ჰქადაგებდა, მისი თანამწირველნი ისხდნენ საკურთხეველში და ხმა-მაღლა ბაასობდენ, განსაკუთრებით ისმოდა ბოხი ხმა „ვირგლა-მანგლელ-ქრისტეფორესი“, ამანაც რუსულად სთქვა დიდ-გამოსვლის მოსახსენებელი!!. თურმე ცინცაძეს უკვე მოუსწრია საკათ. საბჭოს წევრთათვის ჩემი ბარათის ჩვენება და „მანგლელი“ ეოხუნჯებოდა „საკათოლიკოზო საბჭო შენ ხარო“!.. მე არ შევსულვარ საკურთხეველში. შემდეგ ნადიმი იქმნა გამართუ-ლი... მიმიწვია მაჭარაშვილმა მეც, მაგრამ არ ვეახელი; წამოველ სახლში!

2 ივნისი – პარასკევი

ამ დღეს შუადღის 12 საათზე, ვიდექ ჩემი ტაძრის წინ, გამოიარა დეკ. იოელ გამრეკელმა; შეჩერდა და დავიწყეთ ბაასი, არა იცოდა რა ჯილდოების შესახებ; ცოტა ხნის შემდეგ გამოიარა საკათ. საბჭოს წევრმა დეკ. ი. მირიანაშვილმა, სხდომიდან მოდიოდა, დღეს უნდა განეხილათ ქ. თბილისის დასაჯილდოებელ სამღვდელოთა სია და კვირას – 4 ივნისს – სულიწმიდის მოფენის დღეს – ეს ჯილდოები უნდა გამოეფინათ მთელს საქართველოში!.. მაგრამ ჩემს გამოსვლას, ეტყობა, გაუჭრია, როგორც დეკ. მირიანაშვილმა გვითხრა, დაჯილდოებაზე წარმოდგენანი დაუსაბუთებელნი აღმოჩნდენ და შევაჩერეთო! თავისუფლად ამოვისუნთქე, ამ დროს დეკ. ზ. ლუკაშვილიც შემოგვიერთდა და გაიმართა ბაასი ამ ჯილდოებზე და ეკლესიების ხარჯზე ნადიმებზედაც... ეტყობოდა, რომ ჩემი წერილები წაკითხული იყო საკათ. საბჭოში... ამხანად ანგარიში გაუწიეს ჩემს პროტესტს და შეაჩერეს, მაგრამ ესენი თავისას მაინც არ დაიშლიან, დეკანოზ ცინცაძეს, თოთიბაძეს და მირიანაშვილს მიტრებიღა აკლიათ ეხლა! ტყემალაძეს თუ სინოდიდან აქვს მიტრა, ესენი თვით დაიხურავენ! შემდეგ თუ კარგი დარი დაუდგათ შენახულ-დაკეცილ წითელ-ყვითელ ლენტ-ბანტიან ორდენებსაც გა-იკეთებენ! ტყემალაძეს და თოთიბაძეს მესამე ხარისხის ვლადიმერის ორდენი ჰქონდათ მიღებული, გააზნაურდენ. რევოლიუციას რო არ ესწრო, ტყემალაძეს ვარსკვლავი უნდა მიეღო! ეს ყველა ორდენები ცინცაძე-თოთიბაძე-მირიანოვ-ტყემალაძეებს დაკეტილ-შენახულები აქვთ! საეკლესიო კრებას განა ესენი გაუგონებდენ, განა კრების სურვილს მაგენი გაატარებდენ, რო თვითონ არ ყოფილიყვნენ მსურველნი?! რა თვალმაქცობით, რა თაღლითობით ისრულებენ თავიანთ ქვენა განზრახვებს!

4 ივნისი! სულიწმინდის მოფენა – კვირა

როდესაც განზრახული იყო, სამღვდელოებისათვის „ნაგრადები“ მოეფინა ჩვენს კათოლიკოზს, სწორეთ იმ დღეს კომუნისტებმა მოჰფინეს ჩვენს საზოგადოებას – ჯერ 3 ივნისს – შაბათს – ქართულად, ხოლო 4-ს რუსულად კათოლიკოზ ამბროსის მოწოდება გენუის კონფერენციაზე, აგრეთვე ნოე ჟორდანიას მიმართვა იმავ კონფერენციისათვის! „Патріархи за работой“! ამბროსი და ჟორდანია ორთავენი პატრიარქებად არიან აღიარებული, ორთავეს მიმართვის ტექსტია უცვლელად დაბეჭდილი. ამ დოკუმენტების გამო ქართულ-რუსულად დაიბეჭდა იმავ ნომრებში ფილიპე მახარაძის ვრცელი, ლანზღვა-გინებით და დაუსაბუთებელი წერილი შემდეგი სათაურით: „Архипастырское лганье Патріарха Амвросія“. მახარაძე თითქოს უარს ყოფს, რომ საზღვარ-გარეთ გაიზიდა (რუსეთში, სომხითში, ადერბეიჯანში) საქართველოს ავლა-დიდება, ქონება, მიწები დაირიგეს უცხო ტომის ხალხმა, სულ უცხო ტომის მოძალადენი არიან გამეფებული დღეს საქართველოში, სამშობლო ენა დევნილია, სჯული და ეკლესიები დამცირებულნი, დევნილნი და ცხოვრების სახსარს მოკლებულნი, ხალხი გმინავს, კვნესის და ხმა ვერ ამოუღია, რომ ვართ რუსთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშე და მოითხოვს კათოლიკოზი წითელ არმიის გაყვანას საქართველოს საზღვრებიდან; ხალხს მიეცეს შეძლება მოაწყოს თვისი მართვა-გამგეობა ისე, როგორც თვითონ დაინახავს სასურველად; ეს სულ ტყუილებიაო, – სწერს მახარაძე!.. შემდეგ ნომრებში – ქართულში თუ რუსულში – მოწინავე წერილები უძღვნეს კათოლიკოზს სასტიკ მუქარებით, ლანზღვა-გინებით სავსე.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ კათოლიკოზს კუდში მეც გამომაბეს; ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ როგორ გამამასხარავეს „კომუნისტში“ ჭიჭინაძის იუბილეს გამო კათოლიკოზის სახელით სცენაზე გამოსვლისათვის – „რიჟა მღვდელი თალაქვაძე, კათოლიკოზის დაქირავებულიო“; შემდეგ „კომუნისტის“ 8 ივნისის ნომერში (127) „ამხანაგ ს. თ-იას (თოდრია) მოუთავსებია „პატარა ფელეტონი“, რომელშიდაც ამასხარავებს 24 მაისის დემონსტრაციას თბილისში. ეს ვაჟბატონი იმდენად გაიტაცა მასხარაობამ, რომ ყოველივე მართებულება დაავიწყა! აი, რასა სწერს სხვათაშორის: „...მყინვარის წვერზე გამოჩნდა თეთრი გიორგი, თვისს თეთრ რაშზე. წინ და უკან წმინდა ნინო და თამარ დედოფალი ყავდა შემომჯდარიო“... „საქართველოში შესდგა დროებითი კოალიციონური მთავრობა სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და ფედერალისტების შემადგენლობით. მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ერთხმათ პატრიარხი ამბროსი, მის მოადგილეთ გიორგი არღანაშვილი (ეს მოგონილი გვარია, აქ, მგონი, რაფიელ ივანიცკი უნდა ჰყვანდეს სახეში, რომელიც ციხეში ზის, თუმცა ციხეში გიორგი ჟორდანიაც ზის), რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა მეტეხის ციხიდან, რადგან ბოლშევიკებმა გაქცევის დროს (იცინის) თან წაიღეს ციხის გასაღები. ამიტომ არღანაშვილის მაგიერობას ასრულებს მღვდელ-მონაზონი მამა თალაქვაძე“!!!

ახირებულია ჩემი საქმე! როდესაც საპასუხისმგებლო საქმეა, მე მგზავნის

კათოლიკოზი, არც კი მეკითხება, მსურს, შემიძლია ან გარემოება ნებას მაძლევს ამაზე თუ არა?! 18 მაისის თარიღით №504, მომივიდა მისს სამწერლოდან დ. დავითაშვილის ხელ-მოწერილი ბრძანება – „ჭიჭინაძეს 50 წლის იუბილე მიულოცე 21 მაისს საოპერო თეატრის დარბაზში კათოლიკოზის და სამღვდელოების სახელითო“! მეორე დღეს მიველ კათოლიკოზთან და მოვახსენე, რომ ერთი კაცის დეპუტაციათ გაგზავნა არ არის მიღებული და არც ცარიელი ხელით მისვლა იქნება ლამაზი, ვინაიდან ყველანი რაღაცას მიართმევენ იუბილიარს თქო. ვაგრძნობინე, რომ ამოდენა ფული იფლანგება სადილებში და ერთი მილიონი რო მივართვათ იუბილიარს, არ იქნება ურიგო თქო; დამინიშნა მეორე ამხანაგად გრძელ წვერა დეკ. ნ. მაჭარაშვილი და მოგვცა ერთი მილიონი მისართმევად.

კათოლიკოზი იმდენად პოპულიარული შეიქმნა ამ დღეებში თბილისში, რომ მისი სახელით გამოსვლაზე ოვაცია გაგვიკეთა საზოგადოებამ, ამ ოვაციით თანაგრძნობას უცხადებენ კათოლიკოზს კომუნისტების საგულისხმოდ, სიტყვაც „მემორანდუმის“ შესაბამ შინაარსისა იყო, ეხლა ამ სიტყვაზედაც ოვაციები გამართეს, ეს საკმარისი იყო, რომ მე კათოლიკოზის „მოადგილედ“ დავესახე კომუნისტებს და თუ რეპრესიები იქნება, პირველად კათოლიკოზთან მე უნდა გავიზიარო ეს რეპრესიები! იყოს ნება ღვთისა! ამისი სრულებით არ მეშინია, არც მერიდება, პირიქით, სიხარულით ვიტვირთავ იდეიურ დევნა-ტანჯვას! მაგრამ ის მაწუხებს, რომ ასეთ დროს კათოლიკოზი ვერ უფრთხილდება შექმნილ სულიერ განწყობილებას ჩვენ სასარგებლოდ საზოგადოებაში და შეიძლება, შექმნილი განცდა დაახურდაოს მან ისეთი უტაქტო და შეუსაბამო საქციელით, როგორიც იქნებოდა „ჯილდოების“ მოფენა ქართველ სამღვდელოებაზე!! აი, ნიადაგი გამასხარავებისა და დამცირებისა!!! გარნა თოთიბაძე-ციცქიშვილი, ცინცაძე-მირიანოვები-შუბლაძეები არიან კათოლიკოზის ზურგს უკან ამოფარებულნი და პირად ცხოვრებას იუმჯობესებენ, ისევ მე მჩრიან მტრის პირში, რო თვითონ ბუზიც არ აუფრინდესთ. რო საქმე-საქმეზე მისდგეს, ესენი იტყვიან: „არა ვიცით კაცი ესე“, სამგზის კი არა, მგონი, ასგზის უარ-ჰყონ იგი და მისი „მემორანდუმიც“! ჩვენ არც კი გაგვიგია ამ „მოწოდების“ გაგზავნა თუ დაწერაო! ასეთი იყვნენ ესენი ექსარხოსების დროს, ასეთნივე დარჩენ დღესაც. ტყვილა კი არ არის ნათქვამი – „კუზიანს საფლავი თუ გაასწორებსო“!.. ამათ ვერც საფლავი გაასწორებს, მეტად გაუთახსირებია ესენი სინოდალურ-ექსარხოსების რეჟიმს!.. რა უშავთ, ცხოვრებას დღესაც თავში მოექცენ, მოსძოვეს და სძოვენ ჩვენს უბედურ ეკლესიას, მაძღრები არიან ყოველი მხრივ, ეხლა მხოლოდ „მიტრები“ღა აკლიათ. ამათაც მიიღებენ! ჩემზე კი იცინიან, იცინიან, კვდებიან სიცილით! რა უყოთ, იცინეთ, უგუნურნო! თქვენი საქციელი ქამის საქციელია, თქვენ დასცინით ყოველ სიწმინდეს, თქვენ თავს დახით-ხითებთ გაშიშვლებულ, დამცირებულ, ლეჩაქ და მანდილ ახდილ სამშობლოს! არ მშურს თქვენი „კმაყოფილება“...

ვნახოთ, რა იქნება! მგონი, არა იყოს რა! ბოლშევიკებს გადაუწყვეტიათ – ხელი არ ვახლოთ კათოლიკოზს, რომ ის მოწამებრივ გვირგვინით არ შეჰმოსონო... მგონი, ბოლოს მაინც გვახლებენ ხელს, ვერ მოითმენენ, განძეულობას წაგვართმევენ მაინც... მაგრამ არც თვითონ აქვსთ კარგად საქმე. ამ დღეებში

ხელიდან-ხელში გადადის ფ. მახარაძის 1921 წლის დეკემბრის მოხსენების ასლი, რომელიც მას წარუდგენია მოსკოვში, როდესაც ის თავმჯდომარეობიდან გადააგდეს თბილისში და გაჯავრებული წავიდა რუსეთში! აი, ეს დოკუმენტია ნამდვილი „лганье“ და თაღლითობა! ამ დოკუმენტის ავტორი, მიკვირს, როგორ ჰბედავს კათოლიკოზის „მოწოდების“ გაკრიტიკებას! რა მოღალატობის და იუდობის ტონი აქვს აღებული საწყალ ფილიპეს თვის მოხსენებაში! ის არსებითად თანახმაა საქართველოს ორგანიულად გაერთიანებისა რუსეთთან, მაგრამ ეს უნდა ფრთხილად მოხდესო, მოჩვენება დამოუკიდებლობისა უნდა ვაწარმოოთ საქართველოშიო! დიდ სიძულვილს იჩენს ის თვის თანამოძმე-კომუნისტ შალვა ელიავასა და სერგო ორჯონიკიძისადმი, არ მოსწონს ამათი ღია რუსიფიკატორული მიმართულება, აბეზღებს ლენინს ამათ, ესენი ჩვენს საერთო საქმეს ღუპავენ საქართველოში, პასუხისგებაში არიან მისაცემიო!.. მას შემდეგ მახარაძე ისევ დაბრუნდა საქართველოში, ჯერ მიწათა სამინისტროს ედგა სათავეში, შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, დღეს ისევ დიდი კაცია, „პაიოკ-ულუფას და დიდ ფულს იღებს ისა და მისი ხელ-ქვეითნი, სჭამენ, სვამენ, ქეიფობენ ისე, როგორც არც დაესიზმრებოდათ, ცოლ-შვილი კმაყოფილნი ჰყავთ, მაძღარნი! რა ენაღვლებათ რაც მოუვა საქართველოს და ქართველობას. თვით არავითარი გავლენა-უფლება არა აქვთ ხელში, მთელი ძალაუფლება აქვთ „კავ-ბიუროს“ და „ოკას“ (ოსობაია კავკაზსკაია არმია)! ესენი კი ამათ ხელში სათამაშო ტიკინები არიან!..

11 ივნისი (ახ. სტ.) 1922 წელი. ქ. თბილისი
კათოლიკოსს ამბროსის „ჩეკაში“ გაწვევა

გენუის კონფერენციაზე კათოლიკოსის მიერ გაგზავნილმა „მოწოდებამ“, როგორც ვიცით, დიდი აურ-ზაური გამოიწვია „კომუნისტურ პრესაში“ – „Правда Грузіи“ და „კომუნისტში“! ეს ორი გაზეთიღა გამოდის დღეს საქართველოში. ის გაწიწმატებული ლანზღვა-გინება, რომლითაც შეხვდნენ ხსენებულ გაზეთების პუბლიცისტები კათოლიკოზის „მოწოდებას“, ნათლად მაჩვენებელი იყო იმ გარემოებისა, რომ ასეთ „გამოსვლას“ არ აპატიებდენ ბოლშევიკები კათოლიკოზსს, მით უმეტეს, რომ ეს „მოწოდება“ არ იყო კათოლიკოზის საკუთარ ნების და მოქალაქობრივ შეგნების ნაყოფი, არამედ გამოწვეული იყო მენშევიკების თაოსნობით და ზედ-გავლენით. ეხლა უკვე ყველამ ვიცით და, რასაკვირველია, ეს მათ უფრო იციან, ვისაც ეხება ეს გარემოება, რომ გენუის „კონფერენციისადმი მოწოდების“ თაოსანი არის აწ განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე; ამის თაოსნობით დააწერინეს კათოლიკოზს, ანუ უკეთ რო ვსთქვათ, დაუწერეს ეს დოკუმენტი, შეაზავეს ის მძიმე ბრალდებებით ბოლშევიკების მიმართ, ხოლო ის კი არ იფიქრეს, თუ რა ფაქტებით შეიძლებოდა ამ ბრალდებების დამტკიცება. დასწერეს, გადაიკითხეს, მოიწონეს ტექსტი, კმაყოფილებით ულვაშებზე ხელი გადაისვეს – ეს რა კარგი „მებრძოლნი“ ვყოფილვართო და, როგორც დონკი-

ხოტმა, გადასწყვიტეს კიდევაც, რომ მტერს ბოლო მოუღეს – გენუის კონფერენცია უსათუოდ გარეკავს ბოლშევიკებს საქართველოდან და სულ ამიერ კავკასიიდან; დაბრუნდება ნოე თვისი ამალით ევროპიდან, დეკ. კ. ცინცაძეს ისევ აღუდგება „კარის პროტოპრესვიტერობა“ (ჟორდანიას შვილი მაგან გაასვენა სადგურამდე, ხოლო პატარა ქალიც მაგან მოუნათლა, როგორც „მოძღვარმა“ და ნადიმზედაც თამადად იყო პრეზიდენტის სასახლეში), დეკ. ანტონ თოთიბაძე კი ისევ აღიდგენს „სამხედრო პროტოპრესვიტერობას“, რომელიც 1918 წელს მიიღო მან დამოუკიდებლად ჩვენი საეკლესიო მთავრობისა, პირდაპირ სილიბისტრო ჯიბლაძისაგან. ეს სილიბისტრო ჯიბლაძე ახლო ნათესავია დეკ. თოთიბაძისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში რო სწავლობდა სილიბისტრო, თოთიბაძის ოჯახში ჰქონდა მას ბინა! აი, ასეთი ნაცნობ-ნათლიმამობით ეწყობა ჩვენში ყველაფერი! ამიტომაც იყო, რომ მე გამაცურეს ყინულზე, როდესაც ვითხოვე სამხედრო ტაძარი თბილისში, კათოლიკოზი კირიონიც ხელს მიწყობდა ამაში და ანტონ ქუთათელიც (გიორგაძე). ამ უკანასკნელის დახმარებით მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა გრ. გორგაძემ მომცა კიდეც სამხედრო ტაძრის წინამძღვრობა, მაგრამ ეს მოცემული ადგილი სილიბისტრო ჯიბლაძის ძლიერმა ხელმა წამგლიჯა და ანტონ თოთიბაძემ დაისაკუთრა, სასულიერო მთავრობის უსანქციოდ! აი, ასეთი კომპანია იყო და დღესაც არის თბილისში. ამათი ბჭობის ქვეშე გაიარა კათოლიკოზის „მოწოდებამ“, ესენი ისე იყვნენ ატაცებულნი, რომ არც კი ჰფიქრობდენ, თუ ვინმე პასუხს მოსთხოვდათ ასეთ „ნაბიჯში“! ეკლესიურ სფეროში არავინ ვიცოდით ეს განზრახვა, გარდა იმ დაახლოებულ კამარილიისა; დაუწერეს კათოლიკოზს „მოწოდება“ (ავტორი ყოფილი დეკ. კ. კეკელიძეაო – ამბობენ!), ხელი მოაწერიეს, ვლასი მგელაძეს და იოსებ იმედაშვილს ჩაუდეს ჯიბეში, ჩასვეს ქობულეთის ნაპირზე ერთ ნავში, ნავით შესცურეს ზღვაში, იქ მათ გემი ელოდათ სტამბოლიდან და ასეთი ვაი-ვაგლახით, გაიგზავნა „მემორანდუმი“ გენუაში! იქ მიიღეს მენშევიკებმა ეს დოკუმენტი და შეეცადნენ ესარგებლათ მით! „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ – სწორეთ მენშევიკებზე ახდა ეს ანდაზა! სანამ მთავრობას სათავეში ედგნენ, ძალა-უფლება ხელთ ჰქონდათ, მოგვდგენ და თვისი მთელი ძალ-ღონე – თუ სოციალისტური არტილლერია საქართველოს ეკლესიის დანგრევას მოანდომეს, ჩამოგვართვეს ყველაფერი, გაგვიუქმეს ყველა სასწავლებლები, პირველმა მათ მოჰკიდეს ხელი ჩვენი ეკლესიების განძეულობას, ისტორიულ აკტად დარჩება აწ განსვენებულ ლეონიდის და ნოე ჟორდანიას შორის მომხდარი შეტაკება გელათის მონასტრიდან განძეულობის გამოტანის გამო! ეს და სხვა განძეულობა (ბოლოს უბედურმა ლეონიდმა გელათის განძეულობას სიონისაც ზედ მოუმატა, გაქცეულ მენშევიკებს გაატანა ევროპაში, თვითონაც გაიქცა თბილისიდან, ეგონა, მასაც ევროპაში წაიყვანდნენ მენშევიკები და ერთად იცხოვრებდენ წაღებულ განძეულობის ანგარიშზე, მაგრამ, ნათქვამია, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“!) მენშევიკებმა წაიღეს თან, ვითომ მოარიდეს შემოსეულ ბოლშევიკებს, თან არქეოლოგი ევთიმე თაყაიშვილიც წაიყვანეს „ამ სიძველეთა დასაცავად“, მაგრამ მეტად დაუგვიანდათ სამშობლოში დაბრუნება

და რა მათი „ბრალი“ იქნება, რომ ეს განძეულობა შემოეხარჯოსთ ლტოლვილ მთავრობას ევროპაში – „ჰაერით ხო არ ისაზრდოებენო“!!!...

აქ არ შემიძლია, არ მოვიგონო ერთხელ კიდევ ჩემი გამობაასება ნოე რამიშვილთან – 1919 წელს, როდესაც ის სამხედრო, შინაგანი და განათლების მინისტრი იყო, ხოლო მე საკათოლიკოზო საბჭოდან მქონდა მასთან მსჯელობა ჩვენი უწყების შენობათა შესახებ, რომელნიც მაშინ ინგლისელების ჯარს ჰქონდა დაჭერილი, მათთვის იჯარა უნდა გადაგვეხდევინა, ხოლო ჩვენი მთავრობა არ გვცნობდა ჩვენ იმ შენობათა ბატონ-პატრონად. მე უთხარი ნოე რამიშვილს, დეკ. ი. კაპანაძის და ი. ჩიჯავაძის თანადასწრებით: „ნუ ეშურებით ჩვენი ეკლესიის და სამღვდელოების განიავებას, სხვა ბევრი საქმე გაქვთ, იმათ მიჰხედეთ – ჩვენ გამქცევნი არა ვართ, ჩვენ კონსერვატიული ძალა ვართ, მიკრულ-მიჭედილი სამშობლოს ნიადაგზე, ჩვენ ბევრი გადაგვხვედრია თავს, უფრო მეტსაც მოველით; თქვენ ჯერ არავითარი ნიადაგი არა გაქვთ ფეხქვეშ, თქვენ თვითონ არ იცით – რომელი ტალღა წაგლეკავთ საქართველოს პირიდან! შესაძლებელია, თქვენ აქ არ იყოთ, ხოლო ჩვენ როგორც ვყოფილვართ, ისევ ვიქნებით! ნუ დაგვაძაბუნებთ, გვადროვეთ ვემსახუროთ თქვენთან ერთად სამშობლოს თქო“! ამაზე ხელი ამიქნია და დაცინვით მითხრა: „რას ამბობ, ხუცესო, თუ იციო“! – შემდეგ გაიგებ, რასაც გეუბნები თქო, – უპასუხე მე... და ასრულდა კიდეც!..

მე აქ იმის თქმა მსურს, რომ არც მენშევიკების მთავრობა, არც თვით ვითომდა ჩვენი მონათესავე ნაციონალ-დემოკრატიის პარტია, რომ მას ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდეს ოდესმე, მით უმეტეს ბოლშევიკები, ეკლესიას, სამღვდელოებას და საზოგადოდ სარწმუნოების საქმეს არ დაინდობენ! ამას ნათლად ღაღადებენ მათი პარტიული პროგრამები! ამათ ყველას ეკლესია და სამღვდელოება უნდათ როგორც იარაღი, როგორც საშვალება, როგორც შემთხვევითი საფეხური, ფეხის ჩამოსაწმენდი, თორემ არსებითად, არავინ მხარს არ დაგვიჭერს. ეს თვალსაზრისი ბევრჯელ გავაშუქე საკათ. საბჭოშიც სამღვდელოების კრებებზე და კერძო თათბირებში, მაგრამ არა გამოვიდა რა, ვერ გამოვიწვიე სასულიერო მთავრობა საკუთარ ნიადაგზე დამდგარიყო, უარ-ეყო ერთხელ და სამუდამოდ „სახელმწიფოსთან კავშირი“, თვის საქმის მოგვარებას შესდგომოდა, ერის რელიგიურ-მორალურ მდგომარეობის მოსაგვარებლად დაგვეწყო ორგანიზაციული მუშაობა, მსგავსად კათოლიკურ ეკლესიისა, რომელიც დღესაც ყველგან და ყოველ გარემოებაში ჩინებულად ჰგრძნობს თავს...

მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ასეთი უარყოფით და მტრობით შეგვეხნენ მენშევიკების მთავრობა, მათი კატასტროფის შემდეგ, რაც მე ნათლად უწინასწარმეტყველე ნოე რამიშვილს, მაინც უტიფარ მელასავით შემოგვიბრუნდენ და ისევ იარაღად გამოგვიყენეს, კათოლიკოზი ხელთ ჩაიგდეს თოთიბაძეცინცაძის საშვალებით, ესენი, როგორც ექსარხოსების დროის გამოცდილი, შავრაზმელი აგენტები – აზეფები, ყოველივე მთავრობის ატმასნას ახერხებენ, ერთ სანთელს თუ ჩვენს ღმერთს დაუნთებენ, სამსა და ოთხ სანთელს სატანასაც უნთებენ ხოლმე, ვინ იცის, იქნებ ესეც გამოგვადგესო! მართლაც, მენშევიკების მთავრობაში, ეს ყოფილი ლაქიები მონარქიულ რეჟიმისა, დიდებულად მოეწყვენ,

მათმა პირადმა კეთილდღეობამ უმაღლეს წერტილამდე მიახწია! ესენი მხოლოდ პირადი ინტერესებით მოქმედებდენ მუდამ და ეხლაც. ეხლაც ბოლშევიკ ცნობილ ფ. მახარაძესთან დეკ. ანტონ თოთიბაძე ინტიმურ განწყობილებაშია, ის მისი აგენტია! მახარაძე არა ერთხელ დაუმალავს მას თურმე თვის ბინაზე „კრაოტ ქვეშ“, ასაზრდოებდა მას და ხელს უმართავდა, ვინ იცის იქნებ ერთ დროს ესეც გამომადგესო! გამოადგა კიდეც. საოცრად თამაშობს თავის როლს „მამა“ ანტონი! ეს რუსის პროვოკატორებს საჟენ-ნახევარით აჭარბებს! თან მახარაძესთან საიდუმლოდ საქმეს იკეთებს, რომ ვერის სასაფლაო დაუბრკოლებლად მოსძოვოს (ბოლშევიკებმა გამოსცეს დეკრეტი – საფლავები მუქთად უნდა ყოფილიყო, თოთიბაძე კი თითო საფლავში 1, $1^1/_2$-2 მილიონებს ახდევინებს ხალხს, არც კვიტანციას აძლევს ვინმეს, არც რეგისტრაციას უშვება აღებულ ფულს, ზოგს კათოლიკოზს აჭმევს, სხვას თვითონ მიირთმევს, წვეულებებსაც აწყობს ამ ფულით და ქვეყანას ნაცარს აყრის თვალებში!), თან მენშევიკებთანაც კავშირი აქვს და კათოლიკოზს „მემორანდუმზე“ ხელს აწერიებს ჯიბლაძის წინადადებით, ვინ იცის, იქნებ მენშევიკებიც დაბრუნდნენ და საქმე არ წავაგოო!..

ასეთ ხაფანგში მოჰყვა უბადრუკი ამბროსი და ჩვენც ჩაგვითრიეს შიგ. „ჩვენი „თავი“ ამას სჩადის, მაგათი „ბოლო“ რაღა იქნებაო“, – ასე ბჭობენ დღეს ჩვენზე ბოლშევიკები!..

როგორ შეხვდა კათოლიკოზი და მისი კამარილია ბოლშევიკების პრესსის გამოსვლებს „მოწოდების“ გამო?! მოსალოდნელი იყო, რომ ესენი მზად იქნებოდენ პასუხის მისაცემად, კათოლიკოზი მოლოდინში უნდა ყოფილიყო, რომ მას ან დააპატიმრებდენ ან „ჩეკაში“ დაიბარებდენ და პასუხს მოსთხოვდენ! პირველ ხანებში კათოლიკოზს ჰქონდა ასეთი მოლოდინი, ის ძლიერ შეშინებულიც იყო; ხმებიც ვრცელდებოდა ქალაქში, „აი, დღეს დააპატიმრეს კათოლიკოზი, ასე შეეგება ის ჩეკისტებს, ასეთი სიტყვები უთქვამს მას დაპატიმრების დროსო“, – მაგრამ ეს სულ ჭორები იყო. ამით კი თითქოს გააბრუეს კათოლიკოზი, ის შეეჩვია ამ ხმებს, დარწმუნდა კიდეც, რომ მას ხელს აღარ ახლებდენ და არხეინად განაგრძობდა თბილისის მდიდარ ეკლესიებში რიგ-რიგობით ჩამოვლას, წირვას, ხოლო წირვის შემდეგ მღვდლების ოჯახებში, ეკლესიების ხარჯით, ნადიმებზე დასწრებას და მოლხენა-სიმღერებით გართობას. იხარჯებოდა თითო სადილზე 15–20–25–30 მილიონი! ეს ამ შიმშილობის დროს, როდესაც ხალხი იგუდება უჭმელობით!.. ჩამოიარა კათოლიკოზმა პეტრე-პავლე, წმ. ნინო, ქვაშვეთი, კვირაცხოველი, დიდუბე, სამება, ამაღლება, მამა დავითი, ვერის ნიკოლოზზე ხომ ოთხჯერ-ხუთჯერ ინადიმეს, წირვით თუ უწირავთ! და, აი, დღესაც, 11 ივნისს, კვირას, მწირველი ბრძანდებოდა კათოლიკოზი ვერის ნიკოლოზზე მთელი თვისი „კომპანიით“! და აი, რა საბაბით!

დეკ. თოთიბაძე ვერის სასაფლაოზე „მოღვაწეობის“ გამოჩენას სცდილობს; სასაფლაოს „გამშვენებისათვის“ იღვწის, სცდილობს, რაიმე გარეგანი ეფექტიც მისცეს თვის შემოსავლის წყაროს, რაიმე ინტელიგენტური, იდეიური სახე! ამ მიზნით მან „აღმოაჩინა“ იმ სასაფლაოზე სამი ქართველი მწერლის საფლავი: ჭონქაძისა, არდაზიანისა და რჩეულიშვილისა! სხვა საფლავებიდან აიღო მარმარილოს

ქვები, გადააფხეკია წარწერები და ამათი შესახები წარწერებით ეს ქვები აღმართა მწერალთა საფლავებზე; ამ თაობაზე 11 ივნისს კათოლიკოზი დაჰპატიჟა მწირველად, ქართველი ინტელიგენციაც მოიწვია – „მივიწყებულ“ მწერალთა პატივსაცემად და საფლავების კურთხევაზე დასასწრებად. კათოლიკოზმა გადაიხადა წირვა დიდის ამბით, დიდი სიტყვა წარმოუთქვამს ტაძარში „ყოველთა წმიდათა კვირიაკეზე“, ის სამი მწერალი წმინდანებად აღუარებია და განუცხადებია, რომ მათი აზრი და მიმართულებაა დღეს ცხოვრებაში გატარებულიო! საოცარია ასეთი ქადაგების მოსმენა კათოლიკოზის პირიდან! აღნიშნული მწერლები დღევანდელ სოციალისტებს ჩვენში თავიანთ წინამორბედათ მიაჩნიათ, ხოლო კათოლიკოზიც წმინდანად და იდეიურ თანამოაზრედ აღიარებს მათ! ამას მიაქციეს საზოგადოებაში ყურადღება და დიდ დეფექტად ჩაუთვალეს პატრიარხს ასეთი დაუმუშავებელი აზრის წარმოთქმა ქრისტიანული თვალსაზრისით. მაგრამ კათოლიკოზს ამ ხანად ის მწერლები როდი აინტერესებდა, ისინი საბაბად გამოიყენა თვისს ერთგულ ხელმძღვანელის – ოპეკუნის თოთიბაძის განსადიდებლად! დახეთ, რა სიკეთე გიყოთ მამა ანტონმა, – პატეთიურად წამოიძახა კათოლიკოზმა ქადაგებაში! მან ამ მწერლების საფლავი აღმოაჩინა, მორთო-მოკაზმა და ისევ თვალწინ დაგიყენათო! ასეთი მოძღვარი იშვიათია, საზოგადოებას ჰმართებს მისი უაღრესი პატივისცემაო“! აი, თურმე რის მუცლის ტკივილები ჰქონიათ! ძალად თავზე მოხვეულ „მოძღვარს“ – თოთიბაძეს კათოლიკოზი ნიადაგს უმაგრებს მრევლში! საზოგადოება – მრევლი – კარგად ჰხედავს, თუ რის და რა „მოძღვარია“ მამა ანტონი, მაგრამ, ჩვეულებრივ, ქართულ ინდიფერენტიზმით უცქერის ამ ჩვენს ქცევას ის, ზოგი ულვაშებში იცინის, რა ენაღვლებათ, რატომ აწყენინონ ვინმეს, დღეს იქ – ანტონისას – კარგად ისადილებენ, რა გვენაღვლება – კისერიც უტეხიათ მღვდლებსაო, ერთმანეთიც ამოუჭამიათო!

ტაძრიდან ლიტანიით გასულან აღნიშნულ მწერალთა საფლავებზე, უკურთხებიათ პატარა მარმარილოებზე წარწერები და და შემდეგ მწერალს ია ეკალაძეს (იაკობ ცინცაძეს) ცხარე სიტყვა წარმოუთქვამს მათ შესახებ, პატრიოტული შინაარსისა, თანამედრო მომენტის გამოც!.. შემდეგ მთელი ეს ამალა: დეკ. ტყემალაძე, დეკ. ცინცაძე, ფხალაძე, მირიანაშვილი, შუბლაძე, რასაკვირველია, „მანგლელი ქრისტეფორე“, მაჭარაშვილი, გარსიაშვილი, მატათაშვილი, ასათიანი, მდივან-ბეგი ცნობილი დავითაშვილი, ნახუცარი კეკელიძე – პროფესორი, თავდგირიძე – ეს სასულიერო სფეროდან და სხვა რჩეულ-რჩეული ინტელიგენტები ერისკაცთაგან დეკ. თოთიბაძეს მიუწვევია თვისს ბინაზე – სამხედრო ტაძრის ბინაზე – მაღალ-გორაკზე წამოჭიმულზე, და იქ დიდი ნადიმი გადაუხდიათ! უკვე გამოვიდა დახარჯულ ფულის ჯამის რაოდენობა – 15 მილიონი! ეს სთქვა დიაკონმა ანტონ ლაზრიშვილმა, რომელიც ჩახედული პირია ასეთ საქმეებში! საღამოს ცხრა საათამდი უსიამოვნებია მათ „უწმინდესობას“ ამ კომპანიაში და შემდეგ დეკ. ცინცაძის, ლაზრიშვილის და სხვების ამალას ფეხით უნებებია სახლში დაბრუნება, რუსთაველის პროსპეკტზე მოსეირნობდენ, ხალხის დასანახავად, ხალხიც ასდევნებია უკან, „აი, ეს არის კათოლიკოზი, რომელმაც გენუის კონფერენციაზე მემორანდუმი გაგზავნაო“!..

თურმე კომუნისტური მთავრობაც ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი კათოლიკოსის ყოველივე ნაბიჯს; იმ დღეს ეკლესიაშიც, გარედაც „ჩეკის“ მზვერავები თავს დასტრიალებდენ კათოლიკოზს, სიტყვაც მოუსმინეს, ეკალაძის შესხმაც მოისმინეს, სადილის დროსაც დაზვერეს, მასპინძლებს სტუმრები ჰგონებოდათ და არა-ერთხელ შეიპატიჟეს სახლში, მაგრამ არ შედიოდენ!..

13 ივნისი – სამშაბათი

დღეს კათოლიკოზი საკათ. საბჭოს დარბაზში სხდომაზეა. საბჭო მთელი თვისი შემადგენლობით არის შეკრებილი. სამღვდელოების „ჯილდოები“ შეაჩერეს, მაგრამ რომ ვინმემ სხვაფრივ არ ჩამოართვას საბჭოს ეს შეჩერება უკვე გადაწყვეტილ და მიღებულ „დებულებათა“, ისევ განაგრძობენ „ნამსახურობის სიების“ მოთხოვნასა მთავარხუცების საშვალებით. კვირის ზეიმი ვერაზე და თოთიბაძის ქება-დიდება, ეს „მიტრის“ მაგიერი ყოფილა, ხელი შეუშალე თურმე ჩემი პროტესტით, თორემ პირველ რიგში თოთიბაძისათვის უნდა ებოძებიათ მიტრა! თურმე ჩემთვის მეტად ჰშურთ ის გარემოება, რომ გაზეთ „კომუნისტში“ კათოლიკოზის კუდში ვარ გამობმული, რაც ზემოდაც მქონდა აღნიშნული! „სახელი გაუკეთეთ თალაქვაძესო“, – წუწუნებენ თურმე! და აი ამ „ჩემი სახელის“ ბადლად კათოლიკოზმა შესხმა გაუკეთა ანტონს ვერის ნიკოლოზში! ესეც მეტად დამახასიათებელია ჩვენი ზნეობრივი სახისა! შეშურდათ საზოგადოების წინაშე ჩემი გამოშვება 21 მაისს ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეზე! იმ დღეს უსათუოდ კათოლიკოზის გენუის „მოწოდების“ ტონი ავიღე, კათოლიკოზის გადადგმული „ნაბიჯი“ განვმარტე, საზოგადოებას და იუბილიარს კათოლიკოზის სახელით მივმართე, დიდი თანაგრძნობა გამოვიწვიე კათოლიკოზისადმი და აი, რა შურით და გესლით შეეგებენ ამასაც კი კათოლიკოზის კამარილია! კომუნისტურმა პრესამ კათოლიკოზის თანაშემწედ დამსახა, მისს თანამშრომლად და თუ რაიმე ხიფათი მოელის კათოლიკოზს, არც მე ამცდება ეს ხიფათი, მაგრამ ჩემთვის ესეც კი ჰშურთ!..

ამ დღის სხდომაზე კათოლიკოზს წარუდგენია თვისი წერილობითი მოხსენება, ურბნისის ეპარქიაში საჭიროდ ვსთვლი გამწესებულ იქმნას მანგლელი ეპისკოპოსი ქრისტეფორეო! არც არჩევნები, არც ერთი და არც მეორე! 1920-ში გადადგა ურბნისის ეპისკოპოსი დავითი (რო არ გადამდგარიყო, უნდა გადაეყენებია საკათ. საბჭოს ათასგვარ უკანონობისა, უმოქმედობისა და უტაქტობისა გამო), რომელიც ეხლა ჭყონდიდლობს ფოთში! მას შემდეგ ეს ეპარქია კათოლიკოზზე იყო მიწერილი, ის იღებდა ჯამაგირსაც და მართავდა კიდეც, თუ დღეს შეიძლება ადამიანმა იხმაროს სიტყვა – „მართვა“!.. ამ ეპარქიისთვის გელათის კრებამ „დაასახელა“ დეკ. ქრ. ციცქიშვილი, რომელიც საეპარქიო კრებას უნდა აერჩია; გელათიდან ჩამოსვლის შემდეგ მოწვეულ იქმნა ურბნისის საეპარქიო კრება, აქედან დეკ. იასონ კაპანაძე იქმნა გაგზავნილი კათოლიკოზის წარმომადგენლად იმ კრებაზე, კრებამ ციცქიშვილი არ აირჩია. მაგრამ საკათ. საბჭომ სხვა მხრივ მოუარა საქმეს, ციცქიშვილი კათოლიკოზმა ჯერ თვის ქორ-ეპის-

კოპოზად იკურთხა, აურჩევლად, არავისთვის უკითხავს, ისე! ამის უფლება საეკლესიო კრებამ მომცაო! (რა არის ეს უბადრუკი „საეკლესიო კრება“?! საითაც უნდათ, ცინცაძე-თოთიბაძე იქიდან გამოაბამენ ხოლმე მას ყურს! მოდი და იწამე ავტორიტეტი ასეთ კრებისა! ასე გაამასხარავეს საეკლესიო კრებაც კი!). ეს „მანგლელი“ ვერის ნიკოლოზზე მიაწერა „დროებით“, სანამ ეკურთხებოდა, დეკ. თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე! ეკურთხა „მანგლელი“, მაგრამ ისე გაუტკბა ვერის სასაფლაოს ქანქარი, რომ არც კი ჰფიქრობდა ის იქიდან დაძვრას; თოთიბაძის საიდუმლო განზრახვა კი იყო ამ „ვირგლას“ როგორმე თავიდან მოშორება! ამ დოღრიალა ციცქიშვილით საკმარისად ისარგებლა თოთიბაძემ თვის პროვოკატორულ მიზნების მისაღწევად, ბოლოს მაძღრად მოაძოვა ვერაზე, საკათ. საბჭოდანაც და ვერის ეკლესიის საშვალებათაგანაც დიდ ძალი ფული მისცეს „მანგლელს“ ჩაცმა-დახურვისთვის და მოსაწყობად, რომ ის მადლიერი გაეცურებია თბილისიდან, სამხედრო ტაძარზე ჰყავდა ანტონს ქრისტეფორე მიწერილი და როდესაც ბოლშევიკების შიშით თვით ანტონი ივლტოდა მენშევიკებთან ერთად ბათომამდე, მაშინ სამხედრო ტაძარი ქრისტეფორეს დაუტოვა! ხოლო, როდესაც დაინახა ანტონმა, რომ ბოლშევიკებმა ყელები არ დაგვჭირეს თბილისში ხუცებს, ისიც დაბრუნდა ბათუმიდან დიდ ძალი ფულით დატვირთული მენშევიკებისაგან; ციცქიშვილმა ასეთი სამსახური გაუწია ანტონს იმ დროს; ამიტომ იყო, რომ ანტონმა სამაგიეროდ ვერაზე მიიწერა, „მანგლელად“ აკურთხებია, სამხედრო ტაძარი კათედრად – სამწირველოდ გაუხადა. ციცქიშვილი შეეჩვია იმ აზრს, რომ ის სულ თბილისში „იმანგლელებდა“ და ქანქარით იკოჭავებდა! მაგრამ ანტონს რა ხელს მისცემდა ასეთი „დიდი კაცის“ თვის ხელ-ქვეით დაჭერა?! – ეპისკოპოსი დეკ. ანტონ თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშ! აი, ასეთი საარაკო „კანონიური“ ეფექტი შეიქმნა თბილისში. ამიტომ ანტონი შეუდგა ციცქიშვილისათვის უჩუმრად ფეხიდან ხალიჩის გამოცლას! ციცქიშვილის ადგილზე ანტონს სურდა წმ. ნინოს სასაფლაოს მღვდელი – დეკ. დავით გარსიაშვილი, მისი მორჩილი, მისი თანამესაიდუმლე, კაცი მასსავით გაიძვერა, ბინძური და ქურდი. ეს გარსიაშვილი, წმ. ნინოს სასაფლაოს სხვა მღვდლებთან ერთად, ლეონიდის დროს პასუხისგებაში იყო მიცემული საძმო შემოსავლისა და ეკლესიის ფულების ქურდებისათვის, მთელი კრებული გადაყენებულად გამოაცხადა საკათ. საბჭომ, მაგრამ საქმე ისე აჭიანურეს, მიაბრუნ-მოაბრუნეს, რომ ყველას აპატიეს „დანაშაული“ და სამ დეკანოზს სასაფლაოზე მეოთხე, წინამძღვრად დაუნიშნა ლეონიდმა, ეს მეოთხე დიმ. ხახუტაშვილია, რომელიც ახალციხიდან მცხეთას იყო გადმოყვანილი „სვეტიცხოვლის აღსადგენად“, მაგრამ ეხლა წმ. ნინოზე გადმოიყვანა ლეონიდმა, წინამძღვრობიდან ჩამოაყენა დეკ. გ. გამრეკელი. ყოველ შემთხვევაში სასაფლაოს კრებული გამოძიების, საჩივრების და ათასგვარ ბრალდებების ქვეშე იყვნენ. აი, ამ კრებულიდან გამოაყვანინა კათოლიკოზს თოთიბაძემ დ. გარსიაშვილი, ციცქიშვილს არც კი გაუგია ისე, მის ადგილზე გაუმწესებია ვერაზე, ხოლო „მანგლელის“ შესახებ კათოლიკოზს წერილობითი მოხსენება შეატანია საკათ. საბჭოში და ურბნისში გადაუძახა, „მანგლელს“ არც კი მოლაპარაკებია ისე!..

აი, ეს მოხსენება უნდა განეხილათ 13 ივნისის სხდომაზე საკათ. საბჭოს. ამ მოხსენებამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია „მანგლელის“ მხრივ – მან იუკადრისა ასეთი მოპყრობა, ასე მოულოდნელად გადამწესება მისი იქ, სადაც არ ამოირჩია ის ურბნისის საეპარქიო კრებამ! გაიმართა საბჭოში ამ თაობაზე კამათი, ციცქიშვილს მხარი დაუჭირა თურმე კეკელიძემ, შეიქნა ერთი მიხლა-მოხლა და რო დაინახეს, რომ ეს საკითხი გამწვავდა საბჭოში, ის შემდეგ სხდომისათვის გადასდეს და სხვა მორიგ საქმეზე გადასულან. ამ დროს ავტომობილი მოუყენებიათ საკათ. საბჭოს დარბაზისათვის, ამოსულან ზემოთ და უკითხავთ: „კათოლიკოზი სად არის“? მას კოტე ცინცაძე იბარებსო“ (ეს „ჩეკის“ თავმჯდომარეა – კომუნისტი!). ეს მოახსენეს კათოლიკოზს, ხოლო კოტე ცინცაძის გაგონებაზე ისეთი თავზარი დასცემია ყველას, რომ ენით გამოუთქმელი. დამფრთხალან იმ ზომაზედ, რომ ამ უცნობ ორ ახალგაზრდას არც კი მოჰკითხეს კათოლიკოზის „ჩეკაში“ გაწვევის წერილობითი მანდატი! ერთი ხუთი წუთით მოგვითმინეთო, – მხოლოდ ეს მოუხერხებია კათოლიკოზს, გამოუხურავს კარი და ერთმანეთისათვის შეუხედნიათ საკათ. საბჭოს წევრებს. „არიქა, ეხლავე დავამტკიცოთ „მანგლელი“ ურბნელად, მმართველ ეპისკოპოსად, კათოლიკოზი იქნებ აღარ გამოუშვან და რაღა გვეშველებაო“, – წამოუძახია კ. კეკელიძეს! სულ ყველას თანხმობა განუცხადებია, თვით „მანგლელიც“ სახტად დარჩენილა და, შექმნილ შთაბეჭდილებების ქვეშ, ისიც დათანხმებულა. „კათოლიკოზს აკანკალებული ხელით დავამტკიცებიეთ ამის შესახებ ოქმიო“!

შემდეგ კათოლიკოზი გამართულა ჩეკისტებთან, უთხოვნია მათთვის ნება მიბოძეთ ჩემს ბინაზე შევიდე ცოტა ხნითო, მათაც ნება მიუციათო, კათოლიკოზს თვისი ქალი დაუმშვიდებია, გამოსთხოვებია, ჩაუსვამთ ავტომობილში და გაუქანებიათ! ავტომობილში ჩაჯდომა კათოლიკოზთან დაუვალებიათ ნიკო თავდგირიძისათვის, მაგრამ ჩეკისტებმა არ ჩაიჯინეს, უთხრეს: „ამ ნახევარ საათში უკანვე მოვიყვანთ თქვენს კათოლიკოზსაო!..“ მანდატი კი მაინც არავის მოუთხოვნია!

კათოლიკოზის „ჩეკაში“ წაყვანის ამბავი გამაგებია ჩემმა სიმამრმა, დეკ. ზ. ლუკაშვილმა. ამ დროს ჩემს ბინაზე იყვნენ სიონის კანდელაკი დეკ. მიხ. ფხალაძე და დეკ. იოსებ ჩიჯავაძე! ისინი მაშინვე გავიდნენ, მალე მეც უკან გავყევი. მიველ საბჭოს სხდომის ოთახში და იქ დამიხვდა შემდეგი სურათი: გრძელ მაგიდას, უდედო წიწილებივით, დაღონებულნი და შეშინებულნი შემოსხდომოდენ: „მანგლელი“ ქრისტეფორე, დეკანოზები წევრნი საბჭოისა: ტყემალაძე, ცინცაძე და მირიანაშვილი, კ. კეკელიძე; თავდგირიძე უკვე წასულიყო ქალაქში, რათა საზოგადოებისათვის ეცნობებია მომხდარი ამბავი; მათ გარდა დამიხვდნენ: დეკანოზები – შუბლაძე, ლაზრიშვილი და ფხალაძე. მივედი მაგრად, მივესალმე, ყველანი თითქოს სიბრალულის თვალით მიცქეროდენ, ეგონათ, რომ ვინაიდან გაზეთებში კათოლიკოზის თანაშემწედ გამომაცხადეს, მეც მალე დამიჭერდენ! ბევრსაც სხვებსაც ასე ეგონათ! მე, მართალი რომ ვსთქვა, სრულებით არ შემშინებია. შევეკითხე იქ მყოფთ: „რა საბუთით გაატანეთ კათოლიკოზი, რა წერილობითი მანდატი მოგიტანეს თქო?“ ამაზე ყველანი სახტად

დარჩენ: „ეს ჩვენ არც კი მოგვგონებიაო“! მე უსაყვედურე: „რა იცით თქვენ, რომ კათოლიკოზი ჩეკისტებმა წაიყვანეს და არა ვინმე შანტაჟისტებმა თქო? ხო შესაძლებელია, ამ დროში ასეთი საქმე გვიყონ თქო ან იცნობდით ვინმე თქვენგანი ერთს ჩეკისტთაგანს მაინც თქო“? – არაო, – მიპასუხეს, – დავიბენით, ეს ვეღარ მოვიგონეთ, შეცდომა დაუშვითო! – სად არის მდივანი კათოლიკოზისა დ. დავითაშვილი თქო, – ვიკითხე! – ავათ გახდა, გააცია და ჩაწვაო! – მიპასუხეს! აი, „გაჭირების ტალკვესები“, – ვიფიქრე მე და მოუჯექი გვერდით სხვებსა და ველოდით „კათოლიკოზის დაბრუნებას“! შესრულდა ხუთი საათი და არავითარი ამბავი არ ვიცოდით! ისიც კი არავინ იცოდა, თუ საით მხარეზე გაატარეს კათოლიკოზი, მეტეხისაკენ თუ „ჩეკაში“ – პეტრე დიდის ქუჩისკენ! კათოლიკოზი წაიყვანეს შუადღის პირველის ნახევარზე, უკვე ხუთი საათი შესრულდა და არა ვიცოდით რა! წინადადება შევიტანე, გაუგზავნოთ „ჩეკაში“ კათოლიკოზს სადილი დიაკ. ანტონ ლაზრიშვილის და მისს კელეინიკის ხელით, ესენი იკითხავენ, ამბავს მაინც გაიგებენ – იქ არის თუ არა. გავგზავნეთ სადილი, მიუტანიათ კარისკაცთან, ერთ განყოფილებაში უკითხავთ, აქ არ არისო, მეორეში, არც აქ არისო, აღმოჩნდა მესამე განყოფილებაში, მაგრამ სადილი არ მიუღიათ, ჯერ დაკითხვა არ დასრულებულა და სადილს ვერ მივიღებთო. გამოუბრუნებიათ ეს კაცები უკან. ჩვენ ყველანი უკვე წავედ-წამოვედით ჩვენს-ჩვენს ბინაზე იმ აზრით, რომ კათოლიკოზი დააპატიმრეს და ამაღამ სხვებსაც მოჰკიდებენ ხელს; საღამოს $8^1/_2$ საათზე გავგზავნე კაცი და მომიტანა ამბავი, რომ კათოლიკოზი ავტომობილით ისევ მოიყვანესო.

14 ივნისი

დილით კათოლიკოზის სანახავად წავედი; ზოგიერთებს ღამითვე ენახა; ცინცაძე-თოთიბაძეს სიხარულით კინაღამ დამბლა დასცემოდათ, მისი განთავისუფლება რო გაეგოთ; შევიკრიბენით საბჭოს შენობაში მე, შუბლაძე-ფხალაძე, სხვას აღარ დაუცადეთ, წავედით სასახლეში; შემოგვიერთდნენ გზაში დეკანოზები მაჭარაშვილი, ასათიანი, მირიანაშვილი, მასწავლებელი სერგი გორგაძე, კ. კეკელიძე. მიგვიღო კათოლიკოზმა ღიმილით, თავ-მომწონეთ... სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ დიდი სულიერი ტანჯვა გამოევლო. მოგვიყვა თვისი თავ-გადასავალი: „კოტე ცინცაძემ რო დამინახა თვისს კაბინეტში შესული, ვიღაც დედა-კაცს ელაპარაკებოდა და ერთ კაცსა, ხელით მანიშნა – მანდ, სკამზე დაბრძანდიო! მეც დავჯექი. მოიცალა ჩემთვისა და დაიწყო ჩვენების ჩამორთმევა; იყო თვითონ და ჰყავდა ვიღაც ახალგაზრდა მდივნად, ეს სწერდა ჩემს ნალაპარაკევს. პირველი შეკითხვა იყო ასეთი: „თქვენ გეკუთვნის ის „მოწოდება გენუის კონფერენციისადმი“, რომელიც გამოცხადდა თუ არაო“?! – დიახ, მე მეკუთვნისო, – უპასუხე. „ვის უწერია ზედ ხელი თქვენს გარდა“, – მკითხა ისევე. – არავის, – უპასუხე მე. ვინ მიიღო „მოწოდების“ შედგენაში მონაწილეობა თქვენს გარდა, – მკითხა ისევ. – არავინ,

– მიუგე მე. „ვინ მოგცათ უფლება ხალხის, ერის სახელით გამოსვლისა, ვინ ამოგირჩია თქვენ საქართველოს ოპეკუნად“, – მკითხა გაჯავრებული კილოთი! – „ამომირჩია საეკლესიო კრებამ გელათში, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა. მე შემოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამათ მთავარი, აღვიმაღლო ხმა, როდესაც ჩემს ერს საქმე უჭირს, როდესაც ისეთი ვითარება იქმნება, რომელშიდაც შეუძლებელი ხდება ერის რელიგიური-ზნეობრივი სახის დამუშავება, როდესაც ერს ერთმევა საშვალება თავისუფალ მოქალაქობისა“, – უპასუხე მე. „რატომ მენშევიკების დროს არ იმაღლებდით ეკლესიიდან ხმას, რატომ მათ არ ეწინააღმდეგებოდითო“, – მკითხა ისევ, თითქოს დაცინვის კილოთი! „მენშევიკების თაყვანისმცემელი არ გახლავარ, – უპასუხე მე, – მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ მენშევიკები იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე, თვით იცავდენ იმას, რაზედაც ეხლა მე მომიხდა ხმის ამაღლება, ისინი ეროვნული მთავრობა იყო, საკუთარ, დამოუკიდებელ ნიადაგზე იდგნენ, მართალია, ეკლესიას ავიწროებდენ, მაგრამ ერი იყო თავისუფალი და ჩვენც ვახერხებდით ერის სულიერ სამსახურს; ეხლა კი სულ სხვა სურათია, ქართველებს თავის მთავრობა არა ჰყავს, მთელი ძალა-უფლება რუსის ჯარის ხელშია, მე არც კი ვიცი, ვინ არის თქვენი მთავრობის შემადგენლობაშიო“. ამაზე გაჯავრებით მკითხა: „ნუ თუ მართლა არ იცი, ვინ არის ჩვენ მთავრობაში?! ნუ თუ მართლა არ იცი, რომ ჩვენ საქართველოს მთავრობას შევადგენთ, ვართ ისეთივე დამოუკიდებელნი, როგორც მენშევიკებიო“?! – „არ ვიცი ეს, რაც თქვენ ეხლა ბრძანეთ – უპასუხე მე! ის კი ვიცი, რომ დღეს მთელი ძალაუფლება „ოკას“ (ოსობაია კავკაზსკაია არმია) ხელშია, თქვენც ყველანი, ვინც თავისთავს საქართველოს მთავრობას უწოდებთ, მათი სურვილების და ნების აღმსრულებლები ბრძანდებით, საქართველო თქვენი შემოსვლით ისევ რუსეთის ბატონობის უღელში მოჰყვა, ის აღარ არის დამოუკიდებელი ქვეყანა, აივსო სხვა და სხვა უცხო ელემენტებით, გადაილახა მისი საზღვრები, ტერრიტორია – მიწა ქვეყნისა ვიგინდარებს უვარდებათ ხელში“. „ეს სულ ტყუილია, – მიპასუხა კოტემ! – დავიჯერო გაზეთებს არ ჰკითხულობ, რომ ჩვენ მთავრობის არჩევნებიც მოვახდინეთ საქართველოში, დამოუკიდებელი საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა შევქმენით, ამდენი სკოლები გავხსენით, ამდენი საბავშო გამომცემლობა მოვაწყვეთ, არამცთუ დავაბრკოლეთ კულტურული წინმსვლელობა ჩვენი ერისა, არამედ უფრო განვავითარეთ ის. რუსის ჯარი თქვენ ან საქართველოს რას გიშლისთო“?! მე უპასუხე: „გაზეთებს არ ვკითხულობ, ერთხან ქუჩა-ქუჩა აკრავდენ გაზეთებს, მე ხო ქუჩაში ვერ გავჩერდებოდი მათ წასაკითხავად, და ისე კი ისეთი ძვირია თქვენი გაზეთები, რომ მათი ყიდვა მე არ შემიძლია, თქვენ კი არაფრად გვთვლით, რომ თითო ნომერი გადმოგვიგზავნოთ ჩვენს სასულიერო დაწესებულებებში და ჩვენც ვიცოდეთ საქმის ვითარება საქართველოში. თქვენ მხოლოდ თქვენს გაზეთებს უშვებთ, სხვა მიმართულების გაზეთებს კი არა“. „ნურას უკაცრავად, – მიპასუხა კოტემ, – თუ ჩვენი მოწინააღმდეგე გაზეთებს არ ვაძლევთ არსებობის უფლებას! სხვა არა იყოს რა, ქაღალდია ძვირი“. „ქაღალდს კი ვიშოვნიდით, რომ სიტყვის, პი-

როვნების, რწმენის და სხვა „თავისუფლებანი“ იყვნენ ჩვენში დაცულნიო“, – უპასუხე მე და განვაგრძე: „მე ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ ყველა ეს „თავისუფლებები“ უაღრესად იქნებოდენ დაცულნი კომუნისტების მიერ, ვინაიდან პროგრამით ეს ყველაფერი სავსებით გაქვთ მიღებული, მაგრამ საქმით კი, ნამდვილად, ყოველივე ეს უფრო მეტად არის შებოჭილი და აკრძალული თქვენ მიერ, ვინემ ეს ოდესმე ყოფილიყოს“ – ამაზე მიპასუხა: „თქვენ სასულიერო აკადემია დაგისრულებიათ და ისეთ პასუხებს და ისეთ აზრებს გამოსთქვამთ, რომ ყოველივე ეს სიცილს გამოიწვევს, როდესაც ტრიბუნალში წაკითხული იქნებაო! დავიჯერო, არ გაგეგებათ, რომ ჩვენ რევოლიუციას ვაწარმოებთ, პროლეტარიატის დიქტატურა გამოვაცხადეთ, სწარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგებისადმი, ყველა თავისუფლებანი, რაც კია, ეს მხოლოდ ჩვენთვის გვინდა, თქვენ და თქვენი დრომოჭმული მიმდევარნი ცხოვრებიდან გარიყულნი ხართ, თქვენ ვინ მოგცემთ თავისუფლებასო. თქვენ ძველი რეჟიმის დროს რუსეთში ყოფილხართ გადასახლებული, დასჯილი, მთავრობისადმი წინააღმდეგობისათვისო“?! – მკითხა. „დიახ, ვიყავი დასჯილი, გადასახლებული, მაგრამ მთავრობისადმი წინააღმდეგობისათვის კი არა, ჩემი დამონებული ერის უფლებების აღსადგენადო“. „არა, ეს მინუსად კი არ ჩაგეთვლებათ, პირიქით, პლიუსია თქვენთვისო. ეხლა თქვენ უნდა დაამტკიცოთ ის ბრალდებანი, რომელნიც წამოგიყენებიათ ჩვენს წინააღმდეგ საქვეყნოდ – კონფერენციაზე გაგიტანია საჩივლელად: როდის, რა და რამდენი ქონება გაზიდეს რუსებმა საქართველოდან? „ამის დამტკიცებანი – საბუთები ჯიბეში როდი მიძევს, – უპასუხე მე, – ამ თაობაზე მასალები მაქვს ჩემს კანცელიარიებში, შევაგროვებ მათ და მოგართმევო“ – უპასუხე მე. „კარგი, უსათუოდ უნდა წარმომიდგინოო“, – სთქვა მან, – „როდის და რაში გამოიხატა ჩვენ მიერ ქართველობაში სარწმუნოების დევნა“, ესეც საბუთებით უნდა დაამტკიცო, აგრეთვე ისიც, – თუ რა ვნება მოუტანია და მოაქვს საქართველოსთვის რუსის ჯარსო“? მე უპასუხე: „სხვა რო არა იყოს რა ამოდენა ჯარს ჭამა არ უნდა?! ჩვენ ხალხს თვით არ ჰყოფნის თავისი საზრდო და ეს უამრავი ჯარი ხო სულს ართმევს თქო“. „როგორ, თქვენ არ იცით, რომ ჯარი რუსეთიდან ღებულობს თვისს საზრდოს?! ჩვენი მასზე სრულებით არა იხარჯება რა“, – ბრძანა კოტემ. „მაპატიეთ, თუ ვერ დაგეთანხმოდ ამაზე: რუსეთში ხალხი შიმშილისაგან იჟუჟღება, კაცთაჭამიაობამდე მივიდნენ, იქაური დამშეული ბავშებით აივსო საქართველო, მეც კი მოვკარი მათ გამხდარ-გალეულ სახეს თვალი, და ასეთ ქვეყნიდან ჯარისათვის სურსათის მოწოდება ყოვლად დაუჯერებელია, ჯარიც და ხალხიც იკვებება ჩვენი პურით და აგრეთვე კანადის პურით, რომელიც შემოდის ბათუმ-ფოთის ბოლაზებით და იგზავნებიან აქედან რუსეთში! ამასაც თუ დამტკიცება სჭირდება, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს თქო, – მოვახსენე მე, – მე „მოწოდებაში“ ერთი სიტყვითაც არ მაქვს ნათქვამი, თითქოს თქვენი მოწინააღმდეგე ვიყვე, ან თქვენი ჩამოგდება მსურდეს, იყავით ქართველი კომუნისტები და აწარმოეთ თქვენი რწმენა-პროგრამმა საკუთარი ძალ-ღონით; შექმენით საკუთარი ქართული ჯარი, ქართული კულტურა, რუსებმა თავიანთ თავს და

თავიანთ კარს მიჰხედონ, აი, მე რის თქმა მინდოდა! თქვენ ამბობთ კულტურულ წინმსვლელობას ვაწარმოებთ საქართველოშიო! მე ვერც ამას ვხედავ, ყოველივე ერის კულტურის მსვლელობის გამომსახველია მისი უნივერსიტეტი; აბა, დახედეთ რას წარმოადგენს დღეს ჩვენი უნივერსიტეტი! ერთი პერიოდული, საკუთარი გამოცემა არა აქვს, რომ მეცნიერული ნამუშევარი იბეჭდებოდეს?! ეს არის თქვენი კულტურული წინმსვლელობაო"? „ეს დროებითია, სულ მალე მაგასაც მივაქცევთ ყურადღებას, როდესაც იქიდან კონტრ-რევოლიუციას გამოვდევნითო", – მიპასუხა კოტემ. ბევრი რამ კიდევ ვილაპარაკეთ, ბევრი რამე მკითხა, ზოგზე უპასუხე, ზოგზე ვერა! ჩვენ დაუდევარი ხალხი ვართ, არ ვიყავი მომზადებული, არც არავინ მომიგროვეთ საბუთები, ეხლა კი ყველა მუხლების დოკუმენტალურ დამტკიცებას მთხოვენ; რასაკვირველია, ბევრი დეფექტები ექნება ჩემს ჩვენებას, ასე თავისუფლად თქვენთან ვლაპარაკობ, იქ კი ვერ ვიყავი ჩემს არსებაში; ვნახოთ, რა იქნება, ბოლოს ასე მითხრა კოტემ: „თქვენი ჩვენება ჯერ შავად გვაქვს დაწერილი, ხელი მოაწერეთ, გადავათეთრებთ, ისევ წაგიკითხავთ, ზედ თქვენი დამტკიცებანიც უნდა დაურთოთო და ხელს მოგაწერიებთ". დავიღალე, მომშივდა კიდეც, დავსუსტდი; გამომიშვა, არცკი გამომეთხოვა, ზურგი მომაქცია, ისე გავიდა თავის ოთახში და ჩაილაპარაკა – მიაცილეთ სახლამდე, ფეხით ნუ გაუშვებთო; ჩამსვეს ავტომობილში და ერთი შოფერით მხოლოდ, მომიყვანეს სახლშიო" – დაამთავრა კათოლიკოზმა.

„საბუთებს" აგროვებს საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგე დეკ. კ. ცინცაძე და საეპარქიო კანცელიარიის მდივანი დ. დავითაშვილი, ამათ ეხმარება დეკ. ილია შუბლაძე; ამ უკანასკნელის სიტყვით, „ბევრ დოკუმენტებს მოგვაწოდებენო" (იგულისხმე – მენშევიკები); ფ. მახარაძის მოხსენების ასლი უნდა ვიშოვნოთო (უშოვნიათ კიდეც), მეც მომცეს წინადადება – „დოკუმენტები მოგვაწოდეო"; „რაც არ მაქვს, რა მოგაწოდოთ თქო", – უპასუხე მე, – აქ დოკუმენტებზე როდია საქმე, რაც უნდა დოკუმენტები წარუდგინოთ, სულ ერთია, არც ერთს არ მიიღებენ ისინი საბუთად, ყველაფერს „გაგიბათილებენ". ჩემის აზრით, რაც უფრო დაეყრდნობით „დოკუმენტებს", მით უფრო გაბრაზდებიან და ყალხზე დადგებიან ისინი, ბოლოს მაგონდება „დედა-ენაში" მოყვანილი არაკი: „მგელი და ბატკანი" – რა შარი და ბრალდება არ მოსდო მგელმა ბატკანს, ამ უკანასკნელმა ყველაფერში თავი იმართლა, მგელმა ისევ შეუტია: „შენ წყალს მიმღვრევო", მაშინ ბატკანმაც შეჰკადრა: „შენ ზევითა ხარ, მე ქვევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო"! ბოლოს მგელმა მაინც გამოხრა ბატკანი იმ „საბუთით" – მას „ჩახეთქვა" უნდოდა!.. თურმე ეს არაკი ადამიანზე ყოფილა ნათქვამი! მე ეხლა ვხვდები ნელ-ნელა ასეთ რამეების აზრსა და მნიშვნელობასა თქო". გაიცინეს...

შემდეგ გავამხნევე კათოლიკოზი, არ შეშინდეთ, დარდი არ შეუშვათ გულში, ღმერთი მოწყალეა! ვინაიდან ინებეთ ასეთი „ნაბიჯის" გადადგმა, უნდა იტვირთოთ კიდეც ყოველივე შედეგები ამისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ არა იქნება რა, გააგის კონფერენცია კარზეა მომდგარი; მის მოლოდინში არა მგონია, რომ თქვენ რაიმე გკადრონ; მოერიდებიან კიდეც ხალხის უსიამოვნებას, საჭიროა მხოლოდ ცოტა <u>წინდახედულად მოქმედება</u> ჩვენის მხრივ, ეხლა აღარ ღირს

მაგათი რითიმე გაღიზიანება და გაბრაზება, რაც საჭირო იყო, ხმის საქვეყნოდ ამაღლება, ეს უკვე შესრულებულ იქმნა, ეხლა საჭიროა ჩვენს საქმეს მივხედოთ, შინაურობაში მოვეწყვეთ, მოვრიგდეთ, სამღვდელოება წესიერებაში მოვიყვანოთ, ჩვენი მართვა-გამგეობის აპპარატი ავამუშაოთ, ხალხს დაუახლოვდეთ, გავამხნეოთ უფრო მოძღვრული დარიგებით და შეგონებით, ვინემ სხვა გარეგან ზომებით. გამოვეთხოვეთ კათოლიკოზს და წავედ-წამოვედით...

„წინდახედულად მოქმედება“, რომელზედაც მე სიტყვა გაუკარი კათოლიკოზს და მის თანამეინახეთ, მდგომარეობს იმაში, რომ კათოლიკოზი, თავის „ერთი ჯგუფით“, სისტემატიურად მიმოივლის ხოლმე თბილისის ეკლესიებს, სწირავს თვითოეულ ტაძარში, თან დაჰყავს ახალი თვისი მგალობელთა გუნდი ლოტფარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით (ამაზე მქონდა მე ზემოდ ლაპარაკი); წირვის შემდეგ კათოლიკოზს, მისს ამალით და „საპატიო“ ერის კაცებით ტაძრების ხარჯით უმართავენ დიდ ნადიმებს, სიმღერით, მოლხენით, რომელიც გვიან საღამომდე გრძელდება ხოლმე. კათოლიკოზის იქით-აქეთ ეტლი (თუმცა ეტლის ქირათ ეძლევა ყოველთვიურად ნახევარი მილიონი, მაგრამ თავისი ხარჯით კათოლიკოზს ჯერ ფეხი არსად გადაუდგამს), მისი და მის თანამწირველთა ბარგის გადაზიდ-გადმოზიდვა, იპოდიაკვნების, სტიხარჩიკების და მათ ამყოლ-დამყოლთა სასყიდელი, გუნდის სასყიდელი (ერთი მილიონი, $1^1/_2$ ან 2 მილიონი, დიდუბემ 4 მილიონი გადმოუგზავნა), ნადიმ-სადილის ხარჯი – ყოველივე ეს ანიავებს სამრევლო ეკლესიებს თბილისში, რომელნიც ისედაც მძიმედ დაბეგრილნი ჰყავთ საკათ. საბჭოს. ასეთი ნადიმები, ვშიშობ, არ წამოუყენონ კათოლიკოზს დიდ დანაშაულად, მე მოვახსენე კიდეც ერთხელ, მის კანდელაკის – ფხალაძის თანადასწრებით ამაზე, მაგრამ მიპასუხა: „ნუ მართავენ სადილებს, მე სადილებს არ ვთხოულობო“! დალოცვილი, ნუ დარჩებოდა ერთგან-ორგან სადილად, ჩაის შემდეგ წაბრძანდებოდა სახლში და ამით ნადიმებსაც ბოლო მოეღებოდა! ამ შიმშილობის დროს და ასეთ მომენტში ასეთი საქციელი ყოვლად შეუწყნარებელია! „გენუის მოწოდებას“ შესაფერი ქცევა-მოქმედება უნდა თვით კათოლიკოზის მხრივ, „მემორანდუმს“ განაღდება უნდა შესაფერი დარბაისლობით და არა ისეთი ვაკხანალიით, რომელიც გამეფებულია დღეს ჩვენს სასულიერო დარგში! არ გვეტყვიან, თვით ცხვირი ვერ მოუწმენდიათ, ანიავებენ ხალხის სიმდიდრეს, მუქთა-ხორობენ, სხვისი შრომის „ექსპლოატაციას“ ეწევიან, გუშინდელი შავრაზმელები ფაქტიურად მართავენ ეკლესიას და ასეთი ხალხის „მეთაური“ კათოლიკოზი კომუნისტებზე სჩივის, გენუის კონფერენციაზე გარბის, რა არის ქვეყანამ გაიგოს – მე რა დიდი ვინმე ვყოფილვარო! ეს უსათუოდ უსულ-გულო პოლიტიკანობაში ჩამოგვერთმევა, ფარისევლობაში, ვინაიდან „გენუის მოწოდება“ ღებულობს პოლიტიკანობის ფეიერვერკის ხასიათს, რომელიც (ფეიერვერკი) მენშევიკების ხელით არის აშვებული ზევით... მე უკვე მქონდა აღნიშნული, თუ როგორ უნდა გამოცხადებულიყო სწორეთ სულიწმიდის მოფენის დღეს (4 ივნისს) სამღვდელოების „ჯილდოები“ და ყოფილ შავრაზმელების მიტრებით დაჯილდოება, იმ დღეს, რა დღესაც „Правда Грузія“-ში დაბეჭდეს კომუნისტებმა კათოლიკოზის „მო-

წოდება“ და ნოე ჟორდანიას მოხსენება გენუის კონფერენციისადმი, თან ზედ დაერთო ფ. მახარაძის საშინელი სტატია: „Архипастырское „лганіе“ Патріарха Амвросія“! – „ჯილდოების“ სირცხვილისაგან ჯერ-ჯერობით ვიხსენ, მგონი, კათოლიკოზი ამბროსი, მაგრამ „ნადიმებს“ ისევ განაგრძობს...

18 ივნისი – კვირა

ამ დღისათვის კათოლიკოზი მწირველად იყო განზრახული ნაძალადევში, დეკანოზ მიხეილ მახათაძის ტაძარში. ეს განზრახვა არ გადასდო კათოლიკოზმა „ჩეკის“ შიშით, არც უნდა გადაედო, მაგრამ ნადიმობა კი იმ „მუშათა უბანში“ აღარ უნდა ენებებია არც მას და არც თვით ტაძრის წინამძღვარს. ნაძალადევის ეკლესიაში წირვის გამო გამოირკვა ის დიდი განხეთქილება, რომელიც ჩამოვარდნილა კათოლიკოზის კამარილიაში.

„მანგლელ ქრისტეფორეს“ (ციცქიშვილის) პირველი გამოსვლა

შაბათ საღამოს, 17 ივნისს, კათოლიკოზს გაუგზავნია თვისი კანდელაკი დეკ. ფხალაძე „მანგლელ ქრისტეფორესთან“, და დაუბარებია შემდეგი: „ხვალ დილით, ცხრა საათზე გადმობრძანდით ჩემთან, და აქედან ეტლით ერთად წავიდეთ ნაძალადევში საწირავადო“! დეკ. ფხალაძე ეახლა „მანგლელს“ და რო გადასცა კათოლიკოზის ბრძანება, „მანგლელი“ ყალყზე დასდგა – „ვირგლამ“ მოჰგლიჯა „პალო“, ერთი თვითონ იცა ცხვირში, ხოლო შვიდი მისს მაკურთხებელ კათოლიკოზს, თვისიანებით“! აღმოჩნდა, რომ „მანგლელი“ მეტად განრისხებული ყოფილა კათოლიკოსზედ, საკათ. საბჭოზედ და თვისს „მეგობარ“ ანტონ თოთიბაძეზედაც! „გადაეცით კათოლიკოზს, – ბრძანა თვისი ბოხი ხმით „მანგლელმა“, – მე მასთან საწირავად არ წავალ“! ამას ამბობდა ქრისტეფორე და ცხვირის ნესტოებიდან თითქოს ცეცხლს აფრქვევდა, მძიმედ ქშინავდა, ეტყობოდა, რომ ბრაზები ახჩობდა. გამოირკვა, რომ „მანგლელს“ არ სურს „ურბნელობა“, რომელზედაც ის წერილობითი მოხსენებით წარუდგენია საკათ. საბჭოში კათოლიკოზს და ამ კათედრაზე დაუნიშნავს კიდეც ის საკათ. საბჭოს კათოლიკოზის „ჩეკაში“ გაწვევის წინ, რაც თავის ადგილზე აღვნიშნე კიდეც. ამ თაობაზე ქრისტეფორეს განუცხადებია გადაჭრილი უარი, რომ ის ურბნისის ეპარქიაში წამსვლელი არ არის; მეტად გამწვავებულა საქმე და ურთიერთობა; ქრისტეფორეს ვეღარ დაუჭერია თავი და შეუჩივლია დეკ. ფხალაძისათვის: „მედავითნეს ჰკითხავენ, რო სადმე ამწესებენ – გინდა თუ არა იმ ადგილზე წასვლაო! ჩემთვის კი არაფერი უთქვამს კათოლიკოზს, ის მოლაპარაკებია თოთიბაძეს და ცინცაძეს ჩემ ქალაქიდან გაძევებაზე და გორში გადამიძახესო, მე იქ არ წავალო“! გამოიარა ჩემთან დეკ. ფხალაძემ და მიამბო ეს „ახალი ამბავი“! მე მოველოდი ასეთ გამოსვლებს, უფრო მეტიც არის მოსალოდნელი

ამათ გათახსირებულ, გულ ღვარძლიან, ქვებუდანა ურთიერთობაში! თავის ადგილზე მქონდა კიდეც აღნიშნული, რომ თოთიბაძე სხვაფრივ ვერ მოიგდებინებდა თავიდან დეკ. ქრ. ციცქიშვილს, თუ არ ეპისკოპობაში მის დაბანდვით! 1905 წლიდან თოთიბაძე-პროვოკატორს ათასგვარ იარაღად ჰყავდა 1905 წლის ქართველ სამღვდელოების 31 მაისის რევოლიუციონურ კრების თავმჯდომარე – მღ. ქრ. ციცქიშვილი! ბევრნაირად გამოიყენა მან ის თვის კარიერისათვის მაშინაც და ეხლაც! ბევრი საიდუმლოება-გაიძვერაობა იცის ციცქიშვილმა თოთიბაძესი, დაბოლოს მისი 1921 წელს ლტოლვა თბილისიდან ბათუმამდე, როდესაც ქრისტეფორეს მიუგდო სამხედრო ტაძარი, ხოლო შემდეგ ისევ ამობრძანდა და შევიდა გამგეობაში! ვერაზედაც იმიტომ მოაძოვა ანტონმა ქრისტეფორე, ეხლა კი უნდა დასძრას ქალაქიდან, განთავისუფლდეს მისგნით, ეხლა თოთიბაძეს ვერაზე სჭირდება მორჩილი-ყმა-მღვდელი, ეს იქნება წმ. ნინოს სასაფლაოდან დეკ. დავით გარსიაშვილი, რომელიც დაანიშნინა თოთიბაძემ კათოლიკოზს „მანგლელის“ ურბნისში დამტკიცების შემდეგ! ციცქიშვილს კი სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მას ქალაქიდან გასვლა არ სურდა, კათედრად ყოფილი სამხედრო ტაძარი ჰქონდა, ბინა საპიორნი ქუჩაზე ამავე ტაძრისა, სადაც შვილებიც და რუს კუხარკა-ხასით სცხოვრობს ჩვენი „მანგლელი“, საკვებად და საძოვრად ვერის სასაფლაო, რომელიც თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე – მეორე კათედრად გაიჩინა. ასე სიამოვნებაში აპირებდა ჩვენი მანგლელი თვისს მწყემსმთავრობას, მაგრამ დიდ შავ-კატას გაურბენია მისა და მის მეგობრისა ქვეშე! „შენ მოემზადე ურბნისისათვისო“, – უბრძანებია „მანგლელს“ დეკ. ფხალაძისათვის!

ალავერდის ეპარქიის ეპისკოპოსზე

საქმე იმაშია, რომ პიროს ალავერდელის გარდაცვალების შემდეგ, უნდა დაესახელებიათ ამ კათედრის საეპისკოპოზო კანდიდატები. ასეთ კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ: ხუთი ოლქიდან დეკ. მიხ. ფხალაძე (ქვრივი), ორი ოლქიდან „მანგლელი“ ქრისტეფორე, ხუთი ოლქიდან საკათ. საბჭოს წევრი, ერის კაცი, ცოლიანი რაფიელ ივანიცკი-ინგილო, რომელიც, როგორც თავის ადგილზეც მქონდა აღნიშნული, ექვსი თვით დაპატიმრებულია მეტეხის ციხეში; ამ კაცს ჰყავს ცოლი, ორი შვილით; ცოლი გააგდო, თუმცა განქორწინება არ მომხდარა და, როგორც ამბობენ, სამოქალაქო წესით სცხოვრობს სხვა დედაკაცთანო... ეხლა კი, როდესაც მას ექვსი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს ბოლშევიკებმა, მისი ცოლი მისულა თვისს შვილებიანად რაფიელ ივანიცკის ბინაზე, საკათ. საბჭოს შენობის დარბაზში და დამჯდარა იქ თვისს შვილების მოსავლელად! ასეთი კაცი, თან სპეკულიანტი, ფლიდი და ცუღლუტი, ერთხანად საკათოლიკოზო კანდიდატადაც კი იყო დასახელებული! გელათის კრებაზედაც დახურულ ბარათით, ერთი ხმით (ალბად მისივე იქნებოდა!), დასახელებულ იქმნა საკათოლიკოზო კანდიდატად! ცხადია, ამის კანდიდატობა ალავერდე-

ლობაზე იქნება მოხსნილი. მეოთხე კანდიდატად დუშეთ-ერწო-მთიანეთიდან დაუსახელებივართ მე! რასაკვირველია, ეს არ არის სერიოზული დასახელება; ეს უხუმრია ვიღაცას! მე ცოლ-შვილით დატვირთულიც რო არ ვიყო, ისედაც ვერ გავიდოდი „მღვდელ-მთავართა საარჩევნო ცხრილში! ამ სახით, სერიოზულ კანდიდატად ალავერდელობაზე წამოყენებულია დეკ. მ. ფხალაძე (ეს ქვრივია, მაგრამ ოთხი მცირე წლოვანი ობლები ჰყავს, თავშესაფარებში ჩამორიგებული, მეტად ღარიბი, საცოდავი და თან უფხოც უნდა იყოს, თუმცა მომზადებული, ღვთისმეტყველი კაცია, გამოდგება კიდეც). „მანგლელ ქრისტეფორეს“ უკიდურეს შემთხვევაში, თუ ქალაქში აღარ დააყენებენ, თელავში სურს ეპისკოპოსობა, იმიტომაც იყო, რო უბრძანებია, „შენ მოემზადე ურბნისისათვისო“! ამ სახით ციცქიშვილი ურჩობას აცხადებს; თან ისიც უთქვამს ფხალაძისათვის, რომ „შეუძლოდ ვარ“, ხვალ ვერ ვეახლები კათოლიკოზს ნაძალადევშიო! ფხალაძეს რო მოუხსენებია ეს კათოლიკოზისთვის, ეს ძლიერ აღელვებულა, „მე ვიცი, რის შეუძლებლობა შეჰყრია ეპისკოპოზს ქრისტეფორესო“! „არასოდეს მე არ ვაპატიებ მაგას ასეთ საქციელსო! ეს ურჩობას მიცხადებს“, „ვნახოთ, რას გაიტანსო“! დაუმშვიდებია ფხალაძეს კათოლიკოზი და მეორე დღეს მწირველი ბრძანდებოდა ამბროსი ნაძალადევში. წირვა რუსულ-ქართული, ქადაგება რუსულ-ქართული და დიდი სადილი, დიდ-ძალი ხალხით!..

საღამოზედ დეკ. ფხალაძე შესულა კათოლიკოზთან და მოუხსენებია, „ვიცი, თქვენო უწმინდესობავ, რომ ქრისტეფორე გორში წამსვლელი არ არის, თქვენც აქედან რაიმე გამოსავალი უნდა ჰნახოთ და მას თელავში გაგზავნით! მე კი ურბნისში ეპისკოპოსად ვერ გამოვდგები, ობლები მახვევია გარს, მეტად ღარიბად და საცოდავად ვარ, მიბოძეთ მღვდლის ადგილი ვერაზე, ციცქიშვილის ნაცვლადო“! „არა, – უბრძანებია კათოლიკოზს, – შენ ალავერდში აგირჩევენ და იქ წახვალ, ქრისტეფორე როგორ არ წავა ურბნისში, მე ამას დავინახავო! მაგან გუშინ შემომითვალა – შეუძლოდ ვარო, და წირვით კი ყოფილ სამხედრო ტაძარში უწირავსო“! ეს რასა ჰგავს, ეს არის დისციპლინა?! ამის შემდეგ ჩვენ ვინ რას გაგვიგონებსო!..

დ. გარსიაშვილი დაუნიშნავს ვერაზე, ხოლო მის ადგილზე უადგილო დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი – კაცი დამსახურებული. ეს კარბელაშვილი 1916 წელს მისმა ცოლისძმამ დეკ. ი. ჩიჯავაძემ სამების ეკლესიიდან წმ. ბარბარეში გადააყვანია პლატონ ექსარხოსს, თვითონ კი პეტროგრადის ქართველ სამრევლოში გადავიდა პიტირიმ მიტროპოლიტის წინადადებით და თან სასულიერო აკადემიაშიც შევიდა. მაგრამ უსწრო დიდმა რევოლიუციამ და მეორე კურსზე არც კი გადასულა ისე, დაბრუნდა თბილისში; კირიონ კათოლიკოზის პირადი მდივნობა იტვირთა, ხოლო კირიონის დაღუპვის შემდეგ, ჩიჯავაძემ გამოაგდო თვისი სიძე კარბელაშვილი ბარბალედან, თვითონ დაიბრუნა ძველი ადგილი, ხოლო კარბელაშვილი დარჩა უადგილოდ, ულუკმა-პუროდ, მეტად გაჭირებულ მდგომარეობაში იყო და მადლი მოხდა მაგისი დაპურება, მაგრამ ქურდი, ჩირქმოცხებული დ. გარსიაშვილი კი ვერაზე წაიყვანა დეკ. თოთიბაძემ, ეწყობა ისე თავის სურვილისამებრ...

20 ივნისი – სამშაბათი

დღეს კათოლიკოზ ამბროსის ისევ მოაკითხეს „ჩეკიდან“ – სწორზედ! მოსულან ორი ახალგაზრდა კომუნისტი კათოლიკოზის სასახლეში, ამჟამად ის აღარ წაიყვანეს „ჩეკაში“, მისსავე ბინაზე ჩააბარეს საბრალ-მდებლო ოქმი. ბრალს სდებენ სამ დანაშაულობაში: „პროვოკაცია“, „კონტრ-რევოლიუციონერობა“ და „მთავრობის გაბიაბრუება“! ამ ბრალდებებზე უნდა აგო პასუხიო, – უთქვამთ კათოლიკოზისათვის ახალ-გაზრდა „ბრალმდებლებს“ ხელის ქნევით და თითქოს მუქარის კილოთი. ხელის ქნევაზე კათოლიკოზი გარისხებულა, პროტესტი გამოუცხადებია, „მე არ მეკადრება თქვენგნით ხელის ქნევა, სხვა არა იყოს რა თქვენოდენა შვილიშვილები მყავსო“! ამაზე დარცხვენით უპასუხნიათ: „ჩვენ თითი უცაბედათ გავიქნიეთ, თქვენი დამუქრება როდი გვინდოდაო“!.. კათოლიკოზმა დასასრულ უბრძანა მათ, რომ მე ჩემს საბუთებს და დამამტკიცებელ ფაქტებს წარმოვადგენ სამსჯავროში, ეხლა თქვენ არაფერს გადმოგცემო. ამით დასრულდა ჯერ-ჯერობით საქმე.

კათოლიკოზს პარტიების ჯგუფები ჰპირდებიან დოკუმენტების შოვნას და დახმარებასო – გადმომცა მისმა კანდელაკმა და თან ამხნევებენ: „ეს შენი გასამართლება როდი იქნება, მთელი ჩვენი ერის გასამართლება, ჩვენი გასამართლებაც იქნებაო. ამ საქმეს ჩვენ ისეთ ხასიათს მივსცემთ, რა ხასიათიც მიეცა „ესერების“ პროცესს მოსკოვშიო! საქმე იმაშია, რომ საბრალმდებლო სკამზე დასვეს კომუნისტებმა მოსკოვში სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის 34 წევრი, ბელადები, ამათ აბრალებენ აქტიურ კონტრ-რევოლიუციონერობას წინააღმდეგ კომუნისტური საბჭოთა რუსეთისა, ტერრორისტულ აქტებს, ყაჩაღობას, ძარცვა-გლეჯას და ათასგვარ სხვა მძიმე დანაშაულს. სამართალში მისცეს 34 კაცი! ეს პროცესი უკვე სწარმოებს ეხლა მოსკოვში, ამ პროცესზე დასასწრებად მოვიდნენ, მეორე და ორნახევარ ინტერ-ნაციონალის ბელადები დამცველებად, მაგალითად, ბელგიიდან ვანდერველდე (ეს მენშევიკების დროს იყო სოციალისტ ევროპიელ სტუმართა შორის საქართველოში) და სხვანი. ამ ევროპიელ დამცველებს გზადაგზა, როდესაც ისინი რუსეთში შემოვიდენ, უხვდებოდენ კომუნისტები სტვენით, ყიჟინით, ქვების სროლით და შეურაცხ-ყვირილ-გინებით!.. აქედან ცხადია, რა მსჯავრს ან რა მართლ-მსაჯულებას უნდა მოელოდენ „ესერები“ კომუნისტების მოსკოვის ტრიბუნალიდან! ევროპიელებმა პროტესტი განაცხადეს მოსკოვში იმის გამო, რომ „ტრიბუნალში“ სულ კომუნისტები შედიან! მათ მოითხოვეს, რომ „ტრიბუნალში“ სხვა და სხვა მიმდინარეობის ან უპარტიო პირები ყოფილიყვნენ! მაგრამ ეს წინადადებაც გაამასხარავეს კომუნისტებმა! აქედან ცხადია, რომ თუ კათოლიკოზზედაც ტრიბუნალის სამსჯავრო შესდგა, რა სიკეთეს უნდა მოელოდეს მისგან კაცი! კომუნისტებმა, ან უკეთ რო ვსთქვათ, რუსის არმიამ – „ოკამ“ – უკვე გამოიტანა კათოლიკოსზე თვისი „მსჯავრი“! ამიტომ მოსალოდნელია სასტიკი შედეგები ამ მსჯავრისა. მაგრამ გავრცელდა ხმა, თითქოს კვირას – 18 ივნისს – მთავრობის თავმჯდომარეს, ბუდუ მდივანს, თითქოს საჯარო მოხსენებაზე, რომელიც მას გაუკეთებია სახაზინო თეატრის დარბაზში, ეთქვას შემდეგი: „ამ-

ჟამად ვაპატიებთ კათოლიკოზს ამ გამოსვლასო, მაგრამ თუ კიდევ რაიმე ამის მსგავსი სთქვა ან დასწერა, ამას კი აღარ მოვითმენთო“! რამდენად მართალია ეს, არავინ ვიცით, ეს თითქოს გაეგონოს თეატრში დეკ. ნ. მაჭარაშვილის ვაჟს... ეს ბუდუ მდივანი საქართველოდან იყო „გაგზავნილი“ გენუის კონფერენციაზე, მაგრამ ის არ დაუშვეს კონფერენციაზე, როგორც საქართველოს წარმომადგენელი, მისცეს ისე ნება, უხმოდ დასწრებოდა სხდომებს, როგორც ჩიჩერინის (რუსის დელეგატი – მოსკოვიდან) ამალას. ამ ბუდუმ კათოლიკოზის „ჩეკაში“ გაწვევის წინადღით, როდესაც ჩამოვიდა გენუა-მოსკოვიდან, გააკეთა მოხსენება იმავე სახაზინო თეატრში, გაამასხარავა „ანტანტა“, „ბურჟუაზია“, „კაპიტალი“, „გავიმარჯვეთ კონფერენციაზე კომუნისტებმაო“, ლოიდ ჯორჯის (ინგლისი) გარეგნობა ასწერა, უწოდა „ვერაგი მოხუცი“, ხოლო საფრანგეთის დელეგატს – ბარტუს, „სულელი“! სწორეთ ამ ლექსით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“... მაგრამ ისიც უთქვამს ბუდუს იმ მოხსენებაზე, რომ „უომრად ვერ გადავრჩებით, ლესეთ და ლესეთ, მუშებო, თქვენი ხანჯალიო“!..

ამბობენ იმასაც, რომ თითქოს ბუდუს, კერძო საუბარში, უთქვამს – დიდი ვნება მოგვიტანა კონფერენციაზე კათოლიკოზის „მოწოდებამო“! ამ დოკუმენტმა დაუდასტურა მენშევიკებს ის ბრალდებანი, რომლითაც ისინი გამოდიოდენ ჩვენს წინააღმდეგო! მიკვირს, რას უზიხართ, რატომ სამართალში არ აძლევთ კათოლიკოზსო! ეს იყო 12 ივნის, ხოლო 13-ს კათოლიკოზი გაიწვიეს „ჩეკაში“ და მისცეს ის სამართალში. ზოგი ამბობს, კათოლიკოზის „მოწოდება“ პაპის ნუნციმ (ელჩმა) წაიკითხა კონფერენციაზეო, ზოგიც, აკაკი ჩხენკელმა წაიკითხაო, ნამდვილი ვერ გავიგე ჯერ. პაპს კი გაუგზავნა ამბროსიმ, როგორც კირიონმა – ლეონიდემაც, თვისი ივერიის კათედრაზე ასვლის ცნობა...

მეგრელები ეცდებიან (კომუნიზმი მათ ხელშია დღეს საქართველოში), ამბროსი გადაარჩინონ სამსჯავროს. ამ ხანად არ ვფიქრობ, რომ კომუნისტებმა მას ხელი ახლონ! ევროპიდან ბევრნაირი ხმები მოდის, თითქოს საქართველოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლება გადაწყვეტილი საქმე იყოს, „დიდ-ძალი ფრანგ-ინგლისელთა ჯარია თავმოყრილი სტამბოლში და ამ მოკლე ხანში დესანტს გადმოსხამენ ბათუმშიო, ბათუმის ოკკუპაცია აიღო თავისთავზე საფრანგეთმაო, ერთ ხანს ინგლისი იყო მომხრე საქართველოს რუსეთის საზღვრებში დატოვებისა, მაგრამ ეხლა ინგლისიც ჩვენს მხარეზე გადმოვიდაო“. ბოლშევიკების ჯარების გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება კი ხდება დღეს ჩვენში!.. ამას წინეთ ოთხი პოლკი დასძრეს კახეთიდან ბათუმისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ კახეთში მოქმედობს ჩოლოყაშვილის რაზმი, საინგილოსკენ ამბოხებაა, ადებეიჯანშიც ამბოხებაა, მხოლოდ სომხები „ვერ ახერხებენ“ ამბოხებასო! – აქ „მოხერხების“ საქმე როდია, სომხებისათვის მეტად ხელსაყრელია დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, ისინი მორიელივით ჩაგვაჯდენ კისერში და სულ ერთიანად დაგვკბინეს...

ამ აურ-ზაურში ფ. მახარაძე ფართი-ფურთობს, ვითომც კულტურულად აუმჯობესებს საქართველოს, „აჯანსაღებს“ საბურთალოს მიდამოებს საშრობ არხების გაყვან-გამოყვანით, დიდი სარწყავი არხები უნდა გავიყვანოთ თბილისის

ხრიოკ-მიდამოების ასაბიბინებლად, ძველ „თამარ მეფის“ არხების მსგავსადო“! ყოველივე ამაების ფოტოგრაფიული სურათებია გადაღებული და სასახლის ქუ-ჩაზე გამოფენილი, აქ სხვა და სხვა პოზაში, სხვა და სხვა ადგილას დახატულია თვით ფ. მახარაძე რუსის ბიუროკრატის „კარტუზიან“ ქუდში, გარს შემოხვევიან „მუშები“, ბარით-ნიჩაბით, მართავს მიტინგებს და „უხსნის პროლეტარიატს“, თუ რა არის „თბილისის ელექტროფიკაცია“! რას ჰპირდებოდენ მენშევიკები, ხოლო რას არიგებენ და აკეთებენ კიდეც ბოლშევიკები“!.. ყოველივე ამას მხარს უჭერს „მემარცხენე სოციალ-ფედერალისტები, თედო ღლონტის მეთაურობით გაზეთ „ტრიბუნას“ ფურცლებზე, რომელმაც ისევ განაახლა ამ დღეებში თვისი გამოსვლა. თედო ღლონტი საქართველოს ხსნას ჰხედავს „რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებაში“, „სოციალიზმის შეუჩერებლად გაღრმავებაში, რევოლიუციის წარმოებაში, „დამპალი ევროპა, მისი კაპიტალი უნდა მიიმსხვრ-მოიმსხვრეს, მისს ზედა-პირზედაც უნდა გადაიაროს სოციალურ რევოლიუციის გრიგალმა და მით უნდა განახლდეს კაცობრიობაო“! აი, ასეთი ბოდვით უმასპინძლდებიან ჩვენი „მემარცხენე-ფედერალისტები“ ქართველ ერს, რუსეთის ჯარისაგან ასე აშკარად ყოველივე უფლება აყრილს, გაძარცულს და ჩექმის ქუსლების ქვეშე გაქელილს! „მემარჯვენე ფედერალისტები“ კი, მენშევიკებთან და საზოგადოდ ქართველ ოფიცერ-ინტელიგენციის წარმომადგენლებთან მეტეხის ციხეში არიან გამომ-წყვდეულნი! მოხუცი გიორგი ლასხიშვილი, ფედერალისტების ბელადი, მეტად სასტიკ რეჟიმში ჰყავთ დამწყვდეული მეტეხში, ის ცალკე საკანშია ჩაგდებული თურმე! დაპატიმრებულ მენშევიკებს, მგონი, ყველას „საუკუნო დაპატიმრება“ მიუსაჯეს!.. 24-25-26 მაისის დემონსტრაციისა გამო პროვინციებიდან ჯერაც არ შეწყვეტილა დაპატიმრებულთა დენა თბილისის ციხე-ჩეკებისაკენ! 25 მაისს ჩემს სოფლის – ასკანის შუა გულში, „ფიჩხის ჯვარზე“ მიტინგის დროს დიდძალი ხალხი დაუხოციათ ბოლშევიკების რაზმებს: ესენი მიტინგის ნებას არ აძლევდენ, ხალხი კი თავისას არ იშლიდა, ამიტომ ჯერ ერთ თავმჯდომარეს მიტინგისას გა-უხვრიტეს თურმე ტყვიით თავი, ის რო გადმოვარდა, მეორე ავიდა მის ადგილზე, ეხლა ეს გადმოაგდეს ტყვიით, მერე მესამე, მეოთხე, შემდეგ ხალხშიც ზალპი გა-ისროლეს, დიდ ძალი ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი დახოცილან, სხვები დააპატიმრეს, ზოგს ქუთაისის ციხეში უკრეს თავი, ზოგს ოზურგეთისაში, ზოგიც თბილისში ამოჰყავთ... აი, ეს ჰგონია თედო ღლონტს სოციალიზმი!..

22 ივნისი – ხუთშაბათი

ჩვენ მმართველ სასულიერო სფეროებიდან გამოვიდა შემდეგი ამბა-ვი, ამ სფეროების ეგოიზმის დამახასიათებელი, საკათ. საბჭოს დამღუპველ თვითნებობის გამომხატველი. აი, საქმე რაშია: გელათის საეკლესიო კრებას გამოატანიეს თბილისიდან წასულ საკათ. საბჭოს წევრებმა შემდეგი დადგენი-ლება: საკათ. საბჭოში და მის დაწესებულებებში მოსამსახურე პირთ, აგრეთვე საკათედრო ტაძრების კრებულს ეძლიოს ეპარქიის სამღვდელოებისაგან შე-

მოსულ ნატურალურ გადასახადისაგან – პურის თვიური ულუფა-შემწეობა; ეს ულუფა სხვა და სხვა რაოდენობისაა, იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ საფეხურზე სდგას სამსახურის იერარქიაში, დიდს – დიდი ულუფა, პატარას – პატარა. მაგალითად, კათოლიკოზს ოთხი ფუთი პურის ფქვილი, დღესაც ეძლევა საკათ. საბჭოს საშვალებათაგან, ყოველთვიურად უყიდის ხოლმე სამეურნეო „დირექტორი“ და მიართმევს; „მანგლელს“ ორი ფუთი, წევრებს თითო ფუთი, სამწერლო მოხელეებს – $^1/_2$ ფუთი და ასე. ცოტაოდენი ხორბალი ახლო-მახლო სამრევლო მღვდლებიდან შემოვიდა და დაირიგეს კიდეც, სხვებმა აღარ გამოგზავნეს, ამათ კი ქალაქიდან ბიჯი ვერ გასდგეს, არავითარი კავშირი და გავლენა სამღვდელოებაზე არა აქვთ, ამიტომ არც არავინ უგზავნის მათ პურის ბეგარას, მადა კი აქვთ გაღვიძებული ამ ჩვენს მესვეურებს. ამიტომ არც აციეს, არც აცხელეს და გადასწყვიტეს – „ფულად“ დაიკმაყოფილონ თავიანთი „ულუფანი“ – საკათ. საბჭოს საშვალებათაგან, ესე იგი... სანთლის ოპერაციისაგან. არ ვიცი, რამდენ-რამდენი გაიწერეს თავისთავზე საკათ. საბჭოს წევრებმა, მაგრამ დანამდვილებით გავიგე, რომ ფულები უკვე გაუნაწილებიათ საკათ. საბჭოს წევრებთა და კანცელიარიის მოსამსახურეთა შორის, დაუტოვებიათ სიონის ტაძრის კრებულნის წევრნი, რომელნიც არ მსახურებენ საკათ. საბჭოში, მაგ. მოხუცი დეკანოზი გ. ასათიანი, კანდელაკი დეკ. მიხ. ფხალაძე, რომელიც შიმშილით იგუდება, ოთხი შვილი თავშესაფარებში ჰყავს ჩამორიგებული და არავითარი თანამდებობა არ მისცეს საბჭოში, გარდა კურსებზე მასწავლებლობისა, საიდანაც იღებს თვეში 400.000 მანეთს! დაუტოვებიათ უყურადღებოდ საეპარქიო კანცელიარი – დ. დავითაშვილიც კი! გაუგია ეს ამბავი დეკ. ასათიანს, მივარდნია საბჭოში დეკ. ტყემალაძეს, რომელიც არიგებდა ამ ფულებს და აუტეხია მისთვის ერთი აურზაური! ტყემალაძეს უთქვამს, თქვენ არ გერგებაო! ეს „მიტროსანი“ გვამის სინიდისია! თვითონ წინამძღვარია სიონის ტაძრისა, იღებს ჯამაგირს, წევრია საკათ. საბჭოსი, იღებს ჯამაგირს, მასწავლებელი და „სამეურნეო ნაწილის დირექტორია“ სამოძღვრო კურსებისა – იღებს მასწავლებლობისას ცალკე და „დირექტორობისას“ ცალკე! თანაშემწეა „სამეურნეო დირექტორისა“, იღებს ჯამაგირს! ამას გარდა აწარმოებს სანთლის ვაჭრობას სიონის ტაძარში და ცალკე დუქანში განსაკუთრებული პრივილეგიით, როდესაც ჩვენ გირვანქა სანთელი გვეძლება 200.000 მანეთად, მას იგივე სანთელი ეძლევა 160.000 მანეთად და ამ სანთელს ჰყიდის თვისს სასარგებლოდ! ამას წინეთ უთქვამს – 40 მილიონი ვასარგებლე საკათ. საბჭოს სიონიდან ამ მოკლე ხანშიო! ცხადია, რომ თვითონ ისარგებლებდა 80 მილიონით! ეს „ტიპი“ ისევ წამოგვაჯდა თავზე და მშიერ მოხუც დეკანოზს – თანამწირველს – ეუბნება, „არ გერგება შენაო“! ხოლო კანდელაკი მიხ. ფხალაძე სურს აიძულოს შიმშილით აიკრიფოს სიონიდან. თუგინდ ეპისკოპოსადაც წავიდეს თელავში თუ გორში! ასეთი უბედურობა-უკონტროლობაა დღეს ჩვენს საბჭოში! ასეთი უბადრუკია ჩვენი აწ „სახელგანთქმული – დევნილი – კათოლიკოზი ამბროსი“!

ასათიანი წასულა და შეუჩივლია ყოველივე ეს დ. დავითაშვილისათვის, რომ გაუგია ამას, რომ ისიც გარიყულია ამ „ულუფიდან“, გამწარებულა, დაუწერია

ცხარე მოხსენება კათოლიკოსისადმი და მიურთმევია: „დეკ. დიმიტრი ლაზრიშვილის („დირექტორის“) მეძროხეობის თანამდებობა მაინც მიბოძეთო“!.. საქმე იმაშია, რომ საკათ. საბჭოს დარაჯი, რომელსაცა რგებია ეს „ულუფა“, უვლის დეკ. ლაზრიშვილის ძროხებსაც, რომელნიც მოთავსებული ჰყავს ამ „დირექტორს“ საკათ. საბჭოს შენობის ქვემო სართულში, დიდებულ არქივის გვერდით! ეს შენობა ბოსლებად გადააქციეს ამ უპასუხისმგებლო პირებმა! ამიტომ დავითაშვილს ასეთი ხასიათი მიუცია საქმისათვის – „ლაზრიშვილის მეძროხეობაზე“ მზად არის გასცვალოს მან თვისი მდივნობა! მართლაც, ის მეძროხე-მსახური იღებს დავითაშვილზე მეტს თუ არა, არა ნაკლებ გასამრჯელოს!..

კათოლიკოზმა დაუხია დავითაშვილს ეს მოხსენებაო და არის ერთი მიხლა-მოხლა მათ შორის „ულუფის“ გამო!

საკვირველია, პურის ულუფის შემოღება მე მოვითხოვე შარშან, როდესაც წარვადგინე სამოძღვრო კურსების გახსნის პროექტი – ყოველ დღიური ულუფა და ბინა უნდა მიგვეცა კურსების მოწაფეთა და მათ ხელმძღვანელთათვის; ესენი კი ვერც პურს აგროვებენ ეპარქიებიდან, ხოლო ფულს ერთმანეთზე ინაწილებენ, არც კურსების მოწაფეები ახსოვთ და არც მათი მასწავლებლები! თუმცა კურსების მასწავლებელთაგან საბჭოში არიან: „მანგლელი“ ქრისტეფორე, დეკანოზები – ტყემალაძე, ცინცაძე, შუბლაძე, ვრჩებით, მაშასადამე, „უულუფოდ“ – მშიერი დეკ. კანდელაკი – ფხალაძე, დეკ. გ. გამრეკელი და მე! ჩვენ ორ-ორი გაკვეთილი გვაქვს კვირაში და ჯამაგირი მოგვდის თვეში 400.000 მანათი თითოს. კერძო გაკვეთილი საათში ეხლა ფასობს 100-150.000 მანეთი! აი, ამათი სამართალი! ასეთი ხალხი – ხელმძღვანელნი ჩვენნი – „გენუის კონფერენციაზე“ მიისწრაფიან... „მოწოდებით“! Sat! ბრმები რო ბრმებს წარუძღვებიან... რა მოუვათ?!.

გაზეთ „ტრიბუნიდან“, 1922 წ. 22 ივნისი, №226

ჩვენ თავის ადგილზე აღვნიშნეთ, რომ კომუნისტმა თოდრიამ გაზეთ „კომუნისტის“ 23 მაისის ნომერში გაამასხარა ჩემი ზ. ჭიჭინაძის იუბილეზე გამოსვლა: „გამოხტა რიჟა მღვდელი თალაქვაძე, კათოლიკოზისაგან დაქირავებულიო“ და სხვა. იწუნებდა იუბილეს მოწყობის საქმეს და უსაყვედურებდა ამას „საქართველოს მწერალთა კავშირს“, რომელმაც ითავა ეს „იუბილე“. გაზეთ „ტრიბუნის“ აღნიშნულ ნომერში „საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი“ ათავსებს „რედაქციისადმი წერილს“ და პასუხს აძლევს კომუნისტ თოდრიას ინსინუაციებზე და სხვათა შორის იმ საყვედურზე, რომ სამღვდელოებასაც მიეცა საშუალება „იუბილეში“ მონაწილეობის მიღებისა! ეს ყოვლად დაუშვებელ მოვლენად მიაჩნიათ კომუნისტებს! რუსეთში როგორ შეიძლება სამღვდელოება დაუშვან რაიმე ზეიმზე, რაიმე საერთო დღესასწაულზე. ამაზე „პრეზიდიუმი“ წერილის ბოლოში უპასუხებს კომუნისტებს შემდეგს: „რაც შეეხება სრულიად საქართველოს საკათ. საბჭოს წარმომადგენელს, აქაც ჩვენ ისეთივე ობიექტურობა გამოვიჩინეთ, როგორიც შეჰფერის მწერლების

ორგანიზაციას. ჩვენ ყველა ქართულ კულტურულ დაწესებულებას ვაძლევ-დით საშუალებას ზაქ. ჭიჭინაძის ღვაწლი და დამსახურება რითიმე აღენიშნა. ალბად ისიც მოეხსენება მოქ. თ-იას, რომ ქართული სამღვდელოება საუკუ-ნოების განმავლობაში ქართული კულტურის მებაირახტრე იყო და მისი დიდი მოამაგე. უმადურობა და უვიცობა იქნებოდა ქართველ მწერლების მხრით, რომ ჩვენ ამ წოდების წარმომადგენელისათვის ხელი გვეკრა ამ დღეს, ქართული წიგნის დღესასწაულზე. ჩვენი ურყევი დევიზია ქართული კულტურის სამსა-ხური და ამ გზით მომავალში ყველა ჩვენი თანამგზავრი იქნება, განურჩევლად წოდებისა და რწმენისა", – შენიშნავს „საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი"! მაშ, ასე!..

მიტინგი ნაძალადევის თეატრში – 22 ივნისს, ხუთშაბათს

დღეს ნაძალადევის თეატრში [მენშევიკების აშენებულია, ჟორდანიასაგან „სოციალისტურად" ნაკურთხი!] ბუდუ მდივანს გაუმართავს მიტინგი, მოხსე-ნება გაუკეთებია „მომენტზე" და გენუის კონფერენციაზე. დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. 12 კაცი ჩაწერილა „შეკითხვების" მისაცემად (ესენი მენშევიკე-ბისგან); ორი საათი ულაპარაკნია ბუდუს სხვა და სხვა საგნებზე. ხალხი კი ადგილებიდან „შეკითხვებს" აძლევდა, დასცინოდა, ამასხარავებდა. ბუდუს დაუკვეხნია, „როგორც კი გაიხსნა გენუის კონფერენცია, ჩვენ (ბოლშევიკებ-მა) მაშინვე მოვითხოვეთ სახელმწიფოების განიარაღება", ამაზე ადგილიდან შენიშნეს, „თუ ასეთი მშვიდობიანი და კულტურული ხალხი ხართ – ბოლშევი-კები, აწი ეს თვისებები აქ, ჩვენში, გამოგეჩინათ"? ჩვენ მუდამ იმას ჩაგჩიჩი-ნებთ – „რუსის ჯარი გაიყვანეთ საქართველოდან" და თქვენ რას სჩადიხართ?! ქვეყანას მაჯლაჯუნასავით თავს დააწექით, გასჭყლიტეთ საქართველო ამოდენა ჯარით და იქ, ევროპაში, მშვიდობიანობის მოციქულობას თქვენ ვინ დაგიჯერებთ?! ვის ატყუილებთ თქვენ, ახალი დროის ფარისევლებო, ასეთი თვალთ-მაქცობით"?.. ხალხში ხარხარი ასტყდა... შემდეგ მეორე ეკითხება: „ვინ გაგზავნათ თქვენ, ამხანაგო ბუდუ, გენუის კონფერენციაზე?! როდის დაგავალათ თქვენ, ქართველმა ერმა, ან მისმა „მშრომელთა ნაწილმა" იქ დასწრება?! ან რა გააკეთე თქვენ იქ საქართველოსათვის, რა ილაპარაკე, რა სთქვი, ეს მაინც მოგვახსენე"?!. ამაზე ბუდუმ მიუგო: „მე რა უნდა მეთქვა, ან რა უნდა მელაპარაკნა: „ფრანგული ლაპარაკი არ ვიცი და გერმანულ-იტალი-ური"?! მაშ, რაღას იწუხებდით თავს?! ნუ თუ ერთნაირ „ავეჯათ" უნდოდით რუს ბოლშევიკებს საქართველოდან?! არც კი გესმოდათ – რას ლაპარაკობდენ კონფერენციაზე და შენ რა უნდა მოგვახსენო აქ, რატომ არა გრცხვენიაო"!.. ამაზე მეტად გაბრაზებულა ბუდუ, სულ მუშტებით ემუქრებოდა და უკანას-კნელ სიტყვებით უმასპინძლდებოდა მოწინააღმდეგეებს! დაბოლოს ის უპა-სუხა ხალხს, რომ „თქვენ ხომ მუშები არა ხართ, თქვენ სულ ვაჭრები ხართ, მე აი, ამ ჩემს ამხანაგ-კომუნისტებს ვებაასებიო", – მიუშვირა ხელი ერთ მუჭა

„ამხანაგებს“, რომელნიც მის გარშემო სცენაზე შეგროვილიყვნენ! „ამისათვის თეატრის დარბაზი რად გჭიროდათ, შეიკრიბებოდით ერთ პატარა ოთახში, რომ ეს „ამოდენა ვაჭრები და ბურჟუები“ არ დაგსწრებოდითო“! – ხალხში გაისმის ხარ-ხარი... შემდეგ ისევ დაუწყია ბუდუს ლაპარაკი რუსეთის აღმშენებლობითი მუშაობაზე, რომ ის მსოფლიო რევოლიუციის მებაირაღტრეთ გამოვიდაო“!.. – „რომელ რუსეთზე ლაპარაკობთ – შეეკითხენ ადგილიდან, – იმ რუსეთზე ხო არა, სადაც დღეს დედა შვილსა სჭამსო“, ხალხში შეიქნა ჩოჩქოლი, ბუდუს კი ქაფი გასდიოდა პირიდან სიბრაზისაგან, – „ეს ტყუილია, ეს გაზეთების მოჭორილიაო“, – გაიძახოდა გაშმაგებული ბუდუ! „ამხანაგო, გაზეთებიც ხომ თქვენია, დავიჯეროთ, თქვენ ყველგან და ყველაფერში სტყუით“?! – მიუგეს ისევ ადგილიდან. 12 კაციდან ორს მისცეს მხოლოდ ლაპარაკის ნება მოწინააღმდეგე მხრიდან, მაგრამ არც მათ დააცალეს და დიდი აურ-ზაურით დაიშალა მიტინგი. ეტყობა დიდი არევ-დარევა ბოლშევიკურ წრეებში. არ ვიცით, რა ამბავია, საზოგადოება ნერვიულად არის განწყობილი.

გამოცხადდა გაზეთებში, რომ სულ მოკლე დროში ამიერ კავკასიის ფედერაციათა საერთო ფულის ნიშანი უნდა გამოუშვანო, „საქართველოს მთავრობა“ (!?) ქუთაისში უნდა გადავიდეს თავისი „დაწესებულებებით“, თბილისი კი „ფედერაციის სატახტო ქალაქად“ უნდა აღიარებულ იქნასო! ეს ყოფილა დადგენილი „კავ-ბიუროში“, მაგრამ ჯერ ვერ აცხადებენ. ერთი სიტყვით, ქართველი კომუნისტები ყოველ დღე ჰკარგავენ საქართველოში ნიადაგს, ისინი ხედავენ, რომ სრულებით არავინ არავითარ ანგარიშს არ უწევს მათ, ტიკინებად არიან უკვე ქცეული რუს-ურია-სომეხ-ოსებისაგან...

ამბობენ „ნარკომპროსში“ (სახ. განათლ. კომისარიატი) ორი მეტად დამახასიათებელი დეპეშაა მოსული მოსკოვიდან: მოსკოვის „ნარკომპროსი“ უბრძანებს „გრუზინსკი ნარკომპროსს“: „ვინაიდან მოსკოვის ნარკომპროსს არავითარი საშვალება არ გააჩნია, ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რათა თქვენი საშვალებით მოუპოოთ სახარჯო-სამგზავრო ფული (გარდმოგზავნეთ მოსკოვში), ხოლო მაქ ადგილობრივ სააგარაკოდ მოუწყოთ ბინა, სასმელ-საჭმელი და ყოველივე საჭიროების დაკმაყოფილება თქვენივე ხარჯით, ბორჯომ-აბასთუმანში რუსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების დაღლილ-დაქანცულ-დასნეულებულ პროფესორებს და სტუდენტებსაცო“! ამ ტელეგრამის წინაშე განცვიფრებული სდგას ჩვენი „ნარკომპროსი“! ეხლა, მგონი, ერკვევიან ღრმა ბურუსიდან და ატყობენ, თუ რაშია საქმე, „ნარკომპროსის კომისარი“ – კანდელაკი მოსკოვში ბრძანდება – „ესერების“ პროცესსზე – მოწმეთ (თურმე კანდელაკი წინეთ „ესერი“ ბრძანებულა!), ეხლა მის მაგივრად ნარკომპროსს სათავეში უდგია მარო ორახელაშვილისა (დაბადებით თავადი მიქელაძის ქალი!), ბევრი ყოყმანის შემდეგ მიუციათ პასუხი: „ჩვენც მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით ნივთიერად, ჩვენი პროფესორები და ინვალიდები ვერ დაგვიკმაყოფილებია, სად შეგვიძლია რუსეთის უნივერსიტეტების მოვლა-პატრონობაო“!

ეს პასუხი არც კი იქნებოდა მისული, რომ მეორე ბრძანება მოსულა იმავ მოსკოვის „ნარკომპროსიდან“, ვინმე პოკროვსკის ხელ-მოწერილი: „დაუყოვ-

ნებლივ მოემზადეთ მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტების მისაღებად, ამ დღეებში გამოდიან მოსკოვიდან ტფილისს, თეატრიც მზად დახვდესთ, ბინებიც, საჭმელ-სასმელი და აგარაკებიცო“! – ამაზეც ისეთივე პასუხი მიუციათ აქედან, როგორიც პირველ დეპეშაზე. ვნახოთ, რა იქნება.

არის კიდევ იმავ „ნარკომპროსისგან“ შემდეგი ხასიათის განკარგულება, რომელიც ჯერ დიდ საიდუმლოებად არის დაცული და რომელზედაც ჯერ პასუხი ვერ მიუციათ. მოსკოვი ბრძანებს: ყველა ისეთი ნაშთები თუ ძეგლები ან დაწესებულებანი, რომელთაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვსთ, უსათუოდ უნდა დაექვემდებაროს მოსკოვის არქეოლოგიურ ცენტრალურ დაწესებულებას, მაგრამ ყოველივე ხარჯები მათ შესანახად ადგილობრივ უნდა გამოინახებოდესო. აქ ჩამოთვლილია სულ ყველა ჩვენი... ტაძარ-მონასტრები (!) – გელათისა, სიონისა, თვით ჩემი ანჩისხატიცა, ალავერდისა, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი – თვისი მუზეუმით, ყოფილი კავკასიის მუზეუმი, ჩვენი ეტნოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი, მასთან სამღვდელოების მუზეუმი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი გვაბადია და რისთვისაც კი თავი მოგვიყრია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში!.. შეგიძლიათ, მეორე ხარისხოვანი დაწესებულებისა და ნაშთების ადგილობრივი გამგეობა-წარმოებაო!.. რომელიღაა ეს „მეორე ხარისხოვანი“, აღარ ვიცით! რაღა დაგვრჩა კიდევ?!. ასეთ ჩიხში ვართ დღეს მომწყვდეული ქართველობა!

საშინელი ვერაგული პოლიტიკაა დღეს თვით ჩვენს „მეგობარ“ ანტანტაში! როგორც ირკვევა, მთელი ეს ჩვენი უბედურება, რაც 1921 წლის 25 თებერვლიდან დაგვატყდა, „ვერაგ ალბიონის“ (ინგლისის) პოლიტიკით მოგვსვლია! ამბობენ, რომ ბოლშევიკები საქართველოს შემოესიენ ინგლისის „ლოცვა-კურთხევითო“. მათში შეთანხმება სწარმოებს დღესაც ბაქოს ნავთის შესახებ, ეს ნავთი ინგლისმა უნდა გაიხადოს მონოპოლიად, ხოლო პოლიტიკურად ამიერ კავკასია საქართველოთი, ინგლისის ნება-რთვით, რუსეთის საზღვრებში უნდა მოჰყვესო! ბაქოს ნავთის მილი საქართველოს ტერიტორიაზე გადის, ბათუმ-ფოთში ჩადის? – ბაქო უსაქართველო-ბათუმად როგორ უნდა გამოიხრას – გზა ჩვენს „გულზე“ გადის, მაშინ ინგლისის მადის დასაკმაყოფილებლად ეს ჩვენი ქვეყანა უნდა გადაითელოს!.. მაგრამ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ამერიკა-საფრანგეთი და იქნებ ღმერთმა გვიბრალოს და გადავრჩეთ ამ ვერაგ სვავების კლანჭებს. ხმა მოდის ევროპიდან... ინგლისი ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანეთო(!?!)! რაღაც ნაკლები იმედია!..

23 ივნისი – პარასკევი

დღეს ვერის ნიკოლოსზე გამდლიშვილის გარდაცვალებულ ვაჟის „დათოს“ წლის პანაშვიდზე იყვნენ ჩვენები... ჩაიზე მეც მივასწარი. დეკ. თოთიბაძეც იყო ჩაიზე. ერთმა დამსწრე ქალმა საჯაროდ განაცხადა: ახალ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს ვაჟი შესძენია, „ძეობაც“ გადაუხდიაო! მიკვირს, რად მალავენ, თუ

შვილიერება სურთ, რაღას მალავენო! თოთიბაძემ შეიჭმუხნა წარბები და მალე გაიპარა... დიდი სკანდალია!.. დიდი უთანხმოებაც ჩამოვარდნილა თურმე თოთიბაძესა და ქრისტეფორეს შუა: ქრისტეფორე აღარ ემორჩილებოდა თურმე თვისს წინამძღვარს დეკ. თოთიბაძეს, ეს რო დაინახა თოთიბაძემ, ის იყო სრულიად მოულოდნელად გამოაცალა კათოლიკოზის ხელით ხალიჩა „მანგლელს“ და ის „ურბნისში“ გადაისროლეს! ამას არ დაემორჩილა „მანგლელი“, აღარც სწირა კათოლიკოზთან, არც საკათ. საბჭოში დადიოდა, მაშინ თოთიბაძეს ისევ მოუქნევია კუდი, შტატიდან უკვე გააგდო, გარსიაშვილი ჩააყენებია მის ადგილზე, ეხლა კი ქრისტეფორეს ეუბნება: „კაცო, ჩვენ მუდამ მოგცემთ შენ აქედან შემოსავალს, „მეორე მგალობლის“ ვაკანსია თავისუფალი გვაქს, რაც შემოსავალი შემოვა მის ნაწილად, ის შენი იყვესო“! ეს უბედურიც დათანხმებულა, ეს „სტოროჟის“ ვაკანსიაზე ჩამოყვანაა ეპისკოპოსისა! აი, სად გამოსდო სარმა თოთიბაძემ თვისს „ვირგლას“! მაგრამ ქრისტეფორე, ოღონდ კი ქალაქიდან აუკრიფონ მას ბინა, და მზად არიან ნაცვლად „ურბნისისა“ – ალავერდ-თელა-ველად გაჰხადონ! თუმცა კათოლიკოსი იმითაც „ამშვიდებს“ ქრისტეფორეს, რომ შეგიძლია ქალაქში იცხოვრო და აქედან ჰმართო ურბნისის ეპარქიაო“! აი, სანამდე მივყევართ ამ ბრმა „წინამძღვრებას“?! აი, რას სჩადის „გენუის მოწოდების“ ავტორი“!.. ანკი სად წაიყვანოს ქრისტეფორემ ახალი ცოლ-შვილი, არას ვამბობ ძველ- შვილებზე, რომელნიც დაბინავებული ჰყავს საპიორნი ქუჩაზე „ყოფილ სამხედრო ტაძრის“ სახლებში!.. ვაი, ჩვენს მოსწრებას!.. ეს არის შავრაზმელების თარეში! ამისი მეშინოდა, ამის წინააღმდეგ ვიბრძოდი და მწარედ დავმარცხდი... დავრჩი გარიყული! ეპარქიის სამღვდელოებას ვინ მოუყრის თავს?! თბილისის სამღვდელოების მოძრავი ნაწილი ასეთ შავრაზმულ-მოღალატურ გზაზე დასდგა, სხვა ნაწილი სამღვდელოებისა არის უვიცი, მოხუცნი, უნების-ყოფო, მშიშარნი. ახლა ყოველ დღიურად კათოლიკოზთან ჯერ-ჯერობით უნდა ვიდარაჯოთ ქალაქის დეკანოზებმა, „კათოლიკოზს არ მოსწყინდეს, ის სულ მარტოდ-მარტოდ არის, გართობა უნდა, მომსვლელ-წამსვლელთ მიღება-გასტუმრება უნდა და ეს ქალაქის დეკანოზებმა ჯერ-ჯერობით უნდა იკისროთო“! – ესე იგი კათოლიკოზის „კელეინიკობა“ ანუ ლაქიობა! ეს ღა გვაკლდა! მას ჰყავს კათედრის დეკანოზები (ეხლა 3-ია!), კანცელიარიის მდივანი თვისი თანაშემწით, საკათ. საბჭოს წევრები და მეგობარი დეკანოზები! მე უარი განვაცხადე ასეთ „მოვალეობაზე“, ერთი მღვდელი ვარ სამრევლოში, ამ ნახევარ წელიწადში ოთხჯერ-ხუთჯერ უსამართლოდ დამცირებული კათოლიკოზისაგან და ეხლა რა ხალისით და რა პირით უნდა მოუჯდე მას გვერდით და გავართო?! ეს რა სინიდისია?! ეს რა ღვთის წყრომაა?!. საჯენ, უფალო!..

25 ივნისი – კვირა

ჩვენი კათოლიკოსი, თუ სადმე სანადიმო წირვაზე არ არის მიწვეული, ისე ზის სახლში, იშვიათად რომ ან საღამო ლოცვაზე ან წირვაზე გამოვიდეს სასახლიდან.

რამოდენიმეჯერ ანჩის ხატში შემოვიდა საღამოს ლოცვაზე, სიონში ეზარება წასვლა, „დეკ. ტყემალაძე ეჯავრებაო“, – მეუბნებიან! შეიძლება, ეჯავრებოდეს და ეზიზღებოდესთ მათ ერთ-მანეთი, ვინაიდან სინოდ. კანტორის წევრობის დროს ერთი მეორეს უსწრობდა უსაქციელობაში და ექსარხოსებთან ქვემძრომობაში. სიონში თუ არ უყვარს ლოცვა, ანჩისხატში მობრძანდეს, თუ აქ გვერიდება, თვისს კარის ეკლესიაში ილოცოს. მშვენიერი კარის ეკლესია დასტოვეს ექსარხოსებმა თავიანთ სასახლეში მორთულ-მოკაზმული, ყოველივე სამკაულებით სავსე. ეს სამკაულები კირიონ-ლეონიდ კათოლიკოზების დროს დაიტაცეს, მაგრამ ეხლაც საკმარისად არის შიგ ყველაფერი. ამ დალოცვილმა შემოიღოს იქ ყოველ-დღიური წირვა-ლოცვა, ამაში ჩაგვაბას ჯერ-ჯერობით, თვითონაც მოგვიდგეს გვერდით, ილოცოს და გვალოცოს! „არა, მოწყენილია კათოლიკოზი, მას გართობა უნდა და მოდით დეკანოზები, გაართეთო! ეს რა უბედურებაა! მაგ დალოცვილმა ლოცვანი გახსნას, ილოცოს ქვეყნისათვის, როგორც მამათ-მთავარმა! „გენუის კონფერენციის „მოწოდება“, ეს გარედან მონაბერი შუშხუნაა, რომელიც არც სულს წაადგება და არც ხორცს, ის მალე ჩაჰქრება, თუ შინაური თვისი მოქმედებით, სიწმინდით და ქვეყნისადმი გულწრფელ სიყვარულის ზეთით არ იქმნა ხშირად და ხშირად გაცხოველებული! თავის ადგილზე ჩვენ გვქონდა აღნიშნული, რომ კათოლიკოზმა აკურთხა ახალგაზრდა ყმაწვილი ბერად, ეფრემად წოდებული, ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი! აი, ეს ახალგაზრდა ბერი რო თვის გვერდით იყოლიოს, თავისთან აცხოვროს, უწირავს კიდეც და ულოცავს თვის კარის ეკლესიაში და გაართობენ კიდეც ერთმანეთს ბერები! მაგრამ არა, ეს ახალგაზრდა ბერიც დეკ. თოთიბაძეს მიაბა კუდში, მას „ყოფილ სამხედრო ტაძარში“ აწირვინებს დეკ. ანტონი – რუსულად, რუსულ-ქართულად, შიგა და შიგ გროშებს გადაუგდებს ხოლმე, თვეში 600.000 მანეთს აძლევს თურმე „ჯამაგირს“, როდესაც ამ ფულს ის საცოდავი ბერი ზოგჯერ ერთ ნათლობაში ან ჯვრის წერაში აიღებს და უნდა მიართვას მამა ანტონს! ასეთი „სპეკულიაციაც“ მოაწყო დეკ. თოთიბაძემ კათოლიკოზის საშვალებით და ლოცვა-კურთხევით!

ბევრმა უკვე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კათოლიკოზი მეტად გულ-გრილია სარწმუნოებაზე, მას არ უყვარს ლოცვა და ხშირად შაბათ-კვირებზე ზის თავის სასახლეში. სიამოვნებს იმით, რომ დღეს მასზე ყველანი ლაპარაკობენ, როგორც თავდადებულ მამულიშვილზე, რომელმაც ასეთი „ნაბიჯი“ გაჰბედაო!.. აი, ეს ხმები და ათას გვარი ლეგენდები, რომელიც თავს-დასტრიალებს ჩვენს კათოლიკოზს საზოგადოებაში გენუის „მოწოდებისა“ გამო, შეიქმნენ იმისი მიზეზი, რომ ბევრნი გარეშენი მოდიან ჩემთან, „როგორც მისს ახლო თანამშრომელთან და მეგობართან“ (მეც ასეთი „სახელი მოვიხვეჭე“ ამ კათოლიკოზთან „კომუნისტის“ მიერ დაკავშირებისა გამო! – დაგელოცა, ღმერთო, სამართალი! ნეტავი ვიყო მართლაც მისი ან „თანამშრომელი“ ან „მეგობარი“! საამისოდ ვინ მკადრულობს, მე მხოლოდ მაჩანჩალად უნდივართ! ეხლა ნანობენ კიდეც, რაზედ გავგზავნეთ თალაქვაძე ჭიჭინაძის იუბილეზე, რაზე მივაწოდეთ ის ეგზომ საზოგადოებასაო“!..) და მეკითხებიან: „რაშია, მამაო, საქმე?! თქვენ ნამდვილი ამბავი გეცოდინებათ კათოლიკოსზე, მისს

„მემორანდუმზე“, ამის გამო მისს დაპატიმრებაზე, პასუხებზე და ქცევაზე ბოლშევიკების მიერ ჩვენების ჩამორთმევის დროსაო“?!

ასეთ კითხვებით მომმართა სხვათა შორის ვანქის ტაძრის სომხის ტერ-ტერამ – ხორენ ხუციანმა (ხუციშვილი?!) დღეს, 25 ივნისს, საღამოს პირზედ. ის საგანგებოდ მესტუმრა ოჯახში და გამომკითხა დაწვრილებით ყოველივე კათოლიკოსზე და ჩვენს აწინდელ ყოფა-ცხოვრებაზე. მეც კათოლიკოსზე მოვახსენე ყოველივე გარკვევით და ლამაზად, რაც შეიძლებოდა, იდეიური მიმართულება მივეცი ლაპარაკს, მეტად კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე მამა ხუციანზე, გვიქო მან კათოლიკოზი! მეც შემაქო, ჩინებულად გამოსულხარ ჭიჭინაძის იუბილეზე, როგორ მოახერხე მღვდელმა კომუნისტების ბატონობის ხანაში საზოგადოების წინ წარდგომა და ასეთი თამამი სიტყვა წარმოსთქვიო! მეც უპასუხე, იმდენი არა ყოფილა რა, მამაო, რამდენსაც მაქებთქო!.. შემდეგ ვიბაასეთ ჩვენს – შინაურ სარწმუნოებრივ მართვა-გამგეობაზე სომხებში თუ ქართველებში, როგორ არის დაყენებული ეპარქიალური ცხოვრების მიმდინარეობა სომხებში თუ ქართველებში. სხვათა შორის მამა ხუციანმა მიამბო, რომ ჩვენ, სომხის სამღვდელოება ტფილისში, ყოველ ორშაბათობით ვიკრიბებით ერთად, ვმსჯელობთ, ვაწესრიგებთ ცხოვრებას, ვარკვევთ ურთიერთობას ჩვენი ეპისკოპოსის ხელ-მძღვანელობითო! მე კი მწარედ გულზე მიკბინა ამ სიტყვების გაგონებაზე! ჩვენს კათოლიკოზს და მის კამარილიას ძალიან ეჯავრება ჩვენი სამღვდელოების კრებები და თვე-ნახევარიც იქნება კიდეც, რომ აღარავინ გვეძახის კრებაზე, ყოველ ახალი თვის ხან ორშაბათს, ხან ოთხშაბათობით ვიკრიბებოდით ხოლმე და ვმსჯელობდით, ერთმანეთს უახლოვდებოდით, ერთმანეთთან გამოკამათების დროს იწმინდებოდა და სუფთავდებოდა არსებული ჩვენ შორის შუღლი თუ ქიშპობა! ეხლა კი მოგვისპეს კრებაზე მისვლა! და... ესეც ბოლშევიკებს გადააბრალეს, მთავრობამ აღგვიკრძალა კრებები, თუ წინდა წინ ნებას არ ავიღებთ მისგანო (კომუნისტებიდგან!)! ეს მეტად გაზვიადებული და მოჭორილია იმ მიზნით, რომ საშვალება არ მოგვეცეს გამოვეხმაუროთ კათოლიკოზს თუ საკათ. საბჭოს იმ ათასგვარ ბოროტ-მოქმედებაზე და თვით ნებობაზე, რომელიც ეხლა სწარმოებს მათ მიერ „მანგლელ ქრისტეფორეს“ გარშემო, თუ ფულების ფლანგვა-ხარჯვაზე! ჩვენი მთავარ-ხუცესი შებოჭეს, ისიც ჩაჰყვა მათ ამ უკანონობაში და ვართ ასე დამუნჯებულნი, რაც უნდათ, გვიბრძანებენ, მოგვწერენ და ჩვენც, ხმის შეუბრუნებლად, უნდა დავემორჩილოთ! ნეტავი სასიკეთო რაიმე გვიბრძანონ და ვინ წყეული იქნება, რომ არ დავემორჩილოთ! აი, სომხები! რა ძმობა-ერთობა გაუჩაღებიათ, სამღვდელოება ქალაქისა თუ სოფლებისა ორგანიზაციულად ჰყოლიათ დარაზმული, საზოგადო, საეპარქიო საჭიროებათათვის თვითეული მრევლის ტაძარი ათი პროცენტით ყოფილა დაბეგრილი (საერთო შემოსავლიდან)! ყველანი იხდიან თურმე ამ გადასახადს, სანთელსაც საეპარქიო საწყობიდან ჰყიდულობენ ყველანი, დუქნებში ნაყიდ სანთელს როგორ მოვატანინებთ ან ქორწილზე, ან ნათლობაში ან მიცვალებულზეო! – მითხრა მამა ხუციანმა! ხალხიც ყურს გვიგდებს, ჩვენს განკარგულებას ემორჩილებაო! ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა! ქალაქიდან

კათოლიკოზის განკარგულება სოფლად არ აღწევს, არავინ მას ანგარიშს არ უწევს; მთელი ხარჯი თბილისის ეკლესიებს დაგვაწვა! სომხები გირვანქა სანთელს ჰყიდულობენ თავიანთ საწყობებში – ეკლესიები 80.000 მანეთად, კერძო პირები – 100.000 მანეთად! ჩვენში კი – ეკლესიებზედაც და კერძო პირებზედაც 200.000 მანეთია გირვანქა სანთელი! ამიტომ არის, რომ ჩვენს სანთელს ბევრი არც მღვდელთაგანი ჰყიდულობს და არც ერთაგანი; წირვა-ლოცვაზე ხალხი, თუ ვინმე შემოვიდა ტაძარში, თავიანთ სანთლებით მოდიან, დუქნებში ჰყიდულობენ „სომხის სანთელს“ და ეს მოაქვთ ქორწილზედ, ნათლობაზედ და მიცვალებულზედაც! ხმაც ვერ გაგვიცია ვერავისთვის?! კბილებს ამოგვამტვრევენ! ჩვენ საზღაპრო ძვირად ვყიდით თითქმის იმავე სანთელს, ისინი კი იაფად შოულობენ! – ამას გარდა ჩვენი ტაძრები დაბეგრილია წვრილ-წვრილ შემოსავალზე 20% (გარდა სანთლის ოპერაციისა), თუ მიცვალებული დაიმარხა ეკლესიის ეზოში – 40%, 3% (ვალოვოი) ქორ-ეპისკოპოსისათვის, ეს სიონისათვის, ეს ქვრივ-ობოლთათვის, ეს კათოლიკოზის გუნდისათვის განზანაკი უნდა ჩამოატაროთ ყოველ წირვაზეო (ჩვენი განზანაკი?!) და ვინ იცის, კიდევ რამდენ ნაირ სხვა ერთდროულ გადასახადებით გვიწვრილებენ გულს! – ასეთი ანარქია უსათუოდ გამოიწვევს ჩვენი ტაძრების სრულს გაკოტრებას, თუ არა და სამრევლო საბჭოები აღარ გაიღებენ არც ხარჯს საკათალიკოზო დაწესებულებათათვის და უფრო უარესი სირცხვილი მოგველის. სომხებში, ეტყობათ, უფრო შეთანხმებულად და მიზან-შეწონილად მოქმედებენ, ჩვენს დედა-ქალაქში სხვები მოქალაქობენ, ჩვენ კი ანარქიის კორიანტელში ვართ გახვეული! არ იქნა, ვერ ვისწავლეთ ჭკუა! ჩვენთვის წარსულის „გაკვეთილები“ ფუჭი გამოდგა...

შემდეგ მამა ხუციანმა მკითხა, რა იცით საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის შესახებო, როდის ან რა სახით უნდა ჩამოგვართვანო?! მე ამის შესახებ არა ვიცი რა თქო, უპასუხე! ამაზე მან მომიგო: „ჩვენამდე მოაღწია ხმამ, თითქოს დეკანოზი ცინცაძე დაებარებიოს კომუნისტურ მთავრობას ამ თაობაზე და თქვენც გეცოდინებოდათ ეს ამბავი, მეგონაო, – სთქვა მამა ხუციანმა. მე არა ვიცი რა ამ თაობაზე, შეიძლება ეს მართლაც იყოს, მას ჰკითხეთ თქო და გამომეთხოვა სომხის მღვდელი! ეტყობა საგანგებოდ იყო გამოგზავნილი ამბის გასაგებად. ეს ტერტერა წინეთაც ყოფილა ჩემთან, კაი ქართულს ლაპარაკობს, ქართულის მასწავლებელი იყო წინეთ სომხის სემინარიაში, ეხლა ქართულად სიტყვაც არაერთხელ უთქვამს, როდესაც ის დეპუტაციაში გამოუგზავნიათ ჩვენთან სომხის ეპარქიალურ მთავრობას სხვა და სხვა შეკითხვებზე. ამის ქალებს მე ვასწავლი ქალთა 21 ტეხნიკუმში (3 – ქალთა გიმნაზია)...

28 ივნისი – ოთხშაბათი

დღეს, საღამოთი, მინახულა ოჯახში ქუთაისის საკათედრო ტაძრის კანდელაკმა, დეკ. პლატონ ცქიტიშვილმა. ის ჩამოჰყოლია ქუთათელ ნაზარი მიტ-

როპოლიტს. ეს უკანასკნელი ეპარქიაში დადიოდა „სარევიზიოდ“, ორმოცდა ხუთ სამრევლომდე უკვე ჩამოვიარეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ მეტად დაგვიწყო დევნა, თითქოს ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ ხალხს ვაგულიანებდით და აღგვიკრძალეს ეპარქიაში სიარულიო. ამით განაწყენებული მიტროპოლიტი ჩამობრძანდა ქალაქში და უნდა განასაჩივროს იმერეთის ხელის უფალთა ასეთი თვითნებობაო! თვით ცქიტიშვილიც აღშფოთებული იყო ასეთი „ძალ-მომრეობით“! ეს დეკანოზი ტბილისის სემინარიელია, შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში დაასრულა კურსი იურიდიულ ნაწილზე, მაგრამ მაგას უნივერსიტეტისა არა სცხია რა, მეტად შეზღუდული მსჯელობა აქვს, აქ სტუმრად მყვანდნენ მასთან ერთად მეორე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებლები – მატემატიკოსი უნივერსანტები – მიტროფანე კორძახია და ვლ. გიგინეიშვილი; ჩაება ამათთან მსჯელობაში მამა ცქიტიშვილი და ჩაიფლო საკუთარ უმეცრებაში და ულოღიკობაში, მასწავლებლები მსჯელობდენ სამღვდელოების ჩამორჩენაზე, რეაქციონერობაზე, რომ ჩვენი სამღვდელოება დრო მოჭმულ მიმართულებას და გზას ვერ განშორებია დღემდე, აღნიშნეს მრავალი უსაქციელობა, უმეცრება და სპეკულიატორული მოქმედება მათი მრევლში, მეტად დაშორდა ჩვენი სამღვდელოება თვის იდეალურ მისწრაფებებსო, თუ ის წინეთ კულტურის და განათლების მებაირახტრე ყოფილა, დღეს ცოტა გამონაკლისს გარდა, თვისს უმრავლესობაში, უსათუოდ უარყოფითი მიმართულების მატარებელიაო და ასეთი საყვედურები. ცქიტიშვილმაც მოინდომა თავისი მართლება, არსებითად ვერა უპასუხა რა მათ, მხოლოდ ის უთხრა, რომ „რატომ თქვენ არ წადით მღვდლათო“! ამან სიცილი გამოიწვია მასწავლებლებში! „ჩვენ არ წავედით მღვდლად იმიტომ, რომ არ ვგრძნობთ თავს ამისათვის მოწოდებულად, თქვენ კი წასულხართ, აგიღიათ მძიმე უღელი და სრულებით დაშორებულხართ თქვენს მოწოდებასო, ამას ვლაპარაკობთ პირად თქვენზე კი არა, საზოგადოდო! აბა, ბრძანეთ, რას აკეთებდით თქვენ და თქვენი მიტროპოლიტი იმერეთის ეპარქიაში რო დადიოდით ეხლა და იქიდან ბოლშევიკებს დაუთხოვიხართო?! – ჰკითხეს მამა პლატონს. ეს მოგვიყვა, თუ როგორ მიტროპოლიტი თვითოეულ მრევლში სწირავდა, ხალხს აგროვებდა, ქადაგებდა, შემდეგ მიცვალებულების საფლავებს უკურთხებდა ხალხს სასაფლაოებზეო. „არა, მამაო, ისიც ბრძანეთ, თვითოეულ საფლავის კურთხევაზე რამდენს იღებდა თქვენი მიტროპოლიტი და თქვენც, მისს მხლებლებს, რამდენს გაძლევდენ ან რამდენ მილიონს გამოიტანდით ხოლმე თითო სამრევლოდან, ან ამ წირვა-ლოცვის და „მოღვაწეობის“ შემდეგ როგორ სადილს შეექცეოდით მღვდლის ოჯახში, რამდენი მილიონი ეღირებოდა ის სადილი ან რომელ წყაროდან უნდა აეღო მრევლის მღვდელს ის მილიონები“?! ამაზე გიფიქრიათ, თქვენ მამაო?! ამ გაჭირება-შიმშილობის დროს რა ენადიმება ხალხს?! ვისთვის უფრო სასარგებლო იყო საფლავების კურთხევა – მიტროპოლიტისა თვის ამალით, თუ იმ მიცვალებულთათვის?! თქვენ, განათლებული სამღვდელო პირი, ვერ შედიხართ ასეთ რამეების დრომოჭმულობაში და ხალხისთვის მეტად დამაზარებელ და უდროო ჩვეულებათა განხილვაში და რა უნდა ვსთქვათ უბრალო,

უსწავლელ სამღვდელოებაზე?! როგორ შეგიძლიათ თქვენ გვისაყვედუროთ ინტელიგენციას, როგორ შეიძლება თქვენ გაგყვეს შეგნებული ხალხი?! თქვენ სხვა ვერა გიფიქრიათ დღევანდელ დიდ მომენტში და ისევ, ძველ – გატკეპნილ გზით ჰფიქრობთ სიარულს. ასევე იქცევა თბილისში თქვენი კათოლიკოზიც, მან სულ შემოიარა ნადიმებით თითქმის ყველა ეკლესიები თბილისში, ჯერ ქალაქიდან გასვლა ვერ გაუბედნია, გენუის კონფერენციისადმი „მოწოდება“ ვერ მოუნელებია, მასაც ბოლშევიკები არ ასვენებენ, ეს კარგი, იდეიური გამოსვლა იყო, ამას ჩვენც უერთდებით, ვიზიარებთ, მაგრამ სხვა მათი შინაური მოქმედება სამსახური იმდენად შეუსაბამოა ამ ნაბიჯთან, რომ ჩვენ გვერიდება ჩავყვეთ კათოლიკოზის გზას, ისეთი რამ სასირცხო შეიძლება დაგვხვდეს წინ, რომ შევრცხვეთ და უკან ვართ ჩამომდგარი. ამ მომენტს ნადიმები და საფლავებზე კვერცხების თუ ფულების მოგროვება არ შეშვენის! აკი, ბოლშევიკებსაც დაუთხოვია ეპარქიიდან თქვენი მიტროპოლიტი! რატომ გაიწკეპლეთ თქვენვე თქვენი თავი?! ის არ კმარა, რასაც ბოლშევიკები უშვება ხალხს, რომ თქვენც ზედ არ დასწოლოდით ეხლა?! განა ასე იქცეოდა ძველად ქართველი სამღვდელოება?! განა სამღვდელოება არ უნდა შეეფერებოდეს თვის მიმართულებით და შეგნებით თავის ერის პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ სიმაღლეს?! – თქვენ შეეფერებით მთიულების გონებრივ და ზნეობრივ სიმაღლეს, აგრეთვე უბრალო, უმეცარ გლეხთა მასსას, ინტელიგენციას თქვენ ჩამორჩით! განათლებას და მეცნიერებას თქვენ ჩამორჩით, თქვენი ავლა-დიდებით დღეს ფონს ვერ გახვალთ, მიჰხედეთ დასავლეთ ევროპის სამღვდელოებას კათოლიკებისას თუ ლიუტერანებისას, იქ ხალხის ჭედვა ტაძრებში, იქ იდეიური რელიგიური მოძრაობაა ყველგან – სამღვდელოება თვის ერის განვითარების უმაღლეს საფეხურზე სდგას. თქვენ რა ჰქენით ამ ახალ დროში?! ერთი იყო 1905 წელს შეიშმუშნეთ ძილისაგან, მაგრამ იქვე ჩასხედით ისევ თქვენს ძველ ქერქში, – მეორე 1917 წლის რევოლიუციის დროს ავტოკეფალია გამოაცხადეთ, მაგრამ მას შემდეგ თქვენმა ურთიერთ-შორის ინტრიგებმა, კაცის კვლამ, ერთმანეთის გაბიაბრუებამ და წეწა-გლეჯამ საზღაპრო ხასიათი მიიღო“!..

ბევრი რამ უპასუხა პლატონმა ამ ინტელიგენტებს, მეც ზოგჯერ ვეხმარებოდი მას, მაგრამ დაგვძლიეს, ვინაიდან მეტი სიმართლე მათ მხარეზე იყო!..

შემდეგ იმავ პლატონმა გვიამბო, რომ დღეს კათოლიკოზთან მეორედ მისულიყვნენ ჩეკისტები, უნდოდათ მისი წაყვანა, მაგრამ კათოლიკოზი არ წაჰყვა: „წერილობითი მანდატი მომიტანეთ, რომ მიბარებთ ჩეკაში და გეახლებითო“ – კარგი, მოგართმევთო, – უთქვამთ და წასულან...

30 ივნისი – პარასკევი

დღეს დილით ჩემთან შემოვიდა დეკ. მიხ. ფხალაძე და მიამბო შემდეგი: გუშინ მორიგე ვიყავი კათოლიკოზის სასახლეში; რო შეველ, უკვე გაეთავებიათ საკათ. საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა, მიტროპ. ნაზარის ჩამოსვლის

გამო, მოისმინეს მისი თავ-გადასავალი იმერეთის ეპარქიაში რევიზიის დროს, სხდომის შემდეგ მთელი საბჭო კათოლიკოზის სასახლეში, საკათ. საბჭოს ხარ-ჯით, სადილზედ იყვნენ მიპატიჟებული, ნაზარით და ცქიტიშვილი დეკანოზით, მეც მიმიწვიესო. ბლომად იყო სასმელ-საჭმელი და ღვინოც. გაბუტული ქრის-ტეფორე ეპისკოპოსიც იყო, კეკელიძე ნახუცარი, მას სულ „მამაო დეკანოზს“ ეძახოდენო! თამადათ დეკ. მ. ტყემალაძე იყო, მან ცინცაძე დეკანოზს სხვათა შორის მიმართა სადღეგრძელოში, „საკათ. საბჭო ხო ჯიბეში გყავსო“, ამაზე მე შევეკითხე, რას ნიშნავს ეს თქო, ქრისტეფორე ეპისკოპოსმა მითხრა – გაჩერდი, ფრთხილად იყავი, თორემ შენც ჯიბეში ჩაგისვამსო! მეტად ჰკბენენ ერთმანეთს ეს „კოლლეგიის“ წევრნი, ჩვენი ეკლესიის „მარილნი“ და „ლამპარნიო“! ეს ნამ-დვილ ყაჩაღების ბრბოს წარმოადგენს – სთქვა ფხალაძემ! კათოლიკოზი იცინის, აგდებს თავს იქით-აქეთ, აცანცარებს წვერებს ვაცივით, ის სრულებით არაფერს წარმოადგენს, არავინ მას არ ერიდება, არავის მისი შიში და მოკრძალება არა აქვს! ასეთი აღვირ-ახსნილი ხალხი რა სიკეთეს დააყრის ჩვენს ეკლესიასო! თან ყველანი „ალავერდელად“ მიხსენიებენ, მილოცავენ ამ კათედრას, ვერა გამიგია რა – ხან ქრისტეფორეს აძლევენ, ხან მე! მართალი გითხრა, – არ მსურს ამ ადა-მიანებში არც ეპისკოპოსობა და არც არა რა! შენზე ნაზარმა მითხრა: „მეტად უსამართლოდ ეპყრობიან დეკ. თალაქვაძესო! ყველაფერს დეკ. თოთიბაძეს და ცინცაძეს ხო არ შეაჭმევენო! მეც მყავს ქუთაისში ნათესავი დეკ. გაბრიელ ცა-გარეიშვილი (აკადემიელია, ეხლა სანთლის ქარხანას განაგებს და „სამეურნეო ნაწილს“...), მაგრამ ორი ადგილი არ მივეცი, ერთზე იჯექი, იკმარეო, უთხარი; მე დეკ. თალაქვაძის მეგობარი არა ვარ, მაგრამ ვამბობ, რომ მეტად უსამართ-ლოდ ექცევიან და უნუგეშოდ ჰყავთ დაგდებულიო“. ამაზე მე მიუგე ფხალაძეს: „თუ კარგი მთქმელია, ამას შენ კი ნუ გეუბნება, თვის მეინახეთა შორის იტყოდა თქო! მაგრამ მაგას მუდამ ზურგს უკან უყვარდა ლაქლაქი, ეს ლაქუცა პიროვ-ნებაა, ინოკენტი-პლატონ ექსარხოსების ყოფილი ჯაშუში, მაგის თანაგრძნობა არაფრად მჭირდება თქო“...

კვირას, ორ ივლისს, სამივე მღვდელმთავარი მწირველნი ბრძანდებიან სიონის ტაძარში, ფხალაძემ მაჩვენა თანამწირველთა აღსანიშნავი წიგნი, ხო არ ინებებთ თანამწირველობასო, მე დიდი მადლობა შევსწირე, მაშინ დიაკონი გვათხოვეო, მე თვით მჭირდება თქო და წავიდა. ერთს კვირასაც ინადიმებენ ეს ჩვენი წმიდა მამები...

გერმანია

გერმანიაში დიდი მონარქიული მოძრაობაა, მოუკლავთ გარეშე საქმეთა მინისტრი რატენაუ, რომელმაც გენუის კონფერენციის წინ რაპოლოში სეპა-რატიული ხელშეკრულება დასდო საბჭოთა რუსეთის დელეგატ ჩიჩერინთან. ამბობენ, ამისთვის მოჰკლესო. ხმა გავრცელდა, თითქოს გერმანიაში უკვე აიყ-ვანეს ტახტზე იმპერატორ ვილგელმის შვილის-შვილიო. ვნახოთ, რა იქნება.

კვირა – ივლისის 2

გერმანიის შესახებ კომუნისტური პრესსა გაწიწმატებულ მოწინავე წერილებს ათავსებს რუსულ-ქართულ გაზეთებში. ეტყობა, მონარქიული მოძრაობა ძლიერდება გერმანიაში, ცნობილი სარდალი გინდენბურგი, რომელმაც ევროპის ომიანობის დროს დაამტვრია რუსეთ-საფრანგეთი, ეს სარდალი ხელმძღვანელობს აჯანყებულთა ჯარს და ბერლინზე უკვე მიადგნენო. რუსეთს ზურგი ეწვის ამით, ეს მომასწავებელია იმისი, რომ შესაძლებელია, აქაც მოხდეს მონარქიის აღდგენა. ნამდვილი ამბავი არა ვიცით რა.

ფედერაციის მთავრობა თბილისში

თავის ადგილზე აღნიშნული მქონდა, რომ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია გამოაცხადეს კომუნისტების „კავ-ბიურომ“ (კავკაზსკოე ბიურო, ამაში ქართველებთაგან შედიან: სერგი ორჯონიკიძე, შალვა ელიავა და ბუდუ მდივანი). მოსალოდნელი იყო, რომ ეს ფედერატიული კავშირი სათანადო სახეს მიიღებდა ამ მოკავშირეთა მთავრობის შექმნით. ბევრი მიხლა-მოხლის შემდეგ, რომელიც ჰქონიათ ქართველ კომუნისტებს ამ თაობაზე, მაინც გაუმარჯვია საქართველოს დამარცხების პოლიტიკას – შეიქმნა ფედერატიულ კავშირის მთავრობა, რომელშიც არც ერთი ქართველი არ მოჰყოლია! „თქვენ, ქართველები, შინაურ საქმეებში იქნებით, მოკავშირეთა მთავრობაში სხვა ელემენტები უფრო მიზანშეწონილნი იქნებიანო“! ჯერ არ ვიცით მთელი შემადგენლობა ამ ახალ მთავრობისა თბილისში, ვიცით მხოლოდ ის, რომ აღსდგა „ზაკავკაზსკი კომისარიატი“, რომელიც წინაუძღოდა 1918 წლის 26 მაისის აქტს, როდესაც ის კომისარიატი დაიშალა და სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოცხადდა ამიერ-კავკასიაში. ახალ მთავრობის თავმჯდომარედ გამოცხადებულია სომეხი მიასნიკოვი (რუსულად აქვს გვარი გადაკეთებული, მაგრამ ნამდვილი სომეხია), ეს ცნობილი მტერი საქართველოისა; გამოცხადებულა ახალ მთავრობის „ჩეკის“ ახალი თავმჯდომარე, ისიც სომეხი (გვარი არ ვიცი ჯერ)! ეს რო გაუგია არსებულ „გრუზ-ჩეკის“ თავმჯდომარე კოტე ცინცაძეს, წამოუძახია – ეს რას ნიშნავსო?! ეტყობა, რომ ყოველივე ეს ისე ხდება, რომ თვით კოტე ცინცაძეც ფაქტის წინაშე რჩება, მანაც არა იცის რა თავ-ბედისა! ის დაუმშვიდებიათ მით, რომ, „შენ ქართველების ჩეკის ხელ-მძღვანელი იქნები, შენ მათ იცნობ, ხოლო ეს ახალი საზოგადო ხელ-მძღვანელი იქნებაო“! ცხადია, საქართველო ამ ახალ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშე ღებულობს რაღაც უბადრუკ „ავტონომიასავით“! ალბად გვექნება ჩვენი „ჩეკა“, რომელიც დაემორჩილება ახალ მთავრობის „ჩეკას“, გვექნება შინაგან საქმეთა ნაწილი, შეიძლება განათლებისაც! მაგრამ ესეც დროებით, სანამ გარემოების მიხედვით არ მიახწევენ სრულ გაერთიანებამდე რუსეთის ხელისუფლებაში, ესე იგი, როგორც იყო თვითმპყრობელობის ქვეშე! დღეს ბატონი მიასნიკოვი ჩვენი ნამესტნიკია! ძველ ნამესტნიკობაში მხოლოდ ის იყო გარჩევა, რომ ამ თანამდებობაზე გზავნიდენ

რუს-იმპერატორები არისტოკრატიულ გვარიდან განათლებულ პირებს – უსა-თუოდ რუსებს, ხოლო ბატონი ლენინი გზავნის დროებით რასაკვირველია, სომეხ მიასნიკოვს და მისთანათა, ქუჩის მაწანწალა ბანდიტებს, რო უფრო თავ-ზარი დასცენ ამათ ქართველ ერს, დაიმონონ ის და სამუდამოდ დაუკავშირონ რუსეთს! ასეთ ხაფანგში მოგვამწყვდიეს ჩვენმა ქართველმა კომუნისტებმა და მგონი, თვითონაც დიდ ჩიხში არიან მომწყვდეულნი! ბატონი ფ. მახარაძე თვის საიდუმ-ლო მოხსენებაში 1921 წლის 6 დეკემბრის თარიღით მოსკოვში, რომელიც ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, ამბობდა, რომ „მე მომხრე ვარ საქართველოს რუსეთთან სრული გაერთიანებისა, მაგრამ ეს პროცესი უნდა მოხდეს ფრთხილად და თან-დათანობითო“! უბედური ფილიპე! შეიძლება ის ამის მომხრე არც კი იყოს გულში, მაგრამ „სიფრთხილით და თანდათანობითი პროცესით“ მას უნდოდა, რომ ეს გა-ერთიანება მის სიცოცხლეში მაინც არ მომხდარიყო და ერთხანს კიდევ ეღანღალა ამ შექმნილ წუმპეში! მაგრამ პირ-ბადე აეხადათ ყველას, რაც ადრე მოხდებოდა ეს, მით უკეთესი ჩვენთვის! გვანადგურებენ სომხები, მათ გვიშოვნეს ისევ დრო, როგორც ამას სჩადიოდენ ისინი ისტორიულად! ყოველივე უცხო ბატონობის დროს საქართველოში, სომხობა საქართველოში ჩვენი მტარვალების მარჯვე იარაღნი იყვნენ! დღესაც არ ჰღალატობენ ისინი თვისს ისტორიულ ჯაშუშურ მისსიას! მაგ-რამ ამით სასტიკ ნაკვერცხალს იმზადებენ ისინი თავიანთ-თავისათვის! მგონი, აივსოს ქართველი ერის მოთმინების ისტორიული ფიალაც!..

სასულიერო სფეროში

გუშინ, შაბათს, შემოვიდა ჩემთან ნავთლუხელი წმ. ბარბალეს ეკლესიის დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე. ამას შფოთი აქვს თვისს მეორე მღვდელ გ. კალანდა-რიშვილთან, რომელიც წინეთ ეპ. კირიონის კელეინიკი იყო, რუსეთში ახლდა მას, ხოლო რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში, მღვდლის ხარისხში; დეკ. ჩიჯავაძემ, როგორც კირიონ კათოლიკოზის ყოფილმა პირადმა მდივანმა და „მეგობარმა“, ეს ყოფილი კელეინიკი იმავ კირიონისა, ლე-ონიდე კათოლიკოზს გაამწესებია თავისთან პრიჩეტნიკის ვაკანსიაზე, იშველი-ებდა მრევლში და შორეულ ბარბალეს ეკლესიაშიც. მაგრამ მღ. კალანდარიშვილი არ ემონა მამა სოსოს (ამას ბევრი მაჩანჩალა მღვდელი გამოუცვლია, როდესაც და როგორც ისურვებდა, ისე წინედაც), მოითხოვა მან თვისი უფლებები, როგორც კრებულის წევრმა; მამა სოსოს კი თვით საგვარეულო საწველ-ფურად გაუხდია წმ. ბარბალეს ტაძრები, დამოუკიდებლად განაგებს მათ, დიდძალ სანთლის ოპერა-ციას აწარმოებს გარეშე ნაყიდ სანთლითაც და შემოსავალსაც თვით მიირთმევს, მეორე მღვდელს თუ დიაკვანს გადაუგდებდა, რასაც თვით მოისურვებდა, თვით მრევლში გავლასაც კი არ ჰკადრულობდა; ამას გარდა ეს მოძღვარი, ქვრივი, დიდი ხნიდან მეტად „სახელგანთქმულია“, როგორც „სიმპატიური ბატიუშკა“, განსაკუთრებით რუს დედაკაცებში; არაერთი ხასა გამოუცვლია, ხოლო ბოლოს შეიყვანა სახლში რევოლიუციისაგან 1918 წელს უმწეოდ ქუჩაში დარჩენილი

ახალგაზრდა ექიმი ქალი – „კლავდია თეოდოროვნა“ და დაისვა ხასად, აშკარად; ეს ქალი ჩამორჩენოდა იმ რუსის ჯარს, რომელიც ოსმალეთის ფრონტიდან მაშინ ქუდ-მოგლეჯილი გარბოდა რუსეთში და ასე ბევრი ექიმი თუ სხვა მოხელე პირნი დააგდო გზა-და-გზა უპატრონოდ და აი, „ჩვენი სოსო“ დაეპატრონა ახალგაზრდა ლამაზ ექიმ ქალს. ამ ქალმაც შეიფერა „ფოფოდიობა“ და თამამად გამოდიოდა საზოგადოებაშიც და სახლშიც, დიასახლისობდა. მაგრამ ამ „ფოფოდიამ“, სოსოსთან ერთად, მეტად უდიერად დაუწყო მოქცევა მღ. გ. კალანდარიშვილს. აირია მონასტერი, გამწვავდა დამოკიდებულება, კალანდარიშვილმა ხმამაღლა აღიარა – თქვენ „ფოფოდია“ არ ბრძანდებით, თქვენ ხასა ხართ ჩემი წინამძღვრისა და მე არ მსურს თქვენი განკარგულებანი შევასრულო ეკლესიაში თუ სამრევლოშიო... დაუწყეს მღვდელ კალანდარიშვილს მას შემდეგ დევნა და განიზრახეს მისი თავიდან მოშორება, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი გამოდგა. კალანდარიშვილს მხარს უჭერენ დეკ. თოთიბაძე-ცინცაძე (ჯერ ფარულად), ცხადია, კათოლიკოზსაც მიიმხრობენ, სურთ სოსოს ჩაჩოქება, სოსო კახეთიდან ალავერდელის კანდიდატად არის დასახელებული, სურთ, პასუხისგების ქვეშე იყოლიონ, დასაჯონ და ჩირქი მოსცხონ. ერთ საღამოს, ნავთლუხის წმ. ბარბალეს სამრევლო საბჭოს ჰქონებია სხდომა, საბჭოს წევრად ყოფილა სოსოს ძმაც მიტა ჩიჯავაძე (ცნობილი სპეკულიანტი, ერთი ოხერი კაცი), აუტეხეს მღვდელ კალანდარიშვილს სხდომაზე ჩხუბი და სცემეს ფიზიკურად, ამბობენ, ჯერ სოსომ სცემა, შემდეგ მიტამაცაო, ხოლო ესენი ამბობენ, რომ მღვდელმა პირველად სცემა მიტას, ხოლო შემდეგ მიტამაც სცემა მღვდელსაო! ერთი სიტყვით, დატრიალებულა საზიზღარი სცენა, ერისკაცთა თანადასწრებით! ამათში რუსებიც ერიენ, ვინაიდან ეს სამრევლო შერეულ სამრევლოდ ჰყავს „ჩვენ სოსოს“, ნამდვილად კი წირვა-ლოცვას სულ რუსულად ასრულებს, მიუხედავად ამისა დიდ „მამულიშვილად“ და საქართველოს ეკლესიის „მოამაგედ“ სთვლის თავს... გაიმართა საჩივარი. ჯერ მთავარ ხუცესმა ჩაიხედა საქმეში, მან კათოლიკოზის დამოუკიდებლად „გამოიძია“ ეს საქმე და წარადგინა კათოლიკოზთან; ასეთი „გამოძიება“ უკანონოდ იცნო კათოლიკოზმა და დანიშნა საქმის გამოსაძიებლად სამი კაცი – დეკანოზები: დიმ. ლაზრიშვილი, ილია შუბლაძე და ი. ქავჟარაძე – ეს სულ „სოსოს“ „მეგობრები“!..

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ჩვენი სოსო“ საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარეა, ის ამ თანამდებობიდან გადააყენეს დროებით და უკვე გამოძიება სწარმოებს. ეს ორი სამღვდელო პირი აღარ ზოგავენ ერთმანეთს არავითარი ბრალდებით და არავითარი ცილის წამებით. ეს „ჩვენი სოსო“, რომელთან მე 1907 წელს მქონდა დიდი შეტაკება ეპარქიალურ კრებაზე, ნიკონ ექსარხოსის თავმჯდომარეობით, მე მთვლის თვის მეგობრად! შეტაკება იყო იმ ნიადაგზე, რომ მე ვიცავდი ნიკონ ექსარხოსის წინაშე ქართველ სამღვდელოების და ჩვენი ეკლესიის ინტერესებს, სხვათა შორის ვიცავდი თბილისის სემინარიის ძველ შენობებს პუშკინის ქუჩაზე, რომლის გაყიდვას ან ჩამორთმევას გვიპირებდა სინოდი ნიკონის პირით; მე სასტიკად გავილაშქრე ნიკონის და სინოდის წინააღმდეგ, აღვნიშნე მთელი ის უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა ექსარხოსების ხელში, როგორ გავიძარცვენით ქონებრივად და ზნეობრივადაც! სულ

დოკუმენტებით ველაპარაკებოდი ექსარხოსს. უკანასკნელი მეტად ჩავსჭერი პაექრობაში, განრისხდა, წამოავლო ხელი კუნკულას, დაიხურა თავზე და გავარდა კარში, „Я вовсе не спорить пришел сюда“-ო! როგორც კი გავიდა ექსარხოსი, სამღვდელოებამ ოვაციები გამიკეთა. მეორე დღეს თბილისის ქართულ და რუსულ გაზეთებში იყო მოყვანილი დიალოგი ნიკონსა და დეკ. თალაქვაძისა შორის. ნიკონმა მომთხოვა წარმომედგინა ყველა ის დოკუმენტები, რომელზედაც ეყრდნობოდი ჩემთან კამათის დროსო. მეც წარუდგინე. ყველანი ასე ამბობდენ, დეკ. თალაქვაძეს გასჭყლეტს ნიკონიო! ვინ იცის, იქნებ ასეც მომხდარიყო, რომ განგებას სხვაფრივ არ მოევლო მისთვის. ნიკონი მოჰკლეს. ეს საქმე დარჩა გამოურკვეველი.

ნიკონის დარბაზიდან გასვლის შემდეგ, მე რუს-ბერძენ-ოს სამღვდელოებათა წარმომადგენლებს უმტკიცებდი, რომ ისინი ამ ასი წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის და სამღვდელოების ხარჯზე იზრდებოდენ ჩვენ სასწავლებლებში, მათი სამრევლოებიც ჩვენი სანთლის ქარხნის საშვალებებით აღორძინდენ და რას გვემართლებიან დღეს ისინი გარდა ძმობისა და კეთილ-განწყობილებისა თქო. ამაზე ყალხზე დადგენ რუსის დეკანოზები – ბაქოდან ცნობილი იუნიცკი, ყარსიდან კომარი, ბერძნებიდან პოლიტოვი! ამათ, ჩემდა განსაცვიფრებლად, მხარი დაუჭირა „ჩვენმა სოსომ“! „იმერლებმა შეგვჭამეთ ჩვენ, ქართველები! ეს რუსები და ბერძნები ქართლ-კახელების ძმები არიან, თქვენ კი ბიძაშვილებიო“! შეიქნა ამაზე ერთი ალიაქოთი, მიხლა-მოხლა. როგორც კი ჩავიგდე სიტყვა, დავასამარე და იქვე გავწკეპლე „ჩვენი სოსო“, შემდეგ 15 ფელეტონამდე მოვათავსე ამ თაობაზე ფედერალისტების გაზეთში საპოლემიკო წერილები, ჩიჯავაძე საძმო სამართალში გავიწვიე, მაგრამ აღარ შესდგა. აი, ასეთი ცრუპენტელები დღეს საზოგადო მოღვაწეობას ჩემულობენ! კირიონ კათოლიკოზის მეოხებით დამიახლოვდა „ჩვენი სოსო“, მოდის ჩემთან, ზოგჯერ მწირველადაც მიმიწვია ნავთლუხში, ამით აღიარეს ჩვენი მეგობრობა! ღმერთია გულთამხილავი, არავითარი საერთო ამ კაცთან არა მაქვს, მაგრამ გარეთ ხო ვერ გავაგდებ, იძულებული ვარ მოქალაქობა გავსწიო მაგასთანაც, როგორიცა მაქვს სხვებთანაც.

აი, ეს ჩვენი „სოსო“ შემოვიდა ჩემთან შაბათს და მითხრა: „დღეს სადილად ნაზარი მიტროპოლიტი (ქუთათელი) მყავს დაპატიჟებული და შენც მეწვიე, შეგარიგებ შენა და ნაზარსაო“! ამაზე მე მიუგე: „ნაზართან მე აღარავითარი შესარიგებელი არა მჭირს, ჩვენ ერთმანეთთან კეთილი სალამი გვაქვს და რატომ გგონია შენ, რომ მე მასთან გამწყრალი ვიყო! რაც საქმე იყო ჩვენ შორის, ის მორჩა, ისტორიას ჩაჰბარდა თქო, ხოლო სადილად დღეს ვერ გეახლები, საღამოზედ ლოცვა მაქვს, იქიდან კი დროზე ვერ დავბრუნდები თქო“. მადლობა მოვახსენე... ამ სახით გადავრჩი ხაფანგს! მინდა, ამ ბინძურ ხალხს თავი დავახწიო, მაგრამ სად წავიდე?! აქედან უნდა მთლად ავიბარგო, მაგრამ სად შევაფარო თავი?! მეტად აუტანელ მდგომარეობაში ვარ! შესწყდა ჩვენში ყოველივე იდეიური მიმდინარეობა, ჩავიფალით პირად, ანგარებით სავსე, ინტერესებში და ამ ნიადაგზე სამარცხვინო ინტრიგებში.

წასვლისას „სოსომ“ მითხრა: „გუშინ საკათ. საბჭოში დიდი შეტაკება მომხდარა კათოლიკოსსა და ქრისტეფორე ეპისკოპოს შუა, ქრისტეფორემ იყვირა:

„შენ ორი ადამიანის რჩევით დადიხარ, ჩვენ აქ სულყველანი მეტნი ვართო“! დეკ. ცინცაძემ ამაზე თავი ჩაღუნა, მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქნაო! აიწყვიტა ვირგლამ, ის მეტად ღელავს, არ უნდა „ურბნელობა“, მას ქალაქში „მანგლელად“ დარჩენა სწადდა და ვერის ნიკოლოზზე ძოვნაო“...

სამ მღვდელმთავრის წირვა სიონში კვირას, 2 ივლისს

წირვა გამოვიყვანე ანჩისხატში, ხალხიც გვარიანად დამესწრო, ქადაგება წარმოვთქვი „ასისთავის“ სარწმუნოების სიმტკიცეზე... შემდეგ გამოუცხადე დამსწრეთ, რომ დღეს სიონში სამი მღვდელმთავარია მწირველი და წავიდეთ თქო. ჩემი მსმენელებით და ოჯახობით წავედით სიონში. ხალხი კარგა შეკრებილიყო, სულ კერძოდ იყვნენ მოწვეულნი, საგანგებოდ, მეც შემომითვალეს ხალხს გამოუცხადეო. შეკრებილიყვნენ სულ ინტელიგენციიდან, ყოფილ თავად-აზნაურთაგან, იყო „სუფთა საზოგადოება“, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთებზე. გალობდა „კათოლიკოზის გუნდი“ პაპიაშვილის ლოტბარობით, სულ რუსულ კილოზე, ჰყვიროდენ, ცუდად გალობდენ. ამ გუნდს თვეში საკათ. საბჭოდან ხუთ მილიონს აძლევენ!.. სიგიჟეა! ამ დროს საკმარისი იქნებოდა სამი კაცის ტკბილი გალობა, არც ასე ძვირად დაგვიჯდებოდა და უფრო სასიამოვნო მოსასმენიც იქნებოდა! მაგრამ ვის ეყურება შენი! გვაძრობენ ეკლესიებს ტყავს ათასგვარ გადასახადებით, სანთლის ოპერაციაზე პირის-პირ დაბეგვრით, ხოლო „გუნდისათვის ცალკე განზანაკის ჩამოტარებით ყოველ კვირა-უქმეზე და თვიურად წარდგენა ფულისა“!..

წირვის შემდეგ კათოლიკოზი გამოვიდა საქადაგებლად! სულ ყველამ ამოიოხრა: „დაიწყებს და აღარ გაათავებს გლახა ჭრიაშვილივითო“! მასწავლებელმა პეტრე მირიანაშვილმა (ფედერალისტია, უარყოფით ეხება ჩვენს ეკლესიას, კათოლიკობისაკენ გვწევს) მითხრა: „ამან არ იცის ის ჭეშმარიტება, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“ და გავიდა გარედ! სხვები შემოეხვიენ ამბროსის გარს და მანაც აღაღო პირი თვისი, იქადაგა იმავ „ასისთავზე“, ღეჭა-ღეჭა, იქნევდა თითს იქით, აქეთ, აქნევდა თავს, ებმოდა ენა, წვალობდა და გვაწვალებდა. მანდილოსნების ერთი ჯგუფი ლაპარაკობდენ: „აზრები აქვს, ცოდნაცა აქვს, ენა არ ემორჩილებაო“; მეორემ გაუსწორა: „ბეჩა, ორატორი არ არისო“!..

ერთი ხნიერი მანდილოსანი მოვიდა ჩემთან და მკითხა: „მამაო, თქვენ რატომ არ ბრძანდებით იმდენ სამღვდელოებაში თანამწირველიო“! „მე ჩემს ტაძარში ვიყავი, დედი, მწირველი და ეხლა გეახელით აქ თქო“! რატომ, შვილო, განა ესენი თქვენზე მეტნი არიან?! რატომ შენ არ გაქადაგებენ, უმჯობესი იქნებოდა, თვითონ კათოლიკოზმა დაისვენოს, წირვით დაღლილია და შენ გაქადაგოსო, შენ უფრო ცოცხლად იტყვიო“! „მე, დედი, ვიქადაგე ანჩისხატში, აქ თვითონ კათოლიკოსმა უნდა ბრძანოს, ასეთი წესია თქო“! „ჰო, შვილო, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ყველაფერიო“...

კათოლიკოზს თანამწირველობდენ დეკანოზები – საკათ. საბჭოს წევრნი: ტყემალაძე, ცინცაძე, მირიანაშვილი; შემდეგ დეკანოზები (სულ დეკანოზე-

ბი!): ნ. მაჭარაშვილი, ფხალაძე, ასათიანი, ჩეკურაშვილი (ეს თითქოს გავიდა ქალაქიდან, მარტყოფში მიიღო მრევლი, მაგრამ დარიის მონასტერი ისევ თავის სახელზე დაურჩენია, როგორც უნდა, ისე იქცევა...) და კიდევ ვიღაცები.

წირვის გათავებისას კათოლიკოზს ხალხი ხელზე ემთხვია, მეც მიველ; შემდეგ ნაზარი მიტროპოლიტი ვინახულე ტაძარში, მომიკითხა, მოვიკითხე. ქრისტეფორე კი ცალკე გავიდა ტაძრიდან; კათოლიკოზს ტაძრიდან დამსწრეთა დიდი ნაწილი გაჰყვა ქუჩაში და მიაცილეს სახლამდე, ეს ერთნაირი ოვაცია გაუკეთეს მას! ალაყაფის კარებთან ერთმა მოხუცმა მანდილოსანმა სიტყვით მიმართა, აღნიშნა კათოლიკოზის ღვაწლი, მისი თავდადება ერისათვის; მანდილოსნის შემდეგ სიტყვით მიმართა ზაქარია დავითაშვილმა, დ. დავითაშვილის (ცნობილ „მდივნის“) ძმამ! დაიწყო აბდა-უბდა! უმჯობესი იქნებოდა ასეთ არასასურველ პიროვნებას არ მიემართნა კათოლიკოზისათვის (სახელ გატეხილი ინტელიგენტია ზაქარია დავიდოვი, ნამასწავლებარი...)...

როგორ მიდის ნაზარის საქმე, არ ვიცი! მგონი, „ჩეკისტებს“, იმერეთში დაპატიმრების დროს, ის საფლავებზე ნაშოვარი ფული („საზომისაებრ ჩემისა“...) სულ ჩამოურთმევიათ. აქ უნდა იჩივლოს, მავიწროებენო!.. უბადრუკნი!.. თოთიბაძე არ გამოჩენილა, ის ასეთ შემთხვევებზე აღარ დადის, „საქმე აქვს ვერაზე“, ვეღარ ასდის მიცვალებულებს და პანაშვიდებს! ეს დაკეტილი სასაფლაო საზოგადო სასაფლაოდ გადააქცია, ამ ნიადაგზე ძლიერ დაჰკრა მან ჯიბის ინტერესებს წმ. ნინოს, პეტრე-პავლეს და დიდუბის სასაფლაოებს! აგრეთვე დააყრუა ქვაშვეთი! ხალხი სულ ვერისაკენ მიიწევს თვისი მიცვალებულებით, გაღმა, იმ სიშორეზე გასვენება, ძვირად უჯდება, აქ კი ხშირად უბალდახინოდაც იოლად მიდიან! აქ მათ მხოლოდ თოთიბაძე ჰკრეჭავს! მიუხედავად იმისა, რომ დიდძალ ფულს იღებენ საფლავებისას, „სამრევლო საბჭოში“ დაუსვამთ საკითხი: „მოვაგროვოთ ფული სხვა სამრევლოებიდან სასაფლაოს გასამშვენებლადო“! დადიან კიდეც ეზოში დედა-კაცები დიდ-დიდი განზანაკებით და წარწერილ ქაღალდებით – „სასაფლაოს გასამშვენებლადო“! არავინ იცის – რამდენი შემოდის ფული და სად მიდის ამდენი ფული! „სამრევლო საბჭოში“ ისეთები მიუღია დეკ. თოთიბაძეს, რომელნიც მას სავსებით „ენდობიან“, ანგარიშს ვინ მოსთხოვს; ცოტას საკათ. საბჭოსაც გადმოუგდებს, კათოლიკოზსაც, სადილებზე დაჰპატიჟებს და... კმარა!.. სამხედრო ტაძარი ხო სულ გასძარცვა, დაჰყიდა პურზე ყველაფერი!

სიონიდან რო მოვდიოდი, დეკ. ტყემალაძე დამეწია გზაში და მითხრა: „ისეა საქმე, რომ შეიძლება დეკ. ფხალაძე გააცურონ ყინულზე, ალავერდელობა სხვას დარჩესო! ციცქიშვილი ურბნისში უნდა წავიდეს და მაგისი კანდიდატობა ალავერდზე მოიხსნა, მოიხსნა ივანიცკის კანდიდატობაცო“! მაშ, ვინღა ჰყავს ფხალაძეს მეტოქე თქო, ვკითხე ტყემალაძეს?! ის შეწუხდა, თითქოს უნდა თქმა და არც უნდოდა, ბოლოს ვათქმევინე: „გელათის არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილიო, ამის კანდიდატურაც უნდათ წამოაყენონო, ეს ნაზარის აზრიაო, კარგი იქნება, ფხალაძე დაფაცურდეს და ერთხმად მოითხოვონ ესაო“! რაღაც უხალისო, უფხო ადამიანი სჩანს ეს ფხალაძეო“, – დააბოლავა ტყემალაძემ! ეტყობა ძლიერ სურს მისი თავიდან მოშორება! ტყემალაძემ ნამდვილი ვაჭრობა გააჩაღა სიონში სან-

თლისა, გირვანქის ქვეშ ჰყიდის ის სანთელს თავის სასარგებლოდ! ეშინია ფხალაძე არ შეეცილოს, უნდა თავიდან მოიშოროს, რომ მარტო მიირთვას და „გაძღეს“!..

საღამოზედ რუსთველის პროსპექტით მივდიოდი ვერისაკენ, მეორე მხარეზე „ურბნელი ქრისტეფორე“, უბრალო ქუდ მოხდილი ხელში, დიდი ნაბიჯებით მიიქანებოდა ვერის სასაფლაოსაკენ! მაგისი სული იქ არის! ვერ შორდება იქაურობას – ჭეშმარიტად თქმულა: „სადაცა იყოს საუნჯე შენი, მუნცა იყოს გული შენიო“! ეხლა თოთიბაძემ თვისი ქრისტეფორე „მგალობლის“ შემოსავლის ვაკანსიაზე ჩამოიყვანა, „ერთ მგალობელს რაც ერგება, ის მიიღე, სანამ ქალაქში იქნებიო“! ესეც გარბის!.. აქ მეტია კომენტარიები!.. ეს ჩვენი „ახ. სიტყვის“ რედაქტორი ციცქიშვილი! ჩვენი სასულიერო მთავრობის მოქმედებათა მამხილებელი!... „mutantur tempora et nos in illis“! ყოჩაღ, რომაელებო!...

საკათოლიკოზო საბჭოს სამეურნეო გამგეობაში და კანცელიარიაში

ეს დაწესებულებანი მხოლოდ ქაღალდზეა, არავინ დადის სამსახურში! ზის შიგ მხოლოდ ერთი „ხაზინადარი“ – დეკანოზი იოსებ ჭეიშვილი, ყოფილი ქუთაისის კათედრის დეკანოზი, ხოლო იქიდან ნაზარისაგან გამოძევებული. ეს საცოდავი აქ მიიღეს ეხლა „სამსახურში“! თვეში დაუნიშნეს 450.000 მანეთი! დადის ხუთი ვერსტის მანძილიდან, შიმშილით სული სძრება, ისე, როგორც კანდელაკ ფხალაძეს! ამ დღეებში შესულან ჭეიშვილთან დეკანოზები – ფხალაძე და ზ. ლუკაშვილი. ჭეიშვილს შეუჩივლია მათთვის შემდეგი სიტყვებით: „Что за поганное учереждениe это?! სამი თვეა აქა ვარ, მოვდივარ ყოველდღე 8 საათზე და არავინ სხვა არ მოდის მთელი დღე“-ო!.. ეს დაუწერია დეკ. ფხალაძეს და მომიტანა: „აჰა, თქვენი დაწესებულებანიო“!..

ვინ არიან ამ დაწესებულებებში?! – ქვაშვეთის ტაძრის მთელი კრებული: დეკანოზები – ცინცაძე-ლაზრიშვილი და მათი დიაკონი ანტონ ლაზრიშვილი; დეკანოზები – ტყემალაძე, მაჭარაშვილი (მამა დავითიდან), შუბლაძე, ქავჟარაძე (ხარფუხიდან), დიაკონი მონასელიძე სიონიდან, დეკ. ლაზარე ნათიძე ძველი სანთლის ქარხნის გამგეობიდან, ამას სხვა თანამდებობა არა აქვს რა, აძლევენ თვეში 420.000 მანეთს, შიმშილით ჰკლავენ, თვითონ კი სამ-სამ და ოთხ-ოთხ თანამდებობას დაასხდენ თავზე და არცა არას აკეთებენ, სამსახურშიც კი არ მოდიან! ჭეშმარიტად „поганное учреждениe“-ა!

კათოლიკოსის ავათმყოფობა

3 ივლისს, ორშაბათს, გავრცელდა ხმა, რომ კათოლიკოზი მძიმედ ავათ შეიქმნა, სისხლზე ფაღარათობით! სწორეთ ამ დროს გახდა ასეთივე სენით ავათ აწ განსვენებული ლეონიდიც! მოიყვანეს ექიმები, გასინჯეს კათოლიკოზი და

აღმოჩნდა, რომ მეტად გაუფრთხილებლად მიურთმევია ახალი პამიდორი! საქმე იმაშია, რომ აქ სტუმრად ჰყავს მიტროპოლიტი ქუთათელი ნაზარი თვისი კანდელაკით – დეკ. ცქიტიშვილით! ეს სტუმრები საკათ. საბჭოს ხარჯზე იკვებებიან კათოლიკოზთან! დეკ. ტყემალაძეს აქვს დავალებული მათთვის სადილ-ვახშმის მირთმევა, თვითონაც მათთან შეექცევა და ამდენ მასპინძლობაში კათოლიკოზსაც კუჭი მოეშალა, დეზინტერია გაუჩნდა და დატრიალდა ჯარა! მოდიან მნახავები! უბედური დეკ. ფხალაძე ყოველღამ ჰყარაულობს, როგორც ბიჭი! სხვები მორიგეობენ, მე არ დავდივარ მორიგეობაზე, მაგრამ ხმას არავინ იღებს. გულში, ან პირსუკან მლანზღავენ!.. მიტროპოლიტი ნაზარი ელოდება აუდიენციას მთავრობის თავმჯდომარე ქავთარაძესთან, უნდა შესჩივლოს თვისი გამოძევება ეპარქიიდან. ამ მოლოდინში აგიტაციას ეწევა ქალაქში, სამღვდელოებამ ჩემ გამოძევების გამო პროტესტი უნდა განუცხადოს მთავრობას – კომუნისტებსო! კათოლიკოზიც თურმე იმას შესჩივის ყველას, რატომ ყველა სამრევლო საბჭოებიდან არ გამოგაქვთ ჩემი „გენუის მოწოდების“ გამო წერილობითი რეზოლიუციები, მხარს არ მიჭერთ?! რატომ თქვენი მრევლით არ მოდიხართ და მანიფესტაციებს არ აკეთებთ! ასეთი სინიდისის პატრონნი გვყვანან ჩვენ მღვდელმთავრები! ნაზარიმ ხალხი დაყვლიფა იმერეთში ნადიმებით და „საზომისაებრის“ ლოცვებით, აგრეთვე კათოლიკოზმა თბილისის ტაძრები და ლამის თვით საკათოლიკოზო საბჭო მუცელში მოიქციოს! მოდით და ამათ გამოესარჩლეთ სადმე! ან მათ შესახებ მანიფესტაციები მოახდინეთ! ან ვინ გამოგყვება ამ მანიფესტაციებზე, ან რა შედეგი უნდა მოჰყვეს ყოველივე ამას, გარდა უაზროდ, უსაფუძვლოდ ციხეებში გამომწყვდევისა! მიუხედავად ამისა, სინჯეს ამ „საკითხის“ თბილისის სამღვდელოების კრებაზე წამოყენებისა.

5 ივლისი, ოთხშაბათი, კრება თბ. სამღვდელოებისა

ამ დღისათვის მოწვეული ვიყავით საოლქო კრებაზე. დიდი ხანია კრებაზე აღარ მოუწვევივართ მთავარ ხუცესს, მას უსაყვედურებდენ, ხშირად იწვევ სამღვდელოებას კრებებზე, ყბედობის მეტი და ურთიერთობის გამწვავების მეტი არა გამოდის რაო! რა საჭიროა კრებებიო! სურთ, უხმოდ, განუკითხავად ატრიალონ ყველაფერი! ბოლოს ისიც მოიგონეს, რომ კომუნისტურმა მთავრობამ აღკრძალა ნება-დაურთველი კრებები, საჭიროა ყოველთვის ნებართვის აღება და კრების პროგრამმის წარდგენაო! თურმე ესეც ტყუილი ყოფილა, სამღვდელოების დასაშინებლად. სომხის სამღვდელოება ყოველ ორშაბათობით იკრიბება, მსჯელობს, მაგრამ არც არავინ ნებართვას იღებს და არც არავინ მათგანი დაუჭერია ვინმეს!

მიველ ოთხშაბათს კრების დარბაზში; მობრძანდა მთავარ-ხუცესი, რამოდენიმე მღვდლებით, სხვათა შორის არის წმ. ნინოს სასაფლაოზე ახლა ხან გამწესებული უადგილოდ ყოფილი დეკ. ვასილ კარბელაშვილი – კაცი მეტად ახირებული, უთვისო და უსწორ-მასწორი; ეს არის ქვრივი და თავის თავს საეპისკოპოსო კანდიდატად სახავს! ეხლა მხოლოდ „სიქვრივე“ ერთადერთი

თვისება-ღირსებაა საეპისკოპოსო კანდიდატისა! არ იცის, როგორ ასიამოვნოს კათოლიკოზს, რომ მისი ნდობა და ყურადღება დაიმსახუროს! ამ მიზნით კარბელაშვილმა, სანამ კრება გაიხსნებოდა, ნიადაგს დაუწყო მზადება ზემო აღნიშნულ დემონსტრაციების გამოსატანად კრებაზე! ეტყობოდა, მაგას დავალებულიც ჰქონდა კათოლიკოზ-ნაზარისაგან ეს! „პირქვე დასამარხი იქნება ჩვენი სამღვდელოება, რომ ხმა არ ამოიღოს იმ თაობაზე, რო კათოლიკოზს ამცირებენ გაზეთებში, ჩეკაში დაიბარეს და კიდევ წამდაუწუმ იბარებენო! ან არ გამოვეხმაუროთ ქუთათელ ნაზარის გამოძევებას ეპარქიიდან, აქ ჩამოსულა კაციო“! – სამღვდელოება კრებაზე ძლიერ ცოტა შეიკრიბა, ცხადი იყო, რომ კრება აღარ შესდგებოდა, „გენერალი“-თავადი დეკანოზები, არც ერთი არ გამოცხადდა, გარდა ტყემალაძისა, ეტყობოდათ, რომ ერიდებოდენ კარბელაშვილის მიერ წამოყენებულ „პროვოკაციულ“ საკითხს! მე უპასუხე კარბელაშვილს: „რა სახით, რა ძალ-ღონით, რა საშვალებით, რის და ვისი იმედით გამოუცხადოთ კომუნისტურ მთავრობას ბრძოლა თბილისის ხუცებმა?! ხო ჰხედავთ, რომ ხუცებიც აღარ მოდიან კრებაზე! ეხლა ლაპარაკობ ასე, თორემ შენ პირველი არ მოაწერ ხელს საპროტესტო ქაღალდზე, ხელიდან დაგვიძვრები, გაგვეპარები თქო!“ ამაზე გასწყრა მამა ვასილი! „ნუ სცხარობ, მამაო, მე კარგად გიცნობ თუ როგორი „მებრძოლი“ პიროვნება ბრძანდებით, სხვებიც კარგად ჰხედვენ, თუ რაშია საქმე თქო!..“ ისევ დაიწყო: „საჭიროა ეხლა გააგის კონფერენციაზე გაიგზავნოს თბილისის სამღვდელოების სახელით ისეთი მემორანდუმი, როგორიც კათოლიკოზმა გაგზავნა გენუაშიო“! ამან დამსწრეთა შორის დიდი ხარხარი გამოიწვია! მე უპასუხე: „გენუისათვის კათოლიკოზმა ისეთი საიდუმლოებით მოამზადა და გაგზავნა თვისი „მოწოდება“, რომ არამცთუ კომუნისტურ მთავრობას არ გაჰგებია ეს, ჩვენც, სამღვდელოებამაც კი არა ვიცოდით რა ამ თაობაზე და არც შეიძლებოდა გვცოდნოდა: ეხლა კი თქვენ მოითხოვთ, რომ აშკარად დავსვათ ასეთი საკითხი კრებაზე, შევიმუშაოთ იმის ტექსტი, ვიმსჯელოთ ამაზე, ქვეყანას გავაგებიოთ ეს და შემდეგ „მემორანდუმის“ გააგაში წამღები ვეძიოთ! ამასობაში, მამაო ვასილ, ის კონფერენციაც დასრულდება და ჩვენც ყველას ნაზარ-ამბროსიანა ციხეში გვიკრავენ თავს! რატომ ანგარიშს არ აძლევთ თქვენს თავს, როდესაც ასეთ რამეებზე, ასე დაუფიქრებლად ნებულობთ მსჯელობას თქო?! მამაო, კათოლიკოზმა ასე იყო თუ ისე, ის „ნაბიჯი“ გადასდგა, ფაქტი შექმნა; ამ ნაბიჯის შეფასების დრო ეხლა არ არის; ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია ეხლა, რომ გავამართლოთ გენუის დოკუმენტი! იმ დოკუმენტის შესაბამი მოქმედება, დარბაისლობა და ხალხის ინტერესების დაცვა-მოვლა-პატრონობა გვმართებს! რომ მღვდლებს მღვდლობა გვქონდეს! ეხლა არ არის ნადიმების დრო, ეხლა არ არის ძველებურად ეპარქიებში „რევიზიებზე“ ჩამოვლა და საფლავების კურთხევით ჯიბეების დასქელება! ეს ახუნებს იმ „დოკუმენტს“, ის დოკუმენტი უბრალო ფეიერვერკის ხასიათს ღებულობს ასეთ შინაურ ქცევისა გამო! ის სხვამ ჩაგვძახა, იარაღად მოგვიხმარა, ხოლო ჩვენ ისევ ის დახავსებულ ძველ სინოდალურ რეჟიმის შვილნი ვართ, ჩამოვრჩით ჩვენს ერს, მას მძიმე ტვირთად დავაწევით კისერზე, ვართმევთ, რაც მოგვხვდება

ხელში, მაგიერს კი არასა ვაძლევთ გარდა თვალ-მაქცობისა, მუქთა-ხორობისა და შავრაზმულ მიმართულებისა. აბა, რა საკადრისია ასეთ დროს ჯილდოების წამოყენება! ვინ, სად და რომელ უწყებაში აწარმოებს დღეს ჯილდოებს?! შავრაზმელი ჩვენი მეთაურები პროვინციის სამღვდელოებას ახვევენ თავზე ჯილდოების წამოყენების საქმეს გელათის საეკლესიო კრებაზე! ამაზე მეტი დაცინვა და დამცირება ჩვენი სამღვდელოებისა განა კიდევ წარმოსადგენია?! თბილისელ აზეფებს ეხლა მხოლოდ ორი რამე აკლიათ – „მიტრა“ და შემდეგ... სიკვდილი! სხვაფრივ ისინი ყელამდე სავსენი არიან ყოველივე სიკეთით! იჯერეს გული! დაკეცილ-შენახულნი აქვთ წითელ-ყვითელ-ჭრელი ლენტ-ბანტებიანი სინოდის ორდენები, ვინ იცის, იქნებ სულ მოკლე ხანში რუსეთის თვითმპყრობლობის რესტავრაცია მოხდეს, ექსარხოსობა აღზდგეს, ამ ორდენებს მიტრებიც მიუმატოთო! ბატონო, ჩვენ აქ რა შუაში ვართ?! ჩვენ თავი დაგვანებეთ, ეს ისე მიიღეთ, რომ ჩვენ ნუღა ჩაგვრევთ შიგ, თავს ნუ მოგვჭრით“...

ამ გამოკამათების დროს დაგვესწრო ოზურგეთელი მღვდელი იონა ღლონტი, ამან მეტად გაიკვირვა ყოველივე ეს, რაც აქ ესმა და იხილა! „არა, მამანო, პროვინციის სამღვდელოების სახელით ნუ ინებებთ ვინმე მიტრების დახურვას! ჩვენ მაგისთანა დრომოჭმულ და უშინაარსო მორთულობისათვის სად გვცალია! რა გვეჯილდოება! სულ ყველას გვაქვს კამილავკა-ჯვარი ენქერი, ალბად თქვენებს მიტრა სურთ, ჩვენ ხომ მიტრას არავინ გვაღირსებს და რო გვაღირსონ, სად უნდა შევიძინოთ ის მიტრები, ან როგორ უნდა დავიხუროთ და გამოვიდეთ საზოგადოებაში? დალოცვილებო! გვირგვინოსან იმპერატორებს მოჰხადეს თავზე მიტრები და ეხლა თქვენ ხუცებს უნდა დაჰხუროთ ესენი?! რატომ ამაზე არავინ ჰფიქრობთ?! ან რო ბრძანებენ აქ, ნაზარის გამოვექომაგოთ, პროტესტი გამოუცხადოთ მთავრობასო, იცით კი თქვენგანმა ვინმემ საქმის ნამდვილი ვითარება, თუ რისთვის შეაჩერეს ნაზარის „რევიზია“ იმერეთის სოფლებში?! მეც არ ვიცი ნამდვილი ამბავი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეხლა დრო არ არის ასეთ „რევიზიებისა“, მატარებელში რო ვიჯექი, ისეთ ამბებს ლაპარაკობდენ ნაზარის რევიზიისა გამო იმერეთის სოფლებში, რომ სირცხვილით დავიწვი, აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. არა, მამანო, ჩვენ მეტად უტაქტოდ ვიქცევით, დროს არ შევესაბამებით! ეპისკოპოსმა დავითმაც (კაჭახიძე) ჭყონდიდელმა მოინდომა გურიაში „სარევიზიოდ“ ჩამოვლა; მოგვწერა ამ თაობაზე, რომ დავხვედროდით და გვეტარებია სოფლიდან-სოფელში. ჩვენ შევიკრიბენით ოზურგეთში, გავითვალისწინეთ ხალხის სულიერი განწყობილება, მისი ნივთიერი მდგომარეობა, ახალი მთავრობის მტრული განწყობილება და მივსწერეთ: გვადროეთ 6 აგვისტომდე; ხოლო მაშინაც მოვიფიქრებთ, შევხედავთ საქმეს და თუ მოსახერხებელი იქნება, ჩვენ თვითონ გაცნობებთ ყველაფერს თქო! აი, ასე შევაჩერეთ დავით ეპისკოპოსი „რევიზიისაგან“! ნაზარი კი... ალბად ვერ შეაჩერეს! ძნელია შეჩერება ბევრ-ფულების მობოჭვას დაჩვეული მღვდელმთავრისა“... ღიმილით დაასრულა მღ. ღლონტმა. კრება არ შესდგა, დავიშალენით! მაგრამ ჩემი ლაპარაკი უკვე მიუტანიათ კათოლიკოზისა და ნაზარისათვის, უსაყვედურეს ჩემს სიმამრს, დეკ. ზ. ლუკაშვილს: „რატომ არ დადგება ეს კაციო“!.. აი, რა სურთ მათ! „დავდგეთ, დავმუნჯდეთ“!..

6 ივლისი – ხუთშაბათი
ქუთათელი ნაზარი – ქავთარაძის წინაშე!

დღეს სასახლეში მიუღია „სერიოჟა ქავთარაძეს“ ქუთათელი ნაზარი, რომელსაც ახლდენ დეკ. მ. ტყემალაძე და მისი კანდელაკი პლ. ცქიტიშვილი. როგორც ამ უკანასკნელმა მიამბო, ქავთარაძემ მიტროპოლიტი ზრდილობიანად მიიღო, მოუსმინა ყველაფერი და გაიკვირვა: „რა უფლება აქვს ვინმეს თქვენი შეჩერება ეპარქიაში მსვლელობის დროსო! ეს გაუგებრობაა! ადგილობრივი აგენტები მთავრობისა ვალდებულნი არიან, თუ რაიმე უკანონობას შენიშნავენ თქვენს მოქმედებაში, ოქმი შეადგინონ და სამართალში მიგცენ; როგორ მოგეპყრობათ სამართალი, ეს თვით საქმემ იცისო, მაგრამ თქვენი სამსახურის ხელის შეშლის უფლება კი არა აქვთო. ჩვენს წინააღმდეგ ხშირად თეატრებშიდაც გამოდიან არტისტები, მაგრამ ჩვენ მათ კი არ ვატუსაღებთ ან თეატრებს როდი ვკეტავთო, დამნაშავეს სამართალში ვაძლევთო“... „მაშ, თუ მაგრეა საქმე, – ბრძანა ნაზარმა, – მიბოძეთ მანდატი, რომ ხელი არავინ მახლოს ეპარქიაში მიმოვლის დროსო“! „მანდატი რა საჭიროა ისეთ რამეზე, რაც თავისთავად შეადგენს თქვენს უფლებასო, ასეთ მანდატს მე თქვენ ვერ მოგცემთ, მე შემიძლია მხოლოდ თქვენი საქმისა გამო საზოგადო ცირკულიარული განკარგულება მოვახდინოო“! ამით გამოუშვეს ჩვენი ნაზარი. მას მაშინვე სურდა იმერეთში გაბრუნება, მაგრამ კათოლიკოზმა დაიჭირა, კვირას მწირველად, ლეონიდის წლის თავია გამოცხადებული, თვით ლოგინში წევს.

„ვირგლას“ წასვლა ურბნისის ეპარქიაში

ბევრი იხტუნა ყოფილმა „მანგლელმა ქრისტეფორემ“, ბევრი წიხლები ისროლა იქით-აქეთ, მაგრამ დაიმორჩილეს, შეაგონეს, როგორც იყო, რომ კათოლიკოზს და საკათ. საბჭოს ეპისკოპოსი თუ არ დაემორჩილები, სხვა სრულებით აღარას გაგვიგონებსო. წილი მაინც დაუდეს „ვერაზე“ – ორ „მგალობელთა“ შემოსავალი. წასულა ქრისტეფორე ქალაქიდან! პირველად მწირველი იქნება თვის სოფელ იტრიის (სურამის ნაწილია) ტაძარში, ხოლო პეტრე-პავლობას უნდა სწიროს (12 ივლისს) გორში! ვნახოთ, რა იქნება!..

7 ივლისი – პარასკევი

დღეს ვინახულე კათოლიკოზი, კვირა საღამოს ჯვრის წერის ნება-რთვის ასაღებად. საქმე იმაშია, რომ ასეთ მარხვებში მის ნება-რთვით სწარმოებს ჯვრის წერა ქალაქებში, სოფლებში არ ვაძლევ ნებასო! წევს კათოლიკოზი, სიცხე აღარ აქვს, მაგრამ მუცელი ჯერ კიდევ არ დამშვიდებია. თითქოს კარგად მიმიღო. დიდ იმედებს ამყარებს „გადატრიალებაზე“! მაშინ ეკლესიის საქმე გამოკეთდებაო,

დიდი პატივი დაგვედება, ყველაფერი დაგვიბრუნდებაო!.. (რა შეცდომაშია ჩავარდნილი კათოლიკოზი! როგორი გადატრიალებაც უნდა მოხდეს, ჩვენი გამოსწორება აღარაფერს აღარ შეუძლია! ჩვენ თვით გავითხარეთ ჩვენი საფლავი!)... შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბერძნები და აქაური რუსებიც აპირებენ ჩვენ-თან შემოერთებასო. კონსტანტინოპოლში საქართველოს ეკლესიაზე მსჯელობენ, უნდათ იცნონ ჩვენი ავტოკეფალობა, ვინაიდან რუსეთის ეკლესია დაირღვაო, რომ ჩვენ შემოგვაფარონ ამიერ კავკასიის ბერძნობაო...

შემდეგ ჩემ ტაძარზე ჩამოვიდა ლაპარაკი, მე მოვახსენე, დავყრუვდი ცარიელ ანჩისხატში, ვფიქრობ სოფლად გასვლას, იქ ხალხში მაინც გავალ თქო. „ჰო, კარგია შენი სოფლად გაგზავნ-გამოგზავნა, საქადაგებლად, საჭიროა მხოლოდ სამისიონერო თანხის შექმნაო“. არა, მე მოგახსენებთ, სულ გასვლაზე ქალაქიდან სოფლად თქო. ესეც იდეიურია, ეს კარგი საქმეაო!.. ცხადია, ესიამოვნება კიდეც ჩემი თავიდან მოშორება. მეც, სინდის ქვეშ ვამბობ, მესიამოვნება და დავმშვიდდები, რო აქაურობას თავს დავახწევდე, უფრო ნაყოფიერიც იქნება ჩემი მღვდელობა სოფლად, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა და ოჯახურმა პირობებმა თუ ისევ არ ჩამაბეს თოკი! აი, კათოლიკების ცელიბატი! იმათი პატრი აიღებს თვის ლოგინს და სულ ადვილად გადავა ერთი ადგილიდან მეორეზე, მუშაობენ კიდეც. ჩვენ აგვიკიდნია ამოდენა ბარგი-ბარხანა, ცოლ-შვილი და მათი მონა გავხდით...

კვირა – 9 ივლისი

დღეს სიონში გადახდილ იქმნა წლის წირვა აწ განსვენებულ კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის სულის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, კათოლიკოზი შეუძლოდ ბრძანდება მუცელათი; კაი ძალი საზოგადოება შეგროვდა სიონში, უმეტეს ნაწილად იყო ინტელიგენცია. მე, ჩემს ტაძარში წირვის შემდეგ, მოუწოდე მრევლს და წავედი სიონში. სიონის კარებში შემხვდა ერთი ჯგუფი საპატიო პირთა ნიკო თავდგირიძის წინამძღოლობით, ესენი მიდიოდენ კათოლიკოზთან, პანაშვიდზე მისს გამოსაყვანად; მეც თან მიახლეს. შევედით კათოლიკოზის სასახლეში, გამობრძანდა ამბროსი, ეტყობა გამხდარია და სუსტადაც ჰგრძნობს თავს; ესიამოვნა ამდენ საპატიო პირთა მისვლა, ცოტა ხანს დავსხედით, ვისაუბრეთ; თავდგირიძემ სთქვა მორიგი „ახალი ამბავი“ (ეხლა „რადიო ჭორიას“ ეძახიან ასეთ ამბავს): „მოკლე ხანში ლონდონში შეიკრიბება დიდ სახელმწიფოთა (ანტანტა) კონფერენცია, აქ რუსეთის შესახებ იქნება გადამწყვეტი მსჯელობა, ეს სახელმწიფოები ყოფილ რუსეთის სხვა და სხვა ნაწილებზე „მანდატებს“ დაირიგებენ – ზოგს ადერბეიჯანზე, ზოგს სომხითზე, ზოგს ასურეთზე, ზოგსაც საქართველოზე მისცემენ მანდატს; საქართველოზე მანდატი საფრანგეთზეა განზრახულიო“...

გულდასმით ისმენდენ ამ ამბავს, ყველას სწყურია, შეიცვალოს არსებული დიქტატურა პროლეტარიატისა, როდესაც ადამიანს ხმა ვეღარ ამოუღია, როდესაც შესწყდა სიტყვის, ბეჭდის და ყოველივე მოქალაქობრივი თავისუფლე-

ბის სახეც კი! მეტად დახუთულია საზოგადოებრივი ატმოსფერო... მეც ჩავერიე ლაპარაკში და განვაცხადე: „ის დალოცვილები თუ რაიმეს ჰფიქრობენ, ბარემ მორჩნენ და გაათაონ! ყურები გამოგვეჭედა ამდენი „კარგი“ ამბებით, არა სჩანს კი რა. ეს რაღაც ერთი „პატარძლის“ არაკს მაგონებს თქო“! – დაიწყეს სიცილი. ავდექით და წაუძეხვით კათოლიკოზს სიონში. მთელი ქუჩა ფეხზე წამოგვიდგა და ყურადღება მიაქციეს ჩვენს „პროცესიას“!..

წირვის დასრულებისას, პანაშვიდის წინ კათოლიკოზი შეიმოსა, ქუთათელმა წარმოსთქვა სიტყვა, დაახასიათა ლეონიდის მოღვაწეობა, აღნიშნა ის ეკლიანი გზა, რომელიც მან განვლო სამშობლო ქვეყნის და ეკლესიის სამსახურში და გვიანდერძა ყველას „ვბაძავდეთ“ მის საქმეებს („მოიხსენენით წინამძღვარნი თქვენნი“...). აღნიშნა, რომ საქართველოს თავისუფლების მოწყობის საქმეში პირველი მერცხალის როლი ეკლესიის განთავისუფლებამ ითამაშა 1917 წლის 12 მარტს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის აქტიო. ხოლო ამ აქტის დროშა ლეონიდის ხელში აფრიალდა, „ჩვენ ვფიცავთ, დიდებულო მწყემსმთავარო, – მიუბრუნდა საფლავს ქუთათელი და პატეთიურად წარმოსთქვა, – არასოდეს დაუშვათ ძირს ეს დროშა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მისთვისო“... საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვამ. აქ ჩემდა უნებურად მომაგონდა უბედური ქუთათელი ანტონი მიტროპოლიტი (გიორგაძე), რომლის მეთაურობით და თავდადებული მოქმედებით აფრიალდა 12 მარტის აქტი მცხეთაში 1917 წელს, მცირე ჯგუფის მონაწილეობით! ამ დროს კი თვით ნაზარი არქიმანდრიტი, დეკ. კ. კეკელიძე, ცინცაძე, თოთიბაძე-ტყემალაძე, მირიანაშვილი, შუბლაძე-ციცქიშვილი სალტესავით გარს ერტყნენ უკანასკნელ ექსარხოსს პლატონს, ჩვენი ეკლესიის მოსისხლე მტერს; ეპ. ანტონი (დარიის მონასტერში სცხოვრობდა ქორეპისკოპოსი) მცირე ჯგუფით შეება უთანასწორო ბრძოლაში და ჩინებულადაც დაგვირგვინდა 12 მარტის აქტი; ლეონიდი ძლივს დავსძარით ფოთიდან, ძლივს გავაბედვინეთ მცხეთაში ამოსვლა! ეხლა ხან განსვენებული ეპ. პიროსი კი იმდენად მინდობილი იყო პლატონ ექსარხოსისა და არ თანაუგრძნობდა ეკლესიურ მოძრაობას ჩვენში, რომ პიროსი ორმა ინტელიგენტმა (პ. ბარათაშვილმა და პუბლიცისტმა გერონტი ქიქოძემ), რევოლვერების შიშის ქვეშ, ძლივას-ძლიობით დასძრეს თელავიდან და ჩამოიყვანეს თბილისში; აქ კი უბედური პიროსი ტელეფონით შეეკითხა პლატონს: „ნებას მომცემთ მცხეთაში დავესწრო 12 მარტსო“!.. ნაზარი და კეკელიძე (განსაკუთრებით) კი ამ დროს სამარცხვინო როლს თამაშობდენ პლატონის წინაშე! დღეს კი ნაზარი „ფიცსა სდებს“, რომ იმ „დროშას ძირს არ დაუშვებს“!.. ღმერთო, ხელი მოუმართე, აპატიე ყოველივე წარსული...

პანაშვიდზე კათოლიკოზიც გამობრძანდა, თითქმის მთელი თბილისის სამღვდელოების თანამსახურობით. ლეონიდს აძევს შავი გრანიტის პლიტა, ის დასაფლავებულია მარცხნივ ამბიონიდან, „ვაზის ჯვრის“ მახლობლად, კირიონი კი მარჯვნივ, ამას თეთრი ქვა აძევს გულზე; ის შავი გრანიტის პლიტა მე გადმოვიტანე კადეტის კორპუსის ეკლესიიდან, როდესაც ეს უკანასკნელი მენშევიკებმა გააუქმეს და გვიბრძანეს აგველაგებია; აქედან ზოგი ნივთები

ანჩისხატში გადმოვიტანე, რომელსაც აღარავითარი სამკაული აღარ ჰქონდა, სულ დაძველებულ-დახავსებული იყო ყველაფერი, ერთი ხელი შესამოსიც კი არ უვარგოდა; დიდ ძალი სამკაულები მივართვი თვით ლეონიდს, საკათ. საბჭოს განკარგულებაში, ღარიბ ეკლესიებისათვის დასარიგებლად, სხვათა შორის სამი გრანიტის საფლავის პლიტაც მოვიტანე, ორი წარწერებით (ესენი წაიშლება და კიდევ გამოდგება), ერთიც სულ სუფთა – აი, სწორეთ ეს უკანასკნელი ქვა დავადევით გულზე ლეონიდს, მეტად შვენის და საუკუნოც არის; კირიონის ქვა არც კი სჩანს იატაკის ფონზე; მიუხედავად იმისა, რომ დიდ ძალი შესამოსი და სამკაულები მივართვი კადეტის კორპუსიდან ლეონიდს – ხოლო ქვაშვეთის ტაძარს ძვირფასი ლიუსტრა ბრინჯაოსი – ელექტრონის მორთულებით, ამას გარდა შვიდი კიოსკები დიდ-დიდი ხატებისა – მიუხედავად ამისა დეკ. ცინცაძემ შეიშურვა გაცარცულ-დაღარიბებულ ანჩისხატისათვის ის სამკაულები, რომელიც ჩემს ტაძარსაც შევსძინე ამ შემთხვევით; შეაყენა ამაზე საქმე და საკათ. საბჭოს გამოატანია დადგენილება – ანჩისხატის ტაძარს გადახდეს ფული იქ გადატანილ სამკაულებისათვისო, გადაგვახდევინეს კიდეც 10.000 მანეთი 1919 წელს! მაშინ ეს ფულობდა! თვითონ კი იმ სამკაულებისათვის, რომელიც ქვაშვეთში მოვათავსეთ, კაპიკი ფული არ გადაუხდია! სხვა დანარჩენი სამკაულები მდივანმა დ. დავითაშვილმა, დეკ. ლაზრიშვილმა, ლეონიდის ნება-რთვით, სულ „პურებზე გადასცვალეს“ და თვითონ ისიამოვნეს. ასეთი ზნეობის ხალხს აქვს დღეს ხელში ჩვენი ეკლესიის ბედ-იღბალი! ნაზარი კი „ფიცსა სდებს – დროშა არ დაუშვათ ძირსო“!.. ლეონიდს კი ის შავი გრანიტის პლიტა შერჩა ჩემგნით! ღმერთმა აცხონოს, აპატიოს შეცოდებანი მასაც და მეც... ბოლოს აუარეთ ერთმანეთს შეცოდებანნი ჩვენნი და დავშორდით „შენდობილნი“; ღმერთმა ჰკითხოს მათ, ვინც ჩვენში შფოთი დათესა და აწარმოებდა კიდეც!..

აქ აღვნიშნო უნდა ისიც, რომ დეკ. ცინცაძემ გადაზიდა მეფისნაცვლის სასახლის ეკლესიიდან (ესეც მენშევიკებმა გააუქმეს) აუარებელი შესამოსლები და უძვირფასესი სამკაულები. საუკეთესონი ეკლესიაში აქვს, სხვებს კი სცვლიან „პურებზე“, და შეექცევიან. აგრევე იქცევა ყოფილ სამხედრო ტაძარში დეკ. ან. თოთიბაძე! ამან დიდი სიმდიდრე მიითვისა იქიდან. მაგრამ არ შერჩება! თუ ადამიანის მსჯავრს წაუვლენ, ღვთის მსჯავრს ვერსად წაუვლენ...

წირვის გათავების შემდეგ კათოლიკოზი მთელმა საზოგადოებამ მოაცილა სასახლემდე, ეტლში ჩასვეს, ეტლი კი ნელა მიდიოდა, გარშემო ქალი და კაცით შემოხვეული! ამ მსვლელობამ ერთნაირი მშვიდობიანი დემონსტრაციის სახე მიიღო, „კათოლიკოზს თანაუგრძნობს ქართველი საზოგადოება“, აი, რა აზრი გამოსჭვიოდა ამ „მსვლელობიდან“! შიგა და შიგ „შპიკები“ დაძრწოდენ, ყველგან ყურს უგდებდენ, სუნს იღებდენ, აბა, რა ამბავიაო! ერთი ახალგაზრდა – წითური კაცი, პორტფელით ხელში, ეკითხება ჩემს მეუღლეს ალექსანდრას: „რა ამბავია, რას სჩადიანო“!, „ვერ ჰხედავთ, რაც ამბავია, – მიუგო მან, – ხალხი კათოლიკოზს აცილებს სიონიდან სასახლემდე, შეუძლოთ ბრძანდება კათოლიკოზიო“! მიველ და ვკითხე ჩემს მეუღლეს: „ვინ არის ეს შენი ნაცნობი კაცი, მე მაგას პირველად ვხედავ თქო“! „მეც არ ვიცი ვინ არის, ისე შემეკითხა, ეტყობა,

კეთილი სული არ უნდა იყოსო“. მიუახლოვდით კიდეც სასახლის ალაყაფის კარებს. აქ კი ეზოს მოაჯირებზე სამი-ოთხი აგენტი იყო კიდევ მიმდგარნი და უთვალ-თვალებდენ ყოველივეს.

საქმე იმაშია, რომ კათოლიკოზის „მოწოდება“ ტრიბუნალში გადაუციათ სამსჯავროთ; იქ გაირჩევა ეს საქმე, როგორც ეხლა ირჩევა „ესერების“ საქმე მოსკოვში! საბრალო „ესერები“ ისე გაამასხარავეს, რომ მიწასთან გაასწორებიეს ბრბოს! თვით ევროპიელი დამცველები გააქცია ამ ბრბომ მოსკოვიდან! სხვათა შორის ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ვანდერველდეც (ეს ნოე ჟორდანიას ესტუმრა კიდეც 1920-ში თბილისში სხვა სოციალისტებით – ინგლისიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან) იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო მოსკოვიდან: თურმე თვით ტრიბუნალში შეურეკია კომუნისტებს ბრბო, ხოლო ესენი უსტვენდენ, უყვიროდენ, ლანზღავდენ უშვერი სიტყვებით „ესერებსაც“ და მათ დამცველებსაც! ხმის ამოღებას არ აცლიდენ თურმე ევროპიელ ადვოკატებს, რომელნიც გამოცხადდენ მოსკოვში ბერლინში შეკრებილ „ინტერნაციონალის“ დადგენილებით! გაიქცნენ ეს დამცველები ევროპაში და იქ განაცხადეს გაზეთებში: „ეს რა უბედურებაში ჩავცვივდით!! ეს სად გაგვგზავნეთ?! ჩვენ ხალხში და ქვეყანაში წავედით, გვეგონა! ეს რა ვნახეთ?! ამას რას მოვესწარით! ეს რა ველურობა დაბუდებულა ჩვენს გვერდითო?!.

აი, შეიძლება ასეთი „ტრიბუნალი“ შეუქმნან კათოლიკოზსაც თბილისში! ისეირონ და ასეირონ აქაური „ინტერ-ნაციონალური ბრბო“! ამბობენ, მსგავსად „ესერებისა“, მენშევიკებიც ასეთ საერთო-პარტიულ პასუხისგებაში უნდა მისცენ კომუნისტებმა, როგორც „მშრომელთა მოღალატენიო“! ალბად ამ მსჯავრის მოლოდინში სხედან ის უბედურები ციხეებში, ზოგი, ეს წელიწად ნახევარია! დიდი საცოდაობა ტრიალებს...

რუსის ფული – ბონები ეცემა რაღაც მიზეზით! ქართულ ბონების 35-30 ათას მანეთად შეგიძლიათ იყიდოთ თბილისში რუსული მილლიონი! მეტად დაცემულია სომხითის ბონიც და ადერბეიჯანისაც... ამიტომ ბრაზები ახრჩობს უცხოელებს, ესენი თხოულობენ ფულების ნიშნების გაერთიანებას! ამას ჯერ-ჯერობით ეწინააღმდეგებიან „ჩვენი კომუნისტები“, მაგრამ როდემდის?! ბოლოს ჩვენც მოვყვებით ამ მორევში და მაშინ იქნება ჩვენი გაღატაკების და გაკოტრების ხანა! მოსავალს კარგი პირი უჩანს აღმოსავლეთ საქართველოში, პურები და უფრო ადრე ქერებიც გაიჭრა, მაგრამ წვიმები ხელს უშლის გალეწვას. პურმა საგრძნობლად დაიწია, დღეს გირვანქა თალხი პური, გემრიელი საჭმელად, ვიყიდეთ რვაას თუმნად. რუსეთშიც კარგი მოსავალი სჩანს, სადაც კი დაუთესნიათ მხოლოდ, ბევრგან ვერ დაუთესნიათ მინდვრები უთესლობისა და მუშა საქონლის უყოლობისა გამო! შაქარი გირვანქა ჩამოვიდა 23.000 მანეთამდე. სანოვაგე დიდ-ძალია ქალაქში, ვისაც ფული აქვთ. შვილებმა შემომჩივლეს: „მამა, ამ უბანში ჩვენს მეტი მჭადს არავინ სჭამსო, ფურნეში სულ თეთრი, კანადის პური მოაქვთ გამოსაცხობად, კათოლიკოზიდანაც, დავითაშვილებისაგანაც (ესენიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ), სულ თეთრი პურის ცომები მოაქვთ გამოსაცხობადო“!.. ღმერთმა შეარგოთ!..

პლატონ მიტროპოლიტი და მისი „თანამშრომლები“ თბილისში

ეს პლატონ მიტროპოლიტი, ყოფილი უკანასკნელი ექსარხოსია საქართველოისა! ეს იყო კიევის სასულიერო აკადემიიდან; მე რო აკადემიის პირველ კურსზე მიმიღეს 1895 წელში, მაგას უკვე დაესრულებია კურსი პროფესორის სტიპენდიატად, ემზადებოდა საპროფესოროდ; ქვრივ მღვდელთაგანი იყო, უკვე მღვდელ-მონაზონად იყო აღკვეცილი; მაგასთან მეგობრობდა აწ ცნობილი სიმფეროპოლის მთავარ-ეპისკოპოსი დიმიტრი – აბაშიძე, მე ის მეოთხე კურსზე დამიხვდა, იერო დიაკონის ხარისხში, ჯერ ოდესის უნივერსიტეტი დაესრულებია და შემდეგ აკადემიაში შესულიყო სასულიერო კარიერაზე: ახალგაზრდა პლატონი და ეს ჩვენი აბაშიძე დიდი მეგობრები იყვნენ; მათთან იყო მთელი ჯგუფი აკადემიის სტუდენტ-ბერებისა, ამათ თავიანთი „სამეფო“ ჰქონდათ აკადემიის კორპუსში, სცხოვრობდენ ზემო სართულში, რომელსაც სტუდენტობა ეძახოდა „ათონს“, როგორც ბერების საცხოვრებელს. დიმიტრი აბაშიძე დიდად მოყვარული იყო რუსობისა, მას ქართული და ქართველობა არა სწამდა, თვით თითქმის გადარუსებულიც იყო, არც კი ეხერხებოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი, რუსეთის ბატონობის იდეოლოგი იყო. პლატონი გვარად იყო როჟდესტვენსკი ქ. კურსკიდან, ერთი ქალიც ჰყვანდა ცოლისაგან ობლად დატოვებული; ეს ბერების სტუდენტობა კიევში ხშირად იკრიბებოდა ერთად ჩაის სასმელად – „Чаепитіе“ – აკადემიის სასადილოში. პლატონიც მათთან არ სწყვეტდა კავშირს; დიმიტრი აბაშიძე მეც მიმიწვევდა ხოლმე ხშირად ამ კამპანიაში, ზოგჯერ ჩვენთან ჩაიზე შემოგვიერთდებოდა საქართველოს ოსეთიდან ვასილ კასაბიევი (ამან თბილისის სემინარია დაასრულა, შემდეგ კიევის აკადემია, ქუთაისის სემინარიაში მასწავლებლობდა, ხოლო ამ სემინარიის დაკეტვის შემდეგ სადღაც რუსეთში გადაიყვანეს და მოკვდა. იყო კაცი ნიჭიერი, მაგრამ ესეც „რუსობდა“, ქართველების მოწინააღმდეგე იყო ქუთაისის სემინარიაში); ასეთ „კომპანიაში მიხდებოდა პირველ წელიწადს კიევის აკადემიაში ყოფნა; პლატონთან ხშირად მქონდა მუსაიფი, მსჯელობა, სხვა და სხვა საგნებზე; კასაბიევი და მეც ხშირად ლიბერალურ მსჯელობას ვმართავდით ბერებთან, ესენი გვეკამათებოდენ, თავისებურ ნიადაგზე იდგნენ და ჩვენ თავისკენ გვეპატიჟებოდენ; განსაკუთრებით ცხარობდა ჩვენი აბაშიძე და რო ვერ დამითანხმებდა, თითს მიქნევდა და მეუბნებოდა: „ты красный, ты опасный грузо“-ო!.. პლატონი ამ დროს ნელ-ნელა იღიმებოდა. ხშირად გვქონია მე და პლატონს ბაასი საქართველოზე და მის ეკლესიაზე. ერთხელ კიდევაც უთხარი: „მართალი სთქვით, მამაო პლატონ, საქართველოში ექსარხოსობაზე ხო არ ოცნებობ თქო! რატომ, შეიძლება მოხვდე კიდეც ექსარხოსად, მხოლოდ იცოდე და გახსოვდეს კი, რომ ადამიანურად მოიქეცი, საქართველოს ეკლესია დაანგრიეს ექსარხოსებმა, ვინძლო შენ ის ფეხზე წამოაყენო თქო“, – ღიმილით უთხარი! ამაზე მიპასუხა: „მე სად შემიძლია ასეთ რამეზე ვიოცნებო, მე უხმარ მონას ვინ მიმიშვებს ამ სიმაღლემდე“, – თვალების კრუტვით გადმომხედა მან! ახალ-გაზრდა – „ინტერესნი“ ბერი იყო ამ დროს პლატონი, ქერა, ნელი

ტკბილი ხმა, ლამაზად სწირავდა, კიევის ქალიშვილები ზედ აწყდებოდენ და მას მეტ სახელად უწოდეს „ბოჟესტვენნი პლატონ“! ჰო და ეს პლატონი ერთი წლის შემდეგ გახდა აკადემიის დოცენტი – ქრისტიანულ ზნეობის კათედრაზე; მეორე წელიწადში ინსპექტორობა მიიღო აკადემიისა, რექტორად მოხუც სილიბისტროს გადაყენების შემდეგ, იყო დიმიტრი ეპისკოპოსი (კოვალნიცკი, რომელსაც ცოლი გაქცეოდა და ბერად შესდგა); პლატონის ინსპექტორობაში დავასრულე აკადემია 1899 წელს. პლატონი მალე რექტორიც გახდა აკადემიისა, ეპისკოპოსის ხარისხში... შემდეგ მეორე სახელმწიფო სათათბიროში კიევის დეპუტატად გაიგზავნა ამ ქალაქის „ჭეშმარიტ რუსთა“ პარტიისაგან; მეორე სათათბიროს გარეკის შემდეგ გაგზავნილ იქმნა ამერიკაში – ალეუტის და ალიასკის მთავარ ეპისკოპოსად; აქ კაი ხანს დაჰყო; 1914 წლის ომიანობის დროს ის უკვე ბესარაბიაში იყო მთავარ-ეპისკოპოსად და რუსის სარდალს დიდ-მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს შველოდა „რუსულ“ პოლიტიკაში; ამ დროს ჩვენ ექსარხოსად უკვე პიტირიმი გვყავდა, რომელსაც საკუთარი ხელით დავანგრევიეთ ასი წლის ექსარხოსების ვერაგულად მოქსოვილი პოლიტიკა. მაგრამ 1915 წლის ბოლოს პიტირიმი ნიკოლოზ II პეტროგრადის მიტროპოლიტად წაიყვანა, მოიწონა ის თბილისში ყოფნის დროს, ხოლო ნაცვლად პიტირიმისა დიდმა მთავარმა, მეფისნაცვალმა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ბესარაბიიდან გადმოიყვანა ექსარხოსად ეს ჩემი „კარგი ნაცნობი“ პლატონი. ამ სახით ასრულდა ჩემი „წინასწარმეტყველება“. ეს პლატონი შეეცადა აღედგინა, რაც პიტირიმმა უკვე საკმარისად დაარღვია და შეარყია ექსარხოსობის პრესტიჟი. პიტირიმს ანჩისხატის ტაძარში შეგებების დროს ისეთი სიტყვით მივმართე, რომ ავაფეთქე (დაბეჭდილია „Дух. вѣст-ში“), წირვის შემდეგ თვითონაც წარმოსთქვა სიტყვა: „ღმერთო, შეაგონე იმპერატორ ნიკოლოზს, დაუბრუნოს საქართველოს ავტოკეფალიაო“! თვითონ ქართულად სწირავდა, ქართულად სახარების წაკითხვაც კი მოახერხა მეორედ წირვის დროს ანჩისხატში! აი, ასეთ ამბების შემდეგ მოვიდა ჩვენში „ჭეშმარიტ რუსთა“ წარმომადგენელი, მოძულე „ინოროდცებისა“, რუსეთის ბატონობის იდეოლოგი, „პატრიოტი“ პლატონი და დაიწყო ჩვენში „ახალი მიმართულება“ ძველი გზით!

პლატონი მოვიდა საქართველოში 1916 წლის იანვრის პირველ რიცხვებში. ის შეეცადა თვისი „მოწაფეები“ – კიეველები გარს შემოერტყა. მე ამ დროს ანჩისხატში დიდუბიდან სასჯელად გადმომწესებული 1912 წლიდან ინოკენტი ექსარხოსის მიერ, ვეძიებდი გამოსასვლელს მეტად უმწეო მდგომარეობიდან; მრევლიც შემოუსავლიანი მქონდა და ბინაც მეტად საძაგელი, ნესტიანი; გაბატონებული მღვდლები – დეკ. ტყემალაძე, ცინცაძე, თოთიბაძე, მირიანაშვილი, კეკელიძე მგლებივით მიცქეროდენ, ამათი შეგონებით დამძრა ინოკენტიმ დიდუბიდან, ტყემალაძემ დიდუბეში 1912 წლის აპრილში ფული მესესხა ეკლესიიდან სიონისათვის 5000 მანეთი. მე უარი მოვახსენე, ვინაიდან ამ დროს უკვე მოლაპარაკება მქონდა გენერად დოლუხანოვთან – მისი მამული უნდა შემესყიდა, რომელიც ზედ აკრავს ეკლესიის ეზოს, ეხლანდელ „პანთეონს“; იმ ადგილს „გრიშუას“ ბაღი ჰქვია დღესაც, ვინაიდან ადგილი იჯარით ჰქონდა ადგილობრივ სომეხს – გრიშას. უკვე

საქმე გაკეთებული მქონდა, ფასებშიც მოვრიგდით, კვადრატულ საჟენს 12 მანეთად მაძლევდა, ამიტომ ფული არამც თუ გასასესხებელი არ გვქონდა, უნდა გვეშოვნა კიდეც ბანკების საშუალებით, რომ ეს ძვირფასი, ოდესღაც ეკლესიის სასაფლაოდ ყოფილი ადგილი, ისევ ჩვენი ტაძრისათვის შემეძინა და გამეფართოვებინა. თურმე ეს დიდუბის ადგილები რუსის მთავრობამ გადაუცვალა თავად ამატუნის (სომეხს) კუკიის სახელმწიფო მამულებზე, და დიდუბიდან მცხოვრებნი გადაასახლა „კუკიაში“, ხოლო დიდუბის ადგილები დაისაკუთრა ამატუნმა; ამან უმზითვა თვის ქალს, რომელიც მიათხოვა სომეხ დოლუხანოვს; დიდუბის პატარა ძველი ტაძარი კი დარჩა ამ სახით დოლუხანოვის „მამულში“; შემდეგ ხალხმა რო დაიწყო დიდუბის ღვთისმშობლისათვის თაყვანის საცემლად დენა ქალაქიდან დიდუბეში – ორშაბათობით (ორშაბათ დღეს აღმოჩენილა ის ხატი თამარის დროს), თან და თან განახლდა დიდუბის ტაძარი, ანჩის ხატის მღვდელმა ზედგინიძემ და წმ. ნიკოლოზისა (კუკიაში) იმნაძემ იზრუნეს და თან და თან დაიწყეს ეზოსთვის ადგილის ყიდვა დიდუბისათვის, ეს მღვდლები უვლიდენ ქალაქიდან დიდუბესაც. 1884 წელში დღევანდელი ტაძარი იქმნა აშენებული ძველ საფუძველზე; შემდეგ დეკ. ცინცაძე მსახურებდა აქ, აქაურობა გაარუსა, რუსის მრევლი გააბატონა, რუსული გალობა და ღვთის მსახურება გააჩაღა, ხოლო 1903 წელში აქედან ქვაშვეთში გადაბრძანდა (ეს ტაძარი მე მქონდა მოცემული, როდესაც ფოთიდან ქალაქში უნდა გადმოვსულიყავი, მაგრამ დეკ. ცინცაძემ ეს მოცემული ადგილი დეკ. ვოსტორგოვის და ეპ. ბენიამინის (რუსი იყო) შემწეობით წამართვა, და დიდუბე შემრჩა...). ...ფული რო აღარ ვასესხე ტყემალაძეს, აუხსენი საქმის ვითარება, მაგრამ ძლიერ გამიწყრა, გამოვარდა ჩემი სახლიდან და ყვირილით გამოიქცა: „არ დაგცალდება მაგ ფულის დიდუბეში დახარჯვაო“!.. მართლაც, ეს იყო ნააღდგომევს აპრილში, ხოლო მაისის 20-ში ცნობილი რეზოლიუციით ინოკენტიმ გადამამწესა ანჩისხატში როგორც ერთი რაიმე „ციმბირში“ – აქ შიმშილს უნდა გამოვეფხიზლებიე და დავეკავშირებიე „რუსებისადმი“. აქ ჩემს გადაყვანაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჯაშუშობით ცინცაძე-თოთიბაძე-მირიანაშვილი (რომელიც ეხლა ჩემს ადგილზე ზის ინოკენტის მიერ). პლატონი რო მოვიდა თბილისში, მეოთხე წლის გადამწესებული ვიყავი ანჩისხატში; ამ ტაძრის ეზოში დიდი სახლები ჰქონდა სინოდალურ კანტორას, მაღალაშვილებისგან აშენებული ეკლესიის მიწაზე, რომელიც დაიფლეს და მიითვისეს, შემდეგ მაღალაშვილებმა ეს სახლები მიჰყიდეს ს. კანტორას, ვინაიდან ეკლესია ცდილობდა მის ჩამორთმევას, კანტორა ჩაერია და თვით მიითვისა ის სახლები, რომელიც ყოველივე წესით ეკლესიას უნდა დაენარჩუნებინა. აი, ამ სახლებში ამ დროს ცხოვრობდენ ექსარხოსის კანცელიარიის გამგე დობროლოვსკი, სიონის იპოდიაკონი სამადალაშვილი, ხოლო სხვა ნაწილი გაქირავებული ჰქონდა გარეშე პირებზე კანტორის მოხელეს მონასელიძეს, ქვემო სართულებშიც მოხელეები ცხოვრობდენ. აი, ამ სახლებში დაიცალა ორი ოთახი – იპოდიაკონ სამადალაშვილისა – მე დავეპატრონე ამ ოთახებს, თუმცა უკვე ინოკენტი ექსარხოსის დროიდან მთელ სახლებზე აღვძარი საჩივარი ს. კანტორაში და მოვითხოვდი ამ სახლების ანჩისხატზე გადაცემას, ინოკენტის დროს დიდი საქმე შესდგა ამ თაობაზე, ეს საქმე გაგრძელდა

პიტირიმამდე, ეს მეხმარებოდა ამ საქმეში, მაგრამ აღარ დასცალდა, გადაიყვანეს პეტროგრადში და საქმე განვაახლე პლატონთან, პლატონის ნება რთვით დავიჭირე ის ორი ოთახი, ტყემალაძე დეკანოზის სურვილის წინააღმდეგ, ეს ისევ ვიღაც რუს იპოდიაკონის დასახლებას აპირებდა აქ, მაგრამ დავასწარი; მომივარდა სახლში, ამიტეხა დიდი შფოთი და აურ-ზაური, მაგრამ ვეღარა გააწყო რა, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს პლატონთან ჩემი დაბეზღება! პლატონი „განცვიფრებული“ იყო „ასეთი ურთიერთობით ძმათა შორის“ (ეს მისი სიტყვებია!). პლატონი სცდილობდა ჩემს მონადირებას, მაგრამ მე არ მოვყევი მის ბადეში. 1916 წლის 19 იანვარს ახალი ექსარხოსი ანტონ ეპისკოპოსთან (გიორგაძე) იყო სადილად დაპატიჟებული (ანტონ მარტმყოფელობას) დარიის მონასტერში ავლაბარში. ამ დროს ეპ. ლეონიდიც იყო ჩამოსული ფოთიდან პლატონის სანახავად, ესეც იყო სადიდად, კანტორის პროკურორი, მოხელეებით და დეკანოზები – ტყემალაძე-ცინცაძე-კეკელიძე-თოთიბაძე, ასათიანი და სხვანი; კეკელიძე ამ დროს დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპექტორად იყო. მე ანტონ ეპისკოპოსთან ამ დროს უკვე შეთანხმებული ვიყავი (პიტირიმის დროიდან), მეც დამპატიჟა სადილზე და თამადობა გადმომილოცა! პლატონმა წამოიძახა: „скажите, пожалуйста, о. Никита у нас будет толумбашом“! მეც ფართოდ ვისარგებლე ამ „თანამდებობით“ და პლატონს მოვაგონე ჩვენი კიევში ბაასი ექსარხოსობაზე: „მახსოვსო, – სთქვა! – აი, ღვთის განგებაო“! „დიახ, სწორეთ ღვთის განგებაა“ თქო, და წარმოთქმულ სადღეგრძელოში დავახასიათე ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა, ფართოდ შევეხე ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოების სურვილს ავტოკეფალიაზე (შეკრთა პლატონი გველის ნაკბენივით!) და უსურვე პლატონს, რომ მის დროს და მისს ხელმძღვანელობით დაგვირგვინდეს ეს სასიკეთო საქმე ქართველ ერში სარწმუნოების და ზნეობის ასაღორძინებლად, უსურვე მას, როგორც განათლებულ და შეგნებულ იერარქს, რომ მას წყნარ ნავთსაყუდელში შეეყვანოს საქართველოს ეკლესიის გემი და ისე დაბრუნდეს თვის სამშობლო რუსეთში, ხოლო ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით იყოს აღნიშნული პლატონის სახელი!.. ვრცელი და გატაცებული სიტყვა წარმოვსთქვი, ყველანი შემკრთალი და პირდაღებულნი მიცქეროდენ, პლატონიც გაშტერებული მიცქეროდა და ბოლოს წამოიძახა: „Что же ты, братец! Я не успѣлъ еще пріѣхать к вамъ, а вы уже выгоняете изъ предѣлов Грузіи!“ „Да, Владыко, Вам тут не мѣсто, Вы слишком крупная персона для маленькой Грузіи, Вам просторнее будетъ въ великой Россіи“-თქო... და დავიწყე „მრავალჟამიერი“; შეიქნა ჩოჩქოლი, ადღეგრძელეს სხვებმაც პლატონი, მაგრამ ეს უკანასკნელი, ეტყობოდა, აღარ იყო თავის ტყავში, ის დაჭრილი ნადირივით იყო განაბული, მან დაინახა, რომ ავტოკეფალიამ ასე აშკარად, მოურიდებლად, მისს წინაშეც წამოჰყო თავი!.. შემდეგ ლეონიდის სადღეგრძელოზედაც წარმოვსთქვი მხურვალე სიტყვა, აღვნიშნე თუ როგორ ეს პატივცემული იერარქი უპატივცემულოდ ჰყვანდა ექსარხოსებს, თუ როგორ ეს ავტოკეფალიისა გამო ქუთაისიდან ფოთში გადააგზავნეს, ხოლო ეპ. კირიონი სულ გააძევეს საქართველოდან!.. დაილია ეს სადღეგრძელოც, მაგრამ პლატონს ნერწყვი აღარ გადასდიოდა ყელში! კიდევ ბევრი რამ მახვილი და ცხელ-ცხელი სიტყვები წარ-

მოვსთქვი, – ანტონ ეპისკოპოსზედაც. ჩვენი „მამულიშვილი“ დეკანოზები კი... სჭამდენ, სვამდენ, ასხამდენ მუცელში და ალაგებდენ! ყურს არც კი იბერტყავ-დენ! არც ერთმა, ერთი კრინტითაც კი მხარი არ დამიჭირა!..

ამის შემდეგ მდიდარი მასალა მიეცა ჩვენს „მამულიშვილებს“ ჩემ „წარსად-გენად“ პლატონისადმი! პიტირიმის დროს პირ დაყოფილნი, ეხლა წამოიშალენ და ერთად შემიტიეს, მაგრად ჩამაბეზღეს; შევატყვე, პლატონი მგელივით მიცქერო-და. შემდეგ სამღვდელოების კრებები იყო თბილისში, ქუთაისში; საჭირო იყო ამ კრებების პრესის საშვალებით ხელ-მძღვანელობა; ლეონიდი წერილებს მწერდა ფოთიდან, მაქეზებდა – აბა, შენ იცი, როგორ მარჯვეთ იქნები და პლატონს შე-ებრძოლებიო! მეც ვათავსებდი წერილებს „სახალხო ფურცელში“ (ფედერალის-ტების ორგანო) ავტოკეფალიაზე, სამღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლების შემოღებაზე და ბევრ ასეთ საკითხებზე; ვსწერდი სხვა და სხვა ფსევდონიმებით – „დეპუტატი“, „სჯულის მოძღვარი“ და სხვა... მაშინვე პლატონს უთარგმნიდენ ამ წერილებს და ეუბნებოდენ – უხსნიდენ ჩემს „ფსევდონიმებს“! ერთი-მეორეს ასწრებდენ ამაში – ტყემალაძე-ცინცაძე-თოთიბაძე! თუმცა ეს ორი უკანასკნელი ტყემალაძესაც ძირს უთხრიდენ, ხოლო ტყემალაძე ამათ ორთავეს!.. შემთხვევა მქონდა 1916 წლის აგვისტოში ისეთი, რომ პლატონმა 12 აგვისტოს ჟანდარმის პოლ-კოვნიკ პასტრიულინს გადამცა, იმ პასტრიულინს, რომელმაც არა ერთხელ მაწამა დიდუბეში ყოფნის დროს ინოკენტი ექსარხოსის მონდომილებით. ამასაც პასუხი მივეცი. შემდეგ ამ დროს გავილაშქრე კავკასიის ოლქის განათლების სამზრუნვე-ლოში, მაშინ ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტის სჯულის მასწავლებლის მოვა-ლეობის აღმასრულებელი ვიყავი (თანამდებობაზე არ დამამტკიცეს, როგორც არა კეთილ-საიმედო კაცი დიდ რევოლიუციამდე!) და სხვა მასწავლებლებთან ერთად სლოვინსკის (დირექტორი იყო ამიერკავკასიის საშვალო სკოლებისა) თავმჯდომა-რეობით კრებაზე ვიქმენ მიწვეული; აქ სამღვთო სჯულზე შემეკითხა სლოვინსკი „რა არის შენი აზრით საჭირო ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლადო“. მე მთე-ლი თბილისის დირექტორების და საოსტატო ინსტიტუტის მთელი კორპორაციის თანადასწრებით წარმოვსთქვი ამ თაობაზე დიდი, დასაბუთებული პედაგოგიური სიტყვა და განვაცხადე – ყოვლის უპირველესად საჭიროა სამღვთო სჯული დე-და-ენაზე ისწავლებოდეს ყველა ერისათვის თქო, როგორც პირველ დაწყებით, აგრეთვე ყველა საფეხურის სკოლებში თქო; შემდეგ სლავიანურ ენაზე ლოცვების გაზეპირება უნდა მოისპოს, თვით სახელმძღვანელო (სოკოლოვისა) უნდა გადა-მუშავდეს, გამარტივდეს, ბევრი რამეები გამოიტოვოს ძველი აღთქმიდან, ახალი აღთქმა სახარებიდან ისწავლებოდეს და სამღვთო სჯულის გაკვეთილს ისეთი ინტერესი უნდა მიეცეს, რომ აქ საჭირო აღარ იყოს ნიშნები და სასჯელი თქო... ამან დიდი აურ-ზაური გამოიწვია სლოვინსკისაგან, სხვები კი თვალ-დაჭყეტილე-ბი მიცქეროდენ და ჰფიქრობდნ – ეხლა კი დაიღუპა ეს მღვდელიო! სლოვინსკიმ მაჩვენა ცირკულიარი: „აი, აქ სწერია, ყოველი საგანი სახელმწიფო ენაზე უნდა ისწავლებოდესო“! მე მიუგე: „ვიცი, თქვენო აღმატებულებავ, ყოველივე ეს! მაგრამ თქვენ შემეკითხეთ, ჩემი პედაგოგიური მოსაზრებანი წარმომეთქვა ამ საგანზე, მეც მოგახსენეთ და თუ ჩემი მოსაზრებანი თქვენ საბუთიანად მიგაჩნიათ, ამ ცირ-

კულიარს მოევლება თქო, ეს ცირკულიარები თქვენისანა ადამიანების მიერ არიან შედგენილნი და თქვენვე შეგიძლიათ იშუამდგომლოთ და გამოსცვალოთ თქო! განა „სახელმწიფოსთვის“ საზარალო იქნება, რომ ქვეშევრდომებმა ქრისტეს სჯული და ზნეობა უფრო მტკიცედ და გულწრფელად შეიგნონ თქო?.. მაგრამ ამ თაობაზე ამ დღეებში ახალ ექსარხოს პლატონსაც აქვს სამღვთო სჯულის მოძღვართა კრება და იქაც გვექნება მსჯელობა თქო“...

მართლაც, იმავ 1916 წლის ნოემბერში, როდესაც ეს ამბავი მოხდა, პლატონმა მოიწვია მთელი თბილისის სასწავლებლების მართლმადიდებელი სამღვთო სჯულის მოძღვარნი. აქ მეტად ჩალიშობდა სამი „მოძღვარი“ – პირველ ვაჟთა გიმნაზიის სჯულის მოძღვარი დეკ. ქრისტეფორე ჯიოევი ანუ ჯიოშვილი, ოსი, საქართველოს ოსი, გორის სასწავლებლიდან და თბილისის სემინარიიდან, ქართველი ქალი ჰყავს ცოლად, ჩემ დროს სწავლობდა კიევის აკადემიაში, ორი წლით წინ; პლატონს დიდად უძვრებოდა, აგრეთვე მზრუნველს რუდოლფ-სლოვინსკის, იყო ჩვენი დაუძინებელი მოწინააღმდეგე (ეხლა ანაფორა გაიხადა და ოსების მეთაურია საქართველოს წინააღმდეგ მუშაობაში); ამას მხარს უმშვენებდა კადეტთა კორპუსის დეკანოზი სმირნოვი (დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილის სიძე) და წმ. ნინოს ზავედენიის დეკანოზი ავდაშკევიჩი. სულ ეს სამი კაცი ლაპარაკობდა, სულ ამათ უსმენდა პლატონი, ხოლო ჩვენები – კეკელიძე, ცინცაძე, ტყემალაძე-თოთიბაძე, არქიმანდრიტი ნაზარი და სხვანი და სხვანი კრინტს არა სძრავენ. რო ძალიან დაიღალნენ ლაპარაკით, მეც ავიღე სიტყვა და ვსთქვი ის, რაც სლოვინსკის თავმჯდომარეობით კრებაზე! პლატონს კინაღამ გული წაუვიდა, სამღვდელოებაში შეიქნა ჩოჩქოლი, ბოლოს პლატონმა დამიყვირა: „Вы, о. Никита, не то говорите! Здѣсь идет рѣчь не об языкѣ преподаванія, а о сокращеніи программы и о надлежащем методѣ преподавания для улучшенія изучения Закона Божия“! – „სწორეთ მეც ამაზე მოგახსენებთქო, – უპასუხე მე, მაგრამ ამ საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველ მოწაფეთათვის განსაკუთრებით დედა-ენაზე სწავლებას თქო, ეს ქრისტიანობის პრინციპია, სული წმიდის მოფენის დღეს სასწაულებრივად აღიარებული თქო“! სულ გაგიჟდა კაცი და დაასქდა სკამს, ისე მაგრად დაჯდა: „Вы продолжаете упорствовать, своевольничать, это ни с чем несообразно“; – იძახოდა ქშენით! და დახურა კრება...

მეტად გამწვავდა ჩემსა და მის შორის დამოკიდებულება, ხოლო მას გარშემო მჭიდრო სალტეთ შემოერტყნენ დეკ. კეკელიძე, რომელსაც სემინარიის რექტორობა უბოძა, დეკ. ტყემალაძე, რომელსაც თავზე მიტრა დაჰხურა, კანდელაკი თოთიბაძე, რომელიც მუდამ პირში უძვრებოდა, დეკ. ცინცაძე, რომელიც მუდამ მასთან თათბირობდა, არქიმანდრიტი ნაზარი, რომელიც მის გვერდით იყო მუდამ და ერთად სიამოვნებდენ სიამითა ამა ქვეყნისათა და ბეზღაობითა ჩემზედა, ეპ. პიროსი, რომელიც მასხარას როლს თამაშობდა (ესეც და ნაზარიც პლატონის მოწაფეთა-განია კიევიდან) და შიგადაშიგ ესეც ენატანიობდა და ჩემზე ამა თუ იმ მასხარობით ართობდა პლატონს. აკლდა ამ კომპანიას არქიმანდრიტი ამბროსი (ეხლანდელი კათოლიკოსი), რომელიც ამ დროს სტარაია რუსის მონასტრის წინამძღვარი იყო ნოვგოროდის გუბერნიაში და მიწერ-მოწერა ჰქონდა ხოლმე მაინც პლატონთან...

ვებრძოდით პლატონს ეპ. ანტონი და მე. ანტონმა ორჯერ ჩაუშალა პლატონს თავის პოსტზე მიტროპოლიტობის მიღება! დიდმა მთავარმა, ზემოაღნიშნულ კეკელიძის და მისთანათა გამომუშავებულ ნიადაგზე თავად-აზნაურთა წინამძღოლ კოტე აფხაზის მონაწილეობით, ორჯერ წარადგინა პლატონი „თეთრ-კლობუკზე", მაგრამ ორივე-ჯერ პიტირიმის საშვალებით ჩაეშალა ამის მიღება. მეტად გამწარდა პლატონი, კბილების ღრჭენით გვიხსენიებდა მე და ანტონს და მგონი, სასტიკადაც გაგვისწორდებოდა, რომ 1917 წლის თებერვლის 27 არ მომხდარიყო დიდი რუსეთის რევოლიუცია!

ამის შემდეგ სწრაფად ამოძრავდა „ჯგუფი" ანტონ ეპისკოპოსის გარშემო და 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა მცხეთის აქტი – ავტოკეფალიის აღდგენაზე. ბევრი გვებრძოლა პლატონი ამის შემდეგაც, მას გვერდით უდგნენ დეკ. კეკელიძე, არქიმ. ნაზარი, დეკ. ცინცაძე-თოთიბაძე, დავიდოვი, რუსის ჯარით გვემუქრებოდა პლატონი, ამ დროს თითქოს გადმოვიდენ ჩვენ მხარეზე მისი „მეგობრებიც", მაგრამ ჩუმათ მაინც მასთან ჰქონდათ კავშირი. დროებითი მმართველობა ჩვენი ეკლესიისა ლეონიდის თავმჯდომარეობით ჩაუდგა ჩვენს ეკლესიას სათავეში, ბოლოს, როგორც იყო, გაგვშორდა პლატონი; ის ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდა მოსკოვის საეკლესიო კრებაზე, მას მხარს უმშვენებდა იქ ზემოაღნიშნული დიმიტრი აბაშიძე; მიტროპოლიტობა მიიღო პლატონმა რუსეთში, იყო ოდესაში, მხარს უჭერდა მონარქისტულ მოძრაობას რუსეთში, ორჯერ გაიქცა ოდესიდან, როდესაც ოდესა ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლშევიკების ოდესაში დამკვიდრების შემდეგ, პლატონმა დიდ-ძალი ოქრო გაიტაცა რუსეთის ხაზინიდან, ჯერ გავიდა სტამბოლში, ხოლო იქიდან წავიდა ამერიკაში, სადაც იმყოფება დღესაც.

აქ პლატონზე იმიტომ ჩამოვაგდე ლაპარაკი, რომ ამ დღეებში ამერიკის მისიაში, თბილისში, პლატონს გამოუგზავნია ამერიკიდან თვის ყოფილ თანამშრომელ-აგენტ-მეგობრისათვის ათ-ათი ოქროს „დოლლარები" საჩუქრად! დღეს ათი დოლლარი უდრის ხუთ მილიონს ქართული ბონით. საჩუქრები გამოუგზავნია: 1) კათოლიკოზ ამბროსისათვის (აი, მეგრული ხრიკიანობა! თურმე სად სდებია კუდი!), ქუთათელ ნაზარისთვის (ეს ცხადი ჯაშუში იყო მისი!), ეპ. პიროს ალავერდელისთვის (აწ გარდაცვალებული), დეკანოზებ – ტყემალაძე-ცინცაძე-თოთიბაძე და ყოფილ დეკ. კ კეკელიძეს (ეს გაზეთ „საქართველოში" პლატონის აგენტი იყო). ალბად რუსის მღვდლებსაც მოუვიდოდათ ასეთი საჩუქრები, მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის საინტერესო! აქ საინტერესო ის არის, რომ აწ განსვენებულ ქუთათელ ანტონს, როდესაც ის ჯერ კიდევ დროებით მმართველობაში მუშაობდა ლეონიდის თავმჯდომარეობით, ზემოაღნიშნულმა პლატონის კომპანიამ განგებ მოუგონა საშინელი ტყუილი, ცილი დასწამა! თითქოს ეპ. ანტონი, დროებითი მმართველობის კრებიდან ჩუმ-ჩუმად შეიპარებოდა ექსარხოს პლატონთან და თითქოს გვღალატობდა! ამაზე დ. დავითაშვილმა, რომელიც ნამდვილი აგენტი იყო პლატონის და ბოლოს ლეონიდს ამოუდგა გვერდით, საშინელი ყალბი და შფოთიანი მიმართულება მისცა დროებითი მმართველობას ჩვენი ეკლესიისას, გააღრმავა შფოთი, შური და სიძულვილი კირიონსა და ლეონიდს

შორის, ნამდვილად კი იგივე დავიდოვი, სანამ პლატონი თბილისში იყო, ჩვენი კრებიდან და სამსახურიდან აშკარად შედიოდა პლატონთან და მისს სამსხურსაც ეწეოდა! ამ დავითაშვილმა, მისს ამქრის შემწეობით „ოქმიც“ კი შეუყენა ანტონ ეპისკოპოსს, თითქოს ეს უკანასკნელი ჩუმად შედიოდა პლატონთან! ამ თაობაზე დიდი აურ-ზაური ასტყდა დროებით მმართველობაში, ეპ. ანტონმა სასტიკად თავი იმართლა და ცეცხლი გადააყარა ცილისმწამებლებს.

ეხლა კი „ოქროს დოლლარებმა“ მეტად ნათელჰყო ყოველივე დაფარული! კარგია დღეს – ამ სიძვირის დროს – ათი ოქროს დოლლარი, მაგრამ... ვაი, ამ ჭამას! ცეცხლი სჭამონ, ისევ ურჩევნიათ მაგისთანა ჭამას!

ალბად პლატონი ისევ იმზადებს ნიადაგს საქართველოში! ეხლა მონარქისტული მოძრაობაა გერმანიაში! იქ თუ მოხდა გადატრიალება, დიდი ხანი არ გაივლის, რომ ასეთივე გადატრიალება მოხდება საბჭოთა რუსეთშიც! ჩვენც შიგ მოვყვებით ამ ხაფანგს! პოლიტიკურ რესტავრაციას ეკლესიურიც ზედ მოჰყვება და შეიძლება ჩვენ ეკლესიური დამოუკიდებლობაც დავკარგოდ! რუსეთის სინოდი ისევ შეეცდება, დაგვადგას კისერზე თვისი უღელი! ამის მონატრულნი არიან ზემო აღნიშნული ლიროსანნიც. ამათ ორდენები – წითელ-ყვითელი ლენტებით დაკეცილ-შენახულნი აქვთ... ყოველ შემთხვევისათვის! მაგრამ, ვაი იმ ეკლესიურ დამოუკიდებლობას, ჩვენ რო გვაქს დღეს! ისე დასცეს პრესტიჟი ამ ყოფილმა ექსარხოსის აგენტებმა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობისა, რომ ბევრი არც კი ინანებს, თუ ისევ ექსარხოსებს ქვეშე მოჰყვებიან, ხოლო „ლიროსანნი“ არსად არაფერს ჰკარგავენ. ესენი ყველგან და ყოველივე გარემოებას ეგუებიან... მახლას! – ...მაგრამ თუ ადამიანთა მსჯავრს წაუვლენ ეს ჩვენი „აზეფები“, ღვთის მსჯავრს ვერსად ვერ გაექცევიან მაინც!..

კიდევ კარგი, რომ პლატონმა მეც არ მომიგონა! რა ოინი იქნებოდა, ჩემთვისაც რო გამოეგზავნა „ათი დოლლარი“!..

ერთი სირცხვილისაგან ვიხსენი საკათ. საბჭო და კათოლიკოზი, რომ ჯილდოები შევაჩერებიე, მაგრამ ამ უკანასკნელ „დოლლარულ“ სირცხვილისაგან კი ვერ ძალმიძს მათი ხსნა! ეს „იუდას ოცდაათი ვეცხლის“ მსგავსია! ნეტავი, „კურსით“ რომელი უფრო ძვირი იყო, იუდას 30 ვეცხლი თუ ამათი „ათ-ათი დოლლარი“?!.

18 ივლისი – სამშაბათი

დღეს „კომუნისტების“ სამგლოვიარო დღეა! 14 ივლისს ველოსიპედზე მჯდომ „კამო“ (სიმონ) პეტროსიანს (სომეხია) ვერის დაღმართზე დაეტაკა ავტომობილი, გადააგდო ველოსიპედიდან და ისე დაშავდა, რომ ორი საათის შემდეგ მიხეილის საავათმყოფოში გარდაიცვალა. ამის გამო დააპატიმრეს ჯერ შოფერი, რატომ დაავჯახე ავტომობილიო (ღამის 11 საათი იყო, ქუჩა გაუნათებელი, ბნელოდა), შემდეგ დააპატიმრეს უფროსი ექიმი საავათმყოფოისა – ვირსალაძე, რატომ „მოჰკალიო“! მაგრამ ერთიც და მეორეც მალე გამოუშვეს, ხოლო „კამო“ კი დაიღუპა! ეს „კამო“ იყო ძველ რეჟიმის დროის ტერრორისტი – „რევოლიუციონერი“, ამან ერევნის

მოედანზე ძველი რეჟიმის დროს მოაწყო დაცემა სახაზინო ფულზე, დიდი ფული გაიტაცეს მაშინ ბანდიტებმა, ბომბები გადაისროლეს და ხალხი დაჰხოცეს! ამას ჰქვია „რევოლიუციონერობა“! შემდეგ ამ „კამოს“ მრავალგვარი ასეთი „აქტები“ ჩაუდენია, გერმანიაშიც კი მოუხდენია კაცის კვლა, ხოლო იქ თავი მოიგიჟიანა, თითქოს პსიხიურად იყო ავათმყოფი (სიმულიაცია); ისეთი ოსტატობით ჩაატარა ეს როლი, რომ დახრჩობას გადარჩა, გადმოსცეს რუსეთს, აქ მეტეხში ჰყავდათ ერთხანს დამწყვდეული, აქაც განაგრძო სიმულიაცია, გადაიყვანეს ლაზარეთში და აქედან გააპარეს თავისიანებმა და დაჰმალეს. ასეთ კაცს ჰქვიოდა „ბოლშევიკი“-კომუნისტი! დიდ რევოლიუციის შემდეგ ასეთ ადამიანებს დაუდგათ „დარი“, ამათ გაშალეს და გააფართოვეს თავიანთი ნიჭი – „ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესწყობილების დარღვევაში“ და „სოციალიზმის დამყარებაში“! ეს ვაჟბატონები გამოდიოდენ ვითომდა მუშურ-გლეხურ ინტერესების დასაცველად „მშრომელთა“ სახელით, ნამდვილად კი თვითონ არაფრის მაქნისნი და შემქმნელნი არ იყვნენ, იტაცებდენ, ანიავებდენ შექმნილ სიმდიდრე-დოვლათს და თან ხოცდენ და ჟლეტდენ უწყალოდ ვინც კი გზაზედ გადაეღობოდენ! ეს „კამო“ ყოფილა ეხლანდელ საბჭოთა რუსეთის მამამთავრის ლენინის „დიდი მეგობარი“! დიდი ინიციატორი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა საქართველოშიც, ქართველ კომუნისტების „ამხანაგი“! ეხლახან ეჭირა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ყველა სადამოჟნოების პოსტი! ძნელი წარმოსადგენია, თუ რა სიმდიდრის და „შემოსავლის“ წყარო ჰქონდა „კამოს“ დღეს ხელში! დიდი მწუხარება გამოიწვია ასეთ „მებრძოლის“ ასე „უდროოდ და ტრაღიკულად“ დაღუპვამ! ეს „კამო“ ყოფილა ცოლის-ძმა „გრუზ-ჩეკის“ თავმჯდომარის „კოტე ცინცაძისა“, მეორე დაც გურულ ბოლშევიკ ხუტულაშვილზე ჰყვანდა გათხოვილი. 18 ივლისს დაასაფლავეს „კამო“. ის იყო დასვენებული „მუშათა სასახლეში“, „რუსთველის პროსპექტზე“, მისს გვამს ბალზამიროვკა გაუკეთეს, საფლავი კი ყოფილ სემინარიის წინ სკვერში – ბაღში მოუმზადეს, სადაც პუშკინის ძეგლი სდგას! მთელი „კომუნისტური“ მექანიზმი მოიყვანეს მოძრაობაში – მობილიზაცია უყვეს ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეებს, ვალდებულნი გახადეს ყველანი გამოცხადებულნიყვნენ, ამ სახით „დიდ-ძალი“ პატივისმცემელნი შეაგროვეს, ამათ მოსეირე ბრბოც მიემატა და ქუჩები არ იტევდა „პროცესიას“. უკრავდა მუსიკა, გალობდა რევოლიუციონურ ჰიმნებს კოტე ფოცხვერაშვილის გუნდი. პირველი სიტყვა „მუშათა სასახლის“ წინ დამღლიავებულმა ფილიპე მახარაძემ წარმოსთქვა – დიდის მწუხარებით, ვიშით და ვაებით! მსმენელნი ამბობდენ – „ამას მღვდლობა უფრო მოუხდებოდა, ვინემ ბოლშევიკობა, დახეთ წვერიც კი მღვდლისას უგავს, სემინარიაც დაუსრულებია და მღვდლის შვილიც ყოფილაო“!..

სხვა სიტყვების ნაკადული გადმოსჩუხჩუხდა თვით საფლავის პირზე – საგანგებოდ გაკეთებულ „ტრიბუნიდან“! აქ პირველი „მქუხარე“ სიტყვა წარმოსთქვა „ჩვენმა ბუდუმ“ (მდივანმა, რომელსაც მეტსახელად ეწოდა „გლუპიშკინი“): განსაკუთრებული მანერებით, ყვირილით და ხელის ქნევით, თითქოს ზეცას უმკლავდებოდა! – სიტყვას ამბობდა რუსულად: „Этот был сверхестественный человек, который два десятки лѣт носил на спинѣ пудами динамит“-ო

და სხვა. ილაპარაკეს „ფედერატიულ კავშირის მთვრობის სხვა წევრებმაც – მიასნიკოვმა (ეს სომეხია – ყასაბიანცი, რომელმაც გვარი გამოუცვალა, ეს კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა კავშირის თავმჯდომარეა და სომხითის წარმომადგენელიც, ბუდუ საქართველოისა, ხოლო ადერბეიჯანის – ნარიმანოვი, ამათი „ჩეკის“ უფროსი ვინმე – რუსი მოგილიოვსკი) და ნარიმანოვმა; ილაპარაკა სერიოჟა ქავთარაძემ, ყაზანის თათარმა – იაგურიანმა, ელიავამ და ბევრმა სხვებმაც. სამიოდე სიტყვა ითქვა ქართულად (მახარაძემ ქართულად წარმოსთქვა), სხვა სულ რუსულად. ჩაასვენეს ასფალტსა და ცემენტის ჩაკირულ კუბოში. მოწინააღმდეგენი ლაპარაკობდენ: „სულ ერთია, რაც უნდა ჩაჰკიროთ, ჩაფისოთ, აქ „კამოს“ არ აქვს ადგილი, ბოლოკის კუდივით ამოსძურწავენ მიწიდანო“... თოფებიც გაისროლეს, ერთხელ კიდევ „გამოემშვიდობა“ ბუდუ „კამოს“ გამძვინებულ ლომივით და ხალხიც დაიშალა. ბუდუმ ხალხს მადლობა გადაუხადა პატივისცემისათვის, ხოლო „კამოს“ ერთხელ კიდევ მისცა სიტყვა-ფიცი, რომ მისი „ამხანაგები“ შეასრულებენ იმ მიზანს, რომელსაც ემსახურებოდა „კამო“ – „ბურჟუაზიის დამხობა-განადგურებას“!

აქ უნებლიეთ მომივიდა ასეთი აზრი: ესენი და ამათი მსგავსი „ამხანაგები“, სულ-ყველანი – „ცრუ-ფუტკრები“ არიან, ჭამით ზორბად სჭამენ, ხოლო მუშაობისა მათ არა გაეგებათ რა და არც შეუძლიათ. დღეს ჩვენში კომუნისტები იმ „ბურჟუაზიის“ და მედუქნეების ხარჯზე იკვებებიან, მთელი მაღაზიები – დუქნები და ყოველი საწარმოო დარგები ჩამოართვეს პატრონთ, ესენი ყველა ხარკს აძლევენ ქალაქის საბჭოს ანუ, როგორც ეხლა ეძახიან, „გორ-ისპოლ-კომს“! ქალაქის კასსაში შედის ათეული და ასეული მილიარდები, ხოლო ამ „ღალით“ ანუ „ხარკით“ იკვებებიან ეს ვაჟბატონები, ესე იგი ესენი გადაიქცენ ახალ ჯურის მებატონეებად, რომელთა სისასტიკე და უნიჭობა ბევრად სჭარბობს ისტორიულ მებატონეებს! ეს კაი კაცები თითონვე სჭრიან იმ „ტოტს, რომელზედაც დღეს არხეინად სხედან და შეექცევიან ცხოვრებას ყოვლით გალაღებულნი! იღუპება და იხრწნება ყოველივე ამაში ადამიანის „პიროვნება“ – ინდივიდუუმი, მისი შემოქმედებითი და თაოსნობის ნიჭი ილესება ასეთ ცრუ „საზოგადოებრიობაში“! ასეთ მოვლენას მომავალი არ აქვს, მაგრამ ილეწება და ირღვევა ჩვენი ერის ისედაც სუსტი ეკონომიური, ეროვნული და კულტურული ძალები. ტყუილები, სიყალბე, მექრთამეობა ზღაპრული, ცარცვა-გლეჯა განსაკუთრებით პროვინციებში – აი, შედეგი დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობისა!..

16 ივლისის (კვირა) გაზეთ „კომუნისტის“ ნომერში მოთავსებული იყო ნარკომპროსის კომისარ კანდელაკის ნაამბობი; ეს ამ დღეებში დაბრუნდა მოსკოვიდან და გაზეთის თანამშრომელთან გააკეთა „ინტერვიუ“: კანდელაკი მოგვითხრობს ვრცლად, თუ როგორ მან საბჭოთა უმაღლეს ხელისუფლებას რუსეთში გამოსთხოვა ნება, რათა საქართველოს დაუბრუნდეს ის განძეულობა, რაც 1783 წლიდან გატანილა საქართველოდან რუსეთში – „მეფის მთავრობის“ მიერ. ყოფილა კომისია შედგენილი, ამ კომისიაში მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე აკადემიკოსი პროფესორი ნ. მარრი (გურულია, თუმც გვარი ინგლისური აქვს) და ლუნაჩარსკი. ჩამოთვლილია ის მუზეუმები და დაწესებულებანი ანუ წიგნთ-საცავები, სადაც

ეს ჩვენი განძეულობა – სამუზეუმო-საისტორიო-საარქეოლოგიო საგნები ანუ ნაწარმოებები – ხელთ-ნაწერები – პერგამენტზე, პაპირუსზე თუ ისე ქაღალდებ-ზე – ინახება, ყოფილა ამისი სია შემდგარი (ეს მუშაობა ჯერ კიდევ მენშევიკების დროს იყო დაწყებული); დიდ-ძალი სიძველენი ჩვენნი ინახება მოსკოვის მუზეუმებში, ორუჟეინნაია პალატაში, ბიბლიოთეკებში; განსაკუთრებით ბევრია თურმე ხელთნაწერები ქართული მოსკოვში და უფრო პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში, მუზეუმებში; კიევის ლავრაში, იქვე სოფიას ტაძარში და სხვაგან. ყოფილა ბატონიშვილი თეიმურაზის მთელი წიგნთ საცავი 400 ხელთნაწერებით, ყოფილა მეფეების სურათები 15–17 საუკუნოების – რვა სურათი, ყოფილა ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსანი“ სურათებით – კუთვნილი მეფე ერეკლესი, ყოფილა თვით რუსთაველის სურათი და გეოგრაფ ვახუშტისაგან შედგენილი საქართველოს რუქა – მისსავე თხზულებისათვის. ყოველივე ეს უნდა დაგვიბრუნდეს ამა წლის სეკტემბრის პირველ რიცხვებშიო. 1915 წლიდან მეფის მთავრობამ გაზიდა აქედან განძეულობა 4 მატარებლითაო, ყოველივე ესეც დაგვიბრუნდებაო. დახეთ რა მეგობრები და ძმებია ჩვენი საბჭოთა რუსეთი და არა „წითელი იმპერიალისტები“, როგორც ამას ცილს სწამებენ მათ მენშევიკები და სხვა ჩვენი შოვინისტებიო!..

არ ვიცი, რას მოასწავებს ყოველივე ეს?! მეტად დამაფიქრებელია ასეთი დაპირება! ჯერ მოიტანონ, დააბინაონ და შემდეგ დაიკვეხონ! მგონი ეს სია განძეულობისა უფრო იმიტომ არის მოყვანილი, რომ მენშევიკებს უკბინონ – თქვენ გაიტანეთ საქართველოდან განძეულობა, ჩვენ კი ვაბრუნებთ რუსეთიდანო; ანუ უყიჟინონ კათოლიკოზის „მოწოდებას“ – რუსებს კი არ გააქვთ საქართველოდან ჩვენი ქონება-სიმდიდრე, პირიქით გვიბრუნებენ იმასაც კი, რაც ძველად მონარქისტებს გაუზიდნიათო. შეიძლება ამით ხალხის გულის მოგებაც სურდეთ, ხმაა გავრცელებული, რომ ანტანტამ საქართველოზე მანდატი საფრანგეთს მისცაო, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსებმა ან უნდა გაიყვანონ „წითელი არმია“ საქართველოდან ან უნდა ომი აწარმოონო! ამის მოლოდინში ავრცელებენ ამ ხმასო...

18 ივლისი დაუვიწყარია ჩემთვისაც! დღეს პურის ფული აღარ მაქვს, მეტად დიდ კრიზისს განვიცდი; გიმნაზიიდან ეს ორი თვეა ჯამაგირი არ მოუციათ, ტაძრიდანაც არავითარი შემოსავალი აღარ მაქვს. მე და ჩემი ქალ-ვაჟი – ქეთევან და გერმანი – სამთავენი წავედით „სამსახურის“ საძიებლად, ეს ბავშები 16-17 წლისანი გიმნაზიის ანუ „ტეხნიკუმის“ მეშვიდე კლასიის მოწაფენია! მე „მღვდელი“, რომელსაც კბილს უღრჭენს „კომუნისტური მგელი“! აბა, ჩვენ ვინ მოგვცემს „სამსახურს“! ამიტომ კერძო საქმის ძიებას შეუდექი, შეველ ცნობილ მრეწველ აკაკი ხოშტარიას კანტორაში (ლორის მელიქოვის ქუჩაზე), თვითონ ხოშტარია ოჯახით გაქცეულია საქართველოდან ევროპაში, იქიდან ამ სამი თვის წინეთ გამომიგზავნა (სტამბოლიდან) ერთი ფუთი შაქარი და ოთხი ფუთი თეთრი კანადის პური; ის ჩემი პირადი „მრევლია“, მე შევდიოდი მის ოჯახში, სერგიევის ქუჩა №13, ყოფილი სახლი მრეწველ დ. სარაჯიშვილისა, სადაც ეხლა „ხელოვნების საზოგადოება“ და „ქართველ მწერალთა ავშირია“ თავშეფარებული. კანტორაშია მისი აქაური მოურავი ქადეიშვილი (გურული), რომელმაც

ამას წინეთ ჩამაბარა შაქარი და ფქვილი, აკაკისაგან ნაბოძები. ვიფიქრე, იქნებ რაიმე ადგილი მომცენ კანტორაში, რომ დროებით პურის ფული ვიშოვნო თქო. აღმოჩნდა, რომ კომუნისტებს თითქმის ყველაფერი წარმოება ჩამოურთმევია ამ ფირმისათვის თბილისში, აღარავითარი საქმე აღარა გვაქვს, ვინც აქ სხედან, ესენი ყველა ნათესავებია აკაკისა და ესენიც სულ მალე უნდა დავითხოვოთო. დავრჩი იმედგაცრუებული; ასევე მომივიდენ ბავშვები „გორ-ისპოლ-კომიდან", სადაც „სამსახურის" სათხოვნელად იყვნენ. ვართ დაღონებულნი! ანაფორით არ-სად მიგიღებენ, ჯერ შევრჩი „ქალთა ტეხნიკუმს", სადაც დირექტორი მფარავს, აღარც იქიდან იძლევიან რაიმეს, არც სხვაგან მიმიღებენ. ჩვენი საკათ. საბჭო კი თვითონ ინაწილებს ყოველივეს, სჭამენ ჯერ-ჯერობით მაძღრათ, „ლირებიც" მოსდით ამერიკიდან და რა უშავთ. ჩვენ „სამოძღვრო კურსებზე" სწავლა 1 ივ-ლისისათვის შესწყდა – სულ სამიოდე კაციღა შეგვრჩა კურსებზე. იმედი აქვთ, სექტემბრიდან დიდ-ძალი ხალხი მოგვაწყდებაო. ზაფხულის ჯამაგირს მომცემენ თუ არა, არ ვიცი, თვეში 400.000 მანეთი გვაქვს მასწავლებლებს.

გორიდან ისევ დაბრუნდა „ქრისტეფორე ურბნელი", ყოფილი „მანგლე-ლი"! მას არ ეთმობა თბილისი, სადაც ოჯახურად არის მოწყობილი – ყოფილ სამხედრო ტაძრის ბინაზეა გაჭიმული (საპიორნი ქუჩაზე), ხასა უზის სახლში, რომლისაგან ამ ერთი თვის წინეთ შვილიც შეეძინა ჩვენ „ეპისკოპოზს", რაზედაც საჯაროდ ლაპარაკობენ უკვე... ვერც თოთიბაძეს შორდება ქრისტეფორე! ვერის ნიკოლოზის „გემო" პირში უდგია ეპისკოპოზს ეხლაც, ამიტომ ის დათანხმდა ამ ეკლესიის მგალობლის ვაკანსიაზე მაინც ითვლებოდეს და ამის ხვედრ ჯამაგირს – თუ შემოსავალს იღებდეს! ეს რა უბედურებაა! ჯერ იყო და ეპისკოპოსი დეკ. თოთიბაძის „წინამძღვრობის" ქვეშე ჰყვანდათ, ეხლა უკვე „დამოუკიდებელი" ურბნელი – „მგალობლის" ვაკანსიაზე იმავ დეკანოზის წინამძღვრობის ქვეშე! ურბნელს არ სურს არც გორში იქონიოს თვისი „რეზიდენცია", არც დაბა სუ-რამში, სადაც ის ჩინებულად არის მოწყობილი სახლ-კარით, ეზო-ვენახით და ბაღებით! ის თავს თბილისში მოიკლავს! ესეც ანტიკანონიური მოვლენაა – ორი დამოუკიდებელი ეპარქიის ეპისკოპოსნი ერთ ქალაქში! მაგრამ ან კი სადღა შე-იძლება დღეს რაიმე „კანონიურზე" ლაპარაკიც კი! ჩვენმა ეკლესიამ დაჰკარგა თვისი იალქნები, შემოაფხრიწეს მას ეს იალქნები და აფრაც დაუმტვრიეს მას... ვინ?.. ისევ მისმა უღირსმა შავრაზმელმა, თვალ-მაქც-ფარისეველ-სადდუკე-ველ მღვდელმთავართა, მღვდელთა და მწიგნობართა! დღეს, 18 ივლისს, საკათ. დარბაზშიაც შეუხვიე, აქ ვნახე დეკ. ი. შუბლაძე, ნ. მაჭარაშვილი, ი. ჭეიშვილი (ხაზინადარი), შუბლაძემ თვით ჩამომიგდო ლაპარაკი პლატონ მიტროპოლიტის „დოლლარებზე"! „Какое он наломил на них (ვისაც მოუვიდათ ლირები) клеймо", – პატეტიურად ლუღლუღებდა ის თვისი მოტეხილი, ბრგვილი ენით! ამით მიწვევ-და, გამომემჟღავნებია ჩემი გულნადები ამ თაობაზე. მიუხვდი, რასაკვირველია, ზრახვასა მისსა და მე ჯერ გავიკვირვე, თითქოს არც ვიცი, რაშია საქმე! შემდეგ ვსთქვი: „რა უყოთ მერე, რა უშავს, ხო გაგიგონია თქმულება: „ირემმა ირემს ბა-ლახი აუშვირაო", – მეგობრობა ასეთია, – „ძმანი ჭირსა შინა სახმარ არიან თქო"!

მაგრამ შენ კი, როგორც „ახ. სიტყვის“ ფაქტიურ ხელმძღვანელს გმართებს ამ მოვლენაზე ჩაფიქრება, გახსოვსთ, როგორ დაუწერეთ „ახ. სიტყვაში“ უბედურ ანტონ ქუთათელს, პლატონთან ჩუმ-ჩუმად მიიპარები ჩვენი კრების შემდეგო და „ოქმიც“ კი შეუდგინა ამ თაობაზე დ. დავითაშვილმა? იმ დავითაშვილმა, რომელიც ერთ პორტფელში ჩვენი ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმეებსაც ატარებდა და ექსარხოსს პლატონისაც?! რო ვერ დაუმტკიცეთ ანტონს ის „ოინბაზობა“, აღარ შეგრცხვათ მაინც?! ეხლა რაღას იტყვით, პლატონმა თვითონ საჯაროდ ხელი დაადო თვის აქაურ „თანამშრომლებს“! განა ის მე სხვებზე ნაკლებად მიცნობდა?! ან მან არ იცის, რომ მე ამათზე მეტად განვიცდი ნივთიერ ხელმოკლეობას?! (დეკ. ი. კაპანაძიდან პლატონმა აქაური ამბები დაწვრილებით იცის). „შენ მეორე რიგში მიიღებო“, – გესლიანად მითხრა დეკ. ლაზრიშვილმა! არა, მამაო დიმიტრი, მეორე რიგში შენ ელოდე პლატონის წყალობას, პირველ რიგში შენმა „წინამძღვარმა“ – ცინცაძემ მიიღო, მეორე რიგში მისს მეორე მღვდელს ეკუთვნის თქო“!.. თავი ჩაღუნა და ჩაიცინა...

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი ქრისტეფორე ურბნელზე, რომელიც იქვე, მეორე ოთახში, საკათ. საბჭოს სხდომაზე იღებდა მონაწილეობას. შევეხეთ იმას, თუ რა გზით – ფუქსით – გავიდა ის ეპისკოპოსად, რა უხერხულ-ულამაზო მდგომარეობაში იყო ის ვერის ნიკოლოზზე და უფრო უარეს საძრახის მდგომარეობაში ჩასდგა ის დღესაც! – „მა რა ჰქნას, შიმშილით ხო თავს არ მოიკლავს, მე ოცდაათი მილიონი რო დამინიშნოთ თვეში, ეპისკოპოსად არ წავალო“, – ბრძანა დეკ. შუბლაძემ! ვსწვდი ამის გამო ყელში – როგორ?! შენ, კირიონ კათოლიკოზის გამქიქებელი, ამას ამბობ?! მაგრამ, ვიცი, შენ და შენთან ზოგიერთი სხვა დეკანოზებიც ისე ბრძანდებით „მამონაში“ ჩაფლული, რომ ეპისკოპოსად წასვლა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის?! ამისათვის მე თქვენ გიწოდებთ – სადდუკეველ-ფარისეველთა ჯიშის სამღვდელო პირთ?! თუ „ურბნელობა“ იკისრა ქრისტეფორემ და ის კი სურს ეპარქიას, კიდევაც უნდა იცხოვროს იქ“? – შუბლაძემ ისევ მიპასუხა: „თუ მოსამართლეს ფეხზე მაზოლი აქვს, ან რაიმე მას აწუხებს, ასეთი კაცი სამართალს ვერ გააჩენს, ასეთ კაცს თანამდებობას არ აძლევენო! ასე ეპისკოპოსიც, თუ მას „ჰშია, ის რეზოლიუციას ვერ დაადებს მღვდლის ან თვისს სამწყსოს თხოვნაზეო“! ამაზე ისევ მიუგე, რომ შენ მაინც გაუსწორებელი უტილიტარისტ-მატერიალისტი ხარ, მაგრამ არც მე ვარ იმის მომხრე, რომ ეპისკოპოზს შიმშილით სული ამოსძვრეს. მაგალითად, მე რომ ეპისკოპოსად იმას კი არ ვიტყვი – რამდენ ფუთ პურს ან რამდენ ათეულ მილიონს დამინიშნავს სამღვდელოება თვეში, პირველად შევიგნებ იმას – ვარგივარ თუ არა ეპისკოპოსად, უნდივარ თუ არა ეპარქიას ეპისკოპოსად! თუ ეპარქიის სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებამ ამირჩია ეპისკოპოსად, მაშინ თამამად წავალ და შევქმნი კიდევაც ისეთ ნივთიერ ვითარებას მაინც, რომ „რეზოლიუციის დადების“ დროს შიმშილით სული არ ამომძვრეს! რაებს ლაპარაკობ, მამაო ილია, გრცხვენოდეს მაინც შენი „წარსული პუბლიცისტობის“! ქრისტეფორე და შენ ისტორიული ფიგურები ხართ ჩვენი ეკლესიის ახალ ხანის პირველ სამწუხარო ფურცლებზე! გეტყობათ, თქვენი მრწამსი ყოფილა: „მრწამსი და მიწყალე, ჭამისთვის ვისწავლეო“! გაგონილა ეს?! ნურას უკაცრავად, ურბნისის ეპარქიამ ძალად თავზე მოხვეულ

ქრისტეფორეს ოცდა ათი ფუთი პური არ მისცეს თვეში, – 15 მას, 15-იც მისს კანცელიარიას, როგორც ის თურმე ამას რიხიანად მოითხოვს! ერთი ჰკითხეთ მაინც, რა უნდა მისცეს თვით ქრისტეფორემ ეპარქიას ამის ბადლად?!.

...შემდეგ შუბლაძემ ჩამოაგდო ასეთი ლაპარაკი – „იმ დღეს აქ სთქვეს, რომ ანჩისხატში რო ძვირფასი განძეულობაა, ასეთი და ამდენი სხვაგან არ არისო, გაჰყიდე ესენი, ზოგი შენ მოიხმარე და ზოგიც ეკლესიას მოახმარეო!“ ამაზე კვერი დაუკრა იქვე მყოფმა ჩვენმა „კურსისტმა“ ანტოშკა დიაკონ ლაზარიშვილმა, ჰო და რა, მამაო დეკანოზო, გაჰყიდეთ და მოიხმარეთ, სულ ერთია ბოლშევიკები წაიღებენო! ამაზე მოვახსენე შუბლაძეს, იქვე დეკ. ტყემალაძეც იყო ამ დროს: „რაც განძეულობაა ანჩისხატში, ეს კარგად მოეხსენება დეკ. ტყემალაძეს და ნ. მაჭარაშვილს, ყოფილ ბლაღოჩინს; ეს ტაძარი ამ კაცმა ჩამაბარა 1912-ში, გვაქვს კიდეც წიგნი ქონებისა, სადაც აღნუსხულია ყოველი ნივთი. რა საჭიროა ასეთი პროვოკაციული ლაპარაკი ანჩისხატზე, რო არ უნდოდეთ გაქურდვა, ასეთი ხმების შემდეგ გამიქურდავენ ტაძარს! მე ბარძიმ-ფეშხუმებს პურებზე ვერ გადავსცვლი, როგორც ამას შობიან ზოგიერთი დეკანოზები თქო, ვერც გავყიდი მათ ფულზე! თუ სურს, სასულიერო მთავრობამ ჩამომართვას ეს ნივთები და თვით მოიხმაროს, მე იმ ნივთებს ვერ მოვახმარ ვერც ოჯახს, ვერც ტაძრის შეკეთებას. მთავრობამ რო მომთხოვოს, ის წიგნები უნდა ვაჩვენო, რომ მაქვს დაცული! მე თავს ვერ გავიმასხარავებ, მე რო მაგ ნამუსის მღვდელი ვყოფილიყავ, არც ანჩისხატში ჩავვარდებოდი თქო“. ამაზე ტყემალაძემ შენიშნა: „ნივთები მეც მაქვს სიონში, მაგრამ როდი ვყიდიო“! აი, ასეთია დღეს ჩვენი ვითარება.

კათოლიკოზის საქმის მოსპობა

ზემო აღნიშნულ ბაასის შემდეგ, საბჭოს დარბაზში, დეკანოზმა იოანნე ქავჟარაძემ სთქვა: „ნამდვილი წყაროებიდან გავიგე, რომ კათოლიკოზის საქმე – გენუის კონფერენციისადმი „მოწოდებისა“ გამო, მოისპო ჩეკაშიო“. ყოფილა ვინმე გამომძიებელი ქავჟარაძე, რომელიც ამ საქმეს ჩეკის თავმჯდომარე კოტე ცინცაძესთან ერთად აწარმოებდა. ის არავინ იცის, რა საფუძველზე მოისპო ეს საქმე ან თუ სამუდამოდ მოისპო. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პოლიტიკური მომენტი და კომუნისტთა აწინდელი ურთიერთობა მეტად გამწვავებულია, რომ ისეთი პროცესი გაიტანონ „ტრიბუნალში“, როგორიც არის კათოლიკოზის საქმე. „კომუნისტთა სამეფო“ ჯერ-ჯერობით ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო – „ქართველ კომუნისტებისა“ და სხვა ყველა არა „ქართველებისა“ და თვით „ქართველ კომუნისტთა“ შორისაც განხეთქილებაა! ამიერ კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა მთავრობის თბილისში ჩამოყალიბებამ ცხად და თვალ-საჩინო ჰყო ეს განხეთქილებანი. აღზდგა ის ვითარება, რასაც დიდ რევოლიუციის შემდეგ 1918 წლის 26 მაისამდე ადგილი ჰქონდა ჩვენში – ესე იგი „ამიერ კავკასიის კომისარიატი“! ქართველ-თათარ-სომხებმა საკმარისად იგემეს ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ეს სამი ერი არ არიან მომწიფებულნი „ერთ ბუდეში კვერცხი სდონ“! ესენი ერთად

კაკანებდენ, კვერცხს კი ცალ-ცალკე სდებენ! ერთი მეორეს ძირს უთხრიდა, საქმე არა კეთდებოდა რა, პირიქით მეტად აიწენა პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, ეროვნულ-კულტურული და ყოველგვარი ურთიერთობა. თუ ეს მოუვიდა წინა პარტიებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს, უფრო მეტი მარცხი იყო მოსალოდნელი „კომუნისტების“ ხანაში. ამ ხანას კი ახასიათებს „წითელი იმპერიალიზმი“ რუსს კომუნისტებისა, რომელთა უმეტესობას, ფილიპე მახარაძისავე სიტყვებით რო ვსთქვათ, წამოუსხამს „წითელი პლაშჩი“, ხოლო ამ „პლაშჩში“ გამოხვეულნი არიან „კომუნიზმის“ მტერნიო!.. თან და თან ირკვევა, რომ ამიერ კავკასიაში სწარმოებს რუსთა ბატონობის აღდგენის და ახალ საფუძვლებზე განმტკიცების პროცესსი. ამ პროცესში რუსებს ხელს უწყობენ უთვისტომო, მოხეტიალე, მუდამ ვერაგი სომხობის „შეგნებული ნაწილი“, განურჩევლად სქესისა, რწმენისა და მიმართულებისა; ამათ გვერდით მუშაობენ რუსის „ურიები“, მათ მხარს უმშვენებენ ოსები, ბერძნები, ადგილობრივი რუსები ყველა პარტიისა და მიმართულებისა – ყოფილი „ჭეშმარიტი რუსები“, ეხლა „წითელ პლაშჩში“ გახვეულები! ესენი ყველანი ერთად „ფედერაციის მთავრობის კავშირისაგან“ მოითხოვენ ყველაფერში „ერთობას“, ყველაფრის „გაერთიანებას“, „სასამართლოს გაერთიანებასაც“ კი! ხოლო ამ უკანასკნელ „გაერთიანების“ მოთხოვნამ მეტად გაამწარა საბჭოთა საქართველოს ცენტრალურ აღმას-კომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე! ამ თაობაზე მან „კომუნისტში“ ქართულად, ხოლო „პრავდა გრუზიაში“ რუსულად ენერგიულად გაილაშქრა „წითელ პლაშჩში“ გამოხვეულების წინააღმდეგ! ეს საკმარისი იყო, რომ მემარცხენე ფედერალისტთა ორგანო „ტრიბუნას“ აეტეხა განგაში „წითელ პლაშჩიანების“ წინააღმდეგ. „ცოტა რო მოფხიკოთ აქაური რუსები თუ სომხები, ნამდვილი იმპერიალისტები ამოხტებიანო“, – სწერენ „ტრიბუნელები“! ესენივე სწერენ ამ თემაზე მქუხარე სტატიებს შემდეგი სათაურებით: „რა სურთ“? ან „საით მივდივართ“? – პირველ კითხვაზე არკვევენ, რომ საქართველოს დამონავება სურთო! მეორე კითხვაზე უპასუხებენ, რომ „ქართული ენის თითქმის ყველა დაწესებულებათაგან სისტემატიურ გამოდევნის პროცესის წარმოებით, ჩვენი დენაციონალიზაციისაკენ მივყევართო“! „გაერთიანებულ რკინის გზაზე, სამხედრო უწყებაში, ფინანსიურში, ფოსტა-ტელეგრაფში და ასეთ ცენტრალურ დაწესებულებებში ქართული ენა აღარ ისმის, საქმის წარმოება რუსულად სწარმოებს. თუ „შტატის შემცირებისა“ გამო ქართველი მოხელე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, ერთი კვირის შემდეგ იმავ თანამდებობას იჭერს ან რუსი, ან ურია, ან სომეხი! ქართველ მოხელეს მოსდებენ რაიმე შარს – „შენ „მენშევიკი“ ხარო, დააპატიმრებენ, ერთი ათი დღე რო ციხეში დაჰყოს მან, მისი ადგილი უკვე გაფრინდა, იქ სხვა „ნაციის“ მოხელე სდგამს ფეხს! აი, ასეთი სახე მიიღო დღეს საბჭოთა ხელის-უფლებამ „დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში“! ასეთი გამასხარავება ქართველობას არ განუცდია თვით შავ-მონარქიზმის ჟამსაც კი! ამბობენ – ამ „მიმართულებას“ – „ინტერნაციონალურ“ მიმართულებას მხარს უჭერენ – სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა და ბუდუ მდივანიცო! ირკვევა, რომ სერიოზულად ყოფილა დასმული საკითხი, საქართველოს მთავრობის ქუთაისში „გადამწესებაზე“! მაგრამ ამ საკითხს მეტად გაუმწარებია ფეხ მოჭრილი „საშა გეგეჭკორი“ (შინაგან საქმეთა კომისარი) და თვით ბუდუ მდივანიცო! ამათ მაგიდაზე

მუშტების ცემით უყვირიათ: „თუ ეს საკითხი დაისმება, აქ სისხლი დაიღვრებაო“! მგონი, ბუდუს კიდევაც გაურტყამს ვიღაცისთვის!.. აი, ამაზეა ნათქვამი: „ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო“! უბედური ჩვენი ქართველი კომუნისტები! როგორ მოღორებული აღმოჩნდენ ესენი! რა ხაფანგში მოჰყვნენ ეს საბრალო იუდუშკები! ამათ ეგონათ, მენშევიკებს განდევნიან რუსების არმია და ჩვენ გაგვაბატონებენ, ჩვენ ვიმეფებთ, ჩვენ ჩაუდგებით ქვეყანას სათავეში, ვსჭამთ, ვსვამთ, ვიხარებთ, თან საქართველოს გავასოციალისტ-კომუნისტებთ, სამოთხეს შევქმნით წითელ საქართველოშიო! აი, გლეხმა რო მძინარე კურდღელი ნახა გზაში, რამდენად აამუშავა მან თვისი მდიდარი ფანტაზია, მაგრამ კურდღლის დაჭერის ნიჭი კი არ ჰქონებოდა და თვალწინ დაემსხვრა ჰაერში აგებული „კოშკები“!..

სხვათა შორის „ფედერატიულ საბჭოში“ დასმულა საკითხი – „ქართულ წითელ არმიის შექმნაზე (რაც იყო შექმნილი, უკვე დაითხოვეს და ეხლა ისევ „შექმნაზე“ ბაასობენ!). საკითხი ორგვარად იყო დასმული: „ქართულ წითელ არმიაში შევიდეს რუსულ წითელ არმიის ნაწილები (ალბად ამას წინეთ რომ ჩვენმა კომუნისტებმა „იშვილეს“!), მეორე ნაირად – „რუსულ წითელ არმიაში შევიდეს ქართულ წითელ არმიის ნაწილები“! ამაზე დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მოსკოვს შეეკითხნენ – შენ გადაგვიწყვიტე დავა – (კარგი მოსამართლე უპოვიათ არა?!), მოსკოვმაც არ დააყოვნა სამართალი – „რუსულ წითელ არმიაში შევიდეს ქართულ ჯარის ნაწილებიო“! აქ კომენტარიები მეტია! გვიანღაც არის თითზე კბენანი...

გააგის კონფერენციის ჩაშლა

უკვე კომუნისტურ პრესსამ გვაცნობა, რომ გააგის კონფერენციამაც ვერ მონახა საერთო ენა რუს კომუნისტების დელეგაციასთან, ამჟამად – ლიტვინოვ, კრასინი და მგონი, სოკოლსკისთან! ჩიჩერინი აღარ წავიდა! ევროპიელები დაჟინებით მოითხოვდენ – ყველა ვალების ცნობას, საკუთრების პრინციპის აღიარებას და დამონებულ ერების განთავისუფლებას. ვერც ერთ პუნქტში ვერ შეთანხმდენ და 14 ივლისს დაიშალა კონფერენცია, დელეგატები უკვე წავიდწამოვიდნენ. კომუნისტებმა კი თავისებური ყოყოჩობით აღნიშნეს თავიანთი სიმტკიცე და უკომპრომისობა. თბილისის პრესამაც აღნიშნა ეს ყოყოჩობა „პრავდა გრუზიაში“ – მყვირალა და ლანზღვა-გინებით აღსავსე მოწინავე წერილში, რომელიც, როგორც ამბობენ, ბუდუ მდივანს უნდა ეკუთვნოდეს. ამის შემდეგ კომუნისტებს იმედი აქვთ ევროპის „ბურჟუაზიული სახელმწიფოები“ სეპარატიულ შეთანხმებებში ჩაითრიონ. ხოლო რას აპირებენ ანტანტის სახელმწიფოები, არავინ იცის, ამბობენ, ამიერ კავკასიაზე მანდატი საფრანგეთმა უნდა მიიღოს და რუსები გააძეონ აქედანო. გერმანიაში ბობოქრებს მონარქისტული მოძრაობა, საკსონიაში და ბავარიაში უკვე კოროლი ზის ტახტზეო... არავინ იცის სინამდვილე, დიდ ტომარაში ვართ მომწყვდეული, ლამის არის, გავიგუდნეთ ასეთ ატმოსფერაში...

21 ივლისი – პარასკევი

დღეს კათოლიკოზი ქვაშვეთის ეკლესიაში იყო მწირველი, ვიღაც დიდი მდიდარი ინჟინერი ბარნაბა პაპავა გარდაცვლილა შარშან ბერლინში, დიდ ძალი სიმდიდრე დაუტოვებია, ჭიათურაში საკუთარი მაღაროები ჰქონებია მარგანეცისა და თან გერმანელების სააქციონერო კომპანიის მოურავიც ჰყოფილა. აი, ამის ჭირისუფლებმა ჯერ აქ აწირვიეს კათოლიკოზს, ხოლო 23 ივლისს კვირას, სამტრედიაში მიჰყავთ კათოლიკოზი საწირავად. ცხადია, მსუქანი ლუკმაა და ეს ლუკმა ცინცაძე დეკანოზის ხელში მოხდა. თანამწირველობდენ კათოლიკოზს – პავლე არქიმანდრიტი (მცხეთის ტაძარს წინამძღვრობს ეხლა, ლამაზი, წარმოსადგენი კაცია და ასეთ შემთხვევებში გამოჰყავთ „დასამშვენებლად“ ის. სამოქალაქო სკოლა აქვს დასრულებული, უსწავლელ-განუვითარებელია), თვით კალისტრატე ცინცაძე, მისი მღვდელი – დეკანოზი-„დირექტორი“ დიმიტრი ლაზრიშვილი და კანდელაკი დეკ. მიხ. ფხალაძე. მგონი, ამავ კომპანიით აპირებენ გამგზავრებას სამტრედიაშიც! მიკვირს, დეკ. თოთიბაძე გამოსწირეს ასეთ შემთხვევას, მაგრამ იმას საკუთარი საჭმელიც იმდენი აქვს, რომ ვერც კი ასდის.

სანამ ქვაშვეთის ტაძარში წავიდოდი, სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში შევიარე. ქუჩაზე ჩამოიარა ნამღვდლევმა ვასილ ხახიშვილმა, დამინახა და შემოვიდა მაღაზიაში ისიც. ხალხი არავინ იყო, თავისუფლად ვილაპარაკეთ. ეს ხახიშვილი ეხლა საიჯარო საქმეებს იღებს და მდიდრად არის. მომიკითხა, როგორ ბრძანდებითო, მე უპასუხე: „არ ვარ ისე მსუქნად, როგორც შენა თქო!“ და გაიცინა, მხიარული და კარგი საამხანაგო კაცია ეს. წინეთ მსახურებდა მამა დავითის ეკლესიის წინამძღვრის ნესტორ მაჭარაშვილთან მედავითნის ადგილზე, აქ გადმოვიდა აგარ-წაღვერ-ცემიდან (ბორჯომის ხეობაშია); დიდი ომის წინეთ, მღვდლებსაც გაუკეთეს თბილისში მობილიზაცია ჯარის ლაზარეთებში სამსახურისათვის; ამ მობილიზაციაში მოჰყვნენ მეორე-მესამე მღვდლები ან მედავითნეების ვაკანსიაზე მყოფნი. სხვათა შორის გერმანიის ფრონტზე მოჰყვა ეს ვასილ ხახიშვილიც. იქიდან დაბრუნების შემდეგ დეკ. მაჭარაშვილმა აღარ მიუშვა თვის ადგილზე, იქ სხვა აეყვანა უკვე, ხახიშვილის თავიდან მოშორება სურდა, ვინაიდან ეს ხელს არ უმართავდა მამა დავითის ეკლესიის სისტემატიურ ძარცვა-გლეჯაში დეკანოზს და მისს ავარა შვილებს; ამან დიდი ბოროტ-მოქმედება და საიდუმლონი იცოდა მისი და მოიშორა თავიდან! მთელი წელიწადი იარა უადგილოთ მღ. ხახიშვილმა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია ლეონიდ კათოლიკოზმა. ეს მღვდელი სასულიერო სასწავლებელში კურს დასრულებულია, მაგრამ მეტად განვითარებული, ზრდილი და მოქალაქე. ამასთანავე საუცხოოდ მსახური და მღვდელ-მოქმედებაში დახელოვნებული, საუცხოო წამკითხავი, მგალობელი, მწიგნობარი და კარგი ხასიათებისა. ასეთი მღვდელი უადგილოდ დაწანწალებდა მთელი წელიწადი – სოფელშიდაც კი ვეღარ იშოვნა ადგილი და დიდ-სულიერ ბრძოლის შემდეგ, გაიხადა ანაფორა, შეიკრიჭა წვერ-ულვაში და დაიწყო „ფეხზე ვაჭრობა“ ანუ „სპეკულიანტობა“, გამდიდრდა! ამ ნამღვდლევმა, ჩემმა კარგმა ყოფილმა მეგობარმა, დღეს მიამბო ის სულიერი ბრძოლა, რაც მას თავს გადახვედრია ომის ასპარეზიდან

დაბრუნების შემდეგ და ბოლოს როგორ გაიხადა ანაფორა, ეს აქტი მოკლედ ასე მოსჭრა: „ცხოვრება ჩემზე ღონიერი გამოდგაო“! როდესაც ანაფორა გავიხადე, იმ ხანებში შემხვდა პირველ გიმნაზიის სჯულის მასწავლებელი დეკ. ქრ. ჯიოშვილი (ოსი, ამაზე მქონდა ზემოდ ნათქვამი პლატონ ექსარხოსის ხანაში) და განცვიფრებულმა შემომძახა: „ეს რა ჩაგიდენია, ამას შენგნით არ მოველოდიო“! მე უპასუხე: „მამაო ქრისტეფორე, გახსოვდეს „ცხოვრება ჩვენზე ღონიერიაო“! ამით დავშორდით ერთმანეთს. სამიოდე თვის შემდეგ ისევ შევხვდი იმავ ჯიოშვილს, ამასაც გაეხადა ანაფორა, უბრალო ბლუზაში იყო გამოწყობილი და დარცხვენილად მომმართა რუსულად: „ვასილ – შენ ჩემს ცხოვრებაში საბედისწერო როლი ითამაშე! იმდენად ჩამეჭრა გონებაში შენი სიტყვები: „жизнь сильнѣе нас“, რომ ვეღარ ავიტანე ცხოვრების ნაკლულევანებანი (სამღვთო სჯული გაუქმდა, ის პლატონის ჯიოშვილი ქუჩაში დარჩა, მრევლი აქ ვერ იშოვნა, ოსეთში მღვდლობას როგორ იკადრებდა, გაიხადა ანაფორა და ოს კომუნისტებს გვერდში უდგია დღეს საქართველოს გასანიავებლად) და მეც ანაფორა გავიხადეო“...

ასეთი ლაპარაკი და ბაასი გამოიწვია ჩემსა და ხახიშვილს შუა ჩემმა დაჩივლებამ: „ვასილ, მოდი, კაცო, რაიმე ადგილი მაშოვნინე, რომ მღვდლობაც შევინარჩუნო და ლუკმა პურიც დავიმუშაო თქო“! ამან სიცილი დაიწყო, არ სჯეროდა ჩემი დაჩივლება, როგორც არ სჯერა სხვას. მე უპასუხე ანდაზით: „თეთრი ცხვარი, ყველას მსუქანი ეგონა და რო დაჰკლეს, პირში არ ჩაიდებოდაო“, – ასეა ჩემი საქმეც! ბიჭო, ეს თეთრი ჩესუჩის ანაფორა რო მაცვია, ეს ამ სამიოდე წლის წინეთ აკაკი ხოშტარიას მეუღლემ მიფეშკაშა, როგორც ოჯახის მოძღვარს! სხვა რა გამაჩნია, ქალთა ტეხნიკუმიდან ეს ორი თვეა აღარც ის მცირე ჯამაგირი მიმიღია, სეკტემბრიდან სულაც დამითხოვენ მასწავლებლობიდან, ხოლო ანჩისხატის ტაძარში რაც შემოსავალია, შენ ჩემზე კარგად იცი, ისიც იცი, თუ რა მიზნით გადმომაგდო იქ ინოკენტი ექსარხოსმა! გახსოვს, შენს ოჯახში გავიგე ინოკენტის რეზოლიუცია ჩემს შესახებ მამა დავითში, 21 მაისს შენი მეუღლის ელენეს დღეობაზე რო მოვედით მე და ჩემი ცოლი თქო! შენა და შუბლაძე მღვდელმა შემიმცხადეს ეს ჩემი „უბედურება“! მაშინ რატომ არ გჯერათ, რომ მე – ხუთი სულით ოჯახში – დიდ გასაჭირში ვარ ამ დროს, ან შენც უნდა გაამართლო ის თქმულება – „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“?! კაცო, მეუბნებიან, ანაფორა გაიხადე და თავს უშველეო! არ შემიძლია ეს, სინიდისი ნებას არ მაძლევს, საამისო „გამბედაობა“ მე არ შემწევს, მეშინია ღვთისა და მრცხვენია ერისა! 1902 წლის დამლევიდან რამდენი ადამიანისათვის აღსარება მითქმევინებია, რამდენი მოწაფეები გამომიშვია სასწავლებლებიდან, რამდენი მქუხარე-სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ქადაგება წარმომითქვამს და ეხლა ყოველივე ამის შემდეგ ლუკმა პურისათვის ანაფორა გავიხადო, რას იტყვიან ეს ჩემი ან სულიერი ან ხორციელი მოწაფენი! ვერ გაუძლებ სინიდისის ქენჯნას, დეე, ისევ ასე ვიყო და ვიტანჯო თქო! საზოგადოება გულცივია ადამიანის გაჭირების დროს, ხოლო შემდეგ ულმობელი მსაჯულია იმავ ადამიანისა. ვიყავი ერთ დიდ ფირმაში, სადაც, მეგონა, რაიმე კერძო საქმეს მომცემდენ და პურის ფულს დავიმუშავებდი. იქ გაიკვირვა ფირმის მოურავმა! „როგორ?! შენ, დეკა-

ნოზი თალაკვაძე, ამ ფირმაში მიგიღო?! რასა ბრძანებთ, რა საკადრისიაო“! და ასეთი ბაქი-ბუქობით გამომიშვა გარეთ ცარიელ-ტარიელი“...

აი, ამ საუბრის შემდეგ მომიყვა ხახიშვილი თავის თავ-გადასავალს და ბოლოს დაურთო: ამას წინეთ თელავში მოვხვდი, შაბათ საღამოს ეკლესიაში შეველ, იქ საწიგნეზე პარაკლიტონი წავიკითხე, ვიგალობე, მეორე დღეს წირვაზედაც უშველე, რო გაიგეს ნამღვდლევი ვიყავი, ძლიერ დამინანეს. ზოგჯერ ისეთი სევდა შემომაწვება, რომ ლამის არის, ყველაფერი მივატოვო (უშვილოა) და ბერად წავიდე სადმე! მიუხედავად იმისა, რომ სრულ კმაყოფილებაში ვარ, არ მაკლია არც საჭმელი, არც სასმელი, არც სიამოვნებანი ამა ქვეყნისანი! არც ვიცი, ბოლო რა იქნება ჩემი. ამიტომ შენი ანაფორის გახდა მე ღმერთმა ნუ გამაგონოსო. ნუ გეშინია, გამაგრდი, გამოკეთდება საქმეო! დაფიქრდა... მაინც რამდენს დასჯერდები, რომ საქმე გაგიჩინოო! რაც იქნება, მე კმაყოფილი ვიქნები თქო, – უპასუხე.

ამის შემდეგ ამავ ხახიშვილმა ეპ. ქრ. ციცქიშვილზე მიამბო შემდეგი ამბავი – 1905 წლიდან, როდესაც მღ. ქრ. ციცქიშვილის თავმჯდომარეობით სამღვდელოების კრებას ყაძახ-რუსებმა სისხლი ადინეს ცემით. „ეხლა რო ასე ყოყოჩობს და თავზე წამოგვაჯდა ყველას ციცქიშვილი თვისი „რევოლიუციურობით“, აწ, მე მკითხოთ, რა ჯურის „მოღვაწეა“ ეს ვაჟბატონი?! ან როგორ მოხდა ის ამ კრებაზე?!. აი, როგორ იყო საქმე: მე მაშინ წაღვერში ვიყავი მღვდლად, როდესაც მივიღე საეპარქიო კრებაზე გამოწვევის ბარათი, წამოველ და მოვედი ხაშურში (ეხლა სადგ. „მიხაილოვო“); აქ გამოუარე მღ. პეტრე კაპანაძეს! ამასთან დამიხვდა იტრიის (სურამშია) მღვდელი ქრ. ციცქიშვილი. ამან მითხრა: „სად მიდიხარ, მე ქალაქიდან დავბრუნდი და შენ იქ მიდიხარო?! კაცო, თურმე ექსარხოსის ნება-დაურთველ კრებაზე გვეპატიჟებიან, იქ რო ავედით, ვინ დაგიბარაო, აქედან დაიკარგენით, გამოგვრეკესო“! – „შე, დალოცვილო, – უპასუხე მე, – სწორეთ იმ ექსარხოსის საწინააღმდეგოდ მივდივართ, მის უნებურად გვინდა კრება მოვაწყოთ, რომ სამღვდელოების საქმეები წინ წავსწიოთ, ეს რვა წელიწადია კრებას აღარ იწვევენ, გვიმონავებენ, მიწასთან გვასწორებს ვოსტორგოვი დეკანოზი და მისი აგენტები თქო! (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იტრიაში მღ. ციცქიშვილს ორკლასიანი სამრევლო სკოლა ჰქონდა, ვოსტორგოვის სისტემით აწარმოებდა მას, ვოსტორგოვი ხშირად მიდიოდა მასთან, კამილავკითაც დააჯილდოვა ის მან). არ წახვიდე სახლში, აქედან ტელეგრამით გამოვიწვიოთ ბლაღოჩინები, მღვდლებით, ავიდეთ ქალაქში და შევებრძოლოთ ექსარხოსსა და ვოსტორგოვსაც თქო“. დავჯექით აქვე და მე და პეტრე კაპანაძემ 45 ტელეგრამმა დაუგზავნეთ ბლაღოჩინებს, უბრძანებდით მათ – „დაუყოვნებლივ გამოცხადდენ თბილისში თავიანთ მღვდლებით და დიაკვნებით თქო“, ხელს ასე ვაწერდით: „დეკანოზი მიცანიძე“! ორ დღეში მოზღვავდა სამღვდელოება, წამოვედით თბილისში, ციცქიშვილიც წამოვიყვანეთ, ჩვენვე ის თავმჯდომარეთ დავსვით სიმაღლისა და ბოხი ხმის გამო! ჩვენ გვცემეს, მან კი იმავე წელში ზაკონოუჩიტლობა გაიკრა ავლაბრის გიმნაზიაში, დღეს ეპისკოპოსად მოგვევლინა, გორში არ უნდა ცხოვრება, თბილისში სურს მოკალათება და აქ პური მიართვას გორის სამღვდელოებამ და კვებოს, ეს ნომერი ბოლომდე არ გავაო“, – დაასრულა ვ. ხახიშვილმა თვისი მოგონება...

აქედან ის ქვაშვეთში წავიყვანე – კათოლიკოზის წირვა მოვისმინოთ თქო. წამომყვა. შუა წირვა უკვე გადასული იყო; ხალხი სულ ცოტა იყო! გამომხედეს საკურთხეველიდან და დამინახეს, იქვე იდგა შეუმოსავად დეკ. მირიანაშვილი. წირვის შემდეგ კათოლიკოზმა წარმოსთქვა სიტყვა ბორძიკ-ბორძიკით – აქებდა უცნობ მიცვალებულს ბარნაბა პაპავას, მეტად უშნოდ, ტლანქად, ზედვე ეტყობოდა, მოსალოდნელ მილიონებს უგალობდენ ყველანი – კათოლიკოზიც და მისი თანამწირველნიც, მოელიან მსუქან გონორარს – აქაც და სამტრედიაშიც... დრო აქვთ და სჭამონ! მახლას, რა სახე მიიღო ჩვენში ქრისტიანობამ, როგორ დახურდა ჩვენ – უღირსთა ხელში ეს დიადი მოძღვრება ქრისტესი, რომელიც არის „ცხოვრება, გზა და ჭეშმარიტება“! ჩვენვე უსულ გულო წესებად ვაქციეთ ეს დიადი სოციალური მოძღვრება! დღეს – კომუნიზმის დიქტატურის ხანაშიც ვერ გავიღვიძეთ, დღესაც საცეცხლურის კმევით მიცვალებულის ვარდის თაიგულებში ჩასმულ სურათის წინ გვსურს „პასუხი გავსცეთ“ დიად ისტორიულ მომენტს კაცობრიობის ცხოვრებაში საზოგადოდ და კერძოდ ქრისტიანულ საქართველოს რღვნა-რყევაში! ქრისტეს სოციალურ იდეალებს განა შეედრება ოდნავად მაინც მატერიალისტურ-სოციალიზმის უსულ-გულო, გაყინულ-გათოშილი კოლლეკტივიზმი, რომელშიდაც იღუპება, იხრჩობა და იყლაპება ადამიანის პიროვნება?! ქრისტიანობაში პიროვნებას აქვს ფასი, ადამიანს აქვს თავისი პირადი ღირებულობა, ხოლო დამუშავებული პიროვნება ეძიებს კავშირს და ურთიერთობას თვისს მსგავს პიროვნებასთან, რომელნიც ჰქმნიან ერთად „საზოგადოებრიობას“ ანუ სოციალიზმს, როგორც ეხლა იტყვიან ხოლმე უცხო ენით! სამყაროს შემოქმედი – ყოვლისა მპყრობელი – მოწყალე-მზრუნველი – განმგე მსოფლიოსი მამა ღმერთი, მისი შვილი კაცობრიობა, მისს შვილთა ურთიერთობა – ძმობის პრინციპზე დამყარებული, ხოლო საერთოდ კეთილ-მოწყობილი-დამუშავებული ოჯახი, აი სურათი ქრისტეს მიერ შექმნილ საზოგადოებრივ იდეალისა! ამ იდეალზე შესაძლებელია სწარმოებდეს „ბრძოლა არსებობისათვის“, არსებობდეს – ევოლიუცია კაცობრიობის ცხოვრების ყოველივე დარგში, პოლიტიკურ-ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრებაში, მაგრამ ყოველივე ასეთი პროცესსი თავისს საფუძვლად და მპყრობელად გულისხმობს პირად-მოსიყვარულე ქვეყნის მამას, რომელიც თვის მადლით და ძალით ყოველივეს განაგებს და წარმართავს სასიკეთოდ, თუ ადამიანი თვის ნებას დაუმორჩილებს მისს მამობრივ მოსიყვარულე ხელის სიმტკიცეს. აქ არ არის საშიში აღარც „კაპიტალიზმი“, აქ არ არის უნუგეშო არც „პროლეტარიატი“, აქ არ არის განწირული არც „ბურჟუაზია“ – ერთი სიტყვით, არ არის საჭიროება, ვაწარმოოთ „ულმობელი ბრძოლა არსებობისათვის“, ეს „ბრძოლა“ უნდა შემსუბუქდეს, წაქცეული ნახო, ააყენო და არა გადაახტე თავზე! კანონმდებლობით აილაგმოს მადა კაპიტალისა და დაჩლუნგდეს ბრჭყალები გაუმაძღარ „ბურჟუებისა“!.. მაგრამ ვინ არის ან მთქმელი, ან გამგონე, ან აღმსრულებელი! თვით ქრისტიანობის დარაჯნი ვღალატობთ ჩვენს სჯულს, ჩვენს წესს ცხოვრებისას, სხვას ვის რა უნდა უსაყვედუროდ! ამას წინეთ ქალთა ტეხნიკუმში ვიყავი, ვინახულე დირექტორი ევგენი ჭოღოშვილი,

მასთან შემოვიდა ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი მათემატიკისა, ჩვენივე თანამსახური, სომეხი არუთინოვი. ჩამოვარდა ლაპარაკი – „საკითხავ წიგნებზე“! დირექტორს მოვახსენე: „თუ გნებავთ, მოგართმევთ საინტერესო წიგნებს ქრისტიანულ-ფილოსოფიურ-აპოლოგეტიურ შინაარსისას ინგლისურიდან რუსულად ნათარგმნებს და წაიკითხეთ თქო! ორთავემ თმაში იტაცეს ხელები! რას ლაპარაკობ, ბატიუშკა! ვინაა ეხლა მაგას რო ჰკითხულობს, ხო გამოგვილაყდა ტვინიო?! განსაკუთრებით გამოილაშქრა სომეხმა. მოვსდექი და ისე ჩავაჩოქე, რომ გავაწითლე ეს შავი სომეხი. კაცო, უარს რო ჰყოფ ქრისტიანობას, გესმის ქრისტიანობის ფილოსოფია?! რამოდენიმეთ მაინც ჩაჰფიქრებიხარ ცხოვრების პრობლემებს?! მატერიალისტურ-მექანიკურ ტეორიებს რო ჰკითხულობთ, წინააღმდეგი იდეალისტური მიმართულების წაგიკითხავსთ რაიმე?! სახარება ქრისტესი გჭერია ოდესმე ხელთ?! „არაო, – იყო პასუხი! მაშ, სირცხვილი თქვენ, რო უარ ჰყოფთ იმას, რაც არ იცით, და არც გინდათ, შეისწავლოთ და გაიგოთ. თქვენი გული და სული ისეა ამა ქვეყნიურ ველურ მცენარეულობით – სურვილებით, გრძნობებით მოცული, რომ თქვენთან მსჯელობა ნორმალურ ადამიანს გაუჭირდება თქო“!.. ბევრი კიდევ ასეთი ვილაპარაკეთ, მაგრამ, „ეჰ! ბატიუშკა! შენ მოგცლია, გინდა მშვენიერი, სულის და გულის წარმტაცი იტალიური ნოველლები წაგაკითხოთ“? – თქვენ რომ არ წამაკითხოთ, განა მე თვითონ არ ვკითხულობ ან არ წამიკითხავს „ნოველებიც“ და სხვაც ასეთი ნაწარმოებნი, სადაც სულ ერთ და იმავე საგანზეა ლაპარაკი: ვაჟმა როგორ შეიყვარა ქალი, ქალი რა ტანისამოსში იყო, როგორი თვალები ჰქონდა, როგორი გულ-მკერდი, როგორ იბნიდებოდა ვაჟი, ბოლოს ვაჟმა სძლია ქალს, შეაცდინა ის, გააუბედურა, მოსწყინდა, გააგდო და ქალი წყალში გადავარდა ან თავი მოიწამლა, ან სხვა შეიყვარა და ასეთი! განა ეს თქვენისთანა სერიოზულ ინტელიგენტებს ეხლაც გაკმაყოფილებთ?!. ამიტომაც მიდის ჩვენი საქმე კარგად! თუ მასწავლებლები ასეთები ვართ, როგორი უნდა იყვნენ ჩვენი საბრალო მოწაფენი და ჩვენს შემდეგ სხვა მასწავლებელნი!!.

ყოველ შემთხვევაში, თქვენი სამღვდელოება ვერას დაგვაყვედრის?! აბა, რას სჩადიხართ?! რას აკეთებთ?! თქვენს მოქმედებაში ურთიერთ შეხლაობისა, ქიშპობისა, გაუტანლობისა და უსაქციელობისა არასა ვხედავთ?! თქვენ ჩააქრეთ ქრისტეს ლამპარი; ცრუმორწმუნოების მორევში აჭყუმპალავებთ ხალხს, ნურას უკაცრავად, ჩვენ ვერ გამოგყვებითო! ტყვილა სცდები, მამაო, გაიხადე ანაფორა, ადამიანებს გაერიე და ცხოვრებით ისარგებლე, სანამ გვიან არ არისო!.. Sat! კმარა?!.

21 ივლისივე – პარასკევი

დღეს თბილისში მოხდა პოლიტიკური-ტერორისტული მკლელობა. მოჰკლეს საღამოს ათ საათზე „ანგორის“ (მცირე აზიაშია გამოყოფილი რევოლუციონურ-ნაციონალისტური ნაწილი ოსმალეთისა, გამოეყვნენ სულთანს და „მე-

გობრული კავშირით“ არიან რუსის „საბჭოთა მთავრობასთან“) მთავრობის სამი წარმომადგენელი: ჯემალ ფაშა, მისი თანაშემწე, და ერთიც ადიუტანტი. ორი უცნობი დასხმიან თავს პეტრე დიდის ქუჩაზე გამოსვლის დროს, დაუხლიათ რევოლვერებით, ჯემალი და მისი თანაშემწე იქვე წაქცეულან უსულოდ, ადიუტანტი კი 50 საჟენზე გაქცეულა, მაგრამ იმისათვისაც მიუყოლებიათ ტყვია და ისიც მოუკლავთ; გამოშველებიათ ერთი ცეცხლის მქრობელი ჯარისკაცი, მაგრამ ისიც მოუკლავთ, შემთხვევით ერთი დედაკაციც დაუჭრიათ ფეხში. ამ თაობაზე დიდი მითქმა-მოთქმაა თბილისში, ზოგი ამ აქტს აბრალებს სომხების ნაციონალისტებს – დაშნაკელებს, უფრო მეტი ნაწილი კი ბრალსა სდებენ თვით რუსეთის კომუნისტურ მთავრობას. საქმე იმაშია, რომ ეს დახოცილი ანგორელები მოსკოვში იყვნენ გაგზავნილი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, ამბობენ, რომ ვერ მოხდა მათში სათანადო შეთანხმება, ცუდი ამბებით მიდიოდენ ესენი ანგორაში, ამიტომ განიზრახეს ამათი მოსპობა, რომ „ამბის“ მიმტანიც კი აღარ დარჩენილიყო ანგორასთანო. რუსის წითელი არმიის ნაწილები არაოფიციალურად დიდი ხანია შედიან ანგორელების ჯარში და ებრძვიან ბერძნებს, ამათთან ომი ისევ გრძელდება. ეხლა ანგორა საფრანგეთმა თავის მხარეზე გადაჰხარა, ბერძნებთან უნდა მოარიგოს და მათთან ერთად ბოლშევიკებს შეუტიონ ამიერ კავკასიაში და გალალონ ისინი აქედანო. ამ ხმების რამოდენიმედ დამამტკიცებელია „თავისუფალ საქართველოში“ (№9) დაბეჭდილი ნოტა საფრანგეთის პრემიერ მინისტრ პუანკარესი ევროპის სახელმწიფოებისადმი, რომელთაც ის მიმართავს წინადადებით – დაგვიჭირეთ მხარი და საერთოდ მოვსთხოვოთ საბჭოთა რუსეთს ამიერ კავკასიიდან წითელ არმიის გაყვანა და ამ ქვეყნის განთავისუფლებაო. ცხადია, რომ დიდ დუღილშია დღეს საერთაშორისო ურთიერთობა, გააგის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ საღი მოსაზრება მოითხოვს, რომ რაიმე რეალური ნაბიჯი გადასდგას ანტანტამ, რომელმაც თავის დროზე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ ფაქტიურად (1920 წ.), შემდეგ იურიდიულადაც 1921 წლის დამდეგს და ამის შემდეგ 25 თებერვალს დაგვიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა. ევროპამ თავისი პრესტიჟი და ეკონომიური ინტერესები უნდა აღიდგინოს რუსეთშიც და ამიერ კავკასიაში. მაგრამ თვით ევროპაშიც დიდი „კომუნისტური“ მუცლის ტკივილია, მუშები იქაც მუშებია, ესე იგი მზა-მზარეულის შეთქვეფა და ჩაყლაპვა „ევროპიელ მუშებსაც“ კი „აცთუნებს“... ამიტომ ვერ ჰბედავენ რეალურ ნაბიჯების გადადგმას რუსეთის წინააღმდეგ... ჯემალ-ფაშას მკლელები... მიიმალნენ!.. თურმე ამ უბედურს როსტოვშიც დაუპირეს მოკვლა, მაგრამ გადარჩა. ყოფილა დიდი პიროვნება, გერმანიაში ჰქონებია მიღებული სამხედრო განათლება. სამწუხაროა, რომ ასეთი ცუღლუტობა ხდება ჩვენს დედა-ქალაქში! ბაქოს მუსავატისტური ძველი მთავრობის წარმომადგენლებიც ტერორისტულად დაჰხოცეს თბილისში მენშევიკების დროს, როდესაც კომუნისტების მიერ ბაქოს დაჭერის შემდეგ უბედურებმა საქართველოს თავი შეაფარეს. მაშინ კი დაშნაკელებმა იძიეს შური მუსავატელებზე...

სამოძღვრო კურსებზე

საით მიჰყავთ კათოლიკოზ ამბროსის და კურსების დირექტორს დეკ. ცინცაძეს ეს უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული „კურსები“?! – ამის პასუხს იძლევა 21 ივლისს ქვაშვეთის ეკლესიაში მათ მიერ ნაკურთხი სამების მთავარ-დიაკონი უნაფქოშვილი. ეს უნაფქოშვილი იყო „კურსანტი“, ჩვენი მოწაფე. სულ ორი თვე დაჰყო კურსებზე ორი წლის მაგივრად! სკოლის კარები არ უნახავს თავის სიცოცხლეში, არც მონასტერში უსწავლია, სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ „უკაცობის“ ხანაში დიაკონად აკურთხეს. არც წაკითხვა იცის წიგნისა, არც გალობა, არც ტიბიკონი არც რაიმე პრაქტიკულ ცხოვრებისა ეყურება რა! ყოვლად უნიჭო და უბადრუკი. შეიძლებოდა ორი წლის სისტემატიურ მეცადინეობის შემდეგ რამოდენიმედ მაინც მომზადებულიყო. მაგრამ, ვიღაცასი პროტექციით, კათოლიკოზმა, დირექტორის ტაძარში, პაპავას წირვაზე, აკურთხა ის მღვდლად და გაგზავნა სოფელ მამკოდის „მოძღვრად“! თუ კურსები არ დაასრულებიეს, გამოცდა მაინც უნდა მოეხდინათ, როგორც ამას წინეთ მთელმა კურსების კოლლეგიამ გამოვსცადეთ ახალ-ციხელი დიაკონი ქურდაძე; ამ გამოცდამ, როგორც თავის ადგილზე მქონდა აღნიშნული, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ასე რომ მეც ხმა მივეცი მისს მღვდლად კურთხევაზე. ეხლა კი არცკი გაგვიგია ეს ამბავი, შემთხვევით შევესწარით მის კურთხევას ქვაშვეთში! უნაფქოშვილის ასე ანაზდეულად მღვდლად კურთხევა სასიკვდინე ლახვარს ჩასცემს „ჩვენს კურსებს“! ამ უკანასკნელმა ადამიანმა, ყოვლად უვიცმა, თუ ასე იოლად მიიღო მღვდლობა და სამრევლო, განა სხვები კი გაიცხელებენ თავს მღვდლობისთვის მოემზადნენ?! ისინიც მონახავენ გავლენიან პირებს, ესენი სთხოვენ კათოლიკოზს, ესეც ხათრს ვერ დაუქცევს „პატივცემულ გვამთ“ და მზად არის მღვდლობა! ჩემს პროექტში, რომელიც შარშან წარვადგინე საკათ. საბჭოში კურსების გახსნის თაობაზე, განსაკუთრებით მოვითხოვდი, რომ კურსებ გაუვლელ პირთ არ ღირსებოდათ მღვდლობის ხარისხი, ან და სათანადო გამოცდა უნდა ჩააბარონ კურსებზე, კურსების პროგრამით. მხოლოდ ამ ზომით შეიძლებოდა კურსების ღირებულების ან ავტორიტეტის შექმნა ჩვენს უწყებაში! თითქოს ამბროსიც თანახმა იყო ამ აზრისა, მაგრამ აი, ასე უხეშად, მანვე, დაარღვია ეს ძირითადი მოთხოვნილება ამ კურსების ნიადაგის შექმნისათვის; რასაკვირველია, თანხმობა ჰქონდა ამაზე თვით „დირექტორისა“! ასეთ კურსების დირექტორად მეპატიჟებოდა კირ-ამბროსი! და ჯერაც სულ ის აკერია პირზე, რომ დეკ. თალაქვაძემ დირექტორობაზე უარი მიყოო! ეს ნამდვილი თვალ-მაქცური ქცევა კირ-ამბროსისა...

24 ივლისი

დღეს საღამოთი შემოვიდა ჩემთან კანდელაკი სიონისა დეკ. მ. ფხალაძე. თითქმის ერთი თვე იქნება, ის ჩემთან აღარ შემოსულა! რო ვკითხეთ, სად ხარ, რას აკეთებ, რაზე დაგვივიწყეთ თქო, პირდაპირ გვიპასუხა: „შენ სახიფათო

პიროვნება ხარ, ты опальный и опасный человѣк“-ო, შენთან ურთიერთობა დანაშაულობად ჩაეთვლება კაცსო! ეს „ხუმრობა“ – ნახევარი მართალია... გვიამბო სამტრედიაში მგზავრობა კათოლიკოზისა იმავ მდიდარ პაპავასთვის საწირავად. საზოგადოებამ სრული უყურადღებობით ჩაატარა კათოლიკოზის სამტრედიაში მისვლა, არავინ არ შეჰგებებია კათოლიკოზს არც ერისაგან და არც სამღვდელოებისაგან. ნაზარი მიტროპოლიტი ჩამობრძანდა ქუთაისიდან თავისი ამალით, ვსწირეთ კვირას, მამაკაცთაგან სულ არ დაგვსწრებია წირვაზე ცხრა კაციო, დანარჩენნი იყვნენ დედაკაცები და ბიჭები – ბავშები, სადილად კი გარეთ, ეზოში დასხეს ერთი სუფრა ხალხი. ამათ რო ჰკითხოთ, „ბევრი ხალხი დაგვესწროო“, – გაიძახიან, მაგრამ სხვა რა ეთქმით! სამწუხარო და საგულისხმო გულგრილობით მიიღეს კათოლიკოზი, არ უშველა მას არც „გენუისადმი მოწოდებამ“! ისე ულაზათოდ ჩატარდა წირვაც და კათოლიკოზის „გაუთავებელი მოძღვრება“! ნაზარი მიტროპოლიტსაც მეტად ემდურის მისი კრებულიო, მეტად თვითნებურად და უწყალოდ გვეპყრობა, აი, ეხლა ყველას 6 მილიონი მოგვცეს გონორარი, აქედან ის ერთი ღებულობს ნახევარს და სხვა 7 კაცს კი ნახევარს გვაძლევსო! სხვაფრივაც ცუდად გვექცევა, დიდი გაუმაძღარი და უღირსი პიროვნებაა, საზოგადოებაც და სამღვდელოებაც უმადური ჰყავსო!.. ამათ ჯერ არ მიუღიათ „გონორარი“...

დეკ. პხალაძეს ვკითხე: ის როგორღა მოხდა, მამაო, რო ორ თვეში დაასრულებიეთ კურსები <u>დიაკონ უნაფქოშვილს</u> და მღვდლად აკურთხეთ თქო! – ეს კათოლიკოზმა ასე ინება, წინდაწინ დაჰპირებოდა მას მღვდლობას, „ეს არის პირველი და უკანასკნელი მე სხვა აღარ ვაკურთხოო“! ეს ამბავი გვიამბო ფხალაძემ დეკანოზ ლუკაშვილის თანადასწრებით! მე უპასუხე: „სწორეთ კათოლიკოზის სიტყვებშია დამარხული ჩვენი უბადრუკი კურსები, რას ნიშნავს, მამაო, ესეთი თავის მართლება კათოლიკოზისა, თუ უკიდურესს მაგის ხასიათის სისუსტეს და უნებისმყოფელობას?! ასეთია ცოდვის და ცოდვილის პსიხოლოგია: „ერთხელ კიდევ შევსცოდავ და მეტს აღარაო“?! მაგრამ... ესეთი გზა მოლიპულია, ადამიანს ფეხთ უსხლტება და უფსკრულისაკენ მიექანება! დეე, თვით აგოს ღვთისა და კაცთა წინაშე კათოლიკოზმა პასუხი ასეთ „საქმეებისა“ გამო! მე მაინც დამანებოს თავი, ნუღა საყვედურობს, რატომ თალაქვაძემ დირექტორობაზე უარი მითხრაო! დეკ. ცინცაძეს დირექტორობაში ამას ჰკადრულობს, მე ხო სულ თავზე დამასხდებოდენ“?!.

„შენზე მოვახსენე კათოლიკოზს, – სთქვა ფხალაძემ, – ყოფილი სამხედრო ტაძარი მაინც უბოძეთ თალაქვაძეს თქო! ამაზე ერთხანს შეჩერდა და შემდეგ თავი გაიქნია და სთქვა: „ის ტაძარი ისევ სამხედრო იქნებაო“! „განა თალაქვაძე კი არ გამოდგებოდა სამხედრო მღვდლად თუ ისევ აღსდგება ჩვენში სამხედრო უწყების სამღვდელოებაო“! ამაზე არა მიპასუხა რაო, ეტყობა, შენზე მეტად ამხედრებულნი არიან, სულ იმას გაიძახიან შენს წინააღმდეგ, „შენ ლეონიდის მეტოქეთ ანტონ მიტროპოლიტი გინდოდა, ამ მიმართულებით ებრძოდი ეკლესიურ მმართველობას, ეს შენ მომაკვდინებელ ცოდვად გაქვს მათგნით დაკისრებულიო“. მე განუმარტე პხალაძეს, რომ მე სრულებით არ ვფიქრობ-

დი ანტონის გაკათოლიკოსებას, ჩვენ ორთავენი ვსცდილობდით კირიონის მოკლის შემდეგ დაგვეფანტა მისი ზნეობრივი (თუ ფიზიკური) მკვლელების ბუდე – საკათ. საბჭო ლეონიდის მეთაურობით და „ახ. სიტყვის“ რედაქცია, რომელთაც სისხლით შეჰღებეს ჩვენი ეკლესიის საპატრიარქო კათედრა. ჩვენ ისევ დროებითი მმართველობა გვინდოდა შეგვექმნა, სანამ საეკლესიო კრება იქნებოდა მოწვეული. მაგრამ ანტონ ქუთათელიც დაჰღუპეს – მოსწამლეს ის (ეს საქმე დეკ. თოთიბაძისაგან იყო „ტეხნიკურად მოწყობილი“) და საქმეც ჩაგვეშალა! ანტონს, თუ დაეჯერებოდა მას ცოტათი მაინც, კათოლიკოსობა არ უნდოდა. მან გადმომახედვა მის სასახლის აივნიდან ქუთაისს-იმერეთზე და მკითხა: „მამაო ნიკიტა, ამ მშვენიერების მიტროპოლიტი ინდომებს თბილისში კათოლიკოსობას იმ მოწამლულ ატმოსფერაშიო“? აი, სულ იმაზე მემტერებიან ლეონიდი და მისი მომხრეები, თითქოს მე მას კათოლიკოსობაში შევეცილები, ვფიცავ გელათის ღვთის მშობელს, მე ეს არ მსურდესო“! აი, მამაო, ასე მითხრა ქუთათელმა 1918 წლის აგვისტოში, ხოლო იმავ წლის 17 სეკტემბერს ის უეცრივ გარდაიცვალა. ვინ იცის კაცის გული, იქნებ კიდევაც სურდა კათოლიკოზობა, მაგრამ მე აქ რა შუაში ვარ. ამას კი გეტყვი, რომ, როგორც ეხლა სჩანს საქმის მსვლელობისაგან, უგვირგვინო კათოლიკოზებმა – დეკანოზებმა ცინცაძე-თოთიბაძემ სამ გვამს გადაალაჯეს – კირიონს, ლეონიდს და ანტონს, რომ თავიანთი „ამხანაგი“ – ამბროსი დაესვათ კათოლიკოზად! მიახწიეს კიდევაც მიზანს და სულ „შენ“, „შენ“, „შენობით“ ელაპარაკებიან კათოლიკოზს სახალხოდ, რათა გვაჩვენონ მათ თავიანთი „სიძლიერე“, ნამდვილად კი თავიანთი ზნეობრივი სიკოტრე და თავხედობა! მეც მახსოვს ამბროსი უბრალო მღვდელი რო იყო, ჯერ კიდევ აკადემიაში არ შესულიყო, მე წერილსა ვსწერდი კიევიდან, აქ არ წამოხვიდე – სასტიკი ეგზამენები იქნება, ურჩევდი ყაზანში წასულიყო; შემდეგ არქიმანდრიტად მახსოვს, რამდენჯერ ერთად გვისიამოვნებია, გვილაზღანდარნია, თითქმის ერთმანეთს თავზედ ვახტებოდით, მაგრამ მე ჩემს თავს ნებას არ მივსცემ მას – „შენ“ „შენ“ უძახო და პირში ჩაუძვრე თქო! აი, სირცხვილი და სიკვდილი ეს არის, მამაო, და არა ის, რომ მე ერთნაირი გადატრიალება უნდა მომეხდინა ჩვენს ეკლესიურ მართვა-გამგეობაში კირიონის ასე უწყალოდ დაღუპვის შემდეგ! თუ ის მოჰკლეს, ხო „ვაია“, ხოლო თუ თავი მოიკლა, ეს „უია“, უფრო მეტი უბედურება და მართლაც „მომაკვდინებელი“ ცოდვა მისს სიცოცხლის გამწარებელთათვის, რომელთა შორის ამბროსიც ურევია, როგორც საიდუმლო თანამშრომელი აწ ისტორიულად შეჩვენებულ „ახალ სიტყვისა“ და მისს კალმოსანთა! ესენი უდგანან დღეს სათავეში ჩვენ დაღუპულ ეკლესიას! სად გაგონილა, მამაო, ერთ ქალაქში ორი დამოუკიდებელი მღვდელმთავარი ისხდნენ – კათოლიკოზი და ურბნელი ქრისტეფორე?! რა უფლებით გაიკეთა მან ურბნისის კათედრა ყოფილ სამხედრო ტაძარში?! თქვენ, გირჩევთ, დაივიწყოთ ჩემი „მომაკვდინებელი ცოდვა“, უმჯობესია, საკუთარ ახალ-ახალ ცოდვებს გაუწიეთ ანგარიში თქო?! საით მიგყავთ იალქნებ შემოგლეჯილი და აფრა დამსხვრეული ჩვენი ეკლესიის ხომალდი თქო?!“

შემდეგ ალავერდელობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. „მე მგონი, ამცილდება

ეს ჯვარი, არ მინდა, ვერ წავალ ეპისკოპოსადო“, – სთქვა ფხალაძემ. კაცო, დეკ. ცინცაძემ მითხრა: „ციცქიშვილს კახეთში უნდა გადასვლაო“. ეს კათოლიკოზის თანადასწრებით სთქვა ცინცაძემ, კათოლიკოზმა თავი გაიქნია, „ეს არ შეიძლებაო“; არ ვიცი, რაშია საქმე, რას მიმზადებენ, მგონი, მამასხარავებენო. კახეთში რო ვიყავით პიროსის დასაფლავებაზე, „მანგლელ ქრისტეფორეს“ სულ ნერწყვი მოსდიოდა პირში კახეთზე და ალავერდელობაზე, სულ ასე გაიძახოდა: „რა საძოვარია! რა იალაღია! Это обѣтованная земля для имеретина“!.. ალბად უნდა და მიიღებს კიდეც! კათოლიკოზს დიდი შიში აქვს მისი, ალბად რაიმე საიდუმლოება იცის მათი ციცქიშვილმა, რო ასეთ ანგარიშს უწევენ მას და ასე თვითნებობსო“...

28 ივლისი – პარასკევი
ისევ ვერის წმ. ნიკოლოზისა გამო

დღეს შემოვიდა ჩვენსა დეკ. ბენიამენ კონტრიძე, ყაზანის უნივერსიტეტში კურს დასრულებული; ამაზე მქონდა თავის ადგილზე აღნიშნული, ეს გაექცათ ქალაქიდან – საკათოლიკოზო საბჭოს, მასწავლებლობას და სოფელ „პრიუტში“ გადავიდა მღვდლად, ნახევრად რუსული სამრევლოა, ნახევრად ქართული; თან ასეთი „ბუტიაობით“ უთვალთვალებდა საუკეთესო მრევლის ხელში ჩაგდებას; ვერის ნიკოლოზზე პირველი ხმა მაგის სასარგებლოდ გავრცელდა, ის უნდა დააბრუნონ ქალაქშიო, მაგრამ ყველანი გააცურეს ყინულზე თოთიბაძე-ციცქიშვილმა; ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა გულ-მაძღრად „მოსძოვა“ ეს სამრევლო და იძულებული ჰყვეს „მანგლელობა“ ეტვირთა, ხოლო შემდეგ ურბნელობა უბოძეს, ერეკებიან ქალაქიდან და მაინც არ ეთმობა აქაურობა, მაშინ ქრისტეფორე „ურბნელს“ განუზრახავს თავის მაგივრად ეს მისი მეგობარი დეკ. კონტრიძე მაინც ჩაეყენებია ვერაზე, რომ ცოტათი ფეხი მაინც ჰქონებოდა შიგ! მაგრამ თოთიბაძემ ისეთი მოულოდნელი სარმა გამოჰკრა ციცქიშვილს, რომ თავდაყირა დააყენა ქრისტეფორეც და ბენიამენიც – თოთიბაძემ ირჩია, ჰყვანდეს მეორე მღვდლად არა უნივერსანტი კონტრიძე, რომელიც მას, სემინარიელს, დაჩრდილავდა თუ გინდ თვისი „ზნაჩოკით“, არამედ ქაჩალი და ბრუციანი, საკმარისად ღირსება ახდილი, ნინოს სასაფლაოს მესამე მღვდელი სემინარიელი დ. გარსიაშვილი, ესეც „დეკანოზია“, პასუხისგებაში იყო ესეც, სხვებთან ერთად, ქურდობა-ცარცვა-გლეჯისათვის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, ლეონიდის დროის საკათ. საბჭოს გადაყენებული ჰყვანდა მთელი კრებული ამ სასაფლაოისა ათასგვარ ბოროტ-მოქმედებისათვის, მაგრამ შემდეგ, როგორც უპრინციპო მმართველობას სჭირს ხოლმე, თავიანთი განჩინება ვერ მოიყვანეს სისრულეში და აი, ერთი ამ „პატიოსან“ მოძღვართაგანი ამოჰგლიჯა იმ „თაიგულს“ და ვერაზე წაიყვანა მეორე მღვდლად „უგვირგვინო კათოლიკოზმა ანტონ თოთიბაძემ“! ეს ქრისტეფორემაც და სხვებმაც გაიგეს „Post factum“ – აქეთ ეცა ჩვენი „ვირგლა“, იქით ეცა, დაეტაკა კათოლიკოზსაც

საკათ. საბჭოში, ააფეთქა ამბროსი კიდეც, ბენიამენიც დაიბარა თბილისში საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ არა გამოვიდა რა. თოთიბაძე ბრალსა სდებს გარსიაშვილის განმწესებაში კათოლიკოზს – მე ის არ მომითხოვნიაო, კათოლიკოზი – თოთიბაძეს, ეს მისი სურვილი იყოო; ამაში რომ გამოსტეხეს თოთიბაძე, მაშინ განაცხადა, ალბად ეს სულ „მარიამ ზახარიჩის“ საქმე იქნება, ეს შეაგონებდა კათოლიკოზსო! ეს „მარიამი“ კი არის და დეკ. გარსიაშვილისა, ცნობილი ზნე-დაცემული დედა-კაცი, თან კოჭლი, ქაჩალი და ბრუციანი, ერთი რამ მახინჯი ფიზიკურად თუ ზნეობრივად; არის მაჭანკალა – რუსები რო „სვოდ-ნიცას“ ეტყვიან; მსახურებდა დედათა ეპარქიალურ სასწავლებელში სლავიანურ გალობის მასწავლებლად, ჰყავდა ხასად სხვა და სხვა პირებს – ბერებს თუ ერის კაცს, სამარცხვინო როლს თამაშობდა სასულიერო სფეროებში. თვით დეკ. კ. კეკელიძესაც (ეხლა „ნახუცარს“) ერგო ეს გარყვნილი ჯოჯო, შემდეგ შეჰყარა ამ დეკანოზს იმავ სასწავლებლის კლასის დამრიგებელი მ. კასრაძე, ცოლ-შვილს მოჰგლიჯა უბედური კეკელიძე და დღესაც ამავ წუმპეში ჭყუმპალაობს ჩვენი „პროფესორი“! თან ეს „მარიამი“ და „მინადორა“ – „სტუდენტკებად“ ჰყავს ჩვენს სახელოვან „ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობის და ისტორიის პროფესსორს“ კორნელის „ქართულ უნივერსიტეტში“, ქვეყნის სამარცხვინოდ და სტუდენ-ტებისაგან გასამასხარავებლად. ეს „მარიამი“ თოთიბაძის მეუღლის სკოლის ამხანაგია, ეს „მარიამი“ და მისი ძმა „დათიკო“ ცინცაძე-თოთიბაძის აგენტები იყვნენ და არიან! აი, მიიყვანეს კიდეც ვერაზე, გამოაცალეს ნინოს სასაფლაოს, მთავარ ხუცესს გამოჰგლიჯეს ხელიდან. ამ სახით თოთიბაძემ შექმნა შესანიშნა-ვი კრებული ვერაზე – ერთი მღვდელი ჰყავს (მატატაშვილი) ბლუ-ენამოტეხილი და ქურდი, მეორე (გარსიაშვილი) ქაჩალი, ბრუციანი და ქურდი! ასეთ „თანამ-წირველებში“, რასაკვირველია, შუქურ-ვარსკვლავად იბრწყინვებს „კეკელკა თოთიბაძე“! საქმე ის არის, რომ თვის სიბინძურეში კათოლიკოზიც ჩაითრია, კათოლიკოზის სახელთან „მარიამ ზახარიჩის“ სახელიც შეუერთა.

დეკ. კონტრიძეს, ეტყობა, იმედი ჰქონია, რომ ქრისტეფორე მოახერხებს მისს დაბინავებას ვერის სამრევლოში და წინეთ აგრე რიგად აღარ მწყალობდა, პირს მარიდებდა, გამირბოდა! მაგრამ, როდესაც თვითონ და მისი „პატრონი“ ურბნე-ლი ქრისტეფორე, ორთავენი მაგრად დაანარცხეს მიწაზე, ეხლა ინება ბენიამენმა ჩემთან შემოსვლა და ეხლა გამომიცხადა „თანაგრძნობა“(!): „ეხლა კი შევდივარ შენს მდგომარეობაში, ეხლა კი მესმის, რა დიდი მოთმინების და ტაქტის კაცი ყოფილხარო! მე არ მოველოდი თუ ასეთი გათახსირებული იყო თოთიბაძეო, ეს მე კაცი მეგონაო! კათოლიკოზი ხო სულ წყალ-წაღებული ყოფილა, მე მაგას სო-ფელში წასვლისას აღარც კი ვინახულებო“ (რაღა ეშველება კათოლიკოზს, თუ კონტრიძე მას არ „ინახულებს“! რა გულუბრყვილობაა ეს ან ვირ-ტუტუცობა!). შემდეგ კონტრიძე მომიყვა, თუ როგორ „ვერაგულად“ უწარმოებია თოთიბაძეს და გარსიაშვილს „ეს საქმე“ – სამწერლოში ვნახე თოთიბაძის მოხსენება კათო-ლიკოზისადმი ამ თაობაზე. ის სწერს მოხსენებაში კათოლიკოზს: „ციცქიშვილის ნაცვლად ვინმე მღვდელი გამიმწესეო“. გარსიაშვილი სწერს იმავ კათოლიკოზს თხოვნაში: „სადმე გადამიყვანე წმ. ნინოს სასაფლაოდანო“! ეს, რასაკვირველია,

ჯაშუშების სტილია და ღირსია აღნიშვნისა, მაგრამ კონტრიძესაც არ უნდა დავისწყებოდა თვისი ოინები, რომ თვითონ „გასულიყო“, ან ის „გაეყვანა“ ვერაზე ციცქიშვილს, მაშინ ეს არ იქნებოდა „ვერაგობა“, მაშინ ბენიამენიც „მზად იყო“ მეორე მღვდლად ანტონის წინამძღვრობის ქვეშე ყოფილიყო ვერაზე! ასეთია დღეს ჩვენი „ზნეობრივი ჯამბაზობა“!..

შემდეგ იგივე ბენიამენი მომიყვა, თუ რა „შეტაკება“ მოსვლიათ საკათ. საბჭოში „დღეს“ (28 ივლისს) კათოლიკოსსა და ქრისტეფორეს, საგანი შეტაკებისა ყოფილა ისევ ვერის სამრევლო! ვაი, სირცხვილო, მრევლის მღვდლის განმწესების ასპარეზად გადააქციეს საკათ. საბჭო! ნუ თუ ეს სრული არარაობის მომასწავებელი არ არის ჩვენი კათოლიკოზისათვის?! რაღაც საკითხის გამო კათოლიკოზს წამოსცდენია: „ამაზე ვკითხავ სხვას, როგორ სჯობსო“! – ქრისტეფორე სცემია პირში: „ვის ჰკითხავთ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი საბჭო აქა ვართო“! „ის მე ვიცი, ვისაც ვკითხოო“, – გაწიწმატებული წამოუძახნია კათოლიკოზს! „ის მაინც ბრძანეთ, რას ჰკითხავთ მასო“, – ისევ შეჰკამათებია და შებმია პირში ურბნელი! „ეს რა შენი საქმეაო“, – უყვირია კათოლიკოზს, წამოვარდნილა ადგილიდან და დაუწყია ბოლთის ცემა ოფიციალურ სხდომის დროს... ისე გამწვავდა დამოკიდებულება კათოლიკოზსა და ქრისტეფორეს შუა, რომ, ეს უკანასკნელი სამსახურს თავს დაანებებს, „пойдет на покой“! მე გავიცინე და მოვახსენე მამა კონტრიძეს: „ჯერ ეპარქიაში არც კი შესულა, სამსახური არც კი დაუწყია და არა გრცხვენიათ მაინც „პოკოიზე“ რო ლაპარაკობთ?! ურჩიე, მაგ შენ მეგობარს, წავიდეს თბილისიდან თვის ეპარქიაში, კათედრა გაიჩინოს სურამში, სადაც მშვენივრად არის მოწყობილი საკუთარი სახლ-კარით და ყოველივე სიკეთით! ეცადოს შემოიკრიბოს გარშემო სამღვდელოება, დაუმეგობრდეს მათ, შექმნას ნიადაგი ეკლესიურ მოქმედებისათვის, თუ რაიმეს ნიჭი და უნარი აქვს! მხცოვან კათოლიკოზ კირიონს სიცოცხლე ჩაუმწარეს „ახ. სიტყვის“ ფურცლებზე მართვა-გამგეობის უვარგისობაში მხილებით, ეხლა თვითონ მაინც გვაჩვენოს, თუ როგორ უნდა ჭეშმარიტი ადმინისტრატორობა და ეკლესიის მართვა-გამგეობა! ურჩიე მას ჩემ მაგიერ – გაშორდეს აქაურობას, აქ ის ვერას გახდება, ტყვილა გულს გაიხეთქავს, ცინცაძე-თოთიბაძემ ეგ საკმარისად მოიხმარეს იარაღად, ეხლა მათ ქრისტეფორე აღარ სჭირდებათ და მოიშორეს თავიდან „დიდებულად“ – ეპისკოპოსის მანტიაში! ტყვილა ნუღა მისტირის ვერის სასაფლაოს მიცვალებულებს, ეყოფა ამდენი დამცირება, ჯერ თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე იყო ეპისკოპოსი „მანგლელი“, ეხლა იმავ თოთიბაძის „მგალობლის“ ვაკანსიაზე ითვლება და წილს იღებს „დამოუკიდებელი ეპისკოპოზი ურბნელი“! ნუ თუ არ ეყურება ქრისტეფორეს – თუ როგორ მწარედ დასცინს და დაჰხარ-ხარებს მას თავზე იგივე თოთიბაძე-ცინცაძეც!..

„დიდი შეცდომა ჩაიდინა ქრისტეფორემ, – სთქვა კონტრიძემ, – ის არ უნდა კურთხეულიყო ეპისკოპოსად, უნდა ვერაზევე დარჩენილიყო მღვდლადო“! „ჰო, ეს შეეძლო, – უპასუხე მე, – მაგრამ როგორც აჩქარებული, დაუფიქრებელი და უხასიათო კაცი, ასეთი „შეცდომები“ ბევრი მოუვა კიდევ შენს ქრისტეფორეს თქო“. შემდეგ კონტრიძემ გამიზიარა ისიც, რომ „თუ ციცქიშვილი ეპარქიაში დაბინავდება, მე მპირდებიან იმ ადგილს (იგულისხმეთ „მგალობლის“ ანუ მსახურის

ვაკანსია ვერაზე), რომლიდანაც ეხლაც წილს აძლევენ ქრისტეფორესო, მაგრამ მაგას როგორ ვიკადრებ, თოთიბაძესთან სამსახურიდან აწ ღმერთმა დამიფაროსო. თოთიბაძეს წერილიც მოუწერია ქრისტეფორესთვის კათოლიკოზთან შეტაკების გამო, მე წამაკითხა ის წერილიო, ასე იწყება წერილი: „ქრისტეფორე“! „მაშ, რა გეგონათ, თქვენს ქრისტეფორეს ან თოთიბაძე ან ცინცაძე ანგარიშს გაუწევდენ, როგორც „ეპისკოპოზს“ თქო! უპასუხე მე. წერილში თოთიბაძე ამშვიდებს ციცქიშვილს: „უტაქტობა უტაქტობით არ გამოსწორდებაო“, ე. ი. თუ კათოლიკოზი უტაქტოდ მოიქცა, შენ არ უნდა უპასუხო მას უტაქტობითო, – ბენიამენ კონტრიძეს ჩვენ სხვა ადგილს მოუხერხებთ, გარსიაშვილის აქ გადმოყვანა საჭირო იყოო! (მოხსენებაში კი სწერს კათოლიკოზს – „ვინმე მღვდელი გამიმწესეო“, ნამდვილი „აზეფის“ კილოა!)... გარსიაშვილს „უთხოვნია“ წერილობით – „სადმე გადამიყვანეო“! აი, ვის ხელშია ჩვენი კათოლიკოზი.

გულდაწყვეტილი წავიდა კონტრიძე თავის „მეგობრებზე“, – „მე არ მეგონა, თუ ასეთი გათახსირებული ხალხი იყო ესენიო, მე შენზე რადიკალურად შევსცვალე აზრი, შენ უმანკო მტრედი ყოფილხარო“! „მადლობას მოგახსენებთ, მამაო, მაგრამ მე არ მჭირდება ასეთი ქათინაურები, მაგრამ ძლიერ ვსწუხვარ, რომ ამდენი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ მე და შენ და ეხლა რწმუნდები ჩემს „უმანკოებაში“ თქო! არა, მამაო, მე არამც თუ მტრედი, შეიძლება, იმდენი ნაკლულევანებაც მაქვს (მაქვს კიდეც, ზოგს ვხედავ, ზოგს კი ვერა), რომ „ყვავიც“ სამართლიანად მეწოდოს. მაგრამ ერთს კი მოგახსენებ, მე „დიპლომატიაში“ არ მიმიღია მონაწილეობა და ვერც მივიღებ! აქედან დასკვნა – ვინც არ „დიპლომატობს“, ესე იგი ვინც ჩვენს უწყებაში ამ „უმრავლესობის ინტრიგანულ წრეში“ არ მოჰყვა ორგანიულად, მას აქ ადგილი არა აქვს! შენ ესენი თითქოს გთვლიდენ „თავისიანად“, მაგრამ შენ დიდხანს იყავი ბაქოში. მაგათ კაი ხანია ჩამოშორებული იყავი და ჯერ ბევრი უნდა „იმოქმედო“, რომ მათი წყალობა დაიმსახურო! აი, ჩემი აზრი, საწყენათ კი არ მიიღოთ“, – დავასრულე მე.

წასვლისას კონტრიძემ ყოფილი მთავარ-ხუცესი გიორგიძე, რომლის ადგილი დაიჭირა თოთიბაძემ ვერაზე, ვერ მოიხსენია კარგად. მე ამაზე უპასუხე: „მართალია, გიორგიძე მძიმე კაცი იყო, სასტიკი კრებულში, ოჯახშიც, მაგრამ მტკიცე ხელი ჰქონდა საქმეში, ის იჭერდა ხალხს ხელში, არ უშვებდა მათ, ვერა „საზოგადო სასაფლაოდ“ გაეხადა, როგორც ეს მაშინვე ინება თოთიბაძემ. გიორგიძე იზოგავდა ვერას, როგორც კერძო-პრივილეგიურ სასაფლაოს, უვლიდა მას, ის ციხე-გალავანი აგურისა მან შემოავლო ამ ვეებერთელა ადგილს. სიკვდილის შემდეგ დასტოვა 25 მილიონი ნაღდი ფული, ხოლო ათი ფუთი წმ. სანთელი, ეს მილიარდებია, მამაო! და ეს ყოველივე უკვე გააქრო და შესჭამეს თოთიბაძე-ციცქიშვილმა – ამბროსის ლოცვა-კურთხევით და მგონი, მონაწილეობითაც. სამხედრო ტაძარი გაჰქურდა, გასძარცვა თოთიბაძემ, ვერის ეკლესიას „მიჰყიდა“ იქიდან $12^1/_2$ მილიონის შესამოსელი! სხვები „პურზე გადასცვალა“, ზოგიც ცოლ-შვილს ბლუზა-შალვრებად და კაბებად შეუკერა – შესამოსლების ხავერდებში დადიან მისი შვილები! მერე უფრო გამოჩნდება ჩვენი „ზემლიაკის“ თოთიბაძის სიკეთე, როდესაც ისიც გადაგორდება საფლავში, როგორც მომპა-

ლი სოკო! ბარემ არც გიორგიძე აპირებდა სიკვდილს, მაგრამ უეცრივ გაგორდა! რატომ გავიწყდებათ მაცხოვრის იგავი იმ მდიდარ მემამულეზე, რომელსაც ახალი მოსავალი აღარ ეტეოდა ძველ ბეღლებში, ძველები უნდა დაერღვია, ახლები, უფრო დიდები, აეგო, შიგ მოეგროვებია ყოველი სიკეთე და შემდეგ ეთქვა სულისათვის: სულო ჩემო, მრავალი სიკეთე გაქვს, სჭამე, სვი და განისვენეო“!.. მაგრამ იმ ღამეს ჩასძახა ყურში უფალმა: „უგუნურო!.. და სხვა... მართლაც, რომ „უგუნურნი“ ვართ, მამაო ბენიამენ! სხვებს ლამაზად უქადაგებთ, ხოლო ჩვენ, აი, რას ჩავდივართ! ხშირად გვმართებს მათე მახარობლის 23 თავის გადაკითხვა – „რომელნი დასწურავთ ბურნაკთა, ხოლო აქლემსა შთანთქავთ!.. რომელნი ჰსჩანედ გარეშე შუენიერ“... მახლას, მამაო ბენიამენ! მშვიდობით...

31 აგვისტო

დღეს შემდეგი ამბავი გავიგე, ნამდვილი წყაროებიდან: ცნობილი შავრაზმელი დეკანოზი სერგი გოროდცევი უბრუნდება თვისს სამწყსოს – „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ თბილისში! ის გააძევეს ქალაქიდან მენშევიკების დროს და დღემდე ბაქოშია თავშეფარებული. ეს „პოგრომშჩიკი“ – დეკანოზი 2 მისიონერის ეკლესიის წინამძღვარი იყო თბილისში ანდროს ქუჩაზე. დიდხანს იყო ის ინსპექტორად დედათა ეპარქიალურ სასწავლებელშიც. ამავე დროს იყო „ჭეშმარიტ რუსთა პარტიის“ ბელადი, „სამისიონერო დარბაზიც“ ჰქონდა ეკლესიის გვერდით და აქ აწარმოებდა უდიდეს სიძულვილს ერთა შორის, ჰქადაგებდა რუსეთის გაბატონებაზე, აღმერთებდა მეფეს და მისს ოჯახს, ჰმართავდა ლიტანიებს, რომლის დროს 1905 – 22 ოქტომბერს – პოგრომი – სროლა და სისხლისღვრა მოახდინეს ეხლანდელ რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტზე. ეს იყო პოლიტიკურ ტონის მიმცემი ექსარხოსებისა, ამის მისსიონერთა საზოგადოებაში ვინც ჩაიწერებოდა, ის დიდად კეთილ-საიმედო პირი იყო. ამ „საზოგადოებაში“ იყვნენ ჩაწერილნი ზოგი ჩვენნი „მამულიშვილნიც“, თვით დეკანოზები ცინცაძე, თოთიბაძე, არქიმ. ნაზარი, კეკელიძეც! ტყემალაძე ხო იყო და იყო, აკი მიტრაც მიიღო უმაღლეს ჯილდოთ. მენშევიკების დროს დაუწყეს დევნა მონარქისტ-რუსებს თბილისში, გააძევეს აქედან ყოფილი საოლქო მეთვალ-ყურე სამრევლო სკოლებისა კავკასიაში, დეკ. ორეხოვი, რომელიც სულ ბოლო დრომდე რუსებმა რუსულ სასულიერო სემინარიის რექტორად შეინარჩუნეს და რუსულ სინოდ. კანტორის წევრად ჰყავდათ. ერთ დღეს, ეს იყო 1920-ში, დამიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროში – ნოე რამიშვილის კაბინეტში. თვით ნოე არ დამიხვდა, დამიხვდა მისი მდივანი – მეწოეთელი ლომთათიძე. ამან შემდეგი წინადადებით მომმართა: „თქვენ იცით, ვინ არიან აქ, თბილისში – შავრაზმელ რუსების სამღვდელოებაში მავნე პირები, დაგვისახელეთ ისინი, რომ გავაძეოთ ჩვენი სამშობლოდანო“! ამაზე მეტად ავღელდი და მოვახსენე – „ეს ჩემი საქმე არ არის, ეს როლი არც ძველ მთავრობის დროს მიტვირთნია და არც ქართულ მთავრობის დროს ვიტვირთებ. თქვენ თვითონ მიხვდებით, რაშია საქმე, საამისოდ მე არ გამოგადგებით თქო“.

ამის შემდეგ ლომთათიძე გადავიდა „მეგობრულ“-„შინაურ“-„ჩვენებურ“ კილოზე და მითხრა: „კაცო! მაგისი იმედი გვქონდა შენგნით?! ჩვენ გვეგონა, ხელს შეგვიწყობდით ქვეყნის განთავისუფლებაში მავნე ძალთაგან და შენ კი ჯავრობ კიდეც, რომ საქმეში მოგიწოდეთ! აი, დეკ. ან. თოთიბაძე, სამხედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი, ის ჩვენს განკარგულებაშია, ბევრი ცნობები მოგვცა და გვაძლევს კიდევაც ამ თაობაზე, თან ისიც გვითხრა, რომ დეკ. ნ. თალაქვაძე მეტად გამოგადგებათ ამ საქმეშიო და იმიტომ გთხოვეთ“. „არა, ძამიავ, – უპასუხე მე, – თოთიბაძე იმის პროტოპრესვიტერია, რომ ასეთ საქმეებში გამოგადგეთ, იმას ამ „საქმეში“ თანაშემწეები არ სჭირდება, მით უმეტეს მე მას ვერ გაუწევ „თანამშრომლობას“ თქო! „ძალას ხო არავინ გატანსო“, – გაბუტვით მითხრა ლომთათიძემ და დავშორდით ერთმანეთს!

ამის შემდეგ, არ გასულა სულ ორი დღე, რომ გააძევეს ქალაქიდან დეკ. გოროდცევი, დეკ. ორეხოვი, დეკ. ბუტირსკი (ყოფილი სმოტრიტელი სას. სასწავლებლისა) და ბევრი კიდევ სხვანი ქალაქიდან! მივხვდი, რომ ეს სულ „ჩვენი პროტოპრესვიტერის“ ნამოქმედარი იყო და დავღონდი! ცხადია, აგრე იქცეოდა ის რუსების დროს ქართველების წინააღმდეგ, აგრევე იქცევა ქართველების დროს – რუსების წინააღმდეგ! ეს „ცნობილ ჭაღარა სილიბისტრო ჯიბლაძის პროტოპრესვიტერი“, რომელიც ჟორდანიას მთავრობას ორგანიულად დაუკავშირდა, თვით სამხედრო ტაძარს დაუკავშირდა – „გაპროტოპრესვიტერდა“, ხოლო თვისი „მეორე სახე“ – დეკ. კ. ცინცაძე, ჟორდანიას ოჯახის მოძღვრად დაუკავშირა, იმ ნოე ჟორდანიას ოჯახის მოძღვრად, რომელიც (ჟორდანია) 1917 წლის 8 მარტს ჩემ ოჯახში მყავდა და მისგნით მივიღეთ პოლიტიკური დირექტივები მცხეთაში 12 მარტის აქტის გამოცხადებაზე. ამ უკანასკნელ თათბირზე ჩემს ბინაზე ბრძანდებოდა ეპისკოპოსი ანტონი, ხოლო ნოე ჟორდანია მოვიპატიჟეთ სოსიკო მერკვილაძის საშვალებით. მოვიდა ნოე და სოსიკოც დაგვესწრო თათბირზე. როდესაც სამშვიდობოზე გავედით, პლატონ ექსარხოსს თავზე ცეცხლი გადავაყარეთ, ეკლესია გავანთავისუფლეთ, შემდეგ გამოძვრნენ ეს პროტო-პლაზმები – თოთიბაძე-ცინცაძე და „გაგვიპროტოპრესვიტერდენ“ ასე უცნაურად, ასე საარაკოდ! თურმე ყველაფერს სდომებია „დამსახურება“, ხოლო „დამსახურება“ – შესაძლებელი ყოფილა „თანამშრომლობით“, თუ გინდ უკიდურესი ჯაშუშობით...

მაგრამ „ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო“, – ნათქვამია. ასე მოგვდის ჩვენც. დღეს გავიგე, რომ „ჭეშმარიტი რუსები“ ხელის მოწერას აგროვებენ და მოითხოვენ დეკ. გოროდცევის დაბრუნებას თვისს ტაძარში – თბილისში. აქედან გაშვებულ იქმნეს ბერძენი დეკ. კონსტანტინე პოლიტოვი (ეს ჩემი ამხანაგი იყო თბ. სემინარიაში), რომელმაც დაიბუდა გოროდცევის ტაძარში და, მიუხედავად იმისა, რომ თვით პოლიტოვიც დიდი მონარქისტია – თანამგრძნობი და მომქმედი „ჭეშმარიტ რუსთა შორის“, დიდი მტერი და მოწინააღმდეგე ქართველობისა და ქართველ სამღვდელოებისა, არ ისურვეს ეს რუსებმა და თავიანთი გოროდცევი სურთ. გაუგზავნიათ დეპუტაცია „კომუნისტურ მთავრობისათვის“ და უთხოვნიათ: „ნება დაგვრთეთ, გამოვიწვიოთ ჩვენი მოძღვარი ბაქოდანო“! ამათაც უპასუხნიათ: „ეს რა ჩვენი საქმეა, რას გვეკითხებით, ასეთ საქმეებში

ჩვენ არ ვერევით, რაც გინდათ, ის ჰქენით და ვინც გინდათ, ის მოიწვიეთო“!.. ამას კომენტარიები არ სჭირდება! ნეტავი, რას ჰფიქრობს ეხლა ჩვენი ყოფილი „პროტოპრესვიტერი“ ანტონი და მისი „მეორე სახე“ კალისტრატე! ვაი, სირცხვილო, სად არის შენი სინათლე!.. mutantur tempora et nos in illis!..

ამიერიდან თოთიბაძეს ეწოდა მეტ-სახელად – „ვინმე მღვდელი“, ხოლო ქაჩალა-ბრუციან და ქურდ გარსიაშვილს – „სადმე მღვდელი“!

1922 წ. აგვისტოს 2-სა

დღეს თბილისის სამღვდელოების საოლქო კრება იყო, სამრევლო საბჭოების ერისკაცთა წარმომადგენლებით. ჩვეულებისამებრ არ ვიცოდით, თუ რა საკითხები ჰქონდა კრებას გადასაწყვეტი. კრება გახსნა მთავარ-ხუცესმა დეკ. დიმ. ხახუტაშვილმა. წაიკითხა „დღის წესრიგი“; დღის წესრიგში, შეეცადნენ, უწესრიგობა შეეტანათ დეკ. ცინცაძეს და თოთიბაძეს, ეს უკანასკნელი – „ვინმე მღვდელი“ – გამოცხადდა კრებაზე მთელი „შტაბით“ – „სადმე მღვდელი“ დ. გარსიაშვილით, დიაკ. გრიგორიაშვილით და ორი საერო კაცით – ერთი იყო ლორთქიფანიძე, მეორე ახალგაზრდა თუხარელი; ესენი სულ „ახალ შეძენილი“ პირებია თოთიბაძისა, რომლებთანაც ეს უკანასკნელი უსათუოდ დაკავშირებულია რაიმე ინტერესებით, ცბიერებით, ანგარიშებით თუ ცუღლუტობით. საერო კაცი იყო მხოლოდ წმ. მარინეს ტაძრიდან – ფორაქაშვილი, რომელსაც ხმა არ გაუღია. დეკ. ცინცაძე-თოთიბაძე სცდილობენ „ჩასჭრან“ კრებაზე მთავარ-ხუცესი, ამიტომ ხან რას წამოუყენებენ, ხან რას, არ დაგიდევენ არც „წეს-რიგს“ და არც რაიმე სისტემას. მთავარ-ხუცესი გამოცდილი კაცია, მაგრამ რა ჰქნას, რომ ყალბ ნიადაგზე სდგას, მისი დასაყრდნობი – კათოლიკოზი, რომლის სახელითაც ის მოქმედებს, არის მეტად მერყევი პიროვნება და ისიც ცინცაძე-თოთიბაძეს მიმხედვარია, ის უკვე დაეშვა დაქანებულ მოლიპულ გზაზე და მიჰყავთ თან „უგვირგვინო კათოლიკოზებს“!..

პირველი საკითხი წამოყენებულ იქმნა – თბილისის სამრევლოების გადაჯგუფებაზე, ტერიტორიალურად განაწილებაზე. ეს საკითხი დიდი ხანია მოხსნილიაო, შესძახეს ერთხმად და ხმა ჩაუკმიდეს მთავარ-ხუცეს! კარგი, თუ არ გინდათ, მოხსნილი იყოსო. მეორე საკითხი წამოაყენა მთავარხუცესმა – თანაშემწე ამომირჩიეთო, ამაზედაც გაამასხარავეს ის და „დაუმტკიცეს“ მას, რომ მას „თანაშემწე არ სჭირდება“! მესამე საკითხი წამოაყენა ავათმყოფ დეკ. იოელ გამრეკელისათვის შემწეობის აღმოჩენა. „შემწეობის ფონდში“ ფული აღარ არისო! შეიქმნა ახლა ამ „ფონდზე“ ლაპარაკი, რის ფონდია ესო! გამოირკვა, რომ მარტიდან თბილისის სამღვდელოებას ეკლესიებიდან ყოველთვიურად უნდა შეეტანათ მთავარ-ხუცესთან ერთი მილიონი მანათი. აქედან ერთი თვის ყოფილა მხოლოდ შეტანილი, ეს ფული უკვე დახარჯულია და სხვა ფული აღარ შემოდის ეკლესიებიდანო, ეს კაცი კი ავათმყოფი საჭიროებს დაუყოვნებლივ დახმარებასო“. მაშინ მოვახსენე კრებას: „სანამ ფონდში ეკლესიები ფულს შეიტანდნენ,

ეხლავე ჩვენი ჯიბიდან მივსცეთ შემწეობა გაჭირებულ თანამოძმეს თქო“! – სულ ყველამ თავი მოიფხანეს, ხმა არავინ ამოიღო, ისევ ფონდზე დაიწყეს ლაპარაკი და დაადგინეს: „ფონდში შეტანილ ფულიდან მიეცეს დეკ. გამრეკელს დახმარება ერთი მილიონითო!.. გამოვიდა „ენუქას ანდერძი“! ეს ფრიად დამახასიათებელია „კრების“ ქრისტიანულ სულის განწყობილებისა. ეს იყო ცოტათი თბილი საკითხი და ესეც ასე მოჰკლეს ფარისევლური ქცევით...

მეოთხე საკითხი – მოხუცმა დეკ. ბარნაბიშვილმა პენსიის პროექტი წარმოადგინა და გავიცნოთ ეს პროექტიო! არ გვინდა, არ წაგვიკითხოთ, საკათ. საბჭოსთან არსებობს საპენსიო კომისია, ამას გადაეცითო, – ბრძანა დეკ. ცინცაძემ. – გადაეცესო, – უპასუხეს! ესეც დაასამარეს. შემდეგ – მეხუთე საკითხი, – „კათოლიკოზის გუნდის შესანახად ყოველ-კვირა უქმეზე ფულები ჰგროვდებოდეს ტაძრებშიო“! ამან გამოიწვია კამათი. კათოლიკოზის „მასიამოვნებელნი“ მზად არიან – ეკლესიებს შეაწერონ საამისო მუდმივი ბეგარა, ზოგი ამბობს, ერთი დღე წელიწადში – მოვანდომოთ ტაძრებში ამ საჭიროებაზე ფულების მოგროვებასო. დეკ. ი. შუბლაძემ მკაცრად გაილაშქრა ამ გუნდის წინააღმდეგ, პეტრე-პავლობა ვინაიდან სადაგ დღეზე მოხვდა, ამ გუნდმა უარი განაცხადა ჩემს ეკლესიაში ეგალობნა ტაძრის დღესასწაულზეო! მე მაგისთანა გუნდს ვერ თანაუგრძნობო! შემდეგ მეც ავიღე სიტყვა და უფრო ვრცლად შევეხე საკითხს: გუნდი საჭიროა, მაგრამ ყოველივე საჭიროების დაკმაყოფილება არის დამოკიდებული შეძლებაზე, „როგორც საბანი გაგიწვდება, ფეხები ისე გაჭიმეო“, – ამ თქმულებას აქ აქვს ადგილი თქო. გუნდი დააარსეს, თვეში ათი მილიონი გადაუწყვიტეს და ჩვენ კი არ გვკითხეს – შეგვიძლია თუ არა ასეთი ძვირი გუნდის ასეთ გაჭირებულ დროში შენახვა. ჩვენი ტაძრების შეძლება მეტად დაწურულია. ჯერ კიდევ სანთლის ოპერაციით, ერთ გირვანქა სანთელს რო ვყიდულობთ – 100.000 მანეთს სანთლის ფასად ვიხდით, ხოლო ამდენსავე საკათოლიკოზო საბჭოს ხარჯებისათვის. ჩვენ მოველოდით, რომ ასეთ ბეგარას გვაკმავებდა საკათ. საბჭო, აქედან ის გუნდსაც დააკმაყოფილებდა, მცირე გუნდს სამხმოვან ქართულ გალობისას! ეხლა არ ძალგვიძს კიდევ ახალ-ახალ ბეგარების გაწერისა – 3% – ქორეპისკოპოზს, ამდენი „ფონდს“, ამდენი „სიონის ტაძარს“, ამდენი „იორდანეს გასამართავი“, ამდენი ერთ მღვდელს შემწეობა, ამდენი მეორე მღვდელს, ამდენი მთავარ-ხუცეს, ამას გარდა ზოგიერთი შემოსავლის 20%, ზოგიერთისა 40%, ბატონებო, რაღა დაგვრჩა?! ჩვენ და ჩვენი ტაძრები რით ვმართოთ და რით შევინახოთ?! პურის ფული აღარ გვაქვს დღეს მღვდლებს – ზოგის გამოკლებით, და ასეთ გუნდის შენახვასაც გვთხოვენ?! თუ არა და ჩვენს ტაძრებს – პატარა გუნდი არ უნდა გვყავდეს დღესასწაულებისათვის მაინც?! სად და როგორ უნდა მოვაგროვოთ კიდევ ფული?! ტაძარში ხუთიოდე ადამიანი შემოდის და იმასაც რო წამდაუწუმ თეფშებით მივადგეთ, ისინიც დაგვეფრთხობიან და დავრჩებით ცარიელ ტაძრებში! ასეთ „დროსა და ჟამს“ უსათუოდ უნდა გაუწიოთ ანგარიში, ასეთ დროს კიდევ მეტად დამძიმება ჩვენი, ეს არ არის მიზან-შეწონილი, დეე, ერთი რომელიმე კვირა-უქმე დღე მოვახმაროთ ამ გუნდისათვის ფულის მოგროვებას ტაძარში და რაც შეგროვდეს, იმით კმაყოფილი იყვნენ, შეამოკლეთ გუნდიც და ხარჯიც მასზე, სანამ უკეთესი დრო

დაგვიდგებოდეს. უფრო კარგი იქნებოდა, რომ უაზრო ხარჯები არ ხდებოდეს ჩვენს საკათ. საბჭოში, რომელიც არის უკანტროლო დაწესებულება, რომ აქ ფულები იხარჯებოდეს მიზან-შეწონილად, შეიძლება მაგ გუნდის შესანახი ფულიც აღმოგჩენოდათ კასსაში, მაგრამ რა ვსთქვათ, ვიცი, რომ ამას მე არ მომიწონებენ, ეს მე „დანაშაულად“ ჩამეთვლება, მაგრამ რა ვქნა“...

ამის შემდეგ სიტყვა აიღო „სადმე მღვდელმა“ – გარსიაშვილმა, ეტყობოდა, ის ქელეხიდან პირდაპირ კრებაზე მოსულიყო – მთვრალი იყო! მან დაიწყო იქიდან, რომ „გუნდი კულტურული საგანია, ის აუცილებელია, უგუნდოთ ჩვენი კათოლიკოზი რას ემგვანებაო. ამ საკითხში კი პირადი ინტერესები და პირადი თავმოყვარეობა შეაქვთ აქ; მე სხვაფრივ ვერ გამიგია დეკ. თალაქვაძის და შუბლაძის განცხადებაო, უსათუოდ უნდა გავიღოთ ფულიო“! მე უპასუხე გარსიაშვილს: „ჩვენ არ გვითქვამს, რომ გუნდი საჭირო არ არის, ჩვენ არ გვითქვამს, რომ კათოლიკოზი უმგალობლებოდ დავსტოვოთ, საჭირო იყო, მამა გარსიაშვილს ჯერ გაეგო ჩვენი ნათქვამი და შემდეგ გამოელაშქრა. მე ვერ გამიგია, რომელი ლოღიკის კანონით აკავშირებს მამა გარსიაშვილი ჩემს წარმოთქმულ სიტყვას – ჩემს „პირად ინტერესებთან“ ან „პირად თავმოყვარეობასთან“! არ მესმის, რა მოსდის მამა გარსიაშვილს, რატომ სურს მას, ასეთი საკითხი რაღაც მოჩვენებულ პირად ინტერესების მსხვერპლად შექმნას. შეიძლება, მას არ ესმის და არც სჯერა ჩვენი ტაძრების მეტად შევიწროებული ნივთიერი მდგომარეობა, შეიძლება მას არც ის სჯერა, რომ სამრევლო სამღვდელოების უმეტესი ნაწილი თბილისში განიცდის დიდ ნივთიერ ხელ-მოკლეობას, პურის ფულს ვერ შოულობს ზოგიერთი! მაგრამ „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონა“, ეს ტყვილა კი არ უთქვამს ხალხის სიბრძნეს! მამა გარსიაშვილი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული, ეგ ჩვენს გულის პასუხს ვერ მიხვდება და ჩვენს დამცირებაზე და რაღაც „პირად ინტერესებზე“ ლაპარაკს ეგ ერიდოს, თორემ ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვსთქვათ თვით გარსიაშვილის პირად ინტერესებზე“... ხმა ჩაკმინდა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა, შიგა და შიგ ქვეშ-ქვეშ შემომხედავდა ხოლმე თვის ბრუციანი თვალებით... ბოლოს გადაწყდა საკითხი ისე – ვინც რას შეაგროვებს, კეთილმნებელობითო...

მეექვსე საკითხი წამოაყენა მთავარ ხუცესმა: „მიხეილის საავათმყოფოში არის გამწესებული მღვდელი ფალიაშვილი, ამასვე აქვს რკინის გზის სამლოცველო საავათმყოფოთი ჩაბარებული, სხვა მღვდელს აქვს უფლება იქიდან მიცვალებულის გამოსვენებისა, თუ პანაშვიდების გადახდისაო“. ასტყდა ამაზე ისეთი ყაყანი, ისეთი ინსტიქტები გადმოიშალა ჩვენს წინ, რომ თავი შემეზიზღა. ამას დაერთო ზედ არამიანცის საავათმყოფოს მიცვალებულების და სამლოცველოს „საკითხი“ – დეკ. შუბლაძე ამტკიცებდა, რომ ეს დაწესებულება პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა მოწერილი 1903 წლიდან! დეკ. იაშვილი და ტატიშვილი ამტკიცებდენ – ეს ტყუილია, იმ სამლოცველოდან თავიანთ მიცვალებულებს მიასვენებენ სომხის ტერ-ტერები, თათრების მოლები, ურიების ხახამები და რატომ გარდა შუბლაძისა სხვა მართლ-მადიდებელ მღვდელსაც არ უნდა გვქონდეს მიცვალებულების გასვენებაო. ასტყდა ამაზედაც საშინელი მიხლა-მოხლა, ერთი მეორეს აღარ აცლიდა ლაპარაკს. ამ დროს თოთიბაძის სამრევლო საბჭოს ერისაგანნი

ახალგაზრდა თუხარელი მომიახლოვდა და მე ვკითხე: რატომ არაფერსა ბრძანებთ, რატომ არ კამათობ თქო! შეწუხდა, აღარ იცოდა, რა ეპასუხნა, მას მართლა ეგონა, რომ მისგან ამ სჯა-ბაასში მონაწილეობას ვთხოულობდი. ბოლოს უთხარი: „აი, ძმაო, რაზე ხურდავდება ჩვენი ენერგია, ჩვენი მოძღვრობა თქო! ამ დროში რაიმე პრინციპიალურ საქრისტიანო ცხოვრების ასამაღლებლად გვმართებს ხმის ამაღლება, თქვენ კი ვერის სასაფლაოზე – სულ „ასაფლავებთ და ასამარებთ“, ესენი კი აქ ერთმანეთს სწეწენ და ჰგლეჯენ – ვინ ვის გამოსტაცოს ხელიდან ლაზარეთების მიცვალებულნი! ეს თუ ქრისტეს ეკლესიაა, მე აღარ ვიცი, რაღაა უსჯულოება; ცრუმორწმუნეობა და საშინელი ანგარება!..“ ის ახალგაზრდა გაშტერებით მიცქეროდა, ეტყობა, რო არაფრისგან არაფერი ეყურება და თოთიბაძეს „დეკორაციათ“ ჰყოლია სამრევლო საბჭოში; ის მეორე ლორთქიფანიძე, ეხლახან ვაჟკაცი შვილი დაჰკარგა, მეტად დამწუხრებული იჯდა, ხმა არ ამოუღია, ხოლო რო შეატყო, თუ რა მიმართულება მიიღო ჩვენმა კრებამ, გაიპარა! მღვდლები კი ისევ შფოთავდენ, აწიოკებდენ ერთმანეთს საყვედურებით და შეურაცხყოფით. მეტად დაოსდენ, დაიქანცნენ, მეტად შესაძრწუნებელი სურათი შეიქმნა, რა სახე მიიღეს მკვდრებზე მებრძოლმა მოძღვრებმა, წარმოუდგენელია!.. ისარგებლა ამ მომენტით მთავარხუცესმა და სრულიად მოულოდნელად წამოაყენა შემდეგი საკითხი: „კრების დასაწყისში მსურდა მომეხსენებია და ეხლა გათავებისას მიხდება მოგახსენოთ, რომ საჭიროა „უწმინდესს“ გამოეცხადოს საოლქო კრების სახელით თანაგრძნობა და თანხმობა მის მიერ კონფერენციაზე გაგზავნილ მოწოდების გამოო“! ეტყობოდა, რომ ეს წინადადება კათოლიკოზიდან გამომდინარეობდა, ზემოთ თავის ადგილზე მქონდა აღნიშნული, რომ დეკ. ვ. კარბელაშვილმა წინა კრებაზე წამოაყენა ეს საკითხი მთავარ-ხუცესთან ერთად, მაგრამ მაშინ კრება არ შესდგა, მაშინ მოითხოვდენ პროტესტი გამოგვეცხადებია მთავრობისათვის ნაზარი ქუთათელის ეპარქიიდან გამოძევებისათვის და თან გააგის კონფერენციაზე თბილისის სამღვდელოებას გაეგზავნა თვისი სახელით „მემორანდუმი“, რომ კათოლიკოზი გაგვილანზღეს კომუნისტებმა პრესაში და პროტესტს ვაცხადებთო. ალბად ესეც იმ „სფეროებიდან“ გამოდიოდა! მაშინ კარგად შევამკე ეს მამანი, ხოლო ეხლა ხმაც აღარ ამომიღია, ცინცაძე დეკანოზმა წამოიძახა: „ერთხმად მივიღოთ ეს და დეპუტაცია გაუგზავნოთო“! აღარ ვიცი, ვინ გაგზავნეს დეპუტაციათ, მე წამოველ სახლში მეტად დაღონებული და დაფიქრებული! ამდენ იეზუიტებს, ასეთ თვალ-მაქცობას, რა უნდა საქართველოში! სად ვისწავლეთ ჩვენ ყოველივე ეს?! მეტად დამაფიქრებელია ჩვენი ვითარება!.. ჭეშმარიტად, ეს არ არის ქრისტეს ეკლესია!

7 აგვისტო, ორშაბათი

ეს სამი-ოთხი დღეა კათოლიკოზი სასეირნოდ წაბრძანდა მცხეთაში თუ მისს სანახებში, გუშინ – კვირას, სვეტი-ცხოველში ისიამოვნებდენ პავლე არქიმანდრიტთან, შემდეგ შიო-მღვიმეში წავლენ, იქაც შეექცევიან, თუ კიდევ რაიმე

დარჩა ამ მონასტრისაგან! მეტად განიავდა ეს მონასტერი! რამდენი სიმდიდრე ჩაჰყარა განსვენებულმა ალექსანდრემ აქ?! გურია-სამეგრელოს ეპარქიის მთელი სიმდიდრე, მისგნით იქიდან გამოზიდული. ფულით თუ ნივთით, სულ შიო მღვიმეში ჩაჰყარეს, ბევრიც თავიანთ ნათესაობას მოახმარეს ოქროპირიძეებმა! მაგრამ ის მონასტერიც განიავდა და ოქროპირიძიანთ გვარი მოისპო საქართველოს ეკლესიის ზედა-პირიდან, წლისთავზე ლეონიდ კათოლიკოზს უკან გაჰყვა პიროს ალავერდელიც და ასე დასრულდა ოქროპირიძიანთ სამი მღვდელმთავრის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიაში. მაგრამ, როგორც წესი არის ხოლმე, შემდეგში, მგონი, მოგვენატრონ კიდეც ის ძველი ეპისკოპოსნი, ეხლანდელებთან შედარებით. დიდი რღვევა არის დღეს ჩვენს ეკლესიურ მართვა-გამგეობაში! „ურბნელი ქრისტეფორე არ შორდება თბილისს, ის განაგრძობს ისევ ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე „ძოვნას“, თოთიბაძე დეკანოზის წინამძღვრობის ქვეშე, უბრალო მგალობელ-მსახურის ვაკანსიაზე! თოთიბაძეც იკვეხის – „гоняю епископа на крестины, на требы, посмотрим долго ли выдержить“ო! ეხლა თითქმის ყველანიც მიხვდნენ, რომ ეს ციცქიშვილი იარაღად ჰყავდა და ჰყავს კიდეც თოთიბაძეს. „ეს ციცქიშვილი რაღაც მანქანასავით მოუწყვია დეკ. თოთიბაძეს, – მითხრა ამას წინეთ ერთმა სამღვდელო პირმა, როდესაც საჭიროდ დაინახავს, ერთ პრუჟინაზე თითს დააჭერს და რასაც უნდა, იმას აყვირებს თვისს ვირგლასო“! – სწორეთ ასეა საქმე! კაცმა „საძოვარს“ გემო გაუგო თბილისში, არ უნდა მიწისძვრისაგან დაქცეულ გორში ცხოვრება, თუ თბილისიდან წასვლა იქნება, ბარემ კახეთში წავალ, ისიც კარგი „საძოვარი“ ყოფილა, როგორც თვით ქრისტეფორეს წამოუძახნია პიროსის დასაფლავების ჟამს.

დეკ. ფხალაძის ალავერდელობაზე

თავის ადგილზე აღნიშნული მქონდა, რომ ეს ფხალაძე-დეკანოზი (სიონის კანდელაკი) კახეთის ოლქთა დიდ უმრავლესობამ ალავერდელის კათედრის კანდიდატად დაასახელეს და წარმოგზავნეს კიდეც თავიანთი ოქმები საკათ. საბჭოში. მაგრამ კათოლიკოზი მეტად თვალთ-მაქცობს – ფხალაძეს ეუბნება პირში, რომ შენზე უკეთესი საეპისკოპოზო კანდიდატი აბა ვინ გვყავსო, მაგრამ ქუთათელი ნაზარი და ურბნელი ქრისტეფორე შენს წინააღმდეგ არიან განწყობილნი, ამათ მე წინააღმდეგობა გამიწიეს შენს ეპისკოპოზობაზე! სხვასაც ეუბნება კათოლიკოზი დეკ. ფხალაძის ქებას – „ეს რა კარგი მშვიდი, მორჩილი და პატიოსანი ადამიანი ყოფილა და მე კი როგორ შემაგონესო“! ამას ეუბნება ისეთ პირს, რომელიც დეკ. ფხალაძეს გადასცემდა კათოლიკოზის მასზედ ნაამბობს, რომ ბოლოს კათოლიკოზს არა დაჰბრალდეს რა, თუ ფხალაძეს ყინულზე გააცურებენ! ნამდვილად კი კათოლიკოზია ფხალაძის დაუძინებელი მოწინააღმდეგე, ის არ ეგულვება მას თვის „ჯგუფში“, ამ „ჯგუფმა“ ფხალაძე არ მიიღო თვისს წრეში, არ ენდობიან მას და გადასწყვიტეს, რომ ისევ ქრისტეფორე ურბნელი გადაამწესონ კახეთში, მაგრამ „ამ საქმეს, – როგორც დეკ.

თოთიბაძეს უთქვამს, – ტეხნიკურად უნდა მოწყობაო“! და შესდგომიან კიდეც „საქმის მოწყობას“! საკათოლიკოზო საბჭოდან ისევ გაუგზავნიათ ალავერდის ეპარქიაში ხელახალი – შეკითხვა კანდიდატები ისევ დაასახელეთო, ესე იგი – ხელახლავ უნდა მოაგროვონ ოლქების ოქმები – ვის ვინ უნდა ეპისკოპოზად – ფხალაძე თუ ქრისტეფორე! ამასთანავე კახეთში გაუგზავნიათ საპროპაგანდოთ ქრისტეფორეს ვაჟი, ამას ჩამოუვლია მთელი ოლქები, მთავარ ხუცები და აქაურ მესვეურთა გულნადები და სურვილი გადაუცია მათთვის, რომ სასურველი კანდიდატი საეკლესიო „სფეროებისათვის“ – მამაჩემი – ქრისტეფორეაო! მიუხედავად ამისა, ამჟამად ალავერდის ეპარქიის ოლქებს თითქმის ერთხმად ისევ ფხალაძე დაუსახელებიათ! ამას კი არ მოელოდნენ „სფეროებში“! კათოლიკოზი შემკრთალა და უთქვამს: საქმე ისე მიდის, რომ იძულებული გავხდებით ფხალაძის ეპისკოპოსად კურთხევასო! ეხლა ეძიებენ სხვა გამოსასვლელს. ერთ-ერთი კანდიდატი ალავერდებლობაზე დეკ. იოსებ ჩიჯავაძე-ნავთლუღელი ჩამოიშორეს თავიდან, ამას შეუჩინეს მისი მეორე მღვდელი – გიორგი კალანდარიშვილი, წასჩხუბეს ესენი ერთმანეთს, გაიმართა საჩივრები, ერთმანეთს, როგორც არის ხოლმე ასეთ შემთხვევებში, თავლაფი დაასხეს, გამომძიებლად კათოლიკოზმა დანიშნა მთელი კომისია – სამეურნეო გამგეობიდან თვით დერეკტორი დეკ. დ. ლაზრიშვილი, ვიცე-დირექტორი დეკ. ილია შუბლაძე, ხოლო საკათ. საბჭოს კანცელიარიიდან – ამ კანცელიარიის მდივანი დეკ. ივანე ქავჟარაძე! ეს საგანგებო „კომისია“, შავბნელი ძალები, რომელთაც კირიონის დაღუპვაში საკმარისად მოიხვეჭეს სახელი, დაინტერესებულნი პირნი, პირადი მტერნი დეკ. ჩიჯავაძისა! ეს საგანგებოდ იყო გამოწყობილი საქმე, რომ ჩირქი მოსცხონ დეკ. ჩიჯავაძეს და ერთხელ-სამუდამოდ ჩამოიშორონ ის ეპისკოპოსის კანდიდატებისაგან. ამ მიზანს მიაღწიეს კიდეც, ისე გააზვიადეს, ისე გაართულეს გამოძიება, რომ ლამის სიგიჟემდე მიიყვანონ დეკ. ჩიჯავაძე და მისი მახლობელნი; მოწინააღმდეგე პირი – მღვდელი კალანდარიშვილი იარაღია მხოლოდ „კომისიის“ ხელში, ესენი არიგებენ, ხელმძღვანელობენ, მაგრამ თვითაც გაფუჭებული, უზნეო პიროვნებაა. ამას წინეთ დეკ. ჩიჯავაძეს „ჩეკიდან“ გაუჩხრიკეს ბინა, ვერა უპოვნეს რა ბინაზე, მაგრამ წაიყვანეს მაინც და „ჩეკაში“ დაატუსაღეს. ამ საქმეს აბრალებენ მის მომჩივანს მღ. კალანდარიშვილს! მართალია, ორი დღის შემდეგ ჩიჯავაძე გაანთავისუფლეს, მაგრამ ამას „კომისია“ ისევ თავისებურად ხსნის და მარტავს: „ეს თვით დეკ. ჩიჯავაძემ მოახერხა, რომ კალანდარიშვილისათვის დაებრალებიაო“, – მითხრა გუშინ ერთ-ერთმა „კომისიის“ წევრთაგანმა (კავჟარაძემ) სხვების თანადასწრებით! მე ამაზე მიუგე, რომ ეს მეტის-მეტი მოგდისთ, მამაო, ყველაფერი შეგიძლიათ ბრძანოთ ჩიჯავაძეზე და ამისი თქმა კი ყოველივე ლოღიკას და მოსაზრებებს ეწინააღმდეგება თქო! ნუ თუ თქვენ მართლა ისეთი რამ გგონიათ ჩიჯავაძე, რომ ის „ჩეკასაც“ თავისს სურვილებზე ათამაშებს – უნდა თავს დაატუსაღებიებს, უნდა გაანთავისუფლებიებს?! რომ არ გაენთავისუფლებიათ, მაშინ რაღას ბრძანებდით თქო?! სდუმდენ. მაშინ დაურთე: აი, როგორც გამომჟღავნდა, თქვენ – გამომძიებლები – ვერ ბრძანდებით ობიექტური პირნი ჩიჯავაძე-კალანდარიშვილის გამოძიებაში, თქვენ არც უნდა გეკისრნათ ამ

საქმის გამოძიება, თქვენ ცენტრალურ საეკლესიო ორგანოში მსახურნი პირნი ხართ, მსაჯულიც (დეკ. ნესტორ მაჭარაშვილი), აი, თქვენს გვერდით თქვენთანვე მსახურობს, თქვენ, როგორც იტყვიან, კიდევაც სჭრით და კიდევაც ჰკერავთ, სირცხვილია, მამანო, ასეთი საქმეების ასე ხელოვნურად შექმნა! დეკ. ჩიჯავაძეს მე და თქვენ გუშინიდან როდი ვიცნობთ! ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა ადამიანია ის, ვიცით, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული მღვდელი რა გზას ადგება ხოლმე, მაგრამ მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო, თვით ეპისკოპოსნი, თუგინ ახალ-ნაკურთხი ქრისტეფორე რა ცხოვრების კაცია! მამაო დიმიტრი, – მიუბრუნდი იქვე ლაზრიშვილს, – იმ დღეს რა ამბავი მოგიტანათ სახლში თქვენმა ფოფოდიამ, როგორ მიმართა საზოგადოებაში ერთმა მანდილოსანმა დეკ. თოთიბაძეს და მოკითხა – „თქვენს ახალ ეპისკოპოზს ციცქიშვილს ამ დღეებში ვაჟი შესძენიაო“! ანტონი კუდ-ამოძუებული გაიპარა აქედან! „ჰო, ეს ამბავი მიამბო ჩემმა ცოლმა“, – მიპასუხა ლაზრიშვილმა. ამაზე შუბლაძე გაწიწმატდა და შემომძახა: „ეს ტყუილია, ცილისწამებაარ“! „რატომ ასე ჰფიქრობთ, მამაო, როდის „გამოიძიეთ“, რატომ ამაზე აღარ დანიშნა კათოლიკოზმა გამოძიება თქო?! დაიქცეს თქვენი სამართალი, ხედავთ, სად მივდივართ, მამაო! დაინახეთ და შეიტყვეთ, რომ თქვენი განმკითხავი აღარავინ არის ამქვეყნად! თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმა! რო დააქციოთ აქაურობა, პასუხის მომთხოვი არავინ არის გარდა ღვთისა, ჩაგვიგდეთ ხელში, ჩამოგვართვით სამღვდელოებას ყოველივე უფლება, რაც გსურთ, იმას სჩადიხართ, კათოლიკოზი თქვენს სრულ განკარგულებაშია თქო“... სდუმდენ, თავი ჩაღუნეს...

ირკვევა თანდათან, რომ ცინცაძე-თოთიბაძე-შუბლაძე-ციცქიშვილმა და საზოგადოდ „ახალ სიტყველებმა“ – სამ გვამზე გადაალაჯეს, რომ ამბროსი დაესვათ კათოლიკოზად! კირიონი მოჰკლეს, ლეონიდი შიმშილით ამოაღრძეს (ჯერ ქალაქიდან სამარცხვინოდ გააქციეს ბოლშევიკების შემოსვლის ღამეს) – ხორველით მოაშთვეს კაცი, სამოვრის ამდუღებელი კაცი არ მისცეს, ნახშირის საყიდელი ფულიც არ მისცეს, რომ მოხუც ლეონიდს ცოტათი მაინც გიგიენურად ეცხოვრა და ასე სამარცხვინოდ არ მომკვდარიყო! ეხლანდელ კათოლიკოზ ამბროსის კი – თავიანთ მეგობარს – თავზე აყრიან ყველაფერს. მეწველი ძროხა უყიდეს და სახლში დაუბეს, დიდ ჯამაგირებსაც აძლევენ საკათ. საბჭოდან, რის ჯამაგირებს, განუკითხავათ, უკონტროლოდ, ხარჯავს რამდენიც სურს, მდიდარ მიცვალებულებზე იწვევენ და ათ-ოც-ოცდაათ მილიონობით ასაჩუქრებენ! შემოხვევიან მაგიერში გარშემო და თვითონაც მისი მეგობრები უსაზღვროდ სარგებლობენ სანთლის ოპერაციიდან შემოსულ ფულებით! ამას გარდა თავიანთ მდიდარ ტაძრების შემოსავალშიც თავისუფლად აფათურებენ ხელებს – „თვითონაც ცხოვრობენ და კათოლიკოზსაც აცხოვრებენ“ – აი, მათი დევიზი! მესამე გვამი, რომელზედაც გადააბიჯეს „ახ. სიტყველებმა“ ამბროსისთან მისასვლელად, იყო ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი, რომელიც მოაწამვლინეს ამის სიძეს – ვინმე ნაურიალ-ფინლიანდელს!.. ეშინოდათ, კირიონის შემდეგ კათოლიკოზად ანტონი არ ამოერჩიათ, თავიდან მოიშორეს, მაგრამ კათოლიკოზის არჩევნები მაინც ვერ გაბედეს, უბედური ლეონიდი ისე აურჩევლად დასვა საკათ. საბჭომ კათოლიკო-

ზად, „პირველმა საეკლესიო კრებამ გაათეთრა ლეონიდიცო“, – ასე ასაბუთებდენ მისი „მეგობრები“ ასეთ არა ჩვეულებრივ მოვლენას. ანტონ ქუთათელის წინააღმდეგ იყო დეკ. თოთიბაძეც, რომელსაც ეშინოდა, რომ მისი გავლენით (ანტონ ქუთათელის გავლენით) სამხედრო ტაძარი მას გამოერთმეოდა. ეს ტაძარი უკვე მე მქონდა სამხედრო მინისტრ გიორგაძისაგან, მაგრამ ანტონის (ესეც გიორგაძე იყო) დაღუპვის შემდეგ სილიბისტრო ჯიბლაძის მომხრეობით (ეს ნათესავი იყო თოთიბაძისა და მის ოჯახში აღზრდილი ბავშვობაში ოზურგეთში) ხელიდან გამომაცალეს. ცხადია, ორი მიმდინარეობა მტრობდა ანტონი ქუთათელს – ერთი მიმდინარეობის სათავეში იდგა დავით დავითაშვილი, ლეონიდის კანცელიარიის მდივანი, რომელსაც დამორჩილებული ჰყავდა ლეონიდი და მისით სარგებლობდა, როგორც „მდივანი“; მეორე მიმდინარეობის სათავეში იდგა აზეფი – თოთიბაძე, რომელსაც შველოდა მორიელი ცინცაძე, ორთავენი კი ანტონ ქუთათელის „მეგობრად სახავდენ“ თავს. აი, ამათაც არ ეპიტნავებოდათ ქუთათელის კათოლიკოზად არჩევა და ისარგებლეს მისი სიძით, მოისყიდეს ის ფულით, მისცეს 10.000 მანეთი, მაშინ ეს ფულად ითვლებოდა. თან სიძე-სიმამრშუა აღანთეს შფოთი, შეუჩინეს უბედურ ანტონის სიძე და ქალი, ფულები აქვს და არ გაძლევთ, რომ ადამიანურად იცხოვროთო. მაგრამ ეს ნაურიალი სიძე ანტონისა დიდი პროვოკატორი გამოდგა, ეს ამბავი გადასცა თვისს სიმამრს – „შენი მოწამვლა სურთ შენს მტრებს, მე 10.000 მაძლევენო“! ეს ამბავი კი ანტონმა მითხრა მე მისსავე სუფრაზე ქუთაისში 1918 წლის 18 აგვისტოს მის სიძისავე თანადასწრებით: „მამაო ნიკიტა, ჩემი მოწამვლა განუზრახავთ“, – მითხრა ქუთათელმა სუფრაზე! მე რო გავიკვირვე, ავშფოთდი, საყვედური გამოუცხადე, რატომ ჰკადრულობთ ასეთ უსაფუძვლო ხმების აყოლას თქო, მაშინ მოუბრუნდა თვისს სიძეს და უთხრა რუსულად: „ты знаешь, что от о. Никиты я ничего не скрываю, скажи же при немъ – сколько тебе обещевают за мое отравленіе“! მან, არც აცივა, არც აცხელა და თუთიყუშივით წამოიძახა: „десять тысячь рублей“! მაშინ შევრისხე მას და უთხარ: „как осмелились, сударь, обратиться к вам с таким гнусным предложеніем, а если осмѣлились, то как вы позволили себе сказать все это вашему тестю?! вы, видите, онъ уже отравлен вами“, – მიუთითე ანტონზე. ამის შემდეგ არ გასულა ოცი დღე და „ქუთათელს სისხლი აუვარდა თავში და მოკვდა უეცრივო“! სიძე ამ დროს გვერდით ჰყავდა, ქალი კი თბილისში იყო! ქუთათელის დასაფლავებაზე კი წამოვიდნენ თბილისიდან მისი მკლელნი – დეკ. თოთიბაძე-ცინცაძე, არქიმანდრიტი ნაზარი – ეხლანდელი ქუთათელი – მოსისხლე მტერი ანტონისა, ესენი ეახლენ თბილელ ლეონიდს, რომელიც, არა ვგონებ, რომ თანამზიარე ყოფილიყოს მოწამვლაში, მაგრამ „ახალ სიტყვაში“ კი ფსევდონიმების ქვეშე („ჭინჭარი“) მეტად ებრძოდა და თავლაფს ასხამდა ანტონ ქუთათელს, რომ მას არჩევნებზე თავიც ვერ გამოეყო. ასეთი „მლოცველები“ გარს შემოეხვივნენ კუბოში მდებარე ანტონის და დაასაფლავეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში. მეც დავესწარი ამ დასაფლავებას, წარმოვთქვი ტაძარში – კუბოს წინაშე – სიტყვა, რომელშიდაც მკაცრად დავახასითე ეკლესიური ცხოვრების რღვევა ჩვენში, რის მსხვერპლად დავასახელე კირიონთან ერთად ქუთათელი ანტონიც! ეს სიტყვა გამომართვა „თეატრ და ცხოვრების“ რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა

დასაბეჭდათ, მაგრამ გამიგეს და შეეცადნენ, არ დაბეჭდილიყო, მასვე დარჩა ეს სიტყვა, თან მოკლე ბიოგრაფიული აღწერა ანტონ ქუთათელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, განსაკუთრებით, თუ როგორ მის თავმჯდომარეობით უკანასკნელი ექსარხოსის პლატონის დროს მოგვარდა 1917 წლის 12 მარტს ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სვეტიცხოველში! სამწუხაროდ, ჩემი სიტყვაც და ეს აღწერაც დარჩა იმედაშვილის არქივში, თვითონ 1921 წლის თებერვალში ევროპაში გაიქცა, ხოლო რა მოუვიდა ამ ჩემს ნაწარმოებთ არ ვიცი, ალბად დაიკარგებოდა. ანტონის დასაფლავების დასში ერია იმ დროს ჭყონდიდელად მყოფი ამბროსი, ეხლანდელი კათოლიკოზი! ეს ამბროსი და ანტონი თითქოს „მეგობრად“ ითვლებოდენ, სულ ერთად ცხოვრობდენ თბილისში, ერთად დადიოდენ, მეც არაერთხელ ვყოფილვარ მათში, დიდი დაახლოებული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში! მაგრამ „ადამიანი შიგნიდან არის ჭრელიო“, – უთქვამთ ძველებს. ბოლოს ამბროსიმაც უღალატა ანტონის, ამბროსი ანტონისთან კაკანებდა, კვერცხს კი თურმე დეკ. თოთიბაძე-ცინცაძესთან სდებდა! ამათ გაუკაფეს ამბროსის გზა კათოლიკოზის კათედრისაკენ, ჩამოაშორეს კირიონი, ანტონ ქუთათელი, ზედ ლეონიდიც მიაყოლეს და მესამე „საეკლესიო კრებაზე“ (ნამდვილად იყო უკანონო კრება, ბანდა უპასუხისმგებლო აურჩეველ პირებისა, ვინ იყო გამკითხავი 1921 წლის ენკენისთვეში!) დიდი საარჩევნო ბრძოლის გადახდის შემდეგ აღიყვანეს საკათოლიკოზო კათედრაზე! შემოხვევიან დღეს გარშემო და აშკარად ასე მიმართავენ ხოლმე კათოლიკოზს: „შენ, – შენ, – შენ ამბროსი“!.. სჭამენ, სვამენ, იმღერიან და ლხინობენ! ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას სისხლის ოფლი ასხამს სახეზე, ხალხი გვეხრწნება ზნეობრივად, ვერაგდება სარწმუნოებრივად. კათოლიკოზის სახელით მეტად ბოროტად სარგებლობენ: ჯერ არ დათავებულა ზემო აღნიშნულ ჩიჯავაძის გამოძიება, ხოლო „კომისიის“ წევრი დეკ. ი. შუბლაძე მღვდელს ბენიამენ კანდელაკს, რომელიც კათოლიკოზმა ახალციხიდან გამოიწვია თბილისში რკინის გზის ეკლესიის მღვდლად, ამ კანდელაკს შუბლაძე წინადადებას აძლევს – დაიჭირე ნავთლუხში დეკ. იოსებ ჩიჯავაძის ადგილიო, ეს ადგილი სულ მალე განთავისუფლდებაო! ხოლო დეკ. თოთიბაძე სწერს ოზურგეთში თავის სიძეს დეკ. ვარლამ მახარაძეს: „მალე გადმოგიყვან თბილისში, თუ ნიკიტაი (ეს მე!) თავიდან მოვიშორეთო“! ამას არ სჭირდება განმარტებანი...

არქივის გაყიდვა საკათოლიკოზო საბჭოს დარბაზიდან და კათოლიკოზის საეპარქიო კანცელიარიიდან

ეს ამბავი შემთხვევით გავიგე 8 ამა აგვისტოს, როდესაც ავლაბარში ვიყავი მიწვეული ერთ მიცვალებულზე. პროცესიაში ვიყავით დეკანოზები – მე, მარინეს დეკ. იაკობ ტატიშვილი და ვერის ნიკოლოზიდან – დავით გარსიაშვილი და ვ. მატათაშვილი. ამ დროს ჩვენ წინ სომხის ორმა პატარა გოგონებმა ხელით გამოატარეს ორი შეკვრა აღსარებითი სიებისა და ნამსახურობითი სიებისა. მე გავიკვირვე – რას ნიშნავს ესა თქო! ამათ მიპასუხეს, რომ ამ დღეებში საკათ.

საბჭოს სამეურნეო გამგეობამ გაჰყიდა 300 ფუთი ქაღალდი – არქივიდანო 106 ათას მანეთად ფუთიო. ეს გაუგია მთავრობას (კომუნისტურს), მოუკითხნია – რას ნიშნავს ესაო, ამათ მიუგიათ – ეს უვარგისი დოკუმენტებია, საარქივო არ არის, ტყვილა ადგილს იკავებდა არქივში და თქვენ ხელს გიშლიდათო! აგენტმა ამოიღო ჯიბიდან ერთი დოკუმენტი, რომელიც უკვე სახვევ ქაღალდად ყოფილა გაშვებული ბაზარში და მათ ჩავარდნიათ ხელში. ეს რაღა არისო?! აღმოჩნდა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების არქივიდან მეტად ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი. ამათ უპასუხნია, რომ ეს ჩვენი გაყიდული როდია, ამის არქივი საეპარქიო კანცელიარიაში ამ კანცელიარიის გამგის დ. დავითაშვილის ხელშია! ამ სახით დავითაშვილი მისცეს პირში, თვითონ, მგონი, თავი დაახწიეს, დავითაშვილს მიუსიეს, დავითაშვილი ეხლა არ ესიამოვნებათ „ჯგუფს“, უნდათ, თავიდან მოიშორონ როგორმე და აი, საბაბიც ეს არის. მაგრამ დავითაშვილიც არა ნაკლებ გაცვეთილი პიროვნებაა, ამათ ჯიბეში ჩაისვამს, ესეც მშრალად გამოვა საქმიდან. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ დავითაშვილს თითქმის სულ ერთიანად გაუყიდნია ექსარხოსების ყოფილ კანცელიარიის არქივი და ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების არქივიც! ესენი ფასდაუდებელი ისტორიული დოკუმენტებით სავსენი იყვნენ, რომელნიც საუცხოოდ დაახასიათებდენ სინოდის, ექსარხოსობის და საზოგადოდ რუსობის ბატონობის ხანას საქართველოში 1801 წლიდან 1917 წლის დამდეგამდე. ეს ყველაფერი სახვევ ქაღალდად წავიდა. სინოდალურ კანტორის მეტრიკული ნაწილები უკვე ჩაიბარა საერო მთავრობამ „ზაქსმა“, ხოლო აღსარებითი სიები და სამსახურის სიები ამათ უცნიათ არა საჭირო დოკუმენტებად და ესენიც (საბჭოები) შესევიან, რომ შთანთქან 40 მილიონამდე ფული; შკაფები, მაგიდები, სკამები და ვინ იცის, კიდევ რა ნივთები სულ დაჰყიდეს და პურებზე დასცვალეს „სამეურნეო გამგეობამ“ კათოლიკოზის და საკათ. საბჭოს ნება-დართვით, ჟურნალებში ჩაწერით, აღწერით, ესე იგი ყოველივე ფორმალური მხარის დაცვით! ამ „ფორმით“ თვალს უხვევენ ყველას – „ჩვენ კანონიერად ვმოქმედებთო“!.. არც ამას სჭირდება ბევრი განმარტება! სრული უპატრონობა სუფევს დღეს ჩვენს უბედურ ქვეყანაში, რასაც გარეშენი გვაკლებენ, იმას შინაური მუხანათნი გვისრულებენ...

სეკტემბერი, 1922 წ., 1-ლი რიცხვი

28 აგვისტოს ახ. სტ. მარიამობა-სიონობა გადავიხადეთ თბილისში. დიდძალი მლოცველები გამოცხადდენ სიონში წინაღამითაც და მეორე დღესაც. კათოლიკოზთან თანამწირველობდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანნე (მარღიშვილი), რომელიც ეს ერთი კვირაა ჩამოვიდა ქალაქში. ურბნელი ქრისტეფორე გორში წაბრძანდა, ფერისცვალების დღესაც გორში ყოფილა მწირველი და მარიამობა ტაძრის დღესასწაულია გორის კათედრაში. ვერის ნიკოლოზშიც შეინარჩუნა მან „მგალობელთა ვაკანსიის“ შემოსავალი, არც ბინა მოშალა ქალაქში და ასე დღესასწაულებზე გაისეირნებს-გამოისეირნებს ეს

თვითნება ვაჟბატონი. ვერ იქნა, ჯერ კიდევ ვერ მოიგდებინა დეკ. თოთიბაძემ თავიდან ეს მისი ბრმა იარაღი, რომელსაც, რასაც ჩასძახებდა, იმასვე დააყვირებდა! ეხლა აღარ სჭირდება ეს ქრისტეფორე, მაგრამ ვერ მოუშორებია თავიდან, მეტად მწვავე წიხლებს ისვრის ხოლმე ეს „ვირგლა“ და თოთიბაძეს „სკანდალის ერიდება“, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე და თან ბარათებით ამშვიდებს ქრისტეფორეს და მილიონების გზავნით (რა ენაღვლება სასაფლაოს ფულები): „ქრისტეფორე, – სწერს თოთიბაძე, – მტერს ნუ გაახარებო“! მტერი გამოვდივარ მე, ხოლო მოყვრები ესენი ბრძანდებიან...

არც იოანნე ცხუმ-აფხაზეთისა ბრძანდება კმაყოფილი თავისი ბედისა, ერთი რომ ნივთიერ ხელ-მოკლეობას განვიცდიო, სანთლის ქარხანა არა აქვს ეპარქიაში, აქედან მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საკათ. საბჭო; თვით ფლანგავენ და ანიავებენ აქაურობას, ხოლო განაპირა კუთხეში კაცი ეპისკოპოსად გაგზავნეს, სამისიონერო პოსტზე, ავტონომიურ აფხაზეთში, სადაც ძველ რეჟიმის დროს ყოველივე ეკლესიურ ხარჯს ხაზინა იხდიდა ან ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება აწარმოებდა, ასე რომ აფხაზეთის ქრისტიანული მოსახლეობა სრულებით არ არის დაჩვეული, რომ რაიმე სასყიდელი გაიღოს ან მღვდლის შესანახად ან სხვა რაიმე ეკლესიურ ხარჯების დასაფარავად. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ კუთხეს სჭირდება აქედან დიდი ყურადღება და ნივთიერი დახმარება! განა თვითონ კათოლიკოზმა არ იცის იქაური საქმის ვითარება? მაგრამ, ნათქვამია, „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“! თვით გამოიმინდვრა და ეხლა იოანეს რაც მოუვა, მოუვიდესო! ეხლა ეს ეპისკოპოსი მოითხოვს ყურადღებას და დახმარებას; თან სურს, ისარგებლოს „აფხაზეთის ავტონომიით“ და თითქოს ადგილობრივ საზოგადოების მოთხოვნით, თავისთვის მიტროპოლიტობის ხარისხს მოითხოვს! ესეც ერთი უბედურებათაგანია! სასაცილომდე მივდივართ – ყველას კათოლიკოზობა და მიტროპოლიტობა სურს ჩვენში! იოანნეს თუ მიეცით მიტროპოლიტობა, ჭყონდიდელმა დავითმა რაღა დააშავა, განა ჭყონდიდი აფხაზეთზე „დაბლა სდგასო“?! მალე „ურბნელი ქრისტეფორეც“ მოითხოვს მიტროპოლიტობას, მე ქართლის მწყემს მთავარი ვარ, რა სხვაზე ნაკლები ვარო, ტანით და ახოვნებით ყველაზე მაღალიცა ვარო, დავითი ურბნისიდან გააგდეთ 1920 წელში, მე კი მის ადგილზე ამიყვანეთ 1922-ში, ალბად მე მას ვჯობივარო და ასე...

ჩვენში იღვიძებს ძველი ინტრიგანობა, ძველი დამპალი ზნე-ჩვეულება, უკვე ანარქიაა ჩვენში, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკლესიურ ცხოვრებაში. ხალხს სწყურია სარწმუნოებრივი-ზნეობრივი წვრთნა და მწყემსნი არ უვარგნივართ. უამრავი ხალხი მოაწყდა სიონს, მაგრამ რა?! ღამისთევაზე კათოლიკოზი-ეპისკოპოზი და მღვდლები ღვთისმშობლის დაუჯდომელს კითხულობდენ; ვერც ერთი მათგანი ვერ კითხულობდა! ხუცური წაკითხვა არ ეხერხებათ! იყვნენ – დეკანოზები თოთიბაძე-ცინცაძე-ხახუტაშვილი და სხვები სულ ყველანი „კისერს იტეხდენ წიგნში“! არც არა ესმოდა რა ხალხს მათი წაკითხული, ღრიალებდა გარუსებულ ლოტბარის პაპიაშვილის გუნდი რუსულ კილოზე გადაკეთებულ საგალობლებს! ასეთი ღვთის მსახურება ვერ

დაატყვევებს მორწმუნეთა სულსა და გულს, ხალხიც ჟრიამულობდა და იყო ერთი ბაზრობა-იარმუკობის ხმაურობა ტაძარში! მეორე დღესაც იგივე ამბავი იყო, კათოლიკოზმა თავისებური გაჭიანურებული წყალ-წყალა ქადაგებით გული გადაულია ხალხს. წირვის შემდეგ სიონის ეზოში, იპოდიაკონის ბინაზე კათოლიკოზი თანამწირველებით და სტუმრებით დიდ საუზმეზე მიიწვიეს სიონის ხარჯით! კათედრის დეკ. ტყემალაძე ავად არის, ის არ გამოსულა, თორემ ასეთ „საუზმეს“ ის მათ არ აჭმევდა. „თუ საჭმელია, აწი მე ვსჭამოო“, – იტყოდა ხოლმე წინეთ...

29 (16) აგვისტო, ანჩის-ხატობა

„სიონობის“ მეორე დღეს „ანჩის-ხატობაა“. მოვიწვიე კათოლიკოზი და ცხუმელი იოანნეც; ღამისთევაზე ეს უკანასკნელი იყო შემოსილი, კათოლიკოზი საკურთხეველში ბრძანდებოდა. უამრავი ხალხი მოაწყდა ანჩის-ხატს! ტაძარი და ეზო-მიდამოები არ იტევდა ხალხს. რაც შეიძლებოდა, შედარებით, ლმობიერად ჩავატარეთ ღვთისმსახურება. მეორე დღეს – 29-ს – ხალხი ნაკლებად მოვიდა, ვინაიდან სადაგი დღე იყო და სულ ყველანი საქმეზე იყვნენ. უფრო მეტი მანდილოსნობა იყო, თუმცა ბოლოს მამაკაცობაც ბლომად შეიკრიბნენ. კათოლიკოზს კარი-ბჭეში შევეგებე შემოსილი, ჯვრით და სიტყვით. ვრცელი სიტყვა წარმოვთქვი ამ ძველი ტაძრის მნიშვნელობაზე, თვით ანჩის ხატზე, კათოლიკოზების მოღვაწეობაზე, მათ თავდადებულ მწყემსმთავრობაზე და მოვახსენე კათოლიკოზს, რომ საცაა წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ სახელოვან მცხეთის კათოლიკოზთა კათედრაზე აღხვედით და ეს პირველად გეძლევათ შემთხვევა ამ ძველის-ძველ ტაძარში უსისხლო მსხვერპლის შეწირვისა. მოვედით, ილოცეთ და გვალოცეთ, მამაო, ეს ტაძარი არაბთა ბატონობის დროს არის აგებული ჩვენ წინაპართაგან; იმ დროს საქართველო გმინავდა არაბთა მძიმე უღლის ქვეშე, მაგრამ ქედს მაინც არ იდრეკდა მტრის წინაშე! აი, ასეთ ტაძრის აგებასაც კი ახერხებდენ! მაშინ ეწამა ქრისტესთვის აბო თბილელი, იმ დროის მოწამეა დიდებული არჩილ მეფე! ამათ ულოცნია ამ ტაძარში, აქ ულოცნია წმ. დავით აღმაშენებელს, წმ. თამარს, ქეთევან დედოფალს, ლუარსაბ მეფეს და სხვათა და სხვათ ჩვენ მოწამეთა, რომელთა სახელებით მოკაშკაშე ვარსკვლავებივით მოოჭვილია ჩვენი ქვეყნის ლაჟვარდოვან ცის გუმბათი. ჩვენ წამებულ წინაპართა სულით და ტვინით გაპოხილია ამ ტაძრის კედლები, აქ ეხლაც ისინი თავს დაგვტრიალებენ და გააბით მათთან ლოცვის უხილავი ძაფები, შეგვაერთე ჩვენს სასო პირი ღვთისას, შეგვავედრე მისდამი ღვთისმშობლის მეოხებით! გუშინ სიონობას დარწმუნდით, თქვენო უწმინდესობავ, რომ ამ მძიმე დროსაც ჩვენს ერს შეუნახავს სარწმუნოება! მთელი მორწმუნე თბილისი იყო გუშინ და გუშინწინ თქვენს გარშემო შეკრებილი და სასოებით შემოგცქეროდენ, თქვენს ლოცვა-კურთხევის და ნუგეშის მომლოდნენი. გუშინაც და დღესაც იგივე დიდ ძალი მორწმუნე თან გახლავთ ანჩისხატშიც! ცხადია, ჩვენი ერის გულში სარწ-

მუნოება მოფერფლილია, ფერფლის ქვეშე ისევ ღვივის ნაპერწკალი, საჭიროა, დავბეროთ ამ ფერფლს, გავფანტოთ ის და გავაღვივოთ ის ნაპერწკალი ალად და ცეცხლად, რომელიც დასწვავს და განსწმენდს ჩვენი ერის ცხოვრებაში და მოქალაქობაში ყოველივე მწიკვლს, შურს, მტრობას, ბოროტებას, ღალატს და სხვა ათასგვარ უსაქციელობას, რომელსაც დაუბუდნია თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში. ჩვენ ერს სჭირდება განსაკუთრებული ხელმძღვანელობა ამ დიად საპასუხისმგებლო ისტორიულ ხანაში. ჩვენს ქვეყანას ახსოვს მურვან ყრუები, სელჯუკები, თემურ ლენგები, შახ-ნადირები, აღამახმად ხანები! მაგრამ იმათ შემოსევას, იმათ მიერ ქვეყნის აკლებას უმკლავდებოდენ ჩვენები, ბევრჯელ ამარცხებდენ კიდეც ამ უძლიერეს ბელადებს – ჩვენი ქვეყნის მტრებისას. მაგრამ დღეს საქართველო განსაკუთრებულ ვითარებაშია, დღეს მეტად ფართო მასშტაბით არის მისი პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრების ასპარეზი გადაშლილი, დღეს ახალი აზრებით, ახალი იდეებით, ახალი პოლიტიკურ-სოციალური ილიუზიებით ვართ მოზღვავებული და დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ არ ჩავიხრჩვეთ, არ გავილესოთ ამ ორომ-ტრიალში! თითქოს ამას გრძნობს ჩვენი ერი და აი გარს შემოგვხვევიან, ზეცას შეჰღაღადებენ და შველას მოითხოვენ! დიახაც, შევღაღადოთ ზეცას, შევავედროთ პირი ღვთისას ეს ჩვენი ერი, თქვენი ნაჭირნახულევი სამწყსო, და თან შევაგონოთ ამ სამწყსოს, რომ ღმერთსაც შეევედრონ და თვითონაც ხელი გაიქნიონ! ეს ჩვენი სასო პირი ღვთისა მოწამეა – „როგორ ამაღლდა საქართველო, როგორ დაეცა“! საქართველოს ამაღლების და კულტურულ-პოლიტიკურ ძლიერების დროს ეს სიწმინდე ივლტოდა ხატთა-მებრძოლ ბიზანტიის იმპერატორთაგან და თავი შეაფარა დიდებულ ანჩის ტაძარში, ჭოროხის ხეობაში, ძველ სამხრეთ საქართველოში, ანუ ზედა-ქართლში! ამ ხატის წინ ანჩის ტაძარში ილოცა ჩვენმა წმ. დედამ თამარ-მეფემ და ნიშნად მასზედ მოვლენილ ღვთისაგან გამარჯვებისა მტერთა ზედა – იოანნე ანჩელ-რკნაელ ეპისკოპოზს მოაჭედინა ეს სიწმინდე შესანიშნავი ხელოვნების პერანგით, რომელიც დღეს არხეოლოგებს 12 საუკუნის ქართულ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად მიაჩნიათ. შემდეგ ეს ზედა ქართლი მოგვგლიჯეს გულიდან ოსმალებმა, ხალხი ამოგვიხოცეს, ზოგიც ძალად გაგვიმაჰმადიანეს, ხოლო სხვები ივლტოდენ ამ სიწმინდით ახალციხეში, მაგრამ ახალციხეც მალე წაგვართვეს იმავ ოსმალებმა, მაშინ ივლტოდენ გორში; გორიდან ამილახვრებმა თვის სოფელ ჭალაში გადაასვენეს, გარნა 17 საუკუნის დამლევს დომენტი კათოლიკოზმა ჭალიდან ეს სიწმინდე ამ ძველ ტაძარში – თვის მეტოქ-კარის ეკლესიაში გადმოასვენა და მას შემდეგ ეწოდა მას ანჩისხატის ტაძარი! ამ სიწმინდის, ამ ღვთის პირის დღესასწაული გვაქვს დღეს, უწმინდესო მეუფეო! შეგვავედრე მის წინაშე, აღაპყარ სასოებით ზეცად შენი მწყემსმთავრული გონიერი და ხორციელი თვალები, შეავედრე მთელი ჩვენი სამშობლო და ერი, რათა გავერთიანდეთ, შევდუღდეთ და შევკავშირდეთ მთელი ჩვენი არსებით, ძალით და ვაჟკაცობით. ჩვენი იარაღი ცალ ხელში ისევ ჯვარი იყოს, მეუფეო! ეს უძლეველი იარაღია, ჯვარი მფარველია ქრისტიანეთა! მეორე ხელში კი გვქონდეს იარაღი ისევ ქრისტიანული სწავლა-განათლება-

ძმობა-მოთმინება-მუშაობა-მოღვაწეობა, გულწრფელობა და სიქველე! ამით ვიყავით ნაქები, და ეს საქციელი უნდა აღვადგინოთ! ღმერთო, შენ მოგვხედე! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! მოვედ, მეუფეო“! ეს დაახლოებით მოვიყვანე...

წირვა ჩავატარეთ კარგად, წირვის ბოლოს ჩემი სიტყვის საპასუხო ქადაგება წარმოსთქვა კათოლიკოზმა. მეტად გააჭიანურა და დაჰღალა საზოგადოება, ტაძარს ლიტანიით შემოუარეთ. შემდეგ სახლში მივიწვიე კათოლიკოზი, ეპისკოპოზი, თანამწირველნი, სამრევლო საბჭოს წევრნი და ზოგი საპატიო სტუმარნი. ზოგმა მრევლთაგანმა ღვინო გამომიგზავნა, ზოგმა ყველი, ზოგმა თევზი, ზოგმა ხორცი, ხილი და ასე შევსძლეთ გამასპინძლება კაი ძალი სტუმრებისა. კარგად მოილხინეს და ისიამოვნეს. მაგრამ მე და ჩემი შვილები ვერ ვიყავით კაი გუნებაზე, წინა ღამით ქურდები შემოიპარნენ ჩვენს ბინაზე და გაგვქურდეს, წაიღეს ჩემი ქალების მთელი ტანთსაცმელები, ერთი ხალიჩა, საბნები და ვინ იცის, კიდევ რამდენი რა. მეუღლე სურამში მყავდა და მე ვერ მივხედე ყველაფერს! შეარგოს ღმერთმა, როგორც მემართლებოდენ!.. მიუხედავად ამისა კარგად ვასიამოვნეთ სტუმრები. თამადობის დროს განუმარტე ლოტბარს პაპიაშვილს, თუ რა არის „ნაცია“ და როგორ უნდა დამუშავდეს ქართველი ერი ამ ცნების მიხედვით! როგორ შეიძლება დღეს ვსთქვათ – მე კახელი ვარ, არა მე გჯობივარ, ქართლელი, არა მე იმერელი, არა მე გურული და ასეთი. „მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო ორ ზღვა შუაა გადაჭიმული“! აი, რას გვეუბნება ჩვენი უკვდავი მგოსანი. თქვენ, როგორც მგალობელმა, ის არ იფიქროთ, რომ გალობის წყარო და სათავენი ან კახეთი იყოს, ან ქართლი, ან გურია-იმერეთი! არა, ჩვენ ერთი ქართული გალობა გვაქვს, როგორც ერთი ერი ვართ, ერთი რწმენისა, ერთი ხორცისა და ერთი სისხლისა. თქვენ, როგორც მცოდნე პირმა, მუშა ფუტკარივით ერთი ყვავილიდან მეორეზე უნდა გადაფრინდეთ, ყველგან უნდა მონახოთ ჩვენი ერის გენიის პრიმატი, შეაგროვოთ, შეადუღოთ, დაამუშაოთ და ისე უნდა მოგვაწოდოთ, უნდა გვაგემოთ ეროვნულ ერთობის და ერთსულოვნების ნექტარი! სხვა ფრივ ჩვენ არ გვინდა არაფერი გალობა, სხვა ფრივ ყოველი ფუჭი და ამაო იქნება ჩვენთვის...

ეს იმაზე მოვაყოლე, რომ ეს გადარუსებული პაპიაშვილი ტომით საინგილოდან არის; სადილზე მძლავრად გამოილაშქრა „იმერლებზე“, ფოცხვერაშვილი რა მგალობელი, რის მცოდნეა, რომ მთავრობის გუნდი ჩაიგდო ხელში, მის ხელში ქართულ გალობის საქმე ეცემა, ამ დაცემა-დაქვეითებას სულ იმერლები – დასავლეთ საქართველოდან აწარმოებენო... ამაზე უპასუხე, რომ ბევრი შეიძლება გიპასუხოთ ყოველივე თქვენს ნათქვამზე, მაგრამ მაგისი არც დროა დღეს და არც ადგილი, სიამოვნება გაგვიფუჭდება, კათოლიკოზი შეგვიწუხდება და აუხსენი, თუ რა არის „ნაცია“ და რა უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო მრწამსი! აქ პიროვნული საკითხის პრინციპიალურში არევას ვხედავ და მოდი, დავანებოთ მაგას თავი და კახური შემოვსძახოთ, რომ გურიაშიც გაიგონონ თქო... ასე ჩავატარე ეს სახიფათო მომენტი.

კათოლიკოზი კმაყოფილი დარჩა და, მგონი, პაპიაშვილიც...

14 სეკტემბერი

რამდენად ეკლესიური მხარე ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა ანარქიულად არის დაყენებული, რამდენად ეკლესიური „მოღვაწენი“ თვითნებობენ და საკუთარ-პირად სარგებლობას მისდევენ ეკლესიურ მოღვაწეთა ნიღაბ ქვეშ, უფრო მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია ჩვენი მოქალაქობრივი და პოლიტიკური ვითარებანი. ქართველი ერი და საქართველო განიცდის დღეს უმაგალითო დამცირებას და განიავებას. თითქოს საქართველო „დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკაა“! ნამდვილად კი ამ „დამოუკიდებელ რესპუბლიკას“ ყველაფერი „გაერთიანებული“ აქვს ადერ-ბეიჯანთან, სომხეთთან და თვით რუსეთთანაც კი. საქართველო ჯერ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან „გააერთიანეს“, რომ შემდეგ და თანდათან ისევ რუსეთის ბატონობის ქვეშ დააბრუნონ. უკვე აღარ არსებობს ჩვენში სახელმწიფოებრივი „საზღვრები“, არ არსებობს საქართველოს „ტერიტორია“! რუსეთი კი საზღვრებსაც იფართოებს, ძველ რუსეთის ტერიტორიას იკრეფს, ხოლო თუ ჩვენ ამოვიღეთ ხმა ან საზღვრებზე, ან ტერიტორიაზე, მაშინვე ყიჟინას დაგვცემენ – აი, „შოვინისტები“, აი, „კონტრ-რევოლიუციონერებიო“! „გაერთიანდა ჩვენში რკინის გზა – ეხლა უკვე აღსდგა „Кавказскій округъ путей сообщенія“! – ფოსტა, ტელეგრაფი, გზა, ვაჭრობა, მრეწველობა! ამ დღეებში გადააყენეს ფინანსების კომისარი სვანიძე, რომელიც დღემდე მტკიცედ იცავდა ქართულ ბონებს: ქართული ბონა ხუთას თუმნიანზე ზევით არ გაუშვა სვანიძემ. ჩვენში ტრიალებს დღეს ას თუმნიანი და ხუთას თუმნიანი. ჩვენი ფული ოცჯელ და ოცდა ათჯელ უფრო ძვირია რუსეთისა თუ ადერ-ბეიჯან-სომხეთის ფულზე. რუსეთში მილიონიანი, ათ მილიონიანი და უფრო მეტ ფასიანი ბონები იჭრება და ტრიალებს. ცხადია, საქართველოშიც იგივე სურთ შემოიღონ – „გააერთიანონ“ რუსეთთან, ეს ჩვენი ქვეყანაც გასთქვიფონ რუსეთის საერთო უბედურებაში და სიღატაკეში. აი, რას იმკიან ჩვენი „კომუნისტები“! თუ ქართული ჯარი, ქართული საზღვარი-ტერიტორია, ქართული ენა – სახელმწიფოებრივი, დაწესებულებათა ნაციონალიზაცია მოითხოვა ვინმე ქართველ კომუნისტთაგანმა, მათ ერეკებიან ადგილიდან და გზავნიან ზოგს რუსეთში, ზოგსაც ციმბირში. ამას წინეთ ქართულ ჯარის ორგანიზაციის მტკიცე მოთხოვნისა გამო სამხედრო კომისარი ჯიქია გადააყენეს და ციმბირისაკენ გაისტუმრეს შუბლის და ტემპერამენტის „გასაგრილებლად“, ეხლა სვანიძე გადმოაყირავეს ფინანსების სავარძლიდან და ვიღაც ურია ჩააყენეს მის ადგილზე! მაინც გვეუბნებიან – „დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოო“! საქართველოს და მის ერს რუსეთმა უყო ნამდვილი „სოციალიზაცია“ – ესე იგი საბჭოთა რუსეთმა ჩაგვყლაპა ისე, როგორც თავის დროზე ჩაყლაპული ვყავდით რუსეთის თვითმპყრობელობას და სინოდს. უბედურება ორკეცდება დღეს იმით, რომ ყოველივე ეს ხდება „სოციალიზმის“, წმინდა წყლის „კომუნიზმის“ წითელ დროშის ქვეშე, ყოველივე ეს ხდება „საქართველოსადმი სიყვარულით“!.. ნამდვილად კი ჩვენს თვალწინ საქართველოს „პოლიტიკურად“ სულს ხდიან! ამას ტაშს უკრავენ – ორჯონიკიძე, ელიავა, ბუდუ მდივანი; მახარაძე ფხაკურობდა ეროვნულ ნიადაგზე, ამისათვის

საშინელი იეზუიტური, იუდური მოხსენებაც წარუდგენია რუსეთში – ლენინი-სადმი: საქართველო ურუსეთოდ ვერ იარსებებს, ის მას უნდა „გაუერთიანდეს“, მაგრამ ეს პროცესსი უნდა მოხდეს ფრთხილად, შეუმჩნევლად, თანდათანობითო, მაგრამ... ეს ხდება დღეს აშკარად, აღარავისი არც ეშინიათ, არც ერიდებათ. მგონი, მახარაძესაც მალე გადმოაყირავებენ თავის თანამდებობიდან, საქართველოს ისპოლ-კომის თავმჯდომარეობიდან!..

საკვირველი ის არის, რომ დეკანოზმა ანტონ თოთიბაძემ და კ. ცინცაძემ – ამ ჩვენი უწყების აზეფებმა (ეს სახელოვანი ჯაშუში-პროვოკატორი იყო ნიკოლოზის დროს) – მაშინვე ალღო აართვეს „ახალ დროს“, ამათაც ყოფილი სამხედრო ტაძარი „გააერთიანეს“ ვერის ნიკოლოზის და ბაღის ნიკოლოზის ტაძრებთან! დღეს ესენი – უპასუხისმგებლო-უგვირგვინო კათოლიკოზები აწარმოებენ ამ „გაერთიანებულ“ ტაძრებში საშინელ ძარცვა-გლეჯას, საფლავების ფულით ყელამდი იხჩობიან, ამ ფულებზე გული სწყდება „ურბნელ ქრისტეფორეს“, წილი სანამ არ დაუდვეს ამ ფულებში, მანამ არ წავიდა ეპარქიაში!.. სწარმოებს საშინელი ვაკხანალია, კათოლიკოზს კი თოჯინასავით გამოიყვანენ, ზოგჯერ მიცვალებულზე მიიწვევენ ქვაშვეთში, თუ ყოფილ სამხედრო ტაძარში, აქ ამ საცოდავს აჯიღჯიღებენ „სიტყვას“, თვითონ კი „უსიტყვონი“ შეჰყურებენ თვისს „ორატორს“, მეორე თვალით კი ხალხს შეცქერიან და თითქოს ასე ეუბნებიან: „აბა, რა უყოთ, ასეთი უბადრუკი მქადაგებელი გვყავს კათოლიკოზი“ და რა ჩვენი ბრალია, შეიბრალეთო! ხალხსაც ებრალება კათოლიკოზი, მიცვალებულების პატრონნი „საწირავსაც“ აძლევენ და „ქელეხებზედაც“ იწვევენ ხოლმე მის დეკანოზებით. ასეთი წირვა დიდის ამბით გადაიხადეს კვირას, 11 სეკტემბერს. ვიღაც ხოხიაშვილის – სპეკულიანტის დასაფლავებაზე. გაძღნენ, მაგრამ მაინც ვერ ძღებიან! ვერც ექსარხოსს პლატონის ამერიკულ ოქროს დოლლარებმა გააძღეს ეს უბადრუკნი...

„ბანდიტიზმი“ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა

კახეთში შეადგინა უკმაყოფილოთა რაზმი ერთ-ერთმა ძველი რეჟიმის ოფიცერმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, რომელსაც შინაურ სახელად უწოდებენ „ქაქუცას“. ეს რამოდენიმე თვეა ქაქუცას რაზმი პარტიზანულ გამოსვლებს აწარმოებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ – კომუნისტებს სდევნის, რამოდენიმე დახოცა, ზოგი ტყვეთ წაიყვანა; მთავრობის რაზმებიც სდევნიან ამათ და „ბანდიტებს“ უწოდებენ. ხალხი თითქოს თანაგრძნობით ეკიდება პარტიზანებს, აძლევს მას თავ-შესაფარს, სანოვაგეს და ეწერებიან მათ რაზმში ყოფილი თავადნი, აზნაურნი თუ გლეხნი. ხალხზე შეწერილია ღალათ – თუ გადასახადათ პური, ზოგ მოსახლეზე 15–20–25–30 და მეტი ფუთი ხორბალი. პარტიზანები უშლიან ხალხს ამ „ნალოგის“ გადახდას, მთავრობა კი ძალას ატანს ხალხს, ხალხი უპასუხებს: „ქაქუცამ აღგვიკრძალა მოცემა, თქვენ აიღებთ და თბილისში დასხდებით, ჩვენ კი აქ ქაქუცა აგვიკლებსო; მოგვიტანეთ ბარათი,

რომ ის ნებას გვაძლევს და გადავიხდითო“! ეს ოცი დღეა ამ რაზმს თავისი მოქმედება გადმოუტანია დუშეთის მაზრაში; აქ მას შეერთებია მთიულობა – ზოგი ოსობა, ზოგიც ფშავ-ხევსურები და, როგორც ეტყობა, ძლიერი რაზმები შეუდგენიათ. მთავრობა აწარმოებს მათ წინააღმდეგ ნამდვილ ომს; აქედან ჯერ მილიციელები გაგზავნეს, შინაგან საქმეთა კომისარი გეგეჭკორიც თან ახლდა მილიციის უფროს ჩხეიძით, მაგრამ მილიციელები ზოგი დაუხოცეს, ზოგიც გაიქცა-გამოიქცენ; თვით გეგეჭკორის ავტომობილი ყუმბარებით დაუმსხვრევიათ, გეგეჭკორი ძლივს გადარჩენილა და ცხენით გამოუქუსლავს უკან (ცალ-ფეხია); შემდეგ ქართული ჯარის ნაწილი გაუგზავნიათ და უკან რუსის წითელი არმიელებიც მიუყოლებიათ, რომ ქართველები უკან ვერ გამობრუნდნენ. ამბობენ, ქართველები რაზმელების მხარეზე გადადიან და მოუწერიათ დუშეთიდან ნურც მილიციელებს და ნურც ქართულ ჯარიდან ნუ გამოგზავნით, – ესენი ბანდიტებს თანაუგრძნობენო; ნურც სომხებს გამოგზავნით – ესენი საშინელი მხდალნი და ლაჩრებია, პირველ გასროლაზევე თავზარ-დაცემულნი გარბიანო, ისევ რუსის არმიელები მოგვაშველეთო. დიდ ძალი ჯარი გაგზავნეს დუშეთში, ხევსურეთში და საზოგადოდ მთიულეთში. ალბად აქ დიდი მოძრაობაა, მაგრამ ნამდვილი ამბავი არავინ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ „ბანდიტიზმის“ წინააღმდეგ მოწინავე წერილები იბეჭდება ქართულ „კომუნისტში“ და რუსულ „პრავდა გრუზიაში“ – სასტიკი მუქარით, რომ „ცეცხლით და რკინით ამოვსწვავთ ბანდიტიზმსაო“. თან გამოცხადებულია 20–25 კაცის დახვრეტა, ზოგი ამათგანი ქაქუცას რაზმიდან არის – უფრო მეტი ყოფილი თავადობა, აზნაურობა, თუმცა გლეხებიც ბლომად ურევიათ, ორი ვაჩნაძეა დახვრეტილი, ზოგიც ბორჩალოს მაზრაში მსახური მილიციონერები – ქართველები, ამათ ქურდობა და მექრთამეობა ბრალდებათ. დახვრიტეს კიდეც, ალბად ბევრნი კიდევ სხვებიც იხვრიტებიან. ქაქუცას სახელით კახეთში, ქიზიყში და მიდამოებში ბევრნი ბოროტმოქმედებენ... ამბობენ, გურიაშიც არის მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობა, ესენიც უკმაყოფილო ელემენტები არიან, იჭერენ სოფლებში კომისარებს და მათ მოხელეებს, მიჰყავთ სადღაც და ატყვევებენ; მატარებლებს უხვდებიან, აჩერებენ და სძარცვავენ, აგრეთვე ფოსტას, ავტომობილებს და ეტლებს. ერთი სიტყვით, საქართველოში იწყება ანარქია, რომელიც შეიძლება შინაურ ომად გადაიქცეს. ეს, რასაკვირველია, უფრო მეტად დასცემს ქვეყნის კეთილდღეობას, შეაჩერებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ბათუმი ეს თხუთმეტი დღეა საალყო წესებზეა გამოცხადებული, არავინ იცის, ვინ გვემუქრება! გაზეთები სწერენ, რომ ანგორამ (ოსმალეთია) სასტიკად დაამარცხა ბერძნების ჯარი, სმირნა ქალაქი წაართვა ბერძნებს და ათინის მთავრობა მეტად მძიმე მდგომარეობაშიაო. აქაური (თბილისელი) მთავრობა ულოცავს ოსმალებს „ბრწყინვალე გამარჯვებას“ ბერძნებზე; ინგლისი და საზოგადოდ ანტანტა ზრუნავს ზავის ჩამოგდებას ოსმალებსა და ბერძნებშუა. კომუნისტები ბერძნების გამოსვლას ანტანტას აბრალებენ – ეს სულ ანტანტის წაქეზებით და ხარჯით ხდებაო! ზოგიც იმას ამბობს, რომ ანგორას საფრანგეთი უჭერს ეხლა მხარს და მისი დახმარებით დაამარცხა ბერძნებიო, ეხლა ანგორელები ბათუმს

ემუქრებიან, ბოლშევიკები მათ საწინააღმდეგოდ ემზადებიანო. ქალაქში ზარბაზნების სროლაზე ავარჯიშებენ ჯარებს. გაძვირდა ისევ ცხოვრება, პურმაც აიწია, შაქარმაც და ოსმალეთის ლირებმაც... მენშევიკებით, ნაციონალ-დემოკრატებით და მემარჯვენე ფედერალისტებით სავსეა ციხეები. ბანდიტიზმი მენშევიკების და მათ მიმყოლების ოინებიაო, – სწერენ კომუნისტები...

21 სეკტემბერი (8 – ძვ. სტ.)

ეს ერთი კვირაა კათოლიკოზი კახეთში წაბრძანდა; თან წაიყვანა დეკანოზი კ. ცინცაძე, არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე – მცხეთის სობორის წინამძღვარი), კანდელაკი – დეკ. ფხალაძე და იპოდიაკონები. უნდა ალავერდობას დაესწროს და მიმოიხილოს ახლო-მახლო სოფლები, შემდეგ ბოდბე და ამ თვის ბოლოს დაბრუნდეს. ეს, რასაკვირველია, კარგია, თვისს სამწყსოში მიმოვლა, ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობების გაღვიძება, თუ ასეთს ექნება ადგილი ამათ მხრივ. სამწუხაროდ, ეს კეთილი ნაბიჯიც დიდი შეცდომით გადაადგმევინა კათოლიკოზს დეკ. ცინცაძემ. საქმე იმაშია, რომ დეკ. ცინცაძე, თოთიბაძე, შუბლაძე-ლაზრიშვილები და თვით კათოლიკოზი – ეს ისეთი ჯურის ადამიანები არიან, რომ მიჩვეულნი არიან მთავრობის ლაქიობას, მონა-მორჩილებას. ჯერ თვითმპყრობელ რუსეთის მოხელეების ყურ-მოჭრილი „მოსამსახურენი“ იყვნენ, შემდეგ მენშევიკების ლაქიები და ეხლა ბოლშევიკ-კომუნისტებს უძვრებიან ფეხებ-ქვეშ, მაგრამ ესენი – კომუნისტები – ზედ არ უცქერიან, ზიზღით ეპყრობიან, ჩვენი სულიერი მამები მაინც თავისას არ იშლიან და იქმნება დიდი უკაცრაულობა... არ ვიცი, რა ლოღიკით სურს ჩვენს კათოლიკოზ ამბროსის გენუის კონფერენციისადმი მოწოდების გაგზავნის შემდეგ ისევ ბოლშევიკებს შეუკავშირდეს?! მაგრამ ამბროსის არც თავისი ლოღიკა აქვს და არც საკუთარი ნება! თვისი სული, გონება, ჭკუა და ღირსება სულ ერთიანად ცინცაძე-თოთიბაძეს დაუგირავა! ცინცაძეც, როგორც საკათ. საბჭოს წევრი, თავისებურად მატრაბაზობს, თვის გამოფიტულ ტვინით მხოლოდ ისღა მოიფიქრა ეხლა კომუნისტებთან ზავის ჩამოსაგდებად და მათთან დასაკავშირებლად, რომ არწმუნებს მათ – ჩვენ მათი უერთგულესი ქვეშევრდომნი ვართ, მაგათ ნებადაურთველად არასა ჩავდივართ, ფეხსაც არ გადავსდგამთო! ამიტომ საკათოლიკოზო საბჭოს სახელით კომუნისტურ მთავრობისათვის მიუმართავთ ოფიციალური თხოვნით – კათოლიკოზი, თვისი ამალით, ალავერდობისთვის კახეთში აპირებს წაბრძანებას და მთავრობას ამისი საწინააღმდეგო ხო არა ექნება რაო! ელოდნენ ამაზე პასუხს – ელოდნენ... მაგრამ არავითარი პასუხი არ გასცა კომუნისტურმა მთავრობამ, ისე კი ვერ ჰბედავდნენ წასვლას. როდესაც ეს ამბავი გამომჟღავნდა, ჩემს ყურებამდეც მოახწია, მე შემთხვევა მომეცა ამის შესახებ რამოდენიმე სამღვდელო პირთა თანადასწრებით დამეფასებია ასეთი სიბრძნე დეკ. ცინცაძისა და გამოვსთქვი აღშფოთება ამ თაობაზე, დაუპირდაპირე ეს ნაბიჯი გენუის „მემორანდუმს“ და დავსვი საკითხი: მიჩვენეთ ამ ორ

ნაბიჯს შუა რაიმე კავშირი – ან ლოღიკური ან პოლიტიკური თქო?! რასა ჰგავს ასეთი ქცევა?! ეს იმასა ჰგავს, რომ მეც ბოლშევიკებს ვაცნობო ხოლმე, რომ მრევლში მივდივარ ჩემი მოვალეობის შესასრულებლად და ნებას დამრთავთ თუ არა თქო?! დღეს კახეთ-ქიზიყი, როგორც ალავერდის ეპარქია, კათოლიკოზის ხელშია, მთელი საქართველოც კათოლიკოზის მრევლია, მისი სამწყსოა და როგორ უნდა იკადროს მან ასეთი თავისი დამცირება და კომუნისტებისაგან ნებართვა ეძიოს თვის სამწყსოში წასასვლელად?! ერთიც ვნახოთ, მოგივიდათ პასუხად უარი – არ გაბედოთ წასვლა კახეთში, ნებას არ გაძლევთო! მაშინ, იცით, რა უმწეო მდგომარეობაში ვარდებით?! წაბრძანდით, მამანო, კახეთში და თუ ვინმე მთავრობისგანი გზაში გადაგეღობონ, არ გაგიშვან, დაგაპატიმრონ, თქვენც დამორჩილდით და უკან დაბრუნდით, ხმალსა და ზარბაზანს, რასაკვირველია, ჩვენ ვერ მივმართავთ, მაგრამ საზოგადოება დაინახავს, რომ გვდევნიან, ხელს გვიშლიან, გვავიწროებენ – ეს არ გინდოდათ თქვენ დაგემტკიცებიათ გენუის მემორანდუმით?! მაშ, რაშია საქმე?! გადაეცით კათოლიკოზს ჩემ მაგივრად, რომ ტყვილა ელოდება ის „პასუხს“, კომუნისტებს სიცილად არ ჰყოფნისთ თქვენი ასეთი „მორჩილება“ და ქვეშევრდომობა თქო... მართლაც მიუტანეს კათოლიკოზს ეს ამბავი და... წავიდნენ 9 სეკტემბერს ახ. სტ. – შაბათს. 10-ს – კვირას – თელავში იქნებოდა მწირველი, დღეს – ღვთისმშობლობას შუამთაში, ჯვართ ამაღლებას ალავერდში, შემდეგ ახლო-მახლო სოფლებს „რევიზიას“ გაუკეთებს, შემდეგ ბოდბეში წავლენ წმ. ნინოს სავანეში და მცხეთობისათვის დაბრუნდებიან. ამბობენ, მცხეთობას ფხალაძე ალავერდელად უნდა აკურთხონ, ხოლო პავლე თბილისის ქორეპისკოპოსად.

სამეურნეო გამგეობის დირექტორი დეკ. ლაზარიშვილი აღშფოთებული შემხვდა კვირა-დილით, 17 სეკტემბერს და მიამბო, რომ საკათ. საბჭოს წევრებმა – დეკ. ცინცაძემ, ტყემალაძემ და მირიანაშვილმა მოითხოვეს – ჩვენ ეპისკოპოსის ჯამაგირები უნდა დაგვენიშნოს, როგორც საკათ. საბჭოს წევრებსაო, ესე იგი თითოს ორ მილიონამდე თვეშიო! ამ თაობაზე მე წერილობითი პროტესტი შევიტანე საკათ. საბჭოში, მაგრამ ამ პროტესტზე დეკ. შუბლაძემ, როგორც გამგეობის წევრმა, ხელი არ მომიწერა, მხარი არ დამიჭირაო. მაშინ შევიტანე განთავისუფლების ქაღალდი და არც გამანთავისუფლესო. რა არის, ეს რა უბედურებაა?! – ცხარობდა ლაზრიშვილი. „რას აკეთებენ, ერთმა კაცმა ნახოს რის მუშა – რის გამკეთებელნი არიან საკათ. საბჭოშიო. კვირაში ორჯელ მოვლენ ხოლმე სხდომაზე, ახალ ამბებს ეტყვიან ერთმანეთს, იხუმრებენ, ილაზღანდარებენ და წავლენო. თითო სხდომაზე კი მიაქვთ 80.000 მანეთიო და არც ამას სჯერდებიან, ეხლა „ეპისკოპოსის ჯამაგირი“ მომთხოვესო. მაშინ მე განვაცხადე: თუ აგრეა საქმე – მე ათი მილიონი მერგება თვეში გასამრჯელო თქო და ასტყდა ამ ნიადაგზე ერთი აურზაურიო“... ამაზე ლაზარიშვილს უპასუხე: „მამაო დიმიტრი! ნუ კი გეწყინება და შენ ენა-ბალნიანი კაცი ხარ, შენ თვით ცინცაძის გაწვრთნილი ხარ, დღესაც მისი ქვაშვეთელი თანაშემწე ხარ, ამიტომ შენი ნალაპარაკი მე არ მიმაჩნია გულ-წრფელი, ეს შენი „პროტესტები“ ცინცაძის და მის კომპანიის წინააღმდეგ, სულ მოჩვენება და კომედიის თამაშია, ვითომ და

ოპოზიციაც გაქვთ საბჭოში, დარაჯად უდგიხართ საზოგადო საქმეს და ქონებას, მაგრამ შენი არ ისმინეს და... ბოლოს ცინცაძე-ტყემალაძე-მირიანაშვილი „ეპისკოპოზის ჯამაგირებს“ მაინც გაიკრავენ! მიგიხვდი, მამაო დიმიტრი, ოსტატობას თუ არა?! და თან შენც ჯამაგირს გაგიდიდებენ – „ათ მილიონს თუ არა, რამოდენიმეს ხომ მაინც შენც გაიკრავ! მაგრამ, გრცხვენოდეთ, გეშინოდეთ ღვთისა – გვყვლეფავთ ეკლესიებს, გირვანქა სანთელს 200.000 მ. გვაძლევთ, რომ ასეთი თქვენი გაზვიადებული, მეტად გაღვიძებული მადა დაიკმაყოფილოთ! შე კაი კაცო, თუ ასეთი ერთგული იყავი, თუ ასე გული შეგტკიოდა, რომ საეკლესიო ფულები ეკონომიით და წესიერად დახარჯულიყო, რატომ ამაზე არ იფიქრე გელათის საეკლესიო კრებაზე, რატომ კრებასვე არ დაანიშნინეთ საკათოლიკოზო თანხების კონტროლი, რომ ამ კონტროლის მხარის დაჭერით სამეურნეო გამგეობას გეწარმოებიათ საქმე, მაშინ ცინცაძეები ასეთ თავხედურ მოთხოვნებს ვერ წამოუყენებდენ! ეხლა ძალიანაც რო მოინდომო შენ ვინ გაგიგონებს, მაგრამ შენც მაგათი ამყოლ-დამყოლი ხარ, შენ ეხლა გინდა გაიგო მე რას ვიტყვი ამაზე, რომ შემდეგ შენა და შენმა „ნასტოიატელმა“ ბევრი იცინოთ ჩემზე: „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით“! გაგიგონია ესა?! ეს თურმე მართლა „მელიაზე“ როდი ყოფილა დაწერილი, ეს არაკი თქვენისთანა კაცებზეა ნათქვამი“... ამას რო ვეუბნებოდი ლაზრიშვილი ულვაშებში იღიმებოდა. მე ბოლოს უთხარი: ამ დილით რაზე იცბიერე – შენც მწირველი ხარ და მეც, რა საჭირო იყო ამდენი თვალთ-მაქცობა თქო! ხო იცით, თქვენი განმკითხავი მხოლოდ ღმერთია, მაგრამ ღმერთამდე დიდი სიმაღლეა, თქვენ გგონიათ, იქ ჩვენი ხმა და ჩივილი ვერ მიახწევს, ადამიანები კი ვერას დაგაკლებენ...

საკათ. საბჭოში ნაცვლად დაპატიმრებულ ერისკაცებისა – რ. ივანიცკისა და ნ. თავდგირიძისა მიუწვევიათ მათი კანდიდატები – ივ. რატიშვილი და გერასიმე იმნაიშვილი. ამათ განაცხადესო, რომ საკათ. საბჭოს წევრებს ჯამაგირი არ ეკუთვნის, სხდომებზე უნდა ჰქონდეთ დანიშნული ზომიერი გონორარიო...

ერთი სიტყვით, ჩაიშალა ჩვენი ეკლესიური მართვა-გამგეობა, ასეთი სამარცხვინო სახე მიიღო ჩვენმა „ავტოკეფალიამ“... იოანნე ცხუმელი ეპისკოპოსი (მარლიშვილი) ჩამოვიდა სოხუმიდან და მიტროპოლიტად მაკურთხეთ, სოხუმი სამიტროპოლიტო პუნქტიაო! ამაზე მოსდით კათოლიკოზს და მას შეჯახებაუსიამოვნება; ეს იოანნე ეპისკოპოსი ქარაფშუტა კაცია და თან დიდი თავმოყვარე, თან რუსების თაყვანისმცემელი, მათი ბატონობის მომხრე (ეს ოსია მამით). რუსეთიდან თბილისში ჩამოსულა სტავროპოლის მთავარ-ეპისკოპოსი ვინმე დიმიტრი. ამას ჯერ არც კი ენებებია კათოლიკოზის ნახვა, რომ იოანნე ცხუმელი მოსულა დიმიტრისთან სადარბაზოდ და „თაყვანი უცია“ – მეტანიით! ეს, თითქოს ბერობის სიმშვიდის და სიმდაბლის გამომხატველად! ეს გაუგია კათოლიკოზს და საკათ. საბჭოში დასტაკებია იოანნეს: „შენ რა უფლებით ეახელი რუსის მღვდელ მთავარს ჩემდა უნებურად, ეს ჩემთან არ ყოფილა ჯერ და შენ თაყვანიც კი გიციაო“! ამაზე იოანნე გაცხარებულა, აუხდია თვისი პანაგია და განუცხადებია კათოლიკოზისათვის: „აღარ მინდა სამსახური, აღარ მივდივარ სუხუმში. აი, შენი პანაგიაო“! ამაზე კათოლიკოზს მიუგია: „დასდე პანაგია, მე

ვიცი, როგორც უნდა მოუარო მასო“! იოანნეს შეშინებია – მართლა კი არ წამართვას ამ მეგრელმა პანაგიაო და ჩუმად ისევ ჯიბეში ჩაუპარებია! ოსი და მეგრელი ერთმანეთის ოხტში ვერ მოსულან!.. ვაი ჩვენს დედაბრობასა, რას სჩადიან დღეს ჩვენი მღვდელმთავრები!.. იოანნე თბილისშია დღეს, კათოლიკოზი – ამალით დროებას ატარებენ კახეთში! ეხლა ძველებურ წესით (სინოდალურის) პრაგონებსაც გამოიწერენ საკათ. საბჭოს საშვალებათაგან და ჩვენ – სამრევლო ეკლესიებმა, უნდა ვიხადოთ ესენი. ეს სამართალია, ამას ღმერთი არ მიიღებს „სუნნად სუნნელად“!..

23 სეკტემბერი. 1922

გუშინ საკათ. საბჭოს დარბაზში შეველ; იქ დამიხვდა ცხუმელი ეპისკოპოსი იოანნე და სამეურნეო გამგეობის დირექტორი ლაზრიშვილი, მისი შვილი დიაკონი ანტონა, სანთლის გამყიდავი დეკ. ნ. მაჭარაშვილი. მოვიკითხე ეპ. იოანნე – რატომ თქვენც არ წაბრძანდით კათოლიკოზთან ერთად კახეთში თქო. ამაზე მწარე ღიმილით მიპასუხა: „მე დავამძიმებდი, ან რა საჭირო ვარ; მინდოდა კი ალავერდობას დავსწრებოდი, მაგრამ აღარ ღირს; ერთორ დღეში უნდა გავბრუნდე აფხაზეთში, გავივლი გორში, იქ ვსწირავ, თუ ნება დამრთო ურბნელმა ქრისტეფორემ“ (გამოირკვა, რომ ეს ქრისტეფორე მეორე ოთახში იჯდა, ყოველ კვირაში ჩამოდის ხოლმე, სამწერლო ცნობილ დიან-ბეგ დავითაშვილთან ჰქონებია, ვერის ნიკოლოზიდან ყოველ კვირაში ორ მილიონ ნახევარს აძლევს თურმე თოთიბაძე, აქ ატარებს დროს...). – დიდუბეში ხო არ ბრძანებულხარ მწირველად, – ვკითხე ისევ ეპისკოპოზს. „მწირველად არავის უთხოვივარ და ისე წირვა კი მოვისმინე; წინამძღვარს – მირიანაშვილს თავი მოუავათმყოფებია, არც განკარგულება ყოფილა, რომ მეწირა დიდუბეში ტაძრის დღესასწაულზე, გურგენიძე დეკანოზი იყო მარტო მწირველი; არც დიდუბეში, არც სიონში წირვა არ ყოფილა მღვდელმთავრისა ღვთისმშობლობას; არც იოანნე ნათლისმცემლის თავის კვეთას! აბა, რა სიკეთე უნდა მოგვცეს ღმერთმა ასეთ დაუდევარ სამღვდელოებას“, – ჩივილით დაასრულა ეპისკოპოსმა. შემდეგ იჩივლა თვის ეპარქიის უმწეო მდგომარეობაზე: „მაკურთხეს, გამგზავნეს აქედან განაპირა კუთხეში ამ მძიმე დროში და მთელი ცხრა თვის განმავლობაში ჩემი ამბავი არ უკითხნიათ არც კათოლიკოზს, არც საკათ. საბჭოს და არც სხვას ვისმეს! ან რას ვაკეთებ, ან როგორ ვცხოვრობ, ან რა მაქვს საზრდელი; აქ მილიონობით, ოთხ-ხუთ და მეტ მილიონობით იღებენ და მაინც სჩივიან – გვშიაო, და მე რით უნდა ვიკვებებოდე აფხაზეთში, ამის განხილვაში ჩემი ცენტრალური მთავრობა სრულებით არ შედიოდა; რამდენი რა მივსწერე, რამდენი რა ვსთხოვე, ხმა არავინ გამცა. ეხლა, როგორც იყო, ჩამოველ, მოხსენებებით შემოველ საკათ. საბჭოში, არავითარი ანგარიში არ გამიწიეს. მინდოდა, მთავრობასთან – ბოლშევიკებთან – წავმდგარიყავი და მოხსენებები გამეკეთებია ზოგიერთ საკითხებზე, არ გამიშვა არც კათოლიკოზმა და არც

ცინცაძე დეკანოზმა – „ანაფორიანი კაცის მისვლა არ ივარგებსო, დავითაშვილი გავგზავნოთო“, გაგზავნეს და აბა, რას გაარიგებდა დავითაშვილი ჩემს საქმეს! ეხლა მივდივარ სოხუმში ხელ-ცარიელი, სახლებს ჩამოგვართმევენ და ხმაც კი არ ამომაღებიეს აქ! აფხაზეთში კი მთავრობასთან მაქვს მსვლელობა, მაგრამ ანაფორით მე არავის დავუწუნებივარ. რა გაუხდათ ეს დავითაშვილი, რა ჩემი ოპეკუნია ეს დავითაშვილი“?!. ეტყობოდა, რომ ეპისკოპოსი ძლიერ ნაწყენი და უკმაყოფილო მიდის სოხუმში. „ეს სამისიონერო ეპარქიაა, აქ სულ სხვა საქმე და სხვა მოქალაქობაა საჭირო, მომაგდეს ასეთი ეპარქია და რაც გინდა, ის ჰქენიო! შემოვიტანე დასაბუთებული მოხსენება, რომ აფხაზეთიდან გამოვყოთ სამურზაყანო, ამას ილორში მივსცეთ ქორ-ეპისკოპოზი, თუ გინდა, მე გადმოვალ სამურზაყანოში ქორ-ეპისკოპოსად, აფხაზეთს კი უნდა მიეცეს მიტროპოლიტი, როგორც იყო დაპირებული საკათ. საბჭო და კათოლიკოზიც! ასეთ მოტყუილებას აფხაზეთი არ გვაპატიებს, სულ ამერევა საქმე; აფხაზეთში დიპლომატი ეპისკოპოსია საჭირო, სამურზაყანოში კი მწირავ-მლოცველი; ამათ კი – საკათ. საბჭოს, ჰგონიათ, რომ მე მიტროპოლიტობის პატივ-მოყვარეობით ვიყვე აღტყინებული! თვითონ არიან გაჟღენთილი პატივ-მოყვარეობით, ამპარტავნობით და ვეცხლის მოყვარეობით, ქვაშვეთ-დიდუბე-სიონის ტაძრის წინამძღვარი-დეკანოზები – საკათ. საბჭოს წევრნი – მოითხოვენ: „ჩვენც ეპისკოპოსების ჯამაგირი დაგვინიშნეთ, როგორც წევრებსაო“! არ ვიცი, ამ ადამიანებს ან ღვთის აღარ ეშინიათ ან კაცის აღარ ეხათრებათ“? – ამაზე ლაზარიშვილმა მოხსნა გუდას თავი და მიწასთან გაასწორა ხსენებული დეკანოზები ამ თაობაზე; ამ დროს ეპ. ქრისტეფორე ურბნელიც შემოვიდა, ისიც ყურს უგდებდა ყოველივე ამას და „უკვირდა“ – დეკანოზების ასეთი „პრეტენზიები“! გამოირკვა, რომ ეს დეკანოზები – ამჟამად თვიურად ღებულობენ – საკათ. საბჭოდან 2652.000 მანეთს, ტყემალაძე ამაზე მეტს, ხოლო მირიანაშვილი ცოტა ნაკლებს! ამაზე მიუმატეთ მათი ტაძრების და სამრევლოებიდან შემოსავალი და გამოვა, რომ არამცთუ ეპისკოპოსებს უსწორდებიან, მგონი, თვით კათოლიკოზსაც შეენატრებოდა მათი მდგომარეობა! აი, რა მდგომარეობაში ჩასდგნენ ექსარხოსების ყოფილი აგენტები! ავტოკეფალია ამათთვის ყოფილა მხოლოდ სანატრელი, ჩვენ კი თავს ვიმტვრევდით თურმე... ამათთვის!..

ლაზრიშვილმა მეტად გაამასხარავა ცინცაძე-ტყემალაძის დირექტორობა სამღვდელო კურსებისა! „ორი დირექტორი ერთ კურსებს, რომელზედაც ხუთი „სტოროჯი“ გყავდათ მოსწავლეებათ, ხოლო რვა მასწავლებელი იყავითო! რაში იღებს ან ერთი ან მეორე დირექტორობის ჯამაგირს (500.000 მ. თითო). ამ სახით ჩვენი „კურსებიც“ ჰაერში ჰკიდია, ესეც ცინცაძე-ტყემალაძის ჯიბისათვის გამოდგა, კათოლიკოზი ამბროსი კი ყველას შესჩივის: „დეკ. თალაქვაძეს კურსების დირექტორობა შევსთავაზე და უარი მიყოო“! ასეთი თვალთ-მაქცობით სურს გამოვიდეს ჩემ შესახებ იმ „უხერხულ მდგომარეობიდან“, რომელშიდაც ის სდგას ვერის სამრევლოს ჩემგან გამოწირვის შემდეგ და სამ ტაძრის თოთიბაძის ხელში „გაერთიანებისა“ გამო! ამათ არც კურსები აინტერესებთ არსებითად, არც ეკლესიის სვე-ბედი და მომავალი! ესენი მხოლოდ უსულ-გულო, ურცხვი ეგოისტები არიან.

ცინცაძე-ტყემალაძე-მირიანაშვილის ბლოკს პირი-მიუციათ ერთმანეთისთვის, რომ ფინანსიურ საკითხებში – ჯამაგირების მომატებაზე თუ „დახმარებებზე“ საკათ. საბჭოს წევრთათვის – ერთ-სულოვნად იმოქმედონ და მოქმედებენ კიდეც. კურსები კი ჰაერში ჰკიდია, 14 ღვინობისთვეს უნდა დავიწყოთ სწავლა, თუ მოწაფეები მოგვივიდენ პროვინციიდან! მაგრამ არა მგონი, რომ ვინმე მოვიდეს ამ კურსებზე თავისი ხარჯით. შეძლებული ოჯახის შვილი არ ინებებს მღვდლობისათვის დროს და ფულის დახარჯვას, ღარიბი ადამიანები კი ვერ შესძლებენ აქ თავის გამოკვებას. აკი ამიტომ შევიტანე პროექტში, რომ კურსების ფეხზე დასაყენებლად, განსაკუთრებით პირველ ხანებში, უნდა მოეწყოს მოწაფეთათვის სრული პანსიონი – პური – ყოველდღიური, ბინა – გათბობა-განათებით! ამით შეიძლება მოგვეპოებია კურსანტები. კათოლიკოზი თვალთ-მაქცობს და მისაყვედურებს თურმე – „დეკ. თალაქვაძემ უარი მიყო კურსების დირექტორობაზეო, განაცხადა, ვერ მოვაწყობ კურსებს, ვერ მოუვლი მე მასო, მანვე განაცხადა, რომ დეკ. ციცნაძის გარდა სხვას არავის შეუძლია ამ საქმის გაძღოლაო“! მე თავის ადგილზე მქონდა აღნიშნული, თუ რა საფუძვლიანი მოსაზრებებით უყავი მას უარი დირექტორობაზე და თუ ცინცაძეზე მიუთითე, ეს ერთნაირი ფანდი იყო, ირონია იყო ცინცაძისაკენ ჩემ მიერ მიწოდებული: „ყველაფერი ცინცაძეს“ – აი, რის თქმა მინდოდა მე ამით და არა ის, რომ ცინცაძეზეა ჩვენი ბედ-იღბალი მინდვალებული! ცინცაძე ვერ მოითმენდა ჩემს „დირექტორობას“ და ამიტეხდა ასეთ ხრიკებს, როგორც საკათ. საბჭოში წევრობის დროს ამიტეხა მე – საკათ. საბჭოს წევრს და სამეურნეო გამგეობის ხელმძღვანელთაგანს, დეკ. ცინცაძის და მისი კომპანიის გაიძვერაობით მომანდეს ეპარქიალური კანცელიარიის მდივნის ცნობილ დ. დავითაშვილის ბინის და ფეხის ალაგების შეკეთება, დამავალეს... ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების თანხებიდან!.. როდესაც ამაზე უარი განვაცხადე – ერთი მით, რომ ეს საეპარქიო საქმე საკათ. საბჭოს კომპეტენციაში არ შედის და არც ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების თანხები უნდა იხარჯებოდეს ასეთ საჭიროებებზე თქო – ამიტეხეს შფოთი და მანამ არ მოისვენეს, სანამ საკათ. საბჭოდან 1920 წლის 2 იანვარს არ გამაძევეს... ასეთი ადამიანი განა კურსების დირექტორობაზე მომისვენებდა?! ამიტომ იყო, რომ მას შევსთავაზე, აიღო კიდეც, მაგრამ ეს ერთი თანამდებობა გაუყო დეკ. ტყემალაძეს, შეეშინდა – არ შეშურდეს მას და შფოთი არ ამიტეხოსო! „პედაგოგიური“ ნაწილი ცინცაძემ დაიტოვა, ხოლო „სამეურნეო“ დირექტორობა კურსებისა ტყემალაძეს უფეშქაშა, ორთავენი „დირექტორობისას“ იღებენ 500.000 მან. თითო, ხოლო მასწავლებლობისას 400.000 მანეთს, ამ სახით 900.000 მანეთს კურსები აძლევენ ამ პატიოსან გვამთ! მაგრამ ვერცა რა გააკეთეს, ჩვენი კურსები უკვე მოკვდა...

ეპისკოპატის წინააღმდეგ მოძრაობა სამეგრელოში

ამ დღესვე გავიგე, რომ დეკ. შუბლაძე საკათ. საბჭოს გაუგზავნია სამეგრელოში; ეპისკოპოსს დავითს საჩივარი შემოუტანიაო ორი ოლქის სამღვდელოებაზე, რომელთაც წერილობით გამოუთქვამთ თავიანთი აზრი, რომ ეპისკოპოსი მეტი

ბარგია ეკლესიისათვისაც და ეპარქიისათვისაც; ეპისკოპოსი არ სჭირდება ხალხს, რომელსაც მეტ და მძიმე ტვირთათ აწევს მისი შენახვაო, არაფერს არ აკეთებენ ეპისკოპოსნი, ესენი დღესაც თავიანთი დესპოტობით და მუთქამჭამელობით ჰფიქრობენ, იუფლონ ჩვენზეო. ამ მოძრაობას მეთაურობს მღვდელი თუ დეკანოზი ჯავახია – ძველი სენაკის და ნაქალაქევის ოლქების 28 სამრევლოთი. შუბლაძე დეკანოზმა მიმოიხილა ეს ოლქები, ესაუბრა სამღვდელოებას, რომელიც მედგრად დაუხვდა მას და ამხილა ორ-პირობა: „თქვენ არ იყავით ექსარხოსების დროს, „ახელის“ ნიღაბქვეშ ამოფარებული გაზეთებში, მოითხოვდით ეკლესიურ ცხოვრების გამოფხიზლებას, ეკლესიურ რეფორმებს და სარწმუნოებრივ-ზნეობრივად ჩვენი ერის დამუშავებას“?! – ამასვე მოითხოვდა თვისი წერილებით ქართულ თუ რუსულ გაზეთებში დეკ. ნ. თალაქვაძე პსევდონიმებით („ზაქარია მთისპირელი“, „დეპუტატი“, „სჯულის მოძღვარი“, – „ნარ-თანი“, „ნ. თ.“ და სხვა) თუ ისე აშკარად ხელ მოწერილ წერილებით?! ეხლა რა მოგვიდათ?! ეხლა აღარ არის საჭირო ყოველივე ეს. ან იქნებ გგონიათ, რომ კომუნისტურ ხანაში აღარ არის ეს საჭირო, ან იქნებ გგონიათ, რომ ვინაიდან ექსარხოსების ნაცვლად კათოლიკოზი გვყავს ან ქართველი ეპისკოპოსები ეს საკმარისია და ამ „ჩვენებს“ შეუძლიათ იღონღიალონ ძველი გზით და ძველი ადათ-ჩვეულებით, კარჩაკეტილნი, დესპოტები და მუქთამჭამლები?! ან რა ეპისკოპოსია ჭყონდიდელი დავითი (კაჭახიძე)?! კაცი ცოცხალ-მკვდარი ლეშია, სნეული, განრღვეული, თვალით ვერ ჰხედავს, ყურთ არ ესმის, ფეხები დაუდიან, კუჭი არ მუშაობს, მოძრაობას მოკლებული, მაგას რა აქვს, რა სულიერი განძის პატრონია და ჩვენ რა უნდა მოგვცეს?! ეგ ურბნისის ეპარქიაში არ გამოდგა, დაითხოვეთ და ეხლა ჩვენ მოგვიგდეთ ააქ?! ჩვენ მოვითხოვთ, დაუყონებლივ გაწვეულ იქმნას ეს ჩვენი ეპარქიიდან! თუ საეპისკოპოსო კანდიდატები არა გყავთ, ეპარქიის მმართველად დაგვინიშნეთ დეკ. კაპიტონ გაწერელია (ეს მარტვილის სამრევლოს დეკანოზია, მოხუცებაში შესული სემინარიელი) ან გამოგვიგზავნეთ დეკანოზი თალაქვაძე, რას უზის თბილისშიო“?!. ამაზე დეკ. შუბლაძეს უპასუხნია: „დეკ. გაწერელია ფოთში არ იცხოვრებსო“, იმათ მიუგიათ: „იცხოვროს და გვმართოს მარტვილიდანო“, შუბლაძეს მიუგია: „გურიას რაღა უყოთო“; ამათ უპასუხნიათ: „გურიას თავისი ეპარქიული მმართველი მიუჩინეთო“! ერთი სიტყვით, მღვდლები მოითხოვენ დეცენტრალიზაციას ეპარქიალურ მართვა-გამგეობაში, ცხოვრებასთან და სამწყსოსთან დაახლოებას ეპისკოპოსისას, ეპისკოპოსის სახის და ზნეობის განმარტივებას, ნამდვილ ნიადაგზე დაყრდნობას და არა სინოდალურ დროის კარ-ჩაკეტილობას, როდესაც ეპისკოპოსნი „გუბერნატორობდენ“ და კარეტიდან მწყსიდენ ეპარქიებს! დღევანდელი ცხოვრება მოითხოვს ძველებურად დაყოფას საქართველოსას 13 ეპარქიად, როდესაც ყველა კუთხეს და თითქმის ყველა დაბას, თავისი მწყემსმთავარი ჰყავდა საქართველოში. მაშინ არც კარეტები ჰქონდათ მათ და არც „ეტლები ჰუნნებითა“, არც სჭირდებოდათ მათ ეს ეტლები, თავიანთ ფეხით მიმოივლიდენ ხოლმე თვისს სამწყსოს, სადად, უბრალოდ იცვამ-იხურავდენ, თავიანთ საზრდელს თვითვე იმუშავებდენ ხოლმე (იყო ჩვენში ეპისკოპოსი „მენახშირე“), ზოგს მორწმუნენი აძლევდენ. შედარებით დიდ-კაცურად და მდიდრულად სცხოვრობდენ კათოლიკოზნი მეფის-წულნი ან

დიდ-გვარიანი თავადიშვილები. საქართველო იმ მძიმე დროებში კარგად და სახელოვანად ჰყავდათ დამწყსილი, განათლება-კულტურას ეკლესია აწარმოებდა ერში, სამღვდელოება და ეპისკოპოსნი იყვნენ ხალხის ნუგეში და ნამდვილი მამა ჭირსა და განსაცდელის ჟამსა! იგივე დრო გვიდგება და დაგვიდგა კიდეც, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვძინავს და ერთმანეთის განიავებას, გაბიაბრუებას უნდებით, ექსარხოსის დროის რამოდენიმე გახრწნილმა პირმა ისარგებლა ამ „დროით", როდესაც საზოგადოებრივი აზრი დახშულია, პრესსა მკვდარია და პროლეტარიატის დიკტატურის სახით შეკრულ-შებოჭილნი ვართ. საქართველოს სამღვდელოება არასდროს არ ყოფილა ამზომ დაშორებულ-დაქსაქსული ერთმანეთისაგან, როგორც არის დღეს! აი, ამით ისარგებლეს ცინცაძე-თოთიბაძე-მირიანოვ-შუბლაძე-ლაზრიშვილებმა-ციცქიშვილებმა, ორი კათოლიკოზი და ერთი ქუთათელი უკვე მოიდნეს-მოინელეს, მესამე, ვინც მათ სურდათ, ეხლა დაიყენეს და ენით გამოუთქმელ ვაკხანალიით მკვრეხაობენ დღეს საქართველოს ეკლესიაში! ეხლა ცხადზედ-უცხადესია, თუ რისთვის ებრძოდენ უბედურ კირიონს შუბლაძე-ციცქიშვილ-ცინცაძე-თოთიბაძეები, რისთვის ჩაუმწარეს მოხუცს სიცოცხლე; იგივე დღე დააყენეს უფრო მეტად უბედურ ლეონიდს, მოშხამეს ქუთათელი ანტონი, რომ ჯერ ამბროსი დაეყენებიათ კათოლიკოზად, ისარგებლონ ამისი სუსტი ნების-ყოფით; ეხლა ამბროსის მძლავრად ეჭიდება მის მიერ ასე მოუფიქრებლად გაეპისკოპოსებული ქრისტეფორე ურბნელი; ამას და ამბროსის მოსდით დიდი უსიამოვნება, ქრისტეფორე შეუდგა საქმეს – გული გაუხეთქოს ამბროსის და მალე თვით დაგვიჯდეს კათოლიკოზად; მაგრამ ამბროსის ექომაგებიან ცინცაძე-თოთიბაძე და ჩაღდება ისევ „ბრძოლა", ისევ საზიზღარი ქიშპობა. ვიღას სცალია ეკლესიის მართვა-გამგეობის გაუმჯობესებისათვის?! ვის აგონდება ან გურია, ან სამეგრელო, ან აფხაზეთი, ან ბათუმი?!. თითქმის 20 დღეა ამბროსი კათოლიკოზი ამალით ქეიფობს კახეთში – შუა-მთა-ალავერდ-თეთრგიორგიში, – „სმა-ჭამა დიდად შესარგი" – აი, მათი დევიზი! ვითომც „ხალხში გავიდნენ" კიდევ და „რევიზიას" უკეთებენ კახეთს?! ნამდვილად კი ლოთობენ, ისედაც გალოთებულ კახეთის სამღვდელოებას „მაგალითს" აძლევენ სიფხიზლისას...

ამ დროს საჭყონდიდლოში მღვდლები მოძრაობენ, ისინი უკმაყოფილებას აცხადებენ, განახლებას, გაცხოველებას მოითხოვენ, თბილისიდან მათ დასამშვიდებლად კათოლიკოზი გზავნის ქვე-ბუდანა დეკ. შუბლაძეს, რომელიც უხსენებლივით სისინებს, ანთხევს შურს, შხამს და სწამლავს ურთიერთობას! აბა, რა სიკეთე უნდა შეიტანოს ასეთმა კაცმა ამ უკმაყოფილო ელემენტში?! შუბლაძის მიზანი იყო – „ლიკვიდაცია გაუკეთოს" სამღვდელოებაში მომხდარ მოძრაობას და საკათ. საბჭოს „მოახსენოს", რომ ყველაფერი თავის ადგილზეა, აღვადგინე თქვენდამი „მორჩილებაო"! – ასედაც მოქცეულა დეკ. შუბლაძე: 16 სეკტემბერს (ძვ. სტ. 28) ვნახე ის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (მიცვალებული მივასვენე) და მიამბო ყოველივე და დასძინა: „ლიკვიდაცია მოვახდინე მოძრაობისა", მაგრამ მომთხოვეს, რომ დავით ეპისკოპოსი მოგვაშორეთო და რეფორმები მოახდინეთ ეპარქიალურ მართვა-გამგეობაშიო; მეც დავპირდიო"!.. „რა დაჰპირდით, მამაო, თქო", – ვკითხე შუბლაძეს. „რეფორმებიო", – მიპასუხა მან! მაშინ მივსდექ და

ჩემ მთავარ-დიაკონ ნიკოლოზ ყანდარლის თანადასწრებით მეტად სასტიკად ვამხილე: „განა ტვინ და სინიდის გამოფიტული ცინცაძე, ან ყოფილნი ჯაშუშნი ექსარხოსებისა მირიანაშვილი და ტყემალაძე დეკანოზები, ან შენ – ორ-პირი და გულ-ღრძო ილია – თქვენ რეფორმებს მოახდენთ?! მაშინ ხომ თქვენს „კეთილდღეობასაც“ ცოტაოდენი რეფორმები უნდა უყოთ და თქვენ ამას კი ინებებთ, განა თქვენ რაიმე მსხვერპლს შესწირავთ საერთო საკურთხეველზე?! არა მჯერა, მამაო ილია, კი ნუ გეწყინება და მე პირში ვიცი ზრახვა და გზრახავ კიდევაც, რომელთაც ჩაიგდეთ მართვა-გამგეობის საჭე ხელში და თავლაფი დაასხით ქართველ სამღვდელოებას! ტყვილა გგონიათ, რომ „ლიკვიდაცია“ უყავით მოძრაობას სამეგრელოში, ისევ ამოყოფს ცეცხლი თავს და დაგწვავს თქვენვე, ჩვენო ბატონებო და ოპეკუნებო! განა ჩვენ ამას მოვითხოვდით, როდესაც ექსარხოსობის დამხობას ველტოდით?! განა ერთ უკანონობისა და ძალ-მომრეობის ნაცვლად მეორენაირი, უფრო მწვავე, უკანონობა-ძალ-მომრეობას მოველოდით?! მაგრამ არ შეგრჩებათ ეს თქვენ, ან ღმერთი არ შეგარჩენთ და ან კაცი! ეს კათოლიკოზი რაზე დაატყვევეთ და გააუბედურეთ?! მაგასაც მალე მოულებთ თქვენ ბოლოს, ყოველთვის ის ვერ „გასიამოვნებს“ თქვენ და თქვენც მეტი რა გინდათ“! როდესაც ასეთი მხილება მქონდა შუბლაძე დეკანოზთან, ეს უკანასკნელი გაფითრებული იდგა და თითქოს იღიმებოდა, თითქოს ხუმრობაში ატარებდა ყოველივე ამას, მაგრამ ვაი ასეთ „ხუმრობას“, მე მათ აღარ ვეხუმრები, ამათ ჩამიშალეს და შემიბღალეს ჩემი მისწრაფებანი საეკლესიო ეროვნულ ცხოვრებაში მოღვაწეობისა, გამრიყეს კიდეც ამ ცხოვრების „ნაპირზე“...

„რა დროს რეფორმებია ეხლა, – დაიწყო თავის მართლება შუბლაძემ, – როდესაც მოსკოვის ეკლესია ისევ აპირებს ჩვენზე დაპატრონებას და დიდი განსაცდელია მოსალოდნელიო“! „თქვე დალოცვილებო, – მიუგე მე, – თქვენ მოსკოვის „ბატონობის“ ქვეშაც კარგად გრძნობდით თავს და, რომ საქმე ისევ „შემობრუნდეს“, ამასაც ადვილად „შეეგუებით“ თქო. მაგრამ მოსკოვის ეკლესიაში დიდი მოძრაობაა, დიდი მიხლა-მოხლა, ეს იმისი ნიშანია, რომ ის ეკლესია ისევ აღორძინდება, განახლდება, თვისს ერს ისევ პატრონად და ხელმძღვანელად მოევლინება, თქვენ კი ისევ მათი ლაქიები და მათი ხელთ-შემხედვარენი იქნებით. ეს იყო „ახალი სიტყვის“ მძიმე და სუბუქი არტილლერია?! იმიტომ ებრძოდით კირიონს, რომ თქვენ გსურდათ გაბატონება“?! განაგრძეთ და ნახავთ, სანამდე მიხვალთ?! ხო ხედავთ, თქვენი განმკითხავი დღეს არავინ არ არის, ღმერთმაც ხელი აგვაღო და მიგვიშვა“...

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანნეს დარბაზობა ჩემთან 1922 წ. სეკტემბრის 24-სა – კვირა საღამოთი

ერთხელ დეკ. ფხალაძეს (კანდელაკს) უსაყვედურე: ეპ. იოანნემ არ მინახულა, ალბად ვერ ჰბედავს „გარიყულ დეკანოზ თალაქვაძესთან“ შემოსვლას თქო. ეს ფხალაძეს გადაუცია ეპისკოპოსისათვის და კვირას, საღამოთი, შემობრძანდა ჩვენსა დიდი პორთფელით. გაგონილი მქონდა, რომ ამან მოხსენებები გააკეთა

საკათ. საბჭოში და კათოლიკოზთან უსიამოვნება ჰქონდა – არც ერთი მოხსენება იოანნესი არ მიიღეს საკათ. საბჭოში; არც კახეთში წაიყვანა კათოლიკოზმა ეპ. იოანნე, უნდოდა კი ძლიერ მასთან მგზავრობა და ალავერდობის მოლოცვა; არც აქ მისცეს საშვალება ეწირა სიონში თუ დიდუბეში დღესასწაულებზე. ერთი სიტყვით, კათოლიკოზმა და დეკ. ცინცაძემ აგრძნობინეს ეპ. იოანნეს, რომ ისინი მას არავითარ ანგარიშს არ უწევენ, რომ მათთვის იოანნე წარმოადგენს არარაობას! ეპ. იოანნემ გამაცნო თვისი მოხსენებანი საკათ. საბჭოში – ის მოითხოვს აფხაზეთისათვის „მიტროპოლიტობის“ ხარისხს; ასაბუთებს ამას იმით, რომ მეორე საეკლესიო კრებას გამოსთხოვა ეს უფლება აფხაზეთის ეპარქიამ, კრებამ დაადგინა და დააწესა ესაო, – ეხლა კი უკმაყოფილებას აცხადებენ აფხაზეთში, რომ ეს ეპარქია ისევ უბრალო საეპისკოპოსო ხარისხზე ჩამოიყვანესო. მე სამურზაყანოში გადამიყვანეთ უბრალო ეპისკოპოსად, სუხუმში კი მიტროპოლიტობა აღადგინეთ, ვინც გინდათ, ის გაგზავნეთო. გულში კი ჰფიქრობს, იქნებ მიტროპოლიტობა გავიკრაო! არ არის საჭირო „მიტროპოლიტობა“, გვეყოფა ქუთათელიც! აქ იოანნეს უსათუოდ პატივ-მოყვარეობა ალაპარაკებს, ის სცდება. სამურზაყანოს რო ცალკე ეპისკოპოსი მისცენ, ეს მიზან შეწონილი იქნება – იცხოვრებს ის ილორში, ილორის შემოსავალი შეინახავს აქ ქორ-ეპისკოპოზს, რომელიც დაემორჩილება, თუ ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული, სუხუმის ეპისკოპოზს. შემდეგ იოანნეს მოუთხოვია ძველი საეპისკოპოსო კათედრების აღდგენა, დეცენტრალიზაცია ეპარქიალურ მართვა-გამგეობისა, საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრების აღდგენა-გაცხოველებისათვის ხალხში; კარგად აქვს დასაბუთებული ყოველივე ეს. ესეც უყურადღებოდ დაუტოვებიათ საკათ. საბჭოში, გაუმასხარებიათ ეპისკოპოსი! მეტად სწყინს იოანნეს ის თავხედობა და უპატივცემულობა, რომელსაც საკათ. საბჭოს დეკანოზები, განსაკუთრებით ცინცაძე იჩენსო, არსებითი პასუხის ღირსადაც არა მთვლისო, კათოლიკოზი კი პირში შესცქერის, მის გარდაუვალს არას იზამსო! ეხლა მესმის შენი მდგომარეობა, რომ ამათთან ვერ მოეწყვე, ამათ ადამიანი ვერ შეეგუებათ, ესენი თავიანთ დესპოტობით და განუკითხაობით უსათუოდ გამოიწვევენ საქართველოს ეკლესიაში განხეთქილებასო.

შემდეგ დაახასიათა ეპისკოპოსმა სოხუმის ეპარქია ამბროსის ხელში, თუ როგორ უტაქტოდ იქცეოდა ის სუხუმში, როგორ გაამწვავა ურთიერთობა რუსებ-მორწმუნეებთან, სრულებით ანგარიშს არ უწევდა ბუნებრივ აფხაზებს, არც ბერძნებს, იყო კარ-ჩაკეტილ „მეგრულ პატრიოტიზმში“, ჰყავდა იქ მდიდარი მძახალი – შვილის სიმამრი, სჭამდა-სვამდა, დროს მუდამ რამოდენიმე მდიდარ ოჯახში ატარებდა, არაფერზე ზრუნავდა, არას დაგიდევდაო. ბოლშევიკების შემოსვლის დროს დაიმალა, გაიქცაო. სანამ ბოლშევიკები შემოვიდოდნენ, რუსებმა სობოროს-ტაძარი ჩამოართვეს, მოზიარეებათ გაუხდნენ სობოროს კრებულს, დეკანოზები ჯოხთაბერიძე და გვაზავა იძულებულნი გახდნენ გაეყოთ წირვა-ლოცვისათვის დღეები კვირაში, აგრეთვე ყოველივე ქონება, ამ დროს მიტროპ. ამბროსი მძახალის სახლში იჯდა და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ამ „დავაში“ და გაწამაწიაშიო. შემდეგ სულ გაიქცა სოხუმიდან, დაიტაცეს ეპარქიალური სახლები, ავეჯეულობა და ყოვე-

ლივე სიმდიდრე, გავერანებული დამიხვდა ყველაფერი. აქედან კათოლიკოზმა ამბროსიმ დამაბარა – არ გაბედო სობოროში წირვა, სანამ საკათ. საბჭომ არ მოგწეროსო, სანამ ჩვენი უფლებები სავსებით არ იქნება აღდგენილიო! მეც ვიყავი საცოდავად, არც საცხოვრებელი ბინა, არც რაიმე ჯამაგირი, არც საწირავი ტაძარი, სასაფლაოს ეკლესიაც ვიღაც ბერძენს ეჭირა, არავინ მცნობდა ეპისკოპოსად, არც ვინმე მიხსენიებდა, არც მონასტრებმა მიმიღეს და მიცნესო; საკათ. საბჭო სრულებით ყურადღებას არ მაქცევდა, ერთი გროში არ მოუწოდებია. სანამ ამბროსი იქ ბრძანდებოდა, აქედან ფულიც მოსდიოდა, ნათესავ-მოყვრებში-მეგობრებში იყო გართული, მე კი არც ფულს მიგზავნიდა ვინმე და ეს უცხო კაცი აბა ვის რაზე შევებრალებოდიო. დავიწყე მოქმედება იმ მიმართულებით, რომ მიცნონ აფხაზეთის ეპისკოპოსად რუსებმაც, ბერძნებმაც და აფხაზებმაცო. ამას თუ მოვახერხებდი და სამწყსოს გავაერთიანებდი, თავისთავად ჩემს პიროვნებაში საქართველოს ეკლესიაც გამაგრდებოდა ამ განაპირა კუთხეში, რომელიც დღეს ცალკე რესპუბლიკად არის აღიარებულიო! დიდ წინააღმდეგობას მიწევდა ადგილობრივი რუსის მღვდლები, მაგრამ დიდი დიპლომატიური მისვლა-მოსვლით ადგილობრივ კომუნისტურ მთავრობასთან, შევსძელ მათი დამორჩილება, ბერძნებიც შემოვიერთე, მეგრელ-ქართველობა გარს შემომერტყა, მეტად დავიახლოვე აფხაზები, განსაკუთრებით ალექსანდრე შარვაშიძე, რომელსაც აღმერთებენ აფხაზები, მეფურ პატივსა სცემენ მას, აგრეთვე დიმიტრი შარვაშიძე, ყოფილ თბილისის გუბერნატორის შვილიო. ამბროსი კი ზიზღით უცქეროდა აფხაზებს და არც ესენი ეკარებოდენ მათ; დღეს მე აღვადგინე მშვიდობიანობა სუხუმში, ვსწირავ ოთხ ენაზე, ვქადაგებ რუსულ-ქართულად, ვსწავლობ მეგრულსა და აფხაზურ ენას, თან მსურს სობოროში ვიყოლიო ღირსეული თანამსახურნი ქართველთაგან, აქედგან მიმყავს ეხლა დეკ. ტარასი ივანიცკი (ინგილო), იქ მისიონერად უმსახურია წინეთ, მგონი, გამომადგეს; მიმყავს დეკან. ქრისტესია თხინვალელი, სემინარიელი კაცია, მომზადებული, თუ თავი კარგად დაიჭირა, ქვრივია, ცოტა ხნის შემდეგ არქიმანდრიტად ვაკურთხებ და საქმეში გამომადგებაო. ერთი სიტყვით, ვცდილობ, იქ ქართველ ეპისკოპოსის სახელი აღვადგინო, ის ავტორიტეტით და ნდობა-სიყვარულით შევმოსო, იქ „შოვინისტურ-მყვირალა“ მოქმედებით ვერას გავხდები, ნამდვილი, გულწრფელი ქრისტიანული ქცევა ჩემი მეტ ნაყოფს გამოიღებსო. მაგრამ აქედან მეტად გულდაწყვეტილი და უნუგეშოდ მივდივარ. ყოფილმა დეკ. კეკელიძემ მისაყვედურა საკათ. საბჭოში – „შენს მოქმედებაში მე ვერ ვხედავ საქართველოს ეკლესიის ინტერესების დაცვას აფხაზეთშიო“! მე განცვიფრებული დავრჩი ასეთი საყვედურით! განა კეკელიძე იცავდა საქართველოს ეკლესიის ინტერესებს, როდესაც ის პლატონ ექსარხოსის ნამდვილ აგენტად გამოდიოდა 1916 წელს და გაზეთ „საქართველოში“ საზოგადოების წინაშე აქებდა და ხოტბას ასხამდა იმ ჩვენს გამძვინებულ მტერს, ხოლო ეხლა-ხან გაკრეჭილ კეკელიძეს იმავ პლატონიდან ამერიკული დოლლარები მოსვლია?! მე ვიცი ამათი „მამულიშვილობა“, ვიცი მაგათი „რუსოფობობაც“! წავალ ეხლა და ღმერთმა დამიფაროს, რომ აქ კიდევ მოვიდე და მაგათთან კიდევ რაიმე

ვითათბირო, ვეცდები ჩემი სინიდის ქვეშე და გულწრფელ მამულიშვილობით, რამდენადაც ძალ-ღონე შემწევს, ვიმუშაო ქრისტე-მაცხოვრის ყანაში; ამათ ხელში სულ იმსხვრევა ჩვენი ეკლესია, ესენი ყაჩაღებივით შესევიათ და ყველაფერი სურთ ერთად ჩაჰყლაპონ და მოსძოვონ. ვის წინაშე აგებენ პასუხს?! ვინ არის განმკითხავი?!. კიდევ ბევრი რამ ილაპარაკა იოანნემ თავის-თავზე, იჩივლა იმაზედაც, თუ როგორ უყურადღებოდ იყო ის დატოვებული არქიმანდრიტობის დროს, რამდენი მწუხარება განვლო და დამცირება. ბოლოს მაინც ერგო ეპისკოპოსობა. წამიკითხა თვისი სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს შარშან ეპისკოპოსად „გამოცხადებაზე“... ეტყობა, აქვს ცხოველი სული, მაგრამ ზოგჯერ ვერ აქვს მიზანშეწონილი, ტაქტიური მოქმედებანი, მეტად ფიცხი, უკადრისი და ამაყია თვისს ხელქვეითებთან და შეიძლება ამ ნიადაგზე ბევრი შეცდომები დაუშვას. მაგისი დღევანდელი მიმართულება სუხუმში, ჩემის აზრით, არ არის მიზანშეუწონელი და დასაგმობი...

30 სეკტემბერი – შაბათი, 1922 წ.

პოლიტიკურ ჰორიზონტზე აირია შავი ღრუბლები; ანგორის მთავრობის მეთაურმა (მცირე აზიაში – ანატოლიაშია) ქემალ-ფაშამ, რომელიც გამოყოფილია კონსტანტინოპოლის მთავრობისაგან, სასტიკად დაამარცხა საბერძნეთი, რომელიც ომს აწარმოებდა ოსმალეთის წინააღმდეგ, ლამობდა კონსტანტინოპოლის დაპყრობას და ოსმალეთის მცირეაზიიდან განდევნას, ძველ ბიზანტიის იმპერიის აღდგენას. იქ კოროლი კონსტანტინე სცდილობდა აია-სოფიის მეჩეთზე ისევ ჯვარის აღმართვას! ამ ბრძოლას რუსეთის კომუნისტური მთავრობა შურის თვალით უცქეროდა, ესენი აპირებდენ ერთ დროს კონსტანტინოპოლის და იქ სრუტეების ხელში ჩაგდებას, შავ-ზღვაზე გაბატონებას და ეხლა ბერძნები ეპოტინებიან ამას. რუსული კომუნიზმი – ეს ნამდვილი რუსულ იმპერიალიზმით არის გაჟღენთილი, დაუახლოვდენ ესენი „ქემალისტებს“, იქ შეაქვთ თავიანთი „რევოლიუციონური სული“, იქ სურთ შეიტანონ დენაციონალიზაცია სოციალიზმის ნიადაგზე; ამბობენ, რომ ქემალის ძლევა-მოსილ ჯარებში რუსეთის წითელი არმიაა ფაქტიურად გამარჯვებულიო! მართლაც, საქართველოში შემოსევის დროს, დიდ-ძალი რუსის ჯარი შემოიყვანეს ჩვენში, ის ჯარი ჩუმ-ჩუმად შეიყვანეს მგონი ქემალის ჯარის ბაირაღის ქვეშე. დღეს ქემალმა ბერძნები თითქმის გადაჰყარა ზღვაში, სმირნა ქალაქიც კი დააცლევინა ბერძნებს და ეხლა „ნეიტრალურ ზონაში“ – ევროპის ნაპირზე, სურს გადავიდეს მას, სადაც ანტანტის სახელმწიფოების ჯარები სდგას და მოითხოვს სტამბოლის დაცლას ევროპიელ ჯარებისაგან. თან „პროკლამაციაც“ გამოაცხადეს „ბოლშევიკებმა“ ანგორაში – „შედით სტამბოლში, გადმოაგდეთ სულთანი, გადმოაგდეთ, ბერძნებო, თქვენი მეფე კონსტანტინეც, მოკლეთ არისტოკრატია, გაბატონდით, მშრომელნო და გაერთიანდით ოსმალები და ბერძნებიო“! არ ვიცი, ეს თუ შესაძლებელია დღევანდელ პირობებში მაინც! ბერძნების და ოსმალეთის „გაერთიანება“ ისევ

დაუჯერებელია, როგორც რუსეთის და ოსმალეთის მეგობრობა. დღეს მეტად გამწვავებულია ურთიერთობა ანტანტასა და ქემალს შორის, მოვიდა ცნობა, რომ ანტანტამ დარდანელის სრუტე დაჰკეტა, ინგლისი დიდ მზადებაშია, შეიძლება ომი დღე-დღეზედ გამოცხადდესო! ამ ნიადაგზე თბილისის ბაზარზე დიდი პანიკა ჩამოვარდა, უცბად აიწია ფასები შაქარზე, პურზე და ყველაფერზე. ვნახოთ, რა იქნება.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმებსა და წითელ არმიელთა შორის სწარმოებს შეტაკებები, რომელიც ზოგჯერ ომის ხასიათს ღებულობენ. რუსების ჯარმა წინ გაიძღოლა ქართული ჯარის ნაწილები, განსაკუთრებით ეგრედ წოდებული „კურსანტები“ – სამხედრო სასწავლებლის მოწაფეები – 17-18 წლის ბავშვები. სულ ამოიჟუჟღენ ეს უბედურები ამ შეტაკებებში, ქართველი ქართველს თოფს ესვრის, სწარმოებს საშინელება – ძმას ძმის სისხლს ანთხევინებენ „კომუნიზმის“ სახელით! შეესია წითელი არმია ხევსურეთს და სულ გადაბუგეს ეს უბედური კუთხე!.. ეს სწარმოებს დღისით, მზისით ჩვენი ქართველ კომუნისტურ მთავრობის წინაშე...

კვირა – 1 ოქტომბერი

დღეს დაბრუნდა კურსანტების ქართული ჯარი დუშეთ-ხევსურეთიდან ქალაქში, მუსიკით და ჟრიამულით: „დავამარცხეთ და გავფანტეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმიო! ბევრი დაუხოცეთ მეომრები და თვით ქაქუცა დაიმალაო“! ძმა-ძმის წინააღმდეგ აბრძოლეს, უკან რუსული წითელი არმია მიერეკებოდა ჩვენებს და ისე აბრძოლებდა: წინ წავიდოდენ ჩვენი უბედური კურსანტები – ქაქუცას რაზმი ეგებებოდა ტყვიით, უკან თუ იზამდენ პირს, უკნიდან რუსები უშენდენ! ასეთი საშინელებით ერთმანეთი ჟუჟღეს, ორივე მხრიდან დიდი ზარალია, მაგრამ მალავენ, იქვე ჩაფლეს-ჩაასამარეს დახოცილები! „ლიკვიდაცია“ უყავით ქაქუცას ბანდებსო“ – იკვეხიან ეხლა! მაგრამ ასეთი პარტიზანული რაზმი იმისი პარტიზანულია, რომ ეხლა მეორე ალაგას ამოჰყოფს თავს და იქაც იმავ ბრძოლას და ძმათა სისხლის ღვრას გამოიწვევს! არა გამოვა რა ასეთი გამოსვლებით, გარდა უაზრო ხოცვა-ჟლეტისა!

ევროპის სახელმწიფოები კი კონსტანტინოპოლის გარშემო რაღაცას ტრაღიკომედიას თამაშობენ! თითქოს მეტად გამწვავებული იყო ინგლისსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა! ბერძნებზე გამარჯვებული ქემალისტები კონსტანტინოპოლის დაცლას მოითხოვდენ ანტანტისაგან, ევროპის ნაპირებზედაც სურთ გადასვლა, სადაც ანტანტის ჯარი სდგას – ეგრედ წოდებულ „ნეიტრალურ ზონაზე“! ქემალისტები მოითხოვენ ბალკანეთზე ფრაკიის დაცლას ადრიანოპოლით! ერთი სიტყვით, მეტად დიდი პრეტენზიებით გამოდიან, რაც აიხსნება მით, რომ ამ საკითხში ინგლისსა და საფრანგეთ შორის უთანხმოება არის ჩამოვარდნილი, საფრანგეთი ჩუმად ქემალისტებს ამხნევებს, სცილდება ინგლისის პოლიტიკას და უკანასკნელი განმარტოებული რჩება ამ მიხლა-მოხლაში. მიუ-

ხედავად ამისა, ინგლისმა შეჰკრა სრუტეები, სასტიკ ბლოკადას უკეთებს ზღვის ნაპირებს და თითქოს ომისთვის ემზადება... მაგრამ ცნობა არის უკვე, რომ ოსმალეთ-საბერძნეთშიც დროებითი ზავი ჩამოუგდიათ და კონფერენციაზე უნდა გადასწყვიტონ სადაო საკითხები... თავისთავად ცხადია, რომ საქართველოსთვის არავინ იცხელებს თავს, ჩვენი ყოფილი „მენშევიკური მთავრობა“ დაყიალობს ევროპაში და სჭამენ აქედან წაღებულ განძეულობას. აქაური ციხე – მეტეხი სავსეა ტუსაღებით – მენშევიკებით, მემარჯვენე ფედერალისტებით და ნაციონალ-დემოკრატებით. ამათგან დიდ ნაწილს გადასახლებას უპირებენ ციმბირისკენ; ეს ხმები დიდი ხანია დადიოდა, ერთ ხანს შეაჩერეს კიდეც გადასახლება, ეხლა კი ისევ უპირებენ გადასახლებას. დიდი საცოდაობაა, არავინ არის პატრონი. გადასასახლებლად შემზადებულნი უარს ამბობენ წასვლაზე – „არ წავალთ ჩვენის ნებით, გვირჩევნია, აქვე დაგვხვრიტოთო“! უფრო გამოჩენილ პირებს აქვე სტოვებენ, გადასახლებას უპირებენ მეორე ხარისხოვან პირთ. სხვათა შორის გადასახლებას უპირებენ საკათ. საბჭოს წევრს რაფიელ ივანიცკის (ინგილოს), ამას განუცხადებია კიდეც: გამანთავისუფლეთ, მე ბერად უნდა აღვიკვეცო, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელს ვიღებო! ამ განცხადებას დიდი სიცილ-ხარხარი გამოუწვევია, როგორც „ჩეკის“ სფეროებში, ისე თვით დატუსაღებულებშიც და მეტად გაუმასხრებიათ უბედური ივანიცკიც, საკათ. საბჭოც, ჩვენი ბერობაც და მღვდელობაც! ეს მეტად „ცუღლუტი“ ახალგაზრდა კაცი დიდ სირცხვილში გვაგდებს ყველას: ჯერ იყო და საკათოლიკოზო კანდიდატად გამოაცხადა თავი გელათის საეკლესიო კრებაზე; როდესაც ეს ნომერი ვერ გაიყვანა, კათოლიკოზის ქორეპისკოპოზობას სცდილობდა; როდესაც ესეც ციცქიშვილმა მოსტაცა, ამ დროს დაატუსაღეს კიდეც; ბინაზე – საკათ. საბჭოს დარბაზში, შვილებთან ერთად საყვარელიც ჰყავდა და ამათ საკათ. საბჭომ ყოველ დღიურად 80.000 მანეთი გაუჩინა საზრდოდ! შემდეგ გამოცხადდა ნამდვილი-კანონიერი ცოლი რაფიელისა, ამან განდევნა ქმრის ბინიდან „საყვარელი“ და თვით დაეპატრონა თვისს შვილებს! ერთი სიტყვით, ასეთია ჩვენი „საკათოლიკოზო, საეპისკოპოზო ან საბერო რაფიელი“! ეს მეტად აქვეითებს ეკლესიურ პრესტიჟს, ყოველივე ეს ხდება კათოლიკოზის თვალ წინ, მისს გვერდით და თითქოს სანქციითაც...

კორნელი კეკელიძის განქორწინება

მეტად გაშიშვლდა ეს ვაჟბატონიც – საკათ. საბჭოს წევრი, ყოფილი მიტროფორნი დეკანოზი, ყოფილი სემინარიის რექტორი და ეხლა ქართულ უნივერსიტეტის პროფესორად“ წოდებული! ორშაბათს, 2 ოქტომბერს შევიარე საკათ. საბჭოს დარბაზში, სამეურნეო გამგეობის განყოფილებში; აქ დამიხვდნენ: დეკანოზები: შუბლაძე, ლაზრიშვილი, მაჭარაშვილი, ნათიძე და დიაკონი ანტონა ლაზრიშვილი; კათოლიკოზი თვისი ამალით ჯერ არ დაბრუნებულა კახეთიდან, მას დღედღეზე ელოდებიან. ჯერ შუბლაძე დეკანოზმა გვიამბო თვისს რევიზიის თუ გამოძიების შესახებ ძველ-სენაკ-ნაქალაქევის სოფლებში „დამოუკიდებელ

სამწყსოს“ შექმნის გამო დეკ. კირილე ჯავახიას მიერ და მის ოლქის სამღვდელოებისაგან სამეგრელოში; ეს დავით ჭყონდიდელის ეპარქიაში! რო მოვიკითხე დეკანოზი კირილე და დავიბარე პასუხ-საგებლად, აღმოჩნდა, რომ ის სადღაც დუქანში დროს ატარებდა, შემომითვალა – ღვინოს ვსვამ, შენთვის არ მცალია, თუ გნებავს, შენც ჩემთან მოდი, ერთად ვისიამოვნოთო! ბოლოს, როგორც იყო, გამოიყვანეს მთვრალი მღვდელი დუქნიდან და მომიყვანეს, გადამხვია მან მხარზე ხელი და ისე ლოთი-ფოთურად, ბანცალ-ბანცალით გადავდიოდით ქუჩიდან-ქუჩაზე; სირცხვილით დავიწვი, მეც ვინმეს მთვრალი ვეგონებოდიო. მაგრამ ნიჭიერი მღვდელია ეს ჯავახია, – ბრძანა დეკ. შუბლაძემ, – საქმე არა აქვს რა, წერა ეხერხება, ფხიზელი თავი აქვს (სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოთხი კლასი აქვს დასრულებული და ასე კი „ჰბერავს“ მეგრელი – მეგრელს, თან მის ლოთობაზედაც ასე აშკარად ჰმოწმობს! საკვირველია ჩვენი აწინდელი ზნენი!), ზის და ჰფიქრობს, პროექტებს ადგენს, არ აკმაყოფილებს მას აწინდელი ეკლესიური წეს-წყობილება, რეფორმები უნდა, აკრიტიკებს დავით ჭყონდიდლის უმოქმედობას... აი, ჩემი მოხსენების დასკვნა, – გადაგვიშალა შუბლაძემ თვისი მოხსენება, – მე ვთხოულობ, რათა დეკ. კირილე ჯავახია გადმოყვანილ იქმნეს ურბნისის (ალბად ქრისტეფორეს გვერდით) ან თბილისის ეპარქიაში საუკეთესო ადგილზე, იქ სიღარიბეში სძვრება სული. როდესაც ადგილობრივ კომუნისტურ ორგანიზაციას გაუგია ჯავახიას რეფორმატიული მიმართულება და ნაბიჯები, შემწეობა აღუთქვამსთ მისთვის, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წერის საშვალებას მოგცემთ აწინდელ ეკლესიის საწინააღმდეგოდ გამოსვლისათვისო, თან თვით კომუნისტებს დრამა – სიმინდად – შეუკრებია ჯავახიასათვის ხალხში და სასოფლო ბეღელში აქვთ შეგროვილი, კირილეს უხერხულად მიაჩნია ამ სიმინდის სახლში მიტანა, თუ სხვა ჩემს ამხანაგებსაც არ მიეცემა ასეთივე საშვალებითო. ხოლო ჯერ-ჯერობით ვერც „კომუნისტის“ ფურცლებზე იკადრა გამოლაშქრება, სანიმუშოდ დამზადებული წერილი ამ გაზეთისათვის საკათ. საბჭოში გამოუგზავნია მამა კირილეს, თითქოს ერთნაირ გასაფრთხილებლად, აი, მე ამას გიპირებთო! ბოლოს და ბოლოს დავით ეპისკოპოსის წინააღმდეგ არის მიმართული მთელი ეს მძიმე თუ მსუბუქი მეგრული არტილლერია!

მე შევნიშნე დეკ. შუბლაძეს: კაცო, თუ ასე იქცევა ეს თქვენი ჯავახია, თუ ის ლოთიც არის და ასეთი ცეტ-მანა, რაღა ქება-დიდებას ასხამ შენს მოხსენებაში, ასეთი კაცის გადმოყვანასაც თხოულობ აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიებში, ისიც საუკეთესო ადგილზე! ეს რაღაც დაქრთამვასავით გამოდის, მამაო ილია – ოღონდ გაჩუმდი, წყალს ნუ გვიმღვრევ და მსუქან ადგილზე გადაგიყვანთ, თუ გშიაო! მართალია, „ახალ სიტყვაში“ თანამშრომლობდა თქვენთან ერთად, მაგრამ ეხლა გამოაშკარავდა, თუ რას ელტოდით „ახალ სიტყვაში“: თქვენ კისერს ატეხიებდით ახალ ფეხ ადგმულ საქართველოს ეკლესიას, თავლაფი დაასხით კათოლიკოზ კირიონს, შემდეგ დაჰღუპეთ კიდეც, ასევე უყავით ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს, შემდეგ თავლაფი დაასხით ლეონიდსაც და ისიც საფლავს ამოაფარეთ და დღეს – თქვენი ნებისყოფილ კათოლიკოზ ამბროსის ჟამს გაბატონდით, ხელთ იგდეთ ყველაფერი და სძოვთ

ჩვენს ეკლესიას! დახედეთ თქვენს ურბნელ ქრისტეფორეს, ის მაგნატიურ ძალით მიეკრო ვერის სასაფლაოს, აღარ შორდება ურბნელი ამ სასაფლაოს, ატყობთ, რა ახალ ფორმებს ჰქმნით ეკლესიურ პრაქტიკაში „ახალ-სიტყველები“?! ეპისკოპოსი დეკ. ან. თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე! იმიტომ რომ „ქანქარები“ ჰკრიფოთ მკვდართა და ცოცხალთაგან – სასაფლაოები ჰყიდოთ მამასისხლად და ჯიბეები გაიტენოთ! თქვენი „რეფორმები“ ჯერ მხოლოდ ამაში გამოიხატა: დაკეტილი-გაუქმებული სასაფლაო დეკ. თოთიბაძემ და ციცქიშვილმა ისევ საზოგადოდ გახსნეს, მკვდრების ძვლებს ჰყრიან საფლავებიდან, რომ ახალი მიცვალებულები ასაფლაოთ და მილიონებად ჰყიდოთ თითო საფლავი! ამით მოგწონს თავი?! რა უყავით ან სირცხვილი ან ნამუსი!..

ამ დროს დეკ. დიმ. ლაზრიშვილი სწერდა გასავლის დავთარში იმ ხარჯს, რაც გაღებულ იქმნა დეკ. შუბლაძის პრაგონად „დამოუკიდებელ სამწყსოს“ მოძრაობის გამოსაძიებლად სამეგრელოში; ეტყობა, კაი ძალი ფული უჯიბია შუბლაძეს, ხელს აფარებდენ, აღარ დამანახვეს... ამ ლაპარაკის შემდეგ გადავედით კორნელი კეკელიძის განქორწინებაზე, რომელიც მოუხდენიათ საეპარქიო სამსაჯულოში იმავ დღეს. ამ სამსაჯულოს თავმჯდომარეობდა წინეთ დეკ. იოსებ ჩიჯავაძე, რომელიც ეხლა პასუხის გებაში ჰყავთ საკათ. საბჭოს და გაძევეს კიდეც ამ თანამდებობიდან. ეხლა სამსაჯულოში შედიან: დეკ. ნესტორ მაჭარაშვილი (სამეურნეო გამგეობის ნოქარი საკათ. საბჭოსთან), დეკ. დ. გარსიაშვილი („სადმე მღვდელი“, რომელიც დეკ. თოთიბაძემ წმ. ნინოს სასაფლაოდან თავისთან გადაიყვანა ვერაზე, როგორც ერთგული კაცი, ხოლო კათოლიკოზს სთხოვდა ოფიციალ მოხსენებაში: „ვინმე მღვდელი“ დამინიშნე ქრისტეფორეს ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგო) და ერთიც ერის კაცი ვინმე ჩათლახი ექიმი გაჩეჩილაძე. აი, ამ კოლლეგიას უწარმოებია კ. კეკელიძის განქორწინების საქმე. ორშაბათს, ორს ამა ოქტომბერს, განუქორწინებიათ კიდეც – „ხასიათთა შეუგუებლობის“ მიზეზით, ეს თვრამეტ-ცხრამეტი წლის ცოლქმრობის შემდეგ, და სამი მოზრდილი ვაჟების ყოლის შემდეგ! მე არა ვიცოდი რა ამ საქმის შესახებ, ყველამ კი ვიცოდით ის უბედურება, რაც დეკ. კორნელი კეკელიძის ოჯახში ტრიალებდა მას შემდეგ, რაც ის თბილისის დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპეკტორად იქმნა გადმოყვანილი ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან 1906 წელს. აქ ჩვენი „მამა ინსპეკტორი“, დეკ. კორნელი დაუახლოვდა კლასის დამრიგებელ ქალს – მინადორა დიმიტრის ასულ კასრაძეს! მაჭანკლობდა საზოგადოდ ასეთ საქმეში (დღესაც განაგრძობს) მარიამ გარსიაშვილის ქალი – კოჭლი, ქაჩალი და ბრუციანი, დაი ზემო აღნიშნულ „მსაჯულ“ დეკანოზ დავით გარსიაშვილისა! ამან შეჰყარა ეს „პაროჩკა“ და დაერღვა უბედურ კეკელიძეს ოჯახი. ამან კიევის აკადემიის დასრულებისას მოიყვანა ამავ ქალაქიდან კარგი ოჯახის შვილი, განათლებული ახალგაზრდა ტურფა რუსის ქალი ლიუდმილა. მაგრამ მინადორამ მალე ააყრევინა ცოლზე გული „მამა კორნელის“. ეს უკანასკნელი მთელ თვის დროს სასწავლებლის კუნჭულებში ატარებდა, ცუღლუტობა-გარყვნილებაში, რამდენჯერ ზედ მიასწრეს მოწაფე-ქალებმა ხვევნა-კოცნის დროს „მამა ინსპექ-

ტორს"; ასეთივე კავშირი ჰქონდა ამავ სასწავლებლის მეორე კლასის დამრიგებელ-მასწავლებელ ქალთან ცნობილ საეპარქიო კანცელიარიის მდივანს დავით დავითაშვილს, ესეც ცოლ-შვილს ღალატობდა და ჰქონდა და აქვს დღესაც ამ ნიადაგზე ოჯახში დიდი ჯოჯოხეთი გაჩაღებული. იყო კიდევ სხვა და სხვა „პაროჩკები", ასევე დაკავშირებული ამავე სასწავლებელში, და ყველა ამათი „მამიდა" იყო ზემოაღნიშნული მარიამი! ექსარხოსების დროს ეს საზიზღრობა ცოტათი მაინც დაფარულად ხდებოდა, გადატრიალების შემდეგ კი ეს ყველაფერი გამოაშკარავდა. ახალ გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში (სემინარია რომ შესჭამა-გაანიავა და დაღუპა კორნელიმ მას შემდეგ) დეკ. კეკელიძე „პროფესორად" გადაბრძანდა, ხოლო ზემოაღნიშნული კახპა ქალები ამ უნივერსიტეტის „სტუდენტკებად" შევიდენ, თვით ბებერი 60 წლის მარიამ გარსიაშვილიც კი! დღეს ამ „მანდილოსნებმა" – ყველამ „კურსი დაასრულა" ქართულ უნივერსიტეტში, როგორც დეკანოზებმა შუბლაძე და ციცქიშვილმა! ამათ ყველას ხელ-მძღვანელობდა და მფარველობდა დეკ. კ. კეკელიძე, როგორც „დეკანი" სიბრძნის მეტყველების და საისტორიო ფაქულტეტებისა უნივერსიტეტში. ასე „ჩვენებურად", „ქართველურად" სწარმოებს საქმე ქართულ უნივერსიტეტში! კორნელის ოჯახში უფრო გაჩაღდა ცოლ-ქმარშუა უბედურება-უთანხმოება, შვილები წამოიზარდნენ ნამდვილ ყაჩაღებად-ქურდებად! ამათ გაალაგეს და გაჰყიდეს ბაზრებზე სემინარიის მდიდარ პანსიონის ავეჯეულობა, საბან-ზეწრები, ტილოები, დანა-ჩანგალი, მაგიდები თუ სხვა აურაცხელი ნივთები. სწავლაზე გული აიყარეს ბავშებმა! როგორც მამა ამცირებდა, სცემდა და მიწასთან ასწორებდა ცოლს – ამ ბავშვების დედას – ისე ექცეოდენ შვილებიც თვის უბედურ, უპატრონო-უჭირისუფლო დედას! ამ ოჯახურ ჯოჯოხეთს ურთავდა ცეცხლსა და მუგუზალს მინადორა კასრაძე, რომლის კავშირი კეკელიძესთან საქვეყნოდ გახმიანდა და სურდა ცოლი ჩამოეშორებია ქმრისაგან და თვით გამხდარიყო „კანონიერი ცოლი" იმავ კორნელისა, რომელმაც უკვე ანაფორა გაიხადა და კოხტად დაიწმაწნება ოდესელ ურიის რიჟა ნოქარივით პიჯაკ-ფრენჩებში! მომენტიც შესაფერი დაუდგათ, ეს ხანა არის უდიდესი ზნეობრივი გახრწნის ხანა, ირღვევა ოჯახის ყველა ბოძები, ცოლ-ქმრობა გამასხარავდა, ერთ კვირის განმავლობაში ქორწინდებიან კიდეც და განქორწინდებიან; რასაკვირველია, „ზაქსში" ანუ ქართულად „მ.მ.ა.ჩ.ში" (მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერა). აღარავინ დაგიდევსთ ეკლესიურ განქორწინებას და ამ მხრივ მეტად დაზარალდა ცნობილი მექრთამე, განქორწინებათა ოსტატი დ. დავითაშვილი! კ. კეკელიძეს თვისს განქორწინების მედიატორეთ ამოურჩევია იმავ უნივერსიტეტის სტუდენტი – ჯიხაიშელი ვლადიმერ სოსელია; ეს ქართული ენის მასწავლებელიც არის იმ ტეხნიკუმში, სადაც მეც დღემდე ვმასწავლებლობ, ასწავლის კიდეც და სწავლობს კიდეც; უძვრება ფეხებში „დეკან" კეკელიძეს, რომ დიპლომი გამოსცანცლოს. ჯიხაიშელი სოსელია, ეს ნაზარ ქუთათელის სოფლელია, ხოლო ნაზარი (ლეჟავა) კორნელის ნათლიმამაა, დიდი მეგობარი და მესაიდუმლე ერთმანეთისა პლატონ ექსარხოსის და წინეთ ინოკენტის (რომელმაც მე დიდუბიდან დამძრა)

ჯაშუშობაში! ამ სოსელიას შეუგონებია უბედურ ლიუდმილასათვის, დაშორდეს ის ქმარს, კორნელის, ნაცვლად ამისა მას უშოვნეს სამსახური ექსპედიციაში (სადაც ბონებს სჭრიან), ბევრი ნივთებიც მისცეს (სემინარიის ქონებიდან მითვისებული) და ოც მილიონამდე ფული ქართული ბონებით ([ესეც ნაქურდალ ნივთებშია აღებული, სხვაფრივ ამდენი ფულის შეგროვება კეკელიძეს არ შეეძლო მისი „პროფესორობის“ ჯამაგირით, რომელიც არც ისე დიდია, რომ ეს აღვირახსნილი ოჯახიც არჩინოს და ამდენი ფულიც დაზოგოს)]; ამ მოლაპარაკებების დროს ლიუდმილასთან შუა კაცად მისულა დ. დავითაშვილიც და წინადადება მიუცია, ეკლესიური განქორწინება მისცეს მან კორნელის; ლიუდმილას უკივლია, უწივლია, მოსვლია ისტერიკები და ერთი აურზაურით გამოუგდია გარეთ ეს თვის ქმრის „ამხანაგი გარყვნილებაში“! მიუხედავად ამისა, დავითაშვილს, როგორც სამსაჯულოს მდივანს, მაინც უწარმოებია ეს განქორწინების საქმე და მეორე მხარის გაუგებლად ზემო აღნიშნულ კოლეგიას განუქორწინებია კიდეც ეს ცოლ-ქმარი და დამზადებული საქმე ელოდება ეხლა კათოლიკოზ ამბროსის „დასამტკიცებლად“! დეკ. მაჭარაშვილმა, თითქოს აღშფოთებით, განაცხადა იმ დღეს: „ვერ გაგვიგია, ვისთან გვაქვს საქმე – სასულიერო პირთან თუ საერო პირთან?! ვინ არის ის ან რა არის დღეს კორნელი კეკელიძე, ვინ განვაქორწინეთ ჩვენ – სამღვდელო პირი თუ საეროო“?! ეს კაცი საკათ. საბჭოს წევრად გვყავს და დღემდე არ ვიცით – ეს ატარებს კიდევ მღვდლობის ხარისხს თუ აღარა?! ეს მესამე საეკლესიო კრებაზედაც მოვიდა საერო ტანისამოსით, ხოლო როდესაც შევეკითხეთ: ვინ ხარ შენ, მან გვიპასუხა: „მე ისევ დეკანოზი ვარო“! ეხლა კი ცოლს ეყრება და სხვა ცოლის შერთვას აპირებსო“! – ეს, მამაო, იქ უნდა გაგერკვიათ საეკლესიო კრებაზედ, სადაც თქვენ თბილისის სამღვდელოების დეპუტატად ბრძანდებოდით! ან აქ რას უზიხართ, რას უცქერით, როგორი წევრია საკათ. საბჭოსი ან რაფიელ ივანიცკი-ინგილო, ან ეს თვით თქვენი ყოფილი დეკ. კეკელიძე! აქ ორი აზრი, მსაჯულისათვის განსაკუთრებით, შეუძლებელია! როდის იყო, მამაო, ამ სამი წლის განმავლობაში რომ ნახეთ თქვენ კეკელიძე ან მწირველი, ან მლოცველი, ან მარხული და ან ნაზიარები! გრცხვენოდეთ ჩვენი ასეთ გამასხარავებისათვის... ბოლოს დეკ. შუბლაძეც „აღშფოთებული“ იყო კეკელიძის საქციელით: „ამდენ ხანს ვიცავდი კეკელიძეს და ეხლა კი აღარ შემიძლია მისი დაცვაო“!..

6 ოქტომბერი

დღეს რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი საქმეებისა გამო, მითხოვენ ქალთა მეოცე ტეხნიკუმიდან, როგორც სამღვდელო პირს, კომუნისტები. არ მისვენებდენ ჩემი ფარული თუ აშკარა მტრები, შედიოდენ „ნარკომპროსში“ და სულ იმას ჩასჩიჩინებდენ: „თუ თალაქვაძეა მასწავლებლად, სხვა მღვდლებმა რა დავაშავეთო“! ამ საქმეში თავის მახინჯ ენას ურთავდა გაკრეჭილი კეკელიძეც, დავითაშვილიც და სხვებიც (შუბლაძე-ციცქიშვილი), რომ ლუკმაპური

გამიჭირონ, მეც ჩამაყენონ ისეთ მდგომარეობაში, რომ მღვდლობაზე ხელი ამაღებიონ ან შიმშილით ამომიხოცონ ცოლ-შვილი! მრევლიდან არავითარი საიმედო წყარო, არც სხვა რამ წყარო და, რასაკვირველია, ჩემი მდგომარეობა მეტად სავალალოა. ზოგიერთ საჭირო პირების სანახავად მივდი-მოვდიოდი გაკვეთილების შემდეგ და, როდესაც სახლში ვბრუნდებოდი, შემომხვდა უბედური ლიუდმილა კეკელიძისა. დიდი ხანია აღარ მენახა: გამხდარი, გაცრეცილი, საცოდავად ჩაცმული, დამცირებული და აკანკალებული გამიჩერდა წინ, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. „რა მოგივიდა, რაზე სტირი, ცუდი ხო არა შეგემთხვა რა?!“ – ვკითხავდი მას გაოცებული! ის უბედური ხმას ვერ იღებდა! ძლივს დავამშვიდე და ვათქმევინე: „ეხლა ქალაქის თვითმართველობაში ვიყავი – „ზაქსში“, მე და კორნელი გავეყარენით ერთმანეთს, სოსელია დაგვესწრო! კორნელი საკათ. საბჭოში გაექანა, იქ რაღაც ქაღალდი უნდა აიღოს (ალბად წარადგენდა ზაქსის მოწმობას, რომ ცოლიც თანახმაა განქორწინებაზე) და ჯვარი უნდა დაიწეროს მინადორა კასრაძეზეო! მე უკვე გამომაძევეს ოჯახიდან, ჩამომაშორეს შვილებს, ჩამაგდეს ერთ ოთახში, სული რო მხვდებოდეს, ერთი ჭიქა წყლის მომწოდებელი არ მყავს, შემიყვანეს სამსახურში – რაღაც ექსპედიციაში, საღამოს 5 საათიდან ღამის ორ საათამდი იქ ვგდივარ! აღარა მეყურება რა, თავბრუ მეხვევა, ვგიჟდები და რაც სურთ, იმას მაქნევინებენო! მაგრამ ის კი ვქენი, რომ დავითაშვილი გავაგდე ბინიდან, საეკლესიო განქორწინებაზე არ დავთანხმდი, „ზაქსის“ განქორწინებას ხომ მნიშვნელობა არა აქვს (საბრალო! რითი ინუგეშებს თავს!), შეიძლება, რო მობეზრდება მინადორა, ისევ დამიბრუნდეს ქმარი და შვილებიო! შვილებს გაგისწორებს მინადორაო, – ასე მეუბნებიან! ჯერ მისი მეოხებით ქმარიც გამერყვნა, შვილებიც დამეღუპა და მის მიერ დაღუპული შვილები ეხლა მანვე უნდა გამაასწოროსოო! Отец Никита, скажите, что со мной делаете грузины! Привезли меня из Кіева, а теперь выбрасываете меня на улицу; клевещутъ, преслѣдуют меня, грязные люди. Обдаютъ меня безпомощную, одинокую грязью! Позор вам, всем“! უბედურმა არა იცოდა რა საეკლესიო განქორწინებაზე და რო გაიგო, სულ ერთიანად გაცოფდა, დორბლები გადმოჰყარა და უკანვე გარბოდა: „Сейчас заявлю в „Загсѣ“, что меня подвели, обманули мошенники! Корнилій, оказывается, мошенник! Я этого не знала! Он мне обѣщал, что будет заходит и ко мнѣ в гости! Боже! до чего я дожила“! და წაირტყა თავში, პირში ხელი! ყოველივე ეს ხდებოდა რუსთაველის პროსპექტზე, ხალხი გვიცქეროდა და ყურსაც გვიგდებდენ; მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი, ველარ დავახწიე თავი! უშველოს ღმერთმა, ამ დროს ნიკო მახათაძემ (სემინარიის ყოფილი მასწავლებელი) გამოიარა და მას ჩავაბარე ეს დედა-კაცი ხელში, უფრო წინეთ უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმაც ჩაგვიარა გვერდით და თავდაღუნული, მორცხვად სალამი მოგვცა...

ალბად კორნელის ჯვრის წერაც ვერის ნიკოლოზში მოხდება, მას ისევ მსაჯული დავით გარსიაშვილი დასწერს ჯვარს! მინადორას უსათუოდ ეკლესიური ჯვრისწერით სურს შეეუღლოს კორნელის! ვნახოთ, რას იზამს კათოლიკოზი!.. ჩემი საქმეც მეტად იწეწება.

7 ოქტომბერი – შაბათი, 1922

კათოლიკოზი, ამალით, დაბრუნებულა ქალაქში გუშინ წინ! უკანასკნელად ყოფილა სოფელ წინანდალში, დეკანოზ იმნაიშვილის ოჯახში. აქ სამი დღე და ღამე დაუყვია განუწყვეტელ სმა-ჭამა-მოლხენაში! ასეთივე განუწყვეტელი ვაკხანალია ჰქონებია კათოლიკოზს თვისი ამალით ამ ერთი თვის განმავლობაში კახეთ-ქიზიყში მოგზაურობის დროს. დაწვრილებით ამაზე ცნობებს შევკრებ შემდეგში, ეხლა კი ვიცით მხოლოდ ის, რომ ნადიმებზე იყო გაუთავებელი დიდება კათოლიკოზის მამულიშვილობისა – გენუაში „მოწოდების“ გაგზავნის გამო! შუშხუნების კორიანტელს აყენებდენ თამადები და მეხოტბენი სუფრაზე! ესეც იქნევდა თვის თეთრ-წვერსა და თმას და მართლაც ჰგონია, რომ რაიმე სიკეთე შეგვძღვნა! არავინ არ კითხულობს, თუ რა სასიკეთო შედეგი მოჰყვა ამ „ნაბიჯს“ ან შემდეგში რა ნაყოფი უნდა გამოიღოს ამან! თბილისიდან წასვლისას ისეთი სიფრთხილე და სილაჩრეც გამოიჩინეს, რომ კომუნისტურ მთავრობიდან ნებართვას თხოულობდენ კახეთში ალავერდობაზე გასამგზავრებლად, ხოლო თვით კახეთში ისე დაუკარგავთ დავთრები, ისე აუშვიათ იალქნები, ისე წაუხსნიათ ყოველი აღვირი, რომ აღარავის აღარ ერიდებოდენ ორატორები და აშკარა პოლიტიკურ ვაკხანალიაში ჩაეფლვენ! ამ ვაკხანალიით გაბრუებულა-დამთვრალან ყველანი, თვით დეკ. ცინცაძეც კი! პავლე არქიმანდრიტს აბა რა ეკითხებოდა, ეს უფრო ლამაზ თოჯინათ უნდოდათ და ჰყავდათ, ვინემ პასუხისმგებელ პირად; აგრეთვე დეკ. ფხალაძეც. უკანასკნელმა მითხრა დღეს – ეპისკოპოსობას მე ვერ ვიხილავ, როგორც „ჩემს საკუთარ ყურებსაო“. ხალხი სთხოვდა ჩემს კურთხევას კათოლიკოზს, ეს კი უპასუხებდა: „მარტო ჩემ ხელთ რო იყოს ეს საქმე, მე ამდენ ხანს კი ვაკურთხებდი ამასაო“! – ეტყობა კათოლიკოზი არ არის ჩემთან გულწრფელი, რომ მაგას უნდოდე, მეც ისე „მომიხერხებდა საქმეს“, როგორც ქრისტეფორეს მოუხერხა, ჯერ ქორ-ეპისკოპოსად აკურთხა და შემდეგ ეპარქიაში გაისტუმრა, არც ერთ ეპისკოპოსისათვის არ უკითხავს მაგისი გაეპისკოპოსებაო“!.. მაგრამ, – განაგრძო ფხალაძემ, – ქრისტეფორე ამბობს: „მე გორში წამსვლელი არა ვარ, ვერის ნიკოლოზის კრებულის წევრად უნდა დავრჩეო“! ამ დღეებში გაუყვია ვერაზე შემოსავალი და ქრისტეფორეს 8 $^1/_2$ მილიონი ერგოო! ასე რომ, დღეს ჩვენ მღვდლობა-მოძღვრობა და ეპისკოპოსობა- მწყემსმთავრობა მხოლოდ მილიონების რაოდენობით ფასდება! სხვა პრინციპი და დევიზი აღარ არის.

ცინცაძე დეკანოზს უთქვამს დეკ. ზ. ლუკაშვილისათვის: „კათოლიკოზს დიდი ხიფათი მოელის მთავრობისაგან, მგონი, გადაყენებას უპირებენ და ვერა გვითქვამს რა ჯერ-ჯერობით მისთვისო“! შეიძლება, ეს მორიგი პროვოკაციაც იყოს ცინცაძის მხრივ, რომ საზოგადოებაში ისევ გააღვივონ კათოლიკოზის თავდადებულობა“, განგებაც ავრცელებდენ ეხლა ასეთ ხმებს, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ კათოლიკოზის ვაკხანალიას კახეთში თვალ-ყურს ადევნებდენ საიდუმლო აგენტები და იმ თავდაუჭერელ გაბერილ ქება-დიდების გამო, რომელსაც კათოლიკოზი თავის კანტურით ღებულობდა „ნაფიც თამა-

დებისაგან“, კიდევაც გადააყენონ ან გაგზავნონ კიდეც სამშობლოდან, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურებს ერთ 30 კაცამდე ასახლებენ ამ დღეებში თბილისიდან მოსკოვში და აქედან თითქოს გერმანიაში სურდეთ მათი გადაყვანა, ზოგი კი ამბობენ, რომ ციმბირში ამოაყოფიებენ თავსაო. ვნახოთ, რა იქნება. მეტად ირევა ჩვენი ეროვნული ცხოვრება.

10 ოქტომბერი – სამშაბათი

დღეს დილით გაგზავნეს კიდეც რუსეთში სადღაც გადასასახლებლად 60 კაცი მეტეხში დაპატიმრებულთაგანი – მენშევიკები, ნაც.-დემოკრატები თუ მემარჯვენე ს.ფედერალისტები; გაგზავნეს უმეტეს ნაწილად უმნიშვნელო პირნი, ლიდერებთაგანი კი, როგორც ისიდორე რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, გრ. ლორთქიფანიძე, სპ. კედია და სხვა ასეთები მძევლებად დაიტოვეს კომუნისტებმა ისევ მეტეხში, სხვები კი გაისტუმრეს, თითქოს გერმანიაში უნდა გადაასახლონო; არა ვგონებ, გერმანიაში ისინი გადაასახლონ ან მიიღონ კიდეც; უფრო ასტრახანის გუბერნიაში დაჰყრიან უბედურებს ან კიდევ შორს, ციმბირისაკენ უკრან თავი, შეიძლება, გზაშიც დახვრიტონ. გადასახლებულებში ურევია ნაც.დემოკრატი რაფიელ ივანიცკი (ინგილო), საკათ. საბჭოს წევრი, რომელმაც განაცხადა თურმე კიდეც – ბერად მივდივარ, არ ვარ თქვენთვის სახიფათო და მასხარად აიღეს; საკათ. საბჭოსაც მიუწერია კომ. მთავრობისათვის: „გვჭირდება ეს კაცი და გამოუშვითო! ამაზედაც ხარხარი აუტეხიათ! მართალია, მეტისმეტი ცუღლუტი, მეტიჩარა და მავნე პირიც იყო ეს რაფიელ ივანიცკი, ბევრი საძაგლობა და ინტრიგანობა გასწია მაგან საბჭოშიდაც, კირიონის დროს და შემდეგაც, მაგრამ მაინც საცოდაობაა ივანიცკის ასე გადასახლება, შეიძლება, მართლაც დაიღუპოს უბედური კაცი, დასტოვა ორი პატარა ბავში, პირველი ცოლი, რომელთანაც არ არის ჯერ გაყრილი და მეორე ხასა, რომელიც ცოლმა სახლიდან გააგდო! ასეთი კაცი კათოლიკოზად უნდა მოგვლენოდა ან ეპისკოპოსად მაინც! ღმერთო! შენ მოგვხედე! ეს რა დროში ჩავარდა ჩვენი ეკლესია! ციცქიშვილი ეპისკოპოსი! რაფიელი საეპისკოპოსო-საკათოლიკოზო! მიტროფორნი დეკ. კეკელიძე – განქორწინებული და მეორედ საქორწილოდ განმზადებული! ღმერთი თავს არავის შეალახვიებსო – სადღაც სწერია სამღვთო წერილში! არც მათ დაეყრებათ სიკეთე...

დღეს საღამოთი შემოვიდა ჩემთან ქუთათური დეკ. ამბროსი ფოფხაძე და განსაცვიფრებელი ამბავი მომიყვა: ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი [ეს ცნობილი ჯაშუში ინოკენტი და პლატონ ექსარხოსისა, გარყვნილი, ლოთი და გაუმაძღარი პიროვნება, როგორადაც მას წინეთ ვიცნობდით კიდეც და თავის დროზე 1917-18 წლებში, არხიმანდრიტობის დროს, გაზეთებშიდაც გავიტანე, სამედიატორო სამართალშიაც, მაგრამ მაინც უშველეს ლეონიდმა, დავიდოვმა, კეკელიძე-ცინცაძე-თოთიბაძეებმა ნიკო ნიკოლაძის თხოვნით, გამოგლიჯეს

ხელიდან და გაამიტროპოლიტეს ყოვლად გათახსირებული არქიმანდრიტი ლეჟავა] კომუნისტებმა გამოძიების ქვეშე დააყენეს, ბრალდება ათასგვარი ბოროტ-მოქმედებანი, მექრთამეობა, ყვლეფს მღვდელსა თუ დიაკვანს, ზოგს პურს ართმევს, ზოგს ღომსა და სიმინდსა, ზოგს ღვინოსა და არაყს, ზოგს სხვა და სხვა ავეჯეულობას, ზოგს ფულსაც კი, ზოგს ცხვარსა და ძროხასო... ამ თაობაზე დაიბარეს და ჩვენება ჩამოართვეს სამიტროპოლიტო სახლის მსახურთ, გორაზე მცხოვრებ მეზობლებს, თვით იმ პირებსაც, რომელთაც ეს „ძღვენი“ მიუზიდიათ! მეც დამიბარეს და ჩვენება ჩამომართვესო – სთქვა დეკ. ფოფხაძემ, – ვსთქვი, რაც ვიცოდი, როგორ შემეძლო დამეფარაო. ასეთივე ჩვენება ჩამოართვეს მოწამეთის არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ნამორაძეა – ქართლელი), რომელსაც უთქვამს: „მართალია, მოწამეთის მონასტერს, რომლის ბერებმა ქართლ-კახეთში პური ჩამოითხოვეს საზრდოთ, ხუთი ფუთი ხორბალი გადაახდევინა მიტროპოლიტმა ნაზარმა თვისს სასარგებლოთო, და ოთხი-ხუთი ცხვარიც მიუდენეთ კარზე, რა გვექნა, არ მოგვასვენაო!.. ამ დეკანოზს ახლდა იმერელი მედავითნე თადეოზ კაკალიაშვილი, ამანაც დაამოწმობა ეს უბედურებანი და დაურთო, რომ ამას წინეთ ქუთათურ გაზეთში დაუბეჭდეს ნაზარს, რომ ერთმა გლეხმა შენდობის ქაღალდის წაკითხვაში ოცი ათასი მანათი მიართვა, ნაზარმა დაუწუნა, თვალებში მიუგდოო!.. მეტად ცუდი საქციელისა და სახელის კაცია, დაყვლიფა ეპარქიაში სამრევლოები „საზომისაებრ ჩემისა“ წაკითხვით – 300–500000 მანეთს ახდევინებდა თითო ლოცვის წაკითხვაში! გამოძიების შემდეგ პასუხისგებაში უპირებდენ მიცემას და მემრე გადაყენებას თანამდებობიდანაო! სცდილობს, დაასწროს და უნდა გელათში შეაფაროს თავი წინამძღვრად, მაგრამ იქ არქიმანდრიტი ყუბანეიშვილი არ სცლის ადგილსო“... ეტყობა, დიდი ანარქიაა იმერეთის ეპარქიალურ ცხოვრებაშიაც, ეტყობა, ღორ-მუცელა ნაზარს მეტად გამოუყვანია მოთმინებიდან სამღვდელოებაცა და ერისკაცნიც! ცხადია, საჩივრები შედის მასზე ჩეკაში, დანოსები, იმერული დანოსები!

აქაც, თბილისში, უარესს სჩადის კათოლიკოზიც და მისი თანხმობით მისი კამარილია! ამას წინეთ დეკ. მიხ. ფხალაძემ მითხრა: „გავიგე, რომ დეკ. თოთიბაძემ კათოლიკოზს 15 მილიონიანი ძროხა უნდა უყიდოსო, ცინცაძის საზიარო ძროხას არ კმარობს კათოლიკოზიო; ამას გარდა ვერის ნიკოლოზის საკრებულო შემოსავლიდან თურმე კათოლიკოზსაც უდებენ წილს, შემოსავლის 5% აძლევენ კათოლიკოზსაო! ამას წინეთ კათოლიკოზს ერთ-მილიონ ნახევარი ერგო ასეთ შემოსავლისაო! ციცქიშვილს კი – ურბნელს, ისევ აძლევენ შემოსავალს, $8^1/_2$ მილიონი მისცეს ეხლა-ხანო! ეს სულ საფლავების ფულიაო“! ბოლოს, რასაკვირველია, ამასაც ჩასჭიდებენ კბილს კომუნისტები და სულ ყველას შარა-გზაზე გამოგვიყვანებენ...

დეკ. ფხალაძის კურთხევა შეჩერდა, ყოველ შემთხვევაში ეს ხიროტონია არ მოხდება მცხეთობას, რომელიც არის 14 ოქტომბერს, შაბათს და იქ საწირავად ემზადებიან ჩვენი მამანი! 17 ოქტომბერს ეპისკოპოსთა კრება გაიხსნება თბილისში, ეს ურბნელ ქრისტეფორეს მოუთხოვია თურმე „კანონების ძალით“! არ ვიცი საგანი

მსჯელობისა; ეპ. დავითი, მგონი, ჩამოსულა კიდეც, სოხუმელი იოანნეც აქ არის, ჯერ არ წასულა აფხაზეთში, ქუთათელიც მობრძანდება. მგონი, ურბნელი ქრისტეფორე აპირებს კათოლიკოზის წინააღმდეგ გალაშქრებას... „მაგასთან სამსახური შეუძლებელიაო“, – გაიძახის თურმე ქრისტეფორე. აი, ოინებიც თუ გინდა. „სად დავკარ და სად გასქდაო“, – შეუძლია სთქვას ამბროსი კათოლიკოზს! რა გზით და საშვალებებით ეპისკოპოსად გახადა მან ციცქიშვილი, რომ ფულის მორევში გადაისროლა ვერის სასაფლაოზე და რა ინტრიგები ასტეხა მან დღეს! ეტყობა, კათოლიკოზობა სურს ქრისტეფორეს, მეოთხე საეკლესიო კრებამდე ამბროსის, ასე იქნება თუ ისე ბოლოს მოუღებს, თუ თოთიბაძე-ცინცაძემ არ აჯობა ქრისტეფორეს ამ ჭიდაობაში! იოანნე ეპისკოპოსიც ამხედრებული ჰყავს ამბროსის და ქუთათელიც! მოსალოდნელია მათში დიდი განხეთქილება, არა პრინციპიალური, არამედ პიროვნული, ინტრიგანული – სპეციფიური „ქართული“!..

ყოფილ სამხედრო ტაძარში დეკ. თოთიბაძეს, თვისი სინკლიტით და კლირით რუსული წირვა-ლოცვა შემოუღია, რუსული მგალობლებით გაჩაღებული! ეს დუქნური ანგარიშია – „ქართველები არ დადიოდენ ტაძარში, შემოსავალს არ იძლეოდენ, სანთელი არ იყიდებოდა, ეხლა კი რუსებით აივსო ტაძარი, სანთელიც ბლომად იყიდება და შემოსავალმაც იმატაო!“ – მენშევიკების დროს ქართული სავაჭრო ხასიათი მისცა ამ ტაძარს, ბოლშევიკების დროს კი... რუსული! მაგრამ რა მოსასმენია „კეკელკა“ თოთიბაძის წირვა-ლოცვა – რუსულად, ან ქაჩალ-ბრუციან დ. გარსიაშვილის ბღვერა, ანდა მოტეხილ ვასილ მატათაშვილის წირვა! თუ რუსულია საჭირო, ამას რუსები უფრო კარგად ახერხებენ, მათ წირვაც უფრო ემარჯვებათ რუსულად, ლოცვაც და გალობაც! ყველაფერი ეს ჩინებულად ჰქონდათ კიდეც მათ დაყენებული, როდესაც მენშევიკებს გაარეკინა ისინი თოთიბაძემ, თვით ჩადგა ამ ტაძარში, სახელიც შეუცვალა – ალექსანდრე-ნეველის ნაცვლად – წმ. გიორგისად გადააკეთა! ეხლა კი ისევ შეაბრუნა კეხი, მაგრამ თვის ფირმის ქვეშე! შერჩა და რჩება კიდეც ამ აზეფს ამდენი თაღლითობა! ეს იმიტომ, რომ თბილისში არავინ ჰკადრულობს მის წინააღმდეგ გამოსვლას და ჩხირ-კედელობას! უფრო შევრცხვებით და გავისვრებით! მაგრამ, შეიძლება კომუნისტურმა მთავრობამ ყოველივე ამის გამო ისევ კათოლიკოსზე მიაყუდოს ჯოხი...

11 ოქტომბერი – ოთხშაბათი

ამ საღამოთი კურსების „პედაგოგიურმა საბჭომ“ ეგზამენი უყო სამღვდლოდ ქუთათურ მედავითნეს, კათოლიკოზის „განკარგულებით“! გავიდა, „საკმარისად“ არის მომზადებულიო... – დაუწერა „დირექტორმა“ დეკ. ცინცაძემ. შემდეგ ვიბაასეთ კურსების ასეთ უბედურ მდგომარეობაზედ, არ ვიცით, გვეყოლებიან მოწაფეები თუ არა, 14 ოქტომბერს უნდა დაგვეწყო სწავლა, მაგრამ აღარც ის მოწაფენი სჩანან, ვინც წინეთ გვყვანდენ. შეიქმნა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ბევრი საყვედურები მოვახსენეთ მე და გ. გამრეკელმა

ორთავე დირექტორს – ცინცაძესაც და ტყემალაძესაც, ისინი შეგვპირდენ შემდეგ სხდომას მოვიწვევთ და იქ გავარკვიოთ საკითხებიო. მე განვაცხადე – სირცხვილი თქვენ – საკათ. საბჭოს წევრთ, რომ სასაფლაოებზე საფლავების ფულები ასე იფლანგება, სანთლის ქარხნის მთელ შემოსავალსაც ასე ნთქავთ და კურსები კი არ ეწყობა... უსახსრობისა გამო თქო... მაშენიკები ვაკხანალიას ეწევიან ამ ფულებით თქო და სხვა...

12 ოქტომბერი

ამ დღეებში უნდა გამოცხადებულიყო საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა და მისი რუსეთთან ისევ დამორჩილება, რუსეთის ფულის ჩვენში გაბატონება, ერთი სიტყვით, რუსეთის პროვინციად საქართველოს ისევ სულ ერთიანად გარდაქმნა. მაგრამ ქართველი კომუნისტები შეეცადენ ლენინთან და მგონი, იანვრამდის გადასდეს ეს აქტი. უხერხულია, ეს კომუნიზმის დაღუპვას გამოიწვევს საქართველოში, ამიტომ ჯერხნობით გადასდეს ეს „ოპერაციები“, მაგრამ როდემდის?! იმოდენა ხალხი გადაასახლეს, საცოდავები ძროხებივით ბღაოდენ თურმე ნავთლუხის სადგურზე: „ხალხო, გვიშველეთ, გვგზავნიან, ვიღუპებითო“! მაგრამ ვინ იყო მშველელი!..

ანგორა იმარჯვებს პოლიტიკურადაც, უკვე მოუწერიათ მუდანიის კონფერენციაზე ხელი ანგორასთან ანტანტის შეთანხმებაზე; ანტანტა სრუტეებს იტოვებს და მის მახლობელ ზონას, ფრაკიიდან ბერძნები უნდა გაიყვანონ და ოსმალები ჩააყენონ; სულთანი გადადგა ტახტიდან და ანგორის მთავრობას უტოვებს სტამბოლსაც და ბატონობასაც. აიწია ოსმალეთის ლირებმა და ამერიკის დოლლარებმა; დაეცა მეტად რუსეთის ბონები, ჩვენ ბონებზე რუსეთის მილიონი ღირს 15–20 ათასი მანათი! ეს ვერ მოუნელებია რუსების წითელ იმპერიალისტებს! მეტად საბედისწერო მდგომარეობაში ვართ...

13 ოქტომბერი

ხვალ სვეტი-ცხოვლობაა; კათოლიკოზი მიბრძანდება მცხეთას, დავით ეპისკოპოსი – ჭყონდიდელიც ჩამოვიდა ქალაქში; აქედან თანამწირველად ზოგი დეკანოზები უნდა წაეყვანათ, სხვათა შორის, მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი და დეკ. ზაქ. ლუკაშვილი. ესენი აღარ მიჰყავთ, მღვდლებს იქაც ვიშოვნითო და თან არც სურთ ეს „ტეტიები“ იყოლიონ ცხვირ წინ კანტროლად; საკათ. საბჭოდან 10.000.000 მან. გადაუდვიათ იქ სახარჯავად; დღეს შევეჩეხე დიმ. ლაზარიშვილს, სამეურნეო გამგეობის დირექტორს და სანთლის ქარხნის მსახურ დეკ. ლაზარე ნათაძეს: მუშით დიდი ვეებერთელა გოდორი აევსოთ სანოვაგეთი – ინდოურებით, ქათმებით, ბატკნებით, თევზეულობით – მცხე-

თაში წასაღებად, არ ეამათ, რო დამინახეს. ვეხუმრე: „აბა თქვენ იცით, სჭამეთ, გაიხარეთ, გაგისქდეთ მუცლები, თქვენს გაძღომას არა ეშველა რა თქო“! ამ დროს ლეონიდის დისწული სტუდენტი კარიჭაშვილი და ერთიც სხვა სტუდენტიც მოდიოდენ: გაჩერდენ გაკვირვებულნი და ათვალიერეს სანოვაგით სავსე ძარები! ხო არ მიბრძანდებით, მამაო დიმიტრი თქო, ვკითხე. არაო, და მიეფარნენ საბჭოს დარბაზში. სძოვეთ, სძოვეთ, საბრალონო, უბედური ჩვენი ქვეყნის თქვენი უპატრონო სამწყსო! დაეშურეთ, შესჭამ-შესვლიპეთ და გაანიავეთ ჩვენი ეკლესია. ეს პროვოკატორები – იმერ-ამერლობიასაც აღვივებენ...

16 ოქტომბერი – ორშაბათი

მხოლოდ დღეს დილით დაბრუნდნენ მცხეთიდან ჩვენი მწყემსმთავარნი, სამი დღე „იზეიმეს“ მცხეთობა – კათოლიკოზმა, იოანნე ცხუმელმა, ქრისტეფორე ურბნელმა და დავით ჭყონდიდელმა; ვერ ჩამოუსწრო ნაზარი ქუთათელმა, კვირას ($1^5/_2$) მას დავით და კონსტანტინობა ექნებოდა იმერეთში; ისე კი აპირებს თურმე თბილისში ჩამობრძანებას, იერარქთა კრებას აწყობენ. ოთხმა ეპისკოპოსმა მცხეთაში მხოლოდ დეკ. ფხალაძე წაიყვანეს თბილისიდან; როგორც აღნიშნული გვქონდა, თანამწირველად დანიშნული მთავარხუცესი დეკ. დ. ხახუტაშვილი და ზ. ლუკაშვილი აღარ წაიყვანეს, იქ შეუყრიათ, ვინც მოხვედრიათ ხელში, მცხეთაში მაინც წასულან ქალაქიდან დეკ. ხახუტაშვილი და ვ. კარბელაშვილი, ღამის თევითი ლოცვაში ამათ მონაწილეობაც მიუღიათ, მაგრამ წირვით კი აღარ აწირვინეს თურმე! მცხეთაში წასულა დეკ. ი. ჩიჯავაძეც, რომელიც კათოლიკოსს აღარ იხსენიებს თურმე, ვინაიდან კათოლიკოზს მაგისათვის აუკრძალავს მღვდელმოქმედება, შეაგონეს, მოსკოვში გაიპარა ჩიჯავაძე – რუსებთან კავშირის შესაკრავადაო! დაუწერია ქაღალდი აღკრძალვისა, მაგრამ კი არ ჩაუბარებიათ ჯერ. ამიტომ ჩიჯავაძე ხან კახეთში წამოეჭიმა წინ და ხან ეხლა მცხეთაში! არის ასეთი ტრაგი-კომედია ჩვენში! ჩიჯავაძე ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის იხსენიებს თურმე წირვა-ლოცვაზე!.. ესეც ერთნაირი მეტიჩრობაა. ირღვევა ჩვენი ძველი ეკლესია, ახლის მომწყობნი ჯერ არა სჩანან, ჩვენს სამოძღვრო კურსებზე ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის, არა სჩანან კურსანტები. ან როგორ უნდა მოვიდნენ საბრალონი?! ჭამა უნდათ, სმა, დახურვა-ჩაცმა, ბინა! ვინ ზრუნავს მათთვის?! თუ რაიმე ფული შემოდის საკათ. საბჭოში სანთლის ოპერაციიდან, ეს ყველაფერი უნდებათ საკათ. საბჭოს ბიუროკრატიას და მოყიალე ეპისკოპოსების ფაიტონებით დრიგინ-დრიგინს. ესენი მაინც არ იშლიან თავისას, დავით ჭყონდიდელი იმ დღეს ჩამჯდარიყო ფაიტონში, დაეფაფხა თავზე ბერის კუნკულა და საფრთხობელასა ჰგავდა. ეხლა ამათი „კრება“ თბილისში?! ამათი დოში და ხიზილალა?! ანაღვლე ყოველივე ეს დირექტორს დეკ. დიმიტრი ლაზრიშვილს?! ცოტას ამათ აჭმევს, უფრო დიდს კი – ამათი საბაბით – თვითონ იჯიბებს! ასეთი ხალხი „კურსებისათვის“ იზრუნებენ?!.

17 ოქტომბერი – სამშაბათი

დღეს სახლში ვზივარ... დაღონებული. ჩვენმა მღვდელ-მთავარ-მწიგნობარ-ფარისევლებმა თავიანთ წრიდან გამრიყეს; ეხლა კომუნისტურმა მთავრობამაც ჩამცა მახვილი, ეხლა სამოქალაქო ცხოვრებიდანაც მიპირებენ გარიყვას. დიდი ხანია ისმოდა მუქარა, რომ სამღვდელო პირნი სამოსწავლო უწყებიდან სულ ერთიანად გაძევებულნი უნდა იყვნენო. ეს ზომა რუსეთში დიდი ხანია განხორციელდა კიდეც; ჩვენს ქვეყანაშიდაც იწყეს ამ ზომის გატარება ცხოვრებაში; მაგრამ ზოგიერთ პროვინციებში შერჩენ ისევ მღვდლები სასწავლებლებს (მაგ. ლანჩხუთში), ქალაქშიდაც – თბილისში ვიყავით რამოდენიმე მღვდელი, დავრჩით ბოლო დრომდე მე და... ცნობილი დეკ. ან. თოთიბაძე! ეს ქართულ ენას ასწავლის რომელიღაც ტეხნიკუმში რუსის ქალებს! არ კმარობს „გაერთიანებულ“ ტაძრების წინამძღვრობას და შემოსავალს! ეს რაღაც გაუმაძღარი ფენომენია! ახერხებს, ძვრება იქაც კი, სადაც მას არც კი უნდა შეესვლებოდეს ხოლმე! ეხლა „ნარკომპროსმა“ გამოსცა ცირკულიარი: ამდენ ხანს ზოგი მღვდელი, როგორც გამონაკლისი, მაინც იყვნენ მასწავლებლობაზე დაშვებულნიო; ეხლა არც ერთი მღვდელი აღარ უნდა იყვნენ სასწავლებლებშიო! ამ თაობაზე მივდექ-მოვდექი, ვნახე „ნარკომპროსში“ ზოგიერთი არა კომუნისტი მოხელენი – მგელაძე-ბერიძე – ვეთათბირე; მგელაძემ მითხრა, რომ შენზე შენმა სახლიკაცებმა – კომუნისტებმა სევასტი და ისიდორე თალაქვაძეებმა – მოახსენეს მარო ორახელაშვილს – კომისრის თანამდებობის აღმასრულებელს (თავად მიქელაძის ქალია!), რომ დეკ. თალაქვაძე იხდის ანაფორას, მღვდლობას თავს ანებებსო! ამაზე მე მოვახსენე: „ეს გაუგებრობაა! თქვენ მიერ დასახელებულნი პირნი მე სრულებითაც არ შემიწუხებია, ვერც ვიტყოდი მე მაგის მსგავსს რაიმეს, პირიქით, როდესაც ჩემმა დირექტორმა ჭოლოშვილმა წინადადება მომცა, საერო ტანისამოსით მევლო სასწავლებელში, სხვა დროს კი მემღვდლო, მე ამაზედაც უარი განუცხადე და მოვახსენე: „მე არ ვარ ანაფორის და ტანისამოსის ფანატიკოსი, მაგრამ ეს ულამაზო საქციელი იქნება ჩემგნით და პედაგოგიური თვალსაზრისითაც მიუღებელია – დღეს მოწაფეები პატივისცემით მეპყრობიან ანაფორაში, ხვალ მათთან საერო ტანისამოსით რო შევიდე, გამამასხარავებენ, მეც შევწუხდები, თქვენც და მოწაფეებსაც ველარ დავიჭერ ხელში, ვერას ვასწავლი მათ თქო; თუ გჭირდებით, დამტოვეთ აგრე, თორემ ეხლა ჩემი სხვა და სხვა სახით გამოსვლების დრო აღარ არის; მე დარწმუნებული ვარ – თქვენც არ გესიამოვნებათ ჩემი ასეთი მეტამორფოზები თქო. ასეთივე ბაასი მქონდა თვით მგელაძესთან, საშვალო სასწავლებელთა მთავარ გამგესთან ნარკომპროსში! ვსთხოვე, გადაეცათ „ამხანაგ მარო ორახელაშვილისათვის“, რომ ის ვიღაცას გაუგებრობაში შეუყვანია ჩემ შესახებ: „მე ანაფორას არც ერთ შემთხვევაში არ გავიხდი თქო“, ამოდენა ხალხი მომინათლავს, ჯვარი დამიწერია, დამისაფლავებია, აღსარება მითქმევინებია, ამოდენა მოწაფეები 24 წლის განმავლობაში მყოლია, მისწავლებია მათთვის, ამდენი ქადაგება წარმომითქვამს და ეხლა – მოხუცებულობის ჟამს ჩემი ასე გამასხარავება არც თქვენ გეკადრებათ თქო“... მგელაძემ მიპასუხა:

„მე გამიკვირდა, სხვაფრივ არც მოველოდი თქვენგანო; ვეცდები დაგტოვოთ, როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან, იარე გაკვეთილებზე, ცირკულიარი მოვა, მაგრამ ის შენ არ შეგეხებაო: მეც ასე მოვახსენე დირექტორს და დღემდე დავდიოდი ტეხნიკუმში, ვასწავლიდი. კვირას კი – 15 ოქტომბერს – გაზეთ „პრავდა გრუზიაში“ დაბეჭდილი იყო ეს ცირკულიარი, დირექტორსაც მოსვლოდა ეს ცირკულიარი; მაგრამ მას მე მოვახსენე მგელაძის ნათქვამიც და დამშვიდდა; ორშაბათს კი – 16-ს რო მიველ სასწავლებელში, დირექტორს თითქოს არ იამა ჩემი მისვლა: „წაიკითხე გაზეთშიო“, – წავიკითხეთქო, – უპასუხე. „მგელაძიდან არავითარი განკარგულება არ მომსვლია შენს შესახებ კერძოთ და ეს ცირკულიარი კი შენც გეხებაო, მაგრამ ვინაიდან მოხვედით – მიეცით დღეს გაკვეთილები, მე წავალ მგელაძესთან, მოველაპარაკები შენს შესახებო“. მე უპასუხე: „არ შემეძლო არ გხლებოდი გაკვეთილებზე, ვინაიდან მე არავითარი ოფიციალური განკარგულება არ მიმიღია, რომ თანამდებობიდან დათხოვნილი ვარ თქო, მომწერეთ ოფიციალურად და აღარ გეახლებით თქო“. იქვე დასწერა შუამდგომლობა ნარკომპროსისადმი: „გთხოვთ, როგორც გამონაკლისი, თალაქვაძე დატოვებულ იქმნას თავის თანამდებობაზე, ვინაიდან მეტად ძნელია მაგის ღირსეულ მოადგილის მონახვაო“ და სხვა. ეს იქვე გაგზავნა ნარკომპროსში და მითხრა: „ხვალ შეღავათიანი დღეა, სწავლა არ იქნება, მე თვითონ გაცნობებ, ამ ქაღალდზე რა პასუხს მომცემენო“! ე. ი. შენ ნუღა მოხვალო! მეც „ვზივარ მარტო მოწყენილი, „მოვა ვინცღა, ამბავს მკითხავს. დამეთხოვე, თუ ღმერთი გწამს, მაწუხებელი ბევრი მყავს“... ვღიღინებ ამ ხალხურ გურულ სიმღერას და ვეძლევი ამ ჩემი დარდების ქაღალდზე გადმონთხევას! თავს ვირთობ! გულს ვიფხან! ვის გაველაპარაკო, ვინ გაიზიარებს ჩემი იმედების დამსხვრევის ტრაღედიას! ჩემი „უწყება“ – სასულიერო მთავრობა – ვიხილეთ უკვე მისი სახე, მისი სულისკვეთება! რაც მეტად გამიჭირდება, რაც მეტად მომშივ-მომწყურდება მე, მათ მეტად ესიამოვნებათ. ჩემი კვნესა მათთვის ლხენაა! ეს ვიცი და რა იმედით უნდა ვიყო მათგნით?! დღევანდელი გაბატონებული „დიქტატურაც“ მრიყავს ცხოვრების ნაპირზე, საზოგადოება არ გვყავს, რომ განმიკითხოს, თავი აიტკიოს... ისევ ჩემს თავს მევე უნდა შემოუძახო, ვიბრძოლებ, სანამ შევსძლებ! ვეღარ ვპოულობ ჩემთვის ადგილს და ასპარეზს მუშაობისას; მეტად გულ საკლავია ასეთი მდგომარეობა, გრძნობ, აღარავის უნდიხარ, მეტი ბარგი ხარ; ცარიელ ტაძარში ცივ-კედლებს ვემუდარები, ვევედრები, უქადაგებ, თითქოს მსურდეს მათი გათბობა-მოლბობა, გაცოცხლება. შემოდიან ხოლმე ზოგჯერ ქალი თუ კაცნი სალოცავად, ისმენენ წირვა-ლოცვას, ქადაგებასაც ყურს მიგდებენ! მაგრამ რა?! ესენი ისედაც კარგებია, ესენი ისედაც ღვთისნიერნია, მე მსურდა უფრო მეტი, უფრო ფართო აუდიტორია, მაგრამ არ გამხადა უფალმა ღირსი! ალბად არა ვარ ღირსი, ალბად ეს არ არის ღვთის ნება, თორემ ვინ აღუდგებოდა მას წინ?! ეხლა ამით ვნუგეშობ და ვამბობ: „იყავ ნება შენი“! წარმართე, უფალო გზა ჩემი, ვითარც შენ დაინახო ის საუმჯობესოდ!.. ვნახოთ, რა იქნება?! ბევრს კი არას მაძლევდა მასწავლებლობა – სულ 1.400.000 მანეთს ვიღებდი თვეში, აქედან მიჭერდენ რაღაცეებს და მილიონამდე მომდიოდა, ეხლა უფრო მეტი

მექნებოდა, 2 მილიონამდე, კარგი იყო, ცოლ-შვილს დავაპურებდი... მაგრამ უფალი აღმომიჩენს „პურსაც არსობისასაც“...

რატომ?! რისთვის?! – ვეკითხები ზოგჯერ ჩემს თავს! და ვუპასუხებ ისევ ჩემს თავს: „ახია შენზედ! მა რა გეგონა?! „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“, – ტყვილა როდია ნათქვამი! „ახალ სიტყველებს“ რო კრიჭაში უდექი, ვინ დაგიჭირა მხარი?! ვერ დაგაჯდენ ისევ ისინი კისერზე?! „მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესაო“ – ჩამძახის ვიღაცა ყურში ჯოჯოხეთური ხარხარით!.. მეორე ხმა განაგრძობს: „გამოგილევს სინათლესაო“!.. მაგრამ მე ვამბობ: „ასე ყოფილა, ასე არის და ასეც იქნება“! „თუ ეს არ გინდოდა, მაშინ მათთან უნდა ყოფილიყავი“, – მეუბნება იდუმალი ხმა! – არა, ისევ ასე მირჩევნია! მაშ, შორს, ჭმუნვა-მწუხარება! ისევ წინ, ეკლიანი გზით!..

ტფილისის სამღვდელოება სინემატოგრაფის ლენტზე„სურამის ციხე“ 17 ოქტომბერი – სამშაბათი

გუშინ – 16 ოქტომბერს, ორშაბათ საღამოთი შემთხვევით სიონის ტაძარში შევედი; ლოცვად იდგა დეკ. ტყემალაძე, ეხმარებოდა მას მთვრალი იეროდიაკონი „ნიკო“, ჰყვიროდა-ღრიალებდა თავ-გატეხილივით; ლოცვის მოსასმენად ჩამოსულიყო სიონისავე მესამე დეკანოზი გ. ასათიანი. ლოცვის გათავებისას ვიღაც კაცი შემოვიდა, სოფლელი – სანთელი მინდაო; დეკ. ტყემალაძეზე მიუთითეს – იმას აქვს სანთელიო; ტყემალაძემაც წაიყვანა ეს გლეხი სამრეკლოს ქვეშ გახსნილ სანთლის დუქანში, რომელიც ვაი-ვაგლახით, სიონის სახელით, ჩამოართვეს ძმებს ხუცაიძეებს, ხოლო შემდეგ ეს დუქანი დაისაკუთრა დეკ. ტყემალაძემ, შიგ ჰყიდის ჩვენი ქარხნის სანთელს და მოგებას თვისს სასარგებლოდ მიაქცევს ხოლმე; შიგ შვილი ჩააყენა თავისი და ვაჭრობენ მამა-შვილი; დაპირება იყო, რომ სიონის ტაძრის სასარგებლოდ მოექცეოდა შემოსავალი. დეკ. ასათიანმა მიაქცია ჩემი ყურადღება: „დახე, დახე, როგორ უსირცხვილოდ გარბის, რომ სანთელი გაჰყიდოს და ფული თავის ჯიბეში მიაქციოს! ეგ რა სამართალია, ამას რას მოვესწარი?! 24 წელი ვმსახურებ აქ და ასეთი სულმდაბლობა არ მომსწრებია: ეს აქ ვაჭრობს თავისთვის, კანდელაკ-ფხალაძეს კი ალექსანდრეს ნიში მიუგდო, ის იქ ჰყიდის სანთელს თავისივე სასარგებლოდ, მე და დაბალი წევრი კრებულისა ვართ ასე უნუგეშოდ, უყურადღებოდ დატოვებული. ეს განუცხადე ოფიციალურად მთავარ-ხუცესს, ვნახოთ რას მოაგვარებს, აგრეთვე მოვითხოვე საძმო ყულაბაში მიექცეს კრებულის შემოსავალი; ტაძრის წინამძღვრად კათოლიკოზი უნდა ვიგულვოთ, ამანაც თვისი შემოსავალი აქ მიაქციოს, მოგვიწესრიგოს საქმე, თორემ აქ მღვდელი ფეხს არ შემოსდგამს, თუ ასეთი უწესოება და ანგარება დამკვიდრდა. მაგრამ რას ვამბობ, – განაგრძო მოხუცმა ასათიანმა, – რას მოვესწარი! ამაღამ პროჟექტორში – სინემატოგრაფში არ მიბრძანდებით“? – მკითხა მან. – არა, არ მივდივარ, რა ამბავია ისეთი, რომ წავიდე? – ვკითხე ჩემი მხრითაც. კათოლიკოზი

თვისი ამალა-დეკანოზებით მიბრძანდება ამ საღამოთი, „სურამის ციხიდან“ სურათებია გადაღებული ლენტზე და იმას აჩვენებენ“, – მიპასუხა მამა ასათიანმა. – მერე კათოლიკოზი აქ რა შუაშია, რა არის აქ მისთვის საინტერესო, – ვკითხე ისევ მე. – არ იცი, – სთქვა ასათიანმა ღიმილით და მომიყვა შემდეგი ამბავი, რომელიც დღეს, 17 ოქტომბერს, უფრო დაწვრილებით მიამბო დეკ. მიხ. ფხალაძემ: არის აქ კომუნისტური ჯგუფი, რომელიც ლენტებზე იღებს სხვა და სხვა ამბების და მოთხრობების შინაარსიდან ამოღებულ სურათებს, მაგალითად, ამას წინეთ ბარიათინსკის ქუჩაზე მოაწყვეს არსენა ჯორჯიაშვილისაგან გენერალ გრიაზნოვისათვის ბომბის-ყუმბარის სროლის სცენა, შემდეგ არსენა ჯორჯიაშვილის გასამართლება, ჩამოხრჩობა. ეს წარმოდგენა ჯერ ქუჩაში გამართეს – გამოიყვანეს ვორონცოვის დროის (1905-6-7 წლების) პოლიციელები – გოროდოვოი-პრისტავი-ოკოლოდნიჩები, გრადონაჩალნიკი, ოფიცრები, გენერლები, ჯალათები და ყველა მომქმედი პირნი იმ დროის ჩაცმა-დახურვით, წარმოადგინეს მთელი ამ მკლელობის სცენა-სურათი, ამ დროს კი სინომატოგრაფი მახლობელ ფანჯრიდან იღებდა ამ სურათს. ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, განცვიფრდენ! გამვლელ-გამომვლელთ – რუსთაველის პროსპექტზე – ეგონათ – გადატრიალება ხო არ მომხდარა, საიდან გაჩნდნენ ეს ძველი რეჟიმის მოხელე-პოლიციელნიო! შემდეგ ეს „ნაწარმოები“ აჩვენეს ხალხს სინე-მატოგრაფში, დიდ ძალი ფულიც მოიგეს, ჯორჯიაშვილის მოხუცი დედ-მამაც კი დაიბარეს თბილისში, აჩვენეს მათი შვილის ნამოქმედარი. ერთი საღამო მათ სასარგებლოდაც აამუშავეს ეს აპპარატი.

აი, მსგავსად ამისა, იმავე ჯგუფმა განიზრახა, ილლიუსტრაცია უყონ დანიელ ჭონქაძის ცნობილ მოთხრობას ბატონ-ყმობის დროისას – „სურამის ციხეს“. აქ დასჭირვებია მათ სამღვდელოების ლიტანია ჩამონგრეულ სურამის ციხის ხელახლად ასაშენებელ-გასამაგრებელ მასალის საკურთხებლად და აიაზმის წყლით საკურთხებლად, რომ შემდეგ – ასეთ „ნაკურთხ-ნასხურებ“ ადგილზე ჩაჰკირონ დედისერთა ზურაბი. ამით ის იდეა სურდათ აგემონ ხალხს, თუ როგორ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება შეთანხმებულად აწამებდა ხალხს, აბნელებდა მათ შეგნებას, ხოლო ამას ადასტურებდა და თითქოს ყოველივე ამაში მხარს უჭერდა ბატონებს ქართველი სამღვდელოებაც! ეს – წმინდა წყლის ბოლშევიკურ-კომუნისტური ტენდენციაა. ზემო აღნიშნული ჯორჯიაშვილიც კომუნისტ-ბოლშევიკად არის გამოყვანილი. ასეთ საქმისათვის სამღვდელოების ლიტანიად დარაზმვა შეუკვეთეს თურმე საკათ. საბჭოს წევრს, ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარს, ცნობილ დეკანოზს კ. ცინცაძეს. ალბად, როგორც ქვემოდაც დავინახავთ, საამისო „გასამრჯელო“ სხვა მიიღო მამა ცინცაძემ საქმის მეთაურთაგან, ეს დიდი სასპეკულიაციო საქმეა, ფულს იგებენ და რა იქნება, ცოტა-ოდენი მღვდლებსაც გაალოკონ! დეკ. ცინცაძეს კათოლიკოზ მბროსისთან მოლაპარაკებით და შეგონებით მოუხდენია კათოლიკოზის პირით ბრძანება სიონის კანდელაკ დეკ. მიხ. ფხალაძისათვის, რათა მან 1 აგვისტოს (ძველი სტილით, ახლით 14-ს) წყლის კურთხევა (რომელიც სხვა დროს ექსარხოსების შემდეგ არავის შეუსრულებია ჩვენში) მოაწყოს ბოტანიკურ ბაღში – თათრების

სასაფლაოს გვერდით, ძველი ციხის გადაღმა. თვითონ კათოლიკოზს როდი უნებებია ამ „წყლისკურთხევაში“ მონაწილეობის მიღება! ალბად ესეც და ცინცაძეც გრძნობდენ, რომ ვერ სჩადიოდენ კარგ საქმეს, თორემ კათოლიკოზს რატომ არ უნდა მიეღო 1 აგვისტოის წყლის კურთხევაში მონაწილეობა! საამისოდ მათ ხელთ ჩაუვარდათ ამ დროს ახლად ჩამოსული სოხუმიდან ეპისკოპოსი იოანნე; ეს საცოდავი აცდუნა დეკ. ცინცაძემ და კათოლიკოზმაც – ამას დაავალეს წყლის კურთხევის შესრულება ბოტანიკურ ბაღში. სამღვდელოება ცინცაძის განკარგულებით მოუწვევია დეკ. ფხალაძეს, „ისეთები, რომელნიც ძველი დროის სამღვდელო პირთ ჰგვანდნენო“ (ეს ცინცაძის სიტყვებია!). ასეთებად დაუსახავს ჯერ თავისი თავი, შემდეგ მისი ღირსეული ამხანაგი ან. თოთიბაძე, გაუბრიყვებიათ მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილიც – გრძელ წვერა, მისი მღვდელი უსტიაშვილი, აგრეთვე დეკანოზები მაჭარაშვილი, ზ. ლუკაშვილი, მცხეთის არქიმანდრიტი ახალგაზრდა, ლამაზი პავლე ჯაფარიძე, დეკ. ირ. გურგენიძე, თვით ფხალაძე და ბევრი კიდევ სხვანი. თვითოეულ სამღვდელო პირს გასამრჯელოდ დანიშნული ჰქონებია ნახევარ-ნახევარი მილიონი, შესამოსლების მომზადებისათვის და შრომისათვის დეკ. ფხალაძეს მილიონ-ნახევარი ჩაუჯიბია. აქედან პირდაპირი დასკვნაა – დეკ. ცინცაძემაც კერძო „გონორარი“-ც იჯიბა. შემოსილ ეპისკოპოზს იოანნეს, თბილისის სამღვდელოების მიერ მხარდამშვენებულს „წყლის კურთხევის“ შესრულების შემდეგ – უკურთხებია და უსხურებია ციხის ნანგრევიც, სადაც ზღაპრული „ზურაბი“ უნდა ჩაეკირათ თბილისელ მკითხავის რჩევით! ეს ჩვენი შემოსილი მამანი დამწკრივებულნი მიდიან ციხის ნანგრევზე, ამას სინემატოგრაფის ლენტი იღებს-ასურათებს, შემდეგ ასხურებს ეპისკოპოსი და ორივე ხელით ჯვარს გადასწერს ხოლმე ზურაბის საწამებელ ადგილს! აი, ეს სურათია საჩვენებლად უკვე გამოფენილი, დიდ-ძალი ხალხი აწყდება ზედ და რომ მეტი პოპულიარობა მისცენ ამ სურათს, ხალხი მეტად მიაწყდენ და კარგად „ივაჭრონ“, კათოლიკოზიც მიუწვევიათ ამ სანახაობაზე – „რუსთაველის თეატრის“ შენობაში (ყოფილი არტისტიული თეატრია). კათოლიკოზს ხანხალ-ხანხალით წაჰყოლია ეპ. დავით ჭყონდიდელი, დეკ. ფხალაძე, ცინცაძე, თოთიბაძე და ლაზარიშვილი; ტყემალაძემ თავის ტკივილი მოიმიზეზა, ლოცვად კი იდგა სიონში! ცხადია, არ წაჰყვა განზრახ.

როგორც გადმომცა დეკ. ფხალაძემ, კათოლიკოზს არ მოსწონებია სურათი და იქ დამსწრე საზოგადოებაში კრიტიკულად შეჰხებია ყოველივე ნახულს! მისთვის პასუხები მიუციათ „ინიციატორებს“, ხოლო კათოლიკოზი განაწყენებული წამოსულა, წამოჰყოლია ყველანი, გარდა დეკ. ცინცაძისა, რომელიც დარჩენილა მოკამათეთა შორის, რომ ცოტათი და როგორმე შეელამაზებია კათოლიკოზის კრიტიკა და შთაბეჭდილება ამ კრიტიკისა გაენელებია! ეს არ მოსწონებია თოთიბაძეს, რომელსაც კათოლიკოზისათვის უთქვამს: „ის პადლეცი რაზე დარჩა ეხლა იქ, ალბად თქვენს მაგიერ ის მოიხდის იქ ბოდიშსო“! გაკვირვებული იყო დეკ. ფხალაძე ასეთი ამბით! „შენ მართალი ხარ, – მითხრა მან, – ამ ადამიანებს ერთმანეთი ეზიზღებათ, მაგრამ თან ერთმანეთის ეშინიათ კიდეც და პირში ლაქუცობენო“!

საკვირველია, რომ არც ეპ. იოანნე და არც ურბნელი ქრისტეფორე არ დასწრებიან ამ წარმოდგენას. საზოგადოებაში უკვე გაისმის უკმაყოფილება სამღვდელოების მიერ ეგზომ თავის დამცირებისათვის; ეს დეკ. თოთიბაძესაც აღარ მოსწონს ეხლა, მაგრამ გვიანღაა. ფხალაძეს რო ვამხილე ყოველივე ეს, მან მითხრა – გადაღების დროს მე კუთხეში მივეფარე, არ ვსჩანვარ ეკრანზეო, განა არ ვიცოდი, რომ თაღლითობა იყო, მაგრამ მიბრძანა კათოლიკოზმა და როგორ შემეძლო უარი მეთქვაო! თოთიბაძეც მიყუჟულა, არც ის სჩანს კარგად, – ოხუნჯობდა ფხალაძე. „კაცო, ეს ამოდენა მღვდლები რომ შეგიყრია, მე რატომ არ მიმიწვიეთ თქო“, – ვკითხე მე ფხალაძეს. „შენზე ასე სთქვეს – „იმ დროის მღვდელს არ მოგვაგონებს დეკ. თალაქვაძე, ის ახალი დროის არისო“, – მიპასუხა ფხალაძემ! „მამაო, – მიუგე მე, – თუ წყლის კურთხევის შესასრულებლად შეიკრიბენით და გაემართენით, ერთი – რა ადგილი იყო საამისოდ ბოტანიკური ბაღი?! სად იყო იქ მორწმუნე ქალი და კაცი, რომელნიც ესწრებიან ხოლმე ასეთ მოქმედებას, მეორეთ – რა უფლებით არ მიცანით ღირსად თქვენ წყალ-კურთხევაში მონაწილეობის მისაღებად! ეს წყალ-კურთხევა როდი მოგიწყვიათ თქვენ, თქვენ ნამდვილი მაშენნიკობა ჩაგიდენიათ, უფრო მეტი – თქვენ ქართველ სამღვდელოებისათვის საქვეყნოდ ნამუსი აგიხდიათ, მთელმა ევროპამ უნდა ნახოს თქვენი სურათი – თუ როგორ აკურთხებთ თქვენ ჯალათების ნამოქმედარს. ეს ქრისტეს გამყიდველობაა! თქვენ იუდაზე დაბლა სდგეხართ – მან ოცდაათ ვეცხლად გაჰყიდა მაცხოვარი, თვისი მოძღვარი-მასწავლებელი, თქვენ კი ხუთ-ხუთ მანეთად (ნახევარ-მილიონი ბონის – 5 მანეთია) გაჰყიდეთ ქრისტეც, თქვენი ერის ნამუსიც და ქართველ სამღვდელოებას ისტორიული ცილი დასწამეთ მთელი ევროპის წინაშე, სადაც ამ თქვენს სურათს გადაგზავნიან და მთელ ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება. მამაო! ეს ჩვენი კათოლიკოზი რა ჭკუის პატრონია?! გენუის კონფერენციაზე სოციალ-კომუნისტების წინააღმდეგ გაილაშქრა, ეხლა კი იმავ იდეას ანაცვალა მთელი სამღვდელოების ნამუსი და პრესტიჟი! თვითონ უკან დადგა სურათის გადაღების დროს, სხვები გაგზავნა, ეხლა კი თითქოს აღარ მოსწონს და იქ – სინემატოგრაფში ეკამათება ვიღაცეებს!! ეს რაღა უბედურებაა“!!! გავბერე ფხალაძე გინებით და გავისტუმრე ისე. – მე რა შუაში ვარო, რასაც მიბრძანებენ, მე ის უნდა შევასრულოო! „განა ყოველივე ბრძანება უნდა შეასრულო თქო, – უპასუხე მე! რატომ არ გაგვაგებიე დროზე, ვეცდებოდი, რომ ჩამეშალა ეს სამარცხვინო საქმე, როგორც „ნაგრადების – მიტრების საქმე ჩავშალე თქო“...

გზაში რო მივდიოდით, ეპ. დავითმა სთქვა, რომ „ბათუმის სობოროში დღეში თითო მღვდელი თითო მილიონს იღებს შემოსავალსო“. ამაზე მე წამოვიძახე: „ეს რო ასე იყოს, იქ დეკანოზ ანტონ თოთიბაძეს ვერავინ მიასწრებდაო“! ამაზე კათოლიკოზი მეტად გაბრაზდა და კბილების ღრჭენით დამიყვირა: „რა გაგიხდათ ეს თოთიბაძე და ცინცაძეო, მათ იმიტომ სდევნით თქვენ, რომ იმერლები არიანო“!.. შემდეგ მომავალმა ალავერდელმა ბევრი ილაპარაკა იმ თაობაზე, რომ კათოლიკოზს ქართლ-კახელები ვეზიზღებით, ის განხეთქილებას სთესავს ჩვენში, აშკარად ჰკერძავს იმერლებს და ეს კარგ ნაყოფს არ გამოიღებსო! – აი,

რაშია დღეს ჩვენი უბედურობა! ჩვენს ქვეყანას ყვავ-ყორნები-ტურა-მელები, ვინ გინდათ, რო არ სწინკნიდეს და ესენი იმერ-ამერლობაზე სჩივიან, ამ ძველ შუღლს აღვივებენ დღესაც. ეს მეტის მეტია... „ვატყობ, – დაასრულა ფხალაძემ, – მე კათოლიკოზი ალავერდელობას არ მომცემს, დავით ეპისკოპოზმა გვერდში მკრა ხელი, თოთიბაძეზე რო რაღაც ვსთქვი: „ბიჭო, სანამ ეპისკოპოსად გაკურთხებდენ, მაგისანეებს ნუ ეტყვი, ნუ აწყენინებო“!.. ნუ გეშინია, გაკურთხებენ, მაგრამ, როგორც გატყობ, მაგათგან შორს ვერც შენ წაბრძანდებითქო...

17 ოქტომბერივე – გიმნაზიიდან დათხოვნა

დღეს შუადღის საათის სამზე ჩემს ბინაზე მესტუმრა ქალთა მეოცე ტეხნიკუმის დირექტორი ევგენი ჭოღოშვილი, რომელმაც გუშინ ჩემ შესახებ შუამდგომლობა გაგზავნა ნარკომ-პროსში, რათა დროებით დავეტოებიე მასწავლებლობის თანამდებობაზე. „არა გამოვიდა რაო, – თითქოს დიდის წყენით გამომიცხადა მან, – ბევრი ვეცადე, მაგრამ მგელაძეს მარიამ ორახელაშვილისათვის მოუხსენებია ჩემი შუამდგომლობა, ხოლო ამას გადაჭრით უარი უთქვამსო. ძლიერ მწყინს, თქვენთან შეჩვეული ვიყავი სამსახურს, მაგრამ რა გაეწყობაო“. „აბა, რა გაეწყობა მეთქი, – უპასუხე მე; მადლობა მოვახსენე და ბოდიშიც მოვითხოვე, რომ – ამდენხანსაც შეგაწუხეთ თქო“! ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჭოღოშვილმა, რომ აღარც მაგას ვესიამოვნებოდი ანაფორაში, აკი, რამდენჯერ მითხრა კიდეც: „სკოლაში საერო ტანისამოსით იარე, რა უშავსო“! რო არ ვისმინე, ალბად <u>არსებითად</u> არ დამიჭირა მხარი ნარკომპროსში, პირში, დასანახად კი სხვაფერ მაჩვენებდა თავს. ეს ჭოღოშვილი დეკ. ცინცაძის ნათესავია, აქ ცინცაძის ხელსაც ვატყობ, უჩინრად მუშაობს ის, უნდათ შიმშილით იქნებ დამიმორჩილონ. მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი. ხვალიდან <u>თავისუფალი</u> ვარ!!!... დიაკონიც მძიმე ავათმყოფი გამიხდა, მგონი, მოკვდება კიდეც! ეს ფოსტა-ტელეგრაფშიც მსახურებდა და ეკლესიაშიც მშველოდა! ეხლა ვინღა უნდა ვიშოვნო! ამ ადგილზე – დიაკონ-მედავითნის ულუფაზე ანჩისხატში არავინ მოვა! მეტად ირევა ჩემი საქმეები. ვნახოთ, უფალი რას გამოიმეტებს ჩემთვის!

21 ოქტომბერი – შაბათი

დღეს დილით გარდაიცვალა ჩემი დიაკონი; შეუდექი მისს დასაფლავების საქმეს, ფულს ვაგროებ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში და სამღვდელოებაშიც; ეკლესიიდან – ანჩისხატიდანაც, რაც შეგვეძლო ოთხ მილიონამდე მივეცით და დავხარჯეთ მასზედ... დიაკონის სიკვდილმა მეტად ამიწეწა ისედაც მძიმე მდგომარეობა; დაეტაკებიან ეხლა ამის ბინას და შეიძლება წამართონ კიდეც, ან აქ მოკალათებას მოინდომებს ისევ მღვდელი დავით ჩიკვაიძე, რომელიც შარშან ძლივს მოვიშორეთ ჩვენი კრებულიდან, სოფლად გავიდა, მაგრამ ბინა

როდი მოშალა ჩვენს ეზოში, ეხლა შეეცდება პრიჩეტნიკის – მედავითნის ადგილზე მოსვლას, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია, გაოხრებული, ლოთი და გარყვნილი პიროვნებაა; თან ქვრივ-ობოლნიც თავზე დამაწვნენ...

22 ოქტომბერი – კვირა
ქრისტეფორე ურბნელის სტუმრობა ჩემთან!

კვირას, დილის $8^1/_2$ საათზედ, როდესაც გარდაცვალებულ დიაკონ ყანდარლის ბინაზე ვიყავ ჭირის უფლებთან (მიცვალებული მიხეილის საავათმყოფოში ასვენია), ამ დროს შემოდის ჩემი ქალი და გაკვირვებული მეუბნება: „მამავ, ეპისკოპოსი ქრისტეფორე მობრძანდა და გთხოვსო“! მეც გავკვირდი – რას ნიშნავს „მოკითხვა“ ესე! ქრისტეფორე ჩემს ბინაზე შემოდის, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა ჩვენ შორის! შეველ, დაუხურავს ბერის კუნკულა – ბარტყულა, აყუდებულა ცათამდე – გაყვითლებულა დამღრალ შემოდგომის ფოთოლივით და ღიმილით შემომეგება: „გაგიკვირდება ჩემი შემოსვლა, მაგრამ შემოუსვლელობაც არ ივარგებდა, ეს უფრო გასაკვირველი იქნებოდაო; დღეს სამი მღვდელმთავარი მწირველნი ვართ სიონში, მეოთხე ნაზარი – ნაძალადევშია მწირველი; გზად შემოგიარეთ, დროა, მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ ერთმანეთში, მე შენთან რა მქონდა საბრძოლველი, ჩვენ ყველანი ერთი მეორეზე უარესნი ვართო და თუ შენ ამ უარესბაში უფრო კარგი ხარ, რასაც ვერავინ უარს ვერ ჰყოფს, რა უყოთ, ღმერთმა გამყოფოსო“. ეს „რეჩი“ ფეხზე დგომით მითხრა, ხელზე მაინც არ ვემთხვიე, პირზე ვეამბორეთ ერთმანეთს და დავსხედით, ჯერ ხმა არ ამომიღია, რაღაც გაოგნებული დავრჩი. მერე ისევ იმან განაგრძო: „შენ ის ნუ კი გგონია, ვითომც მე არ ვიცოდე, თუ რა გაიძვერა, ფლიდი და დაცემული პიროვნებაა დეკანოზები ანტონ თოთიბაძე და კ. ცინცაძე; დეკ. ტყემალაძე მათზე კიდევ უფრო წყეული და ფლიდია, მაგრამ რას იზამს კაცი, ადამიანს ცხოვრება გვინდა, ძალა-უნებურად ამათთან კავშირი უნდა იქონიო და მეც ჩავები მათთან; მე გელათის საეკლესიო კრებაზე სამღვდელოების ჯილდოების შესახებ რო წამოაყენეს საკითხი, გავილაშქრე ამ ჯილდოების წინააღმდეგ და სხვათა შორის ასე განვაცხადე: „ექსარხოსების დროს ჯილდოებს, ჩინ-ორდენებს პადლეცები და მოღალატენი იღებდენთქო“! ეს, რასაკვირველია, თოთიბაძესაც შეეხებოდა სხვებზე მეტად, მან და ტყემალაძემ – მუჟიკებმა ვლადიმირი მესამე ხარისხის მიიღეს და გააზნაურდენ, „დეპუტატთა საკრებულოზე“ მიეწერნენ, როგორც აზნაურები; თოთიბაძემ სიცილით და მანჭვით მიეგება ჩემს გამოლაშქრებას, თითქოს მას ეს არ ეხებოდა, სხვებმა კი კინაღამ ქვით ჩამქოლეს: „მაგას ეპისკოპოსობა კი არა, გარეთ გაგდება უნდა, კრებიდანაც გავაძეოთო“. ამას იმიტომ მოგახსენებთ, მამაო ნიკიტა, – განაგრძო ურბნელმა, – რომ ჩვენ ყველანი „პადლეცები“ ვართ, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად“! „ჰო, – უპასუხე მე, – უნაკლულო და უცოდველი აბა ვინ არის ჩვენ შორის, მაგრამ შეგნებულად, განზრახ და აშკარად მე არავითარი სიმდაბლე-პადლეცობა არც

წინეთ ჩამიდენია და არც ეხლა, ისე კი ბევრი შეცდომები მომსვლია ჩემს ცხოვრებაში და ვნანობ, რაც შეეხება ჯილდოებს და ორდენებს, მადლობა ღმერთს, ამდენი ხანი ვიმსახურე ძველი რეჟიმის ხელშიაც, მაგრამ ჩემი მკერდი არ გასვრილა არავითარი ჯილდო-ორდენ-ლენტ-ბანტებით თქო; ეხლაც, მგონი, მე ერთხელ კიდევ გიხსენით სირცხვილისაგან, როდესაც თქვენ საკათ. საბჭოში გამოიმუშავეთ ახალი დროის ჯილდოები და მიტრებით გსურდათ მოგეჭედათ თქვენ მიერ დასახელებულ „პადლეცების“ თავები თქო! ეს მე ენერგიული გამოსვლით მაშინ ჩავშალე; მაგრამ ეხლა უფრო დიდ სირცხვილში ჩაგვაგდეთ სამღვდელოება, გარეთ არ გამოგვესვლება, ნამუს ახდილები ვართ, ყოველ საღამოობით ზღვა ხალხი ბუზივით ეხვევა „სურამის ციხის“ სინემატოგრაფიულ სურათებს, რომელთა შორის საზოგადოების გულის წყრომას და აღშფოთებას იპყრობს ამა წლის 1-ს აგვისტოს, ბოტანიკურ ბაღში წყლის ურთხევის საბაბით გადაღებული სურათი ჩვენი რჩეული დეკანოზებისა უბედურ იოანნე ეპისკოპოსის მეთაურობით! რო დაინახავს ხალხი ამ „ოქროს ტომრებში გამოხვეულ ვირებს“ (აგრე ეძახიან თურმე), მოჰყვებიან ღრიალს: „ძირს სამღვდელოება“! „долой поповъ“! ხალხში ბევრს გული მისდით. როდესაც ზურაბი ჩასაკირავად მიჰყავთ ციხის კედელში, ხოლო ამ ადგილს ასხურებს და უკურთხებს ჩვენი სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლები! „რას გვიშვრებით, მამანო! სად მიგყევართ?! რა დაგიშავეთ?! რატომ ჩაგვაგდეთ ასეთ სირცხვილში“?!. ამაზე ურბნელმა მიპასუხა: „მე მაშინ სურამში ვიყავი, მეც აგერ ეხლა გავიგე ეს ვერაგობა, ფული აუღიათ, ცხადია, იცოდნენ სად და რად მიდიოდენ! სულ 25 მილიონი გაუღიათ სამღვდელოებისათვის, ალბად ხელმძღვანელებმა მეტი ჩაჯიბეს, მღვდლებს კი ნახევარ-ნახევარი მილიონი არგუნეს. რასაკვირველია, ეს დიდი სამწუხარო და სავალალო მოვლენაა“, – ბრძანა ურბნელმა და გამომკითხა დაწვრილებით, ვინ იყვნენ ამაში მონაწილენი; ეტყობოდა, რომ კათოლიკოზისა და იოანნე-დავით ეპისკოპოსების ამაში ჩათრევა ესიამოვნებოდა ურბნელს, აგრეთვე მეტად ნასიამოვნებია ნაზარი ქუთათელი, რომელსაც მოკლე დროით შევხვდი შაბათს და მან თვითონ მომიყვა ეს ამბავი! ასეთები ვართ, გვიხარია ერთი მეორესი გაბიაბრუება. მე უპასუხე ნაზარსაც და ქრისტეფორესაც, რომ „ტყვილა ნუ ინუგეშებს თავს რომელიმე ჩვენგანი, რომ მე ამ საქმეში არ ურევივარ, მე არა ვიცოდი რა, მე არ ვარ სურათში გადაღებული! სულ ერთია, ერთი ჯოხით ვიდენებით ყველანი, ერთი აღშფოთება და რისხვა ხალხისა მოდის ჩვენ ყველაზე თქო“...

შემდეგ ქრისტეფორეს უპასუხე: „მე თუ გებრძოდით „ახალ სიტყველებს“, ან სხვა დეკანოზებს, რომელთაც თქვენ „პადლეცები“ უწოდეთ, ეს იმიტომ კი არ ვებრძოდი, რომ მათთვის ყელები დამეჭრა და მტკვარში გადამეყარა თქო! მე ვიცი და სხვებზე ნაკლებად არ მესმის, რომ ჩვენ ცოტანი ვართ – ქართველობა საზოგადოდ, ხოლო ინტელიგენტი ძალები სამღვდელოებაში კერძოდ; ამიტომ ჩემი სურვილია ერთმანეთი დავზოგოთ, მაგრამ ეს „პადლეცები“ რო უწოდეთ თქვენ, ისეთ ობიექტურ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ ამათ ვერ უნდა შესძლონ ამ „პადლეცობის“ გაგრძელება და განვითარება. დღეს სულ

თავზე წამოგვასხდნენ, თუ წინეთ იდუმალ მოქმედებდენ, დღეს კი აშკარად გამოდიან და რაც სურთ, იმას გვიშვებიან. თქვე დალოცვილებო, რომ გამიბურთიეთ წინ და ცოფიან ძაღლივით მდევდით და დღეს მდევთ ჩასაქვავებლად, რატომ მაშინ არ მოიფიქრეთ, რომ მეც ადამიანი ვარ, მეც თქვენზე მეტად თუ არა ნაკლებ არ მიშრომია საერთო საქმისათვის, თქვენ თუ ყველანი თქვენი კეთილდღეობისთვის იკალათებდით, მე ჩემი პირადი ინტერესებისათვის ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს, აი, ამიტომაც ვარ ჩამორჩენილი, მიგდებული და მეტად შეიწროებული! რატომ არა გრცხვენიათ: წინეთ ჩვენს სიგლახეს ექსარხოსებს და ვოსტორგოვებს ვაბრალებდით, ეხლაც ხო ისინი აღარ გვეღობებიან წინ! რას წარმოადგენს დღეს ჩვენი ეკლესია ჩვენსავე ხელში?! ჯერ-ჯერობით რევოლიუციის რისხვა არსებითად არ შეგვხებია ჩვენ, ჯერ ჩვენთვის არ მოუცლიათ, თუ რამ სიგლახე გვჭირს დღემდე, ეს სულ ჩვენი საკუთარი ბრალია! ის საშინელი ვაკხანალია, ის აღვირახსნილი ფლანგვა საერთო საშვალებებისა, რომელიც დღეს ჩვენში სწარმოებს, როდესაც ამაში ჩაიხედავენ კომუნისტები, დასახვრეტად არ დაგვინანებენ. კარ-ჩაკეტილად აწარმოებთ საქმეს საკათ. საბჭოში, კაცო ჩვენც შემოგვიშვით, ყური დაგვიგდებიეთ თქვენს მსჯელობა-საქმიანობაზე და უკეთ წავა საქმე. ეხლა შეკრებილხართ ოთხი მღვდელმთავარი სრულიად საქართველოისა, ბრძანებთ – კონფერენცია გვაქვს, კრებისათვის მოვედითო! ძალიან კეთილი და პატიოსანი! მაგრამ თქვენ ისე წაბრძანდებით აქედან, რომ ჩვენ – სამღვდელოებას (საზოგადოებაზე აღარ ვლაპარაკობ) არც კი გვეცოდინება ან რაზე შეიკრიბენით, ან რა მოაგვარეთ! თქვე დალოცვილებო, როდესაც დახურულ-კონფიდენციალურ სხდომაზე შეიმუშავებთ რაიმეს, შეთანხმდებით, მოდით და შემდეგ ჩვენც დაგვიბარეთ, ღია სხდომაზე გაგვიზიარეთ თქვენი მწყემსმთავრული აზრები და ზომები, რომელიც შეგიმუშავებიათ“. ერთი სიტყვით, ბევრი ასეთები მოვახსენე ურბნელს, ყველაფერზე თავს მიკანტურებდა და ბოლოს გამიცხადა: „მამაო ნიკიტა! მე ერთი საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად შემოველ შენთან, მოდი, კრიტიკულად ნუ შეეგებები ჩემს წინადადებას, მომისმინე გულდასმით და მიიღე ჩემი წინადადებაო“! მე უპასუხე: „ძლიერ დამაინტერესეთ, მე გისმენთ!“ ურბნელმა ქრისტეფორემ აღაღო პირი თვისი და იწყო ჩემი დარიგება: „ნუ იწყენ, ნუ იუკადრისებ, დათანხმდი მეორე მღვდლად შემოხვიდე „გაერთიანებულ ტაძრების“ კრებულშიო! მართალია, დეკ. თოთიბაძე ცუდი კაცია, ბევრი რამ ჩაუდენია წარსულში ცუდი რამ, მაგრამ წარსული ეხლა დავივიწყოთ და საქმეს შეუდგეთო. მე არ მინდოდა მაგ კრებულიდან გასვლა, მაგრამ ისე მომიხერხა საქმე თოთიბაძემ, რომელსაც ყველაფერში მხარს უჭერს კათოლიკოზი, რომ იძულებული გამხადეს გავიდე კრებულიდან, შვილები იქ იცხოვრებენ ჩემი, ხოლო მე ხან გორში ვიცხოვრებ და ხან სურამში, ჩემს ოჯახშიო. მაგრამ სანამ აქ ვიყავი – იმდენი ვეცადე, რომ „გაერთიანებულ ტაძრების“ მეოთხე მღვდლის ადგილი გავახსნევინე, მე მღვდლის წილს ვიღებდი საძმო ყულაბიდანო, საშვალო რიცხვით ოთხ მილიონს, ზოგჯერ მეტსაცო! ეხლა მე მიშორებენ თავიდან, მაგრამ ის მეოთხე მღვდლის შტატი გახსნილი აქვთ, თუმცა თვალის დაწვაა

მათთვის ეს მეოთხე შტატი, არ სურთ და არც არის საჭირო, მაგრამ იძულებული არიან იქონიონ ეს შტატი, ვერ დაკეტავენ ეხლავეო. მე ვფიქრობდი ბენიამენ კონტრიძის ჩემს ადგილზე შეყვანას იმ კრებულში, მაგრამ ისე მოულოდნელად და ისე ჩუმად გადმოიყვანეს დეკ. დ. გარსიაშვილი ვერაზე, რომ მე არა ვიცოდი რა, თოთიბაძეს მოუთხოვია „ვინმე მღვდელი“, ხოლო გარსიაშვილს უთხოვნია, „სადმე გადამიყვანეთ“! ამ თაობაზე დიდი შეტაკება-უსიამოვნება მომივიდა კათოლიკოზთან, ადამიანადაც არ ჩამთვალეს, არც კი შემეკითხენ, ისე გამაძევეს, ურბნელობაც შემთხვევით მომახვიეს კისერზე, კათოლიკოზი რო ჩეკაში წაიყვანეს, ამ შთაბეჭდილების ქვეშე ჩამითრიეს ურბნელად, საჭიროა მმართველი ეპისკოპოსიო, იქნებ ეს აღარც კი გამოუშვან ჩეკიდანო“ და მომატყუილეს, მე აქედან წამსვლელი არ ვიყავი; ან რად მინდოდა ეპისკოპოსობა, წავიდოდი ხაშურში და იქ გიმნაზიის დირექტორობას მივიღებდი, გავიხდიდი ანაფორასო! ეხლა საქმე იმაშია, რომ მეოთხე ადგილზე ვიღაც კავჟარაძის განწესება სურს თოთიბაძეს, აი ივანე კავჟარაძის ძმისო. არც შესახედავად ვარგა, არც ხმა აქვს და ამდენი ქვეყნის გლახა შეაგროა თოთიბაძემო, ერთი ქაჩალი, ბრუციანი და ბლუა, მეორე ენა მოტეხილია, ეს კავჟარაძე კიდევ უფრო საცოდავია, საზოგადოება უკმაყოფილოა ამათი წირვა-ლოცვით და მღვდელმოქმედებით; შენ რო დათანხმდე და ინებო მეორე მღვდლობა, ხან სამხედრო ტაძარში სწირავ, ხან ვერაზე, ასე რომ, შენა და თოთიბაძეს არც კი მოგიხდებათ ერთად წირვაო“! შემდეგ ილაპარაკა ურბნელმა, შენი სიმამრი ხო არ გაუცვლის ალაგს ბენიამენ კონტრიძესო, რაღაცა ასეთი სურვილივით იყო გამოთქმულიო, ან ხო არ გადმოვა შენი სიმამრი ანჩისხატშიო!.. მე განცვიფრებული ყურს უგდებდი ყოველივე ამას და უპასუხე: „ცოლ-შვილი ჩემი სიმამრისა და მეც წინააღმდეგნი ვართ, რომ 68 წლის კაცი აქედან დაიძრას, ისე მან იცის, მე ეს არ ვიცი თქო; ან ანჩისხატში როგორ უნდა გადმოვიდეს, მე ჯერ აქ გახლავარ თქო და გავიცინე, იმანაც გაიღიმა. ბოლოს მე უპასუხე: „მიკვირს, რომ ჯერ კიდევ ვერ გაგიგიათ, რომ მე არ ვარ ისეთი ამპარტავანი და ზვიადი კაცი, როგორადაც თქვენ გქონებიათ ჩემზე წარმოდგენა თქო. მე არასოდეს არ ვიუკადრისებ სხვის „ქვემოდ დადგომას“, სხვის წინამძღვრობის ქვეშე სამსახურს, მე თანახმად ვარ, შევიდე „გაერთინებულ“ კრებულში მეორედ კი არა, უკანასკნელ მღვდლადაც, თუ ეს საქმისთვის საჭიროა, მაგრამ თქვენ ბრძანეთ, რომ მეოთხე მღვდელი იმ კრებულში მეტია, არც სურთ, და მე რო ავეკვიატო არ იქნება სასიამოვნო, თუ არა და თუ მეორე მღვდლად კი გსურდით, გადამიყვანდით იქ, სანამ დ. გარსიაშვილს გადაიყვანდით თქო, ეს კაცი სწორეთ მეორე მღვდლის ვაკანსიაზე, თქვენს მაგივრად არის გადაყვანილი თქო. კარგი, ამას თავი დავანებოთ, მაგრამ ტეხნიკურად როგორ უნდა მოხდეს ჩემი იქ გადაყვანა, ბინა ჩემთვის არის თუ არა, თუ არის, სად?! აქ შეკრთა ქრისტეფორე, უფრო გაყვითლდა ის და ტუჩები უცახცახებდენ, ისე მიპასუხა: „ბინა არ გვაქვს არსად, აქვე იცხოვრეთ, ამ ბინიდან იმსახურეო“! აი, თურმე რო იტყვიან: „სად დავკარ და სად გასკდაო“! ალბად ამათ ისე განუზრახავთ, რომ ჩემი სიმამრი ისევ უკან დამიბრუნონ ეხლა ანჩისხატის წინამძღვრად, და მე ვიცხოვრო მის გვერდით! მე

უპასუხე: „ყოვლად შეუძლებელია ჩემი ამ ბინაზევე დატოვება, თუ სხვაგან ვიქნები მღვდლად, ანჩისხატის წინამძღვარი და მე ვერ მოვრიგდებით, მრევლი ისევ ჩემთან ივლის, მე ანჩისხატის მრევლის მოკვლა-ჩაყლაპვა არ მსურს, ამას მე ვერ ვიტვირთებ, ამას ვერ ვიკადრებ თქო. თქვე დალოცვილებო, სამხედრო ტაძრის ბინები უნდა მოგეპოებიათ, უნდა დაჰპატრონებოდით, ნათაძე დეკანოზი რო გარდაიცვალა, ეხლა მის შვილებს და ოჯახს სხვა გზას უჩვენებდით, მიბოძეთ ის ბინა და მე თანახმად ვარ თქვენი წინადადებისა თქო, სხვაფრივ მიუღებელია თქვენი წინადადება, ისეთ ყალბ და უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს თქვენი წინადადება, რომ ყოვლად მიუღებლად მიმაჩნია, მაგაზე მეტია ლაპარაკიც თქო“... დიდ ხანს გაგვიგრძელდა ბაასი, მე მწირველი ვიყავი ჩემს ტაძარში, ის სიონში, ათი საათიც შექმნილიყო, იტაცა თმაში ხელი: „დავიღუპე კაცი, როგორ დამიგვიანდა, მღვდელმთავრები უკვე შეიმოსებოდენ კიდეცო“ და გაეშურა. „ჩვენში დარჩეს ეს ამბავიო“, – მითხრა. მე ისიც მოვახსენე ურბნელს, რომ შაბათს – გუშინ – 21 ოქტომბერს კათოლიკოზს ვრცელი დასაბუთებული მოხსენება მივართვი, მასწავლებლობიდან ჩემი დათხოვნისა გამო თქო, ჩემს მოხსენებაში აღვნუსხე ამ უკანასკნელ ერთი წლის ჩემი მარტიროლოგია – თუ რა გადამხდა თავზე და როგორ ჩავრჩი ანჩისხატში თქო. ამაზე ურბნელმა მიპასუხა: „გთხოვ, არ იფიქროთ, რომ ვინმესგნით ვიყო მოგზავნილი, ეს ჩემი საკუთარი აზრი არისო“, – ვითომ ძალიან შეწუხდა და ისე წავიდა.

ეს „მოკითხვა“ ურბნელისა, ჩემის აზრით, მოხდა დეკ. ბენიამენ კონტრიძესთან შეთანხმებით, მგონი, ასეთ კომბინაციაზე თვით კონტრიძე თანხმდება და რომ ჩემს წინაშე ერთნაირი პირნათლობა გამოიჩინოს, ჯერ ჩემთან მოგზავნა თვისი მეგობარი ურბნელი, იმ ანგარიშით, რომ მე ასეთ კომბინაციაზე – აქ ვიცხოვრო და იქ ვიმსახურო – არას დროს არ დავსთანხმდები. ეხლა ბენიამენი თავისუფლად გამწესდება იქ. ეს ერთი მოსაზრება. მეორე მოსაზრება ამ „მოკითხვაზე“ ის არის, რომ შეიძლება ურბნელს სურდეს ჩემი ჩაჩხირება „გაერთიანება“ კრებულში, რომ თოთიბაძეს „კბილის მატლი“ გაუჩინოს, თვითონ მიდის, გააგდეს, და სურს, რაიმე კვალი დაუტოვოს იმ ანგარიშით, რომ ჩვენ ვერ შევთვისდებით; ყოველ შემთხვევაში ეს „მოკითხვა“ არ უნდა იყოს გულწრფელი, ესეც მალე გამოჩნდება. საინტერესოა, როგორ შეეგებება კათოლიკოზი ჩემს ვრცელ – მკაცრ თხოვნას, რომელიც მივართვი მას ამა ოქტომბრის 20-ის თარიღით №48.

23-24 ოქტომბერი

ესევითარი „მოკითხვა“ ურბნელისა გაუზიარე მთავარ-ხუცესს დეკ. დიმ. ხახუტაშვილს. „იცოდეთ: მამაო, ეხლა საიდგან მიტრიალებენთქო“, – მოვახსენე მე. გაიკვირვა მთავარ-ხუცესმა, თუმცა ისიც დასძინა, რომ ურბნელს აქვს სურვილი, „ლიკვიდაცია“ უყოს შენთან ყოველივე უსიამოვნებასო, – მიპასუხა დეკ. ხახუტაშვილმა. მე მივუგე: „კარგი „ლიკვიდაციაა“, თქვენმა მზემ! ამას ჯერ-ჯერობით პროვოკაციის სუნი უდის თქო“! „მართალია, მათ ხელზე მოსამსახურე

მღვდლად სდომებიხართ; ამ ბინაზე თქვენი დარჩენა და „გაერთიანებულებში“ სამსახური მეტად ყალბი მდგომარეობა იქნება, ანჩისხატის მღვდელი, ვინც იქნება, თუ გინდ თქვენი სიმამრიც, მოსვენებას არ მოგცემს, გაუთავებელი უსიამოვნება გექნებათო“, – ბრძანა ხახუტაშვილმა. „აკი მეც კატეგორიული უარი მივარტყი თქო“, – უპასუხე მე. შემდეგ მთავარხუცესმა დაიჩივლა, „სურამის ციხეში“ ასე გათახსირება ჩვენი სამღვდელოებისა.„Суевѣрье, тьма, духовенство „Епископ“, – ეს წარწერაა ლენტზეო, – ამის შემდეგ გამოვდივართ ჩვენ შემოსილნი, ეპისკოპოსი ჯვრით და სასხურებლით აკურთხებს ჩაკირულ ზურაბის ადგილს, სადაც მაგ წყეულებს ჩაუსვამთ ბავშვი და ზედ სიონის საპატრიარქო ჯვარია აღმართული, ნამდვილი ჯვარი! ეს ჩვენ მაშინ ვერ შევნიშნეთ. რო ავედით ბოტანიკურ ბაღში, დავინახეთ ქართულად თავ-დახურული დედა-კაცები, რომელნიც სულ რუსულად ლაპარაკობდენ, მე გავიკვირვე ეს და მითხრეს, რომ ეს რუსის არტისტკებიაო; მე ვიფიქრე – რატომ ქართველი მანდილოსნები არ მოუყვანია თქო! ეჭვები შემეპარა – ცუდ საქმეში არა გაგვაბან თქო; ეს დეკ. კ. ცინცაძესაც გაუზიარე, შენს სიმამრსაც, კაცო, აქ რაღაც ამბავიაო. დეკ. ცინცაძემ მიპასუხა: „რა ამბავი უნდა იყოს, სურათზე არ გადაღებულხარ ჯერ, აქ რა უნდა იყოს საძრახისიო“! იქვე დავინახე ჩვენი არტისტი ვალერიან გუნია, ის იმ დროის მეფის ვეზირის როლს თამაშობდა, ეკრანისათვის გადამღები ხელ-მძღვანელი კი ვიღაც რუსი იყო, ის აყენებდა ყველას თავ-თავიანთ ადგილზე, ის რასაც გვიბრძანებდა, ის უნდა შეესრულებია ყველას! ბოლოს ირკვევა, რომ ეს საქმე ყოფილა კომუნისტების „სააგიტაციო პუნქტის“ ხელობა, ჩვენ ასე ხეპრულად წამოგვაგეს ამ საზიზღარ ანკესზე, გაგვყიდეს დეკ. ცინცაძემ და თოთიბაძემ! მოგვატყუილეს, თავ-ლაფი დაგვასხეს! ხალხი სინემატოგრაფში გაიძახის: „ძირს მღვდლები! დალოი პოპოვ! ზიზღი, ზიზღიო! ეს სურათი რო თავდება, შემდეგ წარწერა ამბობს – ეს იყო ძველი საქართველო, ხოლო ახალი საქართველო ასეთიაო: გამოდიან ფ. მახარაძე, მდივანი და მათთანანი ბარ-ნიჩბებით ხელში, ეს არის საბჭოთა საქართველო, მშრომელთა სამეფო, და არის წარმოდგენილი ზეიმი „ახალი საქართველოისა“! ცხადია, რომ ჩვენ შევიქენით დიდი ღალატის მსხვერპლადო“, – დაამთავრა მეტად შეწუხებულმა მოხუცმა დეკანოზმა. მე მოვახსენე: „კარგი იქნება, მამაო დეკანოზო, რომ შევიკრიბნეთ და გამოვიტანოთ ერთნაირი მსჯავრი, პროტესტი გამოვაცხადოთ; დ. ჭონქაძე „სურამის ციხეში“ რუსეთის ბატონყმობის სურათს გვაძლევს, ამისი მსგავსი ჩვენში არა ყოფილა რა აქო; ეს ავტორი დემაგოგიურ ფურცლებს გვაწოდებს თვის მოთხრობაში, თითქოს საქართველოის ცხოვრებიდან ამოღებულში; ჭონქაძე კავკავში ყოფილა წინეთ ოსური ენის მასწავლებლად, აქ მას შეუსწავლია რუსეთის მწერლობაში ბატონყმობის ვითარება და ეს ვითარება ქართველებზედაც გადმოუტანია. მართლაც, რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ, საქართველოშიც ისეთივე სასტიკი და ბარბაროსული სახე მიიღო ბატონ-ყმობამ, როგორიც მას ჰქონდა რუსეთის ცხოვრებაში, „როზგი“ არ იცოდა ჩვენმა ბატონ-ყმობამ და ძველმა მოქალაქობამ, არც „პირველი ღამე“, არც აღსარების გაცემა მღვდლისაგან; ზურაბის შესახებ ლეგენდა ეს ზღაპარია, რომლის მსგავსი ყველა ერში მოიპოება თითქმის; ზურაბის კედელში ჩაყოლება

ეს როდია „ბატონობისაგან“ – ანუ თავად-აზნაურთაგან მშრომელ ხალხის“ შეიწრობა-წამების გამომხატველი, ეს მკითხავის ვარდუას საშინელი შურისძიების ნაყოფია თვისს ყოფილ სატრფოზე, ზურაბის მამაზე; ეს ცრუ-მორწმუნოების ნიადაგზე დედა-კაცის მიერ ვერაგული შურისძიებაა, მეტად მძიმე ტრაღიკული გამოხატულობით, რომლის სურათის ქვეშე დღეს გული მისდის სინემატოგრაფის მაყურებელთ; ზურაბის მამა და თვით ზურაბი „მშრომელი“ წრიდან როდი არიან, როგორც ამას „აგიტ-პუნქტი“ სცდილობს აჩვენოს მაყურებელთ „კლასთა ბრძოლის“ გასაღრმავებლად „საბჭოთა საქართველოში“! პირიქით, ეს ოჯახი „ბურჟუაზიული“ ოჯახია – ზურაბის მამა დღეინდელ „სპეკულიანტების“ წინაპარია! მაშ, აქაც სიყალბეა „აგიტ-პუნქტის“ მხრივ, როგორადაც სიყალბეა თვით სურათიც ციხისა – სურამის ციხეს როდი აჩვენებენ ხალხს, არამედ თბილისის ციხის ნანგრევებს სურამის ციხედ ასაღებენ! ასეთივე ყალბია, სამწუხაროდ ჩვენი მამების მიერ ბოტანიკურ ბაღში წყლის კურთხევა, ეს დაცინვა-გამასხარავება ყოფილა ამ რელიგიურ წესისა; თვით სამღვდელოების „უმაღლესი“ წარმომადგენელნი და „აგიტ-პუნქტის“ ხელმძღვანელნი – სითაღლეთეში შეხმატკბილებულან, ესენი ორთავენი დასცინიან – სამღვდელოება თავიანთ თავს, ხოლო ერისკაცნი თავიანთ „მამებს“, ერთსაც და მეორესაც მე სამართლიანად უწოდებ „ქამს“, იმ ქამის სახელს, რომელმაც, ყურძნის წვენის – მაჭრის სიტკბოებით დამთვრალ-გაშიშვლებულ მამას ნოე-მამათმთავარს დასცინა და საუკუნო, წარუშლელი წყევა-კრულვა დაიმსახურა – „ქამისა“!

რუსეთში იყო მწერლობაში მიმართულება, რომელიც სჭვრეტდა „მომავალ ქამს“ – „Грядущій Хам“! ეს „მომავალი ქამი“ უკვე მოვიდა და გამეფდა რუსეთის ცხოვრებაში, მან მიანგრ-მოანგრია უბედური რუსეთი და ეხლა ჩვენს ქვეყანაში დაიბუდა. სამწუხაროდ, ჩვენშიდაც ბევრი აღმოჩნდა ამ „ქამის“ მიმდევარი, როგორც ერში, ისე „მღვდელშიც“! ეს „ქამები“ ისტორიის ჭეშმარიტებას ვერ შეაბრუნებენ, ვერ გააყალბებენ! ჩვენი ძველი სამღვდელოება, მცირედი გამონაკლისით – უმაღლეს სამღვდელო პირებში, ფეოდალთა წრეებიდან გამოსულთ გარდა, მაღალ ზნეობის მამულიშვილთ და ჭეშმარიტ ქრისტიან მოძღვრებს წარმოადგენდენ; დაბალი სამღვდელოება და მონასტრის მშრომელი ბერობა, ეს ისევე ბატონ-ყმურ უღელში შებმულები იყვნენ, როგორც გლეხობა, ამათთან ერთად ისინიც განიცდიდენ ბატონ-ყმობის სიმკაცრეს ჩვენში; მაგრამ ჩვენში ბატონ-ყმობა უფრო ლმობიერი სახის და ხასიათის იყო, ქრისტიანობა თანდათან ძირს უთხრიდა ჩვენში ბატონ-ყმობას, ლმობიერების ნიადაგზე და თანასწორობის საფუძველზე ეძლეოდა ბატონ-ყმობის ევოლიუციონური გარდაქმნა-გადაგვარება, რომელსაც მოსპობამდე უნდა მიეყვანა ეს სამარცხვინო მოვლენა კაცობრიობის ცხოვრებაში საქართველოშიაც. საქართველოს ცხოვრებაში წარმოებული განუწყვეტელი ომები, რომელიც უმეტესად კისერზე აწვა ბატონ-ყმობის უღელში შებმულ გლეხობას, ეს ომები „ბატონსა“ და „ყმას“ მეტად აახლოებდენ ერთმანეთთან, მეტად ნათესაურად და ძმურად აკავშირებდენ ერთმანეთთან. ხშირია ისეთი მოთხრობა საქართველოს მატეანეში, სადაც მემატიანე, გარდახდილ ომის შემდეგ მოგვითხრობს,

თუ როგორ ბრძოლის ველზე ბატონი თუ ყმა ერთმანეთს ეძებდენ, ჰპატრონობდენ, ჭრილობებს უხვევდენ, ერთი მეორესათვის თავსა სდებდენ, ხოლო გამარჯვებულნი ძმურად ხელ გადაჭდელნი სიხარულით ბრუნდებოდენ თავიანთ სახლში; არც შინაურ-მოქალაქობრივ ცხოვრებაში იყო მათ შორის ისეთი უფსკრული ამოთხრილი, როგორც ეს იყო, მაგალითად, რუსეთში. მაგალითად, გარუსებული მთავარ-მართებელი კავკასიისა ცნობილი თავადი ციციანოვი, ეს რუსეთში დაბადებული და აღზრდილი მებატონე – თავად-ფეოდალი, საშინელ პროვოკაციას ახდენდა საქართველოში გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის დამოკიდებულების გასამწვავებლად; ციციანოვი ქართველ თავადიშვილებს ჩასჩიჩინებდა, რომ ესენი არ უნდა ჰკადრულობდენ გლეხებთან ერთ სუფრაზე ჭამა-სმას, მათთან ნათლი-მამობას, მათთან ჯდომას, გართობას თუ მისვლა-მოსვლას; ხოლო იგივე ციციანოვი გლეხებს ეუბნებოდა: თავად-აზნაურები თქვენი სისხლის მწოველნია, ესენი თქვენი მოსისხლე მტერია, მათთან რა გაქვთ თქვენ საერთო, დაჰკათ მაგათ, თქვენ რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშე დაგაყენებო! ცხადია, ციციანოვი ჰხედავდა ჩვენში კეთილ-განწყობილებას ბატონსა და ყმათა შორის, ეს მის გამრუსებელ-დამპყრობელ პოლიტიკაში როდი შედიოდა, ამიტომ სცდილობდა, წყალი აემღვრია ჩვენში, რასაც რამოდენიმედ კიდეც მიაღწია. ამიტომ, ჩემის აზრით, დანიელ ჭონქაძე „სურამის ციხეში“ იძლევა ყალბ-ნასესხებ სურათებს რუსეთის ბატონ-ყმურ ცხოვრებისაგან. დღეს ჩვენს „ბოლშევიკებს“ სურთ, ეს მოთხრობა სურათებად მიაწოდონ ხალხს, ბრბოს და შეაძულონ ყველაფერი „ძველი საქართველოდან“, იქ ყველაფერი „ცრუ მორწმუნოების და სიბნელის“ სამოსელში გაჰხვიონ, ხოლო „ახალი“, „საბჭოთა საქართველო“ მახარაძე-მდივან-ელიავა-ორახელაშვილების ხელში სამოთხის ნეტარების სადგურად მოაჩვენონ სულ ახლო მომავალში! ნეტავი, რა უნდა „მოიმუშავონ“ ამ „ამხანაგებმა“ თავიანთი „ბარ-ნიჩბებით“, რომლითაც ისინი „სურამის ციხის“ სურათების დასასრულ ეჩვენებიან ხალხს?! ჩვენი ეკლესიის მესაფლავე დეკანოზებმა – ცინცაძე-თოთიბაძემ, თავიანთ მუცლის ამყოლ და ვეცხლის მოყვარულ ანგარ კათოლიკოზ ამბროსით, დაიმუშავეს ამ ყალბ სურათის შექმნისათვის ხელის შეწყობით ხუთ-ხუთი მილიონი, ზოგმა მეტიც! მე უნებლიეთ დიდი „მოყვრობა“ გამიწია დეკ. ცინცაძემ (ის ჩემი ნათლიმამაა – შვილი ვაჟი მომინათლა მან!), როდესაც დეკ. ფხალაძეს უბრძანა: „წყლის კურთხევაზე ბოტანიკურ ბაღში დეკ. ნ. თალაქვაძეს ნუ დაუძახებ, ის ძველი დროის სამღვდელოების ტიპის არ არის, ის თანამედროვე სამღვდელო პირია, ის სურათისათვის არ გამოდგება – „онъ не стильный священник“-ო! მადლობა ღმერთს! მაგრამ რო გამგებოდა, ჩავშლიდი, აქ „სტილი“ რა შუაშია“?!.

26 ოქტომბერი – ხუთშაბათი

დღეს – საღამოს თავისთან დამიბარა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარიმ, რომელიც საბჭოს დარბაზში დაბინავებულა; მომეგება ლაქუცით და

ღიმილით, ბოდიში მოიხადა „შეწუხებისათვის“ და განმიცხადა: „თქვენგნით ყოფილა საეპისკოპოსო კანდიდატად წამოყენებული დეკ. მ. ფხალაძე, თქვენ იცით, ის რა კაცია?! თქვენ იცით, რომ მან ანაფორა გაიხადა ლუკმა პურის ძიებაში და ეხლა ის ეპისკოპოსად როგორ გამოდგებაო?!“ მე განუმარტე ქუთათელს, თუ როგორ ტრაღიკულ მდგომარეობაში ჩააყენა კათოლიკოზმა ლეონიდმა დეკ. ფხალაძე, როდესაც უკანასკნელს ჩამოართვეს გორის სასულიერო სასწავლებელი და ის ცოლით და ოთხი შვილით ქუჩაზე ულუკმა-პუროდ იყო დატოვებული; არავითარი ადგილი არ გამოიმეტა მისთვის კათოლიკოზმა ლეონიდმა და კაცი იძულებული გახდა, სამსახურში შესულიყო საერო ტანისამოსით, მას მღვდელობაზე ხელი როდი აუღია, ის მღვდლის ეთიკას მაინც ემსახურებოდა, ჩემთან ჩამოდიოდა საწირავად და სალოცავად; თუ არა და ნიკოლოზ არქიმანდრიტი რო წამოგიყენებია თქვენ საეპისკოპოსოდ, განა მას არ ჰქონდა ანაფორა გახდილი მთელი 10 წლის განმავლობაში, ემიგრანტად იყო ოსმალეთში გასული ნიკონ ექსარხოსის მკვლელობის შემდეგ! კაცო, ადამიანი უნდა ვარგოდეს, სინიდისი უნდა უვარგოდეს, რწმენა და ზნეობა ჰქონდეს, თორემ კერძო სამუშაოზედ რო სხვა ტანისამოსით წავიდეს, ამით არა დაშავდება. უამბე ფხალაძეზე ბევრი რამ დადებითი და დავსძინე: „თუ ერთი თქვენგანი ღირსია ეპისკოპოსობის ხარისხისა, თქვენ შორის თამამად შეუძლია ადგილი დაიჭიროს დეკ. ფხალაძემაც, ის სერიოზულად მომზადებული პირია, თუ ციცქიშვილი და დავითი იეპისკოპოსებენ, არ ვიცი, ფხალაძეს რაღა ღმერთი გაუწყრება?! მაგრამ მე არავისი თავდებობა არ შემიძლია, რა ვიცი, შემდეგში რა იქნება, რა გუნებაზე დადგება ფხალაძე, რა ხასიათებს დაიჭერს ის ეპისკოპოსობაში“. „არა, – მიპასუხა ნაზარმა, – შენ იქნები პასუხის მგებელი, ის შენი კანდიდატი ყოფილაო“! მე ისევ მოვახსენე, ეპისკოპოსები თავისუფალნი ბრძანდებით, გინდა იცანით ის ეპისკოპოსად, გინდა არა, რა ჩემი საპასუხის მგებლოა ეს თქო... შემდეგ ნაზარმა გამოსთქვა: „მე ფხალაძის წინააღმდეგ რა მეთქმის, გარდა იმისა, რომ ის ყურ-მოჭრილი მონა იქნება ამ კათოლიკოზისა, რომელიც ანგრევს ჩვენს ეკლესიასო; ილუპება ყველაფერი, არა სჩანს კაცი, რომ ხმა აღიმაღლოს, მე ერთადერთ ღირსეულ პირად თქვენ მეგულვებით აქ, თქვენც განზე გაურიყავხართ, აბა, რის იმედი უნდა მქონდეს, აქ ჩამომსვლელი აღარ ვარ მე, არა კეთდება რა, ტყვილა სისხლი მემღვრევა, მირჩევნია, ჩემს ეპარქიაში ვიყვე; აქ ვერც სკოლას დააარსებენ და არც მე მაძლევენ ნებას, ჩემი სკოლა გავხსნაო; აქ ცინცაძე და თოთიბაძე არიან კათოლიკოზნი, ამათ შექმნეს ეს სამარცხვინო „სურამიადა“ და უფსკრულისკენ მიგვაქანებენო“. შემდეგ ნაზარმა მოიგონა ჩვენი წარსული ჭიდაობა, დაიწყო თავის ქება-მართლება, ანტონ ქუთათელის ძაგება; მე უპასუხე: „გთხოვთ, მაგ საგნებს ნუ შეეხებით, ნურც განსვენებულ ანტონს დაამცირებთ, მე ყველას კარგად გიცნობთ! მე ერთ რაიმეში ვარ დამნაშავე: „არ უნდა აგყოლოდით თქვენა და დავითაშვილს, მე ვერ გამოვიანგარიშე, რომ თქვენთან ჭიდაობა-სამართალი უნაყოფო იქნებოდა, თქვენ აკი „გამარჯვებულნი“ ხართ?! აკი დიდებულად მიგყავთ ეკლესიური საქმეები! თქვენ საეკლესიო კრებებზე მხოლოდ არჩევნებს აწარმოებდით

და დღესაც სულ იმაზე ჰფიქრობთ, თუ რამდენი მილიონი საიდან და როგორ აიღოთ, როგორ სჭამოთ და სვათ, ისიამოვნოთ! ნუ კი გეწყინებათ! რატომ გელათის კრებაზე ჩემი სასკოლო პროექტი არ მოისმინეთ?! რატომ არ გამიწვიეთ აქედან მეც?! რატომ არ მოგაგონდით?! ეს თქვენი სირცხვილი და დანაშაულია! ეხლა მეუბნებით, ასეთი ხარ, ისეთი! ეს მოფერება მე არ მჭირდება, რეალურად უნდა გამოგეხატათ ჩემდამი ესევითარი შეხედულება". შემდეგ ნაზარმა მითხრა იგივე, რაც ურბნელმა, წინადადება მომცა ყოფილ სამხედრო ტაძარში „მეორე მღვდლად" გადავსულიყავ, ხოლო ბინად აქვე დავრჩენილიყავ. ამაზედაც იგივე უპასუხე, რაც ურბნელს. შემდეგ მითხრა, რომ „კანტროლად" უნდა დაგასახელოთო! ამაზე მიუგე, ეს „კონტროლი" გელათის საეკლესიო კრებაზე უნდა ამოგერჩიათ, რომ თავი დაგვეჭირა ასეთ ფინანსიურ ვაკხანალიისათვის საკათ. საბჭოში. თუ ისეთ პირობებს შექმნით, რომ დამოუკიდებლად შემეძლება მოქმედება და არა მაჩანჩალობა საკათ. საბჭოსი, დავთანხმდები, სხვაფრივ არას გზით. „თქვენ ერთი შეცდომა ჩაიდინეთ, მამაო დეკანოზო, – ბრძანა ნაზარიმ, – როდესაც 1917 წელს გადატრიალება მოხდა, მაშინ უნდა მოგეთხოვათ დიდუბეში დაბრუნება". ამაზე მე მიუგე: „არა, თქვენო მეუფებავ! მე ეს „შეცდომით" როდი მომსვლია! მაშინ მოვიდნენ კიდეც ჩემთან დიდუბის მრევლის წარმომადგენელნი და მომცეს ასეთი წინადადება, მაგრამ მე შფოთის ჩამოგდება და განხეთქილების წარმოება არ ვიტვირთე, მე გიყურებდი თქვენ, ჩვენს ახალს სასულიერო მთავრობას, თუ მე უმართლოდ დასჯილად მიგაჩნდით, თუ ჩემს მოღვაწეობას პატივსა სცემდით, ეს თქვენ უნდა მოგეხდინათ! როგორც ადმინისტრატიულად იძულებით გადმომაგდო ინოკენტი ექსარხოსმა (ამის ჯაშუში იყო მაშინ არქიმანდრიტი ნაზარი!), ისევე ადმინისტრატიულად უნდა დაგებრუნებიეთ უკან! მით უმეტეს, რომ ეხლანდელი დიდუბის დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი ყველას არწმუნებდა მაშინ (1912 წელს), რომ ის იძულებით გადაიყვანეს დიდუბეში, მან ანჩისხატი ითხოვაო! გადმობრძანდეს ეხლა ანჩისხატში და მე დიდუბეში დავბრუნდები თქო"! „მართალი ხარო", – მიპასუხა ნაზარიმ! მე დავსძინე, „მირიანაშვილი ახლოს გეყოლებათ, საკათ. საბჭოზე, სადაც თქვენ ის წევრად გყავთ, მე კი ყოველი მხრიდან გარიყული ვარ, დიდუბეში ვიქნები, მოშორებით, რო არავინ შეგაწუხოთ ჩემი „მოუსვენრობით" თქო...

შემდეგ ვილაპარაკეთ იმ დოკუმენტზე, რომელიც 1919-20-ში გადმოუგზავნეს ქუთაისიდან ლეონიდსა და დავიდოვს – ჩემი გეგმა ეკლესიის მართვა-გამგეობის გადატრიალებისა კირიონ კათოლიკოზის მოკვლის შემდეგ; ეს დოკუმენტი იპოვნეს ქუთათელ ანტონის კაბინეტში, მის გარდაცვალების შემდეგ, გადმოუგზავნეს ლეონიდ-დავიდოვს ჩემ საწინააღმდეგო საბრძოლველად – ნაზარიმ, მისმა მდივანმა თუთბერიძემ და დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილმა. ნაზარიმ თავი იმართლა: „ეს სულ თუთბერიძის საქმეაო", მე მაშინ არც კი ვიყავი იქაო!.. მოვიგონეთ, თუ როგორ ამ დოკუმენტის ნიადაგზე შეერთებული კრება მოიწვია ლეონიდმა საკათ. საბჭო-სასამართლოსი, თავს დამესხენ მოულოდნელად, სათანადო პასუხი გავეცი და 1920 წლის 2 იანვრიდან საკათ. საბჭოდან გაველ; რო-

გორი პასუხი გავეცი ამ გამოლაშქრებას, როგორ შემზადდა მეორე საეკლესიო კრება, რომელსაც ეს ჩემი საქმე უნდა გაერჩია, თუ როგორ ნაც. დემოკრატებმა პარტიული დისციპლინით მომთხოვეს – კრებაზე არ გამომელაშქრებია, როგორ მოჰკლეს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე ამ კრების გახსნის წინაღამით, როგორ იპოვნეს მისს ბინაზე დამზადებული გროვა პროკლამაციებისა და ასეთები... ჩემზე ნაზარმა ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება, ის ისევ ლოქო-ნაზარია, მუცელ-ღორი, ანგარი და ფლიდი; ვერავითარ დალაგებულ მსჯელობას მისგან ვერ მოისმენ. ერთი საგნიდან მეორეზე უცბად გადადიოდა, უაზროთ, ულოღიკოდ, უფრო სულ თავისთავის ქებაში იყო, ლეონიდს ამცირებდა – თუ როგორ ის ბოლშევიკებს გამოექცა თბილისიდან ქუთაისს, თუ როგორ ქუთაისში მას წინადადება მისცა ლეონიდმა, ბათუმში გაქცეულიყვნენ, ეს არ დაეთანხმა და ეს იწყინა ლეონიდმა და სხვა.... ორი საათი ვიბაასეთ, გამოთხოვებისას ისევ ის მითხრა: ფხალაძე იქნება ეპისკოპოსად, მაგრამ შენ უნდა იყო ამაში პასუხის მგებელიო; სოსიკო მერკვილაძე იყო ჩემთან – „პავლე არქიმანდრიტს ეპისკოპოზობის მიღებაზე მხარი დაუჭირეო; პავლემ ერთხანს კიდევ უნდა მოითმინოს, ცოტა რამ საეკლესიო ისტორიიდან და მსოფლიო ისტორიიდან ისწავლოს, ის სრულებით უსწავლელი კაციაო“...

27 ოქტომბერი – პარასკევი

დღეს შემოვიდა ჩემთან ნავთლუხის დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე, რომელზედაც საქმე სწარმოებს გამოძიება-საჩივარი მღვდლის კალანდარიშვილისა; ეს მღვდელი „ჩეკაში“ ზის, ამას ამ „სოსოს“ აბრალებენ. მე დაუსვი ეს საკითხი და მიპასუხა: „მე რა შუაში ვარ, მე ჩამაჯინეს „ჩეკაში“ მაგაზე ადრე, მაგისი დაბეზღებით; რო გამოველ და ვერა მიპოვეს რა, განვაცხადე, პასუხის გებაში მიეცით ცრუ-მაბეზღარა ჩემი თქო; თან ნავთლუხის კომისარი უგულოვი და მისი თანაშემწე ვახტანგოვი, ორნივე სომეხი და კომუნისტი პასუხისგებაში მისცა მღ. კალანდარიშვილმა, ამათ თავი იმართლეს და ეხლა თვით მღვდელი კალანდარიშვილი ჩასვეს „ჩეკაში“, თან მრავალი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩინეს მღვდელს, როდესაც ის კომისარიატში საბინაო დავთრების ბარათებს აწარმოებდა, ფულებს ახდევინებდა ხალხს, ხოლო საქმე კი არა უწარმოებია რა, ჩაოხრებული ჰქონებია ყველაფერი! გამოუაშკარავეს ბოროტმოქმედება და დიდხანს იჯდება იქო. მე ამა წლის 6 აგვისტოდან, როდესაც მთელმა ნავთლუხმა ნდობა გამომიცხადა, შევსწყვიტე ყოველივე კავშირი კათოლიკოზთან, აღარც კი ვიხსენიებ მას, ვიხსენიებ მსოფლიო პატრიარქებს და ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისო. რეები არ მიყვეს, ძირ-ბუდიანად ოჯახი გადმომიბრუნეს ლაზრიშვილ-შუბლაძე-კავჟარაძის გამოძიებამ, საქმე არ გარჩეულა ჯერ და ჩემს ადგილზე სხვას ამწესებდენ, მღვდელ-მოქმედება აღმიკრძალა კათოლიკოზმა, შემდეგ ისევ ამხსნა ეს აღკრძალვა, ნაზარისა და დეკ. ხახუტაშვილის პირით

შერიგებაც მოისურვა ჩემთან კათოლიკოზმა, გამოძიების მოსპობაზედაც თანახმა იყო, მაგრამ შესულან „გამომძიებელნი“ და შეუგონებიათ, რომ მას ეს არ ექმნა, კათოლიკოზიც გადამიბრუნდა, გამოძიებამ თვისი მსვლელობა განაგრძოსო! განაგრძოს, მე ფეხებზე მკიდია მაგათი გამოძიება, არავითარ ანგარიშს მათ არ უწევ, მე ჩემთვისა ვარო. ეკლესიაში „განახლება-გაცოცხლება“ უნდა შევიტანოთ, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს საქმე – ეს ბოროტები სულ დაღუპავენ ყველაფერსო; მე პროექტიც მაქვს შედგენილი და შეუდგეთო“. ამაზე უპასუხე: „მე გავიგონე, რომ შენ „ჟივაია ცერკოვს“ მიმხრობიხარ თქო?! ეს ხომ ისევ რუსული ეკლესიის აღდგენა იქნებოდა ჩვენში! ამაში მხარს თქვენ არავინ დაგიჭერთ! ილარიონ ოქროპირიძე დეკანოზი (ლეონიდის ძმა, რუსეთიდან რუსს ეპისკოპოსს დიმიტრისთან ერთად დაბრუნებული) და მისი რუსი ეპისკოპოსი რა ადამიანებია, რომ მათ კაცი აჰყვეს თქო! სოსო, არ მოგეჭრას თავი, მაგ საქმეში არ ჩახვიდე! თუ რაიმე ჭირი გვჭირს, ისევ ჩვენი საშუალებებით განვიკურნოთ, ჩვენ თვითონ შევებრძოლოთ ჩვენში გამეფებულ უწესოებებს თქო“! – არაო, – მიპასუხა სოსომ. მაგრამ ეტყობა, რომ უნდა იყოს ჩაბმული ამ ავანტიურაში! შემდეგ ისიც გვაცნობა, რომ დეკ. ილ. ოქროპირიძემ საჩივარი შეიტანა კათოლიკოზ ამბროსიზე, რომ მან მიითვისა ჩემი ძმის ლეონიდ კათოლიკოზის ქონება – ბიბლიოთეკა, პანაგია, კრიალოსანი და სხვაო. ეს საქმე ტრიბუნალში გაირჩევაო. ამასაც გაუგია „სურამიადა“ და ეტყობა, ისარგებლებს ამით კათოლიკოზთან ბრძოლაში. ვეფლობით ჭაობში! ეს არის შედეგი შუბლაძე-ლაზრიშვილ-კავჟარაძის „ფორმალურ გამოძიებისა“! საიდან უვლის ჩიჯავაძე ამ საქმეს! პასუხის გებაში მიმეცით?! აი, თქვენც იგემეთ პასუხის გება „რევტრიბუნალშიო“! დიდი უსიამოვნება და სიგლახეა კიდევ მოსალოდნელი ჩვენს წრეებში. „ეპისკოპოსთა“ კრება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, არც არავინ ვიცით, რა დაადგინეს, დეკ. ცინცაძე გაურბის ამ კრებას, სულ ერთია ბოლოს ყველაფერი მაინც ისე უნდა წავიდეს, როგორც ეს „მამა კალისტრატეს სურს“! ოთხი „მოწაფე“ კურსებისა უპოვნია სადღაც ტყემალაძეს და მაცნობა: „სამშაბათს, 31 ოქტომბერს საღამოს ხუთ საათზე სწავლა გვეწყობა და მობრძანდიო“! ვეახლები, ვნახოთ, რა „სწავლა გაჩაღდება“!

პოლიტიკა

პოლიტიკურ ჰორიზონტზე ისევ დიდი მიხლა-მოხლაა! ინგლისის პრემიერი „ცბიერი“ ლოიდ ჯორჯი გადადგა, მის მაგივრად ბონარ-ლოუა პრემიერად! ეს ფრანგოფილია, საფრანგეთის პრემიერ პუანკარესთან შეთანხმებულად მოქმედებს; ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადასაწყვეტად, თურქ-ბერძენთა ბრძოლის შედეგების გამოსარკვევად, კონფერენციას იწვევენ შვეიცარიაში, ქ. ლოზანაში, არ ვიცით, რუსეთს მიიწვევენ თუ არა ამ კონფერენციაზე ან ჩვენ შესახებ რაიმე გამოვა თუ არა ამ კონფერენციიდან. რუსეთის ბოლშევიკური

პოლიტიკა ჩვენში თანდათან შიშვლდება – ეროვნულ ქართველ კომუნისტებს ერეკებიან ჩვენი მთავრობიდან, ბუდუ მდივანი უკვე გამოაძევეს კავკასიის გაერთიანებულ საბჭოდან, ის ანგორაში გაუგზავნიათ „საქართველოს“ წარმომადგენელად, მაგრამ იქ აკაკი ჩხენკელი დახვედრია ქემალ-ფაშასთან მენშევიკურ მთავრობის წარმომადგენელად! აქედან გააძევეს და რუსეთისაკენ ისტუმრებენ ფინანსების მინისტრს სვანიძეს, მახარაძეც გადადგა, ქავთარაძეს და მახარაძეს შეტაკებები მოსდით ერთმანეთთან: „ჩვენ თუ, ახალგაზრდებს, არ გვესმოდა, შენ ხომ მოხუცი, გამოცდილი კაცი ხარ, რატომ არ იფიქრე, რო ასეთი შედეგი მოჰყვებოდა, როდესაც რუსის წითელ არმიას შემოუძეხით საქართველოშიო“! დიდი გოდებაა ყველა წრეებში! რუსებს მხარს უჭერენ სავსებით ორჯონიკიძე და ორახელაშვილი, ამათვე მიმხრობია შინაგან საქმეთა მინისტრი საშა გეგეჭკორი, რომელიც თვის მელურ-მეგრულ ცუღლუტობით მხოლოდ იმის ცდაშია, რომ როგორმე თვისი „პოსტი“ შეინარჩუნოს, სჭამოს, იქეიფოს, მეგრელებს ყველას მსუქანი ადგილი უბოძოს, რომ ამათ მხარი დაუჭირონ მას, მეგრელებმა ძალიან იციან ერთმანეთის მიმხრეობა, ნამდვილი ჯოგური გრძნობით არიან ერთმანეთთან გადაბმულნი! ესენი ცალკე ერადაც მალე გამოაცხადებენ თავს, მენშევიკების დროს აკი შეადგინეს კიდეც სამეგრელოს „აღორძინების“ საზოგადოება „მაფალუ“! ამან თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ პრესაში. ამ „მაფალუში“ ჩვენი კათოლიკოზიც მონაწილეობდა, როდესაც ის „ჭყონდიდლად“ იჯდა ფოთში! ხოლო ძველად, ექსარხოსების დროს და ვოსტორგოვის ხანაში ვინმე აშორდიამ მეგრული ანბანიც კი შექმნა... ასეთ უბედურებაში ვართ დღეს, ირღვევა საქართველო, ირღვევა ქართული ერის სხეული, აივსო საქართველო სომხებით, რუსებით, ოსებით, თათრებით და ვიგინდარებით. ქალაქის მართვა-გამგეობაშიაც დიდი არევ-დარევა, დიდი ფულების ფლანგვა და ბოროტ-მოქმედებანია! ვინ არის პატრონი! დუქან-მაღაზიები მეპატრონეთ ჩამოართვეს, ქალაქი ახდევინებს მათზე ქირებს და თვითონ იღებენ! რაც დიდი და კარგი სახლები იყო, ისეც ქალაქმა დაინარჩუნა. ეხლა ამბობენ, საეკლესიო სახლების ჩამორთმევაც გადაუწყვეტია ქალაქის „აღმასკომს“, ქირებს დაგვადებენ ეკლესიის კრებულთ საეკლესიო სახლებში, გაგვწურავენ, მიწასთან გვიპირებენ გასწორებას! სასაფლაოებიც, მათ სურთ, ხელში ჩაიგდონ! ერთი სიტყვით, სამშობლო და მისი ეკლესია სრულ განიავების გზაზე სდგანან! არავინ არის პატრონი! ასეთ დროს ასეთი „კაცუნები“ მოვხდით და ჩვენ თვითონ უწყობთ ხელს ჩვენს გამძვინებულ მტრებს, რომ ყელი გამოგვჭრან და სულ ერთიანად თავს-ლაფი დაგვასხან – „ისტორიულ სურათში“ თავისთავს შესამოსელში აძლევენ „აგიტ-პუნქტს“ ჩვენი მღვდლები – ეპისკოპოსით, კათოლიკოზის „ნებართვით“! დეკ. ცინცაძეს „სურამის ციხის“ ილიუსტრაცია „ისტორიულ სურათად“ მიუწოდებია უბედურ ქალაქის დეკნოზებისათვის და ამით ჩაითრია ისინი თვის საზიზღარ ანგარების ბადე-ქსელში! მეტად აღშფოთებულია ჩვენი საზოგადოება, გაიძახიან, „ამის მომქმედნი“ განკვეთილნი უნდა იქმნენ მღვდლობის ხარისხისაგანო! მაგრამ

ამ „ოსტატებმა“ კარგად იციან ჩვენი საზოგადოების ხასიათი: „იყეფებენ და ჩაჩუმდებიანო“, – უთქვამს დეკ. ცინცაძეს და მისთანათა! მართლაც – ჩაჩუმ-დებიან! „სამღვდელოება ვინა ჰყრიაო“, – განუცხადებია თურმე საკათ. საბჭოში იმავ დეკ. ცინცაძეს! ოღონდაც! – „ვინა ვყრივართ“! ამ ორ უკანასკნელ კვირაში ორი იუბილე გადაიხადა ჩვენმა საზოგადოებამ – ერთი გადაუხადა გერმანელ მწერალს-პუბლიცისტს არტურ ლეისტს – 40 წლის მოღვაწეობაში ჩვენში! ამ მწერალმა დიდი პოპულიარიზაცია გაუკეთა საქართველოს გერმანიაში და სა-ზოგადოდ ევროპაში! დიდ ძალი ნაწარმოები აქვს გერმანულად დაწერილი სა-ქართველოზე, ჩვენი მწერლებიც სთარგმნა გერმანულად, ვეფხვის ტყაოსანიც სთარგმნა გერმანულად – პროზად. ეს ლეისტი ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი იყო... ამ იუბილეზე ურბნელი ეპისკოპოზი ქრისტეფორე გაუგზავნიათ, კალამი მიურთმევია და მოკლე მილოცვა. 30 ოქტომბერს კი გადაუხადეს 50 წლის იუბი-ლე მხცოვან პროფესორს ცაგარელს, რომელიც ეხლა ქართულ უნივერსიტეტში ითვლება პროფესორად! ამასაც დიდი შრომა მიუძღვის ქართულ კულტურის და მეცნიერების გამომზეურებაში პეტერბურგის უნივერსიტეტში სამსახურის დროს, დიდ-ძალი ნაწერები აქვს უფრო რუსულად, თუმცა ქართულადაც ბევრი უწერია; დღეს მეტად მოხუცებულია. ალბად ამ იუბილეზედაც იმავ ურბნელს გაგზავნიდენ! მე აღარ „მაწუხებენ“! ჰნანობენ კიდეც, რომ ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეზე გამგზავნეს! შეიშურეს ჩემი საზოგადოების წინაშე გამოსვლა და აღარ მეძახიან! ამბობენ: „თალაქვაძე აღარ გაგვეგზავნება სადმეო“! მართლაც რა ხალისით უნდა გავეგზავნო სადმე თავ-მოჭრილ და ნამუსს ახდილ თბილისის სამღვდელოებას, თვის კათოლიკოსით! ამათი „სახელით“ როგორ უნდა გამო-ვიდე სადმე! შეიძლება მიყიჟინონ კიდეც: „ძირს, ძირს, მოღალატე, გამყიდავი მღვდლებიო“ – როგორც გრიალებს ბრბო თბილისის პროჟექტორებში „სურამის ციხის“, „ისტორიულ სურათების“ დადგმის დროს!.. ციხეები კი ისევ ივსება ჩვენი ახალ-გაზდობით, ვინ იცის, რა მოუვიდათ ან სად გაგზავნეს ამას წინეთ გადა-სახლებულნი, ან რა მოგველის სხვებს სულ ახლო მომავალში!.. ქვეყანა ხელიდან გვეცლება! ჩვენი „მამები“ კი სჭამენ-სვამენ და განცხრომაში არიან! გუშინ, 30 ოქტომბერს – კვირას, კათოლიკოზი დაჰპატიჟა ხარფუხის ნიკოლოზის ტაძარში მწირველად და შემდეგ სადილად დეკ. იოანნე კავჟარაძემ, ეს ჩემთანაც მოვიდა: „მოახერხე როგორმე, შენს ეკლესიაში სხვას ვისმე აწირვინე და შენ კათოლიკოზ-თან იყავი მწირველი ხარფუხშიო“! მე ცივი უარი მოვახსენე! იქეიფეთ, სანამ დრო გაქვთ, ჩვენო ფუქსავატო, მსუნაგო და გაუმაძღარო მამებო!..

29 ოქტომბერს კათოლიკოზი და ნაზარი ხარფუხის ეკლესიაში ჰყავდა წირ-ვაზედ მიპატიჟებული საკათ. საბჭოს მდივანს დეკ. კავჟარაძეს; იმავე დღეს ყოფილ სამხედრო ტაძარში ურბნელს უწირავს. კათოლიკოზს შენიშვნა მიუცია ურბნელისათვის: „ჩემ ნებადაურთველად რად სწირეთო“! ურბნელს გამოსარ-ჩლებია ქუთათელი, მაშინ ამასაც შენიშვნა მისცა ამბროსიმ: „თქვენ ნება-და-ურთველად სწირეთ იმ დღეს ჩემთანო“! ამაზე გაგიჟებულა ნაზარი და კინაღამ დაუგლეჯიათ ერთმანეთი! აი, ჩვენი ზნენი ამ დროში!

4 ნოემბერი – შაბათი

პირველ ნოემბერს გაიხსნა „სამოძღვრო კურსებზე“ სწავლა; სულ დღემდე ექვსმა მოწაფემ მოიყარა თავი, უვიცნი, უსწავლელნი; მე გარდა მქადაგებლობისა (2 გაკვეთილი) ძველი ქართული ენის ორი გაკვეთილიც მიწყალობეს, ეს გაკვეთილები ურბნელმა ქრისტეფორემ გაანთავისუფლა, ვინაიდან გადასწყვიტა – დაბინავდეს სურამ-გორში თავის ეპარქიაში, ისე კი, რომ ვერის ნიკოლოზიდან ყოველთვიურად ეძლეოდეს ოთხი მილიონი...

ეპისკოპოსთა კრება

2 ნოემბერს დასრულდა ეპისკოპოსთა კრება, მაგრამ დასრულებამდე გაიქცა თვის ეპარქიაში დავით ჭყონდიდელი. „ესენი (ეპისკოპოსები) ჯოხებით დაერევიან ერთმანეთს და მეც არ მითავაზონო“, – უთქვამს! დავითს უკანვე დასდევნებია იოანნე ცხუმელი, ამას საკათ. საბჭოში შეუტანია წერილობითი განცხადება-პროტესტი – „შეცდომაში ჩამაგდეს – „სურამის ციხის“ სურათში მომაყოლეს, წყლის კურთხევის მოჩვენებით ბოტანიკურ ბაღშიო“. ერთ-ერთ სხდომაზე ეპისკოპოსთა კრებაზე, არ ვიცი, რა მიზეზით, ქრ. ურბნელს „იდიოტი“ უწოდებია იოანნესათვის! ამტყდარა ამაზე ერთი ალიაქოთი და ის იყო, რო დავითი გაქცეულა! კათოლიკოზს წინადღით სადილი გაუმართავს სტუმარ-იერარქთათვის, მაგრამ ჭამის დროსაც წაჩხუბულან და ისე წასულწამოსულან, რომ „მასპინძლისათვის“ მადლობაც კი არ მოუხსენებიათ! ერთი სიტყვით, ეს კრება ყოფილა ერთი უთავბოლო-ანარქიული; არავინ იცის, რა საგნებზე ჰქონდათ მსჯელობა, მაგრამ ის კი გამომჟღავნდა, რომ დიდი განხეთქილებით დასრულდა მათი „კონფერენცია“! სხვათაშორის დაუდგენიათ – მღვდელს კერძო სამსახურის და მუშაობის დროს უფლება ჰქონდეს საერო ტანისამოსის ტარებისა; კახეთ-ალავერდელის ეპარქიისათვის საეპისკოპოსო კანდიდატებად საეპარქიო კრებაზე ასარჩევად დაუსახელებიათ იერარქთა კრებას დეკ. მ. ფხალაძე და არქიმ. ნიკოლოზი – ნამორაძე. უკანასკნელს ხმა არ მისცეს კათოლიკოზმა და დავით ეპისკოპოსმა, ათ წელიწადს ოსმალეთში იყო გადამალული, უანაფოროდ იყო, უწირავ-უზიარებელიო... შემდეგ იერარქთა კრებას განუზრახავს საკათ. საბჭოსათვის და სრულიად ეკლესიის მართვა-გამგეობისთვის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინონ და „კონტროლის“ ქვეშე სწარმოებდეს ეს ხარჯიო; კათოლიკოზს ოთხი ფუთი ფქვილის ნაცვლად ორი მილიონი ფულად მიუმატეს, თვითონაც ჯამაგირები მიიმატეს და თან მზითვებად დაინიშნეს: ურბნელმა ვერის ნიკოლოზიდან თვიურად 4 მილიონი, კათოლიკოზმა დიდუბიდან 4 მილიონი, ნაზარმაქუთათელმა – მოწამეთიდან, იოანნემ – ილორიდან, დავითმა – ბათუმიდან, ეს, რასაკვირველია, ზედ-მეტად! ცნობილი დ. დავითაშვილი „ამოირჩიეს“ საგანგებო მოხელედ საკათ. საბჭოსთან – საერო მთავრობასთან მისავალ-მოსავალად, სამი

მილიონი თვეში და წინანდელ თანამდებობაზე დატოვებით! კონტროლად თურმე ჩემი გაყვანა სურებიათ ნაზარსა და ქრისტეფორეს, მაგრამ დეკ. დ. ლაზრიშვილს მუცელი კინაღამ გამოუგლეჯია – არ გვინდა კონტროლიო! 3 ნოემბერს ლაზ-რიშვილმა დამიბარა თვის „გამგეობაში“ და კათოლიკოზის სახელით წინადადება მომცა: „ხაზინადრობა აიღე საკათ. საბჭოშიო“! ყოველდღე ფული უნდა ავიღო და გავსცე, თვეში ზოგჯერ ორასი მილიონის ტრიალი ხდება და ასეთ სამსახურზე ჰყავდათ მოხუცი შტატგარეშე ქუთაისის კათედრის ყოფილი დეკ. ი. ჭეიშვილი, 600.000 მანეთად თვეში, დაავათმყოფდა საბრალო და დაითხოვეს! ეს ადგილი გამოიმეტა ჩემთვის კათოლიკოზმა იმ „თხოვნის“ საპასუხოდ, რომელიც მე მას მივართვი ა/წ. 20 ოქტომბრის თარიღით №48! მე უარი მოვახსენე – „ამოდენა ფული ვატრიალო, თქვენ ეს სჭამოთ უკანტროლოდ, განუკითხავად, მე კი 600.000 მანეთი მაძლიოთ თვეში, ეს არც თქვენ გეკადრებათ და არც მე შემფერის თქო! რა ჩემი საქმეა ასეთი მკვდარი საქმე, როგორიც არის ფულების თვლა-გადათ-ვლა! სხვა არა იყოს რა – რო გადამყვეს სათვალავში ის 600.000 მანეთი რას მიშ-ველის თქო! 1917 წლიდან – 1920 წლამდე საერო მთავრობასთან მე დავდიოდი საეკლესიო საქმეებზე და ჩემთვის გროში არავის მოგიციათ და ეხლა, როდესაც საერო მთავრობასთან ყოველივე კავშირი შეწყვეტილია, დავითაშვილს ნიშნავთ სამი მილიონით, ეს ხომ წყალში გადაყრილი ფულია თქო!.. ეპისკოპოსთა კრებას და მათი მონაწილეობის საკათ. საბჭოს კრებებს დაემალა დეკ. ცინცაძე, ეხლა გამოჰყო თავი! საკათ. საბჭოში შეიყვანა ერისკაცის მხრივ წევრად გენერალი ნიკოლოზ არჯევანიძე, თვისი სამრევლოს საბჭოს წევრი, თვისი ყურ-მოჭრი-ლი ყმა; ნაზარი ქუთათელმა და ურბნელმა წერილობით პროტესტი შეიტანეს „სურამიადაზე“ საკათ. საბჭოში, აგრეთვე წერილობით მოითხოვეს, რათა დეკ. ცინცაძემ ხელი უშვას საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგის თანამდებობას, ის წევრიც არის და როგორც სურს, ისეთ მიმართულებას აძლევს საქმეებსო, ეს „დებულების“ წინააღმდეგი არისო. მაგრამ ვინ უსმენს. დღეს საღამოთი წავიდენ ესენიც თავიანთ ეპარქიაში...

5 ნოემბერი – კვირა
კომუნიზმის რუსეთში დამკვიდრების 5 წლის თავი ახალი სტილით მოდის 7 ამა ნოემბერს

ამ დღესასწაულისათვის თბილისში დიდი მზადებაა; დღესასწაული იწყება დღეიდან – 5 ნოემბრიდან, ხოლო განსაკუთრებული სიდიადით დასრულდება 7-ს სამშაბათს; მენშევიკობიდან ბოლშევიკობაზე გადატრიალება მოხდა რუ-სეთში 1917 წლის ოქტომბრის 17-ს ძვ. სტილით, ხოლო ეს გადმოიტანეს ახალ სტილზე 7-ს ნოემბრისათვის. ქალაქის ყოველი კუთხიდან, სხვა და სხვა ჯგუფები მუშებისა, მოხელეებისა თუ მოწაფეებისა მიდიან დიდუბის მინდორზე მუსიკით, ბაირაღებით და ზეიმით. იქ იქნება სიტყვების წარმოთქმა. მაგრამ ჩვენი კომუ-

ნისტები ვერ არიან თავიანთ გუნებაზე – მათში მოხდა დიდი განხეთქილება, ორ ბანაკად გაიყვნენ – ნაციონალურ-ქართული კომუნისტები და „ინტერ-ნაციონალური“ ანუ რუსული ცენტრალისტი კომუნისტები. უკანასკნელთა ბანაკში სდგანან სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა და ორახელაშვილი; პირველ ბანაკში ფ. მახარაძე, სერგო ქავთარაძე, სვანიძე, მგონი ბუდუ მდივანიც (სვანიძე უკვე გაისტუმრეს რუსეთში, ბუდუ – ანგორაში, ფილიპე ჯერ კიდევ აქ არის, მაგრამ მაგასაც სადღაც „კონგრესზე“ ისტუმრებენ...), ამათვე ბანაკში იყო საშა გეგეჭკორი, მაგრამ, როდესაც ამან დაინახა, რომ ნაციონალ-კომუნისტებს სადღაც ისტუმრებენ, თავიდან იშორებენ სხვა და სხვა პარტიული დისციპლინის საბაბით და მონდომილებით, გეგეჭკორმა, როგორც მარტვილელმა [ცნობილნი არიან მარტვილელნი თავიანთ კლიაოზნიკობით, განსაკუთრებით გეგეჭკორიანთ გვარი, მე ახალ-გაზრდობისას ვიყავი მარტვილის მონასტერში ხშირად, იქ ბიძა მყავდა ბერი – სოფრონი და იქიდან ვიცნობ დიდებულ მარტვილს, ხოლო ეხლანდელ მისს მოსახლეობასაც და ზნე-ჩვეულებასაც], და მეგრელმა (ესენი დიდი ცუღლუტნი არიან) „უქნა ამხანაგებს ყურდგლული“ – განზე გაუხტა და მიეკედლა „ინტერ-ნაციონალისტებს“; 3 ნოემბერს – პარასკევს, რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა დავით ჩიქოვანი, საშა გეგეჭკორის კანცელიარიის მმართველი – საქმის მწარმოებელი და ფაქტიურად შინაგან საქმეთა სამინისტროს მამოძრავებელი; ესეც მეგრელია, მარტვილის მახლობელ სოფლიდან, მაგრამ თბილისშია დაბადებულ-აღზრდილი, ამიტომ თუმცა მეგრულს ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ბუნება მაინც „მეგრული“ აქვს. მეგრელებმა ძლიერ იციან ერთმანეთის მხარის მიცემა – „მარგალი კოჩი“. საკმარისია ეს, რომ მეგრელმა მეგრელს კარგი ადგილიც მისცეს, გზაც გაუკვლიოს და ყოველივე კარგ თუ ავ საქმეშიც მფარველობა გაუწიოს. ამიტომ არის, რომ საშა გეგეჭკორმა გარს შემოირტყა დიდ-ძალი მეგრელობა – კომისრები, მათი თანაშემწეები, მილიციელები, აგენტები საიდუმლო თუ ცხადი და სხვა. ამ „მეგრული“ ჯოგური ინსტიქტით ეშველა, მგონი, კათოლიკოზ ამბროსისაც გენუის კონფერენცია რო ასე მოანელებიეს, თუმცა თვისი „სურამიადით“ ამ კონფერენციისადმი თვისი „მოწოდება“ მან წაშალა, ტალახში ამოსვარა და დღეს საზოგადოებაში მეტად ძირს დაეშვა მისი პრესტიჟი! მგონი, საშა გეგეჭკორმა უშველა „ბესო ხელაიას“ (ეს ერისკაცის სახელი და გვარია ჩვენი კათოლიკოზისა). დათიკო ჩიქოვანიც ამ „მეგრული“ ინსტინქტით ამოიყენა გვერდით გეგეჭკორმა; ჩიქოვანი ნაციონალ-დემოკრატი იყო, ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი, საეკლესიო საქმეებშიც ხშირად ერეოდა, ერთად ვმუშაობდით კიდეც 1918-1919 წლებში, მართვა-გამგეობის პროექტიც კი დავიმუშავეთ, მეორე საეკლესიო კრებისათვის ორთავენი დელეგატებად ვიყავით წამოყენებული თბილისში, მაგრამ ორთავენი გაგვაშავეს!.. ეს ნახევარი წელიწადია ჩიქოვანი უკვე გეგეჭკორის კაბინეტს მართავს, დიდი კაცი შეიქმნა, მეტად გასუქდა (ალბად კარგად მიირთმევს), ამას წინეთ კათოლიკოზი და ნაზარი ჰყავდა ნაძალადევის ეკლესიაში(!) ცოლის საფლავზე პანაშვიდის გადასახდელად, შემდეგ დიდი სადილით გაუმასპინძლდა, მე არ ვესტუმრე და როდესაც 3 ნოემ-

ბერს შემხვდა პროსპექტზე, მისაყვედურა: „კაცო, სადა ხარ, სად დაიკარგე, რო აღარ გამოჩნდიო“?! – „იქვე ვარ, სადაც ვიყავი“ თქო, – მიუგე მე და დაურთე, რომ „მე „ყოფილ ადამიანებში“ გადამრიცხეს, მასწავლებლობიდან დამითხოვეს, აღარც კათოლიკოზი მწყალობს, დ. დავითაშვილს იწვევენ ახალ პოსტზე ძველის შენარჩუნებით, მას სამ მილიონს უნიშნავენ დამატებით გასამრჯელოს, თან სამღვდელოება კათოლიკოზს „სურამის ციხის“ ლენტზე გამოჰყავს ქვეყნის სამარცხვინოთ და ჩვენ მტერთა სასაცილოდ, თქვენ კი ყველანი, ვისაც რაიმე ჭკუა-ნამუსი გეკითხებათ, ისევ თავს უკანტურებთ ასეთ ადამიანებს, ყველამ თბილ-თბილი ადგილები მოსძებნეთ და მე რაღად გინდივართ ან რა საკითხავი ვარ, ან რისი მაქნისი ვარ თქო!.. „კარგი, ნუ გააბი გლახა ჭრიაშვილივით წუწუნიო“, – სიცილით მითხრა ჩიქოვანმა და ერთად განვაგრძეთ გზა. გზაში მან თვითონ მიამბო ზემოაღნიშნულ განხეთქილებაზე ქართველ კომუნისტებში, რის შემდეგ მას ვკითხე: „შენი პრინციპალი – გეგეჭკორი რა მიმართულებას ადგია, თითქოს ესეც ქართული ორიენტაციის იყო“ თქო! – „მართალია, იყო ასეთი ორიენტაციისა, მაგრამ ეხლა რაღაცას ეშმაკობს“, – თან ორი თითი მაჩვენა ჩიქოვანმა – „ხან ასეა, ხან ისეო“! რო შევეკითხე ამ პოლიტიკის ვითარებაზე, ასე მიპასუხა: „მე განა მახარაძე-ქავთარაძეები მასწავლიან პატრიოტობას?! აქ საქმე პორტფელების შენარჩუნებაზეაო“! – უთქვამს გეგეჭკორს და კიდევაც გადასულა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ცხადია, რომ რუსეთის იმპერიალიზმი თანდათან შიშვლდება, მუხრუჭებს უჭერს საქართველოს და აძლევს დროებით „პორტფელებს“ თვის გულის ზრახვათა შემწყობს პიროვნებებს, რომ ამათ „სჭამონ და სვან, სანამ ჯერ კიდევ მაგათი დროც არ „გასულა“! ერთი სიტყვით, ჩვენ დღესაც ისეთივე პოლიტიკით გვაბრმავებენ, როგორც ეს იყო არაბების, მონგოლების და თვითმპყრობელ რუსეთის ბატონობის ხანაში. ორჯონიკიძე-ელიავა-გეგეჭორები მუდამ გვყოლია საქართველოში და „არახელას“ იძახოდენ საქართველოს უბედურების ჟამს... დღესაც ასეა!..

ჩიქოვანს რომ დავშორდი, შეველ ჩემ სახლიკაცთან – კომუნისტ ისიდორე თალაქვაძესთან, რომელიც ძველი ბოლშევიკია, კარგად განვითარებული, პარტიულ სკოლას ხელმძღვანელობს და რუსულიდან ქართულად მაგის ხელმძღვანელობით ითარგმნება პარტიული ლიტერატურის ბროშიურები და წიგნები. იქ დამიხვდა მისი ცოლის ძმა – ვარდენ კალანდაძე, ესეც ბოლშევიკი. მსურდა გამეგო საქმის ვითარება პოლიტიკაში, მაგრამ მეტად თავდაჭერილად მომეპყრენ, რაც ვიცოდი, იმაზე მეტი ვერა გავიგე რა მათგნით. ისე გავილაპარაკეთ პრინციპიალურ საკითხებზე, „შენი მასწავლებლობიდან დათხოვნა არ უნდა გეწყინოს და არც უნდა გაგიკვირდესო“, – მიბრძანა „ამხანაგმა ისიდორემ“, – „ხო იცი, ჩვენ შეურიგებელი მტერი ვართ სარწმუნოებისა და სამღვდელოებისაო, ჩვენ მათთან არავითარი კომპრომისები არ გვსურს, ჩვენ გვსურს თქვენი მოსპობაო“! „კარგი და პატიოსანი“, – უპასუხე მე, – „თქვენ გსურს ბევრი რამ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი თქვენს სურვილზე როდი ტრიალებს თქო; ეს ჩვენი და სარწმუნოების დევნა ახალი ხილი როდია, ეს ჩვენ წაგვიკითხნია, საფრან-

გეთის რევოლიუციიდან მოკიდებული თუ რა დღეში იყო დასავლეთ ევროპაში სარწმუნოება და სამღვდელოებაც! თქვენ ამ მხრივ არავითარ ახალ ამბავს არ გვეუბნებით, იმავე ზომებს იმეორებთ და იმავე სახით თითქმის, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპაში თქო! მაგრამ დღეს იქ სარწმუნოებამაც და სამღვდელოებამაც აღიდგინეს თავიანთი ავტორიტეტი, იქ საკმარისად პატივცემულია ქრისტიანობაც და სამღვდელოებაც თქო. იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენშიდაც აგრე იქნება, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“! თქვენ ნურც იმას უყურებთ, რომ ჩვენი სამღვდელოება სუსტი და მოუმზადებელია, რომ ისინი თქვენ „სურამის ციხის“ ლენტზედაც გადაიღეთ და დასცინით. თუ ქრისტიანობა ღვთიური მოძღვრებაა, მას თქვენ ვერას დააკლებთ, თუ არა და ის მოისპობა, თავისთავად დაეცემა. მაგრამ ხომ ხედავთ, რომ ჯერ კიდევ ვარსებობთ და ვიარსებებთ, შეიძლება თქვენ არ იყოთ და ჩვენ კი ისევ ვიქნებით თქო“... ბევრი იცინეს. ეს კარგად სთქვიო, მითხრეს და გამოვეთხოვე...

6 ნოემბერი
ყოფილ დეკანოზ კორნელი კეკელიძის მეორე ქორწინება

გუშინ, 5 ნოემბერს, საღამოთი სასტუმრო „ნოეში“ ნათლობაზე მიმიპატიჟეს, მოსკოვში მოვაჭრე ვინმე ნებიერიძის ბავშვი მომანათვლინეს, ნათლიად იყო „ნოეს“ სასტუმროს პატრონი ნოე სიხარულიძე, რომელიც ბოლშევიკებმა ჯერ გაფცქვნეს, ჩამოართვეს მის მიერ შეძენილი ვეტცელის სასტუმრო, ამავე გერმანელის ლუდ-ხანა, სახლ-კარი და დიდი სიმდიდრე და სახლის ავეჯ-სამკაულობა; თვით ნოე გაიქცა ქალაქიდან; შემდეგ დაბრუნდა და ნელ-ნელა ისევ უნდა აღიდგინოს თვის უფლება თვის ქონებაზე; საცხოვრებელი ბინის ოთხი ოთახი დაუბრუნებია, თვისი სასტუმროც დაიბრუნა „მოიჯარადრის“ სახით და სცდილობს ეს ახალ-გაზრდა, მოხერხებული, უსწავლელი ქართველი ისევ ქონებრივ წარმატების და წარმოების გზაზე დასდგეს! ქართველობამ ამ 40 წლის განმავლობაში თვალ-საჩინო ნაბიჯი წარსდგა ვაჭრობა-წარმოებაში, გაიფურჩქნა ქართული ბურჟუაზია, ის უკვე მეტოქეობას უწევდა სომხის და სხვა ერთა ბურჟუაზიას, ქართველი ადამიანი ძალ-ღონეს იკრეფდა, რათა თვით გამხდარიყო თვის სამშობლო ქვეყანაში „მასპინძელი“, „სტუმრებს“ კი ღირსეულად დახვედროდა და შეჰგებებოდა! მაგრამ უსწრო დიდმა რუსეთის რევოლიუციამ, ამ რევოლიუციის პირველ ნაყოფით ლამაზად ისარგებლა ჩვენმა ბურჟუაზიამაც, მან მენშევიკებთან ერთად შეჰქმნა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებასაც შეუდგა მშობლიო ნიადაგზე ზურგ გამაგრებულმა, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის წითელ არმიის შემოსვლამ საქართველოში და „საბჭოთა ძალა-უფლების“ ჩვენში დამყარებამ ძირ-ბუდიანად მოაპირქვავა ნორჩი ჩვენი ბურჟუაზია! ვაჭრები გაიქც-გამოიქცენ საზღვარ-გარეთ, ხოშტარია-ძეგვე-

ლიშვილები – ზოგი დახვრიტეს – რაჟდენა მირიანაშვილი, ზოგიც გააღატაკეს, გააპროლეტარეს, ზოგიც შინაურობაში გაიქცა-გამოიქცენ და ეხლა ნელ-ნელა ისევ საქმეს უბრუნდებიან, ისევ ჰფიქრობენ წელში გამაგრდენ, თუ კიდევ ისევ არ მოსრისეს „კომუნისტებმა“!.. ეს ნოე სიხარულიძეც წელში სწორდება! იქვე იყო მეორე „ბურჟუა“ გრიშა კეჭეყმაძე (ესეც გურულია), დიდი წარმოსადეგი ვაჟკაცი, ყოფილი „სოციალისტი“, დიდი ომიანობის დროს ორჯელ ქართველი ჯარის კაცების ეშელონები დაგვიბრუნა ბრძოლის ასპარეზიდან სამშობლოში, ეხლა კი ეს ერთი წელიწადია ღვინის საწყობი გაუხსნია „პლეხანოვის პროსპექტზე“ (ყოფილი „მიხაილევსისა“), ესეც დაგვესწრო ნათლობაზე; იყო მესამე ასეთი ჯურისავე ახალგაზრდა გურული, სიხარულიძის დისწული გრ. დოლიძე, რომელიც მოსკოვში საქმეებს აწარმოებს – რესტორანებსა და სასტუმროებს; მოსკოვში თურმე დიდ ძალი ქართველობა ტრიალებს ეხლა, მთელი რესტორანსასტუმროები მათ ხელში ყოფილა, დიდძალ ფულსაც იგებენ და ფუსფუსებენ; იყვნენ ქართველი მანდილოსნები, რომელნიც მოსკოვში მიდიან ქმრებთან და შვილებთან, ხოლო გზად მიმავალმა ერთმა მათგანმა ბავში მომანათვლია, ვახშამზე მიმიწვიეს, ბევრი ვიბაასეთ, ბევრი რამ საგულისხმო დარიგებანი მივაწოდე მათ ბაასისა და პურის ჭამის დროს; ეს ბურჟუა-ახალგაზრდები დიდის სიყვარულით ეპყრობიან ჩვენი ეკლესიის არსებობის საკითხსაც, სამშობლოს დამოუკიდებლობის საკითხსაც და მწუხარებით აღნიშნეს „სურამის ციხის“ კინემატოგრაფიულ ლენტზე ჩვენი სამღვდელოების გამასხარავება, ამათვე მისაყვედურეს დეკ. კორნ. კეკელიძის მიერ მღვდლობის ხარისხის აყრა, განქორწინება და ხელმეორედ ვიღაც უზნეო დედა-კაცზე ეკლესიური ჯვრის წერაც! ჩემთვის ეკლესიური ჯვრის წერა გაკრეჭილ ნახუცარა კეკელიძისა მოულოდნელი იყო, ვიცოდი, რომ განქორწინდა, ვიცოდი, რომ „ბოლშევიკურ წესით“ – „ზაქსშიც“ დაქორწინდა, მაგრამ თუ ეკლესიურადაც გაბედავდენ ჯვრის წერას და ან რომელიმე თბილისის მღვდელთაგანი იკადრებდა მის ჯვრის დაწერას, ამას არ მოველოდი...

დღეს – 6 ამა ნოემბერს – წაველ ჩვენს „სალაყბოზე“ – საკათ. საბჭოს დარბაზში ამ ამბის გასაგებად. გავიგე, რომ ვერც ქვაშვეთის კრებულს და ვერც ვერის ნიკოლოზისას ვერ უტვირთიათ ამ სამარცხვინო ჯვრის წერის შესრულება და ჩვეულებრივი ვერაგობით გაუბამთ ხაფანგში საეპარქიო სანთლის ქარხნის ერთი მსახური დეკანოზი ლაზარე ნათიძე, რომელიც ბოდბის წმ. ნინოს კარის ეკლესიაზეა მიწერილი და იქ წირვა-ლოცვას ასრულებს! ამ მონასტერში მოუხდენიათ კორნელისა და მინადორას ჯვრის წერა, შაფერათ ყოფილა ცნობილი დ. დავითაშვილი, რომელმაც განაქორწინა კიდევაც და მეორედაც აქორწინა ეს ზნე-დაცემული „საყვარლები“! უქეიფიათ კიდეც ძალზე, ქორწილი გადაუხდიათ. დიდი აღშფოთება განვაცხადე ამ უნამუსო-გარყვნილ ქორწინების გამო! განვაცხადე დეკ. ნათიძის თანადასწრებით, რომ ასეთი მოქმედება დეკ. ნათიძისა ანტი-კანონიურია, ეს მღვდლობის ეთიკის დარღვევა და გამასხარავებაა თქო! ეს საიდუმლო ქორწინების აბუჩად აგდებაა თქო! რა

უკურთხეთ თქვენ კორნელისა და მინადორას?! – შევეკითხე დეკ. ნათიძეს! – თქვენ დააკანონეთ მათი ამდენი ხნის გარყვნილება, მათ მიერ ერთი ოჯახის გახრწნა-დაღუპვა! თქვენ ილოცეთ, რათა ამათი ქორწინება იყოს კურთხეული, ვითარცა „ქორწილი იგი კანას გალილიასასა“! არ გრცხვენიათ მაინც, ადამიანნო! არსებითად აბა რას წარმოადგენს ეს მათი „ქორწინება“ თქო?!– „დოკუმენტები ჰქონდაო“, – ბრძანა დეკ. მაჭარაშვილმა, საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარემ, კეკელიძის გამქორწინებელმა! – „მამაო თქვენ მიერ მოქმედებული განქორწინებაც და მიცემული დოკუმენტებიც უკანონო და ყალბია თქო! განა დოკუმენტებზე და ფორმალურ მხარეზე მოგახსენებთ მე?! არა, ზნეობრივად ეს თითქმის უფრო მეტი დამარცხება-გათახსირებაა, ვინემ „სურამის ციხის“ ლენტზე ჩვენი გამოჭენება!..“

შემდეგ გამოირკვა, რომ „სურამის ციხის“ „მღვდლების სურათის“ ლენტზე – ცინცაძე-თოთიბაძე-ლაზრიშვილის სახეებზე ქაღალდები გადაუფარებიათ, ისინი ლენტზე აღარ მოსჩანან, მოსჩანან თურმე მკაფიოდ მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი, დეკ. ზ. ლუკაშვილი, ნიკო ბერი – სიონისა – სახარებით ხელში, ჯვარი ზურაბზე აღმართული და ეპ. იოანნე ცხუმ-აფხაზეთისა! ამაზედაც პროტესტი განვაცხადე, თუ სასირცხოა, ყველასთვის უნდა გადაგეფარებიათ ქაღალდი, თორემ ეს რასა ჰგავს, თქვენ თავი დაგიძვრიათ, მოგიხერხებიათ – უმთავრეს „მაჭანკლებს“ ამ სამარცხვინო საქმისას, ხოლო საცოდავი-„ტეტია“ მოხუცი ქართლელები გამოგიჭენებიათ თქო, – უსაყვედურე დიმ. ლაზრიშვილს... ეს იცინოდა...

შემდეგ დეკ. დიმ. ლაზრიშვილმა, სამეურნეო გამგეობის „დირექტორმა“, გამიხმო და ისევ წინადადება მომცა: „სამეურნეო გამგეობაში შემოდი, დეკ. შუბლაძეს, მგონი, ვიშორებ თავიდან, დავამარცხე და შენ მიიღე მისი თანამდებობაც და ხაზინადრობაცაო – თვეში 1.200.000 მანეთს მოგართმევთ ჯამაგირათ და კიდევ ვეცდები თქვენი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებასაო“!.. მე ამაზე გადაჭრით უარი მოვახსენე: „შიმშილით რო გავიგუდო, ვერ შემოვალ ასეთ დაწესებულებაში, სადაც არავითარი ნორმა, არავითარი ზომა და უფლებრივი მდგომარეობა არ არსებობს თქო! აბა, დაფიქრდით, მამაო“, – უთხარი ლაზრიშვილს – „ვის, რას და რა მიზანს ემსახურები თქო?! ეს ამოდენა ფული უნდა დავიმუშაოთ, წელებზე ფეხები უნდა დავიდგათ, სანთლის ქარხანა ვაწარმოოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასე განუკითხავად, ასე უანგარიშოთ და უკანტროლოთ ხარჯონ საკათ. საბჭომ, ეპისკოპოსებმა, დავითაშვილმა და ვინ იცის, კიდევ ვინ თქო?! მე ასეთ საქმეში ვერ გამოვიჩენ საჭირო ხალისს, შენთანაც უსიამოვნება მომივა, კათოლიკოზთანაც და საკ. საბჭოსთანაც! ღმერთმა დამიფაროს, ისევ ცინცაძის კლანჭებში ჩავვარდე! ვეცდები, რაიმე კერძო საქმეები გავიჩინო, გადასაწერ-გადმოსაწერი, სათარგმნი, კერძო გაკვეთილები, ან თეფშები ურეცხო სამიკიტნოებში ლუკმა-პურის მოსაპოებლად თქო. თქვენთან კი ვერ ვბედავ სამსახურს, დიდი მადლობელი ვარ წინადადებისათვის და პატივის ცემისათვის, მე მაგ წრეებში შემომსვლელი კაცი არ ვარ“! „სურამიადამ“

და „კორნელი-მინადორიადამ“ სულ ნერვები ამიშალა! შორს, შორს ამ წყეულ წრეებიდან! ჩვენში წარიშალა ყოველივე ეკლესიურ-კანონიური ნორმა, ჩვენში აღარ არის ნამუსი და სჯული!.. მივატოვე დიმიტრი! მგონი, მაგასაც ეს უნდოდა, ეს საშინჯი ანკესი იყო – მოვებმებოდი ზედ თუ არა?!. შემდეგ მათ იცოდნენ თუ როგორ მომივლიდენ, როგორ „ანგარებას“ მისაყვედურებდენ... არ მსურს ასეთი „ლუკმა“!..

7 ნოემბერი
„ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ხუთი წლის თავი“
(1917 წ. 25 ოქტ. – 1922, 7 ნოემბერი (ძვ.სტ. 25/X)

წინა ღამიდან გაჩირაღდნებული იყო ქალაქი, ყველა დაწესებულებათა შენობები ილიუმინაციის ცეცხლში იყო გახვეული, განსაკუთრებულად ფანტასტიური იყო სასახლის და ქალაქის თვით-მმართველობის შენობათა ილიუმინაციები. წინაღამით ხალხი არ სჩანდა ქუჩებზე, დღეს დილიდან კი წითელ-ბაირაღ-დროშებით და სურათებით დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა პროცესიებმა ნაძალადევისაკენ, იქიდან დიდუბის „დოღის“ მინდვრებზე მიტინგებზე. მუშა-მოსამსახურეებს სასტიკად ჰქონდათ ნაბრძანები, რათა უკლებლივ გამოცხადებულიყვნენ ჯერ თავიანთ სამსახურის ადგილზე, იქ ხელი მოეწერათ წიგნში, რო გამოცხადდენ, კიდევ ორ პუნქტზედაც უნდა მოეწერათ ხელი, რომ გზადაგზა არ გაპარულიყვნენ. წინა დღეებში მუშებს და მოსამსახურეებს (მაგ. რკინის გზის სამმართველოში) სამსახურის გათავებისას კარებს უკეტავდენ, რომ მიტინგზე ყური დაეგდოთ „ორატორისათვის“, რომელიც ამზადებდა „მასსას“ დღესასწაულებისათვის. ამ სახით დიდ-ძალი პროცესიები იყო ამ დღეს! მორთულ-მოკაზმული ტრამვაის ვაგონები, ფასი მგზავრობისა ორჯელ გადიდებული იყო – „ქუჩის ბავშთა სასარგებლოდო“! ავტომობილებით, მორთული ეტლებით დასრიალობდენ „პასუხისმგებელი“ ამხანაგები: ქალები, ბავშები წითელ ხელ-სახოცებით თავ-წაკრულები, გაჰქონდათ ერთი ჟრიამული და წივილ-კივილი! თბილისი აივსო სომხებით, რუსებით, ურიებით და სხვა გარეშე ხალხით, ქუჩაში ქართული ლაპარაკი იშვიათადღა ისმის, რუსული და სომხური – აი ეს ელემენტები ზეიმობენ უმეტეს წილად, ქართველები არ სჩანან. გამოვიდა გაზეთები – „ზარია ვოსტოკა“ დიდი ფორმატით, „კომუნისტი“ (ქართულად) კომუნისტურ ლიდერების სურათებით, ამათი სურათებით მორთულ-მოკაზმულია დიდ-დიდი შენობები, მაღაზიების ვიტრინები! გაზეთები შეჰღაღადებენ რევოლიუციის 5 წლისთავს, აკეთებენ ისტორიულ მიმოხილვას განვლილ ბრძოლის გზისა, ითვალისწინებენ ახლო მომავალს და დღესასწაულობენ პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვებას – ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე – ანტანტაზე. გაზეთებში ასეთი პოლიტიკური ლოზუნგია წამოყენებული: „გაუმარჯოს სოციალისტურ

საბჭოთა რესპუბლიკების და ფედერაციების კავშირს“! ალბად ეს ნიშნავს რუსეთთან სრულს გაერთიანებას ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციისას! ჯერ არა სჩანს ნათლად, რა სახელს მიიღებს ეს „გაერთიანება“. ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე ორი თვის იძულებით შვებულებაშია გაშვებული ქართულ ეროვნულ მიმართულებისათვის, სვანიძე – ფინანსის კომისარი – უკვე გაიგზავნა რუსეთში, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე მახარაძე კი ისევ აქ არის, ალბად ამანაც დათმობის გზა არჩია „პორტფელის“ შესანარჩუნებლად. ერთი სიტყვით, სწარმოებს რუსეთთან შედუღების პროცესსი სხვა და სხვა რევოლიუციონერ-სოციალისტურ მყვირალა ლოზუნგების ქვეშე! გაიმარჯვა ისევ სომხობამ – მიასნიკოვია დღეს ჩვენი საჭის მპყრობელი! ქავთარაძის მაგივრად – ორახელაშვილი ხელ-მძღვანელობს საქართველოს მართვა-გამგეობას... მუსიკა-თეატრები, კინო-მატოგრაფები, „სურამის ციხემ“ თავი ისახელა, ხალხი ბუზივით ეხვევა, უკანასკნელი ბილეთი ღირს 40.000 მანეთი! ისევ ილიუმინაციები და შუშხუნები, ქალაქს თითქოს ცეცხლი ეკიდება, გარს მტერი შემოხვევია და სროლას აწარმოებსო! დღესასწაულების სახარჯოდ მთავრობას სამი მილიარდი გადაუდვიაო...

შუადღის პირველ საათზე უცბად ჩოჩქოლი შეიქმნა რუსთაველის პროსპექტზე – ვიღაც მღვდელმა ქართული ეროვნული დროშა ააფრიალაო, დაიჭირეს და დროშებით ხელში „ჩეკაში“ წაიყვანესო! ყოველი მხრით მეკითხებიან – რას ნიშნავს ესაო?! მე არა ვიცოდი რა და შემდეგ გავიგე შემდეგი: გზაში მოვიდა ჩემთან ჩვენი მთავარ-ხუცესის დეკ. დიმ. ხახუტაშვილის გათხოვილი ქალი და მიამბო: „მამა ჩემი დაიჭირეს, ჩეკაში წაიყვანეს, აი ეს არის ეხლა გაატარეს პროსპეკტზე, უკან მისდევდენ ბიჭ-ბუჭები ყიჟინით, გვერდით წითელი არმიელი მოჰყვებოდა, ხელში მამას ორი დროშა ეჭირა და საჩქაროდ მიჰყავდათ „ჩეკაშიო“! ქალი მეტად შეწუხებული იყო და გამოსთქვა აზრი – „დავიჯერო, სამღვდელოება არ გამოექომაგება მოხუც დეკანოზს, რომ მალე გაანთავისუფლონო“?! მე მოვახსენე: „სამღვდელოების და სასულიერო მთავრობის გამოქომაგების იმედი ნუ გექნებათ, ბევრს კიდევაც ესიამოვნება მამაშენის თავიდან მოშორება, თქვენ ისევ კერძო – გავლენიან პირების საშვალებით ეცადეთ თქო! ხახუტაშვილს როდი აუფრიალებია ეს დროშები, თურმე წმ. ნინოს სასაფლაოს ალაყაფის კარებზე დარაჯს უნდა გამოეფინა წითელი დროშები, ამათ ნაცვლად კი გამოუფენიათ ქართული ეროვნული დროშები, რომელნიც ჰქონებიათ შენახული! რო მისულა მილიციონერი და დეკ. ბერიძისთვის უკითხავს – ეს რას ნიშნავსო, ბერიძეს უპასუხნია: „მე რა შუაში ვარ, ეს ჩვენს წინამძღვარს ეკითხებაო“! მოუჭიდნიათ ხელი დეკ. ხახუტაშვილისათვის და წმ. ნინოდან სულ ჩაქ-ჩაქით წამოუყვანიათ რუსთაველის პროსპექტით „ჩეკაში“, გზაში განჰკიცხეს, დაამცირეს მოხუცი ბრბომ, ხოლო თანამოსამსახურეებმა გასცეს ეს, ვითარცა იუდამ! ამბობენ, ეს მოუხერხეს მას, რათა თავიდან მოიცილონ და ისევ გამაგრდენ იქ ქურდი დეკანოზები: გ. გამრეკელი (ყოფილი წინამძღვარი, ეხლა

მეორე მღვდლად ჩამოყენებული, ეხლა-ხან საკათ. საბჭოში წევრად მიწვეული, როგორც კანდიდატი) და გ. ბერიძე – ესეც ქურდი, წინეთ გამრეკელთან ერთად გასამართლებული, მაგრამ ისევ თავის ადგილზე დატოვებული. კათოლიკოზს ეჯავრება მთავარ-ხუცესი ხახუტაშვილი და გ. გამრეკელი შეუჩენია მისთვის, რათა რაიმე ფანდი უყოს და უყვეს კიდეც. ვნახოთ, რა იქნება! აღარ შეიძლება სუნთქვა ჩვენს უწყებაში! ვშიშობთ გამცემელთაგან...

11 ნოემბერი – პარასკევი

დღეს ერთი საწყალი მიცვალებული მივასვენე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ავლაბრიდან, გაუტყუებია სომეხ ჯარის კაცს 15 წლის ობოლი ქართველი ქალი – ლობჯანიძე და მოუკლავს ლევორვერით. ეს საბრალო მსხვერპლი დავასაფლავე – ღარიბ-ღატაკი, რომელსაც უფულოდ ხელი არავინ მოსჭიდა, სასაფლაოს ეკლესიაში შენდობის ფურცლისა და გვირგვინაკისათვის 30.000 მანეთი მოსთხოვა დეკ. შუბლაძემ, იქვე ჩემს წინ და... არც შერცხვა! ასეთია დღეს ეკლესიის მსახურთა ქრისტიანობა, თითქოს ქრისტიანობა „ღარიბ-ღატაკთა“ სარწმუნოება იყო და თვით ეკლესიის ქონება „ღარიბთა ქონებას“ შეადგენდა, როგორც ამას თვით იოანნე ოქროპირიც მოწმობს; ხოლო ამ იოანნე ოქროპირის მოძღვრობაზე ეყრდნობა რუსეთის კომუნისტურ ეხლანდელი განათლების მინისტრი ლუნაჩარსკი, რომელსაც პატარა წიგნაკი-ბროშიურა გამოუცია შემდეგი სათაურით: „кому принадлежит церковное имущество“ და ამტკიცებს, რომ – საეკლესიო ქონება ეკუთნოდა „ღარიბებს“, სამღვდელოება პირველ ხანებში იყო განმანაწილებელი ამ ქონებისა ღარიბთა შორის, ხოლო დღეს სამღვდელოებამ ხელში იგდო მთელი ეკლესიის ქონება-შემოსავალი და თვით მიირთმევს, ხარჯავს და ფლანგავს, როგორც მოესურვებაო! სრული ჭეშმარიტებაა! ასეთი უთავბოლო ფლანგვა საეკლესიო შემოსავლისა, როგორიც არის დღეს ჩვენს ეკლესიაში და მის მართვა-გამგეობაში, ჯერ არ ყოფილა! ნამდვილი შესევაა! ვიღას ახსოვს „ღარიბები“ ან ქვრივ-ოხრები! სასაფლაოსაც კი არ იძლევიან უფასოს, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურმა მთავრობამ ეს დააკანონა! მღვდლები მაინც ახერხებენ საფლავების გაყიდვას! ამას წინეთ დიდუბის წინამძღვარს დეკ. იოსებ მირიანაშვილს, საკათ. საბჭოს წევრს, ვიღაცისაგან ათი მილიონი მოუთხოვია საფლავის ფასად, ხოლო მიცვალებულის პატრონს ეს გაუსაჩივრებია თბილისის ქალაქის „აღმასკომში“ და ეხლა არკვევენ საკითხს – სასაფლაოების ჩამორთმევის შესახებ სამღვდელოებისაგან!.. ეს არის ჩვენი დღევანდელი ეკლესიური მართვა-გამგეობის შორსმჭვრეტელობა! მართლაც, თუ ასე უთავბოლოდ გაიფლანგება ფული და რაიმე სასიკეთო საგანს არ მოხმარდება, განა სულ ერთი არ არის – კომუნისტები შესჭამენ ამ ფულებს თუ ჩვენი გაუმაძღარი – მესაფლავე მღვდლები?! „გინდ მგელს შეუჭამივარ და გინდ მგლის ფერ ძაღლსაო“, – უთქვამს ქართველთა სიბრძნეს! ამ „ქონებიდან“

ცნობილ მდივნის დ. დავითაშვილისათვის დაუნიშნავს საკათ. საბჭოს თვიურად სამი მილიონი მანათი და თან საგანგებო საქმეთა მოხელეობაც უბოძებიათ „საკათ. საბჭოსთან“, თვის თანამდებობაზე დაუტოვებიათ ჯამაგირებით და აუარებელი ქრთამებით! კიდევ არიან სამღვდელო-სადიაკვნონი, რომელთაც სჭირდებათ დავითაშვილის „დახმარება“, ხოლო „დახმარებას“ მოჰყვება გასამრჯელოდ ფულიც, პურიც, ღვინოც და სხვა ასეთი ჩვენებური-ძველებური „ძღვენი“! რატომ?! კათოლიკოზს თურმე წილი უდევს ვერის სასაფლაოს საძმო შემოსავალში – 5%! იქიდანვე – ეკლესიის საშვალებათაგან – 15 მილიონიანი ძროხა უნდა უყიდონ, აჭმევენ, ასმევენ და ესეც ერთნაირი „ძღვენია“! კათოლიკოზს თუ უნდა ჭამა, განა მისს კანცელიარიის გამგეს დავითაშვილს არ უნდა?! ეს უფრო დაჩვეულია „ჭამას“! ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება სულ ერთიანად გაანადგურა, მიითვისა მთელი მისი ქონება, კანცელიარიის არქივიც კი სახვევ ქაღალდებად გაჰყიდა! ეხლა შემოელია და ჯამაგირი გაიჩინა სამი მილიონი თვეში! ვითომ „კომუნისტურ მთავრობასთან უნდა იაროს“ და საქმეები გაუკეთოს „ეკლესიას“! აბა, ნუ მისცემდენ?!. კორნელი კეკელიძის ჯვრის წერაზე დავითაშვილი, განმქორწინებელი მისი, შაფერად – ძმადეთაც ყოფილა! დავითაშვილთან ერთად კეკელიძის 18 წლის ვაჟიც ყოფილა შაფერად ყოფილ მიტროფორნი დეკანოზ-მამის მეორე ჯვრის წერაზე, როდესაც დედა მისი ძაღლივით გარეთ გამოგდებული ქუჩაზე გდია და ცრემლებს აფრქვევს! ის ღა აკლდათ, რომ თვით უბედური ლიუდმილაც ქორწილზე დაეპატიჟნათ! თუმცა ჯვრის წერის მეორე დღეს ეს ლიუდმილა მისულა ბოდბის მონასტრის კარის ეკლესიაში – დეკ. ლაზარე ნათიძესთან და მისთვის გამოუკითხნია – თუ როგორ დაიწერა მისმა ქმარმა ჯვარი მინადორა კასრაძეზე! და თან ნათიძისათვის უთქვამს ლიუდმილას, რას მიმალავთ, მე ყველაფერი ვიცი, თვით ჩემი უფროსი შვილიც მამას შაფერად ჰყავდაო! არ ვიცი, ამაზე იქით სად უნდა წავიდეს ჩვენი გათახსირება?! კეკელიძის საქციელი „სურამიადას“ სკანდალს სჭარბობს დღეს თავისი სენსაციით ჩვენს „საზოგადოებაში“!..

დეკანოზ ილია შუბლაძის ჩემთან გამობაასება

ზემოდ თავის ადგილზე მე აღვნიშნე, თუ როგორ გამიკეთა დარბაზობა ანუ „მოკითხვა“ ქრისტეფორე ურბნელმა – ყოფილმა მანგლელმა, ყოფილმა „რედაქტორმა“ „ახ. სიტყვისამა“! აღვნიშნე, რა წინადადებაც მომცა და როგორ უარ-ვყავი ეს „წინადადება“ – ანჩისხატის ტაძრის ბინიდან ყოფილ სამხედრო ტაძარში „მეორე მღვდლად“ სამსახური, რათა სლავიანურად მეწირ-მელოცა – „რანნიაა ლიტურლიებზე“ რუსის დედა-კაცებისათვის და ყოფილ შავრაზმელ რუსებისათვის! ეს ნომერი არ გავიდა! მეორე ნომერი იყო – კათოლიკოზმა დეკ. ლაზარიშვილის პირით საკათ. საბჭოს „ხაზინადრობა“ შემომთავაზა: 600.000 მანეთი თვეში, ყოველ დღე 9–3 საათამდე სამსახურისათვის! ესეც უარ ვყავ!

მესამე ნომერი იმავ ლაზარიშვილს პირით გამიკეთა კათოლიკოზმავე – ლაზარიშვილმა განმიცხადა: დავამარცხე დეკ. შუბლაძე, ის იძულებულია გავიდეს სამეურნეო გამგეობიდან, შენ აიღე ამ გამგეობის წევრობაც (ესე იგი ლაზარიშვილის ხელ ქვეითობა) და ხაზინადრობაც, თვეში 1.200.000 მანეთი მოგეცემა და „ამას გარდა მე ვიცი, კიდევ რამდენ სხვა დახმარებას აღმოგიჩენო“! ესე იგი – თუ მე „მორჩილი“ და „მასიამოვნებელი“ პირი ვიქნები სემინარიის პირველი კლასიდან უნიჭობისათვის გამორიცხული ლაზარიშვილისა, მაშინ ის „ეცდება“, აღმომიჩინოს „დახმარება“ სხვა წყაროებიდანაც! ეს „ნომერიც“ უარ ვყავი, რასაკვირველია! 11 ნოემბერს კი – პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იმ უბედურ ბავშის დასაფლავების შემდეგ დეკ. შუბლაძე „გამომებაასა“ ხანგრძლივად! მან ალბად იცის, რომ დეკ. ლაზარიშვილს ბევრი რამეები აქვს მასზე ჩემთან დახარჯული და ეხლა თვით შეეცადა ჩემს თვალში დეკ. ლაზარიშვილი გაეშავებია! და მართლაც არ დაუკლია არავითარი „საღებავი“ ამისათვის! სულ ერთიანად – ძირ-ბუდიანად მოსთხარა ლაზარიშვილის „სამეურნეო დირექტორობა“! ის ბოროტ-მომქმედ პირად მომაწოდა, რომელსაც მხოლოდ „სამსჯავრო თუ გასცემს პასუხსო! დამისახა სურათი ლაზარიშვილის „უპასუხისმგებლობაზე“, რომ „გამგეობა“ ფიქციაა მის ხელში, არაფერს არ მეკითხებოდა, როგორც უნდოდა და რაც უნდოდა, იმას სჩადიოდაო! ამაზე მომივიდა ლაპარაკი და უსიამოვნება მასთანო! ეხლა საქმე ისე სდგას, რომ უნდა დამითხოვონ, მაგრამ ვერ დამითხოვენო, თუ დამითხოვენ და შემდეგ მე ვიცი, გაზეთ „ტრიბუნაში“ ერთ კუნჭულს კი დამითმობენ და მე ვიცი და მათაო! მაგრამ შეიძლება მე თვითონ დავანებო თავი, რა ანგარიშია ჩემი იქ სამსახური, აქ, სასაფლაოზე ბევრად მეტს ვკარგავ, ვინემ იქაური სამსახური მაძლევსო! აქ ტაბლები მეკარგება, სულ სამადალაშვილს მიაქვს; იმ დღეს მილიონად ღირებული ტაბლა შემხვდაო! შენ არ უნდა გეთქვა უარი ხაზინადრობაზე, აქ შენ საჭირო ხარ! დღეს ლაზარიშვილის წყვდიადით არის მოცული ეს „ხაზინა“! არავინ იცის, როდის რამდენი ფულია შიგ! საკათ. საბჭოში რო შეეკითხებიან ლაზარიშვილს – ფული რამდენი გაქვსო, არასოდეს არ იტყვის მართალ ჯამსო! სამღვდელოებისა და ეკლესიის დიდი სიმდიდრე და შემოსავალი ინთქება დღეს ლაზარიშვილის ხელშიო! შენ ვალდებული ხარ ეპატრონო ყოველივე ამასო! შეგიძლია კიდეც და ვერც გაგიბედავს იმას, რასაც მე მიბედავდაო!.. კიდევ ბევრი ასეთები მიამბო შუბლაძემ, ეტყობა, რომ მეტად გაალმასებულია ლაზარიშვილზე, ეს უკანასკნელი სჭარბობს კათოლიკოზზე გავლენით შუბლაძეს, ამასაც უნდა გავლენის ქვეშე ჰყავდეს კათოლიკოზი, აქ ეჯიბრებიან ერთმანეთში, კათოლიკოზს, ეტყობა ლაზარიშვილი მეტად სასარგებლოდ მიაჩნია თვისი პირადი სარგებლობისთვის. „კათოლიკოზს ჰგონია, – სთქვა დეკ. შუბლაძემ, – რომ ის ოთხი ფუთი ფქვილი, რომელიც მას ეძლევა თვიურად, ლაზარიშვილის ბეღლიდან გამოდისო“!.. მაგრამ კათოლიკოზს არც შუბლაძე ეთმობა, ესეც სჭირდება მას თვისი ცბიერობით და მოქნილობით. ამიტომ თურმე აგრე ჰქონიათ განზრახვა: დეკ. ცინცაძემ უნდა დაუთმოს შუბლაძეს საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგის თანამდებო-

ბა! ქუთათელმა ერთი ყოფა დააწია საკათ. საბჭოში: „უკანონოა საკათ. საბჭოს წევრს კანცელიარიის გამგეობაც ჰქონდეს, ვინაიდან მთელ საქმის წარმოებას ის აძლევს თავისებურ მიმართულებასაო“! ალბად ცინცაძემ ვეღარ გაუძლო ამდენ მხილებას და შუბლაძეს „უთმობს“ თვის ადგილს, იმ იმედით, რომ ესეც „შინაური“ – „ნაცადი“ კაცია, ხელს არ შეუშლის მათ საქმეების მოჭახრაკებაში! შუბლაძე როდი მეუბნება, თუ ის საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგის სავარძელში უნდა წამოჯდეს, ის თან ლაზარიშვილს ამცირებს ჩემს თვალში, თან მეც გულს მიმღვრევს, რომ არ მეკადრება ასეთ პირთან თანამშრომლობა, რომ ის ბოროტ-მომქმედია და თუ მაინცა და მაინც ვიტვირთებ ლაზარიშვილთან სამეურნეო გამგეობაში თანამშრომლობას, მუდამ გაუნელებელი ცეცხლით უნდა ვიყო აღტყინებული ლაზრიშვილისადმი! ეს ჯოჯოხეთური ატმოსფერაა! ასეთ პირობებში მეტად სახიფათოა ჩემი მომწყვდევა! ეს გავითვალისწინე და, როგორც ლაზარიშვილს მოვახსენე უარი, ისე და უფრო მეტად შუბლაძესაც იგივე მოვახსენე: „ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია მაგ პირობებში შემოსვლა! თქვენ სარგებლობთ ჩემი ნივთიერი ხელ მოკლებით, მაგრამ შიმშილით რო მოვკდე, მაგ პირობებში მე არ შემოვალ, თუ მომცემენ რაიმე დამოუკიდებელ შესაფერ თანამდებობას, ვიკისრებ სამსახურს, ისე კი ლაზარიშვილის მაჩანჩალობა და „უხმო“ წევრობა თუ შენ არ იკისრე და ვერ მოახერხე, რატომ გგონია, რომ მე ვიკისრებ და ვიგუებთქო! კათოლიკოზი რომ ადამიანად ვარგოდეს, კიდევ გავბედავდი სამსახურს, მაგრამ ის ხომ თავისთავს არ „ეყუდვნის“, ის თქვენ სათამაშო ბურთად გაჰხადეთ, მას ვერ ვენდობი თქო“! – არა, კაცო, შენ რომ იმას დაუახლოვდე მოგეწონება, არ არის უჭკუო კაცი, „его только опутали“ო! – სთქვა შუბლაძემ! მე უპასუხე: „მეც ეს მოგახსენეთ, რატომ მისცა თავი ინტრიგანების ბადე-ქსელში! მე არ მითქვამს, ის სულელია, უჭკუო და ტუტუცია თქო! მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მას არ აქვს საკუთარი ნების ყოფა, ის უხასიათო პირია, ოღონდ მას ნურას დააკლებთ – აჭამეთ, ფული მიეცით და სხვას არას დაგიდევს თქო“! ასეთ პირს მე ვერ ვენდობი, მე თქვენს ბრჭყალებში აღარ მინდა მოვხდე თქო...

12 ნოემბერი – კვირა
დიმიტრი ყიფიანზე „პანაშვიდი“ მამა დავითის ეზოში

წუხელ, საღამოს საათის ცხრაზე, ჩემთან შემოვიდა თედო სახოკია, ქართველ მწერალთა კავშირის წევრი. ის ყოფილიყო კათოლიკოზთან, რომელიც დღეისათვის, შუადღის პირველ საათზე, მოუპატიჟნია მწერალთა კავშირს დიმიტრი ყიფიანზე გარდაცვალების 35 წლის აღსანიშნავ პანაშვიდის გადასახდელად მამადავითზე! კათოლიკოზი დათანხმებულა, მხოლოდ უსაყვედურებია „რატომ ცოტა უფრო ადრე არ შეგვატყობინეთ, რომ შევმზადებულიყავითო; თანამსახურ მღვდლების შოვნაც გასჭირდება, ვინაიდან კვირაა და ყველას

თავისი საქმე აქვთ ტაძრებშიო, მაგალითად დეკ. თალაქვაძე ერთი მღვდელია თავის ტაძარში და როგორ უნდა დასტოვოს უწირავადო“... სახოკიამ წინადადება მომცა მიმეღო მონაწილეობა პანაშვიდში და მაცნობა, რომ კვირის ნომერი ყოველკვირეულ მწერალთა კავშირის გაზეთის – „ლომისისა“ (№11) დიმიტრი ყიფიანზეა დამზადებული, შეიძინე, წაიკითხე და სიტყვა წარმოსთქვიო! მე უპასუხე: „სიტყვას კათოლიკოზი ბრძანებს და ჩემი სიტყვა იქ უადგილოდ მიმაჩნია; დიდი თაყვანისმცემელი ვარ დიმიტრი ყიფიანისა, მას მუდამ ვიხსენიებ ჩემს წირვაში, როგორც წამებულ-თავდადებულ მამულიშვილს, მაგრამ ხვალინდელ პანაშვიდში კი მონაწილეობას ვერ მივიღებ, ჩემი სინდისი იმ ზომ აღშფოთებულია „სურამის ციხის“ სინემატოგრაფიულ ლენტზე ჩვენი სამღვდელოების გამასხარავებით და თავლაფ-დასხმით, რომ არ შემიძლია ცინცაძე-თოთიბაძეებს გვერდით ამოუდგე და ისე საზოგადოებას ვეჩვენო თქო“! სახოკიამ ისე მაჩვენა თავი, რომ თითქოს არა იცოდა რა არც „სურამიადასი“ და არც კეკელიძის სკანდალურ ჯვრის წერაზე! მე მივხვდი, რომ ეს „მეგრელი“ მეგრელ კათოლიკოზის მიერ დასაზვერავად იყო შემოგზავნილი, რას ვიტყოდი, რა გუნებაზე ვარ, კიდევ ვღელავ და ვშფოთავ თუ დავმშვიდდი! მე მზვერავს არ მოვერიდე და თითქოს მჯეროდეს გულუბრყვილო „არცოდნა“ თ. სახოკიასი, მოუყევი მთელი ვითარება საქმისა, ის სირცხვილი და დამცირება, რომელიც კათოლიკოზის განკარგულებით მოუვიდა თბილისის სამღვდელოებას – ცნობილ „მაჭანკალ“ დეკანოზების დაგებულ მახეების გამო, თუ როგორ გააბეს კათოლიკოზი ამ სამარცხვინო ბადე-ქსელში; ან რა უკანონობა ჩაადენინეს კათოლიკოზს ყოფილ დეკანოზ კეკელიძის განქორწინების საქმეში და ხელმეორედ ისევ ეკლესიურ ჯვრის წერით დაქორწინებით, ყოფილ ეპარქიალურ სასწავლებლის – ეხლა ქალთა ტეხნიკუმის მოწაფეებმა შეიგნეს მინადორა კასრაძის (კეკელიძის მეორე ცოლის) უზნეო საქციელი, ის აღარ შეუშვეს სკოლაში მასწავლებლად, იძულებული ჰყვეს ერთი წლის შვებულება აეღო და გადასახლებულიყო კორნელის ბინაზე! ჩვენმა „უმაღლესმა სამღვდელოებამ“ კი ეს ვერ შეიგნო, პირიქით ყველაფრით ხელი შეუწყვეს „ეკლესიური წესით“ დაეკანონებიათ ეს უკანონობა, ეს უდიდესი უზნეო აქტი, რომელიც უფრო დიდ სამარცხვინო ლაქად დაედო კათოლიკოზსა და მის მრჩევლებს, ვინემ „სურამიადა“! იმ ზომ აღშფოთებული ვარ ყოველივე ამით, რომ, მაპატიეთ, ვერ მივიღებ ამათთან პანაშვიდში მონაწილეობას, მე ჩემს ტაძარში შევავედრებ დიმიტრის ტანჯულ სულს ჩემს უფალს! თქვენ კი, ქართველმა მწერლებმა, წაიყვანეთ ეს „ქამები“, ამოუდექით გვერდით და... ილოცეთ, თუ არ შეგრცხვებათ თქო!.. მოვახსენე სახოკიას ჩემი აზრი „სურამის ციხეზე“, დ. ჭონქაძეზე, მის მიერ ტენდენციურად და ყალბად ჩვენი ბატონ-ყმობის გაშუქებაზე და დავსძინე, რომ ვისაც „სურამის ციხე“ კი ერთხელ მაინც წაუკითხავს და ის მაინც დასთანხმდა „აგიტ-პუნქტის“ მანეკენად სურათზე გადაღებას, მას სინიდისი არ აქვს! მწუხარება გამოვაცხადე, რომ ამ სამარცხვინო საქმეში დიდ როლს თამაშობს მხცოვანი ჩვენი არტისტი ვალერიან გუნია, მაგრამ, ეტყობა, ის, როგორც ჩვენი

„მოწინავე დეკანოზები“, ფულის გულისათვის ყველაფერს კადრულობს! ამათ ფულებში გაუყიდია ჩვენი ერის ნამუსი, შეგნებულად ჩაუდენიათ „ქამობა“! აბა, რა პირით გამოდიხართ ხვალ პანაშვიდზე?! განა არ ვიცი, რომ ხვალინდელი თქვენი პანაშვიდი თქვენ რაღაც „დემონსტრაციათ“ გინდათ აჩვენოთ „ვინმეებს“, მაგრამ ეს უკანასკნელები მწარე ღიმილით გიპასუხებენ თქვენს „პანაშვიდზე“! ღმერთმა გაპატიოთ ამდენი თვალთმაქცობა და უილაჯობა. მე მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, „სურამის ციხის“ – ისტორიულ სურათისათვის“ გამოუსადეგარი – შეუსაბამო ვყოფილვარ, „სტილნი“ არ ვყოფილვარ, არც მაგ პანაშვიდებში გამოვდგები მე ვისმე დასამშვენებლად!

თედო სახოკია დამწუხრებული მიგდებდა ყურს, მას თითქოს ყოველივე ეს პირველად ესმის და მწარედ იფურთხებოდა. წავიდა... დეკ. ცინცაძეს და თოთიბაძეს უნდა შევატყობინო, მონაწილეობა მიიღონ პანაშვიდშიო! აი, სწორეთ ასეთ შემთხვევებზეა ნათქვამი: „ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავ“! – „არა ღმერთმანიო“, – გაიძახოდა თურმე იგივე ურია! ასეა ამ „დეკანოზების“ საქმეც! რაც უნდა ჩაედინოთ, ჩაიდინონ ან კიდევ ჩაიდენენ ესენი, ჩვენი „საზოგადოება“ უმაგათოთ მაინც არ ვარგა, ესენი „სჭირდებათ“ – „საზოგადოებას“! ბაზარზედაც ისეთი „საქონელი“ გამოაქვთ ხოლმე, რომელსაც „გასავალი“ აქვს! „როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო“, – ტყვილა კი არ უთქვამთ!

ვნახოთ, როგორი პანაშვიდი გადაიხადეს!.. წავიკითხე ამ დილით გაზეთი „ლომისი“! მთელი ნომერი სულ დიმიტრის ხსოვნაზეა; ჩინებული მოგონებანია, გაზეთი იწყება აწ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მოწინავე სტატიით, რომელიც გადმოუბეჭდიათ 1887 წლის ღვინობისთვის 30-ის ნომრის გაზეთ „ივერიიდან“. შემდეგ დაბეჭდილია დიმიტრის წერილი პავლე ექსარხოსისადმი, ამის მიერ საქართველოს დაწყევლის გამო, სემინარიელ სოსო ლაღიაშვილის მიერ რექტორ დეკანოზ ჩუდეცკის მოკვლით გამოწვეული. შემდეგ წერილები აქვთ – „ლეო ქიაჩელს“ (შენგელაია), კოწია გამსახურდიას, თვით ვალერიან გუნიას – „დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა“ – მოგონება 35 წლისთავზე, აქ დიდ მოამაგეთ გამოჰყავს იმ დროს „ჭაბუკ“ გუნიას თავისი თავი, თითქოს ის ყოფილიყოს დიმიტრის უმთავრესი ჭირისუფალი! დღეს კი „სურამის ციხის“ ლენტზე, როდესაც ქართველ დედაკაცს კევრში აბამს ბატონი, ჩვენი გუნია ამ „ბატონის“ მსახიობი, მუცელზე გორაობს სიცილ-ხარხარით და სულ „ხით-ხითებს“!.. სირცხვილო!.. სტატია აქვთ კიდევ – დემნა შენგელაიას, შიო არაგვისპირელს, თ. სახოკიას (ლაღიაშვილზე – რექტორის მკვლელზე), ვ. აბაშიძეს... ნომერი საინტერესოთ არის შედგენილი! კოწია გამსახურდია თვის საინტერესო წერილის ბოლოში სწერს: „ის თაობა, რომელიც გმირების აკლდამების ჩრდილებს ეფარება, ის ღირსი არ არის არსებობისაო“!.. – „მარტვილი და გმირი სჭირია დღეს ქართველ ერს, რადგან უდიდესი მოვალეობაა საქართველოსათვის სიცოცხლე და მუშაობა! ხოლო უდიდესი გამარჯვება – მისთვის სიკვდილი“!.. ამას ასე უმღერიან ჩვენს „კომუნისტებს“, რომელთაც რუსები-სომხები და სხვანი, ჩვენს ქვეყანაში ეხლა ძირ-გადგმულნი, „ნაციონალისტობას“ უყიჟინებენ და

აქეთ-იქით ჰფანტავენ – „კაი-კაი ადგილებზე“, შორს საქართველოდან კი, მაგალითად, ვლადივოსტოკის „მთავრობის“ თავმჯდომარეთ, ან პეტერბურგის გარნიზონის უფროსად (კოტე ცინცაძე – „ჩეკის“ თავმჯდომარე), თვით კი, რუსებიც და სომხებიც, აქ, ჩვენში, თავიანთ ბატონობის თუ ახალ სამშობლოს შეძენის და დამკვიდრების საქმეს აწარმოებენ! ჩვენი მწერლები კი ამ დროს „პანაშვიდს“ უხდიან დიმ. ყიფიანს თვის ნამუს-ახდილ, გამყიდველ სამღვდელოებით! კოშმარია! თავი შეგეზიზღება ადამიანს, კარგად რო ჩაუკვირდეს ეხლანდელ ჩვენს ვითარებას! „ბატონ-ყმობა“ დღეს „დიქტატურით“ შეიცვალა, „ფეოდალიზმის“ ნაცვლად „რევოლიუცია“ მოგვევლინა! ძველი ბურჟუაზიის ნაცვლად ახალი იბადება – უქნარა, მუქთახორა, სხვის მონაგების მფლანგავნი! ასეთებს „პასუხისმგებელი ამხანაგები“ ჰქვიან!..

17 ნოემბერი – პარასკევი

დღეს კათოლიკოზის სასახლე და აგრეთვე საკათ. საბჭოს შენობაც დაუთალიერებიათ „ჩეკისტებს“ – სომხებს და რუსებს, ყოფილან მათ შორის ქართველებიც; დაუთვლიათ და აუწერიათ ოთახები, ავეჯეულობით; შესულან კათოლიკოსის კარის ეკლესიაშიც (სადაც არც წირვაა და არც ლოცვა! ღმერთიც იმიტომ სწყალობთ!) ქუდ-დახურულები! ხლებია მათ დეკ. ლაზრიშვილი და „საგანგებო მოხელე საკათ. საბჭოისა დ. დავითაშვილი, ყოფილი „დავიდოვი“! ლაზრიშვილს წინადადება მიუცია „ჩეკელებისათვის“ – „ქუდი მოიხადეთ, აქ ჩვენი სამლოცველო არისო“! ჩეკელებს გაუმასხარავებიათ, რის შემდეგ ლაზრიშვილს განუცხადებია: „ამის შემდეგ მე თქვენ ველარ დაგატარებთ სახლებში, აი ეს კაცი (დავიდოვი) გეახლებათო და თვითონ წასულა – ნიშნად „პროტესტისა“! განზრახვა ჰქონიათ სახელოსნო სასწავლებლის პანსიონი გადმოიტანონ არქიელის სასახლეში! აქ ეზოც ფართო აქვთ და სახლებიც ბლომად. ყოფილ კანტორის შენობაში – ნახევარზე მეტი ნაწილი ცენტრალურ „ზაქსის“ არქივს უჭირავს, ზოგი ოთახები აწ გადასახლებულ რაფიელ ივანიცკის – საკათ. საბჭოს წევრის – შვილებს და ცოლს უჭირავს, ზოგიც საკათ. საბჭოს კანცელიარიის ყოფილ გამგის დეკ. ნაცვლიშვილის შვილებს უჭირავს, თვითონ კი სოფელში წავიდა მღვდლად – ბოდბეში; ზოგი საკათ. საბჭოს კანცელიარიას და სამეურნეო გამგეობას უჭირავს, აქვე არის სანთლის საწყობიც. ამ უკანასკნელ შენობაში გადმოასახლებენ ალბად კათოლიკოზს, რომ მისი ფართო სასახლე და ეზო „პროლეტარიატის შვილებს“ ასარგებლონ! შეერგებათ კიდეც! ეს სახლი იყო გარყვნილების, თვალთ-მაქცობის, ფარისევლობის, ცუღლუტობის და ჩვენი სამშობლოის დამღუპველთა ბუდე-სავანე! ასეთივე დარჩა ეს „ჩვენი“ კათოლიკოსების ხელშიაც, იმ განსხვავებით, რომ პირვანდელი სხივი და სიცოცხლე აღარ იყო შიგ, აქ ბჟუტავდა „მოზმანებული თავისუფლება“ ჩვენი ეკლესიისა კირიონ-ლეონიდის ჟამს, ხოლო ამბროსის ხელში ეს აჩრდილიც

ჰქრება, აქ აგვეხადა ნამუსი სამღვდელოებას და ჩვენს სჯულს – „სურამიადის“ და კეკელიძის განქორწინება-ქორწინებით, ცინცაძე-თოთიბაძე-შუბლაძე-დავიდოვ-ლაზრიშვილების მელურ-გველური ხლაკვნა-ძრომით! ამ სასახლეს მე „მკვდარი სახლი“ უწოდე! მართლაც ის ჩვენთვის მკვდარი იყო! ეხლა ბავშების ჟრიამული და ყიჟინა თუ გააცოცხლებს მას! მაგრამ... ვაი ასეთ... „გაცოცხლებასაც“! ამათ სულიდან და გულიდან გახურებულ შანთით ამოსწვეს კიდეც სჯული, სიწმინდე და ადამიანობა, ესენი მხეც-ადამიანებად უნდა მოევლინონ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას! ეკლესია სულს ღაფავს და საქართველოც სულთმობრძავია, ამა წლის 10 დეკემბერს ბაქოს „საბჭოთა სიეზდზე“ გადაწყდება მისი რუსეთთან დამონავების საკითხი! არსაიდან ხმა, არსით ზახილი! შავი ზეწარი ეფარება ილია-აკაკის დარწეულ თავისუფლების აკვანს!.. ჩვენი მამები კი... სჭამენ, სვამენ და ემზადებიან „რუსულ „ჟივაია ცერკოვთან“ „გაერთიანებას“! ეს პროცესსი უკვე დაიწყო ძველმა ნაცადმა ოინბაზმა, ექსარხოსების ერთგულმა მაჭანკალმა დეკ. ან. თოთიბაძემ, რომელმაც უკვე აღადგინა ალექსანდრე ნეველის სახელობის ყოფილ სამხედრო ტაძარში – მისგან მენშევიკების ჟამს „წმიდა გიორგის სახელობაზე“ გადაკურთხეულ ქართულ სამხედრო ტაძარში – აღადგინა ეხლა (როდესაც ქართული „დუქანი“ ვეღარ ვაჭრობს) სლავიანური წირვა-ლოცვა და ქრ. ციცქიშვილის პირით იქ მეორე მღვდლად მეპატიჟებოდენ, რომ მეც ჩავეთრიე ამ უჟმურობაში! აქედან რუსის ეკლესიასთან „გაერთიანებაც“ ადვილად მოხერხდება! ესენი ხო „კატები“ არიან, საიდანაც უნდა გადმოაგდოთ, ისევ „ფეხზე დადგებიან“, ჯერ ზურგზე არ „დაცემულან“! ეს „ვაჟკაცობააო“, – ამბობენ ჩვენში! „ამყოლს აჰყევი, დამყოლს დაჰყევიო“, ან „სადაც შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“! ეს ანდაზები მეტისმეტ უზნეო, კომპრომისულ სიბრძნეთ მიმაჩნია, ამას მე არ ვიზიარებ! ეს სასირცხოა!.. ვნახოთ, როგორ და რით გათავდება „სასახლის რეკვიზიცია“ და სად მოათავსებენ ჩვენს კათოლიკოსს! ვნახოთ, რა „მსვლელობას“ გააჩაღებს „მთავრობასთან“ „ჩვენი საგანგებო საქმეთა მოხელე „დავიდოვი“!

დეკ. შუბლაძის „კარიერა“!

ზემოთ მე აღვნიშნე ლაზრიშვილ-შუბლაძის ჭიდაობა სამეურნეო გამგეობაში! ლაზრიშვილმა „გააძევა“ შუბლაძე ამ „გამგეობიდან“. შუბლაძე ამბობდა, მე ვერ გამაძევებსო, და თუ დამითხოვეს, „ტრიბუნის“ (ფედერალისტების გაზეთია) ფურცლებზე ერთ კუნჭულს ვიშოვნი და მე ვიცი, რაები გამოუმჟღავნო ლაზრიშვილსო, მაგისი საქმეები სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგესო! მართლაც, შუბლაძე სამეურნეო გამგეობის წევრობისაგან თუ განაძევა ლაზრიშვილმა, მაგიერში საკათ. საბჭოს საქმის წარმოების – კანცელიარიის „გამგეთ“ გადაუყვანიათ იმავე „საკათ. საბჭოში“! ამ სახით დააშორეს ერთმანეთს ლაზარიშვილი და შუბლაძე – „ცხვარიც ცოცხალი დაგვრჩა და მგელიც მაძღარიო“, – ამბობს რუსული ანდაზა!

ეს „გამგეობა“ „დაუთმო“ დეკ. ცინცაძემ (როდესაც ამ სტრიქონებს ვსწერდი, აი, შემომესმა ზარის რეკა კათოლიკოზის კარის ეკლესიაში, რა არის, არ წაგვართონ, ხო ხედავთ „ვლოცულობთო“!), რომელსაც „ეპისკოპოსთა კრებამ“ (ნაზარიმ უფრო) ამხილა, რომ შენებურ ბეჭედს ასვამ საქმის მიმდინარეობას საკათ. საბჭოში, წევრიცა ხარ და „გამგეცო“! აი, ცინცაძემ თავიდან წაიძრო ეს „პასუხისმგებლობა“, მაგრამ ისეთი პირი ჩააყენა თვისს მაგივრად, რომ მაინც თავისას გაიტანს! „ეს შუბლაძე მოგვანატრებს ცინცაძესო“! და ეს, მრწამს, ასეც იქნება! დეკ. ფხალაძე, რომლის გაეპისკოპოსებას არა ეშველა რა, ესეც გაცეცხლებულია: „თუ დეკ. იასონ კაპანაძე (ამერიკაში რო გადასახლდა) – ჩემი წინა მოადგილე, „გამგეთ“ ვარგოდა, მე რატომ არ ვარგივარ, მე რატომ არ მომცეს ეს თანამდებობაო! კათოლიკოზს ამ თაობაზე საპროტესტო ქაღალდი უნდა მივართვაო! ეხლა რაღაც კუდს მოიქნევს – „ალავერდელი რო იქნები, არ დამივიწყო პურ-ღვინითო, თეთრ-გიორგში ხშირად დამპატიჟე – „ბეჭები“ ვსჭამოთო“! – ასე მეუბნება კათოლიკოზი, ის ზიზღს იწვევს ჩემში, დიდი „მსუნაგი-ღორ-მუცელა-მატერიალისტი ყოფილაო! არ მინდა ეპისკოპოსობა, ეპისკოპოსებს ეხლა იჭერენ, აი, დავით ეპისკოპოსი-ჭყონდიდელი, ეპარქიაში სარევიზიოდ დადიოდა და „ჩეკელებს“ დაუპატიმრებიათ ექვსი მღვდლით, ტელეგრამა მოვიდა საკათ. საბჭოშიო! არ მინდა ეპისკოპოსობაო“! სულ წიხლებს ისროდა ჩვენი „საეპისკოპოსო“ ფხალაძე! ამაზე მე მიუგე: „ალბად შენც „მატერიალისტი“ ხარ და იმიტომ აღარ გინდა ეპისკოპოსობა, შეგშინებია კიდეც თქო და აქვე თბილისში აპირებ მოკალათებას ამ გამყიდველების გვერდით თქო!..“

დეკ. შუბლაძე, უნდა ვიგულისხმოთ, აღარ მონახავს „ტრიბუნის კუნჭულს“, ლაზრიშვილის ბოროტ-მოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, მეც იქიდან თუ აქედან იმდენი შემასმინეს – შუბლაძემ და ლაზრიშვილმა, რომ, თუ თავი გენანება ჩვენს წრეში არ შემოხვიდეო, ეს გამოდიოდა მათი ერთმანეთზე იოთ-მოეთობით! თუ შეხვალ ლაზრიშვილის გამგეობის ქვეშე, – გამოდის შუბლაძის ლაპარაკიდან, – ეცი, ებრძოლე მას, შენ „დიდი თავი გაქვს“, შენ იხეთქე თავი, შენ გამოამჟღავნეო! „თუ შემოხვალ ჩემს გამგეობაში, – ამბობს ლაზრიშვილი, – ჩვენ მოვეწყობით ერთმანეთს, შუბლაძის ადგილსაც შენ მოგცემ, ხაზინადრობასაც, 1.200.000 მ. ჯამაგირი გექნება და „შემდეგ მე ვიცი კიდევ რა დახმარებას გამოგინახავო“! ესე იგი თუ მისი მასიამოვნებელი, მორჩილი ვიქნები!!! მახლას!..

დღესვე შემოვიდა ჩემთან დეკ. სოსო ჩიჯავაძე – „ნავთლუხელი“ მოძღვარი! მიამბო, რომ ნაზარ მიტროპოლიტის ხელით, მის აქ ყოფნის დროს, კათოლიკოზს მივართვი ვრცელი დასაბუთებული მოხსენება მისს უთავბოლო-უკანონო-ამრევ-დამრევ მოქმედებებზე ამ ერთი წლის განმავლობაშიო! ვაყვედრე, სასტიკად ვაყვედრე „სურამის ციხეში“ ჩვენი სარწმუნოების და სამღვდელოების ეგზომ გამასხარავებაო! წასჩხუბებია ნაზარს – „შენ რა უფლება გქონდა ეს ქაღალდი ჩიჯავაძესთვის გამოგერთმია და ჩემთვის გადმოგეცაო!“ ნაზარს უპასუხნია: „დეკ. ცინცაძემ, კანცელიარიის გამგემ, არ ჩამოართვა ჩიჯავაძეს პაკეტი და მე დამავალა გადმომეცა თქვენთვისო, აქ რა არის გასაჯავრებელიო!“ ეპისკოპოსთა კრებაზე უნდა მოესმინათ ჩემი „მოხსენება“, მაგრამ არ აჩვენა მათ ჩემი

ქაღალდი. მგონი, ეხლახან წაუკითხნიათ ის საკათ. საბჭოში და დ. დავითაშვილი მიბარებს. არ ვიცი, რა უნდათ, ეტყობათ, ვერ გრძნობენ თავს კარგათო! შემდეგ „ჩვენმა სოსომ“ დაიწყო ორაზროვანი ბრაგუნი: „ეს არის ჩვენი ავტოკეფალია“?! ასეთ ავტოკეფალიისათვის იხეთქდი შენ თავს?! რათ გვინდა ასეთი ავტოკეფალია?! და სხვა ასეთები! მე ყურს უგდებდი, ხმა აღარ გამიცია, მინდოდა, კიდევ რამოდენიმე დაეფქვა, მაგრამ მიმიხვდა და წავიდა!.. საქმე იმაშია, რომ მაგას რუსებთან უდგია ფეხი, წმ. ბარბალეს ეკლესია და მრევლი სულ გარუსებული ჰყავდა და დღესაც ასევე ჰყავს! საყვარლებიც რუსები ჰყავს, ეს არის „ამა ქვეყნის“ კაცი, მაგას ფეხებზე ჰკიდია ერიც და მისი „ავტოკეფალიაც“! თუ ეს მიიღებდა მესვეურობას (კათოლიკოსობაზედაც კი ოცნებობდა თურმე!) ან ეპისკოპოსობას, ხომ კარგი, თუ არა და რომ მოწინააღმდეგეთ ბურთი ჩასჩაროს პირში, არც რუსებთან შეერთებაზე იტყვის უარს, ეს ორი უკიდურესობანი შეხვდებიან ერთმანეთს, ერთი მხრით თოთიბაძე-ცინცაძის ცდა რუსებთან „გაერთიანებაზე“, მეორე მხრით ჩიჯავაძის ასეთივე მისწრაფება რუსებთან ისევ „გაერთიანებაზე“, რომ დეე, ისევ რუსებმა იბატონონ ჩვენზე და არა „იმერლებმაო“! აი, აქ არის ძაღლის კუდი დამარხული! სოსომ მოწინააღმდეგე მღვდელი კალანდარაშვილი ისე მაგრად „ჩააჯინა“ მეტეხის ციხეში, რომ დღესაც იქ ზის ის უბედური, ხო სამრევლო ჩამოჰგლიჯა კათოლიკოზსაც, ქართველობასაც, მეორე მღვდლად დაიყენა თავის ნებით ლეონიდ კათოლიკოზის ძმა – დეკ. ილარიონ ოქროპირიძე, რომელიც ეს ერთი ხანია დაბრუნდა თბილისში ვიღაც რუს ეპისკოპოზ დიმიტრისთან ერთად, ეს ეპისკოპოსი აქ რაღაცას უთვალ-თვალებს, პოლიტიკურ დასამარებასთან ერთად სურთ ჩვენი ეკლესიური დასამარებაც, უცდიან მარჯვე მომენტს, „ჟივაია ცერკოვის“ სახით ისევ რუსის ეკლესიის ბატონობა აღადგინონ ჩვენში! ვინ არის გამკითხავი! ხალხი სრულებით მხარს არ გვიჭერს, ყვავებმა რო დაგვიტაცონ მღვდლები თვისი კათოლიკოზ-ეპისკოპოსებით, არავინ არის შეუძახოს „ჰაუ-ჰაუ“! „სურამიადა“-„კეკელიძე-მინადორიადამ“ სულ თავლაფი დაგვასხა! ერთმანეთშიდაც დიდი განხეთქილება და უნდობლობაა! ისტორიის მსჯავრი თავს დაგვტრიალებს! საცაა „დამოკლეს“ ხმალი ჩვენს კისერზედ დაეშვება!..

18 ნოემბერი – შაბათი
კათოლიკოზის სასახლის ჩამორთმევა კომუნისტების მიერ

დღეს, შუადღის 1-ლ საათზედ, სამოძღვრო კურსების პედაგოგიურ სხდომაზე ვიყავით მიწვეულნი, მაგრამ სხდომა აღარ შესდგა. სწორეთ პირველი საათი იყო, რომ კათოლიკოსის სასახლის ეზო აივსო „კომსომოლურ“ ახალ-გაზრდებით, თოფებით ხელში, ტყავის ქუდებით და პიდჟაკებით, ამათ გარდა სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეებითაც. ამათ იერიში მოიტანეს ორი ახალგაზრდა ურიის (მგონი, ერთი სომეხი იყო, სულ ღიმი უთამაშებდათ ტუჩებზე, რო-

დესაც ერთმანეთს შეჰხედავდენ ხოლმე) წინამძღოლობით; ერთი ვიღაც ქართველიც იყო! ვიყავით შეკრებილნი დეკანოზები: ტყემალაძე, გამრეკელი გიორგი და იოელი, მაჭარაშვილი, შუბლაძე, კავჟარაძე – საკათ. საბჭოს დარბაზში, მოვიდა შემდეგ ყბა-ახვეული დეკ. ლაზარიშვილიც. შეუცვივდენ კათოლიკოზს სასახლეში, წავიდა იქ „დირექტორი“ სამეურნეო გამგეობისა ლაზარიშვილი, გაექანა იქით კურსების „დირექტორი“ ცინცაძეც. საკათ. საბჭოს წევრი, კათედრის დეკანოზი მ. ტყემალაძე ყურსაც არ იბერტყავდა, ის წყნარათ ბოლთასა სცემდა; დეკ. ილია შუბლაძე თვისს ახალ თანამდებობას შესდგომოდა – საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგეობას; „საქმეებს“ ათვალიერებდა, როგორც მხდალ მეგრელს სულ ფერი მისდიოდა, აკანკალებდა, მაგრამ თითქოს არ იმჩნევდა და „საქმიანობდა“! ხშირად მიმართავდა ხოლმე თვისს „მდივანს“ დეკ. იოანნე კავჟარაძეს რუსულად: „о-о-о-о-тец Іін-оанн“ – პირში უგრძელდებოდა სიტყვები (ენა მოტეხილია), ეკითხებოდა ხან რას და ხან რას; ამ დროს ეს მამა იოანნე შეეკითხა იქვე მომუშავე მწერალს სიონის იპოდიაკონს სიკო მონასელიძეს – „ესა და ეს საქმე რა ნომრისააო“! ყოველივე ასეთ საქმიანობას, ხოლო კათოლიკოზის ეზოში ჟრიამულს და მიხლა-მოხლას უცქერი მეც, უგდებ ყურს – აბა, ან დეკ. ტყემალაძე, ან თვით ახალი „გამგე“, ან მისი „მდივანი“ რას იზამენ, რა ღონის ძიებას მიიღებენ, წავლენ თუ არა თვის კათოლიკოზთან და დაიფარავენ ან გაამხნევებენ მას! მეც მეტად დაღონებული უცქერი ყოველივე ამას და ქურდულად ზოგჯერ შუბლაძე წარბებ ქვეშ გამომხედავს, სურს წაიკითხოს ჩემს სახეზე, თუ რას ვფიქრობ, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ყოველივე ეს ჩემზე! იცის და აგონდება, თუ რა მელაპარაკა ერთი კვირის წინეთ ლაზრიშვილზე, რამდენი რამ დაფქვა და შემდეგ „მირჩია“ მისი ადგილი და ხაზინადრობა მიმეღო სამეურნეო გამგეობაში, ერთი კრინტიც კი არ დასძრა იმაზე, თუ მას ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იწვევდენ! არც მე მიულოცე ეს „ახალი“ მისი „კარიერა“, გადის და შემოდის, რაღაცეებს ათვალიერებს და, როდესაც კავჟარაძემ რაღაც საქმის „ნომერი“ ჰკითხა მონასელიძეს, მაშინ შუბლაძემ თითქოს გაიხუმრა: „მაგ ნომრებით ააშენებთ თქვენ ეკლესიას ან და კათოლიკოზს დაუბრუნებთ ჩამორთმეულ სასახლესო“! თითქოს ბიუროკრატიზმს უყიჟინა ჩვენს მართვა-გამგეობაში! მაგრამ უმთავრესი ბიუროკრატი, ინტრიგანი და ჩვენი ურთიერთობის ამრევ-დამრევი იყო და რჩება ისევ ეს შუბლაძე – „ახალი სიტყვის“ უმთავრესი თანამშრომელი, ციცქიშვილის „რედაქტორობის“ სახით! ჩვენ „გამგის“ ოხუნჯობას არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ, არც კი გავიღიმეთ! ამ დროს, უცბად, მოულოდნელად შუბლაძემ წამოიძახა: „მამაო ნიკიტა, წავიდეთ კათოლიკოზთან, ვინ იცის, იქ რას სჩადიანო“! მე უპასუხე: „წაბრძანდით, მამაო, ჩემთვის თავში არა გიკითხავთ რა და ბოლოში რაღას მეკითხებით, ან ვის რაღა უნდა უშველო! სად არიან საკათ. საბჭოს წევრები?! ან თვით კორნელი კეკელიძე?! ან სხვები! რატომ თავის დროზე არ მიიღეთ ზომები, რომ ასეთი აწიოკება არ მოეხდინათ კათოლიკოზის სასახლეში?! ხო იცოდით, რომ მოიწევდა ის ხალხი თქვენზე და რა ზომები მიიღეთ?! ხო იცოდით, რომ მთავრობის თავმჯდომა-

რე – ქავთარაძე გადააყენეს, მის ნაცვლად მამია ორახელაშვილი დასვეს – მომხრე რუსთა ბატონობისა საქართველოში, და ეს არ დაზოგავს არც კათოლიკოზს და არც ჩვენს ქართულ ცხოვრებას! რატომ სათანადო ნაბიჯები არ გადადგით ან ამავ ორახელაშვილის წინაშე, მიუგზავნიდით ვინმე გავლენიან პირებს, ან თვით სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს და შიგა და შიგ მოწაფეებსაც შეაგონებდით, რომ მათ უარი ეთქვათ ასეთ შესევა-აწიოკებაზე! თქვენ კი დამჯდარხართ აქა და „ნომრიან“ ქაღალდებს აწარმოებთ? ვის სჭირდებათ, მამაო, თქვენი ნომრიანი ქაღალდები? მთელი სამი-ოთხი წელიწადი ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომეთ, თითქოს მე ვყოფილიყავ ეკლესიის და სამშობლოს მტერი?! მე წამაქციეთ, დამამარცხეთ, გამაგდეთ საკათ. საბჭოდან, გამრიყეთ, თქვენ მოიკალათეთ, თქვენ ხელთ არის ყველაფერი! მაგრამ ხო დაინახეთ, რომ მე როდი ვყოფილვარ თქვენი მტერი, თქვენი ამრევ-დამრევი! თქვენ თვითონ დაერივენით ერთმანეთს და რა კორიანტელი ააყენეთ ამ ერთი თვის განმავლობაში თუ „ეპისკოპოსთა კრებამ“, თუ საკათ. საბჭოში წევრებმა, თუ სამეურნეო გამგეობაში! რა ყურთა გლეჯა, თმა და წვერთა გაწევ-გამოწევა, თუ როგორ ერთი მეორეს აბრალებდით „სურამიადის“ შექმნას და იმავე დროს შექმენით უფრო მეტი სასირცხო და ღვთის საწინააღმდეგო საქმე – ყოფილ დეკანოზ კეკელიძის ასეთი უკანონო განქორწინება, მისი მეორე ქორწინების კურთხევა წმ. ნინოს მონასტრის კარის ეკლესიაში! იმავე დროს ეს კეკელიძე ისევ „წევრად“ გყავთ საკათ. საბჭოში! დღეს რო დარეკეთ და სწირეთ კათოლიკოზის კარის ეკლესიაში, ამდენხანს რას უყურებდით?! რატომ არ გქონდათ აქ გაჩაღებული წირვა-ლოცვა?! ვინ ნახა, ვის მოსწრებია – კათოლიკოზი ყოველ დღიურ უწირავ-ულოცავად?! ან რა სიკეთე უნდა დაგვეყაროს ეკლესიის ასეთ მსახურთ! აკი უფალიც „გვწყალობს“ და ხელს გვიმართავს“!.. ამას რო ვამბობდი, თავჩაღუნული ყურს მიგდებდენ, დეკ. ტყემალაძემ წამოიყრანტალა: „მე რამდენჯერ ვსთქვი – კარის ეკლესიაში ყოფილიყო წირვა-ლოცვა, მაგრამ ვინ იყო გამგონეო“? – მამაო, ეს თქვენ უნდა მოგეწესრიგებიათ, როგორც კათედრის დეკანოზს, კათოლიკოზის მარჯვენა ხელს და მისს მსახურს! მოგვიწვევდით სამრევლოს მღვდლებს და რიგ-რიგობით ჩვენც დაგეხმარებოდით თქო!.. სდუმდა. შუბლაძემ ისევ „საქმეებში“ ჩაჰყო ცხვირი. ამ დროს „მდივანმა“ კავჟარაძემ დაჰკეტა თვისი სამუშაო მაგიდა და ფეხზე ადგა; მიველ და ჩუმათ უთხარი: „წავიდეთ, მამაო იოანნე, მივხედოთ იმ უბედურ კათოლიკოზს თქო“! წავედით! შუბლაძე კი ისევ საქმობდა; ტყემალაძესაც მივმართე: „წავიდეთ, მამაო მარკოზ, მივხედოთ კათოლიკოზს თქო“! „არა, არ წამოვალ, რა ჩემი საქმეა, – ხელი ჩაიქნია! – რო დაგვაპატიმრონ, არც კი ვინმე თავს გაიცხელებს, დაგვცინებენ კიდეც, რას ეჩრებოდენ მეტიჩრებიო! წავედით მე და კავჟარაძე. ამ დროს მოვიდნენ დ. დავითაშვილი და ნიკო თავდგირიძე. ესენი ეხლა ფაფხურობდენ, ეხლა წასულ-წამოსულან შუამდგომლობისათვის! უკვე გვიანღაა, ორახელაშვილის „ორდერი“ უკვე ხელმოწერილი წარედგინა კათოლიკოზს, ეხლა პრესტიჟისათვის არ მოხსნიან თავიანთ განკარგულებას; ღელავენ დავითაშვილიც და თავდგირიძეც, ეკამათებიან გამოგ-

ზავნილ პირებს, რომელთაც ბრძანება აქვთ, სისრულეში მოიყვანონ მთავრობის განკარგულება! აბა, რა უნდა გახდენ ამათთან კამათით! კათოლიკოზს ახურავს თვისი კუნკულ-ბარტყულა, არის პანაგიაში, ეტყობა, მეტად ღელავს, სულ ალეწილია სახეზე; მიველ, ხელზე ვემთხვიე, ცრემლები მოადგა თვალებზე, რო დამინახა, ენა ებმებოდა, ძლივს დაილუღ-ლუღა: „მე რა! ერთი ოთახიც მეყოფა, მაგრამ ეს საქმისათვის არის ცუდიო“! აქ ირეოდენ მღვდლები, აქ იყვნენ კანდელაკი – დეკ. მ. ფხალაძე, დეკ. ქრისტესია თხინვალელი, რომელიც ცხუმელ ეპისკოპოზს სოხუმის საკათედრო ტაძარში უნდა გადაეყვანა, დღედღეზე აპირებდა წასვლას, დაუგდია მრევლი, გაუყიდნია ყველაფერი, ხოლო ეპ. იოანნესაგან მოსვლიათ დეპეშა – აღარ წამოხვიდე, ადგილი არ არისო! ეს კიდევ თავის მწუხარებაზე სჩიოდა! აქვე იყო ახალციხიდან არ არსებულ რკინის გზის ეკლესიაზე გადმოტყუებული დეკ. ბენიამინ კანდელაკი, რომელიც კარს არ უციებს კათოლიკოზს – ადგილი მიბოძეთ, რო დამძარით ახალციხიდან, რაზე დამღუპეთ, შიმშილით ვიხოცებით მე და ჩემი შვილებიო! ასეთი „მანუგეშებელნი“ ეხვიენ გარს ჩვენს კათოლიკოზს! ეზოს თოფიანი მცველები გარს ეხვივენ, არავის არ ატარებდენ სიახლოვეს, ალბად ეშინოდათ, ხალხი არ მოაწყდეს კათოლიკოზს და არ გამოესარჩლონო! მაგრამ... არსაიდან ხმა, არსით ძახილი! სრული გულგრილობა, უყურადღებობა! არავის უმუშავია „სამწყსოს“ დასარაზმავად და „მწყემსასაც“ არავინ ესარჩლება. შედიან-გამოდიან ურია-სომხები, შეუდგენ ნივთების აღწერას, ერთი სათვალებიან სულ ახალგაზრდა ბავში – ტყავის ქუდში და ტყავის „ტუჟურკაში“ მიუბრუნდა კათოლიკოზს შემდეგი სიტყვებით: „Гражданин Амвросій! назовите какіе вещи вам оставить, а то мы возьмем все“! ეს ბიჭი სომეხი უნდა იყოს! ეხლა მიუბრუნდა ურია: „Католикос амвросій – покажите нам опись имущества вашего дворца“! – არ ვიციო, – უპასუხა კათოლიკოზმა! ამ დროს საიდანღაც შემოვიდა დეკ. ცინცაძე, ფერ-წასული, ენაჩავარდნილი, თვალებ გაცრეცილი! – დეკ. ლაზრიშვილი, ყმა-ახვეული, სიკვდილის ფერი ედო სახეზე და აღარ იცოდა, ვისთვის რა ეთქვა! მე მიუბრუნდი ურიას და უთხარი: „Вы, товарищ, описывайте имущество дворца католикоса, как знаете! Вы видите, что католикос добровольно ничего Вам не сдает и он добровольно не покинет своего жилища! Раз насилие, так насилие! Разве так обращаются с стариком патріархом, хоть стыдились бы своей молодости и его старости! Зашли в фуражках, развалились в кресле-тоҷ! На что это похоже! Вы компрометируете и власть и революцію! К чему такая жестокость“?!.

ამ დროს ქართველი კომუნისტი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: „მამაო თალაქვაძევ! მე თქვენ კარგად გიცნობთ, პატივსა გცემთ, მესმის თქვენი გულისწყრომაც, მაგრამ ჩვენ არა შეგვიძლია რა, ჩვენ უსათუოდ უნდა მოვიყვანოთ სისრულეში ბრძანებაო“! მეც მივიხედ-მოვიხედე და ჩუმათ უთხარი: „ბიჭო, ამოგვასუნთქებინეთ ცოტა, დრო მოგვეცით, მივდგეთ-მოვდგეთ, იქნებ რაიმე გავარიგოთ თქო“! არ ვიცი, ეს ჩვენი საქმე არ არისო! ამ დროს უკვე საღამომაც უსწრო, ვერც გადაბარგება მოასწრეს და ვერც გადმობარგება! ორშაბათამდე

უნდა დასცალოს კათოლიკოზმა თვისი სასახლე და გადავიდეს ყოფილ კანტორის შენობაში, აქ ორი ოთახი ჩამოართვეს რაფიელ ივანიცკის ცოლ-შვილს და აქ მიუჩინეს ბინა კათოლიკოზს. მაგრამ ამ შენობის ნახევარი „ზაქსს“ უჭირავს და არქივს! აქედანაც მალე აბარგავენ მას და სიონის ეზოში ჩაბარგავენ! ხელს არავინ ახლებს არც ვანქს და არც მის ეპისკოპოსებს, არც ნემეცების ტაძრებს, არც ურიებისას! უნდათ, გაგვლეწონ მხოლოდ ქართველობა. ამას ავტოკეფალიის გაუქმებაც შეიძლება მოჰყვეს! ეს დევნაა!

კვირა – 19 ნოემბერი

ის ქართველი კომუნისტი იმერელი ღვინეფაძე აღმოჩნდა, საბინაო განყოფილების მოხელე. საქმის წარმოებიდან სჩანს, რომ ამასაც და ლადო დუმბაძესაც [ეს ქალაქის თავის ადგილზეა „გორ-ისპოლკომში“, შრომის სამინისტროს სათავეშიც იდგა, ეხლახან დაითხოვეს აქედან, როგორც „ნაციონალისტი“, ქალაქის ისპოლკომიდანაც უკრეფავენ კალთებს, თავბრუდახვეულია, აღარ იცის, როგორ შეინარჩუნოს „პორტფელი“! მახარაძემ და გეგეჭკორმა უკვე ჰქნეს „ყურდგლური“, დუმბაძე, მგონი, ვერ ახერხებს...] მეტად ზერელეთ უმოქმედია ამ საქმეში; ესენი დაუფიქრებლად უდასტურებენ სომხის და ურიების სურვილს – კათოლიკოსის აწიოკებას და მის სახლ-ეზო-მიდამოების კომსომოლისტებისათვის კლუბად გადაცემას. მაგრამ შემდეგ დაფიქრებულან, მგონი და ეს ღვინეფაძეც და დუმბაძეც ჩუმად ხელს გვიწყობენ ამ საშვილი-შვილო პოზიციის შესანარჩუნებლად; ღვინეფაძეს მიუღია წერილობითი ბრძანება დუმბაძისაგან – „შეაჩეროს გადასახლება საგანგებო განკარგულებამდე; მეორე ასეთი მოწერილობა მოსვლიათ მთავრობის თავმჯდომარედან – „შეაჩერონ სამშაბათამდე“! ეს დიდი, თუმცა დროებითი, გამარჯვებაა ჩვენი მხრით. ღვინეფაძეზე ბევრი ვიმოქმედე, სხვა ნაბიჯებიც გადავდგი ამ საქმეში; გამარჯვებად ჯერ ის გვეყოფა, რომ შაბათ საღამოსვე ვერ გაიყვანეს კათოლიკოზი თვის სასახლიდან, რაც მიზნად ჰქონდათ ურიებსა და სომხებს, რაც მათ „სისტემას“ შეადგენს – ესე იგი – რასაც ბრძანებენ, კიდევაც უნდა შესრულდეს, რათაც უნდა დაჯდეს ეს! მაშ, ეს ვერ გაიყვანეს აქ და საშვალება მოგვეცა საზოგადოებაში გაგვეტანა ეს ამბავი და გვემაცადინებია რაიმე! დღეს – წირვის დროს, შემომიტანეს დავითაშვილის მიერ დაწერილი „ცირკულიარული“ ბარათი თბილისის წინამძღვრებზე: „მამაო მოძღვარო“! გთხოვთ, აუხსენით დღეს ხალხს, რაც მოხდა გუშინ კათოლიკოზის გარშემო და წირვის შემდეგ თქვენი მორწმუნენით გამოცხადდით კათოლიკოზის სასახლეში თანაგრძნობის გამოსაცხადებლად“. ეს მეტად სახიფათო წინადადება იყო, რომ მთავრობის აგენტებს ჩავარდნოდა ხელში, ცუდ დღეს დაგვაყრიდენ! ამიტომ ვიღაცას პირველს მოუწერია ამ ქაღალდზე ხელი, ისე გაუგებრად იყო დაწერილი, რომ ვერ წავიკითხე – ვინ აწერდა ხელს! (ეხლა ზარის რეკა ისმის კათოლიკოზის სასახლიდან, ეხლა შეუდგნენ ყოველდღიურ წირვა-ლოცვას!

უბადრუკნი!). სამოციქულოს წაკითხვის ჟამს რომ ვაკმევდი, მაშინ მომიტანეს ეს „განკარგულება“, წავიკითხე და მოვაწერე ხელი. წირვის გათავებისას ქადაგება წარმოვსთქვი – იაიროს ქალის მკვდრეთით აღდგინებაზე და სისხლმდინარე დედაკაცის განკურნებაზე – „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ“! ავხსენი სარწმუნოების სიძლიერე, ძალი და მადლი; შევეხე თანამედროვე ურწმუნოებას, გაუკარი მორწმუნეთა და სარწმუნოების დევნაზე, მივაყოლე კათოლიკოზის სასახლე-ეკლესიის კლუბ-თეატრათ გადაკეთების განზრახვაზე და მოუწოდე დამსწრეთ წავსულიყავით და თანაგრძნობა გამოგვეცხადებია მისთვის. წავედით, ცოლ-შვილით, მნათით, მისი ცოლ-შვილით და სხვა დამსწრე მორწმუნეებით, ბევრი მოერიდა, არ გამოგვყვა! კათოლიკოზის კარის ეკლესიაშიც ის იყო წირვა გათავებულიყო და ჩვენც მივედით! რა ვნახეთ – კარის ეკლესიის კიბეებზე და თვით ეკლესიის კარებზე შეშა იყო დაწყობილი, ადამიანი ძლივსღა შევიდოდა საყდარში! ასეთი სურათის შემდეგ, ასეთ თავხედობის შემდეგ, აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ეს სამლოცველოთ სჭირდება კათოლიკოზს! ამაზე მეტი თავიგდება და სირცხვილი განა შეიძლება კიდევ?!. ხალხი ძლიერ ცოტა ვიყავით, სამღვდელოებაც არ გამოცხადდა, იყვნენ სიონიდან ტყემალაძე-ასათიანი, ფხალაძეც კი არსად სჩანდა! იყო უადგილო მღვდელი ბენიამინ კანდელაკი, მაჭარაშვილი მამადავითიდან, მე ანჩისხატიდან და ქრ. თხინვალელი, რომელიც სასოხუმოდ ემზადებოდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა! ასე რომ, დავითაშვილის ცირკულიარმა ვერ გასჭრა! ვერის ნიკოლოზიდან არც ერთი მღვდელი თუ ერი არ მოსულა! ცხადია, ვერ ასდიოდენ მიცვალებულებს და პანაშვიდებს! არც ქვაშვეთის კრებულთაგანი იყო ვინმე! ამათ სამი-ოთხი პანაშვიდი აქვთ და დაიგვიანებენო! კათოლიკოზი კი ელოდა – მისს კალისტრატეს! გარეშე ხალხიდან იყვნენ ორი მანდილოსანნი – ერთი მამუკა ორბელიანის ცოლი, ერეკლე მეფის შთამომავალი ბაგრატიონთაგანნი, მეორე იყო ვარლამ გელოვანის (მესამე სათათბიროს დეპუტატი იყო საქართველოს „ტრუდოვიკებიდან“) ქვრივი – ნინო (თარხნიშვილის ქალი); სხვა სულ ინვალიდები, „ყოფილნი ადამიანნი“, არც ერთი ცოცხალი პიროვნება! ლეონიდის დროს წმ. ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოება იყო, ამათგანი არც ერთი აღარ სჩანდა დღეს! ნიშნავს, ხალხი სულ შემოეფანტა ამბროსის გარშემო, „სურამის ციხის“ სურათებმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება იქონია ხალხზე! მართლაც, ამის შემდეგ არც ღირს ამ „ხალხთან“ ახლო მიკარება, მაგრამ იძულებული გამხადა გარემოებამ, ისევ მივიდე და მათ შორის ვიტრიალო! ასე იტყვიან: „გაჭირება-განსაცდელის დროს არ მოგვხედა, პირადი ინტერესებით განაწყენებულმა საზოგადო საქმეს უღალატაო! ასე დაიმშვენებენ! ამიტომ ძალა-უნებურად მეც მოველ, რომ რაიმე შემეძლოს, არ დავზოგავდი თავს, რაც შემეძლო გადავსდგი კიდეც ნაბიჯები ისე, რომ ამათ არც კი იციან, როგორ და საიდან შეჩერდა კათოლიკოზის „სასწრაფოდ“ გადასახლება სხვა ბინაზე...

„ველოდებით ქვაშვეთელებსო, – ბრძანა კათოლიკოზმა, – ცოტა კიდევ დავიცადოთ, სხვებიც მოვლენო და შემდეგ მოგახსენებთ საქმის ვითარებას, რაც თავს გადამხდაო. ამ დროს დარბაზში იყო ქუთაისიდან დეკ. გაბრიელ ცა-

გარეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოზის დროს კათედრის დეკანოზად ყოფილი, შემდეგ რეალურ სასწავლებლის სჯულის მოძღვარი, ეხლა კი... იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხნის მეთვალყურე! ამას კიევის სასულიერო აკადემია აქვს დასრულებული, საკმარისად განვითარებული კაცია, კარგი ხმის მქონე, კარგი მოლაპარაკე! მაგრამ დახურდავდა, დაწვრიმალდა და დღეს სანთლის კუდებს მისდევს! არის ნაზარ-ქუთათელის ნათესავი! ეს მომიჯდა გვერდით, მომიქნია კუდი, მომელაქუცა! „Знает кошка чье мясо съѣла“! ეს ვაჟბატონი და ერასტი თუთბერიძე (მდივანი) იყვნენ, რომ ლეონიდს და დავიდოვს გადმოუგზავნეს 1918 წლის 9 ივლისის ჩემი დოკუმენტი ქუთათელ ანტონის გარდაცვალების შემდეგ მის კაბინეტში ნაპოვნი! ამ დოკუმენტმა გამოიწვია ჩემი საკათ. საბჭოდან გამოსვლა 1920 წლის 2 იანვრიდან, ჩვენ – ოპოზიცია – ვემზადებოდით კირიონის დაღუპვის შემდეგ ეკლესიის მართვა-გამგეობაში ერთგვარ გადატრიალების მოსახდენად! მაგრამ ჩაგვეშალა ანტონ ქუთათელის მოწამვლის შემდეგ!.. დავმარცხდით, მეტად ძლიერი აღმოჩნდა ექსარხოსის დროს შავრაზმელი-ქართველი დეკანოზები თბილისისა დ. დავიდოვის მეთაურობით!

აი, ეს „გაბრიელი“ მომიცუცქდა გვერდით და მითხრა: „სასიამოვნოთ მიმაჩნია, რომ შენა და ნაზარი ქუთათელი შერიგებულხართო“! ამაზე უპასუხე: „როდისღა ვიყავი მასთან მომდურავი თქო?! თუ რამე საქმე მქონდა მისს საწინააღმდეგოთ, ეს იყო პრინციპიალური საკითხი, საზოგადო ინტერესით გამოწვეული! მამაო, აბა, გადაავლე გონების თვალი, განა ყველაფერი, რასაც ვამბობდი თუ ვსწერდი ვისმეს საწინააღმდეგოდ, მართალი არ აღმოჩნდა?! განა ჩემს „პირად“ საქმეებზე ვიბრძოდი?! აი, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება, ამას ვითვალისწინებდი, ამისათვის მინდოდა დავრაზმულიყავით! ავტოკეფალია რევოლიუციას მოჰყვა, ხოლო რევოლიუციას სოციალიზმი – მენშევიკურ-ბოლშევიკური, ორივე დაუძინებელი მტერი ეკლესიისა, სარწმუნოებისა და ჩვენი ეროვნული არსებობისა! ამას ბრმა ან უსინდისო-გამსუნაგებული ადამიანი არ მიაქცევდა ყურადღებას! ჩვენი „მამანი“ კი ბრმებიც იყვნენ ამ მხრივ და ექსარხოსების დროს მეტად გამსუნაგებულნი! „ჯერ დათვი არ მოგვეკლა და ესენი დათვის ტყავის გაყოფას შეუდგნენ და ზედ ერთმანეთს დაერივნენ! ესენი ექსარხოსების დროს ჩუმად, ფარულად მოქმედებდენ, ჯაშუშობდენ, მაჭანკლობდენ! ეხლა კი ცხადად, ურცხვად, აშკარად ბოროტ-მოქმედებენ! ორი კათოლიკოზი გადააგორეს, მესამე თავისი ჭკუისა და ნების ამყოლი დაისვეს და ყირა-ყირა გადადიან! აბა, თუ დედიმისიშვილია ნუ გაუგონებს ცინცაძე-თოთიბაძე-შუბლაძე-ლაზრიშვილ-დავითაშვილებს! კისერს მოსტეხენ!... აი, ამათ რიცხვში მეგულვებოდა ნაზარიც! პირადად მე მაგათთან არა მქონდა რა საერთო და არც დღეს მაქვს! შენ ჭკუიან კაცს გეძახიან – აბა, სთქვი რა სიკეთე გვაყრია?! ვინ რის გამკეთებელია“!..

თავჩაღუნული ყურს მიგდებდა იმერელი დეკანოზი, ხვნეშოდა და რო გავათავე, მიპასუხა: „შენ ბევრს კარგს და გულწრფელს ამბობდი და ამბობო“!.. „ქებას თავი დამანებე, – მიუგე ისევ მე და აბა, გადახედე ამ „ხალხს“ – ერთი ცოცხალი ადამიანი თუ გვირევია, სულ ინვალიდები, „ყოფილი ადამიანნი“ შევყრილვართ,

ისიც ასე ცოტა?! განა ასეთი „ლაშქრით“ გაიმარჯვებს ჩვენი კათოლიკოზი?! განა ეს არის მისი ან ჩვენი სამწყსო?! მღვდლებიც კი არ გამოცხადდენ! აღარ არის არც გაგონება, არც მორჩილება, არც პატივის ცემა! თვით დასცა კათოლიკოზმა თვისი პრესტიჟი, სხვას ნურას დააბრალებს თქო“...

გვიანდებოდა! ქვაშვეთელები არა სჩანდნენ! კათოლიკოზმა გაუკეთა „ხალხს“ მოხსენება თვისს თავ-გადასავალზე, უკეთ რო ვსთქვათ, მან გააკეთა მხოლოდ შესავალი, „სხვას დაწვრილებით დ. დავითაშვილი მოგახსენებთო“, და წამოდგა დავითაშვილიც, მისი ოპეკუნი! ამანაც პრანჭვა-გრეხით გვიამბო ის, რაც უკვე ვიცით, უფრო კი მეტად თავს-იქებდა, ფართი-ფურთობდა, როგორც „საგანგებო“ მოხელე. მობრძანდა ცინცაძეც... დავითაშვილის შემდეგ ილაპარაკა და კრებას ხელმძღვანელობდა დათიკო ჩიქოვანი – გეგეჭკორის საქმის მწარმოებელი. გადასწყვიტეს, დეპუტაცია გაიგზავნოს ორახელაშვილთან ორშაბათს საკათ. საბჭოდან და სამრევლო საბჭოებიდან; დამასახელეს მეც, მე უარი განვაცხადე, მაგრამ არ მიიღეს უარი. საკათ. საბჭოდან: დეკ. ცინცაძე, თავდგირიძე, დავითაშვილი და არჯევანიძე; სამღვდელოებიდან – მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი (გაანთავისუფლეს „ჩეკიდან“ ეს ერთი კვირაა), დეკ. ბენიამინ კანდელაკი, სხვა ერისკაცნი, ჩემი სამრევლოდან მივიყვანე თომა ჯიქია; ვიქნებით ასე 8–10 კაცი; შევიკრიბენით საღამოს, შევიმუშავეთ ტექსტი მოხსენებისა, რომელიც უნდა მივართვათ ორახელაშვილს ორშაბათს 12 საათზე... ღვინეფაძეც იყო საღამოს სხდომაზე, მაგან დაგვაიმედა, რომ საქმე კარგად დაბოლოვდებაო!.. დავიშალენით. გზაში მივდივართ ჩემი ბინისაკენ მე, დეკ. ხახუტაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ზაქარია დავითაშვილი (ძმა დავითისა) და სხვ.

ახალი პროვოკაცია

გზაში დეკ. ხახუტაშვილი მეკითხება: „ახალი ამბავი არა იცი რაო“?! – რის ახალი ამბავი, ეს არ გვეყოფა ამბათ თქო?! – უპასუხე მე. „არა, შენ შესახებ ამბავი“, – ისევ მითხრა მამა დიმიტრიმ და მაცნობა, რომ „გაერთიანებულ“ ტაძრებიდან ბაღის ალექსანდრე ნეველის ტაძარი, სადაც დეკანოზი ხუციევია, რომელიც დეკ. თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშე იყო ამდენ ხანს, ეხლა ეს ტაძარი და დეკანოზი ანჩისხატზე მოაწერა კათოლიკოზმა! სულ სწუხს კათოლიკოზი: „რა უყო ამ კაცს, რით დავაკმაყოფილო, ის ადგილი ვეღარ მივეცი ვერაზე, სხვა არა მაქვს რა, სამეურნეო გამგეობაში ადგილები შევსთავაზე, უარი განაცხადა, ეს ტაძარი მაინც მიიღოს, მიიწეროსო“! მე სახტად დავრჩი! ეს ტაძარი დღემდე ჰყავდა თოთიბაძეს მეტად სასტიკ პირობებში, მეტრიკის წიგნები არ მისცა მას, თუ ქორწინება-ნათლობა ან მიცვალებული გამოუჩნდებოდა ხუციშვილს, ყოფილ სამხედრო ტაძრის მეტრიკა უნდა ეთხოვა თოთიბაძისგან, აგრეთვე საეკლესიო ბეჭედი, თითო ჩაწერისათვის, ან ბეჭდის დასმისათვის თოთიბაძე ახდევინებდა ხუციშვილს 100.000 მანეთს და მეტსაც ზოგჯერ; სულთამხუთავ

ჯალათად თავს ადგა მოხუც დეკანოზს ეს „კეკელკა“-გაიძვერა თოთიბაძე! ალბად ბევრს ვერას გამორჩა და ეხლა მე მომიგდო, რომ ვაწვალო ეს მოხუცი, ჯიბეში ხელი ჩაუყო და სიცოცხლე გაუმწარო! აი, რა პროვოკაციას მიკეთებენ კიდევ! „ზოგჯერ შენ სწირე იქ და ზოგჯერ მამა პავლემ ანჩისხატშიო“ – ბრძანა მთავარ-ხუცესმა! მე უპასუხე: „ქუჩაში ამ თაობაზე ლაპარაკი შეუძლებელია, მე ჯერ არას გიპასუხებ ამაზე, ვიფიქრებ და იფიქრეთ თქვენც, მამაო დიმიტრი! ჯერ არა მომწეროთ რა ამ თაობაზე, თორემ ისეთ პასუხს მოგართმევთ, რომ გეწყინებათ! ნუ ამიჩქარდებით თქო და დავშორდით!

იქ წირვა-ლოცვა სლავიანურია, ჩემთან სულ ქართული! პავლეს არც კი ეხერხება ქართული წირვა-ლოცვა, მე კი აღარ მაქვს ეხლა ხალისი რუსის შავრაზმელებს ვეპრანჭო და ვეგრიხო სლავიანურად! ეს კარგად იციან თოთიბაძე-ცინცაძემ, რომელთა შეგონებით ჩაიდინა ეს „პროვოკაცია“ უბადრუკმა ამბროსიმ! თუ უარს ვიტყვი, უფრო კარგი, – ბჭობენ ჩემი მტერ-მოყვარენი, თუ დავთანხმდები, ჩავვარდები საშინელ სირცხვილში და თავისთავის წინააღმდეგობაში, ისე გამიხდიან საქმეს, რომ სულ გავითათხები! არც საიმისო ნივთიერი ინტერესია, ესეც კარგად იციან მათ! გვერდით წმ. გიორგის მრევლი წამართვეს, სიონს მიაწერეს, და ეხლა გარუსებულ ანუ წმ. რუსულ ტაძარს ანჩისხატზე აწერენ! შეიძლება იმიტომაც, რომ ეს ტაძარი ამ მოკლე დროში გააუქმონ კიდეც ბოლშევიკებმა ან თავისთავად გაუქმდეს, ვინაიდან ყოფილ სამხედრო ტაძარში სლავიანური წირვა-ლოცვა-გალობა გააჩაღა დეკ. თოთიბაძემ და „ბაღის ეკლესიის“ მრევლი-რუსობა იქ მიაწყდა, რათა რუსული სობორო დაიპყრან... ასეთი მახე-ხაფანგები დამიგეს, მაგრამ, ღვთის მადლით, ვეცდები, არც ამჟამად მოვხდე შიგ!..

ორშაბათი – 20 ნოემბერი – გაგრძელება

დღეს დილით შევიკრიბენით დელეგაციაში ამორჩეულნი; მაგრამ არჩიეს შეემოკლებიათ დელეგატთა რიცხვი, „წავიდეთ მხოლოდ ხუთი კაცი, – ბრძანა დავითაშვილმა (ეს ვაჟბატონი მეტად ფართი-ფურთობს, რომ აჩვენოს საზოგადოებას თვისი „საგანგებო მოქმედება“, ვისაც კი ესმის ამ გვამის ვინაობა, მათ აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, მაგალითად, გელოვანის ქვრივი ნინო ბრაზ-მორეულია, „ამას რა უნდა კათოლიკოზის გვერდით, ეს რა ღვთის წყრომაა, რო აღარ გვშორდებაო“!), – მღვდელი მხოლოდ ერთი გვეყოფა დელეგაციაში – მამა კალისტრატეო“! ერთმანეთს ირჩევენ, ერთმანეთს გზას უკაფავენ ეს „აქიტოფელები“! ერისკაცთაგან პროფესორი-ექიმი გოგიტიძე, ივანე თულაშვილი, სოსიკო მერკვილაძე, დავითაშვილი და ნ. თავდგირიძე – წავიდნენ ორახელაშვილთან, მაგრამ დეპუტაცია არ მიიღეს, კარებში ქაღალდი ჩამოართვეს და კუდ ამოძუებული უკანვე გამოისტუმრეს! საქმე უკვე მოგებული იყო შინაურული მეცადინეობით თვით კომუნისტთა შორის, ამათშიც იღვიძებს

თავ-მოყვარეობა. გამოვიდა ამბავი, რომ კათოლიკოზის ეზო-სასახლეს აღარ შეეხებიან, ვინაიდან შიგ „ეკლესია“ ყოფილაო, ხოლო დეკრეტები №№21 და 22 ძალით, აგრეთვე 14 ნოემბრის განკარგულებით ეკლესიებს უბრუნდებათ ის შენობები, რომელიც მათ ეზოშიაო, ამ კანონით ნახეს გამოსასვლელი შექმნილ ვითარებიდან, კათოლიკოზის სასახლის ნაცვლად ყოფილ კანტორის შენობა უნდა ჩამოგვართვან, რომლის ნახევარზე მეტი უჭირავს კიდეც ცენტრალურ არქივს და „ზაკს“ ანუ ქართულად „მ.მ.ა.ჩ.“ს! ამ შენობის დაკარგვაც დიდი უბედურებაა ჩვენთვის! თუ აქ „კომსომოლებმა“ – ახალ-გაზრდობამ (სულ სომეხ-ურიებია უმეტესად) კლუბი გაიკეთა და დაიბუდა, ეს ძველი სახლი და მისი ძვირფასი არქივი – მთელი 19 საუკუნის ჩვენი და კავკასიის საისტორიო მასალა – დაიღუპება, იატაკები ჩაინგრევა და სახლსაც ცეცხლს გაუჩენენ. ვნახოთ, როგორ წავა საქმე. იწყო ქალმა და კაცმა დენა კათოლიკოზის ეზო-სასახლეში, უცხადებენ მას თანაგრძნობას, ამხნევებენ; ხალხმა მიაქცია ყურადღება, რომ კათოლიკოზის კარის ეკლესიის კიბეებზე და შესავალ კარების წინ თითქმის ორი საჟენი შეშა იყო დაწყობილი! განრისხდა ხალხი ასეთ შეუსაბამობაზე! სტაცეს ხელი ქალმა თუ კაცმა და საკუთარი ხელით გამოჰყარეს ეზოში ეს შეშა! მოითხოვა ხალხმავე, რათა კარის ეკლესიაში ყოველდღიური – მუდმივი წირვა-ლოცვა ყოფილიყო გაჩაღებული! ეს რა კათოლიკოზია, ეკლესია შეშებით აუვსია და არც კი ლოცულობსო! ვინც ამ სურათს ნახავდა, რასაკვირველია, იტყოდა – ამათ ეს არ სჭირდება, ჩვენ უფრო კარგად მოვიხმართო...

შეიკრიბა ხალხი დარბაზში და მოისმინა, რომ ამ სახლს აღარ მოელის საშიშროება ამ მოკლე ხანში მაინც. კათოლიკოზმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას თანაგრძნობისა და ყურადღებისათვის, განუმარტა, რომ ეკლესია არის ქართველი ერის თავისუფლებისათვის დასაყრდნობი სიმაგრეო; სთხოვა ხალხს, რომ კვლავაც ნუ მოაკლებენ მას ყურადღებას, იარონ კარის ეკლესიაში სალოცავად, წირვა-ლოცვაზე, რაც ამიერიდან განუწყვეტლად იქნებაო!!! ხალხი წავიდ-წამოვიდა; ამ დროს „კომსომოლების“ მოძრაობა შეიქმნა – დღეს მათი არსებობის (რუსეთში) ხუთი წლის თავია და ზეიმობენ! დღეს მათ ზეიმი სურდათ გაემართათ კათოლიკოზის დარბაზში, ხოლო კარის ეკლესიაში წარმოდგენა, პროჟეკტორი – „სურამის ციხით“! მაგრამ დამარცხდენ, სახელოსნო სასწავლებელში ირევიან, იქ ფუსფუსობენ, იქიდან კათოლიკოზის სასახლეშიც შემოვიდენ, მაგრამ გავრეკეთ და ბუზღუნ-ბუზღუნით გავიდნენ! სულ სომხის ბიჭ-ბუჭობაა, შემოჩენილნი არიან, ზედვე ეტყობათ. არ ვიცი, რას ჰფიქრობს აქაური სომხობა – რა ცეცხლსა სთესენ ესენი საქართველოში, ალბად სურთ ქარიშხალი და ნაკვერცხლები მოიმკონ!.. ამ დროს გაისმა მუსიკა, „наши идут“ო! გაისმა ხმა და მიეგებენ ვანქის მხრიდან მომავალ „კომსომოლთა“ რაზმს დუხოვაია-მუსიკის ორკესტრით! ამათ გამოიარეს ანჩისხატის ტაძრის წინ, ჩემი ბინის გასწვრივ იმღერეს რევოლიუციონური სიმღერა – „будем бить попов, купцов-спекулянтов-кулаков“! მივიდნენ სახელოსნო სასწავლებელზე, იქიდან მეორე რაზმმა გაიარ-გამოიარა კათალიკოზის მოედნის ქუჩით – ისევ ჩემი ბინა-ტაძრისაკენ – ჟივილ-

ხივილით, ყიჟინით და ისეთივე სიმღერებით! კათოლიკოზის მოედანს ძველად ექსარხოსის მოედანი ჰქვიოდა – როდესაც 1920 წ. მე ქალაქის ხმოსნად ვიყავი, შევიტანე წინადადება – „კათოლიკოზის მოედანი“ გვეწოდებია, უწოდეს კიდეც, მაგრამ ეხლა „გორ-ისპოლკომს“ „ბებელის მოედნად“ გადაუნათლავს! ეს ბებელი გერმანელი სოციალისტი იყო, უფრო სოც.დემოკრატი, ვინემ კომუნისტი. ბევრი ნაწერები აქვს სოციალისტურ-მატერიალისტური, იყო სოციალისტების ბელადი გერმანიის პარლამენტში ანუ „რეიხსტაგში“ იმპერატორ ვილგელმის დროს; დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა! მაგრამ რა ხელი აქვს ბებელს კათოლიკოზის მოედანზე?!. აფრიალებდენ წითელ დროშებს და გაჰქონდათ-გამოჰქონდათ „პოპები-კულაკები-ბურჟუი-სპეკულიანტები!“ ჩვენი ახალ-გაზრდობა შიგ არა სჩანდა! იქნებოდა ალბად კანტი-კუტად!.. დიდი მოძრაობაა რუსეთიდან ჯარისა, აივსო ქვეყანა „წითელი არმიით“... ალბად რაღაც ამბები ხდება სტამბოლის გარშემო. ანტანტა და ანგორა რაღაცაზედ ვაჭრობენ, „ლოზანას“ კონფერენციისათვის ემზადებიან, კონფერენცია სასიკეთოს, მგონი, არას უქადის არც ანგორას და არც მის ზურგს უკან ამოფარებულ რუს-ბოლშევიკებს...

შემხვდა დეკ. ლაზარიშვილი, ისევ ყბაახვეული: „კაცო, მე შენ გელოდები სამეურნეო გამგეობაში“, – მითხრა მე! „რას მელოდები, აკი უარი მოგახსენე და განგიცხადე, რომ მე თქვენთან სამსახური არ შემიძლია თქო, მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაგრამ მე არ მინდა თქვენ ხელი შეგიშალოთ, გაწყენინოთ, ჩვენ ასეთ მართვა-გამგეობის ხაზზე ვერ მოვრიგდებით, ვერ შევეწყობით თქო“, – უპასუხე მე. „სცადე, მამაო ნიკიტა, ჩემთან ხო არ გიმსახურია ჯერ, იქნებ შევთანხმდეთო“! „ბევრი ვსცადე, მამაო დიმიტრი, კმარა ამდენი „ცდაც“, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ის 1.200.000 დეკ. კალისტრატეს დაუნიშნეთ, მან ხომ კანცელიარიის „გამგეობა“ შუბლაძეს დაუთმო, შუბლაძემ კიდევ თვისი ადგილი კალისტრატეს „დაუთმოს“, თქვენ და კალისტრატე ხომ უფრო კარგად მორიგდებით და შეეწყობით ერთმანეთს თქო“ და განვშორდი...

ამ დროს მთავარ-ხუცესი დეკ. ხახუტაშვილი ჩავიგდე ხელში და ვკითხე: „კაცო, წუხელ ის რა „ახალი ამბავი“ მესროლე, რა მითხარი ის თქო?! გაუთვალისწინე მას მთელი „პროვოკაციული“ ხასიათი ამ ახალ კომბინაციისა, რაც ზემოდაც აღვნიშნე; ეს ხომ ისევ თოთიბაძის წინადადებაა?! რატომ მე არ შემეკითხებიან, როდესაც ჩემს „დაკმაყოფილებაზე“ ზრუნვას შეუდგებიან ხოლმე თქო?! იცის ეს ამბავი დეკ. პავლე ხუციევმა თუ არა თქო“?! – არა, არ იცის მან ჯერ ეს, არც მე მიმიღია ამ თაობაზე მოწერილობა ჯერ, ისე კი გადაწყვეტილიაო! – მიპასუხა დიმიტრიმ. კაცო! მე ნამდვილი წყაროებიდან ვიცი, რომ „გორ-ისპოლკომს“ გადაწყვეტილი აქვს ის ეკლესია აიღოს – მოშალოს ალექსანდროვის ბაღში, ხელს გვიშლისო, ის არც სამრევლო ტაძარიაო, მართლაც მეტრიკა არ ჰქონებია, თოთიბაძე მეტრიკა-ბეჭდის თხოვებაში ბეგარას ახდევინებდა დეკ. ხუციშვილს... ეკლესია, მაშასადამე, ნახევრად დახურულია, მეტრიკები მას არა აქვს, რომ სულ ერთიანად დაჰხურავ-დაჰკეტონ, მაშინ ის პავლე ხუციევი მე შემრჩება ხელში, ეხლა კი „გაერთიანებულ“ ტაძრების წინამძღვარმა თოთიბაძემ

უნდა ეპატრონოს, ალბად ამიტომ გადმომიგდეს მე ეს „ბაღის ეკლესია“ და მისი უბედური დეკანოზი! ანჩისხატი – ეს უძველესი ქართული ტაძარი თბილისში და რუს-შავრაზმელთა ყოფილი სამხედრო ტაძარი – შეუდუღებელი ელემენტებია! რა ჭკუაში მოუვიდა კათოლიკოზს ასეთი „გაერთიანება“?! გადაეცით ჩემს მაგიერად ჩემი უსაზღვრო განცვიფრება და აღშფოთება! თუ მაინცა და მაინც ჩემთვის „სიკეთე“ სურდა, ზედმოდებულ მრევლს წმ. გიორგისას არ წამართმევდა, თუ არა და მომაწეროს თვით ქვაშვეთის ტაძარი თვისი კრებულით! ნუ გაიცინებთ, მამაო და ნურც გაიკვირვებთ ამას! მე კარგად უწინამძღვრებ – დავიმორჩილებ ცინცაძე-ლაზარიშვილს, ყოველ შემთხვევაში, ავლაგმავდი მათ ისეთ საზიზღრობაში, როგორიც იყო სამღვდელოების ბოტანიკურ ბაღში წყლის საკურთხად გატყუილება და იქ „ისტორიულ“ (ეს ცინცაძის ტერმინია) „სურამის ციხის“ სურათზე ჩვენი გამასხარავებაა – თავლაფდასხმა სარწმუნოებისა! აი, ეს ასე გადაეცით კათოლიკოზს, მე „ბაღის ეკლესიას“ არ მივიღებ და არ მივევლინები მოხუც ხუციშვილს ჯალათად, მას და მისს ცოლ-შვილს მე ჯიბეში ხელს ვერ ჩაუყობ და ვერც ანჩისხატის ტაძარს შეუერთებ შავ-რაზმელთა ტაძარს, ალბად ბატონი თოთიბაძე გვიმზადებს რუსის ეკლესიასთან „გაერთიანებას“ – ჯერ ამბროსის მეთაურობით, ხოლო შემდეგ ისევ რუს ექსარხოსების ბატონობით, ის დაჩვეულია ლაქიობას, ის ვერ ჰგუობს თავისუფლებას თქო... იქ რომ რაიმე სასიკეთო ყოფილიყო, ჯერ თვით თოთიბაძე არ გაუშვებდა ხელიდან, თუ არა და ქვაშვეთი მიიწერდა, როგორც სიონმა კარისად ყოფილი წმ. გიორგი მიიწერა თქო! ასეთი „ბავშობანობის“ კბილი მე დიდი ხანია მოვიცვალე, ეხლა ვერ მომატყუილებთ თქო... დავშორდით.

სადილზედ სოსიკო მერკვილაძე შემოვიდა ჩემსას და უამბე ეს „ახალი ამბავი“! მეტად იტკიცა, გაჰკვირდა, ეწყინა და გადაჭრით მითხრა: „თუ ხათრი გაქვს მაგას არ დათანხმდე, ეს სიკვდილი იქნება შენიო! ეს თაღლითობაა მაგათი მხრივ, კიდევ არ იშლიან ეს წყეულები თავიანთ ვერაგობასაო! აღარ მაქვს გული, ხალისი, გავერიო მაგათ საქმეში, მაგრამ არ მასვენებენ, მაინც ჩამჩხირეს დეპუტაციაში, მაგათთან ადამიანს არ გაევლებაო! განა ის „ბაღის ეკლესია“ ჩვენი წიგნის მაღაზიის ახლოს არ არის („ცოდნა“ ს. მერკვილაძისა) – იქ რა არის სახარბიელო, ან ვინმეზე მისაწერი – ფუ, შეურცხვათ მაგათ სინიდისი! ეს რა უბედურებაა“!.. მე დავამშვიდე მოხუცი, გადავეცი, რომ უკვე უარი განვაცხადე თქო...

ნოემბრის 21 – სამშაბათი

დღეს ჩამოგვერთვა „კომსომოლებისათვის“ ყოფილ სინოდიალურ კანტორას შენობა – ეხლანდელი საკათ. საბჭოს დარბაზი; ნივთები გადაზიდეს კათოლიკოზის სასახლეში – სანთელი, წიგნის საწყობი; გადაიყვანეს ივანიცკის ცოლ-შვილიც, კანცელიარია, სამეურნეო გამგეობა და ყველაფერი ერთად

არის შეჩურთული „კათოლიკოზის“ სასახლეში. აქ ეხლა დიდი არევ-დარევაა, ამ დარევაში ბევრი რამე გაიტაცეს და იტაცებენ, კერძო პირთა ბინებია კათოლიკოზის ქვემო სართულში, ჯერ კიდევ ლეონიდის დროიდან. ჩვენი „სამოძღვრო კურსებიც“ ალბად იქ მოიკალათებენ, დღეს საღამოთი სწავლა აღარ გვქონია, კურსანტებს სულ ამუშავებდენ, ნივთებს აზიდვინებდენ. დიდ ხიფათშია ჩამორთმეული შენობა და იქ დაცული მე-19 საუკუნის შესახები ძვირფასი საისტორიო არქივი, რომელიც „ზაქსის“ ხელშია, „ზაქსი“ და „კომსომოლი“ – აი, ვინ დაგვიმეზობლდენ ანჩისხატს და კათოლიკოზს...

გაიხსნა „ლოზანას“ კონფერენცია, ანტანტა შეთანხმებულად გამოდის ანგორა-ოსმალეთის წინააღმდეგ, სურთ ოსმალეთის დამორჩილება, სურთ, ის გამოიყვანონ რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობის გავლენისაგან და თვით შეუსიონ რუსეთს; ჯერ არ სჩანს რუსეთი „ლოზანის“ კონფერენციაზე; არც ის ვიცით, თუ საქართველოზე რა იქნება ამ კონფერენციაზე, ისე სტამბოლიდან დაბრუნებულნი ირწმუნებიან – საქართველოს გაანთავისუფლებენ ბოლშევიკებისგანო, მაგრამ ბოლშევიკები ამბობენ: „ჩვენ აქედან წამსვლელნი არ ვართო“...

28 ნოემბერი – სამშაბათი

დღეს – კათოლიკოსის კარის ეკლესიაში – დილის 11 საათიდან განახლდა სამოძღვრო კურსების გაკვეთილების ძლევა, მივეცი გაკვეთილი, ვასწავლე ორი საათი ზედი-ზედ „ძველი ქართული“ და „მქადაგებლობა“; გაკვეთილის დროს ორჯელ შემოაღო კარები „მეორე დირექტორმა“ კურსებისამ დეკ. მ. ტყემალაძემ, ესე იგი დამზვერა! ამ ეკლესიის გვერდით დარბაზში, რომელიც წინეთ კათოლიკოზს მისაღებ დარბაზად ჰქონდა, ეხლა მოთავსებულია საკათ. საბჭოს კანცელიარია და საკათ. საბჭოს სამეურნეო გამგეობა, ერთ მაგიდაზე ზის კანცელიარიის „გამგე“ დეკ. ი. შუბლაძე, მეორეზე – სამეურნეო გამგეობის „დირექტორი“ დეკ. დ. ლაზრიშვილი! – მტერ-მოყვარენი ისევ შეიყარნენ! შუბლს ქვეშ გასცქერიან ერთმანეთს! ერთი მეორეს ძირს უთხრის, მაგრამ პირში მაინც ლაქუცობენ, მლიქვნელობენ, თითქოს მათ შორის არა მომხდარიყოს რა! შუბლაძე ბოროტ-მომქმედათ სახავს ლაზრიშვილს და იმუქრებოდა „ტრიბუნის“ ფურცლებით, ლაზრიშვილმა გათათხა, მოსთხარა ძირ-ბუდიანად შუბლაძე – გავაძევე გამგეობიდან, როგორც უქნარა-უსარგებლო პირიო, ეგ არც მაგ საქმეში – „გამგეთ“ – გამოდგება, აბა, გახსოვდეთ ჩემი სიტყვებიო! აი, ასეთი კოლლეგიაა დღეს „ახალ დარბაზში“! ძველ დარბაზში – ცალ-ცალკე ოთახში მაინც ისხდნენ და ისხდებოდენ! გაკვეთილების დროს მეორე დარბაზში საკათ. საბჭოს სხდომა იყო – „სასტუმრო დარბაზში“. გავათავე გაკვეთილები და სხდომაც დაესრულებიათ; დავინახე – მიდიან სხდომიდან – ნიკო თავდგირიძე, დეკ. იოსებ მირიანაშვილი, ნიკოლოზ არჯევანიძე (ივანიცკის ნაცვლად მიწვეული), დეკ. ტყემალაძე და... ნახუცარა კორნელი კეკელიძე, ახალი „სიძე“

– ეხლახან განქორწინებული-ჯვარდაწერილი, ყოფილი მიტროფორნი დეკანოზი კეკელიძე! ურიის ნოქარს – ურიის ბიჭს უფრო ჰგავს ეხლა, ვინემ ყოფილ დეკანოზს ან ეხლანდელ „პროფესორს“! ნუ იტყვით, თურმე ისევ განაგრძობს საკათ. საბჭოში წევრობას! რო ვიკითხე: „ეს რა კანონიურ მოსაზრებით დარჩა ყოველივე „ამის“ შემდეგ საბჭოს წევრად თქო, მიპასუხეს: „დებულების ძალით საეკლესიო კრების დელეგატად არ შეიძლება არჩეულ იქმნას მღვდლის ხარისხისაგან განკვეთილი – „განდგომილი“ კიო! (იხ. მესამე საეკლესიო კრების დებულება. გვ. 7, შენიშვნა 2). საქმე იმაშია, რომ სანამ მესამე საეკლ. კრება ამ დებულებას ასე შეასწორებდა, დებულების ძალით დელეგატად საეკლესიო კრებაზე, მაშასადამე, წევრადაც საკათ. საბჭოში არ შეიძლებოდა არჩეულ ყოფილიყო „მღვდლის ხარისხისაგან განდგომილი, ან განკვეთილი“! ეხლა „განდგომილი“ წაუშლიათ წითელი მელნით, დაუტოვებიათ მხოლოდ „განკვეთილი“! ეს საძრომი ალბად კეკელიძისათვის გაუთვალისწინებიათ, რომ ხელი შეუწყონ მის განქორწინება-ქორწინებას და საბჭოს წევრადაც დაიტოვონ! ვინც მღვდლობას დღეს თავს ანებებს, არც კი ვინმეს ჰკითხავს ამ თაობაზე, ასე რომ „განკვეთაზე“ ლაპარაკი აქ მეტია! მაგრამ კეკელიძემ თვითონ განიკვეთა თავისითავი, როდესაც ჩაიდინა 18 წლის მეუღლეობის შემდეგ ისეთ შეუწყნარებელ საბუთით „განქორწინება“, როგორც არის ცოლ-ქმარ შუა ხასიათის შეუგუებლობა და ერთი კვირის შემდეგ კი მეორედ იქორწინა! ჯერ „ზაქსში“ და შემდეგ ეკლესიაშიც! ესე იგი თითქოს ფორმალური მხარე დაუდო, „დოკუმენტებიც“ აიღო, როგორც „ზაქსიდან“, ისე სასულიერო უწყებიდან! მაგრამ ეს გაშიშვლებული უზნეობა, თვალთმაქცობით თითქოს „კანონიერად“ შემოსილი, მაინც ისეთ ლაქად უნდა დაედოს მის სახეს, რომ უზენაეს ცენტრალურ დაწესებულებაში მას ადგილი აღარ უნდა ჰქონებოდა! ასეთმა პირმა როგორ უნდა უხელმძღვანელოს ქრისტიანულ მოძღვრებას და ზნეობას ჩვენში! იქნებ იფიქროს ვინმემ – კეკელიძე, როგორც „მეცნიერი“ სჭირდებოდეს საკათ. საბჭოს და ამიტომ მას საბჭო ვერ ელეოდეს! – საშინელი სიყალბეა ეს! დღეს ჩვენს ეკლესიაში არავითარი „მეცნიერული“ მუშაობა აღარ სწარმოებს, არც საკათ. საბჭო აწარმოებს რაიმე მეცნიერულ საქმეს! მთელი საიდუმლოების კლიტე მხოლოდ იმაშია დამარხული, რომ „ახ. სიტყვის“ ჯგუფი არ უნდა გატყდეს, ეს ძველი „ერთი ჯგუფი“, რომელმაც 1906 წელს ავტოკეფალია უკან წაიღო, ცალკე „ანონიმურ“ ფურცლით გამოვიდა მაშინ და დიდი არევ-დარევა გამოიწვია, როგორც აქ, თბილისის წრეებში, ისე პეტროგრადშიც, ამ „ფურცლის“ ავტორი იყო უბადრუკი დეკ. კეკელიძე, ხოლო „ერთ ჯგუფში“ შედიოდენ: არქიმანდრიტი ამბროსი (დღეს კათოლიკოზი!), დეკანოზები ცინცაძე, თოთიბაძე, კეკელიძე, ერისკაცთაგან სერგო გორგაძე! აი, ამ ძველ თბილ კომპანიას არ სურს, რო ერთმანეთს დაშორდნენ, რაგინდ უკანონობაში ჩავარდენ და უსაქციელობა ჩაიდინონ! ვინ არის მათი მსაჯული?! ესენი დღეს „დიქტატორები“ გახდნენ ჩვენს განადგურებულ ეკლესიაში, სრული უპასუხისმგებლო პირნი! კეკელიძეს, მგონი, გენუის „მემორანდუმიც“ შეადგენინეს! ერთი სიტყვით, ბევრი წარსულ

თუ აწმყო საიდუმლოებით და სეკრეტებით არიან ესენი შეკრულ-შებოჭილნი და ერთმანეთს ვერ დაშორდებიან – აკი იმიტომაც არის, რომ ერთმანეთს სთავაზობენ ჯამაგირებს, უმატებენ ხოლმე ამ ჯამაგირებს – საკათ. საბჭოს წევრები იღებენ ეხლა ორ მილიონს თვეში! კვირაში ორჯელ შეიკრიბებიან, ერთმანეთს ახალ-ამბავს მოუყვებიან, ერთმანეთს მოიკითხავენ და შემდეგ ბჭობენ, როგორი სახით უფრო კარგად შეიძლება დაიბეგრონ თბილისის ეკლესიები, რომ მეტი ფული გამოსწურონ მათ სალაროდან და თვითონ მიირთვან! არჩევენ ამ თაობაზე „პროექტებს“ დეკ. შუბლაძისას, დეკ. მ. ტყემალაძისას და მათ ორთავეს საწინააღმდეგოდ „დირექტორ“ დიმ. ლაზრიშვილის კრიტიკას და საკუთარ-პროექტს! აი, მთელი ამათი მუშაობა მიმდინარეობს ასეთ „მეცნიერულ“ საკითხების გარკვევაში! ამას ყურს უგდებს ჩვენი „მეცნიერი“ – პროფესორი კეკელიძე და... იღებს უხმოდ, უსიტყვოდ, ორ მილიონს თვეში! დღეს „ბჭობდენ“ თურმე ჭყონდიდელ ეპისკოპოზ დავითის „მოხსენებაზე“! ის ამას წინეთ, რევიზიის ჟამს, ანუ უკეთ რო ვსთქვათ, როდესაც მიმოიხილავდა ეპარქიის ერთ-ერთ კუთხეს, რათა „საზომისაებრ ჩემისას“ წაკითხვით საფლავებზე, ბლომა ფულების ასაღებად მგზავრობის დროს დაუპატიმრებია კომუნისტურ მთავრობას ექვსი თანმხლებ-მღვდლით! ამ თაობაზე უკვე განთავისუფლებული ეპ. დავითი გზავნის საკათ. საბჭოში თვის „მოწამებრივ“ მოღვაწეობაზე მოხსენებას, შეზავებულ იუმორისტულ ეპიზოდებით – თუ როგორ „ერთმა ფოფოდიამ (მღვდლის ცოლს – ფოფოდიას უწოდებენ დღეს აღმ. საქართველოში, ესე იგი „პოპოდია“) იშუამდგომლა კომუნისტების წინაშე და ეპისკოპოსი დაპატიმრების დროს დასტოვეს დილამდე მღვდლის სახლში, როდესაც თვით მღვდელი კი დააპატიმრეს და წაიყვანეს კიდევაც სახლიდან! „ბევრი ვიცინეთ და ვიტირეთ კიდეცო“, – ბრძანა დეკ. ცინცაძემ და კვერი დაუკრა ამაზე კათოლიკოზმაც! ასეთია დღეს ჩვენი საქმენი საგმირონი! ცინიზმამდე დავეშვით!..

კათოლიკოზთან ჩემი ბაასი 28 ნოემბერს

არ მინდოდა, შევსულიყავ ამ კომპანიაში, მაგრამ კურსების „პირველმა დირექტორმა“ ცინცაძემ კაცი დამადევნა – „რა დღეებში გსურს გაკვეთილები – ეხლა დღისით გვექნება სწავლაო!“ მეც შეველ „პირველ“ დარბაზში; აქ კათოლიკოზიც გამობრძანდა სკუფიით თავზე – ხელზე ვემთხვიე; დეკ. ქავჟარაძე რაღაცეებს ხუმრობდა, ის მოისმინა, შემდეგ მტაცა ხელი და შემიყვანა „მეორე“ დარბაზში, გამომდო ხელი მკლავში და ვიწყეთ წინ და უკან სიარული დარბაზში; მიშოვნა დრო, დამიჭირა, ვერიდებოდი პირადად გამობაასებას, რომ შეტაკება არა მომსვლოდა რა! კათოლიკოზმა გვითხრა: „რატომ ამბობთ უარს სამეურნეო გამგეობაში შემოსვლაზეო“?! – ალბათ მაქვს საბუთები, რომ არ ვთანხმდები ასეთი „საპატიო“ წინადადებებზე თქო, – უპასუხე მე! „აბა, მაცნობე – ეს რა საბუთებიაო“, – ბრძანა კათოლიკოზმა! „ნება მიბოძეთ, არ

მოგახსენოთ ეს საბუთები, არ მსურს ჩემგნით გაიგოთ თქვენ ეს საბუთები თქო“! – „მე არა ვიცი რაო“, – გაკვირვებით სთქვა კათოლიკოზმა! „მე მჯერა, რომ თქვენ ბევრი რამ არ მოგეხსენებათ, რასაც ჩვენ გარედამ უფრო ვამჩნევთ და ვხედავთ თქო! მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ „ყველა შეძლეული ლუკმა როდი უნდა აიღოს კაცმა გაუსინჯავათ თქო“! მე აღარ შემიძლია და არც ხალისი მაქვს, ეხლა ვინმეს ვეჭიდაო, არც მინდა ვინმეს ხელი „შეუშალო“ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში“; რომ ცოტათი ვინმეს ხელი მოეცაროს, მაშინვე მე დამაბრალებენ, მე გამაძევეს საკათ. საბჭოდან 1920 წლის 2 იანვარს იმ პირებმა, რომელნიც დღესაც განაგრძობენ თქვენს გარშემო „მოღვაწეობას“ და ისევ მათ ხელში ჩავარდნა აღარ მსურს! მე ამით იმის თქმა კი არ მსურს, თქვენო უწმინდესობავ, თითქოს ჩემს მოწინააღმდეგეებს ყელი დავსჭრათ და მტკვარში გადავყაროთ თქო, არა, მე მოველოდი, რომ ბოლოს და ბოლოს ისეთ ობიექტურ პირობებს შექმნიდით, რომ ყოველივე თვითნებობა აილაგმებოდა და შეთანხმებული მოქმედება დამყარდებოდა ჩვენში. მაგრამ ეს არ მოხდა, უფრო და უფრო აიწეწა საქმე, მე ამ პირობებში ვერ გამოვდგები თქო; ჩემთვის კარგი იქნებოდა ცოტა რამ ნივთიერი სახსარიც, მაგრამ მირჩევნია მომშივდეს, ვინემ ისევ ანარქიაში ამოვყო თავი თქო“!.. ძალიან დავიჭირე თავი, რომ არც კეკელიძეზე ჩამოუგდე ლაპარაკი და არც „სურამიადაზე“... ალბად კათოლიკოზს შეეშინდა, რომ ამაებზე არ ჩამომეგდო ლაპარაკი და სიტყვა გადამიგდო მეორე საგანზე – „ბაღის ნიკოლოზის ეკლესია რო მოგაწერე, იმაზე რატომღა ამბობ უარსო“, – შემეკითხა ის. ამაზე ასე უპასუხე: „უარს ვამბობ პრინციპიალურად, ის ტაძარი და ანჩისხატი – ეს ორი შეუდუღებელი ელემენტია თქო! ის არის რუს შავრაზმელთა ტაძარი, ეს არის ქართული სამრევლო ძველის-ძველი ტაძარი! მე არ შემიძლია ჩვენს გამძვინებულ მტრებს – „ჭეშმარიტ რუსებს“ წინ და უკან უტრიალო, მათ ფულები გამოვცანცლო და უმოძღვრო თქო! მაქ რომ რაიმე ხელსაყრელი ყოფილიყო ამ მხრივადაც, დეკ. ანტონ თოთიბაძე ხელს არ შეუშვებდა ამ ტაძარს თქო! (შეკრთა კათოლიკოზი ამ სიტყვაზე და მიპასუხა: აქ თოთიბაძე რა შუაშიაო! – არა, ისე მოგახსენეთ თქო). თოთიბაძემ ამ ტაძარს გამოაცალა ბოძები, პატივცემული მოძღვარი – მწერალი „მელანია“ – დეკ. ნიკ. ნათიძე, თოთიბაძემ ამ ტაძრიდან სამხედრო ტაძარში მთავარ-დიაკონის შტატზე გადაიყვანა, თვითონ წინამძღვრად გაუხდა ამ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს და ეხლა იგივე უნდა მომაქმედებიოს მეც: მოხუც დეკანოზ პავლე ხუციშვილს თავზე უნდა დავაჯდე, ჯიბეში ხელი უნდა ჩაუყო, ცოლ-შვილიანა ამ ტაძარს თავს ევლებიან და მე მათ სოლივით შუაში ჩავერჭო, ამას ვერ ვიზამ, თქვენო უწმინდესობავ თქო! მე ამ მოხუცებულის ჯალათობას არ ვიკისრებ თქო! – გაჯავრდა ამ სიტყვაზე კათოლიკოზი! „რას ამბობ, თუ გესმისო“, – შემომიბღვირა! მაპატიეთ და ნება მიბოძეთ, მეც შეგეკითხოთ: როდესაც იმ ტაძარს ანჩისხატზე აწერდით, რატომ არ შემეკითხეთ ან რატომ არ დაფიქრდით, თუ რას სჩადიოდით თქო?! ეს ხომ თქვენი აზრი არ არის, ეს ხომ იმავე თოთიბაიძის ოინებია თქო?! ნურას უკაცრავად,

რომ მის დაგებულ ანკესებზე, თუ გინდ თქვენი ხელით გადმოგდებულზე არ წამოვეგე, მე ვისწავლე ცოტა ოდნად მაინც შორს მჭვრეტელობა თქო! რატომ არ იფიქრეთ – ტეხნიკურად როგორ უნდა ვიწინამძღვრო იქაც და აქაც, როგორ უნდა ვსწირო იქაც და აქაც, პავლეს ხომ ქართული წირვა არ ეხერხება თქო?! „რა საჭიროა შენი იქ წირვა, შენ ანჩისხატში სწირე, იმ ეკლესიაზე და დეკანოზზე ზედა-მხედველობა გასწიეო“, – მიპასუხა კათოლიკოზმა! არა, ბატონო, ასეთ „ზედამხედველობას“ ისევ თოთიბაძე გასწევს, მე მეტრიკის წიგნების თხოებაში ფულს ვერ გადავახდევინებ დეკ. ხუციშვილს, როგორც ამას სჩადის თურმე თოთიბაძე! იმ ტაძრის მეტრიკის წიგნებიც კი ჩამოართვა თოთიბაძემ, ის გასაუქმებლად განამზადა კიდეც, ამბობენ, ქალაქის „აღმასკომს“ სურს კიდეც იმ ტაძრის სრულიად აღება, ბაღის გაფართოება-გასუფთავება, ეს ალბად მალე უნდა მოხდეს და დეკ. პავლე ხუციევი მე ხელში შემრჩეს თქო! დიდ მადლობას გწირავთ ასეთ მზრუნველობისათვის თქო! მეტად ვსწუხვარ, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი: ერთი ადგილი შემომთავაზეთ – „ხაზინადრობა“ საბჭოში, უარი მოგახსენეთ, მეორე შემომთავაზეთ – „ხაზინადრობასთან“ შუბლაძის ადგილი სამეურნეო გამგეობაში, ამაზედაც უარი მოგახსენეთ, ეხლა „ბაღის ნიკოლოზი“ – „გამიერთიანეთ“ ანჩისხატთან და ამაზედაც არ დაგეთანხმეთ! ასე იტყვიან: „ეს თალაქვაძე დიდი თავხედი ვინმე ყოფილა, დიდი უთვისო და უამხანაგოო! დეე, ვინც რა უნდა სთქვან, მე კი მოგახსენებთ, რომ ეს სამივე წინადადება – ერთი-მეორეზე მიუღებელია, ესენი არამცთუ არ აუმჯობესებენ ჩემს მდგომარეობას სამსახურისა თუ ნივთიერის მხრივ, – პირიქით უფრო მეტად მიმძიმებენ და მირევენ სამსახურს, ამიტომ შეგნებულად და გაბედულად უარს მოგახსენებთ სამთავეზე თქო. მე რომ იღბალი მქონებოდა, სხვაფერ დატრიალდებოდა ჩემი საქმე თქო...

შემდეგ კათოლიკოზი გადავიდა სხვა საგანზე, დაიწყო ჩივილი „ეპისკოპოსთა მიერ განხეთქილების შემოტანაზე ეკლესიაში“! გულისხმობდა ნაზარს, ქრისტეფორეს და იოანეს! ერთადერთი რიგიანი კაცი ეპ. დავითი ყოფილაო! ისეთი არევ-დარევა შემოიტანეს მათ აქ ყოფნის დროს, რომ მათ განხეთქილებას მოჰყვა ეს უკანასკნელი ამბავი – აქედან რო გაძევებას მიპირებდენო! გაუგიათ მთავრობას ჩვენი განხეთქილება და მათაც იერიში მოიტანესო! შეიძლება მე სულ გამაძეონ აქედან, მაშინ თვითონ დასხდნენ და იკათალიკოზონო! მე ცოტა რამე მომეცით (სულ „მოცემაზეა“!) და მონასტერში წავალ, გადავდგებიო“! მე უპასუხე: „არ ვიცი, მღვდელმთავრებს რაღა გქონდათ ერთმანეთში გასაყოფი თქო! თქვე დალოცვილებო, მაგალითი უნდა მოგვცეთ თანხმობისა და მორჩილებისა, თქვენ კი სულ აგვირიეთ საქმე თქო! ავტოკეფალია რომ ავიღეთ, ის ქუჩაზე ეგდო 1917 წლის მარტში, ავტოკეფალიის უკან ცხადად მოსჩანდა „მომავალი ქამი“ – სოციალიზმი-მატერიალიზმ-კომუნიზმით და ისევ რუსის ბატონობის აღდგენით! იმის მაგივრად, რომ დავრაზმულიყავით სჯულის და მამულის დასაცავად, ერთმანეთს დაერიენით ეპისკოპოსნი, კათოლიკოზ-მიტროპოლიტები, არქიმანდრიტები და ზოგი დიდ-დიდი დეკანოზები,

ჯერ „დათვი არ მოგვეკლა და დათვის ტყავს დაუწყეთ გაყოფა“! ნურავის ნუ ვაბრალებთ ჩვენს განიავებას, ჩვენ თვითონ გავანიავეთ ჩვენი ეკლესია! ჩვენი წყალი არ დაიწმინდება, ბოლო არ უჩანს ჩვენებურ-ძველებურ ინტრიგებს! თქვენ თუ გაგაძევეს, იცოდეთ, ბატონო, რომ კათოლიკოზის არჩევის ნებასაც აღარ მოგვცემენ და ამ მიხლა-მოხლაში რუსის ეკლესია ისევ გაგვიბატონდება! მე თქვენ გეტყვით და აქაური ჩვენი მღვდელნი თუ ერნი არ გადავლენ რუსების მხარეზე თუ?! ჩვენი ხალხი ჩვენს წირვა-ლოცვაზე არ შემოდიან, რუსების ტაძრებში კი სიამოვნებით დადიან. ემზადებიან „ჟივაია ცერკოვის“ გამოსაცხადებლად ჩვენშიაც! აი, ამაზე უნდა გეზრუნათ მღვდელმთავრებს, თქვენ კი დარევიხართ ერთმანეთს და უფრო მეტად გაწიწმატებულხართ...

კათოლიკოზმა დაიწყო ჩივილი: „აქ ამერ-იმერლობაზეა ლაპარაკიო, რა უყოთ, რომ იმერლებს უფრო მეტი ნიშან-წყალი ადევთ, უფრო მომქმედნი არიან აქაურებზეო“! – მაგას ნუ ბრძანებთ, ბატონო, ნუ ინებებთ, მაგაზე ლაპარაკს! ამერ-იმერლობაზე დღეს ლაპარაკი მეტად უნიადაგოა, ვერავინ ვერ გაბედავს მაგაზე დღეს ხმა-მაღლა ლაპარაკს, ქვეყანა ვიგინდარებით აივსო და ჩვენ ერთმანეთს „იმერ-ამერლობა“ ვაყვედროთ, ეს სასაცილოა თქო. „არა, მე მაგის მომხრე როდი ვარ, ტყვილა სახელს მიტეხენო!.. მოდი, ლობიოზე დამეპატიჟეო“, – უცბად ასეთი წინადადება მომცა! გმადლობთ, სადილზე მელოდებიან სახლში, მეც ლობიო მაქვს დღეს თქო და დავშორდით ერთმანეთს...

დეკემბერი. 1922 წ.
პარასკევი – 1 დეკემბერი

დღეს, საღამოთი, შემოვიდა ჩემთან დუშელი მღვდელი, სოფელ ყვავილიდან, გიორგი ჭელიძე (თვით გურულია) 15-16 წლის ვაჟით; მომიკითხა, აქაური ამბები გამომკითხა, იქაურიც მიამბო; თვით ქ. დუშეთში სცხოვრობს, ხოლო მახლობელ სოფელ ყვავილშია მღვდლად; ამას უსწავლია ქუთაისის სემინარიის მესამე კლასამდე, იყო სკოლის ამხანაგი აწ გარდაცვალებულ ჩემის ძმის კასიანესი და კოტე ცინცაძესი (ეს „ჩეკის“ თავმჯდომარედ იყო ამ უკანასკნელ დრომდე, ეხლა იძულებულ იქმნა გადამდგარიყო და რუსეთში გადასულიყო „ქართულ“ მიმართულებისათვის); მიამბო, თუ როგორც ამას წინეთ ინახულა ამან თვისი ნაამხანაგევი კოტე ცინცაძე – ამხილა, უსაყვედურა „ჩეკის“ მოღვაწეობა ჩვენში, ამხილა მდიდრული-გაბრწყინვებული ცხოვრება სხვის სახლ-კარში, რომლის პატრონი, ვინ იცის, ეხლა სად არის გადაკარგული, თავზარდაცემული გაქცეულა აქედან და კომუნისტი დაჰპატრონებია მის ნაამაგდარ ქონებას! ეს, რასაკვირველია, სიცილადაც არ ჰყოფნია კოტე ცინცაძეს; თან ისიც უპასუხნია მღვდლისათვის: „განა დასახვრეტი არ არიან დუშელი ახალაშვილი და მისი ამხანაგებიო“?! – ეს „ახალაშვილი“ ყოფილა ყვავილელი გლეხი, ბოლშევიკი – მეტად მხეცი და უდიერი პიროვნება; ამას და მის მეგობარ

ადამიძეს ბოლშევიკების დუშეთში პირველ შემოსვლისას მოუთხოვია მღ. ჭელი-ძისათვის მღვდლის საეკლესიო შესამოსელი, რათა სცენაზე გაემასხარავებიათ ღვთის-მსახურება და მღვდელიც; მაგრამ ეს მღვდელი მაგრა დახვედრია ამ ბოლშევიკებს და არ მიუცია შესამოსელი, ანაფორა კი ძალად წაურთმევიათ. ბევრი რამ გადახვედრია დუშეთს და მისს მაზრის მოსახლეობას ბოლშევიკების შემოსევიდან დღემდე; ზემო აღნიშნულ ახალაშვილს დიდ ძალი ინტელიგენცია გაუწყვეტია, ტერრორი ჰქონდა დანიშნული ინტელიგენტებისადმი, სულ 75 კა-ცი ჰყოლია მიზანში ამოღებული, ამათგან მოუკლავს ტატიშვილი, ფარესიშვი-ლი და სხვები; თავზარ-დაცემული ინტელიგენტები გაფანტულან დუშეთიდან; ეს უნდოდათ თურმე ახალაშვილსა და მისს რაზმს, რომ ხელში დარჩენოდათ მთელი მაზრა. მაგრამ მათი თავხედობა იმ ზომამდე მივიდა, რომ ესენი თვით კომუნისტურმა პარტიამ უარ-ჰყო და დახვრიტა.

ამ ჟამადაც დიდი განუკითხაობა სუფევს დუშეთის მაზრაში და ფშავ-ხევსურეთში. ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლებისა გამო კომუნისტურმა მთავრობამ მეტად დიდი ზარალი მიაყენა განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთს. ამ მღვდელმა და მისმა პატარა შვილმა გადმოგვცეს, რომ ფშავ-ხევსურეთში 12 სოფელი აუკლიათ, ამათგან სამი სოფელი სულ მიწასთან გაუსწორებიათ; სახლები გადაუწვავთ-გადაუბუგავთ, ნავთს ასხამდენ შენობებს, დაგროვებულ პურებს და სანოვაგეს, სწვავდენ ყველაფერსო. გამორეკეს დიდ-ძალი ცხვარი, ძროხა, ჰკლავდენ ამ საქონელს, მაკე ძროხებს და ცხვრებს მუცლიდან ხბოსა და ბატკნებს იღებდენ, აოხრებდენ და ჩალის ფასად ჰყიდდენო. დიდ-ძალი ერბო მოიტაცეს, წამოიღეს და ჰყიდდენ; ტანთ-საცმელი, ოჯახური სამკაული, სპილენძეულობა, ოქრო-ვეცხლი; სკებიც კი არ დაინდეს – თაფლი თაფლად დაიტაცეს, ხოლო სკები სულ ერთიანად მოაპირქვავესო; ენით გამოუთქმელია და კალმით აუწერელი ის ტანჯვა-წამება-ვაება, რაც ფშავ-ხევსურებს დაადგათ ქაქუცას გამოსვლებისა გამოო; ხალხში ისეთი რწმენა იყო გამეფებული, რომ ქაქუცას უნდა გამოხმაურებოდა მთელი საქართველო და ქვეყანა განთავი-სუფლებულიყო ბოლშევიკთა ბატონობისაგანო; ქაქუცა გარსშემორტყმული იყო დუშეთზე, ამ დროს მენშევიკებმა უღალატეს, წინადადება მისცეს უკან დაეხია, ხელი აეღო ამ გამოსვლაზე და ქაქუცა ამიტომ დამარცხდაო! ასეთი გულუბრყვილო ყოფილა ყოველივე ეს, რაც ხდებოდა ამ ცოტა ხანში დუშეთის მაზრაში! ზარალი კი აურაცხელი, განბილება – ნამუსის ახდა და უბედურება აუწერელი. თვით ხალხს დიდი ბეგარა-გადასახადები აქვს შეწერილი; დუშეთის მცხოვრებთ, რომელთაც არც ხვნა-თესვა აქვთ და ნაყიდი პურით ცხოვრობენ – პურის გადასახადი შეგვაწერეს; მე, მღვდელს – 4 ფუთი ხორბალი შემაწერეს და როდესაც სახლში არ ვიყავი, არც ხორბალი გამაჩნდა სახლში, ჩემი ცოლი დაატუსაღეს და წაიყვანეს ოჯახიდანო; ერთ აფთიაქში მოსამსახურე პირს ფუთ-ნახევარი ხორბალი შეაწერეს, ამან მთავრობისაგან მისდამი მიცემული ჭვავის ხორბალი მიუტანა გადასახადში, მაგრამ არ მიიღეს! „მთავრობამ ეს მომცა ჯამაგირის და ულუფის ანგარისში და თქვენ რა უფლება გაქვთ არ მიიღოთ ის,

რაც მთავრობამ გასცაო“, – უპასუხნია აფთიაქის მსახურს. გასწურეს ხალხი, განუკითხავად მდიდრისა თუ ღარიბისა, ქვრივ-ობლისა თუ მუშაობის შემძლეთა; ერთ ქვრივ დედა-კაცს ცხრა პინა-ნახევარი ხორბალი რგებია ღალათ, სხვისგან დამუშავებულ თვის მიწიდან, აქედან მისთვის გადაუხდევინებიათ ხუთი პინა, ხოლო ოთხნახევარი მისთვის დაუნარჩუნებიათ! დიდის სისასტიკით და ბეჯითობით ჰკრეფენ ამ გადასახადებს, ვინაიდან ამკრეფავებიც დაინტერესებულნი არიან მეტი შეჰკრიბონ, ვინაიდან პროცენტებს იღებენ აღებულ რაოდენობიდან – ორ გირვანქა ხორბალს ფუთზეო! ველარ გაგვიშვია ცხენი, სულ ბეგარაზე მიჰყავთ და სანამ სულ ტყავი არ გასძვრება, მანამ ყველანი ათრევენ ცხენსაც და ხარებსაცაო! დიდი უგუნურება, უანგარიშობა და სასტიკობაა გამეფებული ყველგან და ყველაფერშიო! მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვე-განყოფილება – „მ.მ.ა.ჩ.“ი ანუ რუსულად „ზაქსი“ დუშეთშიაც არსებობს, სასტიკად გვიბრძანებენ, მათ გაუგზავნოთ გლეხები ნათლობა-ქორწინება-დასაფლავების ჩასაწერად, ვინაიდან დიდ ფულს ახდევინებენ ხალხს ყოველივე ამაში: ჯერ მარკას სთხოვენ! თურმე ათას თუმნიანი მარკა ყოფილა კანონით დადებული, ესენი კი ორი ათას თუმნიანს სთხოვენ გლეხებს, განცხადების დასაწერადაც სამი ათას თუმანს ახდევინებენ, ქორწინებაში კი ცხრა ათას თუმანს ართმევენ და აქედან შემოსავლის წყარო გაიჩინეს; მე არ უგზავნი ხალხს მათ, ვეუბნები: „ხალხო, წადით, ჩაეწერეთ მთავრობასთან თქო, მაგრამ დამოუკიდებლად ამისა მე წესებს მაინც უსრულებ ხალხს და იქ არავინ მიდის; სხედან ასე უსაქმოდ იმ „ზაქსში“; არის ერთი მეზობელი მღვდელი გვარად ჩოხელი, ამას ქრთამავენ „ზაქსელები“, რომ ხალხი გაუგზავნოს ჩასაწერად, ხან ცხენს შესთავაზებენ, ხან დუქანში დაჰპატიჟებენ და დაალევინებენ!.. ერთი სიტყვით, ხდება დიდი უწესოება, ირყვნება და იხრწნება საზოგადოება, განსაკუთრებით გლეხობა. დუშეთში სკოლა გვქონდა გაჩაღებული მენშევიკების დროს, ეს ჩემი ბავში მეოთხე კლასშია, მაგრამ დღეს სკოლა აღარ გვაქვს, ჩვენი სკოლა ბოლშევიკების ჯარმა მოსპო, შენობა დაიჭირა, ავეჯეულობა – სკამები და დაფები სულ დაგვიწვეს და დღემდე ჯერ სწავლა არ დაწყებულა ჩვენს დუშეთშიო! მიცდება ეს ბავში, ამეკიდა და ფეხით ვიმოგზაურეთ დუშეთიდან მცხეთამდე (32 ვერსტია), ქალაქი მაინც მანახვეო! სად მაქვს ეტლში ან ავტომობილში ჩასაჯდომი ფულიო... მღვდლები თავის ნებაზე იქცევიან, არც მეტრიკას აწარმოებენ და არც არას! რად გვინდა ტყვილა ქაღალდი გავაფუჭოთ, თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ ექნებაო; არის ლოთობა, უსაქციელობა და უწესობაო“...

შაბათი – 2 დეკემბერი
დეკ. ხახუტაშვილის და კარბელაშვილის სტუმრობა

დღეს დილით ჩემს ბინაზე შემოვიდნენ დეკანოზები – მთავარ-ხუცესი ხახუტაშვილი და ვ. კარბელაშვილი, ორნივე წმ. ნინოს სასაფლაოდან. ხახუ-

ტაშვილმა მიამბო, თუ როგორ გადასცა მან კათოლიკოზს ჩემი პასუხი – ბაღის წმ. ნიკოლოზის ტაძრის გამო; კათოლიკოზმა მიბრძანა – „ქაღალდი გადაეცი თუ არა დეკ. თალაქვაძეს ამ თაობაზეო“, – არ მიმიღია თქო, – უპასუხე; „გამოართვი დავიდოვს და მისწერეო“; მე უპასუხე: „დეკ. თალაქვაძემ მთხოვა – ნუ მომწერთ ამ თაობაზე ნურაფერს, ასეთი წინადადებები მამცირებს მეტად და მაღელვებსო, მე ვერის ნიკოლოზის წინამძღვრობაზე მოველი პასუხს და თუ ის არ იქნება – დიდუბეში დამაბრუნეთ თქო“! ამაზე კათოლიკოზმა გაიცინა: „რომ ეს შემეძლოს, დიდი სიამოვნებით დავაბრუნებდიო“! ამაზე ხახუტაშვილს მე მიუგე: „რატომ არ შეუძლია ეს?! ადმინისტრატიული წესით გადმომამწესა ინოკენტი ექსარხოსმა, უდანაშაულოდ! დეკ. მირინაშვილი იძახოდა – „მე ანჩისხატი ვითხოვეო“. დამაბრუნოს კათოლიკოზმა ადმინისტრატულივე წესით და მობრძანდეს დეკ. მირიანაშვილი ანჩისხატში! თუ რაიმე შევსძინე მას შემდეგ ანჩისხატს, თორემ დაკლებით არა დამიკლია რა თქო! აქედან საკათ. საბჭოსთანაც ახლოს იქნება დეკ. მირიანაშვილი და „ერთ ჯგუფს“ უფრო შეეტყობა, უფრო დაუახლოვდება თქო“!

ეს ამბავი ჰქონებია მათ ჩემზე ოთხშაბათს, ხოლო ხუთშაბათს კათოლიკოზმა და მე ვისაუბრეთ კიდევაც ამ თაობაზე, ასე რომ, არ ვფიქრობ, რომ ოფიციალური ქაღალდი არ მომივა, ვგონებ, თუ მოვა და ისიც ვნახოთ.

ეს დეკანოზების „მოკითხვა“, ვგრძნობდი, რაღაცას მოასწავებდა! არც დაააყოვნეს ამისი გამოცხადება, დაიწყო მთავარ-ხუცესმა ხახუტაშვილმა: „ამას წინეთ რომ დეკ. შუბლაძე გაგზავნეს სამეგრელოში დეკ. კირილე ჯავახიას და მის მეთაურობით ორი საოლქოს სამღვდელოების მოძრაობის გამოსარკვევად და ამ მოძრაობის ჩასაცხრობად, ეს მოძრაობა როდი ჩამქრალა, როგორც ეს აუწყა საკათ. საბჭოს დეკ. შუბლაძემ, პირიქით, უფრო გაფართოებულა; ეხლა ხან ჭყონდიდელი ეპისკოპოსი დავითი რო დაატუსაღეს ლეხაინდრაოში (სენაკის მაზრა) 9 ნოემბერს – 16-ს გაუნთავისუფლებია ბოლშევიკებს; ეს ეპისკოპოსი არ მიიღო თურმე ამ ჯავახიამ და შეუთვალა: „მიგიღებთ, გიწამებთ მხოლოდ მაშინ, თუ ნამდვილ მამობას და ხელმძღვანელობას გაგვიწევო; ასეთი ურთიერთობა, რაც დღემდე ყოფილა, შეუწყნარებელია, ჩვენ ვეღარ ვეთვისებით მაგასო, თუ გნებავთ, მობრძანდით ძველ-სენაკში, იქ მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ, მე მარტო არ გახლავარ, 32 სამღვდელო პირი მყავს ჯერ-ჯერობით გვერდითო“. როგორც ამბობენ და ცნობაც გვაქვს სამეგრელოდან, დავით ეპისკოპოსიც მიმხრობია ამ მოძრაობასო“, – ბრძანა მთავარ-ხუცესმა. ეხლა ამ ჯავახიადან მოსვლია მთელი მიწერ-მოწერა და დოკუმენტები ამ მოძრაობისა გამო დეკ. იოსებ ჩიჯავაძეს, გვინდა შევიკრიბნეთ სამშაბათს – 5 დეკემბერს წმ. მარინეს ტაძრის მღვდელ ტატიშვილთან, იქ გავიცნოთ ეს დოკუმენტები, რა მოძრაობაა, რა უძევს მას სარჩულადო. ამაზე მე უპასუხე: „თუ „ჟივაია ცერკოვის“ მოძრაობაა, მე ნუ მიმიწვევთ, რუსულ ეკლესიურ მოძრაობას მე ვერ მივემხრობი, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ნიადაგს მე ვერ დავშორდები, ხოლო ამ ნიადაგზე მე მზად ვარ, ვიმუშაო, შევიტანოთ ეკლესიურ ცხოვრე-

ბაში საჭირო ცვლილებები, ისე კი, რომ სჯული არ შევბღალოთ და მშობელ ეკლესიის სახე არ დავამახინჯოთ. თუ ჩვენ არ ვართ კმა-ყოფილნი კათოლიკოზით, ან საკათ. საბჭოთი, ან სამეურნეო გამგეობით, ან ამა თუ იმ პირის უწესო მოქმედებით, თუ გვაღელვებს ჩვენ „სურამიადა“ ან „კეკელიძიადა“, ჩვენ ამ თაობაზე შეგვიძლია ორგანიზაციულად დავირაზმოთ, უნდობლობა გამოუცხადოთ კათოლიკოზს, მისს საბჭოს და მივსცეთ ისინი პასუხის გებაში საეკლესიო კრების საშუალებით, რომელიც უნდა მოვიწვიოთ; სანამ კრებას მოვიწვევდეთ კი, თბილისის სამღვდელოებას შეგვიძლია ჩამოვართვათ ხაზინა, დავეპატრონოთ სანთლის ქარხნის შემოსავალ-გასავალს, ვამუშაოთ ლაზრიშვილიც, შუბლაძეც და ყველანი ჩვენ კომიტეტის სასტიკ კონტროლის ქვეშე, კათოლიკოზს დაუტეოთ მხოლოდ წირვა-ლოცვის და მღვდელ-მოქმედების უფლება, ჩამოვართვათ მართვა-გამგეობა, სანამ საქმეებს არ მოვაწესრიგებთ და არ ავლაგმავთ გამეფებულ თვითნებობას და ბოროტ-მოქმედებას. მე ასეთ მოძრაობაში მივიღებ მონაწილეობას. მაგრამ თუ დეკ. ჩიჯავაძე ჰფიქრობს რუსულ ეკლესიურ მოძრაობაში ჩემს ჩათრევას, ამაზე მე არ ჩაგყვებით და ნურც თქვენ ინებებთ ამას, ეს ჩვენი საუკუნო გათახსირება იქნება! რაღაც ამის მომასწავებელი „კილო“ გადმომკრა იმ დღეს ჩიჯავაძემ: „რა მოგცა ავტოკეფალიამ შენ, ამდენი რო იბრძოლე და ან მე, ამდენი რო ვიშრომეო“! ერთი, რომ დეკ. ჩიჯავაძეს არაფერი არ „უშრომია“ ავტოკეფალიაზე! მას ჰყავდა და დღესაც ჰყავს რუსული მრევლი, მან ქართულ მრევლზე ნავთლუღში არა იზრუნა რა! ის მზა-მზარეულ ავტოკეფალიაზე მოვიყვანეთ და დავსვით. ეხლა თუ ვინმემ მაგას აწყენინა, ან შურის ძიების გუნებაზეა, ჩვენ ამაში მას ვერ ჩავყვებით! მე ავტოკეფალიამ კვნესისა და მწუხარების მეტი არა მომიტანა რა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ავტოკეფალია ანუ „საკუთარი თავი“ კისერზე არ უნდა გვებას! გაფრთხილებთ, მამანო, სამარცხვინო საქმეში არც თქვენ ჩახვიდეთ და არც მე ჩამითრიოთ! სულ ერთია, ვიყვირებ და ჩამოგშორდებით! იდეიურ, დამოუკიდებელ ქართულ მოძრაობას სასიკეთოს და საუმჯობესოს ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის, მზად ვარ, მხარში ამოუდგე და ვიმუშაო თქო“...

ეს ჩემი აზრი ამ დეკანოზებმა გაიზიარეს, დამარწმუნეს, რომ ისინიც ასე მსჯელობენ, არაფრის გულისათვის ჩვენი მოძრაობა არ უნდა შეუერთდეს რუსეთის ეკლესიურ მოძრაობას, პირიქით, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვაობა შევიტანოთ წირვა-ლოცვაში, კულტში, რომ დავშორდეთ რუსეთის ეკლესიას, რომ კიდევ არ დაგვიმონონო; ჩვენი ზოგი რამ ძველი წესები აღვადგინოთ წირვა-ლოცვაში თუ წესებში, ზოგიც ახალი შევიტანოთ, ვიფხიზლოთ, სარწმუნოება-ზნეობის დასაცველადო. ჩიჯავაძემ დამარწმუნა, რომ ის არაფრის გულისათვის არ დაშორდება მშობელ ნიადაგს ჩვენს ეკლესიურ მოძრაობაშიო, – სთქვა დეკანოზმა ხახუტაშვილმა. ბევრი რამ ვილაპარაკეთ, ჩვენს ცნობილ პროვოკატორების შესახებ – ნიკონ ექსარხოსის ხანიდან პლატონამდე და დღემდე. მთხოვეს, ბევრი ცნობები გაქვს, მეხსიერებაშიც შეგინახავს და აღწერე ყოველივე ეს საგულისხმოდ და ჩვენი მომავალი თაობისათვის ცნობადო.

მე ბოლოს ის მოვახსენე დეკანოზებს, რომ თუ თავის იმედი არ გაქვთ, თუ ჩაგვეშლება ყველაფერი და ვერას გავარიგებთ, სჯობს, თავი დავანებოთ, ტყვილა ნურც თქვენ შერცხვებით და მეც ნუ მომჭრით თავს თქო, ქუჩაში აღარ გამოგვეყოფა თავი, თუ დავიწყეთ საქმე და ჩაგვეშალა თქო. საჭიროა სამრევლო საბჭოს წევრებიც და ერის კაცნიც მოვიმხროთ და მართლაც ცვლილებანი შევიტანოთ ცხოვრებაში, თვალ-საჩინო, გადავაჯგუფ-გადმოვაჯგუფოთ მღვდლებიც, მრევლიც, ყველას თავისი შესაფერი ადგილი და მუშაობა მიუჩინოთ; ვინც არ მოგვყვება, იმას ადგილი არ უნდა ჰქონდეს თბილისში თქო... ვნახოთ, რას მოიტანს ეს „მოკითხვაც“! ჯერ მოწოდებულნია მცირე რიცხვი მღვდელთა, შემდეგ ეს გაფართოვდება იმის მიხედვით, თუ რა ხასიათს მიიღებს ეს მოძრაობა. სამშაბათს სოსო ჩიჯავაძე გაგვაცნობს დეკ. ჯავახიას მიწერ-მოწერას და „პროექტს“ რეფორმებისას. ეს „პროექტი“ ფანტასტიური-მიუღებელიაო, – სთქვა დეკ. ხახუტაშვილმა! ვნახოთ!..

5 დეკემბერი – სამშაბათი

შევიკრიბენით დღეს დილის, 12 საათზე, წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვრის დეკ. იაკობ ტატიშვილის ბინაზე: თვით მასპინძელი თვისი მეორე მღვდლით ტყემალაძეთი, დეკ. მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი, ლუკაშვილი, ჩიჯავაძე, მიხ. ჯავაშვილი (ყოფილი სამხედრო მღვდელი, ეხლა შტატ გარეშე მყოფი), ვ. კარბელაშვილი და მე. მე დღეს გაკვეთილები მქონდა სამოძღვრო კურსებზე და დროზე ვერ განვთავისუფლდი; სანამ გაკვეთილზე შევიდოდი, შეველ საკათ. საბჭოს კანცელიარიის დარბაზში და ვისუბრე დეკ. ცინცაძე-თოთიბაძე-ლაზრიშვილთან, ყურს გვიგდებდენ დეკ. ტეყმალაძე, საკათ. საბჭოს წევრი – გენერალი ნიკო არჯევანიძე, იკრიბებოდენ სხდომისთვის; ჩამოვარდა „ცოცხალ ეკლესიაზე“ ლაპარაკი; მე უსაყვედურე: „რატომ არას გვეტყვით ამ მოძრაობის თაობაზე, რატომ ხელმძღვანელობას არ გვიწევთ, რატომ მოჰკალით თბილისის სამღვდელოების კორპორაცია, ასე დაქსაქსული და ერთმანეთთან დაშორებული არასოდეს არ ვყოფილვართ თქო! ამბობენ, სამეგრელოში მოძრაობაა სამღვდელოებისა დეკ. ჯავახიას ხელმძღვანელობით, თურმე ეს ჯავახია მოხსენებებს-მოხსენებებზე გზავნის საკათ. საბჭოში, პროექტს-პროექტზე გზავნის და ეკლესიის ცხოვრებაში რეფორმების შეტანას მოითხოვენ; ამაზე ეხლა-ხან იერარქთა კრებაზე ჰქონებიათ სჯა, ჩვენ კი არა ვიცით რა არც „მოძრაობაზე“ და არც „იერარქთა“ კრების შედეგებზე“! ამაზე დეკ. ცინცაძემ მიპასუხა: „რომელ სამღვდელოებაზე ლაპარაკობ?! სად არის სამღვდელოება?! ეს კითხვები გეინტერესება შენ და კიდევ ორ-სამ ვინმეს, მოდით აქ, მოითხოვეთ „საქმეები“ და გაეცანით?! „ჟივაია ცერკოვზე“ მე გაზეთებიდან ნაჭრები – ფურცლები ძლივს-ძლიობით მოვაგროვე, მთელი ხროვაა შეგროვილი, გაზეთებს სამოწყალოდ ვშოულობ, მოდით და წაიკითხეთ;

ბროშიურაც ვიშოვნე „ჟივაია ცერკოვზე“, სადღაც აქ ეგდო, წაიღეთ ან მოდით და წაიკითხეთ, ჩიჯავაძემ წაიკითხა და იცის საქმის ვითარებაო“! – მაშ, მამა ჩიჯავაძესთან წავალ, იმას ვკითხავ საქმის ვითარებას, სოსოზე ამბობენ, „გაცოცხლდაო“, ისევ იმას მივმართავ ცნობებისათვის თქო, – ირონიულად უპასუხე ცინცაძეს. „არა, დეკანოზო, – დაიწყო ენის ბორძიკით და ხმის შეკიდებით საბჭოს კანცელიარიის გამგემ – დეკ. ი. შუბლაძემ [რომელიც ჩვენი ბაასის დროს ძველ „საქმეებში“ („კანტორისაში“) სუფთა ქაღალდებს ეძიებდა, მათ სჭრიდა, ცალკე ალაგებდა, პაპკებს ცალკე, ნაწერებს ცალკე, უკანასკნელთ „გასასყიდათ“ ამზადებდა! – ეს „ძველი მეტრიკებიც“ უნდა გაიყიდოს თუ არაო, – ჰკითხა მან თავის პრინციპალს – დეკ. ცინცაძეს! „როგორ შეიძლება ამათი გაყიდვა, ეს შეინახეთო], – „გაჯობა ახლა დეკ. ცინცაძემ, გამოტყდი, რომ გაჯობა“! „მართალი ხარ, – მიუგე მე, – მე დიდიხანია ვხედავ, რომ თქვენ მაჯობეთ არამც თუ მე, მთელს ჩვენს ეკლესიას, თქვენ გაიმარჯვეთ, ხოლო ჩვენი ეკლესია დამარცხდა! მაგრამ ხო იცი რუსული პუბლიცისტიკიდან: „Киткитичи из Замоскворечия хвалят друг-друга“, – თქვენგნით სხვა რა არის მოსალოდნელი! მაგრამ ჯერ ერთი უნდა მოგახსენოთ ის, რომ თქვენ „ახ. სიტყვის“ „ერთი ჯგუფი“ სასტიკად სცდებით, თუ გგონიათ, რომ სამების დეკანოზი მამა ეროთე აივაზიშვილი, ან მოძღვართ-მოძღვარი ჩვენი დეკ. მათე მონასელიძე (ესენი მოიყვანეს მაგალითად, ამათ რა ეინტერესებათო!) ისე დაყრუვდნენ, რომ მათ აღარაფრის გაგება არ შეუძლიათ, არაფერი აინტერესებთ! განა ჩვენმა მოძღვართ-მოძღვარმა არ უნდა ჩაიხედოს ჩვენი ეკლესიური ცხოვრების მიმდინარეობაში?! ან თუ ისე დაეცა, განიხრწნა თბილისის სამღვდელოება, რომ მათი შეკრება არც კი ღირს, რატომ არ მიიიღებთ ზომებს, რომ სატახტო ქალაქის სამღვდელოება ღირსეულ პირებით განახლდეს და შეივსოს, ჯერ ხომ კიდევ გვყვანან პროვინციებში მივიწყებული, მიგდებული ღირსეული პირები?! ან არა და გაზეთები სამათხოვროდ ან სამოწყალოდ რა გაგვიჭირდა (ამ დროს კათოლიკოზიც შემობრძანდა და მე განვაგრძე), რომ თხოულობთ და ძლივს შოულობთ?! სხვა რამეში დაზოგეთ ფული, სხვა წვრიმალ და უნიადაგო ხარჯებს ერიდეთ, ხოლო გაზეთები ადგილობრივი – რუსულ-ქართული, რუსეთისაც – უმთავრესნი მაინც – უსათუოდ უნდა გქონდეთ გამოწერილი, თქვენც, როგორც ცენტრალურმა დაწესებულებამ და ჩვენც თქვენთან თვალ-ყური ვადევნოთ ცხოვრების მიმდინარეობას, უნდა მოაგროვოთ მთელი ლიტერატურა „ცოცხალ ეკლესიის“ შესახებ, თქვენც გაიგოთ, რაშია საქმე და ჩვენც გვაცნობოთ! აქ „ცნობის მოყვარეობის“ დაკმაყოფილებაზე როდი უნდა იყოს საქმე – მოვიდე, წავიკითხო და წავიდე! შემდეგ მოვიდეს მეორე და მესამე პირი – „ცალ-ცალკე“, წაიკითხონ და წავიდნენ! ეს რა საკადრისია?! რატომ უფრთხით თქვენ საერთოდ ჩვენს შეკრებას, საერთოდ მსჯელობას და გათვითცნობიერებას?! ეს ყოვლად მიუღებელია, განსაკუთრებით ამ დროში! ამის წინააღმდეგ ჩვენ ვებრძოდით ექსარხოსებს და თქვენ ისევ იმ გზაზე დაგვაბრუნეთ, უფრო უკან დაგვწიეთ, დაგვაქვეითეთ! ეს რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავზე?! ასე კარ-ჩა-

კეტილი სანამდე უნდა იყოთ?! ან რა გამოდის თქვენი „სხდომებიდან“, ჩვენ არ ვიცით, რაზე და რასა ბჭობთ აქ, გაგვიღეთ კარები თქო“?! – ამ ცხარე მხილების დროს ცინცაძე გაშავდა კუპრივით, ნერწყვი გაუშრა, შუბლაძე ისევ ქაღალდებში ურევდა ხელს, კათოლიკოზი ბოლთასა სცემდა, ღელავდა, არჯევანიძე-ტყემალაძე-ლაზარიშვილი-მაჭარაშვილი თვალებ გამოჭყეტილები მიცქეროდენ! „უხერხული მდგომარეობა“ დაარღვია დეკ. ტყემალაძემ, მაგრამ მან „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიც შეურთო“, კათოლიკოზს მოუყვა და იქ დამსწრებმაც მოვისმინეთ შემდეგი: „შაბათს, 2 დეკემბერს, მთავრობის დაწესებულებათა სახლში (ყოფილი კადეტის კორპუსი) დიდ საზოგადოების თანადასწრებით, გაუმართავთ „სურამის ციხის“ გასამართლება-განსჯა, გაუსამართლებიათ ჩვენი სამღვდელოება – წარსულში, აწმყოში და მომავალშიც; ბრალსა სდებდა კომუნისტი ვინმე ტალახაძე, რომელმაც საათ-ნახევრის განმავლობაში სულ ლაფი გადაასხა ჩვენს სამღვდელოებას, უარჰყო მისი „მოღვაწეობა“ წარსულში, საზიზღრად მოიხსენია აწმყოში და მოსპობა უქადა ახლო მომავალში! დამცველად გამოვიდა ვექილი შოთა დადიანი, რომელმაც მშვენიერი, დარბაისელი სიტყვით, დიდი შთაბეჭდილება შექმნა და ოვაციები გამოიწვია დამსწრეთა შორის. მაგრამ რეზოლიუციადასკვნა არ გამოუტანიათ იმ დღესვე, გადაუდვიათ მეორე შაბათისათვის“. იქ, თქვენ გყავთ ვინმე დამცველი?! დამნაშავეთა სკამზე რო დასვით ქართველი სამღვდელოება, რას ჰფიქრობთ თქო!.. ხმა კრინტი არ დაუძრავთ. შეველ იქვე ტაძარში, გაკვეთილი მივეცი „სამოძღვრო კურსის“ ხუთიოდე მოწაფეს და გავეშურე წმ. მარინეში.

წმიდა მარინეში თათბირი

საათის თორმეტზე უკვე მიველ დეკ. იაკობ ტატიშვილის ბინაზე, აქ უკვე შეკრებილიყვნენ: მთავარ-ხუცესი დეკ. დიმ. ხახუტაშვილი, დეკ. ზაქ. ლუკაშვილი, დეკ. ვ. კარბელაშვილი, დეკ. მიხ. ჯავაშვილი (ყოფილი სამხედრო მღვდელი, ეხლა უადგილო), მეორე მღვდელი მისიონერი ტყემალაძე, დეკ. იოსებ ჩიჯავაძე და მე. ყავა მოგვართვეს, პური და კაკალი – სამარხვო. ყავაზე ბაასიც მოვაყოლეთ, უამბე მათ დღევანდელი ჩემი შეხვედრა ცინცაძე-შუბლაძესთან, კათოლიკოზთან გამობაასება და „სურამის ციხის“ გამო ჩვენი სამღვდელოების გასამართლება. მეტად აღელდენ ყველანი. მთხოვეს, მოხსენება გამეკეთებია ამ „კერძო თათბირისათვის“, თუ როგორ მოხდა „სურამიადაში“ ჩათრევა სამღვდელოებისა და საზოგადოდ რა ვიცი მე ამ თაობაზე. გავაკეთე ვრცელი მოხსენება, დავიწყე 1906 წლიდან – „ერთი ჯგუფის“ თავხედობა ავტოკეფალიის საკითხის უკან წაღებაში – „мнѣніе группы духовенства“ – ამ სათაურის უსახელო ფურცლის გამოშვება ექსარხოს ნიკონის გულის მოსაგებად და ჩვენში ცნობილ დეკ. ვოსტორგოვის საეკლესიო გეგმის განსახორციელებლად, აღვნიშნე, რომ ამ „ჯგუფში“ შედიოდენ: დეკ. ცინცაძე, თოთიბაძე, კეკელიძე,

მასწავლებელი სერგო გორგაძე, არქიმანდრიტი ამბროსი (ეხლანდელი კათოლიკოზი), ამათ ჩაითრიეს ამ საქმეში პუბლიცისტი, აწ განსვენებული ალექსანდრე ყიფშიძე („ფრონელი“), თუ როგორ მეც წინადადება მომცა დეკ. ცინცაძემ – მიმეღო ამ „ჯგუფში“ მონაწილეობა და ხელი მომეწერა იმ დოკუმენტზე – „мненіе группы“; მე დაუწუნე ცინცაძეს ეს დოკუმენტი, ურჩიე, ის ცეცხლში დაეწვა, ხოლო მე კი კატეგორიულად უარვყავი ასეთი სეპარატიული გამოსვლა, მას შემდეგ, რაც საერთოდ დასმული იყო ავტოკეფალიის საკითხი 1905 წელს და ამისათვის მათრახებით ჰგვემეს ყაძახ-რუსებმა ჩვენს სამღვდელოებას, სისხლი ადინეს მას! აი, ამ დროიდან იწყება ჩვენი ათვალისწუნება ამ „ჯგუფიდან“: ხელ-მოწერილი დოკუმენტი ერთ თაბახ ქაღალდზე დაბეჭდილი გაუგზავნიათ პეტერბურგში სინოდის თავმჯდომარის მიტროპ. ანტონისათვის და სხვა და სხვა იერარქთა და სანოვნიკებისათვის; ხოლო თბილისში გამოუშვეს ანონიმურად – უსახელოდ, ცალ-ცალკე თაბახებზე, შემდეგ დაჰბეჭდეს კიდეც რუსულ გაზეთ „Тифлис“-ში! ყველამ ვიცოდით, ვინ შედიოდა ამ „ჯგუფში“. ამ გამოსვლამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია პეტერბურგშიაც და თბილისშიაც ავტოკეფალიის მომხრე წრეებში. დამსახურებული პროფესორი ალ. ცაგარელი წერილს სწერს თბილისში თვისს ნათესავს მღვდელს – ლაფერაშვილს, რომ „ცინცაძის“ პროექტმა (იგულისხმება ის დოკუმენტი) სამიტროპოლიტო ოლქის დაარსების შესახებ ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ერთად მეტად ხელი შეგვიშალა ავტოკეფალიის მომხრე პირებსო, ეს რა უბედურობა ჩაგიდენიათო! ეს წერილი დღეს ხელთ აქვს დეკ. იოსებ ჩიჯავაძეს (მან დაადასტურა ეს ამ „თათბირზე“); აი, ეს ჯგუფი თვალთმაქცობდა და კისერს გვატეხიებდა ნიკონის დროს, ეს დოკუმენტი წარმოუდგინეს მათ 1906 წელს, ოქტომბერში ქართველ იერარქთა კრებას სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად – კირიონ აფხაზეთისა, ლეონიდე ქუთაისისა, გიორგი ფოთისა, აქ იყო ქორ-ეპისკოპოსი პეტრე – აი, ამათ უნდა დაედასტურებიათ ეს „უსახელო“ პროექტი – „мненіе“, მაგრამ უარჰყვეს. ნაცვლად ამისა კირიონმა წამოაყენა „არჩევითი წესის“ შემოღება სამღვდელოებაში – სამღვდელოებისა მიერ, ესე იგი სამღვდელო პირი, ის მღვდლების კრებას (საბლაღოჩინო) უნდა ამოერჩია! ეს მხოლოდ საბაბად წამოაყენა კირიონმა, ვინაიდან „ჯგუფის“ მიერ ჩათრეულ იქმნენ ეს ეპისკოპოსები ნიკონისაგან „ბოიკოტის“ ასახსნელად... ამ თაობაზე მე მაქვს სხვა რვეულში აღნიშნული, თუ როგორ შევყევი ნიკონთან ეპისკოპოზებს – პეტრეს და გიორგის, რომელთაც დავალებული ჰქონდა კრებისაგან ნიკონისათვის ჩვენი დადგენილების წარდგენა ჩემის თანხლებით; როგორი შიშის ზარი დასცა ჩვენს ეპისკოპოსებს ნიკონმა, შემდეგ მე მომვარდა და მე მკითხა: „მაშ, შენ მითხარი, რა დაადგინეთო“! – მეც წაუკითხე ჩვენი დადგენილება, რომელიც იწყებოდა ასე: „Вдовствующая Иверская Церковь“... ეს რომ მოისმინა მიყვირა: „А я кто такой“?! – უპასუხე: „Вы ставненник св. Синода“... ერთი სიტყვით, ისეთ ხაფანგში გაგვაბა მაშინ „ერთმა ჯგუფმა“, რომ საკვირველია, როგორ გადავრჩით! ამავე „ჯგუფმა“ ბევრი უბედურება და ქვებუდანობა გვაჩვენა ინოკენტი ექსარხოსის დროს,

ამათ გადააგდებიეს ჩემი თავი დიდუბიდან ანჩისხატში და ბევრი კიდევ სხვა უმსგავსოება ჩაიდინეს; ამათვე იგდეს ხელში ჩვენი სვე-ბედი პლატონ ექსარ-ხოსის დროს, ისევ წამოაყენეს მაშინაც 1906 წლის პროექტი – ექსარხოსის გამიტროპოლიტებისა ჩვენში; ამ საქმეში მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლ-ოზის ძემ ჩარია თავად-აზნაურობის წინამძღოლი კოტე აფხაზი, რომელმაც მიგვიწვია თვის კაბინეტში 1916 წელს საზოგადო მოღვაწეებთან ერთად – მღვდლების წრიდან დეკანოზი კორნელი კეკელიძე (პლატონის მესაიდუმლე – ნაზარ არქიმანდრიტთან ერთად) და მე; იყო ამ კრებაში სერგო გორგაძე – და წაიკითხეს ზემოაღნიშნული „мненіе группы“! ეს მე გავაკრიტიკე, რაც ემცხე-თა ავტორებს – კეკელიძე და გორგაძეს, საზოგადოებამ გაიკვირვა: „როგორ?! ავტორებიც კი აქ ყოფილან ამ დოკუმენტისაო“!.. მოხსენება უწმ. სინოდისად-მი პლატონის გამიტროპოლიტებაზე დეკ. კეკელიძეს შეადგენინეს და წარად-გინეს სინოდში. მაგრამ ანტონ ეპისკოპოსმა (გიორგაძემ) და მე ყოფილ ექსარ-ხოს პიტირიმის საშვალებით, რომელიც მაშინ პეტროგრადის მიტროპოლიტად იყო აქედან გადაყვანილი, ორჯელ ჩაუშალეთ პლატონს თეთრი ბარტყულის მიღება და აქედან ისევ შავით გავისტუმრეთ. ამავე „ჯგუფმა“ მეტად აგვირია საქმე ავტოკეფალიის გამოცხადების ჟამს (1917 წელს მარტში) და შემდეგაც; ამათ დაგვიღუპეს კათოლიკოზი კირიონი, აჭიდავეს მასთან უბედური ლეონი-დი – დავითაშვილის, შუბლაძე-ციცქიშვილის („ახ. სიტყვა“) ხელმძღვანელო-ბით, ხოლო როდესაც კირიონი მოიგდებინეს თავიდან, ლეონიდს მისდგნენ, სიცოცხლე გაუმწარეს. აუმხედრდა საკათ. საბჭოში ცინცაძე, გარეთ ციცქიშვი-ლიც, შუბლაძეც და იყო საშინელი შფოთი, მე 1920 წ. 2 იანვარს გამომაგდეს საკათ. საბჭოდან... 1921 წელს ამავე „ჯგუფმა“ გვაჩვენა საშინელი სირცხვილი – გაგვიქცია თბილისიდან ბოლშევიკების შემოსვლის დროს კათოლიკოზი ლე-ონიდი და ეპ. დავითი; იგდო ხელთ სამხედრო ტაძარი დეკ. თოთიბაძემ, რო-მელმაც დამსახურებული მწერალი დეკანოზი ნიკო ნათიძე („მელანია“) ბაღის ნიკოლოზის ტაძრიდან სამხედრო ტაძარში გადაიყვანა – დიაკვანის შტატზე! თავზე დააჯდა „ქართველების ტურგენიევს“ ექსარხოსების ყოფილი პირის-ფარეში – აგენტი თოთიბაძე! ამავე „ჯგუფმა“ დასვა თავის წევრთაგანი ამ-ბროსი მიტროპოლიტი (ესეც გაქცეულა 1921 წელს სოხუმიდან და ემალებოდა ბოლშევიკებს, უპატრონოთ მიუგდია სამწყსო) კათოლიკოსად, როდესაც უბე-დური ლეონიდი შიმშილით და უპატრონოთ ხორელისაგან დაიღუპა 1921 წლის ივნისში. ამავე „ჯგუფმა“ გააბა ძაფები „მენშევიკურ“ მთავრობასთან თბილის-ში – თოთიბაძემ შექმნა თბილისში სამხედრო უწყების „ქართული პროტოპ-რესვიტერობა“ მსგავსად რუსეთისა და თვითონვე დაიჩემა ეს! ხოლო მისმა მეორე სახე – ცინცაძემ გზა გაიკაფა ნოე ჟორდანიას სასახლეში და „სასახლის პროტოპრესვიტერობა“ დაიჩემა. მენშევიკების გაქცევის შემდეგ დიდხანს იმ იმედით სცოცხლობდენ – აი დღეს, აი ხვალ დაბრუნდება ლტოლვილი მთავ-რობა, გააძევებენ რუსეთის ბოლშევიკებს და ისევ გავბატონდებითო! ამიტომ იყო, რომ გენუის კონფერენციაზე კათოლიკოზ ამბროსის გააგზავნიენ ის „მე-

მორანდუმი“, რომელმაც ფეიერვერკივით – შუშხუნასავით გაიელვა ევროპაშიც, ჩვენშიც და ისევ ჩაქრა! ხოლო როდესაც ჩაჰქრა ეს „იმედი“, მაშინ „ბოლშევიკურ“ მთავრობას დაუწყეს გლასუნი – მახარაძე-დუმბაძე-ქავთარაძე-მდივნებთან, „ნარკომპროსთან“ და „აგიტ-პუნქტთან“; 1922 წლს 11 ივნისს თოთიბაძემ ვერის სასაფლაოზე მის მიერ „აღმოჩენილ“ დ. ჭონქაძის საფლავზე („სურამის ციხის“ ავტორი) წირვა-პანაშვიდი გადაახდევინა კათოლიკოზ ამბროსის ჩვენი ინტელიგენციის თანადასწრებით. ამბროსიმ ქადაგებაში დიდი ქება-დიდებით დაახასიათა ავტორი „სურამის ციხისა“ – ჭონქაძე, რომელმაც ცილის წამებით მოიხსენია თვის ტენდენციურ მოთხრობაში, როგორც საერთოდ ბატონ-ყმობის დასურათება საქართველოში, ისე სამღვდელოებაც (აქ მღვდელი აღსარების გამცემად არის გამოყვანილი, აგრეთვე ყმას ყიდულობს და ჰყიდის)! ასეთ ავტორს კათოლიკოზი ლოცვა-კურთხევით იხსენიებს თვის ქადაგებაში, აქებს იმ მოძღვარსაც, რომელმაც მისი „მივიწყებული“ საფლავი ისევ მოაგონა საზოგადოებასაო; შემდეგ სტუმრებს ნადიმი გაუმართა თოთიბაძემ თვის ბინაზე. ყოველივე ეს ყოფილა თურმე „აგიტ-პუნქტის“ ფარული მოქმედებით დეკ. თოთიბაძის საშვალებით, ფულებიც ნადიმისათვის ბოლშევიკებისაგან ყოფილა გაცემული ვინმე გერმანე გოგიტიძის საშვალებით, რომელიც „აგიტ-პუნქტის“ ქართულ კინო-სექციის ხელმძღვანელი ყოფილა. აქედან და ასე შეუდგენ „სურამის ციხისათვის“ მზადებას, ჯერ ავტორი მოთხრობისა დ. ჭონქაძე აქებიეს და ადიდებიეს კათოლიკოზს და მის დეკანოზებს, შემდეგ სურათზე – ლენტზედაც მისცეს „აგიტ-პუნქტს“ უბედური და ყბად აღებული თბილისის სამღვდელოების მოწინავე ნაწილი! სურათის გადაღება ხელოვნურად შეუფარდეს 1 აგვისტოის (ძვ. სტ.) წყლის კურთხევის წესს, რომელიც უნდა გადაეხადათ ბოტანიკურ ბაღში, ვინაიდან სურამის ციხის სახედ თბილისის ციხე უნდა ეჩვენებიათ საზოგადოებისათვის, ამათ „ისტორიული სინამდვილე“ როდი აინტერესებდათ, არამედ მხოლოდ აგიტაციური და ნივთიერი, დაეზარათ სურამში წასვლა, იქ მეტი ხარჯიც მოუვიდოდათ და ვერც ამოდენა „ოქროს ტომრებში“ გახვეულ ტიკინებს ანუ ბუტაფორია-სტატისტებს იშოვნიდენ – თეთრ და გრძელ წვერებით მოსილთ! ყველაფერი სიყალბეზე და თაღლითობაზე ჰქონდათ აგებული: 1 აგვისტოის წყლის კურთხევა, ეს რუსულ ეკლესიის ჩვეულება იყო, ამიტომ ექსარხოსების დამხობის შემდეგ, ჩვენ ეს წესი აღარ შეგვისრულებია, თუ შევასრულებდით, ისევ კერძოთ, ჩვენ-ჩვენს ეკლესიებში. წელს კი „სურამის ციხისათვის“ღა მოიგონეს ხოლმე ის! აქედან სჩანს, რომ ეს საქმე წინასწარგანზრახული და ბევრგვარად ნავარაუდევი იყო „ერთ ჯგუფში“! თუ ეს რელიგიოზური აქტი იყო და სალიტანიოდ ეპატიჟებოდენ სამღვდელოებას, ამ შემთხვევაში აქ დეკანოზი ცინცაძე განმკარგულებელად სრულებით მეტი იყო, საამისოდ გვყავს ჩვენ მთავარ-ხუცესი, ხოლო განმკარგულებელად ეპარქიალური მთავრობა. აქ კი ჩვენ ვხედავთ, რომ წყლის კურთხევის ინიციატივა ბოტანიკურ ბაღში გამოდის დეკ. ცინცაძიდან „აგიტ-პუნქტის“ აგენტის გერმანე გოგიტიძის თხოვნით და შეგონებით, ხოლო ცინ-

ცაძე ჩვეულებრივად გავლენას ახდენს კათოლიკოზზე, ეს იბარებს თვისს კანდელაკს დეკ. მიხ. ფხალაძეს და მისს საშვალებით ატყობინებს ამ განკარგულებას მთავარ-ხუცესს დეკ. დ. ხახუტაშვილს (დაადასტურა ეს დეკ. ხახუტაშვილმა) საღამოს ცხრა საათზე 31 ივლისს ძვ. სტ. ხოლო ახალით 13 აგვისტოს, როდესაც მთავარ-ხუცესი გაიკვირვებს ასეთ არაჩვეულებრივ და დაგვიანებულ განკარგულებას – ან თვით ადგილს წყლის კურთხევისას, მაშინ დეკ. ფხალაძე ეუბნება, რომ გვიან გაახსენდათ, რომ ხვალ წყლის კურთხევა უნდა იყოსო, ხოლო ბოტანიკურ ბაღში წინეთაც ყოფილა ასეთი წესი შესრულებულიო! ეს აშკარა ტყუილი, არ ვიცი, ვის ეკუთვნის – დეკ. ფხალაძეს, ცინცაძეს თუ ვინმე სხვას! ვინაიდან არასოდეს წყალი არ უკურთხებიათ არც 1 აგვისტოს და არც სხვა დროს ბოტანიკურ ბაღში, თათრების სასაფლაოს გვერდით! დეკ. ფხალაძე ახალი მღვდელია თბილისში, მთავარ-ხუცესიც ასეთი ახალი პირია თბილისის სამღვდელოებაში, ამიტომ შესაძლებელია ორთავენი მოატყუილა მესამე პირმა! წმ. ნინოს სასაფლაოდან დეკ. ფხალაძე იმავ საღამოთი ასე ღამის ათი საათისათვის მოსულა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეზოში, დეკ. ზაქარია ლუკაშვილთან (ჩემი სიმამრი) – ესეც დაუპატიჟნია; აქედან ის გაქანებულა ყოფილ პროტოპრესვიტერ – ეხლანდელ „გაერთიანებულ“ ტაძრების წინამძღვართან – დეკ. ანტონ თოთიბაძესთან ქალაქის მეორე კუთხეში იზმაილოვის ქუჩაზე, აქ ის იქნებოდა საათის 11-ზე ღამე! ცხადია, დეკ. ფხალაძეს, როგორც კანდელაკს, თვისი მოვალეობა ვერ შეუგნია და მთავარ-ხუცესის გზირის როლი უკისრნია; მაგრამ „რჩეული“ – წინასწარ განზრახული პირნი მოუპატიჟნია! ესეც საგულისხმოა: თუ 1 აგვისტოს წყლის კურთხევა რელიგიოზური აქტი იყო, მაშინ თბილისის მთელ სამღვდელოებას უნდა მიეღო შიგ მონაწილეობა და არა „რჩეულებს“ მხოლოდ! მაგრამ აქ თურმე მონაწილეებს ფული უნდა დარიგებოდათ ნახევარ-ნახევარი მილიონი თითოს! ცხადია, ეს წინასწარგანზრახული იყო და რაც მეტი მონაწილენი იქნებოდა, მეტი ფულის დარიგება დასჭირდებოდათ, ამიტომ „ყველას“ როდი გვაცნობეს! როდესაც დეკ. ფხალაძეს უსაყვედურე: „კაცო, ყოველდღე ჩემი კარის წინ გაივლ-გამოივლი, იმ ღამესაც ჩემს კარებზე გაივლიდი უსათუოდ, რატომ მე არ მაცნობე, რატომ მეც არ გამრიეთ მაგ თქვენს „სარწმუნოებრივ“ აქტში თქო?!“ ამაზე ფხალაძემ მოკრძალებით მიპასუხა: „შენზე ნათქვამი იყო, არ გაგვეგებინებია, ის იმ დროის (იგულისხმა ძველი დროის) მღვდელს არ მოგვაგონებს, ის „სტილის“ მღვდელი არ არისო“! რო შევეკითხე: ვისგნით იყო ეს ნათქვამითქო, ჯერ მიპასუხა – დეკ. ცინცაძისაგანო! ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ეს ამბავი მე გავახმაურე, ფხალაძე მოვიდა ჩემთან და შეწუხებული კილოთი მისაყვედურა: „კაცო, ის ცინცაძეს როდი უთქვამს, ერთმა ერისკაცმა მითხრა, სახელი და გვარი არ მახსოვს, ისე კი ვიცნობ და შენც გიცნობსო“! ცხადია, დეკ. ფხალაძემ აქ უკვე დაგვიანებული „შესწორება“ შეიტანა პირვანდელ თვისს ჩვენებაში, ფაქტი ფაქტად რჩება – ეს დეკ. ცინცაძის ჩვეულებრივი ოინებია ჩემს წინააღმდეგ, მომწყვიტა მე ჯერ დიდუბეს, დამამწყვდია ანჩისხატში და

სადაც კი ხელი მიუწვდება, გულზე ხელს მკრავს ხოლმე ყოველივე „შემოსავლიან“ საქმის დროს! ეხლაც ასე მოხდა: ერთი, რომ ნახევარი მილიონი დაინანა ჩემთვის, მეორე ის, რომ შეიძლება მიგვიხვდეს ეშმაკობას და ჩაგვიშალოს კიდეც ეს ამოდენა ნაშრომი და მოწყობილი საქმეო! და აქაც გვერდი ამიხვიეს! ჩავშლიდი კიდევაც, რომ ცალი ყურით მაინც გამგებოდა ეს მათი განზრახვა, როგორც ჩავშალე სამღვდელოების დაჯილდოების საქმე, რომელიც უნდა გამოცხადებულიყო ამა წლის 4 ივნისს – სული წმიდის მოფენის დღეს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც ბოლშევიკებმა გაზეთებში დაბეჭდეს რუსულ-ქართულად კათოლიკოზის „მემორანდუმის“ ტექსტი გენუის კონფერენციისადმი! ასეთ მომენტში მიტრებით უნდა დაეჯილდოებია თვისი „ერთ-ჯგუფისეული“ მეგობრები უბადრუკ ამბროსის! თავის ადგილზე მე ეს მქონდა აღნიშნული, აღვნიშნე კიდეც, თუ რა ზომები მივიღე ამ სამარცხვინო საქმის ჩასაშლელად, ერთი ოფიციალური პროტესტის ქაღალდი მივართვი კათოლიკოზს მთავარ-ხუცესის საშვალებით, ხოლო მეორე – „მამა დავითობა“ დღეს – დილით დეკ. კ. ცინცაძეს და მოვითხოვე ამ გათახსირებულ განზრახვის შეჩერება. ჩავშალეთ იმ ხანად ეს საქმე და ერთხელ კიდევ ვიხსენი ეს უბედურები სირცხვილისაგან: გვირგვინოსანებს მოჰხადეს მიტრები და ეს ჩვენი კათოლიკოზი თავის მეგობარ დეკანოზებს უპირებდა თავების მიტრებით დამშვენებას – მოვარაყებას! როდესაც ეს ვერ მოხერხდა, 11 ივნისს დანიელ ჭონქაძის საფლავზე წირვა-პანაშვიდის გადახდის დღეს – ჭონქაძის ქება-დიდების სიტყვას – დეკ. თოთიბაძის ხოტბაც ზედ მოაბა თურმე: „ამ ნიჭიერ მწერლის მივიწყებული საფლავი ამ დეკანოზმა აღმოაჩინა, ეს დეკანოზი დიდად დამსახურებულია ჩვენში, ამას ბადალი არა ჰყავს საქართველოში, ეს ყველამ კარგად იცოდეთო“! თურმე დღეს უნდა დაეხურათ „კეკელკა“ თოთიბაძისათვის მიტრა და მით გაეთანასწორებია ის მარკოზ ტყემალაძისათვის, რომელმაც ეს ჯილდო თვით ექსარხოსიდან მიიღო და მით „გაუსწრო“ მამა ანტონს „შეჯიბრებაში“, აზნაურობა ორთავემ ერთად მიიღეს – ორდენები! ვინ მიუწვევიათ წყლის კურთხევაზე: მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვარი ახალ-გაზრდა-ლამაზი 1) პავლე არქიმანდრიტი (ჯაფარიძე), 2) დეკ. ან. თოთიბაძე, 3) დეკ. კ. ცინცაძე, 4) დეკ. დიმ. ხახუტაშვილი (მთავარ-ხუცესი), 5) დეკ. ზ. ლუკაშვილი, 6) დეკ. დიმ. ლაზარიშვილი, 7) დეკ. ირ. გურგენიძე (დიდუბიდან), 8) მღ. უსტიაშვილი (წმ. ნინოდან), 9) დეკ. მიხ. ფხალაძე (მეათე ვინ იყო ჯერ კიდევ ვერ გავიგე); ამათი წინამძღოლი – ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანნე; „პროტოდიაკვნობდა“ – ქვაშეთიდან ანტონ ლაზარიშვილი, სიონის იპოდიაკონი სიკო მონასელიძე და იეროდიაკონი ნიკოლოზი დიაკონი წმ. ნინოს სასაფლაოდან ხუციშვილი. განკარგულება იყო, რომ დილის 9 საათისათვის ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, რომ სამღვდელოებას თავთავიანთ ტაძრებში წირვა შეესრულებიათ, ასეთი დაპირება ჰქონდა, მაგალითად დეკ. ლუკაშვილს, რომელმაც იმ დღეს ვეღარ სწირა, ქვაშვეთის მთელი კრებულიც იქ იყო და არც იქ ყოფილა იმ დღეს წირვა, ვინაიდან გადახატვა გაგრძელდა შუადღის 1 საათამდე. დეკ. ხახუტაშვილი თვისი მღვდლით – უსტიაშვილით და

დიაკონ ხუციშვილით პირდაპირ სიონის ტაძარში მისულა, აქედან ლიტანიით წავიდოდითო მეგონა, მაგრამ შესამოსლები და საჭირო სამკაულები მუშებით გაუგზავნიათ ბაღში, სადაც სამღვდელოება თითო-თითო შეგროვილა. „რო ავედი ბაღში, – ილაპარაკა დეკ. ხახუტაშვილმა, – ჩემი ყურადღება მიიქცია ძველებურ ქართულად ჩაცმულმა დედა-კაცებმა, ზოგიც თათრულ გემოზე ჩაცმულადაც მეჩვენა, ვიფიქრე – ეს რას ნიშნავს, მივაყურე – რუსულად ლაპარაკობდენ, თურმე რუსის აკტრისები იყვნენ სტატისტებად წამოყვანილი, მივიხედ-მოვიხედე და მეტად საეჭვოდ მეჩვენა ყოველივე ეს და ეს ჩემი ეჭვები გაუზიარე დეკ. ლუკაშვილს, შემდეგ ორჯელ მივაქციე ამ გარემოებაზე დეკ. ცინცაძის ყურადღებაც, ხოლო მან მითხრა: „კაცო, აქ რა უნდა იყოს საძრახისი – ისტორიულ-პატრიოტულ სურათს გადაიღებენ წყლის კურთხევის შემდეგო“, ამ ლაპარაკში მონაწილეობა მიიღო ვინმე ფოსტის მოხელე ლალიაშვილმა, რომელიც მეტად საეჭვო პირად უნდა ჩაითვალოს, მომვარდა ის და დამიწყო ჭკუის დარიგება და დაშოშმინება – „მამაო, აქ რა არის საძრახისი, თქვენ განათლებული კაცი ბრძანდებით და კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ეს კულტურული საქმეა, არავითარი დასამცირებელი არ არის არც სარწმუნოებისა და არც სამღვდელოებისაო“, მე ვსთხოვე ლალიაშვილს – გავენთავისუფლებიე ასეთ უადგილო შეგონება-დარიგებისათვის; შეუდექით წყლის კურთხევას, მაგრამ ეს წყლის კურთხევა კი არა, რაღაც წარმოუდგენელი გამასხარავება-დამცირება იყო ჩვენი სჯულისა და წესისა: მისცეს ეპისკოპოსს იოანნეს ხელში კურთხევანი, დაიწყო მან წაკითხვა დადებულ ლოცვებისა, მაგრამ ვინღა დააცალა ბეჩავს, ხან დეკ. ცინცაძე ჩაუტაკებდა თითს წიგნში ეს გამოტოვე, ეს წაიკითხეო, ხან დეკ. თოთიბაძე მივარდებოდა და ის უჩხიკინებდა თითს, სულ არც კი გასულიყო „წყლის კურთხევაში“ ხუთი წუთი, რომ ვიღაცამ რუსულად გვიბრძანა: „დაანებეთ თავი, წამოდექით წინ მწყობრადო, ამოდით ციხის ძირშიო“! მეტად აღშფოთდა ეპისკოპოსი იოანნე, შეაწყვეტიეს წყლის კურთხევა, ვხედავდით, რომ ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნოდით, სხვის ნების ქვეშე ვიყავით, მივატოვეთ წყლის საკურთხი ადგილი, აგვიყვანეს ციხის გვერდში – ძირში და განზე დაგვაყენეს – ციხის კედლიდან ასე 6-7 საჟენზე, იქიდან ჩვენ არ შეგვიმჩნევია არც „ჩაკირული ზურაბი“ და არც მის თავზე აღმართული „სიონის ჯვარი“, რომელნიც დღეს ასე ცხადად სჩანს და ჩვენ გვაკურთხებინებენ ჩაკირულ ზურაბს აღმართულ ჯვარის ქვეშე მჯდომს! მაგრამ თავის მართლება ამით არ მსურს, რაც „წყლის კურთხევა“ ჩვენ შევასრულეთ, მარტო ის კმარა ჩვენ დანაშაულად ამ საუკუნო სასირცხო საქმეში, მით უმეტეს, რომ ყოველივე ამაში დაგვირიგეს (დეკ. ფხალაძე) ნახევარ-ნახევარი მილიონი, ჩვენ ეს შევიტანეთ საძმო შემოსავალში! გაგვიწყრა ღმერთი, გავამასხარავეთ სჯული და ჩვენც გვამასხარავებენ ეხლა ეკრანზე, გვასამართლებენ საჯაროთ, თვითონ კი ამ საქმის მესვეურებს თურმე ქაღალდები გადააფარეს სახეზე – ცინცაძე-თოთიბაძე-ლაზრიშვილი და არქიმანდრიტი პავლე არა სჩანან, ზურგს უკან ამოჰფარებია დეკ. ლაზრიშვილს დეკ. მიხ. ფხალაძე და არც ის სჩანს – ჩვენ კი, მე და დეკ. ლუკაშვილი – თავიანთ

თეთრ და გრძელ წვერით ყველაზე ნათლად ვსჩანვართ იმ სურათზე, რომელსაც აწერია: „Суеверие, тьма, невежество“! ამის დანახვაზე – ყიჟინას სცემს ბრბო, ლანზღვა-გინებით და საშინელი წყევა-კრულვით გვიხსენიებენ: „ძირს სამღვდელოება“, – გაჰყვირის ხალხი; – „долой попов“, – ხმას აძლევენ მათ სხვა ეროვნებანი! არც სომხებს, არც რუსებს, არც ურიებს, არც თათრებს არ შეულახავთ თავიანთი სიწმინდე, მხოლოდ ჩვენ მოგვიხერხეს ეს საუკუნო სამარცხვინო დანაშაული ისევ ჩვენი თანამოძმეების მოხერხებით და კათოლიკოზის განკარგულებით. ეს საკითხი მე ორჯელ-სამჯელ დავსვი თბილისის სამღვდელოების კრებაზე სამსჯავროდ და საჭიროა ვიქონიოთ მის შესახებ მსჯელობა, როგორმე გამოვეხმაუროთ ამას, გამოვიტანოთ რაიმე რეზოლიუცია და რომ საზოგადოებას ვაცნობოთ ჩვენი მწუხარება და აღშფოთება ამ თაობაზე“.

ხახუტაშვილის ამ განცხადების შემდეგ, ილაპარაკა „თათბირზე“ დეკ. იოსებ ჩიჯავაძემ: „მე დანამდვილებით გავიგე, რომ ამ საქმისათვის სამღვდელოების „გასამრჯელოდ“ გადაუდვია „აგიტ-პუნქტს“ 38 მილიონი მანათი, 25 მილიონი კათოლიკოზს მიართვეს, ნახევარ-ნახევარი მილიონი მონაწილე-„ბუტაფორიებს“ მისცეს, სხვა კი თვითონ ჩაიჯიბეს ცინცაძე-თოთიბაძემ. მე ეპისკოპოსთა კრებას თბილისში მივართვი წერილობითი განცხადება ამ თაობაზე, სადაც გადაჭრილად ბრალსა ვსდებ კათოლიკოზს და მისს მესაიდუმლეებს ანგარებაში, სჯულის გამასხარავებაში (кощунство) და ეგზომ ამ დროში სამღვდელოების დამცირებაში. მაგრამ არც კი მოახსენა მან ეს „იერარქთა კრებას“, ეს რა „დაწესებულებაა“, ისე „კერძოთ“ წაუკითხნიათ შემდეგ საკათ. საბჭოში და, რასაკვირველია, უშედეგოდ დაუტოვებიათ! ჩვენ ამას უშედეგოდ ვერ დავსტოვებთ, ჩვენ ამას უყურადღებოდ ვერ გაუშვებთ, გვეყოფა ამ „ერთი ჯგუფის“ ამდენი თავხედობა და თაღლითობაო“! სხვებმაც გაიზიარეს აღშფოთება ყოველივე ამისა გამო და გადაწყვიტეს, რომ ხვალ – ოთხშაბათს – 4 დეკემბერს – მორიგი კრება იქნება თბილისის სამღვდელოებისა და მოხსენება გაგვიკეთოს დეკ. თალაქვაძემ, მოახსენოს კრებას ყოველივე ის, რაც მან დღეს აქ გაგვიზიარა; ეს დანაშაული მძიმე დანაშაულია სჯულის წინაშე, ამისი მონაწილენი ეკლესიურ სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი და ვინაიდან კათოლიკოზიც ურევია შიგ, მისი განკარგულებით მოხდა ყოველივე ეს, საეკლესიო კრებას უნდა გადაეცეს გასასჯელადო.

ამ საკითხმა დიდი დრო მოინდომა, შემდეგ დეკ. ჩიჯავაძემ გაგვაცნო დეკ. კირილე ჯავახიასთან თვისი მიწერ-მოწერა, წაგვაკითხა ჯავახიას მონაწერი ქაღალდები სულ ნომრებით, ასლებით შემოწმებულნი, თუ რა მოუწერია მას საკათ. საბჭოსათვის, როგორ ბრალსა სდებს ჩვენს ეპისკოპოსებს, კათოლიკოზს და მათ საბჭოს ჩვენი ეკლესიის დარღვევაში და განხრწნაში; ერთ ქაღალდში ის ეხება დეკ. შუბლაძის გამოგზავნას მასთან – საკათალიკოზო საბჭოს „რწმუნებულად“ – მოძრაობისათვის ლიკვიდაციის მოსახდენად ჩემთან; შუბლაძე-„რწმუნებულს“ სურდა ჩემი ჩათრევა-მოტყუილება, მაგრამ თვითონ ის ჩავითრიე, ისეთ ქაღალდზე და „შეთანხმებაზე“ მოვაწერინე ხელი, რომ თბილისში საყვედური

გამოუცხადეს თურმე, ეს რა ჩაგიდენიაო! ეს ცოტაა, შემდეგ მე ვიცი მაგისი პატივისცემაო! ერთი ნაწარმოებიც წაგვიკითხა ჩიჯავაძემ ჯავახიასი, კათოლიკოზთან მიწერილი შემდეგი სათაურით: „სიზმარი“ – ჩვენება, რომელიც იხილა დეკ. ჯავახიამ ჩვენს ეკლესიაზე საზოგადოდ და კერძოდ კათოლიკოზ ამბროსიზე. ეჩვენა მას: 1) გიორგი მთაწმინდელი, 2) გაბრიელ ეპისკოპოზი, 3) და ანტონ ჭყონდიდელი. ეს სამივე გამოჩენილი მოღვაწენი საქართველოს ეკლესიისა – სამნივე საშინელ რაიმეს უწინასწარმეტყველებენ საქართველოს ეკლესიას კათოლიკოზ ამბროსის ხელში! თურმე ეს „სიზმარი“ დიდი ხანია ხელთა აქვსთ აქ – საკათ. საბჭოში და ამიტომ არის, რომ ჯავახიაზე ავრცელებენ ხმებს – თითქოს ის „ჟივაია ცერკოვში“ გადავიდა, მოსკოვის ოქროთია მოსყიდული და სხვა ასეთები. ჩემის აზრით, კი ეს ჯავახია არავითარ „ჟივაია ცერკოვში“ არ არის ჯერ-ჯერობით გადასული, სდგას ეროვნულ ნიადაგზე, უკმაყოფილოა მკვდარ ეპ. დავითის მართვა-გამგეობით, გონება და თავი მუშაობს მისი, გადაიყვანა მან თავის მხარეზე ორი ოლქის სამღვდელოება (32 კაცი), რომლის მთავარ-ხუცესია თვითონვე და გამოეყო დავით ეპისკოპოზს – „დამოუკიდებელი სამწყსოც“ შექმნა; აქვს მას მსვლელობა და კეთილი განწყობილება ადგილობრივ კომუნისტებთან, რომელნიც მას თითქოს თანაუგრძნობენ! აი, ეს არის „ძაღლის თავი“ ჯავახიას მოძრაობაში! აქ იწვევს ის ერთნაირ ეჭვს – ხო არ იწევა რუსებისკენო! ამ კაცთან დაუჭერია კავშირი ნავთლუღელ დეკ. იოსებ ჩიჯავაძეს, რომელიც განაწყენებულია კათოლიკოზისაგან და მისგან შეჩენილ „სამთა გამომძიებელთაგან“; ამ ჩიჯავაძემ უკვე შესწყვიტა კათოლიკოზის მოხსენიება თვისს ტაძარში – „ჩამოვშორდი“ მასო, – ამბობს; მაგრამ ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვჯერა; ამ „თათბირზე“ ჩიჯავაძემ უარჰყო ხმები, რომ იმას თითქოს რაიმე კავშირი ჰქონდეს „ჟივაია ცერკოვთან“, აცხადებს სურვილს, გავიგოთ ჯავახიას მოძრაობის ნამდვილი შინაარსი და თუ მოგვეწონება და ჩვენი სარწმუნოებისა და ქვეყნისათვის საკეთილდღეოთ დავინახოთ, შეუერთდეთ მასო; მით უმეტეს, რომ ამ ჯავახიას მოძრაობით საკათ. საბჭოს დაუდგენია კიდევაც – კომისიები შესდგეს საოლქოებში, თუ რაგვარი ცვლილებებია სასურველი შეტანილ იქმნენ ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობაშიო.

ამაზე მე გადაჭრით განვაცხადე: „მოძრაობას-განახლებას-აღორძინებას ჩვენს სარწმუნოებრივ-ეკლესიურ ცხოვრებაში დაუჭერ მხარს, თუ ეს მოძრაობა იქნება წმინდა ქართულ-ეროვნულ ეკლესიურ ნიადაგზე თქო; მე ვერ მივემხრობი ვერავითარ მოძრაობას ეკლესიურ სფეროში, რომელიც რუსეთის ეკლესიასთან იქნება ასე თუ ისე დაკავშირებული თქო; ჩვენ საკმარისად ვიგემეთ რუსეთთან ეკლესიური მონობა თქო“. ეს აზრი გაიზიარა „თათბირზე“ ყველამ, თვით ჩიჯავაძემაც. მაგრამ იქვე პორთფელიდან ამოიღო მან წითელკანიანი ხელთნაწერი შემდეგი წარწერით რუსულად და რუსულადვე დაწერილი: „Устав грузинской „обнавленной“ автокефальной церкви“. აქ ეჭვი დამებადა – რა საჭიროა რუსულად ქართულ ეკლესიის წესდების დაწერა! შეუდგა წაკითხვას – 1 პარაგრაფი ეხება ძირ-ბუდიანად გადახედვას საქრისტიანო ლიტურგიკისა, დოღმატიკისა და

ეთიკისა! ეს პარაგრაფი მეტად სქემატიურად არის შედგენილი, რას და როგორ გადახედვას ჰგულისხმობს ავტორი, არა სჩანს; როგორც კი ეს მუხლი წაიკითხა, მაშინვე სწვდა ყელში დეკ. ლუკაშვილი და კრიტიკა გაუკეთა; ჩიჯავაძეს ეს არ იამა და განაცხადა: „ეხლა უკვე გვიან არის, დავიღალეთ, შემდეგი კრება-თათბირი დეკ. მიხ. ჯავაშვილის ბინაზე გავმართოთ ხუთშაბათს, შუადღის 4 საათზეო“ და დავიშალენით; გამოვიარეთ დეკ. ლუკაშვილისას და მთავარ-ხუცესმა, კარბელაშვილმა და მე ვისადილეთ საღამოს ჟამს – 6-7 საათზე.

6 დეკემბერი – ოთხშაბათი. „სურამის ციხე“ თბილისის სამღვდელოების კრება კათოლიკოზის დარბაზში

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე, მთავარ-ხუცესის თავმჯდომარეობით, დაესწრო თბილისის სამღვდელოება, გარდა დეკ. ჩიჯავაძისა, დიდუბელებისა (დიაკონი იყო) და მოხუც მონასელიძისა (მოძღვართ-მოძღვარი – ამის ტაძარზე მიუწერიათ ახალციხიდან ჩამოტყუებული რკინისგზის ეკლესიისათვის (არ არსებულისა!) ბენიამენ კანდელაკი – „რასპუტინად“ წოდებული, კაცი მერყევი და ყოველნაირად ცუღლუტი). კრებას დაესწრო კათოლიკოზიც, ალბად რომ მოეხდინათ ერთგვარი ზეგავლენა მსჯელობაზე; ეტყობოდა, რომ „ერთი ჯგუფი“ მომზადებულა „სურამიადაზე“ პასუხ-საგებლად, წინდაწინ გაუფრთხილებიათ და თავისკენ მოუნადირებიათ მღვდლები, რომ მხარი დაუჭირონ „ბრძოლაში“.

კრება გახსნა მთავარ-ხუცესმა ლოცვის გალობით და მოგვახსენა შემდეგი: „წინა კრებებზე დავსვით საკითხი „სურამის ციხის“ კინო-მატოგრაფიულ ლენტზე სარწმუნოებისა და სამღვდელოების დამცირების შესახებ; ამ თაობაზე საზოგადოებაში და სამღვდელოებაშიც დიდი მითქმა-მოთქმაა და საჭიროა ჩვენც მოვიფიქროთ რამე, პასუხი გავცეთ ამ სამწუხარო მოვლენას და დავაცხროთ საზოგადოებრივი გულისწყრომა. ამ თაობაზე მქონდა თათბირი მის უწმინდესობასთან და მიბრძანა, რომ ეპისკოპოსთა თბილისის კრების დროს სამღვდელოების წარმომადგენელთა თანადასწრებით გვქონოდა ამ საგანზე მსჯელობა; ორჯელ მოვიწვიე ამ თაობაზე დანიშნულ დღეებისათვის სამღვდელოების წარმომადგენლები, მოვიდნენ კიდეც ესენი, მაგრამ კრება არც ერთხელ არ შესდგა, აი, დღეს თუ გნებავთ ვიქონიოთ ამაზე თათბირი და ჯავახია დეკანოზისაგან სამეგრელოში შექმნილ მოძრაობაზე, გავიგოთ საქმის ვითარება და მივიღოთ სათანადო ზომები, რომ რაიმე სერიოზულმა მოძრაობამ ჩვენს ეკლესიურ-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში მოუმზადებლად არ გვისწროს. პირველ საკითხად ვაყენებ „სურამის ციხეში“ ჩვენის მხრივ მონაწილეობის მიღებას. მართალია, მეც თვითონ ვიღებდი ამ სამწუხარო მოვლენაში მონაწილეობას, მაგრამ დღესაც არ ვიცი, როგორ შემზადდა ეს საქმე! 13 აგვისტოს ახ. სტილით ასე საღამოს ცხრა საათზე ჩემს ბინაზე – წმ. ნინოს სასაფლაოზე – მოვიდა სიონის კანდელაკი დეკ. მიხ. ფხალაძე, მან გადმომცა კათოლიკოზის განკარგულება:

„ხვალ, 14 აგვისტოს – ძველი სტილით 1 აგვისტოს, როგორც შარშან, წელსაც დანიშნულია წყლის კურთხევა, წყალს ვაკურთხებთ ბოტანიკურ ბაღშიო“! ეს რო გავიკვირვე, მან მიპასუხა: „წინეთაც უკურთხებიათ იქ წყალიო“! მე ახალი კაცი ვარ თბილისში, მამა ფხალაძეც ასეთივე ახალი კაცია აქ. მე უპასუხე, რომ ეხლა გვიანღა, სამღვდელოებას როგორღა უნდა ვაცნობოო, ჰაეროპლანებით ხო ვერ გადავფრინდებიო; მაგრამ გამოირკვა, რომ თვითონ მამა ფხალაძე აცნობებდა საჭირო პირებს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ წყლის კურთხევაში, ხოლო მე ერთი მღვდლით და მთავარდიაკონით უნდა წამოვსულიყავი; ჩემგან დეკ. ფხალაძემ შეიარა ჩუღურეთის ნიკოლოზის დეკანოზთან, მამა ზ. ლუკაშვილთან, იქიდან წასულა დეკ. ანტონ თოთიბაძესთან და ისიც მოუწვევია; მე მხოლოდ დიდუბეში გავაგზავნე ცნობა. დაბარებულები ვიყავით დილით ადრე, 9 საათისათვის უნდა მოვრჩენილიყავით წყლის კურთხევას, რომ ჩვენ-ჩვენს ეკლესიებში წირვისათვის მიგვესწრო. დილით გავეშურე ჩემი კრებულით სიონის ტაძარში, მეგონა, აქედან ლიტანიით წავიდოდით, მაგრამ იქ ვერავის მიუსწარი. მითხრეს, შესამოსლები და საჭირო სამკაულები უკვე წაიღეს ბოტანიკურ ბაღში – ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსიც, რომელიც იმხანად ჩამობრძანებულიყო სუხუმიდან, ისიც წაბძანდა ბოტანიკურ ბაღშიო, ის შეასრულებს წესსაო და შემდეგ სურათი უნდა გადაიღონ შემოსილი სამღვდელოებისაო. ავედით თუ არა ბაღში, მაშინვე ჩემი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ: დავინახე ძველებურად მორთული დედაკაცების ჯგუფი, რაღაც ძველებური კავები ჰქონდათ გაკეთებული! ვიფიქრე, ალბად ძველი დროის ქართულ ცხოვრება-მოსახლეობის სურათი თუ სურთ გადაიღონ, ძველად ჩვენს მეზობლად თათრებიც ცხოვრობდენ და აი მათი დედაკაცების ჩაცმულობაც მოუმზადებიათ თქო; რო მიუახლოვდი ამ დედა-კაცთა ჯგუფს, რუსულად ლაპარაკობდენ, ვიკითხე ეს რა ამბავია, ვინ არიან ეს ქალები თქო?! მიპასუხეს, ეს გადაცმული რუსის არტისტკა ქალებია სურათისათვის საჭიროო! მივიხედ-მოვიხედე, და ყოველივე ესე რაღაც საეჭვოდ მეჩვენა, ჩემი ეჭვები და გულისწუხილი დეკ. ზ. ლუკაშვილს გაუზიარე – „კაცო, აქ რაიმე შეუსაბამო საქმეში არ ჩავვარდეთო“! ორთავემ შემდეგ ეს ჩვენი ეჭვები დეკ. კ. ცინცაძეს გაუზიარეთ, ორჯელ მივაქციე მისი ყურადღება ამ ჩემს ეჭვებს და ორივე გზით მან დამამშვიდა და მითხრა: აქ რა არის საძრახისი, ისტორიულ სურათს გადავიღებთ წყლის კურთხევის შემდეგ; ამ დროს ყურს გვიგდებდა ერთი ფოსტის მოხელე ლალიაშვილი, ესეც მომვარდა და დამიწყო ჭკუის სწავლება: „განათლებული მღვდლები ხართ, განა ვერ უნდა მიხვდეთ, რომ აქ შეუსაბამო არა იქნება რაო“?! მეწყინა ასეთი თავხედობა ახალ-გაზრდასი და უპასუხე: „თუ ხათრი გაქვთ, თავი დაანებეთ ჩვენს ჭკუის დარიგებას, ეს თქვენი საქმე არ არის თქო“! ამ ლაპარაკის დროს უცბად გაისმა ხმა: „აბა, შეიმოსეთო“! და ყველანი შევიმოსენით; ეპ. შეუდგა წყლის კურთხევას, მაგრამ სურათის გადამღებნი აშურებდენ მას – „მალე მორჩით, მალე გაათავეთო“! სურათის გადამღები იყო უცხოელი; მგონი რუსი, მას შველოდა ვიღაც კიდევ სხვა, მგონი, სომეხი. ეპისკოპოსს აღარ დააცალეს ლოცვების წა-

კითხვა, ხან დეკ. თოთიბაძე აჩვენებდა მას კურთხევანში, თუ რა წაეკითხა, ხან დეკ. ცინცაძე და რაღაც სულ ხუთ წუთში მორჩა წყლის კურთხევა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეპისკოპოსმა შესწყვიტა წყლის კურთხევა და მოგვესმა რუსულად განკარგულება – „წამოდექით წინ, ადით ციხის კედლებთანო“! ჩვენც შევასრულეთ ბრძანება, დავტოვეთ წყლის საკურთხი ადგილი და ავედით აღმართზე – ციხის კედლებისაკენ. აქ გაგვაჩერეს კედლებიდან ასე ხუთ-ექვს საჟენზე და გადაგვხატეს; აქედან მე არ შემიმჩნევია, ციხის კედლებში თუ ბავშვი – „ზურაბი“ იყო ჩამწყვდეული და ზედ სიონის ჯვარი აღმართული, როგორც ეს პირველ ხანებში აჩვენეს კინო-მატოგრაფში. მოვრჩით ყოველივე ამას ასე შუადღისას და წავედ-წამოვედით; თვითოეულ მონაწილეს ნახევარ-ნახევარი მილიონი დაგვირიგეს და საძმო შემოსავალში შევიტანე. შემდეგ გამოირკვა ჩემთვისაც, რომ დიდ სასირცხო და სარწმუნოების შემბღალავ საშვალებად გამოუყენებიათ ეს ჩვენი მონაწილეობა „სურამის ციხის“ კინო-მატოგრაფში დადგმულ სურათებში. ჩვენი მონაწილეობა ამ სურათში აღუნიშნავთ შემდეგი წარწერით: „Суеверие, мрак, невежество“ – და ჩვენი შემოსილი სამღვდელობა ეპისკოპოსით სათავეში ასხურებს წმ. წყალს იმ ადგილზე – ციხის კედელზე, რომელშიდაც ჩაეკირათ ზღაპრული „ზურაბი“. ამ სურათმა სამართლიანად გამოიწვია საზოგადოებაში გულის წყრომა და ჩვენი მეტად დამცირება. მე დიდად ვსწუხვარ, რომ ასეთ უბედურებაში ჩავვარდით, არ მიყვარს საზოგადოდ ფოტოგრაფიული გადახატვა და მით უმეტეს კინოს ლენტზე გამოჩენა ჩემთვის მიუღებელი იყო, მაგრამ ამას ასე როდი მოველოდი და დავიჯერე სამღვდელო პირთა რწმუნება, რომ აქ საძრახისი და სიწმინდის შემბღალავი არა იქნება რაო! აი, მამანო, ჩემი თქვენდამი მოხსენება საქმის ვითარებისა. ეხლა იქონიეთ მსჯელობა, თუ რით უშველოთ ჩვენს დაცემულ პრესტიჟს და რა სახით, რა გზით მივსცეთ დაკმაყოფილება აღშფოთებულ საზოგადოებრივ აზრს“!

მთავარ-ხუცესის ეს მოხსენება მე სრული სისწორით აღვნიშნე აქ.

შემდეგ სიტყვა ავიღე და გავაკეთე ვრცელი მოხსენება მოთხრობა „სურამის ციხეზე“ და მის ავტორ, აწ განსვენებულ დანიელ ჭონქაძეზე. ვსთქვი შემდეგი: „ბოლშევიკების თბილისში გაბატონების შემდეგ, ამ პარტიის „აგიტ-პუნქტის“ ქართულმა სექციამ, ჯერ კიდევ 1921 წელს, კინომატოგრაფიულ ლენტზე გადაიღო სააგიტაციოთ ინსცენიროვკა არსენა ჯორჯიაშვილის მიერ ცნობილ შავრაზმელ გენერალ გრიაზნოვის ბარიათინსკის ქუჩაზე მოკლისა. ამ სურათმა თბილისისა და პროვინციების კინოებზე დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა და აუარებელი ფულიც მისცა მოთავეებს. ამ საქმისაგან გახალისებულ პირთ მაშინვე დაებადათ აზრი, რათა ასეთ სურათებათვე გადაეღოთ კინოს ლენტზე დანიელ ჭონქაძის ცნობილ ტენდენციურ მოთხრობა „სურამის ციხის“ შინაარსის ილლიუსტრაცია, რომელიც თითქოს იძლეოდეს ბატონ-ყმობის ნამდვილ სურათს საქართველოში – თუ როგორ ბატონი აწამებდა ყმას, ხოლო სამღვდელოება თვისს ლოცვა-კურთხევით თუ ბეზღაობა-საიდუმლოს გამცემლობით ხელს უწყობდა მას ასეთ ბარბაროსობა-სისასტიკეში. ეს თვისი განზრახვა „აგიტ-

პუნქტის“ ქართულმა სექციამ ადრევე გამოაცხადა გაზეთების საშვალებით და სწერდნენ კიდეც, შეუდექით ამისათვის მუშაობასო. ასე რომ, ეს განზრახვა და ეს ამბავიც, როგორც თბილისის ქართველ საზოგადოებისათვის, ისე ამავ თბილისის ქართველ სამღვდელოებისათვისაც არ ყოფილა რაიმე საიდუმლოებით მოცული, მკითხველმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამაც ვიცოდით ეს. ვიცოდით აგრეთვე ყველამ ისიც, თუ რა სასტიკ ცილისწამების ქვეშე აქვს დანიელ ჭონქაძეს გამოყვანილი თვისს „სურამის ციხეში“ ჩვენი სამშობლოს წარსული: რუსული თვითმყრობელობის ბატონ-ყმობა – „крепостное право“ ქართველ წარსულ ცხოვრების პოლიტიკურ-სოციალურ სურათებად მოგვაწოდა; ხოლო კერძოდ და განსაკუთრებითი ცილისწამებით და აშკარა სიყალბით მოიხსენია მან თვისს მოთხრობაში ისტორიულად ღირსეულად ცნობილი და აღიარებული, უმწიკვლო და თავდადებული ტიპი ქართველი „მოძღვრისა“, ქართველი მღვდლისა! შარავანდედით მოსილი „თევდორე მღვდელი“, „კირილე მღვდელი“, „გოგია დიაკვანი“ და სხვანი და სხვანი, რომელთა სახელი შენ უწყი, უფალო, აწ განსვენებულ დანიელ ჭონქაძემ აღსარების გამცემად დაგვისახა! ამასთანავე იგივე ჩვენი ძველი მოძღვარი, სოფლის მღვდელი, თვით ბატონ-ყმობისავე უღელში გლეხთან ერთად შებმული, ობოლ ყმა ბავშვის მყიდავ-გამყიდავად მოგვაწოდა! ერთი სიტყვით, „სურამის ციხეში“ ჩვენს ნაამაგდარ ქართველ მოძღვარს ახდილი აქვს მღვდლის სინიდისი და ნამუსი, ის იუდა-გამცემლის კერძად არის აღიარებული!

ჩვენს ძველი დროის სამღვდლოებას ბევრი ნაკლი ჰქონდა, ის, მაგალითად, არ იყო დიდი სწავლა-განათლებით აღჭურვილი, მაგრამ მას კარგად ჰქონდა შეგნებული სახარების მოძღვრის მოვალეობა: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვისო“! ასეთი მოძღვარი თვით ენაცვლებოდა თვისს სულიერ შვილს, არასგზით და არაფრისათვის არ გასცემდა მისს აღსარებას. აღსარების გაცემა ზოგიერთ შემთხვევაში დაკანონებული იყო ჩვენი დროის რუსეთის ეკლესიაში, ამ თაობაზე ფილარატის კატეხიზმოში პირდაპირ ეწერა – თუ მეფის ღალატს და მოკლის განზრახვას გაანდობდა ვინმე მღვდელს, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, ეს ეცნობებია, სადამაც ჯერ იყო! ეს უსათუოდ დანიელ ჭონქაძესაც ამოუკითხავს კატეხიზმოში და ქართველი ძველი მოძღვრისათვისაც მოუხვევია თავზე ეს შემაძრწუნებელი უზნეობა-უსაქციელობა! ქართველი მღვდელი ამ შემთხვევაში ჭონქაძეს უფრო დაბლაც დაუყენებია – ეს უბედურ-ქვრივ-ლტოლვილ ყმა-დედაკაცის აღსარებას უმჟღავნებს უბრალო სოფლის ბატონს, შენგან გამოქცეული ყმა დედა-კაცი ამა და ამ ადგილას იმალება, ეს აღსარებაში გამანდოო! დედა-კაცს თვისი შვილებით მიათრევენ სოფელში უკანვე, მას კევრში აბამენ, სცემენ და ამ საშინელ წამებაში ლევს ის სულს, ხოლო ყოველივე ამის მაცქერალი მისი ბატონი უდარდელად ხარხარებს და იქვე მუცელზე გორაობს მეტად ნასიამოვნევი!

ჩვენს სამღვდელოებაში 15, 16, 17 და მე-18 საუკუნეებში შიგა და შიგ გვხვდებიან ხოლმე საშინელი და შეუფერებელი ქცევა ზოგიერთ ეპისკოპოსებისა,

მთავარ-ეპისკოპოსებისა და კათოლიკოსებისაც! ზოგი მათგანი ტყვეებსაც კი ჰყიდდენ და ბევრ სხვა უმსგავსოებასაც სჩადიოდენ, მაგრამ ასეთები უმეტეს ნაწილად იყვნენ ფეოდალურ წრეებიდან გამოსულნი, ისინი არ იყვნენ „კეთილნი მწყემსნი“, არამედ „სასყიდლით დადგინებულნი“, ამიტომ თვის სამსახურს უცქეროდენ, როგორც პირად განცხრომისათვის საშვალების წყაროს და პროფესიას (რუის-ურბნის კრების – „ძეგლისწერა“). ამ შემთხვევაში ბევრად მაღლა იდგა ქართველი მღვდელი, ის ჭეშმარიტი მეგობარი იყო გლეხისა, ხოლო ერთგული და თავდადებული თვისი ბატონისა, რომლის წინაშე მღვდელი შუამდგომლობს თვისი მოძღვრული ავტორიტეტით და მფარველობას უწევდა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ, რომელნიც ხშირად მღვდლებთან ერთად ეწეოდენ ბატონ-ყმობის მძიმე უღელს. დანიელ ჭონქაძე კი შეეცადა რუსეთის ბატონყმობის გავლენის ქვეშე ასე უდიერად და ყალბად დაესახა ძველი ქართველი მღვდელი!

ასეთსავე ყალბ სურათს იძლევა დანიელ ჭონქაძე თვის მოთხრობაში საერთოდ ბატონ-ყმობაზე ძველ საქართველოში. ვამბობ – „ძველ საქართველოში“, იმიტომ რომ „სურამის ციხის“ ლეგენდა-ზღაპარი – „ზურაბის“ ამ ციხის კედლებში ჩაკირვაზე (ამ კედლების განსამტკიცებლად), ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის წარმართულ ხანას და არა ქრისტიანულ დროს. ავტორი კი „პარაკლისს“ ახდევინებს სამღვდელოებას ამ ციხის კედლების აგების დროს, ხოლო როდესაც „პარაკლისი“ აღარ შველის საქმეს, მაშინ მკითხავთან გზავნის კაცს და „ვარდუაც“ დურმიშხანზე ჰყრილობს ჯავრს – თვის ყოფილ სატრფოზე, რომელმაც მას შეუგინა უმანკო სიყვარული, ფეხით გასთელა მისი ნაზი გრძნობა. ვარდუამაც უშოვნა დრო ჩაეშხამებია დურმიშხანისათვისაც სიცოცხლე დედისერთა ზურაბის ციხის კედელში ჩასატანებლად „მკითხავის“ გრძნეულობითი განწირვით! ეს თემა შეგინებულ სიყვარულისათვის შურის-ძიება საერთო-საკაცობრიო თემაა, მაგრამ აქ რა შუაშია ბატონ-ყმობა, დურმიშხანი ყმა როდია, დურმიშხანი იმ დროის, ეხლანდელი ტერმინით რო ვსთქვათ, სპეკულიანტია, ვაჭარი, თავისუფალი მოქალაქე, რომელიც საქართველოდან გარეშე ქვეყნებთანაც აწარმოებს ვაჭრობას; ის გამდიდრებულა და შეუქმნია დოვლათიანი ოჯახი, ჰყავს სათუთად და ლაღად აღზრდილი შვილი ზურაბი, რომელიც დიდ-გვარიან ყმაწვილკაცობას არაფერში ტოლს არ უგდებს ხოლმე. ცხადია, „ზურაბი“ ბატონ-ყმობის სისასტიკის მსხვერპლი როდი გამხდარა, არამედ მკითხავის მიერ შეგნებულად ხალხის ცრუმორწმუნე ბუნებაზე გრძნეულ ზე-გავლენისა! მოთხრობაში კი ყველაფერი ბატონ-ყმობის ღერძზე ტრიალებს. ბატონ-ყმობა – ეს სამარცხვინო მოვლენა კაცობრიობის ცხოვრებაში, მადლობა ღმერთს, მარტო საქართველოში როდი ყოფილა! მაგრამ ეს საშინელი მოვლენაც ჩვენში უფრო ლმობიერად მიმდინარეობდა. ჩვენ ძველის-ძველი საქრისტიანო ერი ვართ. ქრისტიანობამ ჩვენში ბატონ-ყმობაზედაც თვისი მადლი აპკურა, გადახალისების ზეგავლენა მოახდინა, დაუკარგა ის მძაფრი სისასტიკე-ბარბაროსობა-შეუბრალებლობა-უადამიანობა, რომლის ბეჭედი ასე აშკარად ამჩნევია, მაგალითად, ბატონ-ყმობას რუსეთში; ჩვენში ყმებს მოვალეობასთან უფლებებიც ჰქონდა, კანონი მას მფარველობის

ქვეშე ღებულობდა! ეს ასე როდი იყო რუსეთში, სადაც ყმა ყოვლად უმწეო, უუფლებო არსება ანუ ნივთი იყო! მის მოკლისათვისაც კი ბატონი პასუხს არ აგებდა... ჩვენში არ იყო „როზგი“, ჩვენში არ იყო „უფლება პირველ ღამისა“, ჩვენში დედა-კაცებს კევრში არ შეაბამდენ ხოლმე! ჩვენშიდაც იყო, რასაკვირველია, ყმებზე ძალ-მომრეობა, ყმა-ქალების და ცოლების გაწბილება, მაგრამ ეს ხდებოდა, როგორც კერძო შემთხვევითი უზნეო საქციელი, რომელსაც დანაშაულად სთვლიდა სახელმწიფო და პასუხისგებაში აძლევდენ დამნაშავეებს; ზოგჯერ ასეთი დანაშაულობა დაუსჯელიც რჩებოდა ხოლმე, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველივე ასეთი სისაძაგლე დაკანონებული და მოწონებული იყო ბატონ-ყმურ საქართველოში და ეკლესიაც თვის ლოცვა-კურთხევით ადასტურებდა ამას. ჩვენში ბატონ-ყმობას ორი ხანა აქვს – ერთი რუსეთის თვითმპყრობელობის დამყარებამდე საქართველოში, მეორე ამ დამყარებიდან 1917 წლის დიდ-რევოლიუციამდე, რომელმაც სულ ერთიანად წაშალა ბატონ-ყმობის ნაშთებიც ყოფილ რუსეთის საბრძანებლებშიც!

საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური ვითარება, მასში რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებამდე, მისს „крепостное право“-თი, ისეთ პირობებში მიმდინარეობდა, რომ შეუძლებელიც კი იყო ჩვენში ბატონ-ყმობას ისეთი სასტიკი ხასიათი ჰქონებოდა, როგორც ეს მას რუსეთში ჰქონდა. საქართველოს მთელი ნივთიერი კეთილ-დღეობა ყმა-გლეხის კისერზე იყო დაყრდნობილი. თუ ყმა კმაყოფილი იყო, თუ მას საშვალება და ხალისი ჰქონდა შრომისა და ჯაფისა, მაშინ ბატონიც კმა-ყოფილი იყო და ბედნიერი; ამას ორთავე მხარე კარგად გრძნობდა და ამიტომ უმეტეს ნაწილად ყმასა და ბატონს შორის, რამდენადაც კი შესაძლებელია ეს ამ მოვლენის ქვეშე, კეთილი და ლმობიერი დამოკიდებულება არსებობდა, ისინი ნათელ-მირონით შედიოდენ ხოლმე ერთმანეთთან, ამას გარდა გლეხის ცოლები, გლეხის ოჯახები, ზრდიდენ ბატონისშვილებს თვისი ძუძუთი და მკერდით! ეს უცილობელი ფაქტია ჩვენს ცხოვრებაში! ხოლო ეს ბევრგვარ კეთილ ურთიერთობის მომასწავებელიც იყო ჩვენში! თუ ნივთიერად, ეკონომიურად, ყმასა და ბატონს შეგნებული ჰქონდათ ასეთ ურთიერთობის სიკეთე, პოლიტიკურად ეს უფრო აშკარად იყო მიჩნეული! საქართველო მუდამ თავ-დაცვის ომიანობაში იყო ჩაბმული! მას ყოველი მხრივ თავს ესხმოდა უამრავი მტერი, რომელიც ლამობდა ყმისა და ბატონის თანაბრად ჩაყლაპვას და მისს მიწა-წყლის დაპატრონებას. ამიტომაც იყო, რომ გლეხი-ყმა-აზნაური თუ თავადი, ქალი თუ ვაჟი, ჩვენში ყველა ერთსულოვნად ეწეოდა ქვეყნის დაცვის, მტრის მოგერიების მძიმე ჭაპანს. მკერდი-მკერდზე, მხარდამხარ ბატონი და ყმა შედიოდა ომის ცეცხლში და ლომებივით იბრძოდენ ხოლმე. ხოლო ომის გადახდის შემდეგ, მიმოიხილავდენ ბრძოლის ასპარეზს და ეძებდა ყმა ბატონს, ბატონი ყმას, ცოცხალსა თუ მკვდარს, „ცოცხალნი განიხარებდენ ფრიად“, ერთმანეთს გულში ეკვროდენ ხოლმე, მკვდართა კი ცრემლებს აფრქვევდენ და პატივით მიწას მიაბარებდენ ხოლმე! ამას ასე მოგვითხრობს ხოლმე საქართველოს მემატიანეები, ამას ჰმოწმობს ის საკვირველი ფაქტიც,

რომ საქართველო – ეს პატარა ქვეყანა – ისევ ერთობამ, ერთმანეთის გატანამ, ერთმანეთის დაზოგვამ გადაარჩინა დაღუპვას და პირისაგან ქვეყანისა აღგვას! და რომ ასეთი ერთობა, ასეთი შეგნება საქმის ვითარებისა, უფრო ხანგრძლივი, უფრო მჭიდრო ყოფილიყო ჩვენში, ჩვენი ქვეყანაც, რასაკვირველია, მეტს მოიგებდა! მაგრამ პოლიტიკურ უკუღმართობას, უსწორ-მასწორობას, ქიშპობას ხშირად და ხშირად ისევ უფროსები, მთავრები და თავად-აზნაურობა აწარმოებდა ჩვენში და ქვეყანა ზოგჯერ უფსკრულის კიდემდე მიჰყავდათ. ასეთ შავ-ბნელ ანარქიულ ხანაში ისევ სამღვდელოება იყო ქვეყნის ერთადერთი გულ-შემატკივარი და მოამაგე, ისევ ეკლესიის ცხოველმყოფელ დედობრივ კალთის ქვეშე იბრუნებდა საქართველო განაწამებ სულს და ჰქმნიდა იმ კულტურას ნივთიერს თუ სულიერს, რითაც დღეს თავი მოგვწონს ყველას და ჩვენც ხალხთა შორის ვიხსენიებით. ამიტომ ჩვენი სარწმუნოების და მის მსახურ სამღვდელოების ისე ყბად აღება, როგორც ეს უნებებია აწ განსვენებულ დ. ჭონქაძეს თვის ტენდენციურ მოთხრობა „სურამის ციხეში“, არ შეეფერება სინამდვილეს, ეს ჩრდილოეთის მონაბერი ნარიყალებია განსვენებულ მწერალზე, რომელიც ერთხანს თურმე კავკავში ცხოვრების დროს, ხარბად დაეწაფა რუსეთის კლასიკებს, განსაკუთრებით გაიტაცა ის ბატონ-ყმობის საკითხმა რუსეთში და აი, სამშობლო ქვეყანასაც, სიკეთის მოტანის აზრით, ტენდენციური მოთხრობა „აჩუქა“, რომელშიდაც უმართლოდ დაამცირა მღვდელიც და ერიც! მან ვერ მოგვცა ჭეშმარიტი სახე ქართულ ძველ ბატონყმობისა, რომელსაც ეკუთვნის „სურამის ციხეც“!

რომ ჩვენში ძველ ბატონყმობას სხვა სახე და ხასიათი ჰქონებია, ვინემ ეს ჰქონდა ამ მოვლენას რუსეთში, ამ თაობაზე მე მოგაგონებთ ცნობილ მწიგნობარ ზ. ჭიჭინაძის მიერ ამ ოთხიოდე თვის წინეთ გამოქვეყნებულ ცნობებს ამ თაობაზე – „ცნობილ“ მთავარ-მართებელ პ. ციციანოვის მართვა-გამგეობის დროიდან ჩვენში. ორი ისტორიული წერილი იყო ამ თაობაზე მოთავსებული ქართულ გაზეთ „კომუნისტში“. ერთში ზ. ჭიჭინაძე გვისახავს, თუ რა ვერაგობით დაახლოებია ქართველ გლეხ-კაცობას ეს პ. ციციანოვი, ღვიძლი შვილი რუსეთის ფეოდალებისა (იქ იყო ის დაბადებული და აღზრდილი). მას მიუმართავს გლეხებისადმი (რასაკვირველია, თარჯიმანის საშვალებით, ვინაიდან სულით და ხორცით გარუსებული იყო) „მამა-შვილური“ რჩევა-დარიგებით: თქვე საცოდავებო! რა ნახეთ მაგ თქვენს ბატონებში და თავად-აზნაურებში, რომ თავს ევლებით! ესენი თქვენი სისხლის მწოველი წურბელებია, თქვენ ნამუშევარზე თვითონ განსცხრებიან, თქვენ კი შიმშილით და სიღატაკით სული გხდებათო! მომენდეთ მე, გიშუამდგომლებთ რუს იმპერატორის წინაშე, ის მიგიღებს თქვენ თვის უზენაეს მფარველობის ქვეშე და შემდეგ ნახეთ, თუ რას დაგაკლებენ თქვენი ბატონებიო!

მეორე წერილში იგივე ზ. ჭიჭინაძე გვისახავს, რომ იგივე პ. ციციანოვი, იმავ დროსვე, გაბრუნებულა გლეხ-კაცებიდან ქართველ თავად-აზნაურობისაკენ და ეხლა ესენი წაუსისინებია თვისს გლეხ-კაცობაზე: რუსეთის იმპერატორი

– პირველი წარმომადგენელია ჩვენი წოდებისა თვისს ვრცელ საბრძანებელში და ჩვენც ისე უნდა ვიქცეოდეთ, რომ ეს წოდება არ დავამცირეთო! თქვენ კი, ქართველი თავად-აზნაურობა ვერ იქცევით თქვენი წოდების შესაფერადო! თქვენ დაგიახლოებიათ გლეხ-კაცობა, ისინი თავისუფლად შედიან-გამოდიან თქვენთან, თქვენთან სჭამენ და სვამენ, ნათელ-მირონობთ ერთმანეთში, ერთი სიტყვით, ვერ გაიგებს აქ კაცი, რომელი ხართ ბატონი და რომელი ყმაო! ეს ამბავი მისულა იმპერატორის ყურამდე და დიდად უკმაყოფილოა თქვენიო! იმედი მაქვს, რომ ამ საქციელს გაისწორებთ და მეც უხერხულ მდგომარეობიდან გამოგიყვანთო! ეს მე შინაარსი მოვიყვანე ამ „პროვოკაციულ“ წერილებისა! ამას კომენტარიები არ სჭირდება, თავისთავად ცხადია აქედან, თუ როგორი ურთიერთობა ყოფილა პ. ციციანოვების გაბატონებამდე საქართველოში და შემდეგ როგორ შეიცვლებოდა ეს ურთიერთობა. და შეიცვალა კიდეც! მაგრამ თვით ჭონქაძის დროსაც ვერ გახრწნეს ჩვენი ძველი ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი იმდენად, რომ კევრში დედა-კაცები შეებათ ბატონებს, რომ მღვდლებს ახსარება გაეყიდათ და გაეცათ იუდებივით. ჭონქაძემ ყალბად მოგვაწოდა, თავს მოახვია რუსული მღვდლების ზნე-ჩვეულობა (აღსარების გაცემა) და რუსულ „კრეპოსტნოე პრავოს“ სისასტიკენი, ბარბაროსობა და უადამიანობა ჩვენს წინაპრების. ჩვენ-ჩვენი ნაკლულევანებანიც გვეყოფოდა წარსულშიდაც და აწმყოშიც, რა საჭიროება მოითხოვდა, სხვისი უმსგავსოებანიც არ აგვეკიდა ჩვენ წინაპართათვის ზურგზე?! ამიტომაც იყო, რომ ამ მოთხრობამ „სურამის ციხემ“, თავის დროზე, თვისს უკიდურეს ტენდენციურ და ყალბ მიმართულებით, დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენს შეგნებულ საზოგადოებაში – საერთოდ, განურჩევლად წოდებისა. ავტორს კინაღამ თავი მოჰკვეთეს ასე უმართლოდ ქვეყნის გამასხარავებისათვის!

ჩვენს დროში „რეალიზმის“ მამამთავრად დაუსახავთ დ. ჭონქაძე! მაგრამ რეალიზმიც არის და რეალიზმიც! ერის წარსულ ცხოვრების დამახინჯება ეს ვერავითარი „რეალიზმია“! მაგრამ დღეს ვინღა დაგიდევს ამას. დანიელ ჭონქაძე 1902 წელს ფილიპე მახარაძემ ცათამდე აღამაღლა, აქო და ადიდა ის, როგორც ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა იდეოლოგი მწერალი, ამავე დროს უყიჟინა ქართველთ ბაირონს ნიკო ბარათაშვილს – რატომ ეს ვერ ამაღლდა ამ „შეგნებამდეო“! ხოლო მას, ვინც ამაღლდა ამ „შეგნებამდე“ და მოგვცა რუსულ ბატონ-ყმობის ხანის ჭეშმარიტი კლასიკური სურათები „კაცია-ადამიანში“, „გლახის ნაამბობში“, „კაკო ყაჩაღში“ და სხვ. – ილია ჭავჭავაძე, ეს ლაფში ამოსვარა იმავ ფ. მახარაძემ და ლანზღვა-თრევას დიდ მგოსნისას და დიდ-მოღვაწისას შედეგად მოჰყვა „წიწამურის ტრაღედია“! მაგრამ ჩვენში ასეთი უკულმართობა ხშირი შეიქმნა ეხლა! აი, სწორეთ ილიამ გვაჩვენა, რომ ქართველი ყმა „როზგს“ არ დაიკრავდა! მას მეტად ემწვავა რუსული „როზგი“ და იუკადრისა კიდეც ის! იგრიალა კიდეც „კაკოს“ თოფმა!.. თუ როზგს ვერ ჰგუობდა ქართველი ყმის ბუნება, ის ვერასდროს შეურიგდებოდა „პირველ ღამეს“, რომ მკლავიდან პატარძალი აეცალა მისთვის ბატონს; ვერც დედა-კა-

ცის კევრში გაბმას გაუბედავდენ ბატონები ჩვენს ყმას, ოსმან აღამ აკი დღე დაუბნელა კიდეც თვის ბატონს ამისა გამო!..

ჩვენში კულტურის, განათლების და სჯულის ბაირაღტარი ძველი სამღვდელოება არავის მისცემდა ნებას, რომ ის – სამღვდელოება – შემოსილი გამოეყვანათ და „პარაკლისი“ ეხადათ ცრუმორწმუნეობით თუ მკითხავის ოინბაზობით ციხის კედლებში ცოცხლად ჩაკირულ „ზურაბზე“, როგორც ამას მოგვითხრობს ჭონქაძე „სურამის ციხეში“, ან როგორც ეს როლი ათამაშეს წელს, 1 აგვისტოს, ჩვენ რჩეულ სამღვდელოებას ეპისკოპოსით სათავეში, ბოტანიკურ ბაღში, თბილისის ციხის ნანგრევებზე – „სურამის ციხის“ ეკრანზე წარმოსადგენად! ეს საშინელი ცილისწამებაა ჩვენს წარსულზე, დაცინვა-გამასხარავება სჯულისა, შებღალვა სიწმინდისა და თავის მოჭრა მთელი სამღვდელოებისა! ამ მისთვის ისედაც უარყოფით და მძიმე ისტორიულ მომენტში!

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ „სურამის ციხის“ ეკრანისათვის დასურათების „აგიტ-პუნქტისაგან“ განზრახვას განსაკუთრებული სიფხიზლით და შინაურ ზომების მიღებით დაუხვდებოდა ჩვენი სასულიერო მთავრობა და მისი ცენტრალური ორგანო, რათა სარწმუნოების და სამღვდელოების ისედაც დამცირების ხანაში, ჩვენ თვითონ მაინც არ შეგვეწყო ხელი, რომ უფრო მეტად არ დავემცირებიეთ და გავემასხარავებიეთ ვინმეს თვის ქვენა მიზნების მისაღწევად. ეს სამართლიანი მოლოდინი, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლდა. ეკლესიის სადარაჯოებზე, ეტყობა, არ გვყოლია გულშემატკივარნი, ნამდვილი და ფხიზელი დარაჯნი!

მიმდინარე ისტორიულ ხანაშიაც თავი წამოჰყო ჩვენს სამღვდელოებაში კარგად „ცნობილმა“ „მღვდლების გრუპპამ“ ანუ „ჯგუფმა“. ამ „გრუპპამ“, 1905 წელში სამღვდელოებისა და ერის მიერ ერთსულოვნად წამოყენებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საკითხში, რომელმაც რუს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ტახტამდი უკვე მიაღწია და მისგან 1906 წლის 11 აგვისტოს ცნობილი რეზოლიუციაც კი გამოიწვია, ასეთ საკითხში იმავ 1906 წლის ოქტომბერში შემოიტანა სეპარატიული კომპრომისული მიმართულება და ნიკონ ექსარხოსის გულის მოსაგებად ავტოკეფალია გადასდო გამოურკვეველ დრომდე, ხოლო ამ ჟამად ჩვენ დაგვაკმაყოფილებს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში სამიტროპოლიტო ოლქი! ხოლო მიტროპოლიტი ამ ოლქისა „რუსი იქნება, ქართველი, ბერძენი თუ ოსი“, ამას მნიშვნელობა არა აქვსო“! გამოსცეს მთელი თაბახი დაბეჭდილი რუსულ ვენეგრედივით არეულ-დარეული ანონიმური ნაწარმოები (რუსულად); დაუმზადეს ეს ნიკონისათვის ბოიკოტის ახსნისათვის მათ მიერვე თბილისში ჩამოტყუებულ ქართველ იერარქებს, კირიონს, ლეონიდეს, გიორგის და პეტრეს. ამათ ერთსულოვნად უარჰყვეს ეს რუსულად გამომჟღავნებული „ტაქტიკა“ ქართველ მღვდელთა ერთი ჯგუფისა, ეს ნაწარმოები არც კი სცნეს ღირსად, რომ ის წაკითხულიყო ამ იერარქთა ოქტომბრის საგანგებო კრებაზე. მიუხედავად ამისა „გრუპამ“ მთელს რუსეთს მოსდო ეს თავიანთი „мнѣніе“, დაურიგეს ის ყველა მმართველ

ეპისკოპოსებს და იერარქებს რუსეთისას და დიდ-დიდ რუსის ბიუროკრატებს! ასეთ სეპარატიულ გამოსვლით „მღვდელთა ჯგუფმა“ დიდი არევ-დარევა შემოიტანა ავტოკეფალიის საკითხში, როგორც ადგილობრივ, საქართველოში, ისე განსაკუთრებით პეტროგრადში. ამ ნაწარმოების ერთმა ეკზემპლიარმა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის პორტფელშიც კი ამოჰყო თავი! ეს მინისტრი ეკითხება პროფ. ცაგარელს: „რას თხოულობთ ქართველები – ავტოკეფალიას, თუ სამიტროპოლიტო ოლქსო? აი, რასა სწერენ თქვენი განათლებული მღვდლებიო“! და უჩვენა პროფესორს – „Мнѣніе группы священниковъ“! (იხ. პროფ. ალ. ცაგარელის წერილი პროფ. ალ. ხახანაშვილის სახელზე მიწერილი 1912 წლის 21 მაისის თარიღით). („ციხე შიგნიდან გატყდაო – ეტყობა საქართველოს მღვდლები ვერ მდგარან ერთ პირზეო“). პეტერბურგის სასულიერო სფეროებში იცოდნენ კიდეც სახელი და გვარი ამ „გრუპპის“ მღვდლებისა, ჩვენში კი ესენი თავს მალავდენ და ბოლოს კი ვერა! ამ „გრუპპის“ მეოხებით ჩვენი სამღვდელოება ვერ იქნა და ვერ დასდგა ერთ პირზე! აქ არას ვამბობთ, თუ რა ოინები ჩაიდინეს „გრუპპისტებმა“ ნიკონ ექსარხოსის დროს. მოვიგონებთ მხოლოდ, რომ ამ „გრუპპამ“ უკანასკნელ ექსარხოსს პლატონის დროსაც (1916 წელს – მარტში) დიდი გავლენა მოიპოვა, მაშინაც წამოაყენეს მიტროპოლიტობის შემოღება საქართველოს ექსარხოსობის შენარჩუნებით, რომ პლატონს „თეთრი ბარტყულა“ მიეღო აქ ჩვენში; როდესაც საქართველოს ყველა კუთხიდან ერი თუ მღვდელი, ყველა საეპარქიო სიეზდები ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდა, ესენი ყოფილ დეკ. კ. კეკელიძის ხელით მოხსენებას სწერდა სინოდში თუ ხელმწიფოს სახელზე წარსადგენად ექსარხოსობას ნუ მოსპობთ, ექსარხოსს მიტროპოლიტის ხარისხი უბოძეთ, როგორც ეს ერთ დროს კიდევაც ყოფილა ჩვენშიო – „митрополит Карталинскій и Кахетинскій, экзарх Грузіи“!.. მაგრამ „გრუპპას“ ეს გეგმა ჩაუშალეს, პლატონმა ჩვენში ვერ მიიღო თეთრი ბარტყულა, მაგრამ ამათი ამაგი მაინც არ დაივიწყა და ამ საშინელმა მტერმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისამ, წელს – 1922-ში თვისს ყოფილ მეგობრებს – „გრუპპისტებს“ თუ მათ მიმდევრებს, ამერიკიდან ათ-ათი ოქროს დოლლარი გამოუგზავნა საჩუქრად!.. აქ კომენტარიები მეტია!.. 1917 წლის გადატრიალებისას და მცხეთაში ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის გამოცხადების ჟამს (12 მარტს ძვ. სტილით), ეს კომპრომისების „გრუპპა“ პლატონ ექსარხოსის ფრთებ-ქვეშე შეფარებული და მისი მესაიდუმლე, 1918 წლიდან საოცარი ოსტატობით ისევ გაგვიბატონდა ახლად განთავისუფლებული ეკლესიის მართვა-გამგეობაში, სადაც შეტანილ იქმნა საშინელი განხეთქილება, შფოთი და ინტრიგები, რამაც იმსხვერპლა მხცოვანი იერარქი კირიონ კათოლიკოზი და სიცოცხლით სავსე ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. საკმარისია მოვიგონოთ აქ „ახ. სიტყვის“ მიერ გაჩაღებული შეუსაბამო დევნა-ყვედრება და ყოველივე სიტყვა ბოროტი სიცრუით და ვერაგობით მათ მიერ თქმული თუ დაწერილი და ყოველივე ნათელი იქნება ჩვენთვის. ეს „გრუპპა“ „ახ. სიტყვის“ „კალმოსნებსაც“ ხელ-მძღვანელობდა!..

თვისს პირად ინტერესების და კეთილ-დღეობის განსამტკიცებლად ამავ „გრუპპამ“ შესძლო დაახლოებოდა მენშევიკურ მთავრობის მეტად გავლენიან პირებს და ამ სფეროებშიაც სეპარატიულად, თვითნებურად და ეკლესიისათვის საზარალოდ იქცეოდა...

ხოლო რუსეთის კომუნისტურ პარტიის წითელ არმიის შემოსვლისას საქართველოში (თბილისში), ერთი ამ „ჯგუფთაგანი“ ყოფილ სამხედრო ტაძრის „პროტოპრესვიტერად“ თავის-თავად წოდებული, ცნობილი ცერემონიმეისტერი რუს ექსარხოსებისა, ამათ მიერ უმწვერვალესად დაჯილდოებული ყველა ორდენებით, ლენტებით, ბანტებით და აზნაურობის ხარისხითაც კი, დეკ. ან. თოთიბაძე – ივლტოდა ქალაქიდან ბათუმამდე, როგორც „სასყიდლით დადგინებული მწყემსი“, ხოლო მეორემ, ისევ ამა „ჯგუფის“ სულის ჩამდგმელმა – დეკ. კ. ცინცაძემ, თვითონ რო ვეღარ მოახერხა გაქცევა, დაგვიფრთხო, თავ-ზარი დასცა მხცოვან კათოლიკოზ ლეონიდეს და ის, ეპ. დავითთან ერთად, გააქცია 1921 წლის თებერვლის 24-ს, ღამის 11 საათზე ქალაქიდან ქუთაისამდე, მცხეთა-სიონის ტაძართა ძვირფას ნივთეულობით დატვითრულ ოთხი დიდი ყუთით, რომელთა ასავალ-დასავალი დღესაც არავინ უწყის!..

როდესაც ბოლშევიკების შიშის ზარი დასცხრა, ყოფილი „პროტოპრესვიტერი“ ყოფილ სამხედრო ტაძრისა ისევ დაგვიბრუნდა თბილისში და შეუდგა ის თვისს ჩვეულებრივ „მოღვაწეობას“ – ეხლა ახალ ბატონ-პატრონებთან ახალ-ბადე-ქსელის გაბმას! დაგვიბრუნდა თბილისში ლტოლვილი კათოლიკოზიც, მეტად პირ-დაყოფილი, დამცირებული და შეწუხებული. მაგრამ აქ მას კაი ხანია უკვე განზე გასდგომოდა „ახ. სიტყვის“ რედაქციის და კალმოსნების ხელმძღვანელი „გრუპპა“, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა მას საკათ. საბჭოში უხამსი ინტრიგებით, შფოთით და ქვეუდანობით. ლეონიდე კათოლიკოზი მეტად უყურადღებოდ და უპატრონოდ იყო დატოვებული, მას არ ჰქონდა თავის დროზე არც საჭმელი, არც სასმელი, მას მტკვრის მღვრიე-ბაცილებიან წყალს ასმევდენ და ხორველის მსხვერპლად გაჰხადეს ის! ამის შემდეგ „გრუპპა“ შეუდგა ახალ კათოლიკოზის არჩევნების საქმეს. მან დარაზმა თვის კანდიდატისათვის ამრჩევლები და თვით ყოფილი პროტოპრესვიტერი ყოფილ სამხედრო ტაძრიდან მოემზადა გელათის საეკლესიო კრებისათვის. მთელმა თბილისმაც ორი დეპუტატი გაგზავნა გელათის საეკლესიო კრებაზე და ყოფილმა სამხედრო ტაძარმაც ამდენივე დელეგატი გაგზავნა იმავ კრებაზე! ეს მეტად საინტერესო და კურიოზული მოვლენაა! ვსთქვათ, რომ სანამ სამხედრო უწყების სამღვდელოება არსებობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, ხოლო თბილისის სამხედრო ტაძარი თვისს პროტოპრესვიტერით ცალკე ოლქს წარმოადგენდა, მაშინ კიდევ გასაგები იყო, რომ ამ ტაძარს, როგორც ცალკე უწყებას – თავისი დელეგატები ჰყოლოდა პირდაპირ საეკლესიო კრებაზე, მაგრამ 1921 წლის აგვისტოში, როდესაც აღარც სამხედრო სამღვდელოება არსებობდა, სამხედრო ტაძარიც გაუქმებული იყო, აი, ამ დროს აქედან დელეგატების პირდაპირ საეკლესიო კრებაზე გაგზავნა, დიდი თავხედური მოვ-

ლენაა, „გრუპპის“ მეტად დამახასიათებელი! აირჩია კიდეც „გრუპპამ“ თავის გუნების, თვისი მონათესავე კათოლიკოზი ამბროსი [ეს „გრუპპის“ წევრია 1906 წლიდან, როდესაც სინოდ-კანტორის წევრად იყო არქიმანდრიტის ხარისხში]. გარს არტყია დღეს ჩვენს კათოლიკოზს ეს „გრუპპა“ და ისევ თავის გუნებაზე ამოქმედებენ! კათოლიკოზს „გრუპპისა“ ყოველივე სჯერა, უამათოთ ის ნაბიჯს ვერ გადასდგამს, რომც მოინდომოს, ვერც გაბედავს, დაჰღუპავენ.

და აი, ისევ ამ „გრუპპამ“ შეგვიქმნა ჩვენ „სურამიადა“! აქ, ამ შემთხვევაში „გრუპპამ“ დაჰკარგა ყოველივე მართებულობა, ის აღარავის აღარაფრად აღარ სთვლის, უპასუხისმგებლო „გრუპპამ“ კლდეზე გადაგვჩეხა, დიდ სირცხვილში და ღვთის გმობაში შეგვიყვანა თბილისის სამღვდელოება და მასთან ერთად მთელი ჩვენი სჯული და ეკლესია.

ერთ დიდ სირცხვილიდან ვიხსენით ჩვენი სამღვდელოება და ეკლესია, როდესაც „გრუპპას“ ჩაუშალეთ ერთი-მეორის მიტრებით თავის მორთვა-მოკაზმვა. ჩვენს დროში, როდესაც მონარქებს და მეფეებს გვირგვინები თუ მიტრები თავიდან მოჰხადეს, ჩვენში მღვდლებს – დეკანოზებს უპირებდენ მიტრებით დაჯილდოებას და, საზოგადოდ, როდესაც ყოველივე ჯილდოები და ჩინები მოისპო ყველა უწყებებში, აი, ჩვენს ეკლესიაში სურდათ აღედგინათ პირველ საეკლესიო კრების მიერ უარ-ყოფილი და მოსპობილი ჯილდოები! და ეს ჩვენი ანუ უკეთ ვსთქვათ „გრუპპის“ წევრთა დაჯილდოების გამოცხადება უნდა მომხდარიყო ამა წლის სულთ-მოფენობას – 4 ივნისს ახ. სტილით! მაგრამ ეს განზრახვა დროზე გაუგეთ და ასე იყო თუ ისე, ის ჩავშალეთ! ხოლო სწორეთ ამ 3-4 ივნისის ქართულ-რუსულ კომუნისტურ პრესსაში („კომუნისტი“ და „პრავდა გრუზიი“) დაჰბეჭდეს ბოლშევიკებმა კათოლიკოზ ამბროსის „მოწოდება“ თუ „მემორანდუმი“ გენუის კონფერენციისადმი! მე არ ვიცი, რა ლოღიკური ძაფი შეიძლება გააბას ადამიანმა ამ „მემორანდუმსა“ და ჯილდოების აღდგენას შუა ჩვენს ეკლესიაში! „მემორანდუმში“ წამოყენებული მოქალაქობრივი მოტივები და პროტესტი ბოლშევიკურ მთავრობის ჩვენში მოქმედებათა წინააღმდეგ მოითხოვდა ამ ფრიად საგულისხმო და საპასუხისმგებლო დოკუმენტის სათანადო მოქმედებებით ეკლესიის და სარწმუნოების მოწესრიგების საქმეში! ჯილდოების აღდგენით და მღვდლების მიტრებით მორთვა-მოკაზმვით ვერ გავანაღდებდით ჩვენ ამ დოკუმენტს, პირიქით, ამით მეტად დავსცემდით და გავამასხარავებდით „მემორანდუმსაც“, ჩვენს თავსაც და ჩვენს სჯულსაც! მაგრამ, ვიმეორებ, ამ სირცხვილს, როგორც იყო, ჩვენ გადავრჩით! „გრუპპისტები“ კი ამ შემთხვევაში მესამე საეკლესიო კრებას ეფარებიან ზურგს უკან, ეს საეკლესიო კრებამ დაგვავალაო! აი, ისევ „ფარისევლური კეთილ-მსახურების“ სახე ჩვენი „გრუპპელებისა“! თითქოს ჩვენ საეკლესიო კრებებიც გვქონდა 1920 თუ 1921 წელში! ეს ჩვენი ოპეკუნები ანუ „მექოთნეები“ საითაც უნდათ, იქიდამ გამოაბამენ ხოლმე ქოთანს ყურს! საეკლესიო კრებას უნდათ მოიწვევენ, არ უნდათ, არ მოიწვევენ, ზოგს მიუშვებენ ამ კრებაზე, ზოგს „გააშავებენ“, რო ამათ ხელი არ შეუშალონ მათ „მოღვაწეობას“ [როგორც ეს მიყვეს, მაგალითად,

მე 1921 წელს მესამე საეკლესიო კრებისათვის თბილისის საოლქო არჩევნებზე, აწ განსვენებულმა მთავარ-ხუცესმა დეკ. გრ. გიორგიძემ გამაფრთხილა – არ იყარო კენჭი დელეგატობაზე, გადაწყვეტილია, გაგაშავებენო, მეც მოვერიდე და კრების დასასრულს მიველ, ხოლო დეკ. ი. ჩიჯავაძე გააშავეს, როგორც მონინააღმდეგე „ბანაკის“, „გრუპპის“ მფარველობის გარეშე პირი].

მაშასადამე, 4 ივნისს გადავრჩით „ჯილდოების“ გამო სირცხვილს! მაგრამ უარეს სირცხვილში ჩავვარდით „სურამის ციხის“ გამო! ჩემის დაკვირვებით ეს „სურამიადისათვის“ აშკარა შემზადება დაიწყო ამავ წლის 11 ივნისიდან. საქმე იმაშია, რომ ყოფილმა „პროტოპრესვიტერმა“ ყოფილ სამხედრო ტაძრებისამ თბილისში, დეკ. ან. თოთიბაძემ, რომელმაც წინეთ ჩვენგან განცალკევებული ცალკე საოლქო და უწყებაც კი შექმნა თბილისში, შარშან 1921 წლის ნოემბერში შეეცადა და მოახერხა კიდეც, რომ ისევ დაგვბრუნებოდა საეპარქიო უწყებაში და ამ დაბრუნების თითქოს სასყიდლად – საკათ. საბჭოს განკარგულებით – ყოფილ სამხედრო ტაძრებს, რომელიც მას ხელთ ჰქონდა ჩაგდებული, „გაუერთიანა“ ვერის წმ. ნიკოლოზის სამრევლო და კერძო სასაფლაო! ეს კერძო სასაფლაო დეკ. თოთიბაძის ხელში საზოგადოდ გადაიქცა! ერთი სასაფლაო მოგვემატა თბილისში! მაგრამ ამ სასაფლაოსთვის სახელის მოსახვეჭად და საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, თან საერო მთავრობის გულის მოსაგებადაც, მასთანაც დასაკავშირებლად დეკ. თოთიბაძემ, თითქოს ამერიკა აღმოვაჩინეო, ზემო აღნიშნულ „სურამის ციხის“ ავტორის დ. ჭონქაძის სასაფლაო „აღმოაჩინა“, „რეალისტურ მიმართულების მამამთავარი ქართულ ლიტერატურაში“ და ორი კიდევ სხვა „რეალისტური“ მწერლების – არდაზიანისა და რჩეულიშვილის საფლავები! აი, ამ აღმოჩენათა სადემონსტრაციოთ მამა თოთიბაძემ შეჰყარა ჩვენი „საზოგადოება-ინტელიგენცია“ ვერის ნიკოლოზში 11 ივნისის წირვა-პანაშვიდზე ამ მწერლების სულის მოსახსენებლად! მწირველად მოიპატიჟა მათი უწმინდესობა ჩვენი კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი! მათმა უწმინდესობამ წირვის შემდეგ წარმოსთქვა დანიელ ჭონქაძეზე შესხმა-ქება-დიდება! არ ვიცი კი, რამდენად შეესაბამებოდა „სურამის ციხის“ ავტორს კათოლიკოზ-პატრიარქისაგან ასეთი ქება-დიდება?! არ ვიცი, რა ნახეთ, თქვენო უწმინდესობავ, „სურამის ციხეში“ თქვენი სამწყსოსთვის სანუგეშო, სასიკეთო ან სასიქადულო?! დავიჯეროთ, სხვა თემა, სხვა საგანი თქვენი მწყემსმთავრულ-მოძღვრებისათვის იმ დღეს ვერ მონახეთ?! რაშია საქმე?! დანიელ ჭონქაძეს, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, თავიანთი მამათმთავრად სთვლიან ქართველი კომუნისტ-ბოლშევიკები, ჭონქაძეს აქებს და ცათამდი ამაღლებს ფ. მახარაძე თვის „სურამის ციხის“ კრიტიკულ განხილვაში! ამავე მოთხრობის ავტორს აქებს და ადიდებს ჩვენი კათოლიკოზიც, რომელმაც ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ, არამც თუ ჩვენდა დაუკითხავათ, არამედ ჩვენ მთავარ-ხუცესთან ამ ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯის გაუზიარებლად, გენუის კონფერენციას ცნობილი „მემორანდუმი“ გაუგზავნა, ხოლო შემდეგ ამ ნაბიჯისა გამო მთელმა თბილისის სამღვდელოებამ თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოუცხადეთ! მაშასადამე,

საჭირო იყო, რომ შეგვენახა „მემორანდუმის“ პრესტიჟი და „სურამიადის“ თუ ჭონქაძის ხოტბის ანკესზე არ წამოვგებულიყავით! ჩემის აზრით, კათოლიკოზმა 11 ივნისს წაშალა თვისი „მემორანდუმი“, უდროოდ ჩააქრო და ჩაშრიტა ის თვალ-წარმტაცი ფეიერვერკი, რომლითაც მთელ განათლებულ ევროპის წინაშე გაიელვა საქართველოს კათოლიკოზის „მემორანდუმმა“! ჩემდა თავად დიდ მწუხარებას უცხადებ ამის გამო ჩვენს განათლებულ მამათ-მთავარს, რომელსაც სხვებზე უფრო კარგად მოეხსენება „სურამის ციხის“ შინაარსის ჩვენს წარსულ ეროვნულ თუ ეკლესიურ ცხოვრებისადმი სრული შეუსაბამობა! მე ვაცხადებ, რომ ჩვენი კათოლიკოზი ერთხელ კიდევ დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვიყენეს „გრუპპელებმა“! დანიელ ჭონქაძის შემდეგ კათოლიკოზმა საზოგადოებას წარუდგინა დეკ. ანტონ თოთიბაძე (ეს მიტრის მაგიერღა იყო! თურმე ამ დღეს მიტრა უნდა დაეხურა მისთვის თავზე!), როგორც საუკეთესო და მოწინავე მოღვაწე ქართველი სამღვდელო პირი! შეიძლება! – ესეც გემოვნების საქმე ყოფილა, როგორც დ. ჭონქაძის „რეალიზმის“ კათოლიკოზის მიერ მოწონება და სამშობლოს გამოფხიზლების საქმეში დამსახურებად მიჩნევა!

მაგრამ კათოლიკოზის სიტყვის უფრო დასამტკიცებლად წირვის შემდეგ, თვით „რეალისტების“ საფლავზე მქუხარე სიტყვა წარმოათქმევინეს იდეალისტ-მწერალს – ნაციონალ-დემოკრატს – ია ეკალაძე-ცინცაძეს!.. ამდენი სალტო-მორტალების შემდეგ, დეკ. თოთიბაძის ბინაზე, ყოფილ სამხედრო ტაძრის სახლებში – იზმაილოვის ქუჩაზე, გაიმართა დიდი ქართული ნადიმი, კათოლიკოზის და რჩეულ-რჩეულ სამღვდელო თუ საერო პირთა მონაწილეობით! ალბად ეს სადილიც ჩვენი „რეალისტების“ სულის მოსახსენებლად მიირთვეს, საღამოს ცხრა საათამდე გასტანა ამ დარბაისლობამ! მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, ვის მიერ იყო მოწყობილი ან „რეალისტების“ საფლავების მორთვა-მოკაზმვა და ჭირისუფლება, ან თვით ნადიმზე გაწეული არამცირედი ხარჯი?! ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ორ ჭირისუფალთა შორის ერთ-ერთი – ან ვერის წმ. ნიკოლოზის სალარო, რომლის ულეველ ხაზინის გამგე-გამანაწილებელია „გაერთიანებულ“ ტაძრების წინამძღვარი ანტონ თოთიბაძე, ეს ყოფილი „მოლარე“ „ცნობილ“ ორგანო „ახ. სიტყვისა“ (ეს სულ „ლარებს“ და „ზინებს“ ელტვის ხოლმე!), ან ასეთ ჭირისუფლად უნდა მივიჩნიოთ კომუნისტურ პარტიის „აგიტ-პუნქტი“ თბილისში, რომელსაც, ჩემის აზრით, უფრო შეშვენოდა ამ დღეს „რეალისტებზე“ ანუ ჩვენებურ „მატერიალისტებზე“ გულშემატკივრობა, მათი სახელის და ღვაწლის დღეს საქვეყნოდ, სააგიტაციოთ, გამოფენა, მაშასადამე, ამ „საქმეზე“ ხარჯის გაწევაც! მაგრამ, მე არ ვიცი, ამ ორ ჭირისუფალთა შორის ვინ გასწია 11 ივნისს ხარჯები, ან ვერის ნიკოლოზის ტაძარში და საფლავზე, ან დეკ. ან. თოთიბაძისას ნადიმზე!

მაგრამ ის კი ცხადზედ უცხადესია (და ასეთი აზრიც ტრიალებს დღეს საზოგადოებაში), რომ სწორეთ 11 ივნისიდან დაიწყეს „სურამის ციხის“ ინსცენიროვკის ანუ ილიუსტრაციისადმი ჩვენი საზოგადოებრივი აზრის შემზადება, ამ მოთხრობაში კინო-მატოგრაფიულ ეკრანზე სამღვდელოების გამოსვლისათვის ნიადაგის

მზადება! კათოლიკოზმა აქო ავტორიც, მისი მოთხრობაც, ცხადია, სამღვდელოებაც ხმის ამოუღებლივ გაჰყვება თვის მამათმთავრისაგან ნაჩვენებ-მოწონებულ გზას – „სურამის ციხისათვის“ ეკრანზე გადასაღებად!

აქ კი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის დეკ. კ. ცინცაძე! ჯერ „აგიტ-პუნქტის“ ქართულ სექციის აგენტებს ანუ ხელმძღვანელებს მიუმართავთ ქვაშვეთის მეორე დეკანოზ დიმ. ლაზრიშვილისადმი: „გვათხოვეთ ხუთი წყვილი მღვდლის შესამოსლები, ეკრანზე „სურამის ციხის“ სურათების გადასაღებადო“! აგენტებმა ალბად ვერც კი გაჰბედეს პირდა-პირ მღვდლებისთვის მიემართათ ამ საქმეში მანეკენებად ან ბუტაფორიებად გამოსულიყვნენ! ალბად მღვდლების შესამოსლებს ისინი ვინმე გრიმიან სტატისტებს ჩააცმევდენ! მაგრამ დეკ. ლაზრიშვილს ვერ გაუბედნია ამათთვის ხუთი წყვილი შესამოსლის თხოვება, ვაი თუ დამიკარგონო (თავისი საწყობიც აქვს შესამოსლებისა ლაზრიშვილს – ჩითაევისაგან საკამისიოდ გადაცემული და ქვაშვეთშიდაც დიდ-ძალი შესამოსლები აქვთ დაგროვილი სხვა და სხვა გაუქმებულ ეკლესიებიდან, ხოლო ქვაშვეთის შესამოსლებს ის ვერ ათხოვებდა ამათ წინამძღვრის დეკ. ცინცაძის ნება-დაურთველად. ამიტომ ესენი ლაზრიშვილს გაუგზავნია თვის „ნასტოიატელისათვის“ (ეს ამბავი ილაპარაკა ლაზრიშვილის მეუღლემ – ვერის ნიკოლოზის ქვრივ „ფოფოდია“ კატო გიორგიძის და სონა მამამთავრიშვილის ასულთან, ჩემი მეუღლის თანა-დასწრებით). ამ „ნასტოიატელთან“ კი ამ თაობაზე გამართულა თათბირი – თუ როგორ მოეწყოს ეს საქმე! ერთი აზრი ისიც კი თქმულა, რომ შევკრიბოდ მღვდლები სიონის ტაძარში – შემოსილები, გადავიღოთ იქ და შემდეგ ამ ლენტს სადაც საჭირო იქნება, იქ მოვიხმართო! მაგრამ ეს აზრი აღარ გავიდა, მოუხერხებლად უცნიათ, რა საბაბით უნდა შევკრიბოთ სიონში მღვდლებიო! ამ თათბირში კაი ხანი გასულა, ბოლოს „აგიტ-პუნქტის“ ქართული სექციის წარმომადგენელი გერმანე გოგიტიძე მისულა ისევ დეკ. ცინცაძესთან ბინაზე და ისევ უთათბირიათ ამ თაობაზე; კათოლიკოზი იმ ხანად მცხეთისა და შიო მღვიმის მიდამოებში ბრძანდებოდა; ხოლო რო დაბრუნებულა კათოლიკოზი თბილისში, დეკ. კ. ცინცაძეს ეს გერმანე გოგიტიძე წაუყვანია კათოლიკოზთან, აქ ერთხელ კიდევ უთათბირიათ და როგორც დეკ. ცინცაძეს განუცხადებია შემდეგ ერთ-ერთ „გრუპპელის“ ეჭვებზე – „ბიჭო, აქ სასირცხო რამეში არ ჩაგვითრიონო“, ცინცაძეს თავ-მომწონეთ უპასუხნია: „შენ როგორ მიყურებ მე?! მე ყველაფერი ეს საკმარისად „ავსწონ-დავსწონეო“!!! კათოლიკოზიც დაუთანხმებიათ, შეუგონებიათ მისთვის, რომ აქ საძრახისი და დამამცირებელი არა იქნება რა – „ისტორიულ-პატრიოტულ“ სურათებს ვაკეთებთ „სურამის ციხის“ მოთხრობიდანო, რა უშავს, ამ სურათებში შემოსილი სამღვდელოების ლიტანიაც იყოსო! ამ ლიტანიისათვის კი დეკ. ცინცაძეს ვითომც შესაფერი „საბაბიც“ გამოუნახავს – სამღვდელოების ლიტანია უნდა გაეყვანათ 1 აგვისტოს წყლის კურთხევაზე... ბოტანიკურ ბაღში – ციხის ნანგრევებთან! ცინცაძემაც და სხვებმაც კარგად ვიცოდით, რომ ეს ჩვეულება – 1 აგვისტოს წყლის ლიტანიით კურთხევა, არის რუსეთის ეკლესიის ჩვეულება, ამიტომ ეს ჩვეულება, ექსარხოსობის ჩვენში

დამხობის შემდეგ, არც ერთხელ ქართველ სამღვდელოებას არ შეუსრულებია და ისიც ბოტანიკურ ბაღში, თათრების სასაფლაოს გვერდით! ასეთი ლიტანიით ექსარხოსების დროს სამღვდელოება გადიოდა ალექსანდრეს ბაღში – შადრევანში აკურთხევდენ ხოლმე წყალს და არა ბოტანიკურ ბაღში! მაგრამ „აგიტ-პუნქტს“ სჭირდება არა „ისტორიულ-პატრიოტული“ სინამდვილე, არა წყლის კურთხევა, არამედ სააგიტაციო მასალა; ამიტომ ის ამ მასალის შესაგროვებლად სურამში როდი მიდის, ის სურამის ციხის ნაცვლად თბილისის ციხის ნანგრევებთანაც აღწევს თვისს მიზანს, აქ სამღვდელოების ლიტანიასაც ახერხებს; სინამდვილეს და ისტორიულ სისწორეს ვინ დაგიდევს! ეს სამწუხაროდ თუ კათოლიკოზმა ვერ გაითვალისწინა, დეკ. ცინცაძეს მაინც უნდა სცოდნოდა! ვერც ერთი ცოტად თუ ბევრად შეგნებული ადამიანი ვერ იტყვის, რომ „სურამის ციხეში“ რაიმე „ისტორიულ-პატრიოტული“ მოტივები ჰქონდეს დ. ჭონქაძეს გამოყვანილი, პირიქით, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ჩვენი ისტორიის, ერის, სჯულის და ქვეყნის უსამართლოდ, შეუსაბამოდ არევ-დარევა, დამცირება, შებღალვა და გამასხარავება! ეს დღეს გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფესაც კი ესმის. მარტო ის იყო საკმარისი უარ-ეყოთ გ. გოგიტიძის წინადადება – რომ მისთვის მიეთითებიათ მოთხრობაში გამოყვანილ მღვდლებზე – ერთი რო აღსარებას გასცემს, ხოლო მეორე რო ყმა-ობლების სასყიდლად მისულა კახეთიდან ქართლში! მე არას ვამბობ „ზურაბის“ ჩაკირვის კურთხევაზე წყლის კურთხევით და აიაზმის ეპისკოპოსის მიერ სხურებით, ვინაიდან ამაზე მოთხრობაში ნათქვამია „პარაკლისი გადაიხადესო“ (არ ვიცი კარგად, ეს ზურაბის ჩაკირვამდე თუ ჩაკირულ ზურაბზე)! ჩვენი სამღვდელოება კი დეკ. ცინცაძემ მისცა „აგიტ-პუნქტს“ სწორეთ ამ მოჭორილ და მოგონებულ ზღაპრულ ბოროტების და სიბნელის საკურთხებლად! ეს არის „ისტორია“?! ეს არის „პატრიოტობა“?! სირცხვილია აგრე აბუჩად ჩვენი აგდება! ან რატომ ამ თაობაზე არ ეთათბირენ ან მთავარ-ხუცესს, ან მეც შემეკითხებოდენ, იქვე ყურის ძირას ვცხოვრობ ანჩის-ხატში! მაგრამ არა, თუ კათოლიკოზი დაენდო დეკ. ცინცაძეს და მისი შუამავლობა მიიღო ამ საქმეშიც, კათოლიკოზმა ვერ გაითვალისწინა ყოველი სამწუხარო შედეგები, რაც ამ საქმეს შედეგად მოჰყვა, დეკ. ცინცაძე თითქოს შეგნებულად, ბევრი „აწონ-დაწონის“ შემდეგ ხელს უწყობს ჩვენი სჯულის შებღალვას და სამღვდელოების ეგზომ დამცირება-გამასხარავებას! მაგრამ შეიძლება ამანაც ვერ გაითვალისწინა ყოველივე ის სურათები, რომელიც ეკრანზე აჩვენეს მამა ცინცაძეს შემდეგ! ეს გარემოება მაინც არ უმსუბუქებს მას ამ დიდ დანაშაულს, მას საკმარისი მასალა ჰქონდა თვით მოთხრობის ტექსტში, უსურათებოდ (რომელიც მხოლოდ შემდეგ გამოაფინეს ეკრანზე), რომ არ ჩაჰყოლოდა გ. გოგიტიძის „აგიტ-პუნქტის“ ავანტიურაში! ვინ ჰკითხავს მამა ცინცაძეს ასეთ საქმეებში შუამავლობას?! ეს რა საკათ. საბჭოს წევრის ან მის კანცელიარიის დირექტორის საქმეა?! წყლის კურთხევის პროცესსიის მოწყობა და მის შესახებ განკარგულების გაცემა – ეს ეპარქიალურ მთავრობის საქმეა, რომელსაც აქ ორგანოებად ჰყავს მთავარ-ხუცესი – იგივე ქორ-ეპისკოპოსი და კათედრის კანდელაკი! ამ

შემთხვევაში კი, კათოლიკოზის თანხმობის შემდეგ განკარგულებას აკეთებს დეკ. კ. ცინცაძე, ის უბრძანებს ხოლმე კანდელაკს დეკ. მიხ. ფხალაძეს 1 აგვისტოსთვის ყველაფერი მზად იყოს წყლის საკურთხად ბოტანიკურ ბაღში; თვით ფხალაძეს გზირად ჰგზავნის წინა-ღამით საღამოს ცხრა საათზე მთავარ-ხუცესთან, წმ. ნინოს სასაფლაოზე, არა რაიმე განკარგულების მის მიერ გასაცემად, ეს უკვე მთავარ-ხუცესისათვის დაგვიანებული იყო და შეუძლებელიც, მთავარ-ხუცესს იწვევენ ხოლმე თავისი მხლებელ-მღვდელ-დიაკონით წყლის კურთხევაზე, მთავარ-ხუცესის როლს ასრულებს ამ შემთხვევაში დეკ. ცინცაძე! მთავარ-ხუცესიდან დეკ. ფხალაძე ეპატიჟება წყლის კურთხევაზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის დეკანოზს, ზ. ლუკაშვილს – საღამოს 10 საათზე; აქედან იგივე დეკ. ფხალაძე ღამის საათის 11-ზე მიდის ვერაზე – დეკ. ან. თოთიბაძის მოსაწვევად, ქვაშვეთელებმა უკვე იცოდნენ, პავლე არქიმანდრიტი ხელში ჰყავდათ, ქალაქში ახლად ჩამოსული ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსიც იოანნეც ხელში ჰყავდათ და მეტიც არც უნდოდათ! ჩემს კარებზე იმ დღეს ხუთ-ჯელ-ექვსჯელ აივლიდა და ჩაივლიდა დეკ. ფხალაძე, ერთხელ არ მოვაგონდი, მეც მივეწვიე წყლის კურთხევაზე! ეს თურმე იმიტომ, რომ მამა ფხალაძეს ჩემს შესახებ შემდეგი უთხრეს: „დეკ. თალაქვაძეს ნუ მოიწვევ, ის ძველი დროის ტიპს არ წარმოადგენს, ის „სტილის“ მღვდელი არ არისო“! მადლობა ღმერთს, რომ ასეთ „სტილის“ მღვდლად არ გამოვდექი! მაგრამ აქ ორ-ნაირი მოსაზრება ჰქონდათ ჩემს „ძველ მეგობრებს“ – ერთი, რომ „ნახევარი მილიონი“ არ მრგებოდა გასამრჯელოდ მეც... „აგიტპუნქტიდან“! მეორე ის, რომ ვაი თუ ამ „მოუსვენარმა ნიკიტამ“ არ ჩაგვიშალოს ასე „ლამაზად მოსაზრებული“, „აწონილ-დაწონილი“ და უკვე მოწესრიგებული საქმეო! მგონი ეს მეორე მოსაზრება უფრო შეესაბამება ჭეშმარიტებას, ვინაიდან „მიტრების“ საქმე, მგონი, სამუდამოდ ჩაუშალეთ „გრუპპელებს“!..

თქვენ უკვე გესმათ მთავარ-ხუცესიდან, თუ რა ეჭვები დაბადებულა მასში ბოტანიკურ ბაღში ასვლისათანავე, ვიღაც ძველებურად მორთულ-მოკაზმული დედაკაცები, რომელნიც გადაცმული რუსი მსახიობი-დედაკაცები ყოფილან, ვიღაც სომეხი საქმის გამგე-მომწყობი, ვიღაც რუსი თუ ურია, რომელიც ფოტოგრაფიულ აპპარატზე მუშაობდა და აქ – წყლის კურთხევა და შემოსილი სამღვდელოების სურათის გადაღება! ყოველივე ეს იმდენად ეუცხოვა მთავარ-ხუცეს დეკ. დიმ. ხახუტაშვილს, რომ თვისი ეჭვები ამან გაუზიარა დეკ. ზ. ლუკაშვილს, ხოლო ორთავემ ეს ეჭვები ორჯელ გაუზიარეს დეკ. კ. ცინცაძეს, საკათ. საბჭოს წევრს, ხოლო ამ საქმის მოთავეს, მაგრამ ორივეჯელ ავტორიტეტულად უბრძანებია დეკ. ცინცაძეს – რომ აქ საძრახისი არა არის რა, დამშვიდდითო! ასეთივე დამშვიდება და დარიგება დაუწყია მთავარ-ხუცისათვის მოქალაქე საშა ლალიაშვილს, რომელიც, არ ვიცით, რა როლს თამაშობდა ამ საქმეში!.. ამ დროს მოისმა ბრძანება ფოტოგრაფისა რუსულად – „облачайтесь“! და ფაცი-ფუცით შევიმოსენით და წყლის კურთხევას შეუდგა ეპ. იოანნე! მაგრამ ვინღა დააცალა მას ამ წესის შესრულება, სულ-ყველანი ჩქარობდენ, ეტყობოდათ უკვე, რომ წყლის კურთხვა მოგონილი საქმე იყო, ამათ სხვა რამ

სურდათ! ამ სიჩქარეს ხელს უწყობდენ დეკანოზები ცინცაძე და თოთიბაძე, ხან ერთი აჩვენებდა თითით წიგნში – რა უნდა გამოეტოვებია ან რა უნდა წაეკითხა ეპისკოპოზს, ხან მეორე! ისე აღშფოთდა და დაიბნა ეპისკოპოსი, რომ აღარ იცოდა, რა ექნა და შესწყვიტა წყლის კურთხევა! აქ დეკ. ცინცაძემ და თოთიბაძემ რეპლიკები გაუკეთეს მთავარ-ხუცესს – „თუ ეჭვი დაგებადა, რატომ არ დასტოვე ბაღი და უკანვე არ წამოდითო“! „იმიტომაო, – მიუგო მთავარ-ხუცესმა, რომ ჩემი უფროსები თქვენ ბრძანდებოდით და ეპისკოპოზი იქ, მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ, თქვენი ყურადღება მივაქციე შექმნილ უხერხულ და შეუსაბამო ვითარებას თქო“! „ეპისკოპოსმა რაღაზე შესწყვიტა წყლის კურთხევა, ვის შეეძლო მისთვის ხელი შეეშალაო“, – ბრძანა ისევ დეკ. ცინცაძემ! „თქვე დალოცვილებო, ხელი შეუშალეთ კი არა, მეტიც უყავით იმ საცოდავ კაცს; ისა და ჩვენც უკვე აღარ ვეკუთვნოდით ჩვენს თავს – ჩვენ გარეშე ძალის განკარგულებაში ვიყავით უკვე, ჩვენ უკვე ჩამორთმეული გვქონდა ყოველივე ინიციატივა და მოქმედების თავისუფლება! აკი, არც ვინ ყურადღება მიაქციეთ ეპისკოპოსის მიერ წყლის კურთხევის შეწყვეტას და მეორე ბრძანებაზე – ჩვენ ციხის კედლებთან აგვიყვანეს, კედლებიდან ასე ხუთ-ექვს საჟენზე და გადაგვიღეს სურათზე, იქ მე არ შემინიშნავს „ზურაბი“ კედელში ჩასმული, ალბად ამ სურათს ისინი ცალკე გადაიღებდენ და შეიძლება იმავე დროსაც გადაიღეს და ჩვენ ვერ შევნიშნეთ და რომც შეგვენიშნა, გვიანღა იყო უკვე, საქმე მორჩომილი იყო“! – ისევ უპასუხა მთავარ-ხუცესმა დეკ. ცინცაძეს.

ამაზე მე მივმართე მთავარ-ხუცესს შემდეგი სიტყვებით: „მთავარ-ხუცესო, იმ წყლის კურთხევის მადლი და ძალი შეგეწიათ შენა და დეკ. ცინცაძეს თქო“ (მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა დამსწრეებზე, ხოლო კათოლიკოზმა თავი ჩაჰკიდა!). შემდეგ შევეკითხე ისევ მთავარხუცესს – „რა დრო იქნებოდა, როდესაც ყოველივე ამას მორჩით და სახლში დაბრუნდით თქო“, „ასე შუადღეზე უკვე გადასულიო“, – მიპასუხა მთავარ-ხუცესმა! „მაშ, იმ დღეს არც გიწირავთ და ვერც წირვაზე მიასწრებდით თქო“, – ვკითხე ისევ მე! „აბა რაღა დროის წირვა იყოო“! – ისევ ბრძანა მთავარ-ხუცესმა! რაზედაც მე განვაგრძე: „ჩვენ მოვისმინეთ და ვხედავთ, რომ 1 აგვისტოს – ღვთისმშობლის მარხვის პირველ დღეს, ეს ამოდენა სამღვდელოება უწირავად დარჩენილან, ზოგს მეორე-მესამე მღვდლები ჰყვანდათ ეკლესიებში დატოვებულნი და ისინი შეასრულებდენ წირვას, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, ქვაშვეთის ტაძარში ვინ იყო იმ დღეს მწირველი?! მგონი, არავინ, ვინაიდან მთელი კრებული – დეკანოზები ცინცაძე-ლაზრიშვილი და დიაკონი ლაზრიშვილიც, მგონი, დარაჯი გიგოც – სულ ყველანი ამ „ისტორიულ-პატრიოტულ“ საქმეზე დაშრენ იმ დღეს! და გასამჯელოთ ნახევარ-ნახევარი მილიონი დაურიგებიათ მონაწილეთათვის! რატომ არავინ დაფიქრდა – „რა გაჰყიდეს იმ დღეს ბოტანიკურ ბაღში, რო ფული აიღეს“?! „გაჰყიდეს ქრისტე, სჯული ჩვენი“!! აქ იუდაზე დაბლა ვსდგევართ ამ შემთხვევაში ჩვენ! იმან ფულიც მეტი აიღო, რო ბონებზე გადმოვიტანო „30 ვეცხლი“ და შეინანა კიდევაც ესე, უკან გადაუგდო ფარისევლებს ის ვეცხლი,

ხოლო თვით „შიშთვილიბა“! აქ კი ფულიც „საძმო ყულაბაში“ შეუტანიათ, არც მისს დაბრუნებაზე ჰფიქრობს ვინმე, პირიქით, თავსაც იმართლებენ – „რა უყოთ მერე, შევცდითო“! კათოლიკოზიც ბრძანებს „შევცდიო“, ცინცაძე და თოთიბაძე კი... „გერმანე გოგიტიძემ შეგვაცდინა, მოგვატყუილა, რა დაგვპირდა და ბოლოს რა გამოვიდაო“! ბატონებო, აქ „შეცდომაზე“ ლაპარაკი უადგილოა, ან „დაპირება-მოტყუებაზე“! ბავშებსაც კი არ აპატიებენ ზოგჯერ „შეცდომას“, ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ! მე, მაგალითად, კიევის აკადემიაში სტუდენტად ყოფნის დროს რაღაც დავაშავე და ინსპეკტორმა (შემდეგ ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, კოვალნიცკიმ) რო პასუხი მომთხოვა, მე განუცხადე – „შევცდი“თქო! ამაზე მრისხანეთ მიპასუხა: „გრცხვენოდეთ მაინც – სტუდენტის პრესტიჟს სცემთ თქვენ მაგ პასუხით, როგორ თუ „შესცდი“, ბავშვი ხო არა ხარო?! დააშავე და იმდენი მოქალაქობრივი სიმამაცე მაინც იქონიეთ, რომ შეიგნოთ თქვენი დანაშაული და სასჯელიც მიიღოო“! აი, ბატონებო, ნამდვილი სურათი „შეცდომა-დანაშაულობისა“!..

მე ბრალსა ვსდებ „სურამიადას“ მომწყობ პირთ! აქ შეუძლებელია ვინმესგნით თავის მართლება – „კათოლიკოზის ბრძანებას ვასრულებდითო“ და ამ სახით კათოლიკოზზე გადატანა ამ სასირცხო და ღვთის-საგმობ საქმისა! ჩვენ ვიცით სამღვთო წერილიდან, რომ უფროსების ბრძანებაც უნცროსებმა განსჯა-განხილვით და შეგნებით უნდა შევასრულოთ, რომ უფროსიც გაუგებრობიდან გამოვიყვანოთ და ჩვენც არა თანაზიარ ვექმნეთ მანქანებათა ეშმაკისათა. აქ კათოლიკოზის ბრძანებაზე არ არის მარტო საქმე, აქ ფული ტრიალებს, ფულია გაცემული და აღებული! (დეკ. ცინცაძემ რეპლიკა გამიკეთა – „აკი გითქვამს ეპისკოპოზ ქრისტეფორესთვის – დეკ. ცინცაძეს ნახევარი მილიარდი აუღიაო“!)! ნახევარ მილიარდს, აბა, ვინ მოგცემდათ, – უპასუხე მე ცინცაძეს, – ეს ასე არც მითქვამს არავისთვის, მე რაც მითქვამს, ეხლაც გავიმეორებ: „ჩემს გონებაში ასეთი სილლოგიზმი დაისახა: „თუ სტატისტებად, ბუტაფორიებად გამოყვანილ პირებს სურათის გადაღებისას ნახევარ-ნახევარი მილიონი მიეცათ გასამჯელოდ, ცხადია, ბევრად მეტი მიეცემოდათ, მაგალითად, ათეული მილიონი, იმ პირთ, ვინც ამდენი იშუამავლა („იმანჭანკლა თქო“, – ჩაუმატა დეკ. ცინცაძემ), თუ გინდ „იმანჭანკლა“, როგორც თქვენ თვითონ ბრძანებთ, ამდენი შრომა გასწია, ამდენი „ასწონ-დასწონა“ ეს საქმე! მაშასადამე, ამ დანაშაულში შედის „ანგარების“ მოტივი! თუ გინდ ათეული მილიონიც არ აეღოს საქმის მომწყობთ, საკმარისია ნახევარი მილიონიც! აქ რაოდენობაზე როდია საქმე, თვით სასყიდლის აღებაა დამახასიათებელი „ისტორიულ-პატრიოტულ“ სურათის გადაღებისათვის.

როდესაც სურათი ეკრანზე საჩვენებლად მზად იყო, „რუსთაველის თეატრში“ „აგიტ-პუნქტმა“ საგანგებო სეანსი გამართა, რომელზედაც კათოლიკოზიც მიიწვიეს; მას ეახლა ჭყონდიდელი ეპ. დავითი, დეკ. ცინცაძე, თოთიბაძე, ფხალაძე, ლაზრიშვილი და ზოგი მთავარდიაკონნიც! იმდენად შემზარავი გამოდგა სამღვდელოების ეკრანზე გამოჩენილი სურათი – ეპისკოპოზი – შემოსილი სამღვდელოებით, აიაზმის წყალს ასხურებს იმ ადგილს, სადაც „ზურაბია“

ჩაკირული და ზედ სიონის დიდი ჯვარია აღმართული! – ამ სურათის ლენტზე არის ასეთი წარწერა: „Суеверіе, тьма, невежество“! გამოყვანილია – აღსარების გამცემი მღვდელი თუ როგორ ხელების ფათურით და იუდისებურ ღრეჭით იღებს ბატონისაგან აღებულ ფულს! მღვდელი ტიკით იღლიაში მთვრალი და გალეშილი! მღვდელი ჰყიდულობს ყმა-ობლებს, ევაჭრება ბატონს! კევრში შებმული დედაკაცი სულს ლევს, ხოლო ბატონი ხით-ხითებს და ხით-ხითებს, მუცელზე ჰგორავს (ეს ბრძანდება „ჩვენი“ ვალიკო გუნია – ქართველი მსახიობი!). როდესაც პირველი სურათი ნახა ეპ. დავითმა, ის მაშინვე გამოვარდნილა თეატრიდან და თავზარ-დაცემული გამოქცეულა ბინისაკენ! კათოლიკოზსაც უტაცნია თვის სპეტაკ-თეთრს თმასა და წვერში ხელი! მეტად აღშფოთებულა! დაუბარებია იქვე გ. გოგიტიძე და მოუთხოვია ამ სურათების მოხსნა ეკრანიდან! მაგრამ ვინღა შეუსრულებდა მას ამ „მოთხოვნას“! „აგიტ-პუნქტში“ განა გოგიტიძეა უფროსი და საქმის გამგები, ის იქ უბრალო იარაღია, „აგიტ-პუნქტის“ ნამდვილ მესვეურების ხელში! აქ საქმეს განაგებენ „ეგიტიანცი“ და „ბუკშტეინები“! ესენი განა კათოლიკოზის მოთხოვნას ანგარიშს გაუწევენ?! განა ეს გარემოება დეკ. ცინცაძეს არ მოეხსენებოდა?! განა ამ მომენტში მღვდელი ისე უბრალოდ და თავისთვად რო გამოჩნდეს ეკრანზე, ისედაც დიდ ორ-აზროვან შენიშვნებს გამოიწვევს, მას დასცინებენ, დაამცირებენ! ქუჩაში გამვლელ-გამომვლელ მღვდლებს გვამცირებენ, გვაფურთხებენ და „სურამის ციხეში“ ეკრანზე გამოსულ ასეთ საშინელ სურათებში შემოსილ სამღვდელოებას რა დღეს დააყენებს „პუბლიკა“, განა ეს ასე ძნელი წარმოსადგენი იყო? განა იქვე, ქვაშვეთის ეზოს გვერდზე, თვით ქვაშვეთის მაღაზიების კედლებზე როგორი „ლიტერატურა“ და სურათები გამოჰფინეს ბოლშევიკებმა რუსეთიდან თბილისში ჩამოსვლისას! დავიჯერო, არც ერთისათვის მაინც არ შეუხედნია მამა ცინცაძეს?! კომუნისტურ ხანაში, კომუნისტურ-პროლეტარულ დიქტატურის დროს, ინტერნაციონალურ მსოფლ-მხედველობის ხანაში, დეკ. ცინცაძემ დაიჯერა გ. გოგიტიძის რწმუნება, რომ „ისტორიულ-პატრიოტულ“ სურათებს გადავიღებთ „სურამის ციხიდანო“?! ამ დენაციონალიზაციის, დეისტორიზაციის, დე-პატრიოტიზაციის დროს რაღა საქართველოს „ისტორიას“ და „პატრიოტიზმს“ გამოგვიყენებდენ კომუნისტები?! ეს არ ვიცი, რა არის – გულ-უბრყვილობა, სიბეცე თუ ორივე ერთად და თან საშინელი თავხედობა და სივერაგე!..

შემდეგ ეს სურათები „აპოლოს“ კინემატოგრაფში გამოჰფინეს ეკრანზე, აქ თვეზე მეტს (მიხეილის ანუ ეხლა „პლეხანოვის პროსპექტზე“) აჩვენებდენ „პუბლიკას“ ამ სურამის ციხეს! ხალხი ეხვევოდა ამ სანახაობას, როგორც „ბუზი თაფლს“. ამბობენ, ერთ თვეში სამი მილიარდი ფული აიღო „აგიტ-პუნქტმაო“! შემდეგ ეს ლენტი გადმოიტანეს „რუსთაველის პროსპექტის“ კინოებში, აქაც დიდ-ძალი ხალხი ესწრება! ისეთი მძიმე შთაბეჭდილებაა სამღვდლოების სურათისაგან, რომ ხალხი ყვირილით ეგებება ამ სურათს: „ძირს სამღვდელოება“, „Долой попов“, თან ახლავს ამ ყვირილს უშვერი ლანზღვა-გინება – ცოლი, დედა,

მკვდარი-ცოცხალი, ზიარება, ღმერთი და ჯვარი! „ზურაბის“ ჩაკირვაზე, კევრში დედა-კაცის შებმაზე ქალებს გული უღონდებათ და გაჰყავთ გარეთ! სურათი „სურამის ციხე“ იწყება ფ. მახარაძის სურათით – თუ როგორ ის 1902 წელს სწერს კრიტიკულ წერილს დ. ჭონქაძეზე ქება-დიდებით! ხოლო სურათი თავდება შემდეგი წარწერით: ეს იყო „ძველი საქართველო“, ხოლო ახალის დასახასიათებლად გამოდის დღევანდელ „მოღვაწეთა“ სურათები – ნამგლით, ცულით, ჩაქუჩებით და სხვა და სხვა იარაღებით – იგივე ფ. მახარაძე, ბუდუ მდივანი და მთელი მათი „პროლეტარიატი“ – დროსტარებით, ლხინით, ცეკვით და მხიარულებით!

აი, როგორ „ისტორიულ-პატრიოტულ“ სურათებში შეიყვანეს „გრუპპელებმა“ ჩვენი სამღვდელოება! ეს არის ღვთის გმობის სურათი! ეს არის „სჯულის შებღალვა“, ეს არის სარწმუნოების გამასხარავება! ხალხის წინაშე თვით მისი სამღვდელოება ფეხით სთელავს და ამცირებს იმ სჯულს, რომელსაც თვით დარაჯად უდგია! მეტად შფოთავს, ღელავს და დრტვინავს ქართველი საზოგადოება, რომელიც ამ სურათში ჰხედავს თვის სამღვდელოებას, მეტად პოპულიარულ დეკანოზებს – ცინცაძეს, თოთიბაძეს, ეპ. იოანნეს და სხვებს! თვით ეს „პოპულიარული“ დეკანოზები ვეღარ უძლებენ ამდენ მითქმა-მოთქმას და „ახერხებენ“, რომ თავიანთ სახეებზე – ლენტზე ქაღალდები დააფარებიონ, ეხლა აღარ სჩანან – ცინცაძე-ლაზარიშვილი-თოთიბაძე, ხოლო სჩანან მთავარ-ხუცესი ხახუტაშვილი, დეკ. ლუკაშვილი, ნიკო იეროდიაკონი სიონისა სახარებით ხელში! და ეპ. იოანნე ცხუმ-აფხაზეთისა! ცენტრალური ფიგურები ამ აწ „ისტორიულ“ სურათისა მიეფარენ! ესეც დამახასიათებელია მათი ადამიანობისა!

ამ სურათმა უნდა მოვლოს ჯერ მთელი საქართველოს პროვინცია, კავკასია, რუსეთი, ევროპა და ამერიკა! და გაიტანენ ჩვენს სახელს და ჩვენი ეკლესიის „დიდებას“ მთელს ქვეყანაზე!

მაგრამ კმარა! ბოტანიკურ ბაღში „წყლის კურთხევა“ – ეს ქრისტიანული სიწმინდის შებღალვაა! „ზურაბის“ კედლებში ჩაკირვის კურთხევა – ეს ჩვენი სჯულის შებღალვაა, ქრისტეს სჯულზე საზიზღარი ცილის-წამებაა; მღვდლის მიერ აღსარების გაცემა და ამისათვის ფულის აღება – ეს ჩვენს სამღვდელოებაზე ისტორიული სიყალბის გადმოტანაა, აგრეთვე ყმა-ობლებზე მღვდლის მიერ ვაჭრობა, ესეც საშინელი ცილის წამებაა ჩვენს „მოძღვარზე“! ხოლო ყოველივე ამ საშინელ დანაშაულობაში მონაწილეობისათვის ფულის – გასამჯელოს აღება – ეს ქრისტეს გაყიდვაა! ქრისტეს ხელახლა ჯვარცმაა!

ყოველივე ზემო აღნიშნულ მძიმე დანაშაულობაზე ქრისტიანულ ეკლესიას აქვს გამომუშავებული სათანადო კანონების მიერ ნაჩვენები სასჯელი! ამ კანონების მიხედვით სასტიკად და დაუზოგავად უნდა გასამართლებულ იქმნან ამ საქმის მომწყობნი, დამნაშავე პირნი. დროა ბოლო მოეღოს „გრუპპელების“ ასეთ უპასუხის მგებლობას! დროა ისინი ასეთ პრივილეგიურ სიმაღლიდან ძირს ჩამოვიყვანოთ, ჩავაყენოთ ისეთ ობიექტიურ პირობებში, რომ კვლავ ამისი მსგავსი რამ ვეღარ გაგვიბედონ! ესენი მუდამ პირდაყოფილნი უნდა იქმნენ ჩვენი ეკლესიის და სამშობლოს წინაშე! საზოგადოებაში თავი ვეღარ გაგვიყ-

ვია, ხმა ვეღარ ამოგვიღია, ყველანი ბურთსა გვჩრიან პირში! სამღვდელოების სახელით საზოგადოების წინ ვეღარ წარვსდგებით, „ძირსო“ – შეიძლება დაგვიყვირონ! სააგიტაციოთ გამოცემულმა „სურამის ციხის“ სურათებმა თავის მიზანს მიაღწიეს! ამა წლის 7 ნოემბრის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ნომერში, როდესაც კომუნისტებმა იდღესასწაულეს თავიანთ გაბატონების ხუთი წლისთავი, „ნარკომპროსის“ მეთაურმა მარიამ ორახელაშვილისამ დასტამბა ვრცელი წერილი ამ „განათლების“ უწყების მოღვაწეობაზე და სხვათა შორის აღნიშნა ისიც, რომ „ნარკომპროსმა“ შესძლო მოკლე ხანში ორი მშვენიერი სურათის „სურამის ციხის“ და „არსენა ჯორჯიაშვილის“ ეკრანზე გადაღებაო! ცხადია, ამ „მშვენიერ“ საქმიანობაში ხელი შეუწყვია დეკ. ცინცაძეს და კომპანიას“!

დეკ. შუბლაძის სიტყვა

ჩემს შემდეგ სიტყვა აიღო დეკ. შუბლაძემ! მან მოიწონა ჩემ მიერ „სურამის ციხის“ მოკლე კრიტიკული განხილვა-შეფასება! იზიარებს იმ აზრს, რომ დ. ჭონქაძე ტენდენციური მწერალია, მის მიერ აღნიშნული ბრალდებანი სამღვდელოებაზე არ შეეფერება სინამდვილეს. თვით „სურამის ციხეში“ სამღვდლოების 1 აგვისტოს გამოყვანაც მეტად სამწუხარო მოვლენად მიაჩნია მამა შუბლაძეს, მაგრამ ეხლა ისეთი დროა, რომ არ ღირს ამ საქმის გაქექა, გაღრმავება და გამწვავებაო! აქ ვინ არის დამნაშავე, როგორ და რის გამო მოხდა ეს ამბავი, ამის ძიება არ არის საჭიროო. შემდეგ მამა შუბლაძე შეეცადა მთელი ბრალდება ბოტანიკურ ბაღში სამღვდელოების წაყვანისა და იქ „წყლის კურთხევისა“ მთავარ-ხუცეს დიმ. ხახუტაშვილზე გადაეტანა ოსტატურად! მან დაუწყო ბოდიშების მოხდა მთავარ-ხუცესს, ეს რა მაგის ბრალიაო და სხვა. ამაზე უპასუხე შუბლაძეს ისევ მე: „მამა შუბლაძე ყველაზე ნაკლებად გამოდგება აქ მთავარ ხუცესის დამცველად თქო (ამათ შორის დიდი უსიამოვნება და განხეთქილებაა!), ჩვენ ვის ვხედავთ დამნაშავეთ და მამა შუბლაძე ვისზე გვითითებს თქო. მამა შუბლაძე, როგორც საკათ. საბჭოს ოფიციალურ წრეების წარმომადგენელი და მესაიდუმლე, თვით უნდა იჯდეს დამნაშავის სკამზე და მას უფლება არა აქვს ამაზე ილაპარაკოს თქო“...

ამაზე შუბლაძე მეტად დაიბნა: „მაშ, მე აქ ადგილი აღარ მაქვსო“, და წავიდა დარბაზიდან! მე მივაძახე: „სად გარბიხართ, მოითმინეთ, კიდევ ბევრს რასმეს მოისმენ თქო!“ მაგრამ წავიდა...

შემდეგ დაიწყო თავის-მართლება თოთიბაძემ – „მე სრულებით არა ვიცოდი რა, მოვიდა ჩემთან ღამის 11 საათზე დეკ. ფხალაძე და უსათუოდ უნდა დაგვესწროო, დაბეჯითებით გთხოვენო! მეც წამოველ და სრულებით არ ვეღოდი, ისეთ სირცხვილში ჩავვარდითო“! სრულებით არა სთქვა რა 11 ივნისის წირვაზე და ნადიმზე, გარდა იმისა, რომ „საზოგადოდ შევცდითო“! მე უპასუხე მას: „ეს დეკანოზი, ატყობთ, სულ ცოტას ლაპარაკობს, სულ მოკლედ მსჯე-

ლობს და ბევრს კი მოქმედებს თქო!..“ ამაზე დაიწყო ყვირილი, ახტა-დახტა! რაზედაც შევნიშნე: „იუპიტერი ცხარობს, ცხადია, ის მტყუანია თქო“.

შემდეგ დეკ. ცინცაძემ წარმოსთქვა სიტყვა: ის მოგვიყვა, თუ როგორ მივიდა მასთან გ. გოგიტიძე, როგორც საკათ. საბჭოს კანცელიარიის გამგესთან და გადასცა მას სურვილი კათოლიკოზის ნახვისა; კათოლიკოზი იმ ჟამად არ ბრძანდებოდა ქალაქში და დაუცადე თქო, უპასუხეო; კათოლიკოზის ჩამობრძანებისას ის გოგიტიძე ისევ მოვიდა ჩემთან, მე მაგას ვიცნობდი, როგორც ნაც.-დემოკრატს, მორწმუნე (?!) კაცს! ამან კათოლიკოზის კურთხევის სურათიც გადაიღო მცხეთაში, ეკრანზედაც აჩვენეს ხალხს ეს სურათი; მეგონა, ეხლაც ასეთ რაიმე სასიამოვნოს მოამზადებს თქო! ამაზე შევეკითხე: „ხო იცოდით, რო „სურამის ციხის“ დასურათება სურდათ და ნუ თუ ეს თქვენთვის საკმარისი არ იყო, რომ ასეთ სურათში სამღვდელოების შეყვანა შეუსაბამოდ მიგეჩნიათ?! ნუ თუ თქვენ არ იცით „სურამის ციხის“ ტენდენცია თქო“? „როგორ არა, – მიპასუხა დეკ. ცინცაძემ, – ვიცოდი, რომ „სურამის ციხის“ სურათში უნდა გადავეღეთ, მაგრამ ამ მოთხრობაში, როგორც წიგნში სწერია, საძრახისი არა არის რაო! აი, წიგნაკიც ხელში მაქვს, აქ სულ სხვანაირად სწერია, ხოლო სურათებში სულ სხვანაირად გამოუყვანიათო“! – მართალი ხართ თქო, – უპასუხე მე: მოთხრობაში სწერია – „პარაკლისი იხადესო“, თქვენ კი წყლის კურთხევა გამოგინახავთ „საბაბად“, ეს ხომ თქვენი დამატებაა მოთხრობაში და რატომ არ იფიქრეთ თქვენ, რომ მხატვრები სტრიქონებ შუაც წაიკითხავდენ, წიგნში დაუსრულებელ სცენას ანუ სურათს დაასრულებდენ და საზოგადოდ კინოს ლენტზე ამ სურათში დასამცირებლად-გასამასხარავებლად გამოგვიყვანდენ! ან რასა ჰგავდა თქვენი „წყლის კურთხევა“, ან რასა ჰგავდა ეპისკოპოსის ასე უბედურ მდგომარეობაში ჩაყენება?! ვინ გკითხავდა თქვენ ასეთ საქმეში ასე ცხარე მონაწილეობის მიღებას, ამდენ შრომის და თათბირის გაწევას! რა გამოქმედებდა თქვენ ამ საქმეში – ნუ თუ მართლა „ისტორიულ-პატრიოტული“ სურათის ჩუქება გწადდა საზოგადოებისათვის?! ეს ხომ ცოცხალი შეუსაბამობაა... – „შევცდი, მოდით და დამახრჩვეთ ეხლაო“! მე სხვას დამპირდა გოგიტიძე, და სულ სხვა გამოვიდა, გოგიტიძემ მოგვატყუილა, გვიღალატაო“!

კათოლიკოზის სიტყვა

კათოლიკოზმა ამ მსჯელობის დროს სამჯელ წარმოსთქვა სიტყვა, სამივეჯელ საცოდავი! ენა ებმოდა, პირში ნერწყვი უშრებოდა, არსებითად ვერა სთქვა, რა! ისიც იმას იძახოდა, რომ „მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მე შევცდიო, მევე ვაგებ პასუხს საეკლესიო კრების წინაშე, თქვენ კი ნება არა გაქვთ ჩემი გასამართლებისაო“! ამაზე დეკ. ვ. კარბელაშვილმა მიუგო: „მეტად შეურაცხყოფილად ვსთვლი ჩემს თავს, რომ კათოლიკოზი ნებულობს და სხვის აშკარა მძიმე დანაშაულს თავის-თავზე ღებულობსო! არა, ბატონო, ეს არ

შეიძლება, დამნაშავეს ჩვენ თქვენს ზურგს უკან ვხედავთ, დროა განთავისუფ-ლდეთ მათ შეგონებათაგან, თქვენ ორი კაცის კათოლიკოზი როდი ბრძანდებით, თქვენ საერთოდ ჩვენი მამათმთავარი ბრძანდებითო“!..

კათოლიკოზმა ისევ დაიწყო ლაპარაკი და ჩვეულებრივ ღონისძიებას მი-მართა: „ხო იცით, რუსეთში ვიყავ გაგზავნილი, დასჯილი... ხო იცით, რომ მე ყველასთვის კარგი მინდა, მე შეცდომაში შევედი...“ ეს „რუსეთში მისი გაგ-ზავნა“ სამჯელ-ოთხჯელ მოიხსენია, სრულებით არაფერს ესაბამებოდა ისე, ველარ მოვითმინე და მოვახსენე: „კმარა, თქვენო უწმინდესობავ, ვიცით, რომ რუსეთში გაისეირნ-გამოისეირეთ, მერე რა წააგეთ! სირცხვილია სულ ამაზე ლაპარაკი თქო“! მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. კათოლიკოზი ჩაჯ-და, ენა ჩაუვარდა! ამას აღარ მოელოდა...

შემდეგ დეკ. ცინცაძემ განაცხადა, რომ საკათ. საბჭომ მიიღო სათანადო ზომები, რომ ეს სურათი მოხსნილიყო ეკრანიდან, მაგრამ ეს ზომები უშედეგოდ დარჩაო! მოგვიტანა 22 ოქტომბრის თარიღის ჟურნალი საკათ. საბჭოისა, სადაც სწერია, რომ ეპ. იოანნემ საკათ. საბჭოში შეიტანა წერილობითი განცხადება, რომ კათოლიკოზის განკარგულებით მე ბოტანიკურ ბაღში წყლის კურთხევის შემდეგ სურათშიც გადაუღივარ, ეს სურათი „სურამის ციხე“ – დიდ აღელვებას იწვევს საზოგადოებაში და მიიღეთ ღონისძიება – მოიხსნას ის ეკრანიდანო!.. ამ განცხადებისა გამო კათოლიკოზი შემოვიდა საკათ. საბჭოში მოხსენებით, სადაც მათი უწმინდესობა იმეორებს დეკანოზ ცინცაძის სიტყვას – „ისტორიულ-პატ-რიოტულ“ სურათის ნაცვლად გ. გოგიტიძემ ასეთი დამამცირებელი, სჯულის შემბღალავი და სამღვდელოების გასამასხარავებელი სურათი მოგვცაო, მიიღოს საკათ. საბჭომ შესაფერი ზომები ამ სურათის ეკრანიდან მოხსნისათვისო! საკათ. საბჭოსაც „მიუღია სათანადო ზომები“... მიუწერია ცხარე კილოით საყვედურე-ბით და დანაშაულობის სწორი კვალიფიკაციით აღსავსე მიმართვა... გერმანე გოგიტიძისათვის! ასეთი უმწეობა, ასეთი ფუქსავატობა განა წარმოსადგენია?! ეს არის „სათანადო ზომა“?! განა გ. გოგიტიძეს შეუძლია ამ სურათის ეკრანიდან მოხსნა?! განა ეს საშინელი თაღლითობა არ არის იმავე ცინცაძისა! და... მარ-თლაც, გ. გოგიტიძეს მოუწერია საპასუხო წერილი. სამწუხაროდ, ეს წერილი აღარ წაგვიკითხა დეკ. ცინცაძემ, ზეპირად მოგვახსენა – „იწერება, მე არა შე-მიძლია რაო“! ოღონდაც! მას, რაც შეეძლო, ის „გააკეთა“ კიდევაც, მან ფულები დახარჯა, მოაწყო ეს საქმე, მას შველოდა კიდევ ვიღაც ბერიშვილი. ეკრანი და „აგიტ-პუნქტი“ კი ამათ როდი ემორჩილებათ! ეს, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, სხვათა ხელშია! და გოგიტიძე სრულ ჭეშმარიტებას ამბობს: „მე არა შემიძლია რაო“! საკათ. საბჭო კი ამას სთვლის „სათანადო ზომებად“! Sat!..

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამღვდლოებიდან არავინ ილაპარა-კა, გარდა დეკ. გ. გამრეკელისა! ეს წმ. ნინოს სასაფლაოს წინამძღვარი იყო, ლეონიდმა გადააყენა წინამძღვრობიდან ათასგვარ ბოროტ-მოქმედებისა და უსაქციელობისა გამო, მისს ნაცვლად დიმ. ხახუტაშვილი გადმოიყვანა წინამ-ძღვრად, გამრეკელი კი მეორე მღვდლად დასტოვა, იმ პირობით, რომ მალე

ადგილი უნდა მოენახა და წასულიყო იქიდან. მაგრამ დღემდე იქ არის და კათოლიკოზი უსისინებს მას ხახუტაშვილს, ჰპირდება, მაგას თუ რაიმე ბრალს მოვსდებთ, ისევ შენ აღგადგენ წინამძღვრადო. ამიტომ ეს მდაბალი „გოგია“ ცულლუტობს, კათოლიკოზის კალთას არ შორდება, ცინცაძე-თოთიბაძეს სულ თვალში უცქერის და აი, ამ დღესაც წარმოსთქვა სიტყვა მათი გასამართლებელი: „მე ჟურნალ მოამბეში სადღაც წამიკითხნია „სურამის ციხის“ განხილვა, სადაც ეს მოთხრობა მართლაც „ისტორიულ-პატრიოტულ“ შინაარსით გამოჰყავთო! და მართალიც არის ეს! მტრის შემოსევის მოლოდინში სურამის ციხის აშენება – ეს „ისტორიულ-პატრიოტული“ საქმეაო! ამაზე ყველას სიცილი აუტყდა! მე უპასუხე: „არ შეიძლება გვიჩვენოთ ის „მოამბე“, სადაც ასეთ მოჭორილ ამბებს სწერენ თქო?! ტყუილა ცდილობთ, ვერ გაათეთრებთ შავსა, ვერცა რას ამით გახდებით! რა საჭიროა ასეთი ზეპირი ლაპარაკი, აბა, ვინ დავიჯერებთ ამას თქო“.

შემდეგ ზემოაღნიშნულ მსჯელობათა რაიმე დასკვნა უნდა გამოეტანა სამღვდელოებას. მე განვაცხადე: „საჭიროდ მიმაჩნია ფარული კენჭის ყრა, აქ „გრუპპელების“ ბევრს ერიდება, ზოგს ეშინიათ კიდეც თქო. მაგრამ მოერიდნენ კათოლიკოზის გაშავებას და არ მიიღო მთავარ-ხუცესმა – თავმჯდომარემ – ფარული კენჭი: დაისვა საკითხი ასე: „გამორკვეულად სცნობს სამღვდელოება ამ საკითხს თუ საჭიროდ სთვლის ის გადაეცეს საეკლესიო კრებასო“. თითი ასწიეს დიდმა უმეტესობამ – გამორკვეულად ვსცნობთო. ოქმის შედგენა მიანდეს ამ თაობაზე დეკანოზებს: ზ. ლუკაშვილს, ბენიამენ კონტრიძეს (რომელიც ეხლა გადმოიყვანეს სოფ. პრიუტიდან თოთიბაძის „გაერთიანებულ“ ტაძრებში მეორე მღვდლად და დიდად ფეხებს ულოკავს კათოლიკოზსაც და სხვებსაც! რამოდენიმეჯერ შენიშვნა მომცა – კათოლიკოზი შენი სიტყვის საპასუხოდ ლაპარაკობს, ადექი შენცო! „არა, შენ ადექი, თუ გნებავს თქო! მე ლაქუცობის კბილი დიდი ხანია მოვიცვალე თქო“! გაშავდა ამ სიტყვებზე და ხმა ჩაკმინდა) და ახალციხიდან გადმოყვანილ მღვდელს ბენიამენ კანდელაკს, რომელიც რკინის გზის ეკლესიისათვის გადმოიყვანეს, მაგრამ ეს ეკლესია მთავრობამ გააუქმა, ხოლო დიდი მიხლა-მოხლის შემდეგ ეს მღვდელი მეორე მღვდლად მიუჩინეს კალოუბანში მოხუც დეკ. მათე მონასელიძეს, მის შემდეგ მას ჩარჩება ეს მრევლიც ხელში. ამიტომ ეს მღვდელიც ელაქუცება კათოლიკოზს და მისს მთავარ-ანგელოზნებს. კონტრიძემ განაცხადა – მე ერთ თვეში არ მეცლება, ჯერ ვერ ვიმუშავებ ამ ოქმის შესადგენადო! – უკეთესია, – უპასუხე მე, – ერთი წლის შემდეგ შეადგინეთ ოქმი, უფრო ჩაფუჩეჩდება საქმე თქო! აბა, ჩვენი გაკეთებული საქმე ვინ ნახა ან ვინა სთქვა თქო.

მე ვიტოვებ უფლებას, – განვაცხადე, – როდესაც მოვახერხებ და როგორც მოვახერხებ, ეს დიდი დანაშაული სჯულისა, ერისა და სამშობლოს წინაშე, რომელიც „სურამის ციხის“ დასურათებაში ჩაიდინეს, ვაცნობო ფართო საზოგადოებას, რომ მან იცოდეს, ყველანი არ ვიზიარებთ პასუხისმგებლობას ამ ღვთის საგმობ საქმეში და ჩემის მხრით დავგმობ ამ საქციელს; შევეცდები საეკლესიო კრებაზედაც გადავიტანო ეს საქმე გასასჯელად.

13 დეკემბერი – ოთხშაბათი

„სურამიადას“ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად „გრუპპელებმა“ ხელი ჩასჭიდეს რუსულ ჟურნალ „Живая церковь“ 8-9 ნომერში მოთავსებულ ცენტრალ კომიტეტის წევრთა სიაში მოხსენებულ იოსებ ჩიჯავაძეს, ამას ბრალს სდებენ ღალატში, რუსეთის „განახლებულ“ ეკლესიასთან კავშირისათვის; ამასთანავე წამოუყენებია მთელი ბრალდება თვით კათოლიკოზ ამბროსის და სხვათა შორის დაუსვამს საკითხი სამეგრელოში დეკ. კირილე ჯავახიას მიერ შექმნილ მოძრაობისათვის; ესეც ჩიჯავაძეს დაუკავშირეს; მე ამ კრებას არ დავსწრებივარ.

11 დეკემბერი – ორშაბათი

დღეს თათბირი გამართა ჩემს ბინაზე დეკ. ხახუტაშვილმა ჩიჯავაძის შესახებ. დაგვესწრნენ დეკ. ხახუტაშვილი, ვ. კარბელაშვილი, მიხ. ჯავაშვილი, ი. ტატიშვილი, დეკ. ჩიჯავაძე და მე. მთავარ-ხუცესმა შეკითხვა გაუკეთა ჩიჯავაძეს „Живая церковь“-ში მის მონაწილეობაზე, ამაზე ჩიჯავაძემ განაცხადა, რომ მან, როგორც კერძო პირმა, თვის ძველ ნაცნობ რუს დეკანოზების შეკითხვაზე პეტერბურგიდან თუ მოსკოვიდან, უპასუხა, რომ „მოწოდებაში“ ზოგ აზრს იზიარებს, ზოგს არა, შესწორებულ „მოწოდებაზე“ ხელი მოვაწერე, როგორც კერძო პირმა და გაუგებრობით მათ ცენტრალურ კომიტეტის წევრად გამოუცხადებივართო; მე გაზეთის საშვალებით ამ გაუგებრობას გავაქარწყლებ. მე მუდამ მოტრფიალე ვიყავი ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობისა, ვარ და ვიქნები, არავის არ მივცემ ნებას შემიბღალონ ეს ჩემი „მოღვაწეობაო“; ეს საბაბად დაიხვიეს ხელზე ჩემმა მტრებმა, რომ თავიანთი მძიმე დანაშაულობანი მიაფუჩეჩონო; მე ამ თაობაზე დასაბუთებულ მოხსენებით წარვსდგები თბილისის სამღვდლოების წინაშე ამ მოკლე ხანშიო. ისე კი მეტად საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი ეკლესიის გამოღვიძება, ეკლესია გვიკვდება ხელშიო; მე მომხრე ვარ ფართო რეფორმების შემოღებისა ჩვენს ეკლესიაში – დროისა და კულტურის მიხედვითო! მე ნებას არავის მივსცემ მოღალატეთა ბანაკში გადამაგდონო. ასეთ განცხადებაზე ხელი მოვაწერიეთ დეკ. ჩიჯავაძეს...

20 დეკემბერი – ოთხშაბათი. „ჩიჯავაძიადა“

საოლქო კრება – ერისკაცთა-სამრევლო საბჭოთა წარმომადგენელთა თანადასწრებით, მთელი თბილისის სამღვდელოება დეკ. ხახუტაშვილის თანადასწრებით; დაესწრო კათოლიკოზიც, იღუმენი ბოდბის მონასტრისა ნინო, მცხეთის არქიმანდრიტი პავლე, მისი მეორე მღვდელი დეკ. სუხიშვილი და სხვანი. კრებამ მოისმინა დეკ. ჩიჯავაძის ვრცელი მოხსენება მის „Живая церковь“-ში მონაწილეობაზე; მან განაცხადა იგივე, რაც 11 დეკემბრის ჩემს ბინაზე თათბირზე – უფრო ვრცლად

და დასაბუთებულად; მოხსენების ბოლოში მოჰყავს პროფ. ალ. ცაგარლის წერილიდან პროფ. ა. ხახანაშვილის სახელზე მეტად დამახასიათებელი ადგილები „გრუპპის“ მოღვაწეობაზე, ეს წერილი დაწერილია 1912 წლის 21 მაისის თარიღით, როდესაც ჩვენი ცნობილი ექსარხოსი ინოკენტი ბატონობდა, სწორედ 1912 წლის 21 მაისს გამომიცხადა მე მისი რეზოლიუცია დიდუბიდან ანჩისხატში გადაგდებაზე. ამ დროს კი დეკ. ცინცაძე პროექტებს გზავნის თურმე პეტერბურგში და ცნობილ დეკ. ვოსტორგოვთან ერთად მოითხოვს ჩვენშიდაც რუსულ სამიტროპოლიტო ოლქის დაწესებას, რაც 1906 წელს ჰქონდათ ხოლმე წამოყენებული. ეს დოკუმენტი ისევ უჩვენეს თურმე პროფ. ცაგარელს პეტერბურგში, პროფესორი სწერს ხახანაშვილს: „რუსის სამღვდელოება თავის საქმეს იკეთებს, ჩვენზე არავინ ჰფიქრობს! თავიანთვის პატრიარქი სურთ, ჩვენთვის მიტროპოლიტი, როგორც ეს „ვოსტორგოვის და ცინცაძის“ პროექტებში სწერიაო! „ციხე შიგნიდან გატყდება“, ეტყობა, ჩვენი სამღვდელოება ერთ პირზე არა სდგასო“ და სხვა...

შემდეგ შეადგინეს ოქმი ჩიჯავაძის განცხადებაზე, ამანაც ხელი მოაწერა, რომ პრესის საშვალებით უარს ჰყოფს თვის რუსეთის განახლებულ ეკლესიის წევრობაზეო...

საინტერესო იყო – როგორ უმტკიცებდენ ჩიჯავაძეს – შენ სეკტემბერში მოსკოვში გაიპარე და იქ მოაწყვე ეს საქმეო; ბრალსა სდებდა და იძიებდა ამას დეკ. ცინცაძე, ფეხ და ფეხ სდევდა ის ჩიჯავაძეს, სცდილობდა, რაიმე წინააღმდეგ ჩვენებაში დაეჭირა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ცინცაძემ განაცხადა, რომ ზაქარია ფალიაშვილმა გადმომცა, რომ მის ძმას დეკ. ჩიჯავაძე როსტოვის სადგურზე უნახავსო! ამაზე ჩიჯავაძემ ამოიღო ჯიბიდან ფალიაშვილის წერილი, რომელიც რუსეთში ყოფილა. ეს სწერს, რომ ჩემი ძმა ზაქრო შემცდარა, მე როსტოვში ვნახე თქო როდი მითქვამს, მე ფოილოს ხიდის იქით განახე და ამის შემდეგ არ გასულა ოთხი დღე, რომ მე და ჩემი მეუღლე შენთან სადილზედ ვიყავით ნავთლუხშიო“! ამ წერილზე ცინცაძემაც წერილი ამოიღო ზაქრო ფალიაშვილისაგან: „მართალია, ჩემი ძმა ეხლა ამბობს – ფოილოს ხიდს იქით ვნახე დეკ. ჩიჯავაძეო, მაგრამ პირველად კი სთქვა – როსტოვის სადგურზე ვნახეო“! ასეთი შფოთი ჩამოუგდიათ ძმებ შორის (ესენი ქართველი კათოლიკენი არიან, მემუსიკენი – „აბესალომ და ეთერის“ ავტორია ზაქრო), ასეთი, მეტი რო არა ვსთქვათ, ძლიერ ულამაზო „სისკი“ – ეს ჟანდარმების საქმეა! ყოველ შემთხვევაში ამ „წერილების“ ერთმანეთთან დაჯახებამ, ფორმალურად მაინც ჩიჯავაძე გაამართლა – ის, ვინც რუსეთიდან მოდიოდა, ამბობს, მე ფოილოს ხიდს იქით ვნახე ჩიჯავაძე, ჩემ ძმას ვერ გაუგია, ვინც ფოილოსკენ იზამს პირს, იმაზე ასე ვამბობთ ხოლმე: „რუსეთს წავიდოდაო“! შესაძლებელია ჩიჯავაძე მართლაც იყო მოსკოვში, მართლაც ითათბირა „Живая церковь“-ის ცენტრალ კომიტეტთან, მაგრამ მას ერთი რომ არავითარი მანდატი არ ჰქონდა საქართველოდან, მეორე – ის პერსონალურად იზიარებს „ცოცხალ ეკლესიის“ ზოგ აზრებს და ამის დაშლის უფლება არავის აქვს, ეს იქნებოდა ადამიანზე ჯალათობის გამოცხადება.

მე ვრცელი სიტყვა წარმოვსთქვი ამ თაობაზე: ჯერ აღვნიშნე, რომ რაზე

დასჭირდა მამა ცინცაძეს ასეთი კვლევა-ძიება – სისკი – ჩიჯავაძე იყო თუ არა მოსკოვში! ამ საკითხს ერთი აზრი აქვს მხოლოდ – რატომ არ აიღო მან ამ თაობა-ზე შვებულება კათოლიკოზისაგან (ჩიჯავაძე აცხადებს, რომ მან შვებულება ითხოვა იმხანად წყალ-ტუბოს აბანოებზე წასასვლელად მთავარ-ხუცესის საშვალებით, მაგრამ ამან უარი უთხრა – კათოლიკოზს სთხოვე, შენ გამოძიების ქვეშა ხარო, ცხადია არც კათოლიკოზი მომცემდა შვებულებას, რომელმაც ამ საარაკო და გაუთავებელ გამოძიებაში ჩამაბა და ჩამბორკა, ეხლა ადამიანის ასე შებორკვა – არ ვიცი ამას რა სახელი უნდა ეწოდოსო!), კათოლიკოზი არ დაუ-ჭერდა მას შვებულებას! და მაინცა და მაინც ის „ჟივაია ცერკოვის“ კომიტეტში მიდიოდა მოსალაპარაკებლად, ადრე თუ გვიან ეს ხო გამომჟღავნდებოდა და რა აზრი ჰქონდა ასეთ „გაპარვა-მალულობიას“! ბატონებო, ამ „მოსკოვში წას-ვლისა გამო“ ჩიჯავაძეს სასჯელიც კი დაადეს თურმე (აეკრძალა მას ღვთის მსახურება), მაგრამ ეს სასჯელი აღარ მიაყენეს მას, თვითონვე მოხსნეს. არ-სებითი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს – იყო თუ არა ჩიჯავაძე მოსკოვში, აქ მნიშვნელობა აქვს მის მიერ კატეგორიულ განცხადებას, რომ მისი გვარი „გა-უგებრობით“ აღუნიშნავთ კომიტეტის სიაში, მას ამის უფლება არავისთვის მიუცია, ის არც არის წევრი „ცოცხალ“ რუს ეკლესიისა და არც იქნება, ის ამას პრესის საშვალებითაც განაცხადებს. მაშასადამე, ეს საკითხი გამორკვეულია. არავინ იფიქროს, რომ მე ვექილად უდგივარ ჩიჯავაძეს ამ შემთხვევაში, მას, როგორც დაინახეთ, არავითარი ვექილიც არ სჭირდება, ის თვით ბრალსა სდებს თვისს მოწინააღმდეგეთ და სასტიკ ბრალსაც სდებს, თქვენ განგებ ასტეხეთ ჩემს გარშემო ეს „განგაში“, რომ თქვენი მძიმე დანაშაულობანი მიაფუჩეჩო-თო! მართალიც არის, „სურამიადას“ მომწყობნი როგორ უნდა ასამართლებდენ ვინმეს! „Живая церковь“-ს ამისი მსგავსი, ასეთი სასირცხო არა ჩაუდენია რა! რამდენადაც სამი-ოთხი ნომერი წავიკითხეთ ამ ჟურნალისა, იქ საძრახისი ვერა ვპოეთ რა, პირიქით, ბევრი მეტად დამახასიათებელი აზრებია შიგ მოყვანილი და უქმი-მკვდარი-დესპოტი იერარქები გადაუყენებიათ, ბერობის აღქმაც სურთ – თეთრ ეპისკოპატის აღდგენა და ასეთი საკითხები. მაგრამ ასეთ საკითხებს თვითონ როდი სწყვეტენ – საეკლესიო კრებისათვის ამზადებენ მოსახსენებ-ლად! ერთი სიტყვით, რუსეთის ეკლესიაში დღეს მოძრაობენ, მოქმედებენ და, როგორც თვით დეკ. ცინცაძემაც განაცხადა, ამას წინეთ იქ ოთხი მიმართულე-ბის ეკლესიები ჩამოყალიბებულა: „Живая“, „Обновленческий“, „Возрожденіе“ და „Тихоніанская“! ცინცაძის სიტყვით ყველა ეს მიმართულებანი ირყევიან, იშლება „Живая“ ეკლესიაც, მაგრდება და წელში სწორდება „ტიხონიანსკაია“ ეკლესიაო, – ეს ერთნაირი კმაყოფილებით განაცხადა მამა ცინცაძემ! მაშ, რაშია საქმე?! თუ „ჟივაია ცერკოვი“ იხრწნება, მისი მეთაურები მიიფანტ-მოიფანტენ, ზოგი გასულა კიდევაც ამ ორგანიზაციიდან, ცხადია, რომ „ჟივაია“ ცერკოვიდან ჩვენ განსაცდელი როდი მოგველის, მაშასადამე, არც დეკ. ჩიჯავაძის „გაცოცხლე-ბიდან“ მოგველის საფრთხე, მაგას რუსეთის ეკლესიისაკენ არავინ გავყვებით, თუ ეს იფიქრა მაგან, ძლიერ შემცდარა და დაუშავებია კიდეც! ჩვენ მოგველის

საფრთხე და დიდი საფრთხე – „ტიხონიანსკაია“ ეკლესიიდან! ბატონებო, ეს ის „ტიხონ პატრიარქია მოსკოვისა“, რომელმაც კათოლიკოზ კირიონის დროს ჩვენს იერარქებს მიმართა შავრაზმული მოწოდებით – არც გცნობთ თქვენ ეპისკოპოსებათ, სანამ არ დაუბრუნდებით თქვენს მაკურთხებელ რუს ეკლესიის მორჩილებასო, არ სცნო მან ჩვენი ავტოკეფალია მაშინაც კი, როდესაც სინოდს თვით ცა დაეცა თავზე, მთელი რუსეთი მოუპირქვავდა და მოვიდა ის „ქამი“, რომელზედაც სწერდენ რუსეთის გამოჩენილი მწერლები – მერეჟკოვსკი – „Грядущій Хам“ – „მომავალი ქამი“ – წინეთ დოსტოევსკი, კუპრინი და სხვები! ეს „ქამი“ მოვიდა და ჰქმნა მან თვის „შავი საქმე“ იქაც და აქაც!.. ტიხონმა ჩვენ „სხიზმატიკებად“ გამოგვაცხადა, ადგილობრივი რუსის სამღვდელოება ჩვენთან აღარ არის ურთიერთობაში, ადგილობრივი მართლმადიდებელი რუსის საზოგადოებაც – ანუ ყოფილი „ჭეშმარიტი რუსები“ – ესენიც ჩამოგვშორდენ, მაგრამ ჰაერში როდი გამქრალან, ესენი უყურებენ მარჯვე დროს, რათა პოლიტიკურ გაბატონებასთან ერთად ეკლესიურადაც გაგვიბატონდენ! ხოლო სინოდალურ ანუ „ტიხონის“ ეკლესიასთან მახლობელი კავშირი და სულიერი ერთობა ჰქონდა „გრუპპას“ ჩვენი მღვდლებისას და, ამიტომ მოსალოდნელია, რომ დღეს ჩვენზე გაბატონებული „გრუპპელები“, რომ „საქმე წახდეს“, ისევ ტიხონისაკენ გადაბრუნდებიან! ლეონიდე კათოლიკოზის ჟამს – ტიხონის „посланіе“-ზე საკათ. საბჭოში შემუშავებულ იქმნა პასუხი – პატარა წიგნაკით – მგონი, ეს „პასუხი“ დეკ. ცინცაძემ შეადგინა, და შეადგინა კარგადაც, დავსძენ მე, მაგრამ 1906 წელში ის „ისე“ სწერდა („Мненіе группы священников“), ლეონიდის დროს „ასე“, ვინ იცის „ტიხონიანების“ ჩვენზე გასაბატონებლად ის რას დასწერს?! ჩვენ ამისი გარანტია არა გვაქვს რა! ესენი ყველაფერს თვისი პირადი კეთილდღეობის და გემოვნების საზომით აკეთებენ! აი, ბატონებო, ჩვენ აქედან მოგველის ისევ საფრთხე. 1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტ.) ავტოკეფალია თითქოს ქუჩაში ეგდო და ისიც ძლივს ავიღეთ ხელთ! გვიხაროდა ყველას შემდეგ, ფართოდაც მოიკალათეს შიგ „გრუპპელებმაც“ განსაკუთრებით! ის კი არავინ იფიქრა, რომ დიდ რევოლიუციას რუსეთში და ჩვენს ავტოკეფალიას თუ დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას უკან მოსდევდა ის „ქამი“ – სოციალიზმის, კომუნიზმის, მატერიალიზმის, უღმერთოების, უსჯულოების, უზნეობის სახით! აი, ამის მოლოდინში უნდა დავრაზმულიყავით ახლად განთავისუფლებულ ეკლესიაში! მაგრამ... „ჯერ დათვი არ მოგვეკლა, დათვის ტყავს შეუდგნენ გასაყოფად“! მოიგონეთ კირიონ კათოლიკოზის გარშემო ატეხილი უკუღმართობა, ქუთათელი ანტონი, თვით ლეონიდის დროსაც და დარწმუნდებით ყველაფერში! ბევრი გემუდარეთ ყველას, ბევრი თავი მოგაწყინეთ, მაგრამ დავრჩი მარტოდ, გარიყული და ბოლოს 1920 წელს 2 იანვარს – „გრუპპელებმა“ მომიხერხეს საქმე ისე, რომ საკათ. საბჭოს გამოატანიეს ჩემზე რეზოლიუცია: „დეკ. თალაქვაძეს არა აქვს ზნეობრივი უფლება საკათ. საბჭოში წევრად დარჩესო“ და... მეც გავეცალე, გავშორდი, აღარაფერში აღარა ვარ მას შემდეგ...

გამოიტანეს ჩიჯავაძეზე ოქმი – განაცხადოს პრესაშიო, რომ ის არ არის

არც „Живая церковь“-ის ცენტრალურ კომიტეტის წევრი და არც რუსის ეკ-ლესიის რომელიმე სახის წევრი, გამოაცხადოს ეს პრესაშიც! ეს ერთხმად მიღებულ იქმნა, ყველამ ხელი მოვაწერეთ ოქმს, ჩიჯავაძემაც ხელი მოაწერა. შთაბეჭდილება კი ისეთი დარჩა, რომ ის მოსკოვშიც იყო, იმ კომიტეტის წევრა-დაც შევიდა და ამათი გამოჯავრებული, ვინ იცის, კიდევ რას არ ჩაიდენს, თუ მოახერხა! არ არის ეს სანდო პირი! მეტად ფუქსავატი ადამიანია – ამყოლი და დამყოლი. ამას ეხლა აეტმასნა ლეონიდე კათოლიკოზის ძმა – დეკანოზი ილა-რიონ ოქროპირიძე, ყოფილი სამხედრო პირი, კაცი მეტად უვიცი, თუმცა სემი-ნარიელია, განუვითარებელი, სულ რუსებში მსახურებდა, ცოლიც რუსი ჰყავს, შვილები გარუსებული და გაბახებული; ძმის კათოლიკოსობის დროს ვიღაც რუს კომანდირებს თავისი თავი „მიტრაზე“ წარმოადგენია, მაგრამ მაშინ ეს ჩა-უშალეთ; ვერ „შესაფერი“ ადგილი ნახა თბილისში (უსათუოდ „თბილისში“!) და გაჯავრებული სტავროპოლის ეპარქიაში გადავიდა მღვდლად – „ცოლოურს“, ცოლ-შვილი კი თბილისში დაჰყარა... ეხლა ესეც „Живая церковь“-ით ემუქრება კათოლიკოზ ამბროსის, ჩიჯავაძეს ამოუდგა გვერდში და მრევლშიც, ნაცვლად დღემდე „ჩეკაში“ მჯდომ მღ. გ. კალანდარიშვილისა, რომელსაც „მენშევიკე-ბის“ სასარგებლოდ ფულის გროვება დაუმტკიცდაო! ეს ოქროპირიძე ამ მოკლე ხანში მოსკოვ-პეტერბურგშიც იყო და დაბრუნდა... სიძე გარდამეცვალაო! არ ვიცი, რა ფულებით დადიან ეს კაცები რუსეთში! – ჩიჯავაძემ ამას წინეთ მომ-წერა – ამ ილარიონის პირით მოქმედებს ეხლა „Живая церковь“, მე რო უარი განვაცხადეო! ამისათვის დაუბარებიათ კათოლიკოზ ამბროსისთან – რუსებს დაუდგინე ქორ-ეპისკოპოსი, ან რუსი, ან შენ თვითონ უკურთხეო! „ბერძნები“ კი მოითხოვენ კათოლიკოზიდან დიმიტრი მთავარ-ეპისკოპოსს – რუსს, რომელიც წინეთ ილარიონ ოქროპირიძეს ჩამოჰყვა რუსეთიდან, თითქოს საზღვარგარეთ უნდოდა წასვლა და... ბათუმიდან აღარ გაუშვა“ კომუნისტურმა მთავრობამაო! უფრო ნამდვილი კი ის უნდა იყოს, რომ ეს დიმიტრი ბათუმის ბერძნებმა და რუსებმა, რომელნიც მეტად აღშფოთებულნი არიან ჩვენი ეკლესიის მოუწყებ-ლობით ბათუმში, რომელიც (ბათუმი) წყეულ დეკ. არსენ თოხაძეს მისცეს თოთიბაძე-ცინცაძემ სათარეშოთ, ჩაიგდეს ხელთ ბათუმის ახალი ყოფილი სამხედრო ტაძარი, რუსებს არც ერთი ეკლესია აღარ შეანარჩუნეს, დეკ. რალ-ცევიჩი – ეს დაუძინებელი მტერი დეკ. თოხაძისა, სადღაც გოსპიტლის ეკლესი-აში შეფარებულა თვისი რუს მრევლით, დღეს ელოდება მარჯვე მომენტს, რომ ისევ გამოსტაცონ ქართველებს ყოფილი სამხედრო ტაძარი ბათუმში, როგორც ამას უთვალთვალებენ რუსები თბილისში! ეხლა ბათუმში დეკ. არს. თოხაძე ეჭიდავება მეორე მღვდელს ბათუმისას მიხ. ჩხიკვაძეს. ეს ეხლაც „ჩეკაში“ უზის თოხაძეს ბათუმში, აქედან ხელს უწყობენ თვისს „ფალავან“ – ამხანაგ არსენს! ბათუმში ქართველობამ ამ 30 წლის წინეთ დაიწყო საკუთარი ეკლესიის შენება, კედლები კი ააშენეს, სანამ ეს საქმე მღ. ჩხიკვაძეს ჰქონდა ხელთ! შემდეგ ამას მოსდეს შარი, ხელიდან გააგდებიეს ეს საქმე, და დღემდე ისე სამარცხვინოთ არის დაგდებული ეკლესიის კედლები, ვეებერთელა ეზოთი! ამას წინეთ არს.

თოხაძე დაჰპატრონებია – მე ავაშენებ, მე დავასრულებ ამასო! მაგრამ ერთი ქვაც არავის დაუდვია ამ შენობაზე მის ხელში! ესენი „მზა-მზარეულ“ რუსის ტაძრებს ეცნენ! მაგრამ თუ ეხლა ეს ხელიდან გამოსტყუეს – სულ ცარიელ-ტარიელნი დარჩებიან! ასეთი უთავ-ბოლო „საქმიანობით“ ჩვენი „გრუპპელები“ მეტად სამწუხარო და სამარცხვინო მდგომარეობაში აყენებენ ჩვენს ეკლესიას! ბათუმი – ეს ჩვენი ფანჯარა ევროპაში – უფრო მეტ ყურადღების ღირსი იყო ეკლესიურადაც! ეს სამისიონერო პუნქტია! ეს აჭარა-ქობულეთის და სამაჰმადიანო საქართველოს ჭიპია! ვინ არის ეს არსენ თოხაძე! ეს ფოთის საკათედრო ტაძარში დამიხვდა მე „კლიუჩრად“ ანუ კანდელაკად, როდესაც აწ განსვენებულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა მიმიწვია 1902 წელს კათედრის დეკანოზად! ისეთი დღე დამაყენა ამ „კლიუჩარმა“, რომ ერთი წელიწადიც ვერ გაუძელ მას და მისს თანამოსაგრეს – საეპარქიო კანცელიარიის მდივანს – ლეონტი ჩაჩანიძეს. ესენი ჰგლეჯდენ და სწეწდენ გურია-სამეგრელოს, მხცოვან ალექსანდრეს ზურგს უკან რას არ სჩადიოდენ!.. ბოლოს ეპ. ალექსანდრეც გადააყენეს, 1903 წლის ნოემბერში, მეც მაშინვე დავსტოვე ფოთი და დიდუბეში გადმოველ! ხოლო იქ ეპ. დიმიტრი აბაშიძე – ცნობილი რენეგატი – გაგზავნეს თბილისიდან ალექსი ექსარხოსმა (I) და დეკ. ვოსტორგოვმა. მაშინ კათედრის დეკ. სამხედრო უწყებიდან ინგილო ტარასი ივანიცკი (ფლიდი და გარყვნილი) დანიშნეს. მაგრამ დეკ. თოხაძემ ამასაც მალე აუკრიფა გუდა-ნაბადი და თვით ეპ. დიმიტრიც იძულებული ჰყო გადაცმული გაპარულიყო ფოთიდან რუსეთში!.. დიმიტრის შემდეგ ფოთში ეპისკოპოსად გიორგი ალადაშვილი გაგზავნეს. ამის ხელში თოხაძემ კათედრის დეკანოზობა ჩაიგდო ხელში და გაბატონდა! თვით თოხაძე არის სემინარიელი, ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ მეტად ბოროტი, შურით და გესლით გატენილი, ზედ მიწევნით გარყვნილი, ცოლს მუდამ სცემს-სტყეპს, რამდენჯელ სახრჩობელადან გამოხსნეს მისი ცოლი! მექრთამე, ლოთი და ყოველივე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი! ეს კაცი კი არის ცინცაძე-თოთიბაძის სკოლის ამხანაგი, ამათგნით მეტად გამაგრებული და მხარ-მიცემული!.. შემდეგ ლეონიდი ეპისკოპოსი ქუთაისიდან ფოთს გადააგდეს ნიკონ ექსარხოსის მოკვლის შემდეგ, ხოლო გიორგი ქუთაისში! ეხლა ლეონიდს გაუშრო სისხლი თოხაძემ! და ომის გამოცხადებამდე – 1913-14 წლებში, აღდგომა დღეს დეკ. თოხაძე დანით გამოუდგა დასაკლავად თვისს კანდელაკს – მღ. ვარლამ მახარაძეს (დეკ. თოთიბაძის სიძეს), მაგრამ მახარაძე გადაარჩინეს სიკვდილს! ეს ამბავი მოხსენდა ქუთაისის გუბერნატორს, მთელს მთავრობას, მახარაძე თოთიბაძემ სადღაც გოსპიტლის მღვდლად წამოიყვანა ყარსისკენ, თოხაძე ერთხანს უადგილოდ იყო, მაგრამ ისევ „მეგობრებმა“ ბათუმში უშოვნეს მას ადგილი, რუსი დეკანოზი რალცევიჩი განადევნინეს და ის „გაამეფეს“ დღეს ბათუმში და როგორც ქვემოდაც დავინახავთ, ეს თოხაძე „ბათუმ-შემოქმედის“ ეპარქიას გვიარსებს ეხლა ბათუმში, იქ გადაჰყავს დეკ. კირილე ჯავახიადან განაწყენებული დავით ეპისკოპოსი!... რა სიკეთე და რა მადლი ღვთისა უნდა მუშაობდეს ჩვენში!..

25 დეკემბერი

დღეს დილით დეკ. ჩიჯავაძე შემოვიდა ჩემთან, ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა მთავარ-ხუცესი დეკ. ხახუტაშვილიც! ჩიჯავაძემ, მეტად აღელვებულმა, გვიამბო შემდეგი: „21 დეკემბერს – ამ ჩემ თაობაზე კრების მეორე დღეს, თვის კანცელიარიაში დამიბარა მდივანმა დ. დავითაშვილმა, შუადღის ორი საათისთვის. შეველ კანცელიარიაში, იქ დამიხვდა ერთი მაღალ-მაღალი ხმელ-ხმელი კაცი, დავითაშვილი ჯერ იქ არ იყო; ეს კაცი შემეკითხა: „დეკ. ჩიჯავაძე შენ ხარო“?! პირდაპირ ასე „შენობით“! – დიახ, მე გახლავართ თქო, – უპასუხე. „შენ რა გინდა, რუსების ეკლესიებს რო ემხრობი, რად ჰღალატობ ჩვენს ეკლესიას, ჩვენს ერსო“?! მე ათ-თორმეტჯელ ვარ დაჭერილი, თავი გადადებული მაქვს, მე არავისი არ მეშინია, მე ტერრორისტი ვარ, არც სახელსა და გვარს დაგიმალავ – ვახტანგ ჯიქია ვარო! ცოცხალს არ გაგიშებო“! ამ დროს დავითაშვილიც შემოვიდა! ჩემთვის გამოირკვა, რომ ეს მოწყობილი საქმეა კათოლიკოზისაგან და დავითაშვილისაგან! ეს მეგრელი ჯიქია შემომიჩინეს და თუ რაიმე მომივიდეს, იცოდეთ მაინცო! მეც არ დავრჩი უკაცრავად და უპასუხე: „ტყუილი მოუჭორებიათ თქვენთვის! მე არც ვარ, არც ვყოფილვარ და არც ვიქნები ჩვენი ეკლესიისა თუ სამშობლოს მოღალატე! რაღაც გაუგებრობა გამოვიდა ჩემ შესახებ „Живая церковь“-ში, ამ თაობაზე კრების წინაშე უკვე წარვსდექი და გამოვარკვიე ეს გაუგებრობა, დღეს გაზეთ „ტრიბუნაშიდაც“ განვაცხადე ამ თაობაზე იგივე! ასე რომ სატერორო მე არა ჩამიდენია რა და არც ვისიმე მეშინია. თუ თქვენ კარგი ვაჟკაცი ბრძანდებით, დავიჯერო ჩემს მეტი სხვა „მოღალატე“ დღეს ვერ იპოვნეთ საქართველოშიო?! ან რატომ ხმას არ იღებთ „სურამის ციხის“ სურათებით რომ ღალატზე მეტი ღალატობა ჩაიდინა კათოლიკოზმა და მისმა დამქაშებმაო?! აი იქიდან, ზევიდან – მიუშვირე კათოლიკოზის ბინას ხელი, – ბრძანდებით თქვენც შემოჩენილი თქო“, – უთხარი მე და წამოველ“! ეს ყოველივე ითქვა მთავარ-ხუცესის თანადასწრებით! მეტად განცვიფრებულნი დავრჩით ყველანი! აი, ჩვენი ფალავნები! დავითაშვილი – მეკრივე, ჯიქია ტერრორისტი! მოდით და ამის შემდეგ ნუ იფიქრებთ, რომ ამათ კირიონის მოკვლაც მოაგვარეს, ანტონ ქუთათელის მოწამვლაც, მირიან-არმაზელ ბერის „ყაჩაღების“ მიერ დაფლეთ-დაგლეჯა და უბედურ მღ. ბაკურაძის რევოლვერით განგმირვა – მეორე საეკლესიო კრების გახსნის წინა ღამით! ესეც ბევრი რამ უბედურების მომასწავებელია! როგორ გაგვიწყრა ღმერთი!..

დღესვე გავიგეთ, რომ დავით ეპისკოპოსი ჩამოსულა თბილისს, ის გამოაგდეს მეგრელებმა ფოთიდან, ეპარქიიდანო! ნაზარსაც უპირებენ ეპარქიიდან დათხოვნასო!.. იწყება რღვევა ჩვენშიაც! მაგრამ გამოგდებულ დავითს ბათუმში გაუხსნეს „ბათუმ-შემოქმედის“ კათედრა და ამის ფაცა-ფუცში არიან! მეგრელებს ცალკე ეპარქია გაუხარდათ, ქვრივი დეკ. კონდრატი ჩაჩიბაია უკვე ეკურკურება დეკ. შუბლაძეს, ჭყონდიდლობისათვის ემზადება... დეკ. ი. ბო-

ბოხიძეც ჩამოიჭრა ფოთიდან (ეს კანდელაკია), „ფოთში დარჩეს კათედრაო“, ცდილობენ... აი, საქმიანობაც!..

ალავერდელზე. 26 დეკემბერი – სამშაბათი

საღამოთი ერთ სამღვდელო პირს გამოცდა დავაჭერიეთ, დაგვესწრო კათოლიკოზიც, დეკ. ცინცაძე, ფხალაძე, მე და ეფრემ ბერი! თუშებისათვის ამზადებენ ამ სამღვდელო პირს. გამოცდის შემდეგ „გავიბაასეთ“! ეტყობათ, ძლიერ ეშინიათ ეკლესიაში „მოსალოდნელ არევ-დარევის“. „დეკ. ჩიჟავაძე რო არ იყო მოსკოვში, შენ ამაში დარწმუნებული ხარო“, – შემეკითხა ცინცაძე! – რა ვიცი მე?! ვინ მიხვდება ჩიჯავაძის ან შენს ასავალ-დასავალს! მაგრამ მოსკოვში ყოფნა-არ-ყოფნას, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს! აკი განაცხადა ჩიჯავაძემ – „რომც ვყოფილიყავი მოსკოვში, მერე რაო“?! მაგრამ რა უნდა ვსთქვა... კმარა...

შემდეგ ჩამოაგდო კათოლიკოზმა ალავერდის ეპარქიაზე: „აღშფოთებით“ განაცხადა: „ამ კაცმა, მიუთითა დეკ. ფხალაძეს, სულ ცოტა ხნით იარა უანაფოროთ, დავით ეპისკოპოსისათვის ეს განუცხადებია გორში, სამების ეკლესიაზედაც ყოფილა მიწერილი, ანჩის ხატშიაც თუ რამე შედიოდა, სწირავდა და ლოცულობდა, ასეთ ადამიანზე განაცხადა პროტესტი ნაზარ-ქუთათელმა და თვითონ კი არქიმანდრიტი ნიკოლოზი წამოაყენა! ეხლა ორთავეზე უარი განაცხადეს კახეთში და ახალი კანდიდატები დაასახელესო“! „თუ საიდუმლოებას არ შეადგენს, – ვთხოვე მე კათოლიკოზს, – ჩვენც გვაცნობეთ, ვინ არიან ეს კანდიდატები თქო?!“ – ერთი დავით ეპისკოპოსიაო, – მიპასუხა კათოლიკოზმა და დაურთო, – მაგრამ დავითმა განაცხადა: „იმ პოდლეცებთან როგორ წავალ, ჯერ დაასახელეს ფხალაძე და შემდეგ არ ჰყვესო“!.. მეორე ქრისტეფორე ურბნელი, მესამე არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი). არა სთქვა რა არქიმ. პავლეზე, რომელიც სამი კვირის განმავლობაში ატარეს კახეთში ფხალაძისათვის ძირის გამოსათხრელად!.. ქრისტეფორეზე მე განვაცხადე: „ჯერ „მანგლელად“ გყავდათ, ეხლა „ურბნელად“ გაგზავნეთ, კაცს არც კი დაუწყია ჯერ სამსახური, ეხლა შეუდგა მხოლოდ და კახეთში უნდა წავიდეს?! ეს ხომ უკანონობაა! ეპისკოპოსის ეპარქიასთან შეუღლება ეს ცოლ-ქმრის შეუღლებად არის დასახული საეკლესიო კანონებში! მაშასადამე, ეპისკოპოსის ერთი ეპარქიიდან გადაყვანა მეორეში უნდა ხდებოდეს დიდად საპატიო მიზეზებით, საქმის და სჯულის სასარგებლოდ და არა ეპისკოპოსთა პირად ინტერესებით, რომ მან უმჯობესი „საძოვარი“ მოიპოვოს! ეპისკოპოსს თვით უნდა გაჰყავდეს „საძოვარზე“, როგორც ეს არის დასახული სახარებაში „კეთილ მწყემსზე“! თუ ერთხანს ვიცოცხლე, ბევრს რასმე მოვესწრები კიდევ, რასაკვირელია, არა კარგს და სასიამოვნოს. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ ყველას...

გამოვეთხოვეთ კათოლიკოზს. ხვალისათვის – 27 დეკემბრისათვის – თბილისის სამღვდელოების კრებაა მოწვეული – საკათ. საბჭოს მიერ გამოცემულ 1922 წლ. ოქტ. 19-ის სხდომის №47 ჟურნალის დადგენილების განსახილველად

– „საქართველოს ეკლესიას ესაჭიროება შეიტანოს თვის წყობილებაში თანამედროვე ცხოვრების ცვლილებანი“. წინა ღამით ვებაასე კათოლიკოზს და დეკ. ცინცაძეს... ამ თაობაზე განვაცხადე: ეს თქვენი „რეფორმები“ ფიქციაა! თქვენი „მოწოდება“ ცარიელი ფრაზებია! განა თქვენ გსურთ რაიმე რეფორმები?! ეს ხომ „კბილის მოსაჭრელად“ გადმოგვიგდეთ, რომ ბოლოს თქვენ „სპეკტრში“ ჩაიმარხოს და ჩაიფუშოს ყველაფერი. ყველა კანონი, რაც გინდ ის დაბალი ხარისხის იყოს, კარგია, თუ ამსრულებელი ვარგა და გულწრფელია! ეს ხომ თქვენც მოგეხსენებათ! განა ჩვენ არ ვიცით, რა არის ავი და კარგი?! განა ამას ვანხორციელებთ ცხოვრებაში?! ესეც ჩაივლის... მე მახსოვს თბილისის სამღვდლოებამ დ. ჩიქოვანს, მე და დეკ. ლუკაშვილს მოგვანდეს „პროექტის“ წარმოდგენა რეფორმებზე! თქვენ არც კი მოგვისმინეთ ჩვენი პროექტი, ისე უარ ჰყავით ის, ის საეკლესიო კრებამდეც კი არ მიიყვანეთ, ხოლო მე და დ. ჩიქოვანი გაგვაშავეთ, კრებაშიდაც არ შეგვიშვით!..

27 დეკემბერი – ოთხშაბათი. „რეფორმებზე“ კრება

ისევ თბ. „საოლქოს“ კრება ყოფილა მოწვეული! ერის კაცთაგან დღეს იყვნენ ქაიხოსრო ქავთარაძე (კალოუბნის საბჭოდან), პეტრე ბარათაშვილი (პირველ საკათ. საბჭოს დროის წევრი, დ. დავითაშვილის დიდი მეგობარი, ინტრიგანი, ახალ-გაზრდა „იურისტი“ – არც კი აქვს დასრულებული უნივერსიტეტი; მეტად საეჭვოდ მეჩვენა მაგისი კრებაზე გამოცხადება; ერთი ერის კაცი იყო კიდევ, დავითაშვილმა შემოიყვანა, გაჭაღარავებული კაცი, ეს „მეთვალყურე“ თუ იყო! ერთი დედაკაციც იყო ვერის ნიკოლოზის საბჭოდან ნინა უგრელიძისა – ქვრივი – „კეკელკა“ თოთიბაძის „მენელსაცხებელე“! სხვა ერისაგანნი არ იყვნენ). დაესწრო კათოლიკოზი, ურბნელი ქრისტეფორეც შემოვიდა, ცოტა ხანს დავით ჭყონდიდელიც იყო და გავიდა მალე. იყო თბილისის სამღვდელოებიდან თითქმის ყველანი. კრება გახსნა მთავარ-ხუცესმა კათოლიკოზის დარბაზში, ლოცვის გალობით; მთავარ-ხუცესი თავ-მჯდომარეობს, მდივნებად ჰყავთ „სადმე მღვდელი“ დ. გარსიაშვილი და ეფრემ ბერი. მთავარ-ხუცესმა წაიკითხა ზემო აღნიშნული სარეფორმო მოწოდება „საკათ. საბჭოსაგან“. ეს მეტად ცუღლუტურად შედგენილი მოწოდებაა, უსწორ-მასწორი და ყალბი ფაქტიური ცნობებით შეზავებული. ეკლესია ამ ხუთი წლის განმავლობაში აღმშენებლობით პროცესში იყოო, თუმცა ძლიერი ბევრი დაბრკოლებანი ეღობებოდაო – „ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კურსის, ორიენტაციის და ხელისუფლების ცვალებადობაში ეკლესიას წინ ედგა საფრთხე; არა ნაკლებ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორიის განუსაზღვრელობა, რესპუბლიკის განაპირა ნაწილების უფლებათა საკითხი და სხვ. – „დღეს უკვე გამორკვეულად(!) უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს ეკლესიას ადგილი აქვს(!), როგორც საკუთარ ძალებზე დამყარებულ კერძო ორგანიზაციას. ამის გამო დადგა დრო,

როდესაც შინაგან (სამი საეკლესიო კრებების შემდეგ) თითქმის (?!) მოწყობილი(!) ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახულ მიზნების განხორციელებას: განიწმინდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან(!), შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულის კვეთებას, განმარტივდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ქრისტე-მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე. მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული, სრულიად საქართველოს საკათ. საბჭოს სრულმა შემადგენლობამ (საქართველოს ყველა მმართველ მღვდელმთავართა მონაწილეობით) 1921 წ. ოქტომბრის 19 გამოიტანა შემდეგი განჩინება: 1) ცნობილ იქმნას პრინციპიალურად, რომ საქართველოს ეკლესიას ესაჭიროება შეიტანოს თვის წყობილებაში თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი ცვლილებანი და რომ ამ ცვლილებათა ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარებისათვის მას შესწევს საკუთარი ძალ-ღონე. 2) ცნობილ იქმნას სასურველად, რომ ეს ცვლილებანი მოხდეს სამღვდელოების და მორწმუნე ერის მონაწილეობით ისე კი, ყოველ ნაირ ცვლილებათა პროექტი დაგროვდეს ცენტრში – განხოციელებისათვის ერთ სპექტრში გასატარებლად. 3) დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს, დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება ოლქებში თუ რაიონებში ცვლილებათა დამმუშავებელ კომისიების არჩევის შესახებ და კომისიათა მიერ დასაბუთებული და დამუშავებული პროექტები წარმოუდგინონ საკათ. საბჭოს უცვლელად, თავიანთ დასკვნის (ცალკე) დართვით და 4) განემარტოს მღვდელმთავართა საშვალებით სამღვდელოებას და მორწმუნეებს, რომ არჩეულ კომისიების გარეშეც ყველა მათგანს შეუძლიან წარმოადგინოს წინა მუხლში აღნიშნულ წესით საჭირო ცვლილებათა დასაბუთებული პროექტი". ხელს აწერს – კათ. პატრ. ამბროსი და წევრნი: 1) მიტროპ. ნაზარ ქუთათელი, 2) ეპ. დავით ჭყონდიდ-შემოქმედელი, 3) ეპ. ქრისტეფორე ურბნელი, 4) ეპ. იოანნე ცხუმ-აფხაზეთელი (ეს მესამე ადგილზეა), 5) დეკ. კ. ცინცაძე, 6) დეკ. მ. ტყემალაძე, 7) პროფ. კ. კეკელიძე და 8) ივანე რატიშვილი.

ეს მეტად „მკვეხარა" და გაბერილი ბაქი-ბუქობა გამოანგარიშებულია მხოლოდ ერთნირ შთაბეჭდილების მოსახდენად – „ჩვენც ვხნავდითო"! და ეხლაც ვსაქმიანობთო! – დროს მოსაგებად, აგე ბაზა მღვდლების შესაქცევად, ჯავახიას „დამოუკიდებელ სამწყსოს" პირ-დასაყოფად, სოსო ჩიჯავაძის „Живая церковь"-თან დამოკიდებულობის პირ-დასაყოფად, მთავარ-ხუცესის და დეკ. თალაქვაძის გასამასხარავებლად, აბა რა „რეფორმები" გსურთ „ფართო და „ძირითადიო"! წარმოიდგინეთ, ისევ ჩვენ ხელთ მოვა თქვენი „პროექტები", ჩვენს „სპექტრში" გაივლის და ჩვენ ვიცით, როგორ „რეფორმებსაც" მოგცემთო! ესე იგი ზემოაღნიშნულთ არ სურთ, არც საჭიროდ მიაჩნიათ რაიმე ცვლილებები, მათ „მოწყობილად" მიაჩნიათ კიდეც თავიანთ ხელში „საქარველოს ეკლესია" და ვინც ამის თანახმა არ არის, ბრძანეთ, რაც გნებავთო! ესეც ერთნაირი კოზირია, მაგრამ ყალბი კოზირი, ცრუ ბაქიობა! რაც უნდა სთქვათ – ისევ ჩვენს „სპექტრში" გატარდებაო!

ამას გარდა მოწოდებაში მეტად ყალბად და უსინდისოდ არის გაშუქებული

ჩვენი ქვეყნის აწინდელი პოლიტიკური ვითარება – წინეთ თურმე ხელს უშლიდა ეკლესიურ აღმშენებლობას; პოლიტიკური კურსის, ორიენტაციის და ხელისუფლების ცვალებადობა, აქედან „საფრთხეც“ კი ჰქონებია ჩვენს ეკლესიას! დღეს თითქოს „სახელმწიფოს ტერიტორიაც“ განსაზღვრულია! „რესპუბლიკის განაპირა ნაწილების უფლებების საკითხიც“ გამორკვეულა! გამოდის, რომ დღეს საქართველოს პოლიტიკური ვითარება რაღაც სასურველ მდგომარეობაში ჩამოყალიბებულა და ჩვენი მესვეურნი აცხადებენ: „დღეს უკვე გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს ეკლესიას ადგილი აქვს, როგორც საკუთარ ძალებზე დამყარებულ კერძო ორგანიზაციასო“! ნამდვილად კი ჩვენი სამშობლოც და ეკლესიაც არასოდეს არ ყოფილა ასეთ მძიმე და გამოურკვეველ ვითარებაში, რომელშიდაც დღეს ვართ! რელიგია, სარწმუნოება, ეკლესია – ყოველივე ეს დღეს მეტ ბარგად და „ცრუ-მორწმუნეობად, სიბნელედ და უვიცობად“ არის აღიარებული! ასეთი „როლი“ თვით ჩვენმა მესვეურებმა ითამაშეს „სურამის ციხის“ ილიუსტრაციაში, „აგიტ-პუნქტის“ ანკესზე წამოეგენ! ამათ კიდევ შესწევთ გაბედულება, რომ ასეთი კილოთი გამოვიდნენ! ეკლესია დევნას განიცდის და ეხლა მოგვადგენ „რეფორმატორები“!..

ავიღე სიტყვა ამ „მოწოდების“ გამო; ჯერ შევეხე დასაწყისს ამ „დოკუმენტისას“. ის იწყება ასე: „მიმდინარე წლის ოქტომბრის 14 სვეტიცხოვლობას, შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც საქართველოს ეკლესიამ, რუსეთის ეკლესიის თვითმპყრობელ სინოდის 106 წლოვან ტყვეობისაგან განთავისუფლებასა და შვიდი თვის დროებითი მმართველობის განცდის შემდეგ, ოფიციალურად აღადგინა კათოლიკოზ-პატრიარქობა და შექმნა საბჭოებზე დაყრდნობილი საეკლესიო მართვა-გამგეობა“-ო! ამ დასაწყისისა გამო მე მოვითხოვე „ფაქტიური“ შესწორების შეტანა: „ჩვენი ეკლესიის აღდგენის ხანა ანუ ერა არის არა 14 ოქტომბერი 1917 წლისა, მაშინ ისევ ძველი სტილი იყო ჩვენში, არამედ იმავ წლის 12 მარტი (ისევ ძვ. სტილით), როდესაც სრულიად საქართველოდან ერმა და მღვდელმა ერთსულოვნად – არამც თუ „ოფიციალურად“, კვადრატ და კუბ-ოფიციალურად გამოაცხადა ისტორიული აქტი ჩვენი ეკლესიის აღდგენისა მისს ავტოკეფალურ უფლებებში! ისეთი „მზიანი დღე“, როგორიც ჩვენს ეკლესიას 12 მარტს გაუთენდა, მას შემდეგ არც კი ღირსებია, კათოლიკოზის კურთხევის დღე უკვე მოწამლული იყო საშინელი შუღლით, შფოთით და ურთიერთისადმი წარმოებულ საშინელ ბრძოლით, კათოლიკოზ კირიონს, 1917 წლის 17 სეკტემბერს, როდესაც ის პირველმა საეკლესიო კრებამ ხმის უმეტესობით კათოლიკოზად აირჩა, იმავ საღამოს „არჩეულ“ საკათოლიკოზო საბჭოს შემადგენლობაში ჩაჰყვენ მის მოსისხლე მტერნი და მბრძოლნი, მოღალატენი, რომელთაც 1918 წლის 26-27 ივნისს კიდევაც დაიკმაყოფილეს თავიანთი „მესისხლეობა“ „მარტყოფის ტრაღედიაში“! ვიმეორებ, 12 მარტი იყო „მზიანი“, მადლიანი და გულწრფელად აღმაფრთოვანებელი ჩვენი ერისა და სამღვდლოებისა ეკლესიისადმი! ამიტომ ეს დღე უნდა გვქონებოდა ჩვენ გამამხნევებლად, ჩვენ აღდგენის დასაწყისად. ასეც მიიღო ეს დღე საკათ. საბჭომაც მაშინ, ეს დღე ყოველ წლიურ დღესასწა-

ულად გამოაცხადა მან, ხოლო თუ ეს დღესადაგ დღეზე დაემთხვეოდა, მაშინ დღესასწაული მახლობელ კვირა-უქმეზე უნდა გადატანილიყო, მცხეთაში წავსულიყავით, იქ გველოცა, იქ ერთნაირი ანგარიში გაგვეკეთებია ყოველ წლიურ ჩვენს ეკლესიურ აღმშენებლობითი მუშაობისათვის თქო! ამაზე დამეთანხმებიან აქ დამსწრე საკათ. საბჭოს ხელისუფალნი, რომ ეს ასე იყო! მაგრამ არამც თუ აღარავინ დღესასწაულობს მასუკან 12 მარტს, პირიქით, ეს დღე აღარც კი მიაჩნიათ მათ ღირსად, რომ თავიანთ ასეთ ხასიათის დოკუმენტში აღნიშნონ მაინც! ბატონებო! ეს განზრახ-განგებ არის ყოველივე ნამოქმედარი! ესენი „12 მარტის“ მოწინააღმდეგენი იყვნენ, ის ჩვენ ძალად მოვახვიეთ მათ თავზე და აი ეხლა, 14 ოქტომბერი წამოგვჭიმეს თავზე“!..

ამის შემდეგ პასუხი გამცა დეკ. ცინცაძემ – „აქ „ოფიციალურ აღდგენაზე“ გვაქვს ლაპარაკი, ისე „შვიდი თვის დროებითი მმართველობაც“ გვაქვს მოხსენებულიო“! – ეს არ არის პასუხი ჩემს შეკითხვაზე თქო – მიუგე მე! მაშინ წამოვარდა კათოლიკოზი, გავიდა თვის ოთახში, შემოიტანა ახლად გამოცემული 1923 წლის კალენდარი და წაგვიკითხა: „აქ 12 მარტი გამოცხადებულია ჩვენი ეკლესიის აღდგენის დღეთო“! – მაშ, ამ აქტშიდაც გამოგეცხადებიათ, აქ ამას უფრო მეტი ადგილი ჰქონდა, ვინემ კალენდარში თქო. შემდეგ კათოლიკოზმა განაცხადა: „არამცთუ 12 მარტის დღესასწაულზე, ლეონიდე კათოლიკოზის ნახევარ და წლის თავის წირვაზედ არ გვესწრობა სამღვდელოებაო, ვის შეუძლია ეხლა მცხეთაში ამ დღესასწაულის გადახდაო, სად არის ამისი ხარჯებიო“?! ამაზე მოვახსენეთ სხვა რამე – უმნიშვნელო საქმეებზე თუ იხარჯება ფული უანგარიშოდ – ამაზე უპრიანი იქნებოდა თქო!..

შემდეგ ერისკაცმა ქ. ქავთარაძემ განაცხადა: „ეს საქმეს არ ეხება, ეს უმნიშვნელო რამ არის, საკამათოდ არც კი ღირსო! ჩვენ მოწოდების განხილვას შეუდგეთ, კომისია ამოვარჩიოთ სარეფორმოო“! ამაზე ისევ უპასუხე: „ტყვილა ჰგონია ზოგიერთებს, რომ ეს 12 მარტის აღუნიშვნელობა საგანს არ შეეხებოდეს და უმნიშვნელო რამ იყოს! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს „12 მარტი“ რომ აგრე არ „გაენელებიათ“, არ გაეხუნებიათ ის, ყოველ წლიურად ის მანათობელ ვარსკვლავად მოეწოდებიათ ჩვენთვის, თავში ეკაკუნებიათ ჩაქუჩივით, ჩვენი პსიხიკა მუდამ ჟამ ეკლესიის განახლების და აღორძინების მუშაობის ქვეშე ჰყოლოდათ, ეხლა ასეთ მომენტში აღარ დაგვჭირდებოდა ასე ფუყე „მოწოდებით“ გამოსვლა, ეხლა უკვე დარაზმულები ვიქნებოდით, ვერც „ჯავახიები“ დაგვიფრთხობდენ ძილს და ვერც „Живая церковь“ დაგვაკლებდა რაიმეს. მე გთხოვთ, აღნიშნოთ ეს ჩემი განცხადება ოქმში და გადავიდეთ „მოწოდების“ განხილვაზე“. ამის შემდეგ სიტყვა აიღო მღ. აპ. ივანიცკიმ, – მე უკვე დავამზადე საჭირო „რეფორმების“ აღნუსხვაო და დაიწყო კითხვა რაღაც ისეთ „რეფორმებისა“, რომელსაც ასავალ-დასავალი ვერავინ გაუგო; არც შეიძლებოდა ამ სახით კრების წარმოება, ჯერ ზოგადი მსჯელობა უნდა მომხდარიყო და შემდეგ უნდა გადასულიყვნენ „პროექტებზე“, ეს პროექტები კომისიაში უნდა განხილულიყო, მთავარ-ხუცესმა ვერ შეაჩერა ივანიცკი, ხოლო ეს უკანასკნელი

შევიდა როლში და მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა ყველანი. ეტყობოდა ამას, რომ ის განზრახული იყო მმართველ წრეებიდან – უფრო მარჯვენა პროექტი შემოეტანა „სარეფორმოდ“, ვიდრე დღევანდელი მართვა-გამგეობაა! ესენი წინასწარ განზრახული „კლაკიორებია“ ამბროსის კომპანიისა; ასეთმა პირებმა უნდა შეაძულონ სამღვდელოებას რაიმე „რეფორმისა“ და განახლების მოთხოვნა. მაგრამ დღეს ივანიცკის „ხელი შეუშალა“ მეორე „კლაკიორმა“ – ცნობილმა ინტრიგანმა ზემოაღნიშნულმა პ. ბარათაშვილმა. ამან განაცხადა, რომ ივანიცკის პროექტის განხილვა და ასეთი სხვა პროექტებისა, ეს კომისიის საქმეა, ასეთი დიდი კრება ვერ განიხილავს, ვერ შეიმუშავებს რაიმე პროექტსაო, აქ ზოგადი მსჯელობაა წინდაწინ საჭიროო და სხვა. ივანიცკი იძულებული გახდა დაეკეცა და ჯიბეში ჩაედო თვისი პროექტი. მის ნაცვლად ეხლა ბარათაშვილი წამოდგა და გაგვიკეთა „ვრცელი“ მოხსენება რუსეთის დღევანდელ პოლიტიკაზე და რუსეთის დღევანდელ ეკლესიის „Живая церковь“-ის ამ „პოლიტიკასთან“ კავშირზე. ეს ცოტა ხანია „მოსკოვიდან დავბრუნდიო“ და ალმაცერად გადაჰხედა დეკ. ჩიჯავაძეს, რომელიც ხმაგაკმენდილი იჯდა! დიდხანს ილაპარაკა ბარათაშვილმა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტზე, ჩვენ ქვეყნის ეხლანდელ ვითარებაზე, რომელსაც უკვე კარს ადგა დამონავება სოციალ-პოლიტიკური, ხოლო ამას ხელს უწყობს, ზურგს უმაგრებს, უკან მოსდევს „Живая церковь“; მე მოსკოვში ყოფნისას ბევრი რამ ვნახე, წავიკითხე, გავიგონე; დაბრუნებულან საზღვარ-გარეთ გაქცეული მონარქისტები და ეხლა ესენი კონტაქტში მუშაობენ კომუნისტურ მთავრობასთან ძველ – მთლიან რუსეთის აღდგენისათვის. ეს ის ნიადაგია, რომელზედაც ყველაფერი გაერთიანდა დღეს რუსეთშიო! მაგალითად, ჩვენი ცნობილი მტერ-მოყვარე, კერენსკის მთავრობის დროის სინოდის ობერ-პროკურორი ლვოვი, რომელიც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაშმაგებული მტერი იყო, დაბრუნებულა ევროპიდან, სწერს, მოქმედებს, შედის „Живая церковь“-ში, ერევა პოლიტიკაში, იწონებს „კომუნისტების პოლიტიკას“ რუსეთის სასიკეთოდ, გამოსცა თხზულება ასეთი სათაურისა – „Комунисты и Русская государственность“!.. ყველაფერი იმას ჰმოწმობს დღეს რუსეთში, რომ ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან ყველანი და ამ დროს მეტად შეუფერებლად და ღალატად მივიჩნიე, როდესაც გაზეთ „Живая церковь“-ში ცენტრალურ კომიტეტის წევრთა შორის ამოვიკითხე დეკ. ი. ჩიჯავაძის გვარიო... აქ უკვე ნათლად შევატყე, რომ ბარათაშვილი საგანგებოდ ჰყავდათ დღეისათვის მოწვეული, რომ ჩიჯავაძე ემხილებიათ ტყუილში – რომ ის მოსკოვში იყო! რომ ბარათაშვილიც მეხსნა უხერხულობისაგან და კრებაც გადამერჩინა სკანდალისაგან, მე განუცხადე ბარათაშვილს, რომ ჩიჯავაძის შესახებ ამ თაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა, ეს საკითხი ამოვსწურეთ, დადგენილებათ გამოვიტანეთ, გაზეთ „ტრიბუნაში“ უკვე განუცხადებია ჩიჯავაძეს, რომ ის არ შედის არც „ჟივაია ცერკოვში“ და არც უფიქრნია საქართველოს ეკლესიიდან გასვლა თქო“... – არა, არა, სთქვას, რაც სათქმელი აქვს, – დაიჟინა დეკ. თოთიბაძემ, მას მიჰყვა კათოლიკოზიც, ურბნელიც, ცინცაძეც და სხვებიც!

მაგრამ ბარათაშვილს ჩაულაპარაკე – არ გაბედო ხმის ამოღება, არ შეცდე თქო! ამანაც განაცხადა – აღარ მცალია, სუდში მაგვიანდება, ჩიჯავაძეს მე პირადად გაველაპარაკებიო და წავიდა...

ამიტეხეს ამის გამო განგაში – რაზე „გააგდე“ ეს კაცი, რატომ არ ათქმევინეთო! „შენ გააგდე ის კაციო“, – დამიჩემა კათოლიკოზმა! მე უპასუხე – დღეს კრების საგანი „რეფორმები“ იყო, ჩიჯავაძის საკითხს ჩვენ მოვრჩით! „მე ვიცი ეს რის „ფოკუსებიაო“ – წამოიძახა ჩიჯავაძემ. ამით შევაჩერეთ „ჩიჯავაძისა გამო“ სკანდალი. მაგრამ დაიმუქრნენ, სულ ერთია, სხვა დროს ვიშოვნითო! განა ამათ ეკლესიის განახლება და აღორძინება აინტერესებთ?

შემდეგ დეკ. შუბლაძემ წარმოსთქვა „სიტყვა“, მაგრამ ისეთი ოინებით შეზავებული, რომ „რეფორმები“ შეუძლებლად უნდა გამხდარ იქმნეს ჩვენი ეკლესიისათვის: „ჩვენ მღვდლები ვართ, მაშასადამე, ჩვენ რომ „რეფორმები“ მოვახდინოთ, ეს მღვდლების რეფორმები იქნებაო; ჩვენ ერს უნდა მოუწოდოთ, ერი უნდა ჩავაბათ საქმეში, მან უნდა სთქვას – როგორი ეკლესია უნდაო! მე შევეკითხე – ეს თეორეტიულად ლამაზი და დემოკრატიულიც გამოდის, გვიჩვენეთ საშვალება, რა გზით, რა საშვალებით „მოუწოდოთ“ ერს ან „ჩავაბათ“ ის საქმეში! განა საეკლესიო კრებებში – პირველში, მაგალითად, ცოტა იყო ერი?! განა პირველმა კრებამ არ მოგვცა ჩვენ სახელმძღვანელოდ დირექტივები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ჩვენი ეკლესიის აღორძინება, დრო და კულტურის მიხედვით თანდათანი მისი გარდაქმნა?! განა პირველმა კრებამ არ დაგვავალა ჩვენ წლის თავზე მცირე კრების მოწვევა, მის წინაშე ანგარიშის გაკეთება, თუ რა მოგვარდა ერთი წლის განმავლობაში?! წლისთავზე კრების ნაცვლად, დავასწარით რამოდენიმე თვე „წლისთავს“ და პირველი კათოლიკოზი ვიმსხვერპლეთ!.. შემდეგ კი პირველ საეკლესიო კრებას თანდათან ლიკვიდაცია“ უყვეს ჩვენმა „დიქტატორებმა“, ხოლო ეს „ლიკვიდაცია მეორე საეკლესიო კრებას 1920 წელში დაადასტურებიეს! თითქოს მეორე საეკლესიო კრება „დიქტატორების“ გუნების კრება იყო, მაგრამ არა, ამ კრების წლისთავზე ეხლა კათოლიკოზი ლეონიდი ვიმსხვერპლეთ და ახალი კათოლიკოზის არჩევა დაგჭირდათ, მესამე საეკლესიო კრებამ ეს მესამე კათოლიკოზი აირჩია და „დებულებებში“ სულ უმარჯვენესი შესწორებები შეიტანა, სულ ლიკვიდაცია უყო 1-ლი საეკლესიო მემარცხენე მიმართულების „ნაშთებს“! ეხლა თქვენ თვითონ მეორე-მესამე საეკლესიო კრებების ავტორები ანუ 1-ლ საეკლესიო კრების „ოპოზიციონერები“ – „ახ. სიტყველები“ და „გრუპპელები“ მოექეცით სათავეში დიქტატურული უფლებებით აღჭურვილნი! ეხლა აღარ ვიცით, რომელ „ხალხს“ უნდა მოუწოდოთ თქვენ?! რომელი ხალხი შემოგვხედავს ჩვენ?! არ დავაფრთხეთ ჩვენ ხალხი ჩვენ გარშემო?! დღეს თბილისის საოლქო კრება გვაქვს, სად არიან ჩვენი სამრევლო საბჭოს წევრნი?! განა მათ არ დაუკარგეთ ყოველივე ხალისი ეკლესიურ საქმეში ჩარევისა და ჩვენთან მოქმედებისა?! ეხლა ისეთი „დემოკრატიული ლოზუნგები“ გადმოისროლეთ საკათ. საბჭოდან, რომ ყველა ადამიანს, კაცს თუ ქალს, საქართველოს ყოველ კუთხიდან უფლებას აძლევთ,

„შეუძლიან წარმოადგინონ საჭირო ცვლილებათა დასაბუთებული პროექტი“! თქვენ საეკლესიო რეფორმებზე ამით თითქოს პლებისციტს აკეთებთ! რატომ?! დაუცადეთ, მოგივათ „დასაბუთებული პროექტები“... ფშავ-ხევსურეთიდან, სვანეთ-აფხაზებისგან, თუშებისაგან ან შიდა ქართლ-კახეთ ან იმერეთ-გურია-სამეგრელოს სოფლებიდან! დაუცადეთ, მოგივათ „ხალხის ხმა“! ან მცხეთის საოლქოდან მოგივათ „პროექტი“! – ეს ყველაფერი გამოანგარიშებულია, ბატონებო, დროს მოგებაზე, ეს გადმოგვიგდეს კბილების მოსაფხანად, თავის შესაქცევად, „ჯავახია“-„ჩიჯავაძეების“ პირდასაყოფად – აბა, გვიბრძანეთ, რა „რეფორმები“ გსურთ, წარმოგვიდგინეთ, ჩვენს „სპექტრში“ გავატარებთ, ისე არ „განხორციელდებაო“! თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ რაგინდ დაბალი ხარისხის კანონმდებლობა იყოს, ეს კანონებიც კარგებია, თუ აღმასრულებლები ვარგან, თუ კანონების ასრულების სურვილი აქვთ საქმის სათავეში მდგომ მმართველებს! აი, სწორეთ ეს გვაკლია ჩვენ! პირველი დებულებაც, მეორეც და მესამეც – კარგებია, ესენი ხომ თანდათან „სპექტრებში“ განვლილია! ამ დებულებებს რომ საფუძვლად სახარება დაუდოთ, ესე იგი ჩვენი კეთილი საქმენი, ქცევა, სურვილი და გრძნობანი, ჩვენ მეტიც არა გვინდა! მაგრამ განა ჩვენში ეს შეიძლება?! ჩვენ ყოველდღე ყველას სახარება ხელში გვიჭირავს, მაგრამ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა... ამიტომ მე პირადად ვფიქრობ, რომ თქვენ არც გსურთ „ცვლილებების“ შეტანა ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში და არც შეგიძლიათ!..

ამაზე ამიყაყანდენ, ცინცაძემ ცალკე დამიწყო ჭიდილი, კათოლიკოზმა ცალკე, გარსიაშვილი – „სადმე მღვდელი“ ცალკე მეჭიდება! ამას მიუგე: „შენ ხომ ისედაც იოლად მიდიხარ“?! შენ რაღა „ცვლილებები“ გინდა თქო“! სულ ცეცხლი მოიკიდეს! ორატორებს უკეთებდი „რეპლიკებს“ და თავს იკლავდენ! მაგალითად, შუბლაძემ ისევ ილაპარაკა, რაღაცაზე ახსენა დიდი ხულიგანი რუსეთის სათათბიროებისა პურიშკევიჩი, დაიწყო ლაპარაკი კრიტიკის საჭიროებისა პურიშკევიჩიდან... „ახალ სიტყვამდე“თქო, – მივაძახე მე! შეიქმნა კრებაზე სიცილი და ჩოჩქოლი! შუბლაძემ „პროტესტი“ გამომიცხადა, ლაპარაკს მიშლისო! და განაგრძო: „იმ დღეს კრებიდან გავიქეცი, თალაქვაძის გაჯავრებულმა კრება მივატოვე (ვინ გამოგიდგა უკან თქო, – შევნიშნე!), ეხლა გადავსწყვიტე: რაც უნდა მითხრათ – არ გავიქცე კრებიდანო“! „ძლიერ ვაჟკაცობა დაგჩემებია თქო“, – ისევ შევნიშნე და ასტყდა ისევ ხარხარი! შუბლაძემ კი იტაცა თავში ხელი: „მიშველეთ, მამაო თავმჯდომარეე, უყურეთ, რას სჩადის თალაქვაძეო“!..

ილაპარაკა ისევ დეკ. ცინცაძემ, დამცინა: „დეკ. თალაქვაძე საკათ. საბჭოდან მოითხოვს „რეფორმების ჩონჩხსაო“! ეს „ჩონჩხი“ რო მოგვეწოდებია, მაშინ გვეტყოდა – „შეხეთ თავზე გვახვევენ თავიანთ „პროექტსაო“! ამაზე მიუგე: „ასეც არ არის, „ჩონჩხის“ საკითხი ჩემ მიერ დაყენებული, როგორც თქვენ გაგვამასხარეთ თქო, – მიუგე ცინცაძეს, – ეს „ჩონჩხი“ ერთნაირი საფუძველი იქნებოდა თქვენი „სპექტრისა“, რომელშიდაც ბოლოს და ბოლოს თქვენ უნდა გაატაროთ „წარმოდგენილი პროექტები“! ამიტომ კარგი იქნებოდა, მოგეცათ

ერთნაირი დირექტივები, რა შენიშნეთ თქვენ თვითონ თქვენს მართვა-გამგეობაში, რა დეფექტები შენიშნეთ?! რას ნიშნავს, მაგალითად, „მოწოდებაში“ აღნიშნული ფრაზა: „განიწმიდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან“! ეს ფრაზა შეიძლება ასეც გაიგოს კაცმა: „განიწმიდოს“ ჩვენი საეკლესიო გამგეობა მონარქიული რეჟიმის ყოფილ აგენტებისაგან! ყველა წრეში, ყველა დარგში მოხდა ჩვენში რაღაც „განწმენდა“ ანუ „ჩისტკა“; ეხლა ხდება ხოლმე ეს კომუნისტურ პარტიაში და მისს სხვა და სხვა დაწესებულებებში! ამისი მსგავსი არა მომხდარა რა ჩვენს... სამღვდელოებაში! დავიჯერო, ჩვენ ყველა მტრედები და გვრიტები ვიყავით და დავრჩით?!. (ამაზე შეიქმნა დიდი ჩოჩქოლი...)! აი, ბატონებო, ზოგს ასე გვესმის თქვენი მოწოდებული ფრაზები!.. ანუ „შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას“! – ეს საეკლესიო რეფორმები?! – ესეც ბუნდოვანი ფრაზაა და სხვა ასეთები! მე ვერ გავიგე, რას ითხოვთ ჩვენგან?! ნება მიბოძეთ, ეს „დოკუმენტები“ ისევ წავიკითხოთ, ფეხ და ფეხ მივსდიოთ მისს აზრთა მიმდინარეობას და განგვიმარტონ მისი შინაარსი! ვიმეორებ, მე ეს ქაღალდი ვერ გავიგე! და როგორ უნდა შევასრულოთ საკათ. საბჭოს დავალება, თუ ჯერ არ გაგვარკვევენ, თუ რას მოითხოვენ ჩვენგან! – მაგალითად, რას ნიშნავს ეს: „შინაგან თითქმის (sic!) მოწყობილი (!?) ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახულ მიზნების განხორციელებას?! – არა, არა, – შექმნეს ყაყანი! – არ გვინდა თავიდან წაკითხვა, ჩვენ ყველაფერი გავიგეთ! თუ გნებავთ, შეკითხვები შემოიტანეთ და გიპასუხებენ, – ადუღდა „გრუპპელები“ და მათი „კლაკიორობა“! – კომისია ავირჩიოთ, დროს ტყვილა ნუ ვკარგავთ“! აქ მდივანი კრებისა „სადმე მღვდელი“ გარსიაშვილი წამოხტა და მეუბნება: „ჩაგწერ ოქმში, რომ დეკ. თალაქვაძე ხელს გვიშლიდა ნაყოფიერ მუშაობისათვისო“! მე უპასუხე: „შენ უნდა ჩასწერო ოქმში ის, რასაც თავმჯდომარე გიბრძანებს თქო“ და... ჩაჯდა! შემდეგ განვაცხადე: მე ვხედავ, რომ ეს „რეფორმებიც“ რაღაც ფოკუსებით არის გამოწვეული, როგორც ბარათაშვილი ფოკუსებით მოგეწვიათ აქ დღეს. ვხედავ, უნაყოფო იქნება ჩემი კიდევ ამ თემაზე ლაპარაკი და მე უარს ვამბობ ამ „დოკუმენტის“ გარჩევაზე, არ მინდა, რომ „ხელი შეგიშალოთ“ და ამიტომ პირადად უარს ვაცხადებ, რაიმე მონაწილეობა მივიღო ასეთ „სარეფორმო“ მუშაობაში! მე 1920 წლის 2 იანვრიდან აღარავითარ „რეფორმებზე“ არც ხმა ამომიღია და არც დამიწერია. 1919 წელს კი, თბილისის სამღვდელოების დავალებით, დ. ჩიქოვანთან და დეკ. ზ. ლუკაშვილთან ერთად შევიმუშავეთ „პროექტი“, წარუდგინეთ სამღვდელოებას და რო შეუდექით წაკითხვას, დეკ. ცინცაძემ გვიკიჟინა: „ეს ბოლშევიკური პროექტიაო“! ეს დეკანოზი 1919 წელში მე მიკიჟინებდა ბოლშევიკობას, ხოლო დღეს – 1922 წლის 1 აგვისტოს ნამდვილ ბოლშევიკების „აგიტ-პუნქტის“ ანკესზე წამოაგო ჩვენი კათოლიკოზიც, სამღვდელოებაც და სარწმუნოებაც! განა ასეთ ატმოსფეროში შეიძლება რაიმე დადებითი მუშაობა?! რომელ „ჟივაია“ ან „დოხლაია ცერკოვს“ ჩაუდენია ის, რაც 1 აგვისტოს ჩაიდინეს ჩვენმა ხელისუფლებმა?! ან იქნებ ისეთ „რეფორმებს“ ანუ განახლებას მოითხოვს დღეს ჩვენი საკათ. საბჭო, როგორი

„განახლებაც“ თავის თავს მოუხდინა ყოფილმა მიტროფორნი დეკანოზმა კ. კეკელიძემ – ანაფორა გაიხადა, ცოლს გაეყარა, მეორე კვირაში მეორე შეირთო და ყოველივე ამის შემდეგ საკათ. საბჭოს წევრად მაინც ყოფილა და „მოწოდებაზე“ ესეც ხელს აწერს: „პროფ. კეკელიძეო“! რას ნიშნავს, ბატონებო, ეს“?! ამაზე წამოდგა იოელ გამრეკელი და განაცხადა: ეს საეკლესიო კანონების აშკარა დარღვევაა, ეს საშინელი უზნეობაა, ასეთ კაცს ადგილი არ უნდა ჰქონდეს საკათ. საბჭოშიო! ამაზე დეკ. ცინცაძემ განაცხადა: „დებულების ძალით, ფორმალურად, კეკელიძეს შეუძლია საკათ. საბჭოს წევრად დარჩესო“!.. „თუ თქვენი „დებულება“ ეწინააღმდეგება „ქრისტე მაცხოვრის დიად მოძღვრებას“ და საეკლესიო ძირითად კანონებსა?!. ბატონებო, თქვენ გესმათ აქ დღეს დეკ. ცინცაძისაგან, რომ მესამე საეკლესიო კრებაზე – გელათში – „უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საეკლესიო რეფორმებზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვაო, კრებამ ეს ტაშის ცემით მოისმინაო (ტყუილია ესო, განაცხადა ეპ. ურბნელმა, კრებამ არ მოუწონა კეკელიძეს რეფორმებიო)! აი, ეპ. ურბნელი კი ამბობს – „არ მოუწონაო“! „უნივერსიტეტის წარმომადგენლად“ იქ მაშინ კეკელიძე იყო, მას რო ჰკითხეს, შენ ვინა ხარო, მე დეკანოზი ვარ, თუმცა ერის კაცის ტანისამოსშიო (იქ მაინც შეეძლო ანაფორის ჩაცმა, მაგრამ ეს წვრილმანია). ეხლა მე თქვენ გეკითხებით, თქვენ იცით რამე კეკელიძის რეფორმატიულ სიტყვიდან?! ან საკათ. საბჭომ თუ გვამცნო ამ თაობაზე რაიმე“?! – არა, არ ვიცით?! არავის მოუწოდებია ამაზე ჩვენთვის ცნობა, – ერთხმად განაცხადა კრებამ! აქ ურბნელი წამოდგა და განაცხადა: „ამაში საკათ. საბჭო როდია დამნაშავე, ეს იმ კრების სეკრეტარიატის ბრალია, რო არ ჩასწერეს პროფ. სიტყვაო“! – ეხლა მაინც გვითხარით – რა რეფორმებს მოითხოვდა საეკლესიო კრებაზე თქვენი „პროფესორი“?! – შევეკითხე ისევ მე, მაგრამ პასუხი არა გამცეს რა. განვაგრძე: „მეორე საეკლესიო კრებიდან 1920 წელს გამოეყო „განახლების ჯგუფი“, რომელიც ვრცელი წერილობითი დეკლარაციით შევიდა საეკლესიო კრებაში, ეს ისეთი ხასიათის „დეკლარაცია“ იყო, რომ ჯერ ეს დოკუმენტი გაზეთმა „სახ. ფურცელმა“ (სოც-ფედერ. ორგანომ) დაბეჭდა თავის ფურცლებზე, ხოლო აქედან სოც. დემოკრატიულმა „ერთობამ“ გადაბეჭდა! ამ დოკუმენტზე მე ხელი არ მეწერა, დეკ. ქრ. ციცქიშვილს – ეხლანდელ ურბნელ ეპისკოპოზს კი! ცხადია, რომ საკათ. საბჭოში გვყოლია ჩვენ რეფორმატორი, გვიბრძანოს მისმა მეუფებამ ურბნელმა – დღეს ის იზიარებს იმ დეკლარაციის შინაარსს თუ არა?! ან თვითონ დღეს როგორი „რეფორმების“ მომხრეა“?!.

ადგა ქრისტეფორე, ფერ-წასული, გაყვითლებული, ხმა აკანკალებული და განაცხადა: „მე უარს არა ვყოფ იმ დეკლარაციაზეო, მე ის სასირცხოდ არ მიმაჩნიაო!“ მე შევნიშნე – განა მე გისაყვედურეთ თქო! ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი და შეხედულება საგანზე! მე მხოლოდ იმაზე მოგახსენეთ, რომ 1920 წლიდან მე სულ განშორებული ვარ საეკლესიო მართვა-გამგეობისაგან, არ მსურს, ვინმეს ხელი შეგიშალოთ, აღარც რაიმე „რეფორმები“ მომითხოვია და ეხლაც არა მსურს მაგ საქმეში ჩავერიო, ვიცი, რომ არა გამოვა რა! თუ „რე-

ფორმები“ გსურთ – თქვენვე ბრძანეთ, რა გსურს, რა საუმჯობესოდ მიგაჩნიათ და „სპექტრშიდაც“ გაატარებთ ხოლმე!..

შემდეგ საკათ. საბჭოს წევრმა ივანე რატიშვილმა განაცხადა: „მე კონსერვატორი კაცი ვარ, მე ვეთანხმები აქ გამოთქმულ აზრს, რომ საუმჯობესო დებულება ეკლესიურ მოქმედებაში სახარებაა, მე არავითარი „რეფორმა“ არ მსურს, ამ აზრის არის ჩვენი პატივცემული დეკ. კ. ცინცაძეცო“! მეტად გაუწითლდა ყურის ძირები დეკ. ცინცაძეს ამ სიტყვებზე! ის „გასცა“ მეგობარმა!.. კათოლიკოზმა უფრო განმარტა რატიშვილის სიტყვები – არც ის სცნობს საჭიროდ „რეფორმებს“, თქვენ ბრძანეთ, რა „რეფორმები“ გსურთო, – განაცხადა მან! ამაზე განვაცხადე: „ბატონებო, რატიშვილმა და კათოლიკოზმაც გახსნეს ფრჩხილები, როგორც გესმათ, ამათ დაადასტურეს ჩემი აზრი, რომ საკათ. საბჭოს არც სურს, არც საჭიროდ მიაჩნია და არც გაატარებს ცხოვრებაში არავითარ „ეკლესიურ ცვლილებებს“, ეს ყოველივე „ჯავახიას“ გამოსვლების და „ჟივაია ცერკოვის“ კბილების მოსაჭრელი საშვალებანია! მე ასეთ არასერიოზულ სარეფორმო საქმეებში ვერ გავერევი, წინდაწინვე გიცხადებთ თქო“.

შემდეგ დაიწყო სარეფორმო კომიისათვის ქაღალდების დარიგება – კანდიდატების აღსანიშნავად, მე კიდევ განვაცხადე, რომ არც კანდიდატს ვასახელებ და არც ბარათს შემოვიტან თქო. კანდიდატებად მარტო სამღვდელონი დავასახელოთ, ამათ მოიწვიონ ერისკაცნი, ვინც სურთო! აღარც იყვნენ ერისკაცნი, ვინც იყვნენ, ისინიც გაიპარნენ კრებიდან.

ბარათები წაიკითხა მთავარ ხუცესმა, დაუსახელებია კანდიდატები, რომელთა ვინაობამ უფრო გამოააშკარავა საკათ. საბჭოს გულ-ნადები და აგიტაციის ნაყოფი: 25 ხმით დაუსახელებივარ (თითქმის ერთხმად) დეკ. თალაქვაძე, 23 დეკ. ჩიჯავაძე, 16 ხმით დეკ. ფხალაძე, 14 ხმით მღ. ბენ. კანდელაკი, სხვები – გ. გამრეკელი 6 ხმით, დიაკ. ბახტაძე 2 ხმით, დეკ. თოთიბაძე – ორი ხმით და ასე – ერთი-ორი ხმით. მე განვაცხადე: რომ ამ კანდიდატების დასახელებამ უფრო ნათელჰყო მთელი გულნადები ჩვენი მმართველი წრეებისა! მე ისევ უარს ვაცხადებ „კომისიაში“ შესვლაზე! კატეგორიული უარი განაცხადა დეკ. ფხალაძემ! ამაზე „სადმე მღვდელმა“ გარსიაშვილმა შესძახა: „შენ არ გაქვს უფლება, უარი განაცხადო, ჯერ არა გიმუშავნია რა ჩვენთვის, არა მოგიციათ რა სამღვდელოებისათვისო“! ამაზე ფხალაძემ მიუგო: „თქვენ რაღა მომეცით, რო ჩემგან სამსახურს მოითხოვთ. აბა, მოდით, მნახეთ, რა პირობებში ვცხოვრობ! ასე ადამიანს თუ ეცხოვრებაო! ამ კომისიაში რო ამომირჩიეთ, რა საბუთით, მე განა „რეფორმებზე“ ხმა ამომიღიაო“?! ამაზე შევნიშნე – მიუხედავად ამისა მაინც არ გენდობიან, ნახე ჩემსა და ჩიჯავაძეს შორის მოგაქციეს, იმიტომაც იყო, რომ ალავერდელობაზედაც გაგაცურეს თქო!.. შეიქნა სიცილი. შემდეგ წამოდგა დ. დავითაშვილი და განაცხადა: ბარათების განხილვის შემდეგ არავის აქვს უფლება, უარი განაცხადოსო, ამაზე დეკ. ფხალაძემ შენიშნა: მე წინეთაც უარი განვაცხადე, ბარათებით დასახელება მოხდა მხოლოდ, არჩევა ეხლა უნდა მოხდეს და აი, მე ვხსნი ჩემს კანდიდატურასო! მოიხსნა ჩემიცა და ფხალაძის კანდიდატურა.

შეეკითხენ ჩიჯავაძეს – შენ რას იზამო?! მე თანახმა ვარ, კრების სურვილი შე-ვასრულო, რაც ძალ-ღონე და ცოდნა-დაკვირვება მაქვს, ვიმუშავებო! მიკვირს დეკ. თალაქვაძე რატომ ამბობს უარსო? აირჩიეს დეკ. ჩიჯავაძე, მღ. კანდელაკი, გ. გამრეკელი და დიაკონი ბახტაძე. ამათი თავმჯდომარე იქნება მთავარ-ხუცესი დიმ. ხახუტაშვილი. ვადა პროექტის წარმოდგენისა – წყალკურთხევის შემდეგი ოთხშაბათი. ვნახოთ, რას იტყვიან ჩვენი „განმაახლებელნი“!..

28 დეკემბერი – ხუთშაბათი

დღეს მამადავითში ვიყავი მეგობარ ადამიანის, მასწავლებლის ანასტასია ჭკადუას წლის თავის წირვა-პანაშვიდზე. იქიდან დაბრუნებისას ჩემს სიმამრ-სიდედრთან ერთად, გზიდან შემიწვია სახლში ნაფიცმა ვექილმა გ. ჟორდანიამ და მითხრა: შენთან ბარათი უნდა გამომეგზავნა ფრიად საჭირო საქმის შესახებ შესაკითხავად და კარგია, რო გნახეო: „ხმები დადის, მეც პირადად გადმომცეს, რომ დეკ. თალაქვაძეს, ჩიჯავაძეს, კარბელაშვილს და მთავარ-ხუცეს დიმ. ხახუ-ტაშვილს გადაუწყვეტიათ, რომ კათოლიკოზი გადააგდონ კათედრიდანო! ასეთ საქმისათვის ისინი შეთანხმებიან ნაზარ-ქუთათელს, ქრ. ურბნელსო“! მე უპასუხე: რომ ეს არის კათოლიკოზის წრის პროვოკაცია! ეს საზიზღარი ინსინუაციები გან-გებ არის მოგონილი, რათა „სურამის ციხის“ თავლაფი მოიწმინდონო! აბა, რად მინდა კათოლიკოზის გადაგდება?! ეს რა ჩემი საქმეა?! ან რა უნდა გამოვიდეს აქედან თუ არ მეტი არევ-დარევა და ანარქია თქო! მე ნუ კი „მარიგებთ“ ყველანი, ვინც დასარიგებელი და საცოდავია, იმას მიჰხედეთ, ეს ჩვენი კათოლიკოზია თქო! მიდით, მიჰხედეთ, განუმარტეთ მას, რომ ის მარტო ცინცაძე-თოთიბაძე-შუბ-ლაძე-„გრუპპელების“ კათოლიკოზი როდია, ეს სულ ყველასი მამათმთავარია! შეიგნოს დღევანდელი მწვავე მომენტის სიდიადე და ნუ ხურდავდება გაიძვერა „მეგობრების“ გავლენის ქვეშე! მან წაშალა გენუის კონფერენციისადმი „მემო-რანდუმი“ – „სურამიადათი“! ეხლა ჩიჯავაძეს მისდგენ და გინდა თუ არა „ჟივაია ცერკოვში“ ხარო!! განგაში ასტეხეს, რომ თვითონ მიაფუჩეჩონ თვისმიერ სჯულის შებღალვა და ღვთის გმობა თქო!.. და დავშორდით ერთმანეთს.

29 დეკემბერი

დღეს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მთავარ-ხუცესთა კრებაა საკათ. საბ-ჭოს დარბაზში! ჩამოსულან ექვსიოდე მთავარ-ხუცესი! ნამდვილად არავინ ვიცით საგანი ამ კრების მოწვევისა, ალბად ამათაც „რეფორმების“ შესახებ „მოწოდებას“ დაურიგებენ და სათანადო დარიგებასაც მისცემენ – რომ უარ ჰყონ რეფორმების თუ „ცვლილებების“ საჭიროება! შევეცადეთ მე, გ. ასათიანი და იოელ გამრეკელი შევსულიყავით ამ კრებაზე, მაგრამ არ დაგვიშვეს! ერთ

ოთახში საკათ. საბჭოს ჰქონდა სხდომა, მეორეში – გვერდით – მთავარ-ხუცებს! აქ დიდი რამ ცუღლუტობა მზადდება.

დეკ. ცინცაძესთან გამობაასება

სანამ საკათ. საბჭოს სხდომა დაიწყებოდა, დეკ. ცინცაძემ მისაყვედურა – რატომ არ მიიღე მონაწილეობა კომისიაშიო, ჩიჯავაძემ სამართლიანად გაიკვირვა შენი უარი კომისიაში მონაწილეობაზეო! შენ ამ კომისიაში განაცხადებდი – „საჭირო არ არის რაიმე ცვლილებების შეტანა ჩვენს ეკლესიურ მართვა-გამგეობაშიო“! აი, თურმე რისთვის ვსდომებივართ „კომისიაში“! მე აშკარად ვაგრძნობინე ყველას, რომ ეხლანდელი მართვა-გამგეობის ცენტრალური ორგანო უღონოა რაიმე სასიკეთო ცვლილებანი შეიტანონ ჩვენს ეკლესიაში, მე მათ გადადგომას და შეცვლას ვთხოულობდი, ამათ კი ის სდომებიათ ჩემგნით, რომ აგენტათ ვყოლოდით „კომისიაში“ ჩიჯავაძე-ჯავახიას საწინააღმდეგოდ!..

მას გარდა დეკ. ცინცაძეს გადავეცი ზემოაღნიშნული გამობაასება გ. ჟორდანიასთან, თითქოს მე კათოლიკოზის „გადაგდების“ კოალიციაში შევდიოდე! ეს ხმები მართალიაო! ეს ხმები დადიოდაო! – მითხრა ცინცაძემ! – თქვენ სთხზავდით და თქვენვე ავრცელებდით ასეთ ჭორებს, თქვენი უსაქციელობის მისაჩქმალავად, არც კი გრცხვენია მაგისთანა შეუსაბამო ჭორების გავრცელება თქო! მე – ნაზარ-ქუთათელთან და ქრ. ურბნელთან „კოალიციაში“! ეს ხომ არც თქვენ გჯერათ, მაგრამ განგებ იგონებთ, ვითომ საქმეშიდაც ხართ თქო!.. გრცხვენოდეთ! ეს პროვოკაციაა! როგორ გიწყრებათ ღმერთი თქო! ეპისკოპოსებსა და კათოლიკოზს შორის შფოთი ჩამოვარდნილა და აქ მე რა შუაში ან კიდეში ვარ თქო! ღვთის განგება თქვენ არ დაგტოვებთ აგრე, თქვენ მიიღებთ თქვენს ხვედრს მისს რისხვისას თქო. ქვეყანა გვეღუპება, პოლიტიკურ ბატონობას უკან ისევ ეკლესიური ბატონობაც მოსდევს, თქვენ კი შინაურ კინკლაობას სთხზავთ, აღვივებთ, ხოლო სხვებზე გადაგაქვთ თქვენი სასტიკი დანაშაულობანი ღვთისა და ერის წინაშე! მე მგონია, რომ „საქმე დარჩეს“ თქვენვე პირველნი უღალატებთ და გადააგდებთ თქვენს კათოლიკოზს, თუ „Живая церковь“-მა ფეხი მოიკიდა ჩვენში თქო! შენა და თოთიბაძეს (ესეც ყურს მიგდებდა) უკვე გამონახული გექნებათ გზები – საიდან დაუახლოვდეთ „ჟივაია ცერკოვს“, ხმაურობთ კი ჩიჯავაძეზე თქო... გიცნობთ...

31 დეკემბერი – კვირა. 1922 წელი

დღეს, საღამოთი შემოვიდა ჩემთან ძმა პოლიკარპე თალაქვაძე, მასწავლებელი და მიამბო შემდეგი: „შემომეყარნენ გზად შიო დედაბრიშვილი „არაგვისპირელი“ – მწერალი და წ.კ.გ.საზ. აწინდელი თავმჯდომარე და მასწავლებელი

გერასიმე იმნაიშვილი (საკათ. საბჭოს წევრი კანდიდატი); ესენი შემეკითხენ: „მართალია, რომ შენ ძმას, დეკ. ნ. თალაქვაძეს, დეკ. ჩიჯავაძესთან ერთად ხელი მოუწერია რუსულ „Живая церковь“-ის მოწოდებაზე და ღალატობს ჩვენს ეკლესიასო“?! – ამაზე პოლიკარპე შეჰკითხებია მათ: „საიდან გაქვთ თქვენ ასეთი ცნობები ამ თაობაზეო“! იმათ უპასუხნიათ: „ეს თვით საკათ. საბჭოს წევრმა გადმოგვცაო“! პოლიკარპეს უპასუხნია: „აი, სწორეთ იმ საკათ. საბჭოს წევრს ტყუილი მოუხსენებიათ თქვენთვის, ეს „წყარო“ დეკ. თალაქვაძეზე ასეთ ცილის წამების გავრცელებისა, მეტად არა საიმედოა და თქვენც ნუ დაიჯერებთ, პირადად მიმართეთ დეკ. თალაქვაძეს და იქიდან დარწმუნდებით, რომ მასზე ასეთი ხმების გავრცელება ჩვეულებრივი ინტრიგანობის ნაყოფია მის წინააღმდეგ საკათ. საბჭოს წრეებშიო“! ამათ კმაყოფილება გამოუცხადებიათ ასეთ განმარტებაზე: „ეხლა კი დავმშვიდდით, გვჯერა შენი სიტყვა, დეკ. თალაქვაძე როგორ გადაუდგებოდა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას, როგორ მიემხრობოდა ის რუსეთის ეკლესიის ჩვენს ქვეყანაში ისევ გაბატონების სურვილსაო“!

ამას, მგონი, არავითარი კომენტარიები აღარ სჭირდება! ეს „საკათ. საბჭოს წევრი“ – დეკ. კ. ცინცაძე ბრძანდება, „სურამიადას“ მიჩუმების-მიჩქმალვისათვის, აი, რა ღონის ძიებას მიმართავენ ხოლმე ჩვენი „გრუპპელები“! ჩვენი „საზოგადოება“ მეტად ინდიფერენტულია საზოგადოდ ეკლესიურ-სარწმუნოებრივ საქმეებში, მაგრამ მას – „საზოგადოებას“ სურს, რომ ეკლესია მაინც არსებობდეს! ხოლო როგორ „არსებობდეს“, რა პირობებშია ის დღე, ვის ხელშია ის დღეს და შეიძლება თუ არა ამ პირობებში ჩვენი ეკლესიურ ცხოვრების ან წინ-სვლა, ან მის დამოუკიდებლობის განმტკიცება, ამის განხილვაში არავინ შედის! და თუ ყური „მოჰკრეს“ ასეთ სენსაციურ ხმებს, ამას ადვილად იჯერებენ და ჭორების, უსინდისო ინსინუაციების მსხვერპლი ხდება ჩვენი საზოგადოება! გადავსწყვიტე წერილი მივსწერო შიოსა და გერასიმეს ამ თაობაზე...

დღეს, წირვის შემდეგ, კათოლიკოზის დარბაზში კრება გაუმართავთ! დასწრებია სამღვდელოება და საზოგადოებიდანაც რამდენიმე პირი; უკამათნიათ ისევ „Живая церковь“-ზე, ისევ ჯავახიაზე, ისევ ჩიჯავაძეზე და მგონი, ჩემზედაც! მე არა მცოდნია რა ამ კრებისა! არც ჩიჯავაძე დასწრებია ამ კრებას. ვერც შევაგროვე სრული ცნობები ამ კრების შესახებ, ულაპარაკნია საკათ. საბჭოს წევრს – ნიკო თავდგირიძეს, მას განუცხადებია, რომ შინაგან საქმეთა კომისარს უკვე მოსვლია სამეგრელოდან ცნობები, რომ იქ ეპისკოპოსად უკვე აურჩევიათ ონოფრე შუშანია! ეს იყო ახალ-გაზრდა მღვდელ-მონაზონი, კიევის აკადემიაში კურს დასრულებული, განვითარებული კაცი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა, რომ ის მტკიცე ზნეობრივ მომქმედ ძალად შეემატებოდა ჩვენს ეკლესიას! მაგრამ 1918-19 წლებში ეს კაცი მეტად შეიცვალა, ბერობაც უკუაგდო, ცოლი შეირთო და სადღაც ახალ სენაკისკენ თუ ზუგდიდისკენ მასწავლებლობს თუ ინსპექტორობს! აი, თითქოს ეს უკვე „განდგომილი“ ნაბერალი უკვე აერჩიოს თითქოს ჯავახიას „დამოუკიდებელ სამწყსოს“ ეპისკოპოსად, ასე რომ, ეს კაცი თავის თანამდებობაზედაც რჩება და სარწმუნოებრივ საქმესაც გაუძღვე-

ბაო! ხოლო კათოლიკოზის ნაცვლად სურთ დააყენონ ცნობილი ყოფილი დეკ. კ. კეკელიძე, რომელმაც ეხლახან ასე ახირებულად „განიახლა“ თვისი პირადი ცხოვრება – მღვდლობაზე ხელი აიღო, ცოლს გაეყარა უმიზეზოდ – „ვერ შევთანხმდითო“ – ეს 18 წლის ქორწინების შემდეგ – სამი შვილის მამა! ამის შემდეგ ისევ იქორწინა ბოზ დედაკაცზე! მიუხედავად ამისა, ის მაინც საკათ. საბჭოს წევრად ითვლება და, როგორც აღნიშნული გვქონდა, რეფორმების „მოწოდებაზეც“ ხელს აწერს – „პროფ. კეკელიძეო“! აი, თურმე ამასაც ასე ახირებულად უპირებენ „გაკათოლიკოზებას“! რამდენად ყოველივე ეს სინამდვილესთან ახლოა, ეს მალე გამომჟღავნდება! მაგრამ კეკელიძემ, არამგონია, ისურვოს ასეთი კათოლიკოზობა! მან, მგონი, საგანგებოდ გადასდგა ყველა ზემოაღნიშნული „ნაბიჯები“, რათა კომუნისტურ მთავრობისათვის დაენახვებია, რომ ის სამუდამოდ მოშორდა საეკლესიო კარიერას, მას ამით სურდა განემტკიცებია თვისი „პროფესორობა“ ქართულ უნივერსიტეტში! აქ დიდი „ჩისტკა“ მოახდინეს, როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორებში! ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა! მგონი, რექტორს ჯავახიშვილს უპირებენ გადაყენებას და მისს ნაცვლად შალვა ნუცუბიძეს აყენებენო, ამას ცოლი ჰყოლია რუსი – „კომუნისტკაო“!.. ხოლო კეკელიძე ჰაერში იყო გამოკიდებული, როგორც ყოფილი მღვდელი (ასეთებს მაინც არ ენდობიან ხოლმე!)! არც მაგისი ძველი ეკლესიური მწერლობა მიიჩნიეს „ახალ მეცნიერებისათვის“ საჭირო; ბევრი მახინაციების შემდეგ – კეკელიძე დარჩა, მგონი, პროფესორად, მაგრამ მის „სპეციალობას“ – (ის ლიტურგისტი იყო მხოლოდ!) სხვა სახელი უწოდეს და დასტოვეს ჯერ-ჯერობით მაინც! არა მგონია, რომ კეკელიძე რაიმე ახალ „ავანტიურაში“ კიდევ ჩაებას! თუმცა მაგისთანა უპრინციპო – „უგოდოვეცის“-გან ყველაფერია მოსალოდნელი!..

შემდეგ ულაპარაკნიათ კირილე ჯავახიას მოძრაობის შესახებ სამეგრელოში, ჯავახიას „დირექტივები თბილისიდან მისდისო“, ხოლო ეს „დირექტივები“ ჩიჯავაძისაგან ეძლევა მასო! ამ თაობაზე დიდი, დასაბუთებული სიტყვა წარმოუთქვამს ფოთიდან ეხლახან ჩამოსულ კანდელაკს – დეკანოზს იოანნე ბობოხიძეს. ამას, სხვათაშორის, განუცხადებია, რომ ჩიჯავაძისგან ჯავახიასადმი დირექტივებზე ლაპარაკი მეტია! შეიძლება ჩიჯავაძეს ჰქონდეს ჯავახიასთან ეხლა მიწერ-მოწერა, მაგრამ ჯავახია ასეთ რეფორმატულ მიმართულებით გამოვიდა ამ ოთხი წლის წინედაცო, მაშინაც ჩიჯავაძე ხო არ აძლევდა მას დირექტივებსო! მაშასადამე, ჩიჯავაძეზე ასეთი ლაპარაკი, როდესაც ის კაცი აქ არ არის, არცკი მოგიწვევიათ ამ კრებაზე, უადგილოა, უსაფუძლოა და არც არის საკადრისიო! – ცივი წყალი გადაუსხამს ყველასათვის დეკ. ბობოხიძეს! ამ დღეს მათ ჩიჯავაძის შესახებ განკიცხვის გამოტანა სურდათ, მაგრამ ბობოხიძემ თურმე ჩაუშალათ! ეტყობათ, ჩემი ჩათრევაც განუზრახავთ ჩიჯავაძე-ჯავახიადაში, მაგრამ ვერც ამით გავლენ ფონს...

ასე „ხმაურობს“ კათოლიკოზი და მისი „საბჭო“ „Живая церковь“-ის გარშემო, ჩიჯავაძე-ჯავახიაზე, ჩემზედაც იოთ-მოეთობენ, ამავე დროს კი კათოლიკოზი და მისი „საბჭო“ ძველ რუსეთის ეკლესიასთან აბამენ ძაფებს თბილისში!

ბაქოში ეკლესიური გადატრიალება

ბაქოში იჯდა დღემდე ტიხონ პატრიარქის მომხრე ეპისკოპოსი პავლე – რუსი! ამას ამხედრებია „სამწყსო“, რომელსაც განუზრახავს „Живая церковь“-ს მიემხროს. რუსეთის „Высше Церковное Управленіе“-ს უკვე უსმენია „ბაქოს სამწყსოს“ თხოვნა, გამოუგზავნიათ ბაქოში ვინმე ეპისკოპოსი „პეტრე“! ხოლო ამას გაუძევებია პავლე ბაქოდან; პავლემ მიაშურა თბილისს, როგორც უკანასკნელ თვისს ნავთსაყუდელს! მაგრამ აქ უკვე ზის სტავროპოლიდან წამოსული მთავარ-ეპისკოპოსი დიმიტრი, რომელიც ადგილობრივ ბერძნების საშვალებით სცდილობს, როგორმე გაიკრას „ბერძნების ეპისკოპოსობის“ ადგილი საქართველოში! მაგრამ „მთავარ-ეპისკოპოსი“ დიდი ხარისხია, ეშინია ამბროსის მეტოქეობა არ გამიწიოსო, და ისევ პავლესკენ იბრუნა პირი ბერძნებმაც და ამბროსიმაც!

აქ, თბილისში დღეს „მუშაობს“ ორი ძმა – ბერძენი – ერთი დეკ. კ. პოლიტოვი, მეორე ერისკაცი ნიკოლოზ ვასილის ძე პოლიტოვი! ორნივე რუსების ძველი რეჟიმის დროის „მოღვაწენია“, ესენი საკმარისად „ცნობილი“ პირნია, რომ მათთან ჩვენმა საეკლესიო წრეებმა იქონიონ ასე „ადვილად“ მოლაპარაკება! ან რა ძალას წარმოადგენენ „ბერძნები“ საქართველოში! ყარსის ოლქიდან და წილკნიდან აიყარნენ ბერძნები და ამ სამი წლის წინეთ გადასახლდნენ საბერძნეთში! ეხლა ერთი მუჭა ბერძნობაა ბათუმში, სუხუმში, თბილისში კი ისინი არც კი სჩანან; ზემოაღნიშნული დეკ. პოლიტოვი დამკვიდრდა ცნობილ შავრაზმელ დეკ. სერგი გოროდცევის მეორე სამისიონერო ტაძარში – ანდრიას ქუჩაზე; ეხლა ესენი, როგორც უფრო „ნეიტრალური“ ხალხი, აწარმოებენ კათოლიკოზთან ბერძნების გაერთიანების საქმეს, მაგრამ ეს ბერძნები რუს ეპისკოპოსს თხოულობენ – ხან დიმიტრის, ეხლა პავლეს! რატომ არ სურთ, პირდაპირ შემოვიდენ საქართველოს ტერიტორიალურ ავტოკეფალიის იურისდიქციაში, როგორც ამას საეკლესიო კანონებიც მოითხოვენ და როგორც ეს წინედაც ყოფილა ჩვენში! აქ ბერძნები საქმის თაოსნებად გამოდიან, მათ შემდეგ რუსობა მიჰყვება და ჩვენს ეკლესიასთან გაერთიანების სახით ბოლოს და ბოლოს თავს წამოგვასხდებიან და ისევ დაგვიპყრობენ! რასაკვირველია, ადგილობრივ მართლ-მადიდებელ ერების ჩვენი ეკლესიის ფრთებ ქვეშე შემოსვლა კანონიურია და სასურველიც, ამას ჩვენც მოვითხოვდით წინეთ, კირიონის დროს კიდევაც მივეცით თბილისელ რუს ეპისკოპოსს ფეოფილაქტეს – მოსულიყო ის სადარბაზოდ კათოლიკოზთან, ხოლო 1918 წლის 8 იანვრის იორდანის ლიტანიაში ერთად გამოვსულიყავით და გვეცნობებია ქვეყნისთვის, რუს და ქართველ მართლ-მადიდებელთა შორის შესაძლებელია ზნეობრივი-ეკლესიური-კანონიური ერთობა, რომ ეს ურთიერთობა მათ შორის არ უნდა იყოს სინოდალურ ან თვითმპყრობელობის ნიადაგზე დამყარებული! მაგრამ ეს არ ინებეს! უარი გვტკიცეს, „სხიზმატიკებად“ გამოგვაცხადეს რუსებმაც და ეხლანდელმა ჩვენმა „მეგობარ-ბერძნებმაც“! დღეს თუ ისევ კანონიურ ურთიერთობაზეა ლაპარაკი, ეს აქტი სათანადო ზომებით უნდა შეზავებულიყო, თუ არ მოსკოვიდან, ადგილობრივ რუს სამრევლოები-

დან და სამღვდელოებიდან უნდა შემოსულიყო ჩვენ კათოლიკოზთან თხოვნა – მიგვიღეთ თქვენი იურისდიქციის ქვეშო. ამათ კანონიური მორჩილება უნდა განეცხადებიათ, ეს თბილისის სამღვდელოებას და საზოგადოებას მოხსენდებოდა, საკათ. საბჭოს და კათოლიკოზს თავიანთი ბეჭედი დაესვათ და ასე უნდა მოგვარებულიყო ეს საქმე! მაგრამ აქაც თავისებურად, სეპარატიულად გამოდიან „გრუპპელები“! კათოლიკოზს ამას წინეთ მიუღია ეპ. პავლე – ბერძენ პოლიტოვების თანხლებით, პავლესთვის მიუცია მღვდელმთავრის შესამოსელი და სამკაულები და ეხლა კვირას პავლეს უწირავს კიდეც მისიონერთა ეკლესიაში! ამ სახით – დაგვაყენეს „ფაქტის“ წინაშე! პავლე ეუბნება რუსობას: „დახეთ, მე თვით კათოლიკოზიც მცნობს, მე თქვენი ეპისკოპოსი ვარო!“ ამ გარემოებას შურის თვალით უცქერის დიმიტრი, „მთავარ-ეპისკოპოსი“! ესეც შეეცდება, რაიმე განხეთქილება შემოიტანოს ამ „ერთობაში“! პეტრეც გადმოდგამს ბაქოდან თვისს „ცოცხალ“ ნაბიჯებს და „აირევა მონასტერი“! ჩვენ ძალა-უნებურად ჩაგვითრევენ ეკლესიურ ანარქიაში და ამ ანარქიაში ჩვენი ეკლესია დაჰკარგავს თვისს დამოუკიდებლობას! შესაძლებელია, ამ ანარქიაში ქართველი მღვდლებიც ჩაჰყვენ, მაგალითად, ჩიჯავაძე და ოქროპირიძეც, იმიტომ მხოლოდ, რომ ამბროსის და მის ამალის დესპოტიიდან თავი დაახწიონ! საიდან მოგვდის საფრთხე და სად ვეძებთ ჩვენ დღეს გამოსავალს! ყოველივე მოლაპარაკება პავლესთან თუ პეტრესთან, რუსებთან თუ ბერძნებთან სწარმოებს დღეს საკათ. საბჭოს მიერ „კონფიდენციალურად“, ჩუმად! რო საქმეს გააფუჭებენ, შემდეგ ჩვენ მოგვვარდებიან – თქვენ გვიყავით ესაო! მახლას!..

1923 წელი, იანვრის 1-ლი ახ. სტილით

ჩვენი ეკლესია ისევ ძველ სტილზეა! მოქალაქობა უკვე ახალი სტილით სწარმოებს ჩვენშიც. ახალი წლის წინაღამე მთელმა თბილისმა სულ განუწყვეტელ თოფის სროლაში გაატარა. ხალხი, ერი – ახალ წელიწადს ითენებს! ეკლესია კი ამ დროს სდუმს! ის თითქოს ამ ხალხს – ესე იგი თავის თავს (ეკლესია ხომ მორწმუნეთა კრებულია!) ებუტებაო! მაგრამ ამ ბუტიაობას ვინ უწევს ანგარიშს! დიდი ხანია „ეკლესია“ თავის გზით მიდის, ხოლო ხალხი და ცხოვრება – თავისი „გზით“! ახალ სტილზე საქართველოს ეკლესიის გადასვლას მე მოვითხოვდი 1918-19 წლებში საკათ. საბჭოში! მაგრამ მხარი არავინ დამიჭირა: „მართლ-მადიდებელ ეკლესიებთან ერთობა მოგვეშლებაო“! ნეტავი ვიცოდეთ – რა „ერთობაა“ დღეს ჩვენსა ან სხვა მართლ-მადიდებელ ეკლესიათა შორის! ჩვენ ერთიმეორის ამბავიც კი არ მოგვდის! მაშასადამე, ეს „ერთობა“ ფიქციაა, ის მოჩვენებაა! სხოლასტიკის ნაშთი, საპნის ბუშტები!.. დღეს ახალ წელიწადს უქმობს ჩვენი დედა-ქალაქი, სუფრა დატვირთული აქვთ ქრისტიანებს სხვა და სხვა სანოვაგეთი! „ეკლესია“ მარხულობს – ჯერ შობა არ გაგვთენებია, ახალი წელიწადი კი დავიყენეთ! თქვენ უნდა ნახოთ საკუთარი თვალით, თუ როგორ მარხულობენ დღეს... ჩვენი მღვდლები ან მათი...

უფროსები!.. ეს „უხერხულობა“ რამოდენიმედ მაინც აგვშორდებოდა, რო ახალ სტილზე გადავსულიყავით! 25 დეკემბერს – ახ. სტილით – შობას გავითენებდით, დღეს ახალ წელიწადს და შემდეგ წავიდოდა ყველაფერი თავისი გზით! ამით გაუერთიანდებოდით როგორც კათოლიკეთა ეკლესიებს, ისე პროტესტანტებისაცა, კულტურულ ქრისტიანულ ერებთან ერთ დროს გვექნებოდა დღესასწაულები! განა ეს იდეიური ქრისტიანული საქმე არ იქნებოდა! მაშ, რას ნიშნავს ჩვენი ქრისტიანულ „ერთობაზე“ ლოცვების აღვლენა – „ეკლესიათ გაერთიანებაზე“ ლოცვა! ეს ხომ „ფარისევლური კეთილ მსახურება“ გამოდის! ლოცულობ, სთხოვ უფალს იმას, რაც შენ არ გსურს გულით, რისადმი შენ არ გსურს შეგნებული ერთი ნაბიჯი რაა გადასდგა! ეს ხომ ცხადია დღეს ყველასათვის, რომ „იულიანეს კალენდარი“ 13 დღით ჩამორჩა „გრიგორიან კალენდარს“! ხოლო ეს უკანასკნელიც უკვე ერთი დღე და ღამით დაშორდა ნამდვილ ასტრონომიულ წელიწადს! ხო არ ჰგონიათ ვისმეს, რომ დასავლეთ ევროპის ეკლესიები ჩვენ შემოგვიერთდებიან... კალენდარში! ეს ხომ სასაცილოა, რო ასე სამარცხვინო არ იყოს... მაშ, ესეც დროს საქმეა! ეს ადრე თუ გვიან ჩვენშიდაც უნდა შემოვიდეს! მაგრამ წელს ახალ წელიწადს ჩვენი ეკლესია ისევ ძველი სტილით ეგებება!

საქართველოს ეგ ზარქოსის ალექსის (ოპოცკი) მოგ ზაურობა გურია-სამეგრელოში

სხედან: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), საქართველოს ეგ ზარქოსი ალექსი, ფოთის ქალაქისთავი – ნიკო ნიკოლაძე, ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე
ფოთი, 1903

ახალი წელიწადი – 1923 წელი

ჩვენ უკვე საკმარისად აღვნიშნეთ რა არევ-დარევაა დღეს გამეფებული ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებაში! ამ არევ-დარევას ხედავს მებრძოლი „კომუნიზმი“ და ის უფრო მეტი გაბედულებით ილაშქრებს სარწმუნოების წინააღმდეგ... ადგილობრივ რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ (ეს ამიერ. კავკასიის ფედერაციის ორგანოა!) ამ დღეებში დაიბეჭდა მყვირალა სტატია: „Долой религію“! დაიბეჭდა ცნობები იმის შესახებაც, რომ ყოფილი სამხედრო ტაძრები „წითელ არმიას“ ეკუთვნის და ისინი ისე უნდა მოვიხმაროთ, როგორც ჩვენ დავინახავთ საჭიროდო! ცხადია, ეპირებიან ამ ტაძრების ჩამორთმევას! აკი იმიტომაც მაძლევდენ „მეორე მღვდლობას“ ყოფილ სამხედრო ტაძარში, ან უერთებდენ ბაღის ნიკოლოზის ეკლესიას ანჩის ხატისას! „ყოფილმა პროტოპრესვიტერმა“ თოთიბაძემ ეს იყნოსა და პროვოკაცია გამიკეთა... კათოლიკოზის ხელით!.. მაგრამ ეს „სხვათა შორის“! ამ საკითხს პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს! არ სჩანს „პატრონი“! „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო“, – ტყვილა როდი თქმულა თურმე!.. მომავალ კვირას შობაა! ჩვენი „შობისათვის“ კომუნისტები ემზადებიან „ყეენობით“! უნდა გაგვიმასხარაონ „შობა“! ვნახოთ რა იქნება. ცხადია, ახალი წელიწადი ეკლესიისათვის და სარწმუნოებისათვის სავსეა „ყოველივე შესაძლებლობით“! მაგრამ... „ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსაო, სოფელო“!.. იყოს ნება ღვთისა“!

პოლიტიკური პერსპექტივები!

ახალ წელიწადში „პოლიტიკაც“ ღვარძლით, შურით და იარაღის ჟღარუნით გადადის! ლოზანაში (შვეიცარია) ისევ სწარმოებს კონფერენცია! იმ კონფერენციაზე რუსეთის „ინდელის“ კომისარს ჩიჩერინს საქართველოდან ახლავს... ბუდუ მდივანი!.. დაწვრილებით არა ვიცით რა, თუ როგორ „მონაწილედ“ მიიღეს „საბჭოთა რუსეთი“ კონფერენციაზე! ის კი ვიცით, რომ რუსეთი ეხლაც „გარიყულია“ კონფერენციაზე, როგორც გენუაში იყო! – „სრუტეებზე“ (проливы) მსჯელობენ!.. ინგლისი ოსმალეთის დამორჩილებას ელტვის! საფრანგეთი ინგლისს ინტრიგებს უწყობს! ამით „ჩიჩერინი“ სარგებლობს!.. გზავნის დეპეშებს... რუსეთში... ჩვენ გავიმარჯვეთო! საიდან, როგორ! არა სჩანს! „ჩვენი ბუდუ სრულებით არა სჩანს! ოსმალეთიც სარგებლობს „ანტანტის“ უთანხმოებით და მოურიგებელ პოზიციას იჭერს „ისმეტ ფაშა“! ბოლოს საფრანგეთი ირიყება, კერზონს (ინგლისი) ამერიკა უჭერს მხარს და იარაღის ჟღარუნი ისმის... დაიძრა ხმელთაშუა ზღვის ძლიერი ფლოტი ინგლისისა სტამბოლისაკენ. იარაღით სურთ ოსმალეთის დამორჩილება, ხოლო ოსმალეთის ზურგს უკან ატუზული „საბჭოთა რუსეთი“ რას ჰფიქრობს ამ შემთხვევაში! საბჭოთა რუსეთს ომი არ სურს! ის საკმარისად გამაგრდა შიგნით, ომი სულ აურ-დაურევს ეხლა დავთარს რუსეთს, კომუნისტები სწერენ – ჩვენ

ვეცდებით ომში ვერ ჩაგვითრიონო! მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება! რუსის წითელმა არმიამ მიიღო ორგანიული მონაწილეობა ოსმალეთ-საბერძნეთის ომში 1922 წელში წარმოებულში, რუსებმა დაამარცხეს ბერძნები ფაქტიურად და არა ოსმალებმა! ცხადია, ვერც ეხლა დაახწევენ თავს, თუ ომი გამოცხადდა. ინგლის-ამერიკას გამოჰყვებიან – „ჩეხო-სლოვაკია“, რუმინია, პოლონეთი და ეს ხომ რუსეთის ომში პირდაპირ ჩათრევაა! აი, ასეთ შესაძლებლობის წინაშე ვდგავართ ამ ახალ წლის დამდეგს! თუ ეს მოხდა, ჩვენ ქვეყანასაც ელის ომისაგან განაწამება, აწიოკება და სისხლის ღვრა!

ჩვენს კომუნისტებში „ერთი პირი“ აღარ არის, ზოგი „ქართველობდა“ – ესენი დაქსაქსეს, დაჰფანტეს, ზოგი „რუსობდა“ – ესენი კიდევ არიან ჯერ-ჯერობით თბილისში! თუმცა არც მაგათი სჯერათ... „ხელისუფლებას“! ჩვენ თვალწინ ხდება საქართველოს რუს-ბატონობის ქვეშე ახალი „სოუსით“ შესვლა! წინეთ „პრავოსლავიე“ იყო! ბერებით, მღვდლებით, თავად-აზნაურობით და ამათ წრიდან გამოსულ რენეგატებით! დღეს იგივე ამბავი ხდება „სოციალიზმი-კომუნიზმის“ წითელ დროშის ქვეშე – „პროლეტარიატის“ წრეებიდან გამოსულ რენეგატებით! არ ვიცი, რომელი სჯობს ამათში! ეს ისტორიამ განსაჯოს!.. დღეს „სურამის ციხეში“ ძველ საქართველოს ბატონ-ყმობას, ცრუ-მორწმუნებას, სიბნელეს და უვიცობას ასურათებენ... მღვდლების მონაწილეობით ამ... „ისტორიულ-პატრიოტულ“ სურათებში (ცინცაძის ტერმინია, რომელსაც კათოლიკოზი ამბროსი თუთი-ყუშივით იმეორებს, ანუ „ქვევრივით ამოსძახებს“ ხოლმე!)... დასრულდა ბაქოს დიდი კრება ამიერკავკასიისა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ რუსეთში შესვლაზე! ამით დაისვა „წერტილი“! „აღსრულდა“!..

შინაური მოქალაქობა მეტად ჩქარი ტემპით სწარმოებს! გახურებული სპეკულიაცია! „პროლეტარიატის“ დიქტატურამ ახალი სახის ბატონ-ყმობა შექმნა! ახალი „ბურჟუაზია“, ახალი „არისტოკრატიზმი“... უნიჭო, უსინდისო, უსაქმო! თბილისის ქალაქის „ისპოლკომი“ ეს ყაჩაღთა და მძარცველთა ბუდეთ გადაიქცა! მოგველის საშინელი ეკონომიური კატასტროფა!.. ქალაქი აივსო სომხობით! სომხითიდან – ანუ ოსმალეთიდან ჩვენსკენ უპირებენ გადმოსახლებას 50.000 სულ სომეხს! ენა ჩვენი აღარ არის სახელმწიფოებრივი ენა! ქართველებს „ჩისტკას“ უკეთებენ ყველა დაწესებულებიდან! მათ მაგიერ... სომხები, რუსები, ებრაელები და ვინ გინდა? ახალი ფულიც შემოიღეს! დღემდე ნოე ჟორდანიას დროის 5000 მანეთიან ფულის მაშინით სარგებლობდენ, ასეთ ფულებს სჭრიდენ! ეხლა 5000 მანეთიანების ნაცვლად 10.000 მანეთიანები მოსჭრეს, გარეგნულად ისევ 5000-ანს ჰგავს, იგივე „სასახლეა“ ზედ დახატული, მაგრამ „ნამგალი და ცელი“ და „ორახელაშვილ-ბიბინეიშვილის“ ხელმოწერით! ამ „ფულმა“ პანიკა გამოიწვია ბირჟაზე! ოქროს თუმნიანი 11 მილიონამდე ავიდა! საქონელი მეტად გაძვირდა! ზღაპრული ფორმა მიიღო ამ სიძვირემ – შაქარი 300-500 ათას მანეთად იყიდება გირვანქა! პური – 50.000 გირვანქა! საქონელი დამალეს. ვაჭრები დაიჭირეს! ზოგი დახვრიტესო და ასე ისევ აღადგინეს... „ნორმალური ცხოვრება“! მაგრამ დღეს ისევ შიშის ზარია

ბირჟაზე, ისევ სიძვირეა!.. ამბობენ, ეს „ბონიც“ – 10.000-იანი მოისპობა, ერთი ამიერ კავკასიის გაერთიანებული ფული იბეჭდება... მოსკოვშიო! და ჩვენი ბონებიც მოისპობა... ამიერ კავკასიის ფულს უკან მოჰყვება საბჭოთა რუსეთის ფულის ტრიალი ჩვენში... „რუსული მანეთიანის“ „სტაბილიზაცია“ უნდა მოხდესო, ესე იგი – რუსული ფულის კურსი უნდა გამაგრდეს – გაბატონდესო!.. ამ „პროცესსში“ ჩვენს ქვეყანას მოელის გაღატაკება, ეკონომიურად გამოფიტვა, ყველაფერს გაზიდავენ, მოგვაშორებენ, გაგვატიტვლებენ და... დაგვიმონავებენ! ამ პერსპექტივებით გადავდივართ 1923 წელში! ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ „მტყუანი“ გამოვდგეთ!.. მაგრამ ეს ბევრ ცვალებადობაზეცაა დამყარებული. „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო“!..

P. S. შიო დედაბრიშვილს – „არაგვისპირელს“ მივსწერე წერილი 5 იანვრის თარიღით – „შემყარეთ იმ „საკათ. საბჭოს წევრს თქო“, ვიწვევ სამართალში, როგორც პროვოკაციულ ცილის-მწამებელს“!...

კათოლიკოზი ამბროსი და „ახალი სტილით“ – „ახალი წელიწადი“!

დღეს, შუადღეზე, კათოლიკოზის კარის ეკლესიიდან მომესმა ზარის რეკა! გავკვირდი ასეთ დროს ზარის რეკაზე და წავედი მენახა – რა ამბავი იყო! ეკლესიაში იყვნენ შემოსილნი და პარაკლისს იხდიდენ: დარიის მონასტერში ეხლახან გადმოყვანილი ხირსიდან არქიმ. დიმიტრი (წინეთ დარია „გააშტატეს“, ეხლა ისევ გაამონასტრეს!), დეკ. ფხალაძე, მღვდელ მონაზონი ეფრემი, იეროდიაკონი ნიკო ბერი; გალობდა იპოდიაკონი სიკო მონასელიძე – სამოძღვრო კურსების ოთხიოდე დიაკვნებთან; შემოვიდა ტაძარში ერთი ჩემი მრევლთაგანი – ალექსანდრე დორიალაშვილი, მეკითხება – რა ამბავიაო! არც მე ვიცი თქო; ცოტა ხნის შემდეგ კათოლიკოზიც თვის ბინიდან შემობრძანდა საკურთხეველში და ისმენდა... – „ახალი წლის პარაკლისს“! გავკვირდით ყველანი! თუ პარაკლისი საჭირო იყო, რატომ ჩვენც არ გვებრძანა ამ თაობაზე რაიმე?! თუ დღეს ახალ „წელიწადს“ სცნობს კათოლიკოზი, ეს „ახალი სტილის“ ცნობაცაა! რატომ არ გადასდგამენ საამისო ნაბიჯს!.. შემდეგ გამოირკვა, რომ ყოველივე ესე მოხდა „შიშისათვის ურიათასა“! მთავრობამ შარი არ მოგვდოს – თქვენ წინააღმდეგნი ხართ მოქალაქობრივ ცხოვრებისა, კონტრ-რევოლუციონერები ხართო! საბრალო ჩვენი თავი!! თურმე რაში ყოფილა საქმე! მახლას! „თავს მალავენ და ბოლოს კი ვერა“! „სანამდე უნდა ვიკოჭლოთ ორივე ფეხებით“!..

1923 წ. 7 იანვარი (25 დეკ.). შობა – კვირა

„შობისათვის“ „კომსომოლებიც“ ემზადებოდენ – ამ დღის შესაბღალავად, გასამასხარავებლად, „ბერეკაობა“ ანუ „ყეენობა“ უნდა გაემართათ. ამას გარდა, გაზეთებშივე დაიწყეს მუქარების წერა – ყოფილი სამხედრო ტაძრები – ეს „წი-

თელ არმიის“ სამკვიდროა, ეს „ჩვენია“ და ჩვენვე უნდა მოვიხმაროთ, როგორც მოგვესურვებაო!.. გათენდა შობაც! ვსწირე ანჩის-ხატში... ეკლესია სავსე იყო მორწმუნეებით, გალობდა სამ-ხმოვანი გუნდი! „კარგი წირვა გვქონდა, ლამაზი და სასოებიანი“, – ასეთი მადლობა გადამიხადეს წირვის შემდეგ. ქადაგება წარმოვსთქვი დროის შესაფერი: პავლე მოციქულის ეპისტოლედან გალატელთა მიმართ, შობის საკითხავიდან – „შვილება ღვთისა“! აპოლოგეტური მოძღვრება მივაწოდე მსმენელთ „ურწმუნოებაზე“, რომ ურწმუნოება ეს „ახალი ამბავი“ არ არის, რომ ურწმუნოება უფრო უნიადაგო და გაუგებარი მოვლენაა, ვინემ სარწმუნოება. უღმერთობა უფრო „საკვირველი“ და უაზრობაა, ვინემ ღვთის სუფევის აღიარება, მთელი მსოფლიო ღაღადებს – ჩვენ ღმერთმა გაგვაჩინა, იგივე გვმართავს, გვივლის და გვპატრონობსო! ჩვენ წინ გადაშლილია ვეებერთელა წიგნი ბუნებისა და მსოფლიოსი, წიგნი დაწერილი არა ასოებით, არამედ ბუნების სხვა და სხვა მოვლენებით, ბუნების სხვა და სხვა კანონებით, ათასგვარ საგნებით, ნივთებით, სულიერი ცხოვრების სხვა და სხვა სახით, განცდით და გამოსახულებით! ამ წიგნის წაკითხვას გვასწავლის მეცნიერება! ამიტომ მეცნიერებას უნდა ღმერთთან მივყავდეთ და არა გვაშორებდეს ის ღვთაებას! და თუ ვხედავთ ხშირად და ხშირად წინააღმდეგ მოვლენას, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ასეთ „მეცნიერებს“ გზა არევიათ, მიხვეულ-მოხვეულ ორ-ღობეებში შესულან და ჯერ იქიდან ვერ მოუხერხებიათ გამოსვლა!.. დღევანდელი ურწმუნოება „მატერიალიზმი“ – ეს ახალი ამბავი როდია, ეს ყოფილა, არის და იქნება! მაშასადამე, ჩვენ ეს მოვლენები გვაღონებენ, მაგრამ როდი გვაშინებენ! ასეთ ხანს კაცობრიობა ბევრჯელ განვლის კიდევ! ხან ასეთ „გუნებაზე“ იქნება ის, ხან „ისეთზე“! მაგრამ ჭეშმარიტება ჰგიეს უკუნისამდე! ის თავს მაინც იჩენს და ჩვენც გვაცნობებს ხოლმე!.. მოუწოდე მივხედოთ ახალ თაობას, ოჯახს, სახლში მივსცეთ ჩვენს ერს ის სულიერი საზრდო, რომელსაც აღარ იძლევა აწინდელი სკოლა!.. დღეს გაიძახიან – „ეკლესიაში რეფორმები შემოიღეთო“. არ ვიცით, რომელ რეფორმებზე ლაპარაკობენ! მობრძანდნენ და განაცხადონ – რა სახის რეფორმები სურთ! „ეკლესია არ გვაკმაყოფილებსო“! – ცხადია, ასეთები ეკლესიაში ისეთსავე გასართობებს ეძიებენ, როგორიც მათ ეძლევათ ხოლმე თეატრებში, ოპერებში, კონცერტებში, კინოებში და სხვა. შემცდარი აზრია! ჩვენ არ შეგვიძლია, თქვენ გაგართოთ ეკლესიაში! ჩვენ შეგვიძლია, როგორც, მაგალითად, დღეს – გალოცოთ, პირჯვარი დაგაწერიოთ, სასოებაში მოგიყვანოთ წირვით, ლოცვით, გალობით, კარგი წაკითხვით და მოძღვრებით! მობრძანდით, ხშირად შემოიკრიბენით დედა-ეკლესიის გარშემო და ჰპოებთ აქაც იმას, რასაც ეძიებს მორწმუნის სული და გული! „რეფორმები“ დავიწყოთ ჩვენი სულიერი ცხოვრების განხილვიდან, ჩვენი საქციელის განღმრთებისაგან, ოჯახის, ცოლ-ქმრობის, მამა-შვილობის, დედა-შვილობის, და-ძმობის, კავშირის განმტკიცებით და აღორძინებით. აქედან გარეგან ცხოვრების „რეფორმაც“ ადვილი საქმე შეიქნება, გამოჩნდება თავისთავად, თუ რა ცვლილებები უნდა შევიტანოთ ეკლესიურ ცხოვრების გარეგან წესებში, ზნე-ჩვეულებებში, წირვა-ლოცვაში, მღვდლის ყოფა-ცხოვრებაში! თუ როგორ უნდა დაუხლოვდეს კულტურულ ცხოვრებას ეკლესიური მართვა-გამ-

გეობა და მსვლელობა... ზოგი რამ კიდევ ვილაპარაკე!.. ქადაგებას წინ და წინ აღარ ვამზადებ, არცა ვსწერ! აღარ არის მაგისი ხალისი...

კათოლიკოზი მწირველი ბრძანდებოდა სიონში. სიონში წასვლისას – „კომსომოლებმა“ „ბერეკაობა“ შეაგებეს კათოლიკოზს – „საკკოსით“, „მიტრებით“ და ზიზილ-პიპილებით მორთული ბუტაფორიები!.. სიონში ხალხი ნაკლებად ყოფილა! კათოლიკოზს ქადაგება წარმოუთქვამს – „ძლიერ ღელავდა, სულ ენა ებმოდაო“!..

8 იანვარი – ორშაბათი

დღეს შუადღის პირველ საათზე დანიშნული იყო კათოლიკოზისადმი შობის მილოცვა; შეიკრიბა სამღვდელოება, სამრევლო საბჭოების წარმომადგენლებით. მთავარ-ხუცესმა მოკლე მისალმებით მიმართა კათოლიკოზს, ამანაც „უპასუხა“. შემდეგ დარბაზში გაიხსნა კრება. მოხსენება გააკეთა თვით კათოლიკოზმა – „Живая церковь“-ზე: „რეფორმებზე“, „ჯავახიზმზე“ (ჯავახია სამეგრელოში – ნაბერალა შუშანიას „ეპისკოპოსად“ არჩევაზე და სხვა) და ყოფილ სამხედრო ტაძრის გარშემო გუშინ მომხდარ ინციდენტზე: რუსთაველის პროსპექტზედაც გამოსულან „კომსომოლები“ – „ეკლესიურად მორთულ-მოკაზმული, აქლემებით და ერთი „ლიტანიით“; ესენი შესულან სამხედრო ტაძრის ეზოში, აქედან ტაძარშიდაც, იქიდან ხალხი გამოურეკიათ, ვინც სიტყვა შეუბრუნა – ორიოდე კაცი „ჩეკაშიდაც“ წაუყვანიათ. სამხედრო ტაძარში უკვე მსახურობს დეკ. ბენიამენ კონტრიძე, რომელიც, როგორც ზემოდაც გვქონდა აღნიშნული, გადმოიყვანეს კიდევაც „პრიუტის“ სამრევლოდან „გაერთიანებულ ტაძრების“ კრებულის წევრად, მაგრამ მიჩემებული აქვს სამხედრო ტაძარი! არ ვიცი, ჯერ ბინა სად მიუჩინეს!.. „კომსომოლები“ „შტურმს უკეთებენ სამხედრო ტაძარს და თვით „ზეცასაც“! – რამდენი ხანია საამისოდ ემზადებიან, სწერენ გაზეთებში – „Заря Востока“-ში, „Правда Грузия“-ში, „Красный войн“-ში! მაგრამ დეკ. თოთიბაძეს ყურიც არ გაუბერტყია, არავითარი ზომები არ მიუღია! კათოლიკოზი იცავს თოთიბაძეს, ეფარება ზედ, ვერ გვაძლევს ნამდვილ ამბავს, თუ რა მოხდა 7-8 იანვარს სამხედრო ტაძარში... შემდეგ გადადის იმაზე თუ როგორ აღძრეს ბერძნებმა (პოლიტოვებმა – ძმებმა) შუამდგომლობა – ეპისკოპოსი მოგვეცითო. ეპისკოპოსად რუსი დამისახელესო, მე ეს არ ვქენი, „თუ რუსი გამოგადგებათ ეპისოკოპოსად, მე რატომ არ გამოვდგებიო“, – ასე უთხარიო და ბოლოს დამთანხმდენ, ჩვენს კაცს წარმოგიდგენთო, „ჩვენი ეკლესიის პრესტიჟი“ იწევა ბერძნების ჩვენთან შემოერთებითო“, – განაცხადა კათოლიკოზმა, მაგრამ დამსწრეთ „მწარე ღიმილმა“ დაუწყო პირზედ თამაში! შემდეგ განაცხადა კათოლიკოზმა, რომ რუსის ეპისკოპოსი პავლეც იყო ჩემთან ბაქოდან გამოძევებულიო, ამანაც წინადადება მომცა, შემოგიერთდებით რუსები, თუ „სხიზმატიკობას“ აიხსნით, რომელიც რუსეთის ეკლესიამ თქვენ კისერზე დაგადოთო“! ამაზე კათოლიკოზს უპასუხნია: „ჩვენ სხიზმატიკები არა ვართ

და ვერც ვიზრუნებთ ამაზეო“!.. – „გავაფართოოთ თქვენი ავტოკეფალიაო, – უთქვამს ისევ ეპ. პავლეს, – შემოვიყვანოთ შიგ ადერბეიჯანის, ყარს-ერევნის მართლ-მადიდებლობაცაო“! ამაზე კათოლიკოსს უარი მოუხსენებია, „ჩვენ ჩვენს ისტორიულ-ტერიტორიალურ ფარგლებში გვინდა დავრჩეთო“!.. ის კი ვერ გავიგე ჯერ – ამ ეპ. პავლეს მართლა მისცა სამღვდელმთავრო შესამოსელი კათოლიკოზმა და ნება დართო მისიონერთა ეკლესიაში წირვა-ლოცვის თუ არა! დიმიტრი მთავარ-ეპისკოპოსისათვის კი მიუცია ესე ყოველი და ამას უწირავს კიდევაც მიხეილ ტვერელის ტაძარში, მთის ძირში რო ააშენეს ვორონცოვ-დაშ-კოვებმა!.. თბილისის რუს სამრევლოებშიც შემოსულა განხეთქილება – ზოგი „Живая церковь“-ს ემხრობა, ზოგიც „მიერტვაიას“ ანუ ტიხონისას! კათოლიკოზ-მა ისიც განაცხადა, რომ „ქართველი მღვდლის“ ხელით ამ „Живая церковь“-ის ეპისკოპოს ანტონინიდან წერილი მომივიდა, წინადადებას მაძლევს მივიღო ქორ-ეპისკოპოსად რუსი, რომელსაც ისინი აკურთხებენ მოსკოვში და გამოგ-ვიგზავნიანო“! აბა, ეს რას ეგვანებაო!.. შემდეგ კათოლიკოზმა განაცხადა: „აირჩიეთ ეხლა თავმჯდომარე და იქონიეთ მსჯელობა ყოველივე იმაზე, რაც მოგახსენეთო“!.. მაგრამ კათოლიკოზმა იმდენი რამ ილაპარაკა, ერთი-მეორეში დომხალივით არეულ-დარეული საგნები, რომ აღარავინ იცოდა, თუ როგორი მსვლელობა უნდა მისცემოდა სჯა-ბაასს. ჯერ დიდხანს თავ-მჯდომარის ძებნას მოუნდნენ, ხან პროფესორი ს. გოგიტიძე („პროფ. კეკელიძე“ კი არსადა სჩანს!), ამან უარი განაცხადა, შემდეგ დ. დავითაშვილმა სერგო გორგაძე დაასახელა, ამანაც უარი განაცხადა: „მე ეს ხუთი წელიწადია შევსწყვიტე კავშირი ეკლე-სიურს საქმეებთან, დღეს შემთხვევით მოვყევი აქ, არ ვარ საქმეთა კურსში და ვერ ვიკისრებ თავმჯდომარეობასაო“. შემდეგ ივანე რატიშვილი აირჩიეს თავ-მჯდომარედ – საკათ. საბჭოს წევრი – თუ კანდიდატი, კაცი მჩატე, მლიქვნელი და არა საქმიანი; ამან დავითაშვილი „მდივნად“ მიიწვია და... გაიმართა „კრე-ბა“!.. იყვნენ რამოდენიმე მანდილოსანნი, ერისაგანნიც, ხურდა-ხურდა ხალხი, არც ერთი ცოცხალი ძალა! ასეთი „არმიით“ ანუ „თანამგრძნობელებით“ შორს ვერ წავა ჩვენი უბედური ეკლესია! შემდეგ შეიქმნა „მსჯელობა“ – თავისტეხა, რა საგანზე უნდა იქონიოს კრებამ მსჯელობა! ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ გადაწყდა, იქონიონ მსჯელობა „გუშინდელ ინციდენტზე“ – ესე იგი ყოფილ სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის განზრახვაზე და სარწმუნოების გამასხარა-ვებაზე. ამ თაობაზე დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა ნიკო ბარნაბიშვილმა – ანაფორა გახდილმა მღვდელმა, მან დაახასიათა ყოფილ სამხედრო ტაძრის სრული უპატრონობა, უყურადღებობა იმის მხრივ, ვინც ეს მოვალეობა აიღო თავისთავზეო, ე. ი. დეკ. თოთიბაძეზე; იმის მაგივრად, რომ ამ ტაძრისათვის იდეიური მიმართულება მიეცათ, მისს გარშემო ქართველი მრევლის ორგანი-ზაცია შეექმნათ, აქ რუსულ-სლავიანური წირვა-ლოცვა-გალობა გააჩაღეს და რასაკვირველია, რომ რუსებმა ხელი წამოუპოტინონ ამ ტაძარს: თუ რუსულად არის საჭირო წირვა-ლოცვა, ეს ჩვენ უფრო კარგად გვეხერხებაო! ამ ტაძრის გარშემო ატეხილ განგაშს ბოლოს და ბოლოს ის მოჰყვება, რომ აქ რუსული სამღვდელოება მოიკალათებს, „კომსომოლების“ ეხლანდელი გამოსვლა ეს

ერთნაირი შირმა არისო“... შემდეგ შეეკითხენ დეკ. თოთიბაძეს, „თქვენ რა ზომები მიიღეთ „კომსომოლების“ წინააღმდეგ, როდესაც ისინი ტაძარში შემოგიცვივდენო“! ამაზე თოთიბაძემ შემდეგი უპასუხა: „რა ზომები უნდა მიმეღო, ჩემი ამხანაგი დეკ. ბენიამინ კონტრიძე გავგზავნე მილიციის უფროსთან და მილიციელები მოიყვანა მამა კონტრიძემ და ამათაც ვერა გაარიგეს რაო“!..

ჩვეულებრივი „სახე“ თოთიბაძისა! ის ასეთ დროს მუდამ სხვისს ზურგს უკან იმალება, ის არ ჩნდება! თვითონ მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს თვისს „საპროტოპრესვიტერო“ ტაძრის დასაცველად! ამას გარდა დღეს დეკ. თოთიბაძე მეტად დავთარ-დაკარგულად გრძნობდა თავს, ის აღარ აძლევდა ანგარიშს თავის-თავს, ისეთი რამეები წამოროშა. „ყოფილ სამხედრო ტაძრის შემოსავალი ხარჯს არ ჰფარავდაო, – განაცხადა მან, – ეს ტაძარი ვერის ნიკოლოზის ხარჯზე ინახებოდა, ნიკოლოზის ეკლესია ჰფარავდა მის ხარჯებსო, ოთხ მილიონს მგალობლებს ვაძლევდით. „ადრეული“ („ранняя“) წირვა შემოვიღეთ რუსულად, გვიან წირვაზეც გვესწრებოდა რუსობა, მათ ალბად მოსწონდათ ჩვენი გალობაო“(!!!). შემდეგ შეეკითხენ, მრევლი თუ ჰყავს მაგ ეკლესიასო, საჭიროა ეხლა მრევლმა ამოიღოს ხმა, მთავრობა მხოლოდ „მრევლს“ სცნობს ეკლესიის პატრონადო, მთავრობა ამბობს – ეს ეკლესია სამხედრო იყო, დღეს ეს არავის სჭირდება, თითქმის სულ ცარიელია და ჩვენ მოვიხმართ ამასაო! რატომ მრევლი არ შექმენითო?! „დეპუტაციაში სამრევლოდან უნდა იყვნენ წარმომადგენლებიო“, – განაცხადა პროფ. გოგიტიძემ! ამაზე თოთიბაძემ უპასუხა: „არიან რამოდენიმე ყოფილი გენერლები და ოფიცრები, გუშინ ციხიდან გამოუშვიათ გენერალი წულუკიძეო“! – ასეთი უმწეო მდგომარეობა შეუქმნია ამ „ჭკუიან“ თოთიბაძეს და „მოხერხებულს“, როგორც მას ეძახის მისი მეგობარი კათოლიკოზი! შემდეგ ცხარე სიტყვით განკიცხა დეკ. თოთიბაძე სოსიკო მერკვილაძემ, ის მღვდლები, რომელნიც სარწმუნოების საქმეს კი არ ემსახურებიან, არამედ საკუთარ-პირად ინტერესებს აწარმოებენ, ცუღლუტობენ, არევ-დარევა შემოაქვთ ჩვენში, ასეთები უნდა განიდევნონო! აქ ამბობენ, თითქოს ტაძარი ისევ მათ ხელში იყოს, ნამდვილად კი ტაძარი მიუტოვებიათ, ხატები, ჯვრები და სახარებები თვითონვე გამოუტაცნიათ, ეტყობათ, თვითონვე აღარ სურთ ეს ტაძარი, „შემოსავალს“ აღარ აძლევს მათ ეს ტაძარი, პირიქით, ნიკოლოზის ეკლესიიდან ეხარჯებათ ფულები, ამ „დროით“ სურთ ისარგებლონ და გაძარცული ტაძარი თავიდან მოიშორონ, ამისათვის ეს განგაში მათთვის ხელ საყრელიც არისო“... ამ სიტყვაზე ასტყდა დიდი ჩოჩქოლი, კათოლიკოზიც აღელდა, რაღაცა მთავარ-ხუცესს უჩურჩულა, ესეც გამოვიდა დარბაზიდან – სურდა შეემოწმებია, მართლა გადმოზიდეს იქიდან სამკაულები თუ არაო! არ ვიცი, რა გამოარკვიეს!.. მერკვილაძე გავიდა დარბაზიდან, წავიდა სახლში. გამოვიდა სიტყვით დ. დავითაშვილი, ამან განაცხადა: „ზოგს ეკლესია შეიძლება არ სწამდეს, მაგრამ ეროვნულ თვალსაზრისით იცავდენ მასო“! ამ სიტყვებზე სწვდა ყელში მთავარ-ხუცესი ხახუტაშვილი: „ეს რა ლაპარაკია?! რა საკადრისია?! ვისაც ეკლესია და სარწმუნოება არა სწამს, ასეთებს რა ესაქმებათ ჩვენთან, ასეთებმა რა მხარი უნდა დაგვიჭირონო“?! შეიქნა ჩოჩქოლი! დავითაშვილს სურდა ეპასუხნა

მთავარ-ხუცესისთვის, მაგრამ თავმჯდომარემ ნება აღარ მისცა. „აქ ერთმა ერისაგანმა გადმომცა ტყუილი ხმები, თითქოს ტაძრის კრებულს გასაღები გადაეცეს კიდეც „კომსომოლებისათვის“, ეს ტყუილია, პირში ვამხილე, ეხლა არ დავასახელებ მასო“! – ამაზე მე მოვითხოვე სიტყვა, მსურდა, არსებითად შევხებოდი საგანს, ჯერ შევეკითხე: „შობა საღამოთი იყო ლოცვა თუ არა ტაძარში?! ან დღეს, შობის მეორე დღეს, წირვა იყო თუ არა ტაძარში“ თქო?! – ამაზე მიპასუხეს: „არაო“! მაშ, რაშია საქმე?! გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ტაძარს არც „მრევლი“ ჰყოლია და არც კრებული ჰპატრონობს მას, კრებულს მიუტოებია კიდეც ტაძარი! დღეს თუ არ სწირავდით იქ, მაშ, როდის უნდა სწიროთ?! აი, თეოდოსის ტაძარშიც (ლენინის „ძეგლთან“) დაუპირებიათ შესვლა „კომსომოლებს“, მაგრამ ტაძარში და კარებში დახვედრია მორწმუნეთა „კედელი“ – ხალხი, რომელსაც უფრენია ეს შეიარაღებული ბიჭ-ბუჭობა! ყოფილ სამხედრო ტაძრის კრებული კი გამორბის ტაძრიდან, თვითონ ყველაფერს თავს არიდებს და თქვენ გეუბნებიან – დელეგაცია გაგზავნეთ მთავრობასთან, თქვენ თუ უშველით საქმეს, თორემ ჩვენ რა შეგვიძლიაო! თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონებო?! – შევეკითხე მე კრებაზე დამსწრეთ! რა ნიადაგზე უნდა დასდგეთ, რა საბუთებით უნდა დაიცოთ ყოფილი სამხედრო ტაძარი?! არ გკითხავენ – „თქვენ ვინ ბრძანდებითო“? ჩვენ აქ გვესმა დეკ. თოთიბაძის განცხადება – ტაძარი თავის თავს ვერ ინახავსო. აი, აქედან უნდა იგულისხმოთ, რომ ტაძარს ჩვენ ვერ მოუვლით, მას მრევლი არ ჰყავს, არც კრებულს უდევს უკვე გული ამ ტაძრისადმი, ისინი თითქოს თავიდან იშორებენ ამ ტაძარს და თქვენ გეუბნებიან (მრევლის შედგენაზე არ უფიქრიათ) – წადით და მთავრობის წინაშე თქვენ დაიცავით ისაო?! მე არ მესმის, ეს რა საქმეა“? ამაზე თავმჯდომარემ მიპასუხა: „მამაო დეკანოზო! თქვენ გსურთ სთქვათ, რომ ყველაფერში საკათ. საბჭოა დამნაშავე – რატომ „გააერთიანა“ ეს ტაძარი ვერის ნიკოლოზთანო, ამაზე სხვა დროს გვექნება მსჯელობა და საბჭოც დაისჯებაო“, – ირონიით მითხრა ბატონმა რატიშვილმა! მე უპასუხე: „რატომ მისწრებთ, ბ. თავმჯდომარევ, წინ, რატომ გსურთ ჩემი გულის პასუხების წინ და წინ ამოკითხვა?! მადროვეთ, ბატონო, ყველაფერს მოგახსენებთ, მაგაზედაც მოგახსენებთ, არ დაგერიდებითქო“! „ეხლა არ არის საჭირო ამაზე ლაპარაკიო“, – მიპასუხა თავმჯდომარემ! „მაშ, კარგი, თუ საჭირო არ არის, მეც აღარ ვილაპარაკებ“, – განვაცხადე და დავჯექი. ერთმა ახალგაზრდა ექიმმა (გვარი ვერ გავიგე) გაჰკიცხა დეკ. ჩიჯავაძე, ის „Живая церковь“-ს შეერთებია, მაგრამ ბოლოს უკან იხევს და თავს მართლულობსო; ამ საქმეში ოქროპირიძის გვარიც გვესმაო და სხვა. ერთი სიტყვით, აქ გაბატონებულ „გრუპპის“ კლაკიორები ისევ „ბანზე გვიგდებენ სიტყვას“, რომ თავიანთი უსაქციელობა დაჰფარონ. ბოლოს ამოირჩიეს – დელეგაცია მთავრობასთან წასასვლელად სამხედრო ტაძრის შესახებ. დაასახელეს – ივანე თულაშვილი (პროფესორი), მიხ. მაჩაბელი და დ. დავითაშვილი, დედა-კაცთაგან ნინო გელოვანისა და თულაშვილისა. ესენი უნდა წარუდგნენ მთავრობას კათოლიკოზის მანდატით და მოითხოვონ სამხედრო ტაძრის დაბრუნება!

10 იანვარი

დღეს იყო დელეგაცია მთავრობასთან, მაგრამ არ მიიღო ის მთავრობამ, კათოლიკოზის მანდატით არ მიგიღებთ, მორწმუნეთა მანდატი უნდა გქონდეთო; ჩამოართვეს ქაღალდები რეგისტრაციაში გასატარებლად. საკათ. საბჭოს კი მოსვლია მოწერილობა – დღეს საათის პირველზე გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი სამღვდელმსახურო საგნების მიღებაზე დასასწრებადო“! ამათ კი ვერ გაუგიათ – ვინ ვის უნდა ჩააბაროს ეს საგნები – ამათ მთავრობას, თუ მთავრობამ სასულიერო უწყებას. აი ეხლა აცურებს დეკ. თოთიბაძე თვის საშინელ ბოროტ-მოქმედებებს ამ ტაძარში, ამ განგაშის დროს ვინღა მოსთხოვს მაგას ანგარიშს იმ უამრავ საეკლესიო სამკაულების, შესამოსლების, ოქროვეცხლის ნივთებში, რომელიც ამ ტაძარში იყო დაგროვილი, ხოლო თოთიბაძემ 1918 წლიდან დღემდე გაანელა ყოველივე ეს, დაჰყიდა, პურებზე დასცვალა, გაძარცვა-გაანიავა ეს ამოდენა სიმდიდრე. ახალციხე-ჯავახეთის მხარეთა ეკლესიები გაძარცულებია, არც ხატები, აღარც შესამოსლები იქ აღარ მოიპოება, აქ კი ყოველივე ეს ნიავდება და ვინ იცის, ვის უვარდება ხელში!.. დღეს საკათ. საბჭოს სხდომა იყო და დეკ. თოთიბაძეც ბრძანდებოდა ამ სხდომაზე, თუმცა არც წევრია და არც რა მოხელე „ოფიციალურად“ მაინც.

ისევ პატარა წმ. გიორგის ეკლესიაზე

დღეს გავიგე დეკ. გ. ასათიანისაგან, რომ ხსენებულ წმ. გიორგის დეკანოზს თხინვალელს საკათ. საბჭოში შეუტანია მოხსენება – შესამოსლები მაქვს გასასყიდი და იყიდეთო! ამათ არც კი უკითხნიათ – საიდან, ვინ მოგცა შენ ეს შესამოსელიო და ნება დაურთავთ გაყიდვისა – ზოგი სიონზე, ზოგი წმ. ნინოს ტაძარზე! გაუყიდიათ ამ ტაძარში კირიონ კათოლიკოზის დროს კარის ეკლესიიდან გადმოტანილი ოთხი ხელი საუკეთესო შესამოსელი და ოთხიც ქალაქის თვითმმართველობიდან გამოტანილი! აი, ასეთი სინიდისის პატრონია ჩვენი ცენტრალური დაწესებულება...

ბათუმის ამბები

დღესვე შემოვიდა ჩემთან ბათუმიდან მღ. მიხ. ჩხიკვაძე, რომელიც ამას წინეთ ბათუმის დეკ. არსენ თოხაძის ბეზღაობით „ჩეკაში“ ჩაუსვამთ, ბათუმიდან თბილისის „ჩეკაში“ გადმოუყვანიათ, ხოლო აქ გაუნთავისუფლებიათ. ამან მიამბო ეპ. დავითის საშინელი უთაობა: „ჩეკის“ შეკითხვაზე ჩემსა და თოხაძის შესახებ ეპ. დავითს წერილობით უპასუხნია: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ „ჩეკამ“ მიიღო თავის თავზე ბათუმელ მღვდლების საქმეთა გამოძიებაო“! ასე გაგვცა ეპისკოპოსმა, აიხადა ყოველივე უფლება და ჩაგვყარა „ჩეკის“ ხელშიო!

მე „ჩეკას“ პროტესტი გამოუცხადე ამ თაობაზე, თქვენ 21 ნომრის დეკრეტის ძალით – ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ – უფლება არა გაქვსთ ჩვენს საქმეში ჩაერიოთ და თუ ეპისკოპოსმა ასეთი განცხადება ინება, მას დანაშაული ჩაუდენია და მე უფლებას ვიტოვებ განვასაჩივრო როგორც თქვენი, ისე მისი მოქმედებაცო“! იქ დიდი არევ-დარევაა ისევ თოხაძის მიერ...

10 იანვარი – ოთხშაბათი

დღესვე მოვისმინე, რომ დეკ. ლაზრიშვილმა უთხრა საკათ. საბჭოს წევრს ნიკო თავდგირიძეს – ერთი ფუთი ფქვილი გერგებათ და 375.000 მანეთი ფული საქალაქო გადასახადის შესატანადო! ცხადია – ფქვილსაც ირიგებენ „საბჭოელები“ და ყოველივე პირად გადასახადებსაც აქედან ინაღდებენ!!. ნახეს ოხერი დაწესებულება და რა ენაღვლებათ...

ახალი ფული

დღესვე გამოცხადდა დეკრეტი ამიერკავასიის საერთო ფულის ნიშნის გამოშვებაზე, ორი თვის განმავლობაში ძველი ბონები ახალ ნიშნებზე უნდა შეიცვალონ! ამან დიდი პანიკა გამოიწვია ბირჟაზე. აიწია ფასებმა ყველაფერზე საზღაპროდ, დღეს ერთი გირვანქა შავი პური 20.000 მ. ღირს, შაქარი დაჭრილი – 180.000 მანეთი, ფხვნილი – 120.000 მანეთი და სხვა...

შემოიღეს: 1000, 5.000, 10.000, 50.000, 100.000, 500.000 და 1.000.000 მანეთიანები.

ახალი მანეთი უდრის ქართულ ბონის მანეთსვე – ე. ი. თანასწორია, სომხის 150 მანეთი – 1 მანეთს, ადერბაიჯანის 100 მანეთი – 1 მანეთს ახალ ფულისას. უნდა გამოიცვალოს ძველი ფულები ახალ ფულზე ორი თვის განმავლობაში – 10 მარტისათვის! რა ციებ-ცხელება ატყდება ამ „გამოცვლაზე“, როგორ დაზარალდებიან სოფლელები, რამდენი საცოდაობა დატრიალდება ამ ნიადაგზე...

13 იანვარი (31 დეკ. ძვ. სტ.) – შაბათი. 1923 წ.

$11^1/_2$ საათზე ჩემთან შემოვიდა ჩემი მედავითნე მიხ. ელიზბარაშვილი და გადმომცა მეტად ამაღელვებელი ცნობა: წუხელ – ღამით – გაუჩხრეკიათ კათოლიკოზი, დეკანოზები ცინცაძე-ლაზრიშვილი, ქავჟარაძე, შუბლაძე, თოთიბაძე, მირიანაშვილი, ესენი წაუყვანიათ „ჩეკაში“, კათოლიკოზი კი ჯერ სახლშია; წაუყვანიათ დ. დავითაშვილიც!.. იწყება რეპრესიები ეკლესიაზედაც! – ეს ყველაფერი იმაზეა გამოანგარიშებული, რომ წყალ-კურთხევის ლიტანია – იორდანე ჩაშალონ!.. ვნახოთ, რა იქნება... მივდივარ კათოლიკოზთან... დაუტუსაღებიათ საკათ. საბჭოს წევრი ნიკო თავდგირიძეც!..

კათოლიკოზთან

კათოლიკოზთან დამიხვდა ახლად გადმომწესებული „პრიუტის“ სამრევლოდან ყოფილ სამხედრო ტაძრის „მეორე მღვდლად“ – „გაერთიანებულ“ ტაძრების კრებულში – დეკ. ბენიამენ კონტრიძე, აქვე იყო ეფრემ ბერი, მალე მოვიდა დეკ. მ. ფხალაძეც, იყო მთავარ-ხუცესი ხახუტაშვილი. კათოლიკოზი საძინებელ ოთახში იყო წამოწოლილი. „მთელი ღამე არ უძინიაო“, – სთქვა მამა კონტრიძემ. კონტრიძის ლაპარაკიდან აშკარად გამოდიოდა, რომ ყოველივე ეს მოხდა დეკ. ი. ჩიჯავაძის მიერო!.. შემდეგ შემობრძანდა თვით კათოლიკოზი; მეტად მოშვებული და უგუნებო იყო, არ ეტყობოდა არავითარი სულიერი სიმტკიცე!.. ვერავითარი აზრი ვერ წავიკითხე მისს სახეზე; ამ დროს შემოვიდა მღ. ჟორჟიკა კალანდარიშვილი, ეს დეკ. ჩიჯავაძის მოჭიდავე, რომელმაც უჩივლა ჩიჯავაძეს – საყვარელი ჰყავს სახლშიო და სხვა! ანუ უკეთა ვსთქვათ – აჩივლეს ეგ უბედური და ჩაითრიეს საშინელ წუმპეში! შექმნეს „გამოძიება“ – შუბლაძე-ლაზრიშვილი-ქავჟარაძის კოლლეგიით! ამ გამოძიების ჟამს – ერთხანს ჩიჯავაძე მოჰყვა „ჩეკაში“, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს, ამბობენ, მღ. კალანდარიშვილის დაბეზღებით იყოო, სახლიც გაუჩხრიკეს! შემდეგ თვით მღ. კალანდარიშვილი დააპატიმრა „ჩეკამ“ და თითქმის ნახევარი წელიწადი ჰყავდათ მეტეხის ციხეში. ეხლა ხან გამოუშვიათ იმ პირობით, რომ 24 საათის განმავლობაში გაშორდეს ნავთლუღის მიდამოებს, სადაც მას ჩიჯავაძის სახლის ქვემო სართულში ცოლშვილი ჰყავს დღემდე. საქმე იმაშია, რომ ამ მღვდელს ჩიჯავაძის საქმეში ჩაუტანია ნავთლუღის კომისარი და მთელი მისი სამილიციო უბანი – ესენი მომხრეობას უწევენ ჩიჯავაძესო! მაგიერში ამათ გამოუდვიათ თავი და ციხეში ატუცვიეს თავი მღ. კალანდარიშვილს, დაუმტკიცეს მას, რომ ფულებს აგროვებდა მენშევიკების სასარგებლოდ და ფულებიც გაგვიფლანგა საპასპორტო განყოფილებაში, სადაც ის მღვდელი სამსახურში გვყავდაო! ეშმაკი მოიტეხს ფეხს ასეთ ატმოსფერაში! ერთი ცხადია, რომ ჩიჯავაძეს დიდი გავლენა აქვს ნავთლუღში და მხარს უჭერენ მძლავრად. მაგიერში მღ. კალანდარიშვილს ძლიერ მფარველობს კათოლიკოზი და მისი სინკლიტი, მფარველობს ეს დეკ. ბენიამინ კონტრიძეც! ციხიდან ეხლახან განთავისუფლებული კალანდარიშვილი კათოლიკოზს გაუმწესებია სოფელ მელაანის მღვდლად – კახეთში; შემოვიდა ეს მღვდელი და ეკითხება კათოლიკოზს – ვინ მომცემს მიწერილობას ჩემს მელაანში გამწესებისა გამო, კანცელიარია თქვენი დაკეტილ-დაბეჭდილია, მდივანი დაპატიმრებულიო. კათოლიკოზმა თვით დაუწერა ქაღალდი იქვე და გაისტუმრა...

არ გასულა ამის შემდეგ ბევრი ხანი, რომ „ჩეკიდან“ მოვიდა ერთი აგენტი, გამოგვასხა ყველანი გარეთ და პირის-პირ ელაპარაკა კათოლიკოზს. როდესაც ის აგენტი წავიდა, კათოლიკოზმა გამოგვიცხადა, რომ – „შინაური დაპატიმრება“ მომისაჯესო, არ მაქვს უფლება, ვინმე მივიღო, ან სადმე წავიდე და ან ვსწიროო! ამ თაობაზე გაველაპარაკე აგენტს – უხერხული მდგომარეობა იქმნება ამით, ჩემთან ხალხი მოდის საქმეზე, მათი მიუღებლობა უსიამოვნებას გამოიწვევს... წყალ-კურთხევა მოახლოებულია, იორდანეზე უნდა გავიდე,

ხალხი დაჩვეულიაო; აგრეთვე დაპატიმრებული მღვდლებიც მალე გამოუშვით, ეკლესიები უმღვდლოდ რჩება და ხალხი აღელდებაო... ამაზე აგენტმა დამპირდა – „ჩეკაში“ მოვახსენებ თქვენს განცხადებებს და პასუხს გაცნობებთო. ჩვენც დავშორდით კათოლიკოზს, წამოვედით; საიდუმლო აგენტები გვითვალ-თვალებდენ...

მიზეზი დაპატიმრებათა

დაპატიმრებულნია ზემო აღნიშნული პირნი „ჩეკაში“, ხოლო კათოლიკოზი თავის ბინაზე – ამ სახით დაპატიმრებულია მთელი ჩვენი სასულიერო მართვა-გამგეობა – საკათ. საბჭოს წევრნი, მის კანცელიარიის მოხელენი – შუბლაძე-ქავჟარაძე (გამგე-მდივანი), სამეურნეო დირექტორი – დეკ. ლაზარიშვილი; საეპარქიო კანცელიარიის მდივანი – დავითაშვილი – იგივე საგანგებო მოხელე საკათ. საბჭოსი!! ამათში მხოლოდ დეკ. ან. თოთიბაძეა „გარეშე“ პირი – ყოფილ სამხედრო ტაძრის წინამძღვარი! აქედან ცხადია, რომ ეს ტაძარი შეიქმნა საბაბი ამ ჩხრეკა-დაპატიმრებისა! ჩვენ აღნიშნული გვქონდა შობა მეორე დღის კრება საკათ. საბჭოს დარბაზში, სადაც დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო, ვინ იცის ვინ არ იყო ამ კრებაზე, აქ უსათუოდ მთავრობის საიდუმლო აგენტიც იქნებოდა და ყოველივე მოისმინა... დეკ. თოთიბაძემ თვის „ნამოქმედარში“ ჩაითრია კათოლიკოზიც და მთელი მართვა-გამგეობაც! პროფ. გოგიტიძემ განაცხადა კრებაზე, რომ მთავრობასთან გასაგზავნ დელეგაციაში ტაძრის მრევლნი უნდა შედიოდენო, ტაძარს თუ მრევლი არა ჰყავს, საქმე წაგებულია და მთავრობაც არ მიიღებს თქვენს დელეგაციას, მე ამ დელეგაციაში საქმე არ მაქვსო; აღმოჩნდა, რომ ტაძარს მრევლი არ ჰყოლია, თოთიბაძეს ამ თაობაზე 1918 წლიდან არა უზრუნავს რა და ეხლა კათოლიკოზს და მისს დაწესებულებებს ამოეფარა ზურგს უკან, როგორც ჩვეული იყო ხოლმე თავიდანვე. დელეგაცია გააგზავნა კათოლიკოზის მანდატით; მთავრობამ ეს დელეგაცია არ მიიღო, ქაღალდები კი ჩამოართვა და განუცხადა: „კათოლიკოზის მანდატით არ მიგიღებთ, ტაძრის დელეგაციას მორწმუნეთა მანდატი უნდა ჰქონდეს, კანონიერ კრებაზე გამოტანილიო“ და დელეგაცია დაბრუნდა ხელ-ცარიელი; იმავე დღეს საკათ. საბჭოს მიუვიდა მთავრობიდან მოწერილობა: „გამოგზავნეთ ორი წარმომადგენელი ტაძრის ნივთების ჩაბარებაზეო“! დეკ. ცინცაძემ რო ეს ამბავი გადმომცა, მითხრა: „ჩვენ ვერ გავიგეთ – ტაძრის ნივთები ჩვენ უნდა ჩავაბაროთ მთავრობას თუ ამ უკანასკნელმა უნდა ჩააბაროს ჩვენს წარმომადგენელსო“! საქმე იმაშია, რომ „ზურგ წამხდარ ცხენივით“ საკათ. საბჭო შეშინებული იყო – „კაჭკაჭი არ დამაცხრეს მოყვლეფილ ზურგზეო“, ვინაიდან „სობოროს“ ნივთეულობა გაწყალდა დეკ. თოთიბაძის ხელში!.. ერთხელ ზემო აღნიშნულმა დეკ. ბ. კონტრიძემ მითხრა: „ეხლა თოთიბაძე სიამოვნებით გადმოგცემდა შენ სამხედრო ტაძარს, რომ ტაძრის ქონების ჩაბარება შეეძლოს, შენ სასტიკ ანგარიშს მოითხოვ და რა ჩაგაბაროს, რაც აღარ არისო!.. ამიტომ

საკათ. საბჭომ ერთნაირი პროტესტის პასუხი მისცა მთავრობას: ჩვენ არც ჩაგაბარებთ ტაძარს და მისს ქონებას და არც ჩავიბარებთო, გასაღები ტაძრისა ამა და ამ კაცთან ინახება, ინებეთ და როგორც გსურთ, ისე მოიქეცითო“...

ეს „პასუხი“ საკათ. საბჭოისა მეორე დღეს დაიბეჭდა რუსულ-ქართულ კომუნისტურ პრესაში – ჩვენ ეს შეუთვალეთ, მათ ეს გვიპასუხესო! ეხლა კი „ჩეკამ“ იცისო და დატრიალებულა კიდეც „ჩეკა“ იანვრის 12-ს ღამით და დაუპატიმრებიათ ეს ხალხი. აი, ნამდვილი „მიზეზი“ დაპატიმრებათა! ამ დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში; ჩვეულებრივად აჰყვა ამ ამბავს ჭორები და ტყუილები! ამ ჭორებს და ტყუილებს თვით კათოლიკოზი და დაპატიმრებულთა მომხრეები უწყობენ ხელს, თვითონ სთხზავენ ათასგვარ ცილის-წამებას და ავრცელებენ ხალხში. კათოლიკოზთან ვიყავი შაბათს, 13 იანვარს, თითქოს კეთილად ვისაუბრეთ, თითქოს გულწრფელად მიიღო ჩემი მისვლაც, მოკითხვაც და თანაგრძნობაც!.. მეორე დღე ახალი წელიწადი იყო ძველი სტილით.

კვირა – 14 იანვარი

ამ დღეს მწირველი ვიყავი ჩემს ტაძარში, ქვაშვეთში წირვა არ იყო, ორთავე მღვდელი დაპატიმრებულია, მღვდელი არ მიუჩინეს ტაძარს, რათა „იქვრიოს“ ქვაშვეთმაო!.. ამიტომ ჩემს ტაძარში ამ დღეს ქვაშვეთის მრევლიდანაც მოვიდნენ ქალი თუ კაცი, შედარებით ბლომად შეიკრიბა ხალხი. წირვის დასასრულს წარმოვსთქვი მოძღვრება – „ძველ და ახალ სტილზე“, როგორ იდღესასწაულა წელს ჩვენმა დედა-ქალაქმა ახალი წელი ახალ სტილზე, მთელი ღამე ქალაქმა თოფ-რევოლვერების სროლაში გაატარა, წუხელ კი – ძველი სტილის ახალ წელიწადზე ხმაც არავის ამოუღია! ცხადია, მოქალაქობრივ ცხოვრებაში უკვე გატარდა ახალი სტილი, ხალხი თვისი აღებ-მიცემობით და საქმიანობით ეჩვევა ახალ სტილს, ხოლო ეკლესია ჩამორჩა ამ ცხოვრებას, ეკლესია ჩამორჩა თვისს სამწყსოს, სხვა და სხვა გზით მივდივართ თქო! ავხსენი, თუ რამდენად შემცდარია ძველი სტილი, რამდენად ეს მეცნიერულად უკვე უარ-ყოფილია ასტრონომიულ გამოანგარიშებით, მათემათიკურად! თვით გრიგორის კალენდარიც უკვე ერთ დღე და ღამით ჩამორჩა ასტრონომიულ წელიწადს და ეპირებიან ამის გასწორებასაც! ცხადია, რომ აღმოსავლეთის ეკლესიას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ დასავლეთი ევროპა ოდესმე მაინც გადმოვა ჩვენს ძველ-სტილზე! მაშასადამე, ისევ ჩვენ უნდა მივიღოთ ჭეშმარიტ მეცნიერების ნაჩვენები სტილი! ეს ასეც იქნება! ეკლესია უნდა დაუახლოვდეს ერის მოქალაქობრივ ცხოვრებას, ეკლესია უნდა დაუახლოვდეს კულტურულ მუშაობისაგან შექმნილ ცხოვრებას, ეკლესიამ უნდა დაულოცოს და უკურთხოს მოქალაქობრივი-კულტურული მსვლელობა თვისს სამწყსოს! ჩვენ გვმართებს ასეთი მუშაობის, ეკლესიის გადახალისების, განახლების დაწყება. მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოხდეს ჩვენი ერის მიერ შექმნილ ნიადაგზე, ჩვენი ეკლესია უნდა ჩამოყალიბდეს ქართულ დარიჯაკში, ძველ ქართულ ტრადიციების, წესების, ღვთისმსახურების სახის აღდგენაში და თან

გაცხოველებაში! რუსთა ბატონობის ჟამს მეტად შეგვირყვნეს ჩვენი ეკლესიის სახე, მისი შინაგანი თუ გარეგანი მოხაზულობა! ჩვენ გვსურს, ჩვენ ვესწრაფით ყოველივე ამის აღდგენას, ეკლესიურ-სარწმუნოებრივ ცხოვრების ათასგვარ ნარიყალებისა და ცრუ-მორწმუნოებისაგან გაწმენდა-გასუფთავებას! მაგრამ არ დაგვცალდა ასეთი მუშაობა! ზოგი ჩვენშივე წარმოებულ შუღლით, განხეთქილებებით, უაზრო ქიშპობა-მიხლა-მოხლით და უბედურებებით, რაც ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ თვითონ დავატრიალეთ ახალ განთავისუფლებულ ეკლესიაში! ზოგიც არ დაგვცალდა გარეშე მიზეზებით! განთავისუფლებულ საქართველოს ეკლესიის ზურგს უკან აჩრდილივით აედევნა ეკლესიის და სარწმუნოების დაუძინებელი მტერი – მატერიალისტური სოციალიზმი და მისი უკიდურესი მიმართულება მებრძოლი კომუნიზმი, რომელმაც თვით მიიღო კულტის – რელიგიის სახე-მიმართულება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა საზოგადოდ რელიგიას და კერძოდ ქრისტიანობას, დასახა რა ის სიბნელის, ცრუ მორწმუნოების, ცრემლის და სისხლის დენათა წყაროდ! ჩვენში „ღმერთებს ომი გამოუცხადეს“ კომსომოლებმა! „ღმერთები ააფეთქეს“ მათ! „ცას შტურმს“ უკეთებენ ესენი! ეხლა კი დარიეს ხელი, ტაძრები მიაქვთ – ამ ხანად ყოფილი სამხედრონი, მღვდლები დააპატიმრეს, „ჩეკაში“ სხედან ჩვენი დედა-ქალაქის ეკლესიების მოხუცი მოძღვრები, ზოგიერთ ტაძარში დღეს წირვაც აღარ არის თბილისში!!! ეს სირცხვილია, სირცხვილი და კიდევ სირცხვილი! ეს დევნა არის სარწმუნოებისა! ეს არ არის სინიდისის და რწმენის თავისუფლება, რასაც ასეთი გატაცებით ველტოდით ყველანი! ეს არ არის ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა, რომელიც 21 ნოემბრის დეკრეტით გვაუწყა ჩვენმა მთავრობამ! ასეთი ამბავია დღეს ჩვენს თავს! რაღა ჩამორჩენილ ქვეყნებში დატრიალდა ასეთი ამბავი! რას ვხედავთ ჩვენ განათლებულ ქვეყნებში! ნუ თუ ჩვენ გავასწარით მათ შეგნებით, მეცნიერებით, მივსწვდით მიუწდომებს და ვსცანით, რო არ არის ღმერთი“? ეს ხო „უგუნურმა სთქვა გულსა შინა თვისსა“!! ჩვენში კი აშკარად, ხმა-მაღლა, გაჰკივიან – ღმერთის, სჯულის და ყოველივე ზნეობის უარყოფას! ვინ მოიტანა ეს ამბავი?! ვინ და რით გვიმტკიცებს, რო არა არს ღმერთი! ღვთის უარისყოფა, უღმერთოდ ქვეყნის არსებობა, უმღვთოდ მისი მართვა-გამგეობა უფრო მეტი საკვირველებაა, უფრო მეტად გაუგებარია, ვინემ ღვთით! მაშ, ვსცნათ, საყვარელნო, რომ „ჩვენთანა არს ღმერთი“! „სცანთ წარმართთა და იძლიენით რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი“!.. ჩვენ ახალ წელიწადს ლოცვითა და პარაკლისით ვეგებებოდით ხოლმე და თუ წელს ახალი სტილით ვერ ვილოცეთ, ძველი სტილით მაინც ვაკურთხოთ ახალი წელიწადი! რომ ეს მდგომარე ახალი წელი დააცხროს, დაამშვიდოს, ნაყოფიერი, მშვიდობიანი, სიყვარულით და თანხმობით გაგვეტარებიოს ის სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ და წარსამარტებლად“...

შემდეგ გადავიხადეთ სათანადო პარაკლისი მრავალ-ჟამიერობითი – ერისა და კათოლიკოზისა. ქადაგების დროს ხუთიოდე მანდილოსანი შემოვიდა ტაძარში, ნინო გელოვანის მეთაურობით, ყური დამიგდეს და პარაკლისის შემდეგ წავიდნენ. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს მანდილოსნები ჩემთან მოიმართებოდენ საჩხუბრად, მაგრამ ქადაგების მოსმენამ დაუკარგათ მათ ესევითარი განზრახვა და უკუნ იქცენ

ისინი! ავრცელებენ უსინიდისო პირნი, ხმას თითქოს ეს დაპატიმრებანი ჩემი, ჩიჯავაძის და ოქროპირიძის საქმე იყოს, თითქოს ჩვენ – Живая церковь-ის მიმდევრები ვართ და ამ ზომით გვსურდეს ჩვენს მოწინააღმდეგებთან გამკვლავება!..

15 იანვარი – ორშაბათი

დღეს შუადღისას შემოვიდა ჩემთან ჩემი სიძე – მასწავლებელი I ტეხნიკუმისა – მიტროფანე კორძახია; მეტად აღელვებული იყო ეს იმ ცილისწამებითი ჭორებით, რომელიც უკვე მოსდებია ჩემ შესახებ ქალაქს; უკვე ამბობენ, რომ თითქოს მე უკვე ვიყავი კიდეც მოსკოვში, ვეზიარე „Живая церковь“-ს და შეუდექი კიდეც მოწინააღმდეგების დაპატიმრებას... ძლივს დავამშვიდე ეს კაცი! ის მაინც ხომ იცი, – უთხარი მას, – რომ მე მოსკოვში არ წავსულვარ და ჩიჯავაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი – მეტად მჩატედ და სულელურად გადადგმული ნაბიჯი – მე შევეცადე გამომესწორებია, უკანვე წავაღებიე მისი ხელის მოწერაც, გაზეთებშიდაც გამოვაცხადებინე ამ თაობაზე და კრებაზედაც საჯაროდ უარი განაცხადა მან ამ თაობაზე! მე რაღა მისატმასნი ვიყავი ჩიჯავაძესთან ამ საქმეში, თუ ჩემი მოწინააღმდეგენი კეთილსინდისიერებასთან ცოტათი მაინც ახლოს იდგნენ... ამ ლაპარაკის დროს შემოვიდა მთავარ-ხუცესი დეკ. დიმ. ხახუტაშვილი, ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდნენ მოქალაქენი – სოსიკო მერკვილაძე, მიხეილ კალანდარიშვილი (მოხუცი მასწავლებელთაგანია), ამათაც იგივე ამბავი მოიტანეს, მეტად აღშფოთებულნი იყვნენ ყოველი ასეთ ამბებით. ამაზე მთავარ-ხუცესმა განაცხადა: „მეც სწორეთ ამ თაობაზე შემოველ დეკ. თალაქვაძესთან, მეტად უსინიდისოდ ექცევიან ამ კაცის სახელს და უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე ამ ჭორების სათავე, სამწუხაროდ, ბრძანდება თვით კათოლიკოზი ამბროსი! ამას წინეთ მან მიბრძანა შემდეგი: „კომისარ გეგეჭკორმა მაცნობა, რომ ყოველივე უსიამოვნება, რაც ხდება დღეს თქვენს ეკლესიაში, ეს ისევ თქვენი მღვდლების საქმეაო, ჩიჯავაძე-თალაქვაძის მოქმედებაა“. გამოდის და ლაპარაკობენ კიდეც, რომ ეს დაპატიმრებანიც ამათი დაბეზღებით მოხდაო!.. ამაზე მეტად აღშფოთდენ დამსწრენი, ხოლო მე განვაცხადე: „მეტად ვსწუხვარ, რომ ჩვენი საზოგადოება ეგზომ უჯერის ასეთ საზიზღარ იოთ-მოეთობას, ჭორებს და შურისძიებას! თუ ვინმეს კი შეუძლია დაიჯეროს, რომ მე ვინმეს <u>დაბეზღება</u> შემიძლია, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! სრულებით არ მაღელვებს მე ეს ამბავი, ეს ამბავი ჩემს მოწინააღმდეგებს უფრო მეტად უთხრის სამარეს! თვითონ გაებენ მახეში, სამხედრო ტაძარს, როგორც კერძო დაწესებულებას, კერძოდვე უნდა მოევლოთ მისთვის, კათოლიკოზი და საკათ. საბჭო ამ საქმეში არ უნდა ჩაეთრია მამა თოთიბაძეს, ის დიდი ხმაურობით ჰფიქრობს თვის ნამოქმედართა მიფუჩეჩებას, შეიძლება ეს მოახერხოს კიდეც მან, მაგრამ ჩემი „ჟივაია ცერკოვში“ ანუ ჯაშუშობაში გადასროლა მას არ ძალუძს! ამას ისინი ვერ მოახერხებენ, თუ გინდა კათოლიკოზმაც მხარი დაუჭიროს. მე ბარათით მივმართე შიო დედაბრიშვილს-არაგვისპირელს 5 იანვრის თარიღით და მის საშვალებით ვიწვევ სამართალში „საკათალიკოზო

საბჭოს წევრს“, რომელსაც მისთვის მოუხსენებია ჩემი „Живая церковь“-ში გადასვლა დეკ. ჩიჯავაძესთან ერთად. ჯერ პასუხი არ მომსვლია; შევეცდები, კათოლიკოზის ნათქვამის შესახებ შევეკითხო კომისარ გეგეჭკორს – რამდენად მართალია კათოლიკოზის ინფორმაცია! ასეთ ტყუილებს რო „მოკლე ფეხები“ აბია, ამას ყველანი კარგად ჰხედავთ, მაგრამ ჩვენი დაღუპული საქმის გამოსწორებას ასეთი იოთ-მოეთობა შველის რამეს თუ არა, ამაზე არავინ ჰფიქრობს! მამაო, მთავარ-ხუცესო, მოახსენეთ ამ პატიოსნებს, რაც იცით ჩემ დამოკიდებულებაზე „Живая церковь“-თან ან დეკ. ჩიჯავაძესთან“, – მივმართე დეკ. ხახუტაშვილს. ამან ამოიღო უბიდან ქაღალდი, რომელიც დაიწერა ჩემს ბინაზე 1922, 11 დეკემბერს, თვით ხახუტაშვილის და ხუთიოდე სხვა მღვდელთა თანადასწრებით, ჩიჯავაძის თანადასწრებითვე – თუ როგორ შეეკითხა ჩიჯავაძეს დეკ. ხახუტაშვილი „Живая церковь“-ის ცენტრალურ კომიტეტში ამის მიერ ხელის მოწერის გამო. ჩიჯავაძის პასუხი ჩემი ხელით არის დაწერილი, შემდეგ ჩიჯავაძეს ხელი მოვაწერიეთ ამ პასუხზე, რომელშიდაც ის უარს ჰყოფს როგორც „Живая церковь“-ის წევრობაზე, ისე მის კომიტეტში მონაწილეობაზე. მოისმინეს ყოველივე ეს დამსწრეთა და კმაყოფილებით დაიშალნენ! ჩვენ ეჭვიც არ შეგვპარვია შენს ღირსებასა და პატიოსნებაშიო, მაგრამ მაინც ვსწუხვართ, რომ ასეთ დროს ასეთი ანარქია შეიქმნა ჩვენს ეკლესიაშიო! მასწავლებელი კორძახია თვალებ-დაჭყეტილი უგდებდა ყოველივე ამას ყურს და ბოლოს განაცხადა: „ეს რა ამბავია, როგორ ეკადრება კათოლიკოზს ასეთი ცრუ ამბების მოჭორვა და გავრცელებაო, როგორ ჰფიქრობს ის ყოველივე ამის ლიკვიდაციასო“...

წყალ-კურთხევა – 19 იანვარი – პარასკევი

არ გაანთავისუფლეს დაპატიმრებულნი; სხედან ისევ „ჩეკაში“; გამოვიდა ხმა, რომ დეკ. ცინცაძე და დ. დავითაშვილი ერთ კამერაშია, დეკ. თოთიბაძე და მირიანაშვილი ცალკე, დეკ. შუბლაძე, ქავჟარაძე და ნიკო თავდგირიძე ცალკე. ღებულობენ ისინი სადილებს. სხვა არა ვიცით რა. არც კათოლიკოზს მისცეს წირვის ნება; ამიტომ საწყალ-კურთხეოდ „ურბნელი“ ქრისტეფორე ეპისკოპოსი დაიბარეს სურამ-გორიდან. მწირველი იყო სიონში; იქ შევიკრიბენით სამღვდელოება; ხალხიც კარგად შეგროვდა; წირვის გათავებისას, განიცადენზე მოვიდა ჩემთან ჩემი სამრევლო საბჭოს წევრი ბარბალე მაღალაშვილი. მას უკან მოსდევდა ქბ. მაკარაშვილისა – გიორგი ჟურულის და, ამათ გამომიხმეს საკურთხევლიდან და მომცეს წინადადება: „გამობრძანდით და ქადაგება რამ წარმოსთქვით, ეს ამოდენა ხალხი შეკრებილა, თქვენ კი საკურთხეველში შეგროვილხართ სამღვდელოება და იქ მუსაიფობთ, ხმაურობთო!“ მე ამაზე მოვახსენე: მე ამ ტაძრის მღვდელი არა ვარ, არც მაქვს უფლება ჩემი ნებით საქადაგებლად გამოვიდე, დღეს, მგონი, არც იქნება ქადაგება, ვინაიდან იორდანეზე მივეშურებით თქო! ამათ მაინც არ დაიშალეს თავიანთი, გაგზავნეს

ეფრემ ბერი ეპისკოპოსთან და სთხოვეს – ქადაგება წარმოსთქვას დეკ. თალაქვაძემო! ამაზე ასეთი პასუხი მოუვიდათ: „კათოლიკოზის განკარგულებით დღეს ქადაგება არ წარმოითქმებაო“! ამით დასრულდა ეს „ინციდენტი“! ამ დროს ტაძარში მოვიდნენ მილიციელები და მოსთხოვეს ტაძრის წინამძღვარს: „მოგვეცით ერისკაცთაგან ათი თავდები, რომ ლიტანიის დროს არავითარი უწესოება არ მოხდება ქუჩებშიო“! ამაზე მიუგეს: მთელი სამღვდელოება მიიღეთ თავდებად, რომ სამღვდელოებიდან არავითარი უწესოება არ მოხდება, ხოლო ქუჩაში ვინ რას ჩაიდენს, ეს რა ჩვენი საქმეა, ეს თქვენ თვითონ იხილეთო! ამას გარდა მოგვცეს წინადადება, რათა სიონიდან ლიტანია არ ასულიყო თავისუფლების (ერევნის) მოედანზე, არ გასულიყო რუსთველის პროსპექტზე (გოლოვნისა), არამედ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით გავსულიყავით საპირთა ქუჩაზე, იქიდან რაღაც „ბალკაზე“ საშინელი ხრამით დავშვებულიყავით მტკვრის პირად, იქიდან ვერის ხიდთან აგვევლო და ზემოდ მივსულიყავით, სადაც ჩვეულებრივ წყალს ვაკურთხებდით ხოლმე. ჩვენც იძულებული ვიყავით, ეს გეგმა სისწორით შეგვესრულებია, სიონიდან გავედით ოქრომჭედლის ქუჩით, გადავსჭერით პუშკინის ქუჩა, გავიარეთ სამების ეკლესიის წინ, იქიდან ავედით ლორის მელიქოვის ქუჩაზე, დავეშვით ბარათიანსკის ქუჩით, გავედით საპირთა ქუჩაზე, დავეშვით დაღმართით და მივაღწიეთ ვერის ხიდის ზემო ყურს, სადაც იორდანე გვქონდა გამართული ფიცრებით და დეკორატიულ მცენარეების ტოტებით. დიდ-ძალი ხალხი გაგვყვა, ხალხი ჩვეულებრივ გველოდა რუსთველის პროსპექტზე, არ იცოდნენ, საქმე რაში იყო, რო გაიგეს, იგრიალეს და გარს შემოგვეხვია; ვაკურთხეთ წყალი, გავემართეთ უკან, ერთი სასხურებელი აიღო ხელთ ეპ. ქრისტეფორემ, მეორეს ხელი არავინ მოსჭიდა, მიტრიანები – წინ-წინ წავიდნენ, ეპისკოპოსმა მამცნო, მე ამეღო ხელთ სასხურებელი. ერთი მხრით ის ასხურებდა, მეორე მხრით მე. ხალხი აღტაცებით გვეგებებოდა, ისხურებდა წყალს და ხელზე გვემთხვეოდა ხოლმე. იყო წვიმიანი დღე, ატალახდა ქუჩები, ძნელი სასიარულო ქუჩებიც გვქონდა და თან წყლის სხურებაც სჭირდა, დიდი ხალხი გვეხვია გარს! უცბად შემომესმა, ვიღაც დედაკაცი გასწივის რუსულად, მლანზღავს მე: „Посмотрите, что он делает! Какое он имеет право окоплять народ, это дело эпископа! Этот выскочка, он всегда таков – выскочка“! – მესმის ყოველივე ესე, მაგრამ ან რა მეთქმის, ან რა შემიძლია ამ დროს! ვიცანი – ეს არის ნინო უგრელიძისა ქვრივი, დეკ. ან. თოთიბაძის ძველი და ახალი მეგობარი, მის მიერ ვერის ნიკოლოზის სამრევლო საბჭოს წევრად შეყვანილი, გვესწრება საოლქო კრებებზედაც, მაგრამ ხმა არ ამოუღია არასოდეს, დღეს კი ქუჩაში წივის-კივის, ალბად მეტად გამწარებულა დეკ. თოთიბაძის დაპატიმრებით, და როდესაც მე თავისუფლად მხედავს – გიჟდება! ეს მეტად საეჭვო ყოფაქცევის დედა-კაცია! მაგისი ქმარი ქუთაისის სასულ. სასწავლებლის მასწავლებელი იყო! მაგის მიზეზით გალოთდა და მესამე სართულიდან თავი გადმოიგდო და მოიკლა! ესეთი „საბჭოს წევრები“ ქმნიან დღეს ჩვენში ეკლესიურ ცხოვრებას! თოთიბაძის შესაფერიც ასეთებია... მახლას... დავბრუნდით კალოუბნის ეკლესიაში და იქ დავასრულეთ ლიტანია. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ნინოობა 27 იანვარი (14 ძვ. სტ.)

დაპატიმრებულთ მაინც არ ანთავისუფლებენ. მთავრობამ სამხედრო ტაძარში მიიწვია დეკ. ტყემალაძე და მთავარხუცესი დეკ. ხახუტაშვილი, ესენი ესწრებიან მთავრობის კომისიის მიერ ტაძრის ქონების აღწერას, ამ აღწერაზე დეკ. თოთიბაძეც გამოჰყავთ ხოლმე და ისევ მიჰყავთ „ჩეკაში“! რა მოჰყვება ამას ბოლოს, არავინ იცის. შესაძლებელია, ის ნივთები გადასცენ სასულიერო უწყებას, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ თოთიბაძეს ანგარიში მოსთხოვონ ტაძრის ქონების გაფლანგვაში!.. ამას გარდა „ჩეკა“ რევიზიას უშვრება საკათ. საბჭოს საქმის წარმოებას, დეკ. ტყემალაძე აძლევს მათ საქმეების განმარტებას, ალბად ამიტომ დასტოვეს ის თავისუფლად; ზოგი ჟურნალები თან მიაქვს „ჩეკას“, ზოგს კი – უმნიშვნელოებს, სტოვებენ. გაუშინჯავთ საკათ. საბჭოს „ხაზინაც“, იქ აღმოუჩენიათ 240.000.000 მანათი; დაუბეჭდიათ და ჯერ ხელი არ უხლიათ; შეუმოწმებიათ დამშეულთა სასარგებლოთ მოგროვილი ფულის რაოდენობა, რამდენი გაუციათ, რამდენი დარჩათ, რა წიგნებით და ანგარიშით უწარმოებიათ ყოველივე ესე. ცნობები შეუკრებიათ დეკ. ლაზარიშვილის ძროხების „ფერმაზე“ (სამი ძროხა ჰყავს) და კათოლიკოზის „ფერმაზე“ (ორი ძროხა ჰყავს, ერთი დეკ. ცინცაძის საზიარო, მეორე დეკ. თოთიბაძის მიერ ვერის ნიკოლოზის ტაძრის საბჭოს მიერ საეკლესიო ფულით ნაყიდი და მითრმეული – 15 მილიონიანი). ეტყობა, რომ მთელი მართვა-გამგეობა უნდა გასინჯონ, ისე, როგორც მოახდინეს კომუნისტებმა მოსკოვში და საერთოდ რუსეთში! მე კათოლიკოზს თავის დროზე მივართვი სამი ნომერი ჟურნალისა „Революція и церковь“, იქ მას ვაჩვენე ყოველივე ის, რაც ჩაიდინეს კომუნისტებმა ეკლესიის მიმართ და ესეც მომზადებულიყო საამისოდ. მაგრამ ამან ყურიც არ გაიბერტყა. ეხლა კი ჭორიკანობს – „დაგვაბეზღეს, ბატონო, გაგვცესო“! შეიძლება, რომ დაბეზღებაც იყოს, მაგრამ ბევრი თვითნებობაც იყო და არის მათი უწმინდესობისაგან და სინკლიტისაგან! ბევრი ბოროტ-მოქმედება, რომელსაც ესენი აშკარად სჩადიან, უკვირთ კი, რომ სხვები ამას ჰხედავენ და მათ საქმეშიდაც ერევიან. გაჰქურდეს, გააპარტახეს ეკლესია, აშკარად გაუმაძღრობენ, მთელი თბილისი ჩაიდეს მუცელში თოთიბაძე-ცინცაძე-შუბლაძე-ლაზარიშვილებმა. ამას სჩადიან დღისით-მზისით და უკვირთ, რომ „კომუნისტებმა“ ამათაც მიაგნეს, მათ კოშკებსაც კიბე მიადგეს და შეუვიდენ „შეუვალებს“! ქრისტეანობის აღმადგენელი საზოგადოება მუცელში მოიქცია დავითაშვილმა, მთელი არქივები დაჰყიდეს, დაჰხრეს, დაფლანგეს ლაზრიშვილმა და ცინცაძემ, სანთლის ქარხნის შემოსავალს საკუთარ საჭიროებებზე იხმარენ, ეპარქიაში შიგა და შიგ მოგროვილ პურსაც თვითონ ინაწილებენ, ეს „სკოლას“ – მოწაფეებს და მასწავლებლებს უნდა დარიგებოდათ, ეხლა კი კათოლიკოზი, საკათ. საბჭოს წევრნი, კანცელიარიის მოხელენი ინაწილებენ და დ. დავითაშვილიც! „კურსების“ მასწავლებელთაგან – ტყემალაძე, ცინცაძე, შუბლაძე და ფხალაძე იღებენ პურს – ულუფას – „პაიოკს“ – მე არა! ოთხ გაკვეთილში დღესაც 800.000 მანეთს მაძლევენ თვეში, როდესაც გირვანქა შაქარი 250.000 მანეთამდე ავიდა, პური გირვანქა 15.000 მანათი ღირს, გირვანქა ყველი

– 150.000 მანათი, ხორცი – 80.000 მანეთი! აი, ასეთი სამართლის ადამიანები არიან! ყველაფერი მათ! სხვებმა ხმაც არ უნდა ამოიღონ! კათოლიკოზმა ვერ ჩამითრია ვერც ერთ სამარცხვინო-საპროვოკაციო წინადადებაში, ეხლა ჭორებს მივრცელებს, სხვა გზით სურს შემომიაროს, მაგრამ სცდება, ვერც ამით გავა ფონს! თუ დამიჭირეს, თუ მეც დამაპატიმრეს, ეს სულ სხვა და საპატიო მიზეზით მოხდება და არა ცუღლუტობისა, ფლანგვისა და ქურდობისათვის... მაგრამ, შეიძლება არც კი გამცენ ხმა!..

მოახლოვდა ნინოობა! კათოლიკოზმა ითხოვა წირვის ნება, უარიც კი არ უყვეს, პასუხიც კი არ გასცეს. ემზადება ქრისტეფორე. ორი დღის წინეთ მწირველი ვიყავი ანჩის-ხატში – მიცვალებული მყავდა თაბურიძის ბავშვი – წირვის დროს შემომიგზავნეს „უწყების წიგნი“ – „ნინოობისათვის ეპ. ქრისტეფორეს განკარგულებით თქვენ დანიშნული ხართ მქადაგებლად განიცადენ ზეო“! ტრაპეზთან წავიკითხე ეს „უწყება“ და იქვე მივაწერე: „წავიკითხე, გთხოვთ, თავისუფალ მყოთ“ თქო. რო წავიდა დამტარებელი, დეკ. ფხალაძე შემოვიდა საკურთხეველში და მან პირადად გადმომცა იგივე, მე უკვე წავიკითხე განკარგულება და პასუხს იმ წიგნში წაიკითხავთ თქო... ნინოობას სწირა ქრისტეფორემ – ექვსი მღვდლით, ჰგალობდა პაპიაშვილის გუნდი. წინა ღამით ღამისთევაზე დაუჯდომელი წაუკითხეს წმ. ნინოს – ბენიამენ კონტრიძემ, დ. გარსიაშვილმა (მგელივით ყმუოდა) და სხვებმა. მე არ ვიყავი შემოსილი, ისე მიველ, ზეთი ვიცხე და ვემთხვიე „ჯვარი ვაზისას“, შემდეგ მოვიდა დეკ. ფხალაძე და მითხრა: „რა კარგი ჰქენ, რო ქადაგებაზე უარი განაცხადე! როგორ კარგად გაითვალისწინე ყოველივე! დეკ. ტყემალაძე თმასა და წვერს იგლეჯდა – როგორ დანიშნეს ჩემს ტაძარში დეკ. თალაქვაძე მქადაგებლადო?! რა უფლება ჰქონდა ეპისკოპოზს ამისაო“?! ამაზე უპასუხე: „დამშვიდდით, მამაო დეკანოზო, თალაქვაძემ უარი განაცხადა ქადაგებაზეო“! ეს გაუხარდა ტყემალაძეს: „ყოჩაღ, კარგად მოქცეულაო“!.. ეს მეტად დამახასიათებელია ჩვენი ზნეობისა! მაგრამ უფრო მეტად დამახასიათებელია ჩვენი ქრისტეფორესი და სხვებისაც! თურმე ნათლიღება დღეს ჩემ შესახებ ქადაგების მოთხოვა ეს ჩემი საქმე ჰგონებია ეპ. ქრისტეფორეს და სხვებსაც: „იმ დღეს დეკ. თალაქვაძეს ქადაგება სურდა, მოვიდეს და ნინოობას იქადაგოსო, – უთქვამს ქრისტეფორეს! ამათ კარგად იცოდნენ, რომ მე ქადაგების ჟინი არ მჭამდა წყალ-კურთხევას და მაინც თავზე მახვევენ ასეთ მეტიჩრობას! ეს საბედისწეროა, მგონი, ასეთი გაუნელებელი ინტრიგანობა! თვითონ წარმოსთქვა ქადაგება – მეტად წყალ-წყალა და უბადრუკი! ხალხიც ნაკლებად დაგვესწრო ნინოობას! წელს ნინოობა სადაგ დღეთ გამოაცხადეს კომუნისტებმა! შარშან კი საყოველთაო უქმე იყო – დაწესებულებებშიც და სასწავლებლებშიც! წელს ყველგან სწავლა იყო, დაწესებულებებიც მსახურებდენ! მაგრამ საერთო გულ-გრილობაც არის ეკლესიისადმი! ნინო მეტად გავრცელებული სახელია თბილისში განსაკუთრებით, ყველა ოჯახშია თითქმის ნინო! ყველგან „დღეობას“ იხდიან, მაგრამ სადაც შევედი დღეობის მისალოცად, არც ერთ ოჯახიდან სიონში ან სადმე ტაძარში არავინ წასულა! დღეობა – მხოლოდ ჭამისა და სიამოვნებისათვისღა შეგვრჩა! ამ მხრივ „ნინოობა“ ბრწყინვალედ გადაიხადეს თბილისელებმა

წელს! ტაძარი კი ნახევრად მეტზე ცარიელი იყო; მეც შევიმოსე პარაკლისზე! მეტად ულაზათო და უსასო წირვა-ლოცვა იყო და არც მიკვირს, რომ ხალხი არ დადის. რამ უნდა მოიზიდოს მლოცველი?! რა სულიერ ან ესტეტიურ საზრდოს აძლევს მას აწინდელი ტაძარი და ღვთისმსახურება.

დღეს, სხვათა შორის, ნინოობა მიულოცე ექიმ. კონსტ. არდიშვილის ცოლს ნინოს (მაჭავარიანია – კახელია, მე დავსწერე ჯვარი, არდიშვილი კიევიდან არის ჩემი მეგობარი). აქ დამიხვდენ ხუთიოდე ინტელიგენტი. ჩამომიგდეს ბაასი „დაპატიმრებულებზე“, „Живая церковь“-ზე! სხვათა შორის, მასპინძელმა მკითხა: „როდის ჩამოდი მოსკოვიდანო?! მე მითხრეს, რომ დეკ. თალაქვაძე მოსკოვში იყო, „Живая церковь“-ში ჩაწერილაო“! რო აუხსენი ვითარება, მეტად შეწუხდენ! გაიკვირვეს ასეთი თაღლითობა-ჭორიკანობა. ამ წრეში იყო სხვათა შორის არისტო ჭუმბაძე – ფედერალისტი, კაცი ნიჭიერი, კარგი ორატორი და პუბლიცისტი-ფედერალისტი. ეს შეეხო ჩვენი ეკლესიის აწინდელ ვითარებას და გვითხრა, რომ სამი ინტელიგენტი ვიყავით შობას კათოლიკოზის წირვაზე – სიონში, არ დაგვაკმაყოფილა არც წირვამ, არც გალობამ, არც მოძღვრებამო! ყველაფერი ეს თითქოს ისეა გამოანგარიშებული, რომ ადამიანს თავი შეაძულოს, მოაბეზროსო! კათოლიკოზი არ ყოფილა მქადაგებელი კაცი, დაიწყო ღრიჭინი, აღარ დაასრულა, დავკარგეთ ყოველივე სასოება და მოთმინებაცო! ქრისტეს შობა ისეთი რამ ამოუწურავი თემაა, რომ ამაზე მთელი თხზულებები დაწერილა და კიდევ დაიწერება! იმდენი აზრები და განცდაა ამ აქტში, რომ არ შეიძლება ადამიანმა არ იგრძნო ამ მოვლენის სიდიადე და სიკეთე! მაგრამ კათოლიკოზმა ვერა გვამცნო და ვერა გვაგრძნო რაო! წირვის შემდეგ ვეახელით სახლში, ვებაასეთ ეკლესიის აწინდელ უნუგეშო მდგომარეობაზე, ჩვენ მოვახსენეთ მას, რომ ტყვილა გგონიათ, რომ აღადგინოთ მკვდრეთით ის, რაც მოკვდა – ესე იგი ეკლესია იმ სახიდ, რა სახიდაც ის თქვენ გაქვთ წარმოდგენილი, მკვდრეთით აღდგინება მხოლოდ იესოს დროის საკვირველება იყო, ეხლა ამის იმედს ნუ ვიქონიებთ. ჩვენი ხალხი სანახაობის ხალხია, ის მიდის კინოში, ცირკში, თეატრებში, სადაც მას სანახაობას უმზადებენ, თქვენც რაღაც ამისი მსგავსი უნდა შექმნათ, შემოიტანოთ მუსიკა ტაძარში, საუკეთესო მგალობლები, საუკეთესო მქადაგებლობა, რომ გონებრივად, ზნეობრივად და ესტეტიურადაც დასტკბეს ადამიანი, შემდეგ ის შეეჩვევა ლოცვასაც, აავსებს ტაძრებს და ეკლესიაც აღსდგებაო! ბევრი ველაპარაკეთ კათოლიკოზს ამ თაობაზე, თითქოს ის თანახმაც იყო, დაგვპირდა, კიდევ შეგკრებთ ინტელიგენტებს, ვითათბიროთ ამ საგანზეო, მაგრამ ჩვენ აღარ მოვგონებივართ მას და არც არასოდეს დაგვიძახებს ის ჩვენ! სხვათაშორის ჩვენ ისიც მოვახსენეთ კათოლიკოზს, რომ მას მოეცა ჩვენთვისაც უფლება, ეკლესიებში გამოვიდეთ მქადაგებლებად მისს ან მისს მიერ ნაჩვენებ პირთა კონტროლის ქვეშე! ჩვენ თანახმა ვართ წინდაწინვე წარვადგინოთ წარმოსათქმელი ქადაგებები! ჰო, კარგი იქნებაო, მიკიბ-მოკიბა და ასე უნუგეშოდ, არაფრით გამოგვისტუმრა! არა მგონია, თქვენ რაიმე გეშველოსო, – დააბოლავა ა. ჭუმბაძემ.

მე უპასუხე: განახლება, კულტურასთან დაახლოება უსათუოდ სჭირდება

ეკლესიას, მაგრამ ორგანების ეკლესიაში შეტანით საქმე არ გაკეთდება: ერთი, რომ ამ ორგანებს უნდა ყიდვა, შემდეგ დაკვრის, დამღერების ცოდნა! ეს კი არა, სამხმოვან გალობისათვის სამი კაცი ვერ გვიშოვნია დედა-ქალაქში დღეს, რომელსაც სწყუროდეს ასეთ მიმართულებით მუშაობა და მოღვაწეობა თქო! კარგი ეს „ორგანი“ შევიტანეთ ერთ რომელიმე ეკლესიაში თბილისში, იქ მოვაწყვეთ წირვა-ლოცვა! რა უყოთ სხვა ტაძრებში, როგორ მოვიქცეთ სოფლებში?! სად ვიშოვნოთ ამოდენა ან ინსტრუმენტი, ან მგალობლები! არც თეატრალურად მოწყობა შვენის ეკლესიას! ამ შემთხვევაში ბევრი დაკვირვება გვმართებს, მრავალ-მხრივ აწონ-დაწონვა, ამისათვის საჭიროა, რომ თქვენისთანა ინტელიგენტები – იდეალისტები ხშირად ხვდებოდეთ სამღვდელოების წარმომადგენლებს, მისს შედარებით უფრო პროგრესიულ ნაწილს! ეკლესიას ვერ მოაწყობენ მღვდელი და დიაკვანი! ეკლესია თქვენ ხართ, ერი სამღვდელოებასთან ერთად შედუღებული თქო! სამწუხაროდ, კათოლიკოზი გაურბის ცოცხალ ძალებს, მას ეშინია გაბედული აზრისა და ცხოვრების ახალ სახეებისა! ლამის არის ინკვიზიცია გამოცხადდეს დღეს ჩვენში „Живая церковь“-ის მოლოდინში! მე ვფიქრობ, რომ „Живая церковь“ იმდენად საშიში არ უნდა იყოს, რამდენად ამ „Мертвая церковь“-ის წარმომადგენელნი. თუ ტაძრებში არ მოგცეს ქადაგების უფლება, ლექციების სახით დავიწყოთ რელიგიურ-ფილოსოფიურ საგნებზე მსჯელობა, დავაინტერესოთ ხალხი, რომელიც შემდეგ ტაძრებშიდაც მოვლენ თქო! ვსცადოთ, ვსინჯოთ ყოველივე გზები და შესაძლოებანი თქო! მაგრამ ყოვლის უპირველესად ჯერ ერთმანეთს დაუახლოვდენ, გავაცნოთ ერთ-მანეთის გულნადები და შევქმნათ „ქართული ეკლესია“, რომელიც ვერ უნდა შეიერთოს ვინმემ ვერც ძალით და ვერც ნებით, თუ გინდ ისეთი, როგორიც არის სომხის ეკლესია თქო!... ეს აზრი მოიწონეს დამსწრეებმა... მე დაურთე: „ჩვენ რა ხელს მოგვცემს „Живая церковь“, რომელსაც პოლიტიკურ მონობასთან ერთად ეკლესიური მონობაც მოაქვს ჩვენთვის, ბოლოს და ბოლოს კი ეს „Живая церковь“ გაბატონებულ პარტიის იარაღია ეკლესიაში არევ-დარევის და უთანხმოების შესატანად, რომ შინაური განხეთქილებით დასცენ სარწმუნოება და ზნეობა ერისა! ამას არც კომუნისტები მალავენ: ამათ განაცხადეს „რელიგია და ნაუკაში“ – ჩვენ არც ერთი ეკლესია, არც ერთი სარწმუნოება თუ აღსარება არ მიგვაჩნია ჭეშმარიტად ანუ პროგრესიულ მოვლენად, ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს უნდა მოისპოსო და თუ ჩვენ დღეს თითქოს მხარს უჭერთ „Живая церковь“-ს – ვნახოთ, რა გამოვა აქედან, ეს არევ-დარევას გამოიწვევს მათ შორის და ჩვენც უფრო ადრე ვეწევით მიზანს – ეკლესიის დაცემას და განადგურებასაო“!

წყალ-კურთხევა წელს ყველგან დიდი ბრძოლით გადაუხდიათ: თელავში შეკრებილა მახლობელ სოფლების მთელი მცხოვრებნი, აგრეთვე გორში, აქ კომსომოლებს ხელ-ჩართული ბრძოლა უწარმოებიათ ქუჩებში, ხალხს უცემიათ კომსომოლებისათვის, ასევე ყოფილა ქუთაისშიც და სხვაგანაც...

1923 წელი[1]

---

1. რვეულის ბოლოს მინაწერია: „გადადით მე III რვეულში 21 თებერვლის თარიღის ქვეშ“. თუმცა, მესამე რვეული დაკარგულია *(გამომცემლის შენიშვნა).*

ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტის კორპორაცია
შუაში დირექტორი ა. ზაზუბოვიჩი, გვერდით ღვთის მეტყველების ლექტორი,
დეკ. ნ. თალაქვაძე. ყველა რუსია ჩემს გარდა!..
1914 წელი, ქ. თბილისი

1929 წელი

ოქტომბერი – 14 (ძვ. 1) – „სვეტიცხოვლობა“
ორშაბათი – „მცხეთობა“

მცხეთობა-სვეტიცხოვლობისათვის ყოველ წლობით იკრიბებიან ხოლმე ტფილისში საქართველოს ეკლესიის „იერარქები“ და საკათოლიკოსო სინოდთან ერთად გადაავლებენ თვალს საეკლესიო ცხოვრების მიერ უკანასკნელ წელში განვლილ გზას. წელსაც შეკრებილან ეს იერარქები ქრისტეფორე-კათოლიკოსის გარშემო. მათი უმთავრესი მსჯელობის საკითხი ყოფილა ეკლესიის თანამედროვე უმწეო მდგომარეობა: ყოველგვარი შევიწროება სამრევლო თუ საეპარქიო სამღვდელოებისა სხვა და სხვა გადასახადებით, დაბეგვრით ფულით თუ ხორბლით! ვინ მისცა მღვდელს ან ფული ან ხორბალი, რომ ასეთ დაბეგვრებს ისინი გაუსწორდენო?!.. და ღვდლები სტოებენ სამრევლოებს, იხდიან ანაფორას და ქუდმოგლეჯილები გარბიან თავიანთი სამრევლოებიდან თუ ოჯახებიდანაც კიო!... არა-ერთხელ ვაცნობეთ ასეთი გაჭირებული ჩვენი მდგომარეობა ცენტრალურ საერო მთავრობას, მაგრამ ყოველთვის უნაყოფო იყო ჩვენი ასეთი შუამდგომლობა და დაჩივლება. ამიტომ კვლავ აღარ მივმართავთ მას არავითარი შუამდგომლობით!... რაც მოგვივა, მოსავალი მოვიდესო! ქალაქელი ღვდლები ცოლ-შვილს გაჰყრიან „ზაქსში“, რათა მათმა ცოლ-შვილმა მაინც შეინარჩუნონ საცხოვრებელი ბინა „მუნიციპალიზაცია“ ქმნილს საეკლესიო შენობებში. თვითონ ღვდლები ზოგი სამრეკლოებში შემძვრალან, ზოგი მგალობელთა სადგომ „ხორებზე“ დაბინავებულან თვით ტაძრებში, ზოგს სად შეუფარებია თავი სოროებში, ზოგს სად!... დიდი გაჭირებაა!.. განმკითხავი და ხმის ამომღები არავინ სჩანსო!... ასეთივე სიმკაცრეა თურმე შემოღებული „უკრაინაშიც“ და თვით „დიდ-რუსეთში“ – მოსკოვ-ლენინგრადშიც და სხვაგანაც!.. ხშირია თურმე ხელ-გაწვდილი მათხოვრობა სამღვდელო პირებისა რუსეთში!... ქიზიყში ამ ჟამად მხოლოდ სამი მღვდელიღა დარჩენილა!.. ამათი „ბოდბელი მიტროპოლიტი“ იოანნე (მარგიშვილი) ტფილისში ცხოვრობს რის ვაინაჩრობით...

სასვეტიცხოვლობოდ იერარქები მცხეთაში გაემგზავრენ. მწირველი ბრძანებულა თვით კათალიკოსი ქრისტეფორე და ორი სხვა მღვდელ მთავარი. მცხეთა იმ დღეს „კარ-ჩაკეტილი მსხდარა თავის სახლში“! მათ „დღეობის“ გადახდა აღკრძალული ჰქონდათ, სტუმრებს არ ღებულობდენო! არც ხალხს უშვებდენ შორი-სოფლებიდან ურემ-სანოვაგითო! შუა-წირვის დროს ქალაქიდან მოგრიალდა ავტოთი ამხ. ფილიპე მახარაძე, სხვა ავტომობილების თან-ხლებით. ამათ დანახვაზე ხალხიც შეკრებილა ეზოში, დაუკრავთ დაფა-ზურნა, გაუმართავთ მიტინგი ტაძრის ეზოში და ანტირელიგიური პროპაგანდა გაუჩაღებიათ: „რის „მცხეთობა“?! რის „სვეტიცხოვლობაო“!! ეგ სულ ზღაპრებია, მითი, ცრუმორ-

წმუნოება!! დღეს, ნაცვლად „სვეტიცხოვლობისა“, „ზაჰესობა“ (ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელ-სადგური) უნდა ვიდღესასწაულოთო“!... ამ დროს ტაძარში აღონ-ღიალებდა წირვას ქრისტეფორე!... ერთი სიტყვით, წელს „სვეტიცხოვლობა“ შარშანდელზე უფერულად ჩატარდა!... თანდათან ელევა ძალ-ღონე საქ. ეკლე-სიას... ის სწრაფი რღვევის პროცესშია... ჩვენ თვალ-წინ ჰქრება ეს უძველესი ინსტიტუტი ჩვენში!... ხალხი შეურიგდა ეკლესიის რღვევის ფაქტს... არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას!.. ამავე დროს „იერარქთა“ შორის ურთიერთობა უფრო მწვავდება: წირვის შემდეგ კათალიკოსი ქრ-ფორე თავის საკუთარ მა-მულ-რეზიდენციაში – სურამში წაბრძანდა, ეპისკოპოსები დააგდო მცხეთაში! ესენი ბუზღუნ-ბუზღუნით ტფილისში დაბრუნდენ.

იერარქთა შეთქმულება კათალიკოს ქრ-ფორეს წინააღმდეგ

მცხეთიდან დაბრუნებული იერარქნი ქუთათელ მიტროპოლიტ დავითის მეთაურობით შეიკრიბნენ თბილისში და კათოლიკოსის წინააღმდეგ ითათბი-რეს – მის უარგისობაზე, უმოქმედობა-უუნარობაზე ჰქონდათ მსჯელობა და გადაუწყვეტიათ მისი გადაყენება საკათოლიკოსო კათედრიდან და დავით ქუთათელის გაკათოლიკოსება! ამ მიზნით ყველა ეპისკოპოსებს ხელი უნდა მოეწერათ ამ დადგენილებაზე და შესდგომოდენ საქმეს... უკმაყოფილება იზ-რდება, მაგრამ ვერას დააკლებენ ქრისტეფორეს, მას ზურგი მაგარი აქვს... უაზროცა და უნაყოფოც იქნება, რომც მოახერხონ მისი გადაყენება... დავით ქუთათელი ამაზე ბევრად უბადრუკია!... ეკლესია უკვე განწირულია საქართ-ველოში, მას ვერავითარი კაცობრიული ღონისძიება ვეღარ შემოაბრუნებს იმ სახით, რა სახითაც ის იყო!... მატერიალიზმმა გაიდგა ფესვები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის მძლავრად იკაფავს გზას... დღეს მთელ საბჭოთა კავშირში მთელი საზოგადო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა და წარ-მოება გადასულია „ახალ ყოფა-ცხოვრებაზე“, შემოღებულია თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში „განუწყვეტელი საწარმოო კვირა“ – ხუთ-დღიური კვირა ნაცვლად შვიდ დღიურისა: „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთ-შაბათი და პარასკევი“! შაბათი და კვირა აღარ არის, გადავარდენ ეს დღეები! ეს „კვირის“ უქმობის მოსპობის მიზნითაა უმთავრესად შემოღებული, თუმცა ამას ასაბუთებენ წარმოების გადიდების მიზნებითაც! დაწესებულება-წარ-მოებაში განუწყვეტელია მუშაობა ამ ხუთ-დღეშიაც! მუშა-მოსამსახურეს ამ ხუთ-დღეში აქვთ ცალ-ცალკე „დასასვენებელი“ დღე – ზოგს ეს დასვენება ორშაბათს შეხვდება, ზოგს ხუთშაბათს, ზოგს სხვა დღეებში! საერთო კვირე-ული უქმე – დასასვენებელი დღე აღარ არის!.. ამ წესმა ბევრი არევ-დარევა შეიტანა ყველგან, მაგრამ თანდათან აწყობენ საქმიანობას ამ წესზე, სკოლე-ბიც კი გადაიყვანეს ამ ახალ კვირეულ სისტემაზე, შაბათ-კვირაობით სწავლა ყველგან გაჩაღებულია, ისვენებენ კი იმ ხუთ-დღეში ერთხელ!

წილკნელი ეპ. პავლე ჯაფარიძის გარდაცვალება

ნოემბრის ორში (ახ. სტ.) გარდაიცვალა ტფილისის მთავარ საავათმყოფოში (ყოფილი მიხეილის საავათმყოფო) აპერაციის დროს ეპ. პავლე ჯაფარიძე, მას წყალ-მანკი გაუჩნდა, ხოლო აპერაცია ვეღარ გადაიტანა. ის სულ ახალ გაზრდა იყო, ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო! მცირე ნასწავლი, ოთხკლასიანი სამოქალაქო სკოლა ჰქონდა მხოლოდ დასრულებული, მაგრამ იყო წარმოსადეგი და ლამაზი შეხედულების კაცი. წყნარი ხასიათისა, „ღვთის ნიერი“, სუფთა – „უბიწო ცხოვრებისაო“!.. ეს ის პავლე არქიმანდრიტია, რომელიც ლეონიდ კათალიკოსთან ერთად ივლტოდა 1921 წელს 24-25 თებერვალს ტფილისიდან ქუთაისისაკენ და გაიტანა აქედან მცხეთა-სიონის განძეულება ოთხი დიდი ხის ყუთებით, მიიტანა ქუთაისში და „საარქიელო სასახლის“ დერეფანში მიწაში ჩაფლეს დიდი ფიცისა და კრულვა-შეჩვენების ქვეშე, რომ ეს „საიდუმლოება“ იქ დამსწრეთ არსად გაემჟღავნებია. დაესწრენ ამ განძეულობის დაფლვას – კათალიკოსი ლეონიდი, ქუთათელი ნაზარი, ეგ პავლე და ორიც მიწის ამომთხრელი მუშა! განა ამდენ დამსწრეთა შორის საიდუმლოება შეინახებოდა?!.. და 1923-ში უკვე ამბროსი კათალიკოსის დროს, ბოლშევიკურმა „ჩეკამ“ ახსნა ამ საიდუმლოებას „ბეჭედი“! დააპატიმრეს არქიმ. პავლე ჯაფარიძე და მღვდელი პლატონ ცქიტიშვილი!.. ამათ ყველაფერი წამოყაჭეს განძეულობაზე... პავლეს თანადასწრებით გათხარეს მიწა და ამოალაგეს მიწიდან ჩამპალი იაშჩიკები და ამ ყუთებში ჩამპალი მე-11-12 საუკუნოების ძვირფასი ქსოვილები!... ოჰ! უგუნურებავ!.. ამ ქსოვილებს რაღას მიათრევდენ ქუთაისში ეგ დამფრთხალი კურდღლები: კათალიკოსი ლეონიდი, ეპ. დავითი და არქიმ. პავლე! ამათ ბოლშევიკების შიშით უეპისკოპოსოდ დაადგეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო, თვით დედა-ქალაქი ტფილისი და ივლტოდენ აქედან, „ვითარცა სასყიდლით დადგინებულნი“!... ასეთი ხასიათი მიიღო ჩვენს დროში ბერობამ!... ეგ პავლე იჯდა ამ განძეულობის გადამალვისა გამო ამბროსი კათალიკოსთან და მასთან დაპატიმრებულებთან ერთად მეტეხის ციხეში („მემორანდუმის“ გენუაში გაგზავნისა გამო 1922 წელში), გაანთავისუფლეს 1924-ში მარტში!.. ამ სახით ის „შეიმოსა“ ერთნაირი „მოწამებრივი“ ორეოლით, როგორც მთავრობის მიერ დევნილი პიროვნება!.. თითქმის ერთი კვირა ესვენა მისი გვამი სიონში... უხდიდენ აქ პანაშვიდებს, ხოლო 9 ნოემბერს წირვის შემდეგ აუგეს ანდერძი. მეორე დღეს – კვირას – ავტომობილით გაასვენეს მცხეთაში, სადაც ის იჯდა „წილკნელი ეპისკოპოსის“ პატივით! აქ ეკლესიის ეზოში – სამრეკლოსთან მიაბარეს ის მიწას...

ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მარგიშვილის გარდაცვალება

ეს ბოდბელი ზედ მიჰყვა წილკნელ ეპ-ზ პავლეს! ამან – იოანემ – მიაცილა პავლე საფლავის პირამდე, ხოლო თვითონ სული განუტევა 13 ნოემბერს, ოთხშაბათს,

საღამოს $8^1/_2$ საათზე. ამისი გარდაცვალება მეტად საეჭვო პირობებში მოხდა, ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ეგ პირობები! ზოგი ამბობს, თავი მოიწამლაო! ზოგიც ჰფიქრობს, მოსწამლესო! მაგისი სიძის, ვინმე სალიას, ეხლახან მომხდარ მკვლელობაში (28 ოქტომბერს) წილი უძევს მიტროპოლ იოანესო!... მეტად სკანდალური ხმები დადის! ის საკუთარ ბინაზე – ტფილისში უეცრად გარდაიცვალა საღ-სალამათი კაცი!... ცალი მხარე სულ გაუშავდაო... გასაჭრელად წაიღეს გვამი... უნდა გამოარკვიონ, რისგან მოკვდაო!.. იმისი დაი – სალიას ცოლი – ალექსანდრა – დაპატიმრებულია ქმრის მოკლის ეჭვების ქვეშ... დაპატიმრებულია კიდევ სხვა სამი პირიც ამ თაობაზე... მიტროპ. იოანესაც დაპატიმრება მოელოდაო, დაასწრო და თავი მოიწამლაო!.. გაზეთ „კომუნისტში“ (14 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მცირე შენიშვნა სალიას მკვლელობაზე)... „იოანე მარგიშვილის“ წაღებზე და ტანისამოსზე სისხლის წინწკლები შენიშნესო!.. ვნახოთ, რა გამოირკვევა ამ თაობაზე!.. ამ იოანეს ჰქონდა დასრულებული მოსკოვის სას. აკადემია... იყო კაცი არა ნორმალური, ახირებული, უხასიათო, შეუთვისებელი, ქარაფშუტა-თავმოყვარე-ამპარტავანი! მასში არავითარი ქრისტიანული სათნოება არ მოიპოებოდა... მამით იყო ოსი, დედით ქართველი!.. ვერც ერთ ეპარქიაში ვერ მოიკიდა ფეხ ქვეშ ნიადაგი! საქართველოში ყველა ეპარქიაში იყო და ყველგან გამოძევებული!.. ამ ბოლო ხანებში „ბოდბელად“ ითვლებოდა, მაგრამ ცხოვრობდა ტფილისში!.. მის ეპარქიაში, ქიზიყში კი, სულ სამი ღვდელიღა დარჩა ამ ხანში და ამათში ერთიც აგერ ეხლა დაუპატიმრებიათ, დარჩა ორიღა! ერთ მათგანს – ეგნატე ბეგიაშვილს ამას წინეთ საკათოლიკოსო სინოდში ვრცელი მოხსენება გამოუგზავნია: ჩვენი მტროპოლიტი იოანე სულ ტფილისშია, ჩვენ უპატრონოდ ვართ დაგდებული, ან იოანემ მოგვხედოს, ან სხვა ვინმე ეპისკოპოსი მოგვეცით, სულ დავიქსაქსენით და ვისპობითო!.. ასეთ გასაჭირში გვინდა ხელ-მძღვანელი მღვდელ მთავარიო!.. ასეთ განცხადებაზე სინოდმა პასუხი მოსთხოვა ბოდბელ იოანეს! ამანაც 8 თაბახი წვრილათ ნაწერი პასუხი გასცა, სულ სავსე კათალიკოსის ლანზღვა-გინებით და იმ ღვდლის განქიქებით!.. არ უნდოდა ქალაქიდან ფეხის მოცვლა. აქ რაღაც ცოდვები იჭერდა ჩვენი დროის „ბოდბელს“!.. აკი ერთიც საარაკო ბოდბელი წინეთაც ყოფილა, იმას აკუთნებენ ასეთ თქმულებას: „ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო“!... ეხლა ისტორიამ „გვაჩუქა“ მეორე საარაკო „ბოდბელი“ იოანე!... ვნახოთ, რით გაშუქდება მაგისი ბნელით მოცული ასეთი „არა ქრისტიანული აღსასრული“!..

14 ნოემბერი. ხუთშაბათი

დღევანდელმა გაზეთებმა მოგვიტანეს სენსაციური დეპეშა – „ინგლისის მთავრობამ დანიშნა ელჩი მოსკოვშიო“! ეგ მესამე წელიწადია შეწყვეტილი იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა. მაკდონალდის მუშათა მთავრობამ ეგ ურთიერთობა აღადგინა საბჭოთა კავშირთან! ეგ დიდი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების დიპლომატიისა და გარანტია მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის.

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გრძელდება შორეულ აღმოსავლეთში შეიარაღებული შეტაკებები! ფაქტიურად თითქოს ომი სწარმოებს მათ შორის, თუმცა ოფიციალურად ომი არ არის გამოცხადებული!.. მაგრამ, ეტყობა, საბჭოთა დიპლომატიამ აქაც გაიმარჯვა!.. ისეთი არევ-დარევა გაჩაღდა ჩინეთის გენერლებ შორის, რომ ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ ისინი!.. განაახლეს სამოქალაქო ომი!.. ფინ-იუა-სიანი, ჩა-ფან-გუის ჯარები ეკვეთენ ნანკინის მთავრობის ჯარებს და გაჩაღდა მათ შორის ერთმანეთის ჟუჟღვა!.. ამ არევ-დარევის შეტანას ჩინეთის გენერლებში საბჭოთა კავშირის დიპლომატიის უნარით ხსნიან!..

12 წლის თავი

7-8 ნოემბერს (ხუთ-შაბათ-პარასკევს) დიდის ამბით და ზეიმით გადახდილ იქნა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი! ტფილისშიდაც დიდი დემონსტრაცია-ზეიმი გამართა ხელის უფლებამ. საბჭოთა კავშირს ესტუმრენ უცხოეთის დელეგაციები ამ ზეიმზე!... ევროპის სახელმწიფოების დიდ-ცენტრებშიც გაუმართავთ მუშა-პროლეტარიატს 12 წლის თავის აღსანიშნავი დემონსტრაციები! თავიანთ მთავრობების პოლიციასთან დიდი შეტაკებებიც მოსვლიათ!... ეტყობა, კომპარტია ინტერნაციონალურად იბრძვის და ამზადებს ევროპასაც... გასაბჭოებისათვის!... დიდი მუშაობაა ამ ნიადაგზე ყველგან...

15 ნოემბერი – პარასკევი
პროფესორ ა. ცაგარლის დასაფლავება

დღეს მამა-დავითის ტაძრის გალავანში – „მთა-წმინდაში“ დაასაფლავეს მხცოვანი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ეს 60-წლების მოღვაწეთა უკანასკნელი წარმომადგენელი. დაიბადა ის 1844 წელს, დაუსრულებია ტფ. სას. სემინარია (ღვდლის შვილი), შესულა პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე, მეორე კურსიდან გადასულა მიუნხენის ქართულ-სომხურ ფილოლოგიურ ნაწილზე. თავისი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობა აღნიშნა პროფ. ცაგარელმა აუარებელი მეცნიერული შრომების გამოქვეყნებით. ის ქართული ლიტერატურის კრიტიკოსიც ყოფილა, თვით მწერალიც ყოფილა! მისი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1862 წ. გაზეთ „ცისკარში“. შემდეგ „დროებაში“ მთელი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა მისი მოთხრობა – „ასასი ბედკრულაძე“. ამავ „დროებაში“ მოთავსებული იყო მისი წერილები მიუნხენიდან – მე-19 საუკუნის ქართული მწერლების შესახებ შემდეგი სათაურით: „ჩვენი უბედური მწიგნობრობა მე-19 საუკუნეში.“ აქ აკრიტიკებს და არჩევს ცაგარელი ა. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გ. ერისთავს, ილ. ჭავჭავაძეს, აკაკის და სხვ. მეცნიერული მისი მოღვაწეობა იწყება 1872 წლიდან, როდესაც ის მიუნხენიდან დაბრუნებისას პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტად იქნა ამორჩეული. მას აქეთ

ის დაუღალავად შრომობდა ქართული ენის სიტყვიერების, საქ. ისტორიისა და არქეოლოგიურ დარგებში. მან დასწერა მეცნიერულად დამუშავებული თხზულება – „О грамматической литературе грузинского языка“; „Мингрельские этюды“ (ორი წიგნია) – აქ მეგრული ენის თვისებებს არკვევს მეცნიერი-ფილოლოგი. შეისწავლა მან დიდ-ძალი ქართული ხელთ-ნაწერები, რომლებიც დაცულია საქართველოში თუ სხვაგან – წიგნთ-საცავებში და მუზეუმებში – ეს ნაშრომი სამ წიგნად არის გამოსული – ასეთი სათაურით: „Сведения о памятниках груз. письменности“... ამას გარდა – „Грамоты и др. историч. документы XVIII в. относит. Грузии“, – ესეცა სამი წიგნია; კიდევ – „Сношение России с Кавказом“; „Грузинские монеты чеканившиеся в г. Тифлисе с 1801–1830 г.“ ეს უმთავრესი შრომებია ცაგარლისა მის აუარებელ ნაწერებიდან. იყო ალექსანდრე ფრიად წარმოსადეგი ვაჟ-კაცი, დინჯი, დარბაისელი, სასიამოვნოდ მოუბარი. ის არ იყო მშრალი-სპეციალისტი მსწავლული, მას აინტერესებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაც, რაც შეეძლო, ზრუნავდა იმ დროს მეტად ჩამორჩენილ და დაბეჩავებულ ქართველობაზე... მეტად აინტერესებდა მას საქართველოს საეკლესიო საკითხიც, „ავტოკეფალიაზე“. მე შემთხვევა მქონდა, წავიკითხე და საჯარო კრებაზედაც მოვისმინე მისი წერილი მოსკოველ პროფესორ ხახანაშვილისადმი, რომელიც მიუწერია მას პეტერბურგიდან, ბერლინიდან დაბრუნებისას, მგონი (აღარ მახსოვს კარგად) 1907 თუ რვა წელში შემოდგომისას... დავბრუნდი ბერლინიდან პეტერბურგშიო, – სწერს ის ხახანაშვილს, – აქ დიდი მოძრაობაა სამღვდელოებაშიო, რუსის სამღვდელოება პატრიარქობის აღდგენისათვის ემზადება... მთელ რუსეთს სხვა და სხვა სამიტროპოლიტო ოლქებად ანაწილებენო!... საქ. სამღვდელოების წარმომადგენლები კი უკან იხევენ ავტოკეფალიის საკითხშიო! იმათ რაღაც ახირებული „Мнение группы Груз. духовенства“ – დაუწერიათ და ეს დოკუმენტი სტოლიპინის პორტფელში ძევსო! სტოლიპინი (ეს დიდი პრემიერ მინისტრი იყო... შემდეგ მოჰკლეს ის კიევში. მგონი ,1908 წელს...) რო ვინახულე, ის შემეკითხა: – ქართველები რას თხოულობთ საეკლესიო საკითხშიო? უპასუხე – ავტოკეფალიასთქო! – რის ავტოკეფალიაო, – დამცინავი კილოთი უპასუხნია სტოლიპინს, – აი, თქვენი სამღვდელოების საუკეთესო ჯგუფი რას თხოულობსო, – და მაჩვენა ერთი თაბახი დაბეჭდილი ქაღალდი – „Мнение группы“, სადაც დეკ. კ. ცინცაძეს და მის თანამოაზრეებს უკან მიაქვთ ავტოკეფალიის საკითხი და კმაყოფილდებიან „საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქით, ექსარხოსი გამიტროპოლიტდესო! ხოლო ეს მიტროპოლიტი რუსი იქნება, ქართველი, ბერძენი თუ ოსი სულ ერთიაო!.. ასე არევიათ დავთარი საქართველოშიო!.. ასეთი იყო იმ წერილის შინაარსი. ეს წერილი ჩავარდნოდა ხელში აწ განსვენებულ დეკ. იოსებ ჩიჯავაძეს და მან ეს „დოკუმენტი“ საჯაროდ წაიკითხა კათალიკოს ამბროსის დროს ტფილისის სამღვდელოების ღია კრებაზე, თვით კათალიკოსისა და დეკ. ცინცაძის თანა დასწრებით, რითაც ორთავეს პირი დაუყო ჩიჯავაძემ საჯაროდ, ამხილა ისინი, თუ როგორი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ ექსარხოსების დროს. იმ „მნენიაზე“, სტოლიპინის პორტფელში რო თავი ამოუყვია, ხელი ეწერათ: არქიმანდრიტ ამბროსის (მაშინ სინოდ. კანტორის წევრი იყო), დეკ. ცინცაძეს, თოთიბაძეს, ერისკაც სერგო გორგაძეს, დეკ. კ. კეკელიძეს

(ეხლა პროფესორს)... იმ ხანებში პროფ. ცაგარელი ჩამოვიდა ტფილისში და მე დამიბარა ორიანტის სასტუმროში, იქ გამიცნო და მესაუბრა საეკლესიო საკითხზე. სხვათა შორის შემეკითხა – მეც ხო არ ვეკუთნოდი იმ „ჯგუფს“?! მე კატეგორიულად უარვყავი ეს „ჯგუფი“ და მისი „მნენიეც“ და განუმარტე პროფესორს, თუ რა უკულმართი მიმართულება მისცა იმ „ჯგუფმა“ ჩვენს საეკლესიო საკითხს. მოვახსენე ისიც, თუ როგორ ბრძოლას ვაწარმოებდი ამ „ჯგუფის“ წინააღმდეგ და რამდენი დევნა-ყვედრება და სასჯელიც ავიტანე ამის გამო. ეს მოხდა – ჩვენი საუბარი – ჩემი დიდუბიდან ანჩისხატში გადმოგდების შემდეგ. აწ განსვენებულმა პროფესორმა ცაგარელმა დამიყვავა, გამამხნევა შემდგომი ბრძოლისათვის და ბევრი რამ საგულისხმო გადმომცა... შემთხვევა მქონდა მასთან საუბრისა 1919 წელშიც, როდესაც ავტოკეფალია უკვე განხორციელებული გვქონდა 1917 წლის რევოლიუციის წყალობით! ის – პროფესორი – გვესტუმრა ერთ საღამოს საკათოლიკოსო საბჭოში, კათოლიკოს ლეონიდის დროს! მაგრამ მეტად მოტეხილი იყო უკვე მხცოვანი პროფესორი! ის ძლივსღა დადიოდა, ცუდად ეყურებოდა, და ველარც ერკვეოდა საკითხებში – პოლიტიკურში თუ საეკლესიოში! ისეთ რამეს წამოიძახებდა ზოგჯერ საუბარში, რომ უნებლიეთ მწარე ღიმილს იწვევდა მსმენელებში!.. პროფ. ცაგარელი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია საქ. უნივერსიტეტისა. ერთხანს ლექციების კითხვასაც მიჰყო მან ხელი იქ, მაგრამ... მალე იძულებული იყო ხელი აეღო ლექციების კითხვაზე, ველარ შესძლო!.. ის პენსიაში გაიყვანეს, მოათავსეს ზუბალაშვილის სახელობის თავ-შესაფარში, მიუჩინეს ცალკე მომვლელი და ცხოვრობდა თავისთვის ღრმად მოხუცებული... ყველასგან, თითქოს მივიწყებული!.. მხოლოდ მისმა სიკვდილმა მოაგონა მისი თავი ქართველობას. ჩვენმა უნივერსიტეტმა ნამდვილი ჭირისუფლება გაუწია სახელოვან მოღვაწე-მეცნიერს და დიდის პატივით დაკრძალეს ის „მთაწმინდის“ გალავანში, სადაც განისვენებენ საქართველოს დიდი მოჭირნახულენი: დ. ყიფიანი, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, კომიკი ვასო აბაშიძე!.. შეუერთდა ამ „სამოციან“ მოღვაწეებს პროფ. ალექსანდრე ცაგარელიც!.. იქიდან, მამადავითიდან, გადმოჰყურებენ ესენი „ახალ საქართველოს“ აღმშენებლობას ამ რადიკალურ გარდატეხის ისტორიულ ხანაში!.. ისტორიის მკერდზე მისვენებულები თვალ-ყურს გვადევნებენ „მთაწმინდიდან“ ამ „მატერიალიზმის“ გამეფების ხანაში, როდესაც ძველი ყველაფერი თითქმის მოპირქვავდა, ყირამალა დადგა... და იქმნება ახალი მსოფლ-მხედველობა, ახალი ყოფა-ცხოვრება, სწარმოებს დაუნდობელი „კლასთა ბრძოლა“, სცდილობენ სოციალიზმის დანერგვას კომუნისტური გაგებით და გაქანებით!... ძველი ახალს ადგილს უთმობს!.. მიდიან ძველები!.. მიდიან!... თითქმის სულ ერთიანად გაიკრიფენ კიდეც!..

ავღანისტანში

თავის დროზე აღნიშნული გვქონდა ჩვენ ამ ქვეყნის ვითარება შარშან თუ წელს. ამანულა ხანი თავისი მეუღლით კიდევაც გვესტუმრა ტფილისში. ავღა-

ნისტანში დაბრუნებისას მან მიჰყო ხელი რადიკალური რეფორმების შემოღებას ამ ბნელ მუსლიმანურ ქვეყანაში. განიზრახა ამანულამ თავისი ქვეყნის სწრაფი ევროპეიზაცია!.. მაგრამ აუჯანყდა ბნელეთის მოციქულების – მოლების შეგონებით ქვეშევრდომნი და გადააგდეს ის ტახტიდან!.. გაიქცა და დღეს ცოლით სცხოვრობს რომში! ოცი ჩემოდანი ოქრო წაიღო თან ქაბულიდანო! – სწერდენ მაშინ გაზეთში... გამეფდა ვინმე უბრალო კაცი – ყაჩაღი – სახელად „ბაჩე-საკაო“! ამ ბაჩე-საკაოს შეებრძოლა ამანულას ბიძა ნადირ-ხანი. ამან მიიმხრა თავისი ქვეყნის სხვა და სხვა ტომები, ეკვეთა ბაჩე-საკაოს და ეხლა ხან სძლია კიდეც მას! შევიდა ქაბულში და დაჯდა ტახტზე, ის „აირჩიეს“ – ფადი-შაჰათო! ბაჩე-საკაო და 12 მისი თვალ-საჩინო მომხრეები ტყვედ ჩაუვარდა ნადირ-ხანს და დახვრიტეს... ამ ჟამად საბოლოოდ განმტკიცდა ავღანისტანის ახალი ფადი შაჰის ნადირ-ხანის მდგომარეობაო, – იუწყებიან გაზეთები. ნადირ-ხანმა შეადგინა ავღანისტანის მთავრობა სულ „ხანებისაგან“, თავის მახლობელ პირთაგან და განაცხადა, რეფორმებს, რომელიც განიზრახა ამანულა-ხანმა, მეც სავსებით თანაუგრძნობ, მაგრამ ნელ-ნელა შევაყოლებო!.. ნადირ-ხანი, სანამ სძლევდა ბაჩე-საკაოს, გაიძახოდა – მე ამანულა-ხანის აღდგენისათვის ვიბრძვიო!.. მაგრამ ეხლა მაგრად დაჯდა ფადი-შაჰის ტახტზე! ვაი ასეთ დაჯდომას, ის ორ გიგანტ სახელმწიფოთა შუაა გაჩხირული – აღმოსავლეთიდან მოსდგომია ინგლისი, როგორც ინდოეთის მპყრობელი! დასავლეთით კი – საბჭოთა კავშირი!.. ესენი კი აქლემებივით ჭიდაობენ და ლამის ეგ „კოზაკი“ ავღანისტანი „გასჭყლიტონ“. აქ არის ინგლის-რუსეთის შესახვედრი სტრატეგიული პუნქტი!.. აქ იკვანძება ახალი დროის დიპლომატიური ოინების ჯაჭვი!.. მართალია, ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის განახლდა ურთიერთობა, ახალი ელჩიც დაინიშნა მოსკოვში, მოსკოვიც ეძებს ლონდონისათვის ელჩს, მაგრამ ამათი „წყალი“ აგრე ადვილად არ დაიწმინდება!.. ლონდონის ეხლანდელი „მუშათა მთავრობა“ ძირითადად განირჩევა საბჭოთა კავშირის „მუშურ-გლეხური“ ხელისუფლებისაგან!... ესენი ერთმანეთს ფანდებს უკეთებენ, ყინულზე აცურებენ!.. დიპლომატიურად თვალთმაქცობენ... მარჯვე დროზე ერთი მეორეს არ დაინდობს, ერთი მეორეს ჩასაყლაპად ემზადება.

საფრანგეთში

ეხლახან დაეცა საფრანგეთში „ბრიანის მთავრობა“! კაბინეტი შეადგინა ბრიანის კაბინეტში შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ტარდიემ! ეს ცნობილია, როგორც მტკიცე ხელის უფლების კაცი, „რეაქციონერია“ – მოწინააღმდეგეთა სიტყვით! ტარდიემ ბრიანი შეიყვანა თავის კაბინეტში, ის ისევ გარეშე საქმეთა მინისტრად დასტოვა! ტარდიე საბჭოთა კავშირის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ითვლება! ამიტომ მის კაბინეტის სათავეში მოქცევას მოსკოვი ყიჟინით შეხვდა!.. რა უწოდეს ტარდიეს საბჭოთა პრესაში: „შანტაჟისტი, ავანტიურისტი და ვინ იცის, კიდევ რა! ტარდიე პარიზის კომუნისტუ-

რი პარტიის მდევნელად და მტრად ითვლება. მან პარლამენტში წარმოსთქვა მუქარიანი სიტყვა: „მოსკოვის სტიპენდიანტებს“ მე არ მივსცემ უფლებას, რომ ისინი პარიზის ქუჩებში გაბატონდენო“!.. იგულისხმება აქ სტიპენდიატებად ფრანგი კომუნისტები!.. ასეთი გაწიწმატებაა დღეს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირ შუა!..

პოლონეთში

აქაც მტრული განწყობილებაა საბჭოთა კავშირისადმი... მაგრამ შიგ პოლონეთშიც დიდი მიხლა-მოხლაა! პოლონეთის „დიქტატორი“ პილსუდსკი სეიმს ერეკება, ამცირებს, თავ-ლაფს ასხამს დეპუტატებს თუ სეიმის თავმჯდომარესაც! გაზეთების სიტყვით, პოლონეთში პოლიტიკური გადატრიალება მზადდება, კონსტიტუციის შეცვლა სურთ!.. იქ მონარქიზმის აღდგენასაც ჰფიქრობენო!.. ერთი სიტყვით, დიდი დუღილია დღეს პოლონეთში...

17 ნოემბერი – კვირა. იოანე ბოდბელის დასაფლავება

დღეს სიონში წირვისა და ანდერძის შემდეგ, ტაძრის ეზოში მიწას მიაბარეს ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მარღიშვილი, რომლის გარდაცვალება ზემორე გვქონდა აღნიშნული. „მიცვალებულის გვამის გაჭრამ გამოაჩინა, რომ ის გარდაიცვალა გულის სიდამბლისაგანო“!... ის „ივანე მარგიშვილი“, რომლის წაღებზე და ტანთსაცმელზე მოკლული სალიას სისხლის წვეთები აღმოაჩინეს, მეორე ძმა ყოფილა მიტროპოლიტ ივანესი; იმ ივანეს ცოლიც დარეჯანი დაუპატიმრებიათ და სამიც კიდევ სხვანიო. ესენი გამოცხადდებიან ალბად სასამართლოს პროცესზე!.. უბედურ ბოდბელს გული გახეთქია ასეთ „თავისიანებში“, ამათი საშიშარი და შემზარავი ბოროტ-მოქმედებით, სიძის მკვლელობით! თან დიდი უსიამოვნება-შეტაკება მოსვლია მას საკათ. სინოდში „მანგლელ მიტროპოლიტ“ კალისტრატესთან. მიუხედავად ამისა, კალისტრატე დაჰკაკანებდა ბოდბელის კუბოს კურთხევანით ხელში... და... აპატიოსნებდა... სიკვდილის შემდეგ მაინც თავის „ქრისტეს მიერ ძმასა და თანამწირველს“!.. ოჰ! რა ვერაგობა-ფარისევლობაა!... ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო დასაფლავებას... დაასაფლავეს ბოდბელი სიონის ეზოში, პატარა ეკლესიის გვერდით! საკვირველია, როგორ დართო მთავრობამ ამისი ნება!.. მაგრამ ბოდბელზე „ქელეხი“ აღარ გაუმართავს საკათ. სინოდის სამეურნეო ნაწილის „დირექტორს“ – დეკ. დიმ. ლაზარიშვილს! პავლეზე კი „დიდებული და მაძღარი ქელეხი“ გაუწევია მას საკათ. სინოდის კანცელიარიაში: სულ შემწვარი ინდოურები, ბატები, ქათმები, „ხაშლამა“ – ცხვრის ხორცით დამძღარან მაშინ სამღვდელონი და იერარქნიც! სამასი მანეთი დაუხარჯავთ პავლეზე სანთლის ქარხნის საშვალებათაგან!.. ბოდბელზე კი „ბოთლისათვის თავიც კი არავის წაუქცევია“, ის „მშრალად

მოიშორეს თავიდანო“, – ამბობდენ დამსწრენი!... იქნებ სასამართლომ სალიას სიკვდილის საშინელებას აჰხადოს საიდუმლოების საბურველიო!... ეგ პლატონ სალია ამხანაგობა „მწყემსის“ მოლარე ყოფილა. მოუკლავთ სახლში ხანჯლით, 16 ჭრილობა მიუყენებიათ, ხელებზე თითებიც დაჩეხილი აქვს, შემდეგ სოღანლუღის მიდამოებში წაუღიათ და იქ ბუჩქებში მიუმალავთ.

საბჭოთა ელჩი – ლონდონში

განახლდა ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობა, ეს ურთიერთობა დიდის ამბით აღადგინა ინგლისის „მუშათა მთავრობამ“ თემთა პალატაში! დანიშნეს კიდევაც თავისი ელჩი მოსკოვში, მოსკოვმაც დანიშნა თავისი ლონდონში – სოკოლნიკოვი!... ეგ სოკოლნიკოვი ურია ყოფილა, პარიზელი „დოვგალევსკიც“ ურია ყოფილა!.. ეგ სოკოლნიკოვი „ოპოზიციონერი“ ყოფილა, რის გამო ის საკავშირო ფინსახკომიდან დაითხოვეს მოსკოვში... ეხლა კი... ლონდონში გაგზავნეს, ალბად როგორც ზომიერი მიმართულების პარტიელი!...

განხეთქილება პარტიაში

ჯერ კიდევ არ დამცხრალა „ტროცკისტულ-მემარცხენე უკლონისტების“ წინააღმდეგ ბრძოლა, რომ პარტიაში ჩაისახა მემარჯვენე უკლონიზმთან ბრძოლა. მემარჯვენეები ყოფილან პოლიტ-ბიუროს ლიდერები: ბუხარინი (ეს უკვე გამოიყვანეს პოლიტ-ბიუროდან), რიკოვი და ტომსკი, ამათ „გაფრთხილება“ მისცეს – თუ არ შესწყვეტთ ფრაქციულ მუშაობას, თქვენც დაგსჯითო!... დიდი მიხლა-მოხლაა! აგრე მტკიცე ხელით მოქმედებს პოლიტ-ბიუროში სოსო ჯუღაშვილი – სტალინი და მას მხარს უჭერს სერგო ორჯონიკიძეცო!... „ეგ აზიატები ჯიუტი ხალხიაო“ – გაიძახიან გაბოროტებული რუსობა!...

26 ნოემბერი – სამშაბათი „მემარჯვენეთა ბელადების კაპიტულიაცია“

დღევანდელ გაზეთებში („კომუნისტი“ №272) ასეთი სათაურით დაბეჭდილია ტომსკის, ბუხარინისა და რიკოვის განცხადება, რომ მათ მიერ პარტიასთან წარმოებულ წლი-ნახევრის დავაში „მართალი გამოდგა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი“-ო. სხვა და სხვა „დოკუმენტებში გამოთქმული ჩვენი შეხედულებანი გამოდგა შემცდარიო“. ესენი გადაჭრით აცხადებენ ამიერიდან პარტიასთან განუყრელად და ერთსულოვნად მუშაობას...

ასეთი განცხადებით გაუკეთდა „მემარჯვენე გადახრასაც“ სრული ლიკვიდაცია, ისე, როგორც ტროცკისტულს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზო-

გადოებაზე ამ განცხადებამ. პარტიაში სრული „სოლიდარობა“ ჩამოვარდაო!.. ჯერ ვერ აუხსნიათ, რით არის გამოწვეული ასეთი ლიკვიდაცია ყოველივე ოპოზიციისა პარტიაში.

წითელი არმიის ბრწყინვალე მოქმედება ჩინელების წინააღმდეგ

გუშინდელ გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ „შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულმა არმიამ“ მოიგერია ჩინეთის ჯარის შემოტევა, დაედევნა მას ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩვენი საზღვრებიდან შორს გარეკა, განიარაღებულ იქნა 8.000-ზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი და 300 ოფიცერი. მათ ჩამოერთვათ 10.000 თოფი და სხვა და სხვა საომარი მასალა საგრძნობი რაოდენობით“... ასეთმა ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არამცთუ ჩვენს საზოგადოებაზე, მთელ ევროპაზედაც! თუმც ომი ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ფაქტიურად უკვე კაი ხანია სწარმოებს კიდეც. შიგ ჩინეთში სამოქალაქო ომიც ბობოქრობს, მთავრობის ჯარს ებრძვიან აჯანყებული „გენერლები“ – თავისი ჯარებით – ფინ-უია-სინი, ჩაფან-გუი და სხვები! გაზეთების სიტყვით, მთავრობის – ჩან-კაიშის – ჯარის ნაწილებიც ამათ მხარეზე გადადიან და ნანკინის მთავრობის ჯარი დიდ განსაცდელშიაო!.. მალე მუკდენის მთავრობა მოლაპარაკებას გამართავს საბჭოთა კავშირთან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ ნანკინის მთავრობის დამოუკიდებლადო... ერთი სიტყვით, გაზეთების ცნობებით, მთელი ქაოსია დღეს ჩინეთში და რით გათავდება ასეთი მდგომარეობა არავინ იცის... სხვა სახელმწიფოები შორი-ახლოდან სეირს უცქერიან... შეიძლება ჩუმ-ჩუმად კიდევაც უჩიჩხვინებენ უბადრუკ ჩინეთს... და ესეც... „ომობს“!...

საკათოლიკოსო სინოდში

ზემოდ აღნიშნული გვქონდა, რომ ზედი-ზედ „გარდაეღო“ საქ. ეკლესიას ორი იერარქი – პავლე წილკნელი ეპისკოპოსი და იოანნე ბოდბელი მიტროპოლიტი. პირველის ადგილზე (მცხეთაში) დაუნიშნიათ ეპ. ნესტორ ყუბანეიშვილი, რომელიც უადგილოდ იყო ქუთაისში. ბოდბელობა შესთავაზეს ეპ. მელქისედეგს – ფხალაძეს, რომელიც დარიის მონასტერში(!) ამ ჟამად სამრევლო ღვდლობას ეწევა!... ამას უარი განუცხადებია ბოდბელობაზე, სადაც ორი მღვდელიღა ღანღალებს ეხლა!... ამიტომ ბოდბელობა მიანდეს კათალიკოზის ქორ-ეპისკოპოზს – „ნინოწმინდელ“ იეროთე აივაზოვს (ყოვლად უბადრუკს) ტფილისიდან „განსაგებად“! საკვირველია, რომ „მანგლელი მიტროპოლიტი“ კალისტრატე არავითარ ასეთ მინდობილებას არ ჰკადრულობს, ის ზის ქვაშვეთში და აქედან „მანგლელობს“, თუმცა ამ ეპარქიაში უკვე აღარც ერთი ღვდელი აღარ არის! ის – კალისტრატე – ბინიდან გამოასახლეს და შიგ ტაძარში – საკურ-

თხეველის გვერდით – „რიზნიცაშია“ დაბანაკებული – ზემო სართულში, ხოლო ქვემო სართულში – მისი თანაშემწე – დეკ. დიმიტრი ლაზრიშვილი – ქალაქის სამღვდელოების მთავარ-ხუცესი! ესეც გამოასახლეს საეკლესიო ბინიდან... დიდ განსაცდელშია დღეს საეკლესიო ცხოვრების საქმე! საქ. ეკლესია სანთელივით დნება... ხალხი ჩამოშორდა ერთთავად!.. მთავრობა ავიწროებს ისევ ერთთავად და სისტემატიურად. ასეთივე შეიწროებაა უკრაინის ეკლესიაშიდაც, სადაც დღემდე შედარებით თავისუფლად იყო სამღვდელოება. იქ რაღაც „კონტრ-რევოლიუციონური“ ჯგუფი აღმოუჩენიათ, რომელსაც ახლო კავშირი ჰქონებია „უკრაინის ავტოკეფალურ“ ეკლესიასთან და უსწორდებიან ეხლა ამ ჯგუფსაც და ეკლესიასაც!.. დიდი შევიწროებაა ლენინგრადისა და მოსკოვის სამღვდელოებაშიაც!.. მაგრამ იქ ბევრნი არიან, ხალხიც ჯერ კიდევ მისდევს, ჩვენში კი სრული კატასტროფაა! ხელისუფლება ეკლესიას არ დაანებებს „მორწმუნეებს“ – ხალხს, და ამ გზით ხდება ეკლესიისა და ეკლესიური ცხოვრების ლიკვიდაცია ჩვენში, სწრაფი ტემპით... დაჩქარებით... ახალი ყოფა-ცხოვრების ჩვენს ერში დასამკვიდრებლად...

გიორგობა – ქვაშვეთობა
(23 ნოემბერს – პარასკევს, ძვ. სტილით 10-ს)

წელს შარშანდელზე უფრო ნაკლები ხალხი მიიზიდა ქვაშვეთში გიორგობამ. სადღა იყო ნაყარ-ფუტკარივით ხალხის გუზ-გუზი მის ალაყაფის კარებზე, ქუჩაში, ეზოში თუ თვით ტაძარში! თითო-ოროლა „მლოცავები“ მაინც მოსულიყვნენ – სამღთოდ შესაწირავი ცხვრებით; ესენი ქალაქელი „წვრილი ბურჟუები“ იყვნენ! სოფლებიდან კი კვლავინდებურად აღარავინ ჩამოსულა! აღარ სჩანდა „ჩარდახიანი ურმები“ ტაძრის ეზოში!... ეგ „მლოცავები“ ტაძრის ქვემო სართულში დაბინავებულიყვნენ, გაეშალათ იქ ხალ-ბარდაგები, ლოგინები, შემოსხდომოდენ ადუღებულ სამოვრებს თუ გაშლილ პურღვინოსა და შეექცეოდენ!.. აღარ გაისმოდა ეზოში აღარც ახალ-გაზრდობის სიმღერა, არც დაირა-დუდუკი, გარმონი თუ ზურნა!.. ყოველივე მიწყნარებულიყო!.. მიყუჩებულიყო!.. ეტყობა, კვდება ეგ ჩვეულებაც... მაგრამ არ კვდება „მწირველ“ სამღვდელობის „დღეობებზე“ ჭამა-ღრეობა. მწირველი ბრძანდებოდა კათალიკოსი ქრისტეფორე და კალისტრატე „მანგლელად“ წოდებული, ნამდვილად კი „ქვაშვეთელი“ მიტროპოლიტი. წირვის შემდეგ, ტაძრის ქვემო სართულის „რიზნიცაში“, სადაც ღამეს ათევს და ბინადრობს ქვაშვეთის „პროტოპრესვიტერი“ დეკ. დ. ლაზრიშვილი, კათალიკოსს და მისს თანამწირველთ გაუმართეს სადილი! ლაზრიშვილის ცოლ-შვილის ბინიდან ქალებს და ქალიშვილებს შეჰქონდათ ტაძარში კათალიკოსის სუფრაზე თეფშებით და ფოდნოსებით საჭმელ-სასმელი, კერძები, მოხარშულ-მოხრაკულები! წინეთ თუ ბინებზე სადილობდენ, ეხლა შიგ ტაძარში შეექცევიან! თითო-ოროლა მოყიალე ხალხი გაშტერებული და გაოცებული შესცქეროდა კათალიკოსსა და მისს თანამე-

ინახეთა სუფრას, ამ სუფრის გარშემო ქალების ფუსფუსსა და კერძის მიტანმოტანას!.. ერთნაირი „სანახაობა“ იყო გამართული! „ვიშ! ვიშ!... ქა! – გაიძახოდენ მანდილოსნები, – ამ გასაწყვეტებს ღვდლები და ეპისკოპოსები თავიანთ სახლ-კარიდან, ბინიდან გამოურეკიათ, ვერ უყურებთ, სად სადილობენ?!...“ დიახ, მანგლელი და მისი პროტოპრესვიტერი დასძრეს საეკლესიო სახლებიდან და ეხლა ტაძარში შეაფარეს თავი!... ზოგმა სამრეკლოებში შეაფარა თავი, ზოგი სად მოიკრუნჩხა, ზოგი სად!.. შეიქმნა „დევნის სურათი“, „აღმსარებლობა-მოწამებრიობა“!.. ხალხი კი სდუმს!.. ვინ გაბედავს კრინტის დაძვრას!?. სოფლებში უფრო მეტი ამბებია, დაბეგრეს ღვდლები უსაშველოდ „პურით“ თუ „ფულით“!.. ვინ მისცა მათ ან ერთი, ან მეორე?!. გარბიან... სტოებენ სამრევლოებს, იხიზნებიან თავიანთ სოფლიდან ანაფორა გახდილები ზოგი სად, ზოგი სად!.. ხელისუფლებამ სასტიკად შეუტია სამღვდელოებას ყველგან – ჩვენშიც და რუსეთშიც! სოფლად და ქალაქადაც! ეკლესია კი, როგორც „მორწმუნეთა საზოგადოება“, აღარ არსებობს ფაქტიურად!.. შედარებით მოსვენებით არიან სომხითში, უფრო მოსვენებით კი აზერბეიჯანში და მაჰმადიანთ სოფლებში!.. ქრისტიანობა, ასეთი ტემპით თუ იწარმოა ანტირელიგიურმა მიმდინარეობამ, საქართველოში სულ მოკლე დროში ჩაქრება, ეკლესია სულ დაირღვევა!.. ზნეობა და სჯული „ახალი ყოფა-ცხოვრებით“ შეიცვლებაო!.. ნამდვილად კი საოცარი ზნეობრივი გახრწნილება დაეუფლა ჩვენს საზოგადოებრივ, ოჯახურ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას!.. დიდი სიბილწე და გახრწნილებაა სქესობრივად, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და სახელმწიფო ქონებისა თუ ფულის ფლანგვა, ყველგან, ყოველ დარგში, დაწესებულებებში, არა მხოლოდ „უპარტიოთაგან“, არამედ „ნაფიც პარტიულ“ ამხანაგებთაგანაც კი!.. ვერავითარი რეპრესიები, სასამართლოების მსჯავრი, ციხე-„გამსახლები“, ვერ შველიან საქმეს! ვერ შველის საქმეს ვერც „პარტიული რიგების წმენდა“, რომელიც ამასწინეთ ჩაატარეს ჩვენშიაც, ვერც სახელმწიფო აპარატის – დაწესებულებათა შემადგენლობის – წმედა, რომელიც ეხლაც ტარდება და მიმდინარეობს! რამდენს „გასწმენდ“?! რამდენს „მოხსნი სამსახურიდან“? ან საიდან უნდა იშოვნო ამათი მაგიერი და ამათზე უკეთესნი?! არ არის „შეგნება მოვალეობისა“, არ არის შეგნება – „პატიოსნებისა“, „გულწრფელობისა“ და სახელმწიფოსადმი უანგარო ერთგულებისა! საიდან უნდა შეიძინონ მოქალაქეებმა ყოველივე ეს?! მატერიალისტური მოძღვრება ყოველივე ასეთ „შეგნებას“ ძირ-ფესვიანად არყევს, ანადგურებს!.. ახალი სკოლა ამ მოძღვრებაზე აშენებული, მე არ ვიცი, რა შედეგებს მოგვცემს, როგორ ახალ თაობებს გამოუშვებს!... ჯერ კი ძლიერ ცუდი პირი უჩანს!.. არ ვიცი, ვერ მივხვედრილვარ, როგორ უნდა გარდაიქმნეს ადამიანთა პირ-უტყვული და ზოგჯერ მხეცური ინსტინქტები მათი, რომ დამყარდეს სოციალიზმი და კომუნიზმი იმ სახით, რა სახითაც ეგ სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება გვისახავს სამოთხისებურ ცხოვრებას ამ... „ცოდვილ-დედამიწაზე“!.. „აშენებენ“ კი სოციალიზმს, კომუნიზმს!.. სწარმოებს „ბურნოე სოციალისტიჩესკოე სტროიტელსტვო“, – როგორც გაზეთების ფურცლებზე ყოველ დღე ვკითხულობთ!.. სწარმოებს „ინდუსტრიალიზაცია“

ქალაქად, შენდება ფაბრიკები თუ ქარხნები!.. სწარმოებს სოფლად „კოლექტივიზაცია“ – გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ყველგან „ტრესტები“, „არტელები“, „ნადი“, „სინდიკატები“, ტრაქტორები-მანქანები, ავტომობილები, „ნაყოფიერების აწევა“ ყოველი დარგის სამუშაოში! ნამდვილად კი ყველგან ყველაფრის ნაკლებობაა, დღითი დღე ძვირდება ცხოვრება, ლუკმა პური სჭირს: თუ მოსამსახურე ხარ – გირვანქა პურს გაძლევენ დღეში 7 კაპ., თუ კერძო ხარ – 25 კაპ. უნდა იყიდო! შაქარი სულზე ორი გირვანქა – მოსამსახურეს – ისიც ფხვნილი! კერძოები რის ვაი-ვაგლახით შოულობენ ასეთ ფხვნილ შაქარს მანეთ-ნახევრად და უფრო ძვირადაც გირვანქას! ზოგი სულაც ვერ შოულობს ფულითაც კი! კოჭი ძაფი – საკერავი – სამი აბაზი – ისიც კერძო მოვაჭრეების ხელში! სარეცხი საპონის შოვნა არ არის, თეთრეული ფართლეულის თუ ჩითების შოვნა არ არის!.. ზეთი არ არის!.. ყველი და კარაქის შოვნა აღარ არის, კვერცხის შოვნა არ არის, თითო ცალი სამ შაურად ფასობს ბაზარში, ნახევარზე მეტი ლაყე გამოდის!... სულ ყველაფერ საზღვარ-გარეთის ბაზარზე გზავნიან „ვალიუტის შესაძენად“!.. ჩვენი ფული ძლიერ დაცემული კურსით არისო!.. დიდი სიღატაკე ჩამოვარდნილა ყველაფრით მსუყე რუსეთშიაც კი!.. დევნა კერძო ვაჭრებისა და ვაჭრობის! დევნა ეგრედ წოდებულ „კულაკებისა“ ანუ შეძლებული გლეხობისა! ამათი სრული ეკონომიური განადგურება!.. წისქვილზე „მინდის“ დაწესება; ფუთ პურზე დაფქვაში ახდევინებენ ორ-გირვანქას, ხოლო ფუთ სიმინდზე ოთხ გირვანქა სიმინდს!.. ამ თაობაზე დიდი უკმაყოფილება და მიხლა-მოხლა-სასოწარკვეთილებაა სოფლად და ქალაქადაც. ასეთ ატმოსფერაში როგორი „ახალი ყოფა-ცხოვრება“ უნდა დამყარდეს მოსახლეობაში?! ძველი საფუძველი, ძველი დასაყრდნობი საძირკველი ადამიანთა ურთიერთობისა – სარწმუნოებრივი ზნეობა გამოეცალა ფეხქვეშ ხალხს, ახალი კი არსაით სჩანს!... ავი იყო თუ კარგი, ძველად რაღაც სანუგეშო გვქონდა, სახელმძღვანელო რამ ცხოვრებაშიო, – გაიძახიან დღეს ხალხში, – ეხლა კი აღარც „ძველისა“ ვართ და არც „ახლისაო“!.. მაგრამ ასეთ მსჯელობას ან რაიმე სხვა მსჯელობას, გარდა „მტკიცედ აღებული ხაზის“ მსჯელობისა, დღეს გასავალი არა აქვს: არც ვინმე ყურს დაგიგდებს, გაგამასხარავებენ კიდეც და... სადმე თავსაც გიკრავენ, როგორც „კონტრ-რევოლიუციონერს“ და „საბჭოთა კავშირის უცხო ელემენტს“!.. ისე კი გაზეთებში ყველაფერი თავის რიგზე იბეჭდება, იწერება!.. დაწერილზე თუ დაბეჭდილზე სხვაგვარ აზრს თუ პასუხს არავინ დაგიბეჭდავს, ხმას, კრინტს არ დაგაძრევინებენ – „პროლეტარიატის დიქტატურაა“!.. მთავრობას კი ყველაფერი აქვს: ფულიც, პურიც, ფართალიც, საჭმელ-სასმელიც, ტანთ-საცმელიც და ყველაფერიც!.. ჯარიც – „წითელი არმია“ საუცხოოდ ჩაცმულ-დახურული, მოვლილი, საუკეთესო სანოვაგით და საჭმელ-სასმელით მაძღარი! აკი მძლავრადაც დასცხო წითელმა არმიამ მანჯურიაში ჩინელ არმიას! 8000 ჯარის კაცი, სამასი აფიცერი და აუარებელი სამხედრო მასალა თუ იარაღი იგდეს ხელში!.. ჩინელებს მუცელში ენა ჩაუვარდათ შიშისაგან და საცოდავად დაიწყეს წრიპინი!.. ყოველ გვარ მორიგების პირობებზე თანხმობა გამოაცხადა მუკდენისა თუ

ნანკინის მთავრობამ!.. ყველაფერი ეს მომაგონდა „ქვაშვეთობის“ სურათის მიხედვით! განა ასეთ დროში ასეთი სამღვდელოება დამწყსავს ერს?! იბრძოლებს ის ზნეობრივად?! გამოიჩენს ის სულიერ სიმტკიცეს?!. არა! არა! არ შეგჭამოთ ჭირმა!.. თვითონ რაც არ გააჩნიათ ამ უბადრუკებს, სხვებს რა უნდა მისცენ!.. „ახალი ყოფა-ცხოვრება“ კი რკინის ჯავშანშია ჩასმული, იბრძვის და იკაფავს გზას, მაგრამ ის მხოლოდ „არსებობისათვის ბრძოლის“ პრინციპზეა აგებული! ამ ყოფა-ცხოვრების ქვეშე არა სჩანს სიყვარულის სარჩული, სიყვარულის მამოძრავებელი ძალა და მადლი! აქ ღონეზეა საქმე: ვინც უფრო ძლიერია, ის იმარჯვებს ამ ბრძოლაში! ვინც უფრო მოხერხებულია, იმისია ბურთი და მოედანი!.. აქ შებრალება, დანდობა თუ რაიმე ასეთი სათნოებანი მიუღებელია! აქ ადამიანის უმთავრესი ორგანო „კუჭია“ – „ეკონომიკა“! სხვა ყველაფერი „ზედ-ნაშენია“, „ხუხულაა“! – კუჭი და ცივი გონება!.. ანგარიში!.. გული! გული კი!.. ადამიანის, როგორც გონიერი და მეტყველი არსების ეგ ცენტრალური ორგანო, გრძნობათა და სურვილთა ლაბორატორია, უგულებელს ყოფილია!.. ის მეტად მოუვლელია!.. სავსეა ყოველ გვარი ღვარძლით და ბალახ-ბულახებით მოდებულია!.. სულ დაბურული!.. აქ რაგინდ კარგი „თესლი“ გადაისროლო, ის უსათუოდ მოიშთობა ასეთ „ღელა-ღურდაში“ ასეთ ბალახ-ბულახში და ღვარძლში!.. ნაყოფს ვერ გამოიღებს!..

ამიტომ ზოგჯერ დავფიქრდები: – რისგან რა იქნება?! სად მიგვიყვანს ამ დღევანდელი აბობოქრებული ცხოვრების ხომალდი!.. რა მოელის კაცობრიობას ასეთ მშფოთარე ზღვაში... „без руля и без ветрил?!. კონტრ-რევოლიუციონერობით ეს როდი მომდის! არა ვარ „კონტრ-რევოლიუციონერი“! პირიქით, ნამდვილი რევოლიუციონერი ვარ ევოლიუციის საფუძველზე კი, გონივრულად წარმოებული რევოლიუციის მომხრე ვარ და იმთავიდანვე ვიყავი! ამდენი ხნის დამყაყებულ ცხოვრებას სჭირდებოდა რადიკალური ზომები მის გასაწმენდად, ატმოსფერის გასასუფთავებლად!.. მაგრამ აგრე „კატასტროფიულად“, ასეთი ძალადობით, ძალ-მომრეობით, ცეცხლით და ტყვიით კი, მგონი, სასიკეთო არა გამოვიდეს რა!.. ვშიშობ, რომ კიდევ დიდი განსაცდელი მოსდევს უკან ყოველივე იმას, რაც მოხდა! ეგ ამღვრეული სისხლი და წყალი აგრე რიგად არ დაიწმინდება!.. ჭირი ჭირზე მოსალოდნელია!.. სად არის ხსნა?! სად უნდა ჰპოვოს დღეს საზოგადოებამ შექმნილ ვითარებისაგან გამოსასვლელი გზა?!. არ მახსოვს, სადღაც ამომიკითხნია ასეთია აზრი: ცხოვრება „უილიუზიობებოდ“ აუტანელი იქნებოდაო!.. ეს მართალიც არის!... ამ ნიადაგზეა აშენებული რელიგია, ამ ნიადაგზეა კაცობრიობის მიერ გამომუშავებული მაღალი ზნეობა, მოვალეობის შეგნება და მისი შესრულება!.. ალბად ამიტომ იყო, რო სთქვა დიდმა ფილოსოფოსმა კანტმა: ღმერთი რო არც არსებობდეს, ის უსათუოდ უნდა შეექმნა თავისთვის ადამიანსო!.. მართლაც... როდესაც ადამიანი თავისთავს შეიგნებს, შეიგრძნობს და იცნობს „ღვთის შვილად“, ის მაშინ ნაკლებ ბოროტებას ჩაიდენს!.. მაშინ „კაცი კაცის წამალი“ გახდება და არა როგორც ძველი რომაელები იტყოდენ ხოლმე, „homo homini Lupus est“-ო– კაცი კაცისათვის მგელიაო!.. არც ის განუკითხავი ექსპლოატაციაა მისაღები, რომელსაც კაპიტალიზმი უწევდა და უწევს მშრო-

მელებს, მაგრამ არც ისეთი აღვირ წახსნილობაა სასიკეთო, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ!.. ერთმა უკიდურესობამ გამოიწვია მეორე უკიდურესობა! ეს უკანასკნელი გაბატონდა და ბრძანებლობს აღმოსავლეთ ევროპაში უფრო მეტად და მეტის სისასტიკით და დაუნდობლობით, ვინემ პირველი!.. ეს კი საშინელებაა!.. „სისხლი სისხლით როდი გაიბანებაო", – ნათქვამია!.. ამიტომ, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ გამოიძებნება ინტერესთა მოგვარების სხვა გზა, უფრო ლმობიერი, ჰუმანური, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველას, თანასწორ პირობებში იარსებონ და პროგრესის გზით იარონ ამ დედა-მიწაზე!.. ულმობელი კლასთა ბრძოლა რომელსაც არც თავი უჩანს და არც ბოლო, ეგ კლდეზე გადასჩეხს კაცობრიობას!.. ეს „კლასთა ბრძოლა" უნდა შეანელოს და თანდათან მოსპოს კიდეც კანონმა – ყველასათვის ერთნაირად სავალდებულომ და სასიკეთომ!..

5 დეკემბერი – ხუთშაბათი
შეთანხმება მუკდენთან

დღევანდელმა გაზეთებმა გვაუწყეს, რომ 1 დეკემბერს მუკდენსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო შეთანხმების მოლაპარაკება ჩინეთის მიერ ძალ-მომრეობით ჩამორთმეულ აღმ. ჩინეთის რკინის გზის შესახებ, რის გამოც გამწვავდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება. შორეულ აღმოსავლეთის წითელი არმიის მიერ მანჯურიაში მძლავრად დაკრულმა მუშტმა (8000 ჯარისკაცის და 300 ოფიცრის განიარაღება) გამოაფხიზლა გათავხედებული ჩინელები და ჩინეთის მთავრობამ მიმართა საკავშირო მთავრობას თხოვნით – მოლაპარაკება გავმართოთო! და დაეთანხმა საკავშირო მთავრობის წინასწარ პირობებს ასეთი შეთანხმების მათ შორის ჩამოსაგდებად – „მუკდენი დასთანხმდა 1924 წლის შეთანხმების მტკიცედ დაცვაზე". ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე! წითელი არმიის გამარჯვებამ გამოიწვია საკავშირო მთავრობის დიპლომატიის გამარჯვებაც!

ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დეკლარაცია

ზემო აღნიშნული შეთანხმების შემდეგ ამ სამმა დიდმა სახელმწიფოებმა საერთო ხასიათის დეკლარაციებით მიმართეს მოსკოვში – გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილე ლიტვინოვს და „მიუთითეს" მას „კელოგის პაქტზე" – „ომის უარყოფის ხელშეკრულებაზე", რომელიც ხელმოწერილია როგორც ჩინეთის, ისე რუსეთის მიერ... იმედს გამოსთქვამენ ეგ სახელმწიფოები, რომ ჩინეთი და რუსეთი თავს შეიკავებენ მტრული ზომებისაგან ან ხელს აიღებენ ასეთ ზომებზე და შესაძლებლად ჩასთვლიან, მიაღწიონ ახლო მომავალში ურთიერთან შეთანხმებას იმით, რომ მშვიდობიანი საშუალებით მოაგვარებენ საკითხებს, რომლებიც ამ ჟამად მათ შორის არსებული კომფლიქტის საგანს წარმოადგენენ...

ლიტვინოვის პასუხი

იმავე დღეს ლიტვინოვმა გადასცა საფრანგეთის ელჩს მოსკოვში თავისი ცხრა მუხლიანი მტკიცე და ენერგიული პასუხი, ის სწერს, რომ „წითელი არმიის მოქმედება მანჯურიაში გამოწვეული იყო ჩინელების საბჭოთა საზღვარზე სისტემატიური თავდასხმებითო!.. ჩვენ და ჩინეთმა უკვე დავიწყეთ ერთმანეთთან შეთანხმებაზე მოლაპარაკება... თქვენი რჩევა-მითითება დაგვიანებულია და უნაყოფო ჩარევაა ამ ჩვენს მოლაპარაკებაშიო!.. ამერიკა ჩვენთან არ იმყოფება „არავითარ ოფიციალურ ურთიერთობაში“ და განცვიფრებული ვართ, რომ ის შეესაძლებლად სთვლის, მიმართოს მას (ლიტვინოვს) რჩევითა და მითითებითაო“!... ასეთი სილა გააწნა ლიტვინოვმა იმ სამ დიდ სახელმწიფოებს! ამ „სილის“ ტკაცანი მთელს ქვეყნიერობაზე გაისმა!.. და მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ ის სახელმწიფოები! ლიტვინოვის ასეთმა პასუხმა აახმაურა ამერიკა-ევროპის პრესა, ზოგს უხარია ლიტვინოვის ასეთი ღირსეული პასუხი, ზოგიც „თავხედურად“ სცნობს მის პასუხს და არის ერთი დიდი მითქმა-მოთქმა შექმნილ ურთიერთობაზე. ჩინეთი და რუსეთი კი განაგრძობენ მოლაპარაკებას, ესე იგი რასაც რუსეთი უკარნახებს ჩინეთს, ეს უკანასკნელიც იძულებულია ხმის ამოუღებლივ მიიღოს ყველაფერი, ვინაიდან ჩინელების ჯარში დაწყებულა დიდი აჯანყებები, სწვავენ და სძარცვავენ ისინი ყველაფერს, იკლებენ მთავრობის დაწესებულებებსაც! თვით სატახტო ქალაქი ნანკინი განსაცდელშია, დღე-დღეზე მოელიან, რომ აჯანყებული ჩინელების არმია ამ ქალაქსაც აიკლებენო! ერთი სიტყვით, სრული ქაოსი გამეფებულა ჩინეთში! ამით ისარგებლებს საბჭოთა კავშირის დიპლომატია, ის „მოლაპარაკებასაც“ თავისი სურვილისამებრ წარმართავს და რევოლიუციონურ პროპაგანდასაც გააჩაღებს ჩინეთში! ჩინეთზე შიშის ზარის შთაბეჭდილება შექმნა წითელი არმიის მუშტმა. ვნახოთ, რას იზამენ სილაგარტყმული სახელმწიფოები ან რით დამთავრდება ყოველივე ეს...

21 დეკემბერი – შაბათი. გაიტის აჯანყება

მგონი, ჩაჰყლაპეს ეგ „აბები“ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა! საბჭოთა კავშირი განაგრძობს ჩინეთთან მოლაპარაკებას. აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზაზე ისევ რუსები დაინიშნა ამ რკინისგზის სამმართველოს უფროსად და უფროსის მოადგილედაც! საკითხების საბოლოოდ გამოსარკვევად კონფერენციის მოწვევას აპირებენ!... ამერიკა და მისი ამფსონები კი პირდაყოფილნი არიან! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა ვიცით რა ამ თაობაზე გაზეთებიდან. ვიცით მხოლოდ, რომ ამერიკამ თვითონ უხეშად დაარღვია ის „კელოგის პაქტი“, რომელიც მისი თაოსნობით გამოცხადდა ომის წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ ამერიკა ჩაერია კუნძულ გაიტის რესპუბლიკის საქმეებში, ეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელსაც „კელოგის პაქტზე“ ხელი უწერია, ლამის არის თავის კალონიად აქციოს ჩრდ. ამერიკის შტატებმა. ამის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა ამ გაიტის

რესპუბლიკამ (სულ ნეგრებია ამ რესპუბლიკის მოქალაქენი, აფრიკიდან გადმოსახლებული ნეგრები – ყოფილი მონები ევროპიელებისა – ფრანგებისა, ისპანიელებისა თუ ინგლისელებისა; ეს ნეგრები მოიყვანეს მათ აქ ნაცვლად ამოჟლეტილი ინდიელებისა!..), პროტესტი გამოუცხადეს ამერიკელებს ასეთ ძალადობაზე! ამერიკამ კი ასეთ პროტესტებისა და აჯანყებისა გამო კუნძულზე მიაყენეს თავიანთი ძლიერი ფლოტი, გადასხეს ჯარი და სულ მუსრი გაავლეს გაიტელებს! ამაზე მიუთითა რუსეთის დიპლომატიამ, ჩვენ ჭკუას გვასწავლიან და დახეთ თვითონ რასა სჩადიანო!.. უკვე „სრული სიწყნარე“ ჩამოაგდეს ამერიკელებმა გაიტის რესპუბლიკაშიო, – დასცინიან მათ საბჭოთა გაზეთები!..

სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლის თავის იუბილე

მთელი საბჭოთა კავშირის გაზეთები დღეს სავსეა სტალინისადმი მილოცვის წერილებით, მისი დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულებისა გამო. ის დაბადებულა 1879 წელში – დეკემბერში! აღფრთოვანებით ულოცავენ მას ამ იუბილეს საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან! ტფილისიდანაც, რასაკვირველია, ულოცავენ მას ამ იუბილეს ყველა ორგანიზაციებში! ერთ ხმად აღნიშნულია მისი შეუდრეკელი ლენინური, ფოლადისებური მტკიცე მიმართულება, გადაუხრელი მარჯვნივ თუ მარცხნივ! დიდ დამსახურებად უთვლიან მას ტროცკიზმზე თუ მემარჯვენე ბელადებზე ბრწყინვალე გამარჯვებას და შეჰხარიან მას, როგორც კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის ბელადს!.. დაიბეჭდა მისი ვრცელი ბიოგრაფიები – ის ქართველიაო, სემინარიიდან გამორიცხული მოწაფე, რომელიც სკოლის სკამიდანვე შეუდგა ბოლშევიკურ მოღვაწეობას და დახე, რას მიაღწიაო!.. სტალინს ეკუთვნის ლოზუნგი: „დავეწიოთ და გაუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“... 22 დეკემბრის გაზეთებშიც მოთავსებულია ვრცელი წერილები სტალინზე – მისი „მოღვაწეობის“ შეფასება. ამ წერილებიდან სჩანს, რომ ეგ ყოფილა ტვინი და სული კომპარტიისა ლენინის შემდეგ... ნამდვილი ბელადი...

რა ხდება საქ. ეკლესიაში?!

ის ირღვევა! კვდება!.. სულს ღაფავს!.. შიშის ზარი აქვს შემდგარი კათალიკოზ ქრისტეფორესაც!.. მალე ის უსამწყსო და უსამღვდელოებო კათალიკოსი დარჩება!.. სოფლის ღვდლებმა ვეღარ აიტანეს უსაშველო დაბეგვრა – გადასახადებით ფულად თუ პურად და გარბიან, სტოვებენ სამრევლოებს! იხდიან ანაფორას, ზოგი გაზეთის ფურცლებზედაც აცხადებენ – „ძირს ანაფორაო“! ამ მხრივ საინტერესოა ათი ამა დეკემბრის გაზეთ „კომუნისტის“ (1929 წ.) ნომერი, სადაც ათიოდე მღვდელი და დიაკვანი აცხადებენ – „ძირს ანაფორაო“!.. ქალაქში კიდევ ახერხებენ ღვდლები ცხოვრებას, მაგრამ, ვაი ასეთ ცხოვრებას!... დიდ გასაჭირს

განიცდიან!.. დევნას, დამცირებას, ყოველგვარ შევიწროებას, განსაკუთრებით ბინის მხრივ!.. ვეღარსად პოულობენ თავშესაფარს... კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოს საკრებულო სახლიდან სულ გაურეკიათ დეკანოზები (ოთხი კაცი) და დიაკვნები! დაუძრავთ იქიდან მოხუცი დეკ. დ. ხახუტაშვილი; ამას სადღაც თავი შეუფარებია ქვემოდ, ქალაქში; თავის ბინაზე კი მოხუცი მეუღლე დაუტოვებია შვილთან, მაგრამ ორი თვის სახლის ქირას სთხოვენ „ფოფოდიას“ – თორმეტ თუმანს!.. დარბიან, თხოულობენ შეწყნარებას, შებრალებას, მაგრამ ამაოდ!.. მეტად სასტიკად ეპყრობიან დღეს ამ ისტორიიდან განწირულ ადამიანებს!.. ბევრსაც რო უნდოდეს სარწმუნოება და ღვდელი, ვეღარ ბედავს ხმის ამოღებას კი არა, რაიმე რელიგიური წესის შესრულებასაც კი!... ასეთივე სურათი ყოფილა თვით რუსეთშიაც! სარწმუნოებისა და ეკლესიის ასეთმა კატასტროფიულმა მდგომარეობამ უკვე დიდი ხანია მიიპყრო ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებაო! იქ, როგორც ხმა დადის, უკვე შემდგარა კიდეც დამხმარე-კომიტეტი საბჭოთა კავშირში ეკლესიის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლათო! მგონი, ნივთიერ დახმარებას უგროებენ რუსეთის ეკლესიას ინგლისშიო! საბჭოთა კავშირის გაზეთებშიც ამ უკანასკნელ ხანებში გამომჟღავნდა კიდეც ზოგი რამ ისეთი, რომელიც მოწმობს ინგლისის საზოგადოების თანაგრძნობას „დევნილ ეკლესიისადმი“ საბჭოთა კავშირში. სხვათა შორის და უმთავრესად სარწმუნოების დევნას აყვედრის საბჭოთა ხელის უფლებას ინგლისელების, კონსერვატორების განსაკუთრებით, პრესა და ამ მიზეზით წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა! ლორდთა პალატამ ხმის დიდი უმრავლესობით უარჰყო მთავრობის და პარლამენტის დადგენილება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ, მაგრამ ასეთ საკითხებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონებია „თემთა პალატას“! ლორდთა პალატა კი დარჩა ხახა მშრალი! მაგრამ პროტესტი მაინც გამოსთქვა მან ამ თაობაზე და ამასაც დიდ მორალურ მნიშვნელობას აძლევენ.

დღევანდელ გაზეთებში (21 დეკემბერი) აღნიშნული იყო, რომ ერთი კონსერვატორი დეპუტატი შეჰკითხებია თემთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრ ჰენდერსონს – ჰქონდა თუ არა მას – ჰენდერსონს – საბჭოთა ახლად დანიშნულ ელჩთან მოლაპარაკება იმ თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირში „რელიგია დევნას განიცდისო“!.. ამაზე ჰენდერსონმა დეპუტატს პასუხი არ გასცაო!.. ანკი რა პასუხი უნდა გაეცა ჰენდერსონს ამ თაობაზე იმ დეპუტატისათვის, როდესაც ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ კომუნისტური ხელისუფლება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და დევნას აწარმოებს ყოველგვარი რელიგიისა, ხოლო განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ და ეს ხელისუფლება არავის „ჩარევას“ მის ასეთ „შინაურ საქმეებში“ არ მოითმენს!.. ამაზე ამ ხელისუფლებასთან რაიმე „მოლაპარაკების“ გაწევაც კი ფუჭი წყლის ნაყვაა, სრულიად უნაყოფო!.. მტკიცედ დასახულია რელიგიის მოსპობა, მისი ძირ-ბუდიანად ამოგდება! არავითარ კომპრომისზე ამ მიმართულებით ხელისუფლება არ წავა! „უღმერთოთა“ ორგანიზაციები აშკარად მოქმედობენ ამ ხაზით...

სამარცხვინო ამბები ქალაქ ფოთის საკრებულო სამღვდელოებაში

ამას წინეთ გაზეთებში უცნაური ამბავი დაიბეჭდა: ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა ალექსიმ (გერსამია) ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზ კლიმენტი ჭანტურაიას გაუგზავნა რომელიღაც ბერი – სალაროში საეკლესიო ნივთებისა თუ განძეულობის შესამოწმებლად. გაუღიათ დაკეტილი სალაროს კარები და შიგ სალარო კი სრულიად ცარიელი გამომდგარა, არც ერთი ნივთი იქ აღარ დაუხვდათ! ვიღაცას წაუღიაო! სალარო კი დაკეტილი ყოფილა! დეკ. კლ. ჭანტურაია ბრალს სდებდა ამ ნივთების წაღება-მითვისებაში დეკ. იოანე ბობოხიძეს, ხოლო ეს უკანასკნელი, ასეთსავე ბრალსა სდებდა თვით დეკ. ჭანტურაიას! ორთავენი ამ ჟამად დაპატიმრებული ყოფილან... „საქმეში ჩათრევას“ უპირებენ თვით „ჭყონდიდელს“ – ეპი-ს ალექსისო! თითქოს ამას გაეტანოს სალაროდან ის ნივთებიო! გულ გახეთქილი მოვარდნილა ჭყონდიდელი ალექსი ქალაქში და აღარ იცის, საიდან რას მოუაროს! მასაც დაპატიმრებით ემუქრებიან!... ნივთების გატაცებას მთავრობა მას აბრალებს!.. არის ამ თაობაზე ერთი ვაი-უშველებელი, აყალ-მაყალი და სასირცხოდ ერთმანეთის გაბიაბრუება!.. „თვით არ იყო ძმარიო და შიგ ჩავიდა წყალიო“! სწორეთ ამაზეა ეს თქმულება ზედ-გამოჭრილი!.. ლამის ერთმანეთის სისხლი დალიონ ისევ ღვდლებმა! რო აღარ ცხრებიან ეგ დალოცვილები?!. ახია, რაც მათ თავზე დაატყდებათო! – ამბობენ!..

თურქეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

18–20 დეკემბერში საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილე კარახანმა (სომეხია) მოიარა ოსმალეთის დედა-ქალაქი ანგორა-სტამბოლი. მან ინახულა ოსმალეთის პრეზიდენტი ქემალ-ფაშა და მისი მთავრობა და განაახლა ოსმალეთთან 1925 წ. დადებული შეთანხმება „მეგობრობაზე“ – ერთმანეთზე თავ-დაუსხმეულობაზე და ამასთან დამოკიდებულ სხვა ურთიერთობაზე. დიდი ზეიმით მიიღეს ოსმალეთში კარახანი და დიდ დიპლომატიურ გამარჯვებად სთვლიან საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯსაც. ჩინეთ-მანჯურიაში მომხდარ ამბებისა და ოსმალეთში ამ „შეთანხმების“ განახლებამ მეტად ასწიაო მსოფლიოს თვალში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი!.. ჩინეთი ხო სულ ერთიანად მოაპირქვავა!.. იქ ანარქიაა!..

„ამხ. სტალინის პასუხი“ – საიუბილეო მილოცვებზე (გაზ. „კომუნისტი“, №296, 1929 წ. 24/XII)

„მოსკოვი, 22 დეკემბერი. ყველა ორგანიზაციებსა და ამხანაგებს, რომლებმაც მისალმება გამომიგზავნეს.

თქვენს მოლოცვებსა და მისალმებებს მე მივაკუთნებ მუშათა კლასის დიად

პარტიას, რომელმაც მშვა და აღმზარდა თავის ბუნების მსგავსად. და სწორედ იმიტომ, რომ ამ მისალმებებს მე მივაკუთნებ ჩვენს სახელოვან ლენინურ პარტიას, ვბედავ, გიპასუხოთ ბოლშევიკური მადლობით.

შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზათ ვარ, მომავალშიაც შევსწირო მუშათა კლასის საქმეს პროლეტარული რევოლიუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი წვეთ-წვეთად.

ღრმა პატივისცემით ი. სტალინი“

სტალინის საიუბილეო წერილებისა გამო, რომელიც წავიკითხე 22/XII გაზეთების ნომერში, მე ამ რვეულის მე-5 გვერდზე აღვნიშნე: „ამ წერილებიდან სჩანს, რომ ეგ, სტალინი, ყოფილა ტვინი და სული კომპარტიისა ლენინის შემდეგ... ნამდვილი ბელადი“! მ. საველიევის წერილიდან ამოვიკითხე ერთი ფრიად საგულისხმო ადგილიც („კომ.“ 22/XII, №295), რომლიდანაც სჩანს, რომ სტალინი ყოფილა ასეთი თვით ლენინის დროსაც, როდესაც ის – ლენინი – ჯერ კიდევ სავსებით ჯანსაღი იყო და ხელმძღვანელობდა რევოლიუციას და პარტიასაც. საველიევი სწერს: „პარტიამ იცის, როგორ უგდებდა ყოველთვის ყურს ილიჩი (ლენინი) ამხ. სტალინის აზრს, როგორ მუდამ უწევდა ილიჩი ამ აზრს ანგარიშს. ეს წითელი ზოლივით არის გავლებული ჩვენი პარტიის განვითარების უკანასკნელი – დიდად პასუხსაგები პერიოდების მუშაობაში ოქტომბრის წინა ხანებში, ბერსტის დროს, სამოქალაქო ფრონტებზე ბრძოლაში და სხვა. ზემონათქვამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ილიჩის ორიოდე შენიშვნა, რომელიც ჩვენი პარტიის ისტორიის ამა თუ იმ პასუხსაგებ მომენტს შეეხება და რომლებიც ნათელს ჰფენს ილიჩის დამოკიდებულებას ამხ. სტალინისადმი.

ასე, როდესაც ტროცკიმ ბრესტიდან პირდაპირი მავთულით ინსტრუქციები მოითხოვა, ლენინმა 1918 წლის ნოემბერში უპასუხა ტელეგრაფით: „პასუხი ტროცკის. სანამ შენს შეკითხვაზე პასუხს გაგცემდე, ჩემთვის სასურველი იყო წინასწარ მეთათბირნა სტალინთან“. ცოტა ხნის შემდეგ ლენინი პასუხს აძლევს პირდაპირი მავთულით: „ტროცკის. ახლა ჩამოვიდა სტალინი, ახლავე განვიხილავთ მასთან ერთად და გაგცემთ საერთო პასუხს ლენინი“ („პროლეტარული რევოლიუცია“, №2, 88). ამ ამონაწერებს განმარტება არ სჭირდება, – დავსძენ მე. ეგ ბრესტის სამშვიდობო მოლაპარაკებას ეხება, როდესაც გერმანელებთან ბოლშევიკებმა ზავი შეჰკრეს და ომი შესწყვიტეს! ასეთ დიდ საქმეებში, ნიშნავს, სტალინი გადამწყვეტ როლს თამაშობდა ლენინის დროსაც კი!.. ცხადია, ეს ადამიანი დიდი ფიგურაა დიდი რევოლიუციის ხანაში! ასეთია ის დღესაც, როდესაც ის ზეიმობს არა მხოლოდ თავის „იუბილეს“, არამედ ჩინეთზე ასე ბრწყინვალედ გამარჯვებას! ამ გამარჯვებამ თავ-ბრუ დაჰხვია მთელ მსოფლიოს, დავთარი აუბნია ამერიკა-ინგლის-საფრანგეთს, სილა გააწნა რა ამათ ჩარევას იმ კონფლიქტში!.. ზეიმობს ოსმალეთთან ისევ მეგობრული აქტის განახლებას! ზეიმობს „ტროცკიზმზე“ გამარჯვებას! ზეიმობს „მემარჯვენეთა გადახრაზე“ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებას – რიკოვ-ბუხარინ-ტომსკის განიავებას! ზე-

იმობს „ხუთ-წლიანი გეგმის“ შექმნას და მისი პირველი წლის განხორციელებას! ზეიმობს – სოციალიზმის შეუდრეკელად დანერგვის წარმოებას საბჭოთა საზღვრებში, მეურნეობის სოფლად კოლექტივიზაციას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მეურნეობის „რეკონსტრუქციას“ და ვინ მოსთვლის, კიდევ რას“!..

ასეთ თავბრუ-დამხვევ სიმაღლემდეა ასული ჩვენი თანამემამულე სოსო ჯუღაშვილი – სტალინად ეხლაწოდებული, ტფილისის სასულიერო სემინარიის ბურსაკი, მეოთხე კლასიდან გამორიცხული!.. მეორე პუბლიცისტი – იაროსლავსკი სწერდა საიუბილეო წერილში: „ოპორტიუნისტებს სწორედ იმიტომ ეჯავრებათ ამხ. სტალინი, რომ სტალინი მკაფიოდ გამოხატავს ბოლშევიკისათვის ძვირფას თვისებებს – იდეურ შეურიგებლობასა და ლენინურ შეუდრეკელობას“...

ეგ „ოპორტიუნისტებია“ – რიკოვ-ბუხარინი, ტომსკი და მთელი ამათი დიდძალი მიმდევარნი და თანამგრძნობნი რუსეთში! ამათ, მართალია პირი დააყოფინა სტალინმა, ქედი მოსტეხა მათ, უკან წააღებინა და პილიულებად ჩააყლაპინა წელიწად-ნახევრის გააფთრებული ოპოზიცია, მაგრამ გულში მაინც ჯოჯოხეთი აქვთ შეკეთებული, „ეჯავრებათ“ სტალინი და რომ შესძლებდენ „ერთ-კოვზ წყალში“ ჩაახრჩობდენ მას! მაგრამ... სტალინს მაგრად უჭირავს ხელში სახელმწიფოებრივი აპარატის სადავეები და ჯერ-ჯერობით ის ამათთვის ხელ-მიუწვდომელია!..

მაგრამ საერთოდ გლეხობა უკმაყოფილოა მასიური კოლექტივიზაციით, რომელსაც ძალად ატარებიებენ გლეხებს სოფლებში! არამც თუ უკმაყოფილოა, გაბოროტებულებიცაა!.. უკმაყოფილოა მუშებიც, მოსამსახურეებიც ათასგვარ ნაკლოვანებით ცხოვრების ყოველ დარგში, სასმელ-საჭმელში, სანოვაგეში, „სესხების“ უსაშველო ბეგარეებით! როგორ გაართმევს ხელისუფლება თავს ამდენ საჭირ-ბოროტო საქმეს, ეს ძნელი წარმოსადგენია! თან და თან რთულდება, ძვირდება და იჭიმება ცხოვრების პირობების ძაფები!.. როგორ გავიტანთ თავს ამ ზამთარში, ამ სიცივ-ნაკლოვანებებში!.. თუ გარეშე რაიმე ხიფათი არ აგვიტეხეს, ამ „შინაურ“ ნაკლოვანება-ტკივილებს აგვატანინებს სტალინის მტკიცე ნების-ყოფა.

სტალინის დედა – „კეკე“ – ცხოვრობს ტფილისში – სასახლეში! ქართულად ჩაცმული ლეჩაქ-ბაღდადით დახურული! ხშირად ვხედავთ მას ოპერისა თუ დრამის ტეატრებში – მთავრობის ლოჟაში ქალბატონურად გადმომჯდარს! ეგ ყოფილი პრაჩკა-მესარეცხე-დედაკაცი ქ. გორში, სადაც სიქვრივეში და ობლობაში გამოუზრდია მას თავისი დღეს აგრე საამაყო „სოსო“! – „ყოჩაღ, სოსო! – წამოიძახებს თურმე კეკე, როდესაც მას წაუკითხავენ ხოლმე გაზეთებში შვილის ამბებს! – ოღონდაც, რომ „ყოჩაღ სოსო“! თუ ბოლომდეც აგრე ჩაატარა და არ გადაგვჩეხა ეგ ამოდენა ხალხი რევოლიუციის ექსპერიმენტების ხევ-ხუვში!.. სოსოს გვერდს უმშვენებს მოსკოვში სერგო ორჯონიკიძე! ეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარია მთელ კავშირისა!.. სერგომაც მხურვალე წერილი უძღვნა სოსოს! ეგ ორჯონიკიძეც სტალინის ტიპის კაცია!.. ურყევი... კეტი... უდრეკი! – ესეც ეჯავრებათ „ოპორტიუნისტებს“ და მათთან ერთად საერთოდ... ქართველობაც!.. „დაიპყრეს რუსეთიო“!! დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!..

25 დეკემბერი – ოთხშაბათი. ახალი სტილით შობა

დღეს მთელი კავშირი მუშაობს „მე-3“ ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ. ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საწარმოებებში მუშაობაა! გარდა მუშაობისა ერთი დღის ხელფასი ყოველი მუშა-მოსამსახურისა მიდის ინდუსტრიალიზაციის ფონდში!.. დღეს და ამ დღეებში ყველგან ტარდება ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდა! გადმოსროლილია ლოზუნგი: ეკლესიების ზარები მიდის ინდუსტრიალიზაციის ფონდშიო!.. ქრისტე არ არსებობდაო! ამაზე ბჭობენ და „ამტკიცებენ... დოკუმენტალურად“! დღეს შობას დღესასწაულობენ კათოლიკები და პროტესტანტები ჩვენში! მართლმადიდებლები კი ძველებურად – 25 დეკემბერს, რაც მოდის 7 იანვარს! ამათ „შობას“ არცა არა ანგარიშს გაუწევს ვინმე! ვითომც არც არსებულა!...

საკადრისი პასუხი „არა მკითხე მოამბეს“ (რუმინეთს სილა გაარტყა ლიტვინოვმა)

ასეთი სათაურით დაიბეჭდა დღევანდელ გაზეთებში („კომუნისტი“, №297, 25/XII) ტელეგრამა მოსკოვიდან, 24 დეკემბრის თარიღით: „21 დეკემბერს საფრანგეთის ელჩი ერბერტი ეწვია საგარეო საქმ. კომისრის მოადგილე ლიტვინოვს. ერბერტმა განაცხადა, რომ დავალებული აქვს გადასცეს მას (ლიტვინოვს) რუმინეთის მთავრობის ნოტა სტიმსონის ნოტასთან დაკავშირებითო“! ეგ სტიმსონი ამერიკის საგარეო საქმ. მინისტრია, რომელმაც ინგლის-საფრანგეთთან ერთად ნოტა გადასცეს საბჭოთა მთავრობას ჩინეთთან ომის წარმოებისა გამო!.. ამ ნოტაზე ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, თუ როგორი პასუხი გასცა ლიტვინოვმა სამივე ამ დიდ სახელმწიფოს საერთოდ თუ ცალ-ცალკე. სტიმსონის ნოტას შეუერთდენ ზოგი სხვა სახელმწიფოები და ეხლა უერთდება რუმინეთიც! ესენი ამხილებენ საბჭოთა კავშირს, რომ მან ნამდვილი ომი გადაიხადა ჩინეთთან კომფლიქტის გამო მანჯურიაში, რაც კელოგის პაქტის აშკარა დარღვევაო!.. რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ რუმინეთმა თავისი ნოტა საფრანგეთის ელჩის – ერბერტის ხელით წარუდგინა ლიტვინოვს! მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მიიღო ერბერტის ხელიდან რუმინეთის ნოტა, არც მოუსმინა მან ერბერტს ამ თაობაზე, არც დაატოებია ერბერტს ეგ ნოტა მაგიდაზე, როდესაც ის მიდიოდა უკან და შეეცადა ნოტის იქ დაგდებას! მეტად ცხარე და მკვახე ლაპარაკი მოუვიდა ლიტვინოვს ერბერტთან! მან პირდაპირ ამხილა საფრანგეთის ელჩს, რომ ეგ დაგვიანებული „დემონსტრაციააო“! საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა უკვე მიახწიეს (ხაბაროვსკში) სრულ შეთანხმებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამო მომხდარ კონფლიქტში, უკვე დოკუმენტი – ოქმია შემდგარი ამ თაობაზე, ორთავე მხარეს ზედ ხელი უწერია. სადაო საკითხები საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მოსკოვის კონფერენციაზე, რომელიც უკვე დანიშნულია 1930 წლის 25 იანვარს!.. ესეც რო

არ იყოს რა, „საბჭოთა კავშირს რუმინეთთან არავითარი კავშირი არა აქვსო... აცნობეთ საფრანგეთის მთავრობას, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა უარი განაცხადა რუმინეთის განცხადების მიღებაზე“. მიუხედავად ამისა, ერბერტმა სცადა წაეკითხა რუმინეთის განცხადება, მაგრამ ამხ. ლიტვინოვმა უარი განაცხადა მის მოსმენაზე. უარი განაცხადა მან აგრეთვე იმაზე, რომ მიეღო დოკუმენტი, რომლის დატოებასაც ერბერტი აპირებდა მაგიდაზე!..

მეტად საგულისხმო და დამახასიათებელია ეგ „საკადრისი პასუხი – არამკითხე მოამბეს“. ეგ სილის გარტყმაა როგორც რუმინიისათვის, ისე თვით საფრანგეთისათვისაც! ნიშნავს, საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმაა ჩინეთ-საბჭოთა შორის გადახდილ ომის შესახებ მანჯურიაში! ნიშნავს, დიდი ანტისაბჭოთა მოძრაობაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ევროპა-ამერიკაში! ჩვენ კი ასე ნაწილობრივ და შემთხვევით თუ მივხდებით რაიმეს ამ თაობაზე! სხვა ინფორმაცია არა გვაქვს რა!.. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ძლიერ მკვეთრად და მედგრად უდგია პირში საბჭოთა დიპლომატია და პოლიტიკა თავის მოწინააღმდეგეებს!.. დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპა-ამერიკაში ლიტვინოვის ასეთი გამობაასება საფრანგეთის ელჩ ერბერტთან რუმინიის ნოტის გამო!.. მეტად საგულისხმო მოვლენაა!.. ეს ნამდვილი ბოლშევიკური ტაქტიკაა!.. ერბერტი კუდ-ამოძუებული გაისტუმრა ლიტვინოვმა!.. ესეც საქმეა!... ცხელ-ცხელი პანჩურიცაა სილის გარტყმის შემდეგ!.. იმღვრევა წყალი!.. ბოლოს შეუძლებელია არ დაჰქოჩრონ ამ გაალმასებულმა ვეშაპებმა ერთმანეთი!.. ნელ-ნელა მზადდება ნიადაგი ახალი ომიანობისათვის... გროვდება დიდ-ძალი ასეთი სილა-პანჩურები, როგორც ასაფეთქებელი მასალები საერთო ხოცა-ჟლეტისა და მსოფლიო ხანძრისათვის!.. ცუდი ნიშნებია!..

სამეგრელოს შესახები – ოფიციალური დადგენილება სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი – ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ

ასეთი დადგენილებაა დღევანდელ გაზეთ „კომუნისტში“ (25/XII) მოთავსებული! ის შესდგება ექვსი მუხლისაგან. ხელს აწერს მას – ცაკის თავმჯდომარის (მიხა ცხაკაიაა – მეგრელი) მაგიერ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბოლქვაძე, საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ცაკის მდივანი ს. თოდრია! ეგ სამნივე გურულებია!.. ესეც სიმპტომატიურია. ჩვენ თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, რომ სამეგრელო ავტონომიას თხოულობსო!.. ჩვენ ვიცით აშორდია-„მაფალუს“ მიმდევართა მიდრეკილება პატარა საქართველოში ასეთი დიდი სეპარატიზმის – განხეთქილების, გათიშვის ჩამოსაგდებად! წინეთ დეკ. ვოსტორგოვის ზურგს უკან იმალებოდენ ეგ ვაჟბატონები, მაშინ ქართული

ენის და მასთან ერთად მეგრული კილოკავის განდევნას სკოლიდან, ეკლესიიდან თუ დაწესებულებებიდან სცდილობდენ რუსული ენის გასაბატონებლად! ეხლა კი, „მეგრული ენა“ დაუპირდაპირეს – „ქართულს“, „როგორც სამშობლო ენა“ (მუხ. 2.) არამშობლიურს – ქართულს (?!). ეტყობა, აშორდია-მაფალულებმა იმ-ზომ თავი შეაბეზრეს ხელისუფლებას, რომ მიზანს მიაღწიეს და საქართველოს უზენაეს დაწესებულებებს ასეთი უხამსი და გამხრწნელი დადგენილება გამო-ატანიეს! აქ არავინ იფიქროს, ვითომც უბრალო საქმე იყოს ეს დადგენილება!.. ის არ შემოიფარგლება მარტოოდენ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთი ადგილებით, სადაც თითქოს „მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის“!.. არა, ეს განგრენა ბოლოს და ბოლოს მთელი სამეგრელოს ორგანიზმს გამოხრავს, გა-მოფიტავს! ყირამალა დააყენებს იქ ქართულ კულტურას და მისს პროგრესიულ მსვლელობას! უხსოვარი დროიდან ქართული ენით სარგებლობდენ მეგრელები ყველგან და ყველაფერში! ქართული ენა მიაჩნდა მათ „მშობლიურ ენად“! ქარ-თულ ენაზე ლოცულობდენ, სწერდენ და მწიგნობრობდენ მეგრელები და რაღა ეხლა – მეოცე საუკუნეში, „თავისუფალ საქართველოში“ უნდა მოხდეს ეგ საბე-დისწერო ნაბიჯი! წინეთ ზუგდიდი-სამურზაყანო საქართველოს სხვა ნაწილებზე მოწყვეტილი იყო, დაშორებული მიუვალი გზებით, ათასგვარი უკულმართი პო-ლიტიკური ვითარებებით! ხოლო ჩვენს დროში, როდესაც ურთიერთობა ამ ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილებთან უფრო გაცხოველდა, უფრო გაადვილდა ერთ-მანეთში მისვლა-მოსვლა, ჩაიშალა პოლიტიკური მიჯნა-ზღუდეები ფეოდალური დროისა, სკოლამ ამდენი გავლენა მოახდინა ენითაც უფრო დაახლოების საქმეში, გავრცელებული და მოდებულია ჟურნალ-გაზეთობა, სწავლება ხდება ქართუ-ლად და ქართული ენა ისწავლება ახალ თაობათა მიერ!.. როდესაც იშვიათია ეხლა ისეთი მეგრელი, რომელსაც ქართული „არ ესმოდეს“! როდესაც „ჭყურტი“ მეგრელი, ქალი თუ კაცი (ქართული რო სავსებით არ ეყურებოდეს) იშვიათია, რა-ღა ეხლა გამოიტანეს ასეთი დამღუპველი, ჩვენი ურთიერთობის ამრევ-დამრევი დადგენილება!.. საკვირველია, რატომ ამ „დადგენილებაში“ არ არის რა ნათქვამი სკოლებში მეგრულად სწავლა-სწავლებაზედ! აქ მხოლოდ „სასამართლოებზე“ და „სასოფლო საბჭოებზეა“ ბაასი!.. შემდეგ ალბად სკოლებზედაც გავრცელდე-ბა ეგ... „დადგენილება“!.. თუკი დიდებს არ ეყურებათ ქართული ენა, პატარებს მით უმეტეს!.. აი, მაშინ წამოჰყოფს თავს ვოსტორგოვის „საღი პედაგოგიური“ მოსაზრება – როგორ შეიძლება ბავშებისათვის გაუგებარ ენაზე – ქართულზე – სწარმოებდეს სკოლაში სწავლებაო!.. ამ ნიადაგზე გადავიხადე ფოთში 1903 წელში საშინელი ბრძოლა ვოსტორგოვის პოლიტიკანობის წინააღმდეგ, რო-მელიც შეეცადა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან გამოედევნა ქართული ენა, როგორც მეგრელთათვის არა მშობლიური ენა! სამინისტროს სკოლებიდან უკვე დიდიხნიდან იყო განდევნილი ქართულად სწავლებაც და ქართული ენაც! ამ ნიადაგზე რა შხამი და სიმწარე არ შეასვეს აწ გარდაცვალებულ ისტორიკოსს თედო ჟორდანიას, რომელიც იმ დროს გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლე-ბის ეპარქიალურ მეთვალყურედ იყო, ხოლო მე კათედრის დეკანოზად ვიყავი ახლად განწესებული ეპ. ალექსანდრეს დროს და თან სამრევლო სკოლების სა-

მასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ!.. ბევრი მიხლა-მოხლის შემდეგ საკუთარ ზურგზე გადავიტანე მთელი ეს უგემურება და საბჭომ უარჰყო ვოსტორგოვის წინადადება – მეგრული სამრევლო სკოლები არა ქართულ სკოლებად მიგვეჩნია და იქიდან ქართული გამოგვედევნა. ეს დადგენილება საბჭოსი დაამტკიცა ეპ. ალექსანდრემ, ხოლო მე, როგორც თავმჯდომარემ საბჭოისამ, წერილობით მოვახსენე ეს „ოკრუჟნოი ნაბლუდატელს“ ამიერკავკასიის სამრევლო სკოლებისას – დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს. ამ დადგენილებამ გამოიწვია ალექსანდრე ეპისკოპოსის თანამდებობიდან გადაყენება, ხოლო ჩემი ფოთიდან ტფილისში უბრალო სამრევლო ღვდლად გადმობარგვა გადარუსებულ-გახულიგნებულ დიდუბის სამრევლოში, საიდანაც 1912 წელს განმდევნეს კიდეც დიდუბის „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციის სულის ჩამდგმელებმა, ინოკენტი ექსარხოსის ხელით, მკვდარ ანჩისხატის სამრევლოში, სადაც 1924 წელს ჩავსტოვე კიდეც ანაფორა და დღეს ვარ – აგრე და ვდგევარ გატეხილი ვარცხლის წინაშე!..

ყოველივე ამ თაობაზე მე არაერთხელ მქონებია აღნიშნული ჩემი მემუარების სხვა რვეულების ფურცლებზე შესახებ უფრო დაწვრილებით! ამ თაობაზე მაქვს ჩემს „არქივში“ დაცული ჟურნალური დადგენილება ვრცლად და ცალკე მიმართვა, ჭყონდიდელი მიტროპ. ამბროსის მიერ შემოწმებული (შემდეგ კათალიკოსი), რომელიც ვოსტორგოვს გაუგზავნე ფოთიდან ტფილისში 1903 წელში!.. ეხლა მომაგონდა ეს გადახდილი ბრძოლა იმ შავბნელ დროში და მწუხარებით გული ამევსო ამ ახალი დროის ზემო აღნიშნული „დადგენილებით“!.. ეჰ! მახლას! დავიჯერო სულ ამაოდ დავშვერით?!. ნუ იქნების ესე!.. არის ერთი თქმულება: „ეშმაკის მუშა – ღმერთმა დაფუშაო“! ეს თქმულება შეესაბამება აშორდია-მაფალუს მიმდევრებს! მაგრამ ეხლა „ღმერთიც რო შტატ-გარეშეა გამოყვანილი?! ის სავსებით უარ-ყოფილია ყველგან და ყველაფერში! „ცა სდუმს, ხოლო ადამიანობა იხრწნება!..“ „არც არავისი შიშია, არც მორიდება“! შიში, რასაკვირველია, ზნეობრივი შიში! თორემ შიში, ფიზიკური, უხეში, პირუტყული შიში და თავხედობა ბევრია და დიდიც! ყოველივე ესე გადაეტატა კიდეც ზომა-წონას!.. სხვა დროს აღნიშნული „დადგენილება“ გამოიწვევდა პრესაში დიდ განგაშს!.. დღეს კი მხოლოდ გაზეთის „ოფიციალურ განყოფილებაში“ ის მოთავსებულია განცხადების სახით, გაზეთის უკანასკნელ გვერდზე 1929 წლის დეკემბრის 15-ის თარიღით – თბილისი-სასახლეში, რათა ის „სავსებით იქნეს განხორციელებული“!.. ვინ დაბეჭდავს ამ თაობაზე რაიმე გამოხმაურებას კრიტიკული თვალსაზრისით!. დეე, განსაჯოს ესეც ისტორიამ...

ეგ თუ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ ადგილებისათვის დასჭირდათ, ვინ იცის, რა ამბავია სამურზაყანოსა და სოხუმის ოლქის მეგრელებში!.. იქ ალბად რუსიფიკაცია სწარმოებს ახალი გეზით და მიმართულებით...

31 დეკემბერი – 1929 წლის – სამშაბათი. სტალინზე...

დღევანდელ გაზეთებში მოყვანილია ინგლისის ლიბერალთა პარტიის ბელადის ლოიდ-ჯორჯის სტატია საბჭოთა კავშირის მომავალზე, ასეთი სათაურით

–„Если пятилетка победит“!... „ბოლშევიზმი არ დაიღუპა!.. და, მგონი, ისეთ მაგარ ფეხებზე სდგას, როგორც არასოდესო. მისი მომავალი დამოკიდებულია ხუთ-წლედის გამარჯვებისა თუ დამარცხებისაგან. ხუთწლედის ძირითადი აზრი გაბედულიცაა და ჭკუიანურიც. ხუთწლედის განხორციელებაში ბოლშევიზმი ულმობელია; პროლეტარული დიქტატურა გმირულ ღონისძიებებს ხმარობს მიწადმოქმედების და წარმოების გარდასაქმნელად... მიუხედავად მცირე საშუა-ლებებისა, საბჭოთა კავშირი საზღვარ გარეთ ყიდულობს საუკეთესო მაშინებს. თუ ხუთწლედმა გაიმარჯვა, საბჭოთა კავშირი შეიქნება მნიშვნელოვან ფაქ-ტორად როგორც ტრანსპორტში, ისე ვაჭრობაში და ფინანსებშიცო“... ბოლო სტრიქონებს ლოიდ ჯორჯი აგრე ათავებს სტალინზე: „1929 წელში სტალინმა შეასრულა საბჭოთა კავშირის გადამუშავება ისეთივე ენერგიით, როგორი ენერ-გიითაც ოდესღაც ანხორციელებდა თავის გეგმებს პეტრედიდიო“!.. საფრანგე-თის კომპარტიის გენერალური მდივანი სემარიც დიდი ქება-დიდებით იხსენიებს სტალინს, როგორც პარტიის ბელადს შესანიშნავი ღირსებებით შემკულს და ლენინის ნამდვილ-ნიჭიერ მოწაფეს...

დღევანდელ გაზეთებში მოყვანილია სტალინის სიტყვა – ვრცელი და მეტად მახვილი და შინაარსიანი – კოლხოზებზე, სოვხოზებზე და კოლლექტივებზე, როგორც სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო ფორმებზე და საშვალე-ბებზე!.. აშკარად აცხადებს – კულაკებს ლიკვიდაციას უკეთებთო!.. მომწიფდა ეხლა ეს საკითხი, შესაბამი მომზადებებიც ჩავატარეთ და ეხლა შესაძლებელია, კულაკებს ლიკვიდაცია უყოთო! საინტერესო სიტყვაა... ეკამათება ტროცკი-ზი-ნოვიევის მიმართულებას ამ საკითხში და ამბობს, ამათ ეს საკითხი ნაადრევად წამოაყენეს, მაშინ რო ეს ბრძოლა ჩაგვეტარებია, ბრძოლას წავაგებდით და ქვე-ყანას დავღუპავდითო! ეხლა კი სხვა საქმეა, ყველაფერი მზათა გვაქვსო...

გურიაში ხდება ეკლესიის საბოლოო ლიკვიდაცია

ამ თაობაზე მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ამბები ჩამომივიდა ჩემი სოფლიდან – „მთის-პირიდან“ (ასკანის თემი): მთის პირის სამრევლო ტაძარი ეს ერთი კვირაა სოფლის ხელისუფლებას დაუბეჭდია. ზარი ჩამოუხსნიათ სამრეკ-ლოდან და გაუტანია „ციხის უბანში“, ტყეში და იქ „კვიჩილაურის“ ჩაის კოლექ-ტივში ჩამოუკიდნიათ. ამ „კვიჩილაურზე“ (ადგილის სახელია) ჩაის პლანტაცია გაუშენებია 40 კაცისაგან შემდგარ კოლექტივს. ამათ უკვე დამუშავებული აქვს ოცდაათი ჰექტარი მიწა ჩაისათვის და სწარმოებს კიდევ დაუცხრომელი მუშაობა ამ საქმის უფრო გასაფართოებლად! იმ ეკლესიის ზარს სამჯერ ჩამორეკავენ თურმე და ამით მოუწოდებენ „კომუნარებს“ მუშაობაზე! თუ მესამე ზარის ჩა-მორეკაზე მუშა არ გამოცხადდა სამუშაოზე, მას უკვე დააჯარიმებენ! ამ კოლექ-ტივში უმეტეს წილად შედიან ორი გვარის კაცები – თალაქვაძე-სიამაშვილები. ის ზარი, რომელსაც საუცხოო რაკრაკი გაჰქონდა მთის-პირის წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოდან და ვეებერთელა მანძილზე მოუწოდებდა მორწმუნეებს

ტაძარში წირვა-ლოცვაზე – დღეს უკვე ჩაის კოლექტივის სამუშაოზე მოუწოდებს გლეხებს!.. მუშებს თურმე კარგად აჭმევენ, სულ პურით იკვებებიან ისინი და სხვა სანოვაგითაც ხელს უწყობენ მათო!.. თვით ტაძარს დარღვევას უპირებენ და სკოლის შენობად სურთ გადააკეთონო! ეკლესია ხის არის – წაბლის ძელებისაა, ქვის იატაკით და ხის გუმბათით!.. ცოტა მის ზემოდ არის ძველი ქვის ეკლესია, რომელიც უკვე გაპარტახებულია!.. ამ ტაძრის ღვდელი – აკაკი თალაქვაძე, უკვე ბლუზა-შალვარში და პალტოშია გამოწყობილი, თავისი სოფლიდან ოზურგეთში გადასახლებულა და იქ დისწულთან შეუფარებია თავი! ეტყობა, სოფლად აღარ ედგომება!.. ეხლავე გაუხთია ანაფორა მეორე ღვდელს – ერმალო ჯაველიძეს, ეს „ფიჩხის-ჯვარის“ სამრევლოსი იყო (ისევ ასკანის თემისა)... ასკანის თემის ცენტრალური ეკლესია (ესეც ხის იყო გუმბათიანი, ახალთ-ახალი) „გვარათი“ ამ სამი წლის წინეთ გააუქმეს და ცენტრ-თეატრად გადააკეთეს!.. აგრე ზედი-ზედ იხურება სოფლის ეკლესიები და იდევნებიან ღვდლები... ვინ გაბედავს „კრინტის დაძვრას“!.. მოხუცი ადამიანები თურმე წუწუნებენ: „ერთხელ კიდევ მღირსებოდა ზიარების მიღებაო“!.. მეტად გაბედულად და შეუდრეკელად არღვევენ ეკლესიას და სარწმუნოებას – სოფლად!.. ქალაქად ჯერ კიდევ ღონღიალებენ ეკლესიები და ღვდლებიც! მაგრამ რის ვაი-ვაგლახით და გაჭირებით!.. მალე სულ ჩააქრობენ ქრისტიანობას ჩვენში! სხვაგანაც აგრე დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს სარწმუნოებისადმი, მაგრამ გურიაში განსაკუთრებული სიმწვავით ხდება ეს!.. სამტრედიის რაიონშიც სულ ჩამოუხსნიათ ზარები, შეუგროებიათ ესენი ერთად და „ინდუსტრიალიზაციის ფონდში“ უნდა გადაიცეს ეგ ზარები! ასეთი სურათი იყო იმ დღეს გაზეთ „Раб. Правда“-ში – დაგროვილი უამრავი ზარები და მუშა!..

ახალი – 1930 წელი

მიიწურა 1929 წელი – უკვე ღამის თორმეტი საათია! ახალი წელია! რას გვიქადის ეგ ახალი წელი! – სასიკეთოს, მგონი, ბევრს არაფერს. დიდი სიძვირეა ცხოვრებისა! ყველაფერს ცეცხლი ეკიდება სიძვირისა! ბევრი რამ საქონელი თუ სანოვაგე აღარც კი იშოვნება! დიდი ნაკლოვანებაა მოსალოდნელი ყველაფერში! ვნახოთ, რას მოგვცემს ეგ „ახალი წელი“!..

1930 წელი. 1-ლი იანვარი – ოთხშაბათი

ახალი წელი!

ვაი, დედავ, წელი!
გვწყდება, მგონი, წელი!..
ნეტავ, რა მოგველის
ამ ახალი წელით?!.

გაისსაც გავატანთ
თუ წელსვე მოგწყდება წელი?!.
ოჰ!.. წელი!.. წელი!..
ეგ... ახალი წელი!..

ვისთვის იქნება ის
უკანასკნელი!..
ძნელია... სათქმელი!..
ველით კი... ველით!....

მოღრუბლული და ცივი დღე გათენდა, თოვლ-ჭყაპიანი ახალი წელი! დღეს თითქმის ყველა დაწესებულება და ქარხნები მუშაობენ, ხოლო სასწავლებლების დიდი უმეტესობაც მაცადინეობს! ვინც „განუწყვეტელ სამუშაო კვირაზეა“ გადასული, ესენი ყველანი მუშაობენ! ვინც არა, ამათგან მხოლოდ ზოგი არ მუშაობს და... „ისვენებს“! ახალი წელიწადი, როგორც ტრადიციული, უკუგდებულია! ვაჭრობენ ყველგან, ყველა სავაჭროები და კოოპერატივები ღიაა! ხალხს გუზ-გუზი გააქვთ, შიგ ვაჭრობენ, ყიდულობენ სანოვაგეს, მაგრამ ბევრს არას იძლევიან: თვეში ოჯახზე, მაგალითად, ნახევარი კილო ($1^1/_2$ გირ.) ყველი! კარაქი 8 მანეთია კილო! ღორის ხორცი – 2 მან. კილო! კვერცხი 16 კაპ. ცალი და ესეც არ იშოვება! ღვინოს გუშინ და დღეს არ ჰყიდიან! ეს ლოთობის საწინააღმდეგო ზომაა!.. თვალყურს ადევნებდენ წინაღამით – არავინ „შეჰგებებოდა“ ახალ წელს ტრადიციულად, განსაკუთრებით პარტიულთაგანი! მოწაფეებს სკოლებში იბარებდენ ახალი წლის წინაღამით. იქ უმართავდენ გასართობ საღამოს, რომ ამით ჩამოეცილებიათ ისინი ძველ ტრადიციულ „შეგებებას“!.. „შობის ხე“ – „იოლკები“ სრულებით არ გაჭაჭანებულა წელს ტფილისის ბაზარზე! სასტიკი ზომებია მიღებული ამ წიწვიან ხეების გაჩანაგების წინააღმდეგ!.. ველარ ბედავენ გლეხები ფიჭვისა და ნაძვის ხეების მოჭრასა და მიტანას ქალაქში!.. მაგრამ პატარა-პატარა ჯვარედინა ტოტები დაუკრეფიათ მაინც და კალათებიდან ჰყიდიან საიდუმლოდ!.. მიაქვთ მოქალაქეებს ეს პატარა ტოტები, აკოწიწებენ ერთი მეორეზე და „იოლკის“ ნასახს ჰქმნიან მაინც!.. „ვიზიტიორობაც“ ძლიერ ნაკლები იყო!.. საღამოს პირზე, ვისაც ჰქონდა ზოგი რამ მომარაგებული, ღებულობდენ სტუმრებს და შეექცეოდენ... ისევ ჯამაგირიანები – პარტიულებიცა და უპარტიოებიც!.. ესენი ღვინოსაც შოულობდენ და ყველაფერს... ერთი ინდოური იყიდებოდა 6–8–10 მანეთამდე! ქათამი – 3 მან. 59 კაპ. და უფრო მეტადაც!.. საერთო უხალისობაა... გამაერთიანებელი „დღეებია“ მხოლოდ რევოლიუციის დღეები! კვირა-უქმე დღეები მორჩა!... ჩაბარდა ისტორიას! შაბათ-კვირეების „სახსენებელიც“ სურთ აღგავონ პირისაგან ქვეყანისა!.. მიდის შეუდრეკელი ანტირელიგიური პროპაგანდა „უღმერთო-ბეზბოჟნიკების“ ორგანიზაციებიდან! თითქოს დიდი უმრავლესობა უკმაყოფილოა ყოველივე ამით! მაგრამ ყველაფერი ესე მიმდინარეობს დაუბრკოლებლივ, თითქოს თავისთავად!.. მეტად საგულისხმო ხანაა!.. ჭეშმარიტად ისტორიული და უცნაური!.. რისგან რა გამოვა... რა სახეს მიიღებს ადამიანთა ცხოვრება საბჭოთა კავშირში, როგორი მკვიდრი

ექნება ასეთ მიმართულებას ნიადაგი, ჯერ შეუძლებელია ამ თაობაზე ითქვას გადაჭრით რაიმე!.. მაგრამ „პრინციპი“ ცხოვრებისა არა სჩანს! რით უნდა დასაბუთდეს ყოველივე ეს, რით უნდა ინუგეშოს და იხაროს ადამიანის გულმა?! რამ უნდა ამოძრაოს და ამოქმედოს ის ასე თუ ისე, ამას ვერ იძლევა მატერიალიზმი! კუჭმა?!. განსაზოგადოებრიულმა მუშაობამ, საერთო შრომამ?!. მერე?!. ბოლო?!. ბოლო?!. ბოლო!.. vanitas vanitatis!.. суета – сует! всяческая суета!.. ფუჭია ცხოვრება?!. მაშ, ღირს კი ცხოვრება ასეთი?!. აი პესიმიზმის სამფლობელო!.. თვითმკვლელობა და ავკაცობა აუარებელი ხდება... გახრწნილება გაბატონდა საერთოდ!... არავითარი სიწმინდე-სიფაქიზე!... ერთი დაწესებულების ხელმძღვანელმა მოურიდებლად მითხრა: „ეხლა ნდობამ მოგჭამათ ჭირიო“!.. ამას ამბობს პარტიული ახალგაზრდა ხელის-უფალი!..

ცოტაოდენი ჩემ თავზე – pro domo sua. 2 იანვარი – ხუთშაბათი

მეტად ამერია ცხოვრება... ქალ-ვაჟი მსახურებდენ და ლუკმა პური შემოჰქონდათ, გვარჩენდენ დედ-მამას და უმცროს დას. უფროსი ქალი – ქეთო ივნისის 28-ს გათხოვდა ბათომელ ექიმ აკაკი თედორაძეზე და თავისი ოჯახი შექმნა, წავიდა ჩემი ოჯახიდან. მისი მომდევნო ჩემი ვაჟი გერმანი – რკ. გზაზე მსახურებდა – ენკენისთვის პირველიდან შვებულებაში წავიდა ორი თვით... გამგზავრებულა ორი ამხანაგით ქედაში – აჭარისტანში! აქ სამთავე დაუპატიმრებია „ჩეკას“, ჩამოუყვანიათ ბათომში და ჩაუგდიათ ჯერ თავიანთ „საჯდომებში“ – საზღვარ-გარეთ გაპარვას აპირებდითო! და ექვს-ექვსი თვე მიუსაჯეს გამასწორებელ სახლში – ანუ ციხეში ჯდომა!.. ვიყავი ენკენისთვეში ბათომში, შემოვიარე ჩეკა-გეპეუც, აჭარისტანის ცაკიც და სხვა დაწესებულებებიც!.. ბევრი დამცირება გადავიტანე. ვცხოვრობდი სიძე-ქალიშვილთან... და ორი კვირის შემდეგ დავბრუნდი ქალაქში... არაფრით... კინაღამ დამაპატიმრეს ბათომის „ჩეკაში!.. იქ მოვითხოვე საქმის დაჩქარება, დავიწყე ჩემებური ფახი-ფუხი!.. მაგრამ მომაძახეს: Гражданин! уходите! уходите, грждaнин!.. неразговоривать, гражданин! თურმე, ეს არის, უნდა მტაცონ ხელი და მიკრან თავი... სადღაც... სარდაფში... ერთ კვირას გაგატკუცვიებდენ იქ და შემდეგ გამოგაგდებდენ ქუჩაში... შენს ამბავს იმ ერთ კვირას ვერავინ გაიგებდაო... მითხრეს შემდეგ... თურმე დროზე გამოვეცალე იმ „ჩეკისტს“, რომელიც სულ „გრაჟდანინით“ მიხსენიებდა... ეხლა ამ ახალ წელს ეს ორი კვირაა, ჩემი მეუღლე – ალექსანდრაა წასული სიძე-ქალის ოჯახში და „რაინდი-შვილის“ მოსახილავად!.. ავშენდი კაცი! მეც უადგილოდ ვიყავი, „წმენდა გავიარე“ აგვისტოში!.. 12 ნოემბრიდან გამგზავნეს შრომის ბირჟიდან „წერითი დამხმარე კოლექტივში“ – ნოტარიალური კანტორისებურ დაწესებულებაში, თუ რაიმე საქმეებს შეასრულებ, რაც შემოსავალი გექნება, ამით სულს დაიპურებო!.. ეს თითქმის ორი თვეა მოვაწყე ასეთი კანტორა სადგურის ქუჩაზე დაქირავებულ დარბაზში! ვართ ეხლა იქ მე, იურისტი იოსებ ღვინიაშვილი და ერთი მემანქანე ქალი – ანიკო გამყრელიძე! სამთავენი ბირჟელი-უმუშევრები ვართ! ესენი აგერ

ეხლა შემომიერთდენ, მანამ კი მე გადვიტანე კანტორის რემონტი, ამ ნიადაგზე ათასნაირი უსიამოვნება, შეტაკებები, ვინ იცის, ვისთან არა! მუშა-ხელოსნებთან თუ სხვა დაწესებულებებთან! „გამგე“ ვარ ამ კანტორისა, გამგე უჯამაგირო, რომელსაც დღემდე 12 ნოემბრიდან გროში არ ამიღია. დღეს შეუდგინე ერთ ბათომიდან ჩამოსულ მეგრელს ერთი განცხადება და ორი მანეთი დასდო მაგიდაზე! ეს იყო და ეს!.. რა იქნება შემდეგ, არ ვიცი!.. ჩემს შვილს – გერმანს როდის გამოუშვებენ ციხიდან, არ ვიცი! ამას წინეთ ერთმა კომისიამ ის გაანთავისუფლა, მეორემ კი არ გაანთავისუფლა!.. მეშინია ადგილს დაჰკარგავს... ლუკმა პური არსებობისა სჭირს!.. მე კი ასეთ „კოლექტივში“ მოვხდი! ნათქვამია „ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო“. ეს შებრუნებულად ითქმის ჩემზე! მუდამ დევნილი და გაჭირებული ვიყავი და დავრჩი!.. მექრთამე დავითაშვილი ისევ მოწყობილა „ვესენხაში“ – კანცელიარიის გამგეთ!.. დიდი ვინმეები სწყალობენო!.. ვოსტორგოველი ილია შუბლაძე – დეკანოზი – საქართველოს ცაკშია მოწყობილი... სხვა კიდევ მსგავსი სასულიერო ყოფილი „გვამები“ – მოწყობილნია... ამათ იციან... გასაძრომი და ძველებურადვე ძვრებიან. მე კომპლექციითაც მსხვილი ვარ.. ვერსად გავძვრები... ხვრელებში ვერ გავეტევი... მაგიერში „კოლექტივში“ მომინახეს ადგილი... უჯამაგირო... სავაგლახო! ალბად ესეც აგრეა საჭირო!.. ჩემთვის განგებისაგან... „განგულვებული“. იყოს ნება მისი!.. ვნახოთ, სანამ ვიღონღიალებ აგრე!..

ქალთა საზოგადოების „განათლების“ სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის კორპორაცია, პირველ კლასის მოწაფე-ქალებით
გამგე-ქალი ალექსანდრა ნანეიშვილი-ფაღავასი (1), ანასტასია-წერეთლისა – „ჯეჯილის“ რედაქტორი (2), ჩემს გვერდით გერასიმე იმნაიშვილი და სხვანი
დეკ. ნ. თალაქვაძე
1915 წელი, სეკტემბერი, ქ. თბილისი

იანვარი. 1930 წელი

13 იანვარი – ორშაბათი

ხვალ – 14 იანვარს – ახალი წელია ძველი სტილით. ახალ წელზე ახალი სტილით წინა რვეულში მქონდა ცოტა რამ აღნიშნული. ახლა ძველი სტილი მინდა მოკლედ დავახასიათო: არავითარი მზადება ამ ძველი სტილის ახალი წლისათვის არ ემჩნევა ქალაქს! სოფლელებს არავითარი სანოვაგე არ ჩამოუზიდნიათ „საახალწლოდ“ ბაზარზე!... სრული სიწყნარეა ბაზარზე!... მოვაჭრეებს ამთქნარებთ უსაქმოობით!.. ძველებურად შობაც აგრე შეუმჩნევლად ჩატარდა ქალაქად!.. სოფლადაც არ ყოფილა უკეთესობა: ღორების დაკლა აღკრძალული ყოფილა, რათა დღესასწაულებს არ „შეეგებოს“ ხალხი ტრადიციულად. სამღვდელოება, რაც იყო დარჩენილი, სულ დაურეკიათ ადგილებიდან!.. ქალაქში ხშირად დაინახავთ „თავისუფლების მოედანზე“ (ყოფილი „ერევნის მოედანი“) ჯგუფ-ჯგუფად დაგროვებულ მღვდლებს საცოდავად აბრანძულ-დაბრანძულ ნაფლეთ ტანისამოსებში, აბურძგვნილებს, თმა-წვერ-ულვაშ დაუვარცხნელებს, შორი-სოფლებიდან ნამგზავრებს... ამათ ქალაქისათვის მოუშურებიათ... კათალიკოსისაკენ მიიმართებიან... სიონისაკენ... მას შესჩივლონ თავიანთი აწიოკება-უბედურება... კათალიკოსი კი ჯერ კიდევ ზის თბილად-რბილად... სასუსნავი ჯერ კიდევ არ გამოლევია... ოც თუმანს კიდევ იღებს ჯამაგირს „სანთლის ოპერაციიდან“!... ზის სიონის ეზოში თავის ბინაზე, საკათოლიკოზო კანცელიარიის გვერდით... ჯერ მას ხელს არავინ ახლებს... მგონი, აგრე განუზრახავს ხელისუფლებას – გარს შემოაცალოს მას სამღვდელოება, შემოუფანტოს ის მის გარშემო, რომ ბოლოს დარჩეს „უერო-უსამღვდელოებო“ მწყემს-მთავარი ანუ „უჯარო გენერალი“ – სარდალი! ასეთი „ეკლესიის საჭეთ მპყრობელი“, მგონი, უმაგალითო იქნება დღემდე ისტორიაში! ქრისტეფორე კათალიკოსი (ყოფილი დეკანოზი ციცქიშვილი, ჩვენი ეკლესიური ცხოვრების ამრევ-დამრევი და შემბილწველი კირიონ-კათალიკოსის დროს – შუბლაძე დეკანოზთან ერთად) დღეს ზის სულ-განაბული, ხმაჩაკმენდილი, ცახცახებს თავისი პირადი ცხოვრების შენარჩუნებისათვის, ტრიალებს ცოლ-შვილში („ცოლად“ ჰყავს რუსი დედაკაცი – კუხარკა – ვარვარა სერგეევნა, ხან სურამში, ხან ტფილისში) თუ თავის სახლ-კარ მამულში სურამში, მიდის-მოდის სურამსა და ტფილისს შუა; დამფრთხალ ღვდლებს, სოფლებიდან მასთან საჩივლელად ჩამოსულებს, ის თვით თავისთავს აბრალებს და მიათრევს თავის უბადრუკ დღე-წუთისოფელს აგრე!.. არსაიდან ხმა არსით ძახილი!.. მგონი, ეს „ვირგლად“ წოდებული ქრისტეფორე-კათალიკოზი იქნება 1917 წლის 12 მარტს აღდგენილი საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი (მეოთხე – რიცხვით) კათალიკოზი!.. მის ხელში „კვდება“ ეს ეკლესია! მისი „დიდებული“ თანამოსაგრე დეკანოზი ილია შუბლაძე („ახალი სიტყვა“ – ჟურნალის ერთი რედაქტორია ქრისტეფორე, ხოლო მეორე ფაქტიური მისი ხელმძღვანელი, ბოროტი სული, ვოსტორგოვ-ექსარხოსების,

სინოდ. კანტორის პროკურორის – პოპოვის და სხვა ასეთ გვამთა ყოფილი ჯაშუში შუბლაძე დღეს საქ. ცაკში მსახურებს...) დღეს შორი-ახლოდან უცქერის თავის მეგობარ „რედაქტორს“ – „ახალი სიტყვისას“!.. ესენი თავიანთი თვალით ხედავენ და შეესწრენ რაც დღე ეწია, მათ მიერ ნახელმძღვანელევ საქ. ეკლესიას!.. „ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო“, – აი ამათზე ითქმის სავსებით ეს ძველი თქმულება!.. „ეგ ღვთის რისხვა მოევლინა უღირს ეკლესიას და მის გახრწნილ ხელ-მძღვანელ სამღვდელოებასო“, – აგრე გაიძახიან ისინი, ვინც განიცადა და იხილა ამ ცამეტი წლის განმავლობაში ჩვენში „ყოველივე ის, რაც იქმნა“!.. ამ საღამოთი, ახალი წლის ძალზე (ძვ. სტილითაა ეკლესია), ზარები როდი ჩამორეკილა ტფილისის მართლ-მადიდებელთა ეკლესიებზე. ზარი ჩამოირეკა მხოლოდ ანჩის-ხატის სამრეკლოზე, მაგრამ მღვდელი კი არ მოსულა ტაძარში, ლოცვა არ დაუყენებია!.. ხვალ ვასილი დიდის წირვა უნდა გადაიხადონ და „აკურთხონ გვირგვინი წელიწადისაო“. არც ახალი სტილით უკურთხებიათ ეგ „გვირგვინი“ და ვეღარც ძველითაც აკურთხებენ, მგონი... „შიშისაგან ურიათასა“! ამ წინა დღეებში მილიციელებს დაუვლიათ ტფ. ეკლესიებში და აღუნუსხავთ, თუ სად რამდენი ზარი ჰკიდია სამრეკლოებზე! შეუდგენიათ ამ თაობაზე ოქმი და განუცხადებიათ ეკლესიების მესვეურთათვის – „პირველ წინადადებისათანავე ზარები უნდა მოგვცეთო! ჩამოვხსნათ უნდა და წავიღოთო“! – სხვათა შორის ასეთი წინადადება მიუცია მილიციელს ანჩისხატის ტაძრის მნათე-მედავითნე ანდრონიკე ხუცაიძისათვის. ამ უკანასკნელს უპასუხნია: ეგ ტაძარიც, მთელი მისი ქონებით თუ ზარებით აწერილია და სია ძევს ქალაქის აღმასკომში, როგორც ამ უკანასკნელის ქონება-კუთვნილება!.. მიკვირს რაზე იწუხებთ თავს, როდესაც გენებოთ, წაიღეთ, რაც გენებოთ, ვინ გყავთ მოწინააღმდეგე, ვინ დაგიდგებათ წინო“!.. მილიციელს შერცხვენია ასეთი პასუხით და ჩაულაპარაკნია: ...„მე მიბრძანებენ და ბრძანებას ვასრულებო“!..

ასეთივე წინადადება მიუღია სიონსაც და სხვა ტაძრებსაც ტფილისში გუშინ და გუშინის წინ!.. ეტყობა, ყველანი თავზარდაცემულნია!... სასახლის ქუჩაზე, სასახლის მახლობლად სომხების „ქამოევის“ სახელობის ეკლესიიდან უკვე ჩამოუხსნიათ ზარები! ამ ტაძრის სავსებით აღებაა გადაწყვეტილი ამ ქუჩის გასაფართოებლად!.. ეს ის ტაძარია, რომელიც აშენდა გოლიცინი მთავარ-მართებელის დროს და ამის აქ აშენებას ბევრნაირად უშლიდა ხელს კნ. გოლიცინი, მაგრამ ვერა დააკლო რა მან სომხის ბურჟუაზიას! ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა გოლიცინზე! ლამაზი ტაძარი ააგო, მორთო, მოკაზმა ის... ბოლო დროს აქ „არგანიც“ დადგეს სომხებმა კათოლიკების მსგავსად, მშვენიერი მგალობელთა გუნდიც გაიჩინეს, „ახალი“ – „ცოცხალი ეკლესიური“ წესებიც შემოიღეს... მაგრამ არაფერმა არ უშველა დღეს მათ! პროლეტარიატის დიქტატურამ დასცა ის პირდაღმა! და არა ეს ტაძარი მხოლოდ!.. დიდუბის რაიონშია დღეს ტფილისის მაუდის ქარხანა. ამის მუშებს დაუდგენია: „ჩამოიხსნას დიდუბის ტაძრის ზარები, რომელთაგან ჩვენი ყურთასმენა წაღებულიაო! თვით ტაძარი არის მთელი ტფილისისათვის ერთი უსაშინელესი საერთო ცრუმორწმუნოების ბუდე! ეგ „ბუდეც“ უნდა დაიშალოსო! ტაძარი ჩვენ კლუბად უნდა გადავაქცი-

ოთო“!.. ვერის ნიკოლოზისა და ღვთისმეტყველის ეკლესიების ზარებიც უკვე ჩამოხსნილები არიანო, – მითხრეს დღეს, ნამდვილად კი არა ვიცი რა!... აგრე რო ქალაქში – ტფილისში – მიჰყვეს ხელი ეკლესიის გაჩანაგებას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხდება ამ მიმართულებით სოფლად!.. აგრე ხდება არა მხოლოდ ჩვენში, არამედ მთელი კავშირის მასშტაბით, სწარმოებს საერთო შეტევა რელიგიისადმი! ეგ შეტევა კი არის უკვე მედგარი და ულმობელი!

„კულაკების განკულაკება“

ასეთივე ულმობელი და უფრო მკაცრი შეტევა სწარმოებს ეგ ერთი კვირაა ისევ მთელი კავშირის მასშტაბით „კულაკების“ წინააღმდეგ, ამათი სავსებით მოსასპობად, გასანადგურებლად! – ეკლესიისა თუ კულაკების წინააღმდეგ ასეთი შეტევა-იერიშები ხდება „მთლიანი კოლექტივიზაციის“ ლოზუნგით! პრესა, სატახტო თუ ადგილობრივი, სავსეა „საგაზაფხულო თესვის კომპანიის“ ჩასატარებელი მოწოდებებით, გეგმებით და დარიგებებით! ამ კომპანიის ჩასატარებლად კი ნებსით თუ უნებლიეთ ერეკებიან გლეხებს კოლლექტიურ მეურნეობის წარმოებაში! გაზეთები სავსეა ცნობებით, რომ გლეხები „დიდის ენტუზიაზმით – აღფრთოვანებით ეწერებიან ასეთ კოლლექტივებში – არტელებშიო! მიწის საერთო ძალ-ღონით დასამუშავებლათო!.. სადაც არის ტრაქტორები, ტრაქტორებით იმუშავებენ, სადაც არ არის, იქ ძველებური საშვალებებით ხარ-კამეჩ-გუთან-კავ-სახნისებით დაიმუშავებენ მიწებს – საერთო ძალღონითო!.. არტელების საფუძველზე, არტელი კოლექტივიზაციის საუმჯობესო ფორმად არის დღეს აღიარებული!.. ის საფეხურია კოლექტივიზაციის უმაღლესი ფორმის – „კომუნებისაო“!.. დიდი ორომ-ტრიალია პრესაში ატეხილი ეს ერთი კვირაზე მეტია ამ თაობაზე! სახელმძღვანელო ლოზუნგები და დებულებები ამ საგანზე გადმოსროლილია ისეთი პოპულიარული ავტორიტეტის ხელით, როგორიც არის თვით სტალინი – სოსო ჯუღაშვილი, რომელსაც ამას წინეთ აგრე ზეიმით გადაუხადა მთელმა საბჭოთა კავშირმა 50 წლის იუბილე!.. დღეს კავშირის ყველა კუთხიდან მოითხოვენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები – სტალინის მეორე წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას!.. ასეთი ბელადის ლოზუნგებს თავისთავად ცხადია, დიდი გასავალი ექნება მასებში და, როგორც გაზეთებში იწერებიან, აქვს კიდეცო!.. კულაკების წინააღმდეგობა ამ გზაზე უნდა მოისპოს მათი განადგურებითო!.. და ანადგურებენ კიდეც ამ „კულაკებს“ შეუბრალებლად, დაუზოგველად... ანადგურებენ რელიგიას და მისს მსახურთ და ნავთ-საყუდელ ეკლესიებსაც, ესენიც სოფლის კოლექტივიზაციის დაუძინებელ მტრად არიან აღიარებულნი!.. ხუთწლედის პერსპექტიული გეგმის შესასრულებლად დაჭიმულია ყველა ძაფები და უნდა მოისპოს ყველა დაბრკოლებანიო!.. ადგილებზე კი ბევრგან ხდება ცოცხალი თუ მკვდარი ინვენტარის განადგურება, გაყიდვა-მოსპობა!.. ყველა ასეთი ამბები ყრუთ მოგვდის, ნამდვილს ვერას გაიგებს კაცი!... ისე კი დიდი ტკივილებია ამ უდიდესი რეფორმების ცხოვრებაში გატარებით ხალხში გამოწვეული!.. მთელი ჩრდილო-კავკასიის ანუ

ყუბანის ოლქი აცხადებს, რომ ჩვენ ამ წესით ყველანი კულაკები ვართ, აქ აღარ გვეცხოვრება, ავიყრებით და მოგვეცით ნება სპარსეთში გადავსახლდეთო!.. მაგრამ ვინ მისცემთ მათ ასეთ ნებას!.. ამათ ძალით მოღუნავენ, დაიმორჩილებენ!.. „სად გაგონილა ასეთი ამბების ნება-ყოფლობით ჩატარებაო!.. ბოლშევიკები ჯიუტი ხალხი ვართ, რასაც ავიჩემებთ და ხელში ავიღებთ, კიდევაც ბოლომდე მივიყვანთ და მივიტანთო“! – ამბობენ ესენი...

ასეთი დიდი ამბებით შევდივართ ახალ-წელიწადში ახალი თუ ძველი სტილით! თუ ამ კოლექტივიზაციამ სოფლად გაიმარჯვა, თუ ამ კოლექტივიზაციას პური მოსავალიც საკმაო და დამაკმაყოფილებელი მოჰყვა, თუ მოსავლიანი წელიწადიც იქნა, მაშინ ხუთ წლედის ეგ მეორე წელი უდაო თავდებია მთელი ამ პერსპექტიული გეგმის სავსებით გამარჯვებისა! მაშინ განხორციელების გზაზე დადგება სტალინის დებულება – „ერთ ქვეყანაში სოციალისტურ წეს-წყობილების დამყარების შესაძლებლობა, მიუხედავად ამ ქვეყნის ბურჟუაზიული სახელმწიფოებით გარემოცვისა“!.. ლენინი ამბობდა: თუ უახლოეს ათი წლის განმავლობაში ევროპაში არ იქნა გამოწვეული საერთო სოციალისტური გადატრიალება, მაშინ ჩვენი რევოლიუცია წაგებულიაო“! ეს გადატრიალება დღემდე არ მომხდარა ევროპაში და არც ნიშნებია იმისი, რომ ახლო მომავალში მაინც მოხდეს იქ ასეთი გადატრიალება! ამიტომ სტალინმა ზემოაღნიშნული დებულებით შესცვალა ლენინის დებულება!.. და დღეს შეუდგა კიდეც თავისი დებულების განხორციელების საქმეს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით!... საქართველოს ყველა კუთხიდან გაზეთებში სწერია ცნობები: „გლეხები აღტაცებით მოითხოვენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასო!.. ერთსულოვნად, მთლიანად ტარდება კოლექტივიზაცია ყველა სოფლებშიო“!.. ნამდვილი კი საინტერესოა ადგილობრივ იხილო და განიცადო კაცმა!... გაზეთებს უყვართ გაზვიადება ყველაფრისა!.. გლეხი აგრე ადვილად ვერ შეელევა ინდივიდუალურ მეურნეობას და ამ ნიადაგზე დიდი გამწვავებული ურთიერთობის შექმნაა მოსალოდნელი!.. შესაძლებელია, ასეთ გამწვევებას დიდი შიმშილობა მოჰყვეს შედეგად, თუ პური ვერ დაიმუშავეს კოლექტივ-არტელებმა საკმაოდ!.. თუშური ცხვრები და „მერინოსები“ იჟლიტებიან დაუზოგველად!.. მეცხვარეებს არ სურთ კოლექტივებში შესვლა, ჰყიდიან და ანაწილებენ თავიანთ ცხვრებს.. აგრეთვე იცლიან ხელს, ვისაც მეტი ცხენი, ხარი, ძროხა, ღორი თუ სხვა რაიმე ასეთები გააჩნიათ! „როგორ?! მე ოცი ცხენით შევიდე კოლექტივში, ხოლო ჩემი მეზობელი ხელ-ცარიელი შემობრძანდეს და ჩემზე ხელი მოითბოსო?!. არა! ამას ვერ ვიზამ! დავხოც ჩემს საქონელს და შემდეგ მეც ხელ-ცარიელი შევალ ის რაღაც კოლექტივიაო,“ – გაიძახიან საშვალო შეძლების გლეხები!.. დიდი რამ ამბებია მოსალოდნელი ჩვენს შინაურ ცხოვრებაში!.. ხოლო თუ ამ შინაურ აურ-ზაურს გარედანაც დაერთო რაიმე გართულება, მაშინ ადუღდება ჯოჯოხეთი და შიგ ჩავიხრაკებით!..

ევროპა-ამერიკა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ საბჭოთა კავშირის ასეთ საქმიანობას!.. უკვირს მათ ყოველივე ეს, ბჭობს და ვარაუდობს: „если пятилетка победит“...ო! – სწერდა ამას წინეთ ინგლისის ლიბერალი ლოიდ ჯორჯი! და სტალინს პეტრე-დიდს ადარებდა რუსეთში!..

ჩვენც შეგვიძლია ვივარაუდოთ – „თუ ხუთ წლედი გაიმარჯვებს... მაშინ პეტრე დიდი მეტად პატარა ფიგურად გამოჩნდება სტალინის გვერდით“!.. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ქიშპობაა, შეუთანხმებლობა, ინტერესთა წინააღმდეგობა!.. ლამის არის, დიდმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი დაჰქოჩრონ ჰააგის კონფერენციაზე, რომელიც დღეს მუშაობს კიდეც!.. აქ გერმანიას მსოფლიო ომის რეპარაციებით აძვალ-ტყავებენ!.. იქ, რუმინეთში სისხლის მღვრელი შეტაკებებია გლეხობასთან, აგრეთვე იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და თვით ამერიკაშიაც მოიშალა ეკონომიური პრუჟინა, იქაც სისხლის მღვრელი შეტაკებები ხდება ქუჩებში თუ მაღაროებში მუშებთან!.. გაფიცვები ვარშავაში და პოლონეთის სხვა დიდ ქალაქებში!.. უსაშველო გაფიცვები და დემონსტრაციები! ქვეყანა ძველ-ტყავში ველარ ეტევა!.. მუშები ძველ პირობებში ველარ ითმენენ ცხოვრებას... ესენი საბჭოთა კავშირისაკენ იცქირებიან, ამათ ჰბაძავენ, ესენიც გასაბჭოებაზე ოცნებობენ!..

ჩინეთში ისევ ძაღლი პატრონს ვერა სცნობს... რუსეთი მოაჯდა ჩრდილო მანჯურიას ქეჩოზე... გამაგრდა... ისევ ხელთ იგდო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა და მისი მმართველობა!.. აღადგინა კიდეც იქ მოძრაობა!..

ყალბი ჩერვონცების მკეთებელნი ბერლინში

ეს ერთი კვირაა ბერლინში სწარმოებს სასამართლოს პროცესი ყალბი ჩერვონცების მკეთებლების გასასამართლებლად. ამ პროცესში ცენტრალურ ფიგურებად ორი ქართველია წამოჭიმული: სადათიერაშვილი და ქარუმიძე! ესენი ემიგრანტი ქართველებია! ამათ განუზრახავთ აჯანყების გამოწვევა საქართველოში, უკრაინაში, ამ ქვეყნების ჩამოშორება საბჭოთა კავშირიდან და კავკასიის ნავთის სიმდიდრის დეტერნიგის ხელში ჩავარდნა. ამ განზრახვაში მათ ხელს უწყობდენ ბევრი გამოჩენილი გერმანელი ფაშისტებიო! ესენი დეტერნინგთან – ამ ნავთის წარმოების მეფესთან, კავშირს აბამდენ; ამ საქმის მოსაგვარებლად ფული იყო საჭირო, ამ ფულს ეგ დეტერნინგი იძლეოდა, სხვას ყალბი ჩერვონცებით შეივსებდენ, ეგ ჩერვონცები დასცემდენ საბჭოთა კავშირის ფულის კურს და ასეთი ზომებით ჰფიქრობდენ საქმის გაჩარხვას... ეგ ერთი წელიწადია ეგ საქმე ჩაუვარდა ბერლინის პოლიციას ხელში და სადათიერაშვილი დაპატიმრებულიც ჰყავდათ. ეხლა ირჩევა ეგ საქმე ბერლინში, იქ ბევრი რამ დიპლომატიური საქმეები გამომჟღავნდა, რომელმაც სკანდალური ხასიათი მიიღო!.. ირკვევა, რომ ბევრი დიდი გერმანელი სამხედრო ავტორიტეტები და პოლიტიკური მოღვაწეები ყოფილან საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმული!.. ჯერ პროცესი არ დასრულებულა, მას წმინდა პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ, სადათიერაშვილი თავდებ და საწინდარ ქვეშ გაანთავისუფლეს კიდეც, ქარუმიძეც თავისუფალია და მეტად გამომწვევად უჭირავს თავი სასამართლოში! პროცესიდან სჩანს, რომ ორთავე ბრალდებულნი გამართლებული იქნებიან, როგორც პოლიტიკური მოღვაწენი, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლების მომწყობელნი!.. ეგ ქარუმი-

ძე უნდა იყოს მასწავლებლად ნამყოფი შალვა ქარუმიძე, კაცი მეტად მოძრავი, კარგი მოლაპარაკე და მოხერხებული, ემიგრაციაში გასული!.. ნიშნავს ისევ აწარმოებენ ემიგრანტები ავანტიურას, თითქოს 1924 წლის ავანტიურა ძლიერ იაფად დასჯდომოდეს ჩვენს უბედურ ქვეყანას!.. მაგეთი ზომებით ჩვენი ქვეყნის უკეთეს გზაზე გამოყვანა უიმედოა და ისევ დამღუპველი!..

ესეც ახალი წლის ნობათია!.. ჩვენზე დღეს ბჭობს მთელი ევროპა!.. ქარუმიძე-სადათიერაშვილმა და მათ ზურგს უკან მდგომმა ემიგრანტებმა ისევ აალაპარაკეს საქართველოზე მთელი ქვეყანა!.. რა იქნება?!.. რას მოგვიტანს ახალი წელი?!. ვინ იცის!.. ვინ გადახედავს მის სივრცე-სიგანეს თუ ჟამთა სრბოლის საიდუმლოებას?!

ახალი წელი!..

ვაი, დედავ, წელი!..
გვწყდება, მგონი, წელი!..
ნეტავ, რა მოგველის
ამ ახალი წელით?!..
გაისსაც გავატანთ,
თუ წელსვე მოგვწყდება წელი?!.
ეგ... ახალი წელი!..
ვისთვის იქნება ის უკანასკნელი?!.
ძნელია... სათქმელი!..
ველით კი... ველით!..

ეგ ლექსის მსგავსი ახალი სტილითაც მქონდა მოყვანილი და ძველზედაც მოვიყვანე!.. ვგრძნობ, 1930 წელი იქნება ბევრნაირად „მწველი“!.. ძნელი იქნება მისი გადალახვა!.. მე კი სასიკეთოს არც ქვეყნისათვის და არც ჩემთვის პირადად არაფერს ველი!.. იქნებ ვერც გავაწიო და მართლაც მომწყდეს წელი!.. ვინ არის მშველელი?!. მხსნელი...

არა ვინ!..

ზ. მთისპირელი
1930 წელი, ორშაბათი – იანვარის 13-ი

ღამის $11^1/_2$ საათი! ახლოვდება შუა-ღამე,
როდესაც უნდა იშვას ახალი წელი ძველი სტილელი!
აბა რომელი აჯობებს... ახალი თუ ძველი!..

14 იანვარი – სამშაბათი

ღრუბლიანი მოწყენილი დღეა... ყველა საქმიანობს... „ახალი წელი“ არსად და არაფერში სჩანს... ეკლესიებშიც კი არ ყოფილა ბევრგან წირვა... სიონში კი!... მაშ, დამარცხდა ახალი წელი ძველი სტილით... საბოლოოდ... დამარცხდა სომხების

შობა-ნათლისღება 5-6 იანვარს – ახალი სტილით! ესენი ახალ სტილზე არიან!.. აღარ იყო მათი იორდანე... შინაურულად ვანქში აკურთხეს წყალიო... ვეღარ ვხედავდი კვლავინდებურად ტფილისის ქუჩებზე ეტლებში ჩამსხდარ ტერტერა-ტერაცუებს, რომელნიც წინეთ საუკეთესო ტანსაცმელებში გამოწყობილი თავიანთ მრევლს სახლებს უნათლავდენ და ჯიბესაც ისქელებდენ!.. წელს ესენი აღარ დამინახნია არც ეტლებში, აღარც ქვეითად!.. ნიშნავს, ეშინიათ ხელის უფლებისა... ერიდებათ თვით მრევლისაც, მათ ოჯახში მისვლით საფრთხეში ჩააყენებენ მრევლ-მორწმუნეებს, რომელნიც სადმე დაწესებულებაში სამსახურში არიან და ლუკმა პურს ჰპოულობენ... ეკლესიასთან კავშირისათვის მათ ამ ლუკმა პურის დაკარგვა მოელით!.. აღარავის უნდა არც ტერ-ტერა, არც სახლის განათვლა!.. ყველანი თავიანთ ტყავში შეყუჟულან!..

სამრევლოების ახალი რეგისტრაცია

ეს ერთ კვირაზე მეტია, რაც ტფილისის მართლ-მადიდებელ სამრევლოების სამღვდელოებას წინადადება მიეცათ ტფილისის აღმასკომიდან – წარადგინონ მრევლთა ახალი სიები ეკლესიებიდან: ვინ არიან სახელდობ ამ ჟამად მათი სამრევლოს წევრნი, სად ცხოვრობენ – მისამართი, სად მსახურებენ, მათი სოციალური მდგომარეობა და სხვა!.. მეტად უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი სამრევლოების ღვდლები ასეთი განკარგულებით!.. ასეთ განკარგულებას განმარტება-კომენტარები არ სჭირდება!.. დღეს საღამოთი ვესაუბრე ერთ-ერთ ქართველ სამღვდელო პირს ამ თაობაზე. მან მიპასუხა: სამრევლო საბჭოს წევრებმა გადაჭრით უარი მიყვეს – ჩვენ აღარ გვიგულვო სამრევლო საბჭოს წევრებად და არც სადმე რაიმე სიაში ჩაგვწეროთ მთავრობასთან წარსადგენათო; მრევლობაზედაც უარი განგვიცხადა ყველამ, ვისაც კი მივმართეთო!... მოვაგროვე სიაში ექვსიოდე მოხუცი, გადაყრუებული დედაკაციო, ამათში ერთი ოთხმოცი წლისაა, სხვა 70–75 წლისანიო! არ ვიცი, ასეთი სიით დაკმაყოფილდება თუ არა აღმასკომის ადმინისტრატიული ნაწილიო!.. ჩემს ტაძარს აუცილებლად დაკეტვა მოელისო... ამას წინეთ კათალიკოსმა ქრისტეფორემ წირვის დროს სიონში შეაგროვა ორმოციოდე სული – სულ დედაკაცობა – სიონის ტაძრის მრევლთა სახელით წარსადგენათო!.. ...ეგ, მგონი, „დასასრულის დასაწყისიაო“!.. საეპარქიო სანთლის სახელოსნოზე მთავრობას ეხლახან დაუდვია სამასი თუმანი – ნალოგი-გადასახადი – 1927 წლისაო!.. ერთი რომ, სამასი თუმანი სად არის, რო გადაიხადოს ამ სახელოსნომ! და რომც გადაიხადოს, მეორე კვირაში ორი იმდენს დაადებენ მას 1928, შემდეგ 1929 წლებისას! რომელ ერთს გაუძლებს სახელოსნოო?!. ცხადია, გეუბნებიან – აიკიდეთ გუდა-ნაბადი და მოსწყდით თავიდანო!.. ეს სანთლის სახელოსნოა ერთად ერთი და უკანასკნელი წყარო, რითაც არსებობდა კათალიკოსი თავისი კანცელიარიით თუ სინოდით! ამ სახელოსნოს დაკეტვით – ლიკვიდაციით – ლიკვიდაცია უნდა გაუკეთდეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობასო!...

თვით კათალიკოსისათვის სურამში ჩამოურთმევია ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარი სახლი და ეზოო!.. კათალიკოსი იქ გაეშურა და სცდილობს დაიბრუნოს თავისი ქონებაო! რამდენჯერ ჩამოართვეს მას ეგ სახლი – ვენახი და ეზოო!.. დაუბრუნეს შემდეგ, მაგრამ ეხლა, მგონი, აღარ დაუბრუნებენო!... მეტად გამწარებულია კათალიკოსიო!.. ენა ჩავარდნილია, სასოება დაკრეფილი აქვსო!... ეგ ხომ ხელისუფლებამ დააყენა კათალიკოსად... დღემდე ითმენდენ მის არსებობას... ეხლა, ეტყობა, მასზედაც ხელი აიღეს და მოსპობას უქადიანო!.. მასში „საჭიროებამ განვლოო“!.. ის მოიხმარეს თავის დროზე... დღეს მეტი ბარგი გამხდარაო...

ქვაშვეთის ტაძრის დარღვევა-აღებაზე

ზემოდ აღნიშნული მქონდა სომეხთა „ქამოევის სახელობის“ ტაძარი უნდა აიღონ სასახლის (ეხლა „კომინტერნის“) ქუჩის გასაფართოებლადო!.. დღეს გავიგე და გადმომცეს – ხელისუფლებას დაუდგენია ქვაშვეთის (ახალთ ახალი ტაძარია – სულ არ იქნება ოცი წლის აგებული) ტაძრის აღებაც, კალოუბნისა და სამებისაცაო!.. ვერის ნიკოლოზიდან ზარები უკვე გადმოუყრიათ, იმასაც დაარღვევენო!.. ქაშვეთელები – მიტროპ. კალისტრატე და მისი დეკანოზი დიმ. ლაზრიშვილი თავ-მოგლეჯილები დარბიან, ცდილობენ გადაარჩინონ ტაძარი ასეთ განსაცდელსო!.. ეგ ქვაშვეთის ტაძარი ხუროთმოძღვრების (ქართული) საუკეთესო ნიმუშია! ის სამთავისის ტაძრის ასლია – იმ განსხვავებით, რომ ქვაშვეთის ტაძარს ქვედა-სართულიც ეკლესიად აქვს მოწყობილი! სამთავისისას კი ქვემო სართული არ აქვს. ქვაშვეთის ტაძარი თვალთ-წარმტაცი სანახაობისაა, მსუბუქი სტილისა, გეგონება ჰაერშია გამოკიდული და აი, ეს არის ზეცას მიჰფრინავსო! იქვე – მის პირდაპირ აგებულია ვეებერთელა სამხედრო ტაძარი, აწ გაუქმებული! მაგრამ ეგ ტაძარი რაღაც თათრის აბანოსებური სტილისაა – ქვების ხროვას წარმოადგენს, მეტად ტლანქი და მძიმე რამ სტილისაა! ამ ტაძარსაც სასახლედ უპირებენ გადაკეთებას, შუა წელამდე მას დაარღვევენ და ზედ ვეებერთელა სასახლე უნდა დააშენონო! ესეც დადგენილიაო!.. დიდი მითქმა-მოთქმაა ამ თაობაზე ქალაქში... ჩურჩულით გადასცემენ ამ ამბებს ერთმანეთს!.. ხმა მაღლა ვინ გაბედავს კრინტის დაძვრას... ვინ არის დამშლელი, მოწინააღმდეგე!.. მგონი, არ შეეხებიან სიონსა და ანჩის-ხატს, როგორც სიძველეებს, თუმცა, როგორც ტაძრები, ესენიც ველარ იარსებებენ უსახსრობისა გამო!..

ამ სახით ხდება ჩვენს თვალ-წინ ასეთი რევოლიუციონური ნაბიჯები... უმაგალითონი ისტორიაში!.. მართლაც, პროლეტარულ-სოციალისტურ-კომუნისტურ სახელმწიფოს ყოველივე ეს არ სჭირდება!.. ყოველივე ეს მისთვის მეტი ბარგია!.. ყოველივე ეს სოციალისტური მშენებლობისათვის და ძველი ყოფა-ცხოვრების ახლად გარდაქმნისათვის ხელის შემშლელიც არის და უნდა მოსპონ!.. ნაცვლად ახალ შენობებს აგებენ... ახალ ძეგლებს... ახალ ხუროთ-

მოძღვრების ნიმუშებსო!.. არავის ამ მხრივ ანგარიშს არ უწევენ!.. ამას წინეთ ინგლისის თემთა პალატაში პირდაპირ დასვეს საკითხი – საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნაა აღმართულიო, – „ჰქონდა თუ არა ჰენდერსონს (გარეშე საქმეთა მინისტრია) ამ თაობაზე საბჭოთა კავშირის ლონდონში ახლად გამოგზავნილ წარმომადგენელთან – სოკოლნიკოვთან – მოლაპარაკებაო? ასეთ შეკითხვაზე ჰენდერსონს პასუხიც არ გაუცია შემკითხველისათვის! საბჭოთა პრესამ ეს ამბავი გადმობეჭდა და გვაცნობა გაზეთებში!.. წარბიც არ შეუხრია ვინმეს ამ თაობაზე!..

კალენდარის გარდაქმნაც გადაწყვეტილი ყოფილა!.. მუშავდება ახლა ის და 1931 წლიდან გამოვა ახალი საბჭოთა კალენდარი! ის „ერად“ აიღებს დიდი ოქტომბრის რევოლიუციას, დღეს ამ „ერის“ – მეცამეტე წელიაო!.. კვირეები ხუთ დღიანი ეხლაც შემოღებულია... სახელებსაც გამოუცვლიან... თვის დღეებსაც შეათანასწორებენ... ერთი სიტყვით, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ უნდა დაჩრდილოს თავისი სიდიადით და ძლიერებით საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც დაიწყო ყველაფერი და ვერ მიიყვანა ბოლომდე ვერაფერიო!... საინტერესო ხანაა!.. დიადი თავისი პერსპექტივებით და ცდებით!.. ვინ იტყვის, რა იქნება?!. ან რა სახეს მიიღებს ყოველივე ეს!..

აქ მაგონდება ერთი ძველი თქმულება, მგონი, სამღვთო წერილიდან უნდა იყოს ამოღებული, მაგრამ კი არ ვიცი, საიდან, რომელი წიგნიდან:

– „ჰეი, ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არსო“!.. ესე იგი უცვლელი, უცვალებელი, სამუდამო და ურყევი არაფერია ქვეყანაზედო!.. ისტორიული მსვლელობა კაცობრიობისა ვერ გაჩერდება ვერც დიდი ოქტომბრის რევოლიუციაზე!.. ვინ იცის, რამდენი ასეთი რევოლიუცია მოხდება კიდევ!.. რამდენად შეიცვლება ყოველივე ის, რაც დღეს ასეთი გატაცებით იცვლება თუ „მყარდება“!.. მაგრამ... ულმობელობა, დაუნდობლობა, ძალადობა ყოველთვის და მუდამ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.... ადამიანის ცხოვრებას, მის სიცოცხლეს ფასი არ უნდა დაეკარგოს!.. ვინაიდან ეს ქვეყანა ადამიანის საშვებად და სალხენად უნდა იყოს და არა მისი ხანმოკლე სიცოცხლის ჩასამწარებლად!... ეს უნდა კარგად ახსოვდეს როგორც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მსოფლ-მხედველობას, ისე და მით უმეტეს სოციალისტურ-კომუნისტურს!.. მართალია, ეს უკანასკნელი გვპირდება „კლასთა მოსპობას“ და შემდეგ სამოთხის ამ ქვეყნად დამყარებას, მაგრამ ეგ ათას ჯერ მეტად იდეალისტური ილიუზიებია, ვინემ ქრისტიანობის ზეციური სამოთხე!... რო ქვეყნად ვერ განხორციელდებოდა სრული კმაყოფილება, ეგ იცოდა ქრისტემ და მან ზეცისკენ მიაშვირა ხელი, იქ მიიღებთო!.. მეორედ მოსვლის შემდეგ, როდესაც იქნება „ახალი ცა და ახალი დედამიწაო“! „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება“ სავსებით მხოლოდ მეორედ მოსვლის კატასტროფების შემდეგ დამყარდებაო! მანამ ამ იდეალს თანდათანობით, სიყვარულით, და მოყვასისადმი თავდადებით და დიდი მოთმინებით უნდა უახლოვდებოდეთო!.. ასეთია ეგ ორი მსოფლ-მხედველობის თვალ-საზრისი!..

მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნა

დღევანდელ „კომუნისტის“ №11-ში (14 იანვ. 1930 წ.) მოთავსებულია „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის“ ანგარიში; აქ მოყვანილია სხვათა შორის, ზუგდიდის მაზრის წარმომადგენელის ამხ. ი. ჟვანიას სიტყვა; ამ სიტყვას ის აბოლოებს შემდეგი სტრიქონებით:

„ცენტრალური კომიტეტის (იგულისხმება საქ. „ცაკი“) დადგენილება (იხილე რვეული მე-XII, გვ. 7) მეგრულ ენაზე ლიტერატურის გამოცემის შესახებ სავსებით მიზანშეწონილია და მას აღფრთოვანებით ხვდება მთელი ის გლეხობა, რომელსაც ქართული ენის უცოდინარობის გამო დღემდე საშვალება არ ჰქონდა გასცნობოდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებასა და მის პოლიტიკას. ეს დადგენილება კიდევ უფრო გააძლიერებს მეგრელი გლეხობის მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში“! – ამას კომენტარიები აღარ სჭირდება! შევნიშნოთ მხოლოდ, რომ საქ. ცაკის აღნიშნულ დადგენილებაში ლაპარაკი იყო – „ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ“! ეხლა კი ამხ. ი. ჟვანიას სიტყვიდან პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულიდან საქვეყნოდ ცხადდება, რომ მეგრულ ენაზე უნდა გამოიცეს და გამოცემულია კიდეც – „მეგრული ლიტერატურა“!... ამ თაობაზე მე არა ერთხელ მქონია ამ ჩემს მემუარებში ლაპარაკი, მქონდა ლაპარაკი მე-XIII რვეულშიდაც, გვ. 7 – აგერ ეხლა! და იქ მწარე მოგონებებიც გადმოვანთხიე ამ თაობაზე!.. ამიტომ აქ მეტია კიდევ რაიმესი შენიშვნა!.. მალე ალბად „მაფალუ“ – ეგ მეგრელი ფაშისტები – სამეგრელოს დამოუკიდებლობას თუ არა აფხაზეთისებურ ავტონომიას მაინც მოითხოვენ და მიიღებენ კიდეც!... კაკალს ვამტვრევდით თავზე იანოვსკისა თუ ვოსტორგოვებს საქართველოში მათი გამთიშველი მოღვაწეობისა გამო!.. თურმე რა შუაში ან კიდეშია ან ერთი ან მეორე!.. „ციხე მუდამ შიგნიდან გატყდებაო“, – ნათქვამია!.. საქართველოს „ციხეც“ სულ მუდამ შიგნიდან ტყდებოდა და დღესაც ტყდება!.. Sat Sapienti!..

მეგრელები, ალბად, მოკლე დროში „ლათინურ შრიფტზედაც“ მოითხოვენ გადასვლას, რათა თავისი ცალკე-ეროვნება უფრო განიმტკიცონ!... ამასაც ზუგდიდელი „ჟვანიები“ აღფრთოვანებით შეეგებებიან!.. დრონი!.. დრონი!.. დაგვრჩენია მხოლოდ ვსთქვათ!..

16 იანვარი – ხუთშაბათი
„ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი“ – გაგრძელება

„ბერლინის მუშებმა მიბეგვეს ქარუმიძეო“, – აგრე სწერია დღეს გაზეთ კომუნისტში“ №13, – ...„როცა ქურუმიძემ, სასამართლოდან გამოსვლის დროს, გაიარა მუშათა ჯგუფის წინ, ერთმა მუშამ შეაფურთხა მას. ქარუმიძე ეცა მუშას. მუშები ყიჟინით: „თეთრგვარდიელო კონტრრევოლიუციონერო, ყალბი

ფულების მჭრელო“, – შემოეხვიენ ქარუმიძეს და სცემეს. პოლიცია, ქართველ თეთრ-გვარდიელებთან ერთად, გამოედევნა მუშებს და დააპატიმრა ერთი მათგანი“. ასეთ „ინციდენტს“ გადმოგვცემს სააგენტოს ტელეგრაფი ბერლინიდან!... პროცესი გრძელდება; მიმდინარეობს მოწმეების დაკითხვა. ამ დაკითხვებიდან ირკვევა შემდეგი: „გერმანიაში შეიძლება ჩერვონცების დიდი რაოდენობის გასაღება; აქ შეიძლება ჩერვონცების ყიდვა და კონტრაბანდული გზით გადაგზავნა საბჭოთა კავშირში და ამ რიგად დიდი ფულის მოგებაო. გერმანიაში გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებს ჩერვონცებით. არის ისეთი ხალხი, რომლებიც ფარულად აგზავნიან ჩერვონცებს საბჭოთა კავშირშიო“, – ამას ამბობს მოწმე ვინმე კანი, ბეკერი, გინსბერგი და სხვანი. გინსბერგს ბეკერიდან უყიდია 100 ცალი ჩერვონცი. ბეკერს, როდესაც ჩერვონცები მიუტანია საგარეო საქმეთა სამინისტროში, იქ მას უთხრეს, რომ „ამ ჟამად“ ჩერვონცები არ არის საჭირო. აქედან გამომდინარეობს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრინციპიალურად არაფერი ჰქონდა ჩერვონცების ყიდვის წინააღმდეგ. თავმჯდომარე ცდილობს განმარტოს ეს და აცხადებს: „თავისთავად ცხადია, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, რომელნიც მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირში, უნდა ჰქონდეთ რუსეთის ფული და ისინი ამჯობინებდენ იაფი ჩერვონცების შეძენას ძვირის ნაცვლად“!.. პროცესს ეძლევა პოლიტიკური ხასიათი; ინგლისის ნავთის მრეწველი დეტერდინგი, გერმანელი გენერალები – გოფმანი და სხვანი და სხვანი ააშკარავებენ პოლიტიკურ შეთქმულების მოწყობის სამზადისს საქ-ში აჯანყების მოსაწყობად... სენსაციაა!...

მთლიანი კოლექტივიზაცია სოფლად

„მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკზე გაძლიერებული შეტევის პირობებში კლასობრივი ბრძოლა სოფლად მეტად მწვავე ხასიათს ღებულობსო“, – ამბობს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრის თავმჯდომარე ამხ. კამინსკი (მოსკოვში). „სოფლის საბჭოებმა, ზევიდან ცირკულიარების და დირექტივების მიღებამდე, კულაკების მიმართ უნდა გამოიჩინონ ბოლშევიკური ინიციატივა და მიმართონ კლასობრივი ზეგავლენის ზომებს ჩვენთვის კლასობრივად მტრული ელემენტების წინააღმდეგო“, – განაგრძობს იგივე...

ცხადია, თუ რა ანარქიაა დღეს სოფლად ამ მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე! გასაგებია ის „კლასობრივი ზეგავლენის ზომებიც“, რომელზედაც ამბობს ამხ. კამინსკი!... შეძლებულ გლეხებს მიუსიეს ღარიბი და შუათანა შეძლების გლეხები და სპობენ – ამ „კულაკებს“, „როგორც კლასს“! ამათ რო მოსპობენ, შემდეგ, ალბად, ღარიბი ფენები შეესევიან უკვე შუათანა შეძლების გლეხებსაც და ამათაც მოსპობენ!.. მემამულეები უკვე ანდერძ აგებულები არიან!.. ვერ წარმომიდგენია, ბოლოს რა უნდა გამოვიდეს აქედან!.. მეტად სახიფათო ექსპერიმენტებია ეს! რომ ამავე დროს ტრაღიკული ხასიათიც არ ჰქონდეს ამ ექსპერიმენტებს!.. უკვე მოდის ცნობები გაზეთებში, თუ კერძოდ, რომ სისხლის მღვრელი შეტაკებებია

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიაც ამ ნიადაგზე!.. ცეცხლი, ტყვია და ცივი იარაღი მოქმედებენ ამ გამწვავებულ ურთიერთობაში!..

ერთი ასეთი კორესპონდენციაა დღეს მოთავსებული „კომუნისტში“ (№13–16 იანვ.) სოფელ ურიათუბნიდან და შაშიანიდან (კახეთი). ურიათუბანში „ამ რამოდენიმე ხნის წინად თავს დაესხენ სახალხო მასწავლებელს ნინო მთვარელიშვილს და ვერაგულად მოჰკლეს ისო – ჯერ დაახრჩვეს თოკით, შემდეგ კი ყელი გამოსჭრეს და 26 ჭრილობა მიაყენესო!.. მეზობელ სოფელ შაშიანის მასწავლებელს ალექსანდრე კობერიძეს რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ასცდა და გადარჩაო! ამ ბოროტმოქმედებებს კორესპონდენტი აწერს კლასიურ მტრებს – „სამურნეო ფრონტზე ბრძოლიდან (კოლმეურნეობის წევრთა დევნა) კულტურულ ფრონტზედაც გადმოვიდენო“, – სწერს ის. ნინო მთვარელიშვილი სამოცდაექვსის წლის მოხუცი ყოფილა, დამსახურებული პედაგოგი, ახალ კულტურულ ფრონტზედაც მედგარი მუშაკი, რასაც ასეთი მხეცური შურისძიება გამოუწვევია!.. ამიტომ მეტად სახიფათოა ასეთი „ტემპით“ „სამეურნეო“ თუ „კულტურულ ფრონტზე“ ბრძოლის გაჩაღება!.. ბევრი ასეთი ულმობელობა და გულქვაობა იქნება გამოწვეული ორივე მხრივ, ხოლო ასეთი ბრძოლა რაგინდ გამარჯვებით არ უნდა დასრულდეს ის, მეტად ძვირად დაუჯდება ჩვენს ჩამორჩენილს და დაბეჩავებულ ქვეყანას!.. „ბოლოს გვიანღა იქნება თითზე კბენანი“!.. ვინ არის ჩამგონებელი, შემგონებელი! ვინ დაგიგდებს ყურს?! ვინ მოგისმენს?! ან შეიძლება კი კრინტის დაძვრა?!.. საშინელებაა!.. რაღაც წარმოუდგენელ ვითარებაში შევდივართ!.. განა აგრე აშენდება რაიმე?!.. ვეჭვობ... და თუ რაიმე აშენდა, ეს მეტად დიდ მსხვერპლს შეიწირავს ორივ მხრივ და ამ მსხვერპლად ეღირება კი ის „აშენებული“, რომელიც მეორე ხანაში შესაძლებელია ისევ ჩაიფუშოს?!. ამასაც აწონ-დაწონვა სჭირდება!.. მაგრამ ეს ყველაფერი დღეს კონტრ-რევოლიუციონერობაში ჩამოგერთმევა ან „მარჯვნივ-განხრად“ და ვაი შენი ბრალი მაშინ! ცხენი მზად უნდა გყავდეს და გაჰქუსლო! მაგრამ საით?! სად წახვალ?! საით გაჰქუსლავ?! „საითაც გაიქცევი, იქვე წაიქცევი“! ალბად ესეც „დრო-ჟამის მოვლენაა“ – Знамение времени! ეგ ყოფილა სოციალისტური რევოლიუციის სახე და შინაარსი! ეგ არ უხილავს ჯერ კაცობრიობას!.. ამას ეხლა განვიცდით მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი! ჩვენ ვართ ამ რევოლიუციის სუბიექტებიცა და ობიექტებიც!.. თუ გვეყო ძალ-ღონე და ავიტანეთ ყოველივე ეს!.. ყოველ შემთხვევაში დიდი ისტორიული ეპოქის თანამედროვე-მომსწრენი ვართ! ესეც რაიმედ მაინც უნდა ღირდეს... მომდევნო თაობანი ასე თუ ისე მოგვიგონებენ!.. შეიძლება, შეგვიბრალონ კიდეც!.. მაგრამ ჩვენ რა?! ჩვენ ჩვენი გადაგვხდება!.. შებრალება გვიანღა იქნება!..

ისევ ჩემზე

დღეს, 16 ამა იანვარს დავხურეთ კოლექტივი „საქმიანი დახმარება“ – კანტორა №3, სადაც გ. წ. 18 დეკემბრიდან ვითვლებოდი „გამგეთ“. მიუხედავად ყოველ-

გვარი კანონიერი ზომების მიღებისა, სადგურის ქუჩაზე ასეთმა კანტორამ ვერ იმუშავა და დღეს ლიკვიდაცია უყავით მას. ვარ ისევ უმუშევარი-უადგილო! ვაჟი ისევ გამსახლში ზის ბათომში, ადგილზე ალბად აღარ მიუშვებენ – არც ძველზე და არც ახალზე!.. 7 იანვარს „ჟაკტმა“ (საბინაო კომიტეტმა) – ჩამომართვა ერთი ოთახი და ჩამისახლა შიგ თავისი კომენდანტი – მეგრელი თომა ხუნწარია. ბევრი დამცირება განვიცადე ამ თაობაზე იმ „ჟაკტში“ – №27... ვდგევარ ისევ ანჩისხატის ტაძრის ეზოში, იმ სახლებში, რომელშიდაც უკანასკნეკლი ექსარხოსი პლატონის დროს რევოლიუციონურად შეველ! ეგ სახლები ანჩისხატის ეზოში სინოდალურ კანტორას ეკუთვნოდა! ჯერ ოთხი ოთახი დავიუფლე 1916 წელში, ხოლო 1917 მთელი შენობა ჩამოვართვი სინოდ. კანტორას და ანჩის-ხატის ეკლესიისად გავხადე ის!.. დღეს კი ეს შენობაც და სხვებიც ამ ეზოში „ჟაკტის“ ხელშია და ქირას ვიხდით ყველანი... გვიმძიმს ცხოვრება!.. თანდათან მეჭირება გარშემო ცხოვრების სალტე, მწურავს და სულს მიხუთავს... ვერ ვხედავ გამოსასვლელს ვერსაით!.. „ყოფილი ადამიანის“ დაღი მაზის!.. წარუხოცელი!.. დევნილი ვიყავი და ასეთივე დავრჩი!... „აჰაა! ის თალაქვაძე, ავტოკეფალიის ბელადი რო იყოო“! – აგრე წამოიძახებენ, როდესაც ჩემზე სადმე ვინმე დაილაპარაკებს!.. სხვები აღარც კი ახსოვთ!.. ისეთები მსახურებენ კიდეც... მათ ხმასაც არავინ სცემს... ეხლახან დაუთხოვიათ სამსახურიდან – შეუმცირებიათ – ყოფილი არქიმანდრიტი ჯრუჭის მონასტრისა გაბრიელ აბაშიძე!.. მაგრამ... ალბად ისევ მალე ჩასდგება სადმე!... მე კი არა მეშველა რა... ბევრი „მოკეთეები“ მომტირიან უკან და მიცარავენ ხელს – სამსახური ვიშოვნო... ჩუმ-ჩუმად ისევ იკბინებიან... არ მივიწყებენ... მათზე არც ასეთი ისტორიული გაკვეთილები მოქმედებენ... განწირული ხალხი ვართ... ვნახოთ, სანამდე კიდევ მივაღწევ... სული მტკივა ქვეყნის ეგზომ მწუხარებით... ცრემლის ტბა და სისხლის ღვარი სდის დღეს ჩვენს ქვეყანას... და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, მთელ საბჭოთა კავშირს... მაგრამ სხვებს რა უშავთ... ბევრნი არიან... ჩვენ კი პატარა ერი ბევრნაირად ვნადგურდებით... ისევ ჩვენივე ხელით!.. ასე გამოდის... მაგრამ ზურგს უკან უხილავი ძალა გვიჯიკავებს და უფსკრულისაკენ გვერეკება... ჩვენც სხვა და სხვა „ლოზუნგებით“, „ენტუზიაზმით“, და „აღფრთოვანებით“, ჩვენივე ხელით ვფლეთთ ჩვენი ქვეყნის სხეულს და რაღაც გიჟური აღტაცებით მივექანებით, ჩვენც არ ვიცით, საით და რატომ!..

„ჰეი! ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს“!.. ყურში ჩამჩურჩულებს ვიღაც ამ სიტყვებს და თითქოს სურს გამამხნეოს!.. მაგრამ ვეღარ ვმხნეობ!.. გაოგნებული ვარ...

18 იანვარი – შაბათი

დღეს ძველებურად 5 იანვარია – წყალ-კურთხევის წინადღე! თვით წყალ-კურთხევაც, იოანნე ნათლისმცემლის მოსაგონებლად, დიდი მარხვით!.. მზადება – თვით „ნათლისღებისათვის“!.. სადღაა წინანდელი გაცხოველებული ვაჭრობა

ბაზარზე!.. სოფლელებს თავიანთი თავი გასჭირებიათ, ყველგან მიდის „მთლიანი კოლლექტივიზაცია“, „კულაკების“ – შეძლებული გლეხების – აყრა-აწიოკება!... ვიღას სცხელა ან წყალ-კურთხევისათვის, ან ნათლისღებისათვის, ან ბაზარზე სანოვაგის ჩამოსატანათ, თუ აქვთ კიდევ ვინმეს რაიმე სანოვაგე!.. დღევანდელი (18 იანვარის) გაზეთი „კომუნისტი“ სავსეა საქ-ს სხვა და სხვა კუთხიდან მოწერილი ამბებით „მთლიანი კოლექტივიზაციის“ შესახებ: ერთმანეთს დარევიან „კლასებად“ დაყოფილი გლეხობა და ანადგურებენ! განსაკუთრებით გამწვავებულია ურთიერთობა გორისა და ხაშურის რაიონებში: „სოფელ რუისში კულაკმა სანდრო ვაშაძემ 14 იანვარს ღამის 2 საათზე დატვირთა ურემი საოჯახო ნივთებით და მთელი ოჯახით დააპირა გაპარვა. ეს შეამჩნია ამავე სოფლის უღარიბესმა გლეხმა ზალიკაშვილმა და შეატყობინა სოფლის ხელის უფლებას. კულაკი ვაშაძე გზაში წამოეწია ზალიკაშვილს და ხანჯლით მძიმეთ დასჭრა იგი მუცელში. კულაკი მიიმალა. ამ ამბავმა მთელი სოფელი აღაშფოთა... სოფელ ბებნისში კულაკმა ხანჯლით დასჭრა საბჭოს წევრი, რომელმაც მოითხოვა მისი ინდივიდუალურად დაბეგვრა სასოფ-სამეურნეო გადასახადით. რუისის თემში კულაკებმა გაავრცელეს ხმა, თითქოს მთავრობა გლეხობას ართმევს ღორებს. ამის გამო ზოგიერთი გლეხები ღორებს მასიურად ხოცავენ.“ – ამ ამბებს ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება... ღარიბი და საშვალო გლეხობა „მთლიანი კოლექტივიზაციის“ ნიადაგზე დაერია შეძლებულ გლეხებს და ერეკებიან მათ სარჩო-საბადებელიდან!.. ყრუთ მოდის ხმები კახეთიდან 1200 „კულაკი“ აჰყარეს და აძევებენ თავიანთ საცხოვრებელიდან, ყველაფერზე ხელს აღებინებენ ისეო!.. ცეცხლის წაკიდება, სკოლების გადაბუგვა, ხოცვა-ჟლეტა, აი რა ამბები ხდება დღეს „მთლიანი კოლექტივიზაციის“ საბაბით! – „მოგვაშორეთ კულაკები, ხელს გვიშლიან მუშაობაშიო“, – თურმე „ერთხმად გაიძახიან გლეხები“! ამათ, ეტყობა, მადა გაჰღვიძებიათ სხვის მზა-მზარეულ სარჩო-საბადებელზე! თვითონ კი ჯერ-ჯერობით ხელთ არა უჭირავთ რა!... მანამ „კულაკების“ სარჩო-საბადებელით მოიცვლიან ხელს და შემდეგ რაც იქნება, იქნება!..

„გლეხები იმედიანად შეჰყურებენ მომავალს, – იწერება ხაშურიდან კორესპონდენტი ე. ხუციშვილი, – დარწმუნებულნი არიან, რომ კოლექტივიზაციის გზა გაიმარჯვებს. ქართლის სოფელს არ ახსოვს ისეთი ენტუზიაზმი, რომელიც დღეს იქ არის გამეფებული! – ეხლა კი არა, ადრევე უნდა დაგვეწყო ეს საქმე, – ამბობენ გლეხებიო“! ოღონდაც!.. სხვისა მზა-მზარეულზე უჭირავთ თვალი, თვითონ კი რას შექმნიან. ამაზე ვარაუდობს კორესპონდენტიც! – „იმედიანად შეჰყურებენ მომავალსო“!.. იმედი კარგი საქონელია! მაგრამ იმედმა ხშირად იცის ხოლმე გაცრუებაც!.. მაშინ რა გამოვა?! რაც შექმნილი იყო სარჩო-საბადებელი, ქონება-მეურნეობა, ამას ეგ ბრბო გაანადგურებს და დაჯდება ხახა მშრალი!.. აი, რა არის მოსალოდნელი „ასი პროცენტით თუ არა“ (ეხლა სულ 100% უყვართ ყველაფრის ვარაუდი!) 95%-ით მაინც!.. – კოლექტივიზაცია, მეურნეობის შეერთებით მისი გაძლიერება-განაყოფიერება, ეს უსათუოდ საქმეა, მაგრამ ამ საქმეს უნდა რაციონალურად წარმოება, ფრთხილად, დინჯად და არა ასე „ნაურად“! ასეთი „ენტუზიაზმებით“! ასეთ საქმიანობაში ნაკლები „ენტუ-

ზიაზმია“ საჭირო და მეტი სიფხიზლე, მეტი რეალური ნაბიჯების გადადგმა და ზომების მიღება!... ამიტომ ვშიშობ – ამ „მთლიანმა კოლექტივიზაციამ“ შიმშილობა, „მთლიანი“ შიმშილობისა და მოუსავლობის წინაშე არ დაგვაყენოს!.. ოი! ოი! ოი!.. რა საშიში ექსპერიმენტები ხდება?!.. არ ვიცით, რა ხდება სომხეთში ან ადერბეიჯანში ამ ნიადაგზე! აღარც რუსეთიდან არის ამბები!.. ჩვენში „გატაცებაა“... ყველაფერში და ამაშიაც!.. ხელისუფლება თვით უძღვის ამ საქმეს და ის არის 100% პასუხისმგებელიც!..

ქალაქში ვერ ვგრძნობთ სოფლად ასეთ ორომტრიალის წარმოებას!.. აქ, თითქოს ბუზიც არავის აჰფრენოდეს არსად, ჩვეულებრივად მიმდინარეობს ცხოვრება. მაღაზიებში გაცხოველებული ვაჭრობაა თევზეულობისა ნათლიღებისათვის! განსაკუთრებით ემზადებიან სომხობა. ამ რვეულის 14 იანვრის თარიღის ქვეშ ვსწერდი – „დამარცხდა სომხების შობა-ნათლისღება 5-6 იანვარს! ესენი ახალ სტილზე არიან თქო! – ამ თაობაზე აქ შემაქვს შესწორება, სომხებიც ძველ სტილზე დაბრუნებულან! ამათი წყალ-კურთხევა და შობა ამაღამ და ხვალ არის! და აი, ვაჭრობენ თევზეულობას, ემზადებიან! ამაღამ გაიხსნილებენ და ხვალ იორდანეს გამართავენ შიგ ვანქში! გარეთ არ გამოუშვებენ!.. ტერ-ტერები ივლიან თუ არა სახლების გასანათლად ან ჩვენები, ამას ხვალ და ზეგ დავინახავთ!.. ისე კი ამ საღამოთი ვანქის სამრეკლოდან ზარის ხმა არ შემომესმა! ამბობენ, ვანქის ზარები ჩამოხსნესო!.. ქამოევის სახელობის ეკლესიის დარღვევას კი – სასახლის ქუჩაზე – უკვე მიჰყვეს ხელი! ანგრევენ ჯერ შიგნიდან!..

სიონის ზარები დაირეკა! დიდხანსაც ირეკებოდა – „დიდი ზარი“... ანჩისხატის ზარები რაღაც მოკლეთ და უგულოთ, არეულ-დარეულად ჩამორეკეს!.. ვერ გავიგონე დარიის მონასტრის ზარის ხმაც! ეხლა იქ სამრევლოა – თვით ეპისკოპოსი მელქისედეგი ღვდლობს ეხლა იქ!.. შეუყრია „კლიკუშკა“ – რუსი დედა-კაცები!..

საერთოდ ტფილისის სამღვდელოებაზეა ეხლა „ჯოხი მიყუდებული“! სოფლად „მთლიანი კოლექტივიზაციის“ ფარგლებში მოყოლილი ეკლესიები და სამღვდელოება სულ ერთიანად გაილეწა-განადგურდა!.. ეხლა ქალაქებზე და დაბებზეა მიმდგარი ჯერი!

„შიში და ძრწოლა მომიხდა მე“! – შეუძლია სთქვას თავის თავზე ქართველმა სამღვდელოებამ, განსაკუთრებით – ტფილისის „უმაღლესმა სამღვდელოებამ“ – ცინცაძე-თოთიბაძე-ლაზრიშვილი-მაჭარაშვილი-მირიანაშვილი-ტყემალაძეებმა და მათმა ავან-ჩავანებმა! და მეთაურმა კათალიკოსმა ქრისტეფორემ, თავისი სინოდით! ამათი თავხედობა, ინტრიგანობა, შფოთი, შური და ათას გვარი გახრწნილება-ბოროტება გარდაემატა ყოველივე ზომა-წონას! ტყვია-შხამი-სიკვდილი-მკვლელობა-ცილის-წამება ეკლესიის სფეროში – ყოველივე ეს ჭეშმარიტად განგების გამარისხებელი მოვლენაა და ყოველივე ამას, ამათთან ერთად, აი, ამ სახით, ეღება ბოლო!.. მართლდება ჩემ მიერ არა ერთხელ მოყვანილი თქმულება: „ეშმაკის მუშა, ღმერთმა დაფუშაო“!.. მაგონდება, ეს თქმულება საჯაროდ, აშკარად, მივახალე პირში აწ განსვენებულ კათალიკოზ ამბროსის, როდესაც ვამხილე მას და მის „ადიუტანტებს“ დეკკ. კ. ცინცაძესა და თოთიბაძეს – სჯულის შეგინება

და ღალატი – 1 აგვისტოს, ბოტანიკურ ბაღში „სურამის ციხის“ კინო-ფილმისათვის, მთელი ტფილისის სამღვდელოების ლიტანიით წყლის კურთხევაზე გაყვანა და ამისათვის სასყიდლის აღება!.. ამ თაობაზე მქონდა წინა-რვეულებში დაწვრილებით! თუ არ ვსცდები, ეს იყო 1922 წელში... კინო-ფილმაში გადაიღეს მთელი სამღვდელოების სურათი და აჩვენებდენ ხალხს ტფილისში, თუ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გასამასხარებლად... „სურამის ციხის“ საილიუსტრაციოდ!.. ეგ ყველაფერი მოხდა ამბროსი კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით და ეგ ვამხილე მას და მისთანათა საჯარო კრებაზე, მისსავე სასახლეში!.. ჭეშმარიტად, „ეშმაკის მუშები ღმერთმა დაფუშა“!.. ასეთი სამღვდელოება, ასეთი „ეკლესია“ „არ სთნდა უფალს“!.. ესენი ხალხისათვის მეტი ბარგი იყვნენ და ისპობიან კიდეც! ბოლშევიკებს ჰგონიათ, ჩვენ ვსპობთ სამღვდელოებასა და მათ ეკლესიასო! არა! სცდებიან ისინი! ასეთმა სამღვდელოებამ და ეკლესიამ თვით მოუღეს ბოლო თავის-თავს!.. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“! – ბოლშევიკები, ამ შემთხვევაში, დაკვირვებულ ადამიანებს ასეთ ღვთისრისხვის იარაღად მიაჩნიათ! ამათი მოსპობით ხალხი არაფერს არ ჰკარგავს, ვინაიდან მათ შორის დიდი ხანია გაწყვეტილი იყო ყოველგვარი ზნეობრივი კავშირი, გარდა უსულგულო რელიგიურ ზოგიერთ „წესების“ შესრულებისა და აქედან ფულების აღება-მიცემობისა!.. ამასაც ეღება ბოლო!.. მოეღო კიდეც ბოლო! ამას არ ვამბობ რაიმე ვინმეზე გაბოროტებით ან შურისძიებით! ვამბობ ობიექტიურად... გულწრფელად!.. მე კიდევ ამათზე ადრე დავისაჯე!.. ალბად მეც ჩემი ბრალი გადამხდა... დღესაც ვიხდი ამ ბრალსა და ვალს... „შიში და ძრწოლა მომიხდა მეც“!.. არის განსჯა–განკითხვა!.. აქვე, ამ ქვეყნადვე, იწყება ის ზოგჯერ... Sat!..

19 იანვარი – კვირა

თოვლ-ჭყაპიანი დღე გათენდა. დილა ადრიან შეუდგა ვანქის ტაძარი განუყვეტელ რეკას! – ტყუილი გამოდგა, ზარები ჯერ არ ჩამოუხსნიათ ვანქის სამრეკლოდან. რეკდენ თავ-გამოდებით, ჯიბრით რეკენ აგრე უსაშველოთო!.. დაირეკა სიონშიდაც, ანჩისხატშიდაც, მის გვერდით „პატარა წმინდა გიორგშიდაც“ („კარისად-ყოფილი“, აქ უდიაკვნოთ ღანღალებს ვიღაც, რაჭიდან გადმოხვეწილი ღვდელი... სხირტლაძე), დარიაშიდაც... სომხებს მოუთხოვიათ „იორდანეზე“ გაშვება – მტკვარზე! უარი მიიღეს... მაშინ ითხოვეს ეზოში წყლის კურთხევის ნებართვა... ეგ ნება-რთვა მიიღეს... აკურთხეს წყალი დიდძალი ხალხის თანადასწრებით. ასეთივე ამბით აკურთხეს წყალი სიონის ეზოშიდაც... ტერ-ტერები მაინც დაძრწოდენ ქუჩა-ქუჩა და შედიოდენ მრევლთა სახლებში! ბევრს წინდაწინვე მისვლია გაფრთხილება – „ნუ მობრძანდებით, მამაო, სახლის გასანათლადო“! – ესენი მაინც მიდიოდენ... უმეტეს წილად უკან აბრუნებდენ... არ უშვებდენ სახლებში... მგონი, ქართველ ღვდლებს გადაუწყვეტიათ – არ იარონ ამ დღეს სახლებში!.. არც სჩანდენ ისინი ქუჩებში...

„მგონი ეგ „უკანასკნელი“ წყალ-კურთხევა იყოო“! – ეუბნებოდენ ერთი-მე-

ორეს სიონიდან თუ ვანქიდან დაბრუნებულები... ვინ იცის!... შეიძლება აგრეც იყოს... ეგ დამოკიდებულია – თუ როგორი „ტემპით“ ჩატარდება მოქალაქობის კოლექტივიზაცია ქალაქად!... ჯერ ალბად სოფლად მორჩებიან ყველაფერს, შემდეგ ქალაქებშიაც უფრო იოლად ჩაატარებენ ყველაფერს...

სინოდში

საქართველოს ეკლესიის ამ „უზენაეს დაწესებულებიდან“ თანდათან გაკრეფილან „ერისაგანნი“... ჯერ გაიპარა ია-ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) – ნაციონალ-დემოკრატი – „ქართველი მწერალი“... მას მიჰყვა უკან იაგორაშვილი (იურისტი-ადვოკატი)... ბოლოს გაპარულა თვით პართენ გოთუაც!.. ეს, მგონი, ერთგვარი „პოლიტიკით“ იყო შეშვებული სინოდში... გარედან... ამ სულთა-ბრძოლის შესამსუბუქებლად... ეხლა მიუშვეს „მომაკვდავი“ – დალიოს სული!.. თვით ფეხ-აკრეფით გაიპარნენ, რათა მომაკვდავს მყუდროება არ დაურღვიონ!... სულს ღაფავს უძველესი ინსტიტუტი საქართველოში – ეკლესია! კვდება ის უჭირისუფალოდ... ვინმესგნით დაუტირებლად... მანდილ ახდილი... თავისიანებიდანვე გაწბილებული!.. გარეშე ზე-გავლენა აქ იმდენად არაფერ-შუაშია!.. ამან დააჩქარა მხოლოდ პროცესი...

ვინღა დარჩა სინოდში? – 1) თავმჯდომარე – კათალიკოსი ქრისტეფორე, 2) მანგლელი – ქვაშვეთელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ყოფილი დეკანოზი, შემდეგ ამბროსის „მოსაყდრე“...), 3) ეპ. ეროთე აივაზოვი (ქორ-ეპისკოპოსი – „ნინოწმინდელი“ – ეხლა „ბოდბელიცაა“ და მგონი, „ალავერდელიც“, სამების ეკლესიის მღვდელიც, ნომინალურად მაინც), 4) დეკ. დიმ. ხახუტაშვილი, დეკ. გ. გამრეკელი, დეკ. ბენ. კანდელაკი; სინოდის კანცელიარიის დირექტორი, დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი, ამისი მდივანი დეკ. ი. ლუკაშვილი[1], გადამწერალი ღვდელი სიკო მონასელიძე; სინოდის სამეურნეო ნაწილის გამგე – „დირექტორი“ ქვაშვეთის დეკანოზი დიმ. ლაზრიშვილი; „სანთლის სახელოსნოში“ (ეს ყოფილი სანთლის ქარხნის ნაშთია, სიონის ეზოში შარშან თუ შარშან წინ ვარდისუბნის ქუჩიდან გადმოტანილი; აქაური ქარხანა-შენობები დიდი ხანია ჩამოერთვა სამღვდელოებას...) სანთლის გამკეთებელ ოსტატებად სხედან დეკანოზები: გერასიმე ჯაველიძე (ეს ფოთიდანაა აქ გადმოხვეწილი, გურულია) და ლევან ვარდიაშვილი (ეს თელავიდანაა აქ გადმოხვეწილი; წინეთ სანთლის ქარხანაში მსახურებდა). სანამ ეგ „სანთლის სახელოსნო“ იარსებებს, იარსებებენ ასე თუ ისე კათალიკოსიც და სინოდიც... მაგრამ, როგორც ზემოდაც მქონდა აღნიშნული, ამ სახელოსნოს დაადვეს გადასახადი 1927 წლისა – ეხლა ხან – 3.000

1. ეგ ლუკაშვილი ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარიცაა... ამ „კამპანიაში“, შედარებით სხვებთან, რიგიანებია ეგა და დეკ. დიმ. ხახუტაშვილი!.. სხვებზე ბევრი მქონდა წინეთ აღნიშნული!.. ეხლა აღარასა ვამბობ: „მკვდარზე ან კარგი უნდა სთქვა, ან არაფერიო“! მეც აღარაფერს ვამბობ ამათზე!.. დეე, ისტორიამ განსაჯოს ყოველივე...

მანეთი! და, თუ როგორმე თავი ვერ დაახწიეს ამ „ნალოგს“, ეგ სახელოსნოც მიიხურება... ამით დაშრეტილი იქნება უკანასკნელი საარსებო წყარო კათალიკოსისა და მისი სინოდისა არსებობისათვის...

სინოდის კანცელიარიაში გადაბარგებულა საცხოვრებლად მისი დირექტორი, დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი. ამას შვილი კომუნისტი ჰყავს... მასთან აღარ ედგომებოდა ბინად და განშორდა... გამოუგდიათ სიონის სახლებიდან (ერეკლეს ქუჩაზეა – ახალ აგებული ორ სართულიანი სახლები) კათედრის დეკ. მარკოზ ტყემალაძეც! ეს სადღაც დღემდე ერთ კუნჭულში მიყუჟულიყო, სადღაც შკაფების უკან!.. დღეს აქედანაც დასძრეს ის... სადღაც შვილთან... ერთ ოთახში (საერთო) შეუფარებია თავი, მოხუცი ცოლით!..

მეორე დეკანოზი – ღრმად მოხუცი გიორგი ასათიანიც შვილთან არის გადახიზნული... სიკო მონასელიძე – ღვდელი – რომელიც „პროტოდიაკვნობს“ კიდეც, ქურდულად ცხოვრობს ცოლ-შვილში, სიონის ეზოში; ისე კი „გაყრილია“ ცოლთან „ზაქსის“ წესით!.. აუტანელ მდგომარეობაშია... უკიდურეს სიღარიბეში!.. კათალიკოსი კი, მის გვერდით, ოცთუმნამდე იღებს თვეში!.. ეგ ღვდელი კი შიმშილით უკვდება – ცოლ-შვილით!.. აი, სად მარხია ტრაღედიის კუდი!

რა ხდება გორში, ქუთაისში, ფოთ-ბათომში, არა ვიცი რა!.. ახალ-ციხე-ახალ-ქალაქი ხო დიდი ხანია გავერანდა ეკლესიურად... ამას წინეთ ტფილისში დაუპატიმრებიათ „ჭყონდიდელ-ბათომ-შემოქმედელი“ ეპი-სი ალექსი გერსამია. ამას სპარსეთიდან მდიდარ აკაკი ხოშტარიადან შვიდასი მანათი მიუღია შემწეობა. კრებულს (ფოთში) უჩივლია – მთავრობის წინაშე, „ჩვენ არ გაგვიყოო“!.. დაუპატიმრებიათ და მგონი ფოთშივე წაუყვანიათ. იქ სხვა საქმეც სწარმოებს მასზე და მის ორ დეკანოზებზე – ჭანტურია-ბობოხიძეზე, ტაძრის განძეულობის გაქურდვაზე... საშინელებაა... სამარცხვინოც რო არ იყოს ყოველივე ესე... კმარა ამ ჟამად...

ისევ მეგრულ ლიტერატურაზე

საკვირველი ხალხია ეგ ბოლშევიკები! პირდაცული... კონსპირაციის ხალხი! როდი არიან ესენი ისეთი დოღრიალები, როგორებიც იყვნენ მენშევიკები!... ესენი „სცრიდენ თავიანთ მოქმედებებს საცერში“! სანამ რაიმეს გააკეთებდენ, მათი განზრახვა ყველამ იცოდა! მოდებული იყო „ამბებით“ ყველგან სიტყვიერად, თუ გაზეთებში!.. ბოლშევიკები კი მოქმედებენ ფარულად, ოთხ-კედელშუა! მათი ამბები გარეთ როდი გამოდის!.. არც გაზეთებს ანდობენ ახირებულად რაიმეს. გადასწყვეტენ, ცხოვრებაში გაატარებენ და ამ სახით „ფაქტის წინაშე“ დააყენებენ „საზოგადოებას“ (თუ მის არსებობაზე შეიძლება დღეს ლაპარაკი...). აგრე მოიქცენ ისინი, სხვათა შორის „მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის შესახებაც“! უკვე გადასწყვიტეს საკითხი ცაკში, დეკრეტი გამოუშვეს და შემდეგ – ეხლა ხან „საქ. კომპარტიის პლენუმზე“, ამისმა პასუხის მგებელ მდივანმა მიხა კახიანმა, სხვათა შორის, გვამცნო ამ თაობაზედაც. კახიანის მოხსენება მოყვანი-

ლია გაზეთ „კომუნისტის“ 19 იანვარის № 16-ში. ეს მოხსენება დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია საერთოდ, ხოლო კერძოდ – მისი – „იდეოლოგიური ბრძოლის საკითხების“ – ადგილი; ხოლო ამ ადგილში – ბოლო ნაწილი ამ სათაურით: „ბოლშევიკური ცოცხით“. ამის უფრო ზემოდ მოთავსებულია მოხსენების მეტად საინტერესო ადგილი – „ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა“. აქ ამხ. კახიანი ამცნობს ქვეყანას: ...„საქართველოში პირველად გამოვეცით გაზეთი აისორულ (ეს გასაგებია) და ლაზურ ენებზე. ლაზურ ენაზე გაზეთი გამოდის აფხაზეთში და ეს მიღწევად უნდა ჩაითვალოსო“!..

გაუგებარია, ვისთვის გამოსცეს აფხაზეთში გაზეთი „ლაზურ ენაზე“?! აფხაზეთში ბინადრობენ 80% მეგრელ-ქართველობა, დანარჩენ 20% შეადგენენ თვით აფხაზები, შავრაზმელ რუსთა ნაშთები, ბერძნები, თურქები და სხვანი! – ლაზები ბინადრობენ ზღვის პირად რიზე-ტრაპიზონისაკენ... აფხაზეთში ლაზებს რა უნდათ?!.. ის კი მართალია, რომ ლაზები და მეგრელების ლაპარაკი ერთმანეთისათვის გასაგებია, ეგ ქართული კილოკავი – ლაზურ-მეგრული მეტად დაახლოებულია ერთმანეთთან, მაგრამ აფხაზეთის მეგრული მოსახლეობის ლაზურად გამოცხადება მეტად სიმპტომატიურია... მეტად სეპარატისტული, გამთიშველია ჩვენი ეროვნული ორგანიზმიდან...

ქვემოდ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ც.-კ-ის პრეზიდიუმში დაისვა საკითხი გლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ მეგრულ ენაზე. ჩვენ დავადგინეთ – დავრთოთ გაზეთის გამოცემის ნება. ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა. ამ საკითხს მე შევეხე იმიტომ, რომ ზოგიერთი ამხანაგი ამის შესახებ ირონიით ლაპარაკობს და ფიქრობს, რომ ეს არის არა პროგრესიული არამედ, თუ გნებავთ, რეგრესიული მოვლენა. ზოგიერთები იქამდისაც მიდიან, რომ ამას თითქმის რეაქციად სთვლიან. მე გადაჭრით უნდა უარვყო ასეთი თვალ-საზრისი. თუ რომელიმე საბჭოთა ქვეყანაში არის მოსახლეობის ჯგუფი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, ქართული ენა, საჭიროა მიეცეს მას სრული შესაძლებლობა მშობლიურ, მისთვის გასაგებ ენაზე, ეზიაროს ჩვენს კოლმეურნეობრივ მოძრაობას, ჩვენი მრეწველობის განვითარებას და მთელ ჩვენს აღმშენებლობას – ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ყოველი ბოლშევიკისათვის, ყოველი ლენინელისათვის. ვფიქრობ, რომ ეს სრულიად უდაოა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აი, რატომ დართო ც.კ-მა ნება გაზეთის გამოცემისა მეგრულ ენაზე.

ამასწინად საუბარი მქონდა აკადემიკოსს ამხ. მართან და უნდა ვსთქვა, რომ მისი თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ჩვენსას (მისი აზრით, ერი ჩვენს დროში მთლიანად იცვლის თავისს შინაარსს, თავის სახეს). მარი ამბობს, რომ თუ ასეთ ერს საშუალებას მივსცეთ თავის მშობლიურ კილოკავზე, ამით უფრო მეტად გავავრცელებთ ჩვენს სოციალისტურ კულტურას მათ შორის. ამ შემთხვევაში ჩვენი ამხანაგების მოთხოვნა (ალბად „ზუგდიდელების“ დაჟინება... აშორდია-მაფალუისტებისა...) დავაკმაყოფილეთ იმისთვის, რომ მეგრელთა მასებს მშობლიურ და მათთვის გასაგებ ენაზე გავაცნობთ მთელი ჩვენი საბჭოთა საქართველოს მშენებლობის საქმეს. ვფიქრობ, რაც უფრო ჩქარა

განხორციელდება ეს, მით უკეთესი იქნება. ბოლო უნდა მოუღოთ ისეთ განწყობილებას, რომელიც ამის წინააღმდეგია და სასაცილოდ იგდებს ან-ბანის, სახელმძღვანელოების, ცირკულიარების და სხვა დადგენილებების გამოცემას მეგრულ ენაზე. განა ცუდია ის, რომ ზუგდიდის მაზრაში ამხანაგებმა შესძლეს გლეხურ მეურნეობათა 22 პროცენტის კოლექტივიზაცია?! განა მეგრული ენის გავრცელებამ ხელი შეუშალა ამას"?! – გაკვირვებით და შეკითხვით ასრულებს ამხ. კახიანი. მაგრამ ის ამ შეკითხვას ვერ სვამს ლოღიკურად: მას უნდა დაემტკიცებია „ზუგდიდელ ამხანაგებს" მეგრული ენის გავრცელებამ რამდენად შეუწყო ხელი მათ ნაყოფიერ მოქმედებას კოლექტივიზაციის საქმეში!.. აქ „ხელის შეშლა" რა მოსაყვანია!! „ზუგდიდელ ამხანაგებს" არავინ არ უკრძალავდა და თავისუფლად ელაპარაკებოდენ მეგრულ მასას მეგრულ კილოკავზე, თუ რაიმეს ესენი ვერ გაიგებდენ ქართულად, ამას ისინი განუმარტავდენ მეგრულად! ვინ იყო და ან ვინ შეიძლება იყოს წინააღმდეგი იმისა, რომ მეგრელებმა ილაპარაკონ ამ ძველის-ძველ ქართულ კილოკავზე! მაგრამ „ან-ბანის და სახელმძღვანელოების" მეგრელთათვის ამ კილოკავზე გამოცემა არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს დღეს, როდესაც პოლიტიკური, კულტურული, გეოგრაფიული თუ ყოველგვარი დაბრკოლებები გადალახულია მეგრელ-ქართველთა ურთიერთ შორის დაახლოებისათვის! როდესაც სკოლამ და „დედა-ენამ" – ქართულმა უკვე ძირი გაიდგა მეგრელ მოსახლეობაშიდაც! ეხლა „ჭყურტი" მეგრელი – ქართულის უცოდინარი – აღარ მოიპოება სოფელ „ჯვარშიდაც" კი! ამ მივარდნილ კუთხეში!.. მაგრამ აქ ამაზე კამათი მეტია!... ეტყობა, მეგრელთათვის ალბად აშორდიას ლათინურ „ან-ბანსაც" ამზადებენ და სკოლებისათვის „სახელმძღვანელოებს"!.. ეს კი ვოსტორგოვისებურია, იმ განსხვავებით, რომ ქართულის ნაცვლად ის სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებში რუსული ენის მონოპოლიურად გაბატონებას მოითხოვდა, ქართულის სავსებით განდევნით!.. ეს შედეგი მოჰყვება, უნდა ვიფიქროთ, ეხლანდელ ღონისძიებებსაც – ქართულს, როგორც არა მშობლიურს, გამოდევნიან კახიანის მომდევნო ამხანაგები და გააბატონებენ იქ „დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ენას" – ესე იგი – ისევ „ველიკოროსიულ ენას"!.. აი, სად მივყევართ „ზუგდიდელ ამხანაგებს"!.. ეხლა თუ ჩვენი „ცაკის" დადგენილება დაამტკიცა „ა/კავკასიის საოლქო კომიტეტმა". 1903-1904 წლებში ვოსტორგოვის „Окружной Совет"-ის პროგრამა – სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნის შესახებ, ფოთის ანუ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ უარჰყო, იცნა რა სამეგრელოს სამრევლო სკოლები იმ სამრევლო სკოლების „პირველ ტიპად", რომელთათვის ქართული ენა არის მშობლიური ენა"!.. ეს მოხდა ჩემი თავმჯდომარეობით. ქ. ფოთში... ეს დადგენილება დაამტკიცა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე), ხოლო ეს დადგენილება „ოტნოშენიით" მოვახსენე დეკ. ვოსტორგოვს, გადაუგზავნე ის ფოთიდან ტფილისში!.. ამან გამოიწვია მხცოვანი ეპ. ალექსანდრეს სამსახურიდან გადაყენება, ხოლო ჩემი კათედრის სობოროდან უბრალო ღვდლად გადმომწესება გახულიგნებულ დიდუბის სამრევლოში და მთელი მას შემდეგი ჩემი დევნა-წამება ვიდრე აქამომდე...

ჩაშლით კი ჩაიშალა მაშინ ეგ „მეგრული მახინაციები“!.. ალბად არც ეხლა იბოგინებს ეს გეგმები!.. რაც უნიადაგოა, ის თესლი ვერ იხეირებს... ეგ „თესლი“ თავის საშოშივე შეიცავს თავის უნაყოფობას...

რაც შეეხება აკადემიკოს მარის აზრებს და შეხედულობას, ეგ პირდაპირ სასაცილოა, სამწუხარო და სავალალოც რო არ იყოს იმავე დროს! მარის აზრით გამოდის, რომ ჩვენი ერი იცვლის „შინაარსსაც“ და თავის „სახესაც“!.. ესე იგი სრულ გადაგვარების გზაზე მივდივართ, უნდა გადავშენდეთ!.. მე მესმის, რომ ამ უდიდეს რევოლიუციის დროს ჩვენი ერის შინაარსი გამდიდრდეს, გაიზარდოს, მისი „სახე“ გაბრწყინდეს, გასხივოსნდეს! ეს ერი გაიზარდოს, მისი ორგანიზმი განმტკიცდეს, მისი სხვა და სხვა ნაწილები შედუღდეს და არა უფრო დაიქსაქ-სოს, დაქუცმაცდეს და ჩაიხშოს!.. გამოდის ამ „თეორიით“, რომ „სვანურსაც“, თუშ-ფშავ-ხევსურ-გურულ კილოკავებსაც – მორდვა-ჩერემის-ჩუვაშ-ვატი-აკ-ვოგულებსაც“ შეუქმნიან ჩვენში და რუსეთშიაც ახალ „ლიტერატურას“, და „ხალხურ გაზეთებს“ გამოუცემენ მათ და ეს გაზეთები იბოგინებენ!... მეტი არაა ჩემი მტერი!..

აკადემიკოსი მარი, მახსოვს, სასტიკად ეკამათებოდა ვოსტორგოვს და საერთოდ გადაგვარების პოლიტიკას ჩვენში წინეთ!.. ეხლა სულ სხვა „ენაზე“ დაუწყია მას ლაპარაკი!.. საერთოდ შემჩნეულია, რომ ეს „აკადემიკოსი“ ხელ-თათმანივით და სეზონობით იცვლის თავის აზრს! მაგისი მტკიცე, დამყარე-ბული რაიმე „დებულება“ ჯერ არ არის არსად და არავისაგან ცნობილი!.. მარს ამ ერთი კვირის წინეთ ტფ. სახ. უნივერსიტეტში წაუკითხნია თავისი „ახალი თეორიით“ ლექცია, რომელსაც დამსწრე სტუდენტობის უმეტესი ნაწილი სტვენით შეჰგებებია!.. პროფესურაც მეტად უარყოფით შეხვედრია მარს ტფილისში!.. მისი ავტორიტეტი მეტად შეირყა, მისი ასეთი არა „მეცნიერული მერყეობით“!.. ეგ სამწუხაროა!.. მარიც რო არ მიმხრობოდა, „ზუგდიდელი ამ-ხანაგები“ მაინც გაიტანდენ „ლელოს“! ამხ. კახიანი და ა/კ. საოლქო კომიტეტი შეუსრულებდენ მათ სურვილს!.. მაგრამ კოლმეურნეობის განსამტკიცებლად ასეთი „ზომები“ პირდაპირ გაუგებარია... კოლმეურნეობა, თუ ის რაციონალუ-რად იქნება ჩატარებული, უმეგრულ ენოდაც გაიმარჯვებს სამეგრელოშიაც და სხვაგანაც... შემდეგ ამხ. კახიანი გადადის ქართული თანამედროვე „ლიტე-რატურის ფრონტზე“. აქ ის ეხება და მიწასთან ასწორებს მწერალთა „მემარ-ჯვენე ჯგუფის“ „გამომხატველს“, „რეაქციონერ მწერალს“, რომელიც მუდამ ჩვენს კარებს აკაკუნებს და გვარწმუნებს, რომ იგი ასპროცენტიანი საბჭოთა კაცია, ეს გახლავთ კოწია გამსახურდია! მასზე არც კი ღირს ლაპარაკი, მაგ-რამ იგი ბევრი „ყოფილი“ ადამიანის აზრის გამომხატველია... ბრალსა სდებს მას კახიანი, თითქოს გამსახურდია თავის სიტყვაში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაზე – იცავდა თავად-აზნაურობას... უარს ჰყოფს ის ჩვენში ბურჟუ-აზიის არსებობას და მოითხოვს ლმობიერად მოპყრობას მათდამი...

...„სად გვყავს ჩვენ ბურჟუაზია? თუ გვყავდა ერთ-ნახევარი სპეკულიან-ტი, თქვენ მათ ჩამოართვით ქონება და მათი სახლები მუშათა სასახლეებად და ხელოვნების სასახლეებად აქციეთო“, – უთქვამს კ. გამსახურდიას თავის

სიტყვაში და ეს ასედაც არის!.. დღეს ჩვენი „ბურჟუაზია“ სრული არარაობაა, ესენი არავითარ საშიშ ელემენტს არ წარმოადგენენ, ისინი განადგურებულია, როგორც თავად-აზნაურობა და სხვანი... როგორც „კლასი“, ესენი აღარ არსებობენ საქართველოში...

„გადავალ ინტელიგენციაზე, – განაგრძობს ამხ. კახიანი, – შევეხები ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობას... დღემდე ამ ციხე-სიმაგრეს ვერ დავეპატრონეთ.

საილიუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგ ფაქტებს. დღემდე იქ მემარჯვენე პროფესურას, ყოფილი რექტორის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ერთგვარი გავლენა აქვს. პროფესურის ეს ნაწილი იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ, მისი ავტონომიისათვის, მისი აკადემიზმისათვის და მეტად მტრულად უცქერის „აკადემიური ტრადიციების“ დარღვევას. პროფესურის ეგ ნაწილი იქამდე მიდის, რომ ბოიკოტსაც კი უცხადებს იმ პროფესორებს, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებიან და რომელთაც სურთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა. ასე ერთი პროფესორი ამბობს: „საერთოდ არც განათლების სახალხო კომისარიატს, არც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას არ ესმით, როგორ უნდა სწარმოებდეს უნივერსიტეტის მშენებლობა. ჩვენ, შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტი, როგორც უნივერსიტეტი, არა გვაქვს და იგი თითქმის ხელ-ახლა უნდა შეიქმნას“.

ბოლო დროს მოწმენი ვიყავით ჩვენი მემარჯვენე პროფესურის მხრით დევნის ასეთი ფაქტების და ამას ისინი „მეცნიერულადაც“ კი ასაბუთებდენ. ასე, მაგალითად, სახ. უნივერსიტეტის ერთი ასისტენტი აცხადებს: „კომუნისტი თავისი ბუნებით არ შეიძლება იყოს სამეცნიერო მუშაკი, კომუნისტობა ნიშნავს გონების სიჩლუნგეს“. „მართლაც, პირველ ხარისხოვანი გონება-ჩლუნგი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი რამ წარმოსთქვას ახლა კომუნისტებზეო“, – შენიშნავს სამართლიანად ამხ. კახიანი!

აი, რას ამბობს მეორე ასისტენტი სტუდენტებთან საუბარში: „რა საჭიროა ტვინის შესწავლა და ამ საგნის ჩაბარება, როდესაც სახელმწიფოს მართავენ ადამიანები, რომელთაც ტვინი სრულებით არ გააჩნიათ“... ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი მოჰყავს ამხ. კახიანს სხვა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესურის შესახებაც... ეხება იურისტებს – ადვოკატებს, რომელთა „წმენდა“ ეხლა ტარდებაო. „აქ საჭიროა ბოლშევიკური ცოცხით ჩავლა და გადამწყვეტი შეტევა. ამ ფრონტზე არავითარ შემარიგებლობას ადგილი არ უნდა ჰქონდესო“...

ეტყობა, კახიანი ჭკუა-მახვილი ორატორია, ბევრს სამართლიანად და სისწორით შენიშნავს თავის მოხსენებაში, მაგრამ მეტის-მეტი „ინტერ-ნაციონალობით“ ლამის არის საქართველო ხელში ჩაელიოს!.. ამას ის თავისი გატაცებული პარტიული ჟინიანობით ვერ ამჩნევს, ან არ უნდა შეიმჩნიოს... ყველანი, ვინც სხვანაირად ჰფიქრობს ან ბჭობს ჩვენი ქვეყნის შესახებ, ესენი, ამათი აზრით, გამოდიან შოვინისტები, ბურჟუები, ფეოდალები, ჩამორჩენილები და ვინ იცის, კიდევ რეები!... მეორე მხარეს არ მოუსმენენ ეს კაი კაცები! თვითონ სჭრიან და თვითონვე ჰკერავენ!.. აზრთა გაცვლა-გამოცვლას ვერ ითმენენ...

კარნახობენ თავიანთ „ნების-ყოფას“ და ბატონობენ პროლეტარული დიქტატურის მასშტაბით! აი, სწორეთ ამაზეა ზედ გამოჭრილი: „მდგომარეობა შეიქმს შეგნებასო“! – დიქტატურამ შექმნა ასეთი ცალმხრივი შეგნება... ეს, არ ვიცი, რამდენად ხელსაყრელი იქნება წინმსვლელობისათვის!...

21 იანვარი – სამშაბათი
ლ. ღოღობერიძის მოხსენება – კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შედეგებზე... (გაზეთი „კომუნისტი“, №17)

ამხ. კახიანის შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. კომპ. პლენუმზე – მისი მოადგილე ლევან ღოღობერიძე. დიდი მასალა აქვს მას დამუშავებული თავის მოხსენებაში საქ-ში მთლიანი კოლექტივიზაციის ჩატარების შესახებ. ამ თაობაზე მოხსენებაში სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს: „საჭიროა მუშაობის მთელი სისტემა ავაწყოთ ისე, რომ კულაკმა ვერ შესძლოს ჩვენი მოტყუება, ჩვენი სიფხიზლის განელება, საჭიროა სოფლად მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშვალო გლეხთა შორის შევქმნათ პირდაპირ ზოოლოგიური სიძულვილის ატმოსფერა კულაკის მიმართ. საჭიროა საშვალო გლეხი ისე წავკიდოთ კულაკს, რომ „მათი შერიგება შეუძლებელი გახდეს“. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენ შევსძლებთ ძირი გამოუთხაროთ კულაკობის ყოველგვარ ცდას – შეასუსტოს კოლმეურნეობათა განვითარების ტემპი“...

მართლაც, ასეთი ხაზით მიმდინარეობს ეხლა ჩვენში და მთელ საბჭოთა კავშირში ბრძოლა – „კულაკობის“ წინააღმდეგ. ასეთებს ჰყრიან სახლ-კარიდან, ყველაფერზე ხელს აბანინებენ და ეუბნებიან – წადით, სადაც გნებავთო! ერთი ასეთი ოჯახისათვის გორის მაზრაში (გვარად ჩადუნელებს) ჩამოურთმევიათ ყველაფერი, ჯიბიდან ამოუღიათ სამი თუმანი ფულიც, ნაცვლად მიუციათ სამი პური! – წადით, აქედან დაიკარგენითო!...

ამ იანვრის სიცივე-თოვლ-ჭყაპში, ნათქვამია, – „ჩიტსაც კი არ დაუნგრევენ თავშესაფარსო“... სად წავიდნენ ეგ უბედურ დღეზე გაჩენილები!!. მოდიან, გამორბიან ქალაქს და აწყდებიან სასახლეს! ყველას სურთ – სახკომსაბჭოს თავმჯდომარის – ამხ. ფ. მახარაძის ნახვა, რომ მას შესჩივლონ თავიანთი უბედურება, უმწეო მდგომარეობა! ქალი, კაცი, დიდი, პატარა! ჩვილ-ბაღნიანი დედაკაცები – ტირილით-მოთქმით თავს იყრიან სასახლის კომენდატურაში, თხოულობენ მახარაძესთან შეშვებას... მაგრამ არავის უშვებენ!.. მახარაძე სადღაც „პლენუმის“ სხდომაზეაო!.. წადით, ადგილობრივ ორგანიზაციებს მოელაპარაკეთო!.. ან კი რა უნდა უშველოს ამათ ამხ. მახარაძემ, როდესაც ულმობელი, დაუზოგველი ბრძოლაა ამათ წინააღმდეგ გამოცხადებული პარტიული ხაზით და დირექტივით! აი, ეგ არის „ზოოლოგიური სიძულვილის ატმოსფერის“ ნაყოფი!.. ასეთ „სიძულვილს“, რასაკვირველია, მოძულებულთა-განაც მოჰყვება სხვა და სხვა ექსცესები – შურის ძიება, შეტაკებები, სისხლის ღვრა, მოკვლა, ცეცხლის წაკიდება და ყოველგვარი უბედურება. ასეთი ამბებით

სავსეა გაზეთების ფურცლები!.. „ისე მაგრად უნდა დავჰკრათ კულაკობას, რომ ის ვეღარასოდეს წამოდგეს ფეხზეო“, – ასეთი დირექტივი გადმოსცა ამ მოძრაობას თვით სტალინმა! და მიდის ამ დირექტივის განხორციელება!.. აი, ალბად, ამისი ეშინოდა „მემარჯვენე-უკლონისტებს“, რომ ისინი მოითხოვდენ „კულაკის მშვიდობიან შეზრდას სოციალიზმში“ (რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი და სხვანი), მაგრამ ამათ ქედი მოიხარეს „გენერალურის ხაზის“ წინაშე, აღიარეს თავიანთი შეხედულებანი შეცდომებად და ეხლა სიტყვის შეუბრუნებლად მიმდინარეობს „კულაკის, როგორც კლასის, საბოლოო მოსპობისათვის დაუნდობელი ბრძოლა... დიდი განსჯა-განკითხვის დღე ადგიათ დღეს „კულაკობას“ – ანუ შეძლებულ გლეხებს!... ესენი ემუდარებიან – „მიიღეთ ყველაფერი, ჩვენი ცოცხალი თუ მკვდარი ინვენტარი, მთელი ჩვენი ძალ-ღონე და ჩვენც ჩაგვაბით მაგ საერთო მუშაობაშიო“!.. მაგრამ, არა!.. უარს ეუბნებიან: „თქვენ ხელს შეგვიშლით მუშაობაშიო“!.. სასოწარკვეთილებაა!.. სრული განწირვა!.. გამოსავალი გზა რო არა სჩანს, ისეთი მდგომარეობაა... ამ სისხამ ზამთარში!.. ეს უმაგალითოა რევოლიუციების ისტორიაში!..

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი „ქართველი თეთრგვარდიელები სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდენ“ (გაზ. „კომ.“, №17)

მოსკოვი. 20 იანვარი. „ბერლინიდან მიღებული ცნობით, ბრძოლა ქართველ თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში უფრო და უფრო კომიკურ ხასიათს ღებულობს. ბერლინის გაზეთები მოურიდებლად დასცინიან ქართულ ემიგრაციის კინკლაობას. გუშინ „საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ბიურომ“ ბოიკოტი გამოუცხადა ქარუმიძეს და სადათიერაშვილს. დღეს გამოჩნდა მეორე ასეთივე ქართული ემიგრანტული ორგანიზაცია, რომელიც ექიშპება პირველს, იცავს ყალბი ჩერვონცების მკეთებელს და უშვერი სიტყვებით ლანზღავს მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც გაემიჯნა ქარუმიძე-სადათიერაშვილს... გერმანიის პრესა... ურჩევს ხელისუფლებას, უყურადღებოდ დასტოვოს თეთრგვარდიელების კინკლაობა და განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან“.

პროცესი გრძელდება. ქარუმიძეს პოლიცია იცავს ქუჩაში მუშებთან შეტაკების შემდეგ... რაღაც „საეკლესიო განძეულობის“ შესახებაც ჩამოვარდნილა პროცესზე ლაპარაკი, ამ განძეულობის საქართველოდან გამოტანისათვის ფულების გადადებაზე... „ქარუმიძე აცხადებს, რომ განძეულობის ისტორია მოჭორილი ამბავი არ არისო, რომ საქ-ს მენშევიკურმა მთავრობამ განძეულობის ნაწილი მიწაში ჩაფლა, ნაწილი კი თან წაიღოო...

პროკურორი ეკითხება ქარუმიძეს, თუ სად არის დამალული განძეულობა. ქარუმიძე უარს აცხადებს პასუხის მიცემაზე“...

ეს რაღაც გაუგებრობაა. მენშევიკებმა დიდ-ძალი განძეულობა და არქე-

ოლოგიური ნაშთები გაიტანეს. ამ ქონების მომვლელად არქეოლოგი ევთიმე თაყაიშვილი გააყოლეს... მიწაში მათ აქ არავითარი განძეულობა არ დაუმალავთ... მცხეთა-სიონის განძეულობა გაიტანა კათალიკოსმა ლეონიდმა და არქიმ. პავლემ (ჯაფარიძემ) ქუთაისში, ის ჩაჰფლეს არქიელის გორაზე, ქუთათელი ნაზარის ბინის დერეფანში... ხოლო ბოლშევიკებმა შემდეგ აღმოაჩინეს ეს განძეულობა, ათქმევინეს „საიდუმლოება“ – არქიმ. პავლეს და მღვდელ პლატონ ცქიტიშვილს... ამოიღეს მიწიდან... და დააბინავეს, სადაც ჯერ უჩნდათ!... იყო სხვათა შორის $13^1/_2$ გირვანქიანი ბაჯაღლო ოქროს მიტრა კათალიკოსისა... სად არის ეხლა ეს მიტრა ან სხვა ჩამორთმეული განძეულობა, არ ვიცით!.. დაფლული და გადამალული აღარაფერი აღარ უნდა იყოს საეკლესიო განძეულობიდან საქართველოში... ქარუმიძე რაღაც ოინებს თუ აკეთებს პროცესზე!...

ეჰ! უბედურო, ემიგრანტებო! მაქაც ვერ ისვენებთ! სამარცხვინო კინკლაობაში ამოგდით მაქაც სული!.. ქართველები მა რის ქართველებია, თუ არ „იკინკლავეს“ და „იქიშპეს“ ერთმანეთში!.. ჰგონიათ, სამსახურს უწევენ სამშობლოს... უცხოეთიდან!... მახლას!... ჭეშმარიტად „სასაცილო მდგომარეობაა“, რომ ამავე დროს სატირალიც და სავალალოც არ იყოს ჩვენი მდგომარეობა შინ თუ გარეთ!..

23 იანვარი – ხუთშაბათი
სიონის ტაძრის ზარების ჩამოღება

დღეს, შუადღის 2 საათზე, შემომესმა სიონის მხრიდან ზარების უდროო რეკა და ჩხარა-ჩხური. ეს გავიკვირვეთ ყველამ ოჯახში!.. – ნუ თუ მართლა ჩამოიღებენ სიონის ზარებს?! – შემეკითხა მეუღლე!.. ეგ ჩხარა-ჩხურია და არა რეკა!.. – ამბობს ისევ ჩემი მეუღლე. მე ხმას არ ვიღებ... – ხო არ დამუნჯდი, ადამიანო!.. – ისევ შემეხმაურა დედა-კაცი!.. – აბა, რა ვიცი, რა უნდა გიპასუხო თქო, – მიუგე მე!.. მალე შესწყდა ის „ჩხარა-ჩხური“... გამოირკვა, რომ ზარები სულ დაუმტვრევიათ და ისე ჩამოუყრიათ ძირს!.. ხელი არ უხლიათ მხოლოდ „დიდი ზარი“-სათვის, რომელიც, პოეტის სიტყვით, „ბოხ ხმას აძლევს“... („აღდგომა“). მას შემოაცალეს სხვა ყველა ზარები... და დასტოვეს ალბად, როგორც არქეოლოგიური ნივთი... ის ზარი – როგორც მასზევეა წარწერა – 1.500[1] ფუთს იწონის... ის რუსეთიდან არის ჩამოტანილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე, როდესაც აშენებულა თვით ის მაღალი სამრეკლოც... „დიდი ზარი“ ჩამოკიდების დროს ჩამოვარდნილა და გაბზარულია... ამიტომ არის, რომ დანჯღრეულ ხმას იძლეოდა!.. აგრე „დანჯღრეული“ იყო თვით მთელი რუსეთის სინოდალური სისტემის მართვა-გამგეობა, როგორც თვით რუსეთის „მართლ-მადიდებელ“ ეკლესიაში, ისე მის მიერ ძალმომრეობით 1811 წლიდან რუსეთის ეკლესიასთან „გაერთიანებულ“ ავტოკეფალურ საქართველოს ეკლესიაში!.. აკი, იმიტომაც წავიდა „წაღმა“ საერთოდ ეკლესიური საქმე!.. არა ერთხელ გადმომინთხევია

1. იწონის 640 ფუთს, 1500 ფ. შეცდომაა.

ჩემი მემუარების ფურცლებზე დაგუბებული ბოღმა ამ თაობაზე!.. ის, რაც ეხლა ხდება საბჭოთა კავშირის ფარგლებში პოლიტიკურად, ეკონომიურად თუ სარწმუნოებრივად, ლოღიკური შედეგია ყოველივე იმ სიმახინჯისა, დუხჭირობისა და გახრწნილებისა, რასაც ადგილი ჰქონდა დამპალ თვით-მპყრობელობაში და ამ სისტემის იარაღში – გახრწნილ მართლ-მადიდებელ ეკლესიაში. ქრისტიანობა გააწბილეს „გაერთიანებულმა“ თვითმპყრობელობამ და მართლ-მადიდებელმა ეკლესიამ!.. საერთოდ რელიგია მხოლოდ გარეგან წესების (обряды) კულტად გადაიქცა! ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, რელიგიას არავითარი გამაკეთილშობილებელი გავლენა აღარ ჰქონდა!.. რაიმე პროგრესის, ცოდნის და განახლების ცხოვრებაში შეტანაზე ხო ლაპარაკიც მეტია!.. ყველა რელიგიები მეტად გაყინულ ფორმებში იყვნენ ჩამოსხმულები და დარჩენ კიდევაც ასეთები!.. ისინი მართლაც ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობისა და სიბნელის ბუდეთ გადაიქცენ!.. მართლაც დაუკავშირდენ რელიგიები „ძლიერთა ამა სოფლისათა“, დაივიწყეს და გვერდს უქცევდენ მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა უღლის შემსუბუქებას!.. პირიქით, ამ „უღელზე“ მთელი თავიანთი სიმძიმით დააწვენ ყველა ჯურის რელიგიების „სამღვდელოებათა“ ხროვა და ეწეოდენ ხალხის რელიგიური უვიცობის ექსპლოატაციას!.. ყვლეფას!.. მე არას ვიტყვი ეხლა აქ კატოლიციზმის ინკვიზიციებზე... ან რუსეთის სინოდის მიერ სეკტანტ-რასკოლნიკების დევნა-განადგურებაზე!.. ეს ისტორიული ფაქტებია!.. ვიტყვი ისევ, რომ ქრისტიანობის საზიზღარი ფალსიფიკაცია მოხდა, როგორც კატოლიციზმში, ისე „მართლ-მადიდებლობაში“ თუ სხვა უამრავ „აღსარებებში“!.. ასეთივე ფალსიფიკაცია მოხდა სხვა სარწმუნოებებშიაც!.. ესენი ყველა ერთად და ცალ-ცალკე, იარაღი იყვნენ გაბატონებული „კლასის“ ხელში და ამ კლასიური სახელმწიფო აპარატების ხელში, ყველგან და ყოველთვის!.. ამიტომ იყო, რომ სარწმუნოება მიდიოდა თავისი გზით, ხოლო ცხოვრება თავისით! მათში არავითარი ორგანიული კავშირი აღარ სუფევდა!.. ისინი დაშორდნენ ერთმანეთს!.. მათ შორის „დიდი დანახეთქი“ დამყარდა!.. ჩატყდა ხიდი...

რა არის სჯული?! სჯული არის წესი ცხოვრებისა! სარწმუნოება-რელიგია უნდა აწესრიგებდეს ადამიანის ოჯახურ თუ საზოგადოებრივ მოქმედებას, ყოფაქცევას!.. ამაზეა ნათქვამი მოციქულისაგან: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არსო“!.. „მაჩვენე შენი სარწმუნოება შენი საქმეებიდანო“ – ამბობს მეორე მოციქული!.. გამოვიდა კი სულ სხვა: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა აზის დიდი ზღვარი!.. აი, ამ „დიდ ზღვარში“ გადაიჩეხა დღეს რუსეთის ეკლესია და მას უკან მიჰყვა საქართველოს ეკლესიაც, რომელმაც სინოდალური ეკლესიის უკურნებელი სენი ვერ მოიშორა თავიდან და დაიშალა... დაიფუშა... წარსულში კი დიდი ღვაწლით და შარავანდედით მოსილია საქართველოს ეკლესია, რომლის უბე-კალთაში იშვა და გათვითცნობიერდა ქართველი ერი, საქართველოს ძველის-ძველი ეკლესია, რომელმაც დაიცვა ქართველი ერი გადაშენება-გადაგვარებისაგან, რომელმაც შეგვინარჩუნა ეროვნული სახე და თვით დედა-ენაც – ამ ეკლესიის აჩრდილი დღეს ჰქრება!.. გავერანებული მცხეთის ტაძარი... მანდილ მოხსნილი სიონი... დადუმდნენ!.. ქრისტეფორე კათალიკოზი, ყოფი-

ლი დეკანოზი ციცქიშვილი, „ახალი სიტყვის“ ყოფილი რედაქტორი, რომელიც დეკანოზი ილია შუბლაძის (ექსარხოსებისა და დეკ. ვოსტორგოვის ყოფილი ჯაშუში, დღეს ანაფორა გახდილი, საქართველოს „ცაკში“ გადმომჯდარა და ღიმილით თავს დაგვყურებს ყველას, დახეთ, რა „ბიჭიცა ვარო“!) ანონიმური-პსევდონიმური, წვერ გადამტვრეული კალმით სჩხვლეტდა მხცოვანი კირიონი კათალიკოსის სხეულს, აი, ესენი დღეს ისევ „მეტყველებენ“!.. სიონი კი სდუმს... იქ, იმ ტაძარში, გულ-აღმა დასამარებული სამი კათალიკოზი – კირიონი, ლეონიდი და ამბროსიც სდუმან... თან მეტის სიმწარით ვერ ისვენებენ... უხმოდ საფლავში ტრიალებენ!.. ესენი კი „მეტყველებენ“...

– კირიონი – თალაქვაძე! თალაქვაძე – კირიონი! და ასე აბრუნებდენ და აკანკლედებდენ ამ ორი ადამიანის „სახელსა“ თუ „გვარს“ ციცქიშვილი და შუბლაძე პასკვილურ „ახალი სიტყვის“ ფურცლებზე 1918 წელში!.. ხოლო ეს ხდებოდა ტფილისის სამრევლო ეკლესიებზე „ტფილელ მიტროპოლიტის“ – ლეონიდის მიერ შეწერილი ფულებით!.. ამისი „სამიტროპოლიტო საბჭოს“ კანცელიარიის „გამგის“, დავით ალექსის ძე დავიდოვის (რუსულად „Давыдов“ – ეხლა კი დავითაშვილი!) დირიჟორობით!.. ეს სინოდალური სისტემის კონსისტარიის მოხელეთა ტიპი საქართველოში, დღეს „უმაღლეს სამეურნეო საბჭოშია“ მიღებული... „Завканца“-დ ანუ კანცელიარიის გამგეთ!.. ამ ორი წლის წინეთ ის სამარცხვინოდ გამოდევნეს საქართველოს ფინანსთა კომისარიატიდან, თანამშრომელ დედაკაცს – თამარ გუბელაძისას – დაეტაკა, პირაღმა გადააბრუნა და ზედ დააჯდა... ნამუსის ასახდელად!.. რამდენი ასეთი ოინები მან ჩაიდინა ლეონიდის „სამიტროპოლიტო“ კანცელიარიაში, ამას ვინ მოსთვლის!... ეგ ყველაფერი შერჩა მას ტყემალივით!.. ფინსახკომიდან გამოაძევეს, მაგრამ „პენსია“ მაინც „გამოიტანა“ – 75 მანეთი თვეში!.. ეხლა არც ამას დასჯერდა და ზემო აღნიშნულ В.С.Н.Х-აში ისევ კანცელიარიაში წამოიჭიმა... სიძეები ჰყოლია „დიდი კაცები“ და ბევრიც სხვა მფარველები! აი, ასეთი „პერსონები“ – შუბლაძე, დავიდოვი, ციცქიშვილი, ცინცაძე (ეხლა მანგლელი), თოთიბაძე, მირიანოვი და ნაცვლიშვილები მართავდენ საქართველოს ეკლესიას, რომელიც საბედისწეროდ აღდგენილ იქნა 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში თავის ავტოკეფალურ უფლებებში!..

ამათ პირველი კათალიკოსი თავიდან მოიგდებინეს... ტყვიით გული განუგმირეს მარტყოფის მონასტერში 1918 წელს 25-26 ივნისში... ქუთათელი ანტონი მოაწამლიეს სიძეს იმავ 1918 წლის სეკტემბერში, რომ ის – ანტონი – ლეონიდეს მეტოქედ არ წამომდგარიყო კათალიკოსობაზე!.. ბაკურაძე ღვდელი და მირიან ბერიც მოაკვლევინეს, ესენი როგორც კირიონის „მომხრენი“!.. დავრჩი მე... მეც 1924 წლის 2 ივლისს ტერორისტები მომიგზავნეს – „გასწორდი, თორემ მოგკლავთო“!.. მეც „გავსწორდი“... იმავ 1924 წელში (გამოსვლებამდე) ანაფორა გავიხადე, გადავდექი სარბიელიდან... ეს მეექვსე წელიწადია ვსდუმვარ... არავითარ საეკლესიო საქმეში აღარ გავრევივარ... მაგრამ არევ-დარევა, ინტრიგები, ერთმანეთში შფოთი და საარაკო უკუღმართობა – „უჩემოდ“ მეტი დასჩემდათ ამ გეროსტრატებს – ამ ისტორიულ სულელებს!... დღეს ყველაფერ ამას „წყალი უშრება“... ბოლო ეღება... სიონის სამრეკლო დადუმდა!... სიონი

ერთხანს ალბად კიდევ იღანღალებს... უხმოდ... უზარებოდ!.. ორშაბათს – 27-ს „ნინოობასაც“ გადაიხდის... ქრისტეფორე... თუ არ უკანასკნელად...

ვანქის ზარებიც ჩამოუყრიათ... ისინიც დადუმდენ... ბევრი რეკის შემდეგ!.. იმასაც „დიდებული“ სამღვდელოება „ამშვენებს“!.. მაგრამ ეხლა... კმარა...

25 იანვარი – შაბათი

დღეს საღამოთი, ამ სისხლის წვიმების დროს, მე და ჩემს მეუღლეს საოპერო თეატრში წასვლა მოგვიხდა, მიდიოდა პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, მუსოგორსკის მუსიკით, გამოჩენილი ბანის – ნიკოლოზ პიროგოვის (ცარ-ბორის) მონაწილეობით! ეგ პიროგოვი მოსკოვის მიტროპოლიტის პროტოდიაკონი ყოფილა... გამოსულა იმ ქერქიდან და ეხლა დიდ მომღერალ არტისტად გამხდარა; იღებდენ ამ ოპერაში მონაწილეობას ჩვენი თანამემამულენიც – გურული (ასკანელი) ანდღულაძე (დრამატიული ტენორი), ყოფილი ექიმი ბადრიძე (ლირიული ტენორი) და მარო სუხიაშვილი (ღვდლის ქალი). ხალხით გაჭედილი იყო ის ვეებერთელა თეატრი. ორკესტრს დირიჟორობდა ი. ფალიაშვილი! წარმოდგენილი იყო მე-16 საუკუნის ბოლო და 17-ის დასაწყისი „მოსკოვიასი“! პიმენ-ბერის – მემატიანის – სენაკი, თვით პიმენით! მისი „еще одно последнее сказание“თი!... სცენა „კორჩმაში“, პოლონეთის საზღვარზე, მთვრალი მაწანწალა ბერებით – მისაილი, ვარლამი და ანაფორა გახდილი „გრიშკა“ ოტრეპიევი! რა რეალობით დაგვიხატეს გახრწნილ-გალოთებული ბერობა!.. რა რეალობით დაგვიხატეს ხალხის სიბნელე, მისი აბუჩად აგდება, ჯოხებით ზურგზე ცემა – ლოცვის დროს ტაძრის წინ!.. „პრისტავების“ თვითნებობა, გახრწნილება... ხალხის დამშევა-გაღატაკება!.. ბორისის სინიდისის ქენჯნა „ცარევიჩ დიმიტრის“ მკვლელობისა გამო!.. დიდებული განსახიერება პიროგოვის მიერ „царь Борис“-ისა!.. ლიტანიები სამღვდელოებისა, ბოიარებისა, თვით მეფისა, მოსკოვის ზარების დაუსრულებელი რეკით და ჟღარა-ჟღურით!.. ბოლოს ბორისის მხილება მკვლელობაში „სალოსის“ (იუროდივი) მიერ „ვასილი ბლაჟენის“ ტაძრის მოედანზე! ამ სალოსის როლი ითამაშა ბადრიძემ... ჩააკაკანა როლი თავისი მომხიბლავი, გულის სიღრმემდე ჩამწდომი ლირიული ტენორით... თუ როგორ დაედევნენ „სალოსს“ ქუჩის ბიჭები... ხელიდან გამოსტაცეს მას „კოპეიკი“, როგორ ატირდა ამის გამო „სალოსი“!.. ამ დროს ბოიარების ამალით გამოიარა თვით მეფე-ბორისმა... სალოსს შეეკითხა, რაზე სტირიო! სალოსმა მიუგო: ბავშებმა „კოპეიკი“ წამგლიჯეს, მეფეო!.. ამ დროს სალოსმა მოსწრებულად ამხილა, საჯაროდ წასძახა ბორისს – ცარევიჩ-დიმიტრის მკვლელობა!.. შეშფოთდენ ამ თაობაზე ბოიარები – დიდებულნი და პრისტავები მივარდნენ სალოსის გასაქრობად!.. ბორისმა ბრძანა, ხელი არ ეხლოთ მისთვის... სალოსს მიუბრუნდა და სთხოვა: „ილოცე ჩემთვისო“! – „ვერა, მეფევ! ვერ ვილოცავ შენთვის! ღვთის მშობელი არ ბრძანებს მეფე-იროდისათვის ვილოცოო“!.. ამაზე ბნედება მოუვიდა ბორისს. რის ვაი-ვაგლახით გაიყვანეს დიდებულებმა... შემდეგ „სალოსი“ – ბადრიძე, ჩაგლეჯილ-ჩაწეკვილი, ჩამოჯდა ქვაზე და გვიმღერა არია: „პლაჩ!

პლაჩ! გოლოდნიი რუსკი ლიუდ“!.. ეს ისეთი განცდით იყო ნამღერი, ისე მოხვდა მსმენელთა გულს დღევანდელი „მომენტის მიხედვით“, რომ დემონსტრატიული ოვაციები გაუმართეს არტისტს!.. დაამტვრიეს ყველაფერი დაუსრულებელი გამოძახებით!.. გაიღვიძა ხალხში დღევანდელი გაჭირება-შიმშილი, სიცივე, საარაკო სიძვირე და ამასთან ერთად „მთლიანი კოლექტივიზაციის“ საფუძველზე მთელი საკავშირო საბჭოთა ქვეყნების მოსახლეობათა აწიოკება! ტფილისის სადგური, სხვა სადგურები, ბუფეტები, რკინის გზის მიდამოები სავსეა სოფლებიდან გამორეკილი ხალხით – „კულაკებად“ წოდებულებით! აკვნიანი ბავშებით დედაკაცები, მშიერ-მწყურვალნი, სულიდან-ხორცამდე გაფცქვნილი-გატიტვლებულები, ამ ცივ ზამთარში გარეთ, ბუდიდან აყრილ-გამოყრილები!.. რა საშინელებაა! ენით გამოუთქმელი სისასტიკე!.. არც ერთი ქვეყნის „ბატონყმობას“ არ ახსოვს ასეთი „ამბები“! არც ერთი ქვეყნის ტირანებს არ გაუმეტებიათ ეგზომ ხალხი! თუ ხოცვა იყო, იყო ხოცვა-ჟლეტა, ცეცხლი და წამება ძველ დროებში!.. მაგრამ ასეთი „კლასიური“ ურთიერთობათა ხელოვნური გამწვავება, ერთმანეთზე წასისიანება, არც სიკვდილი, არც დარჩენა! ეს რაღაც ზღაპრულ-ჯოჯოხეთურ-კოშმარულ ვითარებას წარმოადგენს!.. ამ დროს კი სხვები ვზივართ ქალაქში, შედარებით, თბილად, რბილად, სხვები კი განცხრომით და ყოველდღე ზეიმობით, ოპერებს ვესწრებით და ვერთობით!.. „ვივიწყებთ“, თითქოს, ქვეყნის ჭირ-ვარამს, მაგრამ „სალოსმა“ გამოგვაღვიძა ამ ზნეობრივ ძილისაგან, მორალურ სიკვდილისაგან და ავფორიაქდით თეატრში... – „როგორ! – გაიძახოდენ ჩემს გვერდით მსხდომნი კაცი თუ ქალნი, – ბორისმა სულიერი სიმშვიდე დაჰკარგა ცარევიჩ-დიმიტრის მკვლელობის მოწყობისათვის... ამ გზით ტახტზე ასვლა მას სულიერ სატანჯველად გადაექცა და ბოლოს გულიც გაიხეთქა!.. ჩვენს დროში კი ადამიანის სიცოცხლემ ყოველი ფასი დაჰკარგა, ქათმებივით იჟლიტება ყოველ დღე, ხალხი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ჩვილნი!.. რაღაც საგიჟეთად ლამის გადაიქცეს ეს ჩვენი ქვეყანა! ხოლო ამისი მომქმედნი არამც თუ არ იქენჯნებიან სინიდისით, პირიქით, უფრო და უფრო სტოპავენ პოლიტიკურად თუ სოციალურად თანამედროვე ცხოვრების გარდაქმნის საბაბით ასეთ სისასტიკეებშიო“!.. განა „სისხლი სისხლით დაიბანებაო!.. განა ასეთი შურის ძიება დაძველებულ-დახავსებულ წოდებრივ თუ ქონებრივ ნაშთების ნამსხვრევებზე რითიმე შეიძლება გამართლდესო“?!. ბევრი ასეთი ჩივილი მოვისმინე იმ ღამეს თეატრში ანტრაქტების დროს... მიკვირდა, თუ როგორ ბედავდენ ამ საგანზე ასე აშკარად და ხმამაღლა ჩივილს!.. სჩიოდენ განა ქართველები?!. არა, თვით რუსები – კაცი თუ ქალი!.. ჩვენ ხმა-ჩაკმენდილ-ჩაწყვეტილები ვისხედით და ვისმენდით ყოველივე ამას!.. თურმე, როდესაც ჩვენ ასეთ ამბავში ვიყავით საოპერო თეატრში, ხელისუფლებას იმ ღამესვე გამოუტანია დადგენილება: მოიხსნას სათეატრო რეპერტუარიდან „ბორის გოდუნოვი“ სამუდამოთო! ჩვენ ჩვენი დროის სამღვდელოებას ვერეკებით, ზარებს ვანადგურებთ ეკლესიებში, ზარის რეკას ვსპობთ და იმავ დროს თეატრში სცენაზე ვაჩაღებთ მოსკოვის ზარების რეკის წარმოდგენას, ღვდლებისა, ბერებისა, მეფისა და მის ბოიარების ლიტანიასო!.. ეგ ხომ სრული შეუსაბამობაა! და მოუხსნიათ სცენიდან „ბორის გოდუნოვი“! მგონი, შარშან წინ მოხსნეს ჩვენი ოპერიდან ვ. დოლიძის

ოპერა – „ლეილა“! ეს იმიტომ, რომ მეფე ერეკლე (II) იყო გამოყვანილი – „პატარა კახი“!.. ეხლა „ბორისიც“ გააძევეს... სცენიდან!.. ამდენი განცდებით დამძიმებულნი... გაბრუებულნი... დაგონებულნი... დაღონებულნი... შეშინებულნი – არ ვიცით, ხვალ რა მოგველის! ჩვენც როდის აგვაწიოკებენ და გაგვყრიან ქუჩაში!.. ასეთი მოლოდინი გვაქვს ყველას... დავბრუნდით სახლში!.. ოჰ! ოჰ! ოჰ! ოხვრა-კაეშანით მოცულია ჩვენი სული და გული!.. ჰეი, ჰეი! რა არა არს!..

26 იანვარი – კვირა
ანჩისხატის ზარების სამრეკლოდან გადმოყრა

გათენდა კვირა დილა, სუსხიანი, ყინვიანი! წყლები გაყინულიყო წყალ-სადენებში... ფანჯრები კი სხვა და სხვა სურათებით მოეხატა და მოეხაზა „ბაბუა-ყინვას“!.. დილით, $9^1/_2$ საათზე პურის მოსატანად წაველ ბაზარში, სულზე თითო გირვანქა მოგვდის!.. რო ვბრუნდებოდი ფურნიდან, ანჩის-ხატის სამრეკლოზე უკვე ზარები ირეკებოდა... ცალი ზარის რეკას – „ტრეზვონის“ – ყველა ზარების რეკაც ზედ მიაყოლეს! სამრეკლოს პირდაპირ ამ დროს – ქუჩაზე – გაჩერებულიყო სამი ახალ-გაზრდა რუსი, კარგად-ლამაზად, კოხტად, ჩაცმულები! ეტყობოდათ, ესენი პარტიულები იყვნენ, „მუშები“, მაგრამ უკვე „დიქტატურის“ მიერ საკმარისად გაბატონებულნი, მაძღარ-კმაყოფილნი, ამ დროის მოწინავე წოდება! ერთს ხელში ეჭირა მშვენიერი, ახალთ-ახალი, ძვირფასი ტყავის პორტფელი, დანარჩენ ორს ორ-ორი რკინის ვეებერთელა ჩაქუჩები!.. იდგნენ და პირზე ღიმილით შესცქეროდენ ანჩის-ხატის სამრეკლოს და მისი ზარების შეხმატკბილებულ გრიალს!.. მათი ხმა მთელს მიდამოს მოსდებოდა... გაღმა ავლაბრის აღმართს ეხეთქებოდა, აქეთაც ბაზრისაკენ ვარდებოდა და მოქალაქეებზე რაღაც ზეციურ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა!.. მართალია, ზარების ასეთ დაბეჯითებით მოპატიჟება-ძახილზე – „მოდით, მოდით, მოდით“! ძველის-ძველ ტაძარშიო“! – არავინაც არ ჰფიქრობდა იქ წასვლას... ზოგი შიშით, ზოგი სირცხვილით... ზოგიც... ზიზღით!... მაგრამ ზარები კი მაინც ზრიალებდენ გაყინულ და თან მზიან ჰაერში!.. შეველ სახლში. ანჩის-ხატის სამრეკლოზე მორჩენ რეკას... ჩუ!.. სიონის დაობლებულმა „დიდმა ზარმაც“ დაიგუგუნა!.. დაბეჯითებით რეკდენ!.. ეგ თითქოს, ერთნაირი გაჯიბრება გამოდიოდა ხელის-უფლებისადმი!.. მაინც რეკდენ!..

ვიჯექი სახლში და რაღაცა სათარგმავი მომცეს კოლექტივ „თარჯიმანიდან“, იმას ვაცოდვილებდი, იქნებ პურის ფული დავიმუშაო თქო!.. უკვე წირვა გამოსულიყო ანჩის ხატში... იქნებოდა ასე $11^1/_2$ საათი, რომ სამრეკლოზე ზარების ჩხარა-ჩხური შემომესმა, რაღაც გატეხილი ჩალხანაის ხმები!.. გაველ და პირ-კატა მეცა! მოსულიყვნენ ექვსიოდე კაცი „სახანძრო რაზმიდან“ – პოჟარნაია კომანდიდან!.. ამათ მოეთხოვათ ეკლესიისა და სამრეკლოს გასაღები, დაებარებიათ ტაძრის მნათე-დიაკვანი ანდრონიკე ქრისტესიას ძე ხუცაიძე, გააღებინეს სამრეკლოს კარები, ავიდნენ ზედ და ნახევარ საათში იმ სიმაღლე სამრეკლოდან მოხსნეს და იქიდან ძირს გადმოჰყარეს 4 ზარი – სამი შედარებით მომცროები, ერთი მოდიდო!

ეს უკანასკნელი გადმოგდების დროს დაეცა ტაძრის მარჯვენა ფრთის ბოლოს და ზედ სულ ჩაამსხვრია კრამიტები, იქიდან გადმოყირავდა და ქვა-ფენილზე დაცემისას „კისერი მოსტყდა“! შეიქნა ტაძრის ეზოში ამ „სანახაობაზე“ შინაურ თუ გარეულთაგან თავ-მოყრილ ხალხის ყიჟინი და სიცილ-ხარხარი!.. პატარა ზარები რბილ მიწაზე დაეცნენ, შიგ ჩაიფლნენ, კი არ დამტვრეულან... დარჩა დიდი ზარი... აღარ მახსოვს, რამდენი ფუთია!.. ამბობენ, ანჩის-ხატის ზარები ქართული ზარებია, ტფილისში ძველად ჩამოსხმულებიო!.. ნამდვილი კი არ ვიცი!.. დიდი წვალებისა და ხარაჩოების გაკეთების შემდეგ ჩამოხსნეს ეგ დიდი ზარიც, მაგრამ მისი გადმოგდება იმ სიმაღლიდან ვერ მოახერხეს, სულ დაამტვრევდა ტაძარს... ენა ამოაცალეს... რაღაც ცეცხლიც შეუნთეს ზედვე – სამრეკლოზე... უნდა დაადნონო – ამბობდენ... ამ დროს აივანზე ვიდექი გაოგნებული!.. მგლოვიარესავით დამღლიავებული... ანჩის-ხატის ქუჩით მოსწავლე-ახალგაზრდობის გუნდ-გუნდნი მოდიოდენ, ალბად მცნობდენ „ყოფილ“ ადამიანს და შემომელაზღანდარნენ ქუჩიდან: „ხედავ, როგორა ხსნიან ზარებსო! ხა-ხა-ხა-ხაო“!.. შემომცინეს! ეგონათ, მეც გაუცინებდი! მაგრამ პირზე ღიმი როგორ მომივიდოდა ასეთ სურათების წინაშე! პირიქით, როდესაც დაღვრემილობა შემატყვეს, მათაც თავი დაღუნეს და გამშორდენ!.. მეზობელმა დედა-კაცმა (ჩვენ გვერდით რო სცხოვრობს – პავლე ბუხრაშვილის ცოლმა – ნინო ბუხრაშვილისამ) რო დამინახა და ზურგი ვაქციე, უკან ქოქოლა მომაყარა და სიცილ-ხარხარით სახლში შევარდა!.. საცოდავმა, თავისი ჭკუით დამცინა, დამამცირა!.. განა არა ვარ ღირსი ყველაფრისა!..

შეველ სახლში, შეუდექ ისევ თარგმანს... შემომესმა სამრეკლოდან ძირს ჩამოღებულ და ცეცხლ შენთებულ დიდი ზარის გულ-საკლავი ტირილი: „ვაი!.. მიშველეო“! აგრე მომესმა მისი ჩივილი! გულში თითქოს დიდი მახვილი დამიტრიალდა ამ ხმაზე!.. კალამი ხელიდან გამივარდა!.. მარტოდ ვიყავი... მეუღლე ბაზარში წასულიყო... პატარა ზარების ჩამოყრისას ჩემს ბინაზე იყვნენ – სიმამრი, სამსახურიდან უკვე გამოსული 77 წლის მოხუცი დეკ. ზაქარია ლუკაშვილი, ერისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი!.. და მისი უმცროსი ვაჟი ვახტანგი – მასწავლებელი... ესენი უკვე გასული იყვნენ ჩემი ოთახიდან, რომ დიდი ზარი დასაკლავად წამოქცეული ნამსახური მუშა ხარ-კამეჩივით ბღაოდა: „ვაი! მიშველეო!.. მკლავენო“!.. სცემდენ გვერდებზე რკინის ურეებს, ლომებს, უნთებდენ ცეცხლს, ჰფლეთდენ, ჰგლეჯდენ მისს ამდენი ხნის ნაშრომ ტანს და ისიც გულ-საკლავად ხან დაიბღავლებდა, ხან გატეხილი ჩალხანასავით ხმა-ჩახლეჩილი დაიჩხავლებდა!.. ყოველი მისი დაძახილი სიკვდილის ჟრუანტელს მგვრიდა!... კინაღამ ჭკუაზე არ შევსცდი!.. „მიშველეო“! მეძახდა ამდენი ხნის ნაამაგდარი, ტკბილად, საამურად ჰაერში მოუბარი – მოამბე... დიდი ზარი!.. მე კი ვერ ვშველოდი!.. მე კი... დაძაბუნებული... მუცელში ენა ჩავარდნილი, თვით დაბეჩავებული! თვით დასაკლავი ხარივით არა ერთხელ წამოქცეული, ნაგვემ-ნაცემი, დაჩხვლეტილ-დამცირებული, აბა, რას უშველიდი... იმ... დიდ ზარს!.. რომელიც პატივდებაში ჰყავდათ (თუ ჰქონდათ! არა, ჰყავდათ, ვინაიდან ის ზარი მეტყველი იყო, ცოცხალი არსებასავით...) თვით ათასგვარ სპარსეთის ყაენებს, რომელთაც არა ერთხელ აუოხრებიათ

თბილისი, ყველაფერი ცეცხლისთვის მიუციათ აქ, მაგრამ ანჩის-ხატის საკა-თოლიკოზო მეტოქი – „კარის-საყდარი“ და მისი სამრეკლო ხელ-შეუხებლად დაუგდიათ!..[1] აგრე მოქცეულა ტფილისის უკანასკნელად ამაოხრებელი თვით აღა-მახმად-ხანიც კი მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში!.. ეხლა კი... მეოცე საუკუნეში... ამ „ცივილიზაცია-პროგრესის ხანაში“, ამ „დიდ რევოლიუციების ხანაში“, ასეთი ბედი ეწია ანჩისხატის სამრეკლოსა და მის დიდსა თუ პატარა ზარებს!.. არ ვიცი, ეგ „ბედია“ თუ „უბედობა“!.. აგრე კი მოხდა!.. დიდი ზარი კი ისევ სამრეკლოზე გდია აყირავებული, თეძოზე წამოწოლილი მწარედ და მრავალგან დაჭრილ ადამიანივით!.. ის დღეს დააგდეს ასეთ მდგომარეობაში!.. ვერა მოუხერხეს რა ჯერ მეტი!.. ალბად ხვალ ისევ მოვლენ უფრო შეიარაღე-ბულნი, რომ სული ამოჰხადონ ამ დიდ ზარს!.. ენა ხო ამოჰხადეს!.. ის უენოდ ბღავილს კიდევ დაიწყებს ხვალ!.. ისევ შეწუხდება სული!.. იკვნესებს გული, მაგრამ ვერას უშველი მე ბედკრული!..

ხვალ – 27-ს „ნინოობა“ ძვ. სტილით! ამ საღამოზე ისევ გუგუნებდა სი-ონის „დაობლებული დიდი ზარი“! იწვევდა მორწმუნეთ სალოცავად! ხალხი შეგროვილიყო ბლომად, მაგრამ სულ მოხუცებულნი, „პირ-გაბრუნებულნი“!.. „დაუჯდომელზე“ შემოსულიყვნენ: კათალიკოსი ქრისტეფორე, მისი „ვიკარნი“ – ეპ. ეროთე, ეპ. ეფრემი (ღვდლობს ნავთლუხში – წმ. ბარბარეში) და ეპ. სიმო-ნი – ურბნელი, რომელიც გამოძევებულია გორიდან და ტფილის შეაფარა თავი. არა სჩანდენ არც „მანგლელი“ კალისტრატე – ქვაშვეთელი მიტროპოლიტი, არც ეპ. მელქისედეგი (ფხალაძე); ამ იერარქებს გარს შემოხვეოდენ ტფილისის დეკანოზები, სინოდის წევრნი: დ. ხახუტაშვილი, გ. გამრეკელი, ბ. კანდელაკი, სიონის დეკანოზები – ტყემალაძე-ასათიანი, რუსი დეკანოზები – სმირნოვი და ერთიც მიხეილ ტვერელის დეკანოზი პეტროვი, ორთავე – „მიტროფორნები“... ამათ გარდა დიდ-ძალი სოფლიდან გამორეკილი მღვდლები, ზოგი შემოსილი, ზოგიც შეუმოსავნი! გალობდა სამხმოვანი მცირე-გუნდი!.. პროტოდიაკვნობდა მღვდელი სიკო მონასელიძე! რომელიც ყოველი მხრივ იხეოდა – ყველაფერს ის უძღოდა, პროტოდიაკვნობდა კიდეც, გალობდა კიდეც, დიკირ-ტრიკირსაც აფრიალებდა, „არწივები“ თუ ხატები შეჰქონდ-გამოჰქონდა! ბოლოს წმ. ნინოს „ვაზის ჯვარის“ ხატის გადმოხსნა-გადმოსვენებაც მასვე დასაქმეს! მის მეტმა არავინ იცის, თუ როგორ იხსნება და გადმოსვენდება ადგილიდან ის ვეებერთე-ლა ხატი! „ხალხო! ხო არ დამახრჩობთ! მადროვეთ ცოტა! სული ამომასუნთქეთ! ხო არ გამწეწავთ ნაწილ-ნაწილებათო“! – ხმა მაღლა დაიჩივლა განაწამებმა სიკომ!.. ჰკითხულობდენ „დაუჯდომელს“ იერარქები! ჩვეულებრივად ყველას ენა ებმებოდა!.. რო არ იციან წაკითხვა. ეპ. ეროთეს სულ ღმერთი გაუწყრა... ვერა წაიკითხა! ხალხმა მოუბოდიშა: „რა ჰქნას, მოხუცია!.. მოხუცებულობით მოსდისო“!.. საწიგნეზე იდგა და დიდ-წიგნს რიხიანად კითხულობდა თომა ჩიქვანაია! ეს ის თომაა, რომელიც ამბროსი კათალიკოსს იცავდა, ქრისტეფო-

1. ტფილისის სხვა ტაძრებში ზარის რეკას რო კრძალავდენ მოძალადენი, ანჩისხატში ნებადართული იყო ზარის რეკა...

რეს უმკლავდებოდა, ათასი შეურაცხყოფა მიაყენა ამას... ამიტომ „ჩეკაშიდაც“ იჯდა ეგ თომა არა ერთხელ!.. მაინც არ ერიდება საწიგნეზე რიხიანად წიგნის წაკითხვას სიონში!.. რა ენაღვლება, სამსახურში აღარ არის, არც ვინმე მიიღებს!... რას ჰკარგავსო!.. ამბობდენ ამაღამ სიონში: „დიდ ზარს“ ხვალ ჩამოაგდებენ სიონის სამრეკლოდანო! დაამტვრევენო! ეგ უკვე გადაწყვეტილიაო!.. შიგა და შიგ ერისაგანნი ამ ხმებით თითქოს აღშფოთებულნი გაიძახოდენ: „რაღას უყურებს კათალიკოზი, რატომ მთავრობას არ გამოუცხადებს ბრძოლას! რის მაქნისიღაა მაგისი კათალიკოსობაო!.. რატომ არ ეწამება, არც შესწირავს თავსაო“!..

საკვირველია!.. ხალხი ასეთი გულ-ქვა და განუკითხავია! ვაი, ასეთი ხალხის შემხედვარე კათალიკოსსაც და მის სამღვდელოებასაც!.. რატომ თვით ხალხიდან არ აღიმაღლებენ ხმას... მაგრამ... „სული ტკბილიაო“, – ტყვილა როდი ყოფილა ნათქვამი!.. ყველა თავის საკუთარ „ტყავს“ უფრთხილდება!.. კათალიკოსის „თავის განწირვითაც“ აღარა იქნება რა!.. ამას ეხლა სულ გაუხუნდა ლილა!.. ვერავის გააკვირვებს და შეაშინებს ეხლა ის თავის „თავის განწირვითაც“! ან კი ქრისტეფორე „თავის გამწირავია“!.. მეტი ნუა ჩემი მტერი!...

ზარების ჩამოხსნა სხვა ტაძრებში

დღესვე ჩამოუხსნიათ ზარები: ქვაშვეთში, კალოუბანში, მამა დავითში, სამებაში, ამაღლებაში, პატარა წმინდა გიორგში; ვერაზე, ღვთის-მეტყველში, მიხეილ ტვერელში და დიდუბეში ეს ერთი კვირაცაა ჩამოუყრიათ ზარები!.. ეხლა მიიმართებიან „ბრიგადები“ – ჩამომხსენელები – ავლაბრისაკენ!... – აღარ გაისმის ზარების ხმა!.. შესწყდა ყველგან დღეს... ხვალ თუ მოასწრეს სიონში დარეკა!.. „რა საჭიროა ზარების რახა-რუხი, ბრახა-ბრუხიო“!.. გაიძახიან „გაკულტურებული“, აგრე და ამ ზომ „შეგნებული“ და „პროგრესიული“... გვამები!..

ყალბი ჩერვონცების პროცესი ბერლინში

გრძელდება ქარუმიძე-სადათიერაშვილის გასამართლება ბერლინში. მოწმეთ გამოსულა ბერლინში მყოფი ტიტე მარგველაში, რომელიც დიდ-მსწავლულ-მეცნიერადაა მიღებული იქ, ლექციებს კითხულობს თურმე იქაურ უნივერსიტეტში. ამ მარგველაშვილმა მეტად ფრთა შეასხა ქარუმიძეს ქება-დიდებით. დაუხასიათებია მას შალვა ქარუმიძე მეტად დადებითად! – ეს „საქართველოს უგვირგვინო მეფეაო“! ეგ პოლიტიკური, თავდადებული მოღვაწეა! და არა ყალბი ფულების მჭრელი, ანგარების მიზნითო!..

ბერლინში ამ საქმესთან ერთად აღმოუჩენიათ ამერიკული ყალბი ას-დოლარიანების მოჭრაცო, – იუწყებიან დღევანდელი გაზეთები... ამ ფულების მოჭრის გზას საბჭოთა რუსეთისაკენ მივყევართო!.. ჩვენი გაზეთები კი ამას „მორიგ ჭორად“ სთვლიან და გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ გერმანია, ლამის

არის, მთელი ქვეყნის ყალბი ფულების მჭრელ მხარედ აღიარებულ იქნესო!... მართლაც, საკვირველია!.. ან კი როგორ გადაიხადოს მან ამდენი შინაური თუ გარეული ვალები – კონტრიბუცია-სეპარაციები, მსოფლიო ომის შედეგად!!.

28 იანვარი – სამშაბათი
დიალოგი ანჩის-ხატის დეკანოზსა და მის მნათეს შორის

როგორც ზემოდ მქონდა აღნიშნული, ანჩისხატის ზარები წირვის გათავების შემდეგ გადმოჰყარეს; ეკლესიის წინამძღვარი დეკ. ი. ლუკაშვილი უკვე წასულიყო სახლში (სცხოვრობს სადგურისაკენ, შორს, გოგოლის ქუჩაზე); საღამოს ლოცვისათვის რო უკან დაბრუნდა და სამრეკლოს მიუახლოვდა (ნინოობის – 26-ს ლოცვა უნდა დაეყენებია), იქვე ქუჩაზე მიეგება მას მნათე-დიაკვანი ანდრო ხუცაიძე, მოწიწებით სალამი მისცა დეკანოზს და მოახსენა:

„მამაო, დეკანოზო“!.. ჩამოაბრძანეს“!.. „რა ჩამოაბრძანეს, ადამიანო“? – შეეკითხა მას დეკანოზი. „მამაო, დეკანოზო!.. ჩამოაბრძანეს“!.. „კაცო, არ მეტყვით, რა ჩამოაბრძანეს“?.. უკვე შეშინებული და განკვირვებული, თვალებ დაჭყეტილი ეკითხება ანდროს ისევ დეკანოზი! „ჩამოაბრძანეს, მამაო დეკანოზო“! – ისევ ეუბნება მას ანდრო! „დიდება შენდა, ღმერთო“! – პირჯვარს იწერს დეკანოზი და უფრო დამფრთხალი ეკითხება ანდროს: „ადამიანო, ხო არ გაგიჟდი?!... აღარ იტყვი, რა ჩამოაბრძანეს“?! „ზარები!... მამაო დეკანოზო!... ზარები ჩამოაბრძანეს... სამრეკლოდან!.. „მეც არა ვთქვი, რა ჩამოაბრძანეს თქო?!... ეგ ხო ვიცოდით, ანდრო, რომ უნდა გადმოეყარათ!.. მე მეგონა სალაროდანაც ხო არა „გამოაბრძანეს“თქო!.. ვაი, შე ჩემო თავო! – დადუმებულო ენა – ბაგეევ და პირო ანჩის-ხატისაო!.. „პირო-ღვთისაო“!.. იყოს ნება მისიო“...

ამ დროს სამრეკლოდან ჩამოვიდნენ „მუშები“, ვერა უყვეს რა დიდ-ზარს... ამათ მიმართეს დეკანოზს: „ეგ კარები უნდა დავკეტოთ და გასაღები თან წავიღოთო“!.. „მერე ჩვენ სად გელოდოთ – ხვალ როდის ინებებთ თქვენ მობრძანებას?!. ჩვენ ხვალ წირვა გვაქვს ტაძარშიო!.. ტაძარსაც და სამრეკლოს ჩვენ დავკეტავთო“! უპასუხა დეკანოზმა მუშებს!.. „მაშ, თქვენს გასაღებზე ჩვენ ჩვენს გასაღებსაც დავადებთ (გადმოყრილი ოთხი ზარი ტაძარში შეეტანათ და იქ დაეწყოთ), რომ ზარები არავინ გაიტაცოსო“ – სთქვეს ისევ მუშებმა! – „ხალ-ხნო! ა-თაას-ხუთაასი (გაჭიანურებითა და ტკეპნა-ტკეპნით იცის ლაპარაკი მამა იოანე ლუკაშვილმა) წელი ეკიდა აქ ზარები და არავის გაუტაცნია!.. ეხლა ვინ ოხერიღა მოიპარავს თქვენმიერ გადმოყრილსა და დამტვრეულ ზარებსო“?! – მიუგო მუშებს დეკანოზმა!.. პირზე დარცხვენილი ღიმილით განშორდენ ისინი მას... ღამდებოდა... დაიწყეს საღამოს ლოცვა... დაურეკავად! მეორე დღესაც სწირეს „ნინოობას“... დაურეკავად! სიონში კი მეორე დღესაც „ობლად“ ზმუოდა „დიდი ზარი“!.. იქაც სწირეს... ამბობდენ, დღესვე უნდა დაამტვრიონ „დიდი ზარიცო“!.. ანჩის-ხატის ზარს ვერა უყვეს რა, იმასაც – აგრე ადვილად ვერას უზამენ!.. ჩამომტვრევით კი ისევ ჩამოამტრევენ!..

31 იანვარი – პარასკევი

ანჩისხატის დიდ ზარს დღესაც თავს დასტრიალებენ „ოსტატები“!.. ურტყამენ გვერდებში „ლომებს“ და ვერა გააწყვეს რა!.. ჩხავა... ბღავა... სტირის საბრალო ზარი!.. ვინ არის მისი გამკითხავი?!. ერთხანს კი შეჩერდებოდენ გამვლელ-გამომვლელნი ძველი (17 საუკუნის) სამრეკლოს წინ (ზარები ახალ სამრეკლოზე ეკიდა, მე-19 საუკუნისაზე), მაგრამ შეეჩვიენ ეხლა ზარის ტირილს ყველანი და თითქოს არაფერიაო!.. მიდიან გულ-გრილად!.. „ადამიანი ყველაფერს შეეჩვევაო“, ნათქვამია და ეს სწორია!..

ქალაქში ზარის ხმის შეწყვეტა

აღარ გაისმის დედა-ქალაქში, ჭაღარა – საქრისტიანო ტფილისში აღარც ერთი ზარის რეკა, არცა ჩვენი, არცა სხვისი!.. დადუმდა ტფილისი! ზართა რეკა შესწყდა!.. აღარ ისმის არც სომხების სამრეკლოდან დილა-ადრიანი „წიკო-წიკო“!.. „ფრანგებსაც“ – კათოლიკებსაც და ლიუტერანებსაც შეუჩერეს ზარის რეკა!.. მგონი, მხოლოდ „მინარეტიდან“ (მეჩეთი ტფილისისა – აბანოებისაკენ) ჩვეულებრივად გაჰყივის მოლა!...

დღეს – 31 იანვარს – საღამოს 5 საათზე, როგორც იყო, გადმოაყირავეს ანჩისხატის სამრეკლოდან გვერდ-გამომტვრეული დიდი ზარი!.. ის ნახევრად ჩაეფლა-ჩაეტენა – ქვაფენილ მიწაში!.. ჩამოდღლიზა ტაძრის ფრთის სახურავი!.. ამ დროს ეზოში თუ ქუჩაში მოზავებულიყო „სანახაობაზე“ ბრბო!... ის იცინოდა... ხარხარებდა!... დღესვე – აბანოდან რო ვბრუნდებოდი, ვნახე, რომ სიონის „დიდ-ზარს“ და ორს კიდევ მის ზემოდ დარჩენილ საშვალო ზარებს უტრიალებდენ ათიოდე „მეხანძრენი“!.. ბლოკები-ჭახრაკები დაედგათ ქუჩაზე და ვეებერთელა თოკებით აცურებდენ ორ ზარს... ჩამოაცურეს და წაიღეს კიდეც... „დიდ ზარს“ მეტი „ოსტატობა“ დასჭირდება... ის 640 ფუთი ყოფილა და არა 1.500, როგორც ზემოდ შეცდომით მქონდა აღნიშნული... რეკა აღარ გაისმის ქალაქში!.. „ნინოობიდან“ აღარც სიონში დაგვირეკიაო, – მითხრა დეკ. ხახუტაშვილმა... საკათალიკოსო სინოდის წევრმა...

3 თებერვალი, 1930 წელი
მთლიანი კოლექტივიზაცია „სამხრეთ ოსეთში“

საქართველოში შემოხიზნულმა ოსებმა, ქართლის თავად-აზნაურთა მამულებზე დასახლებულებმა, შექმნეს ჩვენში „ხიზანთა საკითხი“ – „Хизанский вопрос в Грузии“! ბეცმა და გაუმაძღარმა ქართლის ფეოდალებმა ქართველ გლეხებს რო მიწა-წყალი, სახნავ-სათესი, ტყე-მინდორ-ველი გამოსწირეს, ხიზან

ოსებს მისცეს, ესენი დაასახლეს, ამათ დაურიგეს სახნავ-სათესი ადგილებიც, ვენახებიცა და ბაღებიც!.. ხიზნები უფრო მეტ „სარფს“ და „ხეირს“ იძლევიან, ვინემ ქართველი გლეხებიო!.. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, ეს „ხიზნობა“ ერთნაირი ილიუზია იყო ბატონ-ყმობისა ქართლელ ფეოდალებისათვის... მაგრამ ცბიერი ოსები თეთრ კბილს აჩვენებდენ ამ დეგენერატებს, ხოლო „შავ-გულს“ ატარებდენ მათდამი თავიანთ არსებაში... რაც დრო გადიოდა, უფრო თამამ-დებოდენ „ხიზნები“ და ნაკლებ ღალას აძლევდენ მემამულეებს... მერე სულაც შეუწყვიტეს ღალის ძლევა და სიცილადაც აღარ ჰყოფნიდათ ოსებს ქართველ მემამულეთა „ბატონობა“! ოსები თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ თავის იარა-ღად გაიხადა ქართველთ ხერხემლის გასატეხად ქართლში! ოსებიდან ჰკრეფდა თვითმპყრობელობა სასტიკსა და დაუნდობელ „ჩაფრებს“ – „მამასახლისებს“, ურიადნიკებს და „ყურის მოციქულებს“ (ჯაშუშებს). აგრე გათამამებული მთავ-რობის მიერ ოსობა საქართველოში, აბა, რაღა ანგარიშს გაუწევდა ქართველ მე-მამულეებს! ეს უკანასკნელნი აბუჩად იყვნენ აგდებულნი „ხიზნების“ მიერ!..

ამიტომ კუდ-მომწვარმა მემამულეებმა აღძრეს „ხიზანთა საკითხი“. ხიზნების აყრა აღარ შეიძლებოდა... უნდოდათ, მამულების „გამოსყიდვით“ დაეკმაყოფი-ლებიათ თავი ხიზნებისაგან!.. მაგრამ აქაც „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“ მემა-მულეებს... უსწრო ამ „საკითხს“ დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც სულ ხელი დააბანინა თავად-აზნაურობას „ხიზანთა“ მიერ დაჭერილ ადგილ-მამულებზე, საძოვრებზე თუ ტყეებზე!.. ეს იყო 1917-18 წლებში მენშევიკების დროს!.. ამ დროს ქართლელ გლეხობამაც, ოსების ხიზნებთან ერთად, საშინელი შური იძიეს თავად-აზნაურობაზე – დაერივნენ მათ და ჟუჟღეს!.. მათი გვამები ძაღლებს შეაჭამეს!.. საშინელი სისასტიკე ჩაიდინეს მაშინ გლეხებმა ქართლში!.. რაც მაშინ დააკლდათ თავად-აზნაურებს აკლება-აწიოკება, ის შეუსრულდა ამათ ბოლშევიკების დროს, გასაბჭოების შემდეგ, როდესაც თავად-აზნაურთა მამულების ნაშთს სავსებით ლიკვიდაცია უქნეს, დაურიგეს გლეხობას, ან გადარიცხეს „ფონდში“!..

ეხლა ჯერი მიდგა „კულაკებზე“! ვინ არიან ეს კულაკები?! – ესენი არიან შეძლებული გლეხები, რომელთაც აქვთ „ნორმით“ დატოებული სახნავ-სათესი, ვენახი თუ ხილის ბაღები; აქვთ საწარმოო იარაღები – ცოცხალი თუ მკვდარი ინვენტარი, ხარ-კამეჩი – გუთნები, ძროხა, ცხვარი, ღორი, ქათამი, ბატკანი და თავიანთი სასოფლო მეურნეობა შედარებით მოგვარებული აქვთ, საკუთარი გარჯით და შრომით ლუკმა-პური და ცხოვრება უზრუნველ-ყოფილი აქვთ; ესენი არიან იგივე გლეხები, ყოფილი წვრილი ვაჭრები სოფლად თუ დაბა-ქალაქებში! ამათ ვაჭრობაზე და სავაჭროებზე დიდი ხანია (3-4 წელი) ხელი აღებული აქვთ და უკანასკნელ ხანებში თავიანთ ნორმა-მიწის ხვნა-თესვით თუ ბაღ-ვენახების მოვლით სცხოვრობდენ!

აი, ასეთებს ეხება ეხლა „მთლიანი კოლექტივიზაცია“! ამ „კოლექტივიზა-ციის“ რაიონებიდან პირ-წმინდათ ერეკებიან „კულაკებს“! ჰყრიან მათ ძირ-ბუდი-ანად ამ ცივ-ზამთარში! ულუკმა-პუროდ, უსახლ-კაროდ, გაფცქვნილ-გატიტ-ვლებულებს, ეუბნებიან სადაც გინდათ წადითო!... ესენიც თავზარდაცემულნი მოილტვიან... ქალაქში... მთავრობას გარს შემოხვევიან... თხოულობენ შებრა-

ლებას, მაგრამ ეს „კლასთა ბრძოლაა“, – ეუბნებიან მათ! – თქვენ ღარიბმა და საშვალო გლეხობამ გამოგრეკათ, ჩვენ მათ წინააღმდეგ ვერ წავალთ, უკან ხო ვერ დაგაბრუნებთო“!.. და არის ერთი საცოდაობა... ტირილი, წივილი, გულშემ-ზარავი სცენები!..

სოფლად იგზავნებიან ქალაქიდან კოლექტივიზაციის ჩამტარებელი „ბრი-გადები“! ეს „ბრიგადები“ შესდგებიან „პარტიულ ამხანაგებიდან“, კომკავშირე-ლებიდან და კომსომოლებიდან! შესდგებიან „ბრიგადები“ ქარხნის მუშებიდან... სხვა და სხვა ეროვნებათაგან არიან შემდგარი ეს „ბრიგადები“! მაგალითად, ამას წინეთ გაზეთებში ეწერა, რომ საქართველოში და სომხეთში ადერბეიჯა-ნიდან იგზავნებიან კოლექტივიზაციის ჩასატარებლად 150 კაცი! ამათგან ასი კაცი საქართველოში, ხოლო 50 – სომხეთში! ამათ „ბრიგადებად“ – სამეულებად დაჰყოფენ და დაგზავნიან სოფლებში!.. ესენია რომ ჰყრიან კულაკებს სოფ-ლებიდან და „აწყობენ“ კოლექტივიზაციას მეტად ჩქარი ტემპით!.. გაზეთები მხოლოდ ამ კოლექტივიზაციის ამბებითაღაა ეხლა სავსე!.. დიდი „გატაცებით“, „ენტუზიაზმით“ და „აღფრთოვანებით“ ტარდება ყველგან „მთლიანი კოლექ-ტივიზაციაო“! ეს ასე სწერია ქაღალდზე, მუშკორების კორესპონდენციებში! ხოლო რა ამბავია სინამდვილეში, ეს ჯერ დანამდვილებით არავინ იცის!.. ეტყობა, რომ ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში დიდი არევ-დარევა, გა-უგებრობა, გატაცება, ცალ-მხრივობა, უსწორ-მასწორო, შურით, შუღლით და მტრობით მოქმედებებს აქვს ადგილი!.. ღარიბ-ღატაკები ეტანებიან სხვის მიერ დამუშავებულ სიკეთეს, იტაცებენ, ანგრევენ და აოხრებენ ყველაფერს!.. არ არიან სანდო და მომზადებული პირები, რომ კოლექტივიზაციას და არტელებს გაუძღვენ!.. თვით ღარიბ-ღატაკებს რა გაეგებათ, რომ ამათ მოუარონ ამდენ ჩამორთმეულ სხვისა-ნაამაგდარ ყოფა-ცხოვრებას თუ ადგილ-მამულს!.. ემზადებიან „საგაზაფხულო თესვის კომპანიის“ ამ კოლექტიური ძალით ჩა-ტარებას!.. მაგრამ გაზეთებში უკვე გაისმის ხმები, რომ ამ მხრივ ადგილებზე დიდი უნუგეშო ნიშნებია... არაფერი მზადება არ არის და თუ სადმე მზადებაა, აუარებელი უსწორ-მასწორობა და დეფექტებიც აქვსო!...

„სამხრეთ ოსეთში“ ეს კოლექტივიზაცია (ცხინვალის და ახალ-გორის რა-იონებში – ეს არის „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი!) შეიქნა ქართვე-ლებთან უკანასკნელი ანგარიშის გასასწორებელ საბაბად! თავად-აზნაურებს ხო მორჩენ ოსები, ჩაჰყლაპეს ამათ ისინი! ეხლა ჯერი მიდგა შეძლებულ გლე-ხებზე, ყოფილ წვრილ-ვაჭრებ-მედუქნე ქართველებზე! ესენი ა/წ პირველ და ორ თებერვლის რიცხვებში აუყრიათ და გადმოურეკიათ ახალ-გორიდან (ეხლა ახალ-გორს ჰქვია სახელად – „ლენინ-გორი“, ხოლო ხაშურს ეწოდა – „სტა-ლინისი“) 92 სული ქართველობა – „კულაკობა“! ესენი შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალენი, გაფცქვნილები თავიდან-ბოლომდე, დაუყრიან ბეგარით გამოწვეულ ურმებზე, ბავშები და დედაკაცები ჩამოუყვანიათ კასპის სადგურ-ზე და დაუგდიათ აქ ღვთის ანაბრად! ახალ-გორში კი და არც ცხინვალ-ოსებში „მთლიანი კოლექტივიზაცია“ ჯერ არც კი გამოცხადებულა ისე! აყრილ ოჯა-ხების ყოფა-ქონებას დარევიან და იტაცებენო!..

გუშინ გაზეთებში გამოვიდა მთავრობის მიერ განცხადებები და წერილები, რომ „კულაკების“ გამოყრა არ შეიძლება ისეთ რაიონებიდან, რომელნიც ჯერ კიდევ არ მოჰყოლიან „მთლიანი კოლექტივიზაციის“ ფარგლებშიო!.. მაგრამ ფაქტის წინაშე სდგანან უკვე „ოსეთიდან“ გადმორეკილი „კულაკების“ ოჯახები!.. ესენი უკვე განადგურებულნია!.. რაღა ასეთი „კულაკები“ ქართველები გამოდგენ მხოლოდ და სომხები!... დაუჯერებელია, რომ ოსებში არ მოიპოებოდენ ასეთი „კულაკები“ – შეძლებული გლეხები თუ ყოფილი მედუქნეები!.. მოიპოებიან და ცოტა?!. მაგრამ აქ სხვა „პოლიტიკაა“ ოსეთის რესპუბლიკისაო, – ამბობენ!.. ოსები შეუდგენ „თავიანთი ტერიტორიის უცხო ეროვნებათაგან გაწმედასო“!.. ოსებმა საქართველოში მოიპოეს დაკარგული სამშობლოო!.. უკვე მზადდება შემაერთებელი ხიდი ჩრდილო და სამხრეთ ოსეთ შუაო!.. და შორს არ არის ის დრო, როდესაც გაერთიანებული ოსეთი უფრო მსხვილი პრეტენზიებით წარმოსდგებიან საქართველოს წინაშეო!.. ასევეა საქმე სომხეთის მხრიდანაც და ადერ-ბეიჯანის მხრიდანაც!.. მეტად დაიფლითა და დაიგლიჯა საქართველოს ორგანიზმიო!.. სჩივიან!.. მაგრამ ასეთი ჩივილი დღეს მეტად საპასუხის მგებლოა, მაშინვე მოგნათლავენ „შოვინისტად“, „ნაციონალისტად“, კონტრ-რევოლიუციონერად და ვინ იცის, კიდევ რად არა!.. ამას გარდა ბევრსაც მოგცხებენ წინ თუ უკნიდან... ასეთი ამბებია დღეს ჩვენში!.. რა ამბებია სომხეთში, ადერბეიჯანში თუ საბჭოთა სხვა კუთხეებში, ეს არ ვიცით, ამაზე გაზეთებში არა იწერება რა.

დიდ წამებაში და ტკივილებში ხდება ახალ წესწყობილების დაბადება საქართველოში, ალბად სხვაგანაც! ადამიანის შობა-დაბადებაც „ილაოს მსგავსი“ ტკივილებით ხდება, მაგრამ რომ წამოიზრდება ახალ-დაბადებული, დაკაცდება და ცხოვრებაში შეებმება, „დედა ჭირს აღარ მოიხსენებსა“, „ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მსგავსსა სენებსაო“, – ამბობს პოეტი! ალბად, აგრე იშვება და იზრდება ადამიანთა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ახალი წეს-წყობილება!.. ბევრი ენერგია, სიბეჯითე, თავდადება, სიფრთხილე და შორს მჭრეტელობაა საჭირო იმათ მხრივ, ვინც იკისრა ამ ახალი წესწყობილების დამყარება ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. ჯერ კი მხოლოდ ტკივილების თავ-განწირული მოთქმა-გოდება გვესმის!.. სისხლის ცრემლების ღელეები სდის დღეს საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს!..

მეცხვარეებს ცხვრები ჩამოართვეს, კულაკები ხართო!.. იქაც დიდი ტკივილები და უბედურებაა... მთაშიაც კოლექტივიზაცია ხდება!.. მეცხვარეები სასოწარკვეთილებაში არიან... ხოცენ, ანადგურებენ ცხვარსო!.. აგრეა სხვა მეჯოგეებშიდაცო!..

კოლექტივიზაციას, ქონების „სოციალიზაციას“ – გაერთიანებას-განსაზოგადოებას – დიდი შეგნება სჭირდება, მაღალი კულტურული დონეა ამისათვის საჭირო! ამ მხრივ შუა გული საქართველოც მეტად ჩამორჩენილად უნდა ვიგულისხმოთ! თუშ-ფშავ-ხევსურები-აფხაზ-სვან-სამურზაყანოელები, ზუგდიდ-ჯვარის მეგრელობა თუ კავკასიის მთიულები, თვით ადერბეიჯანის თათრობა

და სომხობაც რა მოსატანია! ან თვით რუსის გლეხობა!.. ამათ „შეგნებასა“ და კულტურულ ზრდას ჩვენ სად უნდა უცადოთო“... – ამბობენ ბოლშევიკები და ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ ზე-გავლენით სურთ მოახდინონ სოციალისტური აღმშენებლობის წარმოება საბჭოთა კავშირში!..

ევროპის გამოხმაურება ყოველივე ამაზე

ამასწინეთ გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა პარიზიდან: საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდენ კერესნკი და მილიუკოვიო! პირველი „რუსეთის დროებითი მთავრობის“ თავმჯდომარე იყო ოქტომბრის გადატრიალების ხანაში, ხოლო მეორე კონსტ-დემოკრატ. პარტიის ლიდერი, გარეშე საქმეთა მინისტრი. ამათ თავიანთ მოხსენებებში შეუჩივლიათ ფრანგ სოციალისტებისადმი, რომ ბოლშევიკებმა მოსპეს რუსეთში ყოველგვარი ადამიანთა თავისუფლების სახე და უფლებანიო!.. სწარმოებს რელიგიურ-სარწმუნოებრივი აშკარა დევნა, ხალხის აყრა-აწიოკება და დაღუპვაო!... დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მომხსენებლებმაო, მათ მოითხოვეს, ევროპამ მოახდინოს საბჭოთა ხელისუფლებაზე „მორალური ინტერვენციაო“!.. ფრაქციის თავმჯდომარე დაჰპირდა მომხსენებლებს, რომ „საფრანგეთის დემოკრატიისადმი ასეთი მომართვა თქვენი ფუჭად არ ჩაივლისო“... და მომხსენებლები წამოვიდენ დარბაზიდანო... შემდეგ ფრაქციაში ამ თაობაზე დიდი მიხლა-მოხლა მოხდაო!.. ორატორები გამოსთქვამდენ აზრს – თუ რამდენად შესაბამისია, ჩვენმა ფრაქციამ მიიღოს თავის თავზე ასეთი საკითხის განხილვაო და სხვა. ბოლოს დაუდგენიათ – რეზოლიუცია – შესწავლილ იქნას მომხსენებლების მიერ აღნიშნული ფაქტებიო!...

ევროპიდან მსგავს გამოსვლებს ბოლშევიკური ხელისუფლება მაღლიდან დასცქერის და სიცილადაც არა ჰყოფნის!.. ხელისუფლება მტკიცედ და შეურყევლად განაგრძობს თავის ხაზს!.. „А кот Васька слушает и есть“-ო! აგრე იქცევა ხელის-უფლება! ანდა: „ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ფქვასო“!...

ევროპას თავისი თავი გასჭირებია: გერმანიაში – გამბურგში – გაფიცულ მუშათა და პოლიციას შუა გააფთრებული შეტაკებები ხდება, სისხლის მღვრელი შეტაკებები! ბარიკადებზეა მუშების ბრძოლა! ასეთივე ამბებია საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაშიც! ასეთივე ამბებია იტალიაში, რუმინეთში! ისპანიაში გადმოაგდეს მემარჯვენე დიქტატორი პრიმო-დე-რივიერა! დასვეს სხვა დიქტატორი, ისევ მემარჯვენე, მაგრამ მუშებს დიდი ბრძოლა გაუჩაღებია კომპარტიის ხელმძღვანელობით ამ დროს. გაიძახოდენ – „ძირს მეფე! ძირს ახალი დიქტატორიც!.. გაუმარჯოს საბჭოებსაო“!.. ასეთივე მღელვარებაა ინდოეთში, ჩინეთში და მთელ დედა-მიწაზე! ძველი წეს-წყობილება, კაპიტალიზმი, ბურჟუაზიული ექსპლოატაცია, ყველა ნაკერავზე სქდება – ირღვევა! ქვეყანა, ცხოვრება, შრომა და ამ ნიადაგზე ურთიერთობა უსათუოდ მოითხოვს განახლებას! შეცვლას, შემსუბუქებას, დატკბობას!.. ცხოვრების წეს-წყობილების და

ადამიანთა ურთიერთობის ამოცანას შეადგენს ადამიანის – ამ წუთი-სოფლის სტუმრის – იმ სახით მოწყობა, რომ თავის ხან-მოკლე ამ ქვეყანაზე არსებობის დროს, ის – ადამიანი – არ განიცდიდეს წვალება-წამებას, ფლეთა-გლეჯას, ექსპლოატაციას; არ განიცდიდეს შიმშილს, სიცივეს და უდიერი შრომისაგან დაძაბუნებას. ამ მხრივ მაცოცხლებელი და თეორეტიული სინამდვილე, მაშასადამე, მომავალიც, თითქოს, „რეალისტ-მარქსისტების“ მხარეზეა! მარქსიზმის მოძღვრების ჭეშმარიტ მიმდევრებად სთვლიან თავის თავს მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც, მაგრამ ორთავე ამ მიმდინარეობას სხვა და სხვა გზა და მეთოდი აქვთ მიღებული, პირველნი თანდათანობით, ევოლიუციონური გზით ჰფიქრობენ აღნიშნული მიზნის მიღწევას, ხოლო მეორენი რევოლიუციონურად, ძალ-დატანებით, ულმობელად, დაუზოგველად, ასეთ მეთოდს კი მოსდევს დიდი მსხვერპლი, ზღვა – სისხლი, ცრემლი, ტანჯვა-წამება, ხოლო რისგან რა გამოვა ბოლოს, ეს კიდევ პრობლემატიურია!.. ადამიანის პიროვნება თავისთავად, არსებითად, კიტრადაც აღარ ფასობს!.. ეს კი აშინებს, აფრთხობს, თავ-ზარსა სცემს საზოგადოებას და უკან-უკან იხედება ის... ამიტომ ბოლშევიზმი მეტად სახიფათო ექსპერიმენტად მიაჩნიათ უმეტესობას – ვაი თუ სულ კლდეზე გადავიჩეხოთო!.. „სისხლი სისხლით არ დაიბანებაო“, – ამბობენ!.. „ასეთი სისასტიკე, რომელსაც ეხლა ვხედავთ, არ ყოფილა თვით საარაკო ბატონ-ყმურ ურთიერთობის დროსო“!.. ასეთი გულ-ქვაობა, განუკითხაობა, ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენააო“!.. ასეთი მოძრაობა სასტიკ კონტრ-მოძრაობას გამოიწვევს, და ეს უკანასკნელი იქნება პირველზე უფრო მწვავე – „последнее горше первого“! სად უნდა ვპოოთ გამოსავალი?! სად არის ხსნა?!. მე ვფიქრობ – კანონმდებლობაში, კანონით აილაგმოს კაპიტალიზმი, კანონით დაცული იქნეს მუშის უფლება-მოვალეობანი, მუშას უნდა ჰქონდეს ადამიანური ცხოვრების სრული უზრუნველყოფის საშვალება!.. ყველასგნით უნდა მოხდეს უფლება-მოვალეობის შეგნება-შესრულება სასტიკი პასუხის მგებლობისა ქვეშე!.. წარმოება-ვაჭრობის მსხვილი დარგები უნდა სახელმწიფოს ხელში იყოს, ხოლო წვრილი კერძო პირების ხელში, კერძო საკუთრების მთლიანად აღკვეთა შეუძლებელია!.. ოჯახის შელახვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს! ოჯახური კეთილი აღზრდა აუცილებელია ადამიანის ბუნების დასამუშავებლად, ასამაღლებლად, გასაკეთილშობილებლად... საჭიროა სინიდისის თავისუფლება, ბრძოლა ცრუმორწმუნოებისადმი სწავლა-განათლებისა და შეგნების საშვალებით!.. პიროვნების თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ბინის ხელ-შეუხებლობა... ესა და ასეთი დემოკრატიული დებულებებით შეზავებული კანონმდებლობა ბევრად გააუმჯობესებდა დღევანდელ დუხჭირ და გაწამებულ სიცოცხლესა და არსებობას!! როდის რა იქნება?!. როდის მოისპობა „კლასები“?!. განა ამ გზით და ამ საშვალებებით მოისპობა „კლასები“?! რა გარანტიაა, რომ თვით „გაპროლეტარებულ-კოლექტივიზაცია“ ქმნილ საზოგადოებაში არ იწარმოებს დაუსრულებელი მიხლა-მოხლა, ახალ-ახალი ჯგუფების წარმოშობა და ასე!.. ვის შეუძლია დაუდოს გარდაუვალი საზღვარი ადამიანის სულის, გულის და გონების თუ ნების ყოფის განვითარებას, ახალ-

ახალი ფორმების წარმოშობას?!. რა უფლებით შეუძლია „უკანასკნელი სიტყვა“ წარმოსთქვას სოციალურ ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ან მენშევიზმს, ან ბოლშევიზმს?! ან მარქს-ენგელს ან ლენინს? რა ვიცით, ჩვენ რომ ამ პატივდებულ მოაზროვნე ბელადებზე უფრო ძლიერი გონებისა და ნებისყოფის ადამიანებს არ წარმოშობს სულ ახლო მომავალი კაცობრიობა, რომელნიც იტყვიან უფრო დასაბუთებულ სიტყვას და გვიჩვენებენ უფრო უმტკივნეულო გზასა და საშვალებებს ადამიანთა ურთიერთობის მოსაგვარებლად?!. დოღმატიზმი მავნებელია რელიგიაში, ხოლო ის სოციოლოგიაში და პოლიტიკაში სავსებით მიუღებელი და აბსურდია!!. ადამიანის ბუნებას საზღვარს ვერავინ დაუდებს, უსაზღვრო განვითარება უწერია მას – „სრულ ქმნა, ვითარცა სრულ არს მისი ზეციერი მამა“... ესე იგი უსაზღვრო განვითარება!.. ეგ იდეალია და მას უნდა უახლოვდებოდეთ – როგორც მირაჟს ფიცხ უდაბნოში!.. უახლოვდებით და ეს იდეალი უფრო შორს-შორს მიიწევს!.. ეს არის ჩვენი ცხოვრება! წადი, და ეგ დაუდგრომელი, მუდამ მოძრაობის პროცესში მყოფი ბუნება შებოჭე სულიერი, მოქალაქობრივი თუ სოციალურ-პოლიტიკური დოგმებით!.. ეგ აფსურდია!..

8 თებერვალი – შაბათი
„უკრაინის მართლ-მადიდებელი ეკლესიის გაუქმება“

ასეთი სათაურით დღევანდელ გაზეთებშია მოთავსებული სააგენტოს ტელეგრამები კიევიდან: „7 თებერვალი“ – „შესდგა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანგებო კრება, რომელმაც აღიარა, რომ ავტოკეფალური ეკლესია იყო კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია და „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ შემადგენელი ნაწილი. კრებამ მიზან-შეუწონელად სცნო ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა და დაშლილად გამოაცხადა იგი“. უკრაინის ავტოკ. ეკლესია ამ ბოლო დრომდე შედარებით სხვა ყველა ეკლესიებისა, დიდი თავისუფლებით და პრივილეგიებით სარგებლობდა ხელისუფლებისაგან. რამოდენიმე სასულიერო ჟურნალი გამოდიოდა უკრაინაში, სამოძღვრო კურსები ჰქონდათ გახსნილი, კიევო-პეჩერის ლავრაში თითქოს კიევის სასულიერო აკადემიაც კი აღადგინესო. ამ ეკლესიის მეთაური – მიტროპოლიტი პიმენი (ჩვენში – ექსარხოსების დროს – რეკტორად და შემდეგ „ერევნის ეპისკოპოსად“ (ვიკარად მსახურებდა) იყო; ის შარშან ზაფხულს ტფილისშიდაც ჩამოვიდა ხარკოვიდან (აქ ჰქონდა კათედრა), ინახულა ქრისტეფორე კათალიკოზი და მისი ყოფილი „მესაიდუმლე-აგენტები“ თუ თანამებოთლენი ტფილისში; სჩიოდა – მოსკოვის ეკლესია არა სცნობს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალობასო, მებრძვიანო და მხარის დაჭერას ითხოვდა „უძველეს სამოციქულო ივერიის ეკლესიისაგან ამ ბრძოლაში!... თუ „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ შემადგენელ ნაწილად იცნეს ეკლესიის ორგანიზაცია, მას, რასაკვირველია, აუცილებელი დარღვევა, „გაუქმება“ მოელოდა! ეგ უხეშ-პოლიტიკანობად ჩაეთვლებოდა ეკლესიას, როგორც ამბროსი კათალი-

კოსის გენუის კონფერენციისადმი 1922 წელში გაგზავნილი, მენშევიკების მიერ ნაკარნახევი, მემორანდუმი!.. აი, დღეს ხდება საქართველოს ეკლესიის გაუქმებაც! სოფლად აღარ დარჩენილა აღარც ეკლესიები, არც სამრევლოები!.. მღვდლებმა უმეტეს წილად გაიხადეს ანაფორა, ხოლო ვინც დარჩა ანაფორიანი, ისინი მოჰყვნენ მთლიანი კოლექტივიზაციის ფარგალში და სულ ყველანი გამოდევნეს სოფლებიდან, ჩამოართვეს ყველაფერი, თუ რამ ებადათ, აჰყარეს და თავ-ზარდაცემულნი გამოეშურნენ ქალაქისაკენ, მოაწყდენ კათალიკოსს... საშინელი სანახავებია ესენი ტფილისის ქუჩებზე – აძონძილ-დაძონძილები, თმა-წვერ-ულვაშებ გაბურძგვნილები, დაურეცხავ-დაუბანელ-დაუვარცხნელები, ტალახში ამოსვრილები, შეშინებულნი, მშიერ-მწყურვალენი!.. ქალაქის ეკლესიები ზარებ-ჩამოყრილები, ენა მუცელში ჩავარდნილები, დაბეგრილები, ძლივსღა დაღანღალებენ, ღაფავენ სულს! სიონი დაბეგრეს სამასი თუმნით, მასთან არსებული „სანთლის სახელოსნოც“ – სამასი თუმნით – ეს 1927 წლის ანგარიშების გასასწორებლად! საგადასახადო ინსპექტორი ეკითხება სახელოსნოს – რას უყურებთ, რატომ ლიკვიდაციას არ უკეთებთ მაგ სახელოსნოსო!.. ამას რო „ლიკვიდაციას“ გაუკეთებენ, ამით ლიკვიდაცია გაუკეთდება თვით საქ. ავტოკეფალური ეკლესიის ფაქტიურ არსებობას, ვინაიდან ეს სანთლის სახელოსნო იყო ამ ეკლესიის ნივთიერად არსებობის ერთად ერთი წყარო!..

არ ვიცით, რა ხდება მოსკოვ-ლენინგრადის სინოდალურ ეკლესიაში!.. „ეპისკოპოს გრუშევსკის განცხადება“

ასეთი სათაურით დღევანდელ გაზეთებში, ისევ კიევიდან არის სააგენტოს ტელეგრამა: „გაზეთებში გამოქვეყნებულია განცხადება იმის შესახებ, რომ უკრაინის ავტოკეფალური მართლ-მადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსმა გრუშევსკიმ უარი სთქვა ეპისკოპოსობაზე: „მე დავრწმუნდი, – სწერს გრუშევსკი, – რომ რელიგია აფერხებს კულტურულ ზრდას და წარმოადგენს სიბნელისა და კონტრ-რევოლიუციის იარაღს. ყოველი პატიოსანი კაცი მოვალეა იბრძოლოს რელიგიის წინააღმდეგ და სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის. საბოლოოდ ვსწყვეტ კავშირს რელიგიასთან“.

ასეთი განცხადებები ბლომად იყო საქ. ეკლესიის სამღვდელოებიდანაც, მაგრამ ეპისკოპოსიდან ჯერ არა!.. ეხლა ხან ავლაბრის წმ. მარინეს დეკანოზმაც მიატოვა ღვდლობა – იაკობ ტატიშვილმა: შვილები ჰყავს საბჭოთა მოსამსახურენი: ზოგი ექიმი, ზოგი ინჟენერი და მისთვის „უხერხული ღა იყო ღვდლობა“ და გადადგა... მისი ადგილი ითხოვა სხვათა შორის ორმა კანდიდატმა: ურბნისის ეპისკოპოსმა სიმოენმა (ჭელიძემ, მიუტოვებია ეპარქია და აქეთ ჩამოქანებულა ესეც!) და არქიმანდრიტმა ტარასიმ (კავთის-ხეველი კანდელაკია გვარად). ეს ტარასი არქიმანდრიტი „ისტორიული პიროვნებაა“, ის კირიონ კათალიკოსის მეტად დაახლოებული პირი იყო, ახლდა ის მას რუსეთში – „კელეინიკად“, ექსორიაოსობისა დროს!.. კათალიკოსობაშიც მის გვერდით ცხოვრობდა, მარტყო-

ფის ტრაღედიის ერთ-ერთი „დამსწრე“ პიროვნებათაგანი იყო არქიმ. ტარასი! არქიმანდრიტობა კირიონმა მისცა მას. ტარასი იყო კირიონის გვერდით, მეორე ოთახში, როდესაც კირიონს გული გაუგმირეს ტყვიით! შეუძლებელია ტარასის უმონაწილეოდ მომხდარიყო ეს „მკლელობა“ ან „თვითმკლელობა“, როგორადაც ის გამოაცხადეს პირველ ხანებში. მე არა ერთხელ აღმინიშნავს ჩემს მემუარებში, რომ კირიონს თავი მოსაკლავი ჰქონდა! ის ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, ის ისეთ ჩიხში მოემწყვდა კათალიკოსად არჩევის გამო, რომ თავი მოსაკლავი ჰქონდა, მაგრამ ფიზიკურად არ შეეძლო მას თავისი ხელით თავისი გული ტყვიით გაეგმირა: მარცხენა ხელით მარცხენა ძუძუში რევოლვერის ტყვია დაერტყა! მას – დამბლა დაცემულს – ხელები უკანკალებდა იმ ზომ, რომ ჭიქით წყალი ვერ მიჰქონდა პირზე, და რევოლვერს ასეთი ხელების პატრონი ღრმა მოხუცი, დამბლა დაცემული, ახალ-ნაავათმყოფარი კირიონი, ვერ დაირტყამდა თავისი ხელით! კირიონის მკვლელობის მთელი საიდუმლოება და მაქინაციები ტარასის საიდუმლოებას შეადგენს!.. აი, ეს ტარასი დღემდე კახეთის სოფლებში მღვდლობდა, სადღაც წნორის წყლისაკენ!.. ძროხებიც ჰყოლოდა იქ და მეურნეობას ეწეოდა!.. ეხლა კოლექტივიზაციამ დასძრა ისიც და სიმეონ ეპისკოპოსიც! ამათ წმ. მარინეს სამრევლო ითხოვეს ამ დღეებში. მაგრამ სამრევლო საბჭომ (ფაქტიურად ერთი კაცია აქ ამ „საბჭოში“ – ვინმე ფორაქაშვილი) გადაჭრით უარი განაცხადა „ბერების“ მიღებაზე სამრევლო ტაძარში: „უხერხულია ბერები სამრევლოშიო! ცოლები გვყავს, დედები, დები, ქალიშვილებიო!.. ჩვენ ღვდლის ადგილზე ღვდელი გვინდაო“ და ორთავეს უარი ეყო!..

სიონის დიდი ზარი

რის ვაივაგლახით, ეს სამი დღეა გადმოაგდეს სამრეკლოდან სიონის „დიდი ზარი“, რომელიც „ბოხ ხმას აძლევდა სხვა ზარებს“!.. სამრეკლოს შუა ნაწილის ბოძები გამოანგრიეს და ისე გადმოაგდეს ეგ 640 ფუთიანი ზარი ძირს – მიწაზე, სამრეკლოს გვერდით! გდია ეგ ბუმბერაზი ზარი ერთი მოზრდილი ოთახის ოდენა ქუჩაში და ხალხი ფუტკარივით გარს ეხვევა მას!.. უნდა დახერხონ – ნაწილ-ნაწილად დაჰყონ ადგილზევე და ისე წაიღონო!..

საკათალიკოზო სინოდის „პლენუმის“ მოწვევა

ამ დღეებში აპირებენ სინოდის „პლენუმის“ მოწვევას და შექმნილი ვითარების განხილვას. სურთ საეკლესიო კრების მოწვევა! მაგრამ სოფლად აღარც სამღვდელოებაა, არც სამრევლო ორგანიზაციები! ვისგნით უნდა ამოირჩიონ საეკლესიო კრების დელეგატები?! ვინც არის, ისევ ყველანი აქ – ტფილისში – არიან და ეს „პლენუმი“ იქნება, ალბად, საეკლესიო კრების მაგიერი!.. მაგრამ იერარქებში დიდი განხეთქილება ყოფილა: დავით ქუთათელი მიტროპოლიტი

(კაჭახიძე) – ქრისტეფორეს განმკათალიკოზებელი – დღეს უკვე გადასდგომია კათალიკოზს! დავითს აღარ მოსწონს ქრისტეფორესი არც ადამიანობა, არც პატიოსნება, არც არა! მოგვატყუილა, თავისი პირადი კეთილდღეობა განიმტკიცა, თავმოყვარეობა დაიკმაყოფილა, თავს წამოგვაჯდა და საერთო-საეკლესიო საქმეზე არც ზრუნავს, არც ყურს იბერტყავს, არც არას ნაღვლობსო!.. ასეთი ბჭობა-მოლაპარაკება-შეთქმულობა ჰქონიათ მის წინააღმდეგ: თვით დავით ქუთათელს, აწ განსვენებულ იოანე ბოდბელს და მელქისედექ ეპისკოპოზს... ამათ შეუდგენიათ საპროტესტო ქაღალდი, ხელს აწერინებდენ ზედ სხვებსაც და გადაწყვეტილი ჰქონებიათ ქრ-ფორეს გადმოგდება კათალიკოსობის კათედრიდან: მაგრამ „შეთქმულება“ ჩაშლიათ... იოანე გარდაიცვალა... ეხლა პლენუმზე შეიკრიბებიან და იქნება თმათა და წვერთა გლეჯაო!.. ისევ შფოთი!.. ისევ განხეთქილება... ისევ ერთმანეთის განიავება!.. ეტყობა, ეს „წმინდა მამები“ სადღაც სხვა პლანეტაზე უნდა სცხოვრობდენ!.. ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ჰგონიათ ალბად!.. ისევ განხეთქილება... ვნახოთ, რა იქნება – „პლენუმზე“... სინოდში.

საუბარი კათალიკოსის ქალთან – „ლელიასთან“

ამ ერთი კვირის წინეთ ჩვენსა შემოიარა კათალიკოს-ქრისტეფორეს საშუალო ქალმა, ქმარს თავ-დანებებულმა ლელიამ. ეგ სურამის სახლ-კარის და ბაღ-ვენახის მომვლელ-პატრონად გაუგზავნია მამას. მაგრამ ამ კოლექტივიზაციის დროს ჩამოურთმევიათ სახლ-კარი და ყველაფერი და ლელია გამოუძევებიათ სურამიდან. ესეც ჩამოქანებულა ქალაქში და დაუწყიათ ხელისუფლებასთან ჩამორთმეული სახლ-კარის და ბაღ-ვენახის უკან დაბრუნებაზე მაცადინეობა: „მამა ჩემმა დასაბუთებული, მკაცრი ქაღალდი შეიტანა საქ. „ცაკში“ და მოითხოვა ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებაო, – დაიწყო ლაქ-ლაქი ლელიამ: – „მე კათალიკოზობა რად მინდოდა! თქვენი ბრძანებით ვიკისრე ეგ მოვალეობაო!... მე კისლაოდსკში და პიატიგორსკებში წასვლა არ შემიძლია... ერთი ავათმყოფი კაცი ვარ... თავშესაფარი და სულის მოსაბრუნებელი სახლ-კარი მქონდა სურამში და ნუ ჩამომართმევთო“!... ცაკმა ისმინა მამა-ჩემის შუამდგომლობა, ქაღალდი მომცეს კიდეც ჩამორთმეული სახლ-კარისა და მამულის დაბრუნებაზე... ხვალ მივდივარო!.. თავმომწონედ გაიძახოდა თავ-სუბუქა ლელია! მამა ჩემს ტყვილა კი არ ეძახიან „კრასნი კათალიკოსსო“!.. ფქვავდა პირ-მოხეული ლელია!.. წასულა ლელია სურამში... იქ ერთხანს გაჯიუტებულა ადგილობრივი ხელის უფლება – „ეგ მარჯვნით გადახრაა“ ცენტრალი ხელისუფლებისო და არ უბრუნებდენ თურმე ჩამორთმეულს... მაგრამ „კრასნი კათალიკოსმა“ ბოლოს მაინც თავისი გაიტანაო... დაიბრუნა ყველაფერიო, ამბობენ... მისმა ძმამ, იტრიის ღვდელმა, რომელიც იმავ ეზოში ცხოვრობდა, ანაფორა გაიხადა და ისიც დასტოვეს თავის სახლ-კარში, აღარ აჰყარესო!.. ამასაც კათალიკოსი შველოდაო!.. კათალიკოსსა და „ცაკის“ შორის შუაკაცობას დეკ. ბენიამენ კანდელაკი – რასპუტინად წოდებული – ის იწე-

ოდაო! მიდი-მოდიოდა, მიჰქონდა ქაღალდები, განცხადებები თუ სიტყვიერი სიტყვა-პასუხებიო!..

დიდი უკმაყოფილებაა კათალიკოსისადმი ამ თაობაზე: მან საქ. ეკლესიის ინტერესები ანაცვალა თავის სახლ-კარისა და მამულის დაცვასაო! საეკლესიო საქმეზე, საქვეყნო საქმეზე ხმას არ იღებს, თავს არ იცხელებს, არავის აწუხებს, თავს არ აბეზრებს, ოღონდ მისი პირადი ქონება-კეთილდღეობა დაცული იქნესო!.. აგრე შემომჩივლა იმ დღეს ერთ-ერთმა სინოდის წევრთაგანმა დეკანოზმა! დიდად გათახსირებული კაცი ყოფილაო!.. არ გვეგონა, თუ ასეთი საძაგელი-სალახანა ვინმე იქნებოდაო!.. კალისტრატე-მიტროპოლიტი – ცინცაძე – კიდევ მაგაზე მეტად გათახსირებული და სულ-მდაბალი ყოფილაო!.. არც ეს იღებს ხმას, ქრისტეფორეს ზურგს უკან იმალება! ეკლესიაში რაც უბედურება ხდება, სულ ყველაფერს ქრისტეფორეს ახვევს თავზე, მე რა!.. კათალიკოსი ეგ არის, მაგან უნდა იცეს თავშიო!.. ასე ჰგონია, თვითონ არაფერში პასუხისმგებელი არ არისო!.. ნამდვილად კი ეგ კალისტრატეა ყველაფრის ამრევ-დამრევი! უმაგისოდ ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია კათალიკოსსო! კალისტრატე იყო და დარჩა ეკლესიის გამგე-მმართველი კირიონიდან დაწყებული, დღემდეო!.. ისე კი თავს იკატუნებს, ყველაფერი თავის ნებაზე გაჰყავს სინოდში, ხოლო ყველაფრის პასუხის მგებლად კი კათალიკოსი გამოჰყავსო!.. ეგ რა თვალთ-მაქცი, გველაძუა ვინმე ყოფილა თქვენი ჭირიმეო, – დააბოლავა თავისი აღშფოთება დეკანოზმა – სინოდის წევრმა!

ნეტავი სად არიან საქართველოს ეკლესიის „მოყვრები“?!

ასეთი კითხვა წარმოიშვა ჩემს წინაშე ეხლა, როდესაც ზემოაღნიშნულ სტრიქონებს ვსწერდი! მომაგონდა 1924 წელს, 2 ივლისს საღამოს 9 საათზე ჩემ ბინაზე მოგზავნილი „ურწმუნო მოციქულები“ (2 კაცი) – „მორწმუნე საზოგადოებიდან“! „ჩვენ მორწმუნე საზოგადოებამ გამოგვგზავნა გადმოგცეთ, რომ შენ (ნ. თალაქვაძე) საქართველოს ეკლესიის მტერი ხარ, საეჭვო პირებთან გაქვს საქმე, გასწორდი, თორემ მოგკლავთო“!.. მე „გავსწორდი“!.. ჩამოვშორდი იმ ერთ თვეში ეკლესიას, დაუცალე ასპარეზი საქ. ეკლესიის „მოყვრებს“ და „მორწმუნე საზოგადოებასაც“! – ნეტავი, სად არიან დღეს ან ეს „მოყვრები“ ან „მორწმუნე საზოგადოება“!.. ეჰ! მახლას!.. კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს! ავი რა საკვირველიაო!.. კარგად თქმულა!..

განწირული ყოფილა ისტორიისაგან საქართველოს ეკლესიაც და სხვა ეკლესიებიც. ასეთმა „ორგანიზაციებმა“ თვით გამოიწვიეს, თვით წარმოშობეს ის, რაც მათ დღეს სჭირთ!... ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს... ესეც უმიზეზოდ არ ხდება! მიზეზები ბევრია და ღრმა!.. მათი ამოწურვა, დახასიათება მეტად შორს წაგვიყვანდა!.. დეე!.. ისტორიამ თვით აუგოს ანდერძი ამ „ცოცხალ ლეშს“, რასაც წარმოადგენს დღეს საქ. ეკლესია და არა ეს ეკლესია მხოლოდ!... ისე ხდება სული ამ „ცოცხალ ლეშს“, რომ მისი ჭირისუფალი და დამტირებელიც არა სად სჩანან!.. „მელია კი (შუბლაძე, დავითაშვილი და ძმანი მათი) იცინის, იცინის, კვდება სი-

ცილით“!.. გამოსჭამეს, გამოხრეს, გულზე დააძღენ საქართველოს ეკლესიას!.. ეხლა მიიმალ-მოიმალენ, თბილ-თბილი ადგილები მონახეს და მოიკალათეს... შესანიშნავად... შეეგუენ... შეეწყვენ... დროებას... ეხლაც „საჭირო კაცები“ გახდენ ესენი!.. „ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასო“!.. უთქვამთ ძველთაგან და ეს აგრეც გამოდის ხოლმე ცხოვრებაში!..

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი ბერლინში

გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ეგ პროცესი დასრულებულია და განაჩენით ყველა ბრალდებულნი გაუმართლებიათ! მათი დანაშაული მიუღიათ პოლიტიკური მოსაზრებების ქვეშ დაშვებულად! ამნისტიაც მიახმარეს მათ და გაანთავისუფლეს ყოველგვარი სასჯელისაგანო!.. ამათი გამართლებით მეტად უკმაყოფილოა საბჭოთა ხელისუფლების პრესა. ასეთი განაჩენი მაჩვენებელია იმისი, რომ გერმანია ანტი-საბჭოთა დაჯგუფების ბანაკშიაო!.. ბერლინის პროცესმა მიჰბაძა პარიზის პროცესს, სადაც ყალბი დოკუმენტებისა და ვექსილების გამკეთებელნი ისევე გაამართლეს, როგორც ბერლინის ყალბი ჩერვონცების მკეთებელნიო! ქარუმიძე და სადათიერაშვილი გმირ-ყოყოჩებად სახავენ თავიანთ თავსო!.. განაჩენი გაპროტესტებულია გერმანიის მთავრობის მიერ, გადატანილი იქნება ის უმაღლეს ინსტანციაშიო!.. მაგრამ არა გამოვა რა!.. გამოაშკარავდა ყველაფერიო!..

ქრისტეფორე-კათალიკოზის განქიქება
დავით ქუთათელ-მიტროპოლიტის მიერ

ამ რვეულის მე-6 გვერდის მეორე მხარეზე მქონდა აღნიშნული: „საკათ. სინოდის „პლენუმის“ მოწვევა“. აქ აღვნიშნე ისიც, რომ „იერარქებში დიდი განხეთქილებაა თქო“... შემთხვევით ხელში ჩამივარდა ექვს თაბახზე გაჭრელებული დავით ქუთათელ-მიტროპოლიტის სინოდის პლენუმზე წარდგენილი მოხსენება, რომელიც თავიდან ბოლომდე მიმართულია კათალიკოზ ქრისტეფორეს წინააღმდეგ – მის განსაქიქებლად და კათოლიკოზობიდან გადასაგდებად. მეტად დამახასიათებელი დოკუმენტია ეგ „მოხსენება“! დამახასიათებელია ეს დოკუმენტი, როგორც „დრო-ჟამისა და ზნეთა ჩვენთა“, ისე ეკლესიაში შექმნილი ვითარებისა, თვით ამ ეკლესიის მესვეურთაგანვე!.. დამახასიათებელია თვით დავით მიტროპოლიტისა (კაჭახიძე), როგორც პიროვნებისა, როგორც სასულიერო გვამისა, რომელიც წარმოადგენს ერთ უბადრუკ ჭურჭელს ყოველივე თაღლითობისა, ინტრიგანობისა, შურიანობისა და დაუკმაყოფილებელი პატივ-მოყვარეობისა! ამას ვამბობ მიუხედავად იმისა, რომ რასაც მიტროპ. დავითი სწერს და ამხილებს ქრისტეფორე კათალიკოსზე, ყველაფერი თავიდან ბოლომდე სრულ სიმართლეს და ნამდვილ დახასიათებას მისას წარმოადგენს. მაგრამ განმქიქებელმა დავითმა ყოველივე ეს იცოდა და თვითონაც ამბობს,

რომ სცოდნია მაშინ, როდესაც ის თვითონ ხელს უწყობდა ქრისტეფორეს, რათა ეს უკანასკნელი გამხდარიყო კათალიკოზად. ეხლა თავს იმართლებს დავითი, მაგრამ ეს თავის მართლება უფრო მეტ თვალთმაქცობასა, პირფერობასა და ფარისევლობას უმტკიცებს „მოხსენების“ ავტორს...

...„როცა კათალიკოზად ქრ-რე ავირჩიეთ, მაშინვე უნდა გაგვეთვალისწინებია, რომ სამღვდელოების ცხოვრებაში მშვიდობიანობას ადგილი არ ექნებოდა. განა კათალიკოზობა ქრ-ეს გამოცვლიდა?! – სწერს დავით მიტროპოლიტი და განაგრძობს: – განა იგი თავის ანარქიულ და დესპოტიურ ბუნებას უარჰყოფდა, სძლევდა და გახდებოდა მშვიდობის მოყვარულ და მშვიდობის მყოფელ ადამიანად?! ის, ვინც იყო რედაქტორი, სულის ჩამდგმელი სამარცხვინო „ახალი სიტყვისა“, ის, ვინც არ უსვენებდა არც კათალიკოზ კირიონს, არც კათ. ლეონიდს, არც კათ. ამბროსის და არც არავის თავის უფროსთაგანს და თანასწორთაგანს, განა დაიმშვიდებდა თავის გულს და დაამყარებდა სამღვდელოების ცხოვრებაში მშვიდობიანობას?!. კაცი მოუსვენარი, ინტრიგანი, კაცი არეულ-დარეულ ფსიხიკისა, განა შეჰქმნიდა პირობებს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის?! განა იგი, პირიქით, თვით არ დაარღვევდა მყუდროებას, არ მისცემდა საბაბს განხეთქილებისათვის, არევ-დარევისათვის?!... მისი ხელობაა ბრძოლა, კბენა, მას უყვარს პირველობა-გავლენიანობა, მას სურს, რომ ყველაფერი მისი ნებისაებრ, მის გემოვნებაზე კეთდებოდეს, ყველა მის ნებისაებრ იქცეოდეს; წინააღმდეგობას იგი ვერ ითმენს... კბენდა იგი კირიონს, რადგანაც მასთან პირველობა ვერ მოიპოვა, კბენდა ის მიტროპ. ანტონს, ექსარხოსების დროს, როცა ანტონი ქორეპისკოპოსი იყო“... და შემდეგ ჩამოთვლილია, ვის როდის და სად კბენდა ქრ-რე!..

...„დიაღ, ქრ-რე არის გაუსწორებელი ეგოისტი, დესპოტი, მატერიალისტი, ინტრიგანი; იგი არღვევდა და დღესაც არღვევს მშვიდობიანობას სამღვდელოების ცხოვრებაში; მას მხოლოდ ორი ღირსება აქვს – მას მდიდარი ხმა აქვს, მაგრამ ხმა მისი არის სადიაკვნო და არა სამღვდელო, მის ღვთის მსახურებაში სასოებიანობა სრულიად არა სჩანს... მეორე კარგი თვისება მისი არის ის, რომ ქ-რე უმცროსებს თავმდაბლად, სადად ექცევა, ამით მას ბევრი შეჰყავს შეცდომაში, ჰგონიათ, რომ იგი მართლა უბრალო და თავმდაბალი კაცია!...

როდემდე უნდა უთმინოთ ამ ადამიანს?! – სვამს საკითხს მიტრ. დავითი და განაგრძობს: – ვსწუხვარ, რომ მე მის გაკათალიკოსებას ხელი შეუწყვე! დროა ეკლესიას მავნე ქრ-რე მოვაშოროთ!.. ქრ-რე კათალიკოზი თავის თანამდებობიდან გადაყენებული უნდა იქმნეს; დაენიშნოს მას პენსია ხუთ-ხუთი თუმანი თვეში; იცხოვროს მან სურამში, სადაც მუდამ გარბის! (ეს ზურგზე წნელის გადათხლაშუნებაა... გადაკვრითი მხილება – ვარვარა სერგეევნასთან – კუხარკასთან – კავშირის გამო)...

ვინ ჩავაყენოთ ეკლესიის სათავეში?! – სვამს კითხვას ისევ დავითი და განაგრძობს: – თუმცა მე და კალისტრატემ ერთი მეორეს ძალიან ვაწყენინეთ და თუმცა მე მისი მიმართულება არ მომწონს: მასში გარეგნულობა, ფორმა მეტობს შინაარსზე, სულზე; იგი საქმეს უფრო ფორმალურად უდგება, ვიდრე არსებითად, გარნა მაინც ვიტყვი, რომ იგი ჩვენ შორის პირველია. მიუხედავად

ამისა, მე მას ეკლესიის სათავეში ჩადგომას არ უსურვებ, ისე, როგორც მე არ ურჩევდი მას გამღვდელმთავრებას.

პირველობა უნდა შევთავაზოთ ან დეკ. მარკ. ტყემალაძეს, ან დეკ. დიმ. ხახუტაშვილს, ანდა ეპ. მელქისედეგს...

მე მიტომ შეუწყვე ხელი ქრ-რეს გაკათოლიკოსებას, რომ ვიცოდი, იგი სხვა კათალიკოზს არ მოუსვენებდა, მის ინტრიგანობას ბოლო არ მოეღებოდა, და ვფიქრობდი, როცა იგი თვით კათალიკოზი იქნებოდა, მისი ხარბი გული გაძღებოდა, მისი უზომო თავმოყვარეობა დაკმაყოფილდებოდა და იგი დამშვიდდებოდა, ყველასთან ტკბილად იქნებოდა, მაგრამ როგორ მოვსტყუვდი?! სწორედ მას დიაბოლო-ფორე შეშვენის და არა ქრ-ფორე! ქრ-ფორე ნიშნავს ქრისტეს მატარებელს, იგი კი ეშმაკის მატარებელია! – განმარტავს სახელს დავითი და განაგრძობს: – მე ბევრჯელ მივეცი მას რჩევა – დამშვიდებულიყო, მაგრამ ჩემმა სიტყვამ მასზე ვერ იმოქმედა, კუზიანს საფლავი გაასწორებსო.

...რადგანაც ქრ-რეს თავგასულობა უმაღლეს წერტილამდე ავიდა, რადგანაც მისი ყოლა კათალიკოსად უკვე აუტანელია, ვსთვლი ჩემს მოვალეობად ჩემი დანაშაულობა აღვიარო და ვსთქვა: ვსცოდე, რომ მე ქ-რეს გაკათოლიკოსობას ხელი შეუწყვე! ამისთვის მწერდენ ვიღაცები – შენ დაღუპე ეკლესია, ქრ-რე ქუთაისიდან თბილისში რო გამოგზავნეო“...

მაგრამ კმარა... ამონაწერებიც ცხადჰყოფენ ყოველივეს, რა „ზნეცა გვჭირს“!.. ასეთ დროში ასეთი რამეების ჩმახვა?!. ან ვინ გამოგაცვლევინებს ქრ-ფორეს?!. ამისი ვისა სცხელა ეხლა!.. ლიკვიდაცია უკეთდება ეკლესიის არსებობას და უბადრუკი დავითი უბადრუკ ადამიანებს ასახელებს ქრ-ფორეს მაგივრად!..

საკათ. სინოდმა არ განიხილა ეს „მოხსენება“!.. ქრ-ფორე გაგიჟებულა, რო წაუკითხნია ეს დოკუმენტი!.. რამოდენიმე ცალად ხელიდან ხელში გადადის ტფილისში ამ „მოხსენების“ ასლი!.. დავითს უკან დაუბრუნეს ეს მისი „ნაწარმოები“!.. განუხილავად!..

მაშინ ქუთათელს წარმოუთქვამს თავისი გულის-ნადები: „ქუთაისიდან სადმე წამიყვანეთო! აქ აღარ მედგომება! ღვდლები სულ გადადგენ და გამორეკეს სამრევლოებიდან! ვიღას უნდა გაუჩერდე იქაო!.. შიმშილით სული ამომხდებაო!.. დამნიშნეთ „წილკნელად“ – მცხეთაში და სამი თუმანი მომეცით თვეში საცხოვრებლადო“!..

– როდესაც ქრ-რეს მოახსენეს დავითის ეს „სურვილები“, იტკიცა: „არ დამენახოს თვალით! მე მაგას მივსცემ შავ ქვასა და ნაცარ ცხელსაო! თქვენ რაც გინდოდესთ, ის მიეცითო“, – უთხრა მან სინოდის წევრებს...

დავითი კი დაღონღიალებს ტფ-სის ქუჩებში სამარცხვინოთ, ქვეყნის სასაცილოთ, რაღაც საოცრად გალაჯული დადის!. ეტყობა, ძლიერ ჩამოსვლია ტრიკები და ვეღარ დადის!... საშინელი სანახავია!.. დარეტიანებული, ბრმა-ბეცი და გალაჯული, ანაფორა-კუნკულაში გამოხვეული, რაღაც მოჩვენებასავით ქუჩა-ქუჩა დაბობღავს!..

საკათ. სინოდის „პლენუმში“ რა ხდება, ჯერ არ ვიცი!.. ისე კი დიდი გაჭირებაა მათ კარზე მიმდგარი.

„მიტროპოლიტ სერგის და სინოდის წევრების განცხადება“

ასეთი სათაურით მოთავსებულია გაზ. „კომუნისტის“ 18 თებერვლის (№40) ნომერში მოსკოვიდან – 16 თებერვლის თარიღით – ცნობა.

იმ დიადმა რევოლიუციამ, სოციალურმა რევოლიუციამ, რომელიც ეხლა „მთლიანი კოლექტივიზაციის“ სახით ტარდება სოფლად მთელი საკავშირო მასშტაბით, საზღვარ გარეთ – ევროპა-ამერიკაში გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა და საბჭოთა წინააღმდეგი გამოსვლები. „სარწმუნოების დევნის“ შესახებ საბჭოთა კავშირში ხმა აღიმაღლა რომის პაპმა – პიოს XI! ის „ჯვაროსნულ ომს“ უცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას „სარწმუნოების დევნისა“ გამო! პაპს ხმა მისცა კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა ლონდონში, ყველა კარდინალებმა, პარიზის რაბინმა, ათინის სინოდმა და ყველა სხვა ეკლესიების მეთაურებმა. ზარების ჩამოგდება სამრეკლოებიდან, დევნა სამღვდელოებისა; მორწმუნეებისა, ყოველივე ეს და ასეთი რამეებია აღნიშნული პაპისა და სხვათა გამოსვლებში! პოლიტიკური პარტიებიც გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლის-ამერიკაში და ყველგან აყაყანდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ერთხმად მოითხოვენ „მორალურ ინტერვენციას“ საბჭოთა კავშირში! მოითხოვენ შეიარაღებული ძალებით თავდასხმასაც!.. ასეთ საერთო გამოსვლებს გაეხმაურა საბჭოთა პრესა, რომელიც ახურდავებს და სცდილობს გააქარწყლოს პაპისა თუ სხვათა გამოსვლები თუ მხილებანი სარწმუნოების დევნის შესახებ საბჭოთა კავშირში. აი, ამ თემაზეა შედგენილი მოსკოვის მიტროპოლიტის სერგისა და სინოდის წევრების განცხადება. ამ სინოდის წევრებია: სარატოვის მიტრპ. – სერაფიმი, ხუტინის არქიეპ. – ალექსი, ვენიგაროდისა – ფილიპე, ორეხოვო-ზუევის ეპ-სი – პიტირიმი.

საბჭოთა პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე მიტ-ტმა სერგიმ და სინოდის წევრებმა განაცხადეს: „საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნას არასოდეს არ ჰქონია და არცა აქვს ადგილი. ყოველგვარი რელიგიის მიმდევრობა საბჭოთა კავშირში სავსებით თავისუფალია და არც ერთი სახელმწიფოს ორგანოს მიერ არ იდევნება. სამღვდელოებას არ ეკრძალება რელიგიური წესების შესრულება და ქადაგების წარმოთქმა. მართალია, ზოგიერთი ეკლესია იხურება, მაგრამ ეს ხდება არა ხელისუფლების ინიციატივით, არამედ მოსახლეობის სურვილის თანახმად, ხშირად თვით მორწმუნეთა დადგენილებით“...

...შემდეგ იერარქნი ეკამათებიან რომის პაპს... თვით კათოლიკურ ეკლესიას ამხილებენ სხვა სარწმუნოების მიმდევართა განუწყვეტელ დევნაში, რომელიც ზოგჯერ წამებით და კოცონზე დაწვით თავდებოდა... „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომის პაპი... უსისინებს თავის მრევლს საბჭოთა კავშირს და აღვივებს კოცონს ომის მოსამზადებლად საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგო“!... ჩვენ არ გვესაჭიროება რომის პაპის გამოსარჩლება... ჩვენ თვითონ შეგვიძლია ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა. ამ დღეებში ჩვენ გამოვცემთ სპეციალურ მიმართვას მორწმუნეებისადმი, რომელშიაც მიუთითებთ რომის პაპის ახალ ცდებზე – გაავრცელოს მართლმადიდებელ ქრისტიანეთა შორის კატოლიციზმი, სრულიად არა საკადრისი გზებით“...

ასევე უმასპინძლდებიან რუსი იერარქები სხვა ეკლესიების მეთაურებსაც... განსაკუთრებით კენტებერიის მთავარეპისკოპოზსაც: „მის გამოსვლებში ვხედავთ ისეთივე სიცრუეს და სიყალბეს სარწმუნოების დევნის შესახებ საბჭოთა კავშირში, როგორსაც რომის პაპის გამოსვლა შეიცავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამოსვლა არის მრევლის წასისინება ახალი ინტერვენციის მოსაწყობად, რომლისაგანაც ასე იზარალა რუსეთმაო“!..

მოსკოვის იერარქების ასეთმა გამოსვლამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ევროპის პრესაში... მითქმა-მოთქმა... ძალ-დატანებაზე... კარნახით დაწერაზე და სხვა...

გაზეთ „კომუნისტის“ 20 თებერვლის ნომერში (42) გადმობეჭდილია „მიტროპოლიტი სერგის განცხადება“ – უკვე მეორე – 19 თებერვლიდან. ეს განცხადებაა გაკეთებული საზღვარგარეთელი პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე სერგისადმი: „თქვენ მეკითხებით, თუ რატომ ვთვლით ჩვენ პაპს მართლ-მადიდებლობის მტრად! როგორ შეგვიძლია სხვა ნაირად ვიფიქროთ, როდესაც კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელსაც პაპი მეთაურობს, მარტო პოლონეთში 1929 წელს ჩამოართვა მართლ მადიდებელ მორწმუნეთ 500-მდე მართლმადიდებელი ეკლესია და გადააქცია ისინი კოსტელებად. ჩვენ არ ვიცით, რომ რომელიმე ეპისკოპოსი ინგლისში ან ამერიკაში ან სხვა ქვეყანაში გამოსულიყო კათოლიკური ეკლესიის ამ ძალადობის წინააღმდეგ“... ზარების ჩამოხსნაზე, რეკის აღკრძალვაზე მოსკოვში (იქ ზარები როდი ჩამოუხსნიათ თურმე, მხოლოდ რეკა აუკრძალავთ!) სერგის უპასუხნია: „ეგ არაფერია, რას დაგვიშლის ზარების დაურეკაობა, კვირეებისა და სხვა უქმეების მოსპობაო. ევროპის ქვეყნებში ბევრ ალაგას უკვე შეზღუდულია და ზოგან აკრძალულიც ზარების რეკაო“...

კომენტარიები აქ მეტია!.. ამ განცხადებასაც დიდი განგაში გამოუწვევია ევროპაში. აბა, რა ზნეობრივი ღირებულება უნდა ჰქონდეთ ასეთ „იერარქებს“ ბოლშევიკების თვალში?.. მიტროპ. სერგიმაც და პაპმაც ჩინებულად იციან და ხედავენ, რაშიცაა საქმე!.. სერგიმ კარგად იცის, რომ ჯერ რუსეთმა „გაამართლმადიდებლა“ პოლონეთში და გალიციაში „გაკათოლიკებული“ მოსახლეობა, ეგრედ წოდებულ „პოლონეთის დაყოფის“ შემდეგ!.. ეხლა კი, როდესაც გარემოება შეიცვალა, ეს „გამართლმადიდებული“ მოსახლეობა და მათი ტაძრები ისევ გააკათოლიკეს და უკან დაიბრუნეს პოლონელებმა! ერთი სიტყვით, პაპიცა და რუსეთის სინოდი, თავისი მიტროპოლიტებით, მუდამ პოლიტიკის „დოვესკა“ და აგენტები იყვნენ და დარჩნენ დღესაც!.. ესენი, როგორც ქრისტიანი იერარქები, დიდი ხანია გაშიშვლებულნი არიან ქრისტიანობისაგან და ქრისტიანულ ზნეობისაგან, სიმართლისაგან და გულწრფელობისაგან! მაგათი არაფერი არ დაიჯერება – არც წერილობითი განცხადებისა და არც სიტყვიერისა!.. დღეს ამათ, ამ უდიდეს ტრაღიზმის დროს, გაითამაშეს საბრალო „ფარსი“! ტიკინები იყვნენ და დარჩენ ამა სოფლის ძლიერთა ხელში!..

მგონი, ამ მიმართულებით უკვე ამუშავებენ ჩვენს ქრ-ფორე კათალიკოსსაც და დავით ქუთათელ-მიტროპოლიტსაც!.. ამათაც შესთავაზეს ანალოგიური „შეკითხვებიო“, – ამბობენ!.. ჯერ კი არა ისმის მათი პასუხი!.. ჩვენ ვიხილეთ

ზემოდ ქრ-ფორე და დავით-მიტროპოლიტისა თუ კალისტრატე მიტროპოლიტის ურთიერთშორის „ძმური“ ურთიერთობა-დამოკიდებულობა!.. აბა, რა ფასი უნდა ჰქონდეს ამათ მხრივ ასეთსა თუ ისეთს „პასუხებს“ – „შეკითხვებზე“!.. მაგრამ დაუცადოთ!.. მოვისმინოთ!..

24 თებერვალი – ორშაბათი

ხვალ – 25-ს – საქართველოს გასაბჭოების მე-9 წლის თავია და წითელი არმიის შექმნის 12 წელი! ამ ორ ისტორიულ მოვლენას დღესასწაულობენ დღეს და ხვალ საბჭოთა ა/კ. კავშირში და მთელ კავშირშიდაც. მოსკოვში სამხედრო-რევოლიუციონურმა კონფერენციამ უკვე იზეიმა წითელი არმიის დღესასწაული და წითელი ორდენით დააჯილდოვა სტალინი (მეორე წითელი ორდენით), ბუდიონი – ცხენოსანი არმიის დამაარსებელი – მესამე ორდენით, ხოლო ვოროშილოვი – სამხედრო კომისარი – მეოთხეთი!.. ხვალ ყველა დაწესებულება თუ წარმოებები – ფაბრიკა-ქარხნები – მუშაობენ, არ უქმობენ! დღიური ნამუშევარის ხელფასი უნდა გადასდონ „კოლექტივიზაციის“ გასაძლიერებლად! ხოლო პოლიტიკური გამოსვლა-დემონსტრაციები მოხდება საღამოს 6 საათიდან; ტფილისის ქუჩებში გამოვლენ მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლეები ფაკელებით, ჩირაღდნებით ივლიან უმთავრეს ქუჩებზე, მივლენ სასახლის წინ და აქ მიესალმებიან მთავრობას.

საქ. გასაბჭოების 9 წლისთავი
25 თებერვალი, 1930 წელი – სამშაბათი. წითელი არმიის 12 წ. თავი

როგორც ზემოდ მქონდა აღნიშნული, საღამოს 6 საათზე დაიძრა ქალაქის ყველა კუთხიდან საზეიმო დემონსტრაცია! ტყე წითელი ფლაგებისა და დროშებისა აღიმართა რუსთაველის პროსპექტზე! სასულე ორკესტრების გრიალი, დაფა-ზურნა, სიმღერები! დიდი ჟივილ-ხივილია! ლოზუნგები, პლაკატები – „საქ. გასაბჭ. 9 წლის თავის შესახებ“! ლოზუნგები წითელი არმიის 12 წლისთავის აღსანიშნავად. ყველა იარაღის ჯარისკაცთა კოლონები, ტანკებით, ტყვიის მფრქვეველებით!.. მუშა-მოსამსახურეთა ულეველი რაზმები! მოწაფეთა, ვაჟთა თუ ქალთა მწყობრები!.. ყველა ესენი მიდიან ლენინის ქუჩისაკენ (წინეთ ოლღას ქ.), მიჰყავთ შიგა და შიგ შესახვევ ქუჩებში და შემდეგ ისევ მწყობრად გამოჰყავთ სასახლისაკენ, სადაც ორი „ტრიბუნაა სპეციალურად აღმართული: ერთზე თავი მოუყრია მთავრობის წარმომადგენლებს – მიხა ცხაკაიას მეთაურობით, აქვე არიან სოფლის კოლლექტივიზაციის რაიონებიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოსული დელეგატები; მეორე ტრიბუნაზე თავი მოუყრია ტფილისში არსებულ დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს – უცხოელებს, რომელთაც უნდა აჩვენონ ეს დიადი ზეიმი პროლეტარიატისა... თოვლ-

ჭყაპიანი დარია... ცივა... ფეხ-ქვეში ტალახი იზილება!.. მაგრამ მაინც ყოჩაღად დავდივართ. სასახლესთან სამი სამხედრო პროჟეკტორია დადგმული! ესენი მზესავით ანათებენ იქაურობას! თვით დემონსტრანტებს კი ხელში უჭირავთ გრძელ ჯოხზე გაკეთებული თუნუქის მოზრდილი ჭრაქები, ესენიც ანთებულია და ღამეში ჰქმნიან რაღაც ჟრუანტელ მომგვრელ შთაბეჭდილებას... არის ჩვეულებრივად ძველი, დამხობილი რეჟიმის დრო გამასხარავებული, მათი სახეობა წარმოდგენილი: გენერლები, პოლიციელები, ბურჟუები, მღვდლები – საცეცხლურებით და ჯვრებით ხელში!.. ევროპის სახელმწიფოთა კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა სურათები და სხვა.

ყოველივე ეს – გამასხარავება – აღარ არის ორიგინალური, აღარ ახლავს მას აღარც იუმორი, აღარც წინანდელი ხალისი!.. ეტყობა, მოსჭამა დრო! ეგენი რო არ ყოფილიყო, სჯობდა!.. აღარც ილუმინაცია იყო წინანდებურად ფანტასტიურად მოწყობილი, სასახლეც და აღმასკომის შენობაც მეტად ზომიერად იყო განათებული, ეტყობოდა დაზოგვის – ეკონომიის ხელი! რაციონალიზაცია დემონსტრაციისა გამოიხატა კიდევ იმაში, რომ მთელი დღე ყველა დაწესებულებამ იმუშავა, ტრამვაიმაც იმუშავა, სადემონსტრაციოდ საღამო ჟამი ამოირჩიეს! ბევრი მუშა-მოსამსახურეთაგანი პირდაპირ სამუშაოდან დემონსტრაციაზე გამოცხადდა, სახლში არც კი წასულან სადილისათვის... მშიერები დადიოდენ ქუჩა-ქუჩა!.. კერძო ხალხს ნაკლებად უშვებდენ ტროტუარებზე! დიდი დისციპლინა და წესიერება სჩანდა ამ ვეებერთელა, გრანდიოზულ დემონსტრაციაში! რო ჩამოუვლიდენ მთავრობის ტრიბუნას, დემონსტრანტებს შესძახებდა ცხაკაია თუ სხვები სხვა და სხვა რევოლიუციონური ლოზუნგებით და დემონსტრანტებიც ერთხმად უპასუხებდენ!.. აგრე ვიარეთ $5^1/_2$ საათიდან $9^1/_2$ საათამდე, მიგვიყვანდენ მთავრობის ტრიბუნასთან, ცოტას გავსცდებოდით და ვიშლებოდით!..

საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა გუმბათ მოგლეჯილი ტაძრები: ყოფილი სამხედრო სობოროსი და სომხის „კამოევის“ სახელობის ეკლესია!.. გრძელდება ამათი რღვევა!.. ამათზე სწერენ კიდეც საზღვარგარეთის გაზეთებში!.. მაგრამ ვინ აქცევს მათ ყურადღებას... მეც მონაწილეობა მივიღე ამ დემონსტრაციაში, როგორც „წერითი დამხმარე“ შრომის ბირჟასთან არსებული კოლლექტივის წევრი.

სად ვმუშაობ?!

მილიციის მე-4 რაიონის მე-13 სადარაჯო პუნქტში, პუშკინის ქუჩაზე, №21, ყოფილი ძველი სემინარიის პირდაპირ! აქ დღეს სასტუმრო „ოტელ-პალასია“ გაჩაღებული, დიდებული რესტორან-სასადილოთი! ქვემო სართულში, ქუჩის პირად, მაღაზიებია გაკეთებული (ეს ძველად, ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს გააკეთა თევზის მრეწველმა ძეგველიშვილმა, რომელსაც იჯარით ჰქონდა ეგ შენობა აღებული სინოდ. კანტორიდან ნოე ძიძიშვილთან ერთად; ამათ საფუძ-

ვლიანად გადაახალისეს ეგ შენობა; ეზოში ჩინებული ბაღია დღეს გამართული; კეცხოველის ქუჩიდანაც მაღაზიები ჩაამწკრივეს, ზედ მეორე სართულის შენობაც დაადგეს – ქალაქის აღმასკომმა, ეს უკვე საბჭოთა მთავრობის ხელში! სულ გადახალისებულია ეგ შენობა). ვზივარ „სადარაჯო პუნქტის“ ოთახში, მიდგია წინ პატარა საწერი მაგიდა და საჭიროებისამებრ უწერ მოქალაქეებს „სიღარიბის“ მოწმობას – „პურის წიგნაკის“ მისაღებ მოწმობას, ჩავსწერ და ამოვსწერ საბინაო დავთრებიდან (კერძო სახლებისა – „ჟაკტის“ სახლებს თავიანთი ჩამწერი ჰყავთ) წამსვლელ-მომსვლელთ და მაძლევენ ხუთ-ხუთ-შაურს საბჭოთა მოსამსახურენი საბ. დავთარში ჩასაწერსა, ხოლო „კერძო მოქალაქენი“ – 45 კაპ. მაგრამ, სადღა არიან „კერძოები“! ესენი ძლიერ შემცირდენ, ხოლო ვინც არის, ესენი ემალებიან ჩაწერას, ვინაიდან, გარდა ჩასაწერ 45 კაპ., უნდა წარმოადგინონ კიდევ ორი მანეთის საღერბო მარკა – ერთი უნდა დაიკრას წიგნში, მეორე სამისამართო მაგიდაში გასაგზავნ „ბარათზე“!.. მუშა-მოსამსახურენი კი ხუთ შაურს გარდა იხდიან 20 კაპ. მარკას... მოწმობის წერაში ყველანი იხდიან ხუთ-ხუთ შაურს – „ნიხრით“.

აი, ამ სახით ვაგროვებ „პურის ფულს“, დღეში ხან ავიღებ – 80, ხან 1 მანეთს, ხან – 1-50 კაპ., ზოგჯერ – 25 კაპ., ზოგჯერ – სულ არაფერს! აი, ასეთ ვითარებაში ჩავვარდი ამ მოხუცებულობის ჟამს! ვზივარ და გავსცქერი ძველი სემინარიის კედლებს – ამ ჩვენი სულიერი ბასტილიის კედლებს! მაგონდება იქ გატარებული 6 წელი ჩემი ახალგაზრდობისა გამარუსებელი, იეზუიტი ბერების ხელში!.. ამდენი ვისწავლე (აკადემიაც დავასრულე კიევში) და დღეს მილიციის კამერაში ამოვყავი თავი, ისიც დროებით – ექვსი თვით! შემდეგ ისევ უმუშევრად გადამრიცხავენ ბირჟაში, თუ სავსებით იქიდანაც არ გამომაგდეს!.. აი, ასეთ დღეში ვარ!.. შვილი ისევ ციხეშია, ბათომში – საზღვარგარეთ გაქცევას აპირებდიო და ექვსი თვის პატიმრობა მიაკრეს ზურგზე!.. ადგილი დაჰკარგა... დიდხანსაც არას მისცემენ... მგონი, უნდა გაანთავისუფლონ 9 მარტს!.. ვნახოთ, კიდევ რა მომივა!.. სასიკეთოს კი არას ველი!.. ქალაქშიდაც იქნება „კოლექტივიზაცია“ და მგონი, აწიოკება არ აგვცდეს!... სოციალური რევოლიუცია, აი, ეხლა სდუღს!... და „ყოფილ ადამიანებს“ გაგვრიყავს მშფოთარე ცხოვრების ზღვის კიდეზე ან გაგვნთქავს.

2 მარტი – კვირა. 1930 წ.
ისევ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემის შესახებ

დღევანდელ გაზეთებში („კომუნისტი“ – 2/III, №50; „მუშა“...) მოთავსებულია მიხა ცხაკაიას ხელის მოწერით ასეთი მოკლე წერილი: სალამი „ყაზახიში გაზეთს“. ზუგდიდი. „ყაზახიში გაზეთის“ რედაქციას: სალამი მეგრულ ენაზე პირველ ბეჭდვითი ორგანოს, რომელიც ძალუმად ხელს შეუწყობს მეგრულ ენაზე მოუბარ მუშებისა და გლეხების სწრაფი ტემპით სოციალისტურ მშენებლობას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და მუდამ მოაგონებს მშრომელებს, იყონ ფხიზლად და მზად მუშურ-გლეხური საბჭოთა ხე-

ლისუფლების დასაცავად შინაური და გარეშე კაპიტალისტური და კულაკური ელემენტების ვერაგი და მტრული, ფარული ან აშკარა შემოტევისაგან.

კიდევ სალამი და ამ გზაზე გამარჯვება „ყაზახიში გაზეთს“. მიხა ცხაკაია.

ამ „ყაზახიში გაზეთს“ – სალამს უძღვნიდა გაზეთ „მუშის“ რედაქციაც!.. საკვირველია, გაზეთი „კომუნისტი“ არ იძლევა ასეთ „სალამს“!.. დიდი მითქმა-მოთქმაა ამ თაობაზე „საზოგადოებაში“!.. ყრუ უკმაყოფილება!.. მაგრამ სად ან როგორ ან ვის შეუძლია გამოამჟღავნოს დღეს რაიმე უკმაყოფილება! აბა, რა გამოთქმაა – „ყაზახიში გაზეთი“! ან თვითონ სიტყვა „ყაძახი“ (გურიაში ეს სიტყვა ნიშნავს – „გლეხს“, ან კარგ ვაჟკაცს: „კარგი ყაძახიაო“, – იტყვიან იქ კარგ ვაჟკაცზე...). მეგრელები – „ყაზახს“ გამოსთქვამენ, „ყაზახიში“ – კი ნიშნავს „ყაზახის გაზეთს“! განა ეს გამოთქმა, თუ გინდ სულ „ჭყურტი მეგრელისათვის“ გაუგებარია?! ან კეთილხმოვანებისათვის, სილამაზისათვის „ყაზახიში“ რა მოსატანია?!. აქ ეროვნული გათიშვის ჟინი მუშაობს და არა თითქოს მოსახლეობის ქართული ენის უცოდინარობა თუ მოთხოვნილება!.. ეს ღა აკლიათ ეხლა, რომ ეს „მეგრული ენა“ ლათინურ ალფავიტზედაც გადავიდეს, რომ ამით მან ხაზი გაუსვას თავის ქართული ენიდან სრულ „დამოუკიდებლობას“, როგორც ეს სცადა კიდეც ამ „საქმის“ „უკვდავმა ინიციატორმა“ აშორდიამ ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს!.. ლათინური ალფავიტიც „შეუდგინა“ მან მეგრულ ენას... დეკ. ვოსტორგოვმა ხელი ჩასჭიდა მეგრელების სეპარატიზმს და სცადა ქართული ენის გამოდევნა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდანაც, სამონასტრო სკოლებიდან კი ქართული წინეთ იყო გამოდევნილი!.. დიდი ბრძოლა გადავიხადეთ ამ თაობაზე და ჩაუშალეთ ვოსტორგოვს ის „ცდები“!.. ეხლა კი „სხვა ნაირად“, „სხვა მხრივ“ მიუდგენ „მეგრელები“ „საკითხს“ და „ბურთი ლელოზედაც მიიტანეს“! ეხლა „ზუგდიდია“ ცენტრი „დამოუკიდებელი მეგრული ენისა“! ამ საქმეს სათავეში უდგია ვინმე „ჟვანია“!.. რა გაეწყობა!.. ესეც უნდა იწვნიოს საქართველომ! ვნახოთ, რისაგან რა გამოვა!.. „ჰეი, ჰეი! რა არა არს!... რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს“!..

ისევ ქუთათელ მიტროპ. დავითის მოხსენებაზე

ზემოდ აღნიშნული „მოხსენება“ დავით ქუთათელისა, გარდა იმისა, რომ ეს მოხსენება ასლებად წინასწარ ხელიდან ხელში გადადიოდა და ბევრს ჰქონდა წაკითხული, თვით ქრ-ფორესაც კი, წაუკითხნიათ სინოდის სხდომაზე, ეპისკოპოზ სვიმეონ ურბნელის (ჭელიძის) თავმჯდომარეობით, ქრ-რე, დავითის მოთხოვნით, არ უნდა დასწრებოდა ამ სხდომას და არც დასწრებია! არ დასწრებია სხდომას არც დავითი. ოფიციალურად წაუკითხნიათ და მოუსმენიათ ეგ „მოხსენება“ სინოდის სხდომაზე. მაგრამ მის არსებითად განხილვაში სინოდი არ შესულა, არც კამათი გამართულა, არც ჟურნალში შეუტანიათ ის! „პლენუმს“ განუცხადებია, რომ დღეს ასეთი მოხსენებების განხილვის თავი ჩვენ არა გვაქვსო! დაუბრუნდეს დავით ქუთათელს უკან ეგ მისი მოხსენებაო. დავითი კუდ-ამოძუებული დარჩენილა!.. მას „ქონი მოსცხესო“... დაჰპირდენ მცხეთაში გადმოყვანას და ლუკმა პურის მიწოდებასო!..

წასულა უკვე ქუთაისში და იქიდან იწერება: „ნუ აჩქარდებით ქუთაისიდან ჩემს გადმომწესებას მცხეთაშიო!.. ეტყობა, ქუთაისის „გადამდგარი სამღვდელოება“ ისევ შემობრუნებულა და დავითი ისევ სჭირდებათ „მეთაურად“! საქმე იმაშია, რომ ქუთაისის სამღვდელოებას თითქმის ერთხმად გადაუწყვეტია სამსახურიდან გადადგომა, ვინაიდან „ჩვენი მდგომარეობა აუტანელი შეიქმნაო“!.. მათ წინადადება მიუციათ ტფილისის ქართველ სამღვდელოებისათვისაც, თქვენც გადადექითო! ტფილისის სამღვდელოებას კი კრებაზე დაუდგენია – არამც და არამც არ იქნას გადადგმული ასეთი „საბედისწერო ნაბიჯიო“!.. წინადადება მიეცეს ქუთათურებსაც – ხელი აიღონ ასეთ განზრახვაზეო! ალბად ქუთათურებმაც გული მოიბრუნეს და ისევ განაგრძობენ „სამსახურს“! თუმცა ვის სჭირდება მათი სამსახური!..

ღვდლები და ნამღვდლეები ტფ. ქუჩებზე

დღეს (1 მარტი) პუშკინის ქუჩაზე დავინახე დიდ ძალი ღვდლები, ერისკაცთა ტანთსაცმელებში და ანაფორებშიაც ჩაცმულები! ეტყობა, ისინი გამოუძევებიათ მათი ბინა-საცხოვრებელიდან – „კოლექტივიზაციის ბრიგადებს“! საცოდავი და საშინელი სანახავები არიან ეგენი!... ძაღლების დასაჭმელად ღა არიან გამორეკილნი!! სად ან ვისთან უნდა შეაფარონ თავი?!.. ვინ მიიღებს ამათ ოჯახში?! ვინ გაბედავს ღამე გაათევიონ მათ! ან რა სჭამონ, ან რა სვან?! ერთი ტყავში გამოხვეული ღვდელი, ვინმე ივანიძე – ცხინვალის ხეობიდან, წარსდგომია მთავრობის ერთ-ერთ დიდ პირს და შეუჩივლია მისთვის: „გამომდევნეს ჩემი ბინიდან მე და ჩემი ცოლ-შვილიო! 80 წლის მოხუცი დედაც შარაგზაზე დამიგდესო“!.. რო გაიგო მთავრობის კაცმა, რომ მას ღვდელი ელაპარაკებოდა, გასწყრა: „როგორ შემოდი შენ ჩემთან?! ვინ შემოგიშვა შენ აქაო?! თქვენ, ღვდლები, ცოცხლადვე უნდა დაგმარხოთო“! დამუჰქრებია მას და გამოუგდია კარში!.. კოლექტივიზაცია გამალებით სწარმოებს!.. დიდი გასაჭირია ამ ნიადაგზე!.. დიდი განუკითხაობა და საცოდაობა ხდება... მაგრამ ვინ არის განმკითხავი! საზღვარგარეთის პრესაში ალაპარაკებულან ამ „კოლექტივიზაციის“ ასეთი სასტიკი სახით ჩატარებაზედაც!.. ევროპა თრთის ამ „საშიშროების წინაშეო“!.. სწერენ აქაური გაზეთები!.. „სარწმუნოების დევნა“ ეხლა აღარ აინტერესებს ევროპასო, ისინი კულაკების ჭირისუფლებად გამოდიანო და სხვა... არა ვიცით რა რუსეთიდან, სომხეთიდან, ადერბეიჯანიდან... ალბად იქაც სდუღს ეგ „სოციალური რევოლიუციის“ საშინელება!.. ამ ზამთარში... სიცივეში!.. რო არ უჩანს ბოლო და დასასრული ყოველივე ამას?!. სასოწარკვეთილება ეუფლება ხალხს!... ყრუთ ხმები გაისმის, ბევრი გარბის, მთებსა და ღრეებს აფარებენ თავსო!.. რო დათბება, სულ ტყეებში გაიჭრებიანო!.. ოსებშიაც დიდი უკმაყოფილება ჩამოვარდნილა... თათრებშიაც და სომხებშიაცო!.. გაზეთები კი იუწყებიან – გაზაფხულის თესვის კომპანია სასურველად მიმდინარეობსო!.. რომელი უნდა დაიჯეროს კაცმა!.. ეგ კოლექტივიზაციის საქმე მეტად რთული და დიდად საპასუხისმგებლო საქმეა!.. თუ ჩაიშალა თესვის კამპანია, საერთო შიმშილი აუცილებელია.

4 მარტი – სამშაბათი – 1930 წელი
ი. სტალინის წერილი „თავბრუ დახვევა წარმატებებისაგან“

ასეთი სათაურით დაიბეჭდა დღევანდელ გაზეთებში, ტფილისში და მთელი საბჭოთა პრესის გაზეთებში ი. სტალინის წერილი. მეტად საგულისხმოა ეს წერილი, მოზრდილიცაა ის, უჭირავს „კომუნისტის“ სამი დიდი სვეტი. მოვიყვან იქიდან რამოდენიმე დამახასიათებელ ადგილს:

„ახლა ყველა ლაპარაკობს საბჭოთა ხელისუფლების წარმატებაზე კოლმეურნეობრივ მოძრაობის სფეროში. მტრებიც კი იძულებულნი არიან, აღიარონ ჩვენი სერიოზული წარმატებები(?!.). ეს წარმატებები კი მართლაც დიდია. ფაქტია, რომ 20 თებერვლისათვის საბჭოთა კავშირში უკვე გაერთიანებულია კოლექტიურად გლეხურ მეურნეობათა 50%. ეს იმას ნიშნავს, რომ 1930 წლის 20 თებერვლისათვის ჩვენ ორჯერ მეტი გადაჭარბებით შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმა... უკვე მოასწრეს შეეგროებიათ გაზაფხულის თესვისათვის 36 მილიონ ცენტნერზე მეტი თესლი, ე. ი. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 90% მეტი... რას მოწმობს ყოველივე ეს? – იმას, რომ სოფლის ძირითადი მობრუნება სოციალიზმისაკენ უკვე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს...

...მაგრამ წარმატებებს ნაკლიც აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი მიღწევა ხდება შედარებით „იოლად“, ასე ვთქვათ, „მოულოდნელად“. ასეთი მიღწევები ზოგჯერ აღვივებენ გულზვიადობას, თავგასულობას: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია“! „ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!“ ეს წარმატებანი ხშირად ათრობენ ზოგიერთ მუშაკებს, ამ მუშაკებს თავბრუ ეხვევათ მიღწეულ წარმატებისაგან, ისინი ჰკარგავენ ზომიერების გრძნობას, ჰკარგავენ სინამდვილის გაგების უნარს...

შემდეგ სტალინი ჰგმობს ასეთ ვითარებას და მოითხოვს გადამჭრელ ზომებს საქმისადმი ასეთი მიდგომის წინააღმდეგ... „აქედან გამომდინარეობს, – განაგრძობს სტალინი, – ჩვენი პრესის ამოცანა: „სისტემატიურად ამხილოს ეს და ამის მსგავსი ანტილენინური განწყობილებები“. ...და მოჰყავს სხვათა შორის ასეთი „ფაქტი“: „ჩვენი კოლმეურნეობრივი პოლიტიკის წარმატება, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ ეს პოლიტიკა ეყრდნობა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ნებაყოფლობას(!) და საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რაიონების პირობების სხვა და სხვაობის ანგარიშის გაწევას. არ შეიძლება კოლმეურნეობების შექმნა ძალით(!). ეს სულელური და რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა. კოლმეურნეობრივი მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხების ძირითად მასების აქტიურ დახმარებას. არ შეიძლება მექანიკურად გადავნერგოთ განვითარებული რაიონების კოლმეურნეობრივი მშენებლობის ნიმუშები განუვითარებელ რაიონებში. ეს სულელური და რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა. ასეთი „პოლიტიკა“ ერთი დაკვრით გაუტეხდა სახელს კოლექტივიზაციის იდეას. კოლმეურნეობათა მშენებლობის ტემპისა და მეთოდების განსაზღვრის დროს გულდასმით უნდა გაუწიოთ ანგარიში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობათა სხვა

და სხვაობას“... სადაც არტელები ჯერ არ განმტკიცებულა, ადგილი აქვს იმის ცდებს, რომ გაშორდნენ არტელის ჩარჩოებს და ერთბაშად გადავიდნენ სასოფლო-სამეურნეო კომუნაზე. ჯერ არტელი არ განმტკიცებულა და ისინი უკვე ახდენენ საცხოვრებელ შენობების, წვრილფეხა საქონელის და შინაური ფრინველის განსაზოგადოებას... რა არის ეს – კოლმეურნეობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, თუ მისი გახრწნისა და მისთვის სახელის გატეხის პოლიტიკა?! არაფერს ვამბობ იმ, უკაცრავად პასუხია, „რევოლიუციონერებზე“, რომელნიც არტელების ორგანიზაციის საქმეს იწყებენ ზარების ჩამოხსნით. ზარების ჩამოხსნა – თითქოს ეს დიდი რევოლიუციონერობა იყოს!.. როგორ წარმოიშვა ჩვენში ეს უთავბოლო ვარჯიშობა „განსაზოგადოების“ საქმეში, ეს თავის თავზე გადახტომის სასაცილო ცდები?.. ...ისინი (ცდები) შეიძლება წარმოშობილიყვნენ მხოლოდ იმის შედეგად, რომ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს თავბრუ დაესხათ წარმატებისაგან და მათ ერთი წუთით დაჰკარგეს საღი გონიერება და ფხიზელი მიდგომა“.... არც „ჩამორჩენა“, არც „აჩქარება“ ხელმძღვანელობაშიო, – დაასკვნის სტალინი...

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „საზოგადოებაზე“ და ადგილობრივ პრესაზედაც! რასაკვირველია, ყველანი დაეთანხმენ სტალინის დებულებას, რომ „არ შეიძლება კოლმეურნეობების შექმნა ძალით“! თუმცა, ყველამ იცის და განსაკუთრებით პრესამ, რომ „კოლმეურნეობის შექმნა“ სწარმოებს ჩვენში – საქართველოში (ალბად სხვაგანაც აგრეა) „ძალით“ – იძულებით, ძალდატანებით, საშინელი ტკივილებით და ექსცესებით!... სწორეთ „მექანიკურად“, „ერთბაშად“, შეუგონებლად, შეუგნებლად, დაშინებით, დაფრთხობით სწორეთ გლეხობისა – ღარიბი-საშვალო გლეხობისა და მოჯამაგირეებისა!.. არას ვამბობთ კულაკების მსხვერპლად შეწირვაზე... მე ვფიქრობ, რომ კოლექტივიზაციას პარტიაცა და ხელისუფლებაც შეუდგენ მოუმზადებლად! მათ დიდი დაფანტულობა ეტყობა დღეს კოლექტივიზაციის მოწყობის საქმეში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში! არა ჰყავთ „კადრები“ – სახელმძღვანელოდ მომზადებულები! დაჩქარებით – მარტის ბოლო რიცხვებში კურს ასრულებენ 9 წლედებს, რათა კურსდასრულებულები სოფლად გაიგზავნონ კოლმეურნეობათა არტელებში „მოანგარიშეებად“ თუ სხვა ასეთ ადგილებზე!.. ამათ რა იციან და სხვას რა უნდა „უხელმძღვანელონ“!.. გაერთიანებული მკვდარი თუ ცოცხალი ინვენტარი ჰგდია და ჰყრია უმეტესწილად მოუვლელი, უპატრონოდ!.. ხალხი – გლეხობა დაღონებულია, დამფრთხალი, უხალისო! არავის გული არ უძევს მუშაობისადმი! არავის არ სჯერა ამ საქმის სასიკეთოდ მოწყობა, ჩატარებაო! აი, რას ამბობენ ისინი, ვინც კოლექტივიზაციის რაიონებიდან ჩამოსულან და თავიანთ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემენ!.. ყოველივე ეს და ასეთი „დეფექტები“ უნდა თავიდანვე გათვალისწინებული ყოფილიყო, მომზადებულიყვნენ ასეთ დიდად საპასუხისმგებლო საქმისათვის და ისე უნდა შესდგომოდენ საქმეს!... სტალინის სტატია უსათუოდ გონიერია, ჭკუიანურია, მაგრამ დაგვიანებულია! დიდი არევ-დარევაა გამოწვეული მთელი საკავშირო მასშტაბით!..

„სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება“
(„კომ.“, №51, 4/III)

დღევანდელ „კომუნისტშივეა“ დაბეჭდილი ასეთი სათაურის წესდების ტექსტი, რომელიც მოწონებულია საკავშირო ცენტრალურ დაწესებულებათაგან; შესდგება ის 22 მუხლისაგან; პირველი მუხლი იწყება აგრე: ...„ოლქის... რაიონის... სოფლების მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხები და საშვალო გლეხები ნებაყოფლობით ერთდებიან სასოფლო-სამეურნეო არტელში, რათა წარმოების საერთო საშვალებებითა და საერთო მოწესრიგებული შრომით შეჰქმნან მსხვილი კოლექტიური მეურნეობა“...

ისევ „ნება-ყოფლობით“ იწყება საქმე! – ეგ სიტყვა „ნება-ყოფლობით“ ღიმილსა ჰგვრის ყველას ტუჩებზე!.. ნებაყოფლობით არსად არაფერი არ კეთდება დღეს ჩვენში!.. ეს სიტყვის დამამშვენებელია მხოლოდ... „წარმატების“ უფრო ხაზგასასმელად!.. მაგრამ ბოლშევიკებმა არ იციან უკან დახევა, ისინი ყოველი ღონისძიებით შეეცდებიან, „ნებაყოფლობით“ მოაწესრიგონ კოლმეურნეობათა მოწყობის საქმე! ვინაიდან სხვა ფრივ ჩაიფუშება 5 წლის პერსპექტიული მშენებლობის გეგმა და მასთან მთელი საქმე! ამიტომაა სტალინის ზემოაღნიშნული მკვეთრი სტატია სახელმძღვანელოდაა გადმოსროლილი, გამოსაფხიზლებლად და ხაზის გამოსასწორებლად!.. დიდი მუშაობაა საჭირო.

კოლექტივიზაცია
(ხმა უცხოეთიდან)

„კაპიტალიზაცია“!..
„პროლეტარიზაცია“!...
„სოციალიზაცია“!...
– ეგ რა „სამებაა“?!
რა პროცესია?
– ეგ ენგელს-მარქსიზმი
ლენინიზმ-სტალინიზმია!
ძველი ცხოვრების გარდაქმნა,
სოციალიზმი, კომუნიზმია!
კაპიტალის დამხობა,
კლასთა ბრძოლის მოსპობა,
პროლეტარიატის გაბატონებაა!..
საკუთრების მოსპობა,
სოციალური რევოლიუციაა!...
შეძლებულთა „განკულაკება“,
ქონებისა და საწარმოო იარაღთა
მთლიანი განსაზოგადოება – „კოლექტივიზაციაა!“

საერთო ძალ-ღონით
ახალი ქვეყნის შენებაა!
ძველი ყოფა-ცხოვრების
ადათების, რწმენის რღვევაა!
ახლის შექმნა, დამყარებაა!
„ცა ზე იერიშების მიტანაა“!
„ულმერთობა“, „უსჯულოებაა“!
იდეალიზმის გათელვა
მატერიალიზმის გამეფებაა!
მწვავე ტკივილები,
ხალხში გაჭირებაა!
საბჭოთა დიდი კავშირი
ასეთი ტკივილებით მშობიარეა!
ნეტავი რასა სშობს?!
რით გაამხნევებს,
რით გაახარებს ის
განაწამებ მოსახლეობას?!.
თრთის მის წინაშე ევროპა!
ჩვენ შემოგვყურებს მთელი
მსოფლიო, კაცობრიობა?!
მისი აჩრდილი აფრთხობს,
თავ-ზარსა სცემს ყველა
ქვეყნის ბურჟუაზიას –
საკავშირო მთლიანი „კოლექტივიზაცია“!
„ვაი თუ ჩვენც საბჭოების
წყალი დაგვესხას!..
ჩვენშიც გაჩაღდეს ეგ
ღვთის რისხვა – კოლექტივიზაცია!
ვინც ეგ მოსჩმახნა, მოიგონა,
იმისი ოჯახი ღმერთმა დააქცია!“
აგრე ბუზღუნებს ევროპა,
ბანს აძლევს მას ამერიკა!
იარაღს ისხამენ, ემზადებიან
საბჭოების წინააღმდეგ
კაპიტალიზმი, შავი რეაქცია!
გაიძახიან:
„შორს ჩვენგან! უკუვაგდოთ
სოციალიზმი, კომუნიზმი
და მათი საფეხური,
ბარბაროსული
მთლიანი „კოლექტივიზაცია“!

ეგ ხო ადამიანთა დამონავების
ახალი სახეა,
გაპირუტყვებაა!
ერთ ფარეხში მათი შერეკაა?!
ჰკათ საბჭოებს,
მაგ „ულმერთოებს“!
ძირს რევოლიუცია
და მათი მთლიანი
კოლექტივიზაციაც“!

ზ. მთისპირელი
6 მარტი, 1930 წელი

რომის პაპის მიერ „ჯვაროსნული ომის გამოცხადება“ საბჭოთა კავშირში „რელიგიის დევნისა გამო“! ლონდონში საერთო წირვა-ლოცვისა და პარაკლისის გადახდისათვის მზადება 16 მარტისათვის ამ თაობაზე.

კვირა – 16 მარტი. 1930 წ.

დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია საკავ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება შემდეგი სათაურით: „პარტიის ხაზის გამრუდების წინააღმდეგ კოლმეურნეობრივ მოძრაობაში“.

აქ ნათქვამია, რომ „კოლექტივიზაციის ნამდვილ სერიოზულ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს პარტიის ხაზის გამრუდებას საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რაიონებში. უწინარეს ყოვლისა დარღვეულია ნებაყოფლობის პრინციპი კოლმეურნეობრივ მოძრაობაში (ხაზი გაზეთისაა). მთელ რიგ რაიონებში ნებაყოფლობა შეცვლილია იძულებით, განკულაკების, საარჩევნო ხმის ჩამორთმევის მუქარით და სხვა“. შემდეგ მოყვანილია ამ მუშაობაში დაშვებული „გადამახინჯებანი“ და მოცემულია რვა მუხლი დირექტივებისა: „ცეკა ავალდებულებს პარტიულ ორგანიზაციებს: 1) შეწყდეს მთელ რიგ ადგილებში წარმოებული კოლექტივიზაციის იძულებითი მეთოდის პრაქტიკა. ამასთანავე უნდა წარმოებულ იქნას დაუზოგავი მუშაობა, რათა კოლმეურნეობებში ჩაბმულ იქნას გლეხობა ნებაყოფლობის საფუძველზე და განმტკიცდეს არსებული კოლმეურნეობები... 3) ...შეწყდეს იძულებითი განსაზოგადოება საცხოვრებელი შენობებისა, წვრილი საქონლის, ფრინველების და არა სასაქონლო პირუტყვისა. 4) შემოწმებულ იქნას განკულაკებულთა და საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეულთა სიები და დაუყოვნებლივ გამოსწორდეს ამ დარგში დაშვებული შეცდომები საშვალო გლეხობის, ყოფილ წითელ პარტიზანების და სოფლის მასწავლებლების, წითელ არმიელების და წითელ ფლოტელთა ოჯახების წევრების მიმართ... 6) აიკრძალოს ბაზრების დახურვა (ნამდვილად კი მოისპო ნიჟეგოროდის ტრადიციული „ბაზრობა“ – იარმორკა და ბაქოისა...) და

აღდგენილ იქნან ბაზრები, არ უნდა შეიზღუდოს გლეხების მიერ, მათ რიცხვში კოლმეურნეობის წევრების მიერ, თავიანთი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა. 7) გადაჭრით შეწყდეს ეკლესიების ადმინისტრატიული წესით დახურვის პრაქტიკა, რაც ფიქტიურად ეფარება ხოლმე მოსახლეობის საზოგადოებრივ ნებაყოფლობით სურვილს. დაშვებულ იქნას ეკლესიების დახურვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მართლაც ამას მოითხოვს გლეხთა დიდი უმრავლესობა და ამას დაამტკიცებს გლეხთა კრებები და საოლქო აღმასკომები. გლეხებისა და გლეხი ქალების რელიგიურ გრძნობებზე დაცინვისათვის დამნაშავენი უნდა მიცემული იქნან სასტიკ პასუხის გებაში"...

მეტად საგულისხმო დადგენილებანია! მაგრამ ყოველივე ეს დარჩება ისევ ქაღალდზე, როგორც დარჩა წინა დეკრეტები ეკლესიის შესახებ გამოცემულები, რომელნიც დიდ გასაქანსა და თითქოს თავისუფლებას უტოებდენ „რელიგიურ საზოგადოებებს", ეკლესიების შენობების უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ, ნამდვილად კი ვერც ერთი მუშა-მოსამსახურე ვერ შევა ვერც რელიგიურ საზოგადოებაში და ვერც ერთი გლეხი ვერ გაბედავს „კრება-ყრილობაზე" ხმა აღიმაღლოს ტაძრის დაცვისათვის!... „რელიგიურ გრძნობებზე დაცინვაზე" ხო მეტია ლაპარაკი, როდესაც რელიგია თვით ხელის უფლების მიერ წამდაუწუმ გამოცხადებულია „მავნე ცრუმორწმუნოებად", სიბნელისა და კონტრევოლიუციის ბუდედ, ხალხის გამაბრუებულ „ბანგად"!.. ჩემის აზრით, აქ დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი! კომუნისტურ-სოციალისტური მოძღვრება არის „მეცნიერული მატერიალიზმი", რომელიც ძირ-ბუდიანად ამოფხვრას უქადის ყოველ გვარ რელიგიას, ებრძვის ამ რელიგიას, მის მსახურთ, მორწმუნეებს და ყოველგვარ მათ ორგანიზაციას! ეს ბრძოლა კი ბუნებრივად ღებულობს ნამდვილი დევნის ხასიათს! ამიტომ ზემო აღნიშნული მე-7 მუხლი, ვიმეორებ, ისევ დარჩება ქაღალდზე მხოლოდ. ეს ერთნაირი „პასუხია" ევროპაში ატეხილ განგაშზე – საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნის შესახებ!.. ამ „პასუხს", რასაკვირველია, იქაც კარგად მიხვდებიან! ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ასეთი „პასუხის" გაცემას პასუხის გაუცემლობა! პირდაპირ სთქვან და გაათაონ, რომ რელიგიას მატერიალისტური სახელმწიფო – „პროლეტარიატის დიქტატურა" – ვერ დაუშვებს, ვერ მისცემს გასაქანს, ის მან ადრე თუ გვიან უნდა მოსპოს!.. განა ეს თვით ევროპას არ უნდა ესმოდეს?! – ესმის და ჩინებულადაც ესმის! ამიტომ პაპისა თუ სხვების „ჯვაროსნული ომი" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პირდაპირ თვალთ-მაქცობაა და სასაცილო! სხვა არაფერი! დასცინიან კიდეც ასეთ გამოსვლებს საბჭოთა კავშირში რელიგიის დასაცავად, კომუნისტური პუბლიცისტები! ამას წინეთ ბუხარინის სტატია გადმოიბეჭდა „Заря Вос-ში" – პაპის ეპისტოლეს გასანადგურებლად და მიწასთანაც გაასწორა ბუხარინმა პაპთა მოღვაწეობა ისტორიულ ხაზზე და ინკვიზიციის ფაქტებით!.. სასაცილოა ლონდონში თუ მთელს ინგლისში 16 მარტს განზრახული პარაკლისების გადახდაც საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნისა გამო! უფრო ადრე ასეთი პარაკლისები დიდის ამბით გადაიხადეს რომში, სოფიაში (ბულგარეთი) და ვარშავაში (პოლონეთში)!.. ეგ რაღაც უკბილო, საცოდავი და სასაცილო დე-

მონსტრაციები გამოდის და სხვა არაფერი! – საბჭოთა კავშირში კითხულობენ ცნობებს ამ თაობაზე და იცინიან!.. „А кот Васька слушает да ѣсть“! – როგორც ამბობს რუსული ანდაზა!...

17-18 და 19 მარტი – ოთხშაბათი

კოლექტივიზაციის „ბრიგადების“ საშვალებით სოფლად დანერგვამ დიდი ორომტრიალი გამოიწვია მთელს კახეთში! იქ სხვა და სხვა ადგილას (წნორის-წყალი განსაკუთრებით) ჰქონდა ადგილი სისხლის მღვრელ შეტაკებებს. ჯარმა გლეხობას თოფი არ ესროლაო... მაშინ მიუსიეს „კომსომოლები“ და მილიციელებიო!.. ორთავე მხარეზე იყო მოკლულები და ბლომად დაჭრილებიო... დიდი შეტაკებები ყოფილა ბორჩალოს მაზრაში – თათრებისა და სომხების სოფლებშიაც... შულავერში და სხვაგან... იქ გაიგზავნა ქალაქის მილიციის დიდი უმეტესობა... სისხლის მღვრელი შეტაკებები მომხდარა სოფელ ნორიოში... ნორიოელებს მოშველებია საგარეჯოელებიც... ხელ-ჩართული ბრძოლა გამართულა... ოთხი ნორიოელი გლეხი მომკვდარა ამ ბრძოლაში... იქ ავტომობილით მისულა ლადო სუხიშვილი (ტფილისის საოლქო კომიტეტის პ/მგ. მდივანი), ჩაუმტვრევიათ დედაკაცებს მისი ავტომობილის შუშები ქვით, თვით ლადოსთვის ტანისამოსი შემოუფხრეწიათ ტანზე და ძალზე უცემიათო!.. უცემიათ საგარეჯოში და იარაღი ჩამოურთმევიათ მილიციელებისათვის (ქალაქიდან გაიგზავნენ), თვით მილიციის უფროსის სიმონ ხმალაძისათვისაც უცემიათო!... მილიცია ერიდებოდა იარაღის ხმარებასო, ჰაერში ისროდენ თოფებსო, გლეხები კი დაუზოგავად სცემდენ მათ კეტებს, უშენდენ ქვებს და იყო ერთი საცოდაობაო!.. ამ თაობაზე გაზეთებში კრინტსაც არ უშვებენ... ეს ამბები ჩამოაქვთ თვით სოფლელებს და იქიდან დაბრუნებულ ქალაქელებს. არა ვიცით, თუ რა ხდება ამ ნიადაგზე სომხეთში, ადერბეიჯანში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში თუ ოსეთში!.. დასავლეთ საქ-ში შეაჩერეს კოლექტივიზაცია... ერთი წლითო!.. მგონი, ბორჩალოშიდაც შეაჩერეს და სხვაგანაც!... გაიძახიან: „ჩაიფუშაო“!.. ალბად ახლა დაიწყება ამ საქმისადმი სხვანაირად მიდგომა, შეგონება, ახსნა-განმარტება და „ნებაყოფლობით“ ჩამოყალიბება კოლმეურნეობათა არტელებისა... ალბად რუსეთშიაც სტიქიური ხასიათი მიიღო კოლლექტივიზაციის წინააღმდეგ გლეხობის გამოსვლამ! მემამულეები, აზნაურები, თავადები, კერძო ვაჭრები, ბურჟუები და თვით „კულაკი-გლეხობაც“ – უკვე განადგურებულია! მაგრამ ამან როდი უშველა საქმეს! გლეხობას ამათი ქონება-მიწა-წყალი თავის „საკუთრებად“ უხაროდა და იტაცებდა, როდესაც ისინი მათზე მიუშვა ხელისუფლებამ! მაგრამ, როდესაც გლეხობას მოსთხოვეს ამ მათთვისს „საკუთრებად“, „ფონდებიდან“, დარიგებული მიწა-წყლის განსაზოგადოება და აგრეთვე მათი საწარმოო მკვდარი თუ ცოცხალი ინვენტარის განსაზოგადოება – მაშინ გლეხობაში გაიღვიძა მძლავრმა მესაკუთრეობის ალღომ და იფეთქა! ქალი-კაცი, დიდი თუ პატარა გამოვიდა თავისი „საკუთარი მიწა წყალის“, მამულ-დედულის,

ხარ-კამეჩის, კავ-სახნისის, ძროხისა თუ ცხვრის, ქათმებისა თუ ბატ-ინდოურ-ღორების დასაცავად! აღმართეს კეტები, ორთითები და დაუშინეს „ბრიგადებს“ თუ მილიციელებს... დაიღვარა სისხლი... ეს ამბავი ალბად ელვის სისწრაფით გადავიდოდა ევროპაშიც!.. იქ ალბად დიდი განგაშია ატეხილი ამ თაობაზე პრესაში!.. ევროპა თრთის ასეთ „სოციალური რევოლიუციის“ აჩრდილის წინაშე!.. საბჭოთა კავშირში კი პარტია იხევს უკან, „გამრუდებული ხაზის გამოსწორების“ გზაზე გამოდის და არ იმჩნევს ამ მარცხს, სურს, სხვა მხრით მოუაროს ურჩ მესაკუთრე გლეხობას!.. „აჩქარებული ტემპიაო“... „გოლოვოტიაპსტვოაო“!.. და ვინ იცის, კიდევ რით არ ბოდიშობენ!..

ერთი ცხადია, რომ სრულებით არ ყოფილა მომზადებული ნიადაგი ასეთი დიდი საქმის ასეთ ჩამორჩენილ და ბნელ გლეხობაში ჩასატარებლად!... ხელმძღვანელებიც არ უვარგანან... უვიცი, უსინდისო და მტაცებელნი გამომდგარან „ბრიგადების“ დიდი უმრავლესობა. მიუხედავად ამისა, არც პარტია და არც ხელის უფლება ნირს არ იშლის, გულს არ იტეხს, ისევ ირაზმება და მეტი სიბეჯითით და მომზადებით სურს მიჰყოს ხელი კოლლექტიური არტელების ჩამოყალიბებას, მიწის საერთო დამუშავებას უმთავრესად – ისე რომ ინდივიდუალური მეურნეობაც დარჩეს გლეხობას.

ბევრი რამ ღირს შესანიშნავი ამბებია მომხდარი კოლექტივიზაციის მოძრაობისა გამო... ამ ამბებს თანდათან, ნელ-ნელა თუ გავიგებთ... ჯერ ისიც კმარა, რაც ვიცით. გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ფ. მახარაძე მოგზაურობს გურიის სხვა და სხვა სოფლებში და იქ ასწორებს „გამრუდებულ ხაზს“, ხოლო შალვა ელიავა – კახეთ-ქიზიყში მუშაობს ამავე ხაზით. ამბობენ, საგაზაფხულო თესვის საქმე მეტად ბრკოლდება, ბევრი მინდვრები დაუთესავი დარჩება, შიმშილის აჩრდილი სჩანსო!.. საქონელი გაანადგურეს, განსაკუთრებით ცხვარი... სიძვირემა და სანოვაგის ნაკლოვანებამ უკვე იჩინა ქალაქში თავი, აწ თანდათან უფრო გართულდება მდგომარეობაო!.. შიშია მოსახლეობაში...

20 მარტი – ხუთშაბათი
„იმპერიალისტებისა და „წმინდა მამების“ პროვოკაციის წინააღმდეგ“
„საქ. სახ. უნივერსიტეტის მეცნიერთა პროტესტი“

ასეთი სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში (№63) დაიბეჭდა რომის პაპის გამოსვლის საწინააღმდეგო რეზოლიუცია, რომელიც გამოიტანა ხსენებულ მეცნიერთა კრებამ უნივერსიტეტის შენობაში 1930 წლის 19 მარტს. ამ კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოსულა პროფ. შალვა ნუცუბიძე, ხოლო „თანამოხსენებით“ პროფ. კორნელი კეკელიძე (ყოფილი მიტროფორნი დეკანოზი). რეზოლიუციას წინუძღვის ვრცელი წინასიტყვაობა იმპერიალისტურ ომზე და მის შედეგებზე – დასავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში... ორ ბანაკად დაიყო ესენი... ოქტომბრის რევოლიუცია... ეკონომიური ბლოკადა გარედან და მავნებლობის ორგანიზაციები შიგნით ერთის მხრივ და ხან აშკარად და ხანაც ფარულათ

კონტრ-რევოლიუციური შეიარაღებული გამოსვლა მეორეს მხრივ – ასეთი იყო და არის გზა, რომელსაც დაადგა მსოფლიო ბურჟუაზია და შეურყევლად განაგრძობ-და ამ გზით სვლას... ვერც ერთი მიმართულებით მსოფლიო კონტრ-რევოლიუციამ მიზანს ვერ მიაღწია: საბჭოთა ქვეყანამ გაუძლო ბლოკადას, ლიკვიდაცია უყო სამოქალაქო ომს და ენერგიულად შეუდგა ქვეყნის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე აგებას. ამ დიდ და უმაგალითო მუშაობაში, რომელიც ხუთწლიან გეგმის სახით გაიშალა, ჩაბმულია ქვეყნის ყოველი ცხოველი ძალა, ქალაქისა და სოფლის მუშა, ინჟენრები, სხვა და სხვა სპეციალობის მეცნიერნი, ენერგიით და ნივთიერი მომჭირნეობით. ასეთ პირობებში კვლავ დგება საკითხი მსოფლიო ბურჟუაზიის წინაშე, რათა საბჭოთა ქვეყნის მოსასპობლად ახალი და უფრო ენერგიული ზომები იქნას მიღებული... უნდა გადასწყდეს აშკარა თავდასხმით... ასე მივიდა ბურჟუ-აზია... ომის საკითხის აუცილებლობამდე... ახალი ომის შემზადებისათვის, ომის კერპისათვის ქრისტიანული სახის მიცემა შეიქნა საჭირო. ახალი ომის ლოცვა-კურთხევით შემზადება ევროპის საზოგადოებრივ აზროვნების მობილიზაციაა... ამ საქმეს სათავეში უდგება კათოლიკეთა ეკლესიის მეთაური – რომის პაპი და მას მობილიზაციაში მოჰყავს ყველა რჯულის ეკლესიები ევროპასა და ამერიკა-ში – კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, ებრაელთა რაბინატი და სხვა.

ითვალისწინებს რა ყველა ზემოხსენებულს, საქ. სახ. უნ-ტის მეცნიერთა საერთო კრება... აცხადებს, რომ „კაპიტალის საეკლესიო აგენტები ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ, გარდა იმათი, ვისაც შეუძლია დაიჯეროს, რომ ეკლესია და მისი მეთაური – რომის პაპის ტახტი, რომელიც საუკუნეების გან-მავლობაში თავისუფლების და აზროვნების მტერი იყო, რომელმაც ცეცხლზე დასწვა ჭეშმარიტების და მეცნიერების გმირები, ჯორდანო ბრუნო, იოანე ჰუსი და სხვა... რომს (პაპს) დღეს ერთბაშად აუტოკდა გული ქრისტიანების დასაცავად საბჭოთა ქვეყანაში. ჩვენ შორის ასეთი გულუბრყვილო აღარ მო-იპოვება, მწარე გაკვეთილებმა მოყვრისა და მტრის გარჩევა გვასწავლა, სულ ერთია გაეხვევა ის ევროპის თუ ამერიკის დიპლომატის ფრაკში, თუ ამა თუ იმ ქვეყნის „უცოდველ მამის“ ანაფორაში. ჩვენ ვეწევით აღმშენებლობას და მშვიდობიანობა გვწადია, ხოლო თუ ვინმემ სულის საცხონებლად თუ ხორცის განცხრომისათვის ომი თავს მოგვახვია, ჩვენი კალამი მახვილად შეიცვლება და ლაბორატორია თოფხანად“-ო. ამ რეზოლიუციას ხელს აწერენ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი (რექტორობიდან გადაყენებულია), პროფ. გ. წერეთელი, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ი. ბერიტაშვილი, პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი და სხვანი.

საინტერესოა პროფ. კეკელიძის მოხსენებიდან ზოგიერთი ადგილები: ...„და-სავლეთ ევროპის ბურჟუაზია ვერ ინელებს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას. ბურჟუაზიის წაქეზებით კათოლიკეთა ეკლესია მახვილს ლესავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამ მუშაობას ხელმძღ-ვანელობს „სულიერი მამა“ – რომის პაპი. ჩვენ გაბედულად უნდა უთხრათ მათ: შეჩერდით, ქარქაშში ჩააგეთ ხმალი, სულ ერთია, თქვენი დღეები დათვლილია. ისტორიულად თქვენ განწირული ხართ და უსათუოდ დამარცხდებით“.

ეგ „ჩვენი მიტროფორნი პროფესორი“ – კეკელიძე, ნეტავი გენახათ ან მოგესმინათ, რა ჰანგებზე გალობდა თუ წრიპინებდა (წრიპინა-კნავილა ხმა აქვს კი) უკანასკნელი ექსარხოსის პლატონის დროს, რომელმაც მას ტფ. სასულ. სემინარიის რექტორობა მისცა და მით „მამა კორნელი“ თავის პირისფარეშად გაიხადა! „მამა კორნელიმ“ უარჰყო იმ დროს საქ. ეკლესიის ავტოკეფალიაც და ყველაფერი ადამიანურ-მოქალაქობრივი ღირსება, ის სულით და ხორცით პლატონ არქიელის მონა-ყმა შეიქნა! რეებს არ სწერდა პლატონის „დასაცავად“ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე 1916-1917 წლებში, სანამ რევოლიუცია მოხდებოდა! ამ სტრიქონების დამწერის წინააღმდეგაც მოათავსა „მამა კორნელიმ“ წერილი გაზეთ „საქართველოში“ (1916 წ. აპრილში – აღდგომის მეოთხე თუ მეხუთე დღეზე) – პლატონის წირვის გამო დიდუბის ტაძარში; იმ წერილში მე მკბენდა „მამა კორნელი“ – „ქართველის“ – პსევდონიმის ქვეშ! მაგრამ იმ წერილზე უპასუხე „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ხუთი ფელეტონით და მიწასთან გავასწორე ისა და მისი ბატონი პლატონ არქიელი!.. ჰოდა, ეს იმაზე მომაგონდა, რომ დღესაც, „პროლეტარიატის დიქტატურის“ ხანაში ისე თბილად და რბილად არის „მოწყობილი“ ბატონი პროფესორი კეკელიძე, რომ მისგნით ზემო აღნიშნული კილოთი კიკინი მეტად საეჭვოა!.. სუბიექტიურია... რო საქმე შეტრიალდეს, კორნელები ისევ „შეტრიალდებიან“ კი არა, ყირამალადაც დასდგებიან!.. ამიტომ ჩვენ რა უნდა უსურვოთ ასეთ „სუბიექტებს“, რომელთაც „по ветру держат свои носы“! საბჭოთა მთავრობა, შეიძლება, „ყოველ თვიურად“ კი არა, როგორც კეკელიძე ამბობს, ყოველ დღიურადაც მტკიცდებოდეს და მყარდებოდეს, ბურჟუაზიის დღეებიც დათვლილი იყოს, მაგრამ „კორნელებს“ რა?! – ამათ შეუძლიათ მხოლოდ სთქვან... „ჩვენც ვხნავდითო“, იმ ერთი საარაკო ბუზისა არ იყოს, რომელიც მაშვრალ ხარს რქაზე დასკუპებოდა!..

ჰეი! ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს!..

21 მარტი – პარასკევი
საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსის განცხადება – რომის პაპა ვერ გამოვა თავისუფლების დამცველის როლში, მან ააწიოკა მართლმადიდებელთა ეკლესია პოლონეთში და სხვაგან „ღმერთმა გვაშოროს ასეთი დამცველები“

ასეთი სათაურით დაიბეჭდა დღევანდელ რუსულ-ქართულ ტფილისის გაზეთებში („კომუნისტი“, №64) – ქრისტეფორე კათალიკოსის „განცხადება“. დიდი ხანია საზოგადოება ელოდა კათალიკოსის „ხმას“ დღევანდელ საერთა-შორისო მდგომარეობაზე!.. გვეგონა, რომ აღარ დასჭირდებოდა მას ასეთი გამოსვლა, მაგრამ დღეის რიცხვისათვის ტფილისში გაიმართა რომის პაპის საწინააღმდეგო ძლიერი დემონსტრაცია ტფილისში და დღესვე გამოვიდა ქრისტეფორეს დემონსტრატიული განცხადებაც! სერგი მიტროპოლიტისა და მოსკოვის სინოდის სხვა მღვდელ-მთავრების განცხადების კილოზეა აგებული ქრისტეფორეს

„განცხადებაც“! ამ „განცხადებიდან“ და სხვებიდანაც ცხადზე-უცხადესია, რომ სამღვდელოება და საერთოთ ეკლესია – დასავლეთისა თუ აღმოსავლეთისა, საქრისტიანო თუ სხვა სჯულისა, მუდამ ყოფილა, არის და იქნება სახელმწიფოს ხელში მომარჯვებული იარაღი, რომელსაც ის თავის მოთხოვნილებისამებრ ათამაშებს და ხმარობს ზოგიერთი მიზნების მისაღწევად. დღეს ევროპა და საბჭოთა კავშირი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად არიან დარაზმულები, როგორც ჭადრაკის მოთამაშე ჩემპიონები! ამათ ჭადრაკის დაფაზე სხვა და სხვა „ფიგურებია“ გამოყვანილი, ხოლო ეკლესიის და სარწმუნოების წინამძღოლნი – ერთი მხრით – პაპი, მეორე მხრით – „მართლ მადიდებელი“ მიტროპოლიტები რუსეთისა თუ საქართველოს კათალიკოსი – ქრისტეფორე (ალბად სომხის ჰაირიკასაც „გაათამაშებენ“) – პატარა „პაიკებად“ არის სათამაშო ასპარეზზე წინ წამოყენებული! ჯერ ესენი „გაათამაშეს“! – ესენი დაჰყვეს, დააქუცმაცეს, დაახურდავეს, ერთმანეთს შეახეთქეს, შეაჯახეს, თანახმად რომაელების თქმულებისა – devide et impera – „დაჰყავი და იბატონეო“! – ეკლესიათა შორის და მათ წინამძღოლებშუა მუდამ ყოფილა შფოთი, განხეთქილება, შური, მტრობა, ურთიერთადმი დაუნდობლობა და სიძულვილი! მაგრამ იმ ზომამდე, რა ზომამდეც დღეს არის ეს მიღწეული, არასდროს! მე ამ მხრივ უდგები დასავლეთ თუ აღმოსავლეთ „იერარქების“ დღევანდელ „განცხადებებს“! ესენი ერთი მეორეში ვერ მორიგებულან; ერთი ქრისტეს მიმდევრებს, საერთო ენა ვერ გამოუნახავთ, საერთო სინიდისი ვერ გამოიმუშავეს, ამათ როგორ უნდა აღზარდონ და წვრთან ხალხი! ამათ როგორ უნდა იშუამდგომლონ „ჩვენ ცოდვილთათვის“ ღვთის წინაშე!? რომელი ღმერთი დაუგდებს ყურს ასეთ უბადრუკებს?! – ესენი რო ერთმანეთს ატყუილებენ და სცდილობენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა „ყინულზე გაცურებას“, განა ღმერთსაც აგრე „გააცურებენ“?! იმასაც აგრე მოატყუილებენ?!.. ესეც კარგად იციან „იერარქებმა“!.. მაგათ არავითარი „ღმერთიც“ არა სწამთ! პავლე მოციქულის სიტყვისამებრ – „მათი ღმერთი არის მათი მუცელიო“! ესენიც თავიანთ ტყავსა და თბილ ქათიბებს უფრთხილდებიან... რასაც უბრძანებენ, იმას იტყვიან!.. რასაც, ქვევრივით, ჩასძახებენ, ესენიც იმას ამოსძახებენ!.. პრინციპი, რწმენა, სიმართლე, გულწრფელობა, სინიდისი დიდი ხანია „ორი ხუთ შაურად“ გაუყიდნიათ!..

გაითამაშებენ „ჭადრაკს“ ეგ „კაპიტალიზმი-ბურჟუაზია და სოციალიზმი-პროლეტარიატი!“ ეს „გათამაშება“ კი ისევ უსაშიშროეს ომის სახით მოხდება!.. ჟუჟღვა-ჟლეტა მოხდება!.. წმინდა მამები კი ამ დროს ამ ჟუჟღვა-ჟლეტაზე ისევ „ლოცვა-კურთხევით“ მიუდგებიან თავიანთ მთავრობას, საომრად პარაკლისებით გაისტუმრებენ ხალხს, ხოლო დახოცილებზე პანაშვიდებით ხელს მოითბობენ!.. განმეორდება „ძველი ისტორია“ ახალი სახით, სხვა და სხვა ვარიაციებით! ეს იქნება და ეს! ვინ უგდებს არსებითად ყურს ან რომის პაპს, ან კათალიკოს-პატრიარქებს?! ვის დარჩენიათ ესენი?!.. ვინ არიან ესენი, თუ არ სრული ზნეობრივი არარაობა და პოლიტიკანობის ტიკინები?! პაპი თრთის კომუნიზმის აჩრდილის წინაშე!.. მშვიდობით მაშინ, მისო ბატონობავ! ამიტომ ის ეტმასნება ევროპის ბურჟუაზიას, სცდილობს, ზურგი გაუმაგროს მას, რომ თავისი არსებობა და კეთილდღეობა შეინარჩუნოს! იცის, რომ ბოლშევიზმი-

კომუნიზმი – ეს მისი ძირ-ბუდიანა-აღმოფხვრაა!.. ეს „ჩვენი კათალიკოსი“ ქრ-ფორე კი, საბრალოდ თაღლითობს!.. „ჭალას ძალად მამღერებდენ, ვარდო ნანინაო“! მან და მისმა „სინოდმა“ განცხადებებით აავსო საქ. ცაკი თუ სახ-კომსაბჭო საქ. ეკლესიისა და სამღვდელოების დევნის შესახებ და დღეს ასეთი „განცხადებით“ გამოდის?! ამისი შეფასება მე არ ძალმიძს!.. დეე, შეაფასოს ისევ პირუთვნელმა ისტორიამ...

დღეს-საღამოთი გაიმართა ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა ძლიერი დემონსტრაცია! ყოველი კუთხიდან ორგანიზაციულად მოზღვავდა მუშა-მოსამსახურენი რუსთაველის გამზირზე წითელი დროშებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, ჩირაღდნებით!.. ჩაუარეს სასახლეს – აივნის პირთან, საიდა-ნაც გადმომდგარიყვნენ მთავრობის წარმომადგენელნი და სალამს აძლევდენ დემონსტრანტებს! ესენიც ერთხმად შესძახებდენ მათ და თავისუფლების მო-ედანზე – ექვს საათზე დაიშალნენ კიდეც!.. მაგრამ ესენი რო წავიდ-წამოვიდ-ნენ, შემდეგ „კერძო მოქალაქენი“ და მილიციელები გამოვიდნენ ფორმებით, ჩირაღდნებით და გაიძახოდენ – „ძირს პაპი“! „ძირს ხუცები“! „ძირს ყოველგ-ვარი ცრუმორწმუნებაო“!..

ქრისტეფორეს განცხადების ტექსტი

„რელიგიის თავისუფლება საქართველოში უზრუნველყოფილია საქართვე-ლოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი კონსტიტუციით და დამატებით საქართველოს ცაკის 1924 წლ. 21 ნოემბრის №124 დადგენილებით. რასაკვირველია, ჩვენში აქვს ადგილი გადამახინჯებებს რელიგიის საკითხებში, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წრეგადასული წარმო-მადგენლები ხურავენ ეკლესიებს, როცა არა აქვს ამისათვის საკმაო საფუძვე-ლი, მაგრამ ასეთ მოვლენებს ჰგმობს ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლება. კანონიერებისაგან ასეთი დაუშვებელი გადახვევების შესახებ ოფიციალურად იცემა მითითებები, შემდეგში მათი განმეორების თავიდან აცდენის მიზნით. ხო-ლო უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, ამ შემთხვევაში რელიგიის საკითხებში, ზედმეტია. ჩვენ ვაღიარებთ საბჭოთა მთავრობის სუვერენიტეტს ყველა შინაურ და საგარეო საკითხების გადაჭრაში და საჭირო შემთხვევებში საქართველოს ეკლესიის სინოდი ეკლესიის შესახებ უდგენს თავის მოსაზრებებს საქ. მთავრობას, რომელიც ამ მოსაზრებებს იღებს მხედველობაში საეკლესიო საკითხების გადაჭრის დროს და გამოაქვს სათანადო დადგენილებები. როგორც, მაგალითად, ამას ადგილი ჰქონდა 1924 წელს, როცა მიღებულ იქნა საქართველოს ცაკის ზემოთ დასახელებული დადგენილება 1924 წლის 21 ნოემბრის თარიღით, №124, რომელიც უფლებას აძლევდა შვიდი პირი-საგან შემდგარ ჯგუფს ჰქონოდა ეკლესია და ჰყოლოდა მღვდელთმსახურნი.

რაც შეეხება რომის პაპის და ევროპისა და ამერიკის სხვა სასულიერო სამო-ქალაქო პირთა გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უნდა აღინიშნოს,

რომ საბჭოთა კავშირში რელიგიის თავისუფლების დამცველებს არა აქვთ არავითარი არც ფორმალური და არც ზნეობრივი უფლება ასეთი გამოსვლისათვის. ანდა როგორ დაუშვებს მთავრობა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, ასეთ ჩარევას თავის შინაურ საქმეებში. ჩრდილოეთ ამერიკაში თვითეულ შტატს (სახელმწიფოს) თავისი კანონმდებლობა აქვს, კერძოდ, რელიგიის საკითხში. 1903-06 წლებში საფრანგეთში რადიკალების (კომბისა და რუვიეს) სამინისტროების დროს პალატამ მიიღო კანონი მონაზვნების კონგრეგაციების წინააღმდეგ. პაპს, მიუხედავად მისი ყოველმხრივი ცდისა, ფრანგებმა არ დაანებეს ჩარევა საფრანგეთის საეკლესიო საქმეებში, საფრანგეთის, რომელსაც რომის ეკლესიის „უფროს ქალიშვილს“ უწოდებენ.

კერძოდ, როცა ვლაპარაკობთ პაპის როლზე, საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო „ჯვაროსნულ ლაშქრობაზე“, უნდა აღინიშნოს, რომ ის ჯვაროსნული ლაშქრობანი, რომელნიც მოაწყვეს პაპებმა საშვალო საუკუნეებში, ყოველთვის მარცხით დამთავრდა. მათი შედეგი იყო ლაშქრობის მონაწილეთა, „გმირთა“, დიდთა და ბავშთა (ბავშთა ჯვაროსნული ლაშქრობა) მასიური გაჟლეტა, ლათინთა სკანდალური იმპერიის დაარსება მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში და სხვა ამნაირი მოვლენები, საბოლოოდ კი – არაფერი.

ამას რომ თავი დავანებოთ, რელიგიური თავისუფლების დამცველის როლი არ შეეფერებათ პაპებს. ისინი არა მარტო შორეულ წარსულში განირჩეოდენ შეურიგებლობით რელიგიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ (იოანე გუსის ცეცხლზე დაწვა და მრავალი ასეთი მაგალითი), არამედ ეხლაც ასეთსავე შეურიგებლობას იჩენენ სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ, ამას წინად, ა. წ. იანვრის დასაწყისში, ჩვენ ძმა ქრისტესით, პოლონეთის ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიის წინამძღოლი, ვარშავის და ვოლინის დიდად პატივცემული მიტროპოლიტი დიონისე თავის ძმურ მომართვაში გვატყობინებდა მეტად სამწუხარო ამბავს, თუ როგორ ახდენს რომის ეკლესია „ბეთლემელ ყრმათა“ ამოჟლეტას პოლონეთში: „ჩვენს წმინდა მართლმადიდებლურ ეკლესიაზე პოლონეთში, – სწერს მიტროპოლიტი დიონისე, – ღმერთმა გასულ (1929 წ.) წელს მოავლინა უბედურება, რომელიც ბეთლემელ ყრმათა გაჟლეტას უდრის, ვინაიდან რომის ეკლესიას სურს წაგვართვას ჩვენი წმინდა ტაძრების ნახევარი და მით ორ მილიონზე მეტ მორწმუნე ყრმას (დაახლოებით საქართველოს მოსახლეობას უდრის) მოუსპოს სულიერი საზრდო და საეკლესიო ცხოვრება“.

ასეთი „ყრმათა გაჟლეტა“ ხდება რომის პაპის მფარველობითა და კურთხევით. ეს ცოცხალი მაგალითი რომის პაპების მოღვაწეობიდან ყველასათვის ნათელს ხდის, თუ რა მიზანს ისახავენ რომის პაპა და მისი მოკავშირეები ქადაგებით „ჯვაროსნულ ლაშქრობის“ შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათი მიზანი რელიგიური თავისუფლების დაცვაა საბჭოთა კავშირში, თუ სხვა რამ?

ღმერთმა დაგვიფაროს „ასეთი მსაჯულებისაგან“, „რელიგიური თავისუფლების დამცველებისაგან“.

ხელს აწერს – „საქართველოს პატრიარქი-კათალიკოსი – ქრისტეფორე. 1930 წელი, 20 მარტი.

ამავ „კომუნისტის“ ნომერში, ქრისტეფორეს აღნიშნული განცხადების გვერდით, მოყვანილია დიონისე ვარშავისა და ვოლინის მიტროპოლიტის ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი მომართვის სურათი-„ფაქსიმილე“, ხოლო ამის შემდეგ მოყვანილია – „ქართული კათალიკოსატის რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოების საეკლესიო სამმართველოს“ მიერ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადების ტექსტი, საიდანაც სჩანს, რომ ეს სამრევლოები სრულ განცხრომაში და კეთილდღეობაშია საბჭოთა ხელისუფლების ხელში! ერთი სიტყვით, ჩვენს საეკლესიო უწყების წარმომადგენლებს შეუძლიათ ყოველ დღე გულსავსეთ იგალობონ „ანგელოსთა ჰიმნი“: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“! Что и требовалось доказать!

დავესწარი დღევანდელ დემონსტრაციას! ღრუბლიანი, ცივი საღამო იყო... უსიამოვნო დარი... მოვდიოდით რუსთაველის პროსპექტით სიცივისაგან მოყუჟულები; ბევრი მშიერიც იყო, სამსახურიდან პირდაპირ დემონსტრაციაზე მოსულან, ვერ მოუსწრიათ სადილის ჭამა და ბუზღუნებდენ: „ღმერთმა დააქციოს იმ პაპის ოჯახი! რატომ თავის ქერქში არ დაეტევა ის მამა ოხერიო“!.. შემდეგ ერთი ხანში შესული უმუშევარი მეორეს ეუბნებოდა: „კაცო, შეხე ეგ სამხედრო ტაძარი რა დღეშია! გუმბათი უკვე დაუნგრევიათ, გვერდები ჩამოუცლიათ, საკურთხეველს ეხლა ანგრევენ!.. აი, სომხების, კამოევის სახელობის, ეკლესიისა და სამრეკლოს გუმბათებიც ჩამოუქცევიათ!.. რა საშინელი სანახავია!.. პაპს კი პროტესტს უცხადებენ!... ტყუილია, სად არის ჩვენში რელიგიური დევნა და ტაძრების ნგრევა-დახურვაო!.. ეგ კათალიკოზი ქ-ფორე რეებს მიედებ-მოედება, სოფლად აღარც ერთი ღვდელი დაუტოებიათ, ყველანი გამორეკეს იქიდან! აღარც ერთი ტაძარი აღარ მუშაობს!.. ეს კი რეებსა სწერს გაზეთებშიო“!.. ყოველივე ეს ჩემ გასაგონად იყო ნათქვამი, მაგრამ მე ვითომ არა გამიგონია რა, მწყობრად მივაბიჯებდი ფეხებს კოლეკტივთა რიგებში, სადაც მე დღეს ვირიცხები და ვმუშაობ „წერითი დამხმარე“ ბიუროში! პურის ფულს ვშოულობ რის ვაი-ვაგლახით! რა მედემონსტრაციება ან „რა მეჟღარუნების“!.. დრონი! დრონი!.. დრონი მეფობენ და დრონივე ღატაკობენო, – ნათქვამია!.. აგრეც ყოფილა!.

შაბათი – 22 მარტი. კათოლიკური სამღვდელოების „ხმა“

ტფილისის დღევანდელ ყველა რუსულ-ქართულ გაზეთებში მოყვანილია „ამიერკავკასიის კათოლიკეთა და სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიების ხელმძღვანელთა მამხილებელი განცხადებანი“ – „პატრი ვარდიძისა და ეპისკოპოზ კალატოზოვის საუბარი პრესის წარმომადგენლებთან“ („კომუნისტი, №65).

ესენიც, როგორც ქ-ფორე კათალიკოზი და რუსული სამრევლოების სამმართველო, იმავ ტონზე საუბრობენ პრესის წარმომადგენლებთან: მაგალითად, პატრი ვარდიძე სხვათა შორის სწერს შემდეგს: „გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ კათოლიკური ეკლესია საქართველოში, თვითმპყრობელობის დროსთან

შედარებით, არა თუ დაჩაგრული არ აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, არამედ უეჭველი უპირატესობაც კი მიიღო“... შემდეგ პატრს ვარდიძეს მოჰყავს ისეთი ფაქტები, რომელიც საგანს არ ეხება და თუ ეხება სულ სხვა მხრივ!.. რასაკვირველია, პატრი ვარდიძე თავის „საუბარში“ არას ამბობს, თუ რა მიზეზით სცადა მან არალეგალურად გაპარულიყო ახალციხით ოსმალეთში და იქიდან რომში – ამ ერთი წლის წინეთ; თუ როგორ დაატუსაღეს ის საზღვარზე და იყო დიდხანს დაპატიმრებული ჩეკაში... ერთხანს კიდევაც გავრცელდა ხმა, რომ ის დახვრიტესო და ეხლა კი მამა ემმანუილ ვარდიძე სხვა ჰანგებზე „საუბრობს“!..

ეპისკოპოზი კალატოზოვი, ერთხანს „ქართველ კათოლიკობდა“, ეხლა კი „სომეხ-კათოლიკობს“... ეპ. დიონისე კალატოზოვი, „საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნის ბრალდებას სასაცილო ზღაპრებად“ აღიარებს... საბჭოთა კავშირის ხელის უფლება ყოველთვის მოქმედებდა მტკიცე კანონიერებისა და სამართლიანობის საფუძველზე... ეს განგაში საბჭოთა კავშირის მტრების აშკარა ანგარიშებით არის გამოწვეული, რათა პოლიტიკურად მოუმზადებელი მასები ჩააბან უაზრო ომში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგო“... საბჭოთა მთავრობა „საერთოდ რელიგიურ საქმეებში არავითარ ძალდატანებას არ იჩენსო“... რომ ამ ჟამად ყველა პატიოსანი ადამიანი მოვალეა მოახმაროს მთელი თავისი ძალ-ღონე სახელმწიფოს, რათა განხორციელდეს საბჭოთა მთავრობის ის მაღალ ჰუმანიური იდეალები, რომლებიც კაცობრიობას უდიდეს სარგებელს მოუტანენ! მივესალმები საბჭოთა სახელმწიფოს აყვავებას, მივესალმები ეროვნებათა მეგობრობას და ერთხელ კიდევ ვაცხადებ პროტესტს ყოველგვარი ინტერვენციის წინააღმდეგ, მათ შორის „მორალური“ ინტერვენციის წინააღმდეგაც“!

აქ შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ ერთი რამ, სახელდობ ის, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს აყვავება“ ლოლიკური სიმკაცრით მოითხოვს ქართველ თუ სომეხ კათოლიკეთა ეკლესიების, მათი ხელმძღვანელებით, ძირბუდიანად მოსპობას და ამოვარდნას! და ამათთან ერთად საერთოდ ყველა რელიგიის და მათი კულტის გაქარწყლებას! რაც მალე მოხდება ეს მოვლენა, მით უფრო უკეთესი ქართველებისათვისაც და სომხებისათვისაც, რომ ესენი განთავისუფლდებიან ასეთი „ხელმძღვანელებისაგან“, გაიწმინდება ატმოსფერა ამათ გაიძვერობისა, ფლიდობისა და ზნეობრივი სიმახინჯისაგან! – საბჭოთა სისტემა ამათ უარ ჰყოფს და ვერ გამიგია, რაზე „ასაუბრებენ“ ან რაზე აყბედებენ ამ ისტორიისაგან განწირულ „სულიერ მამებს“ აგრე ქვეყნის სასაცილოდ!.. ალბად მათ საბოლოოდ თავმოსაჭრელად! ამათ ზნეობრივად საბოლოოდ გასაშიშვლებლად თუ!.. სხვაფრივ ვერა გამიგია რა ეგ დემონსტრაციები!..

„რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“! – ეს ითქმის რელიგიის „ხელმძღვანელებზე“ და მათ საბოლოო ბედ-იღბალზე!.. ესენი, ეტყობა, დამპალან თავიანთვე ტყავში და ჰყროლან უკვე!.. ამათ სასიცოცხლო ნიშან-წყალი აღარ ეტყობა უკვე!.. ცოცხალ ლეშებად ქცეულან!.. ამ ანტისანიტარიას ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებს ეხლა წარმოებული სოციალური რევოლიუცია „საბ-

ჭოთა სახელმწიფოში“! დავიჯერო, ამას ვერ ამჩნევენ ვარდიძე-კალატოზოვები თუ კათალიკოზ-მიტროპოლიტები?! ხოლო თუ ამჩნევენ და მაინც აგრე „საუბრობენ“ და „აცხადებენ“, მით უფრო ცუდი მათთვის!

„კოლექტივიზაცია ოზურგეთის მაზრაში“ (ფ. მახარაძის შთაბეჭდილებანი)

დღევანდელ „კომუნისტში“ (№65) მოთავსებულია ასეთი სათაურის ფელეტონი. ფ. მახარაძეს გაუვლია მთელი ოზურგეთის მაზრა „40-41 თემი“; „აქედან 18 თემში ტარდება მთლიანი კოლექტივიზაციაო, – სწერს ის, – ეს თემები შემდეგია: ნიგოითი, ლანჩხუთი, შუხუთი, ჩიბათი, ლესაჭინათი, ჯურუყვეთი, ნიგვზიანი, ნინოშვილი, ჯუმათი, ჩოჩხათი, სუფსა, ნატანები, გურიანთა, სილაური, ძიმითი, მამათი, აცანა და ნაგომარი... მთლიანი კოლექტივიზაცია ამას გარდა ტარდება ბუკისციხეში და ზემო ფარცხმაშიო... ვინახულე შემდეგი თემები არა მთლიანი კოლექტივიზაციისა: ჩოხატაური, ხიდისთავი, ბახვი, ასკანა (ჩემი სოფელია), დვაბზუ, შემოქმედი და ლიხაურიო... ზოგი ამათგანაც (ლიხაური, შემოქმედი, დვაბზუ) თითქმის მზად არიან მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად... ალბად ბევრს ასეთი ჩემი შთაბეჭდილება ეჩვენება გადამეტებულად და შეფერადებულად, მეც ბევრი ვიფიქრე ამაზე, სანამ ასეთ დასკვნას გამოვიტანდი, მაგრამ ბოლოს მაინც ამ დასკვნაზე გავჩერდიო“, – სწერს ფ. მახარაძე.

იყო თუ არა ძალდატანება, ან ქონდა თუ არა ადგილი გაუგებრობას და შეცდომებს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დროს ოზურგეთის მაზრაში – უთუოდ შემეკითხებიან მკითხველები. აშკარაა, იყო ერთიც და მეორეც, და გასაკვირიც იქნებოდა, რომ არ ქონებოდა მათ ადგილი. ასე, მაგ., ალაგ-ალაგ ადგილი ჰქონდა მუქარასაც და დაშინებასაც... აჩქარება... გაურკვევლობა... ეზოებისა თუ ძროხების გაერთიანებაში!.. სიმართლე მოითხოვს ვთქვა, რომ „მემარცხენეობას“, ანუ ყველაფრის დაუყონებლივ გაერთიანების სურვილს ოზურგეთის მაზრის სინამდვილეში დიდი გასავალი არ დაურჩა. არათუ წვრილფეხა საქონელი და ძროხები არ იქნენ გაერთიანებული, არამედ ფაქტიურად ხარ-კამეჩებიც, რომლებიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ, ზოგჯერ ყოფილ პატრონების ხელში დარჩა... აბრეშუმის ჭიის მოყვანის გაერთიანებასაც მოითხოვდენო, მაგრამ ქალები აღუდგენ წინ და არ გაიყვანესო...

...საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ გურიაში კოლექტივიზაციის საქმე ნორმალურად მიმდინარეობს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სადმე კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ... კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგენი და მტრები არიან, რა თქმა უნდა, გურიაშიც, მაგრამ ასეთები შეადგენენ შედარებით უმნიშვნელო ჯგუფს. კოლექტივიზაციის ტალღა დღეს იმდენად დიდია გურიაში, რომ უკმაყოფილო ელემენტები ვერ ბედავენ ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებას... ასეთ წარმატებას კოლექტივიზაციის საქმეში ფ. მახარაძე ხსნის გურიის გლეხობის შეგნებით. გურიის გლეხობამ 1905 წელში განვლო დიდი რევოლიუციონური

სკოლაო, – სწერს ფ. მახარაძე, – აი, 1905 წლის რევოლიუციის ტრადიციებს ჩვენ ვხედავთ გურულ გლეხებში ახლა, კოლექტივიზაციის ხანაში. ჩემ შეკითხვაზე – როგორ უყურებთ კოლექტივიზაციას, ხომ არ შეგაშინათ ამ ამბავმა მეთქი, – ხშირად ვღებულობდი ასეთ პასუხს: „კოლექტივიზაციამ არამც თუ არ დაგვაშინა, არამედ ჩვენ სწორედ ახლა ვხედავთ 1905 წლის რევოლიუციის ლოზუნგების განხორციელებასო“. ამას ამბობდენ მოხუცი 60–70 წლის გლეხები, კოლექტიურ სამუშაოებზე გამოსულნი ბარებით და ნიჩბებით, რაც უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა ყველაში. ეს უკვე გულისხმობს დიდ შეგნებასო“!.. სოფელ გულიანში (ჩოჩხათის რაიონი) კომუნაზე გადასასვლელადაც კი მზად იყვნენ, მაგრამ დროებით შეაჩერესო... „შეერთებული მუშაობა გაჩაღებულო“... „ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი გარდატეხა, უდიდესი რევოლიუცია... ვის ძალუძს, ეს არ შეამჩნიოს, ეს არ დაინახოს – მხოლოდ გაქვავებულ ადამიანებს ან ჯიუტობით დაბრმავებულთ. იცვლება დრო, იცვლება ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, ფსიხოლოგია... ის, რაც მე ვნახე გურიაში, მაძლევს საბუთს ვსთქვა, რომ გურიის გლეხობა კოლექტივიზაციის საქმეში წინ მიდის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოძრაობაში ითამაშებს ისეთსავე როლს, როგორიც მან ითამაშა 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი უთუოდ გაიმარჯვებს“.

აგრე ათავებს ფ. მ-ძე თავის „შთაბეჭდილებებს“! – ეს მეტად საინტერესოა, როცა სწერს ფ. მახარაძე! კარგი იმედებია! ეს იმედები რამდენად განხორციელდება ან რამდენად საფუძვლიანია, მალე გამომჟღავნდება! მე არ მსურს შევსწამო ფილიპეს – „მაზრული პატრიოტიზმი“ – „გურულობა“, გურულების მისი მხრით ასეთი წინ წამოყენებით კოლექტივიზაციის მოწყობის საქმეში, როდესაც ეგ საქმე მეტად არევ-დარეულია დღეს ქართლ-კახეთში და ბევრგან სავსებით ჩაიფუშა! ასე მოხდა თითქმის მთელ ქიზიყ-კახეთში! სიღნაღში ისეთი შეტაკებებიც კი მომხდარა, რომ ამ შეტაკების დროს აღმასკომის თავმჯდომარეც კი მოუკლავთ!.. ასეთივე მწვავე შეტაკებები და გამოსვლები ყოფილა გურჯაანში თუ სხვა პუნქტებშიაც! ეხლა ასწორებენ აქ შეცდომებს და დაშვებულ გადამახინჯებებს... ასეთივე მწვავე ამბები ყოფილა ბორჩალოს მაზრაშიაც!..

ვნახოთ, რა ამბები მოვა გურიიდან ან სხვა წყაროებიდანაც!.. ფ. მახარაძე მთავრობის კაცია, მას ბევრი მართლა „შეფერადებას“ სწამებს აღნიშნულ წერილში. რა ხდება სამეგრელო-იმერეთში?! არა ვიცით რა...

ისევ კოლლექტივიზაციაზე
28 მარტი – პარასკევი

გაზეთები სავსეა ამ საქმეში დაშვებული შეცდომებისა თუ „გადამახინჯებათა“ მხილების წერილებით! აკრიტიკებენ და ამჟღავნებენ ადგილებზე მომუშავე „ბრიგადებისა“ თუ ხელმძღვანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. თან ახალ-ახალი განმარტებები გამოდის, თუ რა ფორმის, რა სახის კოლმეურნეობა უნდა დამყარდეს ამ ჟამად სოფლად: – ეგ არის „მიწის განსაზოგადოება“ და სა-

ზოგადო ძალღონით მისი დამუშავება – „არტელების“ ხელში, ან „მიწათა ამხანაგობის“ ხელში! ინდივიდუალურ მეურნეობას უტოებენ ეზოს, ძროხას, საჯდომ ცხენს, პატარა, არა საწარმოო სახის ბაღ-ვენახს, შინაურ პირუტყვ-ფრინველებს და აგრე. მაგრამ, საკვირველია, რატომ თავიდანვე არ მიიღეს ასეთი ზომები, ასეთი განმარტებები არ მისცეს სამუშაოდ გაგზავნილ „ხელმძღვანელებს“ და გამოიწვიეს ასეთი დომხალი, არევ-დარევა, სრული ანარქია! ეხლა თვით მიხა კახიანი საქ. კომ. პარტიის „ცეკას“ პ/მგ. მდივანი ცეცხლს აფრქვევს თავის მოხსენებებში და მოითხოვს პასუხის გებაში მიცემას „დამნაშავეებისას“!.. მაგრამ ძნელი გამოსარკვევია, ვინ არის აქ დამნაშავე?!. გლეხები კი, როგორც ამბები მოდის, მეტად გულ-აცრუებული არიან მუშაობაზე, განუწყვეტლივ სვამენ, სჭამენ თუ რამ გააჩნიათ, ანადგურებენ შინაურ ფრინველებს თუ საქონელს!.. „ქეიფობენო“!.. აგრე ყოფილა გურიაშიდაც! და სხვაგანაც! – „დღეს თუ არა ხვალ, სულ ერთია, ყველაფერს ჩამოგვართმევენ, სხვის შეჭმას, არა სჯობია ჩვენი ოხერი, ჩვენვე მოვიხმაროთ, ჩვენვე შევსჭამოთ და შევსვათო!.. გაზეთებში კი იბეჭდება კორესპონდენციები, რომ „ხაზი გამოსწორდა, ვინც გავიდა კოლმეურნეობიდან, ისევ ბრუნდებიან „ნებაყოფლობით“ და აგრე! თითქოს „თესვის კომპანიაც გაცხოველებული სწარმოებსო“!.. ისე კი ამბობენ მეტად დუნედ, უხალისოდ და არეულ-დარეულად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვაო!.. ალბად საზღვარ გარეთ მიდის ამ თაობაზე, რასაკვირველია, გაზვიადებული ამბები და შიშის ზარს სცემს ევროპის ბურჟუაზიას ბოლშევიზმისა და მთლიანი კოლექტივიზაციის აჩრდილი!..

პაპის „ჯვაროსნული ლაშქრობა“

ჯერაც არ შეწყვეტილა პრესაში ამ თაობაზე ატეხილი განგაში. 19 მარტს რომში და მთელს ევროპაში ჩაუტარებიათ საბჭოთა საწინააღმდეგო „საერთო-წირვა-პარაკლისები“ და დიდი დემონსტრაციები. ჩვენი პრესა აღნიშნავს, რომ პაპის „წყევა-კრულვა-შეჩვენება“ საბჭოებზე ჩაიფუშა, ჩაფლავდაო! ვერ მოაგროვა ეკლესიებში ხალხიო!.. ევროპის ქალაქების მუშები კონტრ-დემონსტრაციებით გამოდიოდენ და ხელს უშლიდენო! ლონდონში ერთ-ერთ დიდ ტაძარში გამოსულა ეპ. ევლოგი დიდი სიტყვით რუსულ ენაზე. ეს ევლოგი რუსია, ვოლინისა და ხოლმის მთავარეპისკოპოსი იყო წინეთ რუსეთში, დიდი „ჭეშმარიტი“ რუსი!.. გამოსულან ბერლინში, პარიზში, ბელგიაში, ვენაში დიდი ამბები გადაუხდია იქაურ კარდინალს პეფლს... ბოლგარიაში... ჩეხო-სლოვაკიაში!.. ჩვენში კი გრძელდება სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და „მსწავლულმეცნიერთა“ კორპორაციის მიერ პაპის საწინააღმდეგო გამოსვლები და რეზოლიუციები. მაგ. ამ დღეებში რუსეთის ასტრონომ-მეცნიერებს გამოუტანიათ პაპის გაკიცხვის დასაბუთებული რეზოლიუცია, რომ პაპა პავლემ ინკვიზიციის კოცონზე დასწვა ჯორდანო ბრუნო, ბერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მზე როდი ტრიალებს დედამიწის გარშემო, არამედ უკანასკნელი ტრიალებს მზის

გარშემოო! ამისათვის კი დასწვეს ისო!.. მოყვანილია გალილეის წამების ამბავი და თუ როგორ ჩამოართვეს მას მეცნიერული ნაშრომები და დაუწვეს პაპის ინ-კვიზიტორებმა... „მეცნიერება უსათუოდ მატერიალისტურიაო“, – აბოლოებენ ესენი, – იმის საპასუხოდ, რომ ევროპაში პაპის მომხრეები „მატერიალიზმს სამარცხვინო მოძღვრებად“ აღიარებენო!..

მწვავდება ურთიერთობა ევროპასა და საბჭოთა კავშირ შუა

მოსკოვიდან წასულა პარიზში საფრანგეთის ელჩი – ებერტი! ის უკან აღარ დაბრუნდებაო, – სწერენ გაზეთებში! აგრეთვე სწერენ, რომ საფრანგეთში მზადდება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის საქმეო; ინგლისში კინაღამ დაემხო მაკდონალდის „მუშათა მთავრობა“... გერმანიამ მიიღო და-სავლეთ ევროპის ორიენტაციის მიმართულება... პოლონეთი ყალყზე დგას, აგრეთვე ჩეხო-სლოვაკია, რუმინია. პოლონეთში მარშალი პილსუდსკი პარ-ლამენტარიზმის დასამხობად ემზადება... ამ ნიადაგზე დიდი მიხლა-მოხლაა ამჟამად იქ. სეიმის გარეკას დღე-დღეზე მოელიან!.. პარლამენტი ხელს უშლის მთავრობას მართოს ქვეყანა რიგიანათო.

...მგონი, მონარქიზმის სუნია დღეს ვარშავაში... ჩინეთში ისევ გრძელდება შინაური არევ-დარევა, „გენერლები“ ერთმანეთს ანადგურებენ!.. ზოგიერთ ქალა-ქებში და მხარეებში მიდის კომუნისტური რევოლიუცია, გლეხების რევოლიუცი-ონური-კლასობრივი ბრძოლა სწარმოებსო, ზოგგან „საბჭოთა ხელის უფლებაც კი დაამყარესო“!.. საბჭოთა კავშირმა ფეხი მოიმაგრა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, აღადგინა იქ წესიერება და შიშს ქვეშე ჰყავს მთელი ჩინეთი!.. ახლო მომა-ვალში ამ გზის თაობაზე „კონფერენცია“ უნდა მოწვეულ იქნეს მოსკოვში, სადაც ჩინეთის წარმომადგენელიც მივა მოლაპარაკებისა და შეთანხმების საწარმოებ-ლად, ეს კონფერენცია იანვარში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩინეთში არსებულმა შინაურმა არევ-დარევა-ანარქიამ შეუშალა ხელი... ეხლა კიდევ უარესი ამბებია იქ ამ მხრივ და შესდგება თუ არა „მოსკოვის კონფერენცია“, ეს კიდევ საკითხია!..

კათალიკოზი ქრისტეფორეს ავათმყოფობა

ის საავათმყოფოში მოუთავსებიათ ამ ორი დღის წინეთ, კუჭის ავათმყოფო-ბა დასჩემდა და საშიშარი სანახავია – ჩამომხმარი, ჩამოყვითლებული....

ევროპაში ატეხილმა განგაშმა, ცოტა არ იყოს, შეაჩერა საბოლოო რღვევა ეკლესიისა ქ. ტფილისში; დიდი გადასახადები, რომელზედაც ზემოდ ვსწერდი, სი-ონზე, სანთლის სახელოსნოზე, ანჩისხატზე თუ სხვა ეკლესიებზე ტფილისში, ჯერ ჯერობით – „ფაქტიურად“ შეჩერებულია... ეკლესიებში წირვა-ლოცვა სწარმოებს ტფილისში ამ „დიდ მარხვაში“, თუმცა ხალხი შიგ არავინ შედის და ერთი ორი ბე-ბერი დედაკაცები თუ ეზიარებიან!.. სოფლად კი... მოგჭამა ჭირი წირვა-ლოცვამაც

და სამღვდელოებამაც... ქალაქებში კიდევ პუზუნებენ... ღაფავენ სულს... მაგრამ ამათი საქმეც წასულია... ესენი ისტორიისაგან განწირულნია!.. ხალხში რწმენა-ზნეობა გაიხრწნა საბოლოოდ, მგონი!.. ეხლა ყველანი მხოლოდ იმაზე ვზრუნავთ, თუ დღეს რა ვსჭამოთ!.. სად რა ვიყიდოთ! ყველგან და ყველაფერში დიდი სიძვირეა და ყველაფერი „წიგნაკებით“, ზღვა-წიგნაკებით, და რიგებით შეიძინება. ერკოპის წიგნაკი, პურის წიგნაკები, ფართლის „ორდერები“ და ასეთები. ამაზე ვზრუნავთ, ამაზე ვფიქრობთ!.. ხახვი, ბრინჯი, ვერმიშელი, ხორცი... ჩაი, შაქარი... კვირაში ორჯელ – სულზე ას-ასი გრამი!... „ვა, აფთიაქია“?! – დაიცინებიან ყოფილი ყასბები!... ვისღა ახსოვს ან ღმერთი, ან ხატი, ან სჯული!.. ერთი მეორეს პირიდან ლუკმასა ჰგლეჯს... ფლანგვა, ქურდობა, სახლების გატეხა, მაღაზია-ერკოპების მსხვრევა-ქურდვა... „რასტრატები“ – გაფლანგვები სახაზინო ფულებისა ყველგან და ყველა დაწესებულებებში!.. ვინ ვის მოასწრებს შეჭმას, წაგლეჯას, აი, რასა ჰფიქრობს დღეს „მოქალაქე“ – „უპარტიო“ თუ „პარტიულიც“!.. აგრე თუ გაგრძელდა, არ ვიცი, სანამდე მივალთ?! მგონი, ერთმანეთი ჭინჭებიანა დავყლაპოთ და დავძიძგნოთ!.. არ არის არავითარ „დამჭერი ცენტრი“ ადამიანის ბუნებაში! მოიშალა მისი სულიერი და ზნეობრივი ფსიხიკა, ხოლო ხორციელი „ფიზიკაც“ დიდ განსაცდელშია!... „გარდამავალი ხანააო“!.. „სოციალური რევოლიუცია ბობოქრობს! მა როგორ გნებავთო“?! – გვანუგეშებენ „უფლება-მოსილები“!.. „სოციალიზმში დამყარდება მხოლოდ წესიერება და სრული კმაყოფილებაო“?!. როდის?! „Уж невидать!... Улита едет... когда то будет“!.. „ჰეი, ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს“!.. აი, ამ თქმულებით თუ გავიკიტრებთ ზოგჯერ გულს!.. „წარმავალია“ ამ სოფლად ყველაფერი!.. „სიზმარი“ და მოჩვენებაა!.. მაგრამ ასეთი ხანგრძლივი „წარმავალი“, თუ „სიზმარი-მოჩვენება“, მეტად გულის გადამლევი ყოფილა!..

ზოგი კი „კარგად“, „განცხრომით სცხოვრობს“!.. „ითბობენ ხელს“ სოციალურ რევოლიუციაზედაც!.. აგრე ყოფილა, არის და იქნებაო!.. Sat!..

30 მარტი – კვირა. 1930 წელი
ლეგენდა-ოპერა „შოთა რუსთაველი“

დღეს, ჩემს მეუღლესთან ერთად, დავესწარი საოპერო თეატრში, საღამოს წარმოდგენას „შოთა რუსთაველის“ ოპერა-ლეგენდაზე, 4 მოქმედებად. მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა, ტექსტი–ლიბრეტო სანდრო შანშიაშვილისა. ამ სეზონში ეგ მეოთხედ იყო დადგმული, მაგრამ ბილეთები ძლივს ვიშოვნეთ, ისიც „ქანდარაზე“; თან გვახლდა სტუმარიც სოფელ ხიდისთავიდან (გორის), მ. კარიჭაშვილისა, მანდილოსანი. ოპერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმთავიდანვე ტფილისის საზოგადოებაზე. თავდაპირველად ის ორმოქმედებიანი იყო. ეხლა ოთხმოქმედებიანად გადაუკეთებია არაყიშვილს. დადგმა ოპერისა ეკუთვნის რეჟისორ წუწუნავას და უნდა ითქვას, მეტად მდიდრულადაც არის ოპერა დადგმული. თამარის სასახლე, სამეფო დარბაზი, დიდებულები, სეფე-

ქალები, ჯარისკაცები, უცხოეთის ელჩები თამარის სამეფო კართან – ყველაფერი ეს თვალ-წარმტაცად არის დადგმული. თვითონ თამარი და შოთა ხომ განსაკუთრებით წამოყენებული არიან დადგმაში! პირველ დადგმაზე „მეფური გამოსვლა თამარისა“ ისეთი სიძლიერით იყო მოცემული, რომ დამსწრე საზოგადოება კინაღამ გაგიჟებულიყო! დაემტვრიათ ყვირილითა და აღტაცებით ყველაფერი! რასაკვირველია, ყოველივე ეს არ ეთანხმება „დროსა და ჟამს“!.. ამიტომ საზოგადოებაში ასეთმა აღტაცებამ კინაღამ საფრთხეში ჩააგდო თვით ოპერის ბედ-იღბალი... მაგრამ, ეტყობა, შესამჩნევად „შეუნელებია“ რეჟისორს თამარის დიდებული გამოსვლა... ამ საღამოთი თამარი გამოჰყავთ ცალკე კი არა, არამედ მასსიურ კარის კაცებში და სეფე-ქალებში, თუმცა საზოგადოება ასეთ გამოსვლასაც აღტაცებით შეეგება!.. თითქოს დემონსტრაციულ ხასიათს აძლევდა საზოგადოება ამ ოპერის შეხვედრას.

ოპერაში მონაწილეობდენ – ქართველებიცა და რუსებიც: ქართველებში „ორი შოთა“ იყო: პირველ მოქმედებაში ტენორი – ქუმსიაშვილი, შემდეგ მოქმედებებში – ანდღულაძე. თამარის როლს ვიღაც რუსი დედაკაცი ასრულებდა და კარგადაც. ურმული იმღერა – ბადრიძემ ჩინებულად. მასიური სიმღერები შეზავებულია – გურულ-ქართლ-კახურ-თუშ-ფშავ-ხევსურ მოტივებით, ჩინებულია. თვითონ ორკესტრიც დიდებულად არის დამუშავებული. დირიჟორობდა ვინმე ულრიხი, შესანიშნავად. საერთოდ ეგ „ოპერა-ლეგენდა შოთა-რუსთაველი“ – დადგმითა და მასიური სცენებით ძლიერ წააგავს „აბესალომ და ეთერის“ ოპერას ფალიაშვილისას. ეტყობა კიდეც, რომ ეგ ორი „ქართველი კომპოზიტორი“ ერთმანეთს ეჯიბრებიან „პირველობაში“!.. ერთხანს არაყიშვილი იყო ქართული კონსერვატორიის დირექტორ-რექტორად, წელს ის გადააყენეს და ფალიშვილია ეხლა რექტორად. არაყიშვილი კი პროფესორობს იქვე... შური... შური... ქართული შური ხეთქავს ერთსაცა და მეორესაც!.. თითქოს ასპარეზი არ იყოს ორთავესთვის საკმარისი!.. აგრეა ამათი საქმეც!.. ვისიამოვნე ოპერის მოსმენით. ისტორიული განძია ქართულ ხელოვნებაში „აბესალომ და ეთერთან“ ერთად... არაყიშვილმა მეორე ოპერაც დასწერა – „სიცოცხლე სიხარულო“, ესეც მოვისმინე წინეთ, სუსტი მეჩვენა; ეხლა ეს გადაუკეთებია „დინარას“ სახელით, ალბად გააუმჯობესებდა; ფალიაშვილსაც აქვს მეორე ოპერა – „დაისი“, ჩინებულია ესეც.

3 აპრილი – ხუთშაბათი
„მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა პოლონეთში. მიტროპოლიტ დიონისეს ახალი განცხადება“

ასეთი სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში მოთავსებულია სააგენტოს ცნობა ვარშავიდან 1 აპრილის თარიღით: „აქ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის მართლმადიდებელი მიტროპოლიტის მიერ ქართული ეკლესიის კათალიკოსის ქრისტეფორესთვის გაგზავნილმა ეპისტოლემ (იხ. ამ რვეულის 26-27 გვერდი), რომელიც გამოქვეყნებული იყო

საბჭოთა პრესაში, მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის შესახებ პოლონეთში. აგრარიებისა და პილსუდსკის მომხრეთა ორგანომ „ძენ პოლსკიმ“ დიონისისაგან მოითხოვა ახსნა-განმარტება. ამ მოთხოვნის საპასუხოდ მართლმადიდებელი ეკლესიის (პოლონეთში) სინოდის კანცელიარიამ გამოაქვეყნა შემდეგი: „ძველთაგანვე არსებული წესის თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიების ხელმძღვანელები მისასალმებელ ეპისტოლეებს უგზავნიან ერთმანეთს, დიდ დღესასწაულებზე. ასეთი მისალმება გაგზავნა დიონისიმ 1929 წლის დეკემბერში. მისალმებაში მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკი იყო მართლმადიდებელ ეკლესიის ცხოვრებაზე პოლონეთში და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე (ხაზი ჩემია), სახელდობრ იმაზე, რომ მართლმადიდებელ ეკლესიებს უდგენენ უამრავ სასამართლო სარჩელებს, რითაც კათოლიკურ ეკლესიას უნდა უდიდესი ზიანი მიაყენოს მართლმადიდებელ ეკლესიას პოლონეთში“. „ძენ პოლსკი“ არ მალავს, რომ იგი უკმაყოფილოა დიონისის ახსნა-განმარტებით“.

სააგენტოს მოყვანილი ცნობიდან ცხადია, რომ კათ. ქრისტეფორეს გამოუქვეყნებია დიონისეს საშობაო მოლოცვის ბარათის ტექსტი, რასაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია დიონისე მისი მთავრობის წინაშე! ქრისტეფორემ კი მოიმადრიელა თავისი მთავრობა. დიონისემ გაბედულად აღიარა თავისი მთავრობის წინაშე „საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები“ – ეკლესიის შესახებ პოლონეთში და მთავრობის გაზეთი „არ მალავს, რომ იგი უკმაყოფილოა დიონისის ახსნა-განმარტებით“. აქ კი კმაყოფილნი არიან ქრისტეფორეს განცხადებით! მაგრამ სატირიულ ჟურნალ „ტარტაროზში“ ამას წინეთ დახატული იყო ქრისტეს სურათი; ამ სურათზე დახატულ ქრისტეს ტანისამოს აფლეთენ ტანიდან სხვა და სხვა „ეკლესიათა“ მეთაურები – მიტროპოლიტები, კათალიკოსები, არქიეპისკოპოსები და პაპები! ეს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ საკუთარივე ხელებით ჰფლეთენ და ჰგლეჯენ ქრისტეს სარწმუნოებას თვით მისი ქურუმები, რომელნიც ერთმანეთში ვერ შეთანხმებულანო!.. სხვა და სხვა კილოზე და „დიპლიპიტოზე“ აცეკვავებენ მათ საერო მთავრობაო!.. მაგიერში ქრისტეფორე-კათალიკოსს „დაუფასდა“ გამოსვლა, ჯერ-ჯერობით შეჩერებულია იმ შეწერილი გადასახადების გადახდა – სიონზე და სანთლის სახელოსნოზე (6000 მან.), რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, აგრეთვე გადასახადები ტფილისის სხვა ეკლესიებზედაც. ამ გადასახადების გადახდევინებას აუცილებლად მოჰყვებოდა ამ ეკლესიების – ტაძრების ლიკვიდაცია. ეს პროცესი ჯერ-ჯერობით შეჩერებულია... ტფილისში. სოფლად კი სავსებით ლიკვიდაცია ქმნილია ყველაფერი რელიგიური. ჩვენში ზარის ხმა აღარ გაისმის არსად! მხოლოდ ქალაქის საათი რეკავს აღმასკომის შენობაზე, რითაც „ჟამთამსვლელობას“ აცნობებს მოქალაქეთ!..

საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაში (მოზდოკში და მის მიდამოებში) ზარებიც ჰკიდია თურმე სამრეკლოებზე, თავისუფლადაც რეკენ მათ იქ და თავისუფლადვე ასრულებენ ყოველივე რელიგიურ წესებს... ალბად სხვაგანაც აგრე იქნება... ალბად ჩვენში საჭიროდ აღარ სცნობენ ასეთ „ზედ-ნაშენებს“ და ერთი ხელის მოსმით მოუღეს ბოლო...

4 აპრილი – პარასკევი
„ი. სტალინი: პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“

ასეთი სათაურით გამოქვეყნებულია დღევანდელ „კომუნისტში“ სტალინის – 10 პასუხი ადგილებიდან მისდამი მიცემულ „კოლმეურნეების“ მიერ წერილობით შეკითხვებზე. ზოგი შეკითხვები „უმისამართონი ყოფილან! „ალბად დაავიწყდათ მისამართის გამოგზავნაო“, შენიშნავს თვითონ სტალინი ირონიულად! ალბად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგი შეკითხვა ანონიმური, უსახელონი იქნებოდენ. ცალ-ცალკე პასუხის მიცემას ვამჯობინე საერთო პასუხი გამეცა პრესის საშვალებითო და ათი მუხლის პასუხში იძლევა ის სათანადო განმარტებებს და ყველა ამ განმარტებებს ასაბუთებს ის ლენინის თხზულებათაგან ამოღებული შესაფერი ადგილებით. პირველი კითხვა-პასუხია: „რაში მდგომარეობს გლეხთა საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვი“? მეორე – „რა მთავარი შეცდომებია დაშვებული საკოლმეურნეო მოძრაობაში“? მესამე – „როგორ წარმოიშვა ეს შეცდომები და როგორ უნდა გამოასწოროს ისინი პარტიამ“? და აგრე ბოლომდე. პასუხებია ვრცელი, დამაჯერებელი, გონივრული!.. მაგრამ ყოველივე ეს წინდაწინ რო ყოფილიყო გლეხობაში გატანილი და მათ გონება-შეგნებაში გათქვეფილი, ხოლო ხელმძღვანელებად რიგიანი და მომზადებული ადამიანების გაგზავნა, ეს ქაოსი და ანარქია, რაც მოჰყვა ამ კოლექტივიზაციის მოძრაობას, ეს არ იქნებოდა!... მეტად დაზარალებულია გლეხობა იმ პანიკით, რომელიც მათ თავს დასცეს თავხედ-უსირცხვილო ზოგიერთმა „ბრიგადებმა“, ყველაფრის გაერთიანების (ქათმებამდე) სახით“!.. შესევიან გლეხობა თავის სარჩო-საბადებელს და ნახევარი თვის განმავლობაში შეუჭამია-შეუსვამთ ყველაფერი! ორი წლის სარჩო-საბადებელი გავანიავეთო, – გვიამბო ამას წინეთ საგარეჯოელმა გლეხმა! რა საგარეჯო?! აგრე ყოფილა გურია-სამეგრელოშიდაც და სხვაგან, ყველგან!.. ეხლა კი შეჩერებულა ეს რღვევა-აოხრების პროცესი... დაშლილა ნაძალადევად შეკოწიწებული „კოლეკტია“ (ასეთი სახელით მოუნათლავთ გლეხობას – კოლექტივიზაცია) და „კამუნები“!.. ეხლა ჰგმობს სტალინი ამ „ძალადობას“, „ნება-ყოფლობაზე“ აგდებს საქმეს, მოთმინებით ახსნა-განმარტებაზე და შეგონებაზე!.. ეგ კი „უკანდახევა არავის გეგონოთო“, – შენიშნავს ის... „შეცდომებს გამოსწორება უნდაო“! და იძლევა ამის დარიგებებს. მეტად საინტერესო დოკუმენტია! ისტორიული!

შეღავათები კოლექტივებს სოფლად

5-6 აპრილის გაზეთებში გამოქვეყნდა საკავშირო ცაკის დადგენილებანი – თუ რა „შეღავათები“ და პრივილეგიები ენიჭებათ „კოლხოზებს“ და „კოლექტივებს“ სოფლად, რათა გლეხობა უფრო მიიმხრონ, დაამშვიდონ და დააინტერესონ კოლექტიური მოძრაობით. ეს შეღავათებია: ორი წლით განთავისუფლება კოლექტივში – არტელში შემავალ გლეხებისა ყოველგვარი

გადასახადებისაგან, აგრეთვე მათი ხარებისა, ძროხებისა, ცხვარ-ქათამ-ღორების განთავისუფლება გადასახადებისაგან 2 წლით და კრედიტების გახსნა კოლექტივებისათვის!.. არ ვიცი, რამდენად იქონიებს ეს ლგოტები გავლენას გლეხებზე განვლილი „კოლექტივიზაციის“ მოძრაობის ნაწვნევის შემდეგ!.. მეტად გულგატეხილნი და დამფრთხალები არიან ისინი – „კოლექტიათი“! არ გვინდა, ჩვენი ცოცხალი თავით არ გვინდაო?! – გაიძახიანი ისინი: „ჯერ იყო, მიწები დაგვირიგეს ფონდიდან, გაგვაღონიერეს, მესაკუთრებად გაგვხადეს, ცოტა რო სული მოვიდგით, წელში გავიმართენით, კულაკებად გაგვხადეს, კულაკებად მოგვნათლეს და ყველაფერზე ხელი დაგვაბანიეს, აგვყარეს, აგვაწიოკეს!.. ეგ რა საქმეა?! ეგ რა მოსაფიქრებელი იყოო?! ჯერ თავად-აზნაურები მოსპეს, ჩვენვე მოგვასპობიეს ისინი, ვაჭრები, მემამულეები, ღვდლები, ეკლესიები, ეხლა ჯერი ჩვენზე მოდგა, ჩვენ გვსპობენ, „კულაკებად-ბობოლებად“ გამოგვაცხადეს, ვისაც რაიმე შნო და უნარი გვქონდა საქმიანობისა და მუშაობისა!.. ან არადა შეგვაერთიანეს უქნარა-ზარმაც ლოთებთან, რომელნიც არც წინეთ მუშაობდენ, არც ეხლა იმუშავებენ! ამათთან ამხანაგობა ჩვენ რა ხელს მოგვცემს!.. ჩვენ სად შეგვიძლია „რვა საათის სამუშაო დღით“ ვიარსებოთ, ეგ აქ, ქალაქებში გეხერხებათ!.. ჩვენ „დვოინოით“ ვმუშაობთ! დღე-და-ღამით!.. როგორც მოგვეხერხება... ეგ ხო კოლექტიაში მოუხერხებელი იქნება?!. ჩემი ძროხის რძე ვეღარ ვიშოვნე კოლექტიიიდან – ავათმყოფ ბავშისათვის დამეღლევინებია!.. ჩემი ხარები ვერ შეუბი ურემში, რო ავათმყოფი ცოლი ექიმთან მიმეყვანა!.. ექვსი მანეთი ქირა მომთხოვეს ჩემს ხარ-ურემშიო!.. განა ეგ საქმეა?!. შეგვისვეს, შეგვიჭამეს, თუ რამ გვებადა!.. ჩვენს ნაჭირნახულევზე ვიგინდარებმა ხელი მოითბეს! ანუ ჩვენი ოხერი ჩვენვე ჩავხეთქოთო!?! ჩავხეთქეთ კიდეც და მეტიც უქენით ჩვენს თავსაო?!. ეხლა გვეუბნებიან: – „შეცდომა მოგვივიდაო“!.. არა, ძმობილო, არა გვინდა რა თქვენი! ღვთის გულისათვის ჩამოგვეხსენით!.. ჩვენ ჩვენს თავს, როგორც იქნება, მოუვლითო!.. თუ კარგია ეგ „კოლექტია“ – რატომ ქალაქელები არ გაკოლექტივდებით, რატომ თქვენს ჯამაგირებს არ აერთიანებთ, რატომ ერთად არ სჭამთ და სვამთ!.. რატომ ერთი საბნის ქვეშ არ იძინებთ თქვენი ცოლ-შვილითო!.. დაგვერიენ ვიგინდარები... რო გამოიბრუშებოდენ ჩვენი პურ-ღვინოთი, შემდეგ ჩვენს დედა-კაცებზე ეჭირათ თვალი და გოგოებზე ნადირობდენო!.. მოგეცათ ღვთის წყალობა, ჩვენ იმათ მივსცხეთ!.. ავტომობილების ფანჯრებიც სულ ჩაულეწეთ ქალაქიდან მობრძანებულებსო! – ასე საუბრობდენ ამას წინეთ ორი კახელი გლეხი ტფილისში... ერთ ოჯახში! არავითარი შეგონება, არავითარი ახსნა-განმარტება – შეერთებული ძალ-ღონით და მუშაობით მათი შრომის განაყოფიერების შესახებ – არ მოქმედებდა მათზე!.. მეტად გაკერპებულნი არიან... მაგრამ ბოლშევიკები სხვანაირად მოუვლიან ეხლა ამათ!..

გაზეთების მიხედვით „გაზაფხულის თესვა“ ჩინებულად მიმდინარეობს თითქოს ყველგან, ყველა კუთხეში!.. შიგა და შიგ კოლექტივებზედაც იწერება დიდი მიხწევების ამბები!.. ყოველივე ეს მკის დროს გამოჩნდება...

17 აპრილი – „დიდი ხუთშაბათი“

გუშინ – 16-ს დიდი ოთხშაბათი იყო... დიდი მარხვა გავიდა... ვნების კვირიაკეა... სადღაა წინანდელი სადიდმარხვო ზარების რეკა... დიდოთხშაბათ საღამოთი „ჭიაკოკონობა“ გამართეს ბავშებმა ანჩის-ხატის ტაძრის ეზოში... დიდები გაზეთების ქაღალდებს აძლევდენ მათ... პატარები კი ანთებდენ ცეცხლს და ჟრიამულით ზედ ხტებოდენ!.. ეგ ძველი ტრადიციაა... ალბად იმის მოსაგონებელი, რომ მღვდელმთავრის ეზოში რომაელ მხედრებს ცეცხლი ჰქონდათ გაჩაღებული და მის გარშემო „ტფებოდენ“-ო, – სწერია სახარებაში... იუდას გამცემლობაა დიდ ოთხშაბათს... ეჰ!... იუდა! იუდა! როგორ „წმინდა კაცად“ სჩანხარ შენ დღეს ჩვენი დროის დიდ-დიდ და პატარა იუდებთან შედარებით!.. შენ ჯერ კიდევ შენ მიერ გაცემული მოძღვრის სიცოცხლეშივე შეიგენ შენი უსაქციელობა... შენვე შეგზარდა შენივე თავი და „შიშთვილიბე“!... იქვე, ხის ტოტზე თავი ჩამოიხრჩე!.. ფულები კი... ის „ოცდაათი ვეცხლი“ უფრო ადრე მღვდელ მთავრებს მიაყარე თვალებში... „უმანკოება“ გავეციო!.. შენ თვითონ მიხველ!.. მაგრამ შენი შეცოდება იყო მომაკვდინებელი, რომელიც არ ეპატიება ადამიანს არც „აქ“ და არც „იქ“. ამიტომ შენი სახელი – იუდა ასეთივე საზარელი დარჩება უკუნითი უკუნისამდე! რაღა გვეთქმის ჩვენი დროის სხვა და სხვა ჯურის „იუდებზე“!.. არაფერი!.

დღეს კი დიდ ხუთშაბათს საიდუმლო სერობის დაწესების დღეა... დღესაც, როგორც გუშინ და ეს მთელი დიდმარხვა სდუმან ტფილისის ტაძრების დაცარიელებული სამრეკლოები!.. საღამოზედ შემიხვდა კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიისაკენ გავლა. ეს ეკლესია – „რუსების“ სამრევლო ეკლესიაა. აქ ერთი დეკანოზი – სმირნოვი რუსია, მეორე ოქროპირიძე – ქართველი (კათალიკოზ ლეონიდის ძმა), მთავარდიაკონიც ქართველი ჰყავს... მაგრამ დედი მათი შვილებია და ერთ სიტყვას – კრინტს დასძრავენ ქართულად! ჩვენი „დეკანოზები“ კი – დიდუბისა, მამა-დავითისა, ამაღლებისა, ვერის ნიკოლოზისა, კუკიის წმ. ნინოსი, წმ. ბარბალესი და თითქმის ყველანი... „უპარუსკებენ და უპარუსკებენ“!.. აი, ამ ტაძარში ხალხი არ ეტეოდა, შიგ გაჭედილი იყო ტაძარი, კარებზე ხალხი ნაყარ-ფუტკარივით ეხვეოდა და ეზოც სავსე იყო! ორი ჭაღი იყო ელექტრონისა გაჩირაღდნებული! გალობა – მგალობელთა გუნდისა. ასეთივე ჭედვა ყოფილა ვერის ღვთისმეტყველის ეკლესიაში – რუსებში!.. ანჩისხატში სამი ბავში იდგა „ათორმეტ სახარებაზე“!.. სიონიც და ქვაშვეთიც ცარიელი იყო... „ქართველებს თუ „ეშინიათ“ საყდარში სიარულისა, რუსებს რატომ არ ეშინიათო“? – შემეკითხა ერთი მოქალაქე – რუსი! – არ ვიცი... რა მოგახსენოთ თქო! – უპასუხე მე... ყოველ შემთხვევაში წირვა-ლოცვა ისევ, „თავისუფლად“ სწარმოებს ტფილისის ყველა რჯულის ტაძრებ-სამლოცველოებში! რა უყოთ, რომ ზარების ჩხარა-ჩხური აღარ გაისმის...

20 აპრილი – აღდგომა

19 აპრილი – დიდი შაბათი მშვენიერი დღეა, თბილი მზიანი დარია. ბაზარი ფუსფუსებს. სოფლელებს ჩამოუტანია სააღდგომო სანოვაგე გასასყიდად. საარაკო სიძვირეა: ბატკანი – 18–25–30 მანეთი თითო! ინდოური – 15–18–20 მანეთი!.. მუშტის ოდენა ქათამი – 5-8 მანეთამდე. კვერცხი – ათი – 1-20 კაპ. – 1–40 – 1–60 კ. გოჭი – 10–12–15 მანეთი! ვინ გაეკარება ამ სიძვირეს თუ არ დიდ-ჯამაგირიანი კომ-მოსამსახურეები. მაგრამ ესენი სულ ანტირელიგიურად არიან განწყობილი და ღიად როდი ყიდულობენ... მათთვის „სხვანი“ ყიდულობენ... პასქას, აბა, ვინ გამოაცხობს! არც საკონდიტროებში სჩანს პასქები!.. ფურნეებში არ ღებულობენ შესაწვავად არც ინდოურებს, არც გოჭ-ბატკნებს, რომ ხელი შეუშალონ „ცრუმორწმუნეობის ღორმუცლობა-ლოთობას“! არც ღვინოებს იძლევიან კოოპერატივების საწყობებიდან. კერძო საწყობები სადღაა!.. აგრე დაღამდა დიდი შაბათი და საღამოთი გაითენეს აღდგომა სომხებმა... მართლმადიდებლები შუაღამიდან „გაითენებენ“!

„აღდგომა“
(მიბაძვა)

„შუა ღამე გადავიდა“...
აღარ ისმის ზართა რეკა...
არცა სიონის „ბოხის ხმა“...
არცა „ზარბა ზანის ჭექა“!
ტაძრები ცარიელია...
ოდნავ ბჟუტავენ სანთლები...
აღარ არის კელაპტრები...
გამოვიდნენ ლიტანიად
ხუცები და დიაკვნები...
თან მისდევენ მორწმუნენი
ათიოდე დედაბრები!
ყველას თავ-პირი ჩამოსტირს...
დაღვრემიათ სახეები...
ნეტავი რა ამბავია?!
ხო არ მოგვადგა კარს მტრები?!
– მტრები არ შემოგვსევია,
არცა რა შიში მოგველის,
მაგრამ „აღდგომის სიამეს“
ბევრი გულში იტრიალებს...
პირზე ღიმი არვის უქრის...

„ქრისტე აღსდგა! გიხაროდეს“
– აღარ ულოცვენ ერთმანეთს!
„ურწმუნოება გვეუფლა
კომუნიზმ-სოციალიზმი“!
ვიღას სჭირდება აღდგომა,
ან ძველი ქრისტიანიზმი!...
„შორს ჩვენგან ზეცა... ღვთაება!
ჩვენ მიწის შვილი ვიქნებით“!...

ზ. მთისპირელი
1930 წ. 20 აპრილი. ქ. ტფილისი

ანჩისხატში ღამის 12 საათზე შემოუარეს ტაძარს ლიტანია... იყვნენ მღვდელი-დიაკვანი იგივე მნათე და 15-ოდე მოხუცი დედაკაცები. ვიღაც სამი მგალობელი თავგატეხილებივით გაიძახოდენ „აღდგომასა შენსა“!..

სიონის ტაძარში ამ დროს ვიღაცას ელექტროს განათების მავთულები გადაუჭრია და ტაძარი თავისი კათალიკოსით სიბნელეში ჩაუყრია... აქაც ძლიერ ცოტა იყო ხალხი...

ქვაშვეთში დილის 6 საათზე გამოსულან ლიტანიად, შემოუვლიათ ტაძრისათვის შიგნიდანვე, გარეთ როდი გამოსულან, ტაძრის შიდა ბოძებს უვლიდენო, გადმომცეს... „შიშისათვის ურიათასა“...

რუსებში ლიტანიას ისევ დიდ-ძალი ხალხი დასწრებია და აგრე ჩაუტარებიათ აღდგომა...

აღდგომა დღეს ვმუშაობდი მილიციის მეოთხე რაიონის მე-13 სადარაჯოში! აქ პირველი თებერვლიდან ვარ გამოგზავნილი შრომის ბირჟიდან – „წერითი დამხმარე კოლექტივში“. აქ ვსწერ სხვა და სხვა განცხადებებს, სიღარიბის მოწმობას, და ვინ ვის კმაყოფაზეა, ასეთ ცნობებს; ვაწარმოებ ამ სადარაჯოს რაიონის კერძო სახლების საბინაო დავთრებს და ამით „დახმარებას“ უწევ მოსახლეობას; ჯამაგირი არა მაქვს რა, მხოლოდ ასეთ „დახმარებისათვის“ დაწესებულია „ნიხრი“ – 25 კაპ., 20 კაპ. რაც შემოვა, ეს არის ჩემი გასამრჯელო!.. ამ სახით პურის ფულს ვაკეთებ დღეში – 1–20 კაპ, ზოგჯერ 2 მანეთს, ზოგჯერ – 50 კაპ., ზოგჯერ – 25 კაპ., ზოგჯერ – სულ არაფერს!.. ჩემთვის „დასვენების“ დღე არ არსებობს... აღდგომასაც ვმუშაობდი და ყოველ დღეც! დღეს დიდი ამბები განვიცადე. მოჰყავდეთ ამ სადარაჯოში მთვრალი-გადამთვრალი თავ-პირ დამტვრეული ხალხი! იყო ერთი ღრიანცელი, ლანზღვა-გინება, უშვერი სიტყვა-პასუხი... ოქმების შედგენა, დაჯარიმება და მთვრალთა სარდაფებში ჩაყრა გამოსაფხიზებლად... რო გამოფხიზლდებოდენ, თითოს ორ-ორ-სამ-სამი თუმანით ჯარიმას მიაკრავდენ ზურგზე! – „ესეც თქვენ მთვრალი აღდგომაო“!.. დაიცინებოდენ... მართლაც საშინელებაა!.. აღდგომა აქ რა შუაშია!.. მაგრამ აღდგომას ხდება ეს უსაქციელობა!.. ვის მიუძღვის ამაში ბრალი?! აღდგომას თუ სხვებს?!. ბევრი მწარე ფიქრები მომდიოდა ამ დღეს... ეგ სადარაჯო იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, ძველი სემინარიის შენობის პირდაპირ,

სადაც მე კურსი დამისრულებია. ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები (7 წელი) აქ გამიტარებია... ბერების გამარუსებელ რეჟიმში!.. შევსცქეროდი ამ სემინარიის ძველ კედლებს, ეხლა გადახალისებულს, ქვეშ მაღაზიები გაუკეთებიათ, ზევით კი ვეებერთელა სასტუმროა გაღებული – „პალას-ოტელი“! აი, ამას შევსცქეროდი... თვალთ ცრემლები მერეოდა და ნერწყვს ვყლაპავდი მშიერ-მწყურვალე... დღეს მხოლოდ მაწონი, მწვანილი და პური გვქონდა სადილად! წითელი კვერცხიც კი არ გვქონებია...

ასეთი იყო წელს ჩვენი „აღდგომა“!.. სომხის ტერტერები კი ეტლებში ჩამსხდარიყვნენ და ისევ მრევლში დაფრიალებდენ მისალოცად... სახლის გასანათლად და ფულების ასაღებად... ჩვენი ღვდლები კი ვერ ბედავდენ მრევლში სიარულს... „შიშისათვის ურიათასა“...

21 აპრილი – ორშაბათი – სულთაობაა

დღეს მთელი ტფილისი სასაფლაოებზეა გაფენილი, გარდა მოსამსახურე პირებისა... ესენიც სამსახურის შემდეგ წავლენ... მიდიან საჭმელ-სასმელ-სანოვაგეებით მთელი დღით თავიანთ მიცვალებულების საფლავზე დროს სატარებლად. დაფა-ზურნით, დუდუკით, გარმონიკებით! ზოგი საფლავებსაც აკურთხებიებს ღვდლებს...

ღვდლები კი დღეს „თავისუფლად“ გასულან სასაფლაოებზე ორიოდე გროშების ასაღებად... დღესაც მე სამსახურში ვიყავი ჩემს „სადარაჯოში“!.. დღეს მთვრალები არა მოუყვანიათ... ესენი დღეს სასაფლაოებზე იქეიფებდენ... მაგრამ არც არა საქმე მქონია რა! – სულ 75 კაპ. დავიმუშავე... იმ ღვდლობის ჩანჩალს და საცოდაობას, ჭეშმარიტად ეგ 75 კაპ. მირჩევნია!.. საზარელი სახე მიიღო ქრისტიანობამ, ის მეტად დამცირდა, ყბად აღებული შეიქნა! აღარც იქითაა დღეს ადამიანი, აღარც აქეთ!.. უპრინციპობა, ღორმუცლობა, ერთმანეთის ლუკმის პირიდან წაგლეჯა, ფლანგვა, ცარცვა-გლეჯა, ცუღლუტობა, ზნეობრივი გახრწნილება – აი, რაა დღეს დასადგურებული ნაცვლად სჯულისა და ქრისტიანობისა. ვის მიუძღვის ბრალი?!. ისევ ყალბ-ფარისეველ სჯულის მოძღვართ!.. რაც დასთესეს, იმას იმკიან!..

30 აპრილი – ოთხშაბათი

ეს ერთი კვირაა ხმა გავრცელდა, რომ საქ. კომპარტიის მდივანი მიხა კახიანი გადააყენეს თანამდებობიდანო; გადააყენეს ა/კ. საოლქო კომიტეტის მდივანიც – კრინიცკიო (ეს აგერ ახლა დასვეს ამ თანამდებობაზე მამია ორახელაშვილის გადაყენების შემდეგ)! გაზეთებში ჯერ არასა სწერენ ამ თაობაზე. მხოლოდ დღეს დაიბეჭდა საქ. კომპარტიისაგან ადერბეიჯანის 10 წლის გასაბჭოების თავზე მილოცვა, გაზეთში ამ მილოცვის ქვეშ ხელს აწერს „მდივანი“ ლ. ღოღობერიძე.

ეგ კახიანის თანაშემწე იყო. დიდი მითქმა-მოთქმაა ამ ცვლილებების გარშემო. ეგ გამოიწვია სოფლად კოლექტივიზაციის აჩქარებული ტემპით ჩატარებამ და ჩაშლამო!.. ამ ნიადაგზე კახეთ-ქიზიყში გრძელდება დიდი აურ-ზაური. ბევრი ტყედ გავარდნილა და ებრძვის ხელის უფლებას. დიდი გართულებაა ამავ ნიადაგზე ჩეჩენ-დაღესტანშიაც. იქით ჯარი იგზავნება; შეტაკებები ხდება... არის მოკლულ-დაჭრილებიც. შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს ეგ საქმე დასავლეთ საქართველოში, სადაც უფრო შეგნებულია ხალხი და ესმის საერთო ძალ-ღონით მიწის დამუშავების სარგებლობა და დავარდნილ მეურნეობის ამ საშვალებით ფეხზე წამოყენება. კოლექტივიზაცია ეხლა შეჩერებულია ამ ნიადაგზე – მიწის დამმუშავებელ ამხანაგობისა და არტელების ჩამოყალიბებაზე; სხვა გვარი გატაცებანი უარყოფილია თვით ხელის უფლების მიერ და ესეც „სრულ ნებაყოფლობაზეა“ მიშვებული. ფ. მახარაძე მოგზაურობდა სხვათა შორის კახეთ-ქიზიყშიაც. აქ ესაუბრება ის გლეხობას, უხსნის, განუმარტავს საქმის ვითარებას, ნებაყოფლობაზე უშვებს კოლექტივების შედგენას, მაგრამ თან ისიც კი დაუძენია, რომ „კოლექტივიზაცია ჩვენს პროგრამაში შედის, ადრე თუ გვიან ის ჩვენ უნდა გავატაროთ ცხოვრებაშიო“!.. ამაზე ხალხს უარყოფითი პასუხი მიუხლია მისთვის... მწვავდება გლეხობასთან დამოკიდებულობა ამ ნიადაგზე. ეხლა ფ. მახარაძე და ივანოვ-კავკაზსკი ქუთაისის მხარეში მოგზაურობენ, იქაც აგიტაციას ეწევიან ამავ ნიადაგზე; ალბათ იმერეთშიაც ხდება ბევრი რამ გაუგებრობა კოლექტივიზაციისა გამო. დიდი არევ-დარევა გამოიწვია „ამ აჩქარებულმა ტემპმაო“, – სწერენ გაზეთებშიც და ცდილობს პარტია გამოასწოროს ეს „გამრუდებული ხაზი“. ალბად კახიანსა და კრინიცკის ბრალსა სდებენ ამ ტემპის აჩქარებაში და გადააყენეს ისინი. კრინიცკის ნაცვლად ასახელებენ ლომინაძეს. ვნახოთ, ესენი როგორ წაიყვანენ საქმეს.

1930 წლის „პირველი მაისობა“ – ხუთშაბათი

გუშინ–გუშინ-წინ დიდი წვიმები იყო. პირველი მაისი კი გათენდა მზიანი და გრილ-დარიანი. კარგმა დარმა ხელი შეუწყო „პირველი მაისის“ ზეიმობას. ეგ ზეიმობა დღეს არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმით და გრანდიოზული დემონსტრაციით იქნა ჩატარებული! მთელი ქალაქის მცხოვრებლები იყო თითქმის ჩაბმული ამ დემონსტრაციებში. „საბინაო ამხანაგობებმაც“ კი კერძო მოქალაქენი-მდგმურები გამოიყვანეს ქუჩებში!..

კარნავალებიც მეტი სხვა-ფერობით იყო დღეს მოწყობილი. ისევ ღვდლების გამასხარავება! ღვდლები ვირებზე მსხდარი, შემოსილები, ჯვრებით ხელში!.. ერთი ღვდელი ვედროდან წყალს ასხურებდა ხალხს!... იყო სამგლოვიარო პროცესიის ინსცენიროვკა – ეგ ძველი ჩვეულების გამასხარავება: კუბოს მიასვენებენ, წინ ღვდლები მიუძღვებიან, უკან მისდევს ჯგუფი თმაგაშლილ-შავებში გამოწყობილ დედაკაცებისა! ეგ „იმერული“ ტირილის გამოსახულებაა!.. ნოე ჟორდანიას დასცინიან, ღვდლით რო შვილი გაასვენა ტფილისიდან ლანჩხუთშიო!..

შუა დღის სამ საათზე მოვიდა კოკისპირული წვიმა და მოზეიმე ხალხი დაასველა. ტრამვაი მთელი დღით არ მუშაობდა... დიდი სიძვირე იყო წინა დღეებში ბაზარზე... ერთი ინდოური – 25 მანეთი ფასობდა... კონა ბოლოკი – 30 კაპ. ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა სიძვირისა გამო... ჯამაგირიანი ხალხი მზადებაში იყვნენ – „პირველი მაისი“ – ეგ „აღდგომის“ ნაცვალი დღესასწაულია, და ამ დღისათვის შემზადებულან, და „რჯულზე“ ქეიფობდენ ზეიმის შემდეგ... ქუჩებში ამ დღეს არა ნაკლები მთვრალები ირეოდენ, ვინემ „თვით აღდგომას“!.. თურმე „მთვრალობა“ არ ყოფილა მარტოოდენ „აღდგომის“ ატრიბუტი...

ილიუმინაცია იყო ქალაქში ზღაპრულ-ფანტასტიური...

კრინიცკი-კახიანის გადაყენება
13 მაისი – სამშაბათი

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საგულისხმო ამბები მოხდა ტფილისში, რომელნიც თავის დროზე ვერ აღვნიშნე: აღვნიშნოთ პირველ ყოვლისა ის გარემოება, რომ გამართლდა ხმები კახიანისა, კრინიცკისა, ნაზარეტიანისა და ასეთ დიდ-პირთა თანამდებობიდან მოხსნისა. კრინიცკი სულ აგერ ეხლა იქნა დაყენებული ა/კავკასიის საოლქო კომპარტიის მდივნად, ნაცვლად გადაყენებული მამია ორახელაშვილისა! ეხლა ეს კრინიცკიც გადააყენეს; გადააყენეს საქ. კომპარტიის მდივანი – მიხა კახიანიც! ეს ცენტრალურ აზიაში გადაუყვანიათ პარტიის „მეორე მდივნად“! ნაცვლად კრინიცკისა დააყენეს – ლომინაძე! ნაცვლად კახიანისა – მისი თანაშემწე ლ. ღოღობერიძე! ამბობენ ყოველივე ასეთი გადაყენება-გადმოყენება მოხდა კოლექტივიზაციის ტემპის აჩქარებისა გამოო!.. ამათ ერთი დაკვრით განიზრახეს კოლექტივიზაციის ჩატარებაო!.. ეხლა მართლაც ძალიან შენელებული ტემპით აწარმოებენ ამ საქმეს: შეგონებით, პროპაგანდით, ათას გვარ შეღავათებისა და ლგოტების გლეხებზე გამოცხადებით... მიუხედავად ამისა, კახეთ-ქიზიყში, დაღესტან-ჩეჩნებში ამ ნიადაგზე დღესაც დიდი შეტაკებები, სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა სწარმოებს. რასაკვირველია, ყოველივე ეს გაზეთებში არ იბეჭდება, ამბები კი ერთი მეორეზე საშინელი მოდის... შედარებით კოლექტივიზაციის საქმე უმტკივნეულოდ ტარდება დასავლეთ საქართველოში. ნამდვილი ამბები კი არც ამათ შესახებ ვიცით... გაზეთების სიტყვით, ყველაფერი კარგად მიმდინარეობსო... საგაზაფხულო თესვა „დიდის წარმატებით“ იქნა ყველგან ჩატარებული და ეხლაც სწარმოებსო!.. სულ „ას-ასი“ და მეტი პროცენტით არის ხოლმე ეგ „თესვის კომპანია“ აღნუსხული! მაგრამ „მკის დროს გამოჩნდებაო“, როგორც არის ხოლმე თქმულება!..

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდაქმნა

ეს ერთი კვირაა გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ნაცვლად ჩვენი უნივერსიტეტისა ტფილისში დაარსდა „მეცნიერებათა ინსტიტუტი“! ის ორ უმთავრეს

დარგად იყოფა: ისტორიულ და მათემატიკურად. ხოლო ეს ორი დარგი თავის მხრივ მეცნიერებათა სხვა და სხვა ტოტებად და შტოებად. ამ „ინსტიტუტის“ „პრეზიდენტად“ საქ. ცაკმა დანიშნა აკადემიკოსი ნიკო მარი! „ვიცე პრეზიდენტებად“ – პროფ. შ. ნუცუბიძე და ჯანელიძე, ხოლო „პრეზიდიუმის მდივნად“ კოწია სულაქველიძე, ამ ჟამად ტფილ. ობსერვატორიის დირექტორი! დიდი მითქმა-მოთქმაა ამ თაობაზე „საზოგადოებაში“, სადაც ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემენ თავიანთ განცვიფრება-გაკვირვებას... ჯერ კიდევ სავსებით ჩამოყალიბებული არ არის ეგ „ინსტიტუტი“ და მისი ფილიალები... ის საორგანიზაციო პროცესშია.. არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვება ამ ცვლილებებს ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში!.. ნიკო მარის ამ საქმის სათავეში ჩადგომა, არ ვიცი, რა შედეგებს მოიტანს!.. შედეგები მეტად საეჭვოა, ჩემის აზრით!.. მას აქ ბევრი მოწინააღმდეგენი ჰყავს, სხვათა შორის პროფ. ივ. ჯავახიშვილი!.. ეგ ჯავახიშვილი დამფუძნებელია ტფ. სახ. უნივერსიტეტისა... ვერ მოინელებენ ეგ დამფუძნებლები მათი პირმშო შვილის – უნივერსიტეტის აგრე გაცურებას, მისი „ტრადიციებით“!.. იქნება შფოთი!.. შური... მტრობა... ინტრიგანობა... არა ისმის რა ჯერ-ჯერობით პროფ. კეკელიძეზე, რომელიც უნივერსიტეტის „პრორექტორად“ იყო! ჯერ პრეზიდიუმის წევრთა შორის ის არა სჩანს... ალბად სხვა რაიმეს გამოუნახავენ... ვნახოთ, რა იქნება.

ანტირელიგიურ ფრონტზე

ამას წინეთ რადიოში მოვისმინე ასეთი გადაცემა: „ანტირელიგიურ ფრონტზე დიდი მიღწევები გვაქვსო... ამ საქმეში მუშაობენ დიდი მეცნიერული ძალები, როგორიც არიან პროფესორები – ნუცუბიძე და კეკელიძეო!.. ეგ ყოფილი „მიტროფორნი დეკანოზი – რექტორი ტფ. სასულ. სემინარიისა!.. „Mutantur tempora et nos in illis“ – ჩინებულად უთქვამთ რომაელებს! ამათვე ეკუთვნის შემდეგი დებულებაც: „Cujus regio, ejus religio“! – ესე იგი ვის ხელშიდაც ძალაუფლებაა, მისივე რელიგიაცაა!..

სომხის კათალიკოსის გარდაცვალება

დღეს ერთმა ნაცნობმა სომეხმა გადმომცა: „ჩვენი კათალიკოსი კევორკ მე-V გარდაიცვალაო“! – გაზეთებში, რასაკვირველია, არ არის ეგ აღნიშნული და მგონი, არც აღნიშნავენ გასაგებ მოსაზრებებით. ეგ კევორკ მე-V ტფილისელი სომეხია, გათავებული ჰქონდა ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზია... გვარი აღარ მაგონდება მისი. იყო კაცი ბრძენი, დარბაისელი და ღირსეულადაც ეჭირა თავი. მისი „განცხადება“ პაპის გამოსვლებისა გამო გაზეთებში არ მოთავსებულა! ალბად უარი სთქვა ასეთ „განცხადების“ გაკეთებაზე... ადარებენ ამ მხრივ ჩვენ კათალიკოსსა და სომხითისას...

აჯანყებები ინდოეთში

ინგლისის იმპერიალიზმის – ბატონობის – წინააღმდეგ დიდი აჯანყებები ხდება მთელს ინდოეთშიო, – სწერია გაზეთებში. მუშების გაფიცვები ქარხანა-ფაბრიკებში. სისხლის მღვრელი შეტაკებები მთავრობის ჯარებთან და პოლიციასთან. დიდ ძალი მსხვერპლია ამ ნიადაგზე – დახოცილებით, დაჭრილებით თუ აუარებელ აჯანყებულთა დაპატიმრებებით. ინდოეთში იწყება ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსაპოებელი მოძრაობა და თან კლასთა ბრძოლა ღებულობს გარკვეულ სახესო: ინდოეთის ბურჟუაზია ემხრობა ინგლისის მთავრობას, ხოლო მუშები იმიჯნებიან მათგანითო!.. ვნახოთ, რა სახეს მიიღებს ეს მოძრაობა...

სიძვირე – სანოვაგისა

ბაზარზე ხორცი აღარ იშოვნება... აღარ არის საკლავი... ვაგონებით მოიტანეს დაკლულ-გაყინული ქათამ-ინდოურები, რომელიც უკვე დამპალია და აღარ იჭმება... ხალხი სწუხს სანოვაგის ნაკლოვანებაზე: აღარც ყველია, არც კარაქი და თუ არის მეტად ძვირია და ხელმიუწდომელი მასისათვის... ფარულად იკლება ცხვრები და ამ ნიადაგზე ჯარიმდებიან სასადილოები, სადაც ასეთებს პოულობენ.. ტფილისი მწვანილებით არის მდიდარი და ცნობილი! ესეც მეტად გააძვირეს! ეს – ბოსტან-ბაღები უკვე კოოპერატივების ხელშია, მაგრამ სიძვირე თანდათან მატულობს!.. კერძო ვაჭრობის მოსპობამ საგრძნობლად იჩინა თავი!.. ამბობენ, ხელისუფლებას სურს ისევ ფეხზე წამოაყენოს წვრილი-კერძო ვაჭრობაო! ამისათვის კერძო ვაჭრებს მიეცემათ სხვა და სხვა შეღავათები და ლგოტებიო!.. ვნახოთ, რა იქნება!... მე მგონია, რომ ლენინი ცოცხალი ყოფილიყო, ის „ნეპს“ – ჯერ კიდევ დიდხანს ხელს არ ახლებდა. მის შემდეგ კი ბევრი შეცდომები მოხდა ამ მხრივ და მგონი, ძნელი გამოსასწორებელია ეგ „შეცდომები“...

5 ივნისი – 1930 წ. ხუთშაბათი

კაი ხანია აღარაფერი შემიტანია ამ ჩემს რვეულში. ამბები კი დიდ-დიდია ყველგან, ქვეყნის ყველა კუთხეში. ინდოეთში უფრო რთულდება აჯანყების საქმე: სისხლის მღვრელი შეტაკებებია ხალხისა – პოლიციასთან თუ ჯართან. მოძრაობის ბელადი – განდი დიდი ხანია დაპატიმრებულია, დააპატიმრეს მისი მომდევნო ბელადებიც... თანდათან რთულდება და მწვავდება ინგლისთან დამოკიდებულება. ინგლისში, რასაკვირველია, ბრალს სდებენ „მოსკოვის ხელს“ ამ აჯანყებაშიაც, როგორც ბრალს სდებენ ფრანგები ინდოეთის მოსაზღვრე ფრანგების კოლონია ინდო-ჩინეთში მომხდარ აჯანყებაშიაც...

თვით ჩინეთში გრძელდება რღვევა... გენერლების ერთიმეორეზე გალაშქრება... ეხლა ჩანკაიშის გადაუდგენ გენერლები და მთავრობის (ნანკინის)

ჯარები მარცხდება ამ შეტაკებებშიო... თან ჩინეთს წარმომადგენლები ჰყავს გაგზავნილი მოსკოვში „კონფერენციაზე“ – აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხის საბჭოთა კავშირთან მოსაგვარებლად, ეგ მას შემდეგ, რაც ჩინეთის ჯარი დაამსხვრია და აიკლო აღმ. წითელმა არმიამ... ეს „კონფერენციაც“ რთულდება თურმე... კარახანმა მიუღებელი წინასწარი პირობები წამოუყენა ჩინეთის დელეგატებსო...

გერმანიაშიც მეტად გამწვავებულია მდგომარეობა, სოც-დემოკრატიული მთავრობა გადადგა იქ, ძალა-უფლება ხელში აიღო ბურჟუაზიულმა მიმართულებამ და მუშებსა და მათ შორის დღითი-დღე მწვავდება ურთიერთობა: ხდება აუარებელი გაფიცვები და შეტაკებები...

მწვავდება ურთიერთობა პოლონეთშიც: იქ დიქტატორმა პილსუდსკიმ განიზრახა სეიმის სავსებით გარეკა... ამ ნიადაგზე ხდება პარტიათა შორის მიხლა-მოხლა... თან დიდი ეკონომიური კრიზისია იქ... ასეთივე მიხლა-მოხლაა საფრანგეთშიც, ჩეხო-სლოვაკიაში, ავსტრიაში... შედარებით მშვიდობიანად არის ოსმალეთი, მაგრამ ყველგან დიდი ეკონომიური კრიზისია... ყველგან კომპარტია მუშაობს და რაზმავს მუშებს კლასთა ბრძოლისათვის – „ეს „კომინტერნის“ საერთო ხელმძღვანელობით ხდება, აქ მოსკოვის ხელი რა შუაშიაო“, – ამბობენ საბჭოთა ხელისუფალნი...

ერთი სიტყვით, ქვეყნიერება სდუღს და თავისსავე წვენში იხრაკება კიდეც და იხარშება...

ჩვენში

რა ხდება ჩვენში, საბჭოთა კავშირში?! – ემზადებიან მე-16 საკავშირო პარტიულ კონფერენციისათვის. ამიტომ ადგილებზე ხდება პატარ-პატარა „კონფერენციები“. ამას წინეთ ჩაატარეს ტფილისში საქ. მე-7 პარტ. კონფერენცია. ეხლა შეკრებილია ა/კავკასიის საოლქო კონფერენცია. ამ კონფერენციებზე ხდება შეფასება განვლილი გზისა და მოქმედებისა. ორთავე კონფერენციაზე მომხსენებლები თუ ადგილიდან მოსული დელეგატები ერთიმეორეს თითქოს ეჯიბრებიან კოლექტივიზაციის დროს ჩატარებული „შეცდომების“ აღიარებას. ამას „თვითკრიტიკა“ ეწოდება! თითქოს თავი მოსწონთ, რომ შეცდომებს აღიარებენ! სცდილობენ „ხაზის გამოსწორებას“... ასე უნდა ვქნათ, ისე... ვარაუდობენ, ერთმანეთს მოძღვრავენ, მაგრამ აღმსრულებლები, დარიგებათა ცხოვრებაში გამტარებლები არა სჩანან... „მომზადებული კადრები არა გვყვანანო“, – ბოლოს ამას დასძენენ ხოლმე. მეტად შემაბეზრებელი ლაპარაკი ხდება, ეტყობა, ამ კონფერენციებზე! ორატორ-მომხსენებლების სიტყვები მთლიანად იბეჭდება გაზეთებში! სულ ერთი და იგივეა... ან ერთი რას ამბობს, მეორე რასა?! ერთ რომელიმე გარკვეულ საგანზე როდი აქვთ მსჯელობა, რომ ერთი საკითხი ამოსწურონ და შემდეგ მეორეზე გადავიდენ. ვისაც რა მოეპრიანება, იმას ლაპარაკობს!... ესენი ევროპის პარლამენტებს დასცინიან – „გოვორილნიას“ – სა-

ლაყბოს ეძახიან პარლამენტებს! თვითონ კი ვერ ამჩნევენ, თუ რა ზნე სჭირს ამათ კონფერენციებსაც...

ასეთი კონფერენციები მოხდა სომხეთში, ადერბეიჯანშიაც და ეხლა სამთავე რესპუბლიკის კონფერენციების შეჯამება ხდება ა/კ. კონფერენციაზე, ხოლო ეს უკანასკნელი წარსდგება მე-16 კონფერენციაზე მოსკოვში.

ფ. მახარაძის მოხსენება იყო საინტერესო რელიგიურ საკითხის ნაწილში: ის საყვედურს აცხადებს, რომ კოლექტივიზაციის დროს ეკლესიები დახურეს, ზარები ჩამოჰყარეს საქართველოს მიყრუებულ ადგილებშითაც კი, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია და რელიგიური ფანატიზმით არის გაჟღენთილიო!.. დალოცვილები! ამათ თვალწინ არ გადმოჰყარეს სიონისა და ანჩისხატის ზარები სამრეკლოებიდან?!. თუ ეს არ უნდოდათ, რატომ მისცეს ასეთი ნება!! ვინ გაბედავდა სხვაფრივ ამის ჩადენას!...

მაგრამ სასაცილო და თან ტრაღიკულია აქ ისიც, რომ კათალიკოზი ქრისტეფორე თავის „განცხადებაში“ თითქოს უარს ჰყოფდა საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის დევნას!.. ეხლა კი თვით მთავრობის წარმომადგენლები ადასტურებენ ასეთ დევნას?!. არ ვიცი რა გუნებაზე ბრძანდება ყოველივე ამის წამკითხავი – კათალიკოსი... ფორე!..

კათალიკოს ქრისტეფორესი და ქუთათელ დავითის შეტაკება ქუთაისში

ეს შეტაკება მომხდარა მაისის ბოლო რიცხვებში. ჩვენ თავის ადგილზე აღნიშნული გვქონდა, თუ როგორი „დეკლარაცია“ წარმოუდგენია დავით ქუთათელს (კაჭახიძეს) სინოდში კათალიკოზზე, ის მოითხოვდა ქრისტეფორეს გადაყენებას, როგორც ყოვლად უღირსი და გახრწნილი ადამიანისას, ეგ მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეფორეს გაკათოლიკოსებაში თვით დავითს მიუძღვის გადამწყვეტი როლი. ეგ „დეკლარაცია“ უკან დაუბრუნეს დავითს გაურჩევლად და ის კუდ-ამოძუებული გაბრუნდა ქუთაისში! კათალიკოსი და ის ამის შემდეგ „დანამოსისხლეთ იყვნენ ერთმანეთზე“, როგორც იტყვიან ხოლმე. მიუხედავად ამისა, კათალიკოსი მიუპატიჟებიათ ქუთაისში ვიღაც მიცვალებული ფხაკაძისათვის საწირავად და ანდერძის ასაგებად, ოცი თუმნის გონორარის დაპირებით! ესეც წაბრძანებულა ქუთაისში, როგორც „ვირგლა“ და პირდაპირ მიცვალებულის ოჯახში დარჭობილა! აქ შეხვედრიან „იერარქები“ ერთმანეთს!.. მოუსვენებიათ მიცვალებული ეკლესიაში... „წმინდაო ღმერთომდე“ ყოფილა დავითიც შემოსილი წირვაზე, ხოლო შემდეგ გაუხდია შესამოსელი და გაქცეულა საყდრიდან... წირვა დაუსრულებია კათალიკოსს. ანდერძიც აუგია, ოცი თუმანიც ჯიბეში ჩაუწყვია და ისევ ტფილისში წამობრძანებულა!..

ეს ისეთი რამ „ინციდენტია“, რომ განმარტება აღარ ესაჭიროება არც ერთისა და არც მეორე მხრივ, განსაკუთრებით ასეთ დროში და მათში არსებული ურთიერთობის ნიადაგზე. ორთავენი სტყუიან, მაგრამ განსაკუთრებით კი – კათალიკოსი! მას, საეკლ. კანონების ძალით, უფლება არ ჰქონდა ადგილობრივ

მღვდელმთავრის უნებურად სხვის ეპარქიაში აგრე შეჭრისა, ეგ მიუხედავად იმისა, რომ ის კათალიკოზად ითვლება „სრულიად საქართველოისა“! მაგრამ ეხლა სდუმს ყოველი „კანონი“!.. ანარქია... ქაოსია ეკლესიაში... ის ისპობა, ჰქრება და ასეთ საარაკო უსაქციელობას მაინც არ იშლიან „ყოჩის თავები“! ჭეშმარიტად ეკლესია საერთოდ გახრწნეს მისმა იერარქ-სამღვდელოებამ!.. ოჰ! სირცხვილო! სად არის შენი სიწითლე!.. სირცხვილიც აღარ არის... ყველაფერი გადაილესა, გადაიგლისა...

ეხლა სინოდში განუცხადებია ქრ-ფორეს: ამ ზაფხულს სურამში უნდა ვიცხოვრო, ავათ მყოფი კაცი ვარ, ვერ შევსძლებ ქალაქში ყოფნასო და ნება დამრთეთო!.. დართეს კიდეც და მოემზადება გასამგზავრებლად თავის სურამის ადგილ-მამულში თუ სახლ-კარში. ეს ყველაფერი „კოლექტივიზაციის“ დროს ჩამოართვეს მასაც, მაგრამ ეხლა დაუბრუნა საერო ხელისუფლებამ, რომელსაც მან „განცხადებით“ ასიამოვნა, „მორჩილება დაუფასდაო“!.. აგრე ამბობენ..

24/VI – ოთხშაბათი. 1930 წელი

„საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი. ნარკვევები. პარიზი. 1924 წელი“. ზურაბა ავალიშვილი. თარგმანი – შალვა ელიავას წინა სიტყვაობით. ტფილისი. 1929 წელი.

ასეთი სათაურის მოზრდილი ტანის წიგნი – 249 გვერდი. წაკითხვა დავასრულე დღეს. ეგ ზურაბა ავალიშვილი არის ქართველი თავადიშვილთაგანი, პეტერბურგის უნ-სტის პროფესორი, იურისტი, 1917 წელში სენატორადაც იყო მოწვეული რუსეთის სენატში. წინეთაც ცნობილია ის, როგორც საქართველოზე ბევრი ნაწერების ავტორი. სხვათა შორის მაგის კალამს ეკუთვნის ჩინებულად დაწერილი და დასაბუთებული წიგნი – რუსულ ენაზე – „Присоединение Грузии к России“. რევოლიუციის შემდეგაც ცხოველ მონაწილეობას იღებდა საქართველოს საქმეების მოგვარებაში – პეტროგრადში, იყო „ქართველთა კომიტეტის“ წევრი და მომქმედი პირი. შემდეგ ჩამოვიდა ტფილისში და აქედან მოჰყვა საქ. დელეგაციაში, რომელიც გაიგზავნა ევროპაში 1918 წელში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოსაგვარებლად ევროპაში. აქ მასთან ერთად იყვნენ წასული ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი: შემდეგ ამ საქმეზე წავიდა ევროპაში ევგენი გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე და სხვანი. ზ. ავალიშვილი კი, როგორც ევროპიულად ფართოდ განათლებული პიროვნება დიდ როლს თამაშობდა ამ საქმიანობაში: მას თითქმის ყველა ევროპიული ენა სცოდნია – თავისუფლად სწერდა და მსჯელობდა ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად; ნიკოლაძემ კი მხოლოდ ფრანგული იცოდა კარგად; სხვები ფრანგულს ამტვრევდენ საყველ-პუროდ; ჩხენკელმა კი იცოდა გერმანული. დიდი საქმეები შეუსრულებია დელეგაციას ევროპაში – ავალიშვილის ხელითა, პირითა თუ კალმით. ავალიშვილს დაუწერია ზემომოყვანილი სათაურის წიგნი პარიზში რუსულ ენაზედ, რომ ეს წიგნი კავკასიის ყველა ერებისათვის ყოფილიყო შედარებით

ხელ მისაწვდენი. რუსულიდან ათარგმნია საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულზე ქართველ მწერალს – ნიკო ლორთქიფანიძეს. უკანასკნელს კი ვერ უთარგმნია წიგნი, როგორც წესი იყო. მეტად ბუნდოვანად არის ნათარგმნი, მძიმე სტილით, სავსე ყოველგვარი შეცდომებით, რის გამო მთარგმნელი საკადრისად „შეამკეს“ გაზეთებში. მიუხედავად ამისა, წიგნი მაინც დიდი ინტერესით იკითხება; დიდძალი ცნობებია შიგ მოყვანილი და გაშუქებული. ამიტომ ეს წიგნი „ახალი საქართველოს“ ერთნაირ ძეგლად დარჩება ისტორიას. ამ წიგნისათვის წინასიტყვაობა წაუმძღვარებია ა/კ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს – შალვა ელიავას. ის ამ წიგნს სთვლის მეტად საინტერესოდ საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის, ვინაიდან ის დაწერილია იმ პირის მიერ, რომელიც „დამოუკიდებელი“ საქართველოს წარმოშობისათანავე საქართველოს მთავრობის ნაფიცი ექსპერტი შეიქნა საერთაშორისო კითხვების გადასაჭრელად და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თან ახლდა საქართველოს „დემოკრატიული“ მთავრობის სრულუფლებიან დელეგაციას, ოქროს მატყლოვანი ვერძის საძიებლად გამგზავრებულს!.. შემდეგ შ. ელიავა უყიჟინებს საქ. „დემოკრატიულ“ მთავრობას თუ როგორ დაშორდა ის რუსეთის პროლეტარიატს და მიიღო ევროპის ორიენტაცია და ხან გერმანელების ხელქვეითად იქცნენ, ხან ინგლისელებისა და ღალატობდენ საქ. სასიცოცხლო ინტერესებსაო...

სად არ ყოფილა ავტორი თავისი დიპლომატიური მუშაობის საწარმოებლად! ბათომი, კონსტანტინოპოლი, ბერლინი, შვეცია, ლონდონი, პარიზი! ყველგან, რამდენიმეჯერ! ჯერ გერმანელებთან ეწეოდა დელეგაცია დიპლომატიურ მუშაობას – საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოებლად, ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსთან შესაერთებლად, ახალ-ციხე-ახალიქალაქის და არდაგანის შესახებ... გერმანელების დამარცხების შემდეგ, დელეგაციამაც იცვალა გეზი და ეხლა ლონდონ-პარიზში ამზადებდენ ნიადაგს, საინტერესო ეპიზოდებია ადერბეიჯანისა და სომხეთის დელეგაციებთან ჩვენი დელეგაციის თათბირი, კამათი თუ უთანხმოებანი. ადერბეიჯანის დელეგატთაგან ყურადღებას იქცევს თოფჩიბაშევი, სომხებიდან – აგარონიანი (ცნობილი მათი მწერალი); როგორ ჯიბრში გვედგენ ქართველებს სომხები! – შეურიგებელი, მოურიგებელი სომხები, რომლებთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი შეიქნა! აგარონიანმა მოითხოვა – ახალციხე-ახალქალაქის სომხითთან შეერთება, აგრეთვე სომხითის რკინის მიყვანა ჭანეთ-ლაზისტანით ბათომამდე! ბათომის „ნაწილის“ მაინც დაპატრონება! ჩხეიძეც არ დახვედრია უკაცრავად აგარონიანის ჯიუტობას, არავითარ დათმობაზე არ წავიდა და კავკასიის ამ სამი რესპუბლიკის შეთანხმების საქმე ჩაიშალა... ამ მიხლა-მოხლაში რო იყვნენ „დელეგაციები“, ბაქო ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა, გასაბჭოვდა აზერბეიჯანი... შემდეგ სომხეთი და ჯოხი მიყუდებული იყო საქართველოზედაც... ეს უკანასკნელი 1920 წლის იანვარში იცნო ევროპამ de facto, ხოლო 1921 წლის 27 იანვარს de iure-დაც. ეს – 27 იანვარი – ძველი სტილით – 14 იანვარი – აქ ავალიშვილი შენიშნავს: „მოციქულთა სწორის წმ. ნინოს დღე, ეროვნული უქმი ქრისტიანული საქართველოისიო“!...

„25 თებერვალს 1921 წელს საქართველოს ელჩი (აკაკი ჩხენკელი), მესტუმ-

რეთ უხუცესის თანხლებით, ელისეს სასახლის ეტლში, ზეიმით გაემგზავრა, ცხენოსანი საპატიო რაზმით გარს შემორტყმული, საქართველოს მისიის ბინიდან საფრანგეთის პრეზიდენტის სასახლისაკენ, რომ მიერთმია ბ. მილიერანისათვის რწმუნების სიგელი.

საელჩოს წინ, ხალხში გარეული, მე უცქერდი პარიზისათვის ჩვეულებრივსა და საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან სანახაობას, ვიმეორებდი ჩემს „აწ განმისვენეს“... მაგონდებოდა, თუ ორასი წლის წინათ, მეფე ვახტანგ მე-VI-ის ელჩი, თავადი საბა-სულხან ორბელიანი, ლიუდოვი მე-XIV-ის მიერ ვერსალის სასახლეში მიღებული, როგორ გამოითხოვდა საქართველოსათვის დახმარებას.

მის ცდას არ გამოუღია ნაყოფი: მზე-მეფე (მზე თითქმის უკვე ჩასული) სრულიად უძლური გამოდგა, რაიმე გაეკეთებია.

იმავე დღეს – 25 თებერვალს 1921 წ. საბჭოთა ჯარები შედიოდენ ტფილისში, წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ კომისართაგანი (სახეში უნდა ჰყავდეს ფ. მახარაძე); მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“ – აქ ალბად ავტორი გულისხმობს წითელ არმიას, მაგრამ ის სცდება, ისინი მშვენიერ ჩასუქებულ ცხენებზე ისხდენ და სიმღერით შემოდიოდენ ტფილისში! მე ეს არმია დავინახე, როდესაც ის დაეშვა ავლაბრიდან ციციანოვის დაღმართით მუხრანის ხიდისაკენ, აქ გზათ შეეგება არმიას სომხების – ბაყალ-ვაჭრები და ბიჭ-ბუჭობა ხილით – ხურმით, თხილით, წაბლით, სემიჩქებით და სულ – ურა-ურა-ურას ძახილით ეგებებოდენ წითელ არმიას.

„საქ. დემოკრატიის მთავრობა გაიქცა ევროპაში მას შემდეგ, რაც ეროვნული კატასტროფით დაამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუნა სავსებით. მაგრამ მეხსიერება – დაშორდეს პიროვნებებს – აბოლავებს თავის წიგნს ავტორი, – დავიწყების ფერფლით დაიფარება მათი შეცდომები... ცოცხალის წყლით ნასხურები აღსდგა ძველი საქართველო, და მისი ჩაკვლა შეუძლია მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას“. დასასრული.

საგულისხმო დასასრულია! – „რომელთა ესხენ ყურნი სმენად, ისმინნეს“...

დღეს ავალიშვილი ისევ ევროპაშია... ემიგრანტობს...

ნეტავი, რას გულისხმობს ავტორი „ცოცხალი წყლით საქართველოს სხურებად“?!. იქნებ იმას, რომ საქ. ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას უძღოდა 1917 წელს 12 მარტს (ძვ. სტ.) საქ. ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენა?! – მართლაც იმ დღეს „ცოცხალი წყლით ვასხურეთ“ მცხეთაში თავმოყრილი საქართველოს ყოველი კუთხიდან ქართველობა! „ვასხურეთ“ და ვაპკურეთ „ცხოველი სიტყვით“. მგზნებარე სურვილებით, ლოცვა-კურთხევით და დარიგებით... მართლაც აღსდგა საქართველო!.. მაგრამ საეკლესიო საქმეში საქ. შვილებმა დიდი „სულმოკლეობა“ გამოიჩინეს: საარაკო ინტრიგებით და კაციჭამიობით ერთმანეთი ამოიჭამეს იერარქებმა... ეკლესია უკვე სამარის პირზეა მიმდგარი!.. შეიძლება ითქვას, რომ ის არ არსებობს... და იმ სახით, რა სახითაც

მას უნდოდა დარჩენა, მეტი ბარგიც იქნებოდა!.. „ასეთი ეკლესია“ ღმერთმა აშოროს საქართველოს...

ეხლა პოლიტიკური ახალი მიმართულებაა ჩვენში, სდუღს და წარმოებს ეს მიმართულება!.. ბევრი დეფექტებია... მაგრამ დიდი მიღწევებიც!.. თუ გარეშე ძალა არ შემოესია საბჭოთა კავშირს, მოსალოდნელია დიდი რამ მოულოდნელი! „ახალ ქვეყანას ავაშენებთო“, – ჰიმნში მღერიან კომუნისტები! ვნახოთ რა როლს ითამაშებს „ახალი საქართველო“ ამ „აღმშენებლობაში“! აღმშენებლების საკომანდო მწვერვალებზე სხედან დღეს ქართველები – მოსკოვში – სტალინ-ჯუღაშვილი და ორჯონიკიძე სერგო, ხოლო ტფილისში – ცხაკაია, ელიავა, მახარაძე, ლომინაძე, ღოღობერიძე და სულ ჩვენები!.. თუ ამათ არ გამოიჩინეს „სულმოკლეობა“ და უპატრონეს საქართველოს, ამ უკანასკნელის „ჩაკვლა“ მართლაც შეუძლებელია.

26 ივნისი – 1930 წელი – 13 ივლისი
საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობა

დღეს, 26 ივნისს – მოსკოვში გაიხსნა ეგ მე-16 ყრილობა საკავშირო პარტიის და უკვე 13 ივლისია, რაც ის კიდევ მუშაობს. ყრილობა გახსნა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე მიხ. კალინინმა. პოლიტიკური მოხსენება, ვრცელი და დასაბუთებული გააკეთა სტალინმა-ჯუღაშვილმა. ფრიად საგულისხმო, მახვილი დაკვირვება და გაბედულობა, აი – რა გამოსჭვივის სტალინის ვრცელი სიტყვიდან. ამ სიტყვის გარშემო გაიმართა კამათი, აბა, ვინ რა შესწორებას შეიტანდა სტალინის სიტყვაში! მაინც ბევრმა ილაპარაკა, სულ ყველამ მოიწონა პარტიის ცაკის გენერალური ხაზი და მისი მდივანი-ბელადი სტალინის მოქმედება. სტალინმა და სხვა მის მიმყოლმა ორატორებმა დაასამარეს „მემარჯვენე უკლონისტების“ მიმართულება და მათი ბელადები: ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი, უგლანოვი. ბუხარინი ავათმყოფობის საბაბით ყრილობას არ დასწრებია, სხვები დაესწრნენ, უკან წაიღეს თავიანთი ნამოქმედარიც, ნათქვამიც, ნაწერიც თუ ნათქვამიც! აგრეთვე წერილობით განცხადებით უკანვე წაიღო თავისი მემარჯვენეობა ბუხარინმაც! მაგრამ, ვინ დაუჯერა! თვალთმაქცობა უყიჟინა მათ ჯერ სტალინმა, შემდეგ მთელმა ყრილობამ და დაასამარეს მემარჯვენეების ბელადები, სიტყვით კი არა, საქმით უნდა დაგმოთ თქვენი მიმართულებაო“! ბოლო სიტყვაში, სტალინმა შესანიშნავი იუმორით გაამასხარავა „ბელადები“! ისინი „ტარაკანებს“ შეადარა, რომელთაც ცხოვრების ყოველ ახალ მოვლენაზე თუ პარტიის ახალ – შემდეგ ნაბიჯებზე გული უსქდებათ და არ იციან, სად მიიმალონ და თავი შეაფარონ!.. დიდი სიტყვა წარმოსთქვა საკონტროლო ორგანოს „რკაი“ – კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ; ეგ სიტყვაც მეტად ღირს შესანიშნავია თავისი შინაარსით და ფაქტიური დასაბუთებით! გამოდის, რომ ეს „კონტროლი“ ჰქმნიდა მთელ პოლიტიკურ მიმართულებას, მის მიმდინარეობას თუ შესწორებებს მთელი კავშირის მასშტაბით! სტალინის

პოლიტიკა, ეტყობა, მთელი სისტემით და სიმძიმით ეყრდნობა ს. ორჯონიკიძის მტკიცე მკლავს! დიდი, გიგანტური მუშაობა ჩაუტარებია ს. ორჯონიკიძეს და მის თანამშრომლებს... საგულისხმო სიტყვა იყო კაგანოვიჩისა, კუიბიშევისა, იაკოვლევისა, იაროსლავსკისა!.. ა/კავკასიიდან სიტყვებით გამოვიდენ შალვა ელიავა, ლომინაძე... სხვები ჯერ არ შემხვედრია...

დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს ყრილობა!.. ევროპა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ამ ყრილობას... სტალინი გამომწვევი კილოთი ეკამათება ბურჟუაზიულ სამყაროს!.. ევროპის პრესაში სტალინს დიდი ქება-დიდება შეასხა ზოგმა გაზეთმა. სტალინი მტკიცედ ადგია საყოველთაო სასოფლო კოლექტივიზაციის ჩატარებას, ის ოდნავადაც არ იხევს უკან იმ მარცხის გამო, რაც მოჰყვა ამ მოძრაობას რუსეთში თუ ჩვენში! მემარჯვენე ბელადებს ის უწოდებს „პანიკიორებს“ კაპიტალიზმის ლაქიებს და მომხრეებს... სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ ამ გზით შეიძლებაო, ამბობს ის! მემარჯვენეები კაპიტალიზმის აღდგენას და გამარჯვებას უწყობენ ხელსაო! ისინი პარტიასთან შეუთავსებელნიაო!.. ალბად არც ერთს მათგანს პოლიტბიუროში არ ამოირჩევს ყრილობა!.. ვნახოთ.

ფაშიზმი ფინლიანდიაში

ეგ ბურჟუაზიული განხრის რესპუბლიკაა! იქ სოციალიზმის მომხრეები თუ არიან, ისიც მენშევიკური მიმართულებისა, ევოლიუციონური ფრთისა. ამ ბოლო ხანებში ფინეთში ასტყდა სასტიკი დევნა კომუნიზმისა და კომუნისტებისა. ამ დევნას სათავეში უდგიან – ე. წ. „ფაშისტები“ – ქვეყნის „პატრიოტები“ – ბურჟუაზიული მიმართულების ხალხი. ეს ფაშისტები ამზადებენ ფინეთის სატახტო ქალაქზე „ლაშქრობას“! მანამ კი მეტად ორიგინალური ხერხით ებრძვიან თავიანთ კომუნისტებს: ღამე თავს ესხმიან სეიმის დეპუტატებს – კომუნისტებს, ოჯახებში!.. იტაცებენ მათ და უგზო-უკვლოდ გაჰყავთ ფინეთიდან! არავინ იცის მოტაცებულთა ხვედრი!.. აგრე იტაცებენ არა მხოლოდ სეიმის დეპუტატებს, არამედ მუნიციპალიტეტის მუშაკ კომუნისტებს, ჟურნალისტებს, რედაქტორებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვისაც რაიმე წონა-ფასი და ძალა აქვს კომუნისტური მოძრაობისათვის ფინეთში!.. ბოლოს, ერთი-ორი კვირის შემდეგ მჟღავნვდება, რომ ეგ მოტაცებული კომუნისტები ფაშისტებს მოუყვანიათ და სულ ყველანი საბჭოთა კავშირის საზღვრებში გადმოუყრიათ!.. ზოგი იქვე ლენინგრადში შემოუყვანიათ და დაუგდიათ: აი, თქვენი სამშობლოო! ჩვენ თავი დაგვანებეთ აქ გყვანან თქვენ თანამოაზრენი და ამათთან იმუშავეთო!.. გზავნიან მოტაცებულნი ლენინგრადიდან ჰელსინფორსში „საპროტესტო დეპეშებს“ სეიმში!.. სჩივიან – აგრე და აგრე გვიყვესო!.. მაგრამ ვინ არის განმკითხავი! ფინეთის ეხლანდელი მთავრობა სავსებით იზიარებს „ფაშისტების“ პოლიტიკას... მთავრობის თავმჯდომარე სვინხუნდი აცხადებს გაზეთებში, რომ გადაწყვეტილია – „მოვსპოთ ფინეთში კომუნიზმიო“!.. „ლაშქრობა“ უკვე

სწარმოებს ფინეთში: წითელი ფლაგები, ბაირაღები სულ დაუხევიათ ყველგან, კომუნისტ. ჟურნალ-გაზეთების რედაქციები აკლებულია და დაკეტილები... – ასეთი ამბები ხდება „ჩვენს ყურის ძირში“... ასეთივე სიძულვილით აღრჭიალებენ კბილებს ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიული იმპერიალისტური ქვეყნები! მაგრამ საბჭოთა კავშირში ამას დიდ ყურადღებას არავინ აქცევს, – „Кот Васька слушает и есть“!.. როგორც ამბობს რუსული ანდაზა!.. ემზადებიან ომიანობისათვისაც... რევოლიუციის ქარცეცხლს უღვივებენ ჩინეთში, ინდოეთში, ინდოჩინეთში თუ სად გინდა, რო არა! დიდი პროპაგანდა სწარმოებს ყველგან!.. ინდოეთში და ჩინეთში დიდი ამბები ხდება!.. რა იქნება!.. რისგან რა?!. ორი ქვეყანაა დაპირდაპირებული, ორი მსოფლმხედველობა – კაპიტალისტური და მარქსისტულ-კომუნისტური! ან ერთი, ან მეორე! აგრეა საკითხი!

13 ივლისი – კვირა
წყალდიდობა-წარღვნა დასავლეთ საქართველოში

ამ ორი კვირის წინეთ კოკისპირულმა ხანგრძლივმა წვიმებმა გამოიწვია დასავლეთ საქართველოში წყალდიდობა – მდინარეების ნაპირებიდან გადმოლახვა და ნიაღვრის მიერ ნათესების წალეკა-დასილვა! მეტად დაზარალდა გურია-სამეგრელო! ოზურგეთი აოხრებულია შემოჭრილი მდინარეებით თუ ნიაღვრებით!.. ეხლაც მოდის თურმე წვიმები და ეხლაც იგივე ამბებიაო!..

აღმოსავლეთ საქართველოშიაც იყო ხშირი წვიმები, დიდი წვიმებიც, მაგრამ ზარალი არა მოუყენებია რა!.. ეხლა ჩამოცხა საგრძნობლად. გაიჭრა ალაგ–ალაგ ყანები. კახეთში შესანიშნავ მოსავალს ამბობენ, გორის მაზრაში საშვალოს... რუსეთიდან ჯერ არას იწერებიან... დიდი სიძვირეა სანოვაგისა. ხორცი აღარ იკვლება საყასბოზე!.. ამოუწყვეტიათ საქონელი კოლექტივიზაციის შთაბეჭდილების ქვეშ, როგორც ჩვენში, უფრო მეტად რუსეთში!.. კერძო ყასბებს მისცეს ტფილისში ნება ხორცით ვაჭრობისა, ესენი გირვანქა ხორცს ჰყიდიან მანეთად, ექვს აბაზად და მეტადაც!.. აღარ არის მანუფაქტურა... შაქარი. შაქარს მხოლოდ მუშებს თუ მივსცემთ, მოსამსახურებს ვერაო!... აგრეთვე ფეხსაცმელების დიდი ნაკლებობაა... ყველაფრისა საერთოდ!... არ ვიცი, რა იქნება... დიდი კრიზისია.

სახ. უნი-სტეტის მუზეუმის გაძარცვა

გუშინდელ გაზეთებში გამოცხადდა, რომ ღამით ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დასხმია უნივერსიტეტის ეზოს ერთ დარაჯს, დაუჭერიათ ის, უცემიათ, შესულან მუზეუმში – საეკლესიო მუზეუმში – რომელიც საქ. ეკლესიას ჩამოართვა უნ-ტმა და თავის შენობაში მოათავსა!.. დაუგლეჯიათ-დაუფლეთიათ მე-X-XI საუკუნის იშვიათი ხელოვნების ძვირფასი ხატები, რომელიც ჩამოიტანეს ხობის მონასტრიდან, მარტვილიდან, შემოქმედ-ჯუმათიდან თუ სხვა ტაძარ-მო-

ნასტრებიდან! და წაუღიათ!.. გზა-კვალს მძარცველებისას ვერ მიაგნეს!.. ჯერ არცკია გამორკვეული, თუ რა და რა ფასის განძია დაღუპული და განიავებული!.. აი, რა არის ერთად თავის მოყრა ისტორ. ძველ საუნჯეთა!.. მაგრამ რას იტყვი?! ვინ გაგიგონებს?! ცოტა ვიყვირე, თავის დროზე, დაიცავით ის მონასტრები და ტაძრები ადგილობრივ, ხალხი თვით მოუვლიდა მათ! მაგრამ, არა!.. მუზეუმში მოუყრით თავს, ეგ კულტურულიაო!.. კულტურულია – კულტურულ ქვეყანაში! ჩვენ კი დღეს ვერ დავიკვეხით ასეთობას!.. აი, რანი ვართ ჩვენ?! აი, ვინა გვყვანან ჩვენში?! აი, როგორც უვლიან ასეთ სიძველეთა მუზეუმს „კულტურული მესვეურები“!.. ეჰ! მახლას!..

30 ივლისი – ოთხშაბათი
შფოთი კათალიკოს ქრისტეფორეს გარშემო

დღეს სასულ. სფეროებთან ფრიად დაახლოებულმა სას. გვამმა მიამბო: ამ თვის პირველ რიცხვებში კათ. ქრ-ფორეს მოუწვევია „სინოდის გაძლიერებული პლენუმი“, ესე იგი მოუპატიჟნია ყველა ღვდელმთავრები: ჩამოსულა ვარლამ ცხუმელი, დავით ქუთათელი, სხვა დანარჩენნი ყველანი ტფილისში იმყოფებიან. მოუწვევიათ „სათათბირო ხმით“ – უკათედრო ეპისკოპოსები: ეფრემი (ნავთლუხის ეკლესიაში ღვდლობს და მელქისედეგი – დარიის მონასტერში); ეპ. ეფრემს პროტესტი შემოუტანია – სათათბირო ხმის წინააღმდეგ!.. ამის გამო კათ. ქრ-ფორეს წინადადება შეუტანია სინოდში – აღეკრძალოს ეპ. ეფრემს ღვდელმოქმედებაო!.. ამაზე ამტყდარა ერთი ალიაქოთი... ბოლოს – საყვედური გამოეცხადოსო... ეპ. მელქისედეგი სრულებით არ გამოცხადებულა სინოდში... ქრ-ფორეც „ზომებს“ ღებულობს, გაიმაგროს ძირი და ნდობა... სხვა მხრიდან... ამ პლენუმს არა გაუკეთებია რა სრულებით, ერთმანეთი დაუცოფნიათ მღვდელმთავრებს და სხვა არაფერი... და წასულ-წამოსულან.

მეტად დამახასიათებელი პასუხი გაუცია კათ. ქრ-ფორეს კოლექტივიზაცია გამოცხადებულ სოფლებიდან გამორეკილი ღვდლებისათვის, რომელთაც მიუმართავს კათალიკოსისათვის დახმარებისათვის და რჩევა-დარიგებისათვის: „რა უნდა გითხრათ, რით გიშველოთ?! – თქვენც გადადექით ღვდლობიდან, გაერისკაცდით და თავს უშველეთო! მეც, საცაა უნდა გადავდგე, ანაფორა გავიხადო და ჩემს ეზო-კარ-მიდამო-ბაღ-ვენახში დავტრიალდეო! ხო ხედავთ: ჩვენი საქმე წასულია, ვისპობითო“! – ამას ჩემთან მოსაუბრემ უწოდა „საქ. ეკლესიის თვითლიკვიდაცია“! – ამ „თვითლიკვიდაციას“ აპირებს თვით კათალიკოსი, რომელმაც მთავრობის ნდობა დაიმსახურა, სურამის სახლ-კარი – ბაღ-ვენახი დაიბრუნა და მას მეტიც აღარა უნდა რაო!.. საქ. ეკლესიის თანხებიდან კათ-ს ქრ-ფორეს გაუტანია სესხის სახით 550 მანეთი, ეს ფულები სურამის მამულში დაუტრიალებია... ეხლა კი სინოდში განცხადებით შესულა: მომხსენით ეს ვალიო!.. აღშფოთებულან ყველანი!.. დეკ. დ. ხახუტაშვილი პირში წასდგომია და უმხილებია: „არა გრცხვენია – რეებსა ჰკადრულობო?! ჩვენ რა გაგვაჩნია, რომ

შენ ასეთი ვალი მოგხსნათო“?!. სესხი გაუტანია ქაშვეთის მიტროპოლიტ – კალისტრატესაც – 200 მანეთი, ესეც იხლაკნება და სცდილობს „მოხსნას“ მასაც ეს ვალი!.. კათ. ქრ-ფორეს სულ გაუტაცნია, თუ რაიმე ღირებული ნივთი იყო „საკათალიკოზო სახლში“! რამდენჯერ ტფ. მოქალაქეებმა მოუწყვეს კათალიკოზის სახლს სერვიზები, ჭურჭლეულობა და ასეთი საოჯახო ნივთები!.. სულ გაუზიდნია ფორეს სურამში! ყველაფრით ეტყობა – „ლიკვიდაციას“ უპირებს ეკლესიასო!.. რომ მაგით მოისპოს კათალიკოსობაცო!.. მეტად დამახასიათებელია... ყველა ზიზღით ეკიდება, ყველასა სძაგს... დიდსა თუ პატარას... ეგ რა უადამიანო ადამიანი ყოფილაო?!. სჩივიან...

სკანდალი

ალექსანდრე ნეველის წინამძღვარს – დეკ. სმირნოვს და იოანე ღვთისმეტყველის დეკ. ლოზოვოის – რუსებს – კათ. ქრ-ფორემ განსაკუთრებული პატივი დასდო: ორთავენი მიტრით შემოსა, ხელში კვერთხი მისცა, ფეხ-ქვეშ „არწივი“ და წირვა-ლოცვაზე იხსენიებენ მათ ტაძარში, როგორც ეპისკოპოსებსო, „პროტოპრესვიტერის“ სახელით! – ერთი რუსი მორწმუნე წერილობით შეჰკითხებია სმირნოვის მეორე დეკ. ილარიონ ოქროპირიძეს (კათ. ლეონიდის ძმაა): „საქართველოს ეკლესიამ თავის წარსულში თუ აწმყო პრაქტიკაში იცის თუ არა ისეთი პატივდება, რომლითაც შეიმოსნენ დეკკ. სმირნოვი და ლოზოვოიო“! – ამ შეკითხვაზე დეკ. ოქროპირიძეს წერილობითვე უპასუხნია: „ასეთი და ამისი მსგავსი არა იცის რა საქართველოს ეკლესიამ არც თავის წარსულში, არც აწმყოშიო! ეს აშკარა უკანონობაა“! ეს წერილობითი დოკუმენტი ხელში ჩავვარდნია დეკ. სმირნოვს და უჩივლია კათ. ქრ-ფორესთან დეკ. ოქროპირიძეზე. კათალიკ. განრისხებულა და დაუდვია რეზოლიუცია: „აეკრძალოს დეკ. ი. ოქროპირიძეს მიტრის ტარება, რომელიც მან უკანონოდ მიითვისაო და აეკრძალოს ღვდელმოქმედებაო“!.. საქმე აქ იმაშია, რომ დეკ. ოქროპირიძე იყო სამხედრო ღვდლად... ლეონიდის დროს მან სცადა მიტრის მიღება ვიღაც კამანდირის წარმოდგენით, მაგრამ ლეონიდმა ეს საკითხი თვითონ არ გაარჩია და მიანდო ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის თავმჯდომარეობით საკათ. საბჭოს განსახილველად: საკათ. საბჭომ უარი უყო დეკ. ოქროპირიძეს მიტრით დაჯილდოებაში. მიუხედავად ამისა, ამ ორიოდე წლის წინეთ მან გამოაჩინა ლეონიდის კანცელიარიიდან დოკუმენტი – თითქოს ის დაჯილდოებულია მიტრით... ამ დოკუმენტის ძალით მან აიღო მიტრის ტარების ნება-რთვა თვით კათ. ქრისტე-ფორესაგან! ეხლა კი ეს უკანასკნელი – რეზოლიუციას სდებს სმირონოვის საჩივარზე – ოქროპირიძემ უკანონოდ მიითვისა მიტრაო!.. და ღვდელ მოქმედებაც აუკრძალა!..

დატრიალებულა დეკ. ოქროპირიძე, „სადაც ჯერ უჩნდა“ და „იქიდან“ წინადადება მისვლია კათ. ქრ-ფორეს – „დაუყონებლივ აღადგინე დეკ. ოქროპირიძე მის ღირსებებშიო“!.. და... აღუდგენია კიდეც!.. აქ კომენტარიები მეტია!.. „ლიკვიდაცია“ ჯერ შიგნიდანვე ხდება... კმარა!..

აგვისტო 2 – შაბათი
ხურდა ფულის გაქრობა ბაზრიდან და დაწესებულებებშიაც

ეს ამბავი ჯერ რუსეთის დიდ ქალაქებში დატრიალებულა, ეხლა ჩვენც მოგვადგა კარს! ეს ორი-სამი დღეა შეფერხდა ნორმალური ურთიერთობა ბაზარზე და დაწესებულებებშიც. მიმალეს წვრილი ფულები!.. მანეთიანს აღარავინ ახურდავებს! უფრო მსხვილ ფულზე ხო ლაპარაკიც მეტია!.. პანიკა იქმნება ქალაქში!.. სიძვირე ჩამოვარდა საარაკო!.. აღარაფერი იშოვება და თუ იშოვება, ვეღარ ყიდულობ... მამა სისხლათაა ყველაფერი: თეთრი პური გირვანქა – 60 აბაზი, შავი – 30 კაპ... ხორცის ხსენება სადღაა!.. მუშტისოდენა წიწილი-ქათამი – 2 მანეთი – 3–5! კვერცხი – აბაზი თითო! კიტრი – 20–15 კ... ხილი – საშინელი ძვირი!.. საზამთრო – 2-3-4-5 მანეთი!.. ლამის არის, ფული ბონებად გადაიქცეს!.. არ ვიცით, რა ბოლო ექნება ამას!.. მთავრობა ენერგიულ ზომებს ღებულობს: ახდენს ღამით ჩხრეკას და ბევრგან პოულობენ დაგროვილ წვრილ ფულს და ბევრიც პატიმრდება ამ ნიადაგზე!.. რაშია საქმე, ვერა გაგვიგია რა?! მანეთიანი და ათ-შაურიანი ვეცხლისა დიდი ხანია გაჰქრა ხმარებიდან!.. ეხლა წვრილ ფულზედაც მისდგა საქმე... ამასაც მალავენ... სჭირს ცხოვრება... ტრამვაიში ხურდას არ იძლევიან, თუ არ გაქვს ხურდა, ძირს გსვამენ, არის ერთი მიხლა-მოხლა და უსიამოვნება!... ცხელა უდიერად... საჭმელსაც ვერ ვშოულობთ... ეხლა ეს ფულიც გააქრეს და გართულდა ურთიერთობა... გამწვავდა...

15 ოქტომბერი – ოთხშაბათი

2 აგვისტოდან დღემდე აღარ მიბაასნია ამ რვეულში. რამდენი ერთი უნდა აღნიშნო ღირსშესანიშნავი!?. ყველაფერი „ღირსშესანიშნავია“ დღეს!.. ხურდა ფულის უქონლობა გრძელდება დღემდე, მაგრამ შენელდა ეს სიმწვავე, გამოჩნდა ხურდა ფული, ვინაიდან „ზომები“ იქნა მიღებული უსასტიკესი! ბევრ დაწესებულებებში აღმოაჩინეს დიდძალი ნაშალი ფული!.. სპეკულიანტებსაც უპოვნეს და „გაუსწორდნენ“ თავისებურად... მაგრამ სიძვირემ უფრო იმატა... ყველი გირ. 3–4 მანეთი; კარაქი და ერბო – 10 მანეთი გირვანქა! ხორცი ჩვენთვის არ არის, თუ არის – კერძოდ – 2.50 გირვანქა; ყურძენი – 1.50 კილო, აგრეთვე ხილეულობა ჩვენთვის ხელმიუწდომელი!.. გაჰქრა ტანსაცმელები... ფეხსაცმელები!.. კერძოდ და კერძო პირი ვეღარ იყიდის ვერაფერს! ყველაფერი ორდერებითაა, აძლევენ მხოლოდ მუშებს, მოსამსახურეებსაც კი არაფერს აძლევენ... პურის „დამზადების“ კომპანიაა გაცხარებული!.. გლეხებს იძულებით ართმევენ ხორბალს – 2 მანეთად ფუთს!.. ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნებაა სოფლად, გაზეთებში კი იწერება ყველაფერი დამაკმაყოფილებლად!.. კოლექტივიზაცია სოფლად ჩაიშალაო, გაზეთები კი იწერებიან, ჩინებული მოსავალი ჰქონდათ კოლმეურნეებს და კოლხოზებს, გაიყვეს მოსავალი და დალაღდენო!.. იძლევიან კი სულზე ისევ თითო გირვანქა პურს მოსამსახურეებზე და მათ ცოლშვილზე! აბა, ეს რას გახ-

დება!!. გააქვთ საზღვარგარეთ პური და ჰყიდიან ღირებულებაზე დაბლა!.. ამ ნიადაგზე ეხლა- ხან საფრანგეთმა შეაჩერა ჩვენი საქონელის ზოგიერთ ნაწილის უკანტროლოდ შესყიდვა, მაგალითად – ხორბლისა, ფრინველებისა, კარაქ-ყვეელისა, დამარილებული ღორის ხორცისა!.. ამ თაობაზე განგაშია ატეხილი ჩვენს პრესაში!.. სცდილობენ, მოაწესრიგონ ცხოვრება... სწარმოებს შენობების აღმშენებლობა, დიდი მუშაობაა აღმშენებლობაზე, მაგრამ ჩვენ რაო?! – გაიძახის ხალხი – აშენებენ, თვითონ შედიან შიგ, თვითონ ეწყობა მთავრობა, ჩვენ ამით რა სიკეთება მოგვდისო!..

მე-5 საეკლესიო კრება საქართველოს ეკლესიისა

ეკლესია ისევ ღონღიალობს... ტფილისში... 8 ამ თვეს მოწვეულ იქნა მე-5 საეკლესიო კრება!.. საკვირველია!.. ალბად „გარედან“ იყო ამ თაობაზე მოთხოვნილება, თორემ რისთვის და ვისთვის უნდა მოეწვიათ ეს კრება?! სულ სამოცი დელეგატი დასწრებია კრებას... „ასეთი კრება ნეტავი არ გვენახაო“! – შემომჩივლა ერთმა დამსწრეთაგანმა, – „მეოთხე კრება თუ იყო ყოვლად უფერული, უშინაარსო, ანარქიული, წყალწაღებული, მეხუთე ხო მასზე ბევრად უარესი გამოდგაო! ეს რაღაც აღვირ-ახსნილი, თვითნებობის და ქაოსის განხორციელება იყოო! ეს კრება თავის სურვილზე ჩაატარეს – კათ. კანცელიარიის გამგე დეკ. ნაცვლიშვილმა და საკათ. სინოდის სამეურნ. ნაწილის დირექტორმა – დეკ. ლაზრიშვილმაო! პირველი ჰკვებავს კათალიკოზ ქრისტეფორეს სულიერად და გონებრივად, გამოფიტულ ქრისტეფორეს გულსა და ტვინში მას შეაქვს ის, რაც თვითონ მოეპრიანება, რასაც ჩასძახებს ამ ცარიელ ქვევრს, ისიც იმასვე ამოსძახებსო! მეორე – ლაზრიშვილი, ჰკვებავს იმავ კათალიკოზს „ფიზიკურად“ – ის აჭმევს მას ლუკმას, ის უძღვება სამეურნეო ნაწილს, უძღვება – უკანტროლოდ, თითონაც ამ ნიადაგზე ხელს ითბობსო!.. მოითხოვა კონტროლის დაწესება სინოდის წევრმა დეკ. ხახუტაშვილმა, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა მასო! ლაზრიშვილმა ეს იუკადრისა და ნაცვალოვ-ცინცაძის (მიტროპ.) დახმარებით დეკ. ხახუტაშვილს „უდანოთ ყელი გამოსჭრესო“!.. შეაგონეს კათალიკოზს და ხახუტაშვილი გამოაპანჩურეს სინოდის შემადგენლობიდანო! კათალიკოზმა წარმოადგინა სინოდის ახალი შემადგენლობის წევრთა სია, ამ სიიდან გამორიცხული იყო დეკ. დ. ხახუტაშვილი. სიაში შეუტანია ხახუტაშვილის ნაცვლად დეკ. იოსებ მირიანაშვილი – ეგ ცნობილი აგენტი ეგზარხოსებისა და ბოდბის დედათა მონასტრის ყოფილი „მოძღვარი“, ეხლანდელი დიდუბის დეკანოზი, რომელიც ინოკენტი ექსარხოსის დროს ცოცხალ ადგილზე გადმოვიდა დიდუბეში, ჩემს ადგილზე! ეგ მირიანოვი დეკ. ნაცვალოვის ცოლის ძმაა!.. მირიანოვის გარდა დასტოვა კათალ-ზმა სინოდის წევრად – დეკ. გ. გამრეკელი, ხახუტოვის მეორე ღვდელი, ქრის-ფორეს ლაქია-ქვემძრომი, კალისტრატე ცინცაძის „ხელ-ქვეითი“ და ცუღლუტი დეკ. ბენ. კანდელაკი! ერისკაცთაგან შეუყვანია სინოდში ცნობილი აფერისტი თომა ჩიქვანაია, რომელიც ამბროსის კათოლი-

კოზობის დროს ებრძოდა ქრისტეფორეს, ეხლა კი „შეხმატკბილებულან“... და ვიღაც ხმალაძე... კრებას – ანუ თვით ქრისტეფორეს – გაუმიტროპოლიტებია – ეპ. სიმონ ურბნელი (ჭელიძე), რომელიც ქუთათელად გადაუყვანიათ, ნაცვლად დავით კაჭახიძისა, რომელიც „ბათომ შემოქმედელად“ გადაუგდიათ; გამიტროპოლიტდა ვარლამ ცხუმელი (მახარაძე)! აი, „კრების საქმიანობა“! ეკლესია ნარ-ეკალშია გახვეული, სისხლი სდის, მისი იერარქები კი „მიტროპოლიტის“ ხარისხით იმოსებიან და ლამაზდებიანო“!.. ამას გარდა საეკლესიო კრებისათვის მიუმართნია თხოვნით სიონის მესამე დეკანოზს – გიორგი ასათიანს – „მიტრით დამაჯილდოვეთო“!.. ამ თაობაზე კრებას უთათბირია მთელი სამი საათი, გამართულა პარტიობა იქიდან თუ აქედან! ბოლოს კათალიკოზმა დაასხა წყალი გახურებულ პაექრებს – ჩვენმა დებულებამ ასეთი ჯილდო არ იცისო!.. რუსის დეკანოზებს კი სმირნოვსა და ლოზოვოის მიტრებიც დაჰხურა თავზე და ხელში კვერთხებიც კი მისცაო!.. ასათიანი – მეტიჩარა-მჩატე-თავსუბუქა-უვიცი (სემინარიის 1-ლი კლასიდანაა) ჩაიფუფქა მდუღარე გადასხმული ჭინჭარივითო!.. შემდეგ – დელეგაცია გაუგზავნია კრებას ფ. მახარაძესთან – შეგვიმსუბუქეთ მდგომარეობაო, ქაღალდი გადაუციაო მისთვის, ისიც დაჰპირებია და წამოსულან! დელეგაციაში იყვნენ – მიტროპოლიტები სიმონი და ვარლამი, ყოფილი პოლიცმეისტერი კოტე სიმონიშვილი!.. საკვირველია, ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ მთავრობა თანდათან ამზადებს ეკლესიის მოსპობის ნიადაგს, ესენი კი – იერარქები – თვითონ ხელს უწყობენ მას ამაში და მაინც დელეგაციას გზავნიან – შეგვიმსუბუქეთ მდგომარეობაო!.. დაპირება ბევრჯელ ყოფილა, მაგრამ დაპირებადვე დარჩენილა, სამღვდელოება კი განიავდა სოფლად...

საინტერესოა ერთი გარემოებაც – ამ კრებაზე უნდა დაესვათ საკითხი კათ. ქრისტეფორეს გადაყენების შესახებ! ამ საქმეს სათავეში ედგა დავით ქუთათელ მიტროპოლიტი, ეპ. მელქისედეგი და სხვანი. ჩვენ თავის ადგილზე მოყვანილიც გვქონდა დავით ქუთათელის წერილობითი მიმართვა საკათ. სინოდისადმი კათალიკოზის შესახებ, ამისი განქიქება... ამ კრებაზე კი კრინტის დაძვრაც ვერავინ გაჰბედა ამ თაობაზე. თურმე კრების გახსნამდე, ვისაც ჯერ უჩნდა, დაუბარებია ერთი ეპისკოპოზი, ერთი ერისაგანი დეპუტატიც და გამოუცხადებიათ: „კრინტი არ დასძრათ კათალიკოზის წინააღმდეგ, თორემ!.. ის ერთხანს კიდევ საჭიროა... შემდეგ თუ გინდათ, გადააყენეთ და კალისტრატე დააყენეთ... ეხლა ესეც ჩვენი კაციაო“!.. Sat! Sapienti... და მართლაც, ქრისტეფორე სრულ ბატონად და პატრონად გრძნობდა თავს კრებაზე. დავით ქუთათელი იჯდა კრებაზე ხმა ჩაკმენდილი, ენა მუცელში ჩავვარდნოდა... არ ვიცი, თუ ის ქუთაისში ვერ გამაგრდა, ვერ გამოდგა, რა უნდა ჰქნას ბათომში?! ვინ მიიღებს მას იქ?!. შესაძლებელია ბერძნებმა შეიკედლონ, თორემ ბათომის დეკანოზი თოხაძე – მას იქ არ აბოგინებს...

კრებაზე განუცხადებიათ ალავერდის ეპარქიიდან დელეგატებს – მოგვაშორეთ სტეფანე ეპისკოპოსი (კარბელაშვილი), არ შეგვიძლია მისი ცქერა, მაგისი უსაქციელობა, უმოქმედობა, თავხედობა – თვითნებობაო!.. კრებას

ეგ საქმე გადაუციათ სინოდის ახალ შემადგენლობისათვის გასარჩევად... თვით ალავერდის ეპარქია – „დროებით“ მიანდეს კალისტრატე ცინცაძეს გასამართავად... ურბნისის ეპარქიაში გზავნიან ეფრემ ეპისკოპოზს, რომელიც ეხლა ნათლუხის ბარბარეს ეკლესიაში ღვდლობს... ამას უარი განუცხადებია ამ წინადადებაზე... ეს საკითხიც სინოდს გადაეცა განსახილველად... აგრე მიხლა-მოხლაში, ერთმანეთის გაბიაბრუებაში და ინტრიგებში დასრულდა მე-5 საეკლესიო კრება; ის გაიხსნა 8 ოქტომბერს, დასრულდა 11-ში, სიონის ტაძარში. 14 ოქტომბერს – სვეტიცხოვლობას, მცხეთაში წავიდა კათალიკოზი, სიმონ ქუთათელი საწირავად, სხვები კი წავიდ-წამოვიდენ, საჭიროდ არ სცნეს მცხეთობაში წასვლა.

ამ სახით, კათალიკოსი ქრ-ფორე „მაგრად“ ზის... სახლ-კარი და ეზო-ვენახი დაიბრუნა სურამში, აქაც „კათალიკოზობს“ ნაცვალოვ-ლაზრიშვილ-ცინცაძის ხელმძღვანელობით!.. სათქმელია – „ეკლესია თავისუფლად არის საქართველოში; დახეთ, მე-5 საეკლესიო კრებაც კი მოიწვიეს, და თავისუფლად იმსჯელეს, იმოქმედესო“!.. აი, რატომ იყო მოწვეული ეს კრებაო, – განმიმარტა ერთმა ჭკუიანმა კაცმა!.. „აფსუს!... სადღაა ეკლესია?!. ეგ ეკლესიაა, ან ეგ სამღვდელოებაა?!. უხალხო ეკლესია!!. უსამწყსო მწყემსნი!.. ყოველივე ამან დღეს მოსჭამა თავის დრო!.. ის ნიადაგგამოცლილია... ახალი შეგნებაა საჭირო, ახალი მიმართულება, ამან ძველი ატმოსფერა უნდა გასწმინდოს, დეზინფექცია უნდა უყოს... იქმნება ახალი ყოფა-ცხოვრება... ახალი სოციალისტურ-კომუნისტური კულტი!.. ამ პირობებში ანაფორების კალთების შრიალი და ცარიელ ტაძრებში საცეცხლურის კმევა... უნაყოფო და შეუძლებელიცაა“... მარიგებდა ის...

მე ისევ ხახუტაშვილის აგრე „უხმოდ“ გამოძევება სინოდიდან მაინტერესებს! გასჭყლიტეს „ეგ უკანასკნელი“ წარმომადგენელი „ოპოზიციისა“!.. ეს ღა შერჩათ და ესეც მოიგდებინეს თავიდან!!. იცინის კალისტრატე ცინცაძე – „ქაშვეთელი მიტროპოლიტი“... იცინის... კვდეეება სიცილით!.. ხითხითებს მისი დეკანოზი ლაზრიშვილი... სულ ხით-ხითებს... უთამაშებს გაბერილი ქვირითი მუცლისა... ცბიერად იღიმება დეკ. მიხ. ნაცვლიშვილი... ერთი თვალით ბათომისკენ რო იცქირება, მეორეთი ბაქოსკენ... იცინის მისი ცოლისძმა დეკ. იოსებ მირიანოვიც... მაგრამ იცინიან ამათ სულმდაბლობაზე და გახრწნილებაზე „გარედან“!.. ეგ რა „ქურუმები ყოფილანო“!.. Sat...

1930 წელი

მე-13 რვეული 15 ოქტომბრის თარიღით დავასრულე. მას შემდეგ არა შემიტანია რა ამ ჩემს „მემუარებში“, იმ მიზეზით, რომ საწერი ქაღალდი ვერ ვიშოვნე. მეტად გაძნელდა ქაღალდის შოვნა! დიდი მოთხოვნილებაა ქაღალდზე და ვერ აკმაყოფილებენ; ქაღალდის ქარხანას აშენებენ მდინარე ენგურზე! მაგრამ როდის რა მოგვესწრება!.. ჰოდა ძლივს ჩავიგდე ხელში ეგ მჩვარი-ქაღალდი და მსურს, ისევ ვემუსაიფო ჩემს თავს ამ რვეულის ფურცლებზე.

29 ნოემბერი – შაბათი. 1930 წელი

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა საბჭოთა კავშირში თუ ჩვენში! არ ვიცი, საიდან რა აღვნიშნო! ვსწერდი „ხურდა ფულის“ კრიზისზე! ეს კრიზისი რამოდენიმედ გამოსწორდა! დიდი რეპრესიებით მთავრობამ დიდძალი ხურდა ფული აღმოაჩინა არა მხოლოდ სპეკულიანტებში, ჩარჩვაჭრებში, ბურჟუებში და საერთოდ ეგრედ წოდებულ „უცხო ელემენტებში“, არამედ თვით სახელმწიფო დაწესებულებების სალაროებში და გამოუშვა ეგ ხურდა ფული ბაზარზე! ამჟამადაც განვიცდით ხურდა ფულის ნაკლოვანებას, მაგრამ ეგ სიმწვავე დიდად შენელდა.

სირცოვ-ლომინაძე-შაცკის – „მემარჯვენე-მომემარცხნო“ ბლოკის უკლონისტობა

ეს ერთი თვეა თითქმის, რაც ამ „უკლონისტობაზე“ ერთი ორომტრიალია მთელ საბჭოთა კავშირის პრესაში! თავის ადგილზე (მე-13 რვეულში) მე ვსწერდი – თუ როგორ „ზაკრევკომიდან“ გადააყენეს პარტიის მდივნობის თანამდებობიდან კრინიცკი, ხოლო საქ. კომიტეტიდან მიხა კახიანი! პირველის ნაცვლად დასვეს ბესო ლომინაძე, ხოლო მეორისა – ლევან ღოღობერიძე. არ გასულა დიდი ხანი, რაც ესენი მხურვალედ შეუდგენ მუშაობას, ორთავენი ვეებერთელა მოხსენებებით გამოდიოდენ სხვა და სხვა კონფერენციაზე და შთაბეჭდილებას ჰქმნიდენ მტკიცე პარტიული ხელმძღვანელებისა! მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ ამხილა ლომინაძე და მის მიერ „ზაკრაიკომში“ გამოტანილი მიმართვაში – „მემარცხენე-გადახრაში“! მას ზედ მიაჭყლიტეს ლ. ღოღობერიძეც! მოსკოვში კიდევ გამოჩენილან მემარჯვენე-გადახრის ახალი ბელადები სირცოვი, შაცკი და სხვანი! ამათ თითქოს „ბლოკი“ შეუკრავთ და გამოსულან პარტიის გენერალური ხაზისა და ამ ხაზის ხელმძღვანელი ბელადის სტალინის წინააღმდეგ! „ფრაქციული“ გამოსვლები გაუკეთებიათ, აკრიტიკებენ და ჰგმობენ გენერალური ხაზის მიერ აღებულ აღმშენებლობას და მის „ტემპებს“. აკრიტიკებენ მეტად გაბედულად, მოურიდებლად, ბრალსა სდებენ პარტიას – მას შეაქვს მუშა-გლეხობასთან დამოკიდებულებაში „ფეოდალურ-ბატონყმური მოპყრობაო“!.. აღნიშნავდენ მუშების გაჭირებულ მდგომარეობას, გლეხობაში უკმაყოფილებას, არევ-დარევას, მსხვილი ინდუსტრიალიზაციაში მოითხოვდენ „ტემპების შენელებას“ და ასეთებს! – ასეთ გამოსვლებზე, სტალინმა აამოძრავა თავისი პარტიული „აპპარატი“ და ისეთი კორიანტელი აუყენა „ბლოკს“ საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხის მცირე „იაჩეიკიდან“ დაწყებული, რომ „უკლონისტები“ გაანიავეს!.. ლომინაძე გაიწვიეს მოსკოვში და, ამბობენ, იქ ის დაპატიმრებულიაო! აგრეთვე სირცოვი, შაცკი და მათი მომხრენი! გაზეთებში ჯერაც არ დამცხრალა ამათი ანაფემა-შეჩვენება! ამათ გამო მოიგონეს მემარჯვენე ბელადები: ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი და, მიუხედავად იმისა, რომ ამათ უკვე წერილობით „შეინანეს“ თავიანთი მემარჯვენეობა, ბრალსა სდებენ, რომ ეს

ახალი „უკლონისტები“ თქვენი მოწაფეებია, თქვენი გავლენისა და თვალთმაქცობის ქვეშ მუშაობენო! ამ ნიადაგზე რიკოვმა მიიღო „ერთი თვის შვებულება“ – ავათმყოფობის მიზეზით, ისე კი, რომ ეგ შვებულება მას არ უთხოვნია! ამბობენ, რიკოვზე „დომაშნი არესტია“ დადებულიო! ბუხარინმა კი ამ ერთი კვირის წინეთ ისევ ვრცელი წერილით უარჰყო თავისი „შეცდომები“, უკან მიმაქვს, თუ რაიმე რიგიანად ვერ ვსთქვი და ვერ გამოვსთქვიო!.. მგონი, დაკმაყოფილდენ ბუხარინის „სინანულის“ წერილით! რიკოვისა და ტომსკის არა ისმის რა.

„მავნებელთა“ ორგანიზაციის აღმოჩენა

ამ ერთი თვის წინეთ „о.г.п.у.“-მ („ჩეკამ“) აღმოაჩინა კონტრ-რევოლიუციონური ფართო ორგანიზაცია „სამრეწველო პარტიად“ წოდებული. ამათი ბუდე ყოფილა მოსკოვი-ლენინგრადი. დაპატიმრებულია რვა მეთაური-ბელადები, ამათში ხუთი – პროფესორია, ინჟენერები, სულ მაღალი კვალიფიკაციის კაცები მრეწველობის სხვა და სხვა მსხვილი დარგების ხელ-მძღვანელები! ამათში მეთაური კაცია – პროფ. რამზინი! ამათ მუშაობა დაუწყიათ 1927 წლიდან. შეუდგენიათ „სამრეწველო პარტია“, ხოლო ამ პარტიას კავშირი გაუბამს საზღვარ გარეთ გაქცეულ რუს დიდ კაპიტალისტებთან – რიაბუშინსკი და სხვები! კავშირი გაუბამთ საფრანგეთის მაშინდელ მთავრობის თავმჯდომარე პუანკარესთან, რომელიც ამ ჟამად კერძო პირია – „ოტსტავკაში“ გაყვანილი, და უცხოეთის საქმეთა მინისტრ ბრიანთან, რომელიც ამ ჟამადაც ამავ თანამდებობაზეა, კავშირი დაუჭერიათ თვით საფრანგეთის სამხედრო შტაბთანაც! კავშირი დაუჭერიათ ინგლისის მთავრობასთან (მაშინ კონსერვატორები იყვნენ სათავეში)! ეს მთავრობები „სამრეწველო პარტიას“ დაჰპირდენ საბჭოთა რუსეთზე შესევის – ინტერვენციის – მოწყობასა და მოხდენას! უნდა შესეოდენ საბჭოთა კავშირს – პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ლატვია-ლიტვა, ჩეხოსლოვაკია და სულ ყველანი, ვინც არ დაიზარებდა!.. ყოველივე ეს გამოაშკარავა სასამართლოს პროცესსზე მოსკოვში, 25 ამა ნოემბერს დაკითხულმა პროფესორმა რამზინმა! მას მიჰყვნენ შვიდი სხვა მისი თანამშრომელნი – ბრალდებულნი და დაუდასტურეს ჩვენება რამზინს, ზოგიც თვითონაც დაუმატეს! ამათმა ჩვენებამ სენსაცია გამოიწვია არამც თუ საბჭოთა კავშირში, თვით ევროპაშიაც! ამ ორი კვირის წინეთ ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა პუანკარეს ორი წერილი – ამ „მავნებელთა“ საქმის გამო! ის უარს ამბობდა – რაიმე მათთან კავშირის ქონებაზე და ირწმუნებოდა თავის მშვიდობიან პოლიტიკაზე! ბრალდებულთა ჩვენება კი „ცეცხლზე ნავთს უსხამს“ პუანკარეს წერილებს! განრისხებულა ბრიანიც! ამას მოსკოვის ელჩის პირით პროტესტი განუცხადებია საბჭოთა მთავრობის წინაშე – როგორ თუ ახსენეთ ჩემი სახელი ვიღაც „მავნებელთა“ გამოო!.. მოსკოვის პროცესი კი აშკარად უმტკიცებს საფრანგეთსა და სხვა მის ხელ-ქვეით მყოფ სახელმწიფოებს ინტრიგანობას, და მოღალატურ განზრახვებს! ალბად დიდი სენსაციაა დღეს ევროპის პრესაში ამ თაობაზე!.. სამწუხაროდ, მეტად მოკლე ცნობებს გვაწვდიან ჩვენს პრესაში ევროპის პრესიდან!..

არა ვიცით რა!.. შემოსევა განზრახული ყოფილა 1930 წლის ზაფხულში! მაგრამ გადაუდვიათ 1931 წლისათვის... ეხლა კი ჩაიფუშა!..

საკვირველებაა! ასეთი ჭკუიანი-განათლებული კაცები, პროფესორები! და ასეთი ავანტიურა – „სამრეწველო პარტია“! ნეტავი, რას ჰფიქრობდენ ეს კაცები!? ასეთი ფართო განზრახვები აგრე დიდხანს განა დაიმალებოდა?! ნათქვამია, „ორმა თუ იცის, ღორმაც კი იცისო“! აქ კი ორმა კი არა, ირკვევა, 2000 კაცი ყოფილა ჩაბმული ამ საქმეში! საკვირველია ისიც, თუ ამდენ ხანს როგორ გამოეპარა ჩეკას ეს დიდი ორგანიზაცია და მისი მოქმედება! დიდი მავნებლობა ჩაუდენიათ, ამათ გამოუწვევია ყოველი დარგის ნაკლოვანება – კრიზისი, დიდძალი ზარალი მიუყენებიათ ქვეყნისათვის ფაბრიკა-ქარხნების არეულ-დარეულ განზრახ მიზან-შეუწონელ მშენებლობა-ამუშავებით! აღსაშფოთებელი შთაბეჭდილება იქმნება ამათი მოქმედებით! მეტად განრისხებულია მთელი მოსახლეობა და მუშები! 25 ნოემბერს ამ თაობაზე მთელ საბჭოთა კავშირში დიდი დემონსტრაციებით გამოვიდა პროლეტარიატი ქუჩებში და ხმა მაღლა მოითხოვენ მოღალატე-მავნებელთა დახვრეტას! – ინტერვენტებს განზრახვა ჰქონებიათ საბჭოთა კავშირის დაშლა-დაქუცმაცებისა: პოლონეთს უნდა ხელთ ეგდო დასავლეთი უკრაინა კიევით! დონბასი უნდა მოეწყვიტათ მოსკოვისათვის! რუმინეთს განზრახული ჰქონებია ადესა – ქალაქისა და პორტის ხელში ჩაგდება! აგრეთვე ა/კავკასიის ჩამოგლეჯა კავშირიდან და დაქუცმაცება!...

ეგ პროცესი დიდი სკანდალია ბურჟუაზიული ევროპისათვის და საუკეთესო სააგიტაციო კოზირი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც საქვეყნოდ თავლაფს ასხამს ინტრიგან სახელმწიფოებს, რომელნიც თითქოს სულ „მშვიდობიანობაზე“ ფიცულობენ და ასეთ მუხანათობას კი უმზადებენ თავის მეზობელ სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირს!...

ვიმეორებ, დიდი სკანდალია!.. ამისი სიღრმე-სიგანე-სიგრძე ჯერ ძნელია გამოვიანგარიშოთ!

ამავე დღეებში „სამშვიდობო“ კონფერენცია იყო ევროპის სახელმწიფოებისა ჟენევაში „შეიარაღების შემცირების“ საკითხზე! ამ კომფერენციას დაესწრო საბჭოთა კავშირიდან „მინინდელი ლიტვინოვი“! ეს სასტიკ ოპოზიციაში ედგა მთელ სახელმწიფოებს და ამხილა ისინი თვალთ-მაქცობაში, არა გულწრფელობაში, ხოლო მოსკოვის პროცესმა უსწრო და ნიღაბი ჩამოხადა ლიტვინოვის მოწინაღმდეგეებს! ევროპიდან ლიტვინოვი იტალიაში გამგზავრებულა, იტალიის მთავრობას უახლოვდება ეხლა საბჭოთა კავშირი, მასთან სურს პოლიტიკურ-ეკონომიური კონტაქტის დადება! იტალია-საფრანგეთ შუა და აგრეთვე ინგლის-იტალიას შორის მწვავდება ურთიერთობა და ირაზმებიან „კოალიციად“ სახელმწიფოები! ამაზე უკვე მიუქცევიათ ევროპაში ყურადღება და ილაშქრებენ ლიტვინოვის იტალიაში გამგზავრების წინააღმდეგ! ერთი სიტყვით, სდუღს კაცობრიობა, არის ინტერესთა წინააღმდეგობა, ამ ნიადაგზე დიდი მიხლა-მოხლა და ემზადებიან სადაო საკითხების ხმლით გადაჭრას! ომი აუცილებელია! ადრე თუ გვიან დატრიალდება ახალი მსოფლიო ომი, რომლის საშინელების სახის წარმოდგენაც კი შეუძლებელია დღეს!

კაცობრიობა შედის თავის პოლიტიკურ-ეკონომიური შეგნება-განვითარების

ახალ ფაზაში, ეგ ეჭვს გარეშეა! სერიოზულად თავი წამოჰყო „უმრავლესობამ“ – მუშებმა-გლეხებმა და საერთოდ პროლეტარიატმა! ეს შეგნება დღითი-დღე ღრმავდება, მწვავდება ურთიერთობა, სწარმოებს გამწვავებული კლასთა ბრძოლა!... ეს პროცესი ბოლოს და ბოლოს მოივლის მთელ განათლებულ კაცობრიობას, მოაპირქვავებს კაპიტალიზმს და მისს მამოძრავებელ „უმცირესობას“ – მწარმოებლებსა-ბურჟუა-ექსპლოატატორებს და თვითონ გაბატონდება! ერთი „გაბატონება“ შეიცვლება მეორე სახის „გაბატონებით“!... ბოლოს როგორ სახეებში ჩამოყალიბდება ადამიანთა ურთიერთობა, რით და როგორ დასრულდება „ყოველივე ესე“, ამისი თქმა ძნელია!.. ალბად ამ პროცესსაც შესცვლის სხვა პროცესი, ვინაიდან მარადიული და გაყინული ადამიანთა პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობაში არა არის რა, ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი ცვალებადია!.. რო დაიღლება კაცობრიობა ამ ორომტრიალით, მაშინ ისევ „თავიდან დაიწყებს“ ყველაფერს!.. ისევ ბევრს რასმე უკუგდებულ „ძველიდან“ აიღებს, მოსწყურდება „ძველი ცხოვრება“, ძველს ისევ „განაახლებს“ – გაუმჯობესებულ ფორმებს მისცემს და აგრე – ცხოვრება არის ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა შეუჩერებელი, მრავალფერი, მრავალგვარი და სახოვანი, მრავალ შესაძლებლობით აღსავსე! მის საბოლოო განჭრეტას ვერვინ შესძლებს, ეგ არის „ცხოვრების ოკეანე“ – უფსკრული! ამ უფსკრულზე კი ცხოვრების ქარიშხალი ათამაშებს თავის მქუხარე ზვირთებში ადამიანის ხომალდს, მას ხან ერთ კლდეზე დააჯახებს, ხან მეორეზე! დააწყვეტს ხოლმე ხშირად იალქნებს, დაუმსხვრევს ანძასა და საჭესაც, მაგრამ როდი დაღუპავს, როდი სთნქავს უძირო სტიქიაში! ზოგჯერ დაუშოშმინდება, დაუწყნარებს აბობოქრებულ ქარიშხალს! ხომალდიც შესწორდება-შემოსწორდება! ისევ იალქნებს გაიჩენს, ანძასაც და საჭესაც ახალ-ახალს გაუკეთებს ხომალდს და ისევ განაგრძობს, სრბოლას... რომ თავიდანვე დაიწყოს „ბრძოლა“!.. დაუსრულებელი ბრძოლა!..

დიდი საიდუმლოებაა ეგ ადამიანი და მისი მოქალაქობა... ბრძოლა არსებობისთვის! ვერვინ მისწვდება მის კანონებსა და საზღვარს!.. ჰგონიათ – აი, ეს არის – მივსწვდით, მივხვდით და მიუხვდით ყველაფერსაო, მაგრამ როგორც უდაბნოში თვალ-წარმტაცი წალკოტი – ოაზისი მწყურვალე დამაშვრალ ქარავანს ეჩვენება და ეზმანება, აგრე მოსდის კაცობრიობის ამაყ მკვლევარ-ფილოსოფოსთ, ამათაც ეზმანებათ, ჰგონიათ, მივწვდით და ამოვსწურეთ კიდეც კოსმიური და სოციალ-პოლიტიკური კანონებიო, მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე ამ კანონების ზედა პირს ოდნავ შეხებიან მხოლოდ!.. მირაჟმა ადგილი იცვალა... ის მწყურვალე კაცობრიობის მკვლევართ უფრო შორს ჰორიზონტზე მოეჩვენათ და აგრე სულ მუდამ იქნება!.. მიუწდომელი!.. ეს აგრეც უნდა იყოს! თუ მისწვდი, და იქ წერტილი დაუსვი, შემდეგ სიცოცხლესაც ეკარგება აზრი და ხალისი!.. მაშ, ძიება უკუნითი უკუნისამდე და თანდათან გაუმჯობესება ადამიანთა ურთიერთობისა და ამ წუთი სოფლის სასიცოცხლო პირობებისა!..

ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს: დავაცადოთ ერთმანეთს ამ ქვეყნად სიცოცხლე! – იცოცხლე და მაცოცხლე!.. მეორეჯერ როდიღა დავიბადები!.. პრასი ხო არა ვარ, დამთესო და ისევ ამოვიდეო!.. მაგრამ უფლება სხვა ყოფილა და სინამდვილე კიდევ სხვა!.. საშინელი და საზიზღარია ერთმანეთზე ძალ-

მომრეობა!.. ურთიერთობაში თაღლითობა, ღალატი, ინტრიგანობა – თეთრი კბილი და შავი გული!..

ოჰ, ღმერთო! ძალაუნებურად ამოიგმინებს დაქანცული და ცხოვრებაში დატანჯული ადამიანი! ძალ-მომრეობით და უსამართლობით გულგადალეული!.. ის უხილავ ძალას შესთხოვს შველას!.. ღებულობს თუ არა ის ამ „შველას“ ისგან, ეგ სუბიექტიური საკითხია!.. მეტის-მეტი, გაშიშვლებული „ობიექტიობაც“ როდი ყოფილა კარგი ან მარგი!.. ადამიანის ბუნება რთულია, ის მრავალ ყვავილოვან თაიგულს მოგაგონებს! ამ ყვავილებში ზოგი არომატიანია, ზოგი უსუნო, ზოგი მყრალიც იყოს შეიძლება, მაგრამ საერთოდ ყველა სასიამო საყნოსავიცაა და ლამაზიც!.. ეს უნდა არ დაივიწყოს სოციოლოგ-პოლიტიკოსმა, რომელსაც სურს დაეხმაროს კაცობრიობას ცხოვრების ახალ-ახალი ფორმების გამოძებნაში და შექმნაში!... უკიდურესობანი როდია სასურველი! ვინაიდან ერთი უკიდურესობა მუდამ იწვევს მეორე უკიდურესობას და ამ უკიდურესობათა შეხეთქებაში ადამიანთა საზოგადოებას ბევრი ძალ-ღონე-ენერგია ეკარგება ფუჭად და იტანჯება ტყვილა უბრალოდ, უგუნურად!..

მაგრამ... ეგ სად გადავსტოპე!.. მარტოდ ვარ და შევსტოპე!.. გამიტაცა ოცნებამ.

დეკ. ნესტორ მაჭარაშვილი (ნეკროლოგის მაგიერი)

ეგ ნესტორ მაჭარაშვილი იყო ღვდლად „მამა დავითში“! ტფილისის სემინარია ჰქონდა დასრულებული! არ იყო რაიმე ნიჭით დაჯილდოებული! შემოსილი იყო ხშირი თეთრი გრძელი თმითა და წვერ-ულვაშით! ექსარხოსების დროს და ბოლო დროსაც სულ „ბლაღოჩინი“ იყო! ტკბილად და წყნარად მოუბარი, შემპარავი კილოთი და ხმით, თუმცა სცდილობდა თავი გულ-უბრყვილო „ტეტიათ“ მოეჩვენებია! აგრე მოაჩვენა კიდეც მან თავი ექსარხოსებს! ერთმა მათგანმა – ინოკენტიმ, მას უწოდა მეტ-სახელად „ბოროდა“! ესე იგი „წვერა“! ჭკუა წვერებში წასვლიაო!.. მაგრამ ასეთ „უჭკუობის“ ფირმის ქვეშა მამა ნესტორმა გაატარა თავისი ცხოვრება სიტკბო-სიამეში! მან მიაღწია 75 წლამდე! ორი ცოლი ჰყავდა – ერთი „კანონიერი“ შვილებით, მეორე „უკანონო“ საყვარელის – „კნიაჟნად“ წოდებული, ვინმე თარხნიშვილის ქალი – ერთი შავტუხა-ჯოჯო! მიუხედავად ამისა, ნესტორი ყოველ დღე ორ „პროვიზიას“ ყიდულობდა! ჩამოვიდოდა საბრალო მამა დავითის დაღმართით ბაზარში, დაიტვირთებოდა სანოვაგით კალათებში, ერთს მთის ძირში „კნიაჟნას“ დაუტოებდა, მეორეს კი ზევით, ოჯახში მიიტანდა!.. იყო წყნარად და ტკბილად მამა ნესტორი! შვილები დაზარდა, ქალები დაათხოვა, ვაჟები დააქორწინა უნცროსის გარდა. მაგრამ „სიბრძნის ჟამი“ გაუმწარდა: ჯერ იყო და 1924 წლის გამოსვლების დროს მოხდა სურამში, აქ დააპატიმრეს, როგორც მღვდელი, გაგზავნეს და ჩასვეს გორის ციხეში; აქ ძლივს-ძლიობით გადარჩა დახვრეტას; მისი ძმა – ისიც ღვდელი, ციხეშივე გაგიჟდა გორში და იქ გარდაიცვალა; ნესტორი გორიდან გადმოგზავნეს

ტფილისში, აქაც რამოდენიმე თვე იჯდა მეტეხში, კათალიკოს ამბროსისთან და მის კომპანიასთან, როდესაც ესენი 1924 წლის მარტში გასამართლების შემდეგ კიდევ განაგრძობდენ პატიმრობას; შემდეგ ყველანი ერთად გაანთავისუფლეს ციხიდან და გმირებად მოჰქონდათ თავი!

ამ სამი-ოთხი თვის წინეთ ნესტორი ისევ მოხვდა ჩეკაში! ყველას გაგვიკვირდა ეს მისი პატიმრობა! რატომ?! რისთვის?! ეკითხებოდა ერთი მეორეს ამ თაობაზე! დაპატიმრებამდე ხშირად ვხედავდი „მამა ნესტორს“ პუშკინის ქუჩაზე ძეგველიშვილის ყოფილი თევზის მაღაზიის წინ! აქ ის ათვალიერებდა გარედან მაღაზიის დახლზე დალაგებულ ნაირ-ნაირ თევზეულობას – ზუთხს, „ჟიდკა-ხიზილალას“, ზურგიელებს თუ სხვა ნედლს თუ ძველ-გამოსულ დოშებს. შემდეგ წყნარად შევიდოდა მაღაზიაში და ივაჭრებდა, გადმოალაგებიებდა ამ თევზეულობას, დაიტვირთებოდა კარგად და გაუდგებოდა სახლისაკენ, შეუდგებოდა მამა დავითის აღმართს! თან ულვაშები უცმაცუნებდენ, თევზეულის გემო უღიტინებდა მას, გრძელი თეთრი წვერი კი წინ მიეფინებოდა, უკნიდან მხარზე დასცემდა თეთრივე ფაფარი თმისა!

„მამა ნესტორი“ კაი ხანია გამოსახლებული იყო მამა დავითის საეკლესიო სახლებიდან! ეგ სახლები მთავრობამ მას ჩამოართვა და შიგ რუსი მწერლის გრიბოედოვის „მუზეუმი“ გამართა. მამა ნესტორი მამა დავითის დაღმართზე – შუა წელზე დასახლდა სიძის – სილიკაშვილის ბინაზე, სიძე და ქალთან! მეორე ღვდელი კი – ვინმე ელისაბედაშვილი, ერთხანს თავს აფარებდა მამა დავითის სამრეკლოს ქვეშე და რო ვეღარ გაუძლო იქ ცხოვრებას შვილებით, თან საჭმელი პურიც გაუჭირდა, ამანაც ღვდლობას თავი ანება და გაერისკაცდა, სადღაც თავი შეაფარა მოსამსახურედ!.. დარჩა მამა ნესტორი მარტოდ მამა დავითში! აქ ის „ხუთშაბათობას“ ასრულებდა ისე, როგორც დიდუბეში სრულდებოდა „ორშაბათობა“! ამოდიან ხოლმე მამადავითში „ჭეშმარიტ რუსთა“ შავი რაზმის ნამსხვრევები, დეკ. სერგი გოროდცევის მიერ გაწვრთნილი რუსი ვესტალკის კლიკუშა დედაკაცები და „ხუთშაბათობენ“, დიდუბეში კი „ორშაბათობენ“! ნესტორიცა და დიდუბის წინამძღვარი დეკ. იოსებ მირიანოვიც „უპარუსკებენ“ – არა მხოლოდ „პარაკლისებს“, არამედ მთელ წირვა-ლოცვასაც სლავიანურად ასრულებენ! და იღებენ „შემოსავალს“, დიდუბეში უფრო მეტი რაოდენობით – სანთლის ოპერაციებიდან თუ პარაკლისებიდან, მამა დავითში კი უფრო ნაკლებად, ვინაიდან მამა დავითის იმ აღმართზე ასვლა სჭირს, დიდუბეში კი ზედ ტრამვაი ადგება.

ამიტომ მიკვირდა და ხშირად გამომითქვამს ჩემს სახლში ეს გაკვირვება – თუ საიდან ან რა წყაროდან „თევზაობდა“ აგრე რიგად ჩვენი „ბოროდა“ ნესტორი იმ თევზის მაღაზიაში! ჩვენ ყოველ დღიური ლუკმა გაგვჭირებია, ძლივს ვიბრუნებთ სულს ამ სიძვირეში, ის კი სუფთად, ლამაზად, ახალ-ახალ ბინიშ-ანაფორით, გაწკრიალებული შლიაპებში და წაღებში დაფრიალებდა და ამ ძვირფას ჟიდკა-ხიზილალით და თევზეულით პირს იგემრიელებდა! მამა დავითი, ცხადია, ვერ მისცემდა ამის სახსარსა და საშვალებას!

მაგრამ, ნათქვამია, „არა არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადდესო“! აგრე მოხდა „ბოროდა“-ნესტორის ცხოვრებაშიაც!

მამა ნესტორის უნცროსმა შვილმა – 20–22 წლის ახალგაზრდამ გაიტანა

თურმე ოჯახიდან ოქრო-ვეცხლის ნივთები, ძვირფასი ბეჭდები თუ ბრილიანტები, როგორც თავისი დედისა, ისე – დისა – სილიკაშვილის ცოლისა, ფულებიც ბლომად ჩაუბღუჯია და სადღაც მიეფარა თვალთაგან! გავრცელდა ხმა, რომ ის ყმაწვილი არა ლეგალურად საზღვარ-გარედ გაიპარა სასწავლათო! ვიფიქრეთ, რომ „სწავლის წყურვილმა“ ჩაადენია ახალგაზრდას ეს საქციელი და დავმშვიდდით! მაგრამ კაი ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ის სადღაც რუსეთში გაპარულა, იქ წაღებული ნივთები თუ ფული გაუფლანგია და შემდეგ „სინანულის“ წერილი მოუწერია დისათვის – სილიკაშვილის ცოლისათვის! ამ უკანასკნელსაც მიუწერია ძმისათვის ბარათი – „არ დაიძრა ადგილიდან, არ გამოჩნდე ტფილისში, მთავრობა გითვალ-თვალებს და ჩავარდებიო!.. მაგრამ ამ წერილის შინაარსი არ დარჩენილა „საიდუმლოდ“, ვისაც ჯერ უჩნდა! „ბოროდას“ წერილსაც ასეთი ბედი სწვევია და მალე „ბოროდაც“, მისი ქალი, ერთი ვაჟიც – ცოლ-შვილიანი, საბჭოთა მოსამსახურე და თვით სიძეც – სილიკაშვილი დაუჭერია ჩეკას და ჩაუყრიათ სარდაფში! აქ აიხსნა ფართო ცხოვრების წყარო, რომელსაც მისდევდა ეს „კამპანია“! სილიკაშვილი მსახურებდა საქ. სახალხო კომისარიატში – ფინანსიური ნაწილის გამგეთ! მისს ხელში დიდი თანხები ტრიალებდა თურმე. ეგ სილიკაშვილი იყო ეროვნებით უდინი. ამ ორიოდე-სამი წლის წინეთ მთავრობამ გადმოასახლა კახეთში ამ გადაშენებული ძველი ერის ნაშთი – და კახეთში გაშენდა მათი სოფლები! ამ საქმეზე კაი ძალი თანხები იყო გადადებული! ამ საქმესაც თავში მოექცა იგივე „ფინანსისტი“ სილიკაშვილი, რომელმაც „დაასახლა“ თავისი თანამემამულენი კახეთში, მაგრამ თვითონაც კაი დიდ თანხას მოუყარა თურმე თავი! იყიდა თავისთვის სახლები, მოეწყო „აღმოსავლეთის“ გემოვნებაზე – ნოხ-ფარდაგებში და ფუფუნებაში მოაწყო საცხოვრებელი სახლი! გაიჩინა თურმე საყვარელიც, ამასაც საკუთარი სახლები უყიდა, მოურთო და მოუწყო, დედოფალივით აცხოვრებდა! ასევე დედოფალივით აცხოვრებდა ის „კანონიერ“ ცოლსაც – ნესტორის ქალს, თვით ნესტორს, მის ფოფოდიას, ძმას – ცოლ-შვილით! მისი ცოლი „კანონიერი“ დღეში რამოდენიმეჯერ სხვა და სხვა ტანისამოსის ფერად იღებავდა თურმე თმას, ამავ ფერის საუკეთესო ეტლსა და ცხენებს აიყვანდა – აივლიდა და ჩაივლიდა რუსთველის პროსპექტით!.. ყოველივე ამას ბეჯითად თვალ-ყურს ადევნებდა „ჩეკა“ და ზემო აღნიშნული მიწერ-მოწერის კვალზე ფარდა აეხადა სილიკაშვილის „ფინანსისტობასა“ და მისს მიერ შეძენილ „სიმდიდრესა“ და „დოვლათს“, რომელშიდაც ფარფაშებდა ჩვენი „ბოროდაც“!..

ეს 15 დღე არც კი იქნება, გავრცელდა ქალაქში ხმა, რომ „ბოროდას, მის ვაჟსა და სიძეს“ თავზე რაღაც უბედურებაო! მათთვის მიტანილ საჭმელებს – საპატიმროში მიტანილს, მათზე გადასაცემად, აღარ ღებულობენო!..

გავრცელდა ხმა – „ბოროდას“ გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი – დახვრეტაო! აღძრეს შუამდგომლობა მოსკოვის წინაშე, დახვრეტა შეეცვალოს მოხუცს 10 წლის ციხეში დაპატიმრებითო!.. თითქოს შეიწყნარეს ასეთი შუამდგომლობაო! ეხლა თვით კათალიკოზი ქრისტეფორეც გამოესარჩლა „ბოროდას“, აღძრა შუამდგომლობა ადგილობრივი უზენაესი მთავრობის წინაშე – მაჩუქეთ ეგ მოხუცი მღვდელი, გაანთავისუფლეთო!...

გავრცელდა მალე ისევ ხმა, რომ ოჯახს მიუვიდა სახლში, დაპატიმრებულ-

თა ტანისამოსები და ლოგინიცო!.. ზედ მოჰყვა ნამდვილი ხმა, რომ „ბოროდა“, მისი სიძე და ვაჟი – სამთავენი დახვრიტესო! სილიკაშვილის საყვარელს ყველაფერი ჩამოართვეს და სადღაც გადაასახლესო, აგრეთვე ჩამოართვეს ყველაფერი მის ცოლსაც და განადგურდა მთელი ეს თბილი კომპანიის „ბუდე“!.. გამოირკვა, სილიკაშვილს დიდ ძალი ფული გაეფლანგა სახკომსაბჭოში!

აგრე დაასრულა საბრალო „ბოროდამ“ თავის სიცოცხლე! ლოცულობდა კი ის რუსულად თუ ქართულად: „ქრისტიანობითნი აღსასრული ცხოვრებისა ჩვენისანნი, უჭირველნი, ურცხვენელნი მშვიდობიანი და კეთილი სიტყვის გება წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა (უფლისა მიმართ) ვითხოვოთო“! ესეც „უჭირველნი“ და „ურცხვენელნი“!.. ნიშნის მოგებით არ მომდის და მაგონდება ბრძნული ანდაზა – „ეშმაკის მუშა, ღმერთმა დაფუშაო“! ჭეშმარიტად თქმულა! ტკბილი ნესტორი, ეგ ექსარხოსებისა და შემდეგ ლეონიდ-ამბროსი-ქრისტეფორე კათალიკოსების უერთგულესი „ბლაღოჩინი“ – ხოლო შემდეგ „მთავარ-ხუცესი“ ქალაქის სამღვდელოებისა, აგრე „დაიფუშა“! „დაიფუშა“ მასზე წინ მისი ბატონ-პატრონები – ჯერ ექსარხოსები, შემდეგ კათალიკოსები ჩვენნი! დაიფუშა და წაიქცა დიდი, ძველის-ძველი, ნაამაგდარი ორგანიზაცია – ეკლესიაც! ამ ორგანიზაციის ძირი სავსებით გამოლპობოდა, ის გახრწნილია, გადაგვარებულა, მასში ის ძველი, ცხოველ მყოფელი სული ჩამქრალა, ხალხი – ეს თვით ეკლესია – გადარჯულებულა და ეკლესიას შერჩენოდა მხოლოდ ჩვენი „ბოროდას“ ტიპის მწყემსთმთავრები, „მთავარ-ხუცესები“, დეკანოზები, ღვდლები და დიაკვნები, რომელთაც ეკლესია გაეხადათ თავიანთ საცხოვრებელ-საარსებო წყაროდ! დაჟანგული, გაბოლილი – წლობითა და ათწლობით გაუხეხავი საცეცხლურების წარა-მარა ქნევით, სულთათანას გალობით გარს უვლიდენ მიცვალებულთა ცხედრებსა თუ საფლავებს!.. ვერ კი გრძნობდენ, რომ თვით „ცოცხალ ლეშებად“ღა გადაქცეულიყვნენ! დიდი ხანია დაშორებოდენ ისინი ქრისტესა და მისს მოძღვრებას ანდა – უკეთ რო ვსთქვათ – დიდი ხანია განშორებოდა ამათ ქრისტე!..

ეგ აზრი და დაჩივლება ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ გამოუცხადებია წინეთ – სინოდალურ პერიოდში, როდესაც თვით ღვდლობდა, გამოუცხადებია მას მის მიერვე ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილ საქართველოს ეკლესიის მესვეურ კათოლიკოსების ხანაშიც! პირველ ხანაში მას სდევნიდენ ამისათვის სასულიერო სემინარიის, ეპარქიალურ სასწავლებლის პედ-საბჭოებში, სდევნიდენ მას დიდუბეში მღვდლობის დროს, საიდანაც ის დიდის მიხლა-მოხლის შემდეგ 1912 წელს – ჩვენივე თანამოძმეების შეგონებით – შურით-გესლით-აღსავსეთა შეგონებით და ბეზღაობით გადმოაგდეს „მკვდარ“ ანჩისხატის სამრევლოში! მისს ცოცხალ ადგილზე კი დაჯდა ბოდბის დედათა მონასტრების – რუს იღუმენიებისა და მოლოზნების საკმარისად ცნობილი რაინდი – დეკ. იოსებ მირიანოვი, ეხლა მირიანაშვილად გადაკეთებული, ეხლაც კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ საკათალიკოსო სინოდში – ამ „უზენაესი“ დაწესებულების წევრად მე-V საეკლესიო კრების საშვალებით მოწვეული, ნაცვლად დამსახურებული დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილისა, რომელიც „უხმოდ“ გამოსტოვა ქრ-ფორემ სინოდის წევრთა სიიდან! – და რომ შემდეგ უსაყვედურეს მას ხახუტაშვილის ეგზომ გაბიაბრუება და როგორმე ასეთი შთაბეჭდილების შენელება,

აგრე ცინიკურად შენიშნა თურმე: „ერთი მითხარით, ღვთის გულისათვის, რა გაგვიკეთა თქვენმა ნაქებმა დეკ. ხახუტაშვილმაო“!.. აგრე ცოცხლად დაასამარა ქრ-ფორემ შედარებით რიგიანი სამღვდელო პირი და გარს არტყია ძველი და ახალი დროის ნაჯაშუშარი თუ ჯაშუში მწიგნობარ-ფარისეველნი!.. ერთ-ერთი ასეთი გვამი იყო ან აგრე უცნაურად დაღუპული „ბოროდა“-ნესტორიც!.. მართლდება ჩემი „წინასწარმეტყველება“ – „ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო“!.. ეს თქმულება პირში ვახალე ამ სტრიქონების დამწერმა აწ განსვენებულ კათალიკოსს ამბროსის – მისს დარბაზში, საჯარო კრებაზე, ტფ. სამღვდელოებისა და ერისკაცთაგან მოწვეულზე, როდესაც კრებაზე დაისვა თავის მომჭრელი მოვლენის გარკვევა – თუ როგორ და ვის გამო მოხდა „სურამის ციხის“ კინოფილმაში ტფილისის მთელი სამღვდელოების შესამოსლებში – წყლის კურთხევის დროს – ბოტანიკურ-ბაღში – თათრების სასაფლაოს გვერდით – გადაღება! როდესაც ამ სურათში მონაწილეთ დაურიგდათ სასყიდლად – თითოს 500 ათასი მანეთი ბონებით (1922 წელში). გამოვააშკარავე ეს ამბავი, ვამხილე კათალიკოსის დამქაშების ქრისტეს გამყიდველობა – იუდისებური საქციელი დეკკ. თოთიბაძე-ცინცაძე-ლაზარიშვილისა; ესენი ეხლაც „მოღვაწეობენ“ საეკლესიო ასპარეზზე!.. კათალიკოსს ამბროსის ვამხილე მისი უსაქციელობაც, ამან დართო ნება – ტფ. სამღვდელოება 1 აგვისტოს წყლის საკურთხებლად წასულიყო ბოტანიკურ ბაღში და იქ სურათი გადაეღოთ „სურამის ციხისათვის“, სადაც სამღვდელოება და მისი სჯული გამასხარებული და მიწასთან გასწორებულია! მაშინ მოვახსენე კათალიკოს ამბროსის – „ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშა“თქო! და მის შემდეგ ირონიულად დამცინოდა ისა და მისი დამქაშები, მომაგონებდა: „ეშმაკის მუშა, ღმერთმა დაფუშა“! თან დაუმატებდა: „ენა-წყლიანი, თავქარიანიო“!.. დააღიღინებდენ თოთიბაძე-ცინცაძეც!.. მაგრამ „იფუშება“ და დაიფუშა კიდეც ამათი ნამუშევარიცა და ძველიცა!.. ბოლოს მეც თავიდან მომაგდებინეს, უცნობი „მოციქულები“ მომიგზავნეს – „გასწორდი, თორემ მოგკლავთო“!.. მეც განვშორდი!.. სამწუხაროდ, დამიგვიანდა ეგ „განშორება“! მე უნდა განვშორებოდი ამ „ხროვას“, კირიონ კათალიკოსი რო დავასაფლავეთ (1918 წლის 7 ივლისი), იმ კვირაში!.. მოვსტყუვდი... დავრჩი, სანამ არ გამაპანჩურეს – 1924 წლის 2 ივლისის ინციდენტით – „ურწმუნო მოციქულების“ მოგზავნით „მორწმუნე საზოგადოებიდან“ ჩემთან – „მოგკლავთო“ – ასეთი ლოზუნგით! ვაი, სირცხვილო! ტყვილა როდი ყოფილა ნათქვამი – „რომელმაც აღიღოს მახვილი, მახვილითვე მოსწყდესო“!.. საბრალო „ბარადა“-ნესტორ! შენც ამათ კამპანიაში იყავი, შენც დაიღუპე უცნაურად,[1] 75 მოხუცი! საშინელებაა!.. მაინც მეცოდები,

1. შენიშვნა: ნესტორის სიძეს – სილიკაშვილს – ნაძარცვი ფულით უყიდია სახლები და თავისი სიმამრის სახელზე დაუწერია! გამოდის, რომ დეკანოზი ნესტორი თანამოზიარე გამხდარა თავისი სიძის – სილიკაშვილის ბოროტმოქმედებაში! არამც თუ დაფარა „ბოროდამ“ ეგ ბოროტება თავის ანაფორის კალთებ ქვეშ, არამედ ხელი შეუწყო კიდეც ამ ბოროტების ჩადენას!.. აი, ეს ბრალდება ჰქონებია მას წაყენებული და სამარცხვინოდ ამხილეს კიდეც – „მოძღვარს“ – ასეთი მოქმედება! მეორე სახლი, საყვარლის სახელზე ყოფილა! ესეც იცოდა „ბოროდამ“! ამასაც ურიგდებოდა!.. ისევ სირცხვილი!

გულწრფელად მეცოდები!.. შენი საფლავიც კი დაკარგულია შენიანებისათვის! მეტად საგულისხმოა, რაც მოუვიდა და კიდევ უმეტესი მოელის „ასეთ ეკლესიას“ და მისს მსახურთ!.. კმარა!.. სიტყვა გამიგრძელდა!..

2 დეკემბერი – სამშაბათი – 1930 წელი
მოსკოვის პროცესი

გრძელდება „მავნებელთა“ პროცესი მოსკოვში. დღევანდელ გაზეთ „კომუნისტის №282-ში მოთავსებულია ექვს ბრალდებულთა სურათი: ესენი არიან: 1) რამზინი, 2) კალინიკოვი, 3) ლარიჩევი, 4) ფედოტოვი, 5) კუპრიანოვი, 6) სიტნინი. აქვეა – სურათი პროკურორი კრილენკოსი. ვრცელი ანგარიში დაკითხვისა. ერთსა და იმავე ბრალდებულს რამოდენიმეჯერ ართმევენ ჩვენებას...

მომყავს გაზეთ კომუნისტიდან ზოგიერთი საგულისხმო ნაწყვეტები: ...„პროკურორის შუამდგომლობით სასამართლომ დაადგინა – დაურთოს საქმეს თეთრგვარდიელთა გაზეთის „ვოზროჟდენიეს“ ნომერი (მიმდინარე წლის 7 ივნისისა, ალბად პარიზში გამოდის ეგ გაზეთი), რომელშიაც მოთავსებულია რიაბუშინსკის (ემიგრანტი -კაპიტალისტია პარიზში – რუსეთიდან ლტოლვილი) წერილი მოწოდებით – დაწყებულ იქნას „სამართლიანი ომი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია: „არის უაზრო, მავნე, გამანადგურებელი ომები და არის სასარგებლო, გონიერი და ამაღორძინებელი ომები“. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიაკუთნებს რიაბუშინსკი ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „როგორ ავაცილოთ ბოლშევიკური იარა“, – ეკითხება თავის თავს რიაბუშინსკი და იქვე იძლევა პასუხს: „1920–25 წლებში სპეციალისტები კისრულობდენ ამგვარი ოპერაციის განხორციელებას ერთი მილიონი კაცისაგან შემდგარი არმიით. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების მექანიზმი ძლიერ შეირყა... ალბად 500 ათასი კაცი და 3-4 თვე იქნება საკმაო ამ ოპერაციისათვის“ (სიცილი დარბაზში). „არ არის დედამიწაზე ისეთი საქმე, რომელიც რუსეთის განთავისუფლებაზე მომგებიანი იყოს, – სწერს პოლიტიკის ეს კომერსანტი, – ერთი მილიარდი მანეთის დახარჯვით კაცობრიობა მიიღებს, სულ ცოტა, 5 მილიარდი მანეთის შემოსავალს, ე. ი. წლიურად 500 პროცენტს. ამას დაერთვება მოგების ყოველწლიურად გადიდება 100–120 პროცენტით“, – ამბობს სიხარულისაგან აღტაცებაში მოსული რიაბუშინსკი (საერთო სიცილი)“.

ამავ პროკურორის მოთხოვნით სასამართლოს საქმეს დაერთო „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის“ (ეს პარიზშია – რუსეთიდან ლტოვილი კაპიტალისტებიდან შესდგება, – შევნიშნავ მე, – ეს „კომიტეტი“ იყო შუამავალი „სამრეწველო პარტიისა“ და საფრანგეთის მთავრობისა თუ გენშტაბთან) იმ ოფიციალური დეკლარაციის ტექსტი, რომელიც ვარშავის თეთრგვარდიელთა გაზეთ „ზა სვობოდუ“-ში დაიბეჭდა. ამ დეკლარაციაში ნათქვამია: „ვინაიდან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის „იზვესტიაში“ 1930 წლის 11 ნოემბერს დაიბეჭდა საბრალმდებლო დასკვნა ინჟენერთა ორგანიზაციის

(„სამრეწველო პარტია“) საქმის გამო, სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო კავშირის კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს შემდეგი: საბრალმდებლო დასკვნა ამტკიცებს, ვითომ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო კავშირს ურთიერთობა აქვს რუსეთის ეგრედწოდებულ ინჟენერთა ორგანიზაციების კავშირთან („სამრეწველო პარტია“), ვითომ იგი სუბსიდიებს აწვდიდა ბრალდებულებს, ვითომ იგი აწყობდა ბრალდებულთა საერთო მუშაობას საფრანგეთის გენერალურ შტაბთან და ამზადებდა უცხოეთის ინტერვენციას. ყველა ეს განცხადებები შეთხზულია. რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო კავშირს არასოდეს არავითარი მოლაპარაკება ბრალდებულებთან არ ჰქონია, არასოდეს არავითარი შეხვედრა არავისთან არ მოუწყვია, არასოდეს არავითარი ფულადი სუბსიდია მათთვის არ მიუცია და საერთოდ არასოდეს არავითარი ურთიერთობა მათთან არ ჰქონია. ეს ბრალდებანი ეყრდნობა ვითომ ბრალდებულთა საკუთარ ჩვენებებს. ასეთი ჩვენება ან შეთხზეს გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს აგენტებმა ან წამებით დააცდენიეს ბრალდებულებს. საბჭოთა ხელისუფლებისთვის საჭიროა აუხსნას თავისი გიჟური სამეურნეო გეგმების ჩაშლა მის მიერ მოტყუებულ რუსეთის ხალხს და გაამართლოს ეს ჩაშლა უცხოეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრეების თვალში. ამ მიზნებისათვის შეთხზეს ეს საშინელი პროცესი, ამ მიზნებისათვის გასწირეს მკვლელებმა სასიკვდილოდ რამდენიმე ათი უდანაშაულო ადამიანი. რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო კავშირი გადამჭრელ პროტესტს აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების ცრუ განცხადებათა წინააღმდეგ, რომლებითაც იგი სცდილობს გაამართლოს მისთვის არასასურველ მოღვაწეთა მასიური ჟლეტა. ეს მხეცობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების უიმედო მდგომარეობას მოწმობს. როგორც სავაჭრო-სამრეწველო კლასის ცენტრალური ორგანიზაცია უცხოეთში, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო კავშირი განაგრძობს დაუღალავ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, განუმარტავს კულტურული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს რუსეთის ამბების ჭეშმარიტ ხასიათს და მოამზადებს სამშობლოს მომავალ აღდგენას თავისუფლებისა და უფლების საფუძველზე.

ამ განცხადებას ხელს აწერენ თავმჯდომარე დენისოვი, ლიუბიმოვიჩი, ლიანოზოვი, იზნარი და ტრეტიაკოვი.

სახელმწიფო ბრალმდებელი სთხოვს სასამართლოს, მოისმინოს ბრალდებულთა განცხადებები მათი დამოკიდებულების შესახებ „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის“ „მიმართვისადმი“. სასამართლოს მაგიდასთან სათითაოდ მიდიან ბრალდებულნი:

„მე ამ პროცესზე უარი ვთქვი დამცველის აყვანაზე და მით უმეტეს უარს ვამბობ იმ დაცვაზე, რომელიც „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტმა“ თავისი გამოსვლით შემოგვთავაზა“, – ამბობს რამზინი და შემდეგ განაგრძობს: „ყველა ის ცნობები, რომლებიც ჩვენ აქ წარმოვადგინეთ „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან“ და საფრანგეთის გენერალურ შტაბთან კავშირის დამყარების შესახებ, ჭეშმარიტებას შეეფერება. რაც შეეხება იმას, ვითომ ჩვენ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოში გვაწამებდენ, ჩვენი სასამართლოში

ყოფნა და ჩვენი გარეგნობა საუკეთესოდ ამტკიცებს „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის“ განცხადების სიცრუეს“.

რამზინის ასეთ განცხადებას იზიარებენ ლარიჩევი, ფედოტოვი, კუპრიანოვი, ჩარნოვსკი, ოჩკინი და სიტნინი.

ამ ამონაწერებს კომენტარიები აღარ სჭირდება, ცხადია, რომ „ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს“ ამ პროცესში! თითქოს აგრე გამოდის! მეტად საგულისხმოა ყოველივე ესე! ხდება სხვა და სხვა გვარი „სენსაციური გამომჟღავნება“ პუანკარესთან მოლაპარაკების შესახებ, საფრანგ. გენშტაბთან თათბირების მოწყობის შესახებ, ამას აჩვენებენ „დამატებით“ რამზინი, ფედოტოვი. ეს უკანასკნელი დასძენს იმასაც, რომ „მომავალი მთავრობის მინისტრთა სიაში „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტმა“ შეიტანა გილიუკოვი, როგორც რუსული ემიგრაციის „მემარცხენე“ ნაწილის წარმომადგენელი. ამაში ფედოტოვი ხედავს ყველა ემიგრანტიული ძალების და თვით საფრანგეთის მმართველი წრეების კონსოლიდაციას. მოხდა ძალთა გაერთიანება, რაც წინეთ ვერ ხერხდებოდა. ეს გახდა საფრანგეთის მმართველი წრეების გავლენითო“...

საგულისხმოა ისიც, რომ პარიზში პრესა ინდიფერენტულად ხვდება ამ პროცესსო, აგრეთვე ვარშავაშიცო! გაზეთები არც კი ათავსებენ პროცესის ანგარიშებსო! – სწერია ჩვენს გაზეთებში. ვნახოთ, როგორ ამოიწურება ეგ გრანდიოზული პროცესი, რომელიც საუკეთესო სააგიტაციო მასალას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში.

9 დეკემბერი – სამშაბათი. 1930 წელი ისევ მოსკოვის „პროცესსზე“

ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, ბრალმდებელმა კრილენკომ შესანიშნავი ანალიზი გაუკეთა მათ ჩვენებას. დაახასიათა ისინი, როგორც ჯერ უჩნდა და მოითხოვა ხუთი მათგანის დახვრეტა: 1) რამზინისა, 2) ჩარნოვსკისა, 3) კალინიკოვისა, 4) ლარიჩევისა და 5) ფედოტოვისა; ხოლო 1) ოჩკინს, 2) სიტნინსა და კუპრიანოვს – ათ-ათი წლით დაპატიმრება, ქონების კონფისკაცია და სასტიკი იზოლიაცია. ჩვენების ჩამორთმევის დროს, გამოწვეული იქნა „ცაკის“ წევრი – პროფესორი ოსადჩი, რომელიც მალე ბრალდებულთა სკამზე დასვეს, ეს „მოწმეც“ – მავნებელთა ბელადების ჯგუფისა ყოფილა. ამისი საქმე ცალკე გამოჰყვეს, ალბად მას ცალკე გაასამართლებენ! საკვირველი ის არის, რომ ეგ ოსადჩი დიდი ნდობით ყოფილა მოსილი ხელისუფლების მიერ! ის შარშანწინ გამოყვანილი იყო დონბასის პროცესზე – „შახტელების“ გასამართლებაზე საზოგადო ბრალმდებლად. ის თავისი საბრალმდებლო სიტყვის დასასრულს სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბრალდებულთ და მოითხოვდა მათ შეუბრალებელ დასჯას. ეხლა კი თავისი სიტყვის ბოლო ცრემლებით დაალტო! მოითხოვდა პატიებას... პროლეტარიატისაგან!..

კრილენკოს სიტყვის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ, ხანგრძლივი თათ-

ბირის შემდეგ, სავსებით გაიზიარა მისი აზრი, კრილენკო მოითხოვდა სუყველას დახვრეტას, სასამართლომ კი 5-ს მიუსაჯა დახვრეტა, სამს კი ათ-ათი წლის დაპატიმრება. თან გამოცხადებული იყო 7 დეკემბრის გაზეთებში, რომ ეს განაჩენი უკანასკნელია და მისი გასაჩივრება შეუძლებელიო! სულ ყველას ეგონა, რომ, ეს არის – მორჩა, დახვრიტეს კიდეც ის 5 კაციო! მაგრამ, როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც დღევანდელმა გაზეთებმა გვაცნობეს, რომ საკავშირო ცეკამ მიიღო შუამდგომლობაო (ალბად დამცველებმა აღძრეს მის წინაშე ასეთი შუამდგომლობა) და დასახვრეტ აღნიშნულ 5 პირს უმაღლესი სასჯელი შეეცვალა – ათ-ათი წლის დაპატიმრებით და ქონების კონფისკაციით, ხოლო სამს – 10-10 წელი დაუყვანეს 8-8 წლის დაპატიმრებაზე ქონების კონფისკაციით. ცაკი ასაბუთებს სასჯელის ასეთ შემსუბუქებას მით, რომ – ბრალდებულებმა გულწრფელად შეინანეს თავიანთი დანაშაული, თვითგანიარაღდენ ყოველივე მავნებლობისაგან, განაიარაღეს თავიანთი ჩვენებებით ინტერვენტების მთელი ნამუშევარიო, საბჭოთა ხელისუფლება შურს არ იძიებს ამ სახით განიარაღებულ მავნებლებზეო![1]

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე ამ აქტმა! უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ის ევროპის საზოგადოებრივ აზრზე! ვნახოთ, რა ცნობებს მოგვაწოდებენ ამ თაობაზე!

10 დეკემბერი. 1930 წელი. ოთხშაბათი
ნოე რამიშვილის მოკვლა

დღევანდელმა გაზეთებმა გვაუწყეს გავასის სააგენტოს ცნობა პარიზიდან, რომ იქ 8 ამ თვეს მოუკლავთ საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მკლელმა განაცხადა, რომ ეს აქტი მან ჩაიდინა არაპოლიტიკურ ნიადაგზე, არამედ პირადი მტრული განწყობილებით მოკლულისადმიო. ვინ არის მკვლელი, ჯერ არ ვიცი. ამბობენ, ვიღაც ლატიში არისო!..

ამ რამდენიმე წლის წინეთ სამართებელით ყელი გამოიჭრა მენშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა – კარლო ჩხეიძემ. ეხლა მოჰკლეს მეორე ლიდერი – ნ. რამიშვილი, კაცი მეტად ენერგიული, ფხიზელი, დაუდეგარი მებრძოლი, აქტიური ცოცხალი ძალა მენშევიკებისა! ეს დიდი თავზარია მენშევიკური ემიგრაციისათვის; რამიშვილის აგრე დაღუპვა მეტად მნიშვნელოვანი აქტია, პარიზში ეს აქტი გამოიწვევს ერთ აურ-ზაურს და მიხლა-მოხლას.

რამიშვილს ადარებდენ თავისი ენერგიით და პოლიტიკური ტაქტით რუსეთის ცნობილ პრემიერ-მინისტრს – სტოლიპინს; ნოეს – ქართველების „სტოლიპინს“ ეძახდენ!.. სტოლიპინიც მოკლული იქნა კიევში...

მქონდა პირადი შეტაკება ნოე რამიშვილთან მეც – 1918 წელში – ივლისში, როდესაც ანჩისხატის ტაძარში მესვენა მარტყოფის მონასტერში უცნაურად

---

1. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აგერ ახლა 48 კაცი დახვრიტეს მოსკოვ-ლენინგრადში აღმოჩენილი „კონტრ-რევოლიუციონერები“...

ტყვიით გულგანგმირული კათალიკოზი კირიონ II; როდესაც მისი მკვლელობის ამბავი გავრცელდა ტფილისში, სანამ მას გადმოასვენებდენ ქალაქში, ანჩისხატის ტაძარში ტფილისის მოქალაქეებმა გამოაცხადეს პანაშვიდი. დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით გადავიხადე ეს პანაშვიდი მე, ჯერ წარმოვსთქვი მეტად აღგზნებული სიტყვა ამ თაობაზე; მოწამე ვიყავი ყველა იმ არაადამიანური, გაიძვერული, მეფისტოფელური დევნა-გაწამებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათალიკოსს – ექსარხოსების დროის ჯაშუშ დეკანოზებისა და მექრთამე მოხელეების მიერ (ექსარხ. კანცელიარიისა და კანტორისა); ეს დევნა-გაწამება კირიონთან ერთად მეც სავსებით გავიზიარე! ამიტომ მეტად გაცეცხლებული ვიყავი კირიონის ამ სახით დაღუპვით; ცხადია, ჩემი სიტყვა პანაშვიდზე იყო ამ გადატანილ უბედურებათა და წამების გამომჟღავნება საზოგადოების წინაშე. შემდეგ კირიონი ჯერ გადმოასვენეს თავის კარის ეკლესიაში (ექსარხოსთა ყოფილ კარის საყდარში); მაგრამ აქ მეტად ცხელოდა, გვამი იხრწნებოდა, მიუხედავად მისი შემურვისა, და გადმოასვენეს ანჩისხატის ტაძარში – საქართველოს კათალიკოსთა ძველთაგან-ძველ „კარის საყდარში“. კუბოს მივეგებე „კარი-ბჭეში“ და აქაც მგზნებარე სიტყვა უძღვენი წამებულ კირიონს. სიტყვის შემდეგ ტფილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდმა პანაშვიდი გადაიხადა დიდ ძალი საზოგადოებისა და სამღვდელოების თანადასწრებით. საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ მკლელობაზე. კირიონს ებრძოდა ზემო აღნიშნული ჯგუფი ექსარხოსების ყოფილი აგენტებისა ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდის ფირმის ქვეშ. ლეონიდი ჩაიჭირეს ამ პერსონაჟებმა – საკათალიკოსო საბჭოში, სასამართლოში, თუ სამიტროპოლიტო საბჭოში. ლეონიდის ზურგს უკან ხდებოდა ყოველივე ის სისაძაგლე და სიბინძურე კირიონის წინააღმდეგ, რაც ბოლოს იბეჭდებოდა ყოველ კვირეულ სასულიერო ორგანოში – „ახალ სიტყვაში“, რომელიც გამოდიოდა ლეონიდის მფარველობის ქვეშ, ტფილისის სამრევლო ტაძრების ხარჯით, აწინდელ კათალიკოზის ქრისტეფორე ციცქიშვილის რედაქტორობით, მაშინ იყო მღვდელი – ავლაბრის გიმნაზიის სჯულის მასწავლებელი, ნამდვილად კი ეს „ორგანო“ გამოდიოდა მღვდლის ილია შუბლაძის კალმის ნაწარმოებად, რომელიც იყო ექსარხოსებისა და ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვის „ღვიძლი შვილი“, მათი აგენტი, მეტად ფლიდი, გაიძვერა და თან კალამ გალაღებული! ესეთი „გვამი“ ხელთ იგდეს ინტრიგანებმა იარაღად და ანთხევდენ ყოველგვარ სიბინძურეს, ყოველ კვირაში! „სასულიერო ორგანო“ – სასულიერო პირთაგან ნაწარმოები, საეკლესიო ხარჯით გამოცემული, კათალიკოზის წინააღმდეგ აგრე ახირებულად, უმართლოდ ამხედრებული, ცილისმწამებელი – მსწავლულ, ნაამაგდარ, ჟანდარმერია-ექსარხოს-სინოდის მიერ 20 წლის განმავლობაში სამშობლოდან გაძევებულ მხცოვან კათალიკოსზე, ყოველივე ეს განსაცვიფრებელი იყო! ტფილისი ქალაქი და ტფილისის ეპარქია – ეს ლეონიდის „სამწყსო“ იყო, კათალიკოსი „სტუმრად“ ითვლებოდა ტფილისში! ის ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, როგორც წინეთ – მეფეების დროს – როდესაც „ტფილელი“ ებრძოდა „მცხეთელს“ და მათ აშველებდა მეფე! ეხლა კი ბრძოლა უსასტიკესი ასტყდა, ვიდრე ეს ძველად ყოფილა, გამშველე-

ბელი კი არავინ იყო! ის გამარჯვება – არჩევნებზე – რომელიც ხვდა კირიონს კათალიკოსის არჩევნებზე 1918 წლის 8 სეკტემბერს, ძვირად დაუსვეს მას ინტრიგანებმა, საკათოლიკოსო საბჭოში შეიყვანეს კირიონის მოწინააღმდეგე-მოსისხლე მტრები – წევრებად, აგრეთვე საკათალიკოსო სასამართლოშიც... და აქ განაგრძობდენ ბრძოლას უკვე არჩეული კათალიკოსის წასაქცევად და ლეონიდის გასაკათოლიკოსებლად!.. ლეონიდი უფრო იგუებდა ამ ძველ ელემენტებს, კირიონი ამათ ეჯავრებოდათ, იცოდნენ, რომ ის მათ არასდროს არ თანაუგრძნობდა!.. წააქციეს ის... ბოლოს ტყვიით მარტყოფის მონასტერში... ხმა დაუყარეს – „თავი მოიკლაო“! ეგ 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლისა გამო (იავათმყოფა სამი თვე, სანამ მონასტერში გაემგზავრებოდა დასასვენებლად) პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა წყლის დასალევად, იმზომ უკანკალებდა ხელი! ასეთი ხელით – მარცხენათი – მარცხენა ძუძუში მწოლარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერიც იქვე ედო ცხედართან, რევოლვერი – დაკეტილი!.. როგორ?! თავი მოიკლა და რევოლვერი დაჰკეტა და გვერდზე დაიგდო?! ასეთი დასკვნა გამოიტანა „გამოძიებამ“ ამ აქტზე!..

ცხადია, ასეთი ამბებით მეტად აღელვებული ვიყავი მე, რომელიც ვეკუთვნოდი არამც თუ კირიონის „მომხრეებს“, ვეკუთვნოდი წესიერების, სიმართლის და ჩემ მიერვე ავტოკეფალურ უფლებებში ახლად აღდგენილ საქ. ეკლესიის წარმატების მხურვალე მსახურთა უანგარო ჯგუფს!.. კირიონისადმი ამ სახით „ანგარიშების გასწორებაში“ მე დავინახე საქ. ეკლესიის დიდი დამარცხება... მისი უფსკრულისაკენ დაქანება!.. რევოლიუციონურ ხანაში, როდესაც სჯულსა და ეკლესიას ისედაც დიდი განსაცდელი წინ ედო და ელოდა, ასეთი ინტრიგები და ასეთი აქტი, ცხადია, დამღუპველი იყო და ეკლესიის განმანიავებელი! ამას უბრალო ბავშიც კი მიხვდებოდა! მაგრამ არ უნდოდათ, ყოველივე ეს დაენახათ პირადი ანგარიშებით, თავმოყვარეობით და ანგარებით დაბრმავებული ექსარხოსების გუშინდელ ლაქიებსა და აგენტებს. ცხადია – ჩემს მიერ წარმოთქმული ორი სიტყვა ანჩისხატში არ იყო ხელსაყრელი ამ ჯგუფისათვის. პანაშვიდის შემდეგ, ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდი და მისი „სამიტროპოლიტო საბჭოს“ კანცელიარიის გამგე დავით ალექსის ძე დავიდოვი (ეხლა „დავითაშვილი“ – ექსარხოსის კანცელიარიის გამგის ყოფილი თანაშემწე – კაცი დიდი მექრთამე და ზნეობრივად გახრწნილი) ჩამსხდარან კათალიკოსის კარეტაში (ექსარხოსი – პლატონისაგან – დარჩენილი) და გაქანებულან „სასახლეში“ – აწ გარდაცვალებულ შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილთან... ჩემზე საჩივლელად! მიჩივლეს კიდეც – დეკ. თალაქვაძე მკვლელებად გვასახელებს, ხალხს გვისისიანებს, ლამის არის ხალხმა დაგვგლიჯოსო!.. შეუგონებიათ ნოესთვის ყოველივე ამ მიმართულებით.

მეორე დღეს – დილით მომდის ბარათი თვით მინისტრ რამიშვილისაგან. მიბარებს ის – დაუყონებლივ ვეახლო „სასახლეში“! მეც ვეახელი! კი არ ვიცოდი, რაზე მიბარებდა. შევაღე კარები, სადაც იჯდა ნოე რამიშვილი, დამინახა თუ არა, კარებშივე მომაძახა თავისებურად – თავხედად-მკვახედ: „რა ამბავში ხარ, შენ ხუცესო, თუ იცი?! გადმოგიგდია ენა და არ გესმის, რეებს ბოდავ საყდარში! გაგიკოჭავ მაგ მხრებს და გადაგასახლებ ტფილისიდანო“!!. მე გაშტერებუ-

ლი ვარ ასეთი შეძახილით! მაგრამ მაინც მივდივარ მისკენ, მიუახლოვდი და დავჯექი სკამზე, მას არ უბრძანებია ისე! შემდეგ წყნარად მივმართე: „რაშია, ბატონო ნოე, საქმე?! რა დამიშავებია ასეთი თქო?! ჯერ მაცნობე, რა დავაშავე და შემდეგ შემრისხეთ მეთქი“! – რაშია საქმე და შენზე სიტყვიერი საჩივარი შემოიტანეს ჩემთან – ხალხს გვიბუნტებს თალაქვაძე თავისი ქადაგებებით, ლამის არის ხალხმა დაგვგლიჯოს, კირიონის მკვლელებად გვასახელებსო! ვინ მოგცა შენ ნება ამდენი ლაპარაკისაო“!

ამ ბოლო სიტყვებზე ავენთე და ცხარედ მიუგე: „მე თავისუფალი სიტყვით გამოვდიოდი თვითმპყრობელობის დროსაც კი, ექსარხოსების რეჟიმის დროს! დღეს კი – რევოლიუციის შემდეგ, ჩემ სიტყვას ეკლესიაში თუ საზოგადოებაში ვერვინ შეზღუდავს თქო! მე დაჩვეული ვარ ჟანდარმის პოლკოვნიკებთანაც ბრძოლასა და სიტყვის შებრუნებას და გაგიკვირდებათ, თუ თქვენც არ დაგიდოთ თავი თქო! თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრი ბრძანდებით, ეგ მესმის, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერც თქვენ დაგემორჩილებით! თქვენ მისამართი შეგშლიათ, ბატონო ნოე! ნაცვლად იმისა, რომ კირიონის მკვლელი ეძიოთ, თქვენ მისს ჭირისუფალზე ილაშქრებთ თქო! მიცვალებული საყდარში მისვენია, თქვენ კი აქ მიბარებთ და ვიღაც საზიზღარ მაბეზღარების შეგონებით მტუქსავთ, მემუქრებით, პირში სიტყვას მიწყვეტთ და ქალაქიდან გაძევებას მიქადითქო! ეს ჩემთვის არ გაუბედნია მეფის ჟანდარმებსაც კი თქო!.. ვლაპარაკობ აგრე და თან და თან უმაღლებ ხმას, ბოლოს ყვირილზე გადავედი და ვიყვირე კიდეც!.. დარბაზის კუთხეში, მოშორებით იჯდა თვით ნოე ჟორდანიაც, მას ვიღაც ორი კაციც ემუსაიფებოდა; რო გაიგონა ჩემი ასეთი ყვირილი და რამიშვილის ყვირილიც, ერთმანეთს უყვიროდით უკვე, წამოვარდა ჟორდანია ფეხზე და გამოექანა ჩვენსკენ. თავის მოტეხილი ენით დაიწყო: რა-რა-რა-რა დაგემართათ, ბიჭოო“! – მოგვმართა ორთავეს. მეც აუხსენი რაში იყო საქმე, მეტად აღელვებული ვიყავი და განვაგრძობდი ჩემებურ ჟესტიკულიაციას!.. ჟორდანიამ მრისხანეთ შესძახა რამიშვილს: „კა-აცო, ხომ არ გაგიჟდი, რა გინდა ამ ადამიანისგანო!...“ მტაცა მკლავში ხელი და გამომიყვანა დარბაზიდან, გამომიშვა სახლში და მითხრა: წადი, შენ სხვისი დარიგება არ გჭირდება, როგორც საუმჯობესოდ და რიგიანად დაინახო, ისე ილაპარაკე და მოიქეციო!.. ჩვენც დიდად ვსწუხვართ კირიონის აგრე დაღუპვით... ვცდილობთ, გავიგოთ ეგ საოცარი მოვლენაო!... მეც წამოველ სახლში... დავასაფლავეთ კირიონი 7 ივლისს, 1918 წელს სიონში. აქაც, მის ანდერძზე – მესამე სიტყვა წარმოვსთქვი – შემოსილი ლეონიდისა, სამღვდელოებისა და ზღვა ხალხის თანადასწრებით!.. ეგ მესამე სიტყვა – დაიბეჭდა კიდეც ჟურნალ „თეატრ და ცხოვრებაში“! მხოლოდ ამ ჟურნალის რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა გაბედა კირიონზე სიტყვის გაშვება! ამ ერთი სიტყვის მეტი არც დაბეჭდილა კირიონის დაღუპვაზე! გაზეთ „საქართველომ“, პირიქით, დაუთმო ადგილი თავის ფურცლებზე – კირიონის შეურაცხმყოფელ წერილს რ. ინგილოსას (რაფიელ ივანიცკი – ეხლა ემიგრანტი)...

მენშევიკებმა მიაფუჩეჩეს კირიონის ტრაღედია!... ასევე მიაფუჩეჩეს მათ ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) მოწამლვა (ისევ 1918 წელს) ქუთაისში...

...მიაფუჩეჩეს მათ მღვდელ ტიმოთე ბაკურაძის მოკვლა ტფილისში. შერჩათ ინტრიგანებს ასეთი საქმეები მენშევიკების დროს!.. ამათვე „მოციქულები“ გამომიგზავნეს უკვე 1924 წელში – 2 ივლისს – მეც, მოგკლავთო!.. ესეც შერჩათ მათ!.. მე ამის შემდეგ მივაფურთხე და განვშორდი მათ წრეს სამუდამოდ... ვნანობ, რომ კირიონის დასაფლავების მეორე დღიდანვე არ განვშორდი ამ წყეულ „კრაზანათა ბუდეს“!.. ლეონიდი აღარ არის!... დავიდოვმა გადალახა დრო და ჟამი... მან ლიკვიდაცია უყო თავის ბინძურ წარსულს... დღეს ის – საქართველოს ნარკოფინიდან სამარცხვინოდ გამოძევების შემდეგ, მოკალათებულია საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ისევ კანცელიარიაში. შეიძინა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ... სიძეებად!.. ქრისტეფორე ციცქიშვილი გაკათალიკოსდა!.. ვაი ასეთ კათალიკოსობას, ის რო არის!.. შუბლაძე ილია – ყოფილი ღვდელი, და რთული ბინძური წარსულის პერსონა – დღეს საქ. უზენაეს დაწესებულებაშია მოკალათებული... ბუჰალტრად!.. ის „ორმაგი“ ბუჰალტერიის კაცი იყო ძველადაც და ეხლაც ასეთივე დარჩა...

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა! ნოე რამიშვილზე დავიწყე და რით გავათავე!.. მოგონებებმა გამიტაცეს... ეს ამბები სხვა დროსაც აღმინიშნავს სხვა რვეულებში, მაგრამ რამიშვილის გამო ისევ წამცდა კალმის წვერიდან...

საბრალო ნოე! მენანები გულწრფელად!.. საბრალო ემიგრანტო!.. საბრალო მისო ცოლ-შვილო!.. ამდენი ბრძოლა რამიშვილისა – რითი დასრულდა! როგორ ფუჭად ჩაიარა ყველაფერმა!.. ალბად თავისას არ იშლიდა ის პარიზში, იქაც იბრძოდა, იქაც სხვა და სხვა კომბინაციებს აწყობდა... 1924 წლის გამოსვლების სული და გული ყოფილა საბრალო! მაშინ თვით ყოფილა ის საქართველოში... კერძოდ სამეგრელოში, სადაც დიდი ცეცხლი დაანთო თურმე მან და დროზე გაიპარა, უშველა თავს... გამიგონია, ის შემდეგაც არა ერთხელ შემოპარულა საქართველოში სააგიტაციოთ და ყოველთვის უვნებლად გასულა!.. დაიღუპა კი იქ, სადაც არ ელოდა! სადაც თავი ქუდში ჰქონდა, ეგონა!.. ალბად გამოირკვევა ეს მკვლელობა, რა ნიადაგზე მოხდა ის და ვინ არის მკვლელი!.. ვნახოთ...

ნოესთან 1917-შიაც მქონდა შეტაკება, მაგრამ კმარა... არ მინდა კიდევ შევაშფოთო აგრე უცნაურად დაღუპულის აჩრდილი, რომელიც თვალწინ მიდგია!.. მგონია, ნოეს დაღუპვით მენშევიკების „წირვაც გამოსულია“!.. ის იყო მათში ერთადერთი მტკიცე ნების ყოფის აქტიური პერსონა... სხვები... მჩვრებია... ნოე ჟორდანია კი უკვე მხცოვანია, მას აღარაფრის თავი აღარ ექნება. ფუჭად ჩაიარა ემიგრაციამ?!. ყველა-ყველა, მაგრამ ეფთიმე თაყაიშვილს რაღა უნდოდა ემიგრაციაში?!. ის თან გაჰყვა გაზიდულ „განძეულობას“!.. ეს განძეულობაცა და ამოდენა ხალხიც აგრე დაგვეფანტა!.. დიდი შეცდომები დაუშვეს... დეე, ისტორიამ განსაჯოს ყოველივე!..

ხუთშაბათი – 11 დეკემბერი
ისევ ნ. რამიშვილის მკვლელობაზე

დღევანდელმა გაზეთებმა გვაუწყეს მოკლე ცნობა: რამიშვილი მოუკლავს ემიგრანტ-მენშევიკს ვინმე ჭანუყვაძეს, მოუკლავს იმ მიზეზით, რომ მენშე-

ვიკურმა მისიამ არ მომცა სამსახურში შესასვლელად საჭირო დოკუმენტები, როგორც „საეჭვო პირსო“! მეტად დიდ ნივთიერ გასაჭირში ჩავვარდი, ამ გასაჭირის მიზეზი კი ნოე რამიშვილი იყოო!.. – ეს ცნობა გადმოგვცეს დღეს ყველა გაზეთებმა! ვინ არის ეგ ჭანუყვაძე, ან რა ჰქვია, საიდან არის, ხანჯლით მოახდინა მკლელობა, რევოლვერით, დღისით თუ ღამით, სად და რა პირობებში, ჯერ არ იუწყებიან. „ჭანუყვაძე“ – გურული გვარია, თუ არ ვცდები – გურიანთელი უნდა იყოს!.. დაუცადოთ კიდევ უფრო დაწვრილებით ცნობას.

მამა დავითის ახალი „მოძღვარი“

ამ რვეულის მე-3 გვერდზე მქონდა აღნიშნული მამა დავითის ყოფილი წინამძღვრის „ბარადა“ – დეკ. ნესტორ მაჭარაშვილის „განსვლა“ ამა ქვეყნიდან. ამ სახით განთავისუფლდა „ვაკანსია“ მამა დავითში! მიუხედავად ამ დროის ეკლესიური ცხოვრების დიდად შევიწროებისა, ამ „ვაკანსიას“ ყვავ-ყორნებივით დააცხრენ მსურველები; მათ შორის აღსანიშნავი არიან ეპისკოპოსის ხარისხით მოსილი კანდიდატები: 1) მელქისედეგ „ავლაბრელი“ (დარიის მონასტრის წინამძღვარი) – უეპარქიო ეპისკოპოსი, სასულიერო აკადემიის (ყაზანისა) ღვთისმეტყველების კანდიდატი, 2) ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილ კარბელაშვილი ღვდლობაში) განდევნილი ალავერდელის კათედრიდან, 3) ეპისკოპოსი ეფრემ „ნავლუღელი“ (ბარბალეს ეკლესიის წინამძღვარი, უეპარქიო ეპისკოპოსი, მე-5 საეკლესიო კრების მიერ ურბნისის ეპარქიაში მივლინებული, მაგრამ ტფილისიდან მაინც არ იცვლის ფეხს) – მეტ სახელად „ჭრიჭინად“ წოდებული, სულ ახალგაზრდა კაცი – სემინარიის ოთხკლასიანი; 4) დეკანოზი ვასილ კობაიძე – აფერისტი და გათახსირებული პიროვნება და კიდევ სხვანი მრავალნი.

ყველა აქ აღნიშნულ კანდიდატებში კათალიკოსმა ქრისტეფორემ უპირატესობა მისცა – ეპისკოპოზ ეფრემს, რომლის თხოვნაზე დაუწერია – გამწესდეს მამა დავითის წინამძღვრად „დროებით“ და მოხსენდეს საეპარქიო საბჭოსო.

ცხადია, „საეპარქიო საბჭო“ აქ რაღა შუაშია, მან ძალა-უნებურად უნდა დაადასტუროს კათალიკოსის რეზოლიუცია! საეპარქიო საბჭო არის მხოლოდ ფიქცია! უუფლებო, ფორმალური დაწესებულება, კათალიკოსის „ავეჯი“, რომელზედაც ის ჩამოჯდება, როდესაც ისურვებს. ამიტომ ასეთ „საბჭოში“ მას არ გაუჩერდენ ცოტად თუ ბევრად შეგნებული და თავ-მოყვარე წევრები, მაგალითად, კათალიკოსის თვითნებობით და დესპოტიზმით გულგადალეული გავიდა საბჭოდან და სულ გადადგა სასულიერო სამსახურიდან დეკ. ზაქარია ლუკაშვილი და მას მიყვნენ სხვებიც.

ეხლა ამ „საბჭოში“ სხვათა შორის მიუწვევია წევრად კათ. ქრისტეფორეს ერთი სამღვდელო პირიც, პატივცემული დეკანოზი, რომელსაც მეტად ემცხეთა ურბნელი ეპისკოპოსის წმინდა ბარბალედან – ნავთლუხიდან – მამა დავითში გადმომწესება, შესაძლებელია ამ სამღვდელო გვამს თვითონაც სურდა მამა დავითში აცოცება და იმედი გაუცრუვდა!.. ასე იყო თუ ისე, ეს „გვამი“ მოვიდა ერთ საღამოს ჩემსა და შემომჩივლა ეს გარემოება: „ასეთი და ასეთი უკანონობა ჩაიდინა კათა-

ლიკოზმა, ჯერ გაამწესა ეპისკოპოსი ეფრემი მამა დავითის სამრევლო ღვდლად და შემდეგ უნდა განვიხილოთ ეგ საქმე საეპარქიო საბჭოშიო“!.. ეგ რასა ჰგავსო და დაიჩივლა მან ბევრი რამ, განაცხადა: „მე ასეთი დიდი თანამდებობა მიჭირავს, როგორიც არის საეპარქიო საბჭოს წევრობა და აბუჩად თავს ვერ გავათელიებ კათალიკოსსაო! მე-5 საეკლესიო კრებამ ეპ. ეფრემი ურბნისელად გაგზავნა; რა უნდა მას ტფილისში – ერთი სამრევლო ეკლესიდან მეორეშიო“?!

აქ შევაწყვეტინე იმ „გვამს“ სიტყვა და შევეკითხე: „თუ აგრე დასვამ საკითხს – რა უნდა ქვაშვეთის საყდარში წინამძღვრად მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს თქო?! რაზე ამ თაობაზე ხმა არ ამოიღო ან თქვენმა საეკ. კრებამ, ან საბჭომ ან ვინმემ თქო?! როდესაც ასეთი „პრეცედენტი“ უკვე შექმნილია, გვიანღაა თითზე კბენანი თქო“!..

– არა მე მაგ საქმეს ვერ მოვითმენ, ოპოზიციაში ჩაუდგები კათალიკოს საეპარქიო საბჭოში რო დასვამს ამ საკითხსაო! შენ დამიწერე „კერძო აზრი“ ამ თაობაზე, გამიშუქე ეგ საკითხი – „კანონიურად, ისტორიულად, ლოღიკურად“, ყოველი მხრივ რომ პირი დავაყოფინო კათალიკოსსაო!

მე ასეთ წინადადებაზე გადაჭრით უარი მოვახსენე ამ „წევრს“ საეპარქიო საბჭოსას; ცოტა არ იყოს, საეჭვოდაც მივიღე ასეთი ხეპრული წინადადება მისი, პროვოკაციადაც მეჩვენა! მე რაზედ უნდა ჩავერიო ამ „ხალხის“ ასეთ სიბინძურეში ჭყუმპალაობას! – და გავიკვირვე ეგ „წინადადება“! – მე რა შუაში, რა კიდეში, კისერი გიტეხიათ თქვენცა და თქვენს კათალიკოს თქო! და ურჩიე „წევრს“ – ხო ხედავ, კათალიკოსი თქვენი არ ითმენს არავის აზრს, თუ გნებავს მასთან სამსახური, უნდა ყველაფერზე დასტური დართო, თუ არა, უნდა განშორდე თქო! ან რა გარანტია გაქვს, რომ კათალიკოსი შენს „ყოველი მხრივ“ დასაბუთებულ აზრს მიიღებს და თავის რეზოლიუციას უკან წაიღებს თქო?! ან რატომ გგონია შენ, რომ მე ჩემს დაწერილ დოკუმენტს ფეხქვეშ გაუფენ კათალიკოზ ქრისტეფორეს და მის მდივანს – დეკ. ნაცვლიშვილს, რომ ამათ ის გასთელონ თქო?! მოიგონე სახარების სიტყვა: „ნუ დაუყრით ღორთა მარგალიტსაო“!.. არა, მამაო, მე სამუდამოდ ჩამოვშორდი მაგ „ხალხს“, დიდი ხანია მივანებე „მიცვალებულებს თავიანთი მიცვალებულების დასამარება“ თქო!.. მიკვირს, რა ჭკუამ გაგიჭრათ ჩემთან ამ თაობაზე მოსვლა და ისიც ასეთი წინადადებით თქო?!.

თვალებდაჭყეტილი მიგდებდა ყურს „წევრი“... ბოლოს დაბალი ხმით, თითქოს დარცხვენით, ჩაილაპარაკა: „ეჰ, ერთი ვინმე ღონიერი სამღვდელო პირი რო იყვეს იმ ადგილზე კანდიდატად დასასახელებელიო“!.. აქ მე ვიგრძენი, რომ „წევრს“ მე ვყავდი სახეში, ხო არ ვისურვებდი მე ასეთ „კანდიდატობას“, ე. ი. ისევ ღვდლად დაბრუნებას... აქ განვსჭვრიტე ასეთი ეჭვის თვალით ისიც, რომ ეგ „წევრი“ ასეთი იეზუიტური მიდგომით ხო არ იყო თვით კათალიკოსიდან შემოჩენილი, გამაბრიყვოს და ჩამითრიოს ისევ მათ წუმპეში!.. და უპასუხე „წევრს“ ისე, თითქოს ვერც მიუხვდი გაიძვერობას.

– განა შენ თვითონ ვისზე რა ნაკლები „ღონიერი კანდიდატი“ ხარ მაგ ადგილზე თქო! ადექი და შენც ითხოვე ის ადგილი თქო!

– ჰმ! – ჩაიზმუკუნა „წევრმა“ და განმშორდა კუდ-ამოძუებული!

ასეთ ხალხს როგორ გსურთ შემოუაროთ?! რო არ მისვენებენ მაინც?!. რო გავ-

ბრიყვებულიყავი და დამეწერა მოხსენება, ამას დოკუმენტად გამოიყენებდენ და დამლუპავდენ. შორს ჩემგან – ყოველი მაცდური!.. შორს! ვიჯმენ ეშმაკისაგან!..

ხუთშაბათი – 18 დეკემბერი

ნოე რამიშვილზე აღარავითარი ცნობა არ არის გაზეთებში, დაასაფლავეს, როდის, რა ამბით, არა ისმის რა!.. ბევრი მითქმა მოთქმაა და ჭორები ამ თაობაზე!... მაგრამ „ჭორები“ რის მაქნისია!..

კვირა – 21 დეკემბერი

გაზეთებმა გვაუწყეს, რომ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე – რიკოვი დაბრუნდა შვებულებიდანო (ის ერთი თვის „შვებულებაში“ იყო ავათმყოფობის გამოო), და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებასო. ცოტა ხნის შემდეგ დასწერეს – „რიკოვი, თანახმად მისი თხოვნისთ, განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდანო!“ – სხვა არა ეწერა რა, მისცეს მას რაიმე სხვა თანამდებობა თუ „პენსიაშია“!..

ეგ რიკოვი დიდად განათლებული კაცია, ლენინის თანამშრომელი და ხელდებული! მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, ბუხარინთან და ტომსკისთან ერთად მარჯვნივ გადაიხარა, არ იზიარებდენ ესენი მსხვილ ინდუსტრიალიზაციის წარმოებას კავშირში და კოლექტივიზაციას და ამასთან დაკავშირებულ კულაკის წინააღმდეგ ბრძოლას იმ ტემპებით, როგორც ამას აწარმოებს გენერალური ხაზით პარტია და მისი ბელადი სტალინი!.. ამ უკანასკნელმა მოღუნა, მოსდრიკა, წამოაჩოქა ბუხარინი, ტომსკი და ბევრი მათი მიმდევარნი. რიკოვი, ეტყობა, არ დამორჩილდა სტალინის რკინის დისციპლინას და ის გაირიყა მთავრობიდან!.. მის ადგილზე დაინიშნა – მოლოტოვი – გვარად სკრიაბინი; რიკოვიცა და ეგ სკრიაბინიც ნამდვილი ველიკორუსებია... მოლოტოვი – პსევდონიმია, როგორც სტალინი!

სერგო ორჯონიკიძე საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისრობიდან – საკავშირო „სმუსის“ – ანუ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანა სტალინმა და თან ეხლა ის შეუყვანია „პოლიტბიუროში“, სადაც თვითონ – სტალინიც წევრია. სტალინი დიქტატორობს და როგორც შახმატის პაიკებს ისევ გადასხამს-გადმოსხამს ხოლმე ხალხს და მიდის შეუდრეკელად წინ და წინ!..

სამშაბათი – 30 დეკემბერი
„ჯაყოს ხიზნები“ – გასამართლება

წერითი დამხმარე კოლექტივში, სადაც ამ ჟამად მე ვმუშაობ, მოაწყვეს მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ ნაწარმოების – ჯაყოს ხიზნების ლიტერატურული

გასამართლება. ჯერ შემომთავაზეს ამ ნაწარმოების მთავარ მომქმედი პირის – „თეიმურაზ ხევისთავის“ დამცველობა. წინეთ მქონდა გადაკითხული ეგ ნაწარმოები, კიდევ ერთხელ ეხლახან გადავიკითხე და თეიმურაზის დამცველობაზე უარი განვაცხადე. მეგონა, ჩამომეხსნენ თქო! მაგრამ გუშინ შუადღისას – კოლექტივის გამგემ – ამხ. პატარაიამ (კომუნისტია) დაჟინებით შემომახვია კისერზე თავისი როლი – თეიმურაზის ბრალმდებლობა, მე არ შემიძლია, თუ ხათრი გაქვს, შენ იკისრეო! ძალა-უნებურად დამითანხმა. დამცველობა იკისრა კოლექტივის მდივანმა – ამხ. ტ. სირაძემ (ესეც მოიკომუნისტებს – მგონი, პარტიის კანდიდატია თუ წევრი), აგრეთვე იყო ჯაყოს ბრალმდებელი – ერ. გორდელაძე, დამცველი – ვინმე ხურცილავა, მარგოს დამცველი – მონიავა, ბრალმდებელი – იგივ ხურცილავა.

სამშაბათ საღამოთი შევიკრიბენით ყოფილ „თამამშევის“ ქარვასლის შენობაში – სადაც ჩვენი კოლექტივის გამგეობაა. კაი ძალი ხალხი – წევრები თუ სტუმრებიც შეიკრიბენ. გაიხსნა „სასამართლო“... დამაკისრეს მოკლე შინაარსის გადაცემა დამსწრეთათვის – გადავეცი. შემდეგ ბრალი დასდო ჯაყოს ერ. გორდელაძემ, წაიკითხა შედგენილი მოხსენება. შემდეგ ბრალმდებლად გამოვედი მე – თეიმურაზისა, ვილაპარაკე 40 წუთი, ძირ-ბუდიანად დავახასიათე თეიმურაზ ხევისთავი, როგორც ყალბი ტიპი ჩვენი ინტელიგენციისა, დეგენერატი და რენეგატი ჩვენი ერისა, ცრუ-„ხალხოსანი“, ყბედი, ენაჭარტალა, მკვეხარა, უქნარა-უმოქმედო პიროვნება, რომელმაც მამა-პაპეული მამული ჯაყოს გააფლანგვია, ზოგიც თვითონაც გაფლანგა, ბოლოს რევოლიუციის ხანაში სავსებით მოდუნდა, სრული უუნარობა-უმწეობა გამოიჩინა ცხოვრებაში, დაგლახავდა, დაეცა სულითაც და ხორცითაც... ბოლოს ჯაყომ მკვლავიდან ცოლიც გამოაცალა და ყოველივე ადამიანური ღირსება აჰხადა... ბევრი ვილაპარაკე და საფუძვლიანი მსჯელობაც გამოვიდა... დამსწრეთ მოეწონათ. მაგრამ დამცველმა რო ვერა მოახერხა რა თეიმურაზის გასათეთრებლად, მე გადმომწვდა პირადად და მე დამიწყო ჯაჯგური... სცადა, ჩემს „წარსულს“ შეჰხებოდა, მაგრამ არც აქედან გამოუვიდა რა და ჩაფლავდა... დღეს (ოთხშაბათს) დილით შემოვიდა დამცველი სირაძე და ბოდიში მოიხადა – „წუხანდელი არა გეწყინოს რაო, ცოტა ვერ მომივიდა რიგიანად გამოსვლა, დავიბენი, ვერა მოვახერხე რა და შენ გადმოგწვდიო!..

მე უპასუხე – „შენგან აბა რა უნდა მეწყინოს თქო! მე არც კი შემიმჩნევია, თუ მე პირადად შემეხე და თუ შენ დამნაშავეთ გრძნობ თავს, ეგ შენ იცი თქო! „როდესაც კაცი ტალახს ზევით აისვრის – იცოდეს, რომ ის ტალახი მასვე თავზე დაეცემა თქო“! შენ, ამხანაგო, უნდა შეხებოდი და დადებითად დაგეხასიათებია „თეიმურაზი“ ავტორის ნაწარმოებით, როგორც ეგ მე მოვიქეცი მასზე ბრალის დასადებად, შენ კი ჩემზე გინდოდა გამოსულიყავი! ეგ, რასაკვირველია, სრული შეუსაბამობაა და ვერავინ დააკმაყოფილა! კვლავ აგრე აღარ მოიქცე, ჩემი დამცირებით, არ იფიქრო შენი თავი აიმაღლო თქო! მე ვინც ვიყავი წარსულში და რაც ვიყავი, ეს ყველასათვის აშკარაა, ყველამ კარგად იცის, მე აღარავისი „ატესტაცია“ აღარ მჭირდება! თქვენ კი, რაც იყავით და ვინ იყავით, ეგ არავინ იცის, ხოლო რაცა ხართ, ეგ ყველამ დავინახეთ თქო“!.. მეტად გაიწკეპლა „ამხ. სირაძე“ და კუდ-ამოძუებული წავიდა... თითქოს დარცხვენილი!

ეგ ამბავი აქ იმიტომ მოვიტანე, რომ მსურდა, აღმენიშნა თუ როგორი სახიფათო და მძიმეა – „ჩემისთანა კაცის“ აგრე საჯაროდ დღეს „გამოსვლა“! ზოგს შური აღეძვრის, ზოგსაც ენა აჰქავდება და შეეცდებიან გაბურთავებას და დამცირებას! ამიტომ ვერიდები ყოველგვარ ასეთ გამოსვლებს, ჩრდილში ვდგები, მაგრამ ზოგჯერ გარემოება გაიძულებს დაილაპარაკო და ასეთი „შედეგები“ კი მოსდევს „წარსულის“ მქონე ადამიანს... რა გაეწყობა! ასეთია „ყოფილი ადამიანის“ ხვედრი! მეც მარგუნა ბედმა ეგ „ხვედრი“ და უნდა ვზიდო კიდეც! დღეს სამღვდელოებაში მოღვაწეობის და საქმიანობის წამოყენება მხოლოდ „მწარე ღიმილს“ იწვევს „საზოგადოებაში“! არავინ არ დაგიდევს, როგორი იყავი ან რა ღვაწლი ან ბრძოლა ჩაგიტარებია!.. „ჰეი, ჰეი! რა არა არს... მაგრამ ჟამნიცა ესე წარმავალ არს!..

ეს ქვეყანა

ეს ქვეყანა სულ ასეა!
ტრიალებს ის დღე და ღამე...
გვაბრუნებს და გვატრიალებს
მუდამ ჟამ მოხეტიალე!..
თუნდ ერთ წუთსაც ის შეჩერდეს,
– დაირღვევა მისი ძალა
და ჩვენც, მისი ბინადარნი,
დავცვივდებით, ვითა ჩალა!..
სიცოცხლეც მოძრაობაა
ამ კანონისვე მორჩილი,
მოქმედება, მისვლა, მოსვლა
მოქცევა შეუწყვეტელი...
მაშ, იტრიალე, იბრუნე
მსოფლიო მოუსვენარო!
განაგრძე შენი კანონი
– ეგ სიცოცხლე სატიალო!....
მეტი რა გვეთქმის!
ან ვინ რას გვკითხავს?
საიდან მოვსულვართ?!
ან სად მივდივართ?!

მთისპირელი
1930 წელი
30 დეკემბერი

ნიკიტა თალაქვაძის სიმამრი – ზაქარია ლუკაშვილი. 1915

ახალი – 1931 – წელი[1]

უჰ!.. კიდევ ერთი წელი!...
მაგრამ... როდი გვწყდება წელი!
გადავდივართ... მთელი!..
თუ არ დარჩა მწველი!...
გასულ წელში რამდენი რა არ ვნახეთ!..
რა არ განვიცადეთ!..
ყოველივე ამას ვინ მოსთვლის,
ვინ დაახასიათებს!!.
ან კი რად გვინდა დახასიათება!
ვხედავთ, საბჭოთა კავშირში
„რევოლიუცია ღრმავდება“,
„სოციალისტური გარდაქმნა ხდება“!
„ძველი ყოფა-ცხოვრება ჰქრება“,
„ახალი იქმნება“!
დაბრკოლებანი, აშკარა თუ ფარული –
ასეთ პროცესს წინ ეღობება.
ესენი საქმეს აფერხებენ,
არსებითად კი ვერა ვნებენ!..
„პრომპარტიის“ მავნებლობა,
ინტერვენციისათვის მისი მზადება,
ამა ზე კაპიტალისტური ევროპის შემზადება,
შინაურ თუ გარეშე მტერთა დარა ზმვა,
ჩაიფუშა, ჩაიმსხვრა, გაბითურდა!
მოსკოვის პროცესმა ამათ ნიღაბი აჰხადა.
პუანკარე-ბრიანი, საფრანგეთის გენ-შტაბი,
პოლონეთი, რუმინია, სლავია,
ფინლიანდია, ესტონია, ლატვია,
სათავეში კი საფრანგეთი, ანგლია
და ორთავე ეგ ბუმბერა ზნი სალაყბო ზე დასვა!..
განზრახვა საშინელი ფუჭად ჩაუტარდათ!..

„საბრალო მავნებლები“ –
პარი ზელ-მოსკოველნი –
სამარცხვინო ბოძზე გააკრა,
საქვეყნოდ „ალაიაში“ გაატარა!

---

1. თარიღთან ავტორის მინაწერია: „ეგ თაბახი არ არის შესული ნუმერაციაში (ეს რიგს გარეშეა ჩართული)“ *(გამომცემელის შენიშვნა).*

გუშინდელ „პატრიოტებს“
გამცემლობა ამხილა,
პირ-ბადე ჩამოჰხადა,
რვაში ხუთს დახვრეტა მიუსაჯა!..
საკავშირო ცაკმა კი
ეგ სასჯელი პატიმრობაზე შესცვალა!
ეგ რა არის?! რას ნიშნავს?!
კაცთ-მოყვარეობა, დიდსულოვნება თუ პოლიტიკა!?.
– ევროპისათვის დიდი განცვიფრება!
მას ზე საბჭოთა კავშირის
„ზნეობრივი“ გამარჯვებაც...
შინაურ თუ გარეშე ინტერვენტების „განიარაღება“!..
ასეთ განცდებში
ვეგებებით ახალ წელს!..
მაგრამ საშიშროება მაინც
წინ დიდი გვიძევს!..

ისმის დასავლეთიდან
იმპერიალიზმ-კაპიტალიზმის
ბრაზმორეული კბილთა ღრჭენა.
„ორ ბანაკად ირაზმება მსოფლიო,
მოიმარჯვეს ორივ მხრიდან
ზარბაზანი, თოფიო“! –
ჩაგვწივის ყურებში
იდუმალი ხმა!
დგება კაცობრიობისათვის
ახალი განსჯა-განკითხვა!
ალაპარაკდებიან არა მხოლოდ
ზარბაზნები, თოფები,
არამედ ნაირ-ნაირი სხვა იარაღებიც:
ტანკები, ჯავშნოსნები, წყალქვეშები,
ჰაეროპლანები, ჰიდროპლანები,
დირიჟაბლები!..
საწამლავი-მხრჩოლავი გაზები!
ვინ მოსთვლის, კიდევ რა და რა...
ავია-ქიმიის მანქანები!
ყველა ეს თანამედროვე, უმაღლეს
ტეხნიკის „უკანასკნელი სიტყვა“,
მეცნიერების მიხნევები!..

დავიჯერო, ყველა ეს უმაღლესი კულტურა, ცივილიზაცია, ტეხნიკა, ხელოვნება – ათას გვარი, თეატრები, კინოები, ლიტერატურა, რითაც თავი

მოსწონს კაცობრიობას, ამაყობს ის მით, მიმართულია იქითკენ, რომ ბოლოს ერთმანეთს დავერივნეთ და ამოვყუყლოთ?!.

ერთ დღეს ყველამ თავი მოვიგიჟიანოთ, საკუთარი ხელით მივამსხვრმოვამსხვრიოთ, რაც ამდენი დაკვირვებებით, ცდებით, რუდუნებითა და შრომით შეგვიქმნია?!

ყოველივე ეს ყუმბარების, გაზების, თოფ-ზარბაზნების, ხმალ-ხანჯალ-შტიკების მსხვერპლად უნდა გახდეს?! „განათლებულმა კაცობრიობამ“ თავისი თავი საკუთარი სისხლის მორევში უნდა შეაცუროს?!

სად არის აქ ადამიანის ნაქები ჭკუა, გონება, ნება?!. სად არის მისი მგრძნობიარე გული? მისი „ჰუმანიზმი“, კაცთ მოყვარეობა!..

ნუ თუ ყოველივე ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია და სხვა არაფერი? ნუ თუ ყველა ფერი ეს „კაპიტალიზმის ზედნაშენია“, ტყუილი და მოჩვენებაა, როგორც ასწავებს მარქსიზმი?!

ან არა და ეგ „მარქსიზმი“ რაღას მოასწავებს?! რა არის მისი ასავალ-დასავალი, ეგ დაუსრულებელი „კლასთა ბრძოლა“! ეგ რაღაც „შეურიგებლობა“, ულმობელობა, გულქვაობა!..

ეგ – „სამება-პროცესი“ – „კაპიტალიზაცია, პროლეტარიზაცია, სოციალიზაცია“!....

განა აქ კი მოსალოდნელია ოდესმე დამშვიდება, სიცოცხლით დატკბობა, კმაყოფილება, ბედნიერება?!..

ძნელი წარმოსადგენია „უკლასო საზოგადოებრიობა“, უფრო ძნელი, ვიდრე რელიგიათა იმ ქვეყნიური „სამოთხეები“!..

ვსთქვათ, მივაღწიეთ უკლასო საზოგადოების შექმნას! რა გარანტიაა იმისი, რომ, აქ, ამ „უკლასო წესწყობილებაში“, ერთ ბედნიერ თუ უბედურ დღეს არ ჩამოვარდება უთანხმოება, რომელიც გამოიწვევს განხეთქილებას და დაიქსაქსება ეგ საზოგადოება ისევ სხვა და სხვა „კლასებად“, ჯგუფებად, თემებად და გვარებად?!.

შეუძლებელია შეიქმნას ერთი რამ <u>გაქვავებული ფორმისა</u> თუ ყალიბის სოციალური არსებობის პირობები! ეს იმიტომ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით დაუდგრომელია, ის მიისწრაფის წინ, წინ, ზოგჯერ იხევს უკანაც, ეძიებს ახალ-ახალ მიღწევებს. მას ვერაფერი აკმაყოფილებს ამ ქვეყნად! მისს უსაზღვრო მისწრაფებებს და წყურვილს წინ ელობება მხოლოდ სიკვდილი! მაგრამ არც სიკვდილს უდებს ის თავს, ვინაიდან ერთი თაობა თუ მიდის, მას მეორე სცვლის, ხოლო ეგ მეორე თაობა, პირველის გამოცდილებითა თუ ცოდნით აღჭურვილი, ისევ მიისწრაფის წინ, მოძრაობს და ქმნის ახალ-ახალ ფორმებს ცხოვრებისას!

მაშ, ნუ ვინ დაიკვეხის სთქვას ამ ქვეყნად „უკანასკნელი სიტყვა“ სოციალური ცხოვრებისა და ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგებაში!

ვერც იდეალიზმი და ვერც რეალიზმი ცალ-ცალკე ვერ შექმნიან ჰარმონიას! ამათ – ორთავემ, პარალელურად უნდა იმუშაონ და ერთმა მეორე შეავსოს, შეასწოროს, შეარბილოს და ამ სახით წონასწორობა შეიქნას!..

გამოდის ასპარეზზე ისევ უფლებრივი პრინციპი, ადამიანმა შეიგნოს თავისი უფლება-მოვალეობა, ერთმანეთისადმი ამ ნიადაგზე მტკიცე შეთანხმება!

მაგრამ... რას ვამბობ?! – ასეთი მსჯელობა, მსოფლმხედველობა – დღეს ხომ „ოპორტიუნიზმად“ არის გამოცხადებული! აქ ჩვენ უსათუოდ გვიკიჟინებენ სხვა და სხვა „განხრას“ – „მარჯვნივს“ თუ „მომარცხნოს“, ან ორთავეს ერთად – „მემარჯვენე-მომარცხნო ბლოკს – სირცოვ-ლომინაძისას“!...

დღეს საბჭოთა კავშირში სწარმოებს კომუნისტური პარტიის „გენერალური ხაზით“ ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნა – სოციალიზმის აღმშენებლობა კომუნიზმის ნიადაგზე, მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ“....

ჩვენც ამ გზას მივსდევთ, ჩვენც ამ „ხაზზე“ ვდგევართ, სხვა გასაქანი არ არის!.. დიქტატურაა!..

მაგრამ... ზოგჯერ... იჭვიანობის დაუძინებელი მატლი ხან სულში, ხან გულში, ხან ტვინში შეგვილუტუნებს ხოლმე და „გვაოპორტიუნისტებს“!

ამ ახალი – 1931 – წლის დამდეგსაც გვეწვია ეგ „იჭვის“ აღმძვრელი „დაუძინებელი მატლი“! ვერ იქნა, ვერ გაისრისა ეგ მატლი! ან კი შეიძლება ის გაისრისოს ოდესმე, სანამ ადამიანი დარჩება ადამიანად და მასში იმოქმედებს, იმოძრავებს, იმუშავებს მისი დაუდგრომელი ჭკუა-გონება-ნება, სული, გული, ჭკუა-თვალი და სხვა და სხვა ფეროვნება, უსაზღვრო განვითარება, გადაულახავი ჰორიზონტები?! ძნელია ყოველივე ამის „საზღვარის დადება“!.. და... მგონი, აქ არის ადამიანის ბედნიერებაც!.. უკვდავებაც!.. სხვა ყოველივე ბედნიერება, რომელსაც ახალი წელის დღეს ერთმანეთს ულოცავთ, სუბიექტიურია, პირობითია, აჩრდილი და მოჩვენებაა... ილიუზიებია!..

მე მაინც ულოცავ ქვეყნიერებას ამ ახალ წელს, ახალ-ახალი ბედნიერებით! განსაკუთრებით უსურვებ მას არ დარღვეულიყოს ქვეყნად „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“! არ ამოვარდეს ომის საშინელების ქარიშხალი!... და ერთხელ კიდევ თავზე ლაფი არ დაისხას „განათლებულმა კაცობრიობამ“ ერთმანეთის ამოჟუჟღვით! ნუ იყოფინ ესე!.. შორს ჩვენგან ეს დიდი განსაცდელი!.. ისედაც გვეყოფა ტანჯვა-წვალება, ცხოვრების ულელში ჭაპან-წყვეტა!.. ეგ განსაცდელი კი აღემატება ჩვენს ძალ-ღონეს, ეგ იქნება წარმოუდგენელი „სვრა-ძვრა“!...

ნუ! ნუ! ნუ იყოფინ ესე, ახალო 1931 წელო! მოგვევლინე მშვიდობით! დაიცხრე ბოროტთა ზრახვანი!...

მაგრამ... შეისმენ კი ამ ჩემს მუდარას?!...

მაშ, ახალო წელო, „რას გვიქადი?! რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“?!

იყავნ ლმობიერ, მშვიდობიერ, გონიერ, ნაყოფიერ!

იყავნ! იყავნ!..

„ჰეი, ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს!..

ნარი

ქ. ტფილისი

განვაგრძობ მუშაობას „წერითი დამხმარე კოლექტივში“.

უსახელო ლექსი

ეს ცხოვრება ისე ვიცი,
როგორც ჩემი ხუთი თითი!
ბევრი ვნახე მე ამ ქვეყნად
სიავკარგის მაგალითი!

სისხლ-ხორცობა, მეგობრობა,
სიყვარულიც ტყუილია,
თუ შეძლება მას სარჩულად
და არშიად არ ავლია!

კაცი მიდის ძაღლის კვალზე:
თუ ასვი და თუ აჭამე,
კუდის ქნევით გიწუწკუნებს
და შენთვის ჰყეფს დღე და ღამე.

თუ არა და მის სანაცვლოდ
თუნდაც დასდნე, ვით სანთელი,
ყურადღებას არ მოგაქცევს,
თანაგრძნობას ნუ მოელი.

გადავწერე სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში – „ცოდნა“-ში – მისი ხელთანაწერიდან. 22/XII, 1930 წ.

სოსიკომ ამ ლექსის ავტორად მომაწოდა დიდი მგოსანი აკაკი, თითქოს ეგ მისი დაუბეჭდავი ლექსთაგანია, რომელიც სოსიკოს აქვს დაცული.

მაგრამ, ეგ არ შეესაბამება სიმართლეს, ეს ლექსი თვით სოსიკოსია, მას ეხერხება ლექსების წერა... აკაკისთან დიდხანს ნამუშევარია სოსიკო... ნიჭიერი კაციცაა და აკაკის სახელით ასაღებს თავის ნაწარმოებს! დახეთ, მე ისეთი მელექსე ვარ, რომ აკაკისაც კი მოვაგონებ მკითხველსაო!.. დეე, აგოს მან ამ თაობაზე პასუხი სინამდვილის წინაშე! ლექსი კარგია...

ლექსი სოსიკო მერკვილაძის ყოფილა, ვამხილე მას სხვისი სახელის მითვისება და ვათქმევინე კიდეც სიმართლე, აი, აქ წიგნის მაღაზიაში დავსწერეო!..

ახალი – 1931 წელი – ხუთშაბათი. 1/I

დიდი თოვლი დასდო. ყველგან მუშაობა სწარმოებს დღეს! გუდოკებმა თავის დროზე ყველგან დაიგუგუნეს! ეს „დამკრელობის მეორე დღეთ“ არის მთელს კავშირში გამოცხადებული! ამ სახით „ახალი“ წლის „შეხვედრისა“ თუ გატარების ძველი „ყოფა-ცხოვრება“ იფუშება!.. მაგრამ ზოგ-ზოგ წრეებში... თვით მაღალ სფეროებშიც კი ყოფილა „შეხვედრა“... მუშაობა – სამსახურის

შემდეგ დროს ტარებაც... ნუნუას მირთმევაც... ინდოურ-ბურვაკებიც... ბლომად და ბლომად... დიდი სიძვირის მიუხედავად! თითო ინდოური – 15–25–30 მანეთია, ქათამი 10 მანეთი – 6-7-8 მანეთი! ლიტრა ღვინო 3 მანეთი – არაყი ხო მამასისხლად გამხდარა... ბორჯომის ბოთლი არაყი – 10–12 მანეთი!.. სოფლელებს მაინც ჩამოუტანიათ, ჰყიდიან, თითქოს ფულს იღებენ, მაგრამ თვითონ იმ ფულით ვერაფერს ყიდულობენ! ყველაფერი „ორდერებითაა“, ყველაფერი „პურის წიგნაკებითაა“, „პურის წიგნაკებიც“ რამდენ ჯურად იყოფა: არის მუშებისათვის წიგნაკი – „ა“, მათი ოჯახისათვის – „ბ“, მოსამსახურეთათვის – „ვ“, ბავშებისათვის – „დ“ და ვინ იცის, კიდევ რა!... ფეხსაცმელის დიდი კრიზისია!.. შოვნა არ არის!.. ყველი, ერბო-კარაქი უბრალო მომაკვდავთათვის – ხელმიუწდომელი, აგრეთვე რძე! მაგრამ ქალაქებში ჯერ არ გვშია, გამოვდივართ დღიურად! ზოგჯერ ნავთი შემოგვაკლდება ხოლმე და ვქოთქოთებთ ჟესტიანკებით ხელში ნავთის საწყობებთან!... ვერ ანაწილებენ სანოვაგეს თუ ნავთსა რიგიანად და თავის დროზე!.. შეშა საზღაპრო ძვირია!.. ვერ მოზიდეს... ბევრი უშეშოდ დარჩა!.. ბევრს ჯერაც არ მიუღია კარტოფილი-კომბოსტო-ხახვი, ფული კი ზაფხულში ჰქონდათ შეტანილი კოოპერატივებში! სოფლადაც დიდი მოუწესრიგებლობაა. ნამდვილ ამბავს კაცი ვერას გაიგებ... დასავლეთ საქართველოში ფუთი სიმინდი 10–12 მანეთი ფასობს! შოვნაც არ არისო!.. ეხლა იქ სიმინდს აგროვებს მთავრობა... გააწერეს გლეხებს სიმინდის ფულის თუ ღვინო-არაყის გადასახადები!.. მეტად უმძიმთ ბევრგან ასეთი დაბეგვრა!.. აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ პური „დაამზადეს“, ეხლა აქაც „სიმინდის დამზადებას“ მიჰყვეს ხელი! დიდი გასაჭირია აქაც!.. ტანისამოსი... ფეხსაცმელი... საცვლები... სჭირს...

ყოველივე ეს და ასეთი კრიზისი თუ გასაჭირი აიხსნება იმით, რომ რევოლიუცია როდი დამთავრებულა საბჭოთა კავშირში! ის გრძელდება, თან ღრმავდება, სწარმოებს ამ ჟამად „სოციალური რევოლიუცია“, პოლიტიკური დასრულდა! სოციალურ რევოლიუციას სარჩულად დაედო სოფლად „კოლექტივიზაცია“, „კოლხოზები“, „კოლმეურნეობის მოწყობა“. ამ მოვლენამ კი დიდი არევ-დარევა გამოიწვია სოფლის მეურნეობაში. გლეხები შეესიენ თავიანთ დოვლათს და თვითონ გაანადგურეს ეს დოვლათი: „დაჰკლეს უამრავი საქონელი. დალიეს ღვინო, არაყი, მიჰყიდ-მოჰყიდეს და გაანიავეს ყველაფერი!.. და დღეს კრიზისია ყველაფრისა და არც გასაკვირია ყოველივე ამის შემდეგ ეს კრიზისი! ეს მოსალოდნელი იყო! ეს აგრეც უნდა ყოფილიყო-თქო, – განვაცხადე მე ჩვენს წერითი-დამხმარე კოლექტივში დეკემბერში მომხდარ „საბჭოთა გადარჩევის“ გამ-ში მომხდარ საერთო სხდომაზე. ამ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე ვინმე სულუხიამ!.. მისი მოხსენების გამო გაიმართა კამათი... ამ კამათში მეც მივიღე მონაწილეობა, ვილაპარაკე ნახევარი საათი, დავეთანხმე მომხსენებელს მასში, რომ ქალაქის საბჭოს დიდი მუშაობა ჩაუტარებია, შეუნელებელი აღმშენებლობა უწარმოებია ყველა დარგში, როგორც ამას მოწმობს მომხსენებელის მიერ

მოყვანილი სტატისტიკური ცნობები – ციფრებში, ხოლო კრიზისი ავხსენი – „სოციალური რევოლიუციის“ ამ ჟამად წარმოებით და მისი გაღრმავებით!.. თავისს უკანასკნელ სიტყვაში მომხსენებელმა ქათინაურები გამიკეთა – „გეტყობა მჭერ-მეტყველება, დაკვირვება, ძველი გამოცდილება და, მიუხედავად ძველი სოციალური მდგომარეობისა, თქვენში რევოლიუციონური სული ღვივისო“!.. ჩემი გამოსვლა იმ კრებაზედაც მეტად სახიფათო იყო, შესაძლებელი იყო, იმოდენა ხალხიდან ვინმეს „წამოეძახა“ ჩემთვის „წარსული“... მაგრამ ეს არ მომხდარა, პირიქით, სიტყვა ბევრჯერ შემაწყვეტინეს ტაშის ცემით, ხოლო ბოლოს თითქოს ოვაციაც გამიკეთეს!.. ის იყო, რომ მომხსენებელმა მაინც „წამიბოლა“ – ჩემი „ძველი სოციალური მდგომარეობა“... ვეჩვევი ნელ-ნელა ხმის ამოღებას... ჯერ თითქოს მზოგავენ... შემდეგ თუ არ დამირთეს და არ მომცხეს და მომცხეს... ეს განიზრახეს „ჯაყოს ხიზნების“ გასამართლებაზე, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში!.. მაშინაც გადავრჩი!..

ასეთი განცდებით ვეგებები მეცა და ჩვენი ქვეყანა ახალ 1931 წელს. ამ თემაზე მთელი ერთი თაბახი ქაღალდი გავაჭრელე, დავიწყე ლექსით – „ახალი – 1931 წელი“, დავასრულე კი პროზით, მთელი „ტრაქტატით! ეს ცალკე ფურცელი აქვე იქნება ჩადებული-ჩაკერებული! არც ლექსი და არც „ტრაქტატი“ კი არაფერი შვილია, მაგრამ მაინც დამახასიათებელია დრო და ჟამისა თუ „ყოფილი ადამიანის“ სულიერი განწყობილებისა! რო ვერსად, ვერაფერში ვპოულობ გამოსასვლელს, ქაღალდზე, ჩემს თავს ვებაასები, ვეკამათები! „ვინც რა უნდა სთქვასო“, – ნათქვამია!.. მაშ, შემდეგ ახალ წლამდე, თუ მივაწიე მანამდე!.. თუ არა და ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ!..

6 იანვარი – 1931 წელი – სამშაბათი

ხვალ – 7 იანვარს (ძვ. სტილით 25 დეკემბერს) – მართლ-მადიდებელთა „ქრისტეს შობაა“!.. ამ ძველი დიდი დღის მოახლოებას ქალაქის ბაზარი ამჟღავნებდა დიდძალი სანოვაგის ტფილისში შემოზიდვით და ვაჭრობით! დღეს კი ბაზარში მეტად მიყუჩებული მაჯის ცემაა! სადღაა სანოვაგე?! ან ვინღაა მისი მყიდველი?!. რაც არის, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება... ხელ-მიუწვდომელია!.. საღამოს პირზე ქალაქის აღმასკომის ქვეშ კოოპერატივში შეველ... დიდ-ძალი ხალხი ირეოდა. სანოვაგეს ჰყიდულობდენ ხვალისათვის... განსაკუთრებით ღვინოს... სხვა არა იყო რა კოოპერატივში!.. სომხობა დღეს და ხვალ დღესასწაულობს თავის – „შობა–წყალ-კურთხევას“... ისინი ირევიან, მოძრაობენ, ყიდულობენ სასმელ-საჭმელს, თუ რაიმე კი ჩაუვარდათ ხელში... დიდი თოვლია – ნახევარ მეტროზე მეტი თოვლი დასდო!.. ბევრ ადგილზე ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა... გზები ვერ გასწმინდეს ჯერაც!.. სახლების სახურავების გადმოთოლის შესახებ გამოიცა ბრძანება... კიდევ თოვლის მოლოდინში... დღეს საღამოთი მეხანძრეები თოვლავდენ სასახლის სახურავს... სხვები ვერ

ახერხებენ ამას, დიდი ფული ჯდება და ვერც მუშა-ხელს შოულობენ... უდგენენ მოქალაქეთ ადმინისტრატიულ ოქმს და აჯარიმებენ...

ეხლა შევიხედოთ ჩვენი ქალაქის ტაძრებში!.. მდუმარებაა! ზარის ხმა არსად გაისმის!.. ზარები ხო გადმოჰყარეს სამრეკლოებიდან! დიდი მყუდროებაა!.. ასეთ „დროს“ და ისიც ასეთ ზამთარში – აბა, ვინ შევა ტაძარში და ვინ მოისმენს იქაურ „ღვთის მსახურებას“ – მეტად უშნო-ულაზათოს, განსაკუთრებით ქართულ ეკ-ლესიებში! რუსები ისევ განაგრძობენ ეკლესიებში ძველებურად თავის შეყრას, ლოცვა-ვედრებას, გალობას და ლიტანიობას! ქართველებში კი ჩაკვდა ყოველივე ეს! ძლივს დაღანღალებენ მღვდელი და დიაკვანი! სოფლად ხო სულ მოისპო ესეც! ქალაქში დიაკვნები აღარ არიან, ღვდელი მღვდელს შველის წირვა-ლოცვაში. მაგალითად – ანჩისხატში – ორი დეკანოზია დღეს – წინამძღვარი-დეკანოზი და დიაკვანი-დეკანოზი! აქაური – დამსახურებული, ჩემი დროის მნათე-დიაკვანი – ანდრონიკე ხუცაიძე გავიდა ეკლესიურ სამსახურიდან, აღიდგინა მან ჩამორთ-მეული მოქალაქობრივი „ხმის უფლება“ და სადღაც სამსახურში შევიდა, ლუკმა პურს შოულობს. აქ კი დიაკვნის ადგილზე მოვიდა მოხუცი დეკანოზი ვინმე პავლე ხუციშვილი, წინამძღვრობს კი დეკ. იოანე ლუკაშვილი, რომელიც გადამწერად მსა-ხურებს კათალიკოზის კანცელიარიაში. ესენი – ორთავენი ყოველ პარასკეობით „აკაფისტებს“ უხდიან რუსის „კლიკუშკა-დედაკაცებს“, რომელნიც იკრიბებიან აქ, თვითონ გალობენ და ლიტანიობენ ძველი „ანჩის-ხატის“ – „პირი-ღვთისას“ წინაშე!.. ესენივე ყიდულობენ ჩხირ სანთელს და ორიოდე გროშს სტოვებენ ამ „ორი დეკანოზის“ გასამრჯელოს... ამ დეკანოზებს შვილები აცხოვრებენ... აქედან არაფერი აქვთ!.. ასევეა საქმე თვით სიონში, ქვაშვეთში, ვერაზედ და სხვაგანაც! ისევ სასაფლაოს ეკლესიებზე თუ იბრუნებენ სულს ღვდლები!..

კათალიკოსზე და მისს სინოდზე თუ მათ „მოღვაწეობაზე“ არა ისმის რა საინტერესო!.. მათ შორის სწარმოებს ისევ შუღლი, შფოთი, მტრობა, ერთმანე-თის დამცირება და გაბიაბრუება!.. მეტად მძიმე მდგომარეობას განიცდის საქ. ეკლესია, ის მიმქრალია უკვე!.. „ხუთ წლელის“ დამლევამდე თუ არა ხუთწლედში ის არ ვიცი, რა სახეს მიიღებს!.. მისი პატრონი, გამკითხავი, არა სჩანს... არც არავის „სჭირდება“ ის „დღეს“!.. ასეთი შობა თენდება ხვალ!..

სოფლად გლეხობა განაგრძობს ტრადიციულ „ღრეობას“! ის თავისებურად „გაითენებს“ შობას!.. ინდოურებით, ქათმებით, ღორით, ბურვაკებით და ღვინო-არაყით!.. ღვდელი და წირვა-ლოცვა მას აღარც კი აგონდება! რომც მოიგონოს და მოისურვოს, ველარც კი იშოვნის!.. აღარ არიან!.. მაგრამ სოფლის „ტრადიციებ-საც“ წინ გადაეღობება „კოლექტივების“ ორგანიზაციები!.. კოლმეურნეობა თა-ვის ორგანიზაციაში ვერ მოითმენს ასეთ „რელიგიური ტრადიციების“ ნაშთებს! განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც „მთლიანი კოლექტივიზაციაა“ დღეს გამოცხადებული!.. ასეთი „კოლექტივიზაცია“ კი დღითი-დღე ცხადდება თურმე გურიაში და სხვაგანაც! აგერ ახლა „მთლიან კოლექტივიზაციაზე“ გადაუყვანიათ ჩემი სოფელიც – მთაგორიანი ასკანა, მთისპირი-ოქროსქედი-ფიჩხისჯვარი-გვაბრათი და ვანის ქედი!.. ჯერ არ ვიცი, რა სახით ჩამოყალიბდება ამ საზოგა-

დოებაში ეგ „მთლიანი კოლექტივიზაცია“!.. აქ სახნავ-სათესი ადგილებიც კი არ არის!.. არ ვიცი, როგორ და რა სახით უნდა გააერთიანონ თავისი „ავლადიდება“, რომელიც ჭეშმარიტად „კატას აეკიდება“, როგორც არის ხოლმე ნათქვამი!... ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები „მთლიანად“ შეეცდებიან აღმოფხვრან თავიანთ შორის ყოველი რელიგიური ყოფა-ცხოვრების ნაშთი თუ ტრადიციები!.. „საკალანდო ღორსაც“ კი ვერ დაჰკლავენ ესენი!.. ვეღარც „გაილოცავენ“ კალანდას „ღორის თავით“ და გობზე მონთებული სანთლებით!.. ვეღარც „მაჭახელას“ გაისროლიან!.. ვეღარც საშობაო „ალილოს“ მიუღიღინებენ შუა-ღამეზე ერთმანეთს!..

„სოციალური რევოლიუციაა“!.. ებრძვის ის ყოველივე ამას!...

7 იანვარი – ოთხშაბათი
„დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ საქ. პედაგოგ. ინსტიტუტში“

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში – №6 – ასეთი სათაურით მოთავსებულია ვრცელი – პედაგოგიურ ინსტიტუტის კათედრათა საერთო კრების რეზოლიუცია და თვით „დისპუტის“ მოკლე შინაარსი. მეტად საგულისხმო და დროს დამახასიათებელია ყოველივე ეს. ჩემს მემუარებში თავის დროზე აღნიშნული მქონდა ის გარემოება, თუ როგორ დანაწილდა ჩვენი ქართული უნივერსიტეტი სხვა და სხვა დარგის ინსტიტუტებად! უნივერსიტეტი ამ სახით ჩვენ აღარა „გვყავს“ (მე ცოცხალ ორგანიზმად მყავდა ის დასახული და ამიტომ ვსვამ ზმნას – „არ გვყავს“ ნაცვლად – არა გვაქვს). უნივერსიტეტის შენობას ახლა ეძახიან „ყოფილი უნივერსიტეტის“ შენობას! ამ შენობაშია დღეს მოთავსებული „პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრები“! ამ ინსტიტუტის კათედრათა საერთო კრებაზე მომხდარა, სტუდენტების თანადასწრებით, პროფესორებთან დისპუტი, მათი სოციალურ-პოლიტიკური ფიზიონომიის გამოსამჟღავნებლად. სარჩულად ამ დისპუტს დასდებია „კონდრატიევის კუდების ამოწვა საქართველოში“! „კონდრატიევ-გრომანი“ ესენი კონტრ-რევოლიუციონერთა ამას წინეთ აღმოჩენილი ორგანიზაციის ბელადებია, კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე. ამ „კონდრატიევშჩინის“ შესახებ კრებაზე მოხსენება გაუკეთებია „ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ივ. ვაშაყმაძეს“! ეგ ვაშაყმაძე სულ ახალი პიროვნებაა, ის პარტიულია, მარქსისტი, სხვაფრივ ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი არაფრით. გვარით ის უნდა იყოს გურული.

„განადგურებული, მიწამდე გასწორებული კონტრ-რევოლიუციონურ ძალებმა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, შესცვალეს თავიანთი სამოქმედო გეზი და იწყეს ფარული, მავნებლური-საზიანო მოქმედება. კონტრ-რევოლიუციონურ ძალებმა და მათ შორის მტრულად განწყობილმა მეცნიერულმა ძალებმა დაიწყეს შეგუება ახალ პირობებისადმი და ცდილობდენ პარტიის ახალი ეკონომ. პოლიტიკა გამოეყენებიათ თავიანთი მავნებლური-რესტავრაციული მიზნებისათვის“! – აი, რა ყოფილა „კონდრატიევშჩინა“!..

...„პროფესორი ივ. ჯავახიშვილი (ეგ უნივერსიტეტის დამმაარსებელია, ყოფილი მე-2 რექტორი მისი), პროფ. გრ. წერეთელი, პროფ. უზნაძე, დოც. კოტეტიშვილი, დანელია და მათი მსგავსნი, რომელნიც გაჟღენთილი არიან იდეალისტური მსოფლმხედველობით, ნაციონალიზმით, სარწმუნოებრივი ფანატიზმით, რომელთათვის მარქსიზმი-ლენინიზმი არარას წარმოადგენს, ვერ შესძლებენ კულტურული რევოლიუციის დიდი ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობის მიღებასო“... შემდეგ კრება აღნიშნავს, რომ პროფ. ჯავახიშვილმა და წერეთელმა იცოდენ რა საკითხი დაისმებოდა დღეს ამ კრებაზე და არცერთი არ გამოცხადდაო... „რაც უსათუოდ ერთხელ კიდევ ნათელ ყოფს იმ გარემოებას, რომ ისინი აშკარად მტრულად არიან განწყობილნი მუშათა კლასის მიმართ... ეს არის აშკარა პოლიტიკური საბოტაჟი. პროფ. ჯავახიშვილი წინააღმდეგია უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და იდეიურად ხელმძღვანელობს მემარჯვენე პროფესორთა ნაციონალისტურ ჯგუფსო“... შემდეგ უარყოფილია პროფ. ჯავახიშვილის შრომათა მეცნიერული ღირებულება... აგრეთვე გრ. წერეთელისა, რომელიც „მეცნიერულ აგიტაციას“ ეწეოდა ახალგაზრდობაში რელიგიის სასარგებლოდ... „ის მეცნიერებას უქვემდებარებს სარწმუნოებას თავისი ღვთის მოყვარეობით და ჯვრის ტარებით... ახალი წესწყობილებისა არაფერი არა სწამს“.

ასეთივე უარყოფით და „აღშფოთებით“ კრება აღნიშნავს პროფესორების პოლიექტოვის, უზნაძის, კოტეტიშვილის, ყაუხჩიშვილის გამოსვლებს...

„კრებას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია პროფესორ კეკელიძის (ეგ ჩვენი მიტროფორნი დეკანოზი) და პროფ. გ. ნათაძის გამოსვლები. ისინი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე ეწევიან ენერგიულ მუშაობას. ესენი ფიცს სდებენ, რომ დიალექტიური მეთოდის გამოყენებით აღზრდიან ახალ კადრებს. ...კრება აღშფოთებით აღნიშნავს პროფ. აკაკი შანიძის გამოსვლას, რომელმაც ააღელვა აუდიტორია – ის დემაგოგიით და ცილის წამებით გამოვიდა აკადემიკოს ნიკო მარის წინააღმდეგ. პროფ. შანიძის გამოსვლა შეფასებულ იქნა აუდიტორიის მიერ გადაჭრით უარყოფითად. კრებას დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია გამოსვლები პროფ. ჩიქობავასი, ბერძენიშვილისა, დოცენტი თოფურიასი და ჯანაშიასი... დამაკმაყოფილებლად აღინიშნა პროფ. ბერიტაშვილის გამოსვლა, რომ ის უდიდეს საჭიროებად სცნობს მატერიალისტურ დიალექტიკის შესწავლას და მის გამოყენებას ფიზიოლოგიაში (!)...

კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. წ. ჭაობში მოქცეული პროფესორები – ჩუბინიშვილი, ბენაშვილი, გ. ჯავახიშვილი, დიდებულიძე, ჯანელიძე და სხვები დუმილით შეხვდენ კრებაზე დასმულ პოლიტიკურ კითხვებს. კრება მოითხოვდა მათგან გარკვეულ პასუხს – არის თუ არა მათი დუმილი მათი პოლიტიკური ფიზიონომიის ნიღაბი, თუ ისინი აპირებენ ჩვენთან მუშაობას?.. უარყოფითად შეფასდა ესენი...

„დისპუტში“ გააკრიტიკეს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, ეგ არ არის მეცნიერულად დამუშავებული ისტორია. ის წარმოადგენს ისტორიული ფაქტების გროვას. გარდა ამისა, ჯავახიშვილის მეთოდოლოგია არ არის

მისაღები, რადგან ის არის ფორმალისტური-იდეალისტური. ჯავახიშვილის ისტორია გაჟღენთილია ნაციონალიზმით...

...პროფესორ კეკელიძეს აქვს შეცდომები მეთოდოლოგიაში, მაგრამ ის სცდილობს ამ შეცდომების გამოსწორებას...

კამათში გამოსულმა ალ. წერეთელმა დაგმო თავისი წარსული და აღიარა, რომ ის გულწრფელად იმუშავებს სოც-მშენებლობის ფრონტზე...

პროფესორმა გ. ახვლედიანმა მოუწოდა პროფესურას, რომ გაემიჯნონ ანტიბოლშევიკურ, ანტიმარქსისტულ მსოფლმხედველობას და შეუდგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ენერგიულ თანამშრომლობას... მან განაცხადა, რომ ის კომუნისტური აკადემიის დროშის ქვეშ ენერგიულად იმუშავებს ენათმეცნიერების დარგში...

დისპუტმა გამოამჟღავნა, რომ საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები მომზადებული არიან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ აკადემიურადაც. დისპუტზე გამოსულმა ძველმა პროფესურამ იდეოლოგიური და აკადემიური დამარცხება იგემა“...

ასეთი ატმოსფერაა შექმნილი ყოფილი უნივერსიტეტის დარჩენილ „გულში“ – პედაგოგიურ ინსტიტუტში! აქ ვეღარ ითმენენ ძველ პროფესურას, მათი იდეოლოგიით! ესენი კი ახალ იდეოლოგიისათვის გადამზადებას ვეღარ ახერხებენ, უკვე ხანში შესული მეცნიერები არიან, თავიანთ ნამუშევარზე ეხლა უარის თქმას ვერ ურიგდებიან, გარდა ზოგიერთებისა. ეგუებიან ახალ იდეოლოგიას კეკელიძე, ნათაძე, ალ. წერეთელი, ბერიტაშვილები და მსგავსი მერყევი ხალხი! კრებაზე, კეკელიძის შესახებ, სხვათა შორის განუცხადებიათ, რომ „ის „მემარცხენეა“, მემარცხენე პროფესურაში მუშაობს, არა ჰგავს პროფ. შალვა ნუცუბიძეს, რომელიც ორ სკამზე ზის – თითქოს ჩვენთან მუშაობს – ისე კი იდეალისტური მეთოდის მიმდევარიაო“!

ამაზე ნუცუბიძეს მიუგია – „კეკელიძე იმიტომ მემარცხენეობს, რომ ის ადრე ცისკარზე მიდიოდა და თქვენსკენ კი გადმოუხვიაო“!.. ამ სახით წაუბოლა კეკელიძეს მისი ყოფილი „დეკანოზობა“-მიტროფორობა! ერთი სიტყვით, ისეთი ვითარებაა შექმნილი ჩვენს უმაღლეს სკოლაში, რომ დიდი აკრობატიული ოსტატობაა საჭირო, რომ კაცმა ფეხები არ მიიმტვრიოს... მე მგონია, ეს „დისპუტი“ ერთნაირი „წმენდის“ საფეხურია. ზოგიერთებს დაფერთხავენ, დაითხოვენ სამსახურიდან. ამას გარდა, სწარმოებს კიდევ პროფ. ივ. ჯავახიშვილსა და ნიკო მარრის შორის ძველი ბრძოლა! ნიკო მარის წინააღმდეგ აშკარად გაულაშქრია დისპუტზე პროფ. აკაკი შანიძეს, რომელიც მოწაფეა და მიმდევარი ივ. ჯავახიშვილისა. ვფიქრობ, ძვირად დაუჯდება შანიძეს ასეთი გამოლაშქრება. ამ რამოდენიმე დღის წინეთ ცაკის მიერ გამოცხადებული იყო, რომ ტფილისში დაარსდა კომუნისტური-მარქსიზმისა და ლენინიზმის სამეცნიერო აკადემია – პროფ. ნიკო მარის ხელმძღვანელობით! დირექტორად დასახელებულია ფ. მახარაძე, ხოლო შედიან ამ ორგანიზაციაში მამია ორახელაშვილი და სხვა ასეთი მარქსისტ-ლენი-

ნელები! არც ერთ დარგში გასაქანი არ ექნება სხვა მიმართულებას, ხაზი სასტიკი რეალისტური, მარქსიზმ-ლენინისტურია! ეს გასაგებიცაა, მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან დიქტატურაა პროლეტარიატისა და სხვას არ აბოგინებენ!.. დიდ ძალი სხვა და სხვა დარგის ინსტიტუტებია დღეს ტფილისში! უამრავი სტუდენტობა მოაწყდა ამ ინსტიტუტებს, მთელი არმიაა სტუდენტობისა – 24 ათასი კაცი! ამათ ბინები ვეღარ უშოვნეს ტფილისში! არის ერთი არევ-დარევა, ორომტრიალი მათი ბინების შესახებ! ხან სად შეცვივიან სტუდენტობის გროვა სახლებში, ხან სად! არის მათთან ხელ-ჩართული ბრძოლა მილიციელებისა და მეხანძრე რაზმებისა! მათი „შესახლება-გამოსახლება“! ამ ნიადაგზე კერძო მოქალაქეთა აწიოკება, შემოკლება-შემჭიდროება! ამბობენ, სტუდენტებისაგან უნდა განტვირთონ ტფილისი, ამ მიზნით მეორე პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსება სურთ ქუთაისში, ან გადატანა აქედან იქ; აგრონომიული ინსტიტუტი ოზურგეთში უნდა გადაიტანონო!... დიდი მოძრაობაა განათლების ფრონტზე! ატარებენ და აწყობენ კიდეც საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას! სტუდენტობასა და მოსწავლეებს ენიშნებათ სტიპენდიები – ზოგს 50–80–100–120–150 მანეთისა, ტეხნიკუმებში 20-30-40-50 მანეთისა! ამდენი სტიპენდიები და ასეთი რაოდენობისა ეს პირველი მაგალითია და დიდი შემწეობაა განათლების დარგის წინ წასაწევად.

ერთი სიტყვით, ხელისუფლება ენერგიულად მუშაობს ყველა ფრონტზე, დიდი მიღწევებიცა აქვს, მაგრამ ბევრი დაბრკოლებებიც ეღობებათ წინ, განსაკუთრებით სამეურნეო დარგში და წარმოების დარგში!.. ყველა ეს დაბრკოლებები ადვილად გადაილახება, თუ გარედან ომი არ ატყდა და ხუთ წლედის 4 წელში ჩატარება არ ჩაიფუშა! მაგრამ ამას წინეთ გაზეთებში გადმობეჭდილი იყო ინგლისელ ლიბერალის ლოიდ-ჯორჯის წერილი, სადაც ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ომი არ იქნება, განგებ გაჰკივიან ომის მოახლოებაზეო! თუ გარეშე ომი არ ატყდა, შიგნით საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სიმტკიცით უზრუნველ ყოფილია! რკინის დისციპლინაა გამეფებული! წითელი არმია მტკიცე დარაჯად უდგია ხელისუფლებას!

ცხადია, მსოფლიოს თვალწინ ხდება არა ჩვეულებრივი სოციალისტურად გარდაქმნა საბჭოთა კავშირის 150 მილიონიანი ქვეყნისა! მეტად საგულისხმოა და მნიშვნელოვანია ეს მოვლენა...

19 იანვარი – ორშაბათი
ძველი სტ. 6 იანვარი – ნათლის ღება

ამ დღესასწაულის მოახლოებას ახასიათებდა ტფილისის ბაზარი – სანოვაგის შემოზიდვა სოფლებიდან და ერთი გაცხოველებული აღებ-მიცემობა. ეს ბაზრობა ყოველ წლებით ნელდებოდა საბჭოთა ხელის უფლების ხელში, წელს კი მას, მგონი, სამუდამოდ დაეშრო წყალი! არავითარი ნიშან-წყალი დღესასწაულის მზადებისათვის!.. დიდი თოვლი ძევს ქუჩებში... 13–15% ყინვებით გაქვა-

ვებულია ქუჩები... შიშვლად გაყინულა ქუჩები... მეტად მძიმე სასიარულოა... აღმოსავლეთ საქართველოში მშვენიერი დარებია... არც იქიდან შემოაქვს რა! სანოვაგის დიდი ნაკლებობაა... ნავთიც არ არის საკმაო... ხალხი სულ „ოჩერედებში“, განსაკუთრებით ნავთის ოჩერედებშია!.. ვის რაღა ედღესასწაულება!.. თუ თითო-ოროლა დაკლული ინდოურია გამოტანილი, 30–35–40 მანეთია თითო! ქათამი 13–15 მანეთი!.. არა არის რა!.. არც ღვინო იშოვება... სოფლელებს არ უშვებენ ღვინითა და არაყით!.. იჭერენ... აჯარიმებენ...

ასე რომ, შესამზადებელი სადღესასწაულო ბაზარი მეტად დაღარიბებულია... დღეს გავიგე მხოლოდ, რომ სომხებიც ისევ ძველ სტილზე გადმოსულან „მართლ-მადიდებლებთან“! წინეთ ახალ სტილზე 6 იანვარს აწყობდენ ერობის „იორდანეს“! წელს აღარც ეგ „იორდანე“ გაუმართავთ არც სიონში და არც ვანქში! გავიარე სიონისაკენ და სულ არ იდგა 10 ადამიანი შიგ! ანჩის ხატში ხო არც ერთი სულიერი!.. მაგრამ, ჰოი საკვირელებავ! საათის 11-ზე ანჩისხატის ქუჩაზე (ეხლა ამ ქუჩას „შავთელის“ ქუჩა ჰქვიან) წინ შემეჩეხა სომხის ტერტერა კამილავკაში, გამოჭიმული ეტლში, გვერდით ეჯდა მისი თანმხლები „ტერ-აცუა“, ანუ დიაკვანი, ხელში ეჭირა გადაკეცილი ფილონ-ოლარი ტერტერასი! გადმოხტა ტერ-აცუა ეტლიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაურთო მჯიღი მოქალაქის „პოდიეზდს“! ეგ იმას ნიშნავს, რომ ტერ-ტერა, თავისი ტერ-აცუათი, სახლის გასანათლავად დადიან... მრევლში! ტერ-აცუა უბრახუნებს მრევლის კარებს!.. მრევლი კი კარებს არ უღებს... შიშითა თუ სირცხვილით!.. ტერ-ტერა ეტლში ზის, ულვაშებზე ხელს ისვამს, თან ცბიერი ღიმილი დაჰკრავს ტუჩებზე... თან გული უკანკალებს, ვაი თუ მრევლმა არ შეუშვასო სახლში! მაშინ რა ჰქნას?! რით გაისტუმროს ეტლი?! ეტლი ამ ჟამად ტფილისში მეტად ძვირია, ერთი გზა – 10–15 მანეთი!.. საათობით, არ ვიცი, რა ეღირება!.. არ უღებენ კარებს!.. ტრიალებს და არ შორდება ტერ-აცუა იქაურობას!.. რაც ძალი და ღონე აქვს, უბრახუნებს მჯიღს კარებზე!.. მაგრამ... აქ თუ არ მიიღეს, სხვაგან მიიღებენ!.. სომხები შორს მჭრეტელი ხალხია!.. ისინი „ეშმაკსაც უნთებენ სანთელს და ხატსაც“... ერთმა თუ არ გასჭრა, მეორე გასჭრისო!.. ისინი ეკლესიასაც უფრთხილდებიან... ტერ-ტერებსაც ინახავენ!.. ესენიც საჭირონია თავის ადგილზეო!.. ტერტერას ალბად იმედი აქვს, რო დღეს კაი შემოსავალს მობოჭავს მრევლში, თორემ გიჟია, ეტლი დაექირავებია!..

სულ სხვა განწყობილებაა ქართველობაში – აქ ჩაქრა უკვე კერა-სანთელი! ვერც ერთი ქართველი ღვდელი დღეს ვერ გაბედავს „მრევლში“ სიარულს არამც თუ ფაიტონით, ფეხითაც კი!.. ვერც ერთი ოჯახი ვერ გაბედავს მის მიღებას! ან რო მიიღოს, რით გაისტუმროს?! რა მისცეს! ან რა ასვას, რა აჭამოს?! წინეთ სუფრა ჰქონდათ ყოველ ოჯახს გაშლილი! ღვდელსაც ოლად ისტუმრებდენ!.. დღეს კი არაფერი!.. ამ ხანით ყოველ წლობით, თანდათან მიდის დაკნინებამდე ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ცხოვრება ასეთ დიდ ქალაქში, როგორიცაა ტფილისი! სოფლად, ალბად იქ ხალხი <u>თავისებურად</u> ქათამ-ინდოურით-ღორით, ხაჭაპურებით და ღრეობით ითენებს დღესასწაულებს... უეკლესიოდ,

უღვდლოდ, უჯვროდ, ტრადიციულად!.. მაგრამ „მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში“ ამასაც დაეშრო წყალი! იქ ასეთ ტრადიციებს აღარ ექნება ადგილი!.. მიდის ძველი წესი-ადათი, იქმნება „ახალი“! მაგრამ რა სახეს მიიღებს ეგ ყოფა-ცხოვრება ამ „ახალში“, ამას ჯერ ვერ ვხედავთ! ისპობა რელიგიასთან მისი ატრიბუტებიც!.. რელიგია ჩვენში თურმე ამ გარე ატრიბუტებში სცოცხლობდა! მისი სული და გული თურმე დაფუტტროვებული ყოფილა! არავითარი სულის კვეთება! ვერავითარი სიმტკიცე რწმენისა, ვერსად ვერაფერში გამოიჩინა რელიგიის მსახურმა – სამღვდელოებამ! აქედან მართლდება თქმულება – „როგორიც ღვდელი, ისეთი ერიო“!.. ასეთი ფუყე, უსულ-გულო, ინდიფერენტული რელიგია, უმჯობესია, არ იყოს! ის თვალთ-მაქცობისა და დაუსრულებელი ინტრიგანობის ბუდე იყო და დღესაც, ვინც კიდევ შერჩენია, ასევეა!.. სჯულის დებულებას არსებითად არავინ დაგიდევდა!..

აღარ გაისმის ზარის ხმა!.. გაისმის დილაადრიან გუდოკები დეპოსი, არსენალისა, ქარხანა-ფაბრიკებისა!.. გაისმის მათი ღრიალი, გრიალი, წივილი, კივილი ათას ხმაზე და ჰანგზე, რამოდენიმე ჯერად, რამოდენიმე „სმენად“, ღამის 12 საათზედაც კი! განუწყვეტელი მუშაობაა, განუწყვეტელი წარმოება!.. მართალია, ყველაფერში ნაკლოვანებაა, ვერც ვძღებით საჭმელ-სასმელით, ვერც ვიცვამთ-ვიხურავთ, როგორც რიგია! ძაფსა და საპონსაც ვერ ვშოულობთ, არ არის ეს, ხოლო თუ გამოჩნდა, ამას მხოლოდ მუშების წიგნაკ – „ა“ზე იძლევიან, მაგრამ იმედია, რომ „მალე – სულ მალე“ მდგომარეობა გამოკეთდება, „კოლხოზები“, „სოვხოზები“, რომელნიც ტფილისის გარშემო დაარსებულია და ყოველ დღე ეწყობა, არსდება, მოგვცემენ „ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა“, მისცემენ მუშებს პირველ თავში, ხოლო რაც დარჩებათ – სხვებსაც... მოსამსახურეებს...

სწარმოებს „ბრძოლა არსებობისათვის“... ლუკმა პურისათვის! ეს ლუკმა პური – მუშას 2 გირვანქა, მოსამსახურეს – 1 გირვანქა, ესეც მთავრობის ხელშია – უნდა გაჭმევს, უნდა არა!.. დიქტატურაა!.. ვიღას ახსოვს „ნათლის ღება“!..

9 თებერვალი – ორშაბათი. 1931 წ.

კაი ხანია აღარა ჩამიწერია რა ამ ჩემს რვეულში. ამ ხნის განმავლობაში კი ბევრი რამ საგულისხმო მოხდა ამ ჩვენს ქალაქში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ჩვენს მთავრობაში მომხდარი ცვლილებები: გადააყენეს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შალვა ელიავა, მიზეზი არავინ იცის; მის ადგილზე დანიშნეს მამია ორახელაშვილი, რომელიც წინეთ იყო ზაკ-რაიკომის მდივანი, ბოლო დროს კი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი! ეხლა ისევ წამოსწიეს წინ... მისი ცოლი მარიამ ორახელაშვილი სახგანათლების კომისარი იყო, გადააყენეს, ეხლა დიდუბის მაუდის ქარხანაში მუშაობს მცირე ადგილზე. გადააყენეს მიხა ცხაკაია – ა/კ. და საქართველოს ცაკის თავმჯდომარეობიდან! მის ადგილზე დაინიშნა ფილიპე მახარაძე, მახარაძის ადგილზე – საქ. სახ. კომისართა საბჭოს

თავმჯდომარედ – ლადო სუხიშვილი; განსახკომის კომისრის მოადგილეთ მიუწვევიათ ვარო ჯაფარიძისა – ალეშა ჯაფარიძის – 26 კომუნართაგანის ქვრივი – სომხის ქალია; ცხაკაიას და ელიავას რას უპირებენ, არ ვიცით, ელიავა უკვე წავიდა მოსკოვში. ბევრი სხვა ცვლილებებიცაა.

ქალაქის ახალი საბჭო

ჩატარდა უკვე არჩევნები, 1600 წევრია საბჭოში არჩეული, სხვა და სხვა ფენებისა – პარტიულები, უპარტიონი, დედაკაცები და სხვა! საზეიმო სხდომებიც ჩაატარეს საოპერო თეატრის შენობაში. ქუჩებში რადიო გადმოგვცემს კიდეც ორატორების სიტყვებს.

პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალება

გუშინ დაასაფლავეს ახალგაზრდა მსწავლული-მათემატიკოსი – გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძე, ცნობილ ნიკო ნიკოლაძის შვილი! ავათ გამხდარა ფილტვების ანთებით – „კრუპოზნოე ვოსპოლენიე“! მუშაობდა ფერო-მარგანეცის საქმეზე, ფიზიკურად, თავდაუზოგავად და ზედაც გადაჰყვა! პროფესორობის ხარისხი მიიღო 1928 წელში პარიზში; იქვე შეურთავს ემიგრანტ ვახტანგ ღამბაშიძის ქალი ცოლად; მუშაობდა სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში! ეს ინსტიტუტი ამ ჟამად მოთავსებულია ექსარხოსთა და შემდეგ კათალიკოსთა სასახლეში! აქ – ამ შენობაში, ყოფილ „კარის ეკლესიაში“ – გადმოასვენეს გარდაცვალებულის გვამი! აქ გადაუხადეს მას სამოქალაქო პანაშვიდები! აქედანვე გაასვენეს ის დიდუბის „პანთეონში“ და მიაბარეს სამარეს! სულ არ იქნებოდა 40 წლის – გარდაცვალებული გიორგი! იყო წარმოსადეგი ვაჟკაცი – მაღალ-მაღალი, შავ-გვრემანი! მამას როდი ჰგავდა, უფრო გურამიშვილებში იყო წასული! დედა გურამიშვილის ქალი ჰყავს! ამ ჟამად ღრმა მოხუცია, ლოგინად ჩავარდნილი; ეგ მოხუცი ილია ჭავჭავაძის ცოლის და არისო, აგრე გადმომცეს.

დიდი მწუხარება და გლოვა იყო საზოგადოებაში ამ დიდ დანაკლისისა გამო! კაი ძალი მეცნიერული ნაშრომები ჰქონდა განსვენებულს! იყო ამას გარდა „ალპინისტიც“! მეთაურობდა ის მთასვლელობას! რამოდენიმეჯერ ავიდა ის მყინვარისა და სხვა მწვერვალებზე! შარშან სვანეთის მთები შემოიარა – თავისი ჯგუფით და ერთ-ერთ მწვერვალიდან ჩამოცვივდენ ხრამში ჯაფარიძე და დვალი, ესენი დაიღუპენ! ჩამოვარდა გ. ნიკოლაძეც, მაგრამ რაღაც შემთხვევით გადარჩა ცოცხალი! ეხლა კი აგრე უეცრად და მოულოდნელად დაიღუპა ძალღონით და ცოდნით აღსავსე ადამიანი! ბევრი სიტყვები წარმოითქვა!.. ღამის ცხრა საათამდე გაგრძელდა მის საფლავზე – დიდუბეში – სიტყვები! ბოლო

სიტყვა წარმოსთქვა იოსებ იმედაშვილმა, ყოფილ „თეატრი და ცხოვრების“ მოხუცმა რედაქტორმა. დაუსრულებია სიტყვა აგრე: „დაიწყო მამამ (ნიკო ნიკოლაძემ) და დაამთავრა შვილმაო“! საუბარი ჰქონდა შავ-ქვაზე, რომლის დამუშავება პირველიდან ხდებოდა ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით და ხელმ-ძღვანელობით, ხოლო გიორგი ნიკოლაძე თავდადებით მუშაობდა ფერო-მარ-განეცის შენაერთისა და თუჯის ჩამოსხმის საქმეზე, ქარხანის ასაგებად და თავიც ზედ წაასამარა... ვიცნობდი პირადად! იყო დარბაისელი და ჩინებული მოუბარი! მომისმენია მისი მოხსენებები ქართულ გეოგრაფიულ საზოგადო-ების საჯარო სხდომებზე...

წარმომიდგენია რა თავზარ დაცემულებია მისი სიმამრ-სიდედრი-ცოლო-ურნი პარიზში!...

1931 წლის 25 თებერვალი. ოთხშაბათი
საქართველოს გასაბჭოების 10 წლისთავი

ამ დღისათვის დიდი წინასწარი მზადება და მითქმა-მოთქმა იყო ტფილისში განსაკუთრებით, ხოლო საერთოდ საქართველოში. დღესასწაულის რამოდენიმე დღის წინ ყველა დაწესებულებებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში და სადაც კი შესაძლებელი იყო, იმართებოდა საზეიმო კრებები, რომლებზედაც სათანადო მოხსენებებით და სიტყვებით გამოდიოდენ ხელმძღვანელი ამხანაგები თუ სხვე-ბიც. კვირას, 21 თებერვალს, ასეთი საზეიმო კრება და სხდომა იყო მოწვეული „წერითი დამხმარე კოლექტივში“, სადაც ეს ერთი წელიწადია მეც ვმუშაობ. ამ კო-ლექტივში შედიან მამა-კაცებიცა და დედაკაცებიც, რომელნიც ჩამორიგებულნი არიან „გადამწერლებად“ სხვა და სხვა დაწესებულებებში – სამილიციო უბნებში, სამილიციო კამერებში, საბინაო საიჯარო ამხანაგობებში ანუ ე. წ. „ჟაკტებში“; მე თებერვლის 26-მდე ვმუშაობდი მე-4 რაიონის მე-13 კამერაში – პუშკინის ქუჩაზე, ყოფილ სემინარიის შენობის პირდაპირ (ეხლა სასტუმრო „პალასია“ შიგ); ვართ ამ „კოლექტივში“ 150 კაცამდე. სათავეშია კომუნისტი – შალვა პატარაია – მეგრელი. კრება გახსნა ამ პატარაიამ. ლაპარაკი არ ეხერხება, განაცხადა: „მომხსენებელს ველოდი „კავშირიდან“, მაგრამ არ მოვიდაო; ამიტომ ექსპრომტად მოხსენებას გააკეთებს ამხ. ტარასი სირაძეო“. ეგ სირაძე კი არის ჩვენი კოლექტივის ადგილ-კომის ტეხნიკური მდივანი. ეს, მგონი, პარტიის კანდიდატია; წამოდგა და გააკე-თა მოხსენება მართლა „ექსპრომტად“! ე. ი. აბდა-უბდა – გადასკუპდა და აგრე!.. ილაპარაკა კაი ხანს! დადებითი არა იყო რა მის მოხსენებაში! მოხსენება უმეტეს წილად შესდგებოდა მენშევიკების დამცირებით და ლანძღვა-თრევით! სხვა კი საერთო ფრაზებით გაგვიმასპინძლდა ჩვენი მომხსენებელი და დაასრულა.

თავმჯდომარე მიმართავს კრებას და ეკითხება – „ვის გსურს სიტყვაო“?.. ხმას არავინ იღებს. თავმჯდომარე ისევ ეკითხება კრებას – ვის გსურთ სიტყვაო?! ისევ დუმილია! თავმჯდომარე ისევ ჭირვეულობს და ეკითხება კრებას – ვის გსურს

სიტყვაო! არავინ ხმას არ იღებს! მაშინ თავმჯდომარემ დაიწყო ყვედრება: „საქმე ის კი არ არის მხოლოდ, რომ პუნქტებზე ისხდეთ და ფულები ჩაიწყოთ ჯიბეში! საჭიროა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მონაწილეობა მიიღოთ, საზოგადოებრივი „დატვირთვაც“ აიღოთო“! მაგრამ ვერავითარმა მხილებამ ხმა ვერ დააძვრევინა ვერავის! ეს იმიტომ კი არა, ვითომც არავის სურდეს სიტყვის წარმოთქმა ამ 10 წლის თავის გამო! არა! სიტყვა, მსჯელობა თუ ლაპარაკი მაინცა და მაინც არავის ეხერხება!.. ან არავის სურს თავი შეიწუხოს!..

მაშინ თავმჯდომარემ წამოიძახა: „სიტყვა ეკუთვნის ამხ. ნიკიტა თალაქვაძესო“! შემეჩვია თავმჯდომარე! „ჯაყოს ხიზნების“ გასამართლებაზე წარმოვსთქვი სიტყვა, გავასამართლე „თეიმურაზი“! მაშინ დიდხანს ვილაპარაკე... შემდეგ საბჭოების გადარჩევის სხდომაზედაც ვილაპარაკე! გაიგეს, რომ ლაპარაკი მეხერხება!.. ეხლა მომთხოვა სიტყვის წარმოთქმა! მოდი და ნუ იტყვი, თუ ხათრი გაქვს!.. ამიტომ სიტყვის შეუბრუნებლად გავედი და ვილაპარაკე: „10 წლის თავი საქართველოს გასაბჭოებიდან ჩვენი ერის ისტორიაში შეადგენს მთელს ეპოქას! ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ისტორიის კაბადონებზე დაიწერა წარუშლელი ფურცლები! ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერი, ა/კავკასიის სხვა ერებთან ერთად, შევიდა საბჭოთა დიდი კავშირის ერებთა ოჯახში და მათთან ერთად აწარმოებდა საერთო პოლიტიკას, სოციალისტურად თავისი ცხოვრების გარდაქმნას, გადახალისებას, განახლებას და ახალი ყოფა-ცხოვრების მოწყობას. ეს საერთო აღმშენებლობისა და საქმიანობის სურათი ჩვენ თვალწინ იყო და არის აღმართული, ამხანაგებო! ეს ჩვენ ვნახეთ, განვიცადეთ, მონაწილეობასაც ვიღებდით შეძლებისა და გვარად ამ საქმიანობაში! აი, 25 ამ თვეს – გასაბჭოების მე-10 წლისთავზე ჯამი უკეთდება ამ საქმიანობას, ამ მოქმედებას და დიდი მიღწევებით იქნება შეჯამებული ეს 10 წლისთავი!

მართლაც, არ დარჩენილა არც ერთი დარგი ცხოვრებისა, სადაც თვალსაჩინო წინმსვლელობა და დიადი მიღწევები არ იყოს მოპოებული ამ ხნის განმავლობაში საქართველოში! უპირველესად აღსანიშნავია და მოსაგონარია 1921 წლის 25 თებერვალი, როდესაც ჩვენს დედაქალაქში შემოვიდა წითელი არმია! თურმე ამავ დღეს წითელი არმიის ნაწილები შემოსულან საქართველოს ყველა ნაწილებში, სხვა და სხვა მხრიდან – კახეთიდან, სოხუმიდან, სოჭიდან, მამისონის უღელტეხილიდან და მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო! კარგად მახსოვს ის დილა – 25 თებერვლისა! ავლაბრის გადაღმა – აეროდრომიდან გარიჟრაჟზე გაბრაზებული კრაზანისებური ბზუილ-ბზუილით გაჰფრინდენ მეშევიკების ჰაერო პლანები ავჭალისაკენ!.. არ გასულა რამოდენიმე საათი, რომ ციციანოვის დაღმართით ჩამოვიდნენ იმავ ავლაბარიდან ცხენოსანი წითელი არმიის ნაწილები სიმღერითა და განგაშით!..

მაგონდება ერთი განცდაც იმ დღისა! დამეთანხმებით, ამხანაგებო, რომ ინტელიგენტი კაცი მეც მქვია! მიუხედავად ამისა, მაშინ მეც შიშის ზარით ვიყავი შეპყრობილი! ყველას გვეშინოდა: აი, ეხლა, აი, ეხლა შემოგვიცვიან ბოლშევიკები, აგვიკლებენ ყველას და ცოლ-შვილსაც აგვიწიოკებენო! მაგრამ,

როგორც ხედავთ, ეს ათი წელიწადია საამისო არა მომხდარა რა! პირიქით, ამ 10 წლის განმავლობაში ხელისუფლება და მომქმედი პარტია საოცარი ენერგიით და თავდადებით საქმიანობდა ჩვენს ქვეყანაშიაც და გამოგვიყვანეს კიდეც წარმატებისა, განახლებისა, გადახალისებისა და განსაცვიფრებელ აღმშენებლობის გზაზე! მე არ შეუდგები აქ ამ მიღწევების ჩამოთვლას და დასახელებას! ეს ყველა ჩვენგანმა იცის, ამაზეა ბჭობა ყოველ დღიურ გაზეთებში, ჟურნალებში, კონფერენციებზე და სხვა და სხვა კრებებზე!

აღვნიშნავ მხოლოდ რამოდენიმე მხარეს ამ მიღწევებისას. აღსანიშნავი და განსაცვიფრებელია ხელისუფლების მოღვაწეობა ჩვენი ახალ თაობის განათლების ფრონტზე. დაიქსელა საქართველო უამრავი სახალხო სკოლებით! სად, რომელი მივარდნილი ყრუ კუნჭული გნებავთ დაასახელოთ ჩვენში – თუშ-ფშავ-ხევსურეთში, სვანეთ-აფხაზეთში თუ სხვაგან, რომ დღეს იქ არ იყოს სათანად მოწყობილი გახსნილი სკოლა, ქოხ-სამკითხველო თუ სხვა განმანათლებელი დაწესებულებანი! ხდება ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარეობის სწრაფი ლიკვიდაცია! აი, ეხლა გაცხარებული მუშაობა სწარმოებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების დაყენებაზე! გაიხსნა უამრავი შრომის სკოლები სოფლად თუ ქალაქად! მოხდა უმაღლესი სწავლისა და სასწავლებლის სპეციალობაზე დაყოფა და ჩამოყალიბება! არასოდეს არ გაგვიგონია მოსწავლე ახალგაზრდობაზე ისეთი ზრუნვა, როგორიც არის დღეს ჩვენში! თითქმის ყველა მოწაფესა და სტუდენტს სტიპენდია აქვს დღეს დანიშნული!.. ერთი სიტყვით, განათლების საქმე საქართველოში დღეს შეუნელებელი, ჩქარი ბოლშევიკური ტემპებით მიმდინარეობს!..

ხელისუფლებას კარგად აქვს შეგნებული, რომ თუ არ განათლებით, თუ არ შეგნებით, თუ არ რეალური ცოდნით შეიარაღებული, სხვაფრივ ერი ვერ ეზიარება ვერავითარ წინმსვლელობას და კულტურას! სწავლა დაუახლოვა მან ცხოვრებას, ცხოვრების მოთხოვნილებას! წინეთაც იყო ჩვენში, მაგალითად, გურიაში, სკოლები, ბლომადაც იყო სკოლები, მაგრამ ისინი მოწყვეტილი იყვნენ ცხოვრებას, პრაქტიკულ მოთხოვნილებას ჩამოშორებულნი და ამიტო უნიადაგოც იყვნენ ისინი!..

აღსანიშნავია ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება ა/კ სამ უმთავრეს ერთა შორის – თათრებსა, სომხებსა და ქართველებს შორის! დღეს ეგ მშვიდობიანობა და მისი ნაყოფი იმდენად ნათელია, რომ ბრმა ან უსინდისო უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს არ ირწმუნოს და არ მიიღოს! კარგად გვაქვს უკვე ყველას შეგნებული, რომ შეუძლებელია ცალ ხელში თოფი გვეჭიროს, მეორეში თოხი და ამ სახით მუშაობა და კულტურული მოქმედება!..

აღსანიშნავია სოციალისტური რევოლიუციის გაღრმავება კოლმეურნეობის სოფლად დამყარებით! ყველამ ვიცით, თუ რამდენი გაუგებრობა მოხდა ამ მოძრაობის გარეშემო სოფლად! რამდენი შეცდომები იყო აქ დაშვებული! რამდენად გამწვავდა ეგ საქმე გლეხობაში, რამდენი დაბრკოლებები გამოჩნდა ამ გზაზე და დღესაც ეგ საკითხი მწვავეთა სდგას, დღესაც ბევრ ტკივილებს

განვიცდით ყველანი ამის გამო, მაგრამ, საქმეს უკვე კარგი პირი უჩანს! საქმე დაყენებულია უკვე საიმედო რელსებზე და უფრო ჩქარი ტემპით და წარმატებით ივლის ის ამის შემდეგ! ყველას გახსოვთ სტალინის შესანიშნავი სიტყვიდან, რომელიც მან ეხლა ხან წარმოსთქვა მოსკოვში, შემდეგი სიტყვები: „Мы повернули мужика на путь социализма“-ო! ეს სთქვა მან კოლმეურნეობის შესახებ, ეს აღნიშნა მან ამ საქმის საიმედო გზაზე დაყენების გამოსახატავად.

ამ საერთო სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც ხდებოდა და ხდება საბჭოთა დიდ კავშირში, ორგანიულ, მჭიდრო და ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართველი ერიც! ისიც ჩაბმულია ამ საერთო ფერხულში! მასაც დიდი მიღწევები აქვს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე!

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია დედამიწაზე! უხსოვარი დროიდან მოდის ის, იბრძოდა და იბრძვის დღესაც თავისი ვინაობის და არსებობის განსამტკიცებლად! ჭაღარა საქართველო და მისი განახლებული ერი დღესაც მომქმედია ამ დიად რევოლიუციურ ეპოქაში! მუდამ მებრძოლი ერის სახელი ჰქონდა ქართველობას! ქუდი ჩვენც გვხურებია და დღესაც გვხურავს! ჩვენც ვიხსენებით სხვა მომქმედ და კულტურულ ერთა შორის! საბჭოთა დიდი კავშირის ერთა შორის ქართველობას არ უჭირავს უკანასკნელი ადგილი ამ წარმოებულ ბრძოლაში და საქმიანობაში!..

მაშ, უსურვოთ საქართველოს და მის ერს გამარჯვება და წარმატება მის კულტურულ და აღმშენებლობით მოქმედებაში და მოღვაწეობაში“!..

ეგ სიტყვა ცოცხლად წარმოვსთქვი და შთაბეჭდილებაც შევქმენი! კრებამ ოვაცია გააკეთა... ამით დასრულდა კიდეც სიტყვები. ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს ვინმეს დასამცირებლად! მენშევიკების ლანზღვით არა გამოდის რა!.. მენშევიკებს არ ჰქონდათ გასაქანი!.. მეტიც არა მოეთხოვებოდა-რა მათ მაშინ!.. მათზე მტკივა გული იმ მხრით, რომ არ უნდა გაქცეულიყვნენ ევროპაში... ქვეყანას დიდ ძალი მომზადებული შვილები ჩამოსცილდა... ყოველ შემთხვევაში – ამდენი მაინც არ უნდა გახიზნულიყვნენ! წასულიყო 10-15 კაცი და კმაროდა! ეხლა ჰყრიან უბედურები პარიზში უმეტესად და ერთმანეთს სჭამენ!.. რა მწვავეა მათთვის ამ 10 წლის თავის მოგონება!.. რამდენი უბედურება ტრიალებს მათზე! იქ მარტო მენშევიკები როდი არიან!.. იქ ნაც-დემოკრატებიც ბლომად არიან და ფედერალისტებიც!.. ალბად თვალცრემლიანნი იგონებენ ყველანი სამშობლო ქვეყანას, რომელსაც ისინი სამუდამოდ მოსწყდენ!..

ოთხშაბათი – 25 თებერვალი

გათენდა მეტად სუსხიანი დღე. დაუშინა თოვლმა! თეთრად შემოსა მთა-წმინდა და ქალაქის მიდამოები!.. დემონსტრაციაზე მაინც გამოიყვანეს პროლეტარიატი, მუშა-მოსამსახურენი, მოწაფეები... ათასგვარი პლაკატებით, სურათებით, კარიკატურებით... მუსიკით, ზურნა-დუდუკით, მომღერლებით,

ზარით და ზეიმით! ამინდმა ძალიან შეუშალა ხელი ამ დემონსტრაციას, მაგრამ მაინც გრანდიოზულად ჩატარდა ის!.. გავრცელდა ხმები, რომ 10 წლის თავზე ტფილისში ჩამოვლენ სტალინი და ორჯონიკიძეო! ამბობდენ, რომ ისინი კიდევაც არიან ჩამოსულნი უჩუმრად... ინკოგნიტოთა, მაგრამ არავინაც არ ჩამოსულა!.. ...10 წლის წინედაც მეტად სუსხიანი ამინდი იყო... 25 თებერვალს 1921 წელს...

მარტი 3 – სამშაბათი

დღეს დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში პროფესორი-ექიმი-გინეკოლოგი მიხეილ ფილიპეს ძე მგალობლიშვილი. ის გარდაიცვალა ამ ორი დღის წინეთ, უეცრივ, როდესაც ოპერაციას უკეთებდა ავათმყოფ დედაკაცს; გარდაიცვალა 43 წლისა; განათლება ჰქონდა მიღებული საზღვარგარეთ; მეცნიერი კაცი იყო, ბევრი მეცნიერული ნაშრომიც ჰქონებია თავის დარგში; დიდი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის. ზედიზედ იღუპებიან ასეთი ახალგაზრდა ძალები... აგერ ეხლა მიწას მიაბარეს გ. ნიკოლაძე – ესეც პროფესორი-მეცნიერი.

„მენშევიკ-ინტერვენციონისტების გასამართლება“

2 მარტს დაიწყო მოსკოვში ამ სათაურის ბრალდებულთა გასამართლება მოსკოვში; ესენი არიან: გრომანი, სუხანოვი, შერ, იკოვი, რუბინი, ფინ-ენოტაევსკი; ზედ მიაყოლეს კონდრატიევი, და აკადემიკოსი რიაზანოვი – კომუნისტური პარტიის წევრი, რომელსაც ბრალდებულებთან ჰქონებია კავშირი და მათ ხელს უწყობდა. ეს პროცესი დაკავშირებულია „სამრეწველო პარტიის“ პროცესთან, რომელიც ჩატარდა მოსკოვში შარშან – დეკემბერში; ამ თაობაზე იხილე ამავ რვეულში 1–3 გვერდები, 6-7 გვერდები; მაშინ თუ „სამრეწველო პარტიამ“ წევრები გაასამართლეს ეხლა ასამართლებენ მენშევიკებს – მავნებლებს, პროფესორებს, რომელთაც დიდი ნდობა ჰქონდათ მოპოებული მთავრობის თვალში, ეჭირათ მეტად დიდი და საპასუხისმგებლო თანამდებობანი უმაღლეს სახელმწიფო საწარმოო ორგანოებში, სადაც ისინი ეწეოდენ „მავნებლობას“ აღმშენებლობისა და წარმოების ყოველ დარგში; აღმოაჩინეს ესენი, ამხილეს კიდეც, ყველაფერშიც გამოტყდენ, თავი დამნაშავედ აღიარეს და ყველაფერი დაწვრილებით უამბეს უზენაეს სასამართლოს – სად რა ჩაიდინეს, ვინ უწყობდა ხელს ამ საქმეში, როგორი კავშირი ჰქონდა მათ საზღვარ გარეთის მენშევიკებთან. მე-II ინტერნაციონალთან, „სამრეწველო პარტიასთან“, როგორ ამზადებდენ ნიადაგს ინტერვენციისათვის საზღვარ გარეთიდან. ამ გამომჟღავნებამ აღშფოთება გამოიწვია საზღვარ გარეთ – მე-II ინტერნაციონალში! ამის თავმჯდომარემ ვანდერველდემ პროტესტი გამოგზავნა უზენაეს სასამართლოს სახელზე მოსკოვში, რომ მე-II ინტერნაციონალს არავითარი კავშირი არა აქვს მაგათთანო!

პროტესტი გამოგზავნა უზენაეს სასამართლოს პროკურორის კრილენკოს სახელზე მენშევიკმა აბრამოვიჩმა ბერლინიდან: ბრალდებულებმა აჩვენეს, რომ აბრამოვიჩი არა ლეგალურად იყო მოსკოვში ევროპიდან ჩამოსული და ხელმძღვანელობდა მათ მუშაობასო! აბრამოვიჩი გადაჭრით უარს ჰყოფს ამას! ის ბერლინის სასამართლოს წინაშე ფიც ქვეშ ჩამორთმეულ ჩვენებაში აცხადებს, რომ ის მოსკოვში არ ყოფილა არასოდეს მას შემდეგ, რაც ემიგრაციაში იმყოფებაო! აბრამოვიჩი და მისი მომხრეები ევროპაში აცხადებენ, რომ ბრალდებულებს ალაპარაკებს უზენაესი სასამართლო, რაცა სურსო, ძალდატანების ქვეშეო!..

მეტად საკვირველია ამბავია! ერთი მხარე მეორეს უყიჟინებს სიყალბეს, თვალთმაქცობას, ღალატს და მავნებლობას! ბრალდებულნი თითქოს „გულწრფელად“ აღიარებენ ყველაფერს! საზღვარგარეთლები კი აღშფოთებულნი არიან „სასამართლოს ასეთი გათამაშებით“! მოდი და გაიგე ეხლა ამისი ასავალ-დასავალი!

სასამართლომ სამს მიუსაჯა ათ-ათი წლის იზოლიაცია, სხვებს ნაკლები ვადით ასეთივე იზოლიაცია; დახვრეტით კი არავინ დაუხვრეტიათ; რიაზანოვი გამორიცხეს პარტიიდან, როგორც მოღალატე და მას კიდევ ცალკე გაასამართლებენ; დიდი ქოთ-ქოთი ატყდა ამ პროცესის გარშემო: ინტერვენცია უნდა მომხდარიყო 1931 წელში. ეს არის „კონდრატიევშჩინა“ – კულაკობის დამცველობა და ინტერვენციისათვის მზადება; არც კონდრატიევს გადაუწყვიტეს დახვრეტა! ამ პროცესის გამო კავშირის ყველა ქალაქებში გაიმართა დემონსტრაციები, სადაც პროლეტარიატი მოითხოვდა ამათ დახვრეტას...

სამწუხაროდ, არა ვიცით რა თუ რა ხდება საზღვარ გარეთ, რასა სწერს იქაური პრესა, რა ნიადაგზეა ეს „პროცესები“ აღმოცენებული! ცალმხრივი და ტენდენციური ინფორმაცია გვაქვს! აშკარაა ერთი რამ – რომ არის და სწარმოებს არალეგალური მუშაობა საბჭოთა კავშირში, მიუხედავად ასეთი მუშაობისათვის მეტად ძნელ და მძიმე პირობებისა!..

აპრილი – 1931 წელი

დიდი ამბები ხდება... ევროპაში... თუ საბჭოთა კავშირში. ირაზმება ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ძალა – კაპიტალისტურ-იმპერიალისტური და საბჭოთა კომუნისტურ-სოციალისტური. ასეთ „მუშაობაში“ ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბებულან „მონაწილენი“ ამ საქმიანობისა! ჯერ იყო და საფრანგეთ-ინგლის შორის ჩამოვარდა რაღაც საზღვაო შეიარაღების საქმეში უთანხმოება! ამათ, როგორც იყო, მოაგვარეს ეს „საკითხი“!.. მაგრამ ამავ საკითხშივე ჩამოვარდა უთანხმოება იტალია-საფრანგეთ შორის! ამათაც, რის ვაი-ვაგლახით, მიახწიეს თითქოს შეთანხმებას, მაგრამ ისევ ჭრიალებს მათი შეთანხმების ურემი!.. ამავ დროს გამოტყვრა ახალი „ფანდი“ – გერმანიის მხრივ! ამას მოუწყვია შეთანხმება ავსტრიასთან – სადამოჟნო გაერთიანების საქმეში, ე. ი. ეკონომიურად გაერთიანებაში! ამას კი ლოღიკურად მოჰყვება

პოლიტიკური გაერთიანება გერმანია-ავსტრიისა, რომელიც შექმნის ერთ ძლიერს გერმანულ სახელმწიფოს! ასეთი გაერთიანება კი ამათი ლახვარია საფრანგეთისათვის! ასეთი გაერთიანების წინააღმდეგ მიღებული ყოფილა წინასწარი ზომები ანტანტის სახელმწიფოების მხრივაც ჯერ კიდევ ვერსალის ზავის დადების დროს, შემდეგ კი – 1922 წელში ცალკე „პროტოკოლიც“ ყოფილა დაწერილი, რომელიც მიმართულია ავსტრია-გერმანიის ერთსხეულად გაერთიანების წინააღმდეგ! ამიტომ, გამოცხადდა თუ არა გერმანია-ავსტრიის პროექტი სადამოჟნო გაერთიანებაზე, ასტყდა ერთი ქოთ-ქოთი, აურ-ზაური, ყირაზე დადგენ საფრანგეთი და ინგლისი, იტალია, სხვები კი შორი-ახლოდან უცქერიან სეირს!.. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა და ინგლისისამ გენდერსონმა – ეგ საკითხი „ლიგა ნაციას“ გადაულოცეს, იქ უნდა იქნას განხილული წინასწარო!.. ალბად იქ უნდა დაასამარონ ეგ „გაერთიანება“ გერმანია-ავსტრიისა! ასეთი გაერთიანება ამ ორ გერმანულ სახელმწიფოებისა ხელსაყრელად მიაჩნიათ საბჭოთა კავშირისათვის!.. არის ამ ნიადაგზე ერთი მიწევ-მოწევა, მიწვევ-მოწვევა, დიპლომატიური ფანდები, ბუტიაობა, მუქარები და სხვა... ამავ დროს მოხდა იაპონიის დიდ ქალაქში საბჭოთა წარმომადგენელ ანიკეევზე ვიღაც იაპონელ თევზის მრეწველ სატოს მიერ თავდასხმა, რევოლვერის დახლა და დაჭრა!.. ანიკეევი სიკვდილს გადარჩა! ამ თაობაზე დღესაც „ნოტების“ გაცვლა-გამოცვლაა საბჭოთა კავშირსა და იაპონიის მთავრობათა შორის! თევზის ჭერის საკითხი საბჭოთა წყლებში – წყნარ ოკეანეზე – მეტად გამწვავებულა, ამ საკითხს მეტად შეუბორკავს იაპონიის თევზის მრეწველები და ასეთი ზომებიც კი გამოუწვევია ამ გამწვავებას...

ამავ დროს საბჭოთა კავშირში სდუღს 5 წლედის ოთხწლედში განხორციელების საკითხი! 1 აპრილს უკვე გამოცხადდა აქტი, რომ ბაქოს პროლეტარიატმა თავისი დასახული მუშაობის 5 წლედის გეგმა განახორციელა $2^1/_2$ წელიწადში. დიდი ზეიმით აღინიშნა ასეთი გამარჯვება მთელი კავშირის მასშტაბით! 2-ნახევარში შეუსრულებია 5 წლედის პროგრამმა მოსკოვში – „ელექტროპროვოდსაც“! ესეც ზეიმით და პრემია-ორდენებით აღნიშნულ იქმნა!.. ამავე დროს საბჭოთა კავშირი აძლევს აუარებელ „შეკვეთებს“ გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებს მძიმე-ინდუსტრიის მანქანა-მოწყობილებათა დასამზადებლად! ამით გერმანია – საბჭოთა კავშირი ერთმანეთს უახლოვდებიანო!.. ეს „შეკვეთები“ იწვევს შურს ამერიკაში და სხვა ქვეყნებში!.. საბჭოთა კავშირი კი აფართოებს თავის წარმოებას, აძლიერებს მუშაობის ტემპებს, აძლიერებს „დამკრელობას“, „შეჯიბრებას“ მუშებში და იბრძვის „დაეწიოს და გაუსწროს“ ევროპა-ამერიკას წარმოებაში!..

ამავე დროს კონფერენციაა რომში – „აგრარული კონფერენცია“ – ევროპ. სახელმწიფოებისა! ამ კონფერენციაზე ირკვევა მიზეზები იმ „ღრმა ეკონომიური კრიზისისა“, რომელიც დღეს არის მთელ მსოფლიოში! ამ სჯა-ბაასში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვინმე კიცმანი (ალბად ებრაელია). აცხადებს, რომ „საბჭოთა კავშირში არც ეკონომიური კრიზისია და არც უმუშევრობაო“! „ასეთ განცხადებაზე დარბაზში დიდი ჩოჩქოლი ჩამოვარ-

დაო, – ეწერა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, – შემდეგ ზოგიერთ სავარძლებიდან სიცილ-ხარხარი მოისმა, თან მუქარები, ბუზღუნი და მიწევ-მოწევაო“!.. ალბად კიცმანის განცხადებას არავინ არ ენდო! ძნელი დასაჯერებელიცაა ეს განცხადება! მართალია, საბჭოთა კავშირში ყველაფერი ბევრია, მაგრამ ეს ყველაფერი სულ საზღვარ გარეთ გააქვს და მოქალაქენი განიცდიან დიდ კრიზისს ყველაფერში – სასმელ-საჭმელ, ჩაცმა-დახურვაში, თუ ყველაფერში!.. მუშებისათვის შემოღებულია წიგნაკი „A“ – ამათა და წითელ არმიელებს ყველაფერი ეძლევათ, სხვები კი მეტად შევიწროებულნი არიან! ეხლახან ტფილისში მოსამსახურე პირებსა და მათ მარჩენლობაზე მყოფთ შეუმოკლეს პურის ულუფა $^1/_4$ გირვანქით. გვეძლეოდა სულზე 1 გირვანქა, გვაძლევენ $^3/_4$ გირ.! საპონი რა არის, აღარ ვიცით! ჩაის ეს ნახევარი წელიწადია აღარ იძლევიან! შაქარსაც რის ვაი ვაგლახით იძლევიან სულ ორ გირვანქას თვეში! საცვლები შემოგვადნა ტანზე, ფეხსაცმელები აღარ არის მოსამსახურეთათვის! საავათმყოფოში აღარ არის წამლები, ავათ მყოფებს თეთრ ჩაის ასმევენ, ყველი, კარაქი – აბა, რა სათქმელია! საწერი ქაღალდი არ არის! დაიხურა უქაღალდობისა გამო რუსული გაზეთი, „Рабочая Правда“ – მეტად გავრცელებული 2 კაპეიკიანი გაზეთი! ქართული გაზეთი „კომუნისტი“ ვეღარ უშვებს საკმაო ნომრებს, კერძო საყიდლად ეს გაზეთიც არ იშოვება! აბა, რამდენი რა უნდა ჩამოვთვალოთ!.. ამავ დროს კიცმანი აცხადებს – საბჭოთა კავშირში ეკონომიური კრიზისი რა არის, არ ვიცითო!.. ცხადია ის სასაცილოდ აიღეს კონფერენციაზე!.. ასევეა უმუშევრობის საკითხიც... ისიც მიჩქმალული... მიფარებულია... თითქოს არ არისო!... მაგრამ არის და როგორი არის!.. ამბობენ, აქ „იძულებითი მუშაობაც“ არის სატყეო ნაწილში და სხვა ასეთ მძიმე სამუშევრებზეო!.. აქ კი უარს ამბობენ, – ამისი მსგავსი არა არის რაო!... ნამდვილს ვერსაიდან ვერაფერს გაიგებ! რასაც სწერენ და აცხადებენ, ეს უნდა მიიღო, ეს უნდა ირწმუნო! ამას ვერსად შეამოწმებ და გააკრიტიკებ! ამ მხრივ მართლაც არავითარი „კრიზისი“ არ არის საბჭოთა კავშირში!..

11-12 აპრილი – ახალი სტილით. შაბათი-კვირა

წელს აღდგომა ადრეულია, ის მოდის ძველი სტილით 30 მარტს, ახლით 12 აპრილს... აქამდე საბჭოთა კალენდრები აღდგომას მაინც აღნიშნავდენ თავიანთ ფურცლებზე, წელს კი ეს აღარ აღუნიშნავთ!.. არც სხვა კალენდარი გამოდის ჩვენში. ანტირელიგიური მზადება და პროპაგანდა კი ტარდება გაცხოველებული! მაგრამ რის პროპაგანდა!.. სოფლად უკვე აღარსად აღარ არსებობს სამრევლოები და ღვდლები! კოლექტივიზაციამ ისინი მოსპო! ტფილისში, ბათომში, ქუთაისში და ასეთ ქალაქებში არსებობენ ეკლესიები, იქ წირვა-ლოცვა დაუბრკოლებლად სრულდება, მაგრამ სამღვდელოების არსებობა განიცდის დიდ გაჭირვებას, მძიმე გადასახადების ქვეშ... ხალხი ვერ შედის ტაძარში, ერიდებათ, ეშინიათ, სამსახურიდან დაგვითხოვენო!.. რუსები მაინც

არ ტყდებიან, ისინი მაინც დადიან და აძლევენ სამღვდელოებას არსებობის საშვალებას, ქართველები კი გაურბიან, მეტად ერიდებიან; სომხობა მოხერხებულად იქცევა, ისინი „არც მწვადს დასწვავენ და არც შამფურს“!..

დღეს დიდი შაბათია... წყნარი და თბილი საღამოა... ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი... წინა დღეები ცივი და სუსხიანი იყო... ბაზარში სანოვაგე ბლომად იყო მოზიდული სოფლებიდან, მაგრამ ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, თუ არ მსხვილ ჯამაგირიანები, ისე ვერავინ გაეკარებოდა საყიდლად! კვერცხი თითო 25–30 კაპ; მუჭის ოდენა ქათამი 15–20 მანეთი; ინდოური 50-60 მანეთი! ბატკნები – 60–70 მანეთი! კვარტი ღვინო – წყალ-წყალა – ბაზრული 3 მანეთი! ბორჯომის ბოთლი არაყი – 10–12 მანეთი! ერთი კონა წითელი ბოლოკი – 1–20 კაპ... აგრეთვე წიწმატი, რომელიც წინეთ ღირდა 10 კაპ.! კარაქი-ერბო – 12 მანეთი გირვანქა, ყველი – 5 მანეთი გირ; პური გირ. თეთრი – 1 მანეთი, შავი – 60 კ. ერთი სიტყვით, მეტად დამძიმდა სანოვაგის ფასები! ყიდულობენ დიდ-ჯამაგირიანი მუშა-მოსამსახურენი! სხვები ვართ ყურ ჩამოყრილები, პირში ნერწყვი გვიშრება!... აღარ არის ნავთიც! ამბობენ, ნავთსაც ბარათებით გასცემენ – სამ ლიტრას სულზე თვეშიო! აი, ეს კი მეტად შეაწუხებს ხალხს! ნახშირი და შეშა დიდი ხანია ხელმიუწვდომელი შეიქნა ჩვენთვის! ნავთი იყო ჩვენი სულის მომბრუნებელი! ესეც მოგვაკლეს და არ ვიცი, როგორ უნდა წავიდეთ იოლად!.. გააქვთ, უსაშველოდ გააქვთ ყველაფერი, ოღონდ ხუთ წლედის გეგმა არ ჩაიშალოს! იმას კი აღარავინ დაგიდევს, რა მოუვა ამ ხალხს!.. მაგრამ ეგ „ხალხი“ – ხალხად აღარავის მიაჩნია!.. ანგარიშს უწევენ მხოლოდ „მწარმოებელ“ მუშებს, სხვებს რაც მოუვა, არავის ედარდება! მთავრობის აპარატისათვის, წითელი არმიისათვის და მწარმოებელ მუშებისათვის ყველაფერია! ამ მხრივ, მართლა „ეკონომიური კრიზისი“ არ არის საბჭოთა კავშირში!.. ესენი ამ სააღდგომოდაც კარგად არიან მომარაგებულნი.... ზოგს პასქებიც დაუცხვიათ, სახლებში... და თავისებურად ისიამოვნებენ...

გადავიდა შუა ღამე, მაგრამ ეს შუა-ღამე ერთი საათით უკან არის, ნამდვილი შუაღამე 1 საათზეა! გამოველი აივანზე, შეუძლოდ ვარ და სახლში დავრჩი, გარედ აღარ გავსულვარ! ამ დროს შემთხვევით შევესწარი ანჩისხატის ტაძრის გარშემო მოსიარულე „ლიტანიას“! მღვდელი და 15-ოდე მორწმუნენი, ანთებული სანთლებით, გარს უვლიდენ ტაძარს! ყურებს არ დავუჯერე!.. მომესმა რუსი დედაკაცების არეულ-დარეული წრიპინი – „Воскресение твое...“ ესენი რო მორჩებოდენ, ღვდელი მარტოდ მარტო გაიძახოდა – „აღდგომასა შენსა“... ალბად ეს ქართველებისათვის!.. მესამედ რო შემოუარეს ტაძარს, დადგენ დასავლეთის კარებთან და აქაც იგალობეს რუსულად! მღვდელი კი ხან ქართულად ამბობდა, უმეტეს წილად კი ისიც ურუსულებდა! ბოლოს მიულოცა მღვდელმა „ხალხს“ – „ქრისტე აღსდგა“! – ქართულად. პასუხი გასცა მხოლოდ ვიღაცა ერთმა – „ჭეშმარიტადო“! ეს პასუხი კი დარჩა ისე ობლად ჰაერში! იგივე რო მიულოცა მღვდელმა რუსულად, მიიღო საერთო პასუხი: „воистину воскрес“! ე. ი. უპასუხეს მღვდელს მგალობელმა დედაკაცებმა – რუსებმა, რომელთაც ხელში ეჭირათ ხატები, ჯვარი და

სანთლებიც! მამა კაცი, გარდა მღვდელისა, იყო ორი თუ სამი! ამ დროს – ეზოს აივნიდან გაისმა სიცილ-ხარხარი, დაცინვა და გამოჯავრება ღვდლისა თუ მგალობლებისა... ეს გამოჯავრება იყო ქართულ ოჯახებიდან...

შევიდნენ ტაძარში და წირვა ჩაატარეს რუსულად...

ალბად ეს არის „დასაწყისი დასასრულისა“.... ანჩისხატის გარუსება!.. ეგ ფაქტიურად ავტოკეფალიის წაშლაა... მწარე მოგონებანი თავს დამტრიალებდენ... აქ ვმსახურობდი 1919 წლის ივლისიდან – 1924 წლის აგვისტომდე. რა ლამაზად ვატარებდი ამ დღესასწაულებს!.. რა მგალობლებით, დიდძალი ხალხით!.. დიდი განცდით... მოძღვრებით!.. მთელი ეზოც გარს მეხვია!.. დღეს მე გარიყული ვდგევარ აივანზე... აბუზული... ეზოში ზოგს სძინავს, ზოგიც დაიცინება ხარხარებს!.. აქ კი უცხოელები გაჰკივიან.... მღვდელი ღნავის... ალბად მასაც გულში ჯოჯოხეთი უტრიალებს ამ „ბრწყინვალე“ დღესასწაულში!... tempora mutantურ, at nos in illis!.. ასე ამბობდენ ძველი რომაელები და ასე თითქმის დღესაც!..

მთელს ქალაქში სიწყნარეა. ზარების რეკა აღარ არღვევს ამ სიწყნარეს... სდუმან სამრეკლოები, რომელიც სწორეთ შარშან წინ ნააღდგომევს დაეცალიერეს... ზარებისაგან...

25 აპრილი – შაბათი
რევოლიუცია ისპანიაში

ეს ერთ კვირაზე მეტია, რაც რევოლიუცია ბობოქრებს ისპანიაში. კაროლი ალფონს მე-XIII გადმოაბრძანეს ტახტიდან! მისმა მომხრე მონარქისტულმა პარტიამ მადრიდის მუნიციპალურ არჩევნებზე განიცადა დამარცხება, მოჰყვა „უმცირესობაში“! კაროლს ურჩიეს გაქცეულიყო ისპანეთიდან! დროებითი მთავრობამ ხელი შეუწყო მას გაქცევაში! მეფე ცოლ-შვილით ავიდა გემზე, მიბრძანდა მარსელში, აქედან პარიზში ამოჰყო თავი, ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ გაემგზავრა ლონდონში და იქიდან თვალყურს ადევნებს – თუ რა იქნება! რით დასრულდება „ყოველივე ესე“! თვით განუცხადებია, მე ტახტზე უარი არ მითქვამს და არც ვიტყვიო! მოვერიდე ჩემი მიზეზით სისხლის ღვრა გაჩაღებულიყო ისპანიაშიო! დეე, სინჯონ, იგემონ, რა არის რევოლიუცია! რა არის ქვეყნის მართვა-გამგეობა და შემდეგ ვნახოთო!.. ისპანიაში კი ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს! ყველგან არეულ-დარეულებაა, კუნძულებზედაც, კოლონიებში აჯანყებაა გაჩაღებული! სისხლის მღვრელი შეტაკებები მოსდით პოლიციასა და აჯანყებულთ! წამოჰყო თავი მუშების მოძრაობამ, ადგილობრივი კომპარტიაც მოძრაობს, მოქმედებს, რაზმავს მუშებს, პროლეტარიატს და სურს, ძალა-უფლება ხელთ იგდოს! ჯერ-ჯერობით კი დროებითი მთავრობა ბურჟუაზიულია, „კერძო საკუთრებას“ იცავს, რაც ძალი და ღონე აქვს! გადმოსროლილია ლოზუნგი – მიწები გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებსო! და ამ ნიადაგზე უკვე არის მიხლა-მოხლა, სისხლის ღვრა, შეტაკებანი! „მოსკოვის

ხელი ტრიალებს ისპანიაშიო“, – სწერს ევროპის პრესა! აბა, ვინ იცის, ვისი ხელი არ ტრიალებს ეხლა იქ!!. რევოლიუციური ტალღები გადაგორდა მეზობელ პორტუგალიაშიცო, – სწერენ გაზეთები! იქაც ცეცხლი გუზ-გუზებს!..

საფრანგეთის „ბალიშის ქვეშე“, ყურის ძირში, ხდება ყოველივე ესე! ასეთივე „ყურის ძირია“ გიბრალტარი ინგლისისათვის!.. იტალიაც მეტად დაინტერესებულია ამ რევოლიუციით! ჩრდილოაფრიკა-ალჟირი-მაროკო-ტუნისი – ესენი უკვე არეულობის ცეცხლშია გახვეული!.. მეზობელი სახელმწიფოები ჩაერევიან ამ რევოლიუციის საქმეშიო, – სწერენ გაზეთებში! ყოველ შემთხვევაში, მეტად საგულისხმო მოვლენაა! დაინთო რევოლიუციის ხანძარი ევროპაშიც!.. მაგრამ ისპანიაში კომპარტია უძლური სჩანს, კომპარტიის მუშაობას იქ კრიტიკას უკეთებენ მოსკოვის გაზეთები, უწუნებენ მუშაობას, და დარიგებას იძლევიან – აგრე და აგრე უნდა მოიქცეთო!.. რევოლიუცია გამოწვეულია „დიდი მსოფლიო კრიზისითო“! ამ კრიზისს, აბა, რას უშველის „რესპუბლიკა“!..

ამერიკაშიც დიდი ეკონომიური კრიზისია! დიდ ძალი პური ჰქონებიათ დაგროვილი! ფასები კი პურზე თანდათან ეცემა ადგილობრივ! ეხლა ჰფიქრობენ პურის გამოტანას ევროპის ბაზარზე და იქ 50% დაკლებით ღირებულებაზე გაჰყიდონ! ზარალით! ეგ არის „დემპინგი“, რასაც უყიჟინებენ საბჭოთა კავშირს! საბჭოთა კავშირიდან კი გააქვთ პური ევროპის ბაზარზე, აქ კი – სახლში პური გვაკლია! თითო გირვანქა პურს გვაძლევდენ მოსამსახურეებს სულზე, ეხლა $^1/_4$ გირვანქისა დაგვიკლეს, პური გვაკლია, გვშია! კერძო ფასები პურზე ტფილისში – დღე-და დღე იზრდება, თეთრი პურის გირვანქა უკვე რვა აბაზი გახდა, შავისა კი – მანეთი და ექვსი შაური! ნავთიც წიგნაკებით რიგდება, მეტად შემცირებული! სჭირს ცხოვრება!.. მოსალოდნელია დამშევა!.. სხვაგან კი თავზე საყრელი ყოფილა ყველაფერი და აქედანაც იქ გააქვთ ყველაფერი! ვერ გამიგია, რაშია საქმე?!. ვალიუტა უნდათ მანქანების დასაკვეთად და ამ გზით შოულობენ ამ „ვალიუტას“ და აშენებენ სოციალიზმს!.. „თუ დავიხოცებით, რად გვინდა ასეთი აღმშენებლობაო“, – გაიძახიან ხალხში!.. მაგრამ ხელისუფლება „საბოლოო მიზნებს“ უცქერის, ხალხის საყვედურებს ის ანგარიშს არ უწევსო! – არის პასუხი!..

სოფლად „კოლმეურნეობაში“ გადავიდენ „სდელშჩინაზე“, ანუ ნარდ მუშაობაზე, „აკორდებზე“! ეს იმიტომ, რომ საერთო მუშაობაში დიდი ცუღლუტობა-სიზარმაცე იყო, ეხლა კი ნარდ მუშაობაზეა ანგარიში – ვინც არ იმუშავებს, არ შეასრულებს „მიზომილ“ საქმეს, ის ვერც არას მიიღებსო!.. უკვე არის ამ ნიადაგზე გაცხარებული სჯა-ბაასი და გადაყვანა კოლხოზებისა „სდელშჩინაზე“... აი, რევოლიუცია ეს არის! სოციალისტური რევოლიუცია! თორემ ისპანიის რევოლიუცია რა სათქმელიაო! – გაიძახიან საზოგადოებაში!.. მეტად შეშინებულია ჩვენში ხალხი! არ იციან, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს! დღითი დღე მწვავდება ცხოვრება!.. შექმნეს მუშებისათვის „დახურული კოოპერატივები“! აქედან სანოვაგესა თუ სხვა საქონელს აძლევენ მხოლოდ <u>მუშებს</u> წიგნაკი „ა“-თი! მხოლოდ მუშებს აქვს ეს წიგნაკი „ა“! მის კმაყოფაზე მყოფთ კი აქვთ წიგნაკი „ბ“! მოსამსახურე პირთ და მათ რჩენაზე მყოფთ – წიგნაკი „ვ“! ბავშებს – წიგნაკი „დ“!

ასე რომ, „ამ წიგნაკებზე ან-ბანს ისწავლიან ბავშებიო“, – ხუმრობენ!.. წიგნაკ „ვინზე“ იშვიათად, რომ რაიმე მიიღო! გვაძლევენ მხოლოდ შაქარს და პურს და ნავთს, მეტად შეკვეცილ რაოდენობით!.. არც მუშები არიან კმაყოფილნი, და არც მოსამსახურენი!.. მაგრამ... „ვინც რა უნდა სთქვასო“, – ნათქვამია, – „წისქვილმა კი ფქვასო“! – ხელისუფლების „წისქვილი ფქვავს“, მიდის წინ მისი მუშაობა, „მოითმინეთ, მოიჭირვეთ, რომ ბოლოს ყველაფერი ბლომად მიიღოთო“! აი, რა ლოზუნგია გადმოსროლილი! მოდი და, თუ ხათრი გაქვთ, ნუ მოითმენთ, ნუ მოიჭირვებთ! ამ სახით სოციალური რევოლიუცია საბჭოთა კავშირში ღრმავდება! კლასთა ბრძოლა მწვავდება, ეს ბრძოლა იხატება საშინელ უთანასწორობის შექმნაში!.. ჯერ განადგურდა ამ ბრძოლაში – მემამულენი-თავად-აზნაურობა, ვაჭარ-ბურჟუა-მწარმოებელნი! შემდეგ ჯერი მიდგა შეძლებულ გლეხებზე – „კულაკობაზე“, ეხლა ჯერი მიდგა შუათანა გლეხობაზე – მათი კოლმეურნეობაში გათქვეფით!.. ხდება მთელი მოსახლეობის იძულებითი „პროლეტარიზაციის“ პროცესი! მარქს-ენგელსის თეორიით უნდა მომხდარიყო ისტორიულ-ეკონომიურ მშვიდობიანი პროცესის გზით – „კაპიტალიზაცია“, ესე იგი სიმდიდრის განსაზღვრულ წრეებში დაგროვება, თან ამ კაპიტალიზაციას მოჰყვებოდა „პროლეტარიზაცია“, ესე იგი უმეტესობის გაღატაკება, რაც ბოლოს გამოიწვევდა გაღატაკებულთა მიერ მთელი ქვეყნის სიმდიდრისა თუ ქონების „სოციალიზაციას“ ანუ გაერთიანებას!.. მაგრამ ეს თეორია მარქსისა ლენინმა და სტალინმა ყირამალა აქციეს და ძალდატანებით ახდენენ მის „განხორციელებას“!.. ესეც საქმეა!.. ესეც ბიჭობაა! ამოდენა ქვეყანაში, ამოდენა ხალხში ასეთი დიქტატურის ჩატარება! ჯერ კი ტარდება, ხოლო ბოლომდე ჩატარდება თუ არა, ეს ბევრ სხვა პირობებზეა დამოკიდებული!.. ჯერ კი ესენი თავისას ატარებენ!..

30 აპრილი – ხუთშაბათი
დ. კლდიაშვილის გარდაცვალება

გუშინ – 29 ამა აპრილს, მამა დავითის გალავანში მიწას მიაბარეს გარდაცვალებული მწერლის, დავით კლდიაშვილის გვამი. ის გარდაიცვალა ს. სიმონეთში 26 აპრილს, ღრმა მოხუცებულებაში. გვამი მისი ჩამოასვენეს ტფილისში, დაასვენეს „მწერალთა სასახლეში“ (ყოფილი სარაჯიშვილ-ხოშტარიას სახლი, მაჩაბლის ქუჩა №13), გადაუხადეს სამოქალაქო პანაშვიდი 28 აპრილს საღამოთი, ხოლო 29-ს შვადღის 5 საათზე დიდძალი საზოგადოების თანადასწრებით გამოასვენეს და წაასვენეს „მთა-წმინდაში“, – სადაც განისვენებენ ჩვენი პირველ ხარისხოვანი კლასიკები – ილია, აკაკი, დიმიტრი, ნიკოლაძე, არტისტი აბაშიძე. მიცვალებულს უძღვნეს, რასაკვირველია, სიტყვები, მისი ლიტერატურული ღვაწლის აღნიშვნით. ის იყო იუმორისტი-მწერალი, რომელმაც იმერული თავად-აზნაურთა ტიპები მკვეთრად დაახასიათა, მიმავალი წოდების გახრწნა-გაღატაკება, მათი ყბად ასაღები ყოფაცხოვრების გადაშლა-გამომზეურება.

მიწისძვრა – სომხეთში
პარასკევი. პირველიმაისობა – 1 მაისი 1931 წლისა

ეს ერთი კვირაა ტფილისში და სომხეთშიაც დიდი თქეში წვიმებია; 25-26-27 აპრილს სომხეთში – ნახიჩევანის მიდამოებში, ამ დიდ წვიმებს ზედ მოჰყვა დიდი მიწისძვრა. 25 აპრილს, საღამოს 9 საათზე ტფილისში ვიგრძენით მიწისძვრა. სეისმოგრაფმა აღნიშნა ეს მოვლენა, მაგრამ ვერ გამოარკვია მისი მიმართულება. მეორე დღეს მოვიდა დეპეშები, რომელთაც გვაცნობეს – საშინელი ძლიერების მიწისძვრა სისიანის, გერიუსის, კაფანისა და სხვა მიდამო რაიონებში, სადაც დაღუპულა-დახოცილა ხალხი, 150 სული, 110 სული, 50 სული, დაშავებულა დიდ ძალი ხალხი, დახოცილა მსხვილფეხა-წვრილფეხა ცხოველები; ხალხი 20.000 სულზე მეტი ცის ქვეშ არის დარჩენილი! დანგრეულა საცხოვრებელი სახლების 80%! დიდი უბედურება ტრიალებს ეხლა იქ! იწერებიან სომხეთიდან, რომ ეს მიწის ძვრა ბევრად ძლიერი იყო, ლენინაკანში (გუმბრი-ალექსანდროპოლი) 1926 წელში მომხდარი მიწისძვრაზეო! ფეხზე დადგა მთავრობა დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად! მოსკოვიდან გადმოგზავნეს უკვე 2 მილიონი მანეთი, გადაგზავნეს დახმარება ტფილისიდანაც, გროვდება დახმარების თანხები მთელი კავშირის მასშტაბით. ერთი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია: ლენინაკანის მიწის ძვრას მოჰყვა ამ ქალაქსა და მის მიდამო სოფლების შენობათა გადახალისება–განახლება, სულ საუკეთესო ახალი სახლები წამოჭიმეს ლენინაკანში შემოწირული ფულებით! საქმე იმაშია, რომ იქ სახლები ყორე-ქვებისაგან იყო ნაშენი და თიხით შეთხუპნულები! ცხადია ასეთი შენობები ვერ გაუძლებენ მიწის ძვრას! აკი ახალი შენობები, რომელიც ეხლახან ყოფილა იმ რაიონებში აგებული, არც ერთი არ დანგრეულა, მთავრობის მიერ აშენებული სახლები! ასე, რომ ეხლაც ააგებენ ახალ სახლებს! მხოლოდ იკითხონ იმათ, ვინც ნანგრევებში ამოირაგვენ, გამოიჭყლიტენ! დიდძალი ხალხია თურმე მოყოლილი ნანგრევებ ქვეშ, გრძელდება ნანგრევების გაწმენდა და გვამების იქიდან ამოლაგება!..

ამ მიწისძვრის შთაბეჭდილებათა ქვეშე გათენდა 1 მაისი – მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაული. დღეს დილით უკვე გადადარებული იყო, ქუჩებიც გამშრალი, ასე რომ, დემონსტრაციას ხელი შეუწყო დარმა! ჩატარებული იქნა ჩვეულებრივი-ბოლშევიკური-გრანდიოზული დემონსტრაცია მუშამოსამსახურებისა, წითელი არმიის ნაწილებისა, მოსწავლე-ახალგაზრდობისა, სხვა და სხვა კარიკატურებით, პლაკატებით და ლოზუნგებით! ტრამვაი შეჩერებულია მთელი დღით! ოჯახებში დიდი სადღესასწაულო მზადებაა, თუ ვინმეს რაიმე გააჩნია! სააღდგომო ბატკნები ეხლა იყიდეს ოჯახებში – 50–60–70 მანეთად თითო მუჭის ოდენა ბატკნები! იქმნება ახალი ყოფა-ცხოვრების სახე. „აღდგომის“ ტრადიციები გადმოაქვთ 1 მაისზე! მეორე დღეც უქმია, დაწესებულებებში არ მუშაობენ, გარდა რკინის გზისა; მუშაობენ სოფლად – მინდვრებზე თესვის დაკვრითი წესით ჩასატარებლად!.. დღესასწაულობენ, ილხენენ; სვა-

მენ და სჭამენ დიდ-დიდ ჯამაგირიანი მუშა-მოსამსახურენი! სხვებს ნერწყვი უშრებათ პირში! შავი პური გირვანქა – კერძოდ ღირს – 1მ. 10 კაპ., თუ თეთრი – 1-60 კაპ. საშინელი ძვირია, სხვაზე რო არა ვსთქვათ რა, ბოსტნეულობა – ბოლოკი-წიწმატი-ტარხუნა! ამათ წონით ჰყიდიან კოოპერატივებში – 1 მან. 1 კილოს ბურბუშელიანად! კერძოდ ხო სულ ვერ გაეკარებით!.. ხორცი, ქათამი, კვერცხი, ყველი, კარაქი-ერბო – ეს ყოველივე ჩვენთვის ხელმიუწვდომელია! მეტად დასაფიქრებელია ეს მოვლენა! არ ვიცით, რა მოგველის! ვხედავთ, ეგ სანოვაგის კრიზისი დიდ ხანს გასტანს და თანდათან უფრო გამწვავდება! ფუთი სიმინდი გურიაში – ფასობს 40 მანეთად! აქ კი სიმინდის ბეგარა გადაახდევინეს მოსახლეობას, რომელიც ეხლა შიმშილობს! ტფილისში ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 30 მანეთად!..

აჯანყება ქურთისტანში

გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ოსმალეთის საზღვრებში მყოფმა ქურთობამ ისევ ააფრიალა აჯანყების დროშაო! წინეთაც არაერთხელ აჯანყებულან ქურთები, მაგრამ სასტიკად გასწორებია მათ ოსმალეთის მთავრობა! ეხლა ქურთების შეიხს ჰყოლია შეიარაღებული ძალა 30.000 მეომრისა! ამათ ხელს უწყობს ინგლისი, რომელიც სცდილობს შექმნას „დამოუკიდებელი ქურთისტანი“ – ოსმალეთის, სპარსეთისა და ირაქის სათანადო რაიონების ჩამოჭრითო! თითქოს ამ მოძრაობასთან დაკავშირებულია რუსეთის ტახტის მაძიებელი კირილე რომანოვის გამოსვლაც! ის წასულა სირიაში, შეთანხმებია ქურთებს, დაშნაკ-სომხებს და მათ ზურგს უკან ამოფარებული ლამობს რუსეთში შემოჭრას, ინტერვენციასო! გაზეთ „ზარია-ვოსტოკაში“ დახატულიც იყო მისი კარიკატურა, თავის კეფაზე დაყირავებული სამეფო გვირგვინით, თან მოთხრობილი იყო, თუ რა ამბებს ეწევიან სომხის დაშნაკები პარიზში ამ მოძრაობის გარშემო! კირილეს ხელს უწყობენ გახდეს – „император всероссииский“, „царь армянский“, „великий князь курдски“-ო! ქურთების მოძრაობა სერიოზული ხასიათისაა, ჩვენი მთავრობა ალბად სათანადო ზომებს იღებს საზღვრებზე, ამ მოძრაობასთან დაკავშირებით!

24 მაისი – კვირა – 1931 წელი
რევოლიუცია ისპანიაში

მწვავდება რევოლიუციონური პროცესი ისპანიაში; დროებითი მთავრობა ისპანიის რესპუბლიკისა, დამფუძნებელი კრების მოლოდინში, სცდილობს მოძრაობა იყოლიოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის კალაპოტში; მაგრამ მოძრაობაში მძლავრად ჩაება მუშები კომუნისტების ხელმძღვანელობით და ესენი რევოლიუციას აძლევენ სოციალისტურ მიმართულებას; ეს მოძრაობა

ჯერ-ჯერობით გამოიხატა ეკლესიისა და სამღვდელოების სასტიკ დევნაში! დიდ ძალი მონასტრები აიკლეს და გადასწვეს! მიანგრ-მოანგრიეს ტაძრები, გარეკეს ღვდლები, ეპისკოპოსები! გაიქცა ისპანიიდან პაპის ნუნცი – ისპანეთის ეკლესიის თავი! გაიქცენ-გამოიქცენ ბერები, ხუცები, იეზუიტები! განსაკუთრებით სდევნიან იეზუიტების ორდენებს, რომელთა რიცხვი ბევრია ისპანიაში! ასეთი შური იძია ისტორიამ ისპანიის ეკლესიაზე და მისს სამღვდელოებაზე! ისპანიის ინკვიზიცია – ეს მეტად შავი ფურცლებია ამ ქვეყნის ისტორიაში! რა არ ჩაიდინეს ისპანეთის ინკვიზიტორებმა და მეფეებმა! რას არ სჩადიოდენ ისინი!.. აი, აივსო ხალხის მოთმინების ფიალა და გადმოვიდა კიდევაც! ხალხი გათვითცნობიერდა, გაიგო კათოლიკური სამღვდელოების თვალთ მაქცობა, უტიფრობა, უზნეობა, გახრწნილება და, როგორც კი ცოტათი იგრძნო მან პოლიტიკური არტახების შეშვება, პირველ ყოვლისა, დასცხო მონასტრებს და იქ დაბუდებულ იეზუიტებს! ალაგ-ალაგ გლეხობა შესევია მემამულეებსაც და დაუტაცნიათ მათი მიწა-წყალი!.. ისპანიის რევოლიუციურ მოძრაობაში დროებითი მთავრობა „ხედავს – მოსკოვის ხელს“!.. „რუსი ელემენტები გაჩნდენ მადრიდშიო“, – სჩივოდა ამას წინეთ საგარეო საქმეთა მინისტრი ისპანიისა!..

მაგრამ დროებითი მთავრობაც არ ზის თურმე გულზე ხელ დაკრეფილი, მან ხელი მიჰყო კომუნისტების სასტიკ დევნას, დატუსაღებას და ხოცვა-ჟლეტასაც! „შავი რეაქციაა გამეფებული ისპანიაშიო“, – სწერენ დღევანდელი ჩვენი გაზეთები! დროებითი მთავრობა, მონარქისტულ პარტიასთან ერთად, აწარმოებს სასტიკ დევნას კომუნისტებისასო“! ცხადია, ღრმავდება იქ ბრძოლა, ხოლო რით და რა სახით დაბოლოვდება იქ ეს ბრძოლა, ჯერ ამისი ნიშან-წყალი არა სჩანს!

კონფერენცია ჟენევაში

„ნაციათა ლიგაში“ შემავალი სახელმწიფოების დელეგატებია ამ ჟამად შეკრებილი ქ. ჟენევაში მსოფლიო ეკონომიური დიდი კრიზისის გამო! სურთ, გამოარკვიონ, თუ რამ გამოიწვია ეს ეკონომიური კრიზისი მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში და რა ღონისძიებებია საჭირო ამ კრიზისის დასაძლევად. ამას გარდა ამავ კონფერენციაზეა დასმული განსახილველად გერმანია-ავსტრიის ეკონომიური უნია ანუ, როგორც უწოდებენ გაზეთები – „ანშლიუზი“. საქმე იმაშია, რომ გერმანია და ავსტრია ერთმანეთში შინაურულად შეთანხმებულან, რომ ეს ორი სახელმწიფო გაერთიანდეს ეკონომიურად, მოსპონ ერთმანეთში სადამოჟნო ურთიერთობა! პოლიტიკურად კი ისევ დარჩენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად! როგორც კი გამოამჟღავნეს ამ ორმა სახელმწიფომ ეს თავიანთი გულნადები, საფრანგეთი მაშინვე ყირაზე დადგა! საფრანგეთს მხარი მისცეს ინგლისმა, იტალიამ, პოლონეთმა, და სხვა პატარა სახელმწიფოებმაც! საბჭოთა კავშირი კი ჯერ შორიდან უცქერის ამ პოლიტიკურ ტრაგი-კომედიას! არავის-

თვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ ეს ეკონომიური უნია მოკლე დროში გადავა ამ ორ სახელმწიფოთა სრულ გაერთიანებაში, ავსტრია შეუერთდება, შეუსისხლხორცდება გერმანიას და ეს უკანასკნელი ძლიერ სახელმწიფოდ იქცევა და ცხადია მისი ასეთი გაძლიერება შიშის ზარსა სცემს პირველ ყოვლისა საფრანგეთს, რომელსაც ეშინია სამაგიერო არ გადაუხადოს მას გერმანიამ უკანასკნელ ომის დროს დამარცხებისათვის.

საბჭოთა კავშირი, არც ოსმალეთი არ შედიან „ერთა ლიგაში", მაგრამ ამ კონფერენციაზე ესენიც მოიწვიეს. საბჭოთა კავშირიდან დელეგაციას მეთაურობს გარეშე საქმეთა ცნობილი კომისარი ლიტვინოვი! ამ უკანასკნელმა მსოფლიო კრიზისის საკითხის გარშემო წარმოსთქვა დიდი და ეფექტიური სიტყვა! მან განაცხადა: „მართალია, საბჭოთა კავშირში არავითარი ეკონომიური კრიზისი არ არის, პირიქით, ჩვენში სწარმოებს წარმოების აღორძინების პროცესიო, მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც მიიღებს მსოფლიო კრიზის საკითხების გარჩევაში მონაწილეობასო". და ლიტვინოვმა წარუდგინა კონფერენციას თავის ამ საქმეში აზრების სქემა-ოქმი, რომელიც დიდის ყურადღებით მოისმინა კონფერენციამ, მაგრამ ბოლოს მაინც ერთხმად მიიღეს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის – ბრიანის აზრი და დებულებანი!...

ეს ბრიანი, დიდი გამოცდილი დიპლომატია! ეხლახან მოხდა პარიზში პრეზიდენტის არჩევნები! ეგ ბრიანიც წამოაყენეს კანდიდატად პრეზიდენტობაზე, დაასახელეს კიდეც, მაგრამ მან თვითონ მოხსნა თავისი კანდიდატურა და გაეშურა ჟენევაში კონფერენციაზე, სადაც მის მაგივრობას სხვა ვერ გასწევდა! პრეზიდენტად აირჩიეს სენატის თავმჯდომარე – 74 წლის დუმერი! – პრეზიდენტად კი ამ უკანასკნელ 7 წლის განმავლობაში იყო დუმერგი, ეხლაა დუმერი!..

ბრიანმა განსაკუთრებით თავი ისახელა ამ კონფერენციაზე იმით, რომ ჩაფუშა გერმანია-ავსტრიის განზრახვა – გაერთიანებაზე! ეს საკითხი გადაუძახა მან გააგის ტრიბუნალში, რომელიც მიუდგება ამ გაერთიანების გარჩევას იურიდიულადო! როდის ექნება იმ ტრიბუნალს მსჯელობა ამ თაობაზე, ეს არავინ იცის!.. გაზეთებმა კი ერთხმად აღიარეს – გერმანიის დამარცხება და საფრანგეთის გამარჯვება! კონფერენცია ჯერაც არ დაშლილა!.. როგორ მოუვლიან „ეკონომიურ კრიზისს", ან რა აზრისაა ბრიანის პროექტი ამ თაობაზე, ეს მალე გამომჟღავნდება. ლიტვინოვმა კი მაინც შთაბეჭდილება შექმნა კონფერენციაზე – დიდი! დიდი პროპაგანდაც გასწია მან ამ კონფერენციაზე კომუნისტური! მან განაცხადა – კბილებამდე შეიარაღებულია ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები, თავიანთი ბიუჯეტის ორ მესამედს შეიარაღებას ანდომებენ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმას ამზადებენ, ხალხი კი ღატაკდება, უსმელ-უჭმელია, საქონელი საწარმოო, გარდა სამხედრო მასალებისა, დაბალ ფასებშია და რა გასაკვირია – კრიზისი იყოსო! აი, ჩვენი – კომუნისტური სისტემა არ იწვევს არავითარ უმუშევრობას და კრიზისსო! – ასე განაცხადა შარშან რომში საბჭოთა დელეგატმა და მაშინ ღიმილით შეხვდა აუდიტორია ასეთ განცხადებას! ალბად არც ეხლა შეხვდებოდენ ლიტვინოვის განცხადებას

დიდის ნდობით, მაგრამ ამ თაობაზე მისთვის სიტყვა არავის შეუბრუნებია! ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა გენდერსონმა დაბეჯითებით მიმართა თავის ვრცელ სიტყვაში კონფერენციას და განაცხადა, რომ „ლიტვინოვმა უნდა უკუაგდოს ის აზრი, თითქოს ვინმე აპირებდეს მის ხალხზე თავდასხმასო“!.. ეს სიტყვები გენდერსონისა გაიმეორეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესკიმაც – არავინ ჰფიქრობს საბჭოთა კავშირზე თავდასხმასო!..

მაგრამ ასეთ „ფიცსა“ და „მტკიცს“ საბჭოთა კავშირში არავინ უჯერებს, აქ ელოდებიან ინტერვენციას ევროპიდან პირველ მარჯვე შემთხვევაშივე და ემზადებიან კიდეც! დღეს, მაგალითად, ტფილისის ქუჩებზე გაკრულია განცხადება, რომლითაც სამსახურში იწვევენ – შვებულებაში გაშვებულ ჯარის კაცებს – დაბადებულებს 1900 წლიდან – 1909 წლამდე – „ერთი თვის ვადითო“!.. სავარჯიშოდ, გასამეორებელად სამხედრო ხელოვნებისა და სხვა...

დღესვეა გაზეთებში ცნობა, რომ ქურთების მოძრაობა მეტად გაძლიერდა ირაქში, სპარსეთში და ოსმალეთშიცო! რაღაც კომბინაციები ხდება ინგლისის მიერ ოსმალეთის საწინააღმდეგოდ, ქემალ-ფაშას გადაგდება სურს ინგლისს ოსმალეთის პრეზიდენტობიდან, მისს ნაცვლად სურს დააყენოს თავისი მომხრე პირი... ქემალი და ეხლანდელი მისი კაბინეტი მეგობრულ კავშირშია საბჭოთა კავშირთან და ეს იწვევს ინგლისის მუცლის გვრემას და უჩხიკინებს ოსმალეთს, ხოლო იქიდან, შესაძლებელია, ჩვენც მოგვაწვენ!..

ხმა გავრცელდა ოსმალეთი ბათომისა და აჭარის უკან დაბრუნებას ითხოვსო!.. ვერა გამიგია რა!.. ეშმაკი მოიტეხს ფეხს ეხლანდელ ურთიერთობათა გარკვევაში!.. ერთი კი ცხადია, რომ მეტად გართულდა და გამწვავდა სახელმწიფოთა ურთიერთობა. კონსერვატორები – ჩემბერლენი და ბალდუინი ცოფს ჰყრიან პირიდან ინგლისის პარლამენტში საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ, „ესენი თავიანთი პროპაგანდით“ გვირევენ ინდოეთს და სურთ დიდი ბრიტანეთის დაშლაო“! მთავრობის თავმჯდომარე მაკდონალდი ამშვიდებს მათ და ეუბნება: „ჩვენც ცოტაოდენი გვეყურება, ბრმა ან ყრუ არც ჩვენ ვართო! მაგრამ საიმისო არა მომხდარა რა ჯერ, რომ ასეთი ყვირილი მოვრთოთო“!

ვნახოთ, რა იქნება!.. როგორ დააცხრობენ „ეკონომიურ კრიზისს“! ჩვენ კი პურით ვერ ვძღებით, ყველაფერი გვაკლია, თუ რაიმეა, ეს ყველაფერი მიდის „დახურულ კოოპერატივებში“ და აძლევენ მხოლოდ ბედნიერ პირებს, ვისაცა აქვთ წიგნაკი „ა“!.. სხვები ვართ თვალცრემლიანები და ვყლაპავთ ნერწყვს! ხორცი რა გემოსია, დაგვავიწყდა! თევზიც არ გვხდება!.. ყველი, ერბო, კარაქი, ქათამი და ასეთები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია! არ ვიცი ეს „კრიზისია“ თუ რა უნდა ეწოდოს ასეთ ვითარებას! მაგრამ... ვინ რას გკითხავს? ვინ გაქცევს ყურადღებას?!. დიქტატურაა!... დიქტატურას თავისი მიზნები აქვს!.. ამას ანხორციელებს!.. ამ მიზნებისათვის უნდა ყველაფერი მოიკლო, მოითმინო, რომ სოციალიზმი და მისი აღმშენებლობა არ შეფერხდეს! აი, რას გიპასუხებენ! ეს აგრეა!.. ამ ჟამად გაზეთების ფურცლები სავსეა თესვის კამპანიის ჩატარების თაობაზე მოწოდებებით! „დამკრელობა“, „შეჯიბრი“ ყველგან და ყველაფერში! კოლმეურნეობის განვითა-

რება, ამ საქმის ხელმძღვანელობა, მოწყობა, მოგვარება – აი, რაზეა გაზეთებში მუდმივი მითითება, ჩიჩინი, კრიტიკა, რისხვა თუ დაყვავება! სამწუხაროდ, მოკლებული ვარ საშუალებას ტფილისიდან სადმე ფეხი გავსდგა და ჩემი თვალით ვნახო ყოველივე ის, რაზედაც ამდენი იწერება გაზეთებში!.. ნახული კიდევ სხვაა, გაგონილიც სხვაა! გაზეთებში დაწერილიც სხვაა!..

წამალიც აღარ იშოვება აფთიაქებში!.. ავათ გავხდი, დღეს ექიმს ვეჩვენე, რევმატიზმები გაქვს, რჩენა გინდა, აბანოებზე ვერ გამოგიწერ, არ მაქვს მაგის შესახებ ანკეტებიო!.. გამომიწერა რაღაც მაზი... დამიწერა რეცეპტი... ჩამოვიარე ოთხი საუკეთესო აფთიაქი, ვერც ერთში ვერ აღმოჩნდა საჩემო წამალი... რაღაც მაზი! ვარ ისე დაღონებული, ქარები მჩხვლეტს მხრებში, ბარძაყში, ღამე აღარ მძინავს ტკივილებით... ვსწერ ეხლა ამ სტრიქონებს, იქნებ გული გადავაყოლო... მარტოდ ვარ სახლში... შუაღამეა.... წამალი ვერ გვიშოვნია... ალბად ეს წამლები სულ ევროპიდან მოგვდიოდა... ეხლა აღარ მოაქვთ... ვალიუტა – ოქრო უნდა ამას და არ იწერენ!.. ცხადია, არ უნდა გახდე ავად, თორემ, ნურას უკაცრავად, წამალი თუ ვერ იშოვნო!.. უნდა მოითმინო. ვითმენ მეც!.. ნუ მოითმენთ, თუ ხათრი გაქვთ!.. Sat!

28 აგვისტო. 1931 წ. პარასკევი

დღეს ძველი სტილით – 15 აგვისტოა – სიონობა. შევიარე სიონში წუხელ – ღამისთევაზე. მლოცველი იყო კათალიკოსი ქრისტეფორე. მეტად მიხწეული მეჩვენა... თავს ვეღარ იჭერდა... სულ თავჩაქიდრული იყო, სანამ საკურთხეველში არ მიგვეფარა... არ ვიცი, მოწყენილია თუ მეტად დაავადებული! მგონი, ეს უკანასკნელია – დასნეულებული, ჩაყვითლებული, გამხმარი, ფეხებ დასიებული...

ხალხი ძლიერ ცოტა იყო... ისიც ბუზ-ბუზებდა, არავინ ლოცულობდა, ხეტიალობდენ საყდარში... დეკ. მარკოზ ტყემალაძე ზეთს სცხებდა... ულაზათოთ გალობდენ, წაკითხვა დიდი წიგნისა – ესეც საშინელება იყო! კითხულობდა „ნიკო ბერი“ – მთავარი!.. ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკობდენ „მლოცავები“... წირვაზე უფრო ნაკლები ხალხი იყო!.. სადღაა „ჩარდახიანი ურმებით“ ჩამოსული „მლოცავები“, ცხვრებით და კურატებით! სადღაა „ლხინი“ ეზოში – ქალ-ვაჟთა თამაში დოლზე თუ გარმონებზე!.. ნელ-ნელა იწურება, ჰქრება... „სიონობა“...

29 აგვისტო – შაბათი – ანჩისხატობა

„სიონობის“ მეორე დღეს „ანჩისხატობაა“... წუხელ ღამისთევაზე ხალხი ვინც მოგროვდა, თითქმის სულ რუსობა იყო! მლოცავი იყო ადგილობრივი დეკანოზი იოანე ლუკაშვილი. გალობდა სამ ხმოვანი ქართული გუნდი, მეორე მხარეზე გალობდენ – რუსის დედაკაცები, ეგრედ წოდებული – „კლიკუშკები“, ესენი დეკ.

სერგი გოროდცევის „სამწყსოს“ ნაშთია – „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციიდან! ესენი ყოველ პარასკეობით აკაფისტებს უხდიან „იესო ტკბილს“ – და ფაქტიურად დაიუფლეს კიდეც ეგ ძველის ძველი ტაძარიც! მწირველი კათალიკოზია... ხალხი ცოტაა... ისიც იგივე რუსი დედა-კაცები... „კლიკუშკები“!.. არც აქ იყო „ლხინი“ თუ ცეკვა-თამაში!.. ქართველობა არა სჩანდა... ეზოს მდგმურები არც ერთი შესულა ტაძარში... სხედან და უცქერიან, ვინ შედის-გამოდის...

კალოუბნის ტაძრის დანგრევა ქ. ტფილისში

სასახლის პირდაპირ – რუსთაველის პროსპექტზე – არის „საკომენდანტო სამმართველო“; ამის უკან კი კალოუბნის ტაძარი, პატარა ეზოთი და საფლავის ქვებით სავსე. გადააქვთ სხვაგან „საკომენდანტო“... და არღვევენ კალოუბნის ტაძარსაც. საკომენდანტოს შენობის და ტაძრის აღებით აფართოებენ – აგრძელებენ ზედ მომდგარ „ორიანტის“ სასტუმროს – „ტურისტების“ მისაღებად. უკვე გარშემო გარბილების ფიცრებია შემოკრული... საფლავიდან ამოიღეს „სამშობლოს“ ავტორი დავით ერისთავი და გადაასვენეს მამა დავითში... იქ დაკრძალეს... სხვა მიცვალებულთა გვამებიც – ამოიღეს და ვერის „ახალ სასაფლაოზე“ ჩამარხეს...

კალოუბნის ტაძრის კრებული შეუერთდა „სამების ეკლესიას“... სანამ ამაზედაც არ მიაყუდებენ ჯოხს „სალდათის ბაზრის გასაფართოებლად“...

ქვაშვეთსაც გარს შემოარტყეს ბაღის მხრიდან სალტე... ამის დანგრევას ჯერ, მგონი, არ ჰფიქრობენ... ტაძრის გაუქმება კი გადაწყვეტილია... ტაძარი იქნება ქართველ პროლეტარ მწერალთა აუდიტორიათ... იშრიტება ზეთი საქართველოს ეკლესიის კანდელში... სოფლად სამღვდელოება აღარ არის... წირვა-ლოცვა შესწყდა... მხოლოდ „დღეობები“ შერჩა ხალხს ტრადიციულად... „სამღვთოები“ და „ტაბლები“, უკვე წარმართულ წესზე... „მთლიანმა კოლექტივიზაციამ“ უკვე აღგავა პირისაგან სოფლისა რელიგია და სჯული... დიდი დუღილია დღეს სოფლის ხალხში... დიდი გადახალისება... ტფილისში ეკონომიური, სოციალური თუ სულიერი... მხოლოდ ქალაქებში პუზუნებენ კიდევ მღვდლები, მაგრამ ვაი ასეთ „პუზუნსაც“...

დეკანოზები ერთმანეთს მუშტი კრივით უსწორდებიან

ასეთი ინციდენტი მომხდარა წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში ქ. ტფილისში! ფერისცვალების წინა ღამით, საღამოს ლოცვაზე. აქ წინამძღვრობს მოხუცი დეკ. დიმიტრი ხახუტაშვილი, სინოდის ყოფილი წევრი, რომელიც ამავ სინოდის ეხლანდელი შემადგენლობიდან გარიყა კათალიკოზმა ქრისტეფორემ, როგორც მისთვის მიუღებელი პიროვნება! ეს დეკანოზი წინეთ მოღვაწეობდა ახალციხეში... მეორე მღვდლად არის დეკ. გიორგი გამრეკელი – პეტერბურგის

სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული – ღვთის მეტყველების კანდიდატი! ეს გამრეკელი იყო აქ წინეთ წინამძღვრად, ამ თანამდებობიდან გადააყენა ის კათალიკოზმა ლეონიდემ, როგორც შეუფერებელი პირი და დანიშნა ზემოაღნიშნული ხახუტაშვილი... ახალციხე და მთელი ეს მხარე დარჩა გავერანებული... უღვდლოდ... მეორე ახალციხელი ღვდელი – დეკ. ბენ. კანდელაკი – ტფილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე განაგრძობს „მოღვაწეობას“ და ეხლანდელ სინოდის წევრთა შემადგენლობაშია... მარჯვენა ხელია კათალიკოზ ქრისტეფორესი. გამრეკელი დეკანოზი სინოდის წევრად დარჩა, ხახუტაშვილი გაირიყა... „სინოდის წევრი“ გამრეკელი თავხედობს, არ ემორჩილება წინამძღვარს – ხახუტაშვილს, არ სდგება ის წირვა-ლოცვის რიგში, არ ასრულებს წეს-რიგს და ამ ნიადაგზე ხდება მათ შორის შეტაკებები. იმ საღამოს გამრეკელის რიგი ყოფილა ლოცვაზე! მას დაუგვიანებია... მაზიარებელი ხალხი დრტვინავდა ლოცვის დაგვიანებისა გამო... მოგვიანებით შემოსულა ტაძარში წინამძღვარი დეკ. დ. ხახუტაშვილი, რომელსაც ხალხმა შესჩივლა ლოცვის დაგვიანება. დეკ. ხახუტაშვილი შემოსულა და დაუწყია ლოცვა. ამ დროს მობრძანებულა დეკ. გ. გამრეკელი, შესულა საკურთხეველში და შეუტევია ხახუტაშვილისათვის, უკანასკნელს კი გაურტყამს გამრეკელისათვის სახეში, ამითვე უპასუხნია მისთვის გამრეკელსაც! პირველი არის უკვე 80 წლის კაცი, მეორე 62 წლისა!.. გამოვარდნილა საკურთხევლიდან გამრეკელი ყვირილით და მიუმართავს ხალხისათვის: „ხალხო, მოწმე იყავით დეკ. ხახუტაშვილმა მცემაო“!.. გამოჰყოლია უკან მას დეკ. ხახუტაშვილი და ამშვიდებს ხალხს: „არ დაუჯეროთ, სტყუის, კი არ გავარტყი, გულზე ხელი ვკარი, ლოცვას ნუ მიშლი, ჩამომეხსენო“. აქ კომენტარიები მეტია! ასეთ დროს, ასეთ „კრიზის“ დროს, „განათლებული“ სამღვდელო პირნი, ისიც ტფილისელი, „უმაღლესი სამღვდელოება“ – ერთმანეთს საკურთხეველში თავ-პირს ამტვრევენ და დედაბრებს მიმართავენ, არა იმან მცემა, არა ამანო. ჭეშმარიტად განწირულია ეხლანდელი ქართველი სამღვდელოება!.. ის ისპობა, მაგრამ ისპობა ასე სამარცხვინოდ! კათალიკოზმა იცის მათ შორის ასეთი შუღლი და ერთმანეთს არ აშორებს, ინტრიგანობას თვით ხელს უწყობს, ხელს აფარებს გამრეკელის უსაქციელობას, რომელმაც ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანა მოხუცი ხახუტაშვილი და ასეთი რამ ჩაადენია!..

ვნახოთ, რით დასრულდება ეს „ინციდენტი“!..

მამა დავითის წინამძღვრის – ეპისკოპოზი ეფრემის ინციდენტი

ამ ეპისკოპოზს ეჭირა ორი სამრევლო ტაძარი ტფილისში – წმ. ბარბალესი და მამა დავითისა! არ იკმარა წმ. ბარბალე და მამა დავითში დაანიშვნია კათალიკოს, თავი! ეპარქიაში არ ინება წასვლა, ეპარქიები უპატრონოთაა დაგდებული... აქ, ტფილისში არიან კირ-ეპისკოპოსნი!..

მამა დავითის სამრევლო საბჭოს საჩივარი შეუტანიათ ეპისკოპოზ ეფრემზე – მოგვაშორეთ თავიდან, ეს არ გვინდა, ჩვენ მღვდელი მოგვეცითო!..

ამბობენ ეპ. ეფრემის „მსუბუქ ყოფაქცევაზე“. კათალიკოზს ისევ ბარბალეში გადაუყვანია ის... ეს კი ჯავრობს, ფაფხურობს... როგორ მკადრაო!.. ჭეშმარიტად მოაღწია მათი აღსასრული.

ეკონომ. კრიზისი ევროპაში

ამა რვეულის 28 გვერდზე უკვე ვსწერდი ეკონომიურ კრიზისზე ევროპაში... ეს კრიზისი უფრო გართულდა... მან გამოიწვია ავსტრიის უდიდესი ბანკების გაკოტრება... ასეთი გაკოტრება გადავიდა გერმანიაშიც... ესენი წამოაჩოქა საფრანგეთმა და გაუკოტრა ბანკები! ჩაერია ამერიკის შტატები ამ საქმეში, პრეზიდენტმა ჰუვერმა განიზრახა გერმანიის გაკოტრებისაგან გადარჩენა, წინადადებით შემოვიდა – ერთი წლით შევაჩეროთ გერმანიისაგან ვალების გადახდაო!.. მაგრამ საფრანგეთმა სამაგიეროთ მოითხოვა გერმანიის მხრივ პოლიტიკურად სრული დამორჩილება... თურმე გერმანია საბჭოთა კავშირს უმზადებს მილიონობით თოფ-იარაღს... სესხს აძლევს ამათ და თვითონ არ სურს ვალების გადახდაო!.. ინგლისსაც ეხება ეს „კრიზისები“, ეს ინტრიგები... მწვავეთ დგას საკითხი იქაც და აი, ამ აგვისტოში ინგლისში დაეცა „მუშათა მთავრობა“ – „ლეიბორისტები“! შესდგა „ნაციონალური“ მთავრობა – ანუ კოალიციური მთავრობა, რომელშიდაც შედიან კონსერვატორები, ლიბერალები და ლეიბორისტებიც! პრემიერად ისევ მაკდონალდი დარჩა, მასთან სნოუდენიც, კონსერვატორებიდან ბალდუინი, ძმები ჩემბერლენები და სხვა. ესენი სცდილობენ სახელმწიფო ბიუჯეტი შეამსუბუქონ მეტხარჯებიდან, შეამოკლონ სხვა და სხვა ხარჯები და იხსნან ინგლისი ფინანსიური კრიზისისაგან... ამ ნიადაგზე დიდი მითქმა-მოთქმაა გაზეთებში!.. საბჭოთა კავშირი შორიდან უცქერის „სეირს“, ის თავის ხაზს აგრძელებს, თავისი საკუთარი ძალებით...

რით დასრულდება ეს „კრიზისი“ – აი, საკითხი!.. ვნახოთ.

10 ოქტომბერი – შაბათი

გრძელდება და ღრმავდება ეკონომიური კრიზისი, რომელიც ღებულობს მსოფლიო ხასიათს. ინგლისის „გირვანქაც“ – фунт-ი დაეცა! დაეცა ამერიკის დოლლარი! ზედი-ზედ კოტრდება ბანკები ლონდონში, ნიუიორკში, ბერლინში, ფინეთში, სკანდინავიაში, რუმინიაში, პოლშაში თუ ოსმალეთში... ინგლისში შეამოკლეს ჯამაგირები ყველა უწყებაში. ამ გარემოებამ გამოიწვია ჯერ არ გაგონილი ინგლისის ისტორიაში ფლოტის აჯანყება- გაფიცვა! გაიფიცა სამხედრო ფლოტის მეზღვაურები! გაიფიცნენ მუშები, მასწავლებლები! ფაბრიკა ქარხნებში დიდი მიხლა-მოხლა-გაფიცვებია! პოლიციასთან შეტაკება, თავ-პირისმტვრევა და სისხლის ღვრა... მგონი, მოაგვარა ინგლისმა ფლოტთან საქმე...

მიაფუჩეჩეს ის „ინციდენტი“... მაგრამ ნაღვერდალს ფერფლი გადაეფარა... ღვივდება... დიდი გაფიცვებია ჩრდ. ამერ. შტატებშიაც, იქაც შეტაკებები, ბანკების გაკოტრება. რა გავლენა აქვს ყოველივე ამ კრიზისს საბჭოთა კავშირში, ამას ვერ ვამჩნევთ... აქ თითქოს ყველაფერი „უკრიზისოდ“ მიმდინარეობს... ჩვენს ფულს საზღვარგარეთ არა სცნობენ, ალბად ვაჭრობის ურთიერთობაში ეს „კრიზისები“ ჩვენც გვხდება. ხელფასის შემოკლება აქ დიდი ხანია ხდება „სესხებზე“ ხელის მოწერის სახით, ჩვენში წელიწადი 10 თვისაგან შესდგება, ორი თვის ხელფასს უჭერენ ყველა მუშა-მოსამსახურეებს თვიური ხელფასიდან; რიგები-კუდებია პურზე, ნავთზე და სანოვაგეზე... სიძვირეა ყველაფერზე, ზოგ საგნებზე ხელი არც კი მიგვიწვდება... ალბად ეს არის ჩვენი „კრიზისი“...

იაპონიის იმპერიალისტური გამოსვლა
12/X. 1931. ორშაბათი

ეს ნახევარი თვეა, რაც იაპონიამ ოკუპაცია გაუკეთა მანჯურიას ანუ უბრალოდ რო ვსთქვათ, ხელთ იგდო ჩინეთის ეგ უზარ-მაზარი და ყოველივე სიმდიდრით შემკული ნაწილი! შეიყვანა ჯარი, დაერია ჩინეთის მხედრობას და იფრინა იქით-აქეთ, მიამტვრ-მოამტვრია, რაც წინ აეღობა, დაიჭირა მუკდენი და სხვა დიდ-დიდი ქალაქები თუ პროვინციები! აეროპლანებიდან ბომბარდიროვკა აუტეხა რამოდენიმე ქალაქს და მილეწ-მოლეწა იქაურობა! ხელთ იგდო არსენალი, სამხედრო საწყობები, უამრავი იარაღები! ზღვაში შემოიყვანა თავისი სამხედრო ფლოტი! მანჯურია რამოდენიმე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად დაჰყო, შიგ ბუტაფორიული „მთავრობები“ შექმნა! აგრეთვე დათარეშობს „მონღოლიაშიც“! ეპოტინება აღმოს. ჩინეთის რკინისგზას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამგეობაშია და რომლის გამო შარშან წითელ არმიამ ჩინეთს „ცხელი აბანოები“ მისცა! ეს რკინისგზა ჩრდილო მანჯურიაში გადის და თუ იაპონელები დაეპატრონებიან მანჯურიას, უსათუოდ ჩრდილო მანჯურიასაც ზედ მიაყოლებენ და აქ იქმნება Casus belli – საბჭოთა კავშირთან, შესაძლებელია ეს ორი სახელმწიფო დაეტაკოს ერთმანეთს და იქიდან დაიწყოს „მსოფლიო ხანძარი“!

ჩვენ ვიცით, თუ რამდენი „ნაბიჯები“ იყო გადადგმული ომის საფრთხის ასაცილებლად! „კელოგის“ პაქტი! „ნაციათა ლიგა“ და ვინ მოსთვლის კიდევ რა და რა მოლაპარაკება და პირშეკრულობა არ იყო მსოფლიო სახელმწიფოთა შორის! „ნაციათა ლიგა“ ეს ერთნაირი „მეხის ამცილებელ“ – „გრომოოტვოდათ“ ეგულებოდა ყველას! მისი ჩარევა საქმეში საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ მომხთურს ხმალი ჩაეგო ქარქაშში! მაგრამ ეს „ლიგა“ უღონო აღმოჩნდა ჩინეთ-საბჭოთა შეტაკების დროს; მან არსებითად ვერა გაარიგა რა ამ საქმეში! ჩინეთსა და საბჭოთა კავშირ შუა დღემდე გრძელდება ამ „ინციდენტისა“ გამო მოლაპარაკება, დღესაც მოსკოვში ზის ჩინეთის დელეგატი გოდე-გუი და მასთან აწარმოებს „მოლაპარაკებას“ საბჭოთა ხელისუფლება! მაგრამ ამ „მო-

ლაპარაკებას“ უსწრო იაპონიის მიერ მანჯურიის დაპყრობამ. ჩინეთმა მიმართა „ნაციათა ლიგას“! შეიქნა ამ თაობაზე ქ. ჟენევაში „ლიგის“ ფაცი-ფუცი! ჩაერია ჩრდ. ამერიკაც! მაგრამ იაპონია ყურებსაც არ იბერტყავს, ის განაგრძობს თარეშს მანჯურიაში და შესანიშნავი გეგმიანი მოქმედებით იპყრობს ამ ვეებერთელა ქვეყანას. ის გადაჭრით აცხადებს – „არ მოვითმენ ამ ჩემს საქმეში ვინმე – მესამე პირის ჩარევასო“!... „მე თავდაცვის საზრისით შემოვიყვანე ჯარი მანჯურიაშიო!.. აქ ჩვენი ინტერესები იყო შებღალული ჩინეთის მიერ და ჩვენ თავს ვიცავთ მხოლოდო“!.. ასეთი განსაცვიფრებელი თვალთმაქცობით, ზოგჯერ საარაკო თავხედობით მოქმედებს დღეს იაპონია მანჯურიაში! ჩინელები თავ-პირ დამტვრეულები იხევენ უკან, უთმობენ იაპონიის ჯარს ყველა პოზიციებს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც იბრძვის, მაინც ყუმბარებს უშენს ქალაქებს, სოფლებს, ხოცავს და ჟლეტს იქაურობას! ცხადია, იაპონიამ კორეის ნახევარ კუნძულის დაპყრობისა და დამუშავების შემდეგ, გადაწყვიტა ეხლა დაიპყროს მანჯურია, გახდეს ის კონტინენტალურ სახელმწიფოდ, ფეხი მოიდგას აზიის მატერიკზე! აქედან შეებრძოლება ის აღმოსავლეთ ციმბირს, ხელთ იგდებს მონგოლეთსაც და გაანაღდებს აღმოსავლეთში თავის ძლიერებათა მიღწევებს! იაპონია პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოთაგანია დღეს მსოფლიოში. ეტყობა, ის დიდი ხანია გეგმიანად ემზადებოდა ასეთ ნაბიჯისათვის.

ჩინელები „ანტიიაპონიურ გამოსვლებს“ აწარმოებენ, ბოიკოტს უცხადებენ იაპონიის საქონელს, დემონსტრაციებს და გაფიცვებს აწყობენ, მაგრამ ყოველივე ამას იაპონია უსწორდება უსასტიკესი ზომებით, თოფის კონდახებით ცხვირპირს ამტვრევენ ჩინელებს, თან ნოტებს-ნოტებზე უგზავნიან ნანკინის მთავრობას – როგორ ბედავთ „ანტიიაპონური“ გამოსვლების გაკეთებასო! ჩვენ ვიღვწით თქვენში წესიერების აღსადგენად და ჩვენი შებღალული ინტერესების დასაცავადო!..

საბჭოთა ხელის უფლება, ეტყობა, მეტად გაბრაზებულია იაპონიის ასეთი „თავხედური“, „ყაჩაღური“ გამოსვლებით, რასაც ასეთი სათაურებით აღნიშნავენ ხოლმე ჩვენი გაზეთები!

საფრანგეთი და ინგლისი თითქოს იაპონიის მხარეზე არიანო, ამათ „ახალშენები“ აქვთ იქ დიდ-დიდი, დიდი ინტერესებიცა აქვს ჩინეთში, თუ მის მეზობლად მდებარე კოლონიებში... შესაძლებელია, სულ გაინაწილონ ჩინეთი, სადაც ამ „სისხლის წვიმების“ დროსაც კი გრძელდება „გენერლებთა“ შორის შეტაკება-ომები-ბრძოლები! სადაც ჩინური „წითელი არმიაც“, როგორც გაზეთებში ვკითხულობთ, ჩინეთის მთავრობას თავ-პირს ამტვრევს და საბჭოთა ჩინეთის შექმნისათვის იბრძვის! ანარქიაა დღეს ჩინეთში გაჩაღებული!.. იაპონიაც ხელს ითბობს ამ შექმნილ ვითარებაზე და მოქმედებს. ეს პროცესი დღითი-დღე ღრმავდება, რა სახეს და მიმდინარეობას მიიღებს, ჯერ ამაზე არაფერი ითქმის! 13 ამა ოქტომბერს ჟენევაში გაიხსნება „ნაციათა ლიგის“ საგანგებო სესია, ალბად ამ თაობაზე... ვნახოთ, რა „ზომებს“ მიიღებენ... როგორ ჩააგებიებენ ხმალს იაპონიას, რომელმაც გადალახა ყოველივე „პაქტები“ და შეთანხმებანი!..

ახალი სესხი – 13/X. სამშაბათი. 1931

ეს ორი დღეა საბჭოთა კავშირში გამოცხადდა ახალი შინაური სესხი – 100 მილიონი! სხვა და სხვა ქალაქებიდან, ტფილისშიაც, ორგანიზაციები მოითხოვენ ამ სესხის გამოშვებას! წინდაწინვე საინჟენერო-ტეხნიკური პერსონალი „აღ-ფრთოვანებით მოითხოვენ“ ამ სესხს! ერთი თვის ხელფასის გადადებით! ეს სამი თვე გამოდის წინა-სესხებიანა, ჯერ ესენი არ გადაუხდიათ, ზედ ემატება ახალიც! გამოდის წელიწადი ცხრათვიანი ჯამაგირიანია!.. ასეთი შინაური სესხებით იოლად გადის საბჭოთა კავშირი, რომელსაც არა აქვს უცხოეთში კრედიტი! სხვაფრივ არც შეიძლება არსებობა!... იკვანძება, იხლართება ურთიერთობა აღმოსავლეთში! ვნახოთ, როგორ გადაილახება ეს პოლიტიკური კრიზისი....

დიდი ოქტომბრის მე-14 წლის თავი
7/XI. 1931 წ. შაბათი

დიდი მზადებაა მე-14 წლის თავის საზეიმოდ მთელს საბჭოთა კავშირში. წვიმიანი და ცივი დარი გათენდა, სამი დღის წინეთ მთელს საქართველოში მოვიდა „პირველი თოვლი“, მაგრამ მალე წავიდა, დაგვიტოვა ტალახი და სიცივე. მიუხედავად წვიმიანი დარისა, დემონსტრაცია მაინც მთლიანი მოაწყვეს – დიდ-ძალი მუშა-მოსამსახურენი, აურაცხელი მოწაფეები, ჯარი და ისე ხალხი! ლოზუნგები, პლაკატები! ტრიბუნებთან სიტყვები, მილოცვები! ეხლანდელ დემონსტრაცია-ზე ერთი რამ იყო, რაც წინეთ არ ყოფილა: ავტომობილებით გამომცხვარ პურს ურიგებდენ ქუჩაში ხალხს, ზოგს ხორცისა და ყველის ნაჭრებსაც! ისეთი ხალ-ხი ეტანებოდა ასეთ „საუზმეს“, რომ საკვირველებაში მოვდიოდით! მგონი... ეს შეუფერებელი იყო!.. არა ვართ დამშეული და რა საჭირო იყო ქუჩაში საჭმელის დარიგება! პური სულზე გირვანქა გვეძლევა, მუშებს – ორი გირვანქა! პური ჩინებულია ეხლა, თეთრ პურსაც იძლევიან ბავშებისათვის... საღამოზედ ქალა-ქი გაჩირაღდნებული იყო! წინა ღამით საზეიმო სხდომა იყო ქალაქის საბჭოში, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფ. მახარაძე! სხვაგანაც იყო მოხსენებები, წარ-მოდგენები, კინოები და ათას გვარი გასართობები.

ომის აჩრდილი აღმოსავლეთით!

იაპონიის მოქმედება მანჯურიაში სხვა ხასიათს ღებულობს... იაპონე-ლების მოქმედების ხაზი უახლოვდება რუსეთის რკინისგზის ხაზს ჩრდილო მანჯურიაში... აქ „იწრო ადგილი“ კეთდება... ამას წინეთ იაპონიის ელჩმა მოსკოვში – ხიროტამ ინახულა უცხოელთა კომისრის თანაშემწე – კარახანი. ხიროტამ გადასცა კარახანს, რომ მანჯურიაში მომხდარმა ამბებმა ჩვენ შორის

ჯერ-ჯერობით არ გამოიწვია არავითარი ამბები, რაც მეტად სასიამოვნოაო! მაგრამ ჩინეთის გენერალმა „მა“-მ ისეთი ამბები გადასცა ჩვენს აგენტს, რომ ამ ამბებმა მეტად შეაშფოთა, იაპონიის საზოგადოების აზრიაო. „მა“მ სთქვა: ჩემს ჯარში საბჭოთა კავშირის ინსტრუქტორები მყვანანო, საბჭოთა კავშირი მაძლევს აეროპლანებს და სამხედრო მასალებსო! ამას გარდა დიდ-ძალი ცარიელი ვაგონები აქვს წითელ არმიას მომზადებული ჯარის გადასაყვან-გადმოსაყვანათო!.. საერთოდ ისეთი ხმებია გავრცელებული, რომ თითქოს წითელი არმია თანამშრომლობდეს ჩინელებთან მანჯურიის საქმეებშიო.

კარახანმა ამაზე უპასუხა სრული განცვიფრებით! ამისი მსგავსი არა ყოფილა რა და არც არისო! ასეთ ტყუილ ხმებს რაზე უგდებთ ყურსო! საბჭოთა კავშირი არ ერევა ასეთ საქმეებში, ის სცდილობს დაიცვას მშვიდობიანობა, პატივისცემით ეპყრობა მეზობელ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და მათ შინაურ საქმეებში ხელებს არ აფათურებსო“...

ასეთი პასუხი კარახანისა კარგ ლაზათიან სილად იქნა გაგებული ყველგან და ყველასაგან.... შემდეგ გაზეთებში იბეჭდება ისეთი ცნობები, რომ იაპონიას მხარს უჭერენ და აქეზებენ სხვა სახელმწიფოები, რათა ბოლშევიკურ მსვლელობას იქ – ციმბირის ველებზე, გაუთხაროს საფლავიო! ამ თაობაზე ამას წინეთ დაბეჭდა მოსკოვის „პრავდამ“ ვრცელი წერილი, რომელიც გადმობეჭდა ჩვენმა „კომუნისტმა“, აქ მოყვანილი იყო ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის გაზეთებიდან ადგილები, რომელიც ეჭვს არ სტოვებენ, რომ იაპონია უნდა შეებრძოლოს საბჭოთა კავშირს მანჯურიის მიდამოებში და ყოველ წამს მოსალოდნელია აფეთქდეს ის ვულკანი, რომელზედაც ვზივართო!..

ინგლისში ახალი მთავრობაა

დამარცხდა ე. წ. ლეიბორისტები – ანუ „მუშათა პარტიის“ მთავრობა. მოხდა პარლამენტის ხელ-ახალი არჩევნები: დიდის უმრავლესობით გავიდნენ არჩევნებში კონსერვატორები – 472 ხმა! ისევ ბალდუინი და ჩემბერლენები წამოსკუპდენ სათავეში! მართალია, „პრემიერად“ მაკდონალდი აირჩიეს, მაგრამ მთელი მართვა-გამგეობის საჭე ხელთ უპყრიათ კონსერვატორებს! ესენი სცდილობენ კრიზისის შემსუბუქებას... ესენი უჭერენ მხარს იაპონიასაც ბოლშევიზმთან შესაბრძოლებლად!.. ასე ეწყობა საქმეები!

ლიტვინოვი ოსმალეთში

ეს გარეშე საქმეთა კომისარი ამას წინეთ ეწვია ოსმალეთის მთავრობას – ქემალ-ფაშას და მის მინისტრებს. იმ მეგობრობის კავშირი გააგრძელეს, დიდის ამბით მიიღეს და გააცილეს ლიტვინოვი. ოსმალეთიდან ლიტვინოვი

გაემგზავრა რომში, იტალიის მთავრობასთან სადარბაზოდ!.. სინჯავს ნიადაგს მომავალი გართულების მოლოდინში... აბობოქრებულია მსოფლიო!.. მოსალოდნელია ისევ მსოფლიო ჟლეტა-ხოცვა!..

30/XII. ოთხშაბათი

იაპონია განარძობს „ძლევამოსილ“ თარეშს მანჯურიაში; მან დაიპყრო თითქმის მთელი მანჯურია; ავიდა ჩრდილოეთით ციციკარამდე, ეს ქალაქიც აიღო. მიუახლოვდა საბჭოთა კავშირის მახლობელ სფეროებს, აღმ. ჩინეთის რკინის გზასაც წაეხახუნა! ცერებზე იყო მთელი ევროპა და ამერიკა დადგმული ჩვენთან ომის გაჩაღების მოლოდინში! მაგრამ ჯერ-ჯერობით არა მომხდარა რა საიმისო. იაპონია ეხლა დაექანა სამხრეთით და ძინჯოუს დაპყრობას სცდილობს, აქ თავი შეუფარებია მანჯურიის ყოფილ მმართველს ჩან-სუელიანს; ეს ძინჯოუა უკანასკნელი მისი დასაყრდენი მანჯურიაში, აქა ჰყავს მას თავისი „მანჯურიის მთავრობა“, ჯარი და ყველაფერი, მას შემდეგ რაც ის გამოაძევეს მუკდენიდან. იაპონელები მოითხოვდენ – გაეყვანა მას აქედან ჯარი და „დიდი კედლის“ იქით გასულიყო! მაგრამ ეს არ ისმინა ჩანმა, არც ნანკანის მთავრობამ და უკვე დაიწყო იაპონელებმა სამხედრო მოქმედებები ამ ქალაქის დასაპყრობად. შეუსია ჯარი და ჰაეროპლანები ამ ქალაქის მიდამოებს და ცეცხლს აწვიმებს ზეიდან თუ ქვეიდან! ამას შესცქერის „ნაციათა ლიგა“ ჟენევიდან, თუ ამერიკა თავისი შტატებიდან და, მგონი, ხელს უწყობენ კიდეც იაპონიის ამ საშინელ, ენით გამოუთქმელ თვითნებობას და ძალ-მომრეობას! იაპონიასა და ჩინეთ შორის ხდება ეს საშინელება „ომის გამოუცხადებლად“! იაპონია აცხადებს, რომ ის „ებრძვის ბანდიტებს“!.. საშინელი თვალთმაქცობაა! „ნაციათა ლიგამ“ გაგზავნა იქ „კომისია“, რომელიც „ადგილზე“ შეისწავლის საქმის მდგომარეობას. ამ დროს კი იჟუჟღება ხალხი, როგორც ჭიანჭველები. გადადგა ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარე ჩან-კაიში სამსახურიდან! ასტეხა დიდი მოძრაობა ჩინეთის სტუდენტობამ, ესენი მოითხოვენ ომის გამოცხადებას იაპონიისადმი!.. სასაცილოა! იაპონიასთან გამკლავება ამერიკასაც კი გაუჭირდება და ჩინეთმა რა უნდა უყოს...

იაპონიას მიჰბაძა საფრანგეთმა, ეს შეესია ჩინეთს ინდო-ჩინეთით საზღვრიდან და უნდა წაჰგლიჯოს ჩინეთს მისი სამხრეთის თვალსაჩინო ნაჭერი.... მგონი, იწყება ჩინეთის დანაწილება და ამ დანაწილებაში მოუვათ ერთმანეთში ჩხუბი! „ძაღლები ძვალზე“ დაეტაკებიან ერთმანეთს და ვინ იცის, რა ხანძარი დაიწყოს! მოსალოდნელია იაპონია-ამერიკის დატაკება... იაპონია-საბჭოთა კავშირის დატაკებაც. ჩუმ-ჩუმად ალბად ყველანი ემზადებიან, ერთმანეთს ყელში სწვდნენ. ილევა 1931 წელი და ამ ამბით გადავდივართ 32 წელში – ევროპაში ისევ დიდი ეკონომიური კრიზისია, კოტრდება ბანკები, იღუპება ეს წვრილი კლიენტები ბანკებისა... გერმანიაში მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ქაოსია.

31 დეკემბერი – ხუთშაბათი. 1931 წ.
ზაქარია ჭიჭინაძის გარდაცვალება და დასაფლავება

27 დეკემბერს გარდაიცვალა ზაქარია ჭიჭინაძე. ის იყო „მწიგნობარი“, „ისტორიკოსი“ და „საზოგადო მოღვაწე“ – აგრე დაახასიათა ის ალე არსენიშვილმა გაზეთ კომუნისტში 29/XII ს. ერთი სიტყვით, ზ. ჭ. იყო ძველი თაობის პერიოდის უკანასკნელი მოღვაწეთაგანი. ის ყოფილა დაბადებული 1854 წელს. მას ბოლშევიკებმა გადაუხადეს 21 წელში 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რომელზედაც დავესწარი ამ სტრიქონების დამწერი – ნ. თალაქვაძე, მაშინ ანჩისხატის დეკანოზი. დავესწარი, როგორც კათალიკოზ ამბროსის მიერ გაგზავნილი დელეგატი, დეკ. ნ. მაჭარაშვილთან ერთად (აწ დახვრეტილი) და სათანადო სიტყვა წარმოვსთქვი საოპერო თეატრის დარბაზის სცენიდან. ჯერ წარმოსთქვა სიტყვა ექიმმა ივ. გომართელმა, შემდეგ მე და ჩემს შემდეგ ეხლანდელმა საქ. ცაკის მდივანმა ს. თოდრიამ. რომ კვეხნაში არ ჩამომერთვას, სიტყვა ჩემი იყო მეტად ეფექტიური და შინაარსიანიც, წარმოითქვა კარგადაც. საზოგადოება ფეხზე დადგა და ოვაცია გამიკეთა, დაინგრა ტაშის ცემით იქაურობა და მეც სხვებთან ერთად ტაშს უკრავდი, რამაც სულ გადარია ხალხი, მე ზაქარიას უკრავდი ტაშს, ჩემად არ ვსთლიდი ოვაციებს. ჰოდა, მაშინ თუ დიდის ზარ-ზეიმით გადაუხადეს ზაქარიას იუბილე, ეხლა მისი დასაფლავება მოხდა მეტად უფერულად. გამოასვენეს ის 31 დეკემბერს, შუაღდის $4^1/_2$ საათზე პროფ. კავშირის სასახლიდან (ყოფილი არამიანცის შენობა). ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო, ხოლო ვინც დაესწრო, სულ თეთრ წვერიანები ვიყავით – მოხუც-მოხუცები და ასეთები. ახალგაზრდები კანტი-კუნტად სჩანდენ. არავინ მთავრობის წარმომადგენელთაგანი არ დასწრებია. გამოსვენების წინ „მწერალთა ფედერაციის“ სახელით ბანდი-ბუნდიანი სიტყვა წარმოსთქვა იმავ ალე არსენიშვილმა. მიედო ღობე-ყორეს, უსიამოვნო მოსასმენი იყო და შინაარსით მიუღებელი. კუბოს წინიდან შეუდგენ მოხუცი სოსიკო მერკვილაძე – ბუკინისტი – ჭიჭინაძის კბილის ამხანაგი და იოსებ იმედაშვილი, „თეატრი და ცხოვრების“ ყოფილი რედაქტორი. უკრავდა მილიციელთა სასულე ორკესტრის გუნდი. ქუჩაში ხალხი სულ აღარ გამოჩნდა. ცხედარს მიასვენებდენ მამა დავითის პანთეონში დასასაფლავებლად! ჰმ! მამა დავითში გასვენებულ მოღვაწეებს მისდევდა ხოლმე აუარებელი ხალხი, ჭედვა იყო ქუჩაში პროცესიის დროს, ეხლა კი... თითქმის არავინ. მე გავაცილე კუბო საოპერო თეატრის შენობამდე, აქედან შეუდგენ ჭავჭავაძის სახელობის აღმართს, მამა დავითისკენ; მე უკან დავბრუნდი და ჩემისთანები კიდევ ბევრი სხვაც, ასე რომ, მე არ ვიცი, ვინღა მიჰყვებოდა ზაქარიას საფლავის პირამდე!.. ზაქარია თითქოს დიდ პატივში ჰყავდა ხელის უფლებას, ბოლოს კი ეს პატივი გამოიხატა „მამა დავითში“ დასაფლავებით და „კაზიონი ხარჯით“ დასაფლავების ჩატარებით. ზაქარიამ ბოლო დროს დაბეჭდა ბატონ-ყმობის საბუთები, მის მიერ შეგროვილები, 6-ტომად. შიგ მოიყვანა – სათაურში ფ. მახარაძის ბროშიურა „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“. მოიყვანა თავისი 80-იან წლებში გამოცემული ბროშიურაც „სანდალას“ პსევდონიმის ქვეშ. ამ ნაწარმოებში ის თავლაფს ას-

ხამდა მთელს ჩვენს წარსულს, მწერლებს, პოეტებს, ისტორიკოსებს, ეკლესიის მოღვაწეებს, რატომ მათ ბატონყმობის წინააღმდეგ არ აღიმაღლეს ხმაო! ამ ბროშიურამ თავის დროზე (მაშინ მე ტფ. სასულ. სემინარიის პირველ კლასში ვიყავი – 1888-89 წლებში) დიდი ალიაქოთი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში და პრესაში. გაილაშქრა „სანდალას“ წინააღმდეგ ილ. ჭავჭავაძემაც თავის გაზეთ „ივერიაში“ – „მოსთხარა ჭიჭინაძემ ჩვენი წარსულიო“!.. ეხლა უთითებდენ ჭიჭინაძეს – თავის ბატონყმობის თხზულებებზე და ეკამათებოდენ მას: თავადაზნაურობის დიქტატურის დროს, ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც არც გაზეთი იყო ჩვენში, არც საზოგადოებრივი პირობები ბატონყმობიდან გამოსასვლელი, არც რაიმე სინათლე სჩანდა საიდანმე, რა გასაკვირია, ხმას ვერავინ იღებდაო!.. ეხლაც დიქტატურაა... რატომ კრინტის დაძვრას ვერავინ ბედავსო!.. და მიუწერიათ კიდეც აწ განსვენებულისათვის ლექსით მხილება ამ თაობაზე:

„აბა, ჩვენო ზაქარია,
კარში გადი, რა დარია?!
უწინდელი ბატონ-ყმობა
ეხლანდელთან რა დარია?!
„სანდალას“ გამოლაშქრება
რამდენად მოსაწონია?!
რატომ ეხლა არას ამბობს,
პირზე კლიტე დაუდვია?!
ფუ, ასეთსა განმქიქებელს
წარსულშიც და აწმყოშიაც!
ჰეი, ჰეი, ზაქარია“!...

ნა-რი

ზაქარია ჭიჭინაძე უსათუოდ დიდი მოამაგეა, ბევრად დამაშვრალი, მივარდნილ კუთხეებში სინათლის შემშუქებელი, ზურგით დაათრევდა წიგნებს და შემოვლილი ჰქონდა მთელი აჭარა, მთიულეთი და ჩვენი ქვეყნის ყველა კუნჭულები. აგროვებდა სიძველეებს, დოკუმენტებს-საბუთებს და გამოსცა ესენი. მაგრამ მათი მის მიერ შეფასება, გაშუქება იყო არა მეცნიერული, კუსტარული, ბევრი უვიცობით და ზღაპრულ ცნობებით შეზავებული! გასაგებიცაა ეს, ის უსწავლელი კაცი იყო, თავისით უსწავლია წერა-კითხვა და შემდეგ განვითარებულა; მან დიდი როლი ითამაშა ტფ. სასულიერო სემინარიის გარევოლიუციონერობაში, ჰქონდა კარგი ბიბლიოთეკა, საიდანაც ჰკვებავდა ის სემინარიელებს „სულიერად“. ნოე ჟორდანია და ფ. მახარაძე, შეიძლება ითქვას, ზ. ჭიჭინაძის აღზრდილებია... მაგრამ... როგორც ისტორიკოსი, ზაქ. ჭიჭინაძის ნაწერებს, მკვლევარი ვერ დაენდობა, ის არ უჩვენებს, თუ რომელი წყაროებიდან იძლევა ამა თუ იმ ცნობას. მაინც დაუფასებელი ღვაწლი აქვს დადებული განსვენებულს... დეე, მსუბუქი იყოს მისთვის დედა მიწა...

ქართველ ქალთა საზოგადოება – „განათლებამ“ თბილისში დააარსა ამ სახელობის პროგიმნაზია, რომლის მონაფე ქალთა პირველ კურს დასრულებულებმა შეადგინეს ქალთა საოსტატო სემინარიის პირველი კლასი. ამ ქალთა საოსტატო სემინარიის დაარსების კურთხევაა ამ სურათზე გადაღებული. ამ სასწავლებლის სჯულის მასწავლებლად მიმიწვიეს 1915 წელს – სეკტემბერში. ვაკურთხე სასწავლებლის დაარსება და ვრცელი საგულისხმო სიტყვა წარმოვსთქვი, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ და „საქართველოშიაც“! გადახატულია სურათი სიტყვის წარმოთქმის მომენტში! სახე ბუნდოვანად გამოსულა ხის ტოტების ჩრდილ-ქვეშ; მახლდა ანჩისხატიდან მღვდელი დ. ჩიკვაიძე და მედავითნე სიმონ ცოფურაშვილი, რომელნიც ერთად სდგანან. სასწავლებლის შენობა იყო სვიტოპოლკ-მირსკის ქუჩაზე – იზმაილოვის ქუჩის ზემოდ შესახვევში. რჩეული საზოგადოება დაგვესწრო, გულწრფელი დღესასწაული შევქმენით.

შემოსილი მყვანდა პროტოდიაკონი დავით სალარიძე.

1915 წ. სეკტემბერი, ქ. თბილისი. დეკ. ნ. თალაქვაძე

ახალი 1932 წელი – პარასკევი

დგება ეს „ნაკიანი“ ახალი წელი. მეტად დაჭიმულია მთელი მსოფლიო ძარღვები – პოლიტიკურად თუ ეკონომიურად. დღეს უკვე ცნობა გაზეთებში „ძინ-ჯოუს“ შესახებ. აქ იაპონელებს საშინელი ბრძოლა გაუჩაღებია 29/XII ჩინელებისათვის, იწერებიან, მეტად დაზარალდენ ჩინელები და უკან იხევენო! საკვირველია! ასეთი ბრძოლა „ბანდიტების“ წინააღმდეგ რაზე სჭირდება ძლიერ იაპონიას, თუ მართლა „ბანდიტებთან“ ჰქონდეს მას საქმე! საზიზღარი თვალთმაქცობაა! მთელი მსოფლიოს წინაშე ხდება ასეთი საშინელი თაღლითობა, ძალ-მომრეობა! მგელი რომ ცხვრის ფარეხში შეიჭრება და ცხვარს დაერევა, სწორედ ისე იქცევა დღეს იაპონია ჩინეთში. ჩინეთში ცალკე სხვა და სხვა ჯურის „გენერლები“ ერთმანეთს ეომებიან, ცალკე „წითელი არმიაა“ ეხლა იქ შედგენილი ჩინელ კომუნისტური მოძრაობის მიერ, რომელსაც დაუპყრია რამოდენიმე პროვინცია, იქ „საბჭოთა ხელისუფლება“ გამოუცხადებიათ და სამოქალაქო ომს აჩაღებენ! აქედან იაპონია შეიჭრა, სამხრეთიდან საფრანგეთიც შეჭრილა! და ამ სურათს უცქერის „ნაციათა ლიგა“, „კელოგის პაქტი“ – „სამშვიდობო“ და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ „პაქტები“! „А Васька слушает и ѣсть“!.. იაპონიაც და ჩინეთიც „ლიგაში“ არიან! კელოგის პაქტზედაც ორთავეს ხელი უწერიათ!.. და... ეს მაინც ხდება!..

არ ვიცი, რას მოგვიტანს ახალი წელი!! დღეს გაზეთებში მთელი კორიანტელია დაყენებული იმ თაობაზე, რომ მოსკოვში, იაპონიის ელჩზე – ხიროტოზე, ერთ-ერთი ევროპის სახელმწიფოს დიპლომატიის საელჩოდან აპირებდენ თავდასხმას და მის მოკვლასო, რომ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის წყალი აემღვრია, ომი გამოეწვია და ხელი მოეთბოო! ჯოხი მიყუდებულია ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელზე – ვანეკზე, რომელიც უკვე გაწვეულია პრაღაში და იქიდან ელოდებიან მდგომარეობის ახსნა-განმარტებას... საკვირველია საქმენი შენი უფალო! ჩეხოსლოვაკიას ბევრი სამხედრო მასალა აქვს დამზადებული თავის ქარხნებში და თუ ომი ასტყდებოდა, ამას გაასაღებდაო!... ფუი ასეთ ჭამას!.. ვნახოთ რას იტყვის „ახალი წელიწადი“!..

დღეს „დამკრელი მუშაობა“ იყო ყველა დაწესებულებებში და ქარხნებში! არ გვიუქმია. ისე, ვისაც ფულები აქვს, გაუკეთეს ახალ წელიწადს „встреча“ ანუ შეგებება, „სმა-ჭამა დიდად შემარგით“, და დილით ბარბაცით მოვიდენ სამსახურში. დღესაც ბევრი ქეიფობს სამსახურისა და მუშაობის შემდეგ... მათთვის ყველაფერია, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, დიდი სიმცირეა, ჩვენი „ბიუჯეტისათვის“ ყველაფერი ხელმიუწვდომელია, ახალი ხალხი, ახალ ყაიდაზე გაბატონებულნი, ახლერად სარგებლობენ დროთი და თავიანთი მდგომარეობით...

Pro domo sua – ეხლა ცოტაოდენი ჩემზე

16 ნოემბრიდან „წერითი დამხმარე კოლექტივიდან“ გადავედი ა/კ. რკ. გზების სამმართველოს მთავარ კანტორაში „თარჯიმანთა ბიუროში“. რკ. გზაზე ტარდება ამჟამად „ნაციონალიზაცია“, ამიტომ რუსული ქაღალდები ითარგმნება ქართულად, სომხურად, თათრულად, ხოლო ამ ენებიდან რუსულად... ასეთ „ბიუროში“ გახლავართ სამი ქართველი, სამი სომეხი, ერთი თათარი, უფროსი გვყავს ურია!.. თვალები ამომიწყალდა ამდენი თარგმანებით და წერით; ლუკმა პურს ვშოულობ, თვეში 150 მანეთი მაქვს ჯამაგირი, აქედან გადი-გამოდით სხვა და სხვა „უდერჟანიები“ და... მრჩება სწორეთ პურის ფული... ვღანღალებ... დავსნეულდი... ქარები-რევმატიზმები დამეძრა... იჩინა ანჩისხატის ტაძრის სინესტის გავლენამ ჩემს ჯანზე... და, მგონი, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, გულიც დასუსტდა... მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხ და ვებრძვი ამ წუთი-სოფლის სიდუხჭირეს. „როს გასჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო“, – უთქვამს რუსთველს! „გაჭირება“ კი დიდია, მაგრამ „გონებანი“ მოისუსტებენ არა ჩემი მხოლოდ, არამედ საერთოდ... სხვებისაც... მეც გადავდივარ ახალ – 1932 წელში! ვნახოთ რას მიზამს ეს „ნაკიანი“ წელი!...

კათალიკოს ქრისტეფორე ციცქიშვილის გარდაცვალება

კვირას, 10 ამა იანვარს – 1932 წ. საღამოს 5 საათზე, თავის ბინაზე, სიონის ტაძრის ეზოში, გარდაიცვალა კათალიკოსი ქრისტეფორე, გვარად ციცქიშვილი. ეს ოთხი კათალიკოსი მოიცვალა ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილმა საქართველოს ეკლესიამ – 1917–1932 წლის 10 იანვრამდე: კირიონი, ლეონიდი, ამბროსი, ქრისტეფორე...

ქრისტეფორე კაი ხანია ავათმყოფობდა. ბოლო დროს გაურთულდა სნეულება, დააწვინეს წითელი ჯვრის საავათმყოფოში, მაგრამ აქ უიმედოდ სცნეს მისი მდგომარეობა და 4-5 დღის შემდეგ უკანვე გაგზავნეს თავის ბინაზე; აქ ის მოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი და კიდევაც გარდაიცვალა. როგორც გადმომცა ერთმა მასთან დაახლოებულმა პირმა, ქრ-რეს უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: ...„и... больше ничего“!.. ე. ი. „მეტი არა ყოფილა რაო“! ოღონდაც! სიკვდილი ჰფარავს ყველაფერს!.. ეს ეხლა უგრძნია უბედურ ქრისტეფორეს!.. მანამ კი ის რას არა სჩადიოდა!... რა არ ჩაიდინა!.. რომ კათალიკოზობა ხელთ ეგდო!.. იგდო კიდეც!.. ვინ იცის და ვინ აღარ იცის – რა გზით და რა საშვალებებით!.. რა როლი ითამაშა მან ან, უკეთ რო ვსთქვათ, რა როლი არ ათამაშეს მას კირიონის ხანმოკლე კათალიკოსობაში ლეონიდმა – ტფილელმა მიტროპოლიტმა და ამის კომპანიამ – დათიკო დავიდოვმა (შემდეგში დავითაშვილმა), დეკკ. კ. ცინცაძემ, ანტ. თოთიბაძემ, ილია შუბლაძემ და ამათ მიმდევრებმა! როდესაც კათალიკოზად არჩეულ იქნა კირიონი და დამარცხდა ლეონიდი, ამ უკანასკნელის

მომხრეებმა როდი დაჰყარეს ბრძოლის იარაღი, ბრძოლა მათ გადაიტანეს საკათალიკოსო საბჭოში, სადაც შეუქნეს კირიონს მძლავრი ოპოზიცია... რის გამო მოხუცი დამბლად ჩავარდა.... და ბოლოს სიცოცხლესაც გამოასალმეს გულში ცხელი ტყვიის დარტყმით მარტყოფის მონასტერში 25/26 ივნისს, 1918 წელს. ქრისტეფორე ამ „დაუვიწყარ ბრძოლის" დროს რედაქტორობდა ყოველ კვირეულ „სასულიერო ორგანოს" – „ახალ სიტყვას". ის (ქრ-ტფორე) ნამდვილად კი იყო „რედაქტორის" სახელით, სათამაშო კოჭი აღნიშნული კომპანიისა; ფაქტიური „მწერალი", „პუბლიცისტი", მექანიზატორი, ინტრიგანი, იყო დეკ. ილია შუბლაძე – პეტრე-პავლეს სასაფლაოს მღვდელი! ეს შუბლაძე ძველი რეჟიმის დროს – ტფილისში სემინარიის მოწაფეობის დროს – დახელოვნდა ჯაშუშობა-მაბეზღარობაში – სემინარიის ინსპექტორის – დიმიტრი აბაშიძის წინაშე!.. შემდეგ მღვდლობაში იყო ცნობილი ჯაშუში ცნობილ დეკ. იოანე ვოსტორგოვისა, ექსარხოსებისა და სინოდალურ კანტორის პროკურორის პოპოვისა!.. ამ შუბლაძემ დიდი როლი ითამაშა ნაზარი არქიმანდრიტთან ერთად (დაიხვრიტა ქუთაისში 1924- ში), დიდუბიდან ამ სტრიქონების ავტორის გადმოგდებაში. 1912 წელს... ამდენი რამ საქმეების ჩამდენი შუბლაძე ავტოკეფალურ ეკლესიის დღეებშიაც დიდი როლით მოგვევლინა, ლეონიდმა ის აიყვანა თავის მფარველობის ქვეშ და „ახალ სიტყვაში" გაალაშქრა ის კირიონის წინააღმდეგ და ჩემს წინააღმდეგაც, რასაკვირველია... ეს თავხედი „გამცემელი" – შუბლაძე იმ ზომამდე გაკადნიერდა, რომ „ახ. სიტყვის" მე-7 ნომერში – 1918 წ. მან მოათავსა „ჯაჭვაძის" პსევდონიმით ასეთი სათაურის წერილი: „კათალიკოსი კირიონის წირვა და სიონის წაპილწვა"!.. ეს „სასულიერო ორგანოში", მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილის რედაქტორობის ქვეშე ხელის მოწერით!.. რაში გამოიხატა „სიონის წაპილწვა", არ იკითხავთ?! იმაში, რომ კირიონთან, იმ წირვის დროს, ერთ-ერთ მოხუცს თანამწირველ მღვდელს – პაჩიკაშვილს – ტრაპეზთან პსელი წასვლოდა! თითქოს ეს რაღაც არა ჩვეულებრივი ყოფილიყოს! კაცს შარდის ბუშტი მოდუნებული ჰქონდა!.. მაგრამ აქ კირიონი რა შუაში ან რა კიდეში იყო!.. ასეთმა ინსინუატორებმა მოსწამლეს ატმოსფერა ახალ აღდგენილი ეკლესიის სფეროებში... არც ეს იკმარეს... ბოლოს კირიონი სიცოცხლეს გამოასალმეს... და გაავრცელეს ხმა – თავი მოიკლაო!.. ამაზე ბევრი მაქვს, ჩემი დღიურის სხვა და სხვა ადგილას გაბნეული ცნობები და ეხლა აღარ ღირს ამისი მოგონებანი... დღეს „ილიკო გამცემელი" შუბლაძე უკვე ანაფორა გახდილია და ახალი ხელისუფლების „ყურის მოციქულია" მაღალ-მაღალ სფეროებში, თავის „ჩვეულებას" არც დღეს ღალატობს!.. საკვირველი ის არის, რომ ასეთ „საქონელზე" მოთხოვნილება მუდამ ყოფილა! „Спрос на товар"!.. есть... ქრისტეფორემ გაიწია, მილეწ-მოლეწა ყველაფერი... და გაკათალიკოსდა... იკათალიკოსა რაღაც სულ 3-4 წელი... „и больше ничего"... ის გარდაიცვალა ნაწლევების სიჭლექით და კუჭის კიბოთი. იქნებოდა დაბადებიდან 60 წლისა... საკვირველი და დროს დამახასიათებელი ის არის, რომ დღეს, 12 იანვარს, გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებებია გამოშვებული: „გარდაიცვალა ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილიო"! არც „კათალიკოსი",

არც პანაშვიდები, არც ადგილი დასაფლავებისა, არის მხოლოდ დასაფლავების დღე აღნიშნული – 14 იანვარი! ალბად, სიონში დაასაფლავებენ.

ქრისტეფორეს მოადგილე

გუშინ, 11 ამა იანვარს, საკათ. საბჭოში მომხდარა სხდომა, სადაც დაისვა საკითხი – „მოსაყდრის“ შესახებ. შესთავაზეს „მოსაყდრეობა“ კალისტრატე ცინცაძეს, რომელიც მიტროპოლიტობს ქვაშვეთის ტაძარში. მისთავაზა „მოსაყდრეობა“ ქლესა მირიანაშვილმა დეკანოზმა: „თქვენზე უკეთესი, თქვენზე უნეტარესი და უწმინდესი სად უნდა მოვნახოთო“! კალისტრატე, რომელიც ამბროსის სიცოცხლეშივე სცდილობდა ამბროსის გადმოგდებას და მისი ადგილის დაჭერას, რომელიც კათალიკოსობისათვის ცოლს გაეყარა და ერთი აყალ-მაყალი გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ მაშინ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ქრისტეფორემ ხელიდან გამოსტაცა კათალიკოსობა, ეხლა განაზდა, უარი განაცხადა, 20 წუთის განმავლობაში სულ უარს ამბობდა, შემდეგ განაცხადა: „იყოს ნება ღვთისაო“. და დასთანხმდა!.. და მიაღწია თავის სურვილს, გახდება კათალიკოსი! მგონი, არც ხელისუფლება გაუხდება მას ამ ჟამად წინააღმდეგი, კალისტრატემ უკვე დაიმსახურა ნდობა... ის გაკათოლიკოსდება უსათუოდ... წინ არა დაუდგება, მგონი... მაგრამ არ იკითხავთ – ვისი ან რისი კათალიკოსი იქნება ის?! ხალხი აღარა ჰყავს, სამღვდელოება და ტაძრები?!. ის მაინც უკან არ იხევს, ნიადაგს ამზადებდა თურმე წინდაწინ: ქრისტეფორე კათალიკოსმა თავის ტიტულს ჩამოაკლო „უწმინდესობა“, კმაყოფილდებოდა „უნეტარესობით“! კალისტრატემ კი ეხლახან, ისარგებლა რა ქრ-რეს ავათმყოფობით, შეიტანა განცხადება საკათ. საბჭოში – „ისტორიული ტიტული კათალიკოსისა უცვლელად დარჩესო“. დარჩესო – დაუდასტურეს მას და ესეც გახდება „უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე“. ვნახოთ, რა იქნება.

ქრისტეფორე-კათალიკოსის დასაფლავება 14 იანვარს – 1932 წ. – ხუთშაბათს

დღეს – ძველებურად ახალ-წელიწად დღეს – დაასაფლავეს სიონის ტაძარში, კათალიკოს კირიონის საფლავის თითქმის გვერდით – კათალიკოსი ქრისტეფორეც. მარჯვნივ – ეს ორი კათალიკოსია დასაფლავებულნი, მარცხნივ კიდევ ლეონიდი და ამბროსი. მწირველი იყო „მოსაყდრე“ კალისტრატე მიტროპოლიტი. თანამსახურებდენ ქუთათელი (ჯერ ეპისკოპოსია) სვიმონი ჭელიძე, ცხუმელი ვარლაამი და უკათედრო ეფრემი (ჭრიჭინად წოდებული)... საკვირველი ის იყო, რომ არამც თუ წირვაზე, ანდერძზედაც არ სჩანდენ ტფი-

ლისის მღვდლები. საკათ. სინოდის წევრი კი – დეკ. ბენიამენ კანდელაკი – სტატსკურად გამოწყობილი, კოხტად გალსტუკით გამოპრანჭული, ტროსტით ხელში მიმოდიოდა ტაძარში, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა მღვდელმოქმედებაში... პანაშვიდებზე თუ სკანდალურად ცოტა იყო დამსწრე ხალხი (სულაც არავინ დადიოდა), ანდერძზე კაი ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აღსანიშნავია, რომ წარმოგზავნეს წარმომადგენლობა სომხის ეკლესიამ და თათრებისამაც. ეს უკანასკნელები სულ თეთრად თავშეხვეულები იყვნენ. სიტყვები წარმოსთქვეს:

1. კალისტრატემ – ფორმალური – სქოლასტიური, ერთნაირი „მოვალეობის“ მოსახდელად, ჩვეულებრივად უფერული და უსულ-გულო: დაიწყო საქ. ეკლესიის დაარსებიდან, მიმოიხილა ძველი კათალიკოსები და დაასრულა ქრისტეფორეთი! ეს იყო და ეს! ან რა უნდა ეთქვა?! ერთმანეთს ძირს უთხრიდენ, ექიშპებოდენ.... და ასე მოიწმინდა პირი.

2. საყურადღებო იყო სომხის ეპისკოპოსის – ჯერ სომხურად წარმოთქმული სიტყვა და იგივე სიტყვა მის მიერვე მშვენიერი ქართულით წარმოთქმული: სომხისა და საქართველოს ეკლესიები დები არიანო, ჭირში და ლხინში განუყრელნიო, მოვედით, განუგეშოთ და მოგისამძიმროთ ეს დანაკარგიო! მაგრამ, ალბად მალე ამოირჩევთ მაგიერსო!.. ჩვენ კი, ჩვენი ეკლესია, ეს ორი წელიწადია დაქვრივებული გვყავსო!.. და სხვა. მართლაც, სომხებს არ მისცეს ნება კათალიკოსის არჩევისა... ეს საქმე შეჩერებულია... ამბობენ, კათალიკოსობის გაუქმება სწადია ხელისუფლებას, ნაცვლად კოლეგიამ მართოსო! ეს მეტად საგულისხმოა და შესაძლებელია იგივე „წყალი“ გადაესხას საქართველოს ეკლესიასაც! შესაძლებელია, არც აქ ამოარჩევიონ კათალიკოსი! ან ვინ უნდა ამოირჩიოს ასეთი?! მორწმუნე ხალხი – ერი აღარ არის – იურიდიულად მაინც! სამრევლოები სულ გაუქმებულია მთელ საქართველოში, გარდა ტფილისისა და ზოგიერთ ქალაქებისა! მთლიანი კოლექტივიზაცია, რომელიც ოფიციალურად ჩატარებულია, თითქმის მთელ საქართველოში, შეუძლებელს ჰყოფს მორწმუნეთა-სამრევლოებისა და სამღვდელობის არსებობას! ვიმეორებ, ვინ უნდა ამოირჩიოს კათალიკოსი?! ან ვის რაშიღა სჭირდება ის?!. და ამიტომ, ვფიქრობ, არც საქართველოში ამოარჩევიებენ კათალიკოს, მით უმეტეს, თუ ორი წელიწადია სომხები უკათალიკოსოდ არიან...

3. სიტყვა წარმოსთქვა დეკ. სმირნოვმა: „კეთილ მწყემსზე“ – Добрый пастырь любил служить и молиться у нас, – სთქვა სმირნოვმა, – ე. ი. მის ტაძარში – ალექსანდრე ნეველის საყდარში – კუკიაში, Любил он произносить задушевное слово და სხვა...

4. სიტყვა წარმოსთქვა ერისკაცმა – საკათ. საბჭოს წევრმა, ცნობილმა აფერისტმა თომა ჩიქვანაიამ (აფერისტობისათვის ის იჯდა კიდევაც ციხეში კაი ხანს). ეს ჩიქვანაია – მეგრელი, მეგრულად მხარში ედგა ამბროსი კათალიკოსს და მასთან ერთად ებრძოდა ქრისტეფორე ეპისკოპოზს; ამბროსის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ქრისტეფორე ძალად იჭრებოდა სიონში და სცდი-

ლობდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, ეს თომა ჩიქვანაია, თედო სახოკია, ივ. რატიშვილი და სხვები, აუმხედრდენ ქრისტეფორეს, ბრძოლა გამოუცხადეს მას, არ აძლევდენ საშუალებას ეწირა მას სიონის ტაძარში, არ აძლევდენ შესამოსელს, თანამსახურ მღვდლებსა და მთავრებს, ლანზღავდენ, თავლაფს ასხამდენ და ამ სახით, მათი ჭკუით, გზას უკაფავდენ კალისტრატეს კათედრისაკენ!.. აი, ეს თომა ჩიქვანაია – ამ ჟამად საკათ. საბჭოს წევრი, გადმოდგა და მქუხარე სიტყვა წარმოსთქვა ქრისტეფორეს ქება-დიდებით შეზავებული: ასეთი ღირსეული ადამიანი იშვიათიაო, ეს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს მაგისი დაკარგვითო... და ვინ იცის, რაები არ მოჩმახა.

5. სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ივ. ცქიტიშვილმა, აწ დანგრეულ კალოუბნის ეკლესიის ყოფილმა დეკანოზმა, ეხლა სამების ტაძარში თავშეფარებულმა... ესეც ქება-დიდებით და ხოტბით, რასაკვირველია, შეეხო განსვენებულს... და საათის 5 იქნებოდა, რომ მიაბარეს მიწას უბედური ქრისტეფორე კათალიკოსი – ეს სრული ზნეობრივი თუ გონებრივი არარაობა... ინტრიგანი... კარიერისტი... სხვისი ბრმა იარაღი... სათრეველა!.. მიგვახალ-მოგვახალა ყველანი... დაგვსვარა... აგვრია-დაგვრია და ბოლოს მოისვენა... დარჩა ორი ვაჟი და სამი ქალი, ესენი სულ მასთან იყვნენ თავშეფარებულნი... ბინაც ამათ უჭირავს კათალიკოსის და ამ ბინის დაცლაზე შეიქნება ერთი აურ-ზაური და ვაჭრობა, როგორც მოხდა ამ-ბროსი კათალიკოზის ქალთან, რომელიც დიდი ფულით, ხვეწნითა და მუდარით მოიცილეს თავიდან. ეხლა ივაჭრებენ ციცქიშვილის ქალებთან და სიძეებთან, რომ დააცლევიონ ბინა და შიგ კალისტრატე ჩაასახლონ... კალისტრატე ალბად „ახალ ხანას“ შექმნის გაწბილებულ ივერიის ეკლესიაში... ესეც ვნახოთ... ტრაღედია ივერიის ეკლესიის მწვავდება... ის დიდი ტკივილებით კვდება...

7 თებერვალი – კვირა – 1932 წელი

ვისღა უნდა ეკლესია!.. კათალიკოსი... კალისტრატე თუ სხვა. ეკლესიის წირვა უკვე გამოსულია... თუ მაინც აღვნიშნე ზემო მოყვანილი სტრიქონები, ეს ისე, მაინც გული არ ითმენს... აღვინიშნავ ხოლმე ამ ძველის-ძველი, ნაამაგდარი დაწესებულების თანდათანობით დაკნინების პროცესს... კალისტრატეც ფარი-ფურობს... „ორტოდოქსი“ იერარქია... უნდა „ძველი სტილის“ ეკლესია შეინარჩუნოს – აღადგინოს!!. თურმე საკურთხეველში, ქრ-ფორეს დასაფლავების წირვის დროს, დიდი შფოთი ატეხილა მოსაყდრე-კალისტრატესა და სინოდის წევრ – თომა ჩიქვანაიას შორის: უკანასკნელს კალისტრატე არ აძლევდა ტაძარში სიტყვის წარმოთქმის ნებას! მოსთხოვა ჩიქვანაიას დაწერილი სიტყვის რვეული, გადაიკითხა, ცენზურა გაუკეთა და უარი უყო, ეს შეიძლება წარმოსთქვათ ეკლესიის გარეთ და არა საყდარშიო! თომამ ეს იუკადრისა! როგორ!! საკათალიკოსო სინოდის წევრს ნებას არ მაძლევთ სიტყვა წარმოვსთქვაო?!. ეგ, ძველი, დამპალი, დახავსებული, რუსული სინოდის ზნე-ჩვეულებით შემოდიხარ შენ საქ. ეკლე-

სიაშიო და მორთო თურმე ღრიალი!.. კალისტრატე იძულებული შეიქნა – „ნება დაერთო“ სიტყვის წარმოსათქმელად!.. თომამაც წარმოსთქვა ქრისტეფორეზე სიტყვა, მაგრამ სიტყვაში ჩაურევია ზოგი რამ დროს დამახასიათებელი ადგილები: „ხელისუფლების მიერ სარწმუნოება თავისუფალიაო, მაგრამ თუ საყდარში მოვიდა მოსამსახურე პირი, ამას ათვალიერებენ და სამსახურიდან ითხოვენო“... და ასეთი გადაკრული სიტყვები უხმარია თომას... და ამისი შეშინებია კა-ტეს... ამბობენ, მოუვიდა კა-ლეს ერთნაირი წინადადება: „თუ დაგვემორჩილები, ჩვენს ჭკუაზე ივლი და მართავ ეკლესიას, არჩევნებს მოგახდენინებთ და აგირჩევენ კიდეცო“... თანხმობა მისცა ამაზეო... და მიდის „ეკლესიური ცხოვრება“ იმავ ხაზით, რაც ქრ-ფორეს დროს იყო აღებული!.. ვნახოთ კიდევ რა იქნება...

რა ხდება ჩინეთში?! რას სჩადის იაპონია?!.. მანჯურია უკვე ხელში აქვს.... ხარბინიც აიღეს... აღმ. ჩინეთის რკინის გზას გადააჯირგალდენ... მიამსხვრ-მოამსხვრიეს შიგა და შიგ ლიანდაგებიც, სადგურებიც... მატარებლებით ჯარი გადაჰყავთ-გადმოჰყავთ... საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, ჩვენ თქვენს ინტერესებს ამ რკ. გზაზე არ შევლახავთ, ყველაფერს მოგიწესრიგებთო... მოსკოვში ელჩი ხიროტო და ლიტვინოვი ერთმანეთს არწმუნებენ თავიანთ კეთილ-განზრახვებში... მაგრამ ორთავე მხარე უბეში ქვებს ილაგებენ და პირველ შემთხვევაშივე მზად არიან, ერთმანეთს თავ-პირი დაამსხვრიონ!..

მანჯურიიდან იაპონელები შეიჭრენ შანხაიში! აქ მათ გვერდი დაუმშვენეს დიდმა სახელმწიფოებმაც – ინგლისმა, ამერიკამ, საფრანგეთმა, იტალიამ და, ვისაც კი არ ეზარებოდა, ყველა ევროპულმა მტაცებლებმა. იაპონიამ ყუმბარები დაუშინა შანხაის ჩინურ ნაწილს აეროპლანებიდან... გააჩაღა საშინელი ბრძოლა ჩინელ ჯართან და მოსახლეობასთან, დაამტვრია მთელი ქალაქი, ცეცხლი წაუკიდა ყველაფერს... ამოჟუჟღა უამრავი ხალხი! და ყოველივე ამას უცქერიან ზემო აღნიშნული „დიდი სახელმწიფოები“! ამათაც გადმოსხეს ჯარის ნაწილები შანხაიში, შემოიყვანეს ჯარი თავიანთი და გემები. იაპონიას შანხაის მიდამო ზღვებში 48 გემი შემოუყვანია, სხვა სახელმწიფოებს ერთად ამოდენივე და უგდებენ ყურს ჩინელების ამოჟუჟღვას და ამოდენა ქალაქის გადაწვა-გადაბუგვას... ეს არ იკმარეს იაპონელებმა. მათ ზარბაზნები დაუშინეს გემებიდან ჩინეთის ეხლანდელ სატახტო ქალაქს ნანკინს! ეს ქალაქიც ააოხრეს, გაანადგურეს, ცეცხლი გაუჩინეს მას... ხალხი გარბის გაგიჟებული... იჟუჟღება, როგორც ჭიანჭველა... მთავრობას სატახტო ქალაქი გადაუტანია ლიაოიანში და კიდევ განაგრძობს ამ უთანასწორო პირობებში განწირულ ბრძოლას, მაგრამ იაპონიასთან რას გახდება ჩინეთი!.. აქ საქმე ჩინეთი როდიღაა, აქ საკითხია – თუ როგორ „შეთანხმდებიან“ ჩინეთის მძორზე დამსხდარი სისხლის მწოველი სახელმწიფოები!... ხო არ მოუვათ მათ ერთმანეთში „გაყოფის“ დროს შეტაკება?! ხო არ ასტყდება ისევ მსოფლიო ომი?!. რა მიმართულებას მიიღებს იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა... ევროპაში, განსაკუთრებით პარიზში და ჩეხო-სლოვაკიაში ცერებზე დგანან იმპერიალისტები – თუ როდის გავარდება

ისევ საერთაშორისო ომის ზარბაზანი, როდის ასტყდება საზარელი ომი, რომელიც გამოასწორებს ეხლანდელ საყოველთაო ეკონომიურ კრიზისსო?! აი, საიდან უდგებიან საკითხს „ჭკუიანი კაცები“?!. ჩვენს გაზეთებში მეტად მოკლე ცნობებს იძლევიან ამ ამბების შესახებ! სხვა ცნობებს კი ჩვენ მოკლებულები ვართ... და შეიძლება ვსთქვათ, რომ არაფერი ვიცით ამ დიდი ამბების შესახებ დაბეჯითებით და სინამდვილით. ვხედავთ და განვიცდით მხოლოდ დღითი-დღე გაძვირებას პირველ საჭიროების საგნებზე: პურს მოუმატეს ფასები – მუშა-მოსამსახურეზე გახადეს კილო – 8 კაპ., იყო 7 კაპ. კერძოდ თეთრი პური გირვანქა ღირს – ერთი მანეთი, შავი – 80 კაპ. ნავთზე – ფუთზე დაუმატეს 1-50 კაპ., შაქარი მუშა-მოსამსახურეთათვის გახადეს კილო – 92 კაპ., ნაცვლად 60 კაპ. და ასე ყველაფერი ძვირდება, ტრამვაი უნდა გახადონ 10 კაპ. ნაცვლად – 15 კაპ. და აგრე! უმატებენ ყველაფერს ფასებს, ჯამაგირები კი რჩება უცვლელად! მუშათათვის „დახურული“ მაღაზიები და დუქნებია გახსნილი, მაგრამ შიგ არა არის რა და ვართ ასეთ გაწა-მაწიაში. ყოველივე ეს მაჩვენებელია სახელმწიფოს ნერვიულობისა, მისი ეკონომიური ძალების დაჭიმვისა! ჩატარდა ამ დღეებში მოსკოვში მე-17 პარტ-კონფერენცია დიდის ამბით და მოხსენებებით. ამ კონფერენციაზე განიხილეს „მეორე ხუთწლედის“ გეგმა! პირველი ხუთწლედი ამ – 32 წლის დამლევს უნდა დამთავრდეს – „ხუთწლედი ოთხწლედში“! ეხლა უკვე დაუგეგმავთ „მეორე ხუთწლედი“. პირველი უკვე თითქოს მიღწეულია და სავსებით ჯიბეში გვქონდეს! კონფერენციაზე დიდი სიტყვებით გამოვიდა მოლოტოვი, რომელმაც წარმოადგინა მეორე ხუთწლედის გეგმის დეტალური განხილვა და დასაბუთება!.. დიდი მოხსენება ჰქონდა სერგო ორჯონიკიძეს – „სმურის“ ნარკომს! მისი მოხსენება და ბოლო სიტყვაშიც მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო მძიმე მრეწველობის განვითარების შესახებ! მოლოტოვის მოხსენებაც საინტერესო იყო! საკვირველია, რომ ამ კონფერენციაზე არ გამოსულა სრულებით სტალინი! ის სდუმს!... რაც მრავალმნიშვნელოვანი დუმილია... ალბად, შემდეგ გადმოისროლის ახალ ლოზუნგებს, რომელთაც ხელს წამოჰკრავს მთელი საბჭოთა კავშირი და დაიმუშავებს ბელადის გამოსვლებს, როგორც ეს იყო ამას წინეთ – „ექვსი ისტორიული ლოზუნგების გარშემო“ – „ტეხნიკის მასიურად დაუფლების შესახებ“!.. კონფერენცია ოპტიმისტურად არკვევდა შინაურსა თუ გარე მდგომარეობას და მოუწოდებდა მსოფლიო პროლეტარიატს კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის დასამხობადა და კომუნიზმის დასამყარებლად.

6 მარტი – კვირა – 1932 წელი
ჩინეთ-იაპონიის ომი

საკვირველია!.. ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ოფიციალურად ომი არ გამოცხადებულა!.. ომი კი ეს მეხუთე თვე სწარმოებს! მანჯურიას უკვე დაეუფლა იაპონია! ის აქ რაღაც ტრაგი-კომედიას ეწევა: მანჯურია „დამოუკი-

დებელ“ სახელმწიფოდ გამოაცხადა! ნამდვილად კი მანჯურია უკვე იაპონიის სრულ განკარგულებაშია! იაპონიამ სადღა გამონახა ჩინეთის ყოფილი იმპერატორი – სახელად პუ-ი და ეს პუ-ი უნდა დასვას მანჯურიის უზენაეს მმართველად!.. პუ-ის უზენაეს მმართველად გამოცხადება ეხლახან რამდენიმე დღით გადაიდო!.. როგორც ზემოდაც ვსწერდით, მანჯურიიდან იაპონია შეიჭრა შიდა ჩინეთში და აწარმოებს ბრძოლას საომარი ხელოვნების „უკანასკნელი სიტყვით“ და ხერხებით თუ იარაღებით! საკვირველია, ჩინეთი მაინც უწევს ხანგრძლივ წინააღმდეგობას! შანხაიში ჩინეთმა წამოაყენა ეგრეთ წოდებული „კანტონის მე-19 არმია“! ეს ჩინეთის „წითელი ჯარის“ ნაწილი ყოფილა! ის შესდგება მთელი ქვეყნის „მოხალისე-კომინსტებისაგან“, უმთავრესად – გერმანელებისა და საბჭოთა კავშირის მოხალისეთაგან! განსაცვიფრებელი სიმამაცით და მედგრობით იბრძვის ეს არმია! მას შველიან, რასაკვირველია, ჩინეთის სხვა არმიებიც – ნანკინიდან და სხვ. მაგრამ ბრძოლა უთანასწორო: როდესაც იაპონელთა მხრიდან შანხაის, ჩაპეის და სხვა ახლო-მახლო საომარ ასპარეზის მიდამოებს თავს დასტრიალებენ უამრავი თვითმფრინავი, „ბომბოვოზები“, ჩინელების მხრივ ერთ თვითმფრინავზე და „ბომბოვოზზე“ არ არის ნახსენებიც კი გაზეთებში. მიუხედავად ამისა, ჩინელები ვერ დასძრეს იაპონელებმა პოზიციებიდანო, – სწერენ გაზეთებში! იაპონელებმა „ცეცხლის ქარიშხალი“ აუყენეს შანხაის, „ცეცხლის კედლებს“ აღმართავენ, რომ ჯარები გადმოსხან გემებიდან ნაპირებზე!.. დიდი ზარალი მიუყენეს ჩინელებმა იაპონიასო, იაპონელებმაც მუსრი გაავლეს უბრალო მცხოვრებლებს ქალაქ-სოფლებიდან ლტოლვილებს, რომელნიც თავზარდაცემულნი აწყდებიან ერთი ადგილიდან მეორეს, მათ კი სდევნიან იაპონელების ჯარი და ხოცენ. ამ საშინელებას უცქერიან იქვე დამსწრე ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი თავიანთი ჯარებით და სამხ. ფლოტით მოლაპარაკებაა გამართული სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტაზე და თან კი ეს ჟუჟღვა გრძელდება.

მოსალოდნელია შეტაკება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის

გუშინდელმა ტფილისის გაზეთებმა გადმობეჭდეს გაზეთ „Известия“-დან ცნობები, რომ იაპონიის აგენტები ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირის მხრივ დიდძალი ჯარის მიყრას ვლადივოსტოკისაკენ და მზადებას. ამაზე საბჭოთა ხელისუფლება უპასუხებს, რომ ჩვენ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრენი ვართ, მაგრამ თან ბრმები როდი ვართო! არ ვმალავთ, რომ ვემზადებით თავდაცვისათვისო! ჩვენ სხვისი ტერიტორია არ გვინდა, მაგრამ ჩვენი საზღვრების ერთ გოჯ ტერიტორიას არავის დაუთმობთო! იაპონიის ოფიციალური პირების წერილობით დოკუმენტებიდან მოყვანილია ადგილები გაზეთში, სადაც ისინი აშკარად მოითხოვენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, ეხლაა საამისო ხელსაყრელი დროო! მივრეკოთ ისინი ბაიკალის ტბამდე, შემდეგ აქედანაც გადავრეკოთ და

მთელი აღმოსავლეთი ციმბირი დავიპყროთო და იქ ჩვენი ხალხი დავასახლოთ და გავმაგრდეთო! საბჭოთა კავშირს ბრძოლა არ შეუძლიაო... დასავლეთ საზღვრებიდან მას შეესევა პოლონეთი, რუმინია და სხვები... შიგნით ხალხი აუჯანყდება და მათი სახელმწიფო დაირღვევაო! ასეთი ადგილებია მოყვანილი გუშინდელ გაზეთებში. ეტყობა, მზადდება საშინელება... ეტყობა კაცობრიობას კიდევ წინ უძევს ამ ახლო მომავალში ისევ მსოფლიო ომის განსაცდელი!.. ამერიკაც დიდ მზადებაშია... ევროპაში ანტიიმპერიალისტური გამოსვლებია... საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ჩეხო-სლოვაკია დიდძალ სამხედრო იარაღს და სურსათს ამზადებენ და აწვდიან იაპონიას... მუშები სცდილობენ ხელი შეუშალონ ამას... ამ მხრივ არის დიდი აგიტაცია ქარხნებში, გამოსვლები პარლამენტებში...

ლიტვინოვი – კომისარი 2 მარტს ჩამოსულა ჟენევიდან მოსკოვში და 3 მარტს ისევ უკან გაბრუნებულა! დიდ ფაცა-ფუცშია! სჩანს, დაჭიმულია საერთა-შორისო ურთიერთობის ძაფები! ჟენევაში ნაციათა ლიგაზე ლიტვინოვი გამოვიდა საყოველთაო განიარაღების მოთხოვნით, რადიკალური ზომები წამოაყენა, მაგრამ, რასაკვირველია, მისი წინადადება არ იქნა მიღებული, მას მხარი დაუჭირა მხოლოდ ოსმალეთის დელეგატმა! მაგრამ... ლიტვინოვმა ერთხელ კიდევ გამოიყენა ჟენევის ტრიბუნა საქვეყნო აგიტაციის საშვალებად, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მისმა გამოსვლებმა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მსოფლიოზე... ეხლა კიდევ საჩქაროდ წასულა ევროპაში... მზადებაა დიდი ამბების წინაშე!..

30 აპრილი – დიდი შაბათი

6 მარტიდან აღარა დამიწერია რვეულში. ამ ხნის განმავლობაში ზემო აღნიშნული ვითარება უფრო გაღრმავდა, გართულდა, გადაიქსელა ერთი მეორეში ამბები, გაკეთდა დიდი კვანძი, რომელსაც ალბად ხმალი თუ გასჭრის, თორემ მისი ისე სხვანაირად დაშლა შეუძლებელია. ჩინეთ-იაპონიას შორის თითქოს შესწყდა სამხედრო მოქმედება. მაგრამ იაპონიას არამც თუ არ გაჰყავს ჯარი ჩინეთიდან, პირიქით, როგორც გაზეთებში სწერენ, თანდათან ახალ-ახალი ჯარი მოჰყავს ჩინეთში და მანჯურიაშიც. ამ ჟამად ნაციათა ლიგის „კომისიაა“ გაგზავნილი ჩინეთ-მანჯურიაში ადგილზე გარემოებათა გამოსარკვევად. ჩინეთის მხრივ ამ „კომისიაში“ მონაწილეობს ცნობილი დიპლომატი „ველინგტონ კუ“. ამ კომისიას იაპონიის სამხედრო ხელისუფლება მანჯურიაში გასაქანს არ აძლევს, მასთან ჩინელებს არ უშვებენ, საქმის ვითარებაში არ ჩაახედებენ, თვითონ „ველინგტონ კუ“ სასაცილო მდგომარეობაშია, ის იაპონიის საკონსულოშია ჩამწყვდეული, გარეთ არ გამოხვიდეთ, თორემ თქვენს უშიშროებაზე ჩვენ პასუხს არ ვაგებთო, ეუბნებიან მას იაპონელები. ასე რომ, ეს „კომისია“ იძულებულია მიიღოს ის გაშუქება საკითხებისა, რასაც მიაწვდიან მას იაპონელები! ამ დროს კი „თეთრგვარდიელები“ თარეშობენ მანჯურიის ჩრდილოეთ ნაწილში, განსაკუთრებით ჩინეთ-

აღმოსავლეთის რკინის გზის ხაზზე და აქ ქმნიან პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლებასა და იაპონიას შორის მდგომარეობის გასამწვავებლად: ხან ერთ ალაგას მოახდენენ რაიმე შემთხვევას-მარცხს მატარებლებისას, ხან მეორეზე. ამას წინეთ იაპონელი ჯარისკაცებით სავსე მატარებელი დაამსხვრიეს, ბრალი დასდეს საბჭოთა ხელისუფლებას. შეიქნა ერთი მიხლა-მოხლა, გამოძიება და, მგონი, საბჭოთა ხელისუფლებას გასამტყუნებლად ვერავითარი მასალა ვერ შექმნეს და მიჩუმდენ. ამასთან განუზრახავთ მდინარე სუნგარზე დიდი ხიდის აფეთქება, მაგრამ საბჭ. ხელისუფლების აგენტებმა დროზე გაუგეს და ხელი შეუშალეს ამ ბოროტ განზრახვას. უვარდებიან თეთრგვარდიელები ამ რკინის გზის სამმართველოში, არბევენ, ამტვრევენ, სძარცვავენ ყველაფერს, სცემენ ჩვენს აგენტებს და სხვა. იაპონია კი ასეთ ამბების გამო გამოცხადებულ პროტესტებზე პილატესავით ხელს იბანს, „ჩვენი რა ბრალიაო“, ჩვენ თეთრგვარდიელებთან რა გვესაქმება, ისინი ჩვენ რაში გვჭირდებაო. ამ ბოლო დროს, როგორც გაზეთებიდან სჩანს, თითქოს ჩვენსა და მათ შორის დამოკიდებულება სცხრება, რაღაც შეთანხმებასავით ხდება თითქოს. იაპონიამ შექმნა მანჯურიაში რაღაც „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოსავით – „პუ-ის“ მეთაურობით! ამ „მთავრობის“ უკან კი თვითონ არის, მან უკვე მოახდინა მანჯურიის სრული დაპყრობა. ამ „მთავრობის“ ყველა მაღალ და საპასუხის მგებლო პოსტებზე იაპონელებია „ამორჩეული“ თუ „დანიშნული“! „პუ-ი“ – ბუტაფორიაა. მალე მონღოლეთსაც შეესევა იაპონია, ამიტომ ჯერ-ჯერობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მოერიდება შეტაკებას. ამერიკაც კრიჭაში უდგას იაპონიას. მისი ფლოტი ფილიპინების კუნძულებზეა გამაგრებული ყოველი შემთხვევისთვის... მაგრამ მთელი „ფოკუსი“ მდგომარეობისა არის მასში, რომ იაპონია მოქმედებს საფრანგეთის და ინგლისის თანხმობით: იაპონიას წამოაჩოქებიეს ჩინეთი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა „ექსტერიტორიალობის“ მოსპობას ჩინეთში, მოითხოვდა, რათა ჩინეთი ყოფილიყო თავის მიწა-წყალზე ისეთი ბატონ-პატრონი, როგორიც არიან სხვა სახელმწიფოები თავის ქვეყნებში. ეს კი ხელსაყრელი არ იყო ევროპის დიდ სახელმწიფოებისათვის, არც თვით იაპონიისათვის, და ამიტომ ამ უკანასკნელს შეასრულებიეს ჩინეთის დამორჩილების, დატუქსვის როლი! მიზანი მიღწეულია, ჩინეთი ჩაფუშული, ჩათუთქული და აოხრებულია დღეს, დიდხანს ის თავს ვეღარ წამოჰყოფს იაპონიის მიერ კბილების ჩამტვრევის შემდეგ. ასეთია საქმის ვითარება აღმოსავლეთში. ევროპაშიც, განსაკუთრებით გერმანიაში, დიდი მიხლა-მოხლაა. აქ იბრძვის და აგიტაციას აწარმოებს კომპარტია. ამას წინეთ პრეზიდენტის არჩევნები იყო გერმანიაში – ჰინდენბურგს ვადა გაუვიდა და არჩევნები გამოცხადდა. კომპარტიამ თავისი კანდიდატი წამოაყენა პრეზიდენტობაზე, პარტიის მეთაური ტელმანი. რასაკვირველია, ეს სააგიტაციო ხერხები იყო. გავიდა ისევ ცნობილი ყოფილი სარდალი უკანასკნელი დიდი ომისა – ჰინდენბურგი! საკვირველია! გერმანელებმა თავისი იმპერატორი – ვილჰელმი და მისი ოჯახი როდი ამოხოცეს, როგორც ეს მოხდა რუსეთში! არც ჰინდენბურგს ახლეს ხელი! პირიქით, უკანასკნელი ეს მეორეჯერაა, რომ პრეზიდენტად და-

ისვეს!.. დიდი ბრძოლაა გერმანიაში კლასობრივ ნიადაგზე! დიდი ეკონომიური კრიზისია იქ და სხვა სახელმწიფოებშიაც. დაჭიმულია ყველგან ძარღვები. ამ დღეებში საპარლამენტო არჩევნები გაჩაღდება საფრანგეთში. იქაც შეიქნება ერთი ორომტრიალი. ვნახოთ, რა იქნება.

1 მაისი – 1932 წელი – კვირა – აღდგომა

ეს ორი დღე – საქრისტიანო – „მართლ-მადიდებლური“, აღდგომა და ინტერნაციონალური დღე – 1 მაისი ერთმანეთს დაერთო! დიდი მზადება იყო პირველი მაისის დემონსტრაციის ჩასატარებლად. დიდი მზადება იყო ამ დღესასწაულის და აღდგომის „შესახვედრად“... ბაზარზე! ბაზარია ასეთ შემთხვევაში „ბარომეტრი“! წელს კი ეს სადღესასწაულო ბაზარი მეტად ღარიბ-ღატაკი იყო! სანოვაგე ძალიან ნაკლებად იყო შემოზიდული სოფლებიდან, ამიტომ იყო დიდი სიძვირე: ათი კვერცხი – 5 მანეთი, ერთი გოჭი – 120 მანეთი, ინდოური – 90–100 მანეთი, ბატკანი – 80–120 მანეთი, კონა ბოლოკი – შაურიანი – 1-60 კაპ., კონა ახალი ხახვი – 5 მანეთი, კონა ტარხუნა 5 მანეთი, ძველი ხახვი – კილო – 10 მანეთი, ღვინო სოფლიდან ჩამოტანილი – ნახევრად წყალ-დარეული – ლიტრა – 3 მანეთი, კოოპერატივში – ბოთლი ღვინო – 4-65 კაპ., არაყი ბოთლი –15 მანეთი, პური თონისა – 1-60 კაპ. გირვანქა, შავი პური – ულუფა – $^{3}/_{4}$ გ. სულზე – 80 კაპ., არ იჭმება ისეთი. ფეხსაცმელი, ტანთ-საცმელი, ერთი, რომ არ იშოვნება, და თუ იშოვნება, ხელმიუწდომელ ფასებში. ერთი სიტყვით, ზღაპრული სიძვირეა. სყიდვითი ძალა ფულმა დაჰკარგა, ის თითქმის „ბონად“ იქცა, ჩვენ კი ასეთ ფულს გვაძლევენ ხელფასად – ფულის სახით! მაგალითად, ვიღებ თვეში 150 მანეთს, აქედან სხვა და სხვა გვარის დაკავების შემდეგ შეიძლება შემხვდეს 120 მანეთი, აქედან ტრამვაიზე სამგზავრო – 9 მანეთი თვეში იქით-აქეთ, სხვა და სხვა შემთხვევითი გადასახადებიც, მაგალითად, გუშინდელი დღე ყველა დაწესებულებებში და საწარმოებში გამოცხადდა „თავდაცვის“ დღეთ და ამას „შევსწირეთ“ ერთი დღის ხელფასი! ასეთი ჯამაგირით – აღნიშნულ სიძვირეში ცხოვრება წარმოუდგენელია! ვცხოვრობთ პურზე და ჩაიზე! სხვაზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება!.. არც მუშებს!.. „დახურული დუქნები“ მათთვის უკვე ცარიელია, თუ რამეა, ეს ყველაფერი გამოტანილია „კომერციულ მაღაზიებში“, სადაც ჩვენთვის ხელ მიუწდომელი ფასებია! ხედავ შორიდან, ფანჯრიდან სანოვაგეს, თვალები გებრიცება, მწუხარებით თავს იქნევ და უკან ბრუნდები ხახამშრალი, შეურაცყოფილი, დამცირებული, ბუზღუნ-ბუზღუნით: ეგ რა დღეში ჩავცვივდით და კიდევ, ვინ იცის, რას გვიქადის ახლო მომავალიო!.. ჩაცმულ-დახურული და კმაყოფილია ჯარი, ჩ-კა, დიდ-დიდი ბობოლა-მეთაურები, მათი ოჯახები და ისინი, ვინც ხელს ურევს, ანაწილებს ან ჰყიდის სანოვაგეა, ფართლეულობა თუ ტანთ-საცმელი!.. წარმოუდგენელი ბოროტ-მოქმედებაა ყველგან და ყველაფერში. მთავრობა ღებულობს ყოველგვარ ზომებს, უსასტიკეს ზომებს, მაგრამ არა ეშველა რა საქმის

გამოსწორებას. რაც დღე გადის, უფრო უარესდება კვებისა და მომარაგების საქმე. სოფელში დიდი სიღატაკე და საცოდაობაა, ენით გამოუთქმელია ყოველივე ის, რაც იქ ხდება, სოფელი უპასუხისმგებლო პირთა ხელშია ჩაცვივნული და იზრდება ანარქია, თვითნებობა, ძალადობა, სასოწარკვეთილებამდე მიდის ადამიანი!.. გამოსასვლელს ვერსაით პოულობს.

პირველი მაისი გათენდა კოკისპირული წვიმით, მთელი წინაღამეც იწვიმა, ეხლაც გადაუღებლივ წვიმს! რადიომ გადმოგვცა, რომ ცუდი ამინდისა გამო დღევანდელი დემონსტრაცია გაუქმებულია! ავდექი და გავისეირნე, ზონტიკით ხელში, რუსთაველის პროსპექტით. სასახლის წინაშე ტრიბუნებია ორატორებისათვის გამოსასვლელად წითლად გამართული, დიდი მზადება ყოფილა, წუხელ გაჩირაღდნებული იყო ქალაქი განსაცვიფრებლად. დღეს კი ყოველივე ეს ჩაიშალა! კანტი-კუნტად თუ გაივლის ვინმე პროსპექტზე! ვისეირნე, თან ვფიქრობდი – რისგან რა იქნება!.. რა იყო, რა არის?! რა იქნება! ვვარაუდობდი და აბა, რას მივხვდებოდი, რისგან რა იქნებოდა!.. დავბრუნდი სახლში და ერთი პური ვიყიდე თონისა – „თეთრი“ – სამ მანეთად... გულში მეცინებოდა... საიდუმლო ხმამ ყურში ჩამძახა, ეს პური პასქის მაგიერიაო!.. მომაგონდა ფუნჩულა პასქები, დაბრაწული გოჭები, ინდოურები, ბატკნები, ქათმები, წითელი კვერცხები, ოჯახი დამსუყებული, აღსავსე ყოველივე სიკეთით!.. ეხლა კი წითელი ბოლოკიც კი მენატრება!.. გუშინ ბოლოკის ისეთი „ოჩერედი“ იდგა ბაზარში კოოპერატივის წინ და ისეთი თავ-პირის მტვრევა იყო ამ ოჩერედში, რომ ვარჩიე, უბოლოკოდ დავრჩენილიყავი; კერძოდ კი ბოლოკი კონა 4 მანეთი, კოოპერატივში – 1-50 კაპ... მოველი სახლში... პურით ხელში და გავახარე... ცოლი... შვილები – ერთი სალდათში წაიყვანეს, ერთიც საავათმყოფოში მიწევს მუცლის ტიფით, ერთიც ბათომში მყავს გათხოვილი! დავრჩით მე და ჩემი მოხუცი ცოლი – თონის პურით!..

აღარას ვამბობ ეკლესიებზე და მათ აღდგომაზე! არარაობაზე აბა რა უნდა ითქვას!.. არაფერი!.. ღამის თორმეტ საათზე შემომესმა ანჩისხატის ეზოდან რუსული გალობა – გალობდენ რუსის დედაკაცები – „კლიკუშკები“ – „Воскресение твое Христе-Спаасе!.. ე. ი. „აღდგომასა შენსა“! მომაგონდა – თუ რა ამბით შემოუვლიდით ხოლმე ამ ტაძარს ლიტანიას... თუ როგორ დასძახებდენ მგალობლები ქართულად „აღდგომასა შენსა“ ან „ქრისტე-აღსდგა“!.. დღეს კი ანჩისხატში რუსი დედაკაცები გაჰკივიან!.. ყველაფერი მოსალოდნელი ყოფილა – სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო! ანჩისხატი და რუსული!.. ჰმ!.. კალისტრატე-მოსაყდრე – ისიც ურუსულებს სიონში!.. სოფლად ხო არსად ჭაჭანება აღარ არის ეკლესიებისა და თუ არის ისევ რუსის სოფლებში, ამათ ვერას უბედავენ ჯერ-ჯერობით! მაგრამ რის ეკლესია?! ვის უნდა ეკლესია თუ თვითონ „სჯული“ – მოისპო?! დიდი ჭკუიანები ყოფილან ძველი რომაელები, რომელთაც უთქვამთ: „Cujus regio, ejus religio“ – ე. ი. ვისიც ძალა-უფლებაა, მისივე რელიგიაარ!... ჭეშმარიტად!.. ამიტომ მეტად საგულისხმოა, კაცმა შეადაროს, თუ რა ხდება ინტერნაციონალურ დღის პირველი მაისის უფლება

მოსილ მედღესასწაულეთა ოჯახში დღეს და უბრალო მომაკვდავთა ოჯახებში! იქ ყველაფერია დღეს – გოჭიც, ინდოურიც და რა გინდა, სულო და გულო!.. სხვაგან კი... არაფერი... მხოლოდ შავი და ზოგან თუ თეთრი პური – „პასქის“ მაგიერი. „ნუ გიკვირნ ესე“...

2 მაისი – ორშაბათი

გამოიდარა. გუშინდელი დემონსტრაცია გაიმართა დღეს. ახალ ჯარისკაცებს ფიცი მიაღებიეს. ჩემი შვილიც დააფიცეს – ის ოთხი თვით გაიყვანეს საპიორთა ნაწილში, ავჭალაშია, იქიდან ჯარი ფეხით ჩამოიყვანეს, დააფიცეს და ისევ გაგზავნეს. დემონსტრაცია ჩვეულებრივად ჩაატარეს.

ყუმბარის გადაგდება შანხაიში

30 აპრილს იაპონელთა ხელისუფლება დღესასწაულობდა მათ მიერ დაპყრობილ შანხაის ერთ ნაწილში – თავიანთი იმპერატორის დაბადების დღეს. მოწვეული იყო უცხოელთა დიპლომატიური კორპუსი და დიდძალი სტუმრები. როდესაც მორჩენ ზეიმს და ევროპიელი დიპლომატები წავიდ-წამოვიდენ, ვიღაცამ იაპონელთა დიდ-დიდ მოხელეთა ჯგუფში გადაისროლა ორი ყუმბარა, ერთი მათგანი გასქდა, მეორე – არა. ხუთი-ექვსი იაპონელთა დიდი მოხელენი მძიმედ დაიჭრა: ზღვის ადმირალი – სამურა, წავარდა მარჯვენა თვალი; ხმელეთის ჯარის სარდალი მძიმედ დაიჭრა, იაპონიის კონსული სიგემიცა სასიკვდილოდ დაიჭრა და სხვები. დაჭრილია ამათ გარდა ბევრიც – შეკრებილი ხალხისაგან. მეორე ყუმბარა უფრო ძლიერი ყოფილა, რომ ისიც გამსქდარიყო, დიდი უბედურება მოხდებოდა. ეს მომხდარა ბაღში, რომელიც მცველებით გარს შემორტყმული ყოფილა. დაუჭერიათ ყუმბარის გადამგდები და ორიც სხვა. სამთავენი კორეელები ყოფილან! კორეი დიდი ხანია დაიპყრო იაპონიამ, მაგრამ კორეელები ვერ ურიგდებიან ამ გარემოებას და შურს ძიობენ ასეთი ტერორით; ეჭვი აქვს ჩინელებზე და რუსებზედაც, ამათი მოწყობილია ეს საქმეო! ამ ჟამად ევროპის კომისია მოლაპარაკებას აწარმოებს იაპონელებსა და ჩინელებს შორის მტრულ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ და მორიგების მოწყობის ჩასატარებლად. ეს შემთხვევა კი ართულებს საქმეს. ვნახოთ, როგორ ჩაივლის ეს ამბავი!

ოსმალეთის დელეგაცია მოსკოვში – 6 მაისი

საპირველ მაისოდ ოსმალეთიდან გამოემართენ გემი „საქართველოთი“ („грузия“) ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ისმეთ-ფაშა, გარეშე

საქმეთა მინისტრი – რუშთი-ბეი და მათი ამალა – მოსკოვისაკენ. ისინი მიიღეს მოსკოვში დიდებულად საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის დადებულ „მეგობრობის“ მე-12 წლის თავის აღსანიშნავად. ბანკეტი გამართა სახკომ საბჭოს თავმჯდ. მოლოტოვმა, რომელმაც დიდი სიტყვით მიმართა ისმეთ-ფაშას, აღნიშნა ეს „მეგობრობა“ და მოუწოდებდა ამ მეგობრობის უფრო განსამტკიცებლად. სიტყვაზე სიტყვითვე უპასუხა ისმეტმა. შემდეგ სტუმრები გაიწვიეს 1 მაისის ზეიმზე. სხვაც ბევრი ბანკეტები გაუმართეს მათ და ისინი დღესაც იქ არიან. ამ სახით ოსმალეთი ჩვენი მოკავშირეა!

24 მაისი – 1932 წელი
საფრანგეთის პრეზიდენტის დუმერის მოკვლა

6 მაისს, დღისით, ქ. პარიზში, როდესაც პრეზიდენტი დუმერი „მწერალთა გამოფენაზე“ მოვიდა და ათვალიერებდა, მას ვიღაც ბოროტგანმზრახველმა ხუთი ტყვია დაახალა, ერთი მათგანი საფეთქელში. მეორე დღეს პრეზიდენტი გარდაიცვალა! დიდი ალიაქოთი ასტყდა ამ თაობაზე. მკვლელი დაიჭირეს. ის აღმოჩნდა რუსი – პავლე გორგულოვი. ამ გარემოებამ სულ არია მონასტერი! საფრანგეთის მთავრობა, პრესა, საზოგადოება – ერთხმად გაიძახიან – გორგულოვი რუს კომუნისტების აგენტიაო! კომუნისტური ბანაკი პარიზისა და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრით უარს ყოფენ გორგულოვის კომუნისტობაზე და მას აცხადებენ „თეთრ-გვარდიელად“. პარიზში თავშეფარებული დიდძალი რუსის ემიგრაცია – თეთრგვარდიელობა – გააფთრებულია, ისიც გორგულოვს კომუნისტების აგენტად სთვლის. თვითონ გორგულოვი ამბობს ჩვენებაში: მე შური ვიძიე – რატომ საფრანგეთი აყოვნებს საბჭოთა კავშირში შეჭრას და ბოლშევიკური მთავრობის დამხობასო! გამოდის, რომ ის თეთრგვარდიელია და სხვაფრივ უდგება საკითხს. გამოძიება სწარმოებს... ბევრგვარი საეჭო ცნობები გამოცხადდა. ერთმა მოწმემ პირის-პირობა უყო გორგულოვს: ის 1924 წელს მოვიდა რუსეთში ევროპიდან და უკან დაბრუნდა დიდძალი ფულითო! ამაზე გორგულოვმა უპასუხა: „მე ფული მომცა ვიღაც ხანში შესულმა მანდილოსანმაო“!.. გამოძიება სწარმოებს. აყალ-მაყალია ამტყდარი. დუმერი მესამე დღეს დაასაფლავეს – საბჭოთა ხელის უფლებამ სამძიმარი გამოუცხადა საფრანგეთის მთავრობას და განსვენებულის ქვრივსაც, სასწრაფოდ აირჩიეს ახალი პრეზიდენტი – ვინ ლენგრანი. ზედ მოჰყვა საპარლამენტო არჩევნებიც. გაიმარჯვა რადიკალურმა პარტიამ – ერიოს მეთაურობით. ახალი მთავრობა ჯერ არ შემდგარა. მთავრობის სათავეში ჯერ ისევ ტარდიე დგას. მთავრობის შედგენის წინადადება ახალმა პრეზიდენტმა მისცა ერიოს! ის ყოყმანობს. ტარდიესაც აღარ სურს დარჩეს მთავრობის სათავეში, ვინაიდან პარლამენტის უმრავლესობა მისი არ არის და მოითხოვს მალე განმათავისუფლეთო. არევ-დარევაა.

ჯერ არ დამცხრალიყო ალიაქოთი პარიზში, რომ ტოკიოში 15 მაისს ვიღაცამ რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა თავისივე კაბინეტში იაპონიის პრემიერ-მინისტრი „ინუკაი“. ის მეორე დღეს გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს – ის აღმოჩნდა იაპონელი სამხედრო პირი. მეორე-მესამე დღეს იმავ ტოკიოში ზედიზედ მოხდა კიდევ 5-6 ტერორისტული გამოსვლები, სულ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილ პირთაგან, სამხედრო სკოლის მოწაფეები, საზღვაო და ქვეითი ჯარის აფიცრებისაგან – 18 კაცია შეპყრობილი. ჯერ გვეგონა ყველას, რომ ამ გამოსვლას კავშირი აქვს დუმერის მოკლასთან და რაღაც სხვანაირ მიმართულებას ღებულობდა საქმე. მაგრამ, გამოიძია იაპონიის მთავრობამ, რომ ტოკიოში მომხდარი ტერორისტული აქტები აღმოცენებული ყოფილა იაპონიის ფაშისტურ-პატრიოტულ ნიადაგზე: ყოფილა რაღაც ორგანიზაცია „кровного братства“, რომელიც შურს ძიობს იაპონიის ეხლანდელ მთავრობაზე – თუ რატომ მან დასტოვა შანხაი, მოლაპარაკებაში შევიდა ჩინეთთან, შანხაიდან ჯარი გამოიყვანა და ეს ამოდენა გაღებული სისხლი და ხარჯი ფუჭად ჩაატარაო!.. მაგრამ იაპონიამ იცის, რასაც სჩადის... მან შანხაიში გააკეთა ის, რაც სწადდა... ეხლა ხელ-ფეხი გაიხსნა, ჯარი მანჯურიაში მირეკა და ეხლა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ აქვს მიმართული თვალები, აქ აწარმოებს ინტრიგებს, აჯგუფებს რუს თეთრგვარდიელებს და ქმნის საბაბს ომის გასაჩაღებლად. მანჯურიაში ამ ჟამად დიდი ალიაქოთი და შფოთია გამართული. ეს უნდა ჩააცხროს იაპონიამ, რომ ეკვეთოს საბჭოთა საზღვრებს... მზადებაა ყოველი მხრიდან, ემზადებიან პოლონეთი, რუმინია, ჩეხოსლოვაკია – საფრანგეთის მეთაურობით... ემზადება აღმოსავლეთით იაპონია.... ამერიკაც თითის წვერებზე დგას... ინგლისიც უთვალთვალებს... კრიზისი ეკონომიური და პოლიტიკური ღრმავდება... ურთიერთობა მწვავდება... ჩვენში შიმშილობა იწყება... მალე პური აღარ გვექნება... არც შაქარი და არც არაფერი. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან – უკრაინიდანაც კი – ხალხი გამორბის საქართველოში... აივსო ტფილისი, ქუთაისი, კახეთი დამშეული, გამოქცეული რუსებით.

არ ვიცით, რაშია საქმე... მზადდება მეტად სერიოზული ხანა...

1932 წელი – ივნისი
ახალი კათალიკოზი – კალისტრატე ცინცაძე

ქრისტეფორე კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, საკათალიკოსო სინოდის მიერ კათოლიკოსის მოსაყდრეთ არჩეულ კალისტრატეს, ეხლა სწადია საეკლესიო კრების მიერ არჩეული იქნეს კათალიკოსად და ეკურთხოს კიდეც. ამ მიზნით დაფაცურდენ მისი აგენტები და აწყობენ „საარჩევნო“ კამპანიას! მაგრამ რომელ არჩევნებზე შეიძლება ამ ჟამად ლაპარაკი?! სოფლად აღარც ეკლესიებია და არც სამღვდელოება. ვინც იყო და არის, ყველანი ანაფორა გახდილებია და ქალაქად თავშეფარებულნი. ქალაქებშია დღეს ეკლესიის არსებობის დეკორაცია!

ტფილისში სამრევლოებიც არიან და მღვდლებიც, არიან მღვდლები სხვა ქალაქებშიც კანტი-კუნტად, მაგრამ სამრევლოები სულ დედაკაცებისაგან შესდგება, მამაკაცები ვინც მუშაობს ან მსახურობს სახ. დაწესებულებებში, ისინი ვერ გამოჩნდებიან სამრევლოს წევრებად. ასეთ პირობებში „საეკლესიო კრების“ შემადგენლობა კათალიკოსის ასარჩევად ისევ ტფილისში მოახერხეს: საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან „დელეგატები“ აირჩიეს ტფილისში მცხოვრებ პირთაგან და ამას დაუმატეს აქაური ღვდლები, დედაკაცები – ვერისა და დიდუბის სამრევლოებიდან და 23 ივნისს შესდგა სიონის ტაძარში „საეკლესიო“ კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა ეპისკოპოსები, გარდა მიტროპოლიტი დავითისა, რომელიც ამ დღეს ბათომში ასაფლავებდა ბათომის დეკანოზს არსენ თოხაძეს, ცნობილს თავისი უზნეო და ბოროტი ცხოვრებით. გაითამაშეს „საეკლესიო კრების“ არჩევნები, იყო მხოლოდ ერთი კანდიდატი – მიტროპ. კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც წინასწარ განაცხადა, რომ, თუ წამოყენებული იქნება მეორე კანდიდატი, მე ჩემს კანდიდატურას ვხსნიო. ამ სახით სხვა კანდიდატი აღარ წამოუყენებიათ, და კალისტრატე იქნა არჩეული „სრულიად საქართველოს კათალიკოსად“. 26-ს იმავ ივნისს არჩეული კათალიკოსი აკურთხეს კათალიკოსად სვეტიცხოველში, რასაკვირველია, მცირე ხალხის თანადასწრებით. ისადილეს, სჭამეს, სვეს მამაპაპურად და დაბრუნდენ ტფილისში. ახალმა კათალიკოსმა თავის აგენტებს – დეკ. ა. თოთიბაძესა და მირიანაშვილს უბოძა „პროტოპრესვიტრობის“ სახელი და დააჯილდოვა ისინი მიტრით. რუსის „პროტოპრესვიტრებს“ – ლოზოვოისა და სმირნოვს უბოძა უფლება „დიკირ-ტრიკირით აკურთხონ ხალხი!“ – ე. ი. ეპისკოპოსის უფლებანი. ასეთი მოქმედებებითა და დღეობების გადახდით და ქეიფებით ატარებს ახალი კათალიკოსი დროს. ანკი სხვა რა უნდა გააკეთოს, ან რა აქვს გასაკეთებელი! თავიანთი პირადი ცხოვრება მოაწყვეს ამ სასულიერო „გვამებმა“ და ამით ისინი კმაყოფილნი არიან. ერთი სიტყვით, საქართველოში ეკლესიის „დეკორაცია“-ღაა, რომ ვინმემ არ სთქვას, მოისპო და მოსპეს ეკლესიაო, კათალიკოსიც ჰყავთ „არჩეულიცა“ და „კურთხეულიც“. მახლას! რას ველოდით და რა გამოვიდა... შფოთი და შური მაინცაა მათ შორის... არ ისპობა: სიონის „პროტოპრესვიტერმა“ მარკოზ ტყემალაძემ, რომელმაც ციცქიშვილის საკათოლიკოსო არჩევნებზე თვითონაც კენჭი იყარა კათოლიკოსობაზე, ამ ჟამად „კენჭი“ აღარ იყარა, მაგრამ ჯერ კიდევ მოსაყდრე ცინცაძე მიტროპოლიტს სთხოვა: შენ ოთხი ოთახი გაქვს საცხოვრებლად მიჩენილი, მე კი სადღაც შკაფის უკანა ვარ მიკრუნჩხული, მომეცი ერთი ოთახის კუთხე ღამით დასაძინებლათო. მიტრ. კალისტრატე დაჰპირდა, კიო, სანამდე გაკათოლიკოსდებოდა, ხოლო რო ეკურთხა და მარკოზმა მოაგონა დაპირება, ქვაი ააგდო და თავი შეუშვირა, „ვერაფრის გულისათვის ვერ დაგითმობ ოთახსაო“, სტკიცა და წამოვიდა მარკოზი მეტად შეურაცხყოფილი და გაბრაზებული: ერთად კი არიან ორთავენი სიონში მწირველნი, ერთმანეთს ეამბორებიან და „ქრისტე არს ჩვენ შორისო“, – ელაყბებიან ერთმანეთს! ასეთი „ქრისტიანები“ არიან ჩვენი ეკლესიის ამ დროში სათავეში მდგომნი! რა სიკეთე და რა მადლი უნდა ტრიალებდეს მათ შორის!..

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი! აი, დღეს არის 14 ოქტომბერი ახ. სტილით, ძველით 1 ოქტომბერი – „მცხეთობა“. ეს მეოთხე თვეა არაფერი შემიტანია ჩემს რვეულში, იმიტომ კი არა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში ღირსშესანიშნავი არა მომხდარიყოს რა! პირიქით, ბევრი რამ ღირსშესანიშნავი მოხდა შორეულ აღმოსავლეთში, ევროპაშიც და ჩვენშიც. ჯერ ერთი, როგორც იყო, შეაჩერეს ჩინეთ-იაპონიის ომი! იაპონია დაბანაკდა მანჯურიაში, შექმნა მანჯურია „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ, ისე კი, რომ მთელი ხელისუფლების მოხელეები – მომქმედ სფეროებში სულ იაპონელებია, ჯარიც იაპონელებისაა შიგ, მხოლოდ სახელმწიფოს კი ეწოდება „დამოუკიდებელი“! ამ ხნის განმავლობაში ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის მოგვარების საკითხს იძიებდა და სწავლობდა „ნაციათა ლიგის“ მიერ იქ გაგზავნილი კომისია – ლიტონის თავმჯდომარეობით (ინგლისელია). ეს კომისია ჯერ კიდევ იქ იყო, როდესაც იაპონიამ ცინიკურად მანჯურია „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ შექმნა და „იცნო“ კიდევაც ის ასეთად იურიდიულად!.. საბჭოთა მოსაზღვრე ხელისუფლებას იაპონია ამ ბოლო ხანებში თითქოს დაუტკბა; ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობის შესაქმნელად მიუშვა „მანჯურიის სახელმწიფო“, თვითონ კი ამის უკანაა ატუზული და ყურში ჩასჩურჩულებს, რაც საჭიროა... თვით იაპონიამ საბჭოთა კავშირთან „თევზის დაჭერის“ შეთანხმებაც დასდო, მეგობრული ურთიერთობა გააბა და ომის საშიშროება გაჰფანტა... ლიტონმაც დაამთავრა თავისი მუშაობა, გამოაცხადა თავისი კომისიის ნამუშევარი ჟენევაში – „ნაციათა ლიგაში“! თავის დასკვნებში ლიტონი პირბადეს ხდის იაპონიის თვალთმაქცობას, აკრიტიკებს და არ სცნობს მანჯურიის ახალ შეთითხნულ სახელმწიფოს; უწუნებს საქციელს ჩინეთსაც... და აძლევს „ნაციათა ლიგას“ მდიდარ მასალას და საბუთებს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობაში გასარკვევად. მაგრამ ლიტონის კომისიის დასკვნები ყუმბარასავით გასქდა იაპონიისათვის და ჩინეთისათვისაც. არცერთი მხარე არ არის კმაყოფილი. იაპონია აშარად არ სცნობს ამ დასკვნებს „ნაციათა ლიგის“ კომისიისას, რომელი ლიგის წევრიც თვითონაც არის, არც ლიგას აქვს რაიმე საშვალება, რო ზეგავლენა მოახდინოს იაპონიაზე და ამ სახით შეიქმნა ტრაგი-კომედია! ეს ტრაგი-კომედია მით უფრო ტრაღიკულია, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს იაპონიას, ინგლისიც თანაუგრძნობს, კბილების ღრჭენით უცქერის მხოლოდ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები... და ამით იოლად მიდის იაპონია... ისე კი დაისახა სამტრო-სასიცოცხლო ურთიერთობა ამერიკასა და იაპონიას შორის „წყნარ ოკეანეზე“ – ამერიკას ფილიპინის კუნძულებზე თავმოყრილი ჰყავს თავისი – „ესკადრა“, მანევრების შემდეგაც იქ ჩასტოვა ეს „ესკადრა“! იაპონიაც თავის შესანიშნავი ფლოტით, რომელიც სჯობნის ამერიკისას, ფეხის თითებზე სდგას და ერთმანეთს უთვალ-თვალებენ – როდის სწვდნენ ერთმანეთს კისერში!.. ამ დროს კი ჟენევაში ისევ „განიარაღების“ კონფერენცია მუშაობს, ვითომც ომის საშინელებათა თავიდან ასაცილებლად!.. მაგრამ... ტყუილია! ერთმანეთს თვალს უხვევენ!.. გერმანიამ განაცხადა – მოსპეთ ვერსალის პირობები, კონტრიბუციები, მეც მომეცით

შეიარაღების თანასწორი უფლებებიო, თორემ კონფერენციაში არ მივიღებ მონაწილეობასო! და არც გაგზავნა თავისი წარმომადგენელი „განიარაღების“ კონფერენციაზე. საფრანგეთმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია გერმანიას ამ მოთხოვნაში: ჩვენ განიარაღებაზე ვმსჯელობთ, შენ კი შეიარაღების სწორ-უფლებიანობას მოითხოვო! ალბად გულში რევანში გიძევს... მე ვიცი შენიო!.. არც ინგლისია გერმანიის პრეტენზიების მომხრე, არც შტატები!.. ლიტვინოვი კი – ჩვენი გარეშე საქმეთა კომისარი – თავპირს ამტვრევს სახელმწიფოებს „განიარაღების“ კონფერენციაზე, ამხელს მათ თვალთმაქცობას და სხვა. ამ დროს გერმანიაში ძლიერდება ნაციონალ-სოციალისტების პარტია, რომელსაც „ფაშისტებს“ (პატრიოტებს) უწოდებენ. ამ პარტიასა და კომპარტიას შორის არის საშინელი, სისხლისმღვრელი, ხელჩართული შეტაკება, ხოცვა-ჟლეტა. დაამხეს სოც-დემოკრატიული მთავრობა... დადგა ამ ნაციონალისტების მთავრობა – ფონ-პაპენის მეთაურობით. მოხდა რეიხსტაგის ახალი არჩევნები, არჩევნებზე გაიმარჯვა თვალსაჩინოდ ნაც-ფაშისტებმა... მაგრამ რეიხსტაგი შეიკრიბა თუ არა, პირველ სხდომაზე მთავრობამ ის დათხოვნილად გამოაცხადა, ვინაიდან მეტად რადიკალურად იყო განწყობილი ფაშისტების პარტია. ამ გარემოებამ მეტად გაამწვავა ფონ-პაპენის მთავრობის მდგომარეობა, მას უყიჟინებენ კონსტიტუციის დარღვევას... მაგრამ ის ყურს არ იბერტყავს... ემზადებიან ახალი არჩევნებისათვის და როგორც გაზეთების უკანასკნელი ცნობები გვეუბნებიან, ისევ დიდი შეტაკებებია გერმანიაში ფაშისტებსა და მუშებს შორის... მიდის სტაჩკები, გაფიცვები... გერმანიაში...

მანჯურიაში ანტიმანჯურული მოძრაობაა: ახალ სახელმწიფოს აუჯანყდა ხალხი, რომელმაც მოხალისეთა ჯარი მოაწყო და ბრძოლას აწარმოებს იაპონიის ჯარის წინააღმდეგ... გაცხარებული სისხლისღვრაა....

ჩინეთში ანტიიაპონური მოძრაობაა, იაპონიის საქონლის ბოიკოტი.... იაპონია მუშტებზე იფურთხება... ემუქრება ჩინეთს, მაგრამ თვით იაპონია განიცდის დიდ ფინანსიურ კრიზის და ვერას გამხდარა... ევროპაშიც და მთელ მსოფლიოშიც მძვინვარებს ეს კრიზისი: კაპიტალიზმი დიდ ეკონომიურ ტკივილებს განიცდის: იზრდება უმუშევრობა, იკუმშება წარმოება – ნაწარმოებს ფასი აღარ აქვს და იხურება ფაბრიკა-ქარხნები...

საბჭოთა კავშირში

აქ შემოიღეს „კოლმეურნეთა ბაზრობა“ – ანუ „კოლხოზობა“. ამათ ნება დართო მთავრობამ, თავისუფლად გამოიტანონ ყველა თავიანთი ნაწარმოები ქალაქის ბაზარზე, გაჰყიდონ თავისუფალ ფასებში, შეიძინონ ამ ფულით სამრეწველო და სხვა საგნები მთავრობის ფასებში. ასეთი „იარმუკა“ სეკტემბერში ჩაატარეს ადერბეიჯანში, ხოლო ტფილისში იწყება ხვალიდან 15 ამა ოქტომბრიდან, დიდი მზადებაა – „კოლხოზთა“ შესახვედრად: ააშენეს ხის ფიცრული

ფარდულები მათთვის, გარეკეს ყველა კერძო მოვაჭრეები, არც ერთს აღარ აჭაჭანებენ სავაჭროთ, მაგრამ ამათაც იციან ხერხი, ესენი სულ ყველანი ნოქრებად და მოსამსახურეებად დაუდგენ ისევ მთავრობას და კოლხოზებს და მაინც... „იოლად მიდიან“... ხუთკეც ტყავს გვაძრობენ. კოლხოზების ვაჭრობა ტფილისში ეს ერთვე, მეტია რაც სწარმოებს, მაგრამ ფასები დიდია ყველაფერზე, ფული აღარ ფულობს! ყველაფერი მისდევს პურს: შავი პური გირვანქა – 2 მ. 50 კ., თეთრი – 3 მანეთი, ფართლეულობა მამასისხლად და რატომ უნდა გაჰყიდოს კოლმეურნემ თავისი ვაშლი, მსხალი, ლობიო, კარტოფილი და ხახვი ჩვენთვის (მოსამსახურეთათვის) „ხელმისაწვდომ“ ფასებში! ისინიც სამ-ოთხ მსხალს ან ვაშლს მანეთად ჰყიდიან, ლობიო ფუთი – 45 მანეთი და ასე... მეტად გაჭირებულია საქმე დასავლეთ საქართველოში, სადაც ფუთი მჭადი იყიდება 150 მანეთამდე და აღარც საშოვარია. ხალხს გურიაში შარშან არ მისცეს სიმინდის დათესის ნება, სოია დაათესიეს, არც სოია მოუვიდათ, რაც მოუვიდათ, ისიც აღარ აიღო მთავრობამ (იტალიას უნდა წაეღო და უარი განუცხადებია) და არის ერთი უბედურობა... გადადიან ხილზე... ეხლა ხელისუფლებას გამოუცვლია გეზი – ისევ სიმინდის მოსავალი გააძლიერეთო...

საერთო დიდი მოძრაობა და საქმიანობაა საბჭოთა კავშირში, 10 ამ თვეს აამუშავეს დნეპრის ელსადგური, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში შენდებოდა! ის არის უძლიერესი სადგური მსოფლიოში 810.000 ცხ. ძ., გადააჭარბა ამერიკას, სადაც უდიდესი ჰიდროსადგური ყოფილა 620.000 ცხ. ძ., დიდის ზეიმით გადაიხადეს დნეპროჰესის გახსნა. მალე რიონჰესიც ამუშავდება ჩვენში! ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ხალხი გაწყდა წელში, არ არის სათანადო კვება, ჩაცმა-დახურვა. ჯამაგირის დაჭერა სესხების სახით – განუწყვეტელია! ვეღარ ამოგვისუნთქია! ერთ დროს იქნება ალბად რაღაც, მაგრამ ჩვენ კი ვერას მოვესწრებით... მაინც არავინ იცის, რა რით უნდა გათავდეს... ომის აჩრდილი თითქოს მიეფარა...

მართლა! საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტი დუმერის მკვლელს – რუსს – გორგულოვს მიუსაჯა სიკვდილით სასჯელი და გილიოტინაზე თავი გააგდებინეს...

მაგრამ დაუბრუნდეთ დღევანდელ დღეს – „მცხეთობას“. კალისტრატე კათალიკოზი წაბრძანდა მცხეთაში საწირავად, თავისი ამალით. დღე არ არის მზიანი, მოწყენილი, ნაწვიმარი და ცივია. ვნახოთ, რა ამბავს ჩამოგვიტანენ – თუ როგორ ჩაატარეს „მცხეთობა“. მაგრამ ხალხი ხვალ „კოლხოზობაზე“ მოისწრაფის, რა „მცხეთობისა“ სცხელა!.. დღეს უკვე სავსეა ქალაქი ხარურემ-კამეჩები, ზედ ღვინის-მაჭარი ბოჭკებით, ვანქის წინ დაბანაკებულან ეს ბოჭკებიანი, ტიკებიანი, ბოთლებიანი გლეხკაცობა, მათი დედა-კაცობა ხურჯინებით, ლეღვის ჩირებით, ახალ ამოვლებული ჩურჩხელებით, თხილით, კაკლით, ფეხმოკეცილები სხედან, დასწითლებიათ ლოყის თავები ღვინის სმით; ეხვევა ხალხი, სვამენ, იქვე ნაყრდებიან, მწვადებს აშიშხინებენ, შეექცევიან, ლაზღანდარობენ, უწმაწურად ილანზღებიან, სულ კი ერთმანეთს ღმერთს,

ქრისტეს, პირის ზიარებას, ღვთისმშობელსა და ვინ იცის, რით და რა სიტყვებით არ ლანზღავენ! მეტად სამწუხარო სურათია... სრული გახრწნა, გათახსიერება, ზნეობრივი გავერანება... არ ვიცი, ყოველივე ეს სანამდე მიგვიყვანს... ან რით, როგორ, რა უნდა ეშველოს ხალხის გადაგვარებას, გავერანებას... აი... კუჭის მრწამსი!.. ესეც „მატერიალიზმი"!..

კალისტრატე კათალიკოზი ალავერდობაზედაც წაბრძანდა კახეთში, თავისი ამალით. ის „გავიდა თავის სამწყსოში", რასაც „თვით ქრისტეფორეც" კი ვერ ბედავდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ეძახოდენ „ჩეკისტ-კათალიკოსს"!.. კალისტრატემ „აჯობა" ქრისტეფორეს! მას მეტ ანგარიშს უწევენ!.. ხელს არ უშლიან!.. ესეც საქმეაო, ამბობენ მისი პატივისმცემელნი!.. ოღონდაც საქმეა! „მემორანდუმის"-თვის მეტეხში ჯდომისა, ამ თაობაზე პროცესისა და მსჯავრის დადებიდან აწინდელ ურთიერთობას ხელისუფლებასთან შექმნამდე – კაი მანძილი გაუვლია კალისტრატეს და მის ამსონებს!.. მახლას!.. ტყვილა როდია ნათქვამი – „ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა"... კალისტრატე და მისი კამპანია „შემგუებლები" იყვნენ წინეთაც და ეხლაც იმავე ხაზით მიდიან!.. მაგრამ რა?! ეკლესია ამ პირობებში მორჩა! არსებობს მხოლოდ ეს „ჯგუფი", თბილად, რბილად მოკალათებულნი, ხელს აღარავინ უშლის მათ, პირადი ცხოვრება უზრუნველყოფილი აქვთ!.. სხვისა რა ედარდებათ...

ალავერდში რო მისულან, ხალხს სიცილი აუტეხია – „ეგ ფოცხვერები საიდან გამოვარდნილანო", – უთქვამთ და განუგრძიათ თავიანთი ქეიფი!.. იქიდან „თეთრგიორგშიდაც" წაბრძანებულან, სამღვთოები და ნასიბ-ბარკალ-ბეჭ-მკერდები ჩაუწყვიათ, ჩაულაგებიათ და თანაც წამოუღიათ.... და ამით „დაამწყალობეს" ხალხი!..

აფსუს ქრისტიანობავ!.. როგორ გაგათახსირეს... დღეს მცხეთაშიდაც კარგად მოილხენდენ, ისიამოვნებდენ!.. ისიამოვნეთ, „მამანო", სანამ „დრონი თქვენია"!...

24 დეკემბერი – 1932 წელი – შაბათი

კაი ხანია, აღარაფერი შემიტანია რვეულში. ამ ხნის განმავლობაში რამდენი რა მოხდა ჩვენში, ან სხვაგან! ვინ მოსთვლის ამას! უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ომის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირთან ნაკლებია. ამ უკანასკნელმა იაპონიასთან სავაჭრო კავშირიც კი მოაგვარა ფაქტიურად: საბჭოთა კავშირი იაპონიას, ხელშეკრულების ძალით აძლევს ნავთსა და მის პროდუქტებს, რამდენსაც იაპონია მოითხოვს... იაპონიამ შექმნა ჩინეთიდან ჩამოგლეჯილი მანჯურიიდან – „დამოუკიდებელი" სახელმწიფო „მანჟოუ-გო". ეს სახელმწიფო თვითონ ხალხმა შექმნაო, აცხადებენ იაპონელები საარაკო უტიფრობით. იაპონიას კი დღესაც დიდძალი ჯარი ჰყავს მანჯურიაში და იქ აწარმოებს ნამდვილ ომს... „მოხალისე" ჩინელების ჯარის წინააღმდეგ! თავ-

განწირულ ბრძოლას ეწევიან ჩინელი მოქალაქეები მანჯურიაში დაბანაკებული იაპონელების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი ეხლა მანგოლიის „დამუშავებას“ აპირებენ ისე, როგორც მანჯურია დაიმუშავეს. მანჯურიის „საკითხი“ შეისწავლა „ნაციათა ლიგის“ მიერ იქ გაგზავნილმა ლისტონის კომისიამ. ამ კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტი-მოხსენება ეხლა ირკვევა ჟენევაში – „ნაციათა ლიგის“ პლენუმზე. იქ დუელია გამართული იაპონიისა და ჩინელთ წარმომადგენელთა შორის. ველინგტონ-კუ, ჩინეთის დიპლომატი, შესანიშნავი ობიექტიობით ანალიზს უკეთებს იაპონელთა საქციელს, პოლიტიკას და მოქმედებას მანჯურიაში თუ ჩინეთში, პირბადე ჩამოხადა იაპონელ დიპლომატს, ამხილა მის თვალმაქცობა, ფარისევლობა, სიყალბე სიტყვაში, თუ საქმეში, დაუმტკიცა მას, რომ იაპონიამ დაარღვია ყოველგვარი საერთაშორისო პირობები, ადათები, დადებული ხელშეკრულებანი „19“ სახელმწიფოებთან, კელოგის პაქტის და ყოველივე ასეთები, და მან ფაქტიურად დაიპყრო ჩინეთის ნაწილი მანჯურია, ეხლა იპყრობს მონღოლეთს და ამ სახით ის მტაცებელი იმპერიალისტი სახელმწიფოაო.

ამაზე იაპონიის დიპლომატმა განაცხადა: ყოველივე ეს ველინგტონ-კუს სუბიექტიური მოსაზრებანიაო! მართალია მხოლოდ ის, რაც მე მოგახსენეთო. ჩინეთი არც შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ, ვინაიდან იქ არავითარი წესიერება და სახელმწიფოებრივი საღი ნორმები არ მოქმედებენო! თუ რომ იაპონია არ ჩარეოდა საქმეში, დღეს მთელი ჩინეთი და ზედ მანჯურიაც გასაბჭოებული, გაკომუნისტებული იქნებოდენ და თუ ეს არ მოხდა, ევროპის სახელმწიფოები ჩვენი მადლიერნი უნდა იყვნენო!.. ეს უკანასკნელი მოსაზრება იაპონიელი დიპლომატისა ჭკუაზე ახლოსაა... დაიბნა ლიგა! აღარ იცის, როგორ გამოვიდეს ამ ლაბირინტიდან! საქმე ჯერ კიდევ განუხილავია!.. უხერხული მდგომარეობაა შექმნილი. ასეთი მიხლა-მოხლა რო სწარმოებს აღმოსავლეთში, ამ დროს ჟენევაში – ჩინეთსა და საბჭოთა კავშირ შუა მოხდა შეწყვეტილი (7-8 წლის წინეთ) დიპლომატიური კავშირის აღდგენა! ჟენევაშია ამჟამად ლიტვინოვი – საბჭოთა საგარეო საქმეთა კომისარი და აი, ამმას მიმართა ჟენევაში ჩინეთის წარმომადგენელმა ოფიციალური განცხადებით, სადაც ის სთხოვდა ლიტვინოვს ჩინეთთან დიპლომატიური კავშირის აღდგენას. ლიტვინოვმაც მიიღო ეს წინადადება და იქვე გამოაცხადა ეს კავშირი აღდგენილად! ამან დიდი ყუმბარის გახეთქის შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე და განსაკუთრებით იაპონიაზე! ეს კავშირის აღდგენა ჩვენ წინააღმდეგ არის მოწყობილიო – ვეღარ დაიჭირეს თავი იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეებმა და განაცხადეს ტოკიოში! ყოველ შემთხვევაში დიპლომატიური კავშირის აღსადგენად შეიძლებოდა სხვა „დრო და ადგილის“ გამონახვაო!..

არ გასულა ამის შემდეგ რამოდენიმე დღეც კი, რომ საბჭოთა პოლიტიკამ კიდევ გამოაცხადა ერთი თავისი გამარჯვების აქტი: საბჭოთა ხელის უფლებასა და საფრანგეთის შორის დაიდვა „თავდაუსხმელობის პაქტი“! ამისწინეთ კი საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთივე „პაქტი“ – მშვიდობიანობის – დასდო პოლონეთთან, მოლაპარაკებაა რუმინეთთანაც ამ თაობაზე! ამ სახით საბჭოთა ხელი-

სუფლებამ თავის გარშემო შექმნა მშვიდობიანობის ატმოსფერა! ის მოითხოვს სახელმწიფოთა განიარაღებას, ჯერ-ჯერობით შეიარაღების შემცირებას და თვითონ შინაურ აღორძინებისა და მეურნეობა-წარმოების გარდაქმნას აძლიერებს. აამუშავეს „დნეპროჰესი“, ყოველ დღე ახალ-ახალი საწარმოო გიგანტები ებმებიან საქმეში. მოკლე ხანში ჩვენი „რიონჰესიც“ ჩაებმება საქმეში! დიდი ამბები ხდება და შთაბეჭდილება იქმნება სოც. კომუნისტურ საბჭ. კავშირზე. ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში პრეზიდენტის არჩევნები მოხდა, გუვერმა მიიღო ნაკლები ხმა (რესპუბ. პარტია), გავიდა რუზველტი (დემოკრატ. პარტ.), მაგრამ მათი პოლიტიკა უცვლელია: ფეხს აჭერენ ევროპის სახელმწიფოებს სამხედრო ვალების გადახდაში, დასწურეს ისინი ამ ვალებით. საფრანგეთმა უარი განაცხადა დეკემბრის ხვედრი ვალების შეტანაზე, მოითხოვა ვალების საკითხის გადასინჯვა და ანულირება. საფრანგეთის საქციელმა სკანდალური შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისმა შეიტანა ხვედრი ვალი, იტალიამაც; საფრანგეთის საქციელზე ამერიკა მიიღებს ეკონომიური ზეგავლენის ზომებს. გერმანია გახარებულია საფრანგეთის საქციელით – მაშ, შესაძლებელი ყოფილა ვალის გადაუხდელობა და აღარც ჩვენ გადაუხდით არავის ვალებსაო!.. გერმანიაში დიდი ჭიდილია. ირაზმებიან ნაც-ფაშისტები კომპარტიის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელიც იბრძვის გაალმასებულად. რით გათავდება გერმანიაში ეს შინაური პოლიტიკურ-სოციალური ჭიდილი, ჯერ ამაზე რაიმეს თქმა შეუძლებელია. მოხუცი პრეზიდენტი მარშალი ჰინდენბურგი განაგრძობს ბრძნულად ხელმძღვანელობას ასე აბობოქრებული ქვეყნისას. ერთი სიტყვით, მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო დიდ დუღილშია, მსოფლიო კრიზისი სულს უხუთავს ვაჭრობა-მრეწველობას: იქ სამრეწველო თუ სასოფლო ნაწარმოები ჭარბად არის, გასავალი არა აქვს, ჩვენში კი ყოველივე ეს ნაკლებია, დღითი დღე ძვირდება, ქუჩებში გრძელდება ყოველგვარ სანოვაგეზე დაუსრულებელი რიგები, რომელთაც ეხლა „ოჩერედებს“ უწოდებენ: ნავთზე რიგში დგება ხალხი მთელი ღამეობით, პურზედაც გაალმასებული რიგია, პური არ გვყოფნის; პურის ულუფა შეგვიკლეს, ერთი გირვანქიდან მოსამსახურეები ჩამოიყვანეს ნახევარ გირვანქაზე, მუშებს დაუძლიეს გირვანქაზე ერთი მეოთხედი; კარტოფილი ფუთი ფასობს უკვე 45 მანეთი, კომბოსტო – 30–35 მან., ხახვი – 60 მანეთი, პური შავი, გირვანქა – 4 მანეთი, თეთრი – 6 მანეთი, ფქვილი 150 მანეთი, მჭადის ფქვილი ფუთი – 100 მანეთი, ლობიო ფუთი – 80 მანეთი; ფეხსაცმელს უბრალო მომაკვდავნი ვერ შოვულობენ; ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, ფული აღარ ფულობს, ამ ფულით კი გვისტუმრებს მთავრობა მოსამსახურეებს. გაგვაქვს ბაზარში ეს ფული და სასოწარკვეთილებაში ვარდებით, ხელი არაფერზე მიგვიწვდება. ეხლა მეტად სასტიკი ზომებია მიღებული, რათა არავინ მიიღოს მეტი ლუკმა პური; სასტიკი აღრიცხვაა პურის წიგნაკებისა; ფაბრიკა-ქარხნებმა თვითონ უნდა აწარმოოთ თავიანთი მუშა-მოსამსახურეთა კვება, მათ ხელში გადადის დახურული კოოპერატივისა და მაღაზიების ვაჭრობა – წარმოებისა და გამგეობის საქმე; ვინც ერთხელ მაინც არ გამოცხადდება სამსახურში

არასაპატიო მიზეზით, მას იქვე დაითხოვენ, ჩამოართმევენ პურის წიგნაკსა და სასურსათო დოკუმენტებს. მუშები მიჯაჭულნი იქნებიან თავიანთ სამუშაოზე, ადვილად ვეღარ იდენს მუშა ძალა საწარმოდან საწარმოზე, როგორც ეს იყო წინეთ; ხდება ერთგვარი შებოჭვა მუშა-მოსამსახურეთა ლუკმა-პურის საკითხის გამო. შეშა ურემი 400–500 მანეთია; სიცივეები, მშრალი ყინვა, მოსახლეობა მოუმარაგებელია სასმელ-საჭმელით, სათბობით, ტანსაცმელით და დიდად შეწუხებული. გავრცელებულია სასტიკად ტიფის (მუცლის) ეპიდემია ქალაქებში და სოფლადაც, დიდი სიკვდილიანობაა, მაგრამ ამაზე და საერთო რაიმე „ამბებზე“ გაზეთებში არა იწერება რა. ბაქოში პარტახტიანი ტიფი მძვინვარებს. ტფილისში სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებში დიდი ეპიდემიაა მუცლის ტიფისა, იჟუჟღება ამოდენა სტუდენტობა და არა სჩანს არავითარი გამოსასვლელი.

საკვირველი ის არის, რომ ტფილისი სავსეა ყველაფერგვარი სანოვაგით – დაკლული მსუქან-მსუქანი ინდოურები, მოხარშული ღორის ხორცი, ქათმები, სასმელი-საჭმელი, მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის, ეს არის მათთვის, რომელნიც „შემოსავლიან“ ადგილებზე არიან, ესენი სჭამენ, სვამენ, ჩაცმულ-დახურულნი არიან ისე, როგორც არასოდეს არც ერთი კლასისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლები. ხალხი ქუჩაში ამავე დროს შიმშილითა და სიცივით იფიჩხება, ჰყრიან მკვდრები უპატრონოდ, მძვინვარებს ყვავილი, ტიფი – ამავე დროს არის ქეიფი, „სმა-ჭამა დიდად შესარგი“!.. „უკლასო“ საზოგადოების შექმნას კი შეუდექით! ვერა გამიგია რა, რაშია საქმე? ან სად მიგვიყვანს ყოველივე ესე... საარაკო უთანასწორობა, განუკითხაობა...

31 დეკემბერი – შაბათი

27 დეკემბერს გურიაში გავემგზავრე; ჩაველ სადგურ ნატანებში, იქიდან ოზურგეთში ავედი რკინის გზის შტოთი. გზაში ბევრი რამ ვნახე, ბევრი გავიგონე, უფრო მეტი ვიგულისხმე, ვინაიდან გულღიად იშვიათად რო ვინმე ლაპარაკობდეს; ხალხი გულჩათხრობილი და შეშინებულია; მატარებელში რა ჯურის ადამიანებს არ შეხვდები, უფრო კი გურულები გვხვდებოდა; ერთმანეთს შესჩივლებდენ მძიმე დროის პირობებს, ამ საარაკო სიძვირეს, ხალხის ყოველნაირად დაბეგვრას – ფულით, ხორცით თუ რძით; გაქვს – არ გაქვს, ხორცი ორი ფუთი უნდა გადაიხადოს მთავრობის სასარგებლოდ პირად-ინდივიდუალურმა მეურნემ, ხოლო კოლმეურნემ ცოტა ნაკლები; ვისაც ჰყავს მეწველი ძროხა – უნდა გადაიხადოს წელიწადში – 120 ლიტრა (ბორჯომის ბოთლი) რძე. ეს სულ ახალი განკარგულებაა, უკვე ცხოვრებაში ტარდება, ისეთი; ხორცის ბეგარა შეიძლება ჯგუფ-ჯგუფად შეიტანონ, შეიძლება შინაური ფრინველების სახითაც, მაგრამ მაინც ეძნელებათ, უკვირთ, ვერ შერიგებიან ასეთ დაბეგვრას და ერთმანეთს მწარე ღიმილით შესჩივიან თავიანთ ვითარე-

ბას... ავედით ოზურგეთში. ოზურგეთი ერთი მიყრუებული სამაზრო პატარა ქალაქი იყო და ასეთივეა დღესაც ის, იმ განსხვავებით, რომ იქ კერძო ვაჭრობა აღარ არის, კოოპერატივებშია ყველაფერი ჩამოყალიბებული, ხოლო სოფლად კოლმეურნეობაში. არც არავითარი გარეგანი ცვლილებებია იქ დღეს, ძველ მის სახესთან შედარებით. „მოედანზე“ სადაც წინეთ ორი საყდარი იდგა – ერთი „სობორო“ და ერთიც „რუსის“ ეკლესია (სამხედრო). დღეს მათი ნამყოფი ადგილიც აღარ ემჩნევა, ყოველივე „ალაგებული“ და განწმენდილია. ოზურგეთში სააგრონომიო ინსტიტუტია ტფილისიდან გადატანილი – „ჩაის მეურნეობის“ განხრით. ამ ინსტიტუტის უმთავრესი კორპუსი, ქარხანა თუ ფაბრიკა ყოფილა აშენებული და მოწყობილი ეგრედ წოდებულ „ანასოულზე“ – სოფელ ლეხურის მახლობლად, მდინარე ბჟუჯსა და აჭის წყალს გაღმა, ოზურგეთიდან 6 ვერსტის მანძილზე; შიგ ოზურგეთშიდაც აუშენებიათ ორსართულიანი ახალი შენობა სტუდენტებისათვის ლექციების წასაკითხავად; აქ თეორეტიულად ასწავლიან, პრაქტიკულად კი მაცადინეობა სწარმოებს „ანასოულზე“. ოზურგეთშივე ამ ჟამად შენდება სახ. ბანკის განყოფილების ორსართულიანი შენობა; ოზურგეთში არის აბრეშუმის ქარხანა და საფეიქრო, კარგად, რიგიანად მოწყობილი. აი, ამ ქარხნებს ეტანებიან უკრაინიდან და რუსეთის სხვა მხარეებიდან გადმოხვეწილი გლეხობა, „აღოღებული“ რუსობა, როგორც ადგილობრივად ეძახიან მათ. უკრაინა მეტად გაღატაკებულა, ხალხი გაძვალტყავებულა, ზოგის „განკულაკება“ მოუხდენიათ, ე. ი. ჩამოურთმევიათ მათთვის, თუ რამ ებადათ (შეძლებული გლეხობა), ზოგს ზედმეტ ნამუშევარს ახდევინებენ ან ბეგრავენ, აღარ ყოფნით ის, რასაც საკვებათ უტოებენ და „აღოღებულან“ ლუკმა პურის საძიებლად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსაკენ, ეტანებიან ისეთ პუნქტებს, სადაც ქარხანა-ფაბრიკები და წარმოებებია, და სჭირდებათ მუშახელი, და არის საერთო საცხოვრებელი, საერთო სასადილო და ასეთი დაწესებულებანი; ასეთი პირობები კაი ხანია შექმნილია ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში, ჩაის ქარხანაში, ჩაის პლანტაციებზე – საბარავ სამუშაოებზე და სავსეა იქაურობა რუსის „აღოღებული“ დედაკაცებით თუ მამაკაცებით; ჯერ კიდევ მატარებელში შემხვდა ერთი ასეთი უკრაინელი „აღოღებული“ ოჯახი: დედა – ძუძუ მწოვარა ბავშვით, ხუთი წლის ქალით, ათი-თორმეტი წლის ქალით და 18-19 წლის გასათხოვარი ქალით – დედა ოთხი ქალით. ისინი სამტრედიიდან მოდიოდენ ოზურგეთში სამუშაოს მოსაძებნად! ოჯახის მამა ქობულეთში ჩარჩენილა, ის გაგიჟებულა, ჭკუაზედ შემცდარა და ჩამოშორებია თავის ოჯახს. ესენი კი აძონძილ-დაძონძილნი, ვეებერთელა გამოკრული ტომრებით – თავიანთი ოჯახის დარჩენილი ავლადიდებით მგზავრობდენ. რკინისგზის სამგზავრო ბილეთი ჰქონდა მხოლოდ დედას, სხვებს არა; როდესაც ბილეთები მოსთხოვეს მათ ვაგონში ჩამოვლილმა კანდუქტორმა, შემდეგ კანტროლიორმა, განუცხადეს თამამად: „что больше билетов нета“ – მორჩა და გათავდა! ბევრი იხტუნა კანტროლიორმა, ბევრი დაემუქრა, მაგრამ ვერას გახდა, რას უზამდა ამ უბედურთ იმაზე მეტს, რაც მათ უკვე სჭირდათ! თუ ჩამოსხამდენ

ვაგონიდან, მაშინ თვითონ უნდა ეკისრათ მათი მოვლა-პატრონობა, ამიტომ „ოჯახმა“ დაუბრკოლებლივ განაგრძო გზა ნატანებამდე, აქ ისინი ოზურგეთის ვაგონითვე (პირდაპირი, გადაუჯდომელი ვაგონია) გაემგზავრენ ოზურგეთში; იმედი ჰქონდათ, რომ მათ აქ მოაწყობდენ „земляк“-ები. ადგილობრივი ქალი თუ მუშა მამაკაცნი აქ ვერ მუშაობენ იმ პირობებში, რომლებშიდაც ეს გაუბედურებული ხალხი მუშაობს. ასეთი „მუშებით“ სულ მოფენილია დღეს შავი ზღვის ჩვენი ნაპირები; ბევრნი გამოდიან აქ, წაიმუშავებენ, იყიდიან სიმინდის ფქვილს, მსხალს, ვაშლს, ხილეულობას და მიდიან უკანვე, გავლენ იალტა-სევოსტოვოლ-ოდესაში და სპეკულიაციას ეწევიან; ეს ხალხი უმეტეს წილად დასნეულებულია სიფილისით, რომელითაც ისინი „რწყავენ“ ჩვენს ქვეყანას. სიძვირეა ყველაფრისა, ყოველ დღეობით ფასი მატულობს სიმინდის ფქვილზე, ტფილისში სიმინდის ფქვილი ბაზარზე გადის 120 მანეთად ფუთი, ოზურგეთში – 100 მანეთად და ყოველდღე მატულობს ფასი ყველაფერზე ამ ფქვილის ფასის მიხედვით. მალე ოზურგეთში ისეთივე ფასები იქნება, როგორიც ტფილისში და ბაქოშია; ასევეა საქმე ბათომში, ფოთში და მთელ დასავლეთ საქართველოში. ყველა იმის ფიქრში და კვლევა-ძიებაშია – თუ რა იქნება ხვალ-ზეგ და სანამდე უნდა გაგრძელდეს ასეთი ვითარება, როდის ჩადგება ცხოვრება ნორმალურ პირობებში. ოზურგეთიდან ეტლით გავემგზავრეთ სოფელ ასკანისაკენ; ერთ ეტლში ექვსი-შვიდი მგზავრი ჩაგვსხეს და იმ მანძილზე, რომელზედაც წინეთ სამი აბაზიდან – ექვს აბაზამდე გვახდევინებდენ, თითო მგზავრს გადაგვახდევინეს თერთმეტი მანეთი და რო ვიძვირეთ ასეთი ფასები, მეეტლემ („სოიუზტრანსი“) ასე გვიპასუხა: „ეგ თქვენი 11 მანეთი რას წარმოადგენსო, ორ გირვანქა პურსაც კი ვერ ვიყიდითო“. რა ღონე გვქონდა, ჩვენც გადავიხადეთ, რაც გვიბრძანეს და მიგვიყვანეს დანიშნულ ადგილამდე, ამას იქით იწყებოდა დიდი აღმართ-დაღმართები, საშინელი ტალახები და გაუდექით გზას ფეხით რის ვაი-ვაგლახით! ძლივს გავსტოპეთ ამ საშინელ ტლაპოებში. გზები მეტად უბედურ მდგომარეობაშია; გლეხები თავიანთი აზრით აკეთებენ ამ გზებს, დიდ ძალ ხარჯსა და ენერგიასაც ხარჯავენ მათ „შეკეთებაზე“, მაგრამ არა გამოდის რა აქედან, ვინაიდან მცოდნე ხელმძღვანელი არა ჰყავთ, რომ საქმე რაციონალურ და მკვიდრ ნიადაგზე დაამყარონ და აგრე საარაკოდ არ წვალობდენ ასეთ გზებზე; მთავრობა, სამწუხაროდ, არ აქცევს „ასეთ გზებს“ ყურადღებას და ეს კი მეტად უშლის ხელს სოფელს მისს კულტურულად და ეკონომიურად წინსვლა-წარმატებაში. უგზოობა, მდინარეებზე უხიდოობა მეტად უბრკოლებს საქმეს ასეთ სოფელ-მიდამოებს...

27 დეკემბერს საღამოთი ქალაქიდან გასულნი, მივედით ჩემს სამშობლო სოფელ ასკანაში – 28 დეკემბერს საღამოთი. ვმგზავრობდით მე და ჩემი უნცროსი ძმა – პედაგოგი-გამგე მკერავთა საქარხნო-საფაბრიკო სკოლისა ტფილისში.

სოფელი ასკანა – დიდი მოზრდილი თემია, ჩვენ კი ვსახლობთ მის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მთისპირი“, ვინაიდან ის აკრავს აჭარა-გურიის ქედის კალთებს, კურორტ „ბახმაროს“ კალთებს. თვით ეს „მთისპირიც“ მთა-

გორიანი მდებარეობის კუთხეა, თავს დასცქერის ცნობილი ძველის-ძველი „ასკანის ციხე“, ხოლო ამ ციხესა თავს დასდგომია თოვლით გადალესილი ბახმარო და მისი ტყით მოსილი კალთები. შიგ სოფელში ჯერ თოვლი არ არის დადებული, მაგრამ მთიდან მოდის თოვლის სუსხი, ხშირი წვიმებია, გზა უზომოდ გაფუჭებული და მოძრაობაც სჭირს, განსაკუთრებით ჩვენისთანა „სტუმარი“ კაცებისათვის. ასეთ ზამთრის პირს გვაიძულა ვსტუმრებოდით ჩვენს სამშობლო კუთხეს მესამე ძმის უბედურებამ, მას 18 წლის შვილი მოკვდომია და სანუგეშებლად გამოგვიწვია. ჩვენც თავი გადავდევით და ვსტოპეთ ამ ტალახებში – ძმისწულის დასაფლავებაზე დასასწრებლად. ჩვენც დავესწარით ამ დასაფლავებას ანუ, როგორც აქ ეძახიან „ტირილს“.

„ტირილი“

გურიაში ძველად „ტირილი“ დიდის ამბით ტარდებოდა. მიცვალებულის ნათესაობა სატირლად მოდიოდენ „ზარით“, რჩეულ-რჩეული საპატიო მხლებლებით, ცხენებით (თუ შორიდან მოდიოდენ) ან ქვეითად, დიდი კელაპტრით (სანთლით) ხელში და ზოგჯერ თავის მღვდლითაც კი. იმავ სოფლის ნათესავ-მეზობლები საგანგებო დარიგებული ბარათებით იყვნენ მოპატიჟებული – „რათა ანუგეშოთ მწუხარებაში მყოფი ოჯახიო“! ეს მწუხარებაში მყოფი ოჯახი კი დიდ მზადებაში იყო, ამდენ შინაურსა თუ გარედან მოსულ ხალხს დახვედრა უნდოდა, სმა-ჭამა, ზოგჯერ ღამის გათევა. იცოდენ ამიტომ ძველად „წასაბურავის“ მიტანაც ფულით თუ სანოვაგითაც, უფრო კი ფულით. მოსულ სტუმრებს უმართავდენ სადილს – პურით, ლობიოთი, თევზით, ზეთის ხილით, ყველით და ხიზილალით; გურიაში „ხორცით“ ტირილი არ იცოდენ. ვინ რამდენს „წაბურავდა“, ეს იწერებოდა ცალკე მწერლის მიერ, რომელიც იჯდა თვალსაჩინო ადგილზე და შეჰქონდა „წასაბურავი“ – წამბურავის სახელი და გვარისა და მოტანილი ფულის სიაში, რომ შემდეგ, ამის მიხედვით ასეთ შემთხვევებში დამწუხრებულ ოჯახსაც ვალი მოეხადა სხვების წინაშე. „ტირილზე“ იყო დიდი დარბაისლობა, ჯარში და ხალხში გასვლა, თავის გამოჩენა, ერთმანეთის დაახლოებით გაცნობა, პატარძლებისა და სასიძოების გასინჯვაც კი, დიდი სმა-ჭამა და ერთნაირი დროს ტარებაც. ძველი ცხოვრების სოციალ-ეკონომიური ცხოვრების მიხედვით ჩამოყალიბებული იყო ამ „ტირილის“ ფორმები და სახე. ამიტომ ძლიერ მეინტერესებოდა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ახალმა სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა ხალხის ამ ერთ-ერთ უძველეს ცხოვრების ჩვეულებაზე. მიცვალებულის მამა არის სოფლის სკოლის გამგე; მას მთელი სოფელი გამოეხმაურა ამ მწუხარებაში. ჰყავს მას შორი სოფლიდან ცოლოური და სხვა ნათესაობაც, ყველა ამათ კერძო ბარათებით აცნობა თავისი მწუხარება – ქალაქებში და დაბებში ტელეგრამით აცნობა, ტფილისისა და ბათომის გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებები გაუშვა. 29 დეკემბერს

ჰქონდა ცხედრის გამოსვენება. სასმელ-საჭმელის მზადება იყო მხოლოდ შორიდან მოსულთათვის, სოფლის მკვიდრ მცხოვრებთ სასტიკად აღკრძალული აქვს სასმელ-საჭმელის მიღება ჭირისუფლის ოჯახში. სოფელში კოლექტივია შემოღებული, სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ჩაისათვის „ბარვაზე"; ამიტომ ჭირისუფლის მოსამსახურებლად დასტოვეს მხოლოდ 5 კაცი; სხვები ქალი თუ კაცი „ბარვაზე" წავიდნენ გამოსვენებამდე. გამოსვენება კი ხდება საღამოს ხუთ საათზე, როდესაც მახლობელ ადგილებზე „მბარველები" უკვე თავისუფლდებიან და იღებენ მონაწილეობას გასვენებაში. სტუმრებმა შორი სოფლებიდან იწყეს დენა შვადღის $3^1/_2$-საათიდან. ისინი მოდიოდენ ეზომდე ცხენებით, იქ ჩამოხტებოდენ ცხენებიდან, ცხენებს მასპინძლიდან შემგებები ჩამოართმევდენ, თვითონ კი დაირაზმებოდენ, დედაკაცები გაშლიან თმას და შემოდიან ეზოში, წინ მოუძღვის ცოცხალი ფოთლებიდან (დაფნის) შინაურულად გაკეთებული გვირგვინი, შინაურულადვე ხელის წარწერილი ქაღალდით – ვისა სტირიან და ვინ უძღვნის ამ გვირგვინს; შემოდიან მოთქმით, ტირილით, თავში – შუბლზე ხელის შემოკვრით და შედიან დასვენებულ მიცვალებულის ოთახში და ჭირისუფალს მიუტირებენ, მიუსამძიმრებენ, მიცვალებულს მიუჩოქებენ, თავს დასტირიან და ვისაც ეხერხება, მიცვალებულს ახასიათებენ ამ მოთქმა-ტირილში და გავლენას ახდენენ მაყურებლებზე, რომ მათაც ცრემლი დაღვარონ. სადღა არის „ზარი", სადღა არის „კელაპტრები", სადღა არის მღვდელი და საცეცხლური?! სადღა არის „ღვთის" სახელის ხსენება! სადღა არის მიცვალებულისათვის „ცხონების" გაგზავნა?! ყოველივე ეს რევოლიუციას და მისს შედეგებს სავსებით გაუნიავებია, მოუსპია. ასევე ჯგუფ-ჯგუფად, დარაზმულნი, თმაგაშლილნი, „გვირგვინებით" და წარწერებით შემოვიდენ ეზოში იმავ სოფლის ნათესაობა, მოყვრები და კეთილები, შესანიშნავი დისციპლინით, წესრიგით, ზრდილობითა და ლაზათით იტირებდენ მიცვალებულს, მიუტირებდენ ჭირისუფალს, გამოვიდოდენ ეზოში და მისდგებოდენ სადმე ეზოს კუთხეში და იქ ელოდებოდენ ცხედრის გამოსვენებას. დანიშნულ საათზე ცხედარი გამოასვენეს და დაასვენეს შვა ეზოში, აქ, ვისაც სურდა, სიტყვა უძღვნეს მიცვალებულს: შემდეგ წინდაწინ განზრახულმა კაცმა წაიკითხა სხვა და სხვა ადგილებიდან მოსული სამგლოვიარო დეპეშები ისე, როგორც ქალაქში იციან და როდესაც ამასაც მორჩენ გაასვენეს ცხედარი სასაფლაოზე. მაგრამ სანამ ცხედარს გამოასვენებდენ, მანამ შორიდან მოსული სტუმრები მიიპატიჟეს სუფრაზე და აქ მათ მიართვეს სადილი: ცხელი ღომი, სახლში გამომცხვარი პური, ლობიო, მოზელილი კარტოფილი, მწვანილი, თითო არაყი და „ადესაის" ღვინო. დანაყრდებიან კარგად და შემდეგ გაასვენებენ მიცვალებულს. ამ დროში ასეთი შემოკლებული სახითაც მეტად მძიმე იქნებოდა მოსული სტუმრების გასტუმრება, მაგრამ სოფლის კოლექტივმა ჭირისუფალს მისცა თავისი ფონდიდან „ლობიო" – ბლომად, ღომიცა და პურის ფქვილიც. ღვინო კი თავისი ჰქონდა ჭირისუფალს და ასე იოლად წავიდა ის კოლექტივის დახმარებით.

აი, ასეთი სახე მიუღია ამ ჟამად გურიაში ძველ „ტირილს", დროსა და ჟამს

აგრე გარდაუქმნია ეს ძველისძველი, გაფორმებული, გართულებული, უზომო სმა-ჭამით დამძიმებული და საზარალო ტირილი. დღეს აღარ არის არც ის ძველებური „წაბურვა“ და ერთმანეთის მიმართ დავალება.

აქაც, სოფელშიც, გამოგვებაასა ხალხი მე და ჩემს ძმას – იმის შესახებ, თუ რა ამბავია „ქალაქს“, ქართლ-კახეთში, თუ როგორი სულიერი განწყობილებაა სოფლად თუ ქალაქადო?! ამ თაობაზე ლაპარაკი იქაც საფრთხილოა, შესაძლებელია თქვენი კეთილად ნათქვამი ვინმემ უკუღმა გაიგოს და „დიდი უსიამოვნება“ შეგხვდეს – „პოლიტიკანობისათვის“. ჩვენც, რასაკვირველია, იმით ვანუგეშეთ და გავამხნევეთ ეს დაღარიბებული და ცხოვრება გაძვირებული და გაჭირებული გლეხობა, რომ განუმარტეთ – ეს მდგომარეობა, როგორც „დროებით დაბრკოლებები“, რომელსაც განიცდის დღეს ხელისუფლება, და რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ამ გარემოების სავსებით გამოსწორება, ცხოვრების პირობების შემსუბუქება და ასე... ხალხი სმენად იყო გადაქცეული, ზოგმა გულუბრყვილოთ მიიღო ეს ჩვენი განმარტება, ბევრმა კი ეჭვის თვალით შემოგვხედა და მწარე ღიმილით ჩაატარა ეს ჩვენი ახსნა-განმარტება მდგომარე „დროებითი დაბრკოლებების“ შესახებ. ამ პატარა კუთხეს ვეებერთელა სკოლის შენობა აუგია იქვე ჩვენს ალაყაფის კარებთან, ჯერ ოთხწლედისათვისაა ეს შენობა, შემდეგ კი შვიდწლედის დაარსებასაც ჰფიქრობენ. შენობა კრამიტის სახურავის ქვეშაა მოყვანილი. ის ფიცრულია. ამ სკოლის შენობას მოახმარეს „მთისპირის“ წმინდა გიორგის საყდრისა და ოქროს-ქედის მთავარ-ანგელოზის საყდრის შენობა და ძველი სკოლის შენობა. აღარცერთი ფიცრული შენობა აღარ ჭაჭანებს ამ ჟამად გურიაში. ყველა ისინი დაურღვევიათ, სკოლებისა ან ბიბლიოთეკების შენობებზე მოუხმარიათ. ან კი ვინღა უპატრონებდა ასეთ საყდრის შენობებს, ისინი დაუხურავი და მოუვლელნი ჩამოლპებოდენო, – მითხრეს მე. „მთისპირში“ კი ჩინებულად არის დაცული ძველის-ძველი ქვის ტაძარი, მაგრამ მასაც კარები ზედ აღარ ჰკიდია, აღარც საეკლესიო სამკაულია შიგ დაცული, არც თუ ვინმე მოითხოვს წირვა-ლოცვას, ნათლობა-ქორწინებას თუ ანდერძის აგებას. ვისაც ასეთი რამე სურს, ფარულად მიდიან დიდ-ქალაქებში და იქ იკმაყოფილებენ თავიანთ რელიგიურ მოთხოვნილებებს. რელიგიის საქმე გურიაში სამუდამოდ წაქცეულად უნდა ჩაითვალოს.

ნიკიტა თალაქვაძე. დიდუბე, 1912

ახალი წელიწადი – 1933 წელი

1 იანვარი – კვირა

საბჭოთა ხელისუფლება ახალ წელს არ უქმობს, დღეს ისეთივე სამუშაო დღეა, როგორც გუშინ და ხვალ! თავის დროზე ტფილისის მთავარ-სახელოსნოების გუდოკმა ისეთი ღრიალი მორთო, რომ კედლებს ზანზარი დააწყებინა და ფანჯრებს რაკრაკი აუყენა. მას მიჰყვა არსენალის სახელოსნოების მძლავრი გუდოკი, ამას კიდევ წვრილი სირენები ქარხანა-ფაბრიკებისა და, ნაცვლად ძველებური ზარების რეკისა, ჟრიამული აუტეხა ქალაქს, ყველანი ფეხზე დააყენა და საქმისაკენ გაისტუმრა. წუხანდელი ნაქეიფრები, რომელნიც ახალ წელს მიეგებნენ შუაღამეზე, „ვსტრეჩა“ გაუკეთეს ახალს წელს, ზლაზვნითა და თვალების ფშვნეტით დგებოდენ და სამსახურში თუ სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდენ. ეს ევროპიული ახალი სტილის ახალი წელიწადია, ძველი სტილისა კიდევ სხვა იქნება, ძველი სტილით „ძველები“ გაითენებენ, განსაკუთრებით სოფლად, მაგრამ უქმი არც იქ იქნება ახალი წლის პირველი დღე, ეს „სამუშაო დღეა“ – მორჩა და გათავდა! აგრე თანდათანობით ხდება ხოლმე ძველი ყოფა-ცხოვრებისა, ადათ-ჩვეულებათა ახალზე გარდაქმნა! ეს „ძველები“ რო ისტორიას ჩაბარდება, მაშინ „ახალი“ საერთოდ გამეფდება. მაშ, დღეს „მეორე ხუთწლედის“ პირველი დღეა. პირველ „ხუთწლედში“ სოციალიზმის „საძირკველი იქნა ჩაყრილი“, მეორე ხუთწლედში კი, როგორც ეხლა მიღებულია წერა-გამოთქმა – „უნდა ავაშენოთ უკლასო საზოგადოება“, ე. ი. „ჩაყრილ საძირკველზე დაიდგმის სოციალიზმის კედლები, იწარმოებს სოციალიზმის მშენებლობა, უნდა დამყარდეს უკლასო საზოგადოება, აღარავითარი ადგილი აღარ უნდა ექნეს „კლასებს“, უნდა მოხდეს სრული პროლეტარიზაცია და სოციალიზაცია!“ ასეთი განზრახვებით შევდივართ ახალ წელში, მეორე ხუთწლედის დასაწყისში. მაგრამ, ხო მოგეხსენებათ – „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევ დიდი ზღვარი“-ო! ალბად აქაც ასე მოხდება! თორემ სად არის დღეს ცხოვრების პირობები დამუშავებული საამისოდ! „უკლასო საზოგადოება“, გათანასწორება, საკუთრების სავსებით მოსპობა – ყოველივე ეს ადვილად სათქმელია, მაგრამ ძნელი საქნელია, ჯერ-ჯერობით მაინც განუხორციელებელია! არასოდეს არ ყოფილა „საზოგადოება“ ისე აჭრელებული, უთანასწორო, სხვა და სხვა ფენებად დაყოფილი, როგორც დღეს. გაბატონებულია დღეს „მმართველი ფენა“ – უმაღლესია ადმინისტრაცია, მთავრობის მთელი შემადგენლობა მათი ოჯახებითა და ამყოლ-დამყოლებით. ამათ დილაობით მზა-მზარეულად მიერთმევათ საუკეთესო და ბლომად ყოველგვარი სანოვაგე. განა ესენი საერთო სასადილოებში შევლენ, ან იქ ისადილებენ, ან იქიდან რაიმეს სახლში გატანას იკადრებენ?! არა, ამათ ყველაფერი სახლში მისდით, იქა ჰყავთ მზა-

რეულ-ლაქიები და განცხრომით დროს ატარებენ! განა ესენი ასეთ მოპოებულ ნეტარებას თავს გაანებებენ და შენთან გაერთიანდებიან! აბა, რა სათქმელია ან რა საფიქრებელია. ასეთივე და უფრო მეტად გაფუფუნებულია მთელი „არმია“ გ. პ. უ-სი ანუ, ძველებურად რო ვსთქვათ, „ჩეკის“ უწყებაში მოსამსახურე პირებისა. ამათ საკუთარი სამეურნეო წარმოებები აქვთ შექმნილი, თავიანთი დახურული კოოპერატივები, სასადილოები თუ ყოველგვარი მოსამარაგებელი დაწესებულებანი, სადაც „ჩიტიც კი ვერ ჩაფრინდება“ და ვერც არავინ შიგ ჩაიხედავს. არა ნაკლებ ჩაცმულ-დახურულ, ჭმული და სმულია წითელი არმია, ასევე უზრუნველ ყოფილი პარტიის მსხვილი წარმომადგენლობა, თავიანთი ოჯახებითა და მახლობლებით. ამ სახით ჩამოყალიბებულია ახალი კლასები და თუ დღეს მაინც უკლასო საზოგადოების აშენებას აპირებენ ესენი, ეს უნდა გვესმოდეს ალბად ისე, რომ ძველი კლასების ნასახიც უნდა გაჰქრეს და ეს ახლები უფრო განმტკიცდენ. მუშები, მოსამსახურეები – ამათ შორისაც დიდი დანახეთქია შექმნილი, მოსამსახურეები, მუშებთან შედარებით – ბევრნაირად უფლებამოკლებული ხალხია, მუშებს რაღაც თითქოს მაინც ეძლევათ, მათთვის დახურული კოოპერატივებია ცალკე მიჩენილნი, სასადილოები და სხვა, მათ – „ერთხაზიანი“ – ბარათები და წიგნაკები აქვთ, მათ მისდევენ უფრო დაბალი ჯურის მუშები – „ორხაზიანები“, ამათ უკან მიჩანჩალებენ „სამხაზიანი“ მოსამსახურენი, ამათ აძლევდენ თავიანთი კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებით სულზე თითო გირვანქა პურს – 8 კაპიკად გირვანქას, ზოგჯერ წაუჩქმეტდენ შაქარს, ეს იყო და ეს! სხვა არას იძლეოდენ. ეხლა პურსაც დაუკლეს თითო მეოთხედი გირვანქისა, შაქარი და ჩაი კანონით გვერგება, მაგრამ ფაქტიურად ძლიერ იშვიათად რომ მოგვეცეს. ტანსაცმელ-ფეხსაცმელებზე, აბა, ჩვენზე ვინ გაიცხელებს თავს! ნეტავი, ის ლუკმა პურიც არ შეგვიწყვიტონო! – ასე გაიძახიან პურის მოკლების შთაბეჭდილების ქვეშე! განა ასეთ პირობებში შესაძლებელია „უკლასო საზოგადოების“ შექმნა?! არ ვიცი!.. ვნახოთ. ვიცოცხლოთ და შევესწროთ!..

აი, როგორ „ახალწელში“ შევდივართ! ბაზარში ყველაფერია, სავსეა, გამოჭედილია მსუქან-მსუქანი ინდოურ-ბატებ-ქათმებ-ღორ-გოჭებით „კოლხოზების ბაზარი“! მაგრამ ჩვენ მათზე არც ხელი და არც ჯიბე არ მიგვიწვდება! ვიღაცეები ყიდულობენ კი ყოველივე ამასბ გაიხედავ ორი-სამი საათის შემდეგ, ყოველივე ესე უკვე გამქრალია! ვიღაცეები კარგად მიირთმევენ! მათ ალბად ტომრებით უძევთ ფულები! მოსამსახურეთა ფულებით და ჯამაგირებით ამის ყიდვა შეუძლებელია! უხაროდეთ „ნოქრებს“ და იმათ, ვინც ყოველივე ამაში ხელს ურევენ! დღეს „ნოქრობა“ სანოვაგე და „შირპოტრება“ – საქონლის მაღაზიებში ისეთივე სასურველი, სანუკვარი, სახარბიელო წოდებაა, როგორც ძველი ოფიცრობა, და უმაღლესი მოხელეობა! ლამაზ-ლამაზი ბარიშნები და მანდილოსნები სულ ამ ნოქრებს ეტანებიან ეხლა, ესენი კარგად აჭმევენ, კარგად ასმევენ, ჩააცმენ, დაახურავენ, გარეთაც გაიყვანენ და ამიტომაც მათ ეტანებიან კიდეც ეს ლამაზები! რა უყოთ, რომ ზოგჯერ გაუფრთხილებელ

„ნოქარს“ ან „გამგეს“ ფეხი დაუცურდებათ, შესტოპავენ და თვალსაჩინოდ გაფლანგავენ მათდამი რწმუნებულ საზოგადო-სახელმწიფო ქონებას თუ ფულებს! გამფლანგველთათვის უკვე გამოიცა ეს ორი თვეა უსასტიკესი კანონი – დახვრეტა! იხვრიტებიან კიდეც გამფლანგველები, მაგრამ სხვებს ეს მაინც არ აშინებს და ფლანგვა, „ჭამა-სმა დიდად შესარგი“ მაინც გრძელდება, ზოგი, მართალია, ვერ „ირგებს“ ამას, შხამად ამოსდის, მაგრამ, ვინც ყოჩაღი და მოხერხებულია, ისინი განაგრძობენ „ცხოვრებას“. ასე გაწუწკებულ ხალხს რა მოარჯულებს, ამათ აღარც რაიმესი ეშინიათ, აღარც სცხვენიათ! იცით, ვინ არიან ასეთ ადგილებზე მოკალათებულნი?! სულ ყოფილი ვაჭრუკები, ჩარჩი სომხობის ნაპრიკაშნიკელები, თვით ეს ყოფილი ჩარჩი-სომხობა, საფუძვლიანად გამძვრალნი ხელისუფლებაში და ასეთ ადგილებში სოფლად თუ ქალაქად! შიგა და შიგ, რასაკვირველია, ურევიან ქართველობაც, მაგრამ ესენი, როგორც ნაკლებგამოცდილები, ნაკლებ გამოჭახრაკებულნი, ადვილად ებმებიან პირველთა მიერ დაგებულ მახეში და მალე ჩავარდებიან და იღუპებიან!.. სოფლად გლეხობა სულ გაჩარჩებულია! წინეთ თუ ჩარჩები ცალკე დაჯგუფებას წარმოადგენდენ და ყველამ ვიცოდით, რომ ესენი არიან ჩარჩები, დღეს ყველა ჩარჩია, დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, გლეხი, მუშა თუ მოსამსახურე! დაუჭერიათ ხელში თითო კოლოფი პაპიროსებისა და ცალობით ჰყიდიან ქუჩაში პაპიროსებს! დაუჭერია სოფლის დედაკაცს ხელში ორი მსხალი და თითოს ჰყიდის ათშაურად; სამი პატარა ვაშლი – ერთი მანეთი; თითო გამხმარი ჩურჩხელა – მანეთი, ერთი ჩაის ჭიქა სიმინდის ფქვილი – მანეთი, ერთი ჭიქა ლობიო – მანეთი, ერთი კვერცხი – 1 მან. და 40 კაპეიკი, ერთი ბოთლი წყალ-წყალა ღვინო ტიკიდან ჩამოსხმული – ხუთი მანეთი, ერთი ციცქნა რიუმკა არაყი – 1 მანეთი; ინდოური – 70–80 მანეთი, ქათამი – 30 მანეთი, თეთრი ბოლოკი – ერთი ცალი მანეთი! ერთი სიტყვით, ფული აღარ ფულობს, ის თითქმის ბონებად იქცა. ჯამაგირს ჩვენ ამ ფულით გვაძლევენ, ბაზარში კი ის აღარ ფულობს!.. ამბობენ, ეს ფულები გაუქმდება, ახალი ფულის ნიშნები შემოვაო! რას არ ამბობენ, მაგრამ ეს განა საქმეს შველის?! ქუჩებში დღეღამით განუწყვეტელი დგომა „ოჩერედებში“ – ნავთზე, პურზე, შაქარზე (თუ სადმე გამოჩნდა), გამხმარ თევზზე! სადღაა ყველი, კარაქი, ერბო! თუ გამოჩნდა, ცეცხლი ეკიდება და ჰქრება სადღაც, სადაც „ბევრი ფულებია“!..

აი, ჩვენი ახალი წელიწადი! გაზეთებში კი სულ სოც-შეჯიბრზე, დამკვრელობაზე, საკავშირო კონკურსზე, ბამბის აკრეფაზე, ახალ-ახალ გამარჯვებებზეა განუწყვეტელი ლაპარაკი, მაგრამ ეს საქმით არსაიდან სჩანს, მწვავდება ცხოვრება და „აღოღებული“, გამოქცეული, თავის სამშობლოდან აყრილი რუსები გვეუბნებიან – „თქვენც მალე ისეთი დღე დაგადგებათ, როგორიც ჩვენ დაგვადგაო, ეს აქლემი თქვენ კარის წინაც დაიჩოქებსო“! ნიშნები არის ამისი, მაგრამ ჩვენ არა ვართ ჩვეული „აღოღებას“ და რომც ავღოღდეთ, ვის უნდა მივადგეთ კარს?! საით უნდა წავიდეთ?! ნუ თუ უკანვე, მცირე აზიისაკენ, საიდანაც ამ ხუთი ათასი წლის წინეთ გამოსულან ჩვენი წინაპარნი?!.. ოსმა-

ლეთში... სპარსეთში... მაგრამ რო იმათაც სულს იქით არა გააჩნიათ რა?!. პირშავი ახალი წელი სჩანს!.. ძლიერ საეჭვოა, დავესწრებით მეორე ახალ წელს თუ არა?! მძვინვარებს ტფილისში მუცლის ტიფი, ყვავილი! ბაქოში პარტახტიანი ტიფი... ასეთი კვების ნიადაგზე ამათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია... არც მედიკამენტებია... „კაზიონი“ ექიმობაც საშინელია და უშედეგო!.. გაჭირება განა მარტო საბჭოთა კავშირშია? არა, გაჭირება, როგორც გაზეთებში სწერენ, მთელ მსოფლიოშია, იქ ფინანსიური კრიზისია, სანოვაგე და საქონელი ფასდავარდნილია, ჰყრია, უფულობის გამო ის ვერავის უყიდია! ჩვენში ეს გაჭირება „დროებითი დაბრკოლებების“ სახისანი არისო! ასე გვეუბნებიან, ჩვენც ასე ვეუბნებით სხვებსაც, მაგრამ მწარე ღიმილით გვიპასუხებენ, თავჩაღუნული გვშორდებიან და მიდიან მწარედ დაფიქრებულნი.

ესეც „ახალი წლის“ სულიერი განწყობილებაა, შინ თუ გარეთ... ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს „ახალი წელი“! რა განახლებას შეიტანს ის ამ მძიმე მდგომარეობაში.

ექვსი იანვარი. 1933 წელი. პარასკევი
Pro domo suo

1931 წლის 16 ნოემბრიდან ვმუშაობ ა/კ. რკ. გზ. დირექციაში, „თარჯიმანთა ბიუროში“, მთარგმნელად, ე. ი. გზათა სახალხო კომისარიატიდან მოსულ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, ცირკულიარებს, ტექნიკურ ბროშიურებს და ასეთ მასალებს ვსთარგმნით რუსულიდან ქართულად და ესენი ეგზავნებათ ქართულ ენაზე ა/კ. რკ. გზის 1 და მე-2 უბნებს, ესე იგი რკინის გზის ქართულ ნაწილს, და ამაში გამოიხატება ამ ნაწილის „ნაციონალიზაცია“; აგრეთვე ამავ ნაწილს ეგზავნებათ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი დირექციის ბრძანებები და მიწერ-მოწერა; ვსთარგმნით ქართულიდან რუსულად მოსულ მიწერ-მოწერას, დოკუმენტებს, მოხსენებებს, ოქმებს და სხვა ასეთ მასალას, რათა ამ მასალას გაეცნონ დირექციის განყოფილებათა უფროსები და ბობოლა მოხელეები, რომელთა 95% არიან ან რუსები და ან სომხები, რომელთაც ქართული ენა არ იციან და სურთ იცოდენ, თუ რას იწერებიან ქართულ ენაზე ადგილებიდან. ამაში გამოიხატება ჩვენი ა/კ. რკ. გზ. ნაციონალიზაცია! ამავ ბიუროში სხედან სომხური და თათრული სექციის მთარგმნელები, პირველში – სამი კაცი, ხოლო მეორეში – ორი. ქართველი მთარგმნელები ვიყავით 10, ეხლა დავრჩით – 7 (სამი ჩამოგვშორდენ და მათ მაგიერ აღარავინ მოუწვევიათ.). მთარგმნელები დირექციაში წინეთაც ყოფილან – თითო-ოროლა, მაგრამ ეს წელიწადნახევარია ქართული სექციის მთარგმნელებთა რიცხვი გაძლიერდა. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ რკინის გზის დირექციის – დირექტორის მოადგილეთ აქ იყო ამ ბოლო დრომდე ამხ. პაპულია (პავლე) ორჯონიკიძე, კომუნისტი, ძმა ცნობილ დიდი კომუნისტის, სტალინის თანამესაიდუმლის – სერგო ორჯონი-

კიძისა, რომელიც ამ ჟამად მძიმე ინდუსტრიის სახკომად არის მოსკოვში. და აი ამ სერგო ორჯონიკიძის ძმამ – პაპულიამ მოითხოვა, რათა ა/კ. რკ. ქართულ რაიონებს (1 და 2) საქმე ეწარმოებიათ ქართულ ენაზე და ქართულ ენაზევე მიგვეწოდებია მათთვის ცენტრიდან ბრძანებები და განკარგულებანი, ვინაიდან რუსულის მცოდნენი ჩვენს რაიონებში ნაკლებადღა არიან და ვინც არიან, მათაც სუსტად ეყურებათ რუსული, რუსული წერა კი კიდევ უფრო ნაკლებათ ეხერხებათ. ამ ნიადაგზე გაძლიერდა ქართული სექციის მთარგმნელთა რიცხვი, და მათ რიცხვში მოვხდი მეც. ნახევარი წელიწადი ვიმუშავე უნცროს მთარგმნელის თანამდებობაზე, თვეში მაძლევდენ თხუთმეტ თუმანს (150 მ.) ამ სიძვირის ხანაში! ამ ხნის განმავლობაში შევისწავლე სარკინისგზო მიწერ-მოწერის სპეციალური ტერმინოლოგია, კარგად დავხელოვნდი ამ საქმეში და ჩინებულადაც ვასრულებ თარგმანს ორთავე ენაზე: რუსული ენის სტრუქტურაც ვიცი (რუსული უმაღლესი სასწავლებელი დამიმთავრებია, ქართულიც სისტემატიურად მისწავლია – 7 წელი სას. სასწავლებელში, ოთხი წელი – სას. სემინარიაში ვიყავი ქართული ენის მასწავლებლადაც ტფილისის სხვა და სხვა საშვალო სასწავლებელში) და ქართულიც მეხერხება. დირექციის კანტორის უფროსად და ამ უფროსის თანაშემწედ გვყვანან ებრაელები, ერთია გვარად – ბოვა, მეორე – ფისსონ. ამათ მალე მომაქციეს ყურადღება, როგორც რიგიან მუშაკს. მაგრამ მალე ამემღვრა წყალი. საქმე შემდეგში იყო: მთავრობამ განიზრახა ჩვენი ნაჭრობრივ მუშაობაზე გადაყვანა (сдельщина) და შეუდგა კიდეც ამ თაობაზე ცნობების შეკრებას: თუ რა ტემპებით შეიძლება ნაჭრობრივი მუშაობის ჩატარება, ე. ი. 6-საათის სამუშაო დროში რამდენი ათასი ასოიანი მასალის გადათარგმნაა შესაძლებელი, რომ „ნორმა“ იქნეს გამომუშავებული და ამის მიხედვით ამ „ნორმაზე“ გამომუშავდეს ხელფასიც. სულ არ ვიქნებოდი სამსახურში ერთი თვის მისული, 1931 წლის დეკემბერში დირექტორის კანცელიარიაში დაიბარეს ორი მთარგმნელი – ერთი ქართველი, ერთიც სომეხი; ამხ. ფისონმა წინადადება მისცა ქართული სექციიდან წასულიყო ევთიმე კაპანაძე, ძველი მომუშავე სექციაში, მაგრამ მან უარი განაცხადა იქ წასვლაზე, თუ გადასათარგმნია რაიმე, აქ გამოგზავნონ და აქ გადავთარგმნი, იქ კი არ წავალო! კაპანაძეზე უფრო ძველი მომუშავეა სექციაში – სოსო გელიაშვილი (უნივერსანტი, კარგი საუკეთესო მცოდნე საქმისა), არც ის წავიდა. მაშინ ფისონმა მიბრძანა მე! მე ახალი თანამშრომელი, „ზურგ წამხდარი ცხენივით სულ ზევით ვიცქირები, კაჭკაჭი არ დამაფრინდეს ზურგზე“, დამფრთხალი – „ყოფილი კაცი“, აბა, როგორღა გავბედავდი უარის თქმას და წავედი; სომხური სექციიდან წამოვიდა – ვინმე არუთინ (არტემა) თუმანოვი, გამოწყობილი წითელი არმიელის ფორმაში (გ. პ. უ-ს პარტიულ სკოლაშიდაც საღამოობით სომხურ ენას ასწავლის და იმიტომ) და შევედით დირექტორის გვერდით მდებარე ოთახში. აქ მოგვცეს ორთავეს ერთნაირი დოკუმენტი – გადასათარგმნელად რუსულიდან ქართულად და რუსულიდან სომხურად. ეს დოკუმენტი მე ვსთარგმნე 25 წუთის განმავლობაში, გადავეცი, ვინც ზედამხედველობას გვიწევდა და

დავბრუნდი ჩემს სამაცადინო ოთახში; თუმანოვი განაგრძობდა მუშაობას. რო დავბრუნდი უკან, ფისონი განცვიფრებით მეკითხება: – როგორ?! უკვე მორჩი მუშაობასო?! – დიახ, მოვრჩი მეთქი, – უპასუხე და ჩაუჯექი მორიგ სამუშაოს. თუმანოვმა კი იმავ სამუშაოს მოანდომა $2^1/_2$ საათი! შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე გამოსცადეს ნაჭრობის მუშაობის შესრულების დრო – ტემპი! ჩვენ კი ამაზე არა ვიცოდით რა. მაგრამ იმ დღიდან თუმანოვმა აიღო ჩემზე შური, ამითვალწუნა! მე თურმე გამოვამჟღავნე მისი სუსტი მხარე, მას, როგორც გადარუსებულ სომეხს, სომხური აგრე რიგად როდი ეხერხებოდა [...][1] ვაგლახით მუშაობს თურმე!.. შემდეგ შემოიღეს კიდეც [...] დააწესეს – დღიურ (6 საათის) სამუშაო ნორმად 7.200 ნიშანის (ასოს) [...] მანეთის ანგარიშის მიხედვით, ე. ი. ეს 7.200 ნიშანი უნდა [...] დღიურად – 25 დღის განმავლობაში და მივიღებთ – 200 მანეთს, [...] ანგარიშზე მეტ ასოს დავიმუშავებთ, იმისათვის მივიღებთ [...]

რასაკვირველია, ჩემი ტემპი ხელსაყრელი იყო, ვინემ თუმანოვის [...] ვაკეთებდი, მეტსაც ვიღებდი და ის თმებს იგლეჯდა, აგიტ[...] „სდელშჩინის წინააღმდეგ“, ბარათებით მანიშნებდა [...] ისე) 3.000 ნიშანზე მეტი არ მისცე – არ აჩვენოო! აბა, რა[...] მთავრობამ უკვე იცის და ხელოვნურად ჩემი ტემპების [...] შედეგები მოჰყვებოდა და თუმანოვის ანკესზე არ წამოვეგე [...] [პროვო] კაციას მიკეთებდა!.. ამ დროს მთარგმელებთა ქართულ [...] ერთი „ნამღვდლევი“ თანამშრომელიც – ჩემი ამხანაგი [...] კოტე ანთაძე. ამას პაპულია ორჯონიკიძისათვის უთ[...] მთარგმნელათო და მასაც მიუღია, უბრძანებია ფი[...] ნამღვდლევი გყავთ (ეს მე), ესეც მეორეც გყავდეთო“. და კოტე [...]ნელად მიიღეს, ის არც კავშირის წევრად ყოფილა ჯერ გატარებული ისე... გავიდა ამის შემდეგ ერთი თვე და პაპულია ორჯონიკიძე „ზაკრაიკომმა“ მოხსნა თანამდებობიდან! საქმე იმაშია, რომ ეს ჩვენი რკინისგზის დირექცია სავსეა „ჭეშმარიტი რუსებით“ და სომხებით. ამათ ერთმანეთთან ბლოკი აქვთ შეკრული და „ერთად მოქმედებენ“; ესენი მხოლოდ პაპულია ორჯონიკიძეს უწევდენ ანგარიშს, პაპულია განაგებდა ფაქტიურად დირექციას და ეს ვერ მოენელებიათ მათ! დიდი ინტრიგები იყო მისს წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ პაპულიას დიდი განმავლობა ჰქონდა „ზაკრაიკომში“ – ეს უკანასკნელი იძულებული შეიქნა მოეხსნა ის რკინის გზის დირექციიდან, ვინაიდან მის წინააღმდეგ მიდიოდა განუწყვეტელი საჩივრები და რკინის გზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს სულ მას აბრალებდენ... მოიხსნა პაპულია თუ არა, თავისუფლად ამოისუნთქეს „ჭეშმარიტებმა“... გაშალა ფრთები თუმანოვმაც. ის ერთ დღეს შემეკითხა: „ვინ არის ის გრძელი ახალი მთარგმნელი, რომელიც ეხლახან მიუღიათო“?! მე უპასუხე: „ის გვარად ანთაძეა, სახელად კოტე ჰქვია, ტფილისის სას. სემინარია დასრულებულია, ლიტერატორია, რუსულ-ქართული ენის კარგი მცოდნეთქო“. თუმანოვი ისევ მეკითხება: ის რაღაც სასულიერ პირსა ჰგავსო! – მე უპასუხე: „არამც თუ ჰგავს სასულიერო პირს, არამედ [...] ქ. ზესტაფონში ღვდლობდა

1. ფურცლის მარჯვენა არე მოხეულია *(გამომცემლის შენიშვნა).*

მეთქი“. ამ [...] გავიდა ათი-თორმეტი დღე და მოსკოვის გაზეთ [...] №230 დაბეჭდა პატარა კორესპონდენცია შემდეგი [...] духовное отделение в дирекции. Закавказской [...] бригадир“. წერილის პირველ ნაწილში ავტორი მოგვითხრობს [...] დირექციაში – მთარგმნელების ბიუროში გახსნილია [...], სადაც მოკალათებულან ქართველი სამღვდელოების [...] ანჩისხატის ყოფილი დეკანოზი ნ. თალაქვაძე და დიდუბის [...] მღვდელი ანთაძე. ესენი საგულდაგულოდ (тщательно) [...] წარსულს და რაც თავიდათავია, მათ მიერ გ. ს. კ.-ს [...] და მნიშვნელოვანი ქაღალდები მათ მიერ აჭრელებული [...] სიტყვებით და თარგმანებს აძლევენ ძველი აღთქმის [...] გაზეთის ერთი ცალი დირექციის საიდუმლო განყოფილებაში [...] გაუგზავნია ფისონისათვის, ამ უკანასკნელს გადაუცია [...], ხოლო ანთაძემ გადმომცა მე. წავიკითხე და მივხვდი, [...] თუმანოვის ნაწარმოები, ეს „ბრიგადირი“, ადგილობრივ რკ. [...] გამოვიდა წინეთ ჩვენი თანამშრომლების გამასხარავებით, [...] კიდეც ნიღაბი, არ მალავდა, რომ ის არის „ბრიგადირი“. ეხლაც, რასაკვირველია, ყველამ ვიცანით ბრიგადირი – თუმანოვი! სანამ პაპულია იყო, აბა, რას გაბედავდა ჩვენს წინააღმდეგ ასე უტიფრად გამოლაშქრებას?! ეხლა კი ფრთაგაშლილი იყო!.. ფისონმა მითხრა, ნუ მიაქცევ ყურადღებასო და მეც გავჩერდი, ხმას არ ვიღებდი. მაგრამ ორი კვირის შემდეგ, იმავე ფისონმა გადმომცა „საინფორმაციო (საიდუმლო) განყოფილების“ წერილობითი წინადადება – პასუხი მიმეცა აღნიშნულ წერილზე არა გაზეთში, არამედ საინფორმაციო განყოფილებისათვის. მეც გავაჭრელე ერთი თაბახი ქაღალდი და ამომწურავი პასუხი გავეცი „ბრიგადირს“, დავარღვიე მისი მოჭორილი ბრალდებანი, ვამხილე აშკარა ცილისწამება, ტყუილები და უწოდე „ინტრიგანი“. დაუმტკიცე, რომ ჩვენ არ დაგვიფარავს ჩვენი წარსული, არც საჭირო იყო დაფარვა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას კულტის ყოფილი მოსამსახურენი გამოცხადებული ჰყავს თავის მფარველობის ქვეშ: მოვიყვანე СССР-ს НК РКИ-ის და СНК-ას ინსტრუქცია – „к чистке и проверке Советского аппарата: примечание: решительно запрещается относить к служителям культа лиц, снявших Сан.“(отд. 5. ст. 7-ая газета „Заря Востока“, от 4/VII-1929 г. №124). მივეცი 27/X-1932 წელს ეს განცხადება და ბურთი ჩავსჩარე პირში „თუმანოვებს“. იმ განცხადების შავს ვაკერებ ამავ რვეულში სამახსოვროდ. მაგრამ ამ იანვარში მიდის ყველგან, მთელი კავშირის მასშტაბით დიდი შემოკლებები, დიდძალი მოსამსახურე პირები დაითხოვეს ყველა დაწესებულებიდან, „ხარჯების შესამოკლებლად“, ასეთივე შემოკლებაა დღეს ჩვენს დირექციაში, შედეგები გამოირკვევა ამ ორ დღეში, შესაძლებელია ქუჩაში ამომაყოფიონ თავი მეც!.. ვნახოთ... რა იქნება. მუდამ ასეთი შიშისა და ძრწოლის ქვეშა ვართ... ლუკმა შავი პურისათვის... თუ სამსახურიდან მომხსნეს – იმ $^3/_4$ გირ. შავ პურსაც მომისპობენ მეცა, ჩემს ცოლს და მოხუც დედასაც! ასეთი კანკალით შევყურებთ „ახალ წელში“ ჩვენს „მომავალ სიკეთეს“!..

6 თებერვალი – ორშაბათი
შტატის შემოკლება ა/კ. რკ. გზის დირექციაში

10 იანვარს გამოცხადდა შტატის შემოკლების შედეგები ა/კ. რკ. გზის დირექციაში. სულ მთელს რკინისგზის დირექციაში და მე-2 რაიონის დაწესებულებებში (ერთ შენობაშია მოთავსებული, სადაც წინეთ იყო მოთავსებული ა/კ. რკ. სამმართველო) ითვლებოდა 1500 მოსამსახურე პირი. აქედან 500 დაითხოვეს. ზოგი დათხოვნილთაგანი ხაზზე გადაიყვანეს სხვა და სხვა თანამდებობაზე, ზოგიც დარჩათ უადგილოთ; ორი კვირის შემდეგ ამ უადგილოდ დარჩენილთ ჩამოერთვათ „პურის წიგნაკი“ და ყოველგვარი ლგოტები მოსამსახურე პირისა... კერძოდ „მთარგმნელთა ბიუროში“ („бюро переводчиков“) შეამოკლეს სამი ქართველი, ერთი სომეხი და ერთიც თათარი. მე არ შემხებია შემოკლება, ვინაიდან ჩემი მუშაობა მათთვის ხელსაყრელი ყოფილა, ვმუშაობ სწრაფად, ნაყოფიერად და სამუშაოს ვასრულებ სწორად და წესიერად. სამწუხაროდ, შემოკლებულ ქართველ მთარგმნელებში მოჰყვა „კოტე გრძელი“ – ანთაძე, რომლის შესახებ ზემოდაც მქონდა ნათქვამი. თუმანოვი დარჩა; ის გ.პ.უ.-ს („ჩეკა“) სკოლაში გაკვეთილებს აძლევს, წითელი არმიელის ფორმაშია გამოწყობილი და ჩვენთანაც მუშაობს შეთავსებით: როდესაც უნდა – მოვა, როდესაც სურს – წავა. მაგრამ ჩვენი განყოფილების უფროსი – ფისსონი – ასეთ გარემოებას ვერ ურიგდება და შეტაკებები მოსდის მას თუმანოვთან. ის კი გ.პ.უ.-ს ზურგს ეფარება და ამით სურს, იოლად წავიდეს. მუშაობის პირობები მეტად გაგვიუარესეს ამ ჟამად. აქამდე ნაჭრობით მუშაობაზე ვიყავით: 180-ათასი ნიშნის (ასოსი) გადათარგმნა თვეში (25 დღეში) გადაჭრილი იყო 200 მანეთად, ხოლო რაც ზედმეტს გავაკეთებდით, ამაზე გვეძლეოდა ზედმეტი ამ 200 მანეთის ანგარიშის მიხედვით, ზოგი ჩვენგანი ამ ვადაში 400 და მეტ-ათას ნიშნებს ვაკეთებდით და, შედარებით, ცოტა რამ ზედმეტს ვიღებდით და სულს ვიპურებდით. მაგრამ მთავრობას ეს ჭკუაში აღარ მოუვიდა და გამოგვიცხადეს – 1-ლი თებერვლიდან ისევ სატარიფო ჯამაგირზე იქნებით გადაყვანილნიო, ე. ი. 200 მანეთზე. ამ სახით, მეტად გაუარესდება ჩვენი სამსახურის პირობები. არც უფლება გვაქვს, სხვა ადგილი ვეძიოთ, თუ თვითონ მთავრობა არ გაგვიშვებს; ის კი, თუ ვსჭირდებით, არ გაგვიშვებს, თუ ძალად წახვალ, ისეთ ქაღალდს მოგცემს, რომ ამ ქაღალდით არსად არ მიგიღებენ, სასურსათო წიგნაკს ჩამოგართმევენ, კავშირიდან გაგაძევებენ და „მგლის“ ბილეთიანი გახდები, ყოველივე მოქალაქობრივ უფლებათა ახდილი. თუ ერთი დღით სამსახური გამოსტოვე და საპატიო მიზეზი არ წარმოადგინე – ავათმყოფობის ბიულეტენი ექიმისაგან, გითხოვენ, სიტყვის შეუბრუნებლად, სამსახურიდან ყოველივე უფლების აყრით, ულუკმაპუროდ, „за прогул“. დიდი სისასტიკეა შემოღებული: მუშა-მოსამსახურე სახელმწიფოს მიერ სავსებით დამონებული – ლუკმა პურისათვის. ასეთი სისასტიკე ჯერ არ ახსოვს ისტორიას. ფულმა სავსებით დაჰკარგა ღირებულება. შავი პურის გირვანქა – კერძოდ – ღირს 4 მანეთი,

თეთრი – 5-6 მანეთი. ხორცი ამ ზამთარში თანდათან გამოილია. შაქარი კილო ($2^1/_2$ გირ.) „კომერციულ ფასებში“ მთავრობა ჰყიდის 15 მანეთად, კერძოდ იყიდება 30-40 მანეთად. ღორის ხორცი – კილო 20–25 მანეთი, ღორის ქონი – 40 მანეთი, მჭადის ფქვილი ფუთი – 100–120 მანეთი, პურისა – 180 მანეთი; ხორცი ძროხისა – თუ იშოვნე – 16 მანეთი, ლობიო ფუთი – 120–130 მანეთი, კარტოფილი 50 მანეთი ფუთი, კომბოსტო – 60 მანეთი; ხახვი – 70 მანეთი; ღვინო და არაყი ყოველდღე ფასს მატულობს: ბოთლი ღვინო – ლიტრი – 12 მანეთი, არაყი – 30 მანეთი. რკინის გზის მგზავრობის ტარიფი მეტისმეტად აწეულია. ეხლა სურთ, პასპორტები აგვაღებიონ ყველას, რომ ზედმეტი ხალხიდან განტვირთონ დიდი ქალაქები. დაიხურა ბევრი სასწავლებელი, დაითხოვეს დიდძალი მოწაფეები. სწარმოებს დიდი გადაჯგუფება-გადმოჯგუფება. აღადგინეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ამას წინეთ სხვა და სხვა გვარ „ინსტიტუტებად“ იქნა დაყოფილი. დიდძალი სტუდენტობაა დათხოვილი, ქუჩაში გამოყრილი. პედაგოგიური ინსტიტუტის ერთი განყოფილება – 800 სტუდენტით – ქუთაისში გადაიყვანეს. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებიდან 11 ათასი სტუდენტი დაუთხოვიათ – ერთი სიტყვით, სწარმოებს შეუნელებელი რევოლიუციური დუღილი ყველგან და ყველაფერში. მიწის მუშა აღარ დარჩა სოფლად – კოლხოზებში, სულ ყველანი „უმაღლესში“ გამორბიან და მუშახელი აღარ არის!..

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის კონფერენცია მოსკოვში – 10 იანვარს

ამ კონფერენციაზე პარტიის ბელადმა – სტალინმა გააკეთა თავისი ისტორიული მოხსენება – „პირველი ხუთწლედის მიღწეულ შედეგებისა – და მეორე ხუთწლედის პერსპექტივების შესახებ. მოხსენება დიდი, შინაარსიანი, დასაბუთებული და დამაჯერებელი. მისს შემდეგ მოხსენებით გამოვიდა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი, შემდეგ სერგო ორჯონიკიძე, კუიბიშევი, კაგანოვიჩი და სხვანი. ყველა მოხსენებები სტალინის მოხსენებასთან იყო დაკავშირებული, მისი მოხსენების დამადასტურებელი და დამატებანი. სტალინმა ჩამოთვალა, აღნუსხა, თუ რა გაკეთდა პირველ ხუთწლედში, რომელიც შესრულებული იქნა „ოთხწელში“; რამდენად წინ წაიწია საბჭოთა ინდუსტრია მძიმე თუ მსუბუქი, ზოგ დარგში საბჭოთა კავშირი დაეწია და გაასწრო კიდეც ამერიკასაც კი, ზოგში თანდათან აფართოებს მოქმედებას და მალე უკან მოიქცევს კაპიტალისტური ქვეყნების დიდ სახელმწიფოებსაც. საზღვარ-გარეთის პრესა გამოეხმაურა ამ მოხსენებებს და უწოდა სტალინის მოხსენებას „ისტორიული“ მოხსენება, გამოსთქვა თავისი აღტაცება და განცვიფრება იმ მიღწევების წინაშე, რომელიც გადაუშალა მთელ მსოფლიოს სტალინმა თვალწინ. რასაკვირველია, ყოველივე ეს ისევ ამ ჩვენს გაზეთებშია დაბეჭდილი. მიღწევე-

ბი და აღმშენებლობა გიგანტურია, მაგრამ აქედან ნაყოფი – ცხოვრების გამაუმჯობესებელი ჯერ არა სჩანს, პირიქით, არის იგივე ნაკლებობა ყველაფერში, სიღატაკე, სიმშილი და სიშიშვლე, უკრაინა აწიოკებულია, აგრეთვე რუსეთის სხვა ნაწილებიც, ხალხი აყრილია, დაუგდია თავისი მამაპაპეული ადგილები და დაყიალებს ულუკმაპუროდ, ხელგაშვერილი. ესენი – „განკულაკებულები არიანო, ეს გაჭირებანი დროებითია, გარდამავალნიო! საკვირველია, ერთი მხრით, „პირველი ხუთწლედის“ აგრე ბრწყინვალედ ჩატარება, ცხოვრების პირობების კი აგრე თანდათანი გაუარესება და გაღატაკება. ტფილისის ქუჩებში არის „ოჩერედებში“ ჩამდგარი ხალხი ნავთზე, პურზე, ხორცზე, ყოველგვარ სანოვაგეზე, მთელი ღამეობით უხდება ხალხს რიგში დგომა, რომ რამოდენიმე გირვანქა ნავთი იშოვნოს! ეხლა მუშა-მოსამსახურეებს დაწესებულებებში ურიგებენ ნავთს, კარტოფილს და რაც მოხდებათ! მაგრამ, ვაი, ასეთ დარიგებას და დანაწილებას! დიდი გაჭირებაა! ნავთის ქვეყანაში უნავთობა!.. ამ ზამთარში!.. შეშა თვით არ არის და რაც არის, სავსებით ხელმიუწდომელია! რომც იყიდოთ შეშა, გადმოსატანი ფასი ღირებულებაზე ორმაგია!.. არ ვიცი რა გვეშველება! მძვინვარებს ტიფი! მუსრს ავლებს ხალხს. მაგრამ გაზეთებში ამ თაობაზე არა იწერება რა!.. რა იქნება?! სად მივდივართ?! რა მოგველის?! აი, ყველას რა აკერია დღეს პირზე!.

გარეშე ქვეყნებში

იაპონია განაგრძობს დაპყრობითი ოპერაციებს ამ ჟამად მონღოლეთში, პროვინციის „ჟეხეს“ ასაღებად ოპერაციები უკვე სწარმოებს. „ნაციათა ლიგა“ სდუმს, ვერ ერკვევა, „აღმოსავლეთის საქმეებში“. ჩინეთი ირღვევა, იაპონია ფართოვდება, მტკიცდება კონტინენტზე, „მანჯურ-გო“-ს სახელმწიფო – ფაქტიურად იაპონიის ნაწილია, რაც მან შემოფარგლა, იმას ვეღარავინ გაადგებინებს პირიდან. ამას წინეთ საბჭოთა კავშირმა ისევ წინადადება მისცა იაპონიას – „თავდაუსხმელობის პაქტის“ ერთმანეთში დადების შესახებ. იაპონიამ უარი უყო ასეთ წინადადებაზე: „ამის დრო ჯერ არ დამგარაო“! რას ნიშნავს ეს, არავინ იცის, ან როდის უნდა დადგეს „ამისი დრო“! საბჭოთა კავშირი შესცქერის, თუ როგორ თარეშობს მისს საზღვრებზე იაპონია და ხმა ვერ გაუცია. შესცქერის ასევე იაპონიის თარეშს ჩინეთ-მანჯურიაში ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და ხმას არ იღებენ... იაპონიამ კი განაცხადა: მე კრიჭაში უდგივარ კომუნისტურ მიმდინარეობის ჩინეთში განმტკიცების წინააღმდეგო... ჩინეთსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის აღდგენას მეტად ეჭვის თვალით შეხედა იაპონიამ. და ეს უკანასკნელი ყოველ წუთს მზად არის შემოესიოს საბჭოთა კავშირის საზღვრებს აღმოსავლეთიდან. საბჭოთა კავშირიც იძულებულია, მზად იყოს ყოველი შემთხვევისათვის და, როგორც სტალინმა განაცხადა თავის ზემო აღნიშნულ მოხსენებაში, პირველი ხუთწლედის განმავლობაში თავდაცვის საქმეც დამაკ-

მაყოფილებლად არის მოგვარებულიო. ასე რომ, მდგომარეობის გართულება აღმოსავლეთში ყოველ წუთში მოსალოდნელია.

გერმანიაში

ამ ორ-სამ თვეში ეს მესამედ გამოიცვალა გერმანიაში მთავრობა: „პაპენის მთავრობა“ შესცვალა „შლეიხერის მთავრობამ“, ეს მთავრობა კი ეხლახან შესცვალა – „ჰიტლერ-პაპენის“ მთავრობამ. ჰიტლერი „ნაციონალ-სოციალისტური“ პარტიის ბელადია, დღეს ის პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა კანცლერად მოიწვია, ხოლო პაპენი – ვიცეკანცლერად. ეს ახალი მთავრობა უკვე შეუდგა საქმეს, რეიხსტაგი დაითხოვა, ახალი არჩევნები დანიშნა მარტში; მანამ ის განადგურებით ემუქრება გერმანიის კომპარტიას. კომპარტიის განადგურებით შეიძლება აღსდგეს დაქვეითებული, გაღატაკებული გერმანიაო, – გამოაცხადა ჰიტლერმა. და პირველი „ოთხწლედის“ პროგრამაში თუ გეგმაში შედის გერმანიის მარქსიზმისაგან გაჯანსაღება და ეკონომიური პირობების გაუმჯობესება. აი, დღეს დიდი შეტაკება ხდება გერმანიის მუშათა უბნებში. კომპარტიის ცისქვეშ კრებები აღკრძალულია, დახურულია კომპარტიის დიდძალი გაზეთები და ბრძოლა უკვე სწარმოებს. ...საფრანგეთშიდაც ხშირად იცვლება მთავრობა, იქაც ახალი კაბინეტია ეხლა შემდგარი, მაგრამ კომპარტია იქ არ არის ისეთი ძლიერი, როგორც გერმანიაში; შედარებით უფრო მშვიდობიანობაა ინგლისში. არეულ-დარეულობაა ბალკანეთის სახელმწიფოებში...

26 თებერვალი – კვირა

თებერვალში მოსკოვში მოხდა სრულიად საკავშირო დამკვრელ კოლმეურნეთა კონფერენცია, რომელიც ჩატარდა დიდი პათოსით და ენტუზიაზმის გამოწვევით. დიდი და შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდენ კონფერენციაზე კაგანოვიჩი, მოლოტოვი, იაკოვლევი, კუიბიშევი და სხვანი და სხვა რჩეული ორატორები, რომელთაც ვრცელი და ამომწურავი მიმოხილვა გაუკეთეს კოლმეურნეობის მუშაობას საბჭოთა კავშირის მასშტაბით, გააკრიტიკეს ეს მუშაობა, აღნიშნეს მათ კოლმეურნეობის ყველა დადებითი მიღწევანი და მისი ნაკლოვანებები. დაბოლოს კონფერენციის პრეზიდიუმში რო გაერია სტალინი, კრებამ ერთხმად მოსთხოვა მას – სიტყვა წარმოეთქვა კოლმეურნეობის შესახებ. სტალინმა განაცხადა: მე არ მსურდა სიტყვით გამოვსულიყავი ამ კრებაზედ, ვინაიდან არაფერი აღარ დარჩა უთქმელი. რაც სათქმელი იყო, სთქვეს ორატორებმა და ყველაფერი ჩინებულად შეაფასეს, ასწონ-დასწონეს და მე ახალი არა მაქს რა სათქმელიო, მაგრამ ვინაიდან თქვენ დაჟინებით მოითხოვთ ჩემგან სიტყვას და ძალაუფლებაც თქვენს ხელშიაო (აქ სიცილი გაისმა მსმენელებში), ვემორჩილები

თქვენს სურვილს და ორიოდე სიტყვას მეც მოგახსენებო. შემდეგ თავისებური სხარტული და ცოცხალი მიდგომით გააშუქა საკითხი, აღნიშნა ბევრი უხეში მოვლენები ადგილებზე, ბევრი ნაკლოვანებები ამ დიდი საქმის დაყენებაში და განხორციელებაში. მოიყვანა სხვათა შორის ერთი მაგალითი: ერთი კუთხის კოლმეურნეობიდან შემოვიდა ჩემთან საჩივარი ქვრივი დედა-კაცისაგანო, ის სჩიოდა, რომ არ მღებულობენ კოლმეურნეობაშიო. რო შევეკითხე ადგილზე ამის მიზეზს, მიპასუხეს, რომ ეს დედაკაცი მასხარად იღებს კოლმეურნეობას, თავლაფს გვასხამს თავზე – აიწია კაბა და ასე გვითხრა: „მოდით, შემოძვერით აქ თქვენი კოლმეურნეებითო“ (ამ სიტყვებზე ასტყდა მთელს დარბაზში გომერული ხარხარი...). მე მაინც ვსთხოვე კოლმეურნეებს, მიეღოთ თავიანთ წრეში ასეთი საინტერესო კოლმეურნე. მიუღიათ კიდეც და ეხლახან მწერდენ, რომ ის დედაკაცი დაუფასებელი „კოლხოზნიცააო“!..

დიდის ამბით ჩატარდა ეს კონფერენციაც და დამსწრენი დაბრუნდენ თავთავიანთ კოლმეურნეობაში დიდი საპროგრამო და სამოქმედო ახსნა-დარიგებით გამხნევებულნი. იდეა კოლმეურნეობის დიდია და მდიდარი თავისი შინაარსით და პერსპექტივებით. თუ დაახლოებით მაინც განხორციელდა ეს დასახული მიღწევები, მოსალოდნელია საბჭოთა კავშირში სისტემატიური დიდი მოსავლიანობა და დოვლათი. ხელ აღებით უარის ყოფა იმ დიდი და მრავალ გვარი მუშაობისა, რომელიც ეხლა სწარმოებს საბჭოთა კავშირში, ეს ულოღიკობა და უსამართლობაც არის. ბევრს არ სურს შეურიგდეს ასეთ მოძრაობას და მოქმედებას საბჭოთა კავშირში და ეს, ჩემის აზრით, უსუსურობის მომასწავებელია, ჟინიანი უსუსურობისა. ეს თხუთმეტი წელიწადია არსებობს ეს კავშირი, რა და რა დაბრკოლებები მან არ გადალახა, რა გრანდიოზული მიღწევები არ აქვს მას ამ პირველ ხუთწლედში?! საბჭოთა კავშირი არის, ჩემის აზრით, მთელი მსოფლიოსათვის „საცდელ-საჩვენებელი სახელმწიფო“, ის ახალი სისტემით უდგება ცხოვრების სხვა და სხვა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს და სჭრის კიდეცა საკითხებს თავისებურად და თავისთვის. უქადის კაპიტალისტურ სისტემას გაცამტვერებას და პროლეტარული სისტემის გამეფებას. არც აღარავინ ჰყავს მას ამ მხრივ ხელის შემშლელი შიგნით, არამცთუ პარტიის გარეთ, შიგ პარტიაშიდაც „ერთი ხაზით“ ლენინ-სტალინის ხაზით მიმდინარეობს ეს მუშაობა. დღეს მეორე ხუთწლედში გადასდგეს ფეხი და იმედიანად მიდიან წინ და იბრძვიან დასახული გეგმის განსახორციელებლად. სულ სხვა სურათს ვხედავთ მეზობელ გერმანიაში: არ იქნა, არ ეშველა აქ კომპარტიის გამარჯვებას – რევოლიუციის გამოწვევას. გერმანიაში ბევრი სხვა და სხვა მიმართულების პარტიებია, რომელთაც ვერ სძლია კომპარტიამ. დღეს იქ ძალა-უფლება ხელთ იგდო „ნაციონალ-სოციალისტებმა“ – ჰიტლერ-პაპენის მეთაურობით და „ღვთის სახელით“ ლამობენ კომპარტიის ძირბუდიანად ამოფხვრას, სხვაფრივ გერმანიას არა ეშველება რაო. იქ ამ ნიადაგზე უკვე სწარმოებს კომპარტიასთან, მის მუშებთან სისხლის მღვრელი შეტაკებანი. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დასმული. და თუ გაიმარჯვა ჰიტლერმა და განამტკიცა თავისი პოზიცია, ეს დიდ ამბებს და შთაბეჭდილებას მოახდენს

საბჭოთა კავშირშიაც. „რევოლიუცია ის კი არ არის, რაც აქამდე მოხდა და ხდება საბჭოთა კავშირშიო, – წინასწარმეტყველებენ ზოგი ერთნი, – რევოლიუცია მოხდება მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში თავის ჰიტლერ-პაპენები გაჩნდებიან და განსაზოგადოებრივებულ ქონებას ხალხი ისევ ერთმანეთში გაყოფას შეუდგებაო! აი, მაშინ ნახეთ თქვენ საშინელებანი, რომლის წარმოდგენაც კი დაახლოებითაც კი ძნელიაო"!.. ეს, რასაკვირველია, ასე იქნება და მეტიც და უარესიც იქნება, თუ რომ საქმე მანამდე მივა, რომ ჩვენში „ჰიტლერების" გაჩენა შესაძლებელი გახდება. მაგრამ, სანამ ძალა-უფლება ბოლშევიკების ხელში იქნება და სანამ ეს დიდი კავშირი არ დაირღვევა, არც ეს არის შესაძლებელი. ამის დამრღვევნი კი არც შიგნიდან და არც გარედან ჯერ-ჯერობით არავინ სჩანს.

მუშათა გამოსვლები რუმინეთში

თებერვალში დიდი გამოსვლები იყო რუმინეთში, იქ, სადაც სწარმოებს ნავთის წარმოება. უკმაყოფილება დაიწყო მუშებისათვის ხელფასის შემცირების ნიადაგზე და კომუნისტური ორგანიზაციების მთავრობის მიერ შევიწროებასა და დევნის ნიადაგზე. ხელ-ჩართული ბრძოლა გაიმართა მუშებსა და ჯარის შორის. მუშებმა ბარიკადები გაიკეთეს ქარხნებში და საწარმოებში, ჩაიკეტეს კარები საცხოვრებელ ყაზარმებში, რომელიც ჯარმა დიდის ბრძოლით, ჟლეტა-მუსრვით და უსასტიკესი სისხლის ღვრით აიღეს. დიდძალი ხალხი დაიხოცა, უფრო მეტი დაიჭრა-დასახიჩრდა; დახოცილები არც კი მისცეს ჭირისუფალს დასასაფლავებლად, „კრემაცია გაუკეთეს დახოცილებსო", – გვაცნობა ტელეგრაფმა. ესე იგი დასწვეს დახოცილები. მთავრობა დაუნდობლად ებრძვის რუმინეთშიდაც კომპარტიას. ესეც, რასაკვირველია, შთაბეჭდილებას ახდენს თუ არა სხვა ქვეყნებშიც. პოლონეთი იარაღს აჟღარუნებს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, ჰიტლერი მოითხოვს ეგრეთწოდებულ „პოლონეთის კორიდორის" მოსპობას და ისევ გერმანიასთან ამ კორიდორის შეერთებას. პოლონეთი კი აშკარად გაიძახის – ერთმილიონნახევარი პოლიაკები დარჩა კიდევ გერმანიის საზღვრებში და მანამ არ მოვისვენებთ, სანამ იმათაც არ შემოვიერთებთო, და მოითხოვენ მთავრობისაგან ჯარის გაძლიერებას და სამხედრო ფლოტის განვითარებას „პოლონეთის ზღვის ნაპირებზე – იმ „კორიდორში".

ინგლის-ჩრდ. ამერიკის შტატების დაახლოება

გუშინ გაზეთები იტყობინებოდენ საგულისხმო ამბებს: იაპონია დათარეშობს მანჯურიაში, შექმნა მან „მანჯურიის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეხლა ამ სახელმწიფოს სახელით ის სცდილობს დიდ პროვინცია „ჟეხეში" შეიჭრას, იმ საბუთით, რომ ეს პროვინცია მანჯურიის ნაწილია და არა ჩინეთისო. უკვე აქ გა-

ჩაღებულია ომი ჩინეთის „მოხალისეებთან“, ჯერ თითქოს არც კია ფორმალური ომი გამოცხადებული იაპონიასა და ჩინეთს შორის, მაგრამ ეს აუცილებელია, ომი გამოცხადდება, იაპონია ნაციათა ლიგიდან გავა, ჩრდილოეთ ჩინეთსაც შეერევა და იქაურობას მილეწ-მოლეწავსო. იქ კი ინგლისსა და ამერიკას დიდი საქმეები, წარმოებები აქვთ გაჩაღებული, რომელსაც სრული განადგურება მოელისო. ხოლო თუ ინგლისმა და ამერიკამ ყურადღება არ მიაქციეს იაპონიის ასეთ თარეშს ჩინეთ-მანჯურიაში, მაშინ ჩინელები ბოიკოტს გამოუცხადებენ ინგლის-ამერიკის ვაჭრობას და მათ საქონელს, რითაც დიდად დაზარალდებიან ეს დაინტერესებული სახელმწიფონი. აი, ასეთი გარემოება აიძულებთ ინგლისსა და ამერიკას ერთმანეთს მხარი მისცენ თავიანთი ინტერესების დასაცველად ჩრდილო ჩინეთში და მანჯურიაში იაპონელების წინააღმდეგ. ამერიკა უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან, რომ უკანასკნელმა საოპერაციო ბაზად მისცეს მას სინგაპურის ნავთსადგური ამერიკის ფლოტისათვის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოები, თუ ვერ დაიმორჩილეს იაპონია სხვანაირად, მაშინ ომს გამოუცხადებენ მას და გასწიწკნიან კიდეც. შესაძლებელია, ხმელეთიდან საბჭოთა კავშირიც დაიხმარონ და გაანადგურონ იაპონია. მაგრამ მაშინ ბოლშევიზმის საშიშროება წამოეჭრებათ მათ ჩინეთში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლით იმართლებს თავს იაპონია. ასე რომ, ორცეცხლშუაა დღეს მომწყვდეული ეს ორი ბურჟუაზიული გიგანტი – ინგლისი და ამერიკის შტატები! ამერიკაში უკვე ახალი პრეზიდენტი – რუზველტია არჩეული, გუვერის ნაცვლად და იმასთან მოსალაპარაკებლად უკვე გამგზავრებულა ლონდონიდან ახალი ელჩი.

საქართველოს გასაბჭოების დღე – 25 თებერვალი
და წითელი არმიის 15 წლისთავი

ეს ზეიმი გადაიხადეს გუშინ – 25 თებერვალს, რომელიც აღინიშნა ტფილისში „გასაბჭოებასთან“ ერთად, ხოლო წითელი არმიის ზეიმი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. გაიმართა საზეიმო სხდომები, მოხსენებები, კინოები, წარმოდგენები. აღინიშნა ხაზ-გასმით, რომ წითელი არმია სათანადოდ მომზადებული, შეიარაღებულია და მომარაგებულია ყოველის მხრივ, რაც საჭიროა ქვეყნის დასაცველადო...

ეკლესიის სფეროებში – ვერის ნიკოლოზისა და
ბოდბის წმ. ნინოს კარის ეკლესიის ტფილისში გაუქმება

ვერაზე, კორღანოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ბოდბის მონასტერს ჰქონდა კარის ეკლესია – „подворье“, რომელიც სამრევლო ეკლესიად იყო გამოცხადებული. მღვდლობდა აქ ვინმე დეკანოზი ლაზარე ნათიძე (ჩემი ამხანაგი სემინარიიდან,

კაცი უნიჭო, მაგრამ გაიძვერა, მელა-კუდა; თვითონ კახელია, სემინარია აქვს ტფილისში დასრულებული, „ქართველ მღვდლად“ მოაქვს თავი, ის ეკლესია კი სავსებით გაარუსა, ერთ კვერექსასაც კი არ იტყოდა ქართულად, თუმც ქართველებიც ჰყავდა მლოცველთა შორის). გალობდენ მასთან აღნიშნული ბოდბის მონასტრის რუსი მოლოზნების ნაშთი-გუნდი; იქვე ეს მოლოზნები უცხობდენ და ჰყიდდენ ტფილისის ეკლესიებზე სეფისკვრებს. თვით ტაძარს კი ევლტოდა რუსი დედაკაცები და მათი ქმრები – ეს ნაშთი „ჭეშმარიტ რუსთა“ ხულიგანური პარტიისა, რომელიც აღზარდა და დაგვიტოვა ტფილისში „ცნობილმა“ დეკანოზმა სერგი გოროდცევმა. აი, ამ „კამპანიას“ დაეპატრონა „ჩვენი ლაზარე“ და დიდ შემოსავალში ურევდა ხელს, მიუხედავად იმისა, რომ მას არც ხმა აქვს, არც სმენა აქვს, არ წირვა-ლოცვა ეხერხება რიგიანად, არც ორიოდე სიტყვის ერთიმეორეზე გადაბმა და არც ქადაგება ეხერხება. მისი იარაღი იყო: „აკაფისტ ნიკოლაიუ „უგოდნიკუ“, აკაფისტ ბოჟიეი მატერი, ცელიტელიუ პანტელეიმონუ и всем святым – с водосьятием“! უნდა გენახათ, თუ როგორი გაოგნებით იხდიდენ და ისმენდენ ამ „აკაფისტებს“ ეს გაფანატიკოსებული ღვდელი თუ ერი! ღვდელი ჰო, ფულს ხვეტდა, მაგრამ ეს გამოყრუებული, გაბრიყვებული, გაყეყეჩებული ხალხი რას ან ვის მისდევდა? „ეს მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ ეს კურდღელი ვიღას მისდევსო“, – სწორეთ ამათზე ითქმოდა ეს ანდაზა. ამ აკაფისტებში ქრისტიანობის აზრი სავსებით დამცირებული და არსებითად უარყოფილი და გათახსირებულია! ამ აკაფისტებში დაახურდავა განხრწნილმა რუსის სამღვდელოებამ მთელი ქრისტიანობის მოძღვრების დიდი იდეა და აზრი. თუ დასავლეთ ევროპის – კათოლიკურმა ეკლესიამ ნამუსი აჰხადა ქრისტიანობას თავისი „წმინდა ინკვიზიციით“ და ინკვიზიტორებით, თუ ამ ინკვიზიტორებმა სისხლით მორწყეს მთელი ევროპა, თუ ამ ინკვიზიტორებმა აკურთხეს, შეაგულიანეს 1572 წელში საფრანგეთის კაროლი კარლოს მეცხრე, დედა მისი მარიამ მედიჩი და მთელი პარიზის კათოლიკები და 24 აგვისტოს მოაწყვეს ისტორიაში ცნობილი „წმ. ბართლომეს ღამე“ და ამოჟუჟღეს გუგენოტები (ფრანგი პროტესტანტები), როგორც ერეტიკოსები, თუ რომის პაპებმა და მისმა იეზუიტებმა მიწასთან გაასწორეს თავიანთი უზნეობით, გარყვნილ-გათახსირებით ქრისტიანული მოძღვრების სიფაქიზე და ზნეობა, რუსეთის „მართლმადიდებელმა“ სამღვდელოებამ წარმართობაზე დაბლა დააყენეს იგივე ქრისტიანობა თავიანთი „გარეგანი წესების“ ეგოდენ განვითარებით, გავრცელებით და ხალხის გაბრუებით და გამოყეყეჩებით. საშინელებაა რუსული „обрядо-верие“! აი, ასეთი „обрядо-верие“-ს ერთი ბუდეთაგანი იყო ის „подворье“ ჩვენი ლაზარესი, ალბად განგებას შესძაგდა ის საზიზღრობა, ხალხის ის გამოყეყეჩება და ჩააგონა ბოლშევიკებს, რათა ის ტაძარი გაეუქმებია; გააუქმეს კიდეც ის ამ თებერვალში, „ჩვენი ლაზარე“ თავის „მრევლით და ავლადიდებით მიაწერეს სამების ქართულ ტაძარს, სადაც შარშან მიაწერეს დარღვეული კალოუბნის ქართველი მღვდელი – დეკ. იოანნე ცქიტიშვილი, რომელიც ამჟამად „მთავარ-ხუცესის“ („ბლაღოჩინის“)

როლს ასრულებს ტფილისში; ამასაც გარუსებული ჰყავდა კალოუბნის ტაძარი, „რუსი მრევლიც“ სამებაში წაიყვანა. აქ მათ წინამძღვრათ ჰყავთ გამოყეყეჩებული იეროთე ეპისკოპოსი – კათოლიკოსის ქორეპისკოპოსი. იქ ეს „პატიოსანი სასულიერო გვამნი“ განაგრძობენ „პარუსკობას“ და აკაფისტიადას. „ჩვენი ლაზარეს“ ტაძარი რომელიღაც დაწესებულებამ ჩაიბარა.

ვერის ნიკოლოზზე მე ბევრჯერ მქონდა აღნიშნული წინა რვეულებში, თუ რა ვაკხანალია იყო აქ გამართული ექსარხოსობის ბოლო ხანებში, ხოლო განსაკუთრებით კათოლიკოსობის აღდგენის შემდეგ, ამ ჩვენს დრომდე. ეს იყო ძველი სასაფლაო ტფილისისა, რომელიც თითქმის გაუქმებულადაც იყო გამოცხადებული ექსარხოსების დროს, მაგრამ „ავტოკეფალიის“ აღდგენის შემდეგ, ეს სასაფლაოც „აღსდგა“, ისევ განახლდა და ყველა აქ მიისწრაფებოდა დასამარხად, სიცოცხლეშივე! კარგი მაღლობი, გადასახედი ადგილია! დაჰყურებს მოდუდუნე მტკვარს და აქ „განსვენება“ ჩვენს „მოღვაწეებს“ პოეტურ ზმანებად ჰქონდა დასახული და წინდაწინ იგულვებდენ, ყიდულობდენ სასაფლაო მიწას ძვირფასად, ავლებდენ რკინის მოაჯირებს, აკეთებდენ ძეგლებს და ამით უზრუნველჰყოფდენ შთამომავლობაში თავიანთი ხსოვნის მარადისობას! ამ ნიადაგზე ივსებოდენ მღვდლები ფულებით – საფლავის ადგილების გაყიდვით, პანაშვიდების გადახდით, წირვებით, მოხსენებებით, ტაბლებით, სამღვთოებით, სანთლის ულეველი ოპერაციებით, ეს განსაკუთრებით ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, როდესაც მათ განკარგულებაში იყო ყველა ეს „ოპერაციები“; მღვდლები ანგარიშს აღარ უწევდენ ქართველ კათოლიკოსებს და მათ ორგანოებს, ანგარიშსაც კი არ აძლევდენ ისინი მათ შემოსავალ-გასავალში, ყველაფერს თვითონ ნთქავდენ განუკითხავად და საარაკო გაუმაძღრობით – ღორმუცლობით, ეს მაშინ, როდესაც მათ კათალიკოსებს ლუკმა პურიც უჭირდა და ენატრებოდა. ასეთ შემოსავლიან „სასაფლაოს“ ნაღები მოჰხადა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, შემდეგ მეოთხე კათალიკოსმა; ამან შეიყვანა იქ გაუქმებულ სამხედრო ტაძრის (ალექსანდრე ნეველისა – რუსთაველის პროსპექტზე, რომელიც შემდეგ დაარღვიეს კიდეც ბოლშევიკებმა) წინამძღვარი, ყოფილი სიონის ტაძრისა და 10-ექსარხოსის ყოფილი „კანდელაკი“ – „კლიუჩარი“, მათი მესაიდუმლე, გამცემელი ჩვენი, დეკ. ანტონ თოთიბაძე, რომელიც ეხლანდელმა კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ – მისმა გულითადმა მეგობარმა – მორთო-მოკაზმა „მიტრით“. ამ თოთიბაძეს გვერდს უმშვენებდა წმ. ნინოს სასაფლაოდან ვერაზე გადაყვანილი, ერთი რამ საზარელი შესახედავი – დეკანოზი – დავით გარსიაშვილი – კაცი კოჭლი, ქაჩალი და ბრუციანი, საზიზღარი ქცევის, გაუმაძღარი, ქურდი „ძმობაში“ და გაუტანელი, და მესამეც ამისივე მსგავსი – დეკ. ვასილი მატათაშვილი – სულ დეკანოზები! ეხლა ღვდელი აღარ იშოვება ჩვენში სანთლით რო ეძებოთ, სულ გადეკანოზებულები და მიტროფორები გახდენ! აი, ამათ იგემეს „სასაფლაოს“ სიკეთე! სანამ დრო ჰქონდათ, სჭამეს, რაც კი შეეძლოთ. ამბროსი კათალიკოსმა ამ „სამებას“ მიუმატა მეოთხე – დეკ. ბენიამენ კონტრიძე,

უნივერსიტეტ კურს დამთავრებული კაცი. მაგრამ ამან ვერ აიტანა ის საშინელება, სიბინძურე, ქურდობა-მკრეხაობა, რომელიც სუფევდა იქ „ძმობაში“ და გაიხადა ანაფორა, დღეს ისიც რკინის გზის დირექციაში მსახურებს მოანგარიშეთ და რის ვაი-ვაგლახით იბრუნებს სულს, როგორც მე. როდესაც ეს კონტრიძე გავიდა იმ სასაფლაოდან, მაშინ ეპისკოპოსად იყო ტფილისში ქრისტეფორე ციცქიშვილი; მე მაშინ (1924 წელში) ისევ მღვდლად ვიყავი ანჩისხატში, მშიერ-მწყურვალე, არც რაიმე გაკვეთილებიღა მქონდა სადმე ისე. შემომიჩნდა დეკ. ხახუტაშვილი და სხვები და წინადადება მოაცემინეს ქრისტეფორე ეპისკოპოზს ჩემზე – მე წავსულიყავი ვერაზე – კონტრიძის ადგილზე, მეორე მღვდლად, თოთიბაძის წინამძღვრობის ქვეშ. მაცდუნეს და წავედი; შეუდექი კიდეც იქ სამსახურს: თოთიბაძე ამ დროს ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში იჯდა ამბროსი კათალიკოსთან და სხვებთან „გენუაში მემორანდუმის“ გაგზავნისა გამო. სწორეთ ეს პროცესი დასრულდა მაშინ (1924 წლის მარტის პირველ ნახევარში) ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის კლუბში. ამ პროცესში მე მოწმეთ ვიყავი წამოყენებული ჩეკის მიერ, ეგონათ, დაპატიმრებულთა წინააღმდეგ ვილაპარაკებდი, მაგრამ მთელი სამი საათი ვილაპარაკე მათ გასამართლებლად, მათ სასარგებლოდ, ოვაციები გამიკეთა მთელმა დარბაზმა. ამ პროცესის შემდეგ გაანთავისუფლეს დეკ. თოთიბაძე და მოვიდა თუ არა ის ვერის ნიკოლოზის ტაძარში, პანჩურით გამომაგდო იქიდან ეპ. ქრისტეფორეს მიერ განწესებული მეორე მღვდელი; მას მხარი დაუჭირა დავით გარსიაშვილმა. მაშინ ესენი ეპისკოპოზს ქრისტეფორეს ანგარიშს არ უწევდენ (კათალიკოსი კი ისევ ციხეში დარჩა) და თქვენი უმორჩილესი მონა უკან გამომაბუნძულეს! კაცმა ზეიმით ვსწირე ვერის ნიკოლოზში; დიდმარხვის პირველ კვირას, დამსწრე დიდძალ საზოგადოებას სიტყვით და მოძღვრებით მივმართე, ხალხი ავაცრემლე, ეკლესიიდან რო გამოველი, ყელზე მეხვეოდენ, უხაროდათ ჩემი იქ მისვლა! დეკ. თოთიბაძემ – უნიჭო-უენო-უზნეო თოთიბაძემ – თავის მეორე მღვდლად არ მიმიღო, გულზე ხელი მკრა, ქუჩაში გამომაგდო! დიდუბიდან დამძრეს ამათივე გამცემლობით, ანჩისხატში ლამობდენ ჩემს ჩალპობას, სადაც ჩემი იქიდან გასვლის შემდეგ სამი მღვდელი გამოიცვალა, ხოლო მეოთხეს კათალიკოზის კანცელიარიაში მისცეს ადგილი – ჯამაგირიანი (მე იქ ვინ შემიშვებდა!)... ალბად განგებას შესძაგდა ამათი „მსხვერპლნი და ყოვლად დასაწყველნი“, და ამათაც აუნგრია ეს თბილი, რბილი და ტკბილი ბუდე! ბოლშევიკურ მთავრობას განუზრახავს გააუქმოს ეს ეკლესია, აიღოს ის სულ (შენობა უვარგისია, პატარა, ეხლახან აგებული) და ეს სასაფლაო გადააქციოს პარკად – დასასვენებელი სახლით. მიცვალებულების ჭირისუფალთ გამოუცხადეს – ვისაცა გსურთ, გადაასვენეთ თქვენი მიცვალებულების გვამი „ვერის ახალ სასაფლაოზე“ (სადაც სომხების ეკლესიაა აგებული). არის ერთი ალიაქოთი, წივილ-კივილი-ტირილი, ვისაც შესაძლებლობა აქვს, სთხრიან მიცვალებულებს და მიასვენებენ მთავრობის მიერ მოცემული კუბოთი, ძვლებს ჩაჰყრიან საფლავში, კუბოს კი ისევ უკან გამოაბრუნებენ სხვა მიცვალებულის გადასასვენებლად. აჰყარეს საფლავებს რკინის მოაჯირები,

ძეგლები და ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს იქ. სდგანან ატუზული ეკლესიის კარებთან ეგ სამი „მოძღვარი“ და კიდევ რამოდენიმე სხვა დეკანოზები, სოფლებიდან გადმოხვეწილები, რომელთაც იქ თავი ჰქონდა შეფარებულნი, ზოგს მედავითნეთ, ზოგს დარაჯათ, ზოგს დამლაგებლად, ზოგსაც წიგნის წამკითხავათ და მგალობლად. დეკ. თოთიბაძე მის მეგობარს კათალიკოსს – კალისტრატეს გადაჰყავს ქვაშვეთში წინამძღვრად, დეკ. გარსიაშვილი გადაუყვანია სიონში თავისთან! ჭეშმარიტად – მსგავსი მსგავსთათანა განისვენებსო – უთქვამთ ძველ რომაელებს: „Similis simili gaudet“. ამ სახით თოთიბაძეს თავზე დაენგრა – პირველად ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი ალექსანდროვის ბაღში, შემდეგ დიდი სამხედრო ტაძარი რუსთაველის პროსპექტზე, ეხლა ვერის ტაძარი სასაფლაოზე. სახიფათოა, ქვაშვეთის ტაძარიც არ დაენგრეს ამ გაიძვერა – იუდის კერძ დეკანოზ – თოთიბაძეს. ამანვე მომიგზავნა 1924 წლის 2 ივლისს ანჩისხატში ორი „ტერორისტი“ – „გასწორდი, თორემ მოგკლავთო“!.. ჭეშმარიტად რაღაც ჯოჯოხეთად გადააქციეს ექსარხოსების ამ ყოფილმა ლაქია-ჯაშუშებმა საქართველოს ეკლესიაც! მე საცოდავს მეგონა, გახრწნილია რუსებისა და კათოლიკების სამღვდელოება და ეკლესია, თორემ საქართველოს ეკლესია რომ ავტოკეფალიას მიიღებს, დამოუკიდებლად განაგებს თავისთავს, ჩვენში დამყარდება ძმობა, სიყვარული, თანხმობა და ურთიერთისმიმართ მორიდება და პატიოსნება თქო! თურმე, ნუ იტყვით, ნამდვილი ასპიდები და ვასილისკოსები ჩვენში ყოფილან აღზრდილნი რუსის ექსარხოსების მიერ. ამათ მოგვანატრეს ექსარხოსებიცა და რუსის სამღვდელოებაც! ისინი, ჩვენებთან შედარებით, დღეს წმინდანებად გამოიყურებიან! განა არა! ცნობილმა რუსიფიკატორმა დეკ. იოანე ვოსტორგოვმა გვიწინასწარმეტყველა: „თქვე უბედურებო! რათ გინდათ ავტოკეფალია! ავტოკეფალია რომ მიიღოთ, ქართველი სამღვდელოება ერთმანეთს დასჭამთო“! საუცხოო, უცნაური წინასწარმეტყველებაა!.. მაგრამ რას ვამბობ?! რის წინასწარმეტყველება?! არა! ვოსტორგოვი კარგად ყოფილა ჩახედული, თუ რამდენად გათახსირებული იყო ქართველი სამღვდელოება, რომელნიც პირში უძვრებოდენ ამ ვოსტორგოვს, ერთმანეთს აბეზღებდენ ეს უბედურები, ერთმანეთს საფლავს უთხრიდენ სიცოცხლეშივე და ადვილად წარმოიდგენდა იგივე ვოსტორგოვი თუ რეებს დააწევდენ ეს გაშმაგებული მაბეზღარა-გამცემლები, გარყვნილ-გათახსირებული ქართველი დეკანოზები ერთმანეთს, თუ ისინი დამოუკიდებელ ეკლესიაში შევიდოდენ ბატონ-პატრონებად. ჩვენ მონობაში ჩასახულნი, დაბადებულნი, აღზრდილნი თავისუფლებას, თურმე ვერ ვიგუებთ ვერც ეკლესიურს, ვერც პოლიტიკურს! ეს ცხადზე უცხადესი შეიქნა დღეს, როდესაც აღარც ერთი გვაქვს, არც მეორე!.. მე კი ბეცი, უვიცი, თითქოს გულუბრყვილო, – ვამბობ „თითქოსო“, – ვინაიდან ვინ დაგიჯერებს ასეთ ტუტუცურ გულუბრყვილობას!.. ნუ დაიჯერებთ, თუ ხათრი გაქვთ!.. ვიყავი კი! რო მოვიხედავ უკან, თვალს გადავავლებ განვლილ ჩემ მიერ ბრძოლის გზას და ამდენ უბედურებასა და უმადურებას, ოხვრა ამომხდება გულის სიღრმიდან: „ნუ თუ ფუჭად დავშვერი“!.. მაგრამ... არა! მე ჩემი როლი მაინც რიგი-

ანად შევასრულე! სანამ ვიყავი, ვიყავი, შედარებით, რიგიანი სამღვდელო პირი! საზოგადოების გამამხნევებელი, მანუგეშებელი, ფაქიზი ცხოვრებისა და ყოფაქცევის კაცი! შემდეგ კი ამ მგლებში ჩემი დარჩენა ორგანიულად შეუძლებელი და უაზრო გახდა და წავედით წყნარად, სუფთად და უჭუჭყოდ. ვინც რა უნდა სთქვას. გულთამხილავმა კი იცოდეს, რაც საჭიროა. „ჰეი, ჰეი! რა არა არს!! რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს“!.. ნიკიტა.

1 მარტი. 1933 წელი – ოთხშაბათი
ისევ საქართველოს ეკლესიის აწინდელ ვითარებაზე

ხელის უფლებამ ანდერძი აუგო ეკლესიას საქართველოში. საქართველოში ფაქტიურად ისევ რუსეთის ეკლესიაა გაბატონებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს კათოლიკოსს ემორჩილებიან. ნამდვილად კი კათოლიკოსიცა და მისი სამღვდელოებაც მათ ემორჩილებიან, მათ ემსახურებიან. არც ერთ ქართულ ტაძარში დღეს წირვა-ლოცვა აღარ არის ქართულად! შიგა და შიგ „მერმე-და მერმეს“ თუ ჩაურევენ ქართულად! რუსულ ტაძრებში არც წინეთ, და არც ეხლა როგორ შეიძლება რუსული წირვა-ლოცვის მთლიანობა შეილახოს! ვინ გაბედავს მათში ქართულად „მერმე და მერმეს“ ჩარევასაც კი! ისინი განაგრძობენ ტრადიციულ ბატონობას... „ველიკოდერჟავნიკობას“... გასდით კი ყველაფერი! სიონში სანთლის გამყიდავებად, მესეფისკვრეებად, ხელზე მოსამსახურეებად, კირ-კალისტრატე-კათალიკოსმა სულ რუსი მოლოზნები ჩააყენა (ეს ნაშთი ბოდბის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის „მოლოზნებისა“, ანუ, ნამდვილად რო ვსთქვათ, მოლოზნურად ჩაცმულ მეძავ-რუსი დედაკაცებისა). წირვა-ლოცვა სიონშიდაც ორი მესამედზე მეტით რუსულად მიდის. კალისტრატე კარგად არის მოკალათებული: აქვს სამი დიდი ოთახი ბინად, ორი ოთახიც კანცელიარიად, გვერდით. გათბობა-განათება, თვეში ჯამაგირად – 800 მანეთი და სხვა კიდევ შემოსავალიც – სულ ას თუმანზე მეტი! ესე იგი, ისეთია მისი მდგომარეობა ამ მხრივ, რომ ეს მდგომარეობა შეშურდებოდა თვით საბჭოთა ხელისუფლების სახალხო კომისრებსაც კი! თვით ფილიპე მახარაძესა და ლავრენტი ბერიასაც კი! (პირველი არის საქ. და ა/კ. ცაკის თავმჯდომარე, ხოლო მეორე ა/კ. კომ. პარტიის (ბ) სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე). საიდან იღებს ასეთ დიდ ჯამაგირს კირ-კალისტრატეო – გაიკვირვებს ის, ვინც არ არის ჩახედული საქმეში. საიდან და „სანთლის ოპერაციიდან“! სიონის ტაძრის ეზოში არსებობს წმ. სანთლის დამამზადებელი სახელოსნო. ამას განაგებენ ორი დეკანოზები: გერასიმე ჯაველიძე (ფოთიდან გადმოსული) და ლევან ვარდიაშვილი (ძველი ტფილ. სანთლის ქარხნიდან), ამათ იციან და პირად აკეთებენ სანთელს. მასალას ყიდულობს დეკ. დიმ. ლაზრიშვილი (ქვაშვეთისა) – კალისტრატეს „ლალა“-მომვლელ-პატრონი. ეს ლაზრიშვილი საკათ. სინოდის სამეურნეო ნაწილის გამგეა – „ზავხოზი“! „პოდრაჩიკულ-კულაკური“ უნარით ცნობილი, მყიდავ-გამყიდველი, დიდი ობო-

ბას ქსელის გამბმელი და ამ ქსელში ბევრი რამეს „დამჭერ-გამხვეველი“! ეს ჰყიდულობს ცვილს – პატრუქს და სხვა მასალებს, აწარმოებს სანთლის სახელოსნოს ნამდვილ ვაჭრულ წესზე და, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანთლის სახელოსნო საარაკოდ დაბეგრილი აქვს მთავრობას, მაინც დიდ წმინდა შემოსავალს სტოვებს! აი, ეხლა ხან დაადეს მას 140.000 მანეთი გადასახადი წელიწადში, მაგრამ „დემეტრე დეკანოზი“ ყურსაც არ იბარტყუნებს ამის გამო! გაუძლებს ასეთ გადასახადსაც და კალისტრატესაც 800 მან. მისცემს თვეში „ჯამაგირად-ჯამაგირს“, ხოლო სხვა რაც იქნება „პატივისცემა“, ეს კიდევ სხვაა... ეს სახელოსნო ჯამაგირს აძლევს სიონის კრებულსაც, დეკანოზები ოც-ოც თუმანს იღებენ თვეში, ერთ ამდენს შემოსავალსაც (მე კი ჯამაგირი მაქვს თვიური – ნომინალურად ოცი თუმანი, მაგრამ სხვა და სხვა გვარი აქედან დაკავებათა შემდეგ თხუთმეტი თუმანი დამრჩება!)... ეს სახელოსნო ინახავს საკათალიკოსო სინოდის კანცელიარიის შტატსაც, იგივე უძღვება ყოველგვარ გასავალსა და საეკლესიო ხარჯებს. ასე, რომ სიონი, თავისი კათალიკოსით და მისი აპარატით, უზრუნველყოფილია ჩინებულად! მთავრობამ ეს ყველაფერი იცის, რასაკვირველია, მაგრამ მიუშვა ამ ჟამად „ეკლესია“ ნებაზედ. მოსწურა და დასწურა ის საერთოდ ისე, რომ მთელ საქართველოს ეკლესიას ბოლოს-და-ბოლოს მირეკავს ის „სიონში“! აქ კი „სიონელებს“ საშვალებას მისცემს დრომდე იყვნენ არხეინად, მაძღრად და კმაყოფილად, რომ თავიანთი „კეთილდღეობის“ შთაბეჭდილების ილიუზიის ქვეშ, დაავიწყონ ეკლესიური ზრუნვა-მოვალეობანი! როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ეხლახან ანდერძი აუგეს ორ სამრევლოს – ვერის ნიკოლოზსა და წმ. ნინოს კარის ეკლესიას! აბა, ვინ გაბედავს კრინტის დაძვრას! ან სამღვდელოთაგანი და ან ერისაგანნიც! ვინ აიტკივებს აუტკივარ თავს! შემდეგ ჯოხს მიაყუდებენ სხვა ტაძრებსაც და მათაც მიჰკეტავენ: ჯერ კი „საქართველოს ეკლესიის“ დეკორაციად კალისტრატე-კათალიკოსიც კმარა! რა უყოთ, რომ სოფლად მთელს საქართველოში „უსისხლო მსხვერპლი“ არსადაც არ შეინირების! კმარა „სიონში“ და ქალაქის სხვა ეკლესიების ლოცვა მთელ საქართველოსათვის. მართალია, ეკლესიები და მათში წირვა-ლოცვა მოისპო საქართველოში, მაგრამ „სანთელის“ მუშტარი ჯერ კიდევ მაინც ბევრია ხალხში, და ბევრიც იყიდება სანთელი ქალაქად და სოფლადაც. და ეს არის კიდეც ერთადერთი სულის მოსაბრუნებელი საშვალება ეკლესიისა. უნდა ნახოთ, რა გაჩაღებულია სანთლით ვაჭრობა რუსების ტაძრებში ტფილისში. დიდუბისაში, სიონში, მამა დავითში, ყველა სასაფლაოებზე! რელიგიური ცხოვრება დღეს ქალაქის შუა-გულიდან მისს განაპირა სასაფლაოებზეა გარიყული! აქ მოისწრაფიან „მორწმუნენი“ თავიანთი მწუხარებით, აქ „აპატიოსნებენ“ ისინი თავიანთ მიცვალებულებს სულის მოსახსენებელი წირვით, პანაშვიდებით, კოლიო-ტაბლებით, სანთლებით და ვინ იცის, კიდევ რით არა! ღვდლებიც სდგანან დაშამათებულები, თმა-წვერ-ულვაშ აბურძგვნილები, ოლარ გადაკიდებულნი, ხელში დაჟანგულ-წლობით გაუხეხავი საცეცხლურებით, თვალებ-გამოჭყლეტილები ხელში შესცქერიან მიცვალებულების ჭირის უფალთ – აბა, ვინ რას მოგვცემსო. ერთ-ერთ სასაფლაოს დეკანოზს ტფილისში მიმართა პანაშვიდის გადასახდელად

სოფლიდან ჩამოსულმა ქართველმა დედაკაცმა; ამ უკანასკნელს ცხვირსახოცით თავისი დედის საფლავიდან აღებული მიწა ჩამოეტანა. „მიკურთხე, მამაო, ეს მიწა, დედა ჩემი უკურთხ მიწაში ჩავაწვინე ანდერძ აუგებელიაო“, – მიმართა დედაკაცმა ქალაქელ დეკანოზს! ამანაც თავისებურად, სულ 10 წუთში გაუთავა ყველაფერი და დედაკაცმა გასამჯელო მიართვა ხუთი მანეთი დიდის მორიდებით და მადლობით. პანაშვიდი დეკანოზმა იხადა მარტოდ-მარტო, უდიაკვნოთ და, თითქოს ხუთი მანეთი არ უნდა ყოფილიყო მისთვის მცირე გასამრჯელო! მაგრამ – დახეთ, სიმსუნაგეს, თავხედობას! დაიწუნა მან ეს ხუთი მანეთი: „როგორ წარვადგინო ამხანაგებში, „საძმო კრუჟკაში“ ეს ხუთი მანეთიო! ხო არ დაიჯერებენ ჩემი ამხანაგები, რომ ხუთი მანეთი მომცეს პანაშვიდშიო!“ – დაიწყო მან უსირცხვილოდ წუწუნი! მაგრამ დედაკაცმაც აღარა დაუმატა რა იმ ხუთ მანეთს! „იმ სიშორედან გეახელით, მამაო, გზაში ხარჯი მომივიდა, ეხლა წასვლაც, საჭმელი და სხვა ხარჯებიცო“!.. მგონი ამ ნამდვილ, რეალურზე-რეალურ ფაქტს კომენტარიები აღარ სჭირდება, იმ მხრივ, თუ რა ამბავია სარწმუნოებრივად სოფლად ან ქალაქად! არავითარი გავლენა გაწუწკებულ დეკანოზებზე კათალიკოზის მხრივ, არავითარი ზრუნვა სოფლის მორწმუნეთა შესახებ, რომ იქ აღდგენილი იქნას ნორმალური სარწმუნოებრივი ვითარება! ამაზე კალისტრატე რაზე შეიწუხებს თავს! თავს რაზე გამოიდებს! რო მთავრობასთან დამოკიდებულება გაუფუჭდეს!.. რაზე აიტკიოს აუტკივარი თავი! თვითონ ისეა უზრუნველყოფილი ყველაფრით, როგორც არასოდეს არ ყოფილა არც ერთი კათალიკოზი აგრე მოვლილი და უზრუნველყოფილი. ვინ ხნა, ვინ ბარა, ვინ სთესა, ვინ დაფარცხა!.. და ვინ იმკის!.. მაგრამ ვაი, ასეთ „ჭამასა და გადაყრუებასაც“!.. ასევე იმკიან სასაფლაოს დეკანოზებიც. „დიდ ფულს აკეთებენ ისინიო! განსაკუთრებით „დიდი საქმეები“ აქვთ წმ. ნინოს სასაფლაოს დეკანოზებს! ისინი – შვიდი დეკანოზი – მთელი დღე ფეხზე სდგანან და ვერ ასდიან „საქმეს“, ჩაიქცენ ეგ ოჯახქორები ფულებშიო“! – მოუთხრობს ხალხი ერთი მეორეს მათ შესახებ. აკი ანჩისხატიდან ეს სამი თვეა გაიქცა წმ. ნინოს სასაფლაოზე დეკ. იოანნე ლუკაშვილი! გული გადამელია ანჩისხატშიო! განაცხადა მან და დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე კოჭაობს ფულებში, საფლავიდან საფლავზე ხტუნაობით აღარ არისო, – სჩივის ის და თან კმაყოფილებით იღიმება ულვაშებში... ეტყობა გულნაკტენი არ არის...

ანჩისხატში დღეს მის მაგივრად არის დეკ. მიხ. მახათაძე. ეს დეკანოზი წინეთ ნაძალადევში იყო სამრევლო ეკლესიის მღვდლად; იქ ის ექსარხოსების დროს „რუსობდა“, და დეკ. სერგი გოროდცევს ბაძავდა „ჭეშმარიტ რუსობაში“!.. მაგრამ ბოლშევიკებმა მას ყველაზე ადრე დაუნგრიეს ტაძარი! ეს ტაძარი „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ მიერ იყო აგებულიო, ის არ უნდა არსებობდესო და დაარღვიეს ძირბუდიანად. შემდეგ დეკანოზი მანგლისისაკენ იყო სოფლად; აქაც დააპატიმრეს... შემდეგ დაბრუნდა ისევ ქალაქად, თავი შეაფარა კათალიკოსის კანცელიარიას „საქმის მწარმოებლად“, იქიდან ჯამაგირს იღებს 10–15 თუმნამდე თვეში, მღვდლობს ანჩისხატში! გარს ახვევია „კლიკუშკა“ – რუსის დედაკაცობა, სწირავს და ლოცავს მხოლოდ რუსულად! ეს ანჩისხატში!.. ასე ამ სახით მიმდი-

ნარეობს „საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია“!.. ტფილისში... კათალიკოსი კარგად იყოს და სხვას რაც მოუვა, მოუვიდეს! ეკლესიის თავია კარგად, ტანი და სხვა ნაწილებიც ალბად კარგად იქნებაო, – ჰფიქრობს ის!.. თან ისიც თეთრ-წვერულვაშებში ცბიერად იღიმება... „მსხვერპლნი თქვენნი და ყოვლად დასაწველნი თქვენნი სძაგს სულსა ჩემსაო“, – ბრძანებს უფალი!

12 მარტი – კვირა – 33 წ.
კომპარტიის სასტიკი დევნა გერმანიაში

ნაციონალ-სოციალისტების ბელადის ჰიტლერის მთავრობის სათაურში ჩადგომას მოჰყვა გერმანიაში სასტიკი დევნა კომპარტიისა. 5 მარტისათვის რეიხსტაგის (პარლამენტის) არჩევნები იყო დანიშნული. ყველანი ამ არჩევნებისათვის ემზადებოდენ და ირაზმებოდენ. ამ საარჩევნო ციებ-ცხელების დროს მოხდა ისეთი რამ ბერლინში, რომ ყველაფერი ყირამალა დააყენა მთელს გერმანიაში: 27 თებერვალს ვიღაცამ რეიხსტაგის შენობას თორმეტ ალაგას ცეცხლი გაუჩინა შიგნიდან. მთელი ეს ვეებერთელა შენობა თითქმის სულ დაიწვა, გადაარჩინეს უმნიშვნელო ნაწილი. შენობა აღარ გამოდგება. შეიპყრეს ხანძრის დროს ვიღაც ჰოლანდიელი შიგ შენობაში – ვანდერ-ლიუბბე. მას აღმოაჩნდა დოკუმენტები, კომპარტიის წევრობის ბილეთი, ვინაობის დოკუმენტები. მაგრამ ცნობები ამ პიროვნების შესახებ მეტად არეულ-დარეულად არის მოწოდებული ჩვენს გაზეთებში. მისი თანამონაწილენი თორმეტიოდე კაცი ყოფილაო, მაგრამ ისინი არ არის ჯერ აღმოჩენილი. პიროვნება დამნაშავისა ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება. მაგრამ ამ ამბავს შედეგად მოჰყვა კომპარტიის გაშმაგებული დევნა ნაციონალ-სოციალისტების მთავრობის მიერ. ყველა გამოჩენილი პარტიის წევრები და კომდეპუტატები დაპატიმრებულია. დააპატიმრეს კომდეპუტატი ტოგლერი, სადღაც დამალული იპოვნეს კომპარტიის ბელადი გერმანიაში ტელმანი და დიდძალი მუშებია დაპატიმრებული მთელს გერმანიაში და ყოველ დღე გრძელდება მათი დაპატიმრება. ხანძრის გაჩენა რეიხსტაგში, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ ნაციონალ-სოციალისტებს მოახვიეს თავზე, „ეს თქვენი საარჩევნო პროვოკაციაააო“. როგორც ჩვენი გაზეთები გვაუწყებენ, თითქოს მთელი საზღვარგარეთელი პრესა ჰიტლერის პროვოკაციას აწერს ამ საქმეს. გამოვიდა ერთი ხმაც, თითქოს ვანდერ-ლიუბე ნაციონალ-სოციალისტიც იყოს! ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს ამ საკითხში. მაგრამ ამ შთაბეჭდილების ქვეშ 5 მარტს ჩატარდა რეიხსტაგის არჩევნები. არჩევნებში ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს ნაციონალ-სოციალისტებმა, მათ მიუღიათ 39 მილიონ ამომრჩევლებიდან 17 მილიონზე მეტი ხმა! კომპარტიამ, მიუხედავად ასეთი სასტიკი მათი დევნისა, არჩევნებში მიიღო 4.700 ათასი ხმა, წინა არჩევნებთან შედარებით დაუკარგავთ ერთი მილიონი ხმა! სოციალ-დემოკრატებს მიუღიათ 7 მილიონზე მეტი. მაგრამ ნაც-სოციალისტები კომ-

პარტიასთან ერთად სდევნიან მენშევიკებსაც. კარგა ბლომად მიუღიათ ხმები ნამდვილ ნაციონალისტებსაც. ესენი ნაც-სოციალისტებთან ერთად შეადგენენ დიდ უმრავლესობას. მაგრამ ნაც-სოციალისტები არავის არ უზიარებენ თავიანთ ძალა-უფლებას და გადაუწყვეტიათ ფიზიკურად ამოფხვრა კომპარტიისა გერმანიაში. ეწევიან მტკიცე, გაშმაგებულ ნაციონალისტურ მოძრაობას, გერმანიის ნაციონალურ ასაღორძინებლად და მარქსიზმის აღმოსაფხვრელად. ჰიტლერს წარმოუთქვამს დიდი პოლიტიკური სიტყვა, მიმართვა გერმანიის ერისადმი, სადაც ის საბჭოთა კავშირის მაგალითით ამტკიცებს მარქსიზმის დამღუპაობას გერმანიისათვის: „უმჯობესია გერმანიის საპყრობილეში ჯდომა, ვინემ საბჭოთა კავშირში თავისუფლად ყოფნაო“! ასეთი მოკლე ნაწყვეტი მოგვაწოდა გაზეთებმა ჰიტლერის სიტყვისაგან! ცხადია, ის ბევრს რასმეს სხვასაც იტყოდა ჩვენს კავშირზე, მაგრამ ჩვენ ვინ გაგვაგებინებს ამას! საბჭოთა მთავრობას „ენერგიული პროტესტი“ განუცხადებია გერმანიის მთავრობისათვის ჰიტლერის სიტყვის ასეთი „ინსინუაციებისა“ გამო. ლიტვინოვიც კი მისულა ბერლინში, მას პირადი მოლაპარაკება გაუმართავს გერმანიის საგარეო მინისტრთან... ძლიერ აღშფოთებული არიან ჩვენს კავშირში ნაც-სოციალისტების „უხეში ქცევით“ კომპარტიისადმი. მახსოვს, შარშან გერმანიის კომპარტიულ გაზეთიდან მოგვაწოდეს ცნობა – „თუ როგორ მოიქცევიან კომუნისტები გერმანიაში, როდესაც იქ ისინი ხელში ჩაიგდებდენ ხელისუფლებას“. „მოვიქცევით ისე, როგორც მოიქცენ საბჭოთა კავშირშიო“. აი, ეხლა ძალა-უფლება ხელთ იგდეს ნაც-სოციალისტებმა და ისინიც სარგებლობენ თავისი ხელისუფლებით, სურთ, მოსპონ ასეთი სახიფათო მათი მოწინააღმდეგენი... ერთი სიტყვით, გერმანიის ახალმა მთავრობამ სულ არივ-დარია ევროპის სახელმწიფოთა დავთარი! საფრანგეთში უკვე დაიწყეს ხმამაღლა ლაპარაკი ომის საშიშროებაზე. „მწიფდება ისეთივე გარემოება, როგორც 1914 წელშიო“! საფრანგეთს უახლოვდებიან მჭიდროდ ინგლისი და ჩრდილო ამერიკის შტატებიო!.. აქ პოლონეთი ცერებზე დგანან! საომრად ააჟღარუნეს იარაღი! გერმანია ემუქრება, დანციგის ოლქი ჩვენ უნდა დაგვიბრუნდესო – „პოლონეთის კორიდორი“ უნდა მოიშალოსო, აღმოსავლეთში იაპონია მურათობს „ჟეხეს“ პროვინციაში, წინ ვერავინ უდგება იქ მას, ზედი-ზედ ამარცხებენ ჩინეთის „მოხალისეთა რაზმებს“ და სულ იოლად ასრულებს თავის იმპერიალისტურ პროგრამას. შემდეგ ის მანჯურიიდან გადალახავს ჩრდილოეთ ჩინეთსაც, სადაც ძალაუნებურად შეეხეჩებიან ამერიკისა და ინგლისის „ინტერესებს“. ერთი სიტყვით, მეტად იხლართება საერთაშორისო დამოკიდებულებანი და მოსალოდნელია ისევ საშინელი საერთაშორისო სისხლისმღვრელი ომიანობა.

ამ გარემოებას თან სდევს ეკონომიური – სასტიკი კრიზისი! ჩვენ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, დასავლეთ ევროპაში სულ ყველგან სიკოტრე, სიღატაკე და უსაქმურობაა! მარტო ჩვენშია ყველაფერი სიკეთე და საქმიანობაო! მაგრამ, სინამდვილეში საბჭოთა კავშირშიც ძლიერ დაჭიმულია ძარღვები, დაღატაკდა ხალხი, შიმშილობაა! მოსამსახურეებზე იძლევიან სამ მეოთხედ გირვანქა

საშინელ პურს, ისიც რის ვაი-ვაგლახით და „ოჩერედებით“! სხვა ყველაფერი ხელ მიუწვდომელია მუშა-მოსამსახურეთათვის! ოქროს ვალიუტაზე იშოვნით ყველაფერს! უკანასკნელი საოჯახო ოქრო-ვერცხლის ნივთები გააქვთ „ტორ-გსინში“ და იქ ჰყიდიან ოქროს ფასობაზე. იწურება მოსახლეობა ყოველგვარი ქონებისაგან და დოვლათისაგან! მოგველის სრული გაღატაკება. აივსო ჩვენი ქვეყანა გადმოხვეწილი, აფორიაქებული რუსებით! კერძოდ პური-შავი – ღირს 6 მანეთი, თეთრი – 8 მანეთი გირვანქა. ნავთის შოვნა აღარ არის, ფუთი ნავთი ფასობს 8-9 თუმანი და ვერც იშოვება! დიდი გაჭირებაა მოსახლეობაში. ამას ეძახიან – სიკეთეს! ჩვენში უფრო კარგად არის საქმე, ვინემ ევროპა-ამერიკა-შიო! მოდით, და დაიჯერეთ ეს!.. მაგრამ ნუ დაიჯერებთ, თუ ხათრი გაქვთ! ვის რაში უნდიხართ?! ვის სჭირდებით?! ვინ გიწევს ანგარიშს?! ასეთი უუფლებობა, ყოველივე ღირსების ახდა და დამონავება წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ეს დღეს სინამდვილეა! რაც დრო გადის, ეს სინამდვილე მტკიცდება! ეს ზღაპრული უთანასწორობა ღრმავდება! „უკლასო“ საზოგადოებას ვქმნით მეორე ხუთწლედ-შიო“! ეხლა ეს არის მიზნად დასახული. არ ვიცი, ეს თუ „უკლასოა“, როგორი უნდა იყოს „კლასიური“!.. ჭეშმარიტად საკვირველ არიან საქმენი ჩვენნი...

27 მარტი – ორშაბათი

გერმანიაში გრძელდება ზემოაღნიშნული მდგომარეობა. გაავრცელეს გაზეთებში ხმები, რომ კომპარტიის ლიდერები ტელმანი და ტორგლერი, რომელნიც დაპატიმრებული არიან, დახოცეს კიდეც საპყრობილეშიო. და საერთოდ ამ ნიადაგზე დიდი მღელვარებაა ინგლისში გერმანიის ამბებისა გამო. თვით გერმანიაში სწარმოებს ებრაელთა რბევა-აწიოკება. ამას ამერიკისა, გერმანიის, საფრანგეთის საქმიანმა კომერსანტ ებრაელებმა უპასუხეს გერმანიის საქონელის წინააღმდეგ „ბოიკოტით“, მაგრამ ჰიტლერის მთავრობა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ის განაგრძობს სასტიკ მოქმედებებს კომპარტიის წინააღმდეგ; კომპარტიას ზედ მიაჭყლიტეს სოციალ-დემოკრატიის ღონიერი და გავლენიანი პარტია გერმანიაში. „თქვენ აღარ გვესაჭიროებითო“, – უპასუხა ჰიტლერმა სოც-დემოკრატიის ბელადს ველსს, როდესაც ეს უკანასკნელი რეიხსტაგში უმტკიცებდა ნაც-სოციალისტებს, თუ რა ამაგი დასდო სოც-დემოკრატიამ გერმანიას... ჰიტლერის მთავრობა ზედი-ზედ აქვეყნებს დეკრეტებს – „მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებასთან ბრძოლის წინააღმდეგ“, აგრეთვე „საგანგებო სასამართლოების შექმნის შესახებ“, ეს სასამართლოები არჩევენ საქმეს ყოველგვარ კვლევა-ძიების გარეშე, მოწმეების დაუკითხავად, „სასამართლოს შეხედულების“ მიხედვით. ჰიტლერის მთავრობამ გამოაქვეყნა – „ტორგლერი და ტელმანი“ მშვენივრად გრძნობენ თავს საპატიმროში, ისინი ცოცხალნი არიანო! რა საჭიროა ასეთი ტყუილებიო! თან იჭერენ და განაგრძობენ კომპარტიელების დევნას ულმობელად და დაუზოგავად. რით გათავდება ყოველივე ეს, ძნელი სათქმელია.

იაპონია ჩინეთში

იაპონელები გადავიდენ, მათ გადალახეს ჩინეთის „დიდი კედელი“, შეიჭრენ ჩრდილოეთ ჩინეთში და განაგრძობენ წინ სვლას. ხელფეხი გახსნილი აქვთ მათ! ისინი უკვე გამოვიდნენ „ნაციათა ლიგიდან“ და თავისუფლად თარეშობენ! ამერიკა სქდება პოპოქზე, კბილების ღრჭენით უცქერის ამ სურათს და უთვალთვალებს მარჯვე დროს, თუ როდის წვდეს იაპონიას ყელში... მზადდება დიდი ომის ნიადაგი წყნარ-ოკეანეზე, იქ უნდა გამოიკვანძოს ახალ საშინელებათა ტრაღედიის სიუჟეტი.

ჩვენში

დღითი დღე მწვავდება ცხოვრების პირობები. ბაზარზე თვით აღარაფერი იშოვება და თუ რაიმე გამოაქვთ, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. მჭადის ფქვილი – იყიდება 150–160 მანეთი ფუთი, პურის ფქვილი – 250 მან. ნავთი აღარ არის სულ! ნავთი მიდის საზღვარგარეთ, ჩვენ კი ასეთ უბედურებას განვიცდით, ჩაისათვის წყალი ვეღარ აგვიდუღებია, ნურას იტყვით ლობიოს მოხარშვაზე ან კერძის დამზადებაზე! ხორცეულობაზე ხელი ვიღას მიუწვდება! სამი მეოთხედი გირვანქა პურისა მუშა-მოსამსახურეებზე, აბა, რას გასწვდება! შიმშილობაა... იხოცება შიმშილით ხალხი... გაზეთებში ხო არ იწერება ასეთი ამბები. ჯამაგირები ამ ზღაპრულ სიძვირეში დაუკლეს მოსამსახურეებსა და მუშებს, თან კი ყველაფერზე ფასს ადიდებენ: ტრამვაი სამი შაურის ნაცვლად აბაზი გახადეს, ბორჯომის წყალი აბაზის ნაცვლად – ექვსი შაური გახადეს, პირის მოპარსვა მანეთის ნაცვლად – 1-50 კაპ. გახადეს. და ასე ყველგან – ყველაფერში. ამას სჩადიან მთავრობის კოოპერაციის ორგანიზაციები და არა ვინმე „კულაკი-ჩარჩები-მედუქნეები“! ვერ გამიგია ასეთი პოლიტიკა: ჯამაგირებს, ხელფასს გვიმცირებენ, საცხოვრებელ საგნებზე კი იგივე მთავრობა ფასებს უმატებენ! სად არის აქ ლოღიკა?! საღი მოსაზრება?! რაც ჯამაგირი გვაქვს, არც ამას იძლევიან თავის დროზე, გადის თვე, თვე-ნახევარი, და ჯამაგირებს არ გვაძლევენ!.. შემდეგ გადმოგვიგდებენ თვის პირველი ნახევრის გროშებს, რომელთაც აღარავითარი სყიდვითი უნარი და გასავალი არა აქვს და ვართ ამ საშინელებაში!.. ფული არ არისო?!. ეს ბონებათ გადაქცეული ფული! თან დაწესებულებებში, ქარხნებში, და ყველგან სწარმოებს განუწყვეტელი „შემცირება“ მუშა-მოსამსახურეთა! ჰყრიან მათ ქუჩებში უადგილოთ, ულუკმაპუროდ! ორ კვირაში თუ ვერ მოეწყვე ახალ ადგილზე, პურის წიგნაკი ჩამოგერთმევათ თქვენ და თქვენს კმაყოფაზე მყოფთ ოჯახის წევრებს და შიმშილით უნდა სული ამოგხდეთ!.. თან გაზეთებში არის ერთი მიხლა-მოხლა „თესვის კამპანიების“ ჩატარებაზე, სოცშეჯიბრზე და დამკვრელობაზე, ბამბის მოყვანაზე, თამბაქოზე და სხვა ასეთ სამუშაოებზე. მაგრამ ვინ რა უნდა იმუშაოს, როდე-

საც მუცელში არაქათი აღარ არის, ძალღონე გამოლეულია შიმშილისაგან!.. ამავე დროს მმართველ წრეებში არის დიდი განცხრომა, ჭამა-სმა-ჩაცმა-დახურვა-სიამოვნება-დროსტარება ისეთი, რომელიც დაუჯერებელია, ნამდვილი რო არ იყოს! შეიქმნა რაღაც ახალი ფორმა ახალი „კლასებისა“, ახალი ფორმა „უთანასწორობისა“, ახალი დაბეჩავებისა, ახალი გაბატონებისა!... დავიჯერო, ეს არის „მარქსიზმი“?.. ეს არის „ლენინიზმი“?.. არა მგონი!.. ეს აშკარა თვითნებობა, აშკარა გაყალბებაა ყოველგვარი სოც-მოძღვრებისა და პროგრამისა. ეს ნიშნავს – „მოგერიე, დაგიმონავეო“! ძალა-უფლება ხელთა აქვთ – განუკითხავი, განუსაზღვრელი! მთელი აპარატი ხელთუჭერიათ! აპარატი და აპარატის მმართველნი მადლიერნი და კმაყოფილნი არიან! ესენი ვერც კი გრძნობენ, თუ რა დღეში ვართ სხვანი! ამაზეა ნათქვამი: „მაძღარ ხუცესს, დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“! ანუ რუსულად: „Сытый голодного не разумеет“!.. თურმე ისე შეეჩვევი ასეთ „მაძღრობა-განუკითხაობას“, რომ გეგონება – „ესეც ასე უნდაო“!.. კიბეზე ზოგი ადიან, ზოგნიც ჩამოდიან! აი, თურმე რა ხდება! რის ძმობა? რის ერთობა? რის თავისუფლება?! რის „ამხანაგობა“. ეს სიტყვა კი ყველას პირზე გვაკერია – „ამხანაგოო“!.. ვინც იცოცხლებს, ბევრს რასმეს და საკვირველებას მოესწრება!..

ეკლესიურ წრეებში. ეპისკოპოსი ეფრემი

ეს სულ 4-5 წელიწადია, რაც ეპისკოპოსად აკურთხეს; აკურთხა ის ქრისტეფორე კათალიკოსმა. ეფრემი გვარად სიდამონიძეა, ქართლელი. ტფილისის სემინარიის ოთხი კლასი აქვს დასრულებული. არის წამკითხავი, მგალობელი, ენა ჭარტალა, ახალგაზრდა – სულ არ იქნება 30 წლისა. ეპარქიაში არავინ არის და არც ეს მიდის. ჯერ ნავთლუღის წმ. ბარბალეს სამრევლოში იყო მღვდლობის ადგილზე, იქიდან მამადავითში, აქედან სიონში გადაიყვანა ქრისტეფორემ თავისთან – ისევ ღვდლის ადგილზე. არის ეფრემი ძლიერ გართული რუსის „მორწმუნე დედაკაცობაში“, ესენი უზიდავენ მას შაქარს, პურს, საცვლებს და ყოველივე ასეთს, ხელს უწყობენ – „ინტერესნი“ ეპისკოპოსს. ესეც აფერისტობს, რაც ძალი და ღონე შესწევს და სარგებლობს თავის „ახალგაზრდობით“ და დროით, „катается, как сырь в масле“, – როგორც რუსები იტყვიან. ეს ეფრემი, „ჭრიჭინად“ წოდებული, ვერ დაინახა „კარგ თვალზე“ ახალმა კათალიკოსმა კალისტრატემ. ამან განიზრახა მისი სიონიდან განდევნა; მისი შეგონებით სინოდმა წინადადება მისცა ეფრემს „ურბნისის ეპარქიაში“ (გორში) წასვლა, სიონიდან უსათუოდ გასვლა! აბა, სად არის ეს „ურბნისის ეპარქია“ – სად მიშვებთ, რომ მგზავნით?! სად წავიდეო?! რატომ თქვენ არ გადიოდით ეპარქიაში და სულ ქვაშვეთში იჯექით, სანამ კათალიკოსობა არ იგდე ხელთო! – უპასუხა კალისტრატეს ეფრემმა და ასტყდა შფოთი! გაიმართა მიწერ-მოწერა, სინოდში ამ მიწერ-მოწერის გარჩევა და შფოთი! ამაზე ეფრემის პასუხები და თავხედო-

ბანი. მესმოდა ყოველივე ასეთი ამბები, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, რა ჩემი საქმე იყო, ან ვინ რას მეკითხებოდა ამ სფეროებიდან სავსებით ჩამოშორებულსა და „ნახუცარ“ კაცს, „ყოფილ ადამიანს“. „ყბად-აღებულსა და წყალ-წაღებულს“! ყური მოვკარი იმასაც, რომ ეფრემი დამუქრებია კალისტრატეს – „მღვდლობას ავიხდი, გადავდგები“, თუ ასეთ იძულებას დამაყენებთ და არსებობის შესაძლებლობას მომისპობო! ამაზე კათალიკოსს უპასუხნია: „მღვდლობიდან ნიკიტაიც (ეს მე) კი გადადგა, მაგრამ ჩვენი ეკლესია ამით არ დაღუპულა და არც ქვეყანა დაქცეულაო“! ე. ი. კისერიც მოგიტეხია, რაც გინდა, ის ჰქენი, მე კი თავიდან მომწყდიო! ეს ჰგავს კალისტრატეს გულქვაობას და განუკითხაობას. მაგრამ, როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ეფრემ ეპისკოპოსი 10 ამა მარტს, საღამოს 11 საათზე, კარს მომადგა, დაღუნა თავი და ჩემს ბინაში შემოვიდა, ჩემს ცოლ-შვილში! მეტად აღელვებული იყო. მოსვლისთანავე ცივი წყალი მოგვთხოვა, მივართვით, დალია, თან კანკალებდა, ღელავდა, ერიდებოდა და თითქოს სცხვენოდა კიდეც. ჩაიც მივართვით, პურიც. დაუყვავეთ, გავამხნევეთ. შემდეგ მოგვიყვა მთელი თავისი თავგადასავალი და ის „აუტანელი“ დევნა-ყვედრება და ინტრიგები, რომელსაც ის განიცდის სიონში – კათალიკოსისაგან, დეკ. ტყემალაძისაგან, სინოდის კანცელიარიის გამგის დეკ. ნაცვლიშვილისაგან, რომ მას სიონში აღარ აყენებენ, სხვაგან წასასვლელი გზა არსად აქვს; ამჟამად ეპარქიაში წასვლა, სადაც აღარავითარი ნასახი ეპარქიისა აღარ არის, არც თავშესაფარი ექნება სადმე, არც სამღვდელოება ჰყავს, არც წირვა-ლოცვის წარმოებაა, შეუძლებელია; ხელისუფლებაც არ გამიშვებს ვიმოქმედო რაიმეს შესაქმნელად, მაშინვე დამაპატიმრებენო და სხვა ასეთი საჩივრებით მომმართა ეფრემმა. კათალიკოსი არ შევიდა ასეთი ვითარების განხილვაში და სიონში დატოვებაზე და იქიდან ეპარქიის მართვაზე გადაჭრით უარი მიიღო – „никогда“-ო, ასე მიპასუხა სხარტულადო. შემდეგ წამიკითხა, თუ როგორი რეზოლიუციები გამოუტანია სინოდს და კათალიკოს ამ თაობაზე, როგორი პასუხები მიუცია ეფრემს ამაზე, თუ როგორ ბოლოს სინოდი და კათალიკოზი შესულან მის მდგომარეობაში და მისთვის მიუციათ ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრობა, როდესაც იმ ტაძარს ჰყავს კიდეც თავისი წინამძღვარი-დეკანოზი, რომელიც დიდ ნივთიერ გაჭირებას განიცდის იქ და მე როგორღა უნდა მივადგე მას კარზეო. ბოლოს ის გამოვიდა, რომ იძულებული ვარ – ანაფორა გავიხადო და რომელიმე ინსტიტუტში შევიდე სასწავლათო, რას მირჩევთ თქვენ ამ ჩემს განზრახვისა გამოო?! მე უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენი თავი! თან ეჭვიც დამებადა – შემოჩენილი ხო არ არის ეს ვინმესგნით, ხო არ სურს, რაიმე დამტყუოს და შემდეგ საქვეყნოდ დამდოს თქო და, რაც შეიძლება, თავდაჭერილად მივეგებე მის ასეთ შეკითხვას. ეს მით უმეტეს, რომ, როდესაც 1924 წელს 2 ივლისს ჩემთან საღამოს 9 საათზე – ბინაზე „უცნობი ორი მოციქულები მესტუმრენ „მორწმუნე საზოგადოების“ სახელით და მოკვლით დამემუქრენ და როდესაც ეს „მოციქულები“ მე სათანადო პასუხით გავისტუმრე, ქუჩაში გაუშვი ჩემი ბინიდან და კარები

გაუღე, მაშინ კარებთან ატუზული ვნახე ეს ეფრემი, მაშინ მღვდელ-მონაზონი, მას თან ახლდა სიონის სტოროჟი – ვინმე ვასო (გვარი აღარ მახსოვს, ისე კი ვცნობ, ვინც არის). ეს ეფრემი ამ „მოციქულებს“ უკან წამოჰყოლია „რეზერვში“ – თუ ვინიცობაა, მათ მე რაიმე უსიამოვნებას შევახვედრებდი. მე მაშინ ეფრემს ასეთი სიტყვებით მივმართე: – აა! შენც ამათ მოჰყოლიხარ თქო! – და სახეში მივაფურთხე! – ა, მამაო, ჩემი ტერორისტები, – უჩვენე გამალებით მიმავალ ორ ახალგაზრდებზე, რომელიც ჩემი ბინიდან, ის იყო, მე გამოუშვი!.. ამის შემდეგ ეფრემის ჩემთან მოსვლა მე საეჭვოდ მივიჩნიე, მაგრამ პასუხი მაინც უნდა მიმეცა და მივეცი კიდეც: „აბა, მე რა რჩევა-დარიგება უნდა მოგცე თქო?! მე უკვე ღირსებაახდილი კაცი ვარ, ჩემ თავს ვერ გაუძეხი, მე ჩემი თავი ვერ შევინახე, შენ რით უნდა გაგამხნეო, რა უნდა გირჩიო თქო! ისე კი გეტყვი, რომ ჯერ მღვდლის გადადგომა რა არის და ეპისკოპოზის გადადგომა ხო უფრო მეტი სასირცხო და გასაბიაბრუებელი ამბავი იქნება თქო. ეცადე, როგორმე მოეწყვე წმ. ნიკოლოზში, თავი შეინახე, ახალგაზრდა კაცი ხარ, სხვები მოხუცებულები არიან, მალე დაიხოცებიან და შენ საჭირო კაცი იქნები თქო!.. – არა, არ შეიძლება იქ თავის შეფარება, უმწეო, გამოუსვლელ მდგომარეობაში მაგდებს კათალიკოსიო! განა არ შეიძლება, ანაფორა გავიხადო, სწავლაში შევიდე და შემდეგ ისევ დაუბრუნდე ეპისკოპოსობასო?! – არა, არ შეიძლება თქო, – უპასუხე მე, – ერთი, რომ სასწავლებელში არ მიგიღებენ, თუ სამოქალაქო უფლებებში არ აღგადგინა საქართვ. ცეკამ და მეორეც, ანაფორას რო გაიხდი, შემდეგ შენ თვითონ აღარ მოინდომებ უკანვე დაბრუნებას თქო!.. კიდევ ერთხანს ილაქლაქა ამ ახირებულად „გამომცხვარმა“ ეპისკოპოსმა, მერე მთხოვა, ამ ჩემს ამბავს ნურავის ეტყვიო და გამშორდა, წავიდა. მას შემდეგ, აღარ ვიცი, რა ჰქნა, რა ჭკუას დაადგა. მე კი ხშირად ვფიქრობ ამ „მოკითხვაზე“ და მიკვირს-გამკვირებია კალისტრატეს უტაქტობა, გულქვაობა-განუკითხაობა. განა ასეთ შემთხვევაში აგრე უნდა მოექცენ ერთმანეთს ეპისკოპოსები?! ქვეყანას ცეცხლი ეკიდება, ეკლესია თავზე დაენგრათ, ხელში ჩაეფუშათ და ესენი მაინც განაგრძობენ ჭიდაობას, შფოთს, ჭეშმარიტად ღვთისაგან და ისტორიისაგან განწირული ყოფილან ჩვენი სამღვდელო პირნი! ამათში არავითარი რწმენა, არავითარი სათნოება, არავითარი ღვთისნიერობა არ ყოფილა! ეშმაკის კერძნი გამხდარან და დეე, ეშმაკსაც წაუღია მათი სულიცა და ხორციც! „Оставим мертвецам хоронить своих мертвецов“, – ეს მაცხოვრის სიტყვებია...

საქმე ელექტროსადგურებში აღმოჩენილი მავნებლობის შესახებ შაბათი – 15 აპრილი – 33 წ.

გუშინდელ და დღევანდელ გაზეთებში მოყვანილია მოსკოვში წარმოებულ უზენაეს სასამართლო პროცესის ანგარიში ზემოაღნიშნული სათაურით. საქმე იმაშია, რომ გ.პ.უ-ს აღმოუჩენია რუსეთის მსხვილ ელექტროსადგურებში

მოწყობილი მავნებლობა, სადაც ზედიზედ აფუჭებდენ ელექტრონის მოწყობილობებს, ტურბინებს, გენერატორებს, სამხედრო თავდაცვაზე მომუშავე ელექტრონის ქარხნებს. ამ მავნებლობის მომწყობნი ყოფილან ინგლისელი ინჟენერების მთელი ჯგუფი, რომელნიც მოკალათებულნი ყოფილან ინგლისელთა მსხვილ ფირმაში მოსკოვში „მეტროპოლიტენ-ვიკკერსში“. ამ ინჟენრებს მოუნადირებიათ რუსი ინჟენრები, ისინი გაუხდიათ თავიანთ ჯაშუშებათ, მოუსყიდიათ ფულით და აწვდიდენ ინგლისელებს ყოველგვარ ცნობებს სამხედრო-პოლიტიკური ხასიათისას, თან ინგლისელების დავალებებით ანადგურებდენ დიდებულად მოწყობილ ელექტრო სადგურების მანქანებს – „ზლოტოუსტის“ ელექტრონის სადგურზე, ჩელიაბინსკში, მოსკოვში, ბაქოში და სხვაგანაც. ამ ცნობებს ინგლისელები გზავნიდენ ლონდონში. ამ სახით ასუსტებდენ საბჭოთა კავშირის სამხედრო უნარიანობას, სამხედრო მასალების დამამზადებელ სადგურ-ქარხნებს, რომ ომის გამოცხადების შემთხვევაში ხელი შეშლოდათ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში. ამ თაობაზე დაპატიმრებულ ინგლისელ ინჟენერთა შესახებ ინგლისის თემთა პალატაში და პრესაში ასტეხეს მთელი განგაში – რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თითქოს ტყვილა უბრალოდ დააპატიმრა „პატივცემულნი“ ინგლისელი ინჟენრები, რომ ისინი თითქოს არაფერ შვაში არიან, რომ მათ თითქოს სტანჯავენ და აწამებენ ციხეში; მოითხოვდენ გარეშე საქმეთა კომისარ ლიტვინოვისაგან „დაუყონებლივ“ განთავისუფლებას იმ ინჟენერებისა, თორემ – იმუქრებოდენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტით და სხვა. ლიტვინოვმა საკადრისი პასუხი გასცა მოსკოვის ინგლისელ ელჩს ამ თაობაზე – რომ საქმე გამოძიებაშია, გამოძიება უკვე სრულდება, საქმე გადაეცემა სასამართლოს და იქ გამოჩნდება თეთრი და შავიო! რა უფლებით აპირებთ ჩვენს სასამართლოზე და ჩვენს შინაურ საქმეზე ასეთი ზეგავლენის მოხდენასო! ჩვენ ხომ თქვენი კოლონია ან დამოკიდებული თქვენი სახელმწიფო არა ვართო! ჩვენ ერთი უძლიერესი სახელმწიფო შეგვიქნია და არავის არ მივსცემთ უფლებას ჩვენს საქმეებში ხელების ფათურისასო!.. და აი, დაიწყო კიდეც ეს პროცესი! მას ესწრება მთელი წყება (50) საზღვარგარეთის ბეჭდვითი სიტყვის კორესპონდენტები, მთელი უცხოელთა დიპლომატიური კორპუსი, წაკითხულ იქნა ვრცელი საბრალმდებლო ოქმი, დაჰკითხეს ბრალდებულთ ინგლისელებს თუ რუსებს და გამოირკვა ყოვლად საზიზღარი და სამარცხვინო მავნებლობა. ინგლისელები თუ რუსი ინჟენრები, ერთი მეორეს სჭარბობენ სულის სიმდაბლეში თუ მოქალაქობა-ყოფაქცევაში. რა სისულელე არ ჩაუდენიათ, სისულელე, რომელიც სიგიჟეს უდრის. ინგლისელმა ინჟენრებმა აღიარეს თავიანთი თავი დამნაშავეთ, აგრეთვე გამოტყდენ თავიანთ გამყიდველობაში და გამცემლობაში რუსი ინჟენრებიც. ინგლისელი ინჟენრებია: ტორტონი, მაკდონალდი, მონკგაუზ, გრეგორი, ნორდვოლ, კუშვინ. ამათგან წინასწარ გამოძიებაში ყველა გამომტყდარან თავიანთ დანაშაულში, თავი დამნაშავედ უცნიათ, დაწვრილებით უჩვენებიათ, როდის და სად რა ჩაუდენიათ, სად მისულან, ვინ ჰყოლიათ ჯაშუშებად აყვანილი, ვისთვის

რა ცნობების მოგროვება დაუვალებიათ, ვისთვის რამდენი ფული მიუციათ, ამ თაობაზე შედგენილია მათი საკუთარი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ვრცელი ჩვენება. სასამართლოში დაკითხვის დროს რუს დამნაშავეებთან ერთად კატეგორიულად დამნაშავედ უცნია თავის თავი მხოლოდ მაკდონალდს, რომელმაც დაასახელა და ახსნა თავისი ამხანაგების მონაწილეობა და როლი ამ საქმეში. დანარჩენებმა უარი განაცხადეს. მაგრამ მთავარმა პროკურორმა ვიშინსკიმ დაკითხვის დროს ისეთი კითხვებით მიმართა მათ, რომ ყველანი ჩასჭრა, ყველას წარუდგინა მათი წინასწარი ჩვენებები, მათი ხელმოწერილი. – სცნობთ ამას თუ არაო?! – ვსცნობთო, – მიუგეს მას! – თქვენი ხელმოწერილია, თქვენივე დაწერილია თუ არაო. – კი, ჩვენიაო, მაგრამ მაშინ შევშინდით, ვაჟკაცობა დავკარგეთ და რას ვამბობდით ჩვენ თვითონ არ გვესმოდაო. – რამ შეგაშინათ?! ხო არ უწამებიხართ, იძულება ხო არავის დაუტანებია, „მესამე ხარისხის“ ზომები (წამება) ხო არ მოუყენებია ვინმეს თქვენთვისო?! – არაო, – უპასუხეს. – მაშ რაშია საქმე, მაშინ ასე გიჩვენებიათ, ეხლა უარს ამბობთო? შემდეგ პირის-პირობა უყვეს რუს ჯაშუშებთან და ყველაფერი გამოირკვა. თავზე ლაფი დაისხეს, ეს განათლებული კაცები რაღაც უსუსური ბავშების შთაბეჭდილებას ახდენენ. რუსი დამნაშავენი – უმთავრესნი არიან: გუსევი, სოკოლოვი, კოტლიარევსკი, ლობანოვი, ზივერტი, კრაშენიკოვი, სუხორუჩკინი, ზორინი, ოლეინიკი, კუტუზოვა (ქალი) და ლებედევი. ამათ სავსებით აღიარეს თავიანთი დანაშაული და გამოამჟღავნეს თავიანთი დამოკიდებულება და კავშირი აღნიშნულ ინგლისელ ინჟენრებთან, თუ ვის ვისგან, როდის და რამდენი აუღია ქრთამი გამცემლობაში, ზოგს აუღია – 1000 მ., ზოგს – 2000 მ., ზოგს – ხუთი ათასი, ზოგს – 6.000 მ. ერთს – 500 მანეთიც კი! პირდაპირ ზიზღით ივსება ადამიანი, როდესაც ამათ ჩვენებას კითხულობს! პროცესი დაიწყო 12 აპრილს, ის კიდევ გრძელდება. ვნახოთ, რით დამთავრდება.

15 აპრილი – დიდი შაბათი

ხვალ 16/3 – აპრილს აღდგომაა... ცუდი, ცივი, წვიმიანი და ტალახიანი დარება... ტფილისის გარშემო მთები ჩამოთოვილია... სუსხავს... ცივა... სააღდგომო მზადებისა არ არის არავითარი ნიშანწყალი. ბაზარი ცარიელია... მგონი, სოფლებიდან არა უშვებენ ქალაქში... 18 აპრილისათვის მთავრობას საკოლმეურნეო ბაზრობა აქვს გამოცხადებული გარშემო საგარეუბნო, მახლობელ კოლმეურნეთაგან. ალბად მაშინ ჩამოვლენ და ჩამოიტანენ რაიმეს. მაგრამ რა?! ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. ყველაფერზე ისე ასწიეს ფასები, რომ მუშა-მოსამსახურეებს და მდაბიო მოქალაქეთ არაფერზე ხელი არ მიგვიწვდება. სიმინდის ფქვილი ფასობს – 160–170 მანეთი ფუთი, პურის ფქვილი – 250 მანეთი ფუთი; ხორცი კილო – მჭლე – უვარგისი 16–20 მანეთი, კონა წიწმატი – 5 მანეთი, ქათამი – 60–70 მანეთი, ერთი მუშტის-ოდენა ბატკანი –100 მანეთი; ინდოური – 125

მანეთი; ყველი გირვანქა – 25 მანეთი, კარაქი – 35 მანეთი გირვანქა, კვერცხი – 1-50 კაპ. ერთი ცალი; გამომცხვარი შავი პური – გირვანქა 5 მანეთი ქერნარევი; „თეთრი“ – ათასნაირად ნარევი – 6 მანეთი; ღვინო ბოთლი-ლიტრა – 9-10-11-12 მანეთი; ბორჯომის წყალი ერთი ჭიქა გახადეს 30 კაპეიკი, ულუფა-პური მოსამსახურეებსა და მათ კმაყოფაზე მყოფთ ჩამოუყვანეს $^3/_4$ გირვანქამდე, მუშებს – I კატეგორიისას რო 2 გირვანქა პურს აძლევდენ, ეხლა გაუხადეს 500–600–700 გრამი (400 გრამი ერთი გირვ.). აბა, ასეთი „ულუფით“ კუჭი ვის გამოუძღება?! ვშიმშილობთ, ფეხები გვეკეცება შიმშილისაგან. ასეთ საზღაპრო სიძვირის დროს მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირი დაუკლეს, საგრძნობლად შეუმცირეს და იმასაც თვეობით და ორი თვეობითაც, სამითაც (მასწავლებლობაში) არ იძლევიან! დიდ გაჭირებას განიცდიან ეს მუშა-მოსამსახურენი! არის უკმაყოფილება, დაჩივლება, მაგრამ ხმამაღლა ვის შეუძლია დაილაპარაკოს. შიმშილობის ნიადაგზე მოდებულია ათასგვარი გადამდები სნეულება. მძვინვარებს მუცლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, შიმშილის ტიფი! ხალხი იჟუჟღება ბუზივით. ამბობენ, შიმშილობის ჟამიც არის ქალაქში გაჩენილიო (мировая язва). ასეთი აღდგომა გვითენდება წელს. ყოველწლობით სულ უკან-უკან მივდივართ... სოფლადაც საშინელება ტრიალებს... მთელი რუსეთი დამშეულია... ბაქოში დიდი გაჭირებაა... ტფილისში გამორბიან იქიდან... აქ სამოთხეა შედარებითო... ქალაქების შეხალვათება, დაცლა სურთ, გადასახლება ხალხისა, ვინც საიდანაც მოსულან, იქით. პასპორტიზაცია გატარდება ტფილისში ივლისშიო... ბაქოში უკვე ჩატარებულა, მოსკოვშიც, ტარდება სხვა დიდ ქალაქებშიაც!.. ერთი სიტყვით, დიდი განსაცდელი მოგვდგომია კარს და არ ვიცით, რა დღე მოგველის. ძველი დოვლათი გამოილია, დაიკარგა, ახალი დოვლათი ვერ შეიქმნა, ფართი-ფურთია ჯერ-ჯერობით, სხვა არაფერი. თვით კოლმეურნეებს არა აქვთ და რაც აქვთ, იმასაც მამასისხლად აფასებენ, რასაც ფასი დაედვა, იმას ძირს აღარავინ დაუშვებს! ასეთი ვაჭრობა განა ვაჭრობაა?! სადაც კონკურენცია არ არის, იქ განა ვაჭრობა შეიძლება?! დღეს არის მხოლოდ საშინელი სპეკულიაცია! ძველი და კერძო ვაჭრები აღარ არიან! ეხლა არიან კოოპერატივები, დახურული თუ დაუხურავი, ტრესტები, კომბინატები და ასეთები, ესენია, რო აჩაღებენ საშინელ სპეკულიაციას, რომლის მსგავსი არ სმენია ჯერ ჩვენს ყურს. სანამდე მიგვიყვანს ასეთი ვითარება, უკვე ცხადია, ვიჟუჟღებით, ვიხოცებით. და რაღა გვეაღდგომება. კალისტრატე კათალიკოსი კი – მაძღრად არის, ისიც და მისი „ხუცობის წრე“. დიდ ხუთშაბათს „ფერხთაბანა“ გადაუხდია, მირონიც კი უკურთხებია! მაგრამ რო აღარავინ იცხებს იმ „მირონს“?! სადღაა ნათვლა, ქორწინება – დამარხვა – ანდერძის აგება! ამას რას დაგიდევს კირ-კალისტრატე?! ის თავს იქცევს, ჯერ სასუსნავი აქვს, შემოსდის სანთლის „ოპერაციიდან“. წინეთ რო ჩხირი სანთელი ორკაპეიკიანი იყო, ის დღეს საყდრებში მანეთად იყიდება თითო!.. საკვირველებაა...

16/3 – აპრილი – აღდგომა
ლიტანია ანჩხათში

გათენდა 33 წლის აღდგომა. ცივი, წვიმიანი და ქარიანი დარია. „არსაიდან ხმა! არსით ძახილი“! სადღაა „ადგომის ჟრიამული“! ან „შუაღამე რო გადავიდა“ – არც „ზარის რეკა ამტყდარა“, არც „ზარბაზანს დაუჭექია“! რაღაც თითქოს სამგლოვიარო ზეწარი გადაჰფარებია ამ ჩვენს დედაქალაქს და საერთოდ საქართველოს! მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს კუთხეში ამოჰხადეს ეკლესიას ენა! სხვაგან ჯერ კიდევ გაისმის ზარის ხმა, მეტყველებს ის მაინც! წინა დღეებში ანჩისხატის ტაძარში შედიოდენ და გამოდიოდენ ბოდბის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ყოფილი მოლოზნები – რუსის დედაკაცები, მოლოზნურად ჩაცმულ-დახურულნი. ესენი იმ მონასტრის გაუქმების და დაყრუების შემდეგ, თავშეფარებულნი იყვნენ ტფილისში არსებულ იმავ მონასტრის კარის (პოდვორიე) მონასტერში, სადაც გაჩაღებული ჰქონდათ რუსული წირვა-ლოცვა. შემდეგ ეს „პოდვორიე“ სამრევლო ტაძრად გახადეს, მოლოზნების მგალობელთა გუნდი და სეფისკვრების მცხობელნი ისევ დარჩნენ იქ. მაგრამ 15 დღის წინეთ ის „პოდვორიე“ სულ გააუქმეს, ტაძარი საცხოვრებელ სახლად ჩამოართვა მთავრობამ, ეკლესიის მღვდელი (დეკ. ლაზარე ნათიძე), თავისი „მრევლით“ სამების ეკლესიაში გადაიბარგა, სადაც წინეთ გადაბარგებული იყო კალოუბნის კრებული და მრევლი. ნაწილი მოლოზნებისა კათალიკოსმა კალისტრატემ მოაწყო სიონში, ნაწილი სამებაში იღვწის, ნაწილი ანჩისხატის დეკანოზს – მიხეილ მახათაძეს შეჰკედლებია თავისი „დედა-იღუმენიით“ („матушка-игумения“) ნინოთი. ეს თავადი ვაჩნაძის ქალია, ახოვანი, ლამაზი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანი. ეს ბოდბის მონასტერშია აღზრდილი „რუსულად“ და გარუსებული. ეს ტრიალებდა ანჩისხატში თავისი მოლოზნებით დიდ პარასკევს, დიდ შაბათს და აღდგომასაც – ლიტანიაზე. სულ რვა ადამიანი დაესწრო ამ ლიტანიას! ყველაფერი, რასაკვირველია, იყო რუსულად. მხოლოდ ქართული „ქრისტე აღსდგას“ მოტივი მოსწონთ რუსებსაც და შიგა და შიგ ჩაურევდენ ხოლმე ქართულ ქრისტე აღსდგას. ჩვენ ოჯახში გვყავს ქართლელი 12-13 წლის ქალი, რომელიც პირველად მოხვდა ეკლესიაში, ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე და ეკლესიის წესრიგ-ადათზე მას არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვს, მათი მღვდელი 24 წელში, ტირიფონის მინდორზე გაიყვანეს და დახვრიტეს (ვინმე ალექსანდრე ბიბილური), ბერშუეთის ტაძარი მას შემდეგ დაყრუებულია, მღვდელს აღარ გაუჭაჭანებია იმ მხარეზე. აი, იქაურია ის გოგონა, რომელიც შემთხვევით დაესწრო ანჩისხატის ლიტანიას წელს. აბა, რუსულს რას გაიგებდა, მაგრამ ქართული „ქრისტე აღზდგას“ გალობიდან მხოლოდ ყურში ჩავარდნია ეს სიტყვები: „ოო, სიკვდილო, სიკვდილოო“! რო ამოვიდა სახლში, გვეკითხება მანა (გოგონას სახელია): „პაპა, რას მღეროდენ ის რუსის დედაკაცებიი, იციი?! – რასა და – „ოო, სიკვდილო, სიკვდილოო“! ჩვენ, პირველად სიცილი შეგვსქდა! შემდეგ, ერთმანეთს შევხედეთ მე და ჩემმა მეუღლემ და მწარედ გავიღიმეთ. „ოღონდაც, სიკვდილო, სიკვდილოო“! ჩავი-

ლაპარაკეთ – და ვსდუმენით. სიონში კი კაიძალი ხალხი შეკრებილიყო, დიდძალი ბიჭ-ბუჭობა, სააგიტაციოთ, სამასხარაოდ, აღდგომის გასამასხარებლად. როდესაც კათალიკოზი კალისტრატე წამომდგარა, დიკირი-ტრიკირით ხელში, ხალხისთვის ქრისტე აღზდგა მიულოცია, ხალხიდან – ბიჭ-ბუჭებს შეუძახნია მისთვის: „ისე მამაშენი აღსდგა, როგორც ქრისტე აღდგაო“!..

ასეთი მშიერი აღდგომა ჯერ არ გაგვთენებია, ხორცეულობაზე კბილი ჩვენისთანა მოქალაქეთ არ დაუდგამთ, ლობიოთი გავითენეთ აღდგომა, თითქოს მიცვალებული გვყოლოდეს ოჯახში... დიდი შიმშილობაა... ავათმყოფობა... სიკვდილი ღონივრად იქნევს თავის ცელს ამ დამშეულ ხალხში და გვცელავს, გვთიბავს.

17 აპრილი

დღეს და ხვალ მიცვალებულებს მიულოცავენ აღდგომას. ხალხი სასაფლაობისკენ გაექანა. ცივი, მაგრამ უწვიმარი დღეა. ხალხმა აქ იოხა დამწუხრებული გული. დადიან მღვდლები ოლარ გადმოკიდებულები, გადადიან საფლავიდან საფლავზე, ჩქარობენ, წაილულღლუღებენ ქრისტე აღზდგას და მორწმუნეებს ხელში უცქერიან – აბა, რას გაიმეტებენო!.. და აგროვებენ ფულს, პურის ნამტვრევებს, შიგა და შიგ წითელ კვერცხებს, ათასში ერთხელ რაღაც პასქის მსგავსიც მოსჩანს საკურთხად გამოტანილი. ავსებენ კალათებს სახლში წასაღებად. იქ გაითენეს მათ და სხვებმაც... აღდგომა.

სამღდელოების დაჯილდოება

ამ სააღდგომოდ კალისტრატე კათალიკოსმა, თავისი სინოდით, დააჯილდოვა ქალაქის სამღვდელოება „მიტრებით“. დაჯილდოებულნი არიან: სინოდის წევრები – დეკანოზები – გიორგი გამრეკელი და ბენიამენ კანდელაკი. პირველი წმ. ნინოს სასაფლაოს მეორე მღვდლათ არის (პირველი მღვდელი დეკ. დ. ხახუტაშვილი უფრო წინეთ იყო მიტრით დაჯილდოებული), მეორე – კანდელაკი – პეტრე-პავლეს სასაფლაოს დეკანოზია, „რასპუტინად“ წოდებული (გახრწნილი ყოფაქცევისა გამო, ხოლო გამრეკელი – საძმო შემოსავალში – ქურდობისათვის არა ერთ გზის გასამართლებული, თავლაფ-დასხმული, საკურთხეველში ნატყეპნაცემი ამ ნიადაგზე, ამ ჟამად კი სინოდის წევრი-მიტროფორნი დეკანოზი). დაჯილდოებულია მიტრით სინოდის კანცელიარიის გამგე – დეკ. მიხეილ ნაცვლიშვილი, ბოდბის მონასტერში რუს-იღუმენია-მოლოზნებში სახელგანთქმული თავისი უსაქციელობით; დაუჯილდოებიათ მიტრით, დიდუბის მეორე მღვდელი დეკ. იროდიონ გურგენიძე, უკვე ღრმად მოხუცი და მეტად უფერული სამღვდელო პირი და კალოუბნის – ეხლა სამების – დეკანოზი იოანე ცქიტიშ-

ვილი, ქალაქის სამღვდელოების მთავარ-ხუცესი. ერთი სიტყვით, როდესაც ყველა მღვდელი გაადეკანოზეს, ეხლა მათ მიტრებს აძლევენ! ერთი მხრით ეს საგულისხმო მოვლენაა მით, რომ „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად“! საკვირველია, ეკლესია თავზე დაენგრათ, თავზე ნაცარს უნდა იყრიდენ და ესენი „სოკოებს“ იხურავენ თავზე! მიკვირს, სად არის ამდენი მიტრები?!..

პროფესორი-ექიმი ვახტანგ მუსხელიშვილისა და საქართველოს მეორე სახელმწიფო დრამის ხელმძღვანელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალება

პირველი გარდაიცვალა ტფილისში 15 აპრილს გულის სიდამბლით, მეორე კი მოსკოვში 16 აპრილს, სადაც მიწვეული ყოფილა შილერის „დონ კარლოსის“ დასადგმელად. ვახტანგი გამოჩენილი თვალის ექიმი იყო, კარგი მსწავლული ექიმი სპეციალისტი, მეორე – გამოჩენილი რეჟისორი, რომელიც 1922 წლიდან ქართულ თეატრში მუშაობდა, წინეთ კი მოსკოვისა და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების თეატრებში. რუსთაველის თეატრში მას თანაშემწედ ჰყავდა ალექსანდრე ახმეტელი (კომუნისტია), რომელმაც ვერ იგუა მარჯანიშვილი, გააძევა იქიდან და მარჯანიშვილმა შექმნა „მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი“ ზუბალაშვილის სახალხო სახლში. დიდი ქიშპობა და უსიამოვნება ჰქონდათ ერთმანეთში. ორი ქართველი ერთად ვერ სძოვს. ეს ყოფილა ჩვენი მოწამლული ბუნება. ორთავენი დიდებული თეატრის ოსტატები იყვნენ.

ვახტანგი უკვე დაასაფლავეს დიდუბის „პანთეონში“, მარჯანიშვილს მოასვენებენ მოსკოვიდან. დიდძალმა საზოგადოებამ გააცილა საფლავის პირამდე. მარჯანიშვილს კრემაციას უკეთებენ მოსკოვში – ფერფლად უნდა აქციონ და ურნით ჩამოასვენებენ ტფილისში. მოსკოვში დელეგაცია გაემგზავრა ტფილისიდან, მათ შორის მეორე ცოლი მარჯანიშვილისა – არტისტი ქალი დონაური – გვარად. პირველი ცოლი გაშვებული ჰყავს – ერთად ერთი ვაჟით. დედა-შვილმა ერთხელ გამოაცხადეს სამგლოვიარო განცხადებით გაზეთში და სდუმან. ბევრი იწერება გაზეთებში მარჯანიშვილზე, როგორც თეატრის უბადლო ხელოვანზე; ის იყო გამოჩენილი რეჟისორი, სცენაზე განმსახიერებელი პიესებისა.დაბადებიდან 60 წლის გარდაცვლილა – უეცრივ, სისხლი ჩაჰქცევია ტვინში, ძლიერ ბევრს მუშაობდა ამ ბოლო დროს ტფილისში თუ მოსკოვში, იქ სდგამდა ამ ჟამად დონ-კარლოსს და სხვა და სხვა პიესებსაც სხვა და სხვა სცენებზე და ვეღარ აიტანა ამდენი მღელვარე, დაუცხრომელი მუშაობა.

განაჩენი მოსკოვის მავნებლებზე

დიდი პროცესი ჩატარდა ამ თაობაზე მოსკოვში. ანგარიში პროცესისა იყო გამანადგურებელი და თავლაფდამსხმელი ინგლისის მთავრობაზე. დიდი მასშტაბით

სწარმოებდა ელექტრო-სადგურებზე მავნებლობა, რომელსაც აწარმოებდა „მეტროპოლიტენ ვიკკერსის“ ხელმძღვანელი – ინჟენ. ტორტონი. პროკურორობდა ვინმე ვიშინსკი – მეტად მოხერხებულად, ჭკუა-ენამახვილად, ყველაფერი აღიარებინა დამნაშავეთ. განაჩენი გამოიტანეს დიპლომატიური მიდგომით, დახვრეტა ელოდა ყველას, მაგრამ არავის მიუსაჯეს დახვრეტა. ტორტონს მიუსაჯეს – 3 წელიწადი ციხე, მაკდონალდს – ორი, რუს მოღალატეებს – ზოგს – 10, ზოგს – 8-5 – 3-2 წელი. სამ ინგლისელს მიუსაჯეს, გარდა იმ ორისა, სამი დღის ვადაში დასტოვონ საბჭოთა კავშირის საზღვრები. დიდი ალიაქოთი გამოიწვია განაჩენმა მსოფლიოს პრესაში, ყველანი ამტყუნებენ ინგლისის მთავრობას, უწუნებენ საქციელს, მოსწონთ განაჩენი, როგორც გადმოგვცემენ ჩვენი გაზეთები.

კოტე მარჯანიშვილის ნეშტის დაკრძალვა – 29 აპრილს

კოტეს ურნა ჩამოასვენეს 28 აპრილს საღამოს პირზე. სადგურზე შეეგება მოსკოვისა და ჩვენს დელეგაციებს მთავრობის წარმომადგენლები, ტფილისის თეატრების მუშაკნი და ზღვა ხალხი. პროცესია გამოატარეს სახ-კინოს სასახლესთან. იქიდან პროშექტორები აშუქებდა პლეხანოვის მთელს პროსპექტს. პროცესია გადაიღეს ლენტზე. ურნა წამოასვენეს მარჯანიშვილის სახელობის მეორე სახ-ქართულ თეატრში, იქ დაასვენეს და გადაიხადეს სამოქალაქო პანაშვიდი. უამრავი ხალხი ტრიალებდა თეატრში და მის გარშემო ქუჩებში (ჟორესის და სხვა). ღამე იქ გაათევიეს ურნას. 29 აპრილს ნაშვადღევის 4 საათზე დიდძალ ხალხს მოუყრია თავი თეატრში და თეატრთან. სცენაზე თავი მოუყრია თეატრის დასს, რომელიც უნდა გამოეთხოვოს თავის ხელმძღვანელს, მასწავლებელს. 5 საათზე ურნა ტახტრევანზე დადგმული გამოასვენეს ქუჩაში, იქვე აღმართული ტრიბუნიდან გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს მსახიობი მ. ლორთქიფანიძე. სრულ 5 საათზე პროცესია გაემართა ელბაქიძის აღმართისაკენ (ვერის აღმართ-დაღმართი). ჩინებული წესრიგია. მთელი ქუჩა ადგილიდანადგილამდე შეკრულია წითელი რკალით. პროცესიას წინ მიუძღვის ტრაურით შემოსილი წითელი დროშა, რომელსაც უკან მიჰყვებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები, მათ მოშორებით – საქართველოს მწერალთა დელეგაცია, უკან მიასვენებენ მარჯანიშვილის გადიდებულ სურათს, სურათის შემდეგ არტისტები მიასვენებენ ურნას – ფერფლით, რომელსაც უკან მიჰყვებიან მე-2 სახ. თეატრისა და რუსთაველის თეატრის არტისტები და მათ შემდეგ უამრავი-ზღვა ხალხი. გზა და გზა სიტყვებს წარმოსთქვამენ. პროცესია გაიშალა რუსთაველის პროსპექტზე, მიუახლოვდა საოპერო თეატრს. ტრიბუნის წინ აღმართულ ესტრადაზე ოპერის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი. სამგლოვიარო ტახტრევანი დასდგეს ტრიბუნაზე, შემკულია მრავალი გვირგვინებით. სიმფ. ორკ. ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. ტრიბუნაზე ავიდენ მოსკოვის თეატრების დელეგატები, მწერლები, არტისტები, მხატვრები და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მთავრობიდან დაკრძალვას დაესწრენ ა/კ. და საკ. ცაკის თავმჯდომარე ფ.

მახარაძე და საქ. ცაკის მდივანი თ. ჟღენტი. დაიწყო გამოსათხოვარი სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ა/კ. ცაკის მდივანმა სილია თოდრიამ. მის შემდეგ რ.ს.ფ.რ.-ს განსახკომის წარმომადგენელი ნოვიცკი, რომელმაც კოტეს უწოდა ჩვენი რევოლიუციური საბჭოთა ეპოქის რეჟისორი. მერმე სიტყვას ამბობენ: ს. ამაღლობელი, მწერ. კავშირიდან – ბ. ჟღენტი, მუშების სახელით – ჭიჭინაძე. ბრწყინვალე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ, მის შემდეგ ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა რუსთაველის თეატრის არტისტმა აკაკი ვასაძემ. ბოლოს მარჯ. სახ. თეატრის მსახიობმა შ. ღამბაშიძემ. სახ. ოპერის ქალმა ცაგურიამ, ორკესტრთან და გუნდთან ერთად, შეასრულა გლოვის ჰანგი ოპერა „დაისიდან“ – „თაო ჩემო“. 7 საათზე ტახტრევანი ურნით დასძრეს ბაღისაკენ და იქ ვანო სარაჯიშვილის გვერდით ჩაასვენეს ურნა აკლდამაში. დიდებული, სახელოვანი დაკრძალვა იყო.

1933 წლის 1-ლი მაისი – ორშაბათი

კარგი დღეა, თუმცა ჰქრის ცივი ქარი. დემონსტრაცია ჩაატარეს ჩვეულებრივი ბოლშევიკური დისციპლინით და წესრიგით. გამოიყვანეს ჯარი, ყველა წოდების იარაღის წარმომადგენლობით, ახალგაზრდა ჯარს ფიცი მიაღებიეს. შემდეგ დაიძრა ყველა ორგანიზაციათა უამრავი მუშა მოსამსახურეები, პლაკატებით, მთელი ტყე დროშებით, სხვა და სხვა კარიკატურებით. გზა და გზა მთავრობის წარმომადგენლების ტრიბუნები იყო აღმართული, საიდანაც მთავრობა სალამს აძლევდა დემონსტრანტებს, გაისმოდა „ურას“ გრიალი; გრიალებდა სასულე ორკესტრები განუწყვეტელი სხვა და სხვა ჰანგის მარშებით. უკანასკნელი დიდი ტრიბუნა იყო სასახლესთან და შემდეგ დემონსტრაცია მიდი-მოდიოდა სახლში. საღამოზე ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. შთაბეჭდილება იყო შექმნილი დიადი, ბედნიერებისა და კმაყოფილების გამოხატულებით. ნამდვილად კი ყოველივე ეს ხდებოდა მშიერ კუჭზე – დიდი უმრავლესობისათვის. ვერავითარი სანოვაგე ვერ მოგვაწოდეს, გარდა იმ $^{3}/_{4}$ გირ. პურისა – მოსამსახურეებს და 600 გრამის – მუშებს. რასაკვირველია, უმცირესობა გალაღებული იყო. იმ დღეს სამი დღის მოხარშული და უკვე ამჟავებული ლობიოთი გავითენე 1-ლი მაისი. პარტახტიანი ტიფი მძვინვარებს ქალაქში, ხალხი იჟუჟღება. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ინასკვება რაღაც კონფლიქტი მანჯურია-იაპონიასთან, ამათ გადაწყვეტილი აქვთ ამ გზის ჩასანსვლა-წართმევა საბჭოთა კავშირისაგან. მაგრამ ეს უკანასკნელი, მგონი, უომრად დასთმობს ამ გზას. იაპონია ნამდვილ ომს აწარმოებს შიგ ჩინეთში, უკანასკნელი ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს იაპონელთა ჯარებს, შიგა და შიგ ამარცხებს კიდეც მათ, მაგრამ საბოლოოდ, აბა, რას გახდება! ევროპა – ლიგა ნაციათა – გულზე ხელ-დაკრეფილი – უცქერის უთანასწორო ომის სურათს, თუ როგორ იჟლიტება ჩინელები. ამერიკაში ინგლისის პრემიერი – მაკდონალდი და საფრანგეთის საგარეო მინისტრი – ერიო

იყვნენ ვაშინგტონში, ეთათბირენ პრეზიდენტ რუზველტს – სამშვიდობო კონ-ფერენციაზე, განიარაღებაზე, ვალებზე, მაგრამ საბოლოო შეთანხმებას ვერას მიაღწიესო, – სწერენ ჩვენი გაზეთები...

ჰიტლერი მძვინვარებს გერმანიაში, ჟუჟღავს-ანადგურებს კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს; სდ-ში ეგუებიან ჰიტლერის პოლიტიკას, სცდილობენ შეეგუონ, კომუნისტები არალეგალურად განაგრძობენ უთანასწორ ბრძოლას ფაშიზმთან. იტალიაში უკვე განმტკიცებულია ფაშიზმი, რომელსაც ეხლა გერმანიაში განამტკიცებს ჰიტლერი. კრიზისი ეკონომიური გრძელდება მთელ მსოფლიოში, მხოლოდ საბჭოთა კავშირში არ არის ეს კრიზისიო, – გვარ-წმუნებენ გაზეთები და მოხსენებები ყოველ დღე!..

23 მაისი – სამშაბათი
აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ბედი

ზემოდ აღნიშნული მქონდა, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდება ამ გზაზე ხელი აიღოს უომრად. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავი ყოფილა. ამასწი-ნეთ გაზეთებში დაიბეჭდა საგარეო საქმეთა კომისარის – ლიტვინოვის ვრცელი წერილი, სადაც ის აშქარად აცხადებდა, რომ ვინაიდან ამ გზაზე „ხუნხუზების“ განუწყვეტელი თავდასხმები ხდება, გზის ნორმალურად მართვა შეუძლებელი შეიქნა, ასეთ მდგომარეობაში გზა ზარალისა და უსიამოვნების მეტს არას მოგვ-ცემს, ეს გზა გამოიწვევს იაპონია-მანჯურიასთან დამოკიდებულების გამწვავებას, რაც ჩვენ სრულებით არა გვსურსო; ეს გზა კი გაიყვანა მეფის მთავრობამ იმპერი-ალისტური მიზნებით – მანჯურიაში გაბატონების მიზნით, რომელ მიზანს მშვი-დობიანობის მოყვარული საბჭოთა კავშირი სრულებითაც არ იზიარებს, ამიტომ წინადადება მივეცით იაპონიასა და მანჯურიას, ეს გზა შეისყიდონო. მაშ, ცხადია, გზას ჰყიდიან, მისი შენარჩუნება შეუძლებელი გამხდარა. დიდძალი ჩვენი კავში-რის მოქალაქენი მსახურებს იმ გზაზე! ამოდენა ხალხი უადგილოდ დარჩება და კავშირში დაბრუნდება! გზა წმინდა შემოსავალს წელიწადში იძლეოდა 60 მილიონს ოქროთი! დიდი, აუნაზღაურებელი ზარალია! დიდი დამარცხებაა ჩვენი! მაგრამ, მგონი, არც გამოსყიდვა იქნება, გზას მუქთად იგდებენ ხელში. დღევანდელ გა-ზეთებში დაბეჭდილია იაპონიის გაზეთებიდან გადმობეჭდილი ცნობები, რომ „ზაბაიკალიეში“ აჯანყდა 5 ათასი ყაძახ რუსებიო, მათ წითელი არმიის ნაწილებიც შეუერთდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო! დამოუკიდებელი „ზაბაიკა-ლიეს“ სახელმწიფოს შექმნა სურთო... უკმაყოფილონი არიან სურსათ-სანოვაგის ნაკლოვანებისა გამოო... ამ „ცნობებს“ კომენტარიებს უკეთებს მთავრობის გა-ზეთი „იზვესტიე“, რომ ყოველივე ეს საზიზღარი ჭორი და ცილის წამებააო და სხვა. მაგრამ ამ ამბებს რაღაც ცუდი სუნი უდის... იქ რთულდება ურთიერთობა, ალბად სურთ საბჭოთა ხელის უფლების ზაბაიკალიედანაც და აღმოსავლეთი ციმბირიდან სულ გადმორეკა. იაპონიამ ფეხქვეშ გათელა და წამოაჩოქა ჩინეთი,

უკანასკნელი ზავს თხოულობს. იაპონია-მანჯურიას ხელ-ფეხი ეხსნებათ და ეხლა ჩვენ მოგვაწვებიან. და ვინ იცის, რა მოგველის. ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტ-მა დიდი ეპისტოლეთი მიმართა 53 სახელმწიფოთა მთავრობას, მოითხოვს საერთო თავდაუსხმელობის მშვიდობიანი „პაქტის“ დადებას, განიარაღებას, მშვიდობიან კონფერენციაზე შეკრებას ლონდონში და მოლაპარაკებას. ყველანი ამ წინადადე-ბას თითქოს სიამოვნებით გამოეხმაურა, იაპონიამაც კი უპასუხა – „გულდასმით განვიხილეთ და მოვისმინეთ თქვენი წინადადებაო“... თვითონ კი განაგრძობს ჩი-ნელების ჟუჟღვას და ეხლა ჩვენს საზღვრებსაც ემუქრება. გერმანია აქოთ-ქოთე-ბულია, ავსტრიაშიც იგივე ამბავი იწყება, რაც გერმანიაშია. გერმანია მოითხოვს შეიარაღების თანასწორუფლებიანობას, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას... ამაზე ინგლისი და შტატები ეკონომიური „სანქციებით“ ემუქრებიან გერმანიას, ხოლო საფრანგეთს მიანდეს – თუ გერმანიამ დაარღვია ვერსალის ზავის პირობე-ბი, საფრანგეთმა უნდა ჯარით დაიკავოს რეინის ვეებერთელა ოლქი – სამხედრო „სანქციით“ უპასუხოს გერმანიას. ასე გამწვავებულია სახელმწიფოთა ურთიერ-თობა. ამავე დროს საფრანგეთის პარლამენტში განიხილეს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანობის „პაქტის“ დადების საკითხი, მიიღეს ეს „პაქტი“, მეგობრობას უცხადებენ საბჭოთა ხელის უფლებას. ეტყობათ, ჩვენი მთავრობა მეფის დროის ვალებს აძლევს საფრანგეთს, ამით მოიმადრიელეს ის და მაგიერში საფრანგეთი შორეულ აღმოსავლეთში დახმარებას გაუწევს, იაპონიაზე ზეგავლენა მოახდინოს, რომ საბჭოთა კავშირს ის შეესიოს! პარიზის გაზეთები კმაყოფილებით მიეგებენ ამ ამბავს! ისინი მოითხოვენ პარიზში რუს თეთრგვარდიელთა სამხედრო ორგა-ნიზაციების დაშლას, „საქართველოს მისიის“ იქიდან გამოძევებას და სხვა. ასეთი ამბებია დღეს ევროპაში! კაცი თავდაბოლოს ვერ გაუგებს ამათ „დიპლომატიას“ ანუ ორპირობა-თვალთმაქცობას...

კომპოზიტორი ბიქტორ დოლიძის გარდაცვალება

გუშინ წინ გარდაიცვალა ეს ახალგაზრდა მუსიკოსი და ხვალ ასაფლავებენ მას. გარდაიცვალა ის პარტახტიანი ტიფით. ბევრი იღუპება ამ სენით! ძლიერ მოდებულია ის. გაზეთებში კი არასა სწერენ. დოლიძეს მუსიკალურ კალამს ეკუთვნის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ ანუ ძველებური „ხანუმა“. მხი-არული მუსიკაა, ჩვენებური ჰანგებით შეზავებული. მაგასვე აქვს დაწერილი ჩინებული დრამატიული ოპერაც „ლეილა“. ამაში ერეკლე მეორე – პატარა კახია გამოყვანილი. როდესაც ეს ოპერა დასდგეს, ხალხში დიდი აღფრთოვა-ნება გამოიწვია ერეკლე მეფის როლმა... და ოპერა მოხსნეს რეპერტუარიდან... მონარქიულ ინსტიქტებს აღვივებსო!.. საკვირველია! რაღა ეს აღვივებს და არა „ბორის გოდუნოვი“ და სხვა ასეთები!.. კიდევ რამოდენიმე ოპერა აქვს დოლიძეს დაწერილი – „ცისანა“ და სხვა და დიდძალი რომანსები. ნიჭიერი კომპოზიტორი იყო და ასე უდროოდ და სულელურად დაიღუპა კაცი!.. ამას

წინეთ ამავ სნეულებით გარდაიცვალა მთავარ საავათმყოფოს ექიმი – ელისო კალანდაძე, რომელიც მკურნალობდა პარტახტიანებს...

24 მაისი – ოთხშაბათი. კომპოზიტორი დოლიძის დასაფლავება

დღეს ხელოვანთა სასახლიდან დიდუბის პანთეონში გაასვენეს და დაასაფლავეს კომპოზიტორი ბიქტორ დოლიძე. ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო. დაახასიათეს წარმოთქმულ სიტყვებში მისი ჯერ კიდევ გაუშლელი ნიჭი მუსიკალურ დარგში.

ისევ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

დღევანდელ გაზეთებში პირდაპირ სწერია, რომ იაპონიის საელჩო მანჯურიაში ხელმძღვანელობას უწევს ამ რკინის გზის მოქმედების ჩაფუშვასო. შეუწყვეტიათ მოძრაობის კავშირი ვლადივასტოკთან, უსურიის რკინის გზასთან. მეტისმეტად თავხედურ ქცევას იჩენენ ამ გზაზე იაპონელები. ჩინეთი დაამსხვრიეს იაპონელებმა და წამოაჩოქეს კიდეც. ჩინეთმა ზავი სთხოვა. დროებითი ზავია უკვე, მხოლოდ პირობები არ არის ჯერ გამოცხადებული. სამხედრო მოქმედება შეუწყვეტიათ. ჩინეთს თავის ჭკუაზე და გემოზე დაიმუშავებენ. იაპონელები შეაიარაღებენ მათ, შემოუსევენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს. არავითარ ყურადღებას იაპონია არ აქცევს ევროპაში აღძრულ საკითხებს განიარაღების თაობაზე და მშვიდობიანობის საკითხებზე, სრულებით ანგარიშს არ უწევენ ისინი არავის. დიდი განსაცდელი მოგველის, თუ მათ ომი აუტეხეს საბჭოთა კავშირს. რკ. გზის გამოსყიდვაზე, აბა, რატო იფიქრებენ, როდესაც მუქთად და ძალით ჩაიგდებენ მას ხელში! როდესაც მოძრაობას მოსპობენ გზაზე და გზა არავითარ შემოსავალს არ მოგვცემს, ძალაუნებურად ხელს აიღებენ ჩვენები ასეთ გზაზე. ომს ყოველი ღონისძიებით ერიდება საბჭოთა კავშირი. დიდი ამბების წინაშე ვდგევართ! შეშფოთებულია მთელი მსოფლიო კრიზისით, ურთიერთობათა გამწვავებით და რევოლიუციის შიშის ზარით.

ეკლესიურ სფეროებში

ამ რვეულის 62 გვერდზე ვსწერდი ბოდბის წმ. ნინოს ყოფილი მონასტრის კარის ეკლესიისა და ვერის ნიკოლოზის ეკლესიის გაუქმებაზე ტფილისში. ეს ორთავე ეკლესია აალაგეს უკვე, წმიდა ნინოს „პოდვორიე“ შეუკედლდა სამების ტაძარს, კალოუბნის მრევლთან და მღვდელთან ერთად. ვერის ნიკოლოზი დაანაწილეს – დეკ. დავით გარსიაშვილი მიაწერეს სიონის ტაძარს; დეკ. ვასილ მატათაშვილი მიაწერეს

ვერის ახალ სასაფლაოს უტაძროდ – მასვე მიაწერეს ამაღლების ტაძარიც, რომლის დეკანოზი ალექსი თევზაძე ჭკუაზე შეიშალა და კაცს სიკვდილი არ აცალეს, ისე მის ადგილზე მიუშვეს მატათაშვილი. თევზაძის ცოლი მივარდნია კათალიკოსს – დაგვაცადეთ სიკვდილი, გაგიჟებულ კაცს სულ ნუ გადამირევთო! გვადროეთ სიკვდილი და შეგვიბრალეთო! „ნასტოიატელი“ ვერისა – დიდი დეკანოზი – ექსარხოსების ნაკლიუჩარევი – ცნობილი გამცემელი და ჯაშუში მათი – ანტონ თოთიბაძე – კათალიკოსმა კალისტრატემ, მისმა „გულითადმა“ მეგობარმა და მისი „მიმართულების“ კაცმა, ეს თავისი „ძმა-ბიჭი“ (ჩემი ტერორების მომგზავნი) ქვაშვეთის ტაძარში მიავლინა მისი ვერის „მრევლითა“ და მზითვებით – „ნასტოიატელად“. მაგრამ, დახეთ, თავხედობას, ქვაშვეთის დეკანოზმა დიმიტრი ლაზარიშვილმა, ეს გალაღებული, დიდი „მოღვაწე“ სასულიერო გვამი არ მიიღო, კუდ ამოძუებული გამოუშვა უკან. „მე რა თქვენზე ნაკლები „ნასტოიატელი“ ვარ, მეყო, რაც კალისტრატე ცინცაძეს ულოლიავე, ეხლა თოთიბაძის თავზე წამოსკუპება აღარ შემიძლიაო. მაგან სადაც თავი შეჰყო, ყველა ტაძარი თავზე დაენგრა: ალექსანდროვის ბაღში სამხედრო ტაძარი, შემდეგ დიდი სამხედრო ტაძარი, ეხლა ვერის ნიკოლოზი და მაგას ქვაშვეთის დაშლაც ხო არა სწადიაო“! – უარი სტკიცა კათალიკოსს დიმიტრიმ თოთიბაძის მიღებაზე. ესეც იძულებული გახდა, თავისი მეგობარიც სიონში მიეყვანა. ბარემ თოთიბაძეს არ ესიამოვნა გალაღებული ვერის შემდეგ ისევ სიონში შეხედვაც კი... აქ მას ბევრი თავისი წარსული „მოღვაწეობა“ მოაგონდება ექსარხოსების დროიდან, მგონი, 10–12 ექსარხოსი გაირონია ხელში და გალეწა ჩვენი სამღვდელობა! თვითონ დაჯილდოვდა ყოველივე სინოდალური ჩინორდენებით, ვლადიმირი – მეორე ხარისხითაც კი – აზნაურობა დაიმსახურა შთამომავლობითი!.. დღეს კი ეხლახან მიტრით დააჯილდოვა ის კალისტრატემ, მაგრამ მიტრასაც ლილა გაუხუნდა! თითქმის ყველანია ეხლა მიტრით დაჯილდოებულნი... ქურდობაში გასამართლებული მღვდლებიც კი... მაგრამ სანამ სანთლის ფულის ოპერაცია სწარმოებს, კალისტრატე ანტონისაც აჭმევს სიონში!.. ასეთი ამბებია დღეს სულმობრძავ „საქართველოს ეკლესიაში“...

2 ივლისი – კვირა – 1933 წელი
მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია ლონდონში

თითქმის ერთი თვეა ეს კონფერენცია გაიხსნა ლონდონში. მთელი მსოფლიოს სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეკრებილან ლონდონში. კონფერენცია დიდის ამბით გახსნა ინგლისის მეფემ. ის თავის შინაარსიან სიტყვაში მოუწოდებდა კონფერენციის დელეგატებს ერთსულოვანი და გულწრფელი მოქმედებისაკენ, რომ ბოლო მოეღოს იმ დიდ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც ეს ამოდენა ხანია სულს უხუთავს კაცობრიობას და სულ მოშალა ნორმალური მიმდინარეობის აღდგენის იმედები სახელმწიფოებში. კონფერენციას თავმჯდომარეობს ინგლისის პრემიერი რამზეი მაკდონალდი. დაიყვნენ დელეგატები კომისიებად, ქვე-კომისიებად, ათასგვარ ქვე-ქვე-კომისიებად... საბჭოთა

კავშირის წარმომადგენელთა სათავეში სდგას ცნობილი კომისარი ლიტვინოვი. ეს ჩვენი კომისარი ძალიან დახელოვნებული დიპლომატია. კონფერენციაზე დიდი სიტყვით გამოვიდა, ნაცარი მიაყარა ყველას თვალებში, თქვენ გაქვთ კრიზისი, თორემ საბჭოთა კავშირში კრიზისი და უმუშევრობა რა არის – არ იცის ხალხმაო! ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას, ვქმნით უკლასო საზოგადოებას, მივდივართ წინ გიგანტური ნაბიჯებით, დიდ აღმშენებლობას ვაწარმოებთ! ჩვენ თქვენი კრიზისის შესანელებლად შეგვიძლია ევროპაში გადმოვისროლოთ ერთი მილიარდის (ოქროთი) შეკვეთებიო და სხვა. ლიტვინოვს ამ „მილიარდით“ სურდა გაუმაძღარი კაპიტალისტური ევროპის ჩაჩუმება, მაგრამ დახე უბედურებას, კონფერენციაზე გამოცხადდა გერმანიის წარმომადგენელი ჰუგენბერგი, ცნობილი გერმანელი პრემიერის – ჰიტლერის კაცი. ჰუგენბერგმა ისეთი მემორანდუმი წარადგინა კონფერენციაზე, რომ ეს უკანასკნელი თითქმის ააფეთქა გადასროლილი ბომბა-ყუმბარებით. ჰუგენბერგმა მოითხოვა გერმანიის აღდგენა და ვერსალის ხლართებიდან განთავისუფლება, აფრიკაში ჩამორთმეული კალონიების (კამერუნი) დაბრუნება; ხოლო რაც თავი და თავია, ჰუგენბერგმა მოითხოვა – მიეცით ენერგიულ, ნიჭიერ გერმანიის ხალხს – რომელსაც გასაქანი სივრცე არა აქვს, რომ გამოიყენოს თავისი გენიალური ნიჭი და შექმნას მსოფლიო ღირებულებანიო, მოითხოვა საბჭოთა კავშირში გერმანიის ხალხის კოლონიზაცია...

ერთი სიტყვით, მოითხოვა საბჭოთა კავშირის დაშლა, რევოლიუციური რღვევა, რყევა და საშინელებანი რუსეთში დაიწყო ომიანობის შემდეგ და ეს საშინელებანი დღემდე გრძელდება იქ. დროა, ყოველივე ამას ბოლო მოეღოსო! – დაასრულა ჰუგენბერგმა თავისი მკვეთრი თავხედური სიტყვა!.. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა კონფერენციაზე და მთელ მსოფლიოზე ასეთი გამოსვლა! ასტყდა კონფერენციაზე ერთი აურ-ზაური! აბა, ვინ გიჟია, რომ გერმანიას დაუბრუნებს ჩამორთმეულ ახალშენებს (ინგლისი და საფრანგეთი); საბჭოთა კავშირი სულ ყალყზე დადგა! ლიტვინოვმა გიჟად გამოაცხადა ჰუგენბერგი! ბერლინში კავშირის წარმომადგენელმა ხინჩუკმა პროტესტის ნოტა წარუდგინა გერმანიის მთავრობას. შემდეგ გაზეთებმა გვაცნობეს, თითქოს გერმანიის მთავრობამ უარჰყო აღნიშნული „მემორანდუმი“, ეს პირადი აზრია ჰუგენბერგისაო, მაგრამ ირკვევა, რომ გერმანია მარტო არაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მას მხარს უჭერენ ინგლისი და იაპონიაც, არ მალავენ და აშკარად აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირთან ჩვენ – კაპიტალისტურმა სახელმწფოებმა რა ეკონომიური ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ, როდესაც იქ ყველაფერი – შინაური თუ გარეშე ვაჭრობა და საქმიანობა მხოლოდ მთავრობასა და პარტიის ხელშიაო და სხვა... კონფერენცია კიდევ განაგრძობს მუშაობას, მაგრამ ამ მუშაობის შედეგებზე ნამდვილი ჩვენ არა ვიცით რა. ჩვენი გაზეთები მეტად უარყოფითად და პესიმისტურად ეპყრობიან ამ კონფერენციას. სხვაფრივ არც შეიძლება მიუდგენ ამ კონფერენციას, კონფერენციის საქმიანობა, გამარჯვება მოასწავებს კაპიტალისტური სახელმწიფოების განმტკიცებას,

სტაბილიზაციას, შეთანხმებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ... აღმოსავლეთში იაპონია განაგრძობს კავშირის წინააღმდეგ ჩხიკინს. რაღაც ინციდენტი შექმნეს კამჩატკაზე – მეთევზეების გარშემო, იქ თავიანთი ნაღმოსანი გაგზავნეს „ინციდენტის“ გამოსარკვევად, არ გაუწიეს კავშირის ხელის უფლებას არავითარი ანგარიში... აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის გამოსყიდვის გარშემო იქმნება დიდი უთანხმოება და უსიამოვნება. კონფერენცია უკვე გაიხსნა ტოკიოში ამ თაობაზე, და მალე შეუდგებიან არსებითად საქმის განხილვას. იაპონელებს და მანჯუოგოს სურს, მუქთად ჩაიგდონ ხელში ეს ათეულ მილიარდებად ღირებული რკ. გზა. ერთი სიტყვით, მეტად იხლართება პოლიტიკური ურთიერთობანი, საშიში მდგომარეობაა. ცხოვრება სჭირს, ხალხი შიმშილობს, ყველაფერში ზღაპრული სიძვირეა... რიგები, რიგები... ოჩერედები ყველგან.

ნატახტარის წყალსადენის დასრულება და ზეიმი

ამდენ უსიამოვნება-გაჭირებასთან ეს ერთი დიდი მიღწევაა ჩვენს დედაქალაქში – დასრულდა ნატახტარის წყალსადენის გამოყვანა – 29 კილომეტრის მანძილიდან. 30 ივნისს შადრევანი აუშვეს ამ წყლისა თავისუფლების მოედანზე – ქალაქის აღმასკომის წინ, ამ აღმასკომის სიმაღლეზე ავარდა ბროლივით სუფთა და ცივი ნატახტარის წყაროების წყალი. დღეს უკვე ეს სამი დღეა ამ წყალს შევექცევით ტფილისელები, გვიხარია და ვერ ვძღებით ამ წყლის სმით. მგონი დაზღვეული ვართ მუცლის ტიფისაგან და კუჭის მოშლისაგან. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ქალაქმა მიიღოს ის წყალი, იმ რაოდენობით, რომლის მოცემაც შეუძლია წყალსადენს. ქალაქში ისევ ძველი მილებია, გადაუკეთებელი. კიდევ დიდი საქმეა გასაკეთებელი. ამ წყალსადენზე მუშაობენ 1929 წლიდან, სათავეში უდგია ინჟენ. ლ. დიასამიძე, სამუშაოს მწარმოებელი იყო შალვა კიღურაძე, ენერგიული ახალგაზრდა აღმასკომის მუშაკი, ჩემი სოფლელი; თუ არ ამისი ენერგიული ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ დიდხანს ვიქნებოდით იმ დამპალ ავჭალის წყალსადენზე. ღვინო ხელმიუწდომელი გახდა, ბორჯომი ჭიქა – 30 კ. გახადეს, ლუდი კრუჟკა – მანეთი, ლიმონათი – 1-50, ეს ნატახტარის წყალი მოგვევლინა ნუგეშად. ხილი ხელმიუწდომელია – 5 მანეთი კილო ბალი, 1-50 კ. – თითო კიტრი, მწვანილს ვეღარ ვყიდულობთ ისე გააძვირეს. მხოლოდ ეს წყალია დამშეულთა ნუგეში.

სოსიკო მერკვილაძის გარდაცვალება

25 ივნისს გარდაიცვალა მწიგნობარი სოსიკო (იოსები) ნიკოლოზის ძე მერკვილაძე – 93 წლისა. მას ამ ბოლო ხანებში ჰქონდა წიგნის გამომცემლობა – „ცოდნა“ და ამა სახელობის წიგნის მაღაზია ქვაშვეთის ქუჩაზე (ეხლა ჯორჯა-

ძისა). მეფის მთავრობის დროს ბევრი წიგნია აქვე გამოცემული. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლება არ ჰქონდა მიღებული, თვითგანვითარებით ისე კარგად იყო მომზადებული, რომ თვითონაც ბევრსა სწერდა პუბლიცისტური შინაარსის წერილებს, მთელ წიგნებს, სხვა და სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეთა აღწერებს, ჩინებულ ლექსებსაც, აგროვებდა ზეპირსიტყვაობას, იგავ-არაკებს, ნაკვესებს, სცემდა და ავრცელებდა ხალხში. თავისი მოღვაწეობით და საქმიანობით ის ეკუთვნოდა ზაქარია ჭიჭინაძისა და ივანე როსტომაშვილის ჯგუფს, რომელთაც დაიმსახურეს ქართველ მწიგნობართა სახელი. ერთ დროს სოსიკო მერკვილაძე ხალხოსნური მოღვაწეობისთვის კაი ხნით იყო ციმბირში გადასახლებული. ჩინებული წერილები აქვს გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ციმბირიდან და ციმბირში წასვლამდეც. ერთ დროს ს. მერკვილაძე მგოსანი აკაკი წერეთლის პირადი მდივანი და მხლებელი იყო. დიდი ამაგი და მოვლა-პატრონობაც გაუწია სოსიკომ და მისმა ოჯახობამ – ნუშო მატარაძის ასულმა მხცოვან მგოსანს. ბევრი ნაწარმოები აკაკისა სოსიკოს პირადი დაჟინებით და ზეგავლენით არის დაწერილი. ამ თაობაზე ამ სტრიქონების დამწერს ბევრი რამ საგულისხმო და საინტერესო მსმენია თვით მგოსანი აკაკისაგან სოსიკოს ოჯახში სუფრაზე, საზოგადოების თანადასწრებით. სოსიკოს ოჯახის კარები მუდამ ღია იყო ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისათვის. ძლიერ ხშირად იკრიბებოდა მის პურმარილზე რჩეულ-რჩეული ჩვენი მწერლები და მოღვაწეები, აქ ხდებოდა ფხიზელი, დაურიდებელი ბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ქართული საღი მამულიშვილური შეფასება მიმდინარე მომენტებისა. სოსიკოს ოჯახი ერთნაირი ქართული სალონი იყო, სადაც საქართველოს შესახებ მსჯელობდენ, ბაასობდენ, არკვევდენ წარსულს, აფასებდენ და ერკვეოდენ აწმყოში და შეძლებისაგვარად ითვალისწინებდენ მომავალს. სოსიკო წვრილ ვაჭართა ორგანიზაციის სათავეში იდგა. უძღვებოდა ამათ, ურკვევდა გზას, ჩააბამდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენებში, ერთი სიტყვით, იყო ცოცხალი, ენერგიით აღსავსე და მედგარი ჭირისუფალი ჩვენი დაბეჩავებული საზოგადოებრიობისა – თვითმპყრობელობიდან გაქელილ ქართველი საზოგადოებისა, ტფილისში განსაკუთრებით. სოსიკო მე პირადად გავიცანი, როდესაც დიდუბეში ვიყავი მღვდლად-წინამძღვრად 1903 წლის დამლევიდან. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი ახლად დასრულებული იყო, რუსეთი დამარცხდა; ამ დამარცხების ნიადაგზე 1905 წლებში რევოლიუციონური მოძრაობაც კი თავს გადაგვხდა; ეს ის დრო იყო, როდესაც ავტონომიაზედ ლაპარაკი შეიქნა საქართველოში, ხოლო ამ ავტონომიასთან ერთად ქართველმა სამღვდელოებამაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენა მოითხოვა, თვითნებური კრება მოხდა სამღვდელოებისა ძველი სემინარიის შენობაში (პუშკინის ქუჩაზე, სადაც ეხლა სასტუმრო „პალას-ოტელია“) და აქ ექსარხოს ალექსი პირველის დროს და მისს დამქაშ დეკ. ივანე ვოსტორგოვის დროს ქართველი სამღვდელოების კრებას ყაზახრუსების რაზმი თავს დაასხეს (სემინარიის რექტორის ნიკანდროს გამოწვევით), მათრახებით მღვდლებს ზურგი აუჭრელეს, თავ-პირი

დაამტვრიეს, ცხვირპირიდან სისხლი ადინეს. რამოდენიმე მათრახი მეც ვიგემე, როდესაც დამფრთხალი ცხვრის ფარასავით გამოვრბოდით პუშკინის ქუჩაზე კრების მონაწილენი. ამ თაობაზე დიდი აურზაური ავსტეხეთ პრესაში და მთავრობის წინაშე. დელეგატები გაიგზავნა მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვთან, ქალაქის თვითმართველობაში თუ სხვაგან. ამ დელეგაციაში მეც მონაწილეობას ვიღებდი. ამ გარემოებამ ცოტათი გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოებაც და სამღვდელოებაც: დიდი უმსგავსოება ხდებოდა მაშინ სასულიერო უწყებაში და საეროშიდაც. ქართველობამ ყოველ-გვარი უფლებები დავკარგეთ, ჩვენი კაცი ჩვენში სამსახურს ვეღარ შოულობდა, ჩვენი საუკეთესო მიწა-წყალი ვიგინდარების ხელში გადადიოდა, საშინელი საბედისწერო გამარუსებელი პოლიტიკა სწარმოებდა. სამღვდელოებამ საეკლესიო საკითხი ნიკოლოზ მეფის ტახტამდე მიაგორა დასაბუთებული „პეტიციით“, ეს პეტიცია მეფემ განიხილა და რეზოლიუცია დასდო – განხილულიყო ის სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზედო. ეს მაშინ დიდი მიღწევა იყო, ეს მაშინ ერთგვარი რევოლიუციონური აქტი იყო, გაზეთებში ვსწერდით, ვბჭობდით, ვკამათობდით; ჩაისახა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ავტონომია-ავტოკეფალია ეკერა ყველას პირზე. ამ მოძრაობაში სოსიკო მერკვილაძემაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ის რიხიანად გამოდიოდა, დაურიდებლად მოითხოვდა ტფილისის ქართულ-გადარუსებულ ტაძრებში წირვა-ლოცვის ქართულად შესრულებას. არაერთხელ შევარდნია ის ექსარხოსებს თვით სიონში ნინოობა დღეს – 14 იანვარს – სადაც ამ დღესაც კი სლავიანურ ენაზე იხდიდენ ღვთის მსახურებას. რამდენჯერ დაუფეთიანებია მას ექსარხოსები და მისი ქართველი დამქაში დეკანოზები – ელიევი, თოთიბაძე, ტყემალაძე და სხვანი, რომელნიც გვერდში უდგენ ექსარხოსებს და ზურგს უმაგრებდენ მათ გამარუსებელ მოღვაწეობაში. სოსიკოს შეძახილით, უცბად გადადიოდენ ქართულ ენაზე ღვთის მსახურებაზე, ექსარხოსი კი, ერთხელ გაიპარა კიდეც საკურთხევლიდან ისეთი აურზაური ასტეხა სიონში სოსიკომ და მისმა ჯგუფმა. სოსიკო მოგვივარდა დიდუბის ტაძარშიაც. იქაც გარუსებული იყო ღვთის მსახურება, მე რომ ფოთიდან გადმომიყვანეს წინამძღვრად. ჩემს წინ იქ წინამძღვრობდა დიდი ხნის განმავლობაში ეხლანდელი კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, კაცი ლაქუცა, ორპირი, ქვემძრომი სასულიერო მთავრობისა, სიტყვით ჩვენი, საქმით სხვისი, ჩვენთან კაკანებდენ, ხოლო კვერცხს რუსების ბუდეში სდებდენ – ესა და მისი ჯგუფის სასულიერო გვამნი, რომელთაც „ერთგული სამსახურისათვის“ გულმკერდი ორდენებითა და ბანტ-ლენტებით ჰქონდათ შეფირთქლული. ჰოდა, ცინცაძის შემდეგ მე მოვხდი დიდუბეში წინამძღვრად. დამხვდა რკინისგზელი რუსები მრევლად გაბატონებულნი, მოწყობილი რუსული გუნდი, რომელსაც გუგუნ-გუგუნი გაჰქონდა ტაძარში. ქართველობა გამოდევნილი იყო ტაძრიდან, ქართველი დედაკაცები თავხურვა-ლეჩაქებში თუ ზოგჯერ შემოვიდოდენ საყდარში, მათ „ჭეშმარიტი რუსობის“ წარმომადგენლები უკნიდან ლეჩაქებში სანთელს შეუნთებდენ, ასტყდებოდა ერთი ქოთქოთი, ორომტრიალი, წყევლა-კრულვა და

აბა, ასეთები მეორეჯერ აღარც კი შემოიხედავდენ ჩვენს ტაძარში. მეორე მღვდლად დამიხვდა იქ იროდიონ გურგენიძე, მთავრად სემინარიელი სეფაშვილი, მეორე მთავრად – მედავითნის ადგილზე გრ. კონტრიძე. ესენი სულ უპარუსკებდენ, ზოგჯერ, შიგა და შიგ თუ „მერმე და მერმეს“ ჩაურევდენ წირვა-ლოცვაში, ესეც დიდი „მამულიშვილობა“ იყო მათი მხრივ. ერთ მშვენიერ საღამოს სოსიკო მერკვილაძე მივარდნია ოჯახში გურგენიძე მღვდელს და ისეთი ცეცხლი და მეხი დაუყრია მისთვის თავზე, ისეთი მუქარები და ცხვირში მუშტების მიღერება, რომ მეორე დღეს ეს გურგენიძე მღვდელი მოვიდა ჩემთან აცახცახებული, შეშინებული და გამომიცხადა, რომ მასთან „ტერორისტი“ იყო ვიღაცა, სიკვდილს დამემუქრა და ანდერძი შევადგინეო, და მთხოვა ეს ანდერძი მეც მცოდნოდა და თუ რაიმე მოხდებოდა, ყურადღება მიმექცია მისი ოჯახისათვის. ეს „ტერორისტი“ გამოდგა სოსიკო მერკვილაძე. ის მეც მესტუმრა შემდეგ და მეც პროტესტი გამომიცხადა ქართული ეკლესიის გარუსებისთვის. მე აუხსენი მას, რომ ძლიერ გვიან მოგგონებიათ ეს ამბავი, ამდენხანს სად ბრძანდებოდით „ქართველი მრევლი“ თქო! ხო გაგიგონია ქართული თქმულება – „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებაო“! სწორეთ ასე მოგსვლიათ ტფილისელებს თქო. მე ახალი კაცი ვარ, ახლად გადმოყვანილი, მეგონა, ქართულ ტაძარში და სამრევლოში მოველ, აქ კი ჩვენ აღარა გვეკუთნის რა თქო. საჭიროა, დაფიქრებულად, გონივრად მოქმედება, მუქარებით, შიშის ზარის დაცემით სულ გაფუჭდება საქმე თქო. იმ დღიდან შეუდექით საქმეს და ნელ-ნელა აღვადგინეთ ნაწილ-ნაწილად წირვა-ლოცვა, გალობა, სახარება-სამოციქულო ქართულ ენაზე. ამას შედეგად მოჰყვა ჩემი იქიდან გადმოგდება ანჩის ხატის მკვდარ სამრევლოში ინოკენტი ექსარხოსის დროს, 1912 წელში, მაისის 20ში. ინოკენტის ხელს უწყობდენ და ზურგს უმაგრებდენ ამ საქმეში – ეხლანდელი წინამძღვარი დიდუბისა დეკ. იოსებ მირიანოვი, დეკკ. კ. ცინცაძე, თოთიბაძე, ტყემალაძე და მათი ძმანნი, რომელთაც სახიფათოდ მიიჩნიეს ჩემი ქართული მიმართულების შეტანა ეკლესიურ ცხოვრებაში ტფილისში. მე იმ ხანებში დიდი ბრძოლა გადავიხადე დიდუბის ეკლესიის გარშემო, დიდუბის ეკლესიის საკითხის სახით – ავტოკეფალურ მოძრაობას ვაწარმოებდით. ამ მოძრაობაში ჩავაბი მთელი ქართველი საზოგადოება და ქართული პრესა ტფილისში. დიდუბის ეკლესიას გაუჩინე ქართველი მრევლი, სამრევლო კრებებზე ქართველობამ თავი გამოიდო, რუსებმა უკან დაიხიეს, მაშინ ზემო აღნიშნულმა სასულიერო გვამებმა, რომელთაც უკვე დიდი ხანია „ლიკვიდაცია“ უყვეს ავტოკეფალურ საკითხს ჩვენში, შეაგონეს ექსარხოსს ინოკენტის, რომ დეკ. თალაქვაძე მოაშორე იქაურობას და ყველაფერი დაწყნარდებაო და ეს ასეც მოხდა, მე გადმომაგდო ანჩისხატში ექსარხოსმა ინოკენტიმ, დიდუბეში ჩემს ადგილზე გადაიყვანა ბოდბის დედათა მონასტერში გამოწვრთნილი შავრაზმელი ზნეობრივად გახრწნილი, ფლიდი, შემპარავი, თვალთმაქცი იეზუიტი მირიანოვი, რომელიც დღესაც განაგრძობს იქ წინამძღვრობას, რასაკვირველია, „რუსულად“! მე კი ჟანდარმის პოლკოვნიკს გადამცა ინოკენტიმ, ჟანდარმი მიბარებდა, მტუქსავდა, მემუქრე-

ბოდა – „ქართულად როგორ ბედავ რუსულ სამრევლოში სახარების წაკითხვა-სო“!.. ასეთი ბრძოლები გადავიხადეთ მე და სოსიკომ იმ დროს; ჩვენთან მუშაობდენ პართენ გოთუა, ვარლამ გელოვანი და ბევრი ასეთი ქართველი ინტელიგენტი-პუბლიცისტები. რამდენი უსიამოვნება, ცივ სარდაფში ჩაგდებაც კი ნახა სოსიკომ ამ თაობაზე, ვინ მოსთვლის. დღეს ამ თაობაზე წერა და მოგონებაც სჭირს! ამის გუნებაზე არა ვარ, მშია, ბევრ ნაკლულევანებას განვიცდი! ან ვისღა ეინტერესება შენი ეკლესია, შენი სჯული, რაც ეკლესიები დარჩა – ესენიც კი სულ გადარუსებულებია სავსებით! აბა, „რაღა გვეჟღარუნების“... მაგრამ მაინც გულმა არ მომითმინა და 28 ივნისს სოსიკოს საფლავის პირზე მხოლოდ მე – ნახუცარმა თალაქვაძემ გავბედე ორიოდე სიტყვის წარმოთქმა. აი ეს სიტყვაც:

„მოქალაქენო! აღარ გვყავს სოსიკო მერკვილაძე! კიდევ რამოდენიმე წუთი და საფლავი მიიღებს მისს ფრიად დამაშვრალ, მხცოვან ნეშტს! სამუდამოდ მიგვეფარება ის თვალთაგან! ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, ვინც და რაც იყო ქართველ სა ზოგადოებაში სოსიკო! ის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეოცე საუკუნის თითქმის პირველ ნახევრამდე ჩვენი ქვეყნის ცოცხალი მატიანე იყო! იმერეთიდან გადმოსული მკვირცხლი, ნიჭითა და ენერგიით აღსავსე პატარა სოსიკო მედგრად იკაფავს ტფილისში ცხოვრების გ ზას! სკოლა არ გაუვლია ჩვენს სოსიკოს, როგორც ის არ გაუვლია მისს მეგობარს ზაქარია ჭიჭინაძეს! სოსიკომ თავისი საკუთარი სკოლა შექმნა, სკოლა ცხოვრებისა, სკოლა თვითგანსწავლისა, თვითგანვითარებისა, პრაქტიკული, სა ზოგადო მოღვაწეობის სკოლა!...

დამეთანხმებით, მოქალაქენო, რომ ასეთ სკოლაში აღ ზრდილებმა და გაწაფულებმა უფრო მეტი არგეს თავის ერსა და სამშობლო ქვეყანას, ვინემ ბევრმა დიპლომიანებმა!.. ეს ის დრო იყო, როდესაც მეტად მოდუნებულად სცემდა ჩვენი ეროვნული თვით შეგნების მაჯა! ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში განსაკუთრებული სისასტიკით მძვინვარებდა რუსეთის თვითმპყრობელობა! ეს ის დრო იყო, როდესაც თვითმპყრობელობის სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო გარეული თუ შინაური მისი აგენტები და დამქაშები ხელს უწყობდენ ნაჭირნახულევ, ათასი წლობით უთანასწორო ბრძოლებში პოლიტიკურად დასუსტებულ და ეკონომიურად დაძაბუნებულ საქართველოს გადაგვარებას, გადაშენებას და ჩაყლაპვას უქადდენ მას!.. მაგრამ, ეტყობა, განგებისაგან განწირული არ ყოფილა ეს პატარა ქვეყანა და ერი! სწორეთ ამ დროს მოევლინენ მას ჭირისუფლად, მცველად და პროგრესის გ ზა ზედ დასაყენებლად სამოციანი წლების ცნობილი ჩვენი კლასიკოსი მწერლები, პუბლიცისტები და სა ზოგადო მოღვაწეები! ამათ სავსებით განახორციელეს უკვდავი რუსთველის უკვდავი თქმულება: „როს გასჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო“!

დიახ! მაშინ „გასჭირდა“! დიდად სჭირდა მაშინ ჩვენს ქვეყანაში, მოქალაქენო! მაშინ ბეწვ ზე ეკიდა ჩვენი ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხი! და... მოიკრიფეს ჩვენმა გონიერმა მოღვაწეებმა თავიანთი „გონებანი“ და აჰა, დღეს ქართველობა და საქართველოც არსებობს!..

ქართველობამ გადალახა თვითმპყრობელობის ათასგვარი უკულმართობანი! გონიერი ხელმძღვანელების მიერ შექმნილმა, მომზადებულმა ქართველმა საზოგადოებრიობამ საპატიო ადგილი დაიჭირა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, შემდეგ რევოლიუციონურ ბრძოლებში და ბოლოს გადამწყვეტ დიდ რევოლიუციაშიაც!..

დღეს ჩვენი ქვეყანა საბჭოთა დიდ კავშირში შემავალ სხვა ერებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვის ახალი, უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად!... ქვეყნის ახალი მშენებლობისათვის!.. სამოციანი წლის ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა შეამზადეს ჩვენი ერი ამ დიად ისტორიულ ხანაში ნაყოფიერად მოქმედებისათვის!..

ასეთ დიდ და გონიერ ჩვენს მოღვაწეებს, ამ მეტად ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეში ხელს უწყობდენ, შველოდენ პატარ-პატარა მოღვაწეები, მუშა-ფუტკრები, როგორიც იყვნენ ან განსვენებულნი – ზაქ. ჭიჭინაძე, ივ. როსტომაშვილი და ეს ჩვენი სოსიკო მერკვილაძეც, და სხვა კიდევ ზოგი ასეთი პრაქტიკული მოღვაწეები, რომელნიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან!

ესენი, მოქალაქენი, ჩვენი ქვეყნის ხალხოსნები იყვნენ! ესენი ხალხში გადიოდენ! ამათ ხალხში წიგნი შეიტანეს! ესენი ამ წიგნებით ცოდნას ავრცელებდენ, წიგნებსა სცემდენ და, წარმოიდგინეთ, თვითონაც ჩინებულად სწერდენ და გზას უნათებდენ მშობელ ერს!..

ესენი თავის დროის რევოლიუციონერები იყვნენ! ესენი მედგარი მებრძოლნი იყვნენ ჩვენი ხალხის უფლებებისათვის!

რამდენი ჭირი, რამდენი დევნა, რამდენი ცივი სარდაფი განიცადეს მათ მეფის ჟანდარმებისაგან საერთოდ და კერძოთ ამ ჩვენმა სოსიკომაც! სოსიკო რაღაც არა ჩვეულებრივი, თავისებური ადამიანი იყო! ეს მოურიდებლად, უშიშრად შეებმებოდა ხოლმე ყოველგვარ უსამართლობას თუ ძალმომრეობას! ასეთ შემთხვევებში სოსიკო ისეთი რიხით და ზახილით შეუტევდა ზედ მოსულ მტერს, რომ უკანასკნელი შედრკებოდა, უკან იხევდა...

დღეს აქ არც დრო და არც ადგილია სოსიკოს მრავალფეროვანი მამულიშვილური და ადამიანური სახის გასაშუქებლად და შესაფასებლად! ვიტყვით მხოლოდ, რომ სოსიკოც იყო ერთ-ერთი გონიერი ჭირისუფალი თავისი ქვეყნისა, ერისა და საზოგადოებისა!..

ამიტომ გვმართებს, მოქალაქენო, მადლობით გავისტუმროთ ამ ქვეყნიდან ასეთი ფრიად დამაშვრალი, მოამაგე ადამიანი!

მშვიდობით, ჩვენო სოსიკო! გმადლობთ, სოსიკო, იმ სიკეთისათვის, რომელიც დასთესე შენს ხანგრძლივ, ნაყოფიერ სიცოცხლეში! გმადლობთ იმ გამხნევებისათვის და ხელმძღვანელობისათვის, რაც შენ გაუწიე საერთოდ ჩვენს ქვეყანას და პირადად მეც!..

მსუბუქი იყოს შენთვის ეს დედამიწა, სასიქადულო მოქალაქევ, იშვიათო ოჯახიშვილო, კარგო ადამიანო.

ნ. თალაქვაძე

დავასაფლავეთ სოსიკო ვერის ახალ სასაფლაოზე, ძველი ვერის სასაფლაო და ტაძარიც უკვე ალაგებულია... კაი ძალი საზოგადოება დაესწრო გასვენებას. მუსიკა არ უძღოდა მიცვალებულს! ზაქარია ჭიჭინაძის გასვენებაზე მთავრობამ გამოგზავნა მილიციელთა ორკესტრის გუნდი და თუმცა ის მამადავითშიც გაასვენეს, მაგრამ საზოგადოება დიდად მცირე დაესწრო მის დასაფლავებას. სოსიკოს არც მუსიკა მისთავაზეს, არც ვინმე წარმომადგენლები გამოგზავნეს, მაგრამ საზოგადოება ბევრად დიდი დაესწრო და უფრო გულითადად პატივი სცეს მას. ჩემს გარდა სიტყვა არავის წარმოუთქვამს. ზოგმა მეც მისაყვედურა: „თავი ხო არ მოგბეზრებია, გტაცებენ ხელს, რაიმე შარს მოგდებენ და ციხეში გამოგამწყვდევენო“! მე უპასუხე – საიმისო არა მითქვამს რა და გულმა არ მომითმინა მოამაგე ადამიანი მუნჯად მიგვებარებია მიწისათვის თქო!

მაშ, ესეც ასე! მიდიან ძველი მოამაგენი, ძველი მოქალაქენი!.. იქმნება ახალი, ახალი „მომქმედნი“ ჩვენი ქვეყნის ყანაში!.. ეს წესია ბუნებისა და ასე იყოს!..

კულტურულ ფრონტზე
5 ივლისი, 1933 წელი, ოთხშაბათი – გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი (გაზეთი „კომუნისტი“, №153)

ზემოთ სიკვდილზე გვქონდა საუბარი, წარსულ კულტურულ მოღვაწეებზე! ეხლა ორიოდე სიტყვა – „სიცოცხლეზე“, ცოცხალ მოღვაწეზე, მწერალზე – თანამედროვე მგოსან – გ. ტაბიძეზე. მას საბჭოთა ხელის უფლებამ 25 წლის იუბილეს ზეიმი გადაუხადა, „საქართველოს სახალხო მწერლის სახელწოდება მიანიჭა“. გალაქტიონი 1892 წელში დაბადებულა, ქუთაისის მაზრაში, მასწავლებლის ოჯახში; მამა მისი გარდაიცვალა ორი თვით ადრე შვილის დაბადებამდე; ის სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გამორიცხულ იქნა, როგორც არა კეთილსაიმედო მოწაფე. სწავლა არ დაუსრულებია, იმგზავრა რუსეთში, სადაც დაესწრო 1917 წლის რევოლიუციას. პატარაობიდანვე სწერდა ლექსებს, ერთხანს დეკადენტური „ცისფერი ყანწების“ გუნდს ეკუთვნოდა, ერთ რაიმე მიმართულებას ვერ შემომაგრდა. ბოლოს, როგორც მალაქია ტოროშელიძე აღნიშნავს, ტაბიძეზე წარმოთქმულ სიტყვაში, „გ. ტაბიძე გარკვეულად და გაბედულად გაემიჯნა ანტიპროლეტარულ იდეოლოგიას. მან პირველმა ოქტომბრის წინდროინდელი მხატვრული ინტელიგენციის ბანაკიდან გადმოსდგა გაბედული ნაბიჯი მუშათა კლასის იდეიური პოზიციისაკენ“...

მართლაც, „გასაბჭოების“ პირველ ხანებში დიდი დაბნეულობა და გაურკვევლობა, ჩვენს მწერლობაში, ინტელიგენციაში. არავის სჯეროდა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე. – აი დღეს, აი ხვალ დაეცემა ისო, – ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ ყველანი! – „მოდიან! ამ თხუთმეტ დღეში შემოვლენ ევროპიდან და განდევნიან საქართველოდან ბოლშევიკებსო“!.. ასეთი სულის კვეთება იყო ყველგან და ყველაფერში გამეფებული. ამიტომ „პროლეტარობას“

ყველანი ფრთხილობდა, გაურბოდა, თუ ვინმე ერთ ნაბიჯს წინ გადასდგამდა ახალი მიმართულებისაკენ, მალე ორი ნაბიჯით უკან ბრუნდებოდა და იყო ერთი გაურკვევლობა, ერთი გაუგებრობა, გზადაბნეულობა. მაგრამ ცხოვრება და მტკიცედ აღებული ხაზი ახალი მიმართულებისა, ახალი ცხოვრების გაგებისა და რადიკალურად ძველის გარდაქმნისა და ახალის შექმნისა, თავისას შობოდა, თავის ბეჭედს ასვამდა ყველაფერს და ძველს გასაქანს აღარ აძლევდა. ამიტომ, ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან ალღო აუღო ჩვენშიდაც „გასაბჭოებას“ და ჩაებენ მის ფერხულში. ერთ-ერთი ასეთი იყო გალაქტიონ ტაბიძე. ის მოლექსეა მხოლოდ! მთლიანი, რამე დიდი ნაწარმოები მას არა აქვს დაწერილი არც „ძველად“, და არც ახლად! მას ლექსი და მოლექსეობა ეხერხება. ცოტად თუ ბევრად ტანსქელი წიგნაკია მისი „ეპოქა“, რომელიც იბეჭდებოდა თვიურ ჟურნალ „მნათობში“ და შემდეგ ცალკეც გამოვიდა. ეს „ეპოქა“ იწყება მსოფლიო ომით და გადმოდის დიდ რევოლიუციაში და გრძელდება დღემდე! ეს არის ლექსების გროვა-გროვა, ერთიანი აზრი, სიუჟეტი, მასში არ არის გატარებული. აღნიშნავენ კიდევ პოემას – „რევოლიუციონური საქართველო“! ესეც ასეთივე ხასიათისაა, როგორც „ეპოქა“. საერთოდ მწერლობა ჩვენს დროში მეტად ღარიბი და ცალმხრივი შინაარსისაა, წარსულთან შედარებით! არ ვიცი, აწი თუ გაშლიან პროლეტარული მწერლები „დიდ პოეტურ ტილოებს“, როგორც ამას მოელის კრიტიკოსი შალვა რადიანი გალაქტიონ ტაბიძისაგან, თორემ ჯერჯერობით ეს „ტილოები“ მკრთალია, ვერ აკმაყოფილებს სულსა და გულს ადამიანისას, ცალმხრივი და მშრალია. ასეა რუსეთშიაც, სწერენ ბევრნი და ბევრსაც, მაგრამ არ გვაკმაყოფილებს ეს ნაწერები თავიანთი აღმაფრენით, გაქანებით! მხოლოდ სიტყვების ქუხილია. გალაქტიონს 600 მანეთი პენსია თვეში – საუკეთესო მომარაგება, კურორტზე დასვენება და ასეთი ხელის შეწყობა მისცა მთავრობამ, ხელს უმართავენ, რომ უფრო „დიდი პოეტური ტილოები“ გაშალოს მან! ჩვენც უსურვოთ, რომ „გაშალოს“ მან „დიდი ტილოები“.[1]

1. ამით თავდება ნიკიტას ხელ ნაწერი. გარდაიცვალა 1933 წელს, 9 დეკემბ. შაფათს დილის 10 საათზე. დასაფლავებ. ვერის სასაფლავოზე – *ალექსანდრა თალაქვაძე.*



ნიკიტა თალაქვაძის სადარბაზო ბარათი

პროექტი
სამოძღვრო სემინარიის დაარსებისათვის

საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მეხუთე წელში გადასდგა ფეხი და მას დღემდე თვისს სასიცოცხლო მიზნისათვის უსაჭიროესი და აუცილებელი ორგანო ვერ შეუქმნია – მოგახსენებთ სამღვდელო და ეკლესიის მსახურთა მოსამზადებელ-განმანათლებელ სასწავლებელზე. ტფილისის სასულიერო სემინარია, რომელიც სინოდალურმა ხანამ გვიანდერძა, უკანასკნელ ხანებში სრულებით აღარ ემსახურებოდა თვის დანიშნულებას; ის უშვებდა თვისს მოწაფეებს ყოველ გვარ ჯურის მოღვაწეობისათვის, გარდა ეკლესიის სამსახურისა. ნაცვლად ასეთ სენის ნიადაგის საფუძვლიანად შესწავლისა და მისს გამომწვევ უმთავრესს მიზეზთა (რომელნიც ჩვენ ხელთ იყო) დაურიდებლად განკვეთისა, პირველ საეკლესიო კრებას მიაღებიეს ზერელედ მოსაზრებული პროექტი, სასულიერო სემინარიის საზოგადო სახის გიმნაზიად გადაკეთებაზე, სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლებით, ორი გაკვეთილით კვირაში! ეს იყო და ეს მთელი სულიერი მასალა, რომლითაც უნდა ანთებულ-გახურვებულ ყოფილიყო სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა გამოსაბრძმედებელი კერა! ასე „გადააკეთა“ პირველმა საეკლესიო კრებამ ჩვენი მხცოვანი, სახელოვანი, ხოლო დაბოლოს დაძაბუნებული და თვის დანიშნულებას ხელოვნურად დაშორებული ტფილისის სემინარია. მაგრამ აქ განსაცვიფრებელი უფრო ის არის, რომ პირველ საეკლესიო კრების დასრულების მეორე დღეს, 1917 წ. 18 ენკენისთვეს, მცხეთა-ტფილის-ალავერდის ეპარქიათა დელეგატებმა ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის დარბაზში გახსნა საეპარქიო კრება, პიროს ალავერდელის თავმჯდომარეობით; ამ კრებას დაესწრნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის და სასწავლებლის კორპორაციის ადმინისტრატიული პირნი და ზოგიც მასწავლებელნიც; ესენი საეკლესიო კრებაშიდაც ღებულობდენ მონაწილეობას და ზემოაღნიშნულ პროექტის (სემინარიის საზოგადო სახის გიმნაზიად გადაკეთებაზე), დამუშავება-დამტკიცებაშიც მონაწილენი იყვნენ; საეპარქიო კრებაზე კი, ნაცვლად საეკლესიო კრებისაგან დამტკიცებულ პროექტის ცხოვრებაში გატარებისა, ამოვირჩიეთ „ქართულ სემინარიის“ რექტორი (დეკ. კ. კეკელიძე), ინსპექტორი (ნიკ. მამინაიშვილი) და ძველი სემინარიის ქართველი მასწავლებელნი ყველანი! ამოვირჩიეთ ძველი სასულიერო სასწავლებლის „სმოტრიტელის“ ნაცვლად გამგე (ან. ნატროშვილი) და ქართველი მასწავლებელნი იმავ ძველი სასწავლებლისა. ეს სასწავლებელი ალბად შემდეგ უნდა ქცეულიყო საზოგადო ტიპის გიმნაზიად, მაგრამ „ქართული სემინარია“ კი უნდა აუცილებლად გვქონებოდა. ამის წინააღმდეგ ხმა არავის დაუძრავს და მეც არა მითქვამს რა, ვინაიდან გულში თვით მომხრე გახლდით ქართული სემინარიისა, „გულში“ თქო, ვამბობ იმიტომ, რომ საეკლესიო კრებაზე „ერთხმად“, გრგვინვით, მიღე-

ბულ იქმნა საზოგადო ტიპის გიმნაზია და ხმის ამოღება შეუძლებელი შეიქმნა. ვინუგეშე მით, რომ საეპარქიო კრებამ გამოასწორა წინადღით გაფუჭებული საქმე, ამის შემდეგ ვფიქრობდი, რომ „ქართულ სემინარიაში“ საქართველოს ეკლესიის სული და გული, ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა, ჩაისახება, ძველი ტიპის სემინარია ახალ დროის და მდგომარეობის მიხედვით გადაკეთდება, ის ეკლესიის დანიშნულება-მიზნებისათვის მოეწყობა და მოგვარდება. ეს იმედი უფრო გამიცხოველდა, როდესაც იმავ წლის ოქტომბრის, მგონი, შუა რიცხვებში, იმავ დედათა საეპარქიო სასწავლებლის ტაძარში (სემინარიას შენობა ჯარს ეჭირა), კათოლიკოზ კირიონ მეორის და ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდის თანადასწრებით, გახსნილ იქმნა „ტფილისის ქართული სასულიერო სემინარია“; ყოფილ სემინარიის მოწაფეთა და კორპორაციისაგან სავსე იყო ტაძარი; ჩვენ მიერ ამორჩეულმა რექტორმა (დეკ. კ. კეკელიძემ) პარაკლისის წინ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა, რომელშიდაც მან მთელი საუკუნის მანძილზე „ხელი გაუწოდა“ ძველ ქართულ სემინარიის უკანასკნელ დავით რექტორს და მით აღადგინა რუსთა ბატონობის მიერ გაწყვეტილი ძაფი ჩვენი სასულიერო და საქრისტიანო კულტურის მსვლელობისა.

ამ სახით გამოცხადდა გახსნილად ქართული სასულიერო სემინარია. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ გარეგან გამოხატულებაში არ იქმნა ჩადებული სათანადო შინაარსი. ქართულ სემინარიაში მოწაფენი უნდა დაგვეინტერესებია ძველი საეკლესიო მწერლობით, ქართული ღვთის მეტყველებით, ქართული მორალით, ქართული მქადაგებლობით, ლაზათიანად მოწყობილ წირვა-ლოცვით, გალობა-მწიგნობრობით, აღსარება-ზიარებით, დროს შესაფერ აპოლოგეტიურ ლექციებით; ერთი სიტყვით, ქართული სემინარიის დროშის ქვეშ უნდა გამოსულიყო ახლად აღდგენილი საქართველოს ეკლესია, რომელსაც შემოაზღვავდა ურწმუნოების და ქრისტიანულ მსოფლმხედველობის უარმყოფელთა ტალღები. ასეთ შემეცნებითი მუშაობაში ხელთ შეგვრჩებოდა ის მოწაფენი, რომელნიც გაიზიარებდენ ჩვენს მიზნებს, სხვები კი თავისთავად, წყნარად გაიკრიფებოდენ სემინარიიდან სხვა სასწავლებლებში; ასეთ მოწაფეებს თან გაჰყვებოდენ ჩვენთვის გამოუსადეგი მასწავლებელნიც, „უფლებები“ ჩამოშორდებოდა სემინარიას, მას შერჩებოდა მხოლოდ თვისის კონფესიონალური სახე-უფლება (პროფესიონალური უფლება), ჩამოგვეცლებოდა სახაზინო ჯამაგირ-სუბსიდიები, მაგრამ, როდესაც ჩვენ ჩვენს ნიადაგზე მტკიცედ ვიდგებოდით, შეგვრჩებოდა დიდძალი ქონება და ინვენტარი, რომლის უდიდესი ნაწილი სამღვდელოების და მორწმუნეთა საშვალებათაგან იყო შეძენილი და ვერავინ წაგვართმევდა; თან ეკლესიების, მათი კრებულის და სანთლის ქარხნების საშვალებათაგან შეიქმნებოდა საკმარისი თანხა სემინარიის ნივთიერად შესანახავად და უზრუნველსაყოფად. მაგრამ სათანადო მოქმედება და სულიერი სიცხოველე არ იქმნა გამოჩენილი, არც სემინარიის საბჭოსაგან, რომელმაც მეტად ფართო და შეუვალი ავტონომია დაიჩემა, არც ეკლესიის უმაღლეს ორგანოსაგან, რომელმაც სემინარიის საბჭოს ნება მისცა, ასე ცალ-მხრივად

გაეგო ის ჩვენი დამღუპველი „ავტონომია“! ამ მიხლა-მოხლაში, დაუდევრობაში და რელიგიურ გულციობაში სულ ერთიანად გაიხრწნა ჩვენი „ქართული სასულიერო სემინარია“, ის უფრო მეტად დაშორდა თვისს დანიშნულებას და ეკლესიის მიზნებს, იქ აღარ იყო არავითარი სახე ეკლესიურ-სარწმუნოებრივი, ატარებდენ მხოლოდ სასულიერო სემინარიის სახელს; ეს სახელიც კი მალე სათაკილოდ მიიჩნიეს, როგორც მასწავლებლებმა, ისე მათ შემყურე მოწაფეებმაც; ნოე ჟორდანიას მთავრობას სახლის კარები აუტალახეს, გადაგვრიცხეთ განათლების სამინისტროში, რომ „უფლებები“ არ დაგვეკარგოსო და ხაზინიდან ჯამაგირები არ მოგვესპოსო. ამავ დროს საკათ. საბჭოში სემინარიის საბჭო შემოდის ასეთივე შინაარსის მოხსენებით; მთელი ბრალდება ასეთ მისწრაფებათა სემინარიის საბჭოს გადააქვს მოწაფეთა კატეგორიულ მოთხოვნებზე; ეს, რასაკვირველია, იყო ყველაფერი ხელოვნურად შეზავებული; ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ დიდი ნაწილი მოწაფეებისა წინააღმდეგი იყო სემინარიის გაუქმებისა, ბევრი იყო მათ შორის სარწმუნოებრივადაც განწყობილნი, მაგრამ ასეთ ატმოსფერაში უხელმძღვანელოდ დარჩენილნი, ისინიც საერთო ტალღაში ითქვიფებოდენ და იხშობოდა ახალგაზრდათა ნორჩ გულში სარწმუნოებრივი სიფაქიზე და გრძნობანი. გადაკეთდა ქართული სემინარია საზოგადო ტიპის გიმნაზიად, უსამღვთო სჯულოდ! შეიქმნა ბრძოლა ყოფილ სასულიერო სასწავლებელსა და ქართულ სემინარიას შორის, პირველმა თავისი თავი ადრევე გამოაცხადა გიმნაზიად, ხოლო მეორემ როდესაც განიზრახა გაგიმნაზიება, მოისურვა პირველის თავისთან მოერთება ანუ ჩაყლაპვა; ბოლოს გაიმარჯვა ყოფილმა სემინარიამ, მან შეიერთა ყოფილი სასულიერო სასწავლებელი მოწაფეებით და კორპორაციით; მაგრამ ეხლა შეიქმნა ცილობა, ვინ იქნებოდა ამ გიმნაზიის „დირექტორად“. სასულიერო პირი აღარ დაამტკიცა მთავრობამ დირექტორად, მან თავის კაცი დანიშნა, თავისი სახელი მისცა. მაგრამ მალე ამ გიმნაზიამაც მოსპო თავისი არსებობა, მისი მოწაფეები თუ მასწავლებელნი დაგზავნეს ტფილისის სხვა და სხვა გიმნაზიებში. ამ ბრძოლის პროცესში კი განიავდა ფასდაუდებელი ქონება უძველეს დაუნჯებულ სასწავლებლებისა ტფილისში – სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლისა...

ისე დაიხურა ტფილისის სემინარია, რომ არც ერთი მღვდელმთავარი ჩვენი იქ არ მისულა, არავითარი რევიზია არ გაუკეთებიათ, არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენია ვინმეს! ცხადია, ასეთ პირობებში სემინარიას ჩვენ ვერ ავაღორძინებდით, მას ჩვენი მიზნებისთვის ვერ გარდავქმნიდით, ის დაგვეღუპა კიდეც და ქონებრივადაც მეტადაც დავზარალდით. მე არას, ვამბობ აქ პროვინციის სასულიერო სასწავლებლებზე – ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ ცენტრში, სასულიერო მთავრობის თვალწინ, ასეთი დაუდევრობა, გულცივობა და უპატრონობა იყო, რაღა ყურადღება უნდა მიექციათ პროვინციისათვის...

ამავ დროს განმავლობაში გვეწვია მეორე უბედურება – დაგვიზარალდნენ ქონებრივად და დაგვიძაბუნდნენ ზნეობრივადაც ჩვენი სახელოვანი მონასტრები – გელათი, მარტვილი, შემოქმედი, ალავერდი, დავით გარეჯა,

ნათლისმცემელი, ღვთაებისა და თვით დარიისა ტფილისში; ამათ ჩამოართვა მთავრობამ ის უმცირესი ქონება – მიწა-მამული, რომელიც მათ შერჩენოდათ რუსთა ბატონობის დროსაც კი; მონასტრებმა ვეღარ შესძლეს ბერების რჩენა, ამიტომ ისინი დაცარიელდენ, ზოგი სულ გაუქმდა (ივანე ნათლისმცემელი, დავით გარეჯა, დარიისა ტფ. და სხვა). ამ მონასტრებში იწვრთნებოდა არა მცირედი რიცხვი დიაკვნებისა, რომელნიც შემდეგ სამრევლოებში გადიოდენ, შემდეგ მღვდლობისათვისაც ემზადებოდენ და ამ სახით გვაძლევდენ საეკ-ლესიო მსახურთა კანდიდატებს. მონასტრების განიავებით ჩვენი ეკლესიის მსახურთა ეს მოსამზადებელი ძველთაგანვე კეთილად ნაცადი წყაროც დაიხ-შო, როგორც ამერეთში, ისე იმერეთში. დღეს დიდი ნაკლულევანებაა წიგნის წამკითხველთა ანუ პრიჩეტნიკებთა მთელს საქართველოს ეკლესიაში, დიდ ძალი სამრევლოები უმედავითნოდ არიან დარჩენილი და მღვდლები წირვა-ლოცვას ვეღარ ასრულებენ ტაძრებში, ისინი მხოლოდ რელიგიურ წესებს უსრულებენ მორწმუნეთ მარტოდ-მარტო, ბევრი სამრევლოა დღეს ჩვენში ისეთი, სადაც აღდგომასაც კი ვერ ახერხებენ მღვდლები წირვას! ეს წიგნის წამკითხველები ანუ მედავითნე-პრიჩეტნიკები ზოგი წავიდ-წამოვიდა სხვა და სხვა საქმეზე, მათთვის უფრო ნივთიერად ხელსაყრელზე, ხოლო უმეტესი ნაწილი მათი ჩვენმა მღვდელმთავრებმა მღვდლებად აკურთხეს. მაგრამ ასეთი სამღვდლო კანდიდატებიც თან და თან გველევა და სულ მოკლე მომავალში აღარავინ გვეყოლება სამრევლოებში მღვდლად გასაგზავნად. ამ სახით ჩვენს წინ აღიმართა მეტად დამაღონებელი საბედისწერო სურათი, ჩვენი სამღვდე-ლოების გონებრივად დაკნინებისა, დრო და ჟამისაგან მოძღვართა მეტად ჩამოქვეითების და ჩამორჩენისა! ქრისტიანულ სარწმუნოებას, ზნეობას და მსოფლ მხედველობას საქართველოში აღარ ეყოლება ცოტად თუ ბევრად მა-ინც მომზადებული დარაჯნი და ქომაგნი!

ვინ იტყვის, რომ ამას არ ჰქონდეს თავისი მძიმე გავლენა და მნიშვნელობა ჩვენს სარწმუნოებრივ ვითარებაზე და ხელს არ გვიცრიდეს სათანადო მოქ-მედებისთვის.

ეს გარემოება აღონებდა საკათ. საბჭოს. ის სცდილობდა სათანადო სასწავ-ლებლის გახსნას და უზრუნველ ყოფას ტფილისში. 1919 წლის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე მიღებულ იქმნა დეკ. კ. კეკელიძის პროექტი „სა-მოძღვრო ინსტიტუტისა“. 1920 წლის მცხეთა-თბილისის საეპარქიო კრებამ კი მიიღო დეკ. კ. ცინცაძის პროექტი „სამოძღვრო სემინარიისა“. ორთავე ეს პროექტი, რომელნიც თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, წარედგინა 1920 წლის მეორე საეკლესიო კრებას, რომელმაც გამოიტანა დად-გენილება სამღვდელო კანდიდატთა მოსამზადებელი სასწავლებლის დაარ-სებაზე. ეს სასწავლებელი „უეჭველად“ უნდა გახსნილიყო იმავ წლის პირველ ენკენისთვეს, მაგრამ დღემდე ვერ ვეღირსეთ ასეთ სასწავლებელს. რა იყო ამისი მიზეზი?! ამისი მიზეზი უფრო ღრმაა, ვინემ ჩვენ საზოგადოდ გვგონია ხოლმე. ჩვენ დავეჩვიეთ, რათა ყოველგვარი დაძაბუნება ეკლესიურ-სარწმუნო-

ებრივ სფეროში გადავაბრალოთ მიმდინარე დროს და მისს ანტირელიგიურ მიმართულებას. მაგრამ ვინ ქმნის ხოლმე ამ დროს და ასეთ მიმართულებას?! რასაკვირველია, ადამიანნი. ვინ უნდა შეებრძოლოს დრო-ჟამის მონაბერ ურწმუნოებას და უზნეობას, ვინ უნდა ედგას დარაჯად სარწმუნოებას და მორწმუნე ერში მისს განმტკიცების, დაცვის და აღორძინების საქმეს, თუ არ ისევ ადამიანნი, რომელნიც საამისოდ მოწოდებულნია, ვისაც თვით გააჩნია სული ცხოველი, გული მხურვალე სარწმუნოებისათვის და ის მზად არის, ცოტა რამ მაინც იტვირთოს მაცხოვრისაგან ნაანდერძევი სიმართლისათვის დევნა-ყვედრება, თვისი მაგალითით და ყოფა-ქცევა-მოქმედებით სხვანი გამოაფხიზლოს, გამოარკვიოს არა ქრისტიანულ ყოფა-ცხოვრებისა და მოქალაქობისაგან. რაც თვით სარწმუნოების ქურუმსა და დარაჯს არა აქვს, მან სხვას რა უნდა მისცეს – რაც თვით არა სწამს, არ უყვარს, პირიქით ესირცხვება – ეთაკილება კიდეც, ის როგორ უნდა შეაყვაროს სხვას, როგორ უნდა შეასწავლოს და შეათვისებიოს სამოქმედოდ და სახელმძღვანელოდ ახალ თაობას!.. ამ მხრივ, უნდა ვაღიაროთ, მეტად განადგურებული გამოდგა ჩვენი ეკლესიის სამღვდელოება. სინოდალურ რეჟიმის დროს ჩვენ მუდამ სხვის ხელთ შემხედვარენი ვიყავით, სხვანი „ჰფიქრობდენ“ ჩვენზე და ჩვენთვის, სხვები „ზრუნავდენ“ ჩვენზე, ყველაფერი ავი იყო თუ კარგი მზა-მზარეულად მოგვდიოდა და ჩვენ ზოგჯერ რაიმე შესწორებებს შევიტანდით ყოველივე ამაში, ან რაიმე უკმაყოფილების გამოთქმას გავბედავდით შექმნილ ვითარებაზე, ეს დიდ საგმირო საქმედ მიგვაჩნდა და ამით ვკმაყოფილდებოდით. ერთი სიტყვით, გადავეჩვიეთ აქტიობას, თაოსნობას, ჩვენს საქმეზე და მოვალეობის ასრულებაზე მიზან შეწონილად და უანგაროდ ზრუნვას საქვეყნოდ – ეკლესიურ დამოუკიდებლობის აღდგენაზე არა ერთხელ მოვითხოვეთ კიდევაც ეს, მაგრამ, როგორც ეხლა ირკვევა, ეს არ ყოფილა ნამდვილად განცდილი და მოფიქრებული საქმე, არავის არ უფიქრია, როგორ და რა სახით შევძლებთ ეკლესიურ გემის მესაჭეობას ამ მშფოთარე ცხოვრების ზღვაში, არავინ არ ემზადებოდა თურმე საამისოდ, ყოველივე დაწერილი თუ ნათქვამი ამ თაობაზე ყოფილა ლამაზი სიტყვები, მოსართავ-მოსაკაზმავი და სხვა არა ფერი. მართლაც, ყველანი დიდის აღფრთოვანებით და იმედებით მივეგებენით ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას 1917 წლის 12 მარტის აქტით, სულ ყველანი წუმ-წუმასავით ავენთენით, ავპილ-პილდით, ხოლო როდესაც საქმე-საქმეზედ მიდგა, როდესაც დარღვეულ ეკლესიურ ცხოვრებაში სააღმშენებლო მოქმედებას უნდა შევსდგომოდით, აი, მაშინ აღმოჩნდა, თუ რა უენერგიო, უილაჯო და ურწმუნო ხალხს გვიკისრია ეს დიდი და მძიმე საშვილიშვილო ისტორიული საქმე. არც ერთი წრე ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა არ ყოფილა იმ ზომად განადგურებული და დაბეჩავებული სინოდალურ–ცეზარო-პაპიზმისაგან, როგორც ქართველი სამღვდელოება. გონების თვალი გადავავლოთ ამ უკანასკნელ ოთხიოდე წლის განმავლობაში ჩვენ მიერ განვლილ გზას და დავრწმუნდებით ნათქვამის სრულ ჭეშმარიტებაში. ვერავინ ვერ შევნიშნეთ (თუ არ შევნიშნეთ) ის გარემოება, რომ რუსეთის დიდ რევოლი-

უციას, რომელმაც მოგვანიჭა 12 მარტის აქტი, უკან მოსდევდა ამავ ეკლესიის გამანადგურებელი ტალღები; აი, ამ ტალღების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დავრაზმულიყავით, ეკლესიის დამოუკიდებლობა, ესე იგი თავისუფალი მოქმედება, სწორედ ურწმუნოების და უზნეობის შესაჩერებელ თუ გასანელებელ საშვალებად უნდა დაგვესახა, ჩვენ კი ეს მიზნად გვქონებია დასახული და როგორც კი ამ მიზანს მივახწიეთ, მაშინვე ნადავლის გაყოფას შეუდექით და საპატიო ადგილების დაჭერას ცხოვრების სხვა და სხვა საფეხურებზე. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მოღვაწენი ვერ აგრძნობიებდა ქართველ მორწმუნე მასსას ეკლესიურ დამოუკიდებლობის აღდგენის სიკეთეს; თამამად ვაცხადებ, რომ დიდმა ნაწილმა ჩვენი ერისამ დღესაც არ იცის, თუ ისევ რუსის არქიელი და კანტორა არა გვყვანან ტფილისში! განა ზემო აღნიშნული ტფილისის სემინარიის დახურვის მკრთალი სურათი რას მოწმობს, თუ არ სრულ ჩვენს ზნეობრივ დაბეჩავებას და გახრწნას?! სასწავლებელი გვქონდა მკვიდრი, ისტორიულ სხივით მოსილი, სახელოვანი, ის ვერ შევინახეთ, ვერ გარდავქმენით, ჩვენს აწინდელ ვითარებას ვერ შეუფარდეთ, და განა იგივე ხალხი ახალ სასწავლებელს შეგვიქმნიდა?! აკი, ვერც შექმნეს და მიმოიფანტენ! შემდეგ პროექტები დაიწერა, ესენი დაადასტურა, როგორც ეპარქიალურმა კრებამ, ისე საეკლესიომაც, პროექტი ორთავენი კარგია, მისაღებია, სასწავლებლის შესანახი წყაროებიც თავის დროისათვის თითქოს ყველანი წამოყენებულია. მაგრამ საქმისათვის ეჟვნის შემბმელი არავინ აღმოჩნდა, ამ ცოცხალ საქმეს პატრონი არ აღმოუჩნდა, „პროექტები“ დღეს ისტორიულ დოკუმენტებად იქცნენ, დღეს იმათი განხორციელება უკვე შეუძლებელია, თავის დროზე რომ ისინი განხორციელებულიყო, აპპარატი შექმნილიყო, დღეს შესწორებებს შევიტანდით და ამოძრავებულ საქმეს წინ წავსწევდით...

ესევითარი შექმნილი უმწეო მდგომარეობა ჩვენი ეკლესიური ცხოვრებისა დიდის სიმწვავით განიცადა აწ განსვენებულმა კათოლიკოზმა ლეონიდმა. გარდაცვალების წინეთ (19 ივნისს) დამიბარა განსვენებულმა და განსაკუთრებით მებაასა სამოძღვრო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობაზე: „ერთი ათიოდე წელიწადი კიდევ და ჩვენ აღარ გვეყოლება განათლებული სამღვდელო პირი, ამ ხუთ ექვს წელიწადში თუ რაიმეს მოაგვარებთ, წაქცეულ საქმეს ფეხზე დააყენებთ, თორემ შემდეგ დღევანდელი შემადგენლობაც სამღვდელოებისა მოუძლურდება და ვეღარას გახდებაო; ქალაქის მღვდლებს თითქმის ყველას სოფლისკენ მიგიპყრიათ თვალი და იქ სამრევლოებში ჰფიქრობთ შეაფაროთ თავი ამ ნივთიერ გაჭირების დროს; მართალია, სოფლად უფრო ხელსაყრელი შეიქმნა დღეს მღვდლობა, მაგრამ რას ჰფიქრობთ, ვის ანაბარა სტოებთ საქართველოს დედაქალაქის ტაძრებს და სამრევლოებსო! ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, რომ სოფლის სამღვდელოება და ქალაქისა პირისპირ შეხვდეთ ერთმანეთს, განიცადოთ მთელი სიმძიმე და პასუხის მგებლობა მიმდინარე ისტორიულ ჟამთა-ვითარებისა, ერთმანეთს მისცეთ ხელი და საერთო ძალღონით სძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება ეკლესიურ ცხოვრების მოწესრი-

გების საქმეში. უკვე მოწვეული მყავს მცხეთა-ურბნის-ტფილისის საეპარქიო კრება, წარმომადგენლები მყვანან გამოწვეული ალავერდის ეპარქიიდანაც, დამეხმარეთ, შევაგონოთ სამღვდელოებას, რომ მან გვიწილადოს პური, რომელსაც იღებს სამრევლოდან. სოფლის სამღვდელოებამ აუცილებლად უნდა მოგვცეს პური იმ დრამიდან, რომელსაც თვითონ იღებს და იღებს იმდენს, რომ ბლომადაც ჰყიდისო. სახელმწიფომ თავიდან მოგვიშორა და თან წაიღო, თუ რაიმე შეგვრჩენოდა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი და, თუ დღეს სამრევლოები, მორწმუნენი და მათი მოძღვარნი არ იტვირთებენ ეკლესიის საერთო საჭიროებათა დაკმაყოფილებას, მაშინ ეკლესია, როგორც ორგანიზაცია, უსათუოდ წაიქცევა, მას ვერავითარი კათოლიკოზი და საკათოლიკოზო საბჭო ვერ გაუძღვება. სოფლის სამღვდელოება თუ პურს გაიღებს, მხოლოდ მაშინ შესძლებთ სამოძღვრო სკოლის დაარსებასაც, მაშინ კათოლიკოზსაც შეინახავთ და მისს ორგანოებსაც. სამოძღვრო სკოლის მოწაფეები თვით სამღვდელოებამ უნდა მოსძებნოს თვის გარშემო და თავიანთ სამრევლოებში; ამ ჟამად ჩვენ ვერ გამოუდგებით სამოძღვრო სკოლაში შესასვლელ განათლების ცენზის იმ უმცირეს ზომასაც კი, რომელსაც დღემდე ვთხოულობდით, ესე იგი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის კურსის დასრულებას ან ამის შესაფერ ცოდნის გამოცდის ჩაბარებას; ქართული წერა-კითხვის თავისუფალი მცოდნე – აი, მინიმუმი იმ ცენზისა, რომელიც უნდა მოეთხოვოს სამოძღვრო სკოლაში შემსვლელ მოწაფეს; ასეთი ცოდნის ადამიანები 20 წლიდან მოყოლებულნი ხშირად მოიპოებიან ჩვენში, ბევრს ამათგანს აქვთ ცხოველი სარწმუნოება, აქვთ სურვილი ეკლესიას ემსახურონ, მხოლოდ ასეთ პირთ უნდა მონახვა, გამხნევება, გზის ჩვენება, რომ ესენი მოემზადნენ ეკლესიის მსახურებად; ამათ ქალაქში ჩვენ უშოვნით ბინას-თავშესაფარს, ტან-ფეხი თავიანთი ექნებათ, ხოლო პურს, ლობიოს და სანოვაგეს მოგვაწოდებს მორწმუნე ერი სამღვდელოების ხელმძღვანელობით, შეგონებით, გარჯით და თავიანთ დრამისაგან მონაწილეობითაც. საჭიროა საამისოდ სამღვდელოების ორგანიზაციულად შეკავშირება, მისი უღირს ელემენტებისაგან განწმენდა, მრევლის რეგისტრაცია, ცნობაში მოყვანა იმისი, თუ ვინ რჩება ჩვენი ეკლესიის მორჩილ და ე. ი. ერთგულ შვილად, რომელიც იტვირთებს საჭირო მოვალეობის მოხდასაც დედა ეკლესიის წინაშე. ასეთ საერთო ძალღონით გამონახულ ნივთიერ დახმარებას დაუმატებთ სანთლის ქარხნიდან საჭირო თანხას, რომ მით მოვიწვიოთ სამოძღვრო სკოლისათვის საჭირო მასწავლებლები. სამოძღვრო სკოლის ორგანიზაცია უნდა მიენდოს სათანადოდ მომზადებულ პირს, რომელიც თვით მოიწვევს თვისს თანამშრომლებს, თვითვე გამოარკვევს სახეს ამ სკოლისას, ესე იგი რამდენ წლოვანი იქნება ის და რა პროგრამით იქნება მასში სწავლა. სკოლას არ უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივი ხასიათი, ის ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული ეკლესიის ღვთის მსახურებასთან, აქ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულად და ზნეობრივად მომზადებას სამღვდელო პირთა კანდიდატებისას; მათთან უნდა იყოს განუწყვეტელი ბაასი ქრისტიანულ სწავ-

ლა-მოძღვრებაზე, ზნეობაზე, ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა მოძღვრებაზე და მათზე სათანადო სიტყვისგება-პასუხებზე და ჩვენი სჯულის დაცვაზე".

დაახლოებით ასეთი აზრი გამოსთქვა აწ განსვენებულმა კათოლიკოზმა ლეონიდმა სამოძღვრო სკოლის შესახებ ამა წლის 19 ივნისს ჩემთან კერძო საუბარში. ეს აზრი მან გაატარა იმავე წლის ივლისის პირველ რიცხვებში მოწვეულ საეპარქიო კრებაზე, რომლის შესახებ არის შედგენილი ჟურნალი. საეპარქიო კრებამ სავსებით მიიღო კათოლიკოზის წინადადებანი, კრებამ დაადგინა კათოლიკოზის და მისს ორგანოების დასახმარებლად ამ ჟამად გაწერილ იქმნას სამღვდელოების ქონებაში ხუთასი ფუთი პური. ამ სახით პურით შემწეობის დებულება პრინციპიალურად მიღებულ იქმნა. ეს დებულება უნდა სათანადოდ დამუშავდეს, უნდა ფართოდ გავიტანოთ მორწმუნეთა შორის, უნდა შევაგონოთ მათ, რომ თუ არ ნატურალურ ურთიერთის დაბეგვრით, ეკლესიის და მისს კონფესიონალურ სასწავლებლის შენახვა შეუძლებელია. ამ მხრივ ჩვენ უნდა მივბაძოთ სომხებს – ესენი „ეჩმიაძინის სასარგებლოდ" ყველგან და ყოველ ჟამს აგროვებენ შემწეობას ფულითაც და ნატურითაც. ეს აზრი საჭიროა გატარებულ იქმნას საეკლესიო კრებაზე, რომ ამ საერთო ეკლესიურ საჭიროებას საერთო, შეგნებული და საეკლესიო კრების მიერ ავტორიტეტულად გამოთქმული ნების ყოფა მოჰყვეს, რათა საეკლესიო კრების დელეგატები შეეცადნენ კიდეც ცხოვრებაში განახორციელონ კრებაზე გამოთქმული ნების ყოფა და კეთილი სურვილები. ბევრი კეთილი სურვილები თუ ზომები იყო გამოთქმულ-წამოყენებული როგორც პირველ საეკლესიო კრებაზე ისე მეორეზედაც, მაგრამ უხალისობა და უმოქმედობისა გამო არც ერთი კრების დარბაზიდან გარეთ არ გამოსულა, არ გატარებულა ცხოვრებაში, ლამის ხელში ჩაგვეფუშოს, გაგვინიავდეს ეკლესია, ჩვენ კი ყველანი პილატესავით ხელს ვიბანთ და უბედურების მთელი სიმძიმე გადაგვაქვს გარეშე, პოლიტიკურ-სოციალურ პირობებზე, ყველაფერის სხვაზე გადაბრალება, მეტი რო არა ვსთქვათ, არ არის სამართლიანი. ამას მოწმობს თვით საეკლესიო ისტორია, რომელიც გვეუბნება, რომ პირველ ქრისტიანეთა ცხოველმა სულმა და მხურვალე სარწმუნოებამ სძლია წარმართთა პოლიტიკურ-სოციალური სისასტიკენი, მათ მიერ ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ სამი საუკუნის განმავლობაში წამოყენებულ-წარმოებულნი...

სამოძღვრო სკოლის დაარსება ჩვენი ეკლესიის საჭიროებათათვის ორგანიულად დაკავშირებულია საერთოდ ეკლესიურ ცხოვრების მოწესრიგებასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ დაუცდით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურად თუ სოციალურად ამა თუ იმ სახით გარდაქმნას, ჩვენ ყოველგვარ პირობებში უნდა ვიარსებოთ; ჩვენთვის არ არსებობს ესა თუ ის სახე პოლიტიკურ-სოციალურ მოძღვრებისა. ეკლესიას აქვს თვისი ურყევი მსოფლ მხედველობა, დაფუძნებული სახარების მოძღვრებაზე, მორწმუნეთა ამ ნიადაგზე. ეკლესიას აქვს უკვე ნაცადი, მტკიცე ორგანიზაცია, დამყარებული დისციპლინაზე, ურთიერთადმი გულწრფელ შეთანხმება-სიყვარულზე და ურთიერთ შემწეობაზე. ამ ორგანიზაციას სათავეში უნდა ჰყავდეს მტკიცე მეთაური, ხელმძღვანელი, რომელიც

ამ მშფოთავ ზღვაში მამაცად და თავდადებით გაუძღვება ეკლესიის ხომალდს – ამისათვის კი ეკლესიის მეთაურმა უნდა იცოდეს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას ჰყავს სამწყსო და ამათ ერთმანეთის ხმა ესმისთ, ეს სამწყსო არის ის ხომალდი, რომლის საჭე ხელთ უჭირავს ეკლესიის მეთაურს, მწყემსს და რომ ამ ხომალდმა დაუბრკოლებლად იცუროს გარემოზღვავებულ ტალღებში, ამისათვის უნდა გვახსოვდეს ქართული ანდაზა: „როგორ შეიძლება ნავში ჯდომა და მენავეთა ბრძოლაო“! თავისთავად ცხადია, რომ ნავში მენავეთა ბრძოლა ხომალდს მოაპირქვავებს და შიგ მსხდომნი დაიღუპებიან... ეს სურათი – ნავში ჯდომისა და მენავეთა ბრძოლისა მუდამ თვალწინ უნდა გვედგას, ვისაც საქართველოს ეკლესიის ბედიღბალი აფიქრებს (უნდა იყოს სრული მორჩილება მწყემსმთავრისადმი; ეს უკანასკნელი მუდამჟამ უნდა ფხიზლობდეს, ის უნდა იყოს ნამდვილი გულშემატკივარი, პატრონი თვისი ეკლესიისა და სამწყსოსი; ის თვის კვერთხით ხელმძღვანელობს ეპისკოპოზთ და მათ მორჩილ სამღვდელოებას). ჩვენ ვერ დავამყარეთ მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ეკლესიაში სათანადო ეკლესიური დისციპლინა; ვერ მოვაწესრიგეთ ურთიერთობა ვერც იერარქიაში, ვერც სამღვდელოებაში და ვერც სამღვდელოებასა და მრევლთა შორის; რაც დრო მიდის, უფრო მეტი ანარქია შედის ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებაში; უღირსი ელემენტი ჩვენი სამღვდელოებისა სარგებლობს ამ ანარქიით და საერთო დროთა ვითარებითაც, ასეთები ივიწყებენ მღვდლის სინიდისს, აღარ ემორჩილებიან სასულიერო მთავრობას და მისს მსჯავრს მათ ზედა, ძალად იჭრებიან და ან მაგრდებიან იმ სამრევლოებში, საიდგანაც მათი გაყვანა საჭიროდ უცვნია სას. მთავრობას; ასეთ მოძალადე-შეუპოვართ შეცდომაში შეჰყავთ მორწმუნენი, ამათ ჰპირდებიან თითქოს შეღავათიან პირობებში სამსახურს და ესენიც ამით მოტყუებულნი მხარს უჭერენ თავიანთ უღირს მღვდლებს, რომლებთან ერთად ეურჩებიან სასულიერო მთავრობას. ამ სახით ჩვენში იქმნება ისეთი შემზარავი პირობები, რომ არც ერთი ცოტად თუ ბევრად შეგნებული და მომზადებული პირი არ ისურვებს იტვირთოს ეკლესიაში სამსახური; ის ხედავს, რომ აქ გამეფებულია ძალადობა, თვითნებობა, ილახება და მცირდება ადამიანური ღირსებები, წინ სდგანან უპასუხისმგებლო, უღირსნი პირნი და ვერცა ვის აულაგმავს ისინი. თუ ასეთ ანარქიას არ მოეღო ბოლო, თუ ეკლესიური დისციპლინა არ იქმნა მღვდელთა და მრევლთა შორის აღდგენილი, ნაკლები იმედია, რომ ცოცხალი და ნიჭიერი ძალები მიიზიდოს ჩვენმა სამოძღვრო სკოლამ, ჩვენ ვერ ვიშოვნით სასურველ მოწაფეებს ამ სკოლისათვის, მეტად დაეცა ამ ბოლო ხანებში მღვდლის პრესტიჟი საზოგადოების თვალში; ვინც კი მოისურვებდა მღვდლობას, ყველას აძლევდენ ჩვენი მღვდელმთავრები ამ ხარისხს, არავინ დაგიდევდა მათთვის არც დებულებისაგან დადგენილ განათლების ცენზს და არც სათანადო გამოცდას; ამიტომ ჩვენი ეკლესია აივსო უვიცი სამღვდელო პირებით, უღირს ელემენტებით, რომელნიც ყოველივე ხალისს უკარგავენ, კვლავ კიდევ ვინმემ ღირსეულმა პირმა გაჰბედოს მღვდლად წასვლა ან ხარჯი გასწიოს და

დრო დაჰკარგოს მღვდლობისათვის მოსამზადებლად; ჩვენში „მღვდლები“ იშვიათნიღა არიან დღეს, სულ ყველანი, განურჩევლად გადეკანოზებულნი არიან, ისინიც კი, რომელნიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი სხვა და სხვა გვარ უზნეობისა და ბოროტ-მოქმედებისათვის. იშვიათად, რომ კვლავ ვინმემ, განათლებულმა პირმა, ისურვოს ასეთ კოლლეგიაში ჩარიცხვა! უმჯობესი იქ-ნებოდა, უღირს პირთა სამრევლოებში გაგზავნის ნაცვლად, ეს სამრევლოები უმღვდლოდ დარჩენილიყვნენ, ან ერთი სამრევლო მეორეზე მიწერილიყო, თან სამრევლო გაიზრდებოდა, ნივთიერად მოღონიერდებოდა; ასეთი სამრევლო უფრო ღირსეულ პირს მიიზიდავდა და მღვდლის პრესტიჟიც არ შეილახებოდა. თუ არ შეასრულებდენ, მაშ, რად სწერდნენ ან ამტკიცებდენ საეკლესიო კრე-ბაზე დებულებებს?! ჩვენი მღვდელმთავრები თითქოს განზრახ არღვევდენ და გვერდს უვლიდნენ მათ მიერ სახელმძღვანელოდ მიღებულ „დებულებას“, საეკლესიო კრებისაგან მათთვის გაცემულს!.. ეს ზნეობრივი მხარე – ჩვენგ-ნითვე მღვდლობის პრესტიჟის დაცემისა – უფრო საბედისწერო ხელის შემ-შლელ პირობად უნდა იქმნეს მიჩნეული სამოძღვრო სკოლის დაარსების და აღორძინების საქმეში, ვინემ ნივთიერი მხარე მღვდლობის სამსახურისა. თუ რაიმე სამსახური ან საქმე ადამიანს არ აკმაყოფილებს ნივთიერად, არ აძლევს მას საშვალებას ცოლ-შვილს საარსებო ლუკმა პური მიაწოდოს, ცხადია, ასეთ სამსახურს, ხელობას ან პროფესიას ყველანი ეცდებიან გვერდი აუარონ, აქ მოხვდებიან მხოლოდ ისეთნი, რომელნიც სხვა საქმისათვის გამოუსადეგარნი ან უვარგისნი არიან. ლამის არის, ასეთ მშიერ სამსახურად აღიარებულ იქმნას ეკლესიური სამსახური – მღვდლობა–მედავითნეობა. ამიტომაც თითქოს იძუ-ლებულიც ვიყოთ, რომ მღვდლად ან მედავითნეთ მივიღოთ ყველანი, ვისაც კი როგორმე ეკლესიურ წესების შესრულება ეხერხებათ, რომ ხალხი სრულიად უმღვდლოდ არ დაგვრჩესო, ვინაიდან ასეთ ნივთიერ პირობებში უკეთესი სამ-ღვდელო პირი არ ისურვებს წასვლასო.

ასეთი შეხედულება მღვდლის სამსახურის ნივთიერ მხარეზე უნდა ჩაითვა-ლოს დიდ გაუგებრობად. აწინდელმა გარდამავალმა ხანამ განსაკუთრებული სიცხადით გვაჩვენა, რომ მღვდლობის (განსაკუთრებით სოფლად) სამსახური ბევრ საერო სამსახურზე მაღლა სდგას და კვლავაც იდგება ნივთიერადაც. ჩვენი სამღვდელოება უმეტეს ნაწილად სცდილობს მოიკალათოს თვისს სამშობლო სოფლის სამრევლოში, სადაც მას ცოტა რამ უძრავ-მოძრავი ქონება აბადია და საშვალება აქვს საკუთარი მეურნეობა აწარმოოს; თუ დიდი მასშტაბით არა, მცირედ მაინც, ცოტა – მოხნას–მოთესოს, ბოსტანი გაიჩინოს, შინაური ფრინველი და ოთხფეხი პირუტყვი იყოლიოს, თან მრევლი მისცემს ცოტა რამ პურს- სიმინდს, ან წესების ასრულების სასყიდელს და ამ სახით მღვდლის ოჯა-ხი არის მსუყე, მაძღარი და თუ სრულებით უზრუნველ ყოფილი არა, უმეტეს ნაწილად შედარებით კმაყოფილი. ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე, ქვემო და ზემო იმერეთზე; ნაკლებად უზრუნველ ყოფილნი არიან მღვდლები გურია-სამეგრელოში, უფრო ნაკლებად აფხაზეთ-სვანეთ-

თუშ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების ყოფილმა ჯა-მაგირებმა გადააჩვიეს ხალხი მღვდლებისათვის სარჩო ეძლიათ. მაგრამ ამასაც ეშველება, ხალხი მიხვდება იმ უბრალო ანგარიშს, რომ თუ კაცი მოგიწოდებია მღვდლად, მას სარჩოც და გასამრჯელოც უნდა აძლიო. საზოგადოდ მიჩნეულია აშკარა ჭეშმარიტებად ის ფაქტი, რომ პატიოსანი, ღირსეული, გამრჯელი და ენერგიული მღვდელი არსად არ არის დაბეჩავებული და ულუკმა-პუროდ დარჩენილი. ამასთანავე უნდა ვიგულისხმოთ მღვდლობის იდეიური, შინაგანი სიმაღლე, მისი მოწოდებითი მხარე, რომ სასუფეველი ღვთისა არა არს სასმელი და საჭმელი, არამედ სიხარული და მშვიდობა სულისაგან წმიდისა. – ვისაც მღვდლობა სურს, მას კეთილი საქმე სურს, – ემუდარებოდა პავლე მოციქული თავის სამწყსოს; თუ ასეთ ქრისტიანულ შეხედულებით მღვდლობაზე ვიხელ-მძღვანელებთ, მღვდლად წასვლა, მღვდლობისათვის მომზადება, სამღვდლო სკოლის დასრულება და მასზე ხარჯის გაწევა ღირს, ვინაიდან ეს ნივთიერადაც არ არის საზარალო, თუ მღვდელი კაცად ვარგა და სიზარმაცეში არ ჩაეფლობა. ამიტომ ყოველივე ზემო ნათქვამის შემდეგ დავასკვნით, თუ ჩვენს ეკლესიას ეყოლება მტკიცე, უანგარო და თავდადებული პატრონი – თაოსანი ხელმძღვანელი, მღვდლობის პრესტიჟს ზნეობრივად აღვადგენთ, ვიგინდარას არ გადავკიდებთ ყელზე ოლარს, თუ საზოგადოებაში მას პასუხის მგებელ, ზნეობრივ სუბიეკტად ვაღვიარებთ და ანგარიშსაც მოვსთხოვთ მასს ყოფა-ქცევა-მოქმედებაში, და-ნამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენში სამოძღვრო სემინარიას აქვს ნიადაგი და სასურველი მომავალიც, ის აუცილებელ სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ეკლესიის აღორძინების და განმტკიცების საქმეში, ის უნდა გახდეს ქართულ ღვთის მეტყველების, ეთიკის, და ძველი მწერლობის შესწავლის და დამუშავების მხურვალე ქურად. ჩვენ სამოძღვრო სემინარია უნდა მივიჩ-ნიოთ ავტოკეფალურ საქარ. ეკლესიის ზნეობრივ დროშად და დიდებად. ჩვენ ვალდებულნი ვართ ქართველი ერის და ისტორიის წინაშე, რათა მას მოუწყოთ ისეთი დარბაისელი სამოძღვრო სემინარია, რომელიც ღირსეულად ემსახუროს მის სულიერ მოთხოვნილებათა დამუშავებას და დაკმაყოფილებას. ეს უნდა იყოს ჩვენი გაუნელებელი მისწრაფება, ეს უნდა დავისახოთ მიზნად. მაგრამ ამ მიზნის მიხწევას დიდი და ბევრგვარი დაბრკოლებანი უძევს წინ, ამიტომ დღეს მოვსჭიდოთ ხელი ისეთ რამეს, რომელსაც ვზიდავთ და რომელიც ჩვენი ერის კონფესიონალურ მოთხოვნილებას რამოდენამედ მაინც დააკმაყოფილებს. ამი-ტომ დღევანდელ მძიმე პირობებში უნდა დავკმაყოფილდეთ სამღვდელო პირთა სულ უბრალო მოსამზადებელ კურსებით.

1) ეს კურსები იქნებიან ერთ წლოვანი და ორ წლოვანი; იმათთვის, ვისაც უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი აქვს დასრულებული, ან უფრო მეტიც – ერთ წლოვანი, ხოლო იმათთვის, ვისაც პირველ დაწყებითი სკოლა აქვს დასრულებული ან სათანადო გამოცდას ჩააბარებს – ორწლოვანი. ამათგან, ვინც ერთ წელს მაინც მოისმენს კურსებზე სწავლას, მიეცემათ წიგნის წამკითხავის ან მედავითნის თანამდებობა.

2) წლოვანება კურსებზე შემომსვლელთა განუსაზღვრელია; ახალგაზრდა კურს დასრულებულნი იმსახურებენ ეკლესიაში სამხედრო ბეგრის მოხდამდე წიგნის წამკითხავებად, ხოლო სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ – მღვდლებად.

3) კურსები უნდა მოეწყოს საკათედრო ტაძრებთან – ყველა კათედრებთან თუ არა, ორთან მაინც – ერთი ტფილისში, მეორე ქუთაისში.

4) კურსების მოსწავლეებთ ეძლევათ ბინა და საეპარქიო საერთო შემოსავლიდან ყოველ დღიური საზრდო პური; სხვა სანოვაგე, ჩაცმა-დახურვა, განათება და გათბობა პირველ ხანებში მოსწავლეთა საზრუნავია.

შენიშვნა: მოკლე ხანში კურსების შენახვა უნდა მოგვარდეს საეპარქიო ხარჯით – ამ მიზნით განსაზღვრული % უნდა დაიბეგროს სამრევლო ეკლესიების შემოსავალი ფულით, ხოლო მათი კრებულისა – ნატურით. ამ შემოსავალთა ნაწილი უნდა მოხმარდეს კურსების მოსწავლეთა შენახვას, სრული პანსიონით.

5) კურსებისათვის შესაფერი მოწაფეები უნდა შეიგულონ და გაგზავნონ, სადაც ჯერ არს საოლქოებმა და საერთოდ სამღვდელოებამ.

შენიშვნა: პირველ ხანებში მოწაფეთა რიცხვი შეიძლება არ აღემატებოდეს 5–10-სა.

კურსების სასწავლო საგანთა ნუსხა:

1) სამღვთო სჯული ძველი და ახალი აღთქმისა.

2) სამღვთო წერილის მიმოხილვა, განსაკუთრებით ახალი აღთქმისა, ხოლო ძველი აღთქმიდან მოსეს წიგნთა, დავითნისა და წინასწარმეტყველთა.

3) საეკლესიო ისტორია მსოფლიო (ეკლესიათა განყოფამდე) და მშობლიო.

4) ღვთისმსახურება პრაქტიკულად, წირვა-ლოცვაზე მონაწილეობით.

5) გალობა.

6) საეკლესიო მოძღვრება-მქადაგებლობა.

7) უცხო სარწმუნოებათა მოკლე მიმოხილვა; მატერიალიზმის მოკლე მიმოხილვით და ქრისტიანობის დაცვით.

ვინაიდან კურსებზე სხვა და სხვა განათლების და განვითარების მასწავლებელნი იქნებიან, ამიტომ მოწაფეები ორ ჯგუფად განიყოფებიან.

ერთ წლოვან კურსებისა ცალკე, ორ წლოვანისა ცალკე, ისე კი რომ მასწავლებელნი ორთავე კურსებს ერთი და იგივენი ეყოლებათ.

კურსების ხელმძღვანელს იწვევს და სცვლის კათოლიკოზი.

მასწავლებელთა რიცხვის განსაზღვრა და მათი მოწვევა ხდება კურსების ხელმძღვანელის მიხედვით, კათოლიკოზის წინაშე მისს პასუხის მგებლობით. მასწავლებელთ ჯამაგირი ეძლევათ საეპარქიო ქარხნების საშვალებათაგან იმ ზომით და ანგარიშით, როგორც ეძლევათ ხოლმე გიმნაზიის და საშვალო სასწავლებელთა მასწავლებელთ ფულითა თუ სანოვაგით. თუ რამდენ გაკვეთილებში და რა ცხრილში მოთავსდება აღნიშნულ საგანთა კურსებზე სწავლება, ეს კურსების ხელმძღვანელის საქმეა.

თუ აღნიშნულ კურსების ორგანიზაცია მკვიდრ ნიადაგზე დადგა ტფილის-

ში, იმედია, რომ სულ ახლო მომავალში ეს კურსები გადაკეთდება „სამოძღვრო სემინარიად“, ის იქნება საერთო სრულიად საქართველოს ეკლესიისათვის, რომელიც ღირსეულადაც შეინახავს და გაუძღვება კიდეც თვისს ახალ-ახალ და მაცოცხლებელ ძალთა აღმზრდელ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ამ საშვილი-შვილო საქმის განხორციელება 1917 წლის 17 სეკტემბრიდან წილად ხვდა მესამე კათოლიკოზს, რომელიც უნდა დაუდგინოს ჩვენს ეკლესიას მესამე საეკლესიო კრებამ, მოწვეულმა გელათის მონასტერში, ამ უმაღლეს სასულიერო განათლების ოდესაღაც მხურვალე და დაუშრეტელ კერაში, წმ. მეფის დავით აღმაშენებელის მიერ აშენებულ-დაფუძნებულში.

დეკ. ნ. თალაქვაძე
1921 წ. 17–21 აგვისტო

.....[1]

კერძოდ ღვდლებზე გამოცხადდა: სახნავ-სათესი მინდვრები, ბაღი თუ ვენახები, ამათ სავსებით ჩამოერთმევათ! არავითარი „ნორმა“ მათ არ მიეცემათო! ნორმა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც ანაფორას გაიხდის, საკუთარი შრომით მიწას დაიმუშავებს, ხალხის მოტყუილებასა და ყვლეფაზე ხელს აიღებს, მუქთა-ხორობას თავს დაანებებსო!..

გამოცხადდა თუ არა ასეთი განკარგულება, სიკო დეკანოზმა პირველმა გაიხადა ანაფორა! მან დაჰკეცა „ბრძოლის ველზე“ მიღებული თავისი ლენტ-ბანტებიანი ჯვარ-მენდლები და ორდენები, მაგრად ჩაჰკეტა ისინი ყუთში და საიდუმლო ადგილზე შეინახა: ვინ იცის, იქნებ ოდესმე „საქმე გამობრუნდეს“ და ამ ჩემს ჯილდო-ნაგრადებს ისევ კარგი დარი დაუდგესო! ჰფიქრობდა ის!..

ეხლა კი აგრე იყო საჭირო! ანაფორა გაიხადა და თავისი ორი მშვენივრად დამუშავებული ზვარი შეინარჩუნა! თან სოფლად ახლად გახსნილი საკრედიტო დაწესებულებაში მოანგარიშის თანამდებობაც მიიღო, კაი ჯამაგირით და გაიჩარხა მისი საქმე!..

სიკოს სხვა ღვდლებმაც მიჰბაძეს! ამათაც განზე მიაკიდეს ანაფორები! საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ხშირად წაიკითხავდით გაზეთების ფურცლებზე ღვდლების განცხადებებს, თითო-თითოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად:

„ძირს ანაფორა! ღრმად დავრწმუნდით, რომ ღვდლობა არის მატყუარობა და სხვა არაფერი! სრულის შეგნებით ვანებებ თავს ღვდლობას! ვიხდი ანაფორას და ამიერიდან უბრუნდები საკუთარი შრომით ცხოვრებას“ და სხვა...

ღვდლებად რჩებოდენ მხოლოდ ისეთნი, ვინც ღვდლობით არასა ჰკარგავდა, პირიქით, ღვდლობით შეეძლო მათ ცოტა რამ შემოსავალიც ჰქონებოდათ – ლუკმაპური!..

სადღა იყო ის ქელეხები, მსუქან-მსუქანი ტაბლები თუ „სამღვთოდ“ შესაწირავი ცხვრების მხარ-სიბნები, თავ-ფეხი თუ ტყავები! აღარც „კოდი პურები“! ვისღა ჰქონდა ან ვინღა გაიმეტებდა ეხლა მღვდელ-დიაკვანზე „კოდი-პურის“ მიცემას?! თითო ჩანახს ან ნახევარ ჩანახს თუ ვინმე მისცემდა მათ, ესეც დიდი ღვთისწყალობა იქნებოდა მათთვის.

ერთი მეორის მიხედვით დაშინდა გლეხობა, ღვდელს იშვიათადღა თუ ვინმე მიმართავდა აშკარად! თუ შიგა და შიგ მიმართავდენ, ისიც ფარულად, საიდუმლოდ! ჯერ მიცვალებულს გაასვენებდენ და დაასაფლავებდენ უღვდლოდ! შემდეგ საფლავზე ააგებინებდენ ღვდელს ანდერძს! ან ფარულად უხდიდენ პანაშვიდს!... „სულს აუხსნიდენ“ და წირვებს თუ „ხარჯებს“ გადაუხდიდენ!..

ასევე იყო ქორწინებისა თუ ნათლობის საქმეც! პირველ ხანებში ეხამუშა გლეხობას ჯვარდაუწერელი შეუღლება, მაგრამ მალე შეეჩვიენ ამასაც! ხოლო თუ ვინმე მაინცა და მაინც მოისურვებდა საყდარში ჯვარის წერას, ეს ხდებოდა ისევ ფარულად, მორიდებით, აგრევე იყო ნათლობაც!..

---

1. ხელნაწერი თავნაკლულია *(გამომცემლის შენიშვნა).*

დაურიგდა გლეხობას მთავრობის ფონდიდან სახნავ-სათესი ადგილები!.. დაურიგდა უსასყიდლოდ!..

მიწის ყიდვა-გაყიდვა აღკრძალული იქნა სასტიკად!.. ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად შეიქნა ქალაქად მუშა-პროლეტარიატი, ხოლო სოფლად ღარიბ-ღატაკი გლეხობა და მოჯამაგირენი!..

მამულები ჩამოერთვა ბევრ შეძლებულ გლეხობასაც, როგორც, მაგალითად, ალექსა და ბაბე ოქუაშვილებს. ამათ თვითონვე განუცხადეს „რევკომს“ – „მოგვეცით ნორმა, სხვა წაიღეთ, ფონდში გადარიცხეთ ჩვენი ზედ-მეტი მამულიო“!..

გადასახადებით დაიბეგრენ „შეძლებული კლასები“, ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირენი სავსებით განთავისუფლებულ იქნენ ყოველ გვარ გადასახადებისაგან; ზოგიერთი გადასახადი დაედო შუათანა შეძლების გლეხებს, ბობოლა გლეხები კი უფრო საგრძნობლად იბეგრებოდენ. ამ ნიადაგზე ბევრი გაუგებრობა, მითქმა-მოთქმა და ზოგჯერ უკმაყოფილებაც იყო გლეხობაში, მაგრამ ურიგდებოდენ თავიანთ ბედსა და ხვედრს!..

სოფლებში შემოიტანეს ტრაქტორები, სამკალ-სალეწი და სანიავებელი იარაღები. გლეხობა მალე დარწმუნდა ამ მანქანებისა და იარაღების დოვლათიანობა-სიკეთეში. ფუტკრებივით ეხვეოდენ სოფლებში „ქირაზედ გამოგზავნილ“ სამკალ-სალეწ იარაღებს და ელოდენ თავიანთ ჯერს! სახუმარო საქმე ხო არ იყო! ერთი კვირის გასაკეთებელ საქმეს ეს მანქანები ნახევარ დღეში ასრულებდენ!..

ნამგალ-ცელით თავბრუ დამხვევი მკა ან კალოზე ხარ-კამეჩების კევრით ქრიალი აღარავის მოსდიოდა ჭკუაში!

დაიბადა ახალი იარაღებით მიწის დამუშავების წყურვილი! სახნავ-სათესი ტრაქტორები!.. თესლის გაწმენდა!... თესლის გაუმჯობესება!.. მოსავლიანობის აწევა, გადიდება! ყოველივე ამით მეტად დაინტერესდა გლეხობა, რომელმაც მიწაც საკმარისად მიიღო „ფონდიდან“ და სიხარულით ცას მოეჭიდნენ მიწის მუშები!..

მაგრამ... ეს ტრაქტორები თუ სამკალ-სალეწი-სანიავებელი მანქანები, მათი სიძვირის გამო, გლეხის კერძო მეურნეობისათვის ხელმიუწვდომელი იყო და ბუნებრივად იბადებოდა აზრი საერთო ძალ-ღონით ასეთების შეძენისა. ამ აზრის განხორციელებას ხელი შეუწყო სოფლად თუ ქალაქებში დაარსებულმა გლეხის დამხმარე საკრედიტო დაწესებულებებმა! მანქანების შესაძენად სოფელს ეძლეოდა იაფი და გრძელ ვადიანი სესხი... ასეთი საშვალებით მანქანების შეძენამ გამოიწვია მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი „ამხანაგობის“ თუ „არტელების“ შექმნა. ასეთი არტელები და ამხანაგობები გაჩნდა საქართველოს ბევრ სოფლებში! ზოგ ადგილას დაარსდა მძლავრი „კომუნები“! მაგალითად, „სამთავისის კომუნის“ (ქართლშია) ამბავი მოეფინა მთელს საქართველოს! ეს „კომუნა“ მისაბაძი რამ შეიქნა სხვა სოფლებისათვის!

სამთავისის კომუნის მიხედვით ველის-ციხეში (კახეთის მაზრაშია) დაარ-

სდა (1922 წ.) კომუნა – „შრომის სამეფო“. გაზეთების სიტყვით, „ეს კომუნა უკვე წარმოადგენს მძლავრს, შეკავშირებულ მეურნეობას! ის, როგორც სამთავისისა, კომუნის სრულ პრინციპზეა აგებული! მაგრამ მას ჯერ არა აქვს საერთო-საცხოვრებელი, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს მეურნეობის წევრთა ცალკე ოჯახებში ცხოვრებისა გამო. გლეხობამ საკმარისად შეიგნო ასეთი მეურნეობის სარგებლიანობა და უპირატესობა. მუშაობა წევრთა შორის განაწილებულია, რაც მეურნეობის ნაყოფიერებას მაღლა სწევს!.. ეს კომუნა აერთიანებს 18 ოჯახს, 54 სულით! ემზადებიან საერთო საცხოვრებელის ასაგებადო“!..

გარდა ამ „კომუნისა“ კახეთის მაზრაშივე დაარსდა მძლავრი არტელი – „გლეხთა გაერთიანება“! ის აერთიანებს 23 ოჯახს, 112 სულით. არტელი ეწევა მევენახეობასაც და ხვნა-თესვასაც... დიდის წარმატებითო!..

სხვა არტელებში ზოგან 13, ზოგან 15 და მეტი ოჯახია გაერთიანებული და საერთო შრომით წინ სწევენ სოფლის მეურნეობას.

აღსანიშნავია, ისევ კახეთში, არტელი – „გლეხის მარჯვენა“; ამაში მონაწილეობას იღებს 14 ოჯახი, როგორც უღარიბესი, ისე საშვალო გლეხები. ამათ გააერთიანეს სახნავი მიწები. არტელმა შეიძინა თემის ბანკიდან სახნავი ტრაქტორი და სათესი მანქანა!.. ღებულობს ის სათესლე ხორბალს და იაფფასიანი სახით ფულის დახმარებასაც!..

ასეთი არტელები დაარსდა გურიაში („გლეხის იმედი“ – ჩოჩხათში), სამეგრელოში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ქართლის სხვა და სხვა კუთხეებში...

კოლექტიური შრომით გურიაში და სამეგრელოში გააშენეს მანდარინისა და ჩაის პლანტაციები! ასევე ეწევიან მეაბრეშუმეობასაც...

მიუხედავად ასეთი თვალსაჩინო მაგალითებისა, გლეხობის დიდი უმეტესობა მაინც უნდობლად უცქერის კოლექტიურ მუშაობას და არტელ-კომუნებსაც! კერძო საკუთრება გლეხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი! მას „თავის მიწაზე თავისი მუშაობა“ უნდა: საადგილ-მამულო ფონდებიდან რო სახნავ-სათესი მიწები თუ ვენახები დაურიგდა გლეხებს, ეს, რასაკვირველია, ყველას სასიხარულოდ ჰქონდა! ცას ეწეოდენ სიხარულით, მაგრამ ეგ რაღაც „არტელებში“, „ამხანაგობაში“ თუ „კომუნებში“ გაერთიანებული მუშაობისა თუ ცხოვრებისა მათ არა სწამდათ!.. ეს მათ ჭკუაში არ მოსდიოდათ!..

ტრაქტორებიც და სხვა მანქანა-იარაღებიც განა არ მოსწონდათ, განა ვერ ამჩნევდენ მათ ბარაქიანობას მუშაობაში! მაგრამ მათი საზიაროდ შეძენა ხელსაყრელად არ მიაჩნდათ, კერძოდ კი, თვითოეული მესაკუთრისათვის, მეტად ძვირი და ხელ-მიუწდომელი იყო! თან იმის ვარაუდშიც იყვნენ, რომ ამ იარაღებისა და მანქანების მოხმარას ცოდნაც უნდა, ნავთი, ბენზინი და ვინ იცის, კიდევ რამდენი შეკეთებაც დასჭირდესო! სად გვაქვს ჩვენ მაგისი თავი! როგორც გვიმუშავია, დეე, ისევ ისე დავიმუშავებთ მიწებსო! თუ არა და შიგა და შიგ ამ მანქანა-იარაღებს დავიქირავებთ და ის იქნებაო!..

– გაერთიანებული მუშაობაც ბევრ უხერხულობას გამოიწვევს, ბევრ გაუგებრობასა და აყალ-მაყალს ექნება ჩვენში ადგილიო! – ბჭობდენ გლეხები.

– ძმა ძმას ვეღარ ურიგდება, მამა შვილს, შვილები მამას ვეღარ უდგებიან საქმეში და ეგ ამოდენა ოჯახები როგორ შევეწყობით ერთმანეთსო! – შენიშნა ერთმა.

– ზოგი მუყაითი მუშაა, საქმის ერთგული, ბეჯითი, წელებზე დილიდან საღამომდე ფეხებს იდგამს ისე მუშაობს, მოსვენება არა აქვს! ზოგიც უქნარაა, ზარმაცი და თაღლითია! ასეთები ერთ საქმეში როგორ შეიძლება შეებანო!.. ასეთები უღელს როგორ გასწევენ საერთო მუშაობაშიო! – ილაშქრებდა კოლექტივების წინააღმდეგ მეორე.

– საერთო საცხოვრებელი სახლები!.. ერთ ჭერ ქვეშ ამოდენა ხალხის, დიდისა თუ პატარასი, ერთად ცხოვრება! საერთო ქვაბიდან თუ ჯამიდან ჭამა-სმა! აბა, რა სათქმელია?! ეს რა ჭკუაში მოსასვლელია?! ეს ხო ხალხის გაპირუტყვებაა!.. ეგ ოჯახის დარღვევაა!.. ნათლვა აღარა სწამთ, ჯვრის წერა! არც ხატი, არც ჯვარი!.. საცაა ცოლებსაც საერთოდ გამოაცხადებენ! ეგ რა წესი შემოაქვთ! ამას რასა ვხედავთ! რას მოვესწარითო! – ზედი ზედ გაიძახოდენ უფრო ხანში შესული გლეხები, ერთი მეორეს ასწრებდა ახალი ყოფა-ცხოვრების უარ-ყოფით დახასიათებას.

აგრე მსჯელობდენ აღმოსავლეთ საქართველოში!..

– არა, ძმავ, ჩემი ჩემთვის მინდა! ჩემს ყანასა და ბახჩას ჩემს ჭკუაზე მოუვლი და დავიმუშავებ! საზიარო და საერთო არაფერი ვარგა! საზიარო მუდამ საბაძავი იქნება! „საბაძავი მკვდარი წაწყმენდილიაო“, – ნათქვამია! მაი საქმე ჩვენში, რაცხა „არტელებია თუ კომუნებიო“, არ ივარგებს, თვარა ქე ნახავთ აგერ! სულ ყველაი ჩეიფუშება! – ეუბნებოდა ერთი გურული გლეხი მეორეს.

– მაგი ხომ მასთეა და მასთეც იქნება ბოლოს! ორი მოზიარე ვერ მოვრიგებულვართ ერთქმამეთში! სარებით უფრენენ თავს ერთქმამეთს და ამდენი კაცის მოზიარობა რავა გამოდგებაო! – დაუდასტურა სიტყვა მეორე გლეხმა პირველს.

– არა და იგი რაცხა ტრაქტორებიაო, ერთ არშინზე მიწას აბრუნებსო! ბდღვნის და გლეჯს დედამიწასო, რო ამბობენ, – დაიწყო ისევ პირველმა გლეხმა, – ესეც ჩვენში გამოუსადეგარია! მაგისთანა რამე გამოდგება, კუტავ, საცხა ეგერ შორს – გორის ქალაქისკენ რომ დიდი, ხელის გულივით დადებული მინდორია, ან კახეთში, ქიზიყში! ვყოფილვარ მე იმ ქვეყნებში და მინახავს იქოურობა! ჩვენში სად უნდა მოახნევინო ტრაქტორებს და მაშინებს?! შეიტანე ტრაქტორი „ოთოკვარზე“, „გადმოსაყარაზე“, „გვერდაში“, „თაფურიათში“ თუ გინდა „ჩვინიაზე“! ნახე, რამდენჯერ გადაგიბრუნდეს დღეში! ან შენი ტრაქტორიანა ჩაგორდე ბახვის წყალში!.. ან სადმე ჯიკვზე მიამტვრევ ტრაქტორს! მიადექით და აპაჩინკე მერე შენ იგი! ან ვინ იცის მაგის დაპაჩინკება! ერმილა მჭედელმა არ გაგიკეთოს უცფათ!.. არა, ძმავ, მაგი ჩვენთვის არ არის! სადაც გამოდგება, იქინეი წეიღონ!..

– მაგი მანქანა-იარაღები პურის ქვეყანაში თუ გამოდგება, – დაიწყო ეხლა მეორემ, – ჩვენში სიმინდსა და ღომს ვსთესავთ! რეიზა გვინდა ან ტრაქტორი, ან სალეწ-სანიავებელი მანქანები! ბედი მაქო, აი, ზემო საქართველოს გლეხებმა დაიტრაბახონ! რამდენიც სახნავ-სათესი ადგილ-მამულები ჩამოურთმევია

მთავრობას იქოურ თავად-აზნაურებისათვის თუ ვაჭარ-მემამულეებისათვის, სულ მაგენისათვის დოურიგებია! ტრაქტორებიც მიუტანიათ მათთვის და სალეწ-სანიავებელი მაშინებიც! ჩვენ ქე ვართ ისე თვალებ ამობურძღლულები, რავაც ვიყავით! ჩვენებურ თავად-აზნაურებს რაღა გააჩნდათ, რა უნდა ჩამოერთმიათ მათთვის და არც არაფერი გვრგებია ჩვენ მათი ადგილ-მამულებიდან, ვართ ისე, რავაც ვიყავით! მჭადი გვენატრება!.. ღომი ხომ სულ მოისპო! ვიღან თესავს ახლა ღომს!.. აგი რაცხა ეწრებზე ჩაის გაშენება დეიწყეს, ზოგან მანდარინებიც გააჩინეს! მარა აგი რას გვიზამს?! მაგით ქალ და ბაღანას ხომ ვერ დააპურებ!.. კოლექტივები და არტელები რას უშველის ჩვენს გასაჭირს! ნეტავი საყანე ადგილები მქონდეს და ან რაც მაქ ის მივარგოდეს, თვარა მოვიწვევ ნადს და უცბად გამოვახოხიალებთ ყანას თოხებით!.. რის არტელები! რის კომუნები! რის ტრაქტორები! მოსცლია მაგენს!..

მაგრამ ასეთი დაჩივლებით, ასეთი წუწუნით შეუძლებელიღა იყო შეჩერება სოციალისტური ხელის-უფლების მიერ ძველი ქვეყნის და ყოფა-ცხოვრების ძირ-ბუდიანად გარდაქმნის პროცესისა! ამ გეზით ბეჯითად და ურყევად მიმდინარეობდა სოციალისტური აღმშენებლობა სოფლად თუ ქალაქებში!

წარმოების ყველა დარგი თანდათან ჩამოყალიბდა სხვა და სხვა „ტრესტებში“, „სინდიკატებში“, „კომბინატებში“, არტელებში და კოლექტივებში!

ზედი-ზედ გაიხსნა ფაბრიკები, ქარხნები! დაიდგა მძლავრი ელ-სადგურები!.. აშენდა „ზაჰესი“! „აბჰესი“!.. ხელი მიჰყვეს „რიონგეს“ და კიდევ ბევრ ასეთ წამოწყებებს ამიერ კავკასიის ფედერაციის სხვა და სხვა რესპუბლიკებში! გაჩაღდა მთელ საბჭოთა კავშირში სოციალისტური აღმშენებლობა! მიჰყვეს ხელი ამ ჩამორჩენილი ქვეყნის „ინდუსტრიალიზაციას“, სასოფლო მეურნეობის „რეკონსტრუქციას“! გადმოისროლეს ლოზუნგი – მოკლე ხანში „დავეწიოთ და გაუსწროთ“ ევროპა-ამერიკის კაპიტალისტური სახელმწიფოების აღმშენებლობასო!..

ასეთ საერთო სოციალისტურ საქმიანობაში მამაკაცებს არც დედაკაცები ჩამორჩენ. „ქალთა განყოფილება“, ანუ როგორც გადაჩიქორთულებული რუსულით ამბობდენ – „ჟენოდელი“ გაიხსნა თითქმის ყველგან, ყოველ თემში!

ქალების კაცებთან უფლებრივი გათანასწორება, ქალის ზნეობრივად, ქონებრივად და პოლიტიკურად წინ წამოწევა, მათი საზოგადოებრივ აღმშენებლობაში ჩაბმა, მამაკაცთა ჩაგვრისაგან გამოყვანა, გონებრივად ამაღლება და განვითარება – აი, რა მიზანი დაესახათ ამ „ჟენოდელებს“!..

ერთი ასეთი „ჟენოდელის“ ხელმძღვანელი შეიქნა თავის თემში ჩვენი ბაბეც! მან გარს შემოიკრიბა უფრო ენერგიული და გამრჯე გლეხი დედაკაცები. ამათი მონაწილეობით და დახმარებით მან დაარსა „ქალთა კოლექტივი“, რომელშიდაც შეიყვანა 52 წევრი!

ეს კოლექტივი საკუთარი შრომით ამუშავებდა ფონდიდან მიცემულ მიწას: სთესდა ბამბას, სიმინდს, მზეს-უმზირას, მიწის თხილს და სხვ...

ამ კოლექტივს ბაბესთან ერთად ხელმძღვანელობდა ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობა და ჩინებულადაც ჰქონდათ საქმე დაყენებული...

ბაბეს ვაჟები წამოეზარდენ; ისინი უკვე სკოლაში სწავლობდენ და პიონერებში თვალ-საჩინო ადგილიც ეჭირათ...

იამზემ სოფლის სკოლა დაასრულა და დედას მხარში ჰყავდა ამომდგარი, როგორც კარგი ამხანაგი! შველოდა დედას „ქალთა არტელის“ საქმეშიც. ის კომკავშირელი იყო უკვე და პარტიული ხაზითაც მუშაობდა.

იამზემ თავის ბინაზე გახსნა სოფლის სამკითხველო, სადაც გამოწერილი ჰქონდა ყველა ქართული გაზეთები და გამოცემანი; უკითხავდა ამ გაზეთებსა თუ წიგნებს ხალხს და სხვებსაც აჩვევდა, ახალისებდა გაზეთების წასაკითხავად ხალხში.

– ძლივს არ გავიგეთ ცოტა რამ თავ-ბედისა?! ცოტაოდენი ჩვენც გვესმის, ეხლა რაც ხდება ქვეყანაზედ! აი, შენი მშობელი დაილოცა, იამზე!... შენ ჩვენ მოგვნათლე, თვალები აგვიხილე! ეუბნებოდენ ახალგაზრდა ქალს სამკითხველოში თავშეყრილი დედაკაცები და მამაკაცები, როდესაც იამზე მორჩებოდა ხოლმე მათთან ხმა-მაღლა გაზეთების წაკითხვას და წაკითხულის ახსნა-განმარტებას...

მიდიოდა აგრე დრო. იამზე მართლა მზე და ბადრ მთვარესავით გაიშალა! მისი სილამაზე, ეშხი და მიხვრა-მოხვრა ანდამანტივით იზიდავდა ახალგაზრდათა გულს! ბევრის გულიც აატოკა კიდეც იამზემ!... ბევრიც უიმედობის სუსხით ჩააჭკნო... ჩაჩრდილა, ჩასუსხა!.. ახირებულად ვერც ვერავინ უბედავდა მას თვალების გასწორებას...

მაგრამ... ბოლოს იამზესაც გამოუჩნდა ტოლი, რომელმაც თვალი გაუსწორა კიდეც და თვალი თვალშიც გაუყარა!.. გულის სიღრმემდე ჩასწვდა და სიყვარულით აუტოკა ეგ ლაღად ათქვირებული გულ-მკერდი!

ასეთი ბედნიერი გახლდათ რაიონის პარტკომის თავმჯდომარე, ამხ. კოლია! ამ კოლიასაგან იამზემ ბევრი რამ შეისწავლა პარტიული მოძღვრებიდან! კოლია აძლევდა მას საჭირო წიგნებს, ბროშიურებს და ამ მხრივ უწევდა კიდეც ახალგაზრდა კომკავშირელ ქალს საჭირო ხელმძღვანელობას! ბაბემაცა და იამზემაც „კოლიას სკოლა“ დაასრულეს!..

ალექსაც მარჯვენა ხელი შეიქნა კოლიასი ამ რაიონში! კოლია სადღაც გურიის მივარდნილი კუთხიდან იყო გადმოტყორცნილი მისთვის ამ უცხო მხარეში სამუშაოდ და მას შინა კაცი სჭირდებოდა სანდო და ერთგული! ასეთ კაცად მან მიიჩნია ალექსა. ალექსას ოჯახში მოიპოვა მან ნავთ-საყუდელი! ბინა აქ გაიჩინა მან, როგორც რევოლიუციონერი ცოლ-ქმარის ოჯახში, რომელთაც დამხობილი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთნაირი ღვაწლი და დამსახურება მიუძღოდათ...

ჰოდა აგრე ნელ-ნელა!.. დღეს-ხვალ... ტკბილ და იდეიურ ხშირ ბაას-მსჯელობაში ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი...

სოფლის ბიჭები, რომელთაც თვალი ეჭირათ იამზეზე, გულში მჯიღს იცემდენ და გაიძახოდენ: „ვაი დედა შენს, კოლია! ვაი, დედაშენს! როგორი მარწყვივით ჩასაყლაპი გოგო გამოგვაცალა ხელიდან მაგ კორტოხელმა ვიგინდარამ! ოჯახი

ხო არ დასწვიათ მაგ დასაქცევებს!.. რატომ თავიანთ სოფლებში არ დაეყრებიან!.. სულ ჩვენსკენ რო მოიწევენო! რა აბეზარი ვინმე არიან ეგ ოჯახ-ქორი მეგრელები, გურულები... საერთოდ კორტოხიდან გამომძვრალი იმერლებიო“!..

იმჯიღნიდენ გულს იამზეს თაყვანისმცემელი ჯეელები და შორიდან ნერწყვს ყლაპავდენ!.. იბნიდებოდენ... გულზე სკდებოდენ შურითა და ბრაზებით!..

ან კი სხვა რა დარჩენოდათ! ესენი კარგად ხედავდენ, რომ იამზეს გულიც კოლიასათვის აძგერებულიყო!.. მათი საქმე მორჩენილი იყო!..

არც ბაბე და ალექსა გახდენ იამზესი და კოლიას შეუღლების წინააღმდეგი! პირიქით, ესენი სიამოვნებით და კმაყოფილებით შეეგებენ იამზეს სურვილს. არც ბევრი დააყოვნეს ამ ასეთი სურვილის სისრულეში მოყვანა – „საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის დღეს“ – პირველ მაისს, კოლიასა და იამზეს გადაუხადეს ბოლშევიკური ქორწილი.

ესენი ჯერ წავიდენ და „ზაქში ხელი მოაწერეს“! თან ახლდათ რაიონის პარტიული ამხანაგებისაგან შემდგარი ძმადე-მაყრიონები.

ზაქში ხელის მოწერის შემდეგ გაიხსნა რაიონის საპირველმაისო-საზეიმო მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა კოლია სათანადო ვრცელი მოხსენებით; მან აუხსნა ხალხს პირველი მაისობის წარმოშობა და დღევანდელი მისი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში, თუ სხვაგან, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც ჯერ კიდევ კაპიტალის უღლის ქვეშ გმინავს პროლეტარიატი და გამუდმებული ბრძოლით ემზადება, კისრიდან გადაიგდოს მან ეგ მძიმე უღელიო!.. დღეს ამიტომ სხვა ქვეყნებში საბრძოლველი დემონსტრაციებით გამოდიან მუშები და გლეხები! ჩვენში კი, სადაც უკვე გაიმარჯვა მუშა-პროლეტარიატმა და მასთან დაკავშირებულმა გლეხობამ, პირველ მაისს ვდღესასწაულობთ ბრწყინვალედ! ვიშვებთ და ვიხარებთ! აღფრთოვანებით ვეგებებით ამ დღეს! სხვა ქვეყნების პროლეტარიატსა და გლეხებს უცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას, ერთსულოვნებას, რომ ჩვენ მათთან ვართ! რომ ჩვენ ყოველ წუთში მზათა ვართ დავეხმაროთ მათ ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის ბრჭყალებიდან განთავისუფლების ბრძოლებშიო“! – დაასრულა კოლიამ თავისი მგზნებარე სიტყვა.

მიტინგზე შეგროვილმა ზღვა-ხალხმა ოვაციები გაუკეთა ორატორს! ყველამაც იცოდა, რომ აი, ეს არის ეხლა მოაწერეს ხელი კოლიამა და იამზემ ერთმანეთთან ცოლ-ქმრული კავშირით შეუღლებაზე და ესეც მიულოცეს ორატორს!..

შეიქნა ერთი ჟივილ-ხივილი ხალხში! ზოგი რას გაიძახოდა, ზოგი რას! ახალგაზრდებმა მოიგონეს ჯვრის წერაზე სოფლად მიღებული „მეფე-პატარძლის“ შესამკობი სიტყვები და ხმა-მაღლა გაიძახოდენ:

– აი, შეხვრიპაააა!.. აი, კოლიამ შეხვრიტაააა!..

ამ წამოძახილებზე გაისმოდა საერთო სიცილ-ხარხარი, ოხუნჯობა და ხუმრობა!

ბოლოს ხალხმა მოითხოვა, რათა ქმართან ერთად წამომდგარიყო მიტინგის წინაშე იამზეც! ამასაც რაიმე ეთქვა ხალხისათვის!

იამზე ლოყებ წამოღაჟღაჟებული, მაღალი, თვალწარმტაცი, გულ-მკერდ

აბორცვებული, იისფერი გამოხედვით, გამოვიდა და დაუდგა ქმარს გვერდით! წარსდგა ის ამოდენა ხალხის წინაშე და ოდნავი ღიმილით ბაგეებზე, ხალხის აღტაცებულ მილოცვაზე, ნაზად თავის დახრით, მადლობას ეუბნებოდა.

იამზეს უკან დედა-ჯეირანივით ედგა ბაბე... შორიახლო ალექსაც... ზურაც... საბედაც, ე. ი. მთელი ოჯახი!..

ბოლოს იამზემ მაღლა ხელი აიქნია! ამით ხალხს ანიშნა, რომ მას სათქმელი ჰქონდა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე! ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით ამ ზღვა-ხალხში!

დაიწყო იამზემ თამამად, რიხიანად! ირემივით ყელ-მოღერებული გადასცქეროდა ის ამოდენა ხალხს და მტკიცედ, მდაბიოდ, ყველასათვის გასაგებად და მისახვედრად არკვევდა დედაკაცის ჩვენს ქვეყანაში ჩამორჩენილობას, მის კარ-ჩაკეტილობას, სიბნელეს, უვიცობას, ათასგვარ სიდუხჭირეს, ცრუმორწმუნოებას, მასზე ბევრგვარ ძალ-მომრეობას და უსამართლობას.

ორატორმა ამ მხრივ მკაცრი სურათი გადაუშალა თვალ-წინ შეგროვილ ხალხს! ისიც გარინდებული უსმენდა იამზეს!..

– ეს იყო დღემდე და კვლავ ნუღა იქნება!.. აღარც იქნებაო! – განაგრძობდა იამზე გამეხებული ხმით! პროლეტარიატმა და გლეხობამ პოლიტიკური და სოციალური მონობის ყოველგვარი ბორკილები დაამსხვრია! ძველი ქვეყანა დაარღვია, განაგრძობს რღვევას და თან ახლის შენებასაც მიჰყო ხელი! ყველანი მოწამენი ვართ და საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ რა ნაბიჯები გადავსდგით ამ ორ-სამ წელიწადში აქ, ამ ჩვენს სოფლებში, ჩვენს ურთიერთობაში! როგორ განახლდა, გადახალისდა და ძირ-ბუდიანად იცვლება ჩვენი ცხოვრება! მე არას ვიტყვი, თუ რა განახლება-მშენებლობა მოხდა და დღესაც შეუწყვეტლად სწარმოებს ის დიდ ქალაქებში, ქარხნებში და საწარმოებში!

დიახ! შენდება ახალი, ჯერ თვალით უნახავი და ყურით გაუგონარი ქვეყანა, ადამიანთა ახალ ურთიერთობის საფუძვლებზე!

ამ ახალ ქვეყანაში ჩვენც, დედაკაცები, მამაკაცებთან ერთად, შემოვდივართ სწორ-უფლებიან მოქალაქეებად, ამხანაგებად! წინ ვეღარაფერი და ვერვინ დაგვიდგება!..

ძირს დედა-კაცის კარ-ჩაკეტილობა, სიბნელე და ჩამორჩენილობა! ძირს დახავსებული ყოველგვარი დრომოჭმული ადათები თუ ზნე-ჩვეულება!..

„ახალი ღვინო ძველ ტიკებში არ ჩაისხმება“! – ეს ანდაზა თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ! სწორეთ აგრეა ცხოვრებაც! ეგ განახლებული ცხოვრება ძველ ჩვეულებებში, ადათებში და ცრუმორწმუნოების ჩარჩოში ვეღარ მოთავსდება! ახალმა ცხოვრებამ დაამსხვრია და უკუაგდო კიდეც ესენი!

ამიტომ ჩვენ ამიერიდან ახალი ყოფა-ცხოვრების ჩარჩოები უნდა შევქმნათ! ამ მხრივ ყოყმანი და უკან-უკან ცქერა შეუძლებელია! წინ! წინ! წინ უნდა გადავსდგათ ახალ-ახალი ნაბიჯები!

ახალი ყოფა-ცხოვრების ერთი ასეთი ნაბიჯი გადავდგით დღეს – პირველმაისობას – მე და ამხ. კოლიამ! ჩვენ გადავლახეთ ძველი ჩვეულება, უკვე დრო-

მოჭმული – საყდარში ჯვრისწერა! ჩვენ მოქალაქობრივი წესით შევუღლდით! ხუცის ლოცვა-კურთხევას არ ვსაჭიროებთ! ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვღებულობთ ასეთ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯის მოლოცვას! დიდად გმადლობთ ასეთი მოლოცვისათვის, ამხანაგებო! – დაასრულა იამზემ თავისი სიტყვა და დინჯად ჩამოვიდა ტრიბუნიდან...

გატვრენილი, სულგანაბული ხალხი ერთხანს კიდევ იდგა გაოგნებული! ის დაემონებია ახალგაზრდა ქალის ასე თამამად და მტკიცედ გამოთქმულ სიტყვას! ხოლო როდესაც გამოერკვა, იგრიალა ამოდენა ხალხმა, დაუსრულებელი, მქუხარე ტაშით და ოვაციებით დააჯილდოვეს ორატორი „პატარძალი“!..

ამ დროს მოშორებით ღობის ძირას მიყუჟულიყვნენ სოფლის დედა-კაცები და იამზეს იქიდან ქოქოლას აყრიდენ:

– თვალიმც შენ დაგიდგება! როგორი დედის შვილი ხარ, შე გველის წიწილო, შენა! გაგიხმეს ეგ სალაპარაკო ენა, შე უნამუსოს შექმნილო და გაზრდილო, შენა! აი, გაგიწყრეს ჯვრის წერის ძალი და მადლი!.. ოი, დღეის სწორამდე დაქვრივებული გვენახო, იამზევ, მაგ შენს მაწანწალა კოლიაზე!.. ეგ რა დროს შევესწარით, თქვენი ჭირიმე! გუშინდელი გომბიო აგრე საჯაროდ გამოდის და გმობს ღმერთს, ხატს, ჯვრის წერას, ძველ ზნე-ჩვეულებასა და ადათს!.. არა!.. კარგი რამ არ მოგველის!.. დიდი ღვთის რისხვა უნდა დაგვატყდეს თავს!... ამდენ უნამუსობასა და თავხედობას ღმერთი არ გვაპატიებს! – წუწუნებდენ იამზეს სიტყვისაგან აღშფოთებული დედაკაცები!..

ბევრი იწუწუნა „მამიდო-მარიამამაც“ იამზეს აგრე „უკანონოდ“ დაქორწინებაზე. მუხლები გამოითქვიფა მოხუცმა დედაკაცმა იმ დღეს:

– დამიდგეს თვალები!.. გასქდეს დედა-მიწა და შიგ ჩამიტანოს!.. ეგ ანგელოზი ქალი ვიღაცა და საიდან სად გადმოვარდნილ იმერელს ხასად დაუსვეს ბაბემა და ალექსამ!..

დაიცადეთ, თქვე გარეწრებო, თქვენა! განსვენებული დიანოზას ნაამაგდარი ადგილ-მამული ხო ვიგინდარებს ჩაუყარეთ ხელში!.. ნახავთ, ბოლოს ლუკმა პური გენატრებოდეთ, თქვე მეტიჩრებო, თქვენა!..

ეგ ერთი მოსწრებული სანაქებო ქალი გყავდათ და ეგეც ვიღაც გადმოთრეულ იმერელს ხასად დაუსვით!... დაიცადეთ! ეს სანახავს გაჩვენებს თქვენ! გამოგითქვეფავთ მაგ ქალს, შემდეგ მოგაგდებთ თავში, თვითონ თავის გზას ეწევა, საიდანაც მოსულა!.. სდიეთ კუდში, ეძიეთ თქვენი „სიძე-ბატონი“!..

ტყვილა როდია ნათქვამი: „იმერელი ვარო, არას გარგივარო! შეგჭამ, შეგსვამ, ისევ წაგივალო“!..

აჰა, ქალბატონო ბაბე!.. დაიხსომე ეგ ჩემი სიტყვა!.. „პარასკევი და... ხვალო“! – იჯდა თავის პატარა ოთახში „მამიდო-მარიამა“ ქორწილის დღეს და თავის თავს აგრე ებრძოდა...

ამ დროს დარბაზში და სახლის ფართო აივანზე გაშლილ სუფრას მოსხდომოდენ ქორწილზე საგანგებოდ მოწვეული კოლიას პარტიული ამხანაგები და ილხენდენ. ესენი ქართლ-კახური თუ გურული სიმღერებით ცაში სტვირს აძლევდენ!..

ალექსას ძველი მარანი ჯერ კიდევ დალაღული იყო კახური ღვინოებით და შეექცეოდენ მექორწილენი!.. ქართულ სიმღერებში შიგა და შიგ გაისმოდა „ინტერ-ნაციონალის“ გუგუნი თუ „მარსელიოზას“ მხნე ამოძახილი!..

– ვაი დედასა! ესეც ქორწილია რაღა?! – ალექსა და ბაბეს ქორწილიც ქორწილი იყო და ამასაც ქორწილი ჰქვია?!. რა დოვლათი ტრიალებდა მაშინ ამ ოჯახში!.. თითქმის მთელი კახეთის საუკეთესო მექორწილენი იყვნენ აქ მოპატიჟებულნი!.. საუკეთესო მომღერლები!.. „დედას-ლევანაც“ აქ ილხენდა, ატკბობდა ყურთა სმენას!.. მთელი ეგ ვეებერთელა ეზო საქორწილო „სეფად“ იყო გადაქცეული!.. უამრავი ხალხით!.. ასე მგონია, ეგ გუშინ წინ იყოო! ვაა, როგორ ჩქარა მიდის ეგ დასაქცევი დრო-ჟამი და თან მიაქვს ჩვენი ცხოვრება-დოვლათი!..

აგრე ეუბნებოდა და შესჩიოდა სოფლის ყოფილი ჩამრგვალებული მიკიტანი ქიტესა ყოფილ მედუქნე დარჩუას!..

ესენი შარა-გზის პირიდან უთვალ-თვალებდენ იამზეს ქორწილს და გულ-მოკლულები იგონებდენ ძველ დროს, როდესაც ეგ სოფელი მათ საწველ-ფურად იყო გადაქცეული!... დღეს კი დუქან-სამიკიტნო აელაგებიათ!.. „ველარ გაუძლეს ამდენ ღვთის რისხვა ნალოგებს და მშიერი მუცლით დაღონღიალებდენ...

განა ძველად ამ კუთხე-სოფლებში სადმე ქორწილი გაიმართებოდა და იქ ქიტესა-დარჩუა საპატიო სტუმრებად არ იქნებოდენ?! დღეს ვისღა ახსოვან ესენი?! ზედაც არავინ უცქერის მათ!.. ვისღა სჭირიან ესენი?! რის მაქნისები-ღა არიან?!. თვალებ დაბრეცილები აგრე შესცქერიან ქუჩიდან ბოლშევიკების ქორწილის დალაღულ სუფრას და ნერწყვს ჰყლაპამენ!..

– ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! თქვენი სახსენებელი გაჰქრეს, თქვენი! – წამოიძახა ეხლა დარჩუამაც! ქიტეს ჯაან! აბა, ერთი შახე მაგ მამაოხრებს! ეგ რა ჯურის ხალხს მოუყრია თავი იამზეს ქორწილზე?! ვიღაც წუნკალა პარტია-პურტიის ბიჭ-ბუჭები!.. ერთი ადამიანი მაინც ერიოს შიგ!.. აგრემც კარგი მოგივა, ალექსა ოქუაშვილო, კარგი სიძე შენ შეიყვანე სახლში! ამ იმერლებს, ამ ოჯახ-ქორებს, სახლები ხო არ დასწვიათ ნეტავი! სულ აქ არ შეკრებილან!!. მაგათ აგვირიეს ქვეყანა, მაგ ღვთის პირიდან გადავარდნილებმა!..

რა თავში იხლის კახელი ან ქართლელი გლეხ-კაცი რევოლიუციას, ბალ-შენიკობას, კომუნისტობას ან კიდევ სხვა ათასგვარ ასეთ დოზანას!!. იყვნენ ცხვრებივით... მუშაობდენ თავწაღუნულნი, წელში მოკაკულნი!.. ღვთისმოცე-მული პურიც ბლომად მოსდიოდათ და ღვინოც! ჩვენც ხეირი გვქონდა თუ არა მათში ვაჭრობით?!.

დღეს ყველაფერი ეგ დაემხო... მოპირქვავდა... ქვეყანას შემოესიენ ეგ კალიები! მოცუცქნეს ყველაფერი, გაძარცვეს, გაფცქვნეს ქვეყანა!.. მოისპო ვაჭრობაც!..

ჰო, ჩემმა მზემ, ქიტეს! იმ დღეს ქალაქში ვიყავ!.. პირველ-პირველი გელდი-კუპენწებს აულაგებიათ მაღაზიები, აი, სწორეთ ისე, როგორც ჩვენ ავალაგეთ ჩვენი დუქან-სამიკიტნოები სოფლად!.. ვერც იმათ გაუძლევს ბალშენიკების ნა-

ლოგებს!.. ის დიდებული მაღაზიები, ტოვარით რაღა!.. შენობებით, სახლებით, სულ ერთიანად ჩამორთმეულია! კერძო საკუთრება მაღაზიებზე, დუქნებზე და დიდ-დიდ შენობებზე მოისპო!.. კერძო ვაჭრობაც დღე და დღე ისპობა!.. სულ კოოპერაცია უნდა იყოსო!.. „ედინი რაბოჩი კოოპერატივი“ღა ივაჭრებსო!.. მაშა! დაასრულა დარჩუამ.

– მახლას! რა აწყობილი საქმე დაინგრა!.. ხელში ჩაგვეფუშა! – ქუჩის პირას ჩაცუცქული ქიტესა ვიშვიშებდა და მუხლებს ითქვეფდა დარჩუას ნაამბობზე! – ეგ რა ოინი გვიყვეს ქართველებმა, დარჩო?! თუ რამ დოვლათი ჰქონდა შეძენილი სომხობას, ქალაქად თუ სოფლად, სულ ჩამოგვართვეს განა?! ხელი დაგვაბანიეს ვაჭრობაზე და ადგილ-მამულზედაც!.. ეგ მშვენიერი ვაზის ქვეყანა კახეთი სულ ჩვენ ხელში გადმოდიოდა!.. დღეს აქაც ცარიელ-ტარიელზე დაგვსვეს!..

– შენც ამბობ რაღა სათქმელს! – შეუტია ქიტესას დარჩუამ! – განა ქართველებს კი ცოტა ჩამოართვეს სარჩო-საბადებელი, სავაჭროები თუ ადგილ-მამულიც?! მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ღვთის ანაბარაღაა დაგდებული! სულ ყველაფერი ჩამოართვეს! ქართლში ხიზან ოსებმა დაიპყრეს მათი ადგილ-მამულები, კახეთში კი გლეხებს დაურიგდათ სახნავ-სათესიცა და დიდძალი ვენახებიც!.. აქ ქართველობა რა შუაშია, ქიტეს ჯან!.. აქ რაღაც სხვა რაღაც თაღლითობა უნდა იყოს! ჯერ ამას ჩვენ ვერ მიმხვდარვართ! ზოგი რას ამბობს და ზოგი რასა!..

– როგორ თუ აქ „ქართველობა“ რა შუაშიაო?! შენც ამბობ, რაღა?! – ეხლა შეუტია დარჩუას ქიტესამ! როგორც გატყობ, შენ ჭკუაც კი დაგფანტვია დარჩო ჯან! სომხებს რო ადგილ-მამული, სავაჭროები და სახლ-კარი ჩამოერთვათ, განა ეგ ყველაფერი საქართველოში არ რჩება?!

– ეე! მუდრეგო! თავში ჩააფარა დარჩუამ ქიტესას და მიუგო:

– განა ჩვენც საქართველოში არა ვრჩებით?! ვინ არის აქედან წამსვლელი?!... ან სად ჯანდაბაში უნდა წავიდეთ?! სად გვაქვს გზა?!.

განა სომხითში, იმ ჩვენს ერევანშიდაც, უფრო ადრე, იგივე ამბავი არ მოხდა, რაც აქ ეხლახან დატრიალდა?!... შენ ხო არ გეძინა ამდენ ხანს, ქიტეს-ჯან?!. გაიღვიძე, ძმაო ჯან! ერთი მძლავრად შეანჯღრია დარჩუამ ქიტესა და ახით-ხითდა! ამ ხით-ხითზე მას, ჯერ კიდევ საკმაოდ გასიებული მუცელი, საოცრად დაუთამაშდა...

– შენ ამბობ, ერევანშიც ეგ ამბავიაო?!. მაშ, სომხებმაც ასეთი სიტუტუცე ჩაიდინეს?! ამ ჭკუიანმა... ანგარიშის ხალხმა?!. მაშ, ეტყობა სულ წასულა ჩვენი საქმე! – ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დაღონებული და უიმედო კილოთი ბუტ-ბუტებდა ქიტესა...

– მაშ, ქიტეს-ჯან! მაშა! მა შენ რა გეგონა?! ჩვენი უბედურება უფრო დიდი და სავალალოა, ვინემ ეგ ჩვენ თვითონ გაგვეგება! აქ ქართველობა, სომხობა თუ რუსობა რა მოსატანია! – განაგრძობდა დარჩუა ქიტესას შეგონებას! აქ თუ ვინმე ბრალშია, ისევ ის წყეული ურიები! ურიებს აჰყვნენ იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები და ყველა იმ კორტოხიდან გამომძვრალები!..

ჯერ იყო და ურიებმა იმერლებთან ერთად ხელმწიფის ტახტს ფეხი მოსტეხეს! ამ ტახტიდან ნიკოლოზ ხელმწიფე გადმოაყირავეს! შემდეგ ის ცოლ-შვილით სადღაც ორენბურგისაკენ – ციმბირისაკენ გადაასახლეს! აქ ესენი ერთ პადვალში, სარდაფში რაღა, ჩაამწყვდიეს და შემდეგ სულ ამოხოცეს... თითო-თითოდ დახვრიტეს... შემდეგ ნავთი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს!..

– რაო?! რაო?! ნიკოლოზ ხელმწიფეც აღარ არის ცოცხალი?! – დაჭრილი დათვივით ზეზე წამოიჭრა ქიტესა და შეჰღრიალა დარჩუას! – ვაი დაღუპულო, ჩემო თაო, და უდროოდ დაობლებულო, ჩემო ცოლ-შვილო! – თავში წაიშინა ხელები ქიტესამ და ცხარე ცრემლით მოსთქვამდა ამ უკანასკნელი იმედის გაცრუებასაც!.. მე მეგონა, ბოლოს და ბოლოს ნიკოლოზი ისევ ტახტზე ავიდოდა და ამ მასხარაობა-ცოციალისტობასაც ბოლოს მოუღებდა! – თხვლიპინებდა ცრემლებ-მორეული ქიტესა და ცხვირიდანაც ცინგლი ჩამოსდიოდა!

– მაშა, მაშა! ქიტეს ჯან!.. ეგა სთქვი და!.. ეგ არის მეტად სავალალო, რომ ხელმწიფესაც კი ბოლო მოუღეს, მის ნასლედნიკსაც, ის მამას ხელში ჩაახვრიტეს, მის ცოლსაც და ბარიშნებსაც... დაბალი ხმით ჩასჩიჩინებდა ქიტესას დარჩუა და განაგრძო: – იმას გეუბნებოდი, ქიტეს ჯან, რომ ამ ურიებმა და იმერლებმა ჯერ იყო და რუს-ხემწიფეს კისერი მოსტეხეს, მთელი რუსეთი, აი, აგრე პირ-უკუღმა გადაატრიალეს, გაფცქვნეს, გასძარცვეს! მთელს რუსეთში სიმშილი და სიღატაკე გაამეფეს! ეგ დოვლათიანი პურის ქვეყანა – რუსეთი – იმ ზომ დაამშიეს, რომ დედა შვილის ხორცსა სჭამდა!.. ერთხანს კაცი-ჭამიობა ჩამოვარდა იქ!.. ჰო, ჩემმა მზემ! აი, ამის მზემა, – მარცხენა ლოყაზე ხელის დადებით ეუბნებოდა დარჩუა ქიტესას, როდესაც შეატყო, რომ ამ უკანასკნელს მისი ნალაპარაკევი ნაკლებადღა სჯეროდა და ბაყაყივით წამოეჭყიტა ისედაც დაკუზული თვალები...

– ჰოდა, ეგ ღმერთ გამწყრალები ეხლა ჩვენც მოგვდგენ და გვსპობენ!.. ეგ სამოთხე-ქვეყანა საქართველოც გადაატრიალეს, პირ-დაღმა დასცეს!.. მართალია, მენშევიკები გარეკეს აქედან, ის მენშევიკები, რომელნიც ჩვენ საქართველოდან ერევნისაკენ გვერეკებოდენ!... ეგ კაი საქმე გვიყვეს, მაგრამ... ბოლოს ხო ხედავ, რა დღეც დაგვაყარეს!! ეშმაკებისა და ჯოჯოხეთის ამ მოციქულებმა სულ ცარიელზედ დაგვსვეს!.. ღმერთმა ერთნიც დასწყევლოს და მეორენიც შეაჩვენოს! „გინდ მგელს შეუჭამივარ, გინდ მგლის ფერ ძაღლსო“, – ნათქვამია. მენშევიკები ნელ-ნელა გვაცლიდენ ფეხქვეშიდან ხალიჩას!.. ბოლშევიკებმა კი ერთი შესუნთქვით გადაგვსანსლეს...

– ღმერთმანი, დარჩო, ჭკუიანად კი ლაპარაკობ, აი! საიდან რა გაიგე ამდენი?! მე უბედური თითქოს ქვევრში არ ვმჯდარვარ! თავ-ბედისა კი მხოლოდ ეხლა გავიგე! შენი სიტყვები სულ ჭკუაში გამდის ეხლა!.. ჰაი, ჰაი, ეგ ურიები! მაშ ამათ დაღუპეს რუსეთიცა და მისი საბრძანებელიც?!. ქრისტე გაჰყიდეს... ჯვარს აცვეს!.. ჩვენ ანკი რაზე დაგვინდობდენ!.. ქრისტიანების სისხლითაც კი ეზიარებიანო, ამბობენ!..

ვაი დედა თქვენს, ურიებო, ვაი დედა თქვენს! – გულს იმჯიღნიდა ქიტესა და

იმუქრებოდა: – რატომ სულ ერთიანად არ ამოგჟუჟღათ იმ სულ-ცხონებულმა ნიკოლოზ-ხემწიფემ, სანამ ძალა და ჯარიც ხელთა ჰყავდა!.. ეგ როგორ მოუვიდა იმ დალოცვილს ან მის მინისტრებს!!.

– ჰაი, ჰაი! ურიები ჟუჟღეს, ქიტესჯან, რუსეთში რუს-ხემწიფემ და მისმა მინისტრებმაც! ჟუჟღეს და აგრე?! სულ მუსრს ავლებდენ!.. თავიანთვე სისხლში რამდენჯერ შეაცურეს ეგ ურიები! რამდენჯერ „პოგრომები“ მოუწყვეს მათ ქალაქებში თუ სოფლად?! დაარბიეს, რაღა! მაგრამ... ეგ რაღაც გაძაღლებული ხალხია... შეჩვენებული!.. რაღაც ზღაპრული გველეშაპი თუ გაგიგონია... წმინდა გიორგიმ ჯერ შუბი რო ჩაჰკრა ხახაში, შემდეგ თავიც მოსჭრა!.. მაგრამ მოჭრილ კისერზე ერთი თავის მაგიერად ორი-სამი და ათიც იმ წამსვე ამოსდიოდა იმ გველეშაპს!.. ოფლში გაიწურა წმინდა გიორგი გველეშაპის თავების ამდენი ჩეხვით და ბოლოს იმ თეთრ ტაიჭზე რო იჯდა, შემოჰკრა მათრახი და გაჰქუსლა, თორემ, ის იყო, გველეშაპს თვით წმინდა გიორგიც უნდა ჩაესანსლა!.. სწორეთ აგრე იყო რუსეთში ურიების საქმეც – სჩეხდენ, სწვავდენ, არბევდენ, აწიოკებდენ ხელმწიფის ერთგული კაცები ურიებს, მაგრამ მათ მაინც ბოლო ვერ მოუღეს! პირიქით, ურიებმა მოაწყვეს ევროპის, აი, ეგ უკანასკნელი დიდი ომიანობა, დასცეს რუსეთი, გამოიწვიეს დიდი რევოლიუცია, ჩასანსლეს ხელმწიფეც, მისი სახლობა, მინისტრებიც და ჩვენც ეხლა ზედ მიგვაყოლეს!..

– ადამიანო! რა გახდა ეგ ცინგლიანი ურიები?! აი, ამ ჩვენს ურიებს ორ ბატს არ მიაბარებს კაცი სამწყესავად, ისეთი უქნარა და უბედურები არიან ესენი! დავიჯერო, ამათ რუსეთში ამდენი რამ შესძლეს და მოიმოქმედეს?! – გაკვირვებით ეკითხებოდა ქიტესა დარჩუას.

– შენ, ჩემო ქიტეს, ისევ გძინავს!.. განა მე ის გითხარი, რომ ეგ ყველაფერი ცხინვალელმა ან სურამელმა ურიებმა მოიმოქმედეს თქო! ესენი რის ბედენა არიან!.. ეგ რუსეთისა და ევროპის ურიები არიან, რაც არიან!.. დიდ-დიდი ნასწავლები... მდიდრები... მილიონერები... მილიარდერები! ესენი ჩვენს მანთაშოვებსა თუ თამამშოვებს ჯიბეში ჩაისვამენ!... აი, ესენი!..

– მერე?! მერე?! დარჩო ჯან, რა კარგად ლაპარაკობ, თელეთის მადლმა! რატომ წინეთ არას მეუბნებოდი მაგ გვარსა, შე კაი კაცო, შენა?! – უსაყვედურა ქიტესამ დარჩუას.

– როდის რა უნდა მეამბნა შენთვის, ქიტეს ჯან! შენ შენს სამიკიტნოში გქონდა თავი ჩარგული, მე კი ჩემს დუქანში!.. ეხლაც იმიტომ გითხარი ცოტა რამ, რომ ორთავენი მოცლილი ხალხი ვართ!.. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!.. – სიცილით უპასუხა დარჩუამ ქიტესას.

– ჰო, ესეც კია! მართალს ამბობ! სად გვეცალა წინეთ სამასლაათოდ! ჩვენ საქმის ხალხი ვიყავით! – დაეთანხმა ქიტესა დარჩუას...

ამ დროს მექორწილეთა სუფრაზე რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა!..

– სიტყვა ეკუთვნის ამხ. მაიზელსონს!.. – წამოიძახა თამადამ.

– ვსთხოვთ!.. ვსთხოვთ!.. Просим! просим! – უპასუხეს მას ერთხმად.

წამოდგა ფეხზე დაბალ-დაბალი, გამხდარი, ხმელი პირისახის, წითელ თმი-

ანი და ოქროს სათვალებიანი ახალგაზრდა, რომელსაც მთელი სუფრა ტაშის ცემით და ოვაციებით შეხვდა.

ეს იყო მოსკოვიდან ეხლა ხან ჩამოსული პარტიული მუშაკი, ტომით ებრაელი, დაბადებული და აღზრდილი ტფილისში. შემდეგ ჩაბმულიყო პარტიულ მუშაობაში; მოვლილი ჰქონდა რუსეთი, მთელი ევროპა და ამერიკაც.

ეხლა პარტიას გამოეგზავნა ის მოსკოვიდან საქართველოში რაღაც პასუხსაგებ მინდობილებით, პირველი მაისისათვის წამოსულიყო ის ქალაქიდან კახეთის დასათვალიერებლად, სანახავად. როგორც თავის სიტყვაში განაცხადა, კახეთი ჯერ მას არ ენახა, თუმცა ტფილისში იყო დაბადებული და საშვალო სასწავლებელიც აქ დაუსრულებია.

აღტაცება გამოსთქვა ამხ. მაიზელსონმა კახეთის მშვენიერებაზე:

– ბედნიერი ვარ, რომ ვნახე და ვიხილე საბჭოთა კავშირის ეგ თვალი, საარაკო მხარეო! არა ნაკლებ ბედნიერი ვართ იმითაც, რომ შემთხვევა მეძლევა ჩვენი ამხანაგის კოლიას საქორწილო სუფრაზე – მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეს – პირველ მაისს – ხაზი გაუსვა და აღვნიშნო, რომ საბჭოთა საქართველოში ამ შედარებით მოკლე ხანში დიდი მიხწევები აქვს ჩვენს პარტიას. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ნაციონალური საკითხის აქ ბოლშევიკურად გადაწყვეტა! ამ მხარეში დამყარებულია უკვე სრული ნაციონალური მშვიდობიანობა, ინტერ-ნაციონალური სოლიდარობის ნიადაგზე! ამის საუკეთესო ნიმუშსა და თაიგულს, თუ გნებავთ, წარმოადგენს ეგ საქორწილო სუფრაც! აქ გაერთიანებული ვართ კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებში მობინადრე ეროვნებათა და ტომთა წარმომადგენლები – ქართველები, რუსები, სომხები, ურია, თათარი, ოსი და სხვანი! გაერთიანებული ვართ, რასაკვირველია, არა მხოლოდ საჭმელ-სასმელით, არამედ ჩვენი ძირითადი რწმენით, რომ საერთო შეტევით მივაღწევთ მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის განთავისუფლებას! მისი კისრიდან გადავარდება მძიმე უღელი კაპიტალიზმისა, როგორც ეგ მოხდა საბჭოთა კავშირში! აქ კი მანამ განვაგრძობთ სოციალისტურ აღმშენებლობას და დავამყარებთ კომუნისტური შრომის სამყაროს!.. მე აღტაცებული ვარ, ამხანაგებო, თქვენი ამ საერთო რწმენით გამსჭვალვით და თქვენ მიერ ამ რწმენით ამ მხარეში წარმოებული სოლიდარული, გადაუხრელი მუშაობით! ასეთ მუშაობაში ჩაბმულან აქ დედა-კაცებიც! ამხ. ბაბე... ეგ რაღაც ლეგენდარულ პიროვნებად მყავს მე დასახული, მას შემდეგ, რაც მაგის მოღვაწეობაზე და ბოლშევიკურ მამაც გამოსვლებზე მე გადმომცეს!.. ამხ. ალექსი, ბაბეს მეუღლე, ესეც როდი უგდებს ტოლს ამხ. ბაბეს...

ამხ. იამზე, რომელიც მხარს უმშვენებს ჩვენს ამხ. კოლიას! ეგ ჩვენი დღევანდელი ბოლშევიკური პატარძალი, რომელიც სასტიკად გამიჯვნია რელიგიურ ცრუ მორწმუნოების ადათ-ჩვეულებებს! ამისი დღევანდელ მიტინგზე გამოსვლა და ბოლშევიკური ხაზის აგრე მტკიცედ ჩატარება ასეთი ახალგაზრდა ქალისაგან, ყოველივე ეს მაისობის, ამ ინტერნაციონალური დღის საუკეთესო დამამშვენებელია! ამათი დღევანდელ დღესვე სამოქალაქო წესით შეუღლებაც მეტად

იდეიურია! ეგ აშკარა დემონსტრაციაა თქვენი შეგნებისა, სიმტკიცისა, ურყევი ნებისყოფისა მომავალი სამოღვაწეო ბრძოლების ასპარეზზე!

ამიტომ მე მაღლა ავსწევ ამ სასმისს და საერთოდ ვადღეგრძელებ ამ ბოლშევიკურ ოჯახს – ბაბე და ალექსის, იამზესა და კოლიას! უსურვებ მათ, რათა ფოლადისებური სიმტკიცით აღჭურვილებმა შეუდრეკელად გასწიონ წინ, მათ მიერ არჩეული ეკლიანი გზით, ამ კუთხის მშრომელი გლეხობის, მუშებთან ერთად, სოციალიზმისა და კომუნიზმის სამეფოში შესაყვანად.

დაასრულა ამხ. მაიზელსონმა თავისი გრძნობიერი სიტყვა და ღვინოც გადაუსვა!..

– ინტერ-ნაციონალ! – დაიძახა თამადამ სიტყვის გათავებისას, ყველანი ფეხზე წამოიშალენ და დააგუგუნეს „ინტერნაციონალი“!

ამ მხარეში ეგ უცხო სიმღერის ჰანგები მაისის სიომ მოიტაცა, ახლო-მახლო გორაკებს სტყორცნა! ალვის ხეების კენწეროებსაც შეახო და შეაშრიალა ისინი! ხოლო გამოხმობა მთა-გორებიდან უპასუხებდა – „შეიძლებაო“!..

– ქიტეს! ავდგეთ, ბიჭო, ჩვენცა! ფეხზე დავდგეთ! ხედავ, სულ ზეზე წამომდგარან... ლოცულობენ! ეგ სიმღერა მაგათებური ლოცვაა! – უთხრა დარჩუამ ქიტესას, სტაცა ხელი და გზის პირიდან ზეზე წამოაყენა ის.

– ვაჰ! ხათააა?! ძალათ ხო არ გვალოცებენ?! ჩვენ მაგათი ლოცვისა რა ვიცით?! ან რა გველოცება მაგათთან?!. – ბუზღუნებდა ქიტესა...

– ჰმ! არ გაგიგონია, ქიტეს-ჯან, „ჭალას ძალად მამღერებდენ ვარდო ნანინაო“?!. აქაც ის არის, ძმაო ჯან!... არ ილოცავ ამათთან და ხო იცი, დედას გიტირებენ! – მიუგო მას დარჩუამ ღიმილით.

აკი გეუბნებოდი, ქიტეს-ჯან – ურიებიდან გვჭირს, რაცა გვჭირს თქო! აი, ეხლა რო ლაპარაკობდა და ეგ ამოდენა კამპანია ლოცვად დააყენა, ეგ ქალაქელი მესაათე ურიის შვილია, დიდი კომუნისტი ყოფილა!.. მოსკოვიდან ეხლა ხან ჩამოსულა...

მის გვერდით დაბალ-დაბალი, შავგვრემანი, დიდცხვირა ჯეელი რო ზის, ამას ვერ სცნობ?!

– ვერა, ვერა ვსცნობ, დარჩოჯან, – მიუგო ქიტესამ.

– ეგ, ქიტეს, ნალბანდ გრიქურას ბიჭია! აი, ერთი ავარა რო იყო! სადღაც გადაიკარგა და ეხლა გამოჩნდა!.. დიდი ჯამაგირიც ჰქონებია... ოჯახი ფეხზე წამოაყენა... მაგის მამამ „ნორმაც“ მიიღო... ერთი კარგი ზვარიც! აი, ესეც სომეხი! ეგეც თავიანთ კამპანიაში შეუყვანიათ, რა არის სომხებსაც არ აწყენინონ!.. აი, ოსიც! მაღალ-მაღალი, მხარ-ბეჭიანი რო სდგას! ესეც ჩვენი კუთხისაა! აი, იოსება მამასახლისს რო ჩაფარი ჰყვანდა, „ოსი გიგო“, – იმისი შვილია! ჰაი დედასა! რა მწარე მათრახების თხლაშუნი იცოდა „გიგო ოსმა“! საწყალ გლეხებს მაგის მათრახისაგან ტყავი ჰქონდათ ზურგზე გადაშვლეპილი!.. დღეს, ხედავ, რა შვილი გამოსვლია?! დიდი კომუნისტი! მთელი კახეთ-ქიზიყის ტყეების საქმე მაგას ეკითხება...

ამ დროს ქიტესა და დარჩუას ჩამოუარა შარა-გზაზე ბლაღოჩინმა, დეკა-

ნოზმა მამა ესტატემ. ის თავ-ჩაქინდრული მიდიოდა თავისი გზით, თითქოს არც შეუმჩნევიაო ქიტესა და დარჩუა, ჩამოუარა მათ გვერდით და განაგრძობდა გზას.

– მამაო ბლაღოჩინ!.. ო! ბლაღოჩინ!!! შე დალოცვილო, ჯირკები ხო არა ვართ, რო უხმოდ გვერდი აგვიაროთ!.. სალამს მაინც მოგვცემდი! სალამი ხო ღვთისააო, ნათქვამია!.. რაზე ჩაფიქრებულ ხარ ეგ ზომ?! – ზედი-ზედ, სხაპა-სხუპით, მიაყარა მამა ესტატეს დარჩუამ დ ძალა უნებურად შეაჩერა შუა გზაზე.

– გამარჯობა თქვენი, დარჩო და ქიტეს! აქ რას უდგიხართ, ადამიანებო?! – მისცა მათ სალამი ფიქრების ბურანიდან გამორკვეულმა მამა ესტატემ და შეეკითხა კიდეც.

– სუუ!.. წყნარად, მამაო ესტატე! – ხელი ტუჩებზე მიაფარა დარჩუამ ესტატეს და ჩურჩულით დაუწყო მას ლაპარაკი: – ვერ უყურებ, კომუნისტებთან ერთად, ჩვენც ლოცვადა ვდგევართ აქა?!. საყდრებში აღარ გვალოცებენ... სარწმუნოება „დურმანია“... ხალხის გამაბრუებელია, „ბანგიაო“!.. და აი, ახლა მათთან ვლოცულობთ! ხო გესმის, მამაო, როგორ აგუგუნებენ!.. ეს მაგათებური ლოცვის საგალობელია!.. იქ ერთად ლოცულობენ ურია, სომეხი, ქართველი, იმერელი, გურული, მეგრელი, ოსი და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი ოხერი! თქვენ კი – ღვდლები და ტერტერები ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ, ერთი მეორის საყდარში შესვლასა და პირჯვრის წერას ერიდებით!.. ერთი მეორეს ამცირებს... თავლაფს ასხამთ ერთმანეთს!.. გძულთ, გეზიზღებათ ერთმანეთი!..

– დარჩო! აუშვი შენებურად ოფოფები განა?! – შეეცადა მამა ესტატე შეეწყვეტინებია დარჩუასათვის ეგ დაუსრულებელი მხილების კორიანტელი და მწარე ღიმილით, ხუმრობის კილოთი უთხრა მას.

– რის ოფოფები?! განა ტყულსა ვამბობ, მამაო?! – დაიწყო ისევ დარჩუამ, – „როგორიც ღვდელი, ისეთი ერიო“, ტყვილა როდია ეს ნათქვამი, მამაო! ღვდლებმა და ტერტერებმა დაღუპეთ ქვეყანა! თქვენისთანა ღვდლებისა და ტერტერების შემხედვარე ქვეყანას გან კარგი რამ უნდა დაჰყროდა?! სულ თქვენი ბრალია ეგ ხალხის არევ-დარევა, გაკომუნისტება!.. ერთი უკიდურესობა იწვევს მეორე უკიდურესობას, ერთი უსაქციელობა, მეორე უსაქციელობას!.. მაგრამ... ვენაცვალე ჩემს სუფ-სარქისისა და თელეთის მადლსა! – არც თქვენ გადგიათ კარგი დღე! ტყვილა როდია ნათქვამი: „პალო – პალოთი ამოვარდებაო“! თუ ცოტა ხანს კიდევ აგრე გასტანა საქმემ, თქვენი სინსილაც ამოვარდება, როგორც ჩვენი – ვაჭრებმიკიტნებისა და მემამულეებისა! თქვენც ხო ჩვენზე ნაკლებად არ ვაჭრობდით, მამაო წმინდაო! ჯვრის წერის დროს, ჯერ იყო და საყდრის კარებს როდი გააღებდა მნათე, სანამ „კარის გასაღებს“ არ ჩაიჩხრიალებდა ჯიბეში! საყდრის კარს გააღებდენ თუ არა, ღვდელი შეიმალებოდა საკურთხეველში და სანამ მას, ბევრი ვაჭრობისა და ჯანჯლობის შემდეგ, თუმნიანებს არ დაულაგებდენ მუხლებზე, მანამ არ შეიმოსებოდა და საკურთხეველიდან ფეხს არ მოიცვლიდა! მეფე-პატარძალი კი იდგნენ შუა საყდარში და ელოდენ, როდის გათავდებოდა ეგ გულის გადამლევი ვაჭრობა საკურთხეველში!

აგრე იცოდით ნათლობა-დასაფლავებაშიაც! რამდენჯერ ბავშის მოსანათლი წყალი გაცივებულა მღვდელთან მორიგებამდე?!

– სანამ აქ, ამ სტოლზე, სამ მანათიანს არ დასდებთ ჩემთვის, – ამბობდა ღვდელი, ხოლო დიაკვნისათვის მანეთიანს, მანამ არ მოვნათლაო!..

რამდენი მიცვალებულის გვამი აყროლებულა ღვდელთან „წინ გასაძღოლის“ მორიგებაში?! „კოდის-პურებზე“ აყალ-მაყალი გლეხობასთან და ტაბლებ-სამღვთოებზე ღვდელ-დიაკვნებ შუა თმათა წეწა და ყურთა-გლეჯა, ეგ კიდევ სხვა იყო!..

თქვენ... თქვენ მოჰკალით და შეაგინეთ სჯული, ქრისტიანობა... თქვენვე გამოაცალეთ ტახტი ნიკოლოზ ხელმწიფესაც!.. თქვე სულწაწყმედილებო, თქვენა! – თვალების საოცარი პრაწვითა და ჭყეტით დაასრულა დარჩუამ სამღვდელოების განქიქება ამ შარა-გზაზე, ესტატე ბლაღოჩინის წინაშე.

– შენ, გეტყობა, დარჩოჯან, დუქნის ჩამორთმევისა გამო ჭკუაზე აწეულხარ! აღარ იცი, რასა როშავ და რეებს მიედებ-მოედები! ოხრები და მუდრეგები, როგორც მედუქნე-მიკიტნებში ბევრი იყავით, ისე ზოგჯერ ღვდლებშიაც გვერივნენ! მაგრამ ეგ აქ რა მოსატანია?! ვის რა ჭკუა-ზნეობა გვესწავლება სოფლის ჩარჩ-წურბელებისაგან?! თუ ენა მაინცა და მაინც გექავება, წადი და ასეთ რამეებზე ისევ შენს ტერტერას ელაპარაკე! ჩემთან შენ რა ხელი გაქვს?! როდის რა მოგიცია შენ ჩემთვის ან მე რა მითხოვნია შენთვის?! – უპასუხა დარჩუას განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა მამა ესტატემ.

– აკი მოგახსენეთ, ღვდლებსა და ტერტერებს ერთმანეთი გძულთ, გეზიზღებათ თქო! ერთი მეორეზე აგდებთ ბრალსა: „მე არა, ის არისო“! თითქოს კი ერთ ღმერთსა და ერთ ქრისტესა ემსახურებით?! მე აქა მაქვს, მამაო, შენთან საქმე! თქვენ კი არ გინდათ გაიგოთ ჩემი გულის ბუხარი!.. განა ერს არ გვეთქმის საყვედურები ღვდლებზე?!.. დაიჩივლა ისევ დარჩუამ.

– განა ღვდლებს ნაკლები საყვედურები გვეთქმის თქვენისთანა „ერზე“? – მოკლეთ მიუგო ესტატემ დარჩუას.

– არა, მამაო! თქვენ როდი გეთქმისთ საყვედურები ჩვენზე! – დაიწყო ისევ დარჩუამ, – არც ჯიბრში უნდა ჩაგვდგომოდით ერს! მე, როგორც გამიგონია, ჩვენი ქრისტიანობა, ჩვენი სჯული, სიყვარულიაო! ამ სჯულის მოძღვრებს მრევლი როდი გიყვარდათ, არა, მრევლს თქვენ ჰკრეჭდით, როგორც ცხვარს, ტყავს აძრობდით მას, მითი იმოსებოდით და იკვებებოდით! ეგ „ცხვრები“ კი საძოვარზედაც კი არ გაგყავდათ!.. არა გისწავლებიათ რა მრევლისათვის! არც არა სასიკეთო რამ მაგალითი გიჩვენებიათ მისთვის!.. აი, თქვენი სწავლა-მოძღვრების ნაყოფი! – მიუშვირა დარჩუამ ხელი მექორწილეებისაკენ, რომელთაც რევოლიუციუნური სიმღერა უკვე დაესრულებიათ, ყველანი დამსხდარიყვნენ კიდეც და შეექცეოდენ სავსე სუფრას.

– როგორ მოხდა, მამაო ბლაღოჩინ, რომ ნორჩმა იამზემ უღვდლოდ, უეკლესიოდ, იქორწილა! ჯვარ-დაუწერლად შეეუღლა ის კომუნისტ კოლიას?! სად არის თქვენი გავლენა?! თქვენ მიერ მრევლის წვრთნა, მასში სჯულის განმტკიცება?!.

იმიტომაც იყო, მამაო, რომ იამზემ ჯვარის საწერი ფულები ჯიბეში ჩაგიჩხრიალათ! – მწარე დაცინვით დაასრულა დარჩუამ.

– შენ კიდევ იმაზე გიკვდება გული და გისივს ნაღველა, რომ ამ ქორწილით ვერა ისარგებლე რა ვერცა შენ და ვერც შენმა ქიტესამა! ჩვენ ღვდლები და ტერტერები რაც ვიყავით, ვიყავით, მაგრამ თქვენ როგორი „უვეცხლო წმინდანები კოსმა და დამიანე იყავით“, ამაზე იფიქროთ, ეგ შეინანოთ, ის გიჯობთ, მამა-შვილობამ! ერთ რამეს კიდევ გეტყვით საღვთო წერილიდან და ესეც დაიხსომეთ: „ჰეი, ჰეი! რა არა არს!.. რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალ არს“-ო!.. უკვე დაყვავებით უპასუხა ესტატემ დარჩუას.

– ვითომ რაო?! მამაო ბლაღოჩინ! ეგ დრო გაივლის, წყალი ხიდ ქვეშ ჩაივლის და თქვენ ისევ შეუდგებით მრევლის ძველებურად კრეჭას?! მეტიმც არაა ჩემი მტერი! თქვენ არ დაგწყევლით, მამაო!.. თქვენი წირვა გამოსულია! „ღმერთი რო კაცს გაუწყრება, პირველად მას ჭკუას წაართმევსო“, ეგ ხო გაგიგონია?! სწორეთ აგრე მოგივიდათ სამღვდელოებასა და თქვენს კათალიკოსებსაც: ერთი კათალიკოსი, კირიონი, სადღაც მონასტერში ტყვიით მოჰკალით!.. მეორემ, ლეონიდმა, ბოლშევიკების ქალაქში შემოსვლისას, სამწყსო გასაჭირში მიატოვა და ბათუმისაკენ გაჰქუსლაო!.. ერთი თვის შემდეგ კი, კუდ-ამოძუებული, უკან დაბრუნდა, შეხვდა ხორველა ზაფხულში და გარდაიცვალაო...

მესამე კათალიკოზს ამბროსის კი, მენშევიკების შეგონებით, დაახლოებულმა პირებმა რაღაც საჩივარი გააგზავნინეს ბოლშევიკებზე ევროპის დიდ სახელმწიფოების წინაშე: საქართველო დაიპყრო რუსეთის წითელმა არმიამ. უბრძანეთ, ეს არმია რუსეთმა გაიყვანოს საქართველოდანო!

დალოცვილი! ბოლშევიკები ინგლის-საფრანგეთის ზარბაზნებმა ვერ შეაშინა! ამოდენა სამოქალაქო ომი გადაიხადეს ბოლშევიკებმა! გენერალი ვრანგელი, მისი ჯარით, შავ ზღვაში გადაჰყარეს!.. ამდენი რამ ამბები გადახდათ თავს და ახლა ესენი ამბროსი კათალიკოსის საჩივრით წითელ არმიას გაიყვანდენ საქართველოდან?! ამ ჭკუით დადიხართ, თქვენ?!..

ან არა და, გაიძახიან, „მოდიანო“!... „მენშევიკები მოდიანო“!.. ბათომში ინგლის-საფრანგეთის ფლოტი შემოსულა ჯარით... ბოლშევიკები უნდა გარეკონო!.. კნიაზებსა და კნეინებს ჩამორთმეულ მიწა-წყალს და მამულებს უბრუნებენო!..

ყოველ დღე გვესმის ასეთი ხმები, არც ერთი კი მართალი არ გამოდგა! თვალები დაგვებრიცა, მამაო, ბათომისაკენ ცქერით...

რის მენშევიკები?! ვინ მენშევიკები?! თქვენგნით არ მიკვირს?! – განაგრძობდა ბობოქრობას ენაგაჭარტალებული დარჩუა, – ი კაიკაცები! თუ რაიმე უნარი შესწევდათ, აქ არ იყვნენ?! რას გარბოდენ?! სახელმწიფო ხელში ეჭირათ! ჯარი ჰყავდათ და ხალხიც ხელში! ის იმოდენა ქონება, სიმდიდრე და სამხედრო მასალა დარჩათ ოსმალეთის ფრონტის მოშლის შემდეგ, მაშინ ვერა გააწყვეს რა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ქვეყანა ვერ დაიცვეს, ვერ გაუძღვენ, ვერ მოუარეს საქმეს, ვერ მოაგვარეს გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობა!.. ეხლა აპირებენ დაბრუნებასა და ბოლშევიკების აქედან გარეკას?!.

თურმე ამბროსი კათალიკოსსაც ამისი იმედი ჰქონდა, როდესაც მას საჩივარი გააგზავნიეს ევროპაში!.. მაგრამ... ჩაუვარდა კოვზი ნაცარში!.. არც არა იმ საჩივრიდან გამოვიდა, კათალიკოსს კი აქ სტაცეს ხელი და მისი ავან-ჩავანებით მეტეხის ციხეში ამოაყოფინეს ყველას თავი...

ამას წინეთ ქალაქში ვიყავი, ნახალოვკაში... იქ პლეხანოვის სახელობის კლუბში გაასამართლეს კათალიკოსი და მისი თანამსახურნი! რა ვნახე?! რა ამბავი იყო?!... რა თავ-ლაფდასხმა... დაცინვა... გამასხარავება!.. ნეტავი, რისთვის?! ვისთვის?! რა უნდა გამოსულიყო იმისი საჩივრიდან, გარდა იმისა, რომ კათალიკოსი, მისი სამღვდელოება და მათთან მთელი მორწმუნე ხალხი მთავრობამ თავის მოსისხლე მტრებად დასახა და ულმობელ ბრძოლას უცხადებს მათ!.. ეგ საქმეა?! ეს სიგიჟეს არ წააგავს?!

– შენ, ჩემო დარჩო, ბევრი რამ გინახავს, გაგიგონია, ზოგი რამისათვის ყური მოგიკრავს და თავ-ბედისა კი ვერა გაგიგია რა, – უთხრა მას მამა ესტატემ – აგრე როდი ვარგა! უნდა გესმოდეს, ერკვეოდე კიდეც საქმეში და შემდეგ იმსჯელო! სად შეგიძლია შენ, გაიგო ან კათალიკოს ამბროსის გულის პასუხი, ან მენშევიკების განზრახვა თუ პოლიტიკა?! ან ევროპის სახელმწიფოები რა გზას დაადგებიან?! შენ, ჩემო ძმაო, შენს ცოლ-შვილს მიჰხედე, შენს ოჯახზე იზრუნე! და თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, ილაპარაკე შენს ჰაირიკა კათალიკოზზე და მის ტერტერებზე! ჩვენ, თუ ხათრი გაქვს, გაგვანთავისუფლე შენი განსჯა-განკითხვისაგან!

– მე, მამაო ესტატე, ჩვენს ტერტერებზედაც იმავე აზრისა ვარ, როგორისაც თქვენს ღვდლებზე! მაგრამ ჩვენი ჰაირიკა კათალიკოზი რო თქვენს კათალიკოზზე ჭკუიანი და შორს მჭვრეტელიც ყოფილა, ეს საკმარისად გამოჩნდა! – დაბეჯითებით განაცხადა დარჩუამ.

– როგორ! აბა, რეებს მიედებ-მოედები თუ გესმის?! – შეუტია დარჩუას მამა ესტატემ.

– როგორ და აი, როგორ! – პირში მიახალა დარჩუამ მამა ბლაღოჩინს, – ჯერ ისა, რომ წითელი არმია სომხეთში უფრო ადრე შევიდა, ვინემ საქართველოში. მაგრამ სომხის კათალიკოზს არ უკადრებია ეჯმიაწინიდან მაშინ სადმე გაქცეულიყო! ეგ სინამდვილეა! უეჭველი რამ სინამდვილეა, მამაო!

ბოლშევიკები რომ ყოველი სარწმუნოების შეურიგებელი მტერი და მბრძოლია, ესეც ყველამ იცის, ეს იცოდა სომხის კათალიკოსმა კევორკ მეხუთემაც, მაგრამ მას არავითარი საჩივარი არსად საბჭოთა ხელისუფლებაზე არ გაუგზავნია!.. არ წამოეგო ის დაშნაკების ანკესზე! კარგად გაითვალისწინა მან, რომ ევროპის სახელმწიფოების წინაშე საბჭოთა მთავრობაზე საჩივრიდან არავითარი სიკეთე არ გამოვიდოდა, პირიქით, ასეთი საჩივარი უფრო მეტად გაალმასებდა მთავრობას სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ!

ესეც ხო უდაო ჭეშმარიტებაა! – დაასრულა დოინჯშემოყრილმა დარჩუამ; ეს გრძნობდა – დავამარცხე ბლაღოჩინი ესტატე, პირი დაუყავი მასო!..

– ილაპარაკე, დარჩოჯან, იყბედე! გეტყობა, ესღა გაგიხდია ეხლა ხელო-

ბად! ასე ყბედობაზე ბოლშევიკებს ჯერ ბაჟი, არც ნალოგი არ დაუდვიათ! რა გენაღვლება! ან რა გეხარჯება! იხრიალე და დაფქვი მოუკოდავი წისქვილით, – უპასუხა მას ესტატემ და თან უსაყვედურა:

– შე კაი კაცო, რაზე გამაჩერე ამდენ ხანს?! ეხლა ჩემს საქმეზე უკვე ვიქნებოდიო!

– შენმა მზემ, „საქმეზე იქნებოდი“! როგორ არა?! გული გაიკიტრე! თითქოს კაი ქელეხზე ან ნათლობის სადილზე მიეშურებოდი! არა მამაო, არა!.. მგონი, სამუდამოდ მოკვდა „თქვენი საქმე“, ისე, როგორც ჩვენი – ვაჭარ-მედუქნეებისა!.. ახალი ქვეყანა შენდება, მამაო ბლაღოჩინ! ვერ გაიგონე, რას აგუგუნებდენ წეღან კომუნისტები თავიანთ გალობაში?! – „ჩვენ ახალ ქვეყანას ავაშენებთო“! – ჩვენ კი იმ „ქვეყანაში“ ვინღა შეგვიშვებს!.. ან ვინ დაუდგება კომუნისტებს წინ ასეთ „აღმშენებლობაში“? – თქვენი კათალიკოსი ამბროსი თუ მისი ღვდლები, თავიანთი გაყვლეფილი დიაკვნებით?! – ისევ შეუჩიჩხვინა მამა ესტატეს დარჩუამ.

– არც მაგრეა საქმე, დარჩო, შენ რო გგონია! ჩემი საქმე არ მომკვდარა და არც მოკვდება! ხალხში რწმენა არასოდეს არ მოკვდება!.. ქელეხებიც არის ჩემს სამრევლოში, ნათლობაც, ტაბლებიც და სამღვთოებიც!.. მხოლოდ ყოველივე ეს სრულდება დღეს მოფარიზებით... ხალხს ეშინია... დევნაა ქრისტიანობისა და სჯულისა, დარჩო ჯან, როგორც ეს ქრისტიანობის პირველ დროში ყოფილა, დღეს კი უფრო მწვავედაც კი!.. მაგრამ ღმერთი როდი გასწირავს თავისს გაჩენილ ქვეყანას! ის ასეთი დევნის დაშვებით, ასეთი შეიწროებით, გამოაფხიზლებს ხალხსაც, სამღვდელოებასაც და სხვებსაც! ქრისტე მაცხოვარმა ამ მხრივ წინასწარ გაგვაფრთხილა კიდეც: ჩემ მიერ დაარსებულ ეკლესიას ბევრი მტერი, ბევრი მდევარი, ბევრი შემავიწროებელი და დამამცირებელი გამოუჩნდებაო! მაგრამ მას „ბჭენი ჯოჯოხეთისანიც კი ვერ მოერევაო“!.. აგრე სწერია, შვილო, სახარებაში! შენ ნუ ჭირვეულობ, ღვთის საგმობ სიტყვებს რად ამბობ, შვილო? წაქცეულთა რაღა წიხლების ჩაკვრა გვჭირდება, შე კაი კაცო! ეს არ გეკადრება, არც ღმერთი გაპატიებს ამდენ თავხედობას, რასაც შენ ჩვენზე იჩენ! კომუნისტებიც კი არ მაკადრებდა იმას, რაც შენ დღეს მკადრე და დამამცირეო! – ისევ უსაყვედურა მამა ესტატემ დარჩუას, ის იყო აპირებდა კიდევ მამა ესტატე მისგან განშორებას და წასვლას, რომ მექორწილეთა აივნიდან ერთ-ერთმა ახალ გაზრდამ თვალი მოჰკრა შარაგზის ყურში მდგომ ღვდელს და დაიძახა: „Вижу“! „Кого?!“ – შეეკითხა მაშინვე მეორე. „Попа“! – წამოიძახა მესამემ. „В чём“?! – შეეკითხა მეოთხე. „В Мешке“ – უპასუხა მეხუთემ! „Бей его по башке“! – დაამთავრა ისევ პირველმა.

ასეთ შეკითხვა-პასუხებზე ყველა მექორწილეებმა შარაგზისაკენ ჰქნეს პირი და დაინახეს მაღალ-მაღალი, აწოწილი, ჩაჩაჩული, გაბურძგვნილი ღვდელი და საერთო სიცილ-ხარხარი დააყარეს საბრალოს.

– აი, მამაო ესტატე! თითქოს კომუნისტებიც კი არ დამამცირებდენო?! ნახე, თუ არა!? აგრე დასცინიან ქალაქის ქუჩებში გამვლელ-გამომვლელ ღდვლებს კომსომოლი ბიჭებიც!..

ისევ დაამცირა დარჩუამ მამა ესტატე. მაგრამ ეს უკანასკნელი ყურს აღარ უგდებდა მას; დაღუნა მან თავი და საერთო სიცილ-ხარხარის ქვეშ დაეშვა ის შარა-გზაზე და ჩქარი ნაბიჯით გასწია თავის „საქმეზე“!..

– ჩვენც გავეცალოთ, თუ ხათრი გაქვს, აქაურობას! ჩვენც ერთი ხათა რამ არა აგვიტეხონ რა ამ მამაოხრებმა, დარჩო ჯან! – უთხრა მას ამდენ ხანს გაჩუმებულმა ქიტესამ, მაგრად ჩაჰკიდა მას მკლავში ხელი და ესენიც ხანხალ-ხანხალით თავისი გზით გაემართნენ.

იქ კი, ოქუანთ აივნიდან ისევ ისმოდა ღვდლის დანახვაზე ატეხილი სიცილ-ხარხარი. მამა ესტატეც ჩქარი ნაბიჯით მიჩანჩალებდა და თან ბუტ-ბუტებდა: „ჰეი! ჰეი! რა არა არს! რამეთუ ჟამნიცა ესე წარმავალს არსო“!.. ოი! დასწყევლოს და შეაჩვენოს ღმერთმა ის დარჩუა, ისა! როგორ განსაცდელში შემიყვანა იმ მარ-თლაც მაცდურმა და მაცდურის მოგზავნილმა სოფლის წურბელა-ჩარჩმა!.. ფუი! ეშმაკსა!.. განვედ ჩემგან სატანა!.. წმინდაო გიორგი შენ დამიფარე მაცდურ-ეშმა-კისაგან“! – პირჯვრის წერით ბუტ-ბუტებდა მამა ესტატე და თან მიდიოდა...

ჰმ!.. განა სავსებით სტყუოდა ის დარჩუა, – თავის თავს გულში გამოებაასა მამა ესტატე მოსმენილზე თუ ნახულზე, – ბევრი მწარე სინამდვილე გვამხილა მან ღვდლებსაცა და კათალიკოსებსაც!.. დალოცვილი! თავისი ოხერი ხუცები-სათვის ვერ მოუვლია კათალიკოზს... კონფერენციაზე საბჭოთა ხელის უფლე-ბაზე თუ წითელ არმიაზე საჩივარს ვინ სჯიდა!.. ახია მასზედაც და ჩვენზედაც, რაც მოგვივა! – „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“! – ჭეშმარიტია ეგ თქმულება... ჭეშმარიტზე ჭეშმარიტი, – დაბეჯითებით ბუტ-ბუტებდა მამა ესტატე და მიიჩქაროდა.

ავტოკეფალია! ავტოკეფალიაო! – გაიძახოდნენ ღვდლები, თუ ერის კაცნი! ქალი თუ კაცი! ჩვენი კათალიკოსი გვეყოლება, ის უფრო მოუვლის ეკლესიას, უკეთ განამტკიცებს ხალხში სარწმუნოებას და კეთილზნეობასო. ექსარხოსე-ბი გვღუპავენო!.. მამა სარდიონმა რამდენჯერ საჯაროდ კაკალი დამამტვრია თავზე ამ ავტოკეფალიისათვის:

„შენ ექსარხოსების მომხრე ხარ!.. ხულიგანი... ავტოკეფალიას ეწინააღ-მდეგები, ხელს გვიშლიო“!.. – რამდენჯერ მისაყვედურა მან ეს და გამლანზღა კიდეც ხალხში!..

ღმერთია გულთამხილავი! მე მართალს ვამბობდი! თუ არ ექსარხოსები, თუ არ რუს-ხემწიფე, მისი პოლიცია და ჯარი, თუ არ სინოდი და მისი კანტორა ჩვენში, სხვაფრივ ჩვენი სამღვდელოების საქმე წასულია!..

ესეც თქვენი ავტოკეფალია! დიდის ზარ-ზეიმით აღადგინეს საქართვე-ლოს ეკლესიის ავტოკეფალია რევოლიუციის პირველ დღეებშივე, თორმეტ მარტს, მცხეთაში... პირველ საეკლესიო კრებაზე იმავ წლის სეკტემბერში კათალიკოსიც ამოირჩიეს ქართველი... დიდი ნასწავლი... სახელგანთქმული, საყოველთაოდ ცნობილი კაცი... კირიონი!

მერე რა?! ვინმე დაემორჩილა მას?! იყო ჩვენს სამღვდელოებაში მისი სმენა და გაგონება?!.

პირიქით, ექსარხოსების დროის ოინბაზებმა ისეთი შური და მტრობა დაატ-რიალეს კირიონ კათალიკოსსა და ლეონიდე ტფილელ მიტროპოლიტის შორის, რომ ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი!..

ლეონიდის გარშემო შეიკრიბნენ ეგ არამზადები!.. გააჩაღეს ცეცხლი ინ-ტრიგანობისა, იოთ-მოეთობისა, ცილის წამებისა!.. ტფილელ მიტროპოლიტის საეპარქიო საბჭოში, სასამართლოში და კანცელიარიაში დაიბუდა საარაკო მექ-რთამეობამ და გახრწნილობამ. ამ მხრივ ავტოკეფალურმა მართვა-გამგეობამ რეკორდი დაამყარა სინოდალურ მართვა-გამგეობასთან შედარებით!..

განსაკუთრებულად სწარმოებდა „განქორწინებათა საქმეები“ ლეონიდის საეპარქიო სასამართლოში. ამ სასამართლოს მდივანს და საეპარქიო კანცელიარიის გამგეს დარჩა ბურთი და მოედანი! დამხობილი სინოდალური კანტორისა თუ ექ-სარხოსის კანცელიარიის მთელი ფუნქციები მის ხელში გადმოვიდა ფაქტიურად. ეს „გამგე-მდივანი“ ძველი მგელი იყო!.. მან ავტოკეფალური ქურქი წამოისხა!.. კათალიკოსი, საკათალიკოსო საბჭო თუ სასამართლო მან გარიყა... ლეონიდი ქვეშ ამოიდო... კანცელიარიაში საიდუმლო ოთახი გაიჩინა, სადაც ერთ კუთხეში შავი ნაბადი ჰქონდა გაშლილი; ამ ნაბადზე ის განსაქორწინებელ მანდილოსნებს ჯერ აგორავებდა, შემდეგ ფულად გასამრჯელოსაც აიღებდა, ხოლო შემდეგ გა-ნაქორწინებდა თავისი შეხედულებისამებრ!.. მის წინაშე სდუმდა კანონი, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკლესიური!.. რა დასკვნასაც ის გაუკეთებდა „საქმეებს“, მას უდასტურებდა ლეონიდი თუ ამისი „სასულიერო მსაჯულნი“, ექსარხოსების დროს „ბარადათ“ წოდებული დეკანოზები...

„გამგე-მდივანს“ მხარს უჭერდენ, ამაგრებდენ და შველოდენ ტფილისის „უმაღლესი სამღვდელოების“ წარმომადგენელნი და ექსარხოსების დროის ყოფილი აგენტები, დეკანოზ ვოსტორგოვის ნაჯაშუშარი დაბალი ხარისხის ღვდლებიც!

ამათ საერთო ძალ-ღონით და ტფილისის შეძლებულ ტაძრების ხარჯზე დააარსეს ყოველ კვირეული ჟურნალი – „ახალი სიტყვა“. ამ „ორგანოს“ სუ-ლის ჩამდგმელები ხოხობივით ყველანი თავს მალავდენ, ბოლო კი უჩნდათ!.. რედაქტორად წამოაყენეს და თავის მიზნებს ამსახურეს 1905 წლის ქართველი სამღვდელოების რევოლიუციონურ კრების ყოფილი თავმჯდომარე, მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი, რომელმაც იმ რევოლიუციონურ კრების შემდეგ მაინც მოახერხა ავლაბრის ვაჟთა გიმნაზიაში სამღვთო სჯულის მასწავლებ-ლად მოკალათებულიყო! ის სურამ-იტრიიდან 1906 წელში ტფილისში გადმო-აყვანიეს ექსარხოსს ნიკოლოზს!..

აი, ასეთი „რევოლიუციონერი“ სამღვდელო პირი წამოაყენეს „ხოხობებმა“ „ახალი სიტყვის“ რედაქტორად! ციცქიშვილის „ფირმის“ ქვეშ მოღვაწეობდენ კირიონის წინააღმდეგ „ლეონიდელები“!..

ჩვენ, სოფლელ ღვდლებს, ქალაქიდან მუქთად გვიგზავნიდენ ამ „ჟურ-ნალს“! ღმერთო ჩემო! რას არ სწერდენ ამ „სასულიერო ორგანოში“ ეგ ღვთის პირიდან გადავარდნილები!.. თან იერიშები მიჰქონდათ საბრალო, მოხუც

კათალიკოზ კირიონზე! მერე ვის?! – არქიმანდრიტებს, დეკანოზებს... „სასულიერო პირებს“, – „სასულიერო“ ბეჭდვით ორგანოში! – ვის წინააღმდეგ?! – ყოვლად უდანაშაულო, დამაშვრალ მოღვაწე ადამიანის წინააღმდეგ! ოცი წლის განმავლობაში სამშობლოდან განდევნილ კირიონის წინააღმდეგ, რომელსაც სიცოცხლეს უწამლავდენ თვით ექსორიაობაშიაც კი სინოდის დავალებით რუსის ჟანდარმები!.. ხოლო გაკათოლიკოსების შემდეგ, მარტყოფის მონასტრის სენაკში, ვიღაცამ, ღამით, რევოლვერის ტყვიით გაუგმირა მას გული!

ხმა კი ასეთი დაჰყარეს – „თავი მოიკლაო“!.. კათალიკოსი თავს როგორ მოიკლავდა?!. ეგ სად თქმულა?!. ეგ სად გაგონილა?!.

ან რა იძულება მიაყენეს მას ისეთი, რომ თავი მოაკვლევინეს?!. ეგ ვერ არის ჭკუიანად მოგონილი!!. ეს კირიონის მდევნელთა წინააღმდეგ ღაღადებს!..

დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ კირიონი ისეთ ხაფანგში მოემწყვდა ამ „ახალ სიტყველების“ მიერ, რომ თავი ჰქონდა მოსაკლავიო! მაგრა თან იმასაც დასძენენ, რომ ის იმ ზომ იყო ბოლო დროს მის მიერ გადატანილ სიდამბლისაგან დაავადებული, რომ ბევრიც ცდილიყო, თავის ხელით ის ტყვიას ვერ დაირტყამდა გულშიო!..

ადამიანს თავისი ხელით ჭიქით წყალი ვერ მიჰქონდა პირზე და გულში ტყვია თავისივე ხელით დაირტყაო!.. გაავრცელეს მასზე ასეთი აშკარა შეუსაბამობა!.. ეს მეორე მკვლელობაა... სულიერი მკვლელობა... სიკვდილიც არ აკმარეს... ისევ ცილს სწამებენ... ჩირქსა სცხებენ...

მკვლელობის იარაღი, რევოლვერი გამომძიებელმა და ექიმმა იპოვნეს კირიონის სარეცელთან დაგდებული!.. ეს რევოლვერი დაკეტილი ეგდო!!.

როგორ?! კირიონმა ძუძუში ტყვია დაირტყა, რევოლვერი დაჰკეტა და შემდეგ მოკვდა?!. ოჰ!.. ეგ რა საძაგლობაა!.. ეგ რა შეთითხნილი ცილის წამებაა!..

მენშევიკურმა მთავრობამ მკლელები აღარ მონახა... თავი არ გამოიდო... ეს საარაკო მკლელობა მიაფუჩეჩაო!..

კირიონის დაღუპვისათანავე „ახალმა სიტყვამაც“ შესწყვიტა თავისი „მოღვაწეობა“! თავისი „მისსია“ ამოწურულად სცნო მან!

ამ მკვლელობის წინ, „ახალი სიტყვის“ ერთ-ერთ ნომერში (1918 წ., №7) ასეთი სათაურის წერილი იყო დაბეჭდილი: „კათალიკოსის კირიონის წირვა და სიონის წაპილწვა“.[1] ამ წერილს ხელს აწერდა ანონიმი „ჯაჭვაძე“!

ამბობენ, ეგ ენა მოტეხილი შუბლაძე ღვდელია, ვოსტორგოვის „თვალი და ყური“ რო იყოო! ვოსტორგოვმა რო რუსულ სამრევლოში – ალექსანდრე ნეველის საყდარში გადმოიყვანა ქალაქშიო!

სულ უსახელო „მწერლები“ კი იყო იმ „ახალ სიტყვაში“: „ახელი“, „ნაჭყე-

---

1. სიონში კირიონის ერთ-ერთ წირვის დროს, მის თანამწირველ მოხუც ღვდელს პაჩიკოვს (ინგილო იყო) ტრაპეზთან რამოდენიმე წვეთი შარდი წაუვიდა! ეგ იყო და ეგა! ნეტავი ამით მეტად „წაიპილწა“ სიონი, თუ კირიონი რო საკუთარ სისხლის ტბაში შეაცურეს მკლელებმა მარტყოფის ძველის-ძველ სავანეში?!.

ბია“, „ჯაჭვაძე“ – ეგ სულ ერთი და იგივე პირიაო!.. შემდეგ – „ბაბასინ“, „ჭინჭარი“ და ვინ მოსთვლის კიდევ რეები! მხოლოდ „რედაქტორის“ სახელი და გვარი იყო „ჟურნალის“ ბოლოში გამოჭიმული: „ღვდელი ქრ. ციცქიშვილიო“!..

კირიონის სიკვდილის შემდეგ არ გასულა სამი თვეც კი, და დაიღუპა სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი! ესეც „ახალსიტყველებმა“ მოინელეს!..

ამბობენ, ის ქალაქიდან შეჩენილს პირს (მისსავე სიძეს) მოაწამვლიეს... საჭმელ-სასმელში შეაპარეს წვეთ-წვეთად შხამიო!..

ესეც უხმოდ ჩაატარა საერთო თუ სასულიერო მთავრობამ!.. ესეც მიაფუჩეჩესო!.. ანტონი ქუთათელი ლეონიდ ტფილელს, კათოლიკოსობაზე არჩევნებში, მძლავრ მეტოქეობას გაუწევდა და კიდევაც დასძლევდაო!.. ასეთი სახიფათო მეტოქე ჩამოაშორეს ლეონიდსო!.. ესეც საშინელებაა!..

შემდეგ... მეორე საეკლესიო კრების გახსნის წინაღამით – შაბათს (1920 წ. ივლისი), მოჰკლეს წმ. ილიას სახელობის ტაძრის ღვდელი – ტიმოთე ბაკურაძე... ტფილისში. ესეც „ახალ სიტყვაში“ დაბანაკებულ ლეონიდის გარშემო თავმოყრილ სასულიერო უწყების ბანდიტების წინააღმდეგ იბრძოდა! ამათ წინააღმდეგ რაღაც პროკლამაციებიც ჰქონებია ბლომად დაბეჭდილი, ხალხში გასავრცელებლად დამზადებული! გაუგეს ეგ და აღარ დააცალეს!..

შაბათს საღამოთი, ლოცვიდან სახლში დაბრუნებისას, იქვე მისს ბინასთან ჩასაფრებულმა დაქირავებულმა მკლელმა რევოლვერი დაახალა და მოჰკლაო!..

კიდევ უფრო ადრე... ძველი არმაზის მონასტრის აღმადგენელი მირიანბერი მოჰკლეს მცხეთაში...

ესეც კირიონის მომხრე იყოო!..

ეხლა ხან ამბავი მოვიდა ქალაქიდან, რომ ანჩისხატის დეკანოზი ღვდლობიდან გადამდგარა.

თურმე ამასაც მიუგზავნეს უცნობი პირები... გააფრთხილეს: „გასწორდი, თორემ მოგკლავთო“! „აგრე შემოგითვალა მორწმუნე საზოგადოებამ: შენ საქართველოს ეკლესიის მტერი ხარ, საეჭვო პირებთან გაქვს კავშირიო“!..

რო შეჰკითხებია უცნობთ დეკანოზი: „მითხარი მაინც რაში, გავსწორდე, რა ზნესა და ყოფა ქცევას მიწუნებთ, რომელ საეჭვო პირებთან მაქვს კავშირიო“, – მათ უპასუხნიათ:

„ამის განხილვაში ჩვენ არ შევდივართ. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს – არავითარი ახსნა-განმარტება თქვენგნით არ მივიღოთო“! – უთქვამთ და წასულან.

ანჩის-ხატის დეკანოზს ეგ ამბავი განუცხადებია სიონში, საოლქო კრებაზე, მაგრამ არავის აინუნშიაც ეგ არ მიუღია!

დეკანოზიც ამის შემდეგ გადამდგარა ღვდლობიდან! „ასეთ სისხლის მსმელებში, მოსისხლე და მზაკვართა შორის, ვეღარ შემიძლია ვიმღვდლოო!.. ვეღარ ვსუნთქავ ასეთ ჰაერში!.. მე ამათთან „ამბორის ყოფა“ დაუშვებლადღა მიმაჩნია, ყოველივე ამის შემდეგ, რაც მოხდაო“ და გასულა სამღვდელოების წრიდან...

მართლაც... ეკლესია... სამღვდელოება... „უსისხლო მსხვერპლის შემწირველები“... ესენი ტყვიით, შხამით და ტერორით უსწორდებიან ერთმანეთს!..

განა ეს ქრისტეს ეკლესიაა?!. განა ეგ სამღვდელოებაა?!. ეგ ქრისტიანობაა?! რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ყოველივე ამის შემდეგ?!.

ჭეშმარიტად ღაღადებს მეფსალმუნე-წინასწარმეტყველი დავითი: „კაცი მოსისხლე და მზაკვარი სძაგს უფალსაო“!..

ჩვენც „ვსძაგვართ უფალს“! ჩვენ „მოსისხლენი“ ვართ! ჩვენი ეკლესია დაცოდვილებულია, ის სისხლით არის მოსვრილი შინაურთაგანვე! გარეშეთა შესახებ არასა ვამბობ!.. რა გვეთქმის სხვებზე, როდესაც ჩვენსავე წრეში ღვთის ასეთი გამარისხებელი რამ საქმეები ხდება?!.

– ოჰ, ჭეშმარიტად მოიწია ჩვენზე რისხვა ღვთისა!.. რაცა გვჭირს, ეგ ცოტაა ჩვენზე!.. მეტის ღირსნი ვართ! და უმეტესსაც უნდა მოველოდეთ, უფრო უარესსა და შემაძრწუნებელს!..

„ღმერთი შეგინებულ არ დარჩებაო“, – სწერია საღვთო წერილში! დაასრულა თავისი მშფოთარე დაგუბებული ფიქრები და შევიდა ის კიდეც ერთ ეზოში... „თავის საქმეზე“.

.....[1]

...თქვენი მწყემსმთავრული ღვაწლის აღნიშვნა სასულიერო თუ საერო ორგანოებში! სად არ გივლიათ?! სად არ ბრძანებულხართ, მეუფეო! რამდენი შრომა მიგიღიათ? რა სახიფათო ადგილებზე გივლიათ! რა ნუგეში და სიხარული შეგიტანიათ ოსმალეთის საზღვარზე მდგარ ჩვენს ჯარებში თუ სადღაც მთიულეთის თქვენს სამწყსოშიც!

– აქაც სიამოვნებით ჰკითხულობს ამ მიმოხილვებს სოჭის საზოგადოება! ხელიდან ხელში გადადიან სასულიერო ორგანოების ნომრები და გულწრფელ აღტაცებას გამოსთქვამენ ჩვენი სასიქადულო იერარქისადმი, – შენიშნეს ლიუდმილამა და კატიამაც!..

– მართალი მოგახსენოთ, ბევრი ტანჯვა და წვალება გადამხდა ამ მოგზაურობაზე! რამდენჯერ ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე მთებიდან მთებზე გადასვლების თუ გიჟმაჟურ ჭოროხზე მოგზაურობის დროს. ერთმა ახალ-გაზრდა მაჰმადიანმა მარდად ხელი მტაცა და დამიჭირა, თორემ ის იყო უნდა გადავვარდნილიყავი იმ ვერანა წვრილ და გრძელ ჭოროხის ნავიდან შიგ მდინარეში! ღმერთმა უშველოს, იმ „თურქმა“ პირდაპირ გადამარჩინა, თორემ თევზების საძიძგნი გავხდებოდი შავ ზღვაში და დიდი ხნის გამოგლოვილიც ვიქნებოდი! ახი იყოო, ასე იტყოდით ყველა! სად ეჩრებოდა! რას მეტიჩარობდაო! ნიშნსაც მომიგებდენ ბევრნი!..

– ოჰ! ნუ ბრძანებთ, თუ ხათრი გაქვთ, თქვენო მაღალ მეუფებავ! საშინელებაა! ტანში ჟრუანტელი გვივლის მაგ თქვენს მოგონებებზე, – კანკალებდენ დამები!

– არა უშავს რა! ღმერთი მოწყალეა! ის იფარავს ადამიანს! თუ მას არ ნებავს, ერთი ბეწვიც კი რაა, ესეც კი მისი თავიდან ძირს არ დავარდებაო, სწერია სახარებაში, – შენიშნა ეპ. ანდრიამ.

– ოღონდაც აგრეა! ღმერთი იფარავს სწორეთ თვისს ერთგულ მსახურს, ჩვენს სათაყვანებელ არქიელს, – ზეცად თვალების აპყრობით შენიშნეს ისევ დამებმა...

ამ დროს სადილი უკვე მზად იყო. სტუმარს და მის მხლებელს ჯერ მიუჩინეს საცხოვრებელი ბინა და შემდეგ მიიპატიჟეს ისინი მდიდრულ სუფრაზე.

ისადილეს, ისიამოვნეს, ბევრი რამ ამბებიც ითქვა სუფრაზე, შინაური, თუ გარეული. ნოყიერი სადილის შემდეგ ნამგზავრ ეპისკოპოსს მოუსვენეს მიჩენილ ოთახში, ხოლო „მენელსაცხებლე დედანი“ მსახურებდენ მას რიგ-რიგობით, „ნაყოფთაგან თვისთა“...

ელვის სისწრაფით მოედო სოჭში არქიელთან სოხუმიდან ეპ. ანდრიას საადარბაზოდ მობრძანების ამბავი! ფეხზე დადგენ მთელი კურორტის მოაგარაკენი თუ ადგილობრივი მკვიდრნი!..

დიდი პოპულიარობით და რომანტიზმით იყო მოცული ეპ. ანდრიას სახელი! ახალ-გაზრდა, განათლებული, მაღალი სფეროს არისტოკრატი, ბერი-ეპისკოპოზი! თან ლამაზი, მიმზიდველი! კარგი ქცევა-მოქცევისა, ზრდილი!..

---

1. ხელნაწერი თავბოლონაკლულია *(გამომცემლის შენიშვნა).*

საღამოს პირზე გენერალ მალამას სასახლეს მოაწყდა ეპ. ანდრიას სანახავად დიდძალი ხალხი! გამოცხადდენ სალამის მისაცემად საკურორტო სამმართველოს ადმინისტრაცია, ადგილობრივ სამრევლოების წარმომადგენლები, თავიანთი მღვდელ-დიაკვნებით, მოაგარაკენი, დიდ-დიდნი პეტერბურგის მოხელენი, თავად-აზნაურობა, მათი ცოლებით და ასულებით!

ყველას გამოეგება ეპ. ანდრია! ყველასათვის მას მზად ჰქონდა თითოოროლა სასიამოვნო სიტყვა-პასუხი! ყველას მოეფერა, დაუყვავა და მადლობას უცხადებდა ნახვისა და სიყვარულისათვის!

ოფიციალურად გამოცხადებული წარმომადგენლობა თუ დეპუტაციები დაღამებისას წავიდ-წამოვიდენ.

სასახლეში ჩაიზე დარჩენ მხოლოდ ხუთიოდე წარჩინებული პიტერის მაღალ მოხელეთაგანი – ორი სენატორი, ორიც სახელმწიფო საბჭოს წევრნი, ერთიც სამხედრო უწყების დიდი ღენერალი.

ამათთან ჩაიზე არქიელის „ახლო ნათესავი“ დამებიც კი როდი დარჩენ! ესენი სადღაც გაისტუმრა არქიელმა, ამცნო მათ, რომ მეტად კონფიდენციალური წრეა ამა-ღამ ჩემთან და თქვენი ამათში დარჩენა არ არის სასურველიო! ესენიც განშორდენ სასახლეს რამოდენიმე საათით და მისცეს „წრეს“ სრული თავისუფლება!..

ჩაიზე ისევ რასპუტინზე ჩამოვარდა ლაპარაკი! ყველანი ჰკვირობდენ რუსეთის საზოგადოებრივ ჰორიზონტზე ასეთი პიროვნების ამოტივტივებას და მისს ასეთ ზღაპრულ გავლენას სასახლეში!

ეს კაი რამეს არ მოასწავებს რუსეთისათვისო, ამბობდენ ჩაიზე! ვინ იცის, რამდენჯერ შეაფასეს თუ გადააფასეს ეს „ვიატკელი მუჟიკი“ პეტერბურგის ბიუროკრატებმა ამ შინაურ, კონფიდენციალურ თათბირზე, ორ იერარქთა თანა დასწრებით?!.

ერთ-ერთმა სენატორმა განაცხადა: დიდი განხეთქილებაა სასახლის სფეროებში, თვით მეფის ოჯახში და მთელ მის გვარეულობაშიო! რძალ-დედამთილი-დედოფალნი ერთი მეორესი მოსისხლე მტრებად გადაქცეულან! ესენი გააფთრებული იბრძვიან, ერთმანეთს ეხეთქებიან, საბრალო მეფე კი კოზაკივით შუაში იჭყლიტება ამ ორ დედალ აქლემებშუაო! მეფე ხან აქეთაა, ხან იქით! ვერც ცოლს სთმობს, არც დედა ეშვება! ხან იქით ეხლება, ხან აქეთ! უმწეო მდგომარეობაშია იმპერატორიო! მან დიდი ხანია ნიადაგი დაჰკარგა ფეხ ქვეშ! სამეფოს განაგებს დედოფალი-ცოლი, რასპუტინის კარნახითო!

– შესაძლებელია, სასახლეში გადატრიალებაც მოხდეს, – განაცხადა მეორე სენატორმა, – უხასიათო, უნების-ყოფო ნიკოლოზი თავიდან მოიშორონ და ტახტი დედოფალს ჩაუვარდეს ხელშიო! ის ეკატერინე მეორებას სჩემობს თურმე! რით იყო ეკატერინე ალექსანდრაზე „დიდიო“, – ხშირად გაიხუმრებს თურმე ინტიმურ წრეში ის! ქვრივი დედოფალი კი რუსეთის ტახტზე ასასვლელად ამზადებს მიხეილ ალექსანდრეს ძეს, მეფის უმცროს ძმას!

– არც დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სძინავს, – სთქვა ისევ პირველმა სენატორმა! – ისიც ტახტის ხელში ჩაგდებაზე ჰფიქრობს! სხვაფ-

რივ რომანოვიანთ დინასტიას, მთელს საგვარეულოს, განსაცდელი მოელისო, ამბობს მიხეილი! მხოლოდ მტკიცე ხელს შეუძლია ამ დინასტიის გადარჩენაო! მტკიცე ხელი კი მე მაქვსო, აშკარად ლაპარაკობს დიდი მთავარი!

– საერთაშორისო მდგომარეობაც მეტად გართულებულია, – დაიწყო გენერალმა სამხედრო უწყებიდან, – გერმანია და საფრანგეთი მზად არიან ერთი მეორეს ყელში სწვდეს და წაახრჩოს! იმპერატორი ვილგელმი საომარ გუნებაზეა! ის გრძნობს თავისს სამხედრო სიძლიერეს, თავისი ქვეყნის ტეხნიკურად მეტად დაწინაურებას და საკმარისია მხოლოდ მცირეოდენი რამ საბაბი, რომ მსოფლიო ომის ცეცხლი დაანთოსო! რუსეთისათვის კი ომი დიდი განსაცდელი იქნება! ომიდან გამარჯვებული რომც გამოვიდეს ის, მაინც წაგებული იქნება! რა უნდა მოგვცეს ჩვენ ომში გამარჯვებამ? – არაფერი! მხოლოდ ქვეყნის ეკონომიურად განადგურება, აწიოკება და აურაცხელი მსხვერპლი!

ხოლო თუ ომში რუსეთი დამარცხდა, რევოლიუცია აუცილებელია!

მე და ყოვლად სამღვდელო ანდრიას, თქვენს მობრძანებამდე უკვე გვქონდა ბაასი ჩვენს ქვეყანაში შექმნილ აწინდელ ვითარებაზე! ბევრიც ვიწუწუნეთ, ბევრი ვიდარდეთ და ვინაღვლეთ ამ თაობაზე! რასპუტინზედაც გვქონდა სჯა-ბაასი! მაგრამ ისეთ ჩიხში ვართ დღეს მომწყვდეული, რომ გამოსასვლელი არსაიდან სჩანს!

ეკლესიური სფეროც მეტად ანარქიულ, ქაოტიურ მდგომარეობაშია! როგორც მოგეხსენებათ, ამ ერთ კვირაში პიტერში ვაპირებ წასვლას, სინოდის საზაფხულო სესიაში გაწვეული! მაგრამ ხალისი არა მაქვს წასვლისა! რო იტყვიან, ფეხები უკან მრჩება! არ მიიწევს გული წასასვლელად!..

ღმერთი თუ არ გასწირავს „წმინდა რუსეთს“, თორემ სხვაფრივ ეს ვეებერთელა ქვეყანა, დედა-მიწის ერთი მეექვსედი, განწირულია! ეს ამოდენა ხალხი და ნაციები, რომელნიც რუსეთის საბრძანებელში შედიან, პირველივე მარჯვე შემთხვევით ისარგებლებენ, რათა ყველანი თავ-თავისთვის წავიდ-წამოვიდენ! რუსეთს აუცილებელი დარღვევა მოელის, თუ ომი გამოცხადდა ან თუ სასახლის სფეროები არ დამშვიდდა და მტკიცე მართვა-გამგეობა არ შეიქმნა სახელმწიფოში, – დაასრულა არქიელმა.

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მეუფეო! – დაიწყო ეხლა ეპ. ანდრიამაც! – ეგ სახელმწიფო სათათბიროც რაღაც მეტად უკუღმართად იქცევა! მართალია, საქმე არა კეთდება რა მაგ სათათბიროში! არც სახელმწიფო საბჭო, არც ხელმწიფე ანგარიშს არც კი უწევენ მისს დადგენილებებს, მაგრამ ლაპარაკი კი, ხოლო უმეტეს წილად მეტად მავნე ლაპარაკი, მეტად რევოლიუციონური, ხალხის ამრევ-დამრევი და გადამრევი გამოსვლები კი ბევრია იქ!.. მიკვირს და გამკვირვებია, რად უნდათ ასეთი „სახალხო წარმომადგენლობა“?! – დაასრულა ეპ. ანდრიამ თავისი სათათბიროს წინააღმდეგ ასეთი „სასტიკი“ გალაშქრება.

სახელმწიფო საბჭოს ერთმა წევრმაც სავსებით გაიზიარა ეპ. ანდრიას მოსაზრებები სათათბიროს შესახებ, თან შენიშნა, რომ იმ წყეულმა გრაფმა ვიტტემ შეცდომაში შეიყვანა იმპერატორი იაპონიის მიერ ომში რუსეთის და-

მარცხების შთაბეჭდილების გავლენით, ხალხის გულის მოსაგებად და დასამშვიდებლად; თითქოს რუსეთში „კონსტიტუცია გამოცხადდაო, აი, ეს „დუმა“ შემოაღებიეს მეფეს!..

ბარემ ეხლა არც მეფეს მოსდის ჭკუაში ეს „დუმა“, მაგრამ... რა ჰქნას?! ერთბაშად ამ დაწესებულების მოსპობას ერიდება!.. შფოთს გამოიწვევს ხალხში „დუმის“ სამუდამოდ გარეკაო! ისე კი, მოგეცათ ღვთის წყალობა, მთავრობა „დუმას“ დღეს აყრის! ეს „მეოთხე მოწვევის დუმაა“ ამ ჟამად რო „კანონმდებლობსო“, სარკასტიულად, თან ცინიზმით აღსავსე კილოთი შენიშნა სახელმწიფო საბჭოს მეორე წევრმა.

კიდევ ბევრი იმსჯელეს, ითათბირეს ანაფორიან-მუნდიროსანმა სანოვნიკებმა სამშობლოს „ხსნაზე“ თუ „დაცვაზე“! თან ჩაიზე კარგი ვახშამიც ზედ მიაყოლეს! შუა-ღამეზე გადასული იყო, რო ისინი დაიშალნენ.

გამოთხოვებისას სტუმრებმა განუცხადეს იერარქებს, რომ ეს ერთი კვირა სულ ქეიფში და გართობაში უნდა გავატაროთო! ყოვლად სამღვდელო ანდრიას პატივსაცემლად ბანკეტები გაიმართება სოჭში! ხოლო არქიელის პიტერში გამგზავრებისასაც გრანდიოზულ ზეიმს გადავიხდით, მეტი რა შეგვრჩებაო!..

რაც იქნება, იქნება! ბევრიც რო ვიწუწუნოთ, ვინაღვლოთ, არც ამით გაკეთდება რაიმე! რუსეთი დიდია, ძლიერია! მას ღმერთიც იფარავდა დღემდე და კვლავაც მასვე მივანდოთ ჩვენი სამშობლო-ქვეყნის ბედი და მომავალიო! წარმოსთქვა არქიელმა მიმავალ სტუმრების საგულისხმოდ და გასამხნევებლად!

– მართალსა ბრძანებთ, თქვენო მაღალ მეუფებავ, პესსიმიზმი საქმეს ვერ უშველის, სიცოცხლისა და სიამოვნების მადას კი გაგვიფუჭებსო, – ღიმილით წარმოსთქვა პირველმა სენატორმა!

– კუჭზედაც ცუდად მოქმედებს თურმე ეს „პესიმიზმიო“, – წაიხუმრა მეორე სენატორმაც, რითაც მან საერთო სიცილ-ხარხარი გამოიწვია უკვე ფეხზე მდგარ სტუმარ-მასპინძლებში და სტუმრებიც წავიდ-წამოვიდენ.

ჩვენი „დამებიც“ ის იყო დაბრუნებულიყვნენ სახლში და, წავიდნენ თუ არა სტუმრები, სიცილ-კისკისით შემოფრთხიალდენ დარბაზში, მოუსხდენ სუფრას და ეხლა ამათ დაიწყეს ვახშმობა!..

– რა არის, მეუფენო, შემოგვიერთდით სუფრაზე! როგორი კავალრები ბრძანებულხართ? რაღაც გან-განზე იწევით! ხო ხედავთ, უთქვენოდ ლუკმა არ გადადის ყელშიო, – მიმართა იერარქებს ლიუდმილამ.

– სასჯელად ისიც გვეყოფა, რო აქედან გაგვაძევეთ, გაგვრეკეთ, თითქოს თქვენი თათბირის ნამუსის შენახვას ვერ შევსძლებდითო, – ბუზღუნებდა ეკატერინეც!

– კარგი! კარგი! მეგობრებო! შემოგიერთდებით... სიამოვნებით გავიზიარებთ თქვენს ტრაპეზსო, – უპასუხა მათ არქიელმა და მიუჯდა კატიას გვერდით.

ეპ. ანდრია კი ლიუდმილას მიუჯდა და აგრე განაგრძეს მათ დამებთან ვახშმობა.

დამები გამხიარულდენ, სასმელები გადაჰკრეს, შეხურდენ!.. გათამამდენ,

რეებს არ ლაპარაკობდენ! რას არ სჩადიოდენ ისინი სუფრაზე?! არქიელსა და ეპ. ანდრიას თავიანთი ხელით „გემრიელ ლუკმებს“ უდებდენ ისინი პირში! ასმევდენ მათაც სხვა და სხვა სასმელებს და კარგადაც გამობრუშეს დამებმა ეს ჩვენი იერარქები!

ვახშამს, როგორც იყო მორჩენ! სუფრიდან ჟივილ-ხივილით აიშალენ და... წყვილ-წყვილად, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, დამა-კავალერი დასაძინებელ ოთახებში მიეფარნენ...

ტფილისის სასულიერო სემინარიაში

როდესაც მამა რექტორი არქიელს ეახლა ეპარქიისა თუ ართვინის მოსახილველად, სემინარიაში წლიური გამოცდები უკვე დაწყებული იყო; ართვინიდან მისი დაბრუნებისას ეგ გამოცდები ისევ სწარმოებდა.

სემინარიის მოწაფეები აუტანელ ჭაპან-წყვეტაში იყვნენ აუარებელ და მძიმე მოსანელებელ სხვა და სხვა საღვთისმეტყველო თუ საერო საგნების კბილვით და მათში გამოცდების ჩაბარებით.

სემინარიის უფროსი ხელმძღვანელი კი აგრე შორი-ახლოდან უვლიდა მას! ის უფრო მეტად გატაცებული იყო სინოდალურ კანტორაში „მუშაობით“ და არქიელთან საექსარხოსო თუ საეპარქიო მართვა-გამგეობაში „თანამშრომლობით“.

სემინარიის ფაქტიური ხელმძღვანელობა, როგორც ადმინისტრატიულ, ისე სასწავლო ნაწილში ერთთავად ხელში ეპყრათ მამა ინსპექტორს, მღვდელ მონაზონ პაფნუტის და მისს სამ თანაშემწეებს – ერისკაცებს, რომელთაც მოწაფეები „ნაძირატლებს“ უწოდებდენ ხოლმე.

მამა ინსპექტორიცა და მისი თანაშემწეებიც, რასაკვირველია, სულ რუსები იყვნენ, სასულიერო აკადემიებში კურს დამთავრებულნი და აქ, საქართველოში, „ბედის საძიებლად“ გადმოხვეწილნი, კარიერის გასაკეთებლად, სამსახურში დასაწინაურებლად. ესენი გადასარუსებელ განსაკუთრებული მოღვაწეობისათვის, ანუ, როგორც ოფიციალურად ითქმოდა, „ზა ობრუსენიე კრაია“, სხვა და სხვა პრივილეგიებით იყვნენ მოსილნი, ნივთიერადაც უფრო უზრუნველ ყოფილნი, ვინემ შიდა გუბერნიების სემინარიების პედაგოგიური თუ ადმინისტრატიული პერსონალი. იღებდენ ესენი „პიატილეტკებს“ ანუ ჯამაგირის ხუთწლიურ დამატებებს – ყოველ ხუთ წელში – ჯამაგირის მეხუთედს; ასეთი „პიატილეტკა“ იყო შემოღებული სამი – 15 წლის განმავლობაში; ამას გარდა იღებდენ ესენი დაჩქარებული ტემპით ჩინ-ორდენებსაც და უფრო სწრაფადაც ადიოდენ სამსახურის იერარქიულ საფეხურებზე. მამა ინსპექტორი, მაგალითად, ორ-სამ წელიწადში სადმე რექტორობას გაიკრავდა, ხოლო მისი თანაშემწენი აქვე, საქართველოში, სემინარიებში მასწავლებლობას ღებულობდენ ხოლმე ან სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველებად – „სმოტრიტლებად“ იგზავნებოდენ! ამასთანავე ბინა, განათება, გათბობა „სახაზინო“ – მუქთად ეძლეოდათ (ნამდვილად კი

დაბეგრილი სამღვდელოების ჯიბიდან) და სცხოვრობდენ თვით სემინარიის კორპუსში უდარდელად, უზრუნველად და განცხრომით.

აი, ასეთი პრივილეგიებისა და კარიერის პერსპექტივებით გვევლინებოდენ ხოლმე ჩვენს „განსანათლებლად“ რუსეთის სასულიერო აკადემიებში კურსდამთავრებული ახალ-გაზრდა ბერ-მონაზონები და არქიმანდრიტები, რომელნიც ოცნებობდენ, რაც შეიძლება, მალე თავზე დაეხურათ „არხიერეისკაია შაპოჩკა“ ანუ მიტრა, ხოლო ერის კაცნი – „ღვთისმეტყველების კანდიდატნი“ მასწავლებლებად და ინსპექტორის თანაშემწეებად.

ესენი უმეტეს წილად დაბალი ხარისხებით კურსდამთავრებულნი იყვნენ, მეორე ხარისხოვანი დიპლომებით, ამიტომ შიდა გუბერნიებში ასეთ ადგილებს და ისიც სემინარიაში იშვიათად თუ ეღირსებოდენ! ამათ სადმე, თვალ უწვდენელ რუსეთის გადაკარგულ სასულიერო სასწავლებლებში უნდა დაელიათ თავიანთი დღენი უბრალო მასწავლებლებად.

ამიტომ აქ, „პოგიბელნი კავკასიაში“ – ტფილისისა თუ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლებში თუ საქართველოს ექვსს სასულიერო ვაჟთა სასწავლებლებში, ეგ ადმინისტრატიულ-პედაგოგიური პერსონალი იჩემებდა „სამსახურისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას“! თითოეულ მათგანს წარმოდგენილი ჰქონდა თავისი თავი რაღაც თითქოს განგებისაგან მისდამი მინიჭებულ „ღვთაებრივ პატრიოტულ პოსტზე“! ისინი, მათივე სიტყვით, „რუსულ საქმეს“ ედგენ აქ „დარაჯად“ და „რუს ღმერთზე“ („რუსკი ბოღ“) ლოცულობდენ და ფიცულობდენ!

აღნიშნულ სასულიერო უწყების სასწავლებლებში თვით ცოტა იყო ქართველი მასწავლებლობა, ესენი თითებზე ჩამოითვლებოდენ ხოლმე, ხოლო ვინც იყვნენ, ესენიც რუსების წინაშე წარმოადგენდენ მხოლოდ ადამიანთა რაღაც საბრალო აჩრდილებს, ყოველივე უფლებასა და ნდობას მოკლებულთ, როგორც ადმინისტრაციის წინაშე, ისე პედაგოგიურ საბჭოშიაც. რუსები ამათ წინაშე აშკარად ყოყოჩობდენ, თავხედობდენ, ამცირებდენ თანამსახურ „ტუზემცებს“, ხოლო აუტანელ ბერულ-მონასტრულ რეჟიმის ჭახრაკში სწურავდენ მოსწავლეებს. ამათზე ავარჯიშებდენ ისინი სამსახურისადმი თავიანთ „ერთგულობას“, რათა მეტი სისასტიკით, მოწაფეთადმი მეტი უსულ-გულობით და განუკითხაობით, რაც შეიძლება, მალე მიექციათ მთავრობის ყურადღება თავიანთ თავზე და წინ წაწეულიყვნენ. ოღონდა კი წინ წაწეულიყვნენ და სხვა, არას დაგიდევდენ!

ესენი კარგად ხედავდენ, თუ მათ ხელში როგორ იმსხვრეოდა, იმტვრეოდა, სახიჩრდებოდა გონებრივად, ზნეობრივად და ფიზიკურადაც ეს ამოდენა ნორჩი ახალთაობა ხალხისა! ეს მათთვის სულ ერთი იყო! რა ენაღლებოდათ?! ვისი მოერიდებოდათ!? ვინ იყო პატრონი, მოსარჩლე?..

სასულიერო სემინარია ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ბანაკად იყო გაყოფილი, ერთ ბანაკში თავი მოეყარა სასწავლებლის ადმინისტრაცია-მასწავლებლობას, ხოლო მეორეს წარმოადგენდენ მოწაფეები.

ეს ორი ბანაკი ერთი მეორეს ედგა ჯიბრში, ერთი მეორესი დაუნდობელი

მოსისხლე მტერი იყო! ერთს მეორესი არა სწამდა რა, ერთს მეორესი არა სჯეროდა რა! მოწაფეები თავიანთ „აღმზრდელ-განმანათლებელთა“ მოტყუილებას, ყინულზე გაცურებას სცდილობდა, ხოლო „აღმზრდელ-განმანათლებელნი“ კი ამისათვის სასტიკად შურს ძიობდენ, „რადიკალურად“ უსწორდებოდენ მოწაფეებს ყოველივე, მცირე დისციპლინარულ დანაშაულობისათვისაც კი! მოწაფეები პანნტა-პუნტით, ულმობელად ცვივოდენ სემინარიიდან, დაუზოგველად რიცხავდა მათ სასწავლებლიდან „პედაგოგიური საბჭო“, მამა რექტორის თავმჯდომარეობით, ხოლო მამა ინსპექტორისა და მისი თანაშემწეების მოხსენებათა საფუძველზე!

მოწაფეთა „მოუსვენარი“, „საეჭვო“ თუ „დამნაშავე ელემენტები“, ამათ „კონდუიდის“ წიგნში ჰქონდათ აღრიცხული და ვაი იმ მოწაფის ბრალი, ვინც ამ „წიგნში“ მოხდებოდა ორჯელ-სამჯელ მაინც. კონდუიდში მოქცეულ მოწაფეს პირველად „ყოფა-ქცევაში“ დაუსვამდენ ნიშანს – 3-ს! „პოვედენიე ტრი“! – ეგ საშინელი, თავ-ზარდამცემი სიტყვები იყო! მეორეჯელ – „დვა“! ხოლო მესამეჯერ – გამორიცხვა, სასწავლებლიდან გაძევება „მგლის ატესტატით“!

ინსპექტორის თანაშემწენი, „ნაძირატლები“, პირდაპირ ნადირობდენ მოწაფეებზე! სულ იმასა სცდილობდენ ისინი, რათა რომელიმე მოწაფე ხელთ ეგდოთ, რაიმე დანაშაულზე მიესწროთ მათთვის და „კონდუიდში“ შეეტანათ ისინი! კონდუიდში შესატანად საკმარისი იყო, მაგალითად, პაპიროსის წევაზე მოწაფის შესწრება.

სემინარისტები უმეტესწილად პაპიროსს ეწეოდენ, ამიტომ დიდი ოსტატობა, სიფრთხილე და მოხერხება იყო საჭირო, რომ ნაძირატელს თვალი არ მოეკრა მოწაფისათვის, როდესაც ის პაპიროსს ეწეოდა. ერთად ერთი „საიმედო ადგილი“, სადაც შედარებით შეიძლებოდა პაპიროსის წევის დროს თავის შეფარება, იყო ფეხის ადგილი! გაკვეთილიდან გაკვეთილამდე დასვენებების დროს „მწევარი“ მოწაფეები იკრიბებოდენ სემინარიის სამსართულიან ფეხის ადგილების უჯრედებში. აქ ესენი გამალებით „სცემდენ ნაფაზებს“! ხშირად ერთ პაპიროსს ოთხი-ხუთი მოწაფე მოსწევდა! თითო-ოროლა „ნაფაზი“ – ეგ დიდი ღვთის წყალობა იყო ისეთი მოწაფისათვის, რომელსაც თუთუნის საყიდელი ერთი გროშიც არ ებადა! პაპიროსის მოწევა კი „სულის ცხოვნებაზე მეტად უნდოდა“!..

ამიტომ შეგროვილ მოწაფეთა პაპიროსის წევისაგან ფეხის ადგილიდან თვალ-საჩინოდ გამოდიოდა ბოლი და ეს ბოლი ქულა-ქულა, ტრედისფერ ლურჯ ღრუბელივით სვეტებად ადიოდა ჰაერში. ყოველივე ამას ხედავდენ და კარგადაც ამჩნევდენ „ნაძირატლები“! ესენი ამ დროს შორი-ახლოდან ტრიალებდენ, ზვერავდენ, იქნებ ვინმესთვის შეესწროთ თვალი დერებნებში და შიგა აივნებზე მაინც; თვით ფეხის ადგილებში შესვლას კი ვერ ბედავდენ! გადმოცემა ცოცხლად მოუთხრობდა მათ, თუ როგორ მოწაფეებმა ერთხელ რა დღე აყარეს ერთ-ერთ მეტად თავხედ და გამბედავ ნაძირატელს, მეტსახელად „არშაკად“ წოდებულს. ეგ „არშაკა“ ნაძირატელი არ მოერიდა თურმე, პირდაპირ ფეხის

ადგილში შეეჭრა მოწაფეებს, პაპიროსის მწეველთა „დანაშაულის ადგილზე დასაჭერად“! მაგრამ ასეთი მამაცობა და სამსახურისათვის თავდადება მეტად ძვირად დაუჯდა თურმე „არშაკას“! მოწაფეებმა, დაინახეს თუ არა ის ფეხის ადგილში შემოსული, ბევრი არც კი უფიქრიათ ისე, მყისვე თავში „ჩააფარეს“ მას, მისივე შლიაპა თვალებზე ჩამოაფხატეს, სტაცეს ხელი, დააყირავეს თავდაღმა და ცხვირი ჩააყოფინეს, სადაც ჯერ უჩნდათ და აყნოსეს სუნნელებანი! შემდეგ ერთხანს მოსვრილ იატაკზე აგორავეს, უმწეო მდგომარეობაში რო ჩააყენეს, იქვე მიატოვეს და თვითონ თავს უშველეს, მიიფანტ-მოიფანტნენ.

ამ ინციდენტს, რასაკვირველია, ბევრი უბედურება მოჰყვა მოწაფეთათვის. აგრე სწრაფად, უცნაურად და მოულოდნელად დასჯილმა „არშაკამ“ ვერც ერთი მოწაფე ვერ დაასახელა, მან ვერც კი მოასწრო ვინმეს შეხედვაც კი, ისე იქნა „განიარაღებული“! ამიტომ დასაჯეს მოწაფეები, ასე ვსთქვათ, ბითუმად, ხელ-მოდებით! გამორიცხეს სასწავლებლიდან ის მოწაფეებიც, ვინც წინეთ იყვნენ რაიმეში შენიშნული, ყოფაქცევა ჰქონდათ „გაფუჭებული“. და აღნიშნულნი იყვნენ კონდუიდში.

მოწაფეები კი სასტიკად დასაჯეს, მაგრამ ამ „ინციდენტმა“ სამუდამო კვალი დასტოვა სემინარიაში! ეს ამბავი ერთი თაობიდან მეორეში გადადიოდა. ნაძირატლებმაც იცოდენ ის და ისინი ვეღარ ბედავდენ „მწევარ მოწაფეებზე“ ფეხის ადგილში შეჭრას! ისინი ძალა უნებურად კმაყოფილდებოდენ იმ ადგილებზე შორი-ახლოდან ნადირობით. იქიდან გამოსულ მოწაფეებს ზოგჯერ იქვე აივანზე მიიხმობდა ნაძირატელი, დაელაპარაკებოდა მას რაიმე საგნის შესახებ, ხოლო როდესაც მოწაფეს პასუხის გაცემის დროს პირიდან თუთუნის სუნი ხუჩხუჩით ამოუვიდოდა და ნაძირატელს აყნოსებდა, ეს უკანასკნელი იქვე ფანქარს მოიმარჯვებდა და უბის პატარა წიგნაკში აღნიშნავდა. „თქვენ ფეხის ადგილში პაპიროს ეწეოდითო“! – განუცხადებდა ის თავისს მსხვერპლს!...

და იყო ამ პაპიროსის წევის ნიადაგზე ერთი დაუსრულებელი შეხლა-შემოხლა და მოწაფეთა ათასნაირად დასჯა: თუ მოწაფე პანსიონერი იყო – „სახელმწიფო ხარჯზე“ (ნამდვილად კი სამღვდელოების ხარჯზე), მას ჯერ ტანთსაცმელისა და ფეხსაცმელის მიღების უფლებას ჩამოართმევდენ; შემდეგ სახელმწიფო ხარჯიდან სავსებით ითხოვდენ; ზოგჯერ შაქარს აღარ მისცემდენ ერთი თვის განმავლობაში; ხოლო თუ მოწაფე ბინიდან მოსიარულე იყო და მას მცირეოდენი სტიპენდია ეძლეოდა (5-6 მანეთი თვეში), მას ამ სტიპენდიას უსპობდენ და თუ სტიპენდია არ ჰქონდა, კარცერში ამწყვდევდენ და აგრე სჯიდენ!

მიუხედავად ასეთ „ბრძნული ზომებისა“, პაპიროსის წევის საქმე იმავ უცვლელ მდგომარეობაში რჩებოდა! ფეხისადგილებიდან თუთუნის ბოლი ისევ ქულა-ქულა ამოდიოდა და ჰაერში სვეტებად აღიმართებოდა ხოლმე...

გარდა პაპიროსის წევისა სემინარისტი ისჯებოდა წირვა-ლოცვაზე დაკლებისათვის, ან დაგვიანებისათვის; სწავლის დაწყებამდე დილაობით საყდარში საერთო ლოცვაზე დაუსწრებლობისათვის თუ დაგვიანებისათვის; პანსიონში დანიშნულ ვადამდე გამოუცხადებლობისათვის, „პერეკლიჩკაზე“ დაგვიანე-

ბისათვის; პანსიონიდან ინსპექციის ნება დაურთველად სადმე წასვლისათვის, ხოლო ნებართვით წასვლის შემდეგ, დანიშნულ ვადაზე დაგვიანებისათვის.

ბინიდან მოსიარულე მოწაფენი საღამოს ხუთი საათიდან ფეხ-მოტეხილივით თავის ბინაზე უნდა ყოფილიყვნენ! ამათ კონტროლს უკეთებდენ აქ ნაძირატლები, ზოგჯერ თვით მამა ინსპექტორიც; და თუ რომელიმე მოწაფე ამ კონტროლის დროს ბინაზე არ დაუხვდებოდა ინსპექციის წევრს, ან დაგდებული არ ჰქონდა ამბავი, სად წავიდა, რა საქმეზე წავიდა და როდემდე წავიდა; ყოველივე ეს უნდა ყოფილიყო წერილობით აღნიშნული საგანგებო არსებულ საბინაო რვეულში; წინააღმდეგ შემთხვევაში მოწაფეს მოელოდა სასტიკი სასჯელი და ყოფაქცევის „გაფუჭებაც“!

თეატრში წასვლა ხომ სასტიკად აღკრძალული იყო. ქართულ თეატრში კონტროლს უკეთებდენ მოწაფეებს სემინარიის ნაძირატლები და ბევრსაც იჭერდენ ისინი სემინარისტებს „ქანდარაზე“! ზოგჯერ პანსიონიდანაც გაიპარებოდენ ხოლმე მოწაფეები თეატრში რომელიმე წარმოდგენაზე, მაგალითად, „სამშობლოზე“! ისინი, საღამოს შემოწმების შემდეგ, რაღაც მანქანებით, ახერხებდენ ხოლმე პანსიონიდან გარეთ გაძრომას, ზოგჯერ შვეიცარის მოსყიდვის საშვალებით, ხოლო უმეტეს წილად სემინარიის ეზოს მაღალი გალავნის კედლებიდან გადახტომით; ხოლო წარმოდგენის გათავების შემდეგ იმავ გზით სემინარიის ეზოშივე გადმოძრომით. რამდენი კურიოზები მომხდარა ხოლმე ამ ნიადაგზე, ვინ მოსთვლის!!.

პანსიონერ მოწაფეებს ძილის დროსაც ათვალიერებდენ ნაძირატლები. მორიგი ნაძირატელი რამოდენიმეჯერ ჩამოუვლიდა ღამით მოწაფეთა დასაძინებელ ოთახებს და თუ რომელიმე მოწაფე ლოგინში არ დაუხვდებოდა, მაშინ მას უთვალთვალებდენ კედლებზე გადმოსასვლელთან, იჭერდენ დაბრუნებისას და სასტიკად სჯიდენ, უსპობდენ „სახელმწიფო ხარჯს“ ან სავსებით აძევებდენ სემინარიიდან.

სასტიკად სდევნიდენ მოწაფეებს საერთოდ ჟურნალ-გაზეთებისა და განსაკუთრებით ქართულ ჟურნალ-გაზეთების წაკითხვისათვის. მიუხედავად ამისა, გარედან მოსიარულე მოწაფეები თვითონაც ბეჯითად კითხულობდენ „აღკრძალულ“ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებს და პანსიონერებსაც უმართავდენ ამაში ხელს, აწვდიდენ მათ ასეთ „აღკრძალულ“ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებსაც; პანსიონერებიც შარბათივით ეწაფებოდენ „აღკრძალულ ხილს“.

აღკრძალული იყო სემინარიაში წაკითხვა არამც თუ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა თუ წიგნებისა, არამედ არ აძლევდენ მოწაფეებს ნებას, წაეკითხათ თვით დოსტოევსკის თხზულებანიც კი, ზოგი ტურგენევის თხზულებებიდანაც! ჩვენ არას ვამბობთ ტოლსტოისა და ნეკრასოვის ნაწარმოებებზე, აგრეთვე ისეთ კრიტიკოსებზე, როგორიც არიან ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და სხვანი! ასეთი წიგნები სასტიკად იდევნებოდენ სემინარიის კედლებიდან. მაგრამ პანსიონერი მოწაფეები მაინც ახერხებდენ მათ შოვნასა და წაკითხვასაც. ეს იცოდა სემინარიის ადმინისტრაციამაც, ებრძოდა ის ასეთ „ბოროტებას“, უსინჯავდენ

მოსწავლეებს ყუთებს, დაკეტილ სკივრებს სარდაფებში და ვაი იმისი ბრალი, ვისაც აღმოუჩნდებოდა „აღკრძალული ლიტერატურა“! ასტყდებოდა ამ თაობაზე ერთი ვაი-უშველებელი და მოწაფეს რიცხავდენ სასწავლებლიდან.

უმეტეს წილად მოწაფეების გამორიცხვა სემინარიიდან აღკრძალული ლიტერატურის დაჭერის ნიადაგზე ხდებოდა, ასე ვსთქვათ, უხმოდ, ოთხკედელშუა, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რომელთა ჟურნალებსა და განაჩენებს ამტკიცებდა საქართველოს ექსარხოსი. ასეთ გამორიცხვის სიმწვავეს გრძნობდა ხოლმე მხოლოდ გამორიცხული, რომელსაც ყოველივე გზა დახშული ჰქონდა სხვა რომელიმე სასწავლებელში განეგრძო სწავლა. „მგლის ყოფაქცევით“ სემინარიელს, აბა, სად ან ვინ მიიღებდა?! გრძნობდენ ამ სიმწვავეს გამორიცხულთა მშობლებიც, რომელთაც შვიდი-რვა წლის განმავლობაში გაწეული ჭაპან-წყვეტა და ხარჯები ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში სწავლებაზე წყალში უცვივდებოდათ. მაგრამ ამ ნიადაგზე ტფილისის სასულიერო სემინარიაში დატრიალებულა ხოლმე ტრაღიკული ამბები და მხოლოდ მაშინ მიუღწევია „საზოგადოების“ ყურებამდე სემინარიაში გამეფებული რეჟიმის გამოძახილს. ორი ასეთი ამბავი დატრიალდა 1884 და 1886 წლებში რექტორ დეკანოზ პავლე ჩუდეცკისა და ექსარხოსს პავლეს დროს.

ამბავი პირველი: მეექვსე კლასის (ეს მეექვსე კლასი სემინარიისა თუ მას მიუმატებთ სასულიერო სასწავლებლის სამ მოსამზადებელსა და ოთხ კლასს, შეადგენდა მე-13 კლასს) მოწაფეს – სილიბისტრო ჯიბლაძეს, როდესაც ის ფეხ-მტკივანი საავათმყოფოში იწვა, მიუსწრეს პისარევის თხზულების წაკითხვაზე; წიგნი დაუჭირეს და ციმ-ციმ გამორიცხეს სემინარიიდან. როდესაც მას გამოუცხადეს პედაგოგიური საბჭოს ასეთი დადგენილება და წინადადება მისცეს მას, დაუყონებლივ დაეტოვებია საავათმყოფოცა და სემინარიაც, თავზარდაცემული ახალგაზრდა, რომელიც რამოდენიმე თვის შემდეგ ასრულებდა 13 წლის კურს, ის კოჭლობ-კოჭლობით გამოვარდა საავათმყოფოდან, მიუხტა ბინაზე რექტორ ჩუდეცკის, სტაცა მას თმაში ხელი, გამოათრია გარეთ, ურტყა უსაშველოდ, შემდეგ წააქცია, დაითრია ფეხით და მეორე სართულიდან ძირს სართულამდე, სულ კიბე-კიბე ახოხიალა მამა რექტორი – დეკანოზი! აქ შეეჩეხა მათ მასწავლებელი ალბოვი – კაცი ხმელ-ხმელი და მაღალ-მაღალი! ეს შეეცადა ხელიდან გაეგდებინებია ჯიბლაძისათვის „მამა რექტორი“! მაგრამ გააფთრებულმა ჯიბლაძემ ერთი წიხლი ალბოვსაც ჩაახვია მუცელში და შეჰყვირა: „უბირაისა ვონ, სიონსკი ჟანდარმ“! – და განაგრძობდა მამა რექტორის თრევას კიბეებიდან უკვე ქვის იატაკზე, სანამ არ მიუსწრეს მას ქუჩიდან პოლიციელებმა და ხელიდან არ გამოსტაცეს „სულიერი მამა“ „სულიერ შვილს“!

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ტფილისს, კავკასიას, რუსეთს! „დახეთ, რასა სჩადიან მხეცი ქართველებიო“! – სწერდენ რუსეთის სატახტო გაზეთები!..

ჯიბლაძე ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს ხარკოვის საკატორღო ციხეში ოთხი წლით. აქ ის დამუშავდა უსასტიკეს მებრძოლ რევოლიუციონერად...

ამბავი მეორე: იმავ რექტორ, დეკანოზ პავლე ჩუდეცკის დროს, ჯიბლაძის ამბების შემდეგ, ისევ აღკრძალული წიგნების წაკითხვისა გამო, გამორიცხეს სემინარიიდან ერთი საცოდავი, ღარიბ-ღატაკი ობოლი მოწაფე ვინმე ლაღიევი. ბევრს ემუდარა, ბევრი ჭირი სჭამა მან მამა რექტორს, ნუ დამღუპავ, შეიბრალე საცოდავი ქვრივ-ოხერი ჩემი დედა! მაპატიე, დამაბრუნე სემინარიაშიო, მაგრამ მამა რექტორი იყო ამ ხვეწნა-მუდარაზე ულმობელი! მან ფეხების ბრაგუნით გააგდო ლაღიევი: „აქედან დამეკარგე! თვალით აღარ დამენახოო“!..

რა ძალა ჰქონდა! ლაღიევიც ჩამოშორდა მამა რექტორს, სემინარიასაც, თვალითაც აღარ ეჩვენებოდა ის თავის „გამაბედნიერებელ“ ჩუდეცკის! ადგა და რაღაც ძველი წიგნებით დაიწყო მან იარმუკაში ვაჭრობა. ვიღაცამ მამა რექტორს მიუტანა ამბავი, რომ ლაღიევი წიგნებით ვაჭრობას შესდგომია და აღკრძალულ წიგნებს აწვდის სემინარიის მოწაფეებსო! ეს „დანოსი“ საკმარისი შეიქნა, რომ მამა რექტორს მიეღო სათანადო ზომები და ლაღიევსაც აღუკრძალეს წიგნებით ვაჭრობაც!

ამის შემდეგ მან ისევ სცადა მამა რექტორისათვის თავი შეებრალებია. „ნუ მომისპობთ ცხოვრების საღსარს, ნუ დამიხშავთ სწავლა-განათლების გზასო“, – მიმართა მან თვალცრემლიანმა დეკანოზ ჩუდეცკის თხოვნით, ხოლო თან, ყოველ შემთხვევისათვის, უბეში მომარაგებული ჰქონებოდა გალესილი პატარა ხანჯალი და... როდესაც ჩუდეცკიმ გულზე ხელი ჰკრა მას, წადი, აქედან დამეკარგეო, იელვა ლაღიევის ხელში იმ ხანჯალმა! ჯერ წელები გადმოაყრევინა მან მამა რექტორს, ხოლო შემდეგ ყელი გამოღადრა მას!...

გაჩერდა მკვლელი! არც კი უცდია მას გაქცევა თუ თავის შველა!

ეს ამბავიც, რასაკვირველია, სასწრაფოდ მოედო მთელ რუსეთის საბრძანებელს! „სმოტრიტე, ჩტო დელაეტსია ნა პოგიბელნომ კავკაზეო! რასა სჩადიან ეგ ბარბაროსი ქართვლები?! რად უნდა მაგათ სწავლა?! რა მაგათი საქმეა სემინარია?! დაჰკეტეთ ასეთი სემინარია! განა ქართველები ღირან ასეთ მსხვერპლათო?!“ – სწერდენ და ბობოქრობდენ ცოფ-მორეული რუსული სატახტო გაზეთები! ხოლო საქართველოს „მწყემსთმთავარმა“, ექსარხოსმა პავლემ, ჩუდეცკი-რექტორის დასაფლავებაზე წარმოთქმულ „მოძღვრებაში“ დასწყევლა, შეაჩვენა ის მხარე, რომლის დასამწყსავად, მოსავლელად და „საცხონებელად“ ის იყო სინოდის მიერ ჩვენში მოვლენილი: „წყეული და შეჩვენებულიც იყოს ის მხარე და ხალხი, რომელმაც წარმოშობა შენი მკლელიო“, – ეუბნება კუბოში მდებარე დეკანოზ ჩუდეცკის საქართველოს ექსარხოსი პავლე!

აგრე არკვევდენ ჩვენში ქრისტეს მცნებებს სინოდის მიერ მოვლენილი „ქრისტეს მოციქულები“!..

ასეთ საარაკო გამოსვლას ექსარხოსისას გამოეხმაურა იმ დროს (1886 წ.) ქუთაისის თავად-აზნაურთა მარშალი დიმიტრი ყიფიანი; მან წერილი მისწერა არქიელ პავლეს და ამცნო, რომ „მის მიერ „დაწყევლილ-შეჩვენებულ“ საქართველოში, „მაწყევარ“ მღვდელმთავარს აღარ უნდა ედგომებოდესო“!..

არქიელმა პავლემ ეგ წერილი გადასცა მთავარ-მართებელ კნიაზ დონდუ-

კოვ-კორსაკოვს; ამ უკანასკნელმა კი დიმიტრი ყიფიანი გადაასახლა სტავროპოლში...

ამის შემდეგ მალე თვით პავლე ექსარხოსიც გადაყვანილ იქნა ყაზანის მთავარეპისკოპოსად! კაცი სატახტო ქალაქებში – პეტერბურგ-მოსკოვში მიტროპოლიტობას ელოდა და... ყაზანში კი ამოჰყო თავი... დიდის დამცირებით. მაგიერში „შეურაცხყოფილმა-დამცირებულმა“ არქიეპ. პავლემ შური იძია დიმ. ყიფიანზე: მან მკვლელებად მიუგზავნა დიმიტრის ყაზახ-რუსებად გადაცმული ბერებიო (სხვები ამბობენ – მოლოზნებად იყვნენ გადაცმულნიო), რომელთაც სასტუმროში მძინარე მოხუც დიმიტრის ათ-ათ გირვანქიანი გირები დასთხლიშეს თავში; მისი ტვინი და სისხლი ზოგი ჭერში იყო მისხმული, ზოგიც კედლებზეო!..

ამ სახით წამებული დიმიტრი გადმოასვენეს სამშობლოში. ის უნდა დაესაფლავებიათ „მთა წმინდაზე“ – „მამა დავითში“! სამგლოვიარო პროცესია მთავარ-მართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა არ გაატარა სასახლისა და გოლოვინის პროსპექტით! პროცესიას გზა შეუკრა ყაზახ-რუსთა ერთმა როტამ. კუბოს წინ მიუძღოდა ეპ. ალექსანდრე (ოქროპირიძე), ქართველი სამღვდელოების თან ხლებით; კუბოს მიასვენებდენ და უკან მოსდევდა ქართველი თავად აზნაურობა და უამრავი ხალხი...

ყაზახ-რუსებს არ მოერიდა ეპ. ალექსანდრე, ის განაგრძობდა გზას, ხოლო როდესაც მოხუც ეპისკოპოზს თოფის კონდახები მიუღირეს, ზოგმაც მათრახებიც მოიმარჯვა, მაშინ თავად-აზნაურებმა იშიშვლეს ხმალი და გადაერივნენ ყაზახ-რუსებს.

ესენი არ მოელოდენ საქმის ასეთ მსვლელობას და დაიბნენ, აირივნენ ერთმანეთში და გზა უტიეს პროცესიას.

დიმიტრი ყიფიანი დაასაფლავეს მამა დავითში დემონსტრატიულად. ეს ტრაღედია გამოიწვია დეკ. ჩუდეცკის მუცელში ლაღიევის ხანჯლის ტრიალმა აღკრძალული წიგნების სემინარიაში კითხვის ნიადაგზე!

ხოლო არქიელი პავლეს მიერ საქართველოს ამ თაობაზე „წყევა-კრულვა“ გამოწვეული იყო იმდენად „მამა რექტორის“ – ჩუდეცკის სიბრალულითა და მოკვლით კი არა, რამდენადაც იმ გარემოებით, რომ ამ „აქტით“ პავლე ექსარხოსს დაერღვა მის მიერვე ჩინებულად მოწყობილი, მოგვარებული, მისი მასიამოვნებელი „ბუდე-ოჯახი“ პავლე ჩუდეცკისა! ეს პავლე ჩუდეცკი, ლამაზი ცოლის პატრონი დეკანოზი, არქიელმა პავლემ გადმოიყვანა ტფილისის სემინარიის რექტორად რუსეთის რომელიღაც სასულიერო სასწავლებლიდან. ჩუდეცკის მომხიბლავ ფოფოდიას ეკურკურებოდა პავლე არქიელი, როდესაც „მამა რექტორი“ წირვა-ლოცვად იდგა შემოსილი, ან გაკვეთილებზე იყო სემინარიაში, ან ხშირ-ხშირ მივლინებებზე ჰყავდა ხოლმე ის გაგზავნილი არქიელს რუსეთში თუ სასულიერო სასწავლებლებში... სარევიზიოდ.

აი, რის მუცლის გვრემა აუტყდა პავლე არქიელს ჩუდეცკი-რექტორის მოკვლისა გამო! და რამაც წარმოათქმევინა მას ის საბედის-წერო „წყევა-კრულვა“ საქართველოზე და მის ერზე! აბა, რა შაუაში ან კიდეში იყო აქ ან საქართვე-

ლო ან ქართველი ერი! ან თვით უბედური ლაღიევი, როდესაც სემინარიაში შექმნილმა ჯოჯოხეთურმა რეჟიმმა ველარ დაიტია თავის კალაპოტში ასეთი მიმდინარეობა, გადმოხეთქა ნაპირებიდან, მიამსხვრ-მოამსხვრია რექტორი ჩუდეცკიც, პავლე არქიელიც, მისი დულცინეა-ფოფოდიაც; იმსხვერპლა პატიოსანი, გულწრფელი, კეთილშობილი დიმ. ყიფიანიც – „ახალი დროის საქართველოსათვის თავდადებული"!..

ამბავი მესამე: ზემო აღნიშნული ორი „ამბავი" დატრიალდა მე-19 საუკუნის მიწურულში, ხოლო ეს მესამე „ამბავი" მოხდა მე-20 საუკუნის დამდეგს – 1907 წელს, ექსარხოს ნიკონის დროს (მოკლულ იქნა სინოდალური კანტორის კიბეზე, 1908 წელს, მაისის 31-ს). ამ დროს სემინარიაში რექტორად იყო არქიმანდრიტი გრიგოლი (ვახნინ), ინსპექტორად კი – ერის კაცი, მიხეილ ალექსის ძე დობრონრავოვი, ამავ სემინარიის ყოფილი მასწავლებელი, შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელში „სმოტრიტლობიდან" ისევ სემინარიაში ინსპექტორის თანამდებობაზე დაბრუნებული; ის სასულიერო მთავრობის თვალში დიდი ავტორიტეტით იყო მოსილი, როგორც „გამოცდილი, დამსახურებული პედაგოგი და ადმინისტრატორი".

ესენი ედგენ სათავეში სემინარიას, ესენივე ატრიალებდენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებსაც; რა აზრსაც მამა რექტორი წარმოსთქვამდა საბჭოში ამა თუ იმ საკითხზე, ამას სავსებით იზიარებდა ბატონი ინსპექტორიც – მიხეილ ალექსეევიჩი. „ია ვპოლნე სოგლასენ ს მნენიემ ოტცა რექტორაო", – განაცხადებდა ხოლმე ის დინჯად, წყნარი ხმით, ოდნავ მოსლექილი ენით, მორჩილების კილოთი და ლმობიერ თვალებს მიაპყრობდა მამა რექტორს! ეს კი გეზელი ქორივით გადახედავდა ხოლმე თავმჯდომარის მომაღლო სავარძლიდან „პედაგოგთა საბჭოს" და, რასაკვირველია, ესენიც „სავსებით იზიარებდენ მამა-თავმჯდომარის აზრს", როგორიც კი უნდა ყოფილიყო ეს „აზრი"!..

ასეთ „პედაგოგიურ საბჭოში", სემინარიის წესდების ძალით, შედიოდა ქართველი სამღვდელოების ორი წარმომადგენელიც, რომელთაც ირჩევდა ეს სამღვდელოება „საეპარქიო სიეზდზე", სამი წლის ვადით, სემინარიის საბჭოში თავის „დეპუტატებად", თავიანთ შვილების აღზრდა-განათლების საქმეში მონაწილეობის მისაღებად, თითქოს დედ-მამის მაგიერობის გასაწევად ასეთ საპასუხისმგებლო დარგში.

ასეთ „დეპუტატებად" შედიოდენ იმ დროს სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში ორი დეკანოზი: ერთი – დიდუბის ტაძრის წინამძღვარი, დეკ. თავკავაძე, ხოლო მეორე – წმ. ნინოს სასაფლაოს ტაძრის წინამძღვარი, დეკ. გამრეკელი, ორთავენი სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების კანდიტატი. მამა გამრეკელი, როგორც „ქართლელი", უფრო მეტი ნდობით იყო მოსილი სემინარიის მთავრობის მიერ, ვინემ „იმერელი" თავკავაძე.

ამ ორ ცნებას – „ამერ-იმერლობიას" – დიდის გატაცებით და ჟინიანობით აღრმავებდა ქართლ-კახელობის დიდი ნაწილიც. დასავლეთ საქართველოდან – გურულს, მეგრელს, რაჭველს თუ იმერელს – საერთო სახელით ნათლავდენ

– „იმერელი“! ეგ „სახელი“ რაღაც საგინებელ, დამამცირებელ შაირად თუ მეტსახელად გადაქცეულიყო ქართლ-კახელების სიტყვა-პასუხში თუ ქცევაში: „უჰ! ეგ ხო იმერელიაო“! „შეგვჭამეს ამ იმერლებმაო“! – გაიძახოდენ აქედან თუ იქიდან! აზამბარელი სომხებიც კი სულ ამას შესჩიოდენ ქართლ-კახელებს: „ვა! ერთი შახეთ რაღა! რა ყოფაში არიან ეგ იმერლები და! ლამის არის საქართველო სულ ამათ დაიჩემონ!.. როგორ გვიმღვრევენ წყალს ეგ ცინგლიანები!.. სანამ ესენი კორტოხიდან გადმოვიდოდენ თუ ტუნელიდან გამოძვრებოდენ, რა გვიშავდა ჩვენ?! ვიყავით ძმურად, ტკბილად! რა გვქონდა გასაყოფი“?! – მაშ, მაშა! მართალს ამბობს მიკიჩა მე და ჩემმა ღმერთმა, – უდასტურებდენ ღიპიან მიკიჩას სიტყვებს „ამერლები“, რომელთა დოვლათით წურბელასავით გასიებულიყო ეს ვაჟბატონი. ამ დროს მათ გვერდით ჩამოუარა ორმა რაჭველმა მეპურემ, ესენი შეაჩერეს მოსაუბრეებმა და თითქოს ხუმრობით მიმართეს მათ: „რა გინდათ, შვილო! რაზე არ დაგვანებებთ თავს?! რატომ თქვენ-თქვენს სახლში არ დასხდებით?! რაზე გვიძვრებით ეგ იმერლობა პირშიო!.. ეგ თქვენი გამომცხვარი პურებიც თქვენს პატრონს ჩააყარეთო“!..

– ნიკოია, ქვე ხომ არ გამოსუნელებულან ეგ მამაოხრები?! – მიმართა ერთმა განცვიფრებულმა მეპურემ მეორეს.

– გამოსუნებელან და ანგრე?! – მიუგო მეორემ და დაურთო: – „მთელი თქვენი სარჩო-საბადებელი სომხის ჩარჩებს ჩაუყარეთ ხელში და ახლა ჩვენ გვედავებით, „იმერლებმა შეგვჭამესო“?! ვაი თქვენი ცოდვის ბრალი, თქვე გამოლენჩებულო, ყეყეჩო ტეტიებო, თქვენა! როგორ ძროხებივით დაუბმიხართ ამ ღიპიან მიკიჩას და უგდებთ მას ყურს! რავა, თვალები ხო არ დაგეფსოთ, თქვე ოჯახქორებო! ამ თბილის ქალაქში რა მილეთის ხალხი საიდან სად არ მოდის და მარტო ეგ იმერლები დაგვინახეთ, ბეჩა?! თუ არადა ეგ ჩარჩი-წურბელა მიკიჩა სადაურია, თუ იცით? – მიიტანა მეპურემ იერიშები „ამერლებზე“.

– მიკიჩ! ღმერთი ისე არ მომკლავს, იმ დღეს შემასწრებს, რომ შუა ულიცაში გულაღმა დაგდო და შენს ღიპზე რუსის დალაბანდი დაუკრა! აჰაი, შე სულკატიანო, შენა! აგრე ნაცარს აყრი განა თვალებში ამ დოღლაპია ტეტიებს?! მოიცადე, შენი დროც დადგება, შე ჩარჩ-ბაცაცა, შენა! – შეუკურთხეს მეპურეებმა პირდაღებულ „მოკავშირეებს“ და გასწიეს თავისი გზით.

– ვა! ვა! ვა! ვერ უყურებთ ამ ყურმუსაღებს როგორ მაგარ-მაგარს ლაპარაკობენ?! ეხლა ნახეთ, ხალხო, რა სახლები წამოსჭიმეს და შეიძინეს მაგ მეპურეებმა ქალაქში და! ვაჭრობაც გააჩაღეს მაგ იმერლებმა, ფოდრაჩიკობენ კიდეც, სამსახურშიაც დაწინაურდენ, ლუკმას გვტაცებენ პირიდან და რო ვამბობთ, სწყინთ კიდეცდა! თელეთის მადლმა, ლამის არის, ჭკუაზე შევიშალო, ისეთი დრო გვიდგება! – ჩაბღუოდა თვალებ გადმოკუზული გვიზიანი მიკიჩა მასთან მოსაუბრე „ამერლებს“. ესენიც იდგენ, ყურს უგდებდენ მას და თავს უკანტურებდენ.

ერთხელ ილია ჭავჭავაძემ იმახვილა ამ „იმერ-ამერლობიაზე“ ნიკო ნიკოლაძისა, აკაკისა და სხვა ინტელიგენტ იმერლების თანადასწრებით:

– მართალი ხართ! იმერლები ყოჩაღები გამოდექით! ქალაქისაკენ მედგრად

მოიწევით, ფეხსაც მაგრად იკიდებთ აქ ყოველ დარგში: დიდ მეტოქეობასაც უწევთ სომხებს! ქართლ-კახეთს თქვენ თუ იხსნით შემოსეულ სომხებისაგან, სხვა ვერავინო!

– მაშ, მაშ! – უკანტურებდენ თავს ილიას ასეთი ქებით გაბრუებული აკაკი და ნიკო, მაგრამ ილიამ ბოლოს მაინც მოიქნია „ამერული“ ხმალი და იუმორისტულად შენიშნა მათ:

– ეს კარგი და პატიოსანი! იმერლები ქართლ-კახელებს სომხებიდან დაგვიხსნიან, მაგრამ იმერლებიდან ჩვენ ვინღა დაგვიხსნისო!

– ეს კი საფიქრებელიაო, – ცბიერი ღიმილით მიუგო მას აკაკიმ!...

დიახ! ამერ-იმერლობია აგრე ღრმად იყო შეჭრილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენებში! ეს უგუნურობის ნაშთი მწვავეთ ტრიალებდა ქართველ სამღვდელოებაშიაც, ამერ-იმერელი „განათლებული“ დეკანოზებიც კი ერთმანეთს კისერს ატეხიებდენ სასულიერო მთავრობის წინაშე, ხოლო გარეშენი ამათ ერთი მეორეზე უსისიანებდენ, აქეზებდენ: „როგორ დაგჩაგრეს თქვენს დედაქალაქში იმერეთიდან გადმოხვეწილმა ღვდლებმაო! საუკეთესო ადგილები მაგათ ჩაუგდიათ ხელში! ესენი არიან, რაც არიან! თქვენ სადა ხართ?! ვის დარჩენიხართო!

სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში და თვით მოწაფეებშიაც აგრე აღვივებდენ „ამერ-იმერლობიას“ შუღლის ცეცხლს უებრო „აღმზრდელები“! იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ სემინარიაში ახალ შემოსული პირველი კლასის მოწაფეები ამერ-იმერლობიის ნიადაგზე ორ ბანაკად დაყოფილან, ერთმანეთს მუშტი-კრივით დარევიან და ერთმანეთი დაუქოჩრიათ! მაგრამ ისევ მალე გამორკვეულან ამ ბურუსიდან, შეუგნიათ თავიანთი ასეთი უსაქციელობა და შემდეგ მტკიცე მეგობრობა და ძმობა მყარდებოდა მათ შორის. ამ მხრივ ტფილისის სასულიერო სემინარიამ დიდი როლი ითამაშა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან თავშეყრილი მოწაფეები მალე უახლოვდებოდენ ერთმანეთს, თანდათან ერკვეოდენ მდგომარეობაში და გრძნობდენ, რომ ისინი არიან ერთი მიწა-წყლისა, ერთი დაჩაგრული ერის შვილები...

სამღვდელოებაში კი ეს სიგლახე ვერ იქნა, ჯერ კიდევ ვერ ამოფხვრილიყო! ვერ შველოდა ამას ვერც „აკადემია“ და ვერც „სემინარია“! ხელოვნურად აღვივებდენ ამ შუღლს სამღვდელოების სხვადასხვა ჯურის მოვლენილი „ხელმძღვანელნი“!

აი, სემინარიის პედაგოგიურ საბჭოშიაც სამღვდელოების „დეპუტატებად“ მოხვდენ ამერელი და იმერელი – გამრეკელი და თავკავაძე. სემინარიის მთავრობამ პირველს გამოუცხადა სრული ნდობა, ის პედაგოგიურ საბჭოშიდაც დაუშვეს და სამეურნეოშიდაც, მეორე კი თავკავაძე მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს სხდომებს ესწრებოდა, მაგრამ იქაც, როდესაც მან სცადა მამა რექტორისა და ბატონ ინსპექტორის ზემო აღნიშნული სახის „ბჭობაში“ მასაც თავისი აზრი შეეტანა, მას ალმაცერად დაუწყეს ცქერა, ის საბჭოს მყუდროებისა და საქმიანობის დამრღვევად დასახეს! სახიფათო ადამიანად მიიჩნიეს!

– კაკ ესტ, ნასტოიაშჩი იმერეტინო, – შესჩიოდენ ერთმანეთს! – ეტო ნეტო ჩტო ოტეც გეორგი გამრეკელი, ვსეგდა კორეკტნი, სპოკოინნი, სმირენნი, – ადარებდენ „დეპუტატებს“ ერთმანეთს!

ეს ორი „დეპუტატი“ სამღვდელოებისა ცალ-ცალკეც დაიჯინეს საბჭოში: დეკ. თავკავაძეს მიუჩინეს ადგილი მამა რექტორის მახლობლად, ინსპექტორ დობრონრავოვის გვერდით, რათა ის მუდამ ხელქვეით ჰყოლოდათ და მასზედ ზეგავლენა ჰქონოდათ რექტორსა თუ ინსპექტორს. ხოლო რათა თავკავაძეს საშვალება არ ჰქონებოდა გამრეკელთან მოთათბირებისა და პირის შეკვრისა, უკანასკნელი სულ ბოლოში დააჯინეს, ნაძირატლებში!..

ერთხელ თავკავაძე ეუბნება გამრეკელს: „კაცო! იმ სიშორეზე რო ჯდები საბჭოში, მოდი, ჩემ გვერდით დაჯექი! ზოგჯერ შევეკითხებით მაინც ერთმანეთს ამა თუ იმ საკითხზე! სხვა არა იყოს რა, სირცხვილია სამღვდელობის ორი დეპუტატი ერთხმად არ გამოვდიოდეთ საბჭოში! შენ კი წახვალ და ჩაჯდები იმ ნაძირატლებში, ნეტავი, რა დაგრჩენია მათშიო“?!

– არა, მამაო! – მიუგო გამრეკელმა, – მე იქ, მაგიდის ბოლოში მირჩევნია! ხო იცი, პაპიროსს ვეწევი! შენ რო გაბმული ხარ სჯა-ბაასში და პაექრობ, ამ დროს მე გავიპარები დარბაზიდან, პაპიროსს მოვსწევ და ისევ შემოვიპარები! შენ, მამაო, ნუ იცი ხოლმე ახირება! სულერთია, ჩვენ აქ ვერაფერს გავიტანთ, ესენი დიდი უმრავლესობაა, ორი კაცი ოცდაათის წინააღმდეგ, აბა, რას გავხდებით! შენ კი ოპოზიციაში უდგიხარ რექტორსა და ინსპექტორს, აჭიანურებთ ტყვილა საქმეს, ბოლოს კი ყველაფერი სწყდება ისე, როგორც მათ სურთო! გირჩევ, ნუ აუხირდები, შენც დაეთანხმე იმაზე, რაზედაც მთელი საბჭო თანხმობას უცხადებს მამა რექტორსო, – არიგებდა თავკავაძეს გამრეკელი.

– შე კაი კაცო! – უპასუხა გამრეკელს თავკავაძემ, – თუ უმრავლესობაზეა საქმე, მაშ, რაღას მოვდიოდით აქ?! განა სამღვდელოების კრებამ არ იცოდა ეგ „უმრავლესობა“, რომ მაინც აქ თავისი დეპუტატებად გამოგვგზავნა?! განა შეიძლება, მამაო, ყველაფერზე ჩვენც თავი ისე დაუქნიოთ მამა რექტორს, როგორც ამას სჩადიან მასწავლებლები, ინსპექტორი და ნაძირატლები! ვერ ხედავ, ადამიანო, რა საცოდაობა ხდება აქ, როგორ უმოწყალოდ იჩაგრებიან მოწაფეები, ჰყრიან მათ სასწავლებლიდან ტყვილა უბრალო, განუკითხავად! ჩვენ აქ ხმა არ უნდა აღვიმაღლოთ?! სინიდისი მაინც რას გეუბნება, მამაო გიორგი?! დავიჯერო, მოწაფეები არ გებრალება?! პაპიროსების მოსაწევათა ხარ აქ შენ წარმოგზავნილი თუ მარწმუნებელი სამღვდელოების შვილების ინტერესების დასაცავად ამ სასწავლებელში?! მაპატიეთ, მამაო, თუ მე თქვენს დარიგებებს ვერ მივიღებ! მე მრცხვენია, რომ აგრე შორი-შორს ვზივართ „დეპუტატები“ ერთმანეთისაგან! დაგვცინიან, ძმაო, გაიგე და შეიტყვე, მწარედ დაგვცინიან შენცა და მეცო! – დაასრულა თავკავაძემ გამრეკელისადმი ყვედრება.

– შენ, მამაო, მუდამ აგრე იცი! ახირებული კაცი ხარ! ნამდვილი ტიპი ხარ „იმერლისა“! მეტიჩრობ რაღაცეებს, გინდა თავი გამოიჩინო! ეკამათები ვის?! – რექტორსა და ინსპექტორს?! სხვა არა იყოს რა, არ გაგიგონია ანდაზა: „კამეჩის

მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“?! აგრეა შენი საქმეც! მე შენ გირჩევ, ჭკუიანად იყავი!.. ჭკუა არ წააგო!.. ენა დაიმოკლე!.. ესაო და რუსულს მარჯვედ ვლაპარაკობო, ეს როდი კმარა! შენს ლაპარაკს რო გასავალი არა აქვს, ვერ ხედავ?! რა გინდ ლოღიკურად იმსჯელო, რაგინდ სიმართლე შენსკენ იყოს, შენი მაინც არ გავა, არ გავა და არ გავა! თუ გინდ პოპოქზე გასქდე, შენი მაინც არ გავა!

– მე მესმის, მამაო გიორგი, რასაც შენ მეუბნები! ჩინებულადაც ვერკვევი, თუ სად ვარ და ვისაც ველაპარაკები! ვიცი ისიც, რომ ჩემს აზრსა და ბრძოლას აქ მაინცა და მაინც დიდი გასავალი არა აქვს, მაგრამ შენცა და ის ორიოდე ქართველი მასწავლებლები, რომელნიც აქ არიან, მხარს დაუჭერდეთ ერთმანეთს, მაშინ ის უმრავლესობაც რამოდენიმედ მაინც ანგარიშს გაგვიწევდა! აგრე უხმოდ, აგრე აბუჩად აგდებული მაინც არ ვიქნებოდით! პედაგოგიურ საბჭოში ოთხი ქართველი ვართ და ეს ოთხი კაცი ვერ დავახლოვებივართ ერთმანეთს! ამაზე დიდი უბედურება და სიწამხდრე იქნება?! ეჰ! მამაო გიორგი, შენ – განათლებული ღვდელი ამას მეუბნები, სხვისაგან რა მხარის დაჭერას უნდა მოველოდე?! დავიჯერო, ვერა გრძნობ მაინც, თუ რა ჯოჯოხეთშია აქ ჩვენი ახალი თაობა?! დავიჯერო, თავი მაინც არ მოგაგონდება, როდესაც შენც აქ, ამ ჯოჯოხეთში, სწავლობდი?! დავიჯერო, სურვილი არ გებადება ზოგჯერ მაინც, გული არ გეუბნება – ცოტათი მაინც შეებრძოლო ამ ბოროტებას?! – „ღვდლის სინიდისი“ მაინც არას გამხელს, მამაო გიორგი?! – მიახალა პირში განრისხებულმა თავკავაძემ გამრეკელს და განშორდა მას.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „უ ემჩინოვა მატ გრუზინკა“!

სამოსწავლო წლის პირველი ნახევრის დასასრულია. მოწაფეთა ყოფაქცევისა და სწავლის ნიშნების გამოყვანაა დანიშნული პედაგოგიურ საბჭოში. ჯერი მიდგა მესამე კლასის მოწაფეთა ნიშნების განხილვაზე. ინსპექტორმა დობრონრავოვმა გამოსარიცხავად წარმოადგინა სხვათა შორის ორი მოწაფე – დომენტი აროშიძე და კოსტია ემჩინოვი.

აროშიძე დაახასიათა ინსპექტორმა, როგორც მეტად მავნე და თავხედი მოწაფე: არავითარ დისციპლინას ის არ ემორჩილება, მისი სულიერი განწყობილება სრულებით არ შეესაბამება იმ მიზნებს, რომელნიც დასახული აქვს სემინარიას თავისი მოწაფეებისათვის. აროშიძე, როგორც ობოლი, „სახელმწიფო ხარჯზეა“. მაგრამ ის არ აფასებს ამ სიკეთეს; ის სრულებით ყურადღებას არ აქცევს გაკვეთილების მომზადებას; დაძრწის სულ გარე-გარე, სისტემატიურად იგვიანებს საღამოის „პერეკლიჩკაზე“, არღვევს წესებს სასადილოში, და საძინებელ ოთახშიც, ბეჯით მოწაფეებს უშლის მაცადინობას, დასცინის მათ, ეძახის მათ „ზუბრიაკებსა“ და გამოტვინებულებს! წირვა-ლოცვაზედაც საზიზღრათა დგას, ერთხელაც რა არის, პირჯვარს არ გადაიწერს, დაჩოქების

დროს კი ჯდება იატაკზე და მოწაფეებში სიცილს იწვევს!.. იცინის თვითონაც, ლაპარაკობს და სხვებსაც უშლის წირვა-ლოცვის მოსმენას. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ აროშიძე არა ლეგალურ წრეებშიაც მონაწილეობს! ის ნამდვილი მეამბოხეა! მოწაფეებში სულ სოც-დემოკრატიულ მოძრაობაზე მსჯელობს, საამისო ინფორმაციაცა მაქვს „ნამდვილი წყაროებიდანო", – დაუმატა ბატონმა ინსპექტორმა, – სულ ჟორდანია, მახარაძე, ჯიბლაძე, კიკვაძე და სხვა ასეთების ხსენებაში და ქება-დიდებაშიაო! ნამდვილი დემორალიზაცია შემოაქვს მოწაფეთა ყოფაქცევაში! ყოვლად შეუძლებელია იმისი სემინარიაში გაჩერება. შესაძლებელია, აროშიძემ ისეთი რამ შეგვამთხვიოს, რომ სასწავლებელი მოგვიპირქვაოს და ერთ უბედურებაში ჩაგვაგდოსო, – დაასრულა ბ. ინსპექტორმა აროშიძის დახასიათება.

– ნუ ჩტოჟე! ზაჩემ ჟე დელო სტალო! დავაიტე, პრისოედინიმ ტოვარიშჩა ოროშიძე კ პლეიადე გურიისკიხ სოც-დემოკრატიჩესკიხ ლიდეროვ! კ სტატი ი ონ გურიეც, კაჟეტსია. – ცინიკური ღიმილით განაცხადა მამა რექტორმა.

– დიახ, ისიც გურულია, – დაუდასტურა სიტყვა ერთ-ერთმა ნაძირატელ-თაგანმა.

– ია ვპოლნე სოგლასენ ს მნენიემ ოტცა რექტორა, – მისცა თავისებურად ხმა აროშიძის გამორიცხვას ინსპექტორმა დობრონრავოვმა.

– უკაცრავად, – განაცხადა დეკ. თავკავაძემ და მიმართა მამა რექტორს, – ჯერ არავითარი მსჯელობა არ მოგვიხდენია მოწაფე აროშიძეზე, ბ. ინსპექტორი კი ხმას აძლევს მის გამორიცხვაზე! მამაო რექტორო, ეს ყოვლად დაუშვებელია ისეთ დაწესებულებაში, როგორიც არის პედაგოგიური საბჭო! არ უნდა ვიბჭოთ, არ უნდა ავსწონ-დავსწონოთ იმ ცნობათა საფუძვლიანობა, რომლებიც აქ ამ თაობაზე მოგვაწოდა ბ. ინსპექტორმა?! სახუმარო საქმე როდია! აქ უნდა გადაწყდეს ობოლი, უპატრონო ახალგაზრდა მოწაფის ბედ-იღბალი! ასეთ საკითხებზე ღირს, თქვენო მაღალ ღირსებავ, ცოტაოდენი შეჩერება, მოწოდებულ ცნობათა შემოწმება და, თუ შესაძლებელი იქნება, ასეთი უკიდურესი ზომის მოწაფიდან აცილება, როგორიც არის მოწაფის სემინარიის მესამე კლასიდან გამორიცხვა, მისი შუა-წყალში აგრე უმწეოდ მიტოვება და გულზე ხელის კვრა!..

– ბრძანეთ, მამაო დეკანოზო, ბრძანეთ ღვთის გულისათვის! იმსჯელეთ! განა მე ვინმეს ბჭობასა თუ მსჯელობას უშლი?! – სარკასტიული ღიმილით უპასუხა თავკავაძეს რექტორმა. და თან გამეხებული თვალებით გადაჰხედა პედაგოგიურ პერსონალს, თითქოს აგრე ეუბნებოდა მას – ერთი გაბედეთ, ხმა ამოიღეთ და მე ვიცი თქვენი პატივის ცემაო!

– დიდსულოვნურად მაპატიოს ბ. ინსპექტორმა, – დაიწყო დეკ. თავკავაძემ, – მას აროშიძეზე არც ერთი დანაშაული ფაქტიურად და დასაბუთებულად არ წამოუყენებია, „მე დარწმუნებული ვარო", „საამისო ინფორმაციაც მაქვსო", – ბრძანა მან! განა ეს მოწაფის გამოსარიცხავად, მისს გასაუბედურებლად, საკმარისია?! ასეთ „ინფორმაციებს" ანუ ენა-ტანიობას, ნება მიბოძეთ, მე ვერ დავემყარო ამ საქმეში! მეც ამ სემინარიის მოწაფე გახლავარ, ჩემს დროსაც იყო ასეთი „ინფორ-

მაციები ნამდვილი წყაროებიდან“, როგორც აქ განაცხადა ბ. ინსპექტორმა, ეს „ნამდვილი წყაროები“ კი უმეტეს წილად არა ნამდვილი იყო! ასეთ „წყაროებზე“ – ენა-ტანიობაზე, პედაგოგიურ საბჭოში ლაპარაკი მე ამ დაწესებულების დამამცირებლად მიმაჩნია! როგორ?! ეხლაც, ჩვენს დროშიაც, ასეთი ზომებისადმი მიმართვა, განა ეს დასაშვებია?! განა ეს სასირცხო არაა?! განა ეს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ზომაა?! ერთი რამ კონკრეტიული, თვალ-საჩინო, ხელმოსაჭიდი დანაშაული მაინც დაესახელებია ბ. ინსპექტორს მოწაფე აროშიძეზე! „დარწმუნებული ვარო“, – ბრძანა მან! მე კი, ბატონებო, წინააღმდეგში ვარ დარწმუნებული! ეგ სუბიექტიური ცნებაა, რომელიც, ვიმეორებ, ხშირად არასწორი გამოდის ხოლმე! საჭიროა, ჩვენც დაგვარწმუნოს ბ. ინსპექტორმა აროშიძის დანაშაულობაში კონკრეტიული ფაქტების აღნუსხვით! თორემ მე საფუძვლიანად ეჭვი შემაქვს ბ. ინსპექტორის ჩვენთვის უცნობი „ინფორმატორის“ მიერ მისდამი მოწოდებულ ცნობების სინამდვილეში! აქ ითქვა, რომ აროშიძე ობოლია, ის „სახელმწიფო ხარჯზეაო“! მე მებადება ეჭვი – ხო არ სურს უცნობ „ინფორმატორს“ სახელმწიფო ხარჯის ვაკანსია გაანთავისუფლოს აროშიძის სემინარიიდან გამორიცხვით და თვითონ იქნეს მიღებული მის ადგილზე?!

– ოო! ეს როგორ შეიძლება! ეგ რა სათქმელია! – აღშფოთებით წამოიძახეს რექტორმაცა და ინსპექტორმაც! მათ მიჰყვნენ ნაძირატლებიც! სხვები კი სდუმდენ!..

პირთა საძიებელი

აბაშიძე გაბრიელ – ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი – 575
აბაშიძე ვასო (ვასილ) ალექსის ძე (1854–1926) – ქართული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს პირველი სახალხო არტისტი – 421, 537, 713
აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე (1870–1917) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – 29
აბრამოვიჩ რაფაელ (1880–1963) – ებრაული სოციალისტური პარტიის „ბუნდის“ ერთ-ერთი ლიდერი; თებერვლის რევოლუციის შემდეგ სოციალ-დემოკრატი, საზღვარგარეთ სოციალ-დემოკრატთა ანტისაბჭოთა საქმიანობის ხელმძღვანელი – 707
აგარონიან (აჰარონიან) ავეტის (1866–1948) – სომეხი მწერალი, რევოლუციონერი, სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე (1918–1920) – 653
ადამიძე – დუშელი გლეხი – 443
ავდაშკევიჩი მეთოდე – დეკანოზი – 318
ათათურქი მუსტაფა ქემალ-ფაშა (1881–1938) – თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი – 77, 93, 136, 217, 372, 405, 550, 718, 726
ათანასე ბერი – 63, 79, 81, 86
ალბერელაშვილი – საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, დეკანოზ ანტონ ლაზარიშვილის ქვისლი – 137
ალექსანდრე (ოქროპირიძე ალექსი დავითის ძე) (1824–1907) – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე; აფხაზეთის (1862–1869), გორის (1869–1882), გურიის (1882–1885), ქართლ-კახეთის (1886–1898), გურია-სამეგრელოს (1898–1903) ეპისკოპოსი, ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი – 95-96, 98, 201, 348, 488, 555-556, 582, 860
ალექსი (გერსამია ალექსანდრე ილარიონის ძე) (1865–1938) – მღვდელმთავარი, პედაგოგი; ლეჩხუმ-სვანეთის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, ცაგერის (1925–1928), ჭყონდიდის და ბათუმ-შემოქმედის (1928–1930), წილკნის (1930 წლიდან) ეპისკოპოსი – 550, 580
ალექსი (მოლჩანოვი) (1853–1914) – საქართველოს ეგზარქოსი (1913-1914) – 29, 96, 149, 488, 803
ამანულა ხანი (1892–1960) – ავღანეთის ემირი (1919–1926), ფადიშაჰი (1926–1929) – 537, 538
ამატუნი – დოლუხანოვის სიმამრი – 315
ამაღლობელი სერგო ივანეს ძე (1899–1937?) – კრიტიკოსი, დრამატურგი, თეატრმცოდნე, „სახკინმრეწვის“ ხელმძღვანელი (1926–1927), მოსკოვის „ახალი

თეატრისა“ და „მცირე თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი დაპატიმრებამდე (1937 წლის ოქტომბერი) – 796
ამბროსი (ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე) (1861–1927) – მღვდელმთავარი, პედაგოგი; არქიმანდრიტი (1904 წლიდან), ჭყონდიდის ეპისკოპოსი (1917–1919), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი (1919–1921), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1921–1927) –21–25, 31, 51-52, 54, 83, 117, 126–132, 135-136,138-139, 141, 144-145, 151–156, 164–167, 170–172, 175–178, 181-182, 186-187, 201, 203, 206, 212, 219–223, 227-228, 245, 251, 258–260, 265, 267, 270, 280, 282–284, 286, 302, 306, 309, 318-319, 335, 337, 339, 341, 350, 352, 361, 365, 368, 370-371, 378, 381, 383, 400-401, 404–406, 409, 422, 430, 433, 436, 438, 450–452, 454, 457, 469, 483, 487, 492, 495, 505-506, 510-511, 523, 533, 536, 556, 577–579, 589, 594, 603, 609, 659, 661, 669, 671-672, 728, 732, 734–736, 777, 841–843
ამილახვარი ივანე გივის ძე (1829–1905) – რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, სიძველეთა რესტავრატორი, თბილისის გუბერნიის დეპუტაციის და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი – 96
ამირაჯიბი (ამირეჯიბი) სიმონ – ვექილი იმერეთში – 43
ანდღულაძე დავით იასონის ძე (1895–1973) – დრამატული ტენორი, თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი – 590, 638
ანთაძე კოტე (კონსტანტინე) დავითის ძე (1872–1933) – მღვდელი, პედაგოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი – 766–768
ანტონი (გიორგაძე ალექსი ლუკას ძე) (1866–1918) – მღვდელმთავარი, პედაგოგი; თბილისის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი (1911–1912), გორის ეპისკოპოსი (1912–1917), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი (1917–1918) – 7, 9–11, 17, 19, 21, 24, 26, 27, 30-31, 33, 37-38, 42-43, 52-53, 73, 75, 80–84, 88, 98–100, 104, 109, 118, 123, 131, 140–142, 150-151, 176, 179-180, 214, 237, 310, 319, 337, 343, 350–352, 368, 402, 431, 450, 567, 486, 589, 609, 679, 800, 847
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) შიო ზაქარიას ძე (1867-1926) – მწერალი – 421, 502, 511, 523
არაყიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე (1873–1953) – კომპოზიტორი – 161, 637, 638
არდიშვილი კონსტანტინე – ექიმი – 528
არსენიშვილი ალი (ალექსანდრე) ილიას ძე (1892–1939) – კრიტიკოსი, მთარგმნელი, ცისფერყანწელი – 728
არუთინოვ – მათემატიკის მასწავლებელი თბილისის ქალთა გიმნაზიაში – 333
არჯევანიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1882–1938) – მეფის რუსეთის არმიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი, დახვრიტეს – 254, 408, 432, 437, 447, 449
ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე (1889–1954) – იურისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი, ემიგრანტი 1921 წლიდან – 118, 128, 195

ასათიანი გიორგი (1840?–1931) – თბილისის სიონის ტაძარის დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – 27, 163, 224, 247, 271, 275, 286, 303, 316, 388, 430, 501, 517, 580, 594, 662
აფაქიძე იასონ ვარადებულის ძე (1877–1937) – საზოგადო მოღვაწე, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 37, 65, 84, 121–123, 160
აფხაზი ივანე დიმიტრის ძე (1863–1921) – თბილისის გუბერნიის გლეხთა საკითხების საქმეთა მმართველი; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი (1912) – 82
აფხაზი კოტე (კონსტანტინე) ნიკოლოზის ძე (1867–1923) – საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი (1913–1919), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1916), ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი (1921–1923), საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) წევრი და სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი; ილია ჭავჭავაძის დისშვილი; 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს, 20 მაისს დახვრიტეს – 9, 150, 319, 451
ახალაშვილი – დუშელი გლეხი – 442
ახვლედიანი გიორგი სარდიონის ძე (1887–1973) – ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 184
ახმეტელი ალექსანდრე (1886–1937) – რუსთაველის თეატრის რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, 1936 წელს დააპატიმრეს, 1937 წელს დახვრიტეს – 794

ბაგრატიონი-გრუზინსკაია-ორბელიანი ელისაბედ (1876–1942) – პოეტი, მთარგმნელი – 430
ბადრიძე დავით გიორგის ძე (1899–1987) – ექიმი, მომღერალი, პედაგოგი - 590, 638
ბაკურაძე ტიმოთე (?–1920) – მღვდელი, კირიონ კათოლიკოსის თანამოაზრე – 31, 76, 84, 109–113, 116, 119, 184, 191, 199, 403, 489, 589, 680
ბარათაშვილი ნინო (ელენე ციციშვილი-ბარათაშვილი) – სამთავროს მონასტრის იღუმენია (1910–1941) –139
ბარათაშვილი პეტრე – საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 53, 73-74, 101, 110, 122, 130, 140, 142, 491, 495, 498
ბარნაბიშვილი – ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე – 173, 228
ბარნაბიშვილი ნიკო – მღვდელი – 345, 514
ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარიას ძე (1856–1934) – მწერალი, პედაგოგი – 103, 127, 219, 250
ბაქრაძე ტასო – ნიკიტა თალაქვაძის და სხვა სემინარისტების დიასახლისი თბილისში – 49
ბახტაძე დ. – თბილისის კალოუბნის ტაძრის დიაკვანი –107, 500-501

ბებიაშვილი იოსებ – სურამის ეკლესიის მღვდელი – 44
ბეგიაშვილი ეგნატე – ქიზიყის ეკლესიის მღვდელი – 534
ბეკლემიშევ – სასულიერო სემინარიის ინსპექტორი – 20, 24, 27
ბენაშვილი დიმიტრი გიორგის ძე (1910–1982) – კრიტიკოსი, პროფესორი – 696
ბენეშევიჩ ვლადიმირ ნიკოლაის ძე (1874–1938) – რუსი ისტორიკოსი, პალეოგრაფი, საეკლესიო სამართლის სპეციალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი – 19–24, 26–29, 32-33, 35, 37–41, 43, 53
ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899–1953) – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე – 779
ბერიტაშვილი ივანე სოლომონის ძე (1885–1974) – ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებელი –626, 696, 697
ბერიშვილი ივანე – საკათოლიკოსო სასამართლოს წევრი – 113
ბერიძე გ. – დეკანოზი – 415-416
ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს ძე (1894–1965) – ისტორიკოსი, პროფესორი – 696
ბიბილური ალექსანდრე – ბერშუეთის ტაძრის მღვდელი; დახვრიტეს 1924 წელს – 792
ბიბინეიშვილი ბარონ (ბართლომე) ექვთიმეს ძე (1883–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი; რევოლუციის მუზეუმის (1926–1931), სახელგამისა (1933–1936) და საჯარო ბიბლიოთეკის (1936-1937) დირექტორი. მემუარებისა და რევოლუციის ისტორიის საკითხებზე გამოკვლევის ავტორი; დახვრიტეს – 156, 170, 510
ბობოხიძე იოანე – დეკანოზი ფოთში – 113, 128-129, 139, 490, 504, 550, 580
ბოლქვაძე ივანე ბეჟანის ძე (1877–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე. დახვრიტეს – 554
ბრილიანტოვ ალექსანდრ ივანის ძე (1867–1933) – რუსი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ეკლესიის ისტორიის მკვლევარი – 42
ბრიხნიჩევ იონა პანტელეიმონის ძე (1870–1968) – პოეტი, პუბლიცისტი, მღვდელი (1903–1907), თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, საღვთო სჯულის მასწავლებელი კადეტთა კორპუსში, რელიგიური-პოლიტიკური ორგანიზაციის „Голгофские Христиане“ დამაარსებელი; 1906 წელს დააპატიმრეს, 1907 წლის ივნისში აღეკვეთა მღვდელმსახურება და გაიგზავნა გადასახლებაში; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა პროლეტკულტურის სისტემაში, განათლების კომისარიატში; „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ (მუკი) ერთ-ერთი დამაარსებელი – 169
ბუაჩიძე – 1922 წელს თელავში საპირველმაისო მიტინგზე სიტყვით გამომსვლელი – 239
ბუტირსკი – დეკანოზი, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი – 343
ბუხარინ ნიკოლაი ივანის ძე (1888–1938) – საბჭოთა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე – 540, 552, 586, 623, 655, 664-665, 683

ბუხრაშვილი ნინო – პავლე ბუხრაშვილის ცოლი, ნიკიტა თალაქვაძის მეზობელი – 593
ბუხრაშვილი პავლე – ნიკიტა თალაქვაძის მეზობელი – 593

გაბაშვილი (გაბაევი) ვასილ (1853–1933) – გენერალი, თბილისის კომენდანტი (1916–1917), შემდეგ ქართული სამხედრო კორპუსის მეთაური – 37, 137
გაბრიელ (ტუსკია) (?–1881) – გურიის უდაბნოს მონასტრის არქიმანდრიტი (1846–1856), გურიის ეპისკოპოსი (1860–1881) – 97
გაბრიელი (ქიქოძე გერასიმე მაქსიმეს ძე) (1825-1896) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და საპატიო წევრი, იმერეთის ეპისკოპოსი (1860–1896); იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად – 95, 98, 131, 206, 431, 457
გაგნიძე შაქრო – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის მსახური – 173
გამრეკელი გიორგი (?–1883) – თბილისის წმინდა ნინოს ტაძრის დეკანოზი – 129, 205, 218-219, 227, 241-242, 273, 287, 415-416, 426, 481, 500-501, 579, 594, 661, 720-721, 793, 861
გამრეკელი იოველ გაბრიელის ძე – დიღმის ეკლესიის დეკანოზი – 344, 499, 501
გამსახურდია კონსტანტინე (1893–1975) – მწერალი – 137, 421, 583
გამყრელიძე ანიკო – წერითი დამხმარე კოლექტივის მემანქანე – 560
გარსიაშვილი დავით ზაქარიას ძე (1870–1957) – კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღვარი, თბილისის სამღვდელოების მოძღვართმოძღვარი, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი – 271, 273, 281-282, 291, 338-339, 341, 344, 346, 352, 376, 379, 383, 396, 491, 497-498, 776, 778, 799
გარსიაშვილი მარიამ ზაქარიას ასული (1872–1960) – პედაგოგი – 376-377
გაჩეჩილაძე – ექიმი, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 376
გაწერელია კაპიტონ – მარტვილის ეკლესიის დეკანოზი – 367
გეგეჭკორი ალექსანდრე (საშა) (1887–1928) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1922–1924), მიწათმოქმედების კომისარი (1924–1928); თავი მოიკლა – 196, 327, 360, 405, 409-410
გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე (1881–1954) – სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო, შემდეგ იუსტიციის საქმეთა მინისტრი – 652
გელიაშვილი სოსო – მთარგმნელი ა/კ რკინიგზის მთარგმნელობით სექციაში – 765
გელოვანი ვარლამ (კუჭიკო) (1878–1915) – იურისტი, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (1912), დააყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი, სოციალ-ფედერალისტი, დიდუბის ეკლესიის სამზრუნველოს თავმჯდომარე – 11, 806
გვაზავა მიხეილ – დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – 139, 370

გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე (1879–1937) – ისტორიკოსი, იურისტი, პუბლიცისტი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი; დახვრიტეს – 195, 351

გიორგიძე ეკატერინე (კატო) – ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლის ქვრივი – 180, 472

გიორგი (ალადაშვილი დავით გიორგის ძე) (1848–1924) – არქიმანდრიტი, პედაგოგი, ღვთისმეტყველების მაგისტრი; გურია-სამეგრელოს (1905–1908), იმერეთის (1908–1917), წილკნის (1917–1920), ჭყონდიდის (1920-1922) ეპისკოპოსი, სტეფანე ხირსელის მონასტრის წინამძღვარი (1922–1924) – 83, 144, 168, 488

გიორგიევა-უგრელიძე ნინო (ნინა) გრიგოლის ასული (1862–1932) – ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის საბჭოს წევრი, პუბლიცისტ ქრისტოფერე უგრელიძის ქვრივი – 491, 525

გიორგიძე (გამდლიშვილი) გრიგოლ – ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი – 32, 89, 111, 114, 124, 126, 129, 134, 146, 168, 179, 180, 184, 192, 198, 341-342, 470

გოგიტიძე გერმანე (1886–1960) – ქართული კინოწარმოების დამფუძნებელი, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კინოსექციის ხელმძღვანელი (1921–1923), „სახკინმრეწვის“ დირექტორი (1923–1928) – 452, 472-473, 476-477, 480-481

გოგიტიძე სიმონ კონსტანტინეს ძე (1872–1927) – ექიმი, პედიატრი – 433, 514-515, 520

გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე (1872–1950) – ეკონომისტი, პუბლიცისტი, „ივერიის“ რედაქტორი (1905-1906) – 626

გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე (1870–1936) ჟურნალისტი, პედაგოგი, ეროვნულ-დემოკრატი – 23-24, 31-32, 37-38, 44, 50, 54-55, 116, 118, 122, 138, 195, 579, 806

გორგაძე სერგი რომანოზის ძე (1876–1929) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი – 19–23, 25-26, 29, 33, 38, 41, 150, 268, 275, 438, 450-451, 514, 536

გორგულოვ პაველ (პავლე) – საფრანგეთის პრეზიდენტის, პოლ დუმერის (1857–1932) მკვლელი – 745, 952

გორდელაძე ერასტი – პედაგოგი, „ჯაყოს ხიზნების“ გასამართლების მონაწილე – 684

გოროდცევ სერგი (1866–1956) – დეკანოზი; მისიონერული საძმოს თავმჯდომარე; მსახურობდა საქართველოში (1892–1918); ტფილისის პატრიოტული საზოგადოების (აქტიური რუსული მონარქისტული დაჯგუფება) საპატიო წევრი, ავტოკეფალიის სასტიკი მოწინააღმდეგე; ნოვოსიბირსკისა და ბარნაულის ეპისკოპოსი ბართოლომეის სახელით – 11, 775

გრეგორი ალბერტ – ინგლისელი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 789

გრიგორიაშვილი – დიაკონი – 344
გულისაშვილი ზაქარია (შაქრო) მიხეილის ძე (1857–1914) – ხალხოსანი მწერალი, პუბლიცისტი, მღვდელი – 149
გუნია ვალერიან (ვალიკო) (1862–1938) – მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი – 26, 398, 420-421
გურგენიძე ირودიონ – დეკანოზი – 27, 247, 364, 390, 454, 793, 805
გურული ზაქარია დავითის ძე (1879–1937?) – სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1921 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, შემდეგ გადაასახლეს რუსეთში. სავარაუდოდ, 1937 წელს დახვრიტეს – 61
გუსევ ვასილი – რუსი ინჟინერი, ზლატოუსტის ჰესის უფროსი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790

დადიანი შოთა პლატონის ძე (1888–1937) – ადვოკატი, სოციალ-ფედერალისტი, დამცველთა კოლეგიის წევრი – 449
დავითაშვილი (დავიდოვი) დავით ალექსის ძე – საპატრიარქოს კანცელარიის მდივანი – 8, 44–47, 54–56, 59, 62–64, 76, 79, 81, 83–85, 89–91, 97-98, 101-102, 106-107, 109–111, 119, 123–125, 130, 136, 140–142, 149–151, 161, 166-167, 170, 176, 182, 184, 186, 191, 202, 213, 241, 220, 224, 234, 238, 244, 247, 259, 266, 271, 275, 278, 286-287, 303, 311-312, 319, 320, 325, 351, 353, 364–366, 377–379, 381, 401-402, 407-408, 410, 412-413, 417, 422-423, 425, 427, 429–433, 445, 451, 489, 491, 500, 514–516, 518, 520, 524, 526, 561, 589, 607, 678, 680, 732
დავითაშვილი ზაქარია ალექსის ძე – პედაგოგი, დავით დავითაშვილის ძმა – 46, 303
დავითი (კაჭახიძე ექვთიმე ოქროპირის ძე) (1872–1935) – ალავერდის (1907), შემდეგ პიატიგორსკისა და ვინიცის (1907–1917), ურბნისის (1917–1919) ეპისკოპოსი; საქართველოს ეპისკოპატის საბჭოს წევრი (1919–1921); ჭყონდიდელი (1921–1923), ბათუმ-შემოქმედელი (1913–1924), ალავერდელი და ქუთათელ-გაენათელი (1924–1930), შემდეგ ისევ ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი – 75, 153, 212, 307, 367, 606, 608, 651, 662
დათაძე კ. – სამხედრო მღვდელი – 9
დათეშიძე რაჟდენ ყარამანის ძე – მრეწველი, ქველმოქმედი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენელი ქუთაისში – 43
დანელია სერგი იოსების ძე (1888–1963) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი – 696
დიასამიძე გრიგოლ ნიკოლოზის ძე (1870–1960) – იურისტი, ჟურნალისტი, სოციალ-ფედერალისტი, ემიგრანტი – 51
დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე (1882–1962) – ინჟინერი, ჰიდრავლიკოსი, ნატახტარის წყალსადენის პროექტის ავტორი – 802

დიდებულიძე ალექსანდრე იოსების ძე (1882–1951) – მეცნიერი, ენერგეტიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 696
დიმიტრი (აბაშიძე) – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი (1903–1905) – 8, 96, 129, 313, 319, 488, 733
დიმიტრი (ლაზრიშვილი, ლაზარიშვილი ივანეს ძე) (1870–1947) – ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზი (1904 წლიდან), შემდეგ წინამძღვარი (1930 წლიდან); საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი და ხაზინადარი; ნინოწმინდის ეპისკოპოსი (1943 წლიდან) – 86-87, 111, 113, 162, 179, 228, 287, 325, 329, 350, 362–364, 385, 413-414, 435, 542, 800
დობროვოლსკი – ეგზარქოსის კანცელარიის გამგე – 8
დობრონრავოვ მიხაილ ალექსეის ძე – რუსი არქიმანდრიტი, სემინარიის ინსპექტორი – 861
დოლიძე ბიქტორ (ვიქტორ) ისიდორეს ძე (1890–1933) – კომპოზიტორი – 581, 798-799
დოლიძე გრიგოლ – რუსეთში მყოფი მეწარმე – 412
დოლუხანოვ კონსტანტინ ალექსანდრეს ძე (?-1916) – სომეხი გენერალი, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარე მამულების (ამჟამად პანთეონი) მფლობელი – 14, 314-315
დონაური (ვაჩნაძე) ელენე იოსების ასული (?–1955) – კოტე მარჯანიშვილის მეორე ცოლი – 794
დონდუკოვ-კორსაკოვ ალექსანდრ მიხაილის ძე (1820–1893) – რუსი კავალერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი (1882–1890) – 859-860
დორიალაშვილი ალექსანდრე – ნიკიტა თალაქვაძის სამრევლოს წევრი - 511
დოსითეოს (დავით ბერძენიშვილი) – არქიმანდრიტი – 27
დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე (1869–1932) – პედაგოგი, პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1913–1927), წიგნის გამომცემელი ქართველთა საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე – 71
დუმბაძე ვლადიმერ (ლადო) ელიზბარის ძე (1879–1934) – ბოლშევიკი, თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, შრომის მინისტრი; გადაასახლეს ტროცკისტობის ბრალდებით (1927), გარდაიცვალა გადასახლებაში – 170, 429, 452

ელიავა შალვა ზურაბის ძე (1885–1937) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე; დახვრიტეს – 156, 170, 196, 298, 322, 327, 358, 400, 409-410, 625, 652-653, 655-656, 700-701
ელიზბარაშვილი მიხეილ – ანჩისხატის მედავითნე – 518
ენუქიძე აბელ სოფრომის ძე (1877–1938) – ბოლშევიკი, 1917 წლის რევოლუციის მონაწილე პეტროგრადში; პეტროგრადის საბჭოსა და აღმსარულებელი კომიტეტის წევრი (1917-1918), შემდეგ ხელმძღვანელი; საბჭოთა კავშირის ცა-

კის პრეზიდიუმის მდივანი (1922–1935); ხარკოვის სამხარეო საავტომობილო ტრესტის დირექტორი (1935 წლიდან). 1937 წელს დააპატიმრეს, 1938 წელს დახვრიტეს – 68, 77
ერისთავი (ერისთვიშვილი) ვარლამ (1763–1830) – საქართველოს პირველი ეგზარქოსი – 218
ერისთავი კოლა (ნიკოლოზ) დავითის ძე (1865–1933) – ქსნის ერისთავი, ახალგორელი მემამულე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, დეკლამატორი, გორის მაზრის პრაპორშჩიკი – 82
ერისთავი-ხოშტარია ანასტასია (1868–1951) – მწერალი – 150
ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე (1887–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი. საქართველოს სსრ სურსათის სახალხო კომისარი 1920-იან წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, დახვრიტეს – 156
ეფრემ II (სიდამონიძე გრიგოლ შიოს ძე) (1896–1972) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1960–1972) – 292, 511, 594, 658, 682, 721, 722, 734, 786, 787-788
ექვთიმე (ელიაშვილი ესტატე) (1865–1944) – ალავერდის (1903–1905), გორის (1905–1906), ბალახნინის (ნიჟნი-ნოვგოროდი) (1906–1909) ეპისკოპოსი – 96

ვანდერ-ლიუბბე (მარიანუს ვან დერ ლუბბე) – ჰოლანდიელი კომუნისტი, ერთ-ერთი დადანაშაულებელი რაიხსტაგის დაწვაში (1933) – 782
ვანდერველდე ემილ (1866–1938) – ბელგიელი სოციალ-დემოკრატი; იყო საქართველოში ევროპის სოციალისტური პარტიების დელეგაციასთან ერთად (1920) – 283, 312, 706
ვარაზაშვილი – ნიკიტა თალაქვაძის სამრევლოს წევრი – 81, 173
ვარდიაშვილი ლევან – თელაველი მღვდელი – 579, 779
ვარდიძე ემანუილ (1886–1966) – პატრი (კათოლიკეების მღვდელი) თბილისში. სწავლობდა სტამბოლის მონასტერთან არსებულ სკოლასა და სასულიერო სემანარიაში, შემდეგ რომში. საქართველოში დაბრუნდა (1914) და მსახურობდა ახალციხეში, შემდეგ იყო თბილისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ვიკარი (მღვდლის თანაშემწე), 1921 წლიდან წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ტაძრის წინამძღვარი, შემდეგ მთავარეპისკოპოს ანდრიას ვიკარი. 1929–1940 წლებში დაპატიმრებული იყო, 1940 წლიდან კი – გადასახლებული. თბილისში დაბრუნების შემდეგ კვლავ პეტრე-პავლეს ეკლესიაში მსახურობდა – 631–633
ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე (1872–1967) – მწერალი, კრიტიკოსი – 23-24, 26, 55, 58, 73, 99, 103, 154, 219
ვარლამი (მახარაძე მელიტონის ძე) (1873–1943) – დიდუბის ეკლესიის სამრევლო სკოლისა და ფოთის სასწავლებლის საღმთო სჯულის მასწავლებელი; მარგველი ეპისკოპოსი (1926), სოხუმ-აფხაზეთის (1929–1934) და ქუთათელ-გა-

ენათელი მიტროპოლიტი (1937 წლიდან); გარდაიცვალა გადასახლებაში – 352, 488, 658, 662
ვასაძე აკაკი ალექსის ძე (1899–1978) – საქართველოს სახალხო არტისტი – 796
ვაშაყმაძე ივანე ალექსის ძე (1901–1937) – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბოლშევიკი, საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1930-1931); მისი რედაქტორობით გამოიცა ქართულად მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომები; დახვრიტეს – 695
ვაჩნაძე ნინო – ბოდბის მონასტრის იღუმენია – 139, 234, 792
ვახნინ გრიგოლი – რუსი ღვთისმეტყველი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი (1905 წლიდან), ეპისკოპოსი – 861
ვახტანგოვი – ნავთლუღის კომისრის თანაშემწე – 403
ველსი ოტტო (1873–1939) – გერმანიის სოციალისტურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე – 784
ვინოგრადოვ – რუსი ინჟინერ-ოფიცერი, თბილისის ეკლესიების გაყოფაზე რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის წევრი – 27
ვირსალაძე სპირიდონ სიმონის ძე (1868–1930) – ექიმი, მეცნიერული თერაპიისა და ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე – 320
ვისოცკაია ანასტასია – ბოდბის იღუმენია – 21, 24-25, 32, 36, 38, 40
ვიშინსკი ანდრეი (1883–1954) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოხელე, საბჭოთა კავშირის მთავარი პროკურორი (1935–1939), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1939–1945) – 790, 795
ვორონცოვ-დაშკოვ ილარიონ ივანე ძე (1837–1916) – გრაფი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მეფისნაცვალი (1905–1916) – 149, 199, 389, 514, 804
ვოსტორგოვ იოანე იოანეს ძე (1867–1918) – დეკანოზი, მონარქისტი, მისიონერი, მწერალი, შავრაზმელი; ქართული სამრევლო სკოლების მეთვალყურე (1894–1901); ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი – 29, 53, 95-96, 222, 245, 315, 331, 395, 405, 449, 484, 554–556, 572, 582, 589, 677, 733, 778, 845-846

ზაალიშვილი – სამრევლო საბჭოს წევრი – 140
ზაზიაშვილი გიგო (გიორგი) ივანეს ძე (1868–1952) – მხატვარი – 250
ზედგინიძე – ანჩისხატის მღვდელი – 315
ზიბერტ – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
ზორინ – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
ზუკაკიშვილი ელევთერ – მღვდელი – 218
ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე (1972–1940) – იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი – 81

თავდგირიძე ნიკო ყარამანის ძე (1870–1936) – პუბლიცისტი, სოხუმის ქალაქის თავი, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, 1906 წელს მოსკოვში სახელმწიფო სათათბიროში წამოაყენა იდეა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ავტონომიის შესახებ – 116, 122-123, 128-129, 137, 145, 163, 208, 219, 233-234, 271, 274, 309, 363, 427, 432-433, 437, 503, 518, 524
თალაქვაძე (თალაკვაძე) სევასტი გიორგის ძე (1888–1937) – ბოლშევიკი, რევოლუციის შესახებ რომანებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, ჟურნალის „რევოლუციის მატიანე" რედაქტორი (1923–1926); წიგნის პალატის ხელმძღვანელი (1929–1936); 1927 წელს პატრიიდან გარიცხეს ოპოზიციონრობის ბრალდებით; 1929 წელს დააპატიმრეს და 3 წლით გადაასახლეს შუა აზიაში; „მონანიების" შემდეგ, 1929 წელს საქართველოში დაბრუნდა; 1936 წელს დააპატიმრეს, 1937 წელს დახვრიტეს – 156, 170
თალაქვაძე აკაკი – მთისპირის მღვდელი – 558
თალაქვაძე გერმანე – ნიკიტას ვაჟი – 560-561, 575
თალაქვაძე ილია – მოქალაქეთაგან არჩეული პატრულის მეთაური (1921) – 579
თალაქვაძე ისიდორე – კომუნისტი – 156, 170
თალაქვაძე პოლიკარპე – ნიკიტას ძმა – 502
თალაქვაძე ქეთევან (ქეთო) – ნიკიტას ქალიშვილი – 560
თარხნიშვილი-გელოვანი ნინო გიორგის ასული (1876–1948) – ვარლამ გელოვანის მეუღლე – 430, 433, 516, 522
თაყაიშვილი ევთიმე (ექვთიმე) სიმონის ძე (1863–1953) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი – 29, 70, 78, 87, 119-120, 268, 587
თედორაძე აკაკი – ბათუმელი ექიმი, ნიკიტა თალაქვაძის სიძე – 560
თევზაძე ალექსი – თბილისის ამაღლების ტაძრის დეკანოზი – 800
თობჩიბაშევ (თობჩუბაშევ) ალი მარდან ბეი (1862–1934) – თბილისელი თათარი არისტოკრატი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში, აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე – 653
თოდრია სილიბისტრო (სილია) იესეს ძე (1880–1936) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ფელეტონისტი – 65, 250–252, 265, 287, 554, 728, 796
თოთიბაძე ანტონ მაქსიმეს ძე (1865–1938) – სამხედრო ტაძრის დეკანოზი, მისი დანგრევის შემდეგ – ვერის ეკლესიის წინამძღვარი, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი – 8–10, 19, 23, 25-26, 54, 67, 69, 73, 75, 77-78, 80-81, 83, 88-89, 96–98, 109-110, 113, 127–130, 132, 136-137, 139, 141, 144, 147–153, 160-161, 164-165, 170–174, 176, 179–183, 185–189, 191–193, 198–200, 202-203, 206, 210-211, 213, 218-219, 223-224, 226-227, 229, 231–234, 237-238, 244, 248, 252, 259-260, 264, 266, 268–273, 275, 28–282, 290–292, 297, 300, 303-304, 310-311, 314–319, 324, 329, 337–344, 346–348, 350–352, 354, 359, 361, 364-365, 368, 376, 381–383, 386, 390–393, 395–398, 400-401, 413, 420-421, 423, 425, 431–433, 435-436, 438, 440-441, 449,

451–456, 459-460, 468, 470-471, 474–476, 478-479, 482, 487-488, 491, 495, 500–502, 509, 513–518, 520, 523–526, 536, 577, 589, 672, 732, 747, 776–778, 800, 804-805
თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე (1901–1966) – ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 696
თოხაძე არსენ სოფრომის ძე (1873–1932) – ბათუმის ეკლესიის დეკანოზი – 96, 487-488, 517-518, 662, 747
თუთბერიძე ერასტი სიმონის ძე (1858–1947) – იურისტი, დეკანოზი, სინოდის კანცელარიის მმართველი – 83, 129, 402, 431
თულაშვილი ივანე – არქიტექტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის კათედრის პირველი გამგე (1922–1933) – 433, 516
თუმანოვ არუთინ (არტემ) (1866–1943) – მთარგმნელი ამიერ-კავკასიის მთარგმნელობით სექციაში – 765-768
თურდოსპირელი (ჩხეიძე) დავით ანდუყაფარის ძე (1888–1948) – მწერალი – 72
თუხარელი – 1922 წლის 2 აგვისტოს თბილისის სამღვდელოების კრების საერო დამსწრე – 344, 347
თხინვალელი ქრისტესია – სოფელ გომარეთის დეკანოზი – 371, 428, 430

იაგორაშვილი – იურისტი, სინოდის წევრი – 579
იაგურიან – ყაზანელი თათარი, ბოლშევიკი – 322
იანოვსკი კირილ პეტრეს ძე (1822–1902) – პედაგოგი, ჟურნალისტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878–1901), კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს წევრი (1880 წლიდან) – 95, 98, 572
იაშვილი – დეკანოზი – 346
იაშვილი აბელ ოქროპირის ძე (1854–1919/21) – ექიმი – 151
ივანიცკი (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე (1886–1966) – პუბლიცისტი, მეცნიერი, ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე მთარგმნელი, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, 1923 წლიდან ემიგრანტი გერმანიაში – 53, 55, 98, 101, 105, 110, 123, 127–129, 135, 137, 140–143, 145–148, 151, 161-162, 168, 173, 176, 182, 184, 191-192, 195, 208, 216, 223, 225, 233, 265, 281, 303, 363, 374, 378, 381, 422, 429, 436-437, 495, 679
ივანიცკი აპოლონ – ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი – 184, 191, 238, 494
ივანოვ-კავკაზსკი ვლადიმირ (1888–1937) – კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარიატის არმატურის წარმოების განყოფილების უფროსი; დახვრიტეს – 646
იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე (1876–1952) – მწერალი, სოციალ-დემოკრატი, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორი – 83, 236, 268, 351-352, 679, 702, 728
იმნაიშვილი – დეკანოზი წინანდალში – 380

იმნაიშვილი გერასიმე სოფრომის ძე – საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, საქართველოში ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებაზე ხელმომწერი – 119, 129, 363, 503
ინგოროყვა პავლე იესეს ძე (1893–1983) – ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი – 53, 55, 98, 101, 122, 135, 140, 145
ინოკენტი (ბელიაევ) (1862–1913) – საქართველოს ეგზარქოსი (1909–1913), საქართველოს ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე – 7, 11, 15, 21, 27, 29, 53, 59, 75, 81, 88, 97, 99, 108, 143, 146-147, 154-155, 189, 211, 214, 221, 245-246, 248, 297, 314-315, 317, 330, 377, 381, 402, 445, 450, 484, 556, 661, 668, 805
იოანე (მარღიშვილი, მარგიშვილი ნიკოლოზ) (1874–1929) – ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი (1921–1925), ალავერდის (1925 წლიდან), შემდგომ ურბნისის მიტროპოლიტი; 1926 წელს გადაიყვანეს ბათუმ-შემოქმედის კათედრაზე, 1928 წლიდან – ბოდბის კათედრაზე – 128–130, 166, 212, 353, 363, 539
იორეთეოს (ეროთე, აივაზაშვილი) (1862–?) – ნინოწმინდის და ბოდბის ეპისკოპოსი (1928 წლიდან) – 158, 164
ისმეთ-ფაშა (მუსტაფა ისმეთ ინიონიუ) (1884–1973) – თურქი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, ათა-თურქის თანამებრძოლი, თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი (1938–1950) – 509, 744, 745

კაგანოვიჩ ლაზარ მაისეის ძე (1893–1991) – საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი – 656, 769, 771
კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე (1886–1967) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პროფესორი – 42
კაკალიაშვილი თადეოზ – დეკანოზი იმერეთში – 382
კალანდარიშვილი გიორგი (ჟორჟიკა) – ნავთლუღის ტაძრის მღვდელი – 299, 349, 403, 487, 519
კალანდარიშვილი მიხეილ – მასწავლებელი – 523
კალანდაძე ელისო – თბილისის მთავარი საავადმყოფოს ექიმი – 799
კალანდაძე ვარდენ – ბოლშევიკი – 410
კალანდაძე თევდორე – რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რეპრესირებული ტროცკისტობის ბრალდებით – 71, 92, 156
კალატოზოვ (კალატოზიშვილი) დიონისე – ვენეციის მხითარისტთა საღვთისმეტყველო სასწავლებლის კურსდამთავრებული კათოლიკე ბერი, შემდეგ ეპისკოპოსი – 631–633
კალისტრატე (ცინცაძე მიხეილის ძე) (1866–1952) – მღვდელი (1901 წლიდან), ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932–1952) – 8–11, 13, 16, 19, 21, 25–27 , 34-35, 37-38, 42-43, 54, 58, 62–65, 67, 69, 73, 78-79, 81, 83-84, 86–91, 96–98,

101, 105-106, 108–110, 113-114, 117-118, 121, 123-124, 127–130, 132, 134, 136-137, 139–144, 147–150, 152-153, 156, 158–165, 167, 170–174, 176-177, 179–182, 186–189, 192-193, 198, 201–205, 208, 210, 213, 218-219, 222–224, 227-228, 230–234, 240–242, 244, 248-249, 252, 254, 260, 262–264, 266, 268-269, 271, 273–275, 280, 287, 294, 297-298, 300, 302, 304, 310-311, 314–319, 321, 325-326, 329, 335–345, 347, 350–354, 359, 361–363, 365-366, 368–370, 380–384, 389–392, 398, 400-401, 404–406, 408, 418–426, 428, 431–433, 436, 438-439, 442, 447–456, 459-460, 468, 471–482, 484–488, 490–492, 494-495, 497–503, 510, 518, 520, 524, 526, 536, 577, 579, 589, 607, 661, 663, 672, 682, 762, 734, 746-747, 776, 800, 804-805, 814

კამო (ტერ-პეტროსიან სიმონ არშაკის ძე) (1882–1922) – რევოლუციონერი, ექსპროპრიატორი, სტალინის თანამებრძოლი, რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე, დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს თბილისში – 320–322, 614

კანდელაკი ბენიამენ – დეკანოზი, საქართველოში ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებაზე ხელმომწერი – 52, 207, 428, 430, 432, 458, 500-501, 579, 594, 606, 661, 735, 793

კანდელაკი დავით ვლადიმერის ძე (1895–1938) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე, დიპლომატი, საქართველოს სსრ განათლების კომისარი (1921–1930); გერმანიაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების შესახებ (1935–1937). 1937 წელს დაატიმრეს მოსკოვში, 1938 წელს დახვრიტეს – 139, 169, 289, 322

კაპანაძე ევთიმე (ექვთიმე) – მთარგმნელი ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთარგმნელობით სექციაში – 765

კაპანაძე იასონ (?–1962) – თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი, 1921 წელს წავიდა ამერიკაში – 62-63, 79, 86, 89-90, 102, 107, 113, 121, 123, 129, 147, 158–161, 163, 166, 174, 176-177, 203, 205, 209-210, 222–224, 269, 272, 325, 424

კაპანაძე ქრისტეფორე – საქართველოს ეკლესიის ობერპროკურორი, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის დისშვილი – 53–56, 90, 98, 100-101, 112–114, 123

კარახან (კარახანიან) ლევ მიხაილის ძე (1889–1937) – რევოლუციონერი, საბჭოთა დიპლომატი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე – 550, 650, 725-726

კარტაშევ ანტონ (1875–1960) – ლიბერალი თეოლოგი, რუსული ეკლესიის ისტორიკოსი, პარიზის წმინდა სერგის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორი, წმინდა სინოდის უკანასკნელი ობერპროკურორი – 42

კასაბიევ ვასილ – კიევის აკადემიის კურსდამთავრებული, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი – 313

კასრაძე დიმიტრი ონოფრეს ძე (1844–1923/5) – საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 69, 90, 123

კასრაძე მინადორა დიმიტრის ასული (1881–1955) – პედაგოგი, კორნელი კეკელიძის მეორე ცოლი – 190, 339, 376-377, 379, 417, 420

კასრაძე ჩიტო – დეკანოზი – 123, 171
კაჭახიძე ოქროპირ – მღვდელი, მიტროპოლიტ დავითის მამა – 153
კახიანი მიხეილ (მიხა) ივანეს ძე (1896–1937) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე, კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას წევრი, დახვრიტეს კომუნისტებმა – 580–585, 635, 645–647, 664
კედია სპირიდონ მალხაზის ძე (1884–1948) – პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ემიგრანტი 1921 წლიდან – 118, 121, 123, 160, 195, 381
კევორკ (გევორგ) V (სურენიანც თფხისეცი) (1846–1930) – თბილისის არქიეპისკოპოსი (1895–1904), სრულიად სომხეთის კათოლიკოსი (1911 წლიდან) – 648, 842
კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1879–1962) – მღვდელი, ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი (1916), ქართული ლიტერატურის იტორიის კათედრის ხელმძღვანელი (1918 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ხელმძღვანელი (1921–1930) – 7, 9-10, 16, 19–23, 25-26, 33, 35, 38, 42, 54–56, 58-59, 75, 77, 84, 88, 97-98, 101–103, 108, 110, 113, 118, 127, 129, 131-132, 134-135, 141–143, 145, 147-148, 150-151, 159, 161-162, 173, 177, 180, 184-185, 189-190, 208, 216, 219, 232, 247, 260, 271, 274-275, 297, 310, 314, 316, 318-319, 339, 342, 371, 374, 376–379, 381, 411–413, 417, 420, 423, 425–427, 437–439, 446, 449, 451, 467, 492, 499, 504-505, 514, 536, 625–627, 648, 696-697, 811-812, 814
კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (1864–1942) – ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი (1895–1903), პედაგოგი, ფოლკლორისტი – 43, 178-179
კეჭეყმაძე გრიშა – ღვინის საწყობის მეპატრონე – 412
კვინიტაძე (ჩიქოვანი) გიორგი ივანეს ძე (1874–1970) – სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს რესპუბლიკაში მუშაობდა სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ თანამდებობაზე, შეიარაღებული ძალების სარდალი (1918–1921), ემიგრანტი 1921 წლიდან – 61, 66-67, 77, 85, 217
კირიონ II (საძაგლიშვილი გიორგი იერონიმეს ძე) (1855–1918) – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, ისტორიკოსი, მეცნიერი, ქველმოქმედი; საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი (1879 წლიდან); ალავერდის (1898–1901) და გორის (1901) ეპისკოპოსი; 1908 წელს რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა ეპისკოპოსობა და დააპატიმრა; დაბრუნდა 1917 წელს; საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917-1918) – 20, 23-24, 30-31, 38, 42, 46-47, 50–55, 57-58, 69, 74-75, 81–84, 88, 90, 98-99, 102, 104, 109–112, 129, 139–142, 144, 148, 150–152, 162, 165, 183, 200-201, 212, 220, 237, 248, 261, 268, 282, 299, 310-311, 316, 337, 349-350, 352, 381, 431, 451, 486, 489, 505, 589, 605, 607, 677–680, 732–734, 841, 844–847
კიღურაძე შალვა – თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელი, „ნატახტარტრესტის“ მმართველი, ბალნეოლოგიური კურორტის, ჩელუსკინელების ხიდისა და მტკვრის სანაპიროს მშენებელი; დახვრიტეს – 802

კლდიაშვილი – სამრევლო საბჭოს წევრი – 146
კლდიაშვილი დავით სამსონის ძე (1862–1931)– მწერალი – 713
კობაიძე ვასილ – დეკანოზი – 681
კობერიძე ალექსანდრე – სოფელ შაშიანის მასწავლებელი – 574
კონტრიძე ბენიამენ (ბესარიონ) (?–1941 წლამდე) – თბილისის წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზი, ბაქოს ქართული სკოლის მასწავლებელი – 43-44, 63, 65, 69, 79, 86, 89-90, 123, 132, 181, 247-248, 338–341, 396-397, 482, 513, 515, 519-520, 527, 776-777
კონტრიძე გრიგოლ – დიდუბის ტაძრის მღვდელი – 805
კორძახია მიტროფანე ოტიას ძე (1890–1970) – გეოგრაფი, მათემატიკოსი, კლიმატოლოგი, ნიკიტა თალაკვაძის სიძე – 295. 523-524
კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (1893-1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი; დახვრიტეს – 696
კოტლიარევსკი მოისეი – რუსი ინჟინერი, დაკავებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
კრაშენნიკოვ (კრაშენიკოვ) მიხაილ – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
კრინიცკი ალექსანდრ ივანის ძე (1894–1937) – საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი (1930); დახვრიტეს – 645–647, 664
კუიბიშევ ვალერიან ვლადიმირის ძე (1888–1935) – საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე – 656, 771
კურდღელაშვილი ნიკო (ნარკანი) (1874–1938) – მთარგმნელი, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი (1911 წლიდან) – 40
კუტუზოვა ა. სერგეის ასული – ფირმის „მეტრო ვიკერი“ წარმომადგენლობის მდივანი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
კუშვინ (კუშნი, კაშნი) ჯონ – ინგლისელი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 789

ლაზარიშვილი (ლაზრიშვილი) ანტონ დიმიტრის ძე – დიაკონი – 179-180, 186, 364, 374, 228
ლალიაშვილი საშა – ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე – 455, 459, 474
ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1866–1931) – პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი – 285
ლაღიაშვილი იოსებ (სოსო) იაკობის ძე (1865–19??) – თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე, 1886 წელს მოკლა სემინარიის რექტორი – დეკანოზი პავლე ჩუდეცკი – 421

ლებედევ – რუსი ინჟინერი, დაკავებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
ლეისტი (ლაისტი) არტურ (1852–1927) – გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, 1892 წლიდან დამკვიდრდა საქართველოში – 406
ლეკვეიშვილი სპირიდონ – დეკანოზი, იმერეთის განყოფილების წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე (1917, 15 მაისი) – 118, 123
ლეონიდე (ოქროპირიძე ლონგინოზ სოლომონის ძე) (1861–1921) – ღვთისმეტყველების კანდიდატი, იღუმენი, არქიმანდრიტი, თბილისის მიტროპოლიტი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1918–1921) – 7-8, 19-20, 23–25, 27-28, 30-31, 33-34, 36–38, 41, 44–51, 54–57, 62–67, 69, 74–78, 80–91, 98–106, 108–112, 116–124, 126–128, 130-131, 134-135, 138–143, 150–154, 160–162, 165-166, 170-171, 174–176, 179, 181, 183-184, 188-189, 193, 199, 201–203, 206, 210, 213, 220, 222-223, 228, 244, 263, 268, 273, 284, 292, 304, 308–311, 316-317, 319, 329, 336–338, 348, 350–352, 368, 375, 381, 385, 401–404, 422, 425, 430-431, 437, 450-451, 466, 468, 486–488, 494, 496, 533, 537, 587, 589, 609, 642, 659, 671, 677–680, 721, 732, 734, 812, 816, 818, 841, 845, 847
ლეჟავა შამშე (სიმონ) კონსტანტინეს ძე (1876–1938) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე (1921 წლიდან), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის და საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი; დახვრიტეს – 80, 177
ლვოვ გიორგი (1861–1925) – რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, კერენსკის მთავრობის ობერ-პროკურორი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე – 23, 495
ლიტვინოვ მაქსიმ მაქსიმის ძე (ვალახ მაქს) (1876–1951) – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე – 328, 547, 554, 666, 717, 726, 737, 740, 749, 752, 783, 789, 797, 801
ლობანოვ ალექსანდრ – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
ლომთათიძე ალექსანდრე (სანდრო) (1881–1924) – სოციალისტური მოძრაობის წევრი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე; დააპატიმრეს 1922 წელს, გარდაიცვალა გადასახლებაში, ტაშკენტში – 74, 97, 195, 342-343, 381
ლომოური – ექიმი – 82, 100
ლორთქიფანიძე ალექსანდრე მერაბის ძე – იურისტი, ბანკის თანამშრომელი, 1922 წლის 2 აგვისტოს თბილისის სამღვდელოების კრების საერო დამსწრე – 137, 344, 347
ლორთქიფანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე (1881–1937) – სოციალისტური მოძრაობის წევრი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების, შემდეგ სამხედრო (1920) მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; დახვრიტეს – 68, 77, 381

ლორთქიფანიძე მ. – რუსთაველის თეატრის მსახიობი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა კოტე მარჯანიშვილის დაკრძალვაზე (1933) – 795
ლორთქიფანიძე ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე (1880–1944) – მწერალი, პედაგოგი, გაზეთის „ერი“ (1907-1908) და ჟურნალის „ლიტერატურა და ცხოვრება“ (1910-1911) რედაქტორი – 653
ლოსაბერიძე ევსევი გიორგის ძე – ექიმი – 83
ლუკაშვილი დუსა – ივანე ლუკაშვილის მეუღლე – 15
ლუკაშვილი ვახტანგ – მასწავლებელი, ნიკიტა თალაქვაძის ცოლისძმა – 593
ლუკაშვილი ზაქარია – ჩუღურეთის ტაძარის დეკანოზი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ნიკიტა თალაკვაძის სიმამრი – 112, 114, 154, 179-180, 245, 253, 264, 304, 336, 380, 384-385, 390, 413, 447, 449, 454-455, 458, 478, 593, 681
ლუკაშვილი ივანე (იოანე) – დეკანოზი, ზაქარიას ძმა – 15, 166, 579, 596, 694, 719, 781
ლუნაჩარსკი ანატოლი ვასილის ძე (1875–1933) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, განათლების პირველი სახალხო კომისარი, მწერალი, ხელოვნებათმცოდნე – 322, 416

მაისურაძე – ლოტბარი – 140
მაკდონალდ ჯეიმს რამსი (1866–1937) – ინგლისელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სამჯერ – 534, 636, 718, 722, 726, 789-790, 796, 800
მამამთავრიშვილი სოფიო (სონა) – 180, 472
მამიკონიან – თბილისში წითელარმიელთა დასახმარებლად შემდგარი 5000-კაციანი ორგანიზაციის მეთაური – 257
მამინაიშვილი ნიკიფორე იესეს ძე (1870–1922) – პედაგოგი, სამრევლო სკოლების უფროსი, თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი – 219–221, 811
მარგველაშვილი ტიტე (1891–1946) – ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, ბერლინში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე – 595
მარი (მარრი) ნიკო იაკობის ძე (1864–1934) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი – 23, 41–43, 583, 696, 697
მარტინსკი – თბილისის სასულიერო სემინარიის ბერძნული ენის მასწავლებელი – 47
მარღიშვილი-სალია ალექსანდრა – იოანე ეპისკოპოსის და – 534
მარჯანიშვილი კოტე ალექსანდრეს ძე (1872–1933) – რეჟისორი – 795-795
მატათაშვილი ვასილ – მღვდელი – 168, 172, 179, 182, 192, 232, 234, 271 352, 383, 776, 799-800
მატარაძე ნუშო – იოსებ (სოსიკო) მერკვილაძის ცოლი – 803

მაღალაშვილი ბარბარე (ბაბო) გრიგოლის ასული (1874–1927) – გეგე მაღალაშვილის ქალიშვილი – 50, 524
მაღალაშვილი გრიგოლ (გეგე) გრიგოლის ძე (1842–1922) – ექიმი – 50, 210
მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე (1876–1927) – პოეტი, პედაგოგი, იურისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე – 250
მაჩაბელი მიხეილ (მიშო) ვახტანგის ძე (1852–1930) – ჟურნალისტი, გაზეთის „ზაკავკაზიე“ რედაქტორი, ეროვნულ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების და საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 37, 42-43, 69, 90, 516
მაჭავარიანი ნინო – კონსტანტინე არდაშვილის მეუღლე – 528
მაჭარაშვილი (მაჭაროვი) ნესტორ (1865–1930) – მამადავითის ტაძრის დეკანოზი – 31, 113, 148, 158, 163, 179, 182–184, 249–251, 260, 264, 266, 271, 275, 284, 303-304, 324, 350, 364, 374, 376, 390, 426, 430, 577, 668, 681
მახათაძე მიხეილ – დეკანოზი, პრესვიტერი, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიასთან სამრევლო სკოლის დამაარსებელი – 25, 185, 187, 280, 781, 792
მახათაძე ნიკო – თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი – 379
მახარაძე გერასიმე თომას ძე (1881–1937) – სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი რსფსრ-ში; დახვრიტეს – 61
მახარაძე ფილიპე იესეს ძე (1868–1941) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, პუბლიცისტი, პარტიული და საბჭოთა მოღვაწე, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, მუშაობდა სხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე – 67, 77-78, 92, 136, 156, 170, 195–197, 250, 265, 267, 270, 278, 280, 284-285, 299, 321-322, 327, 358-359, 398, 400, 405, 409-410, 415, 429, 452, 465, 470, 478, 531, 554, 585, 625, 633-634, 646, 651, 654-655, 662, 697, 700, 725, 728-729, 779, 796, 866
მგალობლიშვილი ვასილ – 36
მგალობლიშვილი მიხეილ ფილიპეს ძე (1888–1931) – ექიმი, გინეკოლოგი – 706
მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (1851–1925) – ხალხოსანი მწერალი, პედაგოგი – 30
მგელაძე ვლასა დარისპანის ძე (1871–1943) – პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, ემიგრანტი 1925 წლიდან – 236, 268, 386-387, 392
მდივანი ალექსანდრე – სოციალ-ფედერალისტი, დახვრიტეს – 71
მდივანი ბუდუ (პოლიკარპე) გურგენის ძე (1877–1937) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, დააპატიმრეს 1936 წელს, დახვრიტეს 1937 წელს – 92, 156, 170, 195-196, 284, 298, 327, 358, 398, 405, 409, 478, 509
მელქისედეკ III (ფხალაძე მიხეილ გიორგის ძე) (1872–1960) – მღვდელმთავარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1952–1960) – 165, 168, 189–191, 223–225, 227-228, 231-232, 238-239, 241–245, 247, 249, 264, 271, 274-275, 279–282, 286-287, 296-297, 303–305, 329, 335-336, 338, 348-349, 361-362, 369, 380, 382, 385, 388–392, 400-401, 403, 407, 424, 428, 430, 453–455, 458-459, 474, 476, 479, 490, 500, 511, 519, 526-527, 541, 594

მენაბდე იასონ – თეირანში საბჭოთა (რუსეთ-სპარსეთის) ბანკის მოხელე – 137
მერკვილაძე სოსიკო (იოსებ) ნიკოლოზის ძე (1854–1934) – გამომცემელი, ხალხური სიტყვიერების შემკრები, მაღაზია-გამომცემლობის „ცოდნა“ მფლობელი – 27, 73, 88, 97, 112, 138, 146, 246–248, 329, 343, 403, 433, 436, 515, 523, 691, 728, 802–804, 806
მთვარელიშვილი ნინო – ურიათუბნის მასწავლებელი – 574
მიასნიკოვ (მიასნიკიან) ალექსანდრ ფიოდორის ძე (1886–1925) – რევოლუციონერი, პარტიული მოღვაწე, 1922 წლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის თავმჯდომარე; დაიღუპა ავიაკატასტროფაში თბილისთან – 298, 415
მირიან ბერი (დავით ბექაური) – მცხეთის ჯვრის მონასტრის მღვდელ-მონაზონი, არქიმანდრიტი, მოკლეს კირიონ II-ის მკვლელობიდან ცოტა ხანში – 84, 123
მირიანაშვილი (მირიანოვ) იოსებ (1868–1937) – პროტოპრესვიტერი, დეკანოზი, დიდუბის ტაძრის წინამძღვარი – 10–12, 16, 26-27, 34, 54, 69, 86, 90, 108-109, 116, 122-123, 129-130, 132–134, 144-145, 158, 160, 165, 173, 176, 208, 211, 213, 218, 244, 246-247, 249, 260, 264, 266, 271, 274-275, 302, 310, 314-315, 332, 362–366, 368-369, 402, 416, 437, 445, 518, 524, 577, 589, 661, 663, 669, 671, 734, 747, 805
მირიანაშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1860–1940) – პუბლიცისტი, პედაგოგი, მთარგმნელი, ქართულად პირველად თარგმნა ყურანი ფრანგულიდან; თბილისის საეკლესიო მუზეუმის გამგეობის წევრი – 41, 302
მირიანაშვილი რაჟდენ – მაღაზიის მეპატრონე; 1921 წელს საქართველოს საგანგებო კომისიის წევრებმა ორ ძმასთან ერთად დააპატიმრეს საქონლის გადამალვის გამო და დახვრიტეს – 79, 86, 412
მიტკევიჩ ალექსანდრ – ნოტარიუსი – 20-21, 24–26, 30, 32, 36, 39-40
მიქელაძე ალექსანდრე – დეკანოზი – 107, 124
მიქელაძე-ორახელაშვილი მარიამ პლატონის ასული (1887–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი; 1921 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, შემდეგ კომისარი, რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი; დახვრიტეს – 289, 386, 392, 479
მიხაილოვსკი – იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის წინამძღვარი – 32, 40
მოგილიოვსკი სოლომონ გრიგოლის ძე (1885–1925) – პარტიული მოღვაწე, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის („ზაკჩეკა“) თავმჯდომარე (1922–1925). დაიღუპა ავიაკატასტროფაში თბილისთან – 322
მოლოტოვ (სკრიაბინი) ვიაჩესლავ მიხაილის ძე (1890–1986) – რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1939–1949, 1953–1956) – 683, 738, 769, 771
მონასელიძე დავით – 1906 წელს იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) და ეკატერინე სვანიძის ჯვრისწერის მოწმე – 135

მონასელიძე მათე – დეკანოზი – 64, 86, 135, 158, 163, 448, 458, 482
მონასელიძე სიმონ (სიკო) – სიონის მთავარდიაკონი, შემდეგ დეკანოზი – 158, 166, 207, 304, 426, 454, 511, 579-580, 594
მონკჰაუს ალან – ინგლისელი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 789
მუსორგსკი მოდესტ პეტრეს ძე (1839–1881) – რუსი კომპოზიტორი – 590
მუსხელიშვილი ვახტანგ სოლომონის ძე (1879–1933) – ოფთალმოლოგი, პროფესორი, თვალის სნეულებათა კათედრის გამგე (1921–1933) – 794

ნაზარი (ლეჟავა ნესტორ ანდრიას ძე) (1870–1924) – საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი (1909), იოანე ნათლისმცემლის სავანის მოძღვარი და ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების კეთილმოწესე, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოს-მიტროპოლიტი (1918 წლიდან), დახვრიტეს – 7, 9-10, 16-17, 23, 25–27, 29, 33, 45, 49, 52, 54, 58-59, 75, 80, 81–83, 88, 99, 102, 117-118, 127–132, 138, 144, 154, 166, 171, 176-177, 181, 212-213, 222, 239, 249, 294, 296-297, 301, 303–308, 310-311, 318-319, 336, 342, 347-348, 351, 377, 381, 385, 393-394, 400, 402-403, 406, 408-409, 424, 431, 533, 587, 733
ნათაძე გრიგოლ იასონის ძე (1878–1951) – ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი – 696-997
ნათიძე ლაზარე – ბოდბის წმინდა ნინოს კარის ეკლესიის დეკანოზი – 304, 374, 412-413, 417, 774
ნათიძე ნიკოლოზ გიორგის ძე (მელანია) (1854–1924) – მწერალი, დეკანოზი – 88, 440, 451
ნალპანის კონსტანტინ – პედაგოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, თბილისის ეკლესიების გაყოფაზე რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის წევრი – 7
ნამორაძე ნიკოლოზ (1872–1924) – მღვდელმონაზონი, თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი, გელათის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი – 239, 382, 407
ნა-რი (ნიკა დიმიტრის ძე აგიაშვილი) (1903–1984) – მწერალი – 729
ნარიმანოვ ნარიმან ნაჯაფ-ოღლი (1871–1925) – საბჭოთა პარტიული და საზოგადო მოღვაწე, აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციის „ჰუმეტის“ (ენერგია) ერთ-ერთი დამაარსებელი – 322
ნატროშვილი ანტონ ივანეს ძე (1852–1930) – ისტორიკოსი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი – 9, 20, 103, 811
ნაცვლიშვილი (ნაცვალოვ) მიხეილ – დეკანოზი, საკათოლიკოსი საბჭოს კანცელარიის გამგე – 62-63, 86, 108-109, 114, 135, 422, 579-580, 589, 661, 663, 787
ნახუცაროვი დავით – სინოდის კანტორის მოხელი – 11, 108

ნესტორი (ყუბანეიშვილი) (1853–1938) – მოწამეთას წმინდა დავითისა და კონსტანტინეს (1909 წლიდან), შუამთის, ალავერდის თეთრი გიორგისა და გელათის მონასტრების არქიმანდრიტი; ბათუმ-შემოქმედის (1924), ჭყონდიდის (1926), ცაგერის (1928), წილკნის (1929) ეპისკოპოსი – 130, 134, 303, 382, 490, 541
ნიკიტინ ალექსანდრ პავლეს ძე (1864–1925) – მწერალი, მთარგმნელი – 55, 59
ნიკოლაძე გიორგი ნიკოს ძე (1888–1931) – მათემატიკოსი, მეტალურგი, ინჟინერი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სპორტსმენი – 701-702, 706
ნიკოლაძე იაკობ ივანეს ძე (1876–1951) – ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი – 87, 702
ნიკოლაძე ივლიანე – ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზი – 176-177
ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843–1928) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე – 81, 381, 537, 652, 713, 862
ნიჟარაძე დავით ოტიას ძე (?–1922) – ქუთაისის ქალაქისთავი, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი – 9, 37, 164
ნოგატირიევ ალექსეი გავრილის ძე – მღვდელი, ღვთისმეტყველების კანდიდატი – 27
ნოვიცკი – რსფსრ-ს განსახკომის წარმომადგენელი – 796
ნორდვოლ ჩარლზ – ინგლისელი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 789
ნუცუბიძე შალვა ისაკის ძე (1888–1969) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, სოციალ-ფედერალისტი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი (1920–1929) – 504, 625-626, 648, 697, 796

ოდიშელიძე ილია ზურაბის ძე (1865–1921) – გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მთავარსარდალი (1920-1921); დახვრიტეს – 61, 85
ოლეინიკ (ოლენიკ) – რუსი ინჟინერი-მექანიკოსი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790
ორახელაშვილი მამია (ივანე) დიმიტრის ძე (1881–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი, რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; დახვრიტეს – 68, 77, 92, 156, 170, 172, 196, 400, 405, 415, 427, 432-433, 410, 645, 647, 697, 700
ორბელიანი მამუკა (მაკარ) ივანეს ძე (1873–1924) – კაპიტანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თბილისის აბანოების მფლობელი – 430

ორეხოვ იოსებ სტეფანეს ძე – დეკანოზი, სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე, სასულიერო სემინარიის რექტორი, ვორონეჟის მიტროპოლიტი – 27, 342-343, 611
ორჯონიკიძე პავლე (პაპულია) კონსტანტინეს ძე (?–1937) – სერგო ორჯონიკიძის ძმა, დახვრიტეს – 764–766
ორჯონიკიძე სერგო (გრიგოლ) კონსტანტინეს ძე (1886–1937) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – 92, 267, 298, 327, 358, 405, 409-410, 540, 452, 655-656, 683, 706, 738, 765, 769
ოსეცკი ვლადიმირ – მეფისნაცვლის საბჭოს კანცელარიის საქმეთა მმართველი – 19, 40
ოქროპირიძე ილარიონ – დეკანოზი, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ძმა – 404, 425, 487, 506, 516, 523, 642, 659
ოქროპირიძე იროდიონ – დეკანოზი, საინგილოს ბლაღოჩინი – 21

პავლე (ლებედევ პეტრე ისაიას ძე) (1827–1892) – არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი (1882–1887) – 858–861
პავლე (ჯაფარიძე პახომ) (1888–1929) – არქიმანდრიტი, სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის თანაშემწე; წილკნის (1924–1928), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი (1928), შემდეგ ისევ წილკნის ეპისკოპოსი – 63, 67, 69, 79, 86, 87, 138-139, 168, 240, 329, 347, 361362, 380, 390, 403, 454, 474, 483, 490, 533, 539, 541, 587
პაპავა ბარნაბა – ინჟინერი, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ასოციაციის წევრი – 329, 332, 335-336
პაპიაშვილი – კათოლიკოსის გუნდის ლოტბარი – 225-226, 264, 279, 302, 354, 357, 527
პასტრიულინ ივან (1867–?) – თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი (1910–1917) – 59, 97
პატარაია შალვა – წერითი დამხმარე კოლექტივის გამგე – 684-685, 702
პაფნუტი – მღვდელმონაზონი, სემინარიის ინსპექტორი – 853
პეტრე (კონჭოშვილი დავითის ძე) (1836–1909) – ალავერდის ეპისკოპოსი (1899 წლიდან), საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი – 132, 239
პილსუდსკი იუზეფ (1867–1935) – პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაური (1918–1922), პრემიერ-მინისტრი (1926–1928, 1930), სამხედრო მინისტრი (1926–1935), პოლონეთის არმიის დამაარსებელი – 539, 636, 639, 650
პიმენ – არქიეპისკოპოსი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი – 7
პიროგოვ ნიკოლაი – რუსი მომღერალი – 590
პიროსი (ოქროპირიძე მათე იოანეს ძე) (1874–1922) – არქიმანდრიტი, კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი, სინოდის კანტორის წევრი (1909), დავითგარეჯას და შიო-მღვიმის მონასტრების წინამძღვარი, ალავერდის ეპისკოპოსი (1916 წლიდან) – 47, 54, 69, 90–92, 110, 113-114, 117, 123, 129-130, 135, 138-139, 144, 166, 210–212, 214, 223,

229–232, 234, 238-239, 281, 310, 318-319, 338, 348, 811
პიტირიმ (ოკნოვ პაველ ვასილის ძე) (1858–1920) – მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი (1914–1916) – 7–9, 14, 16-17, 21-22, 314
პლატონ (როჟდესტვენსკი პორფირი ფიოდორის ძე) (1866–1934) – საქართველოს ბოლო ეგზარქოსი (1915–1917) – 7–10, 12-13, 15–17, 19–25, 32-33, 36-37, 46-47, 59, 81, 88-89, 97, 99, 105, 110, 150, 190, 209, 282, 310, 313–320, 324-325, 330. 343, 352, 359, 371, 377, 381, 446, 451, 467, 575, 627, 678
პოლიევქტოვ მიხაილ ალექსანდრეს ძე (1872–1942) – ისტორიკოსი, პეტროგრადისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიის ხალხების ისტორიის წყაროების გამომცემელი – 696
პოლიტოვ კონსტანტინე ვასილის ძე – ბერძენი დეკანოზი – 301, 343, 505-506, 513
პოლიტოვ ნიკოლოზ ვასილის ძე – კონსტანტინეს ძმა – 505-506, 513
პოპოვ მ. გ. – სინოდის კანტორის პროკურორი – 8, 25, 52, 564, 733

ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე (1885–1938) – იურისტი; დახვრიტეს – 33, 265, 501-502
ჟორდანია თედო (თევდორე) დავითის ძე (1854–1919) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი; საეკლესიო-საარქეოლოგიო საბჭოს, საეკლესიო მუზეუმის მზრუნველი კომიტეტისა წევრი, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე – 96, 555
ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1868–1953) – პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ემიგრანტი 1921 წლიდან – 28, 62, 73-74, 77, 85, 88, 97, 102, 134, 160, 258, 265, 268, 280, 288, 312, 343, 451, 510, 646, 679, 813
ჟურული გიორგი დურმიშხანის ძე (1863–?) – ჟურნალისტი, 1917 წლის 9 სექტემბრის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანათავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძესა და სპირიდონ კედიასთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – 9, 35, 37, 49, 524
ჟღენტი ბესარიონ დავითის ძე (1903–1976) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფუტურისტ-ლეფელთა თეორეტიკოსი – 796
ჟღენტი თენგიზ გიორგის ძე (1887–1937) – სოციალ-დემოკრატი, შემდეგ ბოლშევიკი, სამხედრო კომისარი, 1921 წლის მარტში გიორგი მაზნიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ოსმალთა ჯარისგან ბათუმის გათავისუფლებაში, აჭარის რევკომის თავმჯდომარე (1921–1922) და საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (1925-1926), საქართველოს სსრ ცაკის მდივანი (1933); თავი მოიკლა – 796

რადიანი (შეწირული) შალვა დიმიტრის ძე (1904–1977) – კრიტიკოსი – 809
რაზმაძე ანდრია (1889–1929) – მათემატიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი – 255

რაზუმოვსკი გრიგორი – დეკანოზი – 27-28, 56, 200, 221-222
რამზინ ლეონიდ (1887–1948) – საბჭოთა ინჟინერ-თბოტექნიკოსი, სამრეწველო პარტიის (პრომპარტიის) შეთითხნილი საქმის გამო 1930 წელს დახვრეტა მიუსაჯეს, რომელიც ათწლიანი პატიმრობით შეუცვალეს; 1936 წელს გაათავისუფლეს; 1943 წელს სტალინის პრემია მიენიჭა – 665, 673–675
რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე (1859–1937) – პედაგოგი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (1906), საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრი; დახვრიტეს – 195, 381
რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე (1881–1930) – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე (1918), მოკლეს ბოლშევიკების დავალებით პარიზში – 79, 342, 676, 678–681
რატიშვილი ივანე გიორგის ძე (1862–1933) – პედაგოგი, ქველმოქმედი, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი – 57, 113, 129, 363, 492, 500, 514, 736
რაუშერ ულრიხ (1884–1930) – გერმანიის წარმომადგენელი საქართველოში (1920–1922) – 139
რიკოვ ალექსანდრ ივანის ძე (1881–1938) – საბჭოთა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1924–1930) – 540,550, 552, 586, 655, 664-665, 683
რედიგერ კოლია – ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) სიძე – 81, 99-100
რომანოვ კირილ ვლადიმირის ძე (1876–1938) – დიდი მთავარი, რუსეთის საიმპერატორო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი; 1924 წელს, ემიგრაციაში, თავი გამოაცხადა სრულიად რუსეთის იმპერატორ კირილ პირველად – 715
როსტომაშვილი ივანე პავლეს ძე (1852–1924) – პედაგოგი, ჟურნალისტი – 807
რუზველტ ფრანკლინ (1889–1945) – ამერიკის პრეზიდენტი (1933–1945) – 753, 774, 798
რუშთი ბეი ტევფიკ (1883–1939) – თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1925–1938) – 745
რცხილაძე ვასილ ილიას ძე (1860–1920) – პუბლიცისტი, პედაგოგი – 49

სადათიერაშვილი ბასილ – ქართველი კათოლიკე, ემიგრანტი – 567, 595, 608
სალია პლატონ – იოანე მარღიშვილის სიძე – 534, 539-540
სამადალაშვილი – თბილისის სიონის ტაძრის იპოდიაკონი – 315
სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848–1911) – ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მრეწველი, ქველმოქმედი, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი – 323
სახოკია თედო ტიმოთეს ძე (1868–1956) – მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი, პოლიტიკური მოღვაწე – 49, 54-55, 59, 73-74, 419–421, 736
სეფაშვილი – დიდუბის ეკლესიის მღვდელი – 805

სვანიძე ალექსანდრე სიმონის ძე (1886–1941) – ისტორიკოსი, რევოლუციონერი, ბოლშევიკი; საქართველოს სსრ განათლების, შემდეგ – ფინანსთა სახალხო კომისარი (1921); 1922 წლიდან მოსკოვში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე; სტალინის ცოლისძმა; დააპატიმრეს 1937 წელს, დახვრიტეს 1941 წელს – 68, 77, 135, 358, 405, 409, 415

სიმონი (ჭელიძე სპირიდონის ძე) (1875-1935) – ჭყონდიდის (1923), ურბნისის (1927) ეპისკოპოსი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი (1930–1935) – 604, 616, 662, 734

სიმონიშვილი კოტე – ქუთაისის პოლიცმეისტერი – 138, 662

სიმონოვ ალექსანდრ – თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი – 27, 165

სირაძე ტარას – წერითი დამხმარე კოლექტივის მდივანი – 684, 702

სიხარულიძე ნოე გლახუნას ძე (1885–1925) – მრეწველი, ქველმოქმედი, სასტუმრო „ნოეს“ მეპატრონე – 411-412

სლიუნინ იოან (?–1938) – ალექსანდრე ნეველის ტაძრის დეკანოზი, თბილისის ეკლესიების გაყოფის თაობაზე რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის წევრი; ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში რუსეთის მართლმადიდებლი ეკლესიის მღვდელი – 28, 209

სლოვინსკი ალექსანდრ ივანის ძე – კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი, ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის დირექტორი გორში – 70, 317-318

სმირნოვ – ალექსანდრე ნეველის ტაძრის დეკანოზი – 8, 318, 594, 642, 659

სოკოლოვ ვასილი – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790

სოსელია ვლადიმერ – კორნელი კეკელიძის სტუდენტი, ქართულის ენის მასწავლებელი ქალთა ტექნიკუმში – 377–379

სოფრონი (თაკლაძე სოფრომ) (1935–1918) – მარტვილის მონასტრის იღუმენი – 409

სტალინი (ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონის ძე) (1878–1953) – სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი (1922–1953) – 540, 548, 550–552, 557, 565–567, 599, 613, 618–620, 640, 655-656, 664, 683, 705-706, 738, 764, 769, 771-772

სტეფანე (კარბელაშვილი ვასილ გრიგოლის ძე) (1858–1936) – თბილისის სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებელი, საგალობლების გამომცემელი (1898); ბოდბის (1925–1928) და ალავერდის (1928–1930) ეპისკოპოსი – 19, 73, 282, 305-306, 347, 385, 444, 447, 449, 458, 480, 483, 501, 662, 681

სტოლიპინ პეტრ არკადის ძე (1862–1911) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე; სხვადასხვა დროს შინაგან საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი – 467, 536, 676

სულაქველიძე კონსტანტინე (კოწია) ამბაკოს ძე (1880-?) – პედაგოგი, მათემატიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ქუთაისის გუბერნიის კომისარი (1919); 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა; სპეციალური დავალებით საქართველოში არალეგ-

ალურად დაბრუნდებული დააპატიმრეს (1925). ოფიციალურად „მოინანია“ პრესაში ამავე წლის სექტემბერში – 648
სუხიაშვილი მარო – ოპერის მომღერალი – 590
სუხიშვილი ვლადიმერ (ლადო) პავლეს ძე (1888–1938) – ბოლშევიკი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი (1928–1931), საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე (1931); დააპატიმრეს 1937 წელს, დახვრიტეს 1938 წელს – 624, 701
სუხორუჩკინ – რუსი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 790

ტაბიძე გალაკტიონ (1891–1959) – პოეტი – 137, 808-809
ტარასი (კანდელაკი გიორგი იაკობის ძე) (1871–1951) – ფოლკლორისტი, არქიმანდრიტი, რომელიც კირიონის სიკვდილის დროს მარტყოფის მონასტერში იყო; წილკნის და ურბნისის ეპისკოპოსი (1939) – 56, 90, 604-605
ტარდიე ანდრე (1876–1945) – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი (1929–1930) – 538, 745
ტარიელაშვილი აბრაამ – დეკანოზი – 179
ტატიშვილი იაკობ – თბილისის წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზი – 34, 352, 447, 449, 483
ტელმან ერნსტ (1886–1944) – გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე (1925–1933); 1933 წელს დაიჭირეს, 1944 წელს ჰიტლერის ბრძანებით დახვრიტეს – 741, 782, 784
ტერ-ავეტისიან – ქალთა ტექნიკუმში სომხეთის ისტორიის მასწავლებელი – 257
ტიხვინსკი – თბილისის ეკლესიების გაყოფაზე რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის წევრი (1917) – 27
ტომსკი (ეფრემოვ) მიხაილ პავლეს ძე (1880–1936) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე, პოლიტბიუროს წევრი, 1936 წელს თავი მოიკლა – 540, 551-552, 586, 655, 664-665, 683
ტორგლერ ერნსტ (1893–1963) – გერმანელი პოლიტიკოსი, კომუნისტი, დადანაშაულებული რაიხსტაგის დაწვაში (1933), შემდეგ თანამშრომობდა ნაცისტებთან – 784
ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე (1880–1937) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, პარტიული მოღვაწე, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი (1922); თბილისის უნივერსიტეტის რექტორი (1928–1930), საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1931–1935), განათლების სახალხო კომისარი (1936); დააპატიმრეს 1936 წელს, დახვრიტეს – 808
ტორტონ ლესლი – ინგლისელი ინჟინერი, დაპატიმრებული ინგლისელი და საბჭოთა ინჟინრების საბოტაჟის საქმეზე (1933) – 789, 795
ტყემალაძე მარკოზ პავლეს ძე (1859–1937) – დეკანოზი, ქაშუეთის წინამძღვარი,

თბილისის სიონის ტაძრის წინამძღვარი, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი – 8, 12, 16-17, 19, 25, 33–36, 49, 54–56, 62, 65, 69, 79, 81, 87, 88, 90-91, 97, 123, 129, 132, 145, 148, 150, 158–160, 163, 176-177, 205, 207–209, 211, 224-225, 227-228, 230-231, 233-234, 241-242, 247, 249, 263-264, 271, 274, 286-287, 292, 297, 302–306, 308, 310, 314–318, 326, 342, 355, 362-363, 365-366, 369, 384, 388, 390, 393, 404, 426-427, 430, 437, 439, 447, 449, 454, 492, 526-527, 577, 580, 594, 610, 719, 747, 787, 804-805

უგულოვ – ნავთლუღის კომისარი – 403
უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე (1886–1950) – ფსიქოლოგი, პედაგოგი, ფსიქოლოგიიის ქართული სკოლის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, სოციალ-ფედერალისტი, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის“ ერთ-ერთი ხელმომწერი – 696
ულრიხ – დირიჟორი – 638
უნაფქოშვილი ალექსანდრე – თბილისის სამების ტაძრის მთავარდიაკონი, შემდეგ სოფელ მამკოდის ეკლესიის მღვდელი – 335-336
უსტიაშვილი სოლომონ – თბილისის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელი – 454-455, 390
უჩანეიშვილი – პროტოდიაკონი – 206-207

ფალიაშვილი – მიხეილის საავადმყოფოს მღვდელი – 346
ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე (1871–1933) – კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი – 484, 638
ფალიაშვილი ივანე პეტრეს ძე (1868–1934) – დირიჟორი, ქართული სადირიჟორო ხელოვნების ფუძემდებელი – 590
ფეოფილაქტე (თეოფილაქტე – ფიოდორ გავრილის ძე რუსანოვ) (1765–1821) – მიტროპოლიტი, საქართველოს ეგზარქოსი (1817–1821) – 505
ფონ პაპენ ფრანც (1879–1969) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, გერმანიის რაიხსკანცლერი (1932), ვიცე-კანცლერი (1933-1934) – 749, 771–773
ფორაქაშვილი – 1922 წლის 2 აგვისტოს თბილისის სამღვდელოების კრების საერო დამსწრე – 344, 605
ფოფხაძე ამბროსი – ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი – 175–178, 381-382
ფოცხვერაშვილი კოტე (კონსტანტინე) გიორგის ძე (1880–1959) – კომპოზიტორი, დირიჟორი, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის (1918–1921) ავტორი – 35-36, 39–41, 225, 321, 357
ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე (1867–1924) – გენერალი, ბათუმის ციხესიმაგრის კომენდანტი, სოციალ-ფედერალისტი; დახვრიტეს ბათუმში – 72

ფხალაძე ერასტი – ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი – 133, 158, 179-180
ფხალაძე სიმონ – დიდუბის ტაძრის მღვდელი – 34, 122, 165

ქადეიშვილი – აკაკი ხოშტარიას მოურავი – 323
ქავთარაძე სერგო ივანეს ძე (1885–1971) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილი (1921), სახკომსაბჭოს თავმჯდომარე (1922), საბჭოთა საელჩოს მთავარი მრჩეველი თურქეთში (1923–1924), სსრკ უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის მოადგილე (1924–1927); 1927 წელს ტროცკიზმის ბრალდებით გარიცხეს პარტიიდან; 1940 წელს აღადგინეს; სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოდგილე (1940–1945) – 68, 172, 305, 308, 322, 405, 409-410, 415, 427, 452
ქავთარაძე ქაიხოსრო იასონის ძე (1872–1939) – პუბლიცისტი, სოციალ-ფედერალისტი – 491, 494
ქავჟარაძე – კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმის გამომძიებელი – 326
ქავჟარაძე იოანე (ივანე) – ხარფუხის ეკლესიის დეკანოზი, საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის მდივანი – 41, 300, 304, 326, 349, 439, 518–520, 524
ქართველიშვილი – ადვოკატი, ნიკიტა თალაქვაძის მედიატორი – 82
ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე (1885–1952) – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ემიგრანტი 1922 წლიდან – 567, 568, 572-573, 586-587, 595, 608
ქარცივაძე ნიკოლოზ (კოლია) იოთამის ძე (1883–1937) – იურისტი, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დემოკრატიული კომიტეტის (დამკომის) წევრი – 49
ქვარიანი სიმონ ალექსის ძე (1868–1945) – მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი – 49
ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ მიხეილის ძე) (1884-1963) – მწერალი – 421
ქიქოძე გერონტი (1886–1960) – კრიტიკოსი, მთარგმნელი – 310
ქიქოძე დიმიტრი – დეკანოზი – 96
ქრისტეფორე III (ციცქიშვილი ქრისტეფორე მურმანის ძე) (1873–1932) – ურბნისის ეპისკოპოსი (1922), ცხუმ-აფხაზეტის მიტროპოლიტი (1925–1927), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1927–1932) – 23–26, 33, 35, 40, 43-44, 82, 98, 128-129, 135, 141, 148–152, 158, 164-165, 168, 172, 176, 179–182, 184–189, 191-192, 198–203, 205-206, 209–214, 220–224, 227, 232, 234, 237, 239, 259-260, 263, 266, 272–274, 280–282, 303-304, 310, 331, 338–341, 348, 350, 368, 374, 376–378, 381–383, 401, 423, 426, 451, 499, 563, 589, 677, 680, 732-733, 736, 747, 776-777, 845–847
ქუმსიაშვილი ნიკო (ნიკოლოზ) (1892–1942) – მომღერალი, დრამატული ტენორი – 638
ქურდაძე – ახალციხელი მღვდელი – 335

ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე (1872–1951) – ექიმი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი, ემიგრანტი, პარიზის ქართული სათვისტომოს მეორე თავმჯდომარე – 120, 701
ღამბაშიძე შალვა (1899–1955) – რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი – 796
ღვთისავარიშვილი კირილე (1861–1931) – დეკანოზი, ზემო მაჩხაანის წმინდა **გიორგის ეკლესიის წინამძღვარი** (1893–1917) – 234
ღვინეფაძე – კომუნისტი, საბინაო განყოფილების მოხელე – 422, 432
ღვინიაშვილი იოსებ გაბრიელის ძე – იურისტი, ვექილი, დამცველთა კოლეგიის წევრი (1930) – 560
ღლონტი თევდორე (თედო) ზურაბის ძე (1888–1937) – მემარცხენე სოციალ-ფედერალისტი (1921), შემდეგ კომპარტიის წევრი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1926–1928), დახვრიტეს – 65, 282
ღლონტი იონა – სოფელ დვაბზუს წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი – 307
ღოღობერიძე ლევან დავითის ძე (1896–1937) – ბოლშევიკი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი; დახვრიტეს – 585, 645, 647, 655, 664

ყანდარელი ნიკოლოზ – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დიაკონი – 173, 179-180, 244
ყანჩელი სანდრო (ალექსანდრე) ივანეს ძე (1881–1948) – მწერალი, მთარგმნელი – 103
ყაუხჩიშვილი სიმონ გიორგის ძე (1895–1981) – ისტორიკოსი, პედაგოგი, ბიზანტოლოგიის სკოლის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი – 696
ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814–1887) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური – 420-421, 537, 859–861
ყიფიანი კოტე (კონსტანტინე) დიმიტრის ძე (1849–1921) – მსახიობი, ქართული განახლებული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი – 89
ყიფშიძე ალექსანდრე თევდორეს ძე (ფრონელი) (1862–1816) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი – 450
ყიფშიძე გიგო (გრიგოლ) თევდორეს ძე (1858–1921) – პუბლიცისტი, სტილისტი, „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი – 24

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე (1887–1987) – ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი – 184, 696-697
შანშიაშვილი სანდრო (ალექსანდრე) ილიას ძე (1888–1979) – მწერალი, დრამატურგი – 637

შარვაშიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე (1854–1932) – ოფიცერი, სოხუმის ქალაქისთავი (1917–1918) – 371
შარვაშიძე დიმიტრი გიორგის ძე (1880–1937) – იურისტი – 371
შენგელაია დემნა კონსტანტინეს ძე (1896–1980) – მწერალი – 421
შოშიაშვილი სოლომონ (1851–1928) – თბილისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი – 31, 108, 152, 184, 191, 199
შუბლაძე ილია – მღვდელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის გამგე – 34, 56, 82, 98, 107, 110, 124, 141, 144, 150–152, 158, 161, 176, 182, 188, 199-200, 205–207, 213, 218, 221-222, 224, 227, 231, 233, 241, 243-244, 247–249, 252, 259, 263, 266, 271, 274-275, 278, 287, 300, 304, 310, 324–326, 330, 345-346, 349-350, 352, 361-362, 366–369, 374–378, 403-404, 413, 416–419, 423-424, 426-427, 431, 435, 437, 439, 441, 445-446, 448-449, 451, 456, 479, 489, 496-497, 501, 518–520, 524, 526, 561, 563-564, 589, 607, 677, 680, 732-733, 846
შუშანია ონოფრე (1887–1959) – პედაგოგი, ლიტერატორი; წმინდა ბერ-მონაზონ ალექსი შუშანიას ბიძაშვილი – 503, 513

ჩაჩანიძე ლეონტი გრიგოლის ძე – გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიის მდივანი – 96, 488
ჩაჩიბაია კონდრატი – დეკანოზი – 489
ჩიკვაიძე დავით – თბილისის ანჩისხატის მღვდელი – 15, 102, 141, 191, 392
ჩიკვაიძე კალისტრატე ნიკოლოზის ძე – ვექილი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (1890), სოციალ-დემოკრატი – 131
ჩიკვაიძე მიხეილ დიმიტრის ძე – მღვდელი ბათუმში – 7
ჩიქვანია (ჩიქვანაია) თომა – თბილისის სიონის ტაძრის მედავითნე – 735-736, 594, 661
ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს ძე (1898–1985) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი, პროფესორი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის ფუძემდებელი – 696
ჩიქოვანი – გენერალი, ამბროსი ხელაიას კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების კომიტეტის წევრი (1921) – 137
ჩიქოვანი – მღვდელი – 212
ჩიქოვანი დავით – ნაციონალ-დემოკრატი სახალხო კომისრის, ალექსანდრე გეგეჭკორის, კანცელარიის მმართველი – 113, 115-116, 409, 432, 491
ჩიჯავაძე იოსებ – ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესიის დეკანოზი, ავტოკეფალისტი – 23-24, 47, 90, 112, 149, 158, 182–186, 188, 199, 201, 203, 209, 239, 269, 274, 282, 299–301, 349-350, 352, 376, 384-385, 403-404, 424-425, 445–450, 456–458, 470, 483–487, 489-490, 492, 495–497, 500–506, 519, 523-524, 536
ჩიჯავაძე მიტო (დიმიტრი) – იოსების ძმა, ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესიის სამრევლო საბჭოს წევრი – 300

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) (1888–1930) – სამხედრო მოღვაწე, იბრძოდა I მსოფლიო ომში, პოლკოვნიკი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის მეთაური – 256, 284, 359, 373, 443
ჩუბინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (1885–1973) – ხელოვნების ისტორიკოსი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი (1922–1928) – 696
ჩუკურაშვილი ისააკ – თბილისის სიონის ტაძრის მღვდელი – 165, 222
ჩხაიძე ეპიფანე – დეკანოზი, ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიის ბლაღოჩინი, მასწავლებელი – 118, 123
ჩხეიძე კარლო (ნიკოლოზ) სიმონის ძე (1864–1926) – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი – 170, 236, 652, 676
ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე (1874–1959) – იურისტი, პუბლიცისტი, სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, დროებითი მთავრობის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრების წევრი (1917-1918); ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918–1921), საქართველოს დესპანი საფრანგეთში. 1921 წლიდან ემიგრანტი – 25, 28-29, 37, 43, 49, 139, 169, 236, 384, 405, 652-653
ჩხიკვიშვილი ბენიამინ (ბენია) გრიგოლის ძე (1879–1924) – რევოლუციონერი, „გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტი“ (1905), სოციალ-დემოკრატი, თბილისის ქალაქისთავი (1918–1921), 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, 1924 წელს დაბრუნდა არალეგალურად, დააპატიმრეს და დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების პირველ დღეებში – 79

ცაგარეიშვილი გაბრიელ – ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი, რეალური სასწავლებლის საღმთო რჯულის მოძღვარი, იმერეთის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე – 8, 130, 197, 318, 431
ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე (1844–1929) – ფილოლოგი, ენათმეცნიერი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი, ისტორიკოსი – 406, 450, 467, 484, 535–537
ცაგურია – მომღერალი – 796
ცერცვაძე ნესტორ ნიკოლოზის ძე – კომუნისტი, სრულიად საქართველოს საბჭოთა I ყრილობის დეპუტატი – 63
ცინცაძე იაკობ თომას ძე (ია ეკალაძე) (1872–1933) – მწერალი – 106, 271, 272, 471, 579
ცინცაძე კოტე მაქსიმეს ძე (1887–1930) – ბოლშევიკი, ექსპროპრიატორი, საქართველოს ჩეკას პირველი თავმჯდომარე; 1927 წელს ნაციონალ-უკლონიზმის ბრალდებით პარტიიდან გარიცხეს, 1928 წელს დაიჭირეს და გადაასახლეს. გარდაიცვალა ყირიმში, გადასახლებაში – 156, 274-275, 298, 321, 326, 442

ცინცაძე ნესტორ – ამბროსი ხელაიას კათოლიკოს-პატრიაქად აღსაყდრების კომიტეტის წევრი (1921) – 137
ციხისთაშვილი არჩილ – ეპისკოპოს პიროსის (ოქროპირიძე) დამკრძალავი კომიტეტის თავმჯდომარე – 239
ცქიტიშვილი ივანე (იოანე) (?–1940) – საქარის ეკლესიის მღვდელი (1891–1894); ბანოკის ტაძრის მღვდელი (1894–1917), შემდეგ თბილისის კალოუბნის ტაძრის დეკანოზი – 240, 247, 775, 793
ცქიტიშვილი პლატონ (1875–1960) – დეკანოზი, ქუთაისის მთავარხუცესი – 177, 222, 294–297, 305, 308, 533, 587
ცხაკაია მიხა (მიხეილ) გრიგოლის ძე (1865–1950) – სოციალისტური მოძრაობის წევრი, რევოლუციონერი, ბოლშევიკი; საქართველოს ცაკის თავმჯდომარე (1923–1930) – 554, 613–616, 655, 700-701
ცხვედაძე ნიკო (ნიკოლოზ) ზებედეს ძე (1845–1911) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქართული სკოლების გახსნის ინიციატორი – 190

ძეგველიშვილი – თევზის მრეწველი, მაღაზიების მფლობელი თბილისსა და ქუთაისში – 58, 614, 669
ძიძიშვილი ნოე – სინოდის კანტორის მოხელე, სემინარიის შენობის მოიჯარადრე – 58

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840–1915) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე – 13, 535, 537, 691, 713, 803, 862-863
წერეთელი ალექსანდრე იოსების ძე (1889–1967) – ისტორიკოსი, პედაგოგი, პროფესორი – 71, 697
წერეთელი გრიგოლ ფილიმონის ძე (1870–1938) – ფილოლოგი, მეცნიერი, პროფესორი, ელინისტი, პაპიროლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამაარსებელი, დახვრიტეს – 626, 696
წერეთელი ირაკლი (კაკი) გიორგის ძე (1881–1959) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის და შინაგან საქმეთა მინისტრი (1917), მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის წევრი; ემიგრანტი 1921 წლიდან – 88, 236
წუწუნავა ალექსანდრე რაჟდენის ძე (1881–1955) – რეჟისორი, სცენარისტი, ქართული საოპერო რეჟისურისა და მხატვრული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი, გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი „ქრისტინე“ (1916) – 637

ჭავჭავაძე დ. – 79
ჭანტურია (ჭანტურაია) კლიმენტი – ფოთის საკათედროს ტაძრის დეკანოზი – 139, 550, 580
ჭანუყვაძე პარმენ – მეფის არმიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერი (1921–1924), გურიის ანტისაბჭოთა შეიარაღებული პარტიზანული რაზმის წევრი (1921–1924), 1924 წლის აჯანყების შემდეგ ემიგრანტი – 680-681
ჭეიშვილი იოსებ – ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი – 186, 304, 324, 408
ჭელიძე გიორგი – მღვდელი დუშეთში – 168, 442-443
ჭიჭინაძე ზაქარია ეგნატეს ძე (1854–1931) – ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი, გამომცემელი – 250–252, 265-266, 272, 287-288, 292-293, 406, 432, 464, 728-729, 796, 803, 806–808
ჭკადუა ანასტასია – მასწავლებელი – 501
ჭონქაძე დანიელ გიორგის ძე (1830–1860) – მწერალი, სასულიერო ლიტერატურის ოსურ ენაზე მთარგმნელი, რუსულ-ოსური ლექსიკონის შემდგენელი – 270, 389, 398, 400, 420, 452, 454, 460–462, 464–466, 470-471, 473, 478-479, 728
ჭოღოშვილი ევგენი – მათემატიკოსი, ქალთა გიმნაზიის დირექტორი – 71, 221, 332, 392
ჭუმბაძე არისტო მაქსიმეს ძე (1880–1971) – მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, ფედერალისტი – 528

ხარლამოვ ვასილ (1875–1957) – კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (კადეტების) წევრი, „ოზაკომის“ (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის) თავმჯდომარე – 32
ხახიშვილი ვასილ – მღვდელი, დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი – 329–331
ხახუტაშვილი დიმიტრი (1855–1937) – დეკანოზი, სინოდის წევრი, მესხეთ-ჯავახეთის ეკლესიების განმაახლებელი – 149, 174, 183, 185, 211, 218, 227, 247, 260, 264, 273, 354, 384-385, 403, 413, 415-416, 432, 435, 444, 447, 449, 454, 456, 478, 481, 483, 489, 501, 515, 519, 523-524, 526, 549, 579, 594, 658, 661, 663, 641, 720-721, 777, 793
ხმალაძე სიმონ ადამის ძე (?–1937) – თბილისის მილიციის უფროსი, დახვრიტეს – 624
ხოშტარია აკაკი მეთოდეს ძე (1887–1932) – მეწარმე, მეცენატი, ამიერკავკასიისა და მცირე აზიის სახელმწიფოებში მსხვილი კაპიტალდაბანდებების მფლობელი – 233, 323, 330, 580, 713
ხუნდაძე გაბრიელ (გაბო) – სოციალისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანში (1918–1921) – 62
ხუნდაძე სილიბისტრო – მღვდელი სამტრედიაში – 31

ხუნწარია თომა – საბინაო კომიტეტის მოხელე (კომენდანტი) – 575
ხუტულაშვილი ვალოდია (მიშა) (1883–1936) – ბოლშევიკი, რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. კამოს (სიმონ ტერ-პეტროსიანის) დის, ჯავაირას, მეუღლე; საქართველოს სსრ განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილის (ЧОН) უფროსი (1921 წლიდან). ტროცკისტობის ბრალდებით გადაასახლეს 1927 წელს – 321
ხუციაძე ანდრონიკე ქრისტესიას ძე – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის მნათე – 57-58, 244, 592, 596, 694
ხუციან ხორენ – ტერტერა – 139, 175, 293-294
ხუციშვილი (ხუციევ) პავლე – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი – 191, 432, 435, 441, 694
ხუციშვილი (ხუციევ) ხარლამპ – მღვდელი – 112-113, 184, 454

ჯავაშვილი მიხეილ – მღვდელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მეტეხის ციხეში საკვირაო სკოლის გახსნის ინიციატორი – 234, 447, 449, 458, 483
ჯავახია კირილე იესეს ძე (1871–1945) – ძველი სენაკისა და ნოქალაქევის მღვდელი, პედაგოგი, მწერალი – 367, 375, 445, 447, 456–458, 483, 488, 492, 497, 500, 502–504, 513
ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (1876–1940) – ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი – 184, 255, 584, 626, 648, 683, 696-697
ჯაველიძე გერასიმე – მღვდელი ფოთში – 579, 779
ჯაველიძე ერმილო – მრვდელი ასკანაში – 558
ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე (1900–1947) – ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი – 696
ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის ძე (1888–1975) – გეოლოგი, საქართველოს გეოლოგიის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი – 626, 648, 696
ჯაოშვილი ეპიფანე – დეკანოზი, თბილისი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის წინამძღვარი – 239
ჯაფარიძე ვარო (1886–1952) – ალექსანდრე (ალეშა) ჯაფარიძის მეუღლე, ბოლშევიკი, განსახკომის თავმჯდომარის მოადგილე – 701
ჯაფარიძე ტრიფონ იასონის ძე – მეცნიერი, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი დირექტორი, ქუთაისის ეპარქიის საეკლესიო რეფორმების საინიციატივო კომიტეტის წევრი – 48, 134, 177
ჯემალ ფაშა ახმედ (1872–1922) – თურქი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრი, მოკლეს თბილისში 25 ივლისს სომხების საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა – 334

ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე (1859–1921) – საქართველოს სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მენშევიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი; დააპატიმრეს 1921 წელს; გარდაიცვალა გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში – 88, 152, 195-196, 210, 267-268, 270, 343, 351, 858-859, 866
ჯიოევი (ჯიოშვილი) ქრისტეფორე – დეკანოზი – 7, 318, 330
ჯიქია ვლადიმერ გაბრიელის ძე (1893–1937) – ინჟინერი, ჰიდროენერგეტიკოსი; 1913 წლიდან რსდმპ-ის წევრი, პირველი საბჭოთა სამხედრო ჟურნალის „კრასნი კომანდირ“ რედაქტორი, საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარი, პეტროგრადის ოლქის სამხედრო სასწავლებლის კომისარი; დახვრიტეს – 358
ჯიქია თომა – ნიკიტა თალაქვაძის სამრევლოს წევრი – 432
ჯოხთაბერიძე ტროფიმე – დეკანოზი სამეგრელოსა და აფხაზეთში, სოხუმის მაზრის სკოლების ზედამხედველი – 139, 370
ჯუღელი ვალიკო ანთიმოზის ძე (1887–1924) – რევოლუციონერი, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდალი; 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, დაბრუნდა არალეგალურად 1924 წლის დასაწყისში, დახვრიტეს – 61

ჰინდენბურგ პაულ ფონ (1847–1934) – გერმანელი მხედართმთავარი, გენერალ-ფელდმარშალი, რაიხსპრეზიდენტი (1925–1934) – 741, 753, 771
ჰიტლერ ადოლფ (1889–1945) – ნაციონალისტურ-სოციალისტური გერმანიის რაიხსკანცლერი და ფიურერი (1933–1945) – 771–773, 782–784, 797, 801
ჰუგენბერგ ალფრედ (1865–1951) – გერმანელი კაპიტალისტი, მედიამაგნატი, ეროვნული სახალხო პარტიის თანადამაარსებელი, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქციის მინისტრი ჰიტლერის მთავრობაში, რაიხსტაგის წევრი 1945 წლამდე – 801

სარჩევი

ლაშა ბაქრაძე – წინასიტყვაობა 5

1916 წ. პლატონ ექსარხოსის დროიდგან 7
მარკოზიადა! 12

1917 წელი

11 აპრილი – სამშაბათი 19
12 აპრილი – ოთხშაბათი 19
15 აპრილი – შაბათი 21
17 აპრილი – ორშაბათი 21
პირველი მაისობა 23
21 აპრილი – პარასკევი 24
22 აპრილი – შაბათი 24
23 აპრილი – კვირა 25
24 აპრილი – ორშაბათი 25
28 აპრილი – პარასკევი 26
29 აპრილი – შაბათი 26
1-ლი მაისი ძვ. სტილით, ორშაბათი, წმ. „თამარობა“ 27
2 მაისი – სამშაბათი 27
3 მაისი – ოთხშაბათი 28
5 მაისი – პარასკევი 29
6 მაისი – შაბათი 29
13 მაისი – შაბათი 30
15 მაისი – ორშაბათი 30
16 მაისი – სამშაბათი 31
17 მაისი – ოთხშაბათი 32
18 მაისი – ხუთშაბათი 32
19 მაისი – პარასკევი 32
21 მაისი – კვირა 32
22 მაისი – ორშაბათი 33
23 მაისი – სამშაბათი 33
24 მაისი – ოთხშაბათი 34
26 მაისი – პარასკევი 35
27 მაისი – შაბათი 36
28 მაისი – კვირა 36
29 მაისი – ორშაბათი 37

30 მაისი – სამშაბათი 37
ბოდბეზე 38
31 მაისი – ოთხშაბათი 39
1 ივნისი – ხუთშაბათი 39
2 ივნისი – პარასკევი....39
4 ივნისი – კვირა 40
5 ივნისი – ორშაბათი 41
8 ივნისი – ხუთშაბათი 42
11 ივნისი – კვირა....43
2 ივლისი – კვირა. „ახალი ქართული ბანკის კურთხევა“ 44
4 ივლისი – სამშაბათი 44
13 აგვისტო – კვირა 47
15 აგვისტო – სამშაბათი. „სიონობა“ – მიძინება 48
16 აგვისტო – ოთხშაბათი. „ანჩისხატობა“....48
23 აგვისტო – ოთხშაბათი 48
25 აგვისტო – პარასკევი 49
26 აგვისტო – შაბათი 49
27 აგვისტო – კვირა 50
8 სეკტემბერი – პარასკევი. 1917 წელი 50
9 სეკტემბერი – შაბათი 50
17 სეკტემბერი – კვირა 50
საკათ. საბჭოს წევრების არჩევნები 52
20 სეკტემბერი – ოთხშაბათი 52
1 ოქტომბერი – კვირა. „მცხეთობა“....54
19 ოქტომბერი – ხუთშაბათი 54
23 ოქტომბერი – ორშაბათი 55
25 ოქტომბერი – ოთხშაბათი....56
19 ნოემბერი – 1917 წელი – კვირა 56
3 დეკემბერი – კვირა....57
5 დეკემბერი – სამშაბათი 58
7 დეკემბერი – ხუთშაბათი. შეტაკება საკათ. საბჭოში
პეტრე ბარათაშვილთან....58
10 დეკემბერი – კვირა....59
12 დეკემბერი – სამშაბათი....59

1921 წელი – გასაბჭოება საქართველოსი

შენიშვნები....61
9 მარტი – ოთხშაბათი – 1921 წელი. მეომარ-დახოცილ იუნკერთა 33 კუბოს

დასაფლავება 65
საქ. გასაბჭოება 66
წითელ-არმიის შემოსვლა ქალაქში 67
კათალიკოს ლეონიდის ქალაქიდან გასვლა 67
25 თებერვალი – 1921 წელი 67
გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“. სამშაბათი, მარტის 22, №18 – 1921 წელი ...68
დეპეშა ბათომიდან 68
გაზეთი „სოც-ფედერალისტი“. კვირა – 27 მარტი, №23 – 1921 წელი 70
წარწერები ამ გაზეთის არშიებზე 70
უკანასკნელი ნომერი – №58 – მენშევიკურ გაზეთ „ერთობისა“ 18 მარტი,
პარასკევი – 1921 წლისა, გამოცემული ქ. ბათომში 72
მინაწერი „ჟამნის“ ბოლო – თავისუფალ ფურცლებზე:
რუსეთის რევოლიუციაზე 73
საქ. ეკლესიის განთავისუფლებაზე 73
საეკლესიო კრება 74
საქართველოს დამოუკიდებლობა. 1918 წელი, 26 მაისი 75
ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან 76
კათალიკოზ ლეონიდის დაბრუნება ტფილისში. „ჟამნის“ წარწერიდან 78
კათალიკოსი ლეონიდი და ჩემი მასთან შეხვედრა 78
1921 წელი. კათოლიკოზ ლეონიდის გარდაცვალებისა გამო (სახსოვარი) 80
32 კუბო – 9/III. 1921 წ. 91
ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში 95
დიდუბეში გადმოსვლა 1903-ში ფოთიდან; დიდუბიდან ანჩის-ხატში
გადაგდება 1912 წელს 96
კირიონის სიკვდილი; ქუთათელის დაღუპვა 99
ინგლისის ჯარის სარდლობასთან 100
ქონების დატაცება 101
ტფ. სას. სემინარიის ლიკვიდაცია 102
ტფ. სას. სასწავლებელი 103
ჩემი „გასამართლება“ 103
დავიდოვის „საიდუმლო ოთახი“ და საქმენი საგმირონი 106
დეკ. მ. ნაცვალოვზე და ი. მირიანოვზე 108
„თამარობა“ დიდ-უბეში 109
მეორე საეკლესიო კრება და მღ. ტიმოთე ბაკურაძე 109
მირიან ბერის დაღუპვა; ბაკურაძის დაღუპვა 110
ტიმოთეს წინადადება ჩემდამი და ინციდენტი ჩემს ოჯახში 111
ტიმოთეს დასაფლავება 112
მეორე საეკლესიო კრებისათვის მზადება 113
„მზადება“ – პროექტები კრებისთვის 114

„დიდი საბჭო“ 114
ჩემზედაც ნადირობენ 115
კრების გახსნა 117
იერარქთა ულტიმატუმი საეკლესიო კრებას 119
კრება-მიტინგი 121
ჩემი „საქმე“ კომისიაში 121
საკათ. საბჭოს „არჩევნები“....122
კათ. ლეონიდი და მე 124
საეპარქიო კრება – 1921 წ. 1 ივლისს....126
მესამე საეკლესიო კრება გელათში 1921 წ. სექტემბერში 127
ახალი კათალიკოზი 136
ამბროსის კათოლიკოზად აღყვანა 137
ახალი ჯამაგირები 145
„უჩენაია მუხა“....152
1921 წლის 7 ნოემბერი – „კომუნიზმის ხელისუფლების მეოთხე წლის თავი“.....155
8 ნოემბერი (ახ. სტ.) სამშაბათი 159
9 ნოემბერი 163
დეკ. კ. ცინცაძესთან გამობაასება! 163
მცხეთობიდან ერთი ეპიზოდი 166
18 ნოემბერი 167
„კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია“ 168
26 ნოემბერი. შაბათი 170
27 ნოემბერი – კვირა (ძველი სტ. 14 ნოემბერი. აღების ღამე) 173
29 ნოემბერი (სამშაბათი) 174
კათოლიკოზ ამბროსის ნაამბობი ჩემს ოჯახში დარბაზობის დროს
და დეკ. ამბროსი ფოფხაძის ამბავი 175
დეკ. მელიტონ კელენჯერიძის ოინები ჩემ შესახებ 178
5 დეკემბერი (ორშაბათი) 179
მთავარ-ხუცესზე და ჩიჯავაძეზე 182
14 დეკემბერი 184
17 დეკემბერი (4 ძველი სტილით – „ბარბალობა“) 185
ისევ კათოლიკოზთან! 1921 წ. 187
„ნიკოლოზობა“ (19 დეკემბერს, 1921 წ. ახ. სტ.) 191

1922 წელი

1922 წელი 195
12 მარტი – კვირა (ძველი სტილით 27 თებერვალი)....197

ეკლესიურ სფეროებში....198
2 მარტს....209
18-19 მარტი ახ. სტ.....210
ისევ ციცქიშვილზე....211
ახალი ხარჯები საკათ. საბჭოში. 1922....215
26 მარტი, 1922 წ.....217
28 მარტი....219
ევგენი ჭოღოშვილის ნაამბობი....221
სიონის კანდელაკზე....222
აპრილის 16 ახ. სტ. აღდგომა ქრისტესი (3 აპრილი ძვ. სტ.). 1922 წ. 225
17 აპრილი....226
19 აპრილი....227
20 აპრილი....227
27 აპრილი – ხუთშაბათი....228
28 აპრილი – პარასკევი. ეპისკოპოს პიროს ალავერდელის გარდაცვალება...229
29 აპრილი....232
1 მაისი – 1922 წელი....235
4 მაისი – ხუთშაბათი....235
5 მაისი – პარასკევი. 1922....238
პირველ მაისობა თელავში 239
11 მაისი – ხუთშაბათი....240
„მემორანდუმი“ – მოწოდება.12 მაისი – პარასკევი....243
13 მაისი, შაბათი 243
14 მაისი (1 – ძვ. სტ.). თამარობა. კვირა....246
21 მაისი – კვირა....249
23 მაისი....252
24 მაისის გაფიცვა საქართველოში კომუნისტების საწინააღმდეგო
დემონსტრაციად 253
25 მაისი – ამაღლება 255
26 მაისი....255
პროვინციაში....256
სამღვდელოების ჯილდოებზე. 1922....258
2 ივნისი – პარასკევი....264
4 ივნისი! სულიწმინდის მოფენა – კვირა....265
11 ივნისი (ახ. სტ.) 1922 წელი. ქ. თბილისი. კათოლიკოსს ამბროსის
„ჩეკაში“ გაწვევა 267
13 ივნისი – სამშაბათი 272
14 ივნისი....275
18 ივნისი – კვირა....280

„მანგლელ ქრისტეფორეს“ (ციცქიშვილის) პირველი გამოსვლა....280
ალავერდის ეპარქიის ეპისკოპოსზე....281
20 ივნისი – სამშაბათი....283
22 ივნისი – ხუთშაბათი....285
გაზეთ „ტრიბუნიდან“. 1922 წ. 22 ივნისი, №226....287
მიტინგი ნაძალადევის თეატრში – 22 ივნისს, ხუთშაბათს....288
23 ივნისი – პარასკევი....290
25 ივნისი – კვირა....291
28 ივნისი – ოთხშაბათი....294
30 ივნისი – პარასკევი....296
გერმანია....297
კვირა – ივლისის 2....298
ფედერაციის მთავრობა თბილისში....298
სასულიერო სფეროში....299
სამ მღვდელმთავრის წირვა სიონში კვირას, 2 ივლისს....302
საკათოლიკოზო საბჭოს სამეურნეო გამგეობაში და კანცელიარიაში....304
კათოლიკოსის ავათმყოფობა....304
5 ივლისი, ოთხშაბათი, კრება თბ. სამღვდელოებისა....305
6 ივლისი – ხუთშაბათი. ქუთათელი ნაზარი – ქავთარაძის წინაშე!....308
„ვირგლას“ წასვლა ურბნისის ეპარქიაში....308
7 ივლისი – პარასკევი....308
კვირა – 9 ივლისი....309
პლატონ მიტროპოლიტი და მისი „თანამშრომლები“ თბილისში....313
18 ივლისი – სამშაბათი....320
კათოლიკოზის საქმის მოსპობა....326
გააგის კონფერენციის ჩაშლა....328
21 ივლისი – პარასკევი....329
21 ივლისივე – პარასკევი....333
სამოძღვრო კურსებზე....335
24 ივლისი....335
28 ივლისი – პარასკევი. ისევ ვერის წმ. ნიკოლოზისა გამო....338
31 აგვისტო....342
1922 წ. აგვისტოს 2-სა....344
7 აგვისტო, ორშაბათი....347
დეკ. ფხალაძის ალავერდელობაზე....348
არქივის გაყიდვა საკათოლიკოზო საბჭოს დარბაზიდან და კათოლიკოზის საეპარქიო კანცელიარიიდან....352
სეკტემბერი, 1922 წ., 1-ლი რიცხვი....353
29 (16) აგვისტო, ანჩის-ხატობა....355

14 სეკტემბერი 358
„ბანდიტიზმი“ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა 359
21 სეკტემბერი (8 – ძვ. სტ.) 361
23 სეკტემბერი. 1922 364
ეპისკოპატის წინააღმდეგ მოძრაობა სამეგრელოში 366
ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანნეს დარბაზობა ჩემთან 1922 წ.
სეკტემბრის 24-სა – კვირა საღამოთი 369
30 სეკტემბერი – შაბათი, 1922 წ. 372
კვირა – 1 ოქტომბერი 373
კორნელი კეკელიძის განქორწინება 374
6 ოქტომბერი 378
7 ოქტომბერი – შაბათი, 1922 380
10 ოქტომბერი – სამშაბათი 381
11 ოქტომბერი – ოთხშაბათი 383
12 ოქტომბერი 384
13 ოქტომბერი 384
16 ოქტომბერი – ორშაბათი 385
17 ოქტომბერი – სამშაბათი 386
ტფილისის სამღვდელოება სინემატოგრაფის ლენტზე „სურამის ციხე“
17 ოქტომბერი – სამშაბათი 388
17 ოქტომბერივე – გიმნაზიიდან დათხოვნა 392
21 ოქტომბერი – შაბათი 392
22 ოქტომბერი – კვირა. ქრისტეფორე ურბნელის სტუმრობა ჩემთან! 393
23-24 ოქტომბერი 397
26 ოქტომბერი – ხუთშაბათი 400
27 ოქტომბერი – პარასკევი 403
პოლიტიკა 404
4 ნოემბერი – შაბათი 407
ეპისკოპოსთა კრება 407
5 ნოემბერი – კვირა. კომუნიზმის რუსეთში დამკვიდრების 5 წლის თავი
ახალი სტილით მოდის 7 ამა ნოემბერს 408
6 ნოემბერი. ყოფილ დეკანოზ კორნელი კეკელიძის მეორე ქორწინება 411
7 ნოემბერი „ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ხუთი წლის თავი“
(1917 წ. 25 ოქტ. – 1922, 7 ნოემბერი (ძვ.სტ. 25/X) 414
11 ნოემბერი – პარასკევი 416
დეკანოზ ილია შუბლაძის ჩემთან გამობაასება 417
12 ნოემბერი – კვირა. დიმიტრი ყიფიანზე „პანაშვიდი“ მამა დავითის ეზოში...419
17 ნოემბერი – პარასკევი 422
დეკ. შუბლაძის „კარიერა“! 423

18 ნოემბერი – შაბათი. კათოლიკოზის სასახლის ჩამორთმევა
კომუნისტების მიერ 425
კვირა – 19 ნოემბერი....429
ახალი პროვოკაცია 432
ორშაბათი – 20 ნოემბერი – გაგრძელება 433
ნოემბრის 21 – სამშაბათი....436
28 ნოემბერი – სამშაბათი....437
კათოლიკოზთან ჩემი ბაასი 28 ნოემბერს 439
დეკემბერი. 1922 წ. პარასკევი – 1 დეკემბერი....442
შაბათი – 2 დეკემბერი. დეკ. ხახუტაშვილის და კარბელაშვილის სტუმრობა ...444
5 დეკემბერი – სამშაბათი 447
წმიდა მარინეში თათბირი....449
6 დეკემბერი – ოთხშაბათი. „სურამის ციხე“. თბილისის სამღვდელოების
კრება კათოლიკოზის დარბაზში 458
დეკ. შუბლაძის სიტყვა 479
კათოლიკოზის სიტყვა 480
13 დეკემბერი – ოთხშაბათი 483
11 დეკემბერი – ორშაბათი 483
20 დეკემბერი – ოთხშაბათი. „ჩიჯავაძიადა“ 483
25 დეკემბერი 489
ალავერდელზე. 26 დეკემბერი – სამშაბათი 490
27 დეკემბერი – ოთხშაბათი. „რეფორმებზე“ კრება 491
28 დეკემბერი – ხუთშაბათი 501
29 დეკემბერი 501
დეკ. ცინცაძესთან გამობაასება....502
31 დეკემბერი – კვირა. 1922 წელი 502
ბაქოში ეკლესიური გადატრიალება 505
1923 წელი, იანვრის 1-ლი ახ. სტილით 506

1923 წელი

ახალი წელიწადი – 1923 წელი 509
პოლიტიკური პერსპექტივები! 509
კათოლიკოზი ამბროსი და „ახალი სტილით“ – „ახალი წელიწადი“! 511
1923 წ. 7 იანვარი (25 დეკ.). შობა – კვირა 511
8 იანვარი – ორშაბათი 513
10 იანვარი 517
ისევ პატარა წმ. გიორგის ეკლესიაზე....517
ბათუმის ამბები 517

10 იანვარი – ოთხშაბათი 518
ახალი ფული 518
13 იანვარი (31 დეკ. ძვ. სტ.) – შაბათი. 1923 წ. 518
კათოლიკოზთან 519
მიზეზი დაპატიმრებათა 520
კვირა – 14 იანვარი 521
15 იანვარი – ორშაბათი 523
წყალ-კურთხევა – 19 იანვარი – პარასკევი 524
ნინოობა 27 იანვარი (14 ძვ. სტ.) 526

1929 წელი

ოქტომბერი – 14 (ძვ. 1) – „სვეტიცხოვლობა“. ორშაბათი – „მცხეთობა“ 531
იერარქთა შეთქმულება კათალიკოს ქრ-ფორეს წინააღმდეგ 532
წილკნელი ეპ. პავლე ჯაფარიძის გარდაცვალება 533
ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მარგიშვილის გარდაცვალება 533
14 ნოემბერი. ხუთშაბათი 534
12 წლის თავი 535
15 ნოემბერი – პარასკევი. პროფესორ ა. ცაგარლის დასაფლავება 535
ავღანისტანში 537
საფრანგეთში 538
პოლონეთში.....539
17 ნოემბერი – კვირა. იოანე ბოდბელის დასაფლავება 539
საბჭოთა ელჩი – ლონდონში 540
განხეთქილება პარტიაში.....540
26 ნოემბერი – სამშაბათი. „მემარჯვენეთა ბელადების კაპიტულიაცია“ 540
წითელი არმიის ბრწყინვალე მოქმედება ჩინელების წინააღმდეგ 541
საკათოლიკოსო სინოდში 541
გიორგობა – ქვაშვეთობა (23 ნოემბერს – პარასკევს, ძვ. სტილით 10-ს) 542
5 დეკემბერი – ხუთშაბათიშეთანხმება მუკდენთან 546
ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დეკლარაცია 546
ლიტვინოვის პასუხი.....547
21 დეკემბერი – შაბათი. გაიტის აჯანყება 547
სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლის თავის იუბილე 548
რა ხდება საქ. ეკლესიაში?! 548
სამარცხვინო ამბები ქალაქ ფოთის საკრებულო სამღვდელოებაში 550
თურქეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება 550
„ამხ. სტალინის პასუხი“ – საიუბილეო მილოცვებზე
(გაზ. „კომუნისტი“, №296, 1929 წ. 24/XII) 550

25 დეკემბერი – ოთხშაბათი. ახალი სტილით შობა 553
საკადრისი პასუხი „არა მკითხე მოამბეს“ (რუმინეთს სილა გაარტყა ლიტვინოვმა) 553
სამეგრელოს შესახები – ოფიციალური დადგენილება სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი – ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ 554
31 დეკემბერი – 1929 წლის – სამშაბათი. სტალინზე... 556
გურიაში ხდება ეკლესიის საბოლოო ლიკვიდაცია 557
ახალი – 1930 წელი 558
1930 წელი. 1-ლი იანვარი – ოთხშაბათი 558
ცოტაოდენი ჩემ თავზე – pro domo sua. 2 იანვარი – ხუთშაბათი 560

1930 წელი

13 იანვარი – ორშაბათი 563
„კულაკების განკულაკება“ 565
ყალბი ჩერვონცების მკეთებელნი ბერლინში 567
14 იანვარი – სამშაბათი 568
სამრევლოების ახალი რეგისტრაცია 569
ქვაშვეთის ტაძრის დარღვევა-აღებაზე 570
მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნა 572
16 იანვარი – ხუთშაბათი „ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი“ – გაგრძელება 572
მთლიანი კოლექტივიზაცია სოფლად 573
ისევ ჩემზე 574
18 იანვარი – შაბათი 575
19 იანვარი – კვირა 578
სინოდში 579
ისევ მეგრულ ლიტერატურაზე 580
21 იანვარი – სამშაბათი. ლ. ღოღობერიძის მოხსენება – კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შედეგებზე... (გაზეთი „კომუნისტი“, №17) 585
ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი. „ქართველი თეთრგვარდიელები სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდენ“ (გაზ. „კომ.“, №17) 586
23 იანვარი – ხუთშაბათი. სიონის ტაძრის ზარების ჩამოღება 587
25 იანვარი – შაბათი 590
26 იანვარი – კვირა. ანჩისხატის ზარების სამრეკლოდან გადმოყრა 592
ზარების ჩამოხსნა სხვა ტაძრებში 595

ყალბი ჩერვონცების პროცესი ბერლინში 595
28 იანვარი – სამშაბათი. დიალოგი ანჩის-ხატის დეკანოზსა და
მის მნათეს შორის 596
31 იანვარი – პარასკევი 597
ქალაქში ზარის ხმის შეწყვეტა 597
3 თებერვალი, 1930 წელი. მთლიანი კოლექტივიზაცია „სამხრეთ ოსეთში“ ...597
ევროპის გამოხმაურება ყოველივე ამაზე 601
8 თებერვალი – შაბათი. „უკრაინის მართლ-მადიდებელი ეკლესიის გაუქმება“ 603
არ ვიცით, რა ხდება მოსკოვ-ლენინგრადის სინოდალურ ეკლესიაში!..
„ეპისკოპოს გრუშევსკის განცხადება“ 604
სიონის დიდი ზარი 605
საკათალიკოზო სინოდის „პლენუმის“ მოწვევა 605
საუბარი კათალიკოსის ქალთან – „ლელიასთან“.....606
ნეტავი სად არიან საქართველოს ეკლესიის „მოყვრები“?! 607
ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი ბერლინში.....608
ქრისტეფორე-კათალიკოზის განქიქება დავით
ქუთათელ-მიტროპოლიტის მიერ 608
„მიტროპოლიტ სერგის და სინოდის წევრების განცხადება“ 611
24 თებერვალი – ორშაბათი 613
საქ. გასაბჭოების 9 წლისთავი. 25 თებერვალი, 1930 წელი – სამშაბათი
წითელი არმიის 12 წ. თავი 613
სად ვმუშაობ?! 614
2 მარტი – კვირა. 1930 წ. ისევ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემის შესახებ ..615
ისევ ქუთათელ მიტროპ. დავითის მოხსენებაზე 616
ღვდლები და ნამღვდლეები ტფ. ქუჩებზე 617
4 მარტი – სამშაბათი – 1930 წელი.
ი. სტალინის წერილი „თავბრუ დახვევა წარმატებებისაგან“.....618
„სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება“ („კომ.“, №51, 4/III) 620
კოლექტივიზაცია (ხმა უცხოეთიდან) 620
კვირა – 16 მარტი. 1930 წ. 622
17-18 და 19 მარტი – ოთხშაბათი 624
20 მარტი – ხუთშაბათი. „იმპერიალისტებისა და „წმინდა მამების“
პროვოკაციის წინააღმდეგ“„საქ. სახ. უნივერსიტეტის მეცნიერთა პროტესტი“...625
21 მარტი – პარასკევი. საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსის განცხადება
– რომის პაპა ვერ გამოვა თავისუფლების დამცველის როლში, მან ააწიოკა
მართლმადიდებელთა ეკლესია პოლონეთში და სხვაგან „ღმერთმა გვაშო-
როს ასეთი დამცველები“ 627
ქრისტეფორეს განცხადების ტექსტი 629
შაბათი – 22 მარტი. კათოლიკური სამღვდელოების „ხმა“ 631

„კოლექტივიზაცია ოზურგეთის მაზრაში“ (ფ. მახარაძის შთაბეჭდილებანი)...633
ისევ კოლლექტივიზაციაზე. 28 მარტი – პარასკევი 634
პაპის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ 635
მწვავდება ურთიერთობა ევროპასა და საბჭოთა კავშირ შუა 636
კათალიკოზი ქრისტეფორეს ავათმყოფობა 636
30 მარტი – კვირა. 1930 წელი. ლეგენდა-ოპერა „შოთა რუსთაველი“....637
3 აპრილი – ხუთშაბათი. „მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა პოლონეთში.
მიტროპოლიტ დიონისეს ახალი განცხადება“ 638
4 აპრილი – პარასკევი. „ი. სტალინი: პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ 640
შეღავათები კოლექტივებს სოფლად 640
17 აპრილი – „დიდი ხუთშაბათი“ 642
20 აპრილი – აღდგომა 643
„აღდგომა“ (მიბაძვა) 643
21 აპრილი – ორშაბათი – სულთაობაა 645
30 აპრილი – ოთხშაბათი 645
1930 წლის „პირველი მაისობა“ – ხუთშაბათი....646
კრინიცკი-კახიანის გადაყენება13 მაისი – სამშაბათი 647
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდაქმნა 647
ანტირელიგიურ ფრონტზე 648
სომხის კათალიკოსის გარდაცვალება 648
აჯანყებები ინდოეთში 649
სიძვირე – სანოვაგისა 649
5 ივნისი – 1930 წ. ხუთშაბათი 649
ჩვენში 650
კათალიკოს ქრისტეფორესი და ქუთათელ დავითის შეტაკება ქუთაისში 651
24/VI – ოთხშაბათი. 1930 წელი....652
26 ივნისი – 1930 წელი – 13 ივლისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობა...655
ფაშიზმი ფინლიანდიაში 656
13 ივლისი – კვირა. წყალდიდობა-წარღვნა დასავლეთ საქართველოში 657
სახ. უნი-სტეტის მუზეუმის გაძარცვა 657
30 ივლისი – ოთხშაბათი. შფოთი კათალიკოს ქრისტეფორეს გარშემო 658
სკანდალი 659
აგვისტო 2 – შაბათი. ხურდა ფულის გაქრობა ბაზრიდან და
დაწესებულებებშიაც 660
15 ოქტომბერი – ოთხშაბათი....660
მე-5 საეკლესიო კრება საქართველოს ეკლესიისა 661
1930 წელი 663
29 ნოემბერი – შაბათი. 1930 წელი 664
სირცოვ-ლომინაძე-შაცკის – „მემარჯვენე-მომემარცხნო“ ბლოკის

უკლონისტობა 664
„მავნებელთა“ ორგანიზაციის აღმოჩენა 665
დეკ. ნესტორ მაჭარაშვილი (ნეკროლოგის მაგიერი).....668
2 დეკემბერი – სამშაბათი – 1930 წელი. მოსკოვის პროცესი 673
9 დეკემბერი – სამშაბათი. 1930 წელი. ისევ მოსკოვის „პროცესსზე“.....675
10 დეკემბერი. 1930 წელი. ოთხშაბათი. ნოე რამიშვილის მოკვლა 676
ხუთშაბათი – 11 დეკემბერი. ისევ ნ. რამიშვილის მკვლელობაზე 680
მამა დავითის ახალი „მოძღვარი“.....681
ხუთშაბათი – 18 დეკემბერი 683
კვირა – 21 დეკემბერი 683
სამშაბათი – 30 დეკემბერი. „ჯაყოს ხიზნები“ – გასამართლება 683
ეს ქვეყანა 685

1931 წელი

ახალი – 1931 – წელი 687
უსახელო ლექსი 691
ახალი – 1931 წელი – ხუთშაბათი. 1/I 691
6 იანვარი – 1931 წელი – სამშაბათი 693
7 იანვარი – ოთხშაბათი. „დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ საქ.
პედაგოგ. ინსტიტუტში“ 695
19 იანვარი – ორშაბათი. ძველი სტ. 6 იანვარი – ნათლის ღება.....698
9 თებერვალი – ორშაბათი. 1931 წ. 700
ქალაქის ახალი საბჭო 701
პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალება 701
1931 წლის 25 თებერვალი. ოთხშაბათისაქართველოს გასაბჭოების
10 წლისთავი 702
ოთხშაბათი – 25 თებერვალი 705
მარტი 3 – სამშაბათი 706
„მენშევიკ-ინტერვენციონისტების გასამართლება“ 706
აპრილი – 1931 წელი 707
11-12 აპრილი – ახალი სტილით. შაბათი-კვირა 709
25 აპრილი – შაბათირევოლიუცია ისპანიაში 711
30 აპრილი – ხუთშაბათი. დ. კლდიაშვილის გარდაცვალება.....713
მიწისძვრა – სომხეთში, პარასკევი. პირველიმაისობა – 1 მაისი 1931 წლისა..714
აჯანყება ქურთისტანში 715
24 მაისი – კვირა – 1931 წელი. რევოლიუცია ისპანიაში 715
კონფერენცია ჟენევაში 716

28 აგვისტო. 1931 წ. პარასკევი 719
29 აგვისტო – შაბათი – ანჩისხატობა 719
კალოუბნის ტაძრის დანგრევა ქ. ტფილისში 720
დეკანოზები ერთმანეთს მუშტი კრივით უსწორდებიან 720
მამა დავითის წინამძღვრის – ეპისკოპოზი ეფრემის ინციდენტი 721
ეკონომ. კრიზისი ევროპაში 722
10 ოქტომბერი – შაბათი 722
იაპონიის იმპერიალისტური გამოსვლა. 12/X. 1931. ორშაბათი 723
ახალი სესხი – 13/X. სამშაბათი. 1931 725
დიდი ოქტომბრის მე-14 წლის თავი. 7/XI. 1931 წ. შაბათი 725
ომის აჩრდილი აღმოსავლეთით! 725
ინგლისში ახალი მთავრობაა 726
ლიტვინოვი ოსმალეთში 726
30/XII. ოთხშაბათი 727
31 დეკემბერი – ხუთშაბათი. 1931 წ.ზაქარია ჭიჭინაძის გარდაცვალება
და დასაფლავება 728

1932 წელი

ახალი 1932 წელი – პარასკევი 731
Pro domo sua – ეხლა ცოტაოდენი ჩემზე 732
კათალიკოს ქრისტეფორე ციცქიშვილის გარდაცვალება....732
ქრისტეფორეს მოადგილე 734
ქრისტეფორე-კათალიკოსის დასაფლავება14 იანვარს – 1932 წ. – ხუთშაბათს..734
7 თებერვალი – კვირა – 1932 წელი 736
6 მარტი – კვირა – 1932 წელი. ჩინეთ-იაპონიის ომი....738
მოსალოდნელია შეტაკება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის....739
30 აპრილი – დიდი შაბათი....740
1 მაისი – 1932 წელი – კვირა – აღდგომა 742
2 მაისი – ორშაბათი 744
ყუმბარის გადაგდება შანხაიში 744
ოსმალეთის დელეგაცია მოსკოვში – 6 მაისი 744
24 მაისი – 1932 წელი. საფრანგეთის პრეზიდენტის დუმერის მოკვლა 745
1932 წელი – ივნისი. ახალი კათალიკოზი – კალისტრატე ცინცაძე 746
საბჭოთა კავშირში 749
24 დეკემბერი – 1932 წელი – შაბათი 751
31 დეკემბერი – შაბათი 754
„ტირილი“ 757

1933 წელი

1 იანვარი – კვირა 761
ექვსი იანვარი. 1933 წელი. პარასკევი. Pro domo suo 764
6 თებერვალი – ორშაბათი. შტატის შემოკლება ა/კ. რკ. გზის დირექციაში ...768
სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის კონფერენცია მოსკოვში – 10 იანვარს 769
გარეშე ქვეყნებში 770
გერმანიაში 771
26 თებერვალი – კვირა 771
მუშათა გამოსვლები რუმინეთში 773
ინგლის-ჩრდ. ამერიკის შტატების დაახლოება 773
საქართველოს გასაბჭოების დღე – 25 თებერვალი და წითელი არმიის 15 წლისთავი 774
ეკლესიის სფეროებში – ვერის ნიკოლოზისა და ბოდბის წმ. ნინოს კარის ეკლესიის ტფილისში გაუქმება 774
1 მარტი. 1933 წელი – ოთხშაბათი. ისევ საქართველოს ეკლესიის აწინდელ ვითარებაზე.....779
12 მარტი – კვირა – 33 წ. კომპარტიის სასტიკი დევნა გერმანიაში.....782
27 მარტი – ორშაბათი 784
იაპონია ჩინეთში 785
ჩვენში 785
ეკლესიურ წრეებში. ეპისკოპოსი ეფრემი 786
საქმე ელექტროსადგურებში აღმოჩენილი მავნებლობის შესახებ შაბათი – 15 აპრილი – 33 წ. 788
15 აპრილი – დიდი შაბათი 790
16/3 – აპრილი – აღდგომა. ლიტანია ანჩხათში 792
17 აპრილი 793
სამღდელოების დაჯილდოება 793
პროფესორი-ექიმი ვახტანგ მუსხელიშვილისა და საქართველოს მეორე სახელმწიფო დრამის ხელმძღვანელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალება 794
განაჩენი მოსკოვის მავნებლებზე 794
კოტე მარჯანიშვილის ნეშტის დაკრძალვა – 29 აპრილს 795
1933 წლის 1-ლი მაისი – ორშაბათი 796
23 მაისი – სამშაბათი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ბედი 797
კომპოზიტორი ბიქტორ დოლიძის გარდაცვალება 798
24 მაისი – ოთხშაბათი. კომპოზიტორი დოლიძის დასაფლავება 799
ისევ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე 799
ეკლესიურ სფეროებში 799

2 ივლისი – კვირა – 1933 წელი. მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია ლონდონში 800
ნატახტარის წყალსადენის დასრულება და ზეიმი 802
სოსიკო მერკვილაძის გარდაცვალება 802
კულტურულ ფრონტზე. 5 ივლისი, 1933 წელი, ოთხშაბათი – გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი (გაზეთი „კომუნისტი“, №153) 808

პროექტი სამოძღვრო სემინარიის დაარსებისათვის 811
...„კერძოდ ღვდლებზე გამოცხადდა...“ 824
...„თქვენი მწყემსმთავრული ღვაწლის აღნიშვნა...“ 849
ტფილისის სასულიერო სემინარიაში 853
პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „უ ემჩინოვა მატ გრუზინკა“! 865

პირთა საძიებელი 868